

ნიდერლანდების სამოქალაქო კოდექსი

(2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით)

თარგმანი ინგლისური ენიდან ზურაბ ჭეჭელაშვილისა

დაიბეჭდა საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს მხარდაჭერით



Kingdom of the Netherlands

თბილისი
2021

ნიდერლანდების სამოქალაქო კოდექსი
გამომცემელი: სსიპ საქართველოს ნოტარიუსთა პალატა
გამოცემის წელი: 2021 წ.

მთარგმნელი და რედაქტორი: ზურაბ ჭეჭელაშვილი
დიზაინი და დაკაბადონება: გიორგი ლომსაძე
დაიბეჭდა გამომცემლობაში შპს „სვეტი“

© ნიდერლანდების სამოქალაქო კოდექსი
© გამომცემელი: სსიპ საქართველოს ნოტარიუსთა პალატა

ISBN 978-9941-9748-8-5

შინაარსი

მთარგმნელისაგან	12
1-ლი ნიგნი – პირებისა და საოჯახო სამართალი	
ტიტული 1.1 – ზოგადი დებულებები.....	13
ტიტული 1.2 – სახელის უფლება	13
ტიტული 1.3 – დომიცილი (საცხოვრებელი ადგილი)	16
ტიტული 1.4 – სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრაცია.....	18
განყოფილება 1.4.1 – სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრატორი	18
განყოფილება 1.4.2 – სამოქალაქო მდგომარეობის რეესტრის დაცვა.....	19
განყოფილება 1.4.3 – სამოქალაქო მდგომარეობის ამსახველი ცნობები და ამ დოკუმენტების მხარეები	19
განყოფილება 1.4.4 – დაბადების, გარდაცვალებისა და ცხოვრების უფლების შესახებ დოკუმენტები (“attestatie de vita”).....	21
განყოფილება 1.4.5 – სამოქალაქო მდგომარეობის ამსახველ ცნობებზე შემდგომში გაკეთებული აღნიშვნები.....	24
განყოფილება 1.4.6 – განსაზღვრული სასამართლო გადაწყვეტილებების რეგისტრაციის შესახებ ცნობები	26
განყოფილება 1.4.7 – სამოქალაქო მდგომარეობის ამსახველი ცნობების, ისევე როგორც ასეთი ცნობების ასლებისა და ამონარიდების მტკიცებულებითი (პრობაციული) ღირებულება	27
განყოფილება 1.4.8 – სამოქალაქო მდგომარეობის ამსახველი ცნობების პუბლიკაცია	27
განყოფილება 1.4.9 – სამოქალაქო მდგომარეობის რეესტრებში დამატებების შეტანა და ასევე იქვე რეგისტრირებული ცნობებისა და შემდგომში გაკეთებული აღნიშვნების შესწორება.....	28
განყოფილება 1.4.10 – უცხოეთში გაცემული მონმობები და შემცვლელი დაბადების მონმობის შედგენის შესახებ სასამართლოს განკარგულება.....	29
განყოფილება 1.4.11 – უცხოეთში გაცემული მონმობების ან სასამართლოს განკარგულებების ნიდერლანდების ტერიტორიაზე იურიდიული ძალის აღიარების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილება	31
განყოფილება 1.4.12 – სამოქალაქო მდგომარეობის ამსახველი ცნობის შედგენაზე ანდა სხვა მოქმედების განხორციელებაზე უარის წინააღმდეგ არსებული სამართლებრივი დაცვის საშუალება.....	32
განყოფილება 1.4.13 – დაბადების მონმობაში სქესის ჩანაწერის შეცვლის შესახებ სასამართლოს განკარგულება.....	33
განყოფილება 1.4.14 – სამოქალაქო მდგომარეობასა და ეროვნების საკითხებთან დაკავშირებით არსებული საკონსულტაციო კომისია.....	34
ტიტული 1.5 – ქორწინება	35
განყოფილება 1.5.1 – დაქორწინებისათვის არსებული მოთხოვნები.....	35
განყოფილება 1.5.2 – დაქორწინებისათვის აუცილებელი ფორმალობები.....	36
განყოფილება 1.5.3 – განზრახული დაქორწინების პროცესის შეჩერება დაქორწინებისათვის ხელის შემშლელი სამართლებრივი გარემოებების არსებობის გამო	39
განყოფილება 1.5.4 – ქორწინების გაფორმება.....	41
განყოფილება 1.5.5 – ქორწინების ბათილობა.....	42
განყოფილება 1.5.5A {გაუქმებულია 01.03.2009წ.}	44
განყოფილება 1.5.6 – ქორწინების არსებობის ფაქტის მტკიცება.....	44
ტიტული 1.5A – რეგისტრირებული პარტნიორობა	44
ტიტული 1.6 – მეუღლეთა უფლებები და მოვალეობები	47
ტიტული 1.7 – მეუღლეთა საერთო საკუთრება.....	51
განყოფილება 1.7.1 – ზოგადი დებულებები	51
განყოფილება 1.7.2 – მეუღლეთა საერთო საკუთრების მართვა (ადმინისტრირება)	53
განყოფილება 1.7.3 – მეუღლეთა საერთო საკუთრების გაუქმება.....	53
განყოფილება 1.7.4 – მეუღლეთა საერთო საკუთრების შეწყვეტა სასამართლოს განკარგულების საფუძველზე.....	56
ტიტული 1.8 – საქორწინო ხელშეკრულებები.....	57

განყოფილება 1.8.1 – საქორწინო ხელშეკრულებები ზოგადად	57
განყოფილება 1.8.2 – საქორწინო ურთიერთობებში მეუღლეების წილთა გათანაბრების ვალდებულებები	59
ქვეგანყოფილება 1.8.2.1 – საქორწინო ურთიერთობებში მეუღლეების წილთა გათანაბრების ვალდებულებების მომწესრიგებელი ზოგადი ნორმები	59
ქვეგანყოფილება 1.8.2.2 – წილთა გათანაბრების პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებები.....	62
ქვეგანყოფილება 1.8.2.3 – საბოლოოდ შესასრულებელი წილთა გათანაბრების ვალდებულებები.....	62
განყოფილება 1.8.3 {გაუქმებულია 01.01.2003წ.}	63
ტიტული 1.9 – ქორწინების შეწყვეტა.....	63
განყოფილება 1.9.1 – ქორწინების შეწყვეტის მომწესრიგებელი ზოგადი დებულებები.....	63
განყოფილება 1.9.2 – განქორწინება.....	64
ტიტული 1.10 – სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე დადგენილი მეუღლეთა განცალკევებით ცხოვრების რეჟიმი და ქორწინების შეწყვეტა განცალკევებით ცხოვრების რეჟიმის დასრულების შემდეგ	67
განყოფილება 1.10.1 – სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე დადგენილი მეუღლეთა განცალკევებით ცხოვრების რეჟიმი	67
განყოფილება 1.10.2 – ქორწინების შეწყვეტა განცალკევებით ცხოვრების რეჟიმის დასრულების შემდეგ	69
ტიტული 1.11 – სისხლით ნათესაობა	70
განყოფილება 1.11.1 – ზოგადი დებულებები.....	70
განყოფილება 1.11.2 – ქორწინების დროს არსებული მამობის უარყოფა	71
განყოფილება 1.11.2a – ქორწინებიდან გამომდინარე დედობის უარყოფა.....	72
განყოფილება 1.11.3 – მამობის აღიარება	72
განყოფილება 1.11.4 – მამობის დადგენა სასამართლოს წესით.....	74
განყოფილება 1.11.5 – ოჯახური ვითარების არსებობის მოთხოვნა ან მისი სადავოდ გახდომა	74
განყოფილება 1.11.6 – სპეციალური მეურვე.....	75
ტიტული 1.12 – შვილად აყვანა	75
ტიტული 1.13 – ადრეული ბავშვობა (მცირეწლოვნობა)	78
განყოფილება 1.13.1 – ზოგადი დებულებები.....	78
განყოფილება 1.13.2 – არასრულწლოვანის სასამართლოს წესით ემანსიპაცია.....	78
განყოფილება 1.13.3 – ბავშვის ინტერესების დაცვის საბჭო	79
განყოფილება 1.13.4 – არასრულწლოვანი პირების მიმართ განხორციელებული უფლებამოსილების რეესტრები.....	81
ტიტული 1.14 – მცირეწლოვანი ბავშვების მიმართ განხორციელებული უფლებამოსილება	81
განყოფილება 1.14.1 – ზოგადი დებულებები.....	81
განყოფილება 1.14.2 – მშობლის უფლებამოსილება.....	83
ქვეგანყოფილება 1.14.2.1 – მშობელთა ერთობლივი უფლებამოსილება ქორწინების პერიოდში და მისი შეწყვეტის შემდეგ და ასევე ერთ-ერთი მშობლის უფლებამოსილება განქორწინების შემდეგ	83
ქვეგანყოფილება 1.14.2.1a – მშობელთა ერთობლივი უფლებამოსილება რეგისტრირებული პარტნიორობის პერიოდში	85
ქვეგანყოფილება 1.14.2.2 – ერთ-ერთი მშობლის უფლებამოსილება სხვა ვითარებაში, ვიდრე განქორწინების შემდგომ პერიოდში არსებულისა.....	85
ქვეგანყოფილება 1.14.2.2a – არასრულწლოვანი დედის ემანსიპაციის შემდგომ განხორციელებული მშობლის უფლებამოსილება	88
ქვეგანყოფილება 1.14.2.3 – მშობლების მიერ ბავშვის ქონების ადმინისტრირება	88
განყოფილება 1.14.3 – ორივე მშობლის ან ერთ-ერთი მათგანის მიერ მშობლის უფლებამოსილების განხორციელების მომწესრიგებელი საერთო დებულებები	89
განყოფილება 1.14.3A – მშობლის მიერ ბავშვის მიმართ უფლებამოსილების ერთობლივი განხორციელება იმ პირთან ერთად, ვინც არ არის ბავშვის მშობელი	91
ქვეგანყოფილება 1.14.3A.1 – მშობლისა და სხვა არამშობელი პირის მიერ ბავშვზე უფლებამოსილების ერთობლივი განხორციელება კანონის ძალით	91
ქვეგანყოფილება 1.14.3A.2 – მშობლისა და სხვა არამშობელი პირის მიერ ბავშვის მიმართ უფლებამოსილების ერთობლივი განხორციელება სასამართლოს განკარგულების საფუძველზე....	91

ქვეგანყოფილება 1.14.3A.3 – მშობლისა და სხვა არამშობელი პირის მიერ ბავშვის მიმართ უფლებამოსილების განხორციელების მომწესრიგებელი საერთო დებულებები.....	93
განყოფილება 1.14.4 – არასრულწლოვანთათვის არსებული სამეურვეო კონტროლის საშუალებები.....	94
განყოფილება 1.14.5 – მშობლის უფლებამოსილების გაუქმება და მისი ჩამორთმევა.....	99
განყოფილება 1.14.6 – არასრულწლოვანთა მეურვეობა.....	103
ქვეგანყოფილება 1.14.6.1 – არასრულწლოვანთა მეურვეობა ზოგადად.....	103
ქვეგანყოფილება 1.14.6.2 – ერთ-ერთი მშობლის მიერ ბავშვის მიმართ მეურვის უფლებამოსილების მესამე პირისათვის დელეგირება.....	105
ქვეგანყოფილება 1.14.6.3 – სასამართლოს განკარგულების საფუძველზე დადგენილი არასრულწლოვნის მეურვეობა.....	106
ქვეგანყოფილება 1.14.6.4 – იურიდიული პირების მიერ განხორციელებული მეურვეობა.....	107
ქვეგანყოფილება 1.14.6.5 – მეურვეობის შეწყვეტა.....	109
ქვეგანყოფილება 1.14.6.6 – არასრულწლოვანთა მიმართ მეურვეობის განხორციელების უუნარობა.....	109
ქვეგანყოფილება 1.14.6.7 – მეურვეობის ქვეშ მყოფი არასრულწლოვანის მიმართ განხორციელებული სამეურვეო კონტროლი.....	110
ქვეგანყოფილება 1.14.6.8 – მეურვის გათავისუფლება მასზე დაკისრებული მოვალეობისაგან.....	110
ქვეგანყოფილება 1.14.6.9 – მეურვის მიერ არასრულწლოვანის როგორც პიროვნების მიმართ განხორციელებული ზედამხედველობა.....	112
ქვეგანყოფილება 1.14.6.10 – მეურვის მიერ არასრულწლოვანის ქონების მართვა.....	113
ქვეგანყოფილება 1.14.6.11 – ანგარიშის წარდგენა მეურვეობის შეწყვეტის შემდეგ.....	120
ტიტული 1.15 – ბავშვთან კონტაქტის უფლება და ინფორმაციის მიწოდება.....	121
ტიტული 1.16 – ზრდასრული პირების მეურვეობა.....	123
ტიტული 1.17 – რჩენის ვალდებულება.....	129
განყოფილება 1.17.1 – ზოგადი დებულებები.....	129
განყოფილება 1.17.2 – არასრულწლოვან შვილებსა და გერებზე ზრუნვისა და მათი აღზრდის ხარჯების განევა.....	132
ტიტული 1.18 – პირის თავის საცხოვრებელ ადგილზე არყოფნა, დაკარგული პირები და პირის გარდაცვლილად აღიარება.....	135
განყოფილება 1.18.1 – საცხოვრებელ ადგილზე არმყოფი პირის ინტერესებში ქონების მინდობით მართვა.....	135
განყოფილება 1.18.2 – პირები, რომელთა არსებობა გაურკვეველია.....	135
განყოფილება 1.18.3 – კონკრეტულ შემთხვევებში პირის გარდაცვლილად აღიარება.....	139
ტიტული 1.19 – მინდობით ქონების მართვა ზრდასრული პირებისათვის.....	140
ტიტული 1.20 – ზრდასრული პირების ინტერესების დაცვითი მენტორობა.....	148

მე-2 ნიგნი – იურიდიული პირები

ტიტული 2.1 – ზოგადი დებულებები.....	154
ტიტული 2.2 – კავშირები.....	167
ტიტული 2.3 – კოოპერატივები და ურთიერთდახმარების დაზღვევის საზოგადოებები.....	175
განყოფილება 2.3.1 – ზოგადი დებულებები.....	175
განყოფილება 2.3.2 (გამოტოვებულია წინამდებარე გამოცემაში როგორც არააქტუალური).....	180
ტიტული 2.4 – ღია კორპორაციები (საჯარო შეზღუდული კომპანიები).....	180
განყოფილება 2.4.1 – ზოგადი დებულებები.....	180
განყოფილება 2.4.2 – აქციები.....	184
განყოფილება 2.4.3 – ღია კორპორაციის კაპიტალი.....	194
განყოფილება 2.4.4 – საერთო კრება.....	208
განყოფილება 2.4.5 – ღია კორპორაციის დირექტორთა საბჭო და დირექტორთა საბჭოს ზედამხედველობა.....	217
განყოფილება 2.4.6 (გამოტოვებულია წინამდებარე გამოცემაში როგორც არააქტუალური).....	227
განყოფილება 2.4.7 – ღია კორპორაციის გაუქმება.....	227
განყოფილება 2.4.8 – გასაჩივრება {გაუქმებულია 01.01.2013წ.}.....	227

ტიტული 2.5 – დახურული კორპორაციები (კერძო შეზღუდული კომპანიები).....	227
განყოფილება 2.5.1 – ზოგადი დებულებები	227
განყოფილება 2.5.2 – წილები.....	231
განყოფილება 2.5.3 – დახურული კორპორაციის კაპიტალი.....	239
განყოფილება 2.5.4 – საერთო კრება	247
განყოფილება 2.5.5 – დახურული კორპორაციის დირექტორთა საბჭო და დირექტორთა საბჭოს ზედამხედველობა	254
განყოფილება 2.5.6 (გამოტოვებულია წინამდებარე გამოცემაში როგორც არააქტუალური)	261
განყოფილება 2.5.7 – დახურული კორპორაციის გაუქმება	261
განყოფილება 2.5.8 – გასაჩივრება {გაუქმებულია 01.01.2013წ.}.....	261
ტიტული 2.6 – ფონდები.....	261
ტიტული 2.7 – შერწყმა და გაყოფა.....	267
განყოფილება 2.7.1 – ზოგადი დებულებები.....	267
განყოფილება 2.7.2 – შერწყმასთან დაკავშირებული ზოგადი დებულებები.....	267
განყოფილება 2.7.3 – ღია და დახურული კორპორაციების შერწყმის მომწესრიგებელი სპეციალური საკანონმდებლო ნორმები.....	274
განყოფილება 2.7.3A (გამოტოვებულია წინამდებარე გამოცემაში როგორც არააქტუალური)	277
განყოფილება 2.7.4 – გაყოფასთან დაკავშირებული ზოგადი დებულებები.....	277
განყოფილება 2.7.5 – გაყოფის მომწესრიგებელი სპეციალური საკანონმდებლო ნორმები, რომელთა მეშვეობითაც ხდება ღია ან დახურული კორპორაციების გაყოფა ან შექმნა.....	286

მე-3 ნიგნი – ქონებრივი სამართალი ზოგადად

ტიტული 3.1 – ზოგადი დებულებები.....	290
განყოფილება 3.1.1 – ტერმინოლოგია	290
განყოფილება 3.1.1A – ქონებრივ სამართალში ელექტრონული კომუნიკაციის სამართლებრივი ასპექტები.....	292
განყოფილება 3.1.1B – ბუღალტერია.....	294
განყოფილება 3.1.2 – რეგისტრირებული ქონების რეგისტრაცია	295
ტიტული 3.2 – გარიგებები.....	301
ტიტული 3.3 – წარმომადგენლობა (წარმომადგენლობითი უფლებამოსილება)	308
ტიტული 3.4 – ქონების შეძენა და დაკარგვა.....	312
განყოფილება 3.4.1 – ზოგადი დებულებები	312
განყოფილება 3.4.2 – სანივთო უფლებების გადაცემა და შეზღუდულ სანივთო უფლებებზე უარი	313
განყოფილება 3.4.3 – ქონების შეძენა და დაკარგვა ხანდაზმულობით	318
ტიტული 3.5 – მფლობელობა და მპყრობელობა	320
ტიტული 3.6 – ქონების (მინდობით) მართვა {ამ ტიტულის მიღება გადავადებულია}	323
ტიტული 3.7 – საერთო საკუთრება.....	323
განყოფილება 3.7.1 – ზოგადი დებულებები.....	323
განყოფილება 3.7.2 – საერთო საკუთრების ცალკეული ფორმები	329
განყოფილება 3.7.3 – ბათილი და საცილო განაწილებები.....	330
ტიტული 3.8 – უზუფრუქტი.....	331
ტიტული 3.9 – სანივთო უზრუნველყოფის უფლებები: გირავნობა და იპოთეკა.....	337
განყოფილება 3.9.1 – სანივთო უზრუნველყოფის უფლებების მომწესრიგებელი ზოგადი დებულებები.....	337
განყოფილება 3.9.2 – გირავნობა	339
განყოფილება 3.9.3 – სერტიფიკატების მფლობელთა სახელით დადგენილი გირავნობები	344
განყოფილება 3.9.4 – იპოთეკა.....	345
ტიტული 3.10 – მოვალის მიმართ კრედიტორის მოთხოვნის უფლება.....	351
განყოფილება 3.10.1 – კრედიტორის მოთხოვნის უფლების მომწესრიგებელი ზოგადი დებულებები	351
განყოფილება 3.10.2 – კონკრეტულ აქტივებთან დაკავშირებული პრივილეგიები	352

განყოფილება 3.10.3 – მთელ ქონებასთან (პირის კუთვნილ ყველა აქტივთან) დაკავშირებული პრივილეგიები	354
განყოფილება 3.10.4 – დაკავების უფლება	354
ტიტული 3.11 – სარჩელის უფლებები (სარჩელები)	355

მე-4 ნიგნი – მემკვიდრეობის სამართალი

ტიტული 4.1 – ზოგადი დებულებები	363
ტიტული 4.2 – კანონით მემკვიდრეობა	365
ტიტული 4.3 – კანონით მემკვიდრეობა მეუღლესა და გარდაცვლილის შვილებს შორის ურთიერთობაში	366
განყოფილება 4.3.1 – კანონით მემკვიდრეობის მომწესრიგებელი სამართლის მოქმედება იმ მეუღლის მიმართ, ვინც არ არის განცალკევებით ცხოვრების რეჟიმში გარდაცვლილთან და ასევე – გარდაცვლილის შვილების მიმართ	366
განყოფილება 4.3.2 – სხვა კანონისმიერი უფლებები	372
ტიტული 4.4 – გარდაცვლილის ანდერძი	378
განყოფილება 4.4.1 – ანდერძი ზოგადად	378
განყოფილება 4.4.2 – პირები, რომლებსაც შეუძლიათ ანდერძის შედგენა და ის პირები, რომლებსაც შეუძლიათ მისგან სარგებლის მიღება	380
განყოფილება 4.4.3 – სავალდებულო მემკვიდრის წილი	382
ქვეგანყოფილება 4.4.3.1 – ზოგადი დებულებები	382
ქვეგანყოფილება 4.4.3.2 – სავალდებულო წილის ოდენობა	383
ქვეგანყოფილება 4.4.3.3 – სავალდებულო წილის რეალიზაცია	387
განყოფილება 4.4.4 – ანდერძის ფორმა	391
განყოფილება 4.4.5 – ადრე შედგენილი ანდერძის გაუქმება	394
ტიტული 4.5 – სხვადასხვა სახის ანდერძები	395
განყოფილება 4.5.1 – მემკვიდრეთა დანიშვნა	395
განყოფილება 4.5.2 – ლეგატები	395
ქვეგანყოფილება 4.5.2.1 – ზოგადი დებულებები	395
ქვეგანყოფილება 4.5.2.2 – ნაჩუქრობები და სხვა მოქმედებები, რომლებიც განიხილება როგორც ლეგატი	397
განყოფილება 4.5.3 – ანდერძით დაკისრებული ვალდებულებები	398
განყოფილება 4.5.4 – ფონდები	400
განყოფილება 4.5.5 – ვალდებულებების ანდერძით დაკისრება განსაზღვრული ვადით (ძალაში შესვლის ან შეწყვეტის თარიღი) ან პირობით	400
განყოფილება 4.5.6 – მონანდერძის მიერ დანიშნული ანდერძის აღმსრულებლები	401
განყოფილება 4.5.7 – ანდერძით დადგენილი მართვა	404
ქვეგანყოფილება 4.5.7.1 – ზოგადი დებულებები	404
ქვეგანყოფილება 4.5.7.2 – მმართველი	405
ქვეგანყოფილება 4.5.7.3 – ანდერძით დადგენილი მართვის შედეგები	408
ქვეგანყოფილება 4.5.7.4 – საანდერძო ზედამხეველობის შეწყვეტა	410
ტიტული 4.6 – მემკვიდრეობის შედეგები	411
განყოფილება 4.6.1 – ზოგადი დებულებები	411
განყოფილება 4.6.2 – მემკვიდრეობის ან ლეგატის მიღება და მასზე უარი	414
განყოფილება 4.6.3 – სამკვიდრო ქონების ლიკვიდაცია (გაუქმება)	417
განყოფილება 4.6.4 – გარდაცვლილის სამკვიდროს განაწილება (გაყოფა)	425

მე-5 ნიგნი – სანივთო უფლებები

ტიტული 5.1 – საკუთრების უფლება ზოგადად	427
ტიტული 5.2 – მოძრავი ნივთების საკუთრება	427
ტიტული 5.3 – უძრავი ნივთების საკუთრება	431

ტიტული 5.4 – მომიჯნავე ფართების მესაკუთრეთა უფლებები და მოვალეობები.....	434
ტიტული 5.5 – საერთო საკუთრება.....	438
ტიტული 5.6 – სერვიტუტი	439
ტიტული 5.7 – გრძელვადიანი იჯარა	443
ტიტული 5.8 – აღნაგობა	447
ტიტული 5.9 – ბინის საკუთრება	448
განყოფილება 5.9.1 – ზოგადი დებულებები	448
განყოფილება 5.9.2 – ბინის მესაკუთრეთა ასოციაცია	455
განყოფილება 5.9.3 – დაზღვევის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე უფლებები	458
განყოფილება 5.9.4 – იმ სანოტარო აქტში განხორციელებული ცვლილება, რომლითაც დადგენილ იქნა ბინაზე საკუთრების უფლებები, და ასევე ბინაზე საკუთრების უფლებებად დაყოფის შეწყვეტა	459

მე-6 ნიგნი – ვალდებულებითი სამართალი

ტიტული 6.1 – ვალდებულებები ზოგადად.....	464
განყოფილება 6.1.1 – ზოგადი დებულებები.....	464
განყოფილება 6.1.2 – მოვალეთა სიმრავლე და სოლიდარული პასუხისმგებლობა	465
განყოფილება 6.1.3 – კრედიტორთა სიმრავლე.....	467
განყოფილება 6.1.4 – ალტერნატიული ვალდებულებები	468
განყოფილება 6.1.5 – პირობითი ვალდებულებები	469
განყოფილება 6.1.6 – ვალდებულების შესრულება.....	469
განყოფილება 6.1.7 – ვალდებულების შესრულებაზე უარის უფლება	474
განყოფილება 6.1.8 – კრედიტორის მიერ ვადის გადაცილება	475
განყოფილება 6.1.9 – ვალდებულების შეუსრულებლობის სამართლებრივი შედეგები.....	477
ქვეგანყოფილება 6.1.9.1 – ზოგადი დებულებები	477
ქვეგანყოფილება 6.1.9.2 – მოვალის მიერ ვადის გადაცილება.....	478
ქვეგანყოფილება 6.1.9.3 – ვალდებულების შეუსრულებლობის სხვა შედეგები.....	479
ქვეგანყოფილება 6.1.9.4 – სახელშეკრულებო პირგასამტეხლო.....	480
განყოფილება 6.1.10 – ზიანის ანაზღაურების კანონისმიერი ვალდებულება.....	481
განყოფილება 6.1.11 – ფულადი თანხის გადახდის ვალდებულება.....	485
განყოფილება 6.1.12 – გაქვითვის უფლება	489
ტიტული 6.2 – სავალო მოთხოვნებისა და ვალდებულებების გადასვლა სხვა პირზე;	
სავალო მოთხოვნებზე უარის თქმა.....	492
განყოფილება 6.2.1 – სხვა პირზე ვალდებულების შესრულების უფლების გადასვლის შედეგები (მოთხოვნის უფლებებისა და ვალდებულებების გადასვლა სხვა პირზე).....	492
განყოფილება 6.2.2 – სუროგაცია.....	494
განყოფილება 6.2.3 – ვალდების სუბსტიტუცია და სახელშეკრულებო მდგომარეობის გადაცემა	495
განყოფილება 6.2.4 – მოთხოვნის უფლებებზე უარი და კონფუზია.....	496
ტიტული 6.3 – დელიქტები (უკანონო ქმედებები).....	497
განყოფილება 6.3.1 – ზოგადი დებულებები	497
განყოფილება 6.3.2 – სხვა პირების ან ნივთების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება	498
განყოფილება 6.3.3 – პასუხისმგებლობა ნაკლის მქონე პროდუქციით მიყენებული ზიანისათვის	504
განყოფილება 6.3.3A – არაკეთილსინდისიერი სავაჭრო პრაქტიკა	506
განყოფილება 6.3.4 – შეცდომაში შემყვანი და შედარებაზე დაფუძნებული რეკლამირება	512
განყოფილება 6.3.4A – სანივთო სამართლის სფეროში ელექტრონულ შეტყობინებებთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა.....	513
განყოფილება 6.3.5 (გამოტოვებულია წინამდებარე გამოცემაში როგორც არააქტუალური)	515
ტიტული 6.4 – დელიქტისა თუ ხელშეკრულების გარდა, სხვა სამართლებრივი წყაროდან წარმოშობილი ვალდებულებები.....	515
განყოფილება 6.4.1 – დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება	515

განყოფილება 6.4.2 – არარსებული ვალდებულების შესრულება.....	516
განყოფილება 6.4.3 – უსაფუძვლო გამდიდრება.....	517
ტიტული 6.5 – ხელშეკრულებები ზოგადად.....	518
განყოფილება 6.5.1 – ზოგადი დებულებები.....	518
განყოფილება 6.5.2 – ხელშეკრულებების დადება.....	519
განყოფილება 6.5.2a (გამოტოვებულია წინამდებარე გამოცემაში როგორც არააქტუალური).....	522
განყოფილება 6.5.3 – ხელშეკრულების სტანდარტული პირობები.....	522
განყოფილება 6.5.4 – ხელშეკრულებების სამართლებრივი შედეგები.....	528
განყოფილება 6.5.5 – ორმხრივი ხელშეკრულებები.....	532

მე-7 ნიგნი – ცალკეული ხელშეკრულებები

ტიტული 7.1 – ნასყიდობა და გაცვლა.....	536
განყოფილება 7.1.1 – ნასყიდობის ხელშეკრულებების შესახებ ზოგადი დებულებები.....	536
განყოფილება 7.1.2 – გამყიდველის კანონისმიერი მოვალეობები და ვალდებულებები.....	540
განყოფილება 7.1.3 – მყიდველის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის კონკრეტული სამართლებრივი შედეგები.....	542
განყოფილება 7.1.4 – მყიდველის ვალდებულებები.....	545
განყოფილება 7.1.5 – მყიდველის მიერ ვადის გადაცილების კონკრეტული შედეგები.....	546
განყოფილება 7.1.6 – ხელშეკრულებაზე უარის კონკრეტული უფლებები.....	546
განყოფილება 7.1.7 – ზიანი.....	547
განყოფილება 7.1.8 – ნივთის უკან გამოთხოვის უფლება.....	547
განყოფილება 7.1.9 – ნასყიდობა ნივთის მოწონების პირობით.....	549
განყოფილება 7.1.9A – დისტანციური ხელშეკრულებები.....	549
განყოფილება 7.1.10 – ძვირადღირებული უფლებების ნასყიდობა.....	553
[განყოფილება 7.1.10A შეიცვალა 7.1a ტიტულით].....	554
[განყოფილება 7.1.11 დარღვევებულია].....	554
განყოფილება 7.1.12 – გაცვლა.....	554
ტიტული 7.1a – თაიმშერის, გრძელვადიანი დასვენების, დახმარებისა და გაცვლის ხელშეკრულებები.....	555
ტიტული 7.2 – ფინანსური გირაოს შესახებ ხელშეკრულებები.....	558
ტიტული 7.2A – სამომხმარებლო კრედიტის ხელშეკრულებები.....	561
განყოფილება 7.2A.1 – ზოგადი დებულებები.....	561
განყოფილება 7.2A.2 – საკრედიტო ხელშეკრულების დადებამდე ინფორმაციის მიწოდება და შესაბამისი პრაქტიკა.....	564
განყოფილება 7.2A.3 – საკრედიტო ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ინფორმაცია და უფლებები.....	564
განყოფილება 7.2A.4 – ხარჯების წლიური საპროცენტო სარგებლის ოდენობა.....	570
განყოფილება 7.2A.5 – კრედიტორები და საკრედიტო შუამავლები.....	570
განყოფილება 7.2A.6 (გამოტოვებულია წინამდებარე გამოცემაში როგორც არააქტუალური).....	571
ტიტული 7.2D – ლომბარდის ხელშეკრულება.....	571
ტიტული 7.3 – ჩუქების ხელშეკრულება.....	573
ტიტული 7.4 – ქირავნობის ხელშეკრულება.....	576
განყოფილება 7.4.1 – ზოგადი დებულებები.....	576
განყოფილება 7.4.2 – გამქირავებლის ვალდებულებები.....	577
განყოფილება 7.4.3 – დამქირავებლის ვალდებულებები.....	578
განყოფილება 7.4.4 – გაქირავებული ქონების გასხვისებისას ქირავნობის ხელშეკრულების გადასვლა ახალ გამქირავებელზე და ქირავნობის შეწყვეტა.....	581
განყოფილება 7.4.5 – საცხოვრებელი ფართის ქირავნობა.....	584
ქვეგანყოფილება 7.4.5.1 – ზოგადი დებულებები.....	584
განყოფილება 7.4.5.2 – ქირისა და სხვა ასანაზღაურებელი თანხები.....	586
§ 1. ქირა.....	586

§ 2. სხვა ასანაზღაურებელი თანხები.....	591
§ 3. დასკვნითი დებულებები.....	592
ქვეგანყოფილება 7.4.5.3 – ერთობლივი ქირავნობა და ქირავნობის ხელშეკრულების მოქმედების გაგრძელება.....	593
ქვეგანყოფილება 7.4.5.4 – ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტა.....	597
განყოფილება 7.4.5 – საცალო ვაჭრობის ფართების ქირავნობა.....	602
ტიტული 7.5 – სასოფლო-სამეურნეო იჯარის ხელშეკრულება.....	609
განყოფილება 7.5.1 – ზოგადი დებულებები.....	609
განყოფილება 7.5.2 – სასოფლო-სამეურნეო იჯარის ხელშეკრულების ფორმა.....	610
განყოფილება 7.5.3 – სასოფლო-სამეურნეო იჯარის საკითხების მარეგულირებელი სახელმწიფო უწყების მიერ იჯარის ხელშეკრულების მონონება.....	610
განყოფილება 7.5.4 – სასოფლო-სამეურნეო იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე იჯარის ხანგრძლივობა.....	613
განყოფილება 7.5.5 – სასოფლო-სამეურნეო იჯარის ქირა.....	614
განყოფილება 7.5.6 – მეიჯარის ვალდებულებები.....	616
განყოფილება 7.5.7 – მოიჯარის ვალდებულებები.....	618
განყოფილება 7.5.8 – საიჯარო ქონების გასხვისებისას იჯარის ხელშეკრულების გადასვლა ახალ მოიჯარეზე.....	621
განყოფილება 7.5.9 – სასოფლო-სამეურნეო იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე სახელშეკრულებო მდგომარეობის სუროგაცია (სუბსტიტუცია).....	622
განყოფილება 7.5.10 – სასოფლო-სამეურნეო იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტა.....	623
განყოფილება 7.5.11 – მოიჯარის უპირატესი შესყიდვის უფლება.....	626
განყოფილება 7.5.12 (გამოტოვებულია წინამდებარე გამოცემაში როგორც არააქტუალური).....	629
განყოფილება 7.5.13 – 7.5 ტიტულში მოცემული კანონის იმპერატიული ნორმები.....	629
განყოფილება 7.5.14 – დასკვნითი დებულებები.....	630
ტიტული 7.7 – ნარდობის ხელშეკრულება.....	631
განყოფილება 7.7.1 – მომსახურების განევა ზოგადად.....	631
განყოფილება 7.7.2 – დავალების ხელშეკრულება.....	633
განყოფილება 7.7.3 – საშუამავლო ხელშეკრულება.....	636
განყოფილება 7.7.4 – სავაჭრო აგენტობის ხელშეკრულება.....	637
განყოფილება 7.7.5 – სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულება.....	642
ტიტული 7.7A – მოგზაურობის ხელშეკრულება.....	647
ტიტული 7.7B – ანგარიშსწორების ოპერაციები.....	651
განყოფილება 7.7B.1 – ზოგადი დებულებები.....	651
განყოფილება 7.7B.2 – საგადახდო დავალებებზე მიცემული თანხმობა.....	655
განყოფილება 7.7B.3 – ანგარიშსწორების ოპერაციების შესრულება.....	659
ქვეგანყოფილება 7.7B.3.1 – საგადახდო დავალებები, ხარჯები და გადარიცხული თანხები.....	659
ქვეგანყოფილება 7.7B.3.2 – ანგარიშსწორების ოპერაციის შესრულების დრო და ვალუტირების თარიღი.....	660
ქვეგანყოფილება 7.7B.3.3 – პასუხისმგებლობა.....	662
განყოფილება 7.7B.4 – დასკვნითი დებულებები.....	664
ტიტული 7.9 – მიბარების ხელშეკრულება.....	664
ტიტული 7.10 – შრომითი ხელშეკრულება.....	666
განყოფილება 7.10.1 – ზოგადი დებულებები.....	666
განყოფილება 7.10.2 – ხელფასი.....	667
განყოფილება 7.10.3 – დასვენების დღეები და შვებულება.....	675
განყოფილება 7.10.4 – თანასწორი მოპყრობა.....	679
განყოფილება 7.10.5 – შრომით ხელშეკრულებაში გათვალისწინებული ზოგიერთი სპეციალური დათქმა ..	681
განყოფილება 7.10.6 – დამსაქმებლის კონკრეტული ვალდებულებები.....	683

განყოფილება 7.10.7 – დასაქმებულის კონკრეტული ვალდებულებები	687
განყოფილება 7.10.8 – დასაქმებულის უფლებები სანარმოს გადაცემისას.....	688
განყოფილება 7.10.9 – შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა.....	689
განყოფილება 7.10.10 – სავაჭრო ნარმომადგენლის მიმართ მოქმედი სპეციალური ნორმები	699
განყოფილება 7.10.11 – დასაქმებულის მესამე პირთან მივლინების ხელშეკრულების მიმართ მოქმედი სპეციალური ნორმები	700
ტიტული 7.12 – მშენებლობის ხელშეკრულება	701
განყოფილება 7.12.1 – მშენებლობის ხელშეკრულება ზოგადად	701
განყოფილება 7.12.2 – იმ ფიზიკური პირის სასარგებლოდ საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მომწესრიგებელი დებულებები, ვინც არ მოქმედებს პროფესიული ან სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში	704
ტიტული 7.14 – თავდებობის ხელშეკრულება.....	705
განყოფილება 7.14.1 – ზოგადი დებულებები	705
განყოფილება 7.14.2 – პროფესიული ან სამეწარმეო საქმიანობის მიღმა ნაკისრი თავდებობა.....	707
განყოფილება 7.14.3 – თავდებობის შედეგები ძირითად მოვალესა და თავდებს შორის და ასევე – თავდებებსა და იმ არამოვალე პირებს შორის, რომლებიც პასუხისმგებელი არიან სხვა პირის ვალდებულებისათვის.....	708
ტიტული 7.15 – სამომრიგებლო შეთანხმება.....	709
ტიტული 7.17 – დაზღვევის ხელშეკრულება	714
განყოფილება 7.17.1 – ზოგადი დებულებები.....	714
განყოფილება 7.17.2 – საკომპენსაციო დაზღვევა.....	720
განყოფილება 7.17.3 – თანხობრივი დაზღვევა (არასაკომპენსაციო დაზღვევა).....	724
ქვეგანყოფილება 7.17.3.1 – ზოგადი დებულებები.....	724
ქვეგანყოფილება 7.17.3.2 – სიცოცხლის დაზღვევა.....	727

მე-7A ნიგნი – ცალკეული კონტრაქტები

ტიტული 7A.5 – განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულება	731
განყოფილება 7A.5.1 – განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულების შესახებ ზოგადი დებულებები	731
განყოფილება 7A.5.2 – ნივთის პირობადებული საკუთრებით გადაცემის ხელშეკრულება	733
ტიტული 7A.9 – ამხანაგობები	736
განყოფილება 7A.9.1 – ზოგადი დებულებები	736
განყოფილება 7A.9.2 – ერთმანეთის შორის არსებული მონაწილეთა ვალდებულებები	736
განყოფილება 7A.9.3 – მონაწილეთა ვალდებულებები მესამე პირთა მიმართ	738
განყოფილება 7A.9.4 – ამხანაგობის გაუქმება	739
ტიტული 7A.13 – თხოვების ხელშეკრულება.....	740
განყოფილება 7A.13.1 – ზოგადი დებულებები	740
განყოფილება 7A.13.2 – მონათხოვრის ვალდებულებები	740
განყოფილება 7A.13.3 – გამნათხოვრებლის ვალდებულებები	741
ტიტული 7A.14 – სესხის ხელშეკრულება	741
განყოფილება 7A.14.1 – ზოგადი დებულებები	741
განყოფილება 7A.14.2 – გამსესხებლის ვალდებულებები	742
განყოფილება 7A.14.3 – მსესხებლის ვალდებულებები.....	742
განყოფილება 7A.14.4 – პროცენტის სესხი	743
ტიტული 7A.15 – სამისდღემო რჩენა	743
ტიტული 7A.16 – რისკთან დაკავშირებული ხელშეკრულება	744
განყოფილებები 7A.16.2 და 7A.16.3 [გაუქმებულია].....	744
განყოფილება 7A.16.4 – აზარტული თამაშობის ხელშეკრულებები	744

მთარგმნელისაგან

2017 წლის სექტემბერში საქართველოს ნოტარიუსთა პალატის მიერ გამოიცა 1991 წელს მიღებული კვებეკის სამოქალაქო კოდექსის (Civil Code of Quebec) ქართული თარგმანი, რაც უმნიშვნელოვანეს წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა ქართული ცივილისტიკის განვითარების გზაზე. ერთი წლის შემდეგ 2018 წლის მაისში საქართველოს ნოტარიუსთა პალატამ გამოსცა შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსის (Schweizerisches Zivilgesetzbuch) თარგმანი.

ამჯერად ქართველ მკითხველს წარუდგენთ ევროპის ერთ-ერთი წამყვანი ქვეყნის – ნიდერლანდების სამეფოს 1992 წლის სამოქალაქო კოდექსს (Burgerlijk Wetboek), რომლის ტექსტის მშობლიურ ენაზე გაცნობაც ქართველი კომპარასტივისტებისათვის ასევე ფრიად საინტერესო და სასარგებლო იქნება, ვინაიდან ეს უკანასკნელი წარმოადგენს კერძო სამართლის სფეროში თანამედროვე ევროპული სამართალშემოქმედების ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს. სისტემური ჩამოყალიბების მხრივ ნიდერლანდების სამოქალაქო კოდექსი მისდევს თანამედროვე რომანულ-გერმანული სამართლის ქვეყნების სამოქალაქო კოდექსების (მაგ., შვეიცარიის, იტალიის, კვებეკისა და სხვა სამოქალაქო კოდექსები) სტილს და არ შემოიფარგლება მხოლოდ ე. წ. „კლასიკური“ სამოქალაქო სამართლით, არამედ მასში მოცემულია პრაქტიკულად მთელი კერძო სამართლის მომწესრიგებული ნორმატიული მასალა, მათ შორის, – საკორპორაციო და შრომის სამართლის ნორმები. ნიდერლანდების სამოქალაქო კოდექსი ითარგმნა ინგლისური ენიდან; ტექსტი აღებულია <http://www.dutchcivillaw.com> ვებ-საიტიდან და მოცემულია 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

საქართველოს ნოტარიუსთა პალატა უაღრესად მადლიერია ნიდერლანდების სამეფოს მთავრობისა და პირადად საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს ელჩის – ქ-ნ მაიკე ვან კოლდამის (Maaike van Koldam), რომელთა გულისხმიერებისა და ფინანსური მხარდაჭერის შედეგადაც შესაძლებელი გახდა სწორედ წინამდებარე თარგმანის გამოცემა.

წიგნი განკუთვნილია ნოტარიუსებისათვის, კერძო სამართლის სფეროში მოღვაწე მოსამართლეებისა და სხვა იურისტებისათვის (ადვოკატებისათვის), ასევე – სტუდენტების, სამეცნიერო მუშაკებისა და კერძო სამართლით დაინტერესებული ნებისმიერი მკითხველისათვის.

ზურაბ ჭეჭელაშვილი
სამართლის დოქტორი, პროფესორი, ადვოკატი
თბილისი, სექტემბერი 2021წ.

1-ლი ნიგნი – პირებისა და საოჯახო სამართალი

ტიტული 1.1 – ზოგადი დებულებები

მუხლი 1:1 პირადი თავისუფლება და ქმედუნარიანობა

- 1. ყველა პირი ნიდერლანდების ტერიტორიაზე არის თავისუფალი და სარგებლობს სამოქალაქო უფლებებით.
- 2. დაუშვებელია ადამიანების ნებისმიერი სახისა თუ ხასიათის მონობა.

მუხლი 1:2 დაუბადებელი ბავშვის უფლებაუნარიანობა

ის ბავშვი, რომელზეც ორსულად არის ქალი, ყოველთვის უკვე დაბადებულად ითვლება იმ დროს, როდესაც ამას მისი ინტერესები ითხოვს. თუ ბავშვი მკვდრადშობილი იბადება, ივარაუდება, რომ ის არასოდეს არსებობდა.

მუხლი 1:3 სისხლით ნათესაობა და გვერდითი ხაზით ნათესაობა

- 1. სისხლით ნათესაობის ხარისხი განისაზღვრება იმ დაბადებების რაოდენობით, რომლებმაც გამოიწვია სისხლით ნათესაობა. მამობის დადგენა, მამობის დადგენა სასამართლოს წესით ანდა შვილად აყვანა აღნიშნული მიზნით მიიღება მხედველობაში როგორც დაბადება.
- 2. ქორწინებისას ან რეგისტრირებული პარტნიორობის შემთხვევაში, გვერდითი ხაზით ნათესაობა წარმოიშობა მეუღლეს ან რეგისტრირებულ პარტნიორსა და მეორე მეუღლისა თუ რეგისტრირებული პარტნიორის სისხლით ნათესავს შორის იგივე ხარისხით, რაც სისხლით ნათესაობის სახით არსებობს მეორე მეუღლესა თუ რეგისტრირებულ პარტნიორსა და ამ უკანასკნელის სისხლით ნათესავს შორის.
- 3. გვერდითი ხაზით ნათესაობა არ წყდება ქორწინების შეწყვეტით.

ტიტული 1.2 – სახელის უფლება

მუხლი 1:4 სახელი

- 1. ყოველ პირს აქვს სახელი, რომელსაც მას არქმევენ და უთითებენ დაბადების მოწმობაში.
- 2. სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრატორი უარს აცხადებს იმ სახელების დაბადების მოწმობაში აღნიშვნაზე, რომლებიც შეუსაბამოა ანდა რომლებიც ემსგავსება არსებულ გვარებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს გვარები ზოგადად წარმოადგენს სახელებსაც.
- 3. როდესაც სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრატორისათვის ბავშვის დაბადების ფაქტის შემტყობინებელი პირი არ ახდენს სახელის შეთავაზებას ანდა როდესაც მის მიერ შეთავაზებული სახელები იქნა უარყოფილი და მან არ შეცვალა ისინი ერთი ან რამდენიმე სხვა მისაღები სახელებით, სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრატორი ოფიციალურად თავად ანიჭებს ბავშვს ერთ-ერთ სახელს და გარკვევით უთითებს დაბადების მოწმობაში იმის შესახებ, რომ ეს სახელები მიცემულია რეგისტრატორის მიერ თავისი კომპეტენციის ფარგლებში მოქმედებისას.
- 4. დაინტერესებული პირის ან მისი წარმომადგენლის მოთხოვნის საფუძველზე, რაიონულ სასამართლოს შეუძლია მიიღოს განკარგულება რეგისტრირებული სახელის შეცვლის შესახებ. ცვლილება ძალაში შედის მას შემდეგ, როდესაც სასამართლოს განკარგულებაში მოცემული უკანასკნელი აღნიშვნა აისახება დაბადების მოწმობაში 1:20a მუხლის პარ. 1-ის შესაბამისად. იმ პირის სახელის შეცვლის შემთხვევაში, ვინც დაიბადა ნიდერლანდების ფარგლებს გარეთ, განკარგულების მიმღები რაიონული სასა-

მართლოს აუცილებლობისას – საკუთარი ინიციატივითაც – იძლევა მითითებას დაბადების მონუმენტის ან 1:25g მუხლის პარ. 1-ის გაგებით მონუმენტისა თუ სასამართლოს გადანყვეტილების ანდა – 1:25c მუხლში მითითებული სასამართლოს განკარგულების რეგისტრაციის შესახებ.

მუხლი 1:5 გვარი

– 1. როდესაც ბავშვი ოჯახურ ურთიერთობაში იმყოფება მხოლოდ დედასთან, მაშინ მას ამ უკანასკნელის გვარი აქვს. როდესაც მხოლოდ შვილად აყვანის გზით იმყოფება ოჯახურ კავშირში მამასთან, მაშინ მას აქვს მამის გვარი.

– 2. როდესაც ბავშვი მამობის ცნობის გზით შევიდა საოჯახო-სამართლებრივ ურთიერთობაში მამასთან, ის ინარჩუნებს დედის გვარს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დედა და ის პირი, რომელმაც ცნო ბავშვი, მამობის ცნობის მომენტში ერთობლივად აცხადებენ იმას, რომ ბავშვს ექნება მამის გვარი. ამ განცხადების შესახებ აღნიშვნა აისახება ცნობის მონუმენტში. პირველი ორი წინადადება შესაბამისად მოქმედებს დაუბადებელი ბავშვის მამობის ცნობის აქტის მიმართ. თუმცა, მშობლებს ჯერ კიდევ დაქორწინების ან რეგისტრირებული პარტნიორობის გაფორმების მომენტში შეუძლიათ ერთობლივად განაცხადონ, რომ მათ შვილს ამიერიდან ექნება სხვა მშობლის გვარი. ამ განცხადების საფუძველზე დედა გვარის არჩევასთან დაკავშირებული მონუმბა. თუ მამობის სასამართლოს წესით განსაზღვრისას ბავშვი შევიდა საოჯახო-სამართლებრივ ურთიერთობაში მამასთან, ის ინარჩუნებს დედის გვარს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დედა და ის პირი, რომლის მამობაც განისაზღვრა, სასამართლოს წესით აღიარების შემთხვევისათვის ერთობლივად აცხადებენ იმას, რომ ბავშვს ექნება მამის გვარი. მამობის დადგენასთან დაკავშირებული სასამართლოს გადანყვეტილება ახსენებს მშობლების აღნიშნულ განცხადებას.

– 3. როდესაც ბავშვი შვილად აყვანის გზით შევიდა საოჯახო-სამართლებრივ ურთიერთობაში სხვადასხვა სქესის (გენდერის) ორივე მშვილებელ მშობელთან, რომლებიც დაქორწინებული არიან ერთმანეთთან, მაშინ მას ექნება მამის გვარი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მშვილებელი მშობლები შვილად აყვანის შემთხვევისათვის ერთობლივად აცხადებენ იმას, რომ ბავშვს ექნება დედის გვარი. როდესაც მშვილებელი მშობლები არ არიან დაქორწინებული ერთმანეთთან ანდა როდესაც ისინი ერთი და იგივე სქესის (გენდერის) არიან და დაქორწინებულები არიან ერთმანეთთან, ბავშვი ინარჩუნებს იმ გვარს, რომელიც მას უკვე აქვს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მშვილებელი მშობლები ერთობლივად აცხადებენ იმას, რომ შვილად აყვანის შემთხვევისათვის ბავშვს ექნება ერთ-ერთი მათგანის გვარი. როდესაც ბავშვი შვილად აყვანის გზით შევიდა საოჯახო-სამართლებრივ ურთიერთობაში მისი მშობლის მეუღლესთან, რეგისტრირებულ პარტნიორთან ან ცხოვრების თანამგზავრთან, ის ინარჩუნებს თავის გვარს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მშობელი და მისი მეუღლე, რეგისტრირებული პარტნიორი ან ცხოვრების თანამგზავრი ერთობლივად აცხადებენ იმას, რომ ბავშვს ექნება მეუღლის, რეგისტრირებულ პარტნიორის ან ცხოვრების თანამგზავრის გვარი ანდა – ამ მშობლის გვარი. შვილად აყვანასთან დაკავშირებული სასამართლოს გადანყვეტილებაში უნდა მიუთითოს მშვილებელი მშობლების აღნიშნული განცხადება.

– 4. როდესაც ბავშვი დაბადებით შევიდა საოჯახო-სამართლებრივ ურთიერთობაში ორივე მშობელთან, მშობლებმა სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრატორისათვის ბავშვის დაბადების შესახებ შეტყობინებამდე ან ამ შემთხვევისათვის ერთობლივად უნდა განაცხადონ იმის შესახებ, თუ მათი ორი გვარიდან რომელი მიეცემა ბავშვს. როდესაც მშობელთა განცხადება გაკეთდა იმ მომენტამდე, როდესაც ბავშვის დაბადების ფაქტი შეატყობინეს სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრატორს, მაშინ უნდა შედგეს გვარის არჩევასთან დაკავშირებული მონუმბა. როდესაც მშობელთა განცხადება კეთდება სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრატორისათვის ბავშვის დაბადების შესახებ შეტყობინების მომენტისთანავე, ეს ფაქტი აღინიშნება დაბადების მონუმბაში. პირველი სამი წინადადება შესაბამისად გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ მშობელი და მისი მეუღლე ანდა რეგისტრირებული პარტნიორი, რომელიც არ არის მშობელი, კანონის ძალით ახორციელებენ ან ერთობლივად განახორციელებენ შვილის მიმართ მშობლის უფლებამოსილებას, როგორც ეს მითითებულია 1:253sa მუხლში. ის განცხადება, რომელიც არ კეთდება სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრატორისათვის ბავშვის დაბადების შესახებ შეტყობინების შემთხვევისათვის, შეიძლება გაკეთდეს ნებისმიერი რეგისტრატორის წინაშე.

– 5. როდესაც პარ. 4-ში მითითებული გვარის არჩევასთან დაკავშირებული განცხადება კეთდება სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრატორისათვის ბავშვის დაბადების შესახებ შეტყობინებამდე ან ამ შემთხვევისათვის, ბავშვს ექნება დაბადების მომენტიდან შერჩეული გვარი. როდესაც გვარის არჩევა არ ხდება მაქსიმუმ ბავშვის დაბადების შესახებ შეტყობინების შემთხვევისათვის, რეგისტრატორი ბავშვის დაბადების მონუმბაში მისი გვარის სახით აღნიშნავს:

ა. მამის გვარს იმ შემთხვევაში, როდესაც ბავშვი ორივე მშობელთან საოჯახო-სამართლებრივ ურთიერთობაში შევიდა დაბადებით;

ბ. დედის გვარს იმ შემთხვევაში, როდესაც მშობელი და მისი მეუღლე ანდა რეგისტრირებული პარტნიორი, რომელიც არ არის მშობელი, კანონის ძალით ახორციელებენ ან ერთობლივად განახორციელებენ შვილის მიმართ მშობლის უფლებამოსილებას, როგორც ეს მითითებულია 1:253sa მუხლში.

– 6. თუ ბავშვის დაბადების შემდეგ დედა უარყოფს გარდაცვლილი მეუღლის მამობას 1:199 მუხლის (b) პუნქტის საფუძველზე და ის ხელახლა დაქორწინდება დაბადების მომენტში, ისევე როგორც – მამობის უარყოფის მომენტში, მაშინ დედას და მის ახალ მეუღლეს შეუძლიათ უარყოფის შემთხვევისათვის ერთობლივად განაცხადონ იმის შესახებ, თუ მათი ორი გვარიდან რომელი ექნება ბავშვს. ამ განცხადების შესახებ მითითება ხდება გვარის არჩევასთან დაკავშირებულ მოწმობაში. თუ ასეთი განცხადება არ გაკეთებულა, ბავშვს უნდა მიეცეს მამის გვარი.

– 7. როდესაც ორივე მშობელთან ბავშვის საოჯახო-სამართლებრივ ურთიერთობის დანყების მომენტში ბავშვი 16 წლის ან მეტი ასაკისაა, მას თავად შეუძლია განაცხადოს რეგისტრატორის ან ნოტარიუსის წინაშე ანდა როდესაც საქმე ეხება შვილად აყვანასა თუ მამობის სასამართლოს წესით ცნობას, – ასევე სასამართლოს წინაშე, თუ რომელი მშობლის გვარის მიღება სურს მას. ეს განცხადება აღინიშნება მამობის აღიარების მოწმობაში ან შვილად აყვანასთან თუ მამობის დადგენასთან დაკავშირებით მიღებულ სასამართლოს გადაწყვეტილებაში.

– 8. პარ. 2, 3, 4, და 6-ში მითითებული მშობელთა განცხადება შეიძლება გაკეთდეს მხოლოდ მათი პირველი შვილის გვართან დაკავშირებით. პირველი წინადადება შესაბამისად გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ის ეხება იმ პირველ შვილს, რომლის მიმართაც მშობელი და მისი მეუღლე ანდა რეგისტრირებული პარტნიორი, რომელიც არ არის ბავშვის მშობელი, კანონის ძალით ახორციელებენ ან ერთობლივად განახორციელებენ მშობლის უფლებამოსილებას, როგორც ეს მითითებულია 1:253sa მუხლში. პარ. 7-ის ნორმათა მოქმედების შეზღუდვის გარეშე, იგივე მშობლების შემდგომ შვილებს ანდა იმ შემდგომ შვილებს, რომელთა მიმართაც მშობელი და მისი მეუღლე ანდა რეგისტრირებული პარტნიორი, რომელიც არ არის ბავშვის მშობელი, კანონის ძალით ერთობლივად განახორციელებენ მშობლის უფლებამოსილებას, – ენიჭებათ იგივე გვარი, რაც მათ პირველ შვილს იმ პირობით, რომ, როდესაც ამ შემდგომ შვილებს თავიანთი დაბადების მოწმობებისა თუ კანონის შესაბამისად აღნიშნული შვილისაგან განსხვავებული გვარი, მშობლებს შეუძლიათ განაცხადონ, რომ შემდგომ შვილს მიენიჭება იგივე გვარი, რაც მათ პირველ შვილს. თუ გვარის არჩევა მოხდა მკვდრადშობილი ბავშვისათვის ამ უკანასკნელის დაბადებამდე ანდა სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრატორისათვის ბავშვის დაბადების შესახებ შეტყობინების შემთხვევისათვის, ამ არჩევანის შესახებ აღინიშნება 1:19i მუხლის პარ. 1-ში მითითებულ ცნობაში და ის გამოიყენებული იქნება მხოლოდ და მხოლოდ ამ ბავშვის მიმართ.

– 9. თუ ერთ-ერთი მშობელი გარდაიცვლება გვარის არჩევის მომენტამდე და ასეთი არჩევანი არ გაკეთებულა, მეორე მშობელმა უნდა გააკეთოს განცხადება გვარის არჩევასთან დაკავშირებით. იგივე წესი მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთ მშობელს მისი ფსიქიკური თუ გონებრივი მდგომარეობის გამო დაუდგინდება ზრდასრული პირების მეურვეობა („curatele“) ანდა როდესაც მის სასარგებლოდ დაინიშნა სამართლებრივი მენტორი.

– 10. როდესაც უცნობია როგორც ბავშვის მამა, ისე დედა, რეგისტრატორი ახდენს დაბადების მოწმობაში დროებითი სახელისა და დროებითი გვარის აღნიშვნას იმ სამეფო დადგენილების მოლოდინით, რომელშიც ბავშვის სახელები და გვარი პირდაპირ განისაზღვრება.

– 11. თუ პარ. 2-დან 9-ის ჩათვლით ნორმების საფუძველზე ის ბავშვი, რომლის მამაც დიდგვაროვანი წარმოშობისაა, არ იძენს თავის გვარს, მაშინ ეს დიდგვაროვნება არ გადავა ამ ბავშვზე.

– 12. იმ ბავშვის გვარი, რომელიც დაიბადა სამეფო ოჯახის წევრთან დაკავშირებულ ქორწინებაში, განისაზღვრება სამეფო დადგენილებით.

მუხლი 1:6 გვარის მტკიცება

გვარი ნებისმიერი პირის მიმართ უტყუარად მტკიცდება დაბადების მოწმობით.

მუხლი 1:7 მეფის მიერ სახელების შეცვლა და დადგენა

– 1. პირის გვარი, მისი ან მისი კანონიერი წარმომადგენლის მოთხოვნის საფუძველზე, შეიძლება შეიცვალოს მეფის მიერ.

– 2. იმ პირს, რომლის გვარი ან სახელები უცნობია, შეუძლია მოსთხოვოს მეფეს მისთვის გვარისა და სახელის დადგენა.

– 3. მეფის მიერ გვარის შეცვლა თუ დადგენა არ მოქმედებს დაინტერესებული პირის იმ შვილების გვარის მიმართ, რომლებმაც სრულწლოვანების ასაკს მიაღწიეს მეფის გადაწყვეტილების მიღებამდე ანდა რომლებიც არ იმყოფებიან იმ პირის უფლებამოსილების ქვეშ, რომლის სახელიც იცვლება ან დგინდება.

– 4. მეფის მიერ გვარის შეცვლა თუ დადგენა ძალაში რჩება მიუხედავად მოგვიანებით მიღებული მამობის ცნობისა თუ სასამართლოს წესით მისი დადგენის აქტისა.

– 5. გვარის შეცვლის უფლების მინიჭების საფუძვლებთან, პარ. 1 და 2-ში აღნიშნული მოთხოვნის წარდგენისა და დამუშავების პროცედურასთან და ასევე გვარის შეცვლისათვის გადასახდელ საზღაურთან დაკავშირებული შესაბამისი წესები მოცემულია მეფის სამთავრობო ბრძანებაში (Order in Council).

– 6. თუ იუსტიციის მინისტრს განზრახული აქვს გააკეთოს შეთავაზება სამეფო დადგენილებისათვის პარ. 1 და 2-ში აღნიშნული მოთხოვნის წარდგენის უფლების მინიჭების მიზნით, მაშინ ის წერილობით ატყობინებს ამ განზრახვის შესახებ განმცხადებელსა და იმ პირს, ვისთვისაც იქნა მოთხოვნილი გვარის შეცვლა ან დადგენა, ხოლო თუ მოთხოვნა ეხება იმ პირის გვარს, რომელსაც ჯერ არ მიუღწევია სრულწლოვანების ასაკისათვის, – მშობლებსა და იმ პირს, რომლისგანაც თავდაპირველად იქნა მიღებული არასრულწლოვანის შესაცვლელი გვარი.

– 7. ამ განზრახვის შესახებ იუსტიციის მინისტრი ოცი კვირის განმავლობაში ახდენს წერილობითი ფორმით შეტყობინებას.

მუხლი 1:8 ვინმე სხვა პირის სახელის გამოყენება მისი ნებართვის გარეშე

ის, პირი, ვინც ვინმე სხვა პირის სახელს იყენებს მისი ნებართვის გარეშე, სჩადის დელიქტს ამ პირის მიმართ, თუ ის ამის შედეგად ქმნის იმის ილუზიას, თითქოს ის წარმოადგენს ამ პირს ან მიეკუთვნება მის დინასტიას, ოჯახსა თუ ახლო სანათესაოს.

მუხლი 1:9 მეუღლის ან რეგისტრირებული პარტნიორის გვარის გამოყენება

– 1. დაქორწინებული ან რეგისტრირებულ პარტნიორობაში მყოფი ქალი ყოველთვის უფლებამოსილია გამოიყენოს მხოლოდ თავისი მეუღლის ან რეგისტრირებული პარტნიორის გვარი ანდა გამოიყენოს მისი გვარი თავის საკუთარ გვართან შეერთებით ისე, რომ მისი განთავსება მოხდეს საკუთარ გვარის წინ ან მის შემდგომ. იგივე წესი მოქმედებს იმ ქალის მიმართ, რომელიც დაქორწინდა ან რომლის პარტნიორობაც იქნა რეგისტრირებული და ვინც აღნიშნული ქორწინებისა თუ რეგისტრირებულ პარტნიორობის შეწყვეტის შემდეგ ხელახლა არ დაქორწინებულა ან არ შესულა ახალ რეგისტრირებულ პარტნიორობაში.

– 2. როდესაც ქორწინება შეწყდა განქორწინებით და სახეზე არ არიან ცოცხალი შთამომავლები, რომლებიც დაიბადნენ ამ ქორწინებაში ანდა როდესაც რეგისტრირებული პარტნიორობა შეწყდა 1:80C მუხლის (c) ან (d) პუნქტში გათვალისწინებული წესით, მაშინ სასამართლოს შეუძლია თავდაპირველი მეუღლის ან რეგისტრირებული პარტნიორის მოთხოვნით ჩამოართვას ქალს უფლება, ისარგებლოს ან გააგრძელოს სარგებლობა თავისი ყოფილი მეუღლისა თუ რეგისტრირებული პარტნიორის გვარით, რომელიც მისთვის იქნა მინიჭებული პარ. 1-ით გათვალისწინებული წესით იმ პირობით, რომ სახეზეა უფლების ჩამორთმევის მყარი საფუძვლები.

– 3. პარ. 1 და 3 შესაბამისად გამოიყენება იმ კაცის მიმართ, რომელიც დაქორწინებულია ან იყო დაქორწინებული ანდა რომლის პარტნიორობა რეგისტრირებულია ან იყო რეგისტრირებული და რომელიც ქორწინებისა თუ რეგისტრირებული პარტნიორობის შემდეგ ხელახლა არ დაქორწინებულა ან არ შესულა ახალ რეგისტრირებულ პარტნიორობაში.

ტიტული 1.3 – დომიცილი (საცხოვრებელი ადგილი)

მუხლი 1:10 ფიზიკური და იურიდიული პირების დომიცილი

– 1. ფიზიკური პირის დომიცილი განთავსებულია მის ჩვეულებრივ ადგილსამყოფელზე, ხოლო ჩვეულებრივი ადგილსამყოფელის არარსებობისას კი, – იმ ადგილზე, სადაც ის ფაქტობრივად იმყოფება.

– 2. იურიდიული პირის დომიცილი განთავსებულია იმ ადგილზე, სადაც მას კანონის ან მისი წესდებისა თუ შიდა ნორმატიული აქტების მიხედვით აქვს ადგილსამყოფელი.

მუხლი 1:11 დომიცილის დაკარგვა და შეცვლა

- 1. ფიზიკური პირი კარგავს თავის ჩვეულებრივ ადგილსამყოფელს იმ მოქმედებების შედეგად, რომლებიც მეტყველებს მის მიერ ამ ადგილსამყოფელის მიტოვების განზრახვაზე.
- 2. ივარაუდება, რომ ფიზიკური პირი გადავიდა თავისი ადგილსამყოფელიდან, როდესაც მან შეატყობინა შესაბამის მუნიციპალურ უწყებებს *(მუნიციპალური პირადი სარეგისტრაციო ჩანაწერების მონაცემთა ბაზა)* იმის თაობაზე, რომ ის გადავიდა სხვა მისამართზე.

მუხლი 1:12 სრული ქმედუნარიანობის არმქონე პირების დამოკიდებული დომიცილი

- 1. მცირეწლოვანის დომიცილი განთავსებულია იმავე ადგილზე, სადაც არსებობს იმ პირის დომიცილი, ვინც ახორციელებს მასზე შესაბამის უფლებასილებას; მეურვეობის („curatele“) ქვეშ მყოფი ზრდასრული პირის დომიცილი განთავსებულია იმავე მისამართზე, სადაც არსებობს იმ პირის დომიცილი, ვინც სასამართლოს მიერ დაინიშნა მისი იურიდიული მეურვის („curator“) სახით. როდესაც ორივე მშობელი ერთობლივად ახორციელებს უფლებამოსილებას თავიანთ მცირეწლოვან შვილზე ისე, რომ მათ ჯერ არა აქვთ ერთი და იგივე დომიცილი, ბავშვის დომიცილად მიიჩნევა იმ მშობლის დომიცილის მისამართი, ვისთანაც ბავშვი რეალურად ცხოვრობს ან უკანასკნელ პერიოდში ცხოვრობდა.
- 2. როდესაც პირის ქონება იმყოფება მინდობით მართვაში, მაშინ ამ პირის დომიცილი ქონების მინდობით მართვის საკითხებთან დაკავშირებით განთავსებულია იმავე მისამართზე, სადაც არსებობს მმართველის დომიცილი.
- 3. როდესაც პირის სასარგებლოდ დადგენილია მენტორობა, მისი დომიცილი დაცვითი მენტორობის საკითხებთან დაკავშირებით განთავსებულია იმავე მისამართზე, სადაც არსებობს სამართლებრივი მენტორის დომიცილი.
- 4. პარ. 1, 2 და 3 არ მოქმედებს იმ ფარგლებში, რომლებშიც საქმე ეხება ზრდასრული პირის მეურვეობის („curatele“), სამოქალაქო კოდექსის 1-ლი წიგნის მე-19 ტიტულით გათვალისწინებული ქონების მინდობით მართვისა თუ მენტორობის პერიოდში არსებულ სასამართლოს ტერიტორიულ იურისდიქციას (იურისდიქცია „ratione loci“). იგივე წესი მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ ზრდასრული პირის მეურვეობა, სამოქალაქო კოდექსის 1-ლი წიგნის მე-19 ტიტულით გათვალისწინებული ქონების მინდობით მართვა, სამოქალაქო კოდექსის მე-4 წიგნის მე-5 ტიტულის მე-7 განყოფილებით გათვალისწინებული ქონების მინდობით მართვა ანდა 7:182 მუხლით გათვალისწინებული ქონების მინდობით მართვა ძალაშია რომელიმე პირის მიმართ, ხოლო ტერიტორიული იურისდიქციის მქონე რაიონულმა სასამართლომ კი ტერიტორიული იურისდიქცია ექსკლუზიურად დაუთმო სხვა რაიონულ სასამართლოს.
- 5. როდესაც გარდაიცვლება ის პირი, რომლის დომიცილი კანონით განისაზღვრა როგორც სხვა პირის დომიცილი, ანდა როდესაც ეს პირი კარგავს თავის უფლებამოსილებასა თუ ქმედუნარიანობას, მაშინ, მიუხედავად ამისა, ამ სხვა პირის დომიცილი შენარჩუნდება პირველის დომიცილის მისამართზე მანამ, სანამ სხვა პირი არ შეიძენს ახალ დომიცილს.

მუხლი 1:13 გარდაცვლილის უკანასკნელი მისამართი

გარდაცვლილის უკანასკნელ მისამართს წარმოადგენს ის მისამართი, სადაც მას ჰქონდა თავისი უკანასკნელი დომიცილი.

მუხლი 1:14 სათავო ოფისთან ან ფილიალთან დაკავშირებით არსებული დომიცილი

სათავო ოფისის მქონე პირს თავისი საწარმოს საკითხებთან დაკავშირებით დომიცილი ექნება ასევე ამ სათავო ოფისის ადგილზე. ფილიალის მქონე პირს კონკრეტული ფილიალის საკითხებთან დაკავშირებით დომიცილი ექნება ასევე ამ ფილიალის ადგილზე.

მუხლი 1:15 არჩეული დომიცილი

პირს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია აირჩიოს მისი ნამდვილისაგან განსხვავებული დომიცილი, როდესაც კანონი ავალდებულებს მას ამის გაკეთებას ანდა როდესაც მის მიერ ასეთი დომიცილის სასარგებლოდ გაკეთებული არჩევანი კეთდება წერილობითი ან ელექტრონული ფორმით დადებული შეთანხმების საფუძველზე და ის ეხება მხოლოდ ერთ ან რამდენიმე კონკრეტულ გარიგებასა თუ სამართლებრივ ურთიერთობას და ასევე სახეზეა გონივრული ინტერესი არჩეული დომიცილის ქონაზე. თუ ასეთი არჩევანი კეთდება ელექტრონული ფორმით დადებული შეთანხმების საფუძველზე, მაშინ შესაბამისად გამოიყენება 6:227a მუხლი პარ. 1.

ტიტული 1.4 – სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრაცია

განყოფილება 1.4.1 – სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრატორი

მუხლი 1:16 სამოქალაქო მდგომარეობის რეესტრი და საგანგებო რეგისტრატორი

– 1. თითოეულ მუნიციპალიტეტში სახეზეა, სულ ცოტა, ორი ანდა მერისა და საქალაქო საბჭოს კოლეგიის გადანყვეტილებით, – უფრო მეტი სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრატორი. დამატებით, ერთ ან მეტ რეგისტრატორს შეიძლება დაეკისროს კონკრეტული მოვალეობები. ამ უკანასკნელებს საგანგებო რეგისტრატორები ეწოდებათ.

– 2. პარ. 1-ში მითითებული რეგისტრატორების თანამდებობაზე დანიშვნას, მათი საქმიანობის შეჩერებასა თუ თანამდებობიდან გათავისუფლებას ახდენს მერისა და საქალაქო საბჭოს კოლეგია. დანიშვნა შეიძლება მოხდეს განსაზღვრული ვადით.

– 3. მუნიციპალიტეტის სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრატორი შეიძლება იყოს მხოლოდ ამ ან სხვა მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელე. საგანგებო რეგისტრატორი შეიძლება ასევე იყოს ის პირიც, ვინც მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეს არ წარმოადგენს.

– 4. რეგისტრატორი ან საგანგებო რეგისტრატორი უფლებამოსილია შეუდგეს თავისი მოვალეობების შესრულებას მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის დადებს ქვემოთ მოცემულ ფიცს ან იძლევა ოფიციალურ დაპირებას იმ რაიონული სასამართლოს წინაშე, რომლის ტერიტორიულ იურისდიქციაში არის განთავსებული მუნიციპალიტეტი, თუ ის პირველად ინიშნება ამ თანამდებობაზე:

„ვფიცავ (გპირდებით), რომ რეგისტრატორის უფლებამოსილებას განვახორციელებ სამართლიანად და ჯეროვნად, რომ მაქსიმალური გულისყურით დავიცავ სამოქალაქო მდგომარეობის რეესტრის საქმიანობის მომწესრიგებელ საკანონმდებლო ნორმებს. გარდა აღნიშნულისა, ვფიცავ (გპირდებით), რომ მე, იმისათვის, რომ დავინიშნო რეგისტრატორად, ნებისმიერი პირის მიმართ, არც პირდაპირ და არც არაპირდაპირ, ნებისმიერი სახელითა თუ ნებისმიერ შესაძლებლობასთან დაკავშირებით, არ განმიხორციელებელია რაიმე ნაჩუქრობა თუ ჩუქების შეპირება და ასევე – იმისათვის, რომ რაიმე გავაკეთო ან თავი შევიკავო რაიმეს გაკეთებისაგან რეგისტრატორის უფლებამოსილების განხორციელებისას მე, არც პირდაპირ და არც არაპირდაპირ, არ მივიღებ ჩუქების შეპირებასა თუ ნაჩუქრობას ნებისმიერი პირისგან. ყოველისშემძლე ღმერთი იყოს ჩემი შემნე (ამას ვაცხადებ და გპირდებით)“.

– 5. როდესაც ხდება პარ. 4-ში მითითებული ფიცის ან ოფიციალური დაპირების გაკეთება ფრინიულ ენაზე, მაშინ ფიცის ან ოფიციალური დაპირების ტექსტი იქნება შემდეგი:

«Ik swar (ûnthjit) dat ik de funksje fan amtner fan de boargerlike stân mei earlikheid en soarchfâldichheid útoefenje sil en dat ik de wetlike foarskriften oangeande de boargerlike stân op 'en sekuersten neikomme sil; dat ik fierders, foar it krijen fan myn oanstelling, streekrjocht noch midlik, ûnder hokker namme of útwynsel dan ek, oan immen eat jûn of tasein haw, en dat ik, om eat yn dizze funksje te dwaan of te litten, fan gjinien tasizzingen of geskinke, likefolle hokker, oannimme sil, midlik of streekrjocht. Sa wier helpe my God almachtich». («Dat ferklearje en ûnthjit ik»).

მუხლი 1:16a მოვალეობათა – ილობა

– 1. სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრატორს ევალება სამოქალაქო მდგომარეობის რეესტრებში მონაწილეობისა და ამ უკანასკნელებში მოგვიანებით დამატებული განცხადებების რეგისტრაცია, ისევე როგორც – ყველაფერი იმის განხორციელება, რაც მოითხოვება აღნიშნული რეესტრების დაცვისათვის და ასევე მათში რეგისტრირებული მონაცემების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის.

– 2. სამოქალაქო მდგომარეობის საგანგებო რეგისტრატორს შეიძლება დაეკისროს მხოლოდ 1:45, 1:45a, 1:63, 1:64, 1:65, 1:67, 1:80a პარ. 3, და 1:80g მუხლებში განსაზღვრული მოვალეობები.

მუხლი 1:16b სასამართლოში პროცედურული მოქმედებების შესრულების უფლება

როდესაც სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრატორი მასზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებისას ვალდებულია სასამართლოში შეასრულოს პროცედურული მოქმედებები წინამდებარე ტიტულის ან სამოქალაქო კოდექსის 1-ლი წიგნის ნებისმიერი ტიტულის შესაბამისად, მაშინ მას ამის გაკეთება შეუძლია ჰოლანდიის ადვოკატთა ასოციაციის წევრად რეგისტრირებული ადვოკატის გარეშე.

მუხლი 1:16c სამოქალაქო მდგომარეობის რეესტრის ხელმისაწვდომობა

მერისა და საქალაქო საბჭოს კოლეგია ადგენს იმ საათებს, როდესაც სამოქალაქო მდგომარეობის რე-

ესტრის სამსახურები იქნება ღია ყოველ დღე. შაბათს, კვირას, საყოველთაოდ ცნობილ უქმე დღეებსა და სხვა მერისა და საქალაქო საბჭოს კოლეგიის მიერ მითითებულ კონკრეტულ დღეებში სამუშაოს შეზღუდვის მიზნით მიიღება ცალკე რეგულაცია, რომლის მოქმედების შედეგადაც ზემოაღნიშნულ დღეებში სამოქალაქო მდგომარეობის რეესტრი იქნება ღია მხოლოდ რამდენიმე საათის განმავლობაში ანდა ის შესაძლოა საერთოდ არ მუშაობდეს.

მუხლი 1:16d მოვალეობათა დელეგირება

იმ ზომებთან დაკავშირებული წესები, რომლებიც მიღებულ უნდა იქნეს მერისა და საქალაქო საბჭოს კოლეგიის მიერ სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრატორების მხრიდან შესასრულებელი მოვალეობების და ასევე – მათი ფუნქციების შესრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი რეალიზაციისათვის, დგინდება მეფის სამთავრობო ბრძანებით.

განყოფილება 1.4.2 – სამოქალაქო მდგომარეობის რეესტრის დაცვა

მუხლი 1:17 სამოქალაქო მდგომარეობის რეესტრები

– 1. თითოეულ მუნიციპალიტეტს აქვს თავისი საკუთარი დაბადებათა რეესტრი, გარდაცვალებათა რეესტრი, ქორწინებისა და რეგისტრირებული პარტნიორობების რეესტრი.

– 2. ჰააგის მუნიციპალიტეტს, პარ. 1-ში ნახსენებ რეესტრებთან ერთად, აქვს სპეციალური რეესტრი სასამართლოს გადაწყვეტილებებისა და განაჩენების რეგისტრაციისათვის, როგორც ეს აღნიშნულია სამოქალაქო კოდექსის 1-ლი წიგნის მე-6 განყოფილებაში.

მუხლი 1:17a რეესტრების გადასვლა მუნიციპალურ არქივებში

– 1. სამოქალაქო მდგომარეობის რეესტრების წარმოება ხდება მუნიციპალიტეტის შენობაში მანამდე, სანამ ისინი არ გადავა მუნიციპალურ არქივში, როგორც ეს მითითებულია საჯარო აქტების არქივირების შესახებ 1995 წლის კანონში (Archive Act for Public Records 1995 (Stb. 276)).

– 2. დაბადებათა რეესტრი მუნიციპალიტეტის შენობიდან მუნიციპალურ არქივში უნდა გადავიდეს მისი დახურვიდან ასი წლის შემდეგ. გარდაცვალებათა რეესტრი მუნიციპალიტეტის შენობიდან უნდა გადავიდეს მუნიციპალურ არქივში მისი დახურვიდან ორმოცდაათი წლის შემდეგ. ქორწინებისა და რეგისტრირებული პარტნიორობების რეესტრი მუნიციპალიტეტის შენობიდან მუნიციპალურ არქივში უნდა გადავიდეს ამ რეესტრების დახურვიდან სამოცდათხუთმეტი წლის შემდეგ.

მუხლი 1:17b მუნიციპალური არქივების მმართველის ვალდებულება

1:17a მუხლში ნახსენები მუნიციპალური არქივების მმართველის ვალდებულებას წარმოადგენს მისი პასუხისმგებლობის ქვეშ არსებული რეესტრების დაცვა და მოგვიანებით მათში რეგისტრირებული მონომობებისათვის განცხადებებისა დამატება, ასევე – ამ მონომობების დამონმებული ასლებისა და მათგან გაკეთებული ამონარიდების დამატება.

მუხლი 1:17c მოვალეობათა დელეგირება

იმ ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებული წესები, რომლებიც ეხება რეესტრების ორგანიზებასა და მართვას და ასევე – 1:17b მუხლში მითითებულ რეესტრებთან დაკავშირებული ოპერაციები, დგინდება მეფის სამთავრობო ბრძანებით.

განყოფილება 1.4.3 – სამოქალაქო მდგომარეობის ამსახველი ცნობები და ამ დოკუმენტების მხარეები

მუხლი 1:18 სამოქალაქო მდგომარეობის მონომობები

– 1. რეგისტრატორს მონომობებში შეუძლია აღნიშნოს მხოლოდ ის, რაც უნდა იქნეს მითითებული ან ჩანერილი მასში კანონის საფუძველზე ან მის შესაბამისად.

– 2. მონომობის შედგენამდე რეგისტრატორი უფლებამოსილია მოითხოვოს მისთვის სამართლებრივად აუცილებელი დოკუმენტების ჩვენება. ასევე სხვა ისეთი დოკუმენტებიც უნდა იქნეს რეგისტრატორ-

რისათვის წარდგენილი, რომლებსაც ეს უკანასკნელი მიიჩნევს საჭიროდ მოწმობის შედგენისათვის ანდა მოწმობაში მითითებული ინფორმაციის გადამოწმებისათვის. აღნიშნული მიზნისათვის რეგისტრატორი უფლებამოსილია მიიღოს ინფორმაცია სამოქალაქო მდგომარეობის რეესტრებიდან ან სხვა საჯარო რეესტრებიდან ნებისმიერი საზღაურის გადახდის ვალდებულების გარეშე.

– 3. ყველა ის საკითხი, რაც კი ეხება სამოქალაქო მდგომარეობის მოწმობათა შედგენას, რეგულირდება მეფის სამთავრობო ბრძანებით.

მუხლი 1:18a სამოქალაქო მდგომარეობის მოწმობის მხარეები

– 1. იმ პირთა ჩვენებები, რომლებიც რეგისტრატორს ატყობინებენ განსაზღვრულ ფაქტს, გამოიყენება როგორც მტკიცებულება, ხოლო ის პირები, რომლებიც ასეთ ფაქტებთან დაკავშირებით რეგისტრატორის წინაშე აკეთებენ განცხადებებს, მოწმობის მხარეებად მიიჩნევიან.

– 2. დაინტერესებულ პირებს წარმოადგენენ პირები, რომელთა განცხადებები ან მტკიცებები შედეგად იწვევს ნებისმიერ სამართლებრივ შედეგს მათთვის ან მათი პარტნიორებისათვის ანდა – მათთვისა და მათი პარტნიორებისათვის.

– 3. დაინტერესებული პირები შეიძლება წარმოადგენილი იყვნენ იმ წარმომადგენლის მიერ, რომელიც უფლებამოსილია ამაზე ავთენტური (სანოტარო) აქტით.

– 4. როდესაც წარმომადგენელი აკეთებს განცხადებას, როგორც ის, ისე მის მიერ წარმოდგენილი პირი, მოწმობის მხარეებად მიიჩნევიან.

– 5. რეგისტრატორს არა აქვს უფლება, შეავსოს ისეთი მოწმობა, რომელშიც ის გამოდის როგორც მხარე ან დაინტერესებული პირი.

მუხლი 1:18b მოწმობის შედგენაზე უარის საფუძველი

– 1. როდესაც მოწმობის მხარე ან დაინტერესებული პირი არ წარადგენს 1:18 მუხლის პარ. 2-ში მითითებულ დოკუმენტს ანდა როდესაც რეგისტრატორი მიიჩნევს, რომ წარდგენილი დოკუმენტი არაადეკვატურია, მაშინ რეგისტრატორი უარს აცხადებს შესაბამისი მოწმობის შედგენაზე.

– 2. რეგისტრატორი ასევე უარს აცხადებს მოწმობის შედგენაზე იმ შემთხვევაში, თუ ის მიიჩნევს, რომ ეს ეწინააღმდეგება ჰოლანდიურ საჯარო წესრიგს.

– 3. რეგისტრატორი წერილობით ატყობინებს მოწმობის ყველა მხარესა და დაინტერესებულ პირს პარ. 1 ან 2-ში აღნიშნული უარის შესახებ ამ უკანასკნელის მიზეზის მითითებით, ისევე როგორც მის წინააღმდეგ არსებული და წინამდებარე ტიტულის მე-12 განყოფილების ნორმების გათვალისწინებული სამართლებრივი დაცვის საშუალების შესახებ. ამ წერილობითი შეტყობინების ასლი რეგისტრატორის მიერ იგზავნება ადგილობრივი პოლიციური ძალების უფროსისათვის.

მუხლი 1:18c მოწმობის დუბლიკატის გაცემა და მისი შეცვლა

– 1. სამოქალაქო მდგომარეობის რეესტრში რეგისტრირებული ყველა მოწმობის ორიგინალი დუბლიკატი ან დამოწმებული ასლი ინახება მეფის სამთავრობო ბრძანებით გათვალისწინებული წესების შესაბამისად.

– 2. ყველა ის საკითხი, რაც ეხება მოწმობებისა და მათში მოგვიანებით დამატებული განცხადებების ორიგინალი დუბლიკატებისა თუ დამოწმებული ასლების შენახვას, რეგულირდება მეფის სამთავრობო ბრძანებით.

– 3. როდესაც სამოქალაქო მდგომარეობის მოწმობები იკარგება ან ზიანდება, იუსტიციის სამინისტროს მიერ ორიგინალი დუბლიკატების შესანახად განწესებული ცენტრალური შემნახველი შემცვლელის სახით აკეთებს აღნიშნული მოწმობების ორიგინალი დუბლიკატის ასლს. ასლები ცვლის დაკარგულ ან დაზიანებულ მოწმობებს.

– 4. შეცვლილი მოწმობების სია ექვემდებარება ჰოლანდიის სამთავრობო გაზეთში გამოქვეყნებას.

– 5. სამოქალაქო მდგომარეობის მოწმობათა შეცვლის ხარჯებს ფარავს სახელმწიფო, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქმე ეხება მუნიციპალიტეტთან შენახული მოწმობების შეცვლას, რა შემთხვევაშიც შეცვლის ხარჯები ეკისრება შესაბამის მუნიციპალიტეტს.

– 6. იუსტიციის სამინისტროს შეუძლია მიიღოს დამატებითი წესები იმ პროცედურასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც უნდა განხორციელდეს სამოქალაქო მდგომარეობის მოწმობათა შეცვლა.

განყოფილება 1.4.4 – დაბადების, გარდაცვალებისა და ცხოვრების უფლების შესახებ დოკუმენტები (“attestatie de vita”)

მუხლი 1:19 დაბადების მონმობა

- 1. დაბადების მონმობას ადგენს იმ მუნიციპალიტეტის რეგისტრატორი, სადაც დაიბადა ბავშვი.
- 2. როდესაც ბავშვის დაბადების ადგილი უცნობია, დაბადების მონმობას ადგენს იმ მუნიციპალიტეტის რეგისტრატორი, სადაც ბავშვი იქნა ნაპოვნი. ამდენად, აღნიშნული მუნიციპალიტეტი მიიჩნევა იმ მუნიციპალიტეტად, სადაც დაიბადა ბავშვი.

მუხლი 1:19a ბავშვის დაბადება მოგზაურობის დროს

- 1. იმ შემთხვევაში, თუ ბავშვი დაიბადა ჰოლანდიის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებაში ან იალქნიან გემში ანდა თვითმფრინავში შიდა ფრენის დროს, დაბადების მონმობას ადგენს იმ მუნიციპალიტეტის რეგისტრატორი, სადაც ბავშვი ტოვებს სატრანსპორტო საშუალებას, გემსა თუ თვითმფრინავს ანდა სადაც გემი მიადგება ნაპირს. ეს მუნიციპალიტეტი მიიჩნევა იმ მუნიციპალიტეტად, სადაც დაიბადა ბავშვი.
- 2. იმ შემთხვევაში, თუ ბავშვი დაიბადა ნიდერლანდებში რეგისტრირებული საზღვაო ხომალდით მოგზაურობის დროს ანდა ნიდერლანდებში რეგისტრირებულ საჰაერო ხომალდში საერთაშორისო საჰაერო ფრენისას, საზღვაო ან საჰაერო ხომალდის კაპიტანი ვალდებულია 24 საათის განმავლობაში საბორტო ჟურნალში მოახდინოს დროებითი დაბადების მონმობის რეგისტრაცია ორი მონმის თანდასწრებით, ხოლო თუ ეს შესაძლებელია, – ბავშვის მამის თანდასწრებით. კაპიტანი დროებითი დაბადების მონმობის დუბლიკატს შეძლებისდაგვარად სწრაფად უგზავნის ჰააგის მუნიციპალიტეტის რეგისტრატორს. რეგისტრატორი ადგენს დაბადების მონმობას მიღებული დუბლიკატის საშუალებით იმ პირობით, რომ ის, როგორც შეძლებს, დაუმატებს მას გამოტოვებულ ინფორმაციას და შეასწორებს იმ მონაცემებს, რომლებიც ჩანს, რომ უზუსტოა. მონმობიდან ამონარიდი ეგზავნება ყველა იმ პირს, ვისაც კი მონმობა ეხება.

მუხლი 1:19b განსაკუთრებული შემთხვევები (ვინმესთვის მიგდებული ბავშვი I)

როდესაც ბავშვის დაბადების ადგილი და თარიღი უცნობია ან როდესაც უცნობია დედის სახელი (და გვარი), მაშინ დაბადების მონმობა დგება პროკურატურის მითითებებისა და დირექტივების შესაბამისად.

მუხლი 1:19c განსაკუთრებული შემთხვევები (ვინმესთვის მიგდებული ბავშვი II)

როდესაც დროებითი სახელი და გვარი ჩაინერა დაბადების მონმობაში 1:5 მუხლის პარ. 10-ის შესაბამისად, რეგისტრატორი დაუყოვნებლივ უგზავნის დაბადების მონმობის შევსებულ დუბლიკატს იუსტიციის სამინისტროს.

მუხლი 1:19d განსაკუთრებული შემთხვევები (გენდერი)

- 1. თუ ბავშვის გენდერი საეჭვოა, მაშინ დაბადების მონმობა შედგება იმგვარად, რომ მასში ჩაინერება, რომ ბავშვის სქესი ვერ დგინდება.
- 2. დაბადებიდან სამი თვის ვადაში ანდა თუკი ბავშვი ამ პერიოდის განმავლობაში გარდაიცვლება, – მაშინ გარდაცვალების შეტყობინების მომენტში, შედგება ახალი დაბადების მონმობა, რომელშიც ბავშვის გენდერი, თუ ეს უკანასკნელი ამასობაში დადგინდა, ჩაინერება წარმოდგენილი სამედიცინო მონმობის მეშვეობით, რომლის დროსაც პარ. 1-ში მითითებული მონმობა ნადგურდება.
- 3. თუ სამედიცინო მონმობა არ იქნა წარმოდგენილი პარ. 2-ში მითითებული პერიოდის განმავლობაში ან თუ ასეთი სამედიცინო მონმობა წარმოდგენილ იქნა აღნიშნული პერიოდის განმავლობაში, თუმცა მასში მითითებულია იმის შესახებ, რომ ბავშვის გენდერის დადგენა შეუძლებელია, მაშინ ახალ დაბადების მონმობაში უნდა ჩაინეროს, რომ ბავშვის სქესის დადგენა ვერ ხერხდება.

მუხლი 1:19e დაბადების შესახებ შეტყობინება

- 1. ბავშვის დედა უფლებამოსილია მოახდინოს ბავშვის დაბადების ფაქტის შესახებ შეტყობინება.
- 2. ბავშვის მამას ეკისრება ბავშვის დაბადების ფაქტის შესახებ შეტყობინების კანონისმიერი ვალდებულება.
- 3. როდესაც მამა სახეზე არ არის ან როდესაც მას არ შეუძლია შეტყობინების გაკეთება, მაშინ ბავშვის დაბადების ფაქტის შესახებ შეტყობინების ვალდებულება ეკისრებათ:

a. თითოეულ იმ პირს, ვინც ესწრებოდა ბავშვის დაბადებას;

b. იმ სახლის მფლობელებს, სადაც დაიბადა ბავშვი, ან თუ ეს უკანასკნელი დაიბადა საავადმყოფოსა თუ სამკურნალო ან მოვლა-პატრონობის დაწესებულებაში, ციხესა თუ მსგავს დაწესებულებაში, – შესაბამისი დაწესებულების უფროსს ანდა მის ქვემდგომს, რომელსაც კონკრეტულად მიენიჭა უფროსის მიერ შეტყობინების გაკეთების უფლებამოსილება კერძო აქტის საფუძველზე.

– 4. პარ. 3-ის (b) პუნქტში მითითებული პირების ვალდებულება არსებობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახეზე არ არიან პარ. 3-ის (a) პუნქტში ნახსენები პირები ანდა თუ პარ. 3-ის (a) პუნქტში ნახსენებ პირებს არ შეუძლიათ რეგისტრატორისათვის შეტყობინების გაგზავნა.

– 5. როდესაც სახეზე არ არიან პირები, რომლებიც უფლებამოსილი არიან ბავშვის დაბადების შესახებ რეგისტრატორისათვის შეტყობინებაზე ან რომლებსაც ეკისრებათ ეს ვალდებულება, შეტყობინება კეთდება იმ მუნიციპალიტეტის მერის მიერ, სადაც დაბადების მონაბო აუნდა შედგეს.

– 6. რეგისტრატორისათვის ბავშვის დაბადების შესახებ შეტყობინების ვალდებულება უნდა შესრულდეს ბავშვის დაბადებიდან სამი დღის განმავლობაში. თუ ბავშვის დაბადების შესახებ შეტყობინება გაკეთდა წინამდებარე პარაგრაფის მესამე წინადადებაში მითითებულ მესამე დღეზე გვიან, მაშინ ამ ფაქტის შესახებ რეგისტრატორი ატყობინებს პროკურატურას.

– 7. რეგისტრატორი ახდენს იმ პირის იდენტიფიცირებას, ვინც იდენტიფიკაციის შესახებ კანონის [Wet op de identificatieplicht] 1-ლ მუხლში მითითებული დოკუმენტების მეშვეობით აკეთებს შეტყობინებას.

– 8. როდესაც შეტყობინება კეთდება, რეგისტრატორს შეუძლია მოითხოვოს ბავშვის დაბადებისას დამსწრე მკურნალი ექიმის ან მეანის იმ საკითხზე განცხადების მისთვის წარდგენა, რომ ბავშვი დაიბადა იმ პირმა, ვინც მითითებულ იქნა როგორც მისი დედა. როდესაც ბავშვი დაიბადა მკურნალი ექიმის ან მეანის დასწრების გარეშე, რეგისტრატორს შეუძლია შემდგომში მოითხოვოს მკურნალი ექიმის მიერ აღნიშნული განცხადების მისთვის წარდგენა.

– 9. 1:19b მუხლი მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც პარ. 8-ში მითითებული რეგისტრატორის მოთხოვნა მკურნალი ექიმის ან მეანის განცხადების მისთვის წარდგენაზე არ დაკმაყოფილდება ანდა – იმ შემთხვევაში, როდესაც ეს განცხადება უთითებს იმის თაობაზე, რომ ბავშვის დედა უცნობია.

მუხლი 1:19f გარდაცვალების მონაბო

– 1. გარდაცვალების მონაბო დგება იმ მუნიციპალიტეტის რეგისტრატორის მიერ, სადაც შესაბამისი პირი გარდაიცვალა.

– 2. თუ გვამი იქნა ნაპოვნი და შეუძლებელია საკმარისი სიზუსტით იმის განსაზღვრა, თუ სად ან რომელ დღეს გარდაიცვალა შესაბამისი პირი, მაშინ გარდაცვალების მონაბო დგება იმ მუნიციპალიტეტის რეგისტრატორის მიერ, სადაც გვამი იქნა ნაპოვნი ანდა რომლის ტერიტორიის ნაპირზეც ის გამოირიყა.

– 3. პარ. 1-ის ნორმის მოქმედების შეზღუდვის გარეშე, პარ. 2 შესაბამისად მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც შესაბამისი პირი გარდაიცვალა ზღვაზე აღმართულ ნაგებობაზე და გვამი გამოირიყა ჰოლანდიის ტერიტორიის ნაპირზე.

მუხლი 1:19g პირის გარდაცვალება მოგზაურობის დროს

– 1. იმ შემთხვევაში, თუ პირი გარდაიცვლება ჰოლანდიის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებაში ან იალქნიან გემში ანდა თვითმფრინავში შიდა ფრენის დროს, გარდაცვალების მონაბოს ადგენს იმ მუნიციპალიტეტის რეგისტრატორი, სადაც გვამი ტოვებს სატრანსპორტო საშუალებას, გემსა თუ თვითმფრინავს ანდა სადაც გემი მიადგება ნაპირს. ეს მუნიციპალიტეტი მიიჩნევა იმ მუნიციპალიტეტად, სადაც შესაბამისი პირი გარდაიცვალა.

– 2. იმ შემთხვევაში, თუ პირი გარდაიცვლება ნიდერლანდებში რეგისტრირებული საზღვაო ხომალდით მოგზაურობის დროს ანდა ნიდერლანდებში რეგისტრირებულ საჰაერო ხომალდში საერთაშორისო საჰაერო ფრენისას, საზღვაო ან საჰაერო ხომალდის კაპიტანი ვალდებულია 24 საათის განმავლობაში საბორტო ჟურნალში მოახდინოს დროებითი გარდაცვალების მონაბოს რეგისტრაცია ორი მონმის თანდასწრებით. კაპიტანი დროებითი გარდაცვალების მონაბოს დუბლიკატს შეძლებისდაგვარად სწრაფად უგზავნის ჰაავის მუნიციპალიტეტის რეგისტრატორს. რეგისტრატორი ადგენს გარდაცვალების მონაბოს მიღებული დუბლიკატის საშუალებით იმ პირობით, რომ ის, როგორც შეძლებს, დაუმატებს მას გამოტოვებულ ინფორმაციას და შეასწორებს იმ მონაცემებს, რომლებიც ჩანს, რომ უზუსტოა. მონაბოდან ამონარიდი ეგზავნება ყველა იმ პირს, ვისაც კი მონაბო ეხება.

მუხლი 1:19h გარდაცვალების შესახებ შეტყობინება

- 1. ყოველი პირი, რომლისათვისაც, საკუთარი ინფორმაციით, ცნობილია პირის გარდაცვალების შესახებ, უფლებამოსილია შეატყობინოს ამის შესახებ რეგისტრატორს.
- 2. გარდაცვლილთა გვამების უტილიზაციის შესახებ კანონით [Wet op de lijkbezorging] გათვალისწინებული გვამის დასაფლავებისა თუ კრემაციის პერიოდში ის პირი, ვინც წარმოადგენს გარდაცვლილის გვამს უტილიზაციისათვის, შესაძლოა პარ. 1-ში მითითებული პირის მიერ მიენიჭოს გარდაცვალების შესახებ შეტყობინებაზე უფლებამოსილება.
- 3. როდესაც სახეზე არ არიან პირები, რომლებიც უფლებამოსილი არიან გარდაცვალების შესახებ რეგისტრატორისათვის შეტყობინებაზე ან როდესაც ისინი არ ახდენენ ასეთ შეტყობინებას გარდაცვლილთა გვამების უტილიზაციის შესახებ კანონით [Wet op de lijkbezorging] გათვალისწინებული გვამის დასაფლავებისა თუ კრემაციისათვის დადგენილი ვადის განმავლობაში, მაშინ გარდაცვალების შესახებ შეტყობინება კეთდება იმ მუნიციპალიტეტის მერის მიერ, სადაც გარდაცვალების მოწმობა უნდა შედგეს.
- 4. 1:19f მუხლის პარ. 2 და 3-ში აღწერილ სიტუაციაში გარდაცვალების შესახებ შეტყობინება კეთდება პროკურორის თანაშემწის მიერ.

მუხლი 1:19i მკვდრადშობილი ბავშვი

- 1. როდესაც ბავშვი უსიცოცხლო დაიბადა, მაშინ გაიცემა მოწმობა, რომელიც რეგისტრაციაში ტარდება გარდაცვალებების რეესტრებში.
- 2. როდესაც ბავშვი გარდაიცვლება 1:19e მუხლის პარ. 6-ში მითითებული ვადის განმავლობაში მანამდე, სანამ მოხდება მისი დაბადების შესახებ შეტყობინების წარდგენა, მაშინ დგება როგორც დაბადების, ისე გარდაცვალების მოწმობები.
- 3. წინა პარაგრაფებში აღწერილ სიტუაციებში რეგისტრატორისათვის შეტყობინების გაკეთებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება 1:19h მუხლის ნორმები.
- 4. პარ. 1-ში აღნიშნულ შემთხვევაში, სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრატორი შეძლებისდაგვარად სწრაფად აწვდის ნიდერლანდების სტატისტიკის სამსახურს ბავშვთან დაკავშირებულ იმ მონაცემებს, რომლებიც მოცემულია მის მიერ აღნიშნული მიზნით გამოსაყენებელ ფორმაში, როგორც ეს განსაზღვრულია უშიშროებისა და იუსტიციის მინისტრის მიერ.

მუხლი 1:19j მოვალეობათა დელეგირება

- 1. რეგისტრატორისათვის წარსადგენ დოკუმენტებთან დაკავშირებული ყველა საკითხი, დაბადებისა და გარდაცვალების მოწმობები, დროებითი მოწმობები და ასევე მათი შინაარსი რეგულირდება მეფის სამთავრობო ბრძანებით.
- 2. მეფის სამთავრობო ბრძანებით ასევე რეგულირდება შემდეგი საკითხები:
 - a. როგორ და სად შედგება დაბადებისა და გარდაცვალების მოწმობები და ასევე როგორ და სად მოხდება მათი რეგისტრაცია იმ შემთხვევაში, როდესაც ეს შეუძლებელია სტანდარტული წესით გადაადგილების აკრძალვისა თუ სხვა განსაკუთრებული გარემოებების გამო; და
 - b. როგორ და სად შედგება დაბადებისა და გარდაცვალების მოწმობები სამხედრო და სხვა იმ პირების მიმართ, რომლებიც მიეკუთვნებიან სამხედრო ძალებს და რომლებიც გარდაიცვალნენ ომში, ბრძოლაში ანდა ნიდერლანდების ტერიტორიის ფარგლებს გარეთ განხორციელებული სახელწიფო სამსახურის დროს.

მუხლი 1:19k ქვეყანაში ცხოვრების უფლების შესახებ დოკუმენტის გაცემა (,attestatie de vita‘)

- 1. ყოველ პირს, რომელსაც საცხოვრებელი ადგილი აქვს ნიდერლანდების ტერიტორიაზე, შეუძლია მოსთხოვოს მისი დომიცილის ტერიტორიის მიხედვით მოქმედ სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრატორს ქვეყანაში ცხოვრების უფლების შესახებ დოკუმენტის (‘attestatie de vita‘) გაცემა, რომელიც შედგენილია ქვეყანაში ცხოვრების უფლების შესახებ დოკუმენტის გაცემის შესახებ 1998 წლის 10 სექტემბრის პარიზის კონვენციის დანართი #1-ის შესაბამისად (Treaty series 2004, 283).
- 2. პირი, ვინც ახდენს ქვეყანაში ცხოვრების უფლების შესახებ დოკუმენტის (‘attestatie de vita‘) გაცემის მოთხოვნით მიმართვას, ვალდებულია პირადად გამოცხადდეს მისი დომიცილის ტერიტორიის მიხედვით მოქმედი სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრატორის ანდა ამ მიზნით ნიდერლანდების სახელით უფლებამოსილი დიპლომატიური თუ საკონსულო დაწესებულების წინაშე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის იმყოფება ისეთ მდგომარეობაში, როდესაც მას ამის გაკეთება არ შეუძლია. მან უნდა

დადასტუროს თავისი პიროვნება იძულებითი იდენტიფიკაციის შესახებ კანონის მუხლი 1-ში მითითებული დოკუმენტების საფუძველზე.

– 3. ქვეყანაში ცხოვრების უფლების შესახებ დოკუმენტი ('attestatie de vita') ნამდვილია ექვსი თვის ვადის განმავლობაში, რომელიც აითვლება მისი გაცემის თარიღიდან. ამ დოკუმენტის მიმართ არ არის დადგენილი თარგმანისა და დამოწმების (დადასტურების) მოთხოვნები ანდა – ნებისმიერი მსგავსი ფორმალური მოთხოვნა.

– 4. ქვეყანაში ცხოვრების უფლების შესახებ დოკუმენტი ('attestatie de vita') გაიცემა ჰოლანდიურ და ფრანგულ ენებზე. მოთხოვნის საფუძველზე იმავდროულად დამატებით უნდა გაიცეს ასევე შემდეგი ჩამონათვალი და მონაცემები:

a. დოკუმენტში მოცემული კოდური ციფრების ჩამონათვალი და მისი თარგმანი ოფიციალურ ენაზე ანდა – იმ სახელმწიფოს ერთ-ერთ ოფიციალურ ენაზე, სადაც ცხოვრების უფლების შესახებ დოკუმენტი ('attestatie de vita') უნდა იქნეს გამოყენებული, ან;

b. თარგმანი ოფიციალურ ენაზე ანდა პარ. 1-ში ნახსენები კონვენციის ხელისშემკვრელი მხარის ერთ-ერთ ოფიციალურ ენაზე. თარგმანი უნდა განხორციელდეს აღნიშნული კონვენციის დანართი #1-ში განსაზღვრული ტერმინოლოგიის შესაბამისად.

– 5. პარ. 1-ში ნახსენები კონვენციის სხვა, გარდა ნიდერლანდებისა, ხელისშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე გაცემული ცხოვრების უფლების შესახებ დოკუმენტთან ('attestatie de vita') დაკავშირებით ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია მისი დომიცილის ტერიტორიის მიხედვით მოქმედ სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრატორს ანდა ამ მიზნით ნიდერლანდების სახელით უფლებამოსილი დიპლომატიური თუ საკონსულო დაწესებულებას მოსთხოვოს შემდეგი დოკუმენტების გაცემა:

a. კოდური ციფრების თარგმანი ჰოლანდიურ ენაზე;

b. ცხოვრების უფლების შესახებ დოკუმენტის ('attestatie de vita') თარგმანი ჰოლანდიურ ენაზე.

განყოფილება 1.4.5 – სამოქალაქო მდგომარეობის ამსახველ ცნობებზე შემდგომში გაკეთებული აღნიშვნები

მუხლი 1:20 დამატებითი აღნიშვნები უკვე რეგისტრირებულ ცნობებში

– 1. რეგისტრატორი მოგვიანებით მის მიერ გაცემულ სამოქალაქო მდგომარეობის ცნობებსა და სხვა ავთენტურ დოკუმენტებში, რომლებიც ეხება სახელის არჩევას, სამოქალაქო მდგომარეობის ამსახველ ცნობებს ამატებს ბავშვის ცნობას, დედის მიერ მამობის უარყოფას, სახელების ცვლილებასა თუ განსაზღვრასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს, სახელების განსაზღვრასთან დაკავშირებული თავდაპირველი ოფციების დადასტურებებს, სახელების ცვლილებასა თუ განსაზღვრასთან დაკავშირებულ ნატურალიზაციის დადგენილებებსა და ასეთი დადასტურებებისა თუ გადაწყვეტილებების გაუქმების შესახებ დადგენილებებს, ერთზე მეტი მოქალაქეობის მქონე პირის მიერ სხვა სახელმწიფოს სამართლის საფუძველზე არსებული და მის შესაბამისად გამოყენებული შეუსაბამო სახელების შესახებ შეტყობინებებს, რეგისტრირებული პარტნიორობის შეწყვეტასა თუ მისი ქორწინებად გარდაქმნასთან დაკავშირებული ცნობებსა და ასევე, სულ ცოტა, სასამართლოს სამი თვის გადაწყვეტილებებს, მათ შორის:

a. პირის სახელისა თუ გვარის შეცვლის შესახებ ბრძანებას, პირის რეგისტრირებული გენდერის შეცვლის შესახებ ბრძანებას, შვილად აყვანას ან შვილად აყვანის გაუქმებას, მამობის ცნობის ბათილობას, მამობის დადგენას სასამართლოს წესით, მამობის აღიარებასა თუ უარყოფას ანდა ასეთი სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებას;

b. ქორწინებისა თუ რეგისტრირებული პარტნიორობის გაბათილებას ანდა იმ მეუღლეებსა თუ რეგისტრირებულ პარტნიორებს შორის ასეთი გადაწყვეტილების რევიზიას, რომელთა ქორწინებისა თუ შესაბამისად, რეგისტრირებული პარტნიორობის მოწმობა ანდა რეგისტრირებული პარტნიორობისა თუ ქორწინების გარდაქმნის შესახებ ცნობა რეგისტრირებულია ჰოლანდიის სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრებში.

– 2. რეგისტრატორი ასევე მოგვიანებით მის მიერ გაცემულ სამოქალაქო მდგომარეობის ამსახველ ცნობებს ამატებს მხოფავ და კანონიერ ძალაში შესულ სასამართლოს გადაწყვეტილებებს განქორწინებისა თუ რეგისტრირებული პარტნიორობის შეწყვეტის შესახებ, განცალკევებით ცხოვრების რეჟიმის დასრულების შემდეგ ქორწინების შეწყვეტის შესახებ ანდა – იმ მეუღლეებსა თუ რეგისტრირებულ პარტნიორებს შორის ასეთი გადაწყვეტილების რევიზიის შესახებ, რომელთა ქორწინებისა თუ, შესაბამისად,

რეგისტრირებული პარტნიორობის მონაწილეობა ანდა რეგისტრირებული პარტნიორობისა თუ ქორწინების გარდაქმნის შესახებ ცნობა რეგისტრირებულია ჰოლანდიის სამოქალაქო მდგომარეობის რეესტრებში.

მუხლი 1:20a უკვე რეგისტრირებულ ცნობებში გაკეთებული სხვა დამატებითი აღნიშვნები

– 1. 1:20 მუხლში მითითებული მოგვიანებით გაკეთებული აღნიშვნა, გარდა ამ მუხლის პარ. 1 (b) პუნქტში ნახსენები აღნიშვნებისა, და ასევე რეგისტრირებული პარტნიორობის შეწყვეტასთან და რეგისტრირებული პარტნიორობის ქორწინებად ანდა ქორწინების რეგისტრირებულ პარტნიორობად გარდაქმნასთან დაკავშირებული აღნიშვნები ემატება შესაბამისი პირის დაბადების მონაწილას. გვარის შეცვლისა თუ დადგენის შესახებ მოგვიანებით გაკეთებული აღნიშვნა ასევე ემატება შესაბამისი პირის შვილების დაბადების მონაწილეს იმდენად, რამდენადაც ასეთი ცვლილება თუ დადგენა ეხება მათ.

– 2. 1:20 მუხლის პარ. 1 (b) პუნქტში და პარ. 2-ში მითითებული მოგვიანებით გაკეთებული აღნიშვნები, ისევე როგორც 1:20 მუხლის პარ. 1-ის შესავალში მითითებული რეგისტრირებული პარტნიორობის შეწყვეტასთან და რეგისტრირებული პარტნიორობის ქორწინებად ანდა ქორწინების რეგისტრირებულ პარტნიორობად გარდაქმნასთან დაკავშირებული მოგვიანებით გაკეთებული აღნიშვნები ემატება შესაბამისი პირის ქორწინების ან რეგისტრირებული პარტნიორობის მონაწილას.

– 3. როდესაც პირის გვარი იცვლება ქორწინებისა თუ განქორწინების შემდეგად, ეს აღნიშვნა ქორწინების მონაწილეობაში იმდენად, რამდენადაც ასეთი ცვლილება ჯერ არ ყოფილა თავად ქორწინების მონაწილეობაში შეტანილი. ამ ცვლილების შესახებ აღნიშვნა ასევე ემატება შესაბამისი პირის დაბადების მონაწილასა და მისი შვილების დაბადების მონაწილეს იმ ფარგლებში, რომლებშიც მათი სახელები ასევე შეიცვალა.

– 4. რეგისტრატორი მოგვიანებით გაკეთებულ აღნიშვნას ამატებს სავარაუდოდ დაქორწინების შესახებ შეტყობინების მონაწილას ანდა ქორწინებისა თუ რეგისტრირებული პარტნიორობის შეჩერების მონაწილას, ისევე როგორც – სასამართლოს განკარგულებებსა თუ მონაწილეს, რომლითაც მოხდა აღნიშნული შეჩერების თავიდან აცილება იმდენად, რამდენადაც ეს დოკუმენტები რეგისტრატორს წარედგინა სასამართლოს აღმასრულებლის მომართვის საფუძველზე.

მუხლი 1:20b უცხოეთში გაცემული მონაწილეობები და უცხო ქვეყნის სასამართლოთა განკარგულებები

– 1. დაინტერესებული პირის მოთხოვნის საფუძველზე ან რეგისტრატორის მიერ საკუთარი ინიციატივით (ex officio), ნიდერლანდების ტერიტორიის ფარგლებს გარეთ კომპეტენტური ორგანოს მიერ ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად შედგენილი ან გაცემული და სამოქალაქო მდგომარეობის ჰოლანდიურ მონაწილეთა შესაბამისი შედეგის მქონე მონაწილეობისა და სასამართლოების განკარგულებების მოგვიანებით გაკეთებული აღნიშვნის დამატება რეგისტრატორის მიერ 1:20 მუხლის მიხედვით ხდება შესაბამისი ქორწინების მონაწილეს, რეგისტრირებული პარტნიორობის მონაწილეს, რეგისტრირებული პარტნიორობის ან ქორწინების გარდაქმნის მონაწილეს ანდა სამოქალაქო მდგომარეობის რეესტრებში უკვე რეგისტრირებული დაბადების მონაწილეს დამატება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ეწინააღმდეგება ჰოლანდიურ საჯარო წესრიგს. დაინტერესებული პირის მოთხოვნის საფუძველზე, გვარში ცვლილების შესახებ აღნიშვნა ასევე ემატება მისი შვილების დაბადების მონაწილეს იმ ფარგლებში, რომლებშიც მათი სახელები ასევე შეიცვალა.

– 2. როდესაც რეგისტრატორმა მოგვიანებით გაკეთებული აღნიშვნის მონაწილესათვის დამატება მოახდინა საკუთარი ინიციატივით (ex officio), მაშინ ის ამ მონაწილესა და მოგვიანებით გაკეთებული აღნიშვნის დამონაწილეს ასლს უგზავნის იმ პირს ან პირებს, ვისაც ეს დოკუმენტები ეხება.

მუხლი 1:20c უცხოეთში გაცემული მონაწილეობისა და უცხო ქვეყნის სასამართლოთა განკარგულებების მოგვიანებით წარდგენილი შეტყობინებების რეგისტრაციაზე უარი

1:18 და 1:18b მუხლების ნორმები შესაბამისად მოქმედებს უცხოეთში გაცემული მონაწილეობისა და უცხო ქვეყნის სასამართლოთა განკარგულებების რეგისტრაციის მიმართ, როგორც ეს მითითებულია 1:20b მუხლში.

მუხლი 1:20d მოვალეობათა დელეგირება

ყველა იმ საკითხთან დაკავშირებული წესები, რომლებიც ეხება რეგისტრატორისათვის წარსადგენ დოკუმენტებსა და მოგვიანებით გაკეთებული აღნიშვნების შედგენასა და მათ შინაარსს, რეგულირდება მეფის სამთავრობო ბრძანებით.

მუხლი 1:20e საჯარო ორგანოებისა და ნოტარიუსების მიერ რეგისტრატორისათვის ინფორმაციის მიწოდება

– 1. იმ სასამართლოს მდივანი, სადაც უკანასკნელად იხილებოდა საქმე, სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრატორს 1:20 მუხლის პარ. 1-ში ნახსენები სასამართლოს განკარგულების დამონმებულ ასლს, თუმცაღა, – არა მანამდე, სანამ არ გავა, სულ ცოტა, სამი თვე იმ დღიდან, როდესაც სასამართლოს ეს განკარგულება იქნა მიღებული.

– 2. სახელის შეცვლისა თუ მათი დადგენის შესახებ გადანყვეტილებების ანდა სახელების ცვლილებებისა თუ მათი დადგენის შემცველი ნატურალიზაციის დადგენილებების დამონმებულ ასლებს იუსტიციის მინისტრი დაუყოვნებლივ უგზავნის იმ სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრატორს, რომელიც ინახავს შესაბამისი პირის დაბადების მონმობას.

– 3. ნოტარიუსი, რომელმაც შეადგინა მამობის აღიარების დოკუმენტი, დაუყოვნებლივ უგზავნის ამ დოკუმენტის დამონმებულ ასლს ანდა მისგან ამონარიდს იმ სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრატორს, რომელიც ინახავს შესაბამისი ბავშვის დაბადების მონმობას.

მუხლი 1:20f სხვა რეგისტრატორების მიერ რეგისტრატორისათვის ინფორმაციის მიწოდება

– 1. იმ სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრატორი, რომელიც ახორციელებს დაბადების მონმობაში სახელის არჩევის შესახებ მონმობის შესახებ მონაცემების შეყვანას, უგზავნის ამ მონმობის დამონმებულ ასლს იმ სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრატორს, რომელმაც შეადგინა სახელის არჩევის შესახებ მონმობა. ეს მონმობა ინახება აღნიშნული ასლის მიღებიდან თვრამეტი თვის ვადის გასვლამდე.

– 2. სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრატორი, რომელიც ახდენს სახელის არჩევის ან მამობის აღიარების შესახებ მოგვიანებით გაკეთებული აღნიშვნის შესაბამისი ბავშვის დაბადების მონმობისათვის დამატებას, ამ დაბადების მონმობის ან მოგვიანებით გაკეთებული აღნიშვნის დამონმებულ ასლს უგზავნის იმ პირებს, ვისაც ეს დოკუმენტები ეხება. ის ამ დოკუმენტების დამონმებულ ასლს უგზავნის იმ სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრატორს, რომელმაც შეადგინა სახელის არჩევისა თუ მამობის აღიარების შესახებ მონმობა. ეს უკანასკნელი მონმობა ინახება აღნიშნული ასლის მიღებიდან თვრამეტი თვის ვადის გასვლამდე ანდა თუ ეს ასლი არ იქნა მიღებული, – მონმობის შედგენიდან თვრამეტი თვის ვადის გასვლამდე.

მუხლი 1:20g საჯარო რეესტრში ფაქტების რეგისტრაცია

სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრატორი, რომელმაც მოგვიანებით გაკეთებული აღნიშვნა დაამატა არასრულწლოვანის იმ დაბადების მონმობას, საიდანაც ჩანს, რომ არასრულწლოვანი აღიარებულ იქნა შვილად ანდა რომ მისი ერთ-ერთი სახელი შეიცვალა, ატყობინებს აღნიშნული ფაქტის შესახებ 1:244 მუხლში მითითებულ იმ საჯარო რეესტრის მწარმოებელს, რომელიც შეიცავს აღნიშნულ არასრულწლოვანთან დაკავშირებულ იურიდიულ ფაქტებს.

მუხლი 1:20h {გაუქმებულია 01.01.1995წ.}

განყოფილება 1.4.6 – განსაზღვრული სასამართლო გადანყვეტილებების რეგისტრაციის შესახებ ცნობები

მუხლი 1:21 უცხოეთში გაფორმებული ქორწინებები და რეგისტრირებული პარტნიორობები

– 1. ჰააგის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრატორი ადგენს იმ ქორწინებებსა თუ რეგისტრირებულ პარტნიორობებთან დაკავშირებული მბოჭავი და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადანყვეტილებების რეგისტრაციის მონმობებს, რომელთა ცნობები არ არის ასახული სამოქალაქო მდგომარეობის ნებისმიერ ჰოლანდიურ რეესტრში, რომლის დროსაც სასამართლოს გადანყვეტილებები მოიცავს ქორწინებისა თუ რეგისტრირებული პარტნიორობების ბათილობას, განქორწინებას, რეგისტრირებული პარტნიორობების შეწყვეტას, განცალკევებით ცხოვრების რეჟიმის დასრულების შემდეგ ქორწინების შეწყვეტას, ან – ასეთი სასამართლოს გადანყვეტილების რევიზიასა თუ 1:80c მუხლის (c) პუნქტში ნახსენები რეგისტრირებული პარტნიორობის შეწყვეტას ანდა ამ შეწყვეტის რევიზიას.

– 2. პარ. 1-ში მითითებული მონმობები რეგისტრაციაში ტარდება აღნიშნული მიზნით ჰააგაში დაფუძნებულ დაბადებათა, გარდაცვალებათა და ქორწინებათა რეესტრში.

– 3. იმ ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებული წესები, რომლებიც ეხება რეგისტრატორისათვის წარსადგენ დოკუმენტებს და ასევე რეგისტრაციის მოწმობათა შედგენასა და მათ შინაარსს, დგინდება მეფის სამთავრობო ბრძანებით.

განყოფილება 1.4.7 – სამოქალაქო მდგომარეობის ამსახველი ცნობების, ისევე როგორც ასეთი ცნობების ასლებისა და ამონარიდების მტკიცებულებითი (პრობაციული) ღირებულება

მუხლი 1:22 სამოქალაქო მდგომარეობის მოწმობათა მტკიცებულებითი ღირებულება

– 1. დაბადების მოწმობა ყოველი პირის მიმართ ქმნის მტკიცებულებას იმ ფაქტისა, რომ ამ მოწმობაში აღნიშნულ ადგილზე და ასევე დღესა და საათზე დაიბადა მასშივე მითითებული სქესის (გენდერის) ბავშვი იმ დედისგან, რომელიც ასეთად აღნიშნულია დოკუმენტში. როდესაც დაბადების მოწმობაში მითითებულია იმის შესახებ, რომ ბავშვის დაბადების ადგილი უცნობია, მაშინ იმ ადგილს, სადაც ბავშვი იქნა ნაპოვნი, ექნება იგივე მტკიცებულებითი ღირებულება.

– 2. გარდაცვალების მოწმობა ყოველი პირის მიმართ ქმნის მტკიცებულებას იმ ფაქტისა, რომ ამ მოწმობაში აღნიშნულ ადგილზე და ასევე დღესა და საათზე ამ მოწმობაში აღნიშნული პირი გარდაიცვალა ანდა, თუ ეს მოწმობა შედგენილ იქნა 1:19f მუხლის პარ. 2-ის შესაბამისად, – რომ მოწმობაში გარდაცვლილად მითითებული პირის გვამი ნაპოვნი იქნა ამ მოწმობაში აღნიშნულ ადგილზე და ასევე დღესა და საათზე.

– 3. გარდა აღნიშნულისა, სამოქალაქო მდგომარეობის მოწმობებს აქვს იგივე მტკიცებულებითი ღირებულება, როგორც სხვა ავთენტურ დოკუმენტებს.

მუხლი 1:22a ავთენტური დოკუმენტებისა და ამონარიდების მტკიცებულებითი ღირებულება,

სამოქალაქო მდგომარეობის მოწმობის იმ ავთენტურ ასლს ან ამონარიდს, რომელიც შედგენილია სათანადო იურიდიული ფორმით და გაცემულია რელევანტური სამოქალაქო მდგომარეობის რეესტრის უფლებამოსილი შემნახველის მიერ, აქვს იგივე მტკიცებულებითი ღირებულება, რაც დედანს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დამტკიცდება, რომ ეს ასლი ან ამონარიდი არ შეესაბამება დედანს.

განყოფილება 1.4.8 – სამოქალაქო მდგომარეობის ამსახველი ცნობების პუბლიკაცია

მუხლი 1:23 სამოქალაქო მდგომარეობის მოწმობათა ხელმისაწვდომობა

სამოქალაქო მდგომარეობის მოწმობები, მათ შორის, მათი ორიგინალი დუბლიკატები ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის იმდენად, რამდენადაც წინამდებარე განყოფილებით სხვა რაიმე არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 1:23a შემონმების შეზღუდული უფლება

მხოლოდ პროკურატურასა და სამოქალაქო მდგომარეობის რეესტრის შემნახველებს ენიჭებათ ამ რეესტრებში აღრიცხული მოწმობების შემონმების უფლება. გარდა ამისა, სასამართლოსა და პროკურატურას შეუძლიათ მიიღონ განკარგულება აღნიშნული მოწმობების გაცემის შესახებ.

მუხლი 1:23b დამონმებული ასლები და ამონარიდები

– 1. ყოველ პირს აქვს უფლება, მიმართოს რეგისტრატორს, რომელსაც ევალება სამოქალაქო მდგომარეობის მოწმობებიდან დამონმებული ასლებისა და ამონარიდების გაცემა, რათა ამ უკანასკნელმა გასცეს დაბადების მოწმობა, ქორწინების მოწმობა, რეგისტრირებული პარტნიორობის მოწმობა, რეგისტრირებულ პარტნიორობის ქორწინებად ან ქორწინების რეგისტრირებულ პარტნიორობად გარდაქმნის შესახებ მოწმობა ანდა ამ რეგისტრატორთან შენახული გარდაცვალების მოწმობა. ამონარიდი შეიცავს მონაცემებს, რომლებიც აღნიშნული მიზნისათვის უნდა იქნეს განსაზღვრული მეფის სამთავრობო ბრძანებით, თუმცა ის არ უნდა აჩვენებდეს პირის შთამომავლობას ანდა შთამომავლობას იმ პირისა, ვისაც ეს მოწმობა ეხება.

– 2. პარ. 1-ში ნახსენები მოწმობების ანდა დედის მიერ შვილის მამობის აღიარება ან უარყოფის მონ-

მობების დამონმებული ასლი გაიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი ამჟღავნებს იმას, რომ მას აქვს ლეგიტიმური ინტერესი ასეთი ასლის მიღებისა. პარ. 1-ში ნახსენები სხვა იმ მოწმობათა დამონმებული ასლი, რომლებიც ინახება რეგისტრატორთან, ყოველთვის ექვემდებარება გაცემას. ეს დამონმებული ასლი შეიცავს მონაცემებს, რომლებიც აღნიშნული მიზნისათვის უნდა იქნეს განსაზღვრული მეფის სამთავრობო ბრძანებით.

– 3. ამონარიდისა თუ დამონმებული ასლის გაცემის მოთხოვნა უნდა ეხებოდეს განსაზღვრულ პირსა თუ პირებს.

– 4. იმ ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებული წესები, რომლებიც ეხება ამონარიდებისა თუ დამონმებული ასლების შედგენას, რეგულირდება მეფის სამთავრობო ბრძანებით. ეს უკანასკნელი ასევე ადგენს იმ მოწმობებიდან ამონარიდების გაკეთების შესახებ წესებს, რომლებიც შედგენილია ნიდერლანდების სამოქალაქო კოდექსის 1-ლი წიგნის ძალაში შესვლამდე.

– 5. როდესაც პარ. 1-ში მითითებული რეგისტრატორი უარს აცხადებს ამონარიდისა თუ დამონმებული ასლის გაცემაზე, მაშინ ის განმცხადებელს გადასცემს წერილობით განმარტებას აღნიშნული უარის საფუძვლების მითითებით.

მუხლი 1:23c ორიგინალი დუბლიკატების შედგენა

წინამდებარე განყოფილების საკანონმდებლო ნორმათა შესრულების პირობით, სამოქალაქო მდგომარეობის მოწმობათა ორიგინალი დუბლიკატები ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის მანამდე, სანამ ისინი ინახება რეგისტრატორთან.

განყოფილება 1.4.9 – სამოქალაქო მდგომარეობის რეესტრებში დამატებების შეტანა და ასევე იქვე რეესტრირებული ცნობებისა და შემდგომში გაკეთებული აღნიშვნების შესწორება

მუხლი 1:24 დამატებები და შესწორებები

– 1. დაინტერესებული პირის ან პროკურატურის მოთხოვნით რაიონულ სასამართლოს შეუძლია დაადგინოს სამოქალაქო მდგომარეობის რეესტრებში არარსებული მოწმობისა თუ მოგვიანებით გაკეთებული აღნიშვნის დამატების შესახებ ან არასწორად რეესტრირებული მოწმობისა თუ მოგვიანებით გაკეთებული აღნიშვნის რეესტრიდან ამოღების ანდა – არასრული თუ ხარვეზიანი რეესტრირებული მოწმობისა თუ მოგვიანებით გაკეთებული აღნიშვნის შესწორების შესახებ. რაიონულ სასამართლოს შეუძლია თავის არასრული თუ ხარვეზიანი რეესტრირებული მოწმობის ან მოგვიანებით გაკეთებული აღნიშვნის შესწორების შესახებ გადანყვეტილებაში დაადგინოს, რომ იგივე შესწორება განხორციელდეს მოწმობებსა თუ მოგვიანებით გაკეთებულ აღნიშვნებში იმავე პირთან ან მის შთამომავალთან დაკავშირებით, რომლებიც სამოქალაქო მდგომარეობის რეესტრებში რეესტრირებული არიან სასამართლოს სასამართლოს ტერიტორიულ იურისდიქციის მიღმა.

– 2. იმ სასამართლოს მდივანი, სადაც უკანასკნელად იხილებოდა საქმე, სასამართლოს გადანყვეტილების დამონმებულ ასლს უგზავნის იმ მუნიციპალიტეტის სამოქალაქო მდგომარეობის რეესტრატორს, რომლის რეესტრებში არის ან უნდა ყოფილიყო რეესტრირებული მოწმობები თუ მოგვიანებით გაკეთებული აღნიშვნები, თუმცა, – არა მანამდე, სანამ, სულ ცოტა, არ გავა სამი თვე იმ დღიდან, როდესაც სასამართლოს შესაბამისი გადანყვეტილება იქნა მიღებული. თუ აღნიშნული მუნიციპალიტეტი გაუქმდა, მაშინ რეესტრატორი დამონმებულ ასლს უგზავნის იმ მუნიციპალიტეტის სამოქალაქო მდგომარეობის რეესტრატორს, რომლის არქივებშიც ინახება გაუქმებული მუნიციპალიტეტის სამოქალაქო მდგომარეობის რეესტრები.

მუხლი 1:24a შეცდომები და წერიტი ან ორთოგრაფიული ხარვეზები

– 1. აშკარა შეცდომები შეიძლება შესწორდეს იმ პროკურორის ნებართვით, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ სამოქალაქო მდგომარეობის რეესტრებში იქნა რეესტრირებული მოწმობა. პროკურორის ნებართვა შეიძლება ასევე გაიცეს იმ მოწმობებში ანალოგიური ცვლილების განხორციელების ნებართვის სახითაც, რომელიც ეხება იგივე პირს ან მის შთამომავლებს, რომლებიც სამოქალაქო მდგომარეობის რეესტრებში რეესტრირებული არიან პროკურორის სამოქმედო ტერიტორიის მიღმა.

– 2. აშკარა წერიტი ან ორთოგრაფიული ხარვეზები შეიძლება გასწორდეს სამოქალაქო მდგომარეობის რეესტრატორის მიერ საკუთარი ინიციატივით (ex officio).

მუხლი 1:24b დამატებების შეტანა, შესწორება ან ტექსტის ამოღება

- 1. სამოქალაქო მდგომარეობის რეესტრში დამატებების შეტანა ხორციელდება 1:24 მუხლის შესაბამისად ამ რეესტრისათვის ახალი ცნობის შედგენის გზით.
- 2. როდესაც ცვლილება ან ტექსტის ამოღება განხორციელდა წინამდებარე განყოფილების შესაბამისად, მაშინ მოგვიანებით გაკეთებული აღნიშვნა უნდა დაემატოს შესაბამის მონმობას მეფის სამთავრობო ბრძანებით დადგენილი ნორმების შესაბამისად.

განყოფილება 1.4.10 – უცხოეთში გაცემული მონმობები და შემცვლელი დაბადების მონმობის შედგენის შესახებ სასამართლოს განკარგულება

მუხლი 1:25 უცხოეთში გაცემული მონმობების რეგისტრაცია

- 1. ნიდერლანდების ტერიტორიის ფარგლებს გარეთ კომპეტენტური ორგანოს მიერ ადგილობრივი დანაწესების შესაბამისად გაცემული დაბადების მონმობები, ქორწინების მონმობები, რეგისტრირებული პარტნიორობისა და გარდაცვალების მონმობები რეგისტრაციაში ტარდება ჰააგის მუნიციპალიტეტის დაბადებათა, ქორწინებათა, რეგისტრირებულ პარტნიორობათა ან გარდაცვალებათა რეესტრებში პროკურატურის მითითების ანდა დაინტერესებული პირის მოთხოვნის საფუძველზე, თუ:
 - a. მონმობა ეხება პირს, რომელსაც განცხადების წარდგენის მომენტში აქვს ჰოლანდიის მოქალაქეობა ან რომელსაც ნებისმიერ მომენტში ჰქონდა ჰოლანდიის მოქალაქეობა ანდა, მართალია, ის არ არის ჰოლანდიის მოქალაქე, თუმცაღა ერთხელ უკვე იყო ნიდერლანდების ოფიციალური მაცხოვრებელი;
 - b. მონმობა ეხება პირს, ვინც კანონიერად იმყოფება ნიდერლანდებში უცხოელთა შესახებ 2000 წლის კანონის მე-8 მუხლის (c) და (d) პუნქტების ნორმათა შესაბამისად.
- 2. ნიდერლანდების ტერიტორიის ფარგლებს გარეთ კომპეტენტური ორგანოს მიერ ადგილობრივი დანაწესების შესაბამისად გაცემული დაბადების მონმობები რეგისტრაციაში ტარდება ჰააგის მუნიციპალიტეტის დაბადებათა რეესტრში პროკურატურის მითითების ანდა დაინტერესებული პირის მოთხოვნის საფუძველზე, თუ დაბადების მონმობა ეხება უცხო ქვეყნის მოქალაქეს, ხოლო მოგვიანებით გაკეთებული აღნიშვნა უნდა დაემატოს დაბადების მონმობას ნიდერლანდების სამოქალაქო კოდექსის 1-ლი ნიგნის საკანონმდებლო ნორმების შესაბამისად.
- 3. ჰააგის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრატორს წინა პარაგრაფებში მითითებული მონმობების რეგისტრაცია შეუძლია ასევე საკუთარი ინიციატივითაც (ex officio).
- 4. მანამდე, სანამ ჰააგის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრატორი პარ. 3 ან 4-ის შესაბამისად მოახდენს ქორწინების მონმობის ან რეგისტრირებული პარტნიორობის მონმობის რეგისტრაციას, მან პოლიციის უფროსისგან უნდა მიიღოს უცხოელთა შესახებ 2000 წლის კანონის 44-ე მუხლის პარ. 1-ის (k) პუნქტში მითითებული განცხადება, როგორც ეს განსაზღვრულია ამ კანონში. აღნიშნული განცხადების შედგენა ხდება იმ მეუღლის ან რეგისტრირებული პარტნიორის მოთხოვნის საფუძველზე, რომელსაც ის ეხება. მოთხოვნასთან ერთად უნდა მოხდეს დამონმებული ასლის წარდგენა, როგორც ეს მითითებულია უცხოელთა შესახებ 2000 წლის კანონის 44-ე მუხლის პარ. 1-ის (a) პუნქტში. როდესაც მოთხოვნის წარმდგენ პირს არა აქვს დომიცილი ნიდერლანდებში, აღნიშნული განცხადების შედგენა ხდება მეორე მეუღლის ან რეგისტრირებული პარტნიორის მოთხოვნის საფუძველზე. აღნიშნულ წინადადებებში მითითებული განცხადება არ მოითხოვება, თუ:
 - a. მეუღლეებმა ან რეგისტრირებულმა პარტნიორებმა დამაჯერებლად დაამტკიცეს, რომ მათ ორივეს აქვთ დომიცილი ნიდერლანდების ტერიტორიის ფარგლებს გარეთ;
 - b. შესაბამის მეუღლეს ან რეგისტრირებულ პარტნიორს არა აქვს ჰოლანდიის მოქალაქეობა, თუმცა ის კანონიერად იმყოფება ნიდერლანდებში უცხოელთა შესახებ 2000 წლის კანონის მე-8 მუხლის (b), (d) ან (e) პუნქტების ნორმათა შესაბამისად;
 - c. ქორწინება ან რეგისტრირებული პარტნიორობა გაფორმდა რეგისტრაციამდე, სულ ცოტა, ათი წლით ადრე, ან
 - d. ქორწინება ან რეგისტრირებული პარტნიორობა შეწყდა.
- 5. შვილად აყვანის შემთხვევაში, ის რაიონული სასამართლო, რომელიც იძლევა შვილად აყვანის ნებართვას, საკუთარი ინიციატივით ცალკე ადგენს პარ. 1 და 2-ში მითითებული დაბადების მონმობის რეგისტრაციას.
- 6. რეგისტრაციის მონმობა შეიცავს მონაცემებს, რომლებიც მოითხოვება აღნიშნული მიზნისათვის მეფის შესაბამისი სამთავრობო ბრძანების თანახმად.

- 7. ის აშკარა შეცდომები ანდა წერიითი თუ ორთოგრაფიული ხარვეზები სარეგისტრაციო მონმობაში, რომლებიც აღმოჩნელ იქნა ჰააგის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრატორის მიერ სამოქალაქო მდგომარეობის ჰოლანდიურ რეესტრში უკვე რეგისტრირებული მონმობის ან სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, შეიძლება შესწორებულ იქნეს რეგისტრატორის მიერ საკუთარი ინიციატივითაც (ex officio). ასეთი შესწორებები ცალ-ცალკე მიეთითება მონმობაში.

- 8. თუ ჰააგის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრატორმა მოხდინა მონმობის რეგისტრაცია საკუთარი ინიციატივით (ex officio), მაშინ ამ მონმობის დამონმებული ასლი ეგზავნება იმ პირს ან პირებს, რომლებსაც ის ეხება.

მუხლი 1:25a უცხოეთში გაცემულ მონმობებში არსებული აშკარა შეცდომების გასწორება

- 1. თუ უცხოეთში გაცემული მონმობა რეგისტრირებულ იქნა ჰააგის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო მდგომარეობის რეესტრებში და ამის შემდგომ მონმობაში დაშვებული აშკარა შეცდომა უკვე შესწორებულ იქნა ნიდერლანდების ტერიტორიის ფარგლებს გარეთ კომპეტენტური ორგანოს მიერ ადგილობრივი დანაწესების შესაბამისად, მაშინ ჰააგის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრატორი, რომელსაც წარედგინა შესწორების შესახებ გადაწყვეტილების დამონმებული ასლი და ასევე მონმობის დამონმებული ასლი, ახდენს აღნიშნულ შესწორებას რეგისტრაციის მონმობაშიც ამ უკანასკნელში მოგვიანებით გაკეთებული აღნიშვნის დამატებით, თუმცაღა – არა მანამდე, სანამ ის არ მიიღებს პროკურატურის აუცილებელ ნებართვას აღნიშნულის განხორციელებაზე.

- 2. თუ უცხოეთში გაცემულ მონმობა რეგისტრირებულ იქნა ჰააგის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო მდგომარეობის რეესტრებში და ამის შემდგომ მონმობაში დაშვებული აშკარა წერიითი ან ორთოგრაფიული ხარვეზები გასწორდა ნიდერლანდების ტერიტორიის ფარგლებს გარეთ კომპეტენტური ორგანოს მიერ ადგილობრივი დანაწესების შესაბამისად, მაშინ ჰააგის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრატორი უფლებამოსილია, საკუთარი ინიციატივით (ex officio), ანუ პროკურატურის ნებართვის გარეშე, მოახდინოს შესწორება პარ. 1-ში აღნიშნული წესით შესწორებული მონმობის დამონმებული ასლის საფუძველზე.

მუხლი 1:25b რეგისტრაციის მონმობაში მოგვიანებით დამატებული აღნიშვნები

მოგვიანებით გაკეთებული ის აღნიშვნები, რომლებიც სამოქალაქო კოდექსის 1-ლი წიგნის ნორმათა შესაბამისად უნდა დაემატოს ნიდერლანდების ტერიტორიაზე შედგენილ დაბადების, ქორწინებისა თუ გარდაცვალების მონმობებს, ემატება 1:25 მუხლში მითითებულ რეგისტრაციის მონმობას.

მუხლი 1:25c შემცვლელი დაბადების მონმობის შედგენისათვის აუცილებელი მონაცემების განსაზღვრა

- 1. თუ ნიდერლანდების ტერიტორიის ფარგლებს გარეთ დაბადებული პირისათვის დაბადების მონმობა არ იქნა შედგენილი კომპეტენტური ორგანოს მიერ ადგილობრივი დანაწესების შესაბამისად ანდა თუ ასეთი მონმობის წარდგენა შეუძლებელია, მაშინ პროკურატურის, დაინტერესებული პირისა თუ ჰააგის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრატორის მოთხოვნის საფუძველზე ჰააგის რაიონულ სასამართლოს შეუძლია განსაზღვროს ის მონაცემები, რომლებიც აუცილებელია დაბადების მონმობის შედგენისათვის, თუ:

a. აღნიშნულ პირს აქვს ჰოლანდიის მოქალაქეობა ან რომელსაც ნებისმიერ მომენტში ჰქონდა ჰოლანდიის მოქალაქეობა ანდა, მართალია, ის არ არის ჰოლანდიის მოქალაქე, თუმცაღა ერთხელ უკვე იყო ნიდერლანდების ოფიციალური მაცხოვრებელი;

b. ეს პირი კანონიერად იმყოფება ნიდერლანდებში უცხოელთა შესახებ 2000 წლის კანონის მე-8 მუხლის (c) და (d) პუნქტების ნორმათა შესაბამისად;

c. მოგვიანებით გაკეთებული აღნიშვნა უნდა დაემატოს დაბადების მონმობას ნიდერლანდების სამოქალაქო კოდექსის 1-ლი წიგნის საკანონმდებლო ნორმების შესაბამისად.

- 2. რაიონულმა სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს ყველა ის მტკიცებულება და მითითება, რომლებიც ეხება შესაბამისი პირის დაბადების გარემოებებსა და მომენტს. აღნიშნული მიზნით დგინდება გვარი, სახელები და მამისა და დედის დაბადების ადგილი და დღე.

- 3. ბავშვის შვილად აყვანის შემთხვევაში, ის რაიონული სასამართლო, რომელიც იძლევა შვილად აყვანის ნებართვას, საკუთარი ინიციატივით იღებს პარ. 1-ში მითითებულ სასამართლოს განკარგულებას.

მუხლი 1:25d უზუსტო ან არასრული მონაცემების შესწორება

პროკურატურის, დაინტერესებული პირისა თუ ჰააგის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრატორის მოთხოვნის საფუძველზე ჰააგის რაიონულ სასამართლოს შეუძლია დაადგინოს 1:25c მუხლის შესაბამისად მიღებული სასამართლოს განკარგულების შესწორების თაობაზე იმ საფუძველზე, რომ შესაბამისი მონაცემები უზუსტო ან არასრულია.

მუხლი 1:25e *{გაუქმებულია 01.04.1995წ.}*

მუხლი 1:25f შემცვლელი დაბადების მონომობისათვის აუცილებელი მონაცემების განსაზღვრის მიზნით მიღებული სასამართლოს განკარგულების საფუძველზე რეგისტრაციის მონომობა

– 1. იმ სასამართლოს მდივანი, სადაც უკანასკნელად იხილებოდა საქმე, სასამართლოს განკარგულების დამონებულ ასლს უგზავნის ჰააგის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრატორს, თუმცა, – არა მანამდე, სანამ, სულ ცოტა, არ გავა სამი თვე იმ დღიდან, როდესაც სასამართლოს შესაბამისი განკარგულება იქნა მიღებული.

– 2. 1:25c მუხლში მითითებული სასამართლოს განკარგულების საფუძველზე წინა პარაგრაფში ნახსენები რეგისტრატორი ადგენს რეგისტრაციის მონომობას, რომელიც გახდება დაბადების მონომობა 1:19 მუხლის გაგებით.

– 3. როდესაც სასამართლოს განკარგულება მიღებულ იქნა 25d მუხლის ნორმების შესაბამისად, მასში მოგვიანებით გაკეთებული აღნიშვნა ემატება წინა პარაგრაფში მითითებულ მონომობას.

მუხლი 1:25g წინამდებარე განყოფილების საკანონმდებლო ნორმების გამოყენება

– 1. 1:25-დან 1:25b-ის ჩათვლით მუხლების შესაბამისად გამოიყენება ნიდერლანდების ტერიტორიის ფარგლებს გარეთ კომპეტენტური ორგანოს მიერ ადგილობრივი დანაწესების შესაბამისად შედგენილი მონომობებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების მიმართ. 1:25 მუხლში ნახსენები რეგისტრაცია არ ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ეს ჰოლანდიური საჯარო წესრიგის სანინაალმდეგო იქნებოდა.

– 2. იმ ბავშვის შვილად აყვანის შემთხვევაში, რომელიც დაიბადა ნიდერლანდების ტერიტორიის ფარგლებს გარეთ და რომლის მიმართაც წინა პარაგრაფში ნახსენები მონომობა ან სასამართლოს გადაწყვეტილება იქნა მიღებული, ის რაიონული სასამართლო, რომელიც იძლევა შვილად აყვანის ნებართვას, საკუთარი ინიციატივით ცალკე ადგენს აღნიშნული მონომობის ან სასამართლოს განცალკევებით რეგისტრაციის შესახებ.

განყოფილება 1.4.11 – უცხოეთში გაცემული მონომობების ან სასამართლოს განკარგულებების ნიდერლანდების ტერიტორიაზე იურიდიული ძალის აღიარების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილება

მუხლი 1:26 იურიდიული ძალის აღიარების შესახებ სასამართლოს განკარგულება

– 1. გამართლებული ინტერესის მქონე ყოველ პირს შეუძლია რაიონულ სასამართლოს მოსთხოვოს მასთან დაკავშირებული იმ მონომობისა თუ სასამართლოს განკარგულების იურიდიული ძალის აღიარების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების მიღების შესახებ, რომელიც შედგენილია ან მიღებულია ნიდერლანდების ტერიტორიის ფარგლებს გარეთ კომპეტენტური ორგანოს მიერ ადგილობრივი დანაწესების შესაბამისად, რაც თავისი იურიდიული მახასიათებლების მიხედვით ვარგისია სამოქალაქო მდგომარეობის ნებისმიერ ჰოლანდიურ რეესტრში რეგისტრაციისათვის.

– 2. პარ. 1-ში მითითებული იურიდიული ძალის აღიარების შესახებ სასამართლოს განკარგულება შეიძლება იქნეს მიღებული ასევე სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრატორისა თუ პროკურატურის მოთხოვნის საფუძველზეც.

მუხლი 1:26a მოგვიანებით გაკეთებული აღნიშვნები

1:26 მუხლის პარ. 1-ში მითითებული იურიდიული ძალის აღიარების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებისას, რაიონულ სასამართლოს მოთხოვნის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით 1:24 მუხლის პარ. 1-ის საფუძველზე შეუძლია ასევე დაადგინოს, რომ მოგვიანებით გაკეთებული აღნიშვნები დაემატოს იმ მონომობას, რომელიც უკვე იქნა რეგისტრირებული სამოქალაქო მდგომარეობის ჰოლანდიურ რეესტრში.

მუხლი 1:26b სამოქალაქო მდგომარეობის ჰოლანდიურ რეესტრში არარსებული მონმობა

როდესაც განმცხადებლის მიმართ სამოქალაქო მდგომარეობის ჰოლანდიურ რეესტრში მონმობა არ არის რეგისტრირებული, ჰააგის რაიონულ სასამართლოს მოთხოვნის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით შეუძლია თავის განკარგულებაში დაადგინოს ასევე ჰააგის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო მდგომარეობის რეესტრებში 1:25 მუხლის შესაბამისად ამ მიზნისათვის ვარგისი საზღვარგარეთ შედგენილი მონმობის რეგისტრაცია და რეგისტრაციის მონმობის შესწორება 1:24 მუხლის პარ. 1-ის საფუძველზე. გარდა ამისა, თავის განკარგულებაში რაიონულ სასამართლოს შეუძლია მიიღოს 1:25c მუხლში მითითებული განკარგულება და ასევე – ჰააგის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრატორის მიერ 1:24 მუხლის პარ. 1-ის შესაბამისად შესადგენი მონმობის შესწორების შესახებ განკარგულება.

მუხლი 1:26c {გაუქმებულია 01.04.1995წ.}

მუხლი 1:26d უცხოეთში გაცემული მონმობის ან სასამართლოს განკარგულების ავთენტური დუბლიკატი

ჰააგის რაიონულ სასამართლოს შეუძლია მოითხოვოს უცხოეთში გაცემული იმ მონმობის ან სასამართლოს განკარგულების ავთენტური დუბლიკატის მისთვის წარდგენა, რომელსაც ეხება მოთხოვნა. შესაბამისად გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 986-ე მუხლის მესამე და მეოთხე პარაგრაფები.

მუხლი 1:26e სასამართლოს მდივნის მიერ რეგისტრატორისათვის ინფორმაციის მიწოდება

იმ სასამართლოს მდივანი, სადაც უკანასკნელად იხილებოდა საქმე, სასამართლოს განკარგულების დამონმებულ ასლს უგზავნის სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრატორს, რომლის რეესტრშიც რეგისტრირებულია დაინტერესებული პირის მონმობა, რასაც უნდა დაემატოს მოგვიანებით გაკეთებული აღნიშვნები. როდესაც სასამართლოს განკარგულება მოიცავს საზღვარგარეთ შედგენილი მონმობის რეგისტრაციის განკარგულებას, მდივანი ამ სასამართლოს განკარგულების დამონმებულ ასლს უგზავნის ჰააგის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრატორს.

მუხლი 1:26f {გაუქმებულია 01.04.1995წ.}

განყოფილება 1.4.12 – სამოქალაქო მდგომარეობის ამსახველი ცნობის შედგენაზე ანდა სხვა მოქმედების განხორციელებაზე უარის წინააღმდეგ არსებული სამართლებრივი დაცვის საშუალება

მუხლი 1:27 რეგისტრატორის უარის წინააღმდეგ არსებული დაცვის საშუალება

თუ სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრატორმა გადაწყვიტა უარი თქვას მონმობის შედგენაზე 1:18b ან 1:20c მუხლების შესაბამისად, ან დაამატოს მოგვიანებით გაკეთებული ანგარიში მონმობასთან დაკავშირებით ანდა ითანამშრომლოს ნებისმიერი სხვა იმ მოქმედების განხორციელებაში, რაც არ არის დაკავშირებული შესაბამისი ხელის შემშლელი გარემოებების საფუძველზე ქორწინებისა თუ რეგისტრირებული პარტნიორობის წინააღმდეგ წარდგენილ პროტესტთან ან დამონმებული ასლისა თუ ამონარიდის გაცემასთან, – მაშინ ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია რეგისტრატორის მიერ თავისი* გადაწყვეტილების გამოქვეყნებიდან ექვსი კვირის განმავლობაში წარადგინოს პეტიცია იმ რაიონულ სასამართლოში, რომლის ტერიტორიაზეც არის განთავსებული რეგისტრატორის ოფისი.

მუხლი 1:27a რაიონული სასამართლოს დამატებითი განკარგულებები

სასამართლოს განკარგულებაში რაიონულ სასამართლოს მოთხოვნის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით შეუძლია ასევე 1:26 მუხლში მითითებული იურიდიული ძალის აღიარების შესახებ განკარგულების მიღება, ისევე როგორც – 1:26a ან 1:26b მუხლებში ნახსენები განკარგულების მიღება.

მუხლი 1:27b სასამართლოს მდივნის მიერ დაინტერესებული პირისა და რეგისტრატორისათვის ინფორმაციის მიწოდება

სასამართლოს მდივანი სასამართლოს განკარგულების დამონმებულ ასლს უგზავნის დაინტერესებულ პირსა და სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრატორს.

მუხლი 1:27c {გაუქმებულია 01.04.1995წ.}

განყოფილება 1.4.13 – დაბადების მონმობაში სქესის ჩანაწერის შეცვლის შესახებ სასამართლოს განკარგულება

მუხლი 1:28 ტრანსსექსუალურობა და დაბადების მონმობის შეცვლა

– 1. ჰოლანდიის მოქალაქეობის მქონე ყოველ პირს, რომელიც დარწმუნებულია იმაში, რომ ის განეკუთვნება სხვა გენდერს, ვიდრე ეს აღნიშნულია მის დაბადების მონმობაში და ვინც ფიზიკურად მორგებულია სასურველ გენდერს იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელი და მისაღებია სამედიცინო და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, შეუძლია რაიონულ სასამართლოს მოსთხოვოს, რომ ამ უკანასკნელმა დაადგინოს მის დაბადების მონმობაში სქესის ჩანაწერის შეცვლის შესახებ, თუ აღნიშნული პირი დაბადების მონმობაში აღნიშნულია როგორც მამაკაცი და ის ცალსახად უუნაროა, ჰყავდეს შვილები ანდა თუ ეს პირი დაბადების მონმობაში აღნიშნულია როგორც ქალი და ის ცალსახად უუნაროა, დაბადოს შვილები.

– 2. პარ. 1-სა და 1:28a და 1:28b მუხლების ნორმათა მიზნისათვის დაბადების მონმობა მოიცავს ასევე ნიდერლანდების ტერიტორიის ფარგლებს გარეთ შედგენილი დაბადების მონმობისა თუ 1:25c მუხლში ნახსენები სასამართლოს განკარგულების რეგისტრაციის მონმობასა.

– 3. ჰოლანდიის მოქალაქეობის არმქონე პირს შეუძლია წარადგინოს პარ. 1-ში მითითებული მოთხოვნა იმ შემთხვევაში, თუ მას აქვს მოქმედი ბინადრობის ნებართვა და ასევე ნიდერლანდების ტერიტორიაზე თავისი დომიცილი მოთხოვნის წარდგენამდე, სულ ცოტა, ერთი წლის განმავლობაში იმ პირობით, რომ ის აკმაყოფილებს პარ. 1-ის ყველა სხვა მოთხოვნას. თუ აღნიშნული პირის დაბადების მონმობა არ არის რეგისტრირებული ნიდერლანდებში სამოქალაქო მდგომარეობის რეესტრში, მაშინ რაიონულ სასამართლოს მოეთხოვება ასევე დაადგინოს დაბადების მონმობის ჰააგის მუნიციპალიტეტის დაბადებათა რეესტრში რეგისტრაცია.

მუხლი 1:28a პეტიციის შინაარსი და საექსპერტო ანგარიშის წარდგენა

– 1. წინა მუხლში მითითებული მოთხოვნის წაყენებისას შემდეგი დოკუმენტები უნდა იქნეს ერთდროულად წარდგენილი:

– დაბადების მონმობის დამონმებული ასლი;

– საექსპერტო ანგარიში, რომელსაც ერთობლივად აწერენ ხელს აღნიშნული მიზნით მეფის სამთავრობო ბრძანების საფუძველზე დანიშნული ექსპერტები, რომელთა ანგარიშიც გაიცა მოთხოვნის წარდგენის თარიღამდე, სულ ცოტა, ექვსი თვით ადრე და რომლიდანაც იკვეთება:

a. განმცხადებლის რწმენა იმისა, რომ ის განეკუთვნება სხვა გენდერს, ვიდრე ეს აღწერილია მის დაბადების მონმობაში და ამ საკითხში კვალიფიციური ექსპერტის შეხედულება, რომ აღნიშნული რწმენა შეიძლება მიჩნეულ იქნეს როგორც მყარი დროის იმ პერიოდის მხედველობაში მიღებით, როდესაც განმცხადებელმა იცხოვრა როგორც ასეთმა და ასევე, როგორც ეს შესაძლებელია, – სხვა ფაქტები და გარემოებებიც, რომლებიც ამ მხრივ უნდა იქნეს ნახსენები;

b. მოერგო თუ არა ფიზიკურად განმცხადებელი სასურველ გენდერს – ხოლო თუ მოერგო, მაშინ რა ფარგლებში – იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელი და მისაღებია სამედიცინო და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით;

c. ის ფაქტი, რომ განმცხადებელი, თუ დაბადების მონმობაში ის აღნიშნულია როგორც მამაკაცი, ცალსახად უუნაროა, ჰყავდეს შვილები ანდა თუ ის დაბადების მონმობაში აღნიშნულია როგორც ქალი, ცალსახად უუნაროა, დაბადოს შვილები.

– 2. საექსპერტო ანგარიშის პარ. 1 (a) პუნქტში მითითებული ნაწილის შეტანა აუცილებელი არ არის, თუ განმცხადებელი სასურველ გენდერს ფიზიკურად უკვე მოერგო.

მუხლი 1:28b მოთხოვნის დაკმაყოფილება

– 1. მოთხოვნა დაკმაყოფილდება, თუ რაიონული სასამართლოს შეხედულებით საკმარისად იქნა დადგენილი ის ფაქტი, რომ განმცხადებელს აქვს რწმენა იმისა, რომ ის განეკუთვნება სხვა გენდერს, ვიდრე ეს აღწერილია მის დაბადების მონმობაში, და რომ რწმენა შეიძლება მიჩნეულ იქნეს როგორც მყარი, განმცხადებელი კი ასევე აკმაყოფილებს 1:28 მუხლის პარ. 1-ის ყველა მოთხოვნას.

– 2. თუ რაიონული სასამართლო აკმაყოფილებს დაბადების მონმობაში გენდერის აღწერილობის შეცვლის მოთხოვნას, მაშინ შესაბამისი თხოვნის შემთხვევაში მას შეუძლია ასევე დაადგინოს განმცხადებლის სახელის შეცვლა.

მუხლი 1:28c გენდერის შეცვლის სამართლებრივი შედეგები

– 1. სამოქალაქო კოდექსის 1-ლი წიგნიდან გამომდინარე გენდერის აღწერილობის შეცვლის სამართლებრივი შედეგები დგება იმ დღიდან, როდესაც სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრატორი მოგვიანებით გაკეთებულ აღნიშვნას ამატებს აღნიშნული ცვლილების განხორციელებაზე სასამართლოს განკარგულების საფუძველზე დაბადების შესახებ მონიშვნას.

– 2. გენდერის აღწერილობის შეცვლა არ ეხება როგორც პარ. 1-ში მითითებულ თარიღამდე არსებულ ოჯახურ ურთიერთობებს, ისე – არც ამ ოჯახურ ურთიერთობების საფუძველზე სამოქალაქო კოდექსის 1-ლი წიგნის ნორმებიდან გამომდინარე არსებულ ნებისმიერ უფლებას, ძალაუფლებასა თუ მოვალეობას. 1:157 და 1:394 მუხლების ნორმებით გათვალისწინებული მოთხოვნები შეიძლება ასევე იქნეს წარდგენილი პარ. 1-ში მითითებულ თარიღამდე.

განყოფილება 1.4.14 – სამოქალაქო მდგომარეობასა და ეროვნების საკითხებთან დაკავშირებით არსებული საკონსულტაციო კომისია

მუხლი 1:29 საკონსულტაციო კომისია

სამოქალაქო მდგომარეობასა და მოქალაქეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე შექმნილია საკონსულტაციო კომისია.

მუხლი 1:29a საკონსულტაციო კომისიის შემადგენლობა

– 1. საკონსულტაციო კომისია შედგება, სულ ცოტა, ცხრა და მაქსიმუმ თხუთმეტი წევრისაგან.

– 2. საკონსულტაციო კომისია შეიცავს, სულ ცოტა, ერთ წევრს სასამართლო სისტემიდან, ერთ წევრს აკადემიური წრიდან, ორ წევრს სამოქალაქო მდგომარეობის რეესტრებიდან და ასევე პერსონალურ მონაცემთა ბაზიდან ორ წევრს.

– 3. იუსტიციის მინისტრი თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს წინა პარაგრაფში მითითებულ წევრებს საგარეო საქმეთა მინისტრის თანხმობით. გარდა აღნიშნულისა, ის ნიშნავს ასევე კომისიის თავმჯდომარესა და მდივანს.

მუხლი 1:29b საკონსულტაციო კომისიის მოვალეობები

– 1. სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრატორის ან სხვა საჯარო უწყების მოთხოვნის საფუძველზე საკონსულტაციო კომისია იძლევა რეკომენდაციებს სამოქალაქო მდგომარეობასა და მოქალაქეობასთან დაკავშირებული საკითხების მომწესრიგებელი კანონის გამოყენებასთან დაკავშირებით.

– 2. თუ რეკომენდაცია საზოგადო ინტერესის საგანს წარმოადგენს, მაშინ ის უნდა იქნეს მიცემული საჯაროდ. საკონსულტაციო კომისიას ეკისრება რეკომენდაციის გასაჯაროების წესის განსაზღვრის ვალდებულება.

მუხლი 1:29c შემთხვევები, რომელთა არსებობისას რეგისტრატორმა უნდა მიმართოს საკონსულტაციო კომისიას რეკომენდაციისათვის

თუ სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრატორს აქვს გამართლებული ეჭვი იმ საკითხთან დაკავშირებით, ვარგისია თუ არა ნიდერლანდების ტერიტორიის ფარგლებს გარეთ შედგენილი მონიშვნებიდან ანდა სხვა დოკუმენტიდან მიღებული მონაცემები სამოქალაქო მდგომარეობის მონიშვნაში ასახვისათვის, მაშინ ის ვალდებულია მიმართოს საკონსულტაციო კომისიას რეკომენდაციის მისაღებად.

მუხლი 1:29d რეგისტრატორი, რომელიც არ ასრულებს საკონსულტაციო კომისიის რეკომენდაციას

როდესაც სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრატორი არ ასრულებს საკონსულტაციო კომისიის რეკომენდაციას, ის ატყობინებს ამის შესახებ საკონსულტაციო კომისიასა და პროკურორს.

მუხლი 1:29e მოვალეობათა დელეგირება

იუსტიციის მინისტრს შეუძლია მიიღოს დამატებითი წესები საკონსულტაციო კომისიის მოვალეობათა და სამუშაო პროცედურასთან დაკავშირებით.

მუხლი 1:29f საკონსულტაციო კომისიის მუშაობის მიმოხილვა ყოველ ოთხ წელიწადში

ყოველ ოთხ წელიწადში საკონსულტაციო კომისია იუსტიციის მინისტრს წარუდგენს ანგარიშს, რომელიც შეიცავს იმის შესწავლის შედეგებს, თუ როგორც შეასრულა მან თავისი მოვალეობები და რომელიც შესაძლოა შეიცავდეს წინადადებებსაც სასურველი ცვლილებების შესახებ.

ტიტული 1.5 – ქორწინება

მუხლი 1:30 საკანონმდებლო ნორმები მოქმედებს მხოლოდ მეუღლეთა შორის არსებული სამოქალაქო ურთიერთობის მიმართ

- 1. ქორწინება შეიძლება გაფორმდეს ორი განსხვავებული ან ერთი და იგივე გენდერის (სქესის) პირის მიერ.
- 2. კანონი ქორწინებას განიხილავს მხოლოდ თავისი სამოქალაქო ურთიერთობების ფარგლებში.

განყოფილება 1.5.1 – დაქორწინებისათვის არსებული მოთხოვნები

მუხლი 1:31 მინიმალური ასაკი

- 1. კაცი და ქალი უნდა იყოს თვრამეტი წლის ასაკის იმისათვის, რომ მათ მიეცეთ დაქორწინების ნება.
- 2. წინა პარაგრაფში ნაგულისხმევი გაგებით დაქორწინებისათვის არანაირი ხელის შემშლელი გარემოება არ არსებობს, როდესაც იმ პირებმა, რომლებსაც განზრახული აქვთ ერთმანეთთან დაქორწინება, მიაღწიეს თექვსმეტი წლის ასაკს და ქალი წარადგენს მკურნალი ექიმის ცნობას იმის შესახებ, რომ ის ორსულად არის ანდა რომ მან უკვე დაბადა შვილი.
- 3. მნიშვნელოვანი მიზეზების არსებობისას იუსტიციის მინისტრს შეუძლია გაათავისუფლოს პირები პარ. 1-ში მითითებული მოთხოვნის შესრულების ვალდებულებისაგან.

მუხლი 1:32 ფსიქიკური აშლილობა

დაქორწინება დაუშვებელია, როდესაც ერთ-ერთი მხარის გონებრივი განსჯის უნარი დარღვეულია იმგვარად, რომ მას არ შეუძლია განსაზღვროს თავისი ნება ან გაიაზროს თავისი განცხადების მნიშვნელობა.

მუხლი 1:33 მონოგამია

პირი შეიძლება ქორწინებაში იყოს ერთდროულად მხოლოდ ერთ სხვა პირთან.

მუხლი 1:34 {გაუქმებულია 01.04.1998წ.}

მუხლი 1:35 არასრულწლოვანი პირის დაქორწინებისათვის აუცილებელი თანხმობა

- 1. არასრულწლოვანს არა აქვს დაქორწინების უფლება მისი მშობლების თანხმობის გარეშე.
- 2. როდესაც ერთ-ერთი მშობლის გონებრივი განსჯის უნარი დარღვეულია იმგვარად, რომ მას არ შეუძლია განსაზღვროს თავისი ნება ან გაიაზროს თავისი განცხადების მნიშვნელობა, მაშინ მისი თანხმობა არ მოითხოვება.
- 3. მეურვეობის ქვეშ მყოფ არასრულწლოვანს დამატებით ესაჭიროება მისი მეურვის თანხმობა.

მუხლი 1:36 რაიონული სასამართლოს ალტერნატიული ნებართვა

რამდენადაც წინა მუხლში მოთხოვნილი თანხმობის მიღება შეუძლებელია, არასრულწლოვანს შეუძლია მოსთხოვოს რაიონულ სასამართლოს მისთვის ალტერნატიული ნებართვის მიცემა.

მუხლი 1:37 იმ სრულწლოვანი პირისათვის აუცილებელი თანხმობა, რომელიც იმყოფება მეურვეობის ქვეშ ქონების განიავებისა თუ ზედმეტი სმის გამო

- 1. იმ სრულწლოვანს, რომელიც იმყოფება მეურვეობის ქვეშ ქონების ალკოჰოლური სასმელებისა თუ ნარკოტიკული საშუალებების ბოროტად გამოყენების გამო, ეკრძალება დაქორწინება მისი მეურვის თანხმობის გარეშე.

- 2. რამდენდაც წინა მეურვის თანხმობის მიღება შეუძლებელია, სრულწლოვანს შეუძლია მოსთხოვოს რაიონულ სასამართლოს მისთვის ალტერნატიული ნებართვის მიცემა.

მუხლი 1:38 ფსიქიკური დარღვევის გამო მეურვეობის ქვეშ მყოფი სრულწლოვანი პირისათვის საჭირო ნებართვა

ფსიქიკური ან გონებრივი მდგომარეობის გამო მეურვეობის ქვეშ მყოფ სრულწლოვანს არ შეუძლია დაქორწინება რაიონულ სასამართლოს ნებართვის გარეშე.

მუხლი 1:39 რაიონული სასამართლოს მიერ მიცემული ნებართვის გასაჩივრება

- 1. როდესაც რაიონულმა სასამართლომ გასცა ქორწინების ნებართვა, ამ უკანასკნელის გასაჩივრების ვადა შეადგენს თოთხმეტ დღეს; ამ ვადის განმავლობაში რაიონული სასამართლოს განკარგულება აღსრულებას არ ექვემდებარება.

- 2. რაიონული სასამართლოს მიერ გაცემული ნებართვის საწინააღმდეგო საჩივრის წარმდგენმა პირმა გასაჩივრების ვადის განმავლობაში თავისი საჩივრის შესახებ სასამართლოს აღმასრულებლის მომართვის საფუძველზე უნდა შეატყობინოს იმ მუნიციპალიტეტის რეგისტრატორს, სადაც უნდა გაფორმებულიყო ქორწინება. თუ აღნიშნული პირი ამას არ აკეთებს, მაშინ ის კარგავს უფლებას, მიუთითოს თავისი თანხმობის, როგორც ქორწინების ბათილობის საფუძველის, არარსებობაზე იმ შემთხვევაში, როდესაც სააპელაციო სასამართლო აუქმებს რაიონული სასამართლოს განკარგულებას იმ დროს, როდესაც ქორწინება უკვე გაფორმდა.

მუხლი 1:40 {გაუქმებულია 01.01.1988წ.}

მუხლი 1:41 ოჯახური ურთიერთობა როგორც დაქორწინებისათვის ხელის შემშლელი გარემოება

- 1. დაუშვებელია ქორწინების გაფორმება იმ პირებს შორის, რომლებსაც – დაბადებით ანდა სხვაგვარად – აქვთ ერთმანეთთან ოჯახური ურთიერთობა აღმავალი ან დაღმავალი ხაზით ანდა ძმების, დების თუ ძმის ან დის სახით.

- 2. მნიშვნელოვანი მიზეზების არსებობისას იუსტიციის მინისტრს შეუძლია მოუხსნას ზემოაღნიშნული აკრძალვა იმ პირებს, რომლებიც მხოლოდ შვილად აყვანის გზით არიან ერთმანეთთან დანათესავებული როგორც ძმები, დები ან ძმა თუ და.

მუხლი 1:42 რეგისტრირებული პარტნიორობა

დაქორწინებულ პირებს არ შეუძლიათ ამავე დროს ერთდროულად იმყოფებოდნენ ერთმანეთთან რეგისტრირებულ პარტნიორობაშიც.

განყოფილება 1.5.2 – დაქორწინებისათვის აუცილებელი ფორმალობები

მუხლი 1:43 ქორწინების შესახებ შეტყობინება

- 1. იმ პირებმა, რომლებსაც განზრახული აქვთ ერთმანეთთან დაქორწინება, ქორწინების შესახებ ფორმალური შეტყობინება უნდა წარუდგინონ იმ მუნიციპალიტეტის სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრატორს, სადაც, სულ ცოტა, ერთ-ერთ მათგანს აქვს თავისი დომიცილი და გადასცეს ამ რეგისტრატორს 1:44 მუხლში მითითებული დოკუმენტები. როდესაც მომავალ მეუღლეებს, რომელთაგან, სულ ცოტა, ერთ-ერთს აქვს ჰოლანდიის მოქალაქეობა, ორივეს აქვს თავისი დომიცილი ნიდერლანდების ფარგლებს გარეთ, თუმცა მათ სურთ დაქორწინდნენ ჰოლანდიის მუნიციპალიტეტში, მაშინ ქორწინების შესახებ ფორმალური შეტყობინება უნდა წარუდგინოს ჰააგის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრატორს.

- 2. სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრატორისათვის ქორწინების შესახებ შეტყობინების წარდგენისას მომავალ მეუღლეებს შეუძლიათ განაცხადონ, რომ მათი ქორწინება გაფორმდება ჰოლანდიის სხვა მუნიციპალიტეტში, ვიდრე იმაში, სადაც ქორწინების შესახებ ფორმალური შეტყობინების წარდგენის მომენტში ერთ-ერთს აქვს თავისი დომიცილი ანდა თუ მოქმედებს პარ. 1-ის მეორე წინადადება, – სხვა მუნიციპალიტეტში, ნაცვლად ჰააგის მუნიციპალიტეტისა.

- 3. ქორწინების შესახებ შეტყობინების წარდგენა უნდა მოხდეს პირადად ან იმ წერილობითი განცხა-

დების საშუალებით, რომელშიც საკმარისად მითითებულია ის, რომ მომავალ მეუღლეებს აქვთ ერთმანეთთან დაქორწინების განზრახვა.

– 4. სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრატორი ადგენს ქორწინების შესახებ ფორმალური შეტყობინების მონმობას.

მუხლი 1:44 ქორწინების შესახებ შეტყობინებისათვის აუცილებელი დოკუმენტები

– 1. მანამდე, სანამ მოხდება ქორწინების შესახებ ფორმალური შეტყობინების გაგზავნა, შემდეგი დოკუმენტები უნდა წარედგინოს სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრატორს:

a. ყოველი მომავალი მეუღლის დაბადების მონმობა და – ასევე თითოეული მათგანისათვის პერსონალურ მონაცემთა ბაზიდან შესაბამისი მონაცემების დამონმებული ასლი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი არ არიან რეგისტრირებული რეზიდენტის სახით პერსონალურ მონაცემთა ბაზაში;

b. დაქორწინების თანხმობის მონმობა, რომელიც მიცემულ იქნა იმ პირების მიერ, რომელთა თანხმობაც მოითხოვება ამ ქორწინებისათვის. დაქორწინების თანხმობის მონმობას ადგენს სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრატორი ან ნოტარიუსი. აუცილებელი თანხმობა შეიძლება მიცემულ იქნეს ასევე ქორწინების მონმობის შემთხვევისათვისაც. როდესაც დაქორწინების ნებართვა გასცა სასამართლომ, მაშინ წარდგენილ უნდა იქნეს ასევე სასამართლოს განკარგულებაც;

c. ყველა იმ პირის გარდაცვალების მონმობა, რომელთა თანხმობაც აუცილებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ ისინი ჯერ კიდევ ცოცხლები იქნებოდნენ;

d. მეორე ან შემდგომი ქორწინების შემთხვევაში ანდა რეგისტრირებული პარტნიორობის შემდეგ ქორწინების შემთხვევაში, – იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ წინა ქორწინება ან ადრინდელი რეგისტრირებული პარტნიორობა ახლად განზრახული დაქორწინებისათვის არ ქმნის ხელის შემშლელ გარემოებას;

e. ქორწინების შესახებ ფორმალური შეტყობინების მონმობა;

f. თუ ქორწინების წინააღმდეგ წარდგენილ იქნა ფორმალური პროტესტი, მაშინ – იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ ეს პროტესტი მოიხსნა;

g. იუსტიციის მინისტრის მიერ აკრძალვის მოხსნისა თუ ნებართვის მიცემის შესახებ მტკიცებულება, როდესაც ასეთი აკრძალვის მოხსნა ან ნებართვა მოითხოვება;

h. თუ მიღებულ იქნა ნიდერლანდების სამოქალაქო კოდექსის 1.4.12 განყოფილებაში მითითებული სასამართლოს განკარგულება ან 1:62 მუხლით გათვალისწინებული შეღავათი, – მაშინ აღნიშნული სასამართლოს განკარგულება ან აღნიშნულ შეღავათთან დაკავშირებული დოკუმენტები;

i. 1:32 მუხლის პარ. 2-ში მითითებული მკურნალი ექიმის განცხადება იმ შემთხვევაში, როდესაც ეს უკანასკნელი მოითხოვება;

j. იმ პირთა სახელებისა და მისამართების წერილობითი სია, ვინც მონვეულია დაქორწინების ცერემონიაზე მონმის სახით;

k. სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრატორისათვის გადაცემული უცხოელთა შესახებ 2000 წლის კანონით გათვალისწინებული პოლიციის უფროსის განცხადება, რომლიდანაც იკვეთება, რომ ერთ-ერთი მომავალი მეუღლე, რომელსაც არა აქვს ჰოლანდიის მოქალაქეობა, კანონიერად ცხოვრობს ნიდერლანდებში უცხოელთა შესახებ 2000 წლის კანონის მე-8 მუხლის ნორმათა შესაბამისად ანდა რომ მას არა აქვს ნიდერლანდებში დარჩენის განზრახვა. განცხადების შედგენა ხდება იმ მომავალი მეუღლის მოთხოვნის საფუძველზე, რომელსაც ის ეხება. როდესაც ასეთ განცხადებაზე ხდება განაცხადის წარდგენა, მაშინ ასევე უნდა იქნეს წარდგენილი (ა) პუნქტში მითითებული დამონმებული ასლიც. როდესაც მომავალ მეუღლეს, რომელსაც განცხადება ეხება, არა აქვს დომიცილი ნიდერლანდებში, მაშინ განცხადების შედგენა მოხდება მეორე მომავალი მეუღლის მოთხოვნის საფუძველზე.

– 2. პარ. 1 (k) პუნქტში მითითებული განცხადება არ მოითხოვება, თუ მომავალ მეუღლეებს დამაჯერებლად შეუძლიათ იმის მტკიცება, რომ მათ ორივეს აქვთ დომიცილი ნიდერლანდების ტერიტორიის ფარგლებს გარეთ. აღნიშნული განცხადება არ მოითხოვება, თუ მომავალი მეუღლე, რომელსაც არა აქვს ჰოლანდიის მოქალაქეობა, კანონიერად ცხოვრობს ნიდერლანდებში უცხოელთა შესახებ 2000 წლის კანონის მე-8 მუხლის (b), (d) ან (e) პუნქტების ნორმათა შესაბამისად.

– 3. მეფის სამთავრობო ბრძანებით დგინდება დამატებითი წესები პერსონალურ მონაცემთა ბაზიდან შესაბამისი მონაცემების შემცველი დამონმებული ასლის შინაარსთან დაკავშირებით, როგორც ეს მითითებულია პარ. 1 (a) პუნქტში და – პოლიციის უფროსის განცხადებასთან დაკავშირებით, როგორც ეს მითითებულია პარ. 1 (k) პუნქტში.

მუხლი 1:45 დაბადების მონმობის არარსებობისას არსებული ალტერნატიული ვარიანტები

– 1. მომავალ მეუღლეს, ვისთვისაც შეუძლებელია თავისი დაბადების მონმობის ჩვენება, როგორც ეს მოითხოვება წინა მუხლის შესაბამისად, შეუძლია გამოსწორდეს ეს ხარვეზი იმ რაიონული სასამართლოს მიერ გაცემული ნაცნობობის მონმობის საშუალებით, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც არსებობს მეუღლის ადგილსამყოფელი ან დაბადების ადგილი თუ დომიცილი, ხოლო ნაცნობობის მონმობის შედგენა კი ხდება ოთხი ზრდასრული მონმის ჩვენების საფუძველზე.

– 2. ზემოაღნიშნული განცხადება შეიცავს მითითებას დაბადების ადგილზე და შეძლებისდაგვარად, – ასევე დაბადების დროზე იმ მიზეზების მითითებით, თუ რატომ არის შეუძლებელი დაბადების მონმობის წარდგენა.

– 3. დაბადების მონმობის არარსებობა ასევე შეიძლება გამოსწორდეს როგორც დაქორწინების ცერემონიაზე მყოფი მონმების დაფიცებული განცხადებით, ისე თავად მომავალი მეუღლის დაფიცებული განცხადებით, რომელიც კეთდება სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრატორის წინაშე იმის მითითებით, რომ მას არ შეუძლია დაბადების მონმობის ან ნაცნობობის მონმობის წარდგენა. ასეთ შემთხვევაში ქორწინების მონმობაში მიეთითება აღნიშნული დაფიცებული განცხადება.

მუხლი 1:45a გარდაცვალების მონმობის არარსებობისას არსებული ალტერნატიული ვარიანტები

თუ მომავალ მეუღლეებს არ შეუძლიათ გარდაცვალების მონმობის წარდგენა, როგორც ეს მითითებულია 1:44 მუხლის პარ. 1 (c) პუნქტში, მაშინ ხარვეზის გამოსწორება შესაძლებელია იგივე გზით, როგორც ეს მოცემულია წინა მუხლში აღწერილ სიტუაციაში.

მუხლი 1:46 ქორწინების შესახებ ფორმალური შეტყობინების მოქმედების პერიოდი

როდესაც ქორწინება არ გაფორმებულა ერთი წლის განმავლობაში იმ თარიღიდან, როდესაც შედგა ქორწინების შესახებ ფორმალური შეტყობინების მონმობა, მაშინ დაქორწინება დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხდება ახალი ფორმალური შეტყობინების წარდგენა.

მუხლი 1:47 აუცილებელი თანხმობების გამოკვლევა

– 1. როდესაც არასრულწლოვანს განზრახული აქვს დაქორწინება, სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრატორი ამოწმებს, თუ ვისი თანხმობა მოითხოვება ამ ქორწინების გაფორმებისათვის.

– 2. გარდა აღნიშნულისა, რეგისტრატორი ასევე ამოწმებს იმ ფაქტს, იმყოფება თუ არა არასრულწლოვანი სამეურვეო კონტროლის ან დროებითი მეურვეობის ქვეშ. როდესაც აღნიშნულ შემთხვევას აქვს ადგილი, რეგისტრატორი განზრახული ქორწინების შესახებ დაუყოვნებლივ ატყობინებს არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლოს სამეურვეო კონტროლის შემთხვევაში, ხოლო დროებითი მეურვეობის შემთხვევაში კი, – ახალგაზრდობაზე ზრუნვის შესახებ კანონის 1-ლი მუხლის პარ. 1-ში მითითებულ ფონდს.

მუხლი 1:48 მშობლის ხელახალი დაქორწინება და ქონების ინვენტარიზაცია

როდესაც პირს, რომელიც ახორციელებს მშობლის უფლებამოსილებას წინა ქორწინებიდან არსებულ შვილებზე, განზრახული აქვს ხელახალი დაქორწინება, სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრატორი ქორწინების ფორმალური შეტყობინების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებს იმ რაიონულ სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც ამ მშობელს აქვს თავისი დომიცილი.

მუხლი 1:49 დაქორწინების შეპირება

– 1. დაქორწინების შეპირება არ ანიჭებს პირს სასამართლო წესით ქორწინების გაფორმების სარჩელის უფლებას და არც ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას ამ შეპირების შეუსრულებლობის გამო; ბათილია ყველა სახელშეკრულებო დათქმა, რომელიც არღვევს აღნიშნულ კანონის მიერ ნორმას.

– 2. თუმცაღა, თუ შედგა ქორწინების შესახებ ფორმალური შეტყობინების მონმობა, მაშინ ეს უკანასკნელი შეიძლება გახდეს რეალურად გაცდილი ფინანსური ზარალის ანაზღაურების საფუძველი იმ პირობით, რომ მიუღებელი შემოსავალი ან მოგება მხედველობაში არ მიიღება. სარჩელის უფლება უქმდება ქორწინების შესახებ ფორმალური შეტყობინების მონმობის შედგენის დღიდან თვრამეტი თვის გავლისთანავე.

მუხლი 1:49a დაქორწინება უნარიანობის შესახებ მონმობა

– 1. თუ ჰოლანდიის მოქალაქეობის მქონე პირს განზრახული აქვს დაქორწინება ნიდერლანდების ტე-

რიტორიის ფარგლებს გარეთ, მაშინ მისი მოთხოვნით მიუნხენის 1980 წლის 5 სექტემბრის კონვენციის დანართის შესაბამისად გაიცემა დაქორწინებაუნარიანობის შესახებ მონმობა (Treaty Series 1981, No. 71 და 1982, No. 116).

– 2. ზემოაღნიშნული მონმობა გაიცემა:

a. იმ პირობებზე, ვისაც აქვს თავისი დომიცილი ნიდერლანდებში: იმ მუნიციპალიტეტის სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრატორის მიერ, სადაც ეს დომიცილი არსებობს;

b. იმ პირობებზე, ვისაც ამჟამად არა აქვს თავისი დომიცილი ნიდერლანდებში, თუმცა ერთხელ უკვე ჰქონდა დომიცილი ნიდერლანდებში: იმ მუნიციპალიტეტის სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრატორის მიერ, სადაც ეს უკანასკნელი დომიცილი არსებობს;

c. იმ პირობებზე, ვისაც ამჟამად არა აქვს თავისი დომიცილი ნიდერლანდებში და არც არასოდეს ჰქონდა დომიცილი ნიდერლანდებში: ნიდერლანდების სამეფოს დიპლომატიური თუ საკონსულო წარმომადგენლობის ხელმძღვანელის მიერ იმ რაიონში, სადაც ქორწინება უნდა გაფორმდეს.

– 3. მონმობა არ გაიცემა მანამდე, სანამ კომპეტენტური ორგანო არ დარწმუნდება იმაში, რომ 1:44 მუხლის პარ. 1, (a), (b), (c), (d) და (g) პუნქტებში მითითებული დოკუმენტების, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში კი, – 1:45, 1:45a და 1:27b მუხლებში მითითებული დოკუმენტების შესახებ ინფორმაციის მიღების შემდეგ სახეზე არ არის ჰოლანდიის კანონმდებლობით გათვალისწინებული დაქორწინებისათვის ხელის შემშლელი გარემოებები.

– 4. დაქორწინებაუნარიანობის შესახებ მონმობა ძალაშია მისი გაცემის დღიდან ექვსი თვის განმავლობაში.

განყოფილება 1.5.3 – განზრახული დაქორწინების პროცესის შეჩერება დაქორწინებისათვის ხელის შემშლელი სამართლებრივი გარემოებების არსებობის გამო

მუხლი 1:50 განზრახული დაქორწინების პროცესის შეჩერების საფუძვლები

განზრახული დაქორწინების პროცესი შეიძლება შეჩერდეს, როდესაც მომავალი მეუღლეები არ აკმაყოფილებენ ერთმანეთთან დაქორწინებისათვის გათვალისწინებულ მოთხოვნებს ან როდესაც მომავალი მეუღლეების ან ერთ-ერთი მათგანის მიზანს წარმოადგენს არა იმ ცოლ-ქმრული მოვალეობების შესრულება, რასაც კანონი უკავშირებს ქორწინებას, არამედ – ნიდერლანდების ტერიტორიაზე შესვლის შესაძლებლობის მიღება.

მუხლი 1:51 განზრახული დაქორწინების პროცესის შეჩერება სისხლით ნათესავებისა და სხვა პირების მიერ

– 1. როდესაც მომავალი მეუღლეები არ აკმაყოფილებენ ერთმანეთთან დაქორწინებისათვის გათვალისწინებულ მოთხოვნებს, დაქორწინებისათვის ხელის შემშლელი გარემოებების არსებობის გამო დაქორწინების პროცესი შეუძლიათ შეაჩერონ შემდეგ პირებს: პირდაპირი ხაზის სისხლით ნათესავებს, ერთ-ერთი მომავალი მეუღლის ძმებს, დებს, მეურვეებსა და იურიდიულ მეურვეებს.

– 2. წინა პარაგრაფში მითითებულ პირებს შეუძლიათ ასევე იმ შემთხვევაშიც შეაჩერონ დაქორწინების პროცესი, როდესაც მეორე მომავალ მეუღლეს დაუდგინდება ზრდასრული პირების მეურვეობა და ქორწინება ამკარად მიაყენებდა ტანჯვას იმ მომავალ მეუღლეს, რომლის სისხლით ნათესავსა თუ მეურვესაც ისინი წარმოადგენენ.

მუხლი 1:52 განზრახული დაქორწინების პროცესის შეჩერება არსებული მეუღლის ან ერთ-ერთი მომავალი მეუღლის რეგისტრირებული პარტნიორის მიერ

იმ პირს, ვინც ერთ-ერთ მომავალ მეუღლესთან იმყოფება ქორწინებაში ან რეგისტრირებულ პარტნიორობაში, შეუძლია ამ ქორწინებისა თუ რეგისტრირებული პარტნიორობის არსებობის გამო შეაჩეროს განზრახული ახალი დაქორწინების პროცესი.

მუხლი 1:53 განზრახული დაქორწინების პროცესის შეჩერება პროკურატურის მიერ

– 1. პროკურატურას ეკისრება განზრახული დაქორწინების პროცესის შეჩერების ვალდებულება იმ შემთხვევაში, თუ ის შეიტყობს 1:31-დან 1:33-ის ჩათვლით მუხლებსა და 1:41 და 1:42 მუხლებში განსაზღვრული დაქორწინებისათვის ხელის შემშლელი ერთ-ერთი გარემოების არსებობის შესახებ.

– 2. პროკურატურა უფლებამოსილია, შეაჩეროს იმ არასრულწლოვანის დაქორწინების პროცესი, რომელიც იმყოფება სამეურვეო კონტროლის ქვეშ ან დროებითი მეურვეობის ქვეშ, თუ ასეთი ქორწინება ეწინააღმდეგება არასრულწლოვანის ინტერესებს; ამ მიზნით შესაძლოა მხედველობაში მისაღები იყოს ასევე ქორწინების მეორე მხარის ინტერესებიც.

– 3. გარდა აღნიშნულისა, პროკურატურა უფლებამოსილია, შეაჩეროს განზრახული დაქორწინების პროცესი იმ საფუძველზე, რომ ეს იქნება ფიქტიური ქორწინება, რომელიც ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს, ვინაიდან მომავალი მეუღლეების ან ერთ-ერთი მათგანის მიზანს წარმოადგენს არა იმ ცოლ-ქმრული მოვალეობების შესრულება, რასაც კანონი უკავშირებს ქორწინებას, არამედ – ნიდერლანდების ტერიტორიაზე შესვლის შესაძლებლობის მიღება.

მუხლი 1:54 განზრახული დაქორწინების პროცესის შეჩერების ფორმალობები

– 1. განზრახული დაქორწინების პროცესი ჩერდება იმ კერძო აქტის საშუალებით, რომლის შედგენა ხდება აღნიშნული მიზნით და სასამართლოს აღმასრულებლის მომართვის საფუძველზე წარედგინება იმ ერთ-ერთი მუნიციპალიტეტის სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრატორის სახელზე, სადაც უნდა გაფორმებულიყო ქორწინება.

– 2. პარ. 1-ში მითითებული კერძო აქტი უნდა შეიცავდეს დომიცილის არჩევას აღნიშნულ მუნიციპალიტეტში და დაქორწინებისათვის ხელის შემშლელ გარემოებებს, რომელთა გამოც დაქორწინების პროცესი შეჩერდა და ასევე ის უნდა უთითებდეს იმ ფარგლებს, რომლებშიც მოწინააღმდეგე მხარე უფლებამოსილია დაქორწინების პროცესის შეჩერებაზე, ამასთან, – ქორწინების ბათილობის სანქციით.

– 3. სამოქალაქო მდგომარეობის იმ რეგისტრატორმა, რომელსაც წარედგინა კერძო აქტი, დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს განზრახული დაქორწინების პროცესის შეჩერების შესახებ სხვა მუნიციპალიტეტების სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრატორს, სადაც ასევე უნდა გაფორმებულიყო ქორწინება.

– 4. ის პირი, ვინც აჩერებს დაქორწინების პროცესს, უზრუნველყოფს კერძო აქტის დამონმებული ასლის სასამართლოს აღმასრულებლის მომართვის საფუძველზე იმ მომავალი მეუღლისათვის წარედგინას, რომლის წინააღმდეგაც დაქორწინების პროცესის შეჩერება არის მიმართული.

მუხლი 1:55 განზრახული დაქორწინების პროცესის შეჩერების გაუქმება

განზრახული დაქორწინების პროცესის შეჩერება შეიძლება გაუქმდეს:

- a. იგივე წესით, რა წესითაც ის განხორციელდა;
- b. იმ განცხადების მეშვეობით, რომელიც პირადად კეთდება წინა მუხლში მითითებული სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრატორებიდან ერთ-ერთის წინაშე;
- c. ნოტარიუსის წინაშე გაკეთებული განცხადების მეშვეობით;
- d. კანონიერ ძალაში შესული და მბოჭავი სასამართლოს განკარგულების მეშვეობით, რომელიც მიიღება დაინტერესებული მხარის მოთხოვნის საფუძველზე.

მუხლი 1:56 განზრახული დაქორწინების პროცესის შეჩერების სამართლებრივი შედეგები

დაუშვებელია განზრახული ქორწინების გაფორმება შეჩერების გაუქმებამდე. თუმცა, როდესაც, მიუხედავად აღნიშნულისა, ქორწინება მაინც გაფორმდა შეჩერების გაუქმების მიზნით წარმოებული სასამართლო პროცესის დადებითი შედეგის მოლოდინის გამო, მაშინ იმ პირს, ვინც აჩერებს განზრახული დაქორწინების პროცესს, შეუძლია მოითხოვოს აღნიშნული სასამართლო პროცესის გაგრძელება, რა შემთხვევაშიც რაიონულმა სასამართლომ უნდა დაადგინოს ქორწინების ბათილობის შესახებ, თუ ის შეჩერებას დასაბუთებულად ჩათვლის.

მუხლი 1:57 რეგისტრატორი ვერ ითანამშრომლებს, თუ მისთვის ცნობილია დაქორწინებისათვის ხელის შემშლელი გარემოებები

სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრატორი, რომლისათვის ცნობილია დაქორწინებისათვის ხელის შემშლელი ერთ-ერთი გარემოების არსებობა, როგორც ეს განსაზღვრულია 1:31-დან 1:33-ის მუხლები ჩათვლით და 1:41 და 1:42 მუხლებში, ვერ ითანამშრომლებს როგორც ქორწინების შესახებ შეტყობინების მონაწილის შედგენის, ისე ქორწინების გაფორმებისას თუნდაც იმ შემთხვევაში, თუ არანაირ შეჩერებას დაქორწინების პროცესისა ადგილი არ ჰქონია.

განყოფილება 1.5.4 – ქორწინების გაფორმება

მუხლი 1:58 1:44 მუხლის პარ. 1 (k) პუნქტში მითითებული პოლიციის უფროსის განცხადების მოქმედების ვადა

– 1. თუ დადგინდა, რომ 1:44 მუხლის პარ. 1 (k) პუნქტში მითითებული განცხადების გაცემიდან ქორწინების გაფორმების მომენტისათვის გავიდა ექვს თვეზე მეტი ვადა, სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრატორი უნდა დარწმუნდეს იმაში, რომ ეს განცხადება კვლავ წარდგენილია მანამდე, სანამ ის გააფორმებს ქორწინებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნული არ მოითხოვება პარ. 3-ის შესაბამისად.

– 2. თუ 1:44 მუხლის პარ. 1 (k) პუნქტში მითითებული განცხადების წარდგენა არ მოითხოვებოდა ქორწინების შესახებ შეტყობინების მომენტში, მაშინ სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრატორი უნდა დარწმუნდეს იმაში, რომ ეს განცხადება წარდგენილი იქნება მას შემდეგ, როდესაც ის გააფორმებს ქორწინებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნული არ მოითხოვება პარ. 3-ის შესაბამისად.

– 3. განცხადების შედგენა ხდება იმ მომავალი მეუღლის მოთხოვნით, რომელსაც ეს განცხადება ეხება. როდესაც აღნიშნულ მომავალ მეუღლეს არა აქვს დომიცილი ნიდერლანდებში, მაშინ განცხადების შედგენა მოხდება მეორე მომავალი მეუღლის მოთხოვნის საფუძველზე. განცხადება არ მოითხოვება, თუ მომავალ მეუღლეს დამაჯერებლად შეუძლია ამტკიცოს ის, რომ ორივე მომავალ მეუღლეს აქვს თავისი დომიცილი ნიდერლანდების ტერიტორიის ფარგლებს გარეთ. აღნიშნული განცხადება არ მოითხოვება, თუ მომავალი მეუღლე, რომელსაც არა აქვს ჰოლანდიის მოქალაქეობა, კანონიერად ცხოვრობს ნიდერლანდებში უცხოელთა შესახებ 2000 წლის კანონის მე-8 მუხლის (b), (d) ან (e) პუნქტების ნორმათა შესაბამისად.

მუხლი 1:59 *{გაუქმებულია 01.11.1994წ.}*

მუხლი 1:60 *{გაუქმებულია 01.11.1994წ.}*

მუხლი 1:61 *{გაუქმებულია 01.04.1995წ.}*

მუხლი 1:62 თოთხმეტდღიანი ლოდინის პერიოდი და მისგან გათავისუფლება

– 1. ქორწინების გაფორმება დაუშვებელია მანამდე, სანამ ქორწინების შესახებ შეტყობინების შედგენის დღიდან არ გავა თოთხმეტდღიანი ვადა.

– 2. მნიშვნელოვანი მიზეზების არსებობისას რაიონულ სასამართლოსთან არსებულ პროკურატურას შეუძლია გაათავისუფლოს პირი თოთხმეტდღიანი ლოდინის პერიოდის დაცვის ვალდებულებისაგან.

მუხლი 1:63 ქორწინების გაფორმების ადგილი და აუცილებელი მონმეები

ქორწინება უნდა გაფორმდეს საჯაროდ მუნიციპალიტეტის შენობაში სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრატორის წინაშე, სულ ცოტა, ორი და მაქსიმუმ ოთხი ზრდასრული მონმის თანდასწრებით:

a. ერთ-ერთი მომავალი მეუღლის დომიცილის ადგილს მუნიციპალიტეტში ქორწინების შესახებ შეტყობინების შედგენის დღეს, ან

b. ჰააგის მუნიციპალიტეტში 1:43 მუხლის პარ. 1 პირველ წინადადებაში გათვალისწინებულ შემთხვევაში, ანდა

c. მომავალი მეუღლის მიერ აღნიშნული მიზნით მითითებულ მუნიციპალიტეტში, როდესაც მათ ფორმალურად წარადგინეს თავიანთი ქორწინების შესახებ შეტყობინება.

მუხლი 1:64 ქორწინების გაფორმების ადგილი და აუცილებელი მონმეები

თუ სათანადოდ დამტკიცებული კანონისმიერი დაბრკოლების გამო ერთ-ერთი მხარე ვერ მიდის მუნიციპალიტეტის შენობაში, მაშინ ქორწინება შეიძლება გაფორმდეს იგივე მუნიციპალიტეტის კერძო სახლში იმ პირობით, რომ გაფორმება მოხდება ექვსი ზრდასრული მონმის თანდასწრებით.

მუხლი 1:65 მომავალი მეუღლეები უნდა გამოცხადდნენ პირადად

იმისათვის, რომ მომავალმა მეუღლეებმა გააფორმონ თავიანთი ქორწინება, ისინი პირადად უნდა გამოცხადდნენ სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრატორთან.

მუხლი 1:66 დაქორწინება წარმომადგენლობით

მნიშვნელოვანი მიზეზების არსებობისას იუსტიციის მინისტრს შეუძლია მომავალ მეუღლეებს დაერთოს ნება, გააფორმონ თავიანთი ქორწინება იმ პირის წარმომადგენლობით, ვინც სპეციალურად უფლებამოსილია ავთენტური დოკუმენტის საფუძველზე მომავალი მეუღლეების ან ერთ-ერთი მათგანის წარმომადგენლის სახით მოქმედებაზე.

მუხლი 1:67 მომავალმა მეუღლეებმა ნათლად უნდა გამოთქვან დაქორწინებაზე თავიანთი თანხმობა

– 1. მომავალმა მეუღლეებმა უნდა განაცხადონ სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრატორის წინაშე და მონმეთა თანდასწრებით, რომ ისინი იღებენ ერთმანეთს როგორც ქმარი და ცოლი და რომ ისინი ერთ-გულად შეასრულებენ ყველა იმ მოვალეობას, რასაც კანონი უკავშირებს მათ საოჯახო სტატუსს.

– 2. უმაღლეს მას შემდეგ, რაც აღნიშნული განცხადება გაკეთდება, სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრატორი აცხადებს, რომ მხარეები ამიერიდან კანონიერად შედიან ცოლ-ქმრულ ურთიერთობაში, და ამასთან დაკავშირებით ის ადგენს ქორწინების მონმობას.

მუხლი 1:68 რელიგიური ცერემონია

დაუშვებელია ნებისმიერი რელიგიური ცერემონიის ჩატარება მანამდე, სანამ მხარეები არ დაუმტკიცებენ რელიგიური მომსახურების ზედამხედველს იმას, რომ ქორწინება უკვე გაფორმდა სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრატორის წინაშე.

განყოფილება 1.5.5 – ქორწინების ბათილობა

მუხლი 1:69 პირები, რომლებსაც შეუძლიათ მოითხოვონ ქორწინების ბათილობა

– 1. რამდენადაც ქვემოთ მოცემულ ნორმებში სხვაგვარად არ არის განსაზღვრული, ქორწინების ბათილობა იმ საფუძველით, რომ მეუღლეები არ აკმაყოფილებენ ერთმანეთთან დაქორწინების მოთხოვნებს, შეიძლება მოთხოვნილ იქნეს:

a. ერთ-ერთი მეუღლის აღმავალი ხაზით სისხლით ნათესავის მიერ;

b. თითოეული მეუღლის მიერ;

c. ყველა სხვა პირს, რომელსაც აქვს ქორწინების ბათილობის პირდაპირი იურიდიული ინტერესი, თუ მცა მათ აღნიშნულის მოთხოვნა შეუძლიათ მხოლოდ ქორწინების შეწყვეტის შემდეგ.

– 2. ერთ-ერთ მეუღლესთან ჯერ კიდევ ქორწინებაში ან რეგისტრირებულ პარტნიორობაში მყოფ პირსაც შეუძლია ასევე სწორედაც რომ აღნიშნული ქორწინებისა თუ რეგისტრირებული პარტნიორობის არსებობის გამო მოითხოვოს მოგვიანებით გაფორმებული ქორწინების ბათილობა.

მუხლი 1:70 ბათილობა არაუფლებამოსილი რეგისტრატორისა თუ მონმეთა რაოდენობის სიმცირის გამო

– 1. ერთ-ერთი მეუღლის მშობელთა, ერთ-ერთი მეუღლის ან პროკურატურის მოთხოვნით ქორწინება შეიძლება გაბათილდეს იმ შემთხვევაში, როდესაც მისი გაფორმება მოხდა არაუფლებამოსილი სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრატორის წინაშე ანდა დამსწრე მონმეთა აუცილებელი რაოდენობის გარეშე.

– 2. მეუღლის უფლება, მოითხოვოს ქორწინების ბათილობა პარ. 1-ში მითითებულ საფუძველზე, აღარ არსებობს, თუ გარეგნული გამოხატულებით სახეზეა უკვე საოჯახო მდგომარეობა და ასევე – სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრატორის წინაშე შედგენილი ქორწინების გაფორმების შესახებ მონმობა.

მუხლი 1:71 ქორწინების ბათილობა მუქარის ან შეცდომის ფაქტის გამო

– 1. მეუღლეს შეუძლია მოითხოვოს თავისი ქორწინების ბათილობა, როდესაც ეს უკანასკნელი გაფორმდა უკანონო მნიშვნელოვანი მუქარის გავლენით.

– 2. იგივე მოთხოვნის დაყენება შეუძლია იმ მეუღლესაც, რომელიც დაქორწინებისას ცდებოდა მეორე მეუღლის პიროვნებასთან ანდა ამ უკანასკნელის მიერ გაკეთებული განცხადების მნიშვნელობასთან დაკავშირებით.

– 3. მეუღლის უფლება, მოითხოვოს ქორწინების ბათილობა მუქარის ან შეცდომის ფაქტის გამო, აღარ არსებობს, როდესაც მეუღლეებმა მუქარის შეწყვეტის ან შეცდომის აღმოჩენის შემდეგ ერთად იცხოვრეს ექვსი თვე ისე, რომ ამ ვადის განმავლობაში არ წარუდგენიათ აღნიშნულ საკითხზე რაიმე მოთხოვნა.

მუხლი 1:71a ფიქტიური ქორწინების ბათილობა

პროკურატურის მოთხოვნით ქორწინება შეიძლება გაბათილდეს მისი ფიქტიურობის გამო საჯარო წესრიგთან წინააღმდეგობისათვის იმ საფუძვლით, რომ მომავალი მეუღლეების ან ერთ-ერთი მათგანის მიზანს წარმოადგენს არა იმ ცოლ-ქმრული მოვალეობების შესრულება, რასაც კანონი უკავშირებს ქორწინებას, არამედ – ნიდერლანდების ტერიტორიაზე შესვლის შესაძლებლობის მიღება.

მუხლი 1:72 ერთ-ერთი მეუღლის მიმართ ზრდასრული პირების მეურვეობის დადგენა არ ქმნის ქორწინების ბათილობის საფუძველს

დაუშვებელია ქორწინების გაბათილება იმ საფუძვლით, რომ ერთ-ერთ მეუღლეს ქორწინების გაფორმების მომენტში დაუდგინდა ზრდასრული პირების მეურვეობა იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ქორწინება აშკარად ტანჯვას მიაყენებს მეორე მეუღლეს.

მუხლი 1:73 ქორწინების ბათილობა ადრე არსებული ფსიქიკური დარღვევის გამო

ფსიქიკური დარღვევის გამო ქორწინების გაბათილება ამ ფსიქიკური დარღვევის აღმოფხვრის შემდეგ შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ იმ მეუღლის მიერ, ვისაც ჰქონდა ეს ფსიქიკური დარღვევა. მოთხოვნის წარდგენა აღარ შეიძლება, როდესაც მეუღლეებმა ერთად იცხოვრეს ფსიქიკური დარღვევის აღმოფხვრიდან, სულ ცოტა, ექვსი თვის განმავლობაში.

მუხლი 1:74 ქორწინების ბათილობა იმის გამო, რომ მეუღლე არ იყო მიღწეული კანონით მოთხოვნილ ასაკს

დაუშვებელია იმ ქორწინების ბათილობის მოთხოვნა, რომელიც გაფორმდა კანონით გათვალისწინებული დაქორწინების ასაკს მიუღწეველ პირთან, როდესაც აღნიშნულმა პირმა ბათილობის მოთხოვნის წარდგენის დღისათვის უკვე მიაღწია კანონით მოთხოვნილ ასაკს და ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც ცოლი დაორსულდა ამ მოთხოვნის წარდგენის დღემდე.

მუხლი 1:75 ქორწინების ბათილობა იმის გამო, რომ სახეზე არ არის მესამე პირის აუცილებელი თანხმობა

– 1. იმ საფუძვლით, რომ სახეზე არ იყო მესამე პირის აუცილებელი თანხმობა, ქორწინების ბათილობის მოთხოვნა შეუძლია მხოლოდ ამ მესამე პირს ანდა 1:38 მუხლში მითითებულ შემთხვევაში კი, – ზრდასრული მეუღლის იურიდიულ მეურვეს. ბათილობის მოთხოვნის შემდგომში წარდგენა დაუშვებელია, როდესაც იმ პირმა, ვინც აღნიშნული საფუძვლით უფლებამოსილია წარადგინოს ქორწინების ბათილობის მოთხოვნა, აშკარად ან უსიტყვოდ მოიწონა ქორწინება ანდა როდესაც გასულია სამი თვე იმ დღიდან, როდესაც მან შეიტყო ქორწინების გაფორმების თაობაზე.

– 2. ივარაუდება, რომ იმ პირისათვის, ვინც უფლებამოსილია წარადგინოს ქორწინების ბათილობის მოთხოვნა, ცნობილი იყო დაქორწინების ფაქტის შესახებ ნიდერლანდებში ამ უკანასკნელის გაფორმების მომენტში, ხოლო თუ ქორწინება გაფორმდა ნიდერლანდების ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, – მაშინ ნიდერლანდების სამოქალაქო მდგომარეობის რეესტრში რეგისტრაციის მომენტში.

მუხლი 1:76 ქორწინების ბათილობა მხოლოდ წინამდებარე განყოფილებაში მოცემული საკანონმდებლო ნორმების საფუძველზე

1:56 მუხლის ნორმათა მოქმედების შეზღუდვის გარეშე, მხოლოდ სასამართლომ უნდა მოახდინოს ქორწინების გაბათილება წინამდებარე განყოფილებაში მოცემული საკანონმდებლო ნორმების შესაბამისად წარდგენილი მოთხოვნის საფუძველზე.

მუხლი 1:77 ქორწინების ბათილობის სამართლებრივი შედეგები

– 1. ქორწინების ბათილობა ძალაში შედის იმ მომენტში, როგორც კი სასამართლოს შესაბამისი განკარგულება შევა კანონიერ ძალაში და გახდება ყველა მხარისათვის მბოჭავი; მას აქვს უკუქცევითი ძალა იმ თარიღისათვის, როდესაც გაფორმდა ქორწინება.

– 2. თუმცა, სასამართლოს შესაბამისი განკარგულებას არა აქვს უკუქცევითი ძალა და მას აქვს იგივე სამართლებრივი შედეგები, რაც განქორწინებას:

a. მეუღლის შვილების მიმართ;

b. იმ მეუღლის მიმართ, ვინც ქორწინების გაფორმებისას მოქმედებდა კეთილსინდისიერად; თუმცა, ამ მეუღლეს ვერ ექნება რაიმე პრეტენზია საერთო ქონების მიმართ, როდესაც ქორწინება გაბათილდა ჯერ კიდევ არსებული თავდაპირველი ქორწინებისა თუ რეგისტრირებული პარტნიორობის გამო;

ც. სხვა პირების მიმართ, გარდა მეუღლეებისა და მათი შვილებისა, იმდენად, რამდენადაც ამ სხვა პირებმა ქორწინების ბათილობის სამოქალაქო მდგომარეობის რეესტრში რეგისტრაციის მომენტამდე კეთილსინდისიერად შეიძინეს უფლებები.

განყოფილება 1.5.5A {გაუქმებულია 01.03.2009წ.}

მუხლი 1:77a {გაუქმებულია 01.03.2009წ.}

განყოფილება 1.5.6 – ქორწინების არსებობის ფაქტის მტკიცება

მუხლი 1:78 ძირითადი წესი: ქორწინების არსებობის ფაქტის მტკიცება მხოლოდ ქორწინების მონაწილის მეშვეობით

ნიდერლანდებში გაფორმებული ქორწინების არსებობის ფაქტი შეიძლება დამტკიცდეს მხოლოდ და მხოლოდ ქორწინების მონაწილის მეშვეობით ანდა რეგისტრირებული პარტნიორობის ქორწინებად გარდაქმნის შესახებ მონაწილის მეშვეობით, როგორც ეს მითითებულია 1:80g მუხლში, გარდა ქვემოთ მოცემულ მუხლებში გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 1:79 ქორწინების არსებობის ფაქტის მტკიცება ქორწინების მონაწილის არარსებობის შემთხვევაში

როდესაც ქორწინების მონაწილე არასოდეს გაცემულა ან როდესაც ის დაიკარგა ანდა სახეზე არ არის ქორწინების მონაწილე თუ რეგისტრირებული პარტნიორობის ქორწინებად გარდაქმნის შესახებ მონაწილე, როგორც ეს მითითებულია 1:80g მუხლში, მაშინ ქორწინების არსებობის ფაქტი შეიძლება დამტკიცდეს მონაწილეთა ჩვენებით ან სხვა დოკუმენტებით იმ პირობით, რომ სახეზე გვაქვს ცოლ-ქმრული ურთიერთობის არსებობის გარეგნული გამოხატულება.

მუხლი 1:80 მტკიცებულება, რომ შვილები დაბადებული არიან ქორწინებიდან

როდესაც სასამართლო პროცესში სადავოა ის საკითხი, დაიბადა თუ არა ბავშვი, ვინც გარეგნულად ცხოვრობდა როგორც კონკრეტული მშობლების შვილი, ამ მშობლების ქორწინებიდან გამომდინარე, მაშინ ის ფაქტი, რომ ეს მშობლები ღიად ცხოვრობდნენ როგორც ქმარი და ცოლი, ქმნის საკმარის მტკიცებულებას.

ტიტული 1.5A – რეგისტრირებული პარტნიორობა

მუხლი 1:80a რეგისტრირებული პარტნიორობის მიმართ არსებული მოთხოვნები

- 1. პირი რეგისტრირებულ პარტნიორობაში ერთდროულად შეიძლება იმყოფებოდეს მხოლოდ ერთ, იგივე ან განსხვავებული გენდერის მქონე, სხვა პირთან.
- 2. პირი, ვინც შედის რეგისტრირებულ პარტნიორობაში, არ შეიძლება ერთდროულად იყოს უკვე დაქორწინებული ვინმესთან.
- 3. პარტნიორობის რეგისტრაცია ხორციელდება სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრატორის მიერ შედგენილი რეგისტრირებული პარტნიორობის შესახებ მონაწილის მეშვეობით.
- 4. პირებს, ვისაც განზრახული აქვთ ერთმანეთთან რეგისტრირებულ პარტნიორობაში შესვლა, ამის შესახებ შეტყობინება უნდა გაუგზავნონ იმ მუნიციპალიტეტის სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრატორს, სადაც არსებობს ერთ-ერთი მათგანის დომიცილი, ამ პირების სამოქალაქო მდგომარეობის შესახებ მონაცემების წარდგენით, ხოლო თუ ეს უკანასკნელები ადრე იმყოფებოდნენ სხვა რეგისტრირებულ პარტნიორობაში ან ქორწინებაში, – თავდაპირველი პარტნიორის ან მეუღლის სახელის მითითებით. როდესაც ორივე მომავალ რეგისტრირებულ პარტნიორს, რომელთაგანაც, სულ ცოტა, ერთ-ერთი მაინც არის ჰოლანდიის მოქალაქე, აქვს თავისი დომიცილი ნიდერლანდების ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, თუმცაღა მათ განზრახული აქვთ გააფორმონ რეგისტრირებული პარტნიორობა ერთმანეთთან ჰოლან-

ნდიის მუნიციპალიტეტში, მაშინ რეგისტრირებული პარტნიორობის შესახებ ფორმალური შეტყობინება უნდა წარედგინოს ჰააგის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრატორს. შესაბამისად გამოიყენება მუხლები 1:43, პარ. 2, 3 და 4 და 1:46.

– 5. განზრახული პარტნიორობის რეგისტრაციის პროცესი შეიძლება შეჩერდეს, თუ მომავალი პარტნიორები არ აკმაყოფილებენ ერთმანეთთან ასეთ პარტნიორობაში შემოსვლისათვის გათვალისწინებულ მოთხოვნებს ან როდესაც მომავალი პარტნიორების ან ერთ-ერთი მათგანის მიზანს წარმოადგენს არა იმ მოვალეობების შესრულება, რასაც კანონი უკავშირებს რეგისტრირებულ პარტნიორობას, არამედ – ნიდერლანდების ტერიტორიაზე შესვლის შესაძლებლობის მიღება. აღნიშნული შეჩერების მიმართ შესაბამისად გამოიყენება მუხლები 1:51, 1:52, 1:53 პარ. 2 და 3, და 1:54 1:56-ის ჩათვლით. პროკურატურას ეკისრება განზრახული პარტნიორობის რეგისტრაციის პროცესის შეჩერების ვალდებულება იმ შემთხვევაში, თუ ის შეიტყობს მუხლებში 1:31, 1:32 და 1:41 და ასევე წინამდებარე მუხლის პარ. 1 და 2-ში განსაზღვრული რეგისტრაციისათვის ხელის შემშლელი ერთ-ერთი გარემოების არსებობის შესახებ. სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრატორი, რომლისათვის ცნობილია ზემოაღნიშნულ წინადადებაში მითითებული რეგისტრირებული პარტნიორობისათვის ხელის შემშლელი ერთ-ერთი გარემოების არსებობა, როგორც ეს განსაზღვრულია მუხლებში 1:31, 1:32 და ასევე წინამდებარე მუხლის პარ. 1 და 2-ში, ვერ ითანამშრომლებს როგორც რეგისტრირებული პარტნიორობის შესახებ შეტყობინების მონმობის შედეგის, ისე პარტნიორობის რეგისტრაციისას თუნდაც იმ შემთხვევაში, თუ არანაირ შეჩერებას პარტნიორობის რეგისტრაციის პროცესისა ადგილი არ ჰქონია.

– 6. რეგისტრირებული პარტნიორობის რეგისტრაციის მიმართ შესაბამისად გამოიყენება 1:31, 1:32, 1:35-დან 1:39-ის ჩათვლით მუხლები, 1:41, 1:44-დან 1:49-ის ჩათვლით მუხლები, ასევე – 1:58 და 1:62-დან 1:66-ის ჩათვლით მუხლები.

– 7. რეგისტრირებული პარტნიორობის გაბათილების პროცედურის მიმართ შესაბამისად გამოიყენება 1:69-დან 1:73-ის ჩათვლით მუხლები, ასევე – 1:74, 1:75-დან 1:77 პარ. 1 და 2-ის ჩათვლით მუხლები.

– 8. რეგისტრირებული პარტნიორობის არსებობის ფაქტის მტკიცების მიმართ შესაბამისად გამოიყენება 1:78 და 1:79 მუხლები.

მუხლი 1:80b მხარეთა უფლებები და მოვალეობები (მეუღლეთა საერთო საკუთრების რეჟიმი)

წინამდებარე წიგნის ტიტულები 1.6, 1.7 და 1.8 შესაბამისად გამოიყენება რეგისტრირებული პარტნიორობის მიმართ იმ გამონაკლისით, რაც გათვალისწინებულია განცალკევებით ცხოვრების რეჟიმთან მიმართებაში.

მუხლი 1:80c რეგისტრირებული პარტნიორობის შეწყვეტა

– 1. რეგისტრირებული პარტნიორობა წყდება:

a. როდესაც ერთ-ერთი რეგისტრირებული პარტნიორი გარდაიცვლება;

b. იმ შემთხვევაში, როდესაც უგზო-უკვლოდ დაკარგული პირი, ვინც წინამდებარე წიგნის მე-18 ტიტულის 2 და 3 განყოფილებების ნორმათა შესაბამისად გამოცხადებული იყო სავარაუდოდ გარდაცვლილად ანდა გარდაცვლილად, მიუხედავად ამისა მაინც ცოცხალი აღმოჩნდა იმ დღეს, როდესაც სახეზე მყოფი რეგისტრირებული პარტნიორი შევიდა ახალ რეგისტრირებულ პარტნიორობაში ან დაქორწინდა: ამ ახალი რეგისტრირებული პარტნიორობის რეგისტრაციისას ან, შესაბამისად, აღნიშნული ქორწინების გაფორმებისას;

c. ორმხრივი თანხმობა: ორივე რეგისტრირებული პარტნიორისა და ერთი ან რამდენიმე ადვოკატი-სა თუ ნოტარიუსის მიერ ხელმოწერილი და დათარიღებული იმ განცხადების სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრატორის მეშვეობით რეგისტრაციის გზით, რომელშიც აღნიშნულია, თუ რა მომენტში შეთანხმდნენ რეგისტრირებული პარტნიორები მათი პარტნიორობის შეწყვეტასთან დაკავშირებით;

d. რეგისტრირებული პარტნიორობის გაუქმებით რეგისტრირებული პარტნიორების ან ერთ-ერთი მათგანის მოთხოვნის საფუძველზე;

e. რეგისტრირებული პარტნიორობის ქორწინებად გარდაქმნით.

– 2. თუ რეგისტრირებული პარტნიორობა გაფორმდა ნიდერლანდებში, სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრატორი ყოველთვის უფლებამოსილია მოახდინოს პარ. 1 (c) პუნქტში მითითებული განცხადების რეგისტრაცია. თუ რეგისტრირებული პარტნიორობა გაფორმდა ნიდერლანდების ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, მაშინ სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრატორი უფლებამოსილია მოახდინოს პარ. 1 (c) პუნქტში მითითებული განცხადების რეგისტრაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებულია

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის პარ. 4-ის მოთხოვნები სასამართლოს განსჯადობასთან დაკავშირებით რეგისტრირებული პარტნიორობის გაუქმების შემთხვევაში.

– 3. რეგისტრირებული პარტნიორობის შეწყვეტა დაუშვებელია ორმხრივი თანხმობით, როგორც ეს მითითებულია პარ. 1 (c) პუნქტში, თუ პარტნიორები:

a. ერთობლივად ან თუნდაც არა ერთობლივად ახორციელებენ უფლებამოსილებას ერთი ან მეტი შვილის მიმართ, რომლებიც მათ ერთად ჰყავთ;

b. ერთობლივად ახორციელებენ უფლებამოსილებას ერთი ან მეტი შვილის მიმართ 1:253sa ან 1:253t მუხლების შესაბამისად.

მუხლი 1:80d რეგისტრირებული პარტნიორობის შეწყვეტა ორმხრივი თანხმობით

– 1. რეგისტრირებული პარტნიორობის შეწყვეტაზე შეთანხმება, როგორც ეს მითითებულია 1:80c მუხლის (c) პუნქტში, უნდა შეიცავდეს, სულ ცოტა, რეგისტრირებული პარტნიორების განცხადებას იმის შესახებ, რომ მათი რეგისტრირებული პარტნიორობა საბოლოოდ დაირღვა და რომ მათ სურთ მისი შეწყვეტა. გარდა ამისა, აღნიშნული შეთანხმება უნდა შეიცავდეს, – თუმცა, არა ბათილობის სანქციით:

a. იმ რეგისტრირებული პარტნიორის სასარგებლოდ გადასახდელ სარჩოს, რომელსაც არა აქვს საკმარისი სახსრები საკუთარი თავის რჩენისათვის და არა აქვს რეალური შესაძლებლობა ასეთი სახსრების თავად შექნისათვის;

b. ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რეგისტრირებულ პარტნიორთაგან რომელი იქნება იმ საცხოვრებელი ფართის მოიჯარე (დამქირავებელი), რომელიც იყო მათი ძირითადი ადგილსამყოფელი ანდა რეგისტრირებულ პარტნიორთაგან რომელს აქვს უფლება შეთანხმებაში განსაზღვრული ვადის განმავლობაში გამოიყენონ სახლი და საყოფაცხოვრებო ნივთები, რომლებიც ეკუთვნის ერთ-ერთ ან ორივე მათგანს ანდა რომლებიც ეკუთვნის მესამე პირს, თუმცა რომელთა გამოყენებაზეც პარტნიორები არიან უფლებამოსილი;

c. რეგისტრირებული პარტნიორების მიერ თავიანთი პარტნიორობის რეგისტრაციის გზით დადებული ნებისმიერი საერთო ქონების დაყოფას ანდა წილთა გათანაბრებას, როგორც ეს შეთანხმებულია წინამდებარე წიგნის ტიტული 8-ში მოცემული პირობების შესაბამისად;

d. ანგარიშსწორება ან საპენსიო შემწეობების მიღებაზე უფლებათა გათანაბრება.

– 2. ორმხრივი თანხმობით რეგისტრირებული პარტნიორობის შეწყვეტის მიმართ შესაბამისად გამოიყენება მუხლები 1:155, 1:157 პარ. 4 და 6, 1:158, 1:159, პარ. 1 და 3, ასევე – მუხლები 1:159a, 1:160 და 1:164.

– 3. 1:80c მუხლის (c) პუნქტში მითითებული განცხადება სამოქალაქო მდგომარეობის რეესტრებში რეგისტრაციაში გატარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრატორს მიუვიდა შეთანხმების დადებიდან არაუგვიანეს სამი თვისა.

მუხლი 1:80e რეგისტრირებული პარტნიორობის გაუქმება

– 1. რეგისტრირებული პარტნიორობის გაუქმების მიმართ, როგორც ეს მითითებულია 1:80c მუხლის (d) პუნქტში, შესაბამისად გამოიყენება მუხლები 1:151, 1:153, 1:155, 1:157-დან 1:160-ის ჩათვლით, ასევე – 1:164 და 1:165 მუხლები.

– 2. რეგისტრირებული პარტნიორობის გაუქმება ხორციელდება სასამართლოს განკარგულების სამოქალაქო მდგომარეობის რეესტრებში რეგისტრაციით რეგისტრირებული პარტნიორების ან ერთ-ერთი მათგანის მოთხოვნის საფუძველზე. შესაბამისად გამოიყენება 1:163 მუხლის პარ. 3.

მუხლი 1:80f თავდაპირველი რეგისტრირებული პარტნიორები, რომლებიც კვლავ შედიან ერთმანეთთან რეგისტრირებულ პარტნიორობაში

თუ ის მხარეები, რომელთა თავდაპირველი რეგისტრირებული პარტნიორობა შეწყდა, კიდევ ერთხელ შედიან ერთმანეთთან რეგისტრირებულ პარტნიორობაში ანდა ერთმანეთთან ქორწინდებიან, მაშინ კანონის ძალით ადრე შეწყვეტილი რეგისტრირებული პარტნიორობიდან გამომდინარე ყველა სამართლებრივი შედეგი კვლავ შეიძენს ძალას ისე, თითქოს აღნიშნული თავდაპირველი რეგისტრირებული პარტნიორობა არასოდეს შეწყვეტილა. მიუხედავად ამისა, იმ გარიგებათა ნამდვილობის საკითხი, რომლებიც შესრულდა პირველი რეგისტრირებული პარტნიორობის შეწყვეტის მომენტსა და ახალი რეგისტრირებული პარტნიორობის ან ქორწინების რეგისტრაციას შორის, განხილული იქნება იმ მომენტში არსებული მდგომარეობის მიხედვით, როდესაც ეს გარიგებები შესრულდა.

მუხლი 1:80g რეგისტრირებული პარტნიორობის ქორწინებად გარდაქმნა

– 1. როდესაც ორი პირი ატყობინებს სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრატორს იმის შესახებ, რომ მათ სურთ თავიანთი რეგისტრირებული პარტნიორობის ქორწინებად გარდაქმნა, ერთ-ერთი მათგანის დომიცილის სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრატორს შეუძლია შეადგინოს ასეთი გარდაქმნის შესახებ მონშობა. თუ რეგისტრირებულ პარტნიორებს დომიცილი აქვთ ნიდერლანდების ტერიტორიის ფარგლებს გარეთ და მათ სურთ გარდაქმნონ თავიანთი რეგისტრირებული პარტნიორობის ქორწინებად ნიდერლანდებში იმ დროს, როდესაც, სულ ცოტა, ერთ-ერთ პარტნიორს აქვს ჰოლანდიის მოქალაქეობა, – მაშინ გარდაქმნა განხორციელდება ჰააგის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრატორის მიერ.

– 2. შესაბამისად გამოიყენება 1:65 და 1:66 მუხლები.

– 3. გარდაქმნის შედეგს წარმოადგენს რეგისტრირებული პარტნიორობის შეწყვეტა და ქორწინების წარმოშობა იმ მომენტიდან, როდესაც გარდაქმნის შესახებ მონშობა რეგისტრაციაში გატარდა ქორწინების რეესტრში. გარდაქმნა გავლენას არ ახდენს ამ მომენტამდე დაბადებულ შვილებთან ნებისმიერ შესაძლო საოჯახო-სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ტიტული 1.6 – მეუღლეთა უფლებები და მოვალეობები

მუხლი 1:81 მხარდაჭერისა და აუცილებელი სახსრების მიწოდების მოვალეობები

მეუღლეებს ეკისრებათ ერთმანეთის მიმართ ერთგულების, დახმარების განევისა და მხარდაჭერის ვალდებულებები. მათ ეკისრებათ ასევე მოვალეობა, მიანოდონ ერთმანეთს ყველაფერი აუცილებელი.

მუხლი 1:82 მხარდაჭერისა და აუცილებელი სახსრების მიწოდების მოვალეობები

მეუღლეებს ერთმანეთის მიმართ აქვთ მათ ოჯახს მიკუთვნებულ არასრულწლოვან შვილებზე ზრუნვისა და მათი აღზრდის მოვალეობა, ასევე – ასეთი ზრუნვისა და აღზრდისათვის გასაწევი ხარჯების კისრების მოვალეობა.

მუხლი 1:83 ქონების ადმინისტრირების (მართვის) შესახებ ინფორმაციის მიწოდება

მოთხოვნის საფუძველზე მეუღლეებმა ერთმანეთს უნდა მიანოდონ ინფორმაცია მათ მიერ კუთვნილი აქტივების და პასივების ადმინისტრირებისა (მართვის) და მდგომარეობის შესახებ.

მუხლი 1:84 საოჯახო მეურნეობის ხარჯები

– 1. საოჯახო მეურნეობის ხარჯები, მათ შორის, შვილებზე ზრუნვისა და მათი აღზრდის ხარჯები, განეული უნდა იქნეს იმ შემოსავლებიდან, რომლებიც ორივე მეუღლეს ერთობლივად ეკუთვნის (საერთო შემოსავალი), ხოლო იმდენად, რამდენადაც ეს შემოსავლები არ არის საკმარისი, – ცალ-ცალკე ყოველი მეუღლის კუთვნილი პირადი შემოსავლებიდან თითოეულის წილის პროპორციულად; იმდენად, რამდენადაც აღნიშნული შემოსავლები არ იქნება საკმარისი, საოჯახო მეურნეობის ხარჯები უნდა იქნეს განეული მეუღლეთა საერთო ქონებიდან, ხოლო იმდენად, რამდენადაც ეს საერთო ქონება არ იქნება საკმარისი, – ყოველი მეუღლის კუთვნილი პირადი ქონებიდან თითოეულის წილის პროპორციულად. ზემოაღნიშნული წესები არ მოქმედებს, რამდენადაც განსაკუთრებული გარემოებები ხელს უშლის მათ გამოყენებას.

– 2. იმისათვის, რომ რეალურად შესაძლებელი გახდეს პარ. 1-ში მითითებული საოჯახო მეურნეობის ხარჯების განევა, ყოველ მეუღლეს მეორე მეუღლის მიმართ ეკისრება შესაბამისი ფინანსური სახსრების მიწოდების ვალდებულება მისი ადმინისტრირების ქვეშ არსებული ქონებიდან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც განსაკუთრებული გარემოებები ხელს უშლის აღნიშნულს.

– 3. წერილობითი შეთანხმების საფუძველზე შესაძლოა მოხდეს გადახვევა პარ. 1 და 2-ში გათვალისწინებული წესებიდან.

– 4. დავა მეუღლეებს შორის პარ. 1, 2 ან 3-ის ნორმათა გამოყენების შესახებ გადაწყდება რაიონული სასამართლოს მიერ ორივე მეუღლის ან ერთ-ერთი მათგანის მოთხოვნის საფუძველზე.

– 5. ორივე მეუღლის ან ერთ-ერთი მათგანის მოთხოვნის საფუძველზე რაიონულ სასამართლოს, გარემოებათა შეცვლის გამო, შეუძლია განაახლოს ადრე მიღებული სასამართლოს განკარგულება ანდა მეუღლეთა მიერ ორმხრივად დადებული შეთანხმება.

მუხლი 1:85 საოჯახო მეურნეობის ვალებისათვის მეუღლეთა სოლიდარული პასუხისმგებლობა

ყოველი მეუღლე, მეორე მეუღლესთან ერთად ან მის მხარდამხარ, სოლიდარულად აგებს პასუხს მეორე მეუღლის მიერ საოჯახო მეურნეობის ჩვეულებრივი წესით წარმართვისას ნაკისრი ვალდებულებებისათვის, მათ შორის, – იმ ვალდებულებებისათვის, რომლებიც წარმოიშობა ამ მეორე მეუღლის მიერ დამსაქმებლის სტატუსით საოჯახო მეურნეობის სასარგებლოდ დამლაგებელთან ან ანალოგიურ დასაქმებულთან დადებული შრომითი ხელშეკრულებიდან.

მუხლი 1:86 საოჯახო მეურნეობის ვალებისათვის პასუხისმგებლობის მოხსნა

– 1. ერთ-ერთი მეუღლის მოთხოვნის საფუძველზე, რაიონულ სასამართლოს შეუძლია დაადგინოს, რომ მეუღლე არ იქნება პასუხისმგებელი წინა მუხლში მითითებული იმ ვალდებულებებისათვის, რომლებსაც იკისრებს მეორე მეუღლე ამ მომენტიდან იმ პირობით, რომ სახეზეა ჯეროვნად დასაბუთებული მიზეზები ასეთი განკარგულების მიღებისათვის.

– 2. გარემოებათა შეცვლის გამო წინამდებარე მუხლის შესაბამისად მიღებული სასამართლოს განკარგულება შეიძლება განახლდეს ანდა გაუქმდეს იგივე წესით, რა წესითაც ის იქნა მიღებული.

– 3. წინამდებარე მუხლში მითითებული სასამართლოს განკარგულება მოქმედებს მხოლოდ იმ მესამე პირების მიმართ, რომლებმაც არ იცოდნენ მისი არსებობის შესახებ, თუ ეს განკარგულება რეგისტრაციაში გატარდა 1:116 მუხლში მითითებულ ქორწინების რეესტრში და, სულ ცოტა თოთხმეტი დღე გავიდა აღნიშნული რეგისტრაციის მომენტიდან.

– 4. სასამართლოს განკარგულებით შეიძლება დადგინდეს ის, რომ ეს უკანასკნელი გამოქვეყნდეს ამ მიზნისათვის სასამართლოს მიერ მითითებულ ერთ ან რამდენიმე ყოველდღიურ გაზეთში. თუ სასამართლომ დაადგინა ასეთი დამატებითი გამოქვეყნება, მაშინ სასამართლოს განკარგულებას არც ერთ შემთხვევაში არ უნდა ჰქონდეს რაიმე საზიანო შედეგი იმ მესამე პირებისათვის, რომლებმაც არ იცოდნენ მისი არსებობის შესახებ აღნიშნული გამოქვეყნების მომენტში.

მუხლი 1:87 კომპენსაციის თანხის გადახდა იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივები გადავიდა ერთი მეუღლის ქონებიდან მეორე მეუღლის ქონებაში

– 1. თუ მეუღლე მეორე მეუღლის საზიანოდ იძენს ისეთ აქტივს, რომელიც უნდა განეკუთვნებოდეს მის საკუთარ ქონებას, ანდა თუ მის საკუთარ ქონებას მიკუთვნებულ ერთ-ერთ აქტივთან დაკავშირებული ვალი გადაიხდება ან იფარება მეორე მეუღლის ქონების საზიანოდ, მაშინ პირველ მეუღლეს კანონით უნდა დაეკისროს კომპენსაციის გადახდის ვალდებულება.

– 2. კომპენსაციის თანხა უტოლდება იმ მომენტში არსებული აქტივების ღირებულების ნაწილს, როდესაც ხდება კომპენსაციის თანხის გადახდა. ეს ნაწილი:

a. მეორე მეუღლის ქონების საზიანოდ შექმნის შემთხვევაში, პროპორციულია იმ შენატანისა, რომელიც მიიღება ამ უკანასკნელის ქონებიდან აღნიშნული აქტივებისათვის სამაგიერო შესრულებამდე;

b. მეორე მეუღლის ქონების საზიანოდ გადახდისა თუ დაფარვის შემთხვევაში, შეესაბამება მეორე მეუღლის ქონებიდან გადახდილი ან დაფარული თანხის შეფარდებას ასეთი გადახდისა თუ დაფარვის მომენტში არსებული აქტივების ღირებულებას.

– 3. გარდა ამისა, ქვემოთ მოცემული წესები მოქმედებს ასევე აღნიშნულ კომპენსაციასთან დაკავშირებით:

a. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მეუღლემ გამოიყენა მეორე მეუღლის ქონება პარ. 1-ში აღწერილი სახით ამ მეორე მეუღლის თანხმობის გარეშე, მაშინ კომპენსაციის თანხა უნდა უტოლდებოდეს, სულ ცოტა, იმ ნომინალურ ოდენობას, რომელიც საზიანო აღმოჩნდა მეორე მეუღლის ქონებისათვის;

b. იმ აქტივების მიმართ, რომლებიც თავიანთი ბუნებით გამიზნულია მოხმარებისათვის, კომპენსაციის თანხა ყოველთვის უნდა უტოლდებოდეს იმ ნომინალურ თანხას, რომელიც საზიანო აღმოჩნდა მეორე მეუღლის ქონებისათვის;

c. იმ აქტივების მიმართ, რომლებიც ამასობაში გასხვისებულ იქნა (გადავიდა სხვა პირის საკუთრებაში) ისე, რომ მათი ადგილი არ დაუკავებია ნებისმიერ სხვა აქტივს, ნაცვლად პარ. 2-ის პრეამბულაში აღნიშნული ღირებულებისა, გასხვისების მომენტში არსებული ღირებულება უნდა იყოს გადამწყვეტი. ამ მიზნით გასხვისება უთანაბრდება იმ სარგებელს, რომელიც მიიღება თანხობრივი დაზღვევის მოსარგებლის სახით დანიშნვიდან ანდა იმ მესამე პირის სასარგებლოდ არსებული შეთანხმებიდან (დათქმიდან), რომელიც არის ან გახდა გამოუთხოვადი.

– 4. შეთანხმების საფუძველზე მეუღლეებს შეუძლიათ გადაუხვიონ პარ. 1-დან 3-ის ჩათვლით გათვა-

ლისწინებული წესებიდან. არანაირი ვალდებულება (მოვალეობა) კონვენსაციის თანხის გადახდისა არ არსებობს იმ ფარგლებში, რომლებშიც შეძენის შედეგად გადახდა თუ დაფარვა ხორციელდება მეორე მუდლის ქონების ან – ამ უკანასკნელზე დაკისრებული ვალდებულების საზიანოდ.

– 5. როდესაც კომპენსაციის თანხის ზუსტად განსაზღვრა პარ. 1-დან 4-ის ჩათვლით ნორმების საფუძველზე შეუძლებელია, მაშინ უნდა მოხდეს მისი შეფასება.

მუხლი 1:88 გარიგებები, რომელთათვისაც აუცილებელია მეორე მუდლის თანხმობა

– 1. მეუღლე საჭიროებს მეორე მუდლის თანხმობას ქვემოთ მოცემული გარიგებების დადებისათვის:

a. იმ საცხოვრებელი ფართის გასხვისების, უფლებრივად დატვირთვისა თუ სარგებლობაში გადაცემის მიზნით დადებული შეთანხმებები, რომელშიც ორივე მეუღლე ერთად ცხოვრობს ანდა რომელშიც მეორე მეუღლე მარტო ცხოვრობს; ამ საცხოვრებელ ფართსა თუ მის საყოფაცხოვრებო ნივთებს მიკუთვნებული საგნების გასხვისების, უფლებრივად დატვირთვისა თუ სარგებლობაში გადაცემის მიზნით დადებული შეთანხმებები; აღნიშნული საცხოვრებელი ფართისა თუ ზემოთ ნახსენები საგნებისა თუ საყოფაცხოვრებო ნივთების სარგებლობის შეწყვეტის მიზნით დადებული გარიგებები;

b. ნაჩუქრობები, გარდა ჩვეულებრივი ნაჩუქრობებისა, რომლებიც არ ჩაითვლება გადამეტებულად;

c. გარდა პროფესიული ან სამენარმეო საქმიანობის ფარგლებში ნაკისრი თავდებობებისა, პირთან თავდების ან სოლიდარული მოვალის სახით ვალდებულების კისრების მიზნით დადებული შეთანხმებები, ასევე – მესამე პირისათვის თავდებად დადგომა ანდა მესამე პირის მოვალისათვის უზრუნველყოფის წარდგენა;

d. გადახდის განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულებები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი ეხება იმ აქტივებს, რომლებიც ამკარად გამიზნულია მხოლოდ და მხოლოდ ანდა ძირითადად აღნიშნული პირის ჩვეულებრივი პროფესიული ან სამენარმეო საქმიანობის ფარგლებში გამოყენებისათვის.

– 2. მეუღლეს მეორე მუდლის თანხმობა არ ესაჭიროება, თუ ის ვალდებულია გარიგება შეასრულოს კანონის საფუძველზე ანდა იმ წინამორბედი გარიგების საფუძველზე, რომლისათვისაც ეს თანხმობა გაიცა ან არ მოითხოვებოდა.

– 3. თუ კანონმა გარიგების დადებისათვის დაადგინა ფორმის დაცვასთან დაკავშირებული მოთხოვნა, მაშინ მეორე მუდლის თანხმობა უნდა გაიცეს წერილობითი ფორმით.

– 4. პარ. 1 (b) პუნქტისაგან განსხვავებით, თანხმობა არ არის აუცილებელი იმ ნაჩუქრობებისათვის, რომელთა შესრულებაც უნდა განხორციელდეს ნივთის გამჩუქებელი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ და რომელთა შესრულებაც ფაქტობრივად მისი სიცოცხლის ვადის განმავლობაში ჯერ არ მოხდება. თუმცა, როდესაც ნაჩუქრობა მდგომარეობს თანხობრივი დაზღვევის (არასაკომპენსაციო დაზღვევის) მოსარგებლის სახით დანიშვნაში, რომელიც მიღებულ იქნა ანდა შეიძლება მიღებულ იქნეს დაზღვეული პირის სიცოცხლის ვადის განმავლობაში, მაშინ მეორე მუდლის თანხმობა აუცილებელია.

– 5. მეორე მუდლის თანხმობა აუცილებელი არ არის პარ. 1 (c) პუნქტში მითითებული გარიგებებისათვის, რომლებიც დაიდო საჯარო შეზღუდული კომპანიისა თუ კერძო შეზღუდული კომპანიის საბჭოს დირექტორის მიერ იმ პირობით, რომ ეს უკანასკნელი – დამოუკიდებლად ან ერთობლივად თავის თანადირექტორთან ერთად, ფლობს აღნიშნული კომპანიის აქციასა უმრავლესობას და რომ გარიგება იდება ამ კომპანიის ჩვეულებრივი სამენარმეო საქმიანობის ფარგლებში.

– 6. თუ არყოფნის ან სხვა მიზეზის გამო მეორე მეუღლე აღმოაჩენს, რომ ის იმყოფება ისეთ მდგომარეობაში, რომელშიც მისთვის შეუძლებელია საკუთარი ნების განსაზღვრა ანდა თუ ის არ გასცემს თავის თანხმობას, მაშინ რაიონულ სასამართლოს შეიძლება მოეთხოვოს ალტერნატიული ნებართვის მიცემა.

მუხლი 1:89 საცილო გარიგების ბათილობა

– 1. მეუღლის მიერ წინა მუხლის ნორმათა სანინააღმდეგოდ დადებული გარიგება საცილოა; მხოლოდ მეორე მეუღლეს შეუძლია მიუთითოს საცილობის ამ საფუძველზე.

– 2. წინა პარაგრაფი არ გამოიყენება იმ კონტრაქტის მიერ დადებული გარიგებების მიმართ, ვინც მოქმედებდა კეთილსინდისიერად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქმე ეხება ნაჩუქრობებს.

– 3. მეუღლის უფლებას, გარიგების გაბათილების მიზნით მიუთითოს საცილობის საფუძველზე, გავლენას არ ახდენს არც ქორწინების შეწყვეტა და არც განცალკევებით ცხოვრების რეჟიმის დადგენა, თუ ეს საფუძველი უფრო ადრე წარმოიშვა. თუ აღნიშნული გარიგების შედეგად მეორე მეუღლე ხდება მოვალე, მაშინ 3:51 მუხლის პარ. 3 გამოიყენება მის მიმართ მხოლოდ მანამდე, სანამ არ გავა 3:52 მუხლის პარ. 1-ში გათვალისწინებული ვადა.

– 4. 3:50 მუხლის პარ. 1-სა და 3:51 მუხლის პარ. 2-საგან განსხვავებით, არ არის აუცილებელი სასამართლოს გარეთ არსებულ ურთიერთობებში გაკეთებული განცხადება ან გარიგების ბათილობის შესახებ სარჩელის წარდგენის უფლება მიმართული იყოს იმ მეუღლის წინააღმდეგ, რომელმაც დადო საცილო გარიგება.

– 5. იმ მეუღლეს, რომელმაც მიუთითა გარიგების საცილობაზე, შეუძლია ასევე გარიგების ბათილობიდან გამომდინარე ყოველგვარი სარჩელის წარდგენაც.

მუხლი 1:90 ქორწინების განმავლობაში ქონების ადმინისტრირება (მართვა)

– 1. მეუღლე უფლებამოსილია განახორციელოს თავისი საკუთარი (ანუ – პირადი) აქტივების ადმინისტრირება (მართვა), ხოლო 1:97 მუხლით გათვალისწინებული წესების თანახმად კი, – მეუღლეთა საერთო საკუთრებაში შემავალი აქტივების ადმინისტრირება (მართვა).

– 2. მეუღლის მიერ აქტივების მართვა (ადმინისტრირება) მოიცავს ყველა იმ უფლებამოსილების განხორციელების უფლებას, რომლებიც დაკავშირებულია ამ აქტივთან, მათ შორის, – განკარგვისა და ექსპლუატაციის უფლებამოსილება და – ასევე ამ აქტივთან მიმართებაში ფაქტობრივი მოქმედებების განხორციელებისა და მათი დაშვების უფლება ისე, რომ ზიანი არ მიადგეს მეორე მეუღლის უფლებას, გამოიყენოს ეს აქტივები და ისარგებლოს ამ უკანასკნელით მის მიერ ცოლ-ქმრული ურთიერთობიდან გამომდინარე მიღებული უფლებების შესაბამისად.

– 3. როდესაც აქტივების ადმინისტრირებაზე უფლებამოსილი მეუღლე მართვის უფლებამოსილებას უტოვებს მეორე მეუღლეს, მაშინ მათი ურთიერთობის მიმართ გამოიყენება ნარდობის მომწესრიგებელი კანონისმიერი ნორმები ცოლ-ქმრული ურთიერთობისა და შესაბამისი აქტივების სპეციფიკის გათვალისწინებით.

– 4. მეუღლეს, რომელიც მართავს აქტივს, შეუძლია მხარის სახით მიუერთდეს ნებისმიერ იმ გარიგებას, რომელის დადო მეორე მეუღლემ აღნიშნულ აქტივთან დაკავშირებით, რა შემთხვევაშიც ორივე მეუღლე ერთობლივად განიხილება როგორც გარიგების ერთი მხარე. გარიგებისათვის მიერთების განცხადება მიმართული უნდა იყოს ყველა იმ პირისკენ, ვინც წარმოადგენს ამ გარიგების მხარეს. შესაბამისად გამოიყენება 3:56 მუხლი. როდესაც გარიგება ექვემდებარება კონკრეტულ ფორმალურ მოთხოვნებს, ეს მოთხოვნები გამოიყენება ასევე ამ გარიგებისათვის მიერთების განცხადების მიმართაც. მეუღლეს, ვინც მხარის სახით უერთდება გარიგებას, შეუძლია გამორიცხოს თავისი თავი მეორადი უფლებებისა და ვალდებულებებისაგან, ისევე როგორც – უკვე ვადამოსული (აღსრულებადი) უფლებებისა და ვალდებულებებისაგან; მიიჩნევა, რომ მან არ შეიძლება თავი იმაზე მეტი ვალდებულებით, ვიდრე ეს ხდება მესამე პირებისათვის თავდაპირველად მინიჭებული უფლებების დაცვის დროს.

მუხლი 1:91 სასამართლოს განკარგულება მეორე მეუღლისათვის ქონების ადმინისტრირების გადაცემის შესახებ

– 1. თუ არყოფნის ან სხვა მიზეზის გამო მეუღლე აღმოაჩენს, რომ ის იმყოფება ისეთ მდგომარეობაში, რომელშიც მისთვის შეუძლებელია თავისი პირადი აქტივების ან მეუღლეთა საერთო საკუთრებაში შემავალი აქტივების ადმინისტრირება ანდა თუ მეუღლე არსებითად ვერ ახერხებს მეუღლეთა საერთო საკუთრებაში შემავალი აქტივების ადმინისტრირებას, მაშინ მეორე მეუღლის მოთხოვნის საფუძველზე რაიონულ სასამართლოს შეუძლია ამ უკანასკნელს გადასცეს აღნიშნული აქტივების ან მათი ნაწილის ადმინისტრირება პირველი მეუღლის გამორიცხვით. აქტივების ადმინისტრირების დაკისრებისას სასამართლოს შეუძლია განსაზღვროს დამატებითი მითითებების მიცემა ადმინისტრირებისა და წარმომადგენლობისათვის პარ. 4-ის გაგებით.

– 2. შესაბამისად გამოიყენება 1:86 მუხლის პარ. 2, 3 და 4 და ასევე 1:90 მუხლის პარ. 3.

– 3. სასამართლომ უნდა გამოიძახოს ორივე მეუღლე სასამართლოში მათ ზეპირ მოსმენაზე, ხოლო როდესაც პარ. 1-ში პირველად მითითებული მეუღლე დაინიშნა წარმომადგენლად, – მაშინ ასევე ეს უკანასკნელიც.

– 4. მეუღლე, რომელსაც სასამართლომ დააკისრა აქტივების ადმინისტრირება, უფლებამოსილია წარმოადგინოს ის მეუღლე, რომლის კუთვნილი ადმინისტრირების უფლებაც გაუქმდა იმ გარიგებათა დადებასთან დაკავშირებით, რომლებიც არ მიეკუთვნება აღნიშნული აქტივების ადმინისტრირების სფეროში შემავალ გარიგებებს.

მუხლი 1:92 მესამე პირთა ინტერესების დაცვა

– 1. როდესაც მესამე პირებისთვის შეუმჩნეველია, თუ რომელ მეუღლეს აქვს არარეგისტრირებული მოძრავი ნივთისა თუ საწარმდგენლო სავალო დოკუმენტის ადმინისტრირების უფლება, მაშინ ამ მესამე

პირს შეუძლია ივარაუდოს, რომ ეს უფლება აქვს იმ მეუღლეს, ვინც რეალურად ფლობს აღნიშნულ ნივთსა თუ საწარმდგენლო ფასიან ქალაქს.

– 2. ის მეუღლე, რომელსაც მეორე მეუღლის მიერ დადებული გარიგების გამო ხელი ეშლება აქტივების მართვაში იმ მესამე პირის მიერ, ვინც მოქმედებდა კეთილსინდისიერად ამ მეორე მეუღლესთან ერთად, კარგავს თავის უფლებას, აღკვეთოს აღნიშნული ხელის შეშლა, თუ მან არ გააპროტესტა ეს ფაქტი გონივრულ ვადაში მას შემდეგ, რაც ეს უკანასკნელი მისთვის ცნობილი გახდა. ამ მეუღლის უფლება, აღკვეთოს აქტივების მართვაში ხელის შეშლა, უქმდება ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც მესამე პირმა მას განუსაზღვრა გონივრული ვადა თავისი უფლების რეალიზაციისათვის, ხოლო მეუღლემ კი არ გამოიყენა ეს უფლება აღნიშნული ვადის განმავლობაში.

– 3. როდესაც კომპენსაციის მოთხოვნა წარმოიშვა ქორწინების განმავლობაში მეუღლეთა შორის ანდა ერთ-ერთ მეუღლესა და მეუღლეთა შორის არსებული საერთო საკუთრებაში შემავალი ქონების განაწილების შედეგად, მაშინ ის ფაქტი, რომ სავალ მოთხოვნა ჯერ არ არის ვადამოსული (აღსრულებადი), ვერ იქნება გამოყენებული მესამე პირთა მიმართ.

მუხლი 1:92a ტიტული 1.6-ის დებულებები არ გამოიყენება მეუღლეთა განცალკევებით ცხოვრების რეჟიმის მიმართ

წინამდებარე ტიტული (ტიტული 1.6) არ გამოიყენება განცალკევებით ცხოვრების რეჟიმში მყოფი მეუღლეების მიმართ.

ტიტული 1.7 – მეუღლეთა საერთო საკუთრება

განყოფილება 1.7.1 – ზოგადი დებულებები

მუხლი 1:93 კანონისმიერი დანაწესებიდან გადახვევა საქორწინო ხელშეკრულების საფუძველზე

საქორწინო ხელშეკრულების საფუძველზე როგორც აშკარად, ისე მასში მოცემული შეთანხმებების (დათქმების) ბუნებიდან გამომდინარე დასაშვებია წინამდებარე ტიტულის (ტიტული 1.7) დებულებებიდან გადახვევა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნული დებულებები აშკარად ან მათი ბუნებიდან გამომდინარე ეწინააღმდეგება ასეთ გადახვევას.

მუხლი 1:94 მეუღლეთა საერთო საკუთრება

– 1. კანონის ძალით მეუღლეთა შორის საერთო საკუთრება წარმოიშობა ქორწინების გაფორმების მომენტიდან.

– 2. რამდენადაც მეუღლეთა საერთო საკუთრება ეხება აქტივებს, ის მოიცავს მეუღლეთა ყველა აქტივს, რომლებიც სახეზეა მეუღლეთა საერთო საკუთრების წარმოშობის მომენტში, ხოლო მანამდე, სანამ მეუღლეთა საერთო საკუთრება არ გაუქმებულა, – იმ აქტივებსაც, რომელთა შექმნაც ხდება მოგვიანებით, გარდა:

a. იმ აქტივებისა, რომელთა მიმართაც მოანდერძემ თავის ანდერძში ან გამჩუქებელმა ჩუქების დროს განსაზღვრა, რომ ისინი არ შედის მეუღლეთა საერთო საკუთრებაში;

b. იმ საპენსიო შემწეობებისა, რომელთა მიმართაც მოქმედებს განქორწინებისას საპენსიო შემწეობების გათანაბრების შესახებ კანონი, ისევე როგორც – ცოცხლად დარჩენილი ნათესავებისათვის (კმაყოფაზე მყოფი პირებისათვის) გათვალისწინებული საპენსიო უფლებები, რომლებიც დაკავშირებულია აღნიშნულ საპენსიო შემწეობებთან;

c. უზუფრუქტის დადგენის უფლებებისა, როგორც ეს მითითებულია მე-4 ნიგნის 29 და 30 მუხლებში, უზუფრუქტისა, რომელიც დადგენილ იქნა ზემოთ ნახსენები საკანონმდებლო ნორმების ძალით და ასევე – ის, რისი შექმნაც ხდება მე-4 ნიგნის 34 მუხლის შესაბამისად.

– 3. აქტივები და პასივები (ვალები), რომლებიც განსაზღვრული გზით პირადად არის დაკავშირებული ერთ-ერთ მეუღლესთან, შედის მეუღლეთა საერთო საკუთრებაში მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ასეთი დაკავშირება არ ეწინააღმდეგება აღნიშნულს.

– 4. იმ აქტივებიდან მიღებული სარგებელი (ნაყოფი), რომელიც არ განეკუთვნება მეუღლეთა საერთო საკუთრებას, ასევე არ შედის ამ უკანასკნელში. იმ მოთხოვნის რეალიზაციიდან ამონაგები თანხები, რომელიც არ განეკუთვნება მეუღლეთა საერთო საკუთრებას, აღნიშნული საერთო საკუთრების მიღმა რჩება;

იგივე წესი მოქმედებს იმ საკომპენსაციო თანხის მოთხოვნის მიმართ, რომლითაც ხდება მეუღლის კუთვნილი აქტივის ჩანაცვლება, მათ შორის, – ასეთი აქტივის ღირებულების შემცირების შესახებ მოთხოვნისა.

– **5.** რამდენადაც მეუღლეთა საერთო საკუთრება ეხება პასივებს, ის მოიცავს თითოეული მეუღლის ყველა პასივს (ვალს), გარდა:

a. ისეთ აქტივებთან დაკავშირებული პასივებისა (ვალებისა), რომლებიც არ განეკუთვნება მეუღლეთა საერთო საკუთრებას;

b. იმ პასივისა (ვალებისა), რომლებიც წარმოიშვა ჩუქებიდან, სახელშეკრულებო შეთანხმებებიდან (დათქმებიდან) ან ერთ-ერთი მეუღლის მიერ განხორციელებული ან გაფორმებული გარდაქმნიდან, როგორც ეს მითითებულია 4:126 მუხლის პარ. 1 და 2 (a) და (c) პუნქტებში.

– **6.** როდესაც მეუღლეები დაგობენ ერთმანეთთან იმ საკითხთან დაკავშირებით, თუ რომელ მათგანს ეკუთვნის აქტივი, და ამავე დროს არც ერთს არ შეუძლია თავისი უფლებამოსილების დამტკიცება, მაშინ ეს აქტივი მიიჩნევა მეუღლეთა საერთო საკუთრების აქტივად. თუმცა, ეს სამართლებრივი პრეზუმფცია არ მოქმედებს მეუღლეთა კრედიტორების ინტერესების საზიანოდ.

მუხლი 1:95 ქონებათა შორის განხორციელებული საკომპენსაციო გადახდები: აქტივების შექენა

– **1.** ის აქტივი, რომელიც მეუღლემ შეიძინა სასყიდლით (ი. ე. არა უსასყიდლოდ), რჩება მეუღლეთა საერთო საკუთრების მიღმა, თუკი შექენისას {აღნიშნული აქტივის შექენისათვის} სამაგიერო შესრულების თანხის ნახევარზე მეტის გადახდა განხორციელდა ამ მეუღლის კუთვნილი ქონების ხარჯზე. იმდენად, რამდენადაც სამაგიერო შესრულება განხორციელდა მეუღლეთა საერთო საკუთრების ხარჯზე, მეუღლე პასუხისმგებელია საკომპენსაციო თანხის ამ საერთო საკუთრების მიმართ გადახდაზე. ამ საკომპენსაციო თანხის მოცულობა (ოდენობა) უნდა განისაზღვროს 1:87 მუხლის პარ. 2 და 3-ის შესაბამისად.

– **2.** თუ აქტივი უნდა ეკუთვნოდეს მეუღლეთა საერთო საკუთრებას და მეუღლემ ამ აქტივის შექენის მომენტში გამოიყენა თავის ქონებას მიკუთვნებული ფულადი სახსრები სამაგიერო შესრულების დაფინანსებისათვის, მაშინ ამ მეუღლეს აქვს კომპენსაციის მოთხოვნის უფლება, რომლის მოცულობა (ოდენობა) უნდა განისაზღვროს 1:87 მუხლის პარ. 2 და 3-ის შესაბამისად.

მუხლი 1:96 ქონებათა შორის განხორციელებული საკომპენსაციო გადახდები: ვალების დაფარვა

– **1.** მეუღლის მიერ ნაკისრი ვალების ამოღების მიზნით, მიუხედავად იმისა, შევიდა თუ არა ეს ვალები მეუღლეთა საერთო საკუთრებაში, კრედიტორის მიერ შეიძლება გაიყიდოს როგორც მეუღლეთა საერთო საკუთრებაში არსებული აქტივები, ისე – ამ მეუღლის პირადი აქტივები.

– **2.** მეუღლის მიერ ნაკისრი იმ ვალების ამოღების მიზნით, რომლებიც არ შევიდა მეუღლეთა საერთო საკუთრებაში, დაუშვებელია კრედიტორის მიერ მეუღლეთა საერთო საკუთრებაში შემავალი აქტივების რეალიზაცია, როდესაც მეორე მეუღლე უთითებს პირველი მეუღლის პირად აქტივებზე, რომლებიც მისთვის კუთვნილი მოთხოვნის დაკმაყოფილების საკმარის საშუალებას ქმნის.

– **3.** ის მეუღლე, რომლის კუთვნილი აქტივიდან დაკმაყოფილდა მეუღლეთა საერთო საკუთრების ვალი, უფლებამოსილია ამისათვის მიიღოს კომპენსაცია მეუღლეთა საერთო საკუთრების აქტივებიდან. როდესაც საქმე გვაქვს იმ აქტივთან დაკავშირებულ ვალთან, რომელიც განეკუთვნება მეუღლეთა საერთო საკუთრებას, მაშინ აღნიშნული საკომპენსაციო თანხის მოცულობა (ოდენობა) უნდა განისაზღვროს 1:87 მუხლის პარ. 2 და 3-ის შესაბამისად.

– **4.** ის მეუღლე, რომლის მეუღლეთა საერთო საკუთრებაში არშესული ვალიც დაკმაყოფილდა ამ საერთო საკუთრებაში შემავალი აქტივებიდან, ვალდებულია ამისათვის გადაიხადოს კომპენსაცია მეუღლეთა საერთო საკუთრების მიმართ. როდესაც საქმე გვაქვს ერთ-ერთ იმ აქტივთან დაკავშირებულ ვალთან, რომელიც განეკუთვნება მეუღლის საკუთარ ქონებას, მაშინ აღნიშნული საკომპენსაციო თანხის მოცულობა (ოდენობა) უნდა განისაზღვროს 1:87 მუხლის პარ. 2 და 3-ის შესაბამისად.

– **5.** იმ მეუღლეს, ვინც კრედიტორს მიუთითებს იმაზე, რომ ის აქტივი, რომლის გაყიდვაც სურს კრედიტორს ვალების ამოღების მიზნით, არ განეკუთვნება მეუღლის საკუთარ ქონებას, ეკისრება ასეთი განცხადების მტკიცების ტვირთი.

მუხლი 1:96a ქონებათა შორის განხორციელებული საკომპენსაციო გადახდები: დაზღვევის პრემიის თანხის გადახდა

თუ იმ მეუღლემ, რომელმაც სხვა პირის დაზღვევის ძირითადი თანხის მოსარგებლედ დანიშნისას, რაც გადახდილ უნდა იქნეს ამ მეუღლის გარდაცვალებისას, განხორციელა ჩუქება მესამე პირის მიმართ

და ამ სადაზღვევო პოლისისათვის არსებული პრემიის თანხების გადახდა კი განხორციელდა მეუღლეთა საერთო საკუთრების ხარჯზე, – მაშინ ეს მეუღლე ვალდებულია ამისათვის გადაიხადოს კომპენსაცია მეუღლეთა საერთო საკუთრების მიმართ. აღნიშნული საკომპენსაციო თანხის მოცულობა (ოდენობა) შეადგენს სადაზღვევო თანხის ღირებულების ნაწილს (პირის გარდაცვალებასთან დაკავშირებით დანიშნული შემწეობა), რომელიც უთანაბრდება მეუღლეთა საერთო საკუთრებიდან მიღებული პრემიის თანხების ნაწილს.

მუხლი 1:96b მეუღლეთა შორის არსებული შეთანხმებით დადგენილი საკომპენსაციო თანხის მოცულობა (ოდენობა)

მეუღლეებს შეთანხმებით შეუძლიათ სხვაგვარად განსაზღვრონ 1:95, 1:96 და 1:96a მუხლებში მითითებული საკომპენსაციო თანხის მოცულობა (ოდენობა). ასეთ შემთხვევაში შესაბამისად გამოიყენება 1:87 მუხლის პარ. 4. როდესაც საკომპენსაციო თანხის ზუსტად განსაზღვრა შეუძლებელია, მაშინ უნდა მოხდეს მისი შეფასება.

განყოფილება 1.7.2 – მეუღლეთა საერთო საკუთრების მართვა (ადმინისტრირება)

მუხლი 1:97 მართვის (ადმინისტრირების) უფლება

– 1. მეუღლის სახელზე რეგისტრირებული აქტივი და ის აქტივი, რომელიც მან შეიძინა მემკვიდრეობით, ლეგატი, პირობითი საანდერძო განკარგულებით ან ჩუქებით, შედის მისი ექსკლუზიური მართვის (ადმინისტრირების) სფეროში. სხვა შემთხვევაში ყოველი მეუღლე უფლებამოსილია მართოს (განხორციელოს ადმინისტრირება) მეუღლეთა საერთო საკუთრებაში შემავალი აქტივები. შესაბამისად გამოიყენება 3:170 მუხლის პარ. 1.

– 2. როდესაც იმ მეუღლის თანხმობით, რომლის ექსკლუზიური მართვის (ადმინისტრირების) სფეროში რჩება მეუღლეთა საერთო საკუთრებაში შემავალი აქტივი, ეს უკანასკნელი გამოიყენება მეორე მეუღლის პროფესიული თუ სამენარმეო საქმიანობისათვის, მაშინ ამ აქტივის მართვა (ადმინისტრირება) უნდა ხორციელდებოდეს ექსკლუზიურად ამ მეორე მეუღლის მიერ იმდენად, რამდენადაც საქმე ეხება მისი ჩვეულებრივი პროფესიული ან სამენარმეო საქმიანობის ფარგლებში განხორციელებულ მოქმედებებს, ხოლო დარჩენილ ნაწილში კი, – ერთობლივად ორივე მეუღლის მიერ. როდესაც ხდება თანხმობის მიცემა, ეს უკანასკნელი ძალაში დარჩება პროფესიული ან სამენარმეო საქმიანობის მთელი ვადის განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მეუღლეები განსხვავებულ წესზე შეთანხმდნენ; თუმცა, მნიშვნელოვანი მიზეზების არსებობისას რაიონულ სასამართლოს ერთ-ერთი მეუღლის მოთხოვნის საფუძველზე შეუძლია ნებისმიერ დროს შეწყვიტოს აქტივის ასეთი გამოყენება.

– 3. მეუღლეთა შორის საერთო საკუთრებას მიკუთვნებული აქტივის მართვასთან (ადმინისტრირებასთან) დაკავშირებული დავები, მეუღლეთა ან ერთ-ერთი მეუღლის მოთხოვნის საფუძველზე, შეიძლება განსახილველად გადაეცეს რაიონულ სასამართლოს.

მუხლი 1:98 {გაუქმებულია 2012 წლის 1 იანვარს}

განყოფილება 1.7.3 – მეუღლეთა საერთო საკუთრების გაუქმება

მუხლი 1:99 მეუღლეთა საერთო საკუთრების გაუქმების საფუძველები

- 1. მეუღლეთა საერთო საკუთრება უქმდება კანონის ძალით:
- იმ შემთხვევაში, თუ ეს ქორწინება ან რეგისტრირებული პარტნიორობა წყდება ერთ-ერთი მეუღლის ან რეგისტრირებული პარტნიორის გარდაცვალების გამო: მისი გარდაცვალების მომენტში;
 - იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისად ეს ქორწინება ან რეგისტრირებული პარტნიორობა წყდება სასამართლოს მიერ განქორწინების ან რეგისტრირებული პარტნიორობის გაუქმების გამო: განქორწინების განაცხადის ანდა, შესაბამისად, რეგისტრირებული პარტნიორობის გაუქმების შესახებ მოთხოვნის სასამართლოში წარდგენის მომენტში;
 - მეუღლეთა განცალკევებით ცხოვრების რეჟიმის დადგენის შემთხვევაში: ამ რეჟიმის დადგენის მოთხოვნის სასამართლოში წარდგენის მომენტში;

d. სასამართლოს განკარგულებით მეუღლეთა საერთო საკუთრების შეწყვეტის (ლიკვიდაციის) შემთხვევაში: საერთო საკუთრების შეწყვეტის (ლიკვიდაციის) მოთხოვნის სასამართლოში წარდგენის მომენტში;

e. ორმხრივი შეთანხმებით რეგისტრირებული პარტნიორობის შეწყვეტის (ლიკვიდაციის) შემთხვევაში: იმ მომენტში, როდესაც რეგისტრირებული პარტნიორობის შეწყვეტის შეთანხმება დაიდო (გაფორმდა) რეგისტრირებულ პარტნიორებს შორის;

f. იმ შემთხვევაში, როდესაც მეუღლე ან რეგისტრირებული პარტნიორი უგზო-უკვლოდ დაიკარგა და, შესაბამისად, მეორე მეუღლე ან რეგისტრირებული პარტნიორი ხელახლა ქორწინდება ან ხელახლა აფორმებს რეგისტრირებულ პარტნიორობას: იმ მომენტში, როდესაც 1:417 მუხლის პარ. 1-ში მითითებული სასამართლოს განკარგულება შევიდა კანონიერ ძალაში და გახდა მბოჭავი;

h. მოგვიანებით დადებული საქორწინო ხელშეკრულებით მეუღლეთა საერთო საკუთრების შეწყვეტის შემთხვევაში: 1:120 მუხლის პარ. 1-ში მითითებულ მომენტში.

– 2. პარ. 1 (b), (c) და (d) პუნქტებში მითითებული განაცხადის ან მოთხოვნის წარდგენით, ისევე როგორც პარ. 1 (e) პუნქტში მითითებული შეთანხმების დადებით მეუღლეთა საერთო საკუთრების გაუქმება შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ მესამე პირთა მიმართ, რომლებმაც არ იცოდნენ ამ ფაქტის შესახებ, თუ შესაბამისი განაცხადი, მოთხოვნა თუ შეთანხმება რეგისტრაციაში გატარდა 1:116 მუხლში მითითებულ საჯარო ქორწინების რეესტრში.

– 3. როდესაც დგინდება, რომ პარ. 1 (b), (c) და (d) პუნქტებში მითითებული განაცხადის ან მოთხოვნისა ანდა პარ. 1 (e) პუნქტში მითითებული შეთანხმების საფუძველზე შედეგად ველარ ვილებით შესაბამისად განქორწინებას, რეგისტრირებული პარტნიორობის გაუქმებას, სასამართლოს განკარგულებით საერთო საკუთრების შეწყვეტას (ლიკვიდაციას) ანდა რეგისტრირებული პარტნიორობის ორმხრივი შეთანხმებით შეწყვეტას, – მეუღლეთა საერთო საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა სამართლებრივი კანონის ძალით აღდგება ისე, თითქოს არანაირი განაცხადი თუ მოთხოვნა არ იქნა წარდგენილი ანდა – შეთანხმება დადებული, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამასობაში წარმოიშვა გაუქმების სხვა საფუძველი. მიუხედავად აღნიშნულისა, იმ გარიგებების სამართლებრივი ძალა, რომლებიც დაიდო, ერთი მხრივ, განაცხადისა თუ მოთხოვნის წარდგენისა თუ შეთანხმების დადების მომენტსა და, მეორე მხრივ, იმ მომენტს შორის, როდესაც დადგინდა, რომ განაცხადი ან მოთხოვნა ანდა შეთანხმება ველარ გამოინვეს პირველ წინადადებაში მითითებულ რაიმე სამართლებრივ შედეგს, – უნდა განისაზღვროს იმ მომენტისათვის, როდესაც გარიგება დაიდო.

– 4. პარ. 1 (b), (c) ან (d) პუნქტებში მითითებულ განაცხადსა თუ მოთხოვნასთან ერთად შესაძლოა წარდგენილ იქნეს სარჩელი ნიდერლანდების სამოქალაქო კოდექსის 3.7 ტიტულის შესაბამისად მოპასუხის მიმართ მეუღლეთა საერთო საკუთრების გაყოფის აკრძალვის მოთხოვნით (ნიდერლანდების სამოქალაქო კოდექსის 3:187 მუხლი), ასევე – იმ წესის განსაზღვრის შესახებ განკარგულების მისაღებად, რომლის თანახმადაც უნდა მოხდეს გაყოფა (ნიდერლანდების სამოქალაქო კოდექსის 3:185 მუხლი) ანდა იმ განკარგულების მისაღებად, რომლითაც დგინდება თავად მეუღლეთა საერთო საკუთრების გაყოფა (ნიდერლანდების სამოქალაქო კოდექსის 3:185 მუხლი).

მუხლი 1:100 მეუღლეთა გაუქმებული საერთო საკუთრების გაყოფა და კრედიტორთა კუთვნილი მოთხოვნების დაკმაყოფილების საშუალებები

– 1. გაუქმებულ მეუღლეთა საერთო საკუთრებაში ორივე მეუღლეს თანაბარი წილები აქვს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი განსხვავებულ წესზე შეთანხმდნენ საქორწინო ხელშეკრულების მეშვეობით ანდა – მეუღლეთა შორის საერთო საკუთრების გაუქმების მოლოდინით დადებული წერილობითი შეთანხმების მეშვეობით იმ სხვა მიზეზის გამო, რასაც არ განეკუთვნება ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალება ან საქორწინო ხელშეკრულების შეწყვეტა.

– 2. ის კრედიტორები, რომლებსაც შეეძლოთ თავიანთი მოთხოვნების დაკმაყოფილება მეუღლეთა საერთო საკუთრებიდან ამ უკანასკნელის გაუქმების მომენტში, რჩებიან უფლებამოსილი, მოახდინონ მოთხოვნების რეალიზაცია მეუღლეთა საერთო საკუთრებიდან მანამდე, სანამ არ მოხდება ამ უკანასკნელის გაყოფა და განაწილება.

მუხლი 1:101 კონკრეტული აქტივების განაწილების მოთხოვნის უპირატესი უფლება

მეუღლეთა საერთო საკუთრების გაუქმების შემდეგ ყოველ მეუღლეს აქვს უფლება, სავარაუდო ფასად მიიღოს ტანსაცმელი და ძვირფასეულობა და ასევე სხვა მცირე საგნები, რომლებიც გამიზნულია პი-

რადი გამოყენებისათვის, ისევე როგორც – ის აქტივები, რომლებსაც მეუღლე იყენებს პროფესიული ან სამეცნიერო საქმიანობის ფარგლებში და ასევე თავისი ოჯახის დოკუმენტები და რელიკვიები.

მუხლი 1:102 პასუხისმგებლობა მეუღლეთა საერთო საკუთრების ვალებისათვის

მეუღლეთა საერთო საკუთრების გაუქმების შემდეგ ყოველი მეუღლე სრულად პასუხისმგებელი რჩება მეუღლეთა საერთო საკუთრების იმ ვალებისათვის, რომელთათვისაც ის პასუხისმგებელი იყო მანამდე. 3:190 მუხლის პარ. 1-სა და 3:191 მუხლის პარ. 1-ის ნორმათა მოქმედების შეზღუდვის გარეშე, საერთო საკუთრებას მიკუთვნებული სხვა ვალებისათვის მეუღლე პასუხისმგებელია სოლიდარულად მეორე მეუღლესთან ერთად იმ პირობით, რომ მეორე მეუღლესთან მიმართებაში კრედიტორს, აღნიშნული ვალების ამოღების მიზნით, შეუძლია გაყიდოს ის საგნები, რომლებიც მეორე მეუღლემ შეიძინა მეუღლეთა საერთო საკუთრების გაყოფისა და განაწილების შედეგად. მეორე წინადადებაში ნახსენები ვალების ამოღების მიზნით წარდგენილი სარჩელი ხანდაზმული ხდება ერთდროულად იმ მეუღლის მიმართ არსებული სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობასთან ერთად, რომლის მიმართაც წარმოიშვა აღნიშნულ წინადადებაში ნახსენები ვალი.

მუხლი 1:103 მეუღლეთა საერთო საკუთრებაზე უარი

– 1. ყოველ მეუღლეს აქვს უფლება, უარი თქვას მეუღლეთა საერთო საკუთრებაზე; ბათილია საქორწინო ხელშეკრულებაში ან ნებისმიერ სხვა ხელშეკრულებაში ამ ნორმის საწინააღმდეგო ყოველგვარი შეთანხმება.

– 2. მეუღლეთა საერთო საკუთრების ის ნაწილი, რაზეც ითქვა უარი, ემატება მეორე მეუღლის ნაწილს.

– 3. უარის განმცხადებელი მეუღლე ვერ მოითხოვს მეუღლეთა საერთო საკუთრებიდან სხვა რაიმე ნივთს, გარდა თავისი ლოგინისა და შესაბამისი თეთრეულის და ასევე – იმ ტანსაცმლისა, რომელიც მას ესაჭიროება პირადი სარგებლობისათვის. მას შეუძლია სავარაუდო ფასად მიიღოს თავისი ოჯახის დოკუმენტები და რელიკვიები.

– 4. უარის გაცხადებით მეუღლე თავისუფლდება მასზე დაკისრებული პასუხისმგებლობისაგან მეუღლეთა საერთო საკუთრების იმ ვალებისათვის, რომელთათვისაც ის არ იყო პასუხისმგებელი როგორც მხარე საერთო საკუთრების გაუქმებამდე; ის თავისუფლდება ასევე მეორე მეუღლის მიმართ არსებული ვალდებულებისაგან, მონაწილეობა მიიღოს ასეთი ვალების დაფარვაში.

– 5. აღნიშნული მეუღლე რჩება პასუხისმგებელი მეუღლეთა საერთო საკუთრების იმ ვალებისათვის, რომელთათვისაც ის პასუხისმგებელი იყო როგორც მხარე საერთო საკუთრების გაუქმებამდე. თუ მან განახორციელა იმ ვალის ნახევარზე მეტის შესრულება, რომლისათვისაც თითოეული მეუღლე სრულად სოლიდარულად პასუხისმგებელი იყო საერთო საკუთრების გაუქმებამდე, მაშინ მას შეუძლია მოახდინოს თავისი მოთხოვნის რეალიზაცია მეორე მეუღლის მიმართ იმდენად, რამდენადაც მან მოახდინა აღნიშნული ვალის ნახევარზე მეტის დაფარვა.

– 6. თუ მეორე მეუღლემ სრულად ან ნაწილობრივ განახორციელა საერთო საკუთრების იმ ვალის დაფარვა, რომლისათვისაც ის არ იყო პასუხისმგებელი როგორც მხარე საერთო საკუთრების გაუქმებამდე, მაშინ მას შეუძლია მოახდინოს თავისი მოთხოვნის რეალიზაცია იმ მეუღლის მიმართ, რომელმაც განაცხადა უარი მეუღლეთა საერთო საკუთრებაზე. თუ მან განახორციელა იმ ვალის ნახევარზე მეტის შესრულება, რომლისათვისაც თითოეული მეუღლე სრულად სოლიდარულად პასუხისმგებელი იყო საერთო საკუთრების გაუქმებამდე, მაშინ მას შეუძლია მოახდინოს თავისი მოთხოვნის რეალიზაცია იმ მეუღლის მიმართ, რომელმაც განაცხადა უარი მეუღლეთა საერთო საკუთრებაზე იმდენად, რამდენადაც მან რეალურად დაფარა აღნიშნული ვალი.

მუხლი 1:104 მეუღლეთა საერთო საკუთრებაზე უარის მიმართ არსებული სამართლებრივი მოთხოვნა

– 1. ის მეუღლე, რომელსაც სურს წინა მუხლში განსაზღვრული უარის უფლების გამოყენება, აღნიშნული უფლების დაკარგვის სანქციით უნდა დარწმუნდეს იმაში, რომ საერთო საკუთრების გაუქმებიდან სამი თვის განმავლობაში ხდება უარის მონაწილის 1:116 მუხლში მითითებულ მეუღლეთა ქონების რეესტრში რეგისტრაცია.

– 2. თუ მეუღლეთა საერთო საკუთრება გაუქმდა მეორე მეუღლის გარდაცვალების გამო, მაშინ სამთვიანი ვადის დენა იწყება იმ დღიდან, როდესაც იმ მეუღლემ, რომელსაც სურს წინა მუხლში განსაზღვრული უარის უფლების გამოყენება, შეიტყო მეორე მეუღლის გარდაცვალების შესახებ. თუ მეუღლეთა საერთო საკუთრება გაუქმდა მისი შეწყვეტის ანდა მეუღლეთა განცალკევებით ცხოვრების რეჟიმის

დადგენის გამო, მაშინ სამთვინი ვადის დენა იწყება იმ დღიდან, როდესაც სასამართლოს განკარგულება შევიდა კანონიერ ძალაში და გახდა მბოჭავი.

მუხლი 1:105 ერთ-ერთი მეუღლის მემკვიდრეთა უარი

– 1. იმ მეუღლის მემკვიდრეებს, რომლის გარდაცვალებამ გამოიწვია მეუღლეთა საერთო საკუთრების გაუქმება, ანდა – იმ მეუღლის მემკვიდრეებს, ვინც გარდაიცვალა წინა მუხლში მოცემულ ვადაში უარის გაცხადების გარეშე, აქვთ უფლება, უარი თქვან თავიანთ კუთვნილ წილზე წინა მუხლში გათვალისწინებული წესით იმ პირობით, რომ უარი ხორციელდება სამი თვის განმავლობაში მას შემდეგ, რაც ამ მემკვიდრეებმა შეიტყვეს მეუღლის გარდაცვალების შესახებ.

– 2. მეუღლის უფლება, მეუღლეთა საერთო საკუთრებიდან მოითხოვოს თავისი ლოგინი, შესაბამისი თეთრეული და ტანსაცმელი, არ ექვემდებარება სხვა პირისათვის გადაცემას და ასევე არ გადადის მემკვიდრეობით.

მუხლი 1:106 ერთ-ერთი მეუღლის მემკვიდრეთა უარი

იმ რაიონულ სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზე განთავსებულია ის მუნიციპალიტეტი, სადაც უნდა გატარდეს რეგისტრაციაში უარის მოწმობა, განსაკუთრებული გარემოებების საფუძველზე შეუძლია ერთჯერ ან მეტჯერ გაახანგრძლივოს რეგისტრაციისათვის დადგენილი ვადა იმ პირობით, რომ ამ მომენტისათვის მიმდინარე ვადა ჯერ არ არის გასული.

მუხლი 1:107 მეუღლეთა საერთო საკუთრებაზე უარის გაცხადების უფლების დაკარგვა

– 1. იმ მეუღლეს ან მემკვიდრეს, რომელმაც მიითვისა აქტივები მეუღლეთა საერთო საკუთრებიდან ანდა დამალა ან უკანონოდ მიითვისა ასეთი აქტივები, აღარ შეუძლია მეუღლეთა საერთო საკუთრებაზე უარის გაცხადება. ჩვეულებრივ ადმინისტრაციულ და ასევე აქტივების შენარჩუნებისკენ მიმართულ ქმედებებს არ უნდა ჰქონდეს აღნიშნული შედეგი.

– 2. პირი, ვინც უარის გაცხადების შემდეგ მალავს ან უკანონოდ ითვისებს მეუღლეთა საერთო საკუთრების აქტივებს, კარგავს 1:103 მუხლის პარ. 4-ის ნორმაზე მითითების უფლებას.

მუხლი 1:108 ორივე მეუღლის ან მათი მემკვიდრეების მხრიდან უარი მეუღლეთა საერთო საკუთრებაზე

– 1. მეუღლეთა საერთო საკუთრებაზე მეუღლის ან მისი მემკვიდრეების უარს არ უნდა ჰქონდეს 1:103 მუხლის პარ. 2 და 3-ში განსაზღვრული შედეგი მას შემდეგ, რაც მეორე მეუღლემ ან ერთ-ერთმა მისმა მემკვიდრემ უკვე განაცხადა უარი მეუღლეთა საერთო საკუთრებაზე ან თავის წილზე მასში, და ასევე ეს უარი ავალდებულებს მეუღლეთა საერთო საკუთრებაზე უფლებამოსილ პირებს ამ საერთო საკუთრების ლიკვიდაციის განხორციელებას. შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად გამოიყენება სამოქალაქო კოდექსის მე-4 წიგნის ტიტული 4-ის განყოფილება 3-ის ნორმები, რომლებიც ეხება გარდაცვლილის ქონების ლიკვიდაციას.

– 2. ის პირი, რომელსაც ეკისრება რა მეუღლეთა საერთო საკუთრების ლიკვიდაციის ვალდებულება, ვერ ასრულებს ამ ვალდებულებას იმის შემდეგაც კი, როდესაც ის ფორმალურად იქნა გაფრთხილებული ლიკვიდაციის პროცესის განხორციელების შესახებ ანგარიშის წარდგენაზე, კარგავს 1:103 მუხლის პარ. 4-ის ნორმაზე მითითების უფლებას.

განყოფილება 1.7.4 – მეუღლეთა საერთო საკუთრების შეწყვეტა სასამართლოს განკარგულების საფუძველზე

მუხლი 1:109 მეუღლეთა საერთო საკუთრების შეწყვეტის საფუძველები

მეუღლეს შეუძლია მოითხოვოს {მოსთხოვოს რაიონულ სასამართლოს} მეუღლეთა საერთო საკუთრების შეწყვეტა იმ საფუძველზე, რომ მეორე მეუღლე წინდაუხედავად კისრულობს ვალებს, ანიავეს საერთო საკუთრების აქტივებს, ახორციელებს იმ ქმედებებს, რომლებიც აშკარად წინააღმდეგობაშია მისი პარტნიორის უფლებასთან, მართოს საერთო საკუთრების აქტივები ანდა – იმ საფუძველზე, რომ მეორე მეუღლე უარს აცხადებს მეუღლეთა საერთო საკუთრების აქტივებისა და ამ უკანასკნელთა ხარჯზე დასაფარი ვალების მდგომარეობისა თუ იმ პროცედურის შესახებ აუცილებელი ინფორმაციის მიწოდებაზე, რომლის მიხედვითაც აღნიშნული აქტივები იქნა მართული.

მუხლი 1:110 მეუღლეთა საერთო საკუთრების შეწყვეტის მოთხოვნის გამოქვეყნება

იმ მეუღლეს, ვინც ითხოვს მეუღლეთა საერთო საკუთრების შეწყვეტას, შეუძლია მიიღოს ყველა ის ზომა, რომელიც აუცილებელია მისი უფლებების დასაცავად, როგორც ეს გათვალისწინებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმებით.

მუხლი 1:111 მეუღლეთა საერთო საკუთრების შეწყვეტის შესახებ სასამართლოს განკარგულების სამართლებრივი შედეგი

– 1. თუ იმ მეუღლემ, ვის მიმართაც დაკმაყოფილდა მეუღლეთა საერთო საკუთრების შეწყვეტის მოთხოვნა, ზიანი მიაყენა საერთო საკუთრებას იმ ფაქტებთან დაკავშირებული სასამართლო პროცესის დაწყებიდან ანდა ამ პროცესის დაწყებიდან ექვსთვიანი ვადის განმავლობაში იმით, რომ მან წინდაუხედავად იკისრა ვალები ან გაანიავა საერთო საკუთრების აქტივები ანდა 1:88 მუხლში მითითებული გარიგებები დადო აუცილებელი თანხმობისა თუ ნებართვის გარეშე, – მაშინ მას დაეკისრება მეუღლეთა საერთო საკუთრებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.

– 2. წინა პარაგრაფის ნორმებზე დაფუძნებული სარჩელი წარდგენილ უნდა იქნეს სამი წლის ვადის განმავლობაში იმ დღიდან, როდესაც საერთო საკუთრების შეწყვეტის (ლიკვიდაციის) შესახებ მოთხოვნა წარედგინა რაიონულ სასამართლოს.

მუხლი 1:112 {გაუქმებულია 2012 წლის 1 იანვარს}

მუხლი 1:113 მეუღლეთა საერთო საკუთრებისათვის მიყენებული ზიანის გამოსწორება

თუ მეუღლეთა საერთო საკუთრება გაუქმდა მისი შეწყვეტის შედეგად, მეუღლეებს შეუძლიათ შემდგომში კვლავ დააფუძნონ საერთო საკუთრება, თუმცა, – მხოლოდ საქორწინო ხელშეკრულების მეშვეობით.

ტიტული 1.8 – საქორწინო ხელშეკრულებები

განყოფილება 1.8.1 – საქორწინო ხელშეკრულებები ზოგადად

მუხლი 1:114 საქორწინო ხელშეკრულების დადება დაქორწინებამდე ან ქორწინების პერიოდში

საქორწინო ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მომავალ მეუღლეებს შორის დაქორწინებამდე (ქორწინებამდელი საქორწინო ხელშეკრულება) ან ქორწინების პერიოდში (დაქორწინების შემდგომი საქორწინო ხელშეკრულება).

მუხლი 1:115 სანოტარო აქტი; წარმომადგენლობის წერილობითი ნებართვა

– 1. ბათილობის სანქციით საქორწინო ხელშეკრულება უნდა დაიდოს სანოტარო აქტის ფორმით.

– 2. საქორწინო ხელშეკრულების დადების მიზნით ერთ-ერთი მხარისათვის მიცემული ნებართვა უნდა გაფორმდეს წერილობით და ის უნდა შეიცავდეს საქორწინო ხელშეკრულებაში გასათვალისწინებელ დებულებებს.

მუხლი 1:116 მესამე პირთა ინტერესების დაცვა

– 1. საქორწინო ხელშეკრულებაში მოცემული დებულებები შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ მესამე პირთა მიმართ, რომლებმაც არ იცოდნენ მათი არსებობის შესახებ, თუ ეს დებულებები რეესტრაციაში გატარდა მეუღლეთა ქონების საჯარო რეესტრში, ინახება იმ რაიონული სასამართლოს რეესტრში, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც გაფორმდა ქორწინება, ხოლო თუ ქორწინება გაფორმდა ნიდერლანდების ფარგლებს გარეთ, მაშინ – ჰააგის რაიონული სასამართლოს რეესტრში.

– 2. მეუღლეთა ქონების რეესტრის კონსულტაციის ორგანიზაციური მოწყობა და მეთოდები რეგულირდება მეფის სამთავრობო ბრძანებით.

– 3. პარ. 1-ის ნორმათა გვერდის ავლით მეფის სამთავრობო ბრძანების საფუძველზე შესაძლებელია დადგინდეს განსხვავებული წესი იმის თაობაზე, რომ აღნიშნული რეესტრის წარმოება მოხდეს სხვაგვანა, ნაცვლად რაიონული სასამართლოს რეესტრისა. მეფის სამთავრობო ბრძანების საფუძველზე შესაძლებელია ასევე იმ წესის დადგენა, რომლის მიხედვითაც რეესტრში სარეესტრაციო მონაცემების წარდგენა შეიძლება მოხდეს მხოლოდ მეფის სამთავრობო ბრძანებაში განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად.

მუხლი 1:117 საქორწინო ხელშეკრულების დადების უუნარობა

– 1. დაქორწინებამდე დადებული ან შეცვლილი საქორწინო ხელშეკრულება (ქორწინებამდელი საქორწინო ხელშეკრულება) ნამდვილია იმ შემთხვევაში, როდესაც იმ პირებმა, რომელთა თანხმობაც სამართლებრივი თვალსაზრისით მოითხოვება დაქორწინებისათვის, განაცხადეს ამ თანხმობის შესახებ საქორწინო ხელშეკრულების ანდა მისი ცვლილების სანოტარო აქტში; როდესაც მოითხოვება რაიონული სასამართლოს ნებართვა, მაშინ საკმარისია სანოტარო აქტის დედნისათვის სასამართლოს განკარგულების დართვა. რაიონული სასამართლოს ნებართვის მოთხოვნის მიმართ შესაბამისად გამოიყენება 1:39 მუხლის პარ. 1.

– 2. დაქორწინებამდე დადებული საქორწინო ხელშეკრულება (ქორწინებამდელი საქორწინო ხელშეკრულება) ძალაში შედის ქორწინების გაფორმების მომენტიდან; ამ მიზნით ხელშეკრულების ძალაში შესვლის სხვა მომენტის მითითება დაუშვებელია.

მუხლი 1:118 მეურვეობის („curatele“) ქვეშ მყოფი ზრდასრული პირის უუნარობა, დადოს საქორწინო ხელშეკრულება

ქორწინების გაფორმების შემდეგ მეურვეობის („curatele“) ქვეშ მყოფ ზრდასრულ მეუღლეს საქორწინო ხელშეკრულების დადება ან მასში ცვლილებების შეტანა შეუძლია მხოლოდ მისი იურიდიული მეურვის („curator“) თანხმობით.

მუხლი 1:119 დაქორწინების შემდგომი საქორწინო ხელშეკრულების დადებაზე რაიონული სასამართლოს ნებართვა

– 1. იმ მეუღლეებს, რომლებსაც მათი ქორწინების განმავლობაში სურთ საქორწინო ხელშეკრულების დადება ან მასში ცვლილებების შეტანა, ამ უკანსაკნელის განხორციელებისათვის ესაჭიროებათ რაიონული სასამართლოს ნებართვა. განაცხადის შეტანისას ასევე უნდა იქნეს წარდგენილი სანოტარო აქტის პროექტი. განაცხადი შეიძლება წარდგენილ იქნეს ადვოკატის შუამავლობის გარეშეც.

– 2. რაიონულ სასამართლოს შეუძლია სრულად ან ნაწილობრივ უარი თქვას თავისი ნებართვის გაცემაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა საფრთხე იმისა, რომ მეუღლეთა კრედიტორებს შეეღებებათ თავიანთი მოთხოვნების დაკმაყოფილების უფლებები ანდა თუ საქორწინო ხელშეკრულების ერთი ან მეტი დებულება ეწინააღმდეგება კანონის იმპერატიულ ნორმებს, ზნეობასა თუ საჯარო წესრიგს.

– 3. თუ სანოტარო აქტი არ იდება სამი თვის განმავლობაში იმ მომენტიდან, როდესაც ძალაში შევიდა და მოჭავი გახდა სასამართლოს განკარგულება, რომელშიც მოცემულია აუცილებელი ნებართვა, – მაშინ ეს ნებართვა კარგავს თავის ძალას.

მუხლი 1:120 ქორწინების პერიოდში დადებული დაქორწინების შემდგომი საქორწინო ხელშეკრულება (მესამე პირთა ინტერესების დაცვა)

– 1. ქორწინების პერიოდში დადებული ან შეცვლილი საქორწინო ხელშეკრულება (დაქორწინების შემდგომი საქორწინო ხელშეკრულება) ძალაში შედის იმ დღის შემდგომ, როდესაც სანოტარო აქტი გაფორმდა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს აქტი აღნიშნული მიზნით უთითებს უფრო გვიანდელ თარიღს.

– 2. აღნიშნული დაქორწინების შემდგომი საქორწინო ხელშეკრულებაში მოცემული დებულებები შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ მესამე პირთა მიმართ, რომლებმაც არ იცოდნენ მათი არსებობის შესახებ, თუ ეს დებულებები მეუღლეთა ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაციაში გატარდა, სულ ცოტა, თოთხმეტი დღის ვადით.

მუხლი 1:121 საქორწინო ხელშეკრულების შინაარსი

– 1. თავიანთ საქორწინო ხელშეკრულებაში მხარეებს შეუძლიათ გადაუხვიონ მეუღლეთა საერთო საკუთრების მომწესრიგებელ კანონისმიერი ნორმებს იმ პირობით, რომ განსხვავებული დებულებები არ ეწინააღმდეგება კანონის იმპერატიულ ნორმებს, ზნეობასა თუ საჯარო წესრიგს.

– 2. დაუშვებელია საქორწინო ხელშეკრულებაში მხარეთა შეთანხმება იმის შესახებ, რომ მათი ორმხრივი ურთიერთობის ფარგლებში ერთ-ერთი მათგანი პასუხისმგებელია ვალების უფრო მეტ წილზე, ვიდრე შეადგენს მისი წილი მეუღლეთა საერთო საკუთრების აქტივებში.

– 3. დაუშვებელია მხარეთა მიერ კანონისმიერი ნორმებიდან გადახვევა როგორც შვილებზე არსებული უფლებამოსილებიდან გამომდინარე (მშობლის პასუხისმგებლობა), ისე ცოცხლად დარჩენილი მეუღლისათვის კანონით მინიჭებული უფლებების საზიანოდ.

მუხლი 1:122 {გაუქმებულია 2012 წლის 1 იანვარს}

მუხლი 1:123 {გაუქმებულია 2012 წლის 1 იანვარს}

მუხლი 1:124 {გაუქმებულია 2012 წლის 1 იანვარს}

მუხლი 1:125 {გაუქმებულია 2012 წლის 1 იანვარს}

მუხლი 1:126 {გაუქმებულია 2012 წლის 1 იანვარს}

მუხლი 1:127 {გაუქმებულია 2012 წლის 1 იანვარს}

მუხლი 1:128 {გაუქმებულია 2012 წლის 1 იანვარს}

მუხლი 1:129 {გაუქმებულია 01.09.2002წ.}

მუხლი 1:130 მტკიცებულება მესამე პირთა მიმართ იმის შესახებ, რომ აქტივი წარმოადგენს პირად ქონებას

როდესაც მეუღლე დაქორწინდა იმ ქორწინებამდელი საქორწინო ხელშეკრულების შესაბამისად, რომელშიც მითითებულია, რომ ამ მომენტისათვის მისი კუთვნილი საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდები თუ არარეგისტრირებული მოძრავი ნივთები არ შედის მეუღლეთა საერთო საკუთრებაში, – მაშინ მესამე პირთა მიმართ მას შეუძლია მხოლოდ იმის მტკიცება, რომ აღნიშნული აქტივები ჯერ კიდევ მიეკუთვნება მის პირად ქონებას, თუ მან თითოეული აქტივი ზუსტად დაასახელა რეგისტრირებულ საქორწინო ხელშეკრულებაში ანდა ორივე მეუღლისა და ნოტარიუსის მიერ ხელმოწერილ იმ სიაში, რომელიც თან ერთვის საქორწინო ხელშეკრულების სანოტარო აქტის დედანს. თუ დასახელებული აქტივი არ არის საკმარისად განსაზღვრული აღნიშნულ დოკუმენტებში, მაშინ დასაშვებია ნებისმიერი სახის დამატებითი დამხმარე მტკიცებულებების წარდგენა; თუ მეუღლემ არ იცოდა იმის შესახებ, რომ ქორწინებამდელი საქორწინო ხელშეკრულების საფუძველზე აქტივი დაქორწინების მომენტში მას ეკუთვნოდა, მაშინ ამ მეუღლეს შეუძლია გამოიყენოს ნებისმიერი მტკიცებულება იმის დასადასტურებლად, რომ აღნიშნული წარმოადგენს მის პირად ქონებას.

მუხლი 1:131 მტკიცებულებათა არარსებობა მეუღლეთა შორის

– 1. როდესაც მეუღლეთა საერთო საკუთრებაში არმყოფი მეუღლეები დავობენ იმ საკითხთან დაკავშირებით, თუ რომელ მათგანს ეკუთვნის საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდი თუ არარეგისტრირებული მოძრავი ნივთი და არც ერთს არ შეუძლია თავისი უფლების არსებობის მტკიცება, მაშინ ივარაუდება, რომ აქტივის ნახევარი ეკუთვნის ერთ-ერთ მეუღლეს, ხოლო მეორე ნახევარი კი, – მეორე მეუღლეს.

– 2. ზემოაღნიშნული სამართლებრივი პრეზუმფცია არ გამოიყენება მეუღლეთა კრედიტორების ინტერესების საზიანოდ.

განყოფილება 1.8.2 – საქორწინო ურთიერთობებში მეუღლეების წილთა გათანაბრების ვალდებულებები

ქვეგანყოფილება 1.8.2.1 – საქორწინო ურთიერთობებში მეუღლეების წილთა გათანაბრების ვალდებულებების მომწესრიგებელი ზოგადი ნორმები

მუხლი 1:132 სამოქალაქო კოდექსის განყოფილება 1.8.2-ის ნორმების გამოყენება

– 1. წინამდებარე განყოფილების ნორმები გამოიყენება იმ საქორწინო ხელშეკრულებათა მიმართ, რომლებიც ითვალისწინებს მეუღლეთა შემოსავლებისა თუ ქონების გათანაბრების ერთ ან მეტ ვალდებულებას (საქორწინო ურთიერთობებში მეუღლეების წილთა გათანაბრების ვალდებულებები).

– 2. დასაშვებია საქორწინო ხელშეკრულებაში, წინამდებარე განყოფილების კანონისმიერი ნორმებიდან როგორც ამკარა, ისე შესაბამისი დებულების ბუნების შესაბამისად გადახვევა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კანონი სხვაგვარად უთითებს.

მუხლი 1:133 კონკრეტული შემოსავლებისა თუ ქონების გათანაბრების ორმხრივი ვალდებულება

- 1. შემოსავლებისა თუ ქონების გათანაბრების ვალდებულება (საქორწინო ურთიერთობებში მეუღლეების წილთა გათანაბრების ვალდებულება) თანაზიარია ორივე მეუღლისათვის.

- 2. გათანაბრების ვალდებულება ეხება მხოლოდ და მხოლოდ მეუღლის მიერ ამ ვალდებულების არსებობის პერიოდში შექმნილ შემოსავლებსა თუ ქონებას. გათანაბრების ვალდებულება არ ეხება მეუღლის მიერ არც მემკვიდრეობით, ლეგატიით, პირობითი საანდერძო განკარგულებით ან ჩუქებით მიღებულ ქონებას, არც ამ ქონებიდან მიღებულ სარგებელს (ნაყოფს) და ასევე – არც იმ აქტივს, რომელიც მიღებულ იქნა აღნიშნული ქონებისა თუ სარგებლის სანაცვლოდ. ანალოგიურად, გათანაბრების ვალდებულება არ ეხება უზუფრუქტის დადგენის არსებულ მოთხოვნებს, როგორც ეს მითითებულია 4:29 და 4:30 მუხლებში, ზემოთ ნახსენები საკანონმდებლო ნორმების საფუძველზე დადგენილ უზუფრუქტს და – იმას, რისი შექმნაც ხდება 4:34, 4:35, 4:36, 4:38 მუხლებისა და 4:126 მუხლის პარ. 2 (a) და (c) პუნქტების და ასევე ნიდერლანდების სამოქალაქო კოდექსის 4.4.2 განყოფილების ნორმების შესაბამისად.

მუხლი 1:134 მოანდერძის ან გამჩუქებლის მიერ დადგენილი გამომრიცხავი დათქმა

დასაშვებია ანდერძში დათქმა იმის შესახებ, რომ არ უნდა მოხდეს არც მემკვიდრეობით, ლეგატიით, პირობითი საანდერძო განკარგულებით ან ჩუქებით მიღებული ქონებისა და ასევე არც ამ ქონებიდან მიღებული სარგებლის (ნაყოფის) გათანაბრება, თუნდაც იმ შემთხვევაში, თუ ასეთი გათანაბრება უნდა განხორციელებულიყო საქორწინო ხელშეკრულების შესაბამისად. იგივე დათქმა შეიძლება გაკეთდეს ჩუქების განხორციელებისას იმდენად, რამდენადაც საქმე ეხება ნაჩუქარ ქონებასა და მისგან მისაღებ სარგებელს.

მუხლი 1:135 წილთა გათანაბრება შემოსავლებისა თუ ქონების ღირებულებაში თანაბარი ნაწილების მიღების მიზნით

- 1. შემოსავლებისა თუ ქონების გათანაბრება ხორციელდება იმგავარად, რომ ორივე მეუღლე უფლებამოსილი იყოს იმ შემოსავლებისა თუ ქონების ღირებულების ნახევარზე, რაც მოქცეულია გათანაბრების ვალდებულებათა სფეროში.

- 2. 3:181, 3:183 და 3:195-დან 3:200-ის ჩათვლით მუხლები შესაბამისად გამოიყენება აღნიშნული წილთა გათანაბრების მიმართ იმ პირობით, რომ მოხდეს შეფასება იმისა, მიიღო თუ არა მეუღლემ 3:196 მუხლში აღნიშნული ზიანი; გადამწყვეტია 3:142 მუხლში მითითებული ათვლის დღეები. შესაბამისად გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 677-დან 680-ის ჩათვლით მუხლების ნორმები.

- 3. როდესაც მეუღლემ განზრახ დამალა, დაკარგა ან უარი თქვა იმ აქტივზე, რომელიც მიეკუთვნება წილთა გათანაბრებას დაქვემდებარებულ ქონებას, ხოლო შედეგად კი ამ აქტივის ღირებულება არ იქნა ჩართული გათანაბრების პროცესში, მაშინ ამ მეუღლემ უნდა აუნაზღაუროს მეორე მეუღლეს აღნიშნული აქტივის მთლიანი ღირებულება, ნაცვლად უბრალოდ მისი ღირებულების ნახევრის გათანაბრებისა.

მუხლი 1:136 ქონების შექმნისათვის გამოყენებული აქტივები, რომლებიც ექვემდებარება წილთა გათანაბრებას

- 1. თუ აქტივის შექმნა მოხდა იმ სამაგიერო შესრულების სანაცვლოდ, რომელიც ნაწილობრივ აღებულ იქნა წილთა გათანაბრებას დაქვემდებარებული ქონებიდან, მაშინ შექმნილი აქტივი მიენერება ამ ქონებას იმ წილის ოდენობით, რომელიც უტოლდება წილთა გათანაბრებას დაქვემდებარებული ქონებიდან აღებულ სამაგიერო შესრულების ნაწილის ღირებულებას, გაყოფილი ამ სამაგიერო შესრულების მთლიან ღირებულებაზე, რომლის დროსაც ორივე ღირებულების გამოთვლა ხდება შექმნის მომენტში. თუ მეუღლემ აქტივის შექმნის მიზნით იკისრა ვალი, მაშინ ამ აქტივის მიწერა პირველი წინადადების შესაბამისად უნდა მოხდეს წილთა გათანაბრებას დაქვემდებარებული ქონებისათვის იმ ოდენობით, რა ოდენობითაც ვალი მიეკუთვნება ამ ქონებას ანდა ხდება მისი გადახდა თუ შესრულება ქონებაში არსებული აქტივების გამოყენებით.

- 2. როდესაც მეუღლეები დავობენ იმ საკითხთან დაკავშირებით, უნდა მოხდეს თუ არა წილთა გათანაბრებას დაქვემდებარებული ქონებისათვის აქტივის მიწერა და არც ერთ მათგანს არ შეუძლია იმის დამტკიცება, რომ აქტივი უნდა მიენეროს წილთა გათანაბრებას დაქვემდებარებულ ქონებას, მაშინ აღნიშნული აქტივის მიწერა უნდა მოხდეს წილთა გათანაბრებას დაქვემდებარებული ქონებისათვის. ეს სამართლებრივი პრეზუმფცია არ გამოიყენება მეუღლეთა კრედიტორების ინტერესების საზიანოდ.

მუხლი 1:137 ნილთა გათანაბრების ვალდებულებიდან წარმოშობილი სავალო მოთხოვნები გამოიხატება ფულად თანხებში

- 1. პარ. 3-ის ნორმათა მოქმედების შეზღუდვის გარეშე, ნილთა გათანაბრება უნდა ქმნიდეს მხოლოდ ფულად თანხებში გამოხატულ სავალო მოთხოვნებს.
- 2. თუ საქორწინო ხელშეკრულებიდან გამომდინარე ორივე მეუღლე უფლებამოსილია ვადამოსული (აღსრულებადი) ნილთა გათანაბრების ვალდებულებიდან წარმოშობილ სავალო მოთხოვნებზე, მაშინ ორივე სავალო მოთხოვნა უნდა გაიქვითოს ერთმანეთთან კანონის ძალით უფრო ნაკლები ღირებულების მქონე მოთხოვნის თანხის ფარგლებში.
- 3. მეუღლეს დარჩენილი მხოლოდ ვალდებულების შესრულების სახით მიიღოს – და მას შეუძლია ასევე მხოლოდ მოითხოვოს – სხვა აქტივები, ვიდრე ფული, როგორც ეს მითითებულია პარ. 1-ში, თუ ფულადი თანხების გადახდა მიუღებელი იქნებოდა გონივრულობისა და სამართლიანობის სტანდარტების მიხედვით.

მუხლი 1:138 ნილთა გათანაბრებას დაქვემდებარებული კერძო ქონების მართვისათვის ანგარიშის წარდგენის ვალდებულების არარსებობა

- 1. მეუღლეებს ერთმანეთის მიმართ არ ეკისრებათ მათი მეუღლეთა ნილთა გათანაბრების ვალდებულებათა სფეროში მოქცეული პირადი ქონების მართვისათვის ანგარიშის წარდგენის ვალდებულება. ამ ქონების სუსტი მართვა არ იწვევს შედეგად მეორე მეუღლის მიმართ პასუხისმგებლობას.
- 2. მეუღლეებს წელიწადში ერთხელ შეუძლიათ მოითხოვონ ერთმანეთისაგან იმ შემოსავლებისა და ქონების განსაზღვრული, წერილობითი და ხელმოწერილი სია, რაც მოქცეულია გათანაბრების ვალდებულებათა სფეროში. ამ ნორმიდან გადახვევა დაუშვებელია.
- 3. მეუღლეთა შორის აღნიშნულ სიასთან დაკავშირებით არსებული დავები წყდება რაიონული სასამართლოს მიერ ერთ-ერთი მეუღლის მოთხოვნის საფუძველზე.

მუხლი 1:139 მეუღლეთა ნილთა გათანაბრების ორმხრივი ვალდებულებების გაქარწყლება და ზიანის ანაზღაურება

- 1. მეუღლეს შეუძლია მოითხოვოს შემოსავლებისა თუ ქონების გათანაბრების ორმხრივი ვალდებულებების გაქარწყლება, თუ მეორე მეუღლე წინდაუხედავად კისრულობს ვალებს, ან იავებს თავის აქტივებს, ანდა უარს აცხადებს გასათანაბრებელი შემოსავლებისა თუ ქონების სიის მინოდებაზე, როგორც ეს მითითებულია 1:138 მუხლის პარ. 1-ში.
- 2. თუ იმ მეუღლემ, ვის მიმართაც იქნა მოთხოვნა წარდგენილი, ზიანი მიაყენა გათანაბრებას დაქვემდებარებულ ქონებას სასამართლო პროცესის დაწყებიდან ანდა ამ პროცესის დაწყებამდე ექვსი თვის განმავლობაში იმის შედეგად, რომ მან წინდაუხედავად იკისრა ვალები ან გაანიავა გათანაბრებას დაქვემდებარებული ქონება ანდა 1:88 მუხლში მითითებული გარიგებები დადო რაიონული სასამართლოს აუცილებელი თანხმობისა თუ ნებართვის გარეშე, – მაშინ მას დაეკისრება მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.
- 3. წინამდებარე მუხლის პარ. 1 ან 2-ით გათვალისწინებული წესებიდან გადახვევა დაუშვებელია.

მუხლი 1:140 ნილთა გათანაბრების ასანაზღაურებელი თანხების გადახდის გაფართოება

- 1. იმ მეუღლის მოთხოვნის საფუძველზე, რომელმაც უნდა განახორციელოს გადახდა შემოსავლებისა თუ ქონების გათანაბრების ვალდებულების შესრულების მიზნით, რაიონულ სასამართლოს მნიშვნელოვანი მიზეზების არსებობისას შეუძლია დაადგინოს, რომ ნილთა გათანაბრების ასანაზღაურებელი თანხები, იმ დარიცხული პროცენტით, რომელიც განისაზღვრება სასამართლოს განკარგულებით ან ამ პროცენტის გარეშე, შეიძლება გადახდილ იქნეს ნაწილ-ნაწილ ანდა – მხოლოდ განსაზღვრული ვადის გავლის შემდეგ ერთიანი თანხისა თუ პერიოდული გადახდების სახით. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლო ითვალისწინებს ორივე მხარის ინტერესებს. სასამართლოს თანხების გადახდაზე ვალდებულ მეუღლეს შეუძლია მოითხოვოს დავალიანების ფულადი თანხის გადახდისათვის განსაზღვრულ ვადაში სანივთო ან პერსონალური უზრუნველყოფის წარდგენა.
- 2. როდესაც პარ. 1-ში მითითებული მეუღლე გარდაიცვლება, ამ პარაგრაფის დებულებები შესაბამისად გამოიყენება უნივერსალური სამართალმემკვიდრეობით მის მემკვიდრეთა მიმართ.
- 3. წინამდებარე მუხლის პარ. 1 ან 2-ით გათვალისწინებული წესებიდან გადახვევა დაუშვებელია.

ქვეგანყოფილება 1.8.2.2 – ნილთა გათანაბრების პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებები

მუხლი 1:141 მეუღლეთა ნილთა გათანაბრების პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებების მომწესრიგებელი სპეციალური საკანონმდებლო ნორმები

– 1. როდესაც საქორწინო ხელშეკრულებაში გათვალისწინებული ნილთა გათანაბრების ვალდებულებები ეხება მხოლოდ ქორწინების განსაზღვრულ პერიოდს და ამ უკანასკნელის განმავლობაში არანაირი შემოსავლებისა თუ ქონების გათანაბრება არ მომხდარა, მაშინ ამ პერიოდისათვის არსებული ნილთა გათანაბრების ვალდებულებები ძალაში რჩება და ისინი უნდა გავრცელდეს იმ აქტივების ინვესტიციებისა და რეინვესტიციების თანხების სალდოზე, რომლებიც უნდა დაქვემდებარებოდა გათანაბრებას, და – ასევე მისგან მიღებულ სარგებელზეც (ნაყოფზეც).

– 2. როდესაც საქორწინო ხელშეკრულებაში გათვალისწინებული ნილთა გათანაბრების ვალდებულებები ეხება მხოლოდ ქორწინების განსაზღვრულ პერიოდს, მაშინ ეს ვალდებულებები უნდა დასრულდეს 1:142 მუხლში განსაზღვრულ მომენტში, თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც ეს ვადა ჯერ კიდევ არ არის გასული.

– 3. თუ საქორწინო ხელშეკრულებაში გათვალისწინებული პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულება, როგორც ეს მითითებულია პარ. 1-ში, ქორწინების შეწყვეტამდე არ იქნა შესრულებული, მაშინ ივარაუდება, რომ ამ მომენტისათვის არსებული ქონება შეიცავს იმას, რაც უნდა დაქვემდებარებოდა გათანაბრებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვაგვარი შედეგი დგება გონივრულობისა და სამართლიანობის სტანდარტებიდან გამომდინარე ნილთა გათანაბრების ვალდებულების ბუნებისა და მოცულობის გათვალისწინებით. შესაბამისად გამოიყენება 1:143 მუხლი.

– 4. თუ მეუღლეს აქვს გადამწყვეტი უფლებამოსილება განსაზღვროს, მოხდეს თუ არა მასზე ბიზნესიდან მიღებული იმ მოგების პირდაპირ ან არაპირდაპირ გადანაწილება, რომელიც არ არის უშუალოდ მისთვის გათვალისწინებული {თუმცაღა, ამავე დროს, გათვალისწინებულია იმ კერძო შეზღუდული კომპანიისათვის, რომელშიც ეს მეუღლე ფლობს წილების უმრავლესობას}, ხოლო საქორწინო ხელშეკრულება კი ადგენს ნილთა გათანაბრების იმ ვალდებულებას, რომელიც ასევე ფარავს ბიზნესსაქმიანობას, მაშინ, პარ. 1-ის ნორმათა მოქმედების შეზღუდვის გარეშე, ამ ბიზნესსაქმიანობიდან მიღებული გაუნაწილებელი მოგება – იმდენად, რამდენადაც საერთო შეხედულების თანახმად ეს გონივრულია – ასევე უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული აღნიშნული მეუღლის მხრიდან ნილთა გათანაბრების ვალდებულების ფარგლების განსაზღვრისას.

– 5. შესაბამისად გამოიყენება პარ. 4, თუ მეუღლე ბიზნესს სათავეს აწარმოებს.

– 6. პარ. 1-ში მითითებული ნილთა გათანაბრების სასარჩელო მოთხოვნა არ ხდება ხანდაზმული ქორწინების შეწყვეტიდან ან იმ სასამართლოს განკარგულების ძალაში შესვლის მომენტიდან სამწლიანი ვადის გასვლამდე, რომლითაც დგინდება განცალკევებით ცხოვრების რეჟიმი. ამ ვადის შემცირება დაუშვებელია.

ქვეგანყოფილება 1.8.2.3 – საბოლოოდ შესასრულებელი ნილთა გათანაბრების ვალდებულებები

მუხლი 1:142 გათანაბრებას დაქვემდებარებული ქონების შედგენისა და მისი ფარგლებისათვის არსებული ათვლის დღე

– 1. გათანაბრებას დაქვემდებარებული ქონების შედგენისა და მისი ფარგლების განსაზღვრისათვის ათვლის დღედ გამოიყენება შემდეგი:

a. როდესაც ქორწინება ან რეგისტრირებული პარტნიორობა შეწყდა ერთ-ერთი მეუღლის ან რეგისტრირებული პარტნიორის გარდაცვალების გამო: ამ უკანასკნელის გარდაცვალების მომენტი;

b. როდესაც ქორწინება წყდება განქორწინებით: მომენტი, როდესაც წარდგენილ იქნა განქორწინების განაცხადი;

c. განცალკევებით ცხოვრების რეჟიმის შემთხვევაში: მომენტი, როდესაც წარდგენილ იქნა განცალკევებით ცხოვრების რეჟიმის დადგენის შესახებ განაცხადი;

d. როდესაც მეუღლეთა ნილთა გათანაბრების ორმხრივი ვალდებულებები ქარწყლდება 1:139 მუხლის შესაბამისად: მომენტი, როდესაც წარდგენილ იქნა აღნიშნული ვალდებულებების გაქარწყლების შესახებ განაცხადი;

e. როდესაც რეგისტრირებული პარტნიორობა წყდება ორმხრივი თანხმობით: მომენტი, როდესაც დაიდო რეგისტრირებული პარტნიორობის შეწყვეტის შესახებ შეთანხმება;

f. ერთ-ერთი ან ორივე მეუღლის მოთხოვნის საფუძველზე რეგისტრირებული პარტნიორობის შეწყვეტის შემთხვევაში: მომენტი, როდესაც წარდგენილ იქნა რეგისტრირებული პარტნიორობის შეწყვეტის შესახებ განაცხადი;

g. იმ შემთხვევაში, როდესაც მეუღლე უგზო-უკვლოდ დაიკარგა და მეორე მეუღლე ხელახლა ქორწინდება ან აფორმებს რეგისტრირებულ პარტნიორობას: იმ მომენტში, როდესაც 1:417 მუხლის პარ. 1-ში მითითებული სასამართლოს განკარგულება შევიდა კანონიერ ძალაში და გახდა მზოჭავი;

h. საქორწინო ხელშეკრულების საფუძველზე მეუღლეთა ნილთა გათანაბრების ორმხრივი ვალდებულების შეწყვეტის შემთხვევაში: 1:120 მუხლის პარ. 1-ში მითითებული მომენტი.

– 2. წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე დასაშვებია პარ. 1-ის ნორმებიდან, შესავალი სიტყვებისა და (b) პუნქტიდან (f) პუნქტის ჩათვლით მოცემული დებულებებიდან გადახვევა.

მუხლი 1:143 გასათანაბრებელი ქონების აღწერა

– 1. 1:142 მუხლის პარ. 1-ში მითითებული მომენტებიდან თითოეულ მეუღლეს შეუძლია მოითხოვოს მეორე მეუღლის კუთვნილი გათანაბრებას დაქვემდებარებული ქონების აღწერა.

– 2. შესაბამისად გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 671-დან 676-ის ჩათვლით და 679-ე მუხლების ნორმები.

– 3. როდესაც მეუღლე გარდაიცვლება, წინა პარაგრაფის დებულებები შესაბამისად გამოიყენება უნივერსალური სამართალმემკვიდრეობით მის მემკვიდრეთა მიმართ.

– 4. წინამდებარე მუხლის პარაგრაფებით გათვალისწინებული წესებიდან გადახვევა დაუშვებელია.

მუხლი 1:144 *{გაუქმებულია 01.09.2002წ.}*

მუხლი 1:145 *{გაუქმებულია 01.09.2002წ.}*

განყოფილება 1.8.3 *{გაუქმებულია 01.01.2003წ.}*

მუხლი 1:146 *{გაუქმებულია 01.01.2003წ.}*

მუხლი 1:147 *{გაუქმებულია 01.01.2003წ.}*

მუხლი 1:148 *{გაუქმებულია 01.01.2003წ.}*

ტიტული 1.9 – ქორწინების შეწყვეტა

განყოფილება 1.9.1 – ქორწინების შეწყვეტის მომწესრიგებელი ზოგადი დებულებები

მუხლი 1:149 ქორწინების შეწყვეტა

ქორწინება წყდება:

a. როდესაც ერთ-ერთი მეუღლე გარდაიცვლება;

b. თუ უგზო-უკვლოდ დაკარგული პირი, ვინც სამოქალაქო კოდექსის 1-ლი წიგნის მე-18 ტიტულის განყოფილება 2 ან 3-ის დებულებების შესაბამისად გამოცხადდა გარდაცვლილად ან სავარაუდოდ გარდაცვლილად, ჯერ კიდევ ცოცხალია იმ დღეს, როდესაც ცოცხლად დარჩენილი მეუღლე ან რეგისტრირებული პარტნიორი ხელახლა ქორწინდება ან შედის რეგისტრირებულ პარტნიორობაში: როდესაც მოხდა აღნიშნული ქორწინების გაფორმება ან პარტნიორობის რეგისტრაცია;

c. განქორწინებით წინამდებარე ტიტულის განყოფილება 2-ის დებულებების შესაბამისად;

d. ქორწინების შეწყვეტით მას შემდეგ, რაც გაცხადებულ იქნა განცალკევებით ცხოვრების რეჟიმი სა-მოქალაქო კოდექსის 1-ლი წიგნის მე-10 ტიტულის განყოფილება 2-ის დებულებების შესაბამისად.

განყოფილება 1.9.2 – განქორწინება

მუხლი 1:150 განქორწინების განაცხადი

იმ მეუღლეთა შორის განქორწინება, რომელთა მიმართ არ არის დადგენილი განცალკევებით ცხოვრების რეჟიმი, ხორციელდება ერთ-ერთი მეუღლის მოთხოვნის ანდა მათი ერთობლივი მოთხოვნის საფუძველზე.

მუხლი 1:151 განქორწინების განაცხადი

ერთ-ერთი მეუღლის მოთხოვნის საფუძველზე განქორწინება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ქორწინება საბოლოოდ დაირღვა.

მუხლი 1:152 {გაუქმებულია 01.01.1993წ.}

მუხლი 1:153 მოსალოდნელ შეღავათებთან (პენსიასთან) დაკავშირებით მისაღები საუზრუნველყოფო ზომები

– 1. თუ მოთხოვნილმა განქორწინებამ შესაძლოა წარმოშვას იმ შეღავათების დაკარგვისა თუ მნიშვნელოვანი შემცირების მოლოდინი, რომელთა მიღებაც ხდება მეორე მეუღლის მიერ იმ შემთხვევაში, თუ განქორწინების განაცხადის წარმდგენი მეუღლე უფრო ადრე გარდაიცვლება, და ასევე თუ მეორე მეუღლე ეწინააღმდეგება განქორწინებას ამ მიზეზით, – მაშინ მოთხოვნა შეიძლება არ დაკმაყოფილდეს მანამდე, სანამ არ იქნება მიღებული ისეთი საუზრუნველყოფო ზომები, რომლებიც არსებული გარემოებების გათვალისწინებით სამართლიანია ორივე მეუღლისათვის. სასამართლოს აღნიშნული მიზნით შეუძლია დაადგინოს ვადა.

– 2. პარ. 1 არ გამოიყენება:

a. თუ გონივრულად მოსალოდნელია ის, რომ მეორე მეუღლე შეძლებს საკმარისად მოემზადოს აღნიშნული სიტუაციისათვის;

b. თუ მეორე მეუღლეს უფრო მეტი ბრალი მიუძღვის ქორწინების საბოლოოდ დარღვევაში.

მუხლი 1:154 განქორწინება ორივე მეუღლის ერთობლივი განაცხადის საფუძველზე

– 1. ორივე მეუღლის ერთობლივი განაცხადის საფუძველზე მოთხოვნილი განქორწინების დადგენა ხდება იმ შემთხვევაში, თუ განაცხადი ეფუძნება მათ ორმხრივ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ქორწინება საბოლოოდ დარღვეულია.

– 2. თითოეული მეუღლე უფლებამოსილია განქორწინების შესახებ სასამართლოს განკარგულების მიღების მომენტამდე გაიხმოს განაცხადი.

მუხლი 1:155 საპენსიო შემწეობების გათანაბრება

რამდენადაც ქორწინების განმავლობაში ერთ-ერთი მეუღლის სასარგებლოდ დადგინდა საპენსიო შემწეობები, განქორწინების შემთხვევაში მეორე მეუღლეს აქვს ამ შემწეობათა თანხების გათანაბრების მოთხოვნის უფლება განქორწინებისას საპენსიო შემწეობების გათანაბრების შესახებ კანონის ნორმათა შესაბამისად ან მათ მიხედვით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მეუღლეებმა გამორიცხეს აღნიშნული კანონის მოქმედება ამ უკანასკნელშივე გათვალისწინებული წესით.

მუხლი 1:156 {გაუქმებულია 01.01.1993წ.}

მუხლი 1:157 მეუღლისათვის გადასახდელი სარჩო (ალიმენტი)

– 1. განქორწინების შესახებ განკარგულებაში ანდა მოგვიანებით მიღებულ გადაწყვეტილებაში იმ მეუღლის მოთხოვნის საფუძველზე, რომელსაც არა აქვს საკმარისი ფულადი სახსრები თავისი თავის რჩენისათვის და ასევე არ შეუძლია ასეთი სახსრების მოპოვება, სასამართლოს შეუძლია მიანიჭოს მას სარჩოს მიღების უფლება, რაც უნდა იქნეს გადახდილი მეორე მეუღლის მიერ.

– 2. სარჩოს თანხისა თუ ხანგრძლივობის განსაზღვრისას სასამართლოს შეუძლია მიიღოს მხედველობაში რჩენის აუცილებლობა იმ შემთხვევისათვის, როდესაც სარჩოს გადახდაზე ვალდებული მეორე მეუღლე გარდაიცვლება.

– 3. ერთ-ერთი მეუღლის მოთხოვნის საფუძველზე სასამართლოს სარჩოს მიღების უფლების მინიჭე-

ბა შეუძლია პირობითა და განსაზღვრული ვადით. თუმცა, აღნიშნულის შედეგად სარჩოს მიღების ვადა არ უნდა აღემატებოდეს თორმეტ წელს, რომლის დენაც იწყება იმ დღიდან, როდესაც განქორწინების შესახებ განკარგულება რეგისტრაციაში გატარდა სამოქალაქო მდგომარეობის რეესტრებში.

– 4. თუ სასამართლომ არ დაადგინა განსაზღვრული ვადა, მაშინ სარჩოს თანხების გადახდის ვალდებულება წყდება კანონის ძალით თორმეტი წლის ვადის გასვლის შემდეგ, რომლის დენაც იწყება იმ დღიდან, როდესაც განქორწინების შესახებ განკარგულება რეგისტრაციაში გატარდა სამოქალაქო მდგომარეობის რეესტრებში.

– 5. თუ პარ. 4-ში მითითებული ვადის გასვლისთანავე სარჩოს თანხების გადახდის შეწყვეტას მათ მიღებაზე უფლებამოსილი პირისათვის აქვს ისეთი მნიშვნელოვანი შედეგები, რომ გონივრულობისა და სამართლიანობის სტანდარტების მიხედვით ამ პირისაგან მოსალოდნელი ვერ იქნება აღნიშნული თანხების გადახდის შეწყვეტაზე დათანხმება, მაშინ ამ უკანასკნელის მოთხოვნის საფუძველზე სასამართლოს ჯერ კიდევ შეუძლია ვადის დადგენა. აღნიშნული მიზნით მოთხოვნის წარდგენა უნდა მოხდეს პარ. 4-ში მითითებული ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს სამი თვისა. განკარგულების გაცემისას სასამართლომ ასევე უნდა განსაზღვროს ის საკითხი, შესაძლებელი უნდა გახდეს თუ არა დადგენილი ვადის გახანგრძლივება მისი გასვლის შემდეგ.

– 6. როდესაც ქორწინება გრძელდებოდა არაუმეტეს ხუთი წლისა და ამ ქორწინებაში შვილების დაბადება არ მომხდარა, რჩენის ვალდებულება წყდება კანონის ძალით ქორწინების ხანგრძლივობის შესაბამისი დროის პერიოდის გასვლისას, რომლის დენაც იწყება იმ დღიდან, როდესაც განქორწინების შესახებ განკარგულება რეგისტრაციაში გატარდა სამოქალაქო მდგომარეობის რეესტრებში. თუ სასამართლომ რჩენის ვალდებულებისათვის დაადგინა ვადა, მაშინ ეს შედეგად ვერ გამოიწვევს რჩენის ვალდებულების შეწყვეტას უფრო გვიან, ნაცვლად იმ მომენტისა, რომელიც გამოყენებადი იქნებოდა წინა წინადადებაში გათვალისწინებული ნორმის შესაბამისად. შესაბამისად მოქმედებს პარ. 5 იმ პირობით, რომ პირველ წინადადებაში სიტყვები „პარ. 4-ში მითითებული ვადის“ უნდა ნავიკითხოთ შემდეგნაირად: „პირველ წინადადებაში მითითებული ვადის“.

მუხლი 1:158 მეუღლეთა შორის დადებული შეთანხმება განქორწინების შემდეგ სარჩოს (ალიმენტის) გადახდის შესახებ

როგორც განქორწინების შესახებ განკარგულების მიღებამდე, ისე ამის შემდგომაც მეუღლეებს შეუძლიათ დადონ ერთმანეთს შორის შეთანხმება, რომელშიც გადანყდება, თუ რომელი მათგანი – და ასევე რა ფარგლებში – უნდა იქნეს ვალდებული მეორის მიმართ განქორწინების შემდეგ სარჩოს თანხების გადახდაზე. თუ ვადის შესახებ არანაირი დათქმა არ იქნა შეტანილი შეთანხმებაში, მაშინ შესაბამისად გამოიყენება 1:157 მუხლის პარ. 4, 5 და 6.

მუხლი 1:159 განქორწინების შეთანხმების შეცვლის დაუშვებლობის შესახებ სახელშეკრულებო დათქმა

– 1. 1:158 მუხლში მითითებულ განქორწინების შეთანხმებაში დასაშვებია დათქმა იმის შესახებ, რომ რჩენის ვალდებულების სახელშეკრულებო პირობა ვერ შეიცვლება სასამართლოს მიერ არსებულ გარემოებათა ნებისმიერი ცვლილების შემთხვევაში. ასეთი დათქმა უნდა გაფორმდეს წერილობით.

– 2. პარ. 1-ში მითითებული სახელშეკრულებო დათქმა კარგავს თავის ძალას იმ შემთხვევაში, თუ განქორწინების მოთხოვნა არ იქნება წარდგენილი განქორწინების შეთანხმების დადებიდან სამი თვის განმავლობაში. წინა წინადადება შესაბამისად გამოიყენება განქორწინების ერთობლივი მოთხოვნის მიმართაც.

– 3. მიუხედავად პარ. 1-ში მითითებული სახელშეკრულებო დათქმის არსებობისა, ერთ-ერთი მხარის მოთხოვნის საფუძველზე რაიონულ სასამართლოს შეუძლია შეცვალოს განქორწინების შეთანხმება როგორც განქორწინების შესახებ განკარგულებაში, ისე ამის შემდგომაც გარემოებათა ისეთი მნიშვნელოვანი ცვლილების საფუძველზე, რომლის დროსაც გონივრულობისა და სამართლიანობის სტანდარტების მიხედვით განმცხადებლისაგან აღნიშნული დათქმით სამართლებრივი ბოჭვა მოსალოდნელი ვერ იქნება.

მუხლი 1:159a (ყოფილი) მეუღლის მიმართ რეგრესული მოთხოვნის გამოყენება სამუშაოსა და დახმარების შესახებ კანონის საფუძველზე

1:158 და 1:159 მუხლებში მითითებული შეთანხმება ხელს არ უშლის ერთ-ერთი მეუღლის მიმართ რეგრესული მოთხოვნის გამოყენებაში სამუშაოსა და დახმარების შესახებ კანონის 6.5 პარაგრაფის ნორმათა საფუძველზე და გავლენას არ ახდენს იმ თანხის ოდენობაზე, რომელიც შეიძლება მიღებულ იქნეს ამ მეუღლისაგან.

მუხლი 1:160 სარჩოს (ალიმენტის) გადახდის ვალდებულების შეწყვეტა

ყოფილი მეუღლის ვალდებულება, მეორე ყოფილ მეუღლეს განქორწინების შედეგად უხადოს სარჩოს თანხები, წყდება იმ მომენტში, როდესაც ეს უკანასკნელი კვლავ დაქორწინდება ან შევა რეგისტრირებულ პარტნიორობაში ანდა იწყებს სხვა პირთან ცხოვრებას ისე, თითქოს ის და ეს სხვა პირი დაქორწინებული არიან.

მუხლი 1:161 *{გაუქმებულია 02.11.1995წ.}*

მუხლი 1:161a *{გაუქმებულია 02.11.1995წ.}*

მუხლი 1:162 *{გაუქმებულია 02.11.1995წ.}*

მუხლი 1:162a *{გაუქმებულია 02.11.1995წ.}*

მუხლი 1:163 განქორწინების შესახებ განკარგულების რეგისტრაცია

– 1. განქორწინება ძალაში შედის სამოქალაქო მდგომარეობის რეესტრებში განქორწინების შესახებ განკარგულების რეგისტრაციის დღეს.

– 2. აღნიშნული რეგისტრაცია ხორციელდება მხარეთა ან ერთ-ერთი მათგანის მოთხოვნით.

– 3. თუ რეგისტრაციის მოთხოვნის წარდგენა არ ხდება ექვსი თვის განმავლობაში იმ დღიდან, როდესაც განქორწინების შესახებ სასამართლოს განკარგულება შევიდა კანონიერ ძალაში და გახდა მბოჭავი, მაშინ ეს უკანასკნელი კარგავს თავის ძალას.

მუხლი 1:164 მეუღლეთა საერთო საკუთრებისათვის მიყენებული ზიანის კომპენსაცია

– 1. თუ მეუღლეთა შორის არსებულ საერთო საკუთრებას ერთ-ერთმა მეუღლემ ზიანი მიაყენა იმის შედეგად, რომ განქორწინების მოთხოვნის წარდგენის შემდეგ ანდა ამ მომენტამდე ექვსი თვის განმავლობაში ამ მეუღლემ წინდაუხედავად იკისრა ვალეები ან გაანიავა საერთო საკუთრებას მიკუთვნებული ქონება ანდა 1:88 მუხლში მითითებული გარიგებები დადო რაიონული სასამართლოს აუცილებელი თანხმობისა თუ ნებართვის გარეშე, – მაშინ აღნიშნულ მეუღლეს ეკისრება საერთო საკუთრებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება მას შემდეგ, რაც განქორწინების შესახებ სასამართლოს განკარგულება გატარდა რეგისტრაციაში სამოქალაქო მდგომარეობის რეესტრებში.

– 2. წინა პარაგრაფში გათვალისწინებული ნორმების საფუძველზე მოთხოვნის უფლების (სარჩელის) წარდგენა დაუშვებელია, როდესაც განქორწინების შესახებ სასამართლოს განკარგულების რეგისტრაციიდან გასულია სამი წელი.

მუხლი 1:165 მეორე მეუღლის სახლით სარგებლობა

– 1. მეუღლეს, რომელიც ცხოვრობს მეორე მეუღლის ექსკლუზიურად ან ერთობლივად კუთვნილ სახლში ანდა – იმ სახლში, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ამ უკანასკნელის მიერ სარგებლობის უფლების მეშვეობით, გონივრული საზღაურის სანაცვლოდ შეუძლია მოსთხოვოს სასამართლოს მისთვის მეორე მეუღლის მიმართ აღსრულებადი უფლების მინიჭება, გააგრძელოს აღნიშნულ სახლში ცხოვრება და მასში არსებული საგნებითა და საყოფაცხოვრებო ნივთებით სარგებლობა განქორწინების შესახებ სასამართლოს განკარგულების რეგისტრაციიდან ექვსი თვის ვადით. სასამართლოს შეუძლია დააკმაყოფილოს ასეთი მოთხოვნა განქორწინების შესახებ განკარგულებით ანდა მოგვიანებით მიღებული განკარგულებით იმ პირობით, რომ მოთხოვნის წარმდგენი მეუღლე განქორწინების შესახებ განკარგულების რეგისტრაციის მომენტში ცხოვრობს ამ სახლში.

– 2. მეორე მეუღლის მიერ წინა პარაგრაფში ნახსენებ ექვსთვიან პერიოდში იმ მეუღლის თანხმობის გარეშე დადებული გარიგებები, რომელსაც სასამართლომ მიანიჭა სახლში ცხოვრების უფლება, როგორც ეს მითითებულია ზემოაღნიშნულ პარაგრაფში, ვერ იქნება გამოყენებული ამ უკანასკნელის ინტერესების საზიანოდ.

– 3. თუ ის მეუღლე, რომელსაც სასამართლომ მიანიჭა სახლში ცხოვრების უფლება, უარს აცხადებს გარიგების დასადავად თავისი თანხმობის მიცემაზე ან თუ ის უუნაროა, განაცხადოს აღნიშნულზე თავისი ნება, მაშინ იმ რაიონულ სასამართლოს, რომელმაც პირველი ინსტანციით მიიღო გადაწყვეტილება განქორწინების განაცხადთან დაკავშირებით, მეორე ყოფილი მეუღლის მოთხოვნის საფუძველზე შეუძლია დაადგინოს წინა პარაგრაფით გათვალისწინებული წესის არ გამოყენების შესახებ.

მუხლი 1:166 ადრე განქორწინებული პირების ხელახალი დაქორწინება

თუ ყოფილი მეუღლეები, რომლებიც ადრე ერთმანეთთან იყვნენ დაქორწინებული, ხელახლა ქორწინდებიან ერთმანეთთან ან შედიან ერთმანეთთან რეგისტრირებულ პარტნიორობაში, მაშინ მათი წინა ქორწინებიდან გამომდინარე ყველა სამართლებრივი შედეგი კანონის ძალით განახლდება ისე, თითქოს ყოფილი მეუღლეები არასოდეს განქორწინებულან. თუმცა, იმ გარიგებათა ნამდვილობა, რომლებიც დაიდო ქორწინების შეწყვეტისა მომენტსა და ხელახალი დაქორწინებისა თუ პარტნიორობის რეგისტრაციის მომენტს შორის, უნდა შეფასდეს იმ დროის მიხედვით, როდესაც ეს გარიგებები დაიდო.

მუხლი 1:167 {გაუქმებულია 05.07.1982წ.}

ტიტული 1.10 – სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე დადგენილი მეუღლეთა განცალკევებით ცხოვრების რეჟიმი და ქორწინების შეწყვეტა განცალკევებით ცხოვრების რეჟიმის დასრულების შემდეგ

განყოფილება 1.10.1 – სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე დადგენილი მეუღლეთა განცალკევებით ცხოვრების რეჟიმი

მუხლი 1:168 {გაუქმებულია 22.06.2001წ.}

მუხლი 1:169 ქორწინების მომწესრიგებელი ნორმების უმრავლესობა შესაბამისად გამოიყენება სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე დადგენილი მეუღლეთა განცალკევებით ცხოვრების რეჟიმის მიმართ

– 1. სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე დადგენილი მეუღლეთა განცალკევებით ცხოვრების რეჟიმი შეიძლება მოთხოვნილ იქნეს იგივე საფუძველით და იგივე წესით, როგორც განქორწინების შემთხვევაში.

– 2. 1:151, 1:154-დან 1:159a-ს ჩათვლით მუხლების ნორმები შესაბამისად გამოიყენება მეუღლეთა განცალკევებით ცხოვრების რეჟიმის მიმართ იმ პირობით, რომ 1:157 მუხლის პარ. 3-დან 6-ის ჩათვლით ნახსენები ვადების დენა იწყება იმ დღიდან, როდესაც ამ რეჟიმის დადგენის შესახებ სასამართლოს განკარგულება რეგისტრაციაში გატარდა 1:116 მუხლში მითითებულ ქორწინების რეესტრში და ასევე ქორწინების ვადის გამოთვლა ხდება აღნიშნული დღიდან.

– 3. მეუღლეთა განცალკევებით ცხოვრების რეჟიმის არსებობის გამო ერთი მეუღლის მიერ მეორის რჩენის ვალდებულება წყდება ქორწინების შეწყვეტისთანავე.

მუხლი 1:170 {გაუქმებულია 02.11.1995წ.}

მუხლი 1:171 {გაუქმებულია 02.11.1995წ.}

მუხლი 1:171a {გაუქმებულია 02.11.1995წ.}

მუხლი 1:172 {გაუქმებულია 02.11.1995წ.}

მუხლი 1:173 მეუღლეთა განცალკევებით ცხოვრების რეჟიმის ძალაში შესვლის მომენტი

– 1. სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე დადგენილი მეუღლეთა განცალკევებით ცხოვრების რეჟიმი ძალაში შედის იმ მომენტიდან, როდესაც სასამართლოს განკარგულება რეგისტრაციაში ტარდება 1:116 მუხლში მითითებულ ქორწინების რეესტრში.

– 2. რეგისტრაცია ხორციელდება მეუღლეების ან ერთ-ერთი მათგანის მოთხოვნის საფუძველზე.

– 3. თუ რეგისტრაციის მოთხოვნის წარდგენა არ ხდება ექვსი თვის განმავლობაში იმ დღიდან, როდესაც მეუღლეთა განცალკევებით ცხოვრების რეჟიმის მიმნიჭებელი სასამართლოს განკარგულება შევიდა კანონიერ ძალაში და გახდა მბოჭავი, მაშინ ეს უკანასკნელი კარგავს თავის ძალას.

მუხლი 1:174 პასუხისმგებლობა მეუღლეთა საერთო საკუთრებისათვის მიყენებული ზიანის დროს

- 1. თუ მეუღლეთა შორის არსებულ საერთო საკუთრებას ერთ-ერთმა მეუღლემ ზიანი მიაყენა იმის შედეგად, რომ განცალკევებით ცხოვრების რეჟიმის მოთხოვნის წარდგენის შემდეგ ანდა ამ მომენტამდე ექვსი თვის განმავლობაში ამ მეუღლემ წინდაუხედავად იკისრა ვალები ან გაანიავა საერთო საკუთრებას მიკუთვნებული ქონება ანდა 1:88 მუხლში მითითებული გარიგებები დადო რაიონული სასამართლოს აუცილებელი თანხმობისა თუ ნებართვის გარეშე, – მაშინ აღნიშნულ მეუღლეს ეკისრება მეუღლეთა საერთო საკუთრებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება მას შემდეგ, რაც განცალკევებით ცხოვრების რეჟიმის მინიჭების შესახებ სასამართლოს განკარგულება გატარდა რეგისტრაციაში სამოქალაქო მდგომარეობის რეესტრებში.

- 2. წინა პარაგრაფში გათვალისწინებული ნორმების საფუძველზე მოთხოვნის უფლების (სარჩელის) წარდგენა დაუშვებელია, როდესაც განცალკევებით ცხოვრების რეჟიმის მინიჭების შესახებ სასამართლოს განკარგულების რეგისტრაციიდან გასულია სამი წელი.

მუხლი 1:175 მეორე მეუღლის სახლით სარგებლობა

- 1. მეუღლეს, რომელიც ცხოვრობს მეორე მეუღლის ექსკლუზიურად ან ერთობლივად კუთვნილ სახლში ანდა – იმ სახლში, რომელის შეიძლება გამოყენებულ იქნეს ამ უკანასკნელის მიერ სარგებლობის უფლების მეშვეობით, გონივრული საზღაურის სანაცვლოდ შეუძლია მოსთხოვოს სასამართლოს მისთვის მეორე მეუღლის მიმართ აღსრულებადი უფლების მინიჭება, გააგრძელოს აღნიშნულ სახლში ცხოვრება და მასში არსებული საგნებითა და საყოფაცხოვრებო ნივთებით სარგებლობა განცალკევებით ცხოვრების რეჟიმის შესახებ სასამართლოს განკარგულების რეგისტრაციიდან ექვსი თვის ვადით. სასამართლოს შეუძლია დააკმაყოფილოს ასეთი მოთხოვნა განცალკევებით ცხოვრების რეჟიმის შესახებ განკარგულებით ანდა მოგვიანებით მიღებული განკარგულებით იმ პირობით, რომ მოთხოვნის წარმდგენი მეუღლე განცალკევებით ცხოვრების რეჟიმის დამდგენი განკარგულების რეგისტრაციის მომენტში ცხოვრობს ამ სახლში.

- 2. მეორე მეუღლის მიერ წინა პარაგრაფში ნახსენებ ექვსთვიან პერიოდში იმ მეუღლის თანხმობის გარეშე დადებული გარიგებები, რომელსაც სასამართლომ მიანიჭა სახლში ცხოვრების უფლება, როგორც ეს მითითებულია ზემოაღნიშნულ პარაგრაფში, ვერ იქნება გამოყენებული ამ უკანასკნელის ინტერესების საზიანოდ.

- 3. თუ ის მეუღლე, რომელსაც სასამართლომ მიანიჭა სახლში ცხოვრების უფლება, უარს აცხადებს გარიგების დადებაზე თავისი თანხმობის მიცემაზე ან თუ ის უუნაროა, განაცხადოს აღნიშნულზე თავისი ნება, მაშინ იმ რაიონულ სასამართლოს, რომელმაც პირველი ინსტანციით მიიღო გადაწყვეტილება განქორწინების განაცხადთან დაკავშირებით, მეორე ყოფილი მეუღლის მოთხოვნის საფუძველზე შეუძლია დაადგინოს, წინა პარაგრაფით გათვალისწინებული წესი არ იქნეს გამოყენებული.

მუხლი 1:176 მეუღლეთა განცალკევებით ცხოვრების რეჟიმის დასრულება ოფიციალური შერიგების შედეგად

- 1. როდესაც მეუღლეები რიგდებიან, მათ შეუძლიათ დაასრულონ მეუღლეთა განცალკევებით ცხოვრების რეჟიმი 1:116 მუხლში მითითებული ქორწინების რეესტრის მწარმოებლისათვის იდენტური მოთხოვნის წარდგენით, რომელშიც ისინი ითხოვენ მათი განცალკევებით ცხოვრების რეჟიმის დასრულების რეგისტრაციას; განცალკევებით ცხოვრების რეჟიმი სრულდება იმ მომენტში, როდესაც ხორციელდება მოთხოვნილი რეგისტრაცია.

- 2. აღნიშნული რეგისტრაციის შედეგად მეუღლეთა ქორწინებიდან გამომდინარე ყველა სამართლებრივი შედეგი კანონის ძალით განახლდება ისე, თითქოს განცალკევებით ცხოვრების რეჟიმს არასოდეს ჰქონდა ადგილი. თუმცა, იმ გარიგებათა ნამდვილობა, რომლებიც შესრულდა განცალკევებით ცხოვრების რეჟიმის მომენტსა და მისი დასრულების რეგისტრაციის მომენტს შორის, როგორც ეს მოცემულია წინა პარაგრაფში, უნდა შეფასდეს იმ დროის მიხედვით, როდესაც ეს გარიგებები შესრულდა.

მუხლი 1:177 {გაუქმებულია 01.06.2001წ.}

მუხლი 1:178 {გაუქმებულია 05.07.1982წ.}

განყოფილება 1.10.2 – ქორწინების შეწყვეტა განცალკევებით ცხოვრების რეჟიმის დასრულების შემდეგ

მუხლი 1:179 სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე დადგენილი მეუღლეთა განცალკევებით ცხოვრების რეჟიმის აუცილებელი ხანგრძლივობა

- 1. იმ მეუღლეთა შორის არსებული ქორწინების შეწყვეტა, რომლებიც იმყოფებიან განცალკევებით ცხოვრების რეჟიმში, დგინდება რაიონული სასამართლოს მიერ ერთ-ერთი მეუღლის განცხადების საფუძველზე იმ პირობით, რომ განცალკევებით ცხოვრება გრძელდებოდა, სულ ცოტა, სამი წელი.
- 2. ერთ-ერთი მეუღლის განცხადების საფუძველზე სამწლიანი პერიოდი შეიძლება შემცირდეს ერთ წლამდე ან უფრო მეტი ხნით იმ შემთხვევაში, თუ მეორე მეუღლე აგრძელებს იმდენად ცუდად მოქცევას, რომ განცხადების წარმდგენი მეუღლისაგან ქორწინების შენარჩუნება უკვე მოსალოდნელი ვეღარ იქნება.

მუხლი 1:180 მოსალოდნელ შეღავათებთან (პენსიასთან) დაკავშირებით მისაღები საუზრუნველყოფო ზომები

- 1. თუ მოთხოვნილმა ქორწინების შეწყვეტამ შესაძლოა წარმოშვას იმ შეღავათების დაკარგვისა თუ მნიშვნელოვანი შემცირების მოლოდინი, რომელთა მიღებაც ხდება მეორე მეუღლის მიერ იმ შემთხვევაში, თუ განქორწინების განაცხადის წარმდგენი მეუღლე უფრო ადრე გარდაიცვლება, და ასევე თუ მეორე მეუღლე ეწინააღმდეგება განქორწინებას ამ მიზეზით, – მაშინ განცხადება შეიძლება არ დაკმაყოფილდეს მანამდე, სანამ არ იქნება მიღებული ისეთი საუზრუნველყოფო ზომები, რომლებიც არსებული გარემოებების გათვალისწინებით სამართლიანია ორივე მეუღლისათვის. სასამართლოს აღნიშნული მიზნით შეუძლია დაადგინოს ვადა.
- 2. პარ. 1 არ გამოიყენება:
 - a. თუ გონივრულად მოსალოდნელია ის, რომ მეორე მეუღლე შეიძლებს საკმარისად მოემზადოს აღნიშნული სიტუაციისათვის;
 - b. თუ მეორე მეუღლე აგრძელებდა იმდენად ცუდად მოქცევას, რომ ქორწინების შეწყვეტის მოთხოვნით განცხადების წარმდგენი მეუღლისაგან მოსალოდნელი ვეღარ იქნება აღნიშნული მეორე მეუღლისათვის რაიმე სახით რჩენის განხორციელება.

მუხლი 1:181 ქორწინების შეწყვეტა ორივე მეუღლის ერთობლივი განაცხადის საფუძველზე

განცალკევებით ცხოვრების რეჟიმში მყოფი მეუღლეების ქორწინების შეწყვეტა დგინდება მათი ერთობლივი განაცხადის საფუძველზე.

მუხლი 1:182 განქორწინების მომწესრიგებელი ნორმების უმრავლესობა გამოიყენება ასევე მეუღლეთა განცალკევებით ცხოვრების რეჟიმის შემდეგ ქორწინების შეწყვეტის მიმართაც

1:154 მუხლის პარ. 2 და 1:157-დან 1:160-ის ჩათვლით მუხლების ნორმები შესაბამისად გამოიყენება მეუღლეთა განცალკევებით ცხოვრების რეჟიმის შემდეგ ქორწინების შეწყვეტის მიმართ იმ პირობით, რომ 1:157 მუხლის პარ. 3-დან 6-ის ჩათვლით ნახსენები ვადები მცირდება იმ პერიოდით, რომლის განმავლობაშიც არსებობდა ერთ-ერთი მეუღლის რჩენის ვალდებულება მეორე მეუღლის მიმართ და ასევე ქორწინების ვადის გამოთვლა ხდება იმ დღიდან, როდესაც მეუღლეთა განცალკევებით ცხოვრების რეჟიმის დადგენის შესახებ სასამართლოს განკარგულება რეგისტრაციაში გატარდა 1:116 მუხლში მითითებულ ქორწინების რეესტრში.

მუხლი 1:183 ქორწინების შეწყვეტა ძალაში შედის მისი ქორწინების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან

- 1. ქორწინების შეწყვეტა ძალაში შედის იმ დღიდან, როდესაც ქორწინების შეწყვეტის შესახებ სასამართლოს განკარგულება რეგისტრაციაში გატარდა სამოქალაქო მდგომარეობის რეესტრებში.
- 2. შესაბამისად გამოიყენება 1:163 მუხლის პარ. 2 და 3 და 1:166 მუხლი.

მუხლი 1:184 {გაუქმებულია 01.10.1971წ.}

მუხლი 1:185 {გაუქმებულია 01.10.1971წ.}

მუხლი 1:186 {გაუქმებულია 01.10.1971წ.}

მუხლი 1:187 {გაუქმებულია 01.10.1971წ.}

მუხლი 1:188 {გაუქმებულია 01.10.1971წ.}

მუხლი 1:189 {გაუქმებულია 01.10.1971წ.}

მუხლი 1:190 {გაუქმებულია 01.10.1971წ.}

მუხლი 1:191 {გაუქმებულია 01.10.1971წ.}

მუხლი 1:192 {გაუქმებულია 01.10.1971წ.}

მუხლი 1:193 {გაუქმებულია 01.10.1971წ.}

მუხლი 1:194 {გაუქმებულია 01.10.1971წ.}

მუხლი 1:195 {გაუქმებულია 01.10.1971წ.}

მუხლი 1:196 {გაუქმებულია 01.10.1971წ.}

ტიტული 1.11 – სისხლით ნათესაობა

განყოფილება 1.11.1 – ზოგადი დებულებები

მუხლი 1:197 ოჯახური ურთიერთობები

შვილი, მისი მშობლები და სისხლით ნათესავეები ერთმანეთთან იმყოფებიან ოჯახურ ურთიერთობაში.

მუხლი 1:198 ბავშვის დედა

ქალი, რომელმაც დაბადა შვილი ან იშვილა ბავშვი, წარმოადგენს ამ ბავშვის დედას.

მუხლი 1:199 ბავშვის მამა

ბავშვის მამას წარმოადგენს კაცი:

a. ვინც ბავშვის დაბადების დროს დაქორწინებულია იმ ქალთან, რომელმაც დაბადა ეს ბავშვი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გამოიყენება (b) პუნქტის ნორმა;

b. რომლის ქორწინება იმ ქალთან, რომელმაც დაბადა ბავშვი, შეწყდა მისი გარდაცვალებით ბავშვის დაბადებამდე 306-დღიანი პერიოდის განმავლობაში თუნდაც იმ შემთხვევაში, თუ დედა ხელახლა დაქორწინდა; თუმცა, თუ ქალი მეუღლეთა განცალკევებით ცხოვრების რეჟიმში იმყოფებოდა თავის ქმართან ბავშვის დაბადებამდე 306-ე დღით ადრე ანდა თუ ის და მისი ქმარი აღნიშნული მომენტიდან განცალკევებით ცხოვრობდნენ, მაშინ ქალს შეუძლია ბავშვის დაბადებიდან ერთი წლის ვადის განმავლობაში სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრატორის წინაშე განაცხადოს იმის შესახებ, რომ მისი გარდაცვლილი ქმარი არ არის ბავშვის მამა, რა შემთხვევაშიც ეს განცხადება ჩაინერება სამოქალაქო მდგომარეობის მონიშვნაში; ასეთ შემთხვევაში ბავშვის მამად მიიჩნევა ის კაცი, ვისთანაც ბავშვის დაბადების მომენტში დაქორწინებულია ქალი;

c. რომელმაც ოფიციალურად აღიარა ბავშვის მამობა;

d. რომლის მამობაც დადგინდა;

e. რომელმაც იშვილა ბავშვი.

განყოფილება 1.11.2 – ქორწინების დროს არსებული მამობის უარყოფა

მუხლი 1:200 ქორწინების დროს არსებული მამობის უარყოფა და ვადები

– 1. 1:199 მუხლის (a) ან (b) პუნქტების შესაბამისად წარმოშობილი მამობის უარყოფა შესაძლებელია იმ საფუძვლით, რომ კაცი არ არის ბავშვის ბიოლოგიური მამა:

- a. ბავშვის მამის ან დედის მიერ;
- b. თავად ბავშვის მიერ.

– 2. 1:199 მუხლის (a) ან (b) პუნქტების შესაბამისად წარმოშობილი მამობის უარყოფა დაუშვებელია მამის ან დედის მიერ იმ შემთხვევაში, თუ კაცმა უკვე იცოდა, რომ მასთან დაქორწინებამდე ქალი ორსულად იყო.

– 3. 1:199 მუხლის (a) ან (b) პუნქტების შესაბამისად წარმოშობილი მამობის უარყოფა დაუშვებელია, თუ მამა დაეთანხმა ისეთ მოქმედებას, რომელმაც სავარაუდოდ შედეგად გამოიწვია ბავშვის ჩასახვა.

– 4. პარ. 2 და 3 არ უნდა გამოიყენებოდეს მამის მიმართ იმ შემთხვევაში, თუ დედამ ის შეცდომაში შეიყვანა იმ პირთან დაკავშირებით, რომელმაც მოახდინა ბავშვის ჩასახვა.

– 5. მამობის უარყოფის სასამართლო წესით დადასტურებისათვის მოთხოვნა შეიძლება წარდგენილ იქნეს რაიონულ სასამართლოში დედის მიერ ბავშვის დაბადებიდან ერთი წლის განმავლობაში. ასეთი მოთხოვნა შეიძლება წარდგენილ იქნეს მამის მიერ ერთი წლის განმავლობაში მას შემდეგ, რაც მან შეიტყო იმ ფაქტის შესახებ, რომ ის შესაძლოა არ არის ბავშვის ბიოლოგიური მამა.

– 6. მამობის უარყოფის სასამართლო წესით დადასტურებისათვის მოთხოვნა შეიძლება წარდგენილ იქნეს რაიონულ სასამართლოში ბავშვის მიერ სამი წლის განმავლობაში მას შემდეგ, რაც მან შეიტყო იმ ფაქტის შესახებ, რომ კაცი შესაძლოა არ არის მისი ბიოლოგიური მამა. თუმცა, თუ ბავშვმა აღნიშნულის შესახებ შეიტყო სრულწლოვანების ასაკის მიღწევამდე, მაშინ ასეთი მოთხოვნა შეიძლება წარდგენილ იქნეს სამი წლის ვადის გასვლამდე მას შემდეგ, რაც ბავშვი სრულწლოვანი გახდება.

მუხლი 1:201 მამობის უარყოფა მშობლის ან ბავშვის გარდაცვალების შემდეგ

– 1. როდესაც მამა ან დედა გარდაიცვლება 1:200 მუხლის პარ. 5-ში მითითებული ვადის გასვლამდე, მაშინ ამ მეუღლის პირველი რიგის შთამომავალს, ხოლო ასეთი შთამომავლის არარსებობისას, – ამ მეუღლის მშობელს შეუძლია რაიონულ სასამართლოში წარადგინოს მამობის უარყოფის სასამართლო წესით დადასტურების მოთხოვნა. მოთხოვნა წარდგენილ უნდა იქნეს ერთი წლის განმავლობაში მეუღლის გარდაცვალების დღიდან ანდა – ერთი წლის განმავლობაში მას შემდეგ, რაც განმცხადებელმა შეიტყო მეუღლის გარდაცვალების შესახებ.

– 2. როდესაც ბავშვი გარდაიცვლება 1:200 მუხლის პარ. 6-ში მითითებული ვადის გასვლამდე, მაშინ ბავშვის პირველი რიგის შთამომავალს შეუძლია რაიონულ სასამართლოში წარადგინოს მამობის უარყოფის სასამართლო წესით დადასტურების მოთხოვნა. თუ ბავშვმა მისი გარდაცვალების მომენტისათვის უკვე მიაღწია სრულწლოვანების ასაკს, მაშინ მოთხოვნა წარდგენილ უნდა იქნეს ერთი წლის განმავლობაში ბავშვის გარდაცვალების დღიდან ანდა – ერთი წლის განმავლობაში მას შემდეგ, რაც განმცხადებელმა შეიტყო ბავშვის გარდაცვალების შესახებ. თუ ბავშვი გარდაიცვლება სრულწლოვანების ასაკის მიღწევამდე, მაშინ ასეთი მოთხოვნა შეიძლება წარდგენილ იქნეს ერთი წლის განმავლობაში იმ მომენტიდან, როდესაც ბავშვი შეძლებდა მოთხოვნის წარდგენას, ის რომ ცოცხალი ყოფილიყო, ხოლო თუ განმცხადებელმა ბავშვის გარდაცვალების შესახებ უფრო გვიან შეიტყო, მაშინ – ერთი წლის განმავლობაში ამ უკანასკნელი მომენტიდან.

მუხლი 1:202 ქორწინების დროს არსებული მამობის უარყოფის დადასტურების შესახებ სასამართლოს განკარგულების სამართლებრივი შედეგები

– 1. მას შემდეგ, რაც ქორწინების დროს არსებული მამობის უარყოფის დადასტურების შესახებ სასამართლოს განკარგულება შევა კანონიერ ძალაში და გახდება მბოჭავი, მიიჩნევა, რომ ქორწინების დროს არსებულ მამობას არასოდეს ჰქონია რაიმე სამართლებრივი შედეგი.

– 2. თუმცა, ხელშეუხებელი რჩება მესამე პირთა მიერ კეთილსინდისიერად მოპოვებული უფლებები.

– 3. ქორწინების დროს არსებული მამობის უარყოფის დადასტურების შესახებ სასამართლოს განკარგულება არ წარმოშობს რაიმე მოთხოვნას მოვლა-პატრონობისა და აღზრდის ხარჯების ან რჩენისა და სწავლა-განათლების ხარჯების ანაზღაურებასთან დაკავშირებით, ისევე როგორც – ნებისმიერ სხვა მოთხოვნებს იმ თანხების კომპენსაციასთან დაკავშირებით, რომლებიც გამოიყენებულ იქნა მშობლის

უზუფრუქტის შედეგად. გარდა აღნიშნულისა, სასამართლოს განკარგულება არ წარმოშობს ქონებიდან მიღებული სარგებლის დაბრუნების ან ანაზღაურების ვალდებულებას, თუ ასეთი სარგებლის მიმღებ პირს მოთხოვნის წარდგენის მომენტიდან აღარ ექნება რაიმე უპირატესობა.

განყოფილება 1.11.2a – ქორწინებიდან გამომდინარე დედობის უარყოფა

მუხლი 1:202a

– 1. 1:198 მუხლის პარ. 1-ის (b) პუნქტში მითითებული დედობის უარყოფა შესაძლებელია იმ საფუძველზე, რომ დედა არ არის ბავშვის ბიოლოგიური (ბუნებრივი) დედა:

- a. 1:198 მუხლის პარ. 1-ის (a) პუნქტში მითითებული დედის მიერ;
- b. 1:198 მუხლის პარ. 1-ის (b) პუნქტში მითითებული დედის მიერ;
- c. თავად ბავშვის მიერ.

– 2. 1:198 მუხლის პარ. 1-ის (a) ან (b) პუნქტებში მითითებულ დედას არ შეუძლია უარყოს 1:198 მუხლის პარ. 1-ის (b) პუნქტში მითითებული დედობა, თუ პარ. 1-ის (b) პუნქტში მითითებულმა დედამ ქორწინებამდე იცოდა ორსულობის შესახებ ანდა დაეთანხმა 1:198 მუხლის პარ. 1-ის (b) პუნქტში მითითებულ დონორის ხელოვნურ განაყოფიერებას.

– 3. უარყოფის სასამართლო წესით დადასტურების მოთხოვნას რაიონულ სასამართლოს წარუდგენს 1:198 მუხლის პარ. 1-ის (a) ან (b) პუნქტებში მითითებული დედა ბავშვის დაბადებიდან ერთი წლის განმავლობაში.

– 4. უარყოფის სასამართლო წესით დადასტურების მოთხოვნას ბავშვი რაიონულ სასამართლოს წარუდგენს არაუგვიანეს სამი წლისა მას შემდეგ, რაც ის სრულწლოვანი გახდება.

მუხლი 1:202b

– 1. როდესაც 1:198 მუხლის პარ. 1-ის (a) ან (b) პუნქტებში მითითებული დედა გარდაიცვლება 1:202a მუხლის პარ. 3-ში დადგენილი ვადის დასრულებამდე, მაშინ ამ დედის პირველი რიგის შთამომავალს, ხოლო ასეთი შთამომავლის არარსებობისას, – ამ მეუღლის მშობელს შეუძლია რაიონულ სასამართლოს წარუდგინოს დედობის უარყოფის სასამართლო წესით დადასტურების მოთხოვნა. მოთხოვნა წარდგენილ უნდა იქნეს ერთი წლის განმავლობაში გარდაცვალების დღიდან ანდა – ერთი წლის განმავლობაში მას შემდეგ, რაც განმცხადებელმა შეიტყო გარდაცვალების ფაქტის შესახებ.

– 2. დედობის უარყოფის მიმართ შესაბამისად გამოიყენება 1:201 მუხლის პარ. 2, და 1:202 მუხლი.

განყოფილება 1.11.3 – მამობის აღიარება

მუხლი 1:203 მამობის აღიარების გზები

– 1. მამობა შეიძლება აღიარებულ იქნეს:

a. სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრატორის მიერ შედგენილი მამობის აღიარების მოწმობის მეშვეობით;

b. სანოტარო აქტით.

– 2. მამობის აღიარება ძალაში შედის მისი განხორციელების მომენტიდან.

მუხლი 1:204 ბათილი მამობის აღიარება

– 1. მამობის აღიარება ბათილია, თუ ის განხორციელდა:

a. იმ კაცის მიერ, რომელსაც 1:41 მუხლის შესაბამისად არ შეუძლია ბავშვის დედასთან დაქორწინება;

b. იმ არასრულწლოვანის მიერ, რომელსაც ჯერ არ მიუღწევია თექვსმეტი წლის ასაკისათვის;

c. დედის წინასწარი თანხმობის გარეშე იმ დროს, როდესაც ბავშვს ჯერ არ მიუღწევია თექვსმეტი წლის ასაკისათვის;

d. იმ ბავშვის წინასწარი თანხმობის გარეშე, რომელმაც მიაღწია თორმეტი ან უფრო მეტი წლის ასაკს;

e. იმ კაცის მიერ, ვინც მამობის აღიარების მომენტი დაქორწინებულია სხვა ქალთან, ნაცვლად ბავშვის დედისა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც რაიონულმა სასამართლომ განსაზღვრა, რომ კაცსა და ბავშვის დედას შორის სავარაუდოდ ისეთი ურთიერთობა არსებობს ან არსებობდა, რომელიც საკმარისი ხარისხით შეიძლება გაეუთანაბროთ ქორწინებას, ანდა – რომ კაცსა და ბავშვს შორის არსებობს ახლო პირადი ურთიერთობა;

f. იმ დროს, როდესაც სახეზეა ორივე მშობელი.

– 2. წინა პარაგრაფის (c) ან (d) პუნქტების შესაბამისად აუცილებელი თანხმობა შეიძლება მიცემულ იქნეს ასევე მამობის აღიარების მოწმობის შედგენის შემთხვევათა დაკავშირებითაც.

– 3. იმ კაცის მოთხოვნის საფუძველზე, ვისაც სურს მამობის აღიარება, რაიონულ სასამართლოს შეუძლია თავისი ნებართვით ჩაანაცვლოს თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველი ბავშვის დედის ან თორმეტი ან უფრო მეტი წლის ასაკს მიღწეული ბავშვის აუცილებელი თანხმობა იმ პირობით, რომ აღიარება ზიანს არ მიაყენებს დედის ინტერესებს თავის შვილთან უშფოთველ ურთიერთობაში ანდა – ბავშვის ინტერესებს იმ პირობით, რომ კაცი წარმოადგენს ბავშვის ბიოლოგიურ მამას.

– 4. იმ კაცს, რომელსაც ფსიქიკური თუ გონებრივი მდგომარეობის გამო დაუდგინდა ზრდასრული პირების მეურვეობა, შეუძლია მამობის აღიარება მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც რაიონულმა სასამართლომ გასცა ამაზე თავისი ნებართვა.

მუხლი 1:205 მამობის აღიარების ბათილობა

– 1. მამობის აღიარების ბათილობის მოთხოვნა იმ საფუძველზე, რომ მამობის ამღიარებელი კაცი არ წარმოადგენს ბავშვის ბიოლოგიურ მამას, შეიძლება წარდგენილ იქნეს რაიონულ სასამართლოში:

a. ბავშვის მიერ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღიარება განხორციელდა მას შემდეგ, როდესაც ბავშვმა მიაღწია სრულწლოვანების ასაკს;

b. მამობის ამღიარებელი კაცის მიერ, თუ ბავშვის აღიარება მოხდა მუქარის, შეცდომისა თუ მოტყუების (შეცდომაში შეყვანის) ზეგავლენით ან – იმ პირობით, რომ ზეგავლენა მოხდა არსებულ გარემოებათა ბოროტად გამოყენების (იძულების) შედეგად იმ პერიოდში, როდესაც ეს კაცი ჯერ არ იყო სრულწლოვანი;

c. დედის მიერ, თუ მამობის აღიარებაზე თანხმობის გაცემა მოხდა მუქარის, შეცდომისა თუ მოტყუების (შეცდომაში შეყვანის) ზეგავლენით ან – იმ პირობით, რომ ზეგავლენა მოხდა არსებულ გარემოებათა ბოროტად გამოყენების (იძულების) შედეგად იმ პერიოდში, როდესაც დედა ჯერ არ იყო სრულწლოვანი.

– 2. პროკურატურას შეუძლია წარადგინოს მამობის აღიარების ბათილობის მოთხოვნა ჰოლანდიური საჯარო წესრიგთან წინააღმდეგობის გამო იმ შემთხვევაში, თუ მამობის ამღიარებელი კაცი არ წარმოადგენს ბავშვის ბიოლოგიურ მამას.

– 3. მუქარისა თუ გარემოებათა ბოროტად გამოყენების შემთხვევაში მამობის ამღიარებელ კაცს ან ბავშვის დედას მამობის აღიარების ბათილობის მოთხოვნის წარდგენა შეუძლია არაუგვიანეს ერთი წლისა ზეგავლენის შეწყვეტის მომენტიდან, ხოლო მოტყუებისა თუ შეცდომის შემთხვევაში კი, – არაუგვიანეს ერთი წლისა განმცხადებლის მიერ მოტყუებისა თუ შეცდომის აღმოჩენის შემდეგ.

– 4. მამობის აღიარების ბათილობის მოთხოვნა შეიძლება წარდგენილ იქნეს ბავშვის მიერ სამი წლის განმავლობაში მას შემდეგ, რაც მან შეიტყო იმ ფაქტის შესახებ, რომ კაცი შესაძლოა არ არის მისი ბიოლოგიური მამა. თუმცა, თუ ბავშვმა აღნიშნულის შესახებ შეიტყო მანამდე, სანამ ის ჯერ არასრულწლოვანი იყო, მაშინ მოთხოვნის წარდგენა მას შეუძლია სრულწლოვანების ასაკის მიღწევიდან სამი წლის ვადის გასვლამდე.

– 5. როდესაც მამობის ამღიარებელი კაცი ან ბავშვის დედა გარდაიცვლება მანამდე, სანამ არ გავა პარ. 3-ში მითითებული ვადა, შესაბამისად გამოიყენება 1:201 მუხლის პარ. 1. როდესაც ბავშვი გარდაიცვლება მანამდე, სანამ არ გავა პარ. 4-ში მითითებული ვადა, მაშინ შესაბამისად გამოიყენება 1:201 მუხლის პარ. 2.

მუხლი 1:206 მამობის აღიარების ბათილობის სამართლებრივი შედეგები

– 1. მას შემდეგ, რაც მამობის აღიარების ბათილობის შესახებ სასამართლოს განკარგულება შევა კანონიერ ძალაში და გახდება მბოჭავი, მიიჩნევა, რომ ამ აღიარებას არასოდეს ჰქონია რაიმე სამართლებრივი შედეგი.

– 2. თუმცა, ხელშეუხებელი რჩება მესამე პირთა მიერ კეთილსინდისიერად მოპოვებული უფლებები.

– 3. მამობის აღიარების ბათილობა არ წარმოშობს რაიმე მოთხოვნას მოვლა-პატრონობისა და აღზრდის ხარჯების ან რჩენისა და სწავლა-განათლების ხარჯების ანაზღაურებასთან დაკავშირებით, ისევე როგორც – ნებისმიერ სხვა მოთხოვნებს იმ თანხების კომპენსაციასთან დაკავშირებით, რომლებიც გამოყენებულ იქნა მშობლის უზუფრუქტის შედეგად. გარდა აღნიშნულისა, მამობის აღიარების ბათილობა არ წარმოშობს ქონებიდან მიღებული სარგებლის დაბრუნების ან ანაზღაურების ვალდებულებას, თუ ასეთი სარგებლის მიმღებ პირს მოთხოვნის წარდგენის მომენტიდან აღარ ექნება რაიმე უპირატესობა.

განყოფილება 1.11.4 – მამობის დადგენა სასამართლოს წესით

მუხლი 1:207 მამობის დადგენა სასამართლოს მიერ

– 1. კაცის მამობა, თუნდაც მისი გარდაცვალების შემდეგ, შეიძლება დადგინდეს რაიონული სასამართლოს მიერ იმ საფუძველზე, რომ ეს კაცი წარმოადგენს ბავშვის ბიოლოგიურ მამას ანდა – იმ საფუძველზე, რომ ეს კაცი ბავშვის დედის ცხოვრების თანამგზავრად ყოფნის პერიოდში დათანხმდა, ემოქმედა იმგავარად, რომ ასეთ მოქმედებას შესაძლოა შედეგადაც მოჰყოლოდა ბავშვის ჩასახვა, თუ ასეთი მოთხოვნა წარდგენილია:

- a. დედის მიერ იმ შემთხვევაში, თუ ბავშვს ჯერ არ მიუღწევია თექვსმეტი წლის ასაკისათვის;
- b. ბავშვის მიერ.

– 2. სასამართლოს მიერ კაცის მამობის დადგენა დაუშვებელია, თუ:

- a. ბავშვს ჰყავს ორივე მშობელი;
- b. 1:41 მუხლის თანახმად კაცს ეკრძალება ბავშვის დედასთან დაქორწინება, ან
- c. კაცი წარმოადგენს არასრულწლოვანს, რომელსაც ჯერ არ მიუღწევია თექვსმეტი წლის ასაკისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის გარდაიცვალა ამ ასაკის მიღწევამდე.

– 3. მოთხოვნა წარდგენილ უნდა იქნეს დედის მიერ ბავშვის დაბადებიდან ხუთი წლის განმავლობაში, ხოლო როდესაც სავარაუდო ბიოლოგიური მამის პიროვნება ან მისი ადგილსამყოფელი უცნობია, – მაშინ ხუთი წლის განმავლობაში იმ თარიღიდან, როდესაც დედამ შეიტყო მისი პიროვნებისა თუ ადგილსამყოფელის შესახებ.

– 4. როდესაც ბავშვი გარდაიცვლება მანამდე, სანამ მამობის დადგენას შესაძლოა ჰქონოდა ადგილი, ამ ბავშვის პირველი რიგის შთამომავალს შეუძლია რაიონულ სასამართლოს მოთხოვნის მამობის დადგენა იმ პირობით, რომ პარ. 1-ში მითითებული კაცი ჯერ კიდევ ცოცხალია. მოთხოვნა წარდგენილ უნდა იქნეს ერთი წლის განმავლობაში ბავშვის გარდაცვალების მომენტიდან ანდა – ერთი წლის განმავლობაში მას შემდეგ, რაც განმცხადებელმა შეიტყო ბავშვის გარდაცვალების შესახებ.

– 5. იმ პირობით, რომ შესაბამისი სასამართლოს განკარგულება შევიდა კანონიერ ძალაში და გახდა მბოჭავი, სასამართლოს წესით მამობის დადგენას აქვს უკუქცევითი ძალა ბავშვის დაბადების მომენტიდან. თუმცადა, ხელშეუხებელი რჩება მესამე პირთა მიერ კეთილსინდისიერად მოპოვებული უფლებები. გარდა აღნიშნულისა, სასამართლოს წესით მამობის დადგენა არ წარმოშობს ქონებიდან მიღებული სარგებლის დაბრუნების ან ანაზღაურების ვალდებულებას, თუ ასეთი სარგებლის მიმღებ პირს მოთხოვნის წარდგენის მომენტიდან აღარ ექნება რაიმე უპირატესობა.

მუხლი 1:208 ბავშვის სარჩოს (ბავშვის დახმარების) თანხის განსაზღვრა იმავე სასამართლო პროცესის ფარგლებში

იმ სასამართლოს განკარგულებით, რომლითაც დადგინდა მამობა, სასამართლოს ამ მიზნით წარდგენილი მოთხოვნის საფუძველზე შეუძლია მოახდინოს ასევე ბავშვის სასარგებლოდ 1:404 მუხლში მითითებული მოვლა-პატრონობისა და აღზრდის ხარჯების ან 1:395a მუხლში მითითებული რჩენისა თუ სწავლა-განათლების ხარჯების ანაზღაურებისათვის გადასახდელი თანხების მიკუთვნება.

განყოფილება 1.11.5 – ოჯახური ვითარების არსებობის მოთხოვნა ან მისი სადავოდ გახდომა

მუხლი 1:209 დაბადების მოწმობაში მითითებული ოჯახური ვითარება

პირის დაბადების მოწმობაში მითითებულ სისხლით ნათესაობას სადავოდ ვერ გახდიან სხვა პირები, თუ ეს პირი რეალურად ცხოვრობს – და ინარჩუნებს პირად ურთიერთობებს – იმგვარი ოჯახური ვითარების შესაბამისად, როგორც ეს მითითებულია დაბადების მოწმობაში.

მუხლი 1:210 ოჯახური ვითარების არსებობის მოთხოვნისა თუ მისი სადავოდ გახდომის მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის გამორიცხვა

ოჯახური ვითარების არსებობის მოთხოვნისა თუ მისი სადავოდ გახდომის მოთხოვნის უფლება არ ექვემდებარება ხანდაზმულობას.

მუხლი 1:211 ოჯახური ვითარების არსებობის მოთხოვნის წარდგენაზე უფლებამოსილი პირები

– 1. ოჯახური ვითარების არსებობის მოთხოვნა შეიძლება წარდგენილ იქნეს:

a. თავად ბავშვის მიერ;

b. ბავშვის მემკვიდრეების მიერ, თუ ბავშვი სრულწლოვანების ასაკის მიღწევამდე გარდაიცვალა ანდა – ამ მომენტიდან სამი წლის განმავლობაში.

– 2. თუ ბავშვმა წარადგინა პარ. 1-ში მითითებული მოთხოვნა, მაშინ მის მემკვიდრეებს შეუძლიათ გააგრძელონ საქმის წარმოება.

განყოფილება 1.11.6 – სპეციალური მეურვე

მუხლი 1:212 საქმის წარმოების დროს არასრულწლოვანი პირის წარმომადგენლობის მიზნით სპეციალური მეურვის დანიშვნა

სისხლით ნათესაობის საკითხებში განმცხადებლის ან დაინტერესებული პირის სახით მოქმედ არასრულწლოვან ბავშვს უნდა წარმომადგენდეს შესაბამისი განსჯადი რაიონული სასამართლოს მიერ ექსკლუზიურად ამ მიზნით დანიშნული სპეციალური მეურვე.

მუხლი 1:213 {გაუქმებულია 01.04. 1998წ.}

მუხლი 1:214 {გაუქმებულია 01.04. 1998წ.}

მუხლი 1:215 {გაუქმებულია 01.04. 1998წ.}

მუხლი 1:216 {გაუქმებულია 01.04. 1998წ.}

მუხლი 1:217 {გაუქმებულია 01.04. 1998წ.}

მუხლი 1:218 {გაუქმებულია 01.04. 1998წ.}

მუხლი 1:219 {გაუქმებულია 01.04. 1998წ.}

მუხლი 1:220 {გაუქმებულია 01.04. 1998წ.}

მუხლი 1:221 {გაუქმებულია 01.04. 1998წ.}

მუხლი 1:222 {გაუქმებულია 01.04. 1998წ.}

მუხლი 1:223 {გაუქმებულია 01.04. 1998წ.}

მუხლი 1:224 {გაუქმებულია 01.04. 1998წ.}

მუხლი 1:225 {გაუქმებულია 01.04. 1998წ.}

მუხლი 1:226 {გაუქმებულია 01.04. 1998წ.}

ტიტული 1.12 – შვილად აყვანა

მუხლი 1:227 შვილად აყვანის საფუძვლები

– 1. ბავშვის შვილად აყვანა ხორციელდება რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით ორი პირის ერთობლივი მოთხოვნის ან მხოლოდ ერთი პირის მოთხოვნის საფუძველზე. ერთობლივი მოთხოვნის წარდგენა დაუშვებელია იმ ორი პირის მიერ, რომლებსაც 1:41 მუხლის თანახმად ეკრძალებათ ერთმანეთთან დაქორწინება.

– 2. ორი პირის მიერ ერთობლივი მოთხოვნის წარდგენა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირები უშუალოდ მოთხოვნის წარდგენის მომენტამდე ცხოვრობდნენ ერთად ზედიზედ, სულ ცოტა, სამი წლის განმავლობაში. იმ მშვილებლის მოთხოვნა, ვინც წარმოადგენს მეუღლეს, რეგისტრირებულ პარტნიორსა თუ შვილად ასაყვანი ბავშვის მშობლის ცხოვრების თანამგზავრს, შეიძლება წარდგენილ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მშვილებელი უშუალოდ მოთხოვნის წარდგენის მომენტამდე ცხოვრობდა ბავშვის მშობელთან ზედიზედ, სულ ცოტა, სამი წლის განმავლობაში. მეორე წინადადებაში მითითებული მოთხოვნა არ გამოიყენება, თუ ბავშვი დაბადებულია ან დაიბადება მშვილებელსა და აღნიშნულ მშობელს შორის არსებული პირადი ურთიერთობის შედეგად.

– 3. ბავშვის შვილად აყვანის მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი შვილად აყვანა აშკარად ბავშვის საუკეთესო ინტერესებშია და დადგინდა იქნა ის ფაქტი, რომ შვილად ასაყვანი ბავშვი მოთხოვნის წარდგენის მომენტსა და გონივრულად განჭვრეტად მომავალში მშობლობასთან დაკავშირებით ვერაფერს ელოდება თავისი მშობლისა თუ მშობლებისგან იმ დროს, როდესაც დაკმაყოფილებულია 1:228 მუხლის ყველა მოთხოვნა.

– 4. ბავშვის შვილად აყვანის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს იმ შემთხვევაში, თუ ბავშვი დაბადებულია ან დაიბადება მის მშობელსა და მშვილებელს შორის არსებული პირადი ურთიერთობის შედეგად და ბავშვი გაჩნდა სპერმის დონორის ხელოვნური განაყოფიერების გზით ხელოვნური განაყოფიერების თაობაზე დონორების ინფორმირების შესახებ კანონის 1 მუხლის (c) პუნქტის შესაბამისად, რაც დადასტურდა ამ კანონში ნახსენები ფონდის მიერ წარმოდგენილი განცხადებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შვილად აყვანა აშკარად არ არის ბავშვის საუკეთესო ინტერესებში ანდა არ არის დაკმაყოფილებული 1:228 მუხლის მოთხოვნები.

– 5. როდესაც შვილად ასაყვანი ბავშვის სახელი უცნობია, სასამართლოს შეუძლია განსაზღვროს ეს სახელი შვილად აყვანის განკარგულებაში მშვილებლისა თუ მშვილებლების და ასევე ბავშვის მოსმენის შემდეგ, თუ ეს უკანასკნელი თორმეტი ან მეტი წლისაა.

– 6. შვილად აყვანის საკითხებში სრულწლოვანების ასაკს მიუღწეველ მშობელს სასამართლო პროცესში მოქმედებისას აქვს სრული ქმედუნარიანობა.

მუხლი 1:228 ბავშვის შვილად აყვანისათვის არსებული მოთხოვნები

– 1. ბავშვის შვილად აყვანისათვის არსებულ მოთხოვნებს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ:

a. ბავშვის შვილად აყვანის პირველი მოთხოვნის წარდგენის დღეს ეს უკანასკნელი ჯერ კიდევ არასრულწლოვანი იყო და იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის წარდგენის დღეს ბავშვი თორმეტი ან მეტი წლისაა, მან არ გააპროტესტა სასამართლოში მისი მოსმენის მოთხოვნის დაკმაყოფილება; იგივე წესი მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო აღმოაჩენს, რომ არასრულწლოვანი ბავშვი, რომელსაც მოთხოვნის წარდგენის დღეს ჯერ არ მიუღწევია თორმეტი წლის ასაკისათვის, თუმცა შესაძლებლად მიიჩნევა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მისი ინტერესების გონივრული შეფასება, – ეწინააღმდეგება მოთხოვნის დაკმაყოფილებას;

b. ბავშვი არ არის მშვილებლის შვილიშვილი;

c. მშვილებელი ან თითოეული მშვილებელი ბავშვზე, სულ ცოტა, თვრამეტი წლით უფროსია;

d. არც ერთ მშობელს არ განუცხადებია პროტესტი შვილად აყვანის მოთხოვნის სანააღმდეგოდ;

e. ბავშვის დედამ, თუ ის ჯერ კიდევ არასრულწლოვანია, მოთხოვნის წარდგენის დღეს მიაღწია, სულ ცოტა, თექვსმეტი წლის ასაკს;

f. ბავშვის მშვილებელი ან მშვილებლები ზრუნავდნენ ბავშვზე და ზრდიდნენ მას, სულ ცოტა, ერთი წლის განმავლობაში; თუ მეუღლე, რეგისტრირებული პარტნიორი ან მშობლისა თუ მშვილებელი მშობლის ცხოვრების თანამგზავრი ახდენენ ბავშვის შვილად აყვანას და ისინი ერთობლივად ზრუნავდნენ ბავშვზე და ზრდიდნენ მას, სულ ცოტა, ერთი წლის განმავლობაში, მაშინ ეს ერთწლიანი პერიოდის ვადის დენა, რამდენადაც ის ეხება მეუღლეს, რეგისტრირებულ პარტნიორსა თუ სხვა ცხოვრების თანამგზავრს, იწყება იმ მომენტიდან, როდესაც ამ პირებმა რეალურად დაიწყეს ბავშვზე ზრუნვა და მისი აღზრდა;

g. მშობელს ან მშობლებს არა აქვთ ან აღარ აქვთ უფლებამოსილება ბავშვზე; თუმცა, თუ ბავშვის შვილად აყვანას ახდენენ მეუღლე, რეგისტრირებული პარტნიორი ან მშობლის ცხოვრების თანამგზავრი, მაშინ აუცილებელია, რომ ამ მშობელს ჰქონდეს დამოუკიდებლად ან ერთობლივად მეუღლესთან, რეგისტრირებულ პარტნიორთან ან ცხოვრების სხვა თანამგზავრთან ერთად ბავშვზე უფლებამოსილება.

– 2. ბავშვის ერთ-ერთი მშობლის პროტესტი, როგორც ეს მითითებულია პარ. 1-ის (d) პუნქტში, შეიძლება უგულვებლყოფილ იქნეს იმ შემთხვევაში, თუ:

a. ბავშვი და მისი მშობლები არ ცხოვრობდნენ ერთად როგორც ოჯახი ან თითქმის არ ცხოვრობდნენ ასე, ან

b. მშობელმა ბოროტად გამოიყენა ბავშვზე თავისი უფლებამოსილება ან უხეშად უგულბებლყო მასზე დაკისრებული ბავშვზე ზრუნვასა და მის აღზრდასთან დაკავშირებული მოვალეობები, ანდა

c. მშობელი საბოლოოდ გასამართლებულ იქნა ბავშვის მიმართ ჩადენილი დანაშაულისათვის, როგორც ეს მითითებულია სისხლის სამართლის კოდექსის მეორე ნიგნის XIII-დან XV-მდე და XVIII-დან XX-მდე ტიტულებში.

– 3. პარ. 1-ის (f) პუნქტში მითითებული მოთხოვნა არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ ბავშვი დაბადებულია იმ პერიოდში, როდესაც მის დედას აქვს ახლო პირადი ურთიერთობა იგივე სქესის ცხოვრების თანამგზავრთან.

მუხლი 1:229 შვილად აყვანის სამართლებრივი შედეგები: ოჯახური ურთიერთობა

– 1. შვილად აყვანა ნარმოშობს ოჯახურ ურთიერთობებს ნაშვილებს და მშვილებელ მშობელსა და მის სისხლით ნათესავებს შორის ანდა მშვილებელ მშობლებსა და მათ სისხლით ნათესავებს შორის.

– 2. ერთდროულად წყდება ოჯახური ურთიერთობები ნაშვილებს, მის თავდაპირველ მშობლებსა და მათ სისხლით ნათესავებს შორის.

– 3. პარ. 2-საგან განსხვავებით, ოჯახურ ურთიერთობები შენარჩუნდება ნაშვილებს და მის მშობელსა და ამ უკანასკნელის სისხლით ნათესავებს შორის იმ შემთხვევაში, როდესაც ბავშვის შვილებას ახდენს მშობლის მეუღლე, რეგისტრირებული პარტნიორი ან ცხოვრების სხვა თანამგზავრი.

– 4. თუ შვილად აყვანის მომენტისათვის ბავშვს აქვს პირადი კონტაქტი იმ მშობელთან, რომელთანაც ოჯახური ურთიერთობა შეწყდა, მაშინ სასამართლოს შეუძლია დაადგინოს, რომ ბავშვი და მისი მშობელი დარჩნენ უფლებამოსილი ერთმანეთთან ურთიერთობაზე მშობლის მიერ ბავშვის მონახულების უფლების ძალით. შესაბამისად გამოიყენება 1:377a მუხლის პარ. 2 და 3, 1:377e და 1:377g მუხლები.

მუხლი 1:230 შვილად აყვანის ძალაში შესვლის მომენტი

– 1. შვილად აყვანა ძალაში შედის იმ დღიდან, როდესაც შვილად აყვანის შესახებ სასამართლოს განკარგულება შედის კანონიერ ძალაში და ხდება მხოლოდ.

– 2. თუ ბავშვი დაიბადა მის მშობელსა და მშვილებელ მშობელს შორის არსებული პირადი ურთიერთობის შედეგად და შვილად აყვანა მოთხოვნილ იქნა ბავშვის დაბადებამდე, მაშინ ამ უკანასკნელს აქვს უკუქცევითი ძალა ბავშვის დაბადების დღიდან; როდესაც შვილად აყვანა მოთხოვნილ იქნა ბავშვის დაბადებიდან ექვსი თვის განმავლობაში, მაშინ მას უკუქცევითი ძალა აქვს მოთხოვნის სასამართლოში წარდგენის დღიდან. პირველი წინადადების ნორმები არ გამოიყენება, თუ შვილად აყვანამდე ბავშვსა და მეორე მშობელს შორის უკვე არსებობდა ოჯახური ურთიერთობები, რომლებიც დაირღვეოდა ბავშვის შვილად აყვანით. პირველ წინადადებაში მითითებულ ვითარებაში შვილად აყვანის გადანყვეტილება შეიძლება მიღებულ იქნეს ასევე იმ შემთხვევაშიც, თუ მშვილებელი მოთხოვნის წარდგენის შემდეგ გარდაიცვალა.

– 3. შვილად აყვანა სრულად ინარჩუნებს ძალას იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში ნათელი ხდება, რომ სასამართლომ არასწორად დაუშვა იმის აღბათობა, რომ დაკმაყოფილებულია 1:228 მუხლის მოთხოვნები.

მუხლი 1:231 შვილად აყვანის გაუქმება

– 1. შვილად აყვანა შეიძლება გაუქმდეს ნაშვილების მოთხოვნის საფუძველზე მიღებული სასამართლოს განკარგულებით.

– 2. ნაშვილების აღნიშნული მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი შვილად აყვანის გაუქმება აშკარად ბავშვის საუკეთესო ინტერესებშია და რაიონული სასამართლო რწმუნდება იმაში, რომ გაუქმება გონივრულია, რომლის დროსაც მოთხოვნის წარდგენა ხდება არაუადრეს ორი წლისა და არაუგვიანეს ხუთი წლისა მას შემდეგ, როდესაც ნაშვილებმა მიაღწია სრულწლოვანების ასაკს.

მუხლი 1:232 შვილად აყვანის გაუქმების სამართლებრივი შედეგები

– 1. შვილად აყვანის გაუქმებას შედეგად მოჰყვება ის, რომ წყდება ყველა ოჯახური ურთიერთობა, ერთი მხრივ, ნაშვილებსა და მის შვილებს და, მეორე მხრივ, მშვილებელ მშობელს ან მშობლებსა და მის ან მათ სისხლით ნათესავებს შორის.

– 2. ყველა ოჯახური ურთიერთობა, რომელიც შეწყდა შვილად აყვანის შედეგად, კვლავ აღდგება შვილად აყვანის გაუქმების შედეგად.

– 3. შვილად აყვანის გაუქმების მიმართ შესაბამისად გამოიყენება 1:230 მუხლი.

ტიტული 1.13 – ადრეული ბავშვობა (მცირეწლოვნობა)

განყოფილება 1.13.1 – ზოგადი დებულებები

მუხლი 1:233 არასრულწლოვანი პირები

არასრულწლოვნებს წარმოადგენენ პირები, რომლებსაც ჯერ არ მიუღწევიათ თვრამეტი წლის ასაკის სათვის და რომლებიც არ არიან დაქორწინებული ან პარტნიორის სახით არ იმყოფებიან რეგისტრირებულ პარტნიორობაში და ასევე არ არიან აღიარებული სრულწლოვან პირებად 1:253ha მუხლის შესაბამისად.

მუხლი 1:234 არასრულწლოვან პირთა შეზღუდული ქმედუნარიანობა

- 1. იმდენად, რამდენადაც კანონი სხვაგვარად არ ითვალისწინებს, არასრულწლოვანს აქვს თავისი საკუთარი სახელით გარიგებების დადების უნარი იმ პირობით, თუ მოქმედებს თავისი კანონიერი წარმომადგენლის ნებართვით.
- 2. არასრულწლოვნის კანონიერ წარმომადგენელს თავისი ნებართვის მიცემა შეუძლია მხოლოდ ჯეროვნად განსაზღვრული მიზნის ფარგლებში დასაადები კონკრეტული გარიგებისა თუ გარიგებებისათვის.
- 3. ივარაუდება, რომ არასრულწლოვანი მოქმედებს თავისი კანონიერი წარმომადგენლის ნებართვით, თუ ის დებს ისეთ გარიგებას, რომლის მიმართაც ზოგად პრაქტიკას წარმოადგენს არასრულწლოვანი პირების მიერ მისი დამოუკიდებლად დადება.

განყოფილება 1.13.2 – არასრულწლოვანის სასამართლოს წესით ემანსიპაცია

მუხლი 1:235 სრული ქმედუნარიანობის მქონე არასრულწლოვანის მიერ განსაზღვრული გარიგებების დადება

- 1. არასრულწლოვანს, რომელმაც მიაღწია თექვსმეტი წლის ასაკს, შეუძლია რაიონულ სასამართლოს მოსახოვოს ემანსიპაცია იმ გაგებით, რომ მას სასამართლოს განკარგულებით მიენიჭოს ზრდასრულის კუთვნილი ზოგიერთი უფლებამოსილება.
- 2. ემანსიპაციის მინიჭება არ ხდება მშობელთა ნების საწინააღმდეგოდ, თუ ისინი არასრულწლოვანის მიმართ უფლებამოსილებას ახორციელებენ 1:253a პარ. 1-ის ნორმის სათანადო დაცვით.
- 3. ემანსიპაციის დამდგენ სასამართლოს განკარგულებაში რაიონული სასამართლო ნათლად განსაზღვრავს, თუ ზრდასრულის კუთვნილი რა უფლებამოსილებები ენიჭება არასრულწლოვანს. ეს უფლებამოსილებები ვერ გავრცელდება არასრულწლოვანის სრულ ქმედუნარიანობაზე, მიიღოს თავისი მთლიანი შემოსავალი ან მისი ნაწილი და განკარგოს ის, ან – დადოს ქირავნობის ან იჯარის ხელშეკრულებები გამქირავებლის/მეიჯარის სახით ანდა მონაწილეობა მიიღოს პარტნიორის სახით სავაჭრო ამხანაგობაში და განახორციელოს პროფესიული ან სამეწარმეო საქმიანობა. თუმცადა, ემანსიპაცია ვერ მიანიჭებს არასრულწლოვანს სრულ ქმედუნარიანობას, განკარგოს რეგისტრირებული ქონება, საფონდო ბირჟაზე გატანილი ფასიანი ქაღალდები თუ იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნები.
- 4. არასრულწლოვანს შეუძლია დამოუკიდებლად იმოქმედოს როგორც მოსარჩელემ ან მოპასუხემ სასამართლო დავებში იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც ეხება თავად ემანსიპაციას და ასევე იმ გარიგებებს, რომელთა დადებაზეც თავისი ემანსიპაციის შედეგად მან შეიძინა სრული ქმედუნარიანობა. აღნიშნული გარიგებების მიმართ 1:12 მუხლის პარ. 1-ის ნორმა არ გამოიყენება.

მუხლი 1:236 სასამართლოს მიერ მინიჭებული ემანსიპაციის გაუქმება

- 1. დადგენილი ემანსიპაცია შეიძლება გაუქმდეს რაიონული სასამართლოს მიერ იმ შემთხვევაში, როდესაც არასრულწლოვანი არღვევს თავის ემანსიპირებულ სტატუსს ანდა როდესაც არსებობს საფუძვლიანი შიში იმისა, რომ ის შესაძლო ასე მოიქცეს.
- 2. ემანსიპაციის გაუქმების დადგენა ხდება რაიონული სასამართლოს მიერ არასრულწლოვანის ერთ-ერთი მშობლის მოთხოვნის საფუძველზე იმ პირობით, რომ ისინი მის მიმართ უფლებამოსილებას ახორციელებენ 1:253a პარ. 1-ის ნორმის სათანადო დაცვით, ანდა – არასრულწლოვანის იურიდიული მეურვის მოთხოვნის საფუძველზე.

მუხლი 1:237 არასრულწლოვანის ემანსიპაციის გამოქვეყნება

- 1. არასრულწლოვანის ემანსიპაციის დადგენისა თუ გაუქმების შესახებ სასამართლოს განკარგულება უნდა გამოქვეყნდეს სამთავრობო მაცნეში და სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ორ ყოველდღიურ გაზეთში.
- 2. პუბლიკაციაში ნათლად უნდა იქნეს განსაზღვრული, თუ ზრდასრულის რა უფლებამოსილებები ენიჭება არასრულწლოვანს და რა მიზნით დგინდება ემანსიპაცია. გამოქვეყნებამდე არც დადგენილ ემანსიპაციასა და არც მის გაუქმებას არ უნდა ჰქონდეს რაიმე შედეგი იმ მესამე პირების წინააღმდეგ, რომლებმაც არ იცოდნენ ამის შესახებ.

განყოფილება 1.13.3 – ბავშვის ინტერესების დაცვის საბჭო

მუხლი 1:238 ბავშვის ინტერესების დაცვის საბჭოს მოვალეობები და უფლებამოსილებები

- 1. არსებობს ბავშვის ინტერესების დაცვის საბჭო.
- 2. ბავშვის ინტერესების დაცვის საბჭოს მოვალეობები და უფლებამოსილებები დადგენილია კანონით. ეს მოვალეობები და უფლებამოსილებები საბჭოს მიერ ხორციელდება იუსტიციის სამინისტროს სახელით.
- 3. თავისი მოვალეობების შესრულებისათვის საბჭო უნდა იყოს ინფორმირებული ბავშვთა ინტერესების დაცვის სფეროში მომხდარი მოვლენების თაობაზე, მან ხელი უნდა შეუწყოს ბავშვთა და მოზარდთა ინტერესების დამცველ დაწესებულებებთან თანამშრომლობას და მოთხოვნის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით მისცეს რეკომენდაციები სახელმწიფო ორგანოებსა და დაწესებულებებს.
- 4. საბჭოს მცდელობები არანაირ ზეგავლენას არ ახდენს ბავშვთა ინტერესების დამცველი დაწესებულებების რელიგიურ ან იდეოლოგიურ ხელმძღვანელებზე.
- 5. საბჭოს ადგილსამყოფელი, მუშაობის მეთოდი, როდესაც ის ეხება ახალგაზრდობაზე ზრუნვის შესახებ კანონის 1-ლი მუხლის პარ. 1-ში მითითებულ ფონდთან თანამშრომლობას, და ასევე – მუშაობის ორგანიზება რეგულირდება მეფის სამთავრობო ბრძანებით.

მუხლი 1:239 არასრულწლოვანთა სახელით მოქმედების უფლებამოსილება და საჩივრების განხილვის პროცედურა

- 1. ბავშვის ინტერესების დაცვის საბჭო შეიძლება მოქმედებდეს იმ არასრულწლოვანთა სახელით, რომლებსაც აქვთ თავიანთი დომიცილი ანდა უკანასკნელი დომიცილი თუ ფაქტიური ადგილსამყოფელი ნიდერლანდებში. საბჭოს შეუძლია ასევე მოქმედებდეს იმ ჰოლანდიელ არასრულწლოვანთა სახელით, რომლებსაც არა აქვთ დომიცილი ანდა უკანასკნელი დომიცილი და არც ფაქტიური ადგილსამყოფელი ნიდერლანდებში.
- 2. იმ არასრულწლოვანთა სახელით, რომლებსაც აქვთ თავიანთი დომიცილი ანდა უკანასკნელი დომიცილი თუ ფაქტიური ადგილსამყოფელი განსაზღვრული სასამართლოს სამოქმედო უბანზე, ამ სამოქმედო უბნის ფარგლებში ბავშვის ინტერესების დაცვის საბჭოს ფუნქციებს შეასრულებს სამუშაო დაწყალებები.
- 3. თუ წინა პარაგრაფის საფუძველზე უფრო მეტი რაოდენობის სამუშაო დანაყოფი სხვადასხვა უბანში იქნებოდა პასუხისმგებელი იმავე არასრულწლოვანის სახელით მოქმედებისათვის, მაშინ ერთ-ერთი ამ სამუშაო დანაყოფის მოქმედება ინვევს ყველა სხვა დანაყოფის უფლებამოსილების შეწყვეტას.
- 4. იმ ჰოლანდიელ არასრულწლოვანთა სახელით, რომლებსაც არა აქვთ დომიცილი ანდა უკანასკნელი დომიცილი და არც ფაქტიური ადგილსამყოფელი ნიდერლანდებში, ბავშვის ინტერესების დაცვის საბჭოს ფუნქციებს შეასრულებს ამსტერდამის სასამართლოს სამოქმედო უბნის ფარგლებში არსებული საბჭოს სამუშაო დანაყოფები.
- 5. ბავშვთა ინტერესების დაცვასთან დაკავშირებულ საქმეზე საჩივრების განხილვის პროცედურა, რომელიც ეხება ანდა ეხებოდა ბავშვის ინტერესების დაცვის საბჭოს, რეგულირდება მეფის სამთავრობო ბრძანებით.

მუხლი 1:240 პროფესიული საიდუმლოების დაცვის წესის გაუთვალისწინებლობა

პირებს, რომლებსაც საკანონმდებლო ნორმების თანახმად ან თავიანთი სამსახურისა თუ პროფესიის გამო ეკისრებათ საიდუმლოების დაცვის ვალდებულება, შეუძლიათ შესაბამისი პირის ნებართვის გარეშე

მიანოდონ ინფორმაცია ბავშვის ინტერესების დაცვის საბჭოს ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც ეს შეიძლება აუცილებლად იქნეს მიჩნეული საბჭოს ვალდებულებათა შესრულებისათვის.

მუხლი 1:241 ბავშვის ინტერესების დაცვის მექანიზმები (სამეურვეო კონტროლი და დროებითი მეურვეობა)

– 1. თუ ბავშვის ინტერესების დაცვის საბჭო შეიტყობს იმ ფაქტის შესახებ, რომ არასრულწლოვანი არ იმყოფება კანონით მოთხოვნილი უფლებამოსილების ქვეშ ანდა რომ ასეთი უფლებამოსილება არ ხორციელდება მის მიმართ, მაშინ საბჭომ უნდა მიმართოს სასამართლოს მოთხოვნით, უზრუნველყოს არასრულწლოვანის მიმართ ამ უფლებამოსილების რეალიზაცია.

– 2. იმ შემთხვევაში, თუ სასწრაფოდ და გადაუდებლად აუცილებელია არასრულწლოვანის მორალური თუ მენტალური ინტერესებისა თუ ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი საფრთხის თავიდან აცილება, მაშინ არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლოს შეუძლია ახალგაზრდობაზე ზრუნვის შესახებ კანონის 1-ლი მუხლის პარ. 1-ში მითითებულ ფონდს დაავალოს არასრულწლოვანის მიმართ დროებითი მეურვეობის განხორციელება. ამ შემთხვევაში ბავშვის ინტერესების დაცვის საბჭო ექვსი თვის განმავლობაში მიმართავს სასამართლოს არასრულწლოვანის მიმართ სამეურვეო კონტროლის მექანიზმის დადგენის შესახებ.

– 3. პარ. 2-ში მითითებული საუზრუნველყოფო ღონისძიებების მიღება შესაძლებელია ასევე იმ შემთხვევაშიც, თუ მცირეწლოვანი, რომელსაც ჯერ არ მიუღწევია ექვსი თვის ასაკისათვის და რომელიც არ იმყოფება იურიდიული პირის მეურვეობის ქვეშ, აყვანილ იქნა როგორც გერი ბავშვის ინტერესების დაცვის საბჭოს წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

– 4. არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლოს შეუძლია დაადგინოს წინამდებარე მუხლში მითითებული დროებითი მეურვეობა ბავშვის ინტერესების დაცვის საბჭოს ან პროკურატურის მოთხოვნის საფუძველზე. არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლო თავის განკარგულებაში განსაზღვრავს იმას, თუ რა უფლებამოსილებები უნდა მიენიჭოს ფონდს არასრულწლოვანის როგორც პირისა და მისი ქონების მიმართ, ასევე – დროებითი მეურვეობის ვადას.

– 5. დროებითი მეურვეობა წყდება ექვსი თვის ვადის გასვლისთანავე იმ დღიდან, როდესაც არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლომ ეს შეწყვეტა დაადგინა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნული ვადის განმავლობაში წარდგენილ იქნა მოთხოვნა არასრულწლოვანის მიმართ უფლებამოსილების განხორციელების შესახებ. არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლოს შეუძლია განსაზღვროს ეს ვადა მაქსიმუმ თორმეტი კვირით, თუმცა, – მხოლოდ იმ საფუძველზე, რომ პირველ წინადადებაში მითითებული მოთხოვნა აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 278-ე მუხლის მოთხოვნებს.

– 6. დროებითი მეურვეობა შეიძლება გაუქმდეს ან შეიცვალოს იმ არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლოს მიერ, რომელმაც ეს მეურვეობა დაადგინა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პარ. 5-ში მითითებული მოთხოვნა უკვე იქნა წარდგენილი. ასეთ შემთხვევაში ის სასამართლო, რომლის მიერაც იხილება მოთხოვნა, განსჯადია დროებითი მეურვეობასთან დაკავშირებული საკითხების მიმართ.

– 7. პარ. 2-ის ნორმებისაგან განსხვავებით, სასამართლოს შეუძლია 302-ე მუხლის პარ. 2-ში მითითებულ იურიდიულ პირს დაავალოს დროებითი მეურვეობის განხორციელება იმ არასრულწლოვანის მიმართ, რომლის სახელითაც წარდგენილ იქნა განაცხადი განსაზღვრული ვადით ბინადრობის ნებართვის გაცემის თაობაზე უცხოელთა შესახებ 2000 წლის კანონის 28-ე მუხლის ნორმათა შესაბამისად და ვინც იმყოფება ნიდერლანდებში ამ ნებართვის მოლოდინში, ანდა – დაავალოს დროებითი მეურვეობის განხორციელება აღნიშნული მიზნით იუსტიციის სამინისტროს მიერ მითითებული სხვა კატეგორიის არასრულწლოვანთა მიმართ.

მუხლი 1:241a 1:243 მუხლი შესაბამისად გამოიყენება დროებითი მეურვეობის განმახორციელებელი ფონდის მიმართ

1:243 მუხლი შესაბამისად გამოიყენება დროებითი მეურვეობის განმახორციელებელი ფონდის მიმართ, როგორც ეს მითითებულია ახალგაზრდობაზე ზრუნვის შესახებ კანონის 1-ლი მუხლის პარ. 1-ში.

მუხლი 1:242 ბავშვის ინტერესების დაცვის საბჭოს მუდმივად ინფორმირებულად ყოფნის მოვალეობა

ბავშვის ინტერესების დაცვის საბჭო ინფორმირებული უნდა იყოს ყველა იმ საქმის თაობაზე, რომლებშიც შესაძლოა განიხილებოდეს სამეურვეო კონტროლის დადგენის საკითხი.

მუხლი 1:243 ბავშვის ინტერესების დაცვის საბჭოსათვის მომსახურების განწევა უნდა ხდებოდეს უსასყიდლოდ

– 1. მერმა, საქალაქო საბჭოს კოლეგიამ და სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრატორმა ბავშვის ინტერესების დაცვის საბჭოს უსასყიდლოდ უნდა მიაწოდოს ყველა ის ინფორმაცია და ასევე ნებისმიერი დამონმებული ასლი და ამონარიდები სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრებიდან, რასაც საბჭო მათგან ითხოვს თავისი მოვალეობების შესასრულებლად. როდესაც ბავშვის ინტერესების დაცვის საბჭო ახორციელებს თავისი მოვალეობებსა თუ უფლებამოსილებებს წინამდებარე ტიტულის ან სამოქალაქო კოდექსის 1.9, 1.10, 1.14, 1.15 და 1.17 ტიტულების ნებისმიერი საკანონმდებლო ნორმის ძალით ანდა – აღნიშნულთან დაკავშირებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმების საფუძველზე, მეფის სამთავრობო ბრძანებაში მითითებული ინსტიტუციები და პირები საბჭოს უსასყიდლოდ აწვდიან სრულ იმ ინფორმაციას, რაც საბჭოს ესაჭიროება თავისი მოვალეობების ჯეროვანი შესრულებისათვის.

– 2. ბავშვის ინტერესების დაცვის საბჭოს მიერ თავისი მოვალეობების შესრულებისას წარდგენილი ყველა მოთხოვნა განხილულ უნდა იქნეს უსასყიდლოდ; საბჭოს მიერ აღნიშნული მიზნით მოთხოვნილი სააღსრულებო დოკუმენტები, დამონმებული ასლები და ამონარიდები რაიონული სასამართლოს მდივნის მიერ მიწოდებულ უნდა იქნეს უსასყიდლოდ.

– 3. აღმასრულებლების მიერ ბავშვის ინტერესების დაცვის საბჭოს მოთხოვნის საფუძველზე წარდგენილი მომართვები უნდა ანაზღაურდეს სტანდარტული განაკვეთით. ადვოკატებს შეუძლიათ საბჭოს მოსთხოვონ განუყოფელი მომსახურების ანაზღაურება.

– 4. როდესაც ბავშვის ინტერესების დაცვის საბჭო მოქმედებს წინამდებარე ტიტულის ან სამოქალაქო კოდექსის 1.9, 1.10, 1.14, 1.15 და 1.17 ტიტულების ნებისმიერი საკანონმდებლო ნორმის შესაბამისად, მას ამის განხორციელება შეუძლია ადვოკატის დახმარების გარეშე, გარდა იმ სასამართლო პროცესებისა, რომელთა განხილვაც დაიწყო სასამართლოში გამოძახების უწყებით.

განყოფილება 1.13.4 – არასრულწლოვანი პირების მიმართ განხორციელებული უფლებამოსილების რეესტრები

მუხლი 1:244 სახელმწიფო რეესტრები

სახელმწიფო რეესტრები რაიონული სასამართლოს წარმოებაშია, რომლებშიც აღინიშნება არასრულწლოვანი პირების მიმართ უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა სამართლებრივი ფაქტი. მეფის სამთავრობო ბრძანებით შეიძლება განისაზღვროს ის, თუ რომელი სამართლებრივი ფაქტები უნდა აღინიშნოს და როგორ უნდა გაკეთდეს ასეთი აღნიშვნები.

ტიტული 1.14 – მცირეწლოვანი ბავშვების მიმართ განხორციელებული უფლებამოსილება

განყოფილება 1.14.1 – ზოგადი დებულებები

მუხლი 1:245 მცირეწლოვანი ბავშვების მიმართ განხორციელებულ უფლებამოსილებასთან დაკავშირებული ბაზისური პრინციპები

- 1. ყველა მცირეწლოვანი ბავშვი ექვემდებარება მათ მიმართ არსებულ უფლებამოსილებას.
- 2. უფლებამოსილება გულისხმობს მშობლის უფლებამოსილებას (ასევე ცნობილია როგორც მშობლის პასუხისმგებლობა) ან არასრულწლოვან პირებზე მეურვეობას.
- 3. მშობლის უფლებამოსილება ხორციელდება მშობლების მიერ ერთობლივად ან დამოუკიდებლად ერთ-ერთი მათგანის მიერ. არასრულწლოვანის მიმართ მეურვეობა ხორციელდება სხვა პირის მიერ, გარდა არასრულწლოვანის მშობლისა თუ მშობლებისა.
- 4. არასრულწლოვანი პირების მიმართ უფლებამოსილება მოიცავს არასრულწლოვანზე ზრუნვას, მისი ქონების მართვასა და წარმომადგენლობას სამოქალაქო სამართლის სფეროში მოქმედებების განხორციელებისას როგორც სასამართლოში, ისე სასამართლოსგარე ურთიერთობებში.
- 5. ერთი მშობლის მიერ სხვა პირთან, გარდა მშობლისა („არამშობელი“), ერთობლივად 1:253sa მუხლისა თუ სასამართლოს განკარგულების საფუძველზე 1:253t მუხლის შესაბამისად განხორციელებულ

მშობლის უფლებამოსილებას ერთობლივ პასუხისმგებლობას უწოდებენ და ის განიხილება როგორც მშობლების მიერ ერთობლივად განხორციელებული უფლებამოსილება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საკანონმდებლო ნორმა სანინალმდევოს გულისხმობს.

მუხლი 1:246 არასრულწლოვანთა მიმართ მშობლის უფლებამოსილების განხორციელების უუნარობა

შემდეგ პირებს არ გააჩნიათ არასრულწლოვანთა მიმართ მშობლის უფლებამოსილების განხორციელების უნარი: არასრულწლოვნები, მეურვეობის ქვეშ მყოფი ზრდასრული პირები და ის პირები, რომელთა გონებრივი განსჯის უნარი იმდენად დარღვეულია, რომ მათ არ შეუძლიათ ასეთი უფლებამოსილების განხორციელება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს დარღვევა დროებითია.

მუხლი 1:246a {გაუქმებულია 02.11.1995წ.}

მუხლი 1:247 მშობლის უფლებამოსილების ფარგლები

– 1. მშობლის უფლებამოსილება მოიცავს თავის არასრულწლოვან ბავშვზე ზრუნვისა და მისი აღზრდის მოვალეობასა და უფლებას.

– 2. წინა პარაგრაფში მოცემული სიტყვები „ზრუნვა და აღზრდა“ მოიცავს ბავშვის გონებრივ და ფსიქიკურ კეთილდღეობასა და უსაფრთხოებაზე ზრუნვას, პასუხისმგებლობის აღებას და ასევე – ბავშვის პიროვნების განვითარების ხელშეწყობას. მშობლებს არა აქვთ უფლება, გამოიყენონ ფსიქოლოგიური თუ ფიზიკური ძალადობა ანდა ნებისმიერი სხვა დამამცირებელი მოპყრობა თავიანთ ბავშვზე ზრუნვისა და მისი აღზრდის დროს.

– 3. მშობლის უფლებამოსილება მოიცავს მშობლის მიერ მისი შვილის მეორე მშობელთან კავშირის განვითარების მოვალეობასაც.

– 4. ბავშვი, რომლის მშობლებიც ერთობლივად ახორციელებდნენ მასზე უფლებამოსილებას, რჩება უფლებამოსილი ანალოგიური ზრუნვისა და აღზრდის მიღებაზე ორივე მშობლის მიმართ მას შემდეგ, რაც მშობლის ქორწინება ან რეგისტრირებული პარტნიორობა შეწყდა სხვა მიზეზით, ვიდრე ეს არის განცალკევებით ცხოვრების რეჟიმის დადგენა ან ერთ-ერთი მშობლის გარდაცვალება; იგივე წესი გამოიყენება ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც მშობლებმა შეწყვიტეს თანაცხოვრება, იმ პირობით, თუ ეს თანაცხოვრება აღინიშნა ასეთი სახით 1:252 მუხლის პარ. 1-ში მითითებულ მშობლის უფლებამოსილების რეესტში.

– 5. პარ. 4-ში მოცემული ნორმების დაცვისას მშობლებს თავიანთ განქორწინების შეთანხმებასა თუ ბავშვების მოვლა-პატრონობის გეგმაში შეუძლიათ შეიტანონ იმ შესაძლო პრაქტიკულ დაბრკოლებებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო დებულება, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას მათი ქორწინების, რეგისტრირებული პარტნიორობისა თუ თანაცხოვრების შეწყვეტის შედეგად, თუმცაღა – მხოლოდ იმ შემთხვევაში და ასევე მანამდე, სანამ ეს დაბრკოლებები რელევანტურია.

მუხლი 1:247a ბავშვების მოვლა-პატრონობის გეგმა აღნიშნული თანაცხოვრების დასრულებისას

თუ თანაცხოვრება აღინიშნული იყო 1:252 მუხლის პარ. 1-ში მითითებულ მშობლის უფლებამოსილების რეესტში და მშობლები წყვეტენ თავიანთ თანაცხოვრებას, მაშინ მათ უნდა შეადგინონ ბავშვების მოვლა-პატრონობის გეგმა, როგორც ეს მითითებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 815-ე მუხლის მეორე პარაგრაფში.

მუხლი 1:248 1:247 მუხლის პარ. 2 შესაბამისად გამოიყენება იურიდიული მეურვის ან მამინაცვალის/დედინაცვალის მიმართ

1:247 მუხლის პარ. 2 შესაბამისად გამოიყენება არასრულწლოვნის მეურვისა და იმ პირის მიმართ, ვინც ახორციელებს არასრულწლოვანზე ზრუნვასა და მის აღზრდას შესაბამისი უფლებამოსილების გარეშე.

მუხლი 1:249 არასრულწლოვანი ბავშვის მოვალეობები

არასრულწლოვანმა ბავშვმა უნდა დაიცვას ის უფლებები და უფლებამოსილებები, რომლებიც მიენიჭა მის მშობელს ან მეურვეს მშობლის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით, და ასევე უნდა გაითვალისწინოს იმ ოჯახის სხვა წევრთა ინტერესები, რომლის ნაწილსაც ის მიეკუთვნება.

მუხლი 1:250 სპეციალური მეურვის დანიშვნა

თუ ბავშვზე ზრუნვასა და მის აღზრდასთან ანდა მის ქონებასთან დაკავშირებულ საკითხებში არას-

რულნლოვანის ინტერესები ეწინააღმდეგება უფლებამოსილების განმახორციელებელი ერთ-ერთი მშობლისა თუ მშობლების ან მეურვისა თუ ორივე მეურვის ინტერესებს, მაშინ რაიონულმა სასამართლომ დაინტერესებული მხარის მოთხოვნის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით უნდა დანიშნოს სპეციალური მეურვე არასრულწლოვანის სასამართლოში და სასამართლოსგარე ურთიერთობებში წარმომადგენლობის მიზნით, თუ რაიონული სასამართლო ამას აუცილებლად ჩათვლის არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, განსაკუთრებით კი, – ინტერესთა კონფლიქტის ბუნების მხედველობაში მიღებით.

განყოფილება 1.14.2 – მშობლის უფლებამოსილება

ქვეგანყოფილება 1.14.2.1 – მშობელთა ერთობლივი უფლებამოსილება ქორწინების პერიოდში და მისი შეწყვეტის შემდეგ და ასევე ერთ-ერთი მშობლის უფლებამოსილება განქორწინების შემდეგ

მუხლი 1:251 მშობელთა ერთობლივი უფლებამოსილება ქორწინების განმავლობაში და მის შემდგომ

– 1. ქორწინების განმავლობაში მშობლები ერთობლივად ახორციელებენ მშობლის უფლებამოსილებას თავიანთი არასრულწლოვანი შვილების მიმართ.

– 2. როდესაც ქორწინება შეწყდა სხვა მიზეზით, ვიდრე ეს არის ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალება ანდა განცალკევებით ცხოვრების რეჟიმის დადგენა, მაშინ ის მშობლები, რომლებსაც ერთობლივი უფლებამოსილება ჰქონდათ თავიანთი არასრულწლოვანი შვილების მიმართ ქორწინების განმავლობაში, შეინარჩუნებენ ერთობლივ უფლებამოსილებას ამ შვილებზე აღნიშნული ქორწინების შეწყვეტის შემდეგაც.

მუხლი 1:251a მშობელთა ერთობლივი უფლებამოსილება ქორწინების შეწყვეტის შემდეგ ექსკლუზიურ უფლებამოსილებად გარდაქმნის მოთხოვნა

– 1. მას შემდეგ, რაც ქორწინება შეწყდა სხვა მიზეზით, ვიდრე ეს არის ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალება ანდა განცალკევებით ცხოვრების რეჟიმის დადგენა, სასამართლოს ერთ-ერთი ან ორივე მშობლის მოთხოვნის საფუძველზე შეუძლია დაადგინოს, რომ მხოლოდ ერთ-ერთმა მეუღლემ უნდა განახორციელოს უფლებამოსილება ბავშვის მიმართ, თუ:

a. არსებობს დაუშვებელი რისკი იმისა, რომ ბავშვი დაიკარგება ან აღმოჩნდება მშობლებს შორის არსებულ მძიმე ვითარებაში და თვალსაწიერ დროის პერიოდში მოსალოდნელი არ არის მდგომარეობის სათანადოდ გაუმჯობესება, ან;

b. სხვა მიზეზის არსებობის გამო ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე აუცილებელია მის მიმართ განხორციელებული უფლებამოსილების შეცვლა.

– 2. პარ. 1-ის ნორმების საფუძველზე გადანყვეტილების მიღება ხდება იმ სასამართლოს განკარგულებით, რომელითაც დადგენილ იქნა განცალკევებით ცხოვრების რეჟიმი, განქორწინება ანდა განცალკევებით ცხოვრების რეჟიმის შემდგომი ქორწინების შეწყვეტა, ანდა – მოგვიანებით მიღებული სასამართლოს განკარგულებით.

– 3. თუ პარ. 1-ის ნორმების საფუძველზე მიღებული გადანყვეტილება არ ეხებოდა მეუღლეთა ყველა შვილს, მაშინ რაიონულ სასამართლოს ერთ-ერთი მშობლის ან ბავშვის ინტერესების დაცვის საბჭოს მოთხოვნის საფუძველზე ანდა საკუთარი ინიციატივით შეუძლია გაავრცელოს ეს გადანყვეტილება ყველა აღნიშნულ შვილზე.

– 4. სასამართლოს პარ. 1-ის ნორმების საფუძველზე შეუძლია საკუთარი ინიციატივით მიიღოს გადანყვეტილება იმ შემთხვევაში, თუ ის მიიჩნევს, რომ ეს დადებითად იქნებოდა აღქმული შესაბამისი ბავშვის მიერ, რომელმაც მიაღწია თორმეტი წლის ასაკს. იგივე წესი მოქმედებს ასევე იმ შემთხვევაშიც, თუ შესაბამის ბავშვს ჯერ არ მიუღწევია თორმეტი წლის ასაკისათვის, თუმცა ის შესაძლოა ამ საკითხთან დაკავშირებით თავისი ინტერესების გონივრულად შეფასების შემძლე იქნეს მიჩნეული.

მუხლი 1:252 მშობლები, რომლებსაც მათი განქორწინების შემდეგ ჯერ კიდევ ჰყავთ ყოფილ მშობლებთან ურთიერთობიდან გამომდინარე მათი განქორწინების შემდეგ დაბადებული ბავშვი

– 1. იმ მშობლებს, რომლებიც დაქორწინებული იყვნენ ერთმანეთთან ან რეგისტრირებულ პარტნიორობაში ერთმანეთის მიმართ წარმოადგენდნენ რეგისტრირებულ პარტნიორს და რომელთა ურთიერთობიდან გამომდინარე ქორწინებისა თუ რეგისტრირებული პარტნიორობის შეწყვეტის შემდეგ დაი-

ბადა ბავშვი, ეკისრებათ აღნიშნული ბავშვის მიმართ უფლებამოსილების ერთობლივი რეალიზაცია, თუ ეს ერთობლივი უფლებამოსილება მათი ერთობლივი მოთხოვნის საფუძველზე აღნიშნულ იქნა 1:244 მუხლში მითითებულ სახელმწიფო რეესტრში. პირველ წინადადებაში მითითებული მოთხოვნა ვერ იქნება წარდგენილი იმ შვილების მიმართ, რომელთა მიმართაც ასეთი მშობლები ერთობლივად ახორციელებდნენ უფლებამოსილებას წარსულში (აღნიშნულის მიზეზს წარმოადგენს ის, რომ მხოლოდ სასამართლოს განკარგულებით შეიძლება შეწყდეს ქორწინების ან რეგისტრირებული პარტნიორობის განმავლობაში დაბადებული შვილების მიმართ არსებული უფლებამოსილება და ამასთან თანმიმდევრულად ვერ ჩაითვლება ასეთი სასამართლოს განკარგულების მიღების თავიდან აცილება სახელმწიფო რეესტრში შესაბამისი აღნიშვნის უბრალო მოთხოვნის საფუძველზე).

– 2. სასამართლოს მდივანმა უარი უნდა თქვას მოთხოვნაზე აღნიშვნაზე, თუ მოთხოვნის წარდგენის მომენტში:

a. ერთ-ერთი ან ორივე მშობელი არ არის უნარიანი, განახორციელოს უფლებამოსილება არასრულწლოვანი პირების მიმართ, ან;

b. ერთ-ერთმა მშობელმა დაკარგა უფლებამოსილების განხორციელების უფლება ანდა მას ჩამოერთვა ეს უფლება და მეორე მშობელი ამ უფლებამოსილებას ახორციელებს დამოუკიდებლად, ან;

c. მეურვეს დაევალა არასრულწლოვანის მიმართ მშობლის უფლებამოსილების განხორციელება, ან

d. ბავშვის მიმართ უფლებამოსილება საერთოდ არ იქნა დადგენილი, ანდა

e. ერთ-ერთ მშობელს აქვს ბავშვის მიმართ უფლებამოსილება და ის ამ უკანასკნელს ერთობლივად ახორციელებს სხვა პირთან, ვინც არ წარმოადგენს ამ ბავშვის მშობელს.

– 3. მოთხოვნილი აღნიშვნის განხორციელებაზე უარი გასაჩივრებას ექვემდებარება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნა უარყოფილ იქნა ერთ-ერთი ან ორივე მშობლის მიერ არასრულწლოვანი პირების მიმართ უფლებამოსილების განხორციელების უუნარობის გამო სხვა მიზეზით, ვიდრე ამას წარმოადგენს ადრეული ბავშვობა (მცირეწლოვნობა) ან ზრდასრულის მეურვეობა. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეიძლება რაიონულ სასამართლოს მოთხოვნის აღნიშვნის რეგისტრაციის შესახებ განკარგულების მიღება. რაიონულმა სასამართლომ უარი უნდა თქვას საჩივრის დაკმაყოფილებაზე, თუ არსებობს საფუძვლიანი შიში იმისა, რომ საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში ბავშვის ინტერესები შესაძლოა უგულებელყოფილი აღმოჩნდეს.

მუხლი 1:253 მშობლის უფლებამოსილების განახლება იმ დროს, როდესაც ყოფილი მეუღლეები ხელახლა ქორწინდებიან ერთმანეთთან

– 1. თუ ყოფილი მეუღლეები ხელახლა დაქორწინდებიან ერთმანეთთან ან შევლენ ერთმანეთთან რეგისტრირებულ პარტნიორობაში იმ დროს, როდესაც ერთ-ერთი მათგანი ჯერ კიდევ ახორციელებს თავიანთი შვილის მიმართ მშობლის უფლებამოსილებას, მაშინ მათი ერთობლივი უფლებამოსილება განახლდება კანონის ძალით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მეორე ყოფილი მეუღლე არ არის უნარიანი, განახორციელოს უფლებამოსილება არასრულწლოვანი პირების მიმართ ან მან დაკარგა ამ შვილის მიმართ უფლებამოსილების განხორციელების უფლება ანდა მას ჩამოერთვა ეს უფლება, ასევე – გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ყოფილმა მეუღლემ, რომელმაც უკვე განახორციელა შვილის მიმართ უფლებამოსილება, ეს უკანასკნელი განახორციელა იმის გამო, რომ ის ერთობლივ უფლებამოსილებას ახორციელებდა იმ პირთან ერთად, ვინც არ წარმოადგენს ამ ბავშვის მშობელს.

– 2. იმ ყოფილ მეუღლეს, რომლის უფლებამოსილებაც არ განახლებულა, შეუძლია მოსთხოვოს რაიონულ სასამართლოს, რომ ამ უკანასკნელმა მიანდოს მას თავის შვილზე უფლებამოსილების განხორციელება. ასეთ მოთხოვნაზე უარის თქმა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საფუძვლიანი შიში იმისა, რომ მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში ბავშვის ინტერესები შესაძლოა უგულებელყოფილი აღმოჩნდეს.

– 3. პარ. 1 და 2 შესაბამისად გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ განცალკევებით ცხოვრების რეჟიმი დასრულდა ოფიციალური შერიგების გამო.

– 4. პარ. 1 და 2 შესაბამისად გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ყოფილი რეგისტრირებული პარტნიორები, რომლებიც ერთობლივად ახორციელებდნენ უფლებამოსილებას ბავშვის მიმართ, ერთმანეთთან შედიან ახალ რეგისტრირებულ პარტნიორობაში ანდა ხელახლა ქორწინდებიან.

მუხლი 1:253a მშობლის უფლებამოსილების განხორციელებისათვის არსებული სასამართლოსეული პროცედურა

– 1. როდესაც ორივე მშობელი ერთობლივად ახორციელებს უფლებამოსილებას ბავშვის მიმართ და ამ საკითხთან დაკავშირებით მათ შორის არსებობს დავა, მაშინ ეს დავა განსახილველად წარედგინება

რაიონულ სასამართლოს ერთ-ერთი ან ორივე მშობლის მოთხოვნის საფუძველზე. სასამართლომ დავა უნდა გადაწყვიტოს ბავშვის საუკეთესო ინტერესების მხედველობაში მიღებით.

– 2. ერთ-ერთი ან ორივე მშობლის მოთხოვნის საფუძველზე რაიონულ სასამართლოს შეუძლია ასევე მიიღოს ზომები მშობლის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებითაც. ეს ზომები შეიძლება მოიცავდეს:

a. თითოეულ მშობელზე შვილებზე ზრუნვისა და მათი აღზრდის მოვალეობათა განაწილებას და – მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს მოითხოვება ბავშვის საუკეთესო ინტერესებში – მშობლისათვის შვილთან კონტაქტის დროებით აკრძალვას;

b. გადაწყვეტილებას, თუ რომელ მშობელთან იცხოვრებს ძირითადად ბავშვი (ბავშვის ძირითადი ადგილსამყოფელი);

c. ბავშვის პიროვნებასა თუ ქონებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ ინფორმაციის იმ მშობლისათვის მიწოდების წესს, ვისთანაც ბავშვი ძირითადად არ ცხოვრობს ანდა – ამ მშობლისათვის კონსულტაციის განევის წესს;

d. მესამე პირებისაგან ინფორმაციის 1:377c მუხლის პარ. 1 და 2-ის ნორმების შესაბამისად მიწოდების წესს.

– 3. როდესაც მშობლებს ეკისრებათ 1:247a მუხლში მითითებული ვალდებულების შესრულება და ისინი ამ ვალდებულებას არ ასრულებენ, მაშინ იმ სასამართლომ, რომელმაც უნდა მიიღოს გადაწყვეტილება პარ. 2-ში მითითებულ მოთხოვნასთან დაკავშირებით, საკუთარი ინიციატივით უნდა შეაჩეროს საქმის განხილვა ვალდებულების ჯეროვნად შესრულებამდე. საქმის განხილვის შეჩერება დაუშვებელია, თუკი ჩანს, რომ ეს ბავშვის საუკეთესო ინტერესებშია.

– 4. შესაბამისად გამოიყენება 1:377a, 1:377e და 1:377g მუხლები. თუმცა, კანონისმიერ ნორმებში სიტყვები „კონტაქტის უფლება“ (ხელმისაწვდომობა) ან „მონახულების უზრუნველყოფა“ ნაკითხულ უნდა იქნეს როგორც „შვილებზე ზრუნვისა და მათი აღზრდის მოვალეობათა განაწილება“.

– 5. მანამდე, სანამ სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას პარ. 1 ან 2-ში მითითებულ მოთხოვნასთან დაკავშირებით, ის შეამონმებს მშობლების მიერ შეთანხმების მიღწევის ალბათობას, ხოლო თუ ასეთი შეთანხმების მიღწევა შეუძლებელია, სასამართლოს საკუთარი ინიციატივით ან მოთხოვნის საფუძველზე შეუძლია ასევე კანონით დაშვებული ოდენობით მოახდინოს იძულებითი სანქციის დაკისრება ანდა გადაწყვიტოს, რომ სასამართლოს განკარგულება ან მისი ნაწილების დაექვემდებარება დაუყოვნებელ იძულებით აღსრულებას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 812-ე მუხლის მეორე პარაგრაფის ნორმების საფუძველზე ყოველთვის იმ პირობით, რომ ეს არ ეწინააღმდეგება ბავშვის ინტერესებს.

– 6. სასამართლომ მოთხოვნა განსახილველად უნდა მიიღოს მისი წარდგენიდან ექვსი თვის ვადაში.

ქვეგანყოფილება 1.14.2.1a – მშობელთა ერთობლივი უფლებამოსილება რეგისტრირებული პარტნიორობის პერიოდში

მუხლი 1:253aa რეგისტრირებული პარტნიორობის პერიოდში დაბადებული ბავშვის მიმართ არსებული უფლებამოსილება

– 1. როდესაც ბავშვი იბადება რეგისტრირებული პარტნიორობის დროს, მისი მშობლები ერთობლივად ახორციელებენ მის მიმართ უფლებამოსილებას.

– 2. მშობლების ერთობლივად განხორციელებული უფლებამოსილების მომწესრიგებელი კანონისმიერი ნორმები შესაბამისად გამოიყენება პარ. 1-ში მითითებული ერთობლივი უფლებამოსილების მიმართაც, გარდა 1:251 მუხლის პარ. 2-სა და 1:251a მუხლის პარ. 2 და 3-ის ნორმებისა.

ქვეგანყოფილება 1.14.2.2 – ერთ-ერთი მშობლის უფლებამოსილება სხვა ვითარებაში, ვიდრე განქორწინების შემდგომ პერიოდში არსებულია

მუხლი 1:253b მშობლის უფლებამოსილების დამოუკიდებლად განხორციელება მხოლოდ დედის მიერ

– 1. იმ შემთხვევებში, როდესაც უბრალოდ დგინდება ბავშვის დედობა ან როდესაც ბავშვის მშობლები არ არიან ანდა არც ყოფილან ერთმანეთთან ქორწინებაში და ისინი ერთობლივად არ ახორციელებენ ბავშვის მიმართ მშობლის უფლებამოსილებას, ბავშვის დედა კანონის ძალით დამოუკიდებლად განახო-

რციელებს ამ უფლებამოსილებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ბავშვის დაბადების მომენტში მას არ გააჩნდა არასრულწლოვანთა მიმართ მშობლის უფლებამოსილების განხორციელების უნარი.

– 2. პარ. 1-ში მითითებული ბავშვის დედა, რომელსაც ბავშვის დაბადების მომენტში არ გააჩნდა არასრულწლოვანთა მიმართ მშობლის უფლებამოსილების განხორციელების უნარი, კანონის ძალით იძენს ბავშვის მიმართ ამ უფლებამოსილებას იმ მომენტში, როდესაც ის გახდება უნარიანი, განახორციელოს არასრულწლოვანთა მიმართ მშობლის უფლებამოსილება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნულ მომენტში სხვა პირს უკვე დაევალა მისი შვილის მიმართ აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელება.

– 3. თუ წინა პარაგრაფში მითითებულ მომენტში სხვა პირს უკვე დაევალა ბავშვის მიმართ მშობლის უფლებამოსილების განხორციელება, მაშინ იმ მშობელს, რომელსაც თავად შეიძლება მინიჭებოდა ბავშვის მიმართ აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელება, შეუძლია რაიონულ სასამართლოს მოსთხოვოს მისთვის ამ უფლებამოსილების მინიჭება.

– 4. როდესაც მეორე მშობელი ახორციელებს ბავშვის მიმართ მშობლის უფლებამოსილებას, აღნიშნული მოთხოვნა ექვემდებარება დაკმაყოფილებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი სასამართლო ჩათვლის, რომ ეს ბავშვის საუკეთესო ინტერესებშია.

– 5. როდესაც მეურვე ახორციელებს ბავშვის მიმართ მშობლის უფლებამოსილებას, ასეთი მოთხოვნა ექვემდებარება უარყოფას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საფუძვლიანი შიში იმისა, რომ მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში ბავშვის ინტერესები შესაძლოა უგულვებელყოფილი აღმოჩნდეს.

მუხლი 1:253c მამის მოთხოვნა მისთვის თავისი შვილის მიმართ მშობლის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ

– 1. მამას, რომელსაც შეიძლება მინიჭებოდა თავისი შვილის მიმართ უფლებამოსილების განხორციელება, თუმცა არასოდეს გაუზიარებია ერთობრივი უფლებამოსილება მასზე ბავშვის დედასთან, შეუძლია რაიონულ სასამართლოს მოსთხოვოს ორივე მშობლისათვის ან ექსკლუზიურად მხოლოდ მისთვის ბავშვის მიმართ მშობლის უფლებამოსილების მინიჭება.

– 2. თუ მამის მოთხოვნა წარდგენილია ორივე მშობლისათვის ბავშვის მიმართ მშობლის უფლებამოსილების მინიჭების განზრახვით, თუმცა მეორე მშობელი არ ეთანხმება ასეთ ერთობლივ უფლებამოსილებას, მაშინ ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე შეიძლება ითქვას უარი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

a. არსებობს დაუშვებელი რისკის იმისა, რომ ბავშვი დაიკარგება ან მშობლებს შორის არსებულ მძიმე ვითარებაში აღმოჩნდება და თვალსაწიერ დროის პერიოდში მოსალოდნელი არ არის მდგომარეობის სათანადოდ გაუმჯობესება, ან;

b. უარი სხვა მიზეზის არსებობის გამო აუცილებელია ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე.

– 3. როდესაც მეორე მშობელი უკვე ახორციელებს ბავშვის მიმართ მშობლის უფლებამოსილებას, მამის მოთხოვნა მხოლოდ მისთვის ბავშვის მიმართ ამ უფლებამოსილების მინიჭების შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი სასამართლო ჩათვლის, რომ ეს ბავშვის საუკეთესო ინტერესებშია.

– 4. როდესაც ბავშვის მიმართ მშობლის უფლებამოსილება არ არის მონესრიგებული ანდა როდესაც ბავშვის მიმართ მშობლის უფლებამოსილებას ახორციელებს მეურვე, მაშინ მამის მოთხოვნა მხოლოდ მისთვის ბავშვის მიმართ ამ უფლებამოსილების მინიჭების შესახებ მოთხოვნა ექვემდებარება უარყოფას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საფუძვლიანი შიში იმისა, რომ მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში ბავშვის ინტერესები შესაძლოა უგულვებელყოფილი აღმოჩნდეს.

– 5. ბავშვის მიმართ ორივე მშობლისათვის ერთობლივი უფლებამოსილების მინიჭების შესახებ მოთხოვნა, როგორც ეს მითითებულია პარ. 1-ში, შეიძლება წარდგენილ იქნეს ასევე ბავშვის დედის მიერაც.

მუხლი 1:253d ბავშვის მიმართ მშობლის უფლებამოსილების შეწყვეტა

– 1. თუ 1:253b მუხლის პარ. 1-ში აღნიშნული ბავშვის მიმართ მშობლის უფლებამოსილება წყდება, მაშინ როგორც დედას, ისე მამას ანდა – ასევე ორივე მშობელს, რამდენადაც მათ შესაძლოა მიენიჭოთ უფლებამოსილების განხორციელების უფლება, შეუძლია მოსთხოვოს რაიონულ სასამართლოს მისთვის ექსკლუზიური უფლებამოსილების, ან, შესაბამისად, – ორივესთვის ერთობლივი უფლებამოსილების მინიჭება.

– 2. პარ. 1-ში აღნიშნული უფლებამოსილების მინიჭებაზე შეიძლება ითქვას უარი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საფუძვლიანი შიში იმისა, რომ მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში ბავშვის ინტერესები შესაძლოა უგულვებელყოფილი აღმოჩნდეს.

– 3. როდესაც ორივე მშობელმა მოითხოვა თავიანთი შვილის მიმართ იმ უფლებამოსილების მინიჭება, რაც არ არის დაკავშირებული უფლებამოსილების ერთობლივად რეალიზაციასთან, სასამართლომ უნდა დააკმაყოფილოს იმ პირის მოთხოვნა, ვის მიერაც უფლებამოსილების განხორციელება, სასამართლო შეხედულებით, ბავშვის საუკეთესო ინტერესებში იქნება.

– 4. თუ მანამდე, სანამ სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას მხოლოდ ერთ-ერთი მშობლის მიერ წარდგენილ მოთხოვნასთან დაკავშირებით, მეორე მეუღლე ბავშვზე უფლებამოსილებას იძენს კანონის ძალით, მაშინ ეს მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ეს ბავშვის საუკეთესო ინტერესებშია.

მუხლი 1:253e ბავშვის მიმართ მშობლის უფლებამოსილების დაკარგვა

როდესაც 1:253b, 1:253c ან 1:253d მუხლებში აღნიშნული ერთ-ერთი მშობლის მოთხოვნა დაკმაყოფილდა, მაშინ რამდენადაც მეორე მეუღლე ზემოაღნიშნულ მომენტამდე ახორციელებდა ბავშვის მიმართ მშობლის უფლებამოსილებას, ამ ფაქტის შედეგი გახდება ამ მეორე მეუღლის მიერ უფლებამოსილების განხორციელების უფლების დაკარგვა. აღნიშნული შედეგი არ დგება, თუ ორივე მშობელს ერთობლივი უფლებამოსილების განხორციელება ეკისრება სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგად.

მუხლი 1:253f უფლებამოსილების განხორციელება ერთ-ერთი მშობლის გარდაცვალების შემდეგ

ერთ-ერთი მშობლის გარდაცვალების შემდეგ შვილების მიმართ მშობლის უფლებამოსილების განხორციელების ვალდებულება კანონის ძალით ეკისრება ცოცხლად დარჩენილ მშობელს, თუ – და ასევე იმ ფარგლებში, რომლებშიც – ის უკვე ახორციელებდა ამ უფლებამოსილებას მეორე მშობლის გარდაცვალების მომენტში.

მუხლი 1:253g ბავშვის მიმართ უფლებამოსილების განხორციელება იმ მშობლის გარდაცვალების შემდეგ, ვინც ექსკლუზიურად ახორციელებდა ამ უფლებამოსილებას

– 1. როდესაც გარდაცვლება ის მშობელი, ვინც ექსკლუზიურად ახორციელებდა არასრულწლოვანი შვილების მიმართ მშობლის უფლებამოსილებას, სასამართლომ ამ შვილების მიმართ უფლებამოსილების განხორციელება უნდა დაავალოს ცოცხლად დარჩენილ მშობელს ან მესამე პირს.

– 2. ზემოაღნიშნულს სასამართლო ადგენს ბავშვის ინტერესების დაცვის საბჭოს, ცოცხლად დარჩენილი მშობლის მოთხოვნის საფუძველზე ანდა – საკუთარი ინიციატივით.

– 3. ცოცხლად დარჩენილ მშობლისათვის შვილების მიმართ უფლებამოსილების მინიჭების მოთხოვნაზე შეიძლება ითქვას უარი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საფუძვლიანი შიში იმისა, რომ მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში ბავშვის ინტერესები შესაძლოა უგულვებელყოფილი აღმოჩნდეს.

– 4. წინა პარაგრაფის დებულებები გამოიყენება ასევე იმ შემთხვევაშიც, თუ გარდაცვლილმა მშობელმა 1:292 მუხლის შესაბამისად შვილებს დაუნიშნა მეურვე.

მუხლი 1:253h მეურვის დანიშვნის წესის შეცვლა ერთ-ერთი მშობლის გარდაცვალების შემდეგ

– 1. თუ ერთ-ერთი მშობლის გარდაცვალების შემდეგ სასამართლომ მიერ დანიშნა მეურვე, მაშინ სასამართლოს ნებისმიერ დროს შეუძლია შეცვალოს ეს სასამართლოს განკარგულება იმ მხრივ, რომ ცოცხლად დარჩენილ მშობელს დაევალოს ბავშვის მიმართ უფლებამოსილების განხორციელება იმ პირობით, თუ მას ექნება ამის უნარი.

– 2. სასამართლო იწყებს წინა პარაგრაფში მითითებული უფლებამოსილების განხორციელებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ცოცხლად დარჩენილმა მშობელმა მოითხოვა მისთვის უფლებამოსილების მინიჭება და, ამასთან, – არა სხვა საფუძველზე, ვიდრე ის ფაქტი, რომ ამასობაში შესაბამისი გარემოებები შეიცვალა ანდა რომ სასამართლოს განკარგულება მიღებულ იქნა უზუსტო ან არასრული ინფორმაციის საფუძველზე.

– 3. თუ მეორე მშობელმა 1:292 მუხლის შესაბამისად დანიშნა მეურვე და ეს უკანასკნელი უკვე ახორციელებდა ბავშვის მიმართ უფლებამოსილებას, მაშინ წინამდებარე მუხლი შესაბამისად გამოიყენება იმ პირობით, რომ ცოცხლად დარჩენილი მშობლის მოთხოვნა მისთვის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ

წარდგენილ უნდა იქნეს მეურვეობის დაწყებიდან ერთი წლის განმავლობაში, და რომ ასეთ მოთხოვნაზე შეიძლება ითქვას უარი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საფუძვლიანი შიში იმისა, რომ მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში ბავშვის ინტერესები შესაძლოა უგულვებელყოფილი აღმოჩნდეს.

ქვეგანყოფილება 1.14.2.2a – არასრულწლოვანი დედის ემანსიპაციის შემდგომ განხორციელებული მშობლის უფლებამოსილება

მუხლი 1:253ha არასრულწლოვანი დედის ემანსიპაცია

- 1. თექვსმეტი ან მეტი წლის ასაკის არასრულწლოვან დედას, რომელსაც სურს თავის შვილზე ზრუნვა და მისი აღზრდა მშობლის უფლებამოსილების განხორციელების უფლების შესაბამისად, შეუძლია მიმართოს არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლოს ემანსიპაციის მოთხოვნით.
- 2. ასეთი მოთხოვნა არასრულწლოვანი დედის სახელით შეიძლება წარდგენილ იქნეს ასევე ბავშვის ინტერესების დაცვის საბჭოს მიერაც. თუმცა, ამისათვის საბჭოს ესაჭიროება არასრულწლოვანი დედის წერილობითი თანხმობა. მოთხოვნა ძალას კარგავს, თუ არასრულწლოვანი დედა უარს აცხადებს თანხმობის მიცემაზე.
- 3. პარ. 1-ში მითითებული მოთხოვნა არასრულწლოვანი დედის მიერ ან მისი სახელით შეიძლება წარდგენილ იქნეს ბავშვის დაბადებამდეც და – ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც არასრულწლოვანი დედა თექვსმეტი წლის ასაკს აღწევს მიახლოებით ბავშვის დაბადების მომენტში.
- 4. არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლოს მოთხოვნის დაკმაყოფილება შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ეს არასრულწლოვანი დედისა და მისი შვილის საუკეთესო ინტერესებშია. თუ სხვა პირს დაევალა ბავშვის მიმართ მშობლის უფლებამოსილების განხორციელება, მაშინ არასრულწლოვანი დედის ემანსიპაციის შედეგი გახდება ის, რომ ეს უკანასკნელი ამიერიდან ექსკლუზიურად განახორციელებს აღნიშნულ უფლებამოსილებას.
- 5. რამდენადაც საქმე ეხება ემანსიპაციის მოთხოვნას, არასრულწლოვან დედას აქვს სასამართლოში მოქმედებისა და სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების უნარი.

ქვეგანყოფილება 1.14.2.3 – მშობლების მიერ ბავშვის ქონების ადმინისტრირება

მუხლი 1:253i ადმინისტრირება და წარმომადგენლობა

- 1. როდესაც მშობლები ერთობლივად ახორციელებენ თავიანთი არასრულწლოვანი შვილის მიმართ მშობლის უფლებამოსილებას, მათ ერთობლივად უნდა განახორციელონ მისი ქონების ადმინისტრირება და ასევე შვილის ერთობლივი წარმომადგენლობა სამოქალაქო სამართლის სფეროში გარიგებების დადებისას იმ პირობით, რომ ერთ-ერთ მშობელს შეუძლია ამის დამოუკიდებლად განხორციელება და მეორე მშობელს კი აღნიშნულის საწინააღმდეგო აშკარად არაფერი არა აქვს.
- 2. 1:253a მუხლი შესაბამისად გამოიყენება იმ პირობით, რომ სიტყვები „District Court“ ნაკითხულ უნდა იქნეს როგორც „Subdistrict Court“.
- 3. როდესაც ერთი მშობელი ექსკლუზიურად ახორციელებს უფლებამოსილებას თავისი არასრულწლოვანი შვილის მიმართ, მაშინ ეს მშობელი დამოუკიდებლად ახორციელებს შვილის ქონების ადმინისტრირებას და წარმოადგენს მას სამოქალაქო სამართლის სფეროში გარიგებების დადებისას.
- 4. პარ. 2 და 3-ის ნორმათა მოქმედება შეიძლება გამოირიცხოს, თუ:
 - a. სასამართლომ თავის განკარგულებაში, რომელშიც ერთ-ერთ მშობელს ორივე მშობლის ერთობლივი მოთხოვნისა თუ მხოლოდ ერთი მშობლის ისეთი მოთხოვნის საფუძველზე, რომლის საწინააღმდეგოც არაფერი აქვს მეორე მშობელს, დაევალა მშობლის უფლებამოსილების განხორციელება, მიიღო გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ იმ მშობელს, რომელსაც არა აქვს ბავშვის მიმართ მშობლის უფლებამოსილება, ასევე უნდა ჰქონდეს ბავშვის ქონების ადმინისტრირების უფლება;
 - b. ადგილი ჰქონდა ბავშვის მიმართ მშობლის უფლებამოსილების განხორციელების უფლების დაკარგვას ან ამ უფლების ჩამორთმევას 1:276 მუხლის პარ. 2-ის ნორმების შესაბამისად;
 - c. იმ პირობა, რომელმაც არასრულწლოვანს აჩუქა ან უანდერდა ქონება, განსაზღვრა, რომ ქონების ჩუქებისას ან ანდერძის შედგენის დროს სხვა მმართველმა უნდა განახორციელოს ნაჩუქარი ან ანდერძით გადაცემული ქონების ადმინისტრირება.

– 5. პარ. 4 (c) პუნქტში აღნიშნულ ვითარებაში მშობლები ერთობლივად, – ან თუ ერთი მშობელი ექსკლუზიურად ახორციელებს უფლებამოსილებას თავისი არასრულწლოვანი შვილის მიმართ, მაშინ მხოლოდ ეს მშობელი, – არიან უფლებამოსილი მოსთხოვონ მმართველს ნაჩუქარი ან ანდერძით გადაცემული ქონების ადმინისტრირების ანგარიში.

– 6. პარ. 1 და 2 და ასევე პარ. 3 შესაბამისად გამოიყენება ასევე გამჩუქებლის ან მონადერძის მიერ დადგენილი მართვის შეწყვეტის შემდეგაც.

მუხლი 1:253j მშობლებმა შვილის ქონება უნდა მართონ კარგი მმართველის გულისხმიერებით (პასუხისმგებლობა არაჯეროვანი მართვისათვის)

მშობელმა ან მშობლებმა შვილის ქონება უნდა მართონ კარგი მმართველის გულისხმიერებით. არაჯეროვანი მართვის შემთხვევაში ისინი პასუხს აგებენ ამის შედეგად წარმოშობილი ზიანისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქმე ეხება იმ ქონებიდან მიღებულ სარგებელს (ნაყოფს), რომელზეც კანონმა მათ მიანიჭა უზუფრუქტის უფლება.

მუხლი 1:253k მეურვის მიერ ქონების ადმინისტრირების უფლების მომწესრიგებელი კანონისმიერი ნორმების შესაბამისი გამოყენება

არასრულწლოვანის მეურვის მიერ ქონების ადმინისტრირების უფლების მომწესრიგებელი კანონისმიერი ნორმები, როგორც ეს მითითებულია 1:342 მუხლის პარ. 2-ში, 1:344-1:370 მუხლებსა და 1:370 მუხლში, შესაბამისად გამოიყენება ბავშვის ქონების ადმინისტრირების უფლების მიმართ ერთ-ერთი ან ორივე მშობლის მიერ.

მუხლი 1:253l მშობლის უზუფრუქტი

– 1. ყოველი მშობელი, ვინც ახორციელებს შვილის მიმართ მშობლის უფლებამოსილებას, ბავშვის ქონებაზე მშობლის უზუფრუქტს იძენს კანონის ძალით. თუ შვილი ცხოვრობს მშობელთან და იღებს შემოსავალს არაერთჯერადი სამუშაოდან, მაშინ მას ეკისრება საოჯახო ხარჯებში მონაწილეობის ვალდებულება თავისი ფინანსური შესაძლებლობების პროპორციულად.

– 2. პარ. 1 შესაბამისად მოქმედებს ასევე მშობლის მიერ ბავშვის მიმართ არსებული უფლებამოსილების დაკარგვის შემდეგაც, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ბავშვის მიმართ უფლებამოსილებას ახორციელებს მეორე მშობელი.

– 3. უზუფრუქტუარზე დაკისრებული მოვალეობები ეხება ასევე მშობლის უზუფრუქტსაც.

მუხლი 1:253m მშობლის უზუფრუქტის გამორიცხვა ანდერძში ან ქონების გაჩუქებისას

როდესაც ბავშვი მონადერძისაგან ან გამჩუქებლისაგან იძენს ისეთ ქონებას, რომლის მიმართაც მონადერძემ თავის ანდერძში ანდა გამჩუქებელმა ქონების გაჩუქებისას პირობად დათქვა ის, რომ ეს უკანასკნელი არ უნდა დაექვემდებაროს უზუფრუქტს, მაშინ ბავშვის მშობლებს შვილის ქონების ამ ნაწილზე მშობლის უზუფრუქტი არ ექნებათ.

განყოფილება 1.14.3 – ორივე მშობლის ან ერთ-ერთი მათგანის მიერ მშობლის უფლებამოსილების განხორციელების მომწესრიგებელი საერთო დებულებები

მუხლი 1:253n იმ მშობლების ერთობლივი უფლებამოსილების შეწყვეტა, რომლებიც არ იმყოფებიან ქორწინებაში

– 1. როდესაც იმ მშობლებს, რომლებიც არ იმყოფებიან ერთმანეთთან ქორწინებაში, აქვთ ერთობლივი უფლებამოსილება ბავშვის მიმართ, როგორც ეს მითითებულია 1:251a მუხლის პარ. 1-ში, 1:252 მუხლის პარ. 1-ში ან 1:277 პარ. 1-ში, მაშინ რაიონულ სასამართლოს ორივე მშობლის ან ერთ-ერთი მათგანის მოთხოვნის საფუძველზე შეუძლია შეწყვიტოს ეს ერთობლივი უფლებამოსილება შემდგომში შესაბამისი გარემოებების შეცვლის მიზეზით ანდა – იმის გამო, რომ სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო უზუსტო ან არასრული ინფორმაციის საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში რაიონულმა სასამართლომ უნდა დაადგინოს, თუ რომელ მშობელს უნდა ჰქონდეს ამიერიდან უფლებამოსილება თავის თითოეულ არასრულწლოვან შვილზე.

– 2. შესაბამისად გამოიყენება 1:251a მუხლის პარ. 1 და 3.

მუხლი 1:253ი მხოლოდ ერთი მშობლის მიერ განხორციელებული უფლებამოსილების შეცვლა

წინამდებარე ტიტულის 1, 2 და 2ა ქვეგანყოფილებებისა თუ 1:253ი მუხლის კანონისმიერი ნორმების საფუძველზე – და ასევე იმის გამო, რომ მხოლოდ ერთ მშობელს დაევალა ბავშვის მიმართ მშობლის უფლებამოსილების განხორციელება, – სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ორივე მშობლის ან ერთ-ერთი მათგანის მოთხოვნის საფუძველზე შეიძლება შეიცვალოს რაინული სასამართლოს მიერ შემდგომში შესაბამისი გარემოებების შეცვლის მიზეზით ანდა – იმის გამო, რომ შესაბამისი სასამართლოს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა უზუსტო ან არასრული ინფორმაციის საფუძველზე.

მუხლი 1:253პ დროის მომენტი, როდესაც მშობლის უფლებამოსილება ძალაში შედის

– 1. იმ ვითარებაში, რომელშიც სასამართლომ ორივე მშობელს ან ერთ-ერთ მათგანს მიანიჭა მათი შვილის მიმართ მშობლის უფლებამოსილება, ეს უკანასკნელი ძალაში შედის იმ მომენტიდან, როდესაც შესაბამისი სასამართლოს განკარგულება შევიდა კანონიერ ძალაში და გახდა მბოჭავი ანდა როდესაც ეს განკარგულება დაექვემდებარა დაუყოვნებელ იძულებით აღსრულებას მისი გადაცემიდან ან გაგზავნიდან მეორე დღეს.

– 2. თუმცა, ქორწინების სასამართლო წესით შეწყვეტის ან განცალკევებით ცხოვრების რეჟიმის დასრულების შემდეგ შვილის მიმართ მშობლის უფლებამოსილება არ შედის ძალაში მანამდე, სანამ ქორწინების შეწყვეტის დამდგენი სასამართლოს განკარგულება არ გატარდება რეგისტრაციაში სამოქალაქო მდგომარეობის რეესტრებში ანდა, შესაბამისად, მანამდე, სანამ განცალკევებით ცხოვრების რეჟიმის დამდგენი სასამართლოს განკარგულება რეგისტრაციაში არ გატარდება 1:116 მუხლში მითითებულ მეულეთა ქონების რეესტრში.

– 3. თუ სახელმწიფო რეესტრში აღნიშვნა გაკეთდა 1:252 პარ. 1-ის ნორმების შესაბამისად და მხოლოდ ერთ მშობელს დაეკისრა ბავშვის მიმართ მშობლის უფლებამოსილების განხორციელება, მაშინ ეს უფლებამოსილება ნებისმიერ შემთხვევაში ძალაში შედის მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ასეთი აღნიშვნა სასამართლოს მდივნის მიერ ამოიშლება სარეგისტრაციო ჩანაწერიდან. სასამართლოს მდივანი წერილობით აცყობინებს ორივე მშობელს აღნიშვნის ამოშლის შესახებ.

მუხლი 1:253გ არასრულწლოვანი პირების მიმართ მშობლის უფლებამოსილების განხორციელების უუნარობის სამართლებრივი შედეგები

– 1. როდესაც ორივე მშობელი ერთობლივად ახორციელებს თავიანთი არასრულწლოვანი შვილის მიმართ მშობლის უფლებამოსილებას და ერთ-ერთი მათგანი კარგავს ამის განხორციელების უნარს 1:246 მუხლში მითითებული ერთ-ერთი საფუძვლის არსებობის გამო, მაშინ ამიერიდან მეორე მშობელს დაეკისრება მათი შვილების მიმართ ამ უფლებამოსილების ექსკლუზიური განხორციელება. იმ შემთხვევაში, თუ ქმედუუნარობის საფუძველი აღარ არსებობს, ორივე მშობლის ერთობლივი უფლებამოსილება კანონის ძალით კვლავ უნდა განახლდეს.

– 2. როდესაც ორივე მშობელი ერთობლივად ახორციელებს თავიანთი არასრულწლოვანი შვილის მიმართ მშობლის უფლებამოსილებას და ორივე მათგანი კარგავს ამ უკანასკნელის განხორციელების უნარს 1:246 მუხლში მითითებული ერთ-ერთი საფუძვლის არსებობის გამო, მაშინ რაიონულმა სასამართლომ მათ არასრულწლოვან შვილებს უნდა დაუნიშნოს იურიდიული მეურვე.

– 3. როდესაც მხოლოდ ერთ-ერთი მშობელი ახორციელებს არასრულწლოვანი შვილის მიმართ მშობლის უფლებამოსილებას და ეს მშობელი კარგავს ამ უკანასკნელის განხორციელების უნარს 1:246 მუხლში მითითებული ერთ-ერთი საფუძვლის არსებობის გამო, მაშინ რაიონულმა სასამართლომ მშობლის უფლებამოსილება უნდა დააკისროს მეორე მშობელს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს საფუძვლიანი შიში იმისა, რომ ამის შედეგად შეიძლება შეილახოს ბავშვის ინტერესები.

– 4. პარ. 2 და 3-ში მითითებული სასამართლოს განკარგულებები მიიღება არასრულწლოვანი ბავშვის მშობლის, სისხლის ნათესავის ან მოყვრის, ბავშვის ინტერესების დაცვის საბჭოს მოთხოვნის საფუძველზე ანდა – რაიონული სასამართლოს მიერ საკუთარი ინიციატივით.

– 5. იმ შემთხვევაში, თუ პარ. 3-ში მითითებული ქმედუუნარობის საფუძველი აღარ არსებობს, ზემოაღნიშნულ მშობელს საკუთარი მოთხოვნით ხელახლა დაეკისრება თავისი შვილის მიმართ მშობლის უფლებამოსილების განხორციელება იმ პირობით, თუ რაიონული სასამართლო დარწმუნდება იმაში, რომ ბავშვი კვლავ შეიძლება ანდონ ამ მშობელს. ორივე მშობლის ან ერთ-ერთი მათგანის მოთხოვნის საფუძველზე რაიონულ სასამართლოს შეუძლია დააკისროს ორივე მშობელს ერთობლივი უფლებამოსილება თავიანთი შვილის ან შვილების მიმართ.

მუხლი 1:253r ვითარებები, რომელთა მიმართაც შესაბამისად გამოიყენება 1:253q მუხლის ნორმები

– 1. 1:253q მუხლის კანონისმიერი დებულებები შესაბამისად გამოიყენება, თუ:

a. ერთ-ერთი ან ორივე მშობლის მიერ შვილების მიმართ უფლებამოსილების განხორციელება, – თუ-ნდაც დროებით, – შეუძლებელია, ან;

b. ერთ-ერთი ან ორივე მშობლის არსებობის ფაქტი ანდა ადგილსამყოფელი უცნობია.

– 2. ერთ-ერთი ან ორივე მშობლის მიერ განხორციელებული უფლებამოსილების შეჩერება ხდება იმ ვადის განმავლობაში, როდესაც პირველ პარაგრაფში მოცემული თუნდაც ერთ-ერთი პირობა ჯერ კიდევ რელევანტურია.

მუხლი 1:253s იმ მამინაცვალების/დედინაცვალების სავალდებულო თანხმობა, რომლებიც მშობლის უფლებამოსილების გარეშე ზრუნავენ ბავშვზე და ზრდიან მას

– 1. თუ ბავშვზე მის მიმართ მშობლის უფლებამოსილების განამახორციელებელი მშობლების თანხმობით ზრუნავდა და მას ზრდიდა, სულ ცოტა, ერთი წლის განმავლობაში ერთი ან მეტი სხვა პირი, როგორც ამ პირისა თუ პირების ოჯახის წევრი, მაშინ ბავშვის მშობლებს შეუძლიათ შეცვალონ მისი ადგილსამყოფელი მხოლოდ იმ პირის ან პირთა თანხმობით, რომლებიც ზრუნავდნენ ამ ბავშვზე და ზრდიდნენ მას.

– 2. მანამდე, სანამ წინა პარაგრაფის შესაბამისად სავალდებულო თანხმობა არ არის მიღებული, რაიონულ სასამართლოს ბავშვის მშობლების მოთხოვნის საფუძველზე შეუძლია შეცვალოს ის თავისი ნებართვით. ასეთი მოთხოვნა ექვემდებარება უარყოფას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საფუძვლიანი შიში იმისა, რომ მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში ბავშვის ინტერესები შესაძლოა უგულვებელყოფილი აღმოჩნდეს.

– 3. პარ. 2-ში მითითებული მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევაში, სასამართლოს განკარგულება ძალაში რჩება რაიონული სასამართლოს მიერ განსაზღვრული ვადით, თუმცა – არაუმეტეს ექვსი თვისა. ამასთან, თუ ბავშვის მიმართ სამეურვეო კონტროლის მოთხოვნა ან ერთ-ერთი ან ორივე მშობლის მიერ უფლებამოსილების უფლების დაკარგვისა თუ მათთვის ამ უფლების ჩამორთმევის მოთხოვნა წარდგენილ იქნა აღნიშნული ვადის დასრულებამდე, მაშინ სასამართლოს განკარგულება ძალაში რჩება მანამდე, სანამ ამ მოთხოვნასთან დაკავშირებით არ მიიღება კანონიერ ძალაში შესული და მბოჭავი გადაწყვეტილება.

განყოფილება 1.14.3A – მშობლის მიერ ბავშვის მიმართ უფლებამოსილების ერთობლივი განხორციელება იმ პირთან ერთად, ვინც არ არის ბავშვის მშობელი

ქვეგანყოფილება 1.14.3A.1 – მშობლისა და სხვა არამშობელი პირის მიერ ბავშვზე უფლებამოსილების ერთობლივი განხორციელება კანონის ძალით

მუხლი 1:253sa მშობლის მიერ ბავშვის მიმართ უფლებამოსილების ერთობლივი განხორციელება სხვა პირთან ერთად კანონის ძალით

– 1. როდესაც ბავშვი იბადება ქორწინების ან რეგისტრირებული პარტნიორობის პერიოდში, მისი მშობელი და ამ მშობლის მეუღლე ან რეგისტრირებული პარტნიორი, ვინც თავად არ წარმოადგენს ბავშვის მშობელს, ერთობლივად ახორციელებენ ბავშვის მიმართ უფლებამოსილებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ბავშვი ასევე იმყოფება ოჯახურ ურთიერთობაში თავის მეორე მშობელთან.

– 2. მშობლების მიერ ერთობლივად განხორციელებული მშობლის უფლებამოსილების მომწესრიგებელი კანონისმიერი ნორმები შესაბამისად გამოიყენება პარ. 1-ში აღნიშნული ერთობლივი უფლებამოსილების მიმართაც, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქმე ეხება 1:251 მუხლის პარ. 2 და 1:251a მუხლის პარ. 2 და 3-ის ნორმებს.

ქვეგანყოფილება 1.14.3A.2 – მშობლისა და სხვა არამშობელი პირის მიერ ბავშვის მიმართ უფლებამოსილების ერთობლივი განხორციელება სასამართლოს განკარგულების საფუძველზე

მუხლი 1:253t ერთობლივი უფლებამოსილების დაკისრების მოთხოვნა

– 1. თუ მხოლოდ ერთ-ერთ მშობელს აქვს უფლებამოსილება ბავშვის მიმართ, მაშინ ამ მშობლისა და

იმ პირის ერთობლივი მოთხოვნის საფუძველზე, ვინც არ წარმოადგენს ბავშვის მშობელს, თუმცაღა აქვს მასთან ახლო პირადი ურთიერთობა, სასამართლოს შეუძლია ორივე განმცხადებელს დაავალოს ბავშვის მიმართ ერთობლივი უფლებამოსილების განხორციელება.

– 2. იმ შემთხვევაში, თუ ბავშვი ოჯახურ ურთიერთობაში იმყოფება ასევე თავის მეორე მშობელთანაც, მაშინ პარ. 1-ში მითითებული მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

a. მშობელი და მეორე პირი თავიანთი მოთხოვნის წარდგენის დღეს ერთობლივად ახორციელებდნენ ბავშვზე ზრუნვას უწყვეტად, სულ ცოტა, ერთი წლის განმავლობაში და;

b. მოთხოვნის წარმდგენ მშობელს მოთხოვნის წარდგენის დღეს ჰქონდა ექსკლუზიური უფლებამოსილება ბავშვის მიმართ უწყვეტად, სულ ცოტა, სამი წლის განმავლობაში.

– 3. მოთხოვნა ექვემდებარება უარყოფას, თუ თვით მეორე მშობლის ინტერესების გათვალისწინებითაც არსებობს საფუძვლიანი შიში იმისა, რომ მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში ბავშვის ინტერესები შესაძლოა უფლებელყოფილი აღმოჩნდეს.

– 4. პარ. 1-ში აღნიშნული ერთობლივი უფლებამოსილების მინიჭება დაუშვებელია 1:253d მუხლის პარ. 1-სა და 1:253r მუხლში განსაზღვრულ ვითარებებში.

– 5. პარ. 1-ში მითითებულ მოთხოვნას შეიძლება თან ახლდეს ასევე ბავშვის გვარის შეცვლა უფლებამოსილების განმარტაციულად მშობლის ანდა მოთხოვნის წარმდგენი პირის გვართ. ასეთი მოთხოვნა ექვემდებარება უარყოფას, თუ:

a. ბავშვმა მიაღწია თორმეტი წლის ასაკს და სასამართლოში ზეპირ მოსმენაზე არ დაეთანხმა მოთხოვნას თავისი გვარის შეცვლასთან დაკავშირებით;

b. პარ. 1-ში მითითებული მოთხოვნა უარყოფილ იქნა, ანდა;

c. ბავშვის გვარის შეცვლასთან დაკავშირებით მოთხოვნის დაკმაყოფილება ეწინააღმდეგება ბავშვის ინტერესებს.

მუხლი 1:253u მოთხოვნილი ერთობლივი უფლებამოსილების ძალაში შესვლის მომენტი

წინამდებარე ქვეგანყოფილებაში აღნიშნული ერთობლივი უფლებამოსილება ძალაში შედის იმ დღეს, როდესაც კანონიერ ძალაში შევიდა და მხოჭავი გახდა სასამართლოს განკარგულება, რომლითაც ეს უფლებამოსილება იქნა მინიჭებული, ანდა როდესაც ეს განკარგულება დაექვემდებარა დაუყოვნებელ იძულებით აღსრულებას მისი გადაცემის ან გაგზავნის შემდეგ.

მუხლი 1:253v წინამდებარე ქვეგანყოფილების გაგებით ერთობლივი უფლებამოსილების მიმართ შესაბამისად გამოყენებული კანონისმიერი ნორმები

– 1. 1:246, 1:247, 1:249, 1:250, 1:253a მუხლები, 1:253j-დან 1:253m მუხლების ჩათვლით, 1:253d მუხლის პარ. 1 და 1:253r მუხლი შესაბამისად გამოიყენება იმ ერთობლივი უფლებამოსილების მიმართ, რომელიც ხორციელდება მშობლისა და სხვა იმ პირის მიერ, ვინც არ წარმოადგენს ბავშვის მშობელს.

– 2. შესაბამისად გამოიყენება ასევე 1:253i მუხლიც, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იმ პირს, რომელსაც დაეკისრა მშობლის უფლებამოსილების განხორციელება, არა აქვს შესაბამისი ბავშვის ქონების ადმინისტრირების უფლება 1:253i მუხლის პარ. 4 (a) ან (c) პუნქტების მოქმედების გამო.

– 3. შესაბამისად გამოიყენება ასევე 1:253n მუხლიც. ერთობლივი უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, როგორც ეს მითითებულია 1:253t მუხლში, რაიონულმა სასამართლომ ბავშვის მშობლებს ან უფლებამოსილების არმქონე მშობელს უნდა მისცეს შესაძლებლობა, ბავშვის საუკეთესო ინტერესებში მიმართონ სასამართლოს მათზე – ანდა, შესაბამისად, მასზე – ბავშვის მიმართ მშობლის უფლებამოსილების დაკისრების მოთხოვნით.

– 4. თუ მშობლისა და 1:253t მუხლში მითითებული სხვა პირის ერთობლივი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ რაიონულმა სასამართლომ ამ სხვა პირს დაავალა ბავშვის მიმართ მეურვეობის განხორციელება, მაშინ ამ სასამართლოს შეუძლია ნებისმიერ დროს შეცვალოს ეს გადაწყვეტილება გარემოებათა ცვლილების საფუძველით და ბავშვის ერთ-ერთ მშობელს მისივე მოთხოვნის საფუძველზე მიანიჭოს ბავშვის მიმართ მშობლის უფლებამოსილება ანდა – იმ მშობლებს, რომლებიც ერთობლივად ახორციელებდნენ ასეთ უფლებამოსილებას მათივე ერთობლივი მოთხოვნის საფუძველზე კვლავ დაეკისროთ ერთობლივი უფლებამოსილება თავიანთი შვილის მიმართ ყოველთვის იმ პირობით, რომ ეს იქნება ბავშვის საუკეთესო ინტერესებში.

– 5. შესაბამისად გამოიყენება ასევე 1:253d მუხლის პარ. 2 იმ პირობით, რომ რაიონულმა სასამართლომ მეურვის დანიშვნამდე უფლებამოსილების არმქონე მშობელს უნდა მისცეს შესაძლებლობა, ბა-

ვშვის საუკეთესო ინტერესებში მიმართოს სასამართლოს მასზე ბავშვის მიმართ მშობლის უფლებამოსილების დაკისრების მოთხოვნით. 1:253d მუხლის პარ. 2-ში მითითებული მოთხოვნა შეიძლება წარდგენილ იქნეს ასევე სხვა პირის მიერ, ვინც არ წარმოადგენს ბავშვის მშობელს.

– 6. წინამდებარე ტიტულის მე-4 და მე-5 განყოფილებები შესაბამისად გამოიყენება მშობლისა და სხვა არამშობელი პირის მიერ ერთობლივად განხორციელებული უფლებამოსილების მიმართ იმ პირობით, რომ თუ მშობელმა, ვინც ასეთ სხვა პირთან ერთად ერთობლივად ახორციელებს მშობლის უფლებამოსილებას, დაკარგა უფლებამოსილების განხორციელების უფლება ანდა მას ჩამოერთვა ეს უფლება, მაშინ აღნიშნულ სხვა პირს შეიძლება მიენიჭოს ეს უფლებამოსილება მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც რაიონული სასამართლო უფლებამოსილების არმქონე მშობელს მისცემს შესაძლებლობას, ბავშვის საუკეთესო ინტერესებში მიმართოს სასამართლოს მასზე ბავშვის მიმართ მშობლის უფლებამოსილების დაკისრების მოთხოვნით.

ქვეგანყოფილება 1.14.3A.3 – მშობლისა და სხვა არამშობელი პირის მიერ ბავშვის მიმართ უფლებამოსილების განხორციელების მომწესრიგებელი საერთო დებულებები

მუხლი 1:253w იმ პირის მიმართ დადგენილი რჩენის ვალდებულება, ვინც არ წარმოადგენს ბავშვის მშობელს

იმ პირს, ვინც, მართალია, არ წარმოადგენს ბავშვის მშობელს, თუმცა ერთობლივად მშობელთან ერთად ახორციელებს ბავშვის მიმართ მშობლის უფლებამოსილებას, ეკისრება ამ ბავშვის რჩენის ვალდებულება. თუ ბავშვის მიმართ ერთობლივი უფლებამოსილება შეწყდა იმის გამო, რომ ბავშვმა მიაღწია სრულწლოვანების ასაკს, მაშინ ეს რჩენის ვალდებულება შენარჩუნდება ბავშვის მიერ ოცდაერთი წლის ასაკის მიღწევამდე. მას შემდეგ, როდესაც კანონიერ ძალაში შევიდა და მბოჭავი გახდა სასამართლოს განკარგულება, რომლითაც აღნიშნული ერთობლივი უფლებამოსილება შეწყდა, ანდა – მას შემდეგ, როდესაც ზემოაღნიშნული ერთობლივი უფლებამოსილება შეწყდა იმ მშობლის გარდაცვალების გამო, ვისთანაც ამ უკანასკნელის გარდაცვალების მომენტამდე მეორე პირი ერთობლივად ახორციელებდა ბავშვის მიმართ მშობლის უფლებამოსილებას, მაშინ რჩენის ვალდებულება შენარჩუნდება იმ ვალდებულებებთან დაკავშირებით, რომელთა კისრებაც მოხდა ერთობლივი უფლებამოსილების არსებობის პერიოდში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სასამართლომ გაახანგრძლივა ეს პერიოდი განსაკუთრებული მიზეზების არსებობის გამო მშობლის ან ერთობლივი უფლებამოსილების განმახორციელებელი მეორე პირის განცხადების საფუძველზე. რჩენის ვალდებულება წყდება იმ მომენტში, როდესაც ბავშვი მიაღწევს ოცდაერთი წლის ასაკს. შესაბამისად გამოიყენება 1:392 მუხლის პარ. 3, 1:395a მუხლის პარ. 1, 1:395b, 1:397, 1:398, 1:399, 1:400 მუხლები, 1:401 მუხლის პარ. 1, 4 და 5, 1:402, 1:402a, 1:403 მუხლები, 1:404 მუხლის პარ. 1, 1:406 და 1:408 მუხლები.

მუხლი 1:253x იმ მშობლის გარდაცვალების სამართლებრივი შედეგი, ვინც მშობლის უფლებამოსილებას ერთობლივად ახორციელებდა სხვა პირთან ერთად, ვინც არ წარმოადგენს ბავშვის მშობელს

– 1. იმ მშობლის გარდაცვალების შემდეგ, ვინც სხვა პირთან ერთად ერთობლივად ახორციელებდა ბავშვის მიმართ მშობლის უფლებამოსილებას, ამ სხვა პირს კანონის ძალით დაეკისრება ბავშვის მიმართ მეურვეობის განხორციელების ვალდებულება.

– 2. ცოცხლად დარჩენილი მეუღლის მოთხოვნის საფუძველზე რაიონულ სასამართლოს ნებისმიერ დროს შეუძლია მეორე მეუღლეს დაავალოს ბავშვის მიმართ მშობლის უფლებამოსილების განხორციელება იმ პირობით, რომ მას აქვს არასრულწლოვანთა მიმართ მშობლის უფლებამოსილების განხორციელების უნარი.

– 3. 1:253g და 1:253h მუხლები არ გამოიყენება.

მუხლი 1:253y ერთობლივი უფლებამოსილების შეწყვეტა, როგორც ეს მითითებულია 1:253sa და 1:253t მუხლებში

– 1. 1:253sa და 1:253t მუხლებში მითითებული ერთობლივი უფლებამოსილება წყდება იმ დღეს, როდესაც კანონიერ ძალაში შევიდა და მბოჭავი გახდა სასამართლოს განკარგულება, რომლითაც ორივე მშობელს მიენიჭა ერთობლივი უფლებამოსილების განხორციელება ანდა რომლითაც შეწყდა ერთი მშობლისა და სხვა არამშობელი პირის მიერ განხორციელებული ერთობლივი უფლებამოსილება.

– 2. თუ პარ. 1-ში მითითებული სასამართლოს განკარგულება დაექვემდებარა დაუყოვნებელ იძულებით აღსრულებას, მაშინ ერთი მშობლისა და სხვა არამშობელი პირის მიერ განხორციელებული ერთობლივი უფლებამოსილება წყდება განკარგულების გადაცემიდან ან გაგზავნიდან მეორე დღეს.

განყოფილება 1.14.4 – არასრულწლოვანთათვის არსებული სამეურვეო კონტროლის საშუალებები

მუხლი 1:254 არასრულწლოვანთა მიმართ სამეურვეო კონტროლის დადგენის საფუძვლები

– 1. თუ არასრულწლოვანის მორალური თუ მენტალური განვითარება ან მისი ჯანმრთელობა მნიშვნელოვანი საფრთხის ქვეშაა და სხვა ზომები უშედეგო აღმოჩნდა – ანდა, როგორც მოსალოდნელია, უშედეგო აღმოჩნდება – ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად, მაშინ არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლოს შეუძლია განათავსოს ეს არასრულწლოვანი ახალგაზრდობაზე ზრუნვის შესახებ კანონის 1-ლი მუხლის პარ. 1-ის (f) პუნქტში მითითებული ფონდის სამეურვეო კონტროლის ქვეშ.

– 2. პარ. 1-ში მითითებული არასრულწლოვანი, რომლის სახელითაც წარდგენილ იქნა განაცხადი განსაზღვრული ვადით ბინადრობის ნებართვის გაცემის შესახებ უცხოელთა შესახებ 2000 წლის კანონის 28-ე მუხლის ნორმათა შესაბამისად და ვინც ამასთან დაკავშირებით იმყოფება თავშესაფრის მაძებართა მიღების მომსახურების ცენტრალური ორგანოს შესახებ კანონის 1-ლი მუხლის (d) პუნქტში მითითებულ თავშესაფარში, არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლოს მიერ შეიძლება განთავსდეს იმ იურიდიული პირის სამეურვეო კონტროლის ქვეშ, რომელიც იუსტიციის სამინისტროს მიერ აღიარებულ იქნა როგორც ამ მიზნის მიღწევისათვის ქმედითი ინსტიტუტი.

– 3. პარ. 2-ში მითითებულ აღიარებასთან დაკავშირებით იუსტიციის სამინისტროს შეუძლია დაადგინოს პირობები ან მოთხოვნები და ასევე – იურიდიული პირი ცნოს მხოლოდ წინასწარ დადგენილი ვადისათვის.

– 4. არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლოს შეუძლია არასრულწლოვანი სამეურვეო კონტროლის ქვეშ განათავსოს მისი ერთ-ერთი მშობლისა და იმ სხვა პირის მოთხოვნის საფუძველზე, რომელიც ზრუნავს ამ არასრულწლოვანზე და ისე ზრდის მას როგორც საკუთარი ოჯახის წევრს, – ასევე ბავშვის ინტერესების დაცვის საბჭოსა თუ პროკურატურის მოთხოვნის საფუძველზეც.

– 5. ახალგაზრდობაზე ზრუნვის შესახებ კანონის 1-ლი მუხლის პარ. 1-ის (f) პუნქტში მითითებული ფონდის ან იმ მშობლის მოთხოვნის საფუძველზე, რომელსაც დაეკისრა არასრულწლოვანის მიმართ უფლებამოსილების განხორციელება, ანდა – თავად იმ არასრულწლოვანის მოთხოვნის საფუძველზე, რომელმაც მიაღწია თორმეტი წლის ასაკს, არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლოს შეუძლია ახალგაზრდობაზე ზრუნვის შესახებ კანონის 1-ლი მუხლის პარ. 1-ის (f) პუნქტში მითითებული არასრულწლოვანის მიმართ სამეურვეო კონტროლის განმანხორციელებელი ფონდი შეცვალოს სხვა პროვინციაში მოქმედი ფონდით. ბავშვის ინტერესების დაცვის საბჭო უფლებამოსილია წარადგინოს წინა წინადადებაში მითითებული მოთხოვნა, თუ საბჭო ადასტურებს თავის პოზიციას იმის თაობაზე, რომ არასრულწლოვანის სახლიდან მოშორებით განთავსება არ უნდა შეწყდეს 1:263 მუხლის პარ. 1-ის საფუძველზე. თუ უკვე დადგენილი სამეურვეო კონტროლის ვადის გახანგრძლივების მომენტში პარ. 2-ში მითითებული გაგებით დანიშნვისათვის აუცილებელი მოთხოვნები აღარ სრულდება, მაშინ არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლოს საკუთარი ინიციატივით შეუძლია შეცვალოს ახალგაზრდობაზე ზრუნვის შესახებ კანონის 1-ლი მუხლის პარ. 1-ის (f) პუნქტში მითითებული ფონდის მიერ თავდაპირველად დანიშნული იურიდიული პირი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნული იურიდიული პირის საქმიანობა სტაბილურობის შენარჩუნების მოტივებიდან გამომდინარე არ წარმოგვიდგება როგორც აუცილებელი.

– 6. მე-4 და მე-5 განყოფილებებისა და 1:326 მუხლის კანონისმიერი ნორმები შესაბამისად გამოიყენება პარ. 2-ში მითითებული იურიდიული პირის მიმართ. პარ. 5-ის საფუძველზე ასეთი იურიდიული პირის შეცვლის შემთხვევაში, სასამართლომ უნდა დანიშნოს ახალგაზრდობაზე ზრუნვის შესახებ კანონის 1-ლი მუხლის პარ. 1-ის (f) პუნქტში მითითებული ფონდი, რომელიც საქმიანობს იმ პროვინციაში, სადაც არასრულწლოვანი ხანგრძლივი ვადით უნდა განთავსდეს.

მუხლი 1:255 დროებითი მეურვეობა

საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებისას არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლოს შეუძლია არასრულწლოვანი განათავსოს დროებითი მეურვეობის ქვეშ, თუ ეს სასწრაფოდ და გადაუდებლად

აუცილებელია. არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლომ ასეთი დროებითი მეურვეობა უნდა დაადგინოს არაუმეტეს სამი თვისა და მას ნებისმიერ დროს შეუძლია გააუქმოს თავისი გადაწყვეტილება.

მუხლი 1:256 სამეურვეო კონტროლის ხანგრძლივობა, გახანგრძლივება და შეწყვეტა

– **1.** არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლოს სამეურვეო კონტროლის დადგენა შეუძლია მაქსიმუმ თორმეტი თვის ვადით.

– **2.** არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლოს შეუძლია მუდმივად ახანგრძლივებდეს აღნიშნულ ვადას ყოველ ჯერზე მაქსიმუმ თორმეტი თვის ვადით {მანამდე, სანამ ბავშვი არ მიაღწევს თვრამეტი წლის ასაკს}. სასამართლოს ვადის გახანგრძლივების დადგენა შეუძლია ახალგაზრდობაზე ზრუნვის შესახებ კანონის 1-ლი მუხლის პარ. 1-ის (f) პუნქტში მითითებული ფონდის, მშობლის ან იმ სხვა პირის მოთხოვნის საფუძველზე, რომელიც ზრუნავს ამ არასრულწლოვანზე და ისე ზრდის მას როგორც საკუთარი ოჯახის წევრს, – ასევე ბავშვის ინტერესების დაცვის საბჭოსა თუ პროკურატურის მოთხოვნის საფუძველზეც.

– **3.** თუ ახალგაზრდობაზე ზრუნვის შესახებ კანონის 1-ლი მუხლის პარ. 1-ის (f) პუნქტში მითითებული ფონდი არ წარადგენს პირველ პარაგრაფში მითითებული ვადის გახანგრძლივების მოთხოვნას, მაშინ ის შეძლებისდაგვარად სწრაფად ატყობინებს ამის თაობაზე ბავშვის ინტერესების დაცვის საბჭოს სამეურვეო კონტროლთან დაკავშირებული ფაქტების შესახებ ანგარიშის წარდგენასთან ერთად.

– **4.** არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლოს შეუძლია გააუქმოს სამეურვეო კონტროლი იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზე აღარ არის ამის საფუძველები. იგივე მოქმედება მას შეუძლია ასევე ახალგაზრდობაზე ზრუნვის შესახებ კანონის 1-ლი მუხლის პარ. 1-ის (f) პუნქტში მითითებული ფონდის, მშობლის ან იმ მშობლის მოთხოვნის საფუძველზე, რომელსაც დაეკისრა არასრულწლოვანის მიმართ უფლებამოსილების განხორციელება, ანდა – თავად იმ არასრულწლოვანის მოთხოვნის საფუძველზე, რომელმაც მიაღწია თორმეტი წლის ასაკს.

მუხლი 1:257 არასრულწლოვან პირებზე ზრუნვის ბიუროს ამოცანები: დახმარების განწევა და მხარდაჭერა

– **1.** {ეგრეთ წოდებული ოჯახის მეურვის მეშვეობით} ახალგაზრდობაზე ზრუნვის შესახებ კანონის 1-ლი მუხლის პარ. 1-ის (f) პუნქტში მითითებულმა ფონდმა უნდა განახორციელოს ზედამხედველობა არასრულწლოვანის მიმართ და უზრუნველყოს მისთვის და ასევე იმ მშობლისათვის დახმარების განწევა და მხარდაჭერა, რომელსაც დაეკისრა შვილის მიმართ უფლებამოსილების განხორციელება, იმ მიზნით, რათა თავიდან იქნეს აცილებული ის საფრთხეები, რომლებიც ემუქრება არასრულწლოვანის მორალურ თუ მენტალურ განვითარებას ან მის ჯანმრთელობას.

– **2.** აღნიშნული დახმარების განწევა და მხარდაჭერა უნდა მოხდეს იმ განზრახვით, რომ მშობლის უფლებამოსილების განმახორციელებელმა მშობელმა შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად შეინარჩუნოს თავისი პირადი პასუხისმგებლობა არასრულწლოვანზე ზრუნვა და მისი აღზრდა. დახმარების განწევისა და მხარდაჭერის ბუნებასა და ფარგლებთან დაკავშირებული დამატებითი წესები შეიძლება დადგენილ იქნეს მეფის სამთავრობო ბრძანებით იუსტიციის სამინისტროსა და ჯანმრთელობის, სოციალური დაცვისა და სპორტის სამინისტროს რეკომენდაციის საფუძველზე.

– **3.** თუ არასრულწლოვანის ასაკის და ასევე დამოუკიდებლად მოქმედებისა და თავისი ცხოვრების მონყოლის უნარის გათვალისწინებით მისი განვითარების დონე ამას მოითხოვს, დახმარების განწევა და მხარდაჭერა ფოკუსირებული უნდა იყოს უფრო მეტად არასრულწლოვანის დამოუკიდებლობის განვითარებაზე, ვიდრე მშობლების მხრიდან თავიანთ ბავშვზე ზრუნვისა და მისი აღზრდის შესაძლებლობების გაუმჯობესებაზე.

– **4.** ახალგაზრდობაზე ზრუნვის შესახებ კანონის 1-ლი მუხლის პარ. 1-ის (f) პუნქტში მითითებულმა ფონდმა ხელი უნდა შეუწყოს მშობლის უფლებამოსილების განმახორციელებელ მშობელსა და ბავშვს შორის ოჯახური კავშირის არსებობას.

მუხლი 1:258 (ფონდის მიერ დაქირავებული ოჯახის მეურვის მიერ მიცემული) ფონდის მითითებები

– **1.** ახალგაზრდობაზე ზრუნვის შესახებ კანონის 1-ლი მუხლის პარ. 1-ის (f) პუნქტში მითითებულ ფონდს თავისი მოვალეობების შესრულებისას შეუძლია {ოჯახის მეურვის მეშვეობით} გასცეს წერილობითი მითითებები იმ პროცედურასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც მშობლებმა უნდა იზრუნონ არასრულწლოვანზე და აღზარდონ ის.

– **2.** მშობლის უფლებამოსილების განმახორციელებელი მშობლები და არასრულწლოვანი ვალდებული არიან, შეასრულონ აღნიშნული მითითებები.

- 3. 1:261 მუხლის ძალით არასრულწლოვანი სახლს მიღმა შეიძლება განთავსდეს მხოლოდ დღისა და ღამის განმავლობაში, გარდა იმ გარემოებებისა, როდესაც მშობლის უფლებამოსილების განმახორციელებელი მშობელი აღნიშნულს ახორციელებს ახალგაზრდობაზე ზრუნვის შესახებ კანონის 1-ლი მუხლის პარ. 1-ის (f) პუნქტში მითითებული ფონდის მხრიდან რაიმე წინააღმდეგობის გარეშე.

მუხლი 1:259 წერილობითი მითითებების გაუქმებასთან დაკავშირებით არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლოში წარდგენილი მოთხოვნა

- 1. მშობლის უფლებამოსილების განმახორციელებელი მშობლისა თუ იმ არასრულწლოვანის მოთხოვნის საფუძველზე, რომელმაც მიაღწია თორმეტი წლის ასაკს, არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლოს შეუძლია დაადგინოს წინა მუხლში აღნიშნული მითითებების სრულად ან ნაწილობრივ გაუქმება. მოთხოვნას არა აქვს სუსპენზიური შედეგი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლომ სანააღმდეგო წესი დაადგინა.

- 2. მოთხოვნის წარდგენისას ასევე უნდა იქნეს წარდგენილი ახალგაზრდობაზე ზრუნვის შესახებ კანონის 1-ლი მუხლის პარ. 1-ის (f) პუნქტში მითითებული ფონდის მიერ მშობლის უფლებამოსილების განმახორციელებელი მშობლისა თუ არასრულწლოვანის მხრიდან მითითებების გაუქმების თაობაზე მოთხოვნასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება.

- 3. პარ. 1-ში მითითებული მოთხოვნის არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლოში წარდგენის ვადა შეადგენს ორ კვირას და ამ ვადის დენა იწყება იმ დღიდან, როდესაც ფონდის პარ. 2-ში მითითებული გადაწყვეტილება გადაეცემა ან გაეგზავნება მშობლის უფლებამოსილების განმახორციელებელ მშობელს ან არასრულწლოვანს.

- 4. მოთხოვნა, რომელიც წარდგენილ იქნა პარ. 3-ში მითითებული ორკვირიანი ვადის გასვლამდე, არ არის დაუშვებელი იმ საფუძველზე, რომ განმცხადებელი გონივრული თვალსაზრისით ვერ მიიჩნევა მოთხოვნის წარდგენის ვადის დამრღვევად.

მუხლი 1:260 მითითებების გაუქმების თაობაზე ფონდში წარდგენილი მოთხოვნა

- 1. მშობლის უფლებამოსილების განმახორციელებელ მშობელს ან იმ არასრულწლოვანს, რომელმაც მიაღწია თორმეტი წლის ასაკს, შეუძლია გარემოებათა ცვლილებების გამო მოსთხოვოს ახალგაზრდობაზე ზრუნვის შესახებ კანონის 1-ლი მუხლის პარ. 1-ის (f) პუნქტში აღნიშნულ ფონდს მითითებების სრულად ან ნაწილობრივ გაუქმება.

- 2. ახალგაზრდობაზე ზრუნვის შესახებ კანონის 1-ლი მუხლის პარ. 1-ის (f) პუნქტში მითითებულმა ფონდმა თავისი წერილობითი გადაწყვეტილება უნდა გასცეს ორი კვირის განმავლობაში მას შემდეგ, რაც ის მიიღებს პარ. 1-ში მითითებულ მოთხოვნას.

- 3. შესაბამისად გამოიყენება 1:259 მუხლი.

- 4. როდესაც ახალგაზრდობაზე ზრუნვის შესახებ კანონის 1-ლი მუხლის პარ. 1-ის (f) პუნქტში მითითებული ფონდი არ იღებს თავის გადაწყვეტილებას ან არ გასცემს მას დროულად, მაშინ წინამდებარე მუხლის მიზნისათვის ეს განიხილება როგორც მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი. აღნიშნულ შემთხვევაში არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლოსათვის მოთხოვნის წარდგენის ვადის დენა გაგრძელდება მანამდე, სანამ ახალგაზრდობაზე ზრუნვის შესახებ კანონის 1-ლი მუხლის პარ. 1-ის (f) პუნქტში მითითებული ფონდი არ გასცემს თავის გადაწყვეტილებას, და ის შეწყდება აღნიშნულის შემდგომ ორი კვირის გასვლისთანავე, თუკი ფონდი საბოლოოდ მაინც მიიღებს თავის გადაწყვეტილებას.

მუხლი 1:261 არასრულწლოვანის განთავსება სახლს მიღმა (არასრულწლოვანის სამზრუნველოდ გადაცემა)

- 1. როდესაც ეს აუცილებელია არასრულწლოვანზე ზრუნვისა და მისი აღზრდისათვის ანდა – მისი მენტალური თუ ფიზიკური მდგომარეობის გამოკვლევისათვის, არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლოს შეუძლია ახალგაზრდობაზე ზრუნვის შესახებ კანონის 1-ლი მუხლის პარ. 1-ის (f) პუნქტში მითითებულ ფონდს ამ უკანასკნელის მოთხოვნის საფუძველზე მიანიჭოს არასრულწლოვანის დღისა და ღამის განმავლობაში სახლს მიღმა განთავსების უფლებამოსილება. ასეთი უფლებამოსილება შეიძლება მინჭებულ იქნეს ასევე ბავშვის ინტერესების დაცვის საბჭოსა თუ პროკურატურის მოთხოვნის საფუძველზეც.

- 2. თუ სახლს მიღმა განთავსება დაკავშირებულია ახალგაზრდობაზე ზრუნვის შესახებ კანონის მე-5 მუხლის მეორე პარაგრაფში აღწერილი ზრუნვის უზრუნველყოფასთან, მაშინ მოთხოვნა უნდა დაკორექტირდეს აღნიშნული კანონის მე-6 მუხლის პირველ პარაგრაფში მითითებული გადაწყვეტილების

სისრულეში მოყვანის გათვალისწინებით. ეს გადაწყვეტილება წარდგენილ უნდა იქნეს ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც ხდება მოთხოვნის სასამართლოში წაყენება. თუ სახლს მიღმა განთავსება არ არის დაკავშირებული ახალგაზრდობაზე ზრუნვის შესახებ კანონის მე-5 მუხლის მეორე პარაგრაფში აღწერილი ზრუნვის უზრუნველყოფასთან, მაშინ მოთხოვნაში უნდა მიეთითოს, თუ რა მისამართზე უნდა განთავსდეს სამზრუნველოდ არასრულწლოვანი.

– **3.** წინამდებარე მუხლის პარ. 2-ის პირველი წინადადებისაგან განსხვავებით, არასრულწლოვანის სახლს მიღმა განთავსების ნებართვა შეიძლება მინიჭებულ იქნეს ახალგაზრდობაზე ზრუნვის შესახებ კანონის მე-6 მუხლის პირველ პარაგრაფში მითითებული გადაწყვეტილების გარეშეც ამავე კანონის მე-3 მუხლის მეხუთე პარაგრაფსა და გამონაკლისი სამედიცინო ხარჯების განევის შესახებ კანონის მე-9 მუხლით დადგენილ წესებში აღწერილ შემთხვევებში. ასეთ დროს სახლს მიღმა განთავსების ნებართვა უნდა იყოს ნამდვილი მანამდე, სანამ არ მიიღება ახალგაზრდობაზე ზრუნვის შესახებ კანონის მე-6 მუხლის პირველ პარაგრაფში მითითებული გადაწყვეტილება. არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლოს შეუძლია დაადგინოს, რომ აღნიშნული ნებართვა ინარჩუნებს ძალას იმ შემთხვევაში, თუ ახალგაზრდობაზე ზრუნვის შესახებ კანონის მე-6 მუხლის პირველ პარაგრაფში მითითებული გადაწყვეტილება ითხოვს არასრულწლოვანის სახლს მიღმა განთავსებას.

– **4.** არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლოს შეუძლია ასევე გასცეს არასრულწლოვანის სახლს მიღმა განთავსების ნებართვა ახალგაზრდობაზე ზრუნვის შესახებ კანონის მე-6 მუხლის პირველ პარაგრაფში მითითებული გადაწყვეტილების გარეშეც, თუ სახლს მიღმა განთავსების მოთხოვნა წარდგენილია ბავშვის ინტერესების დაცვის საბჭოს მიერ იმ დროს, როდესაც ახალგაზრდობაზე ზრუნვის შესახებ კანონის 1-ლი მუხლის პარ. 1-ის (f) პუნქტში მითითებულ ფონდს ჯერ არ მიუღია გადაწყვეტილება არასრულწლოვანის სახლს მიღმა განთავსების შესახებ. აღნიშნულ შემთხვევებში მოთხოვნაში უნდა მიეთითოს, თუ რა მისამართზე უნდა განთავსდეს სამზრუნველოდ არასრულწლოვანი. თუ არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლო გასცემს თავის ნებართვას, მაშინ სახლს მიღმა განთავსება უნდა განხორციელდეს ფონდის მიერ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ბავშვის ინტერესების დაცვის საბჭო ეთანხმება არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლოს განკარგულების აღუსრულებლობას.

– **5.** არასრულწლოვანის აყვანისა და მისი განსაზღვრულ მისამართზე განთავსებისათვის, როგორც ეს მითითებულია ახალგაზრდობაზე ზრუნვის შესახებ კანონის 29b-ე მუხლის პირველ პარაგრაფში ან 29c-ე მუხლის პირველ პარაგრაფში, წინამდებარე მუხლის პარ. 1-ში ნახსენები ნებართვა არ მოითხოვება, თუმცა – მოითხოვება ახალგაზრდობაზე ზრუნვის შესახებ კანონის ზემოთ ნახსენებ ნორმებში მითითებული ნებართვა. 1:258 მუხლის პარ. 3-ის, 1:268 პარ. 2-ის, 1:269 მუხლის პარ. 1-ის (d) პუნქტისა და 1:327 მუხლის პარ. 1-ის მიზნისათვის ეს უკანასკნელი ნებართვა შესაძლოა განხილულ იქნეს როგორც წინამდებარე მუხლის პარ. 1-ში ნახსენები ნებართვა.

მუხლი 1:262 სახლს მიღმა არასრულწლოვანის განთავსებისათვის მიცემული ნებართვის ხანგრძლივობა

– **1.** არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლოს შეუძლია გასცეს არასრულწლოვანის სახლს მიღმა განთავსების ნებართვა მაქსიმუმ თორმეტი თვის ვადით. ახალგაზრდობაზე ზრუნვის შესახებ კანონის 1-ლი მუხლის პარ. 1-ის (f) პუნქტში მითითებულ ფონდისა თუ ბავშვის ინტერესების დაცვის საბჭოს მოთხოვნით, აღნიშნული პერიოდი ყოველ ჯერზე შეიძლება გახანგრძლივდეს მაქსიმუმ თორმეტი თვის ვადით {მანამდე, სანამ ბავშვი არ მიაღწევს თვრამეტი წლის ასაკს}.

– **2.** თუ ახალგაზრდობაზე ზრუნვის შესახებ კანონის 1-ლი მუხლის პარ. 1-ის (f) პუნქტში მითითებული ფონდი არ წარადგენს პირველ პარაგრაფში მითითებული ვადის გახანგრძლივების მოთხოვნას, მაშინ ის შეძლებისდაგვარად სწრაფად ატყობინებს ამის თაობაზე ბავშვის ინტერესების დაცვის საბჭოს სამზრუნველოდ განთავსებასთან დაკავშირებული ფაქტების შესახებ ანგარიშის წარდგენასთან ერთად.

– **3.** ნებართვა კარგავს ძალას, თუ არასრულწლოვანის სახლს მიღმა განთავსება არ განხორციელდება ნებართვის გაცემიდან სამი თვის განმავლობაში.

მუხლი 1:263 სახლს მიღმა არასრულწლოვანის განთავსების შეწყვეტა

– **1.** არასრულწლოვანის სახლს მიღმა განთავსება შეიძლება შეწყდეს ახალგაზრდობაზე ზრუნვის შესახებ კანონის 1-ლი მუხლის პარ. 1-ის (f) პუნქტში მითითებული ფონდის მიერ. ფონდმა შეძლებისდაგვარად სწრაფად უნდა შეატყობინოს ბავშვის ინტერესების დაცვის საბჭოს ასეთი შეწყვეტის შესახებ სამზრუნველოდ განთავსებასთან დაკავშირებული ფაქტების შესახებ ანგარიშის წარდგენასთან ერთად.

– **2.** მშობლის უფლებამოსილების განმახორციელებელ მშობელს, სხვა პირის მიმართ, ვინც ზრუნავს

ამ არასრულწლოვანზე და ისე ზრდის მას როგორც საკუთარი ოჯახის წევრს ანდა – თავად იმ არასრულწლოვანს, რომელმაც მიაღწია თორმეტი წლის ასაკს, შეუძლია გარემოებათა ცვლილებების გამო ახალგაზრდობაზე ზრუნვის შესახებ კანონის 1-ლი მუხლის პარ. 1-ის (f) პუნქტში აღნიშნულ ფონდს მოსთხოვოს:

a. არასრულწლოვანის სახლს მიღმა განთავსების შეწყვეტა;

b. მისი ვადის შემცირება;

c. არასრულწლოვანის განთავსების ადგილის ნებადართული ცვლილების აღსრულებაზე უარი. არასრულწლოვანის განთავსების ადგილის ცვლილება მოიცავს ასევე არასრულწლოვანის ყოფნას იმ მშობელთან, რომელსაც მის მიმართ მშობლის უფლებამოსილება აქვს.

– 3. ახალგაზრდობაზე ზრუნვის შესახებ კანონის 1-ლი მუხლის პარ. 1-ის (f) პუნქტში აღნიშნულმა ფონდმა წელიწადში გადანყვეტილება უნდა მიიღოს ორი კვირის ვადაში მას შემდეგ, რაც ის მიიღებს პარ. 2-ში მითითებულ მოთხოვნას.

– 4. პარ. 2-ში მითითებული ერთ-ერთი პირის მოთხოვნით, არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლოს შეუძლია გააუქმოს მის მიერ ადრე მიცემული ნებართვა ანდა – შეამციროს მისი ვადა. შესაბამისად გამოიყენება 1:259 მუხლის პარ 1-ის მეორე წინადადება და პარ. 3 და 4 და ასევე – 1: 260 მუხლი.

მუხლი 1:263a სახლს მიღმა განთავსების პერიოდში ბავშვსა და მის მშობელს შორის არსებული კონტაქტის მიმართ დადგენილი შეზღუდვები

– 1. იმ ფარგლებში, რომლებშიც ეს აუცილებელია ბავშვის სახლს მიღმა განთავსების მიზნის გათვალისწინებით, როგორც ეს ნებადართულია 1:261 მუხლის საფუძველზე, ახალგაზრდობაზე ზრუნვის შესახებ კანონის 1-ლი მუხლის პარ. 1-ის (f) პუნქტში აღნიშნულ ფონდს სახლს მიღმა განთავსების პერიოდში შეუძლია შეზღუდოს კონტაქტი ბავშვსა და მის მშობელს შორის, რომელსაც ბავშვის მიმართ მშობლის უფლებამოსილება აქვს.

– 2. ახალგაზრდობაზე ზრუნვის შესახებ კანონის 1-ლი მუხლის პარ. 1-ის (f) პუნქტში აღნიშნული ფონდის ზემოაღნიშნული გადანყვეტილება უნდა ჩაითვალოს მითითებულ 1:258 მუხლის ნორმათა გაგებით. შესაბამისად გამოიყენება 1:259 და 1:260 მუხლების ნორმები იმ პირობით, რომ არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლო შეძლებს ისეთი ღონისძიებების მიღებას, რასაც ის აუცილებლად ჩათვლის ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე.

მუხლი 1:263b მშობლის მიერ ბავშვის მონახულების წესის შეცვლა

– 1. ბავშვის სახლს მიღმა განთავსების პერიოდისათვის არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლოს ახალგაზრდობაზე ზრუნვის შესახებ კანონის 1-ლი მუხლის პარ. 1-ის (f) პუნქტში აღნიშნული ფონდის მოთხოვნის საფუძველზე შეუძლია შეცვალოს ადრე მიღებული სასამართლოს განკარგულება, რომელშიც დადგენილ იქნა მშობელსა და მის შვილს შორის კონტაქტის უფლების (მშობლის მიერ ბავშვის მონახულების უფლების) რეალიზაციის წესი იმდენად, რადენადაც ასეთი ცვლილება აუცილებელია ბავშვის სახლს მიღმა განთავსების მიზნის გათვალისწინებით.

– 2. მშობლის უფლებამოსილების განმარტებული მშობლის, იმ პირის, რომელსაც შეუძლია კონტაქტის უფლებაზე (მშობლის მიერ ბავშვის მონახულების უფლებაზე) მითითება, თავად არასრულწლოვანის, რომელმაც მიაღწია თორმეტი წლის ასაკს, ანდა ახალგაზრდობაზე ზრუნვის შესახებ კანონის 1-ლი მუხლის პარ. 1-ის (f) პუნქტში აღნიშნული ფონდის მოთხოვნის საფუძველზე, არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლოს შეუძლია შეცვალოს წინა პარაგრაფის ნორმების საფუძველზე მიღებული გადანყვეტილება შემდგომში შესაბამისი გარემოებების შეცვლის მიზეზით ანდა – იმის გამო, რომ აღნიშნული გადანყვეტილება მიღებულ იქნა უზუსტო ან არასრული ინფორმაციის საფუძველზე.

– 3. წინამდებარე მუხლის ძალით დადგენილი წესი, სამეურვეო კონტროლის შეწყვეტის შემდეგ, განიხილება როგორც 1:377a ან 1:377f მუხლებში გათვალისწინებული პროცედურა.

მუხლი 1:264 არასრულწლოვანის აუცილებელი სამედიცინო დახმარება

როდესაც არასრულწლოვანს, რომელსაც ჯერ არ მიუღწევია თორმეტი წლის ასაკისათვის, ესაჭიროება სამედიცინო დახმარება მისი ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, თუმცა მშობელი, რომელიც მის მიმართ ახორციელებს მშობლის უფლებამოსილებას, უარს აცხადებს ასეთ დახმარებაზე თავისი თანხმობის მიცემაზე, მაშინ ახალგაზრდობაზე ზრუნვის შესახებ კანონის 1-ლი მუხლის პარ. 1-ის (f) პუნქტში აღნიშნული ფონდის მოთხოვნის საფუძველზე არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლოს შეუძლია აღნიშნული თანხმობა შეცვალოს სასამართლოს ნებართვით.

მუხლი 1:265 პროცედურული წესები

– 1. 1:254 მუხლის პარ. 5-ის ან 1:256-დან 1:264-ის ჩათვლით მუხლების ნორმების საფუძველზე წარდგენილი მოთხოვნები უნდა გაფორმდეს წერილობით. იმდენად, რამდენდაც ასეთი მოთხოვნები მიმართულია არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლოსადმი, ისინი შეიძლება წარდგენილ იქნეს ადვოკატის დახმარების გარეშე.

– 2. როდესაც მოთხოვნა წარადგინა ახალგაზრდობაზე ზრუნვის შესახებ კანონის 1-ლი მუხლის პარ. 1-ის (f) პუნქტში აღნიშნულმა ფონდმა ანდა ის გამოძახებულ იქნა სასამართლოში, მაშინ ამ ფონდმა ახალგაზრდობაზე ზრუნვის შესახებ კანონის მე-13 მუხლის მესამე პარაგრაფში გათვალისწინებული მოქმედებათა გეგმა და ასევე – სამეურვეო კონტროლთან დაკავშირებული ფაქტების შესახებ ანგარიში უნდა გაუგზავნოს არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლოს იმ მომენტში, როდესაც ფონდი წარადგენს მოთხოვნას ანდა, შესაბამისად, – დაუყოვნებლივ სასამართლოში გამოძახების შემდეგ.

– 3. მეორე პარაგრაფში მითითებული გეგმა და ანგარიში უნდა გაეგზავნოს ასევე ბავშვის ინტერესების დაცვის საბჭოსაც.

– 4. მოთხოვნა, რომელსაც ახალგაზრდობაზე ზრუნვის შესახებ კანონის 1-ლი მუხლის პარ. 1-ის (f) პუნქტში აღნიშნული ფონდი თავის მოვალეობათა შესრულების პროცესში ამისამართებს სასამართლოსკენ, შეიძლება წარდგენილ იქნეს ადვოკატის (ადვოკატთა ასოციაციის წევრი) დახმარების გარეშე და მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საზღაურის გარეშე; ამ მიზნით ფონდის მიერ მოთხოვნილი პირველი ავთენტური ასლები, დამონებული ასლები და ამონარიდები ექვემდებარება სასამართლოების მდივნების მიერ უსასყიდლოდ გადაცემას.

განყოფილება 1.14.5 – მშობლის უფლებამოსილების გაუქმება და მისი ჩამორთმევა

მუხლი 1:266 მშობლის უფლებამოსილების გაუქმების საფუძველები

იმ პირობით, თუ ეს არ ეწინააღმდეგება შვილების ინტერესებს, რაიონულ სასამართლოს შეუძლია გაუუქმოს მშობელს მშობლის უფლებამოსილება ერთი ან მეტი შვილის მიმართ იმ საფუძველზე, რომ ეს მშობელი შეუფერებელია თავის შვილებზე ზრუნვისა და მათი აღზრდის მოვალეობათა განხორციელებისათვის ანდა მას არ შეუძლია ამ მოვალეობების რეალიზაცია.

მუხლი 1:267 პირები, რომლებსაც შეუძლიათ მოითხოვონ მშობლის უფლებამოსილების გაუქმება

– 1. მშობლის უფლებამოსილება გაუქმება შეიძლება დადგინდეს ბავშვის ინტერესების დაცვის საბჭოსა თუ პროკურატურის მოთხოვნის საფუძველზე.

– 2. თუ 1:268 მუხლის პარ. 2-ის (d) პუნქტში მითითებულ ვითარებაში არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლომ არ დააკმაყოფილა მშობლების მოთხოვნა თავიანთი შვილის ადგილსამყოფელის შეცვლასთან დაკავშირებით, მაშინ მშობლის უფლებამოსილების გაუქმება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს ასევე იმ პირის მიერ, რომელიც მოთხოვნის წარდგენის მომენტში ზრუნავდა ბავშვზე და ზრდიდა მას, სულ ცოტა, ერთი წლის განმავლობაში. როდესაც ორი ან მეტი პირი ზრუნავს ბავშვზე და ზრდის მას, მაშინ ასეთი მოთხოვნა შეიძლება წარდგენილ იქნეს ამ პირების მიერ მხოლოდ ერთობლივად. როდესაც მშობლის უფლებამოსილების გაუქმების შესახებ მოთხოვნა უკვე წარდგენილია, მაშინ 1:253s მუხლის პარ. 2 აღარ გამოიყენება მანამდე, სანამ სასამართლო ამ მოთხოვნასთან დაკავშირებით არ მიიღებს კანონიერ ძალაში შესულ და მბოჭავ გადაწყვეტილებას.

მუხლი 1:268 მშობლის უფლებამოსილების გაუქმება ნებაყოფლობით ან იძულებით

– 1. მშობლის უფლებამოსილების გაუქმების დადგენა დაუშვებელია, თუ მშობელი ამას ეწინააღმდეგება.

– 2. თუმცა, წინა პარაგრაფიდან გამონაკლისი არსებობს:

a. თუ, სულ ცოტა, ექვსთვიანი სამეურვეო კონტროლის შემდეგ ნათელი გახდა, რომ ეს ზომა არასაკმარისია 1:254 მუხლში აღნიშნული საფრთხის თავიდან ასაცილებლად იმის გამო, რომ მშობელი უუნაროა ან უძლურია განახორციელოს თავის შვილზე ზრუნვისა და მისი აღზრდის მოვალეობა; იგივე წესი მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ მას შემდეგ, როდესაც არასრულწლოვანი სახლს მიღმა განთავსდა წელიწადნახევარზე მეტი ვადით 1:261 მუხლის შესაბამისად, ჯერ კიდევ არსებობს საფუძველიანი შიში იმისა, რომ ეს ზომა არასაკმარისი იქნება ზემოაღნიშნული საფრთხის თავიდან ასაცილებლად იმის გამო, რომ მშობელი უუნაროა ან უძლურია განახორციელოს თავის შვილზე ზრუნვისა და მისი აღზრდის მოვალეობა;

ბ. თუ ერთ-ერთი მშობლისათვის მისი უფლებამოსილების გაუქმების გარეშე მეორე მშობლისათვის მშობლის უფლებამოსილების ჩამორთმევას ვერ ექნება ისეთი შედეგი, რომ ბავშვებმა შეძლონ ამ მეორე მეუღლის გავლენისაგან თავის დაღწევა;

ც. თუ მშობლის გონებრივი შესაძლებლობები დარღვეულია იმგვარად, რომ მას არ შეუძლია განსაზღვროს თავისი ნება ან გაიაზროს თავისი განცხადებების მნიშვნელობა;

დ. თუ ბავშვი მისი მშობლის თანხმობით, სულ ცოტა, ერთი წლის განმავლობაში იმყოფებოდა სხვა არა მშობლების ოჯახის მზრუნველობის ქვეშ და იზრდებოდა ამ ოჯახში და, შესაბამისად, სხვა მიზეზების არსებობის გამო, ვიდრე ეს არის სახლს მიღმა განთავსება ან დროებითი სამეურვეო კონტროლის დადგენა ანდა ასევე ამ მდგომარეობის გაგრძელება აუცილებელია იმ დროს, როდესაც ბავშვის მისი მშობლისათვის დაბრუნების შემთხვევაში არსებობს ბავშვისათვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების საფრთხე.

მუხლი 1:269 მშობლის უფლებამოსილების ჩამორთმევის საფუძვლები

– 1. თუ რაიონული სასამართლო ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე ამას აუცილებლად ჩათვლის, მას შეუძლია ჩამოართვას მშობელს თავისი ერთი ან მეტი შვილის მიმართ უფლებამოსილების განხორციელების უფლება შემდეგი მიზეზების არსებობის გამო:

ა. მშობლის უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება ანდა ერთ ან მეტ შვილზე ზრუნვისა და მათი აღზრდის ვალდებულების შესრულების უხეში უგულვებელყოფა;

ბ. ცუდი საცხოვრებელი პირობები;

ც. სისხლის სამართლის წესით მშობლის საბოლოო გასამართლება:

1°. მისი უფლებამოსილების ქვეშ მყოფ არასრულწლოვანთან ერთად დანაშაულში განზრახ თანამონაწილეობისათვის;

2°. მისი უფლებამოსილების ქვეშ მყოფი არასრულწლოვანის მიმართ სისხლის სამართლის კოდექსის მეორე ნიგნის XIII-დან XV-მდე და XVIII-დან XX-მდე ტიტულებში აღწერილი ერთ-ერთი დანაშაულის ჩადენისათვის;

3°. თავისუფლების აღკვეთისათვის ორი ან მეტი წლის ვადით.

დ. ახალგაზრდობაზე ზრუნვის შესახებ კანონის 1-ლი მუხლის პარ. 1-ის (f) პუნქტში აღნიშნული ფონდის მითითებების არსებითი უგულვებელყოფა ანდა 1:261 მუხლის შესაბამისად არასრულწლოვანის სამზრუნველოდ გადაცემისათვის სირთულეების შექმნა;

ე. საფუძვლიანი შიშის არსებობა იმისა, რომ ბავშვის ინტერესები უგულვებელყოფილი აღმოჩნდება იმ შემთხვევაში, როდესაც მშობელი მოითხოვს ბავშვის უკან დაბრუნებას ან მოჰყავს ის სხვა მშობლისაგან, რომელმაც ბავშვი სამზრუნველოდ და აღსაზრდელად აიყვანა.

– 2. წინამდებარე მუხლის მიზნისათვის ტერმინი „დანაშაული“ მოიცავს თანამონაწილის სახით მოქმედებას დანაშაულის ჩადენაში, ისევე როგორც – დანაშაულის ჩადენის მცდელობას.

მუხლი 1:270 მშობლის უფლებამოსილების ჩამორთმევის მოთხოვნაზე უფლებამოსილი პირები

– 1. მშობლის უფლებამოსილების ჩამორთმევის დადგენა შესაძლებელია მხოლოდ მეორე მშობლის, მეოთხე ხარისხის ჩათვლით არასრულწლოვანის სისხლით ნათესავის ან მოყვრის, ბავშვის ინტერესების დაცვის საბჭოსა თუ პროკურატურის მოთხოვნის საფუძველზე.

– 2. წინამდებარე მუხლის პარ. 1-ის (e) პუნქტში მითითებულ ვითარებაში, მშობლის უფლებამოსილების ჩამორთმევის მოთხოვნა შეუძლია ასევე იმ პირს, რომელმაც იკისრა ბავშვის ზრუნვისა და მისი აღზრდის ამოცანა.

მუხლი 1:271 მშობლის უფლებამოსილების ჩამორთმევის მოქმედების შეჩერება და დროებითი მეურვეობის დადგენა

– 1. თუ მშობლის უფლებამოსილების ჩამორთმევა მოთხოვნილ იქნა ერთ-ერთი მშობლის მიმართ, საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებისას რაიონულ სასამართლოს შეუძლია სრულად ან ნაწილობრივ შეუჩეროს ამ მშობელს უფლებამოსილების განხორციელება ერთი ან მეტი შვილის მიმართ იმ პირობით, თუ ეს სასწრაფოდ და გადაუდებლად აუცილებელია. იგივე უფლებამოსილება რაიონულ სასამართლოს აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება მშობელს, რომლისათვისაც მშობლის უფლებამოსილების ჩამორთმევა მოთხოვნილ იქნა 1:268 მუხლის პარ. 2-ში მითითებულ ვითარებაში.

– 2. თუ მეორე მშობელი ასევე ახორციელებს მშობლის უფლებამოსილებას (ერთობლივი უფლებამოსილების ფარგლებში), მაშინ მან პირველ პარაგრაფში მითითებული შეჩერების პერიოდში ეს უფლებამოსილება უნდა განახორციელოს ექსკლუზიურად.

– 3. როდესაც პარ. 2-ში აღწერილ ვითარებაში რაიონული სასამართლო ჩათვლის, რომ იმ მშობლის უფლებამოსილების შეჩერებას, რომლისათვისაც მშობლის უფლებამოსილების ჩამორთმევა იქნა მოთხოვნილი, არ ექნება ისეთი შედეგი, რომ ბავშვებმა შეძლონ ამ მეუღლის გავლენისაგან თავის დაღწევა, – სასამართლოს ასევე შეუძლია შეაჩეროს მეორე მეუღლის მიერ მშობლის უფლებამოსილების განხორციელება.

– 4. როდესაც შეჩერება ეხება ორივე მშობელს ან იმ მშობელს, რომელიც ექსკლუზიურად ახორციელებდა ბავშვის მიმართ მშობლის უფლებამოსილებას, რაიონულ სასამართლოს შეუძლია დაავალოს ახალგაზრდობაზე ზრუნვის შესახებ კანონის 1-ლი მუხლის პარ. 1-ის (f) პუნქტში აღნიშნულ ფონდს ბავშვის მიმართ დროებითი მეურვეობის განხორციელება. ასეთ შემთხვევაში რაიონულმა სასამართლომ უნდა განსაზღვროს ფონდის უფლებამოსილებები ბავშვის პიროვნებისა და მისი ქონების მიმართ.

– 5. წინამდებარე მუხლში მითითებული სასამართლოს განკარგულებები ძალაშია მანამდე, სანამ მშობლის უფლებამოსილების გაუქმებასთან ან ჩამორთმევასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება არ შევა კანონიერ ძალაში და არ გახდება მბოჭავი. თუმცა, მიუხედავად აღნიშნულისა, რაიონულ სასამართლოს შეუძლია უფრო ადრეც გააუქმოს ეს განკარგულებები.

მუხლი 1:271a სამეურვეო კონტროლი ნაცვლად მშობლის უფლებამოსილების შეჩერებისა და დროებითი მეურვეობისა

ნაცვლად ორივე მშობლისათვის ან იმ მშობლისათვის, რომელიც ექსკლუზიურად ახორციელებს ბავშვის მიმართ მშობლის უფლებამოსილებას, მშობლის უფლებამოსილების შეჩერებისა და 1:271 მუხლში მითითებული დროებითი მეურვეობისა, რაიონულ სასამართლოს შეუძლია ასევე ბავშვი განათავსოს სამეურვეო კონტროლის ქვეშ, როგორც ეს მითითებულია 1:254 მუხლში.

მუხლი 1:272 სასწრაფოდ მისაღები ზომები

– 1. თუ ეს სასწრაფოდ და გადაუდებლად აუცილებელია იმ ფაქტების გამო, რომლებსაც ასევე შეუძლია გამოიწვიოს მშობლის უფლებამოსილების გაუქმება ან ჩამორთმევა, როგორც ეს აღნიშნულია 1:268 მუხლის პარ. 2-ში, არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლოს შეუძლია სრულად ან ნაწილობრივ შეუჩეროს მშობლებს უფლებამოსილების განხორციელება მათი შვილის მიმართ და დაავალოს ახალგაზრდობაზე ზრუნვის შესახებ კანონის 1-ლი მუხლის პარ. 1-ის (f) პუნქტში აღნიშნულ ფონდს ბავშვის მიმართ დროებითი მეურვეობის განხორციელება.

– 2. არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლოს შეუძლია მიიღოს აღნიშნული განკარგულება მხოლოდ ბავშვის ინტერესების დაცვის საბჭოსა თუ პროკურატურის მოთხოვნის საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში მან უნდა განსაზღვროს ფონდის უფლებამოსილებები ბავშვის პიროვნებისა და მისი ქონების მიმართ, ისევე როგორც – დროებითი ღონისძიების ხანგრძლივობა.

– 3. წინა პარაგრაფებში აღნიშნული დროებითი ღონისძიება ავტომატურად კარგავს თავის ძალას იმ დღიდან ექვსი კვირის გასვლის შემდეგ, როდესაც არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლომ მიიღო შესაბამისი განკარგულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მშობლის უფლებამოსილების გაუქმების ან ჩამორთმევის მოთხოვნა წარდგენილ იქნეს აღნიშნული ვადის დასრულებამდე. არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლოს შეუძლია გაახანგრძლივოს ეს ვადა მაქსიმუმ თორმეტი კვირით, თუმცა – მხოლოდ იმ საფუძველით, რომ ეს აუცილებელია იმაში დასარწმუნებლად, რომ პირველ წინადადებაში ნახსენები მოთხოვნა აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 278-ე მუხლის ნორმათა ყველა მოთხოვნას. როდესაც მშობლის უფლებამოსილების გაუქმების ან ჩამორთმევის მოთხოვნა წარდგენილ იქნა შესაბამისი ვადის დასრულებამდე, მაშინ დროებითი ღონისძიება ინარჩუნებს ძალას მანამდე, სანამ ამ მოთხოვნასთან დაკავშირებით არ მიიღება კანონიერ ძალაში შესული და მბოჭავი გადაწყვეტილება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლომ მიუთითა, რომ დროებითა ღონისძიებამ უფრო ადრეც უნდა დაკარგოს თავისი ძალა.

– 4. წინამდებარე მუხლში მითითებული დროებითი ღონისძიება შეიძლება გაუქმდეს ან შეიცვალოს არასრულწლოვანთა საქმეების იმ სასამართლოს მიერ, რომელმაც ეს ღონისძიება დაადგინა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წარდგენილ იქნა პარ. 3-ში მითითებული მოთხოვნა, რა შემთხვევაშიც მოთხოვნის განმხილველი სასამართლო უნდა იყოს დროებითი ღონისძიების გაუქმების ან შეცვლის შესახებ საქმის განსჯადი.

მუხლი 1:272a სამეურვეო კონტროლი ნაცვლად მშობლის უფლებამოსილების გაუქმებისა თუ მისი ჩამორთმევისა

როდესაც რაიონული სასამართლო არ აკმაყოფილებს მშობლის უფლებამოსილების გაუქმებისა თუ

მისი ჩამორთმევის მოთხოვნას, მაშინ მას შეუძლია არასრულწლოვანი განათავსოს სამეურვეო კონტროლის ქვეშ, როგორც ეს მითითებულია 1:254 მუხლში.

მუხლი 1:273 {გაუქმებულია 01.05.1995წ.}

მუხლი 1:274 მხოლოდ ერთ-ერთი მშობლისათვის მშობლის უფლებამოსილების გაუქმება ან ჩამორთმევა

– 1. თუ მშობლები ერთობლივად ახორციელებენ თავიანთი შვილის მიმართ მშობლის უფლებამოსილებას და მხოლოდ ერთ-ერთ მათგანს გაუქმდა ან ჩამოერთვა ამ უფლებამოსილების განხორციელების უფლება, მაშინ მეორე მშობელმა შვილის მიმართ ეს უფლებამოსილება უნდა განახორციელოს ექსკლუზიურად.

– 2. იმ მშობლისათვის მშობლის უფლებამოსილების გაუქმებისა თუ მისი ჩამორთმევის შემთხვევაში, ვინც ამ უფლებამოსილებას ახორციელებს დამოუკიდებლად, მეორე მშობელს ნებისმიერ დროს შეუძლია მიმართოს რაიონულ სასამართლოს მასზე ბავშვის მიმართ მშობლის უფლებამოსილების დაკისრების მოთხოვნით. ასეთი მოთხოვნა ექვემდებარება უარყოფას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საფუძვლიანი შიში იმისა, რომ მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში ბავშვის ინტერესები შესაძლოა უგულვებელყოფილი აღმოჩნდეს.

– 3. რაიონულ სასამართლოს, რომელმაც არ დააკმაყოფილა წინა პარაგრაფში აღნიშნული მოთხოვნა, ნებისმიერ დროს შეუძლია შეცვალოს თავისი გადაწყვეტილება. თუმცა, მას ასეთი ცვლილება შეუძლია მხოლოდ შესაბამისი მშობლის მოთხოვნის საფუძველზე და ასევე მხოლოდ იმ საფუძველით, რომ სასამართლოსთვის არ იყო ცნობილი განსაზღვრული გარემოებები, რის გამოც ის მოკლებული იყო შესაძლებლობას, გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში მიეღო ეს გარემოებები.

მუხლი 1:275 მშობლების მიერ მშობლის უფლებამოსილების განუხორციელებლობა; მეურვის დანიშვნა

– 1. თუ ერთ-ერთ მშობელს გაუქმდა ან ჩამოერთვა მშობლის უფლებამოსილება და მეორე მშობელი აღარ განახორციელებს ექსკლუზიურად შვილის ან შვილების მიმართ ამ უფლებამოსილებას, მაშინ რაიონულმა სასამართლომ ამ მშობლების არასრულწლოვან შვილებს უნდა დაუნიშნოს მეურვე.

– 2. ყოველ პირს, რომელსაც აქვს არასრულწლოვანთა მიმართ მეურვეობის განხორციელების უნარი, საქმის განხილვის პროცესში შეუძლია მოსთხოვოს რაიონულ სასამართლოს მისი შესაბამისი არასრულწლოვანი ბავშვების იურიდიულ მეურვედ დანიშვნა.

– 3. 1:268 მუხლის პარ. 2-ის (d) პუნქტის საფუძველზე მშობლის უფლებამოსილების ჩამორთმევის შემთხვევაში, უმჯობესი იქნება, თუ რაიონული სასამართლო მეურვედ დანიშვნავს იმ პირს – ან პირებს –, რომელიც მოთხოვნის წარდგენის მომენტში ზრუნავდა ბავშვზე და ზრდიდა მას, სულ ცოტა, ერთი წლის განმავლობაში, იმ პირობით, რომ ამ პირს – ან პირებს – აქვს არასრულწლოვანთა მიმართ მეურვეობის განხორციელების უნარი.

მუხლი 1:276 მშობლის უფლებამოსილების გაუქმების ან ჩამორთმევის შემდეგ ბავშვის ქონების ადმინისტრირება

– 1. როდესაც პირს, რომელსაც გაუქმეს ან ჩამოართვეს მშობლის უფლებამოსილება, აქვს თავისი შვილების ქონების ადმინისტრირების უფლება, მას ასევე დაევალება ამ ადმინისტრირების შესახებ ანგარიშის წარდგენა იმ პირისათვის, რომელმაც უნდა მართოს აღნიშნული ქონება მის შემდეგ.

– 2. როდესაც შვილებს აქვთ წილი საერთო საკუთრებაში არსებულ აქტივებში, თუმცა ისინი იმყოფებიან სხვადასხვა მშობლის უფლებამოსილების ქვეშ, რაიონულ სასამართლოს შეუძლია დაავალოს ერთ-ერთ მეუღლეს ან მესამე პირს ამ აქტივების მართვა საერთო საკუთრების გაყოფამდე. დანიშნულმა მმართველმა უნდა დაკმაყოფილოს სასამართლოს მიერ მის მიმართ დადგენილი ყველა მოთხოვნა.

– 3. წინა პარაგრაფში მითითებული ქონების მართვის მიმართ 1:253k მუხლი მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ მმართველად დაინიშნა ერთ-ერთი მშობელი; სხვა ვითარებებში გამოიყენება წინამდებარე ტიტულის (1.14.6.10) მე-6 განყოფილების მე-10 ქვეგანყოფილების კანონისმიერი ნორმები. მმართველს აქვს უფლება, ყველა სხვა პირის გამორიცხვით, გააბათილოს იმ არასრულწლოვანი თანამესაკუთრების მიერ დადებული საცილო გარიგებები, რომელთა მიზანიცაა სამართავად გადაცემული აქტივების ადმინისტრირება ან განკარგვა.

მუხლი 1:277 მშობლის უფლებამოსილების აღდგენა

– 1. თუ რაიონული სასამართლო დარწმუნდება იმაში, რომ არასრულწლოვანის მიმართ მშობლის

უფლებამოსილების განხორციელება კვლავ შეიძლება დაევალოს იმ მშობელს, რომელსაც გაუუქმეს ან ჩამოართვეს მშობლის უფლებამოსილება, მაშინ ამ მშობლის მოთხოვნის საფუძველზე სასამართლოს შეუძლია აღადგინოს შვილის მიმართ თავისი უფლებამოსილება. თუ იმ მშობლებს, რომლებიც არ იმყოფებიან ერთმანეთთან ქორწინებაში, ერთობლივად სურთ შვილის მიმართ მშობლის უფლებამოსილების განხორციელება, მაშინ მათ ამ მიზნით შეუძლიათ წარადგინონ ერთობლივი მოთხოვნა.

– 2. როდესაც ერთ-ერთი მშობლისათვის მშობლის უფლებამოსილების გაუქმების ან ჩამორთმევის შემთხვევაში მეორე მშობელს დაევალოს ბავშვის მიმართ ამ უფლებამოსილების განხორციელება, მაშინ რაიონულმა სასამართლომ არ უნდა აღუდგინოს მშობლის უფლებამოსილება იმ მშობელს, რომელსაც ეს უფლებამოსილება გაუუქმეს ან ჩამოართვეს, თუ ამის თაობაზე მოთხოვნით სასამართლოს მიმართა მხოლოდ ამ მშობელმა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ადგილი ჰქონდა გარემოებათა ცვლილებას იმ სასამართლოს განკარგულების მიღების შემდეგ, რომელშიც მეორე მშობელს დაევალოს უფლებამოსილების განხორციელება ან ეს განკარგულება მიღებულ იქნა უზუსტო ან არასრული ინფორმაციის საფუძველზე. შესაბამისად გამოიყენება 1:253rd მუხლი.

მუხლი 1:278 მშობლის უფლებამოსილების აღდგენის მოთხოვნა; გამოსაცდელი ვადა

– 1. თუ 1:277 მუხლში აღნიშნული მოთხოვნა შეიძლება წარდგენილ იქნეს ასევე ბავშვის ინტერესების დაცვის საბჭოს მიერაც.

– 2. საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებისას როგორც ბავშვის ინტერესების დაცვის საბჭოს, ისე იმ მშობელს, რომლის მშობლის უფლებამოსილებაც უნდა აღდგეს, შეუძლია მოსთხოვოს რაიონულ სასამართლოს თავისი გადაწყვეტილების მიღების გადადება მაქსიმუმ ექვსი თვის გამოსაცდელი ვადის შედეგების მოლოდინში; ამ ვადის განმავლობაში ბავშვი რჩება იმ მშობელთან, რომლის უფლებამოსილებაც უნდა აღდგეს. რაიონულ სასამართლოს ნებისმიერ დროს შეუძლია შეწყვიტოს გამოსაცდელი ვადა.

განყოფილება 1.14.6 – არასრულწლოვანთა მეურვეობა

ქვეგანყოფილება 1.14.6.1 – არასრულწლოვანთა მეურვეობა ზოგადად

მუხლი 1:279 {გაუქმებულია 02.11.1995წ.}

მუხლი 1:280 მეურვეობის დანყება

არასრულწლოვანთა მიმართ მეურვეობა იწყება:

a. მშობლის მიერ დანიშნული მეურვისათვის: იმ მომენტში, როდესაც ეს მეურვე აღნიშნული მშობლის გარდაცვალების შემდეგ აცხადებს, რომ მას სურს მიიღოს მასზე დავალებული მეურვეობა. განცხადება უნდა გაკეთდეს პირადად თავად დასანიშნი მეურვის მიერ ანდა სპეციალურად ამ მიზნით მის მიერ დანიშნული წარმომადგენლის მიერ; განცხადება კეთდება იმ რაიონული სასამართლოს მდივნის წინაშე, რომელიც განსჯადია არასრულწლოვანთა საკითხების განხილვაზე თანახმად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1-ლი ნიგნის 1-ლი განყოფილების 1-ლი ქვეგანყოფილების ნორმებისა. განცხადება უნდა გაკეთდეს თოთხმეტი დღის განმავლობაში ან – თუ ის პირი, რომელმაც უნდა გააკეთოს ასეთი განცხადება, რჩება ნიდერლანდების ტერიტორიის ფარგლებს გარეთ – ორი თვის განმავლობაში მას შემდეგ, როდესაც მეურვედ დანიშვნის შესახებ შეატყობინეს ასეთად დანიშნულ პირს. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, ისევე როგორც – ბავშვის ინტერესების დაცვის საბჭოს შეუძლია დაავალოს სასამართლოს აღმასრულებელს მეურვედ დანიშვნის შესახებ შეტყობინების იმ პირისათვის ჩაბარება, რომელიც მეურვედ დაინიშნა გარდაცვლილი მშობლის მიერ.

b. იმ მეურვისათვის, ვინც – მას შემდეგ, რაც მან განაცხადა, რომ მას სურს მიიღოს მასზე დავალებული მეურვეობა – მეურვედ დაინიშნა სასამართლოს მიერ: იმ დღეს, როდესაც დაინიშვნის შესახებ სასამართლოს განკარგულება შევიდა კანონიერ ძალაში და გახდა მხოფავი ანდა თუ სასამართლოს ეს განკარგულება დაექვემდებარა დაუყოვნებელ იძულებით აღსრულებას, – მაშინ მეორე დღიდან მას შემდეგ, როდესაც დაინიშვნის შესახებ სასამართლოს განკარგულება გადაეცა ან გაეგზავნა მეურვედ დანიშნულ პირს. მეურვედ დანიშვნის სურვილის შესახებ ზეპირი განცხადება კეთდება იმ რაიონული სასამართლოს მიერ, რომელმაც უნდა დაინიშნოს ეს პირი მეურვედ; მეურვედ დანიშვნის სურვილის შესახებ წერილობითი განცხადება წარედგინება იმ რაიონული სასამართლოს მდივანს, სადაც უნდა მოხდეს მეურვედ დაინიშვნა.

მუხლი 1:281 მეურვეობის შეწყვეტა

– 1. არასრულწლოვანის მეურვეობა წყდება იმ დღეს, როდესაც კანონიერ ძალაში შედის და მბოჭავი ხდება სასამართლოს ის განკარგულება, რომლითაც:

a. მეურვე გათავისუფლდა თავისი მოვალეობისაგან ანდა გადაყენებულ იქნა მის მიერ დაკავებული მეურვის პოზიციიდან;

b. მეურვეობის ქვეშ მყოფი არასრულწლოვანის მიმართ მშობლის უფლებამოსილება დაუდგინდა მის ერთ ან ორივე მშობელს; ან

c. ამ არასრულწლოვანის მეურვეობა დაეკისრა სხვა მეურვეს თანახმად 1:299a მუხლისა.

– 2. როდესაც პარ. 1-ში მითითებული სასამართლოს განკარგულება დაექვემდებარა დაუყოვნებელ იძულებით აღსრულებას, მეურვეობა წყდება მეორე დღიდან მას შემდეგ, როდესაც ეს განკარგულება გადაეცა ან გაეგზავნა შესაბამის მეურვეს.

მუხლი 1:282 ერთობლივი მეურვეობა

– 1. მეურვისა და იმ სხვა პირის ერთობლივი მოთხოვნის საფუძველზე, რომელსაც ახლო ურთიერთობა აქვს ბავშვთან, სასამართლოს შეუძლია დაადგინოს ამ პირების მიერ მეურვეობის ერთობლივად განხორციელების შესახებ.

– 2. ერთობლივი მეურვეობის მოქმედების პერიოდისათვის პარ. 1-ში მითითებული ორივე პირი მიიჩნევა ბავშვის მეურვედ.

– 3. მოთხოვნა ექვემდებარება უარყოფას იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საფუძვლიანი შიში იმისა, რომ მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში ბავშვის ინტერესები შესაძლოა უგულვებელყოფილი აღმოჩნდეს.

– 4. ერთობლივი მეურვეობა დაუშვებელია, როდესაც ის ეხება 1:296 და 1:297 მუხლებში აღნიშნულ დროებით მეურვეობას. ის არასოდეს არ არის გათვალისწინებული იურიდიული პირებისათვის.

– 5. 1:253a მუხლი შესაბამისად გამოიყენება ერთობლივ მეურვეთა შორის დავის შემთხვევაში.

– 6. ორივე მეურვეს, რომლებიც ერთობლივად ახორციელებენ მეურვეობას, 1:336 მუხლის ნორმათა გვერდის ავლით ეკისრება არასრულწლოვანის ზრუნვისა და მისი აღზრდის მოვალეობა და ასევე ენიჭება ამის უფლება. მანამდე, სანამ ერთობლივი მეურვეობა ძალაშია, 1:253w მუხლი შესაბამისად გამოიყენება თითოეული მეურვის მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის ეხება მშვილებლებს, რომლებსაც დავალათ მეურვეობის ერთობლივი განხორციელება და რომლებმაც სამზრუნველო მომსახურების გამწვანთან დადეს ხელშეკრულება, როგორც ეს მითითებულია ბავშვზე ზრუნვის შესახებ კანონის 28-ე მუხლში.

– 7. პარ. 1-ში მითითებულ მოთხოვნას შეიძლება თან ახლდეს ასევე ბავშვის გვარის შეცვლაც ერთ-ერთი მეურვის გვართ. ასეთი მოთხოვნა ექვემდებარება უარყოფას, თუ:

a. ბავშვმა მიაღწია თორმეტი წლის ასაკს და სასამართლოში ზეპირ მოსმენაზე არ დაეთანხმა მოთხოვნას თავისი გვარის შეცვლასთან დაკავშირებით;

b. ერთობლივი მეურვეობის დადგენის მოთხოვნა უარყოფილ იქნა; ან

c. ბავშვის გვარის შეცვლასთან დაკავშირებით მოთხოვნის დაკმაყოფილება ბავშვის ინტერესების საწინააღმდეგო იქნებოდა.

მუხლი 1:282a ერთობლივი მეურვეობის შეწყვეტა

ერთობლივი მეურვეობა წყდება იმ დღეს, როდესაც კანონიერ ძალაში შევიდა და მბოჭავი გახდა სასამართლოს განკარგულება, რომლითაც მეურვეობის ერთობლივი განხორციელება შეწყდა ანდა რომელიმე თავად მეურვეობა შეწყდა 1:281 მუხლის ძალით; ერთობლივი მეურვეობა წყდება ასევე იმ დღეს, როდესაც ერთ-ერთი მეურვე გარდაიცვლება.

მუხლი 1:282b ერთ-ერთი მეურვის გარდაცვალება

როდესაც ორი მეურვე ერთობლივად ახორციელებს მეურვეობას და ერთ-ერთი მათგანი გარდაიცვლება, მეორე მეურვე ამ მომენტიდან დამოუკიდებლად განახორციელებს მეურვეობას არასრულწლოვანის მიმართ.

მუხლი 1:283 ახალგაზრდობაზე ზრუნვის ფონდის მოთხოვნები

მეურვეობის განხორციელებასთან დაკავშირებული მოთხოვნები, რომლებსაც ახალგაზრდობაზე ზრუნვის შესახებ კანონის 1-ლი მუხლის პარ. 1-ში აღნიშნული ფონდი ან 1:302 მუხლის პარ. 2-ში აღნიშ-

ნული იურიდიული პირი ამისამართებს სასამართლოსკენ, შეიძლება წარდგენილ იქნეს ადვოკატის დახმარების გარეშე და მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საზღაურის გარეშე. ამ მიზნით აღნიშნული ფონდის ან იურიდიული პირის მიერ მოთხოვნილი ავთენტური ასლები, დამონმებული ასლები და ამონარიდები ექვემდებარება სასამართლოების მდივნების მიერ უსასყიდლოდ გადაცემას.

მუხლი 1:284 {გაუქმებულია 02. 11. 1995წ.}

მუხლი 1:285 {გაუქმებულია 02. 11. 1995წ.}

მუხლი 1:286 {გაუქმებულია 02. 11. 1995წ.}

მუხლი 1:287 {გაუქმებულია 02. 11. 1995წ.}

მუხლი 1:288 {გაუქმებულია 02. 11. 1995წ.}

მუხლი 1:289 {გაუქმებულია 02. 11. 1995წ.}

მუხლი 1:290 {გაუქმებულია 02. 11. 1995წ.}

მუხლი 1:291 {გაუქმებულია 02. 11. 1995წ.}

მუხლი 1:291a {გაუქმებულია 15. 12. 1995წ.}

ქვეგანყოფილება 1.14.6.2 – ერთ-ერთი მშობლის მიერ ბავშვის მიმართ მეურვის უფლებამოსილების მესამე პირისათვის დელეგირება

მუხლი 1:292 ანდერძით დელეგირებული არასრულწლოვანის მეურვეობა

– 1. მშობელს შეუძლია თავის ანდერძში განსაზღვროს, თუ რომელმა პირმა – ან ორმა პირმა – მისი გარდაცვალების შემდეგ უნდა განახორციელოს უფლებამოსილება მისი შვილების მიმართ მეურვის ანდა ერთობლივი მეურვეების სახით.

– 2. თუმცა, ამ მშობელს არ შეუძლია დანიშნოს იურიდიული პირი როგორც მეურვე.

– 3. როდესაც ორივე მშობელმა გამოიყენა ეს კუთვნილი უფლება და ორივე გარდაიცვალა ისე, რომ შეუძლებელია იმის დადგენა, თუ რომელი მათგანი გარდაიცვალა პირველი, მაშინ რაიონულმა სასამართლომ საკუთარი ინიციატივით უნდა განსაზღვროს, თუ რომელი გარდაცვლილის ანდერძი უნდა შესრულდეს ამ მხრივ.

მუხლი 1:293 სამართლებრივი შედეგის გარეშე არასრულწლოვანის მეურვეობის დელეგირება ანდერძით

მეურვეობის არასრულწლოვანის მიმართ მშობლის მიერ თავის ანდერძში მეურვეობის დადგენას არა აქვს სამართლებრივი შედეგი ან ის კარგავს თავის ძალას:

a. თუ მისი გარდაცვალების შემდეგ მეორე მშობელი ამ ბავშვის მიმართ მშობლის უფლებასილებას ახორციელებს კანონის ძალით ან სასამართლოს განკარგულების საფუძველზე;

b. თუ და რამდენადაც მას გარდაცვალების მომენტისათვის არა აქვს შესაბამისი ბავშვის მიმართ მშობლის უფლებასილება;

c. თუ სხვა პირი, ვინც გარდაცვლილ მშობელთან ერთად ერთობლივად ახორციელებდა შესაბამისი ბავშვის მიმართ მშობლის უფლებასილებას, კანონის ძალით ხდება ამ ბავშვის მეურვე.

მუხლი 1:294 {გაუქმებულია 02. 11. 1995წ.}

ქვეგანყოფილება 1.14.6.3 – სასამართლოს განკარგულების საფუძველზე დადგენილი არასრულწლოვნის მეურვეობა

მუხლი 1:295 მეურვის დანიშვნაზე რაიონული სასამართლოს განსჯადობა

რაიონული სასამართლო ნიშნავს მეურვეს ყველა იმ არასრულწლოვანისათვის, რომლებიც არ ექვემდებარებიან მშობლის უფლებამოსილებას და რომელთათვისაც მეურვეობა კანონის შესაბამისად არ იქნა დადგენილი.

მუხლი 1:296 მეურვეობის დადგენის მოლოდინში არსებული დროებითი მეურვეობა

– 1. როდესაც 1:280 მუხლის საფუძველზე მეურვეობის დადგენის მოლოდინში აუცილებელია სათანადო გარანტიის შექმნა, რაიონული სასამართლო შესაბამისი ვითარების არსებობის ვადის განმავლობაში ნიშნავს დროებით მეურვეს.

– 2. როგორც კი პარ. 1-ში მითითებული ვითარება დასრულდება, დროებითი მეურვე რაიონული სასამართლოს მიერ გათავისუფლდება დაკისრებული მოვალეობისაგან იმ პირის მოთხოვნის საფუძველზე, რომლის დროებით შემცვლელსაც ის წარმოადგენდა.

მუხლი 1:297 დანიშნული მეურვის შეცვლის მიზნით დადგენილი დროებითი მეურვეობა

– 1. რაიონული სასამართლო დროებით მეურვეს ნიშნავს ასევე იმ შემთხვევებში, როდესაც გარანტია აუცილებელია იმის გამო, რომ:

a. არსებული მეურვე ისეთ მდგომარეობაშია, რომ მისთვის უფლებამოსილების განხორციელება დროებით შეუძლებელია; ან

b. არსებული მეურვის არსებობის ფაქტი ან ადგილსამყოფელი უცნობია; ანდა

c. არსებული მეურვე არ ასრულებს არასრულწლოვანის მიმართ თავის უფლებამოსილებას.

– 2. როდესაც დროებითი მეურვის დანიშვნა ხდება პარ. 1-ის (c) პუნქტის საფუძველზე, რაიონულ სასამართლოს შეუძლია ამ დროებით მეურვეს მიანიჭოს ანაზღაურების მიღების უფლება, ხოლო თავისი მოვალეობის დამრღვევ მეურვეს კი დააკისროს პასუხისმგებლობა არასრულწლოვანის მიმართ იმ ხარჯებისათვის, რომლებიც განეულ იქნა მეურვის შეცვლისათვის და ასევე – დროებითი მეურვის მიერ განხორციელებული მოქმედებებისათვის ისე, რომ არასრულწლოვანს არ ერთმევა უფლება, აღნიშნული მოქმედებების შედეგებისათვის პრეტენზია წარადგინოს თავად დროებითი მეურვის წინააღმდეგაც.

– 3. როგორც კი პარ. 1-ში მითითებული ვითარება დასრულდება, დანიშნული დროებითი მეურვე რაიონული სასამართლოს მიერ გათავისუფლდება დაკისრებული მოვალეობისაგან საკუთარი ან იმ პირის მოთხოვნის საფუძველზე, რომლის დროებით შემცვლელსაც ის წარმოადგენს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს საფუძვლიანი შიში იმისა, რომ მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში ბავშვის ინტერესები შესაძლოა უგულებელყოფილი აღმოჩნდეს.

– 4. თუ ერთობლივი მეურვეობის შემთხვევაში პარ. 1-ში აღნიშნული ვითარება არსებობს ერთ-ერთ მეურვესთან დაკავშირებით, მაშინ ამ მომენტიდან მეორე მეურვეს დაეკისრება ბავშვის მიმართ ამ უფლებამოსილების დამოუკიდებლად განხორციელება. როგორც კი ეს ვითარება დასრულდება, კვლავ აღდგება ერთობლივი მეურვეობა. პარ. 2 ასეთი ვითარების მიმართ არ გამოიყენება.

მუხლი 1:298 არსებული მეურვეობის განხორციელების შეჩერება

წინა ორ მუხლში მითითებული დროებითი მეურვეობის ვადის განმავლობაში არსებულ მეურვეს შეუჩერდება მეურვეობის განხორციელების უფლებამოსილება.

მუხლი 1:299 განმცხადებლები, რომლებსაც შეუძლიათ მოითხოვონ მეურვეობის დადგენა

რაიონული სასამართლო მეურვეს ნიშნავს არასრულწლოვანის ერთ-ერთი სისხლით ნათესავის ან მოყვრის, ბავშვის ინტერესების დაცვის საბჭოს, კრედიტორებისა თუ სხვა დაინტერესებული მხარეების მოთხოვნის საფუძველზე ანდა – საკუთარი ინიციატივით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქმე ეხება 1:282a მუხლში მითითებულ ვითარებას.

მუხლი 1:299a მშვილებლების მიერ მეურვეობის მოთხოვნა

– 1. პირს, ვინც არსებული მეურვის თანხმობით ზრუნავდა არასრულწლოვანზე და, სულ ცოტა, ერთი წლის განმავლობაში ისე ზრდიდა მას როგორც საკუთარი ოჯახის წევრს, სამეურვეო კონტროლისა თუ

დროებითი მეურვეობის შემთხვევათა შედეგებისაგან განსხვავებით, შეუძლია არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლოს მოსთხოვოს მისი ან 1:302 მუხლში მითითებული იურიდიული პირის მეურვედ დანიშვნა.

– 2. როდესაც ორი ან მეტი პირი ზრუნავდა არასრულწლოვანზე და ზრდიდა მას როგორც საკუთარი ოჯახის წევრს, პარ. 1-ში მითითებული მოთხოვნა წარდგენილ იქნება ამ პირების მიერ ერთობლივად.

– 3. პარ. 1-ში მითითებული მოთხოვნა შეიძლება წარდგენილ იქნეს ასევე ბავშვის ინტერესების დაცვის საბჭოს მიერ.

– 4. არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლომ უნდა დააკმაყოფილოს მოთხოვნა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი სასამართლო ჩათვლის, რომ ეს ბავშვის საუკეთესო ინტერესებშია და თუ ის სათანადოდ დარწმუნდა იმაში, რომ არსებულ მეურვე არ გეგმავს მასზე დაკისრებულ მოვალეობებზე ნებაყოფლობით უარის თქმას. ასეთ შემთხვევაში არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლო დანიშნავს უკვე იმ პირს, რომლის მეურვედ დანიშვნაც იქნა მოთხოვნილი იმ პირობით, რომ მას აქვს არასრულწლოვანთა მიმართ მეურვეობის განხორციელების უნარი.

– 5. როდესაც წარდგენილ იქნა პარ. 1-ში მითითებული მოთხოვნა, 1:336a მუხლის პარ. 2 არ გამოიყენება მანამდე, სანამ ამ მოთხოვნასთან დაკავშირებით მიღებული სასამართლოს გადაწყვეტილება არ შევა კანონიერ ძალაში და არ გახდება მბოჭავი.

– 6. ერთობლივი მეურვეობის შემთხვევაში პარ. 1-ში მითითებული თანხმობა მიცემულ უნდა იქნეს ორივე მეურვის მიერ.

მუხლი 1:300 {გაუქმებულია 01.05.1984წ.}

მუხლი 1:301 სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრატორის მიერ რაიონული სასამართლოსათვის ინფორმაციის მიწოდება

– 1. სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრატორმა რაიონულ სასამართლოს დაუყოვნებლივ უნდა მიწოდოს შემდეგი ინფორმაცია:

a. ნებისმიერი იმ პირის გარდაცვალების შესახებ, რომელსაც რჩება ერთი ან მეტი მცირეწლოვანი შვილს;

b. მოხსენება ნებისმიერი იმ ბავშვის შესახებ, ვის მიმართაც დედა არ ახორციელებს მშობლის უფლებამოსილებას კანონის ძალით.

– 2. როდესაც იმ გარდაცვლილი პირის ქორწინება, რომელსაც რჩება ერთი ან მეტი მცირეწლოვანი შვილი, უკვე შეწყდა კანონით გათვალისწინებული წესით ან როდესაც იმ გარდაცვლილი პირის მიმართ, რომელსაც რჩება ერთი ან მეტი მცირეწლოვანი შვილი, დადგენილი იყო თავისი მეუღლისაგან განცალკევებით ცხოვრების რეჟიმი, სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრატორმა, რამდენდაც მეორე მეუღლე ჯერ კიდევ ცოცხალია, ამის შესახებ ანგარიში უნდა წარუდგინოს რაიონულ სასამართლოს. რაიონული სასამართლო მიღებულ ანგარიშს უგზავნის იმ რაიონულ სასამართლოს, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება ქორწინების შეწყვეტისა თუ განცალკევებით ცხოვრების რეჟიმის დადგენის თაობაზე განაცხადთან დაკავშირებით.

ქვეგანყოფილება 1.14.6.4 – იურიდიული პირების მიერ განხორციელებული მეურვეობა

მუხლი 1:302 არასრულწლოვანის მეურვეობის იურიდიული პირისათვის დელეგირება

– 1. სასამართლოს შეუძლია არასრულწლოვანის მეურვეობა გადასცეს ახალგაზრდობაზე ზრუნვის შესახებ კანონის 1-ლი მუხლის პარ. 1-ში აღნიშნულ ფონდს.

– 2. როდესაც საქმე ეხება მეურვეობას იმ არასრულწლოვანის მიმართ, ვისთან დაკავშირებითაც წარდგენილ იქნა განაცხადი განსაზღვრული ვადით ბინადრობის ნებართვის გაცემის შესახებ უცხოელთა შესახებ 2000 წლის კანონის 28-ე მუხლის ნორმათა შესაბამისად და ვინც იმყოფება ნიდერლანდებში ამ ნებართვის მოლოდინში, ანდა საქმე ეხება მეურვეობას იმ არასრულწლოვანის მიმართ, რომელიც განეკუთვნება აღნიშნული მიზნით იუსტიციის სამინისტროს მიერ მითითებულ სხვა არასრულწლოვანთა ერთ-ერთ კატეგორიას, – მაშინ სასამართლოს, მეურვის სახით ფიზიკური პირის დანიშვნის კომპეტენციის შეზღუდვის გარეშე, შეუძლია მოახდინოს მეურვეობის ერთ-ერთი იმ იურიდიული პირისათვის დელეგირება, რომელიც იუსტიციის სამინისტროს მიერ აღიარებულ იქნა როგორც ამ მიზნის მიღწევისათვის ქმედითი ინსტიტუტი.

- 3. იუსტიციის სამინისტროს შეუძლია დაადგინოს დამატებითი პირობები ან მიიღოს დამატებითი რეგულაციები პარ. 1-ში მითითებული ცნობისათვის და ასევე იურიდიული პირი ცნოს მარტო წინასწარ დადგენილი ვადისათვის.

- 4. 1:303, 1:304, 1:305 და 1:328 მუხლები შესაბამისად გამოიყენება პარ. 2-ში აღნიშნული იურიდიული პირის მიმართ.

მუხლი 1:303 არასრულწლოვანთა მიმართ მეურვეობის განმახორციელებელი იურიდიული პირის უფლებები და მოვალეობები

რამდენადაც კანონი სხვაგვარად არ ითვალისწინებს, ახალგაზრდობაზე ზრუნვის შესახებ კანონის 1-ლი მუხლის პარ. 1-ში აღნიშნულ ფონდს, რომელსაც დაევალა არასრულწლოვანის მიმართ მეურვეობის განხორციელება, აქვს იგივე უფლებები და მოვალეობები, რაც არასრულწლოვანის ნებისმიერ სხვა მეურვეს.

მუხლი 1:304 ფონდის დირექტორთა საბჭოს წევრთა პასუხისმგებლობა

- 1. ახალგაზრდობაზე ზრუნვის შესახებ კანონის 1-ლი მუხლის პარ. 1-ში აღნიშნულ ფონდთან ერთად, მისი დირექტორები დამოუკიდებლად სოლიდარულად აგებენ პასუხს ყოველი იმ ზიანისათვის, რომელიც მიყენებულ იქნა ფონდის მიერ მეურვეობის არაჯეროვანი განხორციელების შედეგად.

- 2. თუმცა, ყოველ დირექტორს შეუძლია გაითავისუფლოს თავი პასუხისმგებლობისაგან იმის და-მტკიცებით, რომ ზიანის მიყენებაში მას ბრაალი არ მიუძღვის.

მუხლი 1:305 ზრუნვის პროცედურები (არასრულწლოვნების სახლს მიღმა განთავსება)

- 1. ახალგაზრდობაზე ზრუნვის შესახებ კანონის 1-ლი მუხლის პარ. 1-ში აღნიშნული ფონდი, რომელიც ახდენს მისი მეურვეობის ქვეშ მყოფი არასრულწლოვნების მათი სახლებს მიღმა განთავსებას, ბავშვის ინტერესების დაცვის საბჭოს წერილობით ატყობინებს იმ ადგილების შესახებ, სადაც იმყოფებიან ეს არასრულწლოვანი პირები.

- 2. იმ ადგილებს, სადაც ახალგაზრდობაზე ზრუნვის შესახებ კანონის 1-ლი მუხლის პარ. 1-ში აღნიშნული ფონდი, რომელიც ახდენს მისი მეურვეობის ქვეშ მყოფი არასრულწლოვანი პირების სამზრუნველოდ განთავსებას, ბავშვის ინტერესების დაცვის საბჭო უნდა ესტუმროს ისეთი სიხშირით, როგორსაც ის ჩათვლის საჭიროდ არასრულწლოვანთა პირობების შეფასებისთვის.

- 3. შესაბამისად გამოიყენება 1:261 მუხლის პარ. 5, 1:262 მუხლის პარ. 2 და 3, 1:263 მუხლის პარ. 1, პირველი წინადადება და პარ. 4, პირველი წინადადება და 1:265 მუხლის პარ. 1. ასევე შესაბამისად გამოიყენება ახალგაზრდობაზე ზრუნვის შესახებ კანონის მე-3 მუხლი.

მუხლი 1:306 არასრულწლოვანის სამზრუნველოდ განთავსება ნიდერლანდების ტერიტორიის ფარგლებს გარეთ არსებულ ადგილას

- 1. რაიონული სასამართლოს ნებართვის გარეშე ახალგაზრდობაზე ზრუნვის შესახებ კანონის 1-ლი მუხლის პარ. 1-ში აღნიშნულ ფონდს არ შეუძლია მისი მეურვეობის ქვეშ მყოფი არასრულწლოვანის სამზრუნველოდ განთავსება ნიდერლანდების ტერიტორიის ფარგლებს გარეთ.

- 2. სასამართლომ თავისი ნებართვა უნდა გასცეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ის მიიჩნევს, რომ ნიდერლანდების ტერიტორიის ფარგლებს გარეთ არასრულწლოვანის სამზრუნველოდ განთავსება ამ უკანასკნელის საუკეთესო ინტერესებშია.

მუხლი 1:306a დროებითი მეურვეობა

წინამდებარე ტიტულის (1.14) მე-6 განყოფილება არ გამოიყენება 1:241, 1:271, 1:272, 1:331 და 1:332 მუხლებში მითითებული დროებითი მეურვეობის მიმართ.

მუხლი 1:307 {გაუქმებულია 02. 11. 1995წ.}

მუხლი 1:308 {გაუქმებულია 02. 11. 1995წ.}

მუხლი 1:309 {გაუქმებულია 02. 11. 1995წ.}

მუხლი 1:310 {გაუქმებულია 02.11.1995წ.}

მუხლი 1:311 {გაუქმებულია 02.11.1995წ.}

მუხლი 1:312 {გაუქმებულია 02.11.1995წ.}

მუხლი 1:312 {გაუქმებულია 02.11.1995წ.}

მუხლი 1:314 {გაუქმებულია 02.11.1995წ.}

მუხლი 1:315 {გაუქმებულია 02.11.1995წ.}

მუხლი 1:316 {გაუქმებულია 02.11.1995წ.}

მუხლი 1:317 {გაუქმებულია 02.11.1995წ.}

მუხლი 1:318 {გაუქმებულია 02.11.1995წ.}

მუხლი 1:319 {გაუქმებულია 02.11.1995წ.}

ქვეგანყოფილება 1.14.6.5 – მეურვეობის შეწყვეტა

მუხლი 1:320 {გაუქმებულია 01.01.1985წ.}

მუხლი 1:321 {გაუქმებულია 01.01.1985წ.}

მუხლი 1:322 მეურვეობის შეწყვეტის საფუძვლები

– 1. ყოველ მეურვეს შეუძლია უარი თქვას მის მიერ ნაკისრ მოვალეობაზე, თუ:

a. ის ამჟღავნებს იმას, რომ მას აღარ შეუძლია ამ მოვალეობის შესრულება მისი მეურვედ დანიშვნის შემდეგ წარმოშობილი გონებრივი თუ ფიზიკური დარღვევის შედეგად;

b. მან მიაღწია 65 წლის ასაკს, ან;

c. ამ საკითხში კომპეტენტურმა პირმა წერილობით განაცხადა მეურვეობის კისრების სურვილის შესახებ და რაიონული სასამართლო თვლის, რომ ეს არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესებში იქნება.

– 2. პარ. 1 ერთობლივი მეურვეობის მიმართ გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ორივე მეურვეს სურს უარი თქვას მათ მიერ ნაკისრ მეურვის მოვალეობის განხორციელებაზე.

მუხლი 1:323 ერთობლივი მეურვეობის შეწყვეტა მეურვის მიერ ნაკისრ მოვალეობაზე უარის თქმის გამო

სასამართლოს შეუძლია შეწყვიტოს ერთობლივი მეურვეობა ორივე მეურვის ან ერთ-ერთი მათგანის მოთხოვნის საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში სასამართლო გადაწყვეტს, თუ ამიერიდან რომელ მეურვეს დაეკისრება არასრულწლოვანის მიმართ მეურვეობის ექსკლუზიური განხორციელება.

ქვეგანყოფილება 1.14.6.6 – არასრულწლოვანთა მიმართ მეურვეობის განხორციელების უუნარობა

მუხლი 1:324 მეურვისათვის მინიჭებული უფლებამოსილების შეწყვეტა მის მიერ მეურვის მოვალეობათა შესრულების უუნარობის გამო

– 1. როდესაც მეურვეს 1:246 მუხლში მითითებული ერთ-ერთი საფუძვლის გამო არა აქვს არასრულწლოვანთა მიმართ მეურვეობის განხორციელების უნარი, მაშინ რაიონული სასამართლო გაათავისუფლებს მას დაკისრებული მოვალეობისაგან და ჩაანაცვლებს სხვა მეურვეთ.

– 2. რაიონული სასამართლო ასეთ გადაწყვეტილებას იღებს თავად მეურვის, არასრულწლოვანის ერთ-ერთი სისხლით ნათესავის ან მოყვრის, ბავშვის ინტერესების დაცვის საბჭოს, კრედიტორებისა თუ სხვა დაინტერესებული მხარეების მოთხოვნის საფუძველზე ანდა – საკუთარი ინიციატივით.

– 3. თუ ერთობლივი მეურვეობის შემთხვევაში პარ. 1-ში მითითებული ერთ-ერთი საფუძველი ეხება

ერთ-ერთ მეურვეს, მაშინ მეორე მეურვე დამოუკიდებლად გააგრძელებს არასრულწლოვანის მიმართ შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელებას.

– 4. როგორც კი მეურვეობის განხორციელების უუნარობის საფუძველი სახეზე აღარ იქნება, კვლავ აღდგება ერთობლივი მეურვეობა.

მუხლი 1:325 {გაუქმებულია 02.11.1995წ.}

ქვეგანყოფილება 1.14.6.7 – მეურვეობის ქვემ მყოფი არასრულწლოვანის მიმართ განხორციელებული სამეურვეო კონტროლი

მუხლი 1:326 მეურვეობის ქვემ მყოფი არასრულწლოვანის მიმართ განხორციელებული სამეურვეო კონტროლი

– 1. ფიზიკური პირის მეურვეობის ქვემ მყოფი ბავშვები შეიძლება განთავსდნენ სამეურვეო კონტროლის ქვემ.

– 2. აღნიშნული სამეურვეო კონტროლის მიმართ შესაბამისად გამოიყენება 1:254-დან 1:265 მუხლის ჩათვლით ნორმები იმ პირობით, რომ ეს კონტროლი და მისი გაგრძელება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს ასევე არასრულწლოვანის მეურვის მიერაც.

ქვეგანყოფილება 1.14.6.8 – მეურვის გათავისუფლება მასზე დაკისრებული მოვალეობისაგან

მუხლი 1:327 დაკისრებული მოვალეობისაგან მეურვის გათავისუფლების საფუძველები

– 1. თუ რაიონული სასამართლო არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე ამას აუცილებლად ჩათვლის, მას შეუძლია გაათავისუფლოს მეურვე ერთი ან მეტი ბავშვის მიმართ ნაკისრი უფლებამოსილების განხორციელებისაგან შემდეგი მიზეზების არსებობის გამო:

a. ცუდი საცხოვრებელი პირობები;

b. უფლების ბოროტად გამოყენება, მოვალეობათა შესრულების უგულვებელყოფა ანდა – ის ფაქტი, რომ მეურვე უუნაროა, განახორციელოს ჯეროვნად მასზე დაკისრებული უფლებამოსილება;

c. ის ფაქტი, რომ ორი ზემოაღნიშნული მიზეზის საფუძველზე მას გაუუქმდა სხვა მეურვეობა ანდა ჩამოერთვა მშობლის უფლებამოსილება;

d. ის ფაქტი, რომ მეურვე გამოცხადდა გაკოტრებულად ანდა ვარდება ფიზიკური პირებისათვის არსებული ვალების დაფარვის სქემაში;

e. ის ფაქტი, რომ მეურვე ან ერთ-ერთი მისი მშობელი, მეუღლე ან შვილი აწარმოებს სასამართლო დავას მისი მეურვეობის ქვემ მყოფი არასრულწლოვანის წინააღმდეგ, რომლის დროსაც სასარჩელო მოთხოვნა ეხება არასრულწლოვანის მიერ გარიგებების დადების უნარს ანდა – ამ უკანასკნელის ქონების მნიშვნელოვან ნაწილს;

f. სისხლის სამართლის წესით საბოლოო გასამართლება:

1°. მისი უფლებამოსილების ქვემ მყოფ არასრულწლოვანთან ერთად დანაშაულში განზრახ თანამონაწილეობისათვის;

2°. მისი უფლებამოსილების ქვემ მყოფი არასრულწლოვანის მიმართ სისხლის სამართლის კოდექსის მეორე ნიგნის XIII-დან XV-მდე და XVIII-დან XX-მდე ტიტულებში აღწერილი ერთ-ერთი დანაშაულის ჩადენისათვის;

3°. თავისუფლების აღკვეთისათვის ორი ან მეტი წლის ვადით.

g. ახალგაზრდობაზე ზრუნვის შესახებ კანონის 1-ლი მუხლის პარ. 1-ის (f) პუნქტში აღნიშნული ფონდის მითითებების არსებითი უგულვებელყოფა ანდა 1:261 მუხლის შესაბამისად არასრულწლოვანის სამზრუნველოდ გადაცემისათვის სირთულეების შექმნა;

h. საფუძვლიანი შიშის არსებობა იმის გამო, რომ ბავშვის ინტერესები უგულვებელყოფილი აღმოჩნდება იმ შემთხვევაში, თუ მეურვე მოითხოვს ბავშვის უკან დაბრუნებას ან მოჰყავს ის სხვა მშობლისაგან, რომელმაც ბავშვი სამზრუნველოდ და აღსაზრდელად აიყვანა;

i. ის ფაქტი, რომ მეურვეს არა აქვს პრინციპული ნებართვა, როგორც ეს შვილად აყვანის მიზნით მოითხოვება უცხოელი ბავშვების ნიდელანდებში განთავსების შესახებ კანონის მე-2 მუხლის ნოემრბით.

– 2. წინამდებარე მუხლის მიზნისათვის ტერმინი „დანაშაული“ მოიცავს თანამონაწილის სახით მოქმედებას დანაშაულის ჩადენაში, ისევე როგორც – დანაშაულის ჩადენის მცდელობას.

მუხლი 1:328 ახალგაზრდობაზე ზრუნვის შესახებ კანონში აღნიშნული ფონდის მეურვეობის გაუქმება

ახალგაზრდობაზე ზრუნვის შესახებ კანონის 1-ლი მუხლის პარ. 1-ის (f) პუნქტში აღნიშნული ფონდის მეურვეობა შეიძლება გაუქმდეს 1:327 მუხლის პარ. 1-ის (b) და (c) პუნქტებში მითითებული ერთ-ერთი საფუძვლის არსებობისას. ასეთ გაუქმებას შეიძლება ადგილი ჰქონდეს ასევე იმ შემთხვევაშიც, თუ ფონდი უგულებელყოფს 1:305 მუხლით გათვალისწინებული ბავშვის ინტერესების დაცვის საბჭოს იმ ადგილების შესახებ ინფორმირების ვალდებულებას, სადაც იმყოფებიან მისი მეურვეობის ქვეშ მყოფი არასრულწლოვანი პირები ანდა – თუ ეს ართულებს ან ხელს უშლის ბავშვის ინტერესების დაცვის საბჭოს მიერ ზედამხედველობის ფუნქციის განხორციელებას.

მუხლი 1:329 პროცესუალური სამართლის ნორმები

– 1. მეურვეობის გაუქმება შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მეურვის, მეოთხე ხარისხის ჩათვლით არასრულწლოვანის სისხლით ნათესავის ან მოყვრის, ბავშვის ინტერესების დაცვის საბჭოსა თუ პროკურატურის მოთხოვნის საფუძველზე.

– 2. 1:327 მუხლის პარ. 1-ის (h) პუნქტში გათვალისწინებულ ვითარებაში მეურვეობის გაუქმება შეიძლება დადგინდეს ასევე პირის მიერაც, ვინც ზრუნავდა არასრულწლოვანზე და ზრდიდა მას.

– 3. 1:367 მუხლში გათვალისწინებულ ვითარებაში რაიონულ სასამართლოს შეუძლია დაადგინოს მეურვეობის გაუქმება იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს ბავშვის ინტერესების დაცვის საბჭოს არ მოუთხოვია.

მუხლი 1:330 {გაუქმებულია 02. 11. 1995წ.}

მუხლი 1:331 ნაკისრი უფლებამოსილების განხორციელებისაგან მეურვის გათავისუფლებასთან დაკავშირებით საქმის წარმოების დროს არსებული დროებითი მეურვეობა

– 1. როდესაც ეს გადაუდებელი და დაუყოვნებლივ აუცილებელია, რაიონულ სასამართლოს თავისი საგამოძიებო მოქმედებების შედეგების მოლოდინში შეუძლია ერთი ან მეტი არასრულწლოვანის მიმართ შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელება სრულად ან ნაწილობრივ შეუჩეროს იმ მეურვეს, რომლის მეურვეობის გაუქმებაც არის მოთხოვნილი.

– 2. როდესაც ერთობლივი მეურვეობის შემთხვევაში რაიონულ სასამართლოს სჯერა, რომ იმ მეურვის უფლებამოსილების შეჩერება, რომლის მეურვეობის გაუქმებაც არის მოთხოვნილი, არ არის საკმარისი არასრულწლოვანთა მიერ მისი გავლენის სფეროდან თავის დაღწევისათვის, სასამართლოს შეუძლია ასევე მეორე მეურვესაც შეუჩეროს შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელება.

– 3. თუ ერთობლივი მეურვეობის შემთხვევაში მხოლოდ ერთ-ერთ მეურვეს უჩერდება უფლებამოსილება, მაშინ ამ მომენტიდან შეჩერების პერიოდში მეურვეობის ექსკლუზიური განხორციელება დაეკისრება მეორე მეურვეს.

– 4. პარ. 1 და 2-ში მითითებულ შემთხვევებში, რაიონული სასამართლო ახალგაზრდობაზე ზრუნვის შესახებ კანონის 1-ლი მუხლის პარ. 1-ის (f) პუნქტში აღნიშნულ ფონდს ავალებს არასრულწლოვანის მიმართ დროებითი მეურვეობის განხორციელებას. რაიონული სასამართლო განსაზღვრავს, თუ რა უფლებამოსილებები ენიჭება აღნიშნულ ფონდს არასრულწლოვანის პიროვნებისა და ქონების მიმართ.

– 5. წინამდებარე მუხლში აღნიშნული სასამართლოს განკარგულება ძალაში რჩება მანამდე, სანამ მეურვეობის გაუქმების მოთხოვნასთან დაკავშირებით მიღებული სასამართლოს გადაწყვეტილება არ შევა კანონიერ ძალაში და არ გახდება მბოჭავი. თუმცაღა, რაიონულ სასამართლოს შეუძლია ასეთი განკარგულების უფრო ადრე გაუქმება.

მუხლი 1:331a სამეურვეო კონტროლის ქვეშ განთავსება ნაცვლად მეურვის უფლებამოსილების შეჩერებისა და დროებითი მეურვეობისა

ნაცვლად მეურვისათვის თავისი უფლებამოსილების განხორციელების შეჩერებისა და 1:331 მუხლის შესაბამისად დროებითი მეურვეობის დადგენისა, რაიონულ სასამართლოს შეუძლია არასრულწლოვანი განათავსოს ასევე 1:254 მუხლით გათვალისწინებული სამეურვეო კონტროლის ქვეშ.

მუხლი 1:332 მეურვის უფლებამოსილების შეჩერება და დროებითი მეურვეობა

როდესაც ეს გადაუდებელი და დაუყოვნებლივ აუცილებელია, არასრულწლოვანთა საქმეების სასამა-

როლოს იმ ფაქტების საფუძველზე, რომლებიც ასევე იწვევს შედეგად მეურვეობის გაუქმებას, შეუძლია სრულად ან ნაწილობრივ შეუჩეროს მეურვეს ან მეურვეებს არასრულწლოვანის მიმართ უფლებამოსილების განხორციელება და დაავალოს ახალგაზრდობაზე ზრუნვის შესახებ კანონის 1-ლი მუხლის პარ. 1-ის (f) პუნქტში აღნიშნულ ფონდს ამ არასრულწლოვანის მიმართ დროებითი მეურვეობის განხორციელება. შესაბამისად გამოიყენება 1:272 მუხლის პარ. 2, 3 და 4.

მუხლი 1:332a სამეურვეო კონტროლის დადგენა მას შემდეგ, რაც მეურვეობის გაუქმების მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა

რაიონულ სასამართლოს, რომელიც უარს აცხადებს მეურვეობის გაუქმების მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, შეუძლია არასრულწლოვანი განათავსოს 1:254 მუხლით გათვალისწინებული სამეურვეო კონტროლის ქვეშ.

მუხლი 1:333 {გაუქმებულია 01.05.1995წ.}

მუხლი 1:334 ნაკისრი უფლებამოსილების განხორციელებისაგან მეურვის გათავისუფლების სამართლებრივი შედეგები

- 1. თუ რაიონული სასამართლო დაადგენს ნაკისრი უფლებამოსილების განხორციელებისაგან მეურვის გათავისუფლებას, მაშინ მან უნდა გაითვალისწინოს არასრულწლოვანის მიმართ არსებული უფლებამოსილების სხვა ფორმა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქმე ეხება ერთობლივ მეურვეობას, როგორც ეს გათვალისწინებულია წინამდებარე მუხლის პარ. 3-ში.
- 2. ყოველ პირს, რომელსაც აქვს არასრულწლოვანთა მიმართ მეურვეობის განხორციელების უნარი, საქმის განხილვის პროცესში შეუძლია წერილობით მოსთხოვოს რაიონულ სასამართლოს შესაბამისი არასრულწლოვანის მიმართ მეურვის უფლებამოსილების მინიჭება.
- 3. როდესაც ერთობლივი მეურვეობის შემთხვევაში მხოლოდ ერთ-ერთი მეურვე თავისუფლდება მასზე დაკისრებული უფლებამოსილებისაგან, მაშინ ამ მომენტიდან მეურვეობის ექსკლუზიური განხორციელება დაეკისრება მეორე მეურვეს.

მუხლი 1:335 გაუქმებული მეურვეობის ხელახალი დადგენის დაუშვებლობა

დაუშვებელია კონკრეტული არასრულწლოვანის მიმართ კვლავ იმ პირის დანიშვნა მეურვედ, რომელიც გათავისუფლდა ამ არასრულწლოვანის მიმართ მეურვის უფლებამოსილების განხორციელებისაგან.

ქვეგანყოფილება 1.14.6.9 – მეურვის მიერ არასრულწლოვანის როგორც პიროვნების მიმართ განხორციელებული ზედამხედველობა

მუხლი 1:336 მეურვის მოვალეობა

მეურვე უზრუნველყოფს იმას, რომ არასრულწლოვანზე ზრუნვა და მისი აღზრდა ხორციელდებოდეს ამ უკანასკნელის ფინანსური კაპიტალისა და ქონების შესაბამისად.

მუხლი 1:336a მშვილბლების უფლებები

- 1. თუ არასრულწლოვანზე მისი მეურვის თანხმობით სხვა პირი – ან პირები – სულ ცოტა, ერთი წლის განმავლობაში ზრუნავდა და ზრდიდა მას როგორც საკუთარი ოჯახის წევრს, მაშინ მეურვე ვერ შეძლებს არასრულწლოვანის ადგილსამყოფელის შეცვლას იმ პირთა თანხმობის გარეშე, რომლებიც ზრუნავდნენ არასრულწლოვანზე და ზრდიდნენ მას.
- 2. მანამდე, სანამ წინა პარაგრაფის შესაბამისად სხვა პირის – ან პირების – თანხმობა არ არის მიღებული, მეურვეს შეუძლია მოსთხოვოს რაიონულ სასამართლოს მისთვის ალტერნატიული ნებართვის მიცემა. ეს მოთხოვნა ექვემდებარება დაკმაყოფილებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი სასამართლო ჩათვლის, რომ ეს ბავშვის საუკეთესო ინტერესებშია.
- 3. მეურვის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევაში, სასამართლოს განკარგულება ძალაში რჩება რაიონული სასამართლოს მიერ განსაზღვრული ვადით, თუმცა – არაუმეტეს ექვსი თვისა. ამასთან, თუ ბავშვის მიმართ სამეურვეო კონტროლის მოთხოვნა ან მეურვის ნაკისრი უფლებამოსილების განხორციელებისაგან გათავისუფლების მოთხოვნა წარდგენილ იქნა აღნიშნული ვადის და-

სრულდება, ანდა – თუ მოთხოვნის განხილვა გრძელდება იმ მიზნით, რომ მეურვის დანიშვნა მოხდეს 1:299a მუხლის შესაბამისად, მაშინ სასამართლოს განკარგულება ძალაში რჩება მანამდე, სანამ აღნიშნულ მოთხოვნასთან დაკავშირებით არ მიიღება კანონიერ ძალაში შესული და მბოჭავი გადაწყვეტილება.

– 4. ერთობლივი მეურვეობის შემთხვევაში პარ. 1-ში მითითებული თანხმობა მიცემულ უნდა იქნეს ორივე მეურვის მიერ.

ქვეგანყოფილება 1.14.6.10 – მეურვის მიერ არასრულწლოვანის ქონების მართვა

მუხლი 1:337 არასრულწლოვანის წარმომადგენლობა და მისი ქონების მართვა

– 1. სამოქალაქო სამართლის სფეროში გარიგებების დადებისას ქონების მეურვე წარმომადგენს არასრულწლოვანს.

– 2. მეურვემ არასრულწლოვანის ქონება უნდა მართოს როგორც კარგმა და წინდახედულმა მეურვემ. არაჯეროვანი მართვის შემთხვევაში მეურვე პასუხს აგებს ამის შედეგად არასრულწლოვანისათვის მიყენებული ზიანისათვის.

– 3. თუ არასრულწლოვანისათვის ჩუქებით ან ანდერძით გადაცემული აქტივები გამჩუქებლის ან მონდერძის მიერ განთავსებულია სხვა მმართველის დაცვით მართვის ქვეშ, მაშინ მეურვეს აქვს უფლება მოითხოვოს, რომ ამ მმართველმა წარადგინოს არასრულწლოვანის ქონების ამ ნაწილის ადმინისტრირების ანგარიში. როდესაც ეს სხვაგვარი მართვა წყდება, მაშინ შესაბამისი აქტივი ავტომატურად გადადის მეურვის მართვაში.

მუხლი 1:337a ერთობლივი მეურვეობის მიმართ მე-10 და მე-11 ქვეგანყოფილებების ნორმათა შესაბამისი გამოყენება

– 1. ერთობლივი მეურვეობის შემთხვევაში, ის უფლებები და უფლებამოსილებები, რომლებსაც მეურვე იძენს წინამდებარე ტიტულის მე-10 და მე-11 ქვეგანყოფილებების ნორმებიდან, ხორციელდება ორივე მეურვის მიერ ერთობლივად იმ პირობით, რომ ამ უფლებებისა და უფლებამოსილებების განხორციელება შესაძლებელია ერთი მეურვის მიერ დამოუკიდებლად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მეორე მეურვე ამის წინააღმდეგია.

– 2. თითოეული მეურვე შებოჭილია წინამდებარე ტიტულის მე-10 და მე-11 ქვეგანყოფილებების ნორმებში მითითებული მოვალეობებით.

მუხლი 1:338 ინვენტარიზაციის ჩატარება

– 1. მეურვე უზრუნველყოფს იმას, რომ მეურვეობის დაწყების მომენტში არსებულ არასრულწლოვანის ქონებას შეძლებისდაგვარად სწრაფად ჩაუტარდეს ინვენტარიზაცია.

– 2. მეურვეობის დაწყებიდან რვა კვირის განმავლობაში მეურვე წერილობით მოხსენებას წარუდგენს იმ რაიონული სასამართლოს რეესტრს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც განთავსებულია არასრულწლოვანის დომიცილი, ყველა მონეტისა და ბანკნოტის, აქციისა და სხვა ბრუნვაუნარიანი საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდებისა და ასევე ყველა იმ საშემნახველო ანგარიშის დოკუმენტაციის მითითებით, რომლებიც ხელმისაწვდომია მეურვეობის დაწყების მომენტში.

– 3. მეურვეობის დაწყებიდან რვა კვირის განმავლობაში მეურვე არასრულწლოვანის ყველა აქტივისა და პასივის ინვენტარიზაციის შესახებ წერილობით დოკუმენტს გადასცემს იმ რაიონული სასამართლოს რეესტრს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც განთავსებულია არასრულწლოვანის დომიცილი; ეს ინვენტარიზაციის დოკუმენტი უნდა იქნეს ხელმონერილი მეურვის მიერ პირადად, როგორც საშუალება ამ დოკუმენტის სანდოობის დადასტურებისა.

– 4. ინვენტარიზაციის შესახებ წერილობით დოკუმენტი უნდა შეიცავდეს ანგარიშს არასრულწლოვანის ქონებაში განხორციელებული ყველა იმ ცვლილების შესახებ, რასაც ადგილი აქვს მეურვეობის დაწყების მომენტიდან ინვენტარიზაციის შესახებ წერილობით დოკუმენტის შედგენის მომენტამდე პერიოდში.

მუხლი 1:339 განცხადება ნაცვლად ინვენტარიზაციის შესახებ წერილობით დოკუმენტისა

– 1. როდესაც არასრულწლოვანის ქონების ღირებულება არ აღემატება 11 250 ევროს, მეურვეს შეუძლია, ნაცვლად წინა მუხლში ნახსენები ინვენტარიზაციის შესახებ წერილობით დოკუმენტისა, წარადგინოს ამ მიზნით იუსტიციის სამინისტროს მიერ მიღებული კონცეფციის შესაბამისად შედგენილი და ხელმონერილი განცხადება, რომელშიც ის აღნიშნავს, რომ არასრულწლოვანის ქონების ღირებულება

ზემოაღნიშნულ ოდენობაზე ნაკლებია. ერთი და იგივე მშობელთა ორი ან მეტი შვილის მიმართ მეურვეობის განმახორციელებელ მეურვეს შეუძლია შემოიფარგლოს ასეთი განცხადებით იმ შემთხვევაში, როდესაც ამ არასრულწლოვანთა აქტივები კრებსითად არ აღემატება 22 500 ევროს.

– 2. რაიონულ სასამართლოს ნებისმიერ დროს შეუძლია დაადგინოს, რომ ინვენტარიზაციის შესახებ წერილობით დოკუმენტი, ამ სასამართლოს მიერ თავის განკარგულების მიღების დღეს წარმოდგენილი სახით, უნდა შედგეს წინა მუხლის დებულებათა შესაბამისად.

მუხლი 1:340 გახანგრძლივება იმ პერიოდისა, რომლის განმავლობაშიც უნდა იქნეს წარდგენილი ინვენტარიზაციის შესახებ წერილობით დოკუმენტი ან განცხადება

– 1. როდესაც ეს აუცილებელია, რაიონულ სასამართლოს შეუძლია დაადგინოს უფრო ხანგრძლივი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც უნდა იქნეს წარდგენილი წინა მუხლში აღნიშნული ინვენტარიზაციის შესახებ წერილობით დოკუმენტი ან განცხადება.

– 2. თუ წინა მუხლში აღნიშნული ინვენტარიზაციის შესახებ წერილობით დოკუმენტი ან განცხადება არ იქნა წარდგენილი ამ მიზნით დადგენილი ვადის განმავლობაში, მაშინ რაიონულმა სასამართლომ აღნიშნული ვადის დასრულებიდან ათი დღის განმავლობაში უნდა გამოიძახოს მეურვე სასამართლოში ზეპირ მოსმენაზე.

მუხლი 1:341 არასრულწლოვანის მიმართ მეურვის კუთვნილი სავალო მოთხოვნები

– 1. 1:339 მუხლში მითითებული ინვენტარიზაციის შესახებ წერილობით დოკუმენტში ან განცხადებაში მეურვემ უნდა მიუთითოს, თუ რა შეიძლება მან თავად მოითხოვოს არასრულწლოვანისაგან. ასეთი მითითების არარსებობისას მეურვე ვერ განახორციელებს თავისი სავალო მოთხოვნის აღსრულებას მანამდე, სანამ არასრულწლოვანი არ მიაღწევს სრულწლოვანების ასაკს.

– 2. მანამდე, სანამ მეურვე განახორციელებს თავისი სავალო მოთხოვნის აღსრულებას, ამ მოთხოვნის ძირითად თანხას პროცენტი არ დაერიცხება.

მუხლი 1:342 ინვენტარიზაციის ჩატარების ვალდებულება იმ შემთხვევაში, როდესაც არასრულწლოვანი მოგვიანებით იძენს ქონებას

– 1. წინა ოთხი მუხლის ნორმები შესაბამისად გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც არასრულწლოვანი მისი მეურვეობაში არსებობის ვადის განმავლობაში ქონებას იძენს ჩუქებით, მემკვიდრეობით ან ლეგატიით.

– 2. როდესაც იმ საგადასახადო ინსპექტორისთვის, რომელსაც ჩუქების გადასახადის დაკისრების მიზნით უნდა შეატყობინონ ქონების ჩუქებით, მემკვიდრეობითა თუ ლეგატიით მიღების შესახებ, თავისი სამსახურეობრივი საქმიანობიდან გამომდინარე ცნობილია არასრულწლოვანის მიერ ქონების შეძენის ფაქტი, მაშინ მან ამის შესახებ უნდა შეატყობინოს არასრულწლოვანის დომიცილის მიხედვით განსჯად რაიონულ სასამართლოს.

მუხლი 1:343 მეურვის უფლებამოსილება, იმოქმედოს არასრულწლოვანის სახელით

ქონების სუსტი მართვის შედეგად გამონვეული ზიანის ანაზღაურებისათვის პირადი პასუხისმგებლობის გამორიცხვის გარეშე, მეურვეს შეუძლია არასრულწლოვანის სასარგებლოდ განახორციელოს ყველა ისეთი მოქმედება, რასაც ის არასრულწლოვანის ინტერესებში ჩათვლის აუცილებლად, სასარგებლოდ ან სასურველად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქმე ეხება ისეთ მოქმედებებს, რომლებიც სპეციალურად არის მონესრიგებული ქვემოთ მოცემულ მუხლებში.

მუხლი 1:344 არასრულწლოვანის საფონდო ბირჟაზე გატანილი ფასიანი ქაღალდების დეპოზიტზე განთავსება

– 1. რამდენადაც რაიონულმა სასამართლომ სხვაგვარად არ დაადგინა, მეურვე არასრულწლოვანის კუთვნილ საფონდო ბირჟაზე გატანილ ყველა სანარმდგენლო ფასიან ქაღალდს დეპოზიტზე განათავსებს:

a. ჰოლანდიის ცენტრალურ ბანკში (Nederlandsche Bank N.V.), ან;

b. იმ საკრედიტო ინსტიტუტებში, რომლებსაც ფინანსური ზედამხედველობის შესახებ კანონის თანახმად ნიდერლანდებში შეუძლიათ განახორციელონ საბანკო საქმიანობა.

– 2. რაიონულ სასამართლოს შეუძლია გასცეს მითითებები იმ პროცედურასთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც უნდა განხორციელდეს საშემნახველო ანგარიშის დოკუმენტაციის, მონეტებისა და ბანკნოტების შენახვა. იმ რაიონულ სასამართლოს, რომლის თანხმობის საფუძველზეც განხორციელდა საერთო ქონების დაყოფა, ამ შემთხვევაშიც შეუძლია წინა წინადადებაში აღნიშნული მითითებების გაცემა.

აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით განსჯადია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1-ლი წიგნის მე-3 ტიტულის მე-2 განყოფილებაში მითითებული რაიონული სასამართლო.

– 3. როდესაც საფონდო ბირჟაზე გატანილი ყველა სანარმდგენლო ფასიანი ქაღალდი, საშემნახველო ანგარიშის დოკუმენტაცია, მონეტა და ბანკნოტი ერთობლივად ეკუთვნის არასრულწლოვანსა და ერთ ან მეტ სხვა პირს, წინა პარაგრაფები გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მეურვე ფაქტობრივად ფლობს შესაბამის ნივთებსა თუ ქაღალდებს.

მუხლი 1:345 რაიონული სასამართლოს ნებართვა

– 1. მეურვეს რაიონული სასამართლოს ნებართვა ესაჭიროება ქვემოთ მოცემული მოქმედებების განხორციელებისათვის:

a. იმ შეთანხმებების დადება, რომლებიც აუცილებლად გულისხმობს არასრულწლოვანის აქტივების გადაცემას ან ასეთი აქტივების შეზღუდული სანივთო უფლებით დატვირთვას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს მოქმედებები ეხება ფულს ან შეიძლება მიჩნეულ იქნეს როგორც ჩვეულებრივი მმართველობითი აქტი ანდა რომლებიც უნდა დაიდოს სასამართლოს განკარგულების ძალით;

b. ჩუქების განხორციელება, გარდა ჩვეულებრივი ზომიერი ნაჩუქრობებისა;

c. ვალდებულებებით ან პირობებით დატვირთული ლეგატისა თუ ჩუქების მიღება;

d. ფულის გასესხება ან არასრულწლოვანის სახელით თავდებობის ანდა სოლიდარული ვალდებულების კისრება;

e. შეთანხმება იმის თაობაზე, რომ გარკვეული ვადის განმავლობაში არ დაიყოფა ის უძრავი ქონება, რომლის მიღებაზეც უფლებამოსილია არასრულწლოვანი.

– 2. რაიონულ სასამართლოს შეუძლია დაადგინოს, რომ მეურვეს მისი ნებართვა დასჭირდეს ასევე არასრულწლოვანის სავალო მოთხოვნების ამოღებისათვისაც ფინანსური ზედამხედველობის შესახებ კანონის 1:1 მუხლში აღნიშნულ ბანკში არსებული სალდოს განკარგვის ჩათვლით.

– 3. მეურვეს რაიონული სასამართლოს ნებართვა არ ესაჭიროება იმ შეთანხმების დადებისათვის, რომლითაც ნყდება დავა, რომელშიც მონაწილეობს არასრულწლოვანი, თუკი საქმე გვაქვს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 87-ე მუხლში მითითებულ შემთხვევასთან ან თუკი გაურკვევლობისა თუ დავის ობიექტის ღირებულება არ აღემატება 700 ევროს ანდა – თუკი შეთანხმება უნდა განიხილებოდეს ადმინისტრაციულ აქტად.

მუხლი 1:346 რაიონული სასამართლოს თანხმობა, როდესაც მეურვეს სურს არასრულწლოვანის ქონების ყიდვა ან იჯარით აღება

– 1. მეურვეს არ შეუძლია იმ ქონებისა თუ სასოფლო-სამეურნეო მიწის ყიდვა, ქირავნობა ან იჯარით აღება, რომელიც ეკუთვნის არასრულწლოვანს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც რაიონულმა სასამართლომ წინასწარ გასცა თავისი თანხმობა იმ შეთანხმებაზე, რომელიც აღნიშნული მიზნით დაიდება მეურვესა და არასრულწლოვანს შორის.

– 2. იმ შემთხვევაში, როდესაც მეურვემ მიიღო უფლება არასრულწლოვანის იმ ქონებასა თუ სასოფლო-სამეურნეო მიწაზე, რომელიც გაიყიდა, გაქირავდა ან იჯარით გაიცა საჯაროდ (სავაჭრო ქსელში, საქონლის ბაზარსა თუ აუქციონზე), მეურვემ რაიონულ სასამართლოს უნდა მიმართოს თანხმობის მისაღებად შესაბამისი შეთანხმების დადებიდან ერთი თვის განმავლობაში.

მუხლი 1:347 საცილო გარიგების ბათილობა

– 1. არასრულწლოვანის სახელით მეურვის მიერ 1:345 ან 1:346 მუხლების ნორმათა დარღვევით დადებული გარიგებები საცილოა; საცილობის საფუძველზე მითითება შესაძლებელია მხოლოდ არასრულწლოვანის მხრიდან.

– 2. წინა პარაგრაფი არ გამოიყენება იმ გარიგების მიმართ, რომელიც არ დადებულა უსასყიდლოდ არასრულწლოვანის კონტრაჰენტის მიმართ იმ პირობით, რომ ეს უკანასკნელი მოქმედებდა კეთილსინდისიერად; წინა პარაგრაფი არ გამოიყენება ასევე იმ გარიგების მიმართაც, რომელიც არ ყოფილა არახელსაყრელი არასრულწლოვანისათვის.

მუხლი 1:348 არასრულწლოვანის მიმართ შეუსრულებელი სავალო მოთხოვნებისა თუ მის ქონებაზე შეზღუდული სანივთო უფლებების შექენა

– 1. მეურვეს არ შეუძლია მესამე პირისაგან არასრულწლოვანის მიმართ არც ნებისმიერი შეუსრულებელი სავალო მოთხოვნისა და არც არასრულწლოვანის ქონებაზე ნებისმიერი შეზღუდული სანივთო

უფლების შექმნა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც რაიონულმა სასამართლომ წინასწარ გასცა თავისი თანხმობა იმ შეთანხმებაზე, რომელიც აღნიშნული მიზნით დაიდება მეურვესა და მესამე პირს შორის.

– 2. როდესაც ასეთი თანხმობა არ არსებობს, მეურვესა და მესამე პირს შორის არსებული შეთანხმება ბათილია.

მუხლი 1:349 მეურვის უფლება, არასრულწლოვანის სახელით იმოქმედოს სასამართლოში

– 1. როდესაც მეურვე რაიონული სასამართლოს ნებართვის გარეშე არასრულწლოვანის სასარგებლოდ მოქმედებს სასამართლოში ან როდესაც ის ასეთი ნებართვის გარეშე არასრულწლოვანის სახელით ასაჩივრებს სასამართლოს გადაწყვეტილებას, სასარჩელო მოთხოვნა უნდა იქნეს მიჩნეული დაუშვებლად (საქმის წარმოების შეწყვეტა).

– 2. რაიონული სასამართლოს ნებართვის გარეშე მეურვეს არ შეუძლია ცნოს არასრულწლოვანის მიმართ წარდგენილი სარჩელი ანდა დაეთანხმოს მიღებულ სასამართლოს გადაწყვეტილებას.

– 3. მანამდე, სანამ მეურვე არასრულწლოვანის სასარგებლოდ სასამართლოში არ წარადგენს შესაგებებელს ანდა სანამ ის არასრულწლოვანის სახელით არ გაასაჩივრებს სასამართლოს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, აღნიშნული მოქმედების შესახებ ანგარიშის წარდგენის მიზნით, მეურვეს შეუძლია მოქმედების განხორციელებასთან დაკავშირებით ნებართვის მისაღებად მიმართოს რაიონულ სასამართლოს.

მუხლი 1:350 ქონების ინვესტიცია

– 1. მეურვემ უნდა უზრუნველყოს არასრულწლოვანის აქტივების ეფექტური ინვესტირება.

– 2. მეურვეს ესაჭიროება რაიონული სასამართლოს ნებართვა არასრულწლოვანის კუთვნილი ფულადი სახსრების ყოველი ინვესტირებისათვის. თუმცა, რამდენადაც რაიონულმა სასამართლომ სხვაგვარად არ დაადგინა, მეურვეს აღნიშნული ნებართვის გარეშე შეუძლია ფულადი სახსრების განთავსება არასრულწლოვანის სახელით 1:344 მუხლის პარ. 1-ის (b) ქვეპუნქტში აღნიშნულ საკრედიტო ინსტიტუტში არასრულწლოვანთა ფულადი სახსრების ინვესტირებისათვის გამიზნულ ანგარიშებზე იმ პირობით, რომ ეს ფული გადახდილი იქნება მხოლოდ რაიონული სასამართლოს ნებართვით.

მუხლი 1:351 არასრულწლოვანის კუთვნილი საწარმოს საქმიანობის გაგრძელება

– 1. როდესაც არასრულწლოვანის ქონება ან მისი ნაწილი ინვესტირებულ იქნა სავაჭრო, სასოფლო-სამეურნეო ან სამრეწველო საწარმოში, მეურვეს შეუძლია რაიონული სასამართლოს ნებართვით ამ ბიზნესის არასრულწლოვანის სასარგებლოდ გაგრძელება მიუხედავად იმისა, წარიმართება თუ არა ეს ბიზნესი მხოლოდ არასრულწლოვანის სასარგებლოდ ანდა – ასევე სხვა პირთა სასარგებლოდაც.

– 2. რაიონული სასამართლოს ნებართვის გარეშე მეურვეს არა აქვს უფლება, დაუყოფადად დატოვოს ის უძრავი ქონება, რომლის მიღებაზეც უფლებამოსილია არასრულწლოვანი.

მუხლი 1:352 ნებართვის არარსებობა

მეურვის მიერ 1:350 ან 1:351 მუხლების შესაბამისად მოთხოვნილი ნებართვის გარეშე განხორციელებული მოქმედებები მაინც ნამდვილად ჩაითვლება.

მუხლი 1:353 ნებართვის არარსებობა

რაიონული სასამართლოს ნებართვის გარეშე მეურვე ვერ იტყვის უარს მეუღლეთა გაუქმებულ საერთო საკუთრებაში იმ წილზე, რომლის მიღებაზეც უფლებამოსილია არასრულწლოვანი.

მუხლი 1:354 მეურვის ზეპირი მოსმენა

რაიონულ სასამართლოს ნებისმიერ დროს შეუძლია მოინვიოს მეურვე სასამართლოში მისი გამოკითხვის მიზნით. მეურვე მოვალეა, რაიონულ სასამართლოს მიაწოდოს ნებისმიერი მისთვის მოთხოვნილი ინფორმაცია.

მუხლი 1:355 არასრულწლოვანის ქონების ინვენტარიზაციის ჩატარება იმ შემთხვევაში, როდესაც მისი მშობელი ხელახლა ქორწინდება

– 1. როდესაც მშობელს, რომელიც წინა ქორწინებაში დაბადებული არასრულწლოვანი შვილების მიმართ ახორციელებს მშობლის უფლებამოსილებას ანდა რომელსაც ექსკლუზიური უფლება აქვს წინა ქორწინებაში დაბადებული არასრულწლოვანი შვილების ქონების მართვაზე, განზრახული აქვს ხელახ-

ლა დაქორწინება ან რეგისტრირებულ პარტნიორობაში შესვლა ახალ პარტნიორთან, რაიონულ სასამართლოს შეუძლია დაადგინოს, რომ მშობელმა ჩაატაროს შვილების ქონების ინვენტარიზაცია და ამ ინვენტარიზაციის აქტი ან მისი დამონმებული ასლი კონკრეტული თარიღისათვის წარუდგინოს რაიონული სასამართლოს რეესტრს.

– 2. შესაბამისად გამოიყენება 1:339, 1:340 და 1:341 მუხლები.

მუხლი 1:356 რაიონული სასამართლოს მითითებები და ნებართვები

– 1. რაიონული სასამართლო წინამდებარე ქვეგანყოფილებაში აღწერილ მითითებებსა და ნებართვებს იძლევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვანის ინტერესებში ეს აღმოჩნდება აუცილებელი, სასარგებლო ან სასურველი. სასამართლოს შეუძლია გასცეს კონკრეტული ან ზოგადი ნებართვა იმ პირობებზე, რასაც ის სასარგებლოდ ჩათვლის.

– 2. რაიონულ სასამართლოს ნებისმიერ დროს შეუძლია გააუქმოს მიცემული მითითებები ან ნებართვა ანდა – შეცვალოს მათთან დაკავშირებული პირობები.

მუხლი 1:357 სამართლებრივი ზომების განხორციელების ხარჯები

თუ სასამართლოს განკარგულების შესაბამისად არასრულწლოვანის სახელით მიღებული ზომების განხორციელების ხარჯები უნდა გაიღოს არასრულწლოვანმა, ანდა – თუ მეურვეს აღნიშნულის შედეგად უნევს არასრულწლოვანის ქონების გამოყენება, მაშინ მეურვეს არ ესაჭიროება 1:345 მუხლში მითითებული რაიონული სასამართლოს ნებართვა არასრულწლოვანის აქტივების გადაცემისათვისა თუ უფლებრივი დატვირთვისათვის, თუმცა, აღნიშნულის ნაცვლად, რაიონულ სასამართლოს შეუძლია განსაზღვროს არასრულწლოვანის ის აქტივები, რომლებიც დაექვემდებარება გაყიდვას ან შეზღუდული სანივთო უფლებით დატვირთვას ფინანსური სახსრების მიღების მიზნით.

მუხლი 1:358 მეურვის მიერ განუხლები ხარჯების ანაზღაურება და მისთვის კომპენსაციის თანხის გადახდა

– 1. მეურვეს შეუძლია არასრულწლოვანს დააკისროს ყველა აუცილებელი, სათანადო და გამართლებული ხარჯის ანაზღაურება.

– 2. როდესაც რაიონულმა სასამართლომ განსაზღვრა ის თანხა, რომელიც ყოველწლიურად შეიძლება დაიხარჯოს არასრულწლოვანზე ზრუნვისა და მისი აღზრდისათვის ანდა მისი ქონების მართვის ხარჯების გასაწევად, მეურვეს არ ეკისრება დეტალური ანგარიშის წარდგენა ამ თანხის ხარჯვის საკითხთან დაკავშირებით.

– 3. რაიონულ სასამართლოს შეუძლია მიანიჭოს მეურვეს არასრულწლოვანისაგან კომპენსაციის თანხის მიღების უფლება, თუ ის მიიჩნევს, რომ ეს გონივრულია იმის გათვალისწინებით, თუ რა ინტენსივობითაც არასრულწლოვანის ქონების მართვა მეურვისათვის ქმნის გარკვეულ ტვირთს. ამ ვითარებასთან ერთად, მეურვეს არ შეუძლია თავის სასარგებლოდ არასრულწლოვანს დააკისროს ნებისმიერი საკომპენსაციო თანხის ანაზღაურება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი საზღაურის მიღების უფლება მას ენიჭება იმ დოკუმენტით, რომლითაც არასრულწლოვანის მშობელმა ის დანიშნა მეურვედ.

მუხლი 1:359 პერიოდულად წარსადგენი ანგარიში იმ პროცედურასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც მეურვემ განხორციელა თავისი მართვის უფლება

– 1. რაიონულ სასამართლოს სხვა მეურვის მოთხოვნის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით ნებისმიერ დროს შეუძლია მეურვეს დააკისროს არასრულწლოვანის ქონების მართვის შესახებ ანგარიშის წარდგენა ყოველწლიურად ან ყოველ ორ ან სამ წელიწადში წერილობითი მოხსენების სასამართლოს რეესტრისათვის გაგზავნით.

– 2. ქონების მართვის შესახებ წერილობითი ანგარიშის წარდგენის თარიღს ადგენს რაიონული სასამართლო.

– 3. თუ ერთობლივი მეურვეობის შემთხვევაში ქონების მართვის შესახებ წერილობითი ანგარიში წარადგინა მხოლოდ ერთ-ერთმა მეურვემ, მაშინ მან ერთდროულად ამ ანგარიშის ასლი უნდა გაუგზავნოს მეორე მეურვესაც. თუ მეორე მეურვე არ ეთანხმება წარმოდგენილ ანგარიშს, მას შეუძლია ორი თვის ვადაში მის საწინააღმდეგოდ სასამართლოში წარადგინოს პროტესტი.

მუხლი 1:360 ქონების მართვის შესახებ ანგარიშის კორექტირება და შემოწმება

– 1. წარსადგენ ანგარიშთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრებების არსებობისას, რაიონულ სასამართლოს შეუძლია დაადგინოს ანგარიშის კორექტირების შესახებ.

- 2. წარმოდგენილი ანგარიშის შემოწმების მიზნით რაიონულ სასამართლოს შეუძლია დანიშნოს ერთი ან მეტი ექსპერტი.
- 3. რაიონულ სასამართლოს შეუძლია ამ შემოწმების ხარჯების ანაზღაურება სრულად ან ნაწილობრივ დააკისროს მეურვეს, თუ გამოიკვეთა ქონების სუსტი მართვის ფაქტი.
- 4. მეურვემ უნდა მიიღოს იმ წერილობითი მოხსენების დუბლიკატი, რომელსაც ექსპერტები სათანადო ვადაში წარუდგენენ რაიონულ სასამართლოს.
- 5. ერთობლივი მეურვეობის შემთხვევაში, ორივე მეურვემ უნდა მიიღოს პარ. 4-ში მითითებული დუბლიკატი, ხოლო რაიონულ სასამართლოს შეუძლია პარ. 2-ში მითითებული ხარჯების ანაზღაურება დააკისროს ორივე მეურვეს ერთობლივად.

მუხლი 1:361 წერილობითი ანგარიშების შენახვა

მეურვის მიერ პერიოდულად წარდგენილი ქონების მართვის შესახებ ანგარიშები ანდა მათი დამოწმებული ასლები რჩება რაიონული სასამართლოს რეესტრს.

მუხლი 1:362 პასუხისმგებლობა არაჯეროვანი მართვისათვის

რაიონულ სასამართლოს სხვა მეურვის მოთხოვნის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით შეუძლია განსაზღვროს ის ზიანი, რომელიც წარდგენილი ანგარიშის მონაცემების შესაბამისად მიყენებულ იქნა არასრულწლოვანისათვის მეურვის მხრიდან ქონების არაჯეროვანი მართვის შედეგად და დააკისროს ამ მეურვეს აღნიშნული ზიანის ანაზღაურება.

მუხლი 1:363 მეურვის მიერ უზრუნველყოფის წარდგენა

- 1. რაიონულ სასამართლოს ნებისმიერ დროს შეუძლია დაადგინოს, რომ მეურვემ წარადგინოს უზრუნველყოფა მის მიერ ქონების მართვის უფლების განხორციელებისათვის. ის ადგენს უზრუნველყოფის ოდენობასა და სახეს. საფონდო ბირჟაზე გატანილ მეურვის კუთვნილ საწარმდგენლო ფასიან ქალაქებზე გირავნობა დგინდება შესაბამისი ქარალდებისა და დოკუმენტების ჰოლანდიის ცენტრალურ ბანკში (Nederlandsche Bank N.V.) განთავსებით.
- 2. რაიონული სასამართლო ადგენს გონივრულ ვადას, რომლის განმავლობაშიც მეურვემ უნდა დაუმტკიცოს სასამართლოს, რომ მან წარადგინა საჭირო უზრუნველყოფა.
- 3. რაიონულ სასამართლოს შეუძლია მეურვეს დართოს წარდგენილი უზრუნველყოფის სხვა სახის უზრუნველყოფით შეცვლის ნება. თუ მეურვის ინტერესები უთუოდ ითხოვს იმას, რომ უზრუნველყოფის წარდგენის ვალდებულება აღარ არსებობდეს ანდა თუ უზრუნველყოფის წარდგენა აღარ არის აუცილებელი, მაშინ რაიონულ სასამართლოს შეუძლია მეურვეს მიანიჭოს უფლებამოსილება, არასრულწლოვანის სახელით გააუქმოს წარდგენილი უზრუნველყოფა.

მუხლი 1:364 უზრუნველყოფის წარდგენის ვალდებულების შეწყვეტა

- 1. მეურვეზე დაკისრებული უზრუნველყოფის წარდგენის ვალდებულება წყდება იმ მომენტიდან, როდესაც მეურვის მიერ ქონების მართვის შესახებ ანგარიში მოწონებულ იქნა ანდა – იმ მომენტიდან, როდესაც მეურვის მხრიდან ქონების მართვის უფლების განხორციელებასთან დაკავშირებული არასრულწლოვანის კუთვნილი სასარჩელო მოთხოვნა 1:377 მუხლის თანახმად ხანდაზმული გახდა.
- 2. აღნიშნულ შემთხვევაში სახელმწიფო რეესტრში სასესხო დავალიანების უზრუნველყოფისათვის არსებული იპოთეკებისა და გირავნობების შესახებ ჩანაწერების ამოშლა ხორციელდება არასრულწლოვანის ხარჯზე.

მუხლი 1:365 უზრუნველყოფის წარდგენის ვალდებულების შეწყვეტა

- თუ მეურვე აგვიანებს:
- a. რაიონულ სასამართლოში გამოცხადების მოთხოვნაზე პასუხის გაცემას;
 - b. არასრულწლოვანის ქონების ინვენტარიზაციის აქტის ან განცხადების წარდგენას, როგორც ეს მითითებულია 1:339 მუხლში;
 - c. მის მიერ განხორციელებული ქონების მართვის შესახებ პერიოდული ანგარიშის წარდგენას რაიონული სასამართლოს მიერ ამ მიზნით განსაზღვრული თარიღისათვის;
 - d. არასრულწლოვანის კუთვნილი საშემნახველო ანგარიშის დოკუმენტაციის, მონეტების, ბანკნოტებისა და ფონდო ბირჟაზე გატანილი საწარმდგენლო ფასიანი ქალაქების შენახვას, რომელთა განთავსე-

ბაც მეურვემ არ მოახდინა არასრულწლოვანის სახელზე სამართლებრივად მოთხოვნილი წესით;

e. რაიონული სასამართლოსათვის საჭირო უზრუნველყოფის წარდგენის მტკიცებულების წარდგენას;

ან

f. იმ ზიანის ანაზღაურებას, რომელიც მას რაიონულმა სასამართლომ დააკისრა 1:362 მუხლის შესაბამისად,

რაიონულ სასამართლოს შეუძლია შეატყობინოს ამის შესახებ ბავშვის ინტერესების დაცვის საბჭოს.

მუხლი 1:366 მეურვის მხრიდან ქონების არაჯეროვანი მართვის ფაქტის შესახებ ბავშვის ინტერესების დაცვის საბჭოსათვის შეტყობინება

იგივე წესით, როგორც ეს გათვალისწინებულია წინა მუხლში, რაიონულ სასამართლოს შეუძლია ბავშვის ინტერესების დაცვის საბჭოს შეატყობინოს იმ ფაქტის შესახებ, რომ:

a. მეურვემ იმ ვითარებაში, რომელშიც მას ესაჭიროება რაიონული სასამართლოს ნებართვა, განახორციელა ქონების მართვის უფლება ასეთი ნებართვის გარეშე;

b. მეურვე, როგორც ჩანს, არასანდო ან დაუდევარია ანდა ქონების მართვის უფლების გამოყენებისას ბრალეულია თავისი უფლებამოსილებების ბოროტად გამოყენებაში.

მუხლი 1:367 მეურვეობის შესაძლო გაუქმება

მას შემდეგ, როდესაც რაიონულმა სასამართლომ შეატყობინა ბავშვის ინტერესების დაცვის საბჭოს წინა ორ მუხლში აღნიშნული ფაქტი, ეს უკანასკნელი შეამოწმებს არასრულწლოვანის მიმართ მეურვის სხვა მოქმედებებსაც და, შესაბამისად, აღნიშნული შეტყობინებიდან ექვსი კვირის განმავლობაში შეკითხვით მიმართავს რაიონულ სასამართლოს, უნდა გათავისუფლდეს თუ არა მეურვე მასზე დაკისრებული უფლებამოსილების განხორციელებისაგან 1:327 მუხლის პარ. 1 (b) პუნქტის საფუძველზე.

მუხლი 1:368 {გაუქმებულია 02. 11. 1995წ.}

მუხლი 1:369 მეურვეობის ქვეშ მყოფი ორი ან მეტი არასრულწლოვანის საერთო აქტივები

– 1. როდესაც სხვადასხვა მეურვეთა მეურვეობის ქვეშ მყოფი ორი ან მეტი არასრულწლოვანი ერთობლივად არის უფლებამოსილი განსაზღვრულ ქონებაზე, იმ რაიონულ სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც განთავსებულია ერთ-ერთი არასრულწლოვანის დომიცილი, შეუძლია განსაზღვროს ერთ-ერთი მეურვე ან მესამე პირი აღნიშნული ქონების მართვისათვის დაცვითი მართვის დადგენის ძალით მანამდე, სანამ ერთობლივი აქტივები არ განაწილდება (დაიყოფა). განსაზღვრული ქონების მმართველი წარადგენს ისეთ უზრუნველყოფას, როგორსაც სასამართლო ითხოვს მისგან.

– 2. თუ პარ. 1-ში განსაზღვრულ საკითხთან დაკავშირებით განსჯადია რამდენიმე სასამართლო და ერთ-ერთმა მათგანმა უკვე დაადგინა თავისი იურისდიქცია, მაშინ სხვა სასამართლოები კარგავენ ასეთი საქმის განხილვის კომპეტენციას.

– 3. მეურვის მიერ არასრულწლოვანის ქონების მართვის უფლების მომწესრიგებელი კანონისმიერი ნორმები შესაბამისად გამოიყენება პარ. 1-ში მითითებული საერთო საკუთრების დაცვითი მართვის მიმართ. როდესაც ნებისმიერმა არასრულწლოვანმა დადო დაცვითი მართვის ქვეშ არსებულ საერთო აქტივების მართვასთან დაკავშირებული გარიგება ანდა – ისეთი გარიგება, რომელიც აუცილებლად გულისხმობს ასეთი საერთო აქტივების გადაცემას ან უფლებრივ დატვირთვას, ზემოაღნიშნულ მმართველს უფლება აქვს, ყველა სხვა პირის გამორიცხვით, გააბათილოს ამგვარი საცილო გარიგება.

მუხლი 1:370 არასრულწლოვანის ქონების დაცვითი მართვის დადგენა

– 1. თუკი რაიონული სასამართლო ჩათვლის, რომ ეს ბავშვის საუკეთესო ინტერესებშია, მას მეურვის მოთხოვნის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით შეუძლია არასრულწლოვანის ქონება, მისი სარგებლის (ნაყოფის) ჩათვლით, სრულად ან ნაწილობრივ განათავსოს დაცვითი მართვის ქვეშ მანამდე, სანამ არასრულწლოვანი არ მიაღწევს სრულწლოვანების ასაკს. ერთობლივი მეურვეობის შემთხვევაში, რაიონულ სასამართლოს შეუძლია დაადგინოს ასეთი დაცვითი მართვა მხოლოდ ორივე მეურვის ერთობლივი მოთხოვნის საფუძველზე.

– 2. რაიონულმა სასამართლომ უნდა დანიშნოს მმართველი და განსაზღვროს იმ საზღაურის ოდენობა, რაზეც ეს უკანასკნელი იქნება უფლებამოსილი. დაცვითი მართვის დადგენისას რაიონულ სასამართლოს შეუძლია დაადგინოს, რომ მეურვემ უნდა აუნაზღაუროს არასრულწლოვანს სრულად ან ნაწილობრივ და-

ცვლით მართვით გამოწვეული ხარჯები და რომ მეურვემ, მმართველის მიმართ რეგრესული უფლების წარდგენის უფლების შეზღუდვის გარეშე, პასუხი აგოს არასრულწლოვანის წინაშე იმ პროცედურისათვის, რომლის მიხედვითაც მმართველმა განახორციელა თავისი მოვალეობა. ერთობლივი მეურვეობის შემთხვევაში, რაიონულმა სასამართლომ აღნიშნული ვალდებულებები უნდა დააკისროს ორივე მეურვეს.

– 3. მეურვის მიერ არასრულწლოვანის ქონების მართვის უფლების მომწესრიგებელი კანონისმიერი ნორმები შესაბამისად გამოიყენება წინამდებარე მუხლში მითითებული დაცვითი მართვის მიმართ. როდესაც არასრულწლოვანმა დადო დაცვითი მართვის ქვეშ არსებული აქტივების მართვასთან დაკავშირებული გარიგება ანდა – ისეთი გარიგება, რომელიც აუცილებლად გულისხმობს ასეთი აქტივების გადაცემას ან უფლებრივ დატვირთვას, მმართველი უფლებამოსილია, ყველა სხვა პირის გამორიცხვით, გააბათილოს ამგვარი საცილო გარიგება.

– 4. რაიონული სასამართლო განსაზღვრავს, თუ რა სახის ფულადი შემწეობები უნდა გადაუხადოს მმართველმა მეურვეს დაცვითი მართვის ქვეშ არსებული ქონებიდან, ხოლო ერთობლივი მეურვეობის შემთხვევაში კი, ორივე მეურვეს არასრულწლოვანზე ზრუნვისა და მისი აღზრდისათვის ანდა – არასრულწლოვანის იმ ქონების მართვისათვის, რომელიც არ იმყოფება დაცვითი მართვის ქვეშ. რაიონულ სასამართლოს მეურვის ან მმართველის მოთხოვნის საფუძველზე ანდა საკუთარი ინიციატივით ნებისმიერ დროს შეუძლია შეცვალოს სასამართლოს ასეთი განკარგულებები.

– 5. მმართველი ვალდებულია რაიონულ სასამართლოს წარუდგინოს მისგან მოთხოვნილი ნებისმიერი ინფორმაცია.

– 6. ყოველწლიურად და ასევე დაცვითი მართვის დასრულებისთანავე მმართველმა რაიონული სასამართლოს წინაშე შესაბამისი ანგარიში უნდა წარუდგინოს მეურვეს, ხოლო ერთობლივი მეურვეობის შემთხვევაში კი, – ორივე მეურვეს, ანდა როდესაც არასრულწლოვანმა მიაღწია სრულწლოვანების ასაკს, – მაშინ ამ უკანასკნელს, ხოლო თუ არასრულწლოვანი გარდაიცვალა, მაშინ – მის მემკვიდრეებს.

– 7. წარდგენილ ანგარიშთან დაკავშირებული დავები წყდება რაიონული სასამართლოს მიერ.

– 8. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 771-ე და შემდეგი მუხლები გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ერთ-ერთი ვალდებული მხარე არ იღებს ანგარიშის წარდგენის პროცესში მონაწილეობას.

– 9. რაიონულ სასამართლოს მმართველის ან მეურვის მოთხოვნის საფუძველზე ანდა საკუთარი ინიციატივით ნებისმიერ დროს შეუძლია შეწყვიტოს დაცვითი მართვა ანდა გაათავისუფლოს მმართველი მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებისაგან და ჩაანაცვლოს ის ვინმე სხვა პირით.

მუხლი 1:371 მეურვის დომიცილის შეცვლის შესახებ შეტყობინება

მეურვე ვალდებულია რაიონული სასამართლოს რეგისტრატორს შეატყობინოს მის დომიცილთან დაკავშირებული ყოველი ცვლილება.

მუხლი 1:371a სასამართლოს მდივნის მოვალეობა მეურვის მიერ სხვა რაიონში გადასვლის ფაქტთან დაკავშირებით

– 1. რაიონული სასამართლოს მდივანი, რომელმაც მოახდინა მეურვის დანიშვნა, დაუყოვნებლივ ატყობინებს ამ დანიშვნის შესახებ იმ ქვემდგომ რაიონულ სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც განთავსებულია მეურვის დომიცილი.

– 2. როდესაც მეურვეს აღარ აქვს თავისი დომიცილი შესაბამის ტერიტორიაზე ანდა როდესაც მას ანაცვლებს ის მეურვე, რომელიც ცხოვრობს სხვა რაიონში, რაიონული სასამართლოს მდივანი მის მეურვეობასთან დაკავშირებულ ყველა დოკუმენტს დაუყოვნებლივ უგზავნის იმ რაიონული სასამართლოს რეგისტრატორს, სადაც განთავსებულია მეურვის ან მომდევნო მეურვის დომიცილი ამ უკანასკნელთან სახლის მისამართის მითითებით.

ქვეგანყოფილება 1.14.6.11 – ანგარიშის წარდგენა მეურვეობის შეწყვეტის შემდეგ

მუხლი 1:372 განხორციელებული მართვის შესახებ ანგარიშის წარდგენა

დაუყოვნებლივ ქონების მართვის დასრულების შემდეგ, მეურვემ უნდა წარადგინოს ანგარიში. ამ ანგარიშის წარდგენის ხარჯებს ფარავს მეურვე. თუმცა, აღნიშნული ხარჯები ეკისრება არასრულწლოვანს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქონების მართვის შეწყვეტა მოხდა მეურვის მასზე დაკისრებული უფლებამოსილების განხორციელებისაგან გაათავისუფლებით. იმდენად, რამდენადაც ხარჯების

ანაზღაურება ვერ ხერხდება არასრულწლოვანის ქონებიდან, ისინი ეკისრება არასრულწლოვანის მშობლებს, ხოლო თუ ამ ხარჯების ანაზღაურება ვერ მოხერხდება ასევე არასრულწლოვანის მშობლების ქონებიდანაც, – მაშინ ისინი ეკისრება სახელმწიფოს.

მუხლი 1:373 პირები, ვისაც უნდა წარედგინოს ანგარიში

– 1. მეურვემ მის მიერ ქონების მართვის ანგარიში უნდა წარუდგინოს მეურვეობაში მყოფ ბავშვს ამ უკანასკნელის სრულწლოვანების ასაკის მიღწევითანავე ან მის მემკვიდრეებს ანდა – ქონების მართვაში მეურვის უფლებამონაცვლეს.

– 2. თუ შეწყდა ერთობლივი მეურვეობა, რის შედეგადაც არასრულწლოვანის მიმართ უფლებამოსილება ერთ-ერთი მეურვის მიერ დამოუკიდებლად ხორციელდება, მაშინ მეურვე, რომლის მეურვეობის უფლებაც შეწყდა, მის მიერ განხორციელებული მართვის ანგარიშს წარუდგენს იმ მეურვეს, რომელიც მომავალში დამოუკიდებლად გააგრძელებს მეურვეობას.

მუხლი 1:374 ანგარიშის წარდგენა რაიონული სასამართლოს წინაშე

– 1. მეურვემ, რომლის მეურვეობაც შეწყდა, შესაბამისი ანგარიში უნდა წარუდგინოს იმ რაიონულ სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც განთავსებულია მისი დომიცილი.

– 2. წარდგენილ ანგარიშთან დაკავშირებული დავები წყდება რაიონული სასამართლოს მიერ.

– 3. იმ შემთხვევაში, როდესაც ერთ-ერთი ვალდებული მხარე არ იღებს ანგარიშის წარდგენის პროცესში მონაწილეობას, გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 771-ე და შემდეგი მუხლები.

მუხლი 1:375 მეურვესთან ერთად ან მის მიმართ ბავშვის მიერ მას შემდეგ დადებული საცილო გარიგებები, როდესაც ის გახდა სრულწლოვანი

საცილოა გარიგება, რომელიც სრულწლოვანმა ბავშვმა დადო ყოფილ მეურვესთან ან მის მიმართ შეწყვეტილი მეურვეობის ანდა ამ მეურვეობასთან დაკავშირებული ანგარიშის თაობაზე; საცილოობის ამ საფუძვლის მითითება შესაძლებელია მხოლოდ იმ ბავშვის მხრიდან, რომელმაც მიაღწია სრულწლოვანების ასაკს.

მუხლი 1:376 მეურვის მიმართ არასრულწლოვანის ვალზე პროცენტის დარიცხვის დაუშვებლობა

მეურვეობის შეწყვეტის მომენტისათვის მეურვის მიმართ არსებულ არასრულწლოვანის დავალიანების თანხას არ ერიცხება საპროცენტო სარგებელი მანამდე, სანამ ანგარიშის წარდგენის დასრულების შემდეგ არასრულწლოვანი არ აღმოჩნდება აღნიშნული ვალდებულებების შესრულების ვადაგადაცილებაში.

მუხლი 1:377 ხანდაზმულობა

იმ საკითხთან დაკავშირებით, თუ როგორ განხორციელდა მეურვეობის დროს ქონების მართვა, არასრულწლოვანის ან მეურვის ნებისმიერი სასარჩელო მოთხოვნა ხანდაზმული ხდება ხუთი წლის ვადის გასვლისას იმ დღიდან, როდესაც შეწყდა შესაბამისი მეურვის მეურვეობა.

ტიტული 1.15 – ბავშვთან კონტაქტის უფლება და ინფორმაციის მიწოდება

მუხლი 1:377a ბავშვთან კონტაქტის უფლება და მონახულების პირობები

– 1. ბავშვს აქვს კონტაქტის უფლება {მონახულების უფლება} თავის მშობლებთან და ასევე იმ პირებთან, ვისთანაც მას ახლო პირადი ურთიერთობა აქვს. იმ მშობელს, რომელსაც არ გააჩნია ბავშვის მიმართ მშობლის უფლებამოსილება, აქვს თავის შვილთან კონტაქტის უფლება და ვალდებულებაც.

– 2. ორივე მშობლის ან ერთ-ერთი მათგანის მოთხოვნის საფუძველზე ანდა იმ პირთა მოთხოვნის საფუძველზე, ვისთანაც ბავშვს ახლო პირადი ურთიერთობა აქვს, სასამართლომ უნდა დაადგინოს ბავშვთან კონტაქტის უფლება („მონახულების პირობები“) განსაზღვრულ პერიოდში ან ასეთი პერიოდის დადგენის გარეშე, ანდა – სასამართლომ უარი უნდა თქვას განსაზღვრულ პერიოდში ან ასეთი პერიოდის დადგენის გარეშე კონტაქტის უფლების მინიჭებაზე.

– 3. სასამართლომ უარი უნდა თქვას კონტაქტის უფლების მინიჭებაზე, თუ:

a. ასეთი კონტაქტი მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებდა ბავშვის გონებრივ ან ფიზიკურ განვითარებას, ან;

- b. მშობელი ან ის პირი, ვისთანაც ბავშვს ახლო პირადი ურთიერთობა აქვს, აშკარად ქმედუუნაროა ანდა ცალსახად არ არის ისეთ მდგომარეობაში, რომ იქონიოს ბავშვთან კონტაქტი, ან;
- c. ბავშვმა, რომელმაც მიაღწია თორმეტი წლის ასაკს, სასამართლოში მათ ზეპირ მოსმენაზე განაცხადა, რომ ის არსებითად წინააღმდეგია თავის მშობელთან ან იმ პირთან კონტაქტისა, ვისთანაც მას ახლო პირადი ურთიერთობა აქვს, ანდა;
- d. სხვაგვარად ასეთი კონტაქტი ბავშვის მნიშვნელოვანი ინტერესების საწინააღმდეგო იქნება.

მუხლი 1:377b ინფორმირება და კონსულტაციის განწვევა

- 1. იმ მშობელმა, რომელსაც დაეკისრა ბავშვის მიმართ მშობლის უფლებამოსილების განხორციელება, უნდა შეატყობინოს ამ უფლებამოსილების არმქონე მშობელს ბავშვის პიროვნებასა და ქონებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები და გაუწიოს ასევე ამ მშობელს კონსულტაცია – აუცილებლობის შემთხვევაში, მესამე პირთა მეშვეობით – აღნიშნულ საკითხებზე მისაღებ გადანყვეტილებთან დაკავშირებით. მშობლის მოთხოვნით სასამართლოს შეუძლია ამ მიზნის მისაღწევად მიიღოს ასევე შესაბამისი ზომებიც.
- 2. თუ ბავშვის ინტერესები ამას ითხოვს, სასამართლოს შეუძლია მშობლის უფლებამოსილების განხორციელებელი მშობლის მოთხოვნის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით დაადგინოს, რომ წინამდებარე მუხლის პარ. 1-ის ნორმები არ იქნეს გამოყენებული.
- 3. შესაბამისად გამოიყენება 1:377e მუხლი.

მუხლი 1:377c პროფესიონალი მესამე პირების მიერ მოსაწოდებელი ინფორმაცია

- 1. 1:377b მუხლის ნორმათა მოქმედების შეზღუდვის გარეშე, მშობლის უფლებამოსილების არმქონე მშობელს სურვილის შემთხვევაში შეუძლია მესამე პირებისაგან მიიღოს ბავშვის პიროვნებასა თუ მასზე ზრუნვასა და აღზრდასთან დაკავშირებული ფაქტებისა და გარემოებების შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რაც ხელთ აქვთ მესამე პირებს მათი პროფესიული საქმიანობის გამო, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს მესამე პირები ანალოგიურად არ მიაწვდიდნენ ამ ინფორმაციას იმ პირს, ვინც ახორციელებს ბავშვის მიმართ მშობლის უფლებამოსილებას ან იმ პირს, რომლის მისამართზეც განთავსებულია ბავშვის საცხოვრებელი ადგილი, ასევე – გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი ინფორმაციის მიწოდება არ ემსახურება ბავშვის ინტერესების დაკმაყოფილებას.
- 2. თუ ინფორმაციის მიწოდებაზე მესამე პირებმა თქვეს უარი, სასამართლოს პარ. 1-ში მითითებული მშობლის მოთხოვნის საფუძველზე შეუძლია დაადგინოს, რომ ინფორმაციის მიწოდება მოხდეს სასამართლოს განკარგულებაში ამ მიზნით გათვალისწინებული წესით. სასამართლომ ნებისმიერ შემთხვევაში უარი უნდა განაცხადოს ასეთი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, თუ ამ ინფორმაციის მიწოდება ბავშვის ინტერესების საწინააღმდეგო იქნება.

მუხლი 1:377d ბავშვთან კონტაქტის უფლების (მშობლის მიერ ბავშვის მონახულების უფლების) განხორციელების დაწყება

- 1. მიუხედავად წინამდებარე მუხლის პარ. 2-ის ნორმებისა, ბავშვთან კონტაქტის უფლების განხორციელება იწყება იმ მომენტიდან, როდესაც შესაბამისი სასამართლოს განკარგულება შევიდა კანონიერ ძალაში და გახდა მბოჭავი, ხოლო თუ ეს განკარგულება დაექვემდებარა დაუყოვნებელ იძულებით აღსრულებას მისი გადაცემიდან ან გაგზავნიდან მეორე დღეს.
- 2. თუ ასევე გაცემულია ან გაიცა ბავშვის მიმართ მშობლის უფლებამოსილების შესახებ სასამართლოს განკარგულება, კონტაქტის უფლების განხორციელება იწყება არაუადრეს იმ მომენტისა, როდესაც მეორე მშობელი ან მეურვე შეუდგა თავისი უფლებამოსილების განხორციელებას.

მუხლი 1:377e ბავშვთან კონტაქტის მიზნით სასამართლოს განკარგულების ან მონახულების პირობების შეცვლა

ორივე მშობლის ან ერთ-ერთი მათგანის მოთხოვნის საფუძველზე ანდა იმ პირთა მოთხოვნის საფუძველზე, ვისთანაც ბავშვს ახლო პირადი ურთიერთობა აქვს, სასამართლოს შეუძლია შეცვალოს ბავშვთან კონტაქტის უფლება და მშობლების მიერ ორმხრივად დადგენილი მონახულების პირობები შესაბამისი გარემოებების შეცვლის შედეგად ანდა – იმის გამო, რომ აღნიშნული განკარგულება მიღებულ იქნა უზუსტო ან არასრული ინფორმაციის საფუძველზე.

მუხლი 1:377f {გაუქმებულია 01.03.2009წ.}

მუხლი 1:377g არასრულწლოვანს თავადაც შეუძლია სთხოვოს სასამართლოს კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღება

სასამართლოს შეუძლია საკუთარი ინიციატივით 1:377a, 1:377b ან 1:377f მუხლების საფუძველზე მიიღოს განკარგულება ანდა 1:377e მუხლის ძალით შეცვალოს ადრე მიღებული სასამართლოს განკარგულება, თუ ბავშვმა მას მიუთითა, რომ აღნიშნული სასურველი იქნებოდა. იგივე წესი მოქმედებს, თუ არასრულწლოვანს ჯერ არ მიუღწევია თორმეტი წლის ასაკისათვის, თუმცადა ის შესაძლოა ამ საკითხთან დაკავშირებით თავისი ინტერესების გონივრულად შეფასების შემძლე იქნეს მიჩნეული.

მუხლი 1:377h {გაუქმებულია 01.03.2009წ.}

ტიტული 1.16 – ზრდასრული პირების მეურვეობა

მუხლი 1:378 ზრდასრული პირების მეურვეობის დადგენის საფუძველები

– 1. ზრდასრული პირი შეიძლება რაინული სასამართლოს მიერ განთავსდეს მეურვეობის ქვეშ იმ შემთხვევაში, როდესაც დროებით ან მყარად ვერ ახერხებს თავისი ინტერესების სათანადო დაცვას ანდა როდესაც ის დროებით ან მყარად საფრთხეს უქმნის საკუთარ თუ სხვა პირთა უსაფრთხოებას:

a. თავისი ფიზიკური ან გონებრივი მდგომარეობის გამო;

b. ალკოჰოლური სასმელებისა თუ ნარკოტიკული საშუალებების ბოროტად გამოყენების შედეგად; და შეუძლებელია აღნიშნული ინტერესების სათანადო დაცვა უფრო შესაფერისი საშუალებებითა და ნაკლებად რადიკალური ზომებით;

c. ალკოჰოლური სასმელების ბოროტად გამოყენების გამო, რომლის შედეგადაც:

1° სათანადოდ არ ხდება ზრდასრული პირის ინტერესების დაცვა;

2° ეს პირი სისტემატურად საჯაროდ სჩადის სამართალდარღვევებს, ან

3° ის საფრთხეს უქმნის საკუთარ ან სხვა პირთა უსაფრთხოებას.

– 2. თუ მოსალოდნელია, რომ ზრდასრული პირების მეურვეობისათვის დადგენილი ერთ-ერთი საფუძველთაგანი გამოყენებული იქნება არასრულწლოვანის მიმართ იმ მომენტში, როდესაც ის მიაღწევს სრულწლოვანების ასაკს, მაშინ ზრდასრული პირების მეურვეობის დადგენის შესახებ განკარგულება შეიძლება გაცემულ იქნეს უკვე არასრულწლოვანის მიერ ზრდასრულობის ასაკის მიღწევამდეც.

– 3. როდესაც სასამართლოში მიმდინარეობს საქმის წარმოება დროებითი ან პირობითი ნებართვის, სამედიცინო შემოწმების ნებართვის, ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში მიღების შესახებ კანონის საფუძველზე გრძელვადიანი განთავსების ნებართვისა თუ ამ კანონის 33-ე მუხლის პირველი პარაგრაფით გათვალისწინებული ნებართვის მიღებასთან დაკავშირებით, სასამართლო განსჯადია ასევე შესაბამისი ზრდასრული პირის მეურვეობის ქვეშ განთავსების მოთხოვნის საკითხთან დაკავშირებითაც.

მუხლი 1:379 ზრდასრული პირების მეურვეობის განკარგულების მიღების მოთხოვნა

– 1. ზრდასრული პირის მეურვეობის მოთხოვნა შეუძლიათ შესაბამის ზრდასრულ პირს, მის მეუღლეს, რეგისტრირებულ პარტნიორს ან ცხოვრების სხვა თანამგზავს, მეოთხე ხარისხის ჩათვლით მის ერთ-ერთ პირდაპირი და გვერდითი ხაზის სისხლით ნათესავს, პირს, ვინც 1:253t ან 1:253SA მუხლების საფუძველზე ახორციელებს შესაბამისი ზრდასრული პირის მიმართ უფლებამოსილებას, მის იურიდიულ მეურვეს, ქონების მმართველს 1.19 ტიტულის გაგებით და 1.20 ტიტულით გათვალისწინებულ სამართლებრივ მენტორს.

– 2. გარდა აღნიშნულისა, ზრდასრული პირის მეურვეობის მოთხოვნა შეუძლიათ პროკურატურასა და იმ დაწესებულებას, რომლის მეთვალყურეობის ქვეშაც იმყოფება შესაბამისი ზრდასრული პირი ანდა რომელიც ახორციელებს ზრდასრული პირის მიმართ მზრუნველობას. ამ უკანასკნელ შემთხვევაში განცხადებაში ასევე მიეთითება, თუ რატომ არ წარადგინეს ასეთი განცხადება პარ. 1-ში ნახსენებმა პირებმა, გარდა მესამე და მეოთხე ხარისხის ჩათვლით პირდაპირი და გვერდითი ხაზის სისხლით ნათესავებისა.

მუხლი 1:380 დროებითი მართვა

– 1. სასამართლოს, სადაც იხილება განცხადება ზრდასრული პირის მეურვეობის დადგენის შესახებ

ანდა ასეთი განცხადება უკანასკნელ დროს იყო განხილვაში, შეუძლია მოთხოვნის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით დანიშნოს დროებითი მმართველი; სასამართლოს განკარგულებით უნდა განისაზღვროს თარიღი, რომლიდანაც შევა ძალაში აღნიშნული დროებითი მართვა.

- **2.** სასამართლომ თავის განკარგულებაში უნდა განსაზღვროს მმართველის უფლებამოსილებები. მას შეუძლია დაავალოს მმართველს ზრდასრული პირის კუთვნილი კონკრეტული აქტივებისა თუ ყველა აქტივის დროებითი მართვის განხორციელება. სასამართლოს შეუძლია მმართველს მიანიჭოს სხვა უფლებამოსილებებიც, თუმცა – არა ისეთი უფლებამოსილებები, რომლებიც არა აქვს მეურვეობის ქვეშ მყოფი ზრდასრული პირის იურიდიულ მეურვეს. რამდენადაც სასამართლომ სხვაგვარად არ მიუთითა, იმ ზრდასრულ პირს, რომლის მეურვეობის ქვეშ განთავსება იქნა მოთხოვნილი, მმართველის თანხმობის გარეშე არ შეუძლია როგორც აღნიშნული {დროებითი მართვის ქვეშ მყოფი} აქტივების მართვა ან განკარგვა, ისე ისეთი შეთანხმების დადება, რომელიც აუცილებლად გულისხმობს ამ აქტივების განკარგვას.

- **3.** სასამართლოს განკარგულება შეიძლება ითვალისწინებდეს ასევე იმასაც, რომ ზრდასრული პირის მიერ მმართველის დანიშვნის ფაქტის გამოქვეყნების შემდეგ ნაკისრი ვალების დაფარვა დროებითი მართვის ვადის განმავლობაში აღარ განხორციელდეს სამართავად გადაცემული ქონებიდან ანდა თუ აღნიშნულს მოჰყვება ზრდასრული პირის მეურვეობის განკარგულების მიღება, მაშინ ასეთი მეურვეობა ძალაშია და მოქმედებს.

- **4.** სასამართლოს, სადაც იხილება განცხადება ზრდასრული პირის მეურვეობის დადგენის შესახებ ანდა ასეთი განცხადება უკანასკნელ დროს იყო განხილვაში, შეუძლია ნებისმიერ დროს შეცვალოს ან გააუქმოს წინა მუხლში მითითებული სასამართლოს განკარგულება.

- **5.** მმართველი უფლებამოსილია საზღაურის მიღებაზე ამ მიზნით უშიშროებისა და იუსტიციის მინისტრის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.

მუხლი 1:381 ზრდასრული პირის მეურვეობისა და ქმედუნარობის დანყების მომენტი

- **1.** ზრდასრული პირის მეურვეობა ძალაშია სასამართლოს იმ განკარგულების მიღების დღიდან, რომლითაც ხდება ზრდასრული პირის მეურვეობის ქვეშ განთავსება. 1:378 მუხლის პარ. 2-ში მოცემულ ვითარებაში ზრდასრული პირის მეურვეობა ძალაში შედის იმ დღიდან, როდესაც შესაბამისი პირი აღწევს სრულწლოვანების ასაკს.

- **2.** აღნიშნული მომენტებიდან მეურვეობის ქვეშ მყოფი ზრდასრული პირი კარგავს იურიდიული მოქმედებების განხორციელების უნარს, რამდენადაც კანონი სხვაგვარად არ ითვალისწინებს.

- **3.** მეურვეობის ქვეშ მყოფ ზრდასრულ პირს მაინც რჩება იურიდიული მოქმედებების განხორციელების უნარი თავისი იურიდიული მეურვის თანხმობით იმდენად, რამდენადაც ამ უკანასკნელს თავად აქვს ასეთი იურიდიული მოქმედებების განხორციელების უფლებამოსილება მეურვეობის ქვეშ მყოფი ზრდასრული პირის სასარგებლოდ. იურიდიული მეურვეს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია თავისი თანხმობის გაცხადება, როდესაც ეს თანხმობა ეხება განსაზღვრული საკითხის ფარგლებში კონკრეტულ იურიდიულ მოქმედებას ან მოქმედებებს. განსაზღვრული საკითხის ფარგლებში იურიდიულ მოქმედებების განხორციელებაზე იურიდიული მეურვის თანხმობა უნდა იქნეს მიცემული წერილობით.

- **4.** 1:453 და 1:454 მუხლების შესაბამისად გამოიყენება მეურვეობის ქვეშ მყოფ ზრდასრულ პირზე ზრუნვის, მისი მოვლა-პატრონობის, მკურნალობისა და მხარდაჭერის საკითხებთან დაკავშირებით.

- **5.** მეურვეობის ქვეშ მყოფ ზრდასრულ პირს მაინც რჩება იმ ფულადი სახსრების განკარგვის უნარიანობა, რომლებიც მას მისმა იურიდიულმა მეურვემ განსაკარგავად გადასცა ცხოვრების ხარჯების დაფარვის მიზნით იმ პირობით, რომ მეურვეობის ქვეშ მყოფი ზრდასრული პირი ამ ფულად სახსრებს სწორედ აღნიშნული მიზნით გამოიყენებს.

- **6.** თავის მეურვეობასთან დაკავშირებულ სასამართლო დავებში ზრდასრულ პირს აქვს სასამართლოში მოქმედებისა და სასამართლოს განკარგულების გასაჩივრების უნარი.

მუხლი 1:382 საოჯახო სამართლით გათვალისწინებული მოქმედებების განხორციელება

აღკოპოლური სასმელებისა თუ ნარკოტიკული საშუალებების ბოროტად გამოყენების გამო მეურვეობის ქვეშ მყოფ ზრდასრულ პირს მაინც რჩება საოჯახო სამართლით გათვალისწინებული მოქმედებების განხორციელების უნარი, რამდენადაც კანონი სხვაგვარად არ ითვალისწინებს.

მუხლი 1:383 ზრდასრული პირის მიმართ იურიდიული მეურვის დანიშვნა

- **1.** სასამართლო, რომელიც ადგენს ზრდასრული პირის მეურვეობას, ზრდასრულ პირს ერთდროუ-

ლად ანდა შეძლებისდაგვარად სწრაფად უნიშნავს იურიდიულ მეურვეს. ის უნდა დარწმუნდეს პირის სურვილში, დანიშნოს იურიდიულ მეურვედ და შეაფასოს ამ პირის შესაბამისობა.

– **2.** იურიდიული მეურვის დანიშვნისას სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს შესაბამისი ზრდასრული პირის პრიორიტეტებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს მნიშვნელოვანი მიზეზები ამ უკანასკნელის მიერ შეთავაზებული დანიშვნის საწინააღმდეგოდ.

– **3.** თუ მეურვეობის ქვეშ მყოფი ზრდასრული პირი დაქორწინებული ან იმყოფება რეგისტრირებულ პარტნიორობაში ანდა თუ მას აქვს სხვა ახლო პირადი ურთიერთობა ცხოვრების თანამგზავრთან, მაშინ მის იურიდიულ მეურვედ დანიშვნისას უპირატესობა უნდა მიენიჭოს მეუღლეს, რეგისტრირებულ პარტნიორს ან ცხოვრების სხვა თანამგზავრს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გამოყენებულ იქნა პარ. 2-ის ნორმა. თუ წინა წინადადება არ გამოიყენება, მაშინ იურიდიულ მეურვედ დანიშვნისას უპირატესობა უნდა მიენიჭოს ამ პირის ერთ-ერთ მშობელს, შვილებს, ძმებს ან დებს. თუ გარკვეული ხნის შემდეგ მეურვეობის ქვეშ მყოფი ზრდასრული პირი ქორწინდება ან ხელახლა აფორმებს რეგისტრირებულ პარტნიორობას ანდა პოულობს ცხოვრების თანამგზავრს, ვისთანაც ის იწყებს ახლო პირად ურთიერთობას, მაშინ ყოველ აღნიშნულ პირს შეუძლია მოსთხოვოს სასამართლოს იურიდიულ მეურვედ დანიშვნა არსებული იურიდიული მეურვის ნაცვლად.

– **4.** დასაშვებია ზრდასრული პირის იურიდიულ მეურვედ სრული ქმედუნარიანობის მქონე იურიდიული პირების დანიშვნა.

– **5.** დაუშვებელია შემდეგი პირების ზრდასრული პირის მიმართ იურიდიულ მეურვედ დანიშვნა:

a. ქმედუნარო ფიზიკური პირებისა (არასრულწლოვანები და მეურვეობის ქვეშ მყოფი ზრდასრული პირი);

b. იმ პირებისა, რომელთა სასარგებლოდ დადგენილ იქნა დაცვითი მენტორობა;

c. გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ კანონის 287-ე მუხლის პარ. 3-ის გაგებით მეურვეობის ქვეშ მყოფი ზრდასრული პირის ქონების მმართველისა;

d. უშუალო მონაწილე ან დახმარების თუ მზრუნველობის გამწვევი მუშაკისა;

e. იმ პირებისა, რომლებიც ქმნიან იმ დაწესებულების მენეჯმენტსა თუ პერსონალს, რომლის მეთვალყურეობის ქვეშაც იმყოფება შესაბამისი ზრდასრული პირი ანდა რომელიც ახორციელებს მეურვეობის ქვეშ მყოფი ზრდასრული პირის მიმართ მზრუნველობას;

f. იმ პირებისა, რომლებიც კავშირში არიან იმ დაწესებულებასთან, რომლის მეთვალყურეობის ქვეშაც იმყოფება შესაბამისი ზრდასრული პირი ანდა რომელიც ახორციელებს მეურვეობის ქვეშ მყოფი ზრდასრული პირის მიმართ მზრუნველობას იმის გამო, რომ:

1° იმ დაწესებულებებსა თუ პირებს, რომლებიც ქმნიან დაწესებულების მენეჯმენტს, შეუძლიათ დამოუკიდებლად ან სხვა პირებთან ერთად მოახდინონ იურიდიული პირის საერთო კრებაზე ხმათა 50%-ის რეალიზაცია ანდა შეუძლიათ დანიშნონ ან გაათავისუფლონ თანამდებობიდან იურიდიული პირის დირექტორთა ან ზედამხედველ დირექტორთა შემადგენლობის ნახევარზე მეტი;

2° პირი და დაწესებულებები ქმნიან 2:24ხ მუხლში ნახსენები ჯგუფის ნაწილს;

3° იურიდიული პირის დირექტორი ასევე ქმნის დაწესებულების მენეჯმენტსა თუ პერსონალს.

– **6.** ის პირები, რომელთა ერთი ან მეტი აქტივი გადაცემულია მინდობით სამართავად 1.19 ტიტულის გაგებით, გაკოტრების რეჟიმში მყოფი პირები და ასევე პირები, რომელთა მიმართაც მოქმედებს ფიზიკური პირებისათვის არსებული ვალების დაფარვის სქემა, ვერ დაინიშნებიან ზრდასრული პირის მიმართ იურიდიულ მეურვედ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქმე ეხება პარ. 3-ში მითითებულ პირს და მეურვეობის ქვეშ მყოფი ზრდასრული პირის ქონების მართვა ხორციელდება თანამეურვის მიერ.

– **7.** სხვა პირი, ნაცვლად პარ. 3-ში აღნიშნული პირებისა, ვინც უკვე წარმოადგენს ზრდასრული პირის იურიდიულ მეურვეს, სამი ან მეტი პირის სახელით მოქმედი ქონების მმართველი ან სამართლებრივი მენტორი შეიძლება დაინიშნოს იურიდიულ მეურვედ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის – როდესაც საქმე ეხება მის მიერ სამენარმო საქმიანობის წარმართვასა თუ განათლებას, და ასევე, აუცილებლობის შემთხვევაში, იმ პირთა აყვანას, წვრთნას, ხელმძღვანელობასა და ზედამხედველობას, რომელთა გამოც ის ახორციელებს ზრდასრული პირის მიმართ იურიდიული მეურვის ფუნქციებს, – აკმაყოფილებს მეფის სამთავრობო ბრძანებით დადგენილ ხარისხის სტანდარტებს, ისევე როგორც – 1:386 და 3:15i მუხლებში მოცემულ მოთხოვნებს.

– **8.** პარ. 3-ში მითითებულმა პირმა მის დამნიშნავ სასამართლოს უნდა წარუდგინოს:

a. თავისი განცხადება, რომლიდანაც იკვეთება, რომ ის აკმაყოფილებს პარ. 7-ში მოცემულ ხარისხის სტანდარტებსა და მოთხოვნებს;

ბ. აუდიტორისათვის შეტყობინებული ანგარიში სტანდარტებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილების პროცედურასთან დაკავშირებით მისი მოსაზრებების შესახებ, როგორც ეს გათვალისწინებულია 2:393 მუხლის პარ. 1-ში, და;

ც. 2:10 მუხლში გათვალისწინებული აუდიტორის განცხადება საბალანსო ანგარიშებისა და მოგება-ზარალის ანგარიშის შესახებ (შემოსავლების შესახებ ანგარიშგება) ანდა, აუცილებლობის შემთხვევაში, – წლიური ანგარიშების შესახებ 2.9 ტიტულის ნორმათა შესაბამისად. 2:396 მუხლის პარ. 7 არ გამოიყენება 2:393 მუხლის პარ. 1-სადმი მიმართებაში.

განცხადებებისა და ანგარიშების ფორმატსა და შინაარსთან და ასევე მათ წარდგენასთან დაკავშირებით სხვა წესები შეიძლება დადგინდეს მეფის სამთავრობო ბრძანებით. როდესაც პირი აცხადებს იმას, რომ მან უკვე წარუდგინა სასამართლოს განცხადებები და ანგარიში მის დანიშნულად თორმეტი თვით ადრე, მაშინ ის თავისუფლდება აღნიშნული დოკუმენტების წარდგენის ვალდებულებისაგან.

– 9. პარ. 8-ში მითითებული განცხადების წარდგენის ვალდებულებისაგან თავისუფლებიან:

a. ის პირები, რომლებსაც აქვთ საწარმო, რომელსაც ფინანსური ზედამხედველობის შესახებ კანონის თანახმად შეუძლიათ განახორციელონ საბანკო საქმიანობა;

b. ნოტარიუსები;

c. აღმასრულებლები;

d. აუდიტორები (ბუღალტრები).

საწარმოები და ფიზიკური პირები, რომლებიც მოქმედებენ წინა წინადადებაში მითითებული პროფესიული საქმიანობის ფარგლებში, მეფის სამთავრობო ბრძანებით შეიძლება სრულად ან ნაწილობრივ თავისუფლდნენ პარ. 7-ში მითითებულ აყვანასთან, წვრთნასთან, ხელმძღვანელობასა და ზედამხედველობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაკმაყოფილების ვალდებულებისაგან.

– 10. სასამართლოს შეუძლია ზრდასრულ პირს დაუნიშნოს ორი იურიდიული მეურვე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი დანიშვნის საწინააღმდეგოდ არსებობს დასაბუთებული კონტრარგუმენტები. როდესაც სახეზეა ორი იურიდიული მეურვე, ყოველ მათგანს შეუძლია დამოუკიდებლად განახორციელოს იურიდიულ მეურვეს მიკუთვნებული მოვალეობები. საქმიანობის შემთხვევაში, სასამართლომ შეიძლება დაადგინოს იურიდიულ მეურვეებს შორის მოვალეობათა გადანაწილება. იურიდიულ მეურვეთა შორის აზრთა სხვადასხვაობის შემთხვევაში, გადანაწილებას იღებს რაიონული სასამართლო ერთ-ერთი მათგანის ან 1:379 მუხლის პარ. 2-ში მითითებული დანესებულების მოთხოვნის საფუძველზე. აღნიშნულ სასამართლოს შეუძლია ასევე განსაზღვროს საზღაურის განაწილების საკითხიც.

– 11. იურიდიული მეურვე თავისი მოვალეობების შესრულებას იწყებს მისთვის იმ სასამართლოს განკარგულების გადაცემიდან ან გაგზავნიდან მეორე დღეს, რომლითაც ის დაინიშნა იურიდიულ მეურვედ. ამ დღიდან, შესაძლოა, შეწყდეს დროებითი მართვაც. დროებითმა მმართველმა იურიდიულ მეურვეს რაიონული სასამართლოს წინაშე უნდა წარუდგინოს ანგარიში თავისი მართვის შესახებ. როდესაც თავად დროებითი მმართველი ინიშნება იურიდიულ მეურვედ, მან ანგარიში პირდაპირ რაიონულ სასამართლოს უნდა წარუდგინოს. თუ იურიდიული მეურვე დაინიშნა მეურვეობის ქვეშ მყოფი ზრდასრული პირის მიერ სრულწლოვანების ასაკის მიღწევის მომენტამდე, მაშინ ის თავისი მოვალეობების შესრულებას იწყებს ზრდასრული პირის მეურვეობის ძალაში შესვლის დღეს.

– 12. თუ სასამართლო უარს ამბობს ზრდასრული პირის მეურვეობის დადგენის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, მაშინ დროებითი მართვა წყდება სასამართლოს მიერ თავისი იმ განკარგულების მიღებიდან მეორე დღეს, რომლითაც სასამართლომ უარი თქვა ზრდასრული პირის მეურვეობის დადგენის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სასამართლომ სხვაგვარად განსაზღვრა, თუმცა – ნებისმიერ შემთხვევაში, დროებითი მართვა წყდება კანონიერ ძალაში შესვლიდან მეორე დღეს.

მუხლი 1:384 ზრდასრული პირის მეურვეობის დადგენის შესახებ განკარგულების გადახედვის სამართლებრივი შედეგები

როდესაც სააპელაციო სასამართლომ ან უზენაესმა სასამართლომ გააუქმა ზრდასრული პირის მეურვეობის ქვეშ განთავსების შესახებ სასამართლოს განკარგულება იმგვარად, რომ ამის შედეგად მეურვეობის დადგენის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, მაშინ იურიდიული მეურვის მოვალეობები წყდება სააპელაციო სასამართლოს ან უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული რევიზიის დადგენილების მიღებიდან მეორე დღეს. აღნიშნულ მომენტამდე, თუნდაც იურიდიული მეურვის ან თავად შესაბამისი ზრდასრული პირის მხრიდან თავისი იურიდიული მეურვის თანხმობით, განხორციელებული ყველა მოქმედება ძალაში რჩება და მბოჭავია ზრდასრული პირისათვის.

მუხლი 1:385 არასრულწლოვანთა მეურვეობის მომწესრიგებელი კანონისმიერი ნორმები, რომლებიც შესაბამისად მოქმედებს ზრდასრული პირის მეურვეობის მიმართაც

– 1. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქმე ეხება ისეთ საკითხებს, რომელთათვისაც 1:383 და 1:384 მუხლებში გათვალისწინებულია სპეციალური რეგულაცია, არასრულწლოვანთა მეურვეობის მომწესრიგებელი კანონისმიერი ნორმები, რომლებიც მოცემულია 1:250 მუხლში, 1:280 მუხლის (b) პუნქტში, 1:281 მუხლის პარ. 1-ის (a) პუნქტსა და პარ. 2-ში, 1:322 მუხლის პარ. 1-ის (a) და (c) პუნქტში, 1:324, 1:336 და 1:372-1:377 მუხლებში შესაბამისად გამოიყენება ზრდასრული პირის მეურვეობის მიმართაც იმ პირობით, რომ:

a. როდესაც ერთ-ერთი მშობელი ინიშნება ზრდასრული პირის იურიდიულ მეურვედ, 1:280 მუხლში გათვალისწინებული განცხადება არ მოითხოვება;

b. სიტყვები „District Court“ და „court“ ნაკითხულ უნდა იქნეს როგორც „Subdistrict Court“;

c. ბავშვის ინტერესების დაცვის საბჭოს არა აქვს ძალაუფლება ან უფლებამოსილება;

d. ზრდასრული პირის იურიდიული მეურვე შეიძლება ნებისმიერ დროს, საკუთარი მოთხოვნის საფუძველზე ან მნიშვნელოვანი მიზეზების არსებობისას ანდა – იმის გამო, რომ ის აღარ აკმაყოფილებს იურიდიულ მეურვედ გახდომისათვის ნაყენებულ მოთხოვნებს, გათავისუფლდეს რაიონული სასამართლოს მიერ მასზე დაკისრებული მოვალეობებისაგან და ასევე აღნიშნული შეიძლება განხორციელდეს მისი თანამეურვის ან 1:379 მუხლში მითითებული ზრდასრული პირის მეურვეობის მოთხოვნაზე უფლებამოსილი პირის მოთხოვნის საფუძველზე ანდა – რაიონული სასამართლოს მიერ საკუთარი ინიციატივით;

e. ზრდასრული პირის იურიდიული მეურვე, რომლის მართვის უფლებაც შეწყდა, როგორც ეს მითითებულია 1:374 მუხლში, მის მიერ განხორციელებული ქონების მართვის დასასრულისათვის მოცემულ საკითხებზე განსჯად რაიონული სასამართლოს წარუდგენს შესაბამის ანგარიშს.

– 2. ყოველი ხუთწლიანი ვადის გასვლის შემდეგ ანდა ბევრად უფრო ადრე, როგორც ამას გადაწყვეტს რაიონული სასამართლო, იურიდიულმა მეურვემ უნდა შეატყობინოს რაიონულ სასამართლოს ზრდასრული პირის მეურვეობის შედეგების შესახებ. კერძოდ, მან თავისი პოზიცია უნდა გამოხატოს იმ საკითხთან დაკავშირებით, გაგრძელდეს თუ არა ზრდასრული პირის მეურვეობა ანდა შესაძლებელია თუ არა მისი ჩანაცვლება მეტ-ნაკლებად რადიკალური ზომებით. მნიშვნელოვანი ფაქტების ან ზრდასრული პირის მეურვეობისა თუ ამ უკანასკნელის გახანგრძლივების შესახებ იურიდიულმა მეურვემ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს რაიონულ სასამართლოს.

მუხლი 1:386 იურიდიული მეურვის მართვისა და მის მიერ საზღაურის მიღების უფლება

– 1. არასრულწლოვანის მეურვის მართვის უფლების მომწესრიგებელი კანონისმიერი ნორმები შესაბამისად გამოიყენება ასევე ზრდასრული პირის იურიდიული მეურვის მართვის უფლების მიმართაც. თუმცა, იურიდიულმა მეურვემ ყოველწლიურად უნდა წარადგინოს მის მიერ ზრდასრული პირის მეურვეობის პერიოდში განხორციელებული მართვის ანგარიში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც რაიონულმა სასამართლომ გადაწყვიტა, რომ ეს შეიძლება სხვა დროს მოხდეს. უშიშროებისა და იუსტიციის მინისტრს შეუძლია დაადგინოს მოდელი, რომლის მიხედვითაც უნდა შედგეს წარდგენილი ანგარიში. 1:383 მუხლის პარ. 7-ში ნახსენებმა იურიდიულმა მეურვემ ყოველწლიურად უნდა წარადგინოს 1:388 მუხლის პარ. 8-ში მითითებული განცხადებები და ანგარიშები. თხოვნის შემთხვევაში, იურიდიულმა მეურვემ თავისი საქმიანობის შესახებ ანგარიში უნდა წარუდგინოს ასევე რაიონულ სასამართლოს. იურიდიული მეურვე უფლებამოსილია საზღაურის მიღებაზე ამ მიზნით უშიშროებისა და იუსტიციის მინისტრის მიერ დადგენილი ნესების შესაბამისად.

– 2. იურიდიული მეურვე ზრუნავს მეურვეობის ქვეშ მყოფი ზრდასრული პირის ქონების ეფექტურ ინვესტირებაზე იმ ფარგლებშიც, რომლებშიც ზრდასრული პირის ქონება არ უნდა იქნეს გამოყენებული მეურვეობის ქვეშ მყოფ ზრდასრულ პირზე ადეკვატური ზრუნვისათვის.

– 3. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც რაიონული სასამართლო სხვაგვარად ადგენს, ზრდასრული პირის იურიდიულმა მეურვემ შეძლებისდაგვარად სწრაფად უნდა გახსნას ანგარიში იმ საწარმოში, რომელსაც ფინანსური ზედამხედველობის შესახებ კანონის თანახმად ნიდერლანდებში შეუძლიათ განხორციელონ საბანკო საქმიანობა; გარდა ამისა, იურიდიული მეურვე ვალდებულია გამოიყენოს ეს ანგარიში მხოლოდ და შეძლებისდაგვარად უპირატესად იმ გადახდებისათვის, რომლებსაც ის ახორციელებს ან იღებს თავისი მოვალეობების შესრულებისას.

– 4. 1:365-დან 1:367 მუხლებით გათვალისწინებული ნორმების მიზნებისათვის პროკურორი იკავებს ბავშვის ინტერესების დაცვის საბჭოს ადგილს, ხოლო 1:385 პარ. 1-ის (d) პუნქტში მითითებული მეურვის

დაკისრებული მოვალეობებისაგან გათავისუფლება კი ცვლის 1:327 მუხლის პარ. 1 (b) პუნქტის შესაბამისად არსებულ არასრულწლოვანის მეურვის გათავისუფლებას მასზე დაკისრებული მოვალეობებისაგან. რაიონული სასამართლოს მდივანმა მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა გააგზავნოს 1:371a მუხლში მითითებული შეტყობინება და ასევე ამ მუხლში აღნიშნული დოკუმენტები, როდესაც შესაბამისი ზრდასრული პირის მეურვეობა არ ხორციელდება 1:12 მუხლის პარ. 4-ის ნორმათა თანახმად.

– 5. თუ მეურვეობის ქვეშ იმყოფება დაქორწინებული პირი ან რეგისტრირებული პარტნიორი და შესაბამისი მეუღლეებისა თუ რეგისტრირებული პარტნიორების პირადი ქონება ან მათი საერთო საკუთრება სხვაგვარად განაწილდა, ვიდრე ეს გათვალისწინებულია სამართლის ან, შესაბამის შემთხვევაში, – საქორწინო ხელშეკრულების ნორმებითა და წესებით, მაშინ ზრდასრული პირის მეურვეობის დადგენისას სასამართლო განსაზღვრავს, უნდა მოქმედებდეს თუ არა ასეთი განსხვავებული განაწილება ასევე იურიდიული მეურვის სასარგებლოდაც, ხოლო თუ უნდა მოქმედებდეს, – მაშინ რა ფარგლებში.

– 6. რაიონულ სასამართლოს შეუძლია ზრდასრული პირის იურიდიული მეურვისაგან მოითხოვოს ამ უკანასკნელის ჩანაწერებში, დოკუმენტებსა და სხვა მონაცემთა მატარებლებში მოცემული ინფორმაციის მიწოდება. გარდა ამისა, მას შეუძლია მოითხოვოს ასევე შესაბამისი ასლიც.

მუხლი 1:387 {გაუქმებულია 17.01.1994წ.}

მუხლი 1:388 {გაუქმებულია 17.01.1994წ.}

მუხლი 1:389 ზრდასრული პირის მეურვეობის შეწყვეტა

– 1. ზრდასრული პირის მეურვეობა წყდება:

a. იმ ვადის გასვლით, რა ვადითაც ის იყო დადგენილი;

b. შესაბამისი ზრდასრული პირის გარდაცვალებით;

c. თუ შესაბამისი ზრდასრული პირის სახელით ამ უკანასკნელის მეურვეობასთან დაკავშირებული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული და მბოჭავი განკარგულების მეშვეობით დადგინდა 1.19 ტიტულით გათვალისწინებული მინდობით ქონების მართვა და 1.20 ტიტულით გათვალისწინებული დაცვითი მენტორობა.

2. თუ ზრდასრული პირის მეურვეობის არსებობა აღარ არის აუცილებელი ანდა მისი გახანგრძლივება აშკარად არაგონივრული აღმოჩნდა, რაიონულ სასამართლოს შეუძლია გააუქმოს ასეთი მეურვეობა იურიდიული მეურვის ანდა 1:379 მუხლში მითითებული ზრდასრული პირის მეურვეობის მოთხოვნაზე უფლებამოსილი პირის მოთხოვნის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით. სასამართლოს განკარგულება ძალმოსილია იმ მომენტიდან, როგორც კი ის შედის კანონიერ ძალაში და ხდება მბოჭავი.

3. 1:379 მუხლში მითითებულ ზრდასრული პირის მეურვეობის მოთხოვნაზე უფლებამოსილ პირსა და იურიდიული მეურვეს შეუძლიათ მოითხოვონ კონკრეტული ვადით დადგენილი მეურვეობის გახანგრძლივება. რაიონულმა სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა მიიღოს განაცხადის (მოთხოვნის) წარდგენიდან ორი თვის განმავლობაში. შესაბამისად გამოიყენება 1:384 მუხლი. მეურვეობის გახანგრძლივების მოთხოვნაზე უარის თქმის საწინააღმდეგოდ სამართლებრივი დაცვის საშუალების გამოყენება დაუშვებელია.

მუხლი 1:390 ზრდასრული პირის მეურვეობასთან დაკავშირებით მიღებული სასამართლოს გადაწყვეტილებების გამოქვეყნება

სასამართლოს ყველა გადაწყვეტილება, რომლითაც დგინდება ან წყდება ზრდასრული პირის მეურვეობა ანდა რომლითაც ანუღირდება (უქმდება) ზრდასრული პირის მეურვეობის დამდგენი სასამართლოს განკარგულება, ისევე როგორც – 1:380 მუხლში მითითებული სასამართლოს განკარგულებები (დროებითი მართვა) სასამართლოს მდივნის მიერ უნდა გამოქვეყნდეს სამთავრობო მაცნეში ათი დღის ვადაში მას შემდეგ, რაც ზემოაღნიშნული სასამართლოს გადაწყვეტილებები შევა კანონიერ ძალაში.

მუხლი 1:391 ზრდასრული პირის მეურვეობათა საჯარო რეესტრი

– 1. საჯარო რეესტრს აწარმოებს მეფის სამთავრობო ბრძანებაში ამ მიზნით მითითებული სახელმწიფო ორგანო, რომელშიც რეგისტრაციაში ტარდება ზრდასრული პირის მეურვეობასთან და 1.19 ტიტულით გათვალისწინებული მინდობით ქონების მართვასთან დაკავშირებული სამართლებრივი ფაქტები. ზრდასრული პირის ყოველი მეურვეობისა და სარეგისტრაციო მინდობით ქონების მართვისათვის აღნიშნულ საჯარო რეესტრში თარიღის მითითებით რეგისტრაციაში ტარდება:

1° ზრდასრული პირისა და მესაკუთრის სახელი და დაბადების თარიღი;

2° ამონარიდი სასამართლოს იმ გადაწყვეტილებებიდან, რომლითაც დგინდება, გრძელდება (პროლონგირდება) ან წყდება ზრდასრული პირის მეურვეობა ან მინდობით ქონების მართვა ფულადი სახსრების გაფლანგვის (წინდაუხედავი ხარჯვის) გამო ანდა – პრობლემური ვალების არსებობის გამო;

3° ამონარიდი სასამართლოს იმ გადაწყვეტილებებიდან, რომლითაც, იმ ფარგლებში, რომლებშიც ეს, როგორც ასეთი, განისაზღვრება სასამართლოს მიერ 1:436 მუხლის პარ. 3-ის მესამე წინადადების შესაბამისად, მინდობით ქონების მართვა დგინდება, გრძელდება (პროლონგირდება) ან წყდება ფსიქიკური თუ გონებრივი მდგომარეობის გამო;

4° ის მიზეზი, რომლის გამოც დგინდება ზრდასრული პირის მეურვეობა;

5° აუცილებლობის შემთხვევაში, – ის თარიღი, როდესაც ზრდასრული პირის მეურვეობა ან მინდობით ქონების მართვა წყდება;

6° ამონარიდი სასამართლოს იმ გადაწყვეტილებებიდან, რომლითაც ინიშნება, უჩერდება უფლებამოსილება ან დაკისრებული მოვალეობების შესრულებისაგან თავისუფლდება ზრდასრული პირის იურიდიული მეურვე ან ქონების მმართველი;

7° იურიდიული მეურვის ან მეურვეებისა და ქონების მმართველის ან მმართველების სახელები და ადგილსამყოფელი, ხოლო როდესაც სასამართლო ამას ამგვარად განსაზღვრავს, – ფუნქციათა გადანაწილება.

– 2. ნებისმიერ პირს შეუძლია უსასყიდლოდ გაეცნოს საჯარო რეესტრს, ხოლო საფასურის გადახდის სანაცვლოდ კი მოითხოვოს მისგან ამონარიდი სამოქალაქო სამართალწარმოების ფარგლებში არსებული მოსაკრებლების შესახებ კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნათა სათანადო დაცვით.

– 3. რაიონული სასამართლოს მდივანმა პარ. 1-ის 1°-დან 7°-ში აღნიშნული მონაცემები და ასევე მეურვეობის ქვეშ მყოფი ზრდასრული პირისა თუ მესაკუთრის გარდაცვალების შესახებ შეტყობინება საჯარო რეესტრის სახელით უნდა გადასცეს პარ. 1-ში მითითებული სახელმწიფო ორგანოს.

– 4. იმ ვადის გასვლის გამო, რა ვადითაც იყო დადგენილი შესაბამისი ზომა, ზრდასრული პირის მეურვეობისა თუ მინდობით ქონების მართვის შეწყვეტის შედეგად საჯარო რეესტრში სარეგისტრაციო ჩანაწერი უნდა ამოიშალოს აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ მეორე დღისათვის. ზრდასრული პირის მეურვეობისა თუ მინდობით ქონების მართვის შეწყვეტის შესახებ სასამართლოს განკარგულება შედეგად იწვევს საჯარო რეესტრში სარეგისტრაციო ჩანაწერის ამოშლას იმ თარიღისათვის, როდესაც სასამართლოს განკარგულება შევიდა კანონიერ ძალაში და გახდა მბოჭავი. ზრდასრული პირისა თუ მესაკუთრის გარდაცვალების გამო საჯარო რეესტრში სარეგისტრაციო ჩანაწერი უნდა ამოიშალოს რაიონული სასამართლოს მდივნის მიერ ამ გარდაცვალების შესახებ შეტყობინების მიღებიდან მეორე დღისათვის.

ტიტული 1.17 – რჩენის ვალდებულება

განყოფილება 1.17.1 – ზოგადი დებულებები

მუხლი 1:392 რჩენის ვალდებულების მოვალეები (ბავშვის რჩენა)

– 1. სისხლით ნათესაობისა და გვერდითი ხაზით ნათესაობის საფუძველზე რჩენის ვალდებულება ეკისრებათ:

a. მშობლებს;

b. შვილებს;

c. რძლებს/სიძეებს, სიდერდ-სიმამრებს/დედამთილ-მამამთილებსა და მამინაცვლებს/დედინაცვლებს.

– 2. აღნიშნული ვალდებულება არსებობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც უფლებამოსილ პირს რეალურად ესაჭიროება რჩენა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქმე ეხება მშობლებისა და მამინაცვლების/დედინაცვლების რჩენის ვალდებულებას შვილებისა და გერების მიმართ და ასევე – ამ უკანასკნელთა შვილების მიმართ, როგორც ეს მითითებულია 1:395a მუხლში.

– 3. პარ. 1-ში აღნიშნულ პირებს არ ეკისრებათ რჩენის ვალდებულება იმდენად, რამდენადაც ასეთი რჩენა შეიძლება მიღებულ იქნეს მეუღლისაგან ან ყოფილი მეუღლისაგან ანდა – რეგისტრირებული პარტნიორისაგან თუ ყოფილი რეგისტრირებული პარტნიორისაგან სამოქალაქო კოდექსის 1.5a, 1.6, 1.9 ან 1.10 ტიტულების ნორმათა შესაბამისად.

მუხლი 1:393 {გაუქმებულია 01.04.1998წ.}

მუხლი 1:394 ბავშვის მშობელი მამისა თუ ბავშვის დედის ცხოვრების თანამგზავრისათვის რჩენის ვალდებულება

იმ ბავშვის მშობელი მამა, რომელსაც ჰყავს დედა, და ასევე – ის კაცი, რომელიც, როგორც დედის ცხოვრების თანამგზავრი, დათანხმდა, ემოქმედა იმგავრად, რომ ასეთ მოქმედებას შესაძლოა შედეგადაც მოჰყოლოდა ბავშვის ჩასახვა, მშობლის მსგავსად, ვალდებული არიან გასწიონ ბავშვზე ზრუნვისა და მისი აღზრდის ხარჯები, ხოლო ბავშვის მიერ სრულწლოვანების ასაკის მიღწევის შემდეგ კი, – გასწიონ 1:395a და 1:395b მუხლებით გათვალისწინებული რჩენისა და განათლების ხარჯები. შემდგომში ასეთი ვალდებულება არსებობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ბავშვს რეალურად სჭირდება ასეთი დახმარება.

მუხლი 1:395 მამინაცვალზე/დედინაცვალზე დაკისრებული რჩენის ვალდებულება

1:395a მუხლის მოქმედების შეზღუდვის გარეშე, მამინაცვალს/დედინაცვალს მხოლოდ მისი ქორწინების ან რეგისტრირებული პარტნიორობის პერიოდში ეკისრება თავისი მეუღლის ან რეგისტრირებული პარტნიორის არასრულწლოვანი შვილების რჩენის ვალდებულება და თანაც – მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს შვილები ფაქტობრივად არიან მისი ოჯახის წევრები.

მუხლი 1:395a 18 და 21 წლის ასაკის შვილების მიმართ რჩენის ვალდებულება

- 1. მშობლებს ეკისრებათ თავიანთი იმ ზრდასრული შვილების რჩენისა და განათლების მიცემის ვალდებულება, რომლებსაც ჯერ არ მიუღწევიათ 21 წლის ასაკისათვის.
- 2. მამინაცვალს/დედინაცვალს მხოლოდ მისი ქორწინების ან რეგისტრირებული პარტნიორობის პერიოდში ეკისრება თავისი მეუღლის ან რეგისტრირებული პარტნიორის ზრდასრული შვილების მიმართ ნინა პარაგრაფში მითითებული ხარჯების განევის ვალდებულება მანამდე, სანამ ეს შვილები არ მიაღწევენ 21 წლის ასაკს და თანაც – მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს შვილები ფაქტობრივად არიან მისი ოჯახის წევრები.

მუხლი 1:395b არასრულწლოვანი ბავშვის სასარგებლოდ არსებული რჩენის ვალდებულების გარდაქმნა ბავშვის მიერ სრულწლოვანების ასაკის მიღწევის შემდეგ

- 1. თუ სასამართლომ განსაზღვა ის თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს მშობელმა ან მამინაცვალმა/დედინაცვალმა, ხოლო თუ საქმე ეხება 1:394 მუხლის ნორმათა გამოყენებას, – მშობელმა მამამ ან იმ კაცმა, ვინც 1:394 მუხლის შესაბამისად უთანაბრდება მშობელს, თავისი არასრულწლოვანი შვილის ან გერის ზრუნვისა და აღზრდისათვის და ეს ვალდებულება ძალაში იყო ამ ბავშვის მიერ სრულწლოვანების ასაკის მიღწევამდე, მაშინ ეს სასამართლოს განკარგულება ამ მომენტიდან განიხილება როგორც 1:395a მუხლში გათვალისწინებული რჩენისა და განათლებისათვის გადასახდელი თანხის განმსაზღვრელი განკარგულება.
- 2. იგივე წესი მოქმედებს, თუ თანხა განისაზღვრა ახალგაზრდობაზე ზრუნვის შესახებ კანონის მე-13 მუხლის ნორმათა შესაბამისად და რომელიც გადახდილ უნდა იქნეს მშობლის ან მამინაცვლის/დედინაცვლის მიერ სარჩოს თანხების ინკასაციის ეროვნული სააგენტოსათვის აღნიშნული კანონის 69-ე მუხლის პირველი პარაგრაფის შესაბამისად მიღებულ ზომებზე განეული ხარჯების დასაფარად.

მუხლი 1:396 რძლების/სიძეებისა და სიდერდ-სიმამრების/დედამთილ-მამამთილების რჩენის ვალდებულება

- 1. რძლებზე/სიძეებზე და სიდერდ-სიმამრებზე/დედამთილ-მამამთილებზე დაკისრებული რჩენის ვალდებულება აღარ არსებობს იმ მომენტიდან, როდესაც რძლის/სიძის ქორწინება წყდება.
- 2. აღნიშნული ვალდებულება არ წყდება იმ რძლის/სიძის მიმართ, რომელიც თავისი მეუღლისაგან განცალკევებით ცხოვრობს და ასევე – იმ დედამთილ-მამამთილის მიმართ, რომელიც ხელახლა დაქორწინდა.

მუხლი 1:397 სარჩოს თანხის განსაზღვრა

- 1. იმ სარჩოს თანხის განსაზღვრისას, რაც კანონის თანახმად სარჩოს სახით უნდა იხადონ სისხლით ნათესავეებმა და მოყვრებმა, მხედველობაში მიიღება სარჩოს მიღებაზე უფლებამოსილი პირის საჭიროებები და ასეთი გადახდების განხორციელებაზე ვალდებული პირის ფინანსური შესაძლებლობები.

– 2. როდესაც ორი ან მეტი სისხლით ნათესავი ან მოყვარე ვალდებულია ერთი და იგივე პირის რჩენაზე, მაშინ ყოველი მათგანი ვალდებულია იხადოს თანხის ის ნაწილი, რაც ესაჭიროება სარჩოს მიღებაზე უფლებამოსილ პირს. თანხის ამ ნაწილის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება ამ პირთა ფინანსურ შესაძლებლობები და მათი ნათესაური კავშირი სარჩოს მიღებაზე უფლებამოსილ პირთან.

მუხლი 1:398 სარჩოს გადახდა მოვალის სარჩენად აყვანით

– 1. როდესაც პირს, ვინც ვალდებულია სარჩოს გადახდაზე, არ შეუძლია დავალიანების თანხის გადახდა, რაიონულ სასამართლოს შეუძლია დაადგინოს, რომ მან სისხლით ნათესავის ან მოყვრის სახით აიყვანოს ის პირი, რომლის რჩენაც ევალება მას და უზრუნველყოს ის თავის სახლში ყველა აუცილებელი საგნით.

– 2. მშობლები ყოველთვის უფლებამოსილი არიან, მიმართონ სასამართლოს თხოვნით, რათა მათ მიეცეთ თავიანთი ზრდასრული შვილების მიმართ არსებული რჩენის ვალდებულებისაგან გათავისუფლების ნება პარ. 1-ში გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

მუხლი 1:399 რჩენის ვალდებულების შემსუბუქება

არასრულწლოვან შვილებსა და გერეებზე ზრუნვისა და მათი აღზრდის ხარჯების განწევის ვალდებულებასთან დაკავშირებით ქვემოთ მოცემულ განყოფილებაში მითითებული წესების შეზღუდვის გარეშე, სასამართლოს შეუძლია შეარბილოს სისხლით ნათესავების ან მოყვრების რჩენის ვალდებულება სარჩოს მიღებაზე უფლებამოსილი პირის ისეთი ქცევის გამო, რომ სრულად ან ნაწილობრივ სარჩოს თანხების გადახდის გაგრძელება გონივრულად მოსალოდნელი ვეღარ იქნება.

მუხლი 1:400 რჩენის მოვალეთა რიგითობის წესი

– 1. თუ პირს ეკისრება სარჩოს გადახდის ვალდებულება ორი ან მეტი პირის მიმართ და მისი ფინანსური შესაძლებლობები არასაკმარისია ყველა პირის დასაკმაყოფილებლად, მაშინ მის 21 წლამდე ასაკის შვილებსა და გერებს ენიჭება უპირატესობა რჩენაზე უფლებამოსილ ყველა სხვა პირთან შედარებით, ხოლო მის მეუღლეს, ყოფილ მეუღლეს, მის რეგისტრირებულ პარტნიორს, ყოფილ რეგისტრირებულ პარტნიორს, მის მშობლებსა და ასევე 21 წლის ასაკს მიღწეულ შვილებსა და გერებს კი უპირატესობა ენიჭება რძლებთან/სიძეებთან და სიდედრ-სიმამრებთან/დედამთილ-მამამთილებთან შედარებით.

– 2. კანონით მინიჭებული სარჩოს მიღების უფლებაზე უარის შესახებ შეთანხმებები ბათილია.

მუხლი 1:401 რჩენის ვალდებულების შეცვლისა თუ გაუქმების საფუძვლები

– 1. რჩენის შესახებ სასამართლოს განკარგულება ან შეთანხმება შეიძლება შეიცვალოს ან გაუქმდეს სასამართლოს შემდგომში მიღებული განკარგულებით, თუ მასში მოცემული პირობები გარემოებათა ცვლილებების გამო აღარ აკმაყოფილებს სამართლებრივ (კანონისმიერ) სტანდარტებს. წინა წინადადება არ გამოიყენება იმ ვადის შეცვლის მოთხოვნის მიმართ, რომელიც სასამართლომ განსაზღვრა 1:157 მუხლის საფუძველზე ანდა რომელიც შეტანილია 1:158 მუხლში მითითებულ შეთანხმებაში.

– 2. 1:158 მუხლის პარ. 3, 5 ან 6-ის მეორე წინადადების საფუძველზე სასამართლოს მიერ განსაზღვრული ვადა ანდა – 1:158 მუხლში მითითებულ შეთანხმებაში შეტანილი ვადა შეიძლება შეიცვალოს ერთ-ერთი ყოფილი მეუღლის მოთხოვნით, თუ არსებული გარემოებები იმდენად არსებითად შეიცვალა, რომ გონივრულობისა და სამართლიანობის სტანდარტის მიხედვით ამ ვადის შეუცვლელი გაგრძელება განმცხადებლისგან ვეღარ იქნება მოსალოდნელი. თუმცა, ვადის გახანგრძლივება შეუძლებელია, თუ სასამართლომ ეს ვარიანტი გამორიცხა 1:157 მუხლის პარ. 5-ის ძალით. 1:157 მუხლის პარ. 5-ის მეორე და მესამე წინადადებების ნორმები შესაბამისად გამოიყენება წინამდებარე პარაგრაფში გათვალისწინებული ვადის გახანგრძლივების მოთხოვნის მიმართ.

– 3. მხარეებს შეუძლიათ წერილობით შეთანხმდნენ იმის თაობაზე, რომ პარ. 1-ის პირველი წინადადება გამოყენებულ იქნეს 1:158 მუხლში მითითებულ შეთანხმებაში შეტანილი ვადის შეცვლის მოთხოვნის მიმართ.

– 4. გარდა აღნიშნულისა, რჩენის შესახებ სასამართლოს განკარგულება შეიძლება შეიცვალოს ან გაუქმდეს იმ შემთხვევაში, თუ ის თავიდანვე არ აკმაყოფილებდა სამართლებრივ (კანონისმიერ) სტანდარტებს იმის გამო, რომ ეს განკარგულება ეფუძნებოდა უზუსტო ან არასრულ ინფორმაციას.

– 5. გარდა ზემოაღნიშნულისა, რჩენის შესახებ შეთანხმება შეიძლება შეიცვალოს ან გაუქმდეს იმ შემთხვევაში, თუ ის დადებულია სამართლებრივი (კანონისმიერი) სტანდარტების უხეში უგულებელყოფით.

მუხლი 1:402 სარჩოს თანხების მოთხოვნის დღე და გადახდის პირობები

- 1. იმ სასამართლომ, რომელიც ადგენს, ცვლის ან აუქმებს სარჩოს თანხას, უნდა განსაზღვროს ასევე ის თარიღი, რომლიდანაც ეს თანხა იქნება გადასახდელი ანდა – რომლიდანაც ეს თანხა აღარ ექვემდებარება გადახდას.
- 2. სარჩოს თანხის განსაზღვრისას სასამართლო ადგენს ასევე იმ წესს, თუ როგორ უნდა იქნეს ის გადახდილი – ყოველკვირეულად, ყოველთვიურად თუ ყოველკვარტალურად.
- 3. როდესაც უკვე უნდა განხორციელებულიყო ერთი ან მეტი ნაწილობრივი გადახდა ანდა ერთზე მეტი ნაწილობრივი დაფარვა იმ დღეს, როდესაც სასამართლოს განკარგულება შედის კანონიერ ძალაში, სასამართლოს ასევე შეუძლია დაუშვას აღნიშნული თანხების ნაწილ-ნაწილ გადახდა.

მუხლი 1:402a სარჩოს თანხების ყოველწლიური ინდექსაცია

- 1. პარ. 3 და 4-ის ნორმათა მოქმედების შეზღუდვის გარეშე, სასამართლოს განკარგულებით ან შეთანხმებით დადგენილი თანხა იცვლება ყოველ წელს კანონის ძალით იუსტიციის მინისტრის მიერ განსაზღვრული პროცენტით, რომელიც შეესაბამება ნებისმიერი წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით არსებულ სახელფასო თანხების საპროცენტო ინდექსსა და წინა წლის შესაბამის ინდექსს შორის სხვაობას.
- 2. ცვლილება ძალში შედის 1 იანვარს პარ. 1-ში განსაზღვრული თარიღის შემდეგ. გადანყვეტილება, რომლითაც განისაზღვრება პროცენტი, ქვეყნდება სამთავრობო მაცნეში.
- 3. ის, თუ რა მოიზრება სახელფასო ინდექსის ცნების ქვეშ, დგინდება მეფის სამთავრობო ბრძანებით.
- 4. პროცენტის ოდენობა, რომლითაც იცვლება სარჩოს თანხა, შეიძლება დამრგვალდეს პროცენტის მეთაქმად. როდესაც მეორე ან შემდგომ ციფრს ამ პროცენტის მეთაქმების ჩარჩოში წარმოადგენს 5, ის უნდა დამრგვალდეს ნაკლებისკენ.
- 5. სარჩოს თანხის კანონის ძალით შეცვლა შეიძლება სასამართლოს განკარგულებით ან შეთანხმებით გამოირიცხოს რჩენის ვალდებულების არსებობის მთელი ვადისათვის ანდა – განსაზღვრული ვადისათვის. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს განკარგულებით ან შეთანხმებით შეიძლება ასევე გათვალისწინებულ იქნეს წესი, რომ სარჩოს თანხა პერიოდულად შეიცვალოს სხვაგვარად, ვიდრე ეს კანონით არის გათვალისწინებული, ხოლო შესაბამის შემთხვევაში კი, – ასევე ის წესი, თუ როდის და როგორ უნდა შეიცვალოს ეს თანხა.
- 6. სასამართლოს იმ განკარგულებაში, რომლითაც გამოყენებულ იქნა წინა პარაგრაფის მეორე წინადადების ნორმა, და ასევე ასეთი სასამართლოს განკარგულების მიღების შემდეგ, სასამართლოს შეუძლია დაადგინოს თარიღები, რომელთა დადგომისას თანხების გადახდაზე ვალდებულმა პირმა ამ თანხების მიღებაზე უფლებამოსილ პირს სარჩოს თანხის განსაზღვრისა და შეცვლის მიზნით უნდა მიაწოდოს შესაბამისი ინფორმაცია. აღნიშნული განკარგულებები შეიძლება კვლავ იქნეს მიღებულ და შეიცვალოს რჩენის კრედიტორისა თუ მოვალის მოთხოვნის საფუძველზე.
- 7. იმ შემთხვევაში, თუ სარჩოს თანხის ყოველწლიურად შეცვლის შესაძლებლობა კანონის ძალით გამოირიცხა, ასეთი გამოირიცხვა სასამართლოს განკარგულებით შეიძლება გაუქმდეს. იმდენად, რამდენდაც საქმე ეხება სარჩოს თანხის შეცვლის შესაძლებლობის ისეთ გამოირიცხვას, რომლის მიმართაც პარ. 5-ის მეორე წინადადება არ გამოიყენება, გაუქმება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ 1:401 მუხლში მითითებულ ვითარებებში.
- 8. სარჩოს თანხის გადახდის შესახებ სააღსრულებო ფურცელი ექვემდებარება აღსრულებას ყველა იმ ცვლილების ჯეროვანი გათვალისწინებით, რომლებიც ამასობაში ძალაში შევიდა კანონის ძალით ან წინამდებარე მუხლის პარ. 5-ის მეორე წინადადების შესაბამისად.

მუხლი 1:403 იმპერატიული ხანდაზმულობის ვადა

სარჩოს თანხის გადახდის ვალდებულება აღარ არსებობს განცხადების წარდგენის მომენტიდან ხუთ წელზე მეტი ვადის გასვლის შემდეგ.

განყოფილება 1.17.2 – არასრულწლოვან შვილებსა და გერებზე ზრუნვისა და მათი აღზრდის ხარჯების განწევა

მუხლი 1:404 ფინანსური შესაძლებლობების პროპორციული რჩენის ვალდებულება

- 1. თავიანთი ფინანსური შესაძლებლობების პროპორციულად მშობლებს ეკისრებათ თავიანთ არასრულწლოვან შვილებზე ზრუნვისა და მათი აღზრდის ხარჯების განწევა.

– 2 მსგავსი ვალდებულება არსებობს მამინაცვლის/დედინაცვლის მიმართაც 1:395 მუხლში მითითებულ ვითარებაში.

მუხლი 1:405 *{გაუქმებულია 01.04.1998წ.}*

მუხლი 1:406 არასრულწლოვან შვილებზე ზრუნვისა და მათი აღზრდის ვალდებულების შესრულები-სათვის აუცილებელი თანხის განსაზღვრა

– 1. თუ მშობელი ან მამინაცვალი/დედინაცვალი არ ასრულებს ან ჯეროვნად არ ასრულებს არასრულწლოვან შვილზე ზრუნვისა და მისი აღზრდის ხარჯების განევის ვალდებულებას, მაშინ ბავშვის მეორე მშობელს ან იურიდიულ მეურვეს შეუძლია მოსთხოვოს რაიონულ სასამართლოს სარჩოს თანხის განსაზღვრა, რომელიც გადახდილი იქნება ამ მიზნით აღნიშნული მშობლისა თუ მამინაცვლის/დედინაცვლის მიერ არასრულწლოვანი შვილის სახელით.

– 2. რაიონულ სასამართლოს წინა პარაგრაფში ნახსენები თანხა შეუძლია განსაზღვროს უკვე თავის განკარგულებაში, რომლითაც ის წყვეტს, თუ ვინ უნდა განახორციელოს ბავშვის მიმართ მშობლის უფლებამოსილება.

მუხლი 1:406a განმცხადებლები

1:394 მუხლის შესაბამისად მოთხოვნის წარდგენა არასრულწლოვანი ბავშვის სახელითა და სასარგებლოდ შესაძლებელია იმ პირის მიერ, ვინც ახორციელებს ბავშვის მიმართ მშობლის უფლებამოსილებას. ბავშვის მშობელსა თუ იურიდიულ მეურვეს აღნიშნული მოთხოვნის წარდგენისათვის არ ესაჭიროება 1:398 მუხლის პარ. 1 და 2-ში ნახსენები უფლებამოსილება.

მუხლი 1:406b *{გაუქმებულია 01.01.2003წ.}*

მუხლი 1:406c *{გაუქმებულია 01.01.1997წ.}*

მუხლი 1:406d *{გაუქმებულია 01.01.1997წ.}*

მუხლი 1:407 თანხის შეცვლა

როდესაც რაიონულმა სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს, თუ ვინ განახორციელებს არასრულწლოვანი ბავშვის მიმართ მშობლის უფლებამოსილებას ქორწინების შეწყვეტის შემდეგ ანდა უფრო ადრე არსებული განცალკევებით ცხოვრების რეჟიმის დადგენის შემდგომ, მას ერთდროულად, ერთ-ერთი მშობლის მოთხოვნის საფუძველზე, შეუძლია შეცვალოს ამ ბავშვზე ზრუნვისა და მისი აღზრდის ხარჯების განევის მიზნით პერიოდულად გადასახდელი თანხაც იმ უფრო ადრე მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც ეხება ბავშვის მიმართ მშობლის უფლებამოსილების განხორციელებას.

მუხლი 1:408 ბავშვზე ზრუნვისა და მისი აღზრდის ხარჯების დასაფარად აუცილებელი სარჩოს თანხების გადახდის წესი

– 1. სასამართლოს განკარგულებისა თუ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 822-ე მუხლის პირველი პარაგრაფის (c) პუნქტის საფუძველზე დადგენილი ბავშვზე ზრუნვისა და მისი აღზრდის ხარჯების და – ასევე რჩენისა და განათლების ხარჯების განევისათვის აუცილებელი სარჩოს თანხების გადახდა არასრულწლოვანი ბავშვის სახელით ხდება იმ მშობლისათვის, ვინც ზრდის და ზრუნავს ბავშვზე, ამ უკანასკნელის იურიდიული მეურვისათვის ან – თავად ბავშვისათვის, როდესაც ის აღწევს სრულწლოვანების ასაკს.

– 2. პარ. 1-ში მითითებული სარჩოს თანხების მიღებაზე უფლებამოსილი პირის ან თანხების გადახდაზე ვალდებული პირის მოთხოვნით ანდა – რჩენის კრედიტორისა თუ მოვალის ერთობლივი მოთხოვნის საფუძველზე თანხების ინკასირებასა და ამოღებას თავის თავზე იღებს სარჩოს თანხების ინკასაციის ეროვნული სააგენტო. ამ მიზნით სარჩოს თანხების მიღებაზე უფლებამოსილი პირი აღნიშნულ სააგენტოს გადასცემს სააღსრულებო ფურცელს, რომლის საფუძველზეც სარჩოს თანხების ინკასაციის ეროვნული სააგენტო უფლებამოსილი ხდება, მოახდინოს თანხების ამოღება, აუცილებლობის შემთხვევაში, – ქონების რეალიზაციით (იძულებითი აღსრულების პროცესში ქონების გაყიდვა).

– 3. სარჩოს თანხების ინკასაციის ეროვნულ სააგენტოს შეუძლია რჩენის მოვალისაგან მოახდინოს

თანხების ინკასირებისა და სასამართლო დავასა თუ ქონების რეალიზაციაზე განეული ხარჯების ამოღება. აღნიშნული ხარჯების ამოღება ხორციელდება პარ. 1-ში მითითებული თანხის გაზრდით მეფის სამთავრობო ბრძანების საფუძველზე ამ მიზნით დადგენილი წესების შესაბამისად {10%-ით გაზრდილი თანხა ემატება დავალიანების ძირითად თანხას}.

– 4. სარჩოს თანხების ინკასაციის ეროვნულმა სააგენტომ მოთხოვნილი თანხების ამოღება უნდა მოახდინოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სარჩოს თანხების მიღებაზე უფლებამოსილი პირი დაადასტურებს, რომ რჩენის მოვალემ უკანასკნელი ექვსი თვის განმავლობაში, სულ ცოცხა, ერთხელ მაინც დაარღვია მასზე დაკისრებული პერიოდული გადახდების განხორციელების ვალდებულება. ასეთ შემთხვევებში უნდა ხორციელდებოდეს იმ თანხების ამოღება, რომელთა გადახდის ვადაც დგება იმ თარიღიდან, რომელიც მოთხოვნის წარდგენის მომენტამდე არ აღემატება ექვსი თვის ვადას.

– 5. პარ. 3-ში მითითებული ხარჯების ანაზღაურებამდე სარჩოს თანხების ინკასაციის ეროვნულმა სააგენტომ რჩენის მოვალეს დაზღვეული წერილით უნდა შეატყობინოს მის მიერ იმ კონკრეტული თანხის გადაუხდელობის შესახებ, რომლის მიღებაც მას ეკუთვნის რჩენის ვალდებულების საფუძველზე, ასევე – თუ რომელი თანხა გაიზრდება ზემოაღნიშნული ხარჯებითა და ამ თანხების რჩენის მოვალისაგან ამოღების განზრახვის შესახებ. აღნიშნული დაზღვეული წერილის გაგზავნიდან თოთხმეტი დღის გასვლის შემდეგ სარჩოს თანხების ინკასაციის ეროვნულ სააგენტოს შეუძლია შეუდგეს ვალის ამოღებას.

– 6. პარ. 1-ში მითითებული სარჩოს მიღებაზე უფლებამოსილი პირის მოთხოვნით ვალის ამოღების პროცესი უნდა შეწყდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სარჩოს თანხების ინკასაციის ეროვნული სააგენტოსათვის რეგულარული გადახდები ხორციელდებოდა, სულ ცოცხა, ნახევარი წლის განმავლობაში და პარ. 4-ის მეორე წინადადებაში მითითებული თანხები აღარ დარჩა. ნახევარწლიანი ვადა ყოველ წელს ორმაგდება, თუკი ადრე სარჩოს მიღებაზე უფლებამოსილი პირის მოთხოვნით დაწყებულია თანხების ამოღებასთან დაკავშირებული სხვა ადრინდელი ვადის დენა.

– 7. შესაბამისი ბავშვის მიერ სრულწლოვანების ასაკის მიღწევის მომენტში ძალაში არსებული თანხების ამოღება უნდა გაგრძელდეს ზრდასრული ბავშვის სახელით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მან მოითხოვა თანხების ამოღების პროცესის შეწყვეტა.

– 8. ბავშვზე ზრუნვისა და მისი აღზრდის ხარჯებთან ანდა – ასევე რჩენისა და განათლების ხარჯებთან დაკავშირებული სააღსრულებო ფურცლის აღსრულება ხორციელდება პარ. 3-ში მითითებული ნამეტო თანხის მხედველობაში მიღებით.

– 9. თანხების ამოღებისკენ მიმართული ის პროცედურები, რომლებსაც შედეგად არ მოჰყოლია ვალის ფაქტობრივი ამოღება არასრულწლოვანის მიერ 21 წლის ასაკის მიღწევის მომენტიდან ათი წლის განმავლობაში, სარჩოს თანხების ინკასაციის ეროვნული სააგენტოს მიერ შეიძლება შეწყდეს. სარჩოს მიღებაზე უფლებამოსილ პირს ამის თაობაზე უნდა შეატყობინონ წერილობით.

– 10. რჩენის მოვალის მიერ გადახდილი თანხით თავდაპირველად მცირდება პარ. 3-ში მითითებული ხარჯები, შემდეგ – ნებისმიერი ვადამოსული პროცენტი და, ბოლოს, თავად ძირითადი თანხა, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში კი, – ნებისმიერი დარიცხული პროცენტი.

– 11. სარჩოს თანხების ინკასაციის ეროვნული სააგენტო უნდა დარწმუნდეს იმაში, რომ არასრულწლოვანი ბავშვის რჩენისათვის გაღებული თანხების გადახდა მოხდება მათ მიღებაზე უფლებამოსილი პირებისათვის.

– 12. შესაბამისად გამოიყენება 1:243 მუხლის პარ. 2, 3 და 4.

– 13. წინამდებარე მუხლის ნორმები, გარდა პარ. 1, 7 და 11-ში მოცემული ნორმებისა, შესაბამისად გამოიყენება მეუღლის ან რეგისტრირებული პარტნიორის სასარგებლოდ სასამართლოს განკარგულების საფუძველზე დადგენილი სარჩოს თანხების მიმართ, მათ შორის, – იმ სასამართლოს განკარგულების საფუძველზე დადგენილი სარჩოს თანხების მიმართ, რომლითაც მეუღლის ან რეგისტრირებული პარტნიორის სასარგებლოდ განისაზღვრება საუზრუნველყოფო (დროებითი) სარჩოს თანხები და ასევე – იმ პირობით, რომ თანხების ამოღებისკენ მიმართული აღნიშნული პროცედურები სარჩოს თანხების ინკასაციის ეროვნული სააგენტოს მიერ შეიძლება შეწყდეს, თუ მათ შედეგად არ მოჰყოლია ვალის ფაქტობრივი ამოღება სააგენტოსათვის თანხების ამოღების მოთხოვნის წარდგენის მომენტიდან ათი წლის განმავლობაში.

ტიტული 1.18 – პირის თავის საცხოვრებელ ადგილზე არყოფნა, დაკარგული პირები და პირის გარდაცვლილად აღიარება

განყოფილება 1.18.1 – საცხოვრებელ ადგილზე არმყოფი პირის ინტერესებში ქონების მინდობით მართვა

მუხლი 1:409 მესაკუთრის საცხოვრებელ ადგილზე არყოფნისას ქონების მმართველის დანიშვნა

– 1. თუ პირმა, რომელმაც დატოვა თავისი სახლი, არ მიიღო საკმარისი ზომები მისი არყოფნისას საკუთარი ქონების მართვისათვის და ასევე არსებობს ქონების მართვასა და საცხოვრებელ ადგილზე არმყოფი პირის წარმომადგენლობასთან დაკავშირებით არსებული ხარვეზის გამოსწორების აუცილებლობა, მაშინ რაიონულ სასამართლოს ნებისმიერი დაინტერესებული პირის ან პროკურატურის მოთხოვნის საფუძველზე შეუძლია საცხოვრებელ ადგილზე არმყოფი პირის ქონების სრულად ან ნაწილობრივ მართვისა და ასევე ამ უკანასკნელის სხვა ინტერესებზე ზრუნვისათვის დანიშნოს ქონების მმართველი.

– 2. წინამდებარე განყოფილების მიზნებისათვის ის პირი, რომლის არსებობაც გაურკვეველია ანდა ვისთან დაკავშირებაც შეუძლებელია, უთანაბრდება იმ პირს, რომელმაც დატოვა თავისი სახლი, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც არ არის დადგენილი ის ფაქტი, რომ მან რეალურად დატოვა თავისი სახლი.

მუხლი 1:410 არასრულწლოვანთა მეურვეობისა და დაცვითი მართვის მომწესრიგებელი კანონისმიერი ნორმების გამოყენება

– 1. რამდენადაც რაიონულ სასამართლოს სხვაგვარად არ დაუდგენია, წინა მუხლში აღნიშნულ საცხოვრებელ ადგილზე არმყოფი პირის ინტერესებში 1:338, 1:339, 1:340, 1:342-1:357 მუხლების, 1:358 მუხლის პარ. 1-სა და 1:359-დან 1:363 მუხლის ჩათვლით ნორმები შესაბამისად გამოიყენება ქონების მინდობით მართვის მიმართ იმ პირობით, რომ ქონების მმართველმა თავისი მართვის ამსახველი წერილობითი ანგარიში ყოველ წელს უნდა წარუდგინოს რაიონული სასამართლოს რეესტრს.

– 2. მმართველი უფლებამოსილია საზღაურის მიღებაზე ამ მიზნით უშიშროებისა და იუსტიციის მინისტრის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.

– 3. წარმოდგენილ წერილობით ანგარიშზე რაიონული სასამართლოს ნებართვა არ ეხება სამართავად გადაცემული აქტივების მესაკუთრის უფლებას, მართვის დასრულებისას მმართველს იმავე პერიოდში კვლავ მოსთხოვოს ანგარიშის წარდგენა, რამდენადაც ეს არაგონივრული არ არის.

– 4. ქონების მმართველს შეუძლია ასევე დაიცვას საცხოვრებელ ადგილზე არმყოფი პირის სხვა ინტერესებიც, რომლებიც არ ეხება მის ქონებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს რაიონული სასამართლოს მიერ არის გამორიცხული.

– 5. რაიონულ სასამართლოს ნებისმიერ დროს შეუძლია გაათავისუფლოს მმართველი მასზე დაკისრებული მოვალეობისაგან და ჩაანაცვლოს ის სხვა პირით.

მუხლი 1:411 საცხოვრებელ ადგილზე არმყოფი პირის ინტერესებში ქონების მინდობით მართვის შეწყვეტა

საცხოვრებელ ადგილზე არმყოფი პირის ინტერესებში ქონების მინდობით მართვა წყდება:

a. მესაკუთრისა და ქონების მმართველის ერთობლივი გადაწყვეტილებით;

b. როდესაც მესაკუთრემ, სულ ცოტა, შეწყვეტის ერთთვიანი ვადის სათანადო დაცვით მმართველს შეატყობინა იმის თაობაზე, რომ ის წყვეტს თავისი ქონების მართვას;

c. როდესაც დადგინდა მესაკუთრის გარდაცვალების ფაქტი.

განყოფილება 1.18.2 – პირები, რომელთა არსებობა გაურკვეველია

მუხლი 1:412 მემკვიდრის ან ლეგატის მიმღების უფლებათა განხორციელების ნებართვა

– 1. როდესაც პირი, რომლის არსებობაც გაურკვეველია, უფლებამოსილი ხდება იმ სამკვიდროს ან ლეგატის წილზე, რაზეც სხვები იქნებოდნენ უფლებამოსილი, ეს პირი ცოცხალი რომ არ ყოფილიყო, რაიონულმა სასამართლომ ამ სხვა პირებს მათივე მოთხოვნის საფუძველზე უნდა მისცეს მემკვიდრის ან ლეგატის მიმღების უფლებათა რეალიზაციის ნებართვა, ნაცვლად იმ პირისა, რომლის არსებობაც გაურკვეველია.

- 2. აუცილებლობის შემთხვევაში რაიონულ სასამართლოს შეუძლია საჯარო შეტყობინების გზით მოინვიოს აღნიშნული პირები სასამართლოში და სხვა დაინტერესებული პირების სასარგებლოდ დაადგინოს შესაბამისი დაცვითი ზომების მიღება.

- 3. თუ მას შემდეგ, რაც სასამართლო გასცემს პარ. 1-ში მითითებულ ნებართვას, ნათელი გახდება, რომ უგზო-უკვლოდ დაკარგული პირი ჯერ კიდევ ცოცხალია იმ მომენტისათვის, როდესაც, მის ნაცვლად, სხვა პირები იქნენ მოწვეული ქონების (სამკვიდროს) მისაღებად, მაშინ უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირს ან ნებისმიერ უკეთესი უფლებისა თუ სამართლებრივი საფუძვლის მქონე პირს შეუძლია აღნიშნული ქონებიდან მიღებული აქტივებისა და ასევე ამ აქტივების სარგებლის (ნაყოფის) დაბრუნება მოითხოვოს იმ პირებისაგან, რომლებიც ფლობენ ამ აქტივებსა და სარგებელს; შესაბამისი აქტივებისა და სარგებლის (ნაყოფის) დაბრუნების მოთხოვნა შესაძლებელია სასამართლოს იმ განკარგულების საფუძველზე, რომლითაც უგზო-უკვლოდ დაკარგული პირი სავარაუდოდ გარდაცვლილად გამოცხადდა, თუმცა – ამ სასამართლოს განკარგულებაში მითითებული შეზღუდვების ჯეროვანი გათვალისწინებით.

- 4. წინამდებარე მუხლის წინა პარაგრაფები გამოიყენება ასევე სიცოცხლის დაზღვევის იმ შემწეობის თანხების მიმართაც, რომელთათვისაც პირი, რომლის არსებობაც გაურკვეველია, პირველი რიგის მოსარგებლის სახით დაინიშნა.

მუხლი 1:413 უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის სავარაუდოდ გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ სასამართლოს განკარგულება

- 1. როდესაც პირის არსებობა გაურკვეველია და გასულია ქვემოთ მოცემულ პარაგრაფში მითითებული ვადა, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია მოსთხოვოს რაიონულ სასამართლოს, რათა მას მიეცეს ნებართვა, ოფიციალურად მოინვიოს უგზო-უკვლოდ დაკარგული პირი სასამართლოში იმის დასადასტურებლად, რომ ის ცოცხალია, ხოლო თუ ეს არ დამტკიცდა, – მაშინ სასამართლომ უნდა გამოაცხადოს, რომ სახეზეა უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის გარდაცვალების სამართლებრივი პრეზუმფცია.

- 2. ა. წინა პარაგრაფში მითითებული ვადა შეადგენს ხუთ წელს, რომელიც აითვლება უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის გაუჩინარებიდან ანდა მისი სიცოცხლის უკანასკნელი ნიშნის გამოვლენის მომენტიდან.

ბ. აღნიშნული ვადა მცირდება ერთ წლამდე, თუ პირი ამ ვადის განმავლობაში დაკარგულია და ასევე სახეზეა სხვა გარემოებებიც, რომლითაც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ის გარდაიცვალა.

- 3. პარ. 1-ში მითითებული მოთხოვნა შეიძლება წარდგენილ იქნეს ასევე პროკურატურის მიერაც.

მუხლი 1:414 უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის სასამართლოში მოწვევის წესი

- 1. რაიონულმა სასამართლომ უნდა განსაზღვროს დღეები და საათები, როდესაც უგზო-უკვლოდ დაკარგული პირი უნდა გამოცხადდეს სასამართლოში. უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის სასამართლოში მოწვევისას დასაცავი ვადა შეადგენს ერთ თვეს ან უფრო მეტ ვადას, თუ სასამართლო ამას აუცილებლად ჩათვლის. უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის სასამართლოში მოწვევის წესი რეგულირდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1-ლი წიგნის მე-3 ტიტულის მე-3 განყოფილების კანონისმიერი ნორმებით.

- 2. თუ უგზო-უკვლოდ დაკარგული პირი არ გამოცხადდება სასამართლოში და არც სხვა პირი დამაჯერებლად არ განაცხადებს, რომ ეს პირი ცოცხალია, მაშინ რაიონულმა სასამართლომ უნდა გამოაცხადოს, რომ სახეზეა გარდაცვალების სამართლებრივი პრეზუმფცია, მიუხედავად იმ უფლების არსებობისა, კიდევ ერთხელ მიიღოს პარ. 1-ში მითითებული განკარგულება, მოითხოვოს მონმეთა დაკითხვა და – ასევე იმის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა, რომ დაკმაყოფილებულია 1:413 მუხლში გათვალისწინებული მოთხოვნები.

- 3. სასამართლოს განკარგულებაში, რომელიც თან ერთვის გარდაცვალების სამართლებრივი პრეზუმფციის არსებობის შესახებ განცხადებას, მიეთითება დღე, როდესაც უგზო-უკვლოდ დაკარგული პირი ივარაუდება გარდაცვლილად; ასეთ დღედ მიიჩნევა ასევე სიცოცხლის უკანასკნელი ნიშნის გამოვლენის შემდგომი დღეც, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სახეზეა საკმარისი საფუძვლები იმის ვარაუდისა, რომ უგზო-უკვლოდ დაკარგული პირი აღნიშნული დღის შემდეგაც გარკვეული დროის განმავლობაში ჯერ კიდევ ცოცხალი იყო.

- 4. სასამართლოს შეუძლია ასევე განსაზღვროს, რომ განმცხადებლის მიერ 1:413 მუხლის პარ. 1-ის მიხედვით განეული ხარჯები ანაზღაურებულ იქნეს უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის აქტივების ხარჯზე.

მუხლი 1:415 {გაუქმებულია 10.07.1978წ.}

მუხლი 1:416 1:413 მუხლით გათვალისწინებული სასამართლოს განკარგულების გასაჩივრების დაუშვებლობა

დაუშვებელია იმ სასამართლოს განკარგულების გასაჩივრება, რომლითაც გაიცა უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის სასამართლოში ოფიციალურად მონვევის ნებართვა, როგორც ეს გათვალისწინებულია 1:413 მუხლის პარ. 1-ში.

მუხლი 1:417 გარდაცვალების მოწმობა

– 1. მას შემდეგ, რაც სასამართლოს განკარგულება, რომლითაც ცხადდება გარდაცვალების სამართლებრივი პრეზუმფციის არსებობა, შედის კანონიერ ძალაში და ხდება მბოჭავი, იმ სასამართლოს მდივანი, სადაც უკანასკნელად იხილებოდა საქმე, სასამართლოს ამ განკარგულების დამონმებულ ასლს უგზავნის მიტოვებული დომიცილის სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრატორს, ხოლო ნიდერლანდებში მიტოვებული დომიცილის არარსებობის შემთხვევაში კი, – ჰააგის მუნიციპალიტეტის რეგისტრატორს. ამის შემდგომ სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრატორი ადგენს სასამართლოს განკარგულების რეგისტრაციის შესახებ მოწმობას, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს სასამართლოს გადაწყვეტილებას და კონკრეტულად ახსენებდეს იმას, რომ ის შედგენილია სასამართლოს ასეთი განკარგულების საფუძველზე.

– 2. ზემოაღნიშნული გარდაცვალების მოწმობა ნებისმიერი პირის მიმართ ქმნის მტკიცებულებას იმ ფაქტისა, რომ უგზო-უკვლოდ დაკარგული პირი გარდაიცვალა ამ მოწმობაში მითითებულ დღეს.

მუხლი 1:418 უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის მემკვიდრეთა და ლეგატარების ვალდებულებები

– 1. მანამდე, სანამ სავარაუდოდ გარდაცვლილად გამოცხადებული უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის მემკვიდრეები და ლეგატარები შეუდგებიან ამ პირის კუთვნილი ქონების ფლობას, რაიონულ სასამართლოს შეუძლია დაადგინოს, რომ მათ დაევალოთ უზრუნველყოფის წარდგენა იმ შემთხვევისათვის, თუ მათ მოუწევდათ ქონების დაბრუნება უგზო-უკვლოდ დაკარგული პირისათვის, თუ ეს უკანასკნელი დაბრუნდებოდა, ანდა – ასევე იმ შემთხვევისათვის, თუ მათ მოუწევდათ ქონების გადაცემა უკეთესი უფლებისა თუ სამართლებრივი საფუძვლის მქონე მემკვიდრეებისა თუ ლეგატარებისათვის.

– 2. მემკვიდრეებმა უნდა შეადგინონ ჯეროვანი ინვენტარიზაციის აქტი მას შემდეგ, რაც ისინი შეუდგებიან სავარაუდოდ გარდაცვლილად გამოცხადებული პირის კუთვნილი ქონების ფლობას.

– 3. დაუშვებელია რეგისტრირებული ქონების გასხვისება ან უფლებრივი დატვირთვა, გარდა მნიშვნელოვანი მიზეზების არსებობის შემთხვევებისა და, ამავე დროს, რაიონული სასამართლოს ნებართვით. თუ რეგისტრირებული აქტივების გაყოფა და განაწილება შეუძლებელია სხვაგვარად, ვიდრე გაყიდვისა და ამონაგები თანხის განაწილების გზით, მაშინ ეს აქტივები გადაეცემა სამართავად იმ მესამე პირს, ვინც გაანაწილებს ამ აქტივებიდან მიღებულ სარგებელს იმისდა მიხედვით, თუ რა იყო ამ მომენტისათვის შეთანხმებული აღნიშნული ქონების გაყოფასა და განაწილებასთან დაკავშირებით.

– 4. სავარაუდოდ გარდაცვლილად გამოცხადებული პირის ქონების გაყოფა უნდა განხორციელდეს იმ ავთენტური დოკუმენტის საფუძველზე, რომელშიც უნდა განისაზღვროს ასევე ისიც, თუ რა უნდა განაწილდეს ლეგატარებსა და სხვა მოსარგებლებზე.

– 5. დაუშვებელია ქონების განიავება და ასევე ამ ქონებიდან ზედმეტი ნაჩუქრობების განხორციელება.

– 6. თუ რაიონული სასამართლო ამას ითხოვს, მემკვიდრეებმა და ლეგატარებმა სასამართლოს უნდა მიაწოდონ ყველა აუცილებელი ინფორმაცია.

– 7. წინამდებარე მუხლის ვალდებულებები ნყდება რაიონული სასამართლოს მიერ განსაზღვრული თარიღის დადგომისას და, ნებისმიერ შემთხვევაში, – 1:417 მუხლის შესაბამისად გარდაცვალების მოწმობის შედგენის თარიღიდან ხუთი წლის შემდეგ. იმ რაიონულ სასამართლოს, რომელმაც მიიღო სასამართლოს განკარგულება, რომელშიც უგზო-უკვლოდ დაკარგული პირი გამოცხადდა სავარაუდოდ გარდაცვლილად, შეუძლია ამ განკარგულებაში ასევე განსაზღვროს ისიც, რომ არსებული ვითარების გარემოებათა გათვალისწინებით წინამდებარე მუხლში ნახსენები ერთი ან მეტი ვალდებულების შესრულება აუცილებელი არ გახდეს.

მუხლი 1:419 რაიონული სასამართლოს რეესტრში შესანახად გასადაცემი დოკუმენტები

მოთხოვნილი უზრუნველყოფის წარდგენის შესახებ, ინვენტარიზაციის აქტისა და ქონების გაყოფის აქტის ორიგინალი ან დამონმებული ასლი შესანახად გადაეცემა რაიონული სასამართლოს რეესტრს.

მუხლი 1:420 ქონების მმართველის დანიშვნა

– 1. როდესაც რაიონული სასამართლო მიიჩნევს, რომ მემკვიდრემ ან ლეგატარმა არ შეასრულა მასზე წინა ორი მუხლის შესაბამისად დაკისრებული ვალდებულებები, მას შეუძლია დანიშნოს უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის იმ ქონების აქტივების მმართველი, რაზეც უფლებამოსილი გახდა აღნიშნული მემკვიდრე ან ლეგატარი; ქონების მართვა უნდა შეწყდეს, როდესაც რაიონული სასამართლო გადანყვეტს, რომ მემკვიდრემ ან ლეგატარმა შეასრულა მასზე დაკისრებული კანონისმიერი ვალდებულებები.

– 2. რამდენადაც რაიონული სასამართლო სხვაგვარად არ ითვალისწინებს, 1:338, 1:339, 1:340, 1:342-1:357 მუხლების, 1:358 მუხლის პარ. 1 და 1:359-დან 1:363-ის ჩათვლით მუხლები შესაბამისად გამოიყენება წინა პარაგრაფში მითითებული ქონების მართვის მიმართ იმ პირობით, რომ მმართველმა რაიონული სასამართლოს რეესტრს ყოველ წელს თავისი მართვის შესახებ უნდა წარუდგინოს წერილობითი ანგარიში.

– 3. მმართველი უფლებამოსილია საზღაურის მიღებაზე ამ მიზნით უშიშროებისა და იუსტიციის მინისტრის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.

– 4. რაიონულ სასამართლოს ნებისმიერ დროს შეუძლია გაათავისუფლოს მმართველი მასზე დაკისრებული მოვალეობისაგან და ჩაანაცვლოს ის სხვა პირით.

მუხლი 1:421 მეუღლის ან რეგისტრირებული პარტნიორის ვალდებულებები

სავარაუდოდ გარდაცვლილად გამოცხადებული პირის ქონების აქტივების მიმღებ მემკვიდრეებთან დაკავშირებული წინა სამი მუხლის ნორმები შესაბამისად გამოიყენება ამ პირის მეუღლის ან რეგისტრირებული პარტნიორის მიმართაც, რომელმაც მიიღო აქტივები საერთო საკუთრების შეწყვეტის შედეგად ანდა საქორწინო ურთიერთობებში მეუღლეების წილთა გათანაბრების ვალდებულების გამო. თუმცა, მეუღლე ან რეგისტრირებული პარტნიორი არ არის ვალდებული წარადგინოს უზრუნველყოფა იმისათვის, რაც მიღებულ იქნა აღნიშნულის საფუძველზე.

მუხლი 1:422 უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის დაბრუნება ან გარდაცვალების მოწმობაში პირის გარდაცვალების შესახებ არასწორად მითითებული თარიღი

– 1. თუ უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის დაბრუნდება ან თუ აშკარაა, რომ გარდაცვალების მოწმობაში მისი გარდაცვალების თარიღი არასწორია, მაშინ თითოეულმა იმ პირმა, ვინც წინა მუხლების ნორმათა შესაბამისად ფლობს უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის ნებისმიერ აქტივს ან ვინც ასეთ აქტივს ფლობს მინდობით მართვის უფლებით, შესაბამისი ანგარიში უნდა წარუდგინოს და ეს აქტივები გადასცეს აღნიშნულ დაბრუნებულ პირს ანდა – იმ პირებს, რომლებიც ასეთ შემთხვევაში აღნიშნული აქტივების მიღებაზე უფლებამოსილად იქნებიან მიჩნეული.

– 2. მესამე პირთა მიერ კეთილსინდისიერად მოპოვებული უფლებები დაცულია. თუმცა, თუ აქტივების შექმნა მოხდა უსასყიდლოდ, მაშინ სასამართლოს შეუძლია აღნიშნულის შედეგად სარგებლის მიმღებ პირებს დაავალოს კომპენსაციის გადახდა იმ პირებისათვის, რომლებმაც უსაფუძვლოდ დაკარგეს თავიანთი უფლებები აღნიშნულ აქტივებზე.

– 3. როდესაც უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის სიცოცხლე დაზღვეული იყო მესამე პირების სასარგებლოდ, მაშინ ეს პირები რჩებიან უფლებამოსილი იმ თანხების მიღებაზე, რომლებიც უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის დაბრუნებამდე უკვე იქნა გადახდილი, და ასევე – აღნიშნულ დაზღვევასთან დაკავშირებით ვადამოსული თანხების მიღებაზე; მოცემულ შემთხვევაში სადაზღვევო პოლისიდან სხვა შეღავათების მიღება დაუშვებელია.

მუხლი 1:423 უზუსტო გარდაცვალების მოწმობა

– 1. თუ 1:417 მუხლის შესაბამისად გარდაცვალების მოწმობის შედგენის დღიდან ხუთი წლის განმავლობაში დადასტურდება, რომ გარდაცვალების მოწმობა უზუსტოა, მაშინ იმ პირებს, რომლებმაც კეთილსინდისიერად გამოიყენეს უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის ქონების სარგებელი (ნაყოფი), ეკისრებათ მხოლოდ ამის ნახევრის უკან დაბრუნება; თუ გარდაცვალების მოწმობის უზუსტობა დადასტურდება უფრო გვიან, მაშინ ამ პირებს საერთოდ არ ეკისრებათ გამოყენებული სარგებლის (ნაყოფის) უკან დაბრუნების ვალდებულება.

– 2. თუ გარდაცვალების მოწმობის შედგენის დღიდან ათზე მეტი წლის შემდეგ დადასტურდება, რომ ეს მოწმობა უზუსტოა, მაშინ იმ პირებმა, რომლებმაც უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის ქონების აქტივები მფლობელობაში კეთილსინდისიერად მიიღეს, უნდა დააბრუნონ მხოლოდ და მხოლოდ ის აქტივები, რომლებიც მათ ჯერ კიდევ მფლობელობაში აქვთ, და ასევე – მხოლოდ დაბრუნების მომენტისათვის

არსებულ მდგომარეობაში, რასაც ემატება იმ გადაცემული ქონებისა თუ აქტივების ფასის თანხა, რაც მიღებულ იქნა ამ აქტივების სანაცვლოდ; აღნიშნული ანდა სხვა აქტივებიდან გამოყენებული სარგებლის დაბრუნება ან მისი ანაზღაურება სავალდებულო არ არის და ასევე ანაზღაურებას არ ექვემდებარება არც ის აქტივები, რომლებიც უკვე აღარ არსებობს; არ არსებობს არც ანგარიშის წარდგენის ვალდებულება.

– 3. ქონების უკან დაბრუნების ნებისმიერი ვალდებულება წყდება გარდაცვალების მოწმობის შედგენის დღიდან ოცნლიანი ვადის გასვლისთანავე.

მუხლი 1:424 *{გაუქმებულია}*

მუხლი 1:425 დაბრუნებული უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის სამოქალაქო მდგომარეობა და შვილების მიმართ უფლებამოსილება

– 1. თუ უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის ცოლი ხელახლა დაქორწინდა ისე, რომ შემდგომში ნათელი გახდა უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის ჯერ კიდევ ცოცხლად ყოფნის ფაქტი იმ დღისათვის, რომელიც ამ პირის 1:417 მუხლის შესაბამისად შედგენილ გარდაცვალების მოწმობაში მითითებულია მის გარდაცვალების დღედ, მაშინ უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთან არსებული ქორწინება მაინც ჩაითვლება შეწყვეტილად გარდაცვალების მოწმობაში აღნიშნული გარდაცვალების დღიდან იმდენად, რამდენადაც საქმე ეხება ახალ ქორწინებამდე დაბადებული შვილების სამოქალაქო მდგომარეობის განსაზღვრას.

– 2. სავარაუდოდ გარდაცვლილად გამოცხადებულ პირსა და ასევე იმ პირს, რომელმაც დაბრუნებისას ვერ დაიბრუნა უფლებამოსილება არასრულწლოვან შვილებზე, შეუძლია რაიონულ სასამართლოს მოსთხოვოს მისთვის ამ უფლებამოსილების ხელახალი მინიჭება. თუ უგზო-უკვლოდ დაკარგული პირი ასეთ მოთხოვნას მეორე მშობელთან ერთად ბავშვის ინტერესებში წარადგენს ან როდესაც არავინ არ ახორციელებს უფლებამოსილებას ბავშვის მიმართ ანდა როდესაც ბავშვი იმყოფება იურიდიული მეურვის მეურვეობის ქვეშ, – მოთხოვაზე უარის თქმა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ როდესაც არსებობს საფუძვლიანი შიში იმისა, რომ მოთხოვნის დაკმაყოფილებისას ბავშვის ინტერესები შესაძლოა უფლებელყოფილი აღმოჩნდეს. სხვა ვითარებებში აღნიშნული მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ეს ბავშვის საუკეთესო ინტერესებშია.

განყოფილება 1.18.3 – კონკრეტულ შემთხვევებში პირის გარდაცვლილად აღიარება

მუხლი 1:426 გარდაცვლილად გამოცხადება

– 1. თუ უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის გვამი ვერ იქნა ნაპოვნი, თუმცა საქმის ყველა გარემოების გათვალისწინებით, მისი გარდაცვალება შეიძლება უკვე უდავოდ ჩაითვალოს, მაშინ რაიონულ სასამართლოს პროკურორის ან ნებისმიერი დაინტერესებული მხარის მოთხოვნის საფუძველზე შეუძლია უგზო-უკვლოდ დაკარგული პირი გამოაცხადოს გარდაცვლილად:

a. თუ პირის გაუჩინარება მოხდა ნიდერლანდებში;

b. თუ პირის გაუჩინარება მოხდა იმ საზღვაო თუ საჰაერო ხომალდით მგზავრობისას, რომლის ბაზირების ადგილია ნიდერლანდები;

c. თუ უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირს ჰქონდა ჰოლანდიის მოქალაქეობა;

d. თუ უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირს თავისი დომიცილი ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ჰქონდა ნიდერლანდებში.

– 2. როდესაც პირი გარდაიცვალა ნიდერლანდების ტერიტორიის ფარგლებს გარეთ და არანაირი გარდაცვალების მოწმობა არ იქნა შედგენილი ანდა ასეთი მოწმობის წარდგენა შეუძლებელია, რაიონულ სასამართლოს პროკურორის ან ნებისმიერი დაინტერესებული მხარის მოთხოვნის საფუძველზე შეუძლია ეს პირი გამოაცხადოს გარდაცვლილად:

a. თუ გარდაცვალება მოხდა იმ საზღვაო თუ საჰაერო ხომალდით მგზავრობისას, რომლის ბაზირების ადგილია ნიდერლანდები;

b. თუ გარდაცვლილ პირს ჰქონდა ჰოლანდიის მოქალაქეობა;

c. თუ გარდაცვლილ პირს თავისი დომიცილი ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ჰქონდა ნიდერლანდებში.

– 3. იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელია, პარ. 2 და 3-ში მითითებული სარჩელი ან მოთხოვნა ანდა მათი თანმხლები დოკუმენტები უნდა შეიცავდეს 1:427 მუხლში ნახსენებ მონაცემებს.

მუხლი 1:427 სასამართლოს განკარგულების შინაარსი

– 1. სასამართლოს განკარგულებაში, რომელიც თან ერთვის 1:426 მუხლში ნახსენები პირის გარდაცვალების შესახებ განცხადებას, მიეთითება გარდაცვალების დღე და, თუ ეს შესაძლებელია, – ასევე გარდაცვალების საათიც. როდესაც გარდაცვალების დღე უცნობია, ამ უკანასკნელს დაადგენს რაიონული სასამართლო და მიუთითებს მას თავის განკარგულებაში. თავისი გადამწყვეტილების მიღებისას რაიონულმა სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს ყველა მტკიცებულება და ყოველი მითითება იმ პირობებთან დაკავშირებით, რომელთა არსებობისას დადგა სიკვდილი და ასევე – გარდაცვალების დრო.

– 2. გარდა აღნიშნულისა, სასამართლოს განკარგულებაში უნდა მიეთითოს გარდაცვლილის გვარი, სახელი, სქესი და, თუ ეს შესაძლებელია, – ასევე მისი გარდაცვალების ადგილიც, დომიცილი, გარდაცვლილის დაბადების ადგილი და თარიღი და იმ პირისა თუ პირთა გვარი და სახელები, ვისთანაც იყო გარდაცვლილი დაქორწინებული ანდა იმყოფებოდა რეგისტრირებულ პარტნიორობაში.

მუხლი 1:428 {გაუქმებულია 01.04.1995წ.}

მუხლი 1:429 რეგისტრაცია გარდაცვალებების რეესტრში

როგორც კი სასამართლოს განკარგულება შედის კანონიერ ძალაში და ხდება მხოფავი, იმ სასამართლოს მდივანი, სადაც უკანასკნელად იხილებოდა საქმე, სასამართლოს ამ განკარგულების დამონმებულ ასლს უგზავნის ჰაავის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრატორს. ამის შემდგომ ეს რეგისტრატორი ადგენს სასამართლოს განკარგულების რეგისტრაციის შესახებ მონმობას, რომელიც რეგისტრაციაში ტარდება გარდაცვალებების რეესტრში.

მუხლი 1:430 გარდაცვალებების რეესტრში რეგისტრაციის სამართლებრივი შედეგები

– 1. 1:426 მუხლის შესაბამისად შედგენილი მონმობები განიხილება როგორც გარდაცვალების მონმობა 1:19f მუხლის პარ. 1-ის გაგებით.

– 2. 1:422, 1:423 და 1:425 მუხლები შესაბამისად გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ 1:426 მუხლის საფუძველზე გარდაცვლილად გამოცხადებული პირი მოგვიანებით დაბრუნდება, ან თუ დადასტურდება გარდაცვალების დღის უსწორობა, რომელიც ნახსენებია 1:429 მუხლში მითითებულ რეგისტრაციის მონმობაში.

ტიტული 1.19 – მინდობით ქონების მართვა ზრდასრული პირებისათვის

მუხლი 1:431 ზრდასრული პირებისათვის მინდობით ქონების მართვის საფუძვლები

– 1. თუ ზრდასრული პირი მესაკუთრე დროებით ან მყარად ვერ ახერხებს თავისი ქონებრივი ინტერესების დაცვას:

a. თავისი ფსიქიკური თუ გონებრივი მდგომარეობის გამო, ან

b. ფულადი სახსრების გაფლანგვის (წინდაუხედავი ხარჯვის) გამო ანდა პრობლემური ვალების არსებობის გამო,

რაიონულ სასამართლოს შეუძლია დაადგინოს მინდობით ქონების მართვა მისი როგორც მესაკუთრის კუთვნილ ერთ ან მეტ აქტივზე ანდა – იმ აქტივზე, რომელიც მისი გახდება მომავალში.

წინამდებარე ტიტულის გაგებით მესაკუთრის კუთვნილი აქტივები მოიცავს მეუღლეთა საერთო საკუთრებაში შემავალ აქტივებს ანდა რეგისტრირებული პარტნიორობის ფარგლებში არსებულ საერთო საკუთრებაში შემავალ აქტივებს, რომლებიც არ ვარდება ამ მესაკუთრის მეუღლის ან რეგისტრირებული პარტნიორის ექსკლუზიური მართვის უფლების ქვეშ.

– 2. თუ მოსალოდნელია, რომ არასრულწლოვანი, იმ მომენტში, როდესაც ის მიაღწევს სრულწლოვანების ასაკს, აღმოჩნდება წინა პარაგრაფში აღწერილ ვითარებაში, მაშინ მინდობით ქონების მართვის შესახებ სასამართლოს განკარგულება შეიძლება მიღებულ იქნეს თუნდაც იმ მომენტამდე, როდესაც არასრულწლოვანი მიაღწევს ზრდასრულ ასაკს.

– 3. მინდობით ქონების მართვა შეიძლება დადგინდეს ასევე იმ შემთხვევაშიც, თუ მოსალოდნელია, რომ განჭვრეტად მომავალში მესაკუთრე აღმოჩნდება პარ. 1-ში მითითებულ მდგომარეობაში.

– 4. როდესაც სასამართლოში მიმდინარეობს საქმის წარმოება დროებითი ან პირობითი ნებართვის, სამედიცინო შემომმების ნებართვის, ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში მიღების შესახებ კანონის სა-

ფუძველზე გრძელვადიანი განთავსების ნებართვისა თუ ამ კანონის 33-ე მუხლის პირველი პარაგრაფით გათვალისწინებული ნებართვის მიღებასთან დაკავშირებით, სასამართლო განსჯადია ასევე შესაბამისი ზრდასრული მესაკუთრის ერთი ან მეტი აქტივის მინდობით ქონების მართვაში გადაცემის მოთხოვნის საკითხთან დაკავშირებითაც.

მუხლი 1:432 მინდობით ქონების მართვის მოთხოვნის ნარდგენაზე უფლებამოსილი პირები

– 1. მინდობით ქონების მართვის დადგენის მოთხოვნა შეუძლიათ თავად მესაკუთრეს, მის მეუღლეს, რეგისტრირებულ პარტნიორს ან ცხოვრების სხვა თანამგზავს, მეოთხე ხარისხის ჩათვლით მის ერთ-ერთ პირდაპირი და გვერდითი ხაზის სისხლით ნათესავს, პირს, ვინც 1:253sa ან 1:253t მუხლების საფუძველზე ახორციელებს მესაკუთრის მიმართ მშობლის უფლებამოსილებას, მის იურიდიულ მეურვეს, რომელიც მეურვეობას ახორციელებს მესაკუთრის როგორც არასრულწლოვანი პირის მიმართ, ასევე – ზრდასრული პირის მეურვეობის განმახორციელებელ იურიდიულ მეურვეს, როგორც ეს გათვალისწინებულია 1.16 ტიტულში, და სამართლებრივ მენტორს, როგორც ეს გათვალისწინებულია 1.20 ტიტულში. 1:432 მუხლის პარ. 3-ში მითითებულ შემთხვევაში, მინდობით ქონების მართვის მოთხოვნა შესაძლებელია მხოლოდ მესაკუთრის მიერ.

– 2. გარდა აღნიშნულისა, მინდობით ქონების მართვის დადგენის მოთხოვნა შეუძლიათ პროკურატურასა და იმ დანესებულებას, რომლის მეთვალყურეობის ქვეშაც იმყოფება მესაკუთრე ანდა რომელიც სთავაზობს ამ უკანასკნელს მზრუნველობას. ფულადი სახსრების გაფლანგვის (წინდაუხედავი ხარჯვის) გამო ანდა პრობლემური ვალების არსებობის გამო მინდობით ქონების მართვის დადგენის მოთხოვნა შეუძლიათ ასევე იმ მუნიციპალიტეტის მერისა და საქალაქო საბჭოს კოლეგიას, სადაც მესაკუთრეს აქვს თავისი ადგილსამყოფელი. ორივე უკანასკნელ შემთხვევაში განაცხადი უნდა ახსენებდეს ასევე იმას, თუ რატომ არ წარადგინეს მინდობით ქონების მართვის დადგენის მოთხოვნა პარ. 1-ში აღნიშნულმა პირებმა – მესამე და მეოთხე ხარისხის ჩაუთვლელად გვერდითი ხაზის სისხლით ნათესავებმა.

– 3. იმ სასამართლოს, რომელშიც მიმდინარეობს ზრდასრული პირის მეურვეობის დადგენისა თუ ამ უკანასკნელის გაუქმების მოთხოვნის შესახებ საქმე, აღნიშნულ მოთხოვნაზე უარის თქმამდე ანდა მის დაკმაყოფილებამდე შეუძლია საკუთარი ინიციატივით გადაერთოს წინამდებარე ტიტულში მოწესრიგებული მინდობით ქონების მართვის დადგენის საკითხის გადანყვეტაზე.

– 4. ზრდასრული მესაკუთრის ერთი ან მეტი აქტივის მინდობით ქონების მართვაში გადაცემის მოთხოვნა, რომელიც ნარდგენილ იქნა ამ მესაკუთრის ზრდასრული პირის მეურვეობის ქვეშ განთავსების მომენტში, უნდა გადაეცეს იმ სასამართლოს, რომელიც განსჯადია აღნიშნული ზრდასრული პირის მეურვეობის შეწყვეტის შესახებ გადანყვეტილების მიღებაზე. ამ სასამართლოს ზრდასრული პირის მეურვეობის შეწყვეტის დროს შეუძლია საკუთარი ინიციატივით გადაერთოს წინამდებარე ტიტულში მოწესრიგებული მინდობით ქონების მართვის დადგენის საკითხის გადანყვეტაზე.

– 5. პარ. 2 და 3-ის ნორმები შესაბამისად გამოიყენება მეუღლის მიერ მეორე მეუღლისათვის ქონების ადმინისტრირების უფლების დათმობის შემთხვევაში, როგორც ეს მითითებულია 1:91 მუხლში ანდა – ასეთი სასამართლოს განკარგულების მიღების მოთხოვნის შემთხვევაში.

მუხლი 1:433 მინდობით ქონების მართვის ქვეშ არსებული აქტივების შეცვლა

– 1. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვაგვარად გათვალისწინებულია იმ სასამართლოს განკარგულებაში, რომელშიც ერთი ან მეტი აქტივი განთავსებულია მინდობით ქონების მართვის ქვეშ, ეს მართვა მოიცავს ყველა აქტივს, რომლებიც მიჩნეულ უნდა იქნეს მინდობით ქონების მართვას დაქვემდებარებული აქტივების შემცვლელად იმ ნაყოფისა და სხვა სარგებლის ჩათვლით, რომლებიც მიიღება მინდობით ქონების მართვის შედეგად.

– 2. რაიონულ სასამართლოს 1:432 მუხლის პარ. 1 და 2-ში მითითებული მინდობით ქონების მართვის მოთხოვნაზე უფლებამოსილი პირის მოთხოვნის საფუძველზე ანდა საკუთარი ინიციატივით შეუძლია მინდობით ქონების უკვე დადგენილი მართვა გაავრცელოს მესაკუთრის ერთ ან მეტ აქტივზე ანდა ამორიცხოს ერთი ან მეტი აქტივი მინდობით ქონების მართვიდან და დამატებით დაადგინოს ასევე ისიც, რომ პარ. 1-ის წესი არ გამოიყენებოდეს ერთი ან მეტი აქტივი მიმართ, რა შემთხვევაშიც შესაბამისად გამოიყენება 1:434 მუხლის პარ. 1-ის ნორმები. რაიონულ სასამართლოს შეუძლია, აგრეთვე, მიუთითოს ერთ ან რამდენიმე მოქმედებაზე, რომელიც ნახსენებია 1:441 მუხლის პარ. 1-ის (f) პუნქტში, და – ასევე მოხსნას ასეთ მოქმედებებზე მითითება.

მუხლი 1:434 მინდობით ქონების მართვის ქვეშ არსებული აქტივების გადამუშავება

– 1. 1:432 მუხლსა და 1:433 მუხლის პარ. 2-ში მითითებული სასამართლოს განკარგულებაში, სასამართლო საკუთარი ინიციატივით განსაზღვრავს, თუ რომელი აქტივი უნდა განთავსდეს მინდობით ქონების მართვის ქვეშ ან, შესაბამისად, – რომელი უნდა გათავისუფლდეს მინდობით ქონების მართვიდან.

– 2. მინდობით ქონების მართვის ქვეშ აქტივების განთავსება და ასევე უკვე არსებული მინდობით მართვიდან ასეთი აქტივების გათავისუფლება ძალაში შედის იმ დღეს, როდესაც სასამართლოს განკარგულება გადაეცა ან გაეგზავნა განმცხადებელს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც განკარგულება ამ მიზნით უთითებს უფრო გვიანდელ თარიღზე. 1:431 მუხლის პარ. 2-ში მითითებულ ვითარებაში მინდობით ქონების მართვა ძალაში შედის იმ მომენტში, როდესაც შესაბამისი არასრულწლოვანი აღწევს სრულწლოვანების ასაკს.

მუხლი 1:435 ქონების მმართველად დასანიშნი პირები

– 1. იმ სასამართლომ, რომელიც ადგენს მინდობით ქონების მართვას, ერთდროულად ანდა შეძლებისდაგვარად სწრაფად უნდა დასანიშნოს ქონების მმართველი. ის უნდა დარწმუნდეს პირის სურვილში, დასანიშნოს ქონების მმართველად, და ასევე – შეაფასოს ამ პირის შესაბამისობა დასაკავებელ თანამდებობასთან.

– 2. აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება დასანიშნოს დროებითი მმართველი.

– 3. ქონების მმართველის დასანიშნისას სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს მესაკუთრის ამკარა პრიორიტეტებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს მნიშვნელოვანი მიზეზები ამ უკანასკნელის მიერ შეთავაზებული დასანიშნის საინააღმდეგოდ.

– 4. თუ მესაკუთრე დაქორწინებულია ან იმყოფება რეგისტრირებულ პარტნიორობაში ანდა თუ მას აქვს სხვა ახლო პირადი ურთიერთობა ცხოვრების თანამგზავრთან, მაშინ ქონების მმართველად დასანიშნისას უპირატესობა უნდა მიენიჭოს მეუღლეს, რეგისტრირებულ პარტნიორს ან ცხოვრების სხვა თანამგზავრს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გამოყენებულ იქნა წინა პარაგრაფის ნორმა. თუ წინა წინადადება არ გამოიყენება, მაშინ ქონების მმართველად დასანიშნისას უპირატესობა უნდა მიენიჭოს ამ პირის ერთ-ერთ მშობელს, შვილებს, ძმებს ან დებს. თუ გარკვეული ხნის შემდეგ მესაკუთრე ქორწინდება ან ხელახლა აფორმებს რეგისტრირებულ პარტნიორობას ანდა პოულობს ცხოვრების თანამგზავრს, ვისთანაც ის იწყებს ახლო პირად ურთიერთობას, მაშინ ყოველ აღნიშნულ პირს შეუძლია მოსთხოვოს სასამართლოს ქონების მმართველად დასანიშნა ადრე დასანიშნული ქონების მმართველის ნაცვლად.

– 5. დასაშვებია ქონების მმართველად სრული ქმედუნარიანობის მქონე იურიდიული პირების დასანიშნა.

– 6. დაუშვებელია შემდეგი პირების ქონების მმართველად დასანიშნა:

a. ქმედუნარო ფიზიკური პირებისა (არასრულწლოვნები და მეურვეობის ქვეშ მყოფი ზრდასრული პირი);

b. იმ პირებისა, რომელთა სასარგებლოდ დადგენილ იქნა დაცვითი მენტორობა;

c. იმ პირებისა, რომელთა ერთი ან მეტი აქტივი განთავსებულია მინდობით ქონების მართვის ქვეშ, როგორც ეს გათვალისწინებულია 1.19 ტიტულში;

d. იმ პირებისა, რომელთა მიმართაც მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

e. იმ პირებისა, რომელთა მიმართაც მოქმედებს ფიზიკური პირებისათვის არსებული ვალების დაფარვის სქემა;

f. გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ კანონის 287-ე მუხლის პარ. 3-ის გაგებით მესაკუთრის ქონების მმართველისა;

g. უშუალო მონაწილე ან დახმარების თუ მზრუნველობის გამწვევი მუშაკისა;

h. იმ პირებისა, რომლებიც ქმნიან იმ დაწესებულების მენეჯმენტსა თუ პერსონალს, რომლის მეთვალყურეობის ქვეშაც იმყოფება მესაკუთრე ან რომელიც ახორციელებს მესაკუთრის მიმართ მზრუნველობას ანდა რომელიც სთავაზობს ამ უკანასკნელს მზრუნველობას;

i. იმ პირებისა, რომლებიც კავშირში არიან იმ დაწესებულებასთან, რომლის მეთვალყურეობის ქვეშაც იმყოფება მესაკუთრე ანდა რომელიც ახორციელებს მესაკუთრის მიმართ მზრუნველობას ანდა რომელიც სთავაზობს ამ უკანასკნელს მზრუნველობას იმის გამო, რომ:

1° იმ დაწესებულებებსა თუ პირებს, რომლებიც ქმნიან დაწესებულების მენეჯმენტს, შეუძლიათ დამოუკიდებლად ან სხვა პირებთან ერთად მოახდინონ იურიდიული პირის საერთო კრებაზე ხმათა 50%-ის რეალიზაცია ანდა შეუძლიათ დასანიშნონ ან გაათავისუფლონ თანამდებობიდან იურიდიული პირის დირექტორთა ან ზედამხედველ დირექტორთა შემადგენლობის ნახევარზე მეტი;

2° პირი და დანესებულება ქმნიან 2:24b მუხლში ნახსენები ჯგუფის ნაწილს;

3° იურიდიული პირის დირექტორი ასევე ქმნის დანესებულების მენეჯმენტსა თუ პერსონალს.

– 7. სხვა პირი, ნაცვლად პარ. 4-ში აღნიშნული პირებისა, ვინც უკვე წარმოადგენს ზრდასრული პირის იურიდიულ მეურვეს, სამი ან მეტი პირის სახელით მოქმედი ქონების მმართველი ან სამართლებრივი მენტორი შეიძლება დაინიშნოს ქონების მმართველად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის – როდესაც საქმე ეხება მის მიერ სამენარმეო საქმიანობის წარმართვასა თუ განათლებას, და ასევე, აუცილებლობის შემთხვევაში, იმ პირთა აყვანას, წვრთნას, ხელმძღვანელობასა და ზედამხედველობას, რომელთა გამოც ის ახორციელებს ზრდასრული პირის მიმართ იურიდიული მეურვის ფუნქციებს, – აკმაყოფილებს მეფის სამთავრობო ბრძანებით დადგენილ ხარისხის სტანდარტებს, ისევე როგორც – 1:436 მუხლის პარ. 4-სა და 3:15i მუხლებში მოცემულ მოთხოვნებს.

– 8. პარ. 7-ში მითითებულმა პირმა მის დამნიშნავ სასამართლოს უნდა წარუდგინოს:

a. თავისი განცხადება, რომლიდანაც იკვეთება, რომ ის აკმაყოფილებს პარ. 7-ში მოცემულ ხარისხის სტანდარტებსა და მოთხოვნებს;

b. აუდიტორისათვის შეტყობინებული ანგარიში სტანდარტებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილების პროცედურასთან დაკავშირებით მისი მოსაზრებების შესახებ, როგორც ეს გათვალისწინებულია 2:393 მუხლის პარ. 1-ში, და;

c. 2:10 მუხლში გათვალისწინებული აუდიტორის განცხადება საბალანსო ანგარიშგებისა და მოგება-ზარალის ანგარიშის შესახებ (შემოსავლების შესახებ ანგარიშგება) ანდა, აუცილებლობის შემთხვევაში, – წლიური ანგარიშების შესახებ 2.9 ტიტულის ნორმათა შესაბამისად. 2:396 მუხლის პარ. 7 არ გამოიყენება 2:393 მუხლის პარ. 1-სადმი მიმართებაში.

განცხადებებისა და ანგარიშების ფორმატსა და შინაარსთან და ასევე მათ წარდგენასთან დაკავშირებით სხვა წესები შეიძლება დადგინდეს მეფის სამთავრობო ბრძანებით. როდესაც პირი აცხადებს იმას, რომ მან უკვე წარუდგინა სასამართლოს განცხადებები და ანგარიში მის დანიშვნამდე თორმეტი თვით ადრე, მაშინ ის თავისუფლდება აღნიშნული დოკუმენტების წარდგენის ვალდებულებისაგან.

– 9. პარ. 8-ში მითითებული განცხადების წარდგენის ვალდებულებისაგან თავისუფლდებიან:

a. ის პირები, რომლებსაც აქვთ საწარმო, რომელსაც ფინანსური ზედამხედველობის შესახებ კანონის თანახმად შეუძლიათ განახორციელონ საბანკო საქმიანობა;

b. ნოტარიუსები;

c. აღმასრულებლები;

d. აუდიტორები (ბუღალტრები).

საწარმოები და ფიზიკური პირები, რომლებიც მოქმედებენ წინა წინადადებაში მითითებული პროფესიული საქმიანობის ფარგლებში, მეფის სამთავრობო ბრძანებით შეიძლება სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლდნენ პარ. 7-ში მითითებული აყვანასთან, წვრთნასთან, ხელმძღვანელობასა და ზედამხედველობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაკმაყოფილების ვალდებულებისაგან.

– 10. დანიშნული პირი ქონების მმართველი ხდება სასამართლოში მოსმენის ჩატარების შემდეგ მეორე დღიდან.

მუხლი 1:436 ქონების მმართველის მოვალეობები

– 1. ქონების მმართველმა შეიძლებისდაგვარად სწრაფად უნდა შეადგინოს მინდობით ქონების მართვის ქვეშ არსებული ყველა აქტივის ინვენტარიზაციის აქტი და წარუდგინოს მისი ნუსხა იმ სასამართლოს, რომელიც განსჯადია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 266-ე მუხლის შესაბამისად.

– 2. შესაბამისად გამოიყენება 1:339, 1:363 და 1:364 მუხლები.

– 3. თუ მინდობით ქონების მართვის ქვეშ განთავსებულია რეგისტრირებული ქონება, მაშინ ქონების მმართველმა შეიძლებისდაგვარად სწრაფად მინდობით მართვისა და ასევე მისი მმართველად დანიშვნის შესახებ განკარგულება, საჭირო რეგისტრაციების განხორციელების მიზნით, უნდა წარუდგინოს უძრავი ქონების საჯარო რეესტრის რეგისტრატორს, როგორც ეს მითითებულია სამოქალაქო კოდექსის მე-3 ნიგნის 1-ლი ტიტულის მე-2 განყოფილებაში. თუ მინდობით ქონების მართვის ქვეშ არსებობს საწარმო ან სავაჭრო ამხანაგობაში წილი, მაშინ ქონების მმართველმა სავაჭრო რეესტრის რეგისტრატორს სარეგისტრაციოდ უნდა წარუდგინოს შესაბამისი სასამართლოს განკარგულებები. რაიონულ სასამართლოს 1:432 მუხლის პარ. 1 და 2-ში მითითებული მინდობით ქონების მართვის მოთხოვნაზე უფლებამოსილი პირისა თუ ქონების მმართველის მოთხოვნის საფუძველზე ანდა საკუთარი ინიციატივით შეუძლია დაადგინოს, სასამართლოს მდივნის მიერ 1:391 მუხლში მითითებულ საჯარო რეესტრში რეგისტრაციაში გატა-

რდეს ფსიქიკური თუ გონებრივი მდგომარეობის გამო დადგენილი მინდობით ქონების მართვის შესახებ სასამართლოს განკარგულება იმდენად, რამდენადაც მინდობით მართვა ეხება მესაკუთრის კუთვნილ ყველა აქტივს ან იმ აქტივს, რომელიც მისი გახდება მომავალში, ასევე – იურიდიული მეურვის დანიშვნის, მისი უფლებამოსილების შეჩერებისა თუ მასზე დაკისრებული მოვალეობებისაგან გათავისუფლების შესახებ სასამართლოს განკარგულება.

– 4. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც რაიონულმა სასამართლომ სხვაგვარად დაადგინა, ქონების მმართველმა შეძლებისდაგვარად სწრაფად უნდა გახსნას ანგარიში იმ საკრედიტო ინსტიტუტში, რომლებსაც ფინანსური ზედამხედველობის შესახებ კანონის თანახმად ნიდერლანდებში შეუძლია განახორციელონ საბანკო საქმიანობა; ქონების მმართველს ამ ანგარიშის გამოყენება შეუძლია მხოლოდ მინდობით ქონების მართვის ფარგლებში განხორციელებული ან მიღებული გადახდებისათვის.

– 5. რაიონულ სასამართლოს ნებისმიერ დროს შეუძლია მოიწვიოს ქონების მმართველი სასამართლოში მისი მოსმენისა და გამოკითხვის მიზნით. მმართველი ვალდებულია, რაიონულ სასამართლოს მიაწოდოს ნებისმიერი აუცილებელი ინფორმაცია.

– 6. რაიონულ სასამართლოს შეუძლია ქონების მმართველისაგან მოითხოვოს ამ უკანასკნელის ჩანაწერებში, დოკუმენტებსა და სხვა მონაცემთა მატარებლებში მოცემული ინფორმაციის მინოდება. გარდა ამისა, მას შეუძლია მოითხოვოს ასევე შესაბამისი ასლიც.

მუხლი 1:437 ორი ან მეტი ქონების მმართველი

– 1. სასამართლოს შეუძლია დანიშნოს ორი ქონების მმართველი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი დანიშვნის საწინააღმდეგოდ არსებობს დასაბუთებული კონტრარგუმენტები.

– 2. როდესაც დანიშნულია ორი ქონების მმართველი, ყოველ მათგანს შეუძლია დამოუკიდებლად განახორციელოს მინდობით ქონების მართვის სფეროს მიკუთვნებული ყველა სახის საქმიანობა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც რაიონულმა სასამართლომ სხვაგვარად დაადგინა.

– 3. ქონების მმართველთა შორის აზრთა სხვადასხვაობის შემთხვევაში, გადანყვეტილებას იღებს რაიონული სასამართლო ერთ-ერთი მათგანის ან 1:432 მუხლის პარ. 2-ში მითითებული დანესებულების მოთხოვნის საფუძველზე. რაიონულ სასამართლოს შეუძლია ასევე განსაზღვროს საზღაურის განაწილების საკითხიც.

მუხლი 1:438 მმართველობითი მოქმედებები და განკარგვის უფლებამოსილება

– 1. მინდობით ქონების მართვის დროს მხოლოდ ქონების მმართველს და არა მესაკუთრეს აქვს უფლება, განახორციელოს მმართველობითი მოქმედებები მინდობით ქონების მართვის ქვეშ არსებული აქტივების მიმართ.

– 2. მინდობით ქონების მართვის დროს მესაკუთრეს მხოლოდ ქონების მმართველთან თანამშრომლობით, ხოლო თუ ქონების მმართველი უარს იტყვის აუცილებელ თანამშრომლობაზე, მაშინ – რაიონული სასამართლოს ნებართვით შეუძლია მოახდინოს მინდობით ქონების მართვის ქვეშ არსებული აქტივების გადაცემა ან უფლებრივი დატვირთვა.

მუხლი 1:439 მესამე პირთა დაცვა

– 1. თუ გარეგნადა ბათილია იმის გამო, რომ ის განკუთვნილი იყო მხოლოდ და მხოლოდ მესაკუთრისათვის ან დაიდო მხოლოდ მესაკუთრის მიერ მიუხედავად არსებული მინდობით ქონების მართვისა, მაშინ ეს ბათილობა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ კონტრაჰენტის მიმართ, რომელმაც იცოდა ან რომელსაც უნდა სცოდნოდა მინდობით ქონების მართვის ფაქტის თაობაზე.

– 2. თუ აქტივის გასხვისება ან უფლებრივი დატვირთვა ხდება იმ პირის მიერ, რომელსაც არსებული მინდობით ქონების მართვის შედეგად არა აქვს განკარგვის უფლებამოსილება, მაშინ უფლებამოსილების არარსებობის ფაქტი შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ მხარის მიმართ, რომელმაც შეიძინა ეს აქტივი ან მასზე შეზღუდული საწინააღმდეგო უფლება, თუ ამ მხარემ იცოდა ან მას უნდა სცოდნოდა მინდობით ქონების მართვის ფაქტის თაობაზე.

მუხლი 1:440 სავალ მოთხოვნების დაკმაყოფილება ქონების მართვის ქვეშ არსებული ქონების ხარჯზე

– 1. დაუშვებელია 1:438 მუხლის პარ. 2-ში გათვალისწინებული ნესების დარღვევით მინდობით ქონების მართვის დროს მესაკუთრის მიერ ან მის მიმართ განხორციელებული მოქმედებიდან გამომდინარე მიღებული ვალების ამოღება მინდობით ქონების მართვის ქვეშ არსებული ქონების ხარჯზე იმ კრედიტორ-

რის მიერ, რომელმაც იცოდა ან რომელსაც უნდა სცოდნოდა მინდობით ქონების მართვის ფაქტის თაობაზე. მინდობით ქონების მართვის შეწყვეტა არ ცვლის აღნიშნულ წესს.

– 2. თუ მინდობით ქონების მართვა ფარავს ყველა იმ აქტივს, რომლებიც 1:431 მუხლის პარ. 1-ის შესაბამისად შეიძლება დაექვემდებაროს მინდობით ქონების მართვას, მაშინ პარ. 1 შესაბამისად გამოიყენება იმ აქტივების მიმართ, რომლებიც მოქმედების განხორციელების მომენტში არ იმყოფებოდა მინდობით ქონების მართვის ქვეშ და რომელთა ხარჯზეც ვალეების ამოღება დასაშვებია იქნებოდა.

მუხლი 1:441 ქონების მმართველის მოვალეობები

– 1. მასზე დაკისრებული მოვალეობების შესრულების ფარგლებში მოქმედებისას ქონების მმართველი მინდობით ქონების მართვის განმავლობაში წარმოადგენს მესაკუთრეს როგორც სასამართლოში, ისე სასამართლოსგარე ურთიერთობებში. ქონების მმართველი უნდა დარწმუნდეს იმაში, რომ მინდობით ქონების მართვის ქვეშ არსებული მესაკუთრის კუთვნილი აქტივები ინვესტირებულია ეფექტურად, რამდენადაც ეს აქტივები არ უნდა იქნეს გამოყენებული ან რეალიზებული მესაკუთრის სახელით ადეკვატური ზრუნვის უზრუნველსაყოფად. გარდა აღნიშნულისა, ქონების მმართველს შეუძლია მესაკუთრის სახელით განახორციელოს ყველა ის მოქმედება, რაც ხელს შეუწყობს მინდობით ქონების ჯეროვან მართვას.

– 2. თუმცა, ქონების მმართველს მესაკუთრის ნებართვა, ხოლო თუ ამ უკანასკნელს არ შეუძლია ან არ სურს ასეთი ნებართვის გაცემა, – მაშინ რაიონული სასამართლოს ესაჭიროება ნებართვა შემდეგი მოქმედებების განსახორციელებლად:

a. მინდობით ქონების მართვის ქვეშ არსებული აქტივების განკარგვისათვის ანდა ასეთი აქტივების განკარგვის შესახებ შეთანხმებების დადებისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს მოქმედება შეიძლება მიჩნეულ იქნეს ჩვეულებრივ მმართველობით მოქმედებად ანდა ის ექვემდებარება განხორციელებას სასამართლოს განკარგულების საფუძველზე;

b. ვალდებულებებით ან პირობებით დატვირთული ჩუქების მიღება;

c. ფულის გასესხება ან მესაკუთრის სახელით თავდებობის ანდა სოლიდარული ვალდებულების კისრება;

d. შეთანხმება იმის თაობაზე, რომ გარკვეული ვადის განმავლობაში არ დაიყოფა ის უძრავი ქონება, რომლის მიღებაზეც უფლებამოსილია მესაკუთრე;

e. ისეთი შეთანხმების დადება, რომლითაც წყდება დავა, რომელშიც მონაწილეობს მესაკუთრე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქმე გვაქვს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 87-ე მუხლში მითითებულ შემთხვევასთან ანდა თუკი დავის ობიექტის ღირებულება არ აღემატება 700 ევროს;

f. სხვა მოქმედებები, რომლებიც ასეთად განსაზღვრულია მინდობით ქონების მართვის შესახებ განკარგულებასა თუ მოგვიანებით მიღებულ სასამართლოს განკარგულებაში.

– 3. რაიონულ სასამართლოს შეუძლია ასევე ქონების მმართველს მიანიჭოს წინა პარაგრაფში მითითებული მოქმედებების განხორციელების განგრძობადი ნებართვა ისეთი პირობებით, რასაც ის სათანადოდ მიიჩნევს, და – ასევე მას შეუძლია ნებისმიერ დროს შეცვალოს ან გააუქმოს მინიჭებული ნებართვა.

– 4. ქონების მმართველი უფლებამოსილია, მესაკუთრის გამორიცხვით, მოითხოვოს იმ აქტივების გაყოფა, რომლის განუყოფელი წილი წარმოადგენს მინდობით ქონების მართვის ქვეშ არსებულ ქონებას. თუმცა, ასეთი გაყოფისათვის ქონების მმართველს ყოველთვის ესაჭიროება პარ. 2-ით გათვალისწინებული ნებართვა იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც გაყოფა ხდება სასამართლოს განკარგულების საფუძველზე. ნებართვის მინიჭების ალტერნატივის სახით, რაიონულ სასამართლოს 3:181 მუხლის ნორმების შესაბამისად შეუძლია ასევე დანიშნოს ნეიტრალური პირიც, ვინც, ნაცვლად ქონების მმართველისა, განახორციელებს მესაკუთრის წარმომადგენლობას ქონების გაყოფის პროცესში.

– 5. ქონების მმართველი უფლებამოსილია, მესაკუთრის გამორიცხვით, მიიღოს ის სამკვიდრო ქონება, რომლის მიღებაზეც უფლებამოსილი გახდა მესაკუთრე. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მიღება ხდება მესაკუთრის ნებართვით, ქონების მმართველი ვერ მიიღებს სამკვიდროს სხვაგვარად, ვიდრე იმ პრივილეგიის საფუძველზე მიღებისა, რომლის თანახმადაც თავდაპირველად უნდა ჩატარდეს გარდაცვლილის ქონების ინვენტარიზაცია, როგორც ეს გათვალისწინებულია 4:190 მუხლის პარ. 1-ში.

მუხლი 1:442 ქონების მმართველთან ერთად ან მის მიმართ მოქმედი მხარის ინტერესების დაცვა

– 1. თუ პირმა გარიგება დადო თავისი როგორც ქონების მმართველის კომპეტენციის ფარგლებში, მაშინ გარიგების მეორე მხარის უფლებები და ვალდებულებები დგინდება სამოქალაქო კოდექსის 3.3 ტიტულის გათვალისწინებული კანონისმიერი ნორმებით. ის კანონისმიერი და სხვა ნორმები, რომლებიც

ანესრიგებს ქონების მმართველის უფლებამოსილებასა და ამ უფლებამოსილებათა განსაზღვრისათვის მნიშვნელოვან ფაქტებს, ვერ იქნება გამოყენებული გარიგების მეორე მხარის სანინაალმდეგოდ, თუ მან არ იცოდა ან მას არც უნდა სცოდნოდა აღნიშნული ნორმებისა თუ ფაქტების თაობაზე.

– 2. 6:172 მუხლის ნორმათა მოქმედების შეზღუდვის გარეშე, მესაკუთრე პასუხისმგებელია ყველა იმ ვალდებულებისათვის, რომლებიც ქონების მმართველის მიერ მასზე დაკისრებული ფუნქციების შესრულებისას მესაკუთრის სახელით დადებული გარიგებებიდან წარმოიშობა. როდესაც მესაკუთრე უთითებს მინდობით ქონების მართვის ქვეშ არსებულ აქტივებზე, რომლებიც მისი პასუხისმგებლობისათვის საკმარის რესურსს ქმნის, მას არ მოეთხოვება მისი სხვა ქონებიდან ვალის დაკმაყოფილება.

მუხლი 1:443 სასამართლო დავის წამოწყების ნებართვა

მანამდე, სანამ ქონების მმართველი მესაკუთრის სახელით წამოიწყებს ნებისმიერ სასამართლო საქმეს, მას წინასწარი გასასამართლებელი საბუთის სახით შეუძლია მესაკუთრეს მოსთხოვოს სასამართლოში წასვლის ნებართვა, ხოლო თუ ამ უკანასკნელს არ შეუძლია ან არ სურს ასეთი ნებართვის გაცემა, – მაშინ მმართველს შეუძლია რაიონული სასამართლოსათვის შემცველი ნებართვის გაცემის მოთხოვნა.

მუხლი 1:444 ქონების მმართველის პასუხისმგებლობა

ქონების მმართველი პასუხისმგებელია მესაკუთრის წინაშე იმ შემთხვევაში, თუ მან არ იზრუნა ამ უკანასკნელის ინტერესებზე იმგვარად, როგორც ეს მოსალოდნელი შეიძლება ყოფილიყო წინდახედული მმართველისაგან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ვალდებულების ასეთი დარღვევა მას ვერ შეეარაჩება.

მუხლი 1:445 ანგარიშის წარდგენა

– 1. ქონების მმართველი ყოველწლიურად წარუდგენს ანგარიშს მესაკუთრეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამ მიზნისათვის დადგენილ იქნა სხვა დრო; მან ასევე მესაკუთრეს ანგარიში უნდა წარუდგინოს მინდობით ქონების მართვის შეწყვეტისთანავე; როდესაც ქონების მმართველი ასრულებს თავის მმართველობით მოვალეობებსა და სხვა მმართველი იკავებს მის ადგილს, მაშინ ის შესაბამის ანგარიშს წარუდგენს ასევე უფლებამონაცვლესაც. ანგარიშის წარდგენა ხდება ასევე რაიონული სასამართლოსათვისაც. უშიშროებისა და იუსტიციის მინისტრს შეუძლია დაადგინოს მოდელი, რომლის მიხედვითაც უნდა შედგეს წარსადაგენი ანგარიში. 1:383 მუხლის პარ. 7-ში ნახსენებმა იურიდიულმა მეურვემ ყოველწლიურად უნდა წარადგინოს 1:388 მუხლის პარ. 8-ში მითითებული განცხადებები და ანგარიშები. თხოვნის შემთხვევაში, იურიდიულმა მეურვემ თავისი საქმიანობის შესახებ ანგარიში უნდა წარუდგინოს ასევე რაიონულ სასამართლოს. იურიდიული მეურვე უფლებამოსილია საზღაურის მიღებაზე ამ მიზნით უშიშროებისა და იუსტიციის მინისტრის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.

– 2. თუ მესაკუთრეს არ შეუძლია ანგარიშების შეფასება ანდა თუ გაურკვეველია, რომელი ანგარიში უნდა წარედგინოს მესაკუთრეს, მაშინ ქონების მმართველმა ანგარიში უნდა წარუდგინოს რაიონულ სასამართლოს. ამ უკანასკნელის მიერ აღნიშნული ანგარიშების მოწონება არ ეხება სამართავად გადაცემული აქტივების მესაკუთრის უფლებას, მინდობით ქონების მართვის დასრულებისას მმართველს იმავე პერიოდში კვლავ მოსთხოვოს ანგარიშის წარდგენა, რამდენადაც ეს არაგონივრული არ არის.

– 3. რაიონულ სასამართლოს – საკუთარი ინიციატივით ანდა ქონების მმართველის მოთხოვნის საფუძველზე – შეუძლია გაათავისუფლოს ქონების მმართველი მასზე დაკისრებული ანგარიშის რაიონული სასამართლოსათვის პერიოდულად წარდგენის ვალდებულებისაგან; რაიონულ სასამართლოს შეუძლია ასევე დაადგინოს, რომ ანგარიში წარდგენილ იქნეს მხოლოდ რამდენიმე წელიწადში ერთხელ.

– 4. 1:435 მუხლის პარ. 7-ში მითითებულმა ქონების მმართველმა ყოველწლიურად უნდა წარადგინოს 1:435 მუხლის პარ. 8-ში აღნიშნული განაცხადები და ანგარიშგება.

– 5. გარდა აღნიშნულისა, არასრულწლოვანის მიმართ მეურვეობის განხორციელების დროს ანგარიშის წარდგენის პროცესთან დაკავშირებული სამოქალაქო კოდექსის 1.14.6.10 და 1.14.6.11 ქვეგანყოფილებების კანონისმიერი ნორმები შესაბამისად გამოიყენება იმ ანგარიშების მიმართაც, რომლებიც წარდგენილ უნდა იქნეს ქონების მმართველის მიერ წინამდებარე მუხლის შესაბამისად.

მუხლი 1:446 სარგებლის პერიოდული განაწილება და ასევე აქტივების დაბრუნება საბოლოო ანგარიშების წარდგენისას

– 1. რამდენადაც რაიონულმა სასამართლომ სხვაგვარად არ დაადგინა, მინდობით ქონების მართვის

ქვეშ არსებული ქონებიდან მიღებული წმინდა სარგებელი, რომელსაც აკლდება ქონების მმართველისათვის გადასახდელი საზღაურის თანხა, გადაეცემა მესაკუთრეს ყოველ დროს, როდესაც ხდება ანგარიშის წარდგენა. მესაკუთრის მოთხოვნის საფუძველზე რაიონულ სასამართლოს სარგებლის გადაცემისათვის შეუძლია დაადგინოს სხვა თარიღები.

– 2. დაუყოვნებლივ მას შემდეგ, რაც ქონების მმართველმა განხორციელებული მართვის შესახებ წარდგინა თავისი საბოლოო ანგარიში, ის ყველა აქტივს გადასცემს იმ პირს, ვინც უფლებამოსილია ამ აქტივების მიღებაზე მის შემდეგ. თუმცა, ქონების მმართველს შეუძლია დააკავოს აქტივები მანამდე, სანამ ის სრულად არ მიიღებს მისთვის განკუთვნილ საზღაურის თანხას.

– 3. როდესაც ანგარიშის წარდგენა უშუალოდ რაიონული სასამართლოსათვის ხდება, გადასაცემი წმინდა სარგებელი ან აქტივები რჩება ქონების მმართველის მინდობით ქონების მართვის ქვეშ მანამდე, სანამ მესაკუთრე ვერ შეძლებს მათ მიღებას ან, შესაბამისად, – მანამდე, სანამ არ გაირკვევა, თუ რომელ მესაკუთრეს ეკუთვნის ისინი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც რაიონულმა სასამართლომ სხვაგვარად დაადგინა.

მუხლი 1:446a ხუთი წლის შემდეგ: რაიონული სასამართლოსათვის წარდგენილი ანგარიში მინდობით ქონების მართვის გახანგრძლივებასთან დაკავშირებით

ყოველი ხუთწლიანი ვადის გასვლის შემდეგ ანდა ბევრად უფრო ადრე, როგორც ამას გადანყვეტს რაიონული სასამართლო, ქონების მმართველმა უნდა შეატყობინოს რაიონულ სასამართლოს მინდობით ქონების მართვის შედეგების შესახებ. კერძოდ, მან თავისი პოზიცია უნდა გამოხატოს იმ საკითხთან დაკავშირებით, გაგრძელდეს თუ არა მინდობით ქონების მართვა ანდა შესაძლებელია თუ არა მისი ჩანაცვლება მეტ-ნაკლებად რადიკალური ზომებით. მინდობით ქონების მართვისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების ან ამ მართვის გახანგრძლივების შესახებ ქონების მმართველმა დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს რაიონულ სასამართლოს.

მუხლი 1:447 ქონების მმართველის საზღაური

– 1. ქონების მმართველი უფლებამოსილია საზღაურის მიღებაზე ამ მიზნით უშიშროებისა და იუსტიციის მინისტრის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად. განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას რაიონულ სასამართლოს განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით შეუძლია გაითვალისწინოს მინდობით ქონების მართვის შესახებ განკარგულებაში მითითებულისაგან ან კანონით დადგენილისაგან განსხვავებული საზღაურის თანხა.

– 2. როდესაც სახეზეა ქონების ორი ან მეტი მმართველი, ის საზღაური, რომლის მიღებაზეც ისინი არიან უფლებამოსილი, უნდა გაიყოს მათ შორის თითოეული მათგანის მიერ შესრულებული სამუშაოს მნიშვნელობის პროპორციულად.

მუხლი 1:448 ქონების მმართველის მოვალეობათა შეწყვეტა

– 1. ქონების მმართველის მოვალეობები წყდება:

a. როდესაც წყდება მინდობით ქონების მართვა;

b. იმ შემთხვევაში, როდესაც ქონების მმართველი დაინიშნა განსაზღვრული ვადით: ამ ვადის გასვლისთანავე;

c. როდესაც ქონების მმართველი გარდაიცვლება, გაკოტრდება, ვარდება ფიზიკური პირებისათვის არსებული ვალების დაფარვის სქემაში ანდა მას დაუდგინდება ზრდასრული პირების მეურვეობა;

d. როდესაც ქონების ერთი ან მეტი მმართველის კუთვნილი აქტივი აღმოჩნდება წინამდებარე ტიტულის გაგებით მინდობით ქონების მართვის ქვეშ;

e. როდესაც რაიონულმა სასამართლომ ქონების მმართველი გაათავისუფლა მასზე დაკისრებული მოვალეობებისაგან სასამართლოს მიერ ამ მიზნით დადგენილი დღიდან.

– 2. ქონების მმართველის დაკისრებული მოვალეობებისაგან გათავისუფლება შეიძლება მოხდეს საკუთარი მოთხოვნის საფუძველზე ან მნიშვნელოვანი მიზეზების არსებობისას ანდა – იმის გამო, რომ ის აღარ აკმაყოფილებს მმართველად გახდომისათვის წაყენებულ მოთხოვნებს და ასევე აღნიშნული შეიძლება განხორციელდეს მისი თანამმართველის ან 1:432 მუხლის პარ 1 და 2-ში მითითებული მინდობით ქონების მართვის მოთხოვნაზე უფლებამოსილი პირის მოთხოვნის საფუძველზე ანდა – რაიონული სასამართლოს მიერ საკუთარი ინიციატივით. საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებისას რაიონულ სასამართლოს შეუძლია დაადგინოს მინდობით ქონების მართვის დროს დროებითი ღონისძიების მიღების

შესახებ და შეაჩეროს ქონების მმართველის საქმიანობა. აუცილებლობის შემთხვევაში რაიონულ სასამართლოს ამის გაკეთება შეუძლია ქონების მმართველის წინასწარი მოსმენის გარეშე. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს განკარგულება ორი კვირის შემდეგ დაკარგავს თავის ძალას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქონების მმართველს აღნიშნული ვადის განმავლობაში მიეცა იმის შესაძლებლობა, რომ სასამართლოს მისთვის მოესმინა.

– 3. ყოფილმა ქონების მმართველმა უნდა გააგრძელოს ყველა იმ საქმის კეთება, რომლის გადადებაც შეუძლებელია მესაკუთრისათვის ზიანის მიყენების გარეშე მანამდე, სანამ შესაბამის აქტივებს სამართავად არ მიიღებს ის პირი, რომელმაც უნდა შეცვალოს ის ქონების მართვაში. პარ. 1-ის (c) პუნქტში ნახსენებ ვითარებაში აღნიშნული ვალდებულება ეკისრებათ ქონების მმართველის მემკვიდრეებს, ასევე – შესაბამისად, გაკოტრების მმართველსა თუ ფიზიკური პირებისათვის არსებული ვალების დაფარვის სქემის მმართველს იმ პირობით, თუ მათ იცოდნენ მინდობით ქონების მართვის არსებობის შესახებ; პარ. 1-ის (d) პუნქტში ნახსენებ ვითარებაში კი წინა წინადადება გამოიყენება იმ ქონების მმართველის მიმართ, რომელსაც დაეკისრა აღნიშნულ პარაგრაფში აღნიშნული მინდობით ქონების მართვა.

– 4. შესაბამისად გამოიყენება 1:384 მუხლის ნორმები.

– 5. თუ ქონების მმართველის დაკისრებული მოვალეობებისაგან გათავისუფლება ხდება მნიშვნელოვანი მიზეზების არსებობისას ანდა – იმის გამო, რომ ის აღარ აკმაყოფილებს მმართველად გახდომისათვის ნაყენებულ მოთხოვნებს, მაშინ რაიონულ სასამართლოს შეუძლია დაადგინოს იმის შესახებ, რომ ამის შემდგომ ანგარიშების წარდგენა უკვე აღარ მოხდეს. რაიონულ სასამართლოს შეუძლია ასევე დააყადლოს ქონების მმართველის ჩანაწერები, დოკუმენტები და მონაცემთა მატარებლები და ასევე – მესაკუთრის კუთვნილი ყველა აქტივი. ამ მიზნით მას ნებისმიერ ადგილზე შელწევის უფლება აქვს.

მუხლი 1:449 მინდობით ქონების მართვის შეწყვეტა

– 1. მინდობით ქონების მართვა წყდება იმ ვადის გასვლით, რა ვადითაც ის იყო დადგენილი ანდა როდესაც მესაკუთრე გარდაიცვლება ან მას დაუდგინდება ზრდასრული პირების მეურვეობა.

– 2. თუ მინდობით ქონების მართვა აღარ არის აუცილებელი ანდა მისი გახანგრძლივება აშკარად არაგონივრული აღმოჩნდა, რაიონულ სასამართლოს შეუძლია გააუქმოს ასეთი მართვა ქონების მმართველის ანდა 1:432 მუხლის პარ. 1 და 2-ში მითითებული მინდობით ქონების მართვის მოთხოვნაზე უფლებამოსილი პირის მოთხოვნის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით. სასამართლოს განკარგულება ძალმოსილია იმ მომენტიდან, როგორც კი ის შედის კანონიერ ძალაში და ხდება მბოჭავი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მასში მითითებულია დროის უფრო ძველი მომენტი.

– 3. 1:432 მუხლის პარ. 1 და 2-ში მითითებული მინდობით ქონების მართვის მოთხოვნაზე უფლებამოსილ პირებსა და ქონების მმართველს შეუძლიათ მოითხოვონ კონკრეტული ვადით დადგენილი მინდობით ქონების მართვის გახანგრძლივება. რაიონულმა სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა მიიღოს განაცხადის (მოთხოვნის) წარდგენიდან ორი თვის განმავლობაში. შესაბამისად გამოიყენება 1:384 მუხლი. მინდობით ქონების მართვის გახანგრძლივების მოთხოვნაზე უარის თქმის საწინააღმდეგოდ სამართლებრივი დაცვის საშუალების გამოყენება დაუშვებელია.

ტიტული 1.20 – ზრდასრული პირების ინტერესების დაცვითი მენტორობა

მუხლი 1:450 დაცვითი მენტორობის საფუძვლები

– 1. თუ ზრდასრული პირი თავისი ფსიქიკური თუ გონებრივი მდგომარეობის გამო დროებით ან მყარად ვერ ახერხებს თავისი არაფინანსური ინტერესების დაცვას ანდა მას ხელი ეშლება ამ ინტერესების დაცვაზე ზრუნვაში, რაიონულ სასამართლოს მის სასარგებლოდ შეუძლია დაადგინოს დაცვითი მენტორობა.

– 2. თუ მოსალოდნელია, რომ იმ მომენტში, როდესაც არასრულწლოვანი პირი მიაღწევს სრულწლოვანების ასაკს, ის აღმოჩნდება წინა პარაგრაფში აღნიშნულ ვითარებაში, მაშინ დაცვითი მენტორობის დადგენის შესახებ განკარგულება შეიძლება გაცემულ იქნეს უკვე არასრულწლოვანის მიერ ზრდასრულობის ასაკის მიღწევამდეც.

– 3. დაცვითი მენტორობა შეიძლება დადგინდეს ასევე იმ შემთხვევაშიც, თუ მოსალოდნელია, რომ თვალსაწიერ დროის პერიოდში ზრდასრული პირი აღმოჩნდება პარ. 1-ში აღნიშნულ ვითარებაში.

– 4. როდესაც სასამართლოში მიმდინარეობს საქმის წარმოება დროებითი ან პირობითი ნებართვის,

სამედიცინო შემონმების ნებართვის, ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში მიღების შესახებ კანონის საფუძველზე გრძელვადიანი განთავსების ნებართვისა თუ ამ კანონის 33-ე მუხლის პირველი პარაგრაფით გათვალისწინებული ნებართვის მიღებასთან დაკავშირებით, სასამართლო განსჯადია ასევე შესაბამისი ზრდასრული პირისათვის დაცვითი მენტორობის დადგენის მოთხოვნის საკითხთან დაკავშირებითაც.

მუხლი 1:451 დაცვითი მენტორობის დადგენის მოთხოვნის წარდგენაზე უფლებამოსილი პირები

– 1. დაცვითი მენტორობის დადგენის მოთხოვნა ზრდასრული პირის სასარგებლოდ შეუძლიათ თავად ზრდასრულ პირს, მის მეუღლეს, რეგისტრირებულ პარტნიორს ან ცხოვრების სხვა თანამგზავრს, მეოთხე ხარისხის ჩათვლით მის ერთ-ერთ პირდაპირი და გვერდითი ხაზის სისხლით ნათესავს, პირს, ვინც 1:253sa ან 1:253t მუხლების საფუძველზე ახორციელებს შესაბამისი პირის მიმართ მშობლის უფლებამოსილებას, მის იურიდიულ მეურვეს, რომელიც მეურვეობას ახორციელებს მისი როგორც არასრულწლოვანი პირის მიმართ, ასევე – ზრდასრული პირის მეურვეს, რომელიც მეურვეობას ახორციელებს მისი როგორც ზრდასრული პირის მიმართ ანდა სამოქალაქო კოდექსის 1.16 ტიტულში ნახსენებ ზრდასრული პირის ქონების მმართველს. 1:450 მუხლის პარ. 3-ში მითითებულ ვითარებაში დაცვითი მენტორობის დადგენის მოთხოვნა შეუძლია მხოლოდ თავად ზრდასრული პირს.

– 2. გარდა 1:450 მუხლის პარ. 3-ში მითითებული შემთხვევისა, დაცვითი მენტორობის დადგენის მოთხოვნა შეუძლიათ ასევე პროკურატურასა და იმ დანესებულებას, რომლის მეთვალყურეობის ქვეშაც იმყოფება შესაბამისი პირი ანდა რომელიც ახორციელებს ამ პირის მიმართ მზრუნველობას. ამ უკანასკნელ შემთხვევაში განცხადებაში ასევე მიეთითება, თუ რატომ არ წარადგინეს დაცვითი მენტორობის დადგენის მოთხოვნა თავად პარ. 1-ში ნახსენებმა პირებმა, გარდა მესამე და მეოთხე ხარისხის ჩათვლით პირდაპირი და გვერდითი ხაზის სისხლით ნათესავებისა.

– 3. იმ სასამართლოს, რომელშიც მიმდინარეობს ზრდასრული პირის მეურვეობის დადგენისა თუ ამ უკანასკნელის გაუქმების მოთხოვნის შესახებ საქმე, აღნიშნულ მოთხოვნაზე უარის თქმამდე ანდა მის დაკმაყოფილებამდე შეუძლია საკუთარი ინიციატივით გადაერთოს წინამდებარე ტიტულში მოწესრიგებული დაცვითი მენტორობის დადგენის საკითხის გადანყვეტაზე.

– 4. ზრდასრული პირის მეურვეობის დაცვით მენტორობად გარდაქმნის მოთხოვნა, რომელიც წარდგენილ იქნა ზრდასრული პირის მეურვეობის ქვეშ მყოფი ზრდასრული პირის სახელით, უნდა გადაეცეს იმ სასამართლოს, რომელიც განსჯადია აღნიშნული ზრდასრული პირის მეურვეობის შეწყვეტის შესახებ გადანყვეტილების მიღებაზე. ამ სასამართლოს ზრდასრული პირის მეურვეობის შეწყვეტის დროს შეუძლია საკუთარი ინიციატივით გადაერთოს წინამდებარე ტიტულში მოწესრიგებული დაცვითი მენტორობის დადგენის საკითხის გადანყვეტაზე.

– 5. დადგენილი დაცვითი მენტორობა ძალაში შედის იმ დღეს, როდესაც სასამართლოს განკარგულება გადაეცა ან გაეგზავნა განმცხადებელს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც განკარგულება ამ მიზნით უთითებს უფრო გვიანდელ თარიღზე. 1:450 მუხლის პარ. 2-ში მითითებულ ვითარებაში დაცვითი მენტორობა ძალაში შედის იმ მომენტში, როდესაც შესაბამისი არასრულწლოვანი აღწევს სრულწლოვანების ასაკს.

მუხლი 1:452 სამართლებრივი მენტორის დანიშვნა

– 1. სასამართლო, რომელიც ადგენს დაცვით მენტორობას, ერთდროულად ანდა შეძლებისდაგვარად სწრაფად ნიშნავს სამართლებრივ მენტორს. სასამართლო უნდა დარწმუნდეს იმაში, რომ დასანიშნი პირი მზად არის განახორციელოს დაცვითი მენტორობის უფლებამოსილება.

– 2. აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება დანიშნოს დროებითი მენტორი.

– 3. სამართლებრივ მენტორის დანიშვნისას სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს შესაბამისი ზრდასრული პირის აშკარა პრიორიტეტებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს მნიშვნელოვანი მიზეზები ამ უკანასკნელის მიერ შეთავაზებული დანიშვნის საწინააღმდეგოდ.

– 4. თუ შესაბამისი ზრდასრული პირი დაქორწინებულია ან იმყოფება რეგისტრირებულ პარტნიორობაში ანდა თუ მას აქვს სხვა ახლო პირადი ურთიერთობა ცხოვრების თანამგზავრთან, მაშინ სამართლებრივ მენტორად დანიშვნისას უპირატესობა უნდა მიენიჭოს მეუღლეს, რეგისტრირებულ პარტნიორს ან ცხოვრების სხვა თანამგზავრს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გამოყენებულ იქნა პარ. 3-ის ნორმა. თუ წინა წინადადება არ გამოიყენება, მაშინ სამართლებრივ მენტორად დანიშვნისას უპირატესობა უნდა მიენიჭოს ამ პირის ერთ-ერთ მშობელს, შვილებს, ძმებს ან დებს. თუ გარკვეული ხნის შემდეგ შესაბამისი ზრდასრული პირი ქორწინდება ან ხელახლა აფორმებს რეგისტრირებულ პარტნიორობას ანდა პოუ-

ლობს ცხოვრების თანამგზავს, ვისთანაც ის იწყებს ახლო პირად ურთიერთობას, მაშინ ყოველ აღნიშნულ პირს შეუძლია მოსთხოვოს სასამართლოს სამართლებრივ მენტორად დანიშვნა ადრე დანიშნული სამართლებრივი მენტორის ნაცვლად.

– **5.** დასაშვებია სამართლებრივ მენტორად სრული ქმედუნარიანობის მქონე იურიდიული პირის დანიშვნა.

– **6.** დაუშვებელია შემდეგი პირების სამართლებრივ მენტორად დანიშვნა:

a. ქმედუნარო ფიზიკური პირებისა (არასრულწლოვანები და მეურვეობის ქვეშ მყოფი ზრდასრული პირი);

b. იმ პირებისა, რომელთა სასარგებლოდ დადგენილ იქნა დაცვითი მენტორობა;

c. უშუალო მონაწილე ან დახმარების თუ მზრუნველობის გამწევი მუშაკისა;

d. იმ პირებისა, რომლებიც ქმნიან იმ დაწესებულების მენეჯმენტსა თუ პერსონალს, რომლის მეთვალყურეობის ქვეშაც იმყოფება შესაბამისი პირი ან რომელიც ახორციელებს ამ პირის მიმართ მზრუნველობას ანდა რომელიც სთავაზობს ამ უკანასკნელს მზრუნველობას;

e. იმ პირებისა, რომლებიც კავშირში არიან იმ დაწესებულებასთან, რომლის მეთვალყურეობის ქვეშაც იმყოფება შესაბამისი პირი ანდა რომელიც ახორციელებს მესაკუთრის მიმართ მზრუნველობას ანდა რომელიც სთავაზობს ამ უკანასკნელს მზრუნველობას იმის გამო, რომ:

1° იმ დაწესებულებებსა თუ პირებს, რომლებიც ქმნიან დაწესებულების მენეჯმენტს, შეუძლიათ დამოუკიდებლად ან სხვა პირებთან ერთად მოახდინონ იურიდიული პირის საერთო კრებაზე ხმათა 50%-ის რეალიზაცია ანდა შეუძლიათ დანიშნონ ან გაათავისუფლონ თანამდებობიდან იურიდიული პირის დირექტორთა ან ზედამხედველ დირექტორთა შემადგენლობის ნახევარზე მეტი;

2° პირი და დაწესებულება ქმნიან 2:24ხ მუხლში ნახსენები ჯგუფის ნაწილს, ან;

3° იურიდიული პირის დირექტორი ასევე ქმნის დაწესებულების მენეჯმენტსა თუ პერსონალს.

– **7.** სხვა პირი, ნაცვლად პარ. 4-ში აღნიშნული პირებისა, ვინც უკვე წარმოადგენს სამართლებრივ მენტორს, სამი ან მეტი პირის სახელით მოქმედი ქონების მმართველი ან ზრდასრული პირის იურიდიული მეურვე შეიძლება დანიშნოს სამართლებრივ მენტორად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის – როდესაც საქმე ეხება მის მიერ სამენარმეო საქმიანობის წარმართვასა თუ განათლებას, და ასევე, აუცილებლობის შემთხვევაში, იმ პირთა აყვანას, წვრთნას, ხელმძღვანელობასა და ზედამხედველობას, რომელთა გამოც ის ახორციელებს ზრდასრული პირის მიმართ იურიდიული მეურვის ფუნქციებს, – აკმაყოფილებს მეფის სამთავრობო ბრძანებით დადგენილ ხარისხის სტანდარტებს, ისევე როგორც – 1:436 მუხლის პარ. 4-სა და 3:15i მუხლებში მოცემულ მოთხოვნებს.

– **8.** პარ. 7-ში მითითებულმა პირმა მის დამნიშნავ სასამართლოს უნდა წარუდგინოს:

a. თავისი განცხადება, რომლიდანაც იკვეთება, რომ ის აკმაყოფილებს პარ. 7-ში მოცემულ ხარისხის სტანდარტებსა და მოთხოვნებს;

b. აუდიტორისათვის შეტყობინებული ანგარიში სტანდარტებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილების პროცედურასთან დაკავშირებით მისი მოსაზრებების შესახებ, როგორც ეს გათვალისწინებულია 2:393 მუხლის პარ. 1-ში, და;

c. 2:10 მუხლში გათვალისწინებული აუდიტორის განცხადება საბალანსო ანგარიშგებისა და მოგება-ზარალის ანგარიშის შესახებ (შემოსავლების შესახებ ანგარიშგება) ანდა, აუცილებლობის შემთხვევაში, – წლიური ანგარიშების შესახებ 2.9 ტიტულის ნორმათა შესაბამისად. 2:396 მუხლის პარ. 7 არ გამოიყენება 2:393 მუხლის პარ. 1-სადმი მიმართებაში.

განცხადებებისა და ანგარიშების ფორმატსა და შინაარსთან და ასევე მათ წარდგენასთან დაკავშირებით სხვა წესები შეიძლება დადგინდეს მეფის სამთავრობო ბრძანებით. როდესაც პირი აცხადებს იმას, რომ მან უკვე წარუდგინა სასამართლოს განცხადებები და ანგარიში მის დანიშვნამდე თორმეტი თვით ადრე, მაშინ ის თავისუფლდება აღნიშნული დოკუმენტების წარდგენის ვალდებულებისაგან. როდესაც პირი აცხადებს იმას, რომ მან უკვე წარუდგინა სასამართლოს პარ. 7-ის (c) პუნქტში მითითებული განცხადება მის დანიშვნამდე ოცდაათი თვით ადრე, მაშინ ის თავისუფლდება აღნიშნული განცხადების წარდგენის ვალდებულებისაგან.

– **9.** სასამართლოს შეუძლია დანიშნოს ორი სამართლებრივი მენტორი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი დანიშვნის საწინააღმდეგოდ არსებობს დასაბუთებული კონტრარგუმენტები. როდესაც სახეზეა ორი სამართლებრივი მენტორი, ყოველ მათგანს შეუძლია დამოუკიდებლად განახორციელოს სამართლებრივ მენტორს მიკუთვნებული მოვალეობები. საჭიროების შემთხვევაში, სასამართლომ შეიძლება დაადგინოს სამართლებრივ მენტორებს შორის მოვალეობათა გადანაწილება. სამართლებრივ მენტორთა

შორის აზრთა სხვადასხვაობის შემთხვევაში, გადანყვეტილებას იღებს რაიონული სასამართლო ერთ-ერთი მათგანის ან 1:451 მუხლის პარ. 2-ში მითითებული დანესებულების მოთხოვნის საფუძველზე. აღნიშნულ სასამართლოს შეუძლია ასევე განსაზღვროს საზღაურის განაწილების საკითხიც.

– 10. სამართლებრივი მენტორის მოვალეობები ძალაში შედის იმ დღეს, როდესაც მისი დანიშვნის შესახებ სასამართლოს განკარგულება გადაეცა ან გაეგზავნა მას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც განკარგულება ამ მიზნით უთითებს უფრო გვიანდელ თარიღზე.

მუხლი 1:453 მენტორობის ქვეშ მყოფი ზრდასრული პირის მიერ განსაზღვრული გარიგებების დადების უუნარობა

– 1. დაცვითი მენტორობის განმავლობაში შესაბამის ზრდასრულ პირს არა აქვს იმ გარიგებების დადების უნარი, რომლებიც ეხება ზრდასრულ პირზე ზრუნვას, მის მოვლა-პატრონობას, მკურნალობასა და ასევე – დახმარების განწევასა და მხარდაჭერას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კანონი ან საერთაშორისო ხელშეკრულება სხვაგვარად განსაზღვრავს.

– 2. პარ. 1-ში მითითებულ გარიგებებთან დაკავშირებით სამართლებრივი მენტორი წარმოადგენს შესაბამის ზრდასრულ პირს როგორც სასამართლოში, ისე სასამართლოსგარე ურთიერთობებში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი წარმომადგენლობა გამორიცხულია კანონით ან საერთაშორისო ხელშეკრულებით.

– 3. იმ სხვა მოქმედებებთან დაკავშირებით, რომლებიც არ განეკუთვნება პარ. 1-ში მითითებულ საკითხებზე დადებულ გარიგებებს, სამართლებრივი მენტორი მოქმედებს შესაბამისი ზრდასრული პირის სასარგებლოდ და მის ნაცვლად იმდენად, რამდენადაც კონკრეტული მოქმედების ბუნება აძლევს მას ამის საშუალებას.

– 4. სამართლებრივი მენტორი შესაბამის ზრდასრულ პირს აძლევს რეკომენდაციებს არაფინანსურ საკითხებთან დაკავშირებით და ამ მხრივ ზრუნავს მის ინტერესებზე.

– 5. როდესაც შესაბამისი ზრდასრული პირი გამოდის იმ მოქმედების შესრულების წინააღმდეგ, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა ექნება პარ. 2-სა ან 3-ში მითითებულ საკითხებზე, ასეთი მოქმედება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს აშკარად აუცილებელია შესაბამისი ზრდასრული პირისათვის ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად.

მუხლი 1:453a მშობლის უფლებამოსილების განხორციელების უუნარობა

– 1. თუ სასამართლო ამას აუცილებლად ჩათვლის, მას შეუძლია მიიღოს ასევე გადანყვეტილება 1:246 მუხლის შესაბამისი გამოყენების შესახებაც.

– 2. დაცვითი მენტორობის არსებობის განმავლობაში სასამართლოს შეუძლია მიიღოს პარ. 1-ში ნახსენები გადანყვეტილება 1:451 მუხლის პარ. 1-სა ან 2-ში მითითებული პირის მოთხოვნის საფუძველზე ან სამართლებრივი მენტორისა თუ პროკურატურის მოთხოვნის საფუძველზე ანდა – საკუთარი ინიციატივით.

მუხლი 1:454 სამართლებრივი მენტორის მოვალეობები და პასუხისმგებლობა

– 1. სამართლებრივი მენტორმა თავისი მოვალეობების შესრულებაში შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად უნდა ჩართოს ის ზრდასრული პირი, რომლის სასარგებლოდაც დადგენილ იქნა დაცვითი მენტორობა. სამართლებრივი მენტორმა უნდა წაახალისოს შესაბამისი ზრდასრული პირი გარიგებების პირადად დასადავად და ასევე სხვა მოქმედებების განსახორციელებლად, თუ ზრდასრული პირი ამ მხრივ შეიძლება მიჩნეულ იქნეს უნარიანად, გონივრულად შეაფასოს თავისი ინტერესები. სამართლებრივი მენტორი უნდა მოქმედებდეს კარგი მენტორის წინდახედულებით.

– 2. სამართლებრივი მენტორი პასუხისმგებელია შესაბამისი ზრდასრული პირის წინაშე იმ შემთხვევაში, თუ მან არ იზრუნა ამ პირის ინტერესებზე იმგვარად, როგორც ეს მოსალოდნელი შეიძლება ყოფილიყო წინდახედული მენტორისაგან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ვალდებულების ასეთი დარღვევა მას ვერ შეეცვლება.

მუხლი 1:455 სამართლებრივი მენტორის მიერ ზრდასრული პირის სახელით ნაკისრი ვალდებულების ან უკანასკნელის პასუხისმგებლობა

6:172 მუხლის ნორმათა მოქმედების შეზღუდვის გარეშე, ის ზრდასრული პირი, რომლის სასარგებლოდაც დადგენილ იქნა დაცვითი მენტორობა, პასუხისმგებელია ყველა იმ ვალდებულებისათვის, რომელი-

ბიც სამართლებრივი მენტორის მიერ მასზე დაკისრებული ფუნქციების შესრულებისას ზრდასრული პირის სახელით დადებული გარიგებებიდან წარმოიშობა.

მუხლი 1:455 სასამართლო დავის წამოწყების ნებართვა

მანამდე, სანამ სამართლებრივი მენტორი შესაბამისი ზრდასრული პირის სახელით წამოიწყებს ნებისმიერ სასამართლო საქმეს, მას წინასწარი გასასამართლებელი საბუთის სახით შეუძლია ზრდასრულ პირს მოსთხოვოს სასამართლოში წასვლის ნებართვა, ხოლო თუ ამ უკანასკნელს არ შეუძლია ან არ სურს ასეთი ნებართვის გაცემა, – მაშინ სამართლებრივ მენტორს შეუძლია რაიონული სასამართლოსათვის შემცველი ნებართვის გაცემის მოთხოვნა.

მუხლი 1:457 საცილო გარიგებების გაბათილება

– 1. 1:453 მუხლის დარღვევით დადებული გარიგებები საცილოა და შეიძლება გაბათილდეს პარ. 2-სა და 3-ში გათვალისწინებული წესით.

– 2. თუ ასეთი საცილო გარიგება უნდა დადებულიყო შესაბამისი ზრდასრული პირის მიერ ან მის მიმართ, საცილოობის საფუძველზე მითითება შესაძლებელია მხოლოდ იმ კონტრაქტის წინააღმდეგ, რომელმაც იცოდა ან რომელსაც უნდა სცოდნოდა დაცვითი მენტორობის არსებობის თაობაზე; ამ კონტრაქტისადმი მიმართებაში ივარაუდება, რომ შესაბამისი ზრდასრულ პირს არ ჰქონდა მოქმედების განხორციელების უნარი.

– 3. თუ ასეთი საცილო გარიგება უნდა დადებულიყო სამართლებრივი მენტორის მიერ ან მის მიმართ, საცილოობის საფუძველზე მითითება შესაძლებელია მხოლოდ იმ კონტრაქტის წინააღმდეგ, რომელმაც იცოდა ან რომელსაც უნდა სცოდნოდა იმ ფაქტის შესახებ, რომ სამართლებრივ მენტორს არ ჰქონდა ამგვარი მოქმედების უფლებამოსილება.

მუხლი 1:458 მინდობით ქონების მართვისა და დაცვითი მენტორობის ერთდროულად განხორციელება

იმდენად, რამდენადაც შესაბამისი ზრდასრული პირის ერთი ან მეტი აქტივი განთავსებულია სამოქალაქო კოდექსის 1-ლი ნიგნის მე-19 ტიტულით გათვალისწინებული ქონების მინდობით მართვის ქვეშ, ქონების მმართველს, – იმ შემთხვევაში, თუ ის ასევე არ წარმოადგენს სამართლებრივ მენტორსაც, – არა აქვს უფლებამოსილება, იმოქმედოს 1:453 მუხლის პარ. 1-ში მითითებულ საკითხებთან დაკავშირებით.

მუხლი 1:459 რაიონული სასამართლოსათვის ანგარიშის წარდგენა

– 1. მოთხოვნის შემთხვევაში, სამართლებრივმა მენტორმა რაიონულ სასამართლოს უნდა წარუდგინოს თავისი საქმიანობის შესახებ ანგარიში. რაიონულ სასამართლოს ნებისმიერ დროს შეუძლია მოინვიოს სამართლებრივი მენტორი სასამართლოში მისი მოსმენისა და გამოკითხვის მიზნით. მენტორი ვალდებულია, რაიონულ სასამართლოს მიაწოდოს ნებისმიერი აუცილებელი ინფორმაცია.

– 2. ყოველ წელს 1:452 მუხლის პარ. 7-ში აღნიშნულმა სამართლებრივმა მენტორმა უნდა წარადგინოს 1:452 მუხლის პარ. 8-ს (a) და (b) პუნქტებში მითითებული განცხადება და ანგარიში. ყოველ ორ წელში სამართლებრივმა მენტორმა უნდა წარადგინოს 1:452 მუხლის პარ. 8-ს (c) პუნქტში მითითებული განცხადება. ანგარიშის სხვადასხვა ნაწილების წარდგენისათვის რაიონულ სასამართლოს შეუძლია განსაზღვროს დროის სხვა მომენტი.

– 3. ყოველი ხუთწლიანი ვადის გასვლის შემდეგ ანდა ბევრად უფრო ადრე, როგორც ამას გადაწყვეტს რაიონული სასამართლო, სამართლებრივმა მენტორმა უნდა შეატყობინოს რაიონულ სასამართლოს დაცვითი მენტორობის შედეგების შესახებ. კერძოდ, მან თავისი პოზიცია უნდა გამოხატოს იმ საკითხთან დაკავშირებით, გაგრძელდეს თუ არა დაცვითი მენტორობა ანდა შესაძლებელია თუ არა მისი ჩანაცვლება მეტ-ნაკლებად რადიკალური ზომებით. დაცვითი მენტორობისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების ან ამ უკანასკნელის გახანგრძლივების შესახებ სამართლებრივმა მენტორმა დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს რაიონულ სასამართლოს.

– 4. თავისი დაცვითი მენტორობის დასრულებისას, სამართლებრივმა მენტორმა საკუთარი საქმიანობის შესახებ ანგარიში წერილობითი ფორმით უნდა წარუდგინოს თავის უფლებამონაცვლეს, რაიონულ სასამართლოსა და დაცვითი მენტორობის ქვეშ მყოფ შესაბამის ზრდასრულ პირს, თუ დაცვითი მენტორობა შეწყდა იმ ვადის გასვლით, რა ვადითაც ის იყო დადგენილი, ანდა – იმის გამო, რომ ის შეწყდა სასამართლოს განკარგულების საფუძველზე.

მუხლი 1:460 სამართლებრივი მენტორის მიერ განუხლები ხარჯების ანაზღაურება და მისთვის კომპენსაციის თანხის გადახდა

- 1. სამართლებრივ მენტორს შეუძლია დაცვითი მენტორობის ქვეშ მყოფ შესაბამის ზრდასრულ პირს დააკისროს მენტორობის საქმიანობის განხორციელებისას განუხლები აუცილებელი ხარჯები.
- 2. სამართლებრივი მენტორი უფლებამოსილია საზღაურის მიღებაზე ამ მიზნით უშპროებისა და იუსტიციის მინისტრის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.

მუხლი 1:461 სამართლებრივი მენტორის მოვალეობათა შეწყვეტა

- 1. სამართლებრივი მენტორის მოვალეობები წყდება:
 - a. როდესაც წყდება დაცვითი მენტორობა;
 - b. იმ შემთხვევაში, როდესაც სამართლებრივი მენტორი დაინიშნა განსაზღვრული ვადით: ამ ვადის გასვლისთანავე;
 - c. როდესაც სამართლებრივი მენტორი გარდაიცვლება;
 - d. როდესაც სამართლებრივ მენტორს დაუდგინდება ზრდასრული პირების მეურვეობა ანდა როდესაც მის სასარგებლოდ დადგინდა დაცვითი მენტორობა;
 - e. როდესაც რაიონულმა სასამართლომ სამართლებრივი მენტორი გაათავისუფლა მასზე დაკისრებული მოვალეობებისაგან სასამართლოს მიერ ამ მიზნით დადგენილი დღიდან.
- 2. სამართლებრივი მენტორის დაკისრებული მოვალეობებისაგან გაათავისუფლება შეიძლება მოხდეს საკუთარი მოთხოვნის საფუძველზე ან მნიშვნელოვანი მიზეზების არსებობისას ანდა – იმის გამო, რომ ის აღარ აკმაყოფილებს სამართლებრივ მენტორად გახდომისათვის წაყენებულ მოთხოვნებს და ასევე აღნიშნული შეიძლება განხორციელდეს მისი თანამენტორის ან 1:451 მუხლის პარ 1 და 2-ში მითითებული დაცვითი მენტორობის მოთხოვნაზე უფლებამოსილი პირის მოთხოვნის საფუძველზე ანდა – რაიონული სასამართლოს მიერ საკუთარი ინიციატივით. საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებისას რაიონულ სასამართლოს შეუძლია დაადგინოს დაცვითი მენტორობის დროს დროებითი ღონისძიების მიღების შესახებ და შეაჩეროს სამართლებრივი მენტორის საქმიანობა. აუცილებლობის შემთხვევაში რაიონულ სასამართლოს ამის გაკეთება შეუძლია სამართლებრივი მენტორის წინასწარი მოსმენის გარეშეც. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს განკარგულება ორი კვირის შემდეგ დაკარგავს თავის ძალას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სამართლებრივ მენტორს აღნიშნული ვადის განმავლობაში მიეცა იმის შესაძლებლობა, რომ სასამართლოს მისთვის მოესმინა.
- 3. ყოფილმა სამართლებრივმა მენტორმა უნდა გააგრძელოს ყველა იმ საქმის კეთება, რომლის გადადებაც შეუძლებელია დაცვითი მენტორობის ქვეშ მყოფი ზრდასრული პირისათვის ზიანის მიყენების გარეშე მანამდე, სანამ მას არ შეცვლის 1:453 მუხლის პარ. 1-ში მითითებული უფლებამოსილების მქონე სხვა პირი. პარ. 1-ის (b) პუნქტში ნახსენებ ვითარებაში აღნიშნული ვალდებულება ეკისრება სამართლებრივი მენტორის ლიკვიდატორს ან სამართლებრივ მენტორს იმ პირობით, თუ მათ იცოდნენ შესაბამისი ზრდასრული პირის დაცვითი მენტორობის არსებობის ფაქტის შესახებ.
- 4. შესაბამისად გამოიყენება 1:384 მუხლის ნორმები.

მუხლი 1:462 დაცვითი მენტორობის შეწყვეტა

- 1. დაცვითი მენტორობა წყდება იმ ვადის გასვლით, რა ვადითაც ის იყო დადგენილი ანდა როდესაც შესაბამისი ზრდასრული პირი გარდაიცვლება ან მას დაუდგინდება ზრდასრული პირების მეურვეობა.
- 2. თუ დაცვითი მენტორობა აღარ არის აუცილებელი ანდა მისი გახანგრძლივება აშკარად არაგონივრული აღმოჩნდა, რაიონულ სასამართლოს შეუძლია გააუქმოს ასეთი დაცვითი მენტორობა სამართლებრივი მენტორის ანდა 1:451 მუხლის პარ. 1 და 2-ში მითითებული დაცვითი მენტორობის მოთხოვნაზე უფლებამოსილი პირის მოთხოვნის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით. სასამართლოს განკარგულება ძალმოსილია იმ მომენტიდან, როგორც კი ის შედის კანონიერ ძალაში და ხდება მბოჭავი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მასში მითითებულია დროის უფრო ძველი მომენტი.
- 3. 1:451 მუხლის პარ. 1 და 2-ში მითითებული დაცვითი მენტორობის მოთხოვნაზე უფლებამოსილ პირებსა და სამართლებრივ მენტორს შეუძლიათ მოითხოვონ კონკრეტული ვადით დადგენილი დაცვითი მენტორობის გახანგრძლივება. რაიონულმა სასამართლომ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს განაცხადის (მოთხოვნის) წარდგენიდან ორი თვის განმავლობაში. შესაბამისად გამოიყენება 1:384 მუხლი. დაცვითი მენტორობის გახანგრძლივების მოთხოვნაზე უარის თქმის საწინააღმდეგოდ სამართლებრივი დაცვის საშუალების გამოყენება დაუშვებელია.

მე-2 ნიშნი – იურიდიული პირები

ტიტული 2.1 – ზოგადი დებულებები

მუხლი 2:1 საჯარო სამართლის იურიდიული პირები

- 1. სახელმწიფოს, პროვინციებს, მუნიციპალიტეტებს, წყლის რესურსების საკითხებზე მომუშავე კომისიებსა და ყველა სხვა ორგანოს, რომლებსაც მინიჭებული აქვთ საკანონმდებლო ძალაუფლება, ჰოლანდიის კონსტიტუციის თანახმად აქვთ სამართალსუბიექტის სტატუსი.
- 2. სხვა ორგანოებს, რომლებსაც ეკისრებათ სამთავრობო ფუნქციების განხორციელება, სამართალსუბიექტის სტატუსი აქვთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ეს წარმოადგენს კანონით ან მის შესაბამისად განსაზღვრულ შედეგს.
- 3. წინამდებარე ტიტულის (ტიტული 2.1) ქვემოთ მოცემული მუხლები, გარდა 2:5 მუხლისა, არ გამოიყენება წინა პარაგრაფებში აღნიშნული საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიმართ.

მუხლი 2:2 ეკლესიები და სხვა რელიგიური თემები

- 1. რელიგიურ თემებს და მათ დამოუკიდებელ ქვედანაყოფებსა და ორგანოებს, რომლებშიც ისინი არიან გაერთიანებული, აქვთ სამართალსუბიექტის სტატუსი.
- 2. რელიგიურ თემები იმართებიან საკუთარი წესდებით, რამდენადაც ამ წესდებაში მოცემული წესები არ ეწინააღმდეგება კანონს. გარდა 2:5 მუხლით გათვალისწინებული წესებისა, წინამდებარე ტიტულის (ტიტული 2.1) ქვემოთ მოცემული მუხლები არ გამოიყენება მათ მიმართ. თუმცა, მიუხედავად ამისა, აღნიშნული მუხლები შეიძლება შესაბამისად გამოიყენებოდეს იმდენად, რამდენადაც ეს თანხვედრაშია რელიგიურ თემის წესდებებსა და ამ თემში არსებულ ორმხრივი ურთიერთობების ბუნებასთან.

მუხლი 2:3 კერძო სამართლის იურიდიული პირები

კავშირებს („verenigingen“), კოოპერატივებს („coöperaties“), საზიარო დაზღვევის საზოგადოებებს („onderlinge waarborgmaatschappijen“), ღია კორპორაციებს („naamloze vennootschappen“), დახურული კორპორაციებს („besloten vennootschappen“) და ფონდებს („stichtingen“) აქვთ სამართალსუბიექტის სტატუსი.

მუხლი 2:4 ხარვეზიანი დაფუძნება და არარსებული იურიდიული პირების ქონება

- 1. იურიდიული პირი ვერ წარმოიშობა ნოტარიუსის მიერ ხელმოწერილი სანოტარო აქტის გარეშე იმდენად, რამდენადაც კანონი ასეთ სანოტარო აქტს ითხოვს ამ ტიპის იურიდიული პირის დაფუძნებისათვის. ნოტარიუსის მიერ ხელმოწერილი სანოტარო აქტი, რომელიც არ არის ნამდვილი, ხელს უშლის შესაბამისი იურიდიული პირის დაფუძნებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი წარმოშობილად ჩაითვლებოდა ამავე სანოტარო აქტში მოცემული საანდერძო განკარგულების (ანდერძის) საფუძველზე.
- 2. იმ საცილო გარიგების ბათილობა, რომლითაც დაფუძნდა იურიდიული პირი, გავლენას არ ახდენს ამ იურიდიული პირის არსებობაზე. იურიდიული პირის ერთი ან მეტი დამფუძნებლის საზოგადოებაში მონაწილეობის ბათილობა თავისთავად არ ახდენს გავლენას დარჩენილი დამფუძნებლების საზოგადოებაში მონაწილეობაზე.
- 3. როდესაც ქონება შეიქმნა არარსებული იურიდიული პირის სახელით, სასამართლომ დაინტერესებული მხარის ან პროკურატურის მოთხოვნის საფუძველზე უნდა დანიშნოს ერთი ან რამდენიმე ლიკვიდატორი. შესაბამისად გამოიყენება 2:22 მუხლის ნორმები.

– 4. არარსებული იურიდიული პირის სახელით შექმნილი ქონება უნდა იქნეს ლიკვიდირებული (რეალიზებული) იგივე წესით, როგორც წინასწარ განზრახვით გაუქმებული იურიდიული პირის ქონება. ის პირები, რომლებიც მოქმედებდნენ როგორც არარსებული იურიდიული პირის დირექტორები, პასუხს აგებენ სოლიდარულად ყველა იმ ვალისათვის, რომლებიც მიეკუთვნება ზემოაღნიშნულ ქონებას იმდენად, რამდენადაც ეს ვალები ვადამოსული გახდა აღნიშნული პირების მიერ დირექტორებად მოქმედების პერიოდის განმავლობაში. ეს პირები ასევე პასუხს აგებენ იმ გარიგებებიდან წარმოშობილი ვალებისათვის, რომლებიც {მათ ან სხვა პირების მიერ} აღნიშნული პერიოდის განმავლობაში დაიდო ამ ქონების სახელით იმდენად, რამდენადაც სახეზე არ არის სხვა პირი, ვინც პასუხისმგებელი იქნებოდა ვალებისათვის ზემოაღნიშნული წინადადების ნორმის საფუძველზე. როდესაც ვერავის დაეკისრება პასუხისმგებლობა წინა ორი წინადადების ნორმებიდან ერთ-ერთის საფუძველზე, მაშინ აღნიშნულისათვის სოლიდარულად აგებენ პასუხს ამ ვალის გამომწვევი მოქმედების განმარტოვებული პირები.

– 5. თუ ძალმოსილი იურიდიული პირი შეიქმნა იმ მიზნით, რომ ის გახდეს არარსებული იურიდიული პირის სახელით შექმნილი ქონების უფლებამონაცვლე, მაშინ მოთხოვნის საფუძველზე სასამართლოს შეუძლია დაადგინოს, რომ ეს ქონება საჭიროებს არა ლიკვიდაციას (რეალიზაციას), არამედ ის შეიძლება გადაეცეს ძალმოსილად შექმნილ იურიდიულ პირს.

მუხლი 2:5 იურიდიული პირების ფიზიკურ პირებთან გათანაბრება

იმდენად, რამდენადაც საქმე ეხება სანივთო სამართალს, იურიდიული პირი ტოლფასია ფიზიკური პირისა (უთანაბრდება მას), გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კანონიდან სანინაალმდეგო შედეგი გამომდინარეობს.

მუხლი 2:6 ინფორმაციის გამოქვეყნება და გამოუქვეყნებლობის შედეგები

– 1. იურიდიული პირის წესდებასა თუ შინაგანანქსში (შიდა ნორმატიულ აქტებში) შეტანილი ცვლილებები, რომლებიც ექვემდებარება გამოქვეყნებას წინამდებარე ნიგნის (სამოქალაქო კოდექსის მე-2 ნიგნი) ძალით, ვერ იქნება გამოყენებული იმ კონტრაჰენტებისა და მესამე პირების წინააღმდეგ, რომლებმაც არ იცოდნენ ამ ცვლილებების შესახებ მანამდე, სანამ აღნიშნული გამოქვეყნება არ განხორციელდება, ხოლო წესდებამ შეტანილი ცვლილების შემთხვევაში კი, – მანამდე, სანამ არ მოხდება წესდების ცვლილების კანონით გათვალისწინებული აუცილებელი გამოქვეყნება. იგივე წესი მოქმედებს იურიდიული პირის გაუქმების ფაქტზე აპელირებასთან დაკავშირებით მანამდე, სანამ არ მოხდება ამ იურიდიული პირის გაუქმების ფაქტის კანონით გათვალისწინებული აუცილებელი წესით გამოქვეყნება.

– 2. როდესაც წესდება უთითებს იმაზე, რომ დირექტორთა საბჭოს ან დირექტორს არა აქვს იურიდიული პირის გარიგების დასადავად წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, აპელირება ამ უკანასკნელის არარსებობის ფაქტზე, – რაც ჩვეულებრივ შემთხვევაში დაშვებული იქნებოდა კანონის შესაბამისად, – არ ახდენს ზეგავლენას იმ კონტრაჰენტის მიმართ, რომელმაც არ იცოდა უფლებამოსილების არარსებობის შესახებ, თუ ამ უკანასკნელის შეზღუდვა ან გამორიცხვა არ იყო გამოქვეყნებული კანონით გათვალისწინებული აუცილებელი წესით იმ მომენტში, როდესაც ეს გარიგება დაიდო. იგივე წესი მოქმედებს სხვა იმ პირთა, გარდა დირექტორებისა, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეზღუდვის ფაქტზე აპელირების მიმართაც, რომლებსაც ასეთი უფლებამოსილება წესდების საფუძველზე მიენიჭათ.

– 3. იურიდიული პირი ვერ გამოიყენებს სავაჭრო რეესტრში რეგისტრირებულ მონაცემთა უზუსტობასა თუ არასისრულეს იმ კონტრაჰენტის წინააღმდეგ, რომელმაც არ იცოდა ამ უზუსტობის ან არასისრულის შესახებ. მონაცემთა სხვაგან ზუსტი და სრული რეგისტრაცია ანდა წესდების {სავაჭრო რეესტრში} გამოქვეყნება თავისთავად არ არის საკმარისი მტკიცებულება იმისა, რომ კონტრაჰენტმა იცოდა უზუსტობისა თუ არასისრულის შესახებ.

– 4. იმდენად, რამდენადაც კანონი სხვაგვარად არ ითვალისწინებს, იურიდიული პირის კონტრაჰენტს არ შეუძლია აპელირება მის მიერ იმ ფაქტის არცოდნაზე, რომელიც გამოქვეყნდა კანონით გათვალისწინებული აუცილებელი წესით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი გამოქვეყნება არ განხორციელდა იმგვარად, როგორც ამას ითხოვს კანონი {როდესაც მოითხოვება დამატებითი რეგისტრაციები სამეწარმეო რეესტრში ან რეგისტრაცია სხვა საჯარო რეესტრში}, ანდა არ განხორციელებულა ასეთი გამოქვეყნების შესახებ კანონით გათვალისწინებული აუცილებელი შეტყობინება.

– 5. წინა ორი პარაგრაფი არ გამოიყენება ვაკოტრების რეესტრსა თუ გადახდებზე არსებული ოფიციალური მორატორიუმების რეესტრში რეგისტრირებული სასამართლოს გადაწყვეტილებების მიმართ.

მუხლი 2:7 თავად იურიდიული პირის სასარგებლოდ მოქმედების უფლებამოსილების არარსებობა (ultra vires დოქტრინა)

იურიდიული პირის სახელით დადებული გარიგება საცილოა, თუ ამ უკანასკნელის ძალით მოხდა იურიდიული პირის წესდებაში აღწერილი მიზნიდან გადაცდენა და კონტრაჰენტმა იცოდა ან მას უნდა სცოდნოდა ამის შესახებ მისი მხრიდან განხორციელებული რაიმე სახის გამოკვლევის გარეშე; მხოლოდ იურიდიულ პირს შეუძლია გამოიყენოს საცილოობის ეს საფუძველი.

მუხლი 2:8 იურიდიული პირის ორგანიზებისას აუცილებელი გონივრულობა და სამართლიანობა

– 1. იურიდიული პირი და ასევე ის პირები, რომლებიც კანონისა და წესდების შესაბამისად ჩართული არიან მის ორგანიზებაში, ერთმანეთის მიმართ უნდა მოქმედებდნენ ისე, როგორც ამას ითხოვს გონივრულობისა და სამართლიანობის სტანდარტები.

– 2. ზემოაღნიშნულ პირებს შორის კანონის, ზოგადი პრაქტიკის (ჩვეულების), წესდების, შინაგანანდებისა (შიდა ნორმატიული აქტების) თუ გადანყვეტილების (იურიდიული პირის ორგანოს გადანყვეტილება) შესაბამისად გამოსაყენებელ წესს არა აქვს სამართლებრივი შედეგი იმდენად, რამდენადაც ეს მოცემულ გარემოებებში გონივრულობისა და სამართლიანობის სტანდარტებიდან გამომდინარე მიუღებელი აღმოჩნდებოდა.

მუხლი 2:9 დირექტორების მიერ მათზე დაკისრებული ამოცანების შესრულება და მათი პასუხისმგებლობა

– 1. თითოეული დირექტორი პასუხისმგებელია იურიდიული პირის წინაშე მასზე დაკისრებული ამოცანების ჯეროვანი შესრულებისათვის. დირექტორთა ყველა ის მოვალეობა, რაც არ იქნა დაკისრებული კანონის ან წესდების შესაბამისად ერთ ან რამდენიმე დირექტორზე, უნდა განეკუთვნებოდეს დირექტორის მოვალეობებს (ამოცანებს).

– 2. თითოეული დირექტორი პასუხისმგებელია საქმეთა ზოგადი მართვისათვის. ის პასუხს აგებს არა-ჯეროვნად შესრულებული მოვალეობების ყველა შედეგისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც – მათ შორის სხვა დირექტორებზე დაკისრებულ ამოცანებთან დაკავშირებითაც – მას არ მიუძღვის მნიშვნელოვანი ბრალი და ასევე ის არ მოქმედებდა დაუდევრად აღნიშნული არაჯეროვნად შესრულებული მოვალეობების შედეგების თავიდან აცილებისათვის შესაბამისი ზომების მიღებისას.

მუხლი 2:10 ბუღალტერია

– 1. დირექტორთა საბჭოს ევალება იურიდიული პირის აქტივებისა და პასივების და ასევე ამ უკანასკნელის საქმიანობის შესახებ საბუღალტრო ჩანაწერების წარმოება იმ მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც გამომდინარეობს აღნიშნული საქმიანობიდან; დირექტორთა საბჭომ იმგვარად უნდა შეინახოს ჩანაწერები, დოკუმენტები და მონაცემთა შენახვის სხვა საშუალებები, რომ იურიდიული პირის უფლებები და ვალდებულებები ყოველთვის იყოს ცნობილი.

– 2. წინამდებარე წიგნის (სამოქალაქო კოდექსის მე-2 წიგნი) სხვა ტიტულების ნორმათა მოქმედების შეზღუდვის გარეშე, საანგარიშო წლის დასრულებიდან ექვსი თვის განმავლობაში დირექტორთა საბჭომ უნდა შეადგინოს იურიდიული პირის ბალანსი და მოგება-ზარალის ანგარიში (შემოსავლების შესახებ ანგარიშგება).

– 3. დირექტორთა საბჭომ პარ. 1-სა და 2-ში აღნიშნული ჩანაწერები, დოკუმენტები და მონაცემთა შენახვის სხვა საშუალებები უნდა შეინახოს შვიდი წლის განმავლობაში.

– 4. ბალანსისა და მოგება-ზარალის ანგარიშის (შემოსავლების შესახებ ანგარიშგება) გარდა, რაც მოცემულ იქნა ქალაქში, ყველა წერილობითი ინფორმაცია და ასევე მონაცემთა შენახვის სხვა საშუალებებზე განთავსებული ინფორმაცია შეიძლება გადაცემულ და შენახულ იქნეს მონაცემთა შენახვის (სხვა) საშუალებებზე იმ პირობით, რომ გადაცემის შედეგად შესაძლებელი იყოს ინფორმაციის ზუსტი და სრული აღწარმოება და ასევე ის ხელმისაწვდომი და ნაკითხვადი იყოს გონივრული ვადის ფარგლებში შენახვის მთელი პერიოდის განმავლობაში.

მუხლი 2:10a საბუღალტრო წელი

იურიდიული პირის საბუღალტრო წელი (ფინანსური წელი) შეესაბამება კალენდარულ წელს, თუ ამ იურიდიული პირის წესდებაში სხვა საბუღალტრო წელი (ფინანსური წელი) არ არის მითითებული.

მუხლი 2:11 იურიული პირის სხვა იურიული პირის დირექტორის სახით მოქმედებისათვის პასუხისმგებლობა

როდესაც იურიული პირი პასუხისმგებელია სხვა იურიული პირის დირექტორის სახით მოქმედებისათვის, მაშინ ის პირებიც, რომლებიც ამ პასუხისმგებლობის წარმოშობის მომენტში წარმოადგენენ პირველად ნახსენები იურიული პირის დირექტორებს, ასევე პასუხს აგებენ სოლიდარულად.

მუხლი 2:12 წესდებით გათვალისწინებული ხმის მიცემის უფლებაზე უარი

იმ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით ხმის მიცემის უფლებაზე, რომლითაც იურიული პირი ერთ ან მეტ უფლებამოსილებას ანიჭებს განსაზღვრულ პირებს მათი სხვა სტატუსის გამო, რომელსაც არ მიეკუთვნება იურიული პირის წევრობა, პარტნიორობა ან ორგანოს წევრობა, წესდებით შეიძლება უარი ეთქვას ამ პირებსა და მათ მეუღლეებს, რეგისტრირებულ პარტნიორებსა თუ პირდაპირი ხაზის სისხლით ნათესავებს; იგივე წესი მოქმედებს იმ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით ხმის მიცემის უფლებაზე, რომლითაც იურიული პირი უსასყიდლოდ ათავისუფლებს ვალდებულებისაგან განსაზღვრულ პირებს.

მუხლი 2:13 ხმის მიცემის ნამდვილობა; ხმის მიცემის შედეგები

– 1. ხმის მიცემა ბათილია იგივე გარემოებების არსებობისას, როდესაც ადგილი აქვს ცალმხრივი გარიგებების ბათილობას; ხმის მიცემა ვერასოდეს იქნება საცილო და, შესაბამისად, შეუძლებელია მისი გაბათილება საცილობის საფუძველზე.

– 2. როდესაც კავშირის („vereniging“) წევრს წარმოადგენს ქმედუნარო პირი, მას თავად შეუძლია კუთვნილი ხმის მიცემის უფლების განხორციელება, რამდენდაც ამ კავშირის („vereniging“) წესდება არ ეწინააღმდეგება ამას; თუ წესდება აღნიშნულს ეწინააღმდეგება, კუთვნილი ხმის მიცემის უფლებას ახორციელებს ქმედუნარო პირის წარმომადგენელი.

– 3. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წესდება სხვაგვარად ითვალისწინებს, თავმჯდომარის მიერ ხმის მიცემის შედეგებთან დაკავშირებით იურიული პირის ორგანოს კრებაზე გამოცხადებული პოზიცია გადამწყვეტია. იგივე წესი მოქმედებს იურიული პირის ორგანოს კრებაზე თავმჯდომარის მიერ გადაწყვეტილების შინაარსთან დაკავშირებით გამოხატული პოზიციის მიმართაც იმდენად, რამდენადაც ხმის მიცემა ხდება ზეპირი წინადადების საფუძველზე.

– 4. როდესაც თავმჯდომარის პოზიციის სისწორე სადავო ხდება დაუყოვნებლივ მას შემდეგ, რაც ის გაულერდება, ხმის მიცემა უნდა განხორციელდეს კიდევ ერთხელ, თუ ამას ითხოვს კრების მონაწილეთა უმრავლესობა, ხოლო თუ თავდაპირველი ხმის მიცემა არ ხორციელდებოდა მოწვევით ან წერილობით, – მაშინ ხმის უფლების მქონე კრებაზე დამსწრე ერთ-ერთი პირის მიერ. აღნიშნული ახალი კენჭისყრის შედეგად თავდაპირველი ხმის მიცემის სამართლებრივი შედეგები უქმდება.

მუხლი 2:14 ბათილი გადაწყვეტილებები; რატიფიკაცია

– 1. ბათილია იურიული პირის ორგანოს გადაწყვეტილება, რომელიც ეწინააღმდეგება კანონს ან წესდებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კანონი სხვაგვარად უთითებს.

– 2. როდესაც გადაწყვეტილება ბათილია იმის გამო, რომ ის იურიული პირის ორგანოს მიერ მიღებულია ამ იურიული პირის სხვა ორგანოს მოქმედებისა თუ მისთვის გაგზავნილი შეტყობინების გარეშე, როგორც ამას ითხოვს კანონი ან წესდება, მაშინ ეს გადაწყვეტილება შეიძლება რატიფიცირებულ იქნეს ამ სხვა ორგანოს მიერ. როდესაც არარსებული მოქმედებისათვის დადგენილია განსაზღვრული მოთხოვნა (ფორმა), ეს მოთხოვნა (ფორმა) გამოიყენება ასევე გადაწყვეტილების რატიფიცირების მიმართაც.

– 3. გადაწყვეტილების რატიფიცირება შეუძლებელი ხდება იმ გონივრული ვადის გასვლის შემდეგ, რომელიც ამ მიზნით დადგენილია გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს ან იმ კონტრაქტის მიერ, ვისკენაც იყო მიმართული ეს გადაწყვეტილება.

მუხლი 2:15 საცილო გადაწყვეტილებები

– 1. საცილობის საფუძველზე გადაწყვეტილების გაბათილების შესაძლებლობასთან დაკავშირებით სხვა ნორმატიულ აქტებში განსაზღვრულ ნორმათა მოქმედების შეზღუდვის გარეშე, იურიული პირის ორგანოს გადაწყვეტილება საცილოა:

a. თუ ის მიღებულ იქნა კანონისა თუ წესდების იმ ნორმათა დარღვევით, რომლებიც აწესრიგებს გადაწყვეტილებების მიღების საკითხებს;

b. თუ ის ეწინააღმდეგება 2:8 მუხლით დადგენილ გონივრულობისა და სამართლიანობის სტანდარტებს;

ც. თუ ის ეწინააღმდეგება იურიდიული პირის შინაგანანხეს (შიდა ნორმატიულ აქტებს).

– 2. იმ მოთხოვნების შემცველი ნორმები, რაზეც უთითებს მე-14 მუხლის პარ. 2, არ შედის იმ მოთხოვნათა ჩამონათვალში, რომლებიც გათვალისწინებულია წინა პარაგრაფის (ა) პუნქტში.

– 3. საცილო გადაწყვეტილების გაბათილება ხდება იმ რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც იურიდიულ პირს აქვს თავისი დომიცილი:

ა. იურიდიული პირის წინააღმდეგ იმ პირის მიერ წარდგენილი მოთხოვნის საფუძველზე, რომელსაც იმ მოთხოვნათა დაკმაყოფილების ლეგიტიმური ინტერესი აქვს, რომლებიც არ იქნა დაცული, ან;

ბ. იურიდიული პირის მოთხოვნის საფუძველზე, რომელიც დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილების ძალით წარდგენილ იქნა იმ პირის წინააღმდეგ, რომელზეც უთითებს რაიონული სასამართლოს დროებითი სამართლებრივი დაცვის საშუალების მიმღები მოსამართლე (provisional relief judge) იურიდიული პირის მიერ ამ მიზნით წარდგენილი მოთხოვნის საფუძველზე; აღნიშნულ შემთხვევაში სასამართლოში საქმის წარმოების ხარჯები დაეკისრება იურიდიულ პირს.

– 4. როდესაც დირექტორი მოთხოვნას წარადგენს საკუთარი სახელით, იურიდიულ პირმა რაიონული სასამართლოს დროებითი სამართლებრივი დაცვის საშუალების მიმღებ მოსამართლეს უნდა მოსთხოვოს იმ პირის დანიშვნა, ვინც დავასთან მიმართებაში იმოქმედებს დირექტორთა საბჭოს ნაცვლად.

– 5. საცილო გადაწყვეტილების გაბათილების მოთხოვნის უფლება უქმდება ერთი წლის ვადის გასვლისთანავე გადაწყვეტილების გასაჯაროების დღიდან, ანდა – მას შემდეგ, როდესაც დაინტერესებული მხარისათვის ცნობილი გახდა ამ გადაწყვეტილების შესახებ ან მან სათანადო შეტყობინება მიიღო მის შესახებ.

– 6. პარ. 1-ის (ა) პუნქტში მითითებულ საფუძველზე საცილო გადაწყვეტილება შეიძლება რატიფიცირებულ იქნეს ამ მიზნით მოგვიანებით მიღებული გადაწყვეტილებით (შედეგად საცილო გადაწყვეტილების გამოსწორება მოხდება მისი მიღების დღისათვის უკუქცევითი ძალით); ამ მოგვიანებით მიღებულ გადაწყვეტილებაზე ვრცელდება იგივე მოთხოვნები, რაც იმ გადაწყვეტილებაზე, რომლის რატიფიცირებაც უნდა მოხდეს. რატიფიცირებას სამართლებრივი ძალა არა აქვს მანადე, სანამ იხილება იმ გადაწყვეტილების გაბათილების შესახებ ადრე წარდგენილი მოთხოვნა, რომლის რატიფიცირებაც უნდა მოხდეს. თუ სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდება, მაშინ სასამართლოს მიერ გაბათილებული საცილო გადაწყვეტილება მიიჩნევა ხელახლა მიღებულად უფრო გვიან მიღებული იმ გადაწყვეტილების მეშვეობით, რომლითაც ხდება საცილო გადაწყვეტილების რატიფიცირება (შედეგად საცილო გადაწყვეტილების გამოსწორება ხდება იმ დღიდან, როდესაც მიღებულ იქნა გვიანდელი გადაწყვეტილება), თუ ამ გვიანდელი გადაწყვეტილების გარდაუვალი შედეგებიდან სანინააღმდეგო წესი არ გამომდინარეობს.

მუხლი 2:16 გადაწყვეტილების ბათილობისა თუ გაბათილების შედეგები; მესამე პირთა დაცვა

– 1. როდესაც იურიდიული პირი წარმოადგენდა სასამართლო საქმის განხილვის მხარეს, ამ პირის ბათილი გადაწყვეტილების ბათილობის დამდგენი ანდა საცილო გადაწყვეტილების გამაბათილებელი კანონიერ ძალში შესული სასამართლოს გადაწყვეტილება სავალდებულოა შესასრულებლად ნებისმიერი პირისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შენარჩუნდება განსაკუთრებული სარჩელების (კანონისმიერი გაუქმება და მესამე პირის შესაგებელი) მოქმედება. ყოველი წევრი ან პარტნიორი უფლებამოსილია წარადგინოს კანონისმიერი გაუქმების მოთხოვნა.

– 2. როდესაც იურიდიული პირის გადაწყვეტილება წარმოადგენს ისეთ გარიგებას, რომელიც ამ იურიდიული პირის კონტრაპენტისაკენ არის მიმართული, ანდა როდესაც საქმე ეხება ასეთი გარიგების ნამდვილობის მოთხოვნას, მაშინ ამ გადაწყვეტილების ბათილობა ან გაბათილება ვერ იქნება გამოყენებული ამ კონტრაპენტის წინააღმდეგ, თუ მან არ იცოდა ან მას არც უნდა სცოდნოდა გადაწყვეტილების ნაკლის თაობაზე. თუმცა, მიუხედავად აღნიშნულისა, იმ გადაწყვეტილების ბათილობა ან გაბათილება, რომლითაც დაინიშნა დირექტორი ან ზედამხედველი დირექტორი, მაინც შეიძლება იქნეს გამოყენებული დანიშნული პირის სანინააღმდეგოდ; ამასთან, იურიდიულმა პირმა უნდა აანაზღაუროს ის ზიანი, რომელსაც დანიშნული პირი აღნიშნულის შედეგად განიცდის, თუმცა – მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ პირმა არ იცოდა ან მას არც უნდა სცოდნოდა გადაწყვეტილების ნაკლის თაობაზე.

მუხლი 2:17 იურიული პირის არსებობის ხანგრძლივობა

იურიული პირის შექმნა (დაფუძნება) ხდება განუსაზღვრელი ვადით.

მუხლი 2:18 იურიული პირების გარდაქმნა

– 1. იურიდიული პირი შეიძლება გარდაიქმნას სხვა ტიპის იურიდიულ პირად ქვემოთ მოცემული პარაგრაფების ნორმათა გათვალისწინებით.

– 2. გარდაქმნისათვის მოითხოვება:

a. გადანყვეტილება, რომელიც ამ მიზნით მიღებულია იმ მოთხოვნათა შესაბამისად, რომლებიც დადგენილია წესდებაში ცვლილების შეტანისათვის და, გარდა ფონდის („stichting“) გარდაქმნის შემთხვევებისა, – მიღებულია, სულ ცოტა, ხმათა ცხრა მეათედის უმრავლესობით;

b. წესდებაში ცვლილების შეტანის შესახებ გადანყვეტილება, და;

c. გარდაქმნის შესახებ სანოტარო აქტი, რომელიც შეიცავს ახალ წესდებას.

– 3. წინა პარაგრაფის (a) პუნქტში მითითებული ხმათა უმრავლესობა არ მოითხოვება ღია კორპორაციის („naamloze vennootschap“) დახურულ კორპორაციად („besloten vennootschap“) ანდა – პირიქით გარდაქმნისათვის.

– 4. როდესაც საქმე ეხება ფონდის („stichting“) გარდაქმნას ანდა ღია ან დახურული კორპორაციების კავშირად („vereniging“) გარდაქმნას, მოითხოვება ასევე რაიონული სასამართლოს ნებართვაც.

– 5. მხოლოდ გარდაქმნას დაქვემდებარებულ იურიდიულ პირს შეუძლია მოსთხოვოს რაიონულ სასამართლოს გარდაქმნის ნებართვის გაცემა გარდაქმნის შესახებ სანოტარო აქტის პროექტის წარდგენით. მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე სასამართლო ამბობს უარს, თუ გარდაქმნისათვის აუცილებელი გადანყვეტილება ბათილია ანდა თუ ასეთი გადანყვეტილების გაბათილების სამართლებრივი მოთხოვნა ჯერ კიდევ იხილება. მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე სასამართლო ასევე აცხადებს უარს იმ შემთხვევაში, თუ არასაკმარისად იქნა გათვალისწინებული ხმის მიცემაზე უფლებამოსილ იმ პირთა ინტერესები, რომლებიც არ დაეთანხმნენ გარდაქმნას, ანდა – სხვა პირთა ინტერესები, რომელთაგან, სულ ცოტა, ერთმა მაინც მიმართა სასამართლოს. როდესაც გარდაქმნა საჭიროებს რაიონული სასამართლოს ნებართვას, ნოტარიუსი სანოტარო აქტში ადასტურებს იმას, რომ აღნიშნული ნებართვა მიცემულ იქნა სანოტარო აქტის პროექტის საფუძველზე.

– 6. ფონდის („stichting“) გარდაქმნის შემდეგ წესდებიდან უნდა ჩანდეს, რომ ფონდის ქონება, რა მდგომარეობაშიც ის არსებობდა გარდაქმნის მომენტში, და – ასევე ამ ქონების ნაყოფი (სარგებელი) მხოლოდ რაიონული სასამართლოს ნებართვით შეიძლება იქნეს გამოყენებული სხვაგვარად, ვიდრე ეს გარდაქმნამდე მოითხოვებოდა. იგივე წესი მოქმედებს იმ იურიდიული პირის წესდების მიმართ, რომელმაც შეიძინა ფონდის („stichting“) ქონება და ამ ქონების ნაყოფი (სარგებელი) შერწყმისა თუ გაყოფის შედეგად.

– 7. იურიდიული პირი გარდაქმნის რეგისტრაციის შესახებ თხოვნით მიმართავს იმ საჯარო რეესტრების მწარმოებელს, სადაც ეს იურიდიული პირი იყო გარდაქმნამდე რეგისტრირებული და სადაც ის შემდგომში უნდა იქნეს რეგისტრირებული, ხოლო კავშირის („vereniging“) შემთხვევაში კი, – ის, სადაც ეს უკანასკნელი ნებაყოფლობით გატარდა რეგისტრაციაში.

– 8. გარდაქმნა არ იწვევს იურიდიული პირის არსებობის შეწყვეტას.

მუხლი 2: 19 იურიდიული პირის გაუქმება

– 1. იურიდიული პირი უქმდება:

a. როდესაც საერთო კრება ამ მიზნით იღებს შესაბამის გადანყვეტილებას, ხოლო თუ იურიდიული პირი წარმოადგენს ფონდს („stichting“), მაშინ – როდესაც მისი დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე იღებს ასეთ გადანყვეტილებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფონდის („stichting“) წესდება სხვაგვარად ითვალისწინებს;

b. როდესაც ადგილი აქვს ისეთ შემთხვევას, რომელიც იურიდიული პირის წესდების შესაბამისად შედეგად იწვევს ამ პირის გაუქმებას და რომელიც არ წარმოადგენს არც გადანყვეტილებას და არც იურიდიული პირის გაუქმებისკენ მიმართულ მოქმედებას;

c. როდესაც ის გამოცხადდა გაკოტრებულად და მისი გაკოტრების საქმის წარმოება წყდება გაკოტრების მასის მდგომარეობის გამო, როგორც ეს გათვალისწინებულია ჰოლანდიის გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ კანონის 16 (1) მუხლში ანდა იურიდიული პირი ცხადდება გაკოტრებულად ჰოლანდიის გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ კანონის 173 (1) მუხლში გათვალისწინებული წესით;

d. როდესაც კავშირის („verenigen“, კოოპერაციისა („coöperaties“) თუ საზიარო დაზღვევის საზოგადოების („onderlinge waarborgmaatschappijen“) შემთხვევაში სახეზე აღარ არიან საზოგადოების წევრები;

e. როდესაც სავაჭრო პალატამ მიიღო 2: 19a მუხლით გათვალისწინებული გადანყვეტილება;

f. როდესაც სასამართლომ მოახდინა იურიდიული პირის გაუქმება კანონის მიერ ამ მიზნისათვის დადგენილ ვითარებაში.

– 2. პარ. 1-ის (b) ან (d) პუნქტებში მითითებულ ვითარებაში რაიონულმა სასამართლომ დირექტორთა საბჭოს, დაინტერესებული პირისა თუ პროკურატურის მოთხოვნის საფუძველზე უნდა გამოაცხადოს,

მოხდა თუ არა იურიდიული პირის გაუქმება და ასევე – როდის (რომელ დღეს) მოხდა ეს. სასამართლოს ეს განკარგულება საბოლოო და სავალდებულოა ნებისმიერი პირისათვის. როდესაც იურიდიული პირი რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში, სასამართლოს მდივანი უნდა დარწმუნდეს იმაში, რომ სასამართლოს ზემოაღნიშნული გამოცხადების შემცველი, კანონიერ ძალაში შესული და მხოლოდ განკარგულება რეგისტრაციაში გატარდება ამ რეესტრში.

– 3. გაუქმების შესახებ შეტყობინება ეგზავნება იმ საჯარო რეესტრების მწარმოებელს, სადაც იურიდიული პირი არის რეგისტრირებული:

– პარ. 1-ის (a), (b) და (d) პუნქტებში მითითებულ ვითარებებში: ლიკვიდატორის მიერ, თუ ეს უკანასკნელი სახეზეა, ხოლო სხვა შემთხვევაში კი, – დირექტორთა საბჭოს მიერ;

– პარ. 1-ის (c) პუნქტში მითითებულ ვითარებაში: გაკოტრების მმართველის მიერ;

– პარ. 1-ის (e) პუნქტში მითითებულ ვითარებაში: სავაჭრო პალატის მიერ;

– პარ. 1-ის (f) პუნქტში მითითებულ ვითარებაში: სასამართლოს მდივნის მიერ.

– 4. თუ იურიდიულ პირს მისი გაუქმების მომენტში აღარ აქვს არანაირი აქტივი, ის შეწყვეტს ამ მომენტიდან თავის არსებობას. ასეთ შემთხვევაში დირექტორთა საბჭო, ხოლო როდესაც გამოიყენება 2:19a მუხლის ნორმები, – სავაჭრო პალატა ატყობინებს იურიდიული პირის გაუქმების შესახებ იმ საჯარო რეესტრების მწარმოებელს, სადაც იურიდიული პირი არის რეგისტრირებული.

– 5. მისი გაუქმების შემდეგ იურიდიული პირი აგრძელებს არსებობას იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელია მისი ქონების ლიკვიდაციისათვის (რეალიზაციისათვის). იურიდიული პირის მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტებსა და საჯარო ცნობებში იურიდიული პირის სახელწოდებას უნდა დაემატოს სიტყვები „ლიკვიდაციაში მყოფი“.

– 6. ქონების ლიკვიდაციის (რეალიზაციის) შემთხვევაში, იურიდიული პირი წყვეტს არსებობას იმ მომენტში, როდესაც სრულდება ლიკვიდაცია (რეალიზაცია). ლიკვიდატორი ან გაკოტრების მმართველი საჯარო რეესტრების მწარმოებელს, სადაც იურიდიული პირი არის რეგისტრირებული, ატყობინებს იმ ფაქტის თაობაზე, რომ ამ უკანასკნელმა შეწყვიტა არსებობა.

– 7. იურიდიულ პირთან დაკავშირებით ამ უკანასკნელის არსებობის შეწყვეტის მომენტში არსებული საჯარო რეესტრებში რეგისტრირებული მონაცემები და ინფორმაცია ინახება იქვე აღნიშნული მომენტიდან, სულ ცოტა ათი წლის განმავლობაში.

მუხლი 2:19a იურიდიული პირის გაუქმება სავაჭრო პალატის მიერ

– 1. სავაჭრო რეესტრში რეგისტრირებული ღია კორპორაცია (“naamloze vennootschap”), დახურული კორპორაცია („besloten vennootschap“), კოოპერატივი („coöperatie”) თუ საზიარო დაზღვევის საზოგადოება („onderlinge waarborgmaatschappij”) ექვემდებარება გაუქმებას სავაჭრო პალატის გადანყვეტილებით, თუ სავაჭრო პალატას აქვს იმის მტკიცებულება, რომ სახეზეა, სულ ცოტა, შემდეგი ორი გარემოება:

a. იურიდიული პირის დირექტორები არ არიან რეგისტრირებული სავაჭრო რეესტრში, სულ ცოტა, ერთი წლის ვადის განმავლობაში, როდესაც არც შეტყობინება არ იქნა წარდგენილი ასეთი რეგისტრაციის თაობაზე ანდა თუ დირექტორები გატარდნენ რეგისტრაციაში, შემდეგი ერთ-ერთი გარემოებათაგანი მოქმედებს ყველა რეგისტრირებული დირექტორის მიმართ:

1°. დირექტორები გარდაიცვალნენ;

2°. დირექტორები, სულ ცოტა, ერთი წლის განმავლობაში, მიუწვდომელი არიან სავაჭრო რეესტრში ნახსენებ მისამართებზე და ასევე პერსონალურ მონაცემთა ბაზაში მოცემულ მისამართებზე ანდა – შესაბამისი პირი არ არის რეგისტრირებული პერსონალურ მონაცემთა ბაზაში.

b. სულ ცოტა, ერთი წლის განმავლობაში იურიდიულმა პირმა არ შეასრულა მასზე დაკისრებული ყოველწლიური საბუღალტრო ოპერაციების, ხოლო 2:394, 2:396 თუ 2:397 მუხლების შესაბამისად კი – ბალანსისა და ჩანაწერების გასაჯაროების ვალდებულება;

c. იურიდიულმა პირმა, სულ ცოტა, ერთი წლის განმავლობაში დაბეგვრის შესახებ ზოგადი კანონის მე-9 მუხლის მე-3 პარაგრაფში მითითებულ ფორმალურ შეტყობინებაზე ჯეროვნად არ უპასუხა კომპანიის მოგების გადასახადის შესახებ საგადასახადო დეკლარაციის წარდგენის გზით.

– 2. კავშირი („vereniging”) ან ფონდი („stichting“), რომელიც, მართალია, რეგისტრირებულია სავაჭრო რეესტრში, თუმცა არ უძღვება იმ სანარმოს, რომელიც, როგორც ასეთი, რეგისტრირებულია სავაჭრო რეესტრში, ექვემდებარება გაუქმებას სავაჭრო პალატის გადანყვეტილებით, თუ სავაჭრო პალატას აქვს იმის მტკიცებულება, რომ სახეზეა პარ. 1-ის (a) პუნქტში მითითებული გარემოება და ასევე – რომ იურიდიული პირი, სულ ცოტა, ერთი წლის განმავლობაში არ იხდოდა მისი სავაჭრო რეესტრში რეგისტრაციისათვის დადგენილი საზღაურის თანხას.

– **3.** თუ სავაჭრო პალატისათვის ცნობილია ის ფაქტები, რომლებიც მიუთითებს იმაზე, რომ იურიდიული პირი ექვემდებარება გაუქმებას, როგორც ეს აღნიშნულია პარ. 1-ში ან 2-ში, ის ატყობინებს იურიდიულ პირსა და მის დირექტორებს იურიდიული პირის გაუქმების განზრახვის შესახებ; ასეთი შეტყობინება ხორციელდება დაზღვეული წერილით, რომელიც იგზავნება იურიდიული პირისა და მისი დირექტორების უკანასკნელ ცნობილ მისამართზე, რომელშიც მიეთითება არა მარტო იურიდიული პირის გაუქმების განზრახვაზე, არამედ – ასევე იმ საფუძვლებზეც, რასაც ეფუძნება ეს განზრახვა. სავაჭრო პალატა ახდენს ამ შეტყობინების სავაჭრო რეესტრში რეგისტრაციას. როდესაც სახეზეა პარ. 1-ის (ა) პუნქტში მითითებული გარემოება, სავაჭრო პალატა უზრუნველყოფს ასევე ამ შეტყობინების ჰოლანდიის მაცნეში გამოქვეყნებას. იმდენად, რამდენადაც ამ გამოქვეყნების ხარჯები ვერ იქნება ანაზღაურებული იურიდიული პირის ქონებიდან, მათი გაწევა დაეკისრება იუსტიციის სამინისტროს.

– **4.** დაზღვეული წერილის გაგზავნის თარიღიდან რვა კვირის შემდეგ სავაჭრო პალატა თავისი გადანყვეტილებით აუქმებს იურიდიულ პირს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პალატა ამ მომენტამდე იღებს იმის მტკიცებულებას, რომ სახეზე არ ან აღარ არის პარ. 3-ში მითითებულ შეტყობინებაში ნახსენები გარემოება.

– **5.** სავაჭრო პალატის გადანყვეტილებას უცხადებენ იურიდიულ პირსა და მის რეგისტრირებულ დირექტორებს.

– **6.** სავაჭრო პალატა უზრუნველყოფს გაუქმების ფაქტის ჰოლანდიის მაცნეში გამოქვეყნებას. შესაბამისად გამოიყენება პარ. 3-ის ბოლო წინადადება.

– **7.** იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია ერთი ან მეტი ლიკვიდატორის დანიშვნა 2:23 მუხლის პარ. 1-ის საფუძველზე, მაშინ გაუქმებული იურიდიული პირის ქონების ლიკვიდატორის ფუნქციებს განახორციელებს სავაჭრო პალატა 2:19 მუხლის პარ. 4-ის ნორმათა მოთხოვნების გათვალისწინებით. სავაჭრო პალატის მოთხოვნის საფუძველზე, რაიონულმა სასამართლომ უნდა დანიშნოს ერთი ან მეტი სხვა ლიკვიდატორი.

– **8.** იმ შემთხვევაში, თუ ვაჭრობისა და მრეწველობის სააპელაციო საბჭოში („College van Beroep voor het Bedrijfsleven“) წარდგენილია საჩივარი სავაჭრო პალატის მიერ მიღებული გადანყვეტილების წინააღმდეგ, როგორც ეს მითითებულია პარ. 4-ში, სავაჭრო პალატა რეგისტრაციაში გაატარებს ამ საჩივარს სავაჭრო რეესტრში. საჩივრის შესახებ გადანყვეტილება ასევე უნდა გატარდეს რეგისტრაციაში ამ რეესტრში. თუ საჩივრის შესახებ გადანყვეტილება შედეგად იწვევს სავაჭრო პალატის გადანყვეტილების გაუქმებას (გადახედვას), მაშინ სავაჭრო პალატა უზრუნველყოფს ამ ფაქტის ჰოლანდიის მაცნეში გამოქვეყნებას. იმ ვადის განმავლობაში, როდესაც იურიდიულმა პირმა შეწყვიტა თავისი არსებობა მის გაუქმების შესახებ გადანყვეტილების მიღების შედეგად, სახეზეა სამოქალაქო კოდექსის 3:320 მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები იურიდიული პირის მიერ ანდა მის წინააღმდეგ წარსადგენი საჩივლების ხანდაზმულობის ვადის გაზრდისათვის.

მუხლი 2:20 აკრძალული იურიული პირები

– **1.** როდესაც იურიდიული პირის საქმიანობა ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს, რაიონულმა სასამართლომ უნდა აკრძალოს და გააუქმოს ეს იურიდიული პირი პროკურატურის მოთხოვნის საფუძველზე.

– **2.** როდესაც იურიდიული პირის წესდებაში განსაზღვრული მიზანი ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს, რაიონულმა სასამართლომ უნდა გააუქმოს ეს იურიდიული პირი პროკურატურის მოთხოვნის საფუძველზე. გაუქმებამდე რაიონულ სასამართლოს შეუძლია განსაზღვრული ვადით მისცეს მას თავისი მიზნის მისადაგების შესაძლებლობა იმგვარად, რომ იურიდიული პირი აღარ ეწინააღმდეგებოდეს საჯარო წესრიგს.

– **3.** ევროპული საბჭოს 2001 წლის 27 დეკემბრის (OJEC L 344) #2580/2001 რეგულაციის (EC) მე-2 მუხლის მესამე პარაგრაფში მითითებულ ჩამონათვალში, ევროპული საბჭოს 2001 წლის 27 მაისის (OJEC L 139) #881/2002 რეგულაციის (EC) I დანართსა თუ ევროპული საბჭოს 2001 წლის 27 დეკემბრის (OJEC L 344) #2001/931 ზოგადი პოზიციის სახით მონიშნულ დანართში ნახსენები იურიდიული პირი აკრძალულია კანონით და არ არის უფლებამოსილი გარიგებების დადებაზე.

მუხლი 2:21 იურიული პირის გაუქმება სასამართლოს მიერ

– **1.** სასამართლო აუქმებს იურიდიულ პირს, თუ:

a. მის დაფუძნებასთან დაკავშირებულია გარკვეული ხარვეზები (დეფექტები);

b. მისი წესდება არ აკმაყოფილებს კანონისმიერ მოთხოვნებს;

ც. იურიდიული პირი არ თავსდება მისი ტიპის იურიდიული პირებისათვის დადგენილ კანონისმიერ განმარტებაში.

– 2. რაიონულმა სასამართლომ არ უნდა გააუქმოს იურიდიული პირი, თუ სასამართლომ განსაზღვრული ვადით მისცა მას აუცილებელი კანონისმიერი მოთხოვნების დაკმაყოფილების შესაძლებლობა და იურიდიულმა პირმა შეასრულა ეს მოთხოვნები აღნიშნული ვადის განმავლობაში.

– 3. რაიონულ სასამართლოს შეუძლია გააუქმოს იურიდიული პირი, თუ ის არღვევს სამოქალაქო კოდექსის მე-2 ნიგნის ნორმებში ამ ტიპის იურიდიული პირისათვის გათვალისწინებულ სამართლებრივ აკრძალვებს ანდა თუ ის თავისი მოქმედებებით არსებითად არღვევს თავისი წესდების დებულებებს.

– 4. რაიონული სასამართლო იურიდიული პირის გაუქმებას ადგენს ამ მიზნით დაინტერესებული მხარისა თუ პროკურატურის მოთხოვნის საფუძველზე.

მუხლი 2:22 ქონების მინდობით მართვა

– 1. იმ სასამართლოს, სადაც იხილება იურიდიული პირის გაუქმების მოთხოვნა, შეუძლია მოთხოვნის საფუძველზე ამ იურიდიული პირის ქონება განათავსოს ქონების მინდობით მართვის ქვეშ; სასამართლოს განკარგულებაში მიეთითება მისი ძალაში შესვლის თარიღი.

– 2. თავის განკარგულებაში სასამართლო ნიშნავს ერთ ან რამდენიმე ქონების მმართველს და აწესრიგებს მათი უფლებამოსილებისა და საზღაურის საკითხებს.

– 3. იმდენად, რამდენადაც სასამართლო სხვაგვარად არ განსაზღვრავს, იურიდიული პირის ორგანოებს ეკრძალებათ ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღება ქონების მმართველის წინასწარი თანხმობის გარეშე, ხოლო იურიდიული პირის წარმომადგენლებს კი არ შეუძლიათ მმართველის თანამონაწილეობის გარეშე იურიდიული პირის სახელით ნებისმიერი გარიგების დადება.

– 4. სასამართლოს ნებისმიერ დროს შეუძლია შეცვალოს ან გააუქმოს წინა პარაგრაფებში აღნიშნული სასამართლოს განკარგულება; ქონების მინდობით მართვა ყველა შემთხვევაში წყდება იმ მომენტში, როდესაც იურიდიული პირის გაუქმების შესახებ მოთხოვნასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში და გახდა მბოჭავი.

– 5. ქონების მმართველი საჯარო რეესტრების მწარმოებელს, სადაც იურიდიული პირი არის რეესტრირებული, უზღავნის სასამართლოს განკარგულებას, რომლითაც დგინდება ქონების მინდობით მართვა და ხდება მისი დანიშვნა, და ასევე – მის შესახებ აუცილებელ მონაცემებს, რომლებიც უნდა გატარდეს რეესტრაციაში დირექტორებისათვის.

– 6. როდესაც იურიდიულ პირს მისი ქონების მინდობით მართვის შედეგად არა აქვს გარიგების დადებას უფლებამოსილება, თუმცა ის მაინც დებს ასეთ გარიგებას წინა პარაგრაფში აღნიშნული რეესტრაციის მომენტამდე, მაშინ ეს გარიგება ნამდვილი იქნება იმ შემთხვევაში, თუ კონტრაქტმა არ იცოდა ან მას არც უნდა სცოდნოდა ქონების მინდობით მართვის ფაქტის შესახებ.

მუხლი 2:22a აქციონერის/პარტნიორის მიერ აქციების/წილების გასხვისებისა თუ უფლებრივად დატვირთვის უფლების დროებითი ჩამორთმევის შესახებ სასამართლოს განკარგულება

– 1. მანამდე ანდა როდესაც პროკურატურა წარადგენს ღია კორპორაციის (“naamloze vennootschap”) ან დახურული კორპორაციის („besloten vennootschap“) გაუქმების შესახებ მოთხოვნას, მას შეუძლია მმართველს სასამართლოს განაცხადით (განაცხადებით) იმ დადგენილების მიღების თაობაზე, რომლითაც მანამდე, სანამ ზემოაღნიშნული მოთხოვნის საფუძველზე მიღებული სასამართლოს გადაწყვეტილება არ შევა კანონიერ ძალაში და არ გახდება მბოჭავი, აქციონერებს/პარტნიორებს არ უნდა ჰქონდეთ აქციების/წილების განკარგვის ან გირავნობითა თუ უზუფრუქტით დატვირთვის უფლებამოსილება.

– 2. სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს საკითხის ხანმოკლე გამოკვლევის ჩატარების შემდეგ. სასამართლოს განკარგულება გაიცემა იმ პირობით, რომ გაუქმების შესახებ მოთხოვნის წარდგენა მოხდა სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში. აღნიშნული სასამართლოს განკარგულების წინააღმდეგ საჩივრის წარდგენა დაუშვებელია.

– 3. სასამართლოს განკარგულება დაუყოვნებლივ, ანდა თუ ეს შესაძლებელია, – იმავე დღესვე, სასამართლოს აღმასრულებლის მომართვის საფუძველზე უნდა ჩაბარდეს აქციონერებს/პარტნიორებს და ღია ან დახურულ კორპორაციას (“naamloze” ან „besloten vennootschap“). სასამართლოს მდივანი უზრუნველყოფს სასამართლოს განკარგულების სავაჭრო რეესტრში რეესტრაციას.

– 4. აქციონერებს/პარტნიორებს აღმასრულებლის მომართვის საფუძველზე წარდგენილი სასამართლოს განკარგულების საწინააღმდეგოდ, როგორც ეს გათვალისწინებულია წინა პარაგრაფში, მათთვის

ამ განკარგულების ჩაბარებიდან რვა დღის განმავლობაში შეუძლიათ წარადგინონ პროტესტი. ასეთი პროტესტი არ აჩერებს სასამართლოს განკარგულების მოქმედებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აქციონერებს/პარტნიორებს აქვთ უფლება, დროებითი სამართლებრივი დაცვის საშუალების მიმღებ მოსამართლეს მოსთხოვონ სასამართლოს გადაწყვეტილების მიღება საქმის გამარტივებული წესით განხილვის გზით. სასამართლოს განკარგულების საწინააღმდეგო პროტესტი ვერ დაეფუძნება იმ განცხადებას, რომ აქციონერს/პარტნიორს სურს თავისი აქციების/წილების გადაცემა ანდა აქვს ამის განზრახვა.

– 5. ღია ან დახურული კორპორაციის (“naamloze” ან „besloten vennootschap“) გაუქმების შესახებ მოთხოვნა სასამართლოს აღმასრულებლის მომართვის საფუძველზე აქციონერს/პარტნიორს უნდა ჩაბარდეს ამ მოთხოვნის წარდგენიდან რვა დღის განმავლობაში.

მუხლი 2:23 ლიკვიდატორი

– 1. იმდენად, რამდენადაც რაიონულმა სასამართლომ არ დანიშნა ნებისმიერი სხვა ლიკვიდატორი ანდა ეს უკანასკნელი არ დაინიშნა იურიდიული პირის წესდების საფუძველზე, გაუქმებული იურიდიული პირის ქონების ლიკვიდატორების სახით იმოქმედებენ დირექტორები. რამდენადაც წესდება სხვაგვარად არ ითვალისწინებს, იმ ლიკვიდატორების მიმართ, რომლებიც არ არიან დანიშნული სასამართლოს მიერ, გამოიყენება დირექტორთა დანიშვნის, მათთვის უფლებამოსილების შეჩერებისა და თანამდებობიდან გათავისუფლების (გადაყენების) მომწესრიგებელი ნორმები და ასევე – დირექტორების მიმართ ზედამხედველობის განხორციელების შესახებ ნორმები. სასამართლოს მიერ გაუქმებული იურიდიული პირის ქონების რეალიზაცია ხორციელდება ამავე სასამართლოს მიერ დანიშნული ერთი ან მეტი ლიკვიდატორის მიერ.

– 2. როდესაც სასამართლო თანამდებობიდან ათავისუფლებს ლიკვიდატორს, მას შეუძლია დანიშნოს ერთი ან მეტი სხვა ლიკვიდატორი. ნებისმიერი ლიკვიდატორის არარსებობის შემთხვევაში, რაიონულმა სასამართლომ ერთი ან მეტი ლიკვიდატორი უნდა დანიშნოს დაინტერესებული მხარისა თუ პროკურატურის მოთხოვნის საფუძველზე. სასამართლოს მიერ დანიშნული ლიკვიდატორი უფლებამოსილია ამავე სასამართლოს მიერ მინიჭებული საზღაურის მიღებაზე.

– 3. სასამართლოს მიერ ლიკვიდატორის დანიშვნა ძალაში შედის მეორე დღეს იმ მომენტიდან, როდესაც სასამართლოს მდივანმა შეატყობინა ლიკვიდატორს მისი დანიშვნის შესახებ; სასამართლოს მდივანი მყისიერად ახდენს ამ შეტყობინების გაგზავნას, თუ დანიშვნის შესახებ სასამართლოს განკარგულება დაუყოვნებლივ ექვემდებარება აღსრულებას, ხოლო სხვა შემთხვევაში კი, – იმ მომენტში, როდესაც ის შედის კანონიერ ძალაში და ხდება მბოჭავი.

– 4. ყოველი ლიკვიდატორი იმ საჯარო რეესტრების მწარმოებელს, სადაც იურიდიული პირი არის რეგისტრირებული, ატყობინებს ლიკვიდატორის თანამდებობაზე თავისი დანიშვნის შესახებ და ასევე – იმ მონაცემებს, რომლებიც უნდა გატარდეს რეგისტრაციაში დირექტორებისათვის.

– 5. რაიონულ სასამართლოს შეუძლია კონკრეტული თარიღიდან გაათავისუფლოს ლიკვიდატორი დაკავებული თანამდებობიდან თავად ამ უკანასკნელის, ხოლო მნიშვნელოვანი მიზეზების არსებობისას კი, – თანალიკვიდატორების ან პროკურატურის მოთხოვნის საფუძველზე ანდა სასამართლოს მიერ საკუთარი ინიციატივით (ex officio).

– 6. თანამდებობიდან გათავისუფლებულმა ლიკვიდატორმა ანგარიში უნდა წარუდგინოს იმ პირებს, რომლებიც აგრძელებენ გაუქმებული იურიდიული პირის ქონების რეალიზაციას. როდესაც ლიკვიდატორის უფლებამონაცვლე დაინიშნა სასამართლოს მიერ, ანგარიშის წარდგენა უნდა მოხდეს სასამართლოს წინაშე.

მუხლი 2:23a ლიკვიდატორის უფლებამოსილებები, მოვალეობები და პასუხისმგებლობა

– 1. თუ წესდება სხვაგვარად არ ითვალისწინებს, ლიკვიდატორს აქვს იგივე უფლებამოსილებები, მოვალეობები და პასუხისმგებლობა, რაც აქვთ დირექტორებს იმ პირობით, რომ ეს თავსებადია მის როგორც ლიკვიდატორის როლთან.

– 2. ორი ან მეტი ლიკვიდატორის შემთხვევაში, ყოველ მათგანს შეუძლია განახორციელოს ყოველგვარი მოქმედება და საქმიანობა, თუ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული. ლიკვიდატორებს შორის უთანხმოების არსებობის შემთხვევაში, ყოველ მათგანს შეუძლია შესაბამის სასამართლოს ანდა სხვა შემთხვევაში კი, – რაიონულ სასამართლოს მოსთხოვოს მათი დავის გადაწყვეტა. წინა წინადადებაში მითითებულმა სასამართლომ ასევე უნდა გადაწყვიტოს მათი საზღაურის განაწილების საკითხიც.

– 3. როგორც რაიონულ სასამართლოს, ისე ამ სასამართლოს მიერ ლიკვიდაციის პროცესში დანიშ-

ნულ მაგისტრატ მოსამართლეს („rechter-commissaris“) შეუძლია გასცეს ლიკვიდაციის პროცესისათვის აუცილებელი მითითებები მიუხედავად იმისა, მოხდება თუ არა ეს აღსრულებად ფორმაში გამოხატული განკარგულებით. ლიკვიდატორი ვალდებულია შეასრულოს აღნიშნული დირექტივები. აღნიშნული მითითებებისა და დირექტივების წინააღმდეგ საჩივრის ან რაიმე სხვა სახის სარჩელის წარდგენა დაუშვებელია.

– 4. თუ ლიკვიდატორისათვის აშკარაა, რომ იურიდიული პირის ვალდებულებებმა (ვალებმა) შესაძლოა გადააჭარბოს მის აქტივებს (სარგებელს), მაშინ ლიკვიდატორმა უნდა წარადგინოს ვაკოტრების საქმის აღძვრის შესახებ განცხადება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოთხოვნის შემთხვევაში ყველა ცნობილი კრედიტორი თანხმდება ქონების რეალიზაციის პროცესის გაგრძელებაზე ვაკოტრების საქმის წარმოების მიღმა.

– 5. წინამდებარე მუხლის წინა პარაგრაფები და ასევე 2:23b-დან 2:23c-ის ჩათვლით მუხლების პარაგრაფები არ მოქმედებს ვაკოტრების საქმის წარმოების ფარგლებში ქონების რეალიზაციის პროცესის მიმართ.

მუხლი 2:23b ქონების რეალიზაციის პროცესის შემთხვევაში არსებული ნარჩენი აქტივი

– 1. ის, რაც რჩება გაუქმებული იურიდიული პირის ქონებიდან ყველა კრედიტორის დაკმაყოფილების შემდეგ, ექვემდებარება ლიკვიდატორის მიერ პროპორციულად განაწილებას იმ პირებზე, რომლებიც წესდების შესაბამისად უფლებამოსილი არიან მის მიღებაზე, ანდა სხვა შემთხვევაში კი, – ნევრებსა თუ აქციონერებზე/პარტნიორებზე. თუ სხვა არავინ არის უფლებამოსილი ნარჩენი აქტივის მიღებაზე, ლიკვიდატორი ვალდებულია გადასცეს ის სახელმწიფოს, რომელმაც უნდა გამოიყენოს ეს აქტივი შეძლებისდაგვარად გაუქმებული იურიდიული პირის მიზნის შესაბამისად.

– 2. ლიკვიდატორი ქონების რეალიზაციის შესახებ ანგარიშს წარადგენს წერილობითი ფორმით; ამ წერილობითი ანგარიშიდან უნდა ჩანდეს ნარჩენი აქტივის ოდენობა და შემადგენლობა. როდესაც ნარჩენი აქტივის მიღებაზე უფლებამოსილია ორი ან მეტი პირი, ლიკვიდატორმა უნდა შეადგინოს განაწილების გეგმა, რომელიც შეიცავს აქტივის განაწილების ბაზისურ პრინციპებს.

– 3. რამდენადაც ნარჩენი აქტივი შედგება სხვა აქტივისაგან, გარდა ნაღდი ფულისა, ხოლო წესდება ან სასამართლოს განკარგულება არ ახდენს რაიმე სხვაგვარ მითითებას, მაშინ განაწილების სათანადო ხერხებს განეკუთვნება შემდეგი:

a. თითოეულ უფლებამოსილ პირზე ნარჩენი აქტივის შესაბამისი ნაწილის გადანაწილება;

b. ერთ ან მეტ უფლებამოსილ პირზე მეტი ოდენობით წილის გადანაწილება სხვა უფლებამოსილი პირებისათვის ზედმეტი ღირებულების ფულადი სახით ანაზღაურების სანაცვლოდ;

c. აქტივის გაყიდვის შედეგად მიღებული წმინდა შემოსავლების თანხების განაწილება.

– 4. ქონების რეალიზაციის შესახებ წერილობითი ანგარიში და განაწილების გეგმა ლიკვიდატორს შესაძლოა უნდა გადაეცეს იმ საჯარო რეესტრების მწარმოებლის ოფისში, სადაც იურიდიული პირი არის რეგისტრირებული, და ასევე ნებისმიერ შემთხვევაში, – თავად იურიდიული პირის ოფისში, თუ ეს უკანასკნელი სახეზეა, ანდა – სხვა ადგილზე სასამართლოს იმ სამოქმედო ტერიტორიის ფარგლებში, სადაც იურიდიულ პირს აქვს თავისი დომიცილი. აღნიშნული დოკუმენტები საჯარო შემოწმების მიზნით რჩება იქვე ორი თვის ვადით. ლიკვიდატორმა ყოველდღიურ გაზეთში უნდა გამოაქვეყნოს, თუ სად და რა დრომდე არის ეს დოკუმენტები შემოწმებისათვის ხელმისაწვდომი. სასამართლოს შეუძლია დაადგინოს ასევე ჰოლანდიის მაცნეში განცხადების გამოქვეყნების შესახებაც.

– 5. ორი თვის განმავლობაში მას შემდეგ, რაც მოხდა ქონების რეალიზაციის შესახებ წერილობითი ანგარიშისა და განაწილების გეგმის შესამოწმებლად გადაცემა და ასევე – შესამოწმებელი დოკუმენტების გადაცემის გამოქვეყნება და ჰოლანდიის მაცნეში გამოცხადება პარ. 4-ის ნორმების შესაბამისად, ნებისმერ კრედიტორსა თუ უფლებამოსილ პირს რაიონულ სასამართლოში განაცხადის (განცხადების) შეტანის გზით წარდგენილი ანგარიშის საწინააღმდეგოდ შეუძლია წარადგინოს პროტესტი. ასეთი პროტესტების შესახებ შეტყობინების წარდგენას ლიკვიდატორი ახდენს იგივე წესით, რა წესითაც მან მოახდინა წერილობითი ანგარიშისა და განაწილების გეგმის შესახებ შეტყობინების წარდგენა.

– 6. როდესაც აქტივის ფინანსური მდგომარეობა ქმნის ამის შესაძლებლობას, ლიკვიდატორს შეუძლია მოახდინოს უფლებამოსილ პირებს შორის თანხების წინასწარი განაწილება. პროტესტის წარდგენისათვის გათვალისწინებული ვადის დაწყების შემდეგ კი ლიკვიდატორს ეკრძალება თანხების ასეთი წინასწარი განაწილებების განხორციელება სასამართლოს ნებართვის გარეშე.

– 7. როგორც კი პროტესტის გამოხმობა ანდა თითოეულ პროტესტთან დაკავშირებით მიღებული სა-

სამართლოს გადაწყვეტილება გამოუხმობადი (კანონიერ ძალაში შესული და მბოჭავი) ხდება, ლიკვიდატორი აღნიშნულის შესახებ შეტყობინების წარდგენას ახდენს იგივე წესით, რა წესითაც მან მოახდინა პროტესტების შესახებ შეტყობინების წარდგენა. როდესაც სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგად იცვლება განაწილების გეგმა, მაშინ ლიკვიდატორი იგივე წესით ახდენს შეცვლილი განაწილების გეგმის შესახებ შეტყობინების წარდგენას.

– 8. ის ფულადი სახსრები, რომლებიც არ იქნა გამოყენებული ექვსი თვის განმავლობაში მას შემდეგ, რაც შესაძლებელი გახდა უკანასკნელი გადახდის განხორციელება, ლიკვიდატორის მიერ შეინახება შესაბამის სადეპოზიტო ანგარიშზე.

– 9. ქონების რეალიზაცია წყდება იმ მომენტში, როდესაც ლიკვიდატორისათვის ცნობილი აღარ არის რაიმე დამატებითი აქტივების (სარგებლის) არსებობა.

– 10. თუ ქონების რეალიზაციის პროცესში მონაწილეობდა სასამართლო, ლიკვიდატორმა თავისი მართვის შესახებ ანგარიში უნდა წარუდგინოს ამ სასამართლოს ქონების რეალიზაციის შეწყვეტიდან ერთი თვის ვადის განმავლობაში.

მუხლი 2:23c ქონების რეალიზაციის პროცესის შეწყვეტა და განახლება

– 1. თუ მას შემდეგ, რაც იურიდიულმა პირმა შეწყვიტა არსებობა, კრედიტორი ან ის უფლებამოსილი პირი, რომელიც აცხადებს თავის პრეტენზიას წარჩენი აქტივის მიღებაზე ანდა საერთოდაც სახეზეა სხვა აქტივები (სარგებელი), – მაშინ რაიონულ სასამართლოს დაინტერესებული პირის მოთხოვნის საფუძველზე შეუძლია განაახლოს ქონების რეალიზაციის პროცესი და თუ ეს აუცილებელია, დანიშნოს ლიკვიდატორი. ასეთ შემთხვევაში იურიდიული კვლავ ითვლება არსებულად, თუმცაღა – მხოლოდ და მხოლოდ განახლებული ქონების რეალიზაციის პროცესის დასრულების მიზნით. ლიკვიდატორს აქვს უფლება, ყოველი უფლებამოსილი პირისაგან მოითხოვოს იმის დაბრუნება, რაც მან წარჩენი აქტივიდან ზედმეტად მიიღო.

– 2. იმ ვადის განმავლობაში, რომლის დროსაც იურიდიულმა პირმა შეწყვიტა არსებობა, სახეზეა იურიდიული პირის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ წარსადგენი სასარჩელო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადის გაზრდის საფუძველები, როგორც ეს მითითებულია სამოქალაქო კოდექსის 3:320 მუხლში.

მუხლი 2:24 ჩანაწერების, დოკუმენტებისა და მონაცემთა შენახვის სხვა საშუალებების შენახვის მოვალეობა

– 1. გაუქმებული იურიდიული პირის ჩანაწერები, დოკუმენტები და მონაცემთა შენახვის სხვა საშუალებები ინახება იურიდიული პირის არსებობის შეწყვეტიდან შვიდი წლის განმავლობაში. შემნახველს წარმოადგენს პირი, ვინც დაინიშნა ასეთად წესდების შესაბამისად ანდა საერთო კრების მიერ, ხოლო როდესაც საქმე ეხება ფონდს („stichting“), მაშინ – დირექტორთა საბჭოს მიერ.

– 2. როდესაც წინა პარაგრაფში ნახსენები შემნახველი სახეზე არ არის, ხოლო უკანასკნელი ლიკვიდატორი არ არის მზად შესაბამისი ჩანაწერების, დოკუმენტებისა და მონაცემთა შენახვის საშუალებების შესანახად, მაშინ დაინტერესებული პირის მოთხოვნის საფუძველზე შემნახველი ინიშნება იმ რაიონული სასამართლოს მიერ, სადაც იურიდიულ პირს ჰქონდა თავისი დომიცილი; ასეთ შემთხვევაში შემნახველი შეძლებისდაგვარად უნდა დაინიშნოს იმ პირთაგან, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ იურიდიულ პირთან. ასეთი დანიშვნის წინააღმდეგ საჩივრის ან სარჩელების წარდგენა დაუშვებელია.

– 3. შემნახველისათვის ჩანაწერების, დოკუმენტებისა და მონაცემთა შენახვის საშუალებების შენახვასთან დაკავშირებული მოვალეობის შესრულების დაწყებიდან რვა დღის განმავლობაში შემნახველმა თავისი სახელი და მისამართი უნდა შეატყობინოს იმ საჯარო რეესტრებს, სადაც გაუქმებული იურიდიული პირი იყო რეგისტრირებული.

– 4. მოთხოვნის საფუძველზე პარ. 2-ში მითითებულ რაიონულ სასამართლოს შეუძლია ნებისმიერ პირს დართოს ნება, გაეცნოს შესაბამის ჩანაწერებს, დოკუმენტებსა და მონაცემთა შენახვის საშუალებებს, თუ იურიდიულ პირს წარმოადგენს ფონდი („stichting“), ხოლო სხვა შემთხვევაში კი, – ნებისმიერი ის პირი, ვინც აცხადებს იმას, რომ მას, როგორც იურიდიული პირის ყოფილ წევრსა თუ პარტნიორს ან მისი აქციების სერტიფიკატების მფლობელს ანდა – ასეთი წევრის, პარტნიორისა თუ სერტიფიკატების მფლობელის უფლებამონაცვლეს, აქვს აღნიშნული გაცნობის ლეგიტიმური ინტერესი.

მუხლი 2:24a „შვილობილი საწარმოს“ განმარტება

– 1. იურიდიული პირის შვილობილ საწარმოს წარმოადგენს:

a. იურიდიული პირი, რომელშიც სხვა იურიდიულ პირს ანდა მის ერთ ან მეტ შვილობილ სანარმოს ხმის მიცემაზე უფლებამოსილ სხვა პირებთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე ან მის გარეშე საერთო კრებაზე შეუძლია დამოუკიდებლად ან ერთობლივად განახორციელოს ნახევარზე მეტი ხმის უფლებები;

b. იურიდიული პირი, რომლის მიმართაც სხვა იურიდიულ პირს ანდა მის ერთ ან მეტ შვილობილ სანარმოს ხმის მიცემაზე უფლებამოსილ სხვა პირებთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე ან მის გარეშე შეუძლია დამოუკიდებლად ან ერთობლივად დანიშნოს ან გაათავისუფლოს თანამდებობიდან დირექტორთა საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი, თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც ხმის უფლების მქონე ყველა პირი მოახდენს თავისი ხმის მიცემას.

– 2. შვილობილ სანარმოს უთანაბრდება საკუთარი სახელით მოქმედი სავაჭრო ამხანაგობა, რომელშიც იურიდიული პირი ანდა მისი ერთი ან მეტი შვილობილი სანარმო მონაწილეობს როგორც მონაწილე, რომელიც სრულად არის პასუხისმგებელი კრედიტორების წინაშე ამ სავაჭრო ამხანაგობის ყველა ვალისათვის.

– 3. პარ. 1-ის მიზნისათვის აქციებთან დაკავშირებული უფლებები არ უნდა ეხებოდეს იმ პირს, ვინც ფლობს ამ აქციებს ვინმე სხვა პირის სახელით. აქციებთან დაკავშირებული უფლებები უნდა ეხებოდეს იმ პირს, რომლის სახელითაც ხდება ამ აქციების ფლობა, თუ ამ უკანასკნელს აქვს იმ საკითხთან დაკავშირებით გადანყვეტილების მიღების უფლებამოსილება, თუ როგორც უნდა მოხდეს აღნიშნული უფლებების რეალიზაცია, ანდა – თუ ამ პირს აქვს აღნიშნული აქციების შეძენის უფლებამოსილება.

– 4. პარ. 1-ის მიზნისათვის დაგირავებულ აქციებთან დაკავშირებული ხმის უფლებები ეხება მოგირავნეს (გირავნობის მფლობელს), თუ მას აქვს იმ საკითხთან დაკავშირებით გადანყვეტილების მიღების უფლებამოსილება, თუ როგორც უნდა მოხდეს ამ უფლებების რეალიზაცია. ამასთან, თუ აქციები დატვირთულია გირავნობით იმ სესხის უზრუნველყოფის მიზნით, რომელიც გასცა მოგირავნემ თავისი ჩვეულებრივი ბიზნესსაქმიანობის ფარგლებში, მაშინ ხმის უფლებები უნდა ეხებოდეს მხოლოდ მოგირავნეს, თუ მან მოახდინა ამ უფლებების რეალიზაცია საკუთარ ინტერესებში.

მუხლი 2:24b „ჯგუფის“ განმარტება

ჯგუფს წარმოადგენს ეკონომიკური ერთეული, რომელშიც იურიდიული პირები და სავაჭრო ამხანაგობები ორგანიზაციულად არის ურთიერთდაკავშირებული. კომპანიათა ჯგუფებს წარმოადგენს იურიდიული პირები და სავაჭრო ამხანაგობები, რომლებიც ერთი ჯგუფის ფარგლებში არიან ერთმანეთთან ურთიერთდაკავშირებული.

მუხლი 2:24c „მონაწილეობის ინტერესის“ განმარტება

– 1. იურიდიულ პირში მონაწილეობის ინტერესი სახეზეა, როდესაც სხვა იურიდიულმა პირმა ან სავაჭრო ამხანაგობამ ანდა სათავისოდ მისმა ერთმა ან მეტმა შვილობილმა სანარმომ დამოუკიდებლად ან ერთობლივად განახორციელა ანდა უზრუნველყო ფულადი შენატანის (ფულადი რესურსის) პირველ იურიდიულ პირში შეტანა იმ მიზნით, რომ ამ უკანასკნელთან დამყარდეს გრძელვადიანი ურთიერთკავშირი საკუთარი საქმიანობის მხარდაჭერის მიზნით. თუ გამოშვებული სააქციო კაპიტალის ერთი მეხუთედი ან მეტი არის გადახდილი (დაკავებული), ივარაუდება, რომ მონაწილეობის ინტერესი სახეზეა.

– 2. სავაჭრო ამხანაგობაში მონაწილეობის ინტერესი სახეზეა, თუ იურიდიული პირი ან მისი შვილობილი სანარმო:

a. სრულად პასუხისმგებელია კრედიტორების წინაშე ამ სავაჭრო ამხანაგობის ყველა ვალისათვის, ან:

b. სხვა შემთხვევაში წარმოადგენს აღნიშნული სავაჭრო ამხანაგობის მონაწილეს იმ მიზნით, რომ ამ ამხანაგობასთან დამყარდეს გრძელვადიანი ურთიერთკავშირი საკუთარი საქმიანობის მხარდაჭერის მიზნით.

მუხლი 2:24d კრებაზე მოსული წევრების, აქციონერების, მათი წარმომადგენლების შეფასება და ხმის მიცემა

– 1. იმის განსაზღვრისას, თუ რა მოცულობით მოახდინეს წევრებმა ან აქციონერებმა თავიანთი ხმების მიცემა ან ხმათა რა ოდენობით არიან ისინი გამოცხადებული ან წარმოდგენილი, ანდა – იმის განსაზღვრისას, თუ რა მოცულობით არის გადახდილი ან წარმოდგენილი სააქციო კაპიტალი, მხედველობაში არ მიიღება იმ პირთა წევრობა თუ აქციები, რომელთა მიმართაც კანონი ან 2:228 მუხლის პარ. 5-ში მითითებული წესდება ადგენს იმას, რომ დაუშვებელია ნებისმიერი ხმის მიცემა.

– 2. პარ. 1-ის ნორმათა გვერდის ავლით, მხედველობაში მიიღება ის აქციები, რომელთა მიმართაც 2:228 მუხლის პარ. 5-ში მითითებული წესდების დებულება ადგენს იმას, რომ დაუშვებელია ნებისმიერი ხმის მიცემა, როდესაც ის ეხება დახურული კორპორაციის („besloten vennootschap“) მიმართ 2:24c, 2:63a, 2:152, 2:201a, 2:220, 2:224a, 2:262, 2:265a, 2:333a, პარ. 2, 2:334ii, პარ. 2, 2:336, პარ. 1, 2:346, 2:379, პარ. 1 და 2, 2:407, პარ. 2, 2:408, პარ. 1, და 2:414 მუხლების ნორმათა გამოყენებას.

მუხლი 2:25 კანონის იმპერატიული ნორმები

წინამდებარე წიგნის (მე-2 წიგნი) კანონისმიერი ნორმებიდან გადახვევა დაშვებულია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც კანონი დასაშვებად მიიჩნევს ნორმებიდან ასეთ გადახვევას.

ტიტული 2.2 – კავშირები

მუხლი 2:26 ჩვეულებრივი „კავშირის“ განმარტება

- 1. კავშირი („vereniging“) წარმოადგენს წევრების მქონე იურიდიულ პირს, რომლის მიერაც განსახორციელებელი კონკრეტული მიზანი განსხვავდება 2:53 მუხლის პარ. 1 ან 2-ში აღწერილი მიზნისაგან.
- 2. კავშირი („vereniging“) იქმნება მრავალმხრივი გარიგების დადებით.
- 3. კავშირს („vereniging“) არა აქვს უფლება, გაანაწილოს მოგება თავის წევრებს შორის.

მუხლი 2:27 დაფუძნების შესახებ სანოტარო აქტი

- 1. როდესაც კავშირი („vereniging“) იქმნება სანოტარო აქტის საფუძველზე, საჭიროა ქვემოთ მოცემული ნორმების დაცვა.
- 2. სანოტარო აქტი უნდა შესრულდეს ჰოლანდიურ ენაზე. თუ კავშირს („vereniging“) თავისი ადგილსამყოფელი აქვს ფრისლანდიის („Fryslân“) პროვინციაში, მაშინ სანოტარო აქტი შეიძლება შესრულდეს ასევე ფრინჯულ ენაზეც. სანოტარო აქტის შესრულებასთან დაკავშირებით რწმუნებულება (მინდობილობა) უნდა გაიცეს წერილობითი ფორმით.
- 3. სანოტარო აქტი მოიცავს წესდებსაც (ასევე ცნობილია როგორც კავშირის წესდება):
- 4. წესდება შეიცავს:
 - a. კავშირის („vereniging“) სახელწოდებასა და იმ მუნიციპალიტეტს, სადაც კავშირს აქვს თავისი ადგილსამყოფელი;
 - b. კავშირის („vereniging“) მიზანს;
 - c. კავშირის („vereniging“) მიმართ წევრთა ვალდებულებებს, ანდა – იმ წესს, რომლის მიხედვითაც შეიძლება მოხდეს ასეთი ვალდებულებების დაკისრება;
 - d. საერთო კრების მოწვევის წესს;
 - e. კავშირის („vereniging“) დირექტორების (მმართველების) დანიშვნისა და გათავისუფლების წესს;
 - f. კავშირის („vereniging“) გაუქმების შემთხვევაში, მისი ნარჩენი აქტივის გამოყენების წესს ანდა – ასევე თუ როგორ განისაზღვრება ასეთი გამოყენების წესი.
- 5. ის ნოტარიუსი, რომლის წინაშეც ფორმდება დაფუძნების სანოტარო აქტი, უნდა დარწმუნდეს იმაში, რომ ეს აქტი შეესაბამება პარ. 2-დან 4-ის ჩათვლით ნორმათა მოთხოვნებს. ხარვეზის შემთხვევაში ნოტარიუსი პირადად არის პასუხისმგებელი იმ პირთა წინაშე, რომლებსაც ამის შედეგად მიაღვათ ზიანი.

მუხლი 2:28 სანოტარო აქტში შეტანილი წესდება

- 1. როდესაც კავშირი („vereniging“) არ იქმნება წინა მუხლის პარ. 1-ის შესაბამისად, მის საერთო კრებას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება წესდების სანოტარო აქტში შეტანის შესახებ.
- 2. აღნიშნულ შემთხვევაში შესაბამისად გამოიყენება წინა მუხლის პარ. 2-დან 4-ის ჩათვლით მოცემული ნორმები.

მუხლი 2:29 სავაჭრო რეესტრში რეგისტრაცია

- 1. იმ კავშირის („vereniging“) დირექტორებს, რომლის წესდება შეტანილია სანოტარო აქტში, ევალებათ კავშირის („vereniging“) რეგისტრაცია სავაჭრო რეესტრში და ასევე მათ ამ რეგისტრატორის (სავაჭრო პალატის) ოფისში შესანახად უნდა განათავსონ დაფუძნების სანოტარო აქტის დამონმებული ასლი ან ავთენტური ამონარიდი.

- 2. მანამდე, სანამ საწყისი რეგისტრაციისა თუ სანოტარო აქტის დამონმებული ასლისა თუ ავთენტიკური ამონარიდის შენახვის განცხადება არ წარედგენება სავაჭრო რეესტრის მწარმოებელს, თითოეული დირექტორი კავშირთან („vereniging“) ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს იმ გარიგებებისათვის, რომლითაც მან შესაბამისი ვალდებულებები დააკისრა (დაავალდებულა) კავშირს („vereniging“).

მუხლი 2:30 „არაფორმალური კავშირი“ ქონების შექმნის შეზღუდული უფლებამოსილებით

- 1. ის კავშირი („vereniging“), რომლის წესდება შეტანილი არ არის სანოტარო აქტში (ეგრეთ ნოდებული „არაფორმალური კავშირი“), ვერ შეიძენს რეგისტრირებულ ქონებასა და ვერ გახდება მემკვიდრე.

- 2. აღნიშნული კავშირის („vereniging“) დირექტორები კავშირთან („vereniging“) ერთად სოლიდარულად აგებენ პასუხს ამ უკანასკნელის გარიგებიდან გამომდინარე იმ ვალებისათვის, რომლებიც ვადამოსული გახდა ამ პირების დირექტორად მუშაობის პერიოდის განმავლობაში. თანამდებობიდან გადადგომის შემდეგაც დირექტორები რჩებიან სოლიდარულად პასუხისმგებელი ამ პირების დირექტორად მუშაობის პერიოდის განმავლობაში დადებული გარიგებიდან გამომდინარე ვალებისათვის, თუმცაღა – მხოლოდ იმდენად, რამდენადაც კავშირთან („vereniging“) ერთად არც ერთი სხვა პირი არ არის პასუხისმგებელი წინა წინადადების ნორმის შესაბამისად. ერთ-ერთი ზემოაღნიშნული წინადადების ნორმებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა არ ეკისრება იმ პირებს, რომლებსაც არ მიუღიათ წინასწარი კონსულტაცია გარიგების შესახებ და რომლებმაც მას შემდეგ, როდესაც შეიტყვეს ამ გარიგების შესახებ, უარი განაცხადეს დირექტორის სახით ნებისმიერი პასუხისმგებლობის აღებაზე. თუ კავშირთან („vereniging“) ერთად ვერც ერთი სხვა პირი ვერ გახდება პასუხისმგებელი ვალისათვის ორივე წინა წინადადებაში მოცემული ნორმების საფუძველზე, მაშინ ვალის გამომწვევი გარიგებისათვის სოლიდარულად პასუხს აგებენ ამ გარიგების დამდები პირები.

- 3. წინამდებარე მუხლში ნახსენები კავშირის („vereniging“) (არაფორმალური კავშირი) დირექტორებს შეუძლიათ მისი რეგისტრაცია სავაჭრო რეესტრში. თუ ისინი ამას აკეთებენ და წესდება კი იდება წერილობითი ფორმით, მაშინ ამ უკანასკნელის ასლი მათ უნდა განათავსონ შესაბამისად რეგისტრატორის (სავაჭრო პალატის) ოფისში.

- 4. წინა პარაგრაფში მითითებული რეგისტრაციის განხორციელების შემთხვევაში, ის პირები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან პარ. 2-ში გათვალისწინებული წესის შესაბამისად, პასუხს უნდა აგებდნენ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც გარიგების მეორე მხარე დამაჯერებლად ამტკიცებს იმას, რომ კავშირმა („vereniging“) არ უნდა შეასრულოს ვალდებულება.

მუხლი 2:31 {გაუქმებულია 01.01.1992წ.}

მუხლი 2:32 {გაუქმებულია 01.09.1994წ.}

მუხლი 2:33 წევრთა მიღება

გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წესდება სხვაგვარად ითვალისწინებს, დირექტორთა საბჭო წყვეტს (იღებს გადაწყვეტილებას) კავშირის ახალი წევრების მიღების საკითხს; როდესაც დირექტორთა საბჭო უარს აცხადებს ახალი წევრების მიღებაზე, მაშინ საერთო კრებას მაინც შეუძლია გადაწყვეტილების მიღება შესაბამისი პირის ახალ წევრად მიღების თაობაზე.

მუხლი 2:34 წევრობა პირადი უფლებაა (არ ექვემდებარება თავისუფლად გადაცემას)

- 1. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წესდება სხვაგვარად ითვალისწინებს, კავშირის („vereniging“) წევრობა წარმოადგენს პირად უფლებას.

- 2. თუ კავშირის („vereniging“) წევრს წარმოადგენს იურიდიული პირი და ეს უკანასკნელი წყვეტს არსებობას შერწყმის ან გაყოფის შედეგად, მაშინ მისი წევრობა გადადის ახლად შექმნილ იურიდიულ პირზე ანდა, შესაბამისად, – ერთ-ერთ ახლად შექმნილ იურიდიულ პირზე იმ აღწერის მიხედვით, რომელიც თან ერთვის გაყოფის სანოტარო აქტს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კავშირის („vereniging“) წესდება სხვაგვარად ითვალისწინებს.

მუხლი 2:34a წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები

ვალდებულებები შეიძლება დაკავშირებული იყოს მხოლოდ კავშირის („vereniging“) წევრობასთან ანდა განისაზღვრებოდეს მისი წესდებით.

მუხლი 2:35 ნევრობის შეწყვეტა; ნევრის გარიცხვა

– 1. კავშირის („vereniging“) ნევრობა წყდება:

a. როდესაც შესაბამისი ნევრი გარდაიცვლება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კავშირის („vereniging“) წესდება უშვებს ნევრობის მემკვიდრეობით გადასვლას მემკვიდრეობის სამართლის ნორმების საფუძველზე;

b. როდესაც ნევრობა უქმდება ნევრის მიერ;

c. როდესაც ნევრობა უქმდება კავშირის („vereniging“) მიერ;

d. როდესაც ხდება ნევრის კავშირიდან გარიცხვა.

– 2. კავშირის („vereniging“) შეუძლია გააუქმოს ნევრობა ამ მიზნისათვის საკუთარ წესდებაში განსაზღვრულ ვითარებებში; გარდა ამისა, – იმ შემთხვევებში, როდესაც ნევრი აღარ აკმაყოფილებს წესდებით გათვალისწინებულ ნევრობის მოთხოვნებს, და ასევე როდესაც კავშირის („vereniging“) ნევრობის გაგრძელება გონივრულად მოსალოდნელი ვეღარ იქნება. როდესაც კავშირი („vereniging“) აუქმებს ნევრობას, მაშინ ამის განხორციელებაზე უფლებამოსილია დირექტორთა საბჭო, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წესდებით ეს უფლებამოსილება კავშირის („vereniging“) სხვა ორგანოს მიენიჭა.

– 3. ნევრის გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილების მიღება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს ნევრი მოქმედებდა კავშირის („vereniging“) წესდების, შინაგანანდებისა (შიდა ნორმატიულ აქტების) თუ გადაწყვეტილების დარღვევით ანდა – როდესაც ნევრმა კავშირის („vereniging“) დაუსაბუთებლად მიაყენა ზიანი.

– 4. ნევრის გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს დირექტორთა საბჭო, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წესდებით ეს უფლებამოსილება კავშირის („vereniging“) სხვა ორგანოს მიენიჭა. გარიცხულ ნევრს შეძლებისდაგვარად სწრაფად ეგზავნება შეტყობინება მისი გარიცხვის შესახებ; შეტყობინება უნდა იყოს ნერილობითი ფორმით, რომელშიც მიეთითება ასევე გარიცხვის მიზეზებიც. ერთი თვის განმავლობაში მას შემდეგ, როდესაც გარიცხულმა ნევრმა მიიღო ზემოაღნიშნული შეტყობინება, ამ უკანასკნელს შეუძლია საერთო კრებას ან კავშირის („vereniging“) სხვა ორგანოს ანდა წესდებით ამ მიზნისათვის განსაზღვრულ მესამე პირს წარუდგინოს საჩივარი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მისი გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა საერთო კრების მიერ. წესდება ასეთ საჩივართან დაკავშირებით შეიძლება შეიცავდეს სხვაგვარ დებულებებსაც იმ პირობით, რომ საჩივრის წარდგენის ვადა არ იქნება ერთ თვეზე ნაკლები. საჩივრის წარდგენისა და მისი განხილვის ვადის განმავლობაში ნევრის გარიცხვის პროცესი ჩერდება.

– 5. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წესდება სხვაგვარად ითვალისწინებს, თუ ნევრობა შეწყდა საბუღალტრო (ფინანსური) წლის მიმდინარეობისას, ყოველწლიური შენატანი მაინც სრულად გადასახდელი რჩება.

– 6. კავშირი („vereniging“) უზრუნველყოფს იმას, რომ ნევრებს ნევრობის გაუქმებამდე ადვილად შეეძლოთ აუცილებელი ინფორმაციის გადამოწმება. ინფორმაცია ნებისმიერ შემთხვევაში მოცემულია ვებ-საიტის მთავარ გვერდსა და ნევრთა ჟურნალის 1-ლ, მე-2 და მე-3 გვერდებზე, თუ კავშირი („vereniging“) იყენებს კომუნიკაციის ასეთ საშუალებებს.

მუხლი 2:36 ნევრობის გაუქმება

– 1. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წესდება სხვაგვარად ითვალისწინებს, კავშირის ნევრობა შეიძლება გაუქმდეს საბუღალტრო (ფინანსური) წლის დასრულებისას შეტყობინების ოთხკვირიანი ვადის სათანადო დაცვით; ვადების შესახებ ზოგადი კანონი ამ შეტყობინების ვადის მიმართ არ გამოიყენება. ნევრობა შეიძლება გაუქმდეს ნებისმიერ შემთხვევაში იმ საბუღალტრო (ფინანსური) წლის დასრულების შემდეგ მომდევნო წელს, როდესაც გაუქმების შესახებ შეტყობინება იქნა გაგზავნილი, ხოლო თუ კავშირის ნევრობის გაგრძელება გონივრულად მოსალოდნელი ვერ იქნება, – მაშინ დაუყოვნებელი შედეგით.

– 2. წინა პარაგრაფის ნორმათა დარღვევის გამო კავშირის ნევრობის გაუქმება მოქმედებს იმ უახლოეს მომენტში, რომელიც ნებადართულია მას შემდეგ, რაც ძალაში შედის ზემოაღნიშნული ხარვეზის გამო ნევრობის გაუქმება.

– 3. კავშირის ნევრს შეუძლია გააუქმოს თავისი ნევრობა დაუყოვნებელი შედეგით ერთი თვის ვადაში მას შემდეგ, როდესაც მას შეატყობინებენ ანდა მისთვის ცნობილი გახდება იმ გადაწყვეტილების შესახებ, რომლითაც იზღუდება მისი უფლებები ან იზრდება მისი ვალდებულებები; ეს გადაწყვეტილება მის მიმართ არ იმოქმედებს ნევრობის გაუქმების შემდეგ. ნევრობის გაუქმების ამ უფლების გამორიცხვა კავშირის („vereniging“) ნევრებს წესდებაში შეუძლიათ იმდენად, რამდენადაც ის ეხება იმ უფლებათა და ვა-

ლდეულებათა ცვლილებას, რომლებიც ზუსტად არის აღწერილი წესდებაში და, მით უმეტეს, – ზოგადად იმდენად, რამდენადაც ის ეხება ცვლილებას ფინანსურ უფლებებსა და ვალდებულებებში.

– 4. კავშირის წევრს შეუძლია ასევე გააუქმოს თავისი წევრობა დაუყოვნებელი შედეგით ერთი თვის ვადაში მას შემდეგ, როდესაც მას შეატყობინებენ კავშირის („vereniging“) სხვა სამართლებრივი ფორმის იურიდიულ პირად გარდაქმნისა თუ მისი შერწყმის ან გაყოფის გადაწყვეტილებების შესახებ.

მუხლი 2:37 დირექტორთა დანიშვნა, მათთვის უფლებამოსილების შეჩერება და თანამდებობიდან გათავისუფლება

– 1. დირექტორთა საბჭო ინიშნება კავშირის წევრებისგან. თუმცა, წესდებით შეიძლება გათვალისწინებული იყოს ასევე არაწევრი პირების დირექტორად დანიშვნაც.

– 2. დირექტორად დანიშვნა ხორციელდება საერთო კრების მიერ. წესდება შეიძლება შეიცავდეს სხვა დებულებებსაც დირექტორთა დანიშვნის წესთან დაკავშირებით იმ პირობით, რომ ყოველი წევრი შეიძლება, პირდაპირ ან არაპირდაპირ, დირექტორთა დანიშვნის კენჭისყრაში მონაწილეობას.

– 3. წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს დირექტორთა საბჭოს ერთი ან მეტი წევრის, – თუმცადა, სრული შემადგენლობის არაუმეტეს ნახევრისა, – დანიშვნას სხვა პირების მიერ, ნაცვლად კავშირის („vereniging“) წევრებისა.

– 4. თუ წესდება ითვალისწინებს იმას, რომ დირექტორი უნდა დაინიშნოს კრებაზე წარდგენილი კანდიდატების სავალდებულო სიიდან, მაშინ ამ სიის სავალდებულობა შეიძლება გამოირიცხოს ამ კრებაზე, სულ ცოტა, ორი მესამედი ხმების უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილებით. წესდება შეიძლება ითხოვდეს იმის შესაძლებლობის არსებობას, რომ აღნიშნულ კრებაზე, სულ ცოტა, განსაზღვრული (მინიმალური) რაოდენობა ხმებისა იქნეს მიცემული.

– 5. როდესაც წესდების საფუძველზე დირექტორთა საბჭოს წევრი უნდა დაინიშნოს კავშირის („vereniging“) წევრების ან მისი განყოფილებების მიერ მოწვეული კრების მიღმა, მაშინ კავშირის („vereniging“) წევრებს უნდა მიეცეთ განსაზღვრული კანდიდატების დასახელების შესაძლებლობა. წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს იმას, რომ ეს უფლება მთელ რიგ წევრებს ეკუთვნოდეს მხოლოდ ერთობლივად იმ პირობით, რომ ამ წევრთა რაოდენობა დადგინდება არაუმეტეს არჩევნებში მონაწილეობისათვის დაშვებული წევრთა რაოდენობის ერთი მეხუთედისა. წესდება შეიძლება ასევე ითვალისწინებდეს იმასაც, რომ ზემოაღნიშნული წესით წარდგენილი კანდიდატები დაინიშნონ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ, სულ ცოტა, განსაზღვრული რაოდენობა ხმებისა იქნება მიცემული მათ სასარგებლოდ იმ პირობით, რომ ეს რაოდენობა დადგინდება მიცემული ხმების რაოდენობის არაუმეტეს ორი მესამედისა.

– 6. თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც დირექტორი ინიშნება განსაზღვრული ვადით, ის შეიძლება გათავისუფლდეს თანამდებობიდან ანდა მას შეუჩერდეს უფლებამოსილება იმ ორგანოს მიერ, რომელმაც დანიშნა ის. სასამართლო ვერ დაადგენს შრომითი ხელშეკრულების აღდგენას კავშირსა („vereniging“) და დირექტორს შორის, როგორც ეს მითითებულია სამოქალაქო კოდექსის 7:682 მუხლში.

– 7. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წესდება სხვაგვარად ითვალისწინებს, დირექტორთა საბჭო საკუთარი წევრებიდან ნიშნავს თავის თავმჯდომარეს, მდივანსა და ხაზინადარს.

მუხლი 2:38 საერთო კრება; კრებაში მონაწილეობა; ხმის მიცემა

– 1. შემდგომ მუხლში მოცემული წესების გათვალისწინებით, ყველა იმ წევრს, რომელსაც არა აქვს შეჩერებული წევრის უფლებამოსილება, შეუძლია დაესწროს საერთო კრებას და მისცეს მასზე ერთი ხმა; იმ წევრს, რომელსაც შეჩერებული აქვს წევრის უფლებამოსილება, შეუძლია დაესწროს კრებას იმ შემთხვევაში, როდესაც იხილება მისთვის უფლებამოსილების შეჩერების საკითხი, და მას უფლება აქვს, საკუთარი ინტერესების დასაცავად გამოვიდეს კრებაზე სიტყვით. წესდებით წევრს შეიძლება ერთზე მეტი ხმა მიენიჭოს.

– 2. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წესდება სხვაგვარად ითვალისწინებს, დირექტორთა საბჭოს პრეზიდენტი და მდივანი ან მათი შემცვლელი პირები მოქმედებენ როგორც საერთო კრების თავმჯდომარე და მდივანი.

– 3. წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს ასევე იმ წესსაც, რომ კავშირის („vereniging“) სხვა ორგანოებს მიკუთვნებულმა პირებმა, რომლებიც არ წარმოადგენენ კავშირის („vereniging“) წევრებს, შეძლონ ხმის მიცემა საერთო კრებაზე. მათ მიერ მისაცემი ხმების რაოდენობა ჯამში არ უნდა აღემატებოდეს კავშირის („vereniging“) წევრთა მიერ მიცემული ხმების რაოდენობის ნახევარს.

– 4. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წესდება სხვაგვარად ითვალისწინებს, პარ. 1-ის ან 3-ის შესა-

ბამისად უფლებამოსილ პირს შეუძლია ხმის მიცემაზე უფლებამოსილ სხვა პირზე გასცეს წერილობითი მინდობილობა მისი სახელით ხმის მიცემასთან დაკავშირებით.

– 5. მინდობილობის წერილობითი ფორმით გაცემის მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ითვლება ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც ხდება მინდობილობის ელექტრონული ფორმით რეგისტრაცია.

– 6. წესდებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს პარ. 1-ის ან 3-ის შესაბამისად ხმის მიცემაზე უფლებამოსილი პირის მიერ თავისი ხმის მიცემის უფლების განხორციელების შესაძლებლობა ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების მეშვეობით.

– 7. პარ. 6-ით გათვალისწინებული მიზნებისათვის მოითხოვება ხმის მიცემაზე უფლებამოსილი პირის იდენტიფიკაცია ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებებით, ასევე აუცილებელია ის, რომ ამ პირმა დაუყოვნებლივ შეძლოს ინფორმაციის მიღება კრებაზე გამოთქმულისა თუ გაჟღერებულის შესახებ და მოახდინოს თავისი ხმის უფლების რეალიზაცია. წესდებით შეიძლება დამატებით მოთხოვნილ იქნეს ხმის მიცემაზე უფლებამოსილი პირისათვის ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების მეშვეობით კრების განხილვებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობის მინიჭება.

– 8. წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს საერთო კრების ჩატარების თარიღამდე, – თუმცაღა ამ კრებამდე არაუადრეს ოცდაათი დღისა, – ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით ხმის მიცემა უთანაბრდებოდეს თავად აღნიშნულ კრებაზე ხმის მიცემას.

– 9. წესდებით ან მის შესაბამისად შეიძლება დადგინდეს ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენების პირობები. თუ ეს პირობები დგინდება წესდების შესაბამისად, მაშინ ისინი ცხადდება საერთო კრების მოწვევის შესახებ შეტყობინებაში.

მუხლი 2:39 კავშირის წევრთა საბჭო (დელეგატები); რეფერენდუმი

– 1. წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს საერთო კრების შემადგებლობის ფორმირებას კავშირის („vereniging“) წევრთა მიერ და მათი სიიდან არჩეული დელეგატებისაგან (წევრთა საბჭოსგან). დელეგატების არჩევის წესი და რაოდენობა რეგულირდება წესდებით. კავშირის („vereniging“) ყოველ წევრს უნდა ჰქონდეს პირდაპირ ან არაპირდაპირ არჩევნებში მონაწილეობის შესაძლებლობა. ასეთი არჩევნების მიმართ შესაბამისად გამოიყენება 2:37 მუხლის პარ. 4 და 5. 38 მუხლის პარ. 3 შესაბამისად გამოიყენება იმ პირების მიმართ, რომლებიც მიეკუთვნებიან კავშირის („vereniging“) სხვა ორგანოებს და არ წარმოადგენენ დელეგატებს.

– 2. წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს ასევე საერთო კრების კონკრეტულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით რეფერენდუმის ჩატარებას. წესდებაში უნდა მიეთითოს, თუ რა გარემოებების არსებობისას უნდა ჩატარდეს ასეთი რეფერენდუმი, ასევე – დროის რა პერიოდში და როგორ. რეფერენდუმის დასრულებამდე გადაწყვეტილების შესრულება უნდა შეჩერდეს.

მუხლი 2:40 საერთო კრების მოვალეობები და უფლებამოსილებები; გადაწყვეტილების მიღება მონვეული საერთო კრების მიღმა

– 1. კავშირში („vereniging“) ყოველგვარი უფლებამოსილებები ენიჭება საერთო კრებას იმ ფარგლებში, რომლებშიც ასეთი უფლებამოსილებები კანონისა თუ წესდების მიერ არ არის მინიჭებული კავშირის („vereniging“) სხვა ორგანოებისათვის.

– 2. კავშირის („vereniging“) ყველა წევრის, ხოლო შესაბამის შემთხვევებში კი, – ყველა დელეგატის მიერ მონვეული საერთო კრების მიღმა ერთხმად მიღებულ გადაწყვეტილებას აქვს იგივე ძალა, რაც საერთო კრების გადაწყვეტილებას იმ პირობით, თუ ის მიღებულია ამის თაობაზე დირექტორთა საბჭოს ინფორმირებით.

მუხლი 2:41 საერთო კრების მონვევა

– 1. დირექტორთა საბჭომ უნდა მოიწვიოს საერთო კრება ისეთი სიხშირით, როგორსაც ის ამას სათანადოდ მიიჩნევს ანდა – როდესაც ის ვალდებულია იმოქმედოს ამგვარად კანონისა თუ წესდების შესაბამისად. წესდებაში ასეთი უფლებამოსილება შეიძლება მიენიჭოს სხვა პირებს, ნაცვლად დირექტორთა საბჭოსი.

– 2. როდესაც კავშირის („vereniging“) წევრებისა თუ იმ დელეგატების რაოდენობა, რომლებიც უფლებამოსილი არიან მისცენ, სულ ცოტა, ერთი მეთათედი ხმებისა საერთო კრებაზე ანდა წესდებით გათვალისწინებული აღნიშნული წევრებისა თუ დელეგატების უფრო ნაკლები რაოდენობა წერილობითი ფორმით სთხოვს დირექტორთა საბჭოს საერთო კრების მონვევას, დირექტორთა საბჭო ასეთ შემთხვევაში ვალდებულია მოიწვიოს საერთო კრება მოთხოვნის წარდგენიდან ოთხი კვირის განმავლობაში.

– 3. თუ არანაირი მოქმედება არ იქნა განხორციელებული დირექტორთა საბჭოს მიერ მოთხოვნის წარდგენიდან თოთხმეტი დღის განმავლობაში, მაშინ შესაბამის განმცხადებლებს თავად შეუძლიათ დაიწყონ საერთო კრების მოწვევის პროცედურა იმ წესის დაცვით, რაც გათვალისწინებულია დირექტორთა საბჭოს მიერ საერთო კრების მოწვევისათვის ანდა – იმ ყოველდღიურ გაზეთში განცხადების გამოქვეყნების გზით, რომელიც ფართოდ ვრცელდება კავშირის („vereniging“) დაფუძნების ადგილზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წესდება უთითებს, რომ საერთო კრება უნდა იქნეს მოწვეული სხვა წესით დირექტორთა საბჭოს მიერ წინა პარაგრაფში მითითებული ნებისმიერი მოქმედების განხორციელებლობის შემთხვევისათვის. როდესაც განმცხადებლები თავად იწვევენ საერთო კრებას ზემოაღნიშნული წინადადების ნორმის შესაბამისად, მათ კრების თავმჯდომარეობისა და ოქმის შედგენის მიზნით შეუძლიათ დანიშნონ სხვა პირები, ნაცვლად დირექტორთა საბჭოს წევრებისა.

– 4. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წესდება სხვაგვარად ითვალისწინებს, მოთხოვნის წერილობითი ფორმით წარდგენის აუცილებლობა, როგორც ეს ნახსენებია პარ. 2-ში, დაკმაყოფილებულად ითვლება ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც ხდება მოთხოვნის ელექტრონული ფორმით რეგისტრაცია.

– 5. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წესდება სხვაგვარად ითვალისწინებს, საერთო კრების მოწვევის შესახებ შეტყობინება შეიძლება გადაცემულ იქნეს ელექტრონული შეტყობინების სახით, თუ კავშირის („vereniging“) წევრმა ან დელეგატმა გასცა ამაზე თავისი თანხმობა; ასეთი ელექტრონული შეტყობინება უნდა გაიგზავნოს შესაბამისი წევრისა თუ დელეგატის მიერ ამ მიზნით გაცხადებულ მისამართზე; ის ნაკითხვადი და აღწარმოებადი უნდა იყოს.

მუხლი 2:41a კავშირის განყოფილებები

2:37 მუხლიდან 2:41 მუხლის ჩათვლით ნორმები შესაბამისად გამოიყენება კავშირის („vereniging“) განყოფილებების („afdelingen“) მიმართ, რომლებიც არ წარმოადგენენ იურიდიულ პირს, თუმცა ჰყავთ საკუთარი საერთო კრება და დირექტორთა საბჭო; ის, რაც გათვალისწინებულია აღნიშნულ მუხლებში წესდებასთან მიმართებაში, შეიძლება განისაზღვროს განყოფილების შიდა რეგულაციებით (ამ განყოფილების შიდა ნორმატიულ აქტებში).

მუხლი 2:42 წესდებაში შეტანილი ცვლილებები; კავშირის გაუქმების წინადადება

– 1. კავშირის („vereniging“) წესდებაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ ისეთი შეტყობინებით მოწვეული საერთო კრების გადანყვეტილებით, რომელშიც მითითებულია ამ კრებაზე წესდებაში ცვლილებების შეტანის შეთავაზების შესახებ. ასეთი კრებისათვის შეტყობინება გაგზავნილ უნდა იქნეს მისი ჩატარების თარიღამდე, სულ ცოტა, შვიდი დღით ადრე.

– 2. იმ პირებმა, რომლებმაც საერთო კრება მოიწვიეს წესდებაში ცვლილებების შეტანის წინადადებაზე ხმის მიცემის მიზნით, ამ წინადადების ასლი უნდა განათავსონ შესაბამისად კავშირის („vereniging“) წევრთა მიერ მისი ჯეროვნად გაცნობის შესაძლებლობის მიცემის მიზნით; წინადადების ასლი უნდა შეიცავდეს შეთავაზებულ ცვლილებას; წინადადების ასლი კრებამდე, სულ ცოტა, ხუთი დღით ადრე გაცნობის მიზნით უნდა განათავსდეს ამ მიზნისათვის მისაღებ ადგილზე და ის უნდა დარჩეს ამ ადგილზე იმ დღის ბოლომდე, როდესაც ტარდება კრება. 2:42 მუხლში მითითებულმა კავშირის („vereniging“) სხვადასხვა განყოფილებებმა და დელეგატებმა აღნიშნული წინადადება უნდა მიიღონ კრებამდე, სულ ცოტა, თხუთმეტი დღით ადრე, რა შემთხვევაშიც წინამდებარე პარაგრაფის აღნიშნული წინადადებები არ გამოიყენება.

– 3. პარ. 1 და 2-ის ნორმები არ გამოიყენება, თუ კავშირის („vereniging“) ყველა წევრი, ხოლო შესაბამის შემთხვევებში კი, – ყველა დელეგატი გამოცხადებულია ან წარმოდგენილია საერთო კრებაზე და წესდების ცვლილების შესახებ გადანყვეტილება ამ კრებაზე მიიღება ერთხმად.

– 4. წინამდებარე მუხლის პარ. 1 და 2-ის ნორმები და ასევე ქვემოთ მოცემული მუხლის ნორმები შესაბამისად გამოიყენება კავშირის („vereniging“) გაუქმების შესახებ გადანყვეტილების მიმართაც.

მუხლი 2:43 წესდებაში ცვლილებების შეტანის (კავშირის გაუქმების შესახებ საკითხის) ფორმალობები

– 1. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წესდება სხვაგვარად ითვალისწინებს, წესდებაში ცვლილებების შეტანის გადანყვეტილება მოითხოვს ხმათა ორი მესამედის უმრავლესობით მიღებას.

– 2. რამდენადაც წესდების შეცვლის უფლებამოსილება (შესაძლებლობა) გამოირიცხა, ასეთი ცვლილება მაინც შესაძლებელია იმ კრებაზე ერთხმად მიღებული გადანყვეტილებით, რომელზეც გამოცხადებულია ან წარმოდგენილია კავშირის („vereniging“) ყველა წევრი, ხოლო შესაბამის შემთხვევებში კი, – ყველა დელეგატი.

– 3. წესდებაში მოცემული ის დებულება, რომლითაც იზღუდება ამ წესდების ერთი ან მეტი სხვა დებულების შეცვლის უფლებამოსილება (შესაძლებლობა), შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ ამავე შეზღუდვის სათანადო გათვალისწინებით.

– 4. წესდებაში მოცემული ის დებულება, რომლითაც გამოირიცხება ამ წესდების ერთი ან მეტი სხვა დებულების შეცვლის უფლებამოსილება (შესაძლებლობა), შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ იმ კრებაზე ერთხმად მიღებული გადაწყვეტილებით, რომელზეც გამოცხადებულია ან წარმოდგენილია კავშირის („vereniging“) ყველა წევრი, ხოლო შესაბამის შემთხვევებში კი, – ყველა დელეგატი.

– 5. თუ კავშირს აქვს სრული ქმედუნარიანობა, მაშინ მის წესდებაში ცვლილებების შეტანა ძალაში შედის მხოლოდ ცვლილების შესახებ სანოტარო აქტის შედგენის მომენტიდან. დირექტორებს ეკისრებათ ცვლილებისა და შეცვლილი წესდების დამონმებული ასლის სავაჭრო რეესტრის (სავაჭრო პალატის) ოფისში განთავსების ვალდებულება.

– 6. როდესაც შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე კავშირის წესდების („არაფორმალური კავშირი“) ასლი შესაბამისად განთავსდება სავაჭრო რეესტრის (სავაჭრო პალატის) ოფისში 2:30 მუხლის შესაბამისად, ასეთი კავშირის დირექტორებს ეკისრებათ ამავე ოფისში ცვლილებისა და შეცვლილი წესდების დამონმებული ასლის განთავსების ვალდებულება.

მუხლი 2:44 დირექტორთა საბჭოს მოვალეობები და უფლებამოსილებები

– 1. წესდებაში მოცემული ნებისმიერი შეზღუდვის გათვალისწინებით, დირექტორთა საბჭოს ეკისრება კავშირის („vereniging“) ხელმძღვანელობა და მართვა.

– 2. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს გამომდინარეობს წესდებიდან, დირექტორთა საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები რეგისტრირებული ქონების შექმნასთან, გასხვისებისა (გადაცემის) და უფლებრივ დატვირთვისთან დაკავშირებული შეთანხმებების დადებაზე, ასევე დადოს ისეთი შეთანხმებები, რომლითაც კავშირი („vereniging“) იკისრებს თავდებობას ან სოლიდარულ ვალდებულებას ანდა – რომლითაც ის იძლევა მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულების გარანტიას ან კისრულობს ვინმე სხვა პირის სასარგებლოდ უზრუნველყოფის წარდგენას. წესდებით შეიძლება შეიზღუდოს ეს უფლებამოსილება ანდა ის დამოკიდებული გახდეს განსაზღვრულ პირობაზე. ასეთი გამონაკლისები, შეზღუდვები და პირობები გამოიყენება ასევე დირექტორთა საბჭოს მიერ კავშირის („vereniging“) ზემოაღნიშნული გარიგებების დადებისას წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელების მიმართაც, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წესდება სხვაგვარად ითვალისწინებს.

მუხლი 2:45 კავშირის წარმომადგენლობის უფლებამოსილება

– 1. დირექტორთა საბჭო წარმომადგენს კავშირს („vereniging“), რამდენადაც კანონი საწინააღმდეგოს არ ითვალისწინებს.

– 2. წესებით ერთ ან მეტ დირექტორს შეიძლება მიენიჭოს კავშირის („vereniging“) წარმომადგენლობის უფლებამოსილება. წესდება შეიძლება უთითებდეს, რომ დირექტორს კავშირის წარმომადგენლობის უფლება ჰქონდეს მხოლოდ ერთ ან მეტ სხვა პირთან {ჩვეულებრივ, – მეორე დირექტორი} ურთიერთთანამშრომლობით.

– 3. დირექტორთა საბჭოსათვის ან დირექტორისათვის კავშირის („vereniging“) წარმომადგენლობის დამოუკიდებლად ან ერთობლივად განხორციელების უფლებამოსილება შეუზღუდავი და უპირობოა, რამდენადაც კანონი საწინააღმდეგოს არ ითვალისწინებს. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების სამართლებრივად ნებადართული ან განსაზღვრული შეზღუდვისა თუ პირობის არსებობაზე მითითება შეუძლია მხოლოდ კავშირს („vereniging“).

– 4. წესდებით წარმომადგენლობითი უფლებამოსილება შეიძლება მიენიჭოს ასევე სხვა პირებსაც, ნაცვლად დირექტორებისა.

მუხლი 2:46 კავშირის მიერ მის წევრთა მიმართ გათვალისწინებული უფლებები და ვალდებულებები

რამდენადაც წესდება სხვაგვარად არ ითვალისწინებს, კავშირს („vereniging“) შეუძლია დათქვას უფლებები თავისი წევრების სახელით; იმ ფარგლებში, რომლებშიც წესდება ამ უფლებამოსილებას კავშირს („vereniging“) სპეციალურად ანიჭებს, ამ უკანასკნელს თავისი წევრების ხარჯზე შეუძლია იკისროს ვალდებულებები. კავშირს („vereniging“) შეუძლია მოითხოვოს თავისი წევრების სახელით დათქმული უფლებების რეალიზაცია და ამ უფლებებთან დაკავშირებული ზიანის ანაზღაურება, რამდენადაც შესაბამისი წევრი ამას არ ეწინააღმდეგება.

მუხლი 2:47 ინტერესთა კონფლიქტი კავშირსა და დირექტორს ან ზედამხედველ დირექტორს შორის

ყველა იმ ვითარებაში, როდესაც კავშირს („vereniging“) აქვს ინტერესთა კონფლიქტი ერთ ან მეტ თა-ვის დირექტორთან ან ზედამხედველ დირექტორთან, კავშირის („vereniging“) წარმომადგენლობისათვის საერთო კრებას შეუძლია დანიშნოს ერთი ან მეტი პირი.

მუხლი 2:48 ფინანსური ანგარიშგება და ყოველწლიური ანგარიში

– 1. საანგარიშო წლის დასრულებამდე ექვსი თვის განმავლობაში – გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ვადა გახანგრძლივდა საერთო კრების მიერ – დირექტორთა საბჭო საერთო კრებას წარუდგენს ყოველწლიურ ანგარიშს კავშირში („vereniging“) არსებულ ვითარებასა და ასევე წარმოებულ პოლიტიკასთან დაკავშირებით. დირექტორთა საბჭო შენიშვნებთან ერთად საერთო კრებას დასამტკიცებლად წარუდგენს ბალანსსა და მოგება-ზარალის ანგარიშს (შემოსავლების შესახებ ანგარიშგებას). ამ დოკუმენტებს ხელს აწერენ დირექტორები და ზედამხედველი დირექტორები; როდესაც სახეზე არ არის ერთი ან მეტი ხელმოწერა, მაშინ ამის თაობაზე უნდა მოხდეს შესაბამისი შეტყობინების წარდგენა მიზეზების მითითებით. ზემოაღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ კავშირის („vereniging“) ყოველ წევრს შეუძლია, წარადგინოს სასამართლოში სარჩელი ყველა დირექტორის მიმართ, რათა აიძულოს ისინი შეასრულონ აღნიშნული ვალდებულებები.

– 2. როდესაც კავშირს („vereniging“) არა ჰყავს სამეთვალყურეო საბჭო და ასევე საერთო კრებისათვის არ არის წარდგენილი 2:391 მუხლის პარ. 1-ში მითითებული ბუღალტრის განცხადება პარ. 1-ის მეორე წინადადებაში აღნიშნული დოკუმენტების სისწორესთან დაკავშირებით, საერთო კრებამ ყოველი საანგარიშო წლისათვის უნდა დანიშნოს კომისია, სულ ცოტა, ორი პირის შემადგენლობით, რომლებიც არ არიან დირექტორთა საბჭოს წევრები. კომისია ვალდებულია შეამოწმოს პარ. 1-ის მეორე წინადადებაში მითითებული დოკუმენტები და საერთო კრებას წარუდგინოს ანგარიში თავისი დასკვნების შესახებ. დირექტორთა საბჭომ უნდა მოახდინოს ყველა იმ ინფორმაციის მიწოდება, რასაც კომისია მოითხოვს მის მიერ წარმოებულ გამოძიებისათვის; მოთხოვნის საფუძველზე დირექტორთა საბჭომ კომისიას სრულად უნდა წარუდგინოს ნაღდი ფული და ძვირფასეულობა და დართოს მას კავშირის („vereniging“) ჩანაწერების, დოკუმენტებისა და მონაცემთა შენახვის საშუალებების გაცნობის ნება.

– 3. კავშირი („vereniging“), რომელსაც აქვს ერთი ან მეტი კანონის შესაბამისად სავაჭრო რეესტრში რეგისტრაციას დაქვემდებარებული საწარმო, მოგება-ზარალის ანგარიშში (შემოსავლების შესახებ ანგარიშგებაში) ახდენს ამ საწარმოთა წმინდა ბრუნვის შედეგების მითითებას.

მუხლი 2:49 კავშირის ყოველწლიური ანგარიში და ყოველწლიური ანგარიშგება ეგრეთ წოდებულ „მსხვილ საწარმოსთან“ ერთად

– 1. ყოველ წელს საანგარიშო წლის დასრულებამდე ექვსი თვის განმავლობაში – გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კონკრეტული გარემოებების მხედველობაში მიღებით ეს ვადა საერთო კრების მიერ გახანგრძლივდა არაუმეტეს ხუთი თვისა – 2:360 მუხლის პარ. 3-ის შესაბამისად კავშირის („vereniging“) დირექტორთა საბჭო ადგენს ყოველწლიურ ანგარიშს და ახდენს ამ დოკუმენტების კავშირის („vereniging“) ოფისში განთავსებას წევრების მიერ მისი გაცნობის მიზნით. იმავე ვადის განმავლობაში დირექტორთა საბჭო ასევე განათავსებს ყოველწლიურ ანგარიშგებას ამავე წევრების მიერ მისი გაცნობის მიზნით, თუ, რა თქმა უნდა, კავშირის („vereniging“) მიმართ არ გამოიყენება 2:396 მუხლის პარ. 7-ის ან 2:403 მუხლის ნორმები.

– 2. ყოველწლიურ ანგარიშს ხელს აწერენ დირექტორები და ზედამხედველი დირექტორები; როდესაც სახეზე არ არის ერთი ან მეტი ხელმოწერა, მაშინ ამის თაობაზე უნდა მოხდეს შესაბამისი შეტყობინების წარდგენა მიზეზების მითითებით.

– 3. ყოველწლიური ანგარიში უნდა დაამტკიცოს იმ საერთო კრებამ, რომელიც მოიწვევა დირექტორთა საბჭოს მიერ პარ. 1-ში მითითებული ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა. ყოველწლიური ანგარიშის დამტკიცება თავისთავად არ გულისხმობს დირექტორების ან ზედამხედველი დირექტორების პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას.

– 4. 2:48 მუხლის პარ. 1 არ გამოიყენება კავშირის („vereniging“) მიმართ, როგორც ეს მითითებულია 2:360 მუხლის პარ. 3-ში. 2:48 მუხლის პარ. 2 გამოიყენება ასეთი კავშირის („vereniging“) მიმართ იმ პირობით, რომ სიტყვა „დოკუმენტები“ გულისხმობს საბუთებს, რომლებიც წარდგენილ უნდა იქნეს პარ. 1-ის შესაბამისად.

– 5. 2:360 მუხლის პარ. 3-ის გაგებით კავშირს („vereniging“) შეუძლია საწესდებო რეზერვებში არსებული დეფიციტის აღმოფხვრა მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს ნებადართულია კანონით.

– 6. განსაკუთრებული მიზეზების არსებობისას, მოთხოვნის საფუძველზე, ეკონომიკის საქმეთა მინისტრს შეუძლია გაათავისუფლოს კავშირის შესაბამისი ორგანოები ყოველწლიური ანგარიშის შედგენის, წარდგენისა და დამტკიცების ვალდებულებისაგან.

მუხლი 2:50 ყოველწლიური ანგარიშისა და ყოველწლიური ანგარიშგების ხელმისაწვდომობა

2:360 მუხლის პარ. 3-ის გაგებით კავშირი უზრუნველყოფს, რომ მის მიერ შედგენილი ყოველწლიური ანგარიში, ყოველწლიური ანგარიშგება და 2:392 მუხლის პარ. 1-ის შესაბამისად დასამატებელი ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყოს კავშირის ოფისში იმ დღიდან, როდესაც ხდება ყოველწლიური ანგარიშის მიღების მიზნით ჩასატარებელი საერთო კრების მოწვევის შესახებ შეტყობინების გაგზავნა. კავშირის („vereniging“) წევრებს შეუძლიათ იქვე გაეცნონ აღნიშნულ დოკუმენტებს და უსასყიდლოდ მიიღონ მათი ასლი.

მუხლი 2:50a დირექტორებისა და ზედამხედველი დირექტორების პასუხისმგებლობა კავშირის გაკოტრების შემთხვევაში

2:131, 2:138, 2:139, 2:149 და 2:150 მუხლების ნორმები შესაბამისად გამოიყენება იმ კავშირის („vereniging“) გაკოტრების შემთხვევაში, რომლის წესდებაც შეტანილია სანოტარო აქტში და რომელიც იბეგრება მოგების გადასახადით.

მუხლი 2:51 გაკოტრების შემთხვევაში აუცილებელი რეგისტრაციები და ფულადი თანხების გადახდებზე არსებული ოფიციალური მორატორიუმი

იმ კავშირის („vereniging“) გაკოტრების („faillissement“) ან ფულადი თანხების გადახდებზე ოფიციალური მორატორიუმის („surséance van betaling“) არსებობის შემთხვევაში, რომელიც რეგისტრირებულია სავაჭრო რეესტრში, გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ კანონის საფუძველზე ჰოლანდიის მაცნეში გამოსაქვეყნებელი განცხადებები ექვემდებარება ასევე ამ განცხადებების ჰოლანდიის მაცნეში გამოქვეყნებაზე ვალდებული პირის მიერ {ე. ი. გაკოტრების ლიკვიდატორის ან, შესაბამისად, გადახდებზე არსებული მორატორიუმის დროს სასამართლოს მიერ დანიშნული მმართველი} სავაჭრო რეესტრის მწარმოებლისათვისაც შეტყობინებას.

მუხლი 2:52 2.2 ტიტულში მოცემული კანონისმიერი ნორმებიდან გადახვევისათვის საჭირო წერილობითი ფორმით შედგენილი წესდება

იმდენად, რამდენადაც დაშვებულია წინამდებარე ტიტულში (ტიტული 2.2) მოცემული კანონისმიერი ნორმებიდან გადახვევა, ეს შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ წესდებაში გათვალისწინებული წერილობითი დებულების მეშვეობით.

ტიტული 2.3 – კოოპერატივები და ურთიერთდახმარების დაზღვევის საზოგადოებები

განყოფილება 2.3.1 – ზოგადი დებულებები

მუხლი 2:53 „კოოპერატივის“ განმარტება

– 1. კოოპერატივი („coöperatie“) წარმოადგენს კავშირს („vereniging“), რომელიც სანოტარო აქტის საფუძველზე შექმნილია როგორც კოოპერატივი („coöperatie“). ამ უკანასკნელის წესდების თანახმად, კოოპერატივს უნდა ჰქონდეს მიზანი, დააკმაყოფილოს მისი წევრების განსაზღვრული მატერიალური საჭიროებები იმ ხელშეკრულებების საფუძველზე – გარდა დაზღვევის ხელშეკრულებებისა, – რომლებიც ამ წევრებთან იდება კოოპერატივის ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში, რასაც ის აწარმოებს ან უზრუნველყოფს წარმოებას თავის წევრთათვის სარგებლის მინიჭების მიზნით.

– 2. ურთიერთდახმარების დაზღვევის საზოგადოება („onderlinge waarborgmaatschappij“) წარმოადგენს კავშირს („vereniging“), რომელიც სანოტარო აქტის საფუძველზე შექმნილია როგორც ურთიერთდახმარების დაზღვევის საზოგადოება („onderlinge waarborgmaatschappij“). ამ უკანასკნელის წესდების თანახმად, ურთიერთდახმარების დაზღვევის საზოგადოებას უნდა ჰქონდეს მიზანი, დადოს დაზღვევის ხელშეკრუ-

ლებები თავის წევრებთან საზოგადოების ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში, რასაც ის აწარმოებს თავის წევრთათვის სარგებლის მინიჭების მიზნით.

– 3. კოოპერატივის („coöperatie“) წესდება შეიძლება დართოს კოოპერატივს არანევერ პირებთან იგივე სახის შეთანხმებების დადების ნება, რასაც ის დებს თავის წევრებთან; იგივე წესი მოქმედებს ურთიერთდახმარების დაზღვევის საზოგადოების („onderlinge waarborgmaatschappij“) წესდების მიმართაც, რომელშიც გამორიცხულია წევრებისა თუ ყოფილი წევრების მიერ ნებისმიერი დეფიციტის აღმოფხვრის ხელშეწყობის რაიმე ვალდებულება.

– 4. თუ კოოპერატივი („coöperatie“) ან ურთიერთდახმარების დაზღვევის საზოგადოება („onderlinge waarborgmaatschappij“) იყენებს წინა პარაგრაფში ნახსენებ შესაძლებლობას, მაშინ ის ამას არ უნდა აკეთებდეს იმ ფარგლებში, რომლებშიც საკუთარ წევრებთან დადებული შეთანხმებები ნაკლები მნიშვნელობის აღმოჩნდება.

მუხლი 2:53a 2.2 ტიტულის ნორმათა გამოყენება კოოპერატივებისა და ურთიერთდახმარების დაზღვევის საზოგადოებების მიმართ

– 1. წინა ტიტულის (ტიტული 2.2) ნორმები, გარდა 2:26 მუხლის პარ. 3-სა და 2:44 მუხლის პარ. 2-ის ნორმებისა, გამოიყენება ასევე კოოპერატივისა („coöperatie“) და ურთიერთდახმარების დაზღვევის საზოგადოების („onderlinge waarborgmaatschappij“) მიმართაც, რამდენადაც წინამდებარე ტიტულში (ტიტული 2.3) არ არის გათვალისწინებული აღნიშნული ნორმებიდან გადახვევა.

– 2. 2:135 მუხლი შესაბამისად გამოიყენება იმ კოოპერატივის მიმართ, რომელიც წარმოადგენს ბანკს 2:415 მუხლის გაგებით, რომლის მიმართაც არ მოქმედებს ფინანსური ზედამხედველობის შესახებ კანონის 3:111 მუხლის პარ. 1-ში მითითებული გამონაკლისი, და ასევე – იმ ურთიერთდახმარების დაზღვევის საზოგადოების მიმართ, რომელიც წარმოადგენს სადაზღვევო კომპანიას 2:427 მუხლის გაგებით.

მუხლი 2:54 კოოპერატივისა და ურთიერთდახმარების დაზღვევის საზოგადოების შექმნა

– 1. კოოპერატივი („coöperatie“) და ურთიერთდახმარების დაზღვევის საზოგადოება („onderlinge waarborgmaatschappij“) იქმნება სანოტარო აქტში შეტანილი მრავალმხრივი გარიგების დადების გზით.

– 2. კოოპერატივის („coöperatie“) სახელწოდება უნდა შეიცავდეს სიტყვას „კოოპერატივი“ („coöperatief“), ხოლო ურთიერთდახმარების დაზღვევის საზოგადოების („onderlinge waarborgmaatschappij“) სახელწოდება კი, – სიტყვას „ურთიერთდახმარების“ („onderlinge“) ან „ურთიერთმხრივი“ („wederkerige“). იურიდიული პირის სახელწოდება ბოლოში უნდა შეიცავდეს აბრევიატურას W.A., B.A ან U.A. იმ წესების შესაბამისად, რომლებიც 2:56 მუხლში გათვალისწინებულია იურიდიული პირის წევრთა პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით.

მუხლი 2:54a {გაუქმებულია 25. 11. 1988წ.}

მუხლი 2:55 წევრთა და ყოფილ წევრთა პასუხისმგებლობა იურიდიული პირის დეფიციტისათვის

– 1. ის წევრები, რომლებიც წარმოადგენდნენ კოოპერატივის („coöperatie“) წევრებს ამ უკანასკნელის გაუქმების მომენტისათვის ანდა – ამ მომენტამდე არანაკლებ ერთი წლის პერიოდში, პასუხს აგებენ იურიდიული პირის დეფიციტისათვის ამ მიზნით წესდებაში დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად; როდესაც კოოპერატივი („coöperatie“) ან ურთიერთდახმარების დაზღვევის საზოგადოება („onderlinge waarborgmaatschappij“) გაუქმდა მისი გაკოტრების შედეგად მას შემდეგ, როდესაც ის გამოცხადდა გაკოტრებულად, ერთწლიანი ვადა გამოითვლება არა გაუქმების დღიდან, არამედ – გაკოტრებულად გამოცხადების დღიდან. პასუხისმგებლობისათვის წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს ერთ წელზე მეტ ვადასაც.

– 2. როდესაც წესდება არ ითვალისწინებს წევრთა პასუხისმგებლობის განსაზღვრის კრიტერიუმებს, მაშინ თანაბარწილად პასუხისმგებელი უნდა იყოს ყველა წევრი.

– 3. როდესაც თავიანთი პასუხისმგებლობის შესაბამისად ერთი ან მეტი წევრის ან ყოფილი წევრის მხრიდან შეუძლებელია დეფიციტის აღმოფხვრა, მაშინ სხვა წევრები ან ყოფილი წევრები პასუხს აგებენ დეფიციტის დაუფარავ ნაწილში თითოეული თავისი წილი პასუხისმგებლობის პროპორციულად. ეს პასუხისმგებლობა არსებობს იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ლიკვიდატორებმა უარი თქვეს ერთი ან მეტი წევრის ან ყოფილი წევრის მხრიდან დეფიციტის აღმოფხვრის უფლებაზე იმ საფუძვლით, რომ ამ უფლების რეალიზაციის შედეგად სალიკვიდაციო უძრავი ქონება სარგებელს ვერ მიიღებდა. თუ ლიკვიდაციას

(ქონების რეალიზაციას) ზედამხედველობას უწევენ პირები, რომლებსაც ასეთი ზედამხედველობა კანონით დაევალებათ, მაშინ ლიკვიდატორებს შეუძლიათ უარი თქვან ზემოაღნიშნულ დეფიციტის აღმოფხვრის უფლებაზე მხოლოდ ამ პირების ნებართვით.

– 4. პასუხისმგებელმა ერთმა ან მეტმა წევრმა ან ყოფილმა წევრმა დაუყოვნებლივ უნდა დაფაროს სავარაუდო დეფიციტის თავისი წილი, ისევე როგორც – მისი გაზრდილი 50% ანდა ისეთი ნაკლები თანხა, რომელსაც ლიკვიდატორები საკმარისად მიიჩნევენ დეფიციტის აღმოფხვრის ხარჯებისა და იმ პირთა წილების დამატებით გათვალისწინებისათვის, რომელთაც არ შეუძლიათ თავიანთი წილი დეფიციტის დაფარვა.

– 5. წევრი ან ყოფილი წევრი არ არის უფლებამოსილი, გაქვითოს მასზე წინამდებარე მუხლის შესაბამისად დაკისრებული ვალი.

მუხლი 2:56 დეფიციტის აღმოფხვრაში მონაწილეობის ვალდებულების გამორიცხვა ან შეზღუდვა

– 1. წინა მუხლში გათვალისწინებული წესებისაგან განსხვავებით, კოოპერატივს („coöperatie“) ან ურთიერთდახმარების დაზღვევის საზოგადოებას („onderlinge waarborgmaatschappij“) შეუძლია თავისი წესდებით გამორიცხოს ან შეზღუდოს მისი წევრების ან ყოფილი წევრების მიერ იურიდიული პირის დეფიციტის აღმოფხვრაში მონაწილეობის ნებისმიერი ვალდებულება. წევრებს ასეთ გამორიცხვასა თუ შეზღუდვაზე მითითება შეუძლიათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იურიდიულმა პირმა თავის სახელწოდებას ბოლოში დაამატა აბრევიატურა „U.A.“ (პასუხისმგებლობის გამორიცხვა), ან, შესაბამისად, – „B.A.“ (შეზღუდული პასუხისმგებლობა). ის იურიდიული პირი, რომლის მიმართაც პირველი წინადადების ნორმა არ მოქმედებდა, თავის სახელწოდებას ბოლოში ამატებს აბრევიატურას „W.A.“ (კანონისმიერი პასუხისმგებლობა).

– 2. აღნიშნული იურიდიული პირები ვალდებული არიან მიუთითონ და გამოიყენონ თავიანთი სრული სახელწოდება {შესაბამისი აბრევიატურების ჩათვლით}, გარდა დეპუტებისა და სარეკლამო განცხადებებისა.

მუხლი 2:57 სამეთვალყურეო საბჭო

– 1. კოოპერატივის („coöperatie“) ან ურთიერთდახმარების დაზღვევის საზოგადოების („onderlinge waarborgmaatschappij“) წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს სამეთვალყურეო საბჭოს შექმნას. სამეთვალყურეო საბჭო შედგება ერთი ან მეტი ფიზიკური პირისაგან.

– 2. სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია დირექტორთა საბჭოს მართვისა და პოლიტიკის საკითხთან დაკავშირებით ზედამხედველობის განხორციელებაზე და ასევე – იურიდიული პირისა და მისი შვილობილი საწარმოს ფარგლებში არსებულ მოვლენათა ზოგად მიმართულებაზე. ის დირექტორთა საბჭოს უწევს დახმარებასა და აძლევს რეკომენდაციებს. თავისი მოვალეობების განხორციელებისას სამეთვალყურეო საბჭო ხელმძღვანელობს იურიდიული პირისა და მისი შვილობილი საწარმოს ინტერესებით.

– 3. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წესდება სხვაგვარად ითვალისწინებს, სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეაჩეროს საერთო კრების მიერ დანიშნული ნებისმიერი დირექტორის საქმიანობა. საერთო კრებას ნებისმიერ დროს შეუძლია გააუქმოს ასეთი შეჩერება.

– 4. გარდა 2:47 მუხლში მითითებული ვითარებისა, სამეთვალყურეო საბჭო წარმოადგენს იურიდიულ პირს ყველა იმ ვითარებაში, რომელშიც სახეზეა (იურიდიული პირის) ინტერესთა კონფლიქტი ერთ ან მეტ დირექტორთან, რაც არ უკავშირდება (იურიდიული პირის მიერ) ყველა წევრთან თანაბარ გარემოებებში გაფორმებული ხელშეკრულებების დადებისა თუ შეცვლის ფაქტს. თუმცა, წესდება შეიძლება გვერდს უვლიდეს ამ წესს.

– 5. წესდება შეიძლება ადგენდეს დამატებით დებულებებს სამეთვალყურეო საბჭოსა და მისი წევრების მოვალეობებთან და უფლებამოსილებებთან დაკავშირებით.

– 6. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წესდება სხვაგვარად ითვალისწინებს, საერთო კრებას შეუძლია სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს დაუნიშნოს ხელფასი მათ მიერ ასეთი წევრის სახით შესრულებული სამუშაოსათვის.

– 7. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წესდების თანახმად სამეთვალყურეო საბჭოს მინიჭებული აქვს ხმის უფლება, საერთო კრებაზე სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ხმას მათი საქმიანობის ფარგლებში უნდა ჰქონდეთ მხოლოდ და მხოლოდ სარეკომენდაციო მნიშვნელობა.

– 8. დირექტორთა საბჭომ სამეთვალყურეო საბჭოს დროულად უნდა მიაწოდოს ინფორმაცია, რომელიც ამ უკანასკნელს თავისი მოვალეობების განხორციელებისათვის ესაჭიროება.

მუხლი 2:57a სამეთვალყურეო საბჭოს დანიშვნა

– 1. 2:37 მუხლი შესაბამისად გამოიყენება იმ სამეთვალყურეო საბჭოს დანიშვნის მიმართ, რომელიც არ ყოფილა უკვე დანიშნული იურიდიული პირის დაფუძნების სანოტარო აქტით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი ინიშნებიან 2:63f მუხლის შესაბამისად.

– 2. როდესაც კანდიდატი რეკომენდებული ან წარდგენილია სამეთვალყურეო საბჭოს წევრად დანიშვნაზე, მიეთითება მისი ასაკი და პროფესია, ისევე როგორც – თანამდებობები, რომლებსაც ის იკავებს ან იკავებდა, რამდენადაც ეს უკანასკნელები მნიშვნელოვანია სამეთვალყურეო საბჭოს წევრის მიერ მასზე დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად. მიეთითება ასევე ის იურიდიული პირებიც, რომლებშიც ის უკვე წარმოადგენს ზედამხედველ დირექტორს; თუ მათ შორის სახეზეა იურიდიული პირები, რომლებიც იგივე ჯგუფს განეკუთვნება, მაშინ საკმარისია ჯგუფის მითითება. რეკომენდაციისა და წარდგენის საფუძვლები საჭიროებს დასაბუთებას.

მუხლი 2:58 ყოველწლიური ანგარიში და ყოველწლიური ანგარიშგება

– 1. ყოველ წელს საანგარიშო წლის დასრულებამდე ექვსი თვის განმავლობაში – გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კონკრეტული გარემოებების მხედველობაში მიღებით ეს ვადა საერთო კრების მიერ გახანგრძლივდა არაუმეტეს ხუთი თვისა – დირექტორთა საბჭო ადგენს ყოველწლიურ ანგარიშს და ახდენს ამ დოკუმენტების იურიდიული პირის ოფისში განთავსებას წევრების მიერ მისი გაცნობის მიზნით. იმავე ვადის განმავლობაში დირექტორთა საბჭო ასევე ახდენს ყოველწლიურ ანგარიშგებას ამავე წევრების მიერ მისი გაცნობის მიზნით, თუ, რა თქმა უნდა, იურიდიული პირის მიმართ არ გამოიყენება 2:396 მუხლის პარ. 7-ის ან 2:403 მუხლის ნორმები. ყოველწლიური ანგარიში უნდა დაამტკიცოს იმ საერთო კრებამ, რომელიც მოინვევა დირექტორთა საბჭოს მიერ წინა წინადადებაში მითითებული ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა. ყოველწლიური ანგარიშის დამტკიცება თავისთავად არ გულისხმობს დირექტორების ან ზედამხედველი დირექტორების პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას.

– 2. ყოველწლიურ ანგარიშს ხელს აწერენ დირექტორები და ზედამხედველი დირექტორები; როდესაც სახეზე არ არის ერთი ან მეტი ხელმოწერა, მაშინ ამის თაობაზე უნდა მოხდეს შესაბამისი შეტყობინების წარდგენა მიზნების მითითებით.

– 3. იურიდიული პირი უზრუნველყოფს იმას, რომ მის მიერ შედგენილი ყოველწლიური ანგარიში, ყოველწლიური ანგარიშგება და 2:392 მუხლის პარ. 1-ის შესაბამისად დასამატებელი ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყოს კავშირის ოფისში იმ დღიდან, როდესაც ხდება ყოველწლიური ანგარიშის მიღების მიზნით ჩასატარებელი საერთო კრების მოწვევის შესახებ შეტყობინების გაგზავნა. იურიდიული პირის წევრებს შეუძლიათ იქვე გაეცნონ აღნიშნულ დოკუმენტებს და უსასყიდლოდ მიიღონ მათი ასლი.

– 4. სანესდებო რეზერვებში არსებული დეფიციტის აღმოფხვრა დასაშვებია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს ნებადართულია კანონით.

– 5. განსაკუთრებული მიზეზების არსებობისას, მოთხოვნის საფუძველზე, ეკონომიკის საქმეთა მინისტრს შეუძლია გაათავისუფლოს კავშირის შესაბამისი ორგანოები ყოველწლიური ანგარიშის შედგენის, წარდგენისა და დამტკიცების ვალდებულებისაგან.

მუხლი 2:59 წევრებთან დადებულ ხელშეკრულებებში ცვლილებების შეტანა

– 1. დაუშვებელია კოოპერატივის („coöperatie“) ან ურთიერთდახმარების დაზღვევის საზოგადოების („onderlinge waarborgmaatschappij“) ერთ-ერთი ორგანოს გადაწყვეტილებით იმ ხელშეკრულებებში ნებისმიერი ცვლილების შეტანა, რომლებიც კოოპერატივმა („coöperatie“) ან ურთიერთდახმარების დაზღვევის საზოგადოებამ („onderlinge waarborgmaatschappij“) თავისი საქმიანობის ფარგლებში დადო საკუთარ წევრებთან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კოოპერატივმა („coöperatie“) ან ურთიერთდახმარების დაზღვევის საზოგადოებამ („onderlinge waarborgmaatschappij“) დაიტოვა პირდაპირ ეს უფლებამოსილება თავად შესაცვლელ ხელშეკრულებაში. აღნიშნული მიზნით შესაცვლელ ხელშეკრულებაში მითითება იურიდიული პირის წესდებაზე, შინაგანანესზე (შიდა ნორმატიულ აქტებზე), სტანდარტულ პირობებსა თუ ანალოგიურ დოკუმენტებზე საკმარისი არ არის.

– 2. წინა პარაგრაფის შესაბამისად განხორციელებულ ცვლილებაზე მითითება კოოპერატივის („coöperatie“) ან ურთიერთდახმარების დაზღვევის საზოგადოებას („onderlinge waarborgmaatschappij“) შეუძლია მხოლოდ იმ წევრის მიმართ, ვინც წერილობით არის ინფორმირებული ამ ცვლილების შესახებ.

მუხლი 2:60 წევრობიდან გადადგომის პირობები

თავისი წესდებით კოოპერატივის („coöperatie“) წევრობიდან გადადგომა შეუძლია დამოკიდებული

გახადოს განსაზღვრულ პირობებზე იმ შემთხვევაში, თუ ეს პირობები შესაბამისობაშია კოოპერატივის („coöperatie“) მიზანთან და დანიშნულებასთან, და – თუ წევრობიდან გადადგომის შესაძლებლობა შენარჩუნებულია. იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც ასეთი პირობა სცილდება დასაშვებ ზღვარს, მას სამართლებრივი ძალა არა აქვს.

მუხლი 2:61 კოოპერატივის მიმართ მოქმედი სპეციალური ნორმები

როდესაც კოოპერატივის („coöperatie“) წესდება სრულად არ გამოორიცხავს მისი წევრებისა და ყოფილი წევრების მიერ დეფიციტის აღმოფხვრაში მონაწილეობის ნებისმიერ ვალდებულებას, ამ კოოპერატივის („coöperatie“) მიმართ მოქმედებს ასევე წინამდებარე მუხლში ქვემოთ მოცემული შემდეგი ნორმები:

a. წევრობის განცხადება უნდა გაფორმდეს წერილობით. განმცხადებელს წერილობითი ფორმით ატყობინებენ წევრად მიღების ან მასზე უარის შესახებ. როდესაც განმცხადებელი წევრად მიიღება, მას უნდა აცნობონ ასევე ის ნომერიც, რომლითაც ის აღირიცხება კოოპერატივის („coöperatie“) წევრად. მიუხედავად აღნიშნულისა, წევრად მიღების ფაქტის მტკიცებისათვის არ არის აუცილებელი წერილობითი განცხადებისა და წერილობითი ანგარიშის წარდგენა, როგორც ეს მითითებულია წინა წინადადებაში.

b. დოკუმენტები, რომლითაც ხდება წევრობის მოთხოვნა, ინახება დირექტორთა საბჭოს მიერ არანაკლებ ათი წლის ვადის განმავლობაში. თუმცა, ამ დოკუმენტების შენახვა სავალდებულო არ არის იმდენად, რამდენადაც საქმე ეხება იმ წევრებს, რომელთა წევრობა შეიძლება ჩანდეს კოოპერატივის („coöperatie“) რეესტრის ჩანაწერებში არსებული დათარიღებული განცხადებიდან, რომელიც ხელმოწერილია თავად შესაბამისი წევრების მიერ.

c. წევრობის გაუქმება შეიძლება მოხდეს მხოლოდ ცალკე შედგენილი წერილობითი დოკუმენტით ან კოოპერატივის („coöperatie“) რეესტრის ჩანაწერებში არსებული დათარიღებული განცხადებით, რომელიც ხელმოწერილია თავად შესაბამისი წევრის მიერ. ის წევრი, რომელმაც გააუქმა თავისი წევრობა, დირექტორთა საბჭოსგან იღებს ამის შესახებ წერილობით დასტურს. თუ წერილობით დასტური არ გაიცემა თოთხმეტი დღის ვადაში, წევრს უფლება აქვს, კვლავ გააუქმოს თავისი წევრობა აღმასრულებლის მომართვის საფუძველზე და ამ მომსახურებაზე განუხილავ ხარჯების ანაზღაურება დააკისროს კოოპერატივის („coöperatie“).

d. დირექტორთა საბჭოს მიერ დამონმებული წევრთა სიის ასლი უნდა განთავსდეს სავაჭრო რეესტრის (სავაჭრო პალატის) ოფისში ამ რეესტრში კოოპერატივის („coöperatie“) რეგისტრაციის შემთხვევასთან დაკავშირებით. ყოველი საანგარიშო წლის დასრულებიდან ერთი თვის განმავლობაში იმ ცვლილებათა შესახებ ანგარიშგება, რომლებიც მითითებულია წევრთა სიაში საანგარიშო წლის განმავლობაში, დირექტორთა საბჭოს მიერ ემატება იმ წევრთა სიას, რომელიც უკვე განთავსდა სავაჭრო რეესტრის ოფისში; როდესაც სავაჭრო პალატა ამას ითხოვს, ოფისში უნდა განთავსდეს წევრთა ახალი სია.

მუხლი 2:62 ურთიერთდახმარების დაზღვევის საზოგადოების მიმართ მოქმედი სპეციალური ნორმები

წინამდებარე მუხლში ქვემოთ მოცემული შემდეგი ნორმები მოქმედებს უშუალოდ ურთიერთდახმარების დაზღვევის საზოგადოების („onderlinge waarborgmaatschappij“) მიმართ:

a. პირი, რომელსაც, როგორც პოლისის მფლობელს, აქვს მოქმედი დაზღვევის ხელშეკრულება ურთიერთდახმარების დაზღვევის საზოგადოებასთან („onderlinge waarborgmaatschappij“), კანონის ძალით ასევე წარმოადგენს ურთიერთდახმარების დაზღვევის საზოგადოების („onderlinge waarborgmaatschappij“) წევრსაც. შესაძლებელია აღნიშნული ნორმიდან გადახვევა, თუ ურთიერთდახმარების დაზღვევის საზოგადოების („onderlinge waarborgmaatschappij“) წესდების თანახმად ნებადართულია იმ პოლისის მფლობელების დაზღვევა, რომლებიც არ წარმოადგენენ წევრებს.

b. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წესდება სხვაგვარად ითვალისწინებს, დაზღვევის ხელშეკრულებიდან გამომდინარე არსებული წევრობა შენარჩუნდება მანამდე, სანამ არ შეწყდება ამ წევრის მიერ ურთიერთდახმარების დაზღვევის საზოგადოებასთან („onderlinge waarborgmaatschappij“) დადებული ყველა დაზღვევის ხელშეკრულება. როდესაც ასეთი დაზღვევის ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებები და ვალდებულებები გადაეცემა სხვა პირს ან გადადის მასზე, მაშინ იმდენად, რამდენადაც ეს წარმოადგენს აღნიშნული ხელშეკრულების შედეგს, წევრობა ასევე გადადის ამ სხვა პირზე, გარდა წესდებაში მოცემული საწინააღმდეგო ნორმების მოქმედების შემთხვევებისა.

c. თუ ურთიერთდახმარების დაზღვევის საზოგადოების („onderlinge waarborgmaatschappij“) უზრუნველყოფილი კაპიტალი დაყოფილია აქციებად, მაშინ შესაბამისად გამოიყენება 2:79 მუხლიდან 2:89 მუხლის ჩათვლით, 2:90 მუხლიდან 2:92 მუხლის ჩათვლით, 2:95 მუხლის, 2:96 მუხლის პარ. 1-ის, 2:98 მუხლის პარ. 1 და 6-სა და 2:98c მუხლის პარ. 1 და 2-ის ნორმები.

მუხლი 2:63 ტერმინების „კოოპერატივი“, „ურთიერთდახმარების“ და „ურთიერთმხრივი“ ბოროტად გამოყენების აკრძალვა

– 1. იმ ფიზიკური ან იმ იურიდიული პირებისათვის, რომლებიც არ წარმოადგენენ კოოპერატივს („coöperatie“) ან ურთიერთდახმარების დაზღვევის საზოგადოებას („onderlinge waarborgmaatschappij“), იკრძალება ბიზნესის წარმოება ტერმინების „კოოპერატივი“ („coöperatief“), „ურთიერთდახმარების“ („onderlinge“) ან „ურთიერთმხრივი“ („wederkerig“) გამოყენებით.

– 2. აღნიშნული აკრძალვის დარღვევის შემთხვევაში, ნებისმიერ კოოპერატივს („coöperatie“) ან ურთიერთდახმარების დაზღვევის საზოგადოებას („onderlinge waarborgmaatschappij“) შეუძლია დამრღვევისაგან სასამართლო წესით მოითხოვოს ამ უკანასკნელის მიერ თავისი ბიზნესის წარმოებისას აკრძალული ტერმინების გამოყენებისაგან თავის შეკავება დარღვევის ყოველი ფაქტისათვის სასამართლოს მიერ განსაზღვრული პირგასამტეხლოს თანხის გადახდის სანქციით.

განყოფილება 2.3.2 (გამოტოვებულია წინამდებარე გამოცემაში როგორც არააქტუალური)

ტიტული 2.4 – ღია კორპორაციები (საჯარო შეზღუდული კომპანიები)

განყოფილება 2.4.1 – ზოგადი დებულებები

მუხლი 2:64 „ღია კორპორაციის“ განმარტება; კორპორაციის შექმნა

– 1. ღია კორპორაცია („naamloze vennootschap“) წარმოადგენს გასხვისებადი აქციებისაგან შემდგარ ნებადართული კაპიტალის მქონე იურიდიულ პირს. აქციონერი არ არის პირადად პასუხისმგებელი იმაზე, რაც განხორციელდა კორპორაციის სახელით და მას არ ევალება კორპორაციის ვალების დაფარვაში მონაწილეობა იმაზე მეტი მოცულობით, რაც მან გადაიხადა აქციებში ან მას ჯერ კიდევ აქვს გადასახდელი საკუთარი აქციების შესაძენად. სულ ცოტა, ერთ აქციას უნდა ფლობდეს სხვა პირი, ნაცვლად კორპორაციისა თუ მისი შვილობილი საწარმოებისა და ასევე – ნაცვლად მათ ხარჯზე ფლობისა.

– 2. კორპორაცია იქმნება (დაფუძნება ხდება) ერთი ან მეტი პირის მიერ სანოტარო აქტის მეშვეობით. დაფუძნების სანოტარო აქტს ხელს აწერს თითოეული დამფუძნებელი და ასევე – ყოველი ის პირი, ვინც აღნიშნული სანოტარო აქტის შესაბამისად იღებს ერთ ან მეტ აქციას.

– 3. დაფუძნების სანოტარო აქტი უნდა შედგეს სამი თვის განმავლობაში მას შემდეგ, როდესაც იუსტიციის მინისტრი გააკეთებს განცხადებას პრეტენზიის არქონის შესახებ სამთვიანი ვადის დაუცველობის შემთხვევაში ამ განცხადების გაუქმების სანქციის პირობით. განსაკუთრებული მიზეზების არსებობისას, ნებისმიერი დაინტერესებული მხარის მოთხოვნის საფუძველზე იუსტიციის მინისტრს შეუძლია გაახანგრძლივოს ეს ვადა მაქსიმუმ სამი თვით.

მუხლი 2:65 ჰოლანდიური ენა; წერილობითი რწმუნებულება

ღია კორპორაციის („naamloze vennootschap“) დაფუძნების სანოტარო აქტი დგება ჰოლანდიურ ენაზე. სანოტარო აქტის შესრულებასთან დაკავშირებით რწმუნებულება (მინდობილობა) უნდა გაცივს წერილობითი ფორმით.

მუხლი 2:66 დაფუძნების აქტის შინაარსი

– 1. დაფუძნების სანოტარო აქტი უნდა შეიცავდეს ღია კორპორაციის („naamloze vennootschap“) წესდებას. წესდება შეიცავს ღია კორპორაციის („naamloze vennootschap“) სახელწოდებას, ადგილსამყოფელსა და მიზანს.

– 2. სახელწოდება იწყება ან მთავრდება სიტყვებით „Naamloze Vennootschap“ (სიტყვასიტყვითი გაგებით: „უსახელო კორპორაცია“), რომელიც იწერება სრულად ან შემდეგი აბრევიატურის სახით „N.V.“.

– 3. ადგილსამყოფელი უნდა მდებარეობდეს ნიდერლანდებში.

მუხლი 2:67 წესდების შინაარსი

– 1. წესდება განსაზღვრავს ნებადართული სააქციო კაპიტალის ოდენობას და ასევე აქციების რაოდენ-

ნობასა და თანხას ევროში არაუმეტეს ორნიშნის რიცხვისა. როდესაც სახეზეა სხვადასხვა ტიპის (კლასის) აქციები, მაშინ წესდება განსაზღვრავს თითოეული ტიპის (კლასის) აქციის რაოდენობასა და თანხას. დაფუძნების სანოტარო აქტი ასევე განსაზღვრავს გამოშვებული სააქციო კაპიტალისა და მისი გადახდილი ნაწილის ოდენობას. როდესაც სახეზეა სხვადასხვა ტიპის (კლასის) აქციები, მაშინ გამოშვებული სააქციო კაპიტალისა და მისი გადახდილი ნაწილის ოდენობა განისაზღვრება თითოეული ტიპის (კლასის) აქციისათვის. გარდა აღნიშნულისა, დაფუძნების სანოტარო აქტი ყველა იმ პირისათვის, რომლებმაც მიიღეს აქციები კორპორაციის შექმნისას (დაფუძნებისას), განსაზღვრავს 2:86 მუხლის პარ. 2-ის (b) და (c) პუნქტებში მითითებულ მონაცემებს, მათ შორის, – მის მიერ მიღებული აქციების რაოდენობასა და ტიპს (კლასს) და ასევე ამ აქციებში მის მიერ გადახდილი თანხის ოდენობას.

– 2. ნებადართული და გამოშვებული სააქციო კაპიტალი, სულ ცოტა, უნდა შეადგენდეს მინიმალურ ოდენობას. კაპიტალის მინიმალური ოდენობა შეადგენს ორმოცდახუთი ათას ევროს. ეს თანხა იზრდება მეფის სამთავრობო ბრძანებით იმ შემთხვევაში, თუ ევროპული თანამეგობრობის სამართალი ადგენს გამოშვებული სააქციო კაპიტალის გაზრდას. იმ ღია კორპორაციებისათვის, რომლებიც არსებობს კაპიტალის აღნიშნული გაზრდის ძალაში შესვლის დღემდე, ასეთი ზრდა ძალაში შევა მხოლოდ ამ დღიდან თვრამეტი თვის გასვლის შემდეგ.

– 3. გამოშვებული სააქციო კაპიტალის გადახდილი (გამოცხადებული) ნაწილი უნდა შეადგენდეს, სულ ცოტა, ორმოცდახუთი ათას ევროს.

– 4. ნებადართული სააქციო კაპიტალის, სულ ცოტა, ერთი მეხუთედი მაინც უნდა იყოს გამოშვებული.

– 5. იმ ღია კორპორაციას („naamloze vennootschap“), რომელიც შეიქმნა 2002 წლის 1 იანვრამდე, შეუძლია განსაზღვრავდეს თავისი ნებადართული სააქციო კაპიტალის ოდენობასა და აქციების რაოდენობას გულდენებში თანხების ორნიშნის რიცხვამდე დამრგვალებით.

მუხლი 2:67a თანხების კონვერტაცია ევროში

– 1. თუ ღია კორპორაცია („naamloze vennootschap“), რომლის წესდებაც განსაზღვრავს ნებადართული სააქციო კაპიტალის ოდენობასა და აქციების რაოდენობას გულდენებში, ახდენს ამ თანხების კონვერტაციას ევროში, მაშინ ნებადართული სააქციო კაპიტალისა და მისი გადახდილი ნაწილის ოდენობა გამოითვლება საბოლოოდ ფიქსირებული კონვერტირებული ფასის შესაბამისად, როგორც ეს მითითებულია ევროპული კავშირის შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულების 109L მუხლის პარ. 4-ში, რაც მრგვალდება ორნიშნის რიცხვებამდე. ყოველი აქციის ევროში დამრგვალებული თანხა შეიძლება იყოს მაქსიმუმ 15%-ით მეტი ან ნაკლები გულდენებში თავდაპირველ ნომინალურ თანხასთან შედარებით. აქციათა თანხის სრული ოდენობა ევროში, როგორც ეს აღნიშნულია 2:67 მუხლში, უნდა წარმოადგენდეს ნებადართულ სააქციო კაპიტალს. გამოშვებული აქციების თანხისა და მისი გადახდილი ნაწილის ჯამი ევროში უნდა შეადგენდეს გამოშვებული კაპიტალისა და გადახდილი სააქციო კაპიტალის ოდენობას ევროში. სანოტარო აქტი განსაზღვრავს ევროში გამოშვებული კაპიტალისა და მისი გადახდილი ნაწილის ოდენობას.

– 2. როდესაც პარ. 1-ში მითითებული კონვერტაციის შემდეგ გამოშვებული აქციების თანხების ჯამი აღემატება საბოლოოდ ფიქსირებული კონვერტაციის ფასით დადგენილ თანხებს, როგორც ეს მითითებულია ევროპული კავშირის შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულების 109L მუხლის პარ. 4-ში, მაშინ სხვაობის ანაზღაურება მოხდება გასანაწილებელი რეზერვებიდან ანდა 2:389 ან 2:390 მუხლებში მითითებული რეზერვებიდან. თუ ეს რეზერვები საკმარისი არ არის, მაშინ კორპორაციამ უნდა შექმნას ნეგატიური რეზერვი სხვაობის იმ თანხის ოდენობით, რომელიც ვერ ანაზღაურდებოდა გასანაწილებელი და ხელშეუხებელი რეზერვებიდან. მანამდე, სანამ სხვაობა არ ჩამოინერება გაუნაწილებელი მოგებიდან ან მომავალში შესაქმნელი რეზერვებიდან, კორპორაციას არ მიეცემა მოგების განაწილების უფლება, როგორც ეს მითითებულია 2:105 მუხლში. წინამდებარე პარაგრაფის ნორმათა მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში, აქციების თანხები მიიჩნევა სრულად გადახდილად.

– 3. როდესაც პარ. 1-ში მითითებული კონვერტაციის შემდეგ გამოშვებული აქციების თანხების ჯამი ნაკლებია საბოლოოდ ფიქსირებული კონვერტაციის ფასით დადგენილ თანხებზე, როგორც ეს მითითებულია ევროპული კავშირის შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულების 109L მუხლის პარ. 4-ში, მაშინ კორპორაციამ სხვაობის ოდენობით უნდა შეინარჩუნოს ხელშეუხებელი რეზერვი. 2:99 მუხლი არ გამოიყენება.

მუხლი 2:67b 2:67a მუხლით გათვალისწინებული წესისაგან განსხვავებით აქციების თანხის ოდენობის ცვლილება

თუ კორპორაცია ცვლის აქციების თანხას 2:67a მუხლით გათვალისწინებულისაგან განსხვავებული წესით, მაშინ ასეთი ცვლილება ითხოვს იმ აქციონერთა ყოველი ჯგუფის თანხმობას, რომელთა უფლე-

ბებიც ამის შედეგად ილახება. როდესაც აღნიშნული ცვლილება შედეგად ინვეს ფულადი თანხებისა თუ სავალო მოთხოვნების მიღებას, მაშინ ამ უკანასკნელთა საერთო ჯამი არ უნდა აღემატებოდეს აქციათა შეცვლილი ნომინალური ღირებულების ერთ მეათედს.

მუხლი 2:67c დენომინაცია გულდენებში და ეკვივალენტური თანხის გამოყენება ევროში

- 1. ღია კორპორაციას („naamloze vennootschap“), რომლის წესდებაც განსაზღვრავს ნებადართული სააქციო კაპიტალის ოდენობასა და აქციების რაოდენობას გულდენებში, სხვა პირებთან თავის კონტაქტებში შეუძლია გამოიყენოს ეკვივალენტური თანხა ევროში თანხების ორნიშნის რიცხვამდე დამრგვალებით იმ პირობით, რომ ამ დროს ის მოახდენს წინამდებარე მუხლში მითითებას. ასეთი ეკვივალენტის გამოყენებას სამართლებრივი შედეგი არა აქვს.

- 2. როდესაც ღია კორპორაციას („naamloze vennootschap“), რომლის წესდებაც განსაზღვრავს ნებადართული სააქციო კაპიტალის ოდენობასა და აქციების რაოდენობას გულდენებში, 2002 წლის 1 იანვრის შემდეგ ცვლილება შეაქვს აღნიშნული წესდების იმ ერთ ან რამდენიმე დებულებაში, რომლებშიც თანხები გამოსატულია გულდენებში, – წესდებაში აღნიშნული ყველა თანხა უნდა იქნეს კონვერტირებული ევროში. ასეთ შემთხვევაში გამოიყენება 2:67a და 2:67b მუხლები.

მუხლი 2:68 {გაუქმებულია 01.07.2011წ.}

მუხლი 2:69 სავაჭრო რეესტრში რეგისტრაცია

- 1. დირექტორებს ევალებათ ღია კორპორაციის („naamloze vennootschap“) რეგისტრაცია სავაჭრო რეესტრში და მათ ამ რეგისტრატორის (სავაჭრო პალატის) ოფისში შესანახად უნდა განათავსონ დაფუძნების სანოტარო აქტისა და ასევე 2:93a, 2:94 და 2:94a მუხლების შესაბამისად თანდართული დოკუმენტების ავთენტური ამონარიდი, ისევე როგორც – 2:94a მუხლის პარ. 4-ის ბოლო წინადადების შესაბამისად შედგენილი დოკუმენტის ასლი. ერთდროულად მათ სავაჭრო რეესტრის მწარმოებელს სარეგისტრაციოდ უნდა შეატყობინონ კორპორაციის შექმნასთან (დაფუძნებასთან) დაკავშირებით განეული ან გასაწევი ყველა რეალური და სავარაუდო ხარჯების საერთო ოდენობა.

- 2. დირექტორები ღია კორპორაციასთან („naamloze vennootschap“) ერთად სოლიდარულად აგებენ პასუხს მათი დირექტორად მუშაობის პერიოდში დადებული ნებისმიერი გარიგებისათვის, რომლითაც კორპორაციამ იკისრა შესაბამისი ვალდებულებები იმ მომენტამდე პერიოდში, როდესაც:

a. ოფისში შესანახად განსათავსებელ ამონაწერებსა და ასლებთან ერთად, თავდაპირველი რეგისტრაციის მიზნით სავაჭრო რეესტრში წარდგენილ იქნა შესაბამისი განცხადება;

b. გადახდილი საწესდებო კაპიტალის თანხა შეადგენს, სულ ცოტა, ღია კორპორაციის („naamloze vennootschap“) შექმნისათვის (დაფუძნებისათვის) საჭირო მინიმალურ კაპიტალს, და;

c. გადახდილია კორპორაციის შექმნის (დაფუძნების) მომენტში გამოშვებული სააქციო კაპიტალის ნომინალური ღირებულების, სულ ცოტა, ერთი მეოთხედი.

- 3. პარ. 3-ის (b) და (c) პუნქტებში მითითებული პასუხისმგებლობა არ დგება იმ შემთხვევაში, თუ გამოიყენება 2:94a მუხლის პარ. 4-ის ბოლო წინადადება და 2:67 მუხლის პარ. 3-სა და 2:80 მუხლის პარ. 1-ის შესაბამისად სავალდებულო გადახდები კორპორაციის სახელით განხორციელდა დაუყოვნებლივ ბუღალტრის მონაშობის (აუდიტორის ანგარიშის) გაცემის შემდეგ.

მუხლი 2:70 {გაუქმებულია 01.01.1992წ.}

მუხლი 2:71 ღია კორპორაციის სხვა ტიპის იურიდიულ პირად გარდაქმნა

- 1. როდესაც ღია კორპორაცია („naamloze vennootschap“) 2:18 მუხლის საფუძველზე გარდაიქმნება კავშირად („vereniging“), კოოპერატივად („coöperatie“) ან ურთიერთდახმარების დაზღვევის საზოგადოებად („onderlinge waarborgmaatschappij“), ყოველი აქციონერი უნდა გახდეს წევრი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამ აქციონერმა მოითხოვა პარ. 2-ში მითითებული კომპენსაცია.

- 2. 2:100 მუხლი გამოიყენება ღია კორპორაციის („naamloze vennootschap“) გარდაქმნის გადაწყვეტილების მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ღია კორპორაცია („naamloze vennootschap“) გარდაიქმნება დახურულ კორპორაციად („besloten vennootschap“). აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ნებისმიერ აქციონერს, რომელიც არ დაეთანხმა ამ გადაწყვეტილებას, შეუძლია კორპორაციისაგან მოითხოვოს კომპენსაცია თავისი აქციების დაკარგვისათვის. შეტყობინების გაგზავნა ხდება იგივე წესით, როგორც საერთო კრების მოწვევის შესახებ შეტყობინებისა.

– 3. თუ შეთანხმება ვერ მიიღწევა, კომპენსაციის ოდენობის დადგენა უნდა მოხდეს ერთი ან რამდენიმე ექსპერტის მიერ, რომლებიც ნებისმიერი მხარის მოთხოვნის საფუძველზე ინიშნებიან რაიონული სასამართლოს მიერ გარდაქმნისათვის სასამართლოს ნებართვის მოთხოვნის მომენტში ანდა – ამავე სასამართლოს დროებითი სამართლებრივი დაცვის საშუალების მიმღები მოსამართლის მიერ. გამოიყენება 2:351 და 2:352 მუხლები.

მუხლი 2:72 სხვა ტიპის იურიდიული პირის ღია კორპორაციად გარდაქმნა

– 1. როდესაც დახურული კორპორაცია („besloten vennootschap“) 2:18 მუხლის საფუძველზე გარდაიქმნება ღია კორპორაციად („naamloze vennootschap“), მაშინ 2:393 მუხლის პარ. 1-ში მითითებული ბუღალტრის მონმობა (აუდიტორის ანგარიში) უნდა დაერთოს გარდაქმნის სანოტარო აქტს, რომლის ტექსტიდან ჩანს, რომ კორპორაციის საკუთარი კაპიტალი (მთლიან აქტივებს გამოკლებული ვალდებულებები) გარდაქმნამდე ხუთი თვის განმავლობაში განსაზღვრულ დღეს ნებისმიერ შემთხვევაში შეესაბამებოდა გადახდილ და შესრულებულ სააქციო კაპიტალს.

– 2. როდესაც სხვა იურიდიული პირი, ნაცვლად დახურული კორპორაციისა („besloten vennootschap“), 2:18 მუხლის საფუძველზე გარდაიქმნება ღია კორპორაციად („naamloze vennootschap“), მაშინ გარდაქმნის სანოტარო აქტს უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტები:

a. 2:393 მუხლის პარ. 1-ში მითითებული ბუღალტრის მონმობა (აუდიტორის ანგარიში), რომელშიც მითითებულია, რომ კორპორაციის საკუთარი კაპიტალი (მთლიან აქტივებს გამოკლებული ვალდებულებები) გარდაქმნამდე ხუთი თვის განმავლობაში განსაზღვრულ დღეს ნებისმიერ შემთხვევაში უტოლდება გამოშვებული სააქციო კაპიტალის გადახდილი ნაწილის თანხას, როგორც ეს განსაზღვრულია გარდაქმნის სანოტარო აქტში; იმის ღირებულება, რაც გადაიხდება აქციების შექენაზე აღნიშნული დღის შემდგომ არაუგვიანეს გარდაქმნიდან პირველივე დღემდე პერიოდში, შეიძლება დაემატოს კორპორაციის საკუთარ კაპიტალს (მთლიან აქტივებს გამოკლებული ვალდებულებები).

b. თუ იურიდიულ პირს ჰყავს წევრები: თითოეული იმ წევრის წერილობითი თანხმობა, რომელთა აქციების თანხების გადახდა სრულად არ ხდება ამ იურიდიული პირის რეზერვების გარდაქმნის გზით;

c. თუ ადგილი აქვს ფონდის გარდაქმნას: სასამართლოს მხრიდან აუცილებელი ნებართვა.

– 3. როდესაც კავშირი („vereniging“), კოოპერატივი („coöperatie“) ან ურთიერთდახმარების დაზღვევის საზოგადოება („onderlinge waarborgmaatschappij“) 2:18 მუხლის საფუძველზე გარდაიქმნება ღია კორპორაციად („naamloze vennootschap“), თითოეული წევრი უნდა გახდეს აქციონერი. გარდაქმნა ვერ განხორციელდება მანადე, სანამ წევრს შეუძლია თავისი წევრობის გაუქმება 2:36 მუხლის პარ. 4-ის ნორმების საფუძველზე.

მუხლი 2:73 {გაუქმებულია 01.09.1994წ.}

მუხლი 2:74 ღია კორპორაციის გაუქმება

– 1. პროკურატურის მოთხოვნის საფუძველზე რაიონულმა სასამართლომ უნდა გააუქმოს ღია კორპორაცია („naamloze vennootschap“), როდესაც ამ უკანასკნელს აღარ შეუძლია თავისი მიზნების განხორციელება აქტივების არარსებობის გამო, და ასევე რაიონულ სასამართლოს შეუძლია გააუქმოს ღია კორპორაცია („naamloze vennootschap“) იმ შემთხვევაში, როდესაც ამ უკანასკნელმა შეწყვიტა თავისი ისეთი საქმიანობის განხორციელება, რომლითაც ის ცდილობდა თავისი მიზნების რეალიზაციას. პროკურატურა ატყობინებს სავაჭრო პალატას თავისი განზრახვის შესახებ, წარადგინოს აღნიშნული კორპორაციის გაუქმების მოთხოვნა.

– 2. რაიონულმა სასამართლომ უნდა გააუქმოს ღია კორპორაცია („naamloze vennootschap“) პროკურატურის მოთხოვნის საფუძველზე, თუ კორპორაციის გამოშვებული სააქციო კაპიტალი ან მისი გადახდილი ნაწილი მინიმალურ საჭირო კაპიტალის ოდენობაზე ნაკლებია.

– 3. გაუქმების დადგენამდე რაიონულ სასამართლოს შეუძლია მისცეს კორპორაციას შესაძლებლობა, აღმოფხვრას (გამოასწოროს) სამართლებრივი ხარვეზები ანდა გარდაიქმნას დახურულ კორპორაციად („besloten vennootschap“); ორივე ეს ქმედება უნდა განხორციელდეს სასამართლოს მიერ განსაზღვრული ვადის განმავლობაში.

მუხლი 2:75 სახელწოდებისა და დომიცილის მითითება; გამოშვებული სააქციო კაპიტალისა და მისი გადახდილი ნაწილის მითითება

– 1. ღია კორპორაციის („naamloze vennootschap“) სრული სახელწოდება და მისი დომიცილი (მისამართი) ნათლად უნდა ჩანდეს კორპორაციის მიერ გამოშვებული ყველა წერილობითი დოკუმენტიდან, და-

ბეჭდილი დოკუმენტებიდან და განცხადებებიდან ანდა – იმ დოკუმენტებში, რომლებშიც კორპორაცია გვევლინება როგორც მოქმედებისა თუ მოვლენის მხარე, გარდა დებუებისა და სარეკლამო განცხადებების შემთხვევებისა.

– 2. თუ ღია კორპორაცია („naamloze vennootschap“) ახდენს მითითებას თავის (ნებადართულ) სააქციო კაპიტალზე, მაშინ ნებისმიერ შემთხვევაში ის უნდა უთითებდეს გამოშვებული სააქციო კაპიტალის ნომინალურ ოდენობასა და ასევე – იმაზე, თუ რა ოდენობით იქნა ეს სააქციო კაპიტალი გადახდილი.

მუხლი 2:76 {გაუქმებულია 25.11.1988წ.}

მუხლი 2:76a „ცვალებადი კაპიტალით საინვესტიციო კომპანიის“ ცნება

– 1. „ცვალებადი კაპიტალით საინვესტიციო კომპანია“ გულისხმობს ღია კორპორაციას („naamloze vennootschap“):

a. რომელსაც აქვს ექსკლუზიური მიზანი, მოახდინოს თავისი კაპიტალის ინვესტირება ისე, რომ შესაბამისი რისკები იყოს განაწილებული იმისათვის, რომ კომპანიის აქციონერებს მიეცეთ ინვესტიციებიდან მიღებულ მოგებაში მონაწილეობის შესაძლებლობა;

b. რომლის დირექტორთა საბჭო წესდების საფუძველზე უფლებამოსილია კორპორაციის კაპიტალში აქციების გამოშვებაზე, შექმნასა და განკარგვაზე;

c. რომლისათვისაც ფინანსური ზედამხედველობის შესახებ კანონის საფუძველზე ლიცენზია ანდა მისი აქციების გამოშვებისათვის მეთვალყურეობის ქვეშ განთავსების განცხადება გაიცა მმართველ კომპანიაზე, და;

d. რომლის წესდებაც ადგენს, რომ კორპორაცია წარმოადგენს საინვესტიციო კომპანიას ცვალებადი კაპიტალით.

– 2. კორპორაცია ატყობინებს სავაჭრო რეესტრის მწარმოებელს (სავაჭრო პალატას) და ასევე ნიდერლანდების საფინანსო ბაზრების უწყებას (AFM) იმის თაობაზე, რომ ის წარმოადგენს „საინვესტიციო კომპანიას ცვალებადი კაპიტალით“. ეს უკანასკნელი სიტყვები უნდა იქნეს ნათლად გამოყენებული ცვალებადი კაპიტალით საინვესტიციო კომპანიის მიერ გამოშვებულ ყველა წერილობით დოკუმენტში, დაბეჭდილ დოკუმენტსა და განცხადებებში ანდა – იმ დოკუმენტებში, რომლებშიც კომპანია გვევლინება როგორც მოქმედებისა თუ მოვლენის მხარე, გარდა დებუებისა და სარეკლამო განცხადებების შემთხვევებისა.

მუხლი 2:77 {გაუქმებულია 01.01.2014წ.}

მუხლი 2:78 „ნებადართული სააქციო კაპიტალის გამოშვებული ნაწილი“

როდესაც წესდება უთითებს იმ რაოდენობის აქციათა მფლობელებზე, რომლებიც ერთობლივად ქმნიან კორპორაციის ნებადართული სააქციო კაპიტალის განსაზღვრულ ნაწილს, მაშინ „კაპიტალის“ ცნების ქვეშ მოიაზრება ნებადართული სააქციო კაპიტალის გამოშვებული ნაწილი, თუ წესდებიდან სანი-ნაალმდეგო წესი არ გამომდინარეობს.

მუხლი 2:78a „კორპორაციის ორგანო“

2:87, 2:96, 2:96a მუხლების, 2:101 მუხლის პარ. 6-სა და 2:129 მუხლის ნორმათა მიზნისათვის, „კორპორაციის ორგანო“ ცნების ქვეშ მოიაზრება საერთო კრება, კონკრეტული ტიპის (კლასის) აქციათა მფლობელების კრება, დირექტორთა საბჭო, სამეთვალყურეო საბჭო და ასევე დირექტორთა საბჭოსა და სამეთვალყურეო საბჭოს ერთობლივი კრება.

განყოფილება 2.4.2 – აქციები

მუხლი 2:79 „აქციებისა“ და „წილადი აქციების“ განმარტება

– 1. აქციები წარმოადგენს იმ ნაწილებს, რაზეც ღია კორპორაციის („naamloze vennootschap“) ნებადართული სააქციო კაპიტალი წესდების შესაბამისად იყოფა.

– 2. წილადი აქციები წარმოადგენს იმ ნაწილებს, რაზეც აქციები იყოფა ან შეიძლება დაიყოს ღია კორპორაციის („naamloze vennootschap“) წესდების შესაბამისად.

– 3. წინამდებარე ტიტულში (ტიტული 2.4) აქციებსა და აქციონერებთან დაკავშირებული საკითხების მომენსრიგებელი კანონისმიერი ნორმები შესაბამისად გამოიყენება წილადი აქციებისა და ამ უკანასკნელთა მფლობელების მიმართ იმდენად, რამდენადაც ამ ნორმებიდან სანინააღმდეგო წესი არ გამოდინარეობს.

მუხლი 2:80 გამოშვებული აქციების თანხის გადახდის ვალდებულება

– 1. აქციაზე ხელმოწერისას კორპორაციისათვის გადახდილ უნდა იქნეს აქციის ნომინალური ღირებულება, ხოლო თუ აქციისათვის დადგენილია უფრო მეტი თანხა, მაშინ ასევე – სხვაობა ნომინალურ ღირებულებასა და აღნიშნულ მომატებულ თანხას შორის. დასაშვებია შეთანხმება იმის თაობაზე, რომ იმ გადასახდელი თანხის პროპორციული ოდენობა, რომელიც არ აღემატება ნომინალური თანხის სამ მეოთხედს, დაიფაროს მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც კორპორაცია ახდენს ამ თანხის ამოღებას.

– 2. იმ პირებს, რომლებიც თავიანთი სამენარმეო ან პროფესიული საქმიანობის წარმართვისას საკუთარი ხარჯით ახორციელებენ აქციების გამოშვებას, შეთანხმების საფუძველზე შეიძლება მიეცეთ მიღებული აქციებისათვის ნომინალურზე ნაკლები თანხის გადახდის ნება, იმ პირობით, რომ, სულ ცოტა, ოთხმოცდათხუთმეტი პროცენტი ამ ნაკლები თანხისა გადახდილია ნაღდი ანგარიშსწორების წესით არაუგვიანეს აქციების მიღების მომენტისა.

– 3. აქციონერი ვერ გათავისუფლდება სრულად ან ნაწილობრივ მასზე დაკისრებული აქციის თანხის გადახდის ვალდებულებისაგან, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია 2:99 მუხლში.

– 4. აქციონერი და, 2:90 მუხლში მითითებულ ვითარებაში კი, ასევე ყოფილი აქციონერი არ არიან უფლებამოსილი, მოახდინონ მათზე წინამდებარე მუხლით დაკისრებული ვალდებულების გაქვითვა.

მუხლი 2:80a გამოყოფილი აქციების თანხის გადახდა (უცხოურ) ვალუტაში

– 1. გამოყოფილი აქციის თანხის გადახდა უნდა განხორციელდეს ნაღდი ანგარიშსწორების წესით, რამდენადაც შეთანხმებული არ ყოფილა სხვა სახის შენატანი.

– 2. კორპორაციის შექმნამდე (დაფუძნებამდე) ან შექმნის (დაფუძნების) შემდეგ, გადახდა უცხოურ ვალუტაში შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაფუძნების სანოტარო აქტი ადგენს, რომ უცხოურ ვალუტაში გადახდა ნებადართულია; კორპორაციის შექმნის (დაფუძნების) შემდეგ, ასეთი გადახდა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ღია კორპორაციის („naamloze vennootschap“) თანხმობით. იმ ვალუტაში გადახდა, რომელსაც ევროპული კავშირის შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულების 109L მუხლის პარ. 4-ის თანახმად წარმოადგენს ევრო, არ მიიჩნევა ანგარიშსწორებად უცხოურ ვალუტაში.

– 3. უცხოურ ვალუტაში გადახდა აქციათა თანხების დაფარვის ვალდებულების შესრულებას შედეგად იწვევს იმ ოდენობით, რა ოდენობითაც თავისუფლად არის შესაძლებელი გადახდილი თანხის ჰოლანდიის ვალუტაში კონვერტაცია (გადაცვლა). განმსაზღვრელია გადახდის დღეს არსებული გაცვლითი კურსი, ანდა თუ გადახდა განხორციელდა კორპორაციის შექმნამდე (დაფუძნებამდე) ერთ თვეზე მეტი ხნით ადრე, – შექმნის (დაფუძნების) დღეს, ხოლო მომდევნო წინადადების ნორმის გამოყენების შემდეგ კი, – ამ უკანასკნელში აღნიშნულ დღეს არსებული გაცვლითი კურსი. კორპორაციას შეუძლია მოითხოვოს გადახდა განსაზღვრულ დღეს არსებული ვალუტის გაცვლითი კურსით, რომელიც შეირჩევა ორთვიან პერიოდში იმ უკანასკნელ დღემდე, როდესაც უნდა განხორციელდეს გადახდა იმ პირობით, რომ აქციები ან ამ აქციების სადეპოზიტო ჩეკები დაუყოვნებლივ მათი გამოშვებისთანავე დაიშვება რეგულირებულ ბაზარზე ან მრავალდარგოვან სავაჭრო ობიექტზე, როგორც ეს მითითებულია ფინანსური ზედამხედველობის შესახებ კანონის 1:1 მუხლში, რისთვისაც ლიცენზია გაცივმა სხვა წევრ-სახელმწიფოში, ანდა – იმ სისტემაში, რომელიც უთანაბრდება ასეთ რეგულირებულ ბაზრებს ან მრავალდარგოვან სავაჭრო ობიექტებს ევროკავშირის არანეკრ სახელმწიფოში.

მუხლი 2:80b არაფულადი სახის შენატანის განხორციელება

– 1. თუ შეთანხმებულია არაფულადი სახის შენატანის განხორციელება, მაშინ ეს უკანასკნელი უნდა ექვემდებარებოდეს შეფასებას ეკონომიკური სტანდარტების საფუძველზე. დაუშვებელია ნარდობისა თუ მომსახურებიდან გამომდინარე შესრულების მოთხოვნის უფლების კაპიტალში შეტანა.

– 2. არაფულადი სახის შენატანის განხორციელება უნდა მოხდეს დაუყოვნებლივ აქციის მიღების შემდეგ ან იმ დღის შემდეგ, როდესაც კორპორაციას უნდა მიეღოს ის დამატებითი გადახდა, რაც შეიძლება განხორციელდეს არაფულადი შენატანის სახით, ანდა – როდესაც ასეთი სახის შენატანის განხორციელება შეთანხმებული იყო.

მუხლი 2:81 სხვა ვალდებულების დაკისრების დაუშვებლობა, გარდა ნომინალური თანხის გადახდის ვალდებულებისა

დაუშვებელია, თუნდაც წესდებაში ცვლილებების შეტანის გზითაც კი, აქციონერს მისი ნების საწინააღმდეგოდ დაეკისროს ნებისმიერი სხვა ვალდებულება, გარდა მისი აქციის ნომინალური თანხის გადახდის ვალდებულებისა.

მუხლი 2:82 რეგისტრირებული აქციები (სახელობითი აქციები) და საწარმდგენლო აქციები

– 1. არის თუ არა კორპორაციების აქციები რეგისტრირებული აქციები (სახელობითი აქციები) ან საწარმდგენლო აქციები, განისაზღვრება წესდებით.

– 2. თუ აქცია შეიძლება იყოს როგორც რეგისტრირებული, ისე საწარმდგენლოც, მაშინ ღია კორპორაციამ („naamloze vennootschap“) აქციონერის მოთხოვნის საფუძველზე ერთი სრულად გადახდილი რეგისტრირებული აქციისათვის უნდა გამოუშვას ერთი საწარმდგენლო აქცია ან პირიქით, რამდენადაც წესდება სხვაგვარად ითვალისწინებს, და – ესეც მხოლოდ კონვერტაციის ხარჯის მაქსიმალური ფასის დაფარვის საწარმოვლად.

– 3. საწარმდგენლო აქციათა მონაშთები შეიძლება გადაეცეს აქციონერებს მხოლოდ ამ აქციებზე ჯერ კიდევ გადასახდელი, სულ ცოტა, სრული თანხის დაფარვის საწარმოვლად, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია 2:80 მუხლის პარ. 2-ში.

– 4. თუ ხდება საწარმდგენლო აქციების კონვერტაცია რეგისტრირებულ აქციებში ხდება წესდებაში ცვლილებების შეტანით, მაშინ აქციონერს აქციასთან დაკავშირებული უფლებების რეალიზაცია არ შეუძლია მანამდე, სანამ ის აქციის მონაშთას არ ჩააბარებს კორპორაციას. ეს წესი შესაბამისად მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ საწარმდგენლო აქციების მფლობელები კორპორაციის შერწყმისა თუ გაყოფის შემდეგ გახდნენ რეგისტრირებული აქციების მფლობელები იმ პირობით, რომ ასეთ შემთხვევაში საკმარისია აქციის მონაშთის მფლობელობაში გადაცემა.

მუხლი 2:83 იმ მესამე პირების ინტერესების დაცვა, რომლებმაც აქცია შემდგომში კეთილსინდისიერად შეიძინეს

იმ პირის მიმართ, რომელმაც აქცია შეიძინა კეთილსინდისიერად მას შემდეგ, როდესაც ეს აქცია მიიღო მასზე ხელმოწერმა პირმა, ვისაც თავდაპირველად გამოეყო აქცია, ღია კორპორაცია („naamloze vennootschap“) ვერ დაამტკიცებს იმას, რომ როდესაც საქმე ეხება საწარმდგენლო აქციას, ამ უკანასკნელის თანხა არ არის სრულად გადახდილი, ხოლო როდესაც საქმე ეხება რეგისტრირებულ აქციას, – ვერ დაამტკიცებს ასევე იმ ფაქტს, რომ ამ აქციაში იმაზე ნაკლები თანხა იქნა გადახდილი, ვიდრე კორპორაციის მიერ იქნა აღნიშნული ამ აქციასთან დაკავშირებულ მონაშთაში.

მუხლი 2:84 ლიკვიდატორისა და გაკოტრების ლიკვიდატორის უფლებამოსილება

ღია კორპორაციის („naamloze vennootschap“) ლიკვიდატორი, ხოლო გაკოტრების შემთხვევაში კი, – გაკოტრების ლიკვიდატორი უფლებამოსილი არიან, მოახდინონ ყველა ვადამოსული თანხის გადახდის მოთხოვნა და ამოღება, რომელიც ჯერ არ იქნა განხორციელებული გამოყოფილი აქციების საწარმოვლად ისე, რომ მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რას განსაზღვრავს ამ საკითხთან დაკავშირებით წესდება.

მუხლი 2:85 აქციონერთა რეესტრი

– 1. ღია კორპორაციის („naamloze vennootschap“) დირექტორთა საბჭო აწარმოებს რეესტრს, რომელშიც აღირიცხება რეგისტრირებული აქციების ყველა მფლობელის სახელები და მისამართები და ასევე სადაც მიეთითება ის თარიღი, როდესაც მოხდა ამ პირთა მიერ თავიანთი აქციების შეძენა, კორპორაციის მხრიდან შესაბამისი დასტურის ან ოფიციალური მომსახურების განვების თარიღი, ასევე – თითოეულ აქციაზე გადახდილი თანხის ოდენობა. აღნიშნულ რეესტრში აღირიცხება ასევე იმ პირთა სახელები და მისამართები, რომლებსაც აქციებზე აქვთ უზუფრუქტის ან გირავნობის უფლებები იმ თარიღის მითითებით, როდესაც მოხდა მათ მიერ ამ შეზღუდული საწარმოვლად უფლებების შეძენა, კორპორაციის მხრიდან შესაბამისი დასტურის ან ოფიციალური მომსახურების განვების თარიღი, და – ასევე პირები, რომლებიც 2:88 მუხლის პარ. 2 და 4-ის, 2:89 მუხლის ნორმების შესაბამისად უფლებამოსილი არიან, მოახდინონ ამ აქციებთან დაკავშირებული უფლებების რეალიზაცია.

– 2. რეესტრი ექვემდებარება მუდმივად განახლებას; მასში ასევე უნდა აღინიშნოს აქციათა თანხის სრული ოდენობით გადაუხდელობისათვის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებული ყოველი პირი.

– 3. დირექტორთა საბჭომ მოთხოვნის საფუძველზე და უსასყიდლოდ აქციონერს, უზუფრუქტუარსა თუ მოგირავნეს უნდა წარუდგინოს ამონარიდი რეესტრიდან აქციაზე მის უფლებასთან დაკავშირებით. თუ აქცია დატვირთულია უზუფრუქტით ან გირავნობით, მაშინ ამონარიდში აღინიშნება ასევე ის პირი, ვინც უფლებამოსილია, მოახდინოს 2:88 მუხლის პარ. 2 და 4-ის, 2:89 მუხლის ნორმებში მითითებული უფლებების რეალიზაცია.

– 4. დირექტორთა საბჭომ აქციონერთა რეესტრი უნდა განათავსოს კორპორაციის ოფისში აქციონერებისა და იმ უზუფრუქტუარებისა და მოგირავნეების მიერ მისი გაცნობის მიზნით, რომლებიც უფლებამოსილი არიან, მოახდინონ 2:88 მუხლის პარ. 4-ის, 2:89 მუხლის ნორმებში მითითებული უფლებების რეალიზაცია. წინა წინადადების ნორმა არ გამოიყენება რეესტრის იმ ნაწილის მიმართ, რომელსაც აწარმოებენ ნიდერლანდების ტერიტორიის ფარგლებს გარეთ იქ მოქმედი კანონებისა თუ საფონდო ბირჟის წესების შესაბამისად. არასრულად გადახდილი აქციების შესახებ რეესტრის მონაცემები ხელმისაწვდომია გასაცნობად ნებისმიერი პირისათვის; ამ ინფორმაციის ასლის ან ამონარიდის წარდგენა უნდა მოხდეს არაუმეტეს თვითღირებულების თანხის გადახდის სანაცვლოდ.

მუხლი 2:86 რეგისტრირებული აქციების გამოშვება და მათი გადაცემა, ასეთ აქციებზე დადგენილი შეზღუდული სანივთო უფლებების გადაცემა

– 1. რეგისტრირებული აქციების გამოშვება და გადაცემა, ნაცვლად იმ აქციებისა, რომლებიც მითითებულია 2:86 მუხლში, ანდა ასეთ აქციებზე დადგენილი შეზღუდული სანივთო უფლებების გადაცემა მოითხოვს სანოტარო აქტს, რომლის მხარესაც წარმოადგენენ შესაბამისი პირები და რომელიც ამ მიზნით გაფორმებულია ჰოლანდიის ნოტარიუსის წინაშე. იმ რეგისტრირებული აქციების გამოშვებისათვის, რომლებიც მიღებულ იქნა ღია კორპორაციის („naamloze vennootschap“) შექმნის (დაფუძნების) მომენტი-სათვის, არანაირი ცალკე სანოტარო აქტის შედგენა არ მოითხოვება.

– 2. აქციების გამოშვებისა თუ გადაცემის სანოტარო აქტში უნდა განისაზღვროს შემდეგი:

a. გარიგების {ე. ი. აქციების გამოშვებისა თუ გადაცემის} სამართლებრივი საფუძველი და ის ხერხი, რომლითაც მოხდა აქციისა თუ აქციაზე დადგენილი შეზღუდული სანივთო უფლების შექმნა;

b. გვარი, სახელი, დაბადების თარიღი და ადგილი, დომიცილი (ადგილსამყოფელი) და მისამართი იმ ფიზიკური პირებისა, რომლებიც წარმოადგენენ სანოტარო აქტის მხარეს;

c. სახეობა, სახელწოდება, დომიცილი (ადგილსამყოფელი) და მისამართი იმ იურიდიული პირებისა, რომლებიც წარმოადგენენ სანოტარო აქტის მხარეს;

d. სანოტარო აქტთან დაკავშირებული აქციების რაოდენობა და ტიპი (კლასი);

e. სახელწოდება, დომიცილი (ადგილსამყოფელი) და მისამართი იმ კორპორაციისა, რომელმაც გამოუშვა გარიგებასთან დაკავშირებული აქციები.

მუხლი 2:86a კორპორაციისა და მესამე პირებისათვის აქციების გადაცემის შედეგები

– 1. როდესაც ხდება რეგისტრირებული აქციებისა თუ მათზე დადგენილი შეზღუდული სანივთო უფლებების გადაცემა 2:86 მუხლის პარ. 1-ის ნორმათა შესაბამისად, გადაცემას კანონის ძალით სამართლებრივი შედეგები უნდა ჰქონდეს ასევე კორპორაციის მიმართაც. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კორპორაცია თავად წარმოადგენს გარიგების მხარეს, აქციასთან დაკავშირებული უფლებების რეალიზაცია შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც კორპორაცია ერთ-ერთი მხარის მოთხოვნის საფუძველზე მოახდენს გარიგების დადასტურებას ან ოფიციალური მომსახურების განევას თანახმად 2:86 მუხლის ნორმებისა ანდა – მას შემდეგ, როდესაც კორპორაციამ საკუთარი ინიციატივით აღიარა გარიგება ახალი აქციონერისა თუ შეზღუდული სანივთო უფლების მფლობელის პარ. 2-ში მითითებული წესით რეგისტრაციის გზით.

– 2. როდესაც კორპორაცია შეიტყობს პარ. 1-ში მითითებული გარიგების დადების შესახებ, მას საკუთარი ინიციატივით შეუძლია – მანამდე, სანამ გარიგების დადასტურება არ იქნა მოთხოვნილი ერთ-ერთი მხარის მიერ და კორპორაციის მხრიდან არ მომხდარა სანოტარო აქტის ოფიციალური მომსახურება – დადასტუროს ეს გარიგება იმ პირის აქციონერთა რეესტრში რეგისტრაციის გზით, რომელმაც შეიძინა აქცია ან შეზღუდული სანივთო უფლება. თუ კორპორაცია ახორციელებს ასეთ რეგისტრაციას, მაშინ მან დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს ამის შესახებ შესაბამის მხარეებს დაზღვეული წერილით მისთვის 2:86 მუხლის პარ. 1-ში მითითებული ასლისა თუ ამონარიდის წარმოადგენის მოთხოვნით. მას შემდეგ, რაც კორპორაცია მიიღებს ასეთ ასლსა თუ ამონარიდს, მან 2:86 მუხლში ასეთი დადასტურებისათვის გათვალისწინებული წესით ასლსა თუ ამონარიდზე უნდა გააკეთოს დადასტურების დამამტკიცებელი აღნიშვნა; რეგისტრაციის დღე უნდა აღინიშნოს როგორც დადასტურების თარიღი.

– 3. თუ პარ. 1-ში ნახსენები გარიგება დაიდო ისე, რომ მას არ მოჰყვა შესაბამისი ცვლილება აქციონერთა რეესტრში, მაშინ ეს გარიგება ვერ იქნება გამოყენებული კორპორაციის მიმართ და ასევე – ვერც იმ სხვა პირთა მიმართ, რომლებიც აქციონერთა რეესტრში რეგისტრირებულ პირს კეთილსინდისიერად მიიჩნევენ აქციონერად ან შეზღუდული სანივთო უფლების მფლობელად.

მუხლი 2:86b კორპორაციის მიერ გარიგების დადასტურებისა თუ ოფიციალური მომსახურების განწესათვის არსებული ფორმალური მოთხოვნები

– 1. გარდა 2:86 მუხლის პარ. 2-ში მითითებული ვითარებისა, გარიგების დადასტურება უნდა მოხდეს თავად სანოტარო აქტში (ამ აქტში მოცემული კორპორაციის დადასტურების განცხადებით) ანდა ამ უკანასკნელის ავთენტური ასლისა თუ ამონარიდის კორპორაციისათვის წარდგენის საფუძველზე.

– 2. სანოტარო აქტის ავთენტური ასლისა თუ ამონარიდის წარდგენის საფუძველზე დადასტურების შემთხვევაში, კორპორაციამ წარდგენილ დოკუმენტზე უნდა განათავსოს დათარიღებული დადასტურების განცხადება.

– 3. კორპორაციის მხრიდან სანოტარო აქტის ოფიციალური მომსახურება მოითხოვს სანოტარო აქტის ავთენტური ასლისა თუ ამონარიდის წარდგენას აღმასრულებლის მომართვის საფუძველზე.

მუხლი 2:86c იმ კორპორაციაში რეგისტრირებული აქციების გადაცემა, რომლის აქციებიც იყიდება საფონდო ბირჟაზე

– 1. წინამდებარე მუხლის შემდეგი ქვემოთ მოცემული ნორმები მოქმედებს იმ ღია კორპორაციაში („naamloze vennootschap“) რეგისტრირებული აქციების გადაცემის მიმართ, რომლის (საწარმდგენლო) აქციები ან აქციების სადეპოზიტო ჩეკები დაშვებულია რეგულირებულ ბაზარზე ან მრავალდარგოვან სავაჭრო ობიექტზე, როგორც ეს მითითებულია ფინანსური ზედამხედველობის შესახებ კანონის 1:1 მუხლში, ან იმ სისტემაში, რომელიც უთანაბრდება ასეთ რეგულირებულ ბაზრებს ან მრავალდარგოვან სავაჭრო ობიექტებს ევროკავშირის არანევრ სახელმწიფოში ანდა – რომლის (საწარმდგენლო) აქციები ან აქციების სადეპოზიტო ჩეკები, როგორც ეს გონივრულად შეიძლება იყოს მოსალოდნელი გარიგების დადების (რეგისტრირებული აქციების მიწოდების) მომენტში, ასეთ ბაზრებზე მალევე იქნება დაშვებული; წინამდებარე მუხლის ნორმები გამოიყენება ასევე რეგისტრირებულ აქციებზე ან ზემოხსენებული ღია კორპორაციის („naamloze vennootschap“) აქციების სადეპოზიტო ჩეკებზე დადგენილი შეზღუდული სანივთო უფლებების გადაცემის მიმართაც.

– 2. რეგისტრირებული აქცის გადაცემა ან ასეთ აქციაზე შეზღუდული სანივთო უფლებების გადაცემა მოითხოვს ამ მიზნით შედგენილ (სანოტარო ან კერძო) აქტს და, გარდა ამისა, – გადაცემის კორპორაციის მიერ წერილობით დადასტურებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გარიგების მხარეს წარმოადგენს თავად კორპორაცია. დადასტურება ხორციელდება თავად აქტში და ამ უკანასკნელსა თუ ნოტარიუსის ან გამსხვიის მხარის მიერ ხელმოწერილ ასლზე ან ამონარიდზე დართული დათარიღებული დადასტურების განცხადებით ანდა – პარ. 3-ში გათვალისწინებული წესით. დადასტურებას უთანაბრდება ზემოაღნიშნული აქტის, ასლისა თუ ამონარიდის კორპორაციის მხრიდან ოფიციალური მომსახურება. როდესაც საქმე ეხება არასრულად გადახდილ აქციებს, დადასტურება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც (სანოტარო ან კერძო) აქტის შედგენის თარიღი დგინდება იმგვარად, რომ სარწმუნო იყოს მისი სისწორე.

– 3. როდესაც რეგისტრირებული აქცისათვის ადგილი ჰქონდა მონმობის გაცემას, წესდებით შეიძლება მოთხოვნილ იქნეს ასევე ამ მონმობის კორპორაციისათვის წარდგენაც. ამ მოთხოვნის წაყენება არ ხდება იმ შემთხვევაში, თუ აქციის მონმობა დაიკარგა, ის მოიპარეს ან განადგურდა ისე, რომ წესდების თანახმად მისი დუბლიკატით შეცვლა შეუძლებელია. თუ აქციის მონმობა წარედგინება კორპორაციას, ამ უკანასკნელს გადაცემის დადასტურება შეუძლია აქციის მონმობაზე შენიშვნის გაკეთებით, რომლიდანაც იკვეთება დადასტურების არსებობის ფაქტი, ანდა – წარდგენილი მონმობის ახალი მონმობით შეცვლის გზით, რომელშიც მითითებულია შემძენი მხარის (მიმღების) სახელი.

– 4. გირავნობა შეიძლება დადგინდეს ასევე კორპორაციის მხრიდან დადასტურებისა თუ ოფიციალური მომსახურების გარეშეც. ამ დროს შესაბამისად მოქმედებს 3:239 მუხლი, რა შემთხვევაშიც დადასტურებასა თუ ოფიციალურ მომსახურებას ცვლის ამ მუხლის პარ. 3-ში მითითებული შეტყობინება.

მუხლი 2:86d საწარმდგენლო აქციის მონმობის დუბლიკატი

– 1. საწარმდგენლო აქციის მონმობის მფლობელს შეუძლია კორპორაციას მოსთხოვოს მისთვის დაკარგული აქციის მონმობის დუბლიკატის გადმოცემა.

- 2. საწარმდგენლო აქციის მონაწილის მფლობელმა დამაჯერებლად უნდა ამტკიცოს, რომ აქციის მონაწილეობა დაკარგულია, ამ უკანასკნელის დამახასიათებელი ნიშნების მითითებით.
- 3. კორპორაცია დუბლიკატის მოთხოვნას აქვეყნებს რეგულირებული ბაზრის ან მრავალდარგოვანი სავაჭრო ობიექტის პრეისკურანტში, როგორც ეს განსაზღვრულია ფინანსური ზედამხედველობის შესახებ კანონის 1:1 მუხლში, ანდა – იმ სისტემის პრეისკურანტში, რომელიც უთანაბრდება ასეთ რეგულირებულ ბაზრებს ან მრავალდარგოვან სავაჭრო ობიექტებს ევროკავშირის არანევერ სახელმწიფოში, ხოლო თუ აქციები არ არის მასში ჩამოთვლილი, მაშინ დუბლიკატის მოთხოვნა უნდა გამოქვეყნდეს იმ ყოველდღიურ გაზეთში, რომელიც ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე გვრცელდება.
- 4. მოთხოვნის გამოქვეყნების დღიდან ექვსი კვირის განმავლობაში ნებისმიერ დაინტერესებულ მხარეს შეუძლია რაიონულ სასამართლოს წარუდგინოს განცხადება დუბლიკატის გადაცემის ფაქტის მიმართ პროტესტის გამოხატვის მიზნით.
- 5. თუ პროტესტის წარდგენა დროულად არ ხდება ან თუ პროტესტი უარყოფილია კანონიერ ძალაში შესული და მბოჭავი სასამართლოს გადანყვეტილებით, მაშინ დუბლიკატის გადაცემა უნდა განხორციელდეს მისი ფასის გადახდის სანაცვლოდ. დუბლიკატი ცვლის დაკარგულ აქციის მონაწილას. დუბლიკატის გადაცემის შემდეგ, დაუშვებელია ჩანაცვლებული აქციის მონაწილიდან გამომდინარე უფლებების რეალიზაცია.
- 6. წინამდებარე მუხლი არ გამოიყენება იმდენად, რამდენადაც ღია კორპორაციის („naamloze vennootschap“) წესდება ითვალისწინებს დაკარგული აქციის მონაწილების შეცვლის სისტემას.

მუხლი 2:87 აქციათა გადაცემაუნარიანობის შეზღუდვები

- 1. წესდებით აქციათა გადაცემაუნარიანობა შეიძლება შეიზღუდოს. ამგვარი შეზღუდვა ვერ იქნება ისეთი, რომლის გამოც აქციის გადაცემა გახდება შეუძლებელი ან უკიდურესად რთული. იგივე წესი მოქმედებს იმ აქციათა განაწილების მიმართაც, რომლებიც მიეკუთვნება საერთო ქონებას. შეზღუდვის საწინააღმდეგო გასხვისება ბათილია.
- 2. თუ წესდება აქციათა გადაცემისათვის ითხოვს კორპორაციის ორგანოს ან მესამე პირის თანხმობას, მაშინ ეს უკანასკნელი მიცემულად ჩაითვლება, თუ მის მოთხოვნასთან დაკავშირებით გადანყვეტილება არ მიიღება ამ მიზნით წესდებით დადგენილი იმ ვადის განმავლობაში, რომელიც არ აღემატება სამ თვეს, ხოლო თუ აქციონერს თავის მოთხოვნაზე უარის მიღების მომენტში ერთდროულად არ ჩაბარდა ერთი ან რამდენიმე შესაძლო კანდიდატის სია, ვისაც სურს იმ აქციების ყიდვა, რომლებსაც ეხება მისი მოთხოვნა. ამ შესაძლო კანდიდატებისათვის აქციათა მიყიდვის წესი უნდა იყოს ისეთი, რომ ის აქციონერი, რომელიც ითხოვს ამას, იღებდეს აქციის ან გადასაცემი აქციების თანაბარ ღირებულებას, როგორც ეს შეფასებული იქნება ერთი ან მეტი დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ.
- 3. როდესაც წესდება ითვალისწინებს იმას, რომ აქციონერმა, რომელსაც სურს თავისი ერთი ან მეტი აქციის განკარგვა, ეს აქციები თავდაპირველად უნდა შესთავაზოს თავის თანააქციონერებს ან კორპორაციის ორგანოს მიერ შერჩეულ მესამე პირს, მაშინ აქციათა მიყიდვის წესი უნდა იყოს ისეთი, რომ ის აქციონერი, რომელიც ითხოვს ამას, იღებდეს აქციის ან გადასაცემი აქციების თანაბარ ღირებულებას, როგორც ეს შეფასებული იქნება ერთი ან მეტი დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ. აქციონერი რჩება უფლებამოსილი, გაიხმოს (გააუქმოს) თავისი შეთავაზება იმ პირობით, თუ ეს ხორციელდება ერთი თვის ვადაში მას შემდეგ, როდესაც ის შეიტყობს იმ კანდიდატთა შესახებ, რომლებსაც მან შეიძლება მიჰყიდოს ყველა ის თავისი აქცია, რომელსაც მისი შეთავაზება ეხება, და ასევე – რა ფასად შეიძლება მიჰყიდოს. თუ გაირკვა, რომ არ მოხდება (აღნიშნული კანდიდატების მიერ) ყველა იმ აქციის შესყიდვა, რომლებსაც შეთავაზება ეხება, შემთავაზებელს შეუძლია თავისუფლად გადასცეს ყველა აქცია წესდებაში გათვალისწინებული არანაკლებ სამთვიანი ვადის განმავლობაში, რომელიც გამოითვლება ყველა აქციის შესყიდვის განზრახვის არარსებობის ფაქტის გამოვლენის მომენტიდან.
- 4. თავად კორპორაციას პარ. 2 და 3-ში მითითებული კანდიდატი შეიძლება იყოს მხოლოდ აქციონერის თანხმობით.
- 5. აქციათა გადაცემაუნარიანობასთან დაკავშირებით წესდებაში გათვალისწინებული ნორმები არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ აქციონერს კანონით მოეთხოვება თავისი აქციის წინამორბედი აქციონერისათვის გადაცემა.

მუხლი 2:87a აქციონერის მიერ ვინმე სხვა პირისათვის თავისი აქციების შეთავაზებისა და გადაცემის ვალდებულება

- 1. კონკრეტულ ვითარებაში, რაც ამ მიზნით სპეციალურად განისაზღვრება წესდებაში, ამ უკანასკნელ-

ლით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს აქციონერის ვალდებულება, შესთავაზოს და გადასცეს თავისი აქციები ვინმე სხვა პირს. ასეთ შემთხვევაში წესდება შეიძლება ადგენდეს იმას, რომ მანამდე, სანამ აქციონერი არ შეასრულებს მასზე დაკისრებული თავისი აქციების ვინმე სხვა პირისათვის შეთავაზებისა და გადაცემის ვალდებულებას, შეჩერდება მისი ხმის მიცემის, საერთო კრებაზე დასწრებისა და განაწილებული თანხების მიღების უფლებამოსილება.

– 2. წესდებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს აქციონერის ვალდებულება, რომ იმ შემთხვევაში, თუ აქციონერმა გონივრულ ვადაში არ შეასრულა მასზე წესდებით დაკისრებული თავისი აქციების ვინმე სხვა პირისათვის შეთავაზებისა თუ გადაცემის ვალდებულება, კორპორაცია საბოლოოდ იქნება უფლებამოსილი ვინმე სხვა პირს საკუთარი სახელით შესთავაზოს და გადასცეს თავისი აქციები. როდესაც სახეზე არ არიან ის კანდიდატები, რომელთათვისაც აქციონერი შეძლებდა თავისი აქციების გადაცემას წესდებით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად, მაშინ კორპორაცია არ იქნება უფლებამოსილი, წარმოადგინოს აქციონერი ზემოხსენებული წესის მიხედვით და ეს უკანასკნელი საბოლოოდ უნდა გათავისუფლდეს პარ. 1-ში მითითებულ ნორმათა მოქმედებისაგან.

– 3. აქციათა მიყიდვის წესი უნდა იყოს ისეთი, რომ ის აქციონერი, რომელიც ითხოვს ამას, იღებდეს აქციის ან აქციების თანაბარ ღირებულებას, როგორც ეს შეფასებული იქნება ერთი ან მეტი დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ.

მუხლი 2:87b აქციონერისათვის გათვალისწინებული ხარისხის მოთხოვნები

– 1. წესდებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ის, რომ აქციონერის მიერ ხმის მიცემის, საერთო კრებაზე დასწრებისა და განაწილებული თანხების მიღების უფლებამოსილება შეჩერდება იმ შემთხვევაში, თუ ეს აქციონერი არ ან აღარ აკმაყოფილებს წესდებაში განსაზღვრულ ერთ ან მეტ კონკრეტულ მოთხოვნას.

– 2. თუ აქციონერს არ შეუძლია პარ. 1-ში მითითებული ერთი ან მეტი უფლებების რეალიზაცია იმის გამო, რომ ის არ ან აღარ აკმაყოფილებს წესდებაში განსაზღვრულ ერთ ან მეტ კონკრეტულ მოთხოვნას და ასევე ის არ არის ვალდებული, შესთავაზოს და გადასცეს თავისი აქციები ვინმე სხვა პირს, მაშინ ის საბოლოოდ გათავისუფლდება აღნიშნული მოთხოვნების დაკმაყოფილების ვალდებულებისაგან, თუ კორპორაციამ სამი თვის განმავლობაში მას შემდეგ, რაც აქციონერმა წარადგინა შესაბამისი მოთხოვნა, არ მოახდინა იმ ერთი ან მეტი კანდიდატის შეთავაზება, რომლისათვისაც აქციონერი შეძლებდა ყველა თავისი აქციის გადაცემას წესდებაში ამ მიზნით დადგენილი პროცედურის შესაბამისად.

– 3. აქციათა მიყიდვის ეს წესი უნდა იყოს ისეთი, რომ ის აქციონერი, რომელიც ითხოვს ამას, იღებდეს აქციის ან აქციების თანაბარ ღირებულებას, როგორც ეს შეფასებული იქნება ერთი ან რამდენიმე დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ.

მუხლი 2:88 აქციების დატვირთვა უზუფრუქტით

– 1. დაუშვებელია წესდებაში აქციონერის მიერ საკუთარი აქციის უზუფრუქტით დატვირთვის უფლების გამორიცხვა ან შეზღუდვა.

– 2. აქციონერს აქვს უზუფრუქტით დატვირთულ აქციებზე ხმის უფლება.

– 3. მიუხედავად ზემოაღნიშნული პარაგრაფისა, ხმის უფლება ეკუთვნის უზუფრუქტუარს, თუ ეს გათვალისწინებულ იქნა უზუფრუქტის დადგენის დროს, ხოლო უზუფრუქტუარი კი წარმოადგენს იმ პირს, რომელსაც აქციები შეიძლება თავისუფლად გადაეცეს. თუ უზუფრუქტუარი არ წარმოადგენს იმ პირს, რომელსაც აქციები შეიძლება თავისუფლად გადაეცეს, მაშინ მას ხმის უფლება უნდა ჰქონდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს გათვალისწინებულ იქნა უზუფრუქტის დადგენის დროს, და ასევე – იმ შემთხვევაში, როდესაც დაფუძნების სანოტარო აქტში გათვალისწინებულია აღნიშნული დებულება, ხოლო უზუფრუქტის გადაცემის დროს კი, – ხმის უფლების (გადასვლა) გადაცემა მოწონებულ იქნა კორპორაციის იმ ორგანოს მიერ, რომელიც წესდების თანახმად უფლებამოსილია მოიწონოს აქციების დაგეგმილი გადაცემა, ხოლო თუკი წესდება არ ადგენს ასეთ ორგანოს, მაშინ – საერთო კრების მიერ. წესდებით დასაშვებია წინამდებარე პარაგრაფით გათვალისწინებული ზემოაღნიშნული წინადადებების ნორმებიდან გადახვევა. ასევე სამოქალაქო კოდექსის 4:19 და 4:21 მუხლებით გათვალისწინებულ უზუფრუქტის შემთხვევაში, ხმის მიცემის უფლება უნდა ეკუთვნოდეს უზუფრუქტუარს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც განსხვავებული წესი იქნა გათვალისწინებული უზუფრუქტის დადგენის დროს თავად მხარეების ანდა რაიონული სასამართლოს მიერ სამოქალაქო კოდექსის 4:23 მუხლის პარ. 4-ის ნორმების საფუძველზე.

– 4. ხმის უფლების არმქონე აქციონერსა და ხმის უფლების მქონე უზუფრუქტუარს აქვთ ის უფლებები,

რომლებსაც კანონი ითვალისწინებს კორპორაციასთან თანამშრომლობის გზით აქციებზე გამოშვებული სადეპოზიტო ჩეკების მფლობელთა მიმართ. ხმის უფლების არმქონე უზუფრუქტუარს აქვს აღნიშნული უფლებები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მას უარი ეთქვა ამ უფლებების მინიჭებაზე უზუფრუქტის დადგენის დროს ანდა ეს უარი გათვალისწინებულია კორპორაციის წესდებაში.

– 5. თუ კორპორაციის წესდება სხვაგვარად არ ითვალისწინებს, აქციების შეძენასთან დაკავშირებით აქციონერს ასევე აქვს აქციიდან გამომდინარე უფლებებიც იმ პირობით, რომ ამ უფლებათა ღირებულება აუნაზღაურდება უზუფრუქტუარს იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც ის უფლებამოსილია ამაზე უზუფრუქტის უფლების საფუძველზე.

მუხლი 2:89 აქციების დატვირთვა გირავნობით

– 1. დაუშვებელია წესდებაში აქციონერის მიერ საკუთარი საწარმდგენლო აქციის გირავნობით დატვირთვის უფლების გამორიცხვა ან შეზღუდვა. რეგისტრირებული აქციები შეიძლება დაიტვირთოს გირავნობით იმდენად, რამდენადაც წესდება სხვაგვარად არ ითვალისწინებს.

– 2. აქციონერს აქვს გირავნობით დატვირთულ აქციებზე ხმის უფლება.

– 3. მიუხედავად ზემოაღნიშნული პარაგრაფისა, ხმის უფლება ეკუთვნის მოგირავნეს, თუ ეს გათვალისწინებულ იქნა გირავნობის დადგენის დროს, ხოლო მოგირავნე კი წარმოადგენს იმ პირს, რომელსაც აქციები შეიძლება თავისუფლად გადაეცეს. თუ მოგირავნე არ წარმოადგენს იმ პირს, რომელსაც აქციები შეიძლება თავისუფლად გადაეცეს, მაშინ მას ხმის უფლება უნდა ჰქონდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს გათვალისწინებულ იქნა გირავნობის დადგენის დროს, და ასევე – იმ შემთხვევებში, როდესაც დაფუძნების სანოტარო აქტში გათვალისწინებული აღნიშნული დებულება მოწონებულ იქნა კორპორაციის იმ ორგანოს მიერ, რომელიც წესდების თანახმად უფლებამოსილია მოიწონოს აქციების დაგეგმილი გადაცემა, ხოლო თუკი წესდება არ ადგენს ასეთ ორგანოს, მაშინ – საერთო კრების მიერ. როდესაც ვინმე სხვა იძენს მოგირავნის უფლებებს, მას ხმის უფლება ექნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ უფლების მისთვის (გადასვლა) გადაცემა მოწონებულ იქნა წინა წინადადებაში მითითებული კორპორაციის ორგანოს მიერ, ხოლო ასეთი ორგანოს არარსებობის შემთხვევაში კი, – საერთო კრების მიერ. წესდებით დასაშვებია წინამდებარე პარაგრაფით გათვალისწინებული ზემოაღნიშნული სამი წინადადების ნორმებიდან გადახვევა.

– 4. ხმის უფლების არმქონე აქციონერსა და ხმის უფლების მქონე მოგირავნეს აქვთ ის უფლებები, რომლებსაც კანონი ითვალისწინებს კორპორაციასთან თანამშრომლობის გზით აქციებზე გამოშვებული სადეპოზიტო ჩეკების მფლობელთა მიმართ. ხმის უფლების არმქონე მოგირავნეს აქვს აღნიშნული უფლებები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მას უარი ეთქვა ამ უფლებების მინიჭებაზე გირავნობის დადგენის დროს ან გირავნობა გადავიდა ვინმე სხვა პირზე ანდა როდესაც მოგირავნეს აღნიშნული უფლებების მინიჭებაზე უარი ეთქვა კორპორაციის წესდებაში.

– 5. აქციების გადასვლასა და გადაცემასთან დაკავშირებით არსებული წესდების დებულებები გამოიყენება მოგირავნის მიერ აქციათა გადაცემისა და ასევე თავად მოგირავნის მიერ დაგირავებული აქციების შეძენის მიმართ იმ პირობით, რომ ეს უკანასკნელი ახდენს აქციონერის კუთვნილი აქციების გადასვლასა და გადაცემასთან დაკავშირებული ყველა უფლების რეალიზაციასა და ასევე – აღნიშნულთან დაკავშირებული აქციონერის ვალდებულებების შესრულებას.

– 6. თუ გირავნობა დადგინდა 2:86 მუხლის პარ. 4-ის ნორმათა შესაბამისად, მაშინ ამ მუხლით გათვალისწინებული უფლებები უნდა ეკუთვნოდეს მოგირავნეს მხოლოდ კორპორაციის მხრიდან ამ გირავნობის დადასტურებისა თუ შესაბამისი ოფიციალური მომსახურების შემდეგ.

მუხლი 2:89a კორპორაცია თავად იძენს გირავნობას თავის საკუთარ აქციებზე

– 1. ღია კორპორაციას („naamloze vennootschap“) შეუძლია შეიძინოს გირავნობა მხოლოდ საკუთარ აქციებზე (ე. ი. იმ აქციებზე, რომლებიც მან თავად გამოუშვა) ან ასეთ აქციებზე გამოშვებული სადეპოზიტო ჩეკებზე, როდესაც:

a. დასაგირავებელი აქციების თანხები სრულად არის გადახდილი;

b. დასაგირავებელი საკუთარი აქციებისა და სადეპოზიტო ჩეკების ნომინალური ღირებულება, იმ საკუთარი აქციებისა და სადეპოზიტო ჩეკების ნომინალური ღირებულებასთან ერთად, რომლებსაც უკვე ფლობს კორპორაცია ან რომლებზეც კორპორაციამ უკვე შეიძინა გირავნობა, არ შეადგენს გამოშვებული სააქციო კაპიტალის ერთ მეათედზე მეტს, და;

c. საერთო კრებამ მოიწონა გირავნობის ხელშეკრულება.

- 2. წინამდებარე მუხლი არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ფინანსური ზედამხედველობის შესახებ კანონში ნახსენები ფინანსური საწარმო, რომლისათვისაც ამ კანონის თანახმად ნებადართულია ნიდერლანდებში საბანკო ბიზნესის წარმოება, თავისი ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში (საკუთარ) აქციებსა თუ სადეპოზიტო ჩეკებზე იძენს გირავნობას. 2:98 მუხლის პარ. 2-სა და 2:98a მუხლის ნორმათა მიზნებისათვის ასეთი აქციები და სადეპოზიტო ჩეკები მხედველობაში არ მიიღება.

მუხლი 2:90 წინამორბედი აქციონერების პასუხისმგებლობა

- 1. არასრულად გადახდილი აქციის გადაცემისა თუ განაწილების შემდეგ ყოველი წინამორბედი აქციონერი რჩება სოლიდარულად პასუხისმგებელი ღია კორპორაციის („naamloze vennootschap“) მიმართ იმ თანხებისათვის, რომლებიც ჯერ კიდევ გადასახდელია აქციაზე. სამეთვალყურეო საბჭოსთან ერთად, დირექტორთა საბჭოს შეუძლია გაათავისუფლოს წინამორბედი აქციონერი ნებისმიერი დამატებითი ვალდებულებისაგან ავტენტური ან რეგისტრირებული კერძო აქტის მეშვეობით; თუმცა, ასეთ შემთხვევაში აქციონერი რჩება პასუხისმგებელი იმ თანხებისათვის, რომლებიც ჯერ კიდევ გადასახდელია აქციაზე ერთი წლის განმავლობაში წარდგენილი დამატებითი მოთხოვნის საფუძველზე ავტენტური აქტის დადებისა თუ, შესაბამისად, კერძო აქტის რეგისტრაციის შემდეგ.

- 2. თუ წინამორბედი აქციონერი თანხების გადახდას ახორციელებს კორპორაციის მიმართ, მაშინ ის იძენს იმ უფლებებს, რომელთა რეალიზაციაც კორპორაციას შეეძლო წინამორბედი აქციონერების მიმართ.

მუხლი 2:91 {გაუქმებულია 01.01.1992წ.}

მუხლი 2:91a ინფორმირების მოვალეობა იმ შემთხვევაში, როდესაც აქციონერი ფლობს კორპორაციის მთლიან სააქციო კაპიტალს

- 1. საწარმდგენლო აქციების მფლობელი, რომელმაც შეიძინა კორპორაციის კაპიტალის ყველა აქცია, წერილობით ატყობინებს კორპორაციას ამ ფაქტის შესახებ მის მიერ განხორციელებული უკანასკნელი შექმნის მომენტიდან რვა დღის განმავლობაში.

- 2. საწარმდგენლო აქციების მფლობელი, რომელიც აღარ ფლობს კორპორაციის კაპიტალის ყველა აქციას იმის გამო, რომ მესამე პირმა შეიძინა მისი ერთი ან მეტი აქცია, წერილობით ატყობინებს კორპორაციას ამ ფაქტის შესახებ რვა დღის განმავლობაში იმ მომენტიდან, როდესაც ის აღარ ფლობს ყველა აქციას. თუ ყველა აქციის მფლობელი გარდაიცვლება ან წყვეტს არსებობას შერწყმისა თუ გაყოფის შედეგად, შემძენი მხარე წერილობით ატყობინებს კორპორაციას ამ ფაქტის შესახებ გარდაცვალებიდან ან, შესაბამისად, შერწყმისა თუ გაყოფის მომენტიდან ერთი თვის განმავლობაში.

- 3. თუ კაპიტალის ყველა აქცია განეკუთვნება მეუღლეთა ან რეგისტრირებული პარტნიორობის საერთო საკუთრებას, მაშინ წინამდებარე მუხლის მიზნებისათვის მიიჩნევა, რომ კორპორაციას ჰყავს ერთი აქციონერი, რომლის დროსაც თითოეულ თანამესაკუთრეს ეკისრება წინამდებარე მუხლში აღნიშნული შეტყობინების ვალდებულება.

- 4. წინამდებარე მუხლის მიზნებისათვის კორპორაციის ან მისი შვილობილი საწარმოების მფლობელობაში არსებული აქციები მხედველობაში არ მიიღება.

მუხლი 2:92 აქციონერების (და სადეპოზიტო ჩეკების მფლობელთა) თანაბარი უფლებები

- 1. რამდენადაც წესდება სხვაგვარად არ ითვალისწინებს, აქციებთან დაკავშირებული ყველა უფლება და ვალდებულება პროპორციულია მათი ნომინალური ოდენობისა.

- 2. ღია კორპორაციას („naamloze vennootschap“) ეკისრება თანასწორი დამოკიდებულების ვალდებულება აქციონერებისა და, შესაბამისად, იგივე მდგომარეობაში მყოფი სადეპოზიტო ჩეკების მფლობელების მიმართ.

- 3. წესდებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს მასში მოცემული პროცედურის მიხედვით კორპორაციის კონტროლის განხორციელებასთან დაკავშირებული კონკრეტული უფლებების მიბმა განსაზღვრული ტიპის (კლასის) აქციებთან.

მუხლი 2:92a მინორიტარული აქციონერების აქციათა გამოსყიდვა

- 1. პირს, რომელმაც როგორც აქციონერმა მიიღო ღია კორპორაციის („naamloze vennootschap“) გამოშვებული სააქციო კაპიტალის, სულ ცოტა, 95%-ის შესაბამისი აქციები, შეუძლია წარადგინოს საწარმდგენლო აქციონერების მიმართ ამ უკანასკნელთათვის კუთვნილი აქციების მისთვის (მოსარჩელი-

სათვის) გადაცემის მოთხოვნით. იგივე წესი მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ კომპანიების ორმა ან მეტმა ჯგუფმა ერთად მიიღო გამოშვებული სააქციო კაპიტალის ეს ნაწილი და ისინი ერთობლივად წარადგინენ სარჩელს აქციების ერთ-ერთი მათგანისათვის გადაცემის მოთხოვნით.

– **2.** წინა პარაგრაფში მითითებულ სარჩელებზე გადანყვეტილებებს პირველი ინსტანციით იღებს ამსტერდამის სააპელაციო სასამართლოს სამენარმო საქმეთა პალატა („Ondernemingskamer“). ამ გადანყვეტილების საწინააღმდეგოდ შესაძლებელია მხოლოდ საკასაციო საჩივარის წარდგენა.

– **3.** თუ ერთი ან რამდენიმე მოპასუხე არ გამოცხადდება სასამართლო სხდომაზე, სასამართლომ საკუთარი ინიციატივით უნდა შეამოწმოს, აკმაყოფილებს/აკმაყოფილებენ თუ არა მოსარჩელე/ მოსარჩელები პარ. 1-ში მოცემულ მოთხოვნებს.

– **4.** სასამართლომ უარი უნდა თქვას სარჩელის დაკმაყოფილებაზე ყველა მოპასუხის სასარგებლოდ, თუკი ერთ-ერთი მოპასუხე, მიუხედავად კომპენსაციისა, მაინც მიიღებდა მნიშვნელოვან ზიანს აქციათა გადაცემის შედეგად, ან თუკი ერთ-ერთი მოპასუხე ფლობს აქციას, რომელთანაც წესდების თანახმად მიბმულია კორპორაციის კონტროლის განხორციელებასთან დაკავშირებულ კონკრეტულ უფლებებთან ანდა – თუკი მოსარჩელემ ერთ-ერთი მოპასუხის მიმართ უარი თქვა ზემოაღნიშნული სარჩელის წარდგენის უფლებაზე.

– **5.** თუ სასამართლო გამოავლენს, რომ პარ. 1 და 4-ის ნორმები ხელს არ უშლის სარჩელის დაკმაყოფილებას, მას შეუძლია დაადგინოს ერთი ან სამი ექსპერტის მიერ გადასაცემი აქციების ღირებულების შესახებ დასკვნის შედეგის თაობაზე. გამოიყენება 2:350 მუხლის პარ. 3-ის პირველი სამი წინადადებისა და 2:351 და 2:352 მუხლების ნორმები. სასამართლომ გადასაცემი აქციების ფასი უნდა განსაზღვროს სასამართლოს მიერ დადგენილი კონკრეტული დღისათვის არსებული ღირებულების საფუძველზე. მანამდე, სანამ და ასევე იმ ფარგლებში, რომლებშიც აღნიშნული დადგენილი ფასი არ იქნა გადახდილი, ამ უკანასკნელს დაერიცხება პროცენტი, რაც უტოლდება კანონისმიერი პროცენტის ოდენობას, რომლის ათვლაც იწყება სასამართლოს მიერ დადგენილი დღიდან გადაცემის მომენტამდე; აქციებზე განაწილებული თანხები, რომლებიც ექვემდებარებოდა გადახდას ზემოაღნიშნული ვადის განმავლობაში, ფასის ნაწილობრივი გადახდისათვის გამოიყენებულ უნდა იქნეს გადახდის დღე.

– **6.** როდესაც სასამართლო აკმაყოფილებს სარჩელს, მან აქციების შეძენის მიზნით სარჩელის წარმდგენ მხარეს უნდა დაავალოს იმ პირებისათვის ფიქსირებული ფასის, პროცენტთან ერთად, გადახდა, რომლებსაც ეს აქციები ეკუთვნოდათ, ან რომლებიც მიიღებენ ამ აქციებს მომავალში (მაგალითად, მემკვიდრეები ან მყიდველები) ამ უკანასკნელთა მიერ უფლებრივად დაუტვირთავი აქციების მიწოდების სანაცვლოდ. სასამართლო წყვეტს საქმის წარმოების ხარჯების საკითხს თავისი შეხედულების შესაბამისად. დაუშვებელია საქმის წარმოების ხარჯების დაფარვის დაკისრება იმ მოპასუხისათვის, რომელიც არ ცხადდება სასამართლო სხდომაზე.

– **7.** როდესაც სასამართლოს გადანყვეტილება აქციების გადაცემის შესახებ შედის კანონიერ ძალაში და ხდება მპოჭავი, აქციების შეძენის მიზნით სარჩელის წარმდგენმა მხარემ გადასაცემი აქციების იმ მფლობელებს, რომელთა მისამართიც მისთვის ცნობილია, წერილობით უნდა შეატყობინოს გადახდის დღისა და ადგილის შესახებ და ასევე – გადასახდელი ფასის შესახებ. მან ეს ინფორმაცია უნდა მოაქვეყნოს ასევე ეროვნულ ყოველდღიურ გაზეთში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მისთვის ყველა მნიშვნელოვანი მისამართი ცნობილია.

– **8.** აქციების შეძენის მიზნით სარჩელის წარმდგენ მხარეს ყოველთვის შეუძლია გაითავისუფლოს თავი პარ. 6-სა და 7-ში მითითებული ვალდებულებებისაგან გადასაცემი ყველა აქციისათვის განსაზღვრული ფიქსირებული ფასის თანხის დარიცხული პროცენტით იუსტიციის სამინისტროში დეპონირების გზით და ერთდროულად იმის შეტყობინებით, რომ ამ მხარის ინფორმაციით, შესაბამისი აქციები დატვირთულია უზუფრუქტით, გირავნობით ანდა – ისინი დაყადაღებულია. ამ უკანასკნელი ფაქტის შეტყობინების შედეგად, აქციებზე დადებული (ან მომავალში დასადები) ყადაღა გადადის დეპონირებული თანხების მიღების უფლებაზე. ზემოაღნიშნული დეპონიტის შედეგად აქციები დაუტვირთავად გადავა იმ მხარეზე, რომელმაც წარადგინა სარჩელი მათი შეძენის მოთხოვნით იმ დროს, როდესაც აქციებზე დადგენილი შესაძლო უზუფრუქტი ან გირავნობა გადადის (ან დადგენილი იქნება) დეპონირებული თანხის მიღების უფლებაზე. დაუშვებელია კორპორაციის მიმართ ნებისმიერი უფლების მიღება იმ განაწილებული თანხებიდან, რომლებიც გადახდილი იქნა აქციათა მოწოდებასა და დივიდენდების ორდერებზე მას შემდეგ, რაც აქციები გადავიდა სარჩელის წარმდგენ მხარეზე. ამ მომენტში შემქმნმა მხარემ იუსტიციის სამინისტროსთან თანხის დეპონირების ფაქტისა და ყოველი აქციის ფასის ოდენობის შესახებ შეტყობინება უნდა მოახდინოს პარ. 7-ში აღწერილი პროცედურის მიხედვით.

განყოფილება 2.4.3 – ღია კორპორაციის კაპიტალი

მუხლი 2:93 ჯერ კიდევ შექმნის პროცესში არსებული ღია კორპორაციის სახელით დადებული გარიგებები

– 1. დასაშვებია იმ ღია კორპორაციის („naamloze vennootschap“) სახელით გარიგებების დადება, რომელიც ჯერ კიდევ უნდა შეიქმნას (დაფუძნდეს); თუმცა, ასეთი გარიგებებიდან უფლებები და ვალდებულებები კორპორაციისათვის შეიძლება წარმოიშვას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს უკანასკნელი აშკარად ან უსიტყვოდ დაადასტურებს მათ მისი შექმნის (დაფუძნების) შემდეგ ანდა – როდესაც ის ვალდებული (შეზღუდული) გახდება პარ. 4-ის ნორმათა მოქმედების გამო.

– 2. ის პირები, რომლებმაც გარიგება დადეს ჯერ კიდევ შექმნის პროცესში არსებული კორპორაციის სახელით, ამ გარიგების შესრულებაზე პასუხს აგებენ სოლიდარულად მანამდე, სანამ კორპორაცია მისი შექმნის (დაფუძნების) შემდეგ არ დაადასტურებს მას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამ გარიგებასთან დაკავშირებით აშკარად საინააღმდეგო წესი იქნა შეთანხმებული.

– 3. თუ კორპორაციამ დაადასტურა გარიგება, მაგრამ ის არ ასრულებს ამ გარიგებიდან გამომდინარე ვალდებულებებს, მაშინ ის პირები, რომლებიც მოქმედებდნენ ჯერ კიდევ შექმნის პროცესში არსებული კორპორაციის სახელით, პასუხს აგებენ სოლიდარულად იმ ზიანისათვის, რომელსაც ამის შედეგად განიცდის მესამე პირი იმ შემთხვევაში, თუ მათ იცოდნენ ან მათ გონივრულად შეეძლოთ ცოდნოდათ იმის შესახებ, რომ კორპორაცია ვერ შეასრულებდა ამ ვალდებულებებს გარიგების დადასტურებასთან დაკავშირებით დირექტორთა ნებისმიერი შესაძლო პასუხისმგებლობის შეზღუდვის გარეშე. იმის ცოდნის ფაქტის არსებობა, რომ კორპორაცია ვერ შეასრულებდა მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს, ივარაუდება იმ შემთხვევაში, როდესაც კორპორაცია ცხადდება გაკოტრებულად მისი შექმნიდან (დაფუძნებიდან) ერთი წლის განმავლობაში.

– 4. დაფუძნების სანოტარო აქტში დამფუძნებლებს კორპორაციის უშუალოდ დავალდებულება (შეზღუდვა) შეუძლიათ მხოლოდ შემდეგი გარიგებებით: აქციების გამოშვება, ამ აქციებზე გადახდილი შენატანების მიღება, დირექტორების დანიშვნა, სამეთვალყურეო საბჭოს დანიშვნა და ასევე – 2:94 მუხლის პარ. 1-ში აღნიშნული გარიგებების დადება. თუ დამფუძნებელმა ზემოაღნიშნულის მიმართ არასაკმარისი გულმოდგინება გამოავლინა, მაშინ შესაბამისად გამოიყენება 2:9 და 2:138 მუხლების ნორმები.

მუხლი 2:93a საბანკო დეკლარაცია

– 1. თუ აქციების თანხების გადახდა მოხდა კორპორაციის შექმნამდე (დაფუძნებამდე) ან შექმნის (დაფუძნების) მომენტში, მაშინ დაფუძნების სანოტარო აქტს უნდა დაერთოს ერთი ან რამდენიმე დეკლარაცია, რომელშიც მითითებული იქნება იმის თაობაზე, რომ კორპორაციისათვის მისი შექმნისთანავე (დაფუძნებისთანავე) გამოსაშვები აქციების სანაცვლოდ გადასახდელი თანხები:

a. აღმოჩნდება ღია კორპორაციის („naamloze vennootschap“) განკარგულებაში დაუყოვნებლივ მისი შექმნისთანავე (დაფუძნებისთანავე);

b. შექმნამდე (დაფუძნებამდე) არაუმეტეს ხუთი თვისა ერთჯერადად რჩება განცალკევებულ ანგარიშზე, რომელიც კორპორაციის შექმნის (დაფუძნების) შემდეგ გადავა ღია კორპორაციის („naamloze vennootschap“) ექსკლუზიურ განკარგულებაში იმ პირობით, თუ ეს უკანასკნელი დაფუძნების სანოტარო აქტში დაეთანხმება ამ გადახდებს.

– 2. თუ თანხების გადახდა ხორციელდება უცხოურ ვალუტაში, დეკლარაციაში უნდა აღინიშნოს, თუ რომელი თანხის კონვერტაცია არის შესაძლებელი ჰოლანდიის ვალუტაში იმ დღისათვის, როდესაც მოქმედებდა გაცვლითი კურსი აქციათა თანხების გადახდის ვალდებულებისათვის 2:80a მუხლის პარ. 3-ში გათვალისწინებული წესით.

– 3. პარ. 1-ში მითითებული დეკლარაცია შეიძლება მიღებულ იქნეს მხოლოდ ფინანსური ზედამხედველობის შესახებ კანონში ნახსენები ფინანსური საწარმოს მიერ, რომლისათვისაც ნებადართულია ევროპულ კავშირში ან ევროპული ეკონომიკური ზონის შეთანხმების წევრ სახელმწიფოში საბანკო ბიზნესის წარმოება. დეკლარაცია შეიძლება გაიცეს მხოლოდ ნოტარიუსზე.

– 4. თუ კორპორაციის შექმნამდე (დაფუძნებამდე) ადგილი ექნება პარ. 1-ის (b) პუნქტში მითითებული ანგარიშიდან თანხების გატანას, მაშინ დამფუძნებლები კორპორაციის წინაშე პასუხს აგებენ სოლიდარულად ამ თანხები ანაზღაურებაზე მანამდე, სანამ კორპორაცია აშკარა მოქმედებით არ მოიწონებს ანგარიშიდან თანხების გატანას.

– 5. ნოტარიუსმა კორპორაციის შექმნის (დაფუძნების) შესახებ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს იმ ბანკს, რომლისგანაც მან მიიღო დეკლარაცია.

– 6. როდესაც კორპორაციის შექმნის (დაფუძნების) შემდეგ გადახდა განხორციელდა უცხოურ ვალუტაში, აღნიშნული გადახდის შემდეგ ორი კვირის განმავლობაში კორპორაციამ პარ. 3-ში ნახსენები ბანკის პარ. 2-ში მითითებული დეკლარაცია უნდა განათავსოს სავაჭრო რეესტრის ოფისში.

მუხლი 2:94 გარიგებები, რომელიც შეიძლება მიიმე აღმოჩნდეს ღია კორპორაციისათვის

– 1. ქვემოთ მოცემული გარიგებები უნდა შევიდეს სრულად თავად დაფუძნების სანოტარო აქტში, ამ უკანასკნელზე თანდართული დოკუმენტის დედანსა თუ მის დამონმებულ ასლში და რასთან დაკავშირებითაც დაფუძნების სანოტარო აქტი უთითებს:

a. აქციათა ხელმოწერასთან დაკავშირებით დადებულ გარიგებებზე, რომლებიც ღია კორპორაციას („naamloze vennootschap“) განსაკუთრებულ ვალდებულებებს აკისრებს;

b. სხვა საფუძვლებთან დაკავშირებით, ნაცვლად ღია კორპორაციის („naamloze vennootschap“) სააქციო კაპიტალში საზოგადოების მონაწილეობისა, დადებულ გარიგებებზე;

c. ღია კორპორაციის („naamloze vennootschap“) დამფუძნებლისა თუ კორპორაციის შექმნის (დაფუძნების) პროცესში ჩართული მესამე პირისათვის გარკვეული სარგებლის მინიჭების განზრახვით დადებულ გარიგებებზე;

d. სხვა სახის შენატანის, ნაცვლად ფულისა, განხორციელების მიზნით დადებულ გარიგებებზე.

თუ წინა წინადადების მოთხოვნები არ შესრულდა, მაშინ ზემოაღნიშნული გარიგებები ვერ დაავალდებულებს კორპორაციას და ასევე ვერ მიანიჭებს მას რაიმე უფლებასაც.

– 2. კორპორაციის შექმნის (დაფუძნების) შემდეგ წინა პარაგრაფში ნახსენები გარიგებები შეიძლება დაიდოს მხოლოდ საერთო კრების თანხმობით იმ შემთხვევაში, თუ – და ასევე იმ ფარგლებში, რომელშიც – წესდებამ აშკარად მიანიჭა დირექტორთა საბჭოს ასეთი გარიგებების დადების უფლებამოსილება.

– 3. 2:80a მუხლის პარ. 2-ში მითითებული შეთანხმებები გამოირიცხება იმ ნორმათა მოქმედებიდან, რომლებიც გათვალისწინებულია წინამდებარე მუხლით.

მუხლი 2:94a კორპორაციის შექმნისას მასში განხორციელებული ნატურით შენატანის შეფასება

– 1. თუ კორპორაციის შექმნისას (დაფუძნებისას) გაცემული აქციების სანაცვლოდ შეთანხმებულ იქნა შენატანის განხორციელება არაფულადი სახით, მაშინ დამფუძნებლებმა უნდა აღწერონ შესატანი აქტივები მათი შესაბამისი ღირებულებისა და ასევე გამოყენებული შეფასების მეთოდების მითითებით. ეს მეთოდები უნდა შეესაბამებოდეს საყოველთაოდ დადგენილ შეფასების სტანდარტებს. აღწერა უნდა ეხებოდეს შესატანი ობიექტის კორპორაციის შექმნამდე (დაფუძნებამდე) მაქსიმუმ ექვსი თვის განმავლობაში არსებულ მდგომარეობას. აღწერის დოკუმენტს ხელს აწერს ყველა დამფუძნებელი და ის უნდა დაერთოს დაფუძნების სანოტარო აქტს.

– 2. 2:393 მუხლის პარ. 1-ში მითითებულმა აუდიტორმა (ბუღალტერმა) შენატანების აღწერასთან დაკავშირებით უნდა შეადგინოს აუდიტორული დასკვნა, რომელიც დაერთვება დაფუძნების სანოტარო აქტს. ამ დასკვნაში აუდიტორი (ბუღალტერი) აცხადებს, რომ საყოველთაოდ დადგენილი შეფასების სტანდარტების შესაბამისად შენატანის ღირებულება უტოლდება, სულ ცოტა, იმ ფულად თანხას, რომელიც გადახდილ უნდა იქნეს გაცემული აქციების სანაცვლოდ. თუ მას შემდეგ, როდესაც მოხდა შენატანების აღწერა, ცნობილი ხდება, რომ ღირებულება მნიშვნელოვნად შემცირდა, მაშინ მოითხოვება მეორე აუდიტორული დასკვნა.

– 3. შენატანების აღწერა და აუდიტორული დასკვნა არ მოითხოვება, თუ ეს გათვალისწინებულ იქნა წესდებაში:

a. გადაცემადი ფასიანი ქაღალდების (საფონდო ბირჟის აქციების) ან ფულადი ბაზრის ინსტრუმენტებისაგან შემდგარი შენატანების მიმართ, როგორც ეს მითითებულია ფინანსური ზედამხედველობის შესახებ კანონის 1:1 მუხლში იმ პირობით, რომ ეს გადაცემადი ფასიანი ქაღალდები (საფონდო ბირჟის აქციები) ან ფულადი ბაზრის ინსტრუმენტები შეფასებულია იმ საშუალო შენონილი ფასით, რა განაკვეთითაც ისინი იყიდებოდა ფინანსური ზედამხედველობის შესახებ კანონის 1:1 მუხლში აღნიშნულ რეგულირებულ ბაზარზე შენატანის განხორციელების მომენტამდე სამთვიანი ვადის განმავლობაში;

b. არაფულადი ბაზრის შენატანების მიმართ, რომლებსაც არ წარმოადგენს გადაცემადი ფასიანი ქაღალდები (საფონდო ბირჟის აქციები) ან (a) პუნქტში მითითებული ინსტრუმენტები, რომლებიც შეფასებულ იქნა დამოუკიდებელი პირის მიერ, რომელიც თავისი განათლებისა და სამუშაო გამოცდილების შესაბამისად წარმოადგენს ასეთი შეფასებების ეფექტს იმ პირობით, რომ მისი საექსპერტო შეფასება ხორციელდება საყოველთაოდ დადგენილი შეფასების სტანდარტების შესაბამისად და რომ შენატანის ღირებულება ფასდება მის განხორციელებამდე მაქსიმუმ ექვსი თვის ვადის განმავლობაში.

ც. არაფულადი ბაზრის შენატანების მიმართ, რომლებსაც არ წარმოადგენს გადაცემადი ფასიანი ქაღალდები (საფონდო ბირჟის აქციები) ან (ა) პუნქტში მითითებული ინსტრუმენტები, რომელთა ღირებულებაც დგინდება შენატანის განხორციელების წლამდე უკანასკნელი საანგარიშო წლისათვის მიღებული ყოველწლიური ანგარიშებიდან და რომლებიც ექვემდებარება აუდიტს ყოველწლიური ანგარიშებისა და კონსოლიდირებული ანგარიშების შესახებ 2006 წლის 17 მაისის 2006/43/EC ევროპული პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის შესაბამისად წარმოებულ აუდიტს, ასევე – საბჭოს ცვლილებების შეტანის შესახებ 78/660/EEC და 83/349/EEC დირექტივებისა და ანულირების შესახებ 84/253/EEC დირექტივის შესაბამისად წარმოებულ აუდიტს.

– 4. თუ კორპორაციის შექმნამდე (დაფუძნებამდე) ცნობილი გახდა, რომ გამოთვლის წესის საფუძვლად გამოყენებულ შეფასების ოდენობაზე გავლენა იქონია ისეთმა გამონაკლისმა გარემოებებმა, რომელთა გამოც პარ. 3-ის (ა) პუნქტში მითითებული ფასიანი ქაღალდების (საფონდო ბირჟის აქციების) ან ინსტრუმენტების ღირებულება შენატანის განხორციელების თარიღისათვის არსებითად განსხვავებული გახდება, ანდა თუ კორპორაციის შექმნამდე (დაფუძნებამდე) ცნობილი გახდა, რომ პარ. 3-ის (ბ) ან (ც) პუნქტებში მითითებული ფასიანი ქაღალდების (საფონდო ბირჟის აქციების) ან ინსტრუმენტების ღირებულება შენატანის განხორციელების თარიღისათვის არსებითად განსხვავებული გახდება ახალი არაჩვეულებრივი გარემოებების გამო, – მაშინ შენატანების აღწერის დოკუმენტი უნდა შეადგინონ დამფუძნებლებმა, რომელსაც ხელს აწერს ყველა დამფუძნებელი, და რომლის მიმართაც უნდა იქნეს მიღებული პარ. 2-ში მითითებული აუდიტორული დასკვნა. აღწერის დოკუმენტი და აუდიტორული დასკვნა უნდა დაერთოს დაფუძნების სანოტარო აქტს. როდესაც შენატანი ხორციელდება კორპორაციის შექმნის (დაფუძნების) შემდეგ, ხოლო კორპორაციის შექმნასა (დაფუძნებას) და შენატანის განხორციელების თარიღს შორის პერიოდში კი ცნობილი ხდება პირველ წინადადებაში აღნიშნული გარემოებების შესახებ, მაშინ შენატანების აღწერის დოკუმენტი უნდა შეადგინოს დირექტორთა საბჭომ, რომლის მიმართაც უნდა იქნეს მიღებული პარ. 2-ში მითითებული აუდიტორული დასკვნა.

– 5. თუ კორპორაციის შექმნის (დაფუძნების) მომენტში გაცემული აქციების სანაცვლოდ შეთანხმებულ იქნა არაფულადი შენატანი და ასევე გამოყენებულ იქნა პარ. 3-ის ნორმები, მაშინ შენატანის განხორციელებიდან ერთი თვის განმავლობაში კორპორაციამ დამფუძნებელთა დეკლარაცია უნდა განათავსოს სავაჭრო რეესტრის ოფისში; ეს დეკლარაცია უნდა შეიცავდეს შენატანის აღწერას შეტანილი აქტივების ღირებულებისა და ასევე გამოყენებული შეფასების მეთოდების მითითებით. აღნიშნულ დეკლარაციაში ასევე უნდა მიეთითოს, რომ შესაბამისი ღირებულება უტოლდება, სულ ცოტა, იმ ფულად თანხას, რომელიც გადახდილ უნდა იქნეს გაცემული აქციების სანაცვლოდ, და რომ არანაირ ახალ არაჩვეულებრივ გარემოებას არ ჰქონდა ადგილი შეფასების დღესა და შენატანის განხორციელების თარიღს შორის პერიოდში. დეკლარაციას ხელი უნდა მოაწეროს ყველა დამფუძნებელმა; თუ ერთი ან მეტი მათგანის ხელმოწერა აკლია, ეს უნდა აღინიშნოს დეკლარაციაში შესაბამისი მიზეზის მითითებით.

– 6. აღწერის დოკუმენტი და აუდიტორული დასკვნა არ მოითხოვება, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

a. ყველა დამფუძნებელმა გადანყვიტა, უარი თქვას ექსპერტის მიერ აღწერის დოკუმენტის შედგენაზე;

b. ერთი ან მეტი იურიდიული პირი, რომელთა მიმართაც გამოიყენება ტიტული 2.9 ანდა რომლებიც, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აკმაყოფილებენ საკორპორაციო სამართლის შესახებ ევროპულ თანამეგობრობათა მეოთხე საბჭოს დირექტივის მოთხოვნებს, მიიღებს ყველა გამოსაშვებ აქციას არაფულადი შენატანის განხორციელების (მომავალში განსახორციელებელი შენატანის) სანაცვლოდ;

ც. შენატანის განმახორციელებელ იურიდიულ პირს შენატანის განხორციელების მომენტში თავის განკარგულებაში აქვს გაუნაწილებელი რეზერვები მის მიერ მისაღები აქციების ნომინალური ღირებულების ოდენობით; რამდენადაც ეს აუცილებელია, დირექტორთა საბჭომ აღნიშნული გაუნაწილებელი რეზერვები უნდა განაცალკევოს გასანაწილებელი რეზერვებისაგან;

d. შენატანის განმახორციელებელი ყოველი იურიდიული პირი აცხადებს, რომ ის ღია კორპორაციას („naamloze vennootschap“) გადასცემს, სულ ცოტა, ნომინალურ ღირებულებას იმ აქციებისა, რომლებსაც ის მიიღებს იმ მიზნით, რომ კორპორაციამ დაფაროს მესამე პირთა სავალლო მოთხოვნები, რომლებიც წარმოიშობა აქციების გამოშვების მომენტსა და იმ დღიდან ერთი წლის შემდეგ პერიოდში, როდესაც კორპორაციის მიერ საანგარიშო წლისათვის მოხდა შენატანის განხორციელება, მონონებული ყოველწლიური ანგარიშები განთავსდა სავაჭრო რეესტრის ოფისში, რამდენადაც კორპორაცია ვერ აკმაყოფილებს ამ სავალლო მოთხოვნებს და შესაბამისმა კრედიტორებმა შენატანის განმახორციელებელ ერთ-ერთ იური-

დიულ პირს წერილობით შეატყობინეს თავიანთი სავალო მოთხოვნების შესახებ ყოველწლიური ანგარიშების განთავსების დღიდან ორი წლის განმავლობაში.

e. შენატანის განმახორციელებელმა თითოეულმა იურიდიულმა პირმა სავაჭრო რეესტრის ოფისში განათავსა თავისი უკანასკნელი დამტკიცებული ბალანსი განსაკუთრებული აღნიშვნებით და ბალანსის შედგენის თარიღიდან გასულია არაუმეტეს თვრამეტი თვისა;

f. შენატანის განმახორციელებელი თითოეული იურიდიული პირი ცალკე გამოყოფს რეზერვს იმ აქციების ნომინალურ ღირებულებაზე, რომლებსაც ის მიიღებს იმ რეზერვებიდან, რომლის ბუნება არ ეწინააღმდეგება ასეთ გამოცალკევებას;

g. კორპორაცია (a) პუნქტში მითითებული გადანყვეტილების შესახებ ატყობინებს სავაჭრო რეესტრის ოფისს, ხოლო შენატანის განმახორციელებელი ყოველი იურიდიული პირი (d) პუნქტში მითითებული თავისი დეკლარაციის შესახებ ასევე ატყობინებს იმავე ოფისს.

– 7. თუ გამოიყენებოდა წინა პარაგრაფი, შენატანის განმახორციელებელ იურიდიულ პირს (d) პუნქტში აღნიშნული ვადის განმავლობაში არ შეუძლია იმ აქციების განკარგვა, რომლებიც მან მიიღო თავისი შენატანის სანაცვლოდ და ასევე აღნიშნული ვადის დასრულებიდან ორი წლის განმავლობაში მან უნდა შეინარჩუნოს (f) პუნქტში მითითებული რეზერვი. აღნიშნულის შემდგომ ეს რეზერვი უნდა შეინარჩუნდეს იმ ვერ კიდევ დაუკმაყოფილებელი სავალო მოთხოვნების ოდენობით, რომელთა შესახებაც მოხდა შეტყობინება წინა პარაგრაფის (d) პუნქტში გათვალისწინებული წესით. სანყისი რეზერვი შემცირდება აღნიშნული შეტყობინებული სავალო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად განხორციელებული გადახდების მეშვეობით.

– 8. შენატანის განმახორციელებელ იურიდიულ პირსა და პარ. 6-ის (d) პუნქტში მითითებულ ყველა კრედიტორს შეუძლია მოსთხოვოს იმ რაიონულ სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც კორპორაციას აქვს თავისი დომიცილი, კორპორაციის კრედიტორთა შესაბამისი სავალო მოთხოვნები განათავსოს ქონების მინდობით მართვის ქვეშ, რომლის მიზანიც იქნება ამ სავალო მოთხოვნების დაკმაყოფილება პარ. 6-ის (d) პუნქტის შესაბამისად კორპორაციისათვის გადაცემული თანხებიდან. რამდენადაც ეს აუცილებელია, შესაბამისად გამოიყენება სავალო მოთხოვნების დადასტურებისა და ქონების ლიკვიდაციის (რეალიზაციის) მომწესრიგებელი ვაკოტრების საქმის წარმოების შესახებ კანონის ნორმები. კრედიტორს არ შეუძლია თავისი (კორპორაციის მიერ დასაკმაყოფილებელი) სავალო მოთხოვნის იმ ვალში გაქვითვა, რომელიც მას ეკისრება შენატანის განმახორციელებელი იურიდიული პირის მიმართ. თუ ქონების მინდობით მართვის ქვეშ არსებული სავალო მოთხოვნა გადადის ვინმე სხვა პირზე, მაშინ ის ამ მართვის ქვეშ დარჩება. იგივე წესი მოქმედებს ასეთი სავალო მოთხოვნის დაყადალების მიმართაც, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქმე ეხება ქონების მმართველის მიერ თავისი მოვალეობების შესრულების ფარგლებში განხორციელებული მოქმედებების შედეგად წარმოშობილი ვალების ამოღებას. რაიონული სასამართლო აწესრიგებს ქონების მმართველის უფლებამოსილებისა და საზღაურის მიღების საკითხებს; მას ნებისმიერ დროს შეუძლია შეცვალოს თავისი განკარგულება.

მუხლი 2:94b კორპორაციის შექმნის შემდეგ მასში განხორციელებული ნატურით შენატანის შეფასება

– 1. თუ კორპორაციის შექმნის (დაფუძნების) შემდეგ გაცემული აქციების სანაცვლოდ შეთანხმებულ იქნა შენატანის განხორციელება არაფულადი სახით, მაშინ 2:94a მუხლის პარ. 1-ის შესაბამისად კორპორაციამ უნდა შეადგინოს შეტანილი ობიექტების აღწერის დოკუმენტი. ეს უკანასკნელი უნდა ეხებოდეს შეტანილი ობიექტების მაქსიმუმ ექვსი თვის ვადის განმავლობაში არსებულ მდგომარეობას იმ დღემდე, როდესაც მოხდა გადაცემული აქციების მიღება, ან როდესაც დამატებითი არაფულადი შენატანი უნდა მიეღო კორპორაციას ანდა – ასეთი შენატანის განხორციელება შეთანხმდა მხარეთა შორის. აღწერის დოკუმენტს ხელი უნდა მოაწეროს ყველა დირექტორმა; თუ ერთი ან მეტი მათგანის ხელმოწერა აკლია, ეს უნდა აღინიშნოს დოკუმენტში შესაბამისი მიზეზის მითითებით.

– 2. შესაბამისად გამოიყენება 2:94a მუხლის პარ. 2.

– 3. 2:94a მუხლის პარ. 3-ის (a), (b) და (c) პუნქტების ნორმებში აღნიშნულ ვითარებაში, დირექტორთა საბჭოს შეუძლია მიიღოს გადანყვეტილება აღწერის დოკუმენტის შედგენაზე ან აუდიტორული დასკვნის წარდგენაზე უარის შესახებ. თუ შენატანის განხორციელების თარიღამდე ცნობილი ხდება 2:94a მუხლის პარ. 4-ის პირველ წინადადებაში მითითებული გარემოებების არსებობის თაობაზე, მაშინ დირექტორთა საბჭომ ყველა შემთხვევაში უნდა შეადგინოს აღწერის დოკუმენტი, რომლის მიმართაც უნდა იქნეს მიღებული 2:94a მუხლის პარ. 2-ში მითითებული აუდიტორული დასკვნა.

– 4. თუ კორპორაციის შექმნის (დაფუძნების) შემდეგ გაცემული აქციების სანაცვლოდ შეთანხმებულ

იქნა შენატანის განხორციელება არაფულადი სახით და ასევე გამოყენებულ იქნა პარ. 3-ის ნორმები, მაშინ შენატანის განხორციელების თარიღამდე არაუგვიანეს რვა დღისა კორპორაციამ სავაჭრო რეესტრის ოფისში უნდა განათავსოს შესაბამისი განცხადება; ეს უკანასკნელი უნდა შეიცავდეს შენატანის აღწერას შეტანილი აქტივების ღირებულების, გამოყენებული შეფასების მეთოდების, შენატანის განმახორციელებელი პირების სახელების, აღნიშნულის შედეგად გადახდილი გამოშვებული სააქციო კაპიტალის ოდენობისა და 2:96 მუხლის პარ. 1-ში მითითებული აქციების გამოშვების შესახებ გადანყვეტილების თარიღის მითითებით. ზემოაღნიშნულ განცხადებაში ასევე უნდა მიეთითოს, რომ შესაბამისი ღირებულება უტოლდება, სულ ცოტა, იმ ფულად თანხას, რომელიც გადახდილ უნდა იქნეს გაცემული აქციების სანაცვლოდ, და რომ არანაირ ახალ არაჩვეულებრივ გარემოებას არ ჰქონდა ადგილი შენატანის შეფასებასთან დაკავშირებით. შეტყობინებას ხელი უნდა მოაწეროს ყველა დირექტორმა; თუ ერთი ან მეტი მათგანის ხელმოწერა აკლია, ეს უნდა აღინიშნოს განცხადებაში შესაბამისი მიზეზის მითითებით.

– 5. როდესაც პარ. 3-ის მეორე წინადადებაში მითითებული აღწერის დოკუმენტი და აუდიტორული დასკვნა ჯერ კიდევ სახეზე არ არის, ხოლო შენატანი კი ხორციელდება 2:94a მუხლის პარ. 3-ის (b) ან (c) პუნქტების შესაბამისად, მაშინ ერთ ან მეტ აქციონერს, რომლებსაც 2:96 პარ. 1-ში აღნიშნული აქციათა გამოშვებასთან დაკავშირებით გადანყვეტილების მიღების დღეს დამოუკიდებლად ან ერთობლივად აქვთ სააქციო კაპიტალის, სულ ცოტა, 5%, ყველა შემთხვევაში შეუძლიათ დირექტორთა საბჭოსაგან მოითხოვონ აღწერის დოკუმენტი, რომლის მიმართაც უნდა იქნეს მიღებული 2:94a მუხლის პარ. 2-ში მითითებული აუდიტორული დასკვნა. დირექტორთა საბჭომ უნდა შეასრულოს ეს მოთხოვნა იმ პირობით, თუ აქციონერებმა თავიანთი მოთხოვნის შესახებ შეატყობინეს მას არაუგვიანეს შენატანის განხორციელების დღისა და რომ მათ თავიანთი მოთხოვნის წარდგენის დროს ჯერ კიდევ აქვთ სააქციო კაპიტალის 5%, როგორც ეს იყო აქციათა გამოშვებასთან დაკავშირებით გადანყვეტილების მიღებამდე.

– 6. თუ ყველა აქციონერი იღებს გადანყვეტილებას აღწერის დოკუმენტის შედგენასა და აუდიტორული დასკვნის წარდგენაზე უარის შესახებ, ხოლო კორპორაციამ კი იმოქმედა 2:94a მუხლის პარ. 6-ის მითითებული (b)-(g) პუნქტების შესაბამისად, მაშინ აღწერის დოკუმენტი ან აუდიტორული დასკვნა აღარ მოითხოვება და შესაბამისად გამოიყენება 2:94a მუხლის პარ. 7 და 8.

– 7. იმ დღიდან რვა დღის განმავლობაში, როდესაც მიღებულ იქნა აქციები ანდა დადგა დამატებითი არაფულადი შენატანის განხორციელების ვადა, კორპორაციამ შენატანთან დაკავშირებით წარდგენილი აუდიტორული დასკვნა ან მისი ასლი უნდა განათავსოს სავაჭრო რეესტრის ოფისში შენატანის განმახორციელებელი პირების სახელების და აღნიშნულის შედეგად გადახდილი გამოშვებული სააქციო კაპიტალის ოდენობის მითითებით.

– 8. წინამდებარე მუხლი არ მოქმედებს იმდენად, რამდენადაც შენატანი შედგება სხვა კორპორაციაში აქციების ან სადეპოზიტო ჩეკებისა თუ უფლებებისაგან ანდა – დივიდენდის მიღების უფლების მიმნიჭებული აქციებისაგან (ბონუს-აქციებისაგან), რომელთა კონვერტაცია აქციებასა თუ სხვა კორპორაციაში აქციების სადეპოზიტო ჩეკებში დაშვებულია და რომელთა მიმართაც კორპორაციამ გამოაქვეყნა საჯარო შეთავაზება იმ პირობით, რომ ეს გადაცემადი ფასიანი ქალაქები დაშვებულია რეგულირებულ ბაზარზე ან მრავალდარგოვან სავაჭრო ობიექტზე, როგორც ეს მითითებულია ფინანსური ზედამხედველობის შესახებ კანონის 1:1 მუხლში, ან იმ სისტემაში, რომელიც უთანაბრდება ასეთ რეგულირებულ ბაზრებს ან მრავალდარგოვან სავაჭრო ობიექტებს ევროკავშირის არანევრ სახელმწიფოში.

მუხლი 2:94c აქტივების შექენა კორპორაციის დამფუძნებლებისაგან

– 1. ღია კორპორაციის („naamloze vennootschap“) მიერ საერთო კრების თანხმობის ანდა პარ. 3-ში მითითებული აუდიტორული დასკვნის გარეშე დადებული გარიგება კორპორაციის სახელით შეიძლება გაბათილდეს, თუ ეს გარიგება:

a. აუცილებლად გულისხმობს აქტივების შექენას, მათ შორის, – იმ სავალ მოთხოვნებისა, რომლებიც ექვემდებარება გაქვითვას იმ ვალში, რომელიც კორპორაციის შექმნამდე (დაფუძნებამდე) ეკუთვნოდა ერთ-ერთ დამფუძნებელს, და;

b. იდება ორი წლის განმავლობაში მას შემდეგ, როდესაც მოხდა კორპორაციის პირველადი რეგისტრაცია სავაჭრო რეესტრში.

– 2. საერთო კრების თანხმობის მოთხოვნის შემთხვევაში, კორპორაციამ უნდა აღწეროს ის აქტივები, რომელთა შექენაც მოხდება მომავალში, და ასევე – ის სამაგიერო შესრულება, რომელიც კორპორაციამ უნდა განახორციელოს აღნიშნულ შექენასთან მიმართებაში. აღწერა უნდა ეხებოდეს აქტივებისა და სამაგიერო შესრულების მდგომარეობას კორპორაციის შექმნის (დაფუძნების) შემდეგ. აღწერის დოკუ-

მენტი უნდა ახსენებდეს იმ ღირებულებას, რაც დადგინდა შესაბამისი აქტივებისა და სამაგიერო შესრულებასთან მიმართებაში, და ასევე – გამოყენებული შეფასების მეთოდებს. ეს მეთოდები უნდა შეესაბამებოდეს საყოველთაოდ დადგენილ შეფასების სტანდარტებს. აღწერის დოკუმენტს ხელი უნდა მოაწეროს ყველა დირექტორმა; თუ ერთი ან მეტი მათგანის ხელმოწერა აკლია, ეს უნდა აღინიშნოს დოკუმენტში შესაბამისი მიზეზის მითითებით.

– **3.** შესაბამისად გამოიყენება 2:94a მუხლის პარ. 2 იმ შემთხვევაში, როდესაც აუდიტორულ დასკვნაში აღნიშნულია, რომ საყოველთაოდ დადგენილი შეფასების სტანდარტების შესაბამისად მომავალში შესაძენი აქტივების ღირებულება უტოლდება, სულ ცოცხა, სამაგიერო შესრულების ღირებულებას.

– **4.** შესაბამისად გამოიყენება 2:94b მუხლის პარ. 3. თუ გარიგება დაიდო წინა წინადადების ნორმის გამოყენების შედეგად, მაშინ მისი გაბათილება პარ. 1-ის ნორმის საფუძველზე დაუშვებელია წინამდებარე მუხლის პარ. 3-ში აღნიშნული აუდიტორული დასკვნის არარსებობის არგუმენტზე მითითებით. შესაბამისად გამოიყენება 2:94b მუხლის პარ. 4 იმ შემთხვევაში, როდესაც პარ. 1-ში მითითებული გარიგების დადების თარიღი აღნიშნული იქნება აღწერის დოკუმენტში.

– **5.** წინა პარაგრაფში მითითებული დოკუმენტების განთავსებისა და მათი ასლების წარდგენის ვალდებულების მიმართ შესაბამისად გამოიყენება 2:102 მუხლის ნორმები.

– **6.** გარიგების დადებიდან ანდა შემდგომში საერთო კრების მიერ მისი მოწონების შემთხვევაში, ამ მოწონებიდან რვა დღის განმავლობაში კორპორაციამ პარ. 3-ში მითითებული აუდიტორული დასკვნა ან მისი ასლი უნდა განათავსოს სავაჭრო რეესტრის ოფისში.

– **7.** წინამდებარე მუხლი არ გამოიყენება:

a. საჯარო აუქციონზე ან ბირჟაზე შექმნილი აქტივების მიმართ;

b. იმ აქტივების მიმართ, რომლებიც შეთანხმებული პირობების საფუძველზე შეიძლება მიჩნეულ იქნეს კორპორაციის მიერ თავისი ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში შექმნილად;

c. შექმნის იმ ფაქტების მიმართ, რომლებზეც წარდგენილ იქნა 2:94a მუხლის პარ. 2-ში მითითებული აუდიტორული დასკვნა;

d. შერწყმიდან ან გაყოფიდან გამომდინარე განხორციელებული შექმნის ფაქტების მიმართ.

მუხლი 2:94d *{გაუქმებულია 20.01.1986წ.}*

მუხლი 2:95 კორპორაციის არა აქვს უფლება, მოახდინოს ხელმოწერა საკუთარ აქციებზე

– **1.** დაუშვებელია ღია კორპორაციის („naamloze vennootschap“) აქციებზე ხელმოწერა თავად ამ კორპორაციის მიერ.

– **2.** კორპორაციის მიერ წინა პარაგრაფის ნორმის დარღვევით მიღებული აქციები ერთობლივად გადადის დირექტორებზე იმ მომენტში, როდესაც მოხდა მათი მიღება. თითოეული დირექტორი სოლიდარულად აგებს პასუხს ამ აქციებისა და აღნიშნულ მომენტში დარიცხული კანონისმიერი პროცენტის თანხების სრულად გადახდაზე. თუ აქციების გამოშვება მოხდა კორპორაციის შექმნის (დაფუძნების) მომენტში, მაშინ წინამდებარე პარაგრაფის ნორმები შესაბამისად გამოიყენება დამფუძნებლების მიმართ ერთობლივად.

– **3.** თუ სხვა პირი ახდენს აქციაზე ხელმოწერას საკუთარი სახელით, მაგრამ იმ კორპორაციის ხარჯზე, რომელმაც გამოუშვა ეს აქცია, მაშინ ის ამ აქციაზე საკუთარ ხარჯზე ხელმოწერად მიიჩნევა.

მუხლი 2:96 ახალი აქციების გამოშვების უფლებამოსილება

– **1.** ღია კორპორაციის („naamloze vennootschap“) მისი შექმნის (დაფუძნების) შემდეგ აქციების გამოშვება შეუძლია მხოლოდ საერთო კრების გადანყვეტილებით ან ამ მიზნისათვის საერთო კრების გადანყვეტილებით დანიშნული ანდა წესდებაში მითითებული კორპორაციის სხვა ორგანოს გადანყვეტილების შესაბამისად ყოველთვის არაუმეტეს ხუთწლიანი ვადის განმავლობაში. როდესაც აღნიშნული ორგანო ინიშნება, უნდა განისაზღვროს ასევე იმ აქციების რაოდენობაც, რომელიც შეიძლება გამოუშვას ამ ორგანომ. ასეთი ორგანოს მიერ აქციების გამოშვების უფლებამოსილება შეიძლება გახანგრძლივდეს ყოველჯერზე არაუმეტეს ხუთი წლისა. დანიშვნის გამოსხობა (გაუქმება) დაუშვებელია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შესაბამისი ორგანოს დანიშვნისას საწინააღმდეგო წესი იქნა გათვალისწინებული.

– **2.** როდესაც სახეზეა სხვადასხვა ტიპის (კლასის) აქციები, მაშინ აქციათა გამოშვებასა თუ პარ. 1-ში მითითებულ დანიშვნასთან დაკავშირებით საერთო კრების მიერ მიღებული ძალმოსილი გადანყვეტილებისათვის მოითხოვება ერთი და იგივე ტიპის (კლასის) აქციათა მფლობელების ყოველი იმ ჯგუფის

წინასწარი ან ერთდროულად მიღებული გადაწყვეტილება, რომელთა უფლებებსაც ეხება აქციების გამოშვება.

– 3. აქციების გამოშვებასა თუ პარ. 1-ში მითითებულ დანიშნავსთან დაკავშირებით საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილების მიღებიდან რვა დღის განმავლობაში კორპორაცია გადაწყვეტილების სრულ ტექსტს ანთავსებს სავაჭრო რეესტრის ოფისში.

– 4. ყოველი კალენდარული კვარტლის დამთავრებიდან რვა დღის განმავლობაში კორპორაციამ სავაჭრო რეესტრის ოფისში უნდა განათავსოს წინა კალენდარულ კვარტალში აქციათა ყოველი გამოშვების შესახებ ანგარიში გამოშვებული აქციების რაოდენობისა და ტიპის (კლასის) მითითებით.

– 5. წინამდებარე მუხლი შესაბამისად გამოიყენება აქციებზე ხელმოწერის უფლებათა მინიჭების მიმართ, თუმცა – არ გამოიყენება იმ პირისათვის აქციების გამოშვების მიმართ, რომელმაც უკვე შეიძინა აქციებზე ხელმოწერის უფლება.

მუხლი 2:96a აქციონერთათვის აქციებზე ხელმოწერის უპირატესი უფლება

– 1. ქვემოთ მოცემული ორი პარაგრაფის ნორმათა გათვალისწინებით, ახალი აქციების გამოშვებასთან დაკავშირებით ყოველ აქციონერს აქვს აქციებზე ხელმოწერის უპირატესი უფლება მისი აქციების მთლიანი ნომინალური თანხის პროპორციულად. თუმცა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წესდება სხვაგვარად ითვალისწინებს, აქციონერს არა აქვს არაფულადი შენატანების განხორციელების სანაცვლოდ გამოშვებულ აქციებთან დაკავშირებით ხელმოწერის უპირატესი უფლება. მას ასევე არა აქვს ხელმოწერის უპირატესი უფლება ღია კორპორაციის („naamloze vennootschap“) ან კომპანიათა ჯგუფის მიერ დასაქმებულებისათვის გამოშვებულ აქციებთან დაკავშირებითაც.

– 2. რამდენადაც წესდება სხვაგვარად არ ითვალისწინებს, აქციათა მფლობელებს, რომლებიც:

a. არ მონაწილეობენ – ანდა მონაწილეობენ მხოლოდ შეზღუდულ ფარგლებში – მოგებაში თავიანთი აქციების ნომინალური ღირებულების განსაზღვრულ პროცენტულობაზე მეტი ოდენობით, ან;

b. არ მონაწილეობენ – ანდა მონაწილეობენ მხოლოდ შეზღუდულ ფარგლებში – თავიანთი აქციების ნომინალურ ღირებულებაზე მეტი ოდენობით ნარჩენი აქტივის ლიკვიდაციამდე

არა აქვთ ახალი აქციების გამოშვებასთან დაკავშირებით ხელმოწერის უპირატესი უფლება.

– 3. რამდენადაც წესდება სხვაგვარად არ ითვალისწინებს, აქციონერებს არა აქვთ იმ ერთ-ერთი ტიპის (კლასის) ახალი აქციების გამოშვებასთან დაკავშირებით ხელმოწერის უპირატესი უფლება, რომლებიც მითითებულია წინა პარაგრაფის (a) და (b) პუნქტებში.

– 4. იმ ახალი აქციების გამოშვება, რომელთა მიმართაც არსებობს ხელმოწერის უპირატესი უფლება, და ასევე ის ვადა, რომლის განმავლობაში ასეთი ხელმოწერის უპირატესი უფლება შეიძლება განხორციელდეს, ექვემდებარება კორპორაციის მიერ გამოქვეყნებას ჰოლანდიის მაცნეში („Staatscourant“) და იმ ყოველდღიურ გაზეთში, რომელიც ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე გავრცელდება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ყველა აქცია არის რეგისტრირებული და პუბლიკაციის შესახებ წერილობით ხდება შეტყობინება ყველა აქციონერისათვის მათ მიერ გაცხადებულ მისამართებზე.

– 5. ხელმოწერის უპირატესი უფლებების განხორციელება დასაშვებია ჰოლანდიის მაცნეში გამოქვეყნების თარიღიდან ან აქციონერისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნიდან, სულ ცოტა, ორი კვირის ვადის განმავლობაში.

– 6. ხელმოწერის უპირატესი უფლებები შეიძლება შეიზღუდოს ან გამოირიცხოს საერთო კრების გადაწყვეტილებით. ასეთი გადაწყვეტილების მიღების წინადადებაში შეთავაზების მოტივები და გამოშვებული აქციების შეთავაზებული ფასის შერჩევა უნდა იქნეს ახსნილი წერილობითი ფორმით. ხელმოწერის უპირატესი უფლებები შეიძლება შეიზღუდოს ან გამოირიცხოს ასევე 2:96 მუხლის პარ. 1-ის ნორმათა შესაბამისად დანიშნული ორგანოს მიერაც, თუ საერთო კრების გადაწყვეტილებით ანდა წესდებით ასეთი ორგანო განსაზღვრული – არაუმეტეს ხუთი წლის ვადით დაინიშნა ხელმოწერის უპირატესი უფლებების შეზღუდვისა თუ გამოირიცხვისათვის. ასეთი დანიშვნის უფლებამოსილების ვადა შეიძლება გახანგრძლივდეს ყოველ ჯერზე არაუმეტეს ხუთი წლისა. დანიშვნის გამოხმობა (გაუქმება) დაუშვებელია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შესაბამისი ორგანოს დანიშვნისას სანინააღმდეგო წესი იქნა გათვალისწინებული.

– 7. ხელმოწერის უპირატესი უფლებების შეზღუდვისა თუ გამოირიცხვის ანდა ზემოაღნიშნული ორგანოს დანიშვნის შესახებ საერთო კრების გადაწყვეტილება მოითხოვს, სულ ცოტა, ხმათა ორი მესამედის უმრავლესობას, თუ კრებაზე გამოცხადდენ გამოშვებული სააქციო კაპიტალის ნახევარზე ნაკლები მფლობელი აქციონერები. გადაწყვეტილების მიღებიდან რვა დღის განმავლობაში კორპორაცია გადაწყვეტილების სრულ ტექსტს ანთავსებს სავაჭრო რეესტრის ოფისში.

– 8. როდესაც ხდება ახალი გამოსაშვები აქციების შექმნაზე უფლებების მინიჭება, აქციონერებს ექნებათ ანალოგიური უპირატესი შესყიდვის უფლება; შესაბამისად გამოიყენება წინა პარაგრაფი. აქციონერებს არა აქვთ უპირატესი შესყიდვის უფლება იმ პირზე გაცემულ აქციებთან დაკავშირებით, რომელმაც ადრე უკვე შეიძინა აქციებზე ხელმოწერის უფლება.

მუხლი 2:96b გამონაკლისი საინვესტიციო კომპანიებისათვის

2:96 და 2:96a მუხლები არ გამოიყენება ცვალებადი კაპიტალით საინვესტიციო კომპანიის მიმართ.

მუხლი 2:97 გაცხადებული გამოშვების თანხის ოდენობასთან შედარებით აქციების უფრო ნაკლებ თანხად განაწილება

იმ შემთხვევაში, როდესაც ახალი აქციები გამოშვებულია კორპორაციის შექმნის (დაფუძნების) შემდეგ იმ თანხის გაცხადებით, რომლის სანაცვლოდაც უნდა იქნეს გამოშვებული ეს აქციები, როდესაც სინამდვილეში კი ნაკლები ოდენობა იქნა განაწილებული, მაშინ ეს ოდენობა უნდა განაწილდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქციათა გამოშვებისათვის არსებული პირობები იძლევა ასეთ შესაძლებლობას.

მუხლი 2:98 ღია კორპორაციის მიერ საკუთარი აქციების შექმნა

– 1. ღია კორპორაციის („naamloze vennootschap“) მიერ საკუთარ კაპიტალში არსებული არასრულად გადახდილი აქციების შექმნა ბათილია.

– 2. ღია კორპორაციას („naamloze vennootschap“) შეუძლია შეიძინოს სრულად გადახდილი საკუთარი აქციები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ამ აქციებს იძენს ნებისმიერი სახით სამაგიერო შესრულების გარეშე (უხასყიდლოდ) ან თუ კორპორაციის საკუთარი კაპიტალი (მთლიან აქტივებს გამოკლებული ვალდებულებები), რომელიც შემცირდა შესაძენი აქციების ნასყიდობის ფასის ოდენობით, არ არის იმაზე ნაკლები, ვიდრე მისი გადახდილი და შესრულებული სააქციო კაპიტალის ნაწილი, რომელსაც ემატება კანონისა თუ წესდების შესაბამისად შესანარჩუნებელი რეზერვები. ზემოაღნიშნულ წინადადებაში გათვალისწინებული წესების მოქმედების შეზღუდვის გარეშე, თუ კორპორაციის აქციები დაშვებულია რეგულირებულ ბაზარზე ან მრავალდარგოვან სავაჭრო ობიექტზე, როგორც ეს მითითებულია ფინანსური ზედამხედველობის შესახებ კანონის 1:1 მუხლში, ან იმ სისტემაში, რომელიც უთანაბრდება ასეთ რეგულირებულ ბაზრებს ან მრავალდარგოვან სავაჭრო ობიექტებს ევროკავშირის არაწევრ სახელმწიფოში, მაშინ იმ საკუთარი აქციების ნომინალური ოდენობა, რომლებიც კორპორაციამ უნდა შეიძინოს ან რომლებსაც ის უკვე ფლობს, რომლებზეც მან უკვე შეიძინა გირავნობის უფლება ანდა რომლებსაც ფლობს მისი შვილობილი საწარმო, არ უნდა აღემატებოდეს მისი გამოშვებული სააქციო კაპიტალის ნახევარს.

– 3. პარ. 2-ში მითითებული მოთხოვნებისათვის გადამწყვეტია ბოლო დამტკიცებული ბალანსის შესაბამისად დადგენილი კორპორაციის საკუთარი კაპიტალის (მთლიან აქტივებს გამოკლებული ვალდებულებები) ოდენობა, რომელიც შემცირდა კორპორაციის კაპიტალში შესაძენი აქციების ნასყიდობის ფასის ოდენობით, ასევე – 2:98c მუხლის პარ. 2-ში მითითებული სესხების თანხების ოდენობითა და კორპორაციისა და მისი შვილობილი საწარმოების ნაცვლად იმ სხვა პირებზე განხორციელებული მოგებისა თუ რეზერვების ნებისმიერი განაწილების მოცულობით, რომლებიც გახდნენ მოვალეები ბალანსის შედგენის შემდეგ. როდესაც საანგარიშო წლის დასრულებიდან გასულია ექვს თვეზე მეტი წლიური ანგარიშის მიღების გარეშე, მაშინ პარ. 2-ით გათვალისწინებული წესების შესაბამისად აქციების შექმნა არ დაიშვება.

– 4. საკუთარი აქციების შექმნა სხვაგვარად, გარდა უხასყიდლო გარიგების საფუძველზე შექმნისა, დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც – და ასევე იმ ფარგლებში, რომლებშიც – საერთო კრება დირექტორთა საბჭოს მიანიჭებს ასეთი შექმნის განხორციელების უფლებამოსილებას. ამ უკანასკნელის მინიჭება ხდება მაქსიმუმ ხუთი წლის ვადით. ზემოაღნიშნული წინადადების ნორმის გვერდის ავლით, ასეთი უფლებამოსილება ძალაში იქნება მხოლოდ მაქსიმუმ თვრამეტი თვის განმავლობაში იმ შემთხვევაში, როდესაც კორპორაციის აქციები დაშვებულია რეგულირებულ ბაზარზე ან მრავალდარგოვან სავაჭრო ობიექტზე, როგორც ეს მითითებულია ფინანსური ზედამხედველობის შესახებ კანონის 1:1 მუხლში, ან იმ სისტემაში, რომელიც უთანაბრდება ასეთ რეგულირებულ ბაზრებს ან მრავალდარგოვან სავაჭრო ობიექტებს ევროკავშირის არაწევრ სახელმწიფოში. საერთო კრება უფლებამოსილების მინიჭებისას განსაზღვრავს, თუ რამდენი საკუთარი აქცია უნდა შეიძინოს კორპორაციამ, ასევე – იმ წესს, რომლის მიხედვითაც შეიძლება მოხდეს ამ აქციების შექმნა, და ფარგლებს, რომლებშიც უნდა დარჩეს შექმნის ფასი. კორპორაციისათვის წესდებით საკუთარი აქციების შექმნის შესაძლებლობა შეიძლება გამოირიცხოს ან შეიზღუდოს.

– 5. წინა პარაგრაფში მითითებული უფლებამოსილების მინიჭება არ მოითხოვება, თუ წესდებით კორპორაციისათვის ნებადართულია საკუთარი აქციების შექმნა შემდგომში მათი ამ კორპორაციისა თუ კომპანიათა ჯგუფის დასაქმებულებისათვის გადაცემის მიზნით ამ უკანასკნელთათვის შემუშავებული სქემის საფუძველზე. აღნიშნული აქციები შეიქმნება საფონდო ბირჟის პრეისკურანტში.

– 6. პარ. 1-დან 4-ის ჩათვლით ნორმები არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც კორპორაცია საკუთარ აქციებს იძენს უნივერსალური სამართალმემკვიდრეობით.

– 7. პარ. 2-დან 4-ის ჩათვლით ნორმები არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ფინანსურმა საწარმომ, რომლისათვისაც ფინანსური ზედამხედველობის შესახებ კანონის თანახმად ნებადართულია საბანკო ბიზნესის წარმოება, საკუთარი აქციები შეიძინა სხვა პირის დავალებითა და სახელით.

– 8. პარ. 2-დან 4-ის ჩათვლით ნორმები არ გამოიყენება ცვალებადი კაპიტალით საინვესტიციო კომპანიის მიმართ. ასეთი საინვესტიციო კომპანიის გამოშვებული კაპიტალი, რომელიც შემცირდა თავად ამ კომპანიის მფლობელობაში არსებული საკუთარი აქციების ნომინალური თანხის ოდენობით, უნდა შეადგენდეს მისი ნებადართული სააქციო კაპიტალის, სულ ცოტა, ერთ მეათედს მაინც.

– 9. როდესაც წინამდებარე მუხლში გამოიყენება სიტყვა „აქციები“, ეს უკანასკნელი მოიცავს ასევე „აქციების სადეპოზიტო ჩეკებსაც“.

მუხლი 2:98a ღია კორპორაციის მიერ საკუთარი აქციების მართლსაწინააღმდეგო შექმნის სამართლებრივი შედეგები

– 1. წინა მუხლის პარ. 2-დან 4-ის ჩათვლით ნორმების დარღვევით ღია კორპორაციის („naamloze vennootschap“) მიერ საკუთარი რეგისტრირებული აქციების შექმნა ბათილია. დირექტორები სოლიდარულად აგებენ პასუხს იმ გამსხვივებელი მხარის წინაშე, რომელმაც კეთილსინდისიერად მოახდინა კორპორაციისათვის აქციების გადაცემა და რომელსაც ბათილი გასხვივების შედეგად მიადგა ზიანი.

– 2. როდესაც ღია კორპორაციამ („naamloze vennootschap“) წინა მუხლის პარ. 2-დან 4-ის ჩათვლით ნორმების დარღვევით შეიძინა საკუთარი საწარმდგენლო აქციები ან საკუთარი აქციებისათვის გამოშვებული სადეპოზიტო ჩეკები, ეს საწარმდგენლო აქციები და სადეპოზიტო ჩეკები შექმნის მომენტში ერთობლივად გადადის დირექტორებზე. თითოეული დირექტორი სოლიდარულად აგებს პასუხს კორპორაციისათვის შექმნის ფასის ანაზღაურებისათვის, რასაც ემატება აღნიშნულ მომენტში დარიცხული კანონისმიერი პროცენტის თანხები.

– 3. კორპორაციის ღია კორპორაციად („naamloze vennootschap“) გარდაქმნიდან ანდა მის მიერ საკუთარი აქციების უნივერსალური სამართალმემკვიდრეობით ან ნებისმიერი სახით სამაგიერო შესრულების გარეშე (უსასყიდლოდ) შექმნის მომენტიდან სამი წლის ვადის გასვლის შემდეგ, კორპორაციას აღარ შეუძლია, დამოუკიდებლად ან თავის შვილობილ საწარმოებთან ერთად, საკუთარ კაპიტალში გამოშვებული სააქციო კაპიტალის, სულ ცოტა, ერთ მეათედზე მეტი აქციების ფლობა; აღნიშნულ გაანგარიშებაში შედის ასევე კორპორაციის კაპიტალში არსებული აქციები, რომლებზეც თავად კორპორაციას აქვს გირავნობა. კორპორაციის კაპიტალში არსებული აქციები, რომლებსაც ფლობს თავად კორპორაცია, სამწლიანი ვადის გასვლისთანავე ერთობლივად გადადის დირექტორებზე. როდესაც წინამდებარე მუხლში გამოიყენება სიტყვა „აქციები“, ეს უკანასკნელი მოიცავს ასევე „აქციების სადეპოზიტო ჩეკებსაც“.

– 4. წინა პარაგრაფის ნორმები შესაბამისად გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც კორპორაციამ უნივერსალური სამართალმემკვიდრეობით შეიძინა არასრულად გადახდილი საკუთარი აქცია, რომლის განკარგვა ან ამოღება (გაუქმება და ბრუნვიდან ამოღება) არ მომხდარა კორპორაციის მიერ მისი შექმნის მომენტიდან სამი წლის განმავლობაში.

– 5. პარ. 3-ის ნორმები შესაბამისად გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც კორპორაციამ წინა მუხლის პარ. 5-ის საფუძველზე საერთო კრების ნებართვის გარეშე შეიძინა ისეთი საკუთარი აქცია ან ამ აქციის სადეპოზიტო ჩეკი, რომლებსაც კორპორაცია ფლობდა ერთ წელზე მეტი ვადის განმავლობაში.

მუხლი 2:98b კორპორაციაში სხვა პირის სახელით, მაგრამ კორპორაციის ხარჯზე შექმნილი აქციები

როდესაც სხვა პირი საკუთარი სახელით, თუმცაღა ღია კორპორაციის („naamloze vennootschap“) ხარჯზე იძენს ერთ ან მეტ აქციას კორპორაციის კაპიტალში ანდა ასეთი აქციებისათვის ერთ ან მეტ სადეპოზიტო ჩეკს, მან დაუყოვნებლივ უნდა გადასცეს ეს აქციები და სადეპოზიტო ჩეკები კორპორაციას თანხის გადახდის სანაცვლოდ. თუ ეს აქციები წარმოადგენს რეგისტრირებულ აქციებს, მაშინ შესაბამისად გამოიყენება წინა მუხლის პარ. 2-ის ნორმები.

მუხლი 2:98c სხვა პირების მიერ საკუთარი აქციების მიღებასა თუ შექენასთან დაკავშირებით კორპორაციისათვის დადგენილი აკრძალვები

– 1. დაუშვებელია ღია კორპორაციის („naamloze vennootschap“) მიერ უზრუნველყოფის წარდგენა, ფასის გადახდის გარანტიის გაცემა, მესამე პირებისათვის სხვაგვარი წესით თავდებად დადგომა ანდა სოლიდარული ვალდებულების კისრება მესამე პირის ვალისათვის ამ პირთან ერთად ან მის ნაცვლად, თუ ეს ხორციელდება სხვა პირების მიერ საკუთარ აქციებზე ან ასეთი აქციებისათვის სადეპოზიტო ჩეკებზე ხელმოწერისა თუ მათი შექენის მიზნით. ეს აკრძალვა მოქმედებს ასევე კორპორაციის შვილობილი სანარმოების მიმართაც.

– 2. დაუშვებელია კორპორაციისა და მისი შვილობილი სანარმოების მიერ სესხის გაცემა იმ შეთხვევაში, თუ ეს ხორციელდება სხვა პირების მიერ საკუთარ აქციებზე ან ასეთი აქციებისათვის სადეპოზიტო ჩეკებზე ხელმოწერისა თუ მათი შექენის მიზნით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დირექტორთა საბჭომ მიიღო ამის განხორციელების გადანყვეტილება (გადაწყვეტა ამის განხორციელება) და ასევე დაკმაყოფილებულია შემდეგი მოთხოვნები:

a. სესხის გაცემა, მათ შორის, კორპორაციის მიერ მიღებული პროცენტი და მის მიერ წარდგენილი უზრუნველყოფა შეესაბამება სამართლიანი ბაზრის პირობებს;

b. თუ კორპორაციის საკუთარი კაპიტალი (მთლიან აქტივებს გამოკლებული ვალდებულებები), რომელიც შემცირდა გაცემული სესხის თანხის ოდენობით, არ არის იმაზე ნაკლები, ვიდრე გადახდილი და შესრულებული სააქციო კაპიტალის ნაწილი, რომელსაც ემატება კანონისა თუ წესდების შესაბამისად შესანარჩუნებელი რეზერვები;

c. მესამე პირის, ხოლო თუ საქმე ეხება ორზე მეტ მხარეს შორის დადებულ შეთანხმებას, – მაშინ თითოეული მხარის კრედიტუნარიანობა (გადახდისუნარიანობა) გულისყურით იქნა შესწავლილი;

d. როდესაც სესხის თანხა გაიცა აქციებზე ხელმოწერის მიზნით კორპორაციის გამოშვებული სააქციო კაპიტალის ზრდის ფარგლებში ანდა – კორპორაციის კაპიტალში აქციათა შექენის მიზნით, ხოლო აქციების მიღებისა თუ შექენის სანაცვლოდ გადასახდელი ფასი კი სამართლიანი უნდა იყოს.

– 3. პარ. 2-ის (b) პუნქტში მითითებული მოთხოვნისათვის გადამწყვეტია ბოლო დამტკიცებული ბალანსის შესაბამისად დადგენილი კორპორაციის საკუთარი კაპიტალის (მთლიან აქტივებს გამოკლებული ვალდებულებები) ოდენობა, რომელიც შემცირდა კორპორაციის კაპიტალში შესაძენი აქციების ნასყიდობის ფასის ოდენობით, ასევე – კორპორაციისა და მისი შვილობილი სანარმოების ნაცვლად იმ სხვა პირებზე განხორციელებული მოგებისა თუ რეზერვების ნებისმიერი განაწილების მოცულობით, რომლებიც გახდნენ მოვალეები ბალანსის შედგენის შემდეგ. როდესაც საანგარიშო წლის დასრულებიდან გასულია ექვს თვეზე მეტი წლიური ანგარიშის მიღების გარეშე, მაშინ პარ. 2-ით გათვალისწინებული წესების შესაბამისად აქციებზე ხელმოწერა ან მათი შექენა არ დაიშვება.

– 4. კორპორაცია ინარჩუნებს გაუნაწილებელ რეზერვს იმ ოდენობით, რომელიც უტოლდება პარ. 2-ში მითითებული სესხის თანხის ოდენობას.

– 5. პარ. 2-ში მითითებული სესხის გაცემასთან დაკავშირებით მიღებული დირექტორთა საბჭოს გადანყვეტილება საჭიროებს საერთო კრების წინასწარ თანხმობას. ამ თანხმობის მიცემის შესახებ საერთო კრების გადანყვეტილება მიიღება ხმათა, სულ ცოტა, ორი მესამედის უმრავლესობით, თუ კრებაზე გამოცხადდა გამოშვებული სააქციო კაპიტალის ნახევარზე ნაკლები მფლობელი აქციონერი. წინა წინადადების ნორმის გვერდის ავლის შემთხვევაში, გადანყვეტილება უნდა იქნეს მიღებული ხმათა, სულ ცოტა, 95%-ის უმრავლესობით იმ შემთხვევაში, როდესაც კორპორაციის აქციები დაშვებულია რეგულირებულ ბაზარზე ან მრავალდარგოვან სავაჭრო ობიექტზე, როგორც ეს მითითებულია ფინანსური ზედამხედველობის შესახებ კანონის 1:1 მუხლში.

– 6. როდესაც საერთო კრებისაგან მოთხოვნილია პარ. 5-ში მითითებული თანხმობის მიცემა, ამ უკანასკნელის შესახებ აღინიშნება ამ საერთო კრების მოწვევის შეტყობინებაში. ერთდროულად მოწვევის შეტყობინებასთან ერთად, შესაბამისი მოხსენების განთავსება ხდება სავაჭრო რეესტრის ოფისში აქციონერებისა და კორპორაციასთან თანამშრომლობით გამოშვებული აქციების სადეპოზიტო ჩეკების მფლობელების მიერ მისი გაცნობის მიზნით სესხის გაცემის მიზნობრიობის, კორპორაციისათვის შესაბამისი გარიგების მნიშვნელობის, სესხის თანხის გაცემის პირობების, მესამე პირის მიერ აქციების მიღებისა თუ შექენის ფასისა და კორპორაციის ლიკვიდურობასა და გადახდისუნარიანობასთან მიმართებაში სესხთან დაკავშირებული რისკების მითითებით.

– 7. რვა დღის განმავლობაში მას შემდეგ, რაც მიცემულ იქნა პარ. 5-ში მითითებული თანხმობა, კორპორაციამ პარ. 6-ში მითითებული მოხსენება ან მისი ასლი უნდა განათავსოს სავაჭრო რეესტრის ოფისში.

- 8. პარ. 1-დან 7-ის ჩათვლით ნორმები არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ აქციების ან აქციების სადეპოზიტო ჩეკების მიღება ან შექმნა ხდება კორპორაციისა თუ კომპანიათა ჯგუფის მიერ.
- 9. პარ. 1-დან 7-ის ჩათვლით ნორმები არ გამოიყენება ფინანსური ზედამხედველობის შესახებ კანონში ნახსენები ფინანსური სანარმოს მიმართ, რომლისათვისაც ამ კანონის თანახმად ნებადართულია ნიდერლანდებში საბანკო ბიზნესის წარმოება, რამდენადაც ეს სანარმო მოქმედებს თავისი ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში.

მუხლი 2:98d კორპორაციაში აქციების შექმნა მისი შვილობილი სანარმოების მიერ

- 1. შვილობილ სანარმოს არ შეუძლია სათავისოდ მოახდინოს ღია კორპორაციის („naamloze vennootschap“) კაპიტალში აქციებზე ხელმოწერა ანდა შექმნას ამისათვის შესაბამისი საფუძველი. შვილობილ სანარმოს სათავისოდ შეუძლია შეიძინოს ასეთი აქციები – ანდა შექმნისათვის შექმნას შესაბამისი საფუძველი – მხოლოდ იმდენად, რამდენადაც კორპორაცია თავად უშვებს საკუთარი აქციების შექმნას 2:98 მუხლის პარ. 1-დან 7-ის ჩათვლით ნორმების შესაბამისად.

- 2. თუ არ იქნა დაცული წინა პარაგრაფის მოთხოვნები, მაშინ ღია კორპორაციის („naamloze vennootschap“) დირექტორები სოლიდარულად აგებენ პასუხს შესაბამისი შვილობილი სანარმოს მიმართ შექმნის ფასის ანაზღაურებისათვის, რასაც ემატება იმ მომენტისათვის დარიცხული კანონისმიერი პროცენტის თანხები, როდესაც პარ. 1-ის ნორმათა დარღვევით მოხდა აქციების მიღება ან შექმნა. აღნიშნული საზღაურის თანხის გადახდა ხორციელდება შესაბამისი აქციების გადაცემის სანაცვლოდ. დირექტორი არ არის ვალდებული, აანაზღაუროს შექმნის ფასი, თუ ის დაამტკიცებს, რომ კორპორაციას არ მიუძღვის ბრალი იმ ფაქტის არსებობაში, რომ შვილობილმა სანარმომ აქციები მიიღო ან შეიძინა პარ. 1-ის ნორმათა დარღვევით.

- 3. შვილობილი სანარმო ვეღარ შეძლებს – ანდა ვეღარ შეძლებს შესაბამისი საფუძველის შექმნას – სათავისოდ ღია კორპორაციის („naamloze vennootschap“) კაპიტალში დამოუკიდებლად ან კორპორაციასთან ან მის სხვა შვილობილ სანარმოებთან ერთად ფლობდეს ამ კორპორაციის გამოშვებული სააქციო კაპიტალის ერთ მეათედზე მეტს, როგორც კი გავა სამი წელი:

a. მას შემდეგ, როდესაც ის გახდა შვილობილი სანარმო;

b. მას შემდეგ, როდესაც ის კორპორაცია, რომლის შვილობილ სანარმოსაც ის წარმოადგენს, გარდაიქმნა ღია კორპორაციად („naamloze vennootschap“), ან;

c. მას შემდეგ, როდესაც მან, როგორც შვილობილმა სანარმომ, ღია კორპორაციის („naamloze vennootschap“) კაპიტალში შეიძინა აქციები უნივერსალური სამართალმემკვიდრეობით ან სამაგრო შესრულების გარეშე (უსასყიდლოდ).

ღია კორპორაციის („naamloze vennootschap“) დირექტორები სოლიდარულად აგებენ პასუხს შესაბამისი შვილობილი სანარმოს მიმართ იმ აქციების ღირებულების ანაზღაურებისათვის, რომლებსაც ეს შვილობილი სანარმო ფლობს ან – ანდა ქმნის ფლობის საფუძველს – ზემოაღნიშნული მაქსიმალური ვადის მიღმა და რომელთა ღირებულებაც უნდა დადგინდეს სამწლიანი ვადის გასვლისთანავე, რასაც ემატება იმ მომენტისათვის დარიცხული კანონისმიერი პროცენტის თანხები. აღნიშნული საზღაურის თანხის გადახდა ხორციელდება შესაბამისი აქციების გადაცემის სანაცვლოდ. დირექტორი არ არის ვალდებული, გადაიხადოს ასეთი საზღაურის თანხა, თუ ის დაამტკიცებს, რომ კორპორაციას არ მიუძღვის ბრალი იმ ფაქტის არსებობაში, რომ შვილობილი სანარმო ჯერ კიდევ ფლობს აქციებს – ანდა ქმნის ფლობის საფუძველს – ზემოაღნიშნული მაქსიმალური ვადის მიღმა.

- 4. როდესაც წინამდებარე მუხლში გამოიყენება სიტყვა „აქციები“, ეს უკანასკნელი მოიცავს ასევე „აქციების სადეპოზიტო ჩეკებსაც“.

მუხლი 2:99 კორპორაციის კაპიტალის შემცირება

- 1. საერთო კრებას წესდებაში შესაბამისი ცვლილების შეტანით შეუძლია მიიღოს გამოშვებული სააქციო კაპიტალის შემცირების შესახებ გადაწყვეტილება აქციების ამოღების (გაუქმების) ან ნომინალური ღირებულების შემცირების გზით. ასეთი გადაწყვეტილება უნდა განსაზღვრავდეს იმ აქციებს, რომლებსაც ის ეხება და ასევე იმ პროცედურას, რომლის მიხედვითაც უნდა შესრულდეს გადაწყვეტილება.

- 2. აქციებათა ამოღების (გაუქმების) შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება ეხებოდეს მხოლოდ იმ აქციებს, რომლებსაც კორპორაცია თავად ფლობს (სახაზინო აქციები) ან რომლებსაც ის ფლობს სადეპოზიტო ჩეკებით (სახაზინო ჩეკები), ისევე როგორც – განსაზღვრული ტიპის (კლასის) ყველა აქციას, რომელთა მიმართაც მათ გამოშვებამდე წესდება უკვე ითვალისწინებდა მათი ამოღების (გამოსყიდვისა და

გაუქმების) დასაშვებობას საზღაურის გადახდის სანაცვლოდ, ანდა – გამოსყიდვისა და ამოღების (გაუქმების) სასარგებლოდ გამოყენებული აქციებს, რომლებიც განეკუთვნება იმ ტიპის (კლასის) აქციებს, რომელთა მიმართაც მათ გამოშვებამდე წესდება უკვე ითვალისწინებდა მათი ამოღების (გამოსყიდვისა და გაუქმების) სასარგებლოდ გამოყენების შესაძლებლობას საზღაურის გადახდის სანაცვლოდ.

– **3.** აქციათა ნომინალური თანხის შემცირება საზღაურის გადახდისა და აქციებზე თანხის გადახდის ვალდებულებისაგან გათავისუფლების გარეშე უნდა განხორციელდეს პროპორციულად ერთი და იგივე კლასის ყველა აქციასთან მიმართებაში. პროპორციულობის მოთხოვნა შეიძლება გამოირიცხოს ყველა აქციონერის თანხმობით.

– **4.** აქციებზე თანხების ნაწილობრივი ანაზღაურება ან აქციებზე თანხის გადახდის ვალდებულებისაგან გათავისუფლება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ხორციელდება აქციათა ნომინალური თანხის შემცირების შესახებ გადაწყვეტილების შესრულების მიზნით. ასეთი ანაზღაურება ან ვალდებულებისაგან გათავისუფლება უნდა განხორციელდეს პროპორციულად ყველა აქციასთან მიმართებაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც განსაზღვრული ტიპის (კლასის) აქციების გამოშვებამდე წესდება უკვე ითვალისწინებდა ანაზღაურებისა თუ ვალდებულებისაგან გათავისუფლების შესაძლებლობას მხოლოდ და მხოლოდ ამ აქციებთან მიმართებაში; ამ უკანასკნელ შემთხვევაში აღნიშნული აქციების მიმართ მოქმედებს პროპორციულობის მოთხოვნა. პროპორციულობის მოთხოვნა შეიძლება გამოირიცხოს ყველა აქციონერის თანხმობით.

– **5.** როდესაც სახეზეა სხვადასხვა ტიპის (კლასის) აქციები, მაშინ კორპორაციის კაპიტალის შემცირებასთან დაკავშირებით საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებისათვის მოითხოვება ერთი და იგივე ტიპის (კლასის) აქციათა მფლობელების ყოველი იმ ჯგუფის წინასწარი ან ერთდროულად მიღებული გადაწყვეტილება, რომელთა უფლებებსაც ეხება საერთო კრების გადაწყვეტილება.

– **6.** კორპორაციის კაპიტალის შემცირებასთან დაკავშირებით საერთო კრების გადაწყვეტილებისათვის მოითხოვება ხმათა, სულ ცოტა, ორი მესამედის უმრავლესობა, თუ კრებზე გამოცხადდნენ გამოშვებული სააქციო კაპიტალის ნახევარზე ნაკლები მფლობელი აქციონერები. ეს წესი შესაბამისად გამოიყენება პარ. 5-ში მითითებული გადაწყვეტილების მიმართაც.

– **7.** იმ კრების მონვევის შესახებ შეტყობინებაში, რომელზეც უნდა იქნეს მიღებული წინამდებარე მუხლში მითითებული გადაწყვეტილება, აღინიშნება კორპორაციის კაპიტალის შემცირების მიზანი და ასევე ის პროცედურა, რომლის მიხედვითაც უნდა შესრულდეს ასეთი შემცირება. შესაბამისად გამოიყენება 2:123 მუხლის პარ. 2, 3 და 4-ის ნორმები.

მუხლი 2:100 კორპორაციის კაპიტალის შემცირებასთან დაკავშირებით ინფორმაციის გასაჯაროების მოთხოვნები

– **1.** ღია კორპორაცია („naamloze vennootschap“) 2:99 მუხლის პარ. 1-ში მითითებულ გადაწყვეტილებებს ანთავსებს სავაჭრო რეესტრის ოფისში და ამის თაობაზე განცხადებას აქვეყნებს ასევე ეროვნულ ყოველდღიურ გაზეთში.

– **2.** კორპორაციამ თითოეულ იმ კრედიტორს, რომელიც ამას ითხოვს, უნდა წარუდგინოს უზრუნველყოფა ანდა მისცეს მას სხვაგვარი გარანტია იმისა, რომ მისი სავალო მოთხოვნა მომავალში დაკმაყოფილდება; თუ კორპორაცია ვერ შეასრულებს ამ ნორმას, მაშინ ქვემოთ მოცემულ პარაგრაფში მითითებული კრედიტორის პროტესტი ქმედითად უნდა იქნეს აღიარებული. წინამდებარე პარაგრაფის ნორმები არ მოქმედებს, თუ კრედიტორს საკმარისი გარანტია აქვს იმისა, რომ მისი სავალო მოთხოვნა მომავალში დაკმაყოფილდება ანდა – როდესაც კორპორაციას საკმარისი ქონება აქვს იმისათვის, რათა უზრუნველყოს მისი სავალო მოთხოვნის დაკმაყოფილება.

– **3.** პარ. 1-ში მითითებული განცხადების გამოქვეყნებიდან ორი თვის განმავლობაში, ნებისმიერ კრედიტორს შეუძლია წარადგინოს განაცხადი რაიონულ სასამართლოში, რომლითაც ის გააპროტესტებს კორპორაციის კაპიტალის შემცირების გადაწყვეტილებას იმ უზრუნველყოფისა თუ სხვა გარანტიის ხსენებით, რომელსაც ის ეძებს. რაიონულმა სასამართლომ უარი უნდა თქვას მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, თუ განმცხადებელი ვერ დაამტკიცებს იმას, კორპორაციის კაპიტალის შემცირების შედეგად სახეზე იქნება ლეგიტიმური ეჭვი მისი სავალო მოთხოვნის დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, და ასევე – იმას, რომ კორპორაციამ წარადგინა არასაკმარისი უზრუნველყოფა ან სხვაგვარი გარანტია.

– **4.** მანადე, სანამ რაიონული სასამართლო მიიღებს თავის გადაწყვეტილებას, მას შეუძლია კორპორაციას მისცეს განსაზღვრული უზრუნველყოფისა თუ სხვა სახის გარანტიის წარდგენის შესაძლებლობა სასამართლოს მიერ დადგენილი ვადის განმავლობაში. თუ კორპორაციის კაპიტალი უკვე შემცირდა,

რაიონულ სასამართლოს მისთვის წარდგენილი მოთხოვნის საფუძველზე შეუძლია დაადგინოს, რომ უზრუნველყოფა ან სხვა სახის გარანტია წარედგინება განმცხადებელს (კრედიტორს) ამ ვალდებულების შეუსრულებლობისათვის პირგასამტეხლოს თანხის დაკისრების სანქციით.

– 5. კორპორაციის კაპიტალის შემცირების შესახებ გადანყვეტილება არ შედის ძალაში მანამდე, სანამ პროტესტი ჯერ კიდევ შეიძლება იქნეს წარდგენილი. თუ პროტესტი დროულად წარედგინება, გადანყვეტილება ძალაში შევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც კრედიტორმა თავისი პროტესტი გაიხმო, ანდა როდესაც ძალაში შედის სასამართლოს დადგენილება, რომლითაც პროტესტის დაკმაყოფილებაზე კრედიტორს ეთქვა უარი. როდესაც კორპორაციის კაპიტალის შემცირება მოითხოვს წესდებაში ცვლილების შეტანას, წინა წინადადებაში აღნიშნულ მომენტამდე შესაბამისი სანოტარო აქტი ვერ შედგება.

– 6. თუ კორპორაცია თავის კაპიტალს ამცირებს იმ ოდენობამდე, რომელიც არ არის საკუთარი კაპიტალის (მთლიან აქტივებს გამოკლებული ვალდებულებები) ოდენობაზე ნაკლები, და ასევე ეს შემცირება ხორციელდება იმის გამო, კორპორაციამ განიცადა ზარალი, მაშინ აუცილებელი არ არის რაიმე უზრუნველყოფისა თუ სხვა სახის გარანტიის წარდგენა, რა დროსაც გადანყვეტილება დაუყოვნებლივ უნდა შევიდეს ძალაში.

– 7. წინამდებარე მუხლის ნორმები არ მოქმედებს, თუ ცვალებადი კაპიტალით საინვესტიციო კომპანია იღებს გადანყვეტილებას საკუთარი აქტივების ამოღების (გაუქმების) შესახებ იმ პირობით, რომ მან ეს აქტივები კანონიერად შეიძინა.

მუხლი 2: 101 ყოველწლიური ანგარიში და ყოველწლიური ანგარიშგება

– 1. ყოველწლიურად კორპორაციის საანგარიშო წლის დასრულებიდან ხუთი თვის განმავლობაში, – გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს პერიოდი კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით საერთო კრების მიერ გახანგრძლივდა არაუმეტეს ექვსი თვისა, – დირექტორთა საბჭო ადგენს ყოველწლიურ ანგარიშს და ანთავსებს ამ დოკუმენტს კორპორაციის ოფისში აქციონერების მიერ მისი გაცნობის მიზნით. თუ აქტივები ან სხვა გადაცემადი ფასიანი ქაღალდები დაშვებულია რეგულირებულ ბაზარზე, როგორც ეს მითითებულია ფინანსური ზედამხედველობის შესახებ კანონში, მაშინ ეს ვადა შეადგენს კორპორაციის საანგარიშო წლის დასრულებიდან ოთხ თვეს მისი გახანგრძლივების შესაძლებლობის გარეშე. იმავე ვადის განმავლობაში დირექტორთა საბჭომ ყოველწლიური ანგარიშგება უნდა განათავსოს კორპორაციის ოფისში აქციონერების მიერ მისი გაცნობის მიზნით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კორპორაციის მიმართ გამოიყენება 2:396 მუხლის პარ. 7-ის ან 2:403 მუხლის ნორმები. იმ კორპორაციის დირექტორთა საბჭომ, რომლის მიმართაც გამოიყენება 2:158 მუხლიდან 2:161 მუხლის ჩათვლით და ასევე – 2:164 მუხლის ნორმები, ვალდებულია ყოველწლიური ანგარიში გაუზიაროს ასევე 2:158 მუხლის პარ. 11-ში მითითებულ სამუშაო საბჭოსაც.

– 2. ყოველწლიურ ანგარიშს ხელს აწერენ დირექტორები და ზედამხედველი დირექტორები; როდესაც სახეზე არ არის ერთი ან მეტი ხელმოწერა, მაშინ ამის თაობაზე უნდა მოხდეს შესაბამისი შეტყობინების წარდგენა მიზეზების მითითებით.

– 3. ყოველწლიურ ანგარიშს ამტკიცებს საერთო კრება. აღნიშნული ანგარიშის დამტკიცება თავისთავად არ გულისხმობს დირექტორების ან ზედამხედველი დირექტორების პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას.

– 4. ის გადანყვეტილებები, რომელთა საფუძველზეც მტკიცდება ყოველწლიური ანგარიში, არ საჭიროებს წესდების თანახმად კორპორაციის ორგანოსა თუ მესამე პირის მხრიდან დადასტურებას.

– 5. დაუშვებელია წესდებაში იმ ნებისმიერი დებულების გათვალისწინება, რომლის საფუძველზეც ნებადართული გახდება ყოველწლიური ანგარიშისა თუ მისი ნებისმიერი პუნქტის მიმართ ნებისმიერი მოთხოვნისა თუ მბოჭავი წინადადების დადგენა.

– 6. წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს, საერთო კრების ნაცვლად, კორპორაციის სხვა ორგანოსათვის იმ საკითხის გადანყვეტის მიღების უფლებამოსილების მინიჭებას, თუ ყოველწლიური ანგარიშის შედგენის რომელი ნაწილი უნდა იქნეს დარეზერვებული, ანდა – როგორ უნდა ჩამოინეროს ზარალი.

– 7. განსაკუთრებული მიზეზების არსებობისას, მოთხოვნის საფუძველზე, ეკონომიკის საქმეთა მინისტრს შეუძლია გაათავისუფლოს კორპორაცია ყოველწლიური ანგარიშის შედგენის, წარდგენისა და დამტკიცების ვალდებულებისაგან. დაუშვებელია ვალდებულებისაგან გათავისუფლება იმ კორპორაციის მიერ ყოველწლიური ანგარიშის დამტკიცებასთან დაკავშირებით, რომელმაც გამოუშვა რეგულირებულ ბაზარზე დაშვებული აქტივები ან სხვა გადაცემადი ფასიანი ქაღალდები, როგორც ეს მითითებულია ფინანსური ზედამხედველობის შესახებ კანონში.

მუხლი 2:102 კორპორაციის ოფისში ყოველწლიური ანგარიშის გაცნობა

– 1. ღია კორპორაცია („naamloze vennootschap“) უზრუნველყოფს, რომ ყოველწლიური ანგარიში და ყოველწლიური ანგარიშგება და 2:392 მუხლის პარ. 1-ის შესაბამისად დასამატებელი ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყოს კორპორაციის ოფისში იმ დღიდან, როდესაც ხდება ყოველწლიური ანგარიშის მიღების მიზნით ჩასატარებელი საერთო კრების მოწვევის შესახებ შეტყობინების გაგზავნა. კორპორაციაში იმ აქციებისა თუ ასეთი აქციების სადეპოზიტო ჩეკების მფლობელებს, რომელთა გამოშვებაც ხდება კორპორაციასთან თანამშრომლობით, შეუძლიათ კორპორაციის ოფისში გაეცნონ აღნიშნულ დოკუმენტებს და უსასყიდლოდ მიიღონ მათი ასლი.

– 2. როდესაც საქმე ეხება კორპორაციის მიერ გამოშვებულ სანარმდგენლო აქციებს, სადეპოზიტო ჩეკებსა თუ სანარმდგენლო ობლიგაციებს (სავალო სერტიფიკატებს), რომლებიც ჯერ კიდევ ბრუნვაშია, მაშინ შესაბამისი დოკუმენტები, რამდენადაც ისინი უნდა გასაჯაროვდეს, ხელმისაწვდომია გასაცნობად ნებისმიერი პირისათვის; ამ დოკუმენტების ასლის ან ამონარიდის წარდგენა უნდა მოხდეს არაუმეტეს თვითღირებულების თანხის გადახდის სანაცვლოდ. ეს უფლება უქმდება, როდესაც ხდება შესაბამისი დოკუმენტების განთავსება კორპორაციის ოფისში.

მუხლი 2:103 {გაუქმებულია 31.12.2006წ.}

მუხლი 2:104 დეფიციტის რეზერვებიდან ჩამონერა

წესდებით გათვალისწინებული რეზერვებიდან დეფიციტი შეიძლება ჩამოინეროს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს დაშვებულია კანონით.

მუხლი 2:105 მოგების განაწილება

– 1. რამდენადაც წესდება სხვაგვარად არ ითვალისწინებს, კორპორაციის მოგება გათვალისწინებულია აქციონერთა სარგებლისათვის.

– 2. ღია კორპორაციას („naamloze vennootschap“) შეუძლია გაუნაწილოს თავისი მოგება მხოლოდ საკუთარ აქციონერებსა და სხვა გასანაწილებელ მოგებაზე უფლებამოსილ სხვა პირებს, რამდენადაც მისი საკუთარი კაპიტალი (მთლიან აქტივებს გამოკლებული ვალდებულებები) აღემატება გადახდილი და შესრულებული სააქციო კაპიტალის თანხას, რომელსაც ემატება კანონისა თუ წესდების შესაბამისად შესანარჩუნებელი რეზერვები.

– 3. მოგების განაწილება ხდება იმ ყოველწლიური ანგარიშის დამტკიცების შემდეგ, საიდანაც ჩანს, რომ ასეთი განაწილება ნებადართულია.

– 4. კორპორაციას მოგების დროებითი განაწილების განხორციელება შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ნებადართულია წესდებით და დაკმაყოფილებულია პარ. 2-ის მოთხოვნა დროებით კაპიტალურ ანგარიშთან დაკავშირებით. ეს დროებითი კაპიტალური ანგარიში ეხება კორპორაციის ქონების (კაპიტალის) მდგომარეობას არაუადრეს მესამე თვის პირველი დღისა იმ თვემდე, როდესაც გასაჯაროვდა მოგების განაწილების შესახებ გადაწყვეტილება. აღნიშნული ანგარიში მზადდება საყოველთაოდ დადგენილი შეფასების მეთოდების შესაბამისად. რეზერვები, რომლებიც კანონისა თუ წესდების თანახმად ექვემდებარება შენარჩუნებას, უნდა იქნეს შეტანილი აღნიშნულ დროებით კაპიტალურ ანგარიშში. დროებით კაპიტალურ ანგარიშს ხელს აწერენ დირექტორები. როდესაც სახეზე არ არის ერთი ან მეტი ხელმოწერა, მაშინ ამის თაობაზე უნდა მოხდეს შესაბამისი შეტყობინების წარდგენა მიზნების მითითებით. მოგების განაწილების შესახებ გადაწყვეტილების გასაჯაროების მომენტიდან რვა დღის განმავლობაში კორპორაცია დროებით კაპიტალურ ანგარიშს ანთავსებს სავაჭრო რეესტრის ოფისში.

– 5. გასანაწილებელი მოგების თანხის გამოთვლისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ასევე ის აქციებიც, რომლებსაც კორპორაცია საკუთარ კაპიტალში ფლობს (სახაზინო აქციები), გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წესდება სხვაგვარად ითვალისწინებს.

– 6. ყოველ აქციაზე გასანაწილებელი მოგების თანხის გამოთვლისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მხოლოდ აქციების ნომინალური ღირებულების სავალდებულო გადახდები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წესდება სხვაგვარად ითვალისწინებს.

– 7. წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს აქციონერის მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის დაუშვებლობას ხუთწლიანი ვადის გასვლამდე, თუმცაღა – არა ამ ვადაზე მეტი ხნით. შესაბამისად, წესდებაში გათვალისწინებული ასეთი დებულება შესაბამისად უნდა მოქმედებდეს აქციონერის წინააღმდეგ აქციის სადეპოზიტო ჩეკის მფლობელის მოთხოვნის უფლების მიმართ.

- 8. პარ. 2-ს ან 4-ის ნორმათა დარღვევით მოგების განაწილება უნდა ანაზღაურდეს აქციონერის ან კორპორაციის მოგებაზე უფლებამოსილი სხვა პირების მიერ, თუმცაღა – მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ ეს განაწილება არ იყო ნებადართული.
- 9. არც ერთი აქციონერი არ უნდა გამოირიცხოს მთლიანად მოგებაში მონაწილეობისაგან.
- 10. წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს იმ მოგების სრულად ან ნაწილობრივ საკუთარ ინტერესებში დარეზერვებას, რომლის მიღებაზეც უფლებამოსილი არიან განსაზღვრული ტიპის (კლასის) აქციათა მფლობელები.

მუხლი 2:106 *{გაუქმებულია 01.09.1981წ.}*

განყოფილება 2.4.4 – საერთო კრება

მუხლი 2:107 საერთო კრების უფლებამოსილებები

- 1. კანონითა და წესდებით დადგენილი შეზღუდვების ფარგლებში, ნებისმიერი უფლებამოსილება, რომელიც არ არის მინიჭებული დირექტორთა საბჭოსა თუ კორპორაციის სხვა ორგანოსათვის, ეკუთვნის აქციონერთა საერთო კრებას.
- 2. დირექტორთა საბჭომ და სამეთვალყურეო საბჭომ საერთო კრებას სრულად უნდა მიაწოდოს მოთხოვნილი ინფორმაცია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნული კორპორაციის არსებით ინტერესებს ეწინააღმდეგება.

მუხლი 2:107a გადაწყვეტილებები, რომლებიც საჭიროებს საერთო კრების თანხმობას

- 1. დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილებები, რომლებიც შედეგად იწვევს კორპორაციის ან მისი საწარმოს იდენტიფიკაციის ან ნიშან-თვისებების ცვლილებას, უნდა იქნეს მონონებული საერთო კრების მიერ, მათ შორის კი, ნებისმიერ შემთხვევაში, – შემდეგი გადაწყვეტილებები:
 - a. საწარმოს ან თითქმის მთლიანი საწარმოს მესამე პირისათვის გადაცემა;
 - b. კორპორაციის ან მისი შვილობილი საწარმოს მიერ სხვა იურიდიულ პირთან ან სავაჭრო ამხანაგობასთან გრძელვადიანი კავშირის დამყარება ან დასრულება, ანდა – კორპორაციის ან მისი შვილობილი საწარმოს მხრიდან შეუზღუდავად პასუხისმგებელი პარტნიორის სახით მონაწილეობის მიღების დაწყება ან ამ მონაწილეობის შეწყვეტა კომანდიტურ საზოგადოებაში („commanditaire vennootschap“) ან სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში („vennootschap onder firma“) ყოველთვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც აღნიშნული კავშირისა თუ ამხანაგობის დამყარება ან დასრულება/შეწყვეტა კორპორაციისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა;
 - c. სხვა იურიდიული პირის კაპიტალში იმ ღირებულების მქონე წილის შექენა ან განკარგვა, რომელიც უტოლდება, სულ ცოტა, განმარტებითი შენიშვნებით მომზადებული კორპორაციის ბალანსის მიხედვით – ხოლო თუ კორპორაცია იყენებს კონსოლიდირებულ ბალანსს, მაშინ განმარტებითი შენიშვნებით მომზადებული მისი კონსოლიდირებული ბალანსის მიხედვით – არსებული აქტივების ერთი მესამედის ოდენობას, – ამასთან, ყოველთვის კორპორაციის ბოლო დამტკიცებული ყოველწლიური ანგარიშის მიხედვით.
- 2. პარ. 1-ში მითითებულ გადაწყვეტილებაზე საერთო კრების თანხმობის არარსებობა გავლენას არ ახდენს დირექტორთა საბჭოსა თუ დირექტორების წარმომადგენლობით უფლებამოსილებაზე.
- 3. თუ ღია კორპორაციამ („naamloze vennootschap“) წესდებით დააფუძნა სამუშაო საბჭო, მაშინ თანხმობის მოთხოვნა წარედგინება საერთო კრებას მხოლოდ მას შემდეგ, რაც სამუშაო საბჭოს მიეცა შესაძლებლობა დროულად 1:114 მუხლში მითითებულ მონვევის თარიღამდე შეიმუშაოს თავისი მოსაზრებები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. სამუშაო საბჭოს მოსაზრებების შეთავაზება ხდება ერთდროულად საერთო კრებისათვის თანხმობის მიცემის მოთხოვნასთან ერთად. სამუშაო საბჭოს თავმჯდომარეს ანდა საბჭოს იმ წევრს, რომელიც დაინიშნა შესაბამისი მიზნით, შეუძლია განუმარტოს საერთო კრებას სამუშაო საბჭოს პოზიცია. ამ უკანასკნელის არარსებობა გავლენას არ ახდენს თანხმობის მიცემის მოთხოვნასთან დაკავშირებით წარმოებულ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე.
- 4. პარ. 3-ის მიზნებისათვის სამუშაო საბჭოში მოიაზრება ასევე შვილობილი საწარმოს სამუშაო საბჭო იმ პირობით, რომ ღია კორპორაციაში („naamloze vennootschap“) არსებული დასაქმებულები და კომპანიათა ჯგუფები ძირითადად მუშაობენ ნიდერლანდების ტერიტორიის ფარგლებში. როდესაც სახეზეა ერთზე მეტი სამუშაო საბჭო, წინამდებარე მუხლში მითითებული უფლებამოსილება ამ საბჭოების

მიერ ხორციელდება ერთობლივად. იმ შემთხვევაში, როდესაც შესაბამისი საწარმოსა თუ საწარმოებისათვის მოხდა ცენტრალური სამუშაო საბჭოს დაფუძნება, მაშინ ზემოაღნიშნული უფლებამოსილება ამ უკანასკნელს ეკუთვნის.

მუხლი 2:108 მინიმუმ ყოველწლიურად ერთი საერთო კრება

- 1. საერთო კრება უნდა ჩატარდეს, სულ ცოტა, წელიწადში ერთხელ მაინც.
- 2. როდესაც წესდება არ ითვალისწინებს უფრო მცირე ვადას, ყოველწლიური კრება ტარდება კორპორაციის საანგარიშო წლის დასრულებიდან ექვსი თვის განმავლობაში.

მუხლი 2:108 კრების ჩატარება, როდესაც კორპორაციის საკუთარი კაპიტალი მკვეთრად შემცირდა

სამი თვის განმავლობაში მას შემდეგ, როდესაც დირექტორთა საბჭოსათვის ცნობილი გახდა იმის თაობაზე, რომ ღია კორპორაციის („naamloze vennootschap“) საკუთარი კაპიტალი (მთლიან აქტივებს გამოკლებული ვალდებულებები) შემცირდა იმ ოდენობამდე, რაც უტოლდება კორპორაციის გადახდილი და შესრულებული სააქციო კაპიტალის ნაწილს ან ნაკლებია მასზე, მაშინ, აუცილებლობის შემთხვევაში, შესაბამისი ზომების მიღების საკითხის განხილვის მიზნით უნდა ჩატარდეს საერთო კრება.

მუხლი 2:109 საერთო კრების მოწვევა

დირექტორთა საბჭო და სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილი არიან, მოიწვიონ საერთო კრება; წესდებით ეს უფლებამოსილება შეიძლება მიენიჭოს სხვა პირებს.

მუხლი 2:110 საერთო კრების მოწვევაზე სასამართლოს ნებართვა

- 1. ერთ ან რამდენიმე აქციონერს, რომლებიც ერთობლივად წარმოადგენენ, სულ ცოტა, გამოშვებული სააქციო კაპიტალის ერთ მეათედს, ანდა – იმ უფრო ნაკლებ ოდენობას, რაც აღნიშნული მიზნით გათვალისწინებულია წესდებაში, მათივე განცხადების საფუძველზე, რაიონული სასამართლოს სამართლებრივი დაცვის საშუალების მიმღები მოსამართლის მხრიდან შეიძლება მიენიჭოს საერთო კრების მოწვევის უფლებამოსილება. სამართლებრივი დაცვის საშუალების მიმღები მოსამართლე არ დააკმაყოფილებს ასეთ განცხადებაში მოცემულ მოთხოვნას, თუ მისთვის არ არის ნათელი ის ფაქტი, რომ განმცხადებლებმა წერილობითი ფორმით უკვე მოსთხოვეს დირექტორთა საბჭოსა და სამეთვალყურეო საბჭოს საერთო კრების მოწვევა ასეთ კრებაზე განსახილველი საკითხების დეტალური აღწერით, და ასევე – რომ არც დირექტორთა საბჭომ და არც სამეთვალყურეო საბჭომ, რომელიც ამ შემთხვევაში თანაბრად უფლებამოსილია აღნიშნულის განხორციელებაზე, არ მიიღო აუცილებელი ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ საერთო კრების ჩატარება შესაძლებელი გამხდარიყო ერთ-ერთი მათგანისათვის მოთხოვნის წარდგენიდან ექვსი თვის განმავლობაში. როდესაც კორპორაციასთან თანამშრომლობით გამოშვებული აქციები ან აქციების სადეპოზიტო ჩეკები დაშვებულია რეგულირებულ ბაზარზე, როგორც ეს მითითებულია ფინანსური ზედამხედველობის შესახებ კანონის 1:1 მუხლში, ვადა უნდა შეადგენდეს რვა კვირას.

- 2. წინამდებარე მუხლის მიზნებისათვის ღია კორპორაციასთან („naamloze vennootschap“) თანამშრომლობით გამოშვებული აქციების სადეპოზიტო ჩეკების მფლობელები უთანაბრდებიან აქციონერებს.

- 3. პარ. 1-ში მითითებული მოთხოვნის წერილობითი ფორმა დაცულია ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც მოთხოვნის წარდგენა ხდება ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წესდება სხვაგვარად ითვალისწინებს.

მუხლი 2:111 სასამართლოს ნებართვის მიღებისათვის საჭირო ფორმალური მოთხოვნები

- 1. მას შემდეგ, რაც ღია კორპორაციას („naamloze vennootschap“) მოუსმინეს სასამართლოში ანდა ის გამოიძახეს სასამართლოში გამოცხადებისათვის, წინა მუხლში ნახსენებმა რაიონული სასამართლოს სამართლებრივი დაცვის საშუალების მიმღებმა მოსამართლემ უნდა გასცეს მოთხოვნილი თანხმობა იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებლებმა მოკლედ აჩვენეს, რომ ამ მუხლის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და რომ მათ კრების ჩატარების მიმართ აქვთ გონივრული ინტერესი. რაიონული სასამართლოს სამართლებრივი დაცვის საშუალების მიმღებმა მოსამართლემ უნდა განსაზღვროს საერთო კრების მოწვევის ფორმალური პროცედურა და ვადა. მას შეუძლია ასევე დანიშნოს პირი, რომელსაც დაეკისრება საერთო კრების საქმიანობის გაძღოლა.

- 2. როდესაც საერთო კრების მოწვევა ხდება პარ. 1-ში მითითებული წესით, ამ კრების მოწვევის შეტყობინებაში უნდა აღნიშნოს, რომ კრების ჩატარება ხდება სასამართლოს განკარგულების საფუძველზე.

ზე. აღნიშნული წესით წარდგენილი მონვევის შეტყობინება სამართლებრივად ნამდვილია იმ შემთხვევაშიც კი, თუ შემდგომში ნათელი გახდება, რომ ნებართვა გაიცა შეცდომით.

– 3. დაუშვებელია საჩივრისა თუ სხვა სამართლებრივი დაცვის საშუალების (სარჩელის) წარდგენა წინამდებარე მუხლში მითითებული სასამართლოს განკარგულების სანადალმდეგოდ, გარდა კანონის ინტერესებში საკასაციო საჩივრის უზენაეს სასამართლოში წარდგენის შემთხვევებისა.

მუხლი 2:112 ინდივიდუალური აქციონერის მიერ საერთო კრების მონვევის უფლებამოსილება

თუ 2:109 მუხლის საფუძველზე ან წესდებით საერთო კრების მონვევაზე უფლებამოსილმა პირებმა არ ჩაატარეს საერთო კრება, როგორც ეს მოითხოვება 2:108 ან 2:108a მუხლების შესაბამისად, მაშინ რაიონული სასამართლოს სამართლებრივი დაცვის საშუალების მიმღებ მოსამართლეს შეუძლია ნებისმიერ აქციონერს მიანიჭოს ასეთი კრების თავად მონვევის უფლებამოსილება. შესაბამისად გამოიყენება 2:110 მუხლის პარ. 2-სა და 2:111 მუხლის ნორმები.

მუხლი 2:113 კრების მონვევის შეტყობინებისათვის დადგენილი ფორმალობები

– 1. ყველა აქციონერი და ღია კორპორაციასთან („naamloze vennootschap“) თანამშრომლობით გამოშვებული აქციების სადეპოზიტო ჩეკების მფლობელი მოიწვევა საერთო კრებაზე მონვევის შეტყობინების მეშვეობით.

– 2. საერთო კრებაზე მონვევის შეტყობინების წარდგენა ხდება ეროვნულ ყოველდღიურ გაზეთში პუბლიკაციის (განცხადების) გზით.

– 3. წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს რეგისტრირებული აქციების მფლობელთა საერთო კრებაზე მონვევას წერილობითი შეტყობინების გზით, რომელიც იგზავნება ამ აქციონერთა მისამართებზე, როგორც ეს მითითებულია აქციონერთა რეესტრში.

– 4. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წესდება სხვაგვარად ითვალისწინებს, და თუ ეს კეთდება რეგისტრირებული აქციებისა და კორპორაციასთან თანამშრომლობით გამოშვებული აქციების სადეპოზიტო ჩეკების მფლობელთან შეთანხმებით, მონვევის შეტყობინება შეიძლება ასევე გაიგზავნოს ნათელი და აღწარმოებადი შეტყობინების ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებებით იმ მისამართზე გაგზავნის გზით, რომელიც ამ მიზნით კორპორაციისათვის გაცხადებულ იქნა შესაბამისი აქციონერისა თუ აქციების სადეპოზიტო ჩეკების მფლობელის მიერ.

– 5. წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს სანარმდგენლო აქციების მფლობელთა და კორპორაციასთან თანამშრომლობით გამოშვებული ასეთი აქციების სადეპოზიტო ჩეკების მფლობელთა საერთო კრებაზე მონვევას ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებებით გამოქვეყნებული მონვევის განცხადების გზით, რომელიც უშუალოდ და ყოველთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ამ საერთო კრების ჩატარებამდე.

მუხლი 2:114 მონვევის შეტყობინების შინაარსი

– 1. საერთო კრების მონვევის შეტყობინება უნდა ადგენდეს:

a. კრებაზე განსახილველ (სადისკუსიო) საკითხს;

b. კრების ადგილსა და დროს;

c. კრებაში იმ წარმომადგენლის მეშვეობით მონაწილეობის პროცედურას, ვინც უფლებამოსილია ამაზე წერილობითი რწმუნებულების (მინდობილობის) საფუძველზე;

d. როდესაც კორპორაციის აქციები ან კორპორაციასთან თანამშრომლობით გამოშვებული აქციების სადეპოზიტო ჩეკები დაშვებულია რეგულირებულ ბაზარზე, როგორც ეს მითითებულია ფინანსური ზედამხედველობის შესახებ კანონის 1:1 მუხლში: კრებაში მონაწილეობის პროცედურასა და ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებებით ხმის მიცემის უფლების რეალიზაციას, როდესაც ასეთი უფლება შეიძლება განხორციელდეს ამ ხერხით 2:117a მუხლის შესაბამისად; ასევე – კორპორაციის ვებ-საიტის მისამართს, როგორც ეს მითითებულია ფინანსური ზედამხედველობის შესახებ კანონის 5:25ka მუხლში.

– 2. სამართლებრივად ძალმოსილი გადაწყვეტილება ვერ იქნება მიღებული იმ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც მონვევის შეტყობინებასა თუ ანალოგიური წესით მონვევის შესახებ პუბლიკაციაში (განცხადებაში) საერთო კრების მიერ განსახილველი საკითხის სახით არ არის მითითებული, ანდა – როდესაც არ იქნა დაცული საერთო კრების მონვევისათვის დადგენილი მინიმალური ვადა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ერთხმად იმ კრებაზე, რომელზეც წარმოდგენილია კორპორაციის მთლიანი გამოშვებული სააქციო კაპიტალი.

– 3. იმ ცნობების შესახებ შეტყობინება, რომლებიც კანონისა თუ წესდების შესაბამისად მიმართუ-

ლია საერთო კრებისკენ, შეიძლება გაკეთდეს მათი თავად მონვევის შეტყობინებაში შეტანით, ანდა – იმ დოკუმენტისათვის დამატებით, რომელიც გაცნობის მიზნით განთავსებულია კორპორაციის ოფისში იმ პირობით, რომ ეს უკანასკნელი შესაძლებლობა ცალკე არის ნახსენები მონვევის შეტყობინებაში.

– 4. პარ. 1-ის ნორმათა გვერდის ავლით, მონვევის შეტყობინებაში შესაძლებელია ასევე იმის მითითება, რომ აქციების ან კორპორაციასთან თანამშრომლობით გამოშვებული აქციების სადეპოზიტო ჩეკების მფლობელებს შეუძლიათ კორპორაციის ოფისში გაეცნონ პარ. 1-ის (ა) და (ც) პუნქტებში მითითებულ მონაცემებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შესაბამისი აქციები ან სადეპოზიტო ჩეკები დაშვებულია რეგულირებულ ბაზარზე, როგორც ეს მითითებულია ფინანსური ზედამხედველობის შესახებ კანონის 1:1 მუხლში.

მუხლი 2: 114a აქციონერების უფლება, მოითხოვონ საკითხის საერთო კრებაზე განხილვა

– 1. როდესაც ერთმა ან რამდენიმე აქციონერმა, რომლებიც დამოუკიდებლად ან ერთობლივად წარმოადგენენ, სულ ცოტა, გამოშვებული სააქციო კაპიტალის სამ მეასედს, წერილობითი ფორმით მოითხოვა კონკრეტული საკითხის საერთო კრებაზე განხილვა, მაშინ ეს საკითხი უნდა დაემატოს მონვევის შეტყობინებას ან ანალოგიური წესით მონვევის შესახებ პუბლიკაციას (განცხადებას) იმ შემთხვევაში, თუ კორპორაციამ გადაწყვეტილებისათვის გონივრული მოთხოვნა ანდა შეთავაზება მიიღო საერთო კრების თარიღამდე არაუგვიანეს მეექვსე დღისა. წესდებით შეიძლება შემცირდეს გამოშვებული სააქციო კაპიტალის ნაწილი და შემცირდეს მოთხოვნის წარდგენისათვის დადგენილი ვადა.

– 2. წინამდებარე მუხლის მიზნებისათვის აქციების მფლობელებს უთანაბრდებიან კორპორაციასთან თანამშრომლობით გამოშვებული აქციების სადეპოზიტო ჩეკების მფლობელები.

– 3. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წესდება სხვაგვარად ითვალისწინებს, მოთხოვნის წერილობითი ფორმით წარდგენის აუცილებლობა, როგორც ეს ნახსენებია პარ. 1-ში, დაკმაყოფილებულად ითვლება ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც ხდება მოთხოვნის ელექტრონული ფორმით რეგისტრაცია.

მუხლი 2: 115 მონვევის შეტყობინების მინიმალური ვადა

2: 111 მუხლის პარ. 2-ის მეორე წინადადებით გათვალისწინებული წესების მოქმედების შეზღუდვის გარეშე, საერთო კრების მონვევის შეტყობინების წარდგენა უნდა მოხდეს კრების თარიღამდე არაუგვიანეს მეთხუთმეტე დღისა. თუ ეს ვადა უფრო მოკლე იყო ანდა როდესაც მონვევის შეტყობინება საერთოდ არ იქნა წარდგენილი, სამართლებრივად ძალმოსილი გადაწყვეტილება ვერ იქნება მიღებული საერთო კრებაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ერთხმად იმ კრებაზე, რომელზეც წარმოდგენილია კორპორაციის მთლიანი გამოშვებული სააქციო კაპიტალი.

მუხლი 2: 116 საერთო კრების ჩატარების ადგილი

საერთო კრებები ტარდება ნიდერლანდების ტერიტორიაზე წესდებაში აღნიშნულ ადგილზე ან, როდესაც წესდება არ ითვალისწინებს ასეთ ადგილს, – იმ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სადაც კორპორაციას აქვს დომიცილი (აქვს თავისი ადგილსამყოფელი). სამართლებრივად ძალმოსილი გადაწყვეტილებები ვერ იქნება მიღებული იმ საერთო კრებაზე, რომელიც ტარდება სხვა ადგილზე, ნაცვლად იმ ადგილისა, სადაც ის უნდა ჩატარებულიყო, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ერთხმად იმ კრებაზე, რომელზეც წარმოდგენილია კორპორაციის მთლიანი გამოშვებული სააქციო კაპიტალი.

მუხლი 2: 117 საერთო კრებაზე განსახორციელებელი აქციონერთა უფლებები

– 1. თითოეული აქციონერი უფლებამოსილია, პირადად ან წერილობითი რწმუნებულების (მინდობილობის) საფუძველზე მოქმედი წარმომადგენლის მეშვეობით, დაესწროს საერთო კრებას, გამოვიდეს სიტყვით კრებაზე და განახორციელოს თავისი ხმის უფლება. წილადი აქციების მფლობელები, რომლებიც ერთობლივად წარმოადგენენ ერთი დამოუკიდებელი აქციის ნომინალურ ოდენობას, თავიანთ უფლებებს, ერთ-ერთი მათგანის ან წერილობითი რწმუნებულების (მინდობილობის) საფუძველზე მოქმედი წარმომადგენლის მეშვეობით, ახორციელებენ ერთობლივად. წესდებით შეიძლება შეიზღუდოს აქციონერთა უფლება, წარმოდგენილი იყვნენ საერთო კრებაზე. დაუშვებელია აქციონერის უფლების გამოცხვად, იყოს წარმოდგენილი საერთო კრებაზე ადვოკატის (ადვოკატთა ასოციაციის წევრის), ნოტარიუსის, დამატებითი ნოტარიუსის, მომავალი (უმცროსი) ნოტარიუსის, რეგისტრირებული ბუღალტრის (სერტიფიცირებული აუდიტორის) ანდა საბუღალტრო-ადმინისტრაციული კონსულტანტის მიერ.

– 2. კორპორაციასთან თანამშრომლობით გამოშვებული აქციების სადეპოზიტო ჩეკების თითოეული მფლობელი უფლებამოსილია, პირადად ან წერილობითი რწმუნებულების (მინდობილობის) საფუძველზე მოქმედი წარმომადგენლის მეშვეობით, დაესწროს საერთო კრებასა და გამოვიდეს მასზე სიტყვით. შესაბამისად გამოიყენება პარ. 1-ის ბოლო ორი წინადადების ნორმები.

– 3. წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს აქციონერის მიერ საერთო კრებაში მონაწილეობის დაუშვებლობას მანამდე, სანამ ის არ დააკმაყოფილებს მასზე კანონით ან წესდებით წარდგენილ მოთხოვნებს (დაკისრებულ ვალდებულებებს). თუ წესდება ითვალისწინებს იმას, რომ აქციების მფლობელებმა საერთო კრების თარიღამდე უნდა მოახდინონ მათ ხელთ არსებული დოკუმენტური მტკიცებულებების გადაცემა, მაშინ ამ კრებაზე მოწვევის შეტყობინება უნდა უთითებდეს იმ ადგილსა და თარიღს, სადაც და როდემდეც უნდა განხორციელდეს ეს. დაუშვებელია აღნიშნული თარიღის დადგენა კრებამდე შვიდ დღეზე უფრო ადრე. თუ წესდება შეიცავს წინამდებარე პარაგრაფის ნორმათა ანალოგიურ დებულებებს, მაშინ ეს დებულებები გამოიყენება ასევე კორპორაციასთან თანამშრომლობით გამოშვებული აქციების სადეპოზიტო ჩეკების მფლობელების მიმართაც.

– 4. თავიანთი კომპენტენციის ფარგლებში დირექტორებსა და ზედამხედველ დირექტორებს საერთო კრებაზე აქვთ სათათბირო ხმა.

– 5. რეგისტრირებული ბუღალტერი (სერტიფიცირებული აუდიტორი), რომელსაც დაეკისრა ყოველწლიური ანგარიშის აუდიტი, როგორც ეს მითითებულია 2:393 მუხლის პარ. 1-ში, უფლებამოსილია დაესწროს და გამოვიდეს სიტყვით იმ საერთო კრებაზე, რომელზეც განიხილება აღნიშნული ყოველწლიური ანგარიშის დამტკიცების შესახებ გადაწყვეტილების მიღების საკითხი.

– 6. რწმუნებულების (მინდობილობის) წერილობითი ფორმით წარდგენის მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ითვლება ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც ასეთი რწმუნებულება (მინდობილობა) გაიცემა და აღირიცხება ელექტრონული ფორმით.

– 7. თუ აქციები ან კორპორაციასთან თანამშრომლობით გამოშვებული აქციების სადეპოზიტო ჩეკები დაშვებულია რეგულირებულ ბაზარზე, როგორც ეს მითითებულია ფინანსური ზედამხედველობის შესახებ კანონში, მაშინ დაუშვებელია წესდებით აქციონერებისა თუ სადეპოზიტო ჩეკების მფლობელთა მიერ კრებაზე პირადად წარმომადგენის უფლების შეზღუდვა ან გამორიცხვა.

მუხლი 2:117a საერთო კრებაზე დასწრება ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებებით

– 1. წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს ნებისმიერი აქციონერის უფლებამოსილებას, პირადად ან წერილობითი რწმუნებულების (მინდობილობის) საფუძველზე მოქმედი წარმომადგენლის მეშვეობით, გამოიყენოს ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებები საერთო კრებაში მონაწილეობის მისაღებად, კრებაზე სიტყვით გამოსვლისა და ხმის უფლების განხორციელებისათვის.

– 2. პარ. 1-ის მიზნებისათვის აუცილებელია, რომ ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებებით აქციონერი იდენტიფიცირებადი იყოს და ასევე მან შეძლოს უშუალო წარმოდგენის შექმნა საერთო კრებაზე არსებულ საქმის განხილვასთან დაკავშირებით და განახორციელოს თავისი ხმის უფლება. წესდებით შეიძლება გათვალისწინებული იყოს ასევე იმის აუცილებლობაც, რომ აქციონერმა ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებებით შეძლოს დისკუსიებში მონაწილეობის მიღება.

– 3. ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებით მოთხოვნები შეიძლება დადგინდეს წესდებით ან ამ უკანასკნელის შესაბამისად. თუ ამ მოთხოვნების დაკისრება ხდება წესდების მიხედვით, მაშინ ისინი უნდა გაცხადდეს საერთო კრების მოწვევის შეტყობინებაში.

– 4. პარ. 1-დან 3-ის ჩათვლით ნორმები შესაბამისად გამოიყენება კორპორაციასთან თანამშრომლობით გამოშვებული აქციის სადეპოზიტო ჩეკის ნებისმიერი მფლობელის უფლებების მიმართ.

– 5. რწმუნებულების (მინდობილობის) წერილობითი ფორმით წარდგენის მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ითვლება ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც ასეთი რწმუნებულება (მინდობილობა) გაიცემა და აღირიცხება ელექტრონული ფორმით.

მუხლი 2:117b საერთო კრების ჩატარებამდე ხმის უფლების ელექტრონული საშუალებებით გამოყენება

– 1. წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს საერთო კრების ჩატარებამდე ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებებით მიცემული ხმის თავად საერთო კრების მსვლელობისას ხმის მიცემასთან გათანაბრებას. დაუშვებელია ხმის ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებებით მიცემა პარ. 3-ში მითითებული რეგისტრაციის უკანასკნელ დღემდე.

– 2. პარ. 1-ის მიზნებისათვის შემდეგი პირები მიიჩნევიან ხმის მიცემის ან საერთო კრებაზე დასწრების

უფლების მქონე პირებად: პირები, რომლებსაც საერთო კრების მოწვევის შეტყობინებაში განსაზღვრულ კონკრეტულ მომენტში აქვთ აღნიშნული ხმისა თუ კრებაზე დასწრების უფლებები და ისინი ასეთად არიან რეგისტრირებული დირექტორთა საბჭოს მიერ აღნიშნული მიზნით მითითებულ სპეციალურ რეესტრში, ამავე დროს, – იმ პირთა გაუთვალისწინებლად, რომლებიც თავად საერთო კრების ჩატარების მომენტში უფლებამოსილი არიან შესაბამისი აქციების მიღებაზე.

– 3. დაუშვებელია რეგისტრაციისათვის საბოლოო თარიღის დადგენა საერთო კრებამდე ცამეტ დღეზე უფრო ადრე.

– 4. საერთო კრების მოწვევის შეტყობინებაში მიეთითება რეგისტრაციის თარიღი, ისევე როგორც ის ნესი, რომლის თანახმადაც ხმის მიცემის ან კრებაზე დასწრების უფლებების მქონე პირები შეიძლება გატარდნენ რეგისტრაციაში სპეციალურ რეესტრში, და ასევე – ის პროცედურა, რომლის მიხედვითაც მათ შეუძლიათ თავიანთი უფლებების რეალიზაცია.

მუხლი 2: 118 საერთო კრებაზე ხმის მიცემის უფლება; მისაცემი ხმების რაოდენობა

– 1. მხოლოდ აქციონერებს აქვთ ხმის უფლება. თითოეულ აქციონერს აქვს, სულ ცოტა, ერთი ხმა. წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს აქციონერის მიერ თავისი ხმის უფლების განხორციელების დაუშვებლობას მანამდე, სანამ ის არ დააკმაყოფილებს მასზე კანონით ან წესდებით წარდგენილ მოთხოვნებს (დაკისრებულ ვალდებულებებს).

– 2. თუ ნებადართული სააქციო კაპიტალი დაყოფილია თანაბარი ნომინალური ღირებულების აქციებად, თითოეულ აქციონერს შეუძლია იმდენი ხმის მიცემა, რამდენ აქციასაც ის ფლობს.

– 3. თუ ნებადართული სააქციო კაპიტალი დაყოფილია არათანაბარი ნომინალური ღირებულების აქციებად, მაშინ იმ ხმათა რაოდენობა, რომელთა მიცემაც შეუძლია თითოეულ აქციონერს, უტოლდება მისი აქციების მთლიან ნომინალური ღირებულებას, გაყოფილს კორპორაციის მიერ გამოშვებული ყველაზე მცირე აქციის ნომინალურ ღირებულებაზე; ხმათა ნაწილები მხედველობაში არ მიიღება.

– 4. თუმცა, მიუხედავად აღნიშნულისა, ერთი და იგივე აქციონერის მიერ მისაცემი ხმის რაოდენობა შეიძლება წესდებით შეიზღუდოს იმ პირობით, რომ ის აქციონერი, რომელიც ფლობს იგივე ნომინალური ღირებულების აქციებს, უფლებამოსილი იყოს იგივე რაოდენობის ხმათა მიცემაზე, და – ასევე რომ ასეთი შეზღუდვა აღარ იყოს უფრო ხელსაყრელი მეტი ნომინალური აქციების მფლობელი, ვიდრე ნაკლები ნომინალური აქციების მფლობელი აქციონერებისათვის.

– 5. დასაშვებია წესდებით პარ. 2-სა და 3-ის ნორმათა დანაწესიდან სხვაგვარი გადახვევა იმ პირობით, რომ არაუმეტეს ექვსი ხმისა მიენიჭოს მხოლოდ ერთ აქციონერს იმ შემთხვევაში, თუ ნებადართული სააქციო კაპიტალი დაყოფილია ას ან მეტ აქციად, და – ასევე რომ არაუმეტეს სამი ხმისა მიენიჭოს მხოლოდ ერთ აქციონერს იმ შემთხვევაში, თუ ნებადართული სააქციო კაპიტალი დაყოფილია ასზე ნაკლები რაოდენობის აქციად.

– 6. წილადი აქციები, რომლებიც ერთობლივად ქმნის მხოლოდ ერთი აქციის ნომინალურ ღირებულებას, უთანაბრდება ასეთ აქციას.

– 7. დაუშვებელია საერთო კრებაზე იმ აქციის მეშვეობით ხმის მიცემა, რომელიც ეკუთვნის კორპორაციას ან მის ერთ-ერთ შვილობილ საწარმოს; ასევე დაუშვებელია ხმის მიცემა იმ აქციის მეშვეობით, რომლისათვისაც გაცემულია კორპორაციის კაპიტალში გამოშვებული აქციის სადეპოზიტო ჩეკი, რომელსაც ფლობს კორპორაცია ან მისი ერთ-ერთი შვილობილი საწარმო. თუმცა, კორპორაციის კაპიტალში არსებულ იმ აქციაზე უზუფრუქტსა თუ გირავნობაზე უფლებამოსილი შეზღუდული სანივთო უფლების მფლობელი, რომელიც ეკუთვნის კორპორაციას ან მის ერთ-ერთ შვილობილ საწარმოს, არ გამოირიცხება თავისი ხმის უფლების რეალიზაციისაგან იმ შემთხვევაში, თუ უზუფრუქტი ან გირავნობა დადგინდა იმ მომენტამდე, როდესაც უფლებრივად დატვირთული აქცია შექმნილ იქნა კორპორაციის ან მისი შვილობილი საწარმოს მიერ. კორპორაციის კაპიტალში არსებულ აქციაზე უზუფრუქტისა თუ გირავნობის უფლების მქონე კორპორაციას ან მის შვილობილ საწარმოს არ შეუძლია რაიმე ხმის უფლების განხორციელება აღნიშნულ კორპორაციასთან მიმართებაში.

მუხლი 2: 118a ღია კორპორაციის კაპიტალში არსებული საფონდო ბირჟაზე კოტირებულ აქციათა სადეპოზიტო ჩეკების მფლობელთა ხმის უფლება

– 1. თუ კორპორაციის კაპიტალში არსებული აქციებისათვის სადეპოზიტო ჩეკების გამოშვება ხდება იმ კორპორაციასთან თანამშრომლობით, რომლის აქციებიც დაშვებულია რეგულირებულ ბაზარზე ან მრავალდარგოვან სავაჭრო ობიექტზე, როგორც ეს მითითებულია ფინანსური ზედამხედველობის შესა-

ხებ კანონის 1:1 მუხლში, ანდა იმ სისტემაში, რომელიც უთანაბრდება ასეთ რეგულირებულ ბაზრებს ან მრავალდარგოვან სავაჭრო ობიექტებს ევროკავშირის არანეკრ სახელმწიფოში, – მაშინ ასეთი სადეპოზიტო ჩეკების მფლობელს შეუძლია მოითხოვოს იმ რწმუნებულების (მინდობილობის) მისთვის მინიჭება, რომლითაც ის უფლებამოსილი გახდება, თავდაპირველად ხმის უფლების მქონე პირის გამორიცხვით განახორციელოს საერთო კრებაზე ამ რწმუნებულებაში (მინდობილობაში) მითითებული და შესაბამის აქციასა თუ აქციებთან დაკავშირებული ხმის უფლებები. აქციების სადეპოზიტო ჩეკების მფლობელს, რომელსაც მიენიჭა ამგვარი უფლებამოსილება, შეუძლია განახორციელოს ხმის უფლება საკუთარი შეხედულებით. 2:88 მუხლის პარ. 4-სა და 2:89 მუხლის პარ. 4-ის ნორმები არ გამოიყენება.

– 2. თავდაპირველად ხმის უფლების მიცემაზე უფლებამოსილ პირს შეუძლია უარი თქვას რწმუნებულების (მინდობილობის) გაცემაზე ან შეზღუდოს ეს უკანასკნელი და ასევე გააუქმოს უკვე გაცემული რწმუნებულება (მინდობილობა) მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ:

a. ხდება კორპორაციის კაპიტალში აქციების ან ასეთი აქციებისათვის სადეპოზიტო ჩეკების საჯარო შეთავაზების გამოქვეყნება ან პუბლიკაცია ანდა – თუ სახეზეა გამართლებული მოლოდინი იმისა, რომ ასეთი შეთავაზება მალევე გამოქვეყნდება ან გასაჯაროვდება იმ დროს, როდესაც – ყველა ზემოხსენებულ შემთხვევაში – არანაირი შეთანხმება არ იქნა მიღწეული ამ შეთავაზებასთან დაკავშირებით კორპორაციის შიგნით (აქციების შესყიდვის გზით კომპანიის შთანთქმის შეთავაზება);

b. სადეპოზიტო ჩეკების ერთი ან მეტი მფლობელი, დამოუკიდებლად ან ერთობლივად აქციათა ერთ ან მეტ მფლობელთან ერთად, თავისი შვილობილი სანარმოების დახმარებითა თუ ამ დახმარების გარეშე, თანამშრომლობის შესახებ ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე იძენენ – ან ქმნიან შეძენის საფუძველს – კორპორაციის გამოშვებული სააქციო კაპიტალის, სულ ცოტა, 25%-ს, ან;

c. თავდაპირველად ხმის უფლების მიცემაზე უფლებამოსილი პირის შეხედულებით სადეპოზიტო ჩეკების მფლობელის მიერ ხმის უფლების გამოყენება უნდა განიხილებოდეს როგორც კორპორაციისა თუ მისი აფილირებული სანარმოს ინტერესებთან არსებით წინააღმდეგობაში არსებული.

თავდაპირველად ხმის უფლების მიცემაზე უფლებამოსილმა პირმა უნდა შეატყობინოს სადეპოზიტო ჩეკების მფლობელებისა და აქციონერების მოთხოვნილი ან გაცემული რწმუნებულების (მინდობილობის) შეზღუდვის, მასზე უარის თქმისა თუ მისი გაუქმების გადაწყვეტილების შესახებ ამ უკანასკნელის მოტივების დასაბუთებასთან ერთად.

– 3. რწმუნებულების (მინდობილობის) შეზღუდვის, მასზე უარის თქმისა თუ მისი გაუქმების უფლება არ არსებობს, როდესაც თავდაპირველად ხმის უფლების მიცემაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს იურიდიული პირი და ამ უკანასკნელის დირექტორთა საბჭოში ხმათა უმრავლესობის განხორციელება შეუძლიათ:

a. კორპორაციის ან მის ჯგუფში შემავალი კომპანიების დირექტორებს ან ყოფილ დირექტორებსა და ზედამხედველ დირექტორებს ან ყოფილ ზედამხედველ დირექტორებს;

b კორპორაციის ან მის ჯგუფში შემავალი კომპანიების მიერ დაქირავებულ ფიზიკურ პირებს;

c კორპორაციის ან მის ჯგუფში შემავალი კომპანიების მუდმივ მრჩევლებს.

– 4. როდესაც თავდაპირველად ხმის უფლების მიცემაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს იურიდიული პირი, მაშინ პარ. 3-ში მითითებულ პირებს არა აქვთ უფლება, მისცენ ხმა როგორც ამ იურიდიულ პირთან დაკავშირებით მიღებულ რწმუნებულების (მინდობილობის) შეზღუდვის, მასზე უარის თქმისა თუ მისი გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას, ისე – ამ იურიდიულ პირთან დაკავშირებით მიღებულ იმ გადაწყვეტილებას, რომლითაც უნდა მოხდეს ხმის უფლების რეალიზაცია (იმ შემთხვევაში, როდესაც სადეპოზიტო ჩეკების მფლობელი არ არის უფლებამოსილი, განახორციელოს ეს უფლებები მოთხოვნილი რწმუნებულების (მინდობილობის) საფუძველზე).

მუხლი 2:119 ხმის მიცემის ან საერთო კრებაზე დასწრების უფლების მქონე პირებად მითითებული სუბიექტები

– 1. საერთო კრებას შეუძლია დირექტორთა საბჭოს მიანიჭოს უფლებამოსილება, მაქსიმუმ ხუთი წლის ვადით, ყოველ იმ მომენტში, როდესაც ხდება საერთო კრების მონვევა, განსაზღვრონ, რომ 2:117 მუხლის პარ. 1 და 2-სა და ასევე 2:117a მუხლის პარ. 1 და 4-ის მიზნებისათვის შემდეგი პირები მიიჩნევიან ხმის მიცემის ან საერთო კრებაზე დასწრების უფლების მქონე პირებად: პირები, რომლებსაც საერთო კრების მონვევის შეტყობინებაში განსაზღვრულ კონკრეტულ მომენტში აქვთ აღნიშნული ხმისა თუ კრებაზე დასწრების უფლებები და ისინი ასეთად არიან რეგისტრირებული დირექტორთა საბჭოს მიერ აღნიშნული მიზნით მითითებულ სპეციალურ რეესტრში, ამავე დროს, – იმ პირთა გაუთვალისწინებლად,

რომლებიც თავად საერთო კრების ჩატარების მომენტში უფლებამოსილი არიან შესაბამისი აქციების მიღებაზე. აღნიშნული უფლებამოსილება დირექტორთა საბჭოს შეიძლება ასევე მიენიჭოს განუსაზღვრელი ვადითაც წესდებაში ამ მიზნით შესაბამისი დებულების გათვალისწინებით.

– 2. დაუშვებელია რეგისტრაციისათვის საბოლოო თარიღის დადგენა საერთო კრებამდე ცამეტ დღეზე უფრო ადრე.

– 4. საერთო კრების მოწვევის შეტყობინებაში მიეთითება რეგისტრაციის თარიღი, ისევე როგორც ის წესი, რომლის თანახმადაც ხმის მიცემის ან ასეთ საერთო კრებაზე დასწრების უფლებების მქონე პირები შეიძლება გატარდნენ რეგისტრაციაში სპეციალურ რეესტრში, და ასევე – ის პროცედურა, რომლის მიხედვითაც მათ შეუძლიათ თავიანთი უფლებების რეალიზაცია.

მუხლი 2:120 ხმათა უმრავლესობა; კვორუმი

– 1. როდესაც კანონით ან წესდებით არ მოითხოვება ხმათა მეტი ოდენობა, გადანყვეტილება საერთო კრებაზე მიიღება მიცემული ხმების აბსოლუტური უმრავლესობით. თუ ხმები თანაბრად იყოფა პირთა არჩევნისას, მაშინ საკითხის გადანყვეტა ხდება კენჭისყრით; თუ ხმები თანაბრად იყოფა სხვა საკითხებთან დაკავშირებით გადანყვეტილებების მიღებისას, მაშინ წინადადება ჩაითვლება უარყოფილად; აღნიშნული ნორმები არ გამოიყენება იმდენად, რამდენადაც კანონი ან წესდება ითვალისწინებს საკითხის განსხვავებულ გადანყვეტას. ასეთი გადანყვეტა შეიძლება ასევე გულისხმობდეს იმასაც, რომ საკითხის გადანყვეტა დაევალოს მესამე პირს.

– 2. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კანონი ან წესდება სხვაგვარად ითვალისწინებს, საერთო კრებაზე მიღებული გადანყვეტილების ნამდვილობა არ არის დამოკიდებული იმ საკითხზე, თუ სააქციო კაპიტალის რომელი ნაწილი არის წარმოდგენილი საერთო კრებაზე.

– 3. თუ წესდებით დადგენილია, რომ საერთო კრებაზე მიღებული გადანყვეტილების ნამდვილობა დამოკიდებულია იმ საკითხზე, არის თუ არა სააქციო კაპიტალის კონკრეტული ნაწილი წარმოდგენილი საერთო კრებაზე, და ეს უკანასკნელი კი არ იქნა წარმოდგენილი საერთო კრებაზე, მაშინ შეიძლება მონვეულ იქნეს ახალი საერთო კრება, რომელზეც გადანყვეტილება იქნება მიღებული მიუხედავად საერთო კრებაზე წარმოდგენილი სააქციო კაპიტალის ნაწილისა, თუ წესდება სხვაგვარად არ ითვალისწინებს. ახალი საერთო კრების მოწვევის შეტყობინება უნდა უთითებდეს გადანყვეტილების ამ საერთო კრებაზე მიღების შესაძლებლობაზე მიუხედავად მასზე წარმოდგენილი სააქციო კაპიტალის ნაწილისა, და ასევე – იმაზე, თუ რატომ უნდა იქნეს მიღებული ასეთი გადანყვეტილება ამ საერთო კრებაზე.

– 4. კორპორაციის დირექტორთა საბჭო მხედველობაში იღებს საერთო კრების მიერ მიღებულ გადანყვეტილებებს. შესაბამისი ჩანაწერების განთავსება ხდება კორპორაციის ოფისში აქციონერებისა და კორპორაციასთან თანამშრომლობით გამოშვებული აქციების სადეპოზიტო ჩეკების მფლობელების მიერ მისი გაცნობის მიზნით. მოთხოვნის საფუძველზე ამ ჩანაწერების ასლი ან ამონარიდი უნდა გაიცეს თითოეულ ამ აქციონერსა და სადეპოზიტო ჩეკების მფლობელზე ხარჯის მაქსიმალური თანხის გადახდის სანაცვლოდ.

მუხლი 2:121 წესდების ცვლილება

– 1. საერთო კრება უფლებამოსილია, შეცვალოს წესდება; რამდენადაც წესდების შეცვლის შესაძლებლობა წესდებით გამოირიცხებულია, მიუხედავად ამისა საერთო კრება მაინც უფლებამოსილია შეცვალოს წესდება იმ კრებაზე ერთხმად მიღებული გადანყვეტილებით, რომელზეც წარმოდგენილია კორპორაციის მთლიანი გამოშვებული სააქციო კაპიტალი.

– 2. წესდების დებულება, რომლითაც იზღუდება წესდების ერთი ან მეტი სხვა დებულების შეცვლის შესაძლებლობა, შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ საერთო კრების მიერ იმავე შეზღუდვის ჯეროვანი გათვალისწინებით.

– 3. წესდების დებულება, რომლითაც გამოირიცხება წესდების ერთი ან მეტი სხვა დებულების შეცვლის შესაძლებლობა, შეიძლება შეიცვალოს იმ საერთო კრებაზე ერთხმად მიღებული გადანყვეტილებით, რომელზეც წარმოდგენილია კორპორაციის მთლიანი გამოშვებული სააქციო კაპიტალი.

მუხლი 2:121a გულდენებში განსაზღვრული თანხის ევროში კონვერტაციის გადანყვეტილება

– 1. აქციათა ნომინალური ღირებულებისა და 2:67a მუხლში მითითებული ნებადართული სააქციო კაპიტალის გაზრდის შესახებ საერთო კრების გადანყვეტილება უნდა იქნეს მიღებული ხმათა აბსოლუტური (ჩვეულებრივი) უმრავლესობით. აქციათა ნომინალური ღირებულებისა და ნებადართული სააქციო

კაპიტალის შემცირების შესახებ საერთო კრების გადაწყვეტილება უნდა იქნეს მიღებული ხმათა, სულ ცოტა, ორი მესამედის უმრავლესობით, თუ საერთო კრებაზე წარმოდგენილია გამოშვებული სააქციო კაპიტალის ნახევარზე ნაკლები. როდესაც სახეზეა სხვადასხვა ტიპის (კლასის) აქციები, მაშინ აქციათა ნომინალური ღირებულებისა და ნებადართული სააქციო კაპიტალის გაზრდისა თუ შემცირების შესახებ საერთო კრების ძალმოსილი გადაწყვეტილება მოითხოვს იმავე ტიპის (კლასის) აქციათა იმ მფლობელების ყოველი ჯგუფის წინასწარ ან ერთდროულად მიღებულ მოწონების გადაწყვეტილებას, რომელთა უფლებებსაც ეხება თანხების ევროში კონვერტაცია.

– 2. წინა პარაგრაფის მიზნებისათვის კონკრეტული ტიპის (კლასის) აქციები მოიცავს ასევე დიფერენცირებული ნომინალური ღირებულების მქონე აქციებსაც.

მუხლი 2:122 წესდების შეცვლა და მესამე პირთა ინტერესების დაცვა

წესდებაში იმ დებულების შეცვლა, რომელიც პირს ანიჭებს უფლებას სხვა საფუძვლით, ნაცვლად მისი როგორც აქციონერის სტატუსისა, ვერ იქნება საზიანო ამ პირის უფლებებისათვის, თუ ის არ დაეთანხმა ამ ცვლილებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამ დებულების შეცვლის შესაძლებლობა ნათლად იქნა შენარჩუნებული უფლების მისთვის მინიჭების მომენტისათვის.

მუხლი 2:123 წესების შეცვლის წინადადების გამოკვეყნება

– 1. როდესაც წესდების შეცვლის წინადადების წამოყენება ხდება საერთო კრებაზე, მაშინ ამ საერთო კრების მოწვევის შეტყობინებაში ამ წინადადების მოხსენიება ყოველთვის აუცილებელია.

– 2. იმ პირებმა, რომლებმაც მოიწვიეს საერთო კრება, რაზეც განხილული იქნება წესდების შეცვლის წინადადება, ერთდროულად ამ წინადადების ასლი უნდა განათავსონ კორპორაციის ოფისში აქციონერების მიერ მისი გაცნობის მიზნით; წინადადება, რომელიც უნდა შეიცავდეს წერილზე განსახილველ ცვლილებას, უნდა დარჩეს კორპორაციის ოფისში საერთო კრების დასრულებამდე. შესაბამისად გამოიყენება 2:114 მუხლის პარ. 2.

– 3. იმ დღიდან, როდესაც მოხდა წინადადების შესაბამისი საერთო კრების დასრულებამდე განთავსება, აქციონერებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, მიიღონ წინადადების ასლი, როგორც ეს აღწერილია წინა პარაგრაფში. ეს ასლები გაიცემა უსასყიდლოდ.

– 4. ის, რაც წინამდებარე მუხლში გათვალისწინებულია აქციონერების მიმართ, შესაბამისად გამოიყენება ასევე კორპორაციასთან თანამშრომლობით გამოშვებული აქციების სადეპოზიტო ჩეკების მფლობელთა მიმართაც.

მუხლი 2:124 ცვლილება უნდა შევიდეს სანოტარო აქტში

– 1. ცვლილების ბათილობის სანქციით სავალდებულოა წესდების ცვლილების შესახებ სანოტარო აქტის გაფორმება. სანოტარო აქტი დგება ჰოლანდიურ ენაზე.

– 2. ეს სანოტარო აქტი შეიძლება შედგებოდეს როგორც იმ საერთო კრების სანოტარო ანგარიშგების საგან, რომელზეც მიიღება წესდების შეცვლის შესახებ გადაწყვეტილება, ისე – მოგვიანებით შედგენილი სანოტარო აქტისაგან. დირექტორთა საბჭოს შეუძლია მიიღოს მონაწილეობა აღნიშნული სანოტარო აქტის შედგენაში იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ის არ იქნა ამაზე უფლებამოსილი საერთო კრების მიერ.

მუხლი 2:125 {გაუქმებულია 01.07.2011წ.}

მუხლი 2:126 შეცვლილი წესდება უნდა განთავსდეს სავაჭრო რეესტრში

დირექტორთა საბჭომ ცვლილებისა და შეცვლილი წესდების დამონმებული ასლი უნდა განათავსოს სავაჭრო რეესტრის ოფისში.

მუხლი 2:127 წესდების შეცვლა გაკოტრების საქმის წარმოებისას

ღია კორპორაციის („naamloze vennootschap“) გაკოტრების საქმის წარმოებისას ამ კორპორაციის წესდება საერთო კრების მიერ შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ გაკოტრების მმართველის (“curator”) თანხმობით.

მუხლი 2:128 აქციონერების მიერ გადაწყვეტილებების მიღება საერთო კრების ჩატარების გარეშე

– 1. წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს აქციონერების მიერ გადაწყვეტილებების მიღების სხვაგვარ

ნესს, ვიდრე ეს არის საერთო კრებაზე გადაწყვეტილებების მიღება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გამოშვებულ იქნა აქციათა მონაწილეობის ანდა აქციების სადეპოზიტო ჩეკები კორპორაციასთან თანამშრომლობით. თუ აღნიშნული დებულება შეტანილია წესდებაში, მაშინ ასეთი გადაწყვეტილება შეიძლება მიღებულ იქნეს მხოლოდ ერთხმად ხმის უფლების მქონე ყველა აქციონერის მიერ. ხმის მიცემა ხდება ნერილობითი ფორმით.

– 2. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წესდება სხვაგვარად ითვალისწინებს, ხმის მიცემა შეიძლება განხორციელდეს ასევე ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებებითაც.

განყოფილება 2.4.5 – ღია კორპორაციის დირექტორთა საბჭო და დირექტორთა საბჭოს ზედამხედველობა

მუხლი 2:129 დირექტორთა საბჭოს ამოცანები და უფლებამოსილებები

– 1. წესდებაში მოცემული ნებისმიერი შეზღუდვის გათვალისწინებით, დირექტორთა საბჭოს ეკისრება კორპორაციის მართვის (მენეჯმენტის) მოვალეობა.

– 2. წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს სახელისა თუ ფუნქციის (პოზიციის) მიხედვით დანიშნული კონკრეტული დირექტორის მიერ ერთზე მეტი ხმის მიცემას. დაუშვებელია ერთი დირექტორის მიერ იმაზე მეტი ხმის მიცემა, ვიდრე მას იძლევიან სხვა დირექტორები ერთად აღებული.

– 3. დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილებები კორპორაციის ორგანოს მხრიდან მონონებას შეიძლება დაექვემდებაროს მხოლოდ წესდების საფუძველზე ან მის შესაბამისად.

– 4. წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს დირექტორთა საბჭოს ქცევის ვალდებულებას კორპორაციის ორგანოს მითითებების შესაბამისად იმ ზოგადი პოლიტიკის საფუძველზე, რომელიც უნდა შესრულდეს წესდებაში გათვალისწინებულ სფეროებში.

– 5. თავიანთი მოვალეობების შესრულებისას დირექტორებმა ყურადღება უნდა მიაქციონ კორპორაციისა და მისი შვილობილი საწარმოების ინტერესებს.

– 6. დირექტორი არ მონაწილეობს საკითხის განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებაში, თუ მას ამ საკითხის მიმართ აქვს პირდაპირი ან ირიბი პირადი ინტერესი, რაც წინააღმდეგობაში მოდის პარ. 5-ში მითითებულ ინტერესებთან. თუ ამის შედეგად დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილება ვერ მიიღება, მაშინ გადაწყვეტილებას იღებს სამეთვალყურეო საბჭო. ამ უკანასკნელის არარსებობისას გადაწყვეტილება მიიღება საერთო კრების მიერ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წესდება სხვაგვარად ითვალისწინებს.

– 7. თუ კორპორაციის აქციები ან კორპორაციასთან თანამშრომლობით გამოშვებული აქციების სადეპოზიტო ჩეკები დაშვებულია რეგულირებულ ბაზარზე, როგორც ეს მითითებულია ფინანსური ზედამხედველობის შესახებ კანონის 1:1 მუხლში, და დირექტორი ფლობს კორპორაციაში აქციებს ანდა მას მიენიჭა კორპორაციის კაპიტალში აქციებზე ხელმოწერისა თუ მათი შექმნის უფლებები, – მაშინ კორპორაციამ – იმ შემთხვევაში, თუ ის გაასაჯაროებს იმ ფაქტს, რომ მან მიიღო 2:107 მუხლის პარ. 1-ის (a), (b) ან (c) პუნქტებში მითითებული გადაწყვეტილება ანდა რომ საჯარო შეთავაზების გამოქვეყნება ხდება საჯარო შეთავაზებათა შესახებ დადგენილების მე-5 მუხლის შესაბამისად, – უნდა მოახდინოს იმ ღირებულების შეფასება, რაც საფონდო ბირჟის დახურვის შემდეგ დირექტორის აქციებსა თუ უფლებებს ჰქონდა გადაწყვეტილების მიღებამდე ან საჯარო შეთავაზების გამოქვეყნებამდე ოთხი კვირით ადრე. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებიდან ოთხი კვირის შემდეგ ანდა თუ მოხდა საჯარო შეთავაზების გამოქვეყნება, – მაშინ ამ უკანასკნელის დასრულებიდან ოთხი კვირის ვადის გასვლისთანავე, აქციებისა თუ უფლებების ღირებულება კვლავ უნდა შეფასდეს საფონდო ბირჟის დახურვის შემდეგ. თუ თავდაპირველ შეფასებასთან შედარებით ღირებულება გაიზარდა, დირექტორმა უნდა აუნაზღაუროს კორპორაციას ნამეტო ღირებულება. სამეთვალყურეო საბჭომ უნდა შეაფასოს გაზრდილი ღირებულება. როდესაც გამოიყენება 2:129a მუხლი, გაზრდილი ღირებულება უნდა შეაფასოს დირექტორთა საბჭომ, თუმცაღა, – გადაწყვეტილების მიღების პროცესში აღმასრულებელი დირექტორების ყოველგვარი მონაწილეობის გარეშე.

მუხლი 2:129a არააღმასრულებელ და აღმასრულებელ დირექტორთა შორის სხვაობა

– 1. წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს დირექტორთა მოვალეობების განაწილებას ერთ ან მეტ არააღმასრულებელ დირექტორებსა და ერთ ან მეტ აღმასრულებელ დირექტორებს შორის. დაუშვებელია აღნიშნული წინადადების ნორმით გათვალისწინებული მოვალეობათა განაწილებით დირექტორთა

მიერ მათზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებაზე არააღმასრულებელი დირექტორების მხრიდან ზედამხედველობის ვალდებულების გამორიცხვა. დაუშვებელია დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილებების, დირექტორთა თანამდებობაზე დანიშვნის წინადადებათა წარდგენისა და აღმასრულებელი დირექტორების საზღაურის საკითხის მიღების (შეფასების) უფლებამოსილებების აღმასრულებელი დირექტორისათვის დათმობა. არააღმასრულებელი დირექტორი ყოველთვის ფიზიკური პირია.

– 2. აღმასრულებელი დირექტორები არ მონაწილეობენ აღმასრულებელი დირექტორების საზღაურის საკითხის მიღებასთან (შეფასებასთან) დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

– 3. დასაშვებია წესდების საფუძველზე ან მის შესაბამისად იმის განსაზღვრა, რომ ერთ ან რამდენიმე დირექტორს შეუძლია ლეგიტიმურად გადაწყვიტოს (მიიღოს გადაწყვეტილება) მის ან მათ მოვალეობებს მიკუთვნებული საკითხები. როდესაც ზემოაღნიშნული განისაზღვრება წესდების შესაბამისად, მაშინ ეს უნდა განხორციელდეს წერილობითი ფორმით.

მუხლი 2: 130 წარმომადგენლობითი უფლებამოსილება

– 1. რამდენადაც წესდება სხვაგვარად არ ითვალისწინებს, დირექტორთა საბჭო ახდენს კორპორაციის წარმომადგენლობას.

– 2. თითოეულ დირექტორს შეუძლია ასევე კორპორაციის ინდივიდუალური წარმომადგენლობაც. თუმცა, წესდებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ასევე მხოლოდ ერთი ან მეტი დირექტორის მიერ კორპორაციის წარმომადგენლობის შესაძლებლობა დირექტორთა საბჭოსთან ერთად. გარდა აღნიშნულისა, წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს დირექტორის მიერ კორპორაციის წარმომადგენლობას მხოლოდ ერთ ან მეტ სხვა პირთან თანამშრომლობით.

– 3. დირექტორთა საბჭოსა თუ იმ დირექტორების წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, რომლებსაც – ინდივიდუალურად ანდა ერთობლივად სხვებთან ერთად – ასეთი უფლებამოსილება ენიჭება, ყოველთვის შეუზღუდავი და უპირობოა, რამდენადაც კანონი სხვაგვარად არ ითვალისწინებს. წარმომადგენლობით უფლებამოსილებასთან დაკავშირებით სამართლებრივად დასაშვებ ან მოთხოვნილ შეზღუდვასა თუ პირობაზე მითითება შეუძლია მხოლოდ კორპორაციას.

– 4. წესდებით კორპორაციის წარმომადგენლობის უფლებამოსილება შეიძლება მიენიჭოს ასევე სხვა პირებსაც, გარდა დირექტორებისა.

მუხლი 2: 131 კორპორაციასა და მის დირექტორს შორის არსებულ (შრომით) ხელშეკრულებასთან დაკავშირებული განსჯადობა

ის რაიონული სასამართლო, რომლის ტერიტორიაზეც კორპორაციას აქვს დომიცილი (აქვს თავისი ადგილსამყოფელი), განსჯადია ღია კორპორაციასა („naamloze vennootschap“) და ერთ-ერთ მის დირექტორს შორის არსებული ხელშეკრულების (შრომითი ხელშეკრულების) საფუძველზე წარდგენილ ყველა სასამართლო სარჩელთან (დავასთან) დაკავშირებით, მათ შორის, – 2:138 მუხლში მითითებული სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით, რომლის თანხაც დაუდგენელია ან აღემატება 25 000 ევროს. იმავე რაიონული სასამართლო განსჯადია 7:685 მუხლში ნახსენებ იმ განცხადებებთან (მოთხოვნებთან) დაკავშირებით, რომლებიც ეხება წინამდებარე მუხლის პირველ წინადადებაში აღნიშნულ ხელშეკრულებას (შრომით ხელშეკრულებას). პირველ ორ წინადადებაში ნახსენები სასამართლო სარჩელები (დავები) რაიონული სასამართლოს მიერ არც განიხილება და არც წყდება.

მუხლი 2: 132 დირექტორების დანიშვნა

– 1. კორპორაციის პირველი დირექტორები ინიშნებიან დაფუძნების სანოტარო აქტში მითითებით; შემდგომი (მომავალი) დირექტორები კი ინიშნებიან საერთო კრების მიერ. თუ კორპორაციამ ისარგებლა 2:129a მუხლის ნორმების გამოყენების შესაძლებლობით, მაშინ საერთო კრებამ უნდა გადაწყვიტოს, ინიშნება თუ არა დირექტორი როგორც აღმასრულებელი თუ როგორც არააღმასრულებელი დირექტორი. წინა ორი წინადადების ნორმები არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ სამეთვალყურეო საბჭოს დირექტორის დანიშვნის უფლება აქვს 2:162 მუხლის ნორმათა შესაბამისად.

– 2. წესდებით შეიძლება შეიზღუდოს დირექტორად დასანიშნი პირების წრე იმ მოთხოვნების დადგენით, რომლებსაც ასეთი დირექტორები უნდა აკმაყოფილებდნენ. მოთხოვნები შეიძლება გამოირიცხოს იმ ხმათა ორი მესამედის უმრავლესობით მიღებული საერთო კრების გადაწყვეტილებით, რომლებიც წარმოადგენს გამოშვებული სააქციო კაპიტალის ნახევარზე მეტს.

– 3. თუ აქციები გამოშვებულ იქნა კორპორაციის მიერ ანდა კორპორაციასთან თანამშრომლობით გა-

მოშვებული აქციების სადეპოზიტო ჩეკები დაშვებულია რეგულირებულ ბაზარზე ან მრავალდარგოვან სავაჭრო ობიექტზე, როგორც ეს მითითებულია ფინანსური ზედამხედველობის შესახებ კანონის 1:1 მუხლში, ან იმ სისტემაში, რომელიც უთანაბრდება ასეთ რეგულირებულ ბაზრებს ან მრავალდარგოვან სავაჭრო ობიექტებს ევროკავშირის არანევრ სახელმწიფოში, მაშინ დირექტორსა და კორპორაციას შორის სამართლებრივი ურთიერთობა არ უნდა განიხილებოდეს როგორც შრომითი ხელშეკრულება.

მუხლი 2: 132a პირები, რომელთა დირექტორად დანიშვნა დაუშვებელია

– 1. დაუშვებელია შემდეგი პირების იმ ლია კორპორაციის („naamloze vennootschap“) დირექტორად დანიშვნა, რომელმაც ზედიზედ ორი საბალანსო თარიღის შემთხვევაში, – შემდგომში უწყვეტად ზედიზედ ორი საბალანსო თარიღის შემთხვევაში – ვერ დააკმაყოფილა 2:397 მუხლის პარ. 1-სა და 2-ში მითითებული, სულ ცოტა, ორი მოთხოვნა:

a. პირები, რომლებიც წარმოადგენენ ორზე მეტი იურიდიული პირის ზედამხედველ დირექტორს ან არააღმასრულებელ დირექტორს;

b. პირები, რომლებიც წარმოადგენენ იურიდიული პირის სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეს, თუ დირექტორების ფუნქციები განაწილებულია აღმასრულებელ და არააღმასრულებელ დირექტორებს შორის.

– 2. წინამდებარე მუხლის მიზნებისათვის:

a. პირი, ვინც წარმოადგენს იურიდიული პირის წესდებით ან ამ უკანასკნელის შესაბამისად შექმნილი სამეთვალყურეო ორგანოს წევრს, უთანაბრდება ზედამხედველ დირექტორს;

b. ერთმანეთთან ერთ ჯგუფში დაკავშირებული სხვადასხვა იურიდიული პირისათვის არსებული დანიშვნები ერთ დანიშვნად მიიჩნევა;

c. იურიდიულ პირებზე მითითება ეხება: ლია კორპორაციისა („naamloze vennootschap“) და დახურული კორპორაციის („besloten vennootschap“) სამართლებრივ ფორმას, რომელმაც ზედიზედ ორი საბალანსო თარიღის შემთხვევაში, – შემდგომში უწყვეტად ზედიზედ ორი საბალანსო თარიღის შემთხვევაში – ვერ დააკმაყოფილა 2:397 მუხლის პარ. 1-სა და 2-ში მითითებული, სულ ცოტა, ორი მოთხოვნა, და ასევე – 2:297a მუხლის პარ. 1-ში მითითებულ ფონდს („stichting“);

d. აღმასრულებელი დირექტორი უთანაბრდება დირექტორს პარ. 1-ის პრემბულის გაგებით, თუ დირექტორების ფუნქციები განაწილებულია აღმასრულებელ და არააღმასრულებელ დირექტორებს შორის;

e. 2:249a მუხლის პარ. 2-ის ან 2:356 მუხლის (c) პუნქტის შესაბამისად განხორციელებული დროებითი დანიშვნა არ მიიჩნევა დირექტორის დანიშვნად;

f. ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს წევრად ან არააღმასრულებელ დირექტორად დანიშვნა, როგორც ეს მითითებულია მეფის სამთავრობო ბრძანებაში საპენსიო კანონის 105a მუხლისა და სავალდებულო პროფესიული საპენსიო სქემის შესახებ კანონის 110a მუხლის საფუძველზე, მიიჩნევა აღნიშნულ სამთავრობო ბრძანებაში მოცემული სტანდარტული პროცედურის შესაბამისად განხორციელებულად.

– 3. როდესაც წინა პარაგრაფების ნორმების შესაბამისად დირექტორის დანიშვნა ბათილია, ეს გავლენას არ ახდენს იმ გადაწყვეტილებათა მიღების (გადაწყვეტილებების დამტკიცების) ნამდვილობაზე, რომელშიც დირექტორი მონაწილეობს.

მუხლი 2: 133 იმ კანდიდატთა წარდგენა, რომლებიც უნდა დაინიშნონ დირექტორად

– 1. წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს დირექტორის საერთო კრების მიერ წარდგენილი კანდიდატების სიიდან დანიშვნას.

– 2. თუმცაღა, საერთო კრებას ნებისმიერ დროს შეუძლია გააუქმოს ასეთი წარდგენის მბოჭავი შედეგი იმ ხმათა ორი მესამედის უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილებით, რომლებიც წარმოადგენს გამომშვებული სააქციო კაპიტალის ნახევარზე მეტს.

– 3. თუ შესავსები ვაკანსიისათვის კანდიდატთა სიაში მოცემულია მხოლოდ ერთი კანდიდატი, წარდგენის შესახებ გადაწყვეტილებას აქვს ამ კანდიდატის დირექტორად დანიშვნის ძალა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წარდგენას სავალდებულო ძალა არა აქვს.

– 4. წინა პარაგრაფები არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ დირექტორი ინიშნება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

მუხლი 2: 134 დირექტორის უფლებამოსილების შეჩერება ან მისი თანამდებობიდან გათავისუფლება

– 1. ყოველ დირექტორს შეიძლება შეუჩერდეს უფლებამოსილება ან ის გათავისუფლდეს (გადაყ-

ნებულ იქნეს) დაკავებული თანამდებობიდან მის დანიშვნაზე უფლებამოსილი ორგანოს ან პირის მიერ. 2:129a მუხლის ნორმების გამოყენების შემთხვევაში კი დირექტორთა საბჭოს ნებისმიერ დროს შეუძლია შეუჩეროს უფლებამოსილება აღმასრულებელ დირექტორს.

– 2. თუ წესდებაში მითითებულია, რომ დირექტორის უფლებამოსილების შეჩერებისა თუ თანამდებობიდან გათავისუფლების (გადაყენების) შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს იმ საერთო კრებაზე გაზრდილი უმრავლესობით მიცემული ხმებით, სადაც წარმოდგენილია კაპიტალის განსაზღვრული ნაწილი, მაშინ ეს გაზრდილი უმრავლესობა არ უნდა აღემატებოდეს იმ ხმათა ორი მესამედის უმრავლესობას, რომლებიც წარმოადგენს გამოშვებული სააქციო კაპიტალის ნახევარზე მეტს.

– 3. დაუშვებელია ღია კორპორაციისა („naamloze vennootschap“) და მის დირექტორს შორის (შრომითი) ხელშეკრულების აღდგენის შესახებ განკარგულების მიღება სასამართლოს მიერ.

– 4. წესდება უნდა შეიცავდეს იმ პროცედურასთან დაკავშირებულ დებულებებს, რომლის მიხედვითაც კორპორაცია დროებით უნდა იმართებოდეს იმ შემთხვევაში, როდესაც დირექტორები არ იმყოფებიან სამსახურში ანდა როდესაც დირექტორებს ხელი ეშლება თავიანთი მოვალეობების შესრულებაში. წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს ასეთ დებულებებს იმ შემთხვევაშიც, როდესაც ერთი ან მეტი დირექტორი არ იმყოფება სამსახურში ანდა მათ ხელი ეშლება თანამდებობის შესრულებაში.

მუხლი 2:134a დირექტორის დანიშვნის, მისთვის უფლებამოსილების შეჩერებასა თუ თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ სამუშაო საბჭოს პოზიცია

– 1. როდესაც ღია კორპორაციამ („naamloze vennootschap“) წესდებით დააფუძნა სამუშაო საბჭო, მაშინ დირექტორის დანიშვნის, მისთვის უფლებამოსილების შეჩერებისა თუ თანამდებობიდან გათავისუფლების შეთავაზების საერთო კრებისათვის წარდგენა დაუშვებელია მანამდე, სანამ სამუშაო საბჭოს არ მიეცემა შესაძლებლობა, დროულად 1:114 მუხლში მითითებულ მოწვევის თარიღამდე შეიმუშაოს თავისი მოსაზრებები დირექტორის დანიშვნის, მისთვის უფლებამოსილების შეჩერებისა თუ თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ საკითხთან დაკავშირებით. სამუშაო საბჭოს მოსაზრებების შეთავაზება ხდება ერთდროულად საერთო კრებისათვის თანხმობის მიცემის მოთხოვნასთან ერთად. სამუშაო საბჭოს თავმჯდომარეს ანდა საბჭოს იმ წევრს, რომელიც დაინიშნა შესაბამისი მიზნით, შეუძლია განუმარტოს საერთო კრებას სამუშაო საბჭოს პოზიცია. ამ უკანასკნელის არარსებობა გავლენას არ ახდენს დირექტორის დანიშვნის, მისთვის უფლებამოსილების შეჩერებისა თუ თანამდებობიდან გათავისუფლების შეთავაზებასთან დაკავშირებით წარმოებულ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე.

– 2. პარ. 1-ის მიზნებისათვის სამუშაო საბჭოში მოიაზრება ასევე შვილობილი საწარმოს სამუშაო საბჭო იმ პირობით, რომ ღია კორპორაციაში („naamloze vennootschap“) არსებული დასაქმებულები და კომპანიათა ჯგუფები ძირითადად მუშაობენ ნიდერლანდების ტერიტორიის ფარგლებში. როდესაც სახეზეა ერთზე მეტი სამუშაო საბჭო, წინამდებარე მუხლში მითითებული უფლებამოსილება ამ საბჭოების მიერ ხორციელდება ერთობლივად. იმ შემთხვევაში, როდესაც შესაბამისი საწარმოსა თუ საწარმოებისათვის მოხდა ცენტრალური სამუშაო საბჭოს დაფუძნება, მაშინ ზემოაღნიშნული უფლებამოსილება ამ უკანასკნელს ეკუთვნის.

მუხლი 2:135 დირექტორების მიმართ არსებული ანაზღაურების პოლიტიკა

– 1. კორპორაციას დირექტორთა საბჭოს ანაზღაურების მიმართ უნდა ჰქონდეს შესაბამისი პოლიტიკა. ამ პოლიტიკას ამტკიცებს საერთო კრება. ასეთი ანაზღაურება შეიცავს, სულ ცოტა, 2:383c მუხლიდან 2:383e მუხლის ჩათვლით ნორმებში აღწერილ საკითხებს იმ ფარგლებში, რომლებშიც ისინი ეხება დირექტორთა საბჭოს.

– 2. როდესაც ღია კორპორაციამ („naamloze vennootschap“) წესდებით დააფუძნა სამუშაო საბჭო, მაშინ ანაზღაურების პოლიტიკის შეფასების შეთავაზების საერთო კრებისათვის წარდგენა დაუშვებელია მანამდე, სანამ სამუშაო საბჭოს არ მიეცემა შესაძლებლობა, დროულად 1:114 მუხლში მითითებულ მოწვევის თარიღამდე შეიმუშაოს თავისი მოსაზრებები ამ საკითხთან დაკავშირებით. სამუშაო საბჭოს მოსაზრებების შეთავაზება ხდება ერთდროულად საერთო კრებისათვის თანხმობის მიცემის მოთხოვნასთან ერთად. სამუშაო საბჭოს თავმჯდომარეს ანდა საბჭოს იმ წევრს, რომელიც დაინიშნა შესაბამისი მიზნით, შეუძლია განუმარტოს საერთო კრებას სამუშაო საბჭოს პოზიცია. ამ უკანასკნელის არარსებობა გავლენას არ ახდენს ანაზღაურების პოლიტიკის შეფასების შეთავაზებასთან დაკავშირებით წარმოებულ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე.

– 3. პარ. 2-ის მიზნებისათვის სამუშაო საბჭოში მოიაზრება ასევე შვილობილი საწარმოს სამუშაო

საბჭო იმ პირობით, რომ ღია კორპორაციაში („naamloze vennootschap“) არსებული დასაქმებულები და კომპანიათა ჯგუფები ძირითადად მუშაობენ ნიდერლანდების ტერიტორიის ფარგლებში. როდესაც სახეზეა ერთზე მეტი სამუშაო საბჭო, წინამდებარე მუხლში მითითებული უფლებამოსილება ამ საბჭოების მიერ ხორციელდება ერთობლივად. იმ შემთხვევაში, როდესაც შესაბამისი საწარმოსა თუ საწარმოებისათვის მოხდა ცენტრალური სამუშაო საბჭოს დაფუძნება, მაშინ ზემოაღნიშნული უფლებამოსილება ამ უკანასკნელს ეკუთვნის.

– 4. დირექტორთა საზღაურის ოდენობა განისაზღვრება საერთო კრების მიერ პარ. 1-ში მითითებული პოლიტიკის შესაბამისად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამ მიზნით წესდებაში კორპორაციის სხვა ორგანო არის გათვალისწინებული.

– 5. თუ წესდებაში კორპორაციის სხვა ორგანო არის გათვალისწინებული, ნაცვლად საერთო კრებისა, რომელიც განსაზღვრავს დირექტორთა საზღაურის ოდენობას, მაშინ ეს ორგანო საერთო კრებას დასამტკიცებლად წარუდგენს იმ საზღაურთან დაკავშირებულ ყველა წინადადებას, რომელიც გადახდილ უნდა იქნეს აქციებისა თუ აქციების შეძენის უფლებების ფორმით. წინადადება მინიმუმ უნდა განსაზღვრავდეს იმას, თუ რამდენი აქცია ან აქციებზე ხელმოწერის უფლება შეიძლება მიენიჭოს დირექტორებს, ასევე – ასეთი აქციებისა თუ უფლებების მინიჭებისა და შესაძლო ცვლილებების პირობებსაც. საერთო კრების თანხმობის არარასებობა გავლენას არ ახდენს კორპორაციის შესაბამისი ორგანოს წარმომადგენლობით უფლებამოსილებაზე.

– 5a. თუ როგორც ეს აღნიშნულია 2:383b მუხლში, კორპორაციის მიმართ ყოველწლიური ანგარიშის დამტკიცება 2:114 მუხლის პარ. 10-ში ნახსენები მონვევის შეტყობინებაში მითითებული იყო როგორც განსახილველი საკითხი, მაშინ 2:383c მუხლიდან 2:283e მუხლის ჩათვლით ნორმებში მითითებული კორპორაციის მხრიდან დადგენილი პირობები ყოველწლიური ანგარიშის დამტკიცებამდე მონვევის შეტყობინებაში ერთობლივად აღინიშნება განცალკევებული განსახილველი საკითხის სახით.

– 6. პარ. 4-ში მითითებული ორგანო უფლებამოსილია, მოახდინოს პრემიის თანხის დაკორექტირება სათანადო ოდენობამდე იმ შემთხვევაში, თუ პრემიის გადახდა დაუშვებელი იქნებოდა გონივრულობისა და სამართლიანობის სტანდარტების გამო. წინამდებარე მუხლის მიზნებისათვის „პრემიის“ ცნების ქვეშ მოიაზრება საზღაურის არაფიქსირებული ნაწილი, რომლის მიმართაც უფლების განხორციელება სრულად ან ნაწილობრივ დამოკიდებულია განსაზღვრული მიზნების მიღწევასა თუ განსაზღვრული გარემოებების დადგომაზე.

– 7. თუ კორპორაციის აქციები ან კორპორაციასთან თანამშრომლობით გამოშვებული აქციების სადეპოზიტო ჩეკები დაშვებულია სავაჭროდ რეგულირებულ ბაზარზე, როგორც ეს მითითებულია ფინანსური ზედამხედველობის შესახებ კანონის 1:1 მუხლში, და მოხდა ამ აქციებისა თუ სადეპოზიტო ჩეკების შეძენის საჯარო შეთავაზების გამოცხადება, როგორც ეს მითითებულია საჯარო შეთავაზებათა შესახებ დადგენილების მე-5 მუხლში, მაშინ კორპორაცია თითოეული დირექტორის მიმართ ცალ-ცალკე უნდა დარწმუნდეს იმაში, გაიზარდა თუ არა მისთვის საზღაურის სახით გაცემული კორპორაციის კაპიტალში შემავალი აქციების, სადეპოზიტო ჩეკების ან აქციების ყიდვისა თუ შეძენის უფლებათა ღირებულება. ამ მიზნით მათი ღირებულების შეფასება ხდება:

1° ოთხი კვირით ადრე იმ დღემდე, როდესაც მოხდა საჯარო შეთავაზების გამოცხადება, – სავაჭრო საათების დასრულებისთანავე;

2° საჯარო შეთავაზების დასრულებიდან ოთხი კვირის შემდეგ იმ დღემდე, როდესაც მოხდა საჯარო შეთავაზების გამოცხადება, – სავაჭრო საათების დასრულებისთანავე;

3° ის დღე, როდესაც დირექტორი ახდენს თავისი აქციების, სადეპოზიტო ჩეკებისა თუ უფლებების განკარგვას, ანდა – მისი თანამდებობიდან გათავისუფლების დღეს, – სავაჭრო საათების დასრულებისთანავე.

თუ აქციების, სადეპოზიტო ჩეკებისა თუ უფლებების განკარგვის ან დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების თარიღისათვის შეფასებითი ღირებულება უფრო მეტია, ვიდრე ოთხი კვირით ადრე იმ დღემდე, როდესაც მოხდა საჯარო შეთავაზების გამოცხადება, ღირებულების ასეთი ზრდა გამოაკლდება დირექტორისათვის გადასახდელ საზღაურის თანხას მაქსიმუმ იმ ოდენობამდე, რასაც შეადგენს სხვაობა საჯარო შეთავაზების დასრულებიდან ოთხი კვირის შემდეგ არსებულ ღირებულებასა და ოთხი კვირით ადრე იმ დღემდე არსებულ ღირებულებას შორის, როდესაც მოხდა საჯარო შეთავაზების გამოცხადება. იმ შემთხვევაში, თუ კორპორაცია საერთო კრებას დასამტკიცებლად წარუდგენს 2:107a მუხლის პარ. 1-ის (a), (b) ან (c) პუნქტებში მითითებულ გადანყვებილებას, შესაბამისად გამოიყენება ზემოაღნიშნული წინადადებების ნორმები იმ პირობით, რომ შეფასება ამ დროს ეხება ღირებულებას, რაც აქციებს, სადე-

პოზიტივ ჩეკებსა თუ უფლებებს ჰქონდა ოთხი კვირით ადრე იმ დღემდე, როდესაც ეს გადანყვეტილება წარდგენილ იქნა დასამტკიცებლად, ანდა, შესაბამისად, ამ გადანყვეტილების დამტკიცებიდან ოთხი კვირის შემდეგ. იმ შემთხვევაში, თუ კორპორაცია აცხადებს შერწყმისა თუ გაყოფის შესახებ წინადადებას, როგორც ეს მოცემულია 2:314 მუხლის პარ. 3-ის, 2:333e მუხლის პარ. 1-სა თუ 2:334h მუხლის პარ. 3-ის ნორმებში, და შერწყმისა თუ გაყოფის ძალაში შესვლამდე დირექტორი განკარგავს თავის აქციებს ანდა ხდება მისი თანამდებობიდან გათავისუფლება, მაშინ შესაბამისად გამოიყენება ზემოაღნიშნული წინადადებების ნორმები იმ პირობით, რომ შეფასება ამ დროს ეხება ღირებულებას, რაც აქციებს, სადეპოზიტო ჩეკებსა თუ უფლებებს ჰქონდა ოთხი კვირით ადრე იმ დღემდე, როდესაც შერწყმისა თუ გაყოფის შესახებ გადანყვეტილება წარდგენილ იქნა დასამტკიცებლად, ან, შესაბამისად, ამ გადანყვეტილების მიღებიდან ოთხი კვირის შემდეგ ანდა – ერთი დღით ადრე იმ დღემდე, როდესაც შერწყმა ან გაყოფა შედის ძალაში იმ შემთხვევაში, თუ ეს დღე უფრო ადრე დგება.

– 8. კორპორაცია უფლებამოსილია, სრულად ან ნაწილობრივ დაიბრუნოს პრემიის თანხა იმდენად, რამდენადაც თანხის გადახდა განხორციელდა შესაბამისი დასახული მიზნების რეალიზაციასა თუ იმ გარემოებათა შესახებ არასწორი ინფორმაციის მიწოდების შედეგად, რომელთა არსებობაზეც დამოკიდებული იყო პრემიის თანხის გაცემა. მოთხოვნის კორპორაციის სახელით წარდგენა შესაძლებელია ასევე სამეთვალყურეო საბჭოს, არააღმასრულებელი დირექტორების – იმ შემთხვევაში, თუ მოქმედებდა 2:129a მუხლი, – ან ამ მიზნით საერთო კრების მიერ დანიშნული წარმომადგენლის მიერ. შესაბამისად გამოიყენება მე-6 ნიგნის ტიტული 4-ის განყოფილება 2-ის ნორმები.

მუხლი 2:136 ღია კორპორაციის მიმართ გაკოტრების განკარგულების მოთხოვნა

გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წესდება სხვაგვარად ითვალისწინებს, დირექტორთა საბჭო არ არის უფლებამოსილი, საერთო კრების მითითების გარეშე, მოითხოვოს ღია კორპორაციის („naamloze vennootschap“) გაკოტრებულად გამოცხადება.

მუხლი 2:137 კორპორაციასა და მის ერთადერთ აქციონერს შორის დადებული გარიგებების წერილობითი აღრიცხვა

– 1. კორპორაციის კაპიტალში ყველა აქციის მფლობელთან ან მის მიმართ ანდა კორპორაციის კაპიტალში ყველა აქციის მფლობელ მეუღლეთა ან რეგისტრირებული პარტნიორობის საერთო საკუთრების თანამესაკუთრესთან ან მის მიმართ დადებული კორპორაციის ყველა გარიგება უნდა აღრიცხოს წერილობით იმ შემთხვევაში, თუ კორპორაცია, როდესაც ის დებს ასეთ გარიგებებს, წარმოდგენილია აღნიშნული აქციონერის ან ერთ-ერთი თანამესაკუთრის მიერ. წინა მუხლის მიზნებისათვის კორპორაციისა თუ მისი შვილობილი საწარმოების მფლობელობაში არსებული აქციები მხედველობაში არ მიიღება. თუ პირველი წინადადების ნორმის მოთხოვნა არ იქნა დაცული, გარიგება საცილოა იმ გაგებით, რომ ის შეიძლება გაბათილდეს კორპორაციის მიერ ან მის სასარგებლოდ.

– 2. პარ. 1-ის ნორმები არ გამოიყენება იმ გარიგებების მიმართ, რომლებიც დათქმული პირობების შესაბამისად უნდა იქნეს მიჩნეული კორპორაციის ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში დადებულად.

მუხლი 2:138 დირექტორთა პასუხისმგებლობა კორპორაციის გაკოტრების შემთხვევაში

– 1. ღია კორპორაციის („naamloze vennootschap“) გაკოტრების შემთხვევაში, ყოველი დირექტორი სოლიდარულად აგებს პასუხს სალიკვიდაციო აქტივების მიმართ იმ დავალიანების თანხისათვის, რომლის ამოღებაც ვერ ხერხდება მას შემდეგ, რაც მოხდა კორპორაციის აქტივების რეალიზაცია, თუკი დირექტორთა საბჭომ აშკარად არაჯეროვნად შეასრულა თავისი მოვალეობები და, სავარაუდოდ, სწორედ ეს წარმოადგენს კორპორაციის გაკოტრების მთავარ მიზეზს.

– 2. თუ დირექტორთა საბჭომ არ შეასრულა მასზე 2:10 ან 2:394 მუხლებით დაკისრებული ვალდებულებები, მაშინ მიიჩნევა, რომ მან არაჯეროვნად შეასრულა თავისი მოვალეობები და ივარაუდება, რომ ეს არაჯეროვანი შესრულება წარმოადგენს სწორედ კორპორაციის გაკოტრების მთავარ მიზეზს. იგივე წესი მოქმედებს, თუ კორპორაცია წარმოადგენს შეუზღუდავად პასუხისმგებელ პარტნიორს სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებასა („vennootschap onder firma“) თუ კომანდიტურ საზოგადოებაში („commanditaire vennootschap“), ხოლო 3:15i მუხლიდან გამომდინარე ვალდებულებები კი არ შესრულდა. თუმცაღა, უმნიშვნელო გადაცდომა (დარღვევა) მხედველობაში არ მიიღება.

– 3. პასუხისმგებლობა არ დაეკისრება იმ დირექტორს, რომელიც დაამტკიცებს, რომ დირექტორთა საბჭოს მიერ დაკისრებული მოვალეობების არაჯეროვანი შესრულება მას ვერ შეერაცხება, და ასევე –

რომ ის არ მოქმედებდა დაუდევრად აღნიშნული არაჯეროვნად შესრულებული მოვალეობების შედეგების თავიდან აცილებისათვის შესაბამისი ზომების მიღებისას.

– 4. სასამართლოს შეუძლია შეამციროს ის თანხა, რომლისათვისაც პასუხისმგებელი არიან დირექტორები, თუ ის ამ თანხას შეუსაბამოდ მაღალ ოდენობად მიიჩნევს დირექტორთა საბჭოს მიერ დაკისრებული მოვალეობების არაჯეროვანი შესრულების ბუნებისა და სერიოზულობის, ასევე – გაკოტრების სხვა მიზეზებისა და ქონების რეალიზაციის პროცედურის გათვალისწინებით. გარდა აღნიშნულისა, სასამართლოს შეუძლია ასევე კონკრეტული დირექტორის პასუხისმგებლობის შემცირებაც, თუ ის ამ თანხას შეუსაბამოდ მაღალ ოდენობად მიიჩნევს იმ ვადის გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც ეს დირექტორი ასრულებდა თავის მოვალეობებს იმ პერიოდში, როდესაც ადგილი ჰქონდა მოვალეობების არაჯეროვან შესრულებას.

– 5. როდესაც სალიკვიდაციო აქტივების დეფიციტის თანხა ჯერ კიდევ უცნობია, სასამართლოს – პარ. 4-ის ნორმათა მოქმედების პირობით ან მათი მოქმედების გარეშე – შეუძლია განსაზღვროს, თუ დეფიციტის რა ნაწილი უნდა იქნეს გადახდილი პირადად დირექტორების მიერ, და ასევე მას შეუძლია მიიღოს განკარგულება დანაკლისის ჩამონათვალის შედგენის შესახებ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 ნიგნის მე-6 ტიტულის ნორმათა შესაბამისად.

– 6. ერთი ან მეტი დირექტორის მიმართ სარჩელი (სასარჩელო განცხადება) შეიძლება წარდგენილ იქნეს წინამდებარე მუხლის საფუძველზე მოვალეობათა იმ არაჯეროვანი შესრულების გამო, რომელსაც ადგილი ჰქონდა კორპორაციის გაკოტრებამდე სამი წლის განმავლობაში. ის ფაქტი, რომ დირექტორი გათავისუფლდა პასუხისმგებლობისაგან, ხელს არ უშლის წინა წინადადებაში მითითებული სარჩელის (სასარჩელო განცხადების) წარდგენას.

– 7. წინამდებარე მუხლის მიზნებისათვის დირექტორს უთანაბრდება პირი, რომელმაც დაადგინა კორპორატიული პოლიტიკა ან მონაწილეობდა მის შემუშავებაში ისე, თითქოს ის დირექტორი ყოფილიყო. წინამდებარე მუხლში მითითებული სარჩელის (სასარჩელო განცხადების) წარდგენა დაუშვებელია სასამართლოს მიერ დანიშნული მმართველის წინააღმდეგ.

– 8. წინამდებარე მუხლი არ ეხება კორპორაციის გაკოტრების საქმის წარმოებაში დანიშნული ლიკვიდატორის შესაძლებლობას, კორპორაციასა და დირექტორს შორის არსებული შეთანხმების ან 2:9 მუხლის საფუძველზე დირექტორის წინააღმდეგ წარადგინოს სარჩელი (სასარჩელო განცხადება).

– 9. როდესაც დირექტორი პასუხისმგებელია წინამდებარე მუხლის შესაბამისად, თუმცა ის ვერ იხდის მისი მოქმედების შედეგად წარმოშობილ ვალს, კორპორაციის გაკოტრების საქმის წარმოებაში დანიშნულ ლიკვიდატორს სალიკვიდაციო აქტივების სახელითა და არასასამართლო განცხადების მეშვეობით შეუძლია გააბათილოს ყველა ის გარიგება, რომლებიც დაიდო დირექტორის მიერ ამ გარიგათა დადებამდე რაიმე ვალდებულების არსებობის გარეშე და რომლებმაც ზიანი მიაყენა მისი კუთვნილი ქონების მიმართ არსებულ რეგრესულ უფლებებს, თუ სარწმუნოა, რომ ეს გარიგებები დაიდო მხოლოდ – ან ძირითადად – აღნიშნული რეგრესული უფლებების საზიანოდ. შესაბამისად გამოიყენება 3:45 მუხლის პარ. 4 და 5-ის ნორმები.

– 10. როდესაც კორპორაციის სალიკვიდაციო აქტივები არ არის საკმარისი წინამდებარე მუხლისა თუ 2:9 მუხლის საფუძველზე დირექტორის წინააღმდეგ სარჩელის (სასარჩელო განცხადებების) წარდგენისათვის ანდა – ასეთი სარჩელების (სასარჩელო განცხადების) წარდგენის შესაძლებლობასთან დაკავშირებით წინასწარი გამოკვლევისათვის, კორპორაციის გაკოტრების საქმის წარმოებაში დანიშნულ ლიკვიდატორს შეუძლია იუსტიციის მინისტრს მოსთხოვოს მისთვის აუცილებელი ფულადი სახსრების მიწოდება საავანსო თანხის გადახდის გზით. მინისტრს შეუძლია დაადგინოს ასეთი მოთხოვნის საფუძველიანობის შემოწმების წესები და ასევე – ის ფარგლები, რომლებშიც ეს მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს. მოთხოვნა უნდა შეიცავდეს იმ მოტივებს, რასაც ის ეფუძნება, და ასევე – გამოკვლევის ხარჯებისა და მასშტაბების გონივრულ შეფასებას. როდესაც მოთხოვნა ეხება წინასწარი გამოკვლევის დაწყებას, მაშინ ის საჭიროებს გაკოტრების მაგისტრის მოსამართლის („rechter-commissaris“) თანხმობას.

მუხლი 2:139 დირექტორთა პასუხისმგებლობა არასწორი წლიური ანგარიშებისა და ციფრების მიწოდებისათვის

თუ კორპორაციის ფინანსური მდგომარეობა არასწორად იქნა წარმოდგენილი წლიურ ანგარიშებსა თუ კორპორაციის მიერ გამოქვეყნებულ შუალედურ ციფრებში, ანდა – ყოველწლიურ ანგარიშგებაში, მაშინ დირექტორები სოლიდარულად აგებენ პასუხს მესამე პირთა წინაშე იმ ზიანისათვის, რომელიც ამ პირებმა აღნიშნულის შედეგად განიცადეს. პასუხისმგებლობა არ დაეკისრება იმ დირექტორს, რომელიც დაამტკიცებს, რომ არასწორი ინფორმაციის მიწოდება მას ვერ შეერაცხება.

მუხლი 2: 140 სამეთვალყურეო საბჭო

– 1. იმ შემთხვევაში, თუ არ გამოიყენება 2:129a მუხლის შესაძლებლობები, წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს სამეთვალყურეო საბჭოს შექმნას. სამეთვალყურეო საბჭო შედგება ერთი ან მეტი ფიზიკური პირისაგან.

– 2. სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია დირექტორთა საბჭოს მართვასა და პოლიტიკაზე ზედამხედველობის განხორციელებაზე და ასევე – კორპორაციისა და მისი შვილობილი საწარმოს ფარგლებში არსებულ მოვლენათა ზოგად მიმართულებაზე. ის დირექტორთა საბჭოს სიტყვითა და საქმით აძლევს რეკომენდაციებს. თავისი მოვალეობების განხორციელებისას სამეთვალყურეო საბჭო ხელმძღვანელობს კორპორაციისა და მისი შვილობილი საწარმოს ინტერესებით.

– 3. წესდება შეიძლება ადგენდეს დამატებით დებულებებს სამეთვალყურეო საბჭოსა და მისი წევრების მოვალეობებთან და უფლებამოსილებებთან დაკავშირებით.

– 4. წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს სახელითა თუ ფუნქციის (თანამდებობის) მიხედვით დანიშნული სამეთვალყურეო საბჭოს კონკრეტული წევრის მიერ ერთზე მეტი ხმის მიცემის შესაძლებლობას. დაუშვებელია სამეთვალყურეო საბჭოს ერთი წევრის მიერ იმაზე მეტი ხმის მიცემა, რაც აღემატება ამ საბჭოს დანარჩენი წევრების ხმათა ერთობლიობას.

– 5. სამეთვალყურეო საბჭო არ მონაწილეობს საკითხის განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებაში, თუ მას ამ საკითხის მიმართ აქვს პირდაპირი ან ირიბი პირადი ინტერესი, რაც წინააღმდეგობაში მოდის პარ. 2-ში მითითებულ ინტერესებთან. თუ ამის შედეგად სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილება ვერ მიიღება, მაშინ გადაწყვეტილებას იღებს საერთო კრება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წესდება სხვაგვარად ითვალისწინებს.

მუხლი 2: 141 დირექტორთა საბჭოს მიერ სამეთვალყურეო საბჭოს ინფორმირების მოვალეობა

– 1. დირექტორთა საბჭომ სამეთვალყურეო საბჭოს დროულად უნდა მიაწოდოს ინფორმაცია, რომელიც ამ უკანასკნელს თავისი მოვალეობების განხორციელებისათვის ესაჭიროება.

– 2. სულ ცოტა, წელიწადში ერთხელ დირექტორთა საბჭომ წერილობით უნდა აცნობოს სამეთვალყურეო საბჭოს სტრატეგიული პოლიტიკის ბაზისური პრინციპების, ზოგადი და ფინანსური რისკებისა და კორპორაციის ადმინისტრაციული და აუდიტორული სისტემის მდგომარეობის თაობაზე.

მუხლი 2: 142 სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა დანიშვნა

– 1. ზედამხედველი დირექტორები (სამეთვალყურეო საბჭოს წევრები), რომლებიც არ არიან უკვე ასეთად სანოტარო აქტში მითითებული, ინიშნებიან საერთო კრების მიერ. წესდებით შეიძლება შეიზღუდოს ზედამხედველ დირექტორად დასანიშნი პირების წრე იმ მოთხოვნების დადგენით, რომლებსაც ასეთი ზედამხედველი დირექტორები უნდა აკმაყოფილებდნენ. მოთხოვნები შეიძლება გამოირიცხოს იმ ხმათა ორი მესამედის უმრავლესობით მიღებული საერთო კრების გადაწყვეტილებით, რომლებიც წარმოადგენს გამოშვებული სააქციო კაპიტალის ნახევარზე მეტს.

– 2. შესაბამისად გამოიყენება 2:133 მუხლის პარ. 1 და 2-ის ნორმები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სამეთვალყურეო საბჭოს წევრები (ზედამხედველი დირექტორები) ინიშნებიან 2:158 მუხლის ნორმათა ჯეროვანი დაცვით ანდა გამოყენებულ იქნა 2:164a მუხლის შესაძლებლობები.

– 3. როდესაც კანდიდატი რეკომენდებული ან წარდგენილია ზედამხედველ დირექტორად დანიშვნაზე, მიეთითება მისი ასაკი და პროფესია, ისევე როგორც – თანამდებობები, რომლებსაც ის იკავებს ან იკავებდა, რამდენადაც ეს უკანასკნელები მნიშვნელოვანია ზედამხედველი დირექტორების მიერ მასზე დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად. მიეთითება ასევე ის იურიდიული პირებიც, რომლებშიც ის უკვე წარმოადგენს ზედამხედველ დირექტორს; თუ მათ შორის სახეზეა იურიდიული პირები, რომლებიც იგივე ჯგუფს განეკუთვნება, მაშინ საკმარისია ჯგუფის მითითება. რეკომენდაციისა და წარდგენის საფუძვლები საჭიროებს დასაბუთებას. ხელახალი დანიშვნის შემთხვევაში მხედველობაში მისაღებია ის წესი, რომლის მიხედვითაც კანდიდატმა განახორციელა მასზე როგორც ზედამხედველი დირექტორის მოვალეობები.

მუხლი 2: 142a პირები, რომელთა ზედამხედველ დირექტორად დანიშვნა დაუშვებელია

– 1. დაუშვებელია შემდეგი პირების იმ ლია კორპორაციის („naamloze vennootschap“) ზედამხედველ დირექტორად დანიშვნა, რომელმაც ზედიზედ ორი საბალანსო თარიღის შემთხვევაში, – შემდგომში უწყვეტად ზედიზედ ორი საბალანსო თარიღის შემთხვევაში – ვერ დააკმაყოფილა 2:397 მუხლის პარ. 1-სა და

2-ში მითითებული, სულ ცოტა, ორი მოთხოვნა: პირები, რომლებიც წარმოადგენენ ხუთზე მეტი იურიდიული პირის ზედამხედველ დირექტორს ან არააღმასრულებელ დირექტორს. სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეობა მიიჩნევა დუბლირებულიად, თუ დირექტორების ფუნქციები განაწილებულია აღმასრულებელ და არააღმასრულებელ დირექტორებს შორის.

– 2. წინამდებარე მუხლის მიზნებისათვის:

a. პირი, ვინც წარმოადგენს იურიდიული პირის წესდებით ან ამ უკანასკნელის შესაბამისად შექმნილი სამეთვალყურეო ორგანოს წევრს, უთანაბრდება ზედამხედველ დირექტორს;

b. ერთმანეთთან ერთ ჯგუფში დაკავშირებული სხვადასხვა იურიდიული პირისათვის არსებული დანიშვნები ერთ დანიშვნად მიიჩნევა;

c. იურიდიულ პირებზე მითითება ეხება: ღია კორპორაციისა („naamloze vennootschap“) და დახურული კორპორაციის („besloten vennootschap“) სამართლებრივ ფორმას, რომელმაც ზედიზედ ორი საბალანსო თარიღის შემთხვევაში, – შემდგომში უწყვეტად ზედიზედ ორი საბალანსო თარიღის შემთხვევაში – ვერ დააკმაყოფილა 2:397 მუხლის პარ. 1-სა და 2-ში მითითებული, სულ ცოტა, ორი მოთხოვნა, და ასევე – 2:297a მუხლის პარ. 1-ში მითითებულ ფონდს („stichting“);

d. აღმასრულებელი დირექტორი უთანაბრდება დირექტორს პარ. 1-ის პრემბულის გაგებით, თუ დირექტორების ფუნქციები განაწილებულია აღმასრულებელ და არააღმასრულებელ დირექტორებს შორის;

e. 2:249a მუხლის პარ. 2-ის ან 2:356 მუხლის (c) პუნქტის შესაბამისად განხორციელებული დროებითი დანიშვნა არ მიიჩნევა დირექტორის დანიშვნად;

f. ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს წევრად ან არააღმასრულებელ დირექტორად დანიშვნა, როგორც ეს მითითებულია მეფის სამთავრობო ბრძანებაში საპენსიო კანონის 105a მუხლისა და სავალდებულო პროფესიული საპენსიო სქემის შესახებ კანონის 110a მუხლის საფუძველზე, მიიჩნევა აღნიშნულ სამთავრობო ბრძანებაში მოცემული სტანდარტული პროცედურის შესაბამისად განხორციელებულად.

– 3. როდესაც წინა პარაგრაფების ნორმების შესაბამისად დირექტორის დანიშვნა ბათილია, ეს გავლენას არ ახდენს იმ გადაწყვეტილებათა მიღების (გადაწყვეტილებების დამტკიცების) ნამდვილობაზე, რომელშიც დირექტორი მონაწილეობს.

მუხლი 2:143 სხვა პირების მიერ ზედამხედველი დირექტორების თანამდებობაზე დანიშვნა, ნაცვლად საერთო კრებისა

წესდებით შეიძლება გათვალისწინებული იყოს ერთი ან მეტი ზედამხედველი დირექტორის, – თუმცა-ლა, არაუმეტეს სამეთვალყურეო საბჭოს სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა, – დანიშვნა სხვა პირების მიერ, ნაცვლად საერთო კრებისა. როდესაც ზედამხედველი დირექტორების დანიშვნა მოწესრიგებულია 2:158 და 2:159 მუხლების საფუძველზე, წინა წინადადება არ გამოიყენება.

მუხლი 2:144 ზედამხედველი დირექტორების უფლებამოსილების შეჩერება ან მათი თანამდებობიდან გათავისუფლება

– 1. ზედამხედველ დირექტორს შეიძლება შეუჩერდეს უფლებამოსილება ან ის გათავისუფლდეს (გადაყენებულ იქნეს) დაკავებული თანამდებობიდან მის დანიშვნაზე უფლებამოსილი ორგანოს ან პირის მიერ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გამოიყენება 2:161 მუხლის პარ. 2 და 3-ის ან 2:161a მუხლის ნორმები.

– 2. შესაბამისად გამოიყენება 2:134 მუხლის პარ. 2 და 3-ის ნორმები.

მუხლი 2:144a ზედამხედველი დირექტორის დანიშვნის, მისთვის უფლებამოსილების შეჩერებისა თუ თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ სამუშაო საბჭოს პოზიცია

– 1. როდესაც ღია კორპორაციამ („naamloze vennootschap“) წესდებით დააფუძნა სამუშაო საბჭო, მაშინ ზედამხედველი დირექტორის დანიშვნის, მისთვის უფლებამოსილების შეჩერებისა თუ თანამდებობიდან გათავისუფლების შეთავაზების საერთო კრებისათვის წარდგენა დაუშვებელია მანამდე, სანამ სამუშაო საბჭოს არ მიეცემა შესაძლებლობა, დროულად 1:114 მუხლში მითითებულ მოწვევის თარიღამდე შეიმუშაოს თავისი მოსაზრებები ზედამხედველი დირექტორის დანიშვნის, მისთვის უფლებამოსილების შეჩერებისა თუ თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ საკითხთან დაკავშირებით. სამუშაო საბჭოს მოსაზრებების შეთავაზება ხდება ერთდროულად საერთო კრებისათვის თანხმობის მიცემის მოთხოვნასთან ერთად. სამუშაო საბჭოს თავმჯდომარეს ანდა საბჭოს იმ წევრს, რომელიც დაინიშნა შესაბამისი მიზნით, შეუძლია განუმარტოს საერთო კრებას სამუშაო საბჭოს პოზიცია. ამ უკანასკნელის არარსებობა

გავლენას არ ახდენს ზედამხედველი დირექტორის დანიშვნის, მისთვის უფლებამოსილების შეჩერებასა თუ თანამდებობიდან გათავისუფლების შეთავაზებასთან დაკავშირებით წარმოებულ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე.

– 2. პარ. 1-ის მიზნებისათვის სამუშაო საბჭოში მოიაზრება ასევე შვილობილი საწარმოს სამუშაო საბჭო იმ პირობით, რომ ღია კორპორაციაში („naamloze vennootschap“) არსებული დასაქმებულები და კომპანიათა ჯგუფები ძირითადად მუშაობენ ნიდერლანდების ტერიტორიის ფარგლებში. როდესაც სახეზეა ერთზე მეტი სამუშაო საბჭო, წინამდებარე მუხლში მითითებული უფლებამოსილება ამ საბჭოების მიერ ხორციელდება ერთობლივად. იმ შემთხვევაში, როდესაც შესაბამისი საწარმოსა თუ საწარმოებისათვის მოხდა ცენტრალური სამუშაო საბჭოს დაფუძნება, მაშინ ზემოაღნიშნული უფლებამოსილება ამ უკანასკნელს ეკუთვნის.

მუხლი 2: 145 ზედამხედველი დირექტორებისათვის გათვალისწინებული საზღაური

საერთო კრებას შეუძლია სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს მიანიჭოს საზღაურის მიღების უფლება.

მუხლი 2: 146 {გაუქმებულია 01.01.2013წ.}

მუხლი 2: 147 სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ზედამხედველი დირექტორისათვის უფლებამოსილების შეჩერება

– 1. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წესდება სხვაგვარად ითვალისწინებს, დირექტორთა საბჭოს ნებისმიერ დროს შეუძლია შეუჩეროს უფლებამოსილება ნებისმიერ იმ დირექტორს, ვინც დანიშნულ იქნა საერთო კრების მიერ.

– 2. საერთო კრებას ნებისმიერ დროს შეუძლია გააუქმოს ეს შეჩერება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დირექტორთა დანიშვნის უფლებამოსილება გადაცემულია სამეთვალყურეო საბჭოსთვის.

მუხლი 2: 148 {გაუქმებულია 01.01.1984წ.}

მუხლი 2: 149 რაიონული სასამართლოს განსჯადობა; ზედამხედველი დირექტორების პასუხისმგებლობა

2:9, 2: 131 და 2: 138 მუხლების ნორმები შესაბამისად გამოიყენება იმ წესის მიმართ, რომლის თანახმადაც სამეთვალყურეო საბჭომ განახორციელა თავისი მოვალეობები.

მუხლი 2: 150 დირექტორთა პასუხისმგებლობა არასწორი წლიური ანგარიშების მიწოდებისათვის

თუ კორპორაციის ფინანსური მდგომარეობა არასწორად იქნა წარმოდგენილი წლიურ ანგარიშებში, მაშინ ზედამხედველი დირექტორები, დირექტორებთან ერთად, სოლიდარულად აგებენ პასუხს მესამე პირთა წინაშე იმ ზიანისათვის, რომელიც ამ პირებმა აღნიშნულის შედეგად განიცადეს. პასუხისმგებლობა არ დაეკისრება იმ ზედამხედველ დირექტორს, რომელიც დაამტკიცებს, რომ არასწორი ინფორმაციის მიწოდება არ წარმოადგენს მისი მხრიდან ზედამხედველობის ფუნქციის შეუსრულებლობის შედეგს.

მუხლი 2: 151 მმართველობითი მოქმედებების შესრულება სხვა პირების მიერ, ნაცვლად დირექტორებისა

– 1. ყველა პირი, ზედამხედველი დირექტორები, ისევე როგორც – სხვა პირები, რომლებმაც წესდების ნებისმიერი დებულებისა თუ საერთო კრების მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილების შესაბამისად განსაზღვრული ვადით ანდა განსაზღვრული გარემოებების არსებობისას განახორციელეს ერთი ან მეტი ისეთი მოქმედება, რომელიც ჩვეულებრივ მიეკუთვნება დირექტორის მოვალეობას ისე, რომ ისინი არ არიან ღია კორპორაციის („naamloze vennootschap“) სამეთვალყურეო საბჭოს წევრები, – ამ მოქმედებების მხრივ სამართლებრივი თვალსაზრისით მიიჩნევიან დირექტორებად იმდენად, რამდენადაც საქმე ეხება ამ პირების უფლებებსა და ვალდებულებებს კორპორაციისა და მესამე პირების მიმართ.

– 2. იმ განსაზღვრული მოქმედებების დადასტურება, რომლებიც ჩვეულებრივ მიეკუთვნება დირექტორის მოვალეობას, ანდა ასეთი მოქმედებების განხორციელების ნებართვის მინიჭება თავისთავად არ განიხილება როგორც იმ მოქმედების შესრულება, რომელიც ჩვეულებრივ დირექტორის მოვალეობას მიეკუთვნება.

**განყოფილება 2.4.6 (გამოტოვებულია წინამდებარე
გამოცემაში როგორც არააქტუალური)**

განყოფილება 2.4.7 – ღია კორპორაციის გაუქმება

მუხლი 2:166 {გაუქმებულია 01.01.1992წ.}

მუხლი 2:167 {გაუქმებულია 01.01.1992წ.}

მუხლი 2:168 {გაუქმებულია 01.01.1992წ.}

მუხლი 2:169 {გაუქმებულია 01.01.1992წ.}

მუხლი 2:170 {გაუქმებულია 01.01.1992წ.}

მუხლი 2:171 {გაუქმებულია 01.01.1992წ.}

მუხლი 2:172 {გაუქმებულია 01.01.1992წ.}

მუხლი 2:173 {გაუქმებულია 01.01.1992წ.}

მუხლი 2:174 {გაუქმებულია 01.01.1992წ.}

განყოფილება 2.4.8 – გასაჩივრება {გაუქმებულია 01.01.2013წ.}

მუხლი 2:174a {გაუქმებულია 01.01.2013წ.}

ტიტული 2.5 – დახურული კორპორაციები (კერძო შეზღუდული კომპანიები)

განყოფილება 2.5.1 – ზოგადი დებულებები

მუხლი 2:175 „დახურული კორპორაციის“ განმარტება; კორპორაციის შექმნა

– 1. შეზღუდული პასუხისმგებლობით დახურული კორპორაცია („besloten vennootschap“) წარმოადგენს ერთი ან მეტი გადაცემადი წილებისაგან შემდგარი კაპიტალის მქონე იურიდიულ პირს. 2:192 მუხლის ნორმათა მოქმედების შეზღუდვის გარეშე, პარტნიორი არ არის პირადად პასუხისმგებელი იმაზე, რაც ხორციელდება კორპორაციის სახელით და მას არ ევალება კორპორაციის ვალების დაფარვაში მონაწილეობა იმაზე მეტი მოცულობით, რაც მან გადაიხადა წილებში ან მას ჯერ კიდევ აქვს გადასახდელი საკუთარი წილების შესაძენად. სულ ცოტა, ხმის უფლების მქონე ერთ წილს ფლობს სხვა პირი, ნაცვლად კორპორაციისა თუ მისი შვილობილი საწარმოებისა, და ასევე – ნაცვლად მათ ხარჯზე ფლობისა.

– 2. კორპორაცია იქმნება (დაფუძნება ხდება) ერთი ან მეტი პირის მიერ საანოტარო აქტის მეშვეობით. დაფუძნების საანოტარო აქტს ხელს აწერს თითოეული დამფუძნებელი და ასევე – ყოველი ის პირი, ვინც აღნიშნული საანოტარო აქტის შესაბამისად იღებს ერთ ან მეტ წილს.

მუხლი 2:176 ჰოლანდიური ენა; წერილობითი რწმუნებულება

დახურული კორპორაციის („besloten vennootschap“) დაფუძნების საანოტარო აქტი დგება ჰოლანდიურ ენაზე. საანოტარო აქტის შესრულებასთან დაკავშირებით რწმუნებულება (მინდობილობა) უნდა გაიცეს წერილობითი ფორმით.

მუხლი 2:177 დაფუძნების აქტის შინაარსი

– 1. დაფუძნების სანოტარო აქტი უნდა შეიცავდეს დახურული კორპორაციის („besloten vennootschap“) წესდებას. წესდება შეიცავს დახურული კორპორაციის („besloten vennootschap“) სახელწოდებას, ადგილსამყოფელსა და მიზანს.

– 2. სახელწოდება იწყება ან მთავრდება სიტყვებით „Besloten Vennootschap „ (სიტყვასიტყვითი გაგებით: „დახურული ტიპის კორპორაცია“), რომელიც იწერება სრულად ან შემდეგი აბრევიატურის სახით „B.V.“.

– 3. ადგილსამყოფელი უნდა მდებარეობდეს ნიდერლანდებში.

მუხლი 2:178 წესდების შინაარსი

– 1. წესდება განსაზღვრავს წილების ნომინალურ ღირებულებას. როდესაც სახეზეა სხვადასხვა ტიპის (კლასის) წილები, მაშინ წესდება განსაზღვრავს თითოეული ტიპის (კლასის) წილის რაოდენობასა და თანხას. დაფუძნების სანოტარო აქტი ასევე განსაზღვრავს გამოშვებული კაპიტალისა და მისი გადახდილი ნაწილის ოდენობას. როდესაც სახეზეა სხვადასხვა ტიპის (კლასის) წილები, მაშინ გამოშვებული კაპიტალისა და მისი გადახდილი ნაწილის ოდენობა განისაზღვრება თითოეული ტიპის (კლასის) წილისათვის. გარდა აღნიშნულისა, დაფუძნების სანოტარო აქტი ყველა იმ პირისათვის, რომლებმაც მიიღეს წილები კორპორაციის შექმნისას (დაფუძნებისას), განსაზღვრავს 2:196 მუხლის პარ. 2-ის (b) და (c) პუნქტებში მითითებულ მონაცემებს, მათ შორის, – მის მიერ მიღებული წილების რაოდენობასა და ტიპს (კლასს) და ასევე ამ წილებში მის მიერ გადახდილი თანხის ოდენობას.

– 2. ნებადართული კაპიტალის, გამოშვებული კაპიტალისა და მისი გადახდილი ნაწილის ოდენობა, – ისევე როგორც წილების ნომინალური ღირებულება, – შეიძლება განისაზღვროს უცხოურ ვალუტაში. იმ დახურულ კორპორაციას („besloten vennootschap“), რომელიც შეიქმნა 2002 წლის 1 იანვრამდე, შეუძლია განსაზღვრავდეს თავისი ნებადართული კაპიტალის ოდენობასა და წილების რაოდენობას გულდენებში თანხების ორნიშნის რიცხვამდე დამრგვალებით.

მუხლი 2:178a თანხების კონვერტაცია ევროში

თუ დახურული კორპორაცია („besloten vennootschap“), რომლის წესდებაც განსაზღვრავს ნებადართული კაპიტალის ოდენობასა და წილების რაოდენობას გულდენებში, ახდენს ამ თანხების კონვერტაციას ევროში, მაშინ ნებადართული კაპიტალისა და მისი გადახდილი ნაწილის ოდენობა გამოითვლება საბოლოოდ ფიქსირებულ კონვერტირებული ფასის შესაბამისად, როგორც ეს მითითებულია ევროპული კავშირის შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულების 109L მუხლის პარ. 4-ში, რაც მრგვალდება ორნიშნის რიცხვებამდე. ყოველი წილის ევროში დამრგვალებული თანხა შეიძლება იყოს მაქსიმუმ 15%-ით მეტი ან ნაკლები გულდენებში თავდაპირველ ნომინალურ თანხასთან შედარებით. წილების თანხის სრული ოდენობა ევროში, როგორც ეს აღნიშნულია 2:178 მუხლში, უნდა წარმოადგენდეს ნებადართულ კაპიტალს. გამოშვებული წილების თანხისა და მისი გადახდილი ნაწილის ჯამი ევროში უნდა შეადგენდეს გამოშვებული კაპიტალისა და გადახდილი კაპიტალის ოდენობას ევროში. სანოტარო აქტი განსაზღვრავს ევროში გამოშვებული კაპიტალისა და მისი გადახდილი ნაწილის ოდენობას.

მუხლი 2:178b 2:178a მუხლით გათვალისწინებული წესისაგან განსხვავებით წილების თანხის ოდენობის ცვლილება

თუ კორპორაცია ცვლის წილების თანხას 2:178a მუხლით გათვალისწინებულისაგან განსხვავებული წესით, მაშინ ასეთი ცვლილება ითხოვს იმ პარტნიორთა ყოველი ჯგუფის თანხმობას, რომელთა უფლებებიც ამის შედეგად ილახება. როდესაც აღნიშნული ცვლილება შედეგად იწვევს ფულადი თანხებისა თუ სავალო მოთხოვნების მიღებას, მაშინ ამ უკანასკნელთა საერთო ჯამი არ უნდა აღემატებოდეს წილთა შეცვლილი ნომინალური ღირებულების ერთ მეათედს.

მუხლი 2:178c დენომინაცია გულდენებში და ეკვივალენტური თანხის გამოყენება ევროში

– 1. დახურულ კორპორაციას („besloten vennootschap“), რომლის წესდებაც განსაზღვრავს ნებადართული კაპიტალის ოდენობასა და წილების რაოდენობას გულდენებში, სხვა პირებთან თავის კონტაქტებში შეუძლია გამოიყენოს ეკვივალენტური თანხა ევროში თანხების ორნიშნის რიცხვამდე დამრგვალებით იმ პირობით, რომ ამ დროს ის მოახდენს წინამდებარე მუხლზე მითითებას. ასეთი ეკვივალენტის გამოყენებას სამართლებრივი შედეგი არა აქვს.

– 2. როდესაც დახურულ კორპორაციას („besloten vennootschap“), რომლის წესდებაც განსაზღვრავს

ნებადართული კაპიტალის ოდენობასა და წილების რაოდენობას გულდენებში, 2002 წლის 1 იანვრის შემდეგ ცვლილება შეაქვს აღნიშნული წესდების იმ ერთ ან რამდენიმე დებულებაში, რომლებშიც თანხები გამოხატულია გულდენებში, – წესდებაში აღნიშნული ყველა თანხა უნდა იქნეს კონვერტირებული ევროში. ასეთ შემთხვევაში გამოიყენება 2:178a და 2:178b მუხლები.

მუხლი 2:179 {გაუქმებულია 01.07.2011წ.}

მუხლი 2:180 სავაჭრო რეესტრში რეგისტრაცია

– 1. დირექტორებს ეკისრებათ დახურული კორპორაციის („besloten vennootschap“) სავაჭრო რეესტრში რეგისტრაციის ვალდებულება და მათ ამ რეგისტრატორის (სავაჭრო პალატის) ოფისში შესანახად უნდა განათავსონ დაფუძნების სანოტარო აქტისა და ასევე 2:204 მუხლის შესაბამისად თანდართული დოკუმენტების ავთენტური ამონაჩივი.

– 2. დირექტორები დახურულ კორპორაციასთან („besloten vennootschap“) ერთად სოლიდარულად აგებენ პასუხს მათი დირექტორად მუშაობის პერიოდში დადებული ნებისმიერი გარიგებისათვის, რომლითაც კორპორაციამ იკისრა (ივალდებულა) შესაბამისი ვალდებულებები იმ მომენტამდე პერიოდში, როდესაც ოფისში შესანახად განსათავსებელ ამონაწერებსა და ასლებთან ერთად, სავაჭრო რეესტრში თავდაპირველი რეგისტრაციის მიზნით წარდგენილ იქნა შესაბამისი განცხადება.

მუხლი 2:181 დახურული კორპორაციის სხვა ტიპის იურიდიულ პირად გარდაქმნა

– 1. როდესაც დახურული კორპორაცია („besloten vennootschap“) 2:18 მუხლის საფუძველზე გარდაიქმნება კავშირად („vereniging“), კოოპერატივად („coöperatie“) ან ურთიერთდახმარების დაზღვევის საზოგადოებად („onderlinge waarborgmaatschappij“), ყოველი პარტნიორი უნდა გახდეს წევრი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამ პარტნიორმა მოითხოვა პარ. 2-ში მითითებული კომპენსაცია.

– 2. კავშირად („vereniging“), ფონდად („stichting“), კოოპერატივად („coöperatie“) ან ურთიერთდახმარების დაზღვევის საზოგადოებად („onderlinge waarborgmaatschappij“) გარდაქმნის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ყოველ პარტნიორს, მათ შორის, – ხმის უფლების ან მოგებაში მონაწილეობის უფლების არმქონე წილების ყოველ მფლობელს, რომელიც არ დაეთანხმა გარდაქმნის გადაწყვეტილებას, შეუძლია დახურული კორპორაციისაგან მოითხოვოს კომპენსაცია თავისი წილების დაკარგვისათვის. ასეთი კომპენსაციის თანხის მოთხოვნა დახურულ კორპორაციას უნდა წარედგინოს წერილობით ერთი თვის ვადაში მას შემდეგ, როდესაც დახურულმა კორპორაციამ შეატყობინა პარტნიორს იმის თაობაზე, რომ ამ უკანასკნელს შეუძლია მოითხოვოს აღნიშნული თანხა. ამ შეტყობინების წარდგენა ხორციელდება იგივე წესით, რა წესითაც უნდა გაიგზავნოს საერთო კრების მოწვევის შესახებ შეტყობინება.

– 3. როდესაც დახურული კორპორაცია („besloten vennootschap“) გარდაიქმნება ღია კორპორაციად („naamloze vennootschap“), ხმის უფლების ან მოგებაში მონაწილეობის უფლების არმქონე წილების ყოველ მფლობელს, რომელიც არ დაეთანხმა გარდაქმნის გადაწყვეტილებას, შეუძლია დახურული კორპორაციისაგან მოითხოვოს კომპენსაცია თავისი წილების დაკარგვისათვის. ასეთი კომპენსაციის თანხის მოთხოვნა დახურულ კორპორაციას უნდა წარედგინოს წერილობით ერთი თვის ვადაში მას შემდეგ, როდესაც დახურულმა კორპორაციამ შეატყობინა პარტნიორს იმის თაობაზე, რომ ამ უკანასკნელს შეუძლია მოითხოვოს აღნიშნული თანხა. ამ შეტყობინების წარდგენა ხორციელდება იგივე წესით, რა წესითაც უნდა გაიგზავნოს საერთო კრების მოწვევის შესახებ შეტყობინება. ის წილები, რომლებსაც ეხება მოთხოვნა, უქმდება გარდაქმნის ძალაში შესვლის მომენტში.

– 4. გარდაქმნის შეთავაზებაში უნდა მიეთითოს პარ. 2-ში ნახსენები კომპენსაციის თანხა, რომელიც შეფასებულია ერთი ან მეტი დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ. ექსპერტები შეფასების შესახებ ანგარიშის წარდგენას ახდენენ წერილობით; ანგარიში იგზავნება იმ საერთო კრების მოწვევის შესახებ შეტყობინებასთან ერთად, რომელზეც უნდა იქნეს მიღებული გარდაქმნის შესახებ გადაწყვეტილება. როდესაც წესდებისა თუ იმ შეთანხმების თანახმად, რომელშიც დახურული კორპორაცია („besloten vennootschap“) და შესაბამისი პარტნიორი წარმოადგენენ მხარეს, მხარეთა შორის გამოიყენება წილების ღირებულებისა თუ კომპენსაციის თანხის შეფასების მომწესრიგებელი ნორმები, ხოლო ექსპერტებმა კი თავიანთი ანგარიში უნდა წარადგინონ სწორედ ამ ნორმების მოთხოვნათა გათვალისწინებით. ექსპერტების დანიშვნა აუცილებელი არ არის, თუ წესდება თუ ის შეთანხმება, რომელშიც დახურული კორპორაცია („besloten vennootschap“) და შესაბამისი პარტნიორი წარმოადგენენ მხარეს, შეიცავს მთელ რიგს ნათელი კრიტერიუმებისა, რომელთა საფუძველზეც კომპენსაციის თანხა შეიძლება ადვილად დადგინდეს.

– 5. 2:231 მუხლის პარ. 4 არ გამოიყენება იმ გადაწყვეტილების მიმართ, რომელიც მიიღება დახურული კორპორაციის („besloten vennootschap“) სხვა ტიპის იურიდიულ პირად გარდაქმნის ფარგლებში განხორციელებული წესდების ცვლილებასთან დაკავშირებით.

– 6. როდესაც გარდაქმნისათვის მოითხოვება 2:18 მუხლის პარ. 4 და 5-ში მითითებული სასამართლოს ნებართვა, ამ უკანასკნელის გაცემას უნდა ეთქვას უარი ასევე იმ შემთხვევაშიც, თუ არასაკმარისად იქნა გათვალისწინებული ხმის უფლების ან მოგებაში მონაწილეობის უფლების არმქონე წილების მფლობელთა ინტერესები.

მუხლი 2:182 დახურული კორპორაციის სხვა ტიპის იურიდიულ პირად გარდაქმნის მიმართ პროტესტის წარდგენა

– 1. დახურული კორპორაცია („besloten vennootschap“) მისი კავშირად („vereniging“), კოოპერატივად („coöperatie“) ან ურთიერთდახმარების დაზღვევის საზოგადოებად („onderlinge waarborgmaatschappij“) გარდაქმნის შესახებ გადაწყვეტილებას ანთავსებს სავაჭრო რეესტრის (სავაჭრო პალატის) ოფისში და ამის თაობაზე განცხადებას აქვეყნებს ეროვნულ ყოველდღიურ გაზეთში.

– 2. დახურულმა კორპორაციამ („besloten vennootschap“) – პარ. 3-ში მითითებული პროტესტის ამოქმედების სანქციით – თითოეულ იმ კრედიტორს, რომელიც ამას ითხოვს, უნდა წარუდგინოს უზრუნველყოფა ანდა მისცეს მათ სხვაგვარი გარანტია იმისა, რომ მათი სავალლო მოთხოვნა მომავალში დაკმაყოფილდება; თუ კორპორაცია ვერ შეასრულებს ამ ნორმას, მაშინ ქვემოთ მოცემულ პარაგრაფში მითითებული კრედიტორის პროტესტი ქმედითად უნდა იქნეს აღიარებული. წინამდებარე პარაგრაფის ნორმები არ მოქმედებს, თუ კრედიტორს საკმარისი გარანტია აქვს იმისა, რომ მისი სავალლო მოთხოვნა მომავალში დაკმაყოფილდება ანდა – როდესაც კორპორაციას საკმარისი ქონება აქვს იმისათვის, რათა უზრუნველყოს მისი სავალლო მოთხოვნის დაკმაყოფილდება.

– 3. პარ. 1-ში მითითებული განცხადების გამოქვეყნებიდან ორი თვის განმავლობაში, ნებისმიერ კრედიტორს შეუძლია წარადგინოს განაცხადი რაიონულ სასამართლოში, რომლითაც ის გააპროტესტებს დახურული კორპორაციის („besloten vennootschap“) გარდაქმნის შესახებ გადაწყვეტილებას იმ უზრუნველყოფისა თუ სხვა გარანტიის ხსენებით, რომელსაც ის ეძებს.

– 4. მანადე, სანამ რაიონული სასამართლო მიიღებს თავის გადაწყვეტილებას, მას შეუძლია კორპორაციას მისცეს განსაზღვრული უზრუნველყოფისა თუ სხვა სახის გარანტიის წარდგენის შესაძლებლობა სასამართლოს მიერ დადგენილი ვადის განმავლობაში. თუ კორპორაციის კაპიტალი უკვე შემცირდა, რაიონულ სასამართლოს მისთვის წარდგენილი მოთხოვნის საფუძველზე შეუძლია დაადგინოს, რომ უზრუნველყოფა ან სხვა სახის გარანტია წარედგინება განმცხადებელს (კრედიტორს) ამ ვალდებულების შეუსრულებლობისათვის პირგასამტეხლოს თანხის დაკისრების სანქციით.

– 5. დახურული კორპორაციის („besloten vennootschap“) გარდაქმნის შესახებ გადაწყვეტილება არ შედის ძალაში მანამდე, სანამ პროტესტი ჯერ კიდევ შეიძლება იქნეს წარდგენილი. თუ პროტესტი დროულად წარედგინება, გადაწყვეტილება ძალაში შევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც კრედიტორმა თავისი პროტესტი გაიხმო, ანდა როდესაც ძალაში შედის სასამართლოს განკარგულება, რომლითაც პროტესტის დაკმაყოფილებაზე კრედიტორს ეთქვა უარი. წინა წინადადებაში აღნიშნულ მომენტამდე 2:18 მუხლის პარ. 2-ში ნახსენები სანოტარო აქტი ვერ შედგება.

მუხლი 2:183 სხვა ტიპის იურიდიული პირის დახურულ კორპორაციად გარდაქმნა

– 1. როდესაც იურიდიული პირი 2:18 მუხლის საფუძველზე გარდაიქმნება დახურულ კორპორაციად („besloten vennootschap“), მაშინ გარდაქმნის სანოტარო აქტს უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტები:

a. თუ იურიდიულ პირს ჰყავს წევრები: თითოეული იმ წევრის წერილობითი თანხმობა, რომელთა წილების თანხების გადახდა სრულად არ ხდება ამ იურიდიული პირის რეზერვების გარდაქმნის გზით;

b. თუ ადგილი აქვს ფონდის („stichting“) გარდაქმნას: სასამართლოს მხრიდან აუცილებელი ნებართვა.

– 2. როდესაც კავშირი („vereniging“), კოოპერატივი („coöperatie“) ან ურთიერთდახმარების დაზღვევის საზოგადოება („onderlinge waarborgmaatschappij“) 2:18 მუხლის საფუძველზე გარდაიქმნება დახურულ კორპორაციად („besloten vennootschap“), თითოეული წევრი უნდა გახდეს პარტნიორი. გარდაქმნა ვერ განხორციელდება მანადე, სანამ წევრს შეუძლია თავისი წევრობის გაუქმება 2:36 მუხლის პარ. 4-ის ნორმების საფუძველზე.

– 3. მანამდე, სანამ პარტნიორი, უზუფრუქტუარი და მოგირავნე გარდაქმნის შემდეგ არ გატარდებიან ასეთ პირებად რეესტრაციაში 2:194 მუხლში მითითებულ რეესტრში (პარტნიორების რეესტრი), ისი-

ნი ვერ განახორციელებენ წილებთან დაკავშირებულ უფლებებს. დაუშვებელია პირის თანხმობის გარეშე მისთვის მოგებაში მონაწილეობის უფლების ან ხმის უფლების არმქონე წილების გაცემა. რამდენადაც წილთა მონაწილეობის გაიცა, ასეთი რეგისტრაცია ვერ განხორციელდება მანამდე, სანამ შესაბამის წილთა მონაწილეობის არ გადაეცემა კორპორაციის მფლობელობაში.

მუხლი 2:184 {გაუქმებულია 01.09.1994წ.}

მუხლი 2:185 დახურული კორპორაციის გაუქმება

– 1. პროკურატურის მოთხოვნის საფუძველზე რაიონულმა სასამართლომ უნდა გააუქმოს დახურული კორპორაცია („besloten vennootschap“), როდესაც ამ უკანასკნელს აღარ შეუძლია თავისი მიზნების განხორციელება აქტივების არარსებობის გამო, და ასევე რაიონულ სასამართლოს შეუძლია გააუქმოს დახურული კორპორაცია („besloten vennootschap“) იმ შემთხვევაშიც, როდესაც ამ უკანასკნელმა შეწყვიტა თავისი ისეთი საქმიანობის განხორციელება, რომლითაც ის ცდილობდა თავისი მიზნების რეალიზაციას. პროკურატურა აცხობინებს სავაჭრო პალატას თავისი განზრახვის შესახებ, წარადგინოს აღნიშნული კორპორაციის გაუქმების მოთხოვნა.

– 2. გაუქმების დადგენამდე რაიონულ სასამართლოს შეუძლია მისცეს კორპორაციას შესაძლებლობა, აღმოფხვრას (გამოასწოროს) სამართლებრივი ხარვეზები სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში.

მუხლი 2:186 სახელწოდებისა და დომიცილის მითითება; გამოშვებული კაპიტალისა და მისი გადახდილი ნაწილის მითითება

– 1. დახურული კორპორაციის („besloten vennootschap“) სრული სახელწოდება და მისი დომიცილი (მისამართი) ნათლად უნდა ჩანდეს კორპორაციის მიერ გამოშვებული ყველა წერილობითი დოკუმენტიდან, დაბეჭდილი დოკუმენტებიდან და განცხადებებიდან ანდა – იმ დოკუმენტებში, რომლებშიც კორპორაცია გვევლინება როგორც მოქმედებისა თუ მოვლენის მხარე, გარდა დებუებისა და სარეკლამო განცხადებების შემთხვევებისა.

– 2. თუ დახურული კორპორაცია („besloten vennootschap“) ახდენს მითითებას თავის (ნებადართულ) კაპიტალზე, მაშინ ნებისმიერ შემთხვევაში ის უნდა უთითებდეს გამოშვებული კაპიტალის ნომინალურ ოდენობასა და ასევე იმაზე, თუ რა ოდენობით იქნა ეს კაპიტალი გადახდილი.

მუხლი 2:187 {გაუქმებულია 25.11.1988წ.}

მუხლი 2:188 {გაუქმებულია 01.01.2014წ.}

მუხლი 2:189 „ნებადართული კაპიტალის გამოშვებული ნაწილი“

როდესაც წესდება უთითებს იმ რაოდენობის წილთა მფლობელებზე, რომლებიც ერთობლივად ქმნიან კორპორაციის ნებადართული კაპიტალის განსაზღვრულ ნაწილს, მაშინ „კაპიტალის“ ცნების ქვეშ მოიაზრება ნებადართული კაპიტალის გამოშვებული ნაწილი, თუ წესდებიდან საწინააღმდეგო წესი არ გამოდინარეობს.

მუხლი 2:189a „კორპორაციის ორგანო“

2:192 მუხლის, 2:197 მუხლის პარ. 3-ის, 2:198 მუხლის, პარ. 3-ის, 2:206 მუხლის, 2:210 მუხლის, პარ. 6-ის, 2:216 მუხლის პარ. 1-ის, 2:227 მუხლის პარ. 2-ის, 2:239 და 2:244 მუხლების ნორმათა მიზნისათვის, „კორპორაციის ორგანოს“ ცნების ქვეშ მოიაზრება საერთო კრება, კონკრეტული ტიპის (კლასის) წილთა მფლობელების კრება, დირექტორთა საბჭო, სამეთვალყურეო საბჭო და ასევე დირექტორთა საბჭოსა და სამეთვალყურეო საბჭოს ერთობლივი კრება.

განყოფილება 2.5.2 – წილები

მუხლი 2:190 „დახურული კორპორაციის“ განმარტება; კორპორაციის შექმნა

წილად არ მიიჩნევა უფლებები, რომლებიც არ ითვალისწინებს არც ხმის უფლებასა და არც მოგებასა თუ რეზერვებში მონაწილეობის უფლებამოსილებას.

მუხლი 2: 191 გამოშვებული წილების თანხის გადახდის ვალდებულება

– 1. წილზე ხელმოწერისას კორპორაციისათვის გადახდილ უნდა იქნეს წილის ნომინალური ღირებულება. დასაშვებია შეთანხმება იმის თაობაზე, რომ იმ გადასახდელი თანხის პროპორციული ოდენობა, რომელიც არ აღემატება ნომინალური თანხის სამ მეოთხედს, დაიფაროს მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც კორპორაცია მოახდენს ამ თანხის ამოღებას.

– 2. პარტნიორი ვერ გათავისუფლდება სრულად ან ნაწილობრივ მასზე დაკისრებული წილის თანხის გადახდის ვალდებულებისაგან, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია 2:208 მუხლში.

– 3. პარტნიორი, ხოლო 2:199 მუხლში მითითებულ ვითარებაში კი, – ასევე ყოფილი პარტნიორი არ არიან უფლებამოსილი, მოახდინონ მათზე წინამდებარე მუხლით დაკისრებული ვალდებულების გაქვითვა.

მუხლი 2: 191a გამოყოფილი წილების თანხის გადახდა (უცხოურ) ვალუტაში

– 1. გამოყოფილი წილის თანხის გადახდა უნდა განხორციელდეს ნაღდი ანგარიშსწორების წესით, რამდენადაც შეთანხმებული არ ყოფილა სხვა სახის შენატანი.

– 2. კორპორაციის შექმნამდე (დაფუძნებამდე) ან შექმნის (დაფუძნების) შემდეგ, გადახდა უცხოურ ვალუტაში შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაფუძნების სანოტარო აქტი ადგენს, რომ უცხოურ ვალუტაში გადახდა ნებადართულია; კორპორაციის შექმნის (დაფუძნების) შემდეგ, ასეთი გადახდა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ დახურული კორპორაციის („besloten vennootschap“) თანხმობით. იმ ვალუტაში გადახდა, რომელსაც ევროპული კავშირის შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულების 109L მუხლის პარ. 4-ის თანახმად წარმოადგენს ევრო, არ მიიჩნევა ანგარიშსწორებად უცხოურ ვალუტაში.

– 3. უცხოურ ვალუტაში გადახდა წილთა თანხების დაფარვის ვალდებულების შესრულებას შედეგად იწვევს იმ ოდენობით, რა ოდენობითაც თავისუფლად არის შესაძლებელი გადახდილი თანხის ჰოლანდიის ვალუტაში კონვერტაცია (გადაცვლა). განმსაზღვრელია გადახდის დღეს არსებული გაცვლითი კურსი, ანდა თუ გადახდა განხორციელდა კორპორაციის შექმნამდე (დაფუძნებამდე) ერთ თვეზე მეტი ხნით ადრე, – შექმნის (დაფუძნების) დღეს არსებული გაცვლითი კურსით.

მუხლი 2: 191b არაფულადი სახის შენატანის განხორციელება

– 1. თუ შეთანხმებულია არაფულადი სახის შენატანის განხორციელება, მაშინ ეს უკანასკნელი უნდა ექვემდებარებოდეს შეფასებას ეკონომიკური სტანდარტების საფუძველზე. დაუშვებელია ნარდობისა თუ მომსახურებიდან გამომდინარე შესრულების მოთხოვნის უფლების კაპიტალში შეტანა.

– 2. არაფულადი სახის შენატანის განხორციელება უნდა მოხდეს დაუყოვნებლივ წილის მიღების შემდეგ ან იმ დღის შემდეგ, როდესაც კორპორაციას უნდა მიეღო ის დამატებითი გადახდა, რაც შეიძლება განხორციელდეს არაფულადი შენატანის სახით, ანდა – როდესაც ასეთი სახის შენატანის განხორციელება შეთანხმებული იყო.

მუხლი 2: 192 (განსაზღვრული კლასის) წილებთან დაკავშირებული ვალდებულებები და მოთხოვნები

– 1. ყველა ან განსაზღვრული ტიპის (კლასის) წილებთან დაკავშირებით წესდებით შეიძლება:

a. დადგინდეს, რომ დახურული კორპორაციის („besloten vennootschap“) ან მესამე პირების მიმართ ანდა – პარტნიორებს შორის ორმხრივად შესასრულებელი განსაზღვრული ვალდებულებები დაკავშირებული გახდეს წილის ფლობის ფაქტთან;

b. წილის ფლობის ფაქტს უკავშირდებოდეს განსაზღვრული მოთხოვნები;

c. განისაზღვროს, რომ წესდებით გათვალისწინებულ ვითარებაში პარტნიორი ვალდებული იყოს გადასცეს თავისი წილი ან მისი ნაწილი სხვა პირს ანდა მოახდინოს ასეთი გადაცემის შეთავაზება.

დაუშვებელია ზემოაღნიშნული წინადადების (a), (b) ან (c) პუნქტებში მითითებული ვალდებულებისა თუ მოთხოვნის პარტნიორისათვის დაკისრება მისი ნების საწინააღმდეგოდ, თუნდაც, – რაიმე პირობისა თუ ვადის დათქმით.

– 2. წესდებით შეიძლება დადგინდეს, რომ პარ. 1-ის (a), (b) ან (c) პუნქტებში ნახსენები ვალდებულებისა თუ მოთხოვნის ძალაში შესვლა დამოკიდებული გახდეს დახურული კორპორაციის („besloten vennootschap“) წესდებაში ამ მიზნისათვის განსაზღვრული ორგანოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე.

– 3. პარ. 1-ის (c) პუნქტში მითითებული მოწესრიგება უნდა იყოს ისეთი, რომ პარტნიორი, რომელიც

ამას ითხოვს, თავისი წილების სანაცვლოდ იღებდეს მათი ღირებულების ეკვივალენტურ ფასს, როგორც ეს უკანასკნელი დადგინდება ერთი ან მეტი ექსპერტის მიერ. წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს წინა წინადადების ნორმისაგან განსხვავებული შეფასების მეთოდს. თუმცა, დაუშვებელია ასეთი განსხვავებული შეფასების მეთოდის პარტნიორისათვის დაკისრება მისი წილის სანააღმდეგოდ.

– 4. წესდებით შეიძლება დადგინდეს, რომ მანამდე, სანამ პარტნიორი არ ასრულებს წესდების ტექსტში მოცემულ ვალდებულებას ანდა არ აკმაყოფილებს ამ წესდებაში მოცემულ მოთხოვნას, მისი ხმის უფლების, მოგებაში მონაწილეობისა თუ საერთო კრებაზე დასწრების უფლების მოქმედება გადავადდება. თუ პარტნიორი ვერ ახორციელებს წინა წინადადებაში მითითებულ ერთ ან რამდენიმე უფლებას და თუ ასევე მას არ ეკისრება თავისი წილის სხვა პირისათვის გადაცემის ანდა ასეთი გადაცემის შეთავაზების ვალდებულება, მაშინ გადავადების პერიოდი დასრულდება იმ შემთხვევაში, თუ დახურული კორპორაცია („besloten vennootschap“) პარტნიორის მოთხოვნის წარდგენიდან სამი თვის განმავლობაში არ დანიშნავს იმ კანდიდატებს, რომელთათვისაც პარტნიორი შეძლებს თავისი წილების გადაცემას წესდებით გათვალისწინებული პროცედურის მიხედვით. შესაბამისად გამოიყენება პარ. 3-ის ნორმები. უფლებათა მოქმედება უნდა გადავადდეს იმ შემთხვევაში, თუ ასეთი გადავადების შედეგად ვერც ერთი პარტნიორი ვერ შეძლებს თავისი ხმის უფლების რეალიზაციას.

– 5. წესდებით შეიძლება დადგინდეს, რომ თუ პარტნიორმა გონივრულ ვადაში არ შეასრულა პარ. 1-ის (c) პუნქტში მითითებული ვალდებულება, დახურული კორპორაცია („besloten vennootschap“) საბოლოოდ იქნება უფლებამოსილი, როგორც შესაბამისი პარტნიორის წარმომადგენელმა, ვინმე სხვა პირს საკუთარი სახელით შესთავაზოს ან გადასცეს წილები. დახურული კორპორაცია („besloten vennootschap“) ასევე უფლებამოსილია, გააკეთოს ასეთი გადაცემის შეთავაზება ან მოახდინოს წილების გადაცემა პარტნიორის გაკოტრების საქმის წარმოების დროს ანდა – იმ ვადის განმავლობაში, როდესაც მის მიმართ მოქმედებს ფიზიკური პირებისათვის არსებული ვალების დაფარვის სქემა. როდესაც სახეზე არ არიან ის კანდიდატები, ვისთვისაც პარტნიორი შეძლებდა იმ წილების გადაცემას, რომელთათვისაც მან წარადგინა შეთავაზება პარ. 1-ის (c) პუნქტის შესაბამისად, მაშინ დახურულ კორპორაციას („besloten vennootschap“) არ ექნება ზემოთ ნახსენები უფლებამოსილება და პარტნიორი საბოლოოდ გათავისუფლდება მასზე დაკისრებული წილთა გადაცემის შეთავაზების წარდგენისა თუ გადაცემის ვალდებულებისაგან, ისევე როგორც – პარ. 4-ში მითითებული უფლებების მოქმედების გადავადებისაგან.

მუხლი 2:192a დახურული კორპორაციისათვის წარდგენილი წილების შესყიდვის მიზნით სხვა კანდიდატების განსაზღვრის მოთხოვნა

– 1. თუ პარტნიორს, რომელსაც არ ეკისრება წესდებით დაკისრებული ვალდებულება ან მოთხოვნა, როგორც ეს მითითებულია 2:192 მუხლის პარ. 2-ში, სურს თავისი წილების გასხვისება, თუმცა ამ წილების გადაცემა შეუძლებელი ან უკიდურესად რთულია იმის გამო, რომ სავარაუდო შემძენი მხარე შებოჭილია აღნიშნული ვალდებულებითა თუ მოთხოვნით, მაშინ მას შეუძლია დახურულ კორპორაციას („besloten vennootschap“) მოსთხოვოს სხვა კანდიდატების წარდგენა, რომელთათვისაც ის შეძლებს თავისი წილების გადაცემას წესდებით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად. ამ უკანასკნელის მიმართ მოქმედებს 2:192 მუხლის პარ. 3. თუ დახურულმა კორპორაციამ („besloten vennootschap“) აღნიშნული მოთხოვნის წაყენებიდან სამი თვის განმავლობაში არ მოახდინა კანდიდატების წარდგენა, მაშინ პარტნიორს ზემოაღნიშნული სამთვიანი ვადის გასვლის შემდეგ ექვსი თვის განმავლობაში შეუძლია გადასცეს თავისი წილები ვინმე სხვა პირს და ამ წილების შემძენი მხარე არ იქნება შებოჭილი წესდებით დაკისრებული ვალდებულებითა თუ მოთხოვნით.

– 2. პარ. 1-ის ნორმები შესაბამისად გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ წილების გადაცემა შეუძლებელი ან უკიდურესად რთულია იმის გამო, რომ სავარაუდო შემძენი მხარე შებოჭილია წესდებაში გათვალისწინებული შეფასების მეთოდით, რომლის გამოყენებაც გამსხვივებელ მხარეს არ ეკისრება.

მუხლი 2:193 ლიკვიდატორისა და გაკოტრების ლიკვიდატორის უფლებამოსილება

დახურული კორპორაციის („besloten vennootschap“) ლიკვიდატორი, ხოლო გაკოტრების შემთხვევაში კი, – გაკოტრების ლიკვიდატორი უფლებამოსილი არიან, მოახდინონ ყველა ვადამოსული თანხის გადახდის მოთხოვნა და ამოღება, რომელიც ჯერ არ იქნა განხორციელებული წილების სანაცვლოდ. ეს უფლებამოსილება არსებობს მიუხედავად იმისა, თუ რა წესი არის გათვალისწინებული ამ მხრივ წესდებაში ანდა რა პირობა იქნა შეთანხმებული 2:191 მუხლის პარ. 1-ის საფუძველზე იმის გათვალისწინებით, რომ თუკი მხარეებმა წილების სანაცვლოდ თანხის გადახდა მიუსადაგეს იმ მომენტს, რომელიც დგება

კორპორაციის გაკოტრებულად გამოცხადების შემდეგ, მაშინ გაკოტრებულად გამოცხადების დღისათვის წილებში გადახდილი თანხის ოდენობა ჯეროვნად მიიჩნევა.

მუხლი 2:194 პარტნიორთა რეესტრი

– 1. დახურული კორპორაციის („besloten vennootschap“) დირექტორთა საბჭო აწარმოებს რეესტრს, რომელშიც აღირიცხება რეგისტრირებული წილის ყველა მფლობელის სახელები და მისამართები და ასევე სადაც მითითება თარიღი, როდესაც მოხდა ამ პირთა მიერ თავიანთი წილების შექმნა, კორპორაციის მხრიდან შესაბამისი დასტურის ან ოფიციალური მომსახურების განვების თარიღი, ასევე – თითოეულ წილზე გადახდილი თანხის ოდენობა. როდესაც 2:228 მუხლის პარ. 5-ში გათვალისწინებულ შემთხვევაში წილების ფლობა არ არის დაკავშირებული ხმის უფლებასთან, მაშინ ეს წილები აღინიშნება როგორც ხმის უფლების არმქონე წილები. ზემოაღნიშნულ რეესტრში აღირიცხება ასევე იმ პირთა სახელები და მისამართები, რომლებსაც წილებზე აქვთ უზუფრუქტის ან გირავნობის უფლებები იმ თარიღის მითითებით, როდესაც მოხდა მათ მიერ ამ შეზღუდული სანივთო უფლებების შექმნა, კორპორაციის მხრიდან შესაბამისი დასტურის ან ოფიციალური მომსახურების განვების თარიღი, და – ასევე უფლებრივად დატვირთული წილებთან დაკავშირებული უფლებები. გარდა აღნიშნულისა, რეესტრში აღირიცხება, აგრეთვე, წილებზე გამოშვებული ხმის უფლების მქონე სადეპოზიტო ჩეკის მფლობელთა სახელები და მისამართები იმ თარიღის მითითებით, როდესაც ამ მფლობელებს მიენიჭათ საერთო კრებაზე დასწრების უფლება და ასევე – კორპორაციის მხრიდან შესაბამისი დასტურის ან ოფიციალური მომსახურების განვების თარიღი.

– 2. რეესტრი ექვემდებარება მუდმივად განახლებას; მასში ასევე უნდა აღინიშნოს წილთა თანხის სრული ოდენობით გადაუხდელობისათვის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებული ყოველი პირი.

– 3. პარტნიორებმა და სხვა იმ პირებმა, რომლებიც პარ. 1-ის ნორმების შესაბამისად ექვემდებარებიან რეესტრში რეგისტრაციას, დირექტორთა საბჭოს დროულად უნდა წარუდგინონ აღნიშნული რეგისტრაციისათვის აუცილებელი მონაცემები (ინფორმაცია).

– 4. მოთხოვნის შემთხვევაში დირექტორთა საბჭომ პარტნიორს, უზუფრუქტუარს, მოგირავნესა თუ წილზე გამოშვებული სადეპოზიტო ჩეკის მფლობელს უსასყიდლოდ უნდა წარუდგინოს ამონარიდი რეესტრიდან წილზე მის უფლებასთან დაკავშირებით. თუ წილი დატვირთულია უზუფრუქტით ან გირავნობით, მაშინ ამონარიდში აღინიშნება ასევე ის პირი, ვინც უფლებამოსილია, მოახდინოს 2:197, 2:198 და 2:227 მუხლის ნორმებში მითითებული უფლებების რეალიზაცია.

– 5. დირექტორთა საბჭომ პარტნიორთა რეესტრი უნდა განათავსოს კორპორაციის ოფისში პარტნიორებისა და იმ უზუფრუქტუარებისა და მოგირავნეების მიერ მისი გაცნობის მიზნით, რომლებიც უფლებამოსილი არიან, მოახდინონ 2:227 მუხლის პარ. 2-ის ნორმებში მითითებული უფლებების რეალიზაცია, ასევე – იმ წილებზე გამოშვებული სადეპოზიტო ჩეკის მფლობელების მიერ, რომელთაც წესდება საერთო კრებაზე დასწრების უფლებას უკავშირებს. არასრულად გადახდილი წილების შესახებ რეესტრის მონაცემები ხელმისაწვდომია გასაცნობად ნებისმიერი პირისათვის; ამ ინფორმაციის ასლის ან ამონარიდის წარდგენა უნდა მოხდეს არაუმეტეს თვითღირებულების თანხის გადახდის სანაცვლოდ.

მუხლი 2:195 წილთა გადაცემის შეზღუდვა

– 1. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წესდება სხვაგვარად ითვალისწინებს, წილთა ქმედითი გადაცემისათვის იმ პარტნიორისგან, რომელსაც სურს თავისი ერთი ან მეტი წილის განკარგვა, მოითხოვება თავდაპირველად ამ წილების სხვა პარტნიორებისათვის შეთავაზება იმ წილთა რაოდენობის პროპორციულად, რომლებსაც თითოეული მათგანი ასეთი შეთავაზების გაკეთების მომენტში ფლობს. იმ განსაზღვრული ტიპისა (კლასის) თუ მითითების მქონე წილთა მფლობელებს, რომლებსაც წესდება თანახმად არ უკავშირდება ხმის მიცემის ან მოგებასა თუ რეზერვებში მონაწილეობის უფლება, შეიძლება წინა წინადადების ნორმის საფუძველზე შესთავაზონ იგივე ტიპის (კლასის) წილები თუ მითითება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წესდება სხვაგვარად ითვალისწინებს. თუ პარტნიორი ამას ითხოვს, ის სხვა პარტნიორებისაგან იღებს წილების ღირებულების ეკვივალენტურ ფასს, როგორც ეს უკანასკნელი დადგინდება ერთი ან მეტი ექსპერტის მიერ. თუ გაირკვა, რომ არ მოხდება ყველა იმ წილის (სხვა პარტნიორებისა თუ კანდიდატების მიერ) ყიდვა, რომლებსაც შეთავაზება ეხება, შემთავაზებელს შეუძლია თავისუფლად გადასცეს ყველა წილი არანაკლებ სამთვლიანი ვადის განმავლობაში, რომელიც გამოითვლება ყველა წილის შესყიდვის განზრახვის არარსებობის ფაქტის გამოვლენის მომენტიდან.

– 2. პარ. 1-ის ნორმათა მიზნებისათვის ლეგატის შესაბამისად განხორციელებული წილთა გადაცემა გარდაცვლილი პირის მიერ განხორციელებულ გადაცემად მიიჩნევა.

– 3. წესდებაში წილთა გადაცემაუნარიანობა შეიძლება განსაზღვრული ვადით გამოირიცხოს. წესდებაში გათვალისწინებული ასეთი გამოირიცხვის დათქმის დარღვევით განხორციელებული წილის გადაცემა ბათილია. პირველ წინადადებაში აღნიშნული წესდების დათქმა საჭიროებს წილთა ყველა იმ მფლობელის თანხმობას, რომლებსაც გადაცემაუნარიანობის გამოირიცხვა ეხება.

– 4. წილთა გადაცემაუნარიანობა შეიძლება შეიზღუდოს ასევე სხვა წესითაც, ვიდრე ეს გათვალისწინებულია პარ. 1-სა თუ 3-ის შესაბამისად. წესდებაში შეზღუდვის დათქმის დარღვევით განხორციელებული წილის გადაცემა ბათილია. წესდებაში გათვალისწინებული წესი უნდა იყოს ისეთი, რომ პარტნიორი, რომელიც მას ითხოვს, თავისი წილების სანაცვლოდ იღებდეს მათი ღირებულების ეკვივალენტურ ფასს, როგორც ეს უკანასკნელი დადგინდება ერთი ან მეტი ექსპერტის მიერ. წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს წინა წინადადების ნორმისაგან განსხვავებული შეფასების მეთოდს. თუმცა, დაუშვებელია ასეთი განსხვავებული შეფასების მეთოდის პარტნიორისათვის დაკისრება მისი წილის სანააღმდეგოდ.

– 5. წილთა გადაცემაუნარიანობის მომწესრიგებელი წესდების დებულებები არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ ამ დებულებების გამო წილთა გადაცემა შეუძლებელი ან უკიდურესად რთულია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნული წარმოადგენს წესდებაში მოცემული გამოწვევის, – როგორც ეს მითითებულია პარ. 3-ში -, ანდა პარტნიორის მბოჭავი შეფასების მეთოდის შედეგს.

– 6. როდესაც პარტნიორს კანონით მოეთხოვება თავისი წილის წინამორბედი პარტნიორისათვის გადაცემა, მაშინ პარ. 1-ის ნორმები და წილთა გადაცემაუნარიანობის მომწესრიგებელი წესდების დებულებები არ გამოიყენება.

– 7. რეალიზაციის, გაკოტრების, ფიზიკური პირებისათვის არსებული ვალების დაფარვის სქემის, ლეგატის, საერთო ქონების განაწილებისა თუ გირავნობის გზით ქონების ჩამორთმევის შემთხვევაში, სასამართლოს შეუძლია გამოაცხადოს იმის შესახებ, რომ პარ. 1-ის ნორმები და წილთა გადაცემაუნარიანობის მომწესრიგებელი წესდების დებულებები, სრულად ან ნაწილობრივ, არ გამოიყენება. სასამართლოს მიერ ასეთი გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნა შეიძლება წარდგენილ იქნეს იძულებითი აღსრულების განმხორციელებელი კრედიტორის, გაკოტრების ლიკვიდატორის, ლეგატის დადგენასა თუ ქონების განაწილებით დაინტერესებული პირისა თუ, შესაბამისად, – მოგირავნის მიერ. სასამართლომ ეს მოთხოვნა უნდა დააკმაყოფილოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 474g მუხლის პარ. 4-ის ნორმათა დანაწესიდან გადახვევისათვის და თუ ამას უთუოდ ითხოვს განმცხადებლის ინტერესები ისე, რომ ასეთი მოთხოვნის შედეგად არაპროპორციულად არ ილახება სხვა პირთა ინტერესებიც. სასამართლოს შეუძლია დაადგინოს, რომ დახურულმა კორპორაციამ („besloten vennootschap“) იძულებითი აღსრულების განმხორციელებელ კრედიტორსა თუ გაკოტრების ლიკვიდატორს მისცეს 2:194 მუხლში მითითებული პარტნიორთა რეესტრის გაცნობის შესაძლებლობა.

მუხლი 2:195a {გაუქმებულია 01.10.2012წ.}

მუხლი 2:195b {გაუქმებულია 01.10.2012წ.}

მუხლი 2:196 რეგისტრირებული წილების გამოშვება და მათი გადაცემა, ასეთ წილებზე დადგენილი შეზღუდული სანივთო უფლებების გადაცემა

– 1. რეგისტრირებული წილების გამოშვება და გადაცემა, ანდა ასეთ წილებზე დადგენილი შეზღუდული სანივთო უფლებების გადაცემა მოითხოვს სანოტარო აქტს, რომლის მხარესაც წარმოადგენენ შესაბამისი პირები და რომელიც ამ მიზნით გაფორმებულია ჰოლანდიის ნოტარიუსის წინაშე. იმ რეგისტრირებული წილების გამოშვებისათვის, რომლებიც მიღებულ იქნა დახურული კორპორაციის („besloten vennootschap“) შექმნის (დაფუძნების) მომენტისათვის, არანაირი ცალკე სანოტარო აქტის შედგენა არ მოითხოვება.

– 2. წილების გამოშვებისა თუ გადაცემის სანოტარო აქტში უნდა განისაზღვროს შემდეგი:

a. გარიგების {ე. ი. წილების გამოშვებისა თუ გადაცემის} სამართლებრივი საფუძველი და ის ხერხი, რომლითაც მოხდა წილისა თუ მასზე დადგენილი შეზღუდული სანივთო უფლების შექმნა;

b. გვარი, სახელი, დაბადების თარიღი და ადგილი, დომიცილი (ადგილსამყოფელი) და მისამართი იმ ფიზიკური პირებისა, რომლებიც წარმოადგენენ სანოტარო აქტის მხარეს;

c. სახეობა, სახელწოდება, დომიცილი (ადგილსამყოფელი) და მისამართი იმ იურიდიული პირებისა, რომლებიც წარმოადგენენ სანოტარო აქტის მხარეს;

d. სანოტარო აქტთან დაკავშირებული წილების რაოდენობა და ტიპი (კლასი);

ე. სახელწოდება, დომიცილი (ადგილსამყოფელი) და მისამართი იმ კორპორაციისა, რომელმაც გამოუშვა გარიგებასთან დაკავშირებული წილები.

მუხლი 2:196a კორპორაციისა და მესამე პირებისათვის წილების გადაცემის შედეგები

– 1. როდესაც ხდება რეგისტრირებული წილებისა თუ მათზე დადგენილი შეზღუდული სანივთო უფლებების გადაცემა 2:196 მუხლის პარ. 2-ის ნორმათა შესაბამისად, გადაცემას კანონის ძალით სამართლებრივი შედეგები უნდა ჰქონდეს ასევე დახურული კორპორაციის („besloten vennootschap“) მიმართაც. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დახურული კორპორაცია („besloten vennootschap“) თავად წარმოადგენს გარიგების მხარეს, წილთან დაკავშირებული უფლებების რეალიზაცია შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც კორპორაცია ერთ-ერთი მხარის მოთხოვნის საფუძველზე მოახდენს გარიგების დადასტურებას ან ოფიციალური მომსახურების განწევას თანახმად 2:819b მუხლის ნორმებისა ანდა – მას შემდეგ, როდესაც კორპორაციამ საკუთარი ინიციატივით აღიარა გარიგება ახალი პარტნიორისა თუ შეზღუდული სანივთო უფლების მფლობელის პარ. 2-ში მითითებული წესით რეგისტრაციის გზით.

– 2. როდესაც დახურული კორპორაცია („besloten vennootschap“) შეიცვალს პარ. 1-ში მითითებული გარიგების დადების შესახებ, მას საკუთარი ინიციატივით შეუძლია – მანამდე, სანამ გარიგების დადასტურება არ იქნა მოთხოვნილი ერთ-ერთი მხარის მიერ და კორპორაციის მხრიდან არ მომხდარა სანოტარო აქტის ოფიციალური მომსახურება – დადასტუროს ეს გარიგება იმ პირის პარტნიორთა რეესტრში რეგისტრაციის გზით, რომელმაც შეიძინა წილი ან შეზღუდული სანივთო უფლება. თუ კორპორაცია ახორციელებს ასეთ რეგისტრაციას, მაშინ მან დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს ამის შესახებ შესაბამის მხარეებს დაზღვეული წერილით მისთვის 2:196b მუხლის პარ. 1-ში მითითებული ასლისა თუ ამონარიდის წარმოდგენის მოთხოვნით. მას შემდეგ, რაც კორპორაცია მიიღებს ასეთ ასლსა თუ ამონარიდს, მან 2:196b მუხლში ასეთი დადასტურებისათვის გათვალისწინებული წესით ასლსა თუ ამონარიდზე უნდა გააკეთოს დადასტურების დამამტკიცებელი აღნიშვნა; რეგისტრაციის დღე დადასტურების თარიღის სახით უნდა აღინიშნოს.

– 3. თუ პარ. 1-ში ნახსენები გარიგება დაიდო ისე, რომ მას არ მოჰყვა შესაბამისი ცვლილება პარტნიორთა რეესტრში, მაშინ ეს გარიგება ვერ იქნება გამოყენებული დახურული კორპორაციის („besloten vennootschap“) მიმართ და ასევე – ვერც იმ სხვა პირთა მიმართ, რომლებიც პარტნიორთა რეესტრში რეგისტრირებულ პირს კეთილსინდისიერად მიიჩნევდნენ პარტნიორად ან შეზღუდული სანივთო უფლების მფლობელად.

მუხლი 2:196b კორპორაციის მიერ გარიგების დადასტურებისა თუ ოფიციალური მომსახურების განწვევისათვის არსებული ფორმალური მოთხოვნები

– 1. გარდა 2:196 მუხლის პარ. 2-ში მითითებული ვითარებისა, გარიგების დადასტურება უნდა მოხდეს თავად სანოტარო აქტში {ამ აქტში მოცემული კორპორაციის დადასტურების განცხადებით} ანდა ამ უკანასკნელის ავთენტური ასლისა თუ ამონარიდის კორპორაციისათვის წარდგენის საფუძველზე.

– 2. სანოტარო აქტის ავთენტური ასლისა თუ ამონარიდის წარდგენის საფუძველზე დადასტურების შემთხვევაში, კორპორაციამ წარდგენილ დოკუმენტზე უნდა განათავსოს დათარიღებული დადასტურების განცხადება.

– 3. კორპორაციის მხრიდან სანოტარო აქტის ოფიციალური მომსახურება მოითხოვს სანოტარო აქტის ავთენტური ასლისა თუ ამონარიდის წარდგენას აღმასრულებლის მომართვის საფუძველზე.

მუხლი 2:196c სადეპოზიტო ჩეკების გადაცემასთან დაკავშირებით ავთენტური ასლისა თუ ამონარიდის წარდგენა ან კორპორაციის მხრიდან ოფიციალური მომსახურება

2:196a და 2:196b მუხლების ნორმები შესაბამისად გამოიყენება იმ წილებზე გაცემული სადეპოზიტო ჩეკების მიწოდებასთან (გადაცემასთან) დაკავშირებით, რომლებიც პირს ანიჭებს საერთო კრებაზე დასწრების უფლებას იმ პირობით, რომ 2:196b მუხლში მითითებული ავთენტური ასლისა თუ ამონარიდის წარდგენა ან კორპორაციის მხრიდან ოფიციალური მომსახურება უნდა მოხდეს გადაცემის აქტის ასლიდან.

მუხლი 2:197 წილების დატვირთვა უზუფრუქტით

– 1. დაუშვებელია წესდებაში პარტნიორის მიერ საკუთარი წილი უზუფრუქტით დატვირთვის უფლების გამორიცხვა ან შეზღუდვა.

– 2. პარტნიორს აქვს უზუფრუქტით დატვირთულ წილებზე ხმის უფლება.

– 3. წინა პარაგრაფის მიუხედავად, ხმის უფლება ეკუთვნის უზუფრუქტუარს, თუ ეს გათვალისწინებული იქნა უზუფრუქტის დადგენის დროს, ანდა შემდგომში, – პარტნიორსა და უზუფრუქტუარს შორის შეთანხმებით, ხოლო ეს უკანასკნელი კი წარმოადგენს იმ პირს, რომელსაც წილები შეიძლება თავისუფლად გადაეცეს. თუ უზუფრუქტუარი არ წარმოადგენს იმ პირს, რომელსაც წილები შეიძლება თავისუფლად გადაეცეს, მაშინ მას ხმის უფლება უნდა ჰქონდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს გათვალისწინებული იქნა უზუფრუქტის დადგენის დროს, ანდა შემდგომში, – პარტნიორსა და უზუფრუქტუარს შორის შეთანხმებით, იმ პირობით, რომ – იმ შემთხვევებში, როდესაც დაფუძნების სანოტარო აქტში გათვალისწინებული აღნიშნული დებულება, ხოლო უზუფრუქტის გადაცემის დროს კი, – ხმის უფლების (გადასვლა) გადაცემა მოწონებულ იქნა კორპორაციის იმ ორგანოს მიერ, რომელიც წესდების თანახმად უფლებამოსილია მოინონოს წილების დაგეგმილი გადაცემა, ხოლო თუკი წესდება არ ადგენს ასეთ ორგანოს, მაშინ – საერთო კრების მიერ. წესდებით დასაშვებია წინამდებარე პარაგრაფით გათვალისწინებული ზემოაღნიშნული წინადადებების ნორმებიდან გადახვევა. ასევე სამოქალაქო კოდექსის 4:19 და 4:21 მუხლებით გათვალისწინებულ უზუფრუქტის შემთხვევაში, ხმის მიცემის უფლება უნდა ეკუთვნოდეს უზუფრუქტუარს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც განსხვავებული წესი იქნა გათვალისწინებული უზუფრუქტის დადგენის დროს თავად მხარეების ანდა რაიონული სასამართლოს მიერ 4:23 მუხლის პარ. 4-ის ნორმების საფუძველზე. 2:196a და 2:196b მუხლის ნორმები შესაბამისად გამოიყენება პირველ და მეორე წინადადებაში მითითებული წერილობითი შეთანხმების მიმართ.

– 4. უზუფრუქტის გამო ხმის უფლების არმქონე პარტნიორსა და ხმის უფლების მქონე უზუფრუქტუარს აქვთ ის უფლებები, რომლებსაც კანონი ითვალისწინებს წილებზე გამოშვებული სადეპოზიტო ჩეკების მფლობელთა მიმართ, რაც პირს ანიჭებს საერთო კრებაზე დასწრების უფლებას. ხმის უფლების არმქონე უზუფრუქტუარს აქვს აღნიშნული უფლებები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მას უარი ეთქვა ამ უფლებების მინიჭებაზე უზუფრუქტის დადგენის დროს ანდა ეს უარი გათვალისწინებულია კორპორაციის წესდებაში.

– 5. წილების შექმნასთან დაკავშირებით პარტნიორს ასევე აქვს წილებიდან გამომდინარე უფლებებიც იმ პირობით, რომ ამ უფლებათა ღირებულება აუნაზღაურდება უზუფრუქტუარს იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც ის უფლებამოსილია ამაზე უზუფრუქტის უფლების საფუძველზე.

მუხლი 2:198 წილების დატვირთვა გირავნობით

– 1. წილები შეიძლება დაიტვირთოს გირავნობით იმდენად, რამდენადაც წესდება სხვაგვარად არ ითვალისწინებს.

– 2. პარტნიორს აქვს გირავნობით დატვირთულ წილებზე ხმის უფლება.

– 3. წინა პარაგრაფის მიუხედავად, ხმის უფლება ეკუთვნის მოგირავნეს, თუ ეს – შესაბამისი წინაპირობის არსებობისას ან ამ წინაპირობის გარეშე – გათვალისწინებულ იქნა გირავნობის დადგენის დროს, ანდა შემდგომში, – პარტნიორსა და მოგირავნეს შორის შეთანხმებით, ხოლო ეს უკანასკნელი კი წარმოადგენს იმ პირს, რომელსაც წილები შეიძლება თავისუფლად გადაეცეს. თუ მოგირავნე არ წარმოადგენს იმ პირს, რომელსაც წილები შეიძლება თავისუფლად გადაეცეს, მაშინ მას ხმის უფლება უნდა ჰქონდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს – შესაბამისი წინაპირობის არსებობისას ან ამ წინაპირობის გარეშე – გათვალისწინებულ იქნა გირავნობის დადგენის დროს, ანდა შემდგომში, – პარტნიორსა და მოგირავნეს შორის შეთანხმებით, იმ პირობით, რომ – იმ შემთხვევებში, როდესაც დაფუძნების სანოტარო აქტში გათვალისწინებული აღნიშნული დებულება, ხოლო უზუფრუქტის გადაცემის დროს კი, – ხმის უფლების (გადასვლა) გადაცემა მოწონებულ იქნა კორპორაციის იმ ორგანოს მიერ, რომელიც წესდების თანახმად უფლებამოსილია მოინონოს წილების დაგეგმილი გადაცემა, ხოლო თუკი წესდება არ ადგენს ასეთ ორგანოს, მაშინ – საერთო კრების მიერ. წესდებით დასაშვებია წინამდებარე პარაგრაფით გათვალისწინებული ზემოაღნიშნული ორი წინადადების ნორმებიდან გადახვევა. 2:196a და 2:196b მუხლის ნორმები შესაბამისად გამოიყენება პირველ და მეორე წინადადებაში მითითებული წერილობითი შეთანხმების მიმართ.

– 4. გირავნობის გამო ხმის უფლების არმქონე პარტნიორსა და ხმის უფლების მქონე მოგირავნეს აქვთ ის უფლებები, რომლებსაც კანონი ითვალისწინებს წილებზე გამოშვებული სადეპოზიტო ჩეკების მფლობელთა მიმართ, რაც პირს ანიჭებს საერთო კრებაზე დასწრების უფლებას. ხმის უფლების არმქონე მოგირავნეს აქვს აღნიშნული უფლებები, თუ წესდება ითვალისწინებს ამას და სხვა არაფერი განისაზღვრა გირავნობის დადგენის ან გადასვლის (ცვლილების) მომენტში.

– 5. გირავნობის დადგენისას დასაშვებია იმის განსაზღვრა, რომ 2:196a მუხლის პარ. 2-ის ნორმები

არ გამოიყენება. ასეთ შემთხვევაში შესაბამისად მოქმედებს 2:239 მუხლის პარ. 3-სა და 4-ის ნორმები იმ პირობით, რომ 2:196 მუხლის პარ. 2-ში მითითებული შეტყობინება შეიცვლება დადასტურებითა თუ კორპორაციის მხრიდან ოფიციალური მომსახურებით.

– 6. წილთა გასხვისებასა და გადაცემასთან დაკავშირებული წესდებაში გათვალისწინებული წესი გამოიყენება მოგირავნის მიერ განხორციელებული წილთა გასხვისებისა და გადაცემის მიმართ ანდა – როდესაც წილებზე საკუთრება თავად მოგირავნეზე გადადის იმ პირობით, რომ მოგირავნე ასეთ გასხვისებასა და გადაცემასთან დაკავშირებით განახორციელებს პარტნიორის კუთვნილ ყველა უფლებასა და ასევე შეასრულებს პარტნიორზე დაკისრებულ ყველა ვალდებულებას.

მუხლი 2:199 წინამორბედი პარტნიორების პასუხისმგებლობა

– 1. არასრულად გადახდილი წილის გადაცემისა თუ განაწილების შემდეგ ყოველი წინამორბედი პარტნიორი რჩება სოლიდარულად პასუხისმგებელი დახურული კორპორაციის („besloten vennootschap“) მიმართ იმ თანხებისათვის, რომლებიც ჯერ კიდევ გადასახდელია წილზე. სამეთვალყურეო საბჭოსთან ერთად, დირექტორთა საბჭოს შეუძლია გაათავისუფლოს წინამორბედი პარტნიორი ნებისმიერი დამატებითი ვალდებულებისაგან ავთენტური ან რეგისტრირებული კერძო აქტის მეშვეობით; თუმცა, ასეთ შემთხვევაში პარტნიორი რჩება პასუხისმგებელი იმ თანხებისათვის, რომლებიც ჯერ კიდევ გადასახდელია წილზე ერთი წლის განმავლობაში წარდგენილი დამატებითი მოთხოვნის საფუძველზე ავთენტური აქტის დადებისა თუ, შესაბამისად, კერძო აქტის რეგისტრაციის შემდეგ.

– 2. თუ წინამორბედი პარტნიორი თანხების გადახდას ახორციელებს კორპორაციის მიმართ, მაშინ ის იძენს იმ უფლებებს, რომელთა რეალიზაციაც კორპორაციას შეეძლო წინამორბედი პარტნიორების მიმართ.

მუხლი 2:200 {გაუქმებულია 01.01.1992წ.}

მუხლი 2:201 პარტნიორების (და სადეპოზიტო ჩეკების მფლობელთა) თანაბარი უფლებები

– 1. რამდენადაც წესდება სხვაგვარად არ ითვალისწინებს, წილებთან დაკავშირებული ყველა უფლება და ვალდებულება პროპორციულია მათი ნომინალური ოდნეობისა.

– 2. დახურულ კორპორაციას („besloten vennootschap“) ეკისრება თანასწორი დამოკიდებულების ვალდებულება პარტნიორებისა და, შესაბამისად, იგივე მდგომარეობაში მყოფი სადეპოზიტო ჩეკების მფლობელების მიმართ.

– 3. წესდებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს მასში მოცემული პროცედურის მიხედვით კორპორაციის კონტროლის განხორციელებასთან დაკავშირებული კონკრეტული უფლებების მიზმა განსაზღვრული ტიპის (კლასის) წილებთან.

მუხლი 2:201a მინორიტარული პარტნიორების წილთა გამოსყიდვა

– 1. პირს, რომელმაც როგორც პარტნიორმა მიიღო დახურული კორპორაციის („besloten vennootschap“) გამოშვებული კაპიტალის, სულ ცოტა, 95%-ის შესაბამისი წილები და საერთო კრებაზე შეუძლია განახორციელოს ხმათა უფლებების, სულ ცოტა, 95%, შეუძლია წარადგინოს სარჩელი სხვა პარტნიორების მიმართ ამ უკანასკნელთათვის კუთვნილი წილების მისთვის (მოსარჩელისათვის) გადაცემის მოთხოვნით. იგივე წესი მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ კომპანიების ორმა ან მეტმა ჯგუფმა ერთად მიიღო გამოშვებული კაპიტალის ეს ნაწილი და ისინი ერთობლივად წარადგენენ სარჩელს წილების ერთ-ერთი მათგანისათვის გადაცემის მოთხოვნით.

– 2. წინა პარაგრაფში მითითებულ სარჩელებზე გადანყვეტილებებს პირველი ინსტანციით იღებს ამსტერდამის სააპელაციო სასამართლოს სამენარმეო საქმეთა პალატა („Ondernemingskamer“). ამ გადანყვეტილების საწინააღმდეგოდ შესაძლებელია მხოლოდ საკასაციო საჩივარის წარდგენა.

– 3. თუ ერთი ან რამდენიმე მოპასუხე არ გამოცხადდება სასამართლო სხდომაზე, სასამართლომ საკუთარი ინიციატივით უნდა შეამოწმოს, აკმაყოფილებს/აკმაყოფილებენ თუ არა მოსარჩელე/ მოსარჩელები პარ. 1-ში მოცემულ მოთხოვნებს.

– 4. სასამართლომ უარი უნდა თქვას სარჩელის დაკმაყოფილებაზე ყველა მოპასუხის სასარგებლოდ, თუკი ერთ-ერთი მოპასუხე, მიუხედავად კომპენსაციისა, მაინც მიიღებდა მნიშვნელოვან ზიანს წილთა გადაცემის შედეგად, ან თუკი ერთ-ერთი მოპასუხე ფლობს წილს, რომელთანაც წესდების თანახმად მიბმულია კორპორაციის კონტროლის განხორციელებასთან დაკავშირებულ კონკრეტულ უფლებებთან

ანდა – თუკი მოსარჩელემ ერთ-ერთი მოპასუხის მიმართ უარი თქვა ზემოაღნიშნული სარჩელის წარდგენის უფლებაზე.

– **5.** თუ სასამართლო გამოავლენს, რომ პარ. 1 და 4-ის ნორმები ხელს არ უშლის სარჩელის დაკმაყოფილებას, მას შეუძლია დაადგინოს ერთი ან სამი ექსპერტის მიერ გადასაცემი წილების ღირებულების შესახებ დასკვნის შედგენის თაობაზე. გამოიყენება 2:350 მუხლის პარ. 3-ის პირველი სამი წინადადებისა და 2:351 და 2:352 მუხლების ნორმები. სასამართლომ გადასაცემი წილების ფასი უნდა განსაზღვროს სასამართლოს მიერ დადგენილი კონკრეტული დღისათვის არსებული ღირებულების საფუძველზე. მანამდე, სანამ და ასევე იმ ფარგლებში, რომლებშიც აღნიშნული დადგენილი ფასი არ იქნა გადახდილი, ამ უკანასკნელს დაერიცხება პროცენტი, რაც უტოლდება კანონისმიერი პროცენტის ოდენობას, რომლისათვისაც იწყება სასამართლოს მიერ დადგენილი დღიდან გადაცემის მომენტამდე; წილებზე განაწილებული თანხები, რომლებიც ექვემდებარებოდა გადახდას ზემოაღნიშნული ვადის განმავლობაში, ფასის ნაწილობრივი გადახდისათვის გამოიყენებულ უნდა იქნეს გადახდის დღე.

– **6.** როდესაც სასამართლო აკმაყოფილებს სარჩელს, მან წილების შექმნის მიზნით სარჩელის წარმდგენ მხარეს უნდა დაავალოს იმ პირებისათვის ფიქსირებული ფასის, პროცენტთან ერთად, გადახდა, რომლებსაც ეს წილები ეკუთვნოდათ, ან რომლებიც მიიღებენ ამ წილებს მომავალში (მაგალითად, მემკვიდრეები ან მყიდველები) ამ უკანასკნელთა მიერ უფლებრივად დაუტვირთავი წილების მიწოდების სანაცვლოდ. სასამართლო წყვეტს საქმის წარმოების ხარჯების საკითხს თავისი შეხედულების შესაბამისად. დაუშვებელია საქმის წარმოების ხარჯების დაფარვის დაკისრება იმ მოპასუხისათვის, რომელიც არ ცხადდება სასამართლო სხდომაზე.

– **7.** როდესაც სასამართლოს გადანყვეტილება წილების გადაცემის შესახებ შედის კანონიერ ძალაში და ხდება მბოჭავი, წილების შექმნის მიზნით სარჩელის წარმდგენმა მხარემ გადასაცემი წილების იმ მფლობელებს, რომელთა მისამართიც მისთვის ცნობილია, წერილობით უნდა შეატყობინოს გადახდის დღისა და ადგილის შესახებ და ასევე – გადასახდელი ფასის შესახებ. მან ეს ინფორმაცია უნდა გამოაქვეყნოს ასევე ეროვნულ ყოველდღიურ გაზეთში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მისთვის ყველა მნიშვნელოვანი მისამართი ცნობილია.

– **8.** წილების შექმნის მიზნით სარჩელის წარმდგენ მხარეს ყოველთვის შეუძლია გაითავისუფლოს თავი პარ. 6-სა და 7-ში მითითებული ვალდებულებებისაგან გადასაცემი ყველა წილისათვის განსაზღვრული ფიქსირებული ფასის თანხის დარიცხული პროცენტით იუსტიციის სამინისტროში დეპონირების გზით და ერთდროულად იმის შეტყობინებით, რომ ამ მხარის ინფორმაციით, შესაბამისი წილები დატვირთულია უზუფრუქტით, გირავნობით ანდა – ისინი დაყადაღებულია. ამ უკანასკნელი ფაქტის შეტყობინების შედეგად, წილებზე დადებული (ან მომავალში დასადები) ყადაღა გადადის დეპონირებული თანხების მიღების უფლებაზე. ზემოაღნიშნული დეპოზიტის შედეგად წილები დაუტვირთავად გადავა იმ მხარეზე, რომელმაც წარადგინა სარჩელი მათი შექმნის მოთხოვნით იმ დროს, როდესაც წილებზე დადგენილი შესაძლო უზუფრუქტი ან გირავნობა გადადის (ან დადგენილი იქნება) დეპონირებული თანხის მიღების უფლებაზე. დაუშვებელია კორპორაციის მიმართ ნებისმიერი უფლების მიღება იმ განაწილებული თანხებიდან, რომლებიც გადახდილი იქნა წილთა მონაწილეებსა და დივიდენდების ორდერებზე მას შემდეგ, რაც წილები გადავიდა სარჩელის წარმდგენ მხარეზე. ამ მომენტში შემქმნმა მხარემ იუსტიციის სამინისტროსთან თანხის დეპონირების ფაქტისა და ყოველი წილი ფასის ოდენობის შესახებ შეტყობინება უნდა მოახდინოს პარ. 7-ში აღწერილი პროცედურის მიხედვით.

მუხლი 2:202 საწარმდგენლო სადეპოზიტო ჩეკების გამოშვების დაუშვებლობა

დაუშვებელია წილებზე საწარმდგენლო სადეპოზიტო ჩეკების გამოშვება. ამ ნორმის დარღვევის შემთხვევაში, წილთან დაკავშირებული უფლებები ვერ განხორციელდება მანამდე, სანამ საწარმდგენლო სადეპოზიტო ჩეკები ბრუნვაში რჩება.

განყოფილება 2.5.3 – დახურული კორპორაციის კაპიტალი

მუხლი 2:203 ჯერ კიდევ შექმნის პროცესში არსებული დახურული კორპორაციის სახელით დადებული გარიგებები

– **1.** დასაშვებია იმ დახურული კორპორაციის („besloten vennootschap“) სახელით გარიგებების დადება, რომელიც ჯერ კიდევ უნდა შეიქმნას (დაფუძნდეს); თუმცა, ასეთი გარიგებებიდან უფლებები და ვა-

ლდებულებები კორპორაციისათვის შეიძლება წარმოიშვას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს უკანასკნელი აშკარად ან უსიტყვოდ დაადასტურებს მათ მისი შექმნის (დაფუძნების) შემდეგ ანდა – როდესაც ის ვალდებული (შეზოჭილი) გახდება პარ. 4-ის ნორმათა მოქმედების გამო.

– 2. ის პირები, რომლებმაც გარიგება დადეს ჯერ კიდევ შექმნის პროცესში არსებული დახურული კორპორაციის („besloten vennootschap“) სახელით, ამ გარიგების შესრულებაზე პასუხს აგებენ სოლიდარულად მანამდე, სანამ კორპორაცია მისი შექმნის (დაფუძნების) შემდეგ არ დაადასტურებს მას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამ გარიგებასთან დაკავშირებით აშკარად საწინააღმდეგო წესი იქნა შეთანხმებული.

– 3. თუ კორპორაციამ დაადასტურა გარიგება, მაგრამ ის არ ასრულებს ამ გარიგებიდან გამომდინარე ვალდებულებებს, მაშინ ის პირები, რომლებიც მოქმედებდნენ ჯერ კიდევ შექმნის პროცესში არსებული კორპორაციის სახელით, პასუხს აგებენ სოლიდარულად იმ ზიანისათვის, რომელსაც ამის შედეგად განიცდის მესამე პირი იმ შემთხვევაში, თუ მათ იცოდნენ ან მათ გონივრულად შეეძლოთ სცოდნოდათ იმის შესახებ, რომ კორპორაცია ვერ შეასრულებდა ამ ვალდებულებებს გარიგების დადასტურებასთან დაკავშირებით დირექტორთა ნებისმიერი შესაძლო პასუხისმგებლობის შეზღუდვის გარეშე. იმის ცოდნის ფაქტის არსებობა, რომ კორპორაცია ვერ შეასრულებდა მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს, ივარაუდება იმ შემთხვევაში, როდესაც კორპორაცია ცხადდება გაკოტრებულად მისი შექმნიდან (დაფუძნებიდან) ერთი წლის განმავლობაში.

– 4. დაფუძნების სანოტარო აქტში დამფუძნებლებს დახურული კორპორაციის („besloten vennootschap“) უშუალოდ ვალდებულება (შეზოჭვა) შეუძლიათ მხოლოდ შემდეგი გარიგებებით: ნიღბის გამოშვება, ამ ნიღბზე გადახდილი შენატანების მიღება, დირექტორების დანიშვნა, ზედამხედველი დირექტორების დანიშვნა, 2:204 მუხლის პარ. 1-ში აღნიშნული გარიგებების დადება და ასევე – კორპორაციის შექმნასთან (დაფუძნებასთან) დაკავშირებული ხარჯების განწესება. თუ დამფუძნებელმა ზემოაღნიშნულის მიმართ არასაკმარისი გულმოდგინეობა გამოავლინა, მაშინ შესაბამისად გამოიყენება 2:9 და 2:138 მუხლების ნორმები.

მუხლი 2:203a *{გაუქმებულია 01.10.2012წ.}*

მუხლი 2:204 გარიგებები, რომელიც შეიძლება მძიმე აღმოჩნდეს დახურული კორპორაციისათვის

– 1. შემდეგი გარიგებები უნდა შევიდეს სრულად თავად დაფუძნების სანოტარო აქტში, ამ უკანასკნელზე თანდართული დოკუმენტის დედანსა თუ მის დამონმებულ ასლში და რასთან დაკავშირებითაც დაფუძნების სანოტარო აქტი უთითებს:

a. ნიღბთა ხელმოწერასთან დაკავშირებით დადებულ გარიგებებზე, რომლებიც დახურულ კორპორაციას („besloten vennootschap“) განსაკუთრებულ ვალდებულებებს აკისრებს;

b. დახურული კორპორაციის („besloten vennootschap“) დამფუძნებლისა თუ კორპორაციის შექმნის (დაფუძნების) პროცესში ჩართული მესამე პირისათვის გარკვეული სარგებლის მინიჭების განზრახვით დადებულ გარიგებებზე;

c. სხვა სახის შენატანის, ნაცვლად ფულისა, განხორციელების მიზნით დადებულ გარიგებებზე.

თუ წინა წინადადების მოთხოვნები არ შესრულდა, მაშინ ზემოაღნიშნული გარიგებები ვერ დაავალდებულებს კორპორაციას და ასევე ვერ მიანიჭებს მას რაიმე უფლებასაც.

– 2. კორპორაციის შექმნის (დაფუძნების) შემდეგ წინა პარაგრაფში ნახსენები გარიგებები შეიძლება დაიდოს მხოლოდ საერთო კრების თანხმობით იმ შემთხვევაში, – და ასევე იმ ფარგლებში – თუ წესდება აშკარად მიანიჭა დირექტორთა საბჭოს ასეთი გარიგებების დადების უფლებამოსილება.

მუხლი 2:204a კორპორაციის შექმნისას მასში განხორციელებული ნატურით შენატანის შეფასება

– 1. თუ კორპორაციის შექმნისას (დაფუძნებისას) გაცემული ნიღბის სანაცვლოდ შეთანხმებულ იქნა შენატანის განხორციელება არაფულადი სახით, მაშინ დამფუძნებლებმა უნდა აღწერონ შესატანი აქტივები მათი შესაბამისი ღირებულებისა და ასევე გამოყენებული შეფასების მეთოდების მითითებით. აღწერა უნდა ეხებოდეს შესატანი ობიექტის კორპორაციის შექმნამდე (დაფუძნებამდე) მაქსიმუმ ექვსი თვის განმავლობაში არსებულ მდგომარეობას. აღწერის დოკუმენტს ხელს აწერს ყველა დამფუძნებელი. კორპორაცია ანთავსებს აღნიშნულ განცხადებას თავის ოფისში ნიღბის მფლობელებისა და სხვა იმ პირების მიერ მისი გაცნობის მიზნით, რომლებსაც აქვთ საერთო კრებაზე დასწრების უფლება.

– 2. თუ შენატანის განხორციელების მომენტამდე ცნობილია ანდა ცნობილი გახდა, რომ ამ შენატანის

ღირებულება არსებითად შემცირდა პარ. 1-ის მეორე წინადადებაში მითითებული დღის შემდეგ, მაშინ მოითხოვება ახალი აღწერა.

მუხლი 2:204b კორპორაციის შექმნის შემდეგ მასში განხორციელებული ნატურით შენატანის შეფასება

– 1. თუ კორპორაციის შექმნის (დაფუძნების) შემდეგ გაცემული წილების სანაცვლოდ შეთანხმებულ იქნა შენატანის განხორციელება არაფულადი სახით, მაშინ 2:204a მუხლის პარ. 1-ის შესაბამისად კორპორაციამ უნდა შეადგინოს შეტანილი ობიექტების აღწერის დოკუმენტი. ეს უკანასკნელი უნდა ეხებოდეს შეტანილი ობიექტების მაქსიმუმ ექვსი თვის ვადის განმავლობაში არსებულ მდგომარეობას იმ დღემდე, როდესაც მოხდა გადაცემული წილების მიღება, ან როდესაც დამატებითი არაფულადი შენატანი უნდა მიეღო კორპორაციას ანდა – ასეთი შენატანის განხორციელება შეთანხმდა მხარეთა შორის. აღწერის დოკუმენტს ხელი უნდა მოაწეროს ყველა დირექტორმა; თუ ერთი ან მეტი მათგანის ხელმოწერა აკლია, ეს უნდა აღინიშნოს დოკუმენტში შესაბამისი მიზეზის მითითებით. კორპორაცია ანთავსებს აღნიშნულ განცხადებას თავის ოფისში წილების მფლობელებისა და სხვა იმ პირების მიერ მისი გაცნობის მიზნით, რომლებსაც აქვთ საერთო კრებაზე დასწრების უფლება.

– 2. შესაბამისად გამოიყენება 2:204a მუხლის პარ. 2.

– 3. წინამდებარე მუხლი არ მოქმედებს იმდენად, რამდენადაც შენატანი შედგება სხვა კორპორაციაში წილების ან სადეპოზიტო ჩეკებისა თუ უფლებებისაგან ანდა – დივიდენდის მიღების უფლების მიმნიჭებელი სერტიფიკატებისაგან (ბონუს-წილებისაგან), რომელთა მიმართაც კორპორაციამ გამოაქვეყნა საჯარო შეთავაზება იმ პირობით, რომ ეს გადაცემადი ფასიანი ქაღალდები დაშვებულია რეგულირებულ ბაზარზე ან მრავალდარგოვან სავაჭრო ობიექტზე, როგორც ეს მითითებულია ფინანსური ზედამხედველობის შესახებ კანონის 1:1 მუხლში, ან იმ სისტემაში, რომელიც უთანაბრდება ასეთ რეგულირებულ ბაზრებს ან მრავალდარგოვან სავაჭრო ობიექტებს ევროკავშირის არანევრ სახელმწიფოში.

მუხლი 2:204c {გაუქმებულია 01.10.2016.}

მუხლი 2:205 კორპორაციას არა აქვს უფლება, მოახდინოს ხელმოწერა საკუთარ წილებზე

დაუშვებელია დახურული კორპორაციის („besloten vennootschap“) წილებზე ხელმოწერა თავად ამ კორპორაციის მიერ.

მუხლი 2:206 ახალი წილების გამოშვების უფლებამოსილება

– 1. დახურულ კორპორაციას („besloten vennootschap“) მისი შექმნის (დაფუძნების) შემდეგ წილების გამოშვება შეუძლია მხოლოდ საერთო კრების გადაწყვეტილებით, რამდენადაც ამ მიზნისათვის წესდებაში სხვა ორგანო არ არის დანიშნული. საერთო კრებას ასეთი უფლებამოსილება შეუძლია გადასცეს კორპორაციის სხვა ორგანოს და ასევე გაიხმოს (გააუქმოს) ეს უფლებამოსილება.

– 2. წინამდებარე მუხლი შესაბამისად გამოიყენება წილებზე ხელმოწერის უფლებათა მინიჭების მიმართ, თუმცა – არ გამოიყენება იმ პირისათვის წილების გამოშვების მიმართ, რომელმაც უკვე შეიძინა წილებზე ხელმოწერის უფლება.

მუხლი 2:206a პარტნიორებისათვის წილებზე ხელმოწერის უპირატესი უფლება

– 1. ქვემოთ მოცემული ორი პარაგრაფის ნორმათა გათვალისწინებით, ახალი წილების გამოშვებასთან დაკავშირებით ყოველ პარტნიორს აქვს წილებზე ხელმოწერის უპირატესი უფლება მისი წილების მთლიანი ნომინალური თანხის პროპორციულად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წესდება სხვაგვარად ითვალისწინებს. მას არა აქვს ხელმოწერის უპირატესი უფლება დახურული კორპორაციის („besloten vennootschap“) ან კომპანიათა ჯგუფის მიერ დასაქმებულებისათვის გამოშვებულ წილებთან დაკავშირებითაც.

– 2. რამდენადაც წესდება სხვაგვარად არ ითვალისწინებს, წილთა მფლობელებს:

a. რომლებიც არ მონაწილეობენ – ანდა მონაწილეობენ მხოლოდ შეზღუდულ ფარგლებში – მოგებაში თავიანთი წილების ნომინალური ღირებულების განსაზღვრული პროცენტულობაზე მეტი ოდენობით, ან;

b. რომლებიც არ მონაწილეობენ – ანდა მონაწილეობენ მხოლოდ შეზღუდულ ფარგლებში – თავიანთი წილების ნომინალურ ღირებულებაზე მეტი ოდენობით ნარჩენი აქტივის ლიკვიდაციაში; ანდა

c. რომელთა წილებიც 2:228 მუხლის პარ. 2-ის საფუძველზე წესდების შესაბამისად არ ანიჭებს მათ ხმის უფლებას;

არა აქვთ ახალი წილების გამოშვებასთან დაკავშირებით ხელმოწერის უპირატესი უფლება.

– 3. რამდენადაც წესდება სხვაგვარად არ ითვალისწინებს, პარტნიორებს არა აქვთ იმ ერთ-ერთი ტიპის (კლასის) ახალი წილების გამოშვებასთან დაკავშირებით ხელმოწერის უპირატესი უფლება, რომლებიც მითითებულია წინა პარაგრაფის (a), (b) და (c) პუნქტებში.

– 4. იმ ახალი წილების გამოშვება, რომელთა მიმართაც არსებობს ხელმოწერის უპირატესი უფლება, და ასევე ის ვადა, რომლის განმავლობაში ასეთი ხელმოწერის უპირატესი უფლება შეიძლება განხორციელდეს, ექვემდებარება კორპორაციის მიერ ყველა პარტნიორისათვის წერილობითი ფორმით შეტყობინებას მათ მიერ გაცხადებულ მისამართებზე. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წესდება სხვაგვარად ითვალისწინებს, წერილობითი შეტყობინების მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ითვლება ასევე იმ შემთხვევაშიც, თუ ის ხორციელდება ელექტრონულად.

– 5. ხელმოწერის უპირატესი უფლებების განხორციელება დასაშვებია პარტნიორისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნიდან, სულ ცოტა, ორი კვირის ვადის განმავლობაში.

– 6. რამდენადაც წესდება სხვაგვარად არ ითვალისწინებს, პარტნიორებს წილებზე ხელმოწერის უპირატესი უფლება აქვთ იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება სხვა ტიპის (კლასის) ახალი გამოსაშვები წილების შექმნისათვის (ხელმოწერისათვის) მინიჭებულ უფლებებსა, ნაცვლად პარ. 2-ის (a), (b) და (c) პუნქტებში გათვალისწინებული უფლებისა. პარტნიორებს არა აქვთ უპირატესი უფლება იმ პირის სახელზე გამოშვებული წილების მიმართ, რომელმაც თავდაპირველად უკვე შეიძინა წილებზე ხელმოწერის უფლება.

მუხლი 2:207 დახურული კორპორაციის მიერ საკუთარი წილების შექმნა

– 1. დირექტორთა საბჭო იღებს გადაწყვეტილებას დახურული კორპორაციის („besloten vennootschap“) კაპიტალში წილების შექმნის საკითხთან დაკავშირებით. დახურული კორპორაციის („besloten vennootschap“) მიერ საკუთარ კაპიტალში არსებული არასრულად გადახდილი წილების შექმნა ბათილია.

– 2. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ხდება უსასყიდლოდ, დახურულ კორპორაციას („besloten vennootschap“) არ შეუძლია შეიძინოს არასრულად გადახდილი საკუთარი წილები, თუ კორპორაციის საკუთარი კაპიტალი (მთლიან აქტივებს გამოკლებული ვალდებულებები), რომელიც შემცირდა შესაძენი წილების ნასყიდობის ფასის ოდენობით, კანონისა თუ წესდების შესაბამისად შესანარჩუნებელ რეზერვებზე ნაკლებია, ანდა თუ დირექტორთა საბჭომ იცის იმის თაობაზე, – ან მას გონივრულად უნდა ევარაუდა იმის ალბათობა, რომ – დახურული კორპორაცია („besloten vennootschap“) შექმნის შემდეგ ველარ შეძლებს თავისი ვადამოსული და გადასახდელი ვალდებულებების დაფარვის გაგრძელებას.

– 3. თუ დახურული კორპორაცია („besloten vennootschap“) წილების შექმნის – გარდა უსასყიდლოდ შექმნის შემთხვევებისა – შემდეგ ვერ შეძლებს თავისი ვადამოსული და გადასახდელი ვალდებულებების დაფარვის გაგრძელებას, მაშინ ის დირექტორები, რომლებმაც შექმნის მომენტში იცოდნენ ამ შედეგის შესახებ ანდა რომლებსაც ამ მომენტში გონივრულად უნდა ევარაუდათ ეს შედეგი, სოლიდარულად აგებენ პასუხს დახურული კორპორაციის („besloten vennootschap“) წინაშე იმ დეფიციტის ანაზღაურებისათვის, რომელიც წარმოიშვა შექმნის გამო, რასაც ემატება შექმნის დღისათვის დარიცხული კანონისმიერი პროცენტების თანხები. შესაბამისად გამოიყენება 2:248 მუხლის პარ. 5-ის ნორმები. პასუხისმგებლობა არ ეკისრება იმ დირექტორს, ვინც დაამტკიცებს, რომ დახურული კორპორაციის („besloten vennootschap“) მიერ წილების შექმნა მოხდა მისი ბრალის გარეშე და ასევე ის არ მოქმედებდა გაუფრთხილებლად ზემოაღნიშნული შედეგების თავიდან აცილებისათვის შესაბამისი ზომების მიღებისას.

წინამდებარე მუხლის მიზნებისათვის დირექტორს უთანაბრდება პირი, რომელმაც დაადგინა კორპორაციული პოლიტიკა ან მონაწილეობდა მის შემუშავებაში ისე, თითქოს ის დირექტორი ყოფილიყო.

წილების გამსხვილებელი, რომელმაც იცის იმის თაობაზე, – ან მას გონივრულად უნდა ევარაუდა იმის ალბათობა, – რომ დახურული კორპორაცია („besloten vennootschap“) შექმნის შემდეგ ველარ შეძლებს თავისი ვადამოსული და გადასახდელი ვალდებულებების დაფარვის გაგრძელებას მაქსიმუმ მის მიერ გასხვიებული წილებისთვის გადახდილი შექმნის ფასის ოდენობამდე, პასუხისმგებელია დახურული კორპორაციის („besloten vennootschap“) წინაშე იმ დეფიციტის ანაზღაურებისათვის, რომელიც წარმოიშვა შექმნის გამო, რასაც ემატება შექმნის დღისათვის დარიცხული კანონისმიერი პროცენტების თანხები.

როდესაც დირექტორებმა პირველი წინადადების ნორმის ძალით დაფარეს სავალო მოთხოვნა, მაშინ ზემოაღნიშნულ წინადადებაში გათვალისწინებული კომპენსაციის თანხა მათ გადაეხდებათ იმ ნაწილის პროპორციულად, რაც გადაიხადა თითოეულმა დირექტორმა. დირექტორი და გამსხვილებელი არ არიან უფლებამოსილი, მოახდინონ მათზე წინამდებარე მუხლის შესაბამისად დაკისრებული ვალის გაქვითვა.

- 4. წესდებით შეიძლება გამოირიცხოს ან შეიზღუდოს დახურული კორპორაციის („besloten vennootschap“) მიერ საკუთარი წილების შექენა.
- 5. წინა პარაგრაფების ნორმები არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც დახურული კორპორაცია („besloten vennootschap“) საკუთარ წილებს იძენს უნივერსალური სამართალმემკვიდრეობით.
- 6. წინამდებარე მუხლის მიზნებისათვის სიტყვა „წილები“ მოიცავს ასევე „წილების სადეპოზიტო ჩეკებსაც“.

მუხლი 2:207a კორპორაციის მიერ საკუთარი წილების მართლსაწინააღმდეგო შექენის სამართლებრივი შედეგები

- 1. 2:207 მუხლის პარ. 2-ში მითითებული რეზერვების ხარჯზე ან 2:207 მუხლის პარ. 4-ში მითითებული გამორიცხვისა თუ შეზღუდვის დარღვევით დახურული კორპორაციის („besloten vennootschap“) მიერ საკუთარი წილების შექენა ბათილია. დირექტორები სოლიდარულად აგებენ პასუხს იმ გამსხვისებელი მხარის წინაშე, რომელმაც კეთილსინდისიერად მოახდინა კორპორაციისათვის წილების გადაცემა და რომელსაც ბათილი გასხვისების შედეგად მიაღდა ზიანი.
- 2. თუ დახურულმა კორპორაციამ („besloten vennootschap“) შეიძინა საკუთარი წილები უნივერსალური სამართალმემკვიდრეობით და ამ შექენის შედეგად დახურული კორპორაცია, თავის შვილობილ სანარმოებთან ერთად, ფლობს თავის კაპიტალში ხმის უფლების მქონე ყველა წილს, მაშინ ამ მომენტში არსებული ხმის უფლების მქონე ყველაზე დაბალი რიცხვით დანომრილი წილი კანონის ძალით ერთობლივად გადადის დირექტორებზე. წილების ნუმერაციის არარსებობისას ხმის უფლების მქონე წილის მინიჭება ხდება კენჭისყრით. თითოეული დირექტორი სოლიდარულად აგებს პასუხს იმ საკომპენსაციო თანხისათვის, რომელიც შექენის მომენტში გადახდილ უნდა იქნეს დახურული კორპორაციისათვის („besloten vennootschap“) წილის ღირებულებისათვის და რასაც ემატება შექენის დღისათვის დარიცხული კანონის-მიერი პროცენტების თანხები.
- 3. თითოეული გადაუხდელი წილი საკუთარ კაპიტალში, რომელიც დახურულმა კორპორაციამ („besloten vennootschap“) შეიძინა უნივერსალური სამართალმემკვიდრეობით და რომლის განკარგვა ან ამოღება (გაუქმება და ბრუნვიდან ამოღება) არ მომხდარა კორპორაციის მიერ მისი შექენის მომენტიდან სამი წლის განმავლობაში, ამ უკანასკნელის სამწლიანი ვადის დასრულების მომენტში კანონის ძალით ერთობლივად გადადის დირექტორებზე. შესაბამისად გამოიყენება პარ. 2-ის უკანასკნელი წინადადება.
- 4. წინამდებარე მუხლის მიზნებისათვის სიტყვა „წილები“ მოიცავს ასევე „წილების სადეპოზიტო ჩეკებსაც“.

მუხლი 2:207a კორპორაციის ხარჯზე სხვა პირის სახელით ხელმონერილი ან შექენილი წილები

როდესაც სხვა პირი საკუთარი სახელით, თუმცაღა, – თავად კორპორაციის ხარჯზე, – ახდენს დახურული კორპორაციის („besloten vennootschap“) კაპიტალში ერთ ან მეტ წილზე ან ამ უკანასკნელისათვის გამოშვებულ სადეპოზიტო ჩეკზე ხელმონერას ან იძენს ამ წილსა თუ სადეპოზიტო ჩეკს, მაშინ მიიჩნევა, რომ მან აღნიშნულ წილებსა თუ სადეპოზიტო ჩეკებზე ხელმონერა ან მათი შექენა მოახდინა საკუთარ ხარჯზე.

მუხლი 2:207c {გაუქმებულია 01.10.2012წ.}

მუხლი 2:207d კორპორაციაში წილების შექენა მისი შვილობილი სანარმოების მიერ

- 1. შვილობილ სანარმოს არ შეუძლია სათავისოდ მოახდინოს დახურული კორპორაციის („besloten vennootschap“) კაპიტალში წილებზე ხელმონერა ანდა შექენას ამისათვის შესაბამისი საფუძველი. შვილობილ სანარმოებს შეუძლიათ სათავისოდ შეიძინონ ასეთი წილები – ანდა შექენისათვის შექენან შესაბამისი საფუძველი – მხოლოდ კონკრეტული სამართლებრივი საფუძვლითა და სასყიდლით, თუ დახურული კორპორაციის („besloten vennootschap“) დირექტორთა საბჭო დაეთანხმა ასეთ შექენას. წინა წინადადების ნორმის დარღვევით კონკრეტული სამართლებრივი საფუძვლით წილის შექენა ბათილია. დირექტორთა საბჭოს გადანყვეტილების მიმართ შესაბამისად გამოიყენება 2:207 მუხლის პარ. 2. შესაბამისად გამოიყენება ასევე 2:207 მუხლის პარ. 3-ის ნორმებიც იმ პირობით, რომ შვილობილი სანარმოს მიმართ დირექტორები პასუხს აგებენ სოლიდარულად.
- 2. როდესაც იურიდიული პირი მას შემდეგ, როდესაც ის გახდა შვილობილი სანარმო ანდა უნივერსალური სამართალმემკვიდრეობით შეიძინა წილები დახურული კორპორაციის („besloten vennootschap“)

კაპიტალში შვილობილი სანარმოს სახით, დახურულ კორპორაციასა და ამ უკანასკნელის სხვა შვილობილ სანარმოებთან ერთად დახურული კორპორაციის კაპიტალში ფლობს – ანდა ქმნის ფლობის საფუძველს – საკუთარ ხარჯზე ხმის უფლების მქონე ყველა წილს, მაშინ იმ მომენტში, როდესაც იურიდიული პირი გახდა შვილობილი სანარმო ანდა როდესაც მოხდა წილების შექმნა, ყველაზე დაბალი რიცხვით დანომრილი წილი კანონის ძალით ერთობლივად გადადის დირექტორებზე. წილების ნუმერაციის არარსებობისას ხმის უფლების მქონე წილის მინიჭება ხდება კენჭისყრით. თითოეული დირექტორი სოლიდარულად აგებს პასუხს იმ საკომპენსაციო თანხისათვის, რომელიც გადახდის უნდა იქნეს შვილობილი სანარმოსათვის იმ მომენტში არსებული წილის ღირებულებისათვის, როდესაც სანარმო გახდა შვილობილი სანარმო ანდა – წილების შექმნის მომენტში, რასაც ემატება შექმნის დღისათვის დარიცხული კანონისმიერი პროცენტების თანხები.

– 3. წინამდებარე მუხლის მიზნებისათვის სიტყვა „წილები“ მოიცავს ასევე „წილების სადეპოზიტო ჩეკებსაც“.

მუხლი 2:208 კორპორაციის კაპიტალის შემცირება

– 1. საერთო კრებას წესდებაში შესაბამისი ცვლილების შეტანით შეუძლია მიიღოს გამოშვებული კაპიტალის შემცირების შესახებ გადანყვეტილება წილების ამოღების (გაუქმების) ან ნომინალური ღირებულების შემცირების გზით. ასეთი გადანყვეტილება უნდა განსაზღვრავდეს იმ წილებს, რომლებსაც ის ეხება და ასევე იმ პროცედურას, რომლის მიხედვითაც უნდა შესრულდეს გადანყვეტილება.

– 2. წილების ამოღების (გაუქმების) შესახებ გადანყვეტილება შეიძლება ეხებოდეს მხოლოდ იმ წილებს, რომლებსაც კორპორაცია თავად ფლობს (სახაზინო წილები) ან რომლებსაც ის ფლობს სადეპოზიტო ჩეკებით (სახაზინო ჩეკები), ისევე როგორც – განსაზღვრული ტიპის (კლასის) ყველა წილს, რომელთა მიმართაც მათ გამოშვებამდე წესდება უკვე ითვალისწინებდა მათი ამოღების (გამოსყიდვისა და გაუქმების) დასაშვებობას საზღაურის გადახდის სანაცვლოდ, ანდა – გამოსყიდვისა და ამოღების (გაუქმების) სასარგებლოდ გამოყენებულ წილებს, რომლებიც განეკუთვნება იმ ტიპის (კლასის) წილებს, რომელთა მიმართაც მათ გამოშვებამდე წესდება უკვე ითვალისწინებდა მათი ამოღების (გამოსყიდვისა და გაუქმების) სასარგებლოდ გამოყენების შესაძლებლობას საზღაურის გადახდის სანაცვლოდ. სხვა ვითარებაში წილების ამოღება (გაუქმება) შესაძლებელია მხოლოდ ყველა პარტნიორის თანხმობით.

– 3. წილთა ნომინალური თანხის შემცირება საზღაურის გადახდისა და წილებზე თანხის გადახდის ვალდებულებისაგან გათავისუფლების გარეშე უნდა განხორციელდეს პროპორციულად ერთი და იგივე კლასის ყველა წილთან მიმართებაში. პროპორციულობის მოთხოვნა შეიძლება გამოირიცხოს ყველა პარტნიორის თანხმობით.

– 4. წილებზე თანხის გადახდის ვალდებულებისაგან გათავისუფლება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ხორციელდება წილთა ნომინალური თანხის შემცირების შესახებ გადანყვეტილების შესრულების მიზნით. ასეთი ვალდებულებისაგან გათავისუფლება უნდა განხორციელდეს პროპორციულად ყველა წილთან მიმართებაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც განსაზღვრული ტიპის (კლასის) წილების გამოშვებამდე წესდება უკვე ითვალისწინებდა ანაზღაურებისა თუ ვალდებულებისაგან გათავისუფლების შესაძლებლობას მხოლოდ და მხოლოდ ამ წილებთან მიმართებაში; ამ უკანასკნელ შემთხვევაში აღნიშნული წილების მიმართ მოქმედებს პროპორციულობის მოთხოვნა. პროპორციულობის მოთხოვნა შეიძლება გამოირიცხოს ყველა პარტნიორის თანხმობით.

– 5. იმ კრების მონვევის შესახებ შეტყობინებაში, რომელზეც უნდა იქნეს მიღებული წინამდებარე მუხლში მითითებული გადანყვეტილება, აღნიშნება კორპორაციის კაპიტალის შემცირების მიზანი და ასევე ის პროცედურა, რომლის მიხედვითაც უნდა შესრულდეს ასეთი შემცირება. შესაბამისად გამოიყენება 2:233 მულის პარ. 2, 3 და 4-ის ნორმები.

– 6. 2:233 მულის პარ. 2-დან 4-ის ჩათვლით ნორმები შესაბამისად გამოიყენება წილებზე კომპენსაციის თანხის გადახდის პირობით გამოშვებული წილების კაპიტალის შემცირების შესახებ გადანყვეტილების მიმართ. კომპენსაციის თანხის გადახდა ანდა წინამდებარე მუხლის გაგებით წილებზე თანხის გადახდის ვალდებულებისაგან გათავისუფლება ნებადართულია მხოლოდ იმ ოდენობით, რა ოდენობითაც კორპორაციის საკუთარი კაპიტალი (მთლიან აქტივებს გამოკლებული ვალდებულებები) აღემატება იმ რეზერვებს, რომლებიც ექვემდებარება შენარჩუნებას კანონისა თუ წესდების შესაბამისად.

მუხლი 2:209 {გაუქმებულია 01.10.2012წ.}

მუხლი 2:210 ყოველწლიური ანგარიში და ყოველწლიური ანგარიშგება

– 1. ყოველწლიურად კორპორაციის საანგარიშო წლის დასრულებიდან ხუთი თვის განმავლობაში, – გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს პერიოდი კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით საერთო კრების მიერ გახანგრძლივდა არაუმეტეს ექვსი თვისა, დირექტორთა საბჭო ადგენს ყოველწლიურ ანგარიშს და ანთავსებს ამ დოკუმენტს კორპორაციის ოფისში პარტნიორების მიერ მისი გაცნობის მიზნით. თუ კორპორაციის გადაცემადი ფასიანი ქაღალდები დაშვებულია რეგულირებულ ბაზარზე, როგორც ეს მითითებულია ფინანსური ზედამხედველობის შესახებ კანონში, მაშინ ეს ვადა შეადგენს კორპორაციის საანგარიშო წლის დასრულებიდან ოთხ თვეს. ამ ვადის გახანგრძლივება დაუშვებელია. იმავე ვადის განმავლობაში დირექტორთა საბჭომ ყოველწლიური ანგარიშგება უნდა განათავსოს კორპორაციის ოფისში პარტნიორების მიერ მისი გაცნობის მიზნით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კორპორაციის მიმართ გამოიყენება 2:396 მუხლის პარ. 7-ის ან 2:403 მუხლის ნორმები. იმ კორპორაციის დირექტორთა საბჭომ, რომლის მიმართაც გამოიყენება 2:268 მუხლიდან 2:274 მუხლის ჩათვლით, ვალდებულია ყოველწლიური ანგარიში გაუგზავნოს ასევე 2:268 მუხლის პარ. 11-ში მითითებულ სამუშაო საბჭოსაც.

– 2. ყოველწლიურ ანგარიშს ხელს აწერენ დირექტორები და ზედამხედველი დირექტორები; როდესაც სახეზე არ არის ერთი ან მეტი ხელმოწერა, მაშინ ამის თაობაზე უნდა მოხდეს შესაბამისი შეტყობინების წარდგენა მიზეზების მითითებით.

– 3. ყოველწლიურ ანგარიშს ამტკიცებს საერთო კრება. აღნიშნული ანგარიშის დამტკიცება თავისთავად არ გულისხმობს დირექტორების ან ზედამხედველი დირექტორების პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას.

– 4. ის გადაწყვეტილებები, რომელთა საფუძველზეც მტკიცდება ყოველწლიური ანგარიში, არ საჭიროებს წესდების თანახმად კორპორაციის ორგანოსა თუ მესამე პირის მხრიდან დადასტურებას.

– 5. თუ ყველა პარტნიორი წარმოადგენს ასევე კორპორაციის დირექტორებსაც, მაშინ ყველა დირექტორის მიერ ყოველწლიური ანგარიშის ხელმოწერა გულისხმობს ასევე პარ. 3-ში მითითებული ანგარიშის დამტკიცებასაც იმ პირობით, რომ ყველა სხვა იმ პირს, რომლებსაც აქვთ საერთო კრებაზე დასწრების უფლება, მიეცათ შესაძლებლობა გაეცნონ შედგენილ ყოველწლიურ ანგარიშს და ისინი დაეთანხმნენ ანგარიშის დამტკიცების წესს, როგორც ეს მითითებულია 2:228 მუხლში პარ. 1-ში. პარ. 3-ის ნორმათა დარღვევით ზემოთ აღნიშნული წესით ანგარიშის დამტკიცება მოქმედებს ასევე როგორც დირექტორებისა და ზედამხედველი დირექტორების გათავისუფლებისთვის სათანადო დოკუმენტი. წესდებით შეიძლება გამოირიცხოს წინამდებარე პარაგრაფის პირველ წინადადებაში მითითებული ანგარიშის დამტკიცების წესი.

– 6. დაუშვებელია წესდებაში იმ ნებისმიერი დებულების გათვალისწინება, რომლის საფუძველზეც ნებადართული გახდება ყოველწლიური ანგარიშისა თუ მისი ყოველი პუნქტის მიმართ ნებისმიერი მოთხოვნისა თუ მბოჭავი წინადადების დადგენა.

– 7. წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს, საერთო კრების ნაცვლად, კორპორაციის სხვა ორგანოსათვის იმ საკითხის გადანყვეტის მიღების უფლებამოსილების მინიჭებას, თუ ყოველწლიური ანგარიშის შედგენის რომელი ნაწილი უნდა იქნეს დარეზერვებული, ანდა ასევე – როგორ უნდა ჩამოინეროს ზარალი.

– 8. განსაკუთრებული მიზეზების არსებობისას, მოთხოვნის საფუძველზე, ეკონომიკის საქმეთა მინისტრს შეუძლია გაათავისუფლოს კორპორაცია ყოველწლიური ანგარიშის შედგენის, წარდგენისა და დამტკიცების ვალდებულებისაგან. დაუშვებელია ვალდებულებისაგან გათავისუფლება იმ კორპორაციის მიერ ყოველწლიური ანგარიშის დამტკიცებასთან დაკავშირებით, რომლის გადაცემადი ფასიანი ქაღალდები დაშვებულია რეგულირებულ ბაზარზე, როგორც ეს მითითებულია ფინანსური ზედამხედველობის შესახებ კანონში.

მუხლი 2:211 {გაუქმებულია 01.01.1984წ.}

მუხლი 2:212 კორპორაციის ოფისში ყოველწლიური ანგარიშის გაცნობა

– 1. დახურული კორპორაცია („besloten vennootschap“) უზრუნველყოფს, რომ ყოველწლიური ანგარიში და ყოველწლიური ანგარიშგება და 2:392 მუხლის პარ. 1-ის შესაბამისად დასამატებელი ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყოს კორპორაციის ოფისში იმ დღიდან, როდესაც ხდება ყოველწლიური ანგარიშის მიღების მიზნით ჩასატარებელი საერთო კრების მოწვევის შესახებ შეტყობინების გაგზავნა. პარტნიორებსა და საერთო კრებაზე დასწრების უფლების მქონე სხვა პირებს შეუძლიათ კორპორაციის ოფისში გაეცნონ აღნიშნულ დოკუმენტებს და უსასყიდლოდ მიიღონ მათი ასლი.

– 2. როდესაც საქმე ეხება კორპორაციის მიერ გამოშვებულ სანარმდგენლო წილებს, სადეპოზიტო ჩეკებსა თუ სანარმდგენლო ობლიგაციებს (სავალო სერტიფიკატებს), რომლებიც ჯერ კიდევ ბრუნვაშია, მაშინ შესაბამისი დოკუმენტები, რამდენადაც ისინი უნდა გასაჯაროვდეს, ხელმისაწვდომია გასაცნობად ნებისმიერი პირისათვის; ამ დოკუმენტების ასლის ან ამონარიდის წარდგენა უნდა მოხდეს არაუმეტეს თვითღირებულების თანხის გადახდის სანაცვლოდ. ეს უფლება უქმდება, როდესაც ხდება შესაბამისი დოკუმენტების განთავსება კორპორაციის ოფისში.

მუხლი 2:213 {გაუქმებულია 01.01.1984წ.}

მუხლი 2:214 {გაუქმებულია 01.01.1984წ.}

მუხლი 2:215 დეფიციტის რეზერვებიდან ჩამონერა

წესდებით გათვალისწინებული რეზერვებიდან დეფიციტი შეიძლება ჩამოიწეროს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს დაშვებულია კანონით.

მუხლი 2:216 მოგების განაწილება

– 1. საერთო კრება უფლებამოსილია, მოახდინოს იმ მოგების განაწილება (მიკუთვნება), რომელიც დადგინდა ყოველწლიური ანგარიშის მიღებით, და ასევე – მოახდინოს გასანაწილებელი მოგების დამტკიცება იმ ოდენობით, რა ოდენობითაც დახურული კორპორაციის („besloten vennootschap“) საკუთარი კაპიტალი (მთლიან აქტივებს გამოკლებული ვალდებულებები) აღემატება იმ რეზერვებს, რომლებიც ექვემდებარება შენარჩუნებას კანონისა თუ წესდების ძალით. წესდებით პირველ წინადადებაში ნახსენები უფლებამოსილება შეიძლება შეიზღუდოს ან ის გადაეცეს დახურული კორპორაციის („besloten vennootschap“) სხვა ორგანოს.

– 2. მოგების განაწილების შესახებ გადაწყვეტილება არ შედის ძალაში მანამდე, სანამ დირექტორთა საბჭო არ განაცხადებს მასზე თავის თანხმობას. დირექტორთა საბჭოს თანხმობის მიცემაზე უარის თქმა შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან იცის იმის თაობაზე, – ან მას გონივრულად უნდა ევარაუდა იმის ალბათობა, – რომ დახურული კორპორაცია („besloten vennootschap“) მოგების განაწილების შემდეგ ველარ შეძლებს თავისი ვადამოსული და გადასახდელი ვალების დაფარვის გაგრძელებას.

– 3. თუ დახურულ კორპორაციას („besloten vennootschap“) მოგების განაწილების შემდეგ არ შეუძლია თავისი ვადამოსული და გადასახდელი ვალების დაფარვის გაგრძელება, მაშინ ის დირექტორები, რომლებმაც განაწილების მომენტში იცოდნენ ამ შედეგის შესახებ ანდა რომლებსაც ამ მომენტში გონივრულად უნდა ევარაუდათ ეს შედეგი, სოლიდარულად აგებენ პასუხს დახურული კორპორაციის („besloten vennootschap“) წინაშე იმ დეფიციტის ანაზღაურებისათვის, რომელიც წარმოიშვა შეძენის გამო, რასაც ემატება შეძენის დღისათვის დარიცხული კანონისმიერი პროცენტების თანხები. შესაბამისად გამოიყენება 2:248 მუხლის პარ. 5-ის ნორმები. პასუხისმგებლობა არ ეკისრება იმ დირექტორს, ვინც დაამტკიცებს, რომ დახურული კორპორაციის („besloten vennootschap“) მიერ მოგების განაწილება მოხდა მისი ბრალის გარეშე და ასევე ის არ მოქმედებდა გაუფრთხილებლად ზემოაღნიშნული შედეგების თავიდან აცილებისათვის შესაბამისი ზომების მიღებისას.

მოგების მიმღები პირი, რომელმაც იცის იმის თაობაზე, – ან მას გონივრულად უნდა ევარაუდა იმის ალბათობა, – რომ დახურული კორპორაცია („besloten vennootschap“) შეძენის შემდეგ ველარ შეძლებს თავისი ვადამოსული და გადასახდელი ვალების დაფარვის გაგრძელებას, მაქსიმუმ მის მიერ მიღებული მოგების თანხისა თუ ღირებულების ოდენობამდე, პასუხისმგებელია დახურული კორპორაციის („besloten vennootschap“) წინაშე იმ დეფიციტის ანაზღაურებისათვის, რომელიც წარმოიშვა მოგების განაწილების გამო, რასაც ემატება განაწილების დღისათვის დარიცხული კანონისმიერი პროცენტების თანხები.

როდესაც დირექტორებმა პირველი წინადადების ნორმის ძალით დაფარეს სავალო მოთხოვნა, მაშინ ზემოაღნიშნულ წინადადებაში გათვალისწინებული კომპენსაციის თანხა მათ გადაეხდებათ იმ ნაწილის პროპორციულად, რაც გადაიხადა თითოეულმა დირექტორმა. მოვალე არ არის უფლებამოსილი, მოახდინოს მასზე პირველი ან მესამე წინადადებების შესაბამისად დაკისრებული ვალის გაქვითვა.

– 4. პარ. 3-ის მიზნებისათვის დირექტორს უთანაბრდება პირი, რომელმაც დაადგინა კორპორატიული პოლიტიკა ან მონაწილეობდა მის შემუშავებაში ისე, თითქოს ის დირექტორი ყოფილიყო. მოთხოვნის უფლების (სარჩელის) წარდგენა დაუშვებელია სასამართლოს მიერ დანიშნული მმართველის წინააღმდეგ.

– 5. გასანაწილებელი მოგების თანხის გამოთვლისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ასევე ის წილები, რომლებსაც კორპორაცია საკუთარ კაპიტალში ფლობს (სახაზინო წილები), გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წესდება სხვაგვარად ითვალისწინებს.

– 6. ყოველ წილზე გასანაწილებელი მოგების თანხის გამოთვლისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მხოლოდ წილების ნომინალური ღირებულების სავალდებულო გადახდები. წინა წინადადების ნორმიდან გადახვევა დასაშვებია წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევებში ანდა – ნებისმიერ დროს ყველა პარტნიორის თანხმობით.

– 7. წესდებით შეიძლება გათვალისწინებული იყოს წესი, რომლის თანახმადაც განსაზღვრული ტიპის (კლასის) მქონე წილები არ ანიჭებდეს პირს დახურულ კორპორაციაში („besloten vennootschap“) მოგებასა თუ რეზერვებში მონაწილეობის უფლებას ანდა ანიჭებდეს ამ უფლებას მხოლოდ შეზღუდულად.

– 8. პარ. 6-სა თუ 7-ში აღნიშნული წესდებით გათვალისწინებული პროცედურისათვის მოითხოვება ყველა იმ წილის მფლობელის თანხმობა, რომელთა უფლებებიც ილახება წესების ასეთი ცვლილების შედეგად.

– 9. წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს პარტნიორის მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის დაუშვებლობას ხუთწლიანი ვადის გასვლამდე, თუმცა – არა იმ ვადაზე მეტი ხნით, რომლის გასვლისთანავე მოთხოვნის უფლება ხანდაზმული ხდება. შესაბამისად, წესდებაში გათვალისწინებული ასეთი დებულება შესაბამისად უნდა მოქმედებდეს პარტნიორის წინააღმდეგ იმ წილის სადეპოზიტო ჩეკის მფლობელის მოთხოვნის უფლების მიმართ, რომლისათვისაც გაიცა სადეპოზიტო ჩეკი.

– 10. წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს იმ მოგების სრულად ან ნაწილობრივ საკუთარ ინტერესებში დარეზერვებას, რომლის მიღებაზეც უფლებამოსილი არიან განსაზღვრული ტიპის (კლასის) წილთა მფლობელები.

– 11. პარ. 3-ის ნორმები არ გამოიყენება არც დახურული კორპორაციის („besloten vennootschap“) კაპიტალში წილების სახით განაწილებისა და არც გადაუხდელი წილების დაკრედიტების მიმართ.

განყოფილება 2.5.4 – საერთო კრება

მუხლი 2:217 საერთო კრების უფლებამოსილებები

– 1. კანონითა და წესდებით დადგენილი შეზღუდვების ფარგლებში, ნებისმიერი უფლებამოსილება, რომელიც არ არის მინიჭებული დირექტორთა საბჭოსა თუ კორპორაციის სხვა ორგანოსათვის, ეკუთვნის საერთო კრებას.

– 2. დირექტორთა საბჭომ და სამეთვალყურეო საბჭომ საერთო კრებას სრულად უნდა მიაწოდოს მოთხოვნილი ინფორმაცია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს კორპორაციის არსებით ინტერესებს ეწინააღმდეგება.

მუხლი 2:218 სულ ცოტა, ერთი საერთო კრება ან გადაწყვეტილების მიღება ყოველ ფინანსურ წელიწადში ერთხელ მაინც 2:228 მუხლის შესაბამისად

ყოველი ფინანსური წლის განმავლობაში, სულ ცოტა, ერთი საერთო კრება უნდა ჩატარდეს ან, სულ ცოტა, ერთხელ მაინც უნდა იქნეს მიღებული გადაწყვეტილება 2:228 მუხლის პარ. 1 ან 3-ის შესაბამისად.

მუხლი 2:219 საერთო კრების მოწვევა

დირექტორთა საბჭო და სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილი არიან, მოიწვიონ საერთო კრება; წესდებით ეს უფლებამოსილება შეიძლება მიენიჭოს ასევე სხვა პირებსაც.

მუხლი 2:220 პარტნიორის მიერ საერთო კრების მოწვევის უფლება

– 1. ერთ ან რამდენიმე პარტნიორს, რომლებიც ცალ-ცალკე ან ერთობლივად წარმოადგენენ, სულ ცოტა, გამოშვებული კაპიტალის ერთ მეასედს, შეუძლიათ დირექტორთა საბჭოსა და სამეთვალყურეო საბჭოს წერილობით მოისთხოვონ საერთო კრების მოწვევა; მოთხოვნაში კრებაზე განსახილველი საკითხები ზუსტად უნდა იქნეს მითითებული. დირექტორთა საბჭო და სამეთვალყურეო საბჭო – რომლებიც ამ შემთხვევაში თანაბრად არიან უფლებამოსილი აღნიშნულის შესრულებაზე – იღებენ აუცილებელ ზომებს იმის უზრუნველსაყოფად, რომ საერთო კრების ჩატარება შესაძლებელი გახდეს ერთ-ერთი მათგანისათვის მოთხოვნის წარდგენიდან ოთხი კვირის განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს კორპორაციის არსებით ინტერესებს ეწინააღმდეგება.

ნესდებით კაპიტალის საჭირო ნაწილი შეიძლება შემცირდეს; ასევე შეიძლება შემცირდეს ის ვადაც, რომლის განმავლობაშიც უნდა ჩატარდეს საერთო კრება.

– 2. წინამდებარე მუხლის მიზნებისათვის ის პირები, რომლებსაც აქვთ საერთო კრებაზე დასწრების უფლება, უთანაბრდებიან წილთა მფლობელებს.

– 3. პარ. 1-ში მითითებული მოთხოვნის წერილობითი ფორმა დაცულია ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც მოთხოვნის წარდგენა ხდება ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ნესდება სხვაგვარად ითვალისწინებს.

მუხლი 2:221 სასამართლოს ნებართვის მიღებისათვის საჭირო ფორმალური მოთხოვნები

– 1. მას შემდეგ, რაც დახურულ კორპორაციას („besloten vennootschap“) მოუსმინეს სასამართლოში ანდა ის გამოიძახეს სასამართლოში გამოცხადებისათვის, წინა მუხლში ნახსენებმა რაიონული სასამართლოს სამართლებრივი დაცვის საშუალების მიმღებმა მოსამართლემ უნდა გასცეს მოთხოვნილი თანხმობა იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებლებმა მოკლედ აჩვენეს, რომ ამ მუხლის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და რომ მათ კრების ჩატარების მიმართ აქვთ გონივრული ინტერესი. სამართლებრივი დაცვის საშუალების მიმღები მოსამართლე უარს ამბობს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, თუ ასეთი საერთო კრების ჩატარება არ ეწინააღმდეგება კორპორაციის რაიმე მნიშვნელოვან ინტერესს. იმ შემთხვევაში, როდესაც რაიონული სასამართლოს სამართლებრივი დაცვის საშუალების მიმღები მოსამართლე გასცემს მოთხოვნილ ნებართვას, მაშინ მან უნდა განსაზღვროს საერთო კრების მოწვევის ფორმალური პროცედურა და ვადა. მას შეუძლია ასევე დანიშნოს პირი, რომელსაც დაეკისრება საერთო კრების საქმიანობის გაძღოლა.

– 2. როდესაც საერთო კრების მოწვევა ხდება პარ. 1-ში მითითებული წესით, ამ კრების მოწვევის შეტყობინებაში უნდა აღინიშნოს, რომ კრების ჩატარება ხდება სასამართლოს განკარგულების საფუძველზე. აღნიშნული წესით წარდგენილი მოწვევის შეტყობინება სამართლებრივად ნამდვილია იმ შემთხვევაშიც კი, თუ შემდგომში ნათელი გახდება, რომ ნებართვა გაიცა შეცდომით.

– 3. დაუშვებელია საჩივრისა თუ სხვა სამართლებრივი დაცვის საშუალების (სარჩელის) წარდგენა წინამდებარე მუხლში მითითებული სასამართლოს განკარგულების საწინააღმდეგოდ, გარდა კანონის ინტერესებში საკასაციო საჩივრის უზენაეს სასამართლოში წარდგენის შემთხვევებისა.

მუხლი 2:222 ინდივიდუალური პარტნიორის მიერ საერთო კრების მოწვევის უფლებამოსილება

თუ 2:219 მუხლის საფუძველზე ან ნესდებით საერთო კრების მოწვევაზე უფლებამოსილია პირებმა არ ჩაატარეს საერთო კრება, როგორც ეს მოითხოვება 2:218 მუხლის ან ნესდების შესაბამისად, მაშინ რაიონული სასამართლოს სამართლებრივი დაცვის საშუალების მიმღებ მოსამართლეს შეუძლია ნებისმიერ პარტნიორს მიანიჭოს ასეთი კრების თავად მოწვევის უფლებამოსილება. შესაბამისად გამოიყენება 2:220 მუხლის პარ. 2-სა და 2:221 მუხლის ნორმები.

მუხლი 2:223 კრების მოწვევის შეტყობინებისათვის დადგენილი ფორმალობები

– 1. საერთო კრებაზე მოწვევის შეტყობინების წარდგენა ხდება პარტნიორთა და სხვა იმ პირების მისამართებზე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინებების მეშვეობით, რომლებიც უფლებამოსილი არიან დაესწრონ საერთო კრებას, როგორც ეს მითითებულია 2:194 მუხლში მითითებულ პარტნიორთა რეესტრში.

– 2. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ნესდება სხვაგვარად ითვალისწინებს, და თუ ეს კეთდება პარტნიორთა და სხვა იმ პირების თანხმობით, რომლებიც უფლებამოსილი არიან დაესწრონ საერთო კრებას, მოწვევის შეტყობინება შესაძლებელია ასევე ნათელი და აღწარმოებადი შეტყობინების ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებებით იმ მისამართზე გაგზავნის გზით, რომელიც ამ მიზნით კორპორაციისათვის გაცხადებულ იქნა შესაბამისი პარტნიორისა თუ სხვა პირის მიერ.

მუხლი 2:224 მოწვევის შეტყობინების შინაარსი

– 1. საერთო კრების მოწვევის შეტყობინება უნდა ადგენდეს კრებაზე განსახილველ (სადისკუსიო) საკითხს.

– 2. სამართლებრივად ძალმოსილი გადაწყვეტილება ვერ იქნება მიღებული იმ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც მოწვევის შეტყობინებასა თუ ანალოგიური წესით მოწვევის შესახებ პუბლიკაციაში (განცხადებაში) საერთო კრების მიერ განსახილველი საკითხის სახით არ არის მითითებული, ანდა – როდესაც არ იქნა დაცული საერთო კრების მოწვევისათვის დადგენილი მინიმალური ვადა, გარდა იმ შემ-

თხვევებისა, როდესაც საერთო კრებაზე დასწრების უფლების მქონე ყველა პირი დაეთანხმა აღნიშნულ საკითხს და დირექტორებსა და ზედამხედველ დირექტორებს გადაწყვეტილების მიღების მომენტამდე მიეცათ ამ საკითხზე თავიანთი რეკომენდაციების მიცემის საშუალება.

– 3. იმ ცნობების შესახებ შეტყობინება, რომლებიც კანონისა თუ წესდების შესაბამისად მიმართულია საერთო კრებისკენ, შეიძლება გაკეთდეს მათი თავად მოწვევის შეტყობინებაში შეტანით, ანდა – იმ დოკუმენტისათვის დამატებით, რომელიც გაცნობის მიზნით განთავსებულია კორპორაციის ოფისში იმ პირობით, რომ ეს უკანასკნელი შესაძლებლობა ცალკე არის ნახსენები მოწვევის შეტყობინებაში.

მუხლი 2:224a პარტნიორთა მიერ საერთო კრებაზე სპეციფიკური საკითხის განხილვასთან დაკავშირებით წარდგენილი მოთხოვნა

– 1. როდესაც ერთმა ან რამდენიმე პარტნიორმა, რომლებიც დამოუკიდებლად ან ერთობლივად წარმოადგენენ, სულ ცოტა, გამოშვებული კაპიტალის სამ მესედს, წერილობითი ფორმით მოითხოვს კონკრეტული საკითხის საერთო კრებაზე განხილვა, მაშინ ეს საკითხი უნდა დაემატოს მოწვევის შეტყობინებას ან ანალოგიური წესით მოწვევის შესახებ პუბლიკაციას (განცხადებას) იმ შემთხვევაში, თუ კორპორაციამ გადაწყვეტილებისათვის გონივრული მოთხოვნა ანდა შეთავაზება მიიღო საერთო კრების თარიღამდე არაუგვიანეს მეექვსე დღისა. წესდებით შეიძლება შემცირდეს გამოშვებული კაპიტალის ნაწილი და შემცირდეს მოთხოვნის წარდგენისათვის დადგენილი ვადა.

– 2. წინამდებარე მუხლის მიზნებისათვის წილების მფლობელებს უთანაბრდებიან კორპორაციასთან თანამშრომლობით გამოშვებული წილების სადეპოზიტო ჩეკების მფლობელები.

– 3. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წესდება სხვაგვარად ითვალისწინებს, მოთხოვნის წერილობითი ფორმით წარდგენის აუცილებლობა, როგორც ეს ნახსენებია პარ. 1-ში, დაკმაყოფილებულად ითვლება ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც ხდება მოთხოვნის ელექტრონული ფორმით რეგისტრაცია.

მუხლი 2:225 მოწვევის შეტყობინების მინიმალური ვადა

2:221 მუხლის პარ. 1-ის მესამე წინადადებით გათვალისწინებული წესების მოქმედების შეზღუდვის გარეშე, საერთო კრების მოწვევის შეტყობინების წარდგენა უნდა მოხდეს კრების თარიღამდე არაუგვიანეს მერვე დღისა. თუ ეს ვადა უფრო მოკლე იყო ანდა როდესაც მოწვევის შეტყობინება საერთოდ არ იქნა წარდგენილი, სამართლებრივად ძალმოხილი გადაწყვეტილება ვერ იქნება მიღებული საერთო კრებაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საერთო კრებაზე დასწრების უფლების მქონე ყველა პირი დაეთანხმა იმას, რომ ადგილი უნდა ჰქონდეს გადაწყვეტილების მიღებას, და – ასევე დირექტორებსა და ზედამხედველ დირექტორებს გადაწყვეტილების მიღების მომენტამდე მიეცათ ამ საკითხზე თავიანთი რეკომენდაციების მიცემის საშუალება.

მუხლი 2:226 საერთო კრების ჩატარების ადგილი

– 1. საერთო კრება ტარდება წესდებაში ამ მიზნით მითითებულ აღნიშნულ ადგილზე ანდა, სხვა შემთხვევაში კი, – იმ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სადაც დახურულ კორპორაციას („besloten vennootschap“) აქვს აქვს თავისი დომიცილი (ადგილსამყოფელი). წესდებაში მითითებული ადგილი შეიძლება არსებობდეს ნიდერლანდების ტერიტორიის ფარგლებს გარეთაც.

– 2. როდესაც ნიდერლანდების ტერიტორიის ფარგლებს გარეთ არსებული ადგილი დგინდება დახურული კორპორაციის („besloten vennootschap“) შექმნის (დაფუძნების) შემდეგ, მაშინ წესდების ცვლილებისათვის შეთავაზებული გადაწყვეტილება შეიძლება მიღებულ იქნეს მხოლოდ იმ საერთო კრებაზე მიცემულ ხმათა უმრავლესობით, სადაც წარმოდგენილია მთლიანი გამოშვებული კაპიტალი, და ასევე – იმდენად, რამდენადაც საერთო კრებაზე დასწრების უფლების მქონე ყველა პირი დაეთანხმება წესდების ცვლილებას.

– 3. საერთო კრება შეიძლება ჩატარდეს სხვა ადგილზე, ნაცვლად იმ ადგილისა, სადაც ის უნდა ჩატარებულიყო, თუ საერთო კრებაზე დასწრების უფლების მქონე ყველა პირი დაეთანხმება კრების ჩატარების ამ ადგილს, და – ასევე დირექტორებსა და ზედამხედველ დირექტორებს გადაწყვეტილების მიღების მომენტამდე მიეცათ ამ საკითხზე თავიანთი რეკომენდაციების მიცემის საშუალება.

მუხლი 2:227 საერთო კრებაზე დასწრების უფლება

– 1. წინამდებარე ტიტულის (ტიტული 2.5) მიზნებისათვის საერთო კრებაზე დასწრების უფლება გულისხმობს პირის უფლებას, იმყოფებოდეს საერთო კრებაზე და ასევე გამოვიდეს სიტყვით როგორც პი-

რადაც, ისევე წერილობითი რწმუნებულების (მინდობილობის) საფუძველზე მოქმედი წარმომადგენლის მეშვეობით.

– **2.** საერთო კრების უფლება აქვთ პარტნიორებს, იმ წილზე გაცემული სადეპოზიტო ჩეკის მფლობელებს, რომელიც იძლევა საერთო კრებაზე დასწრების უფლებას, იმ პარტნიორებს, რომლებსაც უზუფრუქტისა თუ გირავნობის გამო არა აქვთ ხმის უფლება, და ასევე – ხმის უფლების მქონე უზუფრუქტუარებსა და მოგირავნეებს. იმ უზუფრუქტუარებსა და მოგირავნეებს, რომლებსაც არა აქვთ ხმის უფლება, აქვთ უფლება დაესწრონ საერთო კრებას, თუ ამას ითვალისწინებს წესდება და ასევე არაფერი საწინააღმდეგო არ იქნა დათქმული უზუფრუქტისა თუ გირავნობის უფლებების დადგენისა თუ გადაცემისას. წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს საერთო კრებაზე დასწრების უფლების წილზე გაცემული სადეპოზიტო ჩეკთან დაკავშირების ან გაუქმების შესაძლებლობას დახურული კორპორაციის („besloten vennootschap“) იმ ორგანოს მიერ, რომელიც სწორედ ამ მიზნით არის წესდებაში განსაზღვრული.

– **3.** თითოეული პარტნიორი უფლებამოსილია, პირადად ან წერილობითი რწმუნებულების (მინდობილობის) საფუძველზე მოქმედი წარმომადგენლის მეშვეობით, განახორციელოს თავისი ხმის უფლება, რომელიც მას აქვს საერთო კრებაზე.

– **4.** წესდებით გათვალისწინებული წესი, რომლის თანახმადაც საერთო კრებაზე დასწრების უფლება ენიჭება წილებზე გაცემული სადეპოზიტო ჩეკის მფლობელებს, შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ ამ სადეპოზიტო ჩეკების შესაბამისი მფლობელების თანხმობით გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამ წესის შეცვლის შესაძლებლობა ნათლად იქნა შენარჩუნებული წესდებაში საერთო კრებაზე დასწრების უფლების მინიჭების მომენტში. აღნიშნული წინადადების ნორმა შესაბამისად გამოიყენება უზუფრუქტუარებისა და მოგირავნეების მიმართ.

– **5.** წესდებით შეიძლება შეიზღუდოს საერთო კრებაზე დასწრების უფლების მქონე პირების უფლებამოსილება, თავადვე იყვნენ წარმოდგენილი ასეთ კრებაზე. თუმცა, დაუშვებელია საერთო კრებაზე დასწრების უფლების მქონე პირების უფლების გამორიცხვა, იყვნენ წარმოდგენილი საერთო კრებაზე ადვოკატის (ადვოკატთა ასოციაციის წევრის), ნოტარიუსის, მომავალი (უმცროსი) ნოტარიუსის, რეგისტრირებული ბუღალტრის (სერტიფიცირებული აუდიტორის) ანდა საბუღალტრო-ადმინისტრაციული კონსულტანტის მიერ.

– **6.** წესდება შეიძლება განსაზღვრავდეს საერთო კრებაზე დასწრების უფლების გადავადებას დროის იმ პერიოდის განმავლობაში, ვიდრე საერთო კრებაზე დასწრების უფლების მქონე პირი არ ასრულებს მასზე კანონით ან წესდებით დაკისრებულ ვალდებულებას. წესდებით შეიძლება დადგინდეს, რომ საერთო კრებაზე დასწრებისათვის აუცილებელი გახდეს საერთო კრებაზე დასწრების უფლების მქონე პირის მხრიდან მოხდეს კრებაზე გამოცხადების შესახებ თავისი განზრახვის არსებობის თაობაზე დახურული კორპორაციის („besloten vennootschap“) დირექტორთა საბჭოსათვის შეტყობინება. ასეთ შემთხვევაში საერთო კრების მოწვევის შეტყობინებაში უნდა მიეთითოს ის უკანასკნელი დღე, როდესაც ეს განზრახვა უნდა იქნეს შეტყობინებული. აღნიშნული დღის დადგენა დასაშვებია საერთო კრების ჩატარებამდე არაუადრეს მესამე დღისა.

– **7.** თავიანთი კომპენტენციის ფარგლებში დირექტორებსა და ზედამხედველ დირექტორებს საერთო კრებაზე აქვთ სათათბირო ხმა.

– **8.** რწმუნებულების (მინდობილობის) წერილობითი ფორმით წარდგენის მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ითვლება ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც ასეთი რწმუნებულება (მინდობილობა) გაიცემა და აღირიცხება ელექტრონული ფორმით.

მუხლი 2:227a საერთო კრებაზე დასწრება ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებებით

– **1.** წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს ნებისმიერი პარტნიორის უფლებამოსილებას, პირადად ან წერილობითი რწმუნებულების (მინდობილობის) საფუძველზე მოქმედი წარმომადგენლის მეშვეობით, გამოიყენოს ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებები საერთო კრებაში მონაწილეობის მისაღებად, კრებაზე სიტყვით გამოსვლისა და ხმის უფლების განხორციელებისათვის.

– **2.** პარ. 1-ის მიზნებისათვის აუცილებელია, რომ ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებებით პარტნიორი იდენტიფიცირებადი იყოს და ასევე მან შეძლოს უშუალო წარმოდგენის შექმნა საერთო კრებაზე არსებულ საქმის განხილვასთან დაკავშირებით და განახორციელოს თავისი ხმის უფლება. წესდებით შეიძლება გათვალისწინებული იყოს ასევე იმის აუცილებლობაც, რომ პარტნიორმა ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებებით შეძლოს დისკუსიებში მონაწილეობის მიღება.

– **3.** ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებით მოთხოვნები შე-

იძლება დადგინდეს წესდებით ან ამ უკანასკნელის შესაბამისად. თუ ამ მოთხოვნების დაკისრება ხდება წესდების მიხედვით, მაშინ ისინი უნდა გაცხადდეს საერთო კრების მოწვევის შეტყობინებაში.

– 4. პარ. 1-დან 3-ის ჩათვლით ნორმები შესაბამისად გამოიყენება კორპორაციასთან თანამშრომლობით გამოშვებული წილის სადეპოზიტო ჩეკის ნებისმიერი მფლობელის უფლებების მიმართ.

– 5. რწმუნებულების (მინდობილობის) წერილობითი ფორმით წარდგენის მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ითვლება ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც ასეთი რწმუნებულება (მინდობილობა) გაიცემა და აღირიცხება ელექტრონული ფორმით.

მუხლი 2:227b საერთო კრების ჩატარებამდე ხმის უფლების ელექტრონული საშუალებებით გამოყენება

წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს საერთო კრების ჩატარებამდე – თუმცაღა, საერთო კრებამდე არაუადრეს მესამე დღისა – ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებებით მიცემული ხმის თავად საერთო კრების მსვლელობისას ხმის მიცემასთან გათანაბრებას.

მუხლი 2:228 საერთო კრებაზე ხმის მიცემის უფლება; მისაცემი ხმების რაოდენობა

– 1. მხოლოდ პარტნიორებს აქვთ ხმის უფლება. თითოეულ პარტნიორს აქვს, სულ ცოტა, ერთი ხმა. წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს პარტნიორის მიერ თავისი ხმის უფლების განხორციელების დაუშვებლობას მანამდე, სანამ ის არ დააკმაყოფილებს მასზე კანონით ან წესდებით წარდგენილ მოთხოვნებს (დაკისრებულ ვალდებულებებს).

– 2. თუ კაპიტალი დაყოფილია თანაბარი ნომინალური ღირებულების წილებად, თითოეულ პარტნიორს შეუძლია იმდენი ხმის მიცემა, რამდენ წილსაც ის ფლობს.

– 3. თუ კაპიტალი დაყოფილია არათანაბარი ნომინალური ღირებულების წილებად, მაშინ იმ ხმათა რაოდენობა, რომელთა მიცემაც შეუძლია თითოეულ პარტნიორს, უტოლდება მისი წილების მთლიანი ნომინალური ღირებულება გაყოფილი კორპორაციის მიერ გამოშვებულ ყველაზე მცირე წილი ნომინალურ ღირებულებაზე; ხმათა ნაწილები მხედველობაში არ მიიღება.

– 4. წესდებით დასაშვებია პარ. 2-სა და 3-ის ნორმათა დანაწესიდან გადახვევა. წესდებაში გათვალისწინებული ასეთი რეგულაცია უნდა მოქმედებდეს საერთო კრების ყველა გადაწყვეტილების მიმართ. ხმის უფლების ცვლილებასთან დაკავშირებით წესდებაში შესატანი ცვლილების შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება მიღებულ იქნეს მხოლოდ იმ საერთო კრებაზე მიცემულ ხმათა უმრავლესობით, სადაც წარმოდგენილია მთლიანი გამოშვებული კაპიტალი

– 5. პარ. 1-დან 4-ის ჩათვლით ნორმათა დანაწესიდან გადახვევით, წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს პირობას, რომლის თანახმადაც წილთან არ იყოს დაკავშირებული ხმის უფლება. ასეთი დანაწესი შეიძლება დადგინდეს მხოლოდ განსაზღვრული ტიპის (კლასის) ყველა წილის მიმართ, რომლის დროსაც ყველა პარტნიორი დაეთანხმა აღნიშნულ დანაწესს, ანდა – როდესაც აღნიშნული წილების გამოშვებამდე წესდება უკვე ითვალისწინებდა მათ მიმართ საერთო კრებაზე ხმის უფლების დაკავშირების გამორიცხვას. წესდებაში ეს წილები აღნიშნება როგორც ხმის უფლების არმქონე წილები. 2:216 მუხლის პარ. 7-ის ნორმების საფუძველზე ხმის უფლების არმქონე წილების მიმართ დაუშვებელია იმის მითითება, რომ ეს წილები არ ანიჭებს მფლობელს კორპორაციის მოგებისა თუ რეზერვების განაწილებაში მონაწილეობის უფლებას.

– 6. დაუშვებელია საერთო კრებაზე იმ წილის მეშვეობით ხმის მიცემა, რომელიც ეკუთვნის კორპორაციას ან მის ერთ-ერთ შვილობილ საწარმოს; ასევე დაუშვებელია ხმის მიცემა იმ წილის მეშვეობით, რომლისათვისაც გაცემულია კორპორაციის კაპიტალში გამოშვებული წილის სადეპოზიტო ჩეკი, რომელსაც ფლობს კორპორაცია ან მისი ერთ-ერთი შვილობილი საწარმო. თუმცაღა, კორპორაციის კაპიტალში არსებულ იმ წილზე უზუფრუქტსა თუ გირავნობაზე უფლებამოსილი შეზღუდული სანივთო უფლების მფლობელი, რომელიც ეკუთვნის კორპორაციას ან მის ერთ-ერთ შვილობილ საწარმოს, არ გამოირიცხება თავისი ხმის უფლების რეალიზაციისაგან იმ შემთხვევაში, თუ უზუფრუქტი ან გირავნობა დადგინდა იმ მომენტამდე, როდესაც უფლებრივად დატვირთული წილი შექმნილ იქნა კორპორაციის ან მისი შვილობილი საწარმოს მიერ. კორპორაციის კაპიტალში არსებულ წილზე უზუფრუქტისა თუ გირავნობის უფლების მქონე კორპორაციას ან მის შვილობილ საწარმოს არ შეუძლია რაიმე ხმის უფლების განხორციელება აღნიშნულ კორპორაციასთან მიმართებაში.

მუხლი 2:229 {გაუქმებულია 01.01.1992წ.}

მუხლი 2:230 ხმათა უმრავლესობა; კვორუმი

– 1. როდესაც კანონით ან წესდებით არ მოითხოვება ხმათა მეტი ოდენობა, გადაწყვეტილება საერთო კრებაზე მიიღება მიცემული ხმების აბსოლუტური უმრავლესობით. თუ ხმები თანაბრად იყოფა პირთა არჩევისას, მაშინ საკითხის გადაწყვეტა ხდება კენჭისყრით; თუ ხმები თანაბრად იყოფა სხვა საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღებისას, მაშინ წინადადება ჩაითვლება უარყოფილად; აღნიშნული წესები გამოიყენება იმდენად, რამდენადაც კანონი ან წესდება არ ითვალისწინებს სხვაგვარად. ასეთი გადაწყვეტა შეიძლება გულისხმობდეს ასევე საკითხის გადაწყვეტის მესამე პირისათვის დავალებასაც.

– 2. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კანონი ან წესდება სხვაგვარად ითვალისწინებს, საერთო კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების ნამდვილობა არ არის დამოკიდებული იმ საკითხზე, თუ კაპიტალის რომელი ნაწილი არის წარმოდგენილი საერთო კრებაზე.

– 3. თუ წესდებით დადგენილია, რომ საერთო კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების ნამდვილობა დამოკიდებულია იმ საკითხზე, არის თუ არა კაპიტალის კონკრეტული ნაწილი წარმოდგენილი საერთო კრებაზე, და ეს უკანასკნელი კი არ იქნა წარმოდგენილი საერთო კრებაზე, მაშინ შეიძლება მოწვეულ იქნეს ახალი საერთო კრება, რომელზეც გადაწყვეტილება იქნება მიღებული მიუხედავად საერთო კრებაზე წარმოდგენილი კაპიტალის ნაწილისა, თუ წესდება სხვაგვარად არ ითვალისწინებს. ახალი საერთო კრების მოწვევის შეტყობინება უნდა უთითებდეს გადაწყვეტილების ამ საერთო კრებაზე მიღების შესაძლებლობაზე მიუხედავად მასზე წარმოდგენილი კაპიტალის ნაწილისა, და ასევე – იმაზე, თუ რატომ უნდა იქნეს მიღებული ასეთი გადაწყვეტილება ამ საერთო კრებაზე.

– 4. კორპორაციის დირექტორთა საბჭო მხედველობაში იღებს საერთო კრების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს. შესაბამისი ჩანაწერების განთავსება ხდება კორპორაციის ოფისში პარტნიორებისა და კორპორაციასთან თანამშრომლობით გამოშვებული წილების სადეპოზიტო ჩეკების მფლობელების მიერ მისი გაცნობის მიზნით. მოთხოვნის საფუძველზე ამ ჩანაწერების ასლი ან ამონარიდი უნდა გაიცეს თითოეულ ამ პარტნიორსა და სადეპოზიტო ჩეკების მფლობელზე ხარჯის მაქსიმალური თანხის გადახდის სანაცვლოდ.

მუხლი 2:231 წესდების ცვლილება

– 1. საერთო კრება უფლებამოსილია შეცვალოს წესდება; რამდენადაც წესდების შეცვლის შესაძლებლობა წესდებით გამორიცხულია, მიუხედავად ამისა, საერთო კრება მაინც უფლებამოსილია შეცვალოს წესდება იმ კრებაზე ერთხმად მიღებული გადაწყვეტილებით, რომელზეც წარმოდგენილია კორპორაციის მთლიანი გამოშვებული კაპიტალი.

– 2. წესდების დებულება, რომლითაც იზღუდება წესდების ერთი ან მეტი სხვა დებულების შეცვლის შესაძლებლობა, შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ საერთო კრების მიერ იმავე შეზღუდვის ჯეროვანი გათვალისწინებით.

– 3. წესდების დებულება, რომლითაც გამოირიცხება წესდების ერთი ან მეტი სხვა დებულების შეცვლის შესაძლებლობა, შეიძლება შეიცვალოს იმ საერთო კრებაზე ერთხმად მიღებული გადაწყვეტილებით, რომელზეც წარმოდგენილია კორპორაციის მთლიანი გამოშვებული კაპიტალი.

მუხლი 2:231a გულდენებში განსაზღვრული თანხის ევროში კონვერტაციის გადაწყვეტილება

– 1. წილთა ნომინალური ღირებულებისა და 2:178a მუხლში მითითებული ნებადართული კაპიტალის გაზრდის შესახებ საერთო კრების გადაწყვეტილება უნდა იქნეს მიღებული ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით. წილთა ნომინალური ღირებულებისა და ნებადართული კაპიტალის შემცირების შესახებ საერთო კრების გადაწყვეტილება უნდა იქნეს მიღებული ხმათა, სულ ცოტა, ორი მესამედის უმრავლესობით, თუ საერთო კრებაზე წარმოდგენილია გამოშვებული კაპიტალის ნახევარზე ნაკლები. როდესაც სახეზეა სხვადასხვა ტიპის (კლასის) წილები, მაშინ წილთა ნომინალური ღირებულებისა და ნებადართული კაპიტალის გაზრდისა თუ შემცირების შესახებ საერთო კრების ძალმოსილი გადაწყვეტილება მოითხოვს იმავე ტიპის (კლასის) წილთა იმ მფლობელების ყოველი ჯგუფის წინასწარ ან ერთდროულად მიღებულ მონონების გადაწყვეტილებას, რომელთა უფლებებსაც ეხება თანხების ევროში კონვერტაცია.

– 2. წინა პარაგრაფის მიზნებისათვის კონკრეტული ტიპის (კლასის) წილები მოიცავს ასევე დიფერენცირებული ნომინალური ღირებულების მქონე წილებსაც.

მუხლი 2:232 წესდების შეცვლა და მესამე პირთა ინტერესების დაცვა

წესდებაში იმ დებულების შეცვლა, რომელიც პირს ანიჭებს უფლებას სხვა საფუძველით, ნაცვლად მისი როგორც აქციონერის სტატუსისა, ვერ იქნება საზიანო ამ პირის უფლებებისათვის, თუ ის არ დაეთანხ-

მა ამ ცვლილებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამ დებულების შეცვლის შესაძლებლობა ნათლად იქნა შენარჩუნებული უფლების მისთვის მინიჭების მომენტისათვის.

მუხლი 2:233 ნესდების შეცვლის წინადადების გამოქვეყნება

– 1. როდესაც ნესდების შეცვლის წინადადების წამოყენება ხდება საერთო კრებაზე, მაშინ ამ საერთო კრების მოწვევის შეტყობინებაში აღნიშნული წინადადების მოხსენიება ყოველთვის აუცილებელია.

– 2. იმ პირობაში, რომლებმაც მოიწვიეს საერთო კრება, რაზეც განხილული იქნება ნესდების შეცვლის წინადადება, ერთდროულად ამ წინადადების ასლი უნდა განათავსონ კორპორაციის ოფისში პარტნიორების მიერ მისი გაცნობის მიზნით; წინადადება, რომელიც უნდა შეიცავდეს წერილზე განსახილველ ცვლილებას, უნდა დარჩეს კორპორაციის ოფისში საერთო კრების დასრულებამდე. შესაბამისად გამოიყენება 2:224 მუხლის პარ. 2.

– 3. იმ დღიდან, როდესაც მოხდა წინადადების შესაბამისი საერთო კრების დასრულებამდე განთავსება, პარტნიორებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, მიიღონ წინადადების ასლი, როგორც ეს აღწერილია წინა პარაგრაფში. ეს ასლები გაიცემა უსასყიდლოდ.

– 4. ის, რაც წინამდებარე მუხლში გათვალისწინებულია პარტნიორების მიმართ, შესაბამისად გამოიყენება ასევე კორპორაციასთან თანამშრომლობით გამოშვებული წილების სადეპოზიტო ჩეკების მფლობელთა მიმართაც.

მუხლი 2:234 ცვლილება უნდა შევიდეს სანოტარო აქტში

– 1. ცვლილების ბათილობის სანქციით სავალდებულოა ნესდების ცვლილების შესახებ სანოტარო აქტის გაფორმება. სანოტარო აქტი დგება ჰოლანდიურ ენაზე.

– 2. ეს სანოტარო აქტი შეიძლება შედგებოდეს როგორც იმ საერთო კრების სანოტარო ანგარიშგებისაგან, რომელზეც მიიღება ნესდების შეცვლის შესახებ გადაწყვეტილება, ისე – მოგვიანებით შედგენილი სანოტარო აქტისაგან. დირექტორთა საბჭოს შეუძლია მიიღოს მონაწილეობა აღნიშნული სანოტარო აქტის შედგენაში იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ის არ იქნა ამაზე უფლებამოსილი საერთო კრების მიერ.

– 3. თუ ნებადართულ კაპიტალში შევიდა ცვლილებები, მაშინ სანოტარო აქტი უნდა უთითებდეს, თუ მისი რომელი ნაწილი იქნა გამოშვებული.

მუხლი 2:235 {გაუქმებულია 01.07.2011წ.}

მუხლი 2:236 შეცვლილი ნესდება უნდა განთავსდეს სავაჭრო რეესტრში

დირექტორთა საბჭომ ცვლილებისა და შეცვლილი ნესდების დამოწმებული ასლი უნდა განათავსოს სავაჭრო რეესტრის ოფისში.

მუხლი 2:237 ნესდების შეცვლა გაკოტრების საქმის წარმოებისას

დახურული კორპორაციის („besloten vennootschap“) გაკოტრების საქმის წარმოებისას ამ კორპორაციის ნესდება საერთო კრების მიერ შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ გაკოტრების მმართველის (“curator”) თანხმობით.

მუხლი 2:238 პარტნიორების მიერ გადაწყვეტილებების მიღება საერთო კრების ჩატარების გარეშე

– 1. პარტნიორების მიერ გადაწყვეტილებების მიღება (საკითხების გადაწყვეტა) შეიძლება მოხდეს სხვაგვარი წესით, ვიდრე ეს არის საერთო კრებაზე გადაწყვეტილებების მიღება. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ნესდება სხვაგვარად ითვალისწინებს, ხმის მიცემა შეიძლება განხორციელდეს ასევე ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებებითაც.

– 2. საერთო კრების ჩატარების გარეშე გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ხმის მიცემა ხდება წერილობითი ფორმით. ხმის წერილობითი ფორმით მიცემის მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ითვლება ასევე იმ შემთხვევაშიც, თუ გადაწყვეტილება აღირიცხება წერილობით ან ელექტრონული ფორმით იმ წესის მითითებით, რომლის მიხედვითაც განხორციელდა თითოეული პარტნიორის მიერ ხმის მიცემა. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ნესდება სხვაგვარად ითვალისწინებს, ხმის მიცემა შეიძლება განხორციელდეს ასევე ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებებითაც. დირექტორებსა და ზედამხედველ დირექტორებს უნდა მიეცეთ გადაწყვეტილებების მიღებამდე (საკითხების გადაწყვეტამდე) თავიანთი რეკომენდაციების მიცემის საშუალება.

განყოფილება 2.5.5 – დახურული კორპორაციის დირექტორთა საბჭო და დირექტორთა საბჭოს ზედამხედველობა

მუხლი 2:239 დირექტორთა საბჭოს ამოცანები და უფლებამოსილებები

1. წესდებაში მოცემული ნებისმიერი შეზღუდვის გათვალისწინებით, დირექტორთა საბჭოს ეკისრება კორპორაციის მართვის (მენეჯმენტის) მოვალეობა.
2. წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს სახელისა თუ ფუნქციის (პოზიციის) მიხედვით დანიშნული კონკრეტული დირექტორის მიერ ერთზე მეტი ხმის მიცემა. დაუშვებელია ერთი დირექტორის მიერ იმაზე მეტი ხმის მიცემა, ვიდრე მას იძლევიან სხვა დირექტორები ერთად აღებული.
3. დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილებები კორპორაციის ორგანოს მხრიდან მოწონებას შეიძლება დაექვემდებაროს მხოლოდ წესდების საფუძველზე ან მის შესაბამისად.
4. წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს დირექტორთა საბჭოს ქცევის ვალდებულებას კორპორაციის სხვა ორგანოს მითითებების შესაბამისად. დირექტორთა საბჭო იძულებულია შეასრულოს მითითებები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს მითითებები ეწინააღმდეგება კორპორაციის ან მასთან დაკავშირებული საწარმოს ინტერესებს.
5. თავიანთი მოვალეობების შესრულებისას დირექტორებმა ყურადღება უნდა მიაქციონ კორპორაციისა და მასთან დაკავშირებული საწარმოების ინტერესებს.
6. დირექტორი არ მონაწილეობს საკითხის განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებაში, თუ მას ამ საკითხის მიმართ აქვს პირდაპირი ან ირიბი პირადი ინტერესი, რაც წინააღმდეგობაში მოდის პარ. 5-ში მითითებულ ინტერესებთან. თუ ამის შედეგად დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილება ვერ მიიღება, მაშინ გადაწყვეტილებას იღებს სამეთვალყურეო საბჭო. ამ უკანასკნელის არარსებობისას გადაწყვეტილება მიიღება საერთო კრების მიერ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წესდება სხვაგვარად ითვალისწინებს.

მუხლი 2:239a არააღმასრულებელ და აღმასრულებელ დირექტორთა შორის სხვაობა

1. წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს დირექტორთა მოვალეობების განაწილებას ერთ ან მეტ არააღმასრულებელ დირექტორებსა და ერთ ან მეტ აღმასრულებელ დირექტორებს შორის. დაუშვებელია აღნიშნული წინადადების ნორმით გათვალისწინებული მოვალეობათა განაწილებით დირექტორთა მიერ მათზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებაზე არააღმასრულებელი დირექტორების მხრიდან ზედამხედველობის ვალდებულების გამორიცხვა. დაუშვებელია დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილებების, დირექტორთა თანამდებობაზე დანიშვნის წინადადებათა წარდგენისა და აღმასრულებელი დირექტორების საზღაურის საკითხის მიღების (შეფასების) უფლებამოსილებების აღმასრულებელი დირექტორისათვის დათმობა. არააღმასრულებელი დირექტორი ყოველთვის ფიზიკური პირია.
2. აღმასრულებელი დირექტორები არ მონაწილეობენ აღმასრულებელი დირექტორების საზღაურის საკითხის მიღებასთან (შეფასებასთან) დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში.
3. დასაშვებია წესდების საფუძველზე ან მის შესაბამისად იმის განსაზღვრა, რომ ერთ ან რამდენიმე დირექტორს შეუძლია ლეგიტიმურად გადაწყვიტოს (მიიღოს გადაწყვეტილება) მის ან მათ მოვალეობებს მიკუთვნებული საკითხები. როდესაც ზემოაღნიშნული განისაზღვრება წესდების შესაბამისად, მაშინ ეს უნდა განხორციელდეს წერილობითი ფორმით.

მუხლი 2:240 წარმომადგენლობითი უფლებამოსილება

1. რამდენადაც წესდება სხვაგვარად არ ითვალისწინებს, დირექტორთა საბჭო წარმომადგენს კორპორაციას.
2. თითოეულ დირექტორს შეუძლია ასევე კორპორაციის ინდივიდუალური წარმომადგენლობაც. თუმცა, წესდებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ასევე მხოლოდ ერთი ან მეტი დირექტორის მიერ კორპორაციის წარმომადგენლობის შესაძლებლობა დირექტორთა საბჭოსთან ერთად. გარდა აღნიშნულისა, წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს დირექტორის მიერ კორპორაციის წარმომადგენლობას მხოლოდ ერთ ან მეტ სხვა პირთან თანამშრომლობით.
3. დირექტორთა საბჭოსა თუ იმ დირექტორების წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, რომლებსაც – ინდივიდუალურად ანდა ერთობლივად სხვებთან ერთად – ასეთი უფლებამოსილება ენიჭება, ყოველთვის შეუზღუდავი და უპირობოა, რამდენადაც კანონი სხვაგვარად არ ითვალისწინებს. წარმომადგენლობითი უფლებამოსილებასთან დაკავშირებით სამართლებრივად დასაშვებ ან მოთხოვნილ შეზღუდვასა თუ პირობაზე მითითება შეუძლია მხოლოდ კორპორაციას.

– 4. წესდებით კორპორაციის წარმომადგენლობის უფლებამოსილება შეიძლება მიენიჭოს ასევე სხვა პირებსაც, ნაცვლად დირექტორებისა.

მუხლი 2:241 კორპორაციასა და მის დირექტორს შორის არსებულ (შრომით) ხელშეკრულებასთან დაკავშირებული განსჯადობა

ის რაიონული სასამართლო, რომლის ტერიტორიაზეც კორპორაციას აქვს დომიცილი (აქვს თავისი ადგილსამყოფელი), განსჯადია დახურულ კორპორაციასა („besloten vennootschap“) და ერთ-ერთ მის დირექტორს შორის არსებული ხელშეკრულების (შრომითი ხელშეკრულების) საფუძველზე წარდგენილ ყველა სასამართლო სარჩელთან (დავასთან) დაკავშირებით, მათ შორის, – 2:248 მუხლში მითითებული სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით, რომლის თანხაც დაუდგენელია ან აღემატება 25 000 ევროს. იმავე რაიონული სასამართლო განსჯადია 7:685 მუხლში ნახსენებ იმ განცხადებებთან (მოთხოვნებთან) დაკავშირებით, რომლებიც ეხება წინამდებარე მუხლის პირველ წინადადებაში აღნიშნულ ხელშეკრულებას (შრომით ხელშეკრულებას). პირველ ორ წინადადებაში ნახსენები სასამართლო სარჩელები (დავები) რაიონული სასამართლოს მიერ არც განიხილება და არც წყდება.

მუხლი 2:242 დირექტორების დანიშვნა

– 1. კორპორაციის პირველი დირექტორები ინიშნებიან დაფუძნების სანოტარო აქტში; შემდგომი (მომავალი) დირექტორები კი ინიშნებიან საერთო კრების მიერ. თუ კორპორაციამ ისარგებლა 2:239a მუხლის ნორმების გამოყენების შესაძლებლობით, მაშინ საერთო კრებამ უნდა გადაწყვიტოს, ინიშნება თუ არა დირექტორი როგორც აღმასრულებელი თუ როგორც არააღმასრულებელი დირექტორი. წინა ორი წინადადების ნორმები არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ სამეთვალყურეო საბჭოს დირექტორის დანიშვნის უფლება აქვს 2:272 მუხლის ნორმათა შესაბამისად.

– 2. წესდებით შეიძლება შეიზღუდოს დირექტორად დასანიშნი პირების წრე იმ მოთხოვნების დადგენით, რომლებსაც ასეთი დირექტორები უნდა აკმაყოფილებდნენ. მოთხოვნები შეიძლება გამოირიცხოს იმ ხმათა ორი მესამედის უმრავლესობით მიღებული საერთო კრების გადაწყვეტილებით, რომლებიც წარმოადგენს გამოშვებული კაპიტალის ნახევარზე მეტს.

მუხლი 2:242a პირები, რომელთა დირექტორად დანიშვნა დაუშვებელია

– 1. დაუშვებელია შემდეგი პირების იმ დახურული კორპორაციის („besloten vennootschap“) დირექტორად დანიშვნა, რომელმაც ზედიზედ ორი საბალანსო თარიღის შემთხვევაში, – შემდგომში უწყვეტად ზედიზედ ორი საბალანსო თარიღის შემთხვევაში – ვერ დააკმაყოფილა 2:397 მუხლის პარ. 1-სა და 2-ში მითითებული, სულ ცოტა, ორი მოთხოვნა:

a. პირებისა, რომლებიც წარმოადგენენ ორზე მეტი იურიდიული პირის ზედამხედველ დირექტორს ან არააღმასრულებელ დირექტორს;

b. პირებისა, რომლებიც წარმოადგენენ იურიდიული პირის სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეს, თუ დირექტორების ფუნქციები განაწილებულია აღმასრულებელ და არააღმასრულებელ დირექტორებს შორის.

– 2. წინამდებარე მუხლის მიზნებისათვის:

a. პირი, ვინც წარმოადგენს იურიდიული პირის წესდებით ან ამ უკანასკნელის შესაბამისად შექმნილი სამეთვალყურეო ორგანოს წევრს, უთანაბრდება ზედამხედველ დირექტორს;

b. ერთმანეთთან ერთ ჯგუფში დაკავშირებული სხვადასხვა იურიდიული პირისათვის არსებული დანიშვნები ერთ დანიშვნად მიიჩნევა;

c. იურიდიულ პირებზე მითითება ეხება: ღია კორპორაციისა („naamloze vennootschap“) და დახურული კორპორაციის („besloten vennootschap“) სამართლებრივ ფორმას, რომელმაც ზედიზედ ორი საბალანსო თარიღის შემთხვევაში, – შემდგომში უწყვეტად ზედიზედ ორი საბალანსო თარიღის შემთხვევაში – ვერ დააკმაყოფილა 2:397 მუხლის პარ. 1-სა და 2-ში მითითებული, სულ ცოტა, ორი მოთხოვნა, და ასევე – 2:297a მუხლის პარ. 1-ში მითითებულ ფონდს („stichting“);

d. აღმასრულებელი დირექტორი უთანაბრდება დირექტორს პარ. 1-ის პრეამბულის გაგებით, თუ დირექტორების ფუნქციები განაწილებულია აღმასრულებელ და არააღმასრულებელ დირექტორებს შორის;

e. 2:249a მუხლის პარ. 2-ის ან 2:356 მუხლის (c) პუნქტის შესაბამისად განხორციელებული დროებითი დანიშვნა არ მიიჩნევა დირექტორის დანიშვნად;

f. ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს წევრად ან არააღმასრულებელ დირექტორად დანიშვნა, როგორც ეს მითითებულია მეფის სამთავრობო ბრძანებაში საპენსიო კანონის 105a მუხლისა და სავალდებულო პროფესიული საპენსიო სქემის შესახებ კანონის 110a მუხლის საფუძველზე, მიიჩნევა აღნიშნულ სამთავრობო ბრძანებაში მოცემული სტანდარტული პროცედურის შესაბამისად განხორციელებულად.

– 3. როდესაც წინა პარაგრაფების ნორმების შესაბამისად დირექტორის დანიშვნა ბათილია, ეს გავლენას არ ახდენს იმ გადაწყვეტილებათა მიღების (გადაწყვეტილებების დამტკიცების) ნამდვილობაზე, რომელშიც დირექტორი მონაწილეობს.

მუხლი 2:243 იმ კანდიდატთა წარდგენა, რომლებიც უნდა დაინიშნონ დირექტორად

– 1. წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს დირექტორის საერთო კრების მიერ წარდგენილი კანდიდატების სიიდან დანიშვნას.

– 2. თუმცა, საერთო კრებას ნებისმიერ დროს შეუძლია გააუქმოს ასეთი წარდგენის მხოლოდ შედეგი იმ ხმათა ორი მესამედის უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილებით, რომლებიც წარმოადგენს გამოშვებული კაპიტალის ნახევარზე მეტს.

– 3. თუ შესავსები ვაკანსიისათვის კანდიდატთა სიაში მოცემულია მხოლოდ ერთი კანდიდატი, წარდგენის შესახებ გადაწყვეტილებას აქვს ამ კანდიდატის დირექტორად წარდგენის ძალა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წარდგენის სავალდებულო ძალა გამოირიცხა.

– 4. პარ. 1, 2, და 3 არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ დირექტორი ინიშნება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

– 5. პარ. 1, 2, და 3 შესაბამისად მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ დანიშვნა განხორციელდა განსაზღვრული ტიპის (კლასის) წილთა მფლობელების კრების მიერ.

მუხლი 2:244 დირექტორის უფლებამოსილების შეჩერება ან მისი თანამდებობიდან გათავისუფლება

– 1. ყოველ დირექტორს შეიძლება შეუჩერდეს უფლებამოსილება ან ის გათავისუფლდეს (გადაყენებული იქნეს) დაკავებული თანამდებობიდან მის დანიშვნაზე უფლებამოსილი ორგანოს მიერ. წესდებით შეიძლება განისაზღვროს დირექტორის გათავისუფლების (გადაყენების) შესაძლებლობა ასევე კორპორაციის სხვა ორგანოს მიერ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დირექტორის დანიშვნა ხდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ 2:272 მუხლის შესაბამისად. 2:239a მუხლის ნორმების გამოყენების შემთხვევაში კი დირექტორთა საბჭოს ნებისმიერ დროს შეუძლია შეუჩეროს უფლებამოსილება აღმასრულებელ დირექტორს.

– 2. თუ წესდებაში მითითებულია, რომ დირექტორის უფლებამოსილების შეჩერებისა თუ თანამდებობიდან გათავისუფლების (გადაყენების) შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს იმ საერთო კრებაზე გაზრდილი უმრავლესობით მიცემული ხმებით, სადაც წარმოდგენილია კაპიტალის განსაზღვრული ნაწილი, მაშინ ეს გაზრდილი უმრავლესობა არ უნდა აღემატებოდეს იმ ხმათა ორი მესამედის უმრავლესობას, რომლებიც წარმოადგენს გამოშვებული კაპიტალის ნახევარზე მეტს.

– 3. დაუშვებელია სასამართლოს მიერ დახურულ კორპორაციასა („besloten vennootschap“) და მის დირექტორს შორის არსებული (შრომითი) ხელშეკრულების აღდგენის შესახებ განკარგულების მიღება.

– 4. წესდება უნდა შეიცავდეს იმ პროცედურასთან დაკავშირებულ დებულებებს, რომლის მიხედვითაც კორპორაცია დროებით უნდა იმართებოდეს იმ შემთხვევაში, როდესაც დირექტორები არ იმყოფებიან სამსახურში ანდა როდესაც დირექტორებს ხელი ეშლება თავიანთი მოვალეობების შესრულებაში.

მუხლი 2:245 დირექტორების საზღაური

– 1. რამდენადაც წესდება სხვაგვარად არ ითვალისწინებს, დირექტორთა საზღაურის ოდენობა უნდა განსაზღვროს საერთო კრებამ.

– 2. 2:135 მუხლის ნორმები შესაბამისად გამოიყენება იმ დახურული კორპორაციის („besloten vennootschap“) მიმართ, რომელიც წარმოადგენს ბანკს 2:415 მუხლის გაგებით.

მუხლი 2:246 დახურული კორპორაციის მიმართ გაკოტრების განკარგულების მოთხოვნა

გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წესდება სხვაგვარად ითვალისწინებს, დირექტორთა საბჭო არ არის უფლებამოსილი, საერთო კრების მითითების გარეშე, მოითხოვოს დახურული კორპორაციის („besloten vennootschap“) გაკოტრებულად გამოცხადება.

მუხლი 2: 247 კორპორაციასა და მის ერთადერთ პარტნიორს შორის დადებული გარიგებების წერილობითი აღრიცხვა

– 1. კორპორაციის კაპიტალში ყველა წილის მფლობელთან ან მის მიმართ ანდა კორპორაციის კაპიტალში ყველა წილის მფლობელ მეუღლეთა ან რეგისტრირებული პარტნიორობის საერთო საკუთრების თანამესაკუთრესთან ან მის მიმართ დადებული კორპორაციის ყველა გარიგება უნდა აღრიცხოს წერილობით იმ შემთხვევაში, თუ კორპორაცია, როდესაც ის დებს ასეთ გარიგებებს, წარმოდგენილია აღნიშნული პარტნიორის ან ერთ-ერთი თანამესაკუთრის მიერ. წინა მუხლის მიზნებისათვის კორპორაციისა თუ მისი შვილობილი საწარმოების მფლობელობაში არსებული წილები მხედველობაში არ მიიღება. თუ პირველი წინადადების ნორმის მოთხოვნა არ იქნა დაცული, გარიგება საცილოა იმ გაგებით, რომ ის შეიძლება გაბათილდეს კორპორაციის მიერ ან მის სასარგებლოდ.

– 2. პარ. 1-ის ნორმები არ გამოიყენება იმ გარიგებების მიმართ, რომლებიც დათქმული პირობების შესაბამისად უნდა იქნეს მიჩნეული კორპორაციის ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში დადებულად.

მუხლი 2:248 დირექტორთა პასუხისმგებლობა კორპორაციის გაკოტრების შემთხვევაში

– 1. დახურული კორპორაციის („besloten vennootschap“) გაკოტრების შემთხვევაში, ყოველი დირექტორი სოლიდარულად აგებს პასუხს სალიკვიდაციო აქტივების მიმართ იმ დავალიანების თანხისათვის, რომლის ამოღებაც ვერ ხერხდება მას შემდეგ, რაც მოხდა კორპორაციის აქტივების რეალიზაცია, თუკი დირექტორთა საბჭომ ამკარად არაჯეროვნად შეასრულა თავისი მოვალეობები და, სავარაუდოდ, ეს გახდა სწორედ კორპორაციის გაკოტრების მიზეზი.

– 2. თუ დირექტორთა საბჭომ არ შეასრულა მასზე 2:10 ან 2:394 მუხლებით დაკისრებული ვალდებულებები, მაშინ მიიჩნევა, რომ მან არაჯეროვნად შეასრულა თავისი მოვალეობები და ივარაუდება, რომ ეს არაჯეროვანი შესრულება წარმოადგენს სწორედ კორპორაციის გაკოტრების მიზეზს. იგივე წესი მოქმედებს, თუ კორპორაცია წარმოადგენს შეუზღუდავად პასუხისმგებელ პარტნიორს სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებასა („vennootschap onder firma“) თუ კომანდიტურ საზოგადოებაში („commanditaire vennootschap“), ხოლო 3:15i მუხლიდან გამომდინარე ვალდებულებები კი არ შესრულდა. თუმცა, უმნიშვნელო გადაცდომა (დარღვევა) მხედველობაში არ მიიღება.

– 3. პასუხისმგებლობა არ დაეკისრება იმ დირექტორს, რომელიც დაამტკიცებს, რომ დირექტორთა საბჭოს მიერ დაკისრებული მოვალეობების არაჯეროვანი შესრულება მას ვერ შეერაცხება, და ასევე – რომ ის არ მოქმედებდა დაუდევრად აღნიშნული არაჯეროვნად შესრულებული მოვალეობების შედეგების თავიდან აცილებისათვის შესაბამისი ზომების მიღებისას.

– 4. სასამართლოს შეუძლია შეამციროს ის თანხა, რომლისათვისაც პასუხისმგებელი არიან დირექტორები, თუ ის ამ თანხას შეუსაბამოდ მაღალ ოდენობად მიიჩნევს დირექტორთა საბჭოს მიერ დაკისრებული მოვალეობების არაჯეროვანი შესრულების ბუნებისა და სერიოზულობის, ასევე გაკოტრების სხვა მიზეზებისა და ქონების რეალიზაციის პროცედურის გათვალისწინებით. გარდა აღნიშნულისა, სასამართლოს შეუძლია ასევე კონკრეტული დირექტორის პასუხისმგებლობის შემცირებაც, თუ ის ამ თანხას შეუსაბამოდ მაღალ ოდენობად მიიჩნევს იმ ვადის გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც ეს დირექტორი ასრულებდა თავის მოვალეობებს იმ პერიოდში, როდესაც ადგილი ჰქონდა მოვალეობების არაჯეროვან შესრულებას.

– 5. როდესაც სალიკვიდაციო აქტივების დეფიციტის თანხა ჯერ კიდევ უცნობია, სასამართლოს – პარ. 4-ის ნორმათა მოქმედების პირობით ან მათი მოქმედების გარეშე – შეუძლია განსაზღვროს, თუ დეფიციტის რა ნაწილი უნდა იქნეს გადახდილი პირადად დირექტორების მიერ, და ასევე მას შეუძლია მიიღოს განკარგულება დანაკლისის ჩამონათვალის შედგენის შესახებ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 ნიგნის მე-6 ტიტულის ნორმათა შესაბამისად.

– 6. ერთი ან მეტი დირექტორის მიმართ სარჩელი (სასარჩელო მოთხოვნა) შეიძლება წარდგენილ იქნეს წინამდებარე მუხლის საფუძველზე მოვალეობათა იმ არაჯეროვანი შესრულების გამო, რომელსაც ადგილი ჰქონდა კორპორაციის გაკოტრებამდე სამი წლის განმავლობაში. ის ფაქტი, რომ დირექტორი გათავისუფლდა პასუხისმგებლობისაგან, ხელ არ უშლის წინა წინადადებაში მითითებული სარჩელის (სასარჩელო მოთხოვნის) წარდგენას.

– 7. წინამდებარე მუხლის მიზნებისათვის დირექტორს უთანაბრდება პირი, რომელმაც დაადგინა კორპორატიული პოლიტიკა ან მონაწილეობდა მის შემუშავებაში ისე, თითქოს ის დირექტორი ყოფილიყო. წინამდებარე მუხლში მითითებული სარჩელის (სასარჩელო მოთხოვნის) წარდგენა დაუშვებელია სასამართლოს მიერ დანიშნული მმართველის წინააღმდეგ.

– 8. წინამდებარე მუხლი არ ეხება კორპორაციის გაკოტრების საქმის წარმოებაში დანიშნული ლიკვიდატორის შესაძლებლობას, კორპორაციასა და დირექტორს შორის არსებული შეთანხმების ან 2:9 მუხლის საფუძველზე დირექტორის წინააღმდეგ წარადგინოს სარჩელი (სასარჩელო მოთხოვნა).

– 9. როდესაც დირექტორი პასუხისმგებელია წინამდებარე მუხლის შესაბამისად, თუმცა ის ვერ იხდის მისი მოქმედების შედეგად წარმოშობილ ვალს, კორპორაციის გაკოტრების საქმის წარმოებაში დანიშნულ ლიკვიდატორს სალიკვიდაციო აქტივების სახელითა და არასასამართლო განცხადების მეშვეობით შეუძლია გააბათილოს ყველა ის გარიგება, რომლებიც დაიდო დირექტორის მიერ ამ გარიგათა დადებამდე რაიმე ვალდებულების არსებობის გარეშე და რომლებმაც ზიანი მიაყენა მისი კუთვნილი ქონების მიმართ არსებულ რეგრესულ უფლებებს, თუ სარწმუნოა, რომ ეს გარიგებები დაიდო მხოლოდ – ან ძირითადად – აღნიშნული რეგრესული უფლებების საზიანოდ. შესაბამისად გამოიყენება 3:45 მუხლის პარ. 4 და 5-ის ნორმები.

– 10. ასევე შესაბამისად გამოიყენება 2: 138 მუხლის პარ. 10-ის ნორმები.

მუხლი 2:249 დირექტორთა პასუხისმგებლობა არასწორი წლიური ანგარიშებისა და ციფრების მიწოდებისათვის

თუ კორპორაციის ფინანსური მდგომარეობა არასწორად იქნა წარმოდგენილი წლიურ ანგარიშებსა თუ კორპორაციის მიერ გამოქვეყნებულ შუალედურ ციფრებში, ანდა – ყოველწლიურ ანგარიშგებაში, მაშინ დირექტორები სოლიდარულად აგებენ პასუხს მესამე პირთა წინაშე იმ ზიანისათვის, რომელიც ამ პირებმა აღნიშნულის შედეგად განიცადეს. პასუხისმგებლობა არ დაეკისრება იმ დირექტორს, რომელიც დაამტკიცებს, რომ არასწორი ინფორმაციის მიწოდება მას ვერ შეერაცხება.

მუხლი 2:250 სამეთვალყურეო საბჭო

– 1. იმ შემთხვევაში, თუ არ გამოიყენება 2:239a მუხლის შესაძლებლობები, წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს სამეთვალყურეო საბჭოს შექმნას. სამეთვალყურეო საბჭო შედგება ერთი ან მეტი ფიზიკური პირისაგან.

– 2. სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია დირექტორთა საბჭოს მართვასა და პოლიტიკაზე ზედამხედველობის განხორციელებაზე და ასევე – კორპორაციისა და მისი შვილობილი საწარმოს ფარგლებში არსებულ მოვლენათა ზოგად მიმართულებაზე. ის დირექტორთა საბჭოს სიტყვითა და საქმით აძლევს რეკომენდაციებს. თავისი მოვალეობების განხორციელებისას სამეთვალყურეო საბჭო ხელმძღვანელობს კორპორაციისა და მისი შვილობილი საწარმოს ინტერესებით.

– 3. წესდება შეიძლება ადგენდეს დამატებით დებულებებს სამეთვალყურეო საბჭოსა და მისი წევრების მოვალეობებთან და უფლებამოსილებებთან დაკავშირებით.

– 4. წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს სახელითა თუ ფუნქციის (თანამდებობის) მიხედვით დანიშნული სამეთვალყურეო საბჭოს კონკრეტული წევრის მიერ ერთზე მეტი ხმის მიცემის შესაძლებლობას. დაუშვებელია სამეთვალყურეო საბჭოს ერთი წევრის მიერ იმაზე მეტი ხმის მიცემა, რაც აღემატება ამ საბჭოს დანარჩენი წევრების ხმათა ერთობლიობას.

– 5. სამეთვალყურეო საბჭო არ მონაწილეობს საკითხის განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებაში, თუ მას ამ საკითხის მიმართ აქვს პირდაპირი ან ირიბი პირადი ინტერესი, რაც წინააღმდეგობაში მოდის პარ. 2-ში მითითებულ ინტერესებთან. თუ ამის შედეგად სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილება ვერ მიიღება, მაშინ გადაწყვეტილებას იღებს საერთო კრება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წესდება სხვაგვარად ითვალისწინებს.

მუხლი 2:251 დირექტორთა საბჭოს მიერ სამეთვალყურეო საბჭოს ინფორმირების მოვალეობა

– 1. დირექტორთა საბჭომ სამეთვალყურეო საბჭოს დროულად უნდა მიაწოდოს ინფორმაცია, რომელიც ამ უკანასკნელს თავისი მოვალეობების განხორციელებისათვის ესაჭიროება.

– 2. სულ ცოტა, წელიწადში ერთხელ დირექტორთა საბჭომ წერილობით უნდა აცნობოს სამეთვალყურეო საბჭოს სტრატეგიული პოლიტიკის ბაზისური პრინციპების, ზოგადი და ფინანსური რისკებისა და კორპორაციის ადმინისტრაციული და აუდიტორული სისტემის მდგომარეობის თაობაზე.

მუხლი 2:252 სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა დანიშვნა

– 1. ზედამხედველი დირექტორები (სამეთვალყურეო საბჭოს წევრები), რომლებიც არ არიან უკვე ასეთად სანოტარო აქტში მითითებული, ინიშნებიან საერთო კრების მიერ, ხოლო თუ წესდება ადგენს ასეთ

ნესს, – განსაზღვრული ტიპის (კლასის) ნილთა მფლობელების კრების მიერ იმ პირობით, რომ ხმის უფლებების მქონე თითოეული პარტნიორი გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობას მიიღებს, სულ ცოტა, ერთი ზედამხედველი დირექტორის დანიშვნის მიმართ. 2:228 მუხლის პარ. 4-ის მესამე წინადადება შესაბამისად გამოიყენება წესდებით გათვალისწინებული დანაწესის მიმართ, როგორც ეს მითითებულია ზემოაღნიშნულ წინადადებაში. წინამდებარე პარაგრაფის პირველი წინადადება არ გამოიყენება, თუ დანიშვნა ხორციელდება 2:268 მუხლის შესაბამისად. წესდებით შეიძლება შეიზღუდოს დირექტორად დასანიშნი პირების წრე იმ მოთხოვნების დადგენით, რომლებსაც ასეთი დირექტორები უნდა აკმაყოფილებდნენ. მოთხოვნები შეიძლება გამოირიცხოს საერთო კრების იმ გადაწყვეტილებით, რომელიც მიღებული იქნა წესდების შეცვლის შესახებ გადაწყვეტილების მიმართ გამოყენებული წესების შესაბამისად.

– 2. შესაბამისად გამოიყენება 2:243 მუხლის პარ. 1, 2 და 3-ის ნორმები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ზედამხედველი დირექტორი (სამეთვალყურეო საბჭოს წევრი) ინიშნება საერთო კრების მიერ, ხოლო თუ წესდება ადგენს ასეთ წესს, – განსაზღვრული ტიპის (კლასის) ნილთა მფლობელების კრების მიერ.

– 3. როდესაც კანდიდატი რეკომენდებული ან წარდგენილია ზედამხედველ დირექტორად დანიშვნაზე, მიეთითება მისი ასაკი და პროფესია, ისევე როგორც – კორპორაციის კაპიტალში მის მფლობელობაში არსებული წილების ოდენობა და თანამდებობები, რომლებსაც ის იკავებს ან იკავებდა, რამდენადაც ეს უკანასკნელები მნიშვნელოვანია ზედამხედველი დირექტორის მიერ მასზე დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად. მიეთითება ასევე ის იურიდიული პირებიც, რომლებშიც ის უკვე წარმოადგენს ზედამხედველ დირექტორს; თუ მათ შორის სახეზეა იურიდიული პირები, რომლებიც იგივე ჯგუფს განეკუთვნება, მაშინ საკმარისია ჯგუფის მითითება. რეკომენდაციისა და წარდგენის საფუძვლები საჭიროებს დასაბუთებას. ხელახალი დანიშვნის შემთხვევაში მხედველობაში მისაღებია ის წესი, რომლის მიხედვითაც კანდიდატმა განახორციელა მასზე, როგორც ზედამხედველი დირექტორის, მოვალეობები.

– 4. წესდება უნდა შეიცავდეს იმ პროცედურასთან დაკავშირებულ დებულებებს, რომლის მიხედვითაც მოვალეობებისა და უფლებამოსილებების დროებით განხორციელება უნდა მოხდეს ერთი ან მეტი ზედამხედველი დირექტორის მიერ საქმიანობის შეუძლებლობის შემთხვევაში. წესდებაში შეიძლება მიეთითოს იმის თაობაზე, თუ როდის არის სახეზე საქმიანობის შეუძლებლობის ვითარება.

მუხლი 2:252a პირები, რომელთა დირექტორად დანიშვნა დაუშვებელია

– 1. დაუშვებელია შემდეგი პირების იმ დახურული კორპორაციის („besloten vennootschap“) დირექტორად დანიშვნა, რომელმაც ზედიზედ ორი საბალანსო თარიღის შემთხვევაში, – შემდგომში უწყვეტად ზედიზედ ორი საბალანსო თარიღის შემთხვევაში – ვერ დააკმაყოფილა 2:397 მუხლის პარ. 1-სა და 2-ში მითითებული, სულ ცოტა, ორი მოთხოვნა: პირებისა, რომლებიც წარმოადგენენ ორზე მეტ იურიდიული პირის ზედამხედველ დირექტორს ან არააღმასრულებელ დირექტორს. სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეობა მიიჩნევა დუბლირებულად, თუკი დირექტორების ფუნქციები განაწილებულია აღმასრულებელ და არააღმასრულებელ დირექტორებს შორის.

– 2. წინამდებარე მუხლის მიზნებისათვის:

a. პირი, ვინც წარმოადგენს იურიდიული პირის წესდებით ან ამ უკანასკნელის შესაბამისად შექმნილი სამეთვალყურეო ორგანოს წევრს, უთანაბრდება ზედამხედველ დირექტორს;

b. ერთმანეთთან ერთ ჯგუფში დაკავშირებული სხვადასხვა იურიდიული პირისათვის არსებული დანიშვნები ერთ დანიშვნად მიიჩნევა;

c. იურიდიულ პირებზე მითითება ეხება: ღია კორპორაციისა („naamloze vennootschap“) და დახურული კორპორაციის („besloten vennootschap“) სამართლებრივ ფორმას, რომელმაც ზედიზედ ორი საბალანსო თარიღის შემთხვევაში, – შემდგომში უწყვეტად ზედიზედ ორი საბალანსო თარიღის შემთხვევაში – ვერ დააკმაყოფილა 2:397 მუხლის პარ. 1-სა და 2-ში მითითებული, სულ ცოტა, ორი მოთხოვნა, და ასევე – 2:297a მუხლის პარ. 1-ში მითითებულ ფონდს („stichting“);

d. აღმასრულებელი დირექტორი უთანაბრდება დირექტორს პარ. 1-ის პრეამბულის გაგებით, თუ დირექტორების ფუნქციები განაწილებულია აღმასრულებელ და არააღმასრულებელ დირექტორებს შორის;

e. 2:249a მუხლის პარ. 2-ის ან 2:356 მუხლის (c) პუნქტის შესაბამისად განხორციელებული დროებითი დანიშვნა არ მიიჩნევა დირექტორის დანიშვნად;

f. ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს წევრად ან არააღმასრულებელ დირექტორად დანიშვნა, როგორც ეს მითითებულია მეფის სამთავრობო ბრძანებაში საპენსიო კანონის 105a მუხლისა და სავალდებულო

პროფესიული საპენსიო სქემის შესახებ კანონის 110a მუხლის საფუძველზე, მიიჩნევა აღნიშნულ სამთავრობო ბრძანებაში მოცემული სტანდარტული პროცედურის შესაბამისად განხორციელებულად.

– 3. როდესაც წინა პარაგრაფების ნორმების შესაბამისად დირექტორის დანიშვნა ბათილია, ეს გავლენას არ ახდენს იმ გადაწყვეტილებათა მიღების (გადაწყვეტილებების დამტკიცების) ნამდვილობაზე, რომელშიც დირექტორი მონაწილეობს.

მუხლი 2:253 სხვა პირების მიერ ზედამხედველი დირექტორების თანამდებობაზე დანიშვნა, ნაცვლად საერთო კრებისა

წესდებიან შეიძლება გათვალისწინებული იყოს ერთი ან მეტი ზედამხედველი დირექტორის დანიშვნა, – თუმცადა, არაუმეტეს სამეთვალყურეო საბჭოს სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა, – სხვა პირების მიერ ნაცვლად საერთო კრებისა ან განსაზღვრული ტიპის (კლასის) წილთა მფლობელების კრებისა იმ პირობით, რომ ხმის უფლების მქონე თითოეული პარტნიორი გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობას მიიღებს, სულ ცოტა, ერთი ზედამხედველი დირექტორის დანიშვნასთან დაკავშირებით. 2:228 მუხლის პარ. 4-ის მეორე წინადადების ნორმა შესაბამისად გამოიყენება წინა წინადადებაში მითითებულ წესდებაში მოცემული წესის მიმართ. როდესაც ზედამხედველი დირექტორების დანიშვნა მოწესრიგებულია 2:268 და 2:269 მუხლების საფუძველზე, წინამდებარე პარაგრაფის პირველი წინადადება არ გამოიყენება.

მუხლი 2:254 ზედამხედველი დირექტორების უფლებამოსილების შეჩერება ან მათი თანამდებობიდან გათავისუფლება

– 1. ზედამხედველ დირექტორს შეიძლება შეუჩერდეს უფლებამოსილება ან ის გათავისუფლდეს (გადაყენებულ იქნეს) დაკავებული თანამდებობიდან მის დანიშვნაზე უფლებამოსილი პირის მიერ. წესდებით შეიძლება განისაზღვროს ზედამხედველი დირექტორის გათავისუფლება (თანამდებობიდან გადაყენება) ასევე საერთო კრების მიერაც. ზემოაღნიშნული წინადადების ნორმები არ მოქმედებს, როდესაც გამოიყენება 2:271 მუხლის პარ. 2 და 3-ის ან 2:271a მუხლის ნორმები

– 2. შესაბამისად გამოიყენება 2:244 მუხლის პარ. 2 და 3-ის ნორმები.

მუხლი 2:255 ზედამხედველი დირექტორებისათვის გათვალისწინებული საზღაური

საერთო კრებას შეუძლია სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს მიანიჭოს საზღაურის მიღების უფლება.

მუხლი 2:256 {გაუქმებულია 01.01.2013წ.}

მუხლი 2:257 სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ზედამხედველი დირექტორისათვის უფლებამოსილების შეჩერება

– 1. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წესდება სხვაგვარად ითვალისწინებს, სამეთვალყურეო საბჭოს ნებისმიერ დროს შეუძლია შეუჩეროს უფლებამოსილება იმ დირექტორს, ვინც დანიშნულ იქნა საერთო კრების მიერ.

– 2. დირექტორის დანიშვნაზე უფლებამოსილ საერთო კრებას შეუძლია ნებისმიერ დროს გააუქმოს ეს შეჩერება.

მუხლი 2:258 რაიონული სასამართლოს განსჯადობა; ზედამხედველი დირექტორების პასუხისმგებლობა

2:9, 2:241 და 2:248 მუხლების ნორმები შესაბამისად გამოიყენება იმ წესის მიმართ, რომლის თანახმადაც სამეთვალყურეო საბჭომ განახორციელა თავისი მოვალეობები.

მუხლი 2:260 დირექტორთა პასუხისმგებლობა არასწორი წლიური ანგარიშების მიწოდებისათვის

თუ კორპორაციის ფინანსური მდგომარეობა არასწორად იქნა წარმოდგენილი წლიურ ანგარიშებში, მაშინ ზედამხედველი დირექტორები, დირექტორებთან ერთად, სოლიდარულად აგებენ პასუხს მესამე პირთა წინაშე იმ ზიანისათვის, რომელიც ამ პირებმა აღნიშნულის შედეგად განიცადეს. პასუხისმგებლობა არ დაეკისრება იმ ზედამხედველ დირექტორს, რომელიც დაამტკიცებს, რომ არასწორი ინფორმაციის მიწოდება არ წარმოადგენს მისი მხრიდან ზედამხედველობის ფუნქციის შეუსრულებლობის შედეგს.

მუხლი 2:261 მმართველობითი მოქმედებების შესრულება სხვა პირების მიერ, ნაცვლად დირექტორებისა

– 1. ყველა პირი, ზედამხედველი დირექტორები, ისევე როგორც – სხვა პირები, რომლებმაც წესდების ნებისმიერი დებულებისა თუ საერთო კრების მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილების შესაბამისად განსაზღვრული ვადით ანდა განსაზღვრული გარემოებების არსებობისას განახორციელეს ერთი ან მეტი ისეთი მოქმედება, რომელიც ჩვეულებრივ მიეკუთვნება დირექტორის მოვალეობას ისე, რომ ისინი არ არიან დახურული კორპორაციის („besloten vennootschap“) სამეთვალყურეო საბჭოს წევრები, – ამ მოქმედებების მხრივ სამართლებრივი თვალსაზრისით მიიჩნევიან დირექტორებად იმდენად, რამდენადაც საქმე ეხება ამ პირების უფლებებსა და ვალდებულებებს კორპორაციისა და მესამე პირების მიმართ.

– 2. იმ განსაზღვრული მოქმედებების დადასტურება, რომლებიც ჩვეულებრივ მიეკუთვნება დირექტორის მოვალეობას, ანდა ასეთი მოქმედებების განხორციელების ნებართვის მინიჭება თავისთავად არ განიხილება როგორც იმ მოქმედების შესრულება, რომელიც ჩვეულებრივ დირექტორის მოვალეობას მიეკუთვნება.

განყოფილება 2.5.6 (გამოტოვებულია წინამდებარე გამოცემაში როგორც არააქტუალური)

განყოფილება 2.5.7 – დახურული კორპორაციის გაუქმება

მუხლი 2:276 {გაუქმებულია 01.01.1992წ.}

მუხლი 2:277 {გაუქმებულია 01.01.1992წ.}

მუხლი 2:278 {გაუქმებულია 01.01.1992წ.}

მუხლი 2:279 {გაუქმებულია 01.01.1992წ.}

მუხლი 2:280 {გაუქმებულია 01.01.1992წ.}

მუხლი 2:281 {გაუქმებულია 01.01.1992წ.}

მუხლი 2:282 {გაუქმებულია 01.01.1992წ.}

მუხლი 2:283 {გაუქმებულია 01.01.1992წ.}

მუხლი 2:284 {გაუქმებულია 01.01.1992წ.}

განყოფილება 2.5.8 – გასაჩივრება {გაუქმებულია 01.01.2013წ.}

მუხლი 2:284a {გაუქმებულია 01.01.2013წ.}

ტიტული 2.6 – ფონდები

მუხლი 2:285 „ფონდის“ განმარტება; წევრობისა და (მოგების) განაწილების დაუშვებლობა

– 1. ფონდი („stichting“) წარმოადგენს გარიგების მეშვეობით შემდგარ იურიდიულ პირს, რომელსაც არა ჰყავს წევრები და რომელიც მიმართულია მის წესდებაში მითითებული მიზნის მიღწევისაკენ იმ კაპიტალის (აქტივის) გამოყენებით, რომლის მობილიზაციაც მოხდა ასეთი მიზნით.

– 2. თუ წესდება ერთ ან რამდენიმე პირს ანიჭებს ფონდის („stichting“) ორგანოში ვაკანსიის შევსების უფლებამოსილებას, მაშინ მხოლოდ ამ საფუძვლით არ მიიჩნევა, რომ ფონდს („stichting“) ჰყავს წევრები.

– 3. დაუშვებელია ფონდის („stichting“) მიზანი მდგომარეობდეს მოგების განაწილებაში მისი დამფუძნებლებისათვის ან იმ პირებისათვის, რომლებიც მონაწილეობენ მის ორგანოებში, ანდა – სხვა პირებისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამ უკანასკნელთა მიმართებაში მოგების განაწილება ხორციელდება საქველმოქმედო (ფილანთროპული) ან სოციალური მიზნებისათვის.

მუხლი 2:286 ფონდის შექმნა

– 1. ფონდი („stichting“) უნდა შეიქმნას სანოტარო აქტის მეშვეობით.

– 2. სანოტარო აქტი უნდა შესრულდეს ჰოლანდიურ ენაზე. თუ ფონდს („stichting“) თავისი ადგილსამყოფელი აქვს ფრისლანდიის („Fryslân“) პროვინციაში, მაშინ სანოტარო აქტი შეიძლება შესრულდეს ასევე ფრისულ ენაზეც. სანოტარო აქტის შესრულებასთან დაკავშირებით რწმუნებულება (მინდობილობა) უნდა გაცივს წერილობითი ფორმით. ფონდი („stichting“) შეიძლება შეიქმნას იმ სანოტარო აქტში შეტანილი ანდერძის (საანდერძო განკარგულების) მეშვეობით, რომელიც შესრულებულია სხვა ენაზე, ნაცვლად ჰოლანდიური თუ ფრისული ენებისა; თუმცადა, ასეთ შემთხვევაში წესდებაც უნდა დაინეროს ასევე ჰოლანდიურ ან ფრისულ ენაზე.

– 3. წესდება შეიცავს:

a. ფონდის („stichting“) სახელწოდება სიტყვის „stichting“ („ფონდი“), როგორც სახელწოდების ნაწილის, დამატებით;

b. ფონდის („stichting“) მიზანს;

c. ფონდის („stichting“) დირექტორების დანიშვნისა და გათავისუფლების წესს;

d. იმ მუნიციპალიტეტს, სადაც ფონდს აქვს თავისი ადგილსამყოფელი;

e. ფონდის („stichting“) გაუქმების შემთხვევაში, მისი ნარჩენი აქტივის გამოყენების წესს ანდა – ასევე თუ როგორ განისაზღვრება ასეთი გამოყენების წესი.

– 4. ის ნოტარიუსი, რომლის წინაშეც ფორმდება დაფუძნების სანოტარო აქტი, უნდა დარწმუნდეს იმაში, რომ ეს აქტი შეესაბამება პარ. 2-დან 4-ის ჩათვლით ნორმათა მოთხოვნებს. ხარვეზის შემთხვევაში ნოტარიუსი პირადად არის პასუხისმგებელი იმ პირთა წინაშე, რომლებსაც ამის შედეგად მიადგათ ზიანი.

მუხლი 2:287 ფონდის წესდებაში ადგილსამყოფელის შესახებ მითითების არარსებობა

როდესაც წესდება არ განსაზღვრავს ფონდის („stichting“) ადგილსამყოფელს, მაშინ მისი ადგილსამყოფელი იქნება იმ მუნიციპალიტეტში, სადაც სანოტარო აქტის დადების მომენტში თავისი ოფისი აქვს ნოტარიუსს, რომლის წინაშეც მოხდა დაფუძნების სანოტარო აქტის გაფორმება.

მუხლი 2:288 {გაუქმებულია 01.01.2003წ.}

მუხლი 2:289 სავაჭრო რეესტრში რეგისტრაცია

– 1. ფონდის („stichting“) დირექტორებს ევალებათ ფონდის რეგისტრაცია სავაჭრო რეესტრში და ასევე მათ ამ რეგისტრატორის (სავაჭრო პალატის) ოფისში შესანახად უნდა განათავსონ დაფუძნების სანოტარო აქტის დამონმებული ასლი ან ავთენტური ამონარიდი.

– 2. მანამდე, სანამ სანყისი რეგისტრაციისა თუ სანოტარო აქტის დამონმებული ასლისა თუ ავთენტური ამონარიდის შენახვის განცხადება არ წარედგინება სავაჭრო რეესტრის მწარმოებელს, თითოეული დირექტორი ფონდთან („stichting“) ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს იმ გარიგებებისათვის, რომლითაც მან შესაბამისი ვალდებულებები დააკისრა (დაავალდებულა) ფონდს („stichting“).

მუხლი 2:290 {გაუქმებულია 01.01.1992წ.}

მუხლი 2:291 დირექტორთა საბჭოს მოვალეობები და უფლებამოსილებები

– 1. წესდებაში მოცემული ნებისმიერი შეზღუდვის გათვალისწინებით, დირექტორთა საბჭოს ეკისრება ფონდის („stichting“) ხელმძღვანელობა და მართვა.

– 2. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს გამომდინარეობს წესებიდან, დირექტორთა საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები რეგისტრირებული ქონების შექმნასთან, გასხვისებისა (გადაცემის) და უფლებრივ დატვირთვისთან დაკავშირებული შეთანხმებები, ასევე დადოს ისეთი შეთანხმებები, რომლითაც ფონდი („stichting“) იკისრებს თავდებობას ან სოლიდარულ ვალდებულებას ანდა – რომლითაც ის იძლევა მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულების გარანტიას ან კისრულობს ვინმე სხვა პირის სა-

სარგებლოდ უზრუნველყოფის წარდგენას. წესდებით შეიძლება შეიზღუდოს ეს უფლებამოსილება ანდა ის დამოკიდებული გახდეს განსაზღვრულ პირობაზე. ასეთი გამონაკლისები, შეზღუდვები და პირობები გამოიყენება ასევე დირექტორთა საბჭოს მიერ ფონდის („stichting“) ზემოაღნიშნული გარიგებების დადებისას წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელების მიმართაც, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წესდება სხვაგვარად ითვალისწინებს.

მუხლი 2:292 ფონდის წარმომადგენლობის უფლებამოსილება

– 1. დირექტორთა საბჭო წარმომადგენს ფონდს („stichting“), რამდენადაც კანონი საწინააღმდეგოს არ ითვალისწინებს.

– 2. წესებით ერთ ან მეტ დირექტორს შეიძლება მიენიჭოს ფონდის („stichting“) წარმომადგენლობის უფლებამოსილება. წესდება შეიძლება უთითებდეს, რომ დირექტორს კავშირის წარმომადგენლობის უფლება ჰქონდეს მხოლოდ ერთ ან მეტ სხვა პირთან {ჩვეულებრივ, – მეორე დირექტორი} ურთიერთთანამშრომლობით.

– 3. დირექტორთა საბჭოსათვის ან დირექტორისათვის ფონდის („stichting“) წარმომადგენლობის დამოუკიდებლად ან ერთობლივად განხორციელების უფლებამოსილება შეუზღუდავი და უპირობოა, რამდენადაც კანონი საწინააღმდეგოს არ ითვალისწინებს. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების სამართლებრივად ნებადართული ან განსაზღვრული შეზღუდვისა თუ პირობის არსებობაზე მითითება შეუძლია მხოლოდ ფონდს („stichting“).

– 4. წესდებით წარმომადგენლობითი უფლებამოსილება შეიძლება მიენიჭოს ასევე სხვა პირებსაც, ნაცვლად დირექტორებისა.

მუხლი 2:294 წესდებაში შეტანილი ცვლილებები

ფონდის ორგანოების მიერ ფონდის („stichting“) წესდებაში ცვლილებების შეტანა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წესდება ითვალისწინებს ასეთ შესაძლებლობას. ცვლილების გაბათილების სანქციით ის უნდა გაკეთდეს სანოტარო აქტის შედგენის გზით. დირექტორებმა 2:289 მუხლში მითითებული რეგისტრატორის (სავაჭრო რეესტრის) ოფისში შესანახად უნდა განათავსონ ცვლილებისა და შეცვლილი წესდების ავთენტური ამონარიდი.

მუხლი 2:294 წესდებაში ცვლილებების შეტანა სასამართლოს მიერ

– 1. თუ წესდების უცვლელად მოქმედების გაგრძელება გამოიწვევდა ისეთ შედეგებს, რაც კეთილგონიერულად სასურველი ვერ იქნებოდა ფონდის („stichting“) შექმნის (დაფუძნების) მომენტისათვის, ხოლო წესდება კი არ ითვალისწინებს წესდების შეცვლის შესაძლებლობას ანდა ასეთი ცვლილებების შეტანაზე უფლებამოსილი პირები უარს აცხადებენ ამის განხორციელებაზე, მაშინ რაიონულ სასამართლოს დამფუძნებლის, დირექტორთა საბჭოსა თუ პროკურატურის მოთხოვნის საფუძველზე შეუძლია თავად შეცვალოს ეს წესდება.

– 2. წესდებაში ცვლილების შეტანისას რაიონულმა სასამართლომ მაქსიმალურად მცირედით უნდა გადაუხვიოს არსებულ წესდებას; თუკი ეს აუცილებელია ფონდის მიზნისათვის, რაიონულმა სასამართლომ უნდა გამოკვეთოს ის მიზანი, რომელიც კავშირშია ფონდის უკვე არსებულ მიზანთან. ზემოაღნიშნული წინაპირობების ჯეროვანი დაცვით, რაიონული სასამართლო უფლებამოსილია, აუცილებლობის შემთხვევაში, სხვაგვარად შეცვალოს წესდება, ვიდრე როგორც ეს მოითხოვება.

– 3. წინა ორი პარაგრაფის ნორმათა შესაბამისად, ფონდის („stichting“) გაუქმების თავიდან აცილების მიზნით რაიონულ სასამართლოს შეუძლია შეცვალოს წესდება 2:21 მუხლსა თუ 2:301 მუხლის პარ. 1-ის (a) პუნქტში მითითებული ერთ-ერთი წინაპირობის საფუძველზე.

მუხლი 2:295 წესდების ცვლილებების შესახებ გადაწყვეტილების ბათილობა, რომელსაც შედეგად შეიძლება მოჰყვეს ფონდის გაუქმება

ფონდის („stichting“), დაინტერესებული მხარისა თუ პროკურატურის მოთხოვნის საფუძველზე წესდების ცვლილებების შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება ნებისმიერ დროს გაბათილდეს რაიონული სასამართლოს მიერ იმ შემთხვევაში, თუ ცვლილებას შედეგად შესაძლოა მოჰყვეს ფონდის გაუქმება 2:21 მუხლსა თუ 2:301 მუხლის პარ. 1-ში მითითებული ერთ-ერთი წინაპირობის საფუძველზე იმ დროს, როდესაც ეს ცვლილება არ იწვევს ფონდის სხვა სახის იურიდიულ პირად გარდაქმნას. ასეთ შემთხვევაში შესაბამისად გამოიყენება 2:15 მუხლის პარ. 3 და 4-სა და 2:16 მუხლის ნორმები.

მუხლი 2:296 რაიონულ სასამართლოს საკუთარი ინიციატივით შეუძლია განახორციელოს წინა ორი მუხლით მინიჭებული უფლებამოსილებები

იმ სასამართლო საქმის განხილვისას, რომელშიც ფონდის („stichting“) გაუქმება მოთხოვნილია 2:21 მუხლსა თუ 2:301 მუხლის პარ. 1-ის (a) პუნქტში მითითებული ერთ-ერთი წინაპირობის საფუძველზე, რაიონულ სასამართლოს საკუთარი ინიციატივით შეუძლია განახორციელოს წინა ორი მუხლით მინიჭებული უფლებამოსილებები.

მუხლი 2:297 პროკურატურის მხრიდან განხორციელებული ზედამხედველობა

– 1. როდესაც სახეზეა საფუძვლიანი ეჭვი კანონისა თუ წესდების მოთხოვნების კეთილსინდისიერ დაცვასთან დაკავშირებით, რაიონული სასამართლოს პროკურატურა უფლებამოსილია, მოსთხოვოს ფონდის დირექტორთა საბჭოს მისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება.

– 2. როდესაც დირექტორთა საბჭო არ აკმაყოფილებს ან არაჯეროვნად აკმაყოფილებს ასეთ მოთხოვნას, მოსთხოვნის საფუძველზე რაიონული სასამართლოს დროებითი სამართლებრივი დაცვის საშუალების მიმღებ მოსამართლეს შეუძლია მიიღოს განკარგულება პროკურატურისათვის ფონდის („stichting“) ჩანაწერების, დოკუმენტებისა და მონაცემთა შენახვის საშუალებების გაცნობის შესაძლებლობის მინიჭებასა და ფონდის („stichting“) ძვირფასეულობის პროკურატურისათვის ჩვენებასთან დაკავშირებით. მოსამართლის მიერ მიღებული ასეთი სასამართლოს განკარგულების წინააღმდეგ სააპელაციო ან საკასაციო საჩივრების წარდგენა დაუშვებელია.

მუხლი 2:297a პირები, რომელთა კონკრეტული ფონდის („stichting“) დირექტორად დანიშვნა დაუშვებელია

– 1. წინამდებარე მუხლი მოქმედებს იმ ფონდის („stichting“) მიმართ:

a. რომელიც კანონის საფუძველზე ან მის შესაბამისად ვალდებულია წარადგინოს ფინანსური ანგარიში, რომელიც უთანაბრდება ან შეესაბამება 2.9 ტიტულში მითითებულ წლიურ ანგარიშს, და;

b. რომელმაც ზედიზედ ორი საბალანსო თარიღის შემთხვევაში, – შემდგომში უწყვეტად ზედიზედ ორი საბალანსო თარიღის შემთხვევაში – ვერ დააკმაყოფილა 2:397 მუხლის პარ. 1-სა და 2-ში მითითებული, სულ ცოტა, ორი მოთხოვნა. გამოიყენება 2:398 მუხლის პარ. 5-ის ნორმები. 2:397 მუხლის პარ. 1-ის მიზნებისათვის, წმინდა ბრუნვა განიხილება როგორც საწარმოს შემოსავლების საერთო ოდენობა ანდა, შესაბამისად, – სარგებლის საერთო ოდენობა, რამდენადაც ფონდს კანონის საფუძველზე ან მის შესაბამისად ეს სარგებელი ფინანსურ ანგარიშში შეაქვს.

– 2. დაუშვებელია შემდეგი პირების ფონდის („stichting“) დირექტორად დანიშვნა, როგორც ეს მითითებულია პარ. 1-ში:

a. პირებისა, რომლებიც წარმოადგენენ ზედამხედველ დირექტორებს, ანდა იმ შემთხვევაში, თუ ამ იურიდიულ პირში დირექტორების ფუნქციები განაწილებულია აღმასრულებელ და არააღმასრულებელ დირექტორებს შორის, – ეს პირები არააღმასრულებელ დირექტორებს წარმოადგენენ ორზე მეტი იურიდიული პირისათვის;

b. პირები, რომლებიც წარმოადგენენ იურიდიული პირის სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეს, თუ დირექტორების ფუნქციები განაწილებულია აღმასრულებელ და არააღმასრულებელ დირექტორებს შორის.

– 3. წინამდებარე მუხლის მიზნებისათვის:

a. პირი, ვინც წარმოადგენს იურიდიული პირის წესდებით ან ამ უკანასკნელის შესაბამისად შექმნილი სამეთვალყურეო ორგანოს წევრს, უთანაბრდება ზედამხედველ დირექტორს;

b. ერთმანეთთან ერთ ჯგუფში დაკავშირებული სხვადასხვა იურიდიული პირისათვის არსებული დანიშვნები ერთ დანიშვნად მიიჩნევა;

c. იურიდიულ პირებზე მითითება ეხება: ღია კორპორაციისა („naamloze vennootschap“) და დახურული კორპორაციის („besloten vennootschap“) სამართლებრივ ფორმას, რომელმაც ზედიზედ ორი საბალანსო თარიღის შემთხვევაში, – შემდგომში უწყვეტად ზედიზედ ორი საბალანსო თარიღის შემთხვევაში – ვერ დააკმაყოფილა 2:397 მუხლის პარ. 1-სა და 2-ში მითითებული, სულ ცოტა, ორი მოთხოვნა, და ასევე – 2:297a მუხლის პარ. 1-ში მითითებულ ფონდს („stichting“);

d. 2:349a მუხლის პარ. 2-ის ან 2:356 მუხლის (c) პუნქტის შესაბამისად განხორციელებული დროებითი დანიშვნა არ მიიჩნევა დირექტორის დანიშვნად;

e. ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს წევრად ან არააღმასრულებელ დირექტორად დანიშვნა, როგორც

ეს მითითებულია მეფის სამთავრობო ბრძანებაში საპენსიო კანონის 105a მუხლისა და სავალდებულო პროფესიული საპენსიო სქემის შესახებ კანონის 110a მუხლის საფუძველზე, მიიჩნევა აღნიშნულ სამთავრობო ბრძანებაში მოცემული სტანდარტული პროცედურის შესაბამისად განხორციელებულად.

– 4. როდესაც წინა პარაგრაფების ნორმების შესაბამისად დირექტორის დანიშვნა ბათილია, ეს გავლენას არ ახდენს იმ გადაწყვეტილებათა მიღების (გადაწყვეტილებების დამტკიცების) ნამდვილობაზე, რომელშიც დირექტორი მონაწილეობს.

მუხლი 2:297b პირები, რომელთა კონკრეტული ფონდის სამეთვალყურეო ორგანოში დანიშვნა დაუშვებელია

– 1. თუ ფონდში („stichting“) შეიქმნა სამეთვალყურეო ორგანო, როგორც ეს მითითებულია 2:297a მუხლის პარ. 1-ში, მაშინ დაუშვებელია შემდეგი პირების ამ ორგანოში დანიშვნა: პირებისა, რომლებიც წარმოადგენენ სხვა იურიდიული პირების ზედამხედველ დირექტორს ან არააღმასრულებელ დირექტორს ხუთ ან მეტ წელზე მეტი ხნით. სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეობა იანგარიშება ორმაგად იმ შემთხვევაში, თუ დირექტორების ფუნქციები განაწილებულია აღმასრულებელ და არააღმასრულებელ დირექტორებს შორის.

– 2. წინამდებარე მუხლის მიზნებისათვის:

a. პირი, ვინც წარმოადგენს იურიდიული პირის წესდებით ან ამ უკანასკნელის შესაბამისად შექმნილი სამეთვალყურეო ორგანოს წევრს, უთანაბრდება ზედამხედველ დირექტორს;

b. ერთმანეთთან ერთ ჯგუფში დაკავშირებული სხვადასხვა იურიდიული პირისათვის არსებული დანიშვნები ერთ დანიშვნად მიიჩნევა;

c. იურიდიულ პირებზე მითითება ეხება: ღია კორპორაციისა („naamloze vennootschap“) და დახურული კორპორაციის („besloten vennootschap“) სამართლებრივ ფორმას, რომელმაც ზედიზედ ორი საბალანსო თარიღის შემთხვევაში, – შემდგომში უწყვეტად ზედიზედ ორი საბალანსო თარიღის შემთხვევაში – ვერ დააკმაყოფილა 2:397 მუხლის პარ. 1-სა და 2-ში მითითებული, სულ ცოტა, ორი მოთხოვნა, და ასევე – 2:297a მუხლის პარ. 1-ში მითითებულ ფონდს („stichting“);

d. 2:349a მუხლის პარ. 2-ის ან 2:356 მუხლის (c) პუნქტის შესაბამისად განხორციელებული დროებითი დანიშვნა არ მიიჩნევა დირექტორის დანიშვნად;

e. ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს წევრად ან არააღმასრულებელ დირექტორად დანიშვნა, როგორც ეს მითითებულია მეფის სამთავრობო ბრძანებაში საპენსიო კანონის 105a მუხლისა და სავალდებულო პროფესიული საპენსიო სქემის შესახებ კანონის 110a მუხლის საფუძველზე, მიიჩნევა აღნიშნულ სამთავრობო ბრძანებაში მოცემული სტანდარტული პროცედურის შესაბამისად განხორციელებულად.

– 3. როდესაც წინა პარაგრაფების ნორმების შესაბამისად დირექტორის დანიშვნა ბათილია, ეს გავლენას არ ახდენს იმ გადაწყვეტილებათა მიღების (გადაწყვეტილებების დამტკიცების) ნამდვილობაზე, რომელშიც დირექტორი მონაწილეობს.

მუხლი 2:298 დირექტორების თანამდებობიდან გათავისუფლება სასამართლოს მიერ

– 1. ის დირექტორი:

a. რომელმაც გააკეთა ან არ გააკეთა რაიმე იმგვარად, რომ ეს წარმოადგენს კანონის ან წესდების დარღვევას, ანდა რომელსაც შესაძლოა ბრალი მიუძღვოდეს არასწორ მართვაში (არასწორ მენეჯმენტში), ან:

b. რომელმაც არ ან არაჯეროვნად შეასრულა რაიონული სასამართლოს დროებითი სამართლებრივი დაცვის საშუალების მიმღები მოსამართლის მიერ 2:297 მუხლის შესაბამისად მიცემული განკარგულება,

შეიძლება გათავისუფლდეს (გადაყენებულ იქნეს) დაკავებული თანამდებობიდან რაიონული სასამართლოს მიერ. ასეთი თანამდებობიდან გათავისუფლება (გადაყენება) შეიძლება დადგინდეს პროკურატურის ან ნებისმიერი დაინტერესებული მხარის მოთხოვნის საფუძველზე.

– 2. საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებისას რაიონულ სასამართლოს შეუძლია მიიღოს საუზრუნველყოფო ღონისძიებები, რომლებიც უნდა შესრულდეს დირექტორთა საბჭოს მიერ, და – ასევე მას შეუძლია შეუჩეროს საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილება შესაბამის დირექტორსაც.

– 3. რაიონული სასამართლოს მიერ თანამდებობიდან გათავისუფლებულ (გადაყენებულ) დირექტორს არა აქვს უფლება, დაიკავოს ნებისმიერი ფონდის დირექტორის თანამდებობა ხუთი წლის ვადის განმავლობაში.

მუხლი 2:299 დირექტორთა საბჭოში სასამართლოს მიერ შესავსები ვაკანსიები

როდესაც დირექტორთა საბჭო ნაწილობრივ ან სრულად არ შეესაბამება წესდების შესაბამის დებულებებს იმ დროს, როდესაც წესდება არ შეიცავს რაიმე დებულებას ამ საკითხთან დაკავშირებით, რაიონულ სასამართლოს პროკურატურის ან ნებისმიერი დაინტერესებული მხარის მოთხოვნის საფუძველზე შეუძლია შეავსოს ვაკანსიები დირექტორთა საბჭოში. ვაკანსიების შევსებისას რაიონულმა სასამართლომ მაქსიმალურად უნდა დაიცვას წესდების მოთხოვნები.

მუხლი 2:299a ფონდის სანარმოთა წმინდა ბრუნვის შესახებ ანგარიშგება

ფონდი („stichting“), რომელსაც აქვს კანონის შესაბამისად სავაჭრო რეესტრში რეგისტრაციაში გასატარებელი ერთი ან რამდენიმე სანარმო, თავის მოგება-ზარალის ანგარიშში ახდენს ამ სანარმოების წმინდა ბრუნვის შესახებ ანგარიშგებას.

მუხლები 2:300 და 2:300 a (გამოტოვებულია წინამდებარე გამოცემაში როგორც არააქტუალური)

მუხლი 2:301 ფონდის გაუქმება სასამართლოს მიერ

– 1. რაიონული სასამართლო აუქმებს ფონდს („stichting“) დაინტერესებული მხარის ან პროკურატურის მოთხოვნის საფუძველზე, თუ:

a. ფონდის („stichting“) აქტივები (ქონება) აბსოლუტურად არასაკმარისია მისი მიზნის მიღწევისათვის და არსებობს ძალიან მცირე ალბათობა იმისა, რომ შენატანების განხორციელებისა თუ სხვაგვარი გზით განჭვრეტად მომავალში მოხდება საკმარისი აქტივების (ქონების) შექმნა;

b. ფონდის („stichting“) მიზანი მიღწეულ იქნა ანდა ის ველარ იქნება მიღწეული და ამავე დროს ფონდის მიზნის შეცვლის საკითხის განხილვა დაუშვებელია.

– 2. როდესაც რაიონული სასამართლო არ აკმაყოფილებს 2:294 მუხლში მითითებულ მოთხოვნას, მას ერთდროულად შეუძლია გააუქმოს ფონდი („stichting“) საკუთარი ინიციატივითაც.

მუხლი 2:302 სასამართლოს გადაწყვეტილების სავაჭრო რეესტრში რეგისტრაცია

კანონიერ ძალაში შესული და მბოჭავი სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომლებიც შედეგად იწვევს:

– სავაჭრო რეესტრში არსებული სარეგისტრაციო ჩანაწერის ამოშლას, მასზე დამატებასა თუ ცვლილებას;

– ფონდის („stichting“) წესდების ცვლილებას;

– დირექტორთა საბჭოს შემადგენლობის ცვლილებასა თუ დაკომპლექტებას ან;

– წესდების ცვლილების შესახებ გადაწყვეტილების გაბათილებას,

რეგისტრაციაში ტარდება 2:289 მუხლში მითითებულ რეესტრში (სავაჭრო რეესტრში) იმ სასამართლოს მდივნის მიერ, სადაც უკანასკნელად იხილებოდა საქმე.

მუხლი 2:303 გაკოტრებულად გამოცხადება და მორატორიუმი ფულადი თანხების გადახდებზე

როდესაც ფონდი („stichting“) გამოცხადდა გაკოტრებულად („faillissement“) ანდა როდესაც ფულადი თანხების გადახდაზე არსებობს მორატორიუმი („surséance van betaling“), მაშინ ის განცხადება, რომელიც გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ კანონის („Faillissementswet“) თანახმად უნდა გამოქვეყნდეს სამთავრობო მაცნეში, ასევე წარედგინება სარეგისტრაციოდ 2:289 მუხლში მითითებული რეესტრის (სავაჭრო რეესტრის) მწარმოებელს იმ პირის მიერ, რომელსაც ეკისრება აღნიშნული განცხადების სამთავრობო მაცნეში გამოქვეყნება.

მუხლი 2:304 ფონდის სახით არსებული საპენსიო ფონდი

– 1. 2:285 მუხლის მიზნებისათვის, საპენსიო ფონდის ან 7:631 მუხლის პარ. 3-ის (c) პუნქტში მითითებული ფონდის მონაწილეები არ მიიჩნევიან იმ ფონდის („stichting“) წევრებად, რომელიც მოქმედებს როგორც ასეთი ფონდი.

– 2. 2:285 მუხლის პარ. 3-ის მიზნებისათვის, საპენსიო თანხების მიღებაზე უფლებამოსილებიდან ანდა იმ შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე არსებული უფლებამოსილებიდან გამომდინარე მოგების განაწილება, რომელშიც გათვალისწინებულია 7:631 მუხლის პარ. 3-ის (c) პუნქტში მითითებული დათქმა,

არ იქნება განხილული როგორც მოგების განაწილება ასეთი ფონდის („stichting“) დამფუძნებლების ან იმ პირთა მიმართ, რომლებიც საქმიანობენ მის ორგანოებში.

მუხლი 2:305 {გაუქმებულია 01.01.1984წ.}

მუხლი 2:306 {გაუქმებულია 01.01.1984წ.}

მუხლი 2:307 {გაუქმებულია 01.01.1984წ.}

ტიტული 2.7 – შერწყმა და გაყოფა

განყოფილება 2.7.1 – ზოგადი დებულებები

მუხლი 2:308 შერწყმისა და გაყოფის მიმართ კანონისმიერი ნორმების გამოყენება

– 1. წინამდებარე ტიტულის (ტიტული 2.7) კანონისმიერი ნორმები გამოიყენება კავშირების („verenigingen“), კოოპერატივების („coöperaties“), საზიარო დაზღვევის საზოგადოებების („onderlinge waarborgmaatschappijen“), ფონდების („stichtingen“), ღია კორპორაციებისა („naamloze vennootschappen“) და დახურული კორპორაციების („besloten vennootschappen“) მიმართ.

– 2. ზემოაღნიშნული კანონისმიერი ნორმები არ გამოიყენება არც შეზღუდული უფლებამოსილებით კავშირების (არაფორმალური კავშირები, როგორც ეს ნახსენებია 2:30 მუხლში) და არც მესაკუთრეთა კავშირების (როგორც ეს ნახსენებია 5:30 მუხლში) მიმართ.

– 3. წინამდებარე ტიტულის (ტიტული 2.7) ნორმები მოქმედებს ღია კორპორაციის („naamloze vennootschap“), დახურული კორპორაციისა („besloten vennootschap“) და ევროპული კოოპერატივის მიმართ, რომელიც ერწყმის ევროპული კავშირისა თუ ევროპული ეკონომიკური ზონის წევრი სახელმწიფოების სამართლის საფუძველზე შექმნილ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას ან კოოპერატივს.

განყოფილება 2.7.2 – შერწყმასთან დაკავშირებული ზოგადი დებულებები

მუხლი 2:309 შერწყმის განმარტება; ქონების გადასვლა უნივერსალური სამართალმემკვიდრეობით

შერწყმა წარმოადგენს ორი ან მეტი იურიდიული პირის გარიგებას, რომლითაც ერთ-ერთი უნივერსალური სამართალმემკვიდრეობით იძენს მეორის ქონებას (აქტივებსა და პასივებს), ანდა – რომლითაც ახალი იურიდიული პირი, რომელიც მათ მიერ ერთობლივად აღნიშნული გარიგების საფუძველზე შეიქმნა (დაფუძნდა), უნივერსალური სამართალმემკვიდრეობით იძენს მათ ქონებას (აქტივებსა და პასივებს).

მუხლი 2:310 იურიდიული პირების სახეები, რომლებსაც შეუძლიათ ერთმანეთთან შერწყმა

– 1. იურიდიულ პირებს შეუძლიათ იგივე სახის იურიდიულ პირებთან შერწყმა.

– 2. როდესაც შემძენი იურიდიული პირი ახლიდან იქმნება (ფუძნდება), ის უნდა იყოს იგივე სახის, რა სახესაც წარმოადგენენ შერწყმის განმახორციელებელი იურიდიული პირები.

– 3. წინამდებარე მუხლის მიზნებისათვის, ღია კორპორაცია („naamloze vennootschap“) და დახურული კორპორაცია („besloten vennootschap“) მიიჩნევიან ერთი და იგივე სახის იურიდიულ პირებად.

– 4. შემძენ კავშირს („vereniging“), კოოპერატივს („coöperatie“), საზიარო დაზღვევის საზოგადოებას („onderlinge waarborgmaatschappij“) ან ფონდს („stichting“) შეუძლია ასევე შეერწყას იმ ღია კორპორაციას („naamloze vennootschap“) ან დახურულ კორპორაციას („besloten vennootschap“), რომელშიც ის ფლობს ყველა აქციას/წილს. შემძენ ფონდს („stichting“), ღია კორპორაციას („naamloze vennootschap“) ან დახურულ კორპორაციას („besloten vennootschap“) შეუძლია ასევე შეერწყას იმ კავშირს („vereniging“), კოოპერატივს („coöperatie“) ან საზიარო დაზღვევის საზოგადოებას („onderlinge waarborgmaatschappij“), რომლის ერთადერთ წევრსაც ის წარმოადგენს.

– 5. გაუქმებულ იურიდიულ პირს არ შეუძლია შერწყმა, თუ გაუქმების (ლიკვიდაციის) გამო მისი ქონებიდან უკვე განხორციელდა შესაბამისი განაწილება.

– 6. იურიდიულ პირს არ შეუძლია შერწყმა მისი ვაკოტრების საქმის წარმოების ანდა იმ ვადის განმავლობაში, როდესაც მისი სახელით განსახორციელებელი ფულადი თანხების გადახდაზე მოქმედებს მორატორიუმი.

მუხლი 2:311 შერწყმის განმახორციელებელი იურიდიული პირები, რომლებიც წყვეტენ არსებობას

– 1. გარდა შემძენი იურიდიულ პირებისა, შერწყმის განმახორციელებელი იურიდიული პირები წყვეტენ არსებობას იმ მომენტში, როდესაც შერწყმა შედის ძალაში.

– 2. გასაუქმებელი იურიდიული პირების წევრები ან აქციონერები/პარტნიორები შერწყმის შედეგად ხდებიან შემძენი იურიდიული პირის წევრები ან აქციონერები/პარტნიორები, გარდა 2:310 მუხლის პარ. 4-ში, 2:333 მუხლის, 2:333a მუხლის ან 3:333h მუხლის პარ. 3-ში მითითებული შემთხვევებისა, ანდა – როდესაც აქციების/წილების გაცვლითი თანაფარდობის შესაბამისად აღარ არსებობს თუნდაც მხოლოდ ერთ აქციაზე/წილზე უფლებამოსილებაც კი.

მუხლი 2:312 შერწყმის წინადადება და მისი შინაარსი

– 1. შესარწყმელი იურიდიული პირების დირექტორთა საბჭოებმა უნდა მოამზადონ შერწყმის წინადადება.

– 2. შერწყმის წინადადებაში უნდა მიეთითოს, სულ ცოტა, შემდეგი:

a. შესარწყმელი იურიდიული პირების სახე, სახელწოდება და ადგილსამყოფელი (რეგისტრირებული მისამართი);

b. შემძენი იურიდიული პირის წესდება, როგორც შერწყმამდე, ისე შერწყმის შემდგომი რედაქციით, ხოლო თუ შემძენი იურიდიული პირი უნდა ახლიდან შეიქმნას (დაფუძნდეს), მაშინ – დაფუძნების სანოტარო აქტის პროექტი;

c. ნებისმიერი უფლება და საკომპენსაციო თანხა, რომლებიც შემძენი იურიდიული პირის ხარჯზე გაიცემა (გადაეცემა) 2:230 მუხლის შესაბამისად იმ პირთა სასარგებლოდ, რომლებიც სხვა სტატუსის გამო, რომელსაც არ მიეკუთვნება იურიდიული პირის წევრობა ან აქციონერობა/პარტნიორობა, შეუძლიათ განახორციელონ კონკრეტული უფლებები შერწყმის შედეგად გასაუქმებელი იურიდიული პირის მიმართ, როგორცაა მოგების განაწილებისა თუ აქციების/წილების მიღების (შეძენის) უფლებები – და ასევე, რა მომენტიდან განახორციელონ ეს უფლებები;

d. შერწყმასთან დაკავშირებული სარგებელი გაიცემა (გადაეცემა) შესარწყმელი იურიდიული პირის დირექტორზე ან ზედამხედველ დირექტორზე ანდა – ვინმე სხვა პირზე, ვინც ჩართულია შერწყმის პროცესში;

e. შერწყმის შემდეგ დირექტორთა საბჭოს შემადგენლობასთან დაკავშირებით არსებული განზრახვები, ხოლო თუ სახეზე იქნება ასევე სამეთვალყურეო საბჭოც, – მაშინ ამ უკანასკნელის შემადგენლობასთან დაკავშირებით არსებული გეგმებიც;

f. თითოეული გასაუქმებელი იურიდიული პირისათვის: ის მომენტი, რომლიდანაც ფინანსური მონაცემები აისახება შემძენი იურიდიული პირის ყოველწლიურ ანგარიშსა თუ სხვა ფინანსურ ანგარიშგებაში;

g. გასაუქმებელი იურიდიული პირის წევრობისა თუ აქციებზე/წილებზე საკუთრების გადაცემასთან დაკავშირებით დაგეგმილი ღონისძიებები;

h. საქმიანი ოპერაციების გაგრძელებასა თუ შეწყვეტასთან დაკავშირებული გეგმები;

i. აუცილებლობის შემთხვევაში, რომელმა პირებმა ან ორგანოებმა უნდა დაადასტურონ შერწყმის შესახებ გადანყვეტილება.

– 3. შერწყმის წინადადებას ხელს აწერენ თითოეული შესარწყმელი იურიდიული პირის დირექტორები; როდესაც სახეზე არ არის ერთი ან მეტი ხელმოწერა, მაშინ ამის თაობაზე უნდა მოხდეს შესაბამისი შეტყობინების წარდგენა მიზნების მითითებით.

– 4. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ყველა შესარწყმელი იურიდიული პირი წარმოადგენს კავშირებს („verenigingen“) ან ფონდებს („stichtingen“), შერწყმის წინადადება უნდა დადასტურდეს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ და ასევე ხელმოწერილ იქნეს ყველა ზედამხედველი დირექტორის მიერ; როდესაც სახეზე არ არის ერთი ან მეტი ხელმოწერა, მაშინ ამის თაობაზე უნდა მოხდეს შესაბამისი შეტყობინების წარდგენა მიზნების მითითებით.

გარდა აღნიშნულისა, შერწყმის წინადადებაში მიეთითება შემძენი იურიდიული პირის გუდვილის მასშტაბსა (პროპორციასა) და გასანაწილებელ რეზერვებზე შეთავაზებული შერწყმის ზეგავლენის თაობაზე.

მუხლი 2:313 შერწყმის წინადადებასთან დაკავშირებული განმარტებები; შუალედური წლიური ანგარიში ან კაპიტალის მდგომარეობის შესახებ ანგარიში

– 1. თითოეული შესარწყმელი იურიდიული პირის დირექტორთა საბჭოებმა წერილობით განმარტებაში უნდა მიუთითონ შერწყმის მიზეზები საქმიანი ოპერაციების მიმართ მოსალოდნელი შედეგების გარკვევის ჩათვლით და ასევე წარადგინონ დამატებითი კომენტარი სამართლებრივი, ეკონომიკური და სოციალური შეხედულებებიდან გამომდინარე.

– 2. თუ იმ იურიდიული პირის უკანასკნელი საანგარიშო წლიდან (ფინანსური წლიდან), რომლის მიმართაც დამტკიცდა ყოველწლიური ანგარიში ან სხვა ფინანსური ანგარიშგება, შერწყმის წინადადების საჯარო შემოწმებისათვის განთავსების მომენტამდე გასულია ექვს თვეზე მეტი ხნით, დირექტორთა საბჭომ უნდა მოამზადოს განცალკევებული ყოველწლიური ანგარიში ან კაპიტალის მდგომარეობის შესახებ შუალედური ანგარიში. ასეთი ანგარიში უნდა ეხებოდეს იურიდიული პირის (აქტივებისა და პასივების) მდგომარეობას იმ დღისათვის, რომელიც იქნება არაუადრეს მესამე თვის პირველი დღისა იმ თვემდე, როდესაც მოხდა შერწყმის წინადადების შემოწმებისათვის განთავსება ან გასაჯაროება. ანგარიში მზადდება იმ კონფიგურაციისა (სქემისა) და შეფასების მეთოდების შესაბამისად, რომლებიც გამოყენებულ იქნა უკანასკნელად დამტკიცებულ ყოველწლიურ ანგარიშსა თუ სხვა ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამ მეთოდებიდან გადახვევა ჯეროვნად არის დასაბუთებული და ეხება იმ ფაქტს, რომ მიმდინარე (განახლებული) ღირებულების ოდენობა საბუღალტრო მონაცემთა ოდენობისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. აღნიშნულ ანგარიშში შეიტანება ასევე ის რეზერვები, რომლებიც ექვემდებარება შენარჩუნებას კანონისა თუ წესდების შესაბამისად.

– 3. როდესაც საქმე ეხება გასაუქმებელ იურიდიულ პირს, განმარტება არ მოითხოვება 2:310 მუხლის პარ. 4-სა და 2:333 მუხლში მითითებულ ვითარებაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვა პირებს, ნაცვლად შემძენი იურიდიული პირისა, შეუძლიათ განახორციელონ კონკრეტული უფლება შერწყმის შედეგად გასაუქმებელი იურიდიული პირის მიმართ, როგორცაა მოგების განაწილებისა თუ აქციების/წილების მიღების (შეძენის) უფლება.

– 4. პარ. 1 არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ შესარწყმელი იურიდიული პირების წევრები ან აქციონერები/პარტნიორები ამგვარად შეთანხმდნენ.

– 5. პარ. 2 არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ იურიდიული პირი აკმაყოფილებს ფინანსური ზედამხედველობის შესახებ კანონის 5:25d მუხლში მითითებული ნახევარწლიანი ფინანსური წლის ანგარიშთან დაკავშირებულ მოთხოვნებს.

მუხლი 2:313a {გაუქმებულია 06.08.1987წ.}

მუხლი 2:314 სავაჭრო რეესტრში განსათავსებელი დოკუმენტები

– 1. თითოეულმა შესარწყმელმა იურიდიულმა პირმა სავაჭრო რეესტრის მწარმოებლის ოფისში შესამოწმებლად უნდა განათავსოს ანდა ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებებით სავაჭრო რეესტრში გამოაქვეყნოს:

a. შერწყმის წინადადება;

b. შესარწყმელი იურიდიული პირების უკანასკნელი სამი დამტკიცებული ყოველწლიური ანგარიში ან სხვა ფინანსურ ანგარიშგება, მათ შორის, ამ დოკუმენტებთან დაკავშირებული აუდიტორის (ბუღალტრის) მოწმობა, რამდენადაც აღნიშნული დოკუმენტები განთავსებულია ან უნდა განთავსდეს (ხელმისაწვდომი გახდეს) საჯარო შემოწმებისათვის;

c. შესარწყმელი იურიდიული პირების ყოველწლიური ანგარიშები უკანასკნელი სამი საანგარიშო წლის (ფინანსური წლის) შესახებ, რამდენადაც აღნიშნული დოკუმენტები განთავსებულია ან უნდა განთავსდეს (ხელმისაწვდომი გახდეს) საჯარო შემოწმებისათვის;

d. კაპიტალის მდგომარეობის შესახებ შუალედური ანგარიშები ან ჯერ კიდევ დაუმტკიცებელი ყოველწლიური ანგარიშები, რამდენადაც ასეთი დოკუმენტები მოითხოვება 2:313 მუხლის პარ. 2-ის შესაბამისად და ასევე – რამდენადაც იურიდიული პირის ყოველწლიური ანგარიშები უნდა განთავსდეს (ხელმისაწვდომი გახდეს) საჯარო შემოწმებისათვის.

– 2. ერთდროულად დირექტორთა საბჭომ საჯარო შემოწმებისათვის უნდა განათავსოს ზემოაღნიშნული დოკუმენტები ყოველწლიური ანგარიშებისა და ყოველწლიური ანგარიშგების ჩათვლით, რომლებიც დირექტორთა საბჭოს განმარტებასთან ერთად არ უნდა გახდეს ხელმისაწვდომი საჯარო შემოწმებისათვის იურიდიული პირის ოფისში, ხოლო ასეთი ოფისის არარსებობის შემთხვევაში კი, – ერთ-ერთი

დირექტორის ადგილსამყოფელზე, ანდა დირექტორთა საბჭო ამ დოკუმენტებს ხდის ხელმისაწვდომს ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებებით. შერწყმის მომენტამდე და ასევე მის შემდგომ, სულ ცოტა, ექვსი თვის ვადის განმავლობაში აღნიშნული დოკუმენტები ხელმისაწვდომი უნდა იყოს შემომწე-ბისათვის იურიდიული პირის მისამართზე ან, შესაბამისად, შესაბამისი დირექტორის ადგილსამყოფელზე ანდა – ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებებით, იურიდიული პირის წევრებისა თუ აქციონერე-ბის/პარტნიორების და ასევე იმ პირთა სახელითა და სასარგებლოდ, რომლებსაც შეუძლიათ იურიდიული პირის მიმართ ისეთი უფლების განხორციელება, როგორცაა მოგების განაწილებისა თუ აქციების/წილე-ბის მიღების (შეძენის) უფლება. აღნიშნული ვადის განმავლობაში ზემოთ ნახსენები პირები უფლებამო-სილი არიან, უსასყიდლოდ მიიღონ ამ დოკუმენტების ასლები. ასლი შეიძლება წარდგენილ იქნეს ელექტ-რონული საკომუნიკაციო საშუალებებით, თუ იურიდიული პირის წევრი ან აქციონერი/პარტნიორი ამას დაეთანხმა. იურიდიულ პირს არ ეკისრება ასლის წარდგენის ვალდებულება იმ შემთხვევაში, როდესაც წევრებსა თუ აქციონერებს/პარტნიორებს აქვთ დოკუმენტის ელექტრონული ასლის შენახვის (ჩანერის) შესაძლებლობა.

– 3. შესარწყმელმა იურიდიულმა პირებმა ეროვნულ ყოველდღიურ გაზეთში უნდა გამოაქვეყნონ გა-ნცხადება იმის თაობაზე, რომ ზემოაღნიშნული დოკუმენტები განთავსებულია შემომწეებისათვის ან შე-იძლება შემომწედს იმ საჯარო რეესტრების მითითებით, სადაც ეს დოკუმენტები შეიძლება იყოს ანდა სადაც ისინი ელექტრონულად იქნება ხელმისაწვდომი, და ასევე – იმ მისამართის მითითებით, სადაც ეს დოკუმენტები არის განთავსებული პარ. 2-ის ნორმების შესაბამისად ანდა სადაც ისინი ელექტრონულად არის შემომწეებისათვის ხელმისაწვდომი.

– 4. თუ შესარწყმელი იურიდიული პირის სამუშაო საბჭომ ან დასაქმებულთა თანამონაწილეობის საბ-ჭომ ანდა იმ მშრომელთა კავშირმა (გაერთიანებამ), რომლის წევრებსაც წარმოადგენენ იურიდიული პი-რისა თუ მისი შვილობილი საწარმოს დასაქმებულები, წარადგინეს წერილობითი რეკომენდაცია ან წერი-ლობითი კომენტარი, მაშინ ეს რეკომენდაცია ან კომენტარი ერთდროულად შერწყმის წინადადებასთან ერთად ან დაუყოვნებლივ მათი მიღების შემდეგ უნდა განთავსდეს პარ. 2-ში მითითებულ მისამართზე. შესაბამისად გამოიყენება პარ. 2-ის მეორედან მეხუთე წინადადებების ჩათვლით ნორმები.

– 5. თუ შესარწყმელი იურიდიული პირის დირექტორთა საბჭო ცვლის შერწყმის წინადადებას, მაშინ შესაბამისად გამოიყენება პარ. 1-დან 4-ის ჩათვლით ნორმები.

– 6. პარ. 2 და 4 არ გამოიყენება ფონდების („stichtingen“) მიმართ.

მუხლი 2:315 გარემოებათა შეცვლა

– 1. შესარწყმელი იურიდიული პირის დირექტორთა საბჭო ვალდებულია საერთო კრებასა და სხვა შე-სარწყმელ იურიდიულ პირებს მიაწოდოს ინფორმაცია აქტივებსა და პასივებში იმ ნებისმიერი მნიშვნე-ლოვანი ცვლილების შესახებ, რომელმაც თავი იჩინა შერწყმის წინადადების წარდგენის შემდეგ და შეეხო შერწყმის წინადადებასა თუ განმარტებაში მოცემულ განცხადებებს.

– 2. ფონდის („stichting“) ფარგლებში ეს ვალდებულება უნდა შესრულდეს იმ პირთა მიმართ, რომლე-ბიც წესდების შესაბამისად ახდენენ შერწყმის დადასტურებას.

– 3. პარ. 1 არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ იურიდიული პირების წევრები ან აქციონერები/პარტნი-ორები ამგვარად შეთანხმდნენ.

მუხლი 2:316 კრედიტორებისათვის არსებული გარანტიები; კრედიტორების მიერ წარდგენილი პროტესტი

– 1. როდესაც ერთ-ერთი შესარწყმელი იურიდიული პირის კრედიტორი მისი სავალო მოთხოვნის შეს-რულებისათვის ითხოვს უზრუნველყოფისა თუ სხვაგვარი გარანტიის წარდგენას, სულ ცოტა, ერთ-ერთმა შესარწყმელმა იურიდიულმა პირმა უნდა წარადგინოს ასეთი უზრუნველყოფა ან გარანტია იმ სანქციით, რომ ქვემოთ მოცემულ პარაგრაფში მითითებული პროტესტი ცნობილი იქნება ნამდვილად. თუმცა, ეს წესი არ მოქმედებს, თუ კრედიტორს უკვე აქვს ჯეროვანი გარანტია ანდა თუ შემძენი იურიდიული პირის შერწყმის შემდგომი ფინანსური მდგომარეობა სავალო მოთხოვნის შესრულებისათვის არ იძლევა იმაზე ნაკლებ გარანტიას, ვიდრე ის მანამდე ითხოვდა.

– 2. ერთ თვემდე იმ მომენტიდან, როდესაც ყველა შესარწყმელმა იურიდიულმა პირმა განაცხადა იმის შესახებ, რომ შერწყმის წინადადება განთავსდა ან გამოქვეყნდა საჯარო შემომწეებისათვის, თითოეულ კრედიტორს შეუძლია რაიონულ სასამართლოში განაცხადის შეტანის გზით, წარადგინოს პროტესტი შერწყმის წინადადების წინააღმდეგ მოთხოვნილი გარანტიის მითითებით. რაიონულმა სასამართლომ უარი უნდა თქვას მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, თუ განმცხადებელმა ვერ დაამტკიცა, რომ შემძენი იუ-

რიდიული პირის შერწყმის შემდგომი ფინანსური მდგომარეობა სავალო მოთხოვნის შესრულებისათვის ნაკლებ გარანტიას იძლევა, და ასევე – რომ იურიდიული პირისაგან არასაკმარისი გარანტიები იქნა მიღებული.

– 3. მანამდე, სანამ სასამართლო მიიღებს თავის გადაწყვეტილებას, მას შეუძლია შესაბამის იურიდიულ პირს სასამართლოს მიერ დადგენილი ვადის განმავლობაში მისცეს შესაძლებლობა, წარადგინოს მის მიერ განსაზღვრული გარანტია.

– 4. თუ პროტესტის წარდგენა დროულად ხდება, შერწყმის სანოტარო აქტი შეიძლება დაიდოს მხოლოდ პროტესტის გამოსმობის შემთხვევაში ანდა – პროტესტის გაუქმების ძალაში შესვლის შემდეგ.

– 5. თუ შერწყმის სანოტარო აქტი უკვე დადებულია, წარდგენილ სასარჩელო განცხადებასთან ან სამართლებრივი დაცვის საშუალებასთან დაკავშირებით სასამართლოს შეუძლია დაადგინოს მის მიერ განსაზღვრული გარანტიის წარდგენის აუცილებლობის შესახებ, რასაც ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შეიძლება შედეგად მოჰყვეს სასამართლოს მიერ დადგენილი პერიოდული საჯარიმო გადახდები.

მუხლი 2:317 იურიდიული პირის ორგანო, რომელიც იღებს შერწყმის გადაწყვეტილებას

– 1. შერწყმის გადაწყვეტილებას იღებს საერთო კრება; ფონდის („stichting“) შემთხვევაში ასეთ გადაწყვეტილებას იღებენ წესდების შეცვლაზე უფლებამოსილი პირები, ხოლო თუ არც ერთი პირი არ არის უფლებამოსილი ასეთი ცვლილების განხორციელებაზე, მაშინ – დირექტორთა საბჭო. გადაწყვეტილება შერწყმის წინადადებისაგან არ უნდა განსხვავდებოდეს.

– 2. შერწყმის გადაწყვეტილება შეიძლება მიღებულ იქნეს მხოლოდ ერთთვიანი ვადის ამონაწერისთანავე იმ დღიდან, როდესაც ყველა შესარწყმელმა იურიდიულმა პირმა განაცხადა იმის შესახებ, რომ მათ მოახდინეს საჯარო შემოწმებისათვის შერწყმის წინადადების განთავსება.

– 3. შერწყმის გადაწყვეტილება მიიღება იგივე წესით, რაც გათვალისწინებულია წესდების ცვლილებებისათვის. როდესაც წესდების თანახმად ასეთი ცვლილება მოითხოვს იურიდიული პირის სხვა ორგანოს ან პირის თანხმობას, მაშინ ეს მოთხოვნა მოქმედებს ასევე შერწყმის გადაწყვეტილების მიმართაც. იმ შემთხვევაში, როდესაც წესდებაში ცალკეული დებულებების შეცვლისათვის მოითხოვება ხმათა განსხვავებული უმრავლესობა, მაშინ შერწყმის გადაწყვეტილების მიღებისათვის მოითხოვება ამ ხმათა უმრავლესობის უდიდესი ნაწილი. როდესაც წესდება გამორიცხავს წესდების დებულებათა შეცვლის შესაძლებლობას, მაშინ მოითხოვება ხმის უფლების მქონე ყველა წევრისა თუ აქციონერის/პარტნიორის ხმა. წინა ორი წინადადება არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც წესდების შესაბამისი დებულებები შეუნყვეტლად გამოიყენება ასევე შერწყმის შემდეგაც.

– 4. პარ. 3 არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც წესდება შერწყმის გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით განსხვავებულ წესს ითვალისწინებს.

– 5. ფონდის („stichting“) შემთხვევაში შერწყმის გადაწყვეტილება მოითხოვს რაიონული სასამართლოს თანხმობას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წესდება იძლევა მისი ყველა დებულების შეცვლის შესაძლებლობას. რაიონული სასამართლო უარი აცხადებს ასეთი თანხმობის მიცემაზე, თუ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი იმისა, რომ შერწყმა ფონდის („stichting“) ინტერესების სანინაალმდეგო აღმოჩნდება.

მუხლი 2:317a {გაუქმებულია 06.08.1987წ.}

მუხლი 2:318 შერწყმის სანოტარო აქტი; შერწყმის ძალაში შესვლის თარიღი

– 1. შერწყმა ფორმდება სანოტარო აქტით და ძალაში შედის ამ აქტის შედგენიდან მეორე დღეს. შერწყმის სანოტარო აქტი შეიძლება გაფორმდეს მხოლოდ ექვსი თვის განმავლობაში საჯარო შემოწმებისათვის შერწყმის წინადადების განთავსებისა თუ გასაჯაროების თაობაზე განაცხადების გამოქვეყნების შემდეგ, ხოლო თუ წარდგენილი პროტესტის შედეგად ეს დაუშვებელია, – ერთი თვის განმავლობაში ამ პროტესტის გამოსმობის ან ამ უკანასკნელის გაუქმების ძალაში შესვლის შემდეგ.

– 2. შერწყმის სანოტარო აქტის ბოლოში ნოტარიუსმა უნდა მიუთითოს იმის თაობაზე, რომ მისი ინფორმაციის თანახმად დაკმაყოფილდა წინამდებარე და ქვემოთ მოცემული განყოფილებების ნორმებითა და წესდების დებულებებით დაკისრებული შერწყმის განსახორციელებლად აუცილებელი გადაწყვეტილებებისათვის გათვალისწინებული ყველა ფორმალური მოთხოვნა და, გარდა ამისა, დამატებით შესრულდა ასევე წინამდებარე და ქვემოთ მოცემული განყოფილებების ნორმებითა და წესდების დებულებებით დაკისრებული ყველა სხვა მოთხოვნა.

– 3. შემძენი იურიდიული პირი შერწყმის სავაჭრო რეესტრში რეგისტრაციას ახორციელებს შერწყმის სანოტარო აქტის შედგენიდან რვა დღის განმავლობაში. შერწყმის სანოტარო აქტის ასლი მასზე თანდა-რთული სანოტარო განცხადებით განთავსდება აღნიშნული რეესტრის ოფისში.

– 4. ერთი თვის განმავლობაში შემძენმა იურიდიულმა პირმა შერწყმის შესახებ უნდა შეატყობინოს სხვა იმ სავაჭრო რეესტრების მწარმოებლებს, სადაც უფლებათა გადაცემა (გადასვლა) ანდა შერწყმა შესაძლოა გატარდეს რეგისტრაციაში. შერწყმის შედეგად რეგისტრირებული ქონების შემძენ იურიდიულ პირზე გადასვლის შემთხვევაში, ეს უკანასკნელი ვალდებულია ზემოაღნიშნული ვადის განმავლობაში სამოქალაქო კოდექსის მე-3 წიგნის 1-ლი ტიტულის 1-ლ განყოფილებაში მითითებული სავაჭრო რეესტრების მწარმოებლებს წარუდგინოს შერწყმის რეგისტრაციისათვის აუცილებელი დოკუმენტები.

მუხლი 2:319 გირავნობა ან უზუფრუქტი გასაუქმებელი წევრობის უფლებასა თუ აქციაზე/წილზე

– 1. როდესაც გასაუქმებელ იურიდიულ პირში წევრობის უფლებასა თუ აქციაზე/წილზე დადგენილი იყო გირავნობა ან უზუფრუქტი, მაშინ ის ობიექტი, რაც იკავებს წევრობის უფლებისა თუ აქციის/წილის ადგილს, იტვირთება აღნიშნული გირავნობითა თუ უზუფრუქტით.

– 2. როდესაც გირავნობა ან უზუფრუქტი დადგენილი იყო წევრობის იმ უფლებასა თუ აქციაზე/წილზე, რომლის ადგილს სხვა ობიექტი არ იკავებს, შემძენმა იურიდიულმა პირმა უნდა წარადგინოს ეკვივალენტური შემცვლელი ობიექტი.

მუხლი 2:320 კონკრეტული უფლებები, რომელთა რეალიზაცია შესაძლებელია გასაუქმებელი იურიდიული პირის მიმართ

– 1. იმ პირმა, რომელსაც ნაცვლად იურიდიული პირის წევრისა თუ აქციონერის/პარტნიორის სახით მოქმედებისა, გასაუქმებელი იურიდიული პირის მიმართ შეუძლია ისეთი კონკრეტული უფლების განხორციელება, როგორცაა მოგების განაწილებისა თუ აქციების/წილების მიღების (შეძენის) უფლება, უნდა მიიღოს შემძენ იურიდიულ პირში ეკვივალენტური უფლება ანდა – კომპენსაცია.

– 2. კომპენსაციის თანხის გაცემაზე შეთანხმების არარსებობისას, ეს უკანასკნელი ნებისმიერი მხარის მოთხოვნის საფუძველზე უნდა შეფასდეს ერთი ან რამდენიმე მიუკერძოებელი ექსპერტის მიერ, რომელსაც ნიშნავს იმ რაიონული სასამართლოს დროებითი სამართლებრივი დაცვის საშუალების მიმღები მოსამართლე, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც შემძენ იურიდიულ პირს აქვს თავისი დომიცილი.

– 3. 2:319 მუხლის ნორმები შესაბამისად გამოიყენება აღნიშნულ კონკრეტულ უფლებებზე დადგენილი გირავნობისა თუ უზუფრუქტის მიმართაც.

მუხლი 2:321 უკანასკნელი საანგარიშო წელი და უკანასკნელი ყოველწლიური ანგარიში; კანონისმიერი რეზერვები

– 1. იმ მომენტში, როდესაც შემძენი იურიდიული პირი საკუთარ ყოველწლიურ ანგარიშსა თუ სხვა ფინანსურ ანგარიშგებაში უთითებს გასაუქმებელი იურიდიული პირის ფინანსურ მონაცემებს, ამ იურიდიული პირის უკანასკნელი საანგარიშო წელი (ფინანსური წელი) უნდა დასრულდეს.

– 2. გასაუქმებელი იურიდიული პირის ყოველწლიურ ანგარიშსა თუ სხვა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული ვალდებულებები შერწყმის შემდეგ ეკისრება შემძენ იურიდიულ პირს.

– 3. აუცილებელია აიხსნას გასაუქმებელი იურიდიული პირის ყოველწლიურ ანგარიშსა თუ სხვა ფინანსურ ანგარიშგებაში და შემძენი იურიდიული პირის პირველ ყოველწლიურ ანგარიშსა თუ სხვა იმ ფინანსურ ანგარიშგებაში არსებული აქტივებისა და პასივების შეფასების სხვაობა, რომელშიც შემძენი იურიდიული პირი ახდენს ანგარიშგებას აღნიშნული აქტივებისა და პასივებისათვის.

– 4. შემძენმა იურიდიულმა პირმა უნდა შექმნას კანონისმიერი რეზერვები იგივე წესით, რა წესითაც გასაუქმებელმა იურიდიულმა პირმა უნდა შეინარჩუნოს კანონისმიერი რეზერვები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი რეზერვების შენარჩუნებისათვის აღარ არსებობს კანონისმიერი საფუძველი.

მუხლი 2:322 არსებული შეთანხმებების შეცვლა ან გაუქმება სასამართლოს მიერ

– 1. იმ შემთხვევაში, თუ შერწყმას შედეგად მოჰყვება ის, რომ შერწყმის განმახორციელებელი იურიდიული პირის შეთანხმება – გონივრულობისა და სამართლიანობის სტანდარტების მიხედვით – არ უნდა შენარჩუნდეს უცვლელად, სასამართლომ უნდა შეცვალოს ან გააუქმოს ეს შეთანხმება ერთ-ერთი დაინტერესებული მხარის მოთხოვნის საფუძველზე. ასეთი ცვლილება ან გაუქმება შეიძლება დადგინდეს უკუქცევითი ძალით.

– 2. სარჩელის წარდგენის უფლება, როგორც ეს მითითებულია წინა პარაგრაფში, უქმდება შერწყმის განმახორციელებელი იურიდიული პირების დომიცილის მიხედვით არსებული საჯარო რეესტრების ოფისში შერწყმის სანოტარო აქტის საჯარო შემონმებისათვის განთავსებიდან ექვსი თვის ვადის გასვლის შემდეგ.

– 3. თუ გარიგების მეორე მხარეს შეთანხმების შეცვლის ან გაუქმების შედეგად ადგება ზიანი, მაშინ იურიდიული პირი ვალდებულია გადაუხადოს მას შესაბამისი კომპენსაცია.

მუხლი 2:323 შერწყმის გაბათილება

– 1. სასამართლოს შეუძლია გაბათილოს შერწყმა მხოლოდ:

a. იმ შემთხვევებში, თუ ნოტარიუსის მიერ ხელმოწერილი შერწყმის სანოტარო აქტი არ წარმოადგენს ავტენტურ დოკუმენტს;

b. 2:310 მუხლის პარ. 5 ან 6-ის, 2:316 მუხლის პარ. 4-სა თუ 2:318 მუხლის პარ. 2-ის ნორმათა მოთხოვნების დარღვევის გამო;

c. იმ შემთხვევებში, თუ შერწყმისათვის აუცილებელი საერთო კრების გადანყვეტილება, ხოლო ფონდის („stichting“) შემთხვევაში კი, დირექტორთა საბჭოს გადანყვეტილება ბათილია, არ არის ძალაში ანდა ის საცილოა;

d. 2:310 მუხლის პარ. 5-ის ნორმათა მოთხოვნების დარღვევის გამო.

– 2. შერწყმის გაბათილება ხორციელდება შემძენი იურიდიული პირის დომიცილის არსებობის საბაზისად ტერიტორიის მიხედვით განსჯადი სასამართლოს გადანყვეტილებით, რომელიც მიიღება წევრის, აქციონერის/პარტნიორის, დირექტორისა თუ სხვა დაინტერესებული მხარის მიერ აღნიშნული იურიდიული პირის წინააღმდეგ წარდგენილი სარჩელის (სასარჩელო მოთხოვნის) საფუძველზე. შერწყმა, რომელიც არ გაბათილდა სასამართლოს მიერ, ნამდვილია.

– 3. შერწყმის გაბათილების მოთხოვნით სარჩელის (სასარჩელო მოთხოვნის) წარდგენის უფლება უქმდება ხარვეზის (დარღვევის) აღმოფხვრისთანავე ანდა სავაჭრო რეესტრის რეგისტრატორის ოფისში შერწყმის სანოტარო აქტის საჯარო შემონმებისათვის განთავსებიდან ექვსი თვის ვადის გასვლის შემდეგ.

– 4. შერწყმა არ გაბათილდება იმ შემთხვევებში, თუ:

a. იურიდიული პირი სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში აღმოფხვრის ხარვეზს (დარღვევას);

b. შერწყმის უკვე დამდგარი შედეგების მოტრიალება გართულდება.

– 5. როდესაც იმ მოსარჩელეს, რომელმაც წარადგინა სარჩელი (სასარჩელო მოთხოვნა) შერწყმის გაბათილების მოთხოვნით, მიადგა ზიანი იმ ხარვეზის (დარღვევის) შედეგად, რომელსაც შეეძლო გამოეწვია შერწყმის ბათილობა, ხოლო სასამართლომ კი არ მოახდინა შერწყმის გაბათილება, – მაშინ სასამართლოს შეუძლია დაადგინოს იურიდიული პირის მიერ საკომპენსაციო თანხის გადახდის თაობაზე. თავის მხრივ, იურიდიულ პირს შეუძლია რეგრესული მოთხოვნის უფლება წაუყენოს იმ პირს, ვისაც ბრალი მიუძღვის ხარვეზის (დარღვევის) არსებობაში და ასევე, – მიუხედავად იმისა, რომ ეს არ სცილდება მინიჭებული სარგებლის ფარგლებს, – იმ პირებსაც, რომლებმაც სარგებელი მიიღეს ამ ხარვეზის (დარღვევის) შედეგად.

– 6. იმ სასამართლოს მდივანმა, სადაც უკანასკნელად იხილებოდა სარჩელი (სასარჩელო მოთხოვნა), უნდა უზრუნველყოს შერწყმის გაბათილების ფაქტის რეგისტრაცია სავაჭრო რეესტრში.

– 7. იურიდიული პირები სოლიდარულად აგებენ პასუხს იმ ვალდებულებებისათვის, რომლებიც წარმოიშვა იმ იურიდიული პირის მიმართ, რომელშიც მოხდა ამ ვალდებულებების გაერთიანება შერწყმის შემდგომ, თუმცაღა – ამავე დროს გაბათილების ფაქტის სავაჭრო რეესტრში რეგისტრაციის მომენტამდე პერიოდში.

– 8. შერწყმის გაბათილების შესახებ კანონიერ ძალაში შესული და მბოჭავი სასამართლოს გადანყვეტილება სავალდებულოა შესასრულებლად ნებისმიერი პირისათვის. მესამე პირების მხრიდან პროტესტის წარდგენა დაუშვებელია; ასევე დაუშვებელია შერწყმის გაბათილების მოთხოვნის გამოხმობაც.

მუხლი 2:323a {გაუქმებულია 06.08.1987წ.}

მუხლი 2:323b {გაუქმებულია 06.08.1987წ.}

განყოფილება 2.7.3 – ღია და დახურული კორპორაციების შერწყმის მომწესრიგებელი სპეციალური საკანონმდებლო ნორმები

მუხლი 2:324 წინამდებარე განყოფილების ნორმების გამოყენება

წინამდებარე განყოფილების (განყოფილება 2.7.3) ნორმები მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ ხდება ღია და დახურული კორპორაციების („naamloze of besloten vennootschap“) ერთმანეთთან შერწყმა.

მუხლი 2:325 აქციები/წილები (გაცვლითი თანაფარდობა, დამატებითი თანხები, კაპიტალიდან გამოტანა)

– 1. თუ შერწყმის განმახორციელებელი კორპორაციის კაპიტალში არსებული აქციები/წილები ან სადეპოზიტო ჩეკები დაშვებულია რეგულირებულ ბაზარზე ან მრავალდარგოვან სავაჭრო ობიექტზე, როგორც ეს მითითებულია ფინანსური ზედამხედველობის შესახებ კანონის 1:1 მუხლში, ან იმ სისტემაში, რომელიც უთანაბრდება ასეთ რეგულირებულ ბაზრებს ან მრავალდარგოვან სავაჭრო ობიექტებს ევროკავშირის არანევრ სახელმწიფოში, მაშინ გაცვლითი თანაფარდობა შეიძლება დამოკიდებული გახდეს ამ ბაზარსა თუ სავაჭრო ობიექტზე არსებულ აქციების/წილების ან, შესაბამისად, სადეპოზიტო ჩეკების ფასზე იმ შერწყმის წინადადებაში განსაზღვრულ ერთ ან რამდენიმე მომენტში, რომელიც შეირჩა შერწყმის ძალაში შესვლის დღემდე.

– 2. როდესაც აქციების/წილების გაცვლითი თანაფარდობის შედეგად სახეზეა ფულსა თუ სავალლო მოთხოვნებზე (დებიტორულ დავალიანებაზე) არსებული უფლებამოსილება, მათი ჯამური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს გამოყოფილი აქციების/წილების ნომინალური ღირებულების ერთ მეათედს.

– 3. შერწყმის სანოტარო აქტში შემძენ კორპორაციას შეუძლია გამოიტანოს თავად მის ან შერწყმის განმახორციელებელი სხვა კორპორაციის მფლობელობაში არსებული აქციები/წილები საკუთარი კაპიტალიდან იმ აქციების/წილების მაქსიმალური ნომინალური ღირებულებით, რასაც ის გამოუყოფს თავის ახალ აქციონერებს/პარტნიორებს. ასეთ შემთხვევაში 2:99 მუხლის, 2:100 მუხლის, 2:208 მუხლისა და 2:216 მუხლის ნორმები არ გამოიყენება.

– 4. უქმდება გასაუქმებელი იურიდიული პირის კაპიტალში არსებული ის აქციები/წილები, რომელთა ფლობაც ხორციელდება შერწყმის განმახორციელებელი კორპორაციების მიერ ან მათი სახელით (ხარჯზე).

მუხლი 2:326 შერწყმის წინადადებაში მოცემული დამატებითი ინფორმაცია

2:312 მუხლში ჩამოთვლილი საკითხების გარდა, შერწყმის წინადადებაში დამატებით საუბარია ასევე:

a. აქციების/წილების გაცვლით თანაფარდობაზე, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში კი, – გაცვლით თანაფარდობის გათვალისწინებით განხორციელებული გადახდების თანხების ოდენობაზე;

b. იმაზე, თუ რა მომენტიდან ანდა რა მოცულობით მიიღებენ მონაწილეობას გასაუქმებელი იურიდიული პირის აქციონერები/პარტნიორები შემძენი კორპორაციის მოგებაში;

c. სავარაუდოდ რამდენი აქციის/წილის კაპიტალიდან გატანა შეიძლება მოხდეს 2:325 მუხლის პარ. 3-ის ნორმათა საფუძველზე.

მუხლი 2:327 წერილობით განმარტებაში მოცემული დამატებითი ინფორმაცია

დირექტორთა საბჭომ შერწყმის წინადადებაზე გაკეთებულ წერილობით განმარტებაში უნდა მიუთითოს:

a. იმაზე, თუ რა მეთოდის ან მეთოდების მიხედვით დგინდება გაცვლითი თანაფარდობა;

b. იყო თუ არა ეს მეთოდი ან მეთოდები სათანადოდ აღნიშნული კონკრეტულ შემთხვევაში;

c. იმაზე, თუ რა ღირებულებამდე მივყავართ თითოეულ მეთოდს;

d. იმ შემთხვევაში, თუ გამოიყენება ერთზე მეტი მეთოდი: ჩაითვლება თუ არა შეფასებისას გამოყენებული მეთოდების შედარებითი მნიშვნელობა ზოგადად აღიარებული სტანდარტების მხრივ მისაღებად, და;

e. იმაზე, თუ კონკრეტულად რა სირთულეები, ასეთის არსებობის შემთხვევაში, წარმოიშვა შეფასების პროცესში და გაცვლითი თანაფარდობის დადგენის დროს.

მუხლი 2:328 აუდიტორების მონაწილეობა და დამატებითი საკითხებთან დაკავშირებით ანგარიშგება

– 1. დირექტორთა საბჭოს მიერ დანიშნულმა 2:393 მუხლში მითითებულმა აუდიტორმა (ბუღალტერ-

რმა) უნდა შეამოწმოს შერწყმის წინადადება და დარწმუნდეს იმაში, არის თუ არა მისი შეხედულებით, – მათ შორის, თანდართული დოკუმენტების გათვალისწინებით, – აქციების/წილების შეთავაზებული გაცვლითი თანაფარდობა გონივრული. ის ასევე უნდა დარწმუნდეს იმაშიც, რომ გასაუქმებელი კორპორაციების საკუთარი კაპიტალის (მთლიან აქტივებს გამოკლებული ვალდებულებები) ოდენობა, რაც დგინდება იმ დღისათვის, როდესაც შესაბამისი კორპორაციის ყოველწლიური ანგარიში ან შუალედური კაპიტალის თანხა ეხება, – შეფასების ზოგადად აღიარებული სტანდარტების გამოყენებისას, – სულ ცოტა, უტოლდება იმ ნომინალურ თანხას, რომელიც შერწყმის შედეგად აქციის/წილის შემძენი აქციონერების/პარტნიორების მიერ გადახდილია ყველა ამ აქციაზე/წილზე, რასაც ემატება ის გადახდები, რომლებზეც აქციონერები/პარტნიორები არიან უფლებამოსილი გაცვლითი თანაფარდობის შედეგად.

– 2. აუდიტორმა (ბუღალტერმა) უნდა მოამზადოს ასევე ანგარიში, სადაც ის გააჟღერებს თავის მოსაზრებებს 2:327 მუხლში აღნიშნულ დირექტორთა საბჭოს წერილობით განმარტებასთან დაკავშირებით.

– 3. თუ შერწყმის განმახორციელებელი ორი ან მეტი კორპორაცია წარმოადგენს ღია კორპორაციებს („naamloze vennootschappen“), მაშინ მხოლოდ ერთი და იგივე პირი შეიძლება დაინიშნოს აუდიტორად (ბუღალტრად), თუ ამსტერდამის სააპელაციო სასამართლოს სამენარმო საქმეთა პალატის („Ondernemingskamer“) პრეზიდენტმა მოთხოვნის საფუძველზე მოინონა ასეთი დანიშვნა.

– 4. აუდიტორები (ბუღალტრები) თანაბრად არიან კომპეტენტური ჩაატარონ შემოწმება შერწყმის განმახორციელებელი ყველა კორპორაციის მიმართ.

– 5. 2:314 მუხლის ნორმები შესაბამისად გამოიყენება აუდიტორის (ბუღალტრის) მოწმობის მიმართ; 2:314 მუხლის პარ. 2 და 3-ის ნორმები შესაბამისად გამოიყენება აუდიტორის (ბუღალტრის) ანგარიშის (კვლევის) მიმართ.

– 6. პარ. 1-ის პირველი სრული წინადადება და პარ. 2-ის ნორმა არ გამოიყენება, თუ შერწყმის განმახორციელებელი კორპორაციების აქციონერები დაეთანხმნენ ამას.

მუხლი 2:329 აქციების/წილების სადეპოზიტო ჩეკების მფლობელთა მხრიდან არსებული შემოწმების უფლება

2:314 მუხლის პარ. 2 გამოიყენება ასევე კორპორაციასთან თანამშრომლობით გამოშვებული წილების სადეპოზიტო ჩეკების მფლობელთა მიმართაც.

მუხლი 2:330 შერწყმის შესახებ საერთო კრების გადაწყვეტილება

– 1. შერწყმის შესახებ საერთო კრების გადაწყვეტილებისათვის ნებისმიერ შემთხვევაში მოითხოვება ხმათა, სულ ცოტა, ორი მესამედის უმრავლესობა, თუ კრებაზე გამოცხადნენ გამოშვებული კაპიტალის ნახევარზე ნაკლები მფლობელი აქციონერები/პარტნიორები. კორპორაციის შერწყმისას საქმე გვაქვს საინვესტიციო კომპანიასთან, როგორც ეს მითითებულია ფინანსური ზედამხედველობის შესახებ კანონში, რომლის მიზანს წარმოადგენს საზოგადოების მიერ კაპიტალის ერთობლივი ინვესტირება, რომელიც თავის საქმიანობას ახორციელებს რისკის განაწილების პრინციპითა და რომლის ერთეულების ხელახალი შექმნა ან გამოსყიდვა, პირდაპირ ან არაპირდაპირ მფლობელთა მოთხოვნის საფუძველზე ხორციელდება საზოგადოების აქტივებიდან. ასეთი კომპანიის მიერ წარდგენილი სარჩელი იმ მოთხოვნით, რომ უზრუნველყოფილ იქნეს კომპანიის ერთეულების საბირჟო ფასის მისი წმინდა აქტივების ღირებულებიდან მნიშვნელოვანი გადახვევის გამორიცხვა, განიხილება როგორც აღნიშნული ხელახალი შექმნისა თუ გამოსყიდვის ეკვივალენტი.

– 2. როდესაც სახეზეა სხვადასხვა ტიპის (კლასის) აქციები/წილები, მაშინ შერწყმასთან დაკავშირებით საერთო კრების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასთან ერთად მოითხოვება ერთი და იგივე ტიპის (კლასის) აქციათა/წილთა მფლობელების ყოველი იმ ჯგუფის წინასწარი ან ერთდროულად მიღებული გადაწყვეტილება, რომელთა უფლებებსაც ეხება საერთო კრების გადაწყვეტილება. შერწყმის გადაწყვეტილების მიმართ 2:231 მუხლის პარ. 4-ის ნორმები არ გამოიყენება. 2:226 მუხლის პარ. 2-ის ნორმები არ გამოიყენება 2:333h მუხლში მითითებული შერწყმის აქტების მიმართ. აუცილებელი თანხმობა შეიძლება მიცემულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გასულია ერთთვიანი ვადა იმ დღიდან, როდესაც შერწყმის განმახორციელებელმა ყველა კორპორაციამ განაცხადა იმის შესახებ, რომ შერწყმის წინადადება შემოწმებისათვის არის განთავსებული ან ის გასაჯაროებულია.

– 3. იმ საერთო კრების ოქმი, რომელზეც მიღებულ იქნა შერწყმის შესახებ გადაწყვეტილება, ანდა შერწყმა მოწონებულ იქნა პარ. 2-ის შესაბამისად, დგება სანოტარო აქტის სახით.

მუხლი 2:331 შერწყმის შესახებ დირექტორთა საბჭოს გადანყვეტილება

– 1. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წესდება სხვაგვარად ითვალისწინებს, შემძენ კორპორაციას შერწყმის შესახებ გადანყვეტილება შეუძლია მიიღოს დირექტორთა საბჭოს მიერ გადანყვეტილების მიღების საფუძველზე.

– 2. თუმცა, დირექტორთა საბჭოს აღნიშნული გადანყვეტილება შეიძლება მიღებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კორპორაციამ ასეთი გადანყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ ახსენა განცხადებაში იმაზე მითითებით, რომ შერწყმის წინადადება შემონმებისათვის უკვე იქნა განთავსებული.

– 3. ზემოაღნიშნული გადანყვეტილება ვერ იქნება მიღებული იმ შემთხვევაში, თუ ერთობლივად, სულ ცოტა, გამოშვებული კაპიტალის ერთი მეოცედი ან წესდებით გათვალისწინებული უფრო ნაკლები ხმის უფლების მქონე ერთმა ან მეტმა აქციონერმა/პარტნიორმა შერწყმის საკითხის გადანყვეტის მიზნით დირექტორთა საბჭოს მოსთხოვა საერთო კრების ზემოაღნიშნული განცხადების გაკეთებიდან ერთი თვის ვადაში მოწვევა. ასეთ შემთხვევაში გამოიყენება 2:317 და 2:330 მუხლები.

– 4. თუ შემძენი იურიდიული პირი ერწყმის იმ კორპორაციას, რომლის ყველა აქციას/წილსაც ის ფლობს, მაშინ გასაუქმებელ იურიდიულ პირს შერწყმის განხორციელება შეუძლია დირექტორთა საბჭოს გადანყვეტილებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წესდება სხვაგვარად ითვალისწინებს.

მუხლი 2:332 {გაუქმებულია 01.07.2011წ.}

მუხლი 2:333 გამარტივებული შერწყმა 100%-ანი მონაწილეობის შემთხვევაში

– 1. თუ შემძენი იურიდიული პირი ერწყმის იმ კორპორაციას, რომლის ყველა აქციას/წილსაც ის ფლობს, ანდა – იმ კავშირს („vereniging“), კოოპერატივს („coöperatie“) თუ საზიარო დაზღვევის საზოგადოებას („onderlinge waarborgmaatschappij“), რომლის ერთადერთ წევრსაც ის წარმოადგენს, მაშინ 2:326 მუხლიდან 2:328 მუხლის ჩათვლით ნორმები არ გამოიყენება.

– 2. თუ რომელიმე პირი ან სხვა პირი საკუთარი სახელით (საკუთარი ხარჯზე) ფლობს შესარწყმელი კორპორაციის ყველა აქციას/წილს, ხოლო შემძენი იურიდიული პირი კი შერწყმის სანოტარო აქტით არ ახდენს აქციების/წილების განაწილებას, მაშინ 2:326 მუხლიდან 2:328 მუხლის ჩათვლით ნორმები არ გამოიყენება.

– 3. თუ კავშირი („vereniging“), კოოპერატივი („coöperatie“), საზიარო დაზღვევის საზოგადოება („onderlinge waarborgmaatschappij“) ან ფონდი („stichting“) ერწყმის ღია ან დახურულ კორპორაციებს („naamloze of besloten vennootschap“), რომლის ყველა აქციას/წილსაც ის ფლობს, მაშინ გამოიყენება მხოლოდ წინამდებარე განყოფილების 2:329 მუხლის ნორმები.

მუხლი 2:333a სამმხრივი შერწყმა; კომპანიათა ჯგუფი

– 1. შერწყმის სანოტარო აქტი შეიძლება ითვალისწინებდეს გასაუქმებელი იურიდიული პირის აქციონერების/პარტნიორების შემძენი კორპორაციის კომპანიათა ჯგუფის აქციონერად/პარტნიორად გახდომის შესაძლებლობას. ასეთ შემთხვევაში ეს აქციონერები/პარტნიორები არ გახდებიან შემძენი კორპორაციის აქციონერები/პარტნიორები.

– 2. წინა პარაგრაფში მითითებული შერწყმა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომპანიათა ჯგუფი, დამოუკიდებლად ანდა ერთობლივად სხვა კომპანიათა ჯგუფთან ერთად, ქმნის შემძენი იურიდიული პირის მთლიან გამოშვებულ კაპიტალს. კომპანიათა ჯგუფის გადანყვეტილების მიმართ შესაბამისად გამოიყენება 2:317 მუხლის პარ. 1-დან 4-ის ჩათვლით, 2:330 და 2:331 მუხლის ნორმები.

– 3. კომპანიათა ჯგუფი, რომელიც ახდენს აქციების/წილების განაწილებას, შემძენ კორპორაციასთან ერთად განიხილება როგორც შერწყმის განმახორციელებელი იურიდიული პირი. ის ვალდებულია, რომლებიც 2:312 მუხლიდან 2:329 მუხლის ჩათვლით ნორმებით გათვალისწინებულია შემძენი კორპორაციის მიმართ, ეკისრება აღნიშნულ კომპანიათა ჯგუფს, გარდა 2:316 მუხლის, 2:317 მუხლის, 2:318 მუხლის პარ. 4-ის, 2:321 მუხლის პარ. 2 და 4-ის, 2:323 მუხლის პარ. 7-ის ნორმებით გათვალისწინებული ვალდებულებებისა; 2:328 მუხლის პარ. 3-ის მიზნებისათვის ასეთი კომპანიათა ჯგუფი მაინც გამორიცხული რჩება. აღნიშნულ შემთხვევაში 2:312 მუხლის პარ. 2-ის (b) პუნქტის, 2:320 მუხლის, 2:325 მუხლის პარ. 3-სა და 2:326 მუხლის პარ. 1-ის (b) პუნქტის ნორმები შემძენი კორპორაციის მიმართ არ გამოიყენება.

**განყოფილება 2.7.3A (გამოტოვებულია წინამდებარე გამოცემაში
როგორც არააქტუალური)**

განყოფილება 2.7.4 – გაყოფასთან დაკავშირებული ზოგადი დებულებები

მუხლი 2:334a „წმინდა გაყოფისა“ და „გამოყოფის“ განმარტებები; გაყოფის მხარე

- 1. გაყოფა მოიცავს წმინდა გაყოფასა და გამოყოფას.
- 2. „წმინდა გაყოფა“ წარმოადგენს გარიგებას, რომლითაც იმ იურიდიული პირის ქონების შექმნა (აქტივები და პასივები), რომელიც გაყოფის დროს წყვეტს თავის არსებობას, ხდება უნივერსალური სამართალმემკვიდრეობით იმ აღწერილობის შესაბამისად, რომელიც თან ერთვის ორი ან მეტი სხვა იურიდიული პირის მიერ შედეგნილ გაყოფის შესახებ სანოტარო აქტს.
- 3. „გამოყოფა“ წარმოადგენს გარიგებას, რომლითაც იმ იურიდიული პირის ქონების ან ამ ქონების ნაწილის შექმნა (აქტივები და პასივები), რომელიც გაყოფის დროს არ წყვეტს თავის არსებობას, ხდება უნივერსალური სამართალმემკვიდრეობით იმ აღწერილობის შესაბამისად, რომელიც თან ერთვის ორი ან მეტი იმ სხვა იურიდიული პირის მიერ შედეგნილ გაყოფის შესახებ სანოტარო აქტს, რომელთაგან, სულ ცოტა, ერთი მაინც წინამდებარე და ქვემოთ მოცემული განყოფილების ნორმების შესაბამისად წევრობის უფლებებსა თუ თავის კაპიტალში აქციებს/წილებს გადასცემს გაყოფის განმახორციელებელი იურიდიული პირის წევრებსა თუ აქციონერებს/პარტნიორებს ანდა – რომელთაგან, სულ ცოტა, ერთი მაინც იქმნება (ფუძნდება) გაყოფის განმახორციელებელი იურიდიული პირის გაყოფისას.
- 4. გაყოფის მხარეს წარმოადგენენ გაყოფის განმახორციელებელი იურიდიული პირი, ისევე როგორც – თითოეული შემძენი იურიდიული პირი, გარდა იმ იურიდიული პირისა, რომელიც გაყოფისას იქმნება (ფუძნდება).

მუხლი 2:334b იურიდიული პირის სახე, რომელიც შეიძლება დაექვემდებაროს ერთი და იგივე გაყოფას

- 1. გაყოფის მხარეები უნდა იყვნენ ერთი და იგივე სახის იურიდიული პირები.
- 2. როდესაც გაყოფისას იქმნება (ფუძნდება) შემძენი იურიდიული პირი, ის უნდა იყოს იგივე სახის, რასაც წარმოადგენს გაყოფის განმახორციელებელი იურიდიული პირი.
- 3. წინამდებარე მუხლის მიზნებისათვის, ღია კორპორაცია („naamloze vennootschap“) და დახურული კორპორაცია („besloten vennootschap“) მიიჩნევიან ერთი და იგივე სახის იურიდიულ პირებად.
- 4. კავშირის („vereniging“), კოოპერატივის („coöperatie“), საზიარო დაზღვევის საზოგადოების („onderlinge waarborgmaatschappij“) ან ფონდის („stichting“) გაყოფისას შეიძლება შეიქმნას ღია ან დახურული კორპორაციები („naamloze of besloten vennootschappen“) იმ პირობით, თუ გაყოფის განმახორციელებელი იურიდიული პირი გაყოფის მომენტში შეიძენს ყველა აქციას/წილს.
- 5. გაუქმებული იურიდიული პირი ვერ გახდება გაყოფის გარიგების მხარე, თუ გაუქმების (ლიკვიდაციის) გამო მისი ქონებიდან უკვე განხორციელდა შესაბამისი განაწილება.
- 6. იურიდიული პირი ვერ გახდება გაყოფის გარიგების მხარე მისი გაკოტრების საქმის წარმოების ანდა იმ ვადის განმავლობაში, როდესაც მისი სახელით განსახორციელებელი ფულადი თანხების გადახდაზე მოქმედებს მორატორიუმი.
- 7. გაყოფის განმახორციელებელი იურიდიული პირი შეიძლება გაკოტრდეს ანდა დაექვემდებაროს მისი სახელით განსახორციელებელი ფულადი თანხების გადახდაზე მორატორიუმის მოქმედებას იმ პირობით, თუ ყველა შემძენი იურიდიული პირი წარმოადგენს გაყოფისას შექმნილ (დაფუძნებულ) ღია ან დახურულ კორპორაციებს („naamloze of besloten vennootschappen“), ხოლო გაყოფის განმახორციელებელი იურიდიული პირი კი გაყოფისას ხდება ამ კორპორაციების ერთადერთი აქციონერი/პარტნიორი. თუ გაყოფის განმახორციელებელი იურიდიული პირის ქონებაზე მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება, მაშინ გაკოტრების მმართველს („curator“) შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება გაყოფის შესახებ იმ შედეგით, რომ წინამდებარე და ქვემოთ მოცემული განყოფილების ნორმების შესაბამისად დირექტორთა საბჭოზე დაკისრებული ვალდებულებები უნდა დაეკისროს გაკოტრების მმართველს („curator“); თუ გაყოფის განმახორციელებელი იურიდიული პირი ექვემდებარება მისი სახელით განსახორციელებელი ფულადი თანხების გადახდაზე მორატორიუმის მოქმედებას, გაყოფის გადაწყვეტილება საჭიროებს იურიდიული მმართველის („bewindvoerder“) თანხმობას. გამოიყენება 2:334d მუხლის მეორე წინადადების, 2:334f მუხლის პარ. 2-ის (e) პუნქტის ნორმები, რამდენადაც საქმე ეხება ქონების (აქტივები და პასივები)

ნაწილის ღირებულებას, რომელსაც გაყოფის განმახორციელებელი იურიდიული პირი შეინარჩუნებს; გა-
კოტრების საქმის წარმოების შემთხვევაში არ მოქმედებს 2:334g მუხლის პარ. 2-ის, 2:334i მუხლის პარ.
1-ის, 2:334k მუხლის, 2:334w მუხლისა და 334ff მუხლის პარ. 3-ის ნორმები; 2:334d და 2:334w მუხლების
ნორმები არ გამოიყენება ფულადი თანხების გადახდაზე მორატორიუმის შემთხვევაში.

მუხლი 2:334c გაყოფის სამართლებრივი შედეგები თავად მისი მონაწილე მხარეების მიმართ

– 1. როდესაც გაყოფის განმახორციელებელი იურიდიული პირის მთლიანი ქონება (აქტივები და პასი-
ვები) გადადის გაყოფის მონაწილე ერთ ან რამდენიმე იურიდიულ პირზე, მაშინ გაყოფის განმახორციე-
ლებელი იურიდიული პირი გაყოფის ძალაში შესვლის მომენტიდან წყვეტს არსებობას.

– 2. პარ. 1-ის ნორმები არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ, სულ ცოტა, ერთი შემძენი იურიდიული
პირი წარმოადგენს გაყოფისას შექმნილ (დაფუძნებულ) ღია ან დახურულ კორპორაციას („naamloze of
besloten vennootschap“), ხოლო გაყოფის განმახორციელებელი იურიდიული პირი კი გაყოფისას იძენს ამ
კორპორაციების ყველა აქციას/წილს.

მუხლი 2:334d გადაცემული და შენარჩუნებული ქონების ღირებულება

გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შემძენ იურიდიულ პირებს წარმოადგენენ ღია ან დახურული კორ-
პორაციები („naamloze of besloten vennootschappen“), გაყოფის განმახორციელებელი იურიდიული პირის
ქონების იმ ნაწილის (აქტივებისა და პასივების ნაწილის) ღირებულება, რომელსაც შემძენი იურიდიული
პირი იძენს, გაყოფის მომენტში უნდა უტოდებოდეს, სულ ცოტა, ნულს. გარდა იმ შემთხვევებისა, რო-
დესაც გაყოფის განმახორციელებელ იურიდიულ პირს წარმოადგენს ღია ან დახურული კორპორაცია
(„naamloze of besloten vennootschap“), იგივე წესი მოქმედებს ქონების იმ ნაწილის (ყველა აქტივისა და პა-
სივის ნაწილის) ღირებულების მიმართ, რომელსაც ინარჩუნებს ის იურიდიული პირი, რომელიც აგრძე-
ლებს არსებობას, და – ასევე იზრდება იმ აქციების/წილების ღირებულებით, რომლებსაც აღნიშნული იუ-
რიდიული პირი გაყოფის მომენტში იძენს შემძენი იურიდიული პირის კაპიტალში.

მუხლი 2:334e წევრებისა და აქციონერების/პარტნიორების პოზიცია

– 1. გაყოფის განმახორციელებელი იურიდიული პირის წევრები ან აქციონერები/პარტნიორები გაყო-
ფის შედეგად ხდებიან ყველა შემძენი იურიდიული პირის წევრები ან აქციონერები/პარტნიორები.

– 2. შემძენი იურიდიული პირის კაპიტალში არანაირი აქციების/წილების შექმნა არ ხდება გაყოფის
განმახორციელებელი იურიდიული პირის კაპიტალში არსებული იმ აქციებისათვის/წილებისათვის, რო-
მელთა ფლობაც ხორციელდება ამ შემძენი იურიდიული პირის მიერ ან მისი სახელით (ხარჯზე) ანდა – გა-
ყოფის განმახორციელებელი იურიდიული პირის მიერ ან მისი სახელით (ხარჯზე).

– 3. პარ. 1-ის ნორმები არ გამოიყენება იმდენად, რამდენადაც:

a. შემძენ იურიდიულ პირებს წარმოადგენენ გაყოფისას შექმნილი (დაფუძნებული) ღია ან დახურული
კორპორაციები („naamloze of besloten vennootschappen“), ხოლო გაყოფის განმახორციელებელი იურიდი-
ული პირი კი გაყოფისას იძენს ამ კორპორაციების ყველა აქციას/წილს;

b. 2:334cc ან 2:334ii მუხლების ნორმები გამოიყენება შემძენი კორპორაციის მიმართ;

c. აქციების/წილების გაცვლითი თანაფარდობის შესაბამისად აღარ არსებობს თუნდაც მხოლოდ ერთ
აქციაზე/წილზე უფლებამოსილებაც კი.

მუხლი 2:334f გაყოფის წინადადება და მისი შინაარსი

– 1. გაყოფის გარიგების მხარეთა დირექტორთა საბჭოებმა უნდა მოამზადონ გაყოფის წინადადება.

– 2. გაყოფის წინადადებაში უნდა მიეთითოს, სულ ცოტა, შემდეგი:

a. გაყოფის გარიგების მხარეთა სახე, სახელწოდება და ადგილსამყოფელი (რეგისტრირებული მისა-
მართი), ხოლო რამდენადაც გაყოფისას იქმნება (ფუძნდება) შემძენი იურიდიული პირები, – დაფუძნების
სანოტარო აქტების პროექტები;

b. შემძენი იურიდიული პირებისა და გაყოფის განმახორციელებელი იმ იურიდიული პირის წესდებები,
რომელიც აგრძელებს არსებობას, როგორც გაყოფამდე, ისე გაყოფის შემდგომი რედაქციით, ხოლო თუ
შემძენი იურიდიული პირი უნდა ახლიდან შეიქმნას (დაფუძნდეს), მაშინ – დაფუძნების სანოტარო აქტის
პროექტი;

c. გადადის თუ არა გაყოფის განმახორციელებელი იურიდიული პირის მთლიანი ქონება (აქტივები და
პასივები) ამ მისი ნაწილი გაყოფის მონაწილე იურიდიულ პირზე;

d. აღწერილობა, რომლითაც შეიძლება ზუსტად დადგინდეს, თუ გაყოფის განმახორციელებელი იურიდიული პირის რომელი აქტივები და პასივები გადავა თითოეულ შემდენ იურიდიულ პირზე, ხოლო თუ არ უნდა გადავიდეს გაყოფის განმახორციელებელი იურიდიული პირის მთლიანი ქონება (ყველა აქტივი და პასივი), მაშინ რომელი აქტივები და პასივები რჩება მას, ისევე როგორც – შემდენი იურიდიული პირისა და გაყოფის განმახორციელებელი იმ იურიდიული პირის ანგარიშ-ფაქტურის შესაბამისი მოგება-ზარალის ანგარიში ან სავაჭრო ანგარიში, რომელიც აგრძელებს არსებობას;

e. იმ თარიღისათვის შეფასებული ღირებულება, როდესაც გაყოფის განმახორციელებელი იურიდიული პირის ყოველწლიური ანგარიში ან 2:334g მუხლის პარ. 2-ში მითითებული დროებითი კაპიტალური ანგარიში ეხება, – და რომელიც გამოითვლება აღნიშნული პარაგრაფის მესამე წინადადების ნორმის ჯეროვანი დაცვით, – იმ ქონების (აქტივი და პასივი) ნაწილს, რომელიც თითოეულმა შემდენმა იურიდიულმა პირმა უნდა შეიძინოს, და ასევე – იმ ნაწილს, რომელიც შენარჩუნდება იმ იურიდიული პირის მიერ, რომელიც აგრძელებს არსებობას;

f. უფლებები ან საკომპენსაციო თანხები, რომლებიც შემდენი იურიდიული პირის ხარჯზე გაიცემა (გადაეცემა) 2:334p მუხლის შესაბამისად იმ პირთა სასარგებლოდ, რომლებიც სხვა სტატუსის გამო, რომელსაც არ მიეკუთვნება იურიდიული პირის წევრობა ან აქციონერობა/პარტნიორობა, შეუძლიათ განახორციელონ კონკრეტული უფლებები გაყოფის განმახორციელებელი იურიდიული პირის მიმართ, როგორცაა მოგების განაწილებისა თუ აქციების/წილების მიღების (შეძენის) უფლებები – და ასევე, რა მომენტიდან განახორციელონ ეს უფლებები;

g. გაყოფასთან დაკავშირებული სარგებელი, რომელიც გაიცემა (გადაეცემა) გაყოფის გარიგების მხარის დირექტორებზე ან ზედამხედველ დირექტორებზე ანდა – ვინმე სხვა პირზე, ვინც ჩართულია გაყოფის პროცესში;

h. გაყოფის შემდეგ შემდენი იურიდიული პირისა და გაყოფის განმახორციელებელი იმ იურიდიული პირის, რომელიც აგრძელებს არსებობას, დირექტორთა საბჭოს შემადგენლობასთან დაკავშირებით არსებული განზრახვები, ხოლო თუ სახეზე იქნება ასევე სამეთვალყურეო საბჭოც, – მაშინ ამ უკანასკნელის შემადგენლობასთან დაკავშირებით არსებული გეგმებიც;

i. ის დღე, რომლიდანაც გადასაცემი ქონების (აქტივი და პასივი) თითოეული ნაწილის ფინანსური მონაცემები აისახება შემდენი იურიდიული პირების ყოველწლიურ ანგარიშსა თუ სხვა ფინანსურ ანგარიშგებაში;

j. გაყოფის განმახორციელებელი იურიდიული პირის წევრობისა თუ შემდენი იურიდიული პირების აქციებზე/წილებზე საკუთრების გადაცემასთან დაკავშირებით დაგეგმილი ღონისძიებები;

k. საქმიანი ოპერაციების გაგრძელებასა თუ შეწყვეტასთან დაკავშირებული გეგმები;

l. აუცილებლობის შემთხვევაში, რომელმა პირმა ან ორგანომ უნდა დაადასტუროს გაყოფის შესახებ გადანყვეტილება.

– 3. გაყოფის წინადადებას ხელს აწერენ გაყოფის გარიგების თითოეული მხარის დირექტორები; როდესაც სახეზე არ არის ერთი ან მეტი ხელმოწერა, მაშინ ამის თაობაზე უნდა მოხდეს შესაბამისი შეტყობინების წარდგენა მიზეზების მითითებით.

– 4. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ყველა გასაყოფი იურიდიული პირი წარმოადგენს კავშირებს („verenigingen“) ან ფონდებს („stichtingen“), გაყოფის წინადადება უნდა დადასტურდეს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ და ასევე ხელმოწერილ იქნეს ყველა ზედამხედველი დირექტორის მიერ; როდესაც სახეზე არ არის ერთი ან მეტი ხელმოწერა, მაშინ ამის თაობაზე უნდა მოხდეს შესაბამისი შეტყობინების წარდგენა მიზეზების მითითებით. გარდა აღნიშნულისა, გაყოფის წინადადებაში მიეთითება შემდენი იურიდიული პირისა და ასევე იმ იურიდიული პირის გუდვილის მასშტაბსა (პროპორციასა) და გასანაწილებელ რეზერვებზე შეთავაზებული გაყოფის ზეგავლენის თაობაზე, რომელიც აგრძელებს არსებობას.

მუხლი 2:334g წერილობითი განმარტება; ყოველწლიური ანგარიში და კაპიტალის მდგომარეობის შესახებ შუალედური ანგარიში

– 1. გაყოფის გარიგების თითოეული მხარის დირექტორთა საბჭოებმა წერილობით განმარტებაში უნდა მიუთითონ გაყოფის მიზეზები საქმიანი ოპერაციების მიმართ მოსალოდნელი შედეგების გარკვევის ჩათვლით და ასევე წარადგინონ დამატებითი კომენტარი სამართლებრივი, ეკონომიკური და სოციალური შეხედულებებიდან გამომდინარე.

– 2. თუ იმ იურიდიული პირის უკანასკნელი საანგარიშო წლიდან (ფინანსური წლიდან), რომლის მიმართაც დამტკიცდა ყოველწლიური ანგარიში ან სხვა ფინანსური ანგარიშგება, გაყოფის წინადადების

საჯარო შემონმებისათვის განთავსების მომენტამდე გასულია ექვს თვეზე მეტი, დირექტორთა საბჭომ უნდა მოამზადოს განცალკევებული ყოველწლიური ანგარიში ან კაპიტალის მდგომარეობის შესახებ შუალედური ანგარიში. ასეთი ანგარიში უნდა ეხებოდეს იურიდიული პირის (აქტივებისა და პასივების) მდგომარეობას იმ დღისათვის, რომელიც იქნება არაუადრეს მესამე თვის პირველი დღისა იმ თვემდე, როდესაც მოხდა გაყოფის წინადადების შემონმებისათვის განთავსება ან გასაჯაროება. ანგარიში მზადდება იმ კონფიგურაციისა (სქემისა) და შეფასების მეთოდების შესაბამისად, რომლებიც გამოყენებულ იქნა უკანასკნელად დამტკიცებულ ყოველწლიურ ანგარიშსა თუ სხვა ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამ მეთოდებიდან გადახვევა ჯეროვნად არის დასაბუთებული და ეხება იმ ფაქტს, რომ მიმდინარე (განახლებული) ღირებულების ოდენობა საბუღალტრო მონაცემთა ოდენობისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. აღნიშნულ ანგარიშში შეიტანება ასევე ის რეზერვები, რომლებიც ექვემდებარება შენარჩუნებას კანონისა თუ წესდების შესაბამისად.

- 3. პარ. 2 არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ იურიდიული პირი აკმაყოფილებს ფინანსური ზედამხედველობის შესახებ კანონის 5:25d მუხლში მითითებული ნახევარწლიანი ფინანსური წლის ანგარიშთან დაკავშირებულ მოთხოვნებს.

მუხლი 2:334h საჯარო რეესტრში განსათავსებელი დოკუმენტები

- 1. გაყოფის გარიგების თითოეულმა მხარემ საჯარო რეესტრის მწარმოებლის ოფისში შესამონმებლად უნდა განათავსოს ანდა ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებებით საჯარო რეესტრში გამოაქვეყნოს:

a. გაყოფის წინადადება;

b. გასაყოფი იურიდიული პირების უკანასკნელი სამი დამტკიცებული ყოველწლიური ანგარიში ან სხვა ფინანსურ ანგარიშგება, მათ შორის, ამ დოკუმენტებთან დაკავშირებული აუდიტორის (ბუღალტრის) მოწმობა, რამდენადაც აღნიშნული დოკუმენტები განთავსებულია ან უნდა განთავსდეს (ხელმისაწვდომი გახდეს) საჯარო შემონმებისათვის;

c. გაყოფის გარიგების მხარეთა ყოველწლიური ანგარიშები უკანასკნელი სამი საანგარიშო წლის (ფინანსური წლის) შესახებ, რამდენადაც აღნიშნული დოკუმენტები განთავსებულია ან უნდა განთავსდეს (ხელმისაწვდომი გახდეს) საჯარო შემონმებისათვის;

d. კაპიტალის მდგომარეობის შესახებ შუალედური ანგარიშები ან ჯერ კიდევ დაუმტკიცებელი ყოველწლიური ანგარიშები, რამდენადაც ასეთი დოკუმენტები მოითხოვება 2:334g მუხლის პარ. 2-ის შესაბამისად და ასევე – რამდენადაც იურიდიული პირის ყოველწლიური ანგარიშები უნდა განთავსდეს (ხელმისაწვდომი გახდეს) საჯარო შემონმებისათვის.

- 2. ერთდროულად დირექტორთა საბჭომ საჯარო შემონმებისათვის უნდა განათავსოს ზემოაღნიშნული დოკუმენტები ყოველწლიური ანგარიშებისა და ყოველწლიური ანგარიშგების ჩათვლით, რომლებიც დირექტორთა საბჭოს განმარტებასთან ერთად ხელმისაწვდომი უნდა გახდეს საჯარო შემონმებისათვის იურიდიული პირის ოფისში, ხოლო ასეთი ოფისის არარსებობის შემთხვევაში კი, ერთ-ერთი დირექტორის ადგილსამყოფელზე, ანდა – დირექტორთა საბჭო ამ დოკუმენტებს ხდის ხელმისაწვდომს ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებებით. გაყოფის მომენტამდე და ასევე მის შემდგომ, სულ ცოტა, ექვსი თვის ვადის განმავლობაში აღნიშნული დოკუმენტები ხელმისაწვდომი უნდა იყოს შემონმებისათვის იურიდიული პირის მისამართზე ან, შესაბამისად, შესაბამისი დირექტორის ადგილსამყოფელზე ანდა – ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებებით, იურიდიული პირის წევრებისა თუ აქციონერების/პარტნიორების და ასევე იმ პირთა სახელითა და სასარგებლოდ, რომლებსაც შეუძლიათ იურიდიული პირის მიმართ ისეთი უფლების განხორციელება, როგორცაა მოგების განაწილებისა თუ აქციების/წილების მიღების (შეძენის) უფლება. აღნიშნული ვადის განმავლობაში ზემოთ ნახსენები პირები უფლებამოსილი არიან, უსასყიდლოდ მიიღონ ამ დოკუმენტების ასლები. ასლი შეიძლება წარდგენილ იქნეს ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებებით, თუ იურიდიული პირის წევრი ან აქციონერი/პარტნიორი ამას დაეთანხმა. იურიდიულ პირს არ ეკისრება ასლის წარდგენის ვალდებულება იმ შემთხვევაში, როდესაც წევრებსა თუ აქციონერებს/პარტნიორებს აქვთ დოკუმენტის ელექტრონული ასლის შენახვის (ჩანერის) შესაძლებლობა.

- 3. გაყოფის გარიგების მხარეებმა ეროვნულ ყოველწლიურ გაზეთში უნდა გამოაქვეყნონ განცხადება იმის თაობაზე, რომ ზემოაღნიშნული დოკუმენტები განთავსებულია შემონმებისათვის ან შეიძლება შემონმდეს იმ საჯარო რეესტრების მითითებით, სადაც ეს დოკუმენტები შეიძლება იყოს ანდა სადაც ისინი ელექტრონულად იქნება ხელმისაწვდომი, და ასევე – იმ მისამართის მითითებით, სადაც ეს დოკუმენტები

არის განთავსებული პარ. 2-ის ნორმების შესაბამისად ანდა სადაც ისინი ელექტრონულად არის შემონმე-ბისათვის ხელმისაწვდომი.

– 4. თუ გაყოფის გარიგების მხარის სამუშაო საბჭომ ან დასაქმებულთა თანამონაწილეობის საბჭომ ანდა იმ მშრომელთა კავშირმა (გაერთიანებამ), რომლის წევრებსაც წარმოადგენენ იურიდიული პირი-სა თუ მისი შვილობილი საწარმოს დასაქმებულები, წარადგინეს წერილობითი რეკომენდაცია ან წერი-ლობითი კომენტარი, მაშინ ეს რეკომენდაცია ან კომენტარი ერთდროულად გაყოფის წინადადებასთან ერთად ან დაუყოვნებლივ მათი მიღების შემდეგ უნდა განთავსდეს პარ. 2-ში მითითებულ მისამართზე. შესაბამისად გამოიყენება პარ. 2-ის მეორედან მეხუთე წინადადებების ჩათვლით ნორმები.

– 5. თუ გაყოფის გარიგების მხარის დირექტორთა საბჭო ცვლის გაყოფის წინადადებას, მაშინ შესაბა-მისად გამოიყენება პარ. 1-დან 4-ის ჩათვლით ნორმები.

– 6. პარ. 2 და 4 არ გამოიყენება ფონდების („stichtingen“) მიმართ.

მუხლი 2:334i გარემოებათა შეცვლა

– 1. გაყოფის გარიგების თითოეული მხარის დირექტორთა საბჭო ვალდებულია საერთო კრებასა და გაყოფის გარიგების სხვა მხარეებს მიაწოდოს ინფორმაცია აქტივებსა და პასივებში იმ ნებისმიერი მნიშ-ვნელოვანი ცვლილების შესახებ, რომელმაც თავი იჩინა გაყოფის წინადადების წარდგენის შემდეგ და შე-ეხო გაყოფის წინადადებასა თუ განმარტებაში მოცემულ განცხადებებს.

– 2. ფონდის („stichting“) ფარგლებში ეს ვალდებულება უნდა შესრულდეს იმ პირთა მიმართ, რომლე-ბიც წესდების შესაბამისად ახდენენ გაყოფის დადასტურებას.

მუხლი 2:334j გაყოფის განმახორციელებელი იურიდიული პირის მთლიანი სამართლებრივი ურთიე-რობის სხვაზე გადასვლა

– 1. ის სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის მხარესაც წარმოადგენს გაყოფის განმახორციელე-ბელი იურიდიული პირი, სხვა პირზე შეიძლება გადავიდეს მხოლოდ მთლიანად იმ სანქციით, რომ 2:334i მუხლში მითითებული პროტესტი ცნობილი იქნება ნამდვილად.

– 2. თუმცა, როდესაც სამართლებრივი ურთიერთობა დაკავშირებულია სხვადასხვა აქტივებსა თუ პასივებთან, რომლებიც გადადის სხვადასხვა შემძენ იურიდიულ პირებზე, ის შეიძლება გაიყოს იმგავრად, რომ გადავიდეს ყველა შემძენ იურიდიულ პირზე იმ ურთიერთკავშირის პროპორციულად, რომელიც არ-სებობს სამართლებრივ ურთიერთობასა და იმ აქტივებსა თუ პასივებს შორის, რომლებსაც იძენს თითო-ეული აღნიშნული იურიდიული პირთაგანი.

– 3. როდესაც სამართლებრივი ურთიერთობა დაკავშირებულია ასევე იმ აქტივებსა თუ პასივებთან, რომლებსაც ინარჩუნებს გაყოფის განმახორციელებელი ის იურიდიული პირი, რომელიც აგრძელებს არ-სებობას, ამ უკანასკნელის მიმართ შესაბამისად გამოიყენება პარ. 2-ის ნორმები.

– 4. პარ. 1-დან 3-ის ჩათვლით ნორმები არ ეხება იმ უფლებებს, რომელთა მიღებაც სამართლებრივი ურთიერთობის მეორე მხარეს შეუძლია 2:334k და 2:334r მუხლების ნორმებიდან.

მუხლი 2:334k კრედიტორებისათვის არსებული გარანტიები

როდესაც გაყოფის გარიგების ერთ-ერთი მხარის კრედიტორი მისი სავალლო მოთხოვნის შესრულები-სათვის ითხოვს უზრუნველყოფისა თუ სხვაგვარი გარანტიის წარდგენას, სულ ცოტა, ერთ-ერთმა მხარემ უნდა წარადგინოს ასეთი უზრუნველყოფა ან გარანტია იმ სანქციით, რომ ქვემოთ მოცემულ პარაგრაფში მითითებული პროტესტი ცნობილი იქნება ნამდვილად. თუმცა, ეს წესი არ მოქმედებს, თუ კრედიტორს უკვე აქვს ჯეროვანი გარანტია ანდა თუ იმ იურიდიული პირის გაყოფის შემდგომი ფინანსური მდგომარე-ობა, რომელიც გახდება მისი მოვალე, სავალლო მოთხოვნის შესრულებისათვის არ იძლევა იმაზე ნაკლებ გარანტიას, ვიდრე ის მანამდე ითხოვდა.

მუხლი 2:334l კრედიტორების მიერ გაყოფის წინააღმდეგ წარდგენილი პროტესტი

– 1. ერთ თვემდე იმ მომენტიდან, როდესაც გაყოფის გარიგების ყველა მხარემ განაცხადა იმის შესა-ხებ, რომ გაყოფის წინადადება განთავსდა ან გამოქვეყნდა საჯარო შემონმებისათვის, თითოეულ კრე-დიტორს შეუძლია რაიონულ სასამართლოში განაცხადის შეტანის გზით, წარადგინოს პროტესტი იმ სა-ფუძველზე, რომ აღნიშნული წინადადება ეწინააღმდეგება 2:334j მუხლის ნორმებს ანდა რომ არ ხდება 2:334k მუხლის შესაბამისად მოთხოვნილი გარანტიის წარდგენა. რაიონულმა სასამართლომ უარი უნდა თქვას მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, თუ განმცხადებელმა ვერ დაამტკიცა, რომ შემძენი იურიდიული

პირის გაყოფის შემდგომი ფინანსური მდგომარეობა სავალო მოთხოვნის შესრულებისათვის ნაკლებ გარანტიას იძლევა, და ასევე – რომ იურიდიული პირისაგან არასაკმარისი გარანტიები იქნა მიღებული.

– 2. მანამდე, სანამ სასამართლო მიიღებს თავის გადაწყვეტილებას, მას შეუძლია გაყოფის გარიგების მხარეს სასამართლოს მიერ დადგენილი ვადის განმავლობაში მისცეს შესაძლებლობა, შეცვალოს გაყოფის წინადადება და შეცვლილი წინადადება გამოაქვეყნოს 2:334h მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, ანდა – წარადგინოს სასამართლოს მიერ განსაზღვრული გარანტია.

– 3. თუ პროტესტის წარდგენა დროულად ხდება, გაყოფის სანოტარო აქტი შეიძლება დაიდოს მხოლოდ პროტესტის გამოსმობის შემთხვევაში ანდა – პროტესტის გაუქმების ძალაში შესვლის შემდეგ.

– 4. თუ გაყოფის სანოტარო აქტი უკვე დადებულია, წარდგენილ სასარჩელო განცხადებასთან ან სამართლებრივი დაცვის საშუალებასთან დაკავშირებით სასამართლოს შეუძლია:

a. დაადგინოს, რომ ის სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის გადასვლა მოხდა 2:334j მუხლის ნორმათა მოთხოვნების დარღვევით, სრულად ან ნაწილობრივ უნდა გადაეცეს სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ერთ ან რამდენიმე შემძენ იურიდიულ პირს ან გაყოფის განმახორციელებელ იმ იურიდიულ პირს, რომელიც აგრძელებს არსებობას, ანდა – დაადგინოს, რომ ამ იურიდიულ პირთაგან ორი ან მეტი სოლიდარულად აგებს პასუხს აღნიშნული სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულებებისათვის;

b. დაადგინოს, რომ უნდა მოხდეს სასამართლოს მიერ განსაზღვრული გარანტიის წარდგენა.

სასამართლოს შეუძლია მიიღოს ასეთი განკარგულება იმ სანქციით, რომ ამ ვალდებულების შეუსრულებლობას შედეგად მოჰყვეს სასამართლოს მიერ გათვალისწინებული პერიოდული საჯარიმო გადახდები.

– 5. თუ გადამცემი ან შემძენი იურიდიული პირი განიცდის ზარალს ან ზიანს პარ. 4 (a) პუნქტში მითითებული გადაცემის შედეგად, მაშინ მეორე იურიდიული პირი ვალდებულია, აანაზღაუროს ეს ზარალი ან ზიანი.

მუხლი 2:334m იურიდიული პირის ორგანო, რომელიც იღებს გაყოფის გადაწყვეტილებას

– 1. გაყოფის გადაწყვეტილებას იღებს საერთო კრება; ფონდის („stichting“) შემთხვევაში ასეთ გადაწყვეტილებას იღებენ წესდების შეცვლაზე უფლებამოსილი პირები, ხოლო თუ არც ერთი პირი არ არის უფლებამოსილი ასეთი ცვლილების განხორციელებაზე, მაშინ – დირექტორთა საბჭო. გადაწყვეტილება გაყოფის წინადადებისაგან არ უნდა განსხვავდებოდეს.

– 2. გაყოფის გადაწყვეტილება შეიძლება მიღებულ იქნეს მხოლოდ ერთთვიანი ვადის ამონურვისთანავე იმ დღიდან, როდესაც გაყოფის გარიგების ყველა მხარემ განაცხადა იმის შესახებ, რომ მათ მოახდინეს საჯარო შემოწმებისათვის გაყოფის წინადადების განთავსება.

– 3. გაყოფის გადაწყვეტილება მიიღება იგივე წესით, რაც გათვალისწინებულია წესდების ცვლილებებისათვის. როდესაც წესდების თანახმად ასეთი ცვლილება მოითხოვს იურიდიული პირის სხვა ორგანოს ან პირის თანხმობას, მაშინ ეს მოთხოვნა მოქმედებს ასევე გაყოფის გადაწყვეტილების მიმართაც. იმ შემთხვევებში, როდესაც წესდებაში ცალკეული დებულებების შეცვლისათვის მოითხოვება ხმათა განსხვავებული უმრავლესობა, მაშინ გაყოფის გადაწყვეტილების მიღებისათვის მოითხოვება ამ ხმათა უმრავლესობის უდიდესი ნაწილი. როდესაც წესდება გამორიცხავს წესდების დებულებათა შეცვლის შესაძლებლობას, მაშინ მოითხოვება ხმის უფლების მქონე ყველა წევრისა თუ აქციონერის/პარტნიორის ხმა. წინა ორი წინადადება არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც წესდების შესაბამისი დებულებები შეუწყვეტლად გამოიყენება ასევე გაყოფის შემდეგაც.

– 4. პარ. 3 არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც წესდება გაყოფის გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით განსხვავებულ წესს ითვალისწინებს.

– 5. ფონდის („stichting“) შემთხვევაში გაყოფის გადაწყვეტილება მოითხოვს რაიონული სასამართლოს თანხმობას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წესდება იძლევა მისი ყველა დებულების შეცვლის შესაძლებლობას. რაიონული სასამართლო უარი აცხადებს ასეთი თანხმობის მიცემაზე, თუ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი იმისა, რომ გაყოფა ფონდის („stichting“) ინტერესების საწინააღმდეგო აღმოჩნდება.

მუხლი 2:334n გაყოფის სანოტარო აქტი; გაყოფის ძალაში შესვლის თარიღი

– 1. გაყოფა ფორმდება სანოტარო აქტით და ძალაში შედის ამ აქტის შედგენიდან მეორე დღეს. გაყოფის სანოტარო აქტი შეიძლება გაფორმდეს მხოლოდ ექვსი თვის განმავლობაში საჯარო შემოწმებისათვის გაყოფის წინადადების განთავსებისა თუ გასაჯაროების თაობაზე განაცხადების გამოქვეყნების შემდეგ, ხოლო თუ წარდგენილი პროტესტის შედეგად ეს დაუშვებელია, – ერთი თვის განმავლობაში ამ პროტესტის გამოსმობის ან ამ უკანასკნელის გაუქმების ძალაში შესვლის შემდეგ.

– 2. გაყოფის სანოტარო აქტის ბოლოში ნოტარიუსმა უნდა მიუთითოს იმის თაობაზე, რომ მისი ინფორმაციის თანახმად დაკმაყოფილდა წინამდებარე და ქვემოთ მოცემული განყოფილებების ნორმებითა და წესდების დებულებებით დაკისრებული გაყოფის განსახორციელებლად აუცილებელი გადანაცვლებებისათვის გათვალისწინებული ყველა ფორმალური მოთხოვნა და, გარდა ამისა, დამატებით შესრულდა ასევე წინამდებარე და ქვემოთ მოცემული განყოფილებების ნორმებითა და წესდების დებულებებით დაკისრებული ყველა სხვა მოთხოვნა.

– 3. თითოეული შემძენი იურიდიული პირი და გაყოფის განმახორციელებელი იურიდიული პირი გაყოფის სავაჭრო რეესტრში რეგისტრაციას ახორციელებს გაყოფის სანოტარო აქტის შედგენიდან რვა დღის განმავლობაში. გაყოფის სანოტარო აქტის ასლის მასზე თანდართული სანოტარო განცხადებით განთავსება ხდება აღნიშნული რეესტრის ოფისში.

– 4. ერთი თვის განმავლობაში შემძენმა იურიდიულმა პირებმა – თითოეულმა მათგანმა, რამდენადაც საქმე ეხება გაყოფის მომენტში მათზე გადასულ აქტივებსა და პასივებს – გაყოფის შესახებ უნდა შეატყობინონ სხვა იმ საჯარო რეესტრების მწარმოებლებს, სადაც უფლებათა გადაცემა (გადასვლა) ანდა გაყოფა შესაძლოა გატარდეს რეგისტრაციაში. გაყოფის შედეგად რეგისტრირებული ქონების შემძენ იურიდიულ პირზე გადასვლის შემთხვევაში, გაყოფის განმახორციელებელი იურიდიული პირი, ხოლო თუ ეს უკანასკნელი წყვეტს არსებობას, მაშინ თითოეული შემძენი იურიდიული პირი ვალდებულია ზემოაღნიშნული ვადის განმავლობაში სამოქალაქო კოდექსის მე-3 წიგნის 1-ლი ტიტულის 1-ლ განყოფილებაში მითითებული საჯარო რეესტრების მწარმოებლებს წარუდგინოს გაყოფის რეგისტრაციისათვის აუცილებელი დოკუმენტები.

მუხლი 2:334o გირავნობა ან უზუფრუქტი გაყოფის განმახორციელებელი იურიდიული პირის წევრობის უფლებასა თუ აქციებზე/წილებზე

– 1. გაყოფის განმახორციელებელი იურიდიული პირის წევრობის უფლებასა თუ კაპიტალში არსებულ აქციებზე/წილებზე არსებული გირავნობისა თუ უზუფრუქტის უფლებების მფლობელი იგივე სანივთო უფლებას იძენს იმ ობიექტზე, რასაც შესაბამისი წევრი ან აქციონერი/პარტნიორი იღებს გაყოფის სანოტარო აქტის შესაბამისად. როდესაც გაყოფის განმახორციელებელი იურიდიული პირი აგრძელებს არსებობას გაყოფის შემდეგ, მაშინ არსებული გირავნობისა თუ უზუფრუქტის უფლებებიც ასევე შენარჩუნდება.

– 2. როდესაც გირავნობა ან უზუფრუქტი დადგენილი იყო წევრობის იმ უფლებასა თუ აქციაზე/წილებზე, რომლის ადგილს სხვა ობიექტი არ იკავებს, შემძენმა იურიდიულმა პირმა ზემოაღნიშნული სანივთო უფლებათა მფლობელებს უნდა წარუდგინოს ეკვივალენტური შემცვლელი ობიექტი.

მუხლი 2:334p კონკრეტული უფლებები, რომელთა რეალიზაციაც შესაძლებელია გაყოფის განმახორციელებელი იურიდიული პირის მიმართ

– 1. იმ პირმა, რომელსაც ნაცვლად იურიდიული პირის წევრისა თუ აქციონერის/პარტნიორის სახით მოქმედებისა, გაყოფის განმახორციელებელი იურიდიული პირის მიმართ შეუძლია ისეთი კონკრეტული უფლების განხორციელება, როგორცაა მოგების განაწილებისა თუ აქციების/წილების მიღების (შემძენის) უფლება, შემძენ იურიდიულ პირში უნდა მიიღოს იმ მოცულობის უფლება, რასაც ეს უფლებები – თუკი ეს ჯეროვნად მიიჩნევა იმ უფლებასთან მიმართებაში, რომლის რეალიზაციაც ამ პირს ჯერ კიდევ შეუძლია გაყოფის განმახორციელებელი იმ იურიდიული პირის მიმართ, რომელიც აგრძელებს არსებობას – უთანაბრდება გაყოფამდე არსებულ მის უფლებას, ანდა აღნიშნულმა პირმა უნდა მიიღოს კომპენსაცია.

– 2. კომპენსაციის თანხის გაცემაზე შეთანხმების არარსებობისას, ეს უკანასკნელი ნებისმიერი მხარის მოთხოვნის საფუძველზე უნდა შეფასდეს ერთი ან რამდენიმე მიუკერძოებელი ექსპერტის მიერ, რომელსაც ნიშნავს იმ რაიონული სასამართლოს დროებითი სამართლებრივი დაცვის საშუალების მიმღები მოსამართლე, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც შემძენ იურიდიულ პირს აქვს თავისი დომიცილი.

– 3. 2:334o მუხლის ნორმები შესაბამისად გამოიყენება აღნიშნულ კონკრეტულ უფლებებზე დადგენილი გირავნობისა თუ უზუფრუქტის მიმართაც.

მუხლი 2:334q უკანასკნელი საანგარიშო წელი და უკანასკნელი ყოველწლიური ანგარიში; კანონისმიერი რეზერვები

– 1. თუ გაყოფის განმახორციელებელი იურიდიული პირი გაყოფისას წყვეტს თავის არსებობას, მაშინ მისი უკანასკნელი საანგარიშო წელი (ფინანსური წელი) უნდა დასრულდეს იმ დღეს, როდესაც მის ქონე-

ბასთან (აქტივები და პასივები) დაკავშირებული ფინანსურ მონაცემები მიეთითება შემძენი იურიდიული პირი საკუთარ ყოველწლიურ ანგარიშსა თუ სხვა ფინანსურ ანგარიშგებაში.

– 2. თუ გაყოფის განმახორციელებელი იურიდიული პირი გაყოფისას წყვეტს თავის არსებობას, მის ყოველწლიურ ანგარიშსა თუ სხვა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული ვალდებულებები გაყოფის შემდეგ სოლიდარულად ეკისრება შემძენ იურიდიულ პირს.

– 3. აუცილებელია აიხსნას გაყოფის განმახორციელებელი იურიდიული პირის ყოველწლიურ ანგარიშსა თუ სხვა ფინანსურ ანგარიშგებაში და შემძენი იურიდიული პირის პირველ ყოველწლიურ ანგარიშსა თუ სხვა იმ ფინანსურ ანგარიშგებაში არსებული აქტივებისა და პასივების შეფასების სხვაობა, რომელიც შემძენი იურიდიული პირი ახდენს ანგარიშგებას აღნიშნული აქტივებისა და პასივებისათვის.

– 4. შემძენმა იურიდიულმა პირმა უნდა შექმნას კანონისმიერი რეზერვები იგივე წესით, რა წესითაც გაყოფის განმახორციელებელმა იურიდიულმა პირმა უნდა შეინარჩუნოს კანონისმიერი რეზერვები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი რეზერვების შენარჩუნებისათვის აღარ არსებობს კანონისმიერი საფუძველი.

მუხლი 2:334r არსებული შეთანხმებების შეცვლა ან გაუქმება სასამართლოს მიერ

– 1. იმ შემთხვევაში, თუ გაყოფას მოჰყვება ის შედეგი, რომ გაყოფის განმახორციელებელი იურიდიული პირის შეთანხმება – გონივრულობისა და სამართლიანობის სტანდარტების მიხედვით – არ უნდა შენარჩუნდეს უცვლელად, სასამართლომ უნდა შეცვალოს ან გააუქმოს ეს შეთანხმება ერთ-ერთი დაინტერესებული მხარის მოთხოვნის საფუძველზე. ასეთი ცვლილება ან გაუქმება შეიძლება დადგინდეს უკუქცევითი ძალით.

– 2. სარჩელის წარდგენის უფლება, როგორც ეს მითითებულია წინა პარაგრაფში, უქმდება შემძენი და გაყოფის განმახორციელებელი იურიდიული პირების დომიცილის მიხედვით არსებული საჯარო რეესტრების ოფისში გაყოფის სანოტარო აქტის საჯარო შემონიშნებისათვის განთავსებიდან ექვსი თვის ვადის გასვლის შემდეგ.

– 3. თუ გარიგების მეორე მხარეს შეთანხმების შეცვლის ან გაუქმების შედეგად ადგება ზიანი, მაშინ იურიდიული პირი ვალდებულია გადაუხადოს მას შესაბამისი კომპენსაცია.

მუხლი 2:334s გაურკვეველობა იმ საკითხთან დაკავშირებით, თუ გაყოფის შემდგომ რომელ იურიდიულ პირს მიეკუთვნება აქტივები ან პასივები

– 1. პარ. 2-დან 4-ის ჩათვლით ნორმები გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ გაყოფის შემდეგ გაყოფის სანოტარო აქტის საფუძველზე შეუძლებელია იმის განსაზღვრა, რომელ იურიდიულ პირს მიეკუთვნება აქტივები ან პასივები.

– 2. თუ მოხდა გაყოფის განმახორციელებელი იურიდიული პირის მთლიანი ქონების (აქტივები და პასივები) გადასვლა, მაშინ პარ. 1-ში მითითებული აქტივები ან პასივები ერთობლივად მიეკუთვნება შემძენ იურიდიულ პირებს. თითოეულ იურიდიულ პირს აქტივებსა თუ პასივებში ეკუთვნის წილი გაყოფის განმახორციელებელი იურიდიული პირის ქონების იმ ნაწილის (აქტივებისა და პასივების ნაწილის) ღირებულების პროპორციულად, რომელიც მან შეიძინა.

– 3. თუ მთლიანი ქონების (აქტივები და პასივები) გადასვლა არ მომხდარა, მაშინ პარ. 1-ში მითითებული აქტივები ან პასივები მიეკუთვნება გაყოფის განმახორციელებელ იურიდიულ პირს.

– 4. რამდენადაც შემძენი იურიდიული პირები პასუხისმგებელი არიან ვალებისათვის (პასივებისათვის) პარ. 2-ის ნორმათა შესაბამისად, ისინი პასუხს აგებენ სოლიდარულად.

მუხლი 2:334t პასუხისმგებლობა გაყოფის განმახორციელებელი იურიდიული პირის ვალებისათვის

– 1. შემძენი იურიდიული პირები და გაყოფის განმახორციელებელი ის იურიდიული პირი, რომელიც აგრძელებს არსებობას, პასუხს აგებენ გაყოფის განმახორციელებელი იმ იურიდიული პირის ვალდებულებებისათვის, რომლებიც არსებობს გაყოფის მომენტში.

– 2. როდესაც საქმე ეხება გაუყოფად ვალდებულებებს, თითოეული შემძენი იურიდიული პირი და გაყოფის განმახორციელებელი ის იურიდიული პირი, რომელიც აგრძელებს არსებობას, სოლიდარულად აგებენ პასუხს მთლიანი ვალდებულებისათვის.

– 3. როდესაც საქმე ეხება გაყოფად ვალდებულებებს, შემძენი იურიდიული პირი, რომელზეც გადავიდა ვალდებულება, – ხოლო თუ ვალდებულება არ გადავიდა შემძენ იურიდიულ პირზე, გაყოფის განმახორციელებელი ის იურიდიული პირი, რომელიც აგრძელებს არსებობას, – პასუხისმგებელია მთლიანი

ვალდებულებისათვის. გაყოფის პროცესში ჩართული ნებისმიერი სხვა იურიდიული პირის პასუხისმგებლობა ასეთი დაყოფადი ვალდებულებებისათვის შეზღუდულია ქონების (აქტივებისა და პასივების ნაწილის) იმ ღირებულებით, რომელიც ამ იურიდიულმა პირმა გაყოფისას შეიძინა ან შეინარჩუნა.

– 4. სხვა იურიდიული პირები, ნაცვლად იმ იურიდიული პირისა, რომელზეც გადავიდა ვალდებულება, – ხოლო თუ ვალდებულება არ გადავიდა შემძენ იურიდიულ პირზე, გაყოფის განმახორციელებელი ის იურიდიული პირი, რომელიც აგრძელებს არსებობას, – არ არიან ვალდებული, შეასრულონ ვალდებულება მანამდე, სანამ გაყოფის განმახორციელებელი იურიდიული პირი არ შეასრულებს აღნიშნულ ვალდებულებას.

– 5. წინამდებარე მუხლში მითითებული პასუხისმგებლობის მიმართ შესაბამისად გამოიყენება სოლიდარული მოვალეების შესახებ კანონისმიერი ნორმები.

მუხლი 2:334u გაყოფის გაბათილება

– 1. სასამართლოს შეუძლია გაბათილოს გაყოფა მხოლოდ:

a. იმ შემთხვევებში, თუ ნოტარიუსის მიერ ხელმოწერილი გაყოფის სანოტარო აქტი არ წარმოადგენს ავთენტურ დოკუმენტს;

b. 2:334b მუხლის პარ. 5 ან 6-ის, 2:334ლ მუხლის პარ. 3-ისა თუ 2:334ი მუხლის პარ. 2-ის პირველი წინადადების ნორმათა მოთხოვნების დარღვევის გამო;

c. იმ შემთხვევებში, თუ გაყოფისათვის აუცილებელი საერთო კრების გადანყვეტილება, ხოლო ფონდის („stichting“) შემთხვევაში კი, დირექტორთა საბჭოს გადანყვეტილება ბათილია, არ არის ძალაში ანდა ის საცილოა;

d. 2:334m მუხლის პარ. 5-ის ნორმათა მოთხოვნების დარღვევის გამო.

– 2. გაყოფის გაბათილება ხორციელდება გაყოფის განმახორციელებელი იურიდიული პირის დომინაციის არსებობის სამოქმედო ტერიტორიის მიხედვით განსჯადი სასამართლოს გადანყვეტილებით, რომელიც მიიღება წევრის, აქციონერის/პარტნიორის, დირექტორისა თუ სხვა დაინტერესებული მხარის მიერ აღნიშნული იურიდიული პირის წინააღმდეგ წარდგენილი სარჩელის (სასარჩელო მოთხოვნის) საფუძველზე. გაყოფა, რომელიც არ იქნა გაბათილებული სასამართლოს მიერ, ნამდვილია.

– 3. გაყოფის გაბათილების მოთხოვნით სარჩელის (სასარჩელო მოთხოვნის) წარდგენის უფლება უქმდება, როდესაც ხარვეზი (დარღვევა) აღმოიფხვრება, ანდა როდესაც სავაჭრო რეესტრის რეგისტრატორის ოფისში გაყოფის სანოტარო აქტის საჯარო შემოწმებისათვის განთავსებიდან გავა ექვსი თვე.

– 4. გაყოფა არ გაბათილდება იმ შემთხვევებში, თუ:

a. იურიდიული პირი სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში აღმოფხვრის ხარვეზს (დარღვევას);

b. გაყოფის უკვე დამდგარი შედეგების მოტრიალება გართულდება.

– 5. როდესაც იმ მოსარჩელეს, რომელმაც წარადგინა სარჩელი (სასარჩელო მოთხოვნა) გაყოფის გაბათილების მოთხოვნით, მიადგა ზიანი იმ ხარვეზის (დარღვევის) შედეგად, რომელსაც შეეძლო გამოენჯია გაყოფის ბათილობა, ხოლო სასამართლომ კი არ მოახდინა გაყოფის გაბათილება, – მაშინ სასამართლოს შეუძლია დაადგინოს იურიდიული პირის მიერ საკომპენსაციო თანხის გადახდის თაობაზე. თავის მხრივ, იურიდიულ პირს შეუძლია რეგრესული მოთხოვნის უფლება წაუყენოს იმ პირს, ვისაც ბრალი მიუძღვის ხარვეზის (დარღვევის) არსებობაში და ასევე, – მიუხედავად იმისა, რომ ეს არ სცილდება მინიჭებული სარგებლის ფარგლებს, – იმ პირებსაც, რომლებმაც სარგებელი მიიღეს ამ ხარვეზის (დარღვევის) შედეგად.

– 6. იმ სასამართლოს მდივანმა, სადაც უკანასკნელად იხილებოდა სარჩელი (სასარჩელო მოთხოვნა), უნდა უზრუნველყოს გაყოფის გაბათილების ფაქტის რეგისტრაცია სავაჭრო რეესტრში.

– 7. იურიდიული პირები სოლიდარულად აგებენ პასუხს იმ ვალდებულებებისათვის, რომლებიც წარმოიშვა იმ იურიდიული პირის მიმართ, რომელშიც მოხდა ამ ვალდებულებების გაერთიანება გაყოფის შემდგომ, თუმცაღა – ამავე დროს გაბათილების ფაქტის სავაჭრო რეესტრში რეგისტრაციის მომენტამდე პერიოდში.

– 8. გაყოფის გაბათილების შესახებ კანონიერ ძალაში შესული და მბოჭავი სასამართლოს გადანყვეტილება სავალდებულოა შესასრულებლად ნებისმიერი პირისათვის. მესამე პირების მხრიდან პროტესტის წარდგენა დაუშვებელია; ასევე დაუშვებელია გაყოფის გაბათილების მოთხოვნის გამოხმობაც.

განყოფილება 2.7.5 – გაყოფის მომწესრიგებელი სპეციალური საკანონმდებლო ნორმები, რომელთა მეშვეობითაც ხდება ღია ან დახურული კორპორაციების გაყოფა ან შექმნა

მუხლი 2:334v წინამდებარე განყოფილების ნორმების გამოყენება

წინამდებარე განყოფილების (განყოფილება 2.7.5) ნორმები მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ ხდება ღია და დახურული კორპორაციების („naamloze of besloten vennootschap“) გაყოფა ან შექმნა (დაფუძნება).

მუხლი 2:334w გაყოფის განმახორციელებელი იურიდიული პირის კაპიტალისათვის გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები

გაყოფის მომენტში გაყოფის განმახორციელებელი იმ იურიდიული პირის მიერ შენარჩუნებული ქონების ნაწილის ღირებულება, რომელიც აგრძელებს არსებობას და რომელსაც ემატება იმ აქციების/წილების ღირებულება, რომლებსაც ის შემძენი იურიდიული პირის კაპიტალში გაყოფისას იძენს, – უნდა უტოლდებოდეს, სულ ცოტა, გადახდილი და შესრულებული კაპიტალის თანხას, რომელსაც ემატება ასევე დაუყოვნებლივ გაყოფის შემდეგ კორპორაციის მიერ კანონისა თუ წესდების შესაბამისად შესანარჩუნებელი რეზერვებიც.

მუხლი 2:334x აქციები/წილები (გაცვლითი თანაფარდობა, დამატებითი თანხები, კაპიტალიდან გამოტანა)

– 1. თუ აქციები/წილები ან სადეპოზიტო ჩეკები დაშვებულია რეგულირებულ ბაზარზე ან მრავალდარგოვან სავაჭრო ობიექტზე, როგორც ეს მითითებულია ფინანსური ზედამხედველობის შესახებ კანონის 1:1 მუხლში, ან იმ სისტემაში, რომელიც უთანაბრდება ასეთ რეგულირებულ ბაზრებს ან მრავალდარგოვან სავაჭრო ობიექტებს ევროკავშირის არანევრ სახელმწიფოში, მაშინ გაცვლითი თანაფარდობა შეიძლება დამოკიდებული გახდეს ამ ბაზარსა თუ სავაჭრო ობიექტზე არსებულ აქციების/წილების ან, შესაბამისად, სადეპოზიტო ჩეკების ფასზე იმ გაყოფის წინადადებაში განსაზღვრულ ერთ ან რამდენიმე მომენტში, რომელიც შეიძლება გაყოფის ძალაში შესვლის დღემდე.

– 2. როდესაც აქციების/წილების გაცვლითი თანაფარდობის შედეგად სახეზეა ფულსა თუ სავალო მოთხოვნებზე (დებიტორულ დავალიანებებზე) არსებული უფლებამოსილება, მათი ჯამური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს გამოყოფილი აქციების/წილების ნომინალური ღირებულების ერთ მეათედს.

– 3. გაყოფის სანოტარო აქტში შემძენ კორპორაციას შეუძლია გამოიტანოს თავად მის მფლობელობაში არსებული ან გაყოფის სანოტარო აქტის შესაბამისად შეძენილი იმ აქციების/წილების მაქსიმალური ნომინალური ღირებულებით, რასაც ის გამოუყოფს თავის ახალ აქციონერებს/პარტნიორებს. ასეთ შემთხვევაში 2:99 მუხლის, 2:100 მუხლის, 2:208 მუხლისა და 2:209 მუხლის ნორმები არ გამოიყენება.

– 4. იმ შემთხვევაში, თუ გაყოფის განმახორციელებელი იურიდიული პირი გაყოფისას წყვეტს თავის არსებობას, უქმდება გაყოფის განმახორციელებელი იურიდიული პირის კაპიტალში არსებული ის აქციები/წილები, რომელთა ფლობაც ხორციელდება გაყოფის განმახორციელებელი კორპორაციების მიერ ან მათი სახელით (ხარჯზე).

მუხლი 2:334y გაყოფის წინადადებაში მოცემული დამატებითი ინფორმაცია

2:334f მუხლში ჩამოთვლილი საკითხების გარდა, გაყოფის წინადადებაში დამატებით საუბარია ასევე:

a. აქციების/წილების გაცვლით თანაფარდობაზე, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში კი, – გაცვლით თანაფარდობის გათვალისწინებით განხორციელებული გადახდების თანხების ოდენობაზე;

b. იმაზე, თუ რა მომენტიდან ანდა რა მოცულობით მიიღებენ მონაწილეობას გასაუქმებელი იურიდიული პირის აქციონერები/პარტნიორები შემძენი კორპორაციის მოგებაში;

c. სავარაუდოდ რამდენი აქციის/წილის კაპიტალიდან გატანა შეიძლება მოხდეს 2:334x მუხლის პარ. 3-ის ნორმათა საფუძველზე.

მუხლი 2:334z წერილობით განმარტებაში მოცემული დამატებითი ინფორმაცია

ღირექტორთა საბჭომ გაყოფის წინადადებაზე ვაკეთებულ წერილობით განმარტებაში უნდა მიუთითოს:

a. იმაზე, თუ რა მეთოდის ან მეთოდების მიხედვით დგინდება გაცვლითი თანაფარდობა;

b. იყო თუ არა ეს მეთოდი ან მეთოდები სათანადოდ აღნიშნულ კონკრეტულ შემთხვევაში;

c. იმაზე, თუ რა ღირებულებამდე მიყვავართ თითოეულ მეთოდს;

d. იმ შემთხვევაში, თუ გამოიყენება ერთზე მეტი მეთოდი: ჩაითვლება თუ არა შეფასებისას გამოყენებული მეთოდების შედარებითი მნიშვნელობა ზოგადად აღიარებული სტანდარტების მხრივ მისაღებად, და;

e. იმაზე, თუ კონკრეტულად რა სირთულეები, ასეთის არსებობის შემთხვევაში, წარმოიშვა შეფასების პროცესში და გაცვლითი თანაფარდობის დადგენის დროს.

მუხლი 2:334aa აუდიტორების მოწმობა და დამატებით საკითხებთან დაკავშირებით ანგარიშგება

– 1. დირექტორთა საბჭოს მიერ დანიშნულმა 2:393 მუხლში მითითებულმა აუდიტორმა (ბუღალტერმა) უნდა შეამოწმოს გაყოფის წინადადება და დარწმუნდეს იმაში, არის თუ არა მისი შეხედულებით, – მათ შორის, თანდართული დოკუმენტების გათვალისწინებით, – აქციების/წილების შეთავაზებული გაცვლითი თანაფარდობა გონივრული.

– 2. თუ გაყოფის განმახორციელებელი იურიდიული პირი გაყოფის შემდეგ აგრძელებს არსებობას, აუდიტორი (ბუღალტერი) ასევე უნდა დარწმუნდეს იმაშიც, რომ ქონების იმ ნაწილის (აქტივებისა და პასივების ნაწილის) ღირებულება, რომელიც კორპორაციამ უნდა შეინარჩუნოს და რომელსაც ემატება იმ აქციების/წილების ღირებულება, რომლებსაც შემძენი იურიდიული პირი გაყოფისას იძენს, დგინდება იმ დღისათვის, როდესაც კორპორაციის ყოველწლიური ანგარიში ან შუალედური კაპიტალის თანხა ეხება, – შეფასების ზოგადად აღიარებული სტანდარტების გამოყენებისას, – სულ ცოტა, უტოლდება გადახდილი და შესრულებული კაპიტალის თანხას, რომელსაც ემატება ასევე დაუყოვნებლივ გაყოფის შემდეგ კორპორაციის მიერ კანონისა თუ წესდების შესაბამისად შესანარჩუნებელი რეზერვებიც.

– 3. აუდიტორმა (ბუღალტერმა) უნდა მოამზადოს ასევე ანგარიში, სადაც ის გააჟღერებს თავის მოსაზრებებს 2:334z მუხლში აღნიშნულ დირექტორთა საბჭოს წერილობით განმარტებასთან დაკავშირებით.

– 4. თუ გაყოფის განმახორციელებელი ორი ან მეტი კორპორაცია წარმოადგენს ღია კორპორაციებს, მაშინ მხოლოდ ერთი და იგივე პირი შეიძლება დაინიშნოს აუდიტორად (ბუღალტრად), თუ ამსტერდამის სააპელაციო სასამართლოს სამენარმეო საქმეთა პალატის („Ondernemingskamer“) პრეზიდენტმა მოთხოვნის საფუძველზე მოიწონა ასეთი დანიშვნა.

– 5. აუდიტორები (ბუღალტრები) თანაბრად არიან კომპეტენტური ჩაატარონ შემოწმება გაყოფის განმახორციელებელი ყველა კორპორაციის მიმართ.

– 6. 2:334h მუხლის ნორმები შესაბამისად გამოიყენება აუდიტორის (ბუღალტრის) მოწმობის მიმართ; 2:334h მუხლის პარ. 2 და 3-ის ნორმები შესაბამისად გამოიყენება აუდიტორის (ბუღალტრის) ანგარიშის (კვლევის) მიმართ.

– 7. პარ. 1 და 2-ის ნორმები არ გამოიყენება, თუ გაყოფის განმახორციელებელი კორპორაციების აქციონერები დაეთანხმნენ ამას.

მუხლი 2:334bb შემძენი კორპორაციის მიერ აქციების განაწილების მიმართ გამოყენებადი კანონისმიერი ნორმები

– 1. 2:94a და 2:94b მუხლების ნორმები შესაბამისად გამოიყენება შემძენი ღია კორპორაციის („naamloze vennootschap“) მიერ აქციების განაწილების მიმართ. თუმცა, 2:94a ან 2:204a მუხლების შესაბამისად აუცილებელი აუდიტორის (ბუღალტრის) მოწმობა არ საჭიროებს დაფუძნების სანოტარო აქტზე დართვას.

– 2. 2:334h მუხლის ნორმები შესაბამისად გამოიყენება პარ. 1-ის შესაბამისად აუცილებელი აუდიტორის (ბუღალტრის) მოწმობის მიმართ.

მუხლი 2:334cc აქციების/წილების შესაძლო გადანაწილება წმინდა გაყოფის შემთხვევაში

– 1. წმინდა გაყოფის შემთხვევაში გაყოფის სანოტარო აქტში შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს წესი, რომლის თანახმადაც გაყოფის განმახორციელებელი იურიდიული პირის სხვადასხვა აქციონერები/პარტნიორები გახდებიან სხვადასხვა შემძენი იურიდიული პირების აქციონერი/პარტნიორი. ასეთ შემთხვევაში:

a. გაყოფის წინადადება, 2:334f და 2:334 მუხლებში ნახსენებ საკითხებთან ერთად, უთითებს ასევე იმაზე, თუ რომელი აქციონერები/პარტნიორები რომელი შემძენი იურიდიული პირის აქციონერი/პარტნიორი უნდა გახდნენ;

b. გაყოფის წინადადებაზე გაკეთებულ თავის განმარტებაში დირექტორთა საბჭო იუნყება იმის თაობაზე, თუ რომელი სტანდარტების შესაბამისად მოხდა აქციების/წილების აღნიშნული გადანაწილების დადგენა;

c. 2:334aa მუხლში მითითებულმა აუდიტორებმა (ბუღალტრებმა) უნდა დაადასტურონ ასევე ისიც, რომ მათი შეხედულებით, – მათ შორის, თანდართული დოკუმენტების გათვალისწინებით, – აქციების/ნილების შეთავაზებული გადანაწილება გონივრულია, და;

d. გაყოფის გადანაწილები უნდა იქნეს მიღებული საერთო კრების მიერ იმ კრებაზე მიცემული ხმების სამი-მეოთხედის უმრავლესობით, რომელზეც წარმოდგენილია გამოშვებული კაპიტალის 95%-ის მფლობელი აქციონერი/პარტნიორი.

– 2. პარ. 1 (c) პუნქტის ნორმა არ გამოიყენება, თუ გაყოფის გარიგების თითოეული მხარე ეთანხმება ამას.

მუხლი 2:334dd აქციების/ნილების სადეპოზიტო ჩეკების მფლობელთა მხრიდან არსებული შემონმების უფლება

2:334h მუხლის პარ. 2 გამოიყენება ასევე კორპორაციასთან თანამშრომლობით გამოშვებული ნილების სადეპოზიტო ჩეკების მფლობელთა მიმართაც.

მუხლი 2:334ee გაყოფის შესახებ საერთო კრების გადანაწილება

– 1. გაყოფის შესახებ საერთო კრების გადანაწილებისათვის ნებისმიერ შემთხვევაში მოითხოვება ხმათა, სულ ცოტა, ორი მესამედის უმრავლესობა, თუ კრებაზე გამოცხადდენ გამოშვებული კაპიტალის ნახევარზე ნაკლები მფლობელი აქციონერები/პარტნიორები.

– 2. როდესაც სახეზეა სხვადასხვა ტიპის (კლასის) აქციები/ნილები, მაშინ გაყოფასთან დაკავშირებით საერთო კრების მიერ მიღებული გადანაწილებასთან ერთად მოითხოვება ერთი და იგივე ტიპის (კლასის) აქციათა/ნილთა მფლობელების ყოველი იმ ჯგუფის წინასწარი ან ერთდროულად მიღებული გადანაწილება, რომელთა უფლებებსაც ეხება საერთო კრების გადანაწილება. გაყოფის გადანაწილების მიმართ 2:231 მუხლის პარ. 4-ის ნორმები არ გამოიყენება. აუცილებელი თანხმობა შეიძლება მიცემულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გასულია ერთთვიანი ვადა იმ დღიდან, როდესაც გაყოფის განმახორციელებელმა ყველა კორპორაციამ განაცხადა იმის შესახებ, რომ გაყოფის წინადადება შემონმებისათვის არის განთავსებული ან ის გასაჯაროებულია.

– 3. იმ საერთო კრების ოქმი, რომელზეც მიღებულ იქნა გაყოფის შესახებ გადანაწილება, ანდა გაყოფა მოწონებულ იქნა პარ. 2-ის შესაბამისად, დგება სანოტარო აქტის სახით.

მუხლი 2:334ff გაყოფის შესახებ დირექტორთა საბჭოს გადანაწილება

– 1. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წესდება სხვაგვარად ითვალისწინებს, შემძენ კორპორაციას გაყოფის შესახებ გადანაწილება შეუძლია მიიღოს დირექტორთა საბჭოს მიერ გადანაწილების მიღების საფუძველზე. იგივე წესი მოქმედებს გაყოფის განმახორციელებელი კორპორაციის მიმართ იმ პირობით, თუ ყველა შემძენი კორპორაცია წარმოადგენს გაყოფისას შექმნილ ღია ან დახურულ კორპორაციებს („naamloze of besloten vennootschappen“), ხოლო გაყოფის განმახორციელებელი იურიდიული პირი კი გაყოფისას ხდება მათი ერთადერთი აქციონერი/პარტნიორი.

– 2. თუმცა, დირექტორთა საბჭოს აღნიშნული გადანაწილება შეიძლება მიღებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კორპორაციამ ასეთი გადანაწილების მიღების განზრახვის შესახებ ახსენა განცხადებაში იმაზე მითითებით, რომ გაყოფის წინადადება შემონმებისათვის უკვე იქნა განთავსებული.

– 3. ზემოაღნიშნული გადანაწილება ვერ იქნება მიღებული იმ შემთხვევაში, თუ ერთობლივად, სულ ცოტა, გამოშვებული კაპიტალის ერთი მეოცედი ან წესდებით გათვალისწინებული უფრო ნაკლები ხმის უფლების მქონე ერთმა ან მეტმა აქციონერმა/პარტნიორმა გაუქმების საკითხის გადანაწილების მიზნით დირექტორთა საბჭოს მოსთხოვა საერთო კრების ზემოაღნიშნული განცხადების გაკეთებიდან ერთი თვის ვადაში მონვევა. ასეთ შემთხვევაში გამოიყენება 2:334m და 2:334ee მუხლები.

– 4. თუ შემძენი იურიდიული პირი გაყოფის განმახორციელებელ კორპორაციაში ფლობს ყველა აქციას/ნილს, მაშინ ამ უკანასკნელს გაყოფის განხორციელება შეუძლია დირექტორთა საბჭოს გადანაწილებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წესდება სხვაგვარად ითვალისწინებს.

მუხლი 2:334gg {გაუქმებულია 01.07.2011წ.}

მუხლი 2:334hh გაყოფის განმახორციელებელი იურიდიული პირი ხდება ფორმირებული ყველა შემძენი იურიდიული პირის ერთადერთი აქციონერი/პარტნიორი

– 1. თუ გაყოფისას იქმნება (ფუძნდება) შემძენი იურიდიული პირები, ხოლო გაყოფის განმახორციელებელი იურიდიული პირი კი გაყოფისას ხდება ამ იურიდიული პირების ერთადერთი აქციონერი/პარტნიორი, მაშინ 2:334f მუხლის პარ. 4-ის პირველი წინადადების, 2:334w მუხლისა და 2:334y მუხლიდან 2:334aa მუხლის ჩათვლით ნორმები არ მოქმედებს.

– 2. თუ გაყოფისას იქმნება (ფუძნდება) შემძენი იურიდიული პირები, ხოლო გაყოფის განმახორციელებელი კორპორაციის აქციონერები/პარტნიორები გაყოფის განმახორციელებელ იურიდიული პირში თავიანთი წილების პროპორციულად ხდებიან შესაქმნელი კორპორაციის აქციონერები/პარტნიორები, მაშინ 2:334g მუხლის, 2:334y მუხლიდან 2:334bb მუხლის ჩათვლით ნორმები არ გამოიყენება.

მუხლი 2:334ii სამმხრივი გაყოფა; კომპანიათა ჯგუფი

– 1. გაყოფის სანოტარო აქტი შეიძლება ითვალისწინებდეს გაყოფის განმახორციელებელი იურიდიული პირის აქციონერების/პარტნიორების შემძენი კორპორაციის კომპანიათა ჯგუფის აქციონერად/პარტნიორად გახდომის შესაძლებლობას. ასეთ შემთხვევაში ეს აქციონერები/პარტნიორები არ გახდებიან შემძენი კორპორაციის აქციონერები/პარტნიორები.

– 2. წინა პარაგრაფში მითითებული გაყოფა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომპანიათა ჯგუფი, დამოუკიდებლად ანდა ერთობლივად სხვა კომპანიათა ჯგუფთან ერთად, ქმნის შემძენი იურიდიული პირის მთლიან გამოშვებულ კაპიტალს. კომპანიათა ჯგუფის გადანყვეტილების მიმართ შესაბამისად გამოიყენება 2:334m მუხლის პარ. 1-დან 4-ის ჩათვლით, 2:334ee და 2:334ff მუხლის ნორმები.

– 3. ის ვალდებულებები, რომლებიც 2:334f მუხლიდან 2:334dd მუხლის ჩათვლით ნორმებით გათვალისწინებულია შემძენი კორპორაციის მიმართ, ეკისრება აღნიშნულ კომპანიათა ჯგუფს, გარდა 2:334k მუხლიდან 2:334m მუხლის ჩათვლით და 2:334q მუხლის პარ. 2 და 4-ის ნორმებით გათვალისწინებული ვალდებულებებისა; 2:334aa მუხლის პარ. 4-ის მიზნებისათვის ასეთი კომპანიათა ჯგუფი მაინც გამორიცხული რჩება; 2:334s მუხლის, 2:334t მუხლისა და 2:334u მუხლის პარ. 7-ის ნორმები აღნიშნული კომპანიათა ჯგუფის მიმართ არ გამოიყენება. ასეთ შემთხვევაში 2:334f მუხლის პარ. 2-ის (b) პუნქტის, 2:334x მუხლის პარ. 3-სა და 2:334y მუხლის (b) პუნქტის ნორმები შემძენი კორპორაციის მიმართ არ გამოიყენება. 2:94b და 2:204b მუხლების მიზნებისათვის შემძენი კორპორაციის მიერ განხორციელებული შექმნა, ხოლო კომპანიათა ჯგუფის მიერ განხორციელებული აქციათა/წილთა გადანაწილება განიხილება როგორც ერთი და იგივე კორპორაციის მიერ შესრულებული მოქმედებები.

მე-3 ნიბნი – ქონებრივი სამართალი ზოგადად

ტიტული 3.1 – ზოგადი დებულებები

განყოფილება 3.1.1 – ტერმინოლოგია

მუხლი 3:1 „ქონების“ როგორც სამართლის ობიექტის განმარტება

„ქონება“ (ან – „აქტივი“) მოიცავს ყველა ნივთსა და ასევე ყველა სხვა ქონებრივ უფლებას.

მუხლი 3:2 „ნივთების“ განმარტება

„ნივთები“ წარმოადგენს სხეულებრივ ობიექტებს, რომელთა ადამიანის მხრიდან კონტროლიც არის შესაძლებელი.

მუხლი 3:2a „ცხოველები“

1. ცხოველები არ არიან ნივთები.
2. ნივთების მომწესრიგებელი ნორმები გამოიყენება ცხოველების მიმართ კანონისმიერი და დაუწერელი სამართლის ნორმებზე დაფუძნებული შეზღუდვების, ვალდებულებებისა და სამართლებრივი პრინციპების ჯეროვანი დაცვით, ისევე როგორც – საჯარო წესრიგისა და ზნეობის ნორმების დაცვით.

მუხლი 3:3 „უძრავი ქონება“ და „მოძრავი ქონება“

1. „უძრავ ქონებას“ მიეკუთვნება მიწის ნაკვეთი ჯერ კიდევ მიუღებელი წიაღისეულით, მიწაზე მდგარი მცენარეები, ასევე – შენობები და ნაგებობები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ სხვა შენობებისა თუ ნაგებობების მეშვეობით მყარად არის დაკავშირებული მიწასთან.
2. „მოძრავ ქონებას“ მიეკუთვნება ყველა ის ნივთი, რომელიც არ წარმოადგენს უძრავ ქონებას.

მუხლი 3:4 „ნივთის არსებითი შემადგენელი ნაწილები“

1. ყველა ის საგანი, რაც ზოგადად დამკვიდრებული შეხედულებით (საერთო შეფასებით) ქმნის ნივთის ნაწილს, წარმოადგენს ამ ნივთის „არსებით შემადგენელ ნაწილს“.
2. ის ნივთი, რომელიც სხვა ძირითად ნივთს უკავშირდება იმგვარად, რომ შეუძლებელი ხდება მისი გამოცალკევება ერთ-ერთი ამ ნივთთაგანისათვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების გარეშე, ხდება ძირითადი ნივთის არსებითი შემადგენელი ნაწილი.

მუხლი 3:5 „საყოფაცხოვრებო ნივთები“

„საყოფაცხოვრებო ნივთებს“ წარმოადგენს ყველა ის მოძრავი ნივთი, რომელიც განკუთვნილია საოჯახო მეურნეობისათვის, ავეჯის გადასაფარებელი ფარდებისა და ზენრების ჩათვლით, ანდა – ავეჯი, გარდა ნიგნებისა და სახელოვნებო, სამეცნიერო ან ისტორიული მნიშვნელობის მქონე ობიექტების კრებულებისა.

მუხლი 3:6 „ქონებრივი უფლებები“

„ქონებრივი უფლებები“ წარმოადგენს ისეთ უფლებებს, რომლებიც ცალ-ცალკე ან სხვა უფლებასთან ერთად ექვემდებარება გადაცემას, ან რომლებიც გამიზნულია მათი მფლობელისათვის მატერიალური სარგებლის მისაცემად ანდა – რომელთა შექმნა ხდება მიწოდებული თუ ჯერ კიდევ მისაწოდებელი მატერიალური სარგებლის სანაცვლოდ.

მუხლი 3:7 „აქცესორული უფლებები“

„აქცესორული უფლება“ წარმოადგენს უფლებას, რომელიც იმგვარად არის დაკავშირებული სხვა უფლებასთან, რომ ამ უკანასკნელის გარეშეც ის ვერ იარსებებს.

მუხლი 3:8 „შეზღუდული სანივითო უფლებები“

„შეზღუდული სანივითო უფლება“ წარმოადგენს უფლებას, რომელიც ნაწარმოებია იმ უფრო ფართო უფლებისგან, რომელიც დატვირთულია ამ შეზღუდული სანივითო უფლებით.

მუხლი 3:9 „ბუნებრივი ნაყოფი“ და „სამოქალაქო ნაყოფი“ (სარგებელი)

– 1. „ბუნებრივი ნაყოფს“ წარმოადგენს ნივთები, რომლებიც ზოგადად დამკვიდრებული შეხედულებით (საერთო შეფასებით) მიიჩნევა სხვა ნივთების ნაყოფად (სარგებლად).

– 2. „სამოქალაქო ნაყოფს“ წარმოადგენს უფლებები, რომლებიც ზოგადად დამკვიდრებული შეხედულებით (საერთო შეფასებით) მიიჩნევა უფლების ნაყოფად (სარგებლად).

– 3. სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელებული ცალკეული გადახდები მიიჩნევა სამისდღეშიო რჩენის უფლების ნაყოფად (სარგებლად).

– 4. ბუნებრივი ნაყოფი დამოუკიდებელი ნივთი ხდება იმ მომენტიდან, როდესაც ის რეალურად გამოეყოფა ნაყოფის მომცემ ნივთს. სამოქალაქო ნაყოფი დამოუკიდებელი უფლება ხდება მისი განხორციელების ვადის დადგომის მომენტიდან.

მუხლი 3:10 „რეგისტრირებული ქონება“

„რეგისტრირებული ქონება“ (იგივე – „რეგისტრირებული აქტივი“) მოიცავს იმ აქტივებს (ნივთებსა და მათზე ქონებრივ უფლებებს), რომელთათვისაც სპეციალურად ამ მიზნით შექმნილ საჯარო რეესტრში რეგისტრაცია აუცილებელია მათი წარმოშობისა თუ გადაცემისათვის.

მუხლი 3:11 „კეთილსინდისიერება“

პირი არ მოქმედებდა „კეთილსინდისიერად“, როგორც განსაზღვრული სამართლებრივი შედეგის დადგომის წინაპირობის სახით, თუ მან იცოდა ანდა არსებული გარემოებებიდან გამომდინარე მას გონივრულად უნდა სცოდნოდა იმ ფაქტებისა თუ უფლებების შესახებ, რაზეც მისი კეთილსინდისიერება არის დამოკიდებული. საკითხის დეტალური გამოკვლევის ჩატარების შეუძლებლობა ხელს არ უშლის იმას, რომ ის პირი, რომელსაც რეალური საფუძველი ჰქონდა ეჭვის შეტანისა, მიიჩნევა ისეთ პირად, რომელსაც უნდა სცოდნოდა შესაბამისი ფაქტებისა თუ უფლებების შესახებ.

მუხლი 3:12 „გონივრულობისა და სამართლიანობის“ პრინციპი

იმის განსაზღვრისათვის, თუ კონკრეტულ ვითარებაში რას მოითხოვს „გონივრულობისა და სამართლიანობის“ პრინციპი, მხედველობაში მისაღებია ზოგადად აღიარებული სამართლებრივი პრინციპები, ნიდერლანდებში არსებული სამართლის ფუნდამენტური კონცეფციები და ის შესაბამისი სოციალური და პირადი ინტერესები, რომლებიც მოცემულ სიტუაციასთან არის დაკავშირებული.

მუხლი 3:13 „უფლების ბოროტად გამოყენება“

– 1. იმ პირს, რომელსაც ეკუთვნის უფლება, არ შეუძლია მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებების რეალიზაცია იმდენად, რამდენადაც ეს შეიძლება მიჩნეულ იქნეს უფლების ბოროტად გამოყენებად.

– 2. კერძოდ, უფლების ბოროტად გამოყენებას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც ის ხორციელდება მარტოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვა პირს, ან სხვა მიზნით, ნაცვლად იმისა, რისთვისაც ის არის მინიჭებული ანდა როდესაც ამ უფლების გამოყენება – მისი რეალიზაციის შედეგად დაკმაყოფილებულ ინტერესებსა და იმ ინტერესებს შორის არსებული დისპროპორციის გათვალისწინებით, რომლებსაც აღნიშნულის შედეგად მიადგა ზიანი, – ყოველგვარი მიზეზით უნდა შეჩერდეს ანდა გადავადდეს.

– 3. უფლების ბუნება შეიძლება თავის თავში გამოორიცხავდეს მისი ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას.

მუხლი 3:14 საჯარო სამართლის ნორმების დარღვევის დაუშვებლობა

ის უფლება ან უფლებამოსილება, რომელიც ვინმეს სამოქალაქო სამართლის ნორმების ძალით ეკუთვნის, ვერ განხორციელდება საჯარო სამართლის დანერგული ან დაუწერელი ნორმების დარღვევით.

მუხლი 3: 15 ნორმათა გამოყენების სფეროს გაფართოება

3:11 მუხლიდან 3:14 მუხლის ჩათვლით ნორმები გამოიყენება ასევე სანივთო სამართლის სფეროს მიღმაც, რამდენადაც სამართლებრივი ურთიერთობის ხასიათი არ ეწინააღმდეგება ამას.

განყოფილება 3.1.1A – ქონებრივ სამართალში ელექტრონული კომუნიკაციის სამართლებრივი ასპექტები

მუხლი 3:15a ელექტრონული ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები

– 1. ელექტრონულ ხელმოწერას იგივე სამართლებრივი შედეგი აქვს, რაც საკუთარი ხელით შესრულებულ ხელმოწერას, თუ მისი ავტორიზაციისათვის გამოყენებული მეთოდი საკმარისად სანდოა იმ მიზნის გათვალისწინებით, რომლისათვისაც გამოიყენებოდა ელექტრონული მონაცემები, ისევე როგორც – შესაბამისი ვითარების ყველა სხვა გარემოება.

– 2. ივარაუდება, რომ პარ. 1-ში მითითებული მეთოდი საკმარისად სანდოა, თუკი ელექტრონული ხელმოწერა აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

a. ის ხელმოწერ პირთან უნიკალურად არის დაკავშირებული;

b. ეს მეთოდი იძლევა ხელმოწერი პირის იდენტიფიცირების საშუალებას;

c. ის ვლინდება იმ რესურსების მეშვეობით, რომელთა საკუთარი ექსკლუზიური კონტროლის ქვეშ შენარჩუნება შეუძლია ხელმოწერ პირს;

d. აღნიშნული მეთოდი შესაბამის ელექტრონულ ფაილთან დაკავშირებულია იმგვარად, რომ შემდგომში შესაძლებელი გახდეს მონაცემთა თითოეული ცვლილების კვალდაკვალ მიყოლა;

e. მეთოდი ეფუძნება ჰოლანდიის ტელეკომუნიკაციის შესახებ კანონის 1.1 მუხლში მითითებულ SS კომპონენტების კვალიფიციურ სერტიფიკატს, და;

f. ის შეიქმნა ელექტრონული ხელმოწერების წარმოებისათვის გათვალისწინებული უსაფრთხო აღჭურვილობის გამოყენებით, როგორც ეს მითითებულია ჰოლანდიის ტელეკომუნიკაციის შესახებ კანონის 1.1 მუხლის vv კომპონენტებში.

– 3. პარ. 1-ში მითითებული მეთოდი ვერ მიიჩნევა საკმარისად სანდოდ მარტო იმ საფუძვლით, რომ:

– ის არ ეფუძნება ჰოლანდიის ტელეკომუნიკაციის შესახებ კანონის 1.1 მუხლში მითითებულ SS კომპონენტების კვალიფიციურ სერტიფიკატს;

– ის არ ეფუძნება იმ სერტიფიკატს, რომლის გადაცემაც ხდება სერტიფიცირების პროვაიდერი უწყების მიერ, როგორც ეს მითითებულია ჰოლანდიის ტელეკომუნიკაციის შესახებ კანონის 18.16 მუხლის პირველი წინადადების ნორმაში; ანდა

– ის არ შეიქმნა ელექტრონული ხელმოწერების წარმოებისათვის გათვალისწინებული უსაფრთხო აღჭურვილობის გამოყენებით, როგორც ეს მითითებულია ჰოლანდიის ტელეკომუნიკაციის შესახებ კანონის 1.1 მუხლის vv კომპონენტებში.

– 4. „ელექტრონული ხელმოწერის“ ცნების ქვეშ მოიაზრება ხელმოწერა, რომელიც არსებობს იმ ელექტრონული მონაცემებიდან გამომდინარე, რაც დაკავშირებულია ანდა ლოგიკურად ასოცირებულია სხვა იმ ელექტრონულ მონაცემებთან, რომლებიც გამოიყენება როგორც ავტორიზაციისათვის საჭირო მეთოდი.

– 5. „ხელმოწერი პირის“ ცნების ქვეშ მოიაზრება პირი, ვინც იყენებს ელექტრონული ხელმოწერების წარმოებისათვის საჭირო მეთოდს ჰოლანდიის ტელეკომუნიკაციის შესახებ კანონის 1.1 მუხლის uu კომპონენტებში აღნიშნული გაგებით.

– 6. მხარეებს შეუძლიათ ორმხრივი შეთანხმებით გამორიცხონ პარ. 2 და 3-ის ნორმების მოქმედება, რამდენადაც საქმე ეხება მათ ორმხრივ ურთიერთობას.

მუხლი 3:15b კვალიფიციური სერტიფიკატი

ჰოლანდიის ტელეკომუნიკაციის შესახებ კანონის 1.1 მუხლის ss კომპონენტებში აღნიშნულ კვალიფიციურ სერტიფიკატს, რომელიც საჯაროდ გაიცა მესამე ქვეყანაში განთავსებული სერტიფიცირების პროვაიდერი უწყების მიერ, იგივე ძალა აქვს, რაც ევროპული კავშირისა თუ ევროპულ ეკონომიკურ ზონაში შემავალ ერთ-ერთ სხვა სახელმწიფოში განთავსებული სერტიფიცირების პროვაიდერი უწყების მიერ გაცემულ კვალიფიციურ სერტიფიკატს, თუ:

a. პირველად ხსენებული სერტიფიცირების პროვაიდერი უწყება აკმაყოფილებს ელექტრონული ხე-

ლმონერებისათვის საერთო ჩარჩოს შექმნასთან დაკავშირებით 1999 წლის 13 დეკემბერს მიღებულ ევროპული პარლამენტისა და საბჭოს 99/93/EC დირექტივაში მოცემულ ევროპული რეგულაციის პირობებს და ეს პროვაიდერი ფლობს წერილობით მტკიცებულებას იმასთან დაკავშირებით, რომ მან ჩააბარა ჰოლანდიის ტელეკომუნიკაციის შესახებ კანონის 18.16 მუხლის პირველი წინადადების ნორმაში მითითებული ტესტი, რომლის წერილობითი მტკიცებულებაც გადაცემულ იქნა ამ მიზნით ევროპული კავშირის ერთ-ერთი წევრი სახელმწიფოს ან ევროპულ ეკონომიკურ ზონაში შემავალი ერთ-ერთი სხვა სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული ბიუროს მიერ, ან;

b. სერტიფიკატი დადასტურდა სერტიფიცირების პროვაიდერი იმ უწყების მიერ, რომელიც განთავსებულია ევროპული კავშირისა თუ ევროპულ ეკონომიკურ ზონაში შემავალ ერთ-ერთ სხვა სახელმწიფოში და რომელიც აკმაყოფილებს ელექტრონული ხელმონერებისათვის საერთო ჩარჩოს შექმნასთან დაკავშირებით 1999 წლის 13 დეკემბერს მიღებულ ევროპული პარლამენტისა და საბჭოს 99/93/EC დირექტივაში მოცემულ ევროპული რეგულაციის პირობებს;

c. სერტიფიკატი ან სერტიფიცირების პროვაიდერი უწყება აღიარებულ იქნა ასეთად, ერთი მხრივ, ევროპულ კავშირსა თუ ევროპულ ეკონომიკურ ზონაში შემავალ ერთ-ერთ სხვა სახელმწიფოსა და, მეორე მხრივ, მესამე სახელმწიფოსა თუ საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის არსებული ორმხრივი ან მრავალმხრივი კონვენციების ფარგლებში.

მუხლი 3:15c ნორმათა გამოყენების სფეროს გაფართოება

წინამდებარე განყოფილების კანონისმიერი ნორმები შესაბამისად გამოიყენება სანივთო და ვალდებულებითი და ასევე სახელშეკრულებო სამართლის სფეროს მიღმა, რამდენადაც გარიგების ბუნება ან სამართლებრივი ურთიერთობის ხასიათი არ ეწინააღმდეგება ამას.

მუხლი 3:15d მონაცემებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

– 1. პირი, ვინც ახორციელებს საინფორმაციო საზოგადოების მომსახურებას, ამ უკანასკნელის მომხმარებლებისათვის, კერძოდ კი, – ქვემოთ მოცემული ინფორმაციის მიღებისა თუ ამ ინფორმაციის ხელმისაწვდომად გახდომის მიზნით, – ადვილად, პირდაპირ და მუდმივად ხელმისაწვდომს ხდის ქვემოთ მოცემულ მონაცემებს:

a. თავის საიდენტიფიკაციო მონაცემებსა და ადგილსამყოფელის გეოგრაფიულ მისამართს;

b. მონაცემებს, რომლებიც იძლევა მასთან სწრაფად დაკავშირებისა და პირდაპირი და ეფექტური გზით კომუნიკაციის შესაძლებლობას, მათ შორის – მისი ელექტრონული ფოსტის მისამართს;

c. რამდენადაც ის რეგისტრირებულია სავაჭრო რეესტრსა თუ ანალოგიურ საჯარო რეესტრში: იმ რეესტრს, სადაც ის რეგისტრირებულია, და ასევე – ამ რეესტრში მის სარეგისტრაციო ნომერსა თუ იდენტიფიცირების ეკვივალენტურ საშუალებებს;

d. რამდენადაც მისი საქმიანობა საჭიროებს სამთავრობო უწყების ლიცენზიას ან ნებართვას: კომპეტენტურ ზედამხედველ ორგანოსთან დაკავშირებულ მონაცემებს;

e. რამდენადაც ის დაკავებულია რეგულირებადი პროფესიული საქმიანობით:

– პროფესიულ ორგანოსა თუ ანალოგიურ უწყებას, რომელშიც რეგისტრირებულია მომსახურების პროვაიდერი;

– პროფესიულ წოდებასა და წევრ სახელმწიფოსა თუ ევროპულ ეკონომიკურ ზონაში შემავალ იმ სახელმწიფოს, სადაც მოხდა ამ წოდების მინიჭება;

– მითითებას ნიდერლანდებში გამოყენებად პროფესიულ წესებსა და მათთან წვდომის საშუალებებზე;

– როდესაც მომსახურების პროვაიდერი აწარმოებს დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციებს: დღგ-ის შესახებ 1968 წლის კანონის 2a მუხლის პირველი პარაგრაფის g პუნქტში მითითებულ დღგ-ის საიდენტიფიკაციო ნომერს.

– 2. როდესაც საინფორმაციო საზოგადოების მომსახურება ეხება ფასებს, ეს უკანასკნელები უნდა იქნეს მითითებული ნათლად და არაორაზოვნად; კერძოდ, მითითება უნდა ხდებოდეს იმაზე, მოიცავს თუ არა ეს ფასები გადასახადებსა და მიწოდების ხარჯებსაც, ხოლო თუ მოიცავს, – მაშინ რომელი გადასახდის თანხებისა და მიწოდების ხარჯების გადახდა უნდა განხორციელდეს და რა ოდენობით.

– 3. „საინფორმაციო საზოგადოების მომსახურების“ ცნებაში მოიაზრება ნებისმიერი მომსახურება, რომელიც ჩვეულებრივ ხორციელდება ფინანსური სამაგიერო შესრულების სანაცვლოდ დისტანციურად ელექტრონული გადაცემის გზით მომხმარებლის ინდივიდუალური მოთხოვნის საფუძველზე მხარეთა

ერთი და იგივე ადგილზე ერთდროული დასწრების გარეშე. მომსახურება ხორციელდება ელექტრონულად, თუ ის იგზავნება, გადაიცემა და მიიღება მხოლოდ და მხოლოდ სადენით, რადიოკავშირით ან ოპტიკური თუ სხვა ელექტრომაგნიტური რესურსების საშუალებით მონაცემთა დამუშავებისათვის – ციფრული შეკუმშვის ჩათვლით – და მონაცემთა შენახვისათვის საჭირო ელექტრონული აღჭურვილობის გამოყენებით.

მუხლი 3:15e კომერციული შეტყობინების გამოყენებისას წარმოშობილი ვალდებულებები

– 1. როდესაც კომერციული შეტყობინება ქმნის საინფორმაციო საზოგადოების მომსახურების ნაწილს ანდა თავად წარმოადგენს ასეთ მომსახურებას, ამ სახის კავშირის გამოყენებაზე მითითებების გამცემი პირი ვალდებულია უზრუნველყოს:

- a. რომ კომერციული შეტყობინება, როგორც ასეთი, ადვილად ცნობადი იყოს;
- b. რომ კომერციული შეტყობინებიდან გამომდინარე შესაძლებელი იყოს ამ პირის იდენტიფიცირება;
- c. რომ კომერციული შეტყობინება, – რამდენადაც ის დაკავშირებულია სარეკლამო შეთავაზებებთან, კონკურსებსა თუ თამაშობებთან, – შეიცავს ნათელ და არაორაზროვან მითითებას იმ ბუნებასა და პირობებზე, რომლებიც უნდა დაკმაყოფილდეს;
- d. რომ სპონტანური ელექტრონულად გაგზავნილი კომერციული შეტყობინება, როგორც ასეთი, ადვილად და არაორაზროვნად ცნობადია იმ მომენტში, როგორც კი მიმღები მას იღებს;

– 2. {გაუქმებულია}

– 3. წინამდებარე მუხლში ნახსენები კომერციული შეტყობინება წარმოადგენს ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით არსებულ ნებისმიერი ფორმის შეტყობინებას, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ მიმართულია იმ კომპანიის, ორგანიზაციისა თუ პირის საქონლის, მომსახურებისა თუ იმიჯის რეალიზაციის ხელშეწყობისკენ, რომლებიც ეწევიან კომერციულ, სამრეწველო ან სახელოსნო საქმიანობას ანდა დაკავებული არიან რეგულირებადი პროფესიული საქმიანობით, გარდა იმ ინფორმაციისა, რომელიც იძლევა კომპანიის, ორგანიზაციისა თუ პირის საქმიანობასთან პირდაპირი წვდომის შესაძლებლობას, კერძოდ კი, – დომეინის სახელი ან ელექტრონული ფოსტის მისამართი. კომპანიის, ორგანიზაციისა თუ პირის საქონელთან, მომსახურებასა თუ იმიჯთან დაკავშირებული შეტყობინებები, რომლებიც შეგროვდა აღნიშნული კომპანიის, ორგანიზაციისა თუ პირისაგან დამოუკიდებლად და უსასყიდლოდ, კომერციულ შეტყობინებად არ მიიჩნევა.

მუხლი 3:15f საკონტაქტო პუნქტები

– 1. იმ პირებს, რომლებიც ახდენენ საინფორმაციო საზოგადოების მომსახურების განწევასა თუ გამოყენებას, შეუძლიათ თავად მიმართონ, ეკონომიკურ საქმეთა მინისტრთან შეთანხმებით იუსტიციის მინისტრის მიერ მითითებულ იურიდიულ პირს იმ მიზნით, რომ:

a. მიიღონ ზოგადი ინფორმაცია სახელშეკრულებო უფლებებისა და ვალდებულებების, ისევე როგორც, დავების წარმოშობის შემთხვევაში, – საჩივრების წარდგენისა და კომპენსაციის მიღების მექანიზმების შესახებ;

b. მიიღონ დეტალური ინფორმაცია იმ ორგანოების, კავშირებისა თუ ორგანიზაციების შესახებ, რომელთაგანაც მათ შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია ან პრაქტიკული დახმარება.

– 2. პარ. 1-ში მითითებული იურიდიული პირი მასზე დაკისრებული ამოცანების შესრულებისას თანამშრომლობს შესაბამის ორგანიზაციებთან ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებსა და ევროპულ ეკონომიკურ ზონაში შემავალ სახელმწიფოებთან.

– 3. საგადასახადო და საბაჟო ადმინისტრაციის/საგადასახადო ინფორმირებისა და გამოვლენის მომსახურების – ეკონომიკური კონტროლის სერვისის (Belastingdienst/FIOD-ECD) ინსპექტორები სახელმწიფო მოხელეთა თანამდებობებზე ინიშნებიან იმ შემთხვევათა გამოვლენის ამოცანის დაკისრებით, როდესაც ადგილი აქვს 15d მუხლისა და 15e მუხლის პარ. 1-ის ნორმათა მოთხოვნების დარღვევას.

განყოფილება 3.1.1B – ბულალტერია

მუხლი 3:15i ბულალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების წარმოების მოვალეობა

– 1. ყოველი პირი, ვინც საკუთარი ხარჯით ეწევა სამენარმეო ან პროფესიულ საქმიანობას, ვალდებულია, ყველა აქტივისა და პასივის ჩათვლით, აწარმოოს და შეინახოს თავის საწარმოსა თუ საქმიანო-

ბის ღირებულებასთან დაკავშირებული საბუღალტრო ჩანაწერები, ანგარიშგება და ფაქტების ამსახველი სხვა მატარებლები და, ამავე დროს, ეს უნდა განახორციელოს იმგვარად, რომ ნებისმიერ დროს შესაძლებელი გახდეს მისი უფლებებისა და ვალდებულებების (ვალდების) განსაზღვრა ასეთი სამენარმეო ან პროფესიული საქმიანობისათვის აღიარებული სტანდარტების შესაბამისად.

– 2. პარ. 1-ში მითითებული პირის მიმართ შესაბამისად გამოიყენება სამოქალაქო კოდექსის 2:10 მუხლის პარ. 2-დან პარ. 4-ის ჩათვლით ნორმები.

მუხლი 3:15j მოთხოვნის საფუძველზე საბუღალტრო ჩანაწერებისა და ანგარიშგების დოკუმენტაციის გახსნა

რამდენადაც მათ აქვთ ასეთი მოთხოვნის უშუალო და სათანადო ინტერესი, შემდეგ პირებს შეუძლიათ მოითხოვონ სხვა პირის საბუღალტრო ჩანაწერების, ანგარიშგების დოკუმენტაციისა და ფაქტების ამსახველი სხვა მატარებლების გახსნა:

a. მემკვიდრეებს: გარდაცვლილის ქონების საბუღალტრო ჩანაწერების, ანგარიშგების დოკუმენტაციისა და ფაქტების ამსახველი სხვა მატარებლების მიმართ;

b. იმ პირებს, რომლებიც ერთობლივად არიან უფლებამოსილი საერთო ქონებაზე: ამ საერთო ქონების საბუღალტრო ჩანაწერების, ანგარიშგების დოკუმენტაციისა და ფაქტების ამსახველი სხვა მატარებლების მიმართ;

c. იმ პირებს, რომლებიც წარმოადგენენ სავაჭრო ან ბიზნეს-ამხანაგობის პარტნიორს: ამ უკანასკნელის საბუღალტრო ჩანაწერების, ანგარიშგების დოკუმენტაციისა და ფაქტების ამსახველი სხვა მატარებლების მიმართ;

d. კრედიტორებს გაკოტრების საქმის წარმოების ან ფიზიკური პირებისათვის არსებული ვალდების დაფარვის სქემის მოქმედების შემთხვევაში: იმ პირის საბუღალტრო ჩანაწერების, ანგარიშგების დოკუმენტაციისა და ფაქტების ამსახველი სხვა მატარებლების მიმართ, რომელიც გამოცხადდა გაკოტრებულად ანდა ვარდება ფიზიკური პირებისათვის არსებული ვალდების დაფარვის სქემაში.

განყოფილება 3.1.2 – რეგისტრირებული ქონების რეგისტრაცია

მუხლი 3:16 რეგისტრირებული ქონების საჯარო რეესტრები

– 1. არსებობს საჯარო რეესტრები, რომლებშიც რეგისტრაციაში ტარდება ყველა ის ფაქტი, რაც მნიშვნელოვანია რეგისტრირებული ქონების (უძრავი ნივთები და ასეთ ნივთებზე არსებული სანივთო უფლებები, ასევე – განსაზღვრული გემები და საჰაერო ხომალდები) სამართლებრივი სტატუსისათვის.

– 2. კანონი ადგენს, თუ რომელი რეესტრები წარმოადგენს რეგისტრირებული ქონების საჯარო რეესტრებს, სად და როგორ შეიძლება იქნეს მიღწეული ასეთ რეესტრებში რეგისტრაცია, რა დოკუმენტები უნდა იქნეს წარდგენილი აღნიშნული საჯარო რეესტრების მწარმოებლისათვის, რას უნდა გულისხმობდეს ეს დოკუმენტები, როგორ უნდა იქნეს ეს რეესტრები მონყობილი, როგორ ხორციელდება რეგისტრაციები და როგორც ხდება ამ რეესტრებში შესაბამისი კონსულტაციის მიღება.

მუხლი 3:17 ფაქტები, რომლებიც რეგისტრირებულ ქონებასთან დაკავშირებით შეიძლება გატარდეს რეგისტრაციაში საჯარო რეესტრებში

– 1. იმ ფაქტებთან ერთად, რომლებიც რეგისტრირებულ ქონებასთან დაკავშირებით შეიძლება გატარდეს რეგისტრაციაში საჯარო რეესტრებში სხვა კანონისმიერი ნორმის ძალით, ნაცვლად წინამდებარე განყოფილებაში გათვალისწინებული ნორმებისა, შემდეგი ფაქტები შეიძლება გატარდეს რეგისტრაციაში აღნიშნულ საჯარო რეესტრებში:

a. გარიგებები, რომლებიც შედეგად იწვევს რეგისტრირებული ქონების სამართლებრივი სტატუსის ცვლილებას, ანდა – რომლებიც სხვა მხრივ არის მნიშვნელოვანი ასეთი ქონების სამართლებრივი სტატუსისათვის;

b. მემკვიდრეობა, რომელიც ეხება რეგისტრირებულ ქონებას, მათ შორის – ცენტრალური ხელისუფლების უფლებამონაცვლეობა სამოქალაქო კოდექსის 4:189 მუხლისა და 4:226 მუხლის პარ. 4-ის ნორმათა საფუძველზე, და ასევე – რეგისტრირებული ქონების ცენტრალური ხელისუფლებისათვის მიწოდება სამოქალაქო კოდექსის 4:226 მუხლის პარ. 1 და 2-ის ნორმათა საფუძველზე;

c. რეგისტრირებულ გარიგებაში გათვალისწინებული წინასწარი ან შემდგომი პირობის შესრულება, იმ

გაურკვეველი თარიღის დადგომა, რომელიც დაკავშირებულია რეგისტრირებულ გარიგებაში შეთანხმებულ ვადასთან, ისევე როგორც – რეგისტრირებულ ქონებაზე უზუფრუქტის უფლების მქონე პირის გარდაცვალება;

d. შინაგანანესი და სხვა წესდება, რომელიც მოქმედებს რეგისტრირებულ ქონებაზე ერთობლივად უფლებამოსილ პირებს შორის;

e. სასამართლოს გადაწყვეტილებები (გადაწყვეტილებები და განკარგულებები), რომლებიც ეხება რეგისტრირებული ქონების სამართლებრივ სტატუსს ან ასეთი ქონების განკარგვის უფლებამოსილებას იმ პირობით, თუ ეს გადაწყვეტილებები ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღსრულებას ანდა – თუ ადგილი ჰქონდა სასამართლოს მდივნის დეკლარაციის გადაცემას იმის მითითებით, რომ ამიერად შეუძლებელია ჩვეულებრივი აპელაციისა თუ სამართლებრივი დაცვის საშუალების წარდგენა ამ სასამართლოს გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ ანდა – რომ მისი ინფორმაციით არანაირი ჩვეულებრივი აპელაცია თუ სამართლებრივი დაცვის საშუალება არ იქნა წარდგენილი აღნიშნული სასამართლოს გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ ამ უკანასკნელის მიღებიდან სამი თვის განმავლობაში;

f. სასამართლოში საქმის განხილვები, განცხადებები და რეგისტრირებული ქონების სამართლებრივ სტატუსთან დაკავშირებით სასამართლოს გადაწყვეტილების მიღების მიზნით სასამართლოში წარდგენილი სხვა სარჩელები;

g. რეგისტრირებული ქონების აღწერა ან დაყადაღება;

h. რეგისტრირებულ ქონებაზე უფლებამოსილი პირების სახელის ცვლილება;

i. ხანდაზმულობა, რომლის შედეგადაც განხორციელდა რეგისტრირებულ ქონებაზე სანივთო უფლების შექმნა ან ასეთ ქონებაზე შეზღუდული უფლების გაუქმება;

j. სასამართლოს გადაწყვეტილებების შეცვლა, სასამართლოს იმ განკარგულებისა თუ გადაწყვეტილების გაუქმება ან შეცვლა, რომლის კონკრეტული კანონისმიერი ნორმის შესაბამისადაც რეგისტრაცია განხორციელდა ადრე;

k. იმ ქსელის მომზადება და გაუქმება, რომელიც შედგება მყარი, თხევადი ან აირისებრი სუბსტანციების, ასევე – ენერჯისა თუ ინფორმაციის ტრანსპორტირებისა თუ გადაადგილებისათვის გამოყენებული ერთი ან მეტი გაყვანილობისა თუ მილსადენისაგან.

– 2. იჯარის, ქირავნობის, მოძრავი ნივთების ქირავნობის ხელშეკრულებები, ისევე როგორც – სასოფლო-სამეურნეო იჯარის ხელშეკრულებები და სხვა ფაქტები, რომლებიც მხოლოდ წარმოშობს ან წვეტს სავალო მოთხოვნებს (რელატიურ უფლებებს), რეგისტრირებულ ქონებასთან დაკავშირებით შეიძლება გატარდეს რეგისტრაციაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სპეციალური საკანონმდებლო ნორმა ამას შესაძლებელს ხდის (რეალურად ეს არასოდეს არ ხდება).

მუხლი 3:18 დოკუმენტების წარდგენა

როდესაც რეგისტრირებულ ქონებასთან დაკავშირებით საჯარო რეესტრების მწარმოებელს წარედგინება დოკუმენტები, ეს უკანასკნელი ამ დოკუმენტების წარმდგენ პირს მათი მიღების დასტურად გადასცემს ქვითარს. ამ ქვითარში მიეთითება დოკუმენტების სახე და მათი წარდგენის თარიღი, საათი და წუთი.

მუხლი 3:19 რეგისტრაციის დრო

– 1. ის წარდგენილი დოკუმენტები, რომლებიც აუცილებელია სარეგისტრაციოდ, რეგისტრაციაში ტარდება დაუყოვნებლივ მას შემდეგ, რაც დადგინდება, რომ ისინი შეესაბამება სამართლებრივ მოთხოვნებს და ასევე რეგისტრაციის განხორციელებისათვის დაკმაყოფილებულია ყველა სხვა სამართლებრივი მოთხოვნა.

– 2. რეგისტრაციის დროდ მიიჩნევა მომენტი, როდესაც მოთხოვნილი რეგისტრაციისათვის აუცილებელი დოკუმენტები რეგისტრირებულ ქონებასთან დაკავშირებით წარედგინება საჯარო რეესტრების მწარმოებელს.

– 3. დოკუმენტების წარმდგენი პირის მოთხოვნის საფუძველზე, საჯარო რეესტრების მწარმოებელი დოკუმენტების მიღებისას აკეთებს რეგისტრაციის შესახებ აღნიშვნას ანდა რეგისტრაციის თაობაზე აღნიშნულ პირს ატყობინებს ისეთ ვითარებებში, როდესაც ეს შესაძლებელია კანონის საფუძველზე ან ამ უკანასკნელის შესაბამისად, როგორც ეს მითითებულია 3:16 მუხლის პარ. 2-ში, იმ მეთოდის ჯეროვანი დაცვით, რომლის მიხედვითად უნდა განხორციელდეს რეგისტრაცია ასეთ შემთხვევებში.

– 4. თუ რეგისტრირებულ ქონებასთან დაკავშირებით საჯარო რეესტრების მწარმოებელს აქვს ეჭვი

იმისა, რომ წარმოდგენილ დოკუმენტებში მოცემული ნიშნები არ შეესაბამება იმ მონაცემებს, რომლებიც უნდა ყოფილიყო მითითებული შესაბამის რეგისტრირებულ ქონებასთან დაკავშირებით, ან რომ გარიგება შესრულდა არაუფლებამოსილი პირის მიერ ანდა – რომ ეს გარიგება არათავსებადია იმ სხვა გარიგებასთან, რომლის რეგისტრაციისათვისაც აუცილებელი დოკუმენტები უკვე იქნა მის მიერ შეთავაზებული, მაშინ მას შეუძლია ამის თაობაზე მიუთითოს იმ პირს, რომელმაც წარუდგინა მას დოკუმენტები, ისევე როგორც – ნებისმიერ სხვა დაინტერესებულ პირს.

მუხლი 3:20 რეგისტრაციაზე უარი

– 1. რეგისტრირებულ ქონებასთან დაკავშირებით საჯარო რეესტრების მწარმოებელმა უარი უნდა თქვას რეგისტრაციის განხორციელებაზე, თუ არ არის დაკმაყოფილებული 3:19 მუხლის პარ. 1-ში მითითებული მოთხოვნები. საჯარო რეესტრების მწარმოებელი შემდგომში წინასწარი აღნიშვნების რეესტრში აკეთებს მოთხოვნილი რეგისტრაციის შესახებ აღნიშვნას იმ პროტესტთან დაკავშირებით ვაკეთებულ კომენტართან ერთად, რომლის შედეგადაც რეგისტრაციაზე ითქვა უარი.

– 2. როდესაც საჯარო რეესტრების მწარმოებელი რეგისტრაციაზე არამართლზომიერად ამბობს უარს, რაიონული სასამართლოს გამარტივებული საქმის წარმოების მოსამართლეს ნებისმიერი დაინტერესებული პირის მოთხოვნის საფუძველზე შეუძლია მიიღოს წინასწარი გადანყვეტილება საჯარო რეესტრების მწარმოებლის მიერ მოთხოვნილი რეგისტრაციის განხორციელების შესახებ, მიუხედავად რაიონული სასამართლოს არსებული კომპეტენციისა, საბოლოოდ მაინც გამოიტანოს გადანყვეტილება ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვეულებრივი საქმის წარმოების ფარგლებში. გამარტივებული საქმის წარმოების მოსამართლეს შეუძლია სასამართლოში დაიბაროს სხვა დაინტერესებული პირები. გამარტივებული საქმის წარმოების მოსამართლის გადანყვეტილება ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღსრულებას კანონის ძალით.

– 3. როდესაც საჯარო რეესტრების მწარმოებელს სასამართლო ავალებს უარყოფილი რეგისტრაციის განხორციელებას, მწარმოებელმა ეს დავალება უნდა შეასრულოს დაუყოვნებლივ მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველზე.

– 4. თუ დაინტერესებულმა მხარემ დოკუმენტების პირველადი წარდგენის შემდეგ ორი კვირის განმავლობაში პარ. 2-ში მითითებული სასამართლოს გადანყვეტილების მისაღებად საჯარო რეესტრების მწარმოებელი გამოიძახა სასამართლოში და თავდაპირველად უარყოფილი რეგისტრაცია საბოლოოდ მაინც ხორციელდება იგივე დოკუმენტების ხელახალი წარდგენის საფუძველზე, მაშინ რეგისტრაცია მიიჩნევა განხორციელებულად იმ მომენტში, როდესაც მოხდა დოკუმენტების პირველადი წარდგენა. იგივე წესი მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ საჯარო რეესტრების მწარმოებელი დოკუმენტების ხელახალი წარდგენის შემდეგ ორი კვირის განმავლობაში ახორციელებს რეგისტრაციას ან პირველადი წარდგენის შემდეგ ანდა – მას შემდეგ, როდესაც პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის წარმოების დროს ის დროულად იქნა გამოძახებული სასამართლოში გამოძახების უწყებით.

– 5. ფაქტი, რომელიც ჩანს მხოლოდ წინასწარი აღნიშვნების რეესტრში მოთხოვნილი რეგისტრაციის აღნიშვნიდან, როგორც ეს მითითებულია პარ. 1-ის მეორე წინადადებაში, არ განიხილება როგორც ისეთი ფაქტი, რომელიც ცნობილი უნდა ყოფილიყო საჯარო რეესტრებში კონსულტაციის მიღების გზით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის უკვე უნდა ჩაითვალოს ოფიციალურად რეგისტრირებულად წინა პარაგრაფის ნორმის ძალით.

– 6. საჯარო რეესტრების მწარმოებელმა უნდა გააუქმოს წინასწარი აღნიშვნა, როგორც კი მისთვის ნათელი გახდება, რომ ის პირობები, რომლებიც შედეგად იწვევს პარ. 4-ის ნორმათა გამოყენებას, აღარ არის სათანადო, ანდა – რომ რეგისტრაცია საბოლოოდ განხორციელდა იმ მომენტის ჯეროვანი დაცვით, როდესაც მოხდა დოკუმენტების პირველადი წარდგენა.

მუხლი 3:21 რეგისტრაციათა რიგითობის წესი

– 1. იმ რეგისტრაციათა რიგითობის წესი, რომლებიც ეხება ერთი და იგივე რეგისტრირებულ ქონებას, განისაზღვრება რეგისტრაციის მომენტით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კანონიდან სხვა რიგითობის წესი გამომდინარეობს.

– 2. როდესაც ორი რეგისტრაცია განხორციელდა ერთი და იგივე დროს, რაც ერთი და იგივე რეგისტრირებულ ქონებასთან დაკავშირებით წარმოქმნიდა სხვადასხვა პირების ორმხრივად შეუსაბამო უფლებებს, მაშინ რიგითობა განისაზღვრება შემდეგნაირად:

a. იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი სანოტარო აქტების სასამართლოს გადანყვეტილებებისა თუ

სხვა ოფიციალური სარეგისტრაციო დოკუმენტების შედგენა ხდება სხვადასხვა დღეებში: ამ დღეების ქრონოლოგიურად;

ბ. იმ შემთხვევაში, თუ საქმე ეხება ორ ან მეტ სანოტარო აქტს, რომელთა შედგენა ხდება ერთი და იგივე დღეს: იმ საათისა და წუთების მიხედვით, როდესაც ეს აქტები იქნა შედგენილი.

მუხლი 3:22 რეგისტრაციისათვის საჭირო ფორმალობების დაუცველობა

თუ რეგისტრირებულ ქონებასთან დაკავშირებით ფაქტი რეგისტრაციაში გატარდა საჯარო რეესტრებში, მაშინ ამის შემდგომ უკვე დაუშვებელია მისი რეგისტრაციის ნამდვილობის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება იმ საფუძვლით, რომ არ იქნა დაცული რეგისტრაციისათვის საჭირო ფორმალობები.

მუხლი 3:23 კეთილსინდისიერების არარსებობა

მხარე, რომელმაც შეიძინა რეგისტრირებული ქონება, ვერ მიუთითებს იმაზე, რომ ის მოქმედებდა კეთილსინდისიერად იმდენად, რამდენადაც მისი საჩივარი ეფუძნება იმ არგუმენტს, რომ მან არაფერი იცოდა იმ განსაზღვრული ფაქტების შესახებ, რომელთა არსებობაც მისთვის ცნობილი გახდებოდა, მას რომ საჯარო რეესტრებში რეგისტრირებულ ქონებასთან დაკავშირებით შესაბამისი კონსულტაცია მიეღო.

მუხლი 3:24 რეგისტრირებულ ქონებასთან დაკავშირებით საჯარო რეესტრებში არასრული ჩანაწერების წინააღმდეგ დაცვა

– 1. ის ფაქტი, რომელიც რეგისტრირებულ ქონებასთან დაკავშირებით შესაძლოა გატარდეს რეესტრაციაში საჯარო რეესტრებში, თუმცა რეგისტრაცია არ განხორციელდა იმ მომენტში, როდესაც რეგისტრირებულ ქონებაზე სანივთო უფლების კონკრეტული სამართლებრივი საფუძვლით შეძენის გარიგება უკვე გატარდა რეესტრაციაში აღნიშნულ საჯარო რეესტრებში, – ვერ იქნება გამოყენებული ამ რეგისტრირებული სანივთო უფლების მიმღების მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამ პირისათვის რეალურად სხვაგვარად იყო ცნობილი აღნიშნული ფაქტის შესახებ.

– 2. პარ. 1-ის ნორმები არ გამოიყენება:

a. იმ ფაქტების მიმართ, რომლებიც თავიანთი ბუნებით ასევე შეიძლება გატარდეს რეესტრაციაში სამოქალაქო მდგომარეობის რეესტრებში, მეუღლეთა საერთო საკუთრების რეესტრსა თუ უძრავი ქონების რეესტრში, – თუნდაც იმ დროს, როდესაც ეს ფაქტები სინამდვილეში ვერ ტარდება რეესტრაციაში ერთ-ერთ აღნიშნულ რეესტრში, რამდენადაც ჰოლანდიის სამართალი მათ მიმართ არ გამოიყენება;

b. ზრდასრული პირისათვის მეურვეობის დადგენისა თუ ასეთი მეურვეობის შეწყვეტის მიმართ, როგორც ეს რეგისტრირებულია ზრდასრული პირის მეურვეობათა და ქონების მინდობით მართვის რეესტრში;

c. სასამართლოს იმ გადაწყვეტილებების მიმართ, რომლებიც შეიძლება გატარდეს რეესტრაციაში ასევე ვაკოტრების რეესტრში, ოფიციალური მორატორიუმის საფუძველზე არსებული გადახდების შეჩერების რეესტრსა თუ იმ პირთა რეესტრში, რომლებიც ვარდება ფიზიკური პირებისათვის არსებული ვალების დაფარვის სქემაში;

d. სამკვიდროს (გარდაცვლილის ქონების) მიღებისა თუ მასზე უარის მიმართ;

e. ხანდაზმულობის გამო სარჩელის უფლების გაქარწყლება.

– 3. პარ. 1-ის ნორმები არ გამოიყენება ასევე არც კანონით მემკვიდრეობისა და არც იმ ანდერძების მიმართ, რომლებიც რეგისტრირებულ ქონებასთან დაკავშირებით არ იქნა რეესტრაციაში გატარებული საჯარო რეესტრებში იმ მომენტში, როდესაც რეგისტრირებულ ქონებაზე სანივთო უფლების შეძენის გარიგება უკვე გატარდა რეესტრაციაში ამ რეესტრებში, თუმცაღა რომელიც შემდგომში გატარდება რეესტრაციაში, ამასთან, – პირის გარდაცვალებიდან არაუგვიანეს სამი თვისა.

მუხლი 3:25 რეგისტრირებულ სანოტარო ან სხვა ავთენტურ აქტებში მოცემული უსწორო ფაქტების წინააღმდეგ დაცვა

როდესაც იმ გარიგების რეგისტრაციის მომენტში, რომელიც აუცილებელია რეგისტრირებულ ქონებაზე სანივთო უფლების კონკრეტული სამართლებრივი საფუძვლით შეძენისათვის, ამ ქონებასთან დაკავშირებული ფაქტი უკვე რეგისტრირებულია საჯარო რეესტრებში იმ ავთენტური აქტის ძალით, რომელშიც ფაქტი დადგინდა საჯარო მოხელის მიერ თავისი სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულებისას, მაშინ აღნიშნული ფაქტის უსწორობა ვერ იქნება გამოყენებული შემდგომში მხარის მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მისთვის ცნობილი იყო ფაქტის უსწორობის შესახებ ანდა ამ უკანასკნელის არსე-

ბობის შესაძლებლობა შემძენი მხარისათვის ცნობილი გახდებოდა, მას შეძენის მომენტში რეგისტრირებულ ქონებასთან დაკავშირებით საჯარო რეესტრებში შესაბამისი კონსულტაცია რომ მიეღო.

მუხლი 3:26 საჯარო რეესტრებში უსწორო ჩანაწერების წინააღმდეგ დაცვა

როდესაც იმ გარიგების რეგისტრაციის მომენტში, რომელიც აუცილებელია რეგისტრირებულ ქონებაზე სანივთო უფლების კონკრეტული სამართლებრივი საფუძვლით შეძენისათვის, ამ ქონებასთან დაკავშირებული უსწორო ფაქტი უკვე რეგისტრირებულია საჯარო რეესტრებში, მაშინ ის პირი, რომელსაც გონივრულად შეეძლო მიეღნია ამ რეგისტრირებული ფაქტის შესწორებისათვის, შემძენი მხარის სანაღმდეგოდ ვერ მიუთითებს მის უსწორობაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შემძენი მხარისათვის ცნობილი იყო აღნიშნული ფაქტის უსწორობის შესახებ ანდა ამ უკანასკნელის არსებობის შესაძლებლობა ამ მხარისათვის ცნობილი გახდებოდა, მას შეძენის მომენტში უძრავ ქონებასთან დაკავშირებით საჯარო რეესტრებში შესაბამისი კონსულტაცია რომ მიეღო.

მუხლი 3:27 რეგისტრირებულ ქონებაზე არსებულ უფლებასთან დაკავშირებით სასამართლოს დეკლარაცია

– 1. პირს, რომელიც ამტკიცებს, რომ კონკრეტულ რეგისტრირებულ აქტივზე მას აქვს სანივთო უფლება, შეუძლია სასამართლოში წარადგინოს სარჩელი სასამართლოს იმ დეკლარაციის მიღების მოთხოვნით, რომლითაც მოხდება მისი უფლების არსებობის აღიარება. საჯარო რეესტრებში შესაკუთრის ან ყადაღის კრედიტორის სახით რეგისტრირებული ყველა დაინტერესებული პირი უნდა იქნეს ინდივიდუალურად გამოძახებული სასამართლოში გამოსაცხადებლად. გარდა ამისა, ყველა დაინტერესებული პირი უნდა იქნეს მონვეული ასევე საჯარო შეტყობინების გზითაც. პირველ წინადადებაში მითითებული სარჩელის წარმდგენი პირი პასუხისმგებელია ზემოაღნიშნული პირების სასამართლოში მონვევისათვის. მანამდე, სანამ სასამართლო დაადასტურებს მოსარჩელის სარჩელს, მას შეუძლია მიიღოს განკარგულება განსაზღვრული ზომების მიღებისა და მტკიცებულებების შესახებ, თუ ის მიიჩნევს, რომ ეს არის იმ პირთა საუკეთესო ინტერესებში, რომლებიც შესაძლოა ვერ გამოცხადდნენ სასამართლოში. წინამდებარე მუხლის ძალით მიღებული სასამართლოს დეკლარაცია არ რეგისტრირდება საჯარო რეესტრებში მანამდე, სანამ ის არ შევა კანონიერ ძალაში და არ გახდება მხოჭავი.

– 2. ყოველ დაინტერესებულ მხარეს, – მიუხედავად იმისა, გამოცხადდა თუ არა ის პირველი ინსტანციის სასამართლოში, – შეუძლია მიმართოს საჩივრით ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს ზემოაღნიშნული სასამართლოს დეკლარაციის გაუქმების მიზნით. თუმცა, გასაჩივრების პროცედურა ექვემდებარება ქვემოთ მოცემულ გამონაკლისებს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 335-ე მუხლის ნორმები არ გამოიყენება. სასამართლოში გამოძახების უწყება, რომლითაც ხდება გასაჩივრება, რეესტრაციაში უნდა გატარდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 433-ე მუხლის შესაბამისად საჩივრებისა და სამართლებრივი დაცვის საშუალებების იმ სასამართლოს წარმოებულ რეესტრში, რომელმაც მიიღო სადავო დეკლარაცია. იმ დაინტერესებული მხარეებისათვის, რომლებიც არ გამოცხადდნენ პირველი ინსტანციის სასამართლოში, თუმცა რომლებიც რეგისტრირებულ ქონებასთან დაკავშირებით რეგისტრაციაში გატარდნენ საჯარო რეესტრებში, გასაჩივრების ვადის ათვლა იწყება იმ მომენტიდან, როდესაც სასამართლოს აღმასრულებელმა ამ მხარეთა მისამართზე დატოვა სასამართლოს დეკლარაცია. ყველა სხვა დაინტერესებული პირისათვის, ვინც არ გამოცხადდა პირველი ინსტანციის სასამართლოში, გასაჩივრების ვადის ათვლა იწყება სასამართლოს აღმასრულებლის მიერ სასამართლოს დეკლარაციის გამოქვეყნების მომენტიდან. იგივე გამონაკლისები უნდა იქნეს გათვალისწინებული ასევე სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებებზე უზენაეს სასამართლოში საკასაციო საჩივრის წარდგენისას. თუმცა, ეს აპელაცია ღიაა მხოლოდ იმ დაინტერესებულ მხარეთათვის, რომლებიც გამოცხადდნენ პირველი ინსტანციის სასამართლოში.

– 3. როდესაც პარ. 1-ში მითითებული სასამართლოს დეკლარაცია რეგისტრირებულ ქონებასთან დაკავშირებით რეესტრაციაში ტარდება საჯარო რეესტრებში, მაშინ ივარაუდება, რომ მისი შინაარსი სწორია ყველა იმ დაინტერესებული პირის მიმართ, რომლებიც არ იყვნენ პირადად მონვეული და არ გამოცხადდნენ პირველი ინსტანციის სასამართლოში მანამდე, სანამ ისინი არ დაამტკიცებენ, რომ ეს შინაარსი უზუსტოა. თუმცა, ასეთი სასამართლოს დეკლარაციის შინაარსის უსწორობის მიმართ წარდგენილი საჩივარი ვერასოდეს ვერ იქნება გამოყენებული იმ პირის უფლებამონაცვლის საზიანოდ, რომლის სახელითაც სასამართლომ მიიღო თავისი დეკლარაცია იმ პირობით, რომ მათთვის უსწორობის ფაქტი ცნობილი არ იყო.

– 4. წინამდებარე მუხლში მითითებული საჯარო მოწვევა უნდა გამოქვეყნდეს სასამართლოს აღმასრულებლის მიერ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 54-ე მუხლის მეორე და მესამე პარაგრაფების შესაბამისად. წინამდებარე მუხლის პარ. 2-ში მითითებული საჯარო მოწვევა სასამართლოს აღმასრულებლის მიერ იგივე წესით უნდა გაკეთდეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სასამართლომ მიიღო თავისი დეკლარაცია წინამდებარე მუხლის პარ. 1-ში მითითებული დამატებითი პირობების გათვალისწინებით. ეს პირობები შეიძლება მოიცავდეს სასამართლოს მიერ შედგენილი დეკლარაციის ერთ ან რამდენიმე უცხოურ გაზეთში გამოქვეყნების ვალდებულებას და თანაც – იმ სიხშირით გამოქვეყნების ვალდებულებას, როგორც ამას სასამართლო აუცილებლად ჩათვლის.

მუხლი 3:28 უსარგებლობის შესახებ დეკლარაცია

– 1. როდესაც რეგისტრირებულ ქონებასთან დაკავშირებით საჯარო რეესტრებში რეგისტრაციას არა აქვს სამართლებრივი ძალა, მაშინ იმ პირებს, რომლებსაც აქვთ მისი გაუქმების უფლება, ეკისრებათ ვალდებულება, უსარგებლობის შესახებ წერილობითი დეკლარაცია გადასცენ უშუალო ინტერესის მქონე თითოეულ იმ პირს, ვინც ითხოვს ასეთ დეკლარაციას. ეს უკანასკნელი გულისხმობს ყველა იმ ფაქტს, რომლის შედეგადაც რეგისტრაცია ბათილდება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც რეგისტრაცია ეხება იპოთეკასა თუ ყადაღას.

– 2. რეგისტრირებულ ქონებასთან დაკავშირებით თვით პარ. 1-ში მითითებული დეკლარაციებიც შეიძლება გატარდეს რეგისტრაციაში საჯარო რეესტრებში. თუ რეგისტრაცია ეხება იპოთეკას ან ყადაღას, მაშინ საჯარო რეესტრების მწარმოებელს მხოლოდ მას შემდეგ შეუძლია გააუქმოს რეგისტრაცია, როდესაც ის უსარგებლობის შესახებ დეკლარაციას მიიღებს ყველა უფლებამოსილი და უშუალოდ დაინტერესებული პირისაგან და, შესაბამისად, – ასევე იპოთეკარისა თუ ყადაღის კრედიტორისაგანაც.

მუხლი 3:29 რეგისტრაციის გაუქმების შესახებ სასამართლოს განკარგულება

– 1. თუ უსარგებლობის შესახებ დეკლარაციის მიღება არ ხდება, მაშინ ნებისმიერი უშუალოდ დაინტერესებული პირის სარჩელის საფუძველზე რაიონულ სასამართლოს შეუძლია რეგისტრაცია გამოაცხადოს ბათილად. როდესაც რეგისტრირებულ ქონებასთან დაკავშირებით საჯარო რეესტრებში რეგისტრირებული პირის მოწვევა ხდება ვინმე სხვა პირის მიერ რეგისტრაციის გაბათილების შესახებ სასამართლოს განკარგულების მიღების მიზნით, მაშინ ამ წერილობითი მოწვევის შედეგი იქნება ის, რომ ყველა მისი უფლებამონაცვლის მოწვევა მოხდება ასევე ავტომატურად, რამდენადაც მათ თავად არ განხორციელებს ახალი რეგისტრაცია.

– 2. რეგისტრაციის ბათილად გამოცხადებამდე სასამართლოს შეუძლია მიიღოს განკარგულება განსაზღვრული ზომების მიღებისა და მტკიცებულებების შესახებ, თუ ის მიიჩნევს, რომ ეს არის იმ პირთა საუკეთესო ინტერესებში, რომლებიც შესაძლოა ვერ გამოცხადდნენ სასამართლოში.

– 3. სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების წინააღმდეგ წარდგენილი აპელაცია, ზემდგომი სასამართლოს წინაშე წარდგენილი აპელაცია და ასევე უზენაეს სასამართლოში წარდგენილი საკასაციო საჩივარი რეგისტრაციაში უნდა გატარდეს რვა დღის განმავლობაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 433-ე მუხლის შესაბამისად საჩივრებისა და სამართლებრივი დაცვის საშუალებების იმ სასამართლოს წარმოებულ რეესტრში, რომელმაც მიიღო სადავო განკარგულება. რამდენადაც რეგისტრირებული მოპასუხისათვის შეუძლებელია სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების წინააღმდეგ სააპელაციო საჩივრის წარდგენა, თუმცა ჯერ კიდევ სახეზეა ზემდგომ სასამართლოში წარსადგენი აპელაცია, წინა პარაგრაფის წესები ასევე უნდა იქნეს დაცული რეგისტრირებული მოპასუხის იმ უფლებამონაცვლეთა მიერ, რომლებსაც თავად არ განუხორციელებიათ ახალი რეგისტრაცია. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 143-ე მუხლისაგან განსხვავებით, სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების წინააღმდეგ სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადის ათვლა ნებისმიერ შემთხვევაში იწყება იმ მომენტიდან, როდესაც სასამართლოს აღმასრულებელმა რეგისტრირებული მოპასუხის მისამართზე დატოვა სასამართლოს დეკლარაცია, თუ, რა თქმა უნდა, სასამართლოს გადაწყვეტილება არ გადაეცემა მოპასუხეს პირადად; და ეს წესი მოქმედებს ასევე მოპასუხის იმ უფლებამონაცვლეთა მიმართ, რომლებსაც თავად არ განუხორციელებიათ ახალი რეგისტრაცია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სასამართლომ ამ მიზნით დაადგინა დამატებითი პირობები, რომლებიც არ იქნა დაკმაყოფილებული. თუმცა, უზენაეს სასამართლოში წარდგენილი საკასაციო საჩივარი ღიაა მხოლოდ იმ დაინტერესებულ მხარეთათვის, რომლებიც გამოცხადდნენ პირველი ინსტანციის სასამართლოში.

– 4. სასამართლოს განკარგულება, რომლითაც რეგისტრაცია ბათილად ცხადდება, არ ექვემდებარება საჯარო რეესტრებში რეგისტრაციას მანამდე, სანამ ის არ შევა კანონიერ ძალაში და არ გახდება მბოჭავი.

თუ ბათილი რეგისტრაცია ეხება იპოთეკას ან ყადაღას, მაშინ სასამართლოს განკარგულება, მას შემდეგ, რაც ის რეგისტრაციაში გატარდება, საჯარო რეესტრების მწარმოებელს ანიჭებს ბათილი რეგისტრაციის გაუქმების უფლებამოსილებას.

მუხლი 3:30 ნიდერლანდების ცენტრალური ხელისუფლების პასუხისმგებლობა

მიუხედავად მინის რეესტრის სამსახურისა და რეესტრირებულ ქონებასთან დაკავშირებული საჯარო რეესტრების მოვალეობებისა, რომლებიც მითითებულია მინის რეესტრის შესახებ კანონის 117-ე მუხლის პირველ და მეორე პარაგრაფში, ნიდერლანდების ცენტრალური ხელისუფლება პასუხს აგებს იმ შემთხვევაში, როდესაც პირმა 3:24, 3:25 ან 3:27 მუხლების ნორმათა მოქმედების შედეგად დაკარგა თავისი უფლება იმ პირობით, თუ გონივრულობისა და სამართლიანობის სტანდარტების მიხედვით აღნიშნული შედეგი არ არის გამონკვეული მისი ბრალით.

მუხლი 3:31 ჰოლანდიელი ნოტარიუსი

როდესაც რეესტრირებულ ქონებასთან დაკავშირებული კანონისმიერი ნორმა ითვალისწინებს სანოტარო აქტის ან სანოტარო დეკლარაციის აუცილებლობას, მაშინ ეს უნდა იყოს ჰოლანდიელი ნოტარიუსის აქტი ან დეკლარაცია.

ტიტული 3.2 – გარიგებები

მუხლი 3:32 გარიგებების დადების უნარი

– 1. ყოველ ფიზიკურ პირს აქვს გარიგებების დადების უნარი, რამდენადაც კანონი სხვაგვარად არ ითვალისწინებს.

– 2. საცილოა ქმედუუნარო ფიზიკური პირის {არასრულწლოვნები და მეურვეობის ქვეშ მყოფი ზრდასრული პირები} დადებული გარიგება. თუმცაღა, ასეთი ფიზიკური პირის ცალმხრივი გარიგება ბათილია იმ შემთხვევაში, როდესაც ის არ არის მიმართული ერთი ან რამდენიმე კონკრეტული პირისადმი.

მუხლი 3:33 განცხადების გზით გამოვლენილი ნება (განზრახვა)

გარიგება საჭიროებს მოქმედი პირის მიერ კონკრეტული სამართლებრივი შედეგის მიღების ნებას (განზრახვას), რომლიც უნდა იქნეს გამოხატული ამ პირის განცხადების გზით.

მუხლი 3:34 ფსიქიკური აშლილობა

– 1. თუ გარიგება დადო იმ პირმა, რომლის გონებრივი შესაძლებლობები დროებით ან მყარად დარღვეულია, მაშინ თანმხვედრი ნება (განზრახვა) მიიჩნევა არარსებულად, თუ ფსიქიკური აშლილობა ხელს უშლის შესაბამისი ინტერესების გონივრულ აღქმას, ანდა – თუ განცხადება გაკეთდა ამ ფსიქიკური აშლილობის გავლენით. ივარაუდება, რომ განცხადება გაკეთდა ფსიქიკური აშლილობის გავლენით, თუ გარიგება არახელსაყრელია ფსიქიკური აშლილობის მქონე პირისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გარიგების დადების მომენტში ასეთი არახელსაყრელი შედეგის დადგომის გონივრულად განჭვრეტა შეუძლებელი იქნებოდა.

– 2. ზემოაღნიშნული ნების (განზრახვის) არარსებობა შედეგად იწვევს გარიგების საცილოობას. თუმცაღა, ცალმხრივი გარიგება, რომელიც ის არ არის მიმართული ერთი ან რამდენიმე კონკრეტული პირისადმი, ბათილია იმ შემთხვევაში, როდესაც მას აკლია ნება (განზრახვა) მოქმედი პირის ფსიქიკური აშლილობის გამო.

მუხლი 3:35 გარიგების დადების განზრახვის არსებობის გონივრული ვარაუდი

იმ პირის მიმართ, რომელმაც სხვა პირის განცხადება ან ქცევა განმარტა იმ მნიშვნელობით, რაც მას გონივრულად შეეძლო მიეცა მისთვის არსებული გარემოებებიდან გამომდინარე, კერძოდ კი, – განმარტა როგორც მისკენ მიმართული ამ სხვა პირის მიერ მიცემული განსაზღვრული შინაარსი, დაუშვებელია მითითება ამ ნების (განზრახვის) შესაბამისი განცხადების არარსებობის ფაქტზე.

მუხლი 3:36 მესამე პირის მხრიდან სამართლებრივი ვითარების არსებობის გონივრული ვარაუდი

როდესაც პირმა თავისი განცხადებებითა თუ ქცევით შექმნა განსაზღვრული სამართლებრივი ურთიე-

რთობის არსებობის ან მისი შეწყვეტის შთაბეჭდილება, ხოლო მესამე პირი სამართლებრივად ან რეალურად მოქმედებდა კეთილსინდისიერად იმის გამო, რომ ის ვარაუდობდა, – და ასევე არსებული გარემოებებიდან გამომდინარე მას შეეძლო კიდევ ევარაუდა – რომ ეს შთაბეჭდილება სწორია მიუხედავად იმისა, რომ ის არ არის უშუალოდ მისკენ მიმართული, მაშინ ის პირი, რომლის განცხადებებსა თუ ქცევას ეხება საქმე, მესამე პირის მიმართ ვერ მიუთითებს მისი ვარაუდის უსწორობაზე.

მუხლი 3:37 გარიგებად აღიარებული განცხადების ფორმა და სამართლებრივი ძალა

- 1. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კანონისმიერი ნორმა ან გარიგება სხვაგვარად ითვალისწინებს, განცხადებები, შეტყობინებებისა და გამოქვეყნებული განცხადების ჩათვლით, შეიძლება გამოიხატოს ნებისმიერი ფორმით, და ასევე ეს განცხადებები შეიძლება პირის ქცევაშიც გამოიხატოს.
- 2. თუ გამოსაყენებელი ნორმა უთითებს იმაზე, რომ განცხადება უნდა გაკეთდეს წერილობით, მაშინ ეს შეიძლება განხორციელდეს ასევე სასამართლოს აღმასრულებლის მომართვის მეშვეობითაც, რამდენადაც ეს შესაბამისობაში იქნება აღნიშნული ნორმის საფუძვლად არსებულ პრინციპთან.
- 3. იმისათვის, რომ კონკრეტული პირისადმი მიმართულ განცხადებას ჰქონდეს სასურველი სამართლებრივი ძალა, ეს განცხადება უნდა მიუვიდეს ამ პირს. თუმცა, მიუხედავად ამისა, თუ ასეთი განცხადება არასოდეს მისვლია აღნიშნულ პირს ან არ მიუვიდა დროულად და ეს წარმოადგენს უბრალოდ მისივე თუ სხვა იმ პირების მოქმედებების შედეგს, რომელთათვისაც ის არის პასუხისმგებელი, ანდა – სხვა იმ გარემოებათა შედეგს, რომლებიც ამართლებს მის პასუხისმგებლობას განცხადებით მიყენებული ზიანისათვის, მაშინ აღნიშნულ განცხადებას ჯერ კიდევ ექნება თავისი თავდაპირველად განზრახული სამართლებრივი ძალა.
- 4. როდესაც პირის განცხადება არასწორად იქნა გადაცემული არჩეული შიკრიკის ბრალეული ქმედების გამო ანდა შერჩეული კომუნიკაციის საშუალებაში არსებული ხარვეზის შედეგად, მაშინ ადრესატის მიერ მიღებული განცხადება მიიჩნევა იმ პირის განცხადებად, რომელმაც ის გააკეთა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გადაცემის ეს გზა გამოყენებულ იქნა ადრესატის მითითების საფუძველზე.
- 5. სასურველი შედეგის მოპოვებისათვის იმ განცხადების გამომხმობის განცხადება, რომელიც უკვე გაეგზავნა კონკრეტულ პირს, უნდა მიუვიდეს ამ პირს გამოსახმობი განცხადების მიღებამდე ან ერთდროულად მის მიღებასთან ერთად.

მუხლი 3:38 დათქმები ვადები (ძალაში შესვლისა და გაუქმების თარიღი) და შემდგომი ან წინასწარი პირობები

- 1. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კანონი ან შესაბამისი გარიგების ბუნება სხვაგვარად გულისხმობს, დასაშვებია გარიგების დადება მისი ძალაში შესვლისა თუ გაუქმების თარიღის (დათქმები ვადებზე) ანდა შემდგომი ან წინასწარი პირობის განსაზღვრით.
- 2. შემდგომი ან წინასწარი პირობის დადგომას არა აქვს უკუქცევითი ძალა იმ გარიგების მიმართ, რომელიც დაიდო ამ პირობით.

მუხლი 3:39 გარიგებისადმი წაყენებული ფორმალური მოთხოვნების შეუსრულებლობის შედეგი

გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კანონი სხვაგვარად ითვალისწინებს, ბათილია გარიგება, რომელიც არ არის დადებული კანონისმიერი ფორმალური მოთხოვნების შესაბამისად.

მუხლი 3:40 კანონის (საკანონმდებლო აქტების), ზნეობის ნორმებისა თუ საჯარო წესრიგის დარღვევა

- 1. ბათილია გარიგება, რომელიც თავისი შინაარსით ან გარდაუვალი შედეგებით არღვევს ზნეობის ნორმებსა თუ საჯარო წესრიგს.
- 2. ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონის იმპერატიულ ნორმას; თუმცა, თუ ეს კანონისმიერ ნორმა მიმართულია უბრალოდ მრავალმხრივი გარიგების ერთ-ერთი მხარის ინტერესების დაცვისაკენ, მაშინ ასეთი გარიგება საცილოა იმ პირობით, რომ ეს შესაბამისობაში იქნება დარღვეული კანონისმიერი ნორმის საფუძვლად არსებულ პრინციპთან.
- 3. წინა პარაგრაფი არ ეხება იმ კანონისმიერ ნორმებს, რომელთა მიზანსაც არ წარმოადგენს სადავო გარიგების გაბათილება.

მუხლი 3:41 ნაწილობრივი ბათილობა

თუ გარიგების ბათილობის საფუძველი ეხება მხოლოდ მის ნაწილს, მაშინ ამ გარიგების ნამდვილი ნა-

წილი რჩება ძალაში როგორც დამოუკიდებელი გარიგება, რამდენადაც თავდაპირველად განზრახული გარიგების შინაარსისა და გარდაუვალი შედეგების თვალსაზრისით ეს ნაწილი არ არის განუყოფლად დაკავშირებული ბათილ ნაწილთან.

მუხლი 3:42 გარიგების კონვერსია

როდესაც ბათილი გარიგების გარდაუვალი შედეგები ამკაყოფილებს სხვა – ნამდვილი – გარიგების შედეგებს და ეს ხდება ისეთი ხარისხით, რომ სავარაუდოდ მხარეები ბათილი გარიგების ნაცვლად აირჩევდნენ ამ სხვა გარიგებას, მხარისა თუ მხარეებისათვის ცნობილი რომ ყოფილიყო ამ გარიგების ბათილობის შესახებ, მაშინ კანონის ძალით ხორციელდება აღნიშნული ბათილი გარიგების სხვა გარიგებად გარდაქმნა ყველა თავისი ჩვეულებრივი სამართლებრივი შედეგით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი კონვერსია არაგონივრული აღმოჩნდებოდა იმ დაინტერესებული პირისადმი მიმართებაში, რომელსაც მხარის სახით არ მიუღია მონაწილეობა შესაბამის გარიგებაში.

მუხლი 3:43 გარიგებების დადების დაუშვებლობის კანონით გათვალისწინებული შემთხვევები

– 1. ბათილია – და ასევე წარმოიშობა შემძენი მხარის (მხარეების) მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებაც – ის გარიგებები, რომელთა პირდაპირ ან სხვა პირთა ჩარევით მიღებულ გარდაუვალ შედეგს წარმოადგენს:

a. მოსამართლეთა, პროკურატურის თანამშრომელთა, მოსამართლეთა თანამშემნებების, სასამართლოს მდივნების, ადვოკატების, სასამართლოს აღმასრულებლებისა თუ ნოტარიუსების მიერ იმ ქონების შექმნა, რასთან დაკავშირებითაც სასამართლო დავა მიმდინარეობს იმ რაიონის სასამართლოში, სადაც ეს პირები ახორციელებენ თავიანთ ფუნქციებსა თუ პროფესიულ საქმიანობას;

b. საჯარო მოხელეების მიერ იმ ქონების შექმნა, რომელიც მათ მიერ იყიდება თავიანთი საჯარო სამსახურის განხორციელებისას, ანდა – რომელიც გაიყიდა მათი ზედამხედველობის ქვეშ საჯარო სამსახურის განხორციელებისას;

c. საჯარო უფლებამოსილების მქონე პირების მიერ იმ ქონების შექმნა, რომელიც ეკუთვნის სახელმწიფოს, პროვინციებს, მუნიციპალიტეტებსა თუ სხვა საჯარო დაწესებულებებს, რამდენადაც ეს ქონება იმყოფება ამ პირების ზედამხედველობის ქვეშ.

– 2. პარ. 1-ის (a) პუნქტის ნორმები არ ეხება არც მოანდერძის მიერ თავისი კანონით მემკვიდრეების სასარგებლოდ დადებულ ანდერძსა თუ განცხადებას *mortis causa* და არც იმ გარიგებებს, რომელთა ძალითაც ეს მემკვიდრეები იძენენ ქონებას აღნიშნული მამკვიდრებლის სამკვიდროდან (გარდაცვლილის ქონებიდან).

– 3. პარ. 1-ის (a) პუნქტის ნორმებში აღწერილ ვითარებაში გარიგება ნამდვილია, თუ ის იდება იუსტიციის მინისტრის ნებართვით ანდა თუ ის ეხება საქონლის საჯარო გაყიდვას. თუ გარიგება გულისხმობს მუნიციპალიტეტის საბჭოს ან საქალაქო საბჭოს კოლეგიის წევრის ანდა, შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მერის მიერ ზემოაღნიშნული ქონების შექმნას, მაშინ პირველ წინადადებაში მითითებული ნებართვა უნდა გაიცეს იმ პროვინციის აღმასრულებელი კომიტეტის მიერ, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც განთავსებულია შესაბამისი მუნიციპალიტეტი, ანდა, შესაბამისად, – იმ პროვინციის აღმასრულებელი გუბერნატორის მიერ, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც განთავსებულია შესაბამისი მუნიციპალიტეტი.

მუხლი 3:44 გარიგების დადებისათვის საჭირო ნების ხარვეზი

– 1. გარიგება საცილოა, როდესაც ის დაიდო მუქარის, შეცდომის ან იძულების ზეგავლენით.

– 2. სამართლებრივი თვალსაზრისით მუქარა სახეზეა, როდესაც ვინმე იყოლიებს სხვა პირს გარიგების დადებაზე უკანონო დაშინებით მისთვის ან მესამე პირისათვის პერსონალური ან ქონებრივი ზიანის მიყენებასთან დაკავშირებით. მუქარა უნდა იყოს ისეთი ინტენსივობის, რომ ასეთი მუქარა ანალოგიურად იმოქმედებდა გონივრული შეფასების უნარის მქონე ადამიანებზე.

– 3. სამართლებრივი თვალსაზრისით შეცდომა სახეზეა, როდესაც ვინმე იყოლიებს სხვა პირს გარიგების დადებაზე უკანონო განზრახ არასწორი განცხადების გაკეთებით, იმ ფაქტის განზრახ დამალვით, რომელიც ექვემდებარებოდა გამოაშკარავებას, ანდა – სხვაგვარი მაქინაციით.

– 4. სამართლებრივი თვალსაზრისით იძულება სახეზეა, როდესაც ვინმემ, რომელმაც იცის ან რომელსაც უნდა სცოდნოდა იმის შესახებ, რომ სხვა პირი შესაძლოა დაიყოლიეს გარიგების დასადავად ისეთი კონკრეტული გარემოებების ზეგავლენით, როგორიცაა, მაგ., საგანგებო მდგომარეობა, კმაყოფაზე ყოფნა,

წინდაუხედაობა, დამოკიდებულება, არანორმალური ფსიქოლოგიური მდგომარეობა ან გამოუცდელიობა, მაინც შეძლო სხვა პირის ასეთი გარიგების დადებაზე დაყოლიება მიუხედავად იმისა, რომ მან იცოდა ან მას უნდა სცოდნოდა ის, რის გამოც თავი უნდა შეეკავებინა გარიგების დადებისაგან.

– 5. თუ განცხადება გაკეთდა იმ პირის მხრიდან არსებული მუქარის, შეცდომის ან იძულების ზეგავლენით, ვინც არ წარმოადგენს გარიგების მხარეს, მაშინ დაუშვებელია ამ სამართლებრივი ხარვეზის გასაჩივრება გარიგების იმ მხარის მიმართ, რომელსაც არ ჰქონდა საფუძველი, ევარაუდა ამ ხარვეზის არსებობა.

მუხლი 3:45 ქონების თვალთმაქცურად გადაცემა

– 1. თუ მოვალე, – ისე, რომ სამართლებრივი თვალსაზრისით მას არ ეკისრება ვალდებულება, – დებს გარიგებას იმ დროს, როდესაც მისთვის ცნობილი იყო ან უნდა ყოფილიყო ცნობილი იმ ფაქტის თაობაზე, რომ მის კრედიტორთა მოთხოვნის უფლებებს ამის შედეგად შესაძლოა მიაღვეს ზიანი, მაშინ ეს გარიგება საცილოა ქონების თვალთმაქცურად გადაცემის საფუძველით. საცილოობის ამ საფუძველზე მითითება შეუძლია ყველა იმ მესამე პირს (კრედიტორს), რომლის მოთხოვნის უფლებებს ამ გარიგების დადების შედეგად მიაღდა ზიანი მიუხედავად იმისა, მოვალის მიმართ მისი სავალ მოთხოვნა ან უფლება წარმოიშვა თუ არა გარიგების დადების შემოაღნიშნულ მომენტამდე თუ ამ მომენტის შემდეგ.

– 2. არაუსასყიდლოდ დადებული გარიგება, როგორც მრავალმხრივი ან ცალმხრივი გარიგება, რომელიც არ არის მიმართული ერთი ან რამდენიმე კონკრეტული პირისადმი, ქონების თვალთმაქცურად გადაცემის საფუძველით საცილოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მეორე მხარემ, ვისთანაც ერთად ან ვის მიმართაც მოვალემ დადო გარიგება, ასევე იცოდა ან მას უნდა სცოდნოდა იმის შესახებ, რომ მოვალის კრედიტორთა მოთხოვნის უფლებებს ამით მიაღება ზიანი.

– 3. როდესაც უსასყიდლოდ დადებული გარიგება გაბათილდა ქონების თვალთმაქცურად გადაცემის საფუძველით, მაშინ ეს ბათილობა არ მოქმედებს პრივილეგირებული პირის მიმართ იმ შემთხვევაში, თუ მან არ იცოდა და ასევე არც უნდა სცოდნოდა იმის თაობაზე, რომ ამ გარიგებამ ზიანი მიაყენა იმ პირის ერთი ან რამდენიმე კრედიტორის მოთხოვნის უფლებებს, რომელმაც დადო ეს გარიგება ამ პრივილეგირებულ პირთან ერთად ან მის მიმართ, თუმცაღა – მხოლოდ იმდენად, რამდენადაც აღნიშნული პრივილეგირებული პირი დაამტკიცებს იმას, რომ მას არ (ალარ) მიუღია რაიმე სარგებელი ამ გარიგებიდან იმ მომენტში, როდესაც ის გაბათილდა კრედიტორის სასამართლოს გარეთ გაკეთებული განცხადებით ანდა – იმ მომენტში, როდესაც ბათილობის მოთხოვნით სარჩელი წარდგენილ იქნა სასამართლოში.

– 4. კრედიტორს, ვინც აბათილებს ქონების თვალთმაქცურად გადაცემის საფუძველით საცილო გარიგებას, შეუძლია მისი გაბათილება მხოლოდ საკუთარი სახელით და ასევე – არაუმეტეს იმ ფარგლებისა, რაც აუცილებელია იმ ზიანის გამოსასწორებლად, რომელიც მიაღდა მის მოთხოვნის უფლებებს.

– 5. როდესაც მესამე პირმა შეიძინა იმ აქტივზე ან მასთან დაკავშირებით არსებული სანივთო უფლება, რომელიც ერთ დროს ქმნიდა სხვა პირებს შორის დადებული იმ საცილო გარიგების ობიექტს, რომელიც გაბათილდა თვალთმაქცურად გადაცემის საფუძველით, მაშინ ეს სანივთო უფლება უნდა იქნეს ვალისწინებული იმ პირობით, თუ ამ უფლების შექმნისას მესამე პირი მოქმედებდა კეთილსინდისიერად და ასევე მას ეს უფლება არ მიუღია უსასყიდლოდ. თვალთმაქცურად გადაცემის საფუძველით გარიგების გაბათილება არ მოქმედებს იმ მესამე პირის მიმართ, რომელმაც წინა პარაგრაფში მითითებულ აქტივთან დაკავშირებული სანივთო უფლება შეიძინა უსასყიდლოდ, თუმცაღა – მხოლოდ იმდენად, რამდენადაც აღნიშნული მესამე პირი დაამტკიცებს იმას, რომ მას არ (ალარ) მიუღია რაიმე სარგებელი ამ გარიგებიდან აქტივის მისგან გამოთხოვის მომენტში.

მუხლი 3:46 ქონების თვალთმაქცურად გადაცემის არსებობის სამართლებრივი პრეზუმფცია

– 1. თუ გარიგება, რომელიც ზიანს აყენებს ერთი ან რამდენიმე კრედიტორის მოთხოვნის უფლებებს, დადებულია მის გაბათილებამდე ერთი წლის განმავლობაში, ხოლო მოვალეს კი თავის მხრივ ჯერ არ უკისრია სამართლებრივი ვალდებულებები ამ გარიგების დადებაზე პერიოდში, მაშინ სახეზეა სამართლებრივი პრეზუმფცია იმ ფაქტის არსებობისა, რომ აღნიშნული გარიგების ორივე მხარეს არსებულმა შესაბამისმა პირებმა იცოდნენ ან მათ უნდა სცოდნოდათ გარიგების დადების შედეგად შემოაღნიშნული მოთხოვნის უფლებებისათვის ზიანის მიყენების თაობაზე, თუ საქმე ეხება:

- 1°. იმ შეთანხმებას, რომლების ფარგლებშიც მოვალის ვალდებულების მოცულობა მნიშვნელოვნად აღემატება მისი კონტრაქტის ვალდებულების მოცულობას;
- 2°. ჯერ კიდევ ვადამოუსვლელი ვალის დაფარვას ან ასეთი ვალისათვის უზრუნველყოფის წარდგენას;
- 3°. მოვალე ფიზიკური პირის მიერ;

a. თავის მეუღლესთან, შვილთან ან ნაშვილებთან, მამასთან ან დედასთან, პაპასთან ან ბებიასთან, შვილიშვილთან, ძმასთან ან დასთან ანდა მისი ძმისა თუ დის შვილთან ერთად ან მათ მიმართ დადებულ გარიგებას;

b. იმ იურიდიულ პირთან ერთად ან მის მიმართ დადებულ გარიგებას, რომელშიც ის ან ზემოაღნიშნული (ა) პუნქტის მითითებული ერთ-ერთი პირი წარმოადგენს დირექტორთა საბჭოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრს, ანდა რომელშიც ის ან ერთ-ერთი აღნიშნული პირი დამოუკიდებლად ან ერთობლივად პირდაპირ ან არაპირდაპირ მონაწილეობს როგორც აქციონერი/პარტნიორი გამოშვებული კაპიტალის, სულ ცოტა, ნახევარში;

4°. იურიდიული პირი მოვალის მიერ იმ ფიზიკურ პირთან ან მის მიმართ დადებულ გარიგებას:

a. ვინც წარმოადგენს მოვალის დირექტორთა საბჭოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრს ანდა – ამ წევრის მეუღლეს, შვილს ან ნაშვილებს, მამას ან დედას, პაპას ან ბებიას, შვილიშვილს, ძმას ან დას ანდა მისი ძმისა თუ დის შვილს;

b. ვინც დამოუკიდებლად ან ერთობლივად თავის მეუღლესთან ან ზემოაღნიშნული (ა) პუნქტში მითითებულ ერთ-ერთ პირთან ერთად პირდაპირ ან არაპირდაპირ მონაწილეობს როგორც აქციონერი/პარტნიორი გამოშვებული კაპიტალის, სულ ცოტა, ნახევარში;

c. რომლის მეუღლე, შვილი ან ნაშვილები, მამა ან დედა, პაპა ან ბებია, შვილიშვილი, ძმა ან და ანდა ამ ძმისა თუ დის შვილი დამოუკიდებლად ან ერთობლივად პირდაპირ ან არაპირდაპირ მონაწილეობს როგორც აქციონერი/პარტნიორი მოვალის გამოშვებული კაპიტალის, სულ ცოტა, ნახევარში;

5°. მოვალე იურიდიული პირის მიერ სხვა იურიდიულ პირთან ერთად ან მის მიმართ დადებულ გარიგებას:

a. თუ ერთ-ერთი ამ იურიდიული პირთაგანი წარმოადგენს მეორის დირექტორთა საბჭოს წევრს;

b. თუ წევრი ფიზიკური პირის მქონე ერთ-ერთი ამ იურიდიული პირთაგანის დირექტორთა საბჭოს წევრი ასევე წარმოადგენს სხვა იურიდიული პირის დირექტორთა საბჭოს წევრს ანდა თუ ამ წევრის მეუღლე, შვილი, ნაშვილები, მამა, დედა, პაპა, ბებია, შვილიშვილი, ძმა ან და ანდა ამ ძმისა თუ დის შვილი წარმოადგენენ სხვა იურიდიული პირის დირექტორთა საბჭოს წევრს;

c. თუ ერთ-ერთი ამ იურიდიული პირთაგანის დირექტორთა საბჭოს წევრი ფიზიკური პირი ან თუ ამ წევრის მეუღლე, შვილი, ნაშვილები, მამა, დედა, პაპა, ბებია, შვილიშვილი, ძმა ან და ანდა ამ ძმისა თუ დის შვილი დამოუკიდებლად ან ერთობლივად პირდაპირ ან არაპირდაპირ მონაწილეობენ როგორც აქციონერი/პარტნიორი აღნიშნული სხვა იურიდიული პირის გამოშვებული კაპიტალის, სულ ცოტა, ნახევარში;

d. თუ იგივე იურიდიული პირი ან იგივე ფიზიკური პირი თავის მეუღლესთან, შვილთან, ნაშვილებთან, მამასთან, დედასთან, პაპასთან, ბებიასთან, შვილიშვილთან, ძმასთან ან დასთან ანდა მისი ძმისა თუ დის შვილთან ერთად დამოუკიდებლად ან ერთობლივად პირდაპირ ან არაპირდაპირ მონაწილეობს როგორც აქციონერი/პარტნიორი აღნიშნული ორივე იურიდიული პირის გამოშვებული კაპიტალის, სულ ცოტა, ნახევარში;

6°. მოვალე იურიდიული პირის მიერ იმ სხვა იურიდიულ პირთან ან მის მიმართ დადებული გარიგება, რომელიც იურიდიულად დაკავშირებულია კომპანიათა იმ ჯგუფთან, რომელსაც თავად მოვალე მიეკუთვნება.

– 2. „მეუღლეს“ უთანაბრდება რეგისტრირებული პარტნიორი ან ცხოვრების სხვა თანამგზავრი.

– 3. „ნაშვილების“ ცნების ქვეშ მოიაზრება პირი, ვინც მუდმივ აღსაზრდელად იმყოფება მოვალესთან როგორც საკუთარი შვილი;

– 4. ის პირი, ვინც ჯერ კიდევ წარმოადგენდა დირექტორთა საბჭოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრსა თუ აქციონერს/პარტნიორს საცილო გარიგების გაბათილებამდე ერთ წელზე ნაკლები ვადის განმავლობაში, უთანაბრდება დირექტორთა საბჭოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრსა თუ აქციონერს/პარტნიორს.

– 5. თუ იმ იურიდიული პირის დირექტორთა საბჭოს წევრი, რომელიც თავად წარმოადგენს მესამე იურიდიული პირის დირექტორთა საბჭოს წევრს, თავადაც ასევე იურიდიული პირია, მაშინ ეს უკანასკნელი იურიდიული პირი უთანაბრდება იმ იურიდიულ პირს, რომელიც წარმოადგენს აღნიშნული მესამე იურიდიული პირის დირექტორთა საბჭოს წევრს.

მუხლი 3:47 გარიგების უსასყიდლოდ დადების დროს ქონების თვალთმაქცურად გადაცემის არსებობის სამართლებრივი პრეზუმფცია

როდესაც ერთი ან რამდენიმე კრედიტორის მოთხოვნის უფლებები დაირღვა იმ გარიგების შედეგად, რომელიც მოვალის მიერ უსასყიდლოდ დაიდო იმ მომენტამდე ერთი წლის განმავლობაში, როდესაც ვინ-

მემ მოახდინა მისი საცილოობის საფუძველზე მითითება, მაშინ სახეზეა სამართლებრივი პრეზუმფცია იმისა, რომ მოვალემ იცოდა ან მას უნდა სცოდნოდა ამ გარიგების დადების შედეგად ზემოაღნიშნული მოთხოვნის უფლებებისათვის ზიანის მიყენების თაობაზე.

მუხლი 3:48 ქონების თვალთმაქცურად გადაცემის პრინციპის ფარგლებში ტერმინის „მოვალე“ გამოყენების სფეროს გაფართოება

წინა სამი მუხლის მიზნებისათვის ტერმინი „მოვალე“ მოიცავს იმ პირს, რომლის ქონებაც გამოყენებულია სხვა პირის ვალის უზრუნველსაყოფად.

მუხლი 3:49 საცილო გარიგების გაბათილების ხერხები

საცილო გარიგების გაბათილება ხდება სასამართლოს გარეთ გაკეთებული განცხადებით ან სასამართლოს გადანყვეტილებით.

მუხლი 3:50 საცილო გარიგების გაბათილება სასამართლოს გარეთ არსებულ ურთიერთობებში გაკეთებული განცხადებით

– 1. იმ პირის მიერ, ვის ინტერესებშიც არსებობს მითითებული საცილოობის საფუძველი, საცილო გარიგების გაბათილების მიზნით სასამართლოს გარეთ არსებულ ურთიერთობებში გაკეთებული განცხადების წარდგენა ხდება იმ პირთა მიმართ, რომლებიც საცილო გარიგების მხარეს წარმოადგენენ.

– 2. როდესაც რეგისტრირებულ ქონებასთან დაკავშირებული საცილო გარიგების შედეგად უკვე განხორციელდა საჯარო რეესტრებში რეგისტრაცია ანდა სამართლებრივი გაფორმებისათვის აუცილებელი საწარმოო აქტის შედგენა, ეს გარიგება შეიძლება გაბათილდეს მხოლოდ სასამართლოს გარეთ არსებულ ურთიერთობებში გაკეთებული განცხადების მეშვეობით, თუ ყველა მხარე დაეთანხმება მის გაბათილებას.

მუხლი 3:51 საცილო გარიგების გაბათილება სასამართლოს გადანყვეტილებით

– 1. სასამართლოს გადანყვეტილების შედეგად საცილო გარიგების გაბათილება ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო თავის გადანყვეტილებაში აღიარებს საცილოობის საფუძვლის არსებობას.

– 2. სარჩელი საცილო გარიგების გაბათილების მოთხოვნით წარდგენილ უნდა იქნეს იმ პირების მიმართ, რომლებიც საცილო გარიგების მხარეს წარმოადგენენ.

– 3. საცილოობის საფუძველზე მითითებით გასაჩივრება დასაშვებია ნებისმიერ დროს, თუ ის ხორციელდება იმ სასამართლო დავისა თუ სხვაგვარი სარჩელისაგან თავის დაცვის მიზნით, რომელიც ეფუძნება სავარაუდოდ არსებულ საცილო გარიგებას. იმ პირმა, რომელიც ახდენს ასეთ გასაჩივრებას, აღნიშნულის შესახებ უნდა შეატყობინოს ყველა იმ პირს, ვინც წარმოადგენს საცილო გარიგების მხარეს, თუმცა-ლა მხარედ არ არის ჩართული თავად სასამართლო საქმის განხილვაში.

მუხლი 3:52 გარიგების საცილოობის მოთხოვნით წარდგენილი სასარჩელო განცხადების ხანდაზმულობა

– 1. საცილო გარიგების გაბათილების მოთხოვნით სასარჩელო განცხადება ხანდაზმულია:

a. ქმედუუნარობის შემთხვევაში: ქმედუუნარობის საფუძვლის მოსპობიდან სამი წლის გასვლისთანავე ან თუ ქმედუუნარო ფიზიკურ პირს ჰყავს კანონიერი წარმომადგენელი, – სამი წლის გასვლისთანავე მას შემდეგ, რაც ამ წარმომადგენლისთვის ცნობილი გახდა აღნიშნული ფიზიკური პირის მიერ კონკრეტული გარიგების დადების ფაქტის თაობაზე;

b. მუქარისა თუ გარემოებათა ბოროტად გამოყენების შემთხვევაში: ამ ზეგავლენის დასრულებიდან სამი წლის გასვლისთანავე;

c. მოტყუების, შეცდომისა თუ ქონების თვალთმაქცურად გადაცემის შემთხვევაში: მოტყუების, შეცდომისა თუ ქონების თვალთმაქცურად გადაცემის ფაქტების აღმოჩენიდან სამი წლის გასვლისთანავე;

d. საცილოობის სხვა საფუძვლის არსებობის შემთხვევაში: სამი წლის გასვლისთანავე მას შემდეგ, რაც ამ საფუძვლით გასაჩივრების უფლება წარმოეშვა იმ პირს, რომელსაც შეუძლია მასზე მითითება.

– 2. როგორც კი საცილო გარიგების გაბათილების მოთხოვნით სასარჩელო განცხადება გახდება ხანდაზმული, ამ საფუძვლით გასაჩივრების უფლების მქონე პირს სასამართლოს გარეთ გაკეთებული განცხადების მეშვეობით საცილოობის იმავე საფუძვლით ამ გარიგების გაბათილება აღარ შეუძლია.

მუხლი 3:53 საცილო გარიგების გაბათილების სამართლებრივი შედეგები

– 1. საცილო გარიგების გაბათილებას უკუქცევითი ძალა აქვს იმ მომენტიდან, როდესაც დაიღო ეს გარიგება.

– 2. თუ საცილო გარიგების გაბათილების შედეგად გართულებულია უკვე არსებული საწყის მდგომარეობაში დაბრუნება, მაშინ სასამართლოს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ უარი თქვას გაბათილების სამართლებრივ შედეგებზე. როდესაც მხარე ასეთი უარის შედეგად სარგებლობს დაუსაბუთებელი უპირატესობით, მაშინ სასამართლოს შეუძლია დააკისროს მას იმ მხარისათვის ფულადი კომპენსაციის გადახდის ვალდებულება, რომლისათვისაც აღნიშნული უარი არახელსაყრელია.

მუხლი 3:54 საცილო გარიგების არახელსაყრელი სამართლებრივი შედეგების გამოსწორების შეთავაზება

– 1. მრავალმხრივი გარიგების გაბათილების მიზნით გარემოებათა ბოროტად გამოყენებაზე მითითებით გასაჩივრების უფლება ქარწყლდება, როდესაც მეორე მხარე სათანადო ვადის განმავლობაში წარადგენს საცილო გარიგების თავდაპირველი სამართლებრივი შედეგების ალტერნატივას, რაც ქმედითად აუქმებს ამ გარიგების არახელსაყრელ შედეგებს.

– 2. ერთი ან რამდენიმე მხარის მოთხოვნით, სასამართლოს შეუძლია ასევე, ნაცვლად გარემოებათა ბოროტად გამოყენების საფუძველზე საცილო გარიგების გაბათილებისა, შეცვალოს მისი თავდაპირველი სამართლებრივი შედეგები იმ მიზნით, რათა მოხდეს მისი არახელსაყრელი რეზულტატის გაუქმება.

მუხლი 3:55 საცილო გარიგების დადასტურება და საცილო გარიგების გაბათილებისათვის ვადის დადგენა

– 1. საცილო გარიგების გაბათილების მიზნით გარემოებათა ბოროტად გამოყენებაზე მითითებით გასაჩივრების უფლება ქარწყლდება, როდესაც გასაჩივრების უფლების მქონე პირი ადასტურებს შესაბამისი გარიგების ნამდვილობას მას შემდეგ, როდესაც მისთვის {3:52 მუხლის გაგებით} იმავე საფუძველით დაინყო გარიგების გაბათილების მოთხოვნით სარჩელის უფლების ხანდაზმულობის ვადის დენა.

– 2. საცილო გარიგების გაბათილების მიზნით გარემოებათა ბოროტად გამოყენებაზე მითითებით გასაჩივრების უფლება ქარწყლდება ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც უშუალოდ დაინტერესებულმა პირმა დაადგინა გონივრული ვადა, რომლის განმავლობაშიც გასაჩივრების უფლების მქონე პირმა უნდა გააკეთოს არჩევანი საცილო გარიგების დადასტურებასა თუ გაბათილებას შორის, ხოლო ეს პირი კი აღნიშნული ვადის განმავლობაში ასეთ არჩევანს არ აკეთებს.

მუხლი 3:56 ტერმინი „მხარე“ სამოქალაქო კოდექსის 3:50 მუხლიდან 3:55 მუხლის ჩათვლით

3:50 მუხლიდან 3:55 მუხლის ჩათვლით ნორმათა მიზნისათვის ტერმინი „მხარე“ გულისხმობს ასევე:

a. ერთი ან რამდენიმე კონკრეტული პირისაკენ მიმართული ცალმხრივი გარიგების შემთხვევაში: ამ პირებს;

b. სხვა ცალმხრივი გარიგების შემთხვევაში: შესაბამისი გარიგების ნამდვილობაში უშუალოდ დაინტერესებულ პირებს.

მუხლი 3:57 მესამე პირის სავალდებულო თანხმობა

როდესაც იმისათვის, რომ გარიგებას ჰქონდეს სამართლებრივი შედეგი, ის საჭიროებს იმ პირის დამატებით თანხმობას, ნებართვას, მანდატს ან სხვა სახის ნებართვას, რომელიც არ არის ამ გარიგების მხარე, მაშინ ნებისმიერ უშუალოდ დაინტერესებულ პირს შეუძლია შეატყობინოს აღნიშნული გარიგების ყველა მხარეს, რომ ეს გარიგება არანაირად არ იმოქმედებს მასზე იმ შემთხვევაში, თუ მესამე პირის აუცილებელი ნებართვა არ იქნება მიღებული ამ შეტყობინებისათვის განსაზღვრული გონივრული ვადის განმავლობაში.

მუხლი 3:58 გარიგების მოწონება

– 1. თუ გარიგების ნამდვილობისათვის აუცილებელი სამართლებრივი მოთხოვნა შესრულდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ეს გარიგება დაიდო, თუმცა უშუალოდ დაინტერესებული ყველა ის პირი, რომელსაც მოწონებამდე პერიოდში შეეძლო მიეთითებინა ბათილობის ამ საფუძველზე, – ამ გარიგების დადებასა და აუცილებელი სამართლებრივი მოთხოვნის დაკმაყოფილების მომენტს შორის პერიოდში აღნიშნულ გარიგებას განიხილავდა როგორც ნამდვილ გარიგებას, მაშინ მიიჩნევა, რომ ასეთი მოქმედებით განხორციელდა ამ გარიგების მოწონება.

– 2. წინა პარაგრაფი არ მოქმედებს იმ ვითარების მიმართ, რომელშიც გარიგება ბათილი აღმოჩნდა იმ საფუძველით, რომ მოქმედი მხარე თავდაპირველად იყო არასრულწლოვანი ან მეურვეობის ქვეშ მყოფი ქმედუუნარო ზრდასრული პირი, თუმცაღა რომელიც გარკვეული დროის შემდეგ ქმედუუნარიანი გახდა

სრულწლოვანების ასაკის მიღწევისა თუ, შესაბამისად, ზრდასრული პირის მეურვეობის გაუქმების გამო.

– 3. მესამე პირების მიერ მოწონებამდე პერიოდში შექმნილი უფლებები არ წარმოადგენს მოწონების ხელის შემშლელ გარემოებას იმ პირობით, თუ ისინი დაცული იქნება.

მუხლი 3:59 სამოქალაქო კოდექსის 3.2 განყოფილების ნორმათა გამოყენების სფეროს გაფართოება

წინამდებარე განყოფილების კანონისმიერი ნორმები შესაბამისად გამოიყენება ასევე სანივთო სამართლის სფეროს მიღმაც, რამდენადაც გარიგების ან სამართლებრივი ურთიერთობის ხასიათი არ ეწინააღმდეგება ამას.

ტიტული 3.3 – წარმომადგენლობა (წარმომადგენლობითი უფლებამოსილება)

მუხლი 3:60 „წარმომადგენლობის“ განმარტება

– 1. წარმომადგენლობა (იგივე – „წარმომადგენლობითი უფლებამოსილება“) არის ერთი პირის – მარწმუნებლის მიერ სხვა პირისათვის – წარმომადგენლისათვის (რწმუნებულისათვის) მინიჭებული უფლებამოსილება, მარწმუნებლის სახელით {და, ამავე დროს, ამ მარწმუნებულის ხარჯზე} დადოს ერთი ან მეტი გარიგება.

– 2. იმ შემთხვევებში, როდესაც წინამდებარე განყოფილების კანონისმიერი ნორმები ეხება გარიგებას (გარიგების დადებას), ეს მოიცავს იმ მოქმედებასაც, რომელიც დაკავშირებულია მხოლოდ და მხოლოდ სხვა პირის დეკლარაციისა თუ განცხადების მიღებასთან.

მუხლი 3:61 კეთილსინდისიერად მოქმედი მეორე მხარე

– 1. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭება ხდება აშკარად ან ნაგულისხმევად.

– 2. თუ გარიგება დაიდო სხვა პირის სახელით, მაშინ იმ მეორე მხარის მიმართ, რომელიც ამ სხვა პირის განცხადებისა თუ ქცევის საფუძველზე ვარაუდობდა ანდა არსებულ გარემოებებში მას გონივრულად შეეძლო ევარაუდა შესაბამისი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭების ფაქტის არსებობა, აღნიშნული ვარაუდის უსწორობაზე მითითებით გასაჩივრება დაუშვებელია.

– 3. თუ წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, რომლის მინიჭებაც მოხდა საჯაროდ საკანონმდებლო ნორმებისა თუ ზოგადი პრაქტიკის შესაბამისად, მოიცავს ისეთ შეზღუდვებს, რომლებიც იმდენად უჩვეულოა, რომ მეორე მხარეს არ უნდა ჰქონოდა მათი არსებობის მოლოდინი, მაშინ ამ შეზღუდვებზე მითითებით გასაჩივრება დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მეორე მხარემ რეალურად იცოდა მათი არსებობის შესახებ.

მუხლი 3:62 ზოგადი და კონკრეტული წარმომადგენლობა

– 1. ზოგადი წარმომადგენლობით ხორციელდება მარწმუნებელთან დაკავშირებული ყველა საკითხისა და ყველა შესაძლო გარიგების მომცველი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭება, გარდა იმ საკითხებისა და გარიგებებისა, რომლებიც არაორაზროვნად არის გამორიცხული. ზოგადი წარმომადგენლობა მხოლოდ იმ შემთხვევაში მოიცავს ქონების განკარგვის (ქონების გადაცემის) უფლებამოსილებას, თუკი მარწმუნებელმა არაორაზროვნად წერილობითი დათქმა გააკეთა იმის თაობაზე, რომ წარმომადგენლობა მოიცავს ასევე ამ სახის გარიგებებსაც.

– 2. ზოგადი ფორმულირებით მინიჭებული კონკრეტული წარმომადგენლობა მხოლოდ იმ შემთხვევაში მოიცავს ქონების განკარგვის (ქონების გადაცემის) უფლებამოსილებას, თუკი მარწმუნებელმა ამის შესახებ არაორაზროვანი დათქმა გააკეთა.

მუხლი 3:63 წარმომადგენლობითი უფლებამოსილების სხვა პირისათვის გადაცემა და გარიგებების დადების უუნარობა

– 1. ის ფაქტი, რომ ვინმეს თავად არა აქვს გარიგებების დადების უნარი, არ გამოირიცხავს მის უნარიანობას, იმოქმედოს სხვა პირის წარმომადგენლის სახით.

– 2. როდესაც წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭება ხდება იმ მარწმუნებლის მიერ, რომელსაც თავად არა აქვს გარიგებების დადების უნარი, მაშინ წარმომადგენლის მიერ ამ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების საფუძველზე დადებული გარიგება ასევე ნამდვილია, ბათილია და საცილოა მსგავსად იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს გარიგება დაიდებოდა თავად ქმედუუნარო მარწმუნებლის მიერ.

მუხლი 3:64 წარმომადგენლის შეცვლა

თუ მარწმუნებლის მიერ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, წარმომადგენელს მინიჭებული წარმომადგენლობითი უფლებამოსილება შეუძლია გადაანდოს სხვა პირს მხოლოდ იმდენად:

- a. რამდენადაც ამის გაკეთების აუცილებლობა წარმოიშობა დასადები გარიგების ბუნებიდან ანდა – რამდენადაც ეს შეესაბამება ზოგად პრაქტიკას;
- b. რამდენადაც ეს აუცილებელია მარწმუნებლის ინტერესების გათვალისწინებით, ხოლო ამ უკანასკნელს კი თავად არ შეუძლია საჭირო ზომების მიღება;
- c. რამდენადაც წარმომადგენლობა ეხება აქტივებს, რომლებიც განთავსებულია იმ ქვეყნის (სახელმწიფოს) ფარგლებს გარეთ, სადაც წარმომადგენელს აქვს თავისი დომიცილი.

მუხლი 3:65 ერთობლივი წარმომადგენლობა (ერთობლივი წარმომადგენლობითი უფლებამოსილება)

თუ სხვაგვარად არ არის გათვალისწინებული, როდესაც წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭება ხდება ორი ან მეტი წარმომადგენლისათვის ერთობლივად, თითოეულ მათგანს შეუძლია დადოს შესაბამისი გარიგება დამოუკიდებლად.

მუხლი 3:66 წარმომადგენლობის სამართლებრივი შედეგები და დადებული გარიგების ნამდვილობა

- 1. თავისი უფლებამოსილების ფარგლებში წარმომადგენლის მიერ მარწმუნებლის სახელით დადებული გარიგება სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს მხოლოდ ამ მარწმუნებლისათვის.
- 2. რამდენადაც სამართლებრივად მოთხოვნილი ნების (განზრახვის) ან ხარვეზიანი ნებისა თუ ფაქტების შესახებ ცოდნის არსებობა ან არარსებობა მნიშვნელოვანია გარიგების სამართლებრივი შედეგების ნამდვილობისათვის, მარწმუნებლის, წარმომადგენლისა თუ ორივე მათგანის პოზიცია მხედველობაში მიიღება ყოველთვის იმ ხარისხის პროპორციულად, როგორი გავლენაც თითოეულ მათგანს აქვს დადებული გარიგების წარმოშობასა და მის შინაარსზე.

მუხლი 3:67 მარწმუნებლის სახელი, რომელიც მოგვიანებით უნდა გამჟღავნდეს

- 1. წარმომადგენელმა, რომელმაც დადო ხელშეკრულება იმ მარწმუნებლის სახელით, რომლის პიროვნებაც მოგვიანებით უნდა გამჟღავნდეს, თავისი მარწმუნებლის სახელი უნდა მიუთითოს კანონით, ხელშეკრულებითა თუ ზოგადი პრაქტიკით დადგენილი ვადის განმავლობაში, ხოლო ასეთი სახელმძღვანელო პრინციპების არარსებობისას კი, – გონივრული ვადის განმავლობაში.
- 2. თუ წარმომადგენელი დროულად არ მოახდენს მარწმუნებლის სახელის მითითებას, ის თავად გახდება ხელშეკრულების მხარე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელშეკრულება სხვაგვარ წესს ადგენს.

მუხლი 3:68 წარმომადგენლის მიერ შესაბამისი გარიგების თავის თავთან დადება

გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარეები სხვაგვარად შეთანხმდნენ, წარმომადგენელს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია – დასადები გარიგების ფარგლებში – იმოქმედოს მისი მარწმუნებლის მეორე მხარის სახით, როდესაც ამ გარიგების შინაარსი იმდენად დეტალურად განისაზღვრა, რომ წარმომადგენლისა და მარწმუნებლის ინტერესთა კონფლიქტი გამოირიცხება.

მუხლი 3:69 გარიგების მოწონება

- 1. როდესაც ვინმემ, როგორც წარმომადგენელმა, სხვა პირის სახელით დადო გარიგება ამ უკანასკნელის წარმომადგენლობისათვის შესაბამისი უფლებამოსილების არსებობის გარეშე, მაშინ ამ სხვა პირს შეუძლია მოიწონოს ეს გარიგება და ამით მიანიჭოს მას იგივე სამართლებრივი შედეგები, რაც ამ გარიგებას ექნებოდა იმ შემთხვევაში, თუ ის დაიდებოდა შესაბამისი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების საფუძველზე.
- 2. როდესაც წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭება უნდა მოხდეს კონკრეტული ფორმით, მაშინ ფორმალური მოთხოვნები ეხება ასევე წინა პარაგრაფში მითითებულ მოწონებასაც.
- 3. გარიგების მოწონებას არა აქვს ძალა, თუკი იმ მომენტში, როდესაც მოწონება ხდება, გარიგების მეორე მხარემ აშკარად უკვე მიუთითა იმაზე, რომ საკმარისი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების არარსებობის გამო ის გარიგებას ბათილად მიიჩნევს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გარიგების დადების მომენტში მეორე მხარემ იცოდა ანდა გარემოებებიდან გამომდინარე მას უნდა სცოდნოდა სათანადო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების არსებობის შესახებ.
- 4. უშუალო ინტერესის მქონე ნებისმიერ პირს გარიგების მოწონების გონივრული ვადა შეუძლია და-

უდგინოს იმ პირს, რომლის სახელითაც დაიდო ეს გარიგება. მას არ შეუძლია გარიგების ნაწილობრივი ან პირობითი მოწონება.

– 5. მარწმუნებლის მიერ გარიგების მოწონებამდე მესამე პირებისათვის მინიჭებული უფლებები უნდა იქნეს დაცული.

მუხლი 3:70 სათანადო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების არსებობაზე თავდებად დადგომა

პირი, ვინც მოქმედებს როგორც ვინმეს წარმომადგენელი, მიიჩნევა, რომ ის არის უდგება თავდებად გარიგების მეორე მხარეს წარმომადგენლობის არსებობასა და მის ფარგლებთან დაკავშირებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მეორე მხარემ იცოდა ან მას უნდა სცოდნოდა სათანადო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების არარსებობის შესახებ ანდა – თუ წარმომადგენელმა არ შეატყობინა მეორე მხარეს წარმომადგენლობის სრული შინაარსის თაობაზე.

მუხლი 3:71 წარმომადგენლობითი უფლებამოსილების არსებობის მტკიცება

– 1. წარმომადგენლის მიერ გაკეთებული განცხადებები შეიძლება უარყოფილ იქნეს მეორე მხარის მიერ როგორც ბათილი, თუკი ამ უკანასკნელმა დაუყოვნებლივ სთხოვა წარმომადგენელს მისი უფლებამოსილების დამადასტურებელი მტკიცებულების წარმოდგენა და, მიუხედავად ამისა, მეორე მხარემ მყისიერად არ მიიღო წერილობითი დოკუმენტი, რომლიდანაც გამომდინარეობს წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ანდა – დასტური მარწმუნებლისა ამ უფლებამოსილების არსებობის შესახებ.

– 2. წინა პარაგრაფის გაგებით წარმომადგენლობითი უფლებამოსილების არსებობის მტკიცებულების მოთხოვნა დაუშვებელია, თუკი მარწმუნებელმა უკვე მოახდინა წარმომადგენლობის ფაქტის გასაჯაროება საკანონმდებლო ნორმებისა თუ ზოგადი პრაქტიკის შესაბამისად ანდა – თუ წარმომადგენლობა გამომდინარეობს იმ შრომითი ურთიერთობიდან, რომლის არსებობის შესახებ მეორე მხარისათვის ცნობილი იყო.

მუხლი 3:72 წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეწყვეტა

წარმომადგენლობითი უფლებამოსილება წყდება:

a. როდესაც მარწმუნებელი გარდაიცვლება, მას დაუდგინდება ზრდასრული პირის მეურვეობა, გაკოტრდება ანდა როდესაც ის ვარდება ფიზიკური პირებისათვის არსებული ვალების დაფარვის სქემაში;

b. თუ სხვაგვარად არ არის გათვალისწინებული, როდესაც წარმომადგენელი გარდაიცვლება, მას დაუდგინდება ზრდასრული პირის მეურვეობა, გაკოტრდება ანდა როდესაც ის ვარდება ფიზიკური პირებისათვის არსებული ვალების დაფარვის სქემაში;

c. როდესაც მარწმუნებელმა გააუქმა წარმომადგენლობა;

d. როდესაც წარმომადგენელმა უარი თქვა მისთვის მინიჭებულ წარმომადგენლობაზე.

მუხლი 3:73 წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ ძველი წარმომადგენლისათვის შენარჩუნებული უფლებამოსილებები

– 1. როდესაც მარწმუნებელი გარდაიცვლება ან მას დაუდგინდება ზრდასრული პირის მეურვეობა, წარმომადგენელი, მიუხედავად ამისა, მაინც რჩება უფლებამოსილი ძველი წარმომადგენლობის სფეროში შემავალი გარიგებების დადებაზე, რამდენადაც მათი დადება აუცილებელია მარწმუნებლის საწარმოს ადმინისტრირებისა და მართვისათვის.

– 2. როდესაც მარწმუნებელი გარდაიცვლება ან მას დაუდგინდება ზრდასრული პირის მეურვეობა, წარმომადგენელი, მიუხედავად ამისა, მაინც რჩება უფლებამოსილი ძველი წარმომადგენლობის სფეროში შემავალი გარიგებების დადებაზე, რამდენადაც მათი დადებას გადავადება შეუძლებელია წარმომადგენლისათვის) ზიანის მიყენების გარეშე. იგივე ნორმა მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, როდესაც წარმომადგენელმა თავად თქვა უარი მისთვის მინიჭებულ წარმომადგენლობაზე.

– 3. წინა პარაგრაფებში ნახსენები წარმომადგენლობითი უფლებამოსილება წყდება მარწმუნებლის გარდაცვალებიდან ან მისთვის ზრდასრული პირის მეურვეობის დადგენიდან ერთი წლის ვადის გასვლისთანავე ანდა, შესაბამისად, – წარმომადგენლის მიერ თავის წარმომადგენლობაზე უარის თქმის მომენტიდან ერთი წლის ვადის გასვლისთანავე.

მუხლი 3:74 გამოუთხოვადი წარმომადგენლობა

– 1. რამდენადაც წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭება ხდება წარმომადგენლის ან მესამე პირის ინტერესებში გარიგების დადებას განზრახვით, დასაშვებია მხარეთა დათქმა იმის თაობაზე,

რომ წარმომადგენლობა იყოს გამოუთხოვადი ანდა რომ ის არ შეწყდება მარწმუნებლის გარდაცვლების ან მისთვის ზრდასრული პირის მეურვეობის დადგენის შემთხვევაში. როდესაც წარმომადგენლობა გამოუთხოვადია, ეს თავისთავად გულისხმობს იმას, რომ ის არ წყდება მარწმუნებლის გარდაცვლების ან მისთვის ზრდასრული პირის მეურვეობის დადგენის შემთხვევაში, თუ რაიმე განსხვავებული წესი არ იქნა მხარეთა შორის შეთანხმებული.

– 2. როდესაც წარმომადგენლობა მოიცავს წინა პარაგრაფში ნახსენებ დათქმას, გარიგების მეორე მხარეს შეუძლია დაუშვას ვარაუდი იმისა, რომ დაკმაყოფილებულია კანონის მიერ ასეთი დათქმის ნამდვილობისათვის დადგენილი პირობები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მისთვის ადვილად აღქმადია ამის საწინააღმდეგო წესი.

– 3. იმ წარმომადგენელს, რომელსაც მიენიჭა პირველი პარაგრაფის ნორმებით გათვალისწინებული გამოუთხოვადი წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, შეუძლია ეს უფლებამოსილება ხელახლა მიანიჭოს სხვა პირს ამ მიზნით მისთვის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გადაცემის გზით, – თუნდაც იმ შემთხვევებში, რომლებსაც არ მოიცავს 3:64 მუხლი, – თუ რაიმე განსხვავებული წესი არ იქნა მხარეთა შორის შეთანხმებული.

– 4. მარწმუნებლის, მისი მემკვიდრეებისა თუ მეურვის მოთხოვნის საფუძველზე რაიონულ სასამართლოს, მნიშვნელოვანი მიზეზების არსებობისას, შეუძლია შეცვალოს ან გააუქმოს წარმომადგენლობის გამოუთხოვადი ხასიათი.

მუხლი 3:75 მტკიცების საშუალებები და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეწყვეტა

– 1. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ წარმომადგენელმა მარწმუნებლის მოთხოვნის საფუძველზე უნდა დააბრუნოს ყველა ის დოკუმენტი, რომლითაც შესაძლოა მტკიცდებოდეს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების არსებობა, ან მან უნდა დართოს მარწმუნებელს ნება, გააკეთოს ამ დოკუმენტებში აღნიშვნა წარმომადგენლობის არარსებობის ფაქტზე მითითებით. როდესაც წარმომადგენლობითი უფლებამოსილების არსებობის ფაქტი აისახა სანოტარო აქტში, მარწმუნებლის მოთხოვნის საფუძველზე ნოტარიუსი ჯერ კიდევ მის მფლობელობაში არსებული აქტის დედანის ასლზე აკეთებს აღნიშვნას იმაზე მითითებით, რომ შესაბამისი წარმომადგენლობა შეწყვეტილია.

– 2. იმ შემთხვევებში, როდესაც არსებობს საფრთხე იმისა, რომ ყოფილი წარმომადგენელი გააგრძელებს მარწმუნებლის სახელით მოქმედებას თუნდაც მისი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ, მარწმუნებელს შეუძლია მიმართოს სასამართლოს დროებითი სამართლებრივი დაცვის საშუალებების მიღების მოთხოვნით იმ მიზნით, რომ მოხდეს აღნიშნული უფლებამოსილების შეწყვეტის ფაქტის გასაჯაროება, რის შედეგადაც ასეთი შეწყვეტა შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი პირის მიმართ. წინა პარაგრაფში მითითებული სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება დაუშვებელია.

მუხლი 3:76 წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ მესამე პირთა დაცვის წესები

– 1. ის მიზეზი, რის გამოც შეწყდა წარმომადგენლობა, შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ გარიგების იმ მეორე მხარის მიმართ, რომელმაც არაფერი იცოდა არც ამ წარმომადგენლობის შეწყვეტისა და არც მისი შეწყვეტის მიზეზის შესახებ:

a. თუ წარმომადგენლობის შეწყვეტის ფაქტისა ან თუ მისი შეწყვეტის მიზეზის შესახებ ეცნობა მეორე მხარეს ან გაცხადდა საჯაროდ იმგვარად, რომ საკანონმდებლო ნორმებისა თუ ზოგადი პრაქტიკის შესაბამისად ამის შედეგად მარწმუნებელს შეეძლება ამ წარმომადგენლობის შეწყვეტის ფაქტის გამოყენება გარიგების მეორე მხარის მიმართ;

b. თუ მარწმუნებლის გარდაცვალების ფაქტი საყოველთაოდ ცნობილია;

c. თუ შრომითი ურთიერთობა, რომლის შედეგადაც {პირდაპირ ან არაპირდაპირ} წარმოიშვა წარმომადგენლობა, შეწყდა იმგვარად, რომ ეს მესამე პირებისთვის შესაძრწნევი;

d. თუ გარიგების მეორე მხარეს არ შეატყობინეს წარმომადგენლობის შესახებ სხვაგვარად, გარდა წარმომადგენლის განცხადების მეშვეობით შეტყობინებისა.

– 2. როდესაც წინა პარაგრაფში აღნიშნულ ვითარებაში ყოფილი წარმომადგენელი აგრძელებს მარწმუნებლის სახელით მოქმედებას თუნდაც მისი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ, ის პასუხს აგებს მიყენებული ზიანისათვის გარიგების იმ მეორე მხარის მიმართ, რომელმაც არაფერი იცოდა წარმომადგენლობის შეწყვეტის შესახებ. თუმცა, ყოფილ წარმომადგენელს არ ეკისრება პასუხისმგებლობა იმ შემთხვევაში, თუ მან არ იცოდა ან მისთვის არ იყო ცნობილი წარმომადგენლობის შეწყვეტის შესახებ.

მუხლი 3:77 მარწმუნებლის გარდაცვალების შემდეგ წარმომადგენლის მიერ დადებული ძალმოსილი გარიგებები

როდესაც, მიუხედავად მარწმუნებლის გარდაცვალებისა, წარმომადგენელმა მარწმუნებლის სახელით დადო ძალმოსილი გარიგება, ამ უკანასკნელის მემკვიდრეები და ასევე გარიგების მეორე მხარეც შებოჭილი არიან აღნიშნული გარიგებით, თუ ის ძალმოსილად დაიდო მარწმუნებლის სიცოცხლის ვადის განმავლობაში.

მუხლი 3:78 წარმომადგენლობის ფორმების მიმართ ზოგიერთი ნორმების გამოყენება, რომელიც არ ეფუძნება წარმომადგენლობით უფლებამოსილებას

როდესაც პირი ვინმე სხვა პირის სახელით დებს გარიგებებს, თუმცა ეს ეფუძნება არა წარმომადგენლობით უფლებამოსილებას, რომელიც გათვალისწინებულია წინამდებარე განყოფილების ნორმებში, არამედ სხვა სამართლებრივ საფუძველს, მაშინ შესაბამისად გამოიყენება 3:63 მუხლის პარ. 1-ის, 3:66 მუხლის პარ. 1-ის, 3:67, 3:69, 3:70, 3:71 და 3:75 მუხლის პარ. 2-ის ნორმები, რამდენადაც კანონი სხვაგვარად არ გულისხმობს.

მუხლი 3:79 წარმომადგენლობის ფორმების მიმართ წინამდებარე განყოფილების ნორმების გამოყენება სანივთო სამართლის სფეროს მიღმა

წინამდებარე განყოფილების კანონისმიერი ნორმები შესაბამისად გამოიყენება სანივთო სამართლის სფეროს მიღმა, რამდენადაც გარიგების ბუნება ან სამართლებრივი ურთიერთობის ხასიათი არ ეწინააღმდეგება ამას.

ტიტული 3.4 – ქონების შექმნა და დაკარგვა

განყოფილება 3.4.1 – ზოგადი დებულებები

მუხლი 3:80 შექმნა უნივერსალური ან კონკრეტული სამართლებრივი საფუძველით და ქონებრივი უფლებების დაკარგვა

- 1. პირს ქონების შექმნა შეუძლია უნივერსალური ან კონკრეტული სამართლებრივი საფუძველით.
- 2. ქონების უნივერსალური სამართლებრივი საფუძველით შექმნას ადგილი აქვს მემკვიდრეობით {გარდაცვლილი პირის მთლიან ქონებაში წილის შექმნა}, დაქორწინებით მეუღლეთა საერთო ქონებასთან დაკავშირებით {მეუღლეთა პირადი საკუთრების გაერთიანება, რომლის შედეგადაც იქმნება საერთო ქონება}, ორი ან მეტი იურიდიული პირის შერწყმით, როგორც ეს მითითებულია სამოქალაქო კოდექსის 2:309 მუხლში {შესაბამისი იურიდიული პირების ქონება ერთიანდება ერთი (ახალი) იურიდიული პირის ახალი ქონების ფორმირებით}, იურიდიული პირისაგან გამოყოფით, როგორც ეს მითითებულია სამოქალაქო კოდექსის 2:334a მუხლში {იურიდიული პირი გამოეყოფა სხვა იურიდიულ პირს და იღებს მისი ქონების პროპორციულ წილს} და ასევე – გადაცემის გეგმის მოწონებით, როგორც ეს მითითებულია ფინანსური ზედამხედველობის შესახებ კანონის 3:159l, 3:159p და 3:159s მუხლებში.
- 3. ქონების კონკრეტული სამართლებრივი საფუძველით შექმნას ადგილი აქვს საკუთრებაში გადაცემით, ხანდაზმულობით, ექსპროპრიაციით (იძულებითი შექმნით) ან კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი სხვა გზით კონკრეტული სახის ქონებრივი უფლებების შექმნის მიზნით.
- 4. პირს შეუძლია დაკარგოს ქონება იმ ხერხებით, რომლებიც ამ მიზნით თითოეული სახის ქონებისათვის დადგენილია კანონით.

მუხლი 3:81 შეზღუდული სანივთო უფლებების დადგენა და გაუქმება

- 1. პირს, რომელსაც ეკუთვნის დამოუკიდებელი და გადაცემადი ქონებრივი უფლება (აქტივი), შეუძლია – ამ უფლების ფარგლებში – დაადგინოს ის შეზღუდული სანივთო უფლებები, რომელთა დადგენაც ამ მიზნით კანონის მიერ დასაშვებია. აღნიშნულ პირს ასევე შეუძლია თავისი ქონებრივი უფლების გადაცემა მოახდინოს ასეთი შეზღუდული სანივთო უფლების შენარჩუნებით იმ პირობით, რომ ის შეასრულებს გადაცემისა და ასევე ამ სახის შეზღუდული სანივთო უფლების დადგენისათვის გათვალისწინებულ ყველა სამართლებრივ მოთხოვნას.
- 2. შეზღუდული სანივთო უფლება უქმდება:

- a. როდესაც აღარ არსებობს ის ქონებრივი უფლება (აქტივი), რომლიდანაც ის გამომდინარეობს;
- b. როდესაც გავიდა ის ვადა, რა ვადითაც ის იყო დადგენილი ანდა როდესაც შესრულდა ის წინაპირობა, რა წინაპირობითაც ის იყო დადგენილი;
- c. როდესაც მასზე უარს ამბობს (უფლებას ტოვებს) უფლების მფლობელი (უფლებამოსილი პირი);
- d. როდესაც ეს უფლება ქარწყლდება იმ პირობით, რომ კანონის მიერ ანდა შეზღუდული სანივთო უფლების დადგენისას გაქარწყლების უფლება მინიჭებულ იქნა ძირითადი უფლების მფლობელისათვის, შეზღუდული უფლების მფლობელისა თუ თითოეული მათგანისათვის ცალ-ცალკე;
- e. როდესაც ერთი და იგივე პირი უფლებამოსილი ხდება როგორც ძირითად უფლებაზე (უფლებრივად დატვირთული აქტივი), ისევე – იმ შეზღუდულ სანივთო უფლებაზეც, რომელიც გამომდინარეობს აღნიშნული უფლებიდან (კონსოლიდაცია);

და ასევე, გარდა აღნიშნულისა, – კანონით დადგენილი სხვა იმ გარემოებების დადგომისას, რომელთა შედეგადაც კონკრეტული სახის შეზღუდული სანივთო უფლება აღარ არსებობს.

– 3. პარ. 2-ის (c) პუნქტში ნახსენებ უარსა და ასევე პარ. 2-ის (e) პუნქტში ნახსენებ კონსოლიდაციას ვერ ექნება უარყოფითი შედეგი იმ პირებისათვის, რომლებმაც, თავიანთი მხრიდან, თავად შეიძინეს შეზღუდულ სანივთო უფლება გაუქმებულ შეზღუდულ სანივთო უფლებაზე. პარ. 2-ის (e) პუნქტში ნახსენებ კონსოლიდაციას ვერ ექნება უარყოფითი შედეგი იმ პირებისათვის, რომლებსაც უფლებრივად დატვირთულ აქტივზე აქვთ შეზღუდული სანივთო უფლება და რომლებმაც მხედველობაში უნდა მიიღონ გაუქმებული შეზღუდული სანივთო უფლების არსებობის ფაქტი.

მუხლი 3:82 აქცესორული ქონებრივი უფლებები

აქცესორული ქონებრივი უფლებები ყოველთვის მიჰყვება იმ ქონებას, რომელთანაც ისინი სამართლებრივად არის დაკავშირებული.

განყოფილება 3.4.2 – სანივთო უფლებების გადაცემა და შეზღუდულ სანივთო უფლებებზე უარი

მუხლი 3:83 გადაცემადი ქონებრივი უფლებები

- 1. საკუთრების უფლება, შეზღუდული სანივთო უფლებები და სავალო მოთხოვნები ექვემდებარება სხვა პირზე გადაცემას, თუკი მათი ბუნება ან კანონი არ ეწინააღმდეგება ამას.
- 2. სავალო მოთხოვნების გადაცემის შესაძლებლობა შეიძლება გამოირიცხოს კრედიტორსა და მოვალეს შორის დადებული ხელშეკრულებით.
- 3. ყველა სხვა ქონებრივი უფლება გადაცემადია მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც კანონი ამგვარად უთითებს.

მუხლი 3:84 გადაცემის მიმართ არსებული მოთხოვნები

- 1. ქონების გადაცემა ითხოვს ფორმალურ გადაცემის აქტს, რომელიც ხორციელდება ნამდვილ სამართლებრივ საფუძველზე იმ პირის მიერ, რომელსაც აქვს ამ ქონების განკარგვის უფლებამოსილება.
- 2. გადასაცემი ქონება შესაბამის სამართლებრივი საფუძველში საკმარისად უნდა იქნეს განსაზღვრული.
- 3. შემძენისათვის ქონების საკუთრებაში (კაპიტალში) გადაცემის ნების გარეშე მხოლოდ ვალის უზრუნველყოფის მიზნით ქონების გადაცემის განზრახვით დადებული გარიგება არ წარმოადგენს აღნიშნული ქონების გადაცემის ნამდვილ სამართლებრივ საფუძველს.
- 4. როდესაც ქონების გადაცემა ხორციელდება პირობითი ვალდებულების შესრულების მიზნით, მაშინ ამ ქონების შექენა ყოველთვის ხდება იგივე პირობით, რაც არსებობს ვალდებულების მიმართ.

მუხლი 3:85 ქონების გადაცემა განსაზღვრული დროის პერიოდით ან სამომავლო თარიღისათვის

- 1. მხოლოდ განსაზღვრული დროის პერიოდით ქონების გადაცემის ვალდებულება განიხილება როგორც ამ დროის განმავლობაში მიმდების სასარგებლოდ ქონებაზე უზუფრუქტის დადგენის ვალდებულება.
- 2. სამომავლო თარიღისათვის ქონების გადაცემის ვალდებულება განიხილება როგორც ამ ქონების დაუყოვნებლივ გადაცემისა და ერთდროულად მასზე გამსხვისების სასარგებლოდ უზუფრუქტის დადგენის ვალდებულება.

მუხლი 3:86 განკარგვის უფლებამოსილების არარსებობა (მოძრავი ქონება და საორდერო ან სანარმდგენლო სავალო მოთხოვნები)

– 1. 3:90, 3:91 ან 3:93 მუხლების შესაბამისად გამსხვიებლის მიერ განკარგვის უფლებამოსილების გარეშე მოძრავი ნივთისა თუ საორდერო ან სანარმდგენლო სავალო მოთხოვნის გადაცემა მაინც ნამდვილია, თუ ასეთი გადაცემა არ იყო უსასყიდლო და შემძენი მხარე მოქმედებდა კეთილსინდისიერად.

– 2. როდესაც მოძრავი ნივთისა თუ საორდერო ან სანარმდგენლო სავალო მოთხოვნის გადაცემა მოხდა 3:90, 3:91 ან 3:93 მუხლების შესაბამისად სხვა საფუძველზე, ნაცვლად უსასყიდლო გარიგებისა, იმ დროს, როდესაც ის დატვირთული იყო იმ შეზღუდული სანივთო უფლებით, რომლის არსებობის შესახებაც შემძენმა მხარემ არაფერი იცოდა და არც უნდა სცოდნოდა გადაცემის მომენტში, მაშინ ეს შეზღუდული სანივთო უფლება ქარწყლდება დაუყოვნებლივ, ხოლო 3:91 მუხლში გათვალისწინებული გადაცემის შემთხვევაში კი, ის გაქარწყლდება იმ პირობის შენარჩუნებით, რომელიც მოქმედებს თავად გადაცემის მიმართ.

– 3. მოძრავი ნივთის მესაკუთრეს, რომელმაც დაკარგა მასზე მფლობელობა იმის გამო, რომ ეს ნივთი მას მოჰპარეს, მიუხედავად წინა პარაგრაფების ნორმებისა, ყოველთვის შეუძლია მოითხოვოს თავისი ქონების უკან დაბრუნება ნებისმიერი მფლობელისაგან ქურდობიდან სამი წლის განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:

a. მოპარული ობიექტი შეძენილ იქნა იმ ფიზიკური პირის მიერ, რომელიც მისი შეძენისას არ მოქმედებდა თავისი პროფესიული თუ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისას, და რომელმაც ეს ობიექტი მიიღო იმ გამსხვიებლისაგან, რომელიც მუდმივად ყიდის ასეთ ან ანალოგიურ ობიექტებს ამ მიზნით კომერციული ფართის გამოყენებით, და რომელიც მოპარული ობიექტის შემძენი მხარისათვის გადაცემისას მოქმედებდა თავისი პროფესიული თუ სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში, თუმცაღა – არა როგორც აუქციონის მომწყობი;

b. ანდა მოპარულ ობიექტს წარმოადგენს ფული ან საორდერო ან სანარმდგენლო სავალო მოთხოვნის ამსახველი ბრუნვაუნარიანი ფასიანი ქაღალდები.

– 4. საჩივლის უფლების (სასარჩილო განცხადების) ხანდაზმულობის შეჩერების მომწესრიგებელი ნორმები შესაბამისად გამოიყენება წინა პარაგრაფში ნახსენები სამწლიანი ვადის მიმართ.

მუხლი 3:86a კულტურული მემკვიდრეობის დაცვა

– 1. 3:86 მუხლის ნორმები ვერ იქნება გამოყენებული ევროკავშირის წევრ სახელმწიფოსა თუ ევროპულ ეკონომიკურ ზონაში შემავალი სახელმწიფოს მიმართ, რამდენადაც ეს სახელმწიფო ითხოვს იმ მოძრავი ნივთის დაბრუნებას, რომელიც ამ უკანასკნელის ეროვნული სამართლის საფუძველზე განეკუთვნება მის კულტურულ მემკვიდრეობას, როგორც ეს განისაზღვრება წევრი-სახელმწიფოს ტერიტორიიდან უკანონოდ გატანილი კულტურული ობიექტების დაბრუნების შესახებ 1993 წლის 15 მარტის მიღებული ევროპული თანამეგობრობის საბჭოს 93/7/EEG დირექტივის 1-ლ მუხლში (PbEG L 74) იმ პირობით, რომ ამ დირექტივის გაგებით კულტურული ობიექტი უკანონოდ იქნა გატანილი ამ სახელმწიფოს ტერიტორიიდან.

– 2. 3:86 მუხლის ნორმები ვერ იქნება გამოყენებული იმ პირის მიმართ, ვინც – როგორც მესაკუთრე – ითხოვს იმ მოძრავი ნივთის დაბრუნებას, რომელსაც მისი დაკარგვის მომენტში ჰქონდა კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციის შესახებ კანონით გათვალისწინებული დაცული ობიექტის სტატუსი ანდა რომელიც გატანილ იქნა ნიდერლანდების ტერიტორიიდან, თუმცაღა ეს აკრძალული იყო ამ კანონის 14a მუხლის საფუძველზე. ის პირი, ვინც აღნიშნულ მომენტში დაცული ობიექტების სიაში ნახსენებია როგორც ამ მოძრავი ნივთის მესაკუთრე, როგორც ეს მითითებულია კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციის შესახებ კანონის 14a მუხლის პარ. 2-ში, მიიჩნევა, რომ ამ მომენტში წარმოადგენდა აღნიშნული ნივთის მესაკუთრეს.

– 3. სასამართლო, რომელიც ცნობს პარ. 1-ში მითითებულ სასარჩილო მოთხოვნას, მოძრავი ნივთის მფლობელს აკუთვნებს გონივრულ ფინანსურ კომპენსაციას, რომლის ოდენობაც განისაზღვრება ყველა გარემოების ჯეროვანი გათვალისწინებით, თუმცაღა – მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მფლობელი ნივთის შეძენისას სათანადო მზრუნველობით მოქმედებდა. იგივე წესი მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო ცნობს პარ. 2-ში მითითებულ სასარჩილო მოთხოვნას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნა შესაძლებელი იქნებოდა 3:86 მუხლის საფუძველზე კომპენსაციის თანხის გადახდის გარეშეც.

– 4. ფინანსური კომპენსაცია მოიცავს, სულ ცოტა, 3:120 და 3:121 მუხლების საფუძველზე მფლობელი-სათვის გადასახდელ თანხას. ამ უკანასკნელის გადახდა ხდება მოძრავი ნივთის დაბრუნების მომენტში.

მუხლი 3:86b კულტურული მემკვიდრეობის დაცვა UNESCO-ს 1970 წლის კონვენციის საფუძველზე

– 1. 3:86 მუხლის ნორმები ვერ იქნება გამოყენებული იმ სახელმწიფოს მიმართ, რომელიც წარმოადგენს 1970 წლის 14 ნოემბერს პარიზში მიღებული კულტურულ მემკვიდრეობას მიკუთვნებულ ქონებაზე საკუთრების უკანონო იმპორტის, ექსპორტის და გადაცემის აკრძალვისა და აღკვეთის ღონისძიებების შესახებ კონვენციის მხარეს, და ასევე – მესაკუთრის მიმართ, თუ ეს სახელმწიფო ან მესაკუთრე წარადგენს (ან რომელმაც უკვე წარადგინა) სარჩელი კულტურულ მემკვიდრეობას მიკუთვნებულ ქონებაზე საკუთრების უკანონო იმპორტის, ექსპორტის და გადაცემის აკრძალვისა და აღკვეთის ღონისძიებების შესახებ UNESCO-ს 1970 წლის კონვენციის განხორციელების შესახებ კანონის მე-4 მუხლის საფუძველზე, როგორც ეს მითითებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1011a მუხლში ამ უკანასკნელის გაგებით მოძრავი ნივთის (ობიექტის) უკან დაბრუნებისათვის.

– 2. სასამართლო, რომელიც აკმაყოფილებს წინა პარაგრაფში მითითებულ სასარჩელო მოთხოვნას, მფლობელს აკუთვნებს სამართლიან კომპენსაციას იმ შემთხვევაში, თუ მან მოძრავი ნივთის შეძენისას გამოიჩინა აუცილებელი წინდახედულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნა შესაძლებელი იქნებოდა 3:86 მუხლის ნორმათა გამოყენებით კომპენსაციის თანხის გადახდის გარეშე.

– 3. კომპენსაცია ნებისმიერ შემთხვევაში მოიცავს 3:120 და 3:121 მუხლების საფუძველზე მფლობელისათვის გადასახდელ თანხას. ამ უკანასკნელის გადახდა ხდება მოძრავი ნივთის ფორმალური გადაცემის მომენტში.

მუხლი 3:87 გამსხვიების შესახებ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება

– 1. შემდგენმა მხარემ, რომელსაც ეკითხებიან იმის შესახებ, თუ ვინ გაასხვისა ქონება მასზე შეძენიდან სამი წლის განმავლობაში, დაუყოვნებლივ უნდა მოახდინოს ამ ინფორმაციის მიწოდება, რაც შესაძლებელს გახდის აღნიშნული პიროვნების გამოვლენას, ანდა – იმ ინფორმაციის მიწოდება, რომელიც შეძენის დროისათვის ამ მიზნისათვის საკმარისი იქნებოდა. თუ შემდგენი მხარე არ ასრულებს აღნიშნულ ვალდებულებას, ის ვერ მიუთითებს იმ დაცვაზე, რომელსაც 3:86, 3:86a და 3:86b მუხლები ანიჭებს შეძენისას კეთილსინდისიერად მოქმედ შემდგენ მხარეს, რომელმაც ქონება შეიძინა განკარგვის უფლებამოსილების არმქონე პირისაგან.

– 2. ფულის მიმართ წინა პარაგრაფის ნორმები არ გამოიყენება.

მუხლი 3:87a კულტურული ობიექტის შეძენისას აუცილებელი წინდახედულების გამოჩენა

– 1. იმის განსაზღვრისათვის, გამოიჩინა თუ არა მფლობელმა აუცილებელი წინდახედულება კულტურულ მემკვიდრეობას მიკუთვნებულ ქონებაზე საკუთრების უკანონო იმპორტის, ექსპორტის და გადაცემის აკრძალვისა და აღკვეთის ღონისძიებების შესახებ UNESCO-ს 1970 წლის კონვენციის განხორციელების შესახებ კანონის 1-ლი მუხლში მითითებული კულტურული ობიექტის შეძენისას, მხედველობაში მისაღებია შეძენის ყველა გარემოება, განსაკუთრებით კი:

a. მხარეთა ქმედუნარიანობა;

b. გადახდილი ფასი;

c. ის ფაქტი, მიიღო თუ არა მფლობელმა მოპარული კულტურული ობიექტების ხელმისაწვდომი რეესტრისგან რაიმე გონივრული კონსულტაცია და ნებისმიერი სხვა რელევანტური ინფორმაცია და დოკუმენტაცია, რომლის მიღებასაც ის გონივრულად შეძლებდა, ასევე – მიიღო თუ არა მფლობელმა ხელმისაწვდომი სააგენტოებისა და ინსტიტუტების კონსულტაცია;

d. ის ფაქტი, მიიღო თუ არა მფლობელმა ყველა სხვა ზომა, რაც გონივრულ პირს აღნიშნულ გარემოებებში უნდა მიეღო.

– 2. მოვაჭრე (დილერი), როგორც ის განსაზღვრულია სისხლის სამართლის კოდექსის 437-ე მუხლში, არ იჩენს კულტურული ობიექტის შეძენისას აუცილებელ წინდახედულებას, როგორც ეს მითითებულია 3:87b მუხლის პარ. 2-ში, თუ მან:

a. არ მოახდინა გამყიდველის იდენტიფიკაცია;

b. არ მოითხოვა გამყიდველის წერილობითი განცხადება იმის შესახებ, რომ ის უფლებამოსილია ობიექტის განკარგვაზე;

c. არ მოახდინა კულტურული ობიექტის წარმომავლობის, გამყიდველის სახელებისა და მისამართების, გამყიდველისათვის გადახდილი შეძენის ფასისა და ობიექტის აღწერილობის რეგისტრაცია აღნიშნული მოვაჭრის (დილერის) მიერ წარმოებულ რეესტრში;

d. მოპარული კულტურული ობიექტების რეესტრებისგან არ მიიღო კონსულტაცია, რაც მოცემულ გარემოებებში მეტად სასურველი იქნებოდა კულტურული ობიექტის ბუნების მხედველობაში მიღებით.

– 3. აუქციონის მომწყობი, რომელიც კულტურული ობიექტების საჯაროდ გასაყიდად შეგროვებისას (მიღებისას) არ მოქმედებს პარ. 1 და 2-ით გათვალისწინებული წინდახედულების მოთხოვნათა შესაბამისად, ანდა რომელიც კულტურულ ობიექტს უბრუნებს იმ პირს, რომელმაც მას შესთავაზა მისი გაყიდვა საჯარო აუქციონით, სჩადის დელიქტს (უკანონო მოქმედებას) იმ პირთა მიმართ, რომლებსაც შეუძლიათ ამ ობიექტის უკან დაბრუნების მოთხოვნით სარჩელის წარდგენა, როგორც ეს მითითებულია 3:86 მუხლში.

მუხლი 3:88 განკარგვის უფლებამოსილების არარსებობა (უძრავი ქონება და სახელობითი სავალო მოთხოვნები)

– 1. რეგისტრირებული ქონების, სახელობითი სავალო მოთხოვნებისა (ე. ი. ჩვეულებრივი არასერტიფიცირებული სავალო მოთხოვნების) თუ სხვა იმ ქონების გადაცემა განკარგვის უფლებამოსილების არმქონე გამსხვისებლის მიერ, რომელიც არ ვარდება 3:86 მუხლის მოქმედების ქვეშ, მაინც ნამდვილია, თუ შემძენი მხარე მოქმედებდა კეთილსინდისიერად, ხოლო განკარგვის უფლებამოსილების არარსებობა კი წარმოადგენს იმ თავდაპირველი გადაცემის შედეგს, რომლის ბათილობაც თავისთავად არ იყო გამონვეული გამსხვისებლის წინამორბედთა განკარგვის უფლებამოსილების არარსებობით.

– 2. პარ. 1 ვერ იქნება გამოყენებული 3:86a მუხლის პარ. 1 და 2-სა თუ 3:86b მუხლის პარ. 1-ში მითითებული სარჩელების (სარჩელის წარდგენის უფლებების) სანინააღმდეგოდ.

მუხლი 3:89 უძრავი ქონების ფორმალური გადაცემა

– 1. უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემისათვის საჭირო ფორმალური გადაცემა ხორციელდება ამ მიზნისათვის მხარეთა შორის გადაცემის სანოტარო აქტის შედგენით, რასაც მოჰყვება უძრავი ქონების რეესტრებში ამ აქტის რეგისტრაცია. როგორც შემძენ მხარეს, ისე გამსხვისებელს შეუძლია გადაცემის სანოტარო აქტის აღნიშნული რეესტრების მწარმოებლისათვის სარეგისტრაციოდ წარდგენა.

– 2. გადაცემის სანოტარო აქტი ზუსტად უნდა უთითებდეს საკუთრებაში გადაცემის სამართლებრივ საფუძველს; მეორადი პირობები, რომლებიც არ ეხება თავად გადაცემას, არ საჭიროებს აღნიშნულ აქტში ჩანერას.

– 3. როდესაც სანოტარო აქტის შედგენის მომენტში პირი მოქმედებს როგორც ერთ-ერთი მხარის წარმომადგენელი, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების (რწმუნების) შესახებ ზუსტად უნდა მიეთითოს გადაცემის სანოტარო აქტში.

– 4. წინამდებარე მუხლის წესები შესაბამისად გამოიყენება იმ ფორმალური გადაცემის მიმართ, რომელიც მოითხოვება სხვა რეგისტრირებული ქონების გადაცემისათვის, ნაცვლად უძრავი ქონებისა {როგორცაა რეგისტრირებული გემები და საჰაერო ხომალდები}.

მუხლი 3:90 მოძრავი ქონების ფორმალური გადაცემა

– 1. იმ არარეგისტრირებული მოძრავი ნივთების საკუთრებაში გადაცემისათვის საჭირო ფორმალური გადაცემა, რომლებიც გადაცემის მომენტში გამსხვისებლის მფლობელობაში იმყოფება, ხორციელდება ასეთ ნივთზე მფლობელობის შემძენი მხარისათვის გადაცემით.

– 2. როდესაც გამსხვისებელი აგრძელებს მოძრავ ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის განხორციელებას მისი ფორმალურად გადაცემის შემდეგ, ამ მოძრავ ნივთზე უკვე არსებული სანივთო უფლებების მქონე მესამე პირების მიმართ ფორმალურ გადაცემას ძალა ექნება მხოლოდ იმ მომენტიდან, როდესაც ეს ნივთი შემძენი მხარის ფაქტობრივი ძალაუფლების ქვეშ აღმოჩნდება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც უკვე არსებული სანივთო უფლებების მფლობელი დაეთანხმა გასხვისებას.

მუხლი 3:91 წინასწარი პირობით განხორციელებული გადაცემა

წინასწარი პირობით აქტივის გადაცემის ვალდებულების შესრულების მიზნით წინა პარაგრაფში ნახსენები ფორმალური გადაცემა ხორციელდება შემძენი მხარისათვის გადაცემულ ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის განხორციელების შესაძლებლობის მინიჭებით.

მუხლი 3:92 პირობადებული საკუთრება

– 1. როდესაც გამსხვისებლის მიერ სხვა პირის ფაქტობრივი ძალაუფლების ქვეშ გადაცემულ არარე-

გისტრირებულ მოძრავ ნივთთან დაკავშირებით ხელშეკრულებაში მხარეთა განზრახვას წარმოადგენს გამსხვისებლის მიერ ამ ნივთზე საკუთრების უფლების შენარჩუნება მანამდე, სანამ არ შესრულდება აღნიშნული სხვა პირის მიერ ნაკისრი ვალდებულება, – ეს ხელშეკრულება მიიჩნევა დადებული ვალდებულების სრულად შესრულების პირობით.

– **2.** გამსხვისებელს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია გადასაცემ ნივთებთან მიმართებაში პირობადებული საკუთრების შესახებ აღნიშნული ნამდვილი დათქმის გაკეთება, თუ ეს ხორციელდება სავალო მოთხოვნათა გადახდასთან როგორც სამაგიერო შესრულებასთან დაკავშირებით, რომლებიც ეკისრება შემდგომ მხარეს გამსხვისებლის მიერ მისთვის მიწოდებული ანდა მომავალში მისაწოდებელი ნივთებისათვის იგივე ან სხვა ხელშეკრულების შესაბამისად ანდა გამსხვისებლის მიერ აღნიშნული ხელშეკრულების შესაბამისად მის სასარგებლოდ განეული ან მომავალში გასანევი მომსახურებისათვის, ისევე როგორც – ასეთივე ხელშეკრულებების შეუსრულებლობისათვის გამსხვისებელზე დაკისრებულ საკომპენსაციო მოთხოვნებთან დაკავშირებით. რამდენადაც ხელშეკრულებაში მოცემული პირობა ზემოაღნიშნული წინადადების ნორმასთან შეუსაბამობის გამო ბათილია, სამართლებრივი თვალსაზრისით ითვლება, რომ ის არასოდეს ყოფილა შეთანხმებული.

– **3.** პარ. 1-ში ნახსენები პირობა ასევე მიიჩნევა შესრულებულად, როდესაც შეთანხმებული სამაგიერო შესრულების მიღებასთან დაკავშირებული გამსხვისებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ხდება სხვაგვარად, ვიდრე ამ კონკრეტული სამაგიერო შესრულების რეალური შექენით ან როდესაც შემდგომ მხარე ამ საკითხთან დაკავშირებით თავისუფლდება მასზე დაკისრებული ვალდებულებისაგან 6:60 მუხლის ნორმების შესაბამისად ანდა – როდესაც სამაგიერო შესრულების მოთხოვნასთან დაკავშირებით გამსხვისებლის სარჩელის უფლება ზღვრული ვადის გასვლის გამო გახდა ხანდაზმული. თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმებულან, იგივე წესი მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც გამსხვისებელმა უარი თქვა კუთვნილ უფლებაზე, მოითხოვოს შეთანხმებული სამაგიერო შესრულება.

მუხლი 3:92a {გაუქმებულია 01.075.20086.}

მუხლი 3:93 საორდერო ან სანარმდგენლო სავალო მოთხოვნების ფორმალური გადაცემა

როდესაც სანარმდგენლო სავალო მოთხოვნასთან დაკავშირებული ბრუნვაუნარიანი დოკუმენტი იმყოფება გამსხვისებლის ფაქტობრივი ბატონობის ქვეშ, ასეთი სავალო მოთხოვნის ფორმალური გადაცემა ხორციელდება ამ დოკუმენტის შემდგომის მფლობელობაში გადაცემით, როგორც ეს მითითებულია 3:90, 3:91 და 3:92 მუხლებში და ამავე მუხლებში მოცემული ზემოქმედებით. როდესაც საორდერო სავალო მოთხოვნასთან დაკავშირებული ბრუნვაუნარიანი დოკუმენტი იმყოფება გამსხვისებლის ფაქტობრივი ბატონობის ქვეშ, იგივე წესი მოქმედებს ასეთი მოთხოვნის გადაცემის მიმართაც იმ პირობით, რომ ფორმალური გადაცემისათვის მოითხოვება ასევე ინდოსამენტიც.

მუხლი 3:94 სახელობითი სავალო მოთხოვნების ფორმალური გადაცემა

– **1.** წინა მუხლში გათვალისწინებულიაგან განსხვავებულ ვითარებაში მხოლოდ ერთი ან მეტი კონკრეტული პირის მიმართ განსახორციელებელი მოთხოვნის უფლებათა ფორმალური გადაცემა ხდება კერძო ან სანოტარო აქტის მეშვეობით, რომელიც ამ მიზნით დგება გამსხვისებელსა და შემდგომ მხარეს შორის და რომელსაც შემდგომში მოჰყვება გამსხვისებლისა თუ შემდგომ მხარის მიერ ასეთი გადაცემის შესახებ იმ პირებისათვის გაგზავნილი შეტყობინება, რომლის მიმართაც უნდა მოხდეს სავალო მოთხოვნის რეალიზაცია.

– **2.** თუმცაღა, მხოლოდ იმ კონკრეტული პირის მიმართ განსახორციელებელი მოთხოვნის უფლების ფორმალურ გადაცემას, რომელიც ჯერ კიდევ უცნობია კერძო ან სანოტარო აქტის შედგენის მომენტი-სათვის, აქვს უკუქცევითი ძალა აღნიშნული მომენტისათვის, თუ გადაცემის შესახებ აუცილებელი შეტყობინება მყისიერად მოხდება მას შემდეგ, როგორც კი ცნობილი გახდება ამ პირის პიროვნება.

– **3.** ზემოაღნიშნული სავალო მოთხოვნების {სახელობითი სავალო მოთხოვნების} ფორმალური გადაცემა შეიძლება განხორციელდეს ასევე სანოტარო აქტისა თუ რეგისტრირებული კერძო აქტის მეშვეობით, რომელიც ამ მიზნისათვის შედგენილია გამსხვისებელსა და შემდგომ მხარეს შორის ამის შესახებ იმ პირებისათვის შესაბამისი შეტყობინების გარეშე, რომელთა მიმართაც ეს სავალო მოთხოვნები უნდა იქნეს რეალიზებული იმ პირობით, თუ ეს მოთხოვნები ფორმალური გადაცემის მომენტში უკვე არსებობს ანდა მათი შექენა პირდაპირ მოხდება აღნიშნულ მომენტში უკვე არსებული სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე. შემდგომ მხარეს ფორმალურ გადაცემაზე მითითება შეუძლია მხოლოდ იმ პირების მიმართ,

რომელთა წინააღმდეგაც ეს სავალო მოთხოვნები უნდა იქნეს რეალიზებული მას შემდეგ, რაც ამ პირებს საკუთრებაში გადაცემის შესახებ შეატყობინებს გამსხვისებელი ან შემძენი მხარე. იმ მხარისათვის, რომელმაც შეიძინა წინამდებარე პარაგრაფის პირველი წინადადების შესაბამისად მისთვის ფორმალურად გადაცემული სავალო მოთხოვნა, 3:88 მუხლის პარ. 1-ის ნორმები მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი კეთილსინდისიერება ჯერ კიდევ არსებობს მეორე წინადადებაში მითითებული შეტყობინების წარდგენის მომენტში.

– 4. იმ პირებს, რომელთა მიმართაც უნდა მოხდეს სავალო მოთხოვნის რეალიზაცია, შეუძლიათ მოითხოვონ მათთვის სანოტარო ან კერძო აქტისა და მისი სამართლებრივი საფუძვლის შესახებ შემაჯამებელი ინფორმაციის წერილობითი ფორმით გადმოცემა. ეს შემაჯამებელი ინფორმაცია უნდა დადასტურდეს გამსხვისებლის მიერ, თუმცა არ არის აუცილებელი, ისინი შეიცავდეს იმ პირობებს, რომლებიც არ არის მნიშვნელოვანი სხვა პირებისათვის, ნაცვლად თავად გადაცემის მხარეებისა. როდესაც სამართლებრივი საფუძველი არ არის მოცემული სანოტარო აქტსა თუ კერძო აქტში, მისი შინაარსის შესახებ შემაჯამებელი ინფორმაცია უნდა იქნეს მოცემული წერილობითი ფორმით.

მუხლი 3:95 სხვა ქონებრივი უფლებების ფორმალური გადაცემა

იმ ქონების ფორმალური გადაცემა, რომელსაც არ მოიცავს 3:89 მუხლიდან 3:94 მუხლის ჩათვლით ნორმები, ხორციელდება კერძო აქტის მეშვეობით, რომელიც ამ მიზნისათვის შედგენილია გამსხვისებელსა და შემძენ მხარეს შორის 3:96 და 3:98 მუხლების ნორმათა ჯეროვანი დაცვით.

მუხლი 3:96 საერთო ქონებაში წილის ფორმალური გადაცემა

საერთო ქონებაში წილის ფორმალური გადაცემა ხორციელდება იგივე გზითა და შესაბამისი შედეგით, როგორც თავად ქონების ფორმალური გადაცემა.

მუხლი 3:97 სამომავლო ქონების ფორმალური გადაცემა

– 1. სამომავლო ქონების ფორმალური გადაცემა შეიძლება განხორციელდეს წინასწარ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აკრძალულია მხარეთა მიერ ამ ქონების ხელშეკრულების საგნად ქცევა ანდა საქმე ეხება უძრავ ქონებას.

– 2. სამომავლო ქონების წინასწარ ფორმალურ გადაცემას არა აქვს ძალა იმ რომელიმე პირის მიმართ, რომელმაც ეს სამომავლო ქონება უფრო ადრე შეიძინა წინასწარი ფორმალური გადაცემის საფუძველზე. თუ საქმე ეხება სამომავლო მოძრავ ნივთს, მაშინ ფორმალური გადაცემა ძალმოსილი იქნება მხოლოდ იმ მომენტიდან, როდესაც შემძენი მხარე რეალურად განახორციელებს ამ ნივთზე ფაქტობრივ ბატონობას.

მუხლი 3:98 შეზღუდული სანივთო უფლებების გადაცემა, უფლებრივი დატვირთვა და მათზე უარი

თუ კანონი სხვაგვარად არ ითვალისწინებს, წინამდებარე განყოფილების ყველა ნორმა, რომელიც ეხება ქონების გადაცემას, შესაბამისად გამოიყენება ასეთ ქონებაზე არსებული შეზღუდული სანივთო უფლებების გადაცემის, უფლებრივი დატვირთვისა და მათზე უარის მიმართაც.

განყოფილება 3.4.3 – ქონების შეძენა და დაკარგვა ხანდაზმულობით

მუხლი 3:99 შეძენითი ხანდაზმულობა

– 1. არარეგისტრირებულ მოძრავ ნივთებსა და საორდერო და სანარმდგენლო სავალო მოთხოვნებზე ქონებრივი უფლებების შეძენა კეთილსინდისიერი მფლობელის მიერ ხდება ამ ნივთის ან, შესაბამისად, ბრუნვაუნარიანი დოკუმენტის სამი წლის განმავლობაში უწყვეტი ფლობის შემდეგ; სხვა ქონებაზე ქონებრივი უფლებების შეძენა კეთილსინდისიერი მფლობელის მიერ ხდება შესაბამისი აქტივის ათი წლის განმავლობაში უწყვეტი ფლობის შემდეგ.

– 2. პარ. 1 არ გამოიყენება იმ მოძრავი ნივთების მიმართ, რომლებიც კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციის შესახებ კანონის შესაბამისად კვალიფიცირდება როგორც დაცული ობიექტი ან რომელიც ქმნის საჯარო კოლექციისა თუ ინვენტარის ნაწილს, როგორც ეს მითითებულია ამ კანონის 14a მუხლის მეორე პარაგრაფში იმ პირობით, რომ ასეთ ობიექტზე მფლობელობა დაიწყო აღნიშნული კვალიფიკაციის შემდეგ ანდა დროის იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ობიექტი იყო საჯარო კოლექციისა თუ ინვენტარის ნაწილი, როგორც აღწერილია წინამდებარე პარაგრაფში.

– 3. პარ. 1 ვერ იქნება გამოყენებული 3:86a მუხლის პარ. 1-სა და 3:86b მუხლის პარ. 1-ში მითითებული სარჩელების (სარჩელის წარდგენის უფლებების) მიმართ.

მუხლი 3:100 გარდაცვლილის ქონების მფლობელობაში მიღება

ის პირი, რომელმაც მფლობელობაში მიიღო გარდაცვლილი პირის მთლიანი ქონება, ვერ შეიძენს ამ ქონებას ან მასში აქტივებს (ქონებრივ უფლებებს) ხანდაზმულობით იმ მომენტამდე, სანამ ხანდაზმული არ გახდება მესაკუთრის სარჩელის უფლება, მოითხოვოს გარდაცვლილის ქონება.

მუხლი 3:101 შეძენითი ხანდაზმულობის დენის დაწყება

შეძენითი ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება მფლობელობის დაწყების დღიდან.

მუხლი 3:102 თავდაპირველი შეძენითი ხანდაზმულობის ვადის დენის გაგრძელება

– 1. როდესაც პირმა სხვა პირისაგან აქტივზე მფლობელობა შეიძინა უნივერსალური სამართლებრივი საფუძვლით, თავდაპირველი შეძენითი ხანდაზმულობის ვადის დენა გაგრძელდება ახალი მფლობელის სასარგებლოდაც.

– 2. იგივე წესი მოქმედებს იმ მფლობელის მიმართ, რომელმაც ვინმეს კუთვნილ აქტივზე მფლობელობა კეთილსინდისიერად შეიძინა სხვა საფუძვლით, ნაცვლად უნივერსალური სამართლებრივი საფუძვლით შეძენისა.

მუხლი 3:103 მფლობელობის არანებაყოფლობითი დაკარგვა

მფლობელობის არანებაყოფლობითი დაკარგვა არ აჩერებს უკვე დაწყებული შეძენითი ხანდაზმულობის ვადის დენას იმ პირობით, თუ ერთი წლის განმავლობაში მოხდება მფლობელობის დაბრუნება ანდა წარდგენილი იქნება სასარჩელო მოთხოვნა, რომლის შედეგადაც საბოლოო ჯამში მოხდება მფლობელობის აღდგენა.

მუხლი 3:104 შეძენითი ხანდაზმულობის ვადის შეჩერება ან გახანგრძლივება

– 1. როდესაც ხდება სხვა პირის მფლობელობის შეწყვეტის მოთხოვნით წარდგენილი სარჩელის უფლების (სასარჩელო მოთხოვნის) მიმდინარე ხანდაზმულობის ვადის შეჩერება ან გახანგრძლივება, მაშინ ამასთან ერთად ადგილი აქვს ასევე შეძენითი ხანდაზმულობის ვადის შეჩერებასა თუ გახანგრძლივებასაც.

– 2. წინამდებარე და შემდეგი ორი მუხლის მიზნებისათვის სარჩელის უფლების (სასარჩელო მოთხოვნის) ხანდაზმულობა მოიცავს სასამართლოს იმ გადაწყვეტილების აღსრულების უფლების ხანდაზმულობასაც, რომლითაც დაკმაყოფილდა სასარჩელო მოთხოვნა სხვა პირის მფლობელობის შეწყვეტის მოთხოვნით.

მუხლი 3:105 მფლობელის მიერ ქონების შეძენა შეძენითი ხანდაზმულობით

– 1. პირი, ვინც აქტივს (ქონებრივ უფლებას) ფლობს იმ მომენტში, როდესაც ამ მფლობელობის შეწყვეტის მოთხოვნით წარდგენილი სარჩელის უფლება (სასარჩელო მოთხოვნა) ხანდაზმული გახდა, იქნის ამ აქტივს იმ შემთხვევაშიც კი, თუ ის არ ფლობს მას კეთილსინდისიერად.

– 2. როდესაც პირმა დაკარგა მფლობელობა ზემოაღნიშნულ მომენტამდე, თუმცა ხელახლა იბრუნებს მას მისი დაკარგვიდან ერთი წლის განმავლობაში ანდა იბრუნებს მას იმ სასარჩელო მოთხოვნის შედეგად, რომელიც წარდგენილ იქნა ამ წლის განმავლობაში, მაშინ ეს პირი მიიჩნევა წინა პარაგრაფში მითითებულ მფლობელად.

მუხლი 3:106 შეზღუდული სანივთო უფლების გაქარწყლება

მას შემდეგ, რაც შეზღუდული სანივთო უფლების მფლობელის მესაკუთრის მიმართ ხანდაზმული გახდა იმ ვითარების შეწყვეტის მოთხოვნით წარდგენილი სარჩელის უფლება (სასარჩელო მოთხოვნა), რომელიც წინააღმდეგობაშია მის შეზღუდულ სანივთო უფლებასთან, ეს უკანასკნელი ქარწყლდება, რამდენადაც ის ველარ განხორციელდება ამ კონფლიქტური ვითარების არსებობის გამო.

ტიტული 3.5 – მფლობელობა და მპყრობელობა

მუხლი 3:107 აქტივების მფლობელობა და მპყრობელობა

- 1. მფლობელობა წარმოადგენს ისეთ სამართლებრივ მდგომარეობას, რომლის დროსაც პირი სათავისოდ ფლობს აქტივს.
- 2. როდესაც პირი ფლობს აქტივს ვინმე სხვა პირის ჩარევის გარეშე, რომელიც ფლობს ამ აქტივს მისთვის, მაშინ მას აქვს პირდაპირი მფლობელობა (საკუთრებითი მფლობელობა).
- 3. როდესაც პირი ფლობს აქტივს სხვა პირის მეშვეობით, რომელიც ფლობს ამ აქტივს მისთვის, მაშინ მას აქვს არაპირდაპირი მფლობელობა.
- 4. მპყრობელობაც შესაბამისად არის პირდაპირი ან არაპირდაპირი.

მუხლი 3:108 მფლობელის ან მპრობელის სახით აქტივის ფლობა

ის საკითხი, ფლობს თუ არა ვინმე აქტივს და ასევე ფლობს თუ არა ის სათავისოდ {მფლობელობა} ან სხვა პირისათვის {მპყრობელობა} უნდა განისაზღვროს ზოგადი შეხედულებით წინამდებარე განყოფილების წესების ჯეროვანი დაცვითა და, გარდა ამისა, – გარეგანი ფაქტების საფუძველზეც.

მუხლი 3:109 მფლობელის სახით აქტივის ფლობის პრეზუმფცია

პირი, ვინც ფლობს აქტივს, ივარაუდება, რომ მას სათავისოდ ფლობს.

მუხლი 3:110 მიღებული აქტივის დაუყოვნებლივ სხვა პირისათვის ფლობა

თუ ორ პირს შორის სამართლებრივი ურთიერთობა გულისხმობს იმას, რომ, როდესაც ერთ-ერთი მათგანი რაიმეს კონკრეტული ხერხით იძენს, ის მომავალში განახორციელებს ფლობას სხვა პირისათვის, მაშინ ის – ამ ურთიერთობის შესაბამისად – გააგრძელებს იმის ფლობას, რაც მან შეიძინა დაუყოვნებლივ ამ სხვა პირისათვის.

მუხლი 3:111 მპყრობელობის გაგრძელება

პირი, რომელმაც სამართლებრივი ურთიერთობის ძალით დაიწყო აქტივის სხვა პირისათვის ფაქტობრივი ბატონობა {მპყრობელობა}, გააგრძელებს ამ ბატონობას იმავე სამართლებრივ საფუძველზე მანამდე, სანამ არ გამოიკვეთება, რომ ეს საწყისი მდგომარეობა შეიცვალა იმ პირის მოქმედების შედეგად, ვის სასარგებლოდაც ის ახორციელებს ამ აქტივზე ფაქტობრივ ბატონობას, ანდა – ამ პირის უფლებასთან წინააღმდეგობის შედეგად.

მუხლი 3:112 მფლობელობის შექმნა

მფლობელობის შექმნა ხდება დაუფლებით (აქტივზე ფაქტობრივი მფლობელობის მიღებით), გადაცემით ანდა – უნივერსალური სამართლებრივი საფუძველით შექმნით.

მუხლი 3:113 მფლობელობის დაუფლება

- 1. პირი აქტივზე მფლობელობას მოიპოვებს შესაბამისი ნივთის სათავისოდ ფლობის განზრახვით ფაქტობრივ ბატონობაში მიღებით ისე, თითქოსდა ეს ნივთი მიეკუთვნებოდა მის ქონებას.
- 2. როდესაც სხვა პირი ფლობს აქტივს, ფაქტობრივი ბატონობის ძალისხმევით რამდენიმე იზოლირებული ფაქტი არ არის საკმარისი ამ აქტივზე მფლობელობის დაუფლების გზით მისაღებად.

მუხლი 3:114 მფლობელობის გადაცემა

მფლობელი თავის მფლობელობას გადასცემს შემძენი მხარისათვის შესაბამის ნივთზე იგივე ფაქტობრივი ბატონობის განხორციელების შესაძლებლობის მინიჭებით, რაც მას თავად შეეძლო.

მუხლი 3:115 მფლობელობის გადაცემა მხოლოდ და მხოლოდ ორმხრივი განცხადების გაკეთების გზით

მფლობელობის გადაცემა შესაძლებელია ორმხრივი განცხადების გაკეთების გზით რაიმე ფიზიკური მოქმედების გარეშე:

- a. როდესაც გამსხვისებელი გადაცემის მომენტში ფლობს შესაბამის ნივთს და ის დაეთანხმა იმას, რომ ფაქტობრივი გადაცემის მომენტში დადებული დათქმის (სახელშეკრულებო დებულების) ძალით ის გააგრძელებს ამ ნივთის ფლობას ამიერიდან უკვე შემძენი მხარის სასარგებლოდ;

b. როდესაც შემძენი მხარე გადაცემამდე უკვე ფლობდა შესაბამის ნივთს გამსხვისებლის სასარგებლოდ;

c. როდესაც მესამე პირი გადაცემამდე შესაბამის ნივთს გამსხვისებლის სასარგებლოდ ფლობდა და ის აგრძელებს მის ფლობას შემდგომშიც შემძენი მხარის სასარგებლოდ. ასეთ ვითარებაში მფლობელობა არ გადადის იმ მომენტამდე, როდესაც ან მესამე პირი არ აღიარებს გადაცემას ანდა გამსხვისებელი თუ შემძენი მხარე არ შეატყობინებს მესამე პირს გადაცემის შესახებ.

მუხლი 3:116 უნივერსალური სამართალმემკვიდრეობით მიღებული მფლობელობა და მპყრობელობა

პირი, რომელმაც უნივერსალური სამართალმემკვიდრეობით შეიძინა სხვა პირის ქონება, მემკვიდრეობით იღებს ამ უკანასკნელის როგორც მფლობელისა და მპყრობელის მდგომარეობას ყველა იმ ნიშნ-თვისებასა და ხარვეზთან ერთად, რომელიც მას ახლავს.

მუხლი 3:117 მფლობელობის დაკარგვა

– 1. აქტივის მფლობელი პირი კარგავს თავის მფლობელობას, როდესაც ის აშკარად ტოვებს ამ აქტივს ანდა როდესაც სხვა პირი იძენს მასზე მფლობელობას.

– 2. როგორც კი პირი შეიძენს განსაზღვრულ აქტივს, ის აგრძელებს მასზე მფლობელობას მანამდე, სანამ სახეზე არ იქნება წინა პარაგრაფში მითითებული მფლობელობის დაკარგვის ერთ-ერთი საფუძველთაგანი.

მუხლი 3:118 კეთილსინდისიერი მფლობელობა

– 1. მფლობელი კეთილსინდისიერია, როდესაც მის მიერ მფლობელობის შეძენის მომენტში ის თავის თავს მიიჩნევდა შესაბამისი აქტივის მესაკუთრედ და გონივრულად შეეძლო მიეჩნია თავისი თავი ასეთად.

– 2. როგორც კი პირი გახდება კეთილსინდისიერი, მიიჩნევა, რომ ის რჩება კეთილსინდისიერად (მიუხედავად იმ ინფორმაციისა, რასაც ის შემდგომში იღებს).

– 3. კეთილსინდისიერების ფაქტის არსებობა ივარაუდება; კეთილსინდისიერების არარსებობა უნდა დამტკიცდეს.

მუხლი 3:119 მფლობელობა ქმნის უფლებამოსილების არსებობის სამართლებრივ პრეზუმფციას

– 1. ივარაუდება, რომ განსაზღვრული აქტივის მფლობელი წარმოადგენს მის მესაკუთრეს.

– 2. ეს პრეზუმფცია არ გამოიყენება რეგისტრირებული ქონების მიმართ, როდესაც დგინდება, რომ მეორე მხარე ან მისი უფლებამონაცვლე ადრე იყვნენ მესაკუთრეები, რომლის დროსაც თავად მფლობელს არ შეუძლია შემდგომში იმ კონკრეტულ სამართლებრივ საფუძველზე განხორციელებული შეძენის გასაჩივრება, რომლისათვისაც აუცილებელია საჯარო რეესტრებში რეგისტრაცია.

მუხლი 3:120 კეთილსინდისიერი მფლობელობა (ნაყოფი, ხარჯები, ზიანი და დაკავების უფლება)

– 1. აქტივიდან გამოცალკევებული ბუნებრივი ნაყოფი და ვადამოსული და გადასახდელი სამოქალაქო ნაყოფი ეკუთვნის იმ მფლობელს, რომელიც კეთილსინდისიერად ფლობს ნაყოფის მომცემ აქტივს.

– 2. აქტივის მესაკუთრემ, რომელიც ითხოვს ამ აქტივის დაბრუნებას კეთილსინდისიერი მფლობელისაგან ანდა რომელმაც ეს აქტივი დაიბრუნდა ასეთი მფლობელისაგან, ამ უკანასკნელს უნდა აუნაზღაუროს ის ხარჯები, რომლებიც მფლობელმა გასწია აღნიშნულ აქტივთან დაკავშირებით, და ასევე – ის ზარალი, რაზეც მფლობელი აქტივის მფლობელობასთან დაკავშირებით პასუხისმგებელია მესამე პირების წინაშე სამოქალაქო კოდექსის 6.3 ტიტულის ნორმების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მფლობელმა უკვე მიიღო კომპენსაცია აღნიშნული ხარჯებისა თუ პასუხისმგებლობისათვის მფლობელობის პერიოდში აქტივიდან მიღებული ნაყოფით ანდა მისი მფლობელობის საფუძველზე მიღებული სხვაგვარი სარგებლით. სასამართლოს შეუძლია შეამციროს გადასახდელი საკომპენსაციო თანხა, თუ კომპენსაციის სრული ოდენობით გადახდა გამოინვევდა მფლობელისათვის მესაკუთრის მიმართ არაგონივრული უპირატესობის მინიჭებას.

– 3. მანამდე, სანამ წინა პარაგრაფში მითითებული საკომპენსაციო თანხა არ იქნება გადახდილი, კეთილსინდისიერი მფლობელს შეუძლია უარი თქვას აქტივის მესაკუთრისათვის გადაცემასთან დაკავშირებით მასზე დაკისრებული ვალდებულების შესრულებაზე.

– 4. წინამდებარე მუხლის ნორმები გამოიყენება ასევე იმ პირის მიმართაც, რომელსაც სჯერა და გო-

ნივრულად შეეძლო ევარაუდა, რომ მან მართლზომიერად შეიძინა შესაბამისი აქტივი მიუხედავად იმისა, რომ მისთვის ცნობილია იმის თაობაზე, რომ სავარაუდოდ არსებული ქონებრივი უფლების სამართლებრივი გადაცემისათვის აუცილებელ ოპერაციებსა და ფორმალობებს ადგილი არ ჰქონია.

მუხლი 3:121 არაკეთილსინდისიერი მფლობელობა (ნაყოფი, ხარჯები და ზიანი)

– 1. არაკეთილსინდისიერი მფლობელი მესაკუთრის წინაშე ვალდებულია არა მარტო თავად აქტივის დაბრუნებაზე, არამედ ასევე მიღებული ბუნებრივი ნაყოფისა და ვადამოსული და გადასახდელი სამოქალაქო ნაყოფის გადაცემაზეც ისე, რომ არ გამოირიცხება სამოქალაქო კოდექსის ნ.3 ტიტულის ნორმებიდან გამომდინარე მისი პასუხისმგებლობა მესაკუთრის მიერ განცდილი ზიანისათვის.

– 2. წინა პარაგრაფში მითითებული მფლობელი მხოლოდ იმ შემთხვევაში არის უფლებამოსილი, მოითხოვოს აქტივის სასარგებლოდ ან ნაყოფის მიღებაზე განეული ხარჯების ანაზღაურება, როდესაც ასეთი საკომპენსაციო თანხის მოთხოვნას ის შეძლებდა უსაფუძვლო გამდიდრების მომწესრიგებელი კანონის-მიერი ნორმების საფუძველზე.

– 3. წინამდებარე მუხლის ნორმები მოქმედებს ასევე კეთილსინდისიერი მფლობელის მიმართაც იმ მომენტიდან, როდესაც მესაკუთრემ წარადგინა მის მიმართ თავისი უფლების რეალიზაციის მოთხოვნა.

მუხლი 3:122 მესაკუთრეს სურს აქტივის გადაცემა, ნაცვლად საკომპენსაციო თანხის გადახდისა

თუ მესაკუთრეს წინა ორ მუხლში მითითებული საკომპენსაციო თანხების გადახდის ვალდებულებებისაგან გათავისუფლების მიზნით სურს საკუთარი ხარჯით გადასცეს აქტივი მფლობელს, მაშინ ამ უკანასკნელმა ამ საკითხში უნდა ითანამშრომლოს მასთან.

მუხლი 3:123 მფლობელის უფლება, მოახდინოს მის მიერ აქტივის მიმართ განხორციელებული ცვლილებებისა თუ დამატებების მოცილება

მფლობელს, რომელმაც ნივთის მიმართ განახორციელა ცვლილებები ან დამატებები, შეუძლია – ნაცვლად 3:120 და 3:121 მუხლებში მითითებული საკომპენსაციო თანხის მოთხოვნისა – მოახდინოს ამ ცვლილებებისა თუ დამატებების მოცილება იმ პირობით, თუ ის ალადგენს ნივთს თავის თავდაპირველ მდგომარეობაში.

მუხლი 3:124 მპყრობელობის მიმართ 3:120-3:123 მუხლების ნორმების შესაბამისი გამოყენება

როდესაც პირი აქტივს ფლობს ვინმე სხვა პირის სასარგებლოდ {მპყრობელობა}, ხოლო ის მესამე პირი კი, ვინც აცხადებს, რომ თავად წარმოადგენს ამ აქტივის მესაკუთრეს, ამ პირისგან ითხოვს მას როგორც საკუთარ ქონებას, მაშინ, რამდენადაც საქმე ეხება მფლობელის მდგომარეობას, წინა ოთხი მუხლის ნორმები შესაბამისად გამოიყენება ამ მფლობელის როგორც აქტივის მპყრობელის მიმართ იმ სამართლებრივი ურთიერთობის ჯეროვანი დაცვით, რომელშიც ეს მპყრობელი იმყოფება იმ პირის წინაშე, ვისთვისაც ის ახორციელებს აქტივის პყრობას.

მუხლი 3:125 აქტივის მფლობელისა და მპყრობელის სარჩელები მესამე პირების მიმართ

– 1. პირს, რომელმაც შეიძინა აქტივზე მფლობელობა, შეუძლია ამ საფუძველზე – შემდგომში მფლობელობის არანებაყოფლობითი დაკარგვისა თუ მისი ხელყოფის შემთხვევაში – მესამე პირების მიმართ თავისი მფლობელობის დაბრუნებისა თუ ხელშეშლის აღკვეთის მიზნით წარადგინოს იგივე სარჩელები, რომლებიც აქვს ამ აქტივის მესაკუთრეს. თუმცადა, ეს სარჩელის უფლებები უნდა იქნეს რეალიზებული მფლობელობის დაკარგვისა თუ მისი ხელყოფის მომენტიდან ერთი წლის განმავლობაში.

– 2. წინა პარაგრაფში მითითებული სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება, თუ მოპასუხეს აქვს აქტივის ფლობისა თუ მისი სარგებლობის უკეთესი სამართლებრივი საფუძველი, ვიდრე მოსარჩელეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოპასუხემ აქტივი შეიძინა ან ამ აქტივით ისარგებლა ძალის გამოყენებით ან ფარული გზით.

– 3. მფლობელი და მპყრობელი ყოველთვის არიან უფლებამოსილი, წარადგინონ სარჩელი მესამე პირების მიმართ დელიქტის საფუძველზე იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც გასულია პარ. 1-ში მითითებული ერთწლიანი ვადა იმ პირობით, რომ დაკმაყოფილებულია ასეთი სარჩელისათვის გათვალისწინებული სამართლებრივი მოთხოვნები.

ტიტული 3.6 – ქონების (მინდობით) მართვა {ამ ტიტულის მიღება გადავადებულია}

ტიტული 3.7 – საერთო საკუთრება

განყოფილება 3.7.1 – ზოგადი დებულებები

მუხლი 3:166 „საერთო საკუთრების“ განმარტება

- 1. საერთო საკუთრება სახეზეა, როდესაც ერთი ან მეტი აქტივი (ქონებრივი უფლებები) ერთობლივად ეკუთვნის ორ ან მეტ თანამესაკუთრეს.
- 2. საერთო საკუთრებაში თანამესაკუთრეთა წილები თანაბარია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც თანამესაკუთრეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობიდან სხვაგვარი შედეგი გამომდინარეობს.
- 3. თანამესაკუთრეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობა ექვემდებარება სამოქალაქო კოდექსის ნ:2 მუხლში გათვალისწინებულ გონივრულობისა და სამართლიანობის პრინციპს.

მუხლი 3:167 საერთო საკუთრებაში შემავალი აქტივების ჩანაცვლება

საერთო საკუთრებას განეკუთვნება ის აქტივებიც, რომლებიც მიიჩნევა, რომ იკავებს საერთო საკუთრებაში შემავალი აქტივების ადგილს.

მუხლი 3:168 საერთო საკუთრებაში შემავალი აქტივებით სარგებლობის, მათი გამოყენებისა და მართვის წესი

- 1. თანამესაკუთრეებს შეუძლიათ დადონ ხელშეკრულებები საერთო საკუთრებაში შემავალი აქტივებით სარგებლობასთან, მათ გამოყენებასა და მართვასთან დაკავშირებით.
- 2. რამდენადაც ასეთი ხელშეკრულებები სახეზე არ არის, რაიონულ სასამართლოს შესაბამისი მხარის მოთხოვნის საფუძველზე შეუძლია აღნიშნული მიზნით დაადგინოს შესაბამისი წესები აუცილებლობის შემთხვევაში საერთო საკუთრებაში შემავალ ერთ ან რამდენიმე აქტივზე მინდობით მართვის დამატებით. სასამართლოს ასეთი გადაწყვეტილების მიღებისას რაიონული სასამართლო სამართლიანობის პრინციპის ჯეროვანი დაცვით მხედველობაში იღებს როგორც თანამესაკუთრეთა, ისე საჯარო ინტერესებს.
- 3. შესაბამისი მხარის მოთხოვნის საფუძველზე რაიონულ სასამართლოს გაუთვალისწინებელი გარემოებების არსებობისას შეუძლია შეცვალოს ან შეწყვიტოს საერთო საკუთრებაში შემავალი აქტივებით სარგებლობასთან, მათ გამოყენებასა და მართვასთან დაკავშირებით დადებული ხელშეკრულება ან სასამართლოს მიერ დადგენილი წესები.
- 4. საერთო საკუთრებაში შემავალი აქტივებით სარგებლობასთან, მათ გამოყენებასა და მართვასთან დაკავშირებით დადებული ხელშეკრულება ან სასამართლოს მიერ დადგენილი წესები მბოჭავია ასევე თანამესაკუთრის უფლებამონაცვლეთათვისაც.
- 5. სამოქალაქო კოდექსის 4:154, 4:157 მუხლებიდან 4:166, 4:168, 4:172, 4:173 და 4:174 მუხლების ჩათვლით ნორმები შესაბამისად გამოიყენება პარ. 2-ის ძალით დადგენილი ქონების მინდობით მართვის მიმართ, რამდენადაც რაიონულმა სასამართლომ ამავდროულად სხვაგვარი განკარგულება არ მიიღო იმ პირობით, რომ რაიონული სასამართლოს მიერ კონკრეტული გარემოებების საფუძველზე 4:159 მუხლში ნახსენები საზღაური შეიძლება სხვა თანხით განისაზღვროს და რომ 4:160 მუხლში მითითებული უზრუნველყოფის ნარდგენის შესახებ დადგენილება შეიძლება ნებისმიერ დროს იქნეს მიღებული.

მუხლი 3:169 საერთო საკუთრებაში შემავალი აქტივების გამოყენების უფლება

გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საერთო საკუთრებაში შემავალი აქტივებით სარგებლობასთან, მათ გამოყენებასა და მართვასთან დაკავშირებით დადებული ხელშეკრულება ან სასამართლოს მიერ დადგენილი წესები სხვაგვარად ითვალისწინებს, თითოეული თანამესაკუთრე უფლებამოსილია გამოიყენოს საერთო საკუთრებაში შემავალი ყველა აქტივი იმ პირობით, რომ ასეთი გამოყენება თავსებადია სხვა თანამესაკუთრეთა უფლებებთან.

მუხლი 3:170 საერთო საკუთრების მართვა

– 1. ჩვეულებრივი სარემონტო-საექსპლუატაციო ოპერაციები და საერთო საკუთრებაში შემავალი აქტივების შენარჩუნების მიზნით ჩასატარებელი ოპერაციები, ასევე – ზოგადად ის ოპერაციები, რომელთა გადადებაც შეუძლებელია ზიანის მიყენების რისკის გარეშე, შეიძლება განხორციელდეს ყველა თანამესაკუთრის მიერ, აუცილებლობის შემთხვევაში კი, – დამოუკიდებლადაც კი. საერთო საკუთრების სასარგებლოდ არსებული სასარჩელო მოთხოვნის შენარჩუნების მიზნით, თითოეული თანამესაკუთრე უფლებამოსილია შეწყვიტოს ხანდაზმულობის ვადის დენა.

– 2. გარდა ზემოაღნიშნულისა, საერთო საკუთრების მართვა თანამესაკუთრეთა მიერ ხორციელდება ერთობლივად, თუ ხელშეკრულება ან სასამართლოს მიერ დადგენილი წესები სხვაგვარად არ ადგენს. ტერმინი „მართვა“ გაგებულ უნდა იქნეს როგორც ყველა ის ოპერაცია, რომელიც საჭიროა საერთო საკუთრებაში შემავალი აქტივების ნორმალური ექსპლუატაციისათვის, ისევე როგორც – იმ თანხების ამოღებისკენ მიმართული საქმიანობა, რომლებიც საერთო საკუთრებას ეკუთვნის საერთო სავალო მოთხოვნებიდან გამომდინარე.

– 3. საერთო საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა ოპერაციები, ნაცვლად წინა პარაგრაფში ნახსენებისა, თანამესაკუთრების მიერ შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ერთობლივად.

მუხლი 3:171 სასამართლო დავის წამოწყების უფლებამოსილება

გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელშეკრულება ან სასამართლოს მიერ დადგენილი წესები სხვაგვარად ადგენს, თითოეული თანამესაკუთრე უფლებამოსილია, წარადგინოს სარჩელები და მიმართოს სასამართლოს განცხადებებით საერთო საკუთრების სასარგებლოდ სასამართლოს გადანყვეტილების მიღების მიზნით. თუ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული, ის ხელშეკრულება ან სასამართლოს მიერ დადგენილი წესები, რომლითაც ერთ ან რამდენიმე თანამესაკუთრეს ენიჭება საერთო საკუთრების მართვის უფლება, გულისხმობს იმას, რომ სხვა თანამესაკუთრებს არ შეუძლიათ სარჩელების წარდგენა ან სასამართლოსათვის განცხადებებით მიმართვა.

მუხლი 3:172 ნაყოფი, სხვა სარგებელი და ხარჯები

გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელშეკრულება ან სასამართლოს მიერ დადგენილი წესები სხვაგვარად ადგენს, საერთო საკუთრებიდან მიღებულ სარგებელთან (ნაყოფთან) და სხვა უპირატესობებთან მიმართებაში თანამესაკუთრეები მონაწილეობენ საერთო საკუთრებაში თავიანთი წილების პროპორციულად და მათ ასევე თავიანთი წილების პროპორციულად უნდა მიიღონ მონაწილეობა იმ ხარჯებში, რომლებიც წარმოიშობა საერთო საკუთრების სანქციონირებულ ოპერაციების განხორციელების შედეგად.

მუხლი 3:173 ანგარიშის წარდგენა

თითოეულ თანამესაკუთრეს შეუძლია ყოველწლიურად და, სულ ცოტა, მართვის დასრულებისას სასამართლოს წესით მოთხოვოს თავისი მართვის შესახებ ანგარიშის წარდგენა იმ პირს, ვინც საერთო საკუთრებას ყველა თანამესაკუთრის სახელით მართავდა.

მუხლი 3:174 საერთო საკუთრების ვალებისა და აქტივების რეალიზაცია

– 1. სასამართლოს, რომელიც განსჯადია საერთო საკუთრებაში შემავალი აქტივების მიკუთვნებასთან დაკავშირებით წარდგენილი სარჩელის საფუძველზე გადანყვეტილების მიღებაზე, ანდა რომელშიც უკვე მიმდინარეობს ასეთი სარჩელის განხილვა, მნიშვნელოვანი მიზეზების არსებობისას, როგორცაა, მაგ., საერთო ვალების დაფარვა, შეუძლია თანამესაკუთრეს მისი მოთხოვნის საფუძველზე მიანიჭოს საერთო საკუთრებაში შემავალი აქტივების გაყიდვისა თუ რეალიზაციის უფლებამოსილება. იმ შემთხვევებში, როდესაც თანამესაკუთრე, რომლისათვის საერთო საკუთრებაში შემავალ გასაყიდ აქტივს აქვს განსაზღვრული ღირებულება, მზად არის, შეიძინოს ის ინდივიდუალურად მისი სავარაუდო ღირებულების გადახდით, სასამართლოს შეუძლია გამოაცხადოს ასეთი შექმნის შესახებ.

– 2. პარ. 1-ში მითითებულ სასამართლოს შეუძლია თანამესაკუთრეს მისი მოთხოვნის საფუძველზე მიანიჭოს საერთო საკუთრებაში შემავალი აქტივების საუზრუნველყოფოდ დაგირავებისა თუ იპოთეკით დატვირთვის უფლებამოსილება საერთო საკუთრების იმ ვალების დასაფარად, რომლებიც უკვე არსებობდა, ანდა რომელთა კისრებაც ჯერ კიდევ უნდა მოხდეს საერთო საკუთრებაში შემავალი აქტივების შენარჩუნების მიზნით.

მუხლი 3:175 საერთო საკუთრებაში არსებული წილების განკარგვის უფლებამოსილება

- 1. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც განსხვავებული წესი გამომდინარეობს თანამესაკუთრეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობიდან, თითოეულ თანამესაკუთრეს შეუძლია მოახდინოს საერთო საკუთრებაში თავისი წილის სხვა პირზე გადაცემა (საკუთრებაში გადაცემა და უფლებრივი დატვირთვა).
- 2. თუ თანამესაკუთრეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობა გულისხმობს იმას, რომ თანამესაკუთრეებს შეუძლია მოახდინონ საერთო საკუთრებაში თავიანთი წილების სხვა პირზე გადაცემა (საკუთრებაში გადაცემა და უფლებრივი დატვირთვა) მხოლოდ ყველა თანამესაკუთრის თანხმობით, მაშინ შესაბამისად მოქმედებს 3:168 მუხლის პარ. 3 და 4-ის ნორმები.
- 3. თანამესაკუთრის კრედიტორებს შეუძლიათ მოახდინონ თავიანთი სავალო მოთხოვნის დაკმაყოფილება საერთო საკუთრებაში თანამესაკუთრის კუთვნილი წილიდან. მას შემდეგ, რაც წილი იყიდება ერთი ან მეტი კრედიტორის მიერ ქონების იძულებითი რეალიზაციის გზით, სხვა თანამესაკუთრეები ვეღარ მიუთითებენ მათსა და იმ პირს შორის არსებულ განკარგვის უფლებამოსილების ნებისმიერ შეზღუდვაზე, რომელმაც შეიძინა წილი აღნიშნული ნასყიდობით.

მუხლი 3:176 წილის შექენა

- 1. იმ პირმა, რომელმაც შეიძინა წილი ანდა ასეთ წილზე შეზღუდული სანივთო უფლება, ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს ამ ფაქტის შესახებ სხვა თანამესაკუთრეებს ან იმ პირს, რომელიც თანამესაკუთრეებისა თუ რაიონული სასამართლოს მიერ დანიშნულია საერთო საკუთრებაში შემავალი შესაბამისი აქტივების სამართავად.
- 2. საკუთრებაში გადაცემული წილის შექენა ხდება საერთო საკუთრების სასარგებლოდ იმ ვალდებულსათვის საკომპენსაციო თანხის გადახდის ვალდებულებასთან ერთად, რომლებიც ჯერ კიდევ ეკისრებოდა ამ წილის გამსხვისებელს საერთო საკუთრების წინაშე. წილის გამსხვისებელი და შემძენი მხარე სოლიდარულად აგებენ პასუხს აღნიშნული საკომპენსაციო თანხის გადახდის ვალდებულებისთვის. შემძენ მხარეს შეუძლია უარი თქვას ამ ვალდებულების შესრულებაზე თავისი წილის საკუთარ ხარჯზე დანარჩენი თანამესაკუთრეთათვის გადაცემით; ასეთ გადაცემასთან დაკავშირებულ საკითხში ამ თანამესაკუთრეებმა უნდა ითანამშრომლონ შემძენ მხარესთან.
- 3. წინა პარაგრაფი არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც საერთო საკუთრებაში არსებული ყველა წილი ერთად გაიყიდა იძულებითი რეალიზაციის გზით.

მუხლი 3:177 საერთო საკუთრებაში შემავალი აქტივების გადაცემა იმ დროს, როდესაც წილი დატვირთულია შეზღუდული სანივთო უფლებით

- 1. როდესაც ხდება საერთო საკუთრებაში შემავალი აქტივების განაწილება ან გადაცემა იმ დროს, როდესაც მასში არსებული ერთ-ერთი თანამესაკუთრის კუთვნილი წილი დატვირთულია შეზღუდული სანივთო უფლებით, მაშინ მთლიანი აქტივი დაიტვირთება ამ შეზღუდული სანივთო უფლებით, რამდენადაც მისი შექენა ხდება იმ თანამესაკუთრის მიერ, რომელსაც ეკუთვნის უფლებრივად დატვირთული წილი, ხოლო თუკი აქტივის შექენა ხდება არა ამ თანამესაკუთრის მიერ, არამედ ერთ-ერთი სხვა თანამესაკუთრისა თუ მესამე პირის მიერ, მაშინ ის სრულად გათავისუფლდება ამ შეზღუდული სანივთო უფლებისაგან ისე, რომ ეს ხელს არ შეუშლის სანივთო უფლების მფლობელსა თუ თანამესაკუთრეს ერთმანეთისაგან ორმხრივი სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე ნამეტი ღირებულების გათვალისწინებით მოითხოვოს ის, რაც სხვა პირმა შეიძინა ამ კანონისმიერი ნორმის მოქმედების შედეგად.
- 2. აქტივების ისეთი განაწილება ან გადაცემა, რომელშიც თანამესაკუთრეები ჩაებნენ შესაბამისი წილის შეზღუდული სანივთო უფლებით დატვირთვის შემდეგ, მოითხოვს შეზღუდული სანივთო უფლების მფლობელის მხრიდან თანამშრომლობას.
- 3. იმ გირავნობასა თუ იპოთეკას, რაზეც მხარეები შეთანხმდნენ საერთო საკუთრებაში შემავალი შესაბამისი აქტივების პირველ პარაგრაფში მითითებული თანამესაკუთრისათვის იმ ვალდების უზრუნველყოფის მიზნით განაწილებისას, რომელსაც ეს თანამესაკუთრე კისრულობს ან იკისრებს სხვა თანამესაკუთრეთა წინაშე აქტივების განაწილებასთან დაკავშირებით, ენიჭება უპირატესობა იმ შეზღუდულ სანივთო უფლებასთან შედარებით, რომელიც დადგინდა იქნა აღნიშნული თანამესაკუთრის მიერ საკუთარ წილზე იმ პირობით, რომ გირავნობა ან იპოთეკა დგინდება იმავე მომენტში, როდესაც ამ სანივთო უფლებებით დატვირთული აქტივი მიენოდება ამ თანამესაკუთრეს.

მუხლი 3: 178 სარჩელის უფლება საერთო საკუთრებაში შემავალი აქტივების განაწილების მოთხოვნით

– 1. თითოეულ თანამესაკუთრეს, ისევე როგორც საერთო საკუთრებაში შემავალი აქტივების წილზე შეზღუდული სანივთო უფლების მქონე თითოეულ პირს ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს სასამართლო წესით ამ აქტივების გაყოფა და განაწილება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც რაიმე განსხვავებული შედეგი გამომდინარეობს საერთო საკუთრებიდან ან ქვემოთ მოცემულ პარაგრაფებში გათვალისწინებული წესებიდან.

– 2. თანამესაკუთრის მოთხოვნის საფუძველზე იმ სასამართლოს, სადაც იხილება სარჩელი საერთო საკუთრებაში შემავალი აქტივების განაწილების მოთხოვნით, შეუძლია დაადგინოს, რომ ყველა ან ზოგიერთი ვადამოსული და ამოღებადი საერთო საკუთრების ვალები დაკმაყოფილდეს თავად განაწილების პროცესის დაწყებამდე.

– 3. თუ საერთო საკუთრებაში შემავალი აქტივების განაწილების გადავადებაში ერთი ან მეტი თანამესაკუთრის ინტერესებს ბევრად მეტი მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე იმ ინტერესებს, რასაც ემსახურება თავად განაწილება, მაშინ იმ სასამართლოს, სადაც იხილება სარჩელი აქტივების განაწილების მოთხოვნით, თანამესაკუთრის მოთხოვნის საფუძველზე შეუძლია გამორიცხოს სარჩელის წარდგენა საერთო საკუთრებაში შემავალი ამ აქტივების ერთხელ ან რამდენჯერმე – თითოეულ შემთხვევაში მაქსიმუმ სამწლიანი ვადით – განაწილების მოთხოვნით.

– 4. როდესაც სასამართლოში არ იხილება საერთო საკუთრებაში შემავალი აქტივების განაწილების მოთხოვნით სარჩელი, ერთ-ერთი თანამესაკუთრის მოთხოვნის საფუძველზე პარ. 2 და 3-ში მითითებული გადანაცვები შეიძლება მიღებულ იქნეს იმ სასამართლოს მიერ, რომელიც განსჯადია საერთო საკუთრებაში შემავალი აქტივების განაწილების მოთხოვნით შესაბამისი სარჩელის განხილვაზე.

– 5. იმ პირებს, რომლებსაც შეუძლიათ სასამართლო წესით მოითხოვონ აქტივების განაწილება, ხელშეკრულების საფუძველზე შეუძლიათ გამორიცხონ აღნიშნული განსჯადობა ერთხელ ან რამდენჯერმე თითოეულ შემთხვევაში მაქსიმუმ ხუთწლიანი ვადით. ასეთი ხელშეკრულების მიმართ შესაბამისად გამოიყენება 3:168 მუხლის პარ. 3 და 4-ის ნორმები.

მუხლი 3: 179 სარჩელი მთლიანი საერთო საკუთრების განაწილების მოთხოვნით

– 1. როდესაც საერთო საკუთრებაში შემავალი აქტივების განაწილება მოთხოვნილია სასამართლო წესით, თითოეულ თანამესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს განაწილების პროცესში საერთო საკუთრების ყველა აქტივისა და ვალის გათვალისწინება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ნაწილობრივი განაწილებისათვის სახეზეა მნიშვნელოვანი მიზეზები. განაწილებიდან გამორიცხება ის აქტივები, რომლებიც 3:178 მუხლში მითითებული თუნდაც ერთ-ერთი საფუძვლის არსებობისას უნდა დარჩეს გაუნაწილებელი.

– 2. იმ ფაქტს, რომ არ ხდება საერთო საკუთრებაში შემავალი ერთი ან რამდენიმე აქტივის საერთო საკუთრების განაწილების პროცესში გათვალისწინება, აქვს მხოლოდ ის შედეგი, რომ ამ აქტივების განაწილება ჯერ კიდევ შეიძლება იქნეს მოთხოვნილი.

– 3. საერთო საკუთრების ვალების განაწილების მიმართ გამოიყენება სამოქალაქო კოდექსის მე-6 ნიგნის მე-2 ტიტულის მე-3 განყოფილების ნორმები.

მუხლი 3: 180 კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს საერთო საკუთრების განაწილება

– 1. თანამესაკუთრის მიმართ ვადამოსული და ამოღებადი სავალ მოთხოვნის მქონე კრედიტორს შეუძლია სასამართლო წესით მოითხოვოს საერთო საკუთრების განაწილება, თუმცა – მხოლოდ იმ ფარგლებში, რომლებშიც ეს აუცილებელია მისი სავალ მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის. ასეთ შემთხვევაში შესაბამისად გამოიყენება 3:178 მუხლის პარ. 3.

– 2. თუ კრედიტორმა მოიპოვა სასამართლოს გადანაცვები, რომლითაც მას შეუძლია მოითხოვოს საერთო საკუთრების განაწილება, მაშინ ასეთი განაწილება ითხოვს მისი მხრიდან თანამშრომლობას.

მუხლი 3: 181 ნეიტრალური პირის დანიშვნა

– 1. თუ თანამესაკუთრეები ან ის პირები, რომელთა მხრიდანაც მოითხოვება თანამშრომლობა, არ მონაწილეობენ სასამართლოს მიერ დადგენილ საერთო საკუთრების განაწილებაში, მაშინ იმ სასამართლოს, რომელმაც პირველი ინსტანციით მიიღო გადანაცვები საერთო საკუთრების განაწილების შესახებ, ყველაზე მეტად დაინტერესებული მხარის მოთხოვნის საფუძველზე შეუძლია დანიშნოს ნეიტრალური პირი, ვინც საერთო საკუთრების განაწილების პროცესში იქნება ყველა მონაწილე მხარის წარმომადგენელი და საკუთარი შეხედულებით დაიცავს მათ ინტერესებს, რამდენადაც ასეთი ნეიტრალუ-

რი პირი უკვე არ დაინიშნა განაწილების დამდგენი სასამართლოს მიერ. თუ იმ მხარეებს, რომლებმაც უარი თქვეს განაწილების პროცესში მონაწილეობაზე, აქვთ ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესები, მაშინ ნეიტრალური პირი თითოეული მათგანისათვის დაინიშნება.

– 2. ნეიტრალური პირი იძულებულია, მის მიერ წარმოდგენილი პირების სახელით მიიღოს ყველა ის აქტივი, რომელიც საერთო საკუთრების განაწილების შედეგად ეკუთვნის იმ პირებს, რომლებსაც ის წარმოადგენს, და ასევე – მართოს ეს აქტივები ქონების მინდობით მართვის მომწესრიგებელი ნორმების შესაბამისად, როგორც ეს მოცემულია სამოქალაქო კოდექსის 1:410 მუხლში მანამდე, სანამ აღნიშნული აქტივები თავიანთ მესაკუთრეს არ გადაეცემა.

– 3. ნეიტრალური პირი უფლებამოსილია, მიიღოს იმ აქტივების მესაკუთრის მიერ გადახდილი საზღაურის, რომელიც მიღებულ და მართულ იქნა ამ პირის მიერ საერთო საკუთრების განაწილების პროცესის შესაბამისად. ნეიტრალური პირის მოთხოვნის საფუძველზე აღნიშნული საზღაური უნდა განისაზღვროს მისი დამნიშნავი სასამართლოს მიერ.

მუხლი 3:182 საერთო საკუთრების განაწილება

საერთო საკუთრების განაწილება წარმოადგენს ყოველ იმ გარიგებას, რომელშიც პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით მონაწილეობს ყველა თანამესაკუთრე და რომლის შედეგადაც საერთო საკუთრებაში შემავალი ერთი ან რამდენიმე აქტივი გადაეცემა და, შესაბამისად, მიიღება ერთ-ერთი თანამესაკუთრის მიერ ყველა სხვა თანამესაკუთრის გამორიცხვით. გარიგება არ მიიჩნევა საერთო საკუთრების განაწილებად, თუ მისი მიზანია ერთი ან რამდენიმე თანამესაკუთრის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულება საერთო საკუთრების ხარჯზე და ის არ წარმოადგენს წინა წინადადებაში მითითებული გარიგების შედეგს.

მუხლი 3:183 საერთო საკუთრების განაწილების ხერხი

– 1. საერთო საკუთრების განაწილება შეიძლება განხორციელდეს იმგავარად და იმ ფორმით, როგორც მხარეები ამას ჩათვლიან საჭიროდ იმ პირობით, რომ ყველა თანამესაკუთრესა და ასევე იმ პირს, რომელთა მხრიდანაც მოითხოვება თანამშრომლობა, თავისუფლად შეეძლოთ თავიანთი ქონების დამოუკიდებლად მართვა და ისინი პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით მონაწილეობდნენ განაწილების პროცესში, ანდა იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი მათგანის ქონება გადაცემულია მინდობით მართვისათვის, – ეს პირი იყოს წარმოდგენილი მისი იმ კანონიერი წარმომადგენლის მიერ, რომელმაც აუცილებლობის შემთხვევაში აღნიშნულისათვის მიიღო აუცილებელი თანხმობა ან ნებართვა.

– 2. სხვა შემთხვევებში საერთო საკუთრების განაწილება უნდა განხორციელდეს სანოტარო აქტის მეშვეობით, თუ სასამართლომ სხვაგვარად არ დაადგინა. თუ განაწილება უნდა განხორციელდეს სანოტარო აქტის მეშვეობით, როგორც ეს მითითებულია წინა წინადადებაში, მაშინ ის უნდა დამტკიცდეს რაიონული სასამართლოს მიერ, რომელიც განსჯადია იმ მხარის კანონიერი წარმომადგენლისათვის ქონების გადაცემის (აქტივის საკუთრებაში გადაცემისა თუ უფლებრივი დატვირთვის) აქტის შესრულების უფლებამოსილების მინჭებაზე, რომელსაც არ შეუძლია თავისი ქონების დამოუკიდებლად მართვა.

მუხლი 3:184 საერთო საკუთრების მიმართ არსებული დავალიანების თანხების თანამესაკუთრის წილის ანგარიშში ჩათვლა

– 1. თითოეულ თანამესაკუთრეს საერთო საკუთრების განაწილებისას შეუძლია მოითხოვოს იმ დავალიანების თანხების თანამესაკუთრის წილის ანგარიშში ჩათვლა, რომელიც ეკისრება ერთ-ერთ სხვა თანამესაკუთრეს საერთო საკუთრების მიმართ. დავალიანების თანხების წილის ანგარიშში ჩათვლა ხორციელდება მიუხედავად ამ მოვალის გადახდისუნარიანობისა. თუ საქმე ეხება იმ ვალს, რომლის გადახდისა და ამოღების ვადაც მომავალში დადგება, მაშინ მისი წილის ანგარიშში ჩათვლა მოხდება განაწილების მომენტში არსებული მათი რეალური ღირებულებით.

– 2. წინა პარაგრაფი არ გამოიყენება ჯერ კიდევ არდამდგარი პირობით ნაკისრი ვალების მიმართ.

მუხლი 3:185 სასამართლოს მიერ განხორციელებული განაწილება

– 1. რამდენადაც თანამესაკუთრეები და ასევე ის პირები, რომელთა მხრიდანაც მოითხოვება თანამშრომლობა, ვერ აღწევენ ორმხრივ შეთანხმებას საერთო საკუთრების ან საერთო საკუთრებაში შემავალი აქტივების განაწილებასთან დაკავშირებით, სასამართლოს ყველაზე მეტად დაინტერესებული მხარის მოთხოვნის საფუძველზე შეუძლია გამოაცხადოს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა განხორციელდეს

განანილება, ანდა – იმის შესახებ, შეუძლია თუ არა მას თავად განანილების განხორციელება ყოველთვის სამართლიანი გადაწყვეტილებების მიღებით როგორც მონანილე მხარეთა, ისე საჯარო ინტერესების მხედველობაში მიღებით.

– 2. როდესაც საერთო საკუთრების განანილებას თავად სასამართლო ახორციელებს, მას ამის გაკეთება შეუძლია ქვემოთ მოცემული ხერხებით:

a. საერთო საკუთრებაში შემავალი აქტივების ნაწილის თითოეულ თანამესაკუთრეს შორის განანილებით;

b. ერთი ან რამდენიმე თანამესაკუთრის სასარგებლოდ უფრო მეტი ღირებულების მქონე ნილის გამოყოფით სხვა თანამესაკუთრეთათვის ნამეტი ღირებულების ანაზღაურების ვალდებულების კისრების პირობით განანილების მომენტში თითოეული ნილის ღირებულების შესაბამისად;

c. საერთო საკუთრებაში შემავალი აქტივებისა თუ მათი ნაწილის რეალიზაციიდან წმინდა ამონაგები თანხების განანილებით მას შემდეგ, რაც ეს აქტივები გაიყიდება სასამართლოს მიერ დადგენილი წესით.

– 3. აუცილებლობის შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია დაადგინოს, რომ იმ მხარემ, რომელმაც განანილების შედეგად კუთვნილი ნილის ღირებულებაზე უფრო მეტი მიიღო, შეძლოს ნამეტი ღირებულების ერთიანად ან პერიოდულად გადასახდელი თანხებით ანაზღაურება. სასამართლოს ასეთი დადგენილების მიღება შეუძლია იმ პირობით, რომ აღნიშნულ მხარეს დაეკისროს განსაზღვრული სახისა და თანხის უზრუნველყოფის წარმოდგენა.

მუხლი 3: 186 გადაცემა

– 1. იმ შედეგის მისაღწევად, რომლითაც თითოეული თანამესაკუთრე გახდება მასზე განანილებული აქტივის ერთადერთი მესაკუთრე, მოითხოვება იმავე ხერხით განხორციელებული გადაცემა, რაც აუცილებელია ასეთი აქტივების საკუთრებაში გადაცემისათვის.

– 2. იმ ობიექტის ფლობას, რასაც თანამესაკუთრე იძენს განანილების შედეგად, ეს უკანასკნელი გააგრძელებს ინდივიდუალურად იმავე სამართლებრივ საფუძველზე, რა საფუძველზეც თანამესაკუთრეები ახორციელებდნენ ფლობას საერთო საკუთრების განანილებამდე.

მუხლი 3: 187 პირის ქონების დამამტკიცებელი დოკუმენტები და სხვა დოკუმენტალური მტკიცებულებები

– 1. დოკუმენტები და სხვა დოკუმენტალური მტკიცებულებები, რომლითაც პირს შეუძლია დაამტკიცოს, რომ რაიმე ობიექტი წარმოადგენს მის ქონებას და რაც შეესაბამება განანილებულ აქტივებს, გადაეცემა იმ პირს, რომელმაც განანილების შედეგად შეიძინა ეს აქტივები.

– 2. პარ. 1-ში ნახსენები ზოგადი ქონებრივი დოკუმენტები და სხვა დოკუმენტალური მტკიცებულებები, რომლებიც ეხება ასევე იმ ქონებასაც, რომელიც განანილებულია სხვა თანამესაკუთრეთა შორის, რჩება იმ პირთან, ვინც ამ მიზნით დანიშნულია შესაბამის თანამესაკუთრეთა უმრავლესობის მიერ თანამესაკუთრეთა მიმართ იმ ვალდებულების კისრებით, რომ მათ მიეცეთ ამ დოკუმენტების გაცნობის შესაძლებლობა, ხოლო თუ ერთ-ერთი მათგანი ამას ითხოვს, – ამ უკანასკნელის ხარჯზე მოხდეს დოკუმენტების დუბლიკატებისა თუ ამონარიდების მიწოდება.

– 3. თუ წინა პარაგრაფში მითითებული უმრავლესობა სახეზე არ არის, მაშინ განანილებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიმღებმა სასამართლომ თანამესაკუთრის მოთხოვნის საფუძველზე უნდა დანიშნოს წინა პარაგრაფში მითითებული პირი. სხვა შემთხვევებში აღნიშნული პირი თანამესაკუთრის მოთხოვნის საფუძველზე შეიძლება დაინიშნოს რაიონული სასამართლოს მიერ. ზემდგომ სასამართლოში წინამდებარე პარაგრაფში მითითებული სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება დაუშვებელია.

მუხლი 3: 188 ზიანის ანაზღაურება

– 1. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც თანამესაკუთრეები სხვაგვარად შეთანხმდნენ, მათ ერთმანეთის მიმართ ეკისრებათ იმ ზიანის მათი ნილების პროპორციულად ანაზღაურების ვალდებულება, რომელიც მიყენებულ იქნა საერთო საკუთრების განანილებამდე მომხდარი მოვლენის გამო განხორციელებული იძულებითი რეალიზაციისა თუ დარღვევის შედეგად, ხოლო როდესაც სავალდებულო მოთხოვნა მთლიანად გადაეცემა ერთ-ერთ თანამესაკუთრეს, მაშინ – იმ ფაქტიდან გამომდინარე მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, რომ მოვალე არ არის საკმარისად გადახდისუნარიანი, რათა სრულად დაუფაროს განანილების მომენტში არსებული თავისი ვალი აღნიშნულ თანამესაკუთრეს.

– 2. სხვა თანამესაკუთრეებს არ ეკისრებათ იმ ზარალის ანაზღაურების ვალდებულება, რომელიც განიცადა ერთ-ერთმა თანამესაკუთრემ მისი ბრალით გამონეული იძულებითი რეალიზაციისა თუ დარღვევის შედეგად.

– 3. იმ ფაქტიდან გამომდინარე მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, რომ მოვალე არ არის საკმარისად გადახდისუნარიანი იმისათვის, რათა სრულად დაფაროს განაწილების მომენტში არსებული თავისი ვალი, ქარწყლდება განაწილებიდან სამი წლის გასვლის შემდეგ ანდა თუ შესაბამისი სავალო მოთხოვნა განაწილების მომენტში ჯერ არ არის ვადამოსული და ამოღებადი, – სამი წლის გასვლისთანავე მას შემდეგ, რაც ის გახდება ვადამოსული და ამოღებადი.

– 4. თუ, როგორც ჩანს, თანამესაკუთრე ვერ უზრუნველყოფს თავისი წილის შესაბამისი ზიანის ანაზღაურებას, რომლისათვისაც ის პასუხისმგებელია პარ. 1-ის შესაბამისად, მაშინ ამ ზიანის ანაზღაურებაში სხვა თანამესაკუთრეთა მონაწილეობის წილი პროპორციულად გაიზრდება.

განყოფილება 3.7.2 – საერთო საკუთრების ცალკეული ფორმები

მუხლი 3:189 საერთო საკუთრების ფორმები

– 1. წინამდებარე ტიტულის კანონისმიერი ნორმები არ გამოიყენება მეუღლეთა საერთო საკუთრების, რეგისტრირებული პარტნიორობის საერთო საკუთრების, სავაჭრო ამხანაგობის საერთო საკუთრების მიმართ მანამდე, სანამ საერთო საკუთრების ეს ფორმები არ გაუქმდება, და ასევე – არც იმ საერთო საკუთრების მიმართაც, რომელიც მდგომარეობს შენობა-ნაგებობაში განშლილ სხვადასხვა ბინებზე უფლებების სახით ასეთი განშლის გაუქმებამდე.

– 2. წინამდებარე განყოფილების კანონისმიერი ნორმები გამოიყენება მემკვიდრეთა შორის გარდაცვლილი პირის ქონებაზე (სამკვიდრო ქონებაზე) არსებული საერთო საკუთრების მიმართ, ისევე როგორც – გაუქმებული მეუღლეთა და რეგისტრირებული პარტნიორობის საერთო საკუთრების მიმართ, გაუქმებული სავაჭრო ამხანაგობის საერთო საკუთრებისა და ასევე იმ საერთო საკუთრების მიმართაც, რომელიც მდგომარეობს შენობა-ნაგებობაში განშლილ სხვადასხვა ბინებზე უფლებების სახით ასეთი განშლის გაუქმებამდე. წინამდებარე ტიტულის პირველი განყოფილების კანონისმიერი ნორმები გამოიყენება ასევე ზემოაღნიშნული საერთო საკუთრების ფორმების მიმართაც, რამდენადაც წინამდებარე განყოფილების ნორმები სხვაგვარად არ უთითებს.

მუხლი 3:190 საერთო საკუთრებაში წილის განკარგვის უფლებამოსილება

– 1. საერთო საკუთრებაში თანამესაკუთრეს არ შეუძლია თავისი წილის დამოუკიდებლად სხვა პირზე გადაცემა (საკუთრებაში გადაცემა და უფლებრივი დატვირთვა); სხვა თანამესაკუთრეთა თანხმობის გარეშე მისი კრედიტორები ვერ დაიკმაყოფილებენ თავიანთ მოთხოვნის უფლებებს ამ წილის იძულებითი რეალიზაციის გზით.

– 2. თუმცაღა, აღნიშნული წილის თანამესაკუთრეს შეუძლია დააგირაოს ან იპოთეკით დატვირთოს ეს წილი სხვა თანამესაკუთრეთა თანხმობის გარეშე. მანამდე, სანამ ის აქტივი, რომლის წილიც დაგირავებული ან იპოთეკით დატვირთულია, მიეკუთვნება საერთო საკუთრებას, ამ წილის მოგირავნესა თუ იპოთეკარს არ შეუძლია თავისი მოთხოვნის უფლების დაკმაყოფილება აქტივისა თუ მისი უფლებრივად დატვირთული წილის იძულებითი რეალიზაციის გზით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვა თანამესაკუთრეები აღნიშნულს დაეთანხმებიან.

მუხლი 3:191 მთლიან საერთო საკუთრებაში წილის განკარგვის უფლებამოსილება

– 1. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც თანამესაკუთრეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობიდან განსხვავებული შედეგი დგება, თითოეული თანამესაკუთრე უფლებამოსილია საერთო საკუთრებაში თავისი წილის მთლიანად სხვა პირისათვის გადაცემაზე (საკუთრებაში გადაცემა და უფლებრივი დატვირთვა), რომლის დროსაც მისი კრედიტორები, შესაბამისი უფლებამოსილების მინიჭების შემთხვევაში, შეძლებენ თავიანთი მოთხოვნის უფლებების დაკმაყოფილებას ამ წილის სხვა თანამესაკუთრეთა თანხმობის გარეშე იძულებითი რეალიზაციის გზით.

– 2. როდესაც თანამესაკუთრეთა შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობა გულისხმობს იმას, რომ ისინი ვერ გადასცემენ (საკუთრებაში გადაცემა და უფლებრივი დატვირთვა) საერთო საკუთრებაში მთლიანად თავიანთ წილებს სხვა პირზე ყველა სხვა თანამესაკუთრეთა თანხმობის გარეშე, მაშინ შესაბამისად გამოიყენება 3:168 მუხლის პარ. 3 და 4-ის ნორმები.

მუხლი 3: 192 საერთო საკუთრებაში შემავალი აქტივებიდან ვალების ამოღება

საერთო საკუთრებაში შემავალი ვალების დაფარვა შეიძლება განხორციელდეს ამ საერთო საკუთრების აქტივებიდან.

მუხლი 3: 193 საერთო საკუთრების განაწილების წინააღმდეგ კრედიტორის პროტესტი

– 1. იმ კრედიტორს, რომლის სავალო მოთხოვნის დაკმაყოფილებაც შეიძლება მოხდეს საერთო საკუთრების აქტივებიდან, შეუძლია მოსთხოვოს სასამართლოს ლიკვიდატორის დანიშვნა იმ დროს, როდესაც საერთო საკუთრების განაწილება, როგორც ჩანს, მოხდა მანამდე, სანამ დაკმაყოფილდა ვადამოსული და ამოღებადი ვალები, ანდა – როდესაც ის აწყდება იმ საფრთხეს, რომ მისი სავალო მოთხოვნა მომავალში სრულად არ დაკმაყოფილდება ან არ დაკმაყოფილდება გონივრულ ვადაში იმის გამო, რომ საერთო საკუთრების მართვა არ ხდება ან მისი ლიკვიდაცია ჯეროვნად არ ხორციელდება, ანდა – იმის გამო, რომ სხვა კრედიტორი იკმაყოფილებს თავის სავალო მოთხოვნას საერთო საკუთრების აქტივებიდან. შესაბამისად გამოიყენება სამოქალაქო კოდექსის მე-4 წიგნის მე-6 ტიტულის მე-3 განყოფილების ნორმები, რომლებიც აწესრიგებს სამკვიდრო ქონების ლიკვიდაციას მისი განაწილების მომენტამდე.

– 2. ინდივიდუალური თანამესაკუთრის კრედიტორს იმ შემთხვევაშიც კი შეუძლია მოსთხოვოს სასამართლოს ლიკვიდატორის დანიშვნა, როდესაც მისი ინტერესები მნიშვნელოვნად ირღვევა თანამესაკუთრეთა ქცევის შედეგად.

– 3. პარ. 1 და 2-ის ნორმები არ გამოიყენება გაუქმებული სავაჭრო ამხანაგობის საერთო საკუთრების მიმართ; მათ ნაცვლად გამოიყენება ქვემოთ მოცემული წინადადებების წესები. იმ კრედიტორს, რომლის სავალო მოთხოვნის დაკმაყოფილებაც შეიძლება მოხდეს საერთო საკუთრების აქტივებიდან, საერთო საკუთრების განაწილების წინააღმდეგ შეუძლია წარადგინოს პროტესტი. ასეთი პროტესტის შემდეგ განხორციელებული განაწილება საცილოა იმ პირობით, რომ განაწილების ბათილობის ამ საფუძველზე მითითება შეუძლია მხოლოდ იმ კრედიტორს, რომელმაც განაწილების წინააღმდეგ წარადგინა პროტესტი და ასევე განაწილება შეიძლება გაბათილდეს მხოლოდ ამ კრედიტორის მიერ საკუთარი სახელით და რამდენადაც ეს აუცილებელია იმ ზიანის გამოსასწორებლად, რომელიც მან განიცადა საცილო განაწილების შედეგად.

მუხლი 3: 194 საერთო საკუთრების ინვენტარი

– 1. თითოეულ თანამესაკუთრეს შეუძლია სასამართლო წესით მოითხოვოს საერთო საკუთრების განაწილების პროცესის დაწყება მასში შემავალი ყველა აქტივისა და პასივის ინვენტარიზაციის ჩატარებით.

– 2. ის თანამესაკუთრე, რომელიც განზრახ მალავს, კარგავს თუ ფარავს საერთო საკუთრების აქტივებს, კარგავს თავის წილს ამ აქტივებში სხვა თანამესაკუთრეთა სასარგებლოდ.

განყოფილება 3.7.3 – ბათილი და საცილო განაწილებები

მუხლი 3: 195 ბათილი განაწილება

– 1. საერთო საკუთრების განაწილება ბათილია, როდესაც მასში მონაწილეობა არ მიუღია ყველა თანამესაკუთრეს ან ყველა სხვა იმ პირს, რომელთა თანამშრომლობაც მოითხოვება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც განაწილება განხორციელდა სანოტარო აქტის მეშვეობით, რა შემთხვევაშიც ის საცილოა იმ პირობით, რომ ის შეიძლება გაბათილდეს მხოლოდ იმ პირის მიერ, რომელსაც არ მიუღია განაწილებაში მონაწილეობა. ამ პირის სარჩელის უფლება (სასარჩელო მოთხოვნა) საცილო ხელშეკრულების გაბათილების მოთხოვნით ხანდაზმული ხდება ერთი წლის ვადის გასვლისას მას შემდეგ, რაც მისთვის ცნობილი გახდა განაწილების ფაქტის შესახებ.

– 2. თუ საერთო საკუთრების განაწილებაში მონაწილეობდა პირი, ვინც არ იყო უფლებამოსილი საერთო საკუთრებაზე, ანდა თუ ერთ-ერთმა თანამესაკუთრემ განაწილებისას უფრო მეტი ღირებულების წილი მიიღო, ვიდრე რაზეც ის იყო უფლებამოსილი, მაშინ არამართლზომიერად გადახდილი შეიძლება მოთხოვნილ იქნეს უკან საერთო საკუთრების ხარჯზე; გარდა ამ უკანასკნელი შემთხვევისა, განაწილება ძალაში რჩება.

მუხლი 3: 196 საცილო განაწილება

– 1. იმ საფუძველზე თან ერთად, რომლებიც ზოგადად გამოიყენება საცილო გარიგებების გაბათილები-

სათვის, საერთო საკუთრების განაწილება საცილოა ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც თანამესაკუთრე ცდებოდა ერთი ან რამდენიმე განაწილებული აქტივის ან პასივის ღირებულებასთან დაკავშირებით იმ პირობით, რომ შედეგად მას მიაღდა ზიანი იმ ღირებულების ერთ მეოთხედზე მეტი ოდენობით, რაც სანი-ნაალმდეგო შემთხვევაში მის წილს ექნებოდა.

– 2. თუ წინა პარაგრაფში მითითებული თანამესაკუთრე დაამტკიცებს, რომ საერთო საკუთრების განაწილებისას მან განიცადა ზარალი თავისი წილის რეალური ღირებულების ერთ მეოთხედზე მეტი ოდენობით, მაშინ კანონისმიერი ვარაუდის თანახმად ის ცდებოდა ერთი ან რამდენიმე აქტივის ან პასივის ღირებულებასთან დაკავშირებით.

– 3. იმისათვის, რომ განისაზღვროს, განიცადა თუ არა თანამესაკუთრემ ზემოთ აღნიშნული ზარალი, საერთო საკუთრების ყველა აქტივისა და პასივის შეფასება ხდება განაწილების მომენტში არსებული მათი ღირებულების შესაბამისად. მხედველობაში არ მიიღება საერთო საკუთრების ის აქტივები და პასი-ვები, რომლებიც არ იყო ჩართული განაწილების პროცესში.

– 4. განაწილება არ არის საცილო ერთი ან რამდენიმე აქტივის ან პასივის ღირებულებასთან დაკავში-რებული შეცდომის საფუძველზე, თუ დაზარალებული თანამესაკუთრე ნათლად დაეთანხმა განაწილებას თავის სასარგებლოდ ან საკუთარ ხარჯზე.

მუხლი 3:197 სხვა თანამესაკუთრეთა შეთავაზება, ანაზღაურონ ზარალი

თანამესაკუთრის უფლება, გააბათილოს საერთო საკუთრების საცილო განაწილება იმ საფუძველზე, რომ მას ამის შედეგად მიაღდა ზიანი მისი წილის რეალური ღირებულების ერთ მეოთხედზე მეტი ოდენო-ბით, ქარწყლება იმ დროს, როდესაც სხვა თანამესაკუთრეები სთავაზობენ მას მისი ზიანის ანაზღაურე-ბას როგორც ფინანსური კომპენსაციის სახით, ისე ნატურითაც.

მუხლი 3:198 საცილო განაწილების კორექტირება

როდესაც ადგილი აქვს საერთო საკუთრების საცილო განაწილების გაბათილების გასაჩივრებას, სა-სამართლოს 3:53 და 3:54 მუხლების მოქმედების შეზღუდვის გარეშე შეუძლია მოახდინოს განაწილების კორექტირება ან შეცვლა, ნაცვლად მისი გაბათილებისა, თუმცა – მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ამას ითხოვდა განაწილების ერთ-ერთი მხარე.

მუხლი 3:199 შეცდომის მომწესრიგებელი ზოგადი ნორმების გამოყენების გამორიცხვა

სამოქალაქო კოდექსის 6:228 მუხლიდან 6:230 მუხლის ჩათვლით ნორმები არ გამოიყენება წინამდება-რე განყოფილებაში მოწესრიგებული საერთო საკუთრების განაწილების მიმართ.

მუხლი 3:200 საცილო განაწილების გაბათილების გასაჩივრების მოთხოვნის სარჩელის უფლების მიმა-რთ კანონით დადგენილი ვადა

საერთო საკუთრების საცილო განაწილების გაბათილების მოთხოვნით სარჩელის უფლება (სასარჩე-ლო მოთხოვნა) ქარწყლება კანონისმიერი ვადის გასვლით განაწილების დასრულებიდან სამი წლის შე-მდე იმ მომენტის გათვალისწინების გარეშე, როდესაც განაწილებული აქტივები გადაეცა თანამესაკუთ-რებს ან ეს აქტივები გადავიდა მათზე.

ტიტული 3.8 – უზუფრუქტი

მუხლი 3:201 „უზუფრუქტის“ განმარტება

უზუფრუქტი წარმოადგენს სანივთო უფლებას, რომელიც სხვა პირს – უზუფრუქტუარს – ანიჭებს უფლებას, ისარგებლოს სხვისი – მესაკუთრის – კუთვნილი ერთი ან მეტი აქტივით და მიიღოს ამ აქტივე-ბიდან მიღებული ნაყოფი.

მუხლი 3:202 „უზუფრუქტის“ განმარტება

უზუფრუქტი წარმოიშობა მისი დადგენის გზით ან ხანდაზმულობით.

მუხლი 3:203 უზუფრუქტის დადგენა

– 1. უზუფრუქტი შეიძლება დადგინდეს ერთი პირის სასარგებლოდ ან ორი თუ მეტი პირის სასარგებ-

ლოდ, რომლებიც უფლებამოსილი არიან მასზე ერთობლივად ანდა უფლებამონაცვლეობის წესით. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ყველა ის პირი, ვინც უფლებამოსილი იქნება უზუფრუქტზე პირველი უზუფრუქტუარის შემდეგ, უზუფრუქტის დადგენის მომენტში უნდა არსებობდეს.

– 2. უზუფრუქტი ვერ დადგინდება უზუფრუქტუარის სიცოცხლის ვადაზე მეტი ხნით. როდესაც უზუფრუქტი დგინდება ერთობლივად ორი თუ მეტი უზუფრუქტუარის სასარგებლოდ და ერთ-ერთი მათგანის წილი უზუფრუქტში უქმდება, მაშინ ეს წილი გადანაწილდება სხვა უზუფრუქტუარზე ან უზუფრუქტუარებზე ერთმანეთის მიმართ ყოველთვის თავიანთი წილების პროპორციულად, ხოლო ასეთი ერთობლივი უზუფრუქტი კი გაქარწყლდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც გაუქმდება ბოლოს დარჩენილი უზუფრუქტუარის უფლება, თუ უზუფრუქტის დადგენისას მხარეები საწინააღმდეგო წესებზე არ შეთანხმებულან.

– 3. როდესაც უზუფრუქტუარი წარმოადგენს იურიდიულ პირს, უზუფრუქტი გაქარწყლდება ამ იურიდიული პირის გაუქმებისას და ასევე, ნებისმიერ შემთხვევაში, – უზუფრუქტის დადგენიდან ოცდაათი წლის გასვლის შემდეგ.

მუხლი 3:204 *{გაუქმებულია 01.01.2003წ.}*

მუხლი 3:205 უზუფრუქტით დატვირთული ქონების ინვენტარიზაცია

– 1. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დანიშნული მმართველის მიერ ქონების (მინდობით) მართვამ უკვე გამოიწვია შედეგად – ანდა ის გამოიწვევს მომავალში – უზუფრუქტით დატვირთული ქონების საკმარისი ინვენტარიზაცია, უზუფრუქტუარმა სანოტარო აქტის საფუძველზე უნდა მოახდინოს უზუფრუქტით დატვირთული აქტივების ინვენტარიზაცია, რაც უნდა განხორციელდეს მესაკუთრის თანდასწრებით ანდა, სხვა შემთხვევაში, სულ ცოტა, – მას შემდეგ, რაც მესაკუთრეს ჯეროვნად სთხოვენ ინვენტარიზაციის პროცესზე დასწრებას. აღნიშნული ინვენტარიზაცია უნდა ჩატარდეს კერძო აქტის საფუძველზე, თუ მესაკუთრე ესწრება ინვენტარიზაციას და უზუფრუქტუარი და მესაკუთრე შეთანხმდნენ საინვენტარიზაციო ნუსხის შენახვის საკითხთან დაკავშირებით.

– 2. როგორც უზუფრუქტუარს, ისე მესაკუთრეს აქვთ უფლება, საინვენტარიზაციო ნუსხას დაამატონ კონკრეტული დეტალები, თუ ამ მომენტში ეს საჭიროა არსებული აქტივების მდგომარეობისა თუ რაოდენობის აღწერისათვის.

– 3. მესაკუთრეს შეუძლია უარი თქვას უზუფრუქტით დატვირთული ქონების გადაცემასა და მიწოდებაზე, თუ უზუფრუქტუარი ერთდროულად არ ასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებას, ჩაატაროს ამ ქონების ინვენტარიზაცია.

– 4. უზუფრუქტუარმა ყოველწლიურად უნდა გაუგზავნოს მესაკუთრეს ხელმოწერილი ზუსტი აღწერილობა უზუფრუქტით დატვირთული იმ ქონებისა, რომელიც აღარ არის სახეზე, და ასევე – იმ ქონებისა, რომელიც მიღებულ იქნა ამ უკანასკნელის სანაცვლოდ, ისევე როგორც გაუგზავნოს აღწერილობა იმ სარგებლისა, რომელიც მიღებულ იქნა უფლებრივად დატვირთული ქონებიდან, გარდა ნაყოფისა.

– 5. უზუფრუქტუარი შეიძლება გათავისუფლდეს იმ ვალდებულებებისაგან, რომლებიც წინა პარაგრაფის შესაბამისად მას ეკისრება.

– 6. თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმებულან, ინვენტარიზაციის ჩატარებასა და პარ. 4-ში მითითებულ ყოველწლიურ აღწერილობასთან დაკავშირებული ხარჯები ეკისრება უზუფრუქტუარს.

მუხლი 3:206 მესაკუთრის სასარგებლოდ უზრუნველყოფის წარდგენა

– 1. უზუფრუქტუარმა მესაკუთრეს უნდა წარუდგინოს უზრუნველყოფა როგორც გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულებისა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის გათავისუფლებულია ამ მოვალეობისაგან ანდა მესაკუთრის ინტერესები უკვე საკმარისად არის დაცული დანიშნული მმართველის მიერ ქონების (მინდობით) მართვის დადგენით.

– 2. როდესაც უზუფრუქტუარი თავისუფლდება მასზე დაკისრებული უზრუნველყოფის წარდგენის ვალდებულებისაგან, მესაკუთრეს შეუძლია ყოველ წელს მოითხოვოს უფლებრივად დატვირთული ქონების მისთვის ჩვენება. რამდენადაც უზუფრუქტი არსებობს ბრუნვაუნარიან დოკუმენტებსა თუ ვალუტაზე საბანკო ანგარიშების ჩათვლით, საკმარისია რეგისტრირებული საკრედიტო დაწესებულების (ბანკის) დეკლარაციის წარდგენა, თუ განსაკუთრებული გარემოებებიდან სხვაგვარი შედეგი არ გამომდინარეობს.

მუხლი 3:207 უზუფრუქტით დატვირთული ქონებით სარგებლობისა თუ მისი გამოყენების უფლება

– 1. უზუფრუქტუარს შეუძლია ისარგებლოს უზუფრუქტით დატვირთული ქონებით ან გამოიყენოს ის

უზუფრუქტის დადგენისას შეთანხმებული პირობების შესაბამისად, ანდა თუ ასეთი შეთანხმება არ დადებულია, – მაშინ უზუფრუქტით გადაცემული ქონების ბუნებისა და ასეთი სახის უზუფრუქტით დატვირთული აქტივებით სარგებლობისა თუ მათი გამოყენების ადგილობრივი წეს-ჩვეულებების ჯეროვანი დაცვით.

– 2. გარდა აღნიშნულისა, უზუფრუქტუარი უფლებამოსილია განახორციელოს ყველა სახის მოქმედება, რაც კი საჭიროა უზუფრუქტით დატვირთული ქონების ჯეროვანი მართვისათვის. ყველა სხვა მოქმედება შეიძლება განხორციელდეს უზუფრუქტუარისა და მესაკუთრის მიერ მხოლოდ ერთობლივად.

– 3. უზუფრუქტუარი მესაკუთრის მიმართ ვალდებულია, იზრუნოს უფლებრივად დატვირთულ ქონებაზე და მართოს ის კარგი უზუფრუქტუარის წინდახედულებით.

მუხლი 3:208 უფლებრივად დატვირთული ქონების ფუნქციის (დაგეგმილი სარგებლობის) შეცვლა; უზუფრუქტის ობიექტზე დამატებული საგნების თან ნაღების უფლება

– 1. უზუფრუქტით დატვირთული ქონების უზუფრუქტის დადგენის მომენტში არსებული ფუნქცია (დაგეგმილი სარგებლობისა და გამოყენების) ვერ შეიცვლება უზუფრუქტუარის მიერ მესაკუთრის თანხმობისა თუ რაიონული სასამართლოს ალტერნატიული ნებართვის გარეშე.

– 2. თუ უზუფრუქტის დადგენის სანოტარო აქტში საწინააღმდეგო წესი არ იქნა შეთანხმებული, უზუფრუქტუარს როგორც უზუფრუქტის უფლების მოქმედებისას, ისე მისი გაუქმების შემდეგაც შეუძლია თან ნაილოს უფლებრივად დატვირთული ქონების მიმართ განხორციელებული ცვლილებები და დამატებები იმ პირობით, რომ ქონების აღდგენა მოხდება მისი თავდაპირველი მდგომარეობით.

მუხლი 3:209 დაზღვევის ვალდებულება

– 1. უზუფრუქტუარს ეკისრება მესაკუთრის სასარგებლოდ შეიძინოს უზუფრუქტით დატვირთული ქონების დაზღვევის პოლისი, რომელიც ფარავს ჩვეულებრივ ამ სახის ქონების დაზღვევისას არსებულ რისკებს. თუ უზუფრუქტი დგინდება შენობა-ნაგებობაზე, მაშინ უზუფრუქტუარმა სადაზღვევო პოლისი უნდა შეიძინოს, სულ ცოტა, ხანძრის დროს დამდგარი ზიანის შემთხვევისათვის.

– 2. რამდენადაც უზუფრუქტუარი არ ასრულებს პირველ პარაგრაფში ნახსენებ ვალდებულებებს, მესაკუთრეს თავად შეუძლია უფლებრივად დატვირთული ქონების მიმართ სადაზღვევო პოლისის შექმნა და ამის ხარჯის უზუფრუქტუარისათვის დაკისრება.

მუხლი 3:210 უზუფრუქტით დატვირთული სავალო მოთხოვნები და ხელშეკრულებები

– 1. თუ უზუფრუქტის დადგენისას საწინააღმდეგო წესი არ იქნა შეთანხმებული, უზუფრუქტუარი როგორც სასამართლო წესით, ისე სასამართლოს გარეთ არსებულ ურთიერთობებში უფლებამოსილია მოითხოვოს უზუფრუქტით დატვირთული სავალო მოთხოვნების დაკმაყოფილება და ამ სავალო მოთხოვნებიდან გამომდინარე გადახდების მიღება და ამოღება.

– 2. თუ უზუფრუქტის დადგენისას საწინააღმდეგო წესი არ იქნა შეთანხმებული, უზუფრუქტუარი მხოლოდ იმ შემთხვევაში არის უფლებამოსილი, გავიდეს უზუფრუქტით დატვირთული ხელშეკრულებებიდან და შეწყვიტოს ისინი, როდესაც ეს უფლებრივად დატვირთული ქონების მართვისათვის არის საჭირო.

– 3. მესაკუთრე მხოლოდ იმ შემთხვევაში არის უფლებამოსილი, განახორციელოს წინა პარაგრაფებში ნახსენები უფლებები, თუ მან ამის განხორციელებაზე მიიღო უზუფრუქტუარის თანხმობა ან რაიონული სასამართლოს ნებართვა. რაიონული სასამართლოს მიერ გაცემული ნებართვისა და ასევე სასამართლოს სხვა განკარგულებების ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრება დაუშვებელია.

მუხლი 3:211 მხოლოდ გვაროვნული ნიშნით აღწერილი აქტივები

– 1. როდესაც უზუფრუქტით დატვირთული ერთი ან მეტი აქტივი ინვენტარიზაციის აქტსა თუ ყოველწლიურ ნუსხაში განისაზღვრება მხოლოდ გვაროვნული ნიშნით, მაშინ ეს აქტივი ჯერ კიდევ ეკუთვნის მესაკუთრეს საკუთრების უფლების ძალით.

– 2. უზუფრუქტუარმა აღნიშნული აქტივები სხვა ქონებისაგან განცალკევებულად უნდა შეინახოს.

მუხლი 3:212 უზუფრუქტუარის უფლება, განკარგოს უზუფრუქტით დატვირთული აქტივები

– 1. რამდენადაც უფლებრივად დატვირთული აქტივების ფუნქციას წარმოადგენს მათი გასხვისება, უზუფრუქტუარი უფლებამოსილია მათ განკარგავსაზე ამ აქტივების ფუნქციების შესაბამისად.

– 2. უზუფრუქტის დადგენისას უზუფრუქტუარმა შეიძლება შეიძინოს უზუფრუქტით დატვირთული სხვა აქტივების განკარგვის უფლება, ნაცვლად წინა პარაგრაფში მითითებული აქტივებისა. ამ აქტივების მიმართ არ გამოიყენება 3:208 მუხლის, 3:210 მუხლის პარ. 2-სა და 3:217 მუხლის პარ. 2-ის და 3-ის მეორე წინადადების, ასევე – პარ. 4-ის ნორმები.

– 3. სხვა შემთხვევებში უზუფრუქტუარს უზუფრუქტით დატვირთული აქტივების გასხვისება ან უფლებრივად დატვირთვა შეუძლია მხოლოდ მესაკუთრის თანხმობით ან რაიონული სასამართლოს ნებართვით. ეს უკანასკნელი შეიძლება გაიცეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც უზუფრუქტით დატვირთული აქტივების გასხვისება ან უფლებრივი დატვირთვა ემსახურება უზუფრუქტუარისა თუ მესაკუთრის ინტერესებს და ასევე ამის შედეგად ზიანი არ ადგება სხვა პირთა ინტერესებს.

მუხლი 3:213 უზუფრუქტით დატვირთული აქტივების ჩანაცვლება

– 1. თუ განხორციელდა უზუფრუქტით დატვირთული აქტივების კანონიერად განკარგვა და მათი სხვა აქტივებით ჩანაცვლება, ეს უკანასკნელები ასევე მიეკუთვნება მესაკუთრეს და ისინი დაუყოვნებლივ დაიტვირთება არსებული უზუფრუქტით. იგივე წესი მოქმედებს უზუფრუქტით დატვირთული სავალო მოთხოვნიდან მიღებული ამონაგები თანხების მიმართ და ასევე – ალტერნატიულ კომპენსაციასთან დაკავშირებული იმ სავალო მოთხოვნების მიმართაც, რომლებმაც დაიკავა უზუფრუქტით დატვირთული აქტივი, მათ შორის, – ალტერნატიულ კომპენსაციასთან დაკავშირებული იმ სავალო მოთხოვნების ჩათვლით, რომელთა წარდგენაც მოხდა აღნიშნული აქტივების გაუფასურების გამო.

– 2. უზუფრუქტით იტვირთება ასევე ყველა ის სარგებელი, რომელიც უზუფრუქტის უფლებით სარგებლობისას მიღებულ იქნა უფლებრივად დატვირთული აქტივიდან, გარდა ნაყოფისა.

მუხლი 3:214 უფლებრივად დატვირთული ფულისა და საბანკო ანგარიშების ინვესტირება

– 1. თუ უზუფრუქტის დადგენისას სანინააღმდეგო წესი არ იქნა შეთანხმებული, იმ ფულადი თანხების – საბანკო ანგარიშების ჩათვლით – ინვესტირება, რომლებიც მიეკუთვნება უზუფრუქტით დატვირთულ ქონებას, უნდა განხორციელდეს მესაკუთრესთან შესაბამისი კონსულტაციით ანდა ეს თანხები უნდა დაიხარჯოს უზუფრუქტით დატვირთული სხვა ქონების ინტერესებში.

– 2. დავა იმ საკითხთან დაკავშირებით, თუ რა უნდა გაკეთდეს პარ. 1-ში მითითებული ფულადი თანხების მიმართ, წყდება იმ პირის მიერ, რომელიც უზუფრუქტის დადგენისას ამ მიზნით არის დანიშნული, ხოლო თუ ასეთი პირი არ იქნა დანიშნული, – მაშინ რაიონული სასამართლოს მიერ. წინამდებარე პარაგრაფში მითითებული რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებისა და ასევე სასამართლოს სხვა განკარგულებების ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრება დაუშვებელია.

მუხლი 3:215 უზუფრუქტით დატვირთული ქონების განკარგვისა და მოხმარების უფლება

– 1. როდესაც უზუფრუქტუარს როგორც უზუფრუქტის დადგენისას, ისე ამის შემდგომ მიენიჭა უფლებრივად დატვირთული აქტივების მთლიანად ან ნაწილობრივ განკარგვისა და მოხმარების უფლება, უზუფრუქტის გაუქმებისას მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს უფლებრივად დატვირთული აქტივებისა და მათი შემცვლელი საგნების მისთვის მიწოდება, რამდენადაც უზუფრუქტუარი ან მისი უფლებამონაცვლეები ვერ დაამტკიცებენ იმას, რომ ეს აქტივები მოხმარებულ იქნა ან განადგურდა შემთხვევითობის შედეგად.

– 2. უფლებრივად დატვირთული აქტივების განკარგვისა და მოხმარების უფლების მინიჭების შემთხვევისათვის შესაძლოა დანიშნოს ორი ან მეტი პირი, რომელთა თანხმობაც მოითხოვება ამ აქტივების განკარგვისა და მოხმარებისათვის. როდესაც უზუფრუქტი ექვემდებარება დანიშნული მმართველის მიერ ქონების (მინდობით) მართვას, მაშინ ამ მმართველმა უნდა ითანამშრომლოს უფლებრივად დატვირთული აქტივების განკარგვისა და მოხმარებისათვის.

– 3. თუ უზუფრუქტუარს აქვს უზუფრუქტით დატვირთული აქტივების განკარგვისა და მოხმარების უფლება, მას შეუძლია ასევე მათი გამოყენება მცირე საჩუქრების სახით, რამდენადაც ზოგადად ხდება ასეთი საჩუქრების გაცემა.

მუხლი 3:216 ნაყოფის მიღება

უფლებრივად დატვირთული აქტივების ყველა ნაყოფი, რომელიც გამოცალკევებულ იქნა უზუფრუქტის უფლებით სარგებლობისას, ანდა დამდგარია მათი მიღებისა და ამოღების ვადა, დაუყოვნებლივ ეკუთვნის უზუფრუქტუარს. გარდა აღნიშნულისა, უზუფრუქტის დადგენისას შესაძლებელია განისაზღვროს, თუ რა სარგებელი იქნება მიჩნეული უფლებრივად დატვირთული აქტივების ნაყოფად.

მუხლი 3:217 უზუფრუქტუარის მიერ უზუფრუქტით დატვირთული აქტივების გაქირავების უფლება

- 1. უზუფრუქტუარი უფლებამოსილია, გააქირავოს უზუფრუქტით დატვირთული აქტივები, რამდენადაც საწინააღმდეგო წესი არ იქნა შეთანხმებული უზუფრუქტის დადგენისას.
- 2. თუ უზუფრუქტით დატვირთული აქტივი არ იყო გაქირავებული მესამე პირზე უზუფრუქტის დადგენის მომენტში, მაშინ უზუფრუქტუარი არ არის უფლებამოსილი მის გაქირავებაზე მესაკუთრის თანხმობის ან რაიონული სასამართლოს ნებართვის გარეშე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნული უფლება უზუფრუქტუარს უზუფრუქტის დადგენისას მიანიჭა.
- 3. მესაკუთრემ უზუფრუქტის გაქარწყლებისას უნდა შეასრულოს მის ქონებასთან დაკავშირებით არსებული ყველა ის ქირავნობის ხელშეკრულება, რომელიც მართლზომიერად დაიდო უზუფრუქტუარის მიერ თავისი უზუფრუქტის უფლებით სარგებლობისას. თუმცადა, მესაკუთრეს შეუძლია უარი თქვას ასეთი ქირავნობის ხელშეკრულებების შესრულებაზე, რამდენადაც მან არ გასცა თავისი ნებართვა ქირავნობის შეთანხმებულ ხანგრძლივობაზე, რომელიც ადგილობრივი წეს-ჩვეულებების (ზოგადი პრაქტიკის) შესაბამისად აღემატება ქირავნობის ვადას, ან როდესაც მოხდა სამოქალაქო კოდექსის მე-7 ნიგნის მე-4 ტიტულის მე-6 განყოფილებაში მითითებული საბითუმო ვაჭრობის ობიექტის გაქირავება, რომელიც აღემატება ხუთ წელს, - იჯარის შემთხვევაში კი, - რომელიც აღემატება 12 წელს, თუ საქმე ეხება სასოფლო-სამეურნეო შენობა-ნაგებობებს ან აღემატება 6 წელს, თუ ის ეხება მხოლოდ და მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწას, ანდა - როდესაც გაქირავება მოხდა მისთვის მძიმე საგამონაკლისო პირობებით.
- 4. მესაკუთრე ვეღარ შეძლებს ქირავნობის ხელშეკრულების შესრულებაზე უარი თქმას, თუ დამქირავებელმა დაადგინა გონივრული ვადა, რომლის განმავლობაშიც მესაკუთრემ უნდა გამოხატოს თავისი პოზიცია ქირავნობის ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებით და ის ამას აღნიშნულ ვადაში არ აკეთებს.
- 5. თუ წინა პარაგრაფების ნორმების მოქმედება არ იწვევს მესაკუთრისათვის უზუფრუქტუარის მიერ მართლზომიერად დადებული ქირავნობის ხელშეკრულების შესრულების დავალდებულებას, მაშინ მან მაინც უნდა გააგრძელოს ქირავნობის ურთიერთობა დამქირავებელთან, რამდენადაც საქმე ეხება საცხოვრებელი სახლის ქირავნობას, რომელიც უზუფრუქტის უფლების გაქარწყლებისას წარმოადგენს დამქირავებლის ძირითად ადგილსამყოფელს და სამოქალაქო კოდექსის 7:271 მუხლიდან 7:277 მუხლის ჩათვლით ნორმები გამოიყენება ამ ქირავნობის მიმართ იმ პირობით, რომ ასეთ ვითარებაში სამოქალაქო კოდექსის 7:269 მუხლის პარ. 2-ის ნორმები გამოიყენება ასევე მესაკუთრესა და დამქირავებელს შორის არსებული ქირავნობის ურთიერთობის მიმართ.

მუხლი 3:218 უზუფრუქტუარისა და მესაკუთრისათვის სარჩელის უფლების რეალიზაციის შესაძლებლობა

როგორც უზუფრუქტუარი, ისე მესაკუთრე დამოუკიდებლად არიან უფლებამოსილი, წარადგინონ სარჩელები ან განცხადებები სასამართლოს იმ გადაწყვეტილების მისაღებად, რომელიც ეხება როგორც უზუფრუქტუარის, ისე მესაკუთრის უფლებასაც იმ პირობით, რომ უზუფრუქტუარი უზრუნველყოფს მეორე მხარის დროულ მონვევას სასამართლოში საქმის განხილვაზე.

მუხლი 3:219 ხმის უფლებები

გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც მონესრიგებულია სამოქალაქო კოდექსის 2:88 და 2:197 მუხლებში და ასევე - 5:123 მუხლის ნორმებში, მესაკუთრე ჯერ კიდევ წარმოადგენს იმ პირს, ვინც ახდენს იმ ხმის უფლებათა რეალიზაციას, რომლებიც დაკავშირებულია უზუფრუქტით დატვირთულ აქტივებთან, თუ უზუფრუქტის დადგენისას საწინააღმდეგო წესი არ იქნა შეთანხმებული. სამოქალაქო კოდექსის 4:19 და 4:21 მუხლებში მითითებული უზუფრუქტის შემთხვევაში, უზუფრუქტუარსაც აქვს ხმის უფლება, თუ უზუფრუქტის დადგენისას საწინააღმდეგო წესი არ იქნა შეთანხმებული ანდა რაიონულმა სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის 4:23 მუხლის პარ. 4-ის ნორმების საფუძველზე სხვაგვარად არ დაადგინა.

მუხლი 3:220 სტანდარტული მოვალეობები და რემონტი

- 1. უზუფრუქტით დატვირთულ აქტივებთან დაკავშირებული სტანდარტული მოვალეობებისა და სარემონტო სამუშაოების შესრულება ხდება უზუფრუქტუარის ხარჯზე და ისინი უნდა განხორციელდეს ამ უკანასკნელის მიერ. თუ საჭიროა კაპიტალური სარემონტო სამუშაოების განხორციელება, უზუფრუქტუარმა ამის აუცილებლობის თაობაზე უნდა შეატყობინოს მესაკუთრეს და მისცეს მას ამ სამუშაოების

შესრულების შესაძლებლობა. თუმცა, მესაკუთრე უზუფრუქტუარის მიმართ არ არის ვალდებული, განახორციელოს რაიმე სახის სარემონტო სამუშაოები უზუფრუქტით დატვირთული ქონების მიმართ.

– 2. თუმცა, ის მესაკუთრე, ვინც რჩება ნაწილობრივ უფლებამოსილი უზუფრუქტით დატვირთული ქონების ნაყოფზე როგორც იმ ფაქტის შედეგზე, რომ უზუფრუქტუარის უფლებები ამ თვალსაზრისით შეზღუდული იყო, ვალდებულია მიიღოს პროპორციული მონაწილეობა იმ მოვალეობების შესრულებასა და ხარჯებში, რომლებიც წინა პარაგრაფის ნორმათა ძალით ეკისრება უზუფრუქტუარს.

მუხლი 3:221 უზუფრუქტუარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებლობა

– 1. თუ უზუფრუქტუარი მნიშვნელოვანწილად არ ასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს, სასამართლოს მესაკუთრის მოთხოვნის საფუძველზე შეუძლია უზუფრუქტით დატვირთული ქონების მართვის უფლება მოანიჭოს მესაკუთრეს ანდა უზუფრუქტის უფლება გადასცეს დანიშნული მმართველის მიერ ქონების (მინდობით) მართვის მიზნით.

– 2. ზემოაღნიშნული სასამართლო დავის განხილვისას სასამართლოს შეუძლია უზუფრუქტის უფლება გადასცეს დანიშნული მმართველის მიერ ქონების (მინდობით) მართვისათვის დაუყოვნებლივ აღსრულებადი სასამართლოს გადაწყვეტილების ძალით.

– 3. სასამართლოს მესაკუთრის მიერ ქონების მართვის ან დანიშნული მმართველის მიერ ქონების (მინდობით) მართვის უფლებასთან დაკავშირებით შეუძლია მიიღოს დამატებითი მითითებები, რომლებსაც ის მიზანშეწონილად ჩათვლის. გარდა აღნიშნულისა, გამოიყენება სამოქალაქო კოდექსის 4:154, 4:157 მუხლებიდან 4:166, 4:168, 4:170, 4:172, 4:173, 4:174 მუხლებისა და 4:177 მუხლის პარ. 1-ის ნორმები იმ პირობით, რომ რაიონული სასამართლო შეძლებს შეცვალოს სამოქალაქო კოდექსის 4:159 მუხლში მითითებული საზღაური კონკრეტული გარემოებების საფუძველზე და ის ასევე ნებისმიერ დროს შეძლებს სამოქალაქო კოდექსის 4:160 მუხლში მითითებული უზრუნველყოფის წარდგენას. დანიშნული მმართველის მიერ ქონების (მინდობით) მართვა შეიძლება გაუქმდეს უზუფრუქტუარისა და მესაკუთრის ერთობლივი გადაწყვეტილებით ან – სასამართლოს მიერ ერთ-ერთი მათგანის მოთხოვნის საფუძველზე.

მუხლი 3:222 ურთიერთდაკავშირებული აქტივების ჯგუფი

– 1. თუ ერთი და იგივე უზუფრუქტით სრულად დატვირთულია ურთიერთდაკავშირებული აქტივების სამემკვიდრეო, ბიზნეს თუ სხვა მსგავსი ჯგუფი, მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს ურთიერთდაკავშირებული აქტივების ამ ჯგუფს მიკუთვნილი ვალების უზუფრუქტუარის მიერ დაფარვა უზუფრუქტით დატვირთული ქონებიდან, ხოლო რამდენადაც მესაკუთრემ საკუთარი სახსრებით თავად დაფარა ეს ვალები, – მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს უზუფრუქტუარის მიერ მისთვის უზუფრუქტით დატვირთული ქონებიდან მესაკუთრის მიერ განხორციელებული გადახდის სახით ეკვივალენტური ღირებულების მქონე ერთი ან მეტი აქტივის მიწოდება, რასაც დაემატება მესაკუთრის მიერ ვალების დაფარვის დღიდან დარიცხული პროცენტების თანხები. თუ ურთიერთდაკავშირებული აქტივების ჯგუფს მიკუთვნილი ვალი დაიფარა უზუფრუქტუარის მიერ საკუთარი სახსრებით, რომლებიც არ განეკუთვნება უზუფრუქტით დატვირთულ ქონებას, მაშინ მესაკუთრემ უნდა აუნაზღაუროს მას ეს თანხები, თუმცა ეს ვალდებულება უნდა შესრულდეს უზუფრუქტის გაუქმების შემდეგ.

– 2. წინა პარაგრაფის ნორმები შესაბამისად გამოიყენება იმ აქტივებზე დადგენილი უზუფრუქტის მიმართაც, რომლებიც არ არის, როგორც ასეთი, ერთმანეთთან დაკავშირებული, თუმცა ეს ვალდებულება ვალდებულ ქონებრივ ხარჯებს.

მუხლი 3:223 თავად უზუფრუქტის უფლების გადაცემა (საკუთრებაში გადაცემა ან უფლებრივი დატვირთვა)

უზუფრუქტუარს შეუძლია გადასცეს სხვა პირს თავისი უზუფრუქტი ან დატვირთოს ის შეზღუდული სანივთო უფლებით; უზუფრუქტის ხანგრძლივობაზე აღნიშნული არ მოქმედებს. როდესაც უზუფრუქტი გადაეცემა სხვა მხარეს, თავდაპირველი უზუფრუქტუარი და ახალი უზუფრუქტუარი სოლიდარულად აგებენ პასუხს მესაკუთრის წინაშე ყველა იმ მოვალეობისა და ვალდებულებისათვის, რომლებიც გამომდინარეობს უზუფრუქტიდან. თუ თავდაპირველმა უზუფრუქტუარმა შეიძინა უზუფრუქტით დატვირთული აქტივის გასხვისების, გამოყენებისა თუ მოხმარების უფრო მეტი უფლებები, ვიდრე მას ექნებოდა კანონის დისპოზიციური ნორმების შესაბამისად, მაშინ ამ დამატებით უფლებებს არ იძენს ის უფლებამონაცვლე პირები, რომლებმაც მისგან მიიღეს უზუფრუქტი.

მუხლი 3:224 უზუფრუქტუარის მიერ უზრუფრუქტის უფლებაზე უარი

თუ უზუფრუქტუარს სურს უარი თქვას თავის უზრუფრუქტის უფლებაზე ამ უკანასკნელთან დაკავშირებული მოვალეობებისა და ვალდებულებების გამო, მესაკუთრემ უნდა ითანამშრომლოს მასთან ამ საკითხში; ასეთ შემთხვევაში თავად უზრუფრუქტის გაუქმების ხარჯები ეკისრება უზუფრუქტუარს.

მუხლი 3:225 უზუფრუქტით დატვირთული ქონების მესაკუთრისათვის დაბრუნება

უზრუფრუქტის გაუქმების შემდეგ უზუფრუქტუარსა თუ მის უფლებამონაცვლე პირებს ევალებათ უზუფრუქტით დატვირთული ქონების კვლავ მესაკუთრის განკარგულებაში დაბრუნება.

მუხლი 3:226 ქონებით ერთობლივი სარგებლობისა და ცხოვრების უფლება

– 1. უზუფრუქტის უფლების მომწესრიგებელი კანონისმიერი ნორმები გამოიყენება ასევე ქონებით ერთობლივი სარგებლობისა და ცხოვრების უფლებების მიმართ, გარდა ქვემოთ მოცემული ნორმებისა.

– 2. თუ მოხდა მხოლოდ ქონებით ერთობლივი სარგებლობის უფლების მინიჭება, მაშინ მისი მფლობელი უფლებამოსილია მხოლოდ ამ უფლებით დატვირთული ქონების ნაყოფით სარგებლობასა და გამოყენებაზე, რამდენადაც მას ეს ნაყოფი თავისთვის ან საკუთარი ოჯახისათვის ესაჭიროება.

– 3. თუ მოხდა მხოლოდ ცხოვრების უფლების მინიჭება, მაშინ მისი მფლობელი უფლებამოსილია მხოლოდ ამ უფლებით დატვირთულ საცხოვრებელ სახლში თავის ოჯახთან ერთად ცხოვრებაზე.

– 4. წინა პარაგრაფში ნახსენები უზუფრუქტის ერთ-ერთი სპეციფიკური უფლების მფლობელი ვერ გაასხვისებს თავის უფლებას ან ვერ დატვირთავს მას შეზღუდული სანივთო უფლებით, და ასევე ვერც სხვას მისცემს თავისი უფლებით დატვირთული სახლით სარგებლობისა თუ მასში ცხოვრების შესაძლებლობას.

ტიტული 3.9 – სანივთო უზრუნველყოფის უფლებები: გირავნობა და იპოთეკა

განყოფილება 3.9.1 – სანივთო უზრუნველყოფის უფლებების მომწესრიგებელი ზოგადი დებულებები

მუხლი 3:227 „გირავნობა“ და „იპოთეკა“ წარმოადგენს სანივთო უზრუნველყოფის უფლებებს

– 1. გირავნობა და იპოთეკა წარმოადგენს სხვა პირის კუთვნილ აქტივებზე არსებულ სანივთო უზრუნველყოფის უფლებებს, რომლებიც მათ მფლობელს („მოგირავნე“ და „იპოთეკარი“) ანიჭებს უფლებამოსილებას, დაიკამაყოფილოს თავისი ფულადი სავალო მოთხოვნა დატვირთული აქტივების რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების თანხებით იმ პირის ყველა სხვა კრედიტორის უპირატესად, რომლის აქტივიც არის უფლებრივად დატვირთული. როდესაც ასეთი სანივთო უზრუნველყოფის უფლება დგინდება უძრავ ქონებაზე ან რეგისტრირებულ გემსა თუ საჰაერო ხომალდზე, მას უწოდებენ იპოთეკას; როდესაც ის დგინდება ნებისმიერ სხვა ქონებაზე, მას გირავნობას უწოდებენ.

– 2. ნივთზე არსებული გირავნობა ან იპოთეკა მოიცავს ყველა იმ ობიექტს, რაზეც ვრცელდება ამ ნივთის საკუთრების უფლება.

მუხლი 3:228 სანივთო უზრუნველყოფის უფლების დადგენის შესაძლებლობები

გირავნობითა თუ იპოთეკით შეიძლება დაიტვირთოს ნებისმიერი გადაცემადი აქტივი.

მუხლი 3:229 დაგირავებული ან იპოთეკით დატვირთული აქტივების ჩანაცვლება

– 1. გირავნობა ან იპოთეკა კანონის ძალით მოიცავს რეალურ ზარალთან დაკავშირებულ ყველა სავალო მოთხოვნას, რომლებიც მიჩნეულია თავად უფლებრივად დატვირთული ქონების შემცვლელად, მათ შორის, – ის სავალო მოთხოვნები, რომლებიც ამ ქონების გაუფასურებიდან გამომდინარეობს.

– 2. ზემოაღნიშნულ გირავნობას ენიჭება უპირატესი რიგი ყველა სხვა გირავნობასთან შედარებით, რომლებიც არსებობს ასეთ სავალო მოთხოვნებზე.

მუხლი 3:230 დაუყოფადი სანივთო უზრუნველყოფის უფლებები

გირავნობა ან იპოთეკა დაუყოფადია იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც იმ ვალდებულებას, რომლის უზრუნველყოფისკენაც მიმართულია ეს უფლება, ჰყავს ორი ან მეტი კრედიტორი ან მოვალე და ეს ვალდებულება შემდგომში მათ შორის დაიყო და განაწილდა.

მუხლი 3:231 არსებული და სამომავლო სავალო მოთხოვნების უზრუნველყოფა

– 1. გირავნობა ან იპოთეკა შეიძლება დადგინდეს არსებული და სამომავლო სავალო მოთხოვნების უზრუნველსაყოფად. ის სავალო მოთხოვნა, რომლისათვისაც დგინდება უზრუნველყოფა, შეიძლება იყოს სახელობითი, საორდერო ან სანარმდგენლო ფასიანი ქაღალდი. ის შეიძლება იყოს ასევე სავალო მოთხოვნა თავად დამგირავებლისა თუ იპოთეკის საგნის მესაკუთრის მიმართ ანდა – სავალო მოთხოვნა ნებისმიერი სხვა პირის მიმართ.

– 2. გირავნობით ან იპოთეკით უზრუნველყოფილი სავალო მოთხოვნა საკმარისად უნდა იქნეს განსაზღვრული.

მუხლი 3:232 {გაუქმებულია}

მუხლი 3:233 იმ დამგირავებლისა თუ იპოთეკის საგნის მესაკუთრის პასუხისმგებლობა, რომელიც თავად არ წარმოადგენს მოვალეს

– 1. დამგირავებელი ან იპოთეკის საგნის მესაკუთრე, რომელიც თავად არ წარმოადგენს იმ სავალო მოთხოვნისგან გამომდინარე მოვალეს, რომლისათვისაც გირავნობა ან იპოთეკა გამოყენებულია როგორც უზრუნველყოფა, პასუხისმგებელია უფლებრივად დატვირთული აქტივების გაუფასურებისათვის, რამდენადაც კრედიტორის უზრუნველყოფას ამის შედეგად ექმნება საფრთხე და დამგირავებელს, იპოთეკის საგნის მესაკუთრესა თუ პასუხისმგებელ სხვა პირს ბრალის მიუძღვის ასეთ გაუფასურებაში.

– 2. ის ხარჯები, რომლებიც დამგირავებელმა ან იპოთეკის საგნის მესაკუთრემ გასწია უფლებრივად დატვირთული აქტივის ხარჯზე, რომელიც არ მოხმარდა ამ უკანასკნელის ექსპლუატაციას, შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მოგირავნისა თუ იპოთეკარისაგან, თუმცა – მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოგირავნემ ან იპოთეკარმა აინაზღაურა თავისი სავალო მოთხოვნა უფლებრივად დატვირთული აქტივის რეალიზაციიდან ამონაგები თანხებით და ასევე რამდენადაც ამ ხარჯებმა ხელი შეუწყო რეალიზაციიდან მაქსიმალური ამონაგები თანხების მიღებას.

მუხლი 3:234 მოვალის უფლებრივად დატვირთული აქტივი თავდაპირველად უნდა გაიყიდოს იძულებითი რეალიზაციის გზით

– 1. თუ ერთი და იგივე მოთხოვნის უფლება უზრუნველყოფილია მოვალის კუთვნილ აქტივზე დადგენილი გირავნობით ან იპოთეკით, ისევე როგორც – სხვა პირის კუთვნილ აქტივზე დადგენილი გირავნობით ან იპოთეკით, მაშინ ამ უკანასკნელს იმ შემთხვევაში, როდესაც უზრუნველყოფილი მოთხოვნის უფლების კრედიტორი იწყებს აქტივის რეალიზაციის პროცედურას, შეუძლია მოითხოვოს თავდაპირველად მოვალის კუთვნილი უფლებრივად დატვირთული აქტივის გაყიდვა.

– 2. თუ ერთი და იგივე მოთხოვნის უფლება უზრუნველყოფილია ორ ან მეტ აქტივზე დადგენილი გირავნობით ან იპოთეკით და ერთ-ერთი ამ აქტივთაგანი დატვირთულია სხვა შეზღუდული სანივთო უფლებით, რომლის არსებობის შესახებაც კრედიტორმა შესაძლოა არ იცოდეს იძულებითი რეალიზაციის დაწყებისას, მაშინ შეზღუდული სანივთო უფლების მფლობელს ექნება პარ. 1-ში ნახსენების შესაბამისი უფლება.

– 3. თუ უზრუნველყოფილი მოთხოვნის უფლების კრედიტორი უარს იტყვის პარ. 1-ის ან პარ. 2-ის ნორმებზე დაფუძნებული მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, მაშინ რაიონული სასამართლოს დროებითი სამართლებრივი დაცვის საშუალების მიმღებ მოსამართლეს ყველაზე მეტად დაინტერესებული მხარის, ხოლო იპოთეკის შემთხვევაში კი, – იმ ნოტარიუსის მოთხოვნის საფუძველზე, ვის წინაშეც უნდა განხორციელდეს ქონების იძულებითი გაყიდვა, შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება კრედიტორის უართან დაკავშირებით. მოთხოვნა აჩერებს იძულებითი რეალიზაციას. წინამდებარე პარაგრაფში მითითებული სასამართლოს გადაწყვეტილებისა და ასევე სასამართლოს სხვა განკარგულებების ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრება დაუშვებელია.

მუხლი 3:235 მისაკუთრების აკრძალვა

ბათილია თითოეული დათქმა თუ პირობა, რომელიც მოგირავნესა თუ იპოთეკარს ანიჭებს დაგირავებული ან იპოთეკით დატვირთული აქტივის მისაკუთრების უფლებას.

განყოფილება 3.9.2 – გირავნობა

მუხლი 3:236 სტანდარტული გირავნობის („მფლობელობითი გირავნობის“) დადგენა

– 1. მოძრავ ნივთზე, საორდერო ან სანარმდგენლო სავალო მოთხოვნაზე ან ასეთ ნივთსა თუ სავალო მოთხოვნაზე არსებულ უზუფრუქტზე გირავნობა დგინდება ნივთის ან, შესაბამისად, ბრუნვაუნარიანი დოკუმენტის მოგირავნის ან ამ მიზნით მხარეთა მიერ დანიშნული მესამე პირის ფაქტობრივ ბატონობაში გადაცემით. საორდერო სავალო მოთხოვნაზე ანდა ასეთ მოთხოვნაზე არსებულ უზუფრუქტზე გირავნობის დადგენისათვის მოითხოვება ასევე ბრუნვაუნარიანი დოკუმენტის ინდოსირებისას მასში მოგირავნის სახელის დამატება.

– 2. სხვა ქონებაზე გირავნობა დგინდება დასაგირავებელი აქტივების გადაცემისათვის კანონით განსაზღვრული წესით.

მუხლი 3:237 “არამფლობელობითი გირავნობის” დადგენა

– 1. მოძრავ ნივთზე, საორდერო ან სანარმდგენლო სავალო მოთხოვნაზე ან ასეთ ნივთსა თუ სავალო მოთხოვნაზე არსებულ უზუფრუქტზე გირავნობა შეიძლება დადგინდეს ასევე სანოტარო აქტისა თუ რეგისტრირებული კერძო აქტის მეშვეობით, ორივე შემთხვევაში – ნივთისა თუ ბრუნვაუნარიანი დოკუმენტის მოგირავნის ფაქტობრივ ბატონობაში გადაცემის გარეშე (“არამფლობელობითი გირავნობა”).

– 2. დამგირავებელმა სანოტარო აქტისა თუ რეგისტრირებულ კერძო აქტში უნდა განაცხადოს, რომ მას აქვს დასაგირავებელი აქტივის განკარგვის უფლებამოსილება და მას თავისუფლად შეუძლია მისი გირავნობის უფლებით დატვირთვა, და ასევე – რომ აღნიშნული აქტივი არ არის დატვირთული სხვა შეზღუდული სანივთო უფლებით ანდა, თუ ის დატვირთულია ასეთი უფლებით, – მაშინ რა შეზღუდული სანივთო უფლებები არის მასზე დადგენილი.

– 3. როდესაც დამგირავებელი ან მოვალე ჯეროვნად არ ასრულებს მოგირავნის წინაშე ნაკისრ ვალდებულებებს ანდა როდესაც ერთ-ერთი მათგანი მოგირავნეს აძლევს რეალურ საფუძველს იმის შიშისა, რომ ერთ-ერთი ამ ვალდებულებათაგანი დროულად ან სათანადოდ არ შესრულდება, მაშინ იმ მოგირავნეს, რომელმაც შეიძინა არამფლობელობითი გირავნობა, შეუძლია მოითხოვოს ნივთის ან ბრუნვაუნარიანი დოკუმენტის მის ან მესამე პირის ფაქტობრივ ბატონობაში გადაცემა. თუ დაგირავებული აქტივი დატვირთულია ორი ან მეტი არამფლობელობითი გირავნობით, მაშინ თითოეული მოგირავნე, ვის მიმართაც დამგირავებელი ან მოვალე დროულად ან სათანადოდ არ ასრულებს ვალდებულებას, უფლებამოსილია თავისი უფლების რეალიზაციაზე იმ პირობით, რომ ყოველ სხვა მოგირავნეს, ნაცვლად პირველი რიგის მქონე მოგირავნისა, შეუძლია მხოლოდ იმის მოთხოვნა, რომ ნივთი ან ბრუნვაუნარიანი დოკუმენტი გადაეცეს მოგირავნეს ან ამ მიზნით ყველა მოგირავნეს შორის დადებული შეთანხმების ან სასამართლოს გადანყვეტილების საფუძველზე დანიშნულ მესამე პირს.

– 4. როდესაც დამგირავებელი ან მოვალე ჯეროვნად არ ასრულებს იმ მოგირავნის წინაშე ნაკისრ ვალდებულებებს, რომელმაც შეიძინა სამომავლოდ მისაღებ ნაყოფსა თუ ხორბალზე წინასწარ დადგენილი არამფლობელობითი გირავნობა, მაშინ რაიონულ სასამართლოს შეუძლია მიანიჭოს მოგირავნეს უფლებამოსილება, თავად მოახდინოს ამ ნაყოფისა თუ ხორბლის მიწის ნაკვეთიდან აღება. როდესაც დამგირავებელი წარმოადგენს მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს ანდა როდესაც ის უფლებამოსილია ამ ნაკვეთიდან ნაყოფისა თუ ხორბლის მიღებაზე შეზღუდული სანივთო უფლების ძალით, მაშინ სასამართლოს ის გადანყვეტილება, რომლითაც დაკმაყოფილდა მოგირავნის მოთხოვნა, შეიძლება გატარდეს რეგისტრაციაში რეგისტრირებული ქონების საჯარო რეესტრებში.

– 5. წინამდებარე პარაგრაფში მოცემული წესის შესაბამისად მიღებული სასამართლოს გადანყვეტილებისა და ასევე სასამართლოს სხვა განკარგულებების ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრება დაუშვებელია.

მუხლი 3:238 (მეორე) გირავნობის დადგენისას დამგირავებლის მხრიდან განკარგვის უფლებამოსილების არარსებობა

– 1. იმ ფაქტის მიუხედავად, რომ დამგირავებელს მოძრავ ნივთზე, საორდერო ან სანარმდგენლო სავალო მოთხოვნაზე ან ასეთ ნივთსა თუ სავალო მოთხოვნაზე არსებულ უზუფრუქტზე არამფლობელობითი გირავნობის დადგენისას აღარ აქვს ამ აქტივის განკარგვის უფლებამოსილება, მის მიერ ამავე აქტივზე დადგენილი მეორე გირავნობა მაინც ნამდვილია, თუ მეორე მოგირავნე მოქმედებდა კეთილსინდისიერად იმ მომენტში, როდესაც შესაბამისი ნივთი ან ბრუნვაუნარიანი დოკუმენტი გადაცემულ იქნა მის ან იმ მესამე პირის ფაქტობრივ ბატონობაში, რომელიც ამ მიზნით არის ამ მოგირავნის მიერ დანიშნული.

– 2. თუ პარ. 1-ში მითითებული აქტივი მასზე გირავნობის დადგენის მომენტში უკვე დატვირთული იყო შეზღუდული სანივთო უფლებებით, მაშინ ეს გირავნობა დაიკავებს უპირატეს რიგს ამ შეზღუდულ სანივთო უფლებასთან შედარებით, თუ მოგირავნემ არ იცოდა და მას არც უნდა სცოდნოდა შეზღუდული სანივთო უფლების არსებობის შესახებ პარ. 1-ში მითითებულ მომენტში.

– 3. როდესაც გირავნობა დგინდება იმ მოძრავ ნივთზე, რომლის მესაკუთრემაც ამ ნივთზე მფლობელობა დაკარგა იმის გამო, რომ მას ის მოპარეს, ანდა როდესაც გირავნობა დგინდება ასეთ ნივთზე არსებულ უზუფრუქტზე, შესაბამისად გამოიყენება 3:86 მუხლის პარ. 3-ის შესავალი სიტყვების, (b) პუნქტისა და პარ. 4-ის ნორმები.

– 4. დაუშვებელია წინამდებარე მუხლის ნორმების გამოყენება იმ პირის საწინააღმდეგოდ, რომელიც ითხოვს ნივთის, როგორც საკუთარი ქონების, უკან დაბრუნებას, როდესაც 3:86 მუხლზე მითითება ასევე შეუძლებელი იქნებოდა მის მიმართ, ვინაიდან ეს შესაძლებლობა გამორიცხულია 3:86a მუხლის პარ. 1 და 2-ის ან 3:86b მუხლის პარ. 1-ის ანდა ოკუპირებული ტერიტორიიდან კულტურული მემკვიდრეობის დაბრუნების შესახებ კანონის მე-7 მუხლის ნორმების საფუძველზე.

მუხლი 3:239 სახელობით სავალო მოთხოვნაზე დადგენილი „ფარული გირავნობა“

– 1. იმ სანივთო უფლებაზე არსებული გირავნობა, რომელიც უნდა განხორციელდეს ერთი ან მეტი კონკრეტული პირის მიმართ და რაც, ამავე დროს, არ წარმოადგენს საორდერო ან საწარმდგენლო სავალო მოთხოვნას ან ასეთ სანივთო უფლებაზე არსებულ უზუფრუქტს, შეიძლება დადგინდეს ასევე სანოტარო აქტისა თუ რეგისტრირებული კერძო აქტის მეშვეობით, რომელიც ამ მიზნით შედგენილია დამგირავნებელსა და მოგირავნეს შორის ორივე შემთხვევაში იმ პირისა თუ პირებისათვის გაგზავნილი შეტყობინების გარეშე, ვის მიმართაც სანივთო უფლება უნდა განხორციელდეს იმ პირობით, რომ ეს სანივთო უფლება გირავნობის დადგენის მომენტში უკვე არსებობს ან მისი მიღება მოხდება უშუალოდ ამ მომენტში უკვე არსებული სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე.

– 2. 3:237 მუხლის მეორე პარაგრაფის ნორმები შესაბამისად გამოიყენება აღნიშნული ფარული გირავნობის დადგენის მიმართ.

– 3. თუ დამგირავნებელი ან მოვალე ჯეროვნად არ ასრულებს მოგირავნის წინაშე ნაკისრ ვალდებულებებს ანდა როდესაც ერთ-ერთი მათგანი მოგირავნეს აძლევს რეალურ საფუძველს იმის შიშისა, რომ ერთ-ერთი ამ ვალდებულებათაგანი დროულად ან სათანადოდ არ შესრულდება, მაშინ მოგირავნე უფლებამოსილია პარ. 1-ში მითითებულ პირებს შეატყობინოს გირავნობის არსებობის შესახებ. დამგირავნებელი და მოგირავნე შეიძლება შეთანხმდნენ იმაზე, რომ ეს უფლება სხვა გარემოებებშიც წარმოიშვას.

– 4. როდესაც გირავნობის დადგენა მოხდა პარ. 1-ის შესაბამისად, მაშინ 3:88 მუხლი მოგირავნის მიმართ გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის პარ. 3-ში მითითებული შეტყობინების მომენტში მოქმედებდა კეთილსინდისიერად.

მუხლი 3:240 საერთო საკუთრების შემავალი აქტივის წილზე დადგენილი გირავნობა

საერთო საკუთრებაში შემავალი აქტივის წილზე გირავნობა დგინდება იგივე გზითა და იმავე შედეგით, რაც გათვალისწინებულია თავად ამ აქტივზე გირავნობის დადგენის მიმართ.

მუხლი 3:241 უზრუნველყოფილი სავალო მოთხოვნის ბუნებისა და მოცულობის შესახებ განცხადება

შესაბამისი მოთხოვნის შემთხვევაში, მოგირავნემ დამგირავნებელს უნდა გადასცეს წერილობითი განცხადება იმ სავალო მოთხოვნის ბუნებისა და, შეძლებისდაგვარად, მოცულობის მითითებით, რომლის უზრუნველყოფისკენაც მიმართულია ეს გირავნობა.

მუხლი 3:242 მოგირავნე ვერ დაადგენს გირავნობას მისთვის დაგირავებულ აქტივზე

მოგირავნე არ არის უფლებამოსილი სხვა გირავნობით დატვირთოს მის სასარგებლოდ დაგირავებული აქტივი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მას ეს უფლება არაორაზროვნად მიენიჭა.

მუხლი 3:243 დაგირავებული აქტივის ჯეროვანი მოვლა-პატრონობის ვალდებულება

– 1. მოგირავნემ ან მესამე პირმა, რომლის ხელთაც ნივთი არსებობს გირავნობის ძალით, უნდა იზრუნოს ამ ნივთზე წინდახედული მოგირავნის გულისხმიერებით.

– 2. დამგირავებელმა მოგირავნეს უნდა აუნაზღაურდეს ის ხარჯები, რომლებიც მოგირავნემ გასწია

დაგირავებული აქტივის შენარჩუნებისა და ექსპლუატაციისათვის, მათ შორის, – მასთან დაკავშირებული ქონებრივი ხარჯები; ეს ხარჯები ასევე უზრუნველყოფილია გირავნობით. სხვა ხარჯების ანაზღაურება, რომლებიც მოგირავნემ გასწია დაგირავებული აქტივის სასარგებლოდ, შეიძლება დამგირავებლისაგან მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი განხორციელდა მისი თანხმობით ისე, რომ ამით არ გამოირიცხება დამგირავებლის პასუხისმგებლობა დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებისა თუ უსაფუძვლო გამდიდრების მომწესრიგებელი ნორმების საფუძველზე.

მუხლი 3:244 გირავნობა როგორც დარიცხული პროცენტის უზრუნველყოფის საშუალება

გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარეთა შორის სანინაალმდეგო წესი იქნა შეთანხმებული, ერთი ან მეტი კონკრეტული სავალო მოთხოვნის უზრუნველსაყოფად დადგენილი გირავნობა მოიცავს ასევე ამ სავალო მოთხოვნებზე კანონისა თუ შეთანხმების მიხედვით სამი წლის დარიცხული პროცენტის ოდენობით უზრუნველყოფასაც.

მუხლი 3:245 მესამე პირთა მიმართ მოგირავნისა თუ დამგირავებლის მიერ განსახორციელებელი სარჩელის უფლება

როგორც დამგირავებელი, ისე მოგირავნე ცალ-ცალკე არიან უფლებამოსილი ვინმე სხვა პირის მიმართ დაგირავებული ქონების დაცვის მიზნით სარჩელებისა თუ განცხადებების წარდგენაზე იმ პირობით, რომ ის უზრუნველყოფს მეორე მხარის დროულ მონვევას სასამართლოში საქმის განხილვაზე.

მუხლი 3:246 გირავნობით დატვირთული სავალო მოთხოვნიდან გამომდინარე თანხების ამოღების უფლება

– 1. თუ გირავნობა არსებობს სავალო მოთხოვნაზე, მაშინ მოგირავნე უფლებამოსილია როგორც სასამართლო წესით, ისე სასამართლოს გარეთ არსებულ ურთიერთობებში მოითხოვოს მოთხოვნის დაკმაყოფილება და დაგირავებული სავალო მოთხოვნიდან გამომდინარე თანხების ამოღება.

– 2. როდესაც დაგირავებული სავალო მოთხოვნა ჯერ არ ექვემდებარება აღსრულებას (არ არის ვადამოსული და შესასრულებელი), თუმცა ის შესაძლოა გახდეს აღსრულებადი (ვადამოსული და შესასრულებელი) განსაზღვრული სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტის მეშვეობით, მაშინ ასეთი შეწყვეტის უფლება აქვს ასევე პარ. 1-ში მითითებული უფლებების მქონე პირსაც. ეს უკანასკნელი მეორე მხარის წინაშე ვალდებულია, არ მოახდინოს აღნიშნული უფლების საჭიროების გარეშე რეალიზაცია.

– 3. თუ სავალო მოთხოვნა დატვირთულია ერთზე მეტი გირავნობის უფლებით, მაშინ წინა პარაგრაფების საფუძველზე მოგირავნისათვის მინიჭებული უფლებები ეკუთვნის მხოლოდ პირველი რიგის გირავნობის უფლების მქონე მოგირავნეს.

– 4. მას შემდეგ, რაც დაგირავებული სავალო მოთხოვნის მოვალეს ეცნობება გირავნობის უფლების არსებობის შესახებ, დამგირავებელს ზემოაღნიშნული უფლებების რეალიზაცია შეეძლება მხოლოდ მოგირავნის თანხმობით ან რაიონული სასამართლოს ნებართვით.

– 5. როდესაც დაგირავებული სავალო მოთხოვნიდან გამომდინარე თანხების ამოღება მოგირავნისა თუ დამგირავებლის მიერ რაიონული სასამართლოს ნებართვით ხდება, მაშინ ყველა ის გირავნობა, რომლითაც დატვირთული იყო ეს სავალო მოთხოვნა, ავტომატურად და იგივე რიგითობით ვრცელდება შესრულების შედეგად მიღებულ თანხებზე.

მუხლი 3:247 დაგირავებულ აქტივთან დაკავშირებული ხმის უფლება

გარდა სამოქალაქო კოდექსის 2:89 და 2:198 მუხლებში განსაზღვრული შემთხვევებისა, დამგირავებელი რჩება იმ ერთადერთ პირად, ვისაც აქვს დაგირავებულ აქტივთან დაკავშირებული ხმის უფლება, თუ მხარეები სანინაალმდეგო წესზე არ შეთანხმებულან.

მუხლი 3:248 დაგირავებული აქტივის იძულებითი რეალიზაცია სასამართლოსათვის მიმართვის გარეშე

– 1. როდესაც მოვალე არ ასრულებს იმ ვალდებულებას, რომლის უზრუნველყოფისკენაც მიმართულია გირავნობა, მოგირავნე უფლებამოსილია, სასამართლოსაგან ამისათვის წინასწარ ნებისმიერი თანხმობის მიღების აუცილებლობის გარეშე, განახორციელოს დაგირავებული აქტივის (აუქციონზე) საჯარო გაყიდვა იძულებითი რეალიზაციის გზით და გაყიდვიდან ამონაგები თანხებით დაფაროს უზრუნველყოფილი სავალო მოთხოვნა.

– 2. მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ იმაზე, რომ დაგირავებული აქტივის იძულებითი რეალიზაციის

გზით გაყიდვა დასაშვები იყოს მხოლოდ მას შემდეგ, რაც სასამართლო დამგირავებლის მოთხოვნის საფუძველზე დაადგენს, რომ სახეზეა მოვალის მხრიდან ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა.

– 3. თუ დაგირავებული აქტივის იძულებითი რეალიზაციის გზით გაყიდვას ახორციელებს შემდგომი რიგის მოგირავნე ან ყადაღის კრედიტორი, მაშინ ამ აქტივზე არსებული უპირატესი რიგის მქონე გირავნობის უფლებები ძალაში რჩება.

მუხლი 3:249 იძულებითი რეალიზაციის პროცედურის დაწყების შესახებ შეტყობინება (დაგირავებული აქტივების იძულებითი რეალიზაციისაგან გათავისუფლება)

– 1. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარეთა შორის საწინააღმდეგო წესი იქნა შეთანხმებული, მოგირავნემ, რომელსაც სურს დაგირავებული აქტივის იძულებითი რეალიზაციის პროცედურის დაწყება, უნდა შეატყობინოს თავისი განზრახვის შესახებ მოვალესა და დამგირავებელს, ისევე როგორც – დაგირავებულ აქტივზე დადგენილი შეზღუდული სანივთო უფლებების მქონე და ყადაღის დამდებ პირებს; რამდენადაც ეს გონივრულად შესაძლებელია, აღნიშნული შეტყობინება უნდა გაკეთდეს დაგეგმილი იძულებითი რეალიზაციამდე, სულ ცოტა, სამი დღით ადრე აუქციონის ადგილისა და დროის გაცხადებით და ამ მიზნით მეფის სამთავრობო ბრძანებით მიღებული წესების შესაბამისად.

– 2. შეტყობინებაში მაქსიმალურად ზუსტად უნდა იქნეს მითითებული ის თანხა, რომლისათვისაც შეიძლება გაქარწყლდეს გირავნობა. გაქარწყლებას (იძულებითი რეალიზაციისაგან გათავისუფლება) შეიძლება ადგილი ჰქონდეს გაყიდვის მომენტამდე იმ პირობით, რომ გადახდილია იძულებით რეალიზაციაზე უკვე განეული ხარჯები.

მუხლი 3:250 იძულებითი რეალიზაციის გზით გაყიდვა უნდა განხორციელდეს საჯაროდ

– 1. იძულებითი რეალიზაციის გზით გაყიდვა უნდა განხორციელდეს საჯაროდ ადგილობრივი პრაქტიკისა და სტანდარტული პირობების შესაბამისად.

– 2. როდესაც დაგირავებული აქტივი წარმოადგენს სასაქონლო ბაზარზე ან ბირჟაზე გასავლიან საქონელს, საჯარო გაყიდვა შეიძლება განხორციელდეს ასეთი ობიექტებზე მოქმედი შუამავლის დახმარებით იმ პირობებისა და ჩვეულებების დაცვით, რომლებიც აღნიშნულ ბაზარსა თუ ბირჟაზე გამოიყენება ჩვეულებრივი ნასყიდობის ხელშეკრულების მიმართ.

– 3. დამგირავებელსაც შეუძლია აუქციონში მონაწილეობის მიღება.

მუხლი 3:251 იძულებითი რეალიზაციის გზით გაყიდვის განხორციელების ალტერნატივა

– 1. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარეთა შორის საწინააღმდეგო წესი იქნა შეთანხმებული, რაიონული სასამართლოს დროებითი სამართლებრივი დაცვის საშუალების მიმღებ მოსამართლეს მოგირავნის ან დამგირავებლის მოთხოვნის საფუძველზე შეუძლია დაადგინოს, რომ დაგირავებული აქტივი გაიყიდოს იძულებითი რეალიზაციის გზით სხვაგვარი წესით, ვიდრე ეს გათვალისწინებულია წინა მუხლში, ანდა მოგირავნის მოთხოვნის საფუძველზე მას შეუძლია დაადგინოს, რომ დაგირავებული აქტივი გადაეცეს საკუთრებაში მოგირავნეს, როგორც მყიდველს, ამ მოსამართლის მიერ განსაზღვრული ნასყიდობის ფასის სანაცვლოდ.

– 2. მას შემდეგ, რაც მოგირავნე უფლებამოსილი გახდება იძულებითი რეალიზაციის პროცედურის დაწყებაზე, მოგირავნესა და დამგირავებელს შეუძლიათ შეთანხმდნენ დაგირავებული ქონების გაყიდვაზე სხვაგვარი წესით, ვიდრე ეს ნახსენებია წინა მუხლში. თუ დაგირავებული აქტივი დატვირთულია შეზღუდული სანივთო უფლებით ანდა როდესაც ის დაყადაღებულია სხვა კრედიტორის მიერ, მაშინ სანივთო უფლების მფლობელმა ან, შესაბამისად, ყადაღის კრედიტორმა უნდა ითანამშრომლოს მოგირავნესთან ამ შეთანხმებულ იძულებითი რეალიზაციის გზით გაყიდვის ალტერნატივასთან დაკავშირებით.

მუხლი 3:252 შეტყობინება იმის თაობაზე, რომ იძულებითი რეალიზაციის გზით გაყიდვა დასრულებულია

გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარეთა შორის საწინააღმდეგო წესი იქნა შეთანხმებული, მოგირავნემ უნდა შეატყობინოს მოვალესა და დამგირავებელს, ისევე როგორც – გაყიდულ აქტივზე დადგენილი შეზღუდული სანივთო უფლების მქონე და ყადაღის დამდებ პირებს იძულებითი რეალიზაციის გზით გაყიდვის დასრულების შესახებ, რამდენადაც ეს გონივრულად შესაძლებელია, არაუგვიანეს ერთი დღისა მას შემდეგ, რაც მოხდა იძულებითი რეალიზაცია, და ასევე ამ მიზნით მეფის სამთავრობო ბრძანებით მიღებული წესების შესაბამისად.

მუხლი 3:253 იძულებითი რეალიზაციის გზით გაყიდვიდან ამონაგები თანხების განაწილება

– 1. იძულებითი რეალიზაციის ხარჯების დაფარვის შემდეგ მოგირავნე ამონაგებ წმინდა თანხას აკლებს მისთვის გადასახდელ და მისი გირავნობის უფლებით უზრუნველყოფილ თანხას. დარჩენილი თანხა გადაეცემა დამგირავებელს. იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა რამდენიმე მოგირავნე ან შეზღუდული სანივთო უფლების მქონე პირი, რომელთა უფლებებიც გაქარწყლდა ქონების იძულებითი რეალიზაციის შედეგად, ანდა – როდესაც კრედიტორებმა მოახდინეს აქტივის გაყიდვიდან ამონაგები თანხის დაყადაღება, მოგირავნემ უნდა იმოქმედოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 490b მუხლის ნორმების შესაბამისად.

– 2. დაუშვებელია მოგირავნის მიერ წინა პარაგრაფში მითითებული ამონაგები წმინდა თანხის ზემოაღნიშნული დაინტერესებული პირებისათვის განაწილება იმ თანხებში გაქვითვის გზით, რაც მას უნდა გადაეხადა ამ პირებისათვის იმ ფულადი რესურსით, რაც მოგირავნეს შეუძლია მოსთხოვოს მათ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქმე ეხება მოგირავნისათვის გადახდას და ეს გადახდა არ ხდება არც მისი გაკოტრების საქმის წარმოებისა თუ მის მიმართ გამოყენებული ფულადი თანხების გადახდაზე ოფიციალური მორატორიუმის მოქმედების განმავლობაში და არც ფიზიკური პირებისათვის არსებული ვალების დაფარვის სქემის მოქმედებისა თუ მისი სამკვიდრო ქონების ლიკვიდაციის დროს. თუ ფიზიკური პირებისათვის არსებული ვალების დაფარვის სქემა მოქმედებს დამგირავებლის მიმართ, მაშინ გაქვითვის გზით თანხების გადაცემა ჯერ კიდევ შესაძლებელია, თუ გირავნობა დადგენილია სასამართლოს მიერ იმ დადგენილების მიღების შემდეგ, რომელშიც გაცხადდა დამგირავებლის მიმართ გამოსაყენებელი ვალების დაფარვის სქემის შესახებ, ხოლო როგორც სავალო მოთხოვნა, ისე ვალი კი წარმოიშვა ამ სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ.

მუხლი 3:254 დაგირავებული აქტივების იძულებითი რეალიზაციის გზით გაყიდვა იპოთეკის საგნის იძულებითი რეალიზაციის მიმართ მოქმედი წესების შესაბამისად

– 1. როდესაც გირავნობა დგინდება იმ მოძრავ ნივთებზე, რომლებიც ზოგადად აღიარებული შეხედულებების თანახმად (ზოგადი შეხედულება), გამიზნულია კონკრეტული უძრავი ქონების გრძელვადიანი სამსახურისთვის და ცნობადია, როგორც ასეთი, თავიანთი გარეგნული შესახედაობით ანდა – როდესაც გირავნობა დგინდება მანქანა-დანადგარებსა თუ მოწყობილობაზე, რომლებიც სპეციალურად დამონტაჟებულია მათი ექსპლუატაციის მიზნით აშენებულ ქარხანასა თუ საწარმოო აგრეგატში და ორივე შემთხვევაში 3:237 მუხლის შესაბამისად აღნიშნული გირავნობა დგინდება როგორც იმ სავალო მოთხოვნის უზრუნველსაყოფად, რომელსაც უზრუნველყოფს ასევე ამ კონკრეტულ უძრავ ქონებაზე, ქარხანასა თუ საწარმოო აგრეგატზე არსებული იპოთეკითაც ანდა ერთ-ერთ ამ უკანასკნელ აქტივზე დადგენილი შეზღუდულ სანივთო უფლებაზე არსებული იპოთეკითაც, – მაშინ დასაშვებია შეთანხმება იმის თაობაზე, რომ კრედიტორი უფლებამოსილი იყოს, მოახდინოს დაგირავებული და იპოთეკით დატვირთული აქტივების ერთად რეალიზაცია იპოთეკის საგნის იძულებითი რეალიზაციის მიმართ მოქმედი წესების შესაბამისად.

– 2. თუ დაგირავებული და იპოთეკით დატვირთული აქტივები კრედიტორის მიერ ერთად გაიყიდა პარ. 1-ში მითითებული დათქმის შესაბამისად, მაშინ 3:268 მუხლიდან 3:273 მუხლის ჩათვლით ნორმები შესაბამისად გამოიყენება გირავნობის მიმართ, რომლის დროსაც 3:248 მუხლიდან 3:253 მუხლის ჩათვლით ნორმების გამოყენება გამოირიცხება.

– 3. პარ. 1-ში მითითებული დათქმა, რომელიც ახსენებს ასევე იმ გირავნობებსაც, რომლებსაც ის ეხება, შეიძლება გატარდეს რეგისტრაციაში რეგისტრირებული ქონების საჯარო რეესტრებში, რომლებშიც ხდება ასევე იპოთეკის რეგისტრაციაც.

მუხლი 3:255 ფულზე დადგენილი გირავნობა

– 1. როდესაც გირავნობით დატვირთულია ფული, მოგირავნე უფლებამოსილია თავისი სავალო მოთხოვნა დაიკმაყოფილოს დაგირავებული ფულიდან 3:253 მუხლის შესაბამისად იმ მომენტიდან, როგორც კი მისი სავალო მოთხოვნა გახდა აღსრულებადი (ვადამოსული) წინასწარი შეტყობინებისა თუ ფორმალური გაფრთხილების გარეშე. მოგირავნე ვალდებულია, დაიკმაყოფილოს თავისი სავალო მოთხოვნა დაგირავებული ფულიდან, თუ დამგირავებელი ითხოვს ამას იმ პირობით, რომ ეს უკანასკნელი უფლებამოსილია თავისი ვალის გადახდაზე იმავე ვალუტაში, რა ვალუტაშიც არის გამოხატული დაგირავებული ფული.

– 2. შესაბამისად გამოიყენება 3:253 მუხლის ნორმები.

მუხლი 3:256 გირავნობის გაუქმება

როდესაც გირავნობის უფლება აღარ არსებობს, მოგირავნემ უნდა განახორციელოს ის მოქმედებები, რომლებიც აუცილებელია მისი მხრიდან იმის უზრუნველსაყოფად, რომ დამგირავებელმა დაიბრუნოს დაგირავებულ აქტივზე თავისი კონტროლი და ასევე მოთხოვნის შემთხვევაში ის ვალდებულია, დამგირავებელს გადასცეს წერილობითი მტკიცებულება იმ ფაქტის დასადასტურებლად, რომ გირავნობის უფლება აღარ არსებობს. თუ სავალო მოთხოვნა, რომლის მიმართაც უზრუნველყოფის სახით არსებობდა გირავნობა, თავად დატვირთულია შეზღუდული სანივთო უფლებით, მაშინ შესაბამისი ვალდებულება უნდა შესრულდეს შეზღუდული სანივთო უფლების მფლობელის მიერ.

მუხლი 3:257 დაგირავებული აქტივის ჯეროვანი მოვლა-პატრონობის ვალდებულების შეუსრულებლობა

თუ პირი, რომლის ხელთაც ნივთი არსებობს გირავნობის ძალით, არსებითად არღვევს მისი ჯეროვანი მოვლა-პატრონობის ვალდებულებას, მაშინ სასამართლოს დამგირავებლისა თუ მოგირავნის მოთხოვნის საფუძველზე შეუძლია დაადგინოს ნივთის გადაცემა ერთ-ერთი მათგანისათვის ანდა – ნივთის მიბარება შემნახველისათვის.

მუხლი 3:258 გირავნობის უფლების გაქარწყლება და მოგირავნის მიერ გირავნობის უფლებაზე უარი

– 1. გირავნობა ქარწყდება, როდესაც 3:236 მუხლის პარ. 1-ში მითითებული დაგირავებული აქტივი დამგირავებლის ფაქტობრივ ბატონობაში აღმოჩნდება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გირავნობის დადგენა მოხდა 3:237 მუხლის პარ. 1-ში გათვალისწინებული ნორმების საფუძველზე.

– 2. გირავნობაზე უარი შესაძლებელია მხარეთა შეთანხმებით იმ პირობით, რომ მოგირავნის თანხმობა გამოსატყუელია წერილობითი ან ელექტრონული ფორმით შედგენილ განცხადებაში. რამდენდაც თანხმობა ელექტრონული განცხადებიდან ვლინდება, შესაბამისად გამოიყენება სამოქალაქო კოდექსის 6:227a მუხლის პარ. 1-ის ნორმები.

განყოფილება 3.9.3 – სერტიფიკატების მფლობელთა სახელით დადგენილი გირავნობები

მუხლი 3:259 კონკრეტული სერტიფიკატების მფლობელთა სახელით კანონის ძალით დადგენილი გირავნობა

– 1. როდესაც ვინმე სერტიფიკატის გამოშვებით შესაძლებელს ხდის სხვა პირებისათვის იმ აქციებისა და სავალო მოთხოვნების მოგების განაწილებას, რომლებიც მის მიერ მიღებულია საკუთარი სახელით, მაშინ ამ პირებს – სერტიფიკატების მფლობელებს – მის მიმართ აქვთ სავალო მოთხოვნის უფლება, მიიღონ მათთვის შეპირებული გადახდა.

– 2. როდესაც დასახელდა თავდაპირველი აქციები ან სავალო მოთხოვნები და სერტიფიკატები გამოშვებულ იქნა იმ პირთან თანამშრომლობით, რომელმაც მოახდინა აქციებისა თუ სავალო მოთხოვნების გამოშვება, მაშინ სერტიფიკატების მფლობელები ასევე ერთობლივად იძენენ ამ აქციებსა თუ სავალო მოთხოვნებზე გირავნობას. თუ სერტიფიკატები გაიცა სახელობითი სავალო მოთხოვნებისათვის მოვალის მხრიდან თანამშრომლობის გარეშე, მაშინ სერტიფიკატების მფლობელები იძენენ ასეთ გირავნობას მოვალისათვის იმ ფაქტის შეტყობინებით, რომ აღნიშნული სერტიფიკატები გაცემულია. თუ სერტიფიკატები გაიცა საწარმდგენლო აქციებისა თუ სავალო მოთხოვნებისათვის, მაშინ სერტიფიკატების მფლობელები იძენენ ასეთ გირავნობას ბრუნვაუნარიანი დოკუმენტის სერტიფიკატების მფლობელებისა თუ მესამე პირის ფაქტობრივ ბატონობაში გადაცემის საჭიროების გარეშე.

– 3. პარ. 2-ში მითითებული გირავნობა სერტიფიკატების მფლობელებს ანიჭებს მხოლოდ დაგირავებული აქტივების იძულებითი რეალიზაციის გზით გაყიდვის უფლებას იმ შემთხვევაში, როდესაც მათთვის შეპირებული განსახორციელებელი გადახდა არ შესრულებულა. ეს უფლება ანიჭებს მათ მხოლოდ დაგირავებული აქციებისა და დაგირავებული სავალო მოთხოვნებისა იძულებითი რეალიზაციის გზით გაყიდვისა და ამონაგები თანხებიდან თავიანთი სავალო მოთხოვნების დაკმაყოფილების შესაძლებლობას ქვემოთ მოცემული წესების ჯეროვანი დაცვით. სერტიფიკატის ის მფლობელი, ვისაც სურს იძულებითი რეალიზაციის გზით გაყიდვა, იმ რაიონული სასამართლოს დროებითი სამართლებრივი დაცვის საშუალების მიმღებ მოსამართლეს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც სერტიფიკატების მიმწოდებელს აქვს თავისი ადგილსამყოფელი, უნდა მიმართოს დაგირავებული აქციებისა და დაგირავებული სავალო მოთხოვნების იმ მმართველის დანიშნის მოთხოვნით, ვინც განახორციელებს იძულებითი რეალიზაციის გზით გაყიდვასა და გაყიდვიდან ამონაგები თანხების განაწილებას. თუ სერტიფიკატების ყველა მფლო-

ბელი არ თანხმდება ასეთ გაყიდვას, მაშინ იძულებითი რეალიზაციის გზით იყიდება მხოლოდ იმ სერტიფიკატების მფლობელთა დაგირავებული აქტივების ნაწილი, რომლებიც დაეთანხმნენ ასეთ გაყიდვას. აღნიშნული სერტიფიკატების მფლობელთა უფლებები უქმდება, როდესაც გაყიდვიდან ამონაგები თანხები განაწილება და გადაიხდება მათ შორის. სერტიფიკატის თითოეული მფლობელის მოთხოვნის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით, დროებითი სამართლებრივი დაცვის საშუალების მიმღებ მოსამართლეს შეუძლია დაადგინოს სათანადო ზომების მიღების შესახებ სერტიფიკატების იმ მფლობელთა ინტერესების დასაცავად, რომლებიც არ დაეთანხმნენ გაყიდვას, და – ასევე გაითვალისწინოს ის წესი, რომ ასეთი გაყიდვა თავისი ნამდვილობისათვის საჭიროებს მისი მხრიდან მონონებას.

განყოფილება 3.9.4 – იპოთეკა

მუხლი 3:260 იპოთეკის დადგენა

– 1. იპოთეკა დგინდება იპოთეკის საგნის მესაკუთრესა და იპოთეკარს შორის ნოტარიუსის მიერ შესაბამისი მიზნით გაფორმებული სანოტარო აქტის მეშვეობით, რომელშიც მესაკუთრე იპოთეკარს თავის რეგისტრირებულ ქონებაზე ანიჭებს იპოთეკას, რის შემდგომაც ხორციელდება ამ აქტის რეგისტრაცია შესაბამის საჯარო რეესტრებში. სანოტარო აქტი უნდა შეიცავდეს მითითებას იმ სავალო მოთხოვნაზე, რომლის მიმართაც უზრუნველყოფის სახით არსებობს იპოთეკა, ანდა – ის უნდა აღწერდეს იმ ფაქტებს, რომლითაც ეს სავალო მოთხოვნა შეიძლება განისაზღვროს. სანოტარო აქტში უნდა მიეთითოს ასევე სავალო მოთხოვნის ის თანხა, რომლისათვისაც დგინდება იპოთეკა, ანდა როდესაც აღნიშნული თანხა ჯერ არ არის განსაზღვრული, – მაქსიმალური თანხის ოდენობა, რომელიც შეიძლება დაიფაროს იპოთეკით დატვირთული ქონების გაყიდვიდან ამონაგები თანხებიდან. სანოტარო აქტში იპოთეკარმა უნდა აირჩიოს თავისი ადგილსამყოფელი ნიდერლანდებში.

– 2. თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმებულან, იპოთეკის დადგენის ხარჯები ეკისრება მოვალეს.

– 3. პარ. 1-ში მითითებული სანოტარო აქტის გაფორმების შემთხვევაში, პირს იპოთეკის საგნის მესაკუთრის წარმომადგენლის სახით შეუძლია იმოქმედოს მხოლოდ იმ რწმუნებულების (წარმომადგენლობითი უფლებამოსილების) ძალით, რომელიც მას ენიჭება სანოტარო აქტში.

– 4. გარდა აღნიშნულისა, იპოთეკის დადგენა რეგულირდება უძრავ ქონებაზე შეზღუდული სანივთო უფლებების მიმართ გათვალისწინებული კანონისმიერი ნორმებით.

მუხლი 3:261 იპოთეკა როგორც გადაუხდელი ნასყიდობის ფასის უზრუნველყოფა

– 1. როდესაც ნასყიდობის ხელშეკრულებაში მხარეები შეთანხმდნენ იპოთეკის შესახებ, რომელიც უნდა გავრცელდეს გაყიდულ რეგისტრირებულ ქონებაზე მისი საკუთრებაში გადაცემის შემდეგ გადაუხდელი ნასყიდობის ფასის უზრუნველყოფის სახით და ასევე როდესაც ეს დათქმა ნახსენებია ასევე საკუთრებაში გადაცემის სანოტარო აქტშიც, მაშინ იმ პირობით, რომ იპოთეკის დადგენის სანოტარო აქტი და გაყიდული რეგისტრირებული ქონების საკუთრებაში გადაცემის სანოტარო აქტი რეგისტრაციაში ტარდება ერთი და იგივე მომენტში, აღნიშნული იპოთეკა იკავებს უპირატეს რიგს ყველა სხვა უფლებასთან შედარებით, რომლებიც მიიღება მყიდველისაგან საჯარო რეესტრებში ერთდროული რეგისტრაციის შედეგად.

– 2. პარ. 1-ის ნორმები შესაბამისად გამოიყენება იმ იპოთეკის მიმართ, რომელიც გათვალისწინებულ იქნა საერთო საკუთრების გაყოფისა და განაწილებისას და რომელიც უზრუნველყოფის სახით უნდა გავრცელდეს ერთ-ერთ განაწილებულ რეგისტრირებულ აქტივზე იმ ვალდებულების უზრუნველსაყოფად, რომელიც იმ პირს, რომელზეც ეს აქტივი განაწილდა, სხვა თანამესაკუთრეთა მიმართ განაწილების შედეგად ეკისრება ან დაეკისრება მომავალში.

მუხლი 3:262 იპოთეკებისა და სხვა შეზღუდული სანივთო უფლებების შეცვლილი ორმხრივი რიგითობის წესი

– 1. საჯარო რეესტრებში სარეგისტრაციო სანოტარო აქტში დასაშვებია შეთანხმება, რომლითაც კონკრეტულ იპოთეკას იმავე რეგისტრირებულ აქტივზე ერთი ან მეტი სხვა იპოთეკის უფლებასთან შედარებით მიენიჭება უპირატესი რიგი, ვიდრე მას ექნებოდა მისი რეგისტრაციის დროის შესაბამისად იმ პირობით, რომ სანოტარო აქტიდან ჩანს, რომ ამ უკანასკნელ იპოთეკებზე უფლებამოსილი იპოთეკარები დაეთანხმნენ აღნიშნულს.

– 2. პირველი პარაგრაფის ნორმების შესაბამისი გამოყენებით დასაშვებია ასევე შეთანხმება იმის თა-

ობაზე, რომ იპოთეკა და სხვა შეზღუდული სანივთო უფლება ერთმანეთთან მიმართებაში მიჩნეულ იქნეს სხვაგვარი რიგითობით დადგენილად, ვიდრე ისინი რეალურად არის დადგენილი მათი რეგისტრაციის დროის შესაბამისად.

მუხლი 3:263 იპოთეკა, როგორც უზრუნველყოფილ სავალო მოთხოვნაზე დარიცხული პროცენტის თანხის უზრუნველყოფა

– 1. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იპოთეკის შეთანხმებაში საწინააღმდეგო წესი იქნა შეთანხმებული, ერთი ან რამდენიმე კონკრეტული სავალო მოთხოვნის უზრუნველსაყოფად დადგენილი იპოთეკა ვრცელდება ასევე ამ სავალო მოთხოვნებზე კანონის შესაბამისად სამი წლის განმავლობაში დარიცხული პროცენტის თანხებზეც.

– 2. ბათილია დათქმა იმის თაობაზე, რომ იპოთეკა, რომელიც დადგინდა ერთი ან რამდენიმე კონკრეტული სავალო მოთხოვნის უზრუნველსაყოფად, ვრცელდება ასევე სამ წელზე მეტი ვადის განმავლობაში დარიცხული პროცენტის თანხებზეც, თუ მითითებული არ არის თანხის მაქსიმალური ოდენობა.

მუხლი 3:264 იპოთეკის შეთანხმებაში გათვალისწინებული „ქირავნობის დათქმა“

– 1. თუ იპოთეკის შეთანხმება შეიცავს აშკარა დათქმას, რომელიც ზღუდავს იპოთეკის საგნის მესაკუთრის უფლებას:

- გააქირავოს იპოთეკით დატვირთული ქონება იპოთეკარის თანხმობის გარეშე;
- იპოთეკით დატვირთული ქონების გაქირავების ხერხთან ან ვადასთან დაკავშირებით;
- ქირის თანხების ავანსის წესით გადახდასთან დაკავშირებით;
- იჯარით გადასცეს სავალო მოთხოვნა ან დატვირთოს ის გირავნობით;

მაშინ იპოთეკარს აღნიშნული დათქმის გამოყენება შეუძლია არა მარტო იმ პირების მიმართ, რომლებმაც იპოთეკის საგანი შეიძინეს თავდაპირველი მესაკუთრისაგან, არამედ – ასევე დამქირავებლისა (მოიჯარის) და იმ პირის მიმართ, რომელმაც სავალო მოთხოვნაზე შეიძინა იჯარა ან მიიღო გირავნობა. მას შემდეგ, რაც იპოთეკით დატვირთული ქონება გაიყიდება იძულებითი რეალიზაციის გზით, მის მყიდველს შეუძლია ასევე აღნიშნული ქირავნობის დათქმა გამოიყენოს ზემოაღნიშნული პირების მიმართ იმავე წესითა და შედეგით, როგორც ამას შეძლება მოგირავნე, იმ პირობით, რომ თავად მოგირავნეს საჯარო გაყიდვის მომენტში ჯერ კიდევ აქვს ეს უფლება და მან ეს უკანასკნელი მიანიჭა მყიდველს იძულებითი რეალიზაციის გზით ქონების გაყიდვის მიმართ მოქმედი პირობების შესაბამისად.

– 2. პირველ პარაგრაფში მითითებული ქირავნობის დათქმის გამოყენება დაუშვებელია სასამართლოს აღმასრულებლის მომართვის იპოთეკის საგნის მესაკუთრისათვის ჩაბარების მომენტამდე, როგორც ეს მითითებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 544-ე მუხლში. ბათილობის მომწესრიგებელი ნორმები გამოიყენება იმ გარიგების გაბათილების მიმართ, რომელიც დაიდო აღნიშნული ქირავნობის დათქმის დარღვევით იმ პირობით, რომ 3:52 მუხლის პარ. 1-ში ნახსენები ვადის ათვლა იწყება იმ მომენტიდან, როდესაც მოხდა ზემოაღნიშნული მომართვის ჩაბარება და ასევე – იმ პირობით, რომ ქირავნობის დათქმის საწინააღმდეგო გარიგება შეიძლება გაბათილდეს მხოლოდ იმ პირის სახელით, ვინც უთითებს ამ დათქმაზე, და – არაუმეტეს იმ ფარგლებსა, რაც შეესაბამება მის უფლებას.

– 3. როდესაც ქირავნობის დათქმა გაკეთდა სასოფლო-სამეურნეო შენობა-ნაგებობებსა ან თუ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით, ეს დათქმა მოქმედებს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ის არ ეწინააღმდეგება იჯარის ხელშეკრულებების მომწესრიგებელ კანონის იმპერატიულ ნორმებს. ასეთ დათქმას არა აქვს ძალა იმდენად, რამდენადაც იჯარის ხელშეკრულების შინაარსი დაადგინა იჯარის საქმეთა სასამართლომ (რაიონული სასამართლოს სასოფლო-სამეურნეო საქმეთა პალატამ) და ეს შინაარსი განსხვავებულია ქირავნობის დათქმისაგან, ანდა – რამდენადაც ამ უკანასკნელის შესრულება შეუძლებელია იმის გამო, რომ ის იჯარის საქმეთა სასამართლომ (რაიონული სასამართლოს სასოფლო-სამეურნეო საქმეთა პალატამ) გააბათილა ქირავნობის დათქმის ანალოგიური ცვლილება ხელშეკრულებაში. ბათილია ქირავნობის დათქმა, რომელიც იპოთეკის საგნის მესაკუთრეს, რომელიც დებს სასოფლო-სამეურნეო შენობა-ნაგებობებისა ან თუ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის იჯარის ხელშეკრულებას, ავალდებულებს შეთანხმებას ოც წელზე ნაკლები იჯარის ვადით შენობა-ნაგებობების მიმართ და, შესაბამისად, ექვს წელზე ნაკლები იჯარის ვადით – მიწის ნაკვეთის მიმართ.

– 4. როდესაც ქირავნობის დათქმა გაკეთდა საცხოვრებელი ფართისა ან თუ საბითუმო ვაჭრობის ობიექტის ქირავნობასთან დაკავშირებით, ეს დათქმა მოქმედებს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ის არ ეწინააღმდეგება ამ სახის უძრავი ქონების ქირავნობის ხელშეკრულებების მომწესრიგებელ კანონის იმპერა-

ტიულ ნორმებს. დაუშვებელია დამქირავებლის მიმართ იმ ქირავნობის დათქმის გამოყენება, რომლითაც გამოირიცხება საცხოვრებელი ფართისა თუ საბითუმო ვაჭრობის ობიექტის ქირავნობის უფლება, რამდენადაც შესაბამისი საცხოვრებელი ფართი ან საბითუმო ვაჭრობის ობიექტი უკვე იყო გაქირავებული იპოთეკის დადგენის მომენტში და ახალი ქირავნობის ხელშეკრულება არ შეიცავს იპოთეკარისათვის უშვეულო და უფრო მძიმე პირობებს.

– **5.** რამდენადაც ქირავნობის დათქმის გასაჩივრების შედეგად საცხოვრებელი ფართის დამქირავებელს უნევს უძრავი ქონების გათავისუფლება თანახმად სამოქალაქო კოდექსის 7:271 მუხლიდან 7:277 მუხლის ჩათვლით ნორმებისა, ამ დათქმის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, რაც რაიონული სასამართლოს დროებითი სამართლებრივი დაცვის საშუალების მიმღებმა მოსამართლემ შესაბამისი მოთხოვნის საფუძველზე იპოთეკარს მისცეს ფართის დაცლის ნებართვა. ასეთი ნებართვა არ მოითხოვება, როდესაც დამქირავებელი წერილობით დაეთანხმა ქირავნობის ხელშეკრულების გაბათილებას, და ასევე – არც იმ შემთხვევაში, როდესაც ქირავნობის ხელშეკრულება დაიდო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 516-ე მუხლში მითითებული განცხადების შემდეგ.

– **6.** დროებითი სამართლებრივი დაცვის საშუალების მიმღები მოსამართლე ახდენს მოთხოვნილი ნებართვის მიცემას გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იპოთეკის საგნიდან – ქირავნობის ხელშეკრულების ჯეროვანი დაცვის შემთხვევაშიც კი – აშკარად საკმარისი ამონაგები თანხა მიიღება ყველა იმ იპოთეკარის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, რომლებმაც დადეს ქირავნობის დათქმა და რომლებსაც შეუძლიათ მისი გამოყენება დამქირავებლის მიმართ. თუ დროებითი სამართლებრივი დაცვის საშუალების მიმღები მოსამართლე იძლევა მოთხოვნილ ნებართვას, ის ასევე დაადგენს იპოთეკის საგნიდან სასამართლოში გამოძახებული ან გამოცხადებული დამქირავებლებისა და ქვემოქირავნების გამოსახლების შესახებ და განსაზღვრავს სასამართლოს აღნიშნული განკარგულების შესახებ აღმასრულებლის მომართვის შესაბამისი დამქირავებლებისა და ქვემოქირავნებისათვის ჩაბარებიდან მაქსიმუმ ერთწლიან ვადას, რომლის განმავლობაშიც გამოსახლება დაუშვებელი იქნება.

– **7.** იმ შემთხვევაში, როდესაც დამქირავებელმა პარ. 2-ში მითითებული გაბათილების შედეგად დაკარგა თავისი ქირავნობის ან იჯარის უფლებები, ის უფლებამოსილია საკომპენსაციო თანხის მიღებაზე მის მიერ გარიგების გაბათილების შედეგად განცდილი ზარალის ოდენობით. ამ კომპენსაციის თანხის გადახდა ხდება უპირატესად იპოთეკის საგნის იძულებითი რეალიზაციის გზით გაყიდვიდან ამონაგები წმინდა თანხებიდან დაუყოვნებლივ მას შემდეგ, რაც დაკმაყოფილდება იმ იპოთეკართა მოთხოვნები, რომელთა მიმართაც დამქირავებელმა ვერ შეძლო თავისი ქირავნობის უფლებების შენარჩუნება. თუ ის მყიდველი, რომელმაც იძულებითი რეალიზაციის გზით იყიდა იპოთეკის საგანი, ასევე უფლებამოსილია გამოიყენოს ქირავნობის დათქმა, მაშინ გაყიდვიდან ამონაგები თანხების დარჩენილი ნაწილიდან განხორციელდება შემდგომი რიგის კრედიტორების სასარგებლოდ დამქირავებლის მიერ განცდილი სავარაუდო ზიანის თანხის დარეზერვება მანამდე, სანამ არ გაირკვევა ის საკითხი, რომ მყიდველი არ გამოიყენებს დამქირავებლის მიმართ ქირავნობის დათქმაზე მითითების უფლებას.

– **8.** წინამდებარე მუხლის გაგებით დამქირავებელს წარმოადგენს ასევე ის პირიც, ვინც არის თანადამქირავებელი სამოქალაქო კოდექსის 7:266 მუხლის პარ. 1-ის ან 7:267 მუხლის პარ. 1-ის ნორმების შესაბამისად.

მუხლი 3:265 იპოთეკის საგნის შეუცვლელობის შესახებ დათქმა

თუ იპოთეკის შეთანხმება შეიცავს აშკარა დათქმას იმის შესახებ, რომ იპოთეკის საგნის მესაკუთრემ არ უნდა შეცვალოს მისი კონსტრუქცია ან არსებული მდგომარეობა, ანდა მესაკუთრეს ამის უფლება არ ექნება მოგირავნის ნებართვის გარეშე, მაშინ ამ დათქმის გამოყენება დაუშვებელია იმ შემთხვევაში, როდესაც რაიონულმა სასამართლომ ან იჯარის საქმეთა სასამართლომ (რაიონული სასამართლოს სასოფლო-სამეურნეო საქმეთა პალატამ) დამქირავებელს მიანიჭა უფლებამოსილება, მოახდინოს განსაზღვრული სახეცვლილებები ქირავნობის ან, შესაბამისად, იჯარის ხელშეკრულებების მომწესრიგებელი კანონის ნორმების საფუძველზე.

მუხლი 3:266 იპოთეკის საგანზე დამატებული საგნების თან წაღების უფლება („ius tollendi“)

როდესაც იპოთეკის დადგენის შემდეგ იპოთეკის საგნის მესაკუთრემ მოახდინა ამ უკანასკნელის გაუმჯობესება ან ცვლილება ისე, რომ ის არ იყო ვალდებული ასეთ დამატებებსა და ცვლილებებზე სავალო მოთხოვნის უზრუნველყოფის მიზნით, მაშინ ის უფლებამოსილია მოახდინოს ამ ცვლილებებისა თუ დამატებების მოცილება იმ პირობით, თუ ის აღადგენს უძრავ ნივთს თავის თავდაპირველ მდგომარეობაში,

ხოლო შესაბამისი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში კი, – იმ პირობით, თუ ის ქონების გაუფასურების რისკის დასაზღვევად წარადგენს უზრუნველყოფას იმ პერიოდისათვის, სანამ არ მოხდება უძრავი ნივთის აღდგენა. იპოთეკით დატვირთულ მიწის ნაკვეთზე მოყვანილი ნაყოფისა და ხორბლის მიღებაზე უფლებამოსილ პირს აქვს უფლება, აილოს ეს მოსავალი; თუ მან ვერ შეძლო ამ ნაყოფისა და ხორბლის აღება მიწის ნაკვეთის იძულებითი რეალიზაციის გზით გაყიდვამდე, მაშინ მასსა და იმ პირს, რომელმაც მიწის ნაკვეთი იძულებითი რეალიზაციის გზით იყიდა, ეკისრებათ ერთმანეთის მიმართ იმოქმედონ იმ ვალდებულებების შესაბამისად, რომლებიც ერთმანეთს უნდა შეუსრულონ ძველმა და ახალმა მოიჯარეებმა იჯარის ხელშეკრულებების მომწესრიგებელი საკანონმდებლო ნორმების საფუძველზე.

მუხლი 3:267 იპოთეკის საგნის მართვის შესახებ დათქმა (იპოთეკარის უფლება, თავის თავზე აილოს იპოთეკის საგნის მართვა)

იპოთეკის შეთანხმებაში დასაშვებია დათქმა იმის შესახებ, რომ იპოთეკარს ჰქონდეს უფლება, თავის თავზე აილოს იპოთეკით დატვირთული ქონების მართვა, როდესაც იპოთეკის საგნის მესაკუთრე მნიშვნელოვანწილად არ ასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს იპოთეკის საგნის მიმართ და რაიონული სასამართლოს დროებითი სამართლებრივი დაცვის საშუალების მიმღებმა მოსამართლემ მიანჭა მას ასეთი მართვის უფლებამოსილება. იპოთეკის შეთანხმებაში დასაშვებია ასევე დათქმა იმის შესახებ, რომ იპოთეკარს ჰქონდეს უფლება, თავის ფაქტობრივ ბატონობაში მიიღოს იპოთეკით დატვირთული ქონება, თუ ეს აუცილებელია ამ უკანასკნელის იძულებითი რეალიზაციის გზით გაყიდვისათვის. ასეთი ამკარა დათქმების გარეშე იპოთეკარს ზემოაღნიშნული უფლებები არა აქვს.

მუხლი 3:268 იპოთეკის საგნის იძულებითი რეალიზაცია სასამართლოსათვის მიმართვის გარეშე (იძულებითი რეალიზაციის გზით საჯარო ან კერძო აუქციონი)

– 1. როდესაც მოვალე არ ასრულებს იმ ვალდებულებას, რომლის უზრუნველყოფისკენაც მიმართულია იპოთეკა, იპოთეკარი უფლებამოსილია, სასამართლოსაგან ამისათვის წინასწარ ნებისმიერი თანხმობის მიღების აუცილებლობის გარეშე, განახორციელოს იპოთეკით დატვირთული ქონების აუქციონზე საჯარო გაყიდვა იძულებითი რეალიზაციის გზით და გაყიდვიდან ამონაგები თანხებით დაფაროს უზრუნველყოფილი სავალლო მოთხოვნა.

– 2. როგორც იპოთეკარის, ისე იპოთეკის საგნის მესაკუთრის მოთხოვნის საფუძველზე, რაიონული სასამართლოს დროებითი სამართლებრივი დაცვის საშუალების მიმღებ მოსამართლეს შეუძლია დაადგინოს, რომ იპოთეკით დატვირთული ქონების იძულებითი რეალიზაცია განხორციელდება შეთანხმებული კერძო აუქციონის გზით იმ შეთანხმების საფუძველზე, რომელიც მოთხოვნასთან ერთად წარედგინა მოსამართლეს თანხმობისათვის. იპოთეკის საგნის მესაკუთრეს ან იპოთეკარს, ყადაღის კრედიტორსა თუ სანივთო უფლების მფლობელს, რომლისათვისაც მნიშვნელოვანია, რომ გაყიდვიდან ამონაგები თანხა უფრო მეტი იყოს, ვიდრე ის ფასი, რომელიც უნდა იქნეს მიღებული წარმოდგენილი შეთანხმების შესაბამისად, შეუძლია დროებითი სამართლებრივი დაცვის საშუალების მიმღებ მოსამართლეს წარუდგინოს იპოთეკით დატვირთული ქონების გაყიდვის უფრო ხელსაყრელი წინადადება. მანამდე, სანამ მოსამართლე არ მიიღებს თავის გადანყვეტილებას პირველ წინადადებაში მითითებულ მოთხოვნასთან დაკავშირებით, მას შეუძლია დაადგინოს, რომ იძულებითი რეალიზაციის გზით გაყიდვა განხორციელდება უფრო ხელსაყრელი წინადადების საფუძველზე.

– 3. პარ. 2-ში მითითებული მოთხოვნა წარდგენილ უნდა იქნეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ასეთი სახის სარჩელებისათვის გათვალისწინებული ვადის განმავლობაში. პარ. 2-ში მოცემული წესის შესაბამისად მიღებული სასამართლოს დადგენილებისა და ასევე სასამართლოს სხვა განკარგულებების ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრება დაუშვებელია.

– 4. წინა პარაგრაფებში ნახსენები ქონების იძულებითი რეალიზაციის გზით გაყიდვა უნდა განხორციელდეს იმ ფორმალობების ჯეროვანი დაცვით, რომლებსაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ამ მხრივ ითვალისწინებს.

– 5. იპოთეკარი ვერ დაიკმაყოფილებს თავის სავალლო მოთხოვნას სხვაგვარად, ვიდრე იპოთეკის საგნის საჯარო ან კერძო აუქციონზე იძულებითი რეალიზაციის გზით. ბათილია ნებისმიერი დათქმა ან პირობა, რომელიც გულისხმობს იმას, რომ – მიუხედავად წინა წინადადების ნორმისა – იპოთეკარს სხვაგვარი შესაძლებლობები უნდა ჰქონდეს იპოთეკის საგნიდან თავისი სავალლო მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის.

მუხლი 3:269 იპოთეკის საგნის მოსალოდნელი იძულებითი რეალიზაციისაგან გათავისუფლება

იმ მომენტამდე, სანამ მოხდება იპოთეკით დატვირთული ქონების აუქციონზე გაყიდვა (იძულებითი რეალიზაციის გზით საჯარო გაყიდვა), ანდა დროებითი სამართლებრივი დაცვის საშუალების მიმღები მოსამართლე დაეთანხმება მოთხოვნილ კერძო აუქციონის გზით გაყიდვას, იპოთეკის საგნის იძულებითი რეალიზაცია შეიძლება თავიდან იქნეს აცილებული ვალის იმ ოდენობით დაფარვით, რომლის უზრუნველყოფისკენაც მიმართულია იპოთეკა, იმ პირობით, რომ ასევე დაფარულია უკვე განეული აღსრულების ხარჯებიც.

მუხლი 3:270 იმ მყიდველის მიერ ნასყიდობის ფასის გადახდა, რომელმაც იპოთეკით დატვირთული ქონება იყიდა აუქციონზე იძულებითი რეალიზაციის გზით

– 1. მყიდველმა, რომელმაც იძულებითი რეალიზაციის გზით იპოთეკით დატვირთული ქონება იყიდა საჯარო ან კერძო აუქციონზე, შეთანხმებული ნასყიდობის ფასი უნდა გადაუხადოს იმ ნოტარიუსს, ვის წინაშეც განხორციელდა საჯარო გაყიდვა, ანდა, შესაბამისად, რომელმაც შეადგინა გადაცემის აქტი კერძო აუქციონის გზით გაყიდვის შემდეგ. იძულებითი რეალიზაციის ხარჯები ასევე იფარება ნასყიდობის ფასის თანხიდან.

– 2. როდესაც გარდა რეალიზაციის განმახორციელებელი იპოთეკარის იპოთეკის უფლებისა, სხვა პირთა იპოთეკის უფლებები არ არის რეგისტრირებული და სახეზე არ არიან ასევე კრედიტორებიც, რომლებმაც ყადაღა დაადეს გაყიდულ ქონებასა თუ მისი ნასყიდობის ფასის თანხას ანდა თავიანთი სავალო მოთხოვნების დაკმაყოფილება მიიღეს 3:264 მუხლის პარ. 7-ის ნორმების შესაბამისად – იმის გათვალისწინებით, რომ ქონების იძულებითი რეალიზაციის გზით გაყიდვის შედეგად არ მოხდა შეზღუდული სანივთო უფლების გაქარნლება ან დამქირავებლისა თუ მოიჯარის კუთვნილი ქირავნობისა თუ იჯარის უფლებების გაუქმება, – მაშინ ნოტარიუსი გაყიდვიდან ამონაგები წმინდა თანხებიდან რეალიზაციის განმახორციელებელ იპოთეკარს გადაუხდის იმ თანხას, რაც ამ უკანასკნელს ეკუთვნის მისთვის ნოტარიუსის მიერ გადაცემული იმ განცხადების შესაბამისად, რომელშიც მითითებულია, თუ რომელი სავალო მოთხოვნები არის უზრუნველყოფილი მისი იპოთეკით. დარჩენილ თანხას ნოტარიუსი გადასცემს იმ პირს, ვისი ქონებაც გაიყიდა იძულებითი რეალიზაციის გზით.

– 3. როდესაც სახეზეა რამდენიმე იპოთეკარი ანდა – წინა პარაგრაფში მითითებული კრედიტორი ან შეზღუდული სანივთო უფლების მფლობელი, მაშინ ნოტარიუსი იძულებითი რეალიზაციიდან ამონაგებ წმინდა თანხებს დაუყოვნებლივ გადასცემს დეპოზიტარს, რომელიც აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 445-ე მუხლის მოთხოვნებს და ამ მიზნით არის დანიშნული ნოტარიუსის მიერ. ასეთი გადაცემა არ ხდება, როდესაც იპოთეკით დატვირთული ქონება გაიყიდა პირველი რიგის მქონე იპოთეკარის მიერ, რომელმაც გადახდის დღემდე ან გადახდის დღეს ნოტარიუსს წარუდგინა განცხადება, რომელშიც მითითებულია, თუ გაყიდვიდან ამონაგები წმინდა თანხების რომელი ნაწილი ეკუთვნის მას თავისი პირველი რიგის იპოთეკით უზრუნველყოფილი სავალო მოთხოვნის ძალით ანდა – რომელი ნაწილი ეკუთვნის მას სხვა სავალო მოთხოვნების ძალით, რომლებიც უზრუნველყოფილია ასევე მის სასარგებლოდ დადგენილი შემდგომი რიგის მქონე ერთი ან რამდენიმე იპოთეკით იმ კრედიტორების მითითებით, რომელთა სავალო მოთხოვნებს ენიჭება უპირატესი რიგი მის სავალო მოთხოვნებთან შედარებით. ასეთ შემთხვევაში ნოტარიუსი პირველ იპოთეკარს პირდაპირ უხდის თანხის იმ ოდენობას, რაც ეკუთვნის ამ უკანასკნელს ზემოაღნიშნული განცხადების შესაბამისად. ეს განცხადება უნდა შეიცავდეს იმ რაიონული სასამართლოს დროებითი სამართლებრივი დაცვის საშუალების მიმღები მოსამართლის, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც არსებობს იპოთეკის საგანი ან მისი დიდი ნაწილი, აღნიშნვას იმის თაობაზე, რომ მან მოკლედ („prima facie“) შეამოწმა ამ განცხადების სისწორე და დაეთანხმა მას. ასეთი თანხმობისა და ასევე სასამართლოს სხვა განკარგულებების შემდგომ ინსტანციაში გასაჩივრება დაუშვებელია.

– 4. თუ ნოტარიუსს აქვს მნიშვნელოვანი მიზეზი ივარაუდოს, რომ მისთვის პარ. 2 ან 3-ის შესაბამისად გადაცემული განცხადება უსწორია, მას შეუძლია გადაავადოს იპოთეკარისთვის ვადამოსული გადახდები მანამდე, სანამ პარ. 3-ში მითითებული მოსამართლე არ მიიღებს გადანყვეტილებას ყველაზე მეტად დაინტერესებული მხარის ან შესაბამისი ნოტარიუსის მოთხოვნის საფუძველზე.

– 5. როდესაც ყველა იპოთეკარი და ასევე ყველა ის კრედიტორი, რომლებმაც ყადაღა დაადეს გაყიდულ ქონებასა თუ მისი ნასყიდობის ფასის თანხას ანდა თავიანთი სავალო მოთხოვნების დაკმაყოფილება მიიღეს 3:264 მუხლის პარ. 7-ის ნორმების შესაბამისად, ისევე როგორც – შეზღუდული სანივთო უფლების ყველა მფლობელი, რომელთა სანივთო უფლებაც გაქარნყლდა იძულებითი აღსრულების შედეგად, და პირი, რომლის ქონებაც გაიყიდა, გადახდის განხორციელების დღემდე ორმხრივად შეთან-

ნხმდნენ ამონაგები თანხების განაწილებაზე, მაშინ აღნიშნული ამონაგები თანხის დეპოზიტარისათვის გადაცემა არ ხდება და ნოტარიუსი თითოეულს ამ პირთაგან გადაუხდის თანხის იმ ნაწილს, რაც ყოველ მათგანს ინდივიდუალურად ეკუთვნის.

– 6. რამდენადაც არ სრულდება წინამდებარე მუხლის შესაბამისად ნოტარიუსზე დაკისრებული ვალდებულებები, ნიდერლანდების მთავრობა ამ ნოტარიუსთან ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს იმ დაინტერესებული მხარეების წინაშე, რომლებმაც ვალდებულებათა შესრულებლობის შედეგად განიცადეს ზარალი.

– 7. ქონების რეალიზაციის პირობების განსაზღვრისას წინამდებარე მუხლის ნორმებიდან გადახვევა დაუშვებელია.

მუხლი 3:271 რიგითობის წესი დადგენა (გაყიდვიდან ამონაგები წმინდა თანხების განაწილება)

– 1. მას შემდეგ, რაც ნოტარიუსი მიიღებს ნასყიდობის ფასის თანხას, წინა მუხლის პარ. 5-ში ნახსენებ ყველა დაინტერესებულ მხარეს შეუძლია მოსთხოვოს სასამართლოს გაყიდვიდან ამონაგები წმინდა თანხების განაწილებისათვის რიგითობის წესი დადგენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ამ მიზნით გათვალისწინებული ფორმალობების შესაბამისად.

– 2. თუ აღნიშნული დაინტერესებული მხარეები თავად შეთანხმებენ გაყიდვიდან ამონაგები თანხების განაწილებაზე და ეს შეთანხმება მოცემული იქნება სანოტარო აქტში, რომელიც წარედგინება იმ დეპოზიტარს, რომელთანაც ეს თანხები რჩება, მაშინ დეპოზიტარი თითოეულს ამ პირთაგან გადაუხდის თანხის იმ ნაწილს, რაც ყოველ მათგანს ინდივიდუალურად ეკუთვნის.

მუხლი 3:272 რეალიზაციის განმახორციელებელ იპოთეკარის მიერ ანგარიშის წარდგენა

– 1. რეალიზაციის განმახორციელებელი იპოთეკარი, რომელმაც ნოტარიუსისგან მიიღო გადახდა, ვალდებულია მოთხოვნის შემთხვევაში აღნიშნული გადახდიდან ერთი თვის განმავლობაში ანგარიში წარუდგინოს მოვალესა და იმ პირს, ვისი ქონებაც გაიყიდა იძულებითი რეალიზაციის გზით.

– 2. სასამართლოს რიგითობის განმსაზღვრელ განკარგულებაში ნახსენებ ყველა იპოთეკარს, კრედიტორსა და შეზღუდული სანივთო უფლების მფლობელს შეუძლია მოითხოვოს იპოთეკარის მიერ ანგარიშის წარდგენა იძულებითი რეალიზაციის დასრულებიდან ერთი თვის განმავლობაში იმ პირობით, თუ მათ აქვთ ამის უშუალო ინტერესი.

მუხლი 3:273 იპოთეკების, ყადაღებისა და შეზღუდული სანივთო უფლებების გაქარწყლება ქონების იძულებითი რეალიზაციის შემდეგ

– 1. მას შემდეგ, რაც იძულებით რეალიზებული აქტივი გადაეცა იმ მყიდველს, რომელმაც ის იძულებითი რეალიზაციის გზით შეიძინა აუქციონზე და ნასყიდობის ფასის თანხა გადაუხადა ნოტარიუსს, ამ აქტივზე არსებული ყველა იპოთეკა და ყველა რეგისტრირებული ყადაღა წყვეტს არსებობას, ისევე როგორც უქმდება ყველა შეზღუდული სანივთო უფლება, რომელთა გამოყენებაც მათი მფლობელის მიერ რეალიზაციის განმახორციელებელი იპოთეკარის მიმართ დაუშვებელი იქნებოდა.

– 2. როდესაც იძულებით რეალიზებული აქტივის მყიდველი სასამართლოს თავმჯდომარეს წარუდგენს მტკიცებულებას იმის შესახებ, რომ იძულებითი რეალიზაცია განხორციელდა ყველა სამართლებრივი მოთხოვნის ჯეროვანი დაცვით და რომ ნოტარიუსმა მიიღო ნასყიდობის ფასის თანხა, განცხადება გადაეცემა მას იმის მითითებით, რომ წინა პარაგრაფში აღნიშნული ყველა იპოთეკა, ყადაღა და შეზღუდული სანივთო უფლება წყვეტს არსებობას. ასეთი განცხადების მიღებისათვის მყიდველმა განაცხადი უნდა შეიტანოს იმ რაიონულ სასამართლოში, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც არსებობს იძულებით რეალიზებული აქტივი ან მისი დიდი ნაწილი. ასეთი განცხადებისა და ასევე სასამართლოს სხვა განკარგულებების ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრება დაუშვებელია.

– 3. წინა პარაგრაფში მითითებული განცხადება შეიძლება გატარდეს რეგისტრაციაში რეგისტრირებული ქონების საჯარო რეესტრებში ერთდროულად იძულებით რეალიზებული აქტივის მიწოდების ფაქტის რეგისტრაციისთანავე ანდა უფრო გვიან. განცხადება საჯარო რეესტრების მწარმოებელს ანიჭებს გაქარწყლებული იპოთეკების, ყადაღებისა და შეზღუდული სანივთო უფლებების შესახებ ჩანაწერების ამოშლის უფლებამოსილებას.

მუხლი 3:274 რეგისტრირებული იპოთეკის შესახებ ჩანაწერების ამოშლა

– 1. როდესაც იპოთეკა ქარწყდება, კრედიტორმა უფლებრივად დატვირთული ქონების მესაკუთრის

მოთხოვნის საფუძველზე და საკუთარი ხარჯით ნათლად უნდა განაცხადოს სანოტარო აქტში იმის შესახებ, რომ მისი იპოთეკა აღარ არსებობს. თუ ის სავალო მოთხოვნა, რომლის უზრუნველყოფისკენაც მიმართულია იპოთეკა, თავად დატვირთულია შეზღუდული სანივთო უფლებით, მაშინ შესაბამისი ვალდებულება ეკისრება ამ სანივთო უფლების მფლობელს.

– 2. ზემოაღნიშნული განცხადებები შეიძლება გატარდეს რეგისტრაციაში რეგისტრირებული ქონების საჯარო რეესტრებში. ასეთ შემთხვევაში ეს განცხადებები ერთად ანიჭებს საჯარო რეესტრების მწარმოებელს იპოთეკის შესახებ ჩანაწერების ამოშლის უფლებამოსილებას.

– 3. თუ მოთხოვნილი განცხადებების წარდგენა არ ხდება, მაშინ შესაბამისად გამოიყენება 3:29 მუხლი.

– 4. როდესაც იპოთეკა აღარ არსებობს კონსოლიდაციის გამო (იპოთეკარი გახდა იპოთეკით დატვირთული აქტივის მესაკუთრე), საჯარო რეესტრების მწარმოებელი უფლებამოსილია, მოახდინოს იპოთეკის შესახებ ჩანაწერების ამოშლა იმ პირის დამადასტურებელი განცხადების საფუძველზე, ვისაც უფლებრივად დატვირთული აქტივი ეკუთვნის, რაც ამ მიზნით დოკუმენტალურად არის დამტკიცებული სანოტარო აქტში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სავალო მოთხოვნა დატვირთულია შეზღუდული სანივთო უფლებით.

მუხლი 3:275 რეგისტრირებული იპოთეკის შესახებ ჩანაწერების ამოშლის მინდობილობა (წარმომადგენლობითი უფლებამოსილება)

წინა მუხლში მითითებული განცხადების გაკეთების უფლებამოსილების (წარმომადგენლობითი უფლებამოსილების) მინიჭებაზე მინდობილობა უნდა გაიცეს წერილობითი ფორმით.

ტიტული 3.10 – მოვალის მიმართ კრედიტორის მოთხოვნის უფლება

განყოფილება 3.10.1 – კრედიტორის მოთხოვნის უფლების მომწესრიგებელი ზოგადი დებულებები

მუხლი 3:276 მოვალის მთელი ქონების იძულებითი რეალიზაციის უფლება

გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კანონი ან შეთანხმება სხვაგვარად ითვალისწინებს, კრედიტორს შეუძლია თავისი სავალო მოთხოვნის დაკმაყოფილება მოახდინოს მოვალის კუთვნილი ყველა აქტივიდან.

მუხლი 3:277 კრედიტორების თანასწორობა

– 1. ქონების იძულებითი რეალიზაციის გზით გაყიდვის ხარჯების დაფარვის შემდეგ ყველა კრედიტორს ერთმანეთის მიმართ აქვს თანაბარი უფლება, მიიღოს დაკმაყოფილება მათი მოვალის რეალიზებული ქონებიდან ამონაგები წმინდა თანხებიდან თავიანთი სავალო მოთხოვნების ღირებულების პროპორციულად, გარდა კანონით აღიარებული პრიორიტეტის (უპირატესი) უფლებებისა.

– 2. კრედიტორი და მოვალე შეიძლება შეთანხმდნენ იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ კრედიტორის სავალო მოთხოვნას განსაზღვრული ან ყველა სხვა კრედიტორის სავალო მოთხოვნასთან შედარებით ნაკლებად პრიორიტეტული რიგი ჰქონდეს, ვიდრე მას ექნებოდა კანონის შესაბამისად.

მუხლი 3:278 პრიორიტეტის საფუძველები და სპეციალური და ზოგადი პრივილეგიები

– 1. პრიორიტეტის (უპირატესი) უფლება გამომდინარეობს გირავნობიდან, იპოთეკიდან, პრივილეგიიდან და ასევე კანონით გათვალისწინებული პრიორიტეტის სხვა საფუძველებიდან.

– 2. პრივილეგიები წარმოიშობა მხოლოდ კანონის ძალით (როგორც კი ადგილი ექნება განსაზღვრულ გარემოებებს). პრივილეგიები დაკავშირებულია კონკრეტულ აქტივთან (სპეციალური პრივილეგიები) ანდა განსაზღვრული პირის მთელ (ყველა აქტივი) ქონებასთან (ზოგადი პრივილეგიები).

მუხლი 3:279 გირავნობებისა და იპოთეკების რიგითობა პრივილეგიებთან მიმართებაში

თუ კანონი სხვაგვარად არ ითვალისწინებს, გირავნობასა და იპოთეკას ენიჭება უპირატესი რიგი პრივილეგიასთან შედარებით.

მუხლი 3:280 სპეციალური პრივილეგიების რიგითობა ზოგად პრივილეგიებთან მიმართებაში

თუ კანონი სხვაგვარად არ ითვალისწინებს, კონკრეტულ აქტივებთან დაკავშირებულ პრივილეგიებს ენიჭება უპირატესი რიგი განსაზღვრული პირის მთელ ქონებასთან (ყველა აქტივთან) დაკავშირებულ პრივილეგიებთან შედარებით.

მუხლი 3:281 პრივილეგიების თანაბარი რიგითობა

- 1. თუ კანონი სხვაგვარად არ ითვალისწინებს, ერთი და იგივე ინდივიდუალურ აქტივთან დაკავშირებულ სპეციალურ პრივილეგიებს თანაბარი რიგი აქვს.
- 2. მთელ ქონებასთან (ყველა აქტივთან) დაკავშირებულ ზოგად პრივილეგიებს აქვს კანონით მათთვის მინიჭებული რიგითობა.

მუხლი 3:282 საკომპენსაციო თანხის გადახდა შეზღუდული სანივთო უფლებების იმ მფლობელებისათვის, რომლებმაც ქონებაზე იძულებითი აღსრულების შედეგად დაკარგეს თავიანთი სანივთო უფლებები

თუ ნაცვლად გირავნობისა ან იპოთეკისა, ქონებაზე იძულებითი აღსრულების შედეგად ქარწყლდება სხვა შეზღუდული სანივთო უფლება იმის გამო, რომ ამ უფლების გამოყენება დაუშვებელია გაყიდული აქტივის მოგირავნის, იპოთეკარისა თუ ყადაღის კრედიტორის მიმართ, მაშინ შეზღუდული სანივთო უფლების მფლობელს აუნაზღაურდება ის ზარალი, რომელიც მან განიცადა უფლების დაკარგვის შედეგად, ხოლო ამ საკომპენსაციო თანხის გადახდა უნდა განხორციელდეს პრიორიტეტულად რეალიზებული აქტივებიდან ამონაგები წმინდა თანხებიდან დაუყოვნებლივ იმ პირთა კუთვნილი სავალო მოთხოვნების დაფარვის შემდეგ, რომელთა მიმართაც მას არ შეეძლო თავისი შეზღუდული სანივთო უფლების გამოყენება. საკომპენსაციო თანხა დგინდება იმ ღირებულების ოდენობით, რაც გაქარწყლებულ შეზღუდულ სანივთო უფლებას ექნებოდა ქონების იძულებითი რეალიზაციის გზით გაყიდვის დროს იმ შემთხვევაში, თუ ეს უფლება არ შეწყვეტდა არსებობას ქონების იძულებითი რეალიზაციის შედეგად.

განყოფილება 3.10.2 – კონკრეტულ აქტივებთან დაკავშირებული პრივილეგიები

მუხლი 3:283 იმ აქტივების შეცვლა, რომელთანაც დაკავშირებულია პრივილეგია

კონკრეტულ აქტივთან დაკავშირებული პრივილეგია მოიცავს ასევე რეალურ ზარალთან დაკავშირებულ სავალო მოთხოვნებსაც, რომლებიც მიჩნეულია თავად ამ აქტივის შემცვლელად, მათ შორის, – ის სავალო მოთხოვნები, რომლებიც აქტივის გაუფასურებიდან გამომდინარეობს.

მუხლი 3:284 შენარჩუნებულ აქტივთან დაკავშირებული პრივილეგია (აქტივის შენარჩუნების ხარჯებთან დაკავშირებულ სავალო მოთხოვნებთან მიმართებაში)

- 1. აქტივის შენარჩუნებაზე განეულ ხარჯებთან დაკავშირებული სავალო მოთხოვნა უზრუნველყოფილია შენარჩუნებულ აქტივზე არსებული პრივილეგიით.

- 2. შენარჩუნებულ აქტივთან დაკავშირებული პრივილეგიის მქონე კრედიტორს შეუძლია ამ აქტივის ხარჯზე დაიკმაყოფილოს თავისი სავალო მოთხოვნა მესამე პირების აქტივის მიმართ არსებულ უფლებებთან კონკურენციის გარეშე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს უფლებები შეძენილ იქნა აქტივის შენარჩუნებასთან დაკავშირებული ხარჯების განევის შემდეგ. 3:237 მუხლის შესაბამისად აქტივის შენარჩუნებასთან დაკავშირებული ხარჯების განევის შემდეგ დადგენილი გირავნობის უფლება შეიძლება გამოყენებულ იქნეს კრედიტორის პრივილეგიის მიმართ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნივთი, ან როდესაც საქმე ეხება სანარმდგენლო სავალო მოთხოვნას, – ბრუნვაუნარიანი დოკუმენტი გადავიდა მოგირავნის ან ამ მიზნით მოგირავნის მიერ დანიშნული მესამე პირის ფაქტობრივ ბატონობაში. აქტივის შენარჩუნებასთან დაკავშირებული ხარჯების განევის შემდეგ 3:90 მუხლის შესაბამისად შეძენილი უფლება კრედიტორის პრივილეგიის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებულია ასევე 3:90 მუხლის პარ. 2-ის მოთხოვნებიც.

- 3. პარ. 2-ში მითითებულ პრივილეგიას ენიჭება პრიორიტეტი შენარჩუნებულ აქტივთან დაკავშირებულ ყველა სხვა პრივილეგიასთან შედარებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს სხვა პრივილეგიებით უზრუნველყოფილი სავალო მოთხოვნები წარმოიშვა აქტივის შენარჩუნებასთან დაკავშირებული ხარჯების განევის შემდეგ.

მუხლი 3:285 აშენებულ ობიექტებთან დაკავშირებული პრივილეგია (მშენებლობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე არსებულ სავალო მოთხოვნებთან მიმართებაში)

– 1. იმ კრედიტორის სავალო მოთხოვნა, რომელმაც მშენებლობის ხელშეკრულების ძალით შეასრულა განსაზღვრული სამუშაო მოძრავ ან უძრავ ნივთზე, უზრუნველყოფილია ამ ნივთთან დაკავშირებული პრივილეგიით იმ პირობით, თუ კრედიტორი ჩვეულებრივ პირადად მონაწილეობს იმ სამუშაოს შესრულებაში, რომელიც მიღებულ იქნა მისი ბიზნესსაქმიანობის ფარგლებში, ანდა – თუ კრედიტორი წარმოადგენს სავაჭრო ამხანაგობას ან იურიდიულ პირს, რომლის ერთი ან რამდენიმე მმართველი პარტნიორი ან დირექტორი ჩვეულებრივ პირადად მონაწილეობს იმ სამუშაოს შესრულებაში, რომელიც მიღებულ იქნა ამ სავაჭრო ამხანაგობის ან იურიდიული პირის მიერ მისი ბიზნესსაქმიანობის ფარგლებში. პრივილეგია ქარწყლდება ორწლიანი ვადის გასვლით მას შემდეგ, რაც წრმოიშობა პრივილეგირებული სავალო მოთხოვნა.

– 2. წინა პარაგრაფში მითითებული მოძრავ ნივთთან დაკავშირებული პრივილეგია იძლევა პრიორიტეტს ამ მოძრავ ნივთზე 3:237 მუხლის შესაბამისად დადგენილ გირავნობასთან შედარებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს გირავნობა დადგინდა პრივილეგირებული კრედიტორის სავალო მოთხოვნის წარმოშობისა და მოძრავი ნივთის მოგირავნის ან ამ მიზნით მოგირავნის მიერ დანიშნული მესამე პირის ფაქტობრივ ბატონობაში გადასვლის შემდეგ.

მუხლი 3:286 საცხოვრებელ ბინებზე უფლებებთან დაკავშირებული პრივილეგია (საცხოვრებელი ბინის მესაკუთრის მიმართ შენატანის განხორციელებიდან გამომდინარე არსებულ სავალო მოთხოვნებთან მიმართებაში)

– 1. შენატანის განხორციელებიდან გამომდინარე ბინის მესაკუთრეთა ასოციაციის (ან ერთობლივად ყველა ბინის მესაკუთრეთა კუთვნილი) სავალო მოთხოვნა, რომლის რეალიზაცია უნდა მოხდეს ბინის მესაკუთრისა თუ უზრუნველყოფილის მიმართ, უზრუნველყოფილია შესაბამის საცხოვრებელ ბინებზე უფლებებთან დაკავშირებული პრივილეგიით, რამდენადაც ეს სავალო მოთხოვნა არსებობს ან ვადამოსულია მისი აღსრულების ანდა წინა კალენდარულ წელს.

– 2. როდესაც ადგილი აქვს ბინებზე განშლილი შენობა-ნაგებობის მიმართ სამუშაოს შესრულებას, 3:285 მუხლში გათვალისწინებული პრივილეგია დაკავშირებულია თითოეულ ინდივიდუალურ ბინაზე არსებულ უფლებასთან იმ თანხის ოდენობით, რომლისათვისაც ამ ბინის მესაკუთრე პირადად არის პასუხისმგებელი.

– 3. იმ შემთხვევაში, თუ პარ. 1-ის და 3:285 მუხლის ნორმებში მითითებული პრივილეგიები ერთდროულად დაკავშირებულია ერთი და იგივე ბინაზე არსებულ უფლებასთან, უპირატესობა ენიჭება 3:285 მუხლში გათვალისწინებულ პრივილეგიას.

მუხლი 3:287 დაზღვევის სავალო მოთხოვნებთან დაკავშირებული პრივილეგია (რეალურ ზარალთან დაკავშირებულ სავალო მოთხოვნებთან მიმართებაში)

– 1. რეალურ ზარალთან დაკავშირებული სავალო მოთხოვნა უზრუნველყოფილია იმ სავალო მოთხოვნასთან დაკავშირებული პრივილეგიით, რომელიც შეიძლება ჰქონდეს მოვალეს სადაზღვევო კომპანიის მიმართ პასუხისმგებლობის სადაზღვევო პოლისიდან გამომდინარე (მესამე პირების წინაშე პასუხისმგებლობის დაზღვევა), რამდენადაც მისი დაზღვევის სავალო მოთხოვნა მოიცავს პრივილეგირებული კრედიტორის მიმართ მასზე დაკისრებულ აღნიშნული ზარალის ანაზღაურების ვალდებულებას.

– 2. პარ. 1-ში მითითებულ პრივილეგირებულ კრედიტორს შეუძლია დაიკმაყოფილოს თავისი სავალო მოთხოვნა მოვალის იმ დაზღვევის სავალო მოთხოვნიდან, რომელთანაც დაკავშირებულია პრივილეგია მესამე პირების მხრიდან დაზღვევის სავალო მოთხოვნის მიმართ არსებულ უფლებებთან კონკურენციის გარეშე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქმე ეხება სადაზღვევო აგენტის სავალო მოთხოვნას ფულადი თანხების გადარიცხვასთან დაკავშირებით სამოქალაქო კოდექსის 7:936 მუხლის პარ. 2-ის ნორმების შესაბამისად.

განყოფილება 3.10.3 – მთელ ქონებასთან (პირის კუთვნილ ყველა აქტივთან) დაკავშირებული პრივილეგიები

მუხლი 3:288 მთელ ქონებასთან დაკავშირებული პრივილეგიები (განსაზღვრულ სავალო მოთხოვნებთან მიმართებაში)

შემდეგი სავალო მოთხოვნები არის უზრუნველყოფილი განსაზღვრული პირის მთელ ქონებასთან (ყველა აქტივთან) დაკავშირებული პრივილეგიით:

a. გაკოტრების საქმის წარმოების აღძვრის განცხადების წარდგენაზე განუვლ ხარჯებთან დაკავშირებული სავალო მოთხოვნები, თუმცაღა, – მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც რაიონულმა სასამართლომ რეალურად მიიღო გადანყვებილება გაკოტრების შესახებ წარდგენილი განცხადების საფუძველზე, ისევე როგორც – კრედიტორის მიერ მოვალესთან გაკოტრების საქმის წარმოების მიღმა მორიგების მიღწევაზე განუვლ ხარჯებთან დაკავშირებული სავალო მოთხოვნები;

b. გარდაცვლილის დაკრძალვის ხარჯებთან დაკავშირებული სავალო მოთხოვნები, რამდენადაც ისინი შეესაბამება გარდაცვლილ პირთან არსებულ გარემოებებს;

c. დასაქმებულის ან ყოფილი დასაქმებულის ანდა მათი ცოცხლად დარჩენილი კმყოფაზე მყოფი პირის დამსაქმებლის მიმართ ვადამოსულ და ამოღებად საპენსიო გადახდებთან დაკავშირებული სავალო მოთხოვნები, რამდენადაც სავალო მოთხოვნა არსებობს არაუმეტეს ერთი წლისა;

d. იმ დასაქმებულის ან ყოფილი დასაქმებულის, რომელიც არ წარმოადგენს იურიდიული პირის მიერ დაქირავებულ დირექტორს, ანდა მათი ცოცხლად დარჩენილი კმყოფაზე მყოფი პირის დამსაქმებლის მიმართ შეპირებული სამომავლო საპენსიო გადახდებთან დაკავშირებული სავალო მოთხოვნები;

e. შრომითი ხელშეკრულებიდან გამომდინარე დასაქმებულის დამსაქმებლის მიმართ ფულადი თანხების სახით მიმდინარე და წინა კალენდრული წლისათვის სახელფასო დავალიანების გადახდასთან დაკავშირებული სავალო მოთხოვნები, ისევე როგორც – დამსაქმებლის მიერ დასაქმებულისათვის სამოქალაქო კოდექსის შრომითი ხელშეკრულების მომწესრიგებელი კანონისმიერი ნორმების შესაბამისად შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის გამო გადასახდელ დავალიანების თანხასთან დაკავშირებული სავალო მოთხოვნები.

მუხლი 3:289 მთელ ქონებასთან დაკავშირებული პრივილეგია (ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანების წესების შესაბამისად დასაფარ სავალო მოთხოვნებთან მიმართებაში)

– 1. ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანების დამდგენი 1951 წლის 18 აპრილის კონვენციის 49-ე და 50-ე მუხლებში მითითებული (Trb. 1951, 82) დანახარჯებიდან და დამატებითი მოსაკრებლებიდან გამომდინარეობს სავალო მოთხოვნები, რომელთა დაფარვაც ხდება გადახდის ვადის გადაცილებასთან დაკავშირებით.

– 2. აღნიშნულ პრივილეგიას ენიჭება იგივე რიგი, რაც აქვს დღგ-ის თანხების გადახდევინებასთან დაკავშირებულ სავალო მოთხოვნის უზრუნველყოფ პრივილეგიას.

განყოფილება 3.10.4 – დაკავების უფლება

მუხლი 3:290 „დაკავების უფლების“ განმარტება

დაკავების უფლება წარმოადგენს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში კრედიტორისათვის მინიჭებულ უფლებას, მისი სავალო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებამდე უარი თქვას თავისი მოვალისათვის მოძრავი ან უძრავი ნივთების დაბრუნებასთან დაკავშირებით ვალდებულების შესრულებაზე.

მუხლი 3:291 დაკავების უფლების სამართლებრივი შედეგი მესამე პირების მიმართ

– 1. კრედიტორს შეუძლია გამოიყენოს თავისი დაკავების უფლება ასევე იმ მესამე პირების მიმართაც, რომლებმაც შეიძინეს უფლება მოძრავ ან უძრავ ნივთებზე ანდა ამ ნივთებთან მიმართებაში მას შემდეგ, რაც წარმოიშვა სავალო მოთხოვნა და ნივთი ფაქტობრივ ბატონობაში აღმოჩნდა.

– 2. კრედიტორს შეუძლია გამოიყენოს თავისი დაკავების უფლება ნივთზე ანდა ამ ნივთთან მიმართებაში მხოლოდ უფრო ძველი უფლების მქონე მესამე პირების მიმართ, თუ მისი სავალო მოთხოვნა გამომდინარეობს მოვალესთან არსებული ხელშეკრულებიდან, რომლის დადებამდეც ის ნივთთან დაკავშირებით არის უფლებამოსილი, ანდა თუ მას არ ჰქონდა საფუძველი იმის ეჭვისა, რომ მოვალე ასეთი ხელშეკრულების დადებამდე უფლებამოსილი იყო.

– 3. კრედიტორს არ შეუძლია გამოიყენოს თავისი დაკავების უფლება განათლების, კულტურისა და მეცნიერების მინისტრის მიმართ, რომელმაც წარადგინა სარჩელი ოკუპირებული ტერიტორიიდან კულტურული მემკვიდრეობის დაბრუნების შესახებ კანონის მე-7 მუხლის ნორმების საფუძველზე.

მუხლი 3:292 სავალო მოთხოვნის დაკმაყოფილების უფლება დაკავების უფლებასთან დაკავშირებული პრიორიტეტით

დაკავების უფლების მქონე კრედიტორს შეუძლია ნივთის ხარჯზე დაიკმაყოფილოს თავისი სავალო მოთხოვნა ყველა იმ პირთან მიმართებაში არსებული პრიორიტეტით, რომელთა წინააღმდეგაც დაშვებულია მისი დაკავების უფლების გამოყენება.

მუხლი 3:293 ნივთის მოვლა-პატრონობის ხარჯები

დაკავების უფლება შეიძლება გამოყენებულ იქნეს ასევე იმ ხარჯების უზრუნველსაყოფად, რომლებიც კრედიტორს უნდა გაენია ნივთის მოვლა-პატრონობისათვის კანონით ამ მიზნით გათვალისწინებული წესების შესაბამისად.

მუხლი 3:294 ნივთის მოვლა-პატრონობის ხარჯები

დაკავების უფლება ქარწყლდება იმ შემთხვევაში, როდესაც ნივთი აღმოჩნდება მოვალის ან მესაკუთრის ფაქტობრივი ბატონობის ქვეშ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კრედიტორი იბრუნებს მასზე კონტროლს იმავე სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე.

მუხლი 3:295 ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის დაკარგვა

დაკავების უფლების მქონე კრედიტორს, რომელიც კარგავს ნივთზე ფაქტობრივ ბატონობას, შეუძლია მოითხოვოს მისი დაბრუნება იგივე პირობებზე, რა პირობებზეც დაბრუნება შეუძლია მოითხოვოს მესაკუთრეს.

ტიტული 3.11 – სარჩელის უფლებები (სარჩელები)

მუხლი 3:296 სარჩელი კონკრეტული შესრულების მოთხოვნით

– 1. როდესაც პირი სამართლებრივად ვალდებულია სხვა პირის წინაშე გადასცეს რაიმე ნივთი, განახორციელოს ან არ განახორციელოს რაიმე მოქმედება, სასამართლომ უფლებამოსილი პირის მოთხოვნისა თუ პრეტენზიის საფუძველზე უნდა დააკისროს მას ამ კონკრეტული შესრულების განხორციელება, თუ კანონიდან, ვალდებულების ბუნებიდან ან გარიგებიდან რაიმე სხვა შედეგი არ გამომდინარეობს.

– 2. როდესაც პირი სამართლებრივად ვალდებულია განახორციელოს რაიმე მოქმედება გარიგების ძალაში შესვლისა თუ გაუქმების თარიღის ანდა შემდგომი ან წინასწარი პირობის განსაზღვრით, სასამართლოს შეუძლია მას დააკისროს ვალდებულების შესრულება ამ ვადებსა თუ პირობებზე დათქმების გათვალისწინებით.

მუხლი 3:297 კონკრეტული შესრულების განხორციელების შესახებ სასამართლოს გადანყვეტილების შედეგი

თუ ვალდებულების შესრულება მიღებულია სასამართლოს გადანყვეტილებისა თუ სხვა აღსრულებას დაქვემდებარებული დოკუმენტის აღსრულების გზით, მაშინ ასეთ შესრულებას ექნება იგივე სამართლებრივი შედეგი, რაც იმ ვალდებულების ნებაყოფლობით შესრულებას, რომელიც არსებობს სასამართლოს ამ გადანყვეტილებისა თუ აღსრულებას დაქვემდებარებული დოკუმენტის მიხედვით.

მუხლი 3:298 ერთი და იგივე აქტივის მიწოდებასთან დაკავშირებული ურთიერთსაწინააღმდეგო სავალო მოთხოვნები

როდესაც ორი ან მეტი კრედიტორი ერთი და იგივე აქტივის მიწოდებასთან დაკავშირებით წარადგენს ურთიერთსაწინააღმდეგო სავალო მოთხოვნას, მაშინ მათ ორმხრივ ურთიერთობაში უპირატესობა ენიჭება ყველაზე ძველ სავალო მოთხოვნას, თუ კანონიდან, მათი სავალო მოთხოვნათა ბუნებიდან ან გონივრულობისა და სამართლიანობის სტანდარტებიდან რაიმე სხვა შედეგი არ გამომდინარეობს.

მუხლი 3:299 რაიმე მოქმედების განხორციელებასთან ან მისი განხორციელებისაგან თავის შეკავებასთან დაკავშირებული კონკრეტული შესრულება

– 1. როდესაც პირი არ ასრულებს მასზე სამართლებრივად დაკისრებულ ვალდებულებას, სასამართლოს იმ პირის სასარჩელო მოთხოვნის საფუძველზე, ვის მიმართაც არსებობს ეს ვალდებულება, შეუძლია მიანიჭოს მას უფლებამოსილება, თავად განხორციელოს ის შესრულება, რაც გახდებოდა აღნიშნული ვალდებულების შედეგი ამ უკანასკნელის ჯეროვანი შესრულების შემთხვევაში.

– 2. ანალოგიურად იმ პირს, რომლის მიმართაც სხვა პირი სამართლებრივად ვალდებულია თავი შეიკავოს რაიმე მოქმედების განხორციელებისაგან, შეიძლება მიენიჭოს იმ შესრულების შედეგების აღმოფხვრის უფლებამოსილება, რაც განხორციელდა აღნიშნული ვალდებულების დარღვევით.

– 3. წინა პარაგრაფებში მითითებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის აუცილებელი ხარჯები იფარება იმ პირის მიერ, რომელმაც არ შეასრულა მასზე დაკისრებული ვალდებულება. სასამართლოს იმ გადაწყვეტილებით, რომლითაც ხდება უფლებამოსილების მინიჭება, შეიძლება ასევე დადგინდეს, რომ აღნიშნული ხარჯები სასამართლოს გადაწყვეტილებაში ნახსენები განსაზღვრული დოკუმენტების ჩვენებისას დაიფაროს.

მუხლი 3:300 გარიგების დადებისკენ მიმართული კონკრეტული შესრულება

– 1. როდესაც პირს სხვა პირის წინაშე ეკისრება გარიგების დადების სამართლებრივი ვალდებულება, სასამართლოს უფლებამოსილი პირის სასარჩელო მოთხოვნის საფუძველზე შეუძლია დაადგინოს, რომ მის გადაწყვეტილებას ჰქონდეს იგივე შედეგი, რაც იმ აქტს, რომელიც ყველა იურიდიული ფორმალობის შესაბამისად უნდა დადებულიყო იმ პირთან, რომელიც ვალდებულია აღნიშნული გარიგების დადებაზე, ანდა – დაადგინოს, რომ ამ პირის სასამართლოს მიერ დანიშნულმა წარმომადგენელმა დადოს ეს გარიგება საკუთარი სახელით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს არ შეესაბამება დასაბუთებული გარიგების ბუნებას.

– 2. იმ შემთხვევაში, როდესაც მოპასუხე სამართლებრივად ვალდებულია, გააფორმოს რაიმე აქტი მოსარჩელესთან, სასამართლოს შეუძლია დაადგინოს, რომ მისი გადაწყვეტილება დაიკავებს ამ აქტის ადგილს ან ნაწილობრივ ჩაანაცვლებს მას.

მუხლი 3:301 სასამართლოს გადაწყვეტილების რეგისტრაცია საჯარო რეესტრებში

– 1. სასამართლოს ის გადაწყვეტილება, რომლის მიმართაც სასამართლომ დაადგინა, რომ ის დაიკავებს იმ აქტის ან მისი ნაწილის ადგილს, რომელიც აუცილებელია რეგისტრირებული ქონების გადაცემისათვის, რეგისტრირებული ქონების საჯარო რეესტრებში შეიძლება დარეგისტრირდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მისი წარდგენა სასამართლოს აღმასრულებლის მიერ მოხდა იმ პირისათვის, ვისაც ეკისრება ქონების გადაცემა და:

a. ეს გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში და გახდა მბოჭავი;

b. ეს გადაწყვეტილება ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღსრულებას (მიუხედავად ნებისმიერი აპელაციისა თუ სხვა სამართლებრივი დაცვის საშუალებისა) და გასულია თოთხმეტდიანი ანდა სასამართლოს გადაწყვეტილებაში დათქმული უფრო ნაკლები ან მეტი ვადა მას შემდეგ, რაც მისი წარდგენა მოხდა იმ პირისათვის, ვისაც ეკისრება ქონების გადაცემა.

– 2. სარჩელი სასამართლოს დაუსრულებელი გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით, ზემდგომ ინსტანციაში წარდგენილი სააპელაციო საჩივარი ან საკასაციო საჩივარი რეგისტრაციაში უნდა გატარდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 433-ე მუხლის შესაბამისად სასამართლოს მიერ წარმოებულ რეესტრში რვა დღის განმავლობაში მას შემდეგ, რაც შესაბამისი სამართლებრივი დაცვის საშუალება წარედგინება სასამართლოს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 143-ე მუხლისაგან განსხვავებით, სასამართლოს დაუსრულებელი გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით სარჩელის წარდგენის ვადის დენა იწყება იმ მომენტიდან, როდესაც ეს გადაწყვეტილება ჩაბარდება სასამართლოში გამოუცხადებელ მოპასუხეს თუნდაც იმ შემთხვევაში, თუკი სასამართლოს გადაწყვეტილება არ გადაეცა მას პირადად.

– 3. თუ პარ. 1-ში მითითებული სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლა დამოკიდებულია სასამართლოს მიერ გათვალისწინებული პირობის დადგომაზე, მაშინ რეგისტრირებული ქონების საჯარო რეესტრების მწარმოებელმა უარი უნდა განაცხადოს ამ გადაწყვეტილების რეგისტრაციაზე, თუკი არ ხდება დამატებით ასევე სანოტარო დეკლარაციის ანდა ამ უკანასკნელის ავთენტური დუბლიკატის (დამონმებული ასლის) წარდგენაც, საიდანაც ჩანს, რომ ეს პირობა შესრულებულია.

მუხლი 3:302 სამართლებრივი ურთიერთობის აღიარების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილება

იმ პირის სარჩელის საფუძველზე, ვინც უშუალოდ არის ჩართული კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობაში, სასამართლოს შეუძლია მიიღოს ამ სამართლებრივი ურთიერთობის აღიარების შესახებ გადაწყვეტილება.

მუხლი 3:303 სასარჩელო განცხადების წარდგენისათვის აუცილებელი საკმარისი ინტერესი

საკმარისი ინტერესის გარეშე სარჩელის უფლება არავის აქვს.

მუხლი 3:304 სარჩელის უფლებისაგან განცალკევებულად არსებობის დაუშვებლობა

დაუშვებელია სარჩელის უფლების განცალკევება იმ (ქონებრივი) უფლებისაგან, რომლის დაცვისაკენაც ის არის მიმართული.

მუხლი 3:305 ზემოთ მოცემული საკანონმდებლო ნორმების გამოყენების შესაძლებლობა არბიტრაჟის მიმართ

თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმებულან, წინამდებარე ტიტულის ზემოთ მოცემული მუხლების ნორმათა საფუძველზე სასამართლოსათვის მინიჭებული უფლებამოსილებები ვრცელდება ასევე არბიტრებზეც.

მუხლი 3:305a კოლექტიური სარჩელები („ჯგუფური სარჩელები“)

– 1. სრული ქმედუნარიანობის მქონე ფონდს ან კავშირს, რომლის მიზანსაც, წესდების შესაბამისად, წარმოადგენს კონკრეტული ინტერესების დაცვა, შეუძლია სასამართლოს წარუდგინოს სარჩელი სხვა პირთა მსგავსი ინტერესების დაცვის განზრახვით.

– 2. იურიდიული პირის მიერ წარჩელის წარდგენა, როგორც ეს მითითებულია პარ. 1-ში, დაუშვებელია, თუ მოცემულ გარემოებებში მას არ ჰქონია საკმარისი მცდელობა მიეღწია მორიგებისათვის თავის მოთხოვნასთან დაკავშირებით მოპასუხესთან წარმოებული კონსულტაციების გზით. ამ თვალსაზრისით ყველა შემთხვევაში საკმარისია ორკვირიანი ვადა, რომელიც აითვლება მას შემდეგ, რაც მოპასუხემ მიიღო ასეთი კონსულტაციების გამართვის შესახებ მოთხოვნა წარდგენილი პრეტენზიის მითითებით.

– 3. პარ. 1-ში მითითებული სარჩელი შეიძლება წარდგენილ იქნეს სასამართლოში იმ მიზნით, რომ აიძულოს მოპასუხე გაასაჯაროოს სასამართლოს გადაწყვეტილება იმ წესით, როგორც ეს დადგენილია სასამართლოს მიერ, და ასევე – ამ უკანასკნელის მიერ მითითებული პირების ხარჯზე. რეალური ზარალის ანაზღაურების მოთხოვნით სარჩელის წარდგენა დაუშვებელია.

– 4. პარ. 1-ში მითითებული სასარჩელო განცხადება ვერ დაეფუძნება კონკრეტულ ქცევას, რამდენადაც ამას ეწინააღმდეგება ის პირი, რომელსაც ზიანი ადგება ასეთი ქცევის შედეგად.

– 5. სასამართლოს გადაწყვეტილება არ მოქმედებს იმ პირის მიმართ, ვისი ინტერესებიც დაცულია სარჩელით, თუმცა რომელმაც ნათლად განაცხადა, რომ მას არ სურს, რომ ეს გადაწყვეტილება მას ეხებოდეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სასამართლოს გადაწყვეტილების არსი გამოორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ ეს კონკრეტული პირი მისი ზემოქმედების მიღმა აღმოჩნდეს.

მუხლი 3:305b საჯარო სამართლის იურიდიული პირები

– 1. სამოქალაქო კოდექსის 2:1 მუხლში მითითებულ საჯარო სამართლის იურიდიული პირებს, რომლებსაც ევალებათ კონკრეტული ინტერესების დაცვა, შეუძლიათ სასამართლოსათვის სარჩელის წარდგენა სხვა პირთა მსგავსი ინტერესების დაცვის განზრახვით.

– 2. აღნიშნული საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიმართ შესაბამისად მოქმედებს 3:305a მუხლის პარ. 2-დან პარ. 5-ის ჩათვლით ნორმები.

(3:305c და 3:305d მუხლები გამოტოვებულია წინამდებარე გამოცემაში როგორც არააქტუალური)

მუხლი 3:306 ხანდაზმულობა

თუ კანონი სხვაგვარად არ ითვალისწინებს, სარჩელის უფლებების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს ოც წელს.

მუხლი 3:307 სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების მოთხოვნის სარჩელის ხანდაზმულობა

- 1. რაიმე ნივთის გადაცემის ან მოქმედების განხორციელების სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების მოთხოვნის სარჩელის ხანდაზმულობის ვადა შეადგენს ხუთ წელს, რომელიც აითვლება იმ დღიდან, როდესაც სავალო მოთხოვნა ვადამოსული და შესასრულებელი (აღსრულებადი) გახდა.
- 2. როდესაც საქმე ეხება რაიმე მოქმედების შესრულებას განუსაზღვრელ მომენტში, პარ. 1-ში მითითებული ვადა აითვლება იმ დღიდან, როდესაც კრედიტორმა შეატყობინა მოვალეს შესრულების მოთხოვნის შესახებ, რომლის დროსაც პარ. 1-ში აღნიშნული სარჩელის უფლების ხანდაზმულობის ვადა ნებისმიერ შემთხვევაში იქნება ოცი წელი იმ დღიდან, როდესაც სავალო მოთხოვნა პირველად გახდება ვადამოსული და შესასრულებელი (აღსრულებადი), აუცილებლობის შემთხვევაში – კრედიტორის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ.

მუხლი 3:308 პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებათა შემთხვევაში სავალო მოთხოვნების ხანდაზმულობა

ფულად თანხაზე პროცენტის, ანუიტეტის თანხები, ქირის, საიჯარო გადახდების, დივიდენდებისა და ასევე ყველა იმ თანხის გადახდის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა, რომელიც უნდა განხორციელდეს ნაწილ-ნაწილ გადახდების სახით ყოველწლიურად ანდა უფრო მცირე პერიოდებში, შეადგენს ხუთ წელს, რომელიც აითვლება იმ დღიდან, როდესაც სავალო მოთხოვნა ვადამოსული და შესასრულებელი (აღსრულებადი) გახდა, რაც ცალ-ცალკე უნდა განისაზღვროს თითოეული ინდივიდუალური ნაწილ-ნაწილ გადახდის მოთხოვნისათვის.

მუხლი 3:309 არაჯეროვანი შესრულებიდან გამომდინარე სავალო მოთხოვნების ხანდაზმულობა

არაჯეროვანი შესრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის სარჩელის ხანდაზმულობის ვადა შეადგენს ხუთ წელს, რომელიც აითვლება იმ დღიდან, როდესაც კრედიტორი შეიტყობს როგორც თავისი სავალო მოთხოვნის არსებობის, ისე მიმღების პიროვნების შესახებ, თუმცა, ყველა შემთხვევაში, – ოც წელს სავალო მოთხოვნის წარმოშობის დღიდან.

მუხლი 3:310 ზიანის ანაზღაურებისა თუ სახელშეკრულებო პირგასამტეხლოდან გამომდინარე სავალო მოთხოვნების ხანდაზმულობა

- 1. ზიანის ანაზღაურებისა თუ სახელშეკრულებო პირგასამტეხლოდან გამომდინარე მოთხოვნის სარჩელის ხანდაზმულობის ვადა შეადგენს ხუთ წელს, რომელიც აითვლება იმ დღიდან, როდესაც დაზარალებულმა პირმა შეიტყო როგორც მიყენებული ზიანისა თუ სახელშეკრულებო პირგასამტეხლოს ვადამოსულობისა და შესასრულებლობის ფაქტის შესახებ, ისე იმ პირის პიროვნების შესახებ, ვინც პასუხისმგებელია ამ ზიანის მიყენებისა თუ სახელშეკრულებო პირგასამტეხლოსათვის, თუმცა, ყველა შემთხვევაში, – ოც წელს იმ დღიდან, როდესაც ადგილი ჰქონდა ზიანის მიმყენებელ გარემოებას ანდა – იმ გარემოებას, რომლის გამოც სახელშეკრულებო პირგასამტეხლო გახდა ვადამოსული და შესასრულებელი (აღსრულებადი).

- 2. როდესაც ზიანის მიყენება გამოიხატება ჰაერის, წყლისა თუ ნიადაგის დაბინძურებაში, სამოქალაქო კოდექსის 6:175 მუხლით გათვალისწინებული საფრთხის შექმნასა თუ 6:177 მუხლის პირველი პარაგრაფის (b) პუნქტში მითითებული ნიადაგის გადაადგილებაში, მაშინ – მიუხედავად პარ. 1-ის ბოლოში მითითებულისა – ზიანის ანაზღაურებიდან გამომდინარე მოთხოვნის სარჩელის ხანდაზმულობის ვადა შეადგენს ოცდაათ წელს, რომელიც აითვლება ზიანის გამომწვევი მოვლენის დადგომის დღიდან.

- 3. პარ. 2-ის მიზნებისათვის სიტყვაში „მოვლენა“ მოიაზრება მოულოდნელად მომხდარი ფაქტი, განგრძობადი მოქმედების ფაქტი ან ერთი და იგივე მიზეზით გამომწვეული ფაქტების წყება. თუ მოვლენა წარმოადგენს განგრძობადი მოქმედების ფაქტს, მაშინ პარ. 2-ში მითითებული ოცდაათწლიანი ვადის დენა იწყება ამ ფაქტის შეწყვეტის მომენტიდან. თუ მოვლენა წარმოადგენს ერთი და იგივე მიზეზით გამომწვეული ფაქტების წყებას, მაშინ აღნიშნული ვადის დენა იწყება მას შემდეგ, რაც ამ წყებაში მოხდება უკანასკნელი ფაქტი.

- 4. თუ ზიანის გამომწვევი მოვლენა ქმნის დანაშაულის შემადგენლობას, რაც გათვალისწინებულია ჰოლანდიური სისხლის სამართლის კოდექსით, დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სარჩელის ხანდაზმულობის ვადის დენა არ იწყება მანამდე, სანამ არ შეწყდება სისხლის სამართლის საქმის წარმოება მისი ხანდაზმულობისა თუ პასუხისმგებელი პირის გარდაცვალების გამო.

- 5. პარ. 1 და 2-საგან განსხვავებით, ზიანის მიყენებისა თუ გარდაცვალებიდან გამომდინარე მოთხო-

ვნის სარჩელის ხანდაზმულობის ვადა შეადგენს ხუთ წელს, რომელიც აითვლება იმ დღიდან, როდესაც დაზარალებული პირი შეიტყობს როგორც მიყენებული ზიანის, ისე იმ პირის პიროვნების შესახებ, ვინც პასუხისმგებელია ამ ზიანის მიყენებისათვის. თუკი დაზარალებული პირი არასრულწლოვანი იყო იმ დღეს, როდესაც ის შეიტყობს როგორც მიყენებული ზიანის, ისე ზიანის მიყენებელი პირის პიროვნების შესახებ, მოთხოვნის სარჩელის ხანდაზმულობის ვადა იქნება ხუთი წელი, რომელიც აითვლება იმ დღიდან, როდესაც დაზარალებული პირი მიაღწევს სრულწლოვანების ასაკს.

(3:310a-3:310c მუხლები გამოტოვებულია წინამდებარე გამოცემაში როგორც არააქტუალური)

მუხლი 3:311 ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების ან შესრულებულის გამოსწორებისა თუ უკან დაბრუნების (ანულირების) მოთხოვნის ხანდაზმულობა

– 1. ვალდებულების შეუსრულებლობის გამო ხელშეკრულებიდან გასვლის სარჩელის უფლებისა და ასევე არაჯეროვანი შესრულების გამოსწორების მოთხოვნით სარჩელის უფლების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს ხუთ წელს, რომელიც აითვლება იმ დღიდან, როდესაც კრედიტორი შეიტყობს ვალდებულების დარღვევის შესახებ, თუმცაღა, ყველა შემთხვევაში, – ოც წელს იმ დღიდან, როდესაც მოხდა ვალდებულების დარღვევა.

– 2. სამოქალაქო კოდექსის 6:271 მუხლის საფუძველზე შესრულებულის უკან დაბრუნების (ანულირების) მოთხოვნით სარჩელის უფლების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს ხუთ წელს, რომელიც აითვლება იმ დღიდან, როდესაც მოხდა იმ ხელშეკრულებიდან გასვლა, რომელიც ქმნიდა აღნიშნული შესრულების სამართლებრივ საფუძველს.

მუხლი 3:312 ვალდებულების შეუსრულებლობიდან გამომდინარე სუბსიდიური უფლებების ხანდაზმულობა

იმ პირობით, რომ ხანდაზმულობის ვადის დენა არ შეჩერდება ან არ გაგრძელდება, ვალდებულების შეუსრულებლობიდან გამომდინარე სარჩელის უფლება, ისევე როგორც – კანონისმიერი ან სახელშეკრულებო პროცენტის გადახდისა თუ ნაყოფის (სარგებლის) მიღების მოთხოვნით სარჩელის უფლება ხანდაზმულია არაუგვიანეს იმ ვადის გასვლისა, რომელიც მოქმედებს თავად ძირითადი შესრულების მოთხოვნის მიმართ, ანდა თუ ვალდებულების შეუსრულებლობა ექვემდებარება გამოსწორებას, – არაუგვიანეს იმ ვადის გასვლისა, რომელიც მოქმედებს ამ შეუსრულებლობის გამოსწორების მოთხოვნის მიმართ.

მუხლი 3:313 რაიმე ნივთის გადაცემის ან მოქმედების განხორციელების მოთხოვნით სარჩელის უფლების ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყება

თუ კანონი სხვაგვარად არ ითვალისწინებს, ვალდებულების შესრულების მიზნით რაიმე ნივთის გადაცემის ან მოქმედების განხორციელების მოთხოვნით სარჩელის უფლების ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება იმ დღიდან, როდესაც შესაძლებელია ვალდებულების დაუყოვნებლივ შესრულების მოთხოვნა.

მუხლი 3:314 უკანონო ვითარების აღკვეთის ან პირის მფლობელობის შეწყვეტის მოთხოვნების ხანდაზმულობა

– 1. უკანონო ვითარების აღკვეთის მოთხოვნით სარჩელის უფლების ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება იმ დღიდან, როდესაც შესაძლებელია ამ ვითარების დაუყოვნებლივ შეწყვეტის მოთხოვნა.

– 2. არამესაკუთრე პირის მხრიდან მფლობელობის შეწყვეტის მოთხოვნით სარჩელის უფლების ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება იმ დღიდან, როდესაც ეს პირი გახდა მფლობელი, ანდა – როდესაც ისეთ ვითარებაში გახდებოდა შესაძლებელი დაუყოვნებელი შეწყვეტის მოთხოვნა, რომელშიც მისი მფლობელობა წარმოადგენს განგრძობად ფაქტს.

მუხლი 3:315 სამკვიდრო ქონების მიმართ მოთხოვნის ხანდაზმულობა

სამკვიდრო ქონების მიმართ მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება პირის გარდაცვალების დღიდან.

მუხლი 3:316 ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება სარჩელის წარდგენით

– 1. ხანდაზმულობის ვადის დენა ჩერდება სასამართლოში შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირის მიერ სარჩელის წარდგენით, ისევე როგორც – ამ პირის მიერ აუცილებელი ფორმის დაცვით აღძრული ნებისმიერი სხვა სარჩელით.

- 2. თუ სასამართლო არ აკმაყოფილებს წარდგენილ სარჩელს, ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადანაცვების კანონიერ ძალაში შესვლის ანდა სასამართლოში საქმის წარმოების შეწყვეტისათვის სხვა მიზეზების არსებობის გამო საქმის წარმოების შეწყვეტიდან ექვსი თვის განმავლობაში სასამართლოს წარედგინება ახალი სარჩელი, რომელიც საბოლოოდ დაკმაყოფილდება ამ უკანასკნელის მიერ. თუ მოსარჩელე გაიხმობს სარჩელს, მაშინ ეს ხანდაზმულობის ვადის დენას არ აჩერებს.

- 3. ხანდაზმულობის ვადის დენა ჩერდება ასევე მესამე მხარის მბოჭავი დადგენილების მიღებისკენ მიმართული მოქმედებით იმ პირობით, რომ ამ მოქმედების შესახებ შეტყობინება დროულად გაეგზავნება მეორე მხარეს და რომ მისი შედეგი იქნება სავალდებულო რეკომენდაცია. როდესაც არ ხდება სავალდებულო რეკომენდაციის მიღება, შესაბამისად გამოიყენება პარ. 2-ის ნორმები.

მუხლი 3:317 ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება ფორმალური შეტყობინებით

- 1. ვალდებულების შესრულების მოთხოვნით სარჩელის უფლების ხანდაზმულობის ვადის დენა ჩერდება იმ ფორმალური შეტყობინებით, რომელშიც მოითხოვება შესრულება, ანდა – იმ წერილობითი განცხადებით, რომელშიც კრედიტორი არაორაზროვნად ინარჩუნებს თავისთვის უფლებას, მოითხოვოს ვალდებულების შესრულება.

- 2. ფორმალური შეტყობინებით სხვა სარჩელის უფლებათა ხანდაზმულობის ვადის დენა ჩერდება იმ პირობით, თუ ექვსი თვის განმავლობაში მას მოჰყვება წინა მუხლში გათვალისწინებული სარჩელის წარდგენა.

მუხლი 3:318 ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება ფორმალური შეტყობინებით

იმ სანივთო უფლების არსებობის აღიარება, რომელსაც მოიცავს სარჩელის უფლება, აჩერებს ამ სარჩელის უფლების ხანდაზმულობის ვადის დენას იმ პირის მიმართ, რომელმაც აღიარა ამ სანივთო უფლების არსებობა.

მუხლი 3:319 ხანდაზმულობის ახალი ვადის დენის დაწყება

- 1. როდესაც ხანდაზმულობის ვადის დენა ჩერდება სხვაგვარად, ვიდრე იმ სარჩელის შეტანით, რომელიც საბოლოოდ დაკმაყოფილდა სასამართლოს მიერ, მაშინ ხანდაზმულობის ახალი ვადის დენა იწყება შეჩერების მომდევნო დღიდან. როდესაც მესამე მხარის მბოჭავი დადგენილების შედეგი გახდა სავალდებულო რეკომენდაციის მიღება, მაშინ ხანდაზმულობის ახალი ვადის დენა იწყება მხარეთა მიერ სავალდებულო რეკომენდაციის მიღების დღიდან.

- 2. ხანდაზმულობის ახალი ვადის ხანგრძლივობა უტოლდება თავდაპირველი ხანდაზმულობის ვადის ხანგრძლივობას, თუმცაღა, ყველა შემთხვევაში, ის არ აღემატება ხუთ წელს. მიუხედავად აღნიშნულისა, ხანდაზმულობის ვადის დენა ვერასოდეს დაიწყება იმ მომენტამდე, სანამ შეჩერების გარეშე არ გავა თავდაპირველი ვადა.

მუხლი 3:320 მიმდინარე ხანდაზმულობის ვადის გახანგრძლივება

როდესაც ხანდაზმულობის ვადა ვადის მისი გახანგრძლივების საფუძვლის არსებობის განმავლობაში ანდა – ექვსი თვის განმავლობაში მას შემდეგ, რაც ეს საფუძველი აღარ არსებობს, მაშინ ხანდაზმულობის ვადის დენა გაგრძელდება გახანგრძლივებისათვის არსებული შესაბამისი საფუძვლის მოსპობიდან ექვსი თვის გასვლამდე.

მუხლი 3:321 ხანდაზმულობის ვადის გახანგრძლივების საფუძვლები

- 1. ხანდაზმულობის ვადის გახანგრძლივების საფუძველი არსებობს:
- a. განცალკევებით ცხოვრების რეჟიმში არმყოფ მეუღლეთა შორის;
 - b. კანონიერ წარმომადგენელსა და სრული ქმედუნარიანობის არმქონე წარმოდგენილ პირს შორის;
 - c. ქონების (მინდობით) მმართველსა და ამ ქონებაზე უფლებამოსილ პირს შორის ამ ქონებასთან დაკავშირებული პრეტენზიების განხილვის მიზნით;
 - d. იურიდიულ პირებსა და მათ დირექტორებს შორის;
 - e. მემკვიდრესა და გარდაცვლილის იმ სამკვიდროს შორის, რომელიც მიიღება ამ მემკვიდრის მიერ იმ პირობით, რომ სამკვიდროს აქტივების ღირებულება აღემატება მის ვალებს;
 - f. კრედიტორსა და იმ მოვალეს შორის, რომელიც განზრახ მაღავს ვალის არსებობას ანდა – იმ ფაქტს, რომ ეს ვალი ვადამოსული და შესასრულებელი გახდა;

გ. რეგისტრირებულ პარტნიორობაში მყოფ პარტნიორებს შორის.

– 2. წინა პარაგრაფის (b) და (c) პუნქტებში მითითებული ხანდაზმულობის ვადის გახანგრძლივების საფუძვლები შენარჩუნდება მანამდე, სანამ კანონიერი წარმომადგენელი ან ქონების მმართველი არ წარადგენს თავის საბოლოო ანგარიშს.

მუხლი 3:322 სარჩელის უფლების ხანდაზმულობაზე მითითების უფლება

– 1. სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შესაგებლის სახით გამოიყენოს იმ ფაქტი, რომ სარჩელის უფლება ხანდაზმულია.

– 2. სარჩელის ხანდაზმულობაზე მითითების უფლებაზე უარი დასაშვებია იმ პირის განცხადებით, ვინც უფლებამოსილია მიუთითოს ხანდაზმულობის ფაქტზე.

– 3. ხანდაზმულობის ფაქტზე მითითების უფლებაზე უარი ხანდაზმულობის ვადის ამონურვამდე დაუშვებელია.

მუხლი 3:323 ხანდაზმულობის სამართლებრივი შედეგები გირავნობისა და იპოთეკის მიმართ

– 1. როდესაც ვალდებულების შესრულების მოთხოვნით სარჩელის უფლების ხანდაზმულობის ვადა იწურება, ამ ვალდებულების უზრუნველსაყოფად დადგენილი გირავნობა ან იპოთეკა წყვეტს არსებობას.

– 2. თუმცა, ხანდაზმულობა ხელს არ უშლის მოგირავნეს დაგირავებული ქონების მიმართ გრავნობიდან გამომდინარე თავისი უფლებების რეალიზაციაში, თუ დაგირავებულ ქონებას წარმოადგენს მოძრავი ნივთი ან საორდერო თუ სანარმდგენლო სავალო მოთხოვნა იმ პირობით, რომ ეს ნივთი ბრუნვაუნარიანი საორდერო თუ სანარმდგენლო დოკუმენტი ჯერ კიდევ ხანდაზმულობის ვადის ამონურვამდე გადავიდა მოგირავნის ან ამ მიზნით მოგირავნის მიერ დანიშნული მესამე პირის ფაქტობრივ ბატონობაში.

– 3. იპოთეკით უზრუნველყოფილი ვალდებულების შესრულების მოთხოვნით სარჩელის უფლება არ ხდება ხანდაზმული ოცნლიანი ვადის გასვლამდე, რომელიც აითვლება იმ დღიდან, როდესაც ვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით დადგინდა იპოთეკა.

მუხლი 3:324 სასამართლოს ან არბიტრაჟის გადაწყვეტილების აღსრულების უფლების ხანდაზმულობა

– 1. სასამართლოს ან არბიტრაჟის გადაწყვეტილების აღსრულების უფლების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს ოც წელს, რომელიც აითვლება გადაწყვეტილების მიღების დღიდან, ხოლო თუ ამ გადაწყვეტილების აღსრულებისათვის უნდა შესრულდეს განსაზღვრული პირობები, რომლებიც არ არის დამოკიდებული იმ პირის ნებაზე, რომლის სასარგებლოდაც იქნა მიღებული ეს გადაწყვეტილება, მაშინ – იმ დღიდან, როდესაც სრულდება აღნიშნული პირობები.

– 2. თუ ერთ-ერთი მხარე ხანდაზმულობის ვადის ამონურვამდე წარადგენს სამართლებრივი დაცვის საშუალებას ან სარჩელს სასამართლოს ან არბიტრაჟის იმ გადაწყვეტილების გაუქმების მიზნით, რომელიც ჯერ კიდევ უნდა აღსრულდეს, მაშინ ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება იმ დღიდან, როდესაც სრულდება ამ საკითხთან დაკავშირებული საქმის წარმოება.

– 3. ხანდაზმულობის ვადა შეადგენს ხუთ წელს იმ საკითხთან დაკავშირებით, რაც სასამართლოს ან არბიტრაჟის გადაწყვეტილების შესაბამისად უნდა შესრულდეს ერთი წლის ან უფრო მცირე ვადის განმავლობაში.

– 4. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ადგილი აქვს ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერებას ან გახანგრძლივებას, სასამართლოს ან არბიტრაჟის მიერ დაკისრებული პროცენტის, სახელშეკრულებო პირგასამტეხლოს, ვალდებულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული გადასახდელებისა და სხვა დამატებითი საგადახდო დავალებების ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება არაუგვიანეს თავად ძირითადი გადაწყვეტილების აღსრულების უფლების ხანდაზმულობის ვადის გასვლისა.

მუხლი 3:325 სასამართლოს გადაწყვეტილებების მიმართ ზემოთ მოცემული კანონისმიერი ნორმების გამოყენება

– 1. წინა მუხლში მითითებული ხანდაზმულობის მიმართ შესაბამისად გამოიყენება 3:319 მუხლიდან 3:323 მუხლის ჩათვლით ნორმები.

– 2. წინა მუხლში მითითებული ხანდაზმულობის ვადის დენა ჩერდება:

a. როდესაც სასამართლოს ან არბიტრაჟის გადაწყვეტილება ანდა ფორმალური შეტყობინება სასამართლოს აღმასრულებლის მიერ ბარდება მეორე მხარეს;

b. სასამართლოს ან არბიტრაჟის გადანყვეტილებით დაკისრებული იურიდიული მოვალეობის აღიარება;

c. აღსრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მოქმედებით იმ პირობით, რომ მეორე მხარეს შეატყობინებენ ამის შესახებ კანონით დადგენილი ვადის განმავლობაში, ხოლო თუ ასეთი კანონისმიერი დანაწესი არ არსებობს, – მაშინ დროულად გაგზავნილი შეტყობინებით.

მუხლი 3:326 3:11 ტიტულის ნორმების გამოყენება სანივთო სამართლის სფეროს მიღმა არსებული სამართლებრივი ურთიერთობების მიმართ

წინამდებარე ტიტულის ნორმები შესაბამისად გამოიყენება სანივთო სამართლის სფეროს მიღმა, რამდენადაც შესაბამისი სამართლებრივი ურთიერთობის ბუნება არ ეწინააღმდეგება ამას.

მე-4 ნიშნი – მემკვიდრეობის სამართალი

ტიტული 4.1 – ზოგადი დებულებები

მუხლი 4:1 მემკვიდრეობით გადაცემული ქონება

- 1. მემკვიდრეებს შეუძლიათ ქონება მემკვიდრეობით მიიღონ კანონის ან გარდაცვლილის ანდერძის საფუძველზე.
- 2. კანონით მემკვიდრეობის მომწესრიგებელ კანონისმიერ ნორმათა მოქმედება შეიძლება გამოირიცხოს იმ ანდერძით, რომელიც ითვალისწინებს მემკვიდრეთა დანიშვნას ან მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევას.

მუხლი 4:2 ორი ან მეტი პირი გარდაცვალების რიგითობა

- 1. როდესაც შეუძლებელია ორი ან მეტი პირის გარდაცვალების რიგითობის განსაზღვრა, ეს პირები მიიჩნევიან ერთდროულად გარდაცვლილად ისე, რომ ვერც ერთი მათგანი ვერ მიიღებს სარგებელს სხვისი სამკვიდრო ქონებიდან.
- 2. თუ დაინტერესებული მხარე იმ გარემოებათა შედეგად, რომელიც მას ვერ შეერაცხება, გარდაცვალების რიგითობის მტკიცებისას განიცდის სირთულეებს, მაშინ სასამართლოს შეუძლია რამდენჯერმე მიანიჭოს მას დამატებითი ვადა იმდენად, რამდენადაც მტკიცებულების ამ დამატებითი ვადის განმავლობაში მინიჭების ალბათობა გონივრულად მოსალოდნელი იქნებოდა.

მუხლი 4:3 უღირსი მემკვიდრე

- 1. კანონის ძალით არ არის ღირსი მიიღოს გარდაცვლილის სამკვიდრო ქონებიდან სარგებელი:
 - a. იმ პირმა, ვინც კანონიერ ძალაში შესული განაჩენით გასამართლებულ იქნა გარდაცვლილის სიცოცხლის ხელყოფისათვის, მკვლელობის მცდელობისათვის ან ასეთი დანაშაულის მომზადებისა თუ მასში თანამონაწილეობისათვის;
 - b. იმ პირმა, ვინც კანონიერ ძალაში შესული განაჩენით გასამართლებულ იქნა გარდაცვლილის მიმართ ჩადენილი დანაშაულისათვის, მისი მცდელობისათვის ან ასეთი დანაშაულის მომზადებისა თუ მასში თანამონაწილეობისათვის, რომლისათვისაც ჰოლანდიური სამართლის თანახმად მაქსიმალური სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა, სულ ცოტა, ოთხი წლის ვადით;
 - c. იმ პირმა, ვის მიმართაც კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ მან გარდაცვლილ პირს ცილისმწამებლურად დასდო ბრალი იმ დანაშაულის ჩადენაში, რომლისათვისაც ჰოლანდიური სამართლის თანახმად მაქსიმალური სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა, სულ ცოტა, ოთხი წლის ვადით;
 - d. იმ პირმა, რომელმაც ფიზიკური მოქმედებით ან მუქარით აიძულა გარდაცვლილი პირი, შეედგინა ანდერძი ანდა რომელმაც ასეთი ზემოქმედებით ხელი შეუშალა გარდაცვლილ პირს ანდერძის შედგენაში;
 - e. იმ პირმა, რომელმაც მოიპარა, გადაძალა, გაანადგურა ან გააყალბა გარდაცვლილის ანდერძი.
- 2. დაცულია ის უფლებები, რომელთა შექმნაც მესამე პირების მიერ მოხდა კეთილსინდისიერად მანამდე, სანამ დადგინდა მემკვიდრის უღირსობის ფაქტი. თუმცა, როდესაც ობიექტების შექმნა ხდება უსასყიდლოდ, სასამართლოს შეუძლია კანონიერ მოსარჩელებს (მესაკუთრეებს) მიაკუთვნოს გონივრული საკომპენსაციო თანხა იმ პირის ხარჯზე, რომელმაც აღნიშნულის შედეგად სარგებელი მიიღო.
- 3. პირი აღარ ჩაითვლება უღირს მემკვიდრედ, თუკი გარდაცვლილი არაორაზროვნად პატიობს მას უღირს საქციელს.

მუხლი 4:4 სამკვიდროს გახსნამდე მასთან დაკავშირებით დადებული გარიგებები

– 1. გარიგება, რომელიც დაიდო გარდაცვლილის სამკვიდროს გახსნამდე, ბათილია იმდენად, რამდენადაც მისი მიზანია, შეუზღუდოს პირს თავისუფლება სამოქალაქო კოდექსის მე-4 ნიგნის ნორმების საფუძველზე მისთვის გარდაცვლილის სამკვიდროსთან დაკავშირებით მინიჭებული უფლებებისა და უფლებამოსილებების განხორციელებაში.

– 2. ბათილია ხელშეკრულება, რომლის მიზანია განკარგოს ჯერ კიდევ მემკვიდრეობით არგადაცემული მთლიანი სამკვიდრო ქონება ან მისი პროპორციული ნაწილი (სამომავლო წილი ასეთ სამკვიდროში).

მუხლი 4:5 გადახდების წესი

– 1. მოვალის მოთხოვნის საფუძველზე, რაიონულ სასამართლოს ყურადსაღები მიზეზების გამო შეუძლია დაადგინოს, რომ სამოქალაქო კოდექსის მე-4 ნიგნის ან 3.7 ტიტულის ნორმების საფუძველზე გარდაცვლილის სამკვიდრო ქონების გაყოფასთან (განაწილებასთან) დაკავშირებით გადასახდელი ფულადი თანხა უნდა იქნეს გადახდილი მხოლოდ გარკვეული ვადის შემდეგ როგორც ერთიანი თანხის, ისე პერიოდული გადახდების სახით დარიცხული პროცენტით ან პროცენტის გარეშე. აღნიშნული მოთხოვნის წარდგენისას სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს ორივე მხარის ინტერესები. სასამართლოს შეუძლია მიიღოს მოთხოვნილი დადგენილება იმ პირობით, თუ განსაზღვრული ვადის განმავლობაში ძირითადი თანხისა და შესაძლო დარიცხული პროცენტების დაფარვის მიზნით მოვალე წარადგენს სასამართლოს მხრიდან მოწონებულ სანივთო ან პერსონალურ უზრუნველყოფას.

– 2. ერთი ან მეტი მხარის მოთხოვნის საფუძველზე, იმავე რაიონულ სასამართლოს შეუძლია შეცვალოს თავისი წინა პარაგრაფის ძალით მიღებული დადგენილება, რამდენადაც ასეთი შეცვლა გამართლებულია ყველა იმ გარემოების გათვალისწინებით, რომლებიც დადგენილების მიღების მომენტში მოსალოდნელი ვერ იქნებოდა.

მუხლი 4:6 სამკვიდროს აქტივების შეფასება

მე-4 ნიგნში „სამკვიდროს აქტივების ღირებულება“ გულისხმობს ამ აქტივების მამკვიდრებლის გარდაცვალების მომენტში არსებულ ღირებულებას ჯერ კიდევ იმ ცოცხალი მეუღლის სასარგებლოდ არსებული უზუფრუქტის მხედველობაში მიღების გარეშე, რომლის სამკვიდროს მიმართაც შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამოქალაქო კოდექსის მე-4 ნიგნის მე-3 ტიტულის განყოფილება 1 ან 2-ის ნორმები.

მუხლი 4:7 გარდაცვლილის სამკვიდროს ვალები

– 1. გარდაცვლილის სამკვიდროს ვალებს მიეკუთვნება:

a. გარდაცვლილის ის ვალები და ვალდებულებები, რომლებიც არ წყდება პირის გარდაცვალებით, რამდენადაც ისინი არ არის გათვალისწინებული წინამდებარე პარაგრაფის (i) პუნქტში;

b. გარდაცვლილის დაკრძალვის ხარჯები, რამდენადაც ეს ხარჯები შეესაბამება გარდაცვლილთან დაკავშირებით არსებულ გარემოებებს;

c. გარდაცვლილის სამკვიდროს ლიკვიდაციის (რეალიზაციის) ხარჯები, მათ შორის, – ლიკვიდატორის საზღაური;

d. გარდაცვლილის სამკვიდროს მართვის ხარჯები, მათ შორის, – მმართველის საზღაური;

e. საგადასახადო ვალდებულებები, რომლებიც ექვემდებარება გადახდას გარდაცვლილის სამკვიდროს მემკვიდრეობით გადასვლის მომენტში, რამდენადაც ეს ვალდებულებები მემკვიდრეთა ვალები ხდება;

f. წინამდებარე ნიგნის 4.3.2 განყოფილების ნორმათა გამოყენებიდან გამომდინარე ვალები;

g. შვილის როგორც სავალდებულო მემკვიდრის გარდაცვლილი მშობლის სამკვიდრო ქონებაზე კუთვნილ სავალდებულო წილზე უფლებიდან გამომდინარე ვალები, რომელთა მოთხოვნაც ხდება 4:80 მუხლის ნორმების საფუძველზე;

h. იმ ლეგატიდან გამომდინარე ვალები, რომელიც უნდა შეასრულონ მემკვიდრეებმა გარდაცვლილის სამკვიდროს აქტივებიდან;

i. ნაჩუქრობებიდან და სხვა იმ მოქმედებებიდან გამომდინარე ვალები, რომლებიც 4:126 მუხლის ნორმათა მოქმედების ძალით მიიჩნევა ლეგატად.

– 2. გარდაცვლილის სამკვიდროს ვალები უნდა დაკმაყოფილდეს თანმიმდევრულად ქვემოთ მოცემული რიგითობის ჯეროვანი დაცვით:

1° პარ. 1-ის (a) პუნქტიდან (e) პუნქტის ჩათვლით ნორმებში მითითებული ვალები;

2° პარ. 1-ის (f) პუნქტში მითითებული ვალეები;

2° პარ. 1-ის (g) პუნქტში მითითებული ვალეები;

როდესაც სახეზე არ არის პარ. 1-ის (f) პუნქტში მითითებული ვალეები, მაშინ თავდაპირველად უნდა დაკმაყოფილდეს პარ. 1-ის (a) პუნქტიდან (e) პუნქტის ჩათვლით ნორმებში მითითებული ვალეები და, შემდგომში კი, – პარ. 1-ის (d), (e) და (g) პუნქტებში მითითებული ვალეები.

– 3. თუ გარდაიცვლებიან 4:20 მუხლში მითითებული ცოცხლად დარჩენილი მეუღლე და 4:22 მუხლში მითითებული მამინაცვალი ან დედინაცვალი, მაშინ აღნიშნულ მუხლებში მითითებული აქტივების – თავიანთი სამკვიდროს ფარგლებში – გადაცემის ვალდებულებას ექნება იგივე პრიორიტეტი, რაც წინამდებარე მუხლის პარ. 1-ის (a) პუნქტში მითითებულ ვალს.

მუხლი 4:8 რეგისტრირებული პარტნიორობის გათანაბრება მეუღლეებთან

– 1. სამოქალაქო კოდექსის მე-4 ნიგში ცნება „რეგისტრირებული პარტნიორობი“ უთანაბრდება ცნებას „მეუღლეები“.

– 2. პარ. 1-ის მიზნებისათვის ქვემოთ მოცემული წესები უნდა იქნეს დაცული:

a. ტერმინი „ქორწინება“ მოიცავს „რეგისტრირებული პარტნიორობას“;

b. ტერმინი „დაქორწინებული“ მოიცავს „რეგისტრირებული პარტნიორის სახით რეგისტრირებულს“;

c. ტერმინი „მეუღლეთა საერთო საკუთრება“ მოიცავს „რეგისტრირებული პარტნიორობის საერთო საკუთრებას“;

d. ტერმინი „საქორწინო ფიცი“ მოიცავს „რეგისტრირებული პარტნიორობაში შემოსვლის შეპირებას“;

e. ტერმინი „განქორწინება“ მოიცავს „რეგისტრირებული პარტნიორობის შეწყვეტას“, როგორც ეს მითითებულია სამოქალაქო 1:80c მუხლის (c) ან (d) პუნქტებში.

– 3. მე-4 ნიგში გარდაცვლილის გერი უთანაბრდება გარდაცვლილის მეუღლის ან რეგისტრირებული პარტნიორის შვილს, რომლის მშობელსაც გარდაცვლილი არ წარმოადგენს. თუმცა, ასეთი შვილი რჩება გერად, თუ ქორწინება ან რეგისტრირებული პარტნიორობა შეწყდება.

ტიტული 4.2 – კანონით მემკვიდრეობა

მუხლი 4:9 მემკვიდრეობით გადაცემული ქონება

იმისათვის, რომ პირი მიჩნეულ იქნეს კანონით მემკვიდრედ, გარდაცვლილის სამკვიდროს მემკვიდრეობით გადასვლის მომენტში ის უნდა იყოს ცოცხალი.

მუხლი 4:10 კანონით მემკვიდრეთა მიერ მემკვიდრეობის მიღების რიგითობა

– 1. კანონის საფუძველზე შემდეგი მემკვიდრეები თანმიმდევრულად მოიწვევიან გარდაცვლილის სამკვიდროს მისაღებად:

a. გარდაცვლილის განცალკევებით ცხოვრების რეჟიმში არმყოფი მეუღლე გარდაცვლილის შვილებთან ერთად

b. თუ სახეზე არ არის (a) პუნქტში მითითებული არც ერთი პირი: გარდაცვლილის მშობლები გარდაცვლილის ძმებთან და დებთან ერთად;

c. თუ სახეზე არ არის (a) და (b) პუნქტებში მითითებული არც ერთი პირი: გარდაცვლილის პაპა-ბებიები;

d. თუ სახეზე არ არის (a), (b) და (c) პუნქტებში მითითებული არც ერთი პირი: გარდაცვლილის დიდი პაპა-ბებიები.

– 2. გარდაცვლილის შვილის, ძმის, დის, პაპა-ბებიისა თუ დიდი პაპა-ბებიის შთამომავლები შეიძლება მოწვეულ იქნენ გარდაცვლილის სამკვიდროს მისაღებად იმისათვის, რომ მათ მემკვიდრეობა მიიღონ წარმომადგენლობის უფლებით, როგორც ეს მითითებულია 4:12 მუხლში.

– 3. მხოლოდ ის პირები, რომლებიც ოჯახურ ურთიერთობაში იმყოფებიან გარდაცვლილთან, შეიძლება იქნენ მიჩნეული წინა პარაგრაფებში მითითებულ სისხლით ნათესავებად.

მუხლი 4:11 კანონით მემკვიდრეთა მიერ მემკვიდრეობის მიღების რიგითობა

– 1. ის პირები, რომლებიც მოიწვევიან გარდაცვლილის სამკვიდროს მისაღებად კანონით მემკვიდრეთა სახით, სამკვიდროს იღებენ თანაბარწილად.

- 2. პარ. 1-გან განსხვავებით, სამკვიდრო ქონებაში ნახევარძმის ან ნახევარდის წილი შეადგენს სრული ძმის, სრული დის ან მშობლის წილის ნახევარს.
- 3. როდესაც პარ. 1-სა და 2-ის ნორმათა მოქმედების შედეგად გარდაცვლილის სამკვიდროში წილი გახდება ერთ მეოთხედზე ნაკლები, მაშინ ის გაიზრდება ერთ მეოთხედამდე და ამ სამკვიდროში დარჩენილი მემკვიდრეების წილები პროპორციულად შემცირდება.

მუხლი 4:12 მემკვიდრეობა წარმომადგენლობის უფლებით

- 1. როდესაც ის პირი, ვინც სხვა შემთხვევაში 4:10 მუხლის პარ. 1-ში გამოყენებადი კატეგორიის მიხედვით იქნებოდა კანონით მემკვიდრე, გარდაცვლილის სამკვიდრო ქონების მემკვიდრეობით გადაცემის მომენტში:
 - აღარ არის ცოცხალი;
 - წარმომადგენს უღირს მემკვიდრეს;
 - მას ჩამოერთვა მემკვიდრეობის უფლება;
 - მან უარი თქვა მემკვიდრეობაზე;
 - ან ველარ იღებს მემკვიდრეობას იმის გამო, რომ მისი მემკვიდრეობის უფლება გაქარწყლდა, მაშინ მისი შთამომავლები მის ნაცვლად მიიღებენ ქონებას მემკვიდრეობით წარმომადგენლობის უფლებით.
- 2. ის პირები, რომლებიც მემკვიდრეობით იღებენ ქონებას წარმომადგენლობის უფლებით, მოიწვევიან გარდაცვლილის სამკვიდროში იმ პირის მემკვიდრეობაში წილის თანაბარწილად მისაღებად, ვისი ადგილიც მათ დაიკავეს.
- 3. ის სისხლით ნათესავები, რომლებიც მეექვსე რიგზე მეტად შორდებიან გარდაცვლილს, ვერასოდეს მიიღებენ ქონებას მემკვიდრეობით წარმომადგენლობის უფლებით.

ტიტული 4.3 – კანონით მემკვიდრეობა მეუღლესა და გარდაცვლილის შვილებს შორის ურთიერთობაში

განყოფილება 4.3.1 – კანონით მემკვიდრეობის მომწესრიგებელი სამართლის მოქმედება იმ მეუღლის მიმართ, ვინც არ არის განცალკევებით ცხოვრების რეჟიმში გარდაცვლილთან და ასევე – გარდაცვლილის შვილების მიმართ

- მუხლი 4:13 სამკვიდრო ქონების გაყოფა და განაწილება გარდაცვლილის მეუღლესა და შვილებს შორის**
- 1. გარდაცვლილი პირის ქონება, რომელიც დარჩათ, როგორც მემკვიდრეებს, მეუღლესა და ერთ ან რამდენიმე შვილს, გაიყოფა და განაწილდება ქვემოთ მოცემული პარაგრაფების ნორმათა შესაბამისად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გარდაცვლილმა განაცხადა თავის ანდერძში, რომ წინამდებარე განყოფილების ნორმები საერთოდ არ უნდა იქნეს გამოყენებული.
 - 2. მეუღლე კანონის ძალით იძენს გარდაცვლილის სამკვიდრო ქონების ყველა აქტივს. სამკვიდროს ვალები და ვალდებულებები იფარება მის ხარჯზე. წინამდებარე პარაგრაფის მიზნებისათვის „სამკვიდროს ვალები“ მოიცავს ერთობლივად მემკვიდრეების ხარჯზე განეულ ყველა იმ ხარჯსაც, რომელთა მიზანია გარდაცვლილის ანდერძით დაკისრებული ვალდებულებების დაფარვა ან შესრულება.
 - 3. თითოეული შვილი, როგორც მემკვიდრე, კანონის ძალით მეუღლის მიმართ იძენს ფინანსურ სავალო მოთხოვნას, რომლის ღირებულებაც შეესაბამება გარდაცვლილის სამკვიდრო ქონებაში ამ შვილის წილს. ეს სავალო მოთხოვნა ვადამოსული და შესასრულებელი (აღსრულებადი) ხდება იმ შემთხვევაში:
 - a. თუ მეუღლე გაკოტრდება ანდა თუ ის ვარდება ფიზიკური პირებისათვის არსებული ვალების დაფარვის სქემაში;
 - b. თუ მეუღლე გარდაიცვლება.
 ფინანსური სავალო მოთხოვნა ვადამოსული და შესასრულებელი (აღსრულებადი) ხდება გარდაცვლილის ანდერძში ისეთი შემთხვევის სახით მითითებულ ვითარებაში, რომლითაც ასეთი მოთხოვნა ამოღებული ხდება.
 - 4. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მეუღლე და შვილები სანინაალმდეგო წესზე შეთანხმდნენ ანდა გარდაცვლილმა სხვაგვარად გაითვალისწინა, პარ. 3-ში მითითებულ ფულად თანხას ემატება პროცენტი

კანონისმიერი საპროცენტო განაკვეთის ოდენობით. რამდენადაც ეს საპროცენტო განაკვეთი უფრო მაღალია წლიურ საბაზისო ექვს პროცენტზე, მაშინ ის გამოითვლება ყოველწლიურად გარდაცვლილის სამკვიდროს მემკვიდრეობით გადასვლის დღის მდგომარეობით. დარიცხული პროცენტის ოდენობით გამოთვლისას მხედველობაში მიიღება მხოლოდ და მხოლოდ ძირითადი თანხა.

– 5. თუ პარ. 3-ში მითითებული სავალო მოთხოვნა ვადამოსული და შესასრულებელი (აღსრულებადი) გახდა იმის გამო, რომ მეუღლე ჩავარდა ფიზიკური პირებისათვის არსებული ვალების დაფარვის სქემაში, მაშინ, რამდენადაც მოთხოვნა ჯერ არ დაკმაყოფილდა, ეს უკანასკნელი არ ხდება კვლავ ვადამოსული და შესასრულებელი (აღსრულებადი) გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ კანონის („Faillissementswet“) 356-ე მუხლის პარ. 2-ში მითითებული ერთ-ერთი საფუძვლის არსებობისას ფიზიკური პირებისათვის არსებული ვალების დაფარვის სქემის მოქმედების შეწყვეტის შემთხვევაში. ჰოლანდიის გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ კანონის 358-ე მუხლის პარ. 1-ის ნორმები აღნიშნული მოთხოვნის მიმართ არ გამოიყენება.

– 6. წინამდებარე ტიტულის (ტიტული 4.3) მიზნებისათვის სიტყვა „მეუღლე“ არ მოიცავს გარდაცვლილი პირის გარდაცვალების მომენტში მისგან განცალკევებით ცხოვრების რეჟიმში მყოფ მეუღლეს.

მუხლი 4:14 პასუხისმგებლობა გარდაცვლილის სამკვიდროს ვალებისათვის (მეუღლისა და შვილების ერთობლივი პასუხისმგებლობა ამ ვალებისათვის)

– 1. თუ გარდაცვლილის სამკვიდრო ქონება გაიყო და განაწილდა 4:13 მუხლში გათვალისწინებული წესის შესაბამისად, გარდაცვლილის მეუღლე გარდაცვლილის კრედიტორების წინაშე ვალდებულია დაფაროს სამკვიდროს ვალები. მეუღლესა და შვილებს შორის ორმხრივ ურთიერთობაში სამკვიდროს ვალების დაფარვა ხორციელდება მხოლოდ და მხოლოდ მეუღლის ხარჯზე.

– 2. გარდაცვლილის სამკვიდროს ვალებისათვის, ისევე როგორც – მეუღლის ვალებისათვის, რომელთა დაფარვაზე შეიძლება განხორციელდებოდეს იმ საერთო საკუთრების აქტივებიდან, რომლის მიმართაც უფლებამოსილი იყო როგორც მეუღლე, ისე გარდაცვლილი პირი, შესაბამის კრედიტორს მეუღლის სხვა კრედიტორებთან მიმართებაში ენიჭება უპირატესობა იმ დროს, როდესაც ის ახდენს თავისი სავალო მოთხოვნის დაკმაყოფილებას იმ აქტივებიდან, რომლებიც გახდა მეუღლის ქონება 4:13 მუხლის პარ. 2-ის ნორმების საფუძველზე.

– 3. დაუშვებელია გარდაცვლილის სამკვიდროს ვალების დაფარვა შვილის პირადი აქტივებიდან, გარდა ამ შვილის ფინანსური სავალო მოთხოვნისა მეუღლის მიმართ, როგორც ეს მითითებულია 4:13 მუხლის პარ. 3-ში. თუმცა, შვილის სხვა აქტივებიდან ვალების დაფარვა დასაშვებია იმ თანხისათვის, რაზეც შვილმა უკვე მიიღო აღნიშნული ფინანსური სავალო მოთხოვნის შესრულება მეუღლის მიერ განხორციელებული გადახდებითა თუ აქტივების საკუთრებაში გადაცემით გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შვილი უთითებს მეუღლის იმ აქტივზე, რომელიც წარმოადგენს საკმარის სამართლებრივი დაცვის საშუალებას კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის.

– 4. შვილების მიმართ მეუღლის ვალდებულება, საკუთარი ხარჯით დაფაროს გარდაცვლილის სამკვიდროს ყველა ვალი, როგორც ეს მითითებულია პარ. 1-ის მეორე წინადადებაში, არსებობს ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც ამ ვალების ოდენობა აღემატება სამკვიდროს ყველა აქტივის ღირებულებას მიუხედავად იმისა, თუ რა წესი არის გათვალისწინებული 4:184 მუხლის პარ. 2-ში.

მუხლი 4:15 შვილების ფინანსური სავალო მოთხოვნების შეფასება

– 1. რამდენადაც მემკვიდრეები ვერ აღწევენ შეთანხმებას 4:13 მუხლის პარ. 3-ში მითითებული ფინანსური სავალო მოთხოვნების ღირებულების შეფასებასთან დაკავშირებით, ეს უკანასკნელი დადგინდება რაიონული სასამართლოს მიერ ერთ-ერთი მემკვიდრის მოთხოვნის საფუძველზე. ამ შეფასების მიმართ შესაბამისად გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 677-ე მუხლიდან 679-ე მუხლის ჩათვლით ნორმები.

– 2. იმ შემთხვევაში, როდესაც მემკვიდრეებმა მიაღწიეს შეთანხმებას 4:13 მუხლის პარ. 3-ის შესაბამისად შვილებისთვის მინიჭებული ფინანსური სავალო მოთხოვნების ღირებულების შეფასებასთან დაკავშირებით, მაშინ მეუღლესა და თითოეულ შვილს შეუძლია მოსთხოვოს რაიონულ სასამართლოს ამ ფინანსური სავალო ღირებულების ხელახალი შეფასება იმ საფუძველზე, რომ:

a. დაშვებულ იქნა შეცდომა გარდაცვლილის სამკვიდროს აქტივებისა და/ან ვალების შეფასებისას, რომლის შედეგადაც, სულ ცოტა, ერთ-ერთ მემკვიდრეს მაინც დააკლდა ერთ მეოთხედზე მეტი ღირებულება;

b. გარდაცვლილის სამკვიდროს ღირებულება სხვაგვარად არასწორად იქნა გამოთვლილი, ანდა
c. ფინანსური სავალო მოთხოვნის ოდენობის გამოთვლა არ მომხდარა გარდაცვლილის სამკვიდროში იმ წილის შესაბამისად, რომელზეც უფლებამოსილი იყო ერთ-ერთი შვილი.

ის წესი, რაც გათვალისწინებულ იქნა სამოქალაქო კოდექსის 3:196 მუხლის პარ. 2, 3 და 4-ის, 3:199 და 3:200 მუხლების ნორმებში ქონების გაყოფისა და განაწილების მიმართ, შესაბამისად გამოიყენება რაიონული სასამართლოს მიერ ფინანსური სავალო მოთხოვნის შეფასების მიმართ, როგორც ეს გათვალისწინებულია წინამდებარე მუხლში.

– 3. ფინანსური სავალო მოთხოვნის ასეთი ფინანსური სავალო მოთხოვნების მიმართ შესაბამისად გამოიყენება 4:229 მუხლიდან 4:233 მუხლის ჩათვლით ნორმები.

– 4. ფინანსური სავალო მოთხოვნის აღნიშნული შეფასების მიმართ შესაბამისად გამოიყენება ასევე სამოქალაქო კოდექსის 3:187 და 3:188 მუხლების ნორმებიც.

მუხლი 4:16 გარდაცვლილის სამკვიდროს წერილობითი ინვენტარიზაციის აქტი

– 1. მეუღლესა და ყოველ შვილს შეუძლიათ მოითხოვონ გარდაცვლილის სამკვიდროს ინვენტარიზაციის აქტის შედგენა. ინვენტარიზაციის აქტი უნდა მოიცავდეს გარდაცვლილის სამკვიდროს ყველა აქტივისა და ვალის (ვალდებულებების) ღირებულებების შეფასებას.

– 2. თუ მეუღლეს ან შვილს არა აქვს უნარი, მართოს დამოუკიდებლად თავისი ქონება, მაშინ მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა პირის სამკვიდრებლის გარდაცვალებიდან ერთი წლის განმავლობაში უნდა მოაწეროს ხელი გარდაცვლილის სამკვიდროს ინვენტარიზაციის წერილობით აქტს მისი სისწორის დადასტურების მიზნით და გადასცეს ის იმ რაიონულ სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მეუღლეს ან შვილს აქვს თავისი ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი. რაიონულ სასამართლოს შეუძლია დაადგინოს იმის შესახებ, რომ გარდაცვლილის სამკვიდროს ინვენტარიზაციის აქტი შედგეს სანოტარო აქტის სახით.

– 3. გარდაცვლილის სამკვიდროს ინვენტარიზაციის აქტისა და ასევე აქტივებისა და ვალების ღირებულებების შეფასების მიმართ შესაბამისად გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 673-ე მუხლიდან 676-ე მუხლის ჩათვლით ნორმები. წინა წინადადებაში მითითებული მუხლების მიზნებისათვის მეუღლე და თითოეული შვილი გარდაცვლილის სამკვიდროს ინვენტარიზაციის აქტის მხარედ ჩაითვლებიან.

– 4. მეუღლე და თითოეული შვილი ერთმანეთის მიმართ უფლებამოსილი არიან, შეამონმონ ყველა ჩანაწერი, დოკუმენტი და სხვა მონაცემთა მატარებლები, რომლებიც მათ ესაჭიროებათ თავინთი მოთხოვნებისა თუ უფლებების შეფასებისათვის და ასევე მიიღონ ჩანაწერების, დოკუმენტებისა და სხვა მონაცემთა მატარებლების ასლები. მეუღლემ და თითოეულმა შვილმა სხვა პირს უნდა წარუდგინონ ის ინფორმაცია, რომელიც ამ უკანასკნელს ზემოაღნიშნული მიზნით სურს მიიღოს. ისინი ვალდებული არიან, ითანამშრომლონ ერთმანეთთან იმისათვის, რომ მიიღონ აღნიშნული ინფორმაცია მესამე პირებისაგან.

მუხლი 4:17 შვილის ფინანსური სავალო მოთხოვნის დაფარვა

– 1. პარ. 2-სა და 3-ში მითითებული ნორმების გათვალისწინებით, მეუღლეს შეუძლია ნებისმიერ დროს, როგორც ნაწილობრივ, ისე სრულად, დაფაროს 4:13 მუხლის პარ. 3-ში ნახსენები ფინანსური სავალო მოთხოვნები და წინამდებარე მუხლის პარ. 4-ში ნახსენები პროცენტი. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გარდაცვლილმა პირმა ანდა მოგვიანებით მეუღლემ და შვილმა ერთობლივად სხვაგვარად გაითვალისწინეს, მეუღლის მიერ გადახდილი თანხით თავდაპირველად იფარება დავალიანების ძირითადი თანხა, ხოლო შემდგომში კი, – მასზე დარიცხული პროცენტი.

– 2. თუ შვილს აქვს 4:19, 4:20, 4:21 ან 4:22 მუხლებში მითითებული განცხადების წარდგენის უფლება, მაშინ მეუღლემ ან მეუღლის მემკვიდრემ არ უნდა დაფაროს შვილის ფინანსური სავალო მოთხოვნა თავდაპირველად 4:25 მუხლის პარ. 3-ში მოცემული წესის შესაბამისად მოქმედების გარეშე.

– 3. როდესაც პარ. 2-ში მითითებული შვილი არის არასწრულწლოვანი ანდა, მიუხედავად ასაკისა, – უუნარო მართოს დამოუკიდებლად თავისი ქონება, მაშინ მეუღლეს ესაჭიროება რაიონული სასამართლოს თანხმობა ამ შვილის ფინანსური სავალო მოთხოვნის დაფარვისათვის. რაიონული სასამართლო ასეთ შემთხვევებში გადაწყვეტილებებს იღებს 4:26 მუხლის პარ. 1-ის ნორმათა ჯეროვანი დაცვით.

მუხლი 4:18 კანონის ძალით 4:13 მუხლის ნორმათა შესაბამისად განხორციელებული განაწილების გაუქმება

– 1. გარდაცვლილის სამკვიდრო ქონების მის მეუღლეზე განაწილება, რასაც ადგილი ჰქონდა 4:13 მუ-

ხლის ნორმათა შესაბამისად კანონის ძალით მამკვიდრებლის გარდაცვალების მომენტში, მეუღლის მიერ გარდაცვლილის სამკვიდროს მემკვიდრეობით გადასვლის შემდეგ სამი თვის განმავლობაში შეიძლება გაუქმდეს ამ მიზნით შედგენილ სანოტარო აქტში შეტანილი განცხადებითა და გარდაცვლილ პირთა სამკვიდრო ქონების რეესტრში რეგისტრაციით. წარმომადგენელს მეუღლის სახელით ასეთი განცხადების წარდგენა შეუძლია მხოლოდ აშკარა პირადად მეუღლის მიერ ხელმოწერილი წერილობითი მინდობილობის საფუძველზე, რომლისგანაც იკვეთება, რომ კონკრეტულად ეს პირი არის უფლებამოსილი იმოქმედოს როგორც მეუღლის წარმომადგენელმა.

– 2. პარ. 1-ში მითითებულ განცხადებას აქვს უკუქცევითი ძალა გარდაცვლილის სამკვიდროს მემკვიდრეობით გადასვლის მომენტიდან. დაცულია მესამე პირთა, მათ შორის, თანამემკვიდრეთა უფლებები, რომელთა შექმნაც მოხდა პარ. 1-ში გათვალისწინებული სამთვიანი ვადის ამონაშროვანად. თუ მეუღლემ მის მიერ პარ. 1-ში მითითებული განცხადების წარდგენამდე უკვე განახორციელა ფინანსური სავალო მოთხოვნის დაფარვა 4:26 მუხლის პარ. 2-ის ნორმათა საფუძველზე, მაშინ ეს გადახდა ექვემდებარება კომპენსირებას მასსა და შვილებს შორის ურთიერთობაში.

– 3. ის ფაქტი, რომ მეუღლე იმყოფება ზრდასრული პირის მეურვეობის დადგენის ქვეშ, ანდა ის აქტივები, რომლებიც მეუღლემ შეიძინა გარდაცვლილის სამკვიდრო ქონებიდან, აღმოჩნდება დანიშნული მმართველის მხრიდან ქონების მინდობით მართვის ქვეშ, ხელს არ უშლის ამ მეუღლეს პარ. 1-ში მითითებული კუთვნილი უფლების განხორციელებაში. ამდენად, ამ უფლების რეალიზაცია ხდება ზრდასრული პირის მეურვეობის ან შესაბამისი ქონების მინდობით მართვის მომწესრიგებელი კანონისმიერი ნორმების საფუძველზე. თუ მეუღლე გაკოტრდება ანდა თუ ის ვარდება ფიზიკური პირებისათვის არსებული ვალდებულების დაფარვის სქემაში, მაშინ აღნიშნული უფლების რეალიზაცია უნდა მოხდეს მეუღლის ქონების მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების პროცესში დანიშნული ლიკვიდატორის მიერ („faillissementscurator“), ფულადი თანხების გადახდაზე ოფიციალური მორატორიუმის მოქმედებისას დანიშნული იურიდიული მმართველის („bewindvoerder“) ან, შესაბამისად, – მეუღლისა და მმართველის მიერ ერთობლივად.

– 4. თუ გარდაცვლილი პირის მიმართ გამოიყენებოდა სამოქალაქო კოდექსის 18.3.2 განყოფილების ნორმები, მაშინ პარ. 1-ში ნახსენები სამთვიანი პერიოდის ათვლა იწყება იმ დღიდან, როდესაც, შესაბამისად, 1:417 მუხლის პარ. 1-სა თუ 1:427 მუხლის პარ. 1-ში მითითებული სასამართლოს დადგენილება შევიდა კანონიერ ძალაში და გახდა მბოჭავი.

მუხლი 4:19 ცოცხლად დარჩენილი მეუღლის ხელახალი დაქორწინება და მისი შედეგები შვილების ფინანსური სავალო მოთხოვნების მიმართ

თუ შვილმა შეიძინა ფინანსური სავალო მოთხოვნა მისი ცოცხლად დარჩენილი მშობლის მიმართ იმ ფაქტის შედეგად, რომ მისი ადრე გარდაცვლილი მშობლის მთელი სამკვიდრო ქონება გადანაწილდა ცოცხლად დარჩენილ მშობელზე 4:13 მუხლის პარ. 3-ის შესაბამისად, და ასევე ამ ცოცხლად დარჩენილმა მშობელმა ოფიციალურად შეატყობინა მას თავისი ხელახალი დაქორწინების განზრახვის შესახებ, მაშინ ეს ცოცხლად დარჩენილი მშობელი ვალდებულია, შვილის მოთხოვნის საფუძველზე გადასცეს მას საკუთრებაში ერთი ან მეტი აქტივი იმ საერთო ღირებულების ფარგლებში, რაც არ აღემატება შვილის ფინანსურ სავალო მოთხოვნას 4:13 მუხლის პარ. 4-ში მითითებულ პროცენტის თანხასთან ერთად. აღნიშნული გადაცემა ხორციელდება აქტივებზე უზუფრუქტის უფლების დადგენის დათქმით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ცოცხლად დარჩენილმა მშობელმა ნათლად განაცხადა, რომ მას არ სურს ამ უზუფრუქტის მიღება.

მუხლი 4:20 ხელახლა დაქორწინებული მეუღლის გარდაცვალება და მისი შედეგები შვილების ფინანსური სავალო მოთხოვნების მიმართ

თუ შვილმა შეიძინა ფინანსური სავალო მოთხოვნა მისი ცოცხლად დარჩენილი მშობლის მიმართ იმ ფაქტის შედეგად, რომ მისი ადრე გარდაცვლილი მშობლის მთელი სამკვიდრო ქონება გადანაწილდა ცოცხლად დარჩენილ მშობელზე 4:13 მუხლის პარ. 3-ის შესაბამისად, და ეს ცოცხლად დარჩენილი მშობელი თავად გარდაიცვლება გარკვეული ხნის შემდეგ სხვა პირთან ქორწინებაში ყოფნის დროს, მაშინ ეს უკანასკნელი როგორც ბავშვის მამინაცვალი/დედინაცვალი ვალდებულია, ბავშვის მოთხოვნის საფუძველზე გადასცეს მას საკუთრებაში ერთი ან მეტი აქტივი იმ ღირებულების ფარგლებში, რაც არ აღემატება მის ფინანსურ სავალო მოთხოვნას 4:13 მუხლის პარ. 4-ში მითითებულ პროცენტის თანხასთან ერთად. როდესაც უკანასკნელად გარდაცვლილი მშობლის სამკვიდრო არ ნაწილდება 4:13 მუხლის შესაბამისად, მაშინ წინა წინადადებაში მითითებული ვალდებულება დაეკისრებათ ცოცხლად დარჩენილი მშობლის მემკვიდრეებს.

მუხლი 4:21 მამინაცვლის/დედინაცვლის მიმართ ბავშვის ფინანსური სავალო მოთხოვნა

როდესაც ბავშვმა ფინანსური სავალო მოთხოვნა შეიძინა მისი მამინაცვლის/დედინაცვლის მიმართ იმ ფაქტის შედეგად, რომ ადრე გარდაცვლილი მშობლის მთელი სამკვიდრო ქონება გადანაწილდა ცოცხლად დარჩენილ მშობელზე 4:13 მუხლის პარ. 3-ის შესაბამისად, რომელიც შემდგომში დაქორწინდა ზემოაღნიშნულ მამინაცვალზე/დედინაცვალზე, მაშინ ეს უკანასკნელი ვალდებულია, ბავშვის მოთხოვნის საფუძველზე გადასცეს მას საკუთრებაში ერთი ან მეტი აქტივი იმ ღირებულების ფარგლებში, რაც არ აღემატება მის ფინანსურ სავალო მოთხოვნას 4:13 მუხლის პარ. 4-ში მითითებულ პროცენტის თანხასთან ერთად. აღნიშნული გადაცემა ხორციელდება აქტივებზე უზუფრუქტის უფლების დადგენის დათქმით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მამინაცვალმა/დედინაცვალმა ნათლად განაცხადა, რომ მას არ სურს ამ უზუფრუქტის მიღება.

მუხლი 4:22 გარდაცვლილი მამინაცვლის/დედინაცვლის მიმართ ბავშვის ფინანსური სავალო მოთხოვნა

როდესაც ბავშვმა ფინანსური სავალო მოთხოვნა შეიძინა მისი მამინაცვლის/დედინაცვლის მიმართ იმ ფაქტის შედეგად, რომ ადრე გარდაცვლილი მშობლის მთელი სამკვიდრო ქონება გადანაწილდა ცოცხლად დარჩენილ მშობელზე 4:13 მუხლის პარ. 3-ის შესაბამისად, რომელიც შემდგომში დაქორწინდა ზემოაღნიშნულ მამინაცვალზე/დედინაცვალზე, ხოლო ეს უკანასკნელი კი გარკვეული ხნის შემდეგ გარდაიცვლება, მაშინ ამ მამინაცვლის/დედინაცვლის მემკვიდრეები ვალდებული არიან, ბავშვის მოთხოვნის საფუძველზე გადასცენ მას საკუთრებაში ერთი ან მეტი აქტივი იმ ღირებულების ფარგლებში, რაც არ აღემატება მის ფინანსურ სავალო მოთხოვნას 4:13 მუხლის პარ. 4-ში მითითებულ პროცენტის თანხასთან ერთად.

მუხლი 4:23 წინა მუხლების შესაბამისად უფლებრივად დატვირთული აქტივების უზუფრუქტუარსა (მეუღლესა) და მესაკუთრეს შორის სამართლებრივი ურთიერთობა

– 1. სამოქალაქო კოდექსის 3.8 ტიტულში გათვალისწინებული კანონისმიერი ნორმები გამოიყენება ასევე 4:19 ან 4:21 მუხლების შესაბამისად დადგენილი უზუფრუქტის მიმართ იმ პირობით, რომ:

a. მეუღლე (უზუფრუქტუარი) თავისუფლდება ვალდებულებისაგან, ყოველწლიურად გაუზიაროს მესაკუთრეს ხელმოწერილი ზუსტი ჩამონათვალი უზუფრუქტით დატვირთული იმ აქტივებისა, რომლებიც აღარ არის სახეზე, და ასევე იმ აქტივებისა, რომლებიც მიღებულ იქნა ამ დაკარგული აქტივების სანაცვლოდ, ისევე როგორც – უფლებრივად დატვირთული აქტივების მიერ წარმოებული სარგებელი, გარდა ნაყოფისა (3:205 მუხლის პარ. 4); მეუღლე ასევე თავისუფლდება ვალდებულებისაგან, წარადგინოს 3:206 მუხლის პარ. 1-ში მითითებული უზრუნველყოფა, რომლის დროსაც 3:206 მუხლის პარ. 2 არ გამოიყენება;

b. რაიონულ სასამართლოს შეუძლია ასევე გასცეს 3:212 მუხლის პარ. 3-ში მითითებული ნებართვა, რამდენადაც ეს აუცილებელია იმის გამო, რომ მეუღლე (უზუფრუქტუარი) საჭიროებს მეუღლის (უზუფრუქტუარის) ზრუნვასა და მხარდაჭერას, ანდა – მეუღლის 4:13 მუხლის პარ. 2-ში მითითებული ვალდებულების მხედველობაში მიღების გამო {საკუთარ ხარჯზე გარდაცვლილის სამკვიდროს ვალების დაფარვის ვალდებულება}.

– 2. პარ. 1-ის (b) პუნქტში მითითებულ საფუძველზე რაიონულ სასამართლოს შეუძლია მეუღლეს (უზუფრუქტუარს) მისი მოთხოვნით მიანიჭოს უზუფრუქტით დატვირთული აქტივების გადაცემისა (განკარგვისა) და მოხმარების (გამოყენების) უფლება, როგორც ეს მითითებულია სამოქალაქო კოდექსის 3:125 მუხლში. აქტივების მესაკუთრე უნდა იქნეს მონვეული აღნიშნულ სასამართლო პროცესზე. თავის დადგენილებაში რაიონულ სასამართლოს შეუძლია მიიღოს სხვაგვარი დამატებითი ზომები.

– 3. იმ მომენტში, როდესაც მეუღლე ახდენს უზუფრუქტით დატვირთული ქონების გადაცემას (გასხვისებას), მესაკუთრე 3:213 მუხლის პარ. 1-ის პირველი წინადადებისა და 3:215 მუხლის პარ. 1-ის ნორმებში მოცემული წესების საწინააღმდეგოდ მეუღლის მიმართ შეიძენს ფინანსურ სავალო მოთხოვნას იმ ღირებულების ოდენობით, რაც გადაცემულ აქტივებს აქვს გასხვისების მომენტში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მესაკუთრე და მეუღლე განსხვავებულ წესზე შეთანხმდნენ. 4:13 მუხლის პარ. 3 და 4-ის და 4:15 მუხლის პარ. 1-ის ნორმები შესაბამისად გამოიყენება მესაკუთრის ამ ფინანსური სავალო მოთხოვნის მიმართ იმ პირობით, რომ 4:13 მუხლის პარ. 4-ში მითითებული პროცენტის გამოთვლა მოხდება სავალო მოთხოვნის წარმოშობის დღიდან.

– 4. მეუღლესა და მესაკუთრეს ანდა რაიონულ სასამართლოს ერთ-ერთი მათგანის მოთხოვნის საფუძველზე შეუძლია მიიღოს სხვაგვარი დამატებითი ზომები მეუღლესა (როგორც უზუფრუქტუარს) და

მესაკუთრეს შორის სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებით; აღნიშნული შეიძლება განხორციელდეს როგორც უზუფრუქტის დადგენის მომენტში, ისე – მოგვიანებითაც.

– 5. მეუღლეს არა აქვს უფლება, გადასცეს თავისი უზუფრუქტის უფლება მესამე პირს ანდა დატვირთოს ის შეზღუდული სანივთო უფლებით სხვა პირის სასარგებლოდ.

– 6. მეუღლეს არ შეუძლია თავისი უზუფრუქტის გამოყენება იმ კრედიტორების მიმართ, რომლებსაც სურთ თავიანთი სავალო მოთხოვნების დაკმაყოფილება უზუფრუქტით დატვირთული აქტივებიდან, რამდენადაც საქმე ეხება გარდაცვლილის სამკვიდროს ვალების დაფარვას ანდა – მეუღლის იმ ვალებს, რომელთა დაფარვაც შეიძლება განხორციელდეს იმ საერთო საკუთრების აქტივებიდან, რომლის მიმართაც უფლებამოსილი იყო როგორც მეუღლე, ისე გარდაცვლილი პირი. სამოქალაქო კოდექსის წინა წინადადებაში მითითებული ვალების დაფარვის მიმართ 3:282 მუხლის ნორმები არ გამოიყენება.

მუხლი 4:24 აქტივების ბავშვისათვის საკუთრებაში გადაცემის ვალდებულება

– 1. 4:19, 4:20, 4:21 და 4:22 მუხლებში მითითებული ერთი ან რამდენიმე აქტივის საკუთრებაში გადაცემის ვალდებულება ეხება იმ აქტივებს, რომლებიც ქმნის გარდაცვლილის სამკვიდროს ან მეუღლეთა იმ საერთო საკუთრების ნაწილს, რომელიც გაუქმდა მამკვიდრებლის გარდაცვალების გამო. პირველი წინადადების მიუხედავად, 4:21 და 4:22 მუხლებში მითითებული ერთი ან რამდენიმე აქტივის საკუთრებაში გადაცემის ვალდებულება არ ეხება იმ აქტივებს, რომლებიც მამინაცვალმა/დედინაცვალმა შეიტანა მეუღლეთა საერთო საკუთრებაში, რომლის მიმართაც უფლებამოსილი იყვნენ თავად ეს უკანასკნელი და გარდაცვლილი პირი.

– 2. 4:19, 4:20, 4:21 და 4:22 მუხლებში მითითებული ერთი ან რამდენიმე აქტივის საკუთრებაში გადაცემის ვალდებულება ეხება ასევე იმ აქტივებსაც, რომელთა შექმნაც ხდება პარ. 1-ის პირველ წინადადებაში მითითებული ერთი ან რამდენიმე აქტივის ნაცვლად (სანაცვლოდ). თუ აქტივის შექმნა ხდება იმ რესურსების გამოყენებით, რომლებიც ნახევარზე ნაკლები ოდენობით წარმოადგენს გარდაცვლილის სამკვიდროს ანდა პარ. 1-ში მითითებული მეუღლეთა გაუქმებული საერთო საკუთრებიდან მიღებული შედეგს, მაშინ ის არ ვარდება წინამდებარე პარაგრაფის პირველ წინადადებაში გათვალისწინებული ვალდებულების მოქმედების ქვეშ. რამდენადაც აქტივის შექმნა განხორციელდა სესხიდან გამომდინარე რესურსების გამოყენებით, მაშინ ეს უკანასკნელები ვერ განიხილება როგორც წინამდებარე პარაგრაფის მეორე წინადადებაში მითითებული რესურსები.

– 3. ივარაუდება, რომ ის აქტივი, რომელიც მიეკუთვნება ამ აქტივის გადაცემაზე ვალდებულ პირს, ანდა – მეუღლეთა იმ საერთო საკუთრებას, რაზეც ეს პირი არის უფლებამოსილი, წარმოადგენს გარდაცვლილის სამკვიდროს ან პარ. 1-ის პირველ წინადადებაში მითითებული გაუქმებული საერთო საკუთრების ნაწილს, ანდა – ასეთი აქტივის ნაცვლად შექმნილ აქტივს.

მუხლი 4:25 საკუთრებაში გადასაცემი აქტივების ღირებულება; სხვა შვილების ინფორმირების ვალდებულება; შვილების ცალმხრივი უფლებები

– 1. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გარდაცვლილი პირი ანდა გადაცემის მხარეები სხვაგვარად შეთანხმდნენ, გადასაცემი აქტივების ღირებულებით, რომელიც უნდა განისაზღვროს საკუთრებაში გადაცემის მომენტში, თავდაპირველად იფარება შვილის წინაშე არსებული დავალიანების ძირითადი თანხა, ხოლო შემდგომში კი, – არსებული პროცენტი. 4:19 და 4:21 მუხლების მიზნებისათვის, აქტივების ღირებულება განისაზღვრება იმ უზუფრუქტის გაუთვალისწინებლად, რომელიც შესაძლოა დადგენილი ყოფილიყო ერთდროულად აქტივების გადაცემასთან ერთად.

– 2. იმ ბავშვმა, რომელსაც განზრახული აქვს 4:19, 4:20, 4:21 ან 4:22 მუხლებში მითითებული განცხადების გაკეთება, ამის შესახებ უნდა შეატყობინოს სხვა შვილებს, რომლებსაც ასევე შეეძლოთ ანალოგიური განცხადების წარდგენა. აღნიშნული შეტყობინება უნდა გაკეთდეს იმ მომენტში, როდესაც სხვა შვილებს ჯერ კიდევ საკმარისი დრო აქვთ იმ გადაწყვეტილების მისაღებად, სურთ თუ არა მათ თავად ასეთი განცხადების წარდგენა.

– 3. იმ პირს, რომელსაც შესაძლოა დაკისრებოდა ერთი ან რამდენიმე აქტივის წინა მუხლში მითითებული ბავშვისათვის გადაცემის ვალდებულება, შეუძლია დაადგინოს გონივრული ვადა, რომლის განმავლობაშიც ამ ბავშვმა უნდა გააკეთოს 4:19, 4:20, 4:21 ან 4:22 მუხლებში მითითებული განცხადება. როდესაც ეს ბავშვი აკეთებს ასეთ განცხადებას, მაშინ მან ამის შესახებ უნდა შეატყობინოს სხვა შვილებს, რომლებსაც ასევე შეეძლოთ თავად ანალოგიური განცხადების წარდგენა.

– 4. იმ შემთხვევაში, თუ ის პირი, ვისაც ეკისრება წინა მუხლში მითითებული ერთი ან რამდენიმე აქტი-

ვის გადაცემის ვალდებულება, და ბავშვი ანდა თუ ორი ან მეტი შვილი ვერ აღწევს შეთანხმებას ერთმანეთთან ერთი ან რამდენიმე აქტივის გადაცემის საკითხთან დაკავშირებით, გადანყვეტილებას იღებს რაიონული სასამართლო ერთ-ერთი დაინტერესებული პირის მოთხოვნის საფუძველზე თითოეული პირის ინტერესების გათვალისწინებითა და გონივრულობისა და სამართლიანობის პრინციპების შესაბამისად.

– 5. რამდენადაც ბავშვი გადასცემს (უთმობს) თავის 4:13 მუხლის პარ. 3-ის საფუძველზე მიღებულ ფინანსურ სავალო მოთხოვნას მესამე პირს, 4:19, 4:20, 4:21 ან 4:22 მუხლებში მითითებული უფლებები ცალსახად ქარწყლდება.

– 6. გარდაცვლილ პირს თავის ანდერძში შეუძლია გაზარდოს, შეზღუდოს ან გააუქმოს 4:19 მუხლიდან 4:22 მუხლის ჩათვლით ნორმებში მითითებული ვალდებულებები.

მუხლი 4:26 სრული ქმედუნარიანობის არმქონე პირების ცალმხრივი უფლებები

– 1. როდესაც არასრულწლოვან ბავშვს აქვს 4:19, 4:20, 4:21 ან 4:22 მუხლებში მითითებული უფლება, ხოლო მის კანონიერ წარმომადგენელს კი აქვს ამ უფლებით სარგებლობის განზრახვა, ამ უკანასკნელმა უნდა შეატყობინოს ამის თაობაზე რაიონულ სასამართლოს უფლების მოპოვების მომენტიდან სამი თვის განმავლობაში. თუ არასრულწლოვან ბავშვს კანონიერი წარმომადგენელი არა ჰყავს, მაშინ აღნიშნული ვადის ათვლა დაიწყება კანონიერი წარმომადგენლის დანიშვნის დღიდან. როდესაც რაიონული სასამართლო იღებს გადანყვეტილებას იმის შესახებ, მისცეს თუ არა კანონიერ წარმომადგენელს თავისი თანხმობა შესაბამისი უფლების რეალიზაციაში ან უარი უთხრას მას ამ თანხმობის მიცემაზე, მან მხედველობაში უნდა მიიღოს გონივრულობისა და სამართლიანობის პრინციპები, ბავშვის ინტერესები, სხვა შვილების ინტერესები, რომლებაც ასევე აქვთ აღნიშნული უფლება და ასევე – იმ პირის ინტერესებიც, ვის მიმართაც ეს უფლება შეიძლება განხორციელდეს. სასამართლოს შეუძლია გასცეს თავისი თანხმობა დამატებითი პირობებით. აუცილებლობის შემთხვევაში რაიონულ სასამართლოს საკუთარი გადანყვეტილების მიღება შეუძლია.

– 2. იგივე წესი მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ ბავშვი სრულწლოვანია, თუმცა უუნაროა დამოუკიდებლად მართოს თავისი ქონება. თუ ასეთი ბავშვის 4:13 მუხლის პარ. 3-ის საფუძველზე მიღებული ფინანსურ სავალო მოთხოვნა მოქცეულია დანიშნული ქონების მმართველის მხრიდან განხორციელებული ქონების (მინდობით) მართვის ქვეშ, პარ. 1-ში მითითებული უფლების რეალიზაცია ხორციელდება ამ ქონების მართვის მიმართ მოქმედი კანონისმიერი ნორმების შესაბამისად. თუ აღნიშნული ბავშვი გაკოტრდება ანდა თუ ის ვარდება ფიზიკური პირებისათვის არსებული ვალების დაფარვის სქემაში, მაშინ ვალდებულება უნდა დაეკისროს მეუღლის ქონების მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების პროცესში დანიშნულ ლიკვიდატორს („faillissementscurator“), ფულადი თანხების გადახდაზე ოფიციალური მორატორიუმის მოქმედებისას დანიშნულ იურიდიულ მმართველს („bewindvoerder“) ან, შესაბამისად, – მეუღლესა და მმართველს ერთობლივად.

– 3. თუ რაიონულმა სასამართლომ უარი თქვა 4:19, 4:20, 4:21 ან 4:22 მუხლებში მითითებული განცხადების გაკეთების უფლებაზე თანხმობის მიცემაზე, მაშინ ასეთი განცხადების წარდგენა შეუძლებელი ხდება. რაიონულ სასამართლოს შეუძლია სხვაგვარად გადანყვეტილოს საკითხი თანხმობის მიცემის შესახებ მის მიერ მიღებულ განკარგულებაში.

მუხლი 4:27 გერები

მოანდერძეს თავის ანდერძში შეუძლია გაითვალისწინოს, რომ მისი სამკვიდროს განაწილების მიზნებისათვის, როგორც ეს მითითებულია 4:13 მუხლში, გერი უთანაბრდება საკუთარ შვილს. თუ ასეთი დათქმა გაკეთდა, წინამდებარე განყოფილების ნორმები შესაბამისად მოქმედებს იმდენად, რამდენადაც მოანდერძემ სხვაგვარად არ გაითვალისწინა.

განყოფილება 4.3.2 – სხვა კანონისმიერი უფლებები

მუხლი 4:28 მეუღლის უფლება, გააგრძელოს საცხოვრებელი ფართითა და საყოფაცხოვრებო ნივთებით სარგებლობის უფლება

– 1. თუ საცხოვრებელი ფართი, სადაც გარდაცვლილის მეუღლე ცხოვრობს ამ პირის გარდაცვალების მომენტში, მიეკუთვნება გარდაცვლილის სამკვიდროს ან მეუღლეთა იმ საერთო საკუთრებას, რაზეც გარდაცვლილი იყო უფლებამოსილი, ანდა – თუ გარდაცვლილს ჰქონდა საცხოვრებელი ფართით სარგებ-

ლობის უფლება სხვა საფუძველზე, ნაცვლად ქირავნობის ხელშეკრულებისა, მაშინ აღნიშნული მეუღლე მემკვიდრეების მიმართ უფლებამოსილია, გააგრძელოს საცხოვრებელ ფართში ცხოვრების უფლება ექვსი თვის ვადის განმავლობაში იგივე პირობებით, რომლებიც პირის გარდაცვალებამდე გამოიყენებოდა. მეუღლე ანალოგიურად და იმავე ვადით უფლებამოსილია გააგრძელოს ასეთ საცხოვრებელ ფართში საყოფაცხოვრებო ნივთებით სარგებლობა, რამდენადაც ეს ნივთები მიეკუთვნება გარდაცვლილის სამკვიდროს ან მეუღლეთა იმ საერთო საკუთრებას, რაზეც გარდაცვლილი იყო უფლებამოსილი, ანდა – რამდენადაც გარდაცვლილს ჰქონდა მათი გამოყენების უფლება.

– 2. იმ პირებს, რომლებიც მამკვიდრებლის გარდაცვალებამდე მასთან ცხოვრობდნენ საერთო მეურნეობის წარმოებით, ამ უკანასკნელის მემკვიდრეებისა და მეუღლის მიმართ აქვთ საცხოვრებელი ფართითა და საყოფაცხოვრებო ნივთებით სარგებლობასთან დაკავშირებული უფლებები, რომლებიც მიეკუთვნება გარდაცვლილის სამკვიდროს ან მეუღლეთა იმ საერთო საკუთრებას, რაზეც გარდაცვლილი იყო უფლებამოსილი.

მუხლი 4:29 საცხოვრებელი ფართისა და ამ ფართში არსებული საყოფაცხოვრებო ნივთების უზუფრუქტი

– 1. რამდენადაც გარდაცვლილის ანდერძში მოცემულ დათქმას აქვს ის შედეგი, რომ გარდაცვლილის მეუღლე არ უნდა გახდეს ერთადერთი მესაკუთრე იმ საცხოვრებელი ფართისა, რომელშიც ეს მეუღლე მამკვიდრებლის გარდაცვალებამდე ცხოვრობდა მარტო ან გარდაცვლილ პირთან ერთად, რომლის საცხოვრებელი ფართი ამჯერად მიეკუთვნება გარდაცვლილის სამკვიდროს, მემკვიდრეებმა უნდა ითანამშრომლონ ამ საცხოვრებელ ფართზე მეუღლის სასარგებლოდ უზუფრუქტის დადგენის საკითხში, რამდენადაც ეს უკანასკნელი მემკვიდრეებისაგან ამას ითხოვს. იგივე წესი მოქმედებს ასეთ საცხოვრებელ ფართზე არსებული საყოფაცხოვრებო ნივთების მიმართ. წინა ორი წინადადება არ გამოიყენება, რამდენადაც რაიონულმა სასამართლომ გამოიყენა 4:33 მუხლის პარ. 2-ის (a) პუნქტის ნორმები მას შემდეგ, რაც მას წარედგინა შესაბამისი მოთხოვნა.

– 2. რამდენადაც მეუღლე უფლებამოსილია მიუთითოს პარ. 1-ის ნორმებზე (ექვსი თვის ვადაზე), მემკვიდრეებს არა აქვთ უფლება, გადასცენ (საკუთრებაში გადასცენ ან უფლებრივად დატვირთონ) პარ. 1-ში მითითებული ქონება და ასევე მათ არ შეუძლიათ ამ ქონების გაქირავება; დაუშვებელია აღნიშნული ვადის განმავლობაში ამ ქონების იძულებითი რეალიზაცია ნებისმიერი კრედიტორის მიერ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს განხორციელდა 4:7 მუხლის პარ. 1-ის (a) პუნქტიდან (f) პუნქტის ჩათვლით ნორმებში მითითებული გარდაცვლილის სამკვიდროს ვალებიდან ერთ-ერთის დაფარვის მიზნით.

– 3. პარ. 1 და 2-ის ნორმები შესაბამისად გამოიყენება ლეგატარებისა და ანდერძით დაკისრებული ვალდებულებების ბენეფიციარების მიმართ იმ ქონებასთან დაკავშირებით, რომელიც მათ გარდაცვლილის სამკვიდროდან შეიძინეს.

მუხლი 4:30 სხვა ქონების უზუფრუქტი

– 1. გარდაცვლილის მეუღლის მოთხოვნის საფუძველზე, მემკვიდრეებმა უნდა ითანამშრომლონ მეუღლის სასარგებლოდ გარდაცვლილის სამკვიდროს სხვა აქტივებზე, ნაცვლად 4:29 მუხლში მითითებულისა, უზუფრუქტის დადგენის საკითხში, რამდენადაც მეუღლე ყველა გარემოების გათვალისწინებით საჭიროებს ზრუნვასა და მხარდაჭერას, მათ შორის, – როდესაც საჭიროება გამომდინარეობს 4:35 მუხლის პარ. 2-ის ძალით მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების მოვალეობიდან (გარდაცვლილის შვილზე ზრუნვა და მისი მხარდაჭერა).

– 2. პარ. 1-ის ნორმები გამოიყენება ასევე იმ ობიექტების მიმართ, რომლებიც უნდა განიხილებოდეს როგორც გარდაცვლილის სამკვიდროს სხვა აქტივების შემცველი (შემცველი ობიექტები). გარდა ამისა, პარ. 1-ის ნორმები გამოიყენება 4:13 მუხლის პარ. 3-ში მითითებული ფინანსური სავალო მოთხოვნის მიმართ, თუ ის გარემოებები, რომლის გამოც ეს მოთხოვნა ვადამოსული და შესასრულებელია, გარდაცვლილი პირის მიერ გათვალისწინებულ იქნა თავის ანდერძში. მეორე წინადადებაში მითითებული ფინანსური სავალო მოთხოვნის უზუფრუქტი ყველა შემთხვევაში ქარწყლდება, თუ მეუღლე გაკოტრდება ან ვარდება ფიზიკური პირებისათვის არსებული ვალების დაფარვის სქემაში. ამ უკანასკნელ შემთხვევაში უზუფრუქტი ფინანსურ სავალო მოთხოვნაზე ხელახლა აღდგება, როგორც კი ფიზიკური პირებისათვის არსებული ვალების დაფარვის სქემა აღარ იმოქმედებს თანახმად გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ კანონის 356-ე მუხლის პარ. 2-ის ნორმებისა, თუმცაღა – მხოლოდ ამ ფინანსური სავალო მოთხოვნის იმ ნაწილში, რომელიც ჯერ არ დაფარულა. ასეთი ფინანსური სავალო მოთხოვნის მიმართ გაკოტრების

საქმის წარმოების შესახებ კანონის 358-ე მუხლის პარ. 1-ის ნორმები არ გამოიყენება.

– 3. ზემოაღნიშნული პარაგრაფების ნორმები შესაბამისად გამოიყენება ლეგატარებისა და ანდერძით დაკისრებული ვალდებულებების ბენეფიციარების მიმართ იმ აქტივებთან დაკავშირებით, რომლებიც მათ გარდაცვლილის სამკვიდროდან შეიძინეს. პირველ წინადადებაში მითითებული აქტივები მოიცავს სამკვიდროს იმ აქტივებში შემავალ ფულად თანხებსა და შეზღუდულ სანივთო უფლებებს, რომლებიც ლეგატარმა ან ანდერძით დაკისრებული ვალდებულებების ბენეფიციარმა შეიძინა ლეგატი ან ანდერძით დაკისრებული ვალდებულებების შესაბამისად.

– 4. გარდაცვლილ პირს თავის ანდერძში შეუძლია აღნიშნოს ერთი ან მეტი აქტივი, რომელიც დაექვემდებარება უზრუნველყოფით დატვირთვას მისი სამკვიდროს ნებისმიერი სხვა აქტივის შექენამდე ან შექენის შემდეგ.

– 5. რამდენადაც გარდაცვლილმა პირმა არ განახორციელა მისთვის წინა პარაგრაფით მინიჭებული უფლება, მისი სამკვიდროდან ლეგატარის ან ანდერძით დაკისრებული ვალდებულების ბენეფიციარის მიერ ლეგატისა თუ ანდერძით დაკისრებული ვალდებულების შესაბამისად შექენილი აქტივები შეიძლება უზრუნველყოფით დაიტვირთოს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მისი სამკვიდროს სხვა აქტივები არასაკმარისია იმ ზრუნვისა და მხარდაჭერისათვის, რაც მეუღლეს ესაჭიროება. რამდენადაც ლეგატი მიიჩნევა გარდაცვლილის ნატურალური ვალდებულების შესრულების საშუალებად, ის ექვემდებარება უზრუნველყოფით დატვირთვას მხოლოდ სხვა ლეგატების დადგენის შემდეგ.

– 6. რამდენადაც მეუღლე და ის პირები, რომელთა თანამშრომლობაც მოითხოვება უზრუნველყოფის დადგენისათვის, ვერ აღწევენ შეთანხმებას უფლებრივად დასატვირთ აქტივებთან დაკავშირებით, რაიონულ სასამართლოს ერთ-ერთი დაინტერესებული მხარის მოთხოვნის საფუძველზე შეუძლია დაადგინოს, თუ როგორც უნდა მოხდეს ამ აქტივების მითითება ანდა სასამართლო თავად ახდენს აქტივების მითითებას სამართლიანობისა და ყველა მხარის ინტერესების ჯეროვანი დაცვით.

– 7. მეუღლისათვის საჭირო ზრუნვისა და მხარდაჭერის განსაზღვრისათვის ის აქტივები, რაზეც მეუღლე უკვე იყო უფლებამოსილი, და ასევე ის აქტივები, რაზეც მეუღლე უფლებამოსილი გახდა მემკვიდრეობის შედეგად, ემატება იმ აქტივებს, რომელთა შექენაც მას შეეძლო გარდაცვლილის სამკვიდროდან მემკვიდრეობის სამართლის ნორმების საფუძველზე (იმ შემთხვევაში, თუ მას უარი არ ეთქვა მათზე), გარდა იმ უზრუნველყოფისა, რომლის დადგენაც მეუღლეს შეეძლო წინა მუხლის ნორმათა საფუძველზე. გარდა აღნიშნულისა, ზემოაღნიშნული აქტივები ემატება იმ აქტივებს, რომელთა შექენაც მეუღლეს შეეძლო იმ სადაზღვევო პოლისის ფარგლებში არსებული თანხით, რომელიც ვადამოსული და შესასრულებელი გახდა მამკვიდრებლის გარდაცვალების მომენტში (იმ შემთხვევაში, თუ მეუღლემ უარი არ თქვა ამ დაზღვევაზე).

მუხლი 4:31 წინამდებარე განყოფილების ნორმების საფუძველზე დადგენილი უზრუნველყოფის მიმართ გამოყენებადი კანონისმიერი ნორმები; ხანდაზმულობის ვადები და კანონით დადგენილი ზღვრული ვადები

– 1. 4:23 მუხლის პარ. 1, 2, 4 და 5-ის ნორმები შესაბამისად გამოიყენება 4:29 და 4:30 მუხლში მითითებული უზრუნველყოფის მიმართ. ამ უზრუნველყოფის გამოყენება დაუშვებელია იმ კრედიტორების მიმართ, რომლებიც ახდენენ თავიანთი სავალო მოთხოვნების დაფარვას უზრუნველყოფით დატვირთული აქტივებიდან 4:7 მუხლის პარ. 1-ის (a) პუნქტიდან (f) პუნქტის ჩათვლით ნორმებში მითითებული გარდაცვლილის სამკვიდროს ერთ-ერთი ვალის ამოღების მიზნით. თუმცა, ამ აქტივების იძულებითი რეალიზაცია არ დაიშვება, თუ მეუღლე უთითებს გარდაცვლილის სამკვიდროს სხვა აქტივებზე, რომლებიც არ არის დატვირთული უზრუნველყოფით და იძლევა საკმარის სამართლებრივი დაცვის საშუალებას კრედიტორების მოთხოვნათა დაკმაყოფილებისათვის.

– 2. 4:29 ან 4:30 მუხლების ნორმათა საფუძველზე უზრუნველყოფის დადგენის მოთხოვნის შესაძლებელობა აღარ არსებობს კანონით დადგენილი ზღვრული ვადის გასვლის გამო, თუ მეუღლემ დაინტერესებული მხარის მიერ დადგენილი გონივრული ვადის განმავლობაში ნათლად არ განაცხადა, რომ ის ითხოვს ასეთ უზრუნველყოფას, თუმცა, სულ ცოტა, როდესაც საქმე ეხება 4:29 მუხლით გათვალისწინებულ უზრუნველყოფას, – უზრუნველყოფის დადგენის მოთხოვნის შესაძლებელობა აღარ არსებობს მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან ექვსი თვის ვადის გასვლისთანავე, ხოლო როდესაც საქმე ეხება 4:30 მუხლით გათვალისწინებულ უზრუნველყოფას, – მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან ერთი წლის ვადის გასვლისთანავე.

– 3. 4:29 ან 4:30 მუხლების ნორმათა საფუძველზე არსებული სარჩელის უფლება ხანდაზმულია გარდაცვლილის სამკვიდროს მემკვიდრეობით გადასვლის მომენტიდან ერთი წლისა და სამი თვის თვის ვადის გასვლისთანავე.

– 4. როდესაც გარდაცვლილმა პირმა თავის ანდერძში უარი უთხრა თავის მეუღლეს უფლებაში, სა-
თავისოდ დაიტოვოს უზუფრუქტი იმ შემთხვევაში, როდესაც გარდაცვლილის სამკვიდროს აქტივის გა-
დაცემა ხდება 4:19 ან 4:21 მუხლების შესაბამისად, მაშინ, მიუხედავად პარ. 2-ის ნორმებისა, 4:29 ან 4:30
მუხლების ნორმათა საფუძველზე ასეთი უზუფრუქტის დადგენის მოთხოვნის შესაძლებლობა აღარ არ-
სებობს კანონით დადგენილი სამთვინიანი ზღვრული ვადის გასვლის გამო, რომელიც აითვლება ამ აქტივის
გადაცემის მოთხოვნის მომენტიდან. აღნიშნულ შემთხვევაში უზუფრუქტის დადგენის მოთხოვნით სა-
რჩელის უფლება ხანდაზმულია აქტივის გადაცემის მოთხოვნის მომენტიდან ერთი წლისა და სამი თვის
ვადის გასვლისთანავე.

**მუხლი 4:32 უზუფრუქტის არარსებობა, როდესაც განქორწინების ან განცალკევებით ცხოვრების რეჟი-
მის დადგენის შესახებ განცხადება წარდგენილ იქნა, სულ ცოტა, ერთი წლით ადრე**

გარდაცვლილის მეუღლე ვერ მოითხოვს 4:29 ან 4:30 მუხლებით გათვალისწინებულ უზუფრუქტს,
როდესაც განქორწინების ან განცალკევებით ცხოვრების რეჟიმის დადგენის შესახებ განცხადება წარ-
დგენილ იქნა, სულ ცოტა, გარდაცვლილის სამკვიდროს მემკვიდრეობით გადასვლის მომენტიდან ერთი
წლით ადრე, ხოლო განქორწინება ან განცალკევებით ცხოვრების რეჟიმის დადგენა კი ვერ განხორციე-
ლდებოდა მამკვიდრებლის გარდაცვალების შედეგად. პირველი წინადადების ნორმა არ გამოიყენება, თუ
მეუღლე უმთავრესად არ არის პასუხისმგებელი იმ გარემოებების დადგომისათვის, რომლებმაც გამოი-
წვია ის, რომ განქორწინება ან განცალკევებით ცხოვრების რეჟიმის დადგენა ვერ განხორციელდებოდა
მამკვიდრებლის გარდაცვალებამდე შესაბამისი ვადის განმავლობაში.

მუხლი 4:33 არსებულ უზუფრუქტში რაიონული სასამართლოს ჩარევის შესაძლებლობები

– 1. უზუფრუქტით დატვირთული აქტივის მესაკუთრის მოთხოვნის საფუძველზე და იმ პირობით, რომ
ეს ემსახურება მესაკუთრის მნიშვნელოვან ინტერესებს და ასევე თუ მეუღლის ინტერესები არსებითად
არ ირღვევა, რაიონულ სასამართლოს შეუძლია:

- a. გარდაცვლილის სამკვიდროდან აღნიშნულ მესაკუთრეს გამოუყოს უზუფრუქტით დატვირთული
აქტივი უზუფრუქტთან ერთად ან მის გარეშე;
- b. გააუქმოს უზუფრუქტი ერთ ან მეტ აქტივზე;
- c. შეზღუდოს ან გააუქმოს ის უფლებები, რაზეც უფლებამოსილია მეუღლე კუთვნილი უზუფრუქტის
უფლების გამო;
- d. მესაკუთრის ინტერესებში უზუფრუქტის უფლება მოაქციოს დანიშნული ქონების მმართველის
მხრიდან განსახორციელებელი ქონების (მინდობით) მართვის ქვეშ.

– 2. რამდენადაც ყველა გარემოების გათვალისწინებით მეუღლე საჭიროებს ზრუნვასა და მხარდაჭე-
რას, მათ შორის, – როდესაც საჭიროება გამომდინარეობს 4:35 მუხლის პარ. 2-ის ძალით მასზე დაკისრე-
ბული ვალდებულებების შესრულების მოვალეობიდან (გარდაცვლილის შვილზე ზრუნვა და მისი მხარდა-
ჭერა), რაიონულ სასამართლოს, პარ. 1-ის ნორმათა მოქმედების შეზღუდვის გარეშე, შეუძლია:

- a. მესაკუთრის მოთხოვნის საფუძველზე: გააქარწყლოს მეუღლის სასარგებლოდ უზუფრუქტის და-
დგენაში თანამონაწილეობის ვალდებულება;
- b. მესაკუთრის მოთხოვნის საფუძველზე: გააუქმოს უზუფრუქტი.

– 3. სხვა მესაკუთრეები ასევე მოინვეციან სასამართლოში საქმის განხილვაზე. თავის დადგენილებაში
რაიონულ სასამართლოს შეუძლია მიიღოს სხვაგვარი დამატებითი ზომები.

– 4. მესაკუთრეს ნებისმიერ დროს შეუძლია მიმართოს სასამართლოს პარ. 2-ში მითითებული საფუძ-
ვლით უზუფრუქტის დადგენაში თანამონაწილეობის ვალდებულების გაქარწყლებისათვის იმ მიზნით,
რომ დაიცვას თავისი თავი სარჩელისა თუ სხვა სამართლებრივი დაცვის საშუალებისაგან, რომლის წარ-
დგენაც ხდება ასეთი ვალდებულების შესრულებისათვის.

– 5. პარ. 2-ის ნორმების გამოყენებისას რაიონულმა სასამართლომ ყოველთვის მხედველობაში უნდა
მიიღოს:

- a. მეუღლის ასაკი;
- b. იმ საოჯახო მეურნეობის შემადგენლობა, რომლის წევრიც არის მეუღლე;
- c. მეუღლის შესაძლებლობები, თავად ირჩინოს თავი მუშაობით, პენსიით, საკუთარი ქონებით ან სხვა
საშუალებებითა თუ რესურსებით;
- d. ის, რაც არსებულ გარემოებებში მეუღლისათვის მიიჩნევა რჩენის სათანადო დონედ.

მუხლი 4:34 გარდაცვლილის მიერ განხორციელებული ნაჩუქრობების შემცირება

– 1. რამდენადაც გარდაცვლილის სამკვიდრო ქონება არ არის საკმარისი იმ მოთხოვნათა დაკმაყოფილებისათვის, რაზეც მეუღლე უფლებამოსილია 4:29 ან 4:30 მუხლების შესაბამისად, მეუღლეს შეუძლია შეუდგეს გარდაცვლილის მიერ განხორციელებული ნაჩუქრობების შემცირებას, თუ ეს ნაჩუქრობები შეიძლება გაუქმდეს 4:89 მუხლის პარ. 2 და 3-სა და 4:90 მუხლის პარ. 1 და 3-ის ნორმების საფუძველზე. ნაჩუქრობების ასეთი შემცირების მიმართ შესაბამისად გამოიყენება 4:66, 4:68 და 4:69 მუხლები. თუ ნაჩუქრობების შემცირების შედეგად მეუღლემ ჯერ არ მიიღო ყველაფერი ის, რაც მას ეკუთვნის, მას შეუძლია დაიკმაყოფილოს მოთხოვნა სავალდებულო მემკვიდრის მიერ შეძენილი აქტივებიდან იმ შემცირების ხარჯზე, რაც განხორციელდა მეუღლის სავალდებულო წილის მიღების მიზნით.

– 2. პარ. 1-ში მითითებული უფლებების რეალიზაციისას მეუღლე იძენს უზუფრუქტს იმ ფულად თანხაზე, რომლისათვისაც ადგილი ჰქონდა ნაჩუქრობების შემცირებას, ანდა – რომლისათვისაც მან გამოიყენა სამართლებრივი დაცვის საშუალებები. ამ უზუფრუქტის მიმართ შესაბამისად გამოიყენება 4:23 მუხლის პარ. 1, 2, 4 და 5-ის ნორმები.

– 3. აუცილებლობის შემთხვევაში მეუღლის უზუფრუქტი შეიძლება გავრცელდეს გარდაცვლილის სამკვიდროს ყველა აქტივსა და ფულად თანხაზე, რომელთათვისაც შეიძლება მოხდეს პარ. 1-ში მითითებული ნაჩუქრობების შემცირება.

– 4. წინამდებარე მუხლისა და ასევე 4:35 მუხლიდან 4:37 მუხლის ჩათვლით ნორმების გამოყენებასთან დაკავშირებული დავები წყდება რაიონული სასამართლოს მიერ ყველაზე მეტად დაინტერესებული მხარის მოთხოვნის საფუძველზე.

მუხლი 4:35 ერთიანი ფულადი თანხა ზრუნვისა და აღზრდისათვის ანდა – რჩენისა და განათლებისათვის

– 1. გარდაცვლილის შვილს, მათ შორის, სამოქალაქო კოდექსის 1-ლი წიგნის 394 მუხლში მითითებულ ბავშვს შეუძლია მოითხოვოს ერთიანი და ერთჯერადად გადასახდელი ფულადი თანხა, რამდენადაც ეს აუცილებელია:

a. მასზე ზრუნვისა და მისი აღზრდისათვის თვრამეტი წლის ასაკის მიღწევამდე და, გარდა ამისა;

b. მისი რჩენისა და განათლებისათვის ოცი წლის ასაკის მიღწევამდე;

– 2. როდესაც საქმე ეხება ზრუნვასა და აღზრდას, ბავშვი არ არის უფლებამოსილი ზემოაღნიშნული ერთიანი ფულადი თანხის მიღებაზე, რამდენადაც გარდაცვლილის მეუღლე ან მემკვიდრე კანონით ან ხელშეკრულების საფუძველზე ვალდებულია განახორციელოს შესაბამისი გადახდები ამ ხარჯების დასაფარად. როდესაც საქმე ეხება რჩენასა და განათლებას, ბავშვი არ არის უფლებამოსილი ზემოაღნიშნული ერთიანი ფულადი თანხის მიღებაზე, რამდენადაც გარდაცვლილის მეუღლე ან მემკვიდრე სამოქალაქო კოდექსის 1:395a მუხლის საფუძველზე ვალდებულია განახორციელოს შესაბამისი გადახდები აღნიშნული ხარჯების დასაფარად.

– 3. ერთიანად გადასახდელი ფულადი თანხა მცირდება იმ თანხის ოდენობით, რასაც უფლებამოსილი ბავშვი მემკვიდრეობის სამართლის ნორმების საფუძველზე მიიღებდა გარდაცვლილის სამკვიდროდან ანდა იმ სადაზღვევო პოლისის ფარგლებში არსებული თანხიდან, რომელიც ვადამოსული და შესასრულებელი გახდა მამკვიდრებლის გარდაცვალების მომენტში (იმ შემთხვევაში, თუ ბავშვმა უარი არ თქვა ამ უფლებამოსილებაზე).

მუხლი 4:36 ერთიანი ფულადი თანხა როგორც შესრულებული სამუშაოს საზღაური

– 1. გარდაცვლილის შვილს, გერს, ნაშვილებს, შვილის მეუღლეს ან შვილიშვილს, რომელიც სრულწლოვანების ვადის განმავლობაში მუშაობდა გარდაცვლილის საოჯახო მეურნეობაში ან მისი პროფესიული თუ სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში ასეთი სახის შესრულებული სამუშაოსათვის სათანადო საზღაურის მიღების გარეშე, შეუძლია მოითხოვოს ერთიანი ფულადი თანხის გადახდა იმ ოდენობით, რა ოდენობითაც ეს თანხა შეიძლება მიჩნეულ იქნეს სამართლიან საკომპენსაციო თანხად აღნიშნული პირების მიერ შესრულებული სამუშაოსათვის.

– 2. ერთიანი ფულადი თანხა მცირდება იმ თანხის ოდენობით, რაც უფლებამოსილმა ბავშვმა მიიღო გარდაცვლილისაგან და ასევე – იმ თანხის ოდენობით, რაც მან მიიღო ან ის მიიღებდა ლეგატიდან ანდა იმ სადაზღვევო პოლისის ფარგლებში არსებული თანხიდან, რომელიც ვადამოსული და შესასრულებელი გახდა მამკვიდრებლის გარდაცვალების მომენტში იმდენად, რამდენადაც ის, რაც მიღებულ იქნა ანდა შეიძლებოდა მიღებულიყო, შესაძლოა მიჩნეულ იქნეს საზღაურის თანხად ზემოაღნიშნული პირების მიერ შესრულებული სამუშაოსათვის.

მუხლი 4:37 ერთიანი ფულადი თანხის მოთხოვნა

– 1. იმ პირს, ვინც ითხოვს მის წინაშე 4:35 ან 4:36 მუხლებით ნაკისრი ერთიანი ფულადი თანხის გადახდას, აქვს მოთხოვნის უფლება ერთობლივად ყველა მემკვიდრის მიმართ. ამ ერთიანი ფულადი თანხის მოთხოვნის შესაძლებლობა აღარ არსებობს კანონისმიერი ზღვრული ვადის გასვლის გამო, თუ უფლებამოსილმა პირმა დაინტერესებული მხარის მიერ დადგენილი გონივრული ვადის განმავლობაში, – თუმცა, ყველა შემთხვევაში, მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან არაუგვიანეს ცხრა თვისა, – ნათლად არ განაცხადა იმის თაობაზე, რომ მას სურს ერთიანი ფულადი თანხის მიღება.

– 2. უფლებამოსილი პირის სავალ მოთხოვნა არ ხდება ვადამოსული და შესასრულებელი მანამდე, სანამ მამკვიდრებლის გარდაცვალების მომენტიდან არ გავა, სულ ცოტა, ექვსი თვე.

– 3. იმ პირის სარჩელის უფლება, რომელსაც შეუძლია მოითხოვოს ზემოაღნიშნული ერთიანი ფულადი თანხა, ხანდაზმულია მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან ერთი წლის ვადის გასვლისთანავე. თუ გარდაცვლილი ტოვებს მეუღლეს, მაშინ აღნიშნული ვადა იმ პირის სასარგებლოდ, ვინც ერთიანი ფულადი თანხის გადახდას ითხოვს 4:36 მუხლის საფუძველზე, გახანგრძლივდება ერთი წლით ამ მეუღლის გარდაცვალების მომენტიდან.

– 4. 4:35 და 4:36 მუხლების საფუძველზე გადასახდელი ყველა ერთიანი ფულადი თანხა არ უნდა აღემატებოდეს გარდაცვლილის სამკვიდროს ღირებულების ნახევარს; თუ ის აღემატება სამკვიდროს ღირებულების ნახევარს, ყოველი ფულადი თანხა პროპორციულად შემცირდება. წინამდებარე მუხლში სიტყვები „გარდაცვლილის სამკვიდროს ღირებულება“ გულისხმობს გარდაცვლილის სამკვიდროს აქტივების იმ ღირებულებას, რომელსაც აკლდება ამ სამკვიდროს ვალები, როგორც ეს მითითებულია 4:7 მუხლის პარ. 1-ის (a) პუნქტიდან (e) პუნქტის ჩათვლით ნორმებში.

– 5. ერთიანი ფულადი თანხა უნდა შემცირდეს (გადახდილ იქნეს) გარდაცვლილის სამკვიდროს იმ ნაწილიდან, რომლის განკარგვაც არ მომხდარა საანდერძო განკარგულებით, ხოლო შემდგომში კი, თუ ეს ნაწილი საკმარისი არ იქნება, – ლეგატიდან; ზემოაღნიშნული ერთიანი ფულადი თანხების გადახდის განხორციელებისათვის აუცილებელი თანხის შემცირების მიმართ შესაბამისად გამოიყენება 4:87 მუხლის პარ. 2-ის მეორე წინადადება.

მუხლი 4:38 იმ კომერციული აქტივებისა თუ კომპანიაში წილების გადაცემის მოთხოვნის უფლება, რომლებიც ეკუთვნოდა გარდაცვლილს

– 1. გარდაცვლილის შვილისა თუ გერის მოთხოვნის საფუძველზე, იმ პირობით, რომ ეს ემსახურება ამ შვილისა თუ გერის მნიშვნელოვან ინტერესებსა და, ამასთან ერთად, არსებითად არ ირღვევა ასევე მესაკუთრის ინტერესებიც, რაიონულ სასამართლოს შეუძლია დაადგინოს, რომ მესაკუთრის ის აქტივები, რომლებიც გამოიყენებოდა გარდაცვლილის პროფესიული თუ სამენარმეო საქმიანობისათვის და რომლებიც ამჯერად მიეკუთვნება გარდაცვლილის სამკვიდროს ან მეუღლეთა იმ საერთო საკუთრებას, რაზეც გარდაცვლილი იყო უფლებამოსილი, გადავიდეს გონივრულ და სამართლიან ფასად ამ შვილსა თუ გერზე ანდა – ამ შვილისა თუ გერის მეუღლეზე იმისათვის, რათა ამ შვილმა ან გერმა გააგრძელოს გარდაცვლილის პროფესიული თუ სამენარმეო საქმიანობა. თავის დადგენილებაში რაიონულ სასამართლოს შეუძლია მიიღოს სხვაგვარი დამატებითი ზომები.

– 2. წინა პარაგრაფის ნორმები შესაბამისად გამოიყენება იმ ღია კორპორაციისა („naamloze vennootschap“) თუ დახურული კორპორაციის („besloten vennootschap“) მიმართ, რომლის დირექტორი იყო გარდაცვლილი პირი და რომელშიც ის დამოუკიდებლად ან სხვა დირექტორებთან ერთად ფლობდა წილთა უმრავლესობას იმ პირობით, რომ შვილი თუ გერი ან შვილისა თუ გერის მეუღლე მამკვიდრებლის გარდაცვალების მომენტში უკვე იყო აღნიშნული კორპორაციების დირექტორი, ანდა – რომ ეს შვილი თუ გერი ან აღნიშნული მეუღლე იკავებს გარდაცვლილის დირექტორის თანამდებობას ამ კორპორაციაში.

– 3. წინა პარაგრაფის ნორმები გამოიყენება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ამას არ ეწინააღმდეგება სამოქალაქო კოდექსის მე-2 წიგნის კანონისმიერი ნორმები ან შესაბამისი კორპორაციის წესდების დებულებების მოთხოვნები.

– 4. პარ. 1 და 2-ში მითითებული განცხადების წარდგენის უფლება ქარწყდება კანონით დადგენილი ერთწლიანი ზღვრული ვადის გასვლის გამო, რომელიც აითვლება მამკვიდრებლის გარდაცვალების მომენტიდან.

– 5. წინამდებარე მუხლის ნორმები შესაბამისად გამოიყენება გარდაცვლილის იმ მეუღლის მიმართ, ვინც აგრძელებს გარდაცვლილის პროფესიულ თუ სამენარმეო საქმიანობას თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც ამ მეუღლემ შეიძინა ან მას შეუძლია შეიძინოს უზუფრუქტი გადასაცემ კომერციულ აქტივზე წინამდებარე განყოფილებაში გათვალისწინებული ნორმების საფუძველზე.

მუხლი 4:39 არამემკვიდრე პირების მიერ ინფორმაციის მიღების უფლება

იმ პირს, ვინც არ წარმოადგენს მემკვიდრეს, თუმცა აქვს 4:29 მუხლიდან 4:33, 4:35, 4:36 ან 4:38 მუხლების ჩათვლით ნორმებში მითითებული უფლება, აქვს იგივე უფლებები, რომლებიც მინიჭებული აქვს სავალდებულო მემკვიდრეს 4:78 მუხლის ნორმების საფუძველზე.

მუხლი 4:40 ხანდაზმულობის ვადის დენა ანდა კანონისმიერი ზღვრული ვადა იმ შემთხვევაში, როდესაც პირი უგზო-უკვლოდ დაკარგულია

როდესაც სამოქალაქო კოდექსის 1.18.2 ან 1.18.3 განყოფილებების ნორმები გამოიყენება გარდაცვლილი პირის მიმართ, 4:28 მუხლის პარ. 1-ში, 4:37 მუხლის პარ. 2-ის პირველ წინადადებასა და პარ. 3-ის მესამე წინადადებაში და ასევე 4:38 მუხლის პარ. 4-ის ნორმებში მითითებული ვადების დენა იწყება იმ დღიდან, როდესაც სამოქალაქო კოდექსის 1:417 მუხლსა და 1:427 მუხლის პარ. 1-ში მითითებული სასამართლოს დადგენილება შევა კანონიერ ძალაში და გახდება მბოჭავი.

მუხლი 4:41 კანონის იმპერატიული ნორმები

მოანდერძის მიერ თავის ანდერძში წინამდებარე განყოფილების ნორმებიდან გადახვევა დაუშვებელია.

ტიტული 4.4 – გარდაცვლილის ანდერძი

განყოფილება 4.4.1 – ანდერძი ზოგადად

მუხლი 4:42 გარდაცვლილის ანდერძი

– 1. „ანდერძი“ წარმოადგენს ცალმხრივ გარიგებას, რომლითაც მოანდერძე ახდენს თავისი ქონების განკარგვას, რომელიც ძალაში უნდა შევიდეს მისი გარდაცვალების შემდეგ და რაც მონესრიგებულია სამოქალაქო კოდექსის მე-4 წიგნში, ანდა – რომელიც კანონის მიერ აღიარებულია აღნიშნული შედეგის მქონე გარიგებად.

– 2. მოანდერძეს ყოველთვის შეუძლია ცალმხრივად გააუქმოს თავისი ადრე შედგენილი ანდერძი.

– 3. საანდერძო განკარგულების განხორციელება და გაუქმება შესაძლებელია მხოლოდ ანდერძით და მოანდერძის მიერ მხოლოდ პირადად.

მუხლი 4:43 ხარვეზიანი ნება (განზრახვა)

– 1. ანდერძი ვერ გაბათილდება იმ საფუძველით, რომ ის დაიდო გარემოებათა ბოროტი გამოყენებით.

– 2. მცდარი მოტივით შედგენილი ანდერძი შეიძლება გაბათილდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ის გარემოება, რომლის არსებობაც მოანდერძემ არასწორად ივარაუდა და რომლის გამოც შეადგინა მან ანდერძი, მითითებულია თავად ანდერძში და მოანდერძე არ შეადგენდა ასეთ ანდერძს, მას რომ სცოდნოდა იმის თაობაზე, რომ აღნიშნული ვარაუდი არასწორი იყო.

– 3. ანდერძი ვერ გაბათილდება მუქარის, შეცდომის ან მცდარი მოტივის საფუძველით, როდესაც მოანდერძემ დაადასტურა თავისი ანდერძი მუქარის შეწყვეტის ანდა შეცდომისა თუ მცდარი მოტივის აღმოჩენის შემდეგ.

მუხლი 4:44 ზნეობის ნორმებისა თუ საჯარო წესრიგის საწინააღმდეგო ანდერძი

– 1. ანდერძი ბათილია, თუ მისი შინაარსი ეწინააღმდეგება ზნეობის ნორმებს ან საჯარო წესრიგს.

– 2. ანდერძი ბათილია, თუ მისი შედგენის გადამწყვეტი მოტივი ეწინააღმდეგება ზნეობის ნორმებს ან საჯარო წესრიგს იმ პირობით, რომ ეს მოტივი თავად ანდერძში არის მითითებული.

მუხლი 4:45 ანდერძში მოცემული ბათილი პირობები და ანდერძით დაკისრებული ვალდებულებები

– 1. როდესაც ანდერძში გათვალისწინებული პირობის ან ანდერძით დაკისრებული ვალდებულების შესრულება შეუძლებელია ან ეს ეწინააღმდეგება ზნეობის ნორმებს, საჯარო წესრიგს ან კანონის იმპერატიულ ნორმებს, მაშინ ის არ მიიჩნევა ანდერძის ტექსტში შეტანილად. თუმცა, ასეთი პირობა ან ანდერძით დაკისრებული ვალდებულება თავისთავად არ აბათილებს ანდერძს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს იყო მოანდერძის მიერ ანდერძის შედგენის გადამწყვეტი მოტივი.

– 2. როდესაც ანდერძში გათვალისწინებული პირობა ან ანდერძით დაკისრებული ვალდებულება აუცილებლად გულისხმობს პირის მხრიდან აქტივების განკარგვის უფლებამოსილების (ქონების გადაცემის უფლების) გამოორიციხვას (გაუქმებას), მაშინ ასეთი პირობა ან ვალდებულება არ მიიჩნევა ანდერძის ტექსტში შეტანილად.

მუხლი 4:46 ანდერძის განმარტება

– 1. ანდერძის შინაარსის განმარტების დროს ყურადღება უნდა მიექცეს იმ ურთერთობებს, რომელთა მოწესრიგებაც აშკარად სურს მოანდერძეს, ისევე როგორც – იმ გარემოებებს, რომელთა არსებობისას შედგა ანდერძი.

– 2. მოანდერძის ის მოქმედებები ან განცხადებები, რომლებიც არ არის თავად ანდერძთან კავშირში ან მასში მოცემული, შეიძლება გამოყენებულ იქნეს ანდერძის განმარტებისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ მოქმედებებისა თუ განცხადებების გარეშე ანდერძის შინაარსიდან ნათელი აზრის გამოტანა შეუძლებელი იქნება.

– 3. როდესაც მოანდერძემ პირის ან ქონების მითითებისას დაუშვა აშკარა შეცდომა, განკარგვა განხორციელდება მოანდერძის განზრახვის შესაბამისად, თუ ეს განზრახვა შეიძლება არაორაზროვნად დადგინდეს თავად ანდერძიდან ან ინფორმაციის სხვა წყაროდან.

მუხლი 4:47 ანდერძის აღსრულების დროებითი შეუძლებლობა

როდესაც ცალსახად შეუძლებელია მოანდერძის ანდერძის რეალიზაცია სხვა მიზეზის გამო, ვიდრე ამას წარმოადგენს მოანდერძის გარდაცვალების შემდეგ მომხდარი შემთხვევა, ანდერძი გაუქმდება მისი სხვა საანდერძო განკარგულებით შეცვლის გარეშე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კანონი საწინააღმდეგო წესს ითვალისწინებს ანდა თავად ანდერძიდან შეიძლება იმ დასკვნის გაკეთება, რომ მოანდერძე გააკეთებდა ასეთ სხვაგვარ განკარგვას, მას რომ სცოდნოდა ანდერძის აღსრულების შეუძლებლობის შესახებ.

მუხლი 4:48 გარდაცვლილის სამკვიდროში წილთა სხვა მემკვიდრეთა წილებისთვის დამატება

როდესაც ანდერძის თანახმად სამკვიდროს მისაღებად ხდება ორი ან მეტი პირის მემკვიდრეთა სახით მოწვევა, – მიუხედავად იმისა, ხდება ეს განსაზღვრულ წილებთან დაკავშირებით თუ არა, – და განკარგვას ერთ-ერთი მათგანის მიმართ არა აქვს ძალა, მაშინ მისი წილი დამატება სხვა მემკვიდრეთა წილებს იმ წილთა პროპორციულად, რომელთა მიღებაზეც ეს მემკვიდრეები უფლებამოსილი არიან კანონის ძალით ან ანდერძის საფუძველზე, თუ თავად ანდერძიდან არ გამომდინარეობს საწინააღმდეგო წესი.

მუხლი 4:49 ლეგატით გადაცემული აქტივის არარსებობა

– 1. კონკრეტული აქტივის ან იმ უფლების ლეგატით გადაცემა, რომელიც უნდა დადგინდეს ასეთ კონკრეტულ აქტივზე, რაც ეკისრება მემკვიდრეს მოანდერძის ანდერძში გათვალისწინებული დებულების გამო, უქმდება, თუკი აქტივი არ შედის მოანდერძის სამკვიდროში მისი მემკვიდრეობის გადასვლის მომენტში, როდესაც თავად ანდერძიდან არ გამომდინარეობს ის, რომ მოანდერძეს მაინც სურს ასეთი განკარგვის გაკეთება.

– 2. როდესაც ანდერძიდან შეიძლება გაკეთდეს დასკვნა იმის შესახებ, რომ მოანდერძეს მაინც სურს განკარგვის გაკეთება, თუმცა იმ მემკვიდრეს, რომელსაც ეკისრება ამ ვალდებულების შესრულება, არ შეუძლია ლეგატით გადაცემული აქტივის გადაცემა ანდა მას ეს შეუძლია მხოლოდ შეუსაბამოდ დიდი ხარჯის განვივით, – მაშინ ამ მემკვიდრემ უნდა აანაზღაუროს აღნიშნული აქტივის ღირებულება.

– 3. პარ. 1-ის მიზნებისათვის, აქტივი არ მიიჩნევა მოანდერძის სამკვიდროში შეტანილად, თუ მოანდერძეს ეკისრებოდა მისი მესამე პირისათვის გადაცემის ვალდებულება და მისი გარდაცვალების შედეგად ეს ვალდებულება არ შეწყვეტილა.

მუხლი 4:50 ლეგატით გადაცემული აქტივის მიწოდება მოანდერძის გარდაცვალების მომენტში არსებულ მდგომარეობაში

– 1. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოანდერძემ სხვაგვარი განკარგვა მოახდინა, ლეგატით გადაცემული აქტივის მიწოდება ხდება მოანდერძის გარდაცვალების მომენტში არსებულ მდგომარეობაში.

– 2. შედეგად შესაბამისი მემკვიდრე არ არის ვალდებული, გაათავისუფლოს ლეგატით გადაცემული აქტივი მასზე დადგენილი ნებისმიერი შეზღუდული საწინააღმდეგო უფლებისაგან.

- 3. როდესაც ლეგატი გადაეცემა მემკვიდრის მიმართ მოანდერძის სავალო მოთხოვნა, მოანდერძის შეზღუდული სანივთო უფლება მემკვიდრის აქტივზე ანდა - მემკვიდრის შეზღუდული სანივთო უფლებით დატვირთული მოანდერძის აქტივი, მაშინ არანაირ კონსოლიდაციას ადგილი არა აქვს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ლეგატარი უარს განაცხადებს ლეგატზე.

მუხლი 4:51 მეუღლეთა საერთო საკუთრებიდან აქტივის ლეგატი გადაცემა

- 1. თუ გარდაცვლილმა მეუღლემ თავის ანდერძში დაადგინა ლეგატი, რომელშიც მან მითითებები მისცა ერთობლივ მემკვიდრეებს, მეუღლეთა საერთო საკუთრებიდან კონკრეტული აქტივი ლეგატი გადასცენ განსაზღვრულ ლეგატარს, ამ უკანასკნელს შეუძლია მოითხოვოს მთლიანი აქტივის მიწოდება, თუმცაღა, ერთობლივ მემკვიდრეებს - რამდენადაც ეს აქტივი გადაეცა მეორე მეუღლეს ან მის მემკვიდრეებს მეუღლეთა საერთო საკუთრების განაწილებისას - შეუძლიათ აუნაზღაურონ ლეგატარს ამ აქტივის ღირებულება. აღნიშნული უფლება ეკუთვნის ასევე მეორე მეუღლესაც, თუ ის წარმოადგენს ერთადერთ მემკვიდრეს, ხოლო თუ ეს უკანასკნელი გარდაიცვალა, - მაშინ მის მემკვიდრეებს.

- 2. წინა პარაგრაფი გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მეუღლეთა საერთო საკუთრება განკარგვის განხორციელების მომენტში ჯერ არ არის გაუქმებული.

მუხლი 4:52 მეუღლის სასარგებლოდ განხორციელებული საანდერძო განკარგულება და შემდგომი განქორწინება ან განცალკევებით ცხოვრების რეჟიმის დადგენა

გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც თავად ანდერძის ტექსტიდან სანინაალმდეგო წესი შეიძლება გამოდინარეობდეს, იმ პირის სასარგებლოდ განხორციელებული საანდერძო განკარგულება, ვისთანაც მოანდერძე იყო დაქორწინებული იმ მომენტში, როდესაც ის ადგენდა თავის ანდერძს ანდა ვისთვისაც მას აღნიშნულ მომენტში უკვე ჰქონდა მიცემული საქორწინო ფიცი, გაუქმდება შემდგომში განხორციელებული განქორწინებით ან განცალკევებით ცხოვრების რეჟიმის დადგენით.

მუხლი 4:53 სისხლით ნათესავეები და ახლო სანათესაო

მოანდერძის უახლოესი სისხლით ნათესავეების ან ახლო სანათესაოს სასარგებლოდ შედგენილი ანდერძი, მათი სახელებისა თუ საიდენტიფიკაციო მონაცემების დამატებითი მითითების გარეშე, მიიჩნევა მოანდერძის იმ სისხლით ნათესავეების სასარგებლოდ შედგენილად, რომლებიც სხვა შემთხვევაში მონვეული იქნებოდნენ მემკვიდრეების სახით სამკვიდროს მისაღებად მემკვიდრეობის სამართლის ნორმების საფუძველზე თითოეული თავისი კანონით მემკვიდრეობის შემთხვევაში მისაღები წილის პროპორციულად.

მუხლი 4:54 ხანდაზმულობა საცილო ანდერძის შემთხვევაში

- 1. საცილო ანდერძის გაბათილების სარჩელის უფლება ხანდაზმულია ერთი წლის ვადის გასვლისთანავე იმ მომენტიდან, როდესაც ამ უფლების რეალიზაციის მქონე პირისა თუ მისი უფლებამონაცვლისათვის ცნობილი გახდა როგორც მოანდერძის გარდაცვალების, ისე საცილობის საფუძვლის შესახებ.

- 2. სამოქალაქო კოდექსის 3:51 მუხლის ნორმებით გაუთვალისწინებელ შემთხვევებში, საცილო ანდერძის გაბათილების მითითების უფლება ხანდაზმულია სამი წლის ვადის გასვლისთანავე იმ მომენტიდან, როდესაც ამ უფლების რეალიზაციის მქონე პირისა თუ მისი უფლებამონაცვლისათვის ცნობილი გახდა როგორც მოანდერძის გარდაცვალების, ისე მისი ანდერძის შესახებ.

განყოფილება 4.4.2 - პირები, რომლებსაც შეუძლიათ ანდერძის შედგენა და ის პირები, რომლებსაც შეუძლიათ მისგან სარგებლის მიღება

მუხლი 4:55 ანდერძის შედგენის უფლებაუნარიანობა

- 1. ანდერძის შედგენა შეუძლიათ იმ პირებს, რომლებსაც ზოგადად აქვთ უნარი, დადონ გარიგებები, ისევე როგორც - თექვსმეტი წლის ასაკს მიღწეულ არასრულწლოვანებსა და იმ პირებს, რომლებიც ზრდასრული პირის მეურვეობის ქვეშ იმყოფებიან სხვა მიზეზით, გარდა მათი ფიზიკური თუ გონებრივი მდგომარეობისა.

- 2. იმ პირს, ვინც პირის მეურვეობის ქვეშ იმყოფება მისი ფიზიკური თუ გონებრივი მდგომარეობის გამო, ანდერძის შედგენა შეუძლია მხოლოდ რაიონული სასამართლოს ნებართვით. რაიონულ სასამართლოს მის მიერ ნებართვის გაცემა შეუძლია დაუკავშიროს დამატებითი პირობების შესრულებასაც.

– 3. მოანდერძის უფლებაუნარიანობა უნდა განისაზღვროს იმ მომენტში არსებული მისი გონებრივი მდგომარეობის მიხედვით, როდესაც მან შეადგინა ანდერძი.

მუხლი 4:56 მემკვიდრე უნდა არსებობდეს სამკვიდროს მემკვიდრეობის გადასვლის დროს

– 1. იმისათვის, რომ პირმა მიიღოს უფლება ანდერძიდან, პირი უნდა არსებობდეს იმ მომენტში, როდესაც მოანდერძის სამკვიდრო გადადის მემკვიდრეობით. იმ იურიდიული პირის სასარგებლოდ შედგენილ ანდერძიდან გამომდინარე უფლებები, რომელიც თავად აღნიშნული მომენტისათვის უკვე აღარ არსებობს შერწყმისა თუ გამოყოფის შედეგად, ეკუთვნის შემძენ იურიდიულ პირს, ხოლო გამოყოფის შემთხვევაში კი, – იმ შემძენ იურიდიულ პირს, რომლის სანოტარო აქტში, რითაც გაფორმდა გამოყოფა, მონესრიგებულია მის მიერ ასეთი უფლებების შექმნის საკითხი. თუ ამ სანოტარო აქტის მეშვეობით შეუძლებელია იმის დადგენა, თუ რომელმა იურიდიულმა პირმა უნდა შეიძინოს ასეთი უფლებები ნაცვლად გამოყოფილი იურიდიული პირისა, შესაბამისად გამოიყენება სამოქალაქო კოდექსის 2:334s მუხლი.

– 2. თუ მოანდერძემ თავის ანდერძში გაითვალისწინა პირობა, რომლის თანახმადაც ის, რასაც უტოვებს ერთ-ერთი თავისი მშობლის შთამომავალს, ამ უკანასკნელის გარდაცვალების მომენტში ან უფრო ადრე წარმომადგენლობის უფლებითა და თანაბარნილად („per stirpes“) დარჩება ამ შთამომავლის უკვე დაბადებულ შვილებს, მაშინ ამ შვილებს შეუძლიათ მიიღონ ეს უფლება ანდერძიდან იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მოანდერძის გარდაცვალების მომენტში ისინი ჯერ არ იყვნენ დაბადებული.

– 3. როდესაც მოანდერძემ ანდერძში გაითვალისწინა პირობა, რომლის თანახმადაც ის, რასაც მოანდერძე უტოვებს ვინმეს, ამ პირის გარდაცვალების მომენტში ან უფრო ადრე დარჩება მოანდერძის ერთ-ერთი მშობლის უკვე დაბადებულ შთამომავლებს, და ასევე – იმ პირობას, რომ თუ ეს შთამომავალი აღარ იქნება ცოცხალი ამ მომენტში, აღნიშნული შთამომავლები წარმომადგენლობის უფლებით თანაბარნილად („per stirpes“) დაიკავებენ მის ადგილს, მაშინ ამ შთამომავლებს შეუძლიათ მიიღონ ეს უფლება ანდერძიდან იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მოანდერძის გარდაცვალების მომენტში ისინი ჯერ არ იყვნენ დაბადებული.

– 4. როდესაც მოანდერძემ ანდერძში გაითვალისწინა პირობა, რომლის თანახმადაც ის დარჩენილი ნაწილი, რაც მოანდერძემ თავისი ანდერძით დაუტოვა კონკრეტულ პირს, ამ უკანასკნელის გარდაცვალების მომენტში ან უფრო ადრე უნდა გადავიდეს მოანდერძის ცოცხლად დარჩენილ სისხლით ნათესავზე, მაშინ ამ სისხლით ნათესავს შეუძლია მიიღოს ეს უფლება ანდერძიდან იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მოანდერძის გარდაცვალების მომენტში ის ჯერ არ იყო დაბადებული.

მუხლი 4:57 ოჯახის მეურვის სასარგებლოდ ანდერძის დადგენის დაუშვებლობა

– 1. მოანდერძის მიერ ანდერძის შედგენა დაუშვებელია იმ პირის სასარგებლოდ, ვინც ანდერძის შედგენის მომენტში წარმოადგენს ოჯახის მეურვეს.

– 2. დაუშვებელია იმ პირის მიერ, რომელიც წარმოადგენდა მოანდერძის ოჯახის მეურვეს, მოანდერძის ანდერძიდან სარგებლის მიღება იმ შემთხვევაში, თუ მოანდერძე გარდაიცვალა ერთი წლის განმავლობაში მას შემდეგ, როდესაც მან მიაღწია თვრამეტი წლის ასაკს იმ მომენტში, როდესაც მეურვეობის ფინანსური ჩანანერები ჯერ არ იყო დახურული.

– 3. წინა პარაგრაფების ნორმები არ გამოიყენება მოანდერძის აღმავალი ხაზით სისხლით ნათესავების მიმართ, რომლებიც არიან ან იყვნენ მისი ოჯახის მეურვეები.

მუხლი 4:58 მეურვის სასარგებლოდ ანდერძის დადგენის დაუშვებლობა

დაუშვებელია არასრულწლოვანების მიერ იმ მეურვის სასარგებლოდ ანდერძის შედგენა, ვისთანაც ანდერძის შედგენის მომენტში ის ერთად ცხოვრობს.

მუხლი 4:59 ინდივიდუალური ჯანდაცვის სფეროში დასაქმებული პროფესიონალების სასარგებლოდ ანდერძის დადგენის დაუშვებლობა

– 1. დაუშვებელია იმ პირების მიერ მოანდერძის ანდერძიდან სარგებლის მიღება, რომლებიც საქმიანობენ ინდივიდუალური ჯანდაცვის სფეროში და უვლიდნენ მოანდერძეს მისი გარდაცვალების გამომწვევი ავადმყოფობის დროს, ისევე როგორც – იმ პირების მიერ მოანდერძის ანდერძიდან სარგებლის მიღება, რომლებმაც მათი მიერ დაკავებულ თანამდებობასა თუ განსახორციელებელ ფუნქციებთან დაკავშირებით გასწიეს ფსიქიკური დახმარება ან მხარდაჭერა აღნიშნული მოანდერძის ავადმყოფობის დროს იმ შემთხვევაში, თუ ზემოაღნიშნული ანდერძი შედგნილ იქნა ამ პირების მიერ მოანდერძის მოვლა-პატრონობისა თუ მხარდაჭერის ვადის განმავლობაში.

- 2. იმ პირის მიერ, ვისაც აქვს მოხუცთა ან ფსიქიკური დარღვევების მქონე პირთა მოვლა-პატრონობისა და მათზე ზრუნვის დანერგულება, და ასევე ამ დანერგულების მუშაობაზე პასუხისმგებელი თუ მასში მომუშავე პირის მიერ დაუშვებელია ასეთ მოხუცთა თუ ფსიქიკური დარღვევების მქონე პირთა ანდერძიდან სარგებლის მიღება იმ შემთხვევაში, თუ ამ უკანასკნელის შედგენა ხდება პირის აღნიშნულ დანერგულებაში ყოფნის განმავლობაში.

მუხლი 4:60 განეული მომსახურებისათვის საზღაურის გადახდის დასაშვებობა

წინა ორი მუხლის ნორმების მოქმედებიდან გამოირიცხება:

- a. ლეგატის მეშვეობით განეული მომსახურებისათვის საზღაურის გადახდის განზრახვით განხორციელებული განკარგვები;
- b. იმ პირის სასარგებლოდ განხორციელებული განკარგვები, ვინც წარმოადგენს მეოთხე ხარისხამდე სისხლით ან ქორწინებიდან გამომდინარე ნათესავს ანდა – მონადერძის მეუღლეს.

მუხლი 4:61 შესაბამისი ნოტარიუსისა და მოწმის სასარგებლოდ ანდერძის დადგენის დაუშვებლობა

დაუშვებელია ნოტარიუსისა თუ სხვა იმ პირის მიერ მონადერძის ანდერძიდან სარგებლის მიღება, რომელმაც შეადგინა ანდერძი ან დაუხურავი და, შესაბამისად, დაუფარავი ანდერძის შენახვის შესახებ აქტი, ისევე როგორც – იმ მოწმეების მიერ მონადერძის ანდერძიდან სარგებლის მიღება, რომლებიც ესწრებოდნენ აღნიშნული ანდერძისა თუ აქტის შედგენას.

მუხლი 4:62 წინა მუხლების ნორმების საფუძველზე საცილო ანდერძის გაბათილება

- 1. ანდერძი, რომელიც ეწინააღმდეგება 4:57 მუხლიდან 4:61 მუხლის ჩათვლით გათვალისწინებული ნორმებიდან ერთ-ერთს, შეიძლება გაბათილდეს. გაბათილება ძალმოსილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, რამდენადაც ეს აუცილებელია იმ პირის მიერ განცდილი ზარალის აღმოფხვრისათვის, რომელმაც მიუთითა საცილოობის შესაბამის საფუძველზე.
- 2. შუამავალი პირის სასარგებლოდ შედგენილი ანდერძი შეიძლება გაბათილდეს ისე, როგორც იმ პირის სასარგებლოდ შედგენილი ანდერძი, ვინც 4:57 მუხლიდან 4:61 მუხლის ჩათვლით ნორმების საფუძველზე თავად გამოირიცხება ანდერძიდან გამომდინარე ნებისმიერი სარგებლის მიღებისაგან.
- 3. ანდერძიდან გამომდინარე ნებისმიერი სარგებლის მიღებისაგან გამორიცხული პირის მამა, დედა, შთამომავალი და მეუღლე მიიჩნევიან შუამავალ პირებად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი წარმოადგენენ მონადერძის ან ამ უკანასკნელის მეუღლის პირდაპირი ხაზით სისხლის ნათესავებს.
- 4. თუ ლეგატარი ვალდებულია სამაგიერო შესრულება განხორციელოს წინა პარაგრაფების ნორმების საფუძველზე საცილო ლეგატთან დაკავშირებით, მაშინ შესაბამისად გამოიყენება სამოქალაქო კოდექსის 3:54 მუხლი.

განყოფილება 4.4.3 – სავალდებულო მემკვიდრის წილი

ქვეგანყოფილება 4.4.3.1 – ზოგადი დებულებები

მუხლი 4:63 სავალდებულო მემკვიდრის სავალდებულოდ ცნობილი წილი („სავალდებულო წილი“)

- 1. სავალდებულო მემკვიდრის სავალდებულო წილი წარმოადგენს მონადერძის სამკვიდროს ღირებულების იმ ნაწილს, რომლის მიმართაც სავალდებულო მემკვიდრეს შეუძლია ჰქონდეს პრეტენზია მიუხედავად მონადერძის მიერ ანდერძით გაკეთებული საანდერძო განკარგულებისა და თავისი სიცოცხლის მანძილზე განხორციელებული ნაჩუქრობებისა.
- 2. სავალდებულო მემკვიდრეები წარმოადგენენ მონადერძის შთამომავლებს, რომელთა კანონის თანახმად მონევა ხდება მონადერძის სამკვიდროს მისაღებად საკუთარი უფლების საფუძველზე ან იმ მემკვიდრის წარმომადგენლობის უფლების საფუძველზე, ვინც აღარ არის ცოცხალი, ანდა – ვინც სამკვიდროს მემკვიდრეობით გადასვლის მომენტში წარმოადგენს უღირს მემკვიდრეს.
- 3. სავალდებულო მემკვიდრე, ვინც უარს აცხადებს მემკვიდრეობაზე, კარგავს თავის უფლებას სავალდებულო წილზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის აცხადებს, რომ მას სურს მიიღოს თავისი სავალდებულო წილი 4:191 მუხლში მითითებული განცხადების გაკეთებისას.

მუხლი 4:64 სავალდებულო წილის მოცულობა

– 1. მოანდერძის შვილის სავალდებულო წილი შეადგენს მოანდერძის სამკვიდროს იმ ღირებულების ნახევარს, რომლის მიხედვითაც გამოითვლება ყველა სავალდებულო წილი და რაც იყოფა მოანდერძის მიერ დატოვებული კანონით მემკვიდრეთა რაოდენობაზე, როგორც ეს მითითებულია 4:10 მუხლის პარ. 1-ის (a) პუნქტში.

– 2. როდესაც მემკვიდრეობით გადასვლის მომენტში მოანდერძის შვილი აღარ არის ცოცხალი, პარ. 1-ის ნორმის მიზნისათვის ამ უკანასკნელის შთამომავლები ერთობლივად ჩაითვლებიან მოანდერძის მიერ დატოვებულ ერთ შვილად. შვილის თითოეულ შთამომავალს, ვინც წარმოადგენს სავალდებულო მემკვიდრეს, შეუძლია მოითხოვოს თავისი საკუთარი სავალდებულო წილის მიღება.

ქვეგანყოფილება 4.4.3.2 – სავალდებულო წილის ოდენობა

მუხლი 4:65 სავალდებულო წილების გამოთვლა

სავალდებულო წილი გამოითვლება მოანდერძის სამკვიდროს აქტივების ღირებულების მიხედვით, რასაც ემატება ის ნაჩუქრობები, რომლებიც არ იქნა მხედველობაში მიღებული წილის ასეთი გამოთვლისას და რომელიც მცირდება 4:7 მუხლის პარ. 1-ის (a) პუნქტიდან (c) პუნქტის ჩათვლითა და (f) პუნქტის ნორმებში მითითებული სამკვიდროს ვალებით. მხედველობაში არ მიიღება ის ნაჩუქრობები, რომელთაგან გამომდინარეობს 4:7 მუხლის პარ. 1-ის (i) პუნქტის ნორმებში მითითებული ვალები.

მუხლი 4:66 ნაჩუქრობები, რომლებიც მხედველობაში არ მიიღება

– 1. წინამდებარე ქვეგანყოფილების მიზნისათვის ნაჩუქრობების შეფასება უნდა მოხდეს მათი დადების მომენტისათვის არსებული ღირებულების მიხედვით, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომლებიც გათვალისწინებულია ქვემოთ მოცემულ პარაგრაფებში. მოანდერძის მიერ ჩუქების გაუქმების შესაძლებლობა მხედველობაში არ მიიღება.

– 2. მოანდერძის მიერ განხორციელებული ნაჩუქრობების შეფასება, რომელთა მიმართაც მან დაიტოვა უფლება თავად ისარგებლოს სიცოცხლის განმავლობაში ნაჩუქარი აქტივით, და ასევე სხვა ნაჩუქრობების შეფასება, რითაც მიმღები სრულად ისარგებლებს მხოლოდ მოანდერძის გარდაცვალების შემდეგ, უნდა მოხდეს დაუყოვნებლივ მოანდერძის გარდაცვალების მომენტისათვის არსებული მათი ღირებულების მიხედვით. იგივე წესი მოქმედებს ვალდებულების იმ შესრულებათა ნაჩუქრობების მიმართ, რომლებიც მოანდერძეს ჯერ არ შეუსრულებია მისი გარდაცვალების მომენტში იმ პირობით, რომ ეს ნაჩუქრობები, – ისევე როგორც მათთან დაკავშირებული ვალები – მხედველობაში არ მიიღება იმდენად, რამდენადაც მოანდერძის სამკვიდრო ქონება საკმარისი არ არის. საჩუქარი, რომელიც მდგომარეობს ვინმეს სადაზღვევო პოლისის ფარგლებში არსებული თანხიდან გამომდინარე ბენეფიციარად დანიშნაში, მხედველობაში მიიღება მისი სამოქალაქო კოდექსის 7:188 მუხლის პარ. 2 და 3-ის ნორმთა შესაბამისად დადგენილი ღირებულებით.

– 3. იმ ნაჩუქრობების შეფასება, რომლებიც მდგომარეობს მოანდერძის მიერ იმ აქტივის გასხვისებაში, რომლისათვისაც მიმღებმა (დასაჩუქრებულმა) უნდა განახორციელოს სამაგიერო შესრულება მოანდერძის სიცოცხლესთან დაკავშირებული უფლების მეშვეობით, უნდა მოხდეს ამ აქტივის ჩუქების სახით, რასაც აკლდება სამაგიერო შესრულების ღირებულება, რომელიც მოანდერძემ უკვე მიიღო ან რომელიც ჯერ კიდევ განსახორციელებელია მოანდერძის მიმართ მისი გარდაცვალების მომენტში, რამდენადაც ეს სამაგიერო შესრულება მდგომარეობს რაიმე სხვა მოქმედების განხორციელებაში, ვიდრე ამას წარმოადგენს მოანდერძისათვის შესაბამისი აქტივის სარგებლობის შესაძლებლობის მიცემა.

მუხლი 4:67 ნაჩუქრობები, რომლებიც სავალდებულო წილის გამოთვლისას მიიღება მხედველობაში

სავალდებულო მემკვიდრეთა სავალდებულო წილების გამოთვლისას მხედველობაში მიიღება მოანდერძის მიერ განხორციელებული შემდეგი ნაჩუქრობები:

a. ნაჩუქრობები, რომლებიც აშკარად განხორციელდა და მიღებულ იქნა იმ პერსპექტივით, რომ ისინი სავალდებულო მემკვიდრეთათვის საზიანო იქნება;

b. ნაჩუქრობები, რომელთა გაუქმებაც მოანდერძეს თავისი სიცოცხლის განმავლობაში ნებისმიერ დროს შეეძლო ანდა რომელთა მიმართაც მან ჩუქების ხელშეკრულების დადებისას არაორაზროვნად დაუშვა შესაძლო შემცირება;

- c. ნაჩუქრობები, რომელთა შემთხვევაშიც სარგებლის სრულად მიღება გათვალისწინებულია მხოლოდ მოანდერძის გარდაცვალების შემდეგ;
- d. მოანდერძის მიერ შთამომავალზე განხორციელებული ნაჩუქრობები, იმ პირობით, რომ ეს პირი ან მისი შთამომავალი წარმოადგენს მოანდერძის სავალდებულო მემკვიდრეს;
- e. სხვა ნაჩუქრობები, რამდენადაც ჩუქებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულება განხორციელდა მოანდერძის გარდაცვალებამდე ხუთი წლის განმავლობაში.

მუხლი 4:68 მოანდერძის მიერ თავისი მეუღლის სასარგებლოდ განხორციელებული ნაჩუქრობები

წინამდებარე ქვეგანყოფილების მიზნებისათვის, მოანდერძის მიერ თავისი მეუღლის სასარგებლოდ განხორციელებული ნაჩუქრობები მხედველობაში არ მიიღება იმდენად, რამდენადაც სახეზე არ იყო გამდიდრება მოანდერძის ქონების ხარჯზე იმის გამო, რომ მოანდერძე და მისი მეუღლე ჩუქების ხელშეკრულების დადებისას იმყოფებოდნენ მეუღლეთა საერთო საკუთრების რეჟიმში, ანდა საქორწინო ხელშეკრულების შესაბამისად მათ აღნიშნულ მომენტში ერთმანეთის მიმართ ეკისრებოდათ მეუღლეების წილთა გათანაბრების ვალდებულება.

მუხლი 4:69 ნაჩუქრობები, რომლებიც ჩუქებად არ ჩაითვლება

- 1. წინამდებარე ქვეგანყოფილების მიზნებისათვის ქვემოთ მოცემული ნაჩუქრობები მხედველობაში არ მიიღება:
 - a. იმ პირების მიმართ განხორციელებული ნაჩუქრობები, რომელთა მიმართაც მოანდერძე მორალური სტანდარტების მიხედვით ვალდებულია, თავისი სიცოცხლის განმავლობაში ან მისი გარდაცვალების შემდეგ მონაწილეობა მიიღოს ამ პირთა რჩენაში, რამდენადაც ეს ნაჩუქრობები შეიძლება მიჩნეულ იქნეს აღნიშნული ნატურალური ვალდებულების შედეგად და ისინი შეესაბამება მოანდერძის შემოსავლებსა და ქონებას;
 - b. ჩვეულებრივი ნაჩუქრობები, რამდენადაც ისინი გადაჭარბებული არ არის.
- 2. პარ. 1-ის ნორმები არ გამოიყენება 4:7 მუხლის პარ. 1-ის (i) პუნქტში მითითებული ნაჩუქრობების მიმართ.

მუხლი 4:70 ნაჩუქრობების ღირებულების სავალდებულო წილის ანგარიშში ჩათვლა

- 1. სავალდებულო მემკვიდრის მიმართ მოანდერძის მიერ განხორციელებული ნაჩუქრობების ღირებულება გამოიქვითება მისი სავალდებულო წილიდან.
- 2. წინა პარაგრაფის მიზნებისათვის, იმ შთამომავალზე განხორციელებული ნაჩუქრობები, ვინც გახდებოდა სავალდებულო მემკვიდრე, მას რომ მოანდერძეზე მეტი ხნით ეცოცხლა ანდა ის მიჩნეული ყოფილიყო უღირს მემკვიდრედ, ჩაითვლება ამ შთამომავლის სავალდებულო მემკვიდრეების მიმართ განხორციელებულ ნაჩუქრობებად მათი სავალდებულო წილების პროპორციულად.
- 3. ნაჩუქრობას უთანაბრდება ის, რასაც სავალდებულო მემკვიდრე იღებს ან რისი მიღებაც მას შეუძლია იმ სადაზღვევო პოლისის ფარგლებში არსებული თანხიდან, რომელიც, არ წარმოადგენს რა საპენსიო დაზღვევას, მოანდერძემ გააფორმა ამ სავალდებულო მემკვიდრის მიმართ ნაკისრი ნატურალური ვალდებულების შესრულების მიზნით და რომელიც ექვემდებარება გადახდას მოანდერძის გარდაცვალების დროს.

მუხლი 4:71 მემკვიდრეობის სამართლის ნორმების საფუძველზე მიღებულის სავალდებულო წილის ანგარიშში ჩათვლა

სავალდებულო მემკვიდრის მიერ მოანდერძის სამკვიდროდან მემკვიდრეობის სამართლის ნორმების საფუძველზე უკვე მიღებული ქონებრივი ღირებულება გამოიქვითება მისი სავალდებულო წილიდან.

მუხლი 4:72 მემკვიდრეობის მიღებაზე უარის შედეგი

- თუ სავალდებულო მემკვიდრემ უარი თქვა მემკვიდრეობის მიღებაზე, მაშინ ის ქონებრივი ღირებულება, რომლის მიღებაც მას როგორც მემკვიდრეს შეეძლო მოანდერძის სამკვიდროდან, გამოიქვითება მისი სავალდებულო წილიდან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:
- a. აქტივები მას დარჩა პირობით, ანდერძით დაკისრებული ვალდებულებით ანდა დანიშნული მმართველის მიერ ქონების მინდობით მართვის დადგენით, ან;
 - b. დადგინდა ერთი ან მეტი ლეგატი, რომლებიც უნდა შესრულდეს სავალდებულო მემკვიდრის მიერ

და მის ხარჯზე და რაც ავალდებულებს მას სხვა შესრულების განხორციელებას, ნაცვლად ფულადი თანხის გადახდისა თუ მოანდერძის სამკვიდროდან აქტივის საკუთრებაში გადაცემისა.

წინამდებარე მუხლის (ა) ან (ბ) პუნქტებით გათვალისწინებული გამონაკლების გასაჩივრების შესაძლებლობისათვის სავალდებულო მემკვიდრემ მემკვიდრეობის მიღებაზე უარი უნდა განაცხადოს მოანდერძის გარდაცვალებიდან სამი თვის განმავლობაში.

მუხლი 4:73 სავალდებულო მემკვიდრის მიერ ლეგატზე უარის შედეგი

– 1. მოანდერძის სამკვიდროდან კონკრეტული ფულადი თანხისა თუ აქტივების – მაგრამ არა სავალდებულო მოთხოვნების – სახით სავალდებულო მემკვიდრისათვის დადგენილი ლეგატის ღირებულება გამოიქვითება მისი სავალდებულო წილიდან, თუ მან უარი განაცხადა ამ ლეგატზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:

a. ლეგატი დადგინდა პირობით, ანდერძით დაკისრებული ვალდებულებით ანდა დანიშნული მმართველის მიერ ქონების მინდობით მართვის დადგენით;

b. ლეგატი დადგინდა ერთი ან მეტი ქველეგატის დადგენის პირობით, რომლებიც უნდა შესრულდეს სავალდებულო მემკვიდრის მიერ და მის ხარჯზე და რაც ავალდებულებს მას სხვა შესრულების განხორციელებას, ნაცვლად ფულადი თანხის გადახდისა ან;

c. ლეგატი ვადამოსული და შესასრულებელი (აღსრულებადი) ხდება მოანდერძის გარდაცვალებიდან არაუგვიანეს ექვსი თვისა, ანდა როდესაც სავალდებულო მემკვიდრე წარმოადგენს თანამემკვიდრეს, – ვადამოსული და შესასრულებელი (აღსრულებადი) ხდება მხოლოდ მოანდერძის სამკვიდროს განაწილების შემდეგ ან;

d. ლეგატი უნდა შესრულდეს ერთი ან მეტი სავალდებულო მემკვიდრის მიერ და მის ხარჯზე, რომლის წილებიც მოანდერძის სამკვიდროში არასაკმარისია ლეგატის შესრულებისათვის;

და მემკვიდრეობის მიღებაზე უარი გაცხადდა მოანდერძის გარდაცვალებიდან სამი თვის განმავლობაში.

– 2. იმ შემთხვევებში, როდესაც მოანდერძემ უარი უთხრა სავალდებულო მემკვიდრეს 4:125 მუხლის პარ. 2-ში მითითებულ უფლებებზე, მიუხედავად ამისა, ამ მემკვიდრეს მაინც შეუძლია უარი თქვას ლეგატზე მოანდერძის გარდაცვალებიდან სამი თვის განმავლობაში ლეგატის ღირებულების მისი სავალდებულო წილიდან გამოქვითვის შედეგის გარეშე.

მუხლი 4:74 სავალდებულო მემკვიდრისათვის თანხის ნაწილ-ნაწილ გადახდის ლეგატი

– 1. სავალდებულო მემკვიდრის მიმართ ნაწილ-ნაწილ გადასახდელი ფულადი თანხის ლეგატის ღირებულება მემკვიდრეობაზე უარის შემთხვევაში გამოიქვითება მისი სავალდებულო წილიდან იმ შემთხვევაში, თუ ანდერძში გათვალისწინებულია, რომ ასეთი განკარგულების გარეშე მოანდერძის პროფესიული თუ სამეწარმეო საქმიანობის გაგრძელება მნიშვნელოვნად შეფერხდება. მოანდერძის პროფესიულ თუ სამეწარმეო საქმიანობას უთანაბრდება იმ ღია კორპორაციისა (“naamloze vennootschap”) თუ დახურული კორპორაციის („besloten vennootschap“) საწარმო, რომლის დირექტორიც იყო მოანდერძე და რომელშიც ის დამოუკიდებლად ან სხვა დირექტორებთან ერთად ფლობდა წილთა უმრავლესობას.

– 2. როდესაც მოანდერძის მიერ ანდერძში გაუღერებული საფუძველი {ე. ი. პერიოდულად გადახდილი განკარგულების გარეშე საწარმოს საქმიანობის გაგრძელება მნიშვნელოვნად შეფერხდება} უსწორია, სავალდებულო მემკვიდრეს მოანდერძის გარდაცვალებიდან სამი თვის განმავლობაში შეუძლია განაცხადოს, რომ ის ითხოვს თანხის დაუყოვნებლივ ერთიანად გადახდას. იმ პირმა, ვინც მიუთითებს აღნიშნული საფუძველის სისწორეზე, უნდა დაამტკიცოს ეს ფაქტი. თუ გაცხადებული საფუძველი სწორია, თუმცა ის უშვებს უფრო ადრე გადახდას, ვიდრე ლეგატში გათვალისწინებული ნაწილ-ნაწილ გადახდების მომენტისა, სასამართლოს შეუძლია შეცვალოს ამ გაგებით ლეგატიდან გამომდინარე ვალდებულება.

– 3. თუ სავალდებულო მემკვიდრე მოანდერძის გარდაცვალებიდან სამი თვის განმავლობაში მოითხოვს იმას, რომ მემკვიდრეებმა, რომლებსაც ეკისრებათ ლეგატის შესრულება, წარადგინონ ნაკისრი ვალდებულების უზრუნველყოფა, მაშინ რაიონულ სასამართლოს შეუძლია დაადგინოს, რომ მათ ასეთი უზრუნველყოფა უნდა წარადგინონ სავალდებულო მემკვიდრის სასარგებლოდ. რაიონული სასამართლო განსაზღვრავს უზრუნველყოფის სახესა და იმ თანხის ოდენობას, რომლის საუზრუნველყოფადაც უნდა იქნეს ის წარდგენილი. როდესაც სასამართლოს მიერ დადგენილი უზრუნველყოფის წარდგენა არ ხდება სასამართლოს მიერ ამ მიზნით განსაზღვრულ ვადაში, ლეგატი სავალდებულო წილიდან არ გამოიქვითება იმ შემთხვევაში, როდესაც სავალდებულო მემკვიდრე საბოლოოდ უარს განაცხადებს მასზე.

მუხლი 4:75 მოანდერძის მიერ თავის ანდერძში დაკისრებული ქონების მინდობით მართვა (ანდერძით დაკისრებული ქონების მართვა)

– 1. ის ქონებრივი ღირებულება, რომლის მიღებასაც სავალდებულო მემკვიდრე შეძლებდა მემკვიდრეობის სამართლის ნორმების საფუძველზე და რომელიც ექვემდებარება მოანდერძის მიერ თავისი ანდერძით დადგენილ დანიშნული მმართველის მხრიდან ქონების მინდობით მართვას, – თვით მემკვიდრეობაზე უარის შემთხვევაშიც კი – გამოიქვითება მისი სავალდებულო წილიდან, თუ თავად ანდერძში მოცემული განცხადების შესაბამისად, ქონების მინდობით მართვა დადგინდა იმ საფუძველზე:

a. რომ სავალდებულო მემკვიდრე არაკომპეტენტური ან უუნაროა, განახორციელოს მის მიერ მიღებული აქტივების ადმინისტრირება (მართვა) ანდა;

b. რომ ქონების მინდობით მართვის გარეშე მიღებული აქტივებიდან სარგებელს ძირითადად სავალდებულო მემკვიდრის კრედიტორები მიიღებდნენ.

– 2. სავალდებულო მემკვიდრე, რომელმაც მიიღო მემკვიდრეობა ან ლეგატი, მოანდერძის გარდაცვალებიდან სამი თვის განმავლობაში უფლებამოსილია სადავოდ გახადოს გაცხადებული საფუძვლის სისწორე, როგორც ეს ანდერძში არის მითითებული; ასეთ შემთხვევაში იმ პირმა, ვინც მიუთითებს აღნიშნული საფუძვლის სისწორეზე, უნდა დაამტკიცოს ეს ფაქტი. თუ გაცხადებული საფუძველი სწორია, თუმცა ის არ ამართლებს მოანდერძის მიერ ქონების მინდობით მართვისათვის დადგენილ წესებს, მაშინ სასამართლოს შეუძლია შეცვალოს ეს წესები ან საერთოდაც ნაწილობრივ გააუქმოს ისინი.

– 3. თუ გაცხადებული საფუძველი უსწორია, მაშინ სავალდებულო მემკვიდრეს ერთი თვის განმავლობაში მას შემდეგ, რაც საფუძვლის უსწორობის დამდგენი სასამართლოს გადაწყვეტილება შევა კანონიერ ძალაში და გახდება მბოჭავი, შეუძლია წერილობით შეატყობინოს ქონების მმართველს იმის თაობაზე, რომ მას სურს თავისი სავალდებულო წილის ნაღდი ანგარიშსწორების წესით ანაზღაურება. რამდენადაც ეს ანაზღაურებისათვის არის აუცილებელი, ქონების მმართველი ახდენს მართვის ქვეშ არსებული აქტივების რეალიზაციას 4;147 მუხლის ნორმათა შესაბამისი გამოყენებით. დარჩენილ თანხას ის ანაზღაურებს იმ პირებზე, რომლებიც მიიღებდნენ ამ აქტივებს იმ შემთხვევაში, თუ სავალდებულო მემკვიდრე უარს განაცხადებდა მემკვიდრეობის ან ლეგატის მიღებაზე.

– 4. როდესაც მართვის ქვეშ არსებული აქტივები 4:70 მუხლის საფუძველზე გამოიქვითება სავალდებულო წილიდან, ხოლო იმ ანდერძში კი, რომლითაც მოხდა ქონების მინდობით მართვის დადგენა, გაცხადებულია პარ. 1-ში მითითებული საფუძველი, მაშინ შესაბამისად გამოიყენება პარ. 2 და 3-ის ნორმები. იმ შემთხვევაში, როდესაც ანდერძში არ არის გაცხადებული პარ. 1-ში მითითებული საფუძველი, სავალდებულო მემკვიდრეს თავისი სავალდებულო წილი ფულადი თანხის სახით შეუძლია მოითხოვოს პარ. 3-ში გათვალისწინებული პროცედურის თანახმად იმ პირობით, რომ პარ. 3-ში მითითებული განცხადება უნდა იქნეს წარდგენილი მოანდერძის გარდაცვალებიდან სამი თვის განმავლობაში.

– 5. სავალდებულო წილის ღირებულების განსაზღვრისას თავად დადგენილი ქონების მინდობით მართვა მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული, თუ გაცხადებული საფუძველი ცნობილ იქნა უსწოროდ და, მიუხედავად ამ უსწორობისა, სავალდებულო მემკვიდრე მაინც ახდენს მისთვის პარ. 3-ის პირველი წინადადების ნორმის მინიჭებული უფლების რეალიზაციას.

მუხლი 4:76 სავალდებულო წილის ღირებულების განსაზღვრისას კონკრეტული უზუფრუქტის უფლებები მხედველობაში არ მიიღება

იმ ღირებულების განსაზღვრისას, რაც 4:70 მუხლიდან 4:75 მუხლის ჩათვლით ნორმების შესაბამისად გამოიქვითა სავალდებულო წილიდან, ქონებაზე არსებული უზუფრუქტი მხედველობაში მიიღება როგორც ისეთი ელემენტი, რომელიც ამცირებს სავალდებულო წილის ღირებულებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქმე ეხება 4.3.1 ან 4.3.2. ქვეგანყოფილებების ნორმათა შესაბამისად დადგენილ უზუფრუქტს.

მუხლი 4:77 ვადების გახანგრძლივება

4:72 მუხლის, 4:73 მუხლის პარ. 1-ის წინადადების ბოლო ნაწილისა და პარ. 2-ის, 4:74 მუხლის პარ. 2 და 3-ისა და 4:75 მუხლის პარ. 2 და 4-ის ნორმებში მითითებული ვადები შეიძლება გახანგრძლივდეს რაიონული სასამართლოს მიერ რამდენჯერმდე კონკრეტული გარემოებების საფუძველზე თუნდაც იმ მომენტში, როდესაც ეს ვადა უკვე გასულია.

მუხლი 4:78 შემონმებისა და ინფორმაციის მიღების უფლება

– 1. სავალდებულო მემკვიდრე, რომელიც არ არის მონვეული მემკვიდრის სახით მოანდერძის სამკვი-

დროს მისაღებად, მემკვიდრეთა და მოანდერძის სამკვიდროს მართვაზე პასუხისმგებელ პერსონალურ წარმომადგენელთა მიმართ უფლებამოსილია შეამოწმოს ყველა ის დოკუმენტი, რომელიც მას ესაჭიროება თავისი სავალდებულო წილის ღირებულების განსაზღვრისათვის, და ასევე – მიიღოს ამ დოკუმენტების ზუსტი ასლი; თუ მას ეს სურს, მემკვიდრეებმა მას უნდა მიანოდონ აღნიშნულისათვის საჭირო ყოველგვარი ინფორმაცია.

– 2. სავალდებულო მემკვიდრის მოთხოვნის საფუძველზე, რაიონულ სასამართლოს შეუძლია გამოიძახოს სასამართლოში ერთი ან რამდენიმე მემკვიდრე და მოანდერძის სამკვიდროს მართვაზე პასუხისმგებელი ერთი ან რამდენიმე პერსონალური წარმომადგენელი იმისათვის, რომ მან ფიცის ქვეშ განმცხადებლის (სავალდებულო მემკვიდრის) თანდასწრებით დაადასტუროს სამკვიდროს ქონების ინვენტარიზაციის სისწორე.

ქვეგანყოფილება 4.4.3.3 – სავალდებულო წილის რეალიზაცია

მუხლი 4:79 ერთობლივი მემკვიდრეების ან დასაჩუქრებულის მიმართ არსებული მოთხოვნა

თავის სავალდებულო წილთან დაკავშირებით სავალდებულო მემკვიდრეს შეუძლია შეიძინოს მოთხოვნა:

a. მოანდერძის ერთობლივი მემკვიდრეებისა თუ მეუღლის მიმართ: 4:80 მუხლის პარ. 1-ის შესაბამისად თავისი სავალდებულო წილის მოთხოვნის გზით ან;

b. დასაჩუქრებულის მიმართ: 4:89 მუხლის შესაბამისად განხორციელებული ნაჩუქრობების შემცირების გზით.

მუხლი 4:80 სავალდებულო მემკვიდრეთა სავალო მოთხოვნისათვის პასუხისმგებელი პირები

– 1. სავალდებულო მემკვიდრე, რომელიც ითხოვს თავის სავალდებულო წილს, 4:70 მუხლიდან 4:76 მუხლის ჩათვლით ნორმების საფუძველზე მისთვის გადასახდელი თანხების ანგარიშში იძენს ფინანსურ სავალო მოთხოვნას ერთობლივი მემკვიდრეების მიმართ, ხოლო თუ მოანდერძის სამკვიდრო განაწილდა 4:13 მუხლის შესაბამისად, – მოანდერძის მეუღლის მიმართ, რომელსაც თავისი მემკვიდრის სახით ტოვებს მოანდერძე.

– 2. მემკვიდრეებსა და 4:13 მუხლის შესაბამისად სამკვიდროს განაწილების შემდეგ კი, – მეუღლეს არ ეკისრებათ სავალდებულო მემკვიდრეთა სავალო მოთხოვნის დაკმაყოფილების ვალდებულება იმდენად, რამდენადაც ის საერთო ჯამში აღემატება მოანდერძის სამკვიდროს ღირებულებას; იმ ოდენობით, რა ოდენობითაც ეს აუცილებელია, სავალო მოთხოვნა შემცირდება პროპორციულად. „სამკვიდროს ღირებულება“ გულისხმობს მოანდერძის სამკვიდროს აქტივების ღირებულებას, რომელსაც აკლდება სამკვიდროს ვალები, როგორც ეს მითითებულია 4:7 მუხლის პარ. 1-ის (a) პუნქტის, (b) პუნქტის, (c) პუნქტისა და (f) პუნქტის ჩათვლით ნორმებში.

მუხლი 4:81 მომენტი, როდესაც სავალდებულო მემკვიდრის სავალო მოთხოვნა ხდება ვადამოსული და შესასრულებელი (აღსრულებადი)

– 1. სავალდებულო მემკვიდრის სავალო მოთხოვნა არ ხდება ვადამოსული და შესასრულებელი (აღსრულებადი) მოანდერძის გარდაცვალებიდან ექვსი თვის გასვლამდე.

– 2. თუ მოანდერძის სამკვიდრო განაწილდა 4:13 მუხლის შესაბამისად, მაშინ იმ ოდენობით, რა ოდენობითაც ეს აუცილებელია, თუნდაც პარ. 1-ის ნორმათა საწინააღმდეგოდ, სავალო მოთხოვნა ვადამოსული და შესასრულებელი (აღსრულებადი) ხდება როგორც კი:

a. თუ მეუღლე გაკოტრდება ან ვარდება ფიზიკური პირებისათვის არსებული ვალების დაფარვის სქემაში;

b. მეუღლე გარდაიცვლება.

რამდენადაც სავალდებულო მემკვიდრის სავალო მოთხოვნის დაკმაყოფილება ხდება იმ ლეგატის ხარჯზე, რომელიც დადგინდა სხვა პირისათვის, ნაცვლად მეუღლისა, პირველი წინადადების ნორმას არასოდეს ექნება ის შედეგი, რომ სავალო მოთხოვნა ვადამოსული და შესასრულებელი (აღსრულებადი) გახდეს პარ. 1-დან გამომდინარე თარიღზე უფრო გვიან.

– 3. სავალო მოთხოვნა არ ხდება ვადამოსული და შესასრულებელი (აღსრულებადი) მანამდე, სანამ მოანდერძის სამკვიდროს აქტივები ჯერ კიდევ შეიძლება დაიტვირთოს უზუფრუქტით 4:29 ან 4:30 მუ-

ხლების შესაბამისად. პირველი წინადადების მიზნებისათვის, 4:31 მუხლის პარ. 4-ის პირველი წინადადება მხედველობაში არ მიიღება.

– 4. მანამდე, სანამ 4:29 და 4:30 მუხლების შესაბამისად სახეზეა უზუფრუქტი, სავალო მოთხოვნა არ ხდება ვადამოსული და შესასრულებელი (აღსრულებადი) იმდენად, რამდენადაც ამ მოთხოვნისათვის პასუხისმგებელია მეუღლე. თუმცა, სავალო მოთხოვნა ხდება ვადამოსული და შესასრულებელი (აღსრულებადი), როგორც კი მეუღლე გაკოტრდება ან ვარდება ფიზიკური პირებისათვის არსებული ვალების დაფარვის სქემაში, რამდენადაც მეუღლე პასუხისმგებელია აღნიშნული სავალო მოთხოვნისათვის.

– 5. რამდენადაც სავალო მოთხოვნიდან გამომდინარე პასუხისმგებელი არიან სხვა პირები, ნაცვლად მეუღლისა, სავალდებულო მემკვიდრეს – მანამდე, სანამ 4:29 და 4:30 მუხლების შესაბამისად სახეზეა უზუფრუქტი – თითოეული ამ პირისაგან შეუძლია მოითხოვოს სავალო მოთხოვნიდან გამომდინარე მხოლოდ იმ თანხის ნაწილის გადახდა, რაც შეესაბამება მოანდერძის უზუფრუქტით დაუტვირთავ სამკვიდროს აქტივებში თითოეული ამ პირის წილს.

– 6. როდესაც 4:80 მუხლის პარ. 1-ში მითითებული სავალდებულო მემკვიდრის სავალო მოთხოვნა გახდა ვადამოსული და შესასრულებელი (აღსრულებადი) იმის გამო, რომ მეუღლე აღმოჩნდა ფიზიკური პირებისათვის არსებული ვალების დაფარვის სქემაში, მაშინ მანამდე, სანამ ეს მოთხოვნა გადაუხდელი რჩება, ის არ ხდება ვადამოსული და შესასრულებელი (აღსრულებადი) კვლავ, როდესაც ფიზიკური პირებისათვის არსებული ვალების დაფარვის სქემის მოქმედება დასრულდა თანახმად გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ კანონის 356-ე მუხლის პარ. 2-ის ნორმებისა. სავალდებულო მემკვიდრის სავალო მოთხოვნის მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ კანონის 358-ე მუხლის პარ. 1-ის ნორმები არ გამოიყენება.

მუხლი 4:82 შესრულების მოთხოვნის დაუშვებლობის შესახებ დათქმა

მოანდერძეს თავის ანდერძში შეუძლია გაითვალისწინოს პირობა, რომლის თანახმადაც სავალდებულო მემკვიდრის მოთხოვნა, რამდენადაც ის უნდა დაკმაყოფილდეს მეუღლის ხარჯზე, ვადამოსული და შესასრულებელი (აღსრულებადი) ხდება მხოლოდ მეუღლის გარდაცვალების შემდეგ; ასეთი პირობა შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს მხოლოდ იმ მეუღლის სასარგებლოდ, ვისთანაც მოანდერძე არ იმყოფება განცალკევებით ცხოვრების რეჟიმში. ზემოაღნიშნულ წინადადებაში მითითებული პირობის გათვალისწინება შესაბამისი გზით შესაძლებელია მოანდერძის ცხოვრების სხვა თანამგზავრის სასარგებლოდ განხორციელებული განკარგვისათვის იმ პირობით, რომ ეს უკანასკნელი მოანდერძესთან ენეოდა საერთო მეურნეობას და მოანდერძემ დადო თანაცხოვრების შესახებ ხელშეკრულება, რომელიც დოკუმენტურად გაფორმდა სანოტარო აქტში.

მუხლი 4:83 სხვა გარემოებები, რომლებიც ახდენს ზედავლენას იმ მომენტზე, როდესაც სავალო მოთხოვნა ხდება ვადამოსული და შესასრულებელი (აღსრულებადი)

იმ ფარგლებში, რომლებშიც სავალდებულო მემკვიდრის სავალო მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს მოანდერძის მეუღლის ან მისი ცხოვრების თანამგზავრის ხარჯზე, როგორც ეს მითითებულია 4:83 მუხლის მეორე წინადადებაში, მოანდერძეს თავის ანდერძში შეუძლია განსაზღვროს სხვა გარემოებები, გარდა 4:81 მუხლის პარ. 2-სა და 4:82 მუხლში მოცემულისა, რომლებიც ზედავლენას მოახდენს იმ მომენტზე, როდესაც სავალო სავალდებულო მემკვიდრის სავალო მოთხოვნა ხდება ვადამოსული და შესასრულებელი (აღსრულებადი).

მუხლი 4:84 სავალდებულო მემკვიდრის სავალო მოთხოვნაზე პროცენტი

სავალდებულო მემკვიდრის სავალო მოთხოვნა იზრდება საპროცენტო განაკვეთით, თუმცა – მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც – და ასევე იმ ფარგლებში, რომლებშიც – კანონისმიერი საპროცენტო განაკვეთი აღემატება 6%-ს იმ პირობით, რომ პროცენტი ასეთ შემთხვევაში გამოითვლება წელიწადში ერთხელ იმ დღიდან, როდესაც სავალდებულო მემკვიდრემ მოითხოვა თავისი სავალდებულო წილი და ასევე – იმ პირობით, რომ პროცენტის გამოთვლა ყოველ ჯერზე უნდა მოხდეს მხოლოდ და მხოლოდ ძირითადი თანხიდან.

მუხლი 4:85 სავალდებულო მემკვიდრის მოთხოვნის კანონისმიერი ზღვრული ვადა

– 1. სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლება უქმდება, თუკი სავალდებულო მემკვიდრემ დაინტერესებული მხარის მიერ ამ მიზნით დადგენილი გონივრული ვადის განმავლობაში, თუმცა, მოანდერძის

გარდაცვალებიდან არაუმეტეს ხუთი წლისა, ნათლად არ განაცხადა იმის შესახებ, რომ მას სურს თავისი სავალდებულო წილის მიღება.

– 2. თუ მოანდერძის გარდაცვალებიდან ცხრა თვის განმავლობაში ჯერ კიდევ არ არის დადგენილი, თუ რა ფარგლებში მოითხოვს მისი მეუღლე უზუფრუქტს 4:30 მუხლის შესაბამისად, მაშინ სავალდებულო მემკვიდრის მოთხოვნის ეს ნაწილი უქმდება იმდენად, რამდენადაც ის უნდა დაკმაყოფილდეს მეუღლის მიერ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნულ ვადაში სავალდებულო მემკვიდრემ მეუღლის მიმართ ნათლად განაცხადა იმის თაობაზე, რომ მას სურს თავისი სავალდებულო წილის მიღება. აღნიშნული ვადის მიმართ შესაბამისად გამოიყენება 4:77 მუხლის ნორმები.

მუხლი 4:86 მოანდერძის გარდაცვალებიდან პრეზუმცია

როდესაც სამოქალაქო კოდექსის 1.18.2 ან 1.18.3 განყოფილებების ნორმები გამოიყენება გარდაცვლილი მოანდერძის მიმართ, 4:81 მუხლის პარ. 1-სა და 4:85 მუხლის პარ. 1 და 2-ის ნორმებში მითითებული ვადები აითვლება იმ დღიდან, როდესაც სამოქალაქო კოდექსის 1:417 მუხლის პარ. 1-სა თუ 1:427 მუხლის პარ. 1-ში ნორმებში მითითებული სასამართლოს დადგენილება შედის კანონიერ ძალაში და ხდება მზოჭავი.

მუხლი 4:87 ვალების შემცირების რიგითობა

– 1. სავალდებულო მემკვიდრეთათვის ვალების დაფარვა, უპირველეს ყოვლისა, ხდება სამკვიდრო ქონების იმ ნაწილის ხარჯზე რომლის მიმართაც მოანდერძემ კონკრეტულად არ მოახდინა განკარგვა თავის ანდერძში დანიშნული მემკვიდრისა თუ ლეგატარის სასარგებლოდ. ამასთან, მემკვიდრეობის უფლებამოსილებით მემკვიდრისათვის ვალის გადახდა, რომელიც მაინც ითხოვს თავისი სავალდებულო წილის მიღებას, თუმცაღა რომელსაც სამკვიდროში ცვლიან მისი შთამომავლები წარმომადგენლობის უფლების საფუძველზე, უპირველეს ყოვლისა, იფარება სამკვიდროში ამ შთამომავლების წილების ხარჯზე გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოანდერძის ანდერძიდან სხვაგვარი შედეგი გამომდინარეობს.

– 2. თუ პარ. 1-ის ნორმების შესაბამისად განხორციელებული შემცირება არასაკმარისია სავალდებულო მემკვიდრეთათვის სავალდებულო მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის, მაშინ მემკვიდრეებისა და ლეგატარებისათვის გაკეთებული საანდერძო განკარგულებები ექვემდებარება შემცირებას. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოანდერძის ანდერძიდან სხვაგვარი შედეგი გამომდინარეობს, მემკვიდრეობით გადაცემული ყველა წილი და ლეგატი შემცირდება პროპორციულად მათი ღირებულებისა იმ პირობით, რომ – რამდენადაც საანდერძო განკარგულება მიიჩნევა მოანდერძის ნატურალური ვალდებულების შესრულების საშუალებად – ის მხედველობაში მიიღება მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოხდება სხვა საანდერძო განკარგულებების შემცირება.

– 3. მოანდერძის სამკვიდროს ნაწილი, რაზეც უფლებამოსილია სხვა სავალდებულო მემკვიდრე და რომელიც არ აღემატება მის სავალდებულო წილს, – პარ. 1 და 2-ში გათვალისწინებული წესებიდან გადახვევით – შეიძლება შემცირდეს მხოლოდ უკანასკნელ მომენტში. ასეთ შემთხვევაში აღნიშნული ნაწილის შემცირება უნდა მოხდეს სავალდებულო მემკვიდრის იმ სავალდებულო მოთხოვნის გამოქვითვის შემდეგ, რომლისათვისაც ეს კონკრეტული შემცირება უნდა განხორციელდეს, და, ამავე დროს, აღნიშნული ხორციელდება იმგვარად, რომ ორივე სავალდებულო მემკვიდრე საბოლოოდ შეიძენს მათი სავალდებულო წილების შესაბამის იმავე პროპორციულ ნაწილს.

– 4. ლეგატის შემცირება ხორციელდება ლეგატარის მიმართ იმ მემკვიდრეთა მიერ წარდგენილი განცხადებით, რომლებსაც ეკისრებათ სავალდებულო მემკვიდრეთა სავალდებულო მოთხოვნების დაფარვა, ხოლო თუ მოანდერძის სამკვიდრო ქონება უკვე გაიყო და განაწილდა 4:13 მუხლში გათვალისწინებული წესის შესაბამისად, – მოანდერძის მეუღლის მიერ. შესაბამისად გამოიყენება 4:120 მუხლის პარ. 4-ის მეორე წინადადების ნორმები.

– 5. რამდენადაც სავალდებულო მემკვიდრის მიმართ ვალი უნდა დაიფაროს სამკვიდროში მოანდერძის მეუღლის ან ცხოვრების სხვა თანამგზავრის წილიდან, ხოლო ის მომენტი კი, როდესაც ეს ვალი ვადამოსული და შესასრულებელი (აღსრულებადი) გახდება, ჯერ კიდევ უნდა განისაზღვროს 4:81 მუხლის პარ. 2-ის, 4:82 მუხლისა თუ 4:83 მუხლის ნორმების საფუძველზე, მეუღლე ან ცხოვრების თანამგზავრი პასუხისმგებელია მთელი თავისი ქონებით თუნდაც იმ შემთხვევაში, თუ მან მიიღო თავისი მემკვიდრეობა იმ პირობით, რომ გარდაცვლილის სამკვიდროს აქტივების ღირებულება გადააჭარბებს მის ვალს.

– 6. რამდენადაც სავალდებულო მემკვიდრის მიმართ ვალი უნდა დაიფაროს იმ ლეგატიდან, რომე-

ლიც მოანდერძემ დაუდგინა თავის მეუღლესა თუ ცხოვრების სხვა თანამგზავრს 4:82 თუ 4:83 მუხლების ნორმებში მითითებული პირობის შენარჩუნებით, მაშინ ეს ვალი იმავე პირობით დაეკისრება მეუღლესა თუ ცხოვრების სხვა თანამგზავრს ამ უკანასკნელთა სახელით ლეგატის აღსრულებისთანავე და ასევე – პარ. 4-ის ნორმების შესაბამისად განცხადების წარდგენისთანავე.

– 7. წინამდებარე მუხლის მიზნებისათვის ანდერძით დაკისრებული ვალდებულება, რომელიც აუცილებლად გულისხმობს ფულადი თანხისა თუ აქტივების მოანდერძის სამკვიდროდან გადაცემას, უთანაბრდება ლეგატს.

მუხლი 4:88 გადასახადების გადახდა

რამდენადაც სავალდებულო მემკვიდრის სავალო მოთხოვნა არ არის ვადამოსული და შესასრულებელი (აღსრულებადი) 4:81 მუხლის პარ. 2-ის ნორმებთან ან 4:82 მუხლში მოცემულ პირობასთან დაკავშირებით, 4:82 მუხლში მითითებული მეუღლე ან ცხოვრების თანამგზავრი ვალდებულია გადაიხადოს გადასახადი, რომლის გადახდევინებაც ხდება სავალდებულო მემკვიდრისათვის მისი სავალო მოთხოვნის შექმნისათვის, თუ ეს უკანასკნელი ამას ითხოვს. სავალდებულო მემკვიდრის სავალო მოთხოვნა მცირდება იმ თანხით, რომლის გადახდაც ხდება მის სასარგებლოდ პირველი წინადადების ნორმის შესაბამისად.

მუხლი 4:89 ნაჩუქრობების შემცირება

– 1. თუ ის აქტივი, რაც სავალდებულო მემკვიდრეს შეუძლია შეიძინოს მისი სავალო მოთხოვნის საფუძველზე, როგორც ეს მითითებულია 4:81 მუხლის პარ. 1-ის ნორმებში, არასაკმარისია მისთვის საკუთარი სავალდებულო წილის გადაცემისათვის, მაშინ ამ მემკვიდრეს შეუძლია შეამციროს ის ნაჩუქრობები, რომლებიც ექვემდებარება ასეთ შემცირებას, რამდენადაც ისინი მისი სავალდებულო წილისათვის საზიანოა. პირველ წინადადებაში მითითებული სავალო მოთხოვნის განსაზღვრისათვის მხედველობაში მიიღება 4:80 მუხლის პარ. 2-სა და 4:87 მუხლის პარ. 3-ის ნორმებით გათვალისწინებული ნებისმიერი შესაძლო შემცირება. მხედველობაში არ მიიღება 4:87 მუხლში მითითებული თანხის დარიცხული პროცენტით ზრდა, ისევე როგორც – სავალო მოთხოვნის ის ნაწილი, რომელიც გაუქმდა 4:85 მუხლის ნორმათა მოქმედების გამო.

– 2. 4:67 მუხლში მითითებული ნაჩუქრობები შეიძლება შემცირდეს.

– 3. საჩუქარი ექვემდებარება შემცირებას მხოლოდ იმდენად, რამდენადაც სავალდებულო მემკვიდრეს არ შეუძლია თავისი სავალდებულო წილის შექმნა უფრო ახალი ნაჩუქრობების შემცირების გზით. ის ნაჩუქრობები, რომელთაგანაც სრული სარგებლის მიღება მოხდება მხოლოდ მოანდერძის გარდაცვალების შემდეგ, მხედველობაში მიიღება როგორც მოანდერძის გარდაცვალების მომენტში განხორციელებული ნაჩუქრობები.

მუხლი 4:90 ნაჩუქრობების შემცირების განხორციელება

– 1. ნაჩუქრობების შემცირება ხორციელდება დასაჩუქრებულის განცხადებით. ამ უკანასკნელმა უნდა აუნაზღაუროს სავალდებულო მემკვიდრეს საჩუქრის შემცირებული ნაწილის ღირებულება იმდენად, რამდენადაც ეს არაგონივრული არ არის ვითარების ყველა გარემოების გათვალისწინებით.

– 2. საჩუქრის შემცირება დაუშვებელია, რამდენადაც ეს იწვევს სხვა სავალდებულო მემკვიდრის სავალდებულო წილის შემცირებას.

– 3. სავალდებულო მემკვიდრის უფლება, შეამციროს ნაჩუქრობები უქმდება დასაჩუქრებულის მიერ ამ მიზნით დადგენილი გონივრული ვადის გასვლისთანავე, თუმცა – მოანდერძის გარდაცვალებიდან არაუგვიანეს ხუთი წლისა.

მუხლი 4:91 გერები და სავალდებულო წილები

– 1. თუ მოანდერძემ მოახდინა საანდერძო განკარგულება ან ნაჩუქრობა გერის მიმართ, მაშინ – მიუხედავად 4:80 მუხლიდან 4:89 მუხლის ჩათვლით ნორმებისა – ასეთი საანდერძო განკარგულებები ან ნაჩუქრობები არ შემცირდება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გერის მიერ მიღებული ღირებულება ორჯერ აღემატება იმ ღირებულებას, რაც იქნებოდა შვილის სავალდებულო წილი, მოანდერძისაგან სარგებლის მიმღები გერები მისი საკუთარი შვილები რომ ყოფილიყვნენ. პირველ წინადადებაში მითითებული ღირებულება იზრდება იმ ღირებულებით, რაც უთანაბრდება 4:70 მუხლის პარ. 3-ის ნორმებით გათვალისწინებულ ჩუქებას.

– 2. 4:80 მუხლში მითითებული სავალდებულო მემკვიდრის სავალო მოთხოვნა მცირდება იმდენად, რამდენადაც მისი შემცირება შეუძლებელია 4:89 მუხლის შესაბამისად პარ. 1-ის ნორმათა მოქმედების შედეგად.

– 3. მოანდერძეს თავის ანდერძში ანდა ჩუქების ხელშეკრულების დადებისას შეუძლია გაითვალისწინოს პარ. 1-ის ნორმათა მოქმედების სრულად ან ნაწილობრივ გამორიცხვის შესაძლებლობა.

მუხლი 4:92 სავალდებულო მემკვიდრის უფლებების (უფლებამოსილებების) რეალიზაცია

– 1. სავალდებულო მემკვიდრის გარდაცვალების შემდეგ მისი უფლებების (უფლებამოსილებების) რეალიზაცია შეუძლიათ სამკვიდროს მიღებაზე უფლებამოსილ პირებს.

– 2. როდესაც სავალდებულო მემკვიდრე გაკოტრდება ან ვარდება ფიზიკური პირებისათვის არსებული ვალების დაფარვის სქემაში, მისი უფლებები (უფლებამოსილებები) შეიძლება განხორციელდეს სასამართლოს მიერ დანიშნული ლიკვიდატორის („faillissementscurator“) ან, შესაბამისად, – სასამართლოს მიერ დანიშნული იურიდიული მმართველის („bewindvoerder“) მიერ.

– 3. სავალდებულო მემკვიდრის უფლებების (უფლებამოსილებების) გადაცემა შესაძლებელია გარდაცვლილი მოანდერძის სამკვიდროში მემკვიდრეობის წილთან ერთად.

განყოფილება 4.4.4 – ანდერძის ფორმა

მუხლი 4:93 ერთ აქტში მოცემული ერთი მოანდერძის ანდერძი

ერთი და იგივე აქტის სახით ორი ან მეტი მოანდერძის მიერ შედგენილი ანდერძი ბათილია.

მუხლი 4:94 სანოტარო ანდერძი ან საკუთარი ხელით შესრულებული ანდერძი

გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია 4:97 მუხლიდან 4:107 მუხლის ჩათვლით ნორმებში, ანდერძი შეიძლება შედგეს მხოლოდ სანოტარო აქტის ან იმ კერძო აქტის სახით (საკუთარი ხელით შესრულებული ანდერძი), რომელიც შესაძლებელია გადაეცემა ნოტარიუსს.

მუხლი 4:95 საკუთარი ხელით შესრულებული ანდერძი (კერძო აქტის სახით შედგენილი ანდერძი)

– 1. იმ პირს, რომელსაც არ შეეძლო წაეკითხა თავისი ანდერძი წერა-კითხვის უცოდინრობისა თუ სხვა მიზეზის გამო, არ შეუძლია ანდერძის საკუთარი ხელით შესრულება (ანდერძის კერძო აქტის სახით შედგენა).

– 2. საკუთარი ხელით შესრულებული ანდერძი (კერძო აქტის სახით შედგენილი ანდერძი) უნდა იქნეს ხელმოწერილი მოანდერძის მიერ პირადად. როდესაც საკუთარი ხელით შესრულებული ანდერძი (კერძო აქტის სახით შედგენილი ანდერძი) შეიცავს ერთზე მეტ გვერდს და ის დაწერილია სხვა პირის მიერ, ნაცვლად პირადად მოანდერძისა ანდა ის შესრულებულია მექანიკური საშუალებებით, მაშინ თითოეული გვერდი უნდა დაინომროს და დამონმდეს მოანდერძის ხელმოწერით.

– 3. საკუთარი ხელით შესრულებული ანდერძი (კერძო აქტის სახით შედგენილი ანდერძი) მოანდერძის მხრიდან უნდა გადაეცეს ნოტარიუსს. ამ დროს მოანდერძემ უნდა განაცხადოს, რომ წარმოდგენილი კერძო აქტი შეიცავს მის ანდერძს და რომ წინა პარაგრაფის ნორმათა მოთხოვნები დაკმაყოფილებულია. როდესაც კერძო აქტი წარმოდგენილია დახურულ კონვერტსა თუ სხვა დახურული ფორმით, მოანდერძემ ასევე მისი ნოტარიუსისათვის გადაცემის დროს უნდა განაცხადოს, რომ ეს აქტი უნდა გაიხსნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი გარდაცვალების დღეს შესრულება კონკრეტული პირობები.

– 4. ნოტარიუსი ადგენს მოანდერძის განცხადებებისა და ანდერძის შენახვის აქტს, რომელსაც ხელი უნდა მოაწერონ მოანდერძემ და ნოტარიუსმა.

– 5. თუ მოანდერძე აცხადებს, რომ მას თავად არ შეუძლია ხელი მოაწეროს ზემოაღნიშნული შენახვის სანოტარო აქტს იმ კონკრეტული გარემოებების გამო, რომლებსაც ადგილი ჰქონდა მის მიერ იმ კერძო აქტის ხელმოწერის შემდეგ, რომელიც შეიცავს მისი ხელით შესრულებულ ანდერძს, მაშინ ეს განცხადება ცვლის მის ხელმოწერას ამ ანდერძის შენახვის სანოტარო აქტზე იმ პირობით, თუ ის შეიტანება ამ სანოტარო აქტში.

– 6. საკუთარი ხელით შესრულებული ანდერძი (კერძო აქტის სახით შედგენილი ანდერძი) უნდა იქნეს შენახული იმ ნოტარიუსთან, რომელმაც მიიღო ანდერძის შემცველი აქტი.

მუხლი 4:96 მტკიცების ტვირთი

იმ პირს, ვინც სადავოდ ხდის ნოტარიუსისათვის შესანახად გადაცემული საკუთარი ხელით შესრულებულ ანდერძს (კერძო აქტის სახით შედგენილ ანდერძს) იმ საფუძვლით, რომ მოანდერძემ არ მოანერა ხელი ან პირადად არ დაწერა კერძო აქტი ანდა – რომ მოანდერძემ არ დაამონმა მისი გვერდები თავისი პირადი ხელმოწერით, ეკისრება აღნიშნულის მტკიცების ტვირთი.

მუხლი 4:97 ანდერძის დანართი

შემდეგი საანდერძო განკარგულებები შეიძლება გაკეთდეს დოკუმენტის მეშვეობით რაიმე დამატებითი ფორმალური მოთხოვნების გარეშე იმ პირობით, რომ მოანდერძემ ეს დოკუმენტი სრულად დაწერა ხელით და ის დათარიღებული და ხელმოწერილია მის მიერ პირადად:

a. ლეგატის დადგენა:

1°. ტანსაცმელსა და განსაზღვრულ პირად ძვირფასეულობაზე

2°. განსაზღვრულ საყოფაცხოვრებო ნივთებსა და ნივნებზე;

b. განკარგულება, რომლის თანახმადაც (a) პუნქტში მითითებული აქტივები უნდა დარჩეს ლეგატარსა და მის მეუღლეს შორის არსებული საერთო საკუთრების მიღმა;

c. საავტორო უფლებათა შესახებ კანონის 25-ე მუხლის მეორე და მეოთხე პარაგრაფსა და ინტერექტუალური საკუთრების მომიჯნავე უფლებათა შესახებ კანონის მე-5 მუხლის მეორე პარაგრაფში მითითებული პირის დანიშვნა.

მუხლი 4:98 „საგანგებო ანდერძი“

– 1. ჯარისკაცები და შეიარაღებული ძალების სხვა პირები ომისა თუ სამოქალაქო ომის შემთხვევაში ანდერძს ადგენენ შეიარაღებული ძალების ოფიცრის წინაშე.

– 2. ჯარისკაცებსა და შეიარაღებული ძალების სხვა პირებს შეუძლიათ ასევე სხვა ვითარებაში, გარდა ომისა თუ სამოქალაქო ომისა, შეადგინონ ანდერძი იმავე წესით, როგორც ეს მითითებულია წინა პარაგრაფში იმ პირობით, რომ ისინი მიეკუთვნებიან შეიარაღებული ძალების იმ ნაწილს, რომელიც დანიშნულია:

a. სამხედრო ექსპედიციაში მონაწილეობის მიღებისათვის;

b. მტრის ჯარის წინააღმდეგ ბრძოლისათვის;

c. სახელმწიფოს ნეიტრალიტეტის დაცვისათვის;

d. კოლექტიურ თუ ინდივიდუალურ საწყისებზე თავდაცვის ოპერაციაში მონაწილეობის მიღებისათვის ანდა – საერთაშორისო წესრიგისა და უსაფრთხოების შენარჩუნებისა თუ აღდგენისათვის ან;

e. ამბოხისა და აჯანყებების შემთხვევაში კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების ბრძანების შესრულებისათვის.

– 3. წინა პარაგრაფის მიზნებისათვის ოფიცერი სამხედრო ტყვეობის განმავლობაში შეიძლება შეიცვალოს სერჟანტით.

– 4. ოფიცრებსა და სერჟანტებს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლიათ ითანამშრომლონ ანდერძის შედგენასთან დაკავშირებით, როდესაც მოანდერძე ვერ ახერხებს კომპეტენტურ ნოტარიუსთან ან საკონსულოს თანამშრომელთან დაკავშირებას. ამ ნორმის შეუსრულებლობა ანდერძის ნამდვილობაზე გავლენას არ ახდენს.

მუხლი 4:99 {გაუქმებულია 01.05.2004წ.}

მუხლი 4:100 საგანგებო ანდერძის შედგენის შესაძლებლობის შეწყვეტა

– 1. ანდერძის შედგენის შესაძლებლობა, როგორც ეს გათვალისწინებულია 4:98 მუხლის პარ. 1-ში, არსებობს მანამდე, სანამ მეფე (მთავრობა) არ განაცხადებს იმის შესახებ, რომ წინამდებარე ნორმის მიზნისათვის ომი ან სამოქალაქო ომი შეწყვეტილად უნდა იქნეს მიჩნეული.

– 2. ანდერძის შედგენის შესაძლებლობა, როგორც ეს გათვალისწინებულია 4:98 მუხლის პარ. 1-ში, არსებობს ასევე მანამდე, სანამ არ გაკეთდება განცხადება მეფის სამთავრობო ბრძანებაში მითითებული წესით, მათ შორის, – განცხადება შეიარაღებული ძალების შესაბამისი ნაწილის მისიის დასრულების შესახებ.

მუხლი 4:101 საზღვაო ხომალდი და საჰაერო ხომალდი

იმ პირებს, რომლებიც მოგზაურობისას იმყოფებიან საზღვაო ან საჰაერო ხომალდებზე, ანდერძის შედგენა შეუძლიათ კაპიტანის ან მფრინავის წინაშე, ასევე – პირველი ოფიცრის წინაშე, ხოლო თუ ასეთი პიროვნება სახეზე არ არის, მაშინ იმ პირის წინაშე, ვინც იკავებს მის ადგილს.

მუხლი 4:102 იზოლირებული გეოგრაფიული არეალები

იმ არეალებში (ტერიტორიებზე), სადაც შეუძლებელია ნოტარიუსთან ან საკონსულოს კომპეტენტურ თანამშრომელთან დაკავშირება აკრძალვისა თუ კატასტროფების, კრიზისების, საომარი მოქმედებების წარმოების, გადამდები ავადმყოფობებისა თუ სხვა საგანგებო გარემოებების გამო, დასაშვებია ანდერძის შედგენა ჰოლანდიის საკონსულოს თანამშრომლის წინაშე იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ის არ არის შესაბამისი კომპეტენციის მქონე კანონის სტანდარტული ნორმების თანახმად, ანდა – მერის, მუნიციპალიტეტის მდივნისა თუ საქალაქო საბჭოს კოლეგიის, უმცროსი ნოტარიუსის, ადვოკატის, შეიარაღებული ძალების ოფიცერის, სათემო ან რეგიონალური სახანძრო დეპარტამენტისა თუ იმ სახელმწიფო მოხელის წინაშე, რომელიც უფლებამოსილად არის გამოცხადებული იუსტიციის მინისტრის მიერ.

მუხლი 4:103 საგანგებო ანდერძის ფორმა

– 1. 4:98, 4:101 და 4:102 მუხლებში მითითებული ანდერძები იდება ორი მოწმის თანდასწრებით. ანდერძები ფორმდება წერილობით სათანადო პროცედურის დაცვით და ისინი ხელმოწერილ უნდა იქნეს მოანდერძის, მოწმეებისა და ასევე – იმ პირის მიერ, ვის წინაშეც იდება ანდერძის შემცველი აქტი.

– 2. მოწმეები უნდა იყვნენ სრულწლოვანი პირები და ისინი უნდა ფლობდნენ იმ ენას, რა ენაზეც შედგა ანდერძი. 4:98 და 4:102 მუხლებში მითითებულ შემთხვევებში, არ არის აუცილებელი მოწმეები იყვნენ სრულწლოვანი პირები, თუ საქმე ეხება იმ ჯარისკაცებს, რომლებიც მონაწილეობენ საბრძოლო მოქმედებებში, ანდა – იმ პირებს, რომლებიც ახდენენ კატასტროფის ლიკვიდაციასა თუ კრიზისის კონტროლს.

– 3. თუ მოანდერძე ანდა ერთი ან მეტი მოწმე აცხადებს, რომ მას არ შეუძლია პირადად დოკუმენტის ხელმოწერა წერა-კითხვის უცოდინრობისა თუ სხვა კონკრეტული მიზეზის გამო, მაშინ ეს განცხადება ცვლის მის ხელმოწერას იმ პირობით, თუ ეს განცხადება შეიტანება თავად კერძო აქტში.

მუხლი 4:104 ანდერძის საგანგებო შენახვის ფორმა

– 1. 4:98, 4:101 და 4:102 მუხლებში მითითებულ შემთხვევებში, მოანდერძე უფლებამოსილია ასევე კერძო აქტის სახით (საკუთარი ხელით შესრულებული ანდერძი) შეადგინოს პირადად ხელმოწერილი ანდერძი, რომელიც ორი მოწმის თანდასწრებით შესანახად გადაეცემა იმ პირს, ვის წინაშეც ასეთი აქტი შეიძლება გაფორმდეს აღნიშნული მუხლების შესაბამისად. ეს პირი დაუყოვნებლივ ადგენს ხელმოწერილ წერილობით აქტს, რომელშიც ის აცხადებს, რომ მან შესანახად მიიღო ანდერძი; მას ასევე შეუძლია ამ წერილობითი განცხადების თავად კერძო აქტში ან მის კონვერტსა თუ გარეკანში შეტანა იმ პირობით, თუ ის პირადად აწერს ხელს. ამ წერილობითი აქტის მიმართ შესაბამისად გამოიყენება წინა მუხლის ნორმები.

– 2. შესაბამისად მოქმედებს 4:98 მუხლის პარ. 4-სა და 4:100 მუხლის ნორმები.

– 3. იმ პირს, ვინც სადავოდ ხდის წინამდებარე მუხლის შესანახად გადაცემული კერძო აქტის სახით შესრულებულ ანდერძს იმ საფუძვლით, რომ მოანდერძემ პირადად არ მოაწერა ამ კერძო აქტს, ეკისრება აღნიშნულის მტკიცების ტვირთი.

მუხლი 4:105 ზოგიერთი შემთხვევა, როდესაც ანდერძის შესანახად გადაცემა აუცილებელი არ არის

როდესაც წინა პარაგრაფში მითითებულ შემთხვევაში, კერძო აქტის სახით შესრულებული ანდერძი დათარიღებული და ხელმოწერილია მოანდერძის მიერ და ეს უკანასკნელი გარდაიცვლება თავისი ანდერძის სხვა პირისათვის კანონის შესაბამისად შესანახად გადაცემის გარეშე, მისი ანდერძი მაინც ჩაითვლება ნამდვილად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოანდერძე შემდგომში სავარაუდოდ ჯერ კიდევ შეძლებდა ანდერძის შედგენას წინა მუხლების ნორმათა შესაბამისად.

მუხლი 4:106 ანდერძების ცენტრალური რეესტრი

– 1. იმ პირმა, ვინც ახდენს სხვა პირის ანდერძის ან იმ განცხადების შემცველი აქტის შენახვას, რომლის თანახმადაც ასეთი ანდერძი გადაცემულია შესანახად, ანდა ის გაუქმებულია, როგორც ეს მითითებულია 4:98, 4:100 მუხლებიდან 4:105 და 4:113 მუხლების ჩათვლით ნორმებში, ეს აქტი დახურულ კონვერტში შეძლებისდაგვარად სწრაფად უნდა გაუფხავნოს ჰააგის ანდერძების ცენტრალურ რეესტრს.

– 2. წინა პარაგრაფის ნორმები არ გამოიყენება იმ აქტების მიმართ, რომლებიც შედგენილია ნოტარიუსის ან საკონსულოს იმ თანამშრომლის მიერ ან მის წინაშე, ვინც ამ მომენტში არის უფლებამოსილი კანონის სტანდარტული ნორმების შესაბამისად, ისევე როგორც – იმ კერძო აქტების მიმართ, რომლებსაც აღნიშნული პირები ინახავენ.

მუხლი 4:107 ანდერძის ნამდვილობის ხანგრძლივობის ვადა

– 1. 4:98, 4:100 მუხლებიდან 4:105 და 4:113 მუხლების ჩათვლით ნორმებში მითითებული ანდერძები საცილოა, თუ მოანდერძე გარდაიცვლება იმ ვითარების დასრულებიდან ექვს თვეზე მეტი ხნის შემდეგ, რომლის საფუძველზეც მას ჰქონდა ანდერძის შედგენის შესაძლებლობა აღნიშნული მუხლებში გათვალისწინებული პროცედურის თანახმად.

– 2. აღნიშნული ვადა ყოველ ჯერზე იზრდება ერთი თვით იმ შემთხვევაში, თუკი მოანდერძეს მართლაც არ შეეძლო ანდერძის შედგენა მიმდინარე ვადის უკანასკნელ თვეში.

მუხლი 4:108 საცილო ანდერძი

ანდერძი, რომელიც შედგენილია 4:98, 4:101, 4:102 და 4:104 მუხლების ფორმალური მოთხოვნების შესაბამისად, თუმცა – არა იმ გარემოებების არსებობისას, რომლებიც მითითებულია ამ მუხლებში, იმ შემთხვევაში, თუკი მოანდერძე გარდაიცვლება შემდგომი ექვსი თვის განმავლობაში, არ არის ბათილი, თუმცა – ის საცილოა.

მუხლი 4:109 ბათილი ანდერძი

– 1. ანდერძი ბათილია, თუკი სამართალი ითხოვს იმას, რომ მოანდერძის პირადი ხელმოწერა გაკეთდეს კერძო ან სანოტარო აქტზე, რომელიც შეიცავს სხვა პირის ანდერძს ანდა – იმ განცხადებას, რომ ასეთი ანდერძი გადაცემულია შესაბამისად, ხოლო მოანდერძის პირადი ხელმოწერა კი არ არის ასეთ აქტზე.

– 2. ანდერძი, რომელიც უნდა შედგეს ნოტარიუსის მიერ ან მის წინაშე, ბათილია იმ შემთხვევაში, თუ სანოტარო აქტი შესაბამისი ნოტარიუსის მიერ არ არის ხელმოწერილი. ნოტარიუსისთვის შესაბამისად გადაცემული ანდერძი ბათილია, თუ სახეზე არ არის ხელმოწერილი სანოტარო აქტი, რომელშიც მითითებულია იმის შესახებ, რომ ანდერძი გადაეცა მას შესაბამისად. ამასთან, თუ უკანასკნელ შემთხვევაში თავად ანდერძის შემცველი სანოტარო აქტი ხელმოწერილია ნოტარიუსის მიერ, ეს ანდერძი მხოლოდ საცილო იქნება.

– 3. წინა პარაგრაფის ნორმები შესაბამისად გამოიყენება იმ ანდერძის მიმართ, რომელიც უნდა შედგეს 4:98, 4:101 ან 4:102 მუხლებში მითითებული პირის წინაშე, ანდა რომელიც აღნიშნული მუხლების თანახმად უნდა გადაეცეს შესაბამისად ასეთ პირს.

– 4. ანდერძის ნამდვილობისადმი კანონით დადგენილი სხვა ფორმალობების დაუცველობის შედეგად ანდერძი საცილო ხდება.

მუხლი 4:110 4:54 მუხლის ნორმათა გამოყენების სფეროს გაფართოება

4:54 მუხლის ნორმები შესაბამისად გამოიყენება საცილო ანდერძის გაბათილების უფლების მიმართაც.

განყოფილება 4.4.5 – ადრე შედგენილი ანდერძის გაუქმება

მუხლი 4:111 ანდერძის გაუქმების ფორმა

ანდერძის გაუქმება ექვემდებარება იმავე ფორმალურ მოთხოვნებს, რომლებიც ამ ანდერძის შედგენის მიმართ კანონით არის დადგენილი.

მუხლი 4:112 ადრე შედგენილი ანდერძის გაუქმებაზე უარი

ბოლოს შედგენილ ანდერძს, რომელიც პირდაპირ არ აუქმებს უფრო ადრე შედგენილ ანდერძს, მაინც აქვს ის შედეგი, რომ ეს ადრე შედგენილი ანდერძი უქმდება იმდენად, რამდენადაც ამ უკანასკნელის აღსრულება შეუძლებელი გახდა ბოლოს შედგენილი ანდერძის შედეგად ანდა – რამდენადაც აღნიშნული ადრე შედგენილი ანდერძი შეიცვალა ბოლოს შედგენილი ანდერძით.

მუხლი 4:113 ანდერძის გაუქმება კერძო აქტის შედგენით, რამდენადაც მოითხოვება მისი უკან დაბრუნება

საკუთარი ხელით შესრულებული ანდერძის (კერძო აქტის სახით შედგენილი ანდერძის) გამოხმობა, რომელიც შესაბამისად გადაეცა ნოტარიუსსა თუ სხვა პირს, მოანდერძეს შეუძლია ნებისმიერ დროს იმ პირობით, თუ ის ხელს აწერს ამ ნოტარიუსისა თუ სხვა პირის წინაშე შედგენილ აქტს, რომელშიც ის ნოტარიუსისა თუ სხვა პირის დავალებით აღიარებს, რომ საკუთარი ხელით შესრულებული ანდერძი მას უკან დაუბრუნდა; თუ საკუთარი ხელით შესრულებული ანდერძი (კერძო აქტის სახით შედგენილი ანდერძი)

ინახება სხვა პირთან, ნაცვლად ნოტარიუსისა, მაშინ ის აქტი, რომელშიც აღიარებულია დოკუმენტის უკან დაბრუნება, უნდა შედგეს ამ სხვა პირის წინაშე 4:103 მუხლში გათვალისწინებული ფორმალური მოთხოვნების შესაბამისად. საკუთარი ხელით შესრულებული ანდერძის (კერძო აქტის სახით შედგენილი ანდერძის) მოანდერძისათვის დაბრუნებით ის ავტომატურად უქმდება.

მუხლი 4:114 ანდერძის გაუქმება კერძო აქტის ფიზიკური განადგურების გამო

თუ საკუთარი ხელით შესრულებული ნამდვილი ანდერძის (კერძო აქტის სახით შედგენილი ანდერძის) შემცველი კერძო აქტი არ გადაეცემა შესაბამისად ნოტარიუსსა თუ სხვა პირს, მაშინ ეს ანდერძი უქმდება, როდესაც მოანდერძე ანადგურებს იმ ქალაქს, რაზეც ის არის დანერგილი. იმ შემთხვევებში, როდესაც ასეთი ქალაქი განადგურდა, კანონის თანახმად ივარაუდება, რომ ეს თავდ მოანდერძის მიერ ხდება.

ტიტული 4.5 – სხვადასხვა სახის ანდერძები

განყოფილება 4.5.1 – მემკვიდრეთა დანიშვნა

მუხლი 4:115 მემკვიდრეთა დანიშვნა ანდერძით

მემკვიდრეთა დანიშვნა წარმოადგენს საანდერძო განკარგულებას, რომლის თანახმადაც მოანდერძე თავის მთელ სამკვიდროს ან მასში წილს უტოვებს ერთ ან რამდენიმე მითითებულ (შერჩეულ) პირს.

მუხლი 4:116 დანიშნულ მემკვიდრეთა და კანონით მემკვიდრეთა თანაბარი მდგომარეობა

გარდაცვლილი პირის ანდერძის საფუძველზე დანიშნულ მემკვიდრეებს იგივე უფლებები და სამართლებრივი მოვალეობები აქვთ, რაც კანონით მემკვიდრეებს.

განყოფილება 4.5.2 – ლეგატები

ქვეგანყოფილება 4.5.2.1 – ზოგადი დებულებები

მუხლი 4:117 ლეგატის განმარტება

– 1. ლეგატი წარმოადგენს საანდერძო განკარგულებას, რომლის თანახმადაც მოანდერძე ერთ ან რამდენიმე პირს ანიჭებს თავის სამკვიდროში სავალ მოთხოვნას მემკვიდრეებისა თუ ლეგატარების მიმართ.

– 2. ლეგატი უნდა შესრულდეს (დაკმაყოფილდეს) ერთობლივი მემკვიდრეების ხარჯზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მის შესასრულებლად მითითებულია (შერჩეულია) ერთი ან რამდენიმე კონკრეტული მემკვიდრე ან ლეგატარი.

– 3. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოანდერძემ სხვაგვარად გაითვალისწინა, თუ ლეგატით გათვალისწინებული შესრულება დაყოფადია, თითოეულმა ვალდებულმა მემკვიდრემ უნდა განახორციელოს სამკვიდროში მისი წილის შესაბამისი ნაწილის შესრულება.

მუხლი 4:118 იმ კონკრეტული მემკვიდრის სახეზე არყოფნა, რომელსაც ეკისრება ლეგატის შესრულება (დაკმაყოფილება)

– 1. როდესაც კონკრეტულ პირს, ვინც წარმოადგენს რა სამკვიდროს მემკვიდრეს, ანდერძით დაეკისრა ლეგატის შესრულება და ეს პირი არ გამხდარა გარდაცვლილის სამკვიდროს მემკვიდრე ანდა მისი მემკვიდრეობის უფლება გაქარწყლებულია, მაშინ ლეგატის შესრულების ვალდებულება დაეკისრება იმ პირებს, რომლებმაც შეიძინეს სამკვიდროში მისი წილი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ანდერძი სხვაგვარად ითვალისწინებს ანდა შესრულების ბუნებიდან რაიმე სხვა შედეგი გამომდინარეობს. თუმცა-ღა, იმ პირებს, რომლებსაც ეკისრებათ ლეგატის შესრულება ნაცვლად თავდაპირველად დანიშნული მემკვიდრისა, შეუძლიათ შემოიფარგლონ ლეგატარისათვის იმ აქტივების ანაზღაურებით, რომლებიც მათ თავდაპირველად დანიშნული მემკვიდრის ნაცვლად მიიღეს გარდაცვლილის სამკვიდროდან, ანდა – ამ აქტივების ღირებულებით.

– 2. როდესაც კონკრეტულ პირს, ვინც წარმოადგენს რა სამკვიდროს ლეგატარს, ანდერძით დაეკისრა

ქველევადის შესრულება და ეს პირი არ გამხდარა გარდაცვლილის სამკვიდროს ლეგატარი ანდა ლეგატიდან გამომდინარე მისი უფლება გაქარწყლებულია, მაშინ ქველევადის შესრულების ვალდებულება დაეკისრება იმ პირებს (მემკვიდრეებს), რომლებსაც ეკისრებათ მისი ლეგატის შესრულების ვალდებულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ანდერძი სხვაგვარად ითვალისწინებს ანდა შესრულების ბუნებიდან რაიმე სხვა შედეგი გამომდინარეობს. თუმცადა, იმ პირებს, რომლებსაც ეკისრებათ ქველევადის შესრულება ნაცვლად თავდაპირველად დანიშნული ლეგატარისა, შეუძლიათ შემოიფარგლონ ქველევადის შესრულების იმ აქტივების ანაზღაურებით, რომლებიც თავდაპირველად ლეგატით გადაეცათ ლეგატარებს, ანდა – ამ აქტივების ღირებულებით.

მუხლი 4:119 ლეგატის არსებობის შესახებ ლეგატარისათვის შეტყობინება

იმ პირებმა, რომლებსაც ეკისრებათ ლეგატის შესრულების ვალდებულება, ისევე როგორც – მოანდერძის მიერ წარდგენილმა აღმასრულებელმა უნდა უზრუნველყონ ლეგატარისათვის ლეგატის შესახებ შეძლებისდაგვარად სწრაფად შეტყობინება. როდესაც ლეგატარის მისამართი ამ პირებისათვის უცნობია, მაშინ ისინი აღნიშნულის შესახებ ატყობინებენ რაიონულ სასამართლოს, რომელსაც შეუძლია დაავალოს მათ კონკრეტული გამოძიების ჩატარება ანდა განსაზღვრული პროცედურის დაცვით ლეგატარის მოწვევა.

მუხლი 4:120 ლეგატიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულება

– 1. ლეგატიდან გამომდინარე გარდაცვლილი პირის სამკვიდროს ვალდებულებები შეიძლება შესრულდეს სამკვიდროს ქონებიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სამკვიდროდან გამომდინარე ყველა სხვა ვალი სრულად დაიფარება.

– 2. ლეგატები მცირდება იმ ფარგლებში, რომლებშიც გარდაცვლილი პირის სამკვიდრო ქონება არ არის საკმარისი იმ მემკვიდრეთა კუთვნილი წილებიდან ლეგატების შესრულებისათვის, რომლებსაც ეკისრებათ ასეთი ვალდებულება.

– 3. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ანდერძიდან ლეგატის შემცირების სხვაგვარი წესი გამომდინარეობს, ზემოაღნიშნული ვალდებულებები შემცირდება პროპორციულად იმ პირობით, რომ რამდენადაც ლეგატის შემცირება მიიჩნევა მოანდერძის ნატურალური ვალდებულების შესრულების შესაბამისად განხორციელებულად, ეს ვალდებულება შემცირდება მხოლოდ ყველა სხვა შესამცირებელი ვალდებულების შემცირების შემდეგ.

– 4. ლეგატის შემცირება ხორციელდება ლეგატით ვალდებული მემკვიდრეების ლეგატარისათვის განცხადების წარდგენის გზით, ხოლო თუ გარდაცვლილის სამკვიდრო განაწილდა 4:13 მუხლის შესაბამისად, – მაშინ მოანდერძის მეუღლისათვის განცხადების წარდგენის გზით. იმდენად, რამდენადაც შესრულება უკვე განხორციელდა, სამართლებრივი საფუძველი, შესაბამისად, ძალაში რჩება, გარდა 4:216 მუხლის ძალით უკვე შესრულებული ლეგატის (ნაწილობრივ) უკან დაბრუნებისა და 4:220 მუხლის პარ. 3-ის შესაბამისად რეგრესული მოთხოვნების წარდგენის შესაძლებლობისა.

– 5. მიუხედავად ლეგატის შემცირებისა, იმ მემკვიდრეებს, რომლებიც პასუხს აგებენ ლეგატისათვის მთელი თავიანთი ქონებით, მაინც ეკისრებათ მისი სრულად შესრულების ვალდებულება.

მუხლი 4:121 ქველევადებისა და ანდერძით დაკისრებული სხვა ვალდებულებების შემცირება

– 1. იმდენად, რამდენადაც ლეგატისათვის გადაცემული ქონება არასაკმარისია ანდა შემცირების შედეგად არასაკმარისი გახდა მასზე მოანდერძის მიერ დაკისრებული ყველა ვალდებულების შესრულებისათვის, ის უფლებამოსილია შეამციროს მასზე დაკისრებული ქველევადი და ასევე ანდერძით დაკისრებული ის ვალდებულებები, რომლებიც აუცილებლად გულისხმობს ფულადი სახსრებისა თუ აქტივების დანახარჯს.

– 2. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ანდერძიდან ლეგატის შემცირების სხვაგვარი წესი გამომდინარეობს, ზემოაღნიშნული ვალდებულებები შემცირდება პროპორციულად იმ პირობით, რომ რამდენადაც ქველევადის შესრულება ან ანდერძით დაკისრებული ვალდებულებების შემცირება მიიჩნევა მოანდერძის ნატურალური ვალდებულების შესრულების შესაბამისად განხორციელებულად, ეს ვალდებულება შემცირდება მხოლოდ ყველა სხვა შესამცირებელი ვალდებულების შემცირების შემდეგ.

მუხლი 4:122 იმ ლეგატარს, რომლის ლეგატიც შემცირდა, შეუძლია მოითხოვოს მისი სრული შესრულება დამატებითი გადახდის შემდეგ

– 1. ის ლეგატარი, რომლის ლეგატიც შემცირდა, მაინც უფლებამოსილია მოითხოვოს მისი სრული

შესრულება იმ პირობით, რომ ის სამკვიდროში ანთავსებს იმ ოდენობის ფულად თანხას, რაც უტოლდება მისი შემცირებული ლეგატის ნაწილის ღირებულებას.

– 2. თუ ლეგატარი არ ახორციელებს აღნიშნულ უფლებას, მაშინ მეორე მხარეს შეუძლია შემოიფარგლოს შემცირებული ლეგატის ღირებულების ანაზღაურებით.

მუხლი 4:123 ლეგატიდან გამომდინარე ვალდებულებების შეცვლისა თუ შეწყვეტის მოთხოვნა

– 1. ლეგატარის ან იმ პირის მოთხოვნის საფუძველზე, რომელსაც ეკისრება ლეგატის შესრულება, სასამართლოს შეუძლია სრულად ან ნაწილობრივ შეცვალოს ან შეწყვიტოს ლეგატიდან გამომდინარე ვალდებულებები, რამდენადაც მონადერძის გარდაცვალების შემდეგ წარმოიშვა ისეთი ახალი გარემოებები, რომლებიც გონივრულობისა და სამართლიანობის პრინციპებიდან გამომდინარე მეორე მხარისათვის ამ ვალდებულებების იმავე მოქმედებით ძალაში დარჩენა მოსალოდნელი ვერ იქნებოდა.

– 2. ვალდებულებების შეცვლისა თუ შეწყვეტის მოთხოვნასთან დაკავშირებით თავისი გადაწყვეტილების მიღებისას, როგორც ეს მითითებულია წინა პარაგრაფში, სასამართლომ შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად უნდა გაითვალისწინოს მონადერძის ნება.

– 3. შესაბამისად გამოიყენება სამოქალაქო კოდექსის ნ:258 მუხლის პარ. 1-ის მეორე წინადადების, პარ. 2 და 3-სა და ნ:260 მუხლის პარ. 1 და 2-ის ნორმები.

მუხლი 4:124 ლეგატის სარგებელი (ნაყოფი)

იმ ლეგატარს, ვისაც ლეგატის საფუძველზე გადაეცა გარდაცვლილის სამკვიდროს კონკრეტული აქტივი, უზუფრუქტი ასეთ აქტივზე, უზუფრუქტი მთლიან სამკვიდროზე ან წილი მასში, აქვს უფლება, მოითხოვოს იმ სარგებლის (ნაყოფის) განაწილება, რომელიც რჩება მას აღნიშნული ლეგატის გამო იმდენად, რამდენადაც სარგებელი (ნაყოფი) მიღებულ იქნა მემკვიდრეების მიერ მას შემდეგ, რაც სავალო მოთხოვნა ვადამოსული და შესასრულებელი (აღსრულებადი) გახდა, გარდა შემთხვევებისა, როდესაც მონადერძემ სხვაგვარად დაადგინა. ზემოაღნიშნული სარგებლის (ნაყოფის) მოთხოვნის უფლება ხანდაზმულია მემკვიდრეების მიერ სარგებლის (ნაყოფის) მიღებიდან სამი წლის ვადის გასვლისთანავე.

მუხლი 4:125 ლეგატის შესრულების ვადის დადგომა

– 1. გარდა შემთხვევებისა, როდესაც მონადერძემ სხვაგვარად დაადგინა, ფულადი თანხის ლეგატი ვადამოსული და შესასრულებელი (აღსრულებადი) ხდება მონადერძის გარდაცვალებიდან ექვსი თვის გასვლის შემდეგ.

– 2. გარდა შემთხვევებისა, როდესაც მონადერძემ სხვაგვარად დაადგინა, იმ მემკვიდრეს, ვისაც მონადერძის სამკვიდროს აქტივი ლეგატით გადაეცა ამ აქტივის ღირებულებისა თუ მისი ნაწილის ანაზღაურების სანაცვლოდ, მაინც შეუძლია უარი თქვას ამ ანაზღაურების თანხის გადახდაზე მანამდე, სანამ სამკვიდრო არ დაიყოფა (განაწილდება).

– 3. ის პირი, ვისაც ლეგატის საფუძველზე ეკისრება ფულადი თანხის ლეგატარისათვის გადახდა, არ მიიჩნევა ვადაგადაცილებულად მარტო იმ ფაქტის გამო, რომ გასულია შეთანხმებული შესრულების ვადა.

– 4. 4:5 მუხლის ნორმები შესაბამისად გამოიყენება ფულადი თანხის გადახდის ლეგატების მიმართ.

ქვეგანყოფილება 4.5.2.2 – ნაჩუქრობები და სხვა მოქმედებები, რომლებიც განიხილება როგორც ლეგატი

მუხლი 4:126 კვაზი-ლეგატები

– 1. სამოქალაქო კოდექსის მე-4 ნიგნში მოცემული ლეგატების შემცირების მომწესრიგებელი ნორმების მიზნისათვის, ჩუქება ან სხვა ნაჩუქრობა მიიჩნევა ერთობლივ მემკვიდრეებზე დაკისრებულ ლეგატად, რამდენადაც ის უნდა შესრულდეს მხოლოდ გამჩუქებლის გარდაცვალების შემდეგ და ის ჯერ არ შესრულებულა მისი სიცოცხლის განმავლობაში. 4:87 მუხლის პარ. 2-სა და 4:120 მუხლის პარ. 3-საგან განსხვავებით, ჩუქება ან სხვა ნაჩუქრობა შემცირების მიზნით მიიჩნევა უკანასკნელად განხორციელებულად, გარდა შემთხვევებისა, როდესაც ჩუქებისა თუ ნაჩუქრობის დროს სხვა წესი იქნა გათვალისწინებული. თუ ჩუქებაზე ან სხვა ნაჩუქრობაზე უარი გამჩუქებლის გარდაცვალებამდე არის შესაძლებელი, წინამდებარე პარაგრაფის მეორე წინადადება არ გამოიყენება.

– 2. პარ. 1 შესაბამისად გამოიყენება:

a. იმ სახელშეკრულებო დათქმის მიმართ, რომლის თანახმადაც შეთანხმების ერთ-ერთი მხარის აქტივი გადავა ან შეიძლება გადავიდეს მეორე მხარეზე წინასწარი პირობისა თუ ძალაში შესვლის თარიღის განსაზღვრით (დათქმა ვადაზე) გონივრული სამაგიერო შესრულების თანხის გადახდის გარეშე, რამდენადაც ეს დათქმა ძალაში შევა მხოლოდ იმ პირის გარდაცვალების შემდეგ, ვისაც აღნიშნული აქტივი ეკუთვნის; ის ფაქტი, რომ დათქმა მოქმედებს როგორც ორივე მხარის სასარგებლოდ, ისე მათ ხარჯზე, თავისთავად არ ნიშნავს იმას, რომ მეორე მხარე ახდენს სამაგიერო შესრულების თანხის გადახდას ზემოაღნიშნული წინადადების გაგებით.

b. დაზღვევის ძირითადი თანხის მოსარგებლედ დანიშვნის მიმართ, რამდენადაც პოლისის მფლობელის გარდაცვალებისას გადასახდელი თანხები განიხილება როგორც ნაჩუქრობა;

c. ნატურალური ვალდებულების სასამართლო წესით დაცვად ვალდებულებად გარდაქმნის მიმართ, რამდენადაც ამ უკანასკნელისაგან გამომდინარე ვალი შესრულება მხოლოდ მოვალის გარდაცვალების შემდეგ და ის ჯერ არ შესრულებულა მისი სიცოცხლის განმავლობაში.

– 3. შესაბამისად გამოიყენება 4:66 და 4:68 მუხლების ნორმები.

მუხლი 4:127 მესამე პირის სასარგებლოდ არსებული დათქმის საფუძველზე მესამე პირთა მიერ მიღებული ლეგატის შემცირების უფლებები

როდესაც ლეგატის შემცირება ეხება დაზღვევის ძირითადი თანხის მოსარგებლის სახით მიღებულ უფლებას ანდა მესამე პირის სასარგებლოდ (ე. ი. მესამე პირის სასარგებლოდ არსებული დათქმის საფუძველზე, რომელიც ცნობილია ასევე როგორც „*jus quaesitum tertio*“) არსებული დათქმის შესაბამისად მიღებულ სხვა უფლებას (უპირატესობას), მაშინ აღნიშნულის შედეგად ის პირი, რომელმაც შეიძინა უფლება, ვალდებულია აუნაზღაუროს ერთობლივ მემკვიდრეებს შემცირებული ნაწილის ღირებულება იმდენად, რამდენადაც ეს არაგონივრული არ არის ყველა გარემოების გათვალისწინებით. თუ გარდაცვლილის სამკვიდრო განაწილდა (დაიყო) 4:13 მუხლის შესაბამისად, პირველ წინადადებაში მითითებული გადახდა უნდა განხორციელდეს მოანდერძის მეუღლის მიმართ. პირველ წინადადებაში ნახსენები უფლების შემცირება შესაძლებელია მხოლოდ სამი წლის განმავლობაში მოსარგებლედ მესამე პირის მიერ შესრულების მიღების შემდეგ.

მუხლი 4:128 კვაზი-ლეგატების ლეგატებთან გათანაბრების სხვა შემთხვევები

4:29 მუხლის პარ. 3-სა და 4:30 მუხლის პარ. 3-ის ნორმებში მოცემული ლეგატის მიღებაზე უფლება-მოსილ ლეგატარებთან დაკავშირებული ნორმები შესაბამისად გამოიყენება იმ პირების მიმართ, რომლებმაც მიიღეს სარგებელი 4:126 მუხლში მითითებული მოქმედებით (კვაზი-ლეგატი). ლეგატით გაცემულ აქტივებს, როგორც ეს ნახსენებია 4:30 მუხლის პარ. 5-ის ნორმებში, უთანაბრდება ის აქტივები, რომლებიც მიღებულ იქნა 4:126 მუხლში მითითებული მოქმედებით. 4:126 მუხლსა და 4:220 მუხლის პარ. 3-ში მოცემულ ლეგატზე უფლებამოსილ ლეგატარებთან დაკავშირებული ნორმები შესაბამისად გამოიყენება იმ პირების მიმართ რომლებმაც მიიღეს სარგებელი 4:126 მუხლის პარ. 1 და 2-ის (c) პუნქტში მითითებული მოქმედებით, ხოლო იმდენად, რამდენადაც ეს არაგონივრული არ არის ყველა გარემოების გათვალისწინებით, – 4:126 მუხლის პარ. 1 და 2-ის (b) პუნქტში მითითებული მოქმედებით.

მუხლი 4:129 შესრულების მოთხოვნის დაუშვებლობის შესახებ დათქმა

თავის ანდერძში მოანდერძეს 4:126 მუხლში მითითებული მოქმედება შეუძლია დამოკიდებული გახადოს 4:82 მუხლში აღნიშნული პირობის დადგომაზე.

განყოფილება 4.5.3 – ანდერძით დაკისრებული ვალდებულებები

მუხლი 4:130 ანდერძით დაკისრებული ვალდებულებების განმარტება

– 1. ანდერძით დაკისრებული ვალდებულება წარმოადგენს ანდერძში მოცემულ საანდერძო განკარგულებას, რომელშიც მოანდერძე ერთობლივ მემკვიდრეებს ან ერთ ან რამდენიმე მემკვიდრესა თუ ლეგატარს აკისრებს სხვა ვალდებულებას, გარდა ლეგატისა.

– 2. ანდერძით დაკისრებული ვალდებულება შეიძლება დაეკისროს ასევე მოანდერძის მიერ წარდგენილ აღმსრულებელსაც. იმ ვალდებულების შესრულება, რომელიც დაეკისრა ასეთ აღმსრულებელს, უნდა დაკისროს ასევე ერთობლივ მემკვიდრეებსაც, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამ ვალდებულებიდან ან ანდერძიდან სხვაგვარი შედეგი გამომდინარეობს.

– 3. 4:120 მუხლის ნორმები შესაბამისად გამოიყენება ანდერძით დაკისრებული იმ ვალდებულების მიმართ, რომელიც აუცილებლად გულისხმობს მოანდერძის სამკვიდროდან ფულადი სახსრებისა თუ ერთი ან მეტი აქტივების დანახარჯს; ასეთი ანდერძით დაკისრებული ვალდებულებები ერთდროულად მცირდება ლეგატიითა და იმავე მოცულობით.

მუხლი 4:131 შესაძლო შედეგები იმ შემთხვევაში, როდესაც ანდერძით დაკისრებული ვალდებულებები არ სრულდება

– 1. თუ ვალდებულება ანდერძით ეკისრება მემკვიდრესა თუ ლეგატარს, მაშინ ეს მემკვიდრე ან ლეგატარი გარდაცვლილის სამკვიდროში საკუთარ უფლებას იძენს იმ პირობით, რომ სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას მისი ამ უფლების გაქარწყლების შესახებ იმის გამო, რომ მემკვიდრემ ან ლეგატარმა არ შეასრულა მოანდერძის მიერ მასზე ანდერძით დაკისრებული ვალდებულება.

– 2. სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც მემკვიდრის ან ლეგატარის უფლება ქარწყდება მის მიერ ანდერძით დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, შეიძლება მიღებულ იქნეს ასეთი გადაწყვეტილების მიღებაში უშუალოდ დაინტერესებული ნებისმიერი პირის მოთხოვნის საფუძველზე.

– 3. ის მემკვიდრე, ვინც მოანდერძის კრედიტორებისა და ლეგატარების სავალო მოთხოვნებისათვის პასუხს აგებდა მთელი თავისი ქონებით, რჩება სრულად პასუხისმგებელი ამ კრედიტორებისა და ლეგატარების წინაშე მას შემდეგ, რაც მოანდერძის სამკვიდროში მისი უფლება გაქარწყლდა წინა პარაგრაფებში მითითებული სასამართლოს გადაწყვეტილებით იმ პირების მიმართ კუთვნილი რეგრესული უფლების წარდგენის უფლების შეზღუდვის გარეშე, რომლებმაც მიიღეს უფლება იმ ქონებაზე, რასაც სხვა შემთხვევაში მემკვიდრეობით მიიღებდა აღნიშნული მემკვიდრე.

მუხლი 4:132 სახეზე არყოფნა იმ პირისა, რომელმაც უნდა შეასრულოს ანდერძით დაკისრებული ვალდებულებები

თუ ვალდებულება ანდერძით ეკისრება კონკრეტულ მემკვიდრესა თუ ლეგატარს და ეს პირი არ გამხდარა მემკვიდრე ან ლეგატარი ანდა მისი უფლება მოანდერძის სამკვიდროში გაქარწყლდა (ანდა სხვაგვარად შეწყდა), მაშინ ეს ვალდებულება ეკისრება იმ პირებს, რომლებმაც მოანდერძის სამკვიდროში, ნაცვლად მემკვიდრისა თუ ლეგატარისა, მიიღეს ამ პირის წილი, ანდა – რომლებსაც ეკისრებოდათ ამ პირის სასარგებლოდ დადგენილი ლეგატი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ანდერძი სხვაგვარად ითვალისწინებს ანდა შესრულების ბუნებიდან რაიმე სხვა შედეგი გამომდინარეობს.

მუხლი 4:133 საანდერძო განკარგულებისათვის დამატებული პირობის შესრულება-შეუსრულებლობაში ჩარევა

– 1. თუ ანდერძით დაკისრებული ვალდებულებისათვის დამატებული წინასწარი პირობის დადგომას ხელი შეუშალა იმ პირმა, რომელმაც უნდა შეასრულოს ეს ვალდებულება, მაშინ პირობა ჩაითვლება შესრულებულად, თუკი გონივრულობისა და სამართლიანობის პრინციპები ამას ითხოვს.

– 2. თუ ანდერძით დაკისრებული ვალდებულებისათვის დამატებული შემდგომი პირობის დადგომას ხელი შეუწყო იმ პირმა, რომელმაც უნდა შეასრულოს ეს ვალდებულება, მაშინ აღნიშნული პირობა არ ჩაითვლება შესრულებულად, თუკი გონივრულობისა და სამართლიანობის პრინციპები ამას ითხოვს.

– 3. შესაბამისად გამოიყენება 4:140 მუხლის პარ. 1-ის ნორმები.

მუხლი 4:134 ანდერძით დაკისრებული ვალდებულების შეცვლა ან შეწყვეტა

– 1. იმ პირის მოთხოვნის საფუძველზე, რომელსაც ანდერძით ეკისრება ვალდებულების შესრულება, ანდა – პროკურატურის მოთხოვნის საფუძველზე, სასამართლოს შეუძლია სრულად ან ნაწილობრივ შეცვალოს ან შეწყვიტოს ანდერძით დაკისრებული ვალდებულება:

a. იმ საფუძველზე, რომ მოანდერძის გარდაცვალების შემდეგ წარმოიშვა იმგვარი ახალი გარემოებები, რომელთა არსებობისას ანდერძით დაკისრებული ვალდებულების უცვლელად გაგრძელება გაუმართლებელი იქნებოდა შესაბამისი პირადი და საჯარო ინტერესების გათვალისწინებით;

b. იმ საფუძველზე, რომ ამ ვალდებულების შესრულება უკიდურესად გართულდა ანდა საერთოდაც შეუძლებელი გახდა თავად ვალდებულების შემცირებისა თუ მასთან დაკავშირებული საანდერძო განკარგულების შედეგად;

c. იმ საფუძველზე, რომ 4:132 მუხლის შესაბამისად ანდერძით დაკისრებული ვალდებულება დაეკისრა ვინმე სხვა პირს, ნაცვლად იმისა, ვისაც ის თავდაპირველად ანდერძით ეკისრებოდა.

- 2. როდესაც სასამართლო ცვლის ან წყვეტს ანდერძით დაკისრებულ ვალდებულებას პარ. 1-ში მითითებულ საფუძვლებზე, მან მაქსიმალურად უნდა მიიღოს მხედველობაში მოანდერძის ნება.
- 3. შესაბამისად გამოიყენება სამოქალაქო კოდექსის 6:258 მუხლის პარ. 1-ის მეორე წინადადების, პარ. 2 და 3-სა და 6:260 მუხლის პარ. 1 და 2-ის ნორმები.

განყოფილება 4.5.4 – ფონდები

მუხლი 4:135 საანდერძო ფონდები

- 1. თუ მოანდერძემ საანდერძო განკარგულება მოახდინა იმ ფონდის სასარგებლოდ, რომელიც დაფუძნდა სანოტარო აქტით შედგენილი ანდერძის მეშვეობით, ეს ფონდი გახდება სამკვიდროს მემკვიდრე ან ლეგატარი იმისდა მიხედვით, უნდა ჩაითვალოს თუ არა აღნიშნული განკარგულება მემკვიდრის დანიშვნად ან ლეგატის დადგენად.
- 2. თუ მოანდერძემ თავის ანდერძში განაცხადა ფონდის დაფუძნების შესახებ, თუმცა მისი ანდერძი არ არის სანოტარო აქტის სახით შედგენილი, მაშინ საანდერძო განკარგულება ჩაითვლება ერთობლივი მემკვიდრეებისათვის ასეთი ფონდის დაფუძნებასთან დაკავშირებით ანდერძით დაკისრებულ ვალდებულებად.
- 3. პროკურატურის მოთხოვნის საფუძველზე, რაიონულ სასამართლოს ფონდის დაფუძნებაზე ვალდებულ პირს შეუძლია დაავალოს ამ ვალდებულების შესრულება. წინა პარაგრაფში მითითებულ რაიონულ სასამართლოს წარმოადგენს გარდაცვლილის უკანასკნელი მისამართის ტერიტორიაზე მოქმედი რაიონული სასამართლო, ხოლო თუ გარდაცვლილს ნიდერლანდებში არ ჰქონია უკანასკნელი მისამართი, – მაშინ ჰააგის რაიონული სასამართლო. სასამართლოს შეუძლია განაცხადოს, რომ მის გადაწყვეტილებას უნდა ჰქონდეს იგივე სამართლებრივი ძალა, რაც აქვს იმ პირის მიერ ყველა ფორმალობის დაცვით შედგენილ აქტს, ვისაც ეკისრება ფონდის დაფუძნების გარიგების დადება, ანდა – რომ ეს გარიგება ამ პირის სახელით უნდა დაიდოს სასამართლოს მიერ დანიშნული წარმომადგენლის მიერ.

განყოფილება 4.5.5 – ვალდებულებების ანდერძით დაკისრება განსაზღვრული ვადით (ძალაში შესვლის ან შეწყვეტის თარიღი) ან პირობით

მუხლი 4:136 მემკვიდრის განსაზღვრული ვადით დანიშვნა (შენწყვეტისა და/ან ძალაში შესვლის თარიღების გათვალისწინებით)

- 1. როდესაც მოანდერძის ანდერძში გათვალისწინებულია პირობა, რომლის თანახმადაც პირი მემკვიდრედ დაინიშნა მხოლოდ განსაზღვრული ვადით (შენწყვეტის თარიღამდე ან ძალაში შესვლის მომენტიდან), ის პირი, რომელიც სამკვიდროს მისაღებად მემკვიდრედ მოიწვევა მხოლოდ სამომავლოდ ძალაში შესვლის პირობით, მაინც დაუყოვნებლივ ჩაითვლება მემკვიდრედ მოანდერძის ანდერძში განსაზღვრული სამკვიდროში არსებული წილით, თუმცა მას ერთდროულად დაეკისრება ამ წილზე განსაზღვრული ვადით იმ მემკვიდრის სასარგებლოდ უზუფრუქტის დადგენის ლეგატი, ვინც პირველად იქნა მოწვეული სამკვიდროში ამ წილის მემკვიდრეობით მისაღებად.
- 2. შეწყვეტის თარიღის მითითებით, თუმცა ერთდროულად ძალაში შესვლის თარიღის მითითების გარეშე მემკვიდრის დანიშვნის შემთხვევაში, სამკვიდროს მისაღებად პირველად მოწვეული მემკვიდრე იძენს უზუფრუქტს მოანდერძის სამკვიდროს წილზე შესაბამისი აქტივების გასხვისების, გახარჯვისა და მოხმარების უფლებით, რამდენადაც მოანდერძემ არ გამოიციხა ასეთი უფლება.

მუხლი 4:137 პირი უნდა იყოს ცოცხალი, რათა შეძლოს წინასწარი პირობით განხორციელებული საანდერძო განკარგულებიდან გამომდინარე უფლების მიღება

როდესაც საანდერძო განკარგულება ხორციელდება წინასწარი პირობით, პირს შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღოს რაიმე უფლება ამ განკარგულებიდან, თუ ის ცოცხალია აღნიშნული პირობის დადგომის მომენტში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ანდერძის ან განკარგულების ბუნებიდან სანინააღმდეგო შედეგი გამომდინარეობს.

მუხლი 4:138 მემკვიდრის დანიშვნა წინასწარი ან შემდგომი პირობით

- 1. როდესაც მოანდერძის ანდერძში გათვალისწინებულია პირობა, რომლის თანახმადაც პირი მე-

მკვიდრედ დაინიშნა წინასწარი ან შემდგომი პირობით, მაშინ ის პირი, ვისაც მონადერძის სამკვიდროს აქტივები ეკუთვნის ამ პირობის დადგომამდე, მიიჩნევა შექმნილი აქტივების ერთადერთ მესაკუთრედ იმდენად, რამდენადაც ის ეხება მესამე პირების მიერ და ამ პირების მიმართ განსახორციელებელ უფლებამოსილებებს, უფლებებსა და სარჩელებს.

– 2. გარდა აღნიშნულისა, სამოქალაქო კოდექსის 3.8 ტიტულის უზუფრუქტის მომწესრიგებელი ნორმების გამოყენება მოხდება მანამდე, სანამ დარჩება გაურკვეველობა პირობის დადგომა-არდადგომა-მასთან დაკავშირებით. შესაბამისად, პირმა, რომელმაც მემკვიდრეობიდან მიიღო აქტივები, უნდა შეინახოს და შეინარჩუნოს ისინი ისე, თითქოს ის წარმოადგენს უზუფრუქტუარს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მონადერძემ მას უპირობოდ მიანიჭა შესაბამისი აქტივების გამოყენებისა (მოხმარებისა) და გასხვისების უფლება.

– 3. შემდგომი პირობით, თუმცაღა ერთდროულად წინასწარი პირობის მითითების გარეშე მემკვიდრის დანიშვნის შემთხვევაში, სამკვიდროს მიღებაზე თავდაპირველად უფლებამოსილ მემკვიდრეს იმ პირის მიმართ, ვისი კუთვნილიც უნდა გახდეს შესაბამისი აქტივები პირობის დადგომისთანავე, შეუძლია მოახდინოს ამ აქტივების გასხვისება და მათი გამოყენება (მოხმარება) იმავე წესით, რაც გათვალისწინებულია ასეთი უფლებების მქონე უზუფრუქტურისათვის, რამდენადაც მონადერძემ სხვაგვარად არ გაითვალისწინა.

მუხლი 4:139 მემკვიდრის დანიშვნისათვის დამატებული პირობის შესრულება-შეუსრულებლობაში ჩარევა

– 1. თუ მემკვიდრის დანიშვნისათვის დამატებული პირობის დადგომას ხელი შეუშალა იმ პირმა, რომელსაც უნდა ეკუთვნოდეს სამკვიდრო ქონებიდან ერთი ან მეტი აქტივი მანამდე, სანამ არ შესრულდება ეს პირობა, მაშინ ეს უკანასკნელი ჩაითვლება შესრულებულად, თუკი გონივრულობისა და სამართლიანობის პრინციპები ამას ითხოვს.

– 2. თუ მემკვიდრის დანიშვნისათვის დამატებული შემდგომი პირობის დადგომას ხელი შეუწყო იმ პირმა, რომელსაც უნდა ეკუთვნოდეს სამკვიდრო ქონებიდან ერთი ან მეტი აქტივი მანამდე, სანამ არ შესრულდება ეს პირობა, მაშინ ეს უკანასკნელი არ ჩაითვლება შესრულებულად, თუკი გონივრულობისა და სამართლიანობის პრინციპები ამას ითხოვს.

მუხლი 4:140 მემკვიდრის პირობით დანიშვნისათვის დადგენილი ვადები

– 1. თუ მემკვიდრის დანიშვნისათვის დამატებული პირობა ჯერ კიდევ არ დამდგარა მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან ოცდაათი წლის განმავლობაში, საანდერძო განკარგულება უქმდება, თუ საქმე გვაქვს წინასწარ პირობასთან; თუ სახეზეა შემდგომი პირობა, მაშინ ეს უკანასკნელი უქმდება აღნიშნული ვადის გასვლისთანავე. აღნიშნული ნორმის საწინააღმდეგო მონადერძის ნებისმიერი განკარგულება ბათილია.

– 2. წინა პარაგრაფი გამოიყენება ასევე მონადერძის სამკვიდროს კონკრეტული აქტივის ლეგატისა და ასეთ აქტივზე არსებული შეზღუდული სანივთო უფლების ლეგატის მიმართაც.

მუხლი 4:141 პირობით მემკვიდრის დანიშვნის განსაზღვრული შემთხვევებისათვის ვადების დადგენის დაუშვებლობა

წინა მუხლის ნორმები არ გამოიყენება შემდგომი პირობით მემკვიდრის დანიშვნის მიმართ, რომელსაც ერთდროულად მოჰყვა წინასწარი პირობის მითითებით მემკვიდრის დანიშვნა, რომლის თანახმადაც იმ აქტივების ან თავდაპირველად უფლებამოსილი მემკვიდრის გარდაცვალების მომენტში ან უფრო ადრე ამ აქტივების გამოყენებელი (მოუხმარებადი) ნაწილის შექმნა მოხდება შემდეგი რიგის უფლებამოსილი მემკვიდრის მიერ იმ შემთხვევაში, თუ ის ჯერ კიდევ ცოცხალია მონადერძის მიერ ამ მიზნით მითითებული მომენტისათვის.

განყოფილება 4.5.6 – მონადერძის მიერ დანიშნული ანდერძის აღმსრულებლები

მუხლი 4:142 ანდერძის აღმსრულებლის დანიშვნა

– 1. მონადერძეს თავის ანდერძში შეუძლია დანიშნოს ერთი ან მეტი აღმსრულებელი. მას შეუძლია დანიშნულ აღმსრულებელს მიანიჭოს დამატებით ან მისი შემცველი პირების სახით ერთი ან მეტი სხვა აღმსრულებლების დანიშვნის უფლება; მას შეუძლია ასევე თავის ანდერძში გაითვალისწინოს პირობა,

რომლის თანახმადაც თუ ანდერძის აღმსრულებელი არ ან აღარ არის სახეზე, რაიონულ სასამართლოს ნებისმიერი დაინტერესებული მხარის მოთხოვნის საფუძველზე შეეძლოს შემცვლელი პირის დანიშვნა.

– 2. თუ სახეზეა ორი ან მეტი აღმსრულებელი, მაშინ თითოეულ მათგანს შეუძლია დამოუკიდებლად შეასრულოს ყველა აუცილებელი მოქმედება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოანდერძემ სხვაგვარად გაითვალისწინა.

– 3. აღმსრულებლებს შორის დავის შემთხვევაში, ერთ-ერთი მათგანის მოთხოვნის საფუძველზე გადაწყვეტილება უნდა მიიღოს რაიონულმა სასამართლომ. რაიონულ სასამართლოს შეუძლია დაადგინოს იმ ფუნქციებისა თუ საზღაურის გაყოფის შესახებ, რაზეც უფლებამოსილი არიან აღმსრულებლები.

მუხლი 4: 143 ანდერძის აღმსრულებლად პირის დანიშვნაზე თანხმობა

– 1. პირი ანდერძის აღმსრულებელი ხდება ამ თანამდებობაზე მოანდერძის გარდაცვალების შემდეგ დანიშვნაზე თანხმობის გაცხადებით. ნებისმიერი დაინტერესებული მხარის მოთხოვნის საფუძველზე რაიონულ სასამართლოს შეუძლია განსაზღვროს ვადა, რომლის გასვლის შემდეგაც აღმსრულებლად დანიშვნაზე თანხმობის გაცხადება შეუძლებელი გახდება.

– 2. ანდერძის აღმსრულებლად ვერ დანიშნებიან ქმედუუნარო პირები, ის პირები, რომელთა აქტივებიც გადაცემულია მინდობით მართვის ქვეშ, როგორც ეს გათვალისწინებულია სამოქალაქო კოდექსის 1.19 ტიტულში, გაკოტრებული და ასევე ის პირები, რომლებიც იმყოფებიან ფიზიკური პირებისათვის არსებული ვალების დაფარვის სქემაში.

მუხლი 4: 144 ანდერძის აღმსრულებლის მოვალეობები და საზღაური

– 1. გარდა აღმსრულებელზე ანდერძით დაკისრებული ვალდებულებებისა, აღმსრულებლის მოვალეობას წარმოადგენს სამკვიდროს აქტივების მართვა და იმ ვალების დაფარვა, რომლებიც უნდა დაკმაყოფილდეს სამკვიდროდან მის მიერ აქტივების მართვის პერიოდში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოანდერძემ სხვაგვარად გაითვალისწინა.

– 2. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ანდერძით სხვაგვარად არის გათვალისწინებული, ანდერძის აღმსრულებელი, ხოლო როდესაც სახეზეა ორი ან მეტი აღმსრულებელი, ერთობლივი აღმსრულებლები უფლებამოსილი არიან მიიღონ საზღაური (ანაზღაურება) სამკვიდროს ღირებულების ერთი პროცენტის ოდენობით, რომელიც გამოითვლება მოანდერძის გარდაცვალების დღისათვის.

– 3. შესაბამისად გამოიყენება 4: 159 მუხლის პარ. 2 და 3-ის ნორმები.

მუხლი 4: 145 მემკვიდრეთა მდგომარეობა ანდერძის აღმსრულებლისადმი მიმართებაში

– 1. თუ პირი დაეთანხმა ანდერძის აღმსრულებლად დანიშვნას, ხოლო მისი მოვალეობები კი მოიცავს სამკვიდროს ერთი ან მეტი აქტივის მართვას, მემკვიდრეებს აღარ შეუძლიათ როგორც ამ აქტივების, ისე მათში თავიანთი წილი განკარგვა ანდერძის აღმსრულებლის თანამონაწილეობის ან რაიონული სასამართლოს ნებართვის გარეშე მანამდე, სანამ არ გაქარწყლდება აღმსრულებლის მიერ ამ აქტივების მართვის უფლება.

– 2. აქტივების მართვის პერიოდში აღმსრულებელი მასზე დაკისრებული მოვალეობების განხორციელებისას წარმოადგენს მემკვიდრეებს როგორც სასამართლოში, ისე სასამართლოსგარე ურთიერთობებში.

მუხლი 4: 146 სამკვიდროს ნოტარიუსის დანიშვნა/სამკვიდროს ინვენტარიზაციის აქტი

– 1. ანდერძის აღმსრულებელს, რომელსაც ეკისრება მოანდერძის სამკვიდროს მართვა, შეუძლია დაავალოს ნოტარიუსს სამკვიდროს შექმნა (გაუქმება); ამ სამკვიდროს ნოტარიუსმა უნდა შეატყობინოს მემკვიდრეებს ასეთი დავალების მიღების თაობაზე.

– 2. ანდერძის აღმსრულებელმა დროულად უნდა შეადგინოს სამკვიდროს ინვენტარიზაციის აქტი, რომელიც მოიცავს სამკვიდროს ვალების წინასწარ ჩამონათვალს და მან უნდა შეატყობინოს მისთვის ცნობილ კრედიტორებს მათ მიერ თავიანთი მოთხოვნების სამკვიდროს ნოტარიუსისათვის, ხოლო თუ ასეთი ნოტარიუსი სახეზე არ არის, – მაშინ ერთ-ერთი აღმსრულებლისათვის წარდგენის შესახებ. მოთხოვნის წარდგენა აჩერებს ხანდაზმულობის ვადის დენას.

მუხლი 4: 147 სამკვიდროს აქტივების რეალიზაცია

– 1. ანდერძის აღმსრულებელი უფლებამოსილია, მოახდინოს მის მართვაში არსებული სამკვიდროს

აქტივების გაყიდვა და რეალიზაცია იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელია მასზე დაკისრებული სამკვიდროს ვალების დაფარვასთან დაკავშირებული მოვალეობებისა და ანდერძით მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გათვალისწინებით.

– 2. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოანდერძემ სხვაგვარად გაითვალისწინა, ანდერძის აღმსრულებელმა მაქსიმალურად ამომწურავი კონსულტაცია უნდა მიიღოს მემკვიდრეებისაგან გასაყიდი აქტივების არჩევანთან და ასევე მათ რეალიზაციასთან დაკავშირებით, ხოლო თუ მემკვიდრე ეწინააღმდეგება აქტივების დაგეგმილ რეალიზაციას, მაშინ აღმსრულებელი ამ მემკვიდრეს აძლევს რაიონული სასამართლოსათვის მიმართვის შესაძლებლობას.

– 3. მოანდერძეს შეუძლია გაითვალისწინოს პირობა, რომლის მიხედვითაც სამკვიდროს აქტივების გაყიდვისა და რეალიზაციისათვის აღმსრულებელს ესაჭიროებოდეს მემკვიდრეთა თანხმობა. თუმცადა, ეს თანხმობა შეიძლება შეიცვალოს რაიონული სასამართლოს ნებართვით.

– 4. წინა პარაგრაფებში მემკვიდრეებთან დაკავშირებული ნორმები გამოიყენება ასევე იმ პირების მიმართაც, რომლებმაც შეიძინეს უზუფრუქტი მოანდერძის მთლიან სამკვიდროზე ან წილზე ამ უკანასკნელში.

მუხლი 4:148 მემკვიდრეთა ინფორმირების მოვალეობა

მოთხოვნის შემთხვევაში ანდერძის აღმსრულებელმა მემკვიდრეს უნდა აცნობოს იმ პროცედურის შესახებ, რომლის მიხედვითაც მან განახორციელა მასზე დაკისრებული მოვალეობები.

მუხლი 4:149 ანდერძის აღმსრულებლის უფლებამოსილების შეწყვეტა

– 1. ანდერძის აღმსრულებლის მოვალეობები წყდება:

a. როდესაც აღმსრულებელმა დაასრულა თავისი საქმიანობა, როგორც ასეთი;

b. განსაზღვრული ვადის ამონურვით, თუკი აღმსრულებელი დანიშნული იყო ამ ვადით;

c. როდესაც აღმსრულებელი გარდაიცვლება, ვარდება ფიზიკური პირებისათვის არსებული ვალების დაფარვის სქემაში, გაკოტრდება, აღმოჩნდება ზრდასრული პირის მეურვეობის ქვეშ ანდა როდესაც მისი საკუთარი ერთი ან რამდენიმე აქტივი გადაცემულია მინდობით მართვის ქვეშ, როგორც ეს გათვალისწინებულია სამოქალაქო კოდექსის 1.19 ტიტულში;

d. როდესაც უნდა განხორციელდეს მოანდერძის სამკვიდროს ლიკვიდაცია სამოქალაქო კოდექსის 4.6.3 განყოფილების („სამკვიდრო ქონების ლიკვიდაცია“) ნორმების შესაბამისად;

e. მოანდერძის მიერ ანდერძში მითითებულ შემთხვევებში;

f. როდესაც რაიონულმა სასამართლომ დააკმაყოფილა განსაზღვრული თარიღიდან ანდერძის აღმსრულებლის დაკისრებული მოვალეობებისაგან გათავისუფლების მოთხოვნა.

– 2. დაკისრებული მოვალეობებისაგან გათავისუფლების მოთხოვნა რაიონულ სასამართლოს შეუძლია დააკმაყოფილოს როგორც თავად ანდერძის აღმსრულებლის მოთხოვნის საფუძველზე, ისე, მნიშვნელოვანი მიზეზების არსებობისას, თანააღმსრულებლის, მემკვიდრის ან პროკურატურის მოთხოვნის საფუძველზე, ანდა – იმის გამო, რომ ასეთი გადაწყვეტილება რაიონულმა სასამართლომ მიიღო საკუთარი ინიციატივით. საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებისას რაიონულ სასამართლოს შეუძლია დაადგინოს საუზრუნველყოფო ღონისძიებების მიღების შესახებ და შეაჩეროს ანდერძის აღმსრულებლის საქმიანობა.

– 3. ყოფილმა აღმსრულებელმა უნდა გააგრძელოს თავისი მოვალეობების შესრულება იმდენად, რამდენადაც სამკვიდროს შექმნის (გაუქმების) ან ლიკვიდაციის გადადება შეუძლებელია მისთვის ზიანის მიყენების გარეშე მანამდე, სანამ აღმსრულებლის შემდეგ სამკვიდროს მართვაზე უფლებამოსილი პირი არ განაცხადებს თავის თანხმობას ანდერძის აღმსრულებლად დანიშვნაზე.

– 4. იმ შემთხვევაში, თუ პირმა დაკარგა თავისი ანდერძის აღმსრულებლის სტატუსი გაკოტრების გამო ანდა მას დაუდგინდა ზრდასრული პირების მეურვეობა, წინა პარაგრაფში მითითებული ვალდებულებები უნდა შესრულდეს ლიკვიდატორის ან კანონიერი წარმომადგენლის მიერ, რამდენადაც ამ პირისათვის ცნობილია, რომ აღნიშნული სტატუსი არსებობდა; როდესაც პირმა დაკარგა აღმსრულებლის სტატუსი იმის გამო, რომ ის ვარდება ფიზიკური პირებისათვის არსებული ვალების დაფარვის სქემის მოქმედების ქვეშ ანდა როდესაც მისი საკუთარი ერთი ან რამდენიმე აქტივი გადაცემულია მინდობით მართვის ქვეშ, როგორც ეს გათვალისწინებულია სამოქალაქო კოდექსის 1.19 ტიტულში, იგივე წესი გამოიყენება მისი ქონების მმართველის მიმართაც. თუ პირმა აღმსრულებლის სტატუსი დაკარგა გარდაცვალების გამო, მისმა მემკვიდრეებმა, იმ პირობით, რომ მათთვის ცნობილია აღნიშნული სტატუსის არსებობის შესახებ,

აღმსრულებლის გარდაცვალების შესახებ უნდა შეატყობინონ იმ მოანდერძის მემკვიდრეებს, რომელმაც გარდაცვლილი პირი დანიშნა ანდერძის აღმსრულებლად.

მუხლი 4:150 ანდერძის აღმსრულებლის მხრიდან სამკვიდროს მართვის შეწყვეტა

– 1. ანდერძის აღმსრულებელი, რომელსაც ეკისრებოდა მოანდერძის სამკვიდროს ან მისი ერთი ან რამდენიმე აქტივის მართვა და რომელმაც დაასრულა თავისი მოვალეობების შესრულება, უფლებამოსილია შეწყვიტოს მართვა სამკვიდროს აქტივების მემკვიდრეთა განკარგულებაში გადაცემით.

– 2. მემკვიდრეებს შეუძლიათ გააუქმონ ანდერძის აღმსრულებლის მიერ სამკვიდროს ან მისი ერთი ან რამდენიმე აქტივის მართვის უფლება:

a. როდესაც აღმსრულებლის მოვალეობას წარმოადგენდა სამკვიდროს განსაზღვრული ვალების დაფარვა და ანდერძით დაკისრებული განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება ანდა ეს შესაძლოა გამხდარიყო მისი მოვალეობა მოანდერძის გარდაცვალებიდან ერთი წლის განმავლობაში და ყველა ეს ვალი და ანდერძით დაკისრებული ვალდებულება სრულად დაკმაყოფილდა;

b. თუ იმ მომენტიდან, როდესაც ერთ ან რამდენიმე აღმსრულებელს შეეძლო დაეწყო მოანდერძის სამკვიდროს მართვა, გასულია ერთი წელი და ექვსი თვე. ანდერძის აღმსრულებლის მოთხოვნის საფუძველზე, რაიონულ სასამართლოს შეუძლია რამდენჯერმე გაახანგრძლივოს ეს ვადა, თუნდაც – მისი ამონაწერის შემდეგ.

– 3. როდესაც მემკვიდრეები ანდერძის აღმსრულებელს წარუდგენენ პარ. 2-ის (a) პუნქტში მითითებული ვალების დაფარვისათვის აუცილებელ რესურსებს, მათ შეუძლიათ დაუყოვნებლივ გააუქმონ მისი მხრიდან სხვა ნაწილის მართვის უფლება.

– 4. შესაბამისად გამოიყენება 4:225 და 4:226 მუხლების ნორმები, როდესაც ერთი ან რამდენიმე მემკვიდრის პიროვნება უცნობია ანდა როდესაც ერთი ან რამდენიმე მემკვიდრე არ არის მზად, მიიღოს მისთვის შეთავაზებული სამკვიდროს აქტივები.

მუხლი 4:151 ანგარიშის წარდგენა

ანდერძის აღმსრულებელმა, ვის მიერაც განსახორციელებელი სამკვიდროს მართვის უფლებაც გაუქმდა, თავისი საქმიანობის შესახებ ანგარიში უნდა წარუდგინოს იმ პირს, ვინც მის შემდეგ გახდება უფლებამოსილი, მართოს სამკვიდრო ან მისი ნაწილი, იმ წესების შესაბამისად, რომლებსაც კანონი ამისათვის ითვალისწინებს ქონების მმართველების მიმართ.

მუხლი 4:152 უზუფრუქტის მქონე მოანდერძის მეუღლე წარმოადგენს ფიქტიურ მემკვიდრეს

წინამდენარე განყოფილების მიზნებისათვის მოანდერძის მეუღლე, რომელმაც შეიძინა უზუფრუქტი სამოქალაქო კოდექსის 4.3.2. ტიტულის ნორმების საფუძველზე, განხილული იქნება როგორც მემკვიდრე. ამ მეუღლეს ასევე აქვს 4:150 მუხლის პარ. 2 და 3-ში მითითებული უფლებები და უფლებამოსილებები.

განყოფილება 4.5.7 – ანდერძით დადგენილი მართვა

ქვეგანყოფილება 4.5.7.1 – ზოგადი დებულებები

მუხლი 4:153 ქონების მინდობით მართვის დადგენა ანდერძის საფუძველზე

– 1. ანდერძის საფუძველზე მოანდერძეს შეუძლია მის მიერ თავისი მემკვიდრეებისა თუ ლეგატარებისათვის დატოვებულ ერთ ან მეტ აქტივზე დადგინოს მინდობით მართვა.

– 2. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოანდერძემ სხვაგვარად გაითვალისწინა, აღნიშნული ეგრეთ წოდებული ანდერძით დადგენილი მართვა ძალაში შედის მოანდერძის გარდაცვალების დღეს.

მუხლი 4:154 აქტივების/სარგებლის (ნაყოფის) ჩანაცვლება

გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოანდერძემ სხვაგვარად გაითვალისწინა, ანდერძით დადგენილი მართვა მოიცავს ასევე იმ აქტივებსაც, რომლებიც მიჩნეულ უნდა იქნეს მართვაში არსებული აქტივების შემცვლელ აქტივებად, მათ შორის, – ასეთი აქტივების მიერ მანამდე მოტანილი სარგებელი (ნაყოფი), სანამ ეს სარგებელი (ნაყოფი) არ გადაეცემა მის მიღებაზე 4:162 მუხლის ნორმების საფუძველზე უფლებამოსილ პირს.

მუხლი 4:155 ანდერძით დადგენილი მართვის საფუძვლებთან დაკავშირებული სამართლებრივი პრეზუმფციები

- 1. ივარაუდება, რომ გარდაცვლილის სამკვიდროში მემკვიდრის წილსა თუ ლეგატზე ანდერძით მართვის დადგენა ხდება მესაკუთრის (ან, შესაბამისად, მემკვიდრისა თუ ლეგატარის) ინტერესებში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გამოიყენება ერთ-ერთი ქვემოთ მოცემული პარაგრაფების ნორმები.
- 2. ივარაუდება, რომ უზუფრუქტზე ანდერძით მართვის დადგენა ხდება ორივე მხარის – უზუფრუქტუარისა და მესაკუთრის ინტერესებში. იგივე წესი მოქმედებს ქონებით ერთობლივი სარგებლობისა და ცხოვრების უფლებების მიმართ.
- 3. ივარაუდება, რომ პირობით საანდერძო განკარგულებაზე ანდერძით მართვის დადგენა ხდება იმ ორივე მხარის ინტერესებში, რომელთაგან ერთ-ერთი პირი აქტივს მიიღებს პირობის შესრულების შემთხვევაში, ხოლო მეორე პირი კი დაკარგავს თავის უფლებებს ამ აქტივზე.
- 4. ივარაუდება, რომ ერთობლივად სამართავ აქტივებზე ან ამ აქტივებზე არსებულ წილებზე ანდერძით მართვის დადგენა ხდება ყველა შესაბამისი მესაკუთრისა და თანამესაკუთრის საერთო ინტერესებში.

მუხლი 4:156 ანდერძით მართვის დადგენა უცნობი პირის ინტერესებში

თუ ანდერძით მართვა დადგინდა მხოლოდ და მხოლოდ სხვა პირის ანდა ასევე ამ უკანასკნელის ინტერესებშიც, ნაცვლად სამართავად გადაცემული აქტივების მესაკუთრისა, მაშინ ივარაუდება, რომ ეს სხვა პირი, რამდენადაც მისი პიროვნება არ დგინდება, არის ის, ვისაც არ შეუძლია თავისი ნების განსაზღვრა იმდენად, რამდენადაც საქმე ეხება წინამდებარე განყოფილების ნორმების გამოყენებას.

ქვეგანყოფილება 4.5.7.2 – მმართველი

მუხლი 4:157 მმართველის დანიშვნა

- 1. როდესაც ანდერძში არ არის მოცემული მმართველის დანიშვნის მომწესრიგებელი წესი, რაიონული სასამართლო დანიშნავს ერთ ან რამდენიმე მმართველს სამართავად გადაცემული აქტივების მესაკუთრის, მემკვიდრის, ლეგატარის, ანდერძის აღმსრულებლისა თუ სხვა დაინტერესებული პირის მოთხოვნის საფუძველზე. რაიონული სასამართლო, უპირველეს ყოვლისა, უნდა დარწმუნდეს იმაში, არის თუ არა დანიშნული მმართველი მზად თავისი დანიშვნის მისაღებად.
- 2. წინამდებარე მუხლის გაგებით მმართველად ვერ დაინიშნებიან ქმედუუნარო პირები, ის პირები, რომელთა აქტივებიც გადაცემულია მინდობით მართვის ქვეშ, როგორც ეს გათვალისწინებულია სამოქალაქო კოდექსის 1.19 ტიტულში, გაკოტრებული და ასევე ის პირები, რომლებიც იმყოფებიან ფიზიკური პირებისათვის არსებული ვალების დაფარვის სქემაში, ისევე როგორც – 4:59 მუხლში აღნიშნული პირები.
- 3. წინამდებარე მუხლის გაგებით მმართველად შეიძლება დაინიშნონ სრული ქმედუნარიანობის მქონე იურიდიული პირები.
- 4. აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება დაინიშნოს დროებითი მმართველი.
- 5. სასამართლოს მიერ დანიშნული პირი ხდება მმართველი მეორე დღიდან მას შემდეგ, როდესაც დანიშვნის შესახებ მას შეატყობინა სასამართლოს მდივანმა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სასამართლოს დადგენილება უფრო გვიანდელ თაღირს უთითებს.
- 6. ის პირი, ვინც არ არის სასამართლოს მიერ დანიშნული, მმართველი ხდება მეორე დღიდან მას შემდეგ, როდესაც ის დაეთანხმა მის დანიშვნას.

მუხლი 4:158 ორი ან მეტი დანიშნული მმართველი

- 1. როდესაც დანიშნულია ორი ან მეტი მმართველი, მაშინ თითოეულ მათგანს დამოუკიდებლად შეუძლია მართვასთან დაკავშირებული ყველა მოქმედების შესრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ანდერძი ან რაიონული სასამართლო სხვაგვარად ადგენს.
- 2. მმართველებს შორის დავის შემთხვევაში, ერთ-ერთი მათგანის მოთხოვნის საფუძველზე განწყვეტილებას იღებს რაიონული სასამართლო, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ანდერძში ამ მხრივ სხვაგვარი მონესრიგება არის გათვალისწინებული.
- 3. შესაბამისი მოთხოვნის შემთხვევაში, რაიონულ სასამართლოს, მნიშვნელოვანი მიზეზების არსებობისას, შეუძლია შეცვალოს ან გაყოს მმართველთა ფუნქციები.

მუხლი 4: 159 მმართველისათვის გადასახდელი საზღაური

– 1. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ანდერძი სხვაგვარად ითვალისწინებს, მმართველი, ხოლო როდესაც სახეზეა ორი ან მეტი მმართველი, მმართველები ერთობლივად უფლებამოსილი არიან ყოველწლიურად მიიღონ საზღაური (ანაზღაურება) სამართავად გადაცემული სამკვიდროს ღირებულების ერთი პროცენტის ოდენობით, რომელიც გამოითვლება ამ წლის ბოლოსათვის არსებული ღირებულების მიხედვით.

– 2. როდესაც სახეზეა ორი ან მეტი მმართველი, ხოლო ანდერძი არ ადგენს მათთვის გადასახდელი საზღაურის განაწილების წესს, თითოეული მათგანი იღებს საზღაურის თანაბარ ოდენობას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც რაიონულმა სასამართლომ განსხვავებული წესი დაადგინა, ანდა – მმართველები ერთმანეთთან სხვაგვარად შეთანხმდნენ.

– 3. განსაკუთრებული გარემოებების გათვალისწინებით რაიონულ სასამართლოს შეუძლია განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით გაითვალისწინოს მოანდერძის ანდერძში ანდა კანონით დადგენილისაგან განსხვავებული საზღაური.

მუხლი 4: 160 ინვენტარიზაციის აქტი, უზრუნველყოფა და რეგისტრაცია

– 1. მმართველმა შეძლებისდაგვარად სწრაფად უნდა შეადგინოს სამართავად გადაცემული ყველა აქტივის საინვენტარიზაციო ნუსხა. თუ მმართველი ინიშნება სასამართლოს მიერ, მაშინ მან მიღების დასტურის სანაცვლოდ ამ ნუსხის ასლი უნდა გადასცეს იმ რაიონული სასამართლოს რეესტრს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც არსებობს ამ აქტივების მესაკუთრის (ან, შესაბამისად, მემკვიდრისა თუ ლეგატარის) ადგილსამყოფელი. მან მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა წარადგინოს უზრუნველყოფა, თუ ეს მითითებულ იქნა ანდერძით მართვის დადგენისას.

– 2. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ანდერძით მართვის დადგენისას განსხვავებული წესი არის მითითებული, მმართველმა ანდერძით დადგენილი მმართველობა და თავისი დანიშნა რეგისტრაციაში უნდა გაატაროს:

a. სამოქალაქო კოდექსის 3.1.2 ტიტულში მითითებულ საჯარო რეესტრებში, თუ ანდერძით დადგენილი მმართველობა ეხება რეგისტრირებულ ქონებას;

b. სამოქალაქო კოდექსის 2:85 და 2:194 მუხლებში მითითებულ აქციონერთა/პარტნიორთა რეესტრში, თუ ანდერძით დადგენილი მმართველობა ეხება რეგისტრირებულ აქციებს/წილებს ღია კორპორაციისა ("naamloze vennootschap") თუ დახურულ კორპორაციაში („besloten vennootschap“);

c. სავაჭრო რეესტრში, თუ ანდერძით დადგენილი მმართველობა ეხება სავაჭრო სანარმოს ან წილს სავაჭრო ამხანაგობაში.

მუხლი 4: 161 ანგარიშის წარდგენა

– 1. მმართველი ყოველწლიურად და ასევე მისი მართვის დასრულებისას თავისი საქმიანობის შესახებ ანგარიშს წარუდგენს სამართავად გადაცემული აქტივების მესაკუთრესა და იმ პირებს, რომელთა ინტერესებშიც მოხდა მართვის დადგენა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვა თარიღები იქნა მითითებული ამ მიზნით ანდერძში. მისი მართვის დასრულებისას მმართველმა თავისი საქმიანობის შესახებ ანგარიში უნდა წარუდგინოს ასევე იმ პირსაც, ვინც გახდება აქტივების მმართველი მის შემდეგ. თუ მმართველი დაინიშნა რაიონული სასამართლოს მიერ, მაშინ თავისი საქმიანობის შესახებ ანგარიშს ის ამ სასამართლოს წარუდგენს.

– 2. თუ სამართავად გადაცემული აქტივების მესაკუთრეს ან სხვა დაინტერესებულ მხარეს არ შეუძლია წარდგენილი ანგარიშის შემოწმება, ანდა თუ მესაკუთრის ან დაინტერესებული მხარის პიროვნება გაურკვეველია, მმართველმა ანგარიში უნდა წარუდგინოს რაიონულ სასამართლოს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ანდერძი სხვაგვარად ითვალისწინებს. თუ რაიონულმა სასამართლომ დაადასტურა წარდგენილი ანგარიში, ეს ხელს არ უშლის მესაკუთრეს ან დაინტერესებულ მხარეს მართვის დასრულებისას ხელახლა სთხოვოს მმართველს იმავე პერიოდისათვის ანგარიშის წარდგენა, რამდენადაც ეს არავგონივრული არ არის.

– 3. რაიონულ სასამართლოს – თავისი ინიციატივით ან მმართველის მოთხოვნის საფუძველზე – შეუძლია გაათავისუფლოს მმართველი სასამართლოსათვის თავისი საქმიანობის შესახებ მასზე დაკისრებული ანგარიშის პერიოდულად წარდგენის ვალდებულებისაგან. რაიონულ სასამართლოს შეუძლია ასევე დაადგინოს, რომ მმართველს აღნიშნული ანგარიშის წარდგენის ვალდებულება უნდა ეკისრებოდეს მხოლოდ კონკრეტული რაოდენობის წლებში ერთხელ.

– 4. გარდა ზემოაღნიშნულისა, შესაბამისად გამოიყენება სამოქალაქო კოდექსის 1.14.6.10 და 1.14.6.11 ქვეგანყოფილებებში მოცემული მეურვეობასთან დაკავშირებული ანგარიშის წარდგენის მომწესრიგებელი ნორმები.

მუხლი 4: 162 სარგებლის (ნაყოფის) განაწილება

– 1. ანგარიშის წარდგენის ყოველ დროს მმართველმა უფლებამოსილ პირებზე უნდა გაანაწილოს შესაბამის პერიოდში მართვის ქვეშ არსებული აქტივებიდან მიღებული წმინდა შემოსავალი, რომელსაც აკლდება მისთვის გადასახდელი საზღაურის თანხა, რამდენადაც არანაირი სხვა დებულება არ იქნა გათვალისწინებული ანდერძით მართვის დადგენის დროს. უფლებამოსილი პირის მოთხოვნის საფუძველზე რაიონულ სასამართლოს შეუძლია წარადგინოს სხვა მონაცემები აღნიშნული სარგებლის (ნაყოფის) განაწილებისათვის.

– 2. მანამდე, სანამ გაურკვეველია ზემოაღნიშნული სარგებლის (ნაყოფის) მიღებაზე უფლებამოსილი პირის პიროვნება, ანდა – სანამ ამ სარგებლის (ნაყოფის) მიღებაზე უფლებამოსილ პირს არ შეუძლია მათი მიღება, პარ. 1-ში მითითებული გასანაწილებელი წმინდა შემოსავალი რჩება მმართველის მართვის ქვეშ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ანდერძი ან რაიონული სასამართლო სხვაგვარად ადგენს.

მუხლი 4: 163 მმართველის პასუხისმგებლობა

მმართველი პასუხისმგებელია სამართავად გადაცემული აქტივების მესაკუთრის წინაშე იმ შემთხვევაში, თუ მან არ განახორციელა თავისი მართვის უფლება იმგვარად, როგორც ეს მოსალოდნელი შეიძლება ყოფილიყო კარგი მმართველისაგან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ვალდებულების ასეთი დარღვევა მას ვერ შეეცხება.

მუხლი 4: 164 მმართველის სტატუსის შეწყვეტა

– 1. მმართველის სტატუსი წყდება:

a. როდესაც მმართველმა დაასრულა ანდერძით მართვა;

b. განსაზღვრული ვადის ამონურვით, თუ მმართველი დანიშნული იყო ამ ვადით;

c. როდესაც მმართველი გარდაიცვლება, ვარდება ფიზიკური პირებისათვის არსებული ვალების დაფარვის სქემაში, გაკოტრდება, აღმოჩნდება ზრდასრული პირის მეურვეობის ქვეშ ანდა როდესაც მისი საკუთარი ერთი ან რამდენიმე აქტივი გადაცემულია მინდობით მართვის ქვეშ, როგორც ეს გათვალისწინებულია სამოქალაქო კოდექსის 1.19 ტიტულში;

d. მოანდერძის მიერ ანდერძში მითითებულ შემთხვევებში;

e. როდესაც რაიონულმა სასამართლომ დააკმაყოფილა განსაზღვრული თარიღიდან მმართველის დაკისრებული მოვალეობებისაგან გათავისუფლების მოთხოვნა.

– 2. დაკისრებული მოვალეობებისაგან გათავისუფლება რაიონულ სასამართლოს შეუძლია დააკმაყოფილოს როგორც თავად მმართველის მოთხოვნის საფუძველზე, ისე, მნიშვნელოვანი მიზეზების არსებობისას, თანამმართველის, სამართავად გადაცემული აქტივების მესაკუთრის, იმ პირისა თუ პროკურატურის მოთხოვნის საფუძველზე, ვის ინტერესებშიც მოხდა ანდერძით მართვის დადგენა, ანდა – იმის გამო, რომ ასეთი გადაწყვეტილება რაიონულმა სასამართლომ მიიღო საკუთარი ინიციატივით. საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებისას რაიონულ სასამართლოს შეუძლია დაადგინოს საუზრუნველყოფო ღონისძიებების მიღების შესახებ და შეაჩეროს მმართველის საქმიანობა.

მუხლი 4: 165 ყოფილი მმართველის მოვალეობები

– 1. ყოფილი მმართველი მის მმართველობაში არსებულ აქტივებს გადასცემს იმ პირს, ვინც მათ მართვაზე უფლებამოსილი გახდება მის შემდეგ. მას შეუძლია ასევე დააკავოს აქტივები მანამდე, სანამ ის სრულად არ მიიღებს მის მიერ განხორციელებული მართვისათვის გათვალისწინებული საზღაურის თანხას.

– 2. ყოფილმა მმართველმა უნდა გააგრძელოს ყველა თავისი ფუნქციის შესრულება იმდენად, რამდენადაც მათი გადადება შეუძლებელია სამართავად გადაცემული აქტივების მესაკუთრის ან სხვა დაინტერესებული მხარისათვის ზიანის მიყენების გარეშე მანამდე, სანამ მმართველის შემდეგ მართვაზე უფლებამოსილი პირი არ განაცხადებს თავის თანხმობას მმართველად დანიშვნაზე.

– 3. იმ შემთხვევაში, თუ პირმა დაკარგა მმართველის სტატუსი გაკოტრების გამო ანდა მას დაუდგინდა ზრდასრული პირების მეურვეობა, წინა პარაგრაფში მითითებული ვალდებულებები უნდა შესრულდეს

ლიკვიდატორის ან კანონიერი წარმომადგენლის მიერ, რამდენადაც ამ პირისათვის ცნობილია, რომ აღნიშნული სტატუსი არსებობდა; როდესაც პირმა დაკარგა მმართველის სტატუსი იმის გამო, რომ ის ვარდება ფიზიკური პირებისათვის არსებული ვალების დაფარვის სქემის მოქმედების ქვეშ ანდა როდესაც მისი საკუთარი ერთი ან რამდენიმე აქტივი გადაცემულია მინდობით მართვის ქვეშ, როგორც ეს გათვალისწინებულია სამოქალაქო კოდექსის 1.19 ტიტულში, იგივე წესი გამოიყენება მისი ქონების მმართველის მიმართაც. თუ პირმა მმართველის სტატუსი დაკარგა გარდაცვალების გამო, მისმა მემკვიდრეებმა, იმ პირობით, რომ მათთვის ცნობილია აღნიშნული სტატუსის არსებობის შესახებ, რაიონულ სასამართლოს უნდა წარუდგინონ განცხადება სხვა მმართველის დანიშვნის შესახებ.

ქვეგანყოფილება 4.5.7.3 – ანდერძით დადგენილი მართვის შედეგები

მუხლი 4: 166 მმართველობითი და მენეჯერული უფლებები

სამართავად გადაცემული აქტივების მესაკუთრე უფლებამოსილია, მმართველთან ერთად, შეასრულოს იმ აქტივების მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებული მოქმედებები, რომლითაც ის სარგებლობს, ისევე როგორც – ის მოქმედებები, რომელთა გადადებაც (ზიანის მიყენების გარეშე) შეუძლებელია. გარდა აღნიშნულისა, მხოლოდ მმართველი არის უფლებამოსილი სამართავად გადაცემული აქტივების მართვაზე.

მუხლი 4: 167 მესაკუთრის სხვა დარჩენილი უფლებები

– 1. თუ ანდერძით მართვის დადგენა ხდება სამართავად გადაცემული აქტივების მესაკუთრის ინტერესებში, მაშინ ამ მესაკუთრეს შეუძლია მხოლოდ მმართველის თანამონაწილეობითა თუ თანხმობით წინა მუხლში მითითებულისაგან განსხვავებული იმ მოქმედებების შესრულება, რომლებიც ეხება სამართავად გადაცემულ აქტივს. იგივე წესი ეხება უზუფრუქტუარის უფლებამოსილებას, განახორციელოს უზუფრუქტით დატვირთულ აქტივებთან დაკავშირებული მოქმედებები, თუ თავად ეს უზუფრუქტი ექვემდებარება ანდერძით მართვას, ხოლო აღნიშნული მოქმედებები კი სცილდება უფლებრივად დატვირთული აქტივების გამოყენების ფარგლებს.

– 2. თუ ანდერძით მართვის დადგენა ხდება სხვა პირის ინტერესებში, ნაცვლად სამართავად გადაცემული აქტივების მესაკუთრისა ანდა – საერთო ინტერესების უზრუნველყოფის მიზნით, მაშინ მესაკუთრე პარ. 1-ში მითითებული მოქმედებების შესრულებაზე უფლებამოსილია მხოლოდ ანდერძით დადგენილი მართვის სრულად შენარჩუნების პირობით.

– 3. თუ ანდერძით მართვის დადგენა ხდება ორივე მხარის – სამართავად გადაცემული აქტივების მესაკუთრისა და ერთი ან მეტი დაინტერესებული მხარის ინტერესებში, ანდა საერთო ინტერესების უზრუნველყოფის მიზნით, მაშინ მესაკუთრეს პარ. 1-ში მითითებული მოქმედებების შესრულება შეუძლია მხოლოდ მმართველის თანამონაწილეობითა თუ თანხმობით და ასევე მხოლოდ ანდერძით დადგენილი მართვის სრულად შენარჩუნების პირობით.

მუხლი 4: 168 მესაკუთრის მიერ ან მის მიმართ დადებული გარიგებები

– 1. ის გარიგება, რომელიც დაიდო სამართავად გადაცემული აქტივების მესაკუთრის მიერ ან მის მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ 4: 166 და 4: 167 მუხლების მოქმედების გამო ის არ იყო უფლებამოსილი ასეთი გარიგების დადებასა თუ მასში მონაწილეობაზე, მაინც ნამდვილია, თუ მეორე მხარემ არ იცოდა ან მას არც უნდა სცოდნოდა ანდერძით მართვის არსებობის შესახებ. თუმცა, დაუშვებელია სასამართლოს დადგენილების მიღება ასეთი გარიგებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულების დაკისრების შესახებ, რამდენადაც მისი მიზანია სამართავად გადაცემული აქტივის გასხვისება ანდა ასეთი აქტივის შეზღუდული სანივთო უფლებით დატვირთვა.

– 2. ის ფაქტი, რომ სამოქალაქო კოდექსის 3:88 მუხლში მითითებული აქტივის განკარგვა (გადაცემა) ბათილი იყო ანდერძით მართვის მომწესრიგებელი კანონისმიერი ნორმების შესაბამისად, არ ბღალავს ნებისმიერი მოგვიანებით გაკეთებული აქტივის საკუთრებაში გადაცემის ნამდვილობას, თუ მესამე პირი ამ აქტივის შეძენის მომენტში მოქმედებდა კეთილსინდისიერად. წინა წინადადების ნორმა შესაბამისად გამოიყენება ასეთ აქტივზე შეზღუდული სანივთო უფლების დადგენის, გადაცემისა და მათზე უარის მიმართაც.

მუხლი 4:169 მმართველის მიერ განსაზღვრული მოქმედებების შესრულების უფლებამოსილება

- 1. სამართავად გადაცემული აქტივების მესაკუთრის თანხმობით მმართველი უფლებამოსილია:
 - a. შესარულოს 4:167 მუხლის პარ. 1-ში მითითებული მოქმედებები (სამართავად გადაცემული აქტივების მართვისათვის აუცილებელი მოქმედებები);
 - b. ფულადი თანხების გასესხება ანდა მესაკუთრისათვის თავდებისა (გარანტიის) თუ სოლიდარული მოვალის სახით პასუხისმგებლობის დაკისრება;
 - c. დავის დასრულების შესახებ შეთანხმების დადება; თუმცა, მმართველს არ ესაჭიროება (c) პუნქტში აღნიშნული მოქმედების შესრულებაზე მესაკუთრის თანხმობა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 87-ე მუხლში მითითებულ ვითარებაში (სასამართლოს წინაშე დადებული მორიგების აქტი) ანდა – თუ დავის საგნის ღირებულება არ აღემატება 700 ევროს.
- 2. როდესაც ანდერძით მართვა ხორციელდება მხოლოდ და მხოლოდ ანდა ასევე იმ სხვა პირის ინტერესებში, ვინც არ წარმოადგენს სამართავად გადაცემული აქტივების მესაკუთრეს, ანდა – საერთო ინტერესების უზრუნველყოფის მიზნით, მაშინ მმართველს პარ. 1-ში მითითებული მოქმედებების შესასრულებლად დასჭირდება ასევე ამ სხვა პირის თანხმობაც.
- 3. იმ პირის მხრიდან თანხმობის არარსებობისას, ვისი თანხმობაც მოითხოვება, რაიონულ სასამართლოს, მოთხოვნის საფუძველზე, შეუძლია შეცვალოს ეს თანხმობა თავისი ნებართვით იმ პირობების გათვალისწინებით, რომლებსაც ის საჭიროდ მიიჩნევს.

მუხლი 4:170 საერთო საკუთრების განაწილება (გაყოფა)

- 1. როდესაც სამართავად გადაცემული აქტივები ანდა იმ შეზღუდული სანივთო უფლებით დავითრთული აქტივები, რომელიც თავად არის სამართავად გადაცემული, წარმოადგენს საერთო საკუთრებას, მაშინ მმართველს აქვს უფლება, მოითხოვოს საერთო საკუთრების განაწილება (გაყოფა); მესაკუთრის ან, შესაბამისად, შეზღუდული სანივთო უფლების მფლობელის თანხმობით მმართველი ასევე უფლებამოსილია დადოს ხელშეკრულება, რომლის შედეგადაც ასეთი განაწილება (გაყოფა) განსაზღვრული ვადის განმავლობაში შეუძლებელი იქნება.
- 2. მესაკუთრის თანხმობით მმართველი უფლებამოსილია ითანამშრომლოს განაწილების (გაყოფის) პროცესში.
- 3. შესაბამისად გამოიყენება 4:169 მუხლის პარ. 2 და 3-ის ნორმები.

მუხლი 4:171 მმართველის უფლებების გაფართოება ან შეზღუდვა

- 1. მმართველის უფლებამოსილებები და მოვალეობები შეიძლება მოწესრიგდეს უფრო კონკრეტულად გარდაცვლილი პირის ანდერძში; ამ მიზნით ეს უფლებამოსილებები და მოვალეობები შეიძლება განისაზღვროს იმაზე უფრო ფართოდ ან შეზღუდულად, ვიდრე ეს გამომდინარეობს წინამდებარე განყოფილების ზემოაღნიშნული კანონისმიერი ნორმებიდან.
- 2. მმართველის, მესაკუთრისა თუ იმ პირის მოთხოვნის საფუძველზე, ვის ინტერესებშიც იქნა დადგენილი ანდერძით მართვა, რაიონულ სასამართლოს გაუთვალისწინებელი გარემოებების არსებობისას შეუძლია შეცვალოს მართვის წესები. რაიონულ სასამართლოს შეუძლია ასეთი მოთხოვნა დააკმაყოფილოს კონკრეტული პირობების გათვალისწინებითაც.

მუხლი 4:172 მმართველის მიერ მესაკუთრის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება

- 1. მმართველი, ვინც ახორციელებს თავის მოვალეობებს სამართავად გადაცემული აქტივების მესაკუთრესთან თანამონაწილეობისა თუ მისი თანხმობის გარეშე, უფლებამოსილია თავისი საქმიანობის დროს წარმოადგინოს ის ანდა იმოქმედოს საკუთარი სახელით, თუმცა – მესაკუთრის ხარჯზე.
- 2. აღნიშნული წარმომადგენლობის შემთხვევაში, მეორე მხარის უფლებებისა და მოვალეობების მიმართ შესაბამისად გამოიყენება სამოქალაქო კოდექსის 3.3 ტიტულის ნორმები. დაუშვებელია მმართველის მიერ მესაკუთრის წარმომადგენლობის უფლებამოსილებასთან დაკავშირებული წესებისა და ასეთი უფლებამოსილების არსებობა-არარსებობის საკითხის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების იმ მეორე მხარის მიმართ წამოყენება, რომელმაც არ იცოდა და რომელსაც არც უნდა სცოდნოდა ამ წესებისა თუ ფაქტების არსებობის შესახებ.

მუხლი 4:173 მმართველის მიერ მესაკუთრის სასამართლოში წარმომადგენლობის უფლებამოსილება

მმართველი წარმოადგენს მესაკუთრეს სამართავად გადაცემულ აქტივებთან დაკავშირებით წარმო-

ებულ სასამართლო პროცესებში. იმისათვის, რომ მმართველმა გამორიცხოს სამართლებრივი პასუხისმგებლობა თავისი მოქმედებებისათვის, აღნიშნული მიზნით მესაკუთრის სასამართლოში წარმომადგენლობამდე მას შეუძლია ითხოვოს მესაკუთრისა და იმ პირების მხრიდან დავალების მიღება, რომელთა ინტერესებშიც დადგინდა ანდერძით მართვა. თუ ასეთი დავალების მიცემა არ ხდება, რაიონულ სასამართლოს შეუძლია შეცვალოს ის თავისი ნებართვით.

მუხლი 4: 174 მესაკუთრის პასუხისმგებლობა მმართველის მიერ დადებული გარიგებებისათვის

– 1. სამოქალაქო კოდექსის 6:172 მუხლის მოქმედების შეზღუდვის გარეშე, სამართავად გადაცემული აქტივების მესაკუთრე პასუხს აგებს იმ გარიგებებიდან გამომდინარე ყველა ვალისა და ვალდებულებისათვის, რომლებიც მმართველმა თავისი საქმიანობის განხორციელებისას მესაკუთრის სახელით დადო.

– 2. რამდენადაც მესაკუთრე უთითებს სამართავად გადაცემულ აქტივებზე, რომლებიც საკმარის რესურსს ქმნის მოთხოვნათა დაკმაყოფილებისათვის, პარ. 1-ში მითითებული ვალებისა და ვალდებულებების დაფარვისათვის დაუშვებელია მისი კუთვნილი სხვა აქტივების რეალიზაცია (იძულებით გაყიდვა).

მუხლი 4: 175 სამართავად გადაცემული აქტივების ხარჯზე კონკრეტული ვალების დაფარვა

– 1. ანდერძით მართვის დროს სამართავად გადაცემული აქტივების რეალიზაცია (იძულებით გაყიდვა) მესაკუთრის ხარჯზე შესაძლებელია შემდეგი ვალების დაფარვისათვის:

a. გარდაცვლილის სამკვიდროს ვალებისათვის, რამდენადაც ამ ვალების დაკმაყოფილება კანონის შესაბამისად შესაძლებელია აღნიშნული აქტივების რეალიზაციიდან მიღებული თანხებიდან;

b. აღნიშნულ აქტივებთან დაკავშირებული ვალებისათვის;

c. მესაკუთრის მიერ თავისი უფლებამოსილების ფარგლებში დადებული გარიგებებიდან გამომდინარე ვალებისათვის, როგორც ეს მითითებულია 4:166 და 4:167 მუხლებში;

d. მესაკუთრის მიერ დადებული გარიგებებიდან გამომდინარე ვალებისათვის, რომლებიც, მართალია, არ არის დადებული წინა პარაგრაფში მითითებული უფლებამოსილების ფარგლებში, მაინც ნამდვილია 4:168 მუხლის პარ. 1-ის ნორმების გამო, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მმართველი უთითებს მესაკუთრის სამართავად გადაცემულ სხვა იმ აქტივებს, რომლებიც სრულად ან ნაწილობრივ იძლევა მოთხოვნათა დაკმაყოფილების რესურსს;

e. მმართველის მიერ თავისი საქმიანობის ფარგლებში მესაკუთრის სახელით დადებული გარიგებებიდან გამომდინარე ვალებისათვის, რომელთათვისაც მესაკუთრე პასუხისმგებელია 4:174 მუხლის შესაბამისად.

– 2. პარ. 1-ის (e) პუნქტში მითითებული ვალების დაფარვისათვის სამართავად გადაცემული აქტივების რეალიზაცია (იძულებით გაყიდვა) შესაძლებელია ასევე მას შემდეგ, რაც ისინი გადაეცა სხვა მესაკუთრეს ანდერძით დადგენილი მართვის სრულად შენარჩუნების პირობით.

– 3. როდესაც ხდება სამართავად გადაცემული აქტივების რეალიზაცია (იძულებით გაყიდვა), ისინი აღარ ექვემდებარება ასეთ მართვას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ანდერძით მართვა ხორციელდება მხოლოდ და მხოლოდ ანდა ასევე იმ სხვა პირის ინტერესებში, ვინც არ წარმოადგენს სამართავად გადაცემული აქტივების მესაკუთრეს, ანდა – საერთო ინტერესების უზრუნველყოფის მიზნით.

მუხლი 4: 176 ზედამხედველობის ქვეშ არსებული აქტივების ხარჯზე სხვა ვალების დაფარვა

როდესაც ანდერძით მართვა ხორციელდება მხოლოდ და მხოლოდ სხვა პირის ინტერესებში, ნაცვლად სამართავად გადაცემული აქტივების მესაკუთრისა, ანდა – საერთო ინტერესების უზრუნველყოფის მიზნით, სამართავად გადაცემული აქტივების რეალიზაცია (იძულებით გაყიდვა) მესაკუთრის ხარჯზე დასაშვებია ასევე სხვა ვალების დაფარვაც, თუმცაღა – მხოლოდ ანდერძით დადგენილი მართვის სრულად შენარჩუნების პირობით.

ქვეგანყოფილება 4.5.7.4 – საანდერძო ზედამხედველობის შეწყვეტა

მუხლი 4: 177 ანდერძით მართვის შეწყვეტა განსაზღვრული ვადის ამონურვისთანავე ანდა მემკვიდრეობასა თუ ლეგატზე უარის გამო

– 1. ანდერძით მართვა წყდება იმ ვადის გასვლით, რა ვადითაც ის იყო დადგენილი.

– 2. ანდერძით მართვა წყდება, როდესაც ის აღარ ემსახურება თავის საწყის მიზანს იმის გამო, რომ

მემკვიდრე ან ლეგატარი უარი აცხადებს იმ მემკვიდრეობასა თუ ლეგატზე, რომელთა აქტივების შეძენაც მოხდა ან შეიძლება მომხდარიყო. ასეთ უარს უკუქცევითი ძალა არა აქვს.

მუხლი 4:178 მესაკუთრის ინტერესებში დადგენილი ანდერძით მართვის შეწყვეტა

– 1. როდესაც ანდერძით მართვა ხორციელდება მხოლოდ და მხოლოდ სამართავად გადაცემული აქტივების მესაკუთრის ინტერესებში, ის წყდება ამ უკანასკნელის გარდაცვალებით. როდესაც მესაკუთრე იურიდიულ პირს წარმოადგენს, მაშინ ანდერძით მართვა წყდება იურიდიული პირის გაუქმებით და, გარდა აღნიშნულისა, იმის გათვალისწინებით, რომ მოანდერძის გარდაცვალებიდან გასულია ოცდაათი წელი, – როდესაც ამ იურიდიულმა პირმა განაცხადა მართვის შეწყვეტის შესახებ.

– 2. გაუთვალისწინებელი გარემოებების არსებობისას რაიონულ სასამართლოს შეუძლია შეწყვიტოს ასეთი ანდერძით მართვა მმართველის მოთხოვნის საფუძველზეც და ასევე თუკი მოსალოდნელია, რომ მესაკუთრემ თავად შეძლოს სამართავად გადაცემული აქტივების გონივრულად მართვა. როდესაც მოანდერძის გარდაცვალებიდან გასულია ხუთი წელი, მესაკუთრის მოთხოვნით ანდერძით მართვა შეიძლება შეწყდეს ასევე ამ უკანასკნელ საფუძველზეც. როდესაც რაიონული სასამართლო არ აკმაყოფილებს ანდერძით მართვის შეწყვეტის მოთხოვნას, მას შესაბამისი მოთხოვნის საფუძველზე შეუძლია შეცვალოს მისი წესები კონკრეტული პირობების გათვალისწინებით ან ამ პირობების გარეშე.

მუხლი 4:179 ვინმე სხვა პირის ინტერესებში დადგენილი ზედამხედველობის შეწყვეტა

– 1. რამდენადაც ანდერძით მართვა ხორციელდება ვინმე სხვა პირის ინტერესებში, ნაცვლად სამართავად გადაცემული აქტივების მესაკუთრისა, ის წყდება იმ მომენტში, როდესაც მართვა აღარ ემსახურება აღნიშნულ ინტერესს და ასევე – როდესაც მესაკუთრე და ის პირი, ვის ინტერესებშიც დადგინდა ანდერძით მართვა, წერილობით ატყობინებენ მმართველს იმის თაობაზე, რომ მათ ერთობლივად დადგინდეს ანდერძით მართვის შეწყვეტა. შეწყვეტის შესახებ ერთობლივი გადაწყვეტილება შეიძლება ეხებოდეს ასევე სამართავად გადაცემულ ერთ ან რამდენიმე აქტივს.

– 2. თუ ანდერძით მართვა ხორციელდება იმ პირის ინტერესებში, რომელმაც მიიღო სარგებელი წინასწარი პირობით ან ძალაში შესვლის თარიღის (დათქმების ვადებზე) დადგენილი ლეგატიდან გამომდინარე ანდა – ანდერძით დაკისრებული ვალდებულებიდან გამომდინარე, მაშინ ეს მართვა შეიძლება შეწყდეს შეწყვეტის შესახებ შეტყობინების წარდგენით იმ შემთხვევაში, როდესაც მოანდერძის გარდაცვალებიდან გასულია ოცდაათი წელი.

მუხლი 4:180 საერთო ინტერესების უზრუნველყოფის მიზნით დადგენილი ანდერძით მართვის შეწყვეტა

– 1. რამდენადაც ანდერძით მართვა ხორციელდება მესაკუთრისა და ერთი ან მეტი სხვა პირის საერთო ინტერესების უზრუნველყოფის მიზნით, ეს მართვა წყდება იმ შემთხვევაში, როდესაც ის აღარ ემსახურება აღნიშნულ მიზანს.

– 2. ზემოაღნიშნული ანდერძით მართვა შეიძლება შეწყდეს ასევე შეწყვეტის შესახებ შეტყობინების წარდგენით იმ შემთხვევაში, როდესაც მოანდერძის გარდაცვალებიდან გასულია ხუთი წელი.

მუხლი 4:181 შეწყვეტის შესახებ შეტყობინების წარდგენა

– 1. წინა მუხლში მითითებული შეწყვეტის შესახებ შეტყობინების წარდგენა სამართავად გადაცემული აქტივების მესაკუთრის მიერ შეიძლება მოხდეს მხოლოდ წერილობითი ფორმით, სულ ცოტა, ერთთვიანი ვადის ჯეროვანი დაცვით.

– 2. შეწყვეტის შესახებ შეტყობინება წარედგინება მმართველს და ასევე – ყველა დაინტერესებულ მხარეს, თუ ისინი სახეზე არიან.

ტიტული 4.6 – მემკვიდრეობის შედეგები

განყოფილება 4.6.1 – ზოგადი დებულებები

მუხლი 4:182 გარდაცვლილის უფლებებისა და ვალების მიღება

– 1. როდესაც პირი გარდაიცვლება, მისი მემკვიდრეები კანონის ძალით იღებენ მის უფლებებს, რამდენადაც ისინი შეიძლება გადავიდეს სხვა პირზე, და ასევე მემკვიდრეები იმავე მოცულობით იძენენ ყველა

იმ ობიექტს, რასაც გარდაცვლილი პირი ფლობდა ან ინახავდა თავისთან. პირველი წინადადების ნორმა არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც გარდაცვლილის სამკვიდროს განაწილება (გაყოფა) ხდება 4:13 მუხლის შესაბამისად; ასეთ შემთხვევაში მისი მეუღლე კანონის ძალით იმავე მოცულობით იძენს ყველა იმ ობიექტს, რასაც გარდაცვლილი პირი ფლობდა ან ინახავდა თავისთან.

– 2. კანონის ძალით მემკვიდრეები ხდებიან გარდაცვლილის მიერ ნაკისრი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობებიდან და სხვა იმ სამართლებრივ მოვალეობებიდან გამომდინარე მოვალეებად, რომლებიც მამკვიდრებლის გარდაცვალების შედეგად არ შეწყვეტილა. თუ ვალდებულების შესრულება დაყოფადია, თითოეული მემკვიდრე პასუხისმგებელია მის განხორციელებაზე გარდაცვლილის სამკვიდროში თავისი წილის პროპორციულად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მემკვიდრეები პასუხს აგებენ სოლიდარულად.

მუხლი 4:183 სამკვიდროს აქტივების დაბრუნების მოთხოვნის უფლება

მემკვიდრეს შეუძლია გარდაცვლილის სამკვიდროს ყველა აქტივის დაბრუნება, მათ შორის, – იმ აქტივების დაბრუნება, რომლებიც მამკვიდრებლის გარდაცვალების მომენტისათვის მასთან ინახებოდა მესამე მხარეთათვის, მოითხოვოს ყოველი იმ პირისაგან, ვინც ფლობს ამ აქტივებს უფლებისა თუ სამართლებრივი საფუძვლის გარეშე. როდესაც გარდაცვლილის სამკვიდროს განაწილება (გაყოფა) ხდება 4:13 მუხლის შესაბამისად, ზემოაღნიშნულ წინადადებაში მითითებული უფლება მხოლოდ და მხოლოდ გარდაცვლილის მეუღლეს ეკუთვნის.

მუხლი 4:184 სავალო მოთხოვნის უფლების მქონე კრედიტორების მდგომარეობა სამკვიდროს მიმართ

– 1. გარდაცვლილის სამკვიდროს კრედიტორებს შეუძლიათ თავიანთი სავალო მოთხოვნის უფლებების დაკმაყოფილება ამ სამკვიდროს აქტივებიდან მოახდინონ.

– 2. მემკვიდრეს არ ევალება გარდაცვლილის სამკვიდროს ვალის დაფარვა თავისი სხვა ქონებიდან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:

a. ის უპირობოდ დაეთანხმა მის მემკვიდრედ დანიშვნას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ვალი არ ეკისრება მას და ასევე 4:14 მუხლის პარ. 3-სა და 4:87 მუხლის პარ. 5-ის ნორმების მოქმედების შეზღუდვის გარეშე;

b. ხელს უშლის სამკვიდროს ვალის დაფარვას და ის პასუხისმგებელია ამ ქმედებისთვის;

c. მემკვიდრე განზრახ კარგავს ან მალავს სამკვიდროს აქტივებს ან ის განზრახ სხვაგვარად ახდენს ასეთი აქტივების სამკვიდროს იმ კრედიტორებისაგან დაფარვას, რომლებსაც სურთ თავიანთი მოთხოვნების რეალიზაცია;

d. მემკვიდრე წარმოადგენს ლიკვიდატორს და მან მნიშვნელოვნად დაარღვია მასზე დაკისრებული მოვალეობები, რაზეც მას ეკისრება პასუხისმგებლობა.

– 3. როდესაც გარდაცვლილის სამკვიდროდან აქტივების განაწილება განხორციელდა იმ მემკვიდრეზე, ვინც მის მემკვიდრედ დანიშვნას დაეთანხმა იმ პირობით, თუ სამკვიდროს აქტივების ღირებულება აღემატება მისი ვალების ღირებულებას, სამკვიდროს კრედიტორებს ნებისმიერ შემთხვევაში შეუძლიათ მოახდინონ თავიანთი მოთხოვნების რეალიზაცია ამ მემკვიდრის ქონებიდან იმ ღირებულების ფარგლებში, რომელიც მან გარდაცვლილის სამკვიდროდან უკვე მიიღო. შესაბამისად გამოიყენება 4:223 მუხლის პარ. 1-ის ნორმები.

– 4. მემკვიდრე, ვინც პარ. 2-ის (b) ან (c) პუნქტების ნორმების შესაბამისად გარდაცვლილის სამკვიდროს ვალებისათვის მთელი თავისი ქონებით გახდა პასუხისმგებელი, დარჩება ასეთად თუნდაც იმის შემდეგ, რაც ის უარს განაცხადებს თავის მემკვიდრეობაზე.

– 5. პარ. 2-ის (b) ან (c) ნორმები შესაბამისად გამოიყენება იმ შესრულების მიმართაც, რომელიც უნდა განხორციელდეს ანდერძით დაკისრებული ვალდებულების შესაბამისად და გამოიხატება იმ ფულადი თანხებისა თუ აქტივების განაწილებაში, რომლებიც არ განეკუთვნება გარდაცვლილის სამკვიდროს.

მუხლი 4:185 კრედიტორების მიერ თავიანთი მოთხოვნების რეალიზაციის დაუშვებლობა პირველი სამი თვის განმავლობაში

– 1. თუ ყველა მემკვიდრე არ დაეთანხმა უპირობოდ მის მიერ მემკვიდრეობის მიღებას, მაშინ მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან პირველი სამი თვის განმავლობაში დაუშვებელია გარდაცვლილის სამკვიდროს აქტივებიდან ნებისმიერი სავალო მოთხოვნის დაკმაყოფილება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კრედიტორი დამოუკიდებლად შეძლებდა დაკმაყოფილების პროცესის დაწყებას იმ ვითარებაში, რომელშიც გარდაცვლილი პირი ვაკოტრებული აღმოჩნდებოდა, ის რომ ჯერ კიდევ ცოცხალი ყოფილიყო.

– 2. აღნიშნული ვადის განმავლობაში ნებისმიერი დაინტერესებული პირის მოთხოვნის საფუძველზე, რაიონულ სასამართლოს შეუძლია მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა იმ პირის ინტერესების დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად, რომელმაც წარადგინა მოთხოვნა.

– 3. სამთვიანი ვადის გასვლამდე რაიონული სასამართლოს მიერ განსაკუთრებული საფუძვლების არსებობისას ეს ვადა შეიძლება ერთჯერ ან ორჯერ გახანგრძლივდეს კონკრეტული კრედიტორების მოთხოვნათა დაკმაყოფილების უფლების ბლოკირების მიზნით. ვადის ასეთი გახანგრძლივება რეგისტრაციაში უნდა გატარდეს სამკვიდროთა საჯარო რეესტრში.

მუხლი 4:186 სამკვიდროთა რეესტრი

– 1. რაიონული სასამართლოს რეესტრი აწარმოებს სამკვიდროთა საჯარო რეესტრს, რომელშიც რეგისტრაციაში უნდა გატარდეს ყველა ის ფაქტი, რომელიც კანონის შესაბამისად მნიშვნელოვანია გარდაცვლილის მემკვიდრეობის გადაცემული ქონების სამართლებრივი მდგომარეობისათვის.

– 2. გარდაცვლილის სამკვიდროს ლიკვიდაციის პროცესში მონაწილე ნოტარიუსმა თავად უნდა მიმართოს რეესტრს სამკვიდროთა რეესტრში სამკვიდროს ნოტარიუსის სახით რეგისტრაციის შესახებ.

– 3. სამკვიდროთა რეესტრის დაფუძნება და კონსულტაციის განწევა რეგულირდება მეფის სამთავრობო ბრძანებით.

– 4. პარ. 1-გან განსხვავებით, მეფის სამთავრობო ბრძანებით დასაშვებია რეგულაცია, რომლის თანახმადაც სამკვიდროთა რეესტრის წარმოება მოხდება ერთი ან მეტი სხვა პირის ან დანესებულების მიერ, ნაცვლად რაიონული სასამართლოს რეესტრისა. მეფის სამთავრობო ბრძანებით დასაშვებია ასევე რეგულაცია, რომლის თანახმადაც იმ პირებს, რომლებიც უფლებამოსილი ან ვალდებული არიან, წარადგინონ სამკვიდროთა რეესტრში სარეგისტრაციო ფაქტები, ამ საქმიანობის განხორციელება შეეძლება მეფის სამთავრობო ბრძანებით განსაზღვრული კონკრეტული წესით.

მუხლი 4:187 მემკვიდრეობის მიღების განცხადება (დაცვა კეთილსინდისიერების გამო)

– 1. პირი, ვინც ენდობოდა მემკვიდრეობის მიღების განცხადებაში მითითებულ ფაქტებს, ამ ფაქტებთან დაკავშირებით კეთილსინდისიერ მხარედ მიიჩნევა.

– 2. მოვალეს, რომელმაც მემკვიდრეობის მიღების განცხადებაში მითითებული ფაქტების ნდობით განახორციელა მასზე დაკისრებული ვალდებულება იმ პირის მიმართ, ვინც არ იყო უფლებამოსილი შესრულების მიღებაზე, იმ პირის მიმართ, რომლის მიმართაც მას უნდა განხორციელებინა შესრულება, შეუძლია მიუთითოს იმაზე, რომ ის თავისუფლდება მასზე დაკისრებული ვალდებულებისაგან.

– 3. წინა პარაგრაფებში მოცემული ნორმებიდან გამონაკლისი სახეზეა იმ შემთხვევაში, თუ პირს, ვინც ენდობოდა მემკვიდრეობის მიღების განცხადებას, უნდა ჩაეტარებინა დამატებითი კვლევა-ძიება იმ კონკრეტული გარემოებების არსებობის გამო, რომელთა გამოკლევა აჩვენებდა, რომ მემკვიდრეობის მიღების განცხადება უსწორო იყო.

მუხლი 4:188 მემკვიდრეობის მიღების განცხადება (ფორმა და შინაარსი)

– 1. მემკვიდრეობის მიღების განცხადება წარმოადგენს ავთენტურ მოწმობას, რომელშიც ნოტარიუსი უთითებს ერთ ან რამდენიმე ქვემოთ მოცემულ ფაქტს:

a. რომ განცხადებაში მითითებული ერთ ან რამდენიმე პირი, – როგორც კონკრეტულ წილთან დაკავშირებით, ისე მის გარეშე – წარმოადგენენ გარდაცვლილის მემკვიდრეებს ანდა – ერთადერთ მემკვიდრეებს, იმ ფაქტის აღნიშვნით, მიიღეს თუ არა მათ ამასობაში თავიანთი მემკვიდრეობა;

b. რომ გარდაცვლილის მეუღლე 4.3.2 განყოფილების ნორმების საფუძველზე არის თუ არ არის უფლებამოსილი გარდაცვლილის სამკვიდროს მიკუთვნებულ ერთ ან მეტ აქტივზე არსებულ უზუფრუქტის უფლებაზე, იმ ფაქტის აღნიშვნით, აქვს თუ არა მას მისი უზუფრუქტის უფლებით დატვირთული აქტივების განკარგვის (გადაცემის) უფლებამოსილება, ანდა – აქვს თუ არა მას ამ აქტივების მოხმარების (გამოყენების) უფლება, და ასევე – იმის აღნიშვნით, შეუძლია თუ არა მეუღლეს – ხოლო თუ შეუძლია, რა მომენტამდე – 4:29 მუხლის პარ. 1 და 3-ის ნორმების გამოყენება;

c. რომ გარდაცვლილის სამკვიდროს განაწილება (გაყოფა) ხდება 4:13 მუხლის შესაბამისად, იმის აღნიშვნით, აქვს თუ არა მეუღლეს 4:18 მუხლის პარ. 1-ში მითითებული უფლება, ხოლო თუ აქვს, – რა მომენტამდე;

d. ექვემდებარება თუ არა გარდაცვლილის სამკვიდრო 4.6.3 განყოფილების ნორმების საფუძველზე დანიშნული ანდერძის აღმსრულებლის, მმართველისა თუ ლიკვიდატორის მიერ განხორციელებულ მართვას, – მათი უფლებამოსილების აღნიშვნით; ან

- ე. რომ მემკვიდრეობის მიღების განცხადებაში ნახსენებ ერთ ან მეტ პირს აქვს ანდერძის აღმსრულებლის, მმართველისა თუ ლიკვიდატორის სტატუსი.
- 2. მემკვიდრეობის მიღების განცხადების შინაარსა და შედგენასთან დაკავშირებული დამატებითი ნორმები შეიძლება დადგინდეს მეფის სამთავრობო ბრძანებით.

მუხლი 4: 189 აქტივების შექმნა სახელმწიფოს მიერ

თუ – და ასევე იმდენად, რამდენადაც – გარდაცვლილ პირს არა ჰყავს მემკვიდრეები, მისი გარდაცვალების მომენტში არსებულ სამკვიდროს აქტივებს უნივერსალური სამართალმემკვიდრეობით იძენს ნიდერლანდების სახელმწიფო.

განყოფილება 4.6.2 – მემკვიდრეობის ან ლეგატის მიღება და მასზე უარი

მუხლი 4: 190 მემკვიდრეობის მიღების ან არმიღების არჩევანი

- 1. მემკვიდრეს შეუძლია მიიღოს მემკვიდრეობა ან უარი თქვას მასზე. მიღება შეიძლება მოხდეს უპირობოდ ანდა იმ პრივილეგიით, რომ ჯერ უნდა შედგეს გარდაცვლილის სამკვიდროს ინვენტარიზაციის აქტი იმის შეფასების მიზნით, აღემატება თუ არა სამკვიდროს აქტივების ღირებულება მის ვალებს.
- 2. გარდაცვლილი ვერ დაანესებს მემკვიდრეთა არჩევანის უფლების მიმართ შეზღუდვებს. გარდაცვლილის სამკვიდროს გახსნამდე მემკვიდრე ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას, მიიღოს მემკვიდრეობა ან უარი თქვას მასზე.
- 3. წინა პარაგრაფში მითითებული არჩევანი შეიძლება გაკეთდეს მხოლოდ უპირობოდ და ვადის განსაზღვრის გარეშე. ის ვერ შეეხება გარდაცვლილის სამკვიდროში წილის ნაწილს. თუმცა, როდესაც იმ მემკვიდრემ, რომელმაც უკვე მიიღო თავისი მემკვიდრეობა, შეიძინა რაიმე სამკვიდროდან გარდაცვლილის მიერ მის მემკვიდრედ დანიშნისათვის დამატებული პირობის შესრულების ანგარიშში, მაშინ ამ მემკვიდრის მიერ მემკვიდრეობის ცალკე მიღება ან მასზე უარი ჯერ კიდევ შესაძლებელია.
- 4. როგორც კი არჩევანი გაკეთდება, ეს არჩევანი ხდება გამოუთხოვადი და მას უკუქცევითი ძალა აქვს სამკვიდროს მემკვიდრეობით გადასვლის მომენტამდე. მემკვიდრეობის მიღება ან მასზე უარი ვერ გაბათილდება შეცდომის („dwaling“) საფუძველით, ისევე როგორც – ერთი ან რამდენიმე კრედიტორის მიერ ქონების თვალთმაქცურად გადაცემის („schuldeisersbenadeling“) საფუძველით.

მუხლი 4: 191 გაკეთებული არჩევანის რეგისტრაცია

- 1. წინა მუხლში მითითებული არჩევანი კეთდება მემკვიდრეობის მიღება-უარის აღნიშვნით იმ სასამართლოს რეგისტრისათვის წარდგენილი განცხადების საფუძველზე, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც გარდაცვლილ პირს ჰქონდა თავისი უკანასკნელი ადგილსამყოფელი. განცხადება რეგისტრაციაში ტარდება სამკვიდროთა რეგისტრში.
- 2. მანამდე, სანამ გარდაცვლილის სამკვიდრო არ იქნება მიღებული ყველა მემკვიდრის მიერ, რაიონულ სასამართლოს შეუძლია დაადგინოს იმ ზომების მიღება, რომლებსაც ის სამკვიდროს აქტივების შენარჩუნებისათვის აუცილებლად ჩათვლის.

მუხლი 4: 192 მემკვიდრეობის მიღება

- 1. მემკვიდრე, ვინც არაორაზროვნად და ყოველგვარი პირობის გარეშე მოქმედებს როგორც მემკვიდრე, რომელმაც უპირობოდ მიიღო თავისი მემკვიდრეობა, ამ მოქმედების შედეგად ის მემკვიდრეობას უპირობოდ იღებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მან უკვე მანამდე გააკეთა თავისი არჩევანი.
- 2. თუ მემკვიდრეს ჯერ არ გაუკეთებია თავისი არჩევანი, რაიონულ სასამართლოს დაინტერესებული მხარის მოთხოვნის საფუძველზე შეუძლია დაადგინოს ვადა ამ არჩევანის გასაკეთებლად, რომელიც აითვლება მეორე დღიდან მას შემდეგ, როდესაც სასამართლოს აღმასრულებელმა მემკვიდრეს ჩააბარა სასამართლოს დადგენილება და ეს უკანასკნელი რეგისტრაციაში გატარდა სამკვიდროთა რეგისტრში მისი ჩაბარების დღის მითითებით; ასეთი ვადის გახანგრძლივებაც ტარდება რეგისტრაციაში სამკვიდროთა რეგისტრში.
- 3. თუ ზემოაღნიშნული ვადა ამოიწურება ისე, რომ შესაბამისი მემკვიდრე მის განმავლობაში არ გააკეთებს არჩევანს, მიიჩნევა, რომ ამ მემკვიდრემ უპირობოდ მიიღო მემკვიდრეობა.
- 4. ის მემკვიდრე, რომელსაც ჯერ არ გაუკეთებია თავისი არჩევანი, მიიჩნევა, რომ მან მემკვიდრეობა მიიღო იმ პირობით, რომ გარდაცვლილის სამკვიდროს ღირებულება აღემატება მის ვალებს („სარგებლი-

ანი მიღება“), როდესაც ერთმა ან რამდენიმე სხვა მემკვიდრემ განცხადების საფუძველზე მემკვიდრეობა ასეთი პირობით მიიღო, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მემკვიდრე უპირობოდ იღებს მემკვიდრეობას ან უარს აცხადებს მასზე სამი თვის განმავლობაში მას შემდეგ, როდესაც მისთვის ცნობილი გახდა იმ ფაქტის თაობაზე, რომ სხვა მემკვიდრეებმა მიიღეს მემკვიდრეობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს მისთვის სარგებლიანია, ხოლო როდესაც პარ. 2-ში მითითებული არჩევანის გაკეთებისათვის მიცემული ვადა ჯერ არ არის გასული, – მაშინ ამ ვადის განმავლობაში. მემკვიდრეობის უპირობო მიღება შესაძლებელია მხოლოდ წინა მუხლის პირველ პარაგრაფში გათვალისწინებული წესით.

მუხლი 4:193 კანონიერი წარმომადგენელი

- 1. მემკვიდრის კანონიერ წარმომადგენელს არ შეუძლია ამ მემკვიდრის სასარგებლოდ მემკვიდრეობის უპირობოდ მიღება და მას ასევე ესაჭიროება რაიონული სასამართლოს ნებართვა მემკვიდრის სახელით მემკვიდრეობაზე უარის გაცხადებისათვის. კანონიერი წარმომადგენელი ვალდებულია განაცხადოს მემკვიდრეობის სარგებლიანი მიღებისა თუ მასზე უარის შესახებ სამი თვის განმავლობაში იმ დღიდან, როდესაც გარდაცვლილის სამკვიდრო ან მასში წილი მემკვიდრის კუთვნილი ხდება. აღნიშნული ვადა შეიძლება გახანგრძლივდეს 4:192 მუხლის პარ. 2-ის მეორე წინადადების ნორმის შესაბამისად.
- 2. როდესაც კანონიერმა წარმომადგენელმა შესაბამის ვადაში არ წარადგინა პარ. 1-ში მითითებული განცხადება, გარდაცვლილის სამკვიდრო მიიჩნევა მემკვიდრის მიერ სარგებლიანად მიღებულად. რაიონულ სასამართლოს შეუძლია ამის შესახებ გააკეთოს აღნიშვნა სამკვიდროთა რეესტრში.
- 3. წინამდებარე მუხლის პარ. 1 და 2-ის ნორმები არ გამოიყენება გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ კანონის 41-ე მუხლში მითითებულ ვითარებაში.

მუხლი 4:194 მემკვიდრეობის საბოლოოდ სარგებლიანად მიღება

- 1. იმ მემკვიდრეს, რომელიც მემკვიდრეობის უპირობოდ მიღების შემდეგ შეიტყობს გარდაცვლილის სხვა იმ ანდერძის გამოყენების შესახებ, რომლის მიხედვითაც მის მიერ შესასრულებელი ლეგატები და ანდერძით დაკისრებული ვალდებულებები უნდა დაკმაყოფილდეს გარდაცვლილის სამკვიდროში იმაზე ნაკლები ღირებულების მქონე წილიდან, ვიდრე იმ წილიდან, რომელსაც ის შეიძენდა აღნიშნული ანდერძის არარსებობისას, რაიონულმა სასამართლომ შეიძლება მისცეს მემკვიდრეობის საბოლოოდ სარგებლიანად მიღების ნებართვა იმ პირობით, რომ მან ასეთი მოთხოვნა წარადგინა სამი თვის განმავლობაში მას შემდეგ, რაც აღმოაჩინა ზემოაღნიშნული ფაქტი. თუმცა, ის მაინც დარჩება პასუხისმგებელი მთელი თავისი ქონებით გარდაცვლილის სამკვიდროს ვალებისათვის, გარდა იმ ლეგატებისა და ანდერძით დაკისრებული ვალდებულებებისა, რომელთა შესახებაც მისთვის უფრო ადრე ცნობილი ვერ იქნებოდა იმ ფარგლებში, რომლებშიც ის ვერ შეძლებდა აღნიშნული ლეგატებისა და ანდერძით დაკისრებული ვალდებულებების სრულად დაკმაყოფილებას გარდაცვლილის სამკვიდროში იმ წილის ხარჯზე, რომელსაც მისი მოსაზრებით ის შეიძენდა მანამდე, სანამ შეიტყობდა სხვა ანდერძის არსებობის შესახებ.
- 2. იმ მემკვიდრეს, რომელიც მემკვიდრეობის უპირობოდ მიღების შემდეგ შეიტყობს გარდაცვლილის სხვა იმ ანდერძის გამოყენების შესახებ, რომლის მიხედვითაც მან შეიძინა უფრო მეტი ღირებულების მქონე წილი, ვიდრე ის წილი, რომელსაც ის მიიღებდა აღნიშნული ანდერძის არარსებობისას, ან რომელმაც შეიტყო იმ გარემოებების შესახებ, რომლებიც მოხდა მის მიერ მემკვიდრეობის უპირობოდ მიღების შემდეგ, ანდა – რომლის შედეგადაც მან შეიძინა გარდაცვლილის სამკვიდროში უფრო მეტი ღირებულების მქონე წილი, რაიონულმა სასამართლომ შეიძლება მისცეს მემკვიდრეობის საბოლოოდ სარგებლიანად მიღების ნებართვა იმ პირობით, რომ მან ასეთი მოთხოვნა წარადგინა სამი თვის განმავლობაში მას შემდეგ, რაც აღმოაჩინა ზემოაღნიშნული ფაქტი. თუმცა, ის მაინც დარჩება პასუხისმგებელი მთელი თავისი ქონებით გარდაცვლილის სამკვიდროს ვალების, ლეგატებისა და ანდერძით დაკისრებული ვალდებულებებისათვის იმდენად, რამდენადაც ის პასუხისმგებელი იქნებოდა აღნიშნული ვალების, ლეგატებისა და ანდერძით დაკისრებული ვალდებულებებისათვის, თუ ეს იქნებოდა შემთხვევა სხვა არსებული ანდერძისა თუ აღნიშნული ახალი გარემოებების გარეშე.

მუხლი 4:195 მემკვიდრეობის სარგებლიანად მიღება და მემკვიდრეები, რომლებიც ხდებიან ლიკვიდატორები

- 1. როდესაც გარდაცვლილის სამკვიდროს სარგებლიანად მიღება მოხდა ერთი ან რამდენიმე მემკვიდრის მიერ იმ შედეგით, რომ სამკვიდრო მემკვიდრეობით უნდა იქნეს გადაცემული წინამდებარე ტიტულის ქვემოთ მოცემული განყოფილების ნორმების შესაბამისად, ყველა მემკვიდრე ხდება ლიკვიდატორი.

– 2. ნინამდებარე და ქვემოთ მოცემულ განყოფილებებში მოცემული გარდაცვლილის სამკვიდროს გადაცემის მომწესრიგებელი ნორმების მიზნებისათვის, გარდაცვლილის მეუღლე, რომელმაც 4.3.2 განყოფილების ნორმების საფუძველზე შეიძინა უზუფრუქტი, მიიჩნევა მემკვიდრედ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნული ნორმები სხვა წესს გულისხმობს.

მუხლი 4:196 მემკვიდრეობის სარგებლიანად მიღების გამოქვეყნება

რაიონულ სასამართლოს დაინტერესებული პირის მოთხოვნის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით შეუძლია დაადგინოს მემკვიდრეობის სარგებლიანად მიღების გამოქვეყნება ჰოლანდიის სამთავრობო გაზეთსა და ასევე ერთ ან რამდენიმე ჩვეულებრივ გაზეთში.

მუხლი 4:197 სამკვიდროს ნოტარიუსი მემკვიდრეობის სარგებლიანად მიღებისას

– 1. როდესაც მემკვიდრის მოთხოვნის საფუძველზე ნოტარიუსი მოქმედებს როგორც სარგებლიანად მიღებული სამკვიდროს ნოტარიუსი, მან თავად უნდა მიმართოს სასამართლოს რეესტრს სამკვიდროთა რეესტრში სამკვიდროს ნოტარიუსის სახით რეგისტრაციის შესახებ და ამის თაობაზე შეძლებისდაგვარად სწრაფად უნდა შეატყობინოს სხვა მემკვიდრეებს.

– 2. მემკვიდრეთა უმრავლესობის ანდა ერთი ან მეტი იმ მემკვიდრის მოთხოვნის საფუძველზე, რომლებიც ერთობლივად უფლებამოსილი არიან გარდაცვლილის სამკვიდროს ნახევარზე მეტის მიღებაზე, იმ პირობით, რომ ამ მოთხოვნის წარდგენა ხდება ზემოაღნიშნული შეტყობინების წარდგენიდან არაუგვიანეს ერთი თვისა, რაიონულ სასამართლოს შეუძლია დანიშნოს სხვა ნოტარიუსი, ვინც მზად არის, იმოქმედოს სამკვიდროს ნოტარიუსის სახით. ასეთი დანიშვნის შემდეგ სამკვიდროს რეესტრის კორექტირების მიზნით სამკვიდროს ახალმა ნოტარიუსმა ნოტარიუსის შეცვლის შესახებ შეძლებისდაგვარად სწრაფად უნდა შეატყობინოს სასამართლოს და აცნობოს ამის შესახებ შეცვლილ ნოტარიუსსა და ყველა მემკვიდრეს.

– 3. როდესაც მემკვიდრეობის სარგებლიანად მიღება გამოქვეყნდა წინა მუხლის ნორმების შესაბამისად, სამკვიდროს ახალი ნოტარიუსის დანიშვნა ანალოგიური წესით უნდა მოხდეს მისი სახელისა და მისამართის მითითებით.

მუხლი 4:198 იმ მემკვიდრეების უფლებამოსილებები, რომლებიც წარმოადგენენ ლიკვიდატორს

გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც რაიონულმა სასამართლომ სხვაგვარად გაითვალისწინა, მემკვიდრეებმა თავიანთი, როგორც სარგებლიანად მიღებული სამკვიდროს ლიკვიდატორების, უფლებამოსილებები უნდა განახორციელონ ერთობლივად, თუმცაღა, აუცილებლობის შემთხვევაში, თითოეული მათგანი უფლებამოსილია დამოუკიდებლად განახორციელოს ჩვეულებრივი საექსპლუატაციო საქმიანობა და შეინარჩუნოს სამკვიდროს აქტივები, და, საერთოდ, – განახორციელოს ის მოქმედებები, რომელთა გადადებაც (ზიანის მიყენების გარეშე) შეუძლებელია.

მუხლი 4:199 უზრუნველყოფა

– 1. დაინტერესებული პირისა თუ სამკვიდროს ნოტარიუსის მოთხოვნის საფუძველზე, რაიონულ სასამართლოს სარგებლიანად მიღებულ სამკვიდროში წილის მქონე ერთ ან რამდენიმე მემკვიდრეს შეუძლია დაავალოს მათზე დაკისრებული იმ პასუხისმგებლობის უზრუნველყოფის წარდგენა, რომელიც შეიძლება გამომდინარეობდეს მათ მიერ განხორციელებული მართვიდან და მათზე დაკისრებული სხვა ვალდებულებების დაკმაყოფილების მოვალეობიდან. რაიონულმა სასამართლომ უნდა განსაზღვროს წარსადგენი უზრუნველყოფის ოდენობა და ბუნება.

– 2. როდესაც მემკვიდრე ამჩნევს, რომ სარგებლიანად მიღებული სამკვიდროს ვალეები აღემატება მისი აქტივების ღირებულებას, მან ამის შესახებ შეძლებისდაგვარად სწრაფად უნდა შეატყობინოს რაიონულ სასამართლოს.

მუხლი 4:200 სამკვიდროს სარგებლიანად მიღების შედეგები

– 1. ქვემოთ მოცემული ნორმები გამოიყენება გარდაცვლილის სამკვიდროს იმ მემკვიდრეზე გადასვლის და ლიკვიდაციის (გაუქმების) დასრულებამდე, რომელმაც მიიღო მემკვიდრეობა იმ პრივილეგიით, რომ, უპირველეს ყოვლისა, უნდა შედგეს გარდაცვლილის სამკვიდროს ინვენტარიზაციის აქტი („სარგებლიანი მიღება“), გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის მთელი თავისი ქონებით არის პასუხისმგებელი სამკვიდროს იმ ვალეებისათვის, რომელთა დაფარვაც მას ეკისრება.

– 2. მემკვიდრის მიმართ გარდაცვლილის მოთხოვნები და მემკვიდრის აქტივებზე გარდაცვლილის შეზღუდული სანივთო უფლებები, ისევე როგორც – მემკვიდრის მოთხოვნები გარდაცვლილის მიმართ და გარდაცვლილის აქტივებზე მემკვიდრის შეზღუდული სანივთო უფლებები ქონების შერწყმის შედეგად არ უქმდება.

– 3. როდესაც მემკვიდრემ გარდაცვლილის ვალი დააკმაყოფილა თავისი სხვა ქონებიდან, ის ამ ვალის ფარგლებში ჩაითვლება სამკვიდროს კრედიტორად მისი თავდაპირველი რიგითობის ჩათვლით. ზემოაღნიშნული წინადადება შესაბამისად გამოიყენება ანდერძით დაკისრებული იმ ვალდებულების მიმართ, რომელიც მდგომარეობს გარდაცვლილის სამკვიდროს ხარჯზე ფულადი თანხის გადახდაში, თუმცა რომელიც მემკვიდრის მიერ დაკმაყოფილდა თავისი სხვა ქონებიდან.

მუხლი 4:201 ლეგატების შექმნა

– 1. ლეგატის შექმნა ხდება მისი მიღების აუცილებლობის გარეშე, გარდა ლეგატარის იმ უფლებისა, უარი თქვას ლეგატზე მანამდე, სანამ ის არ მიიღებს ამ ლეგატს.

– 2. დაინტერესებული პირის მოთხოვნის საფუძველზე, რაიონულ სასამართლოს შეუძლია ლეგატარს დაუდგინოს ვადა, რომლის განმავლობაშიც მან ნათლად უნდა განაცხადოს იმის თაობაზე, ამბობს თუ არა ის უარს ლეგატზე; როდესაც ლეგატარი არ აცხადებს აღნიშნულს დადგენილი ვადის განმავლობაში, ის კარგავს ლეგატზე უარის უფლებას.

– 3. ლეგატზე უარი უნდა განხორციელდეს არაორაზროვნად, თუმცა ის არ საჭიროებს რაიმე ფორმისა თუ ფორმალობის დაცვას.

განყოფილება 4.6.3 – სამკვიდრო ქონების ლიკვიდაცია (გაუქმება)

მუხლი 4:202 კანონისმიერი ლიკვიდაციისათვის (გაუქმებისათვის) არსებული სამართლებრივი საფუძვლები

– 1. 4:221 მუხლის ნორმათა მოქმედების შეზღუდვის გარეშე, გარდაცვლილის სამკვიდროს ლიკვიდაცია (გაუქმება) ხორციელდება წინამდებარე განყოფილების დანაწესების შესაბამისად:

a. როდესაც მისი მიღება ერთი ან რამდენიმე მემკვიდრის მიერ მოხდა იმ პრივილეგიით, რომ უპირველეს ყოვლისა, უნდა შედგეს გარდაცვლილის სამკვიდროს ინვენტარიზაციის აქტი, თუ სამკვიდროს აქტივების ღირებულება აღემატება მისი ვალების მოცულობას („სარგებლიანი მიღება“), გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სახეზეა ანდერძის აღმსრულებელი, ვინც უფლებამოსილია ამოსაღები ვალებისა და ლეგატების დაფარვაზე და რომელსაც ნათლად შეუძლია იმის გაცხადება, რომ სამკვიდროს აქტივები ბევრად მეტია, ვიდრე ეს საჭიროა სამკვიდროს ვალების დაფარვისათვის;

b. როდესაც რაიონულმა სასამართლომ დანიშნა ლიკვიდატორი.

– 2. თუ გარდაცვლილის სამკვიდროს ბალანსი პოზიტიურია, მაშინ კანონიერ წარმომადგენელს, რომელმაც მოახდინა მემკვიდრისათვის სამკვიდროს სარგებლიანად მიღება, შეუძლია მიმართოს რაიონულ სასამართლოს მასზე კანონის შესაბამისად დაკისრებული ლიკვიდაციის (გაუქმების) ვალდებულებისაგან გათავისუფლების თხოვნით.

– 3. პარ. 1-ის (a) პუნქტში მითითებულისაგან განსხვავებით, იმ სამკვიდროს ლიკვიდაცია (გაუქმება), რომელიც უკვე განაწილდა (გაიყო) 4:13 მუხლის შესაბამისად, განხორციელდება მხოლოდ კანონის შესაბამისად, როდესაც გარდაცვლილის მეუღლემ სარგებლიანად მიიღო სამკვიდრო.

მუხლი 4:203 ლიკვიდატორის სასამართლოს მიერ დანიშვნა სამკვიდროს სარგებლიანად მიღების შემდეგ

– 1. როდესაც ერთმა ან რამდენიმე მემკვიდრემ გარდაცვლილის სამკვიდრო მიიღო იმ პრივილეგიით, რომ უპირველეს ყოვლისა, უნდა შედგეს სამკვიდროს ინვენტარიზაციის აქტი („სარგებლიანი მიღება“), რაიონულ სასამართლოს შეუძლია დანიშნოს ლიკვიდატორი:

a. მემკვიდრის მოთხოვნის საფუძველზე;

b. დაინტერესებული პირის ან პროკურატურის მოთხოვნის საფუძველზე;

– როდესაც პირი, ვისაც ეკისრება გარდაცვლილის სამკვიდროს მართვა, არსებითად არღვევს თავის მოვალეობებსა და ვალდებულებებს ან უუნაროა, შეასრულოს ეს მოვალეობები და ვალდებულებები ანდა – არ ასრულებს უზრუნველყოფის წარდგენის ვალდებულებას;

- როდესაც ჩანს, რომ გარდაცვლილის სამკვიდროს ვალების ოდენობა აღემატება მისი აქტივების ღირებულებას;
- ანდა როდესაც გარდაცვლილის სამკვიდროს განაწილება (გაყოფა) დაიწყო უკვე მის ლიკვიდაციამდე (გაუქმებამდე).
- 2. ის პირი, ვინც სასამართლოს მიერ დანიშნულია გარდაცვლილის სამკვიდროს ლიკვიდატორად, ვალდებულია მემკვიდრეების ნაცვლად იმოქმედოს როგორც ამ სამკვიდროს ლიკვიდატორმა.

მუხლი 4:204 ლიკვიდატორის სასამართლოს მიერ დანიშვნა სამკვიდროს სარგებლიანად მიღების გარეშე

- 1. როდესაც ერთმა ან რამდენიმე მემკვიდრემ გარდაცვლილის სამკვიდრო არ მიიღო იმ პრივილეგიით, რომ უპირველეს ყოვლისა, უნდა შედგეს სამკვიდროს ინვენტარიზაციის აქტი („სარგებლიანი მიღება“), რაიონულ სასამართლოს შეუძლია დანიშნოს ლიკვიდატორი:
 - a. დაინტერესებული პირის ან პროკურატურის მოთხოვნის საფუძველზე:
 - როდესაც მემკვიდრეები საერთოდ არ არიან სახეზე;
 - როდესაც არ არსებობს დარწმუნებულობა იმასთან დაკავშირებით, არიან თუ არა სახეზე მემკვიდრეები;
 - ანდა როდესაც სამკვიდრო არ იმართება ანდერძის აღმსრულებლის მიერ, ხოლო ცნობილი მემკვიდრეები კი საქმეებს სრულად ან ნაწილობრივ თვითდინებით უშვებენ;
 - b. გარდაცვლილის სამკვიდროს კრედიტორის მოთხოვნის საფუძველზე:
 - როდესაც აღნიშნული სამკვიდროს განაწილების (გაყოფის) პროცესი დაიწყო უკვე მანამდე, მანამ დაკმაყოფილდებოდა მისი ამოსაღები ვალები;
 - ანდა როდესაც ზემოაღნიშნული კრედიტორი აწყდება საფრთხეს, რომ მისი მოთხოვნის უფლება არ დაკმაყოფილდება სრულად ან ნაწილობრივ გონივრული ვადის განმავლობაში იმის გამო, რომ სამკვიდრო ქონება არასაკმარისია ამ მიზნისათვის ან ის ჯეროვნად არ იმართება, არ ხორციელდება მისი სათანადო წესით ლიკვიდაცია ანდა – იმის გამო, რომ ერთ-ერთმა კრედიტორმა თავისი მოთხოვნის უფლებების რეალიზაცია დაიწყო სამკვიდროს აქტივების ხარჯზე;
 - c. მემკვიდრის ერთი ან რამდენიმე სხვა კრედიტორის მოთხოვნის საფუძველზე, როდესაც მათი ინტერესები მნიშვნელოვნად ირღვევა მემკვიდრეებისა თუ ანდერძის აღმსრულებლის მიერ.
- 2. თუ გარდაცვლილის სამკვიდრო განაწილდა (გაიყო) 4:13 მუხლის შესაბამისად, მაშინ პარ. 1-ის (b) და (c) პუნქტების ნორმები შესაბამისად გამოიყენება ყველა იმ აქტივის მიმართ, რომელიც მიეკუთვნება გარდაცვლილისა და მისი მეუღლის საერთო ქონებას, ასევე ასეთი საერთო ქონების ვალებისა თუ იმ ვალების მიმართ, რომელთა დაკავშირებითაც შესაძლებელი იყო საერთო ქონების აქტივების მიმართ იძულებითი აღსრულება, ისევე როგორც – ყველა იმ ობიექტის მიმართ, რაც მიიჩნევა აღნიშნული აქტივებისა თუ ვალების შემცველად.

მუხლი 4:205 სამკვიდრო ქონების ლიკვიდაცია (გაუქმება) მემკვიდრის კრედიტორის ინტერესებში

როდესაც მემკვიდრემ უარი თქვა თავის მემკვიდრეობაზე და ამით აშკარა ზიანი მიაყენა მისი ერთ-ერთი კრედიტორის მიერ იძულებითი აღსრულების შესაძლებლობებს, რაიონულ სასამართლოს კრედიტორის მოთხოვნის საფუძველზე შეუძლია დაადგინოს, რომ გარდაცვლილის სამკვიდროს ლიკვიდაცია (გაუქმება) განხორციელდეს ასევე იმ პირის ინტერესებშიც, რომელმაც უარი განაცხადა მემკვიდრეობაზე, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში კი რაიონულ სასამართლოს შეუძლია აღნიშნული მიზნით დანიშნოს ლიკვიდატორი.

მუხლი 4:206 ლიკვიდატორის დანიშვნისას არსებული ფორმალობები

- 1. რაიონული სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას მოთხოვნის საფუძველზე ლიკვიდატორის დანიშვნის შესახებ მანამდე, სანამ არ გამოკითხავს განმცხადებელს, ხოლო იმდენად, რამდენადაც ისინი სახეზე არიან, – ასევე ცნობილ მემკვიდრეებს, სამკვიდროს ნოტარიუსსა და ანდერძის აღმსრულებელს, ანდა – აღნიშნული პირების სასამართლოში გამოცხადებისათვის ჯეროვნად მოწვევის შემდეგ.
- 2. იმ გარანტიების არსებობისას, რასაც რაიონული სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს, ამ უკანასკნელს შეუძლია ლიკვიდატორად დანიშნოს მემკვიდრე, ანდერძის აღმსრულებელი ან სხვა პირი. თუ ის ნიშნავს ორ ან მეტ ლიკვიდატორს, მაშინ თითოეულ მათგანს შეუძლია დამოუკიდებლად განახორციელოს ყველა აუცილებელი მოქმედება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც რაიონულმა სასამართლომ მათი დანიშვნისას სხვაგვარად განსაზღვრა ანდა – მოგვიანებით განსხვავებული წესი დაადგინა.

– 3. სასამართლოს მიერ დანიშნული ლიკვიდატორი უფლებამოსილია იმ საზღაურის მიღებაზე, რომელსაც რაიონული სასამართლო განაწილებს სქემის შედგენისას განსაზღვრავს.

– 4. სასამართლოს მიერ ლიკვიდატორად დანიშნული პირი ლიკვიდატორი ხდება იმ დღიდან, როდესაც მისი დანიშვნის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში და ხდება მბოჭავი ანდა თუ გადაწყვეტილებას აქვს დაუყოვნებელი შედეგი მიუხედავად გასაჩივრებისა, – იმ დღიდან, როდესაც სასამართლოს რეესტრმა შეატყობინა პირს მისი დანიშვნის შესახებ.

– 5. რაიონულ სასამართლოს შეუძლია გაათავისუფლოს ლიკვიდატორი მასზე დაკისრებული მოვალეობებისაგან საკუთარი მოთხოვნის საფუძველზე ან, განსაკუთრებული მიზეზების არსებობისას კი, თანალიკვიდატორის, მემკვიდრის, გარდაცვლილის სამკვიდროს კრედიტორის ან პროკურატურის მოთხოვნის საფუძველზე ანდა – იმის გამო, რომ ასეთი გადაწყვეტილება რაიონულმა სასამართლომ მიიღო საკუთარი ინიციატივით. საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებისას რაიონულ სასამართლოს შეუძლია დაადგინოს საუზრუნველყოფო ღონისძიებების მიღების შესახებ და შეაჩეროს ლიკვიდატორის საქმიანობა. ლიკვიდატორის მოვალეობები წყდება, როდესაც ლიკვიდატორი გარდაიცვლება, ვარდება ფიზიკური პირებისათვის არსებული ვალების დაფარვის სქემაში, გაკოტრდება, აღმოჩნდება ზრდასრული პირის მეურვეობის ქვეშ ანდა როდესაც მისი საკუთარი ერთი ან რამდენიმე აქტივი გადაცემულია მინდობით მართვის ქვეშ, როგორც ეს გათვალისწინებულია სამოქალაქო კოდექსის 1.19 ტიტულში. სასამართლო ნიშნავს ერთ ან რამდენიმე ლიკვიდატორს, როდესაც ისინი სახეზე არ არიან მიუხედავად იმისა, რომ გარდაცვლილის სამკვიდროს ლიკვიდაცია ჯერ არ დასრულებულა; მან შეიძლება ასევე ვაკანტური დანიშვნაც შეავსოს.

– 6. სასამართლოს მდივანი მყისიერად ატარებს რეგისტრაციაში სამკვიდროთა რეესტრში ლიკვიდატორის დანიშვნას, ისევე როგორც – მისი უფლებამოსილებების შეწყვეტას. ლიკვიდატორი თავის დანიშვნას აქვეყნებს ჰოლანდიის სამთავრობო გაზეთსა და მისი დანიშვნისას მითითებულ ერთ ან რამდენიმე გაზეთში.

მუხლი 4:207 ანგარიშის წარდგენა

პირმა, რომელმაც დაკარგა ლიკვიდატორის სახით მოქმედების უფლებამოსილება, თავისი საქმიანობის შესახებ ანგარიში უნდა წარუდგინოს პირს, ვინც მიიღებს ამ უფლებამოსილებას მის შემდეგ იმ წესების შესაბამისად, რასაც აღნიშნული მიზნისათვის კანონი მმართველებს მიმართ ითვალისწინებს.

მუხლი 4:208 ზედამხედველი მოსამართლის დანიშვნა

– 1. ლიკვიდატორის დანიშვნასთან დაკავშირებით ანდა უფრო გვიან მიღებული სასამართლოს დადგენილების სახით, რაიონულ სასამართლოს ერთ-ერთი თავისი წევრთაგანი შეუძლია ზედამხედველ მოსამართლედ დანიშნოს.

– 2. თუ მოხდა ზედამხედველი მოსამართლის დანიშვნა, მაშინ:

a. წინამდებარე განყოფილების ნორმების შესაბამისად მოვალეობები და უფლებამოსილებები, რომლებიც გადაეცემა რაიონულ სასამართლოს, უნდა განხორციელდეს ზედამხედველი მოსამართლის მიერ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კანონი სხვაგვარად ითვალისწინებს;

b. რამდენადაც სახეზე არ არის ნოტარიუსი, 4:211 მუხლის პარ. 3-ის, 4:214 მუხლის პარ. 5-სა და 4:218 მუხლის პარ. 1-ის ნორმებში მითითებული დოკუმენტები წარედგინება რაიონული სასამართლოს რეესტრს.

მუხლი 4:209 უსასყიდლო ლიკვიდაცია და მისი დასრულება

– 1. თუ გარდაცვლილის სამკვიდროს აქტივების მინიმალური ღირებულება იძლევა ამის საფუძველს, რაიონულ სასამართლოს ლიკვიდატორის ან დაინტერესებული პირის მოთხოვნის საფუძველზე შეუძლია დაადგინოს სამკვიდროს უსასყიდლო ლიკვიდაცია ან მისი შეწყვეტა. ლიკვიდაციის შეწყვეტის მოთხოვნასთან დაკავშირებით სასამართლოში გამოცხადებისათვის უნდა მოუსმინონ შემდეგ პირებს ანდა ისინი ჯეროვნად უნდა მოინვიონ: განმცხადებელი, ისევე როგორც – მემკვიდრეები, ლიკვიდატორი და სამკვიდროს ნოტარიუსი, რამდენადაც ისინი სახეზე და სასამართლოსათვის ცნობილი არიან. როდესაც დანიშნულია ზედამხედველი მოსამართლე, ზემოაღნიშნულ წინადადებაში მითითებული უფლებამოსილებები, ამ მოსამართლის მოთხოვნის საფუძველზე, უნდა განხორციელდეს რაიონული სასამართლოს მიერ.

– 2. როდესაც რაიონული სასამართლო ადგენს გარდაცვლილის სამკვიდროს ლიკვიდაციის შეწყვეტის შესახებ, მან უნდა განსაზღვროს უკვე განუღო სალიკვიდაციო ხარჯები და ეს ხარჯები დააკისროს

სამკვიდროს, ხოლო თუ ეს უკანასკნელი არასაკმარისია ამ მიზნისათვის, – იმ მემკვიდრეებს, რომლებიც სამკვიდროს ვალებისა და ვალდებულებებისათვის პასუხს აგებენ მთელი თავიანთი ქონებით.

– **3.** გარდაცვლილის სამკვიდროს ლიკვიდაციის შეწყვეტის შემდეგ შესაბამისად გამოიყენება 4:226 მუხლის ნორმები.

– **4.** გარდაცვლილის სამკვიდროს ლიკვიდაციის შეწყვეტა რეგისტრირდება და ქვეყნდება იგივე წესით, რაც ვათვალისწინებულია ლიკვიდატორის დანიშვნისათვის.

– **5.** თუ ლიკვიდატორის დანიშვნა მოითხოვება იმ მომენტში, როდესაც გარდაცვლილის სამკვიდროს ლიკვიდაცია (გაუქმება) უკვე შეწყდა, პირმა, რომელმაც წარადგინა აღნიშნული მოთხოვნა, უნდა დაამტკიცოს, რომ სახეზეა საკმარისი აქტივები მომავალში წარმოშობილი სალიკვიდაციო ხარჯების დაფარვისათვის.

მუხლი 4:210 ინფორმირება და მითითებების მიცემა

– **1.** ლიკვიდატორებმა რაიონულ სასამართლოს უნდა წარუდგინონ სრული ინფორმაცია, რაც მას ესაჭიროება, და მათ გარდაცვლილის სამკვიდროს ლიკვიდაციის (გაუქმების) დროს უნდა შეასრულონ ასევე ამ სასამართლოს მითითებები.

– **2.** თუ დანიშნულია ზედამხედველი მოსამართლე, მაშინ ლიკვიდაციასთან (გაუქმებასთან) დაკავშირებული ყველა გარემოების გარკვევის მიზნით ის უფლებამოსილია, მოუსმინოს მონმეებსა და მიუკერძოებელ ექსპერტებს იმავე წესით, რასაც კანონი ითვალისწინებს გაკოტრების შემთხვევაში.

მუხლი 4:211 ლიკვიდატორის მოვალეობები

– **1.** ლიკვიდატორს ეკისრება გარდაცვლილის სამკვიდროს მართვისა და ლიკვიდაციის (გაუქმების) მოვალეობა იმგვარად, როგორც ეს მოსალოდნელი შეიძლება ყოფილიყო კარგი ლიკვიდატორისაგან. ლიკვიდაციის (გაუქმების) მიზნებისათვის ანდერძით დაკისრებული ის ვალდებულება, რომელიც აუცილებლად გულისხმობს გარდაცვლილის სამკვიდროდან ფულადი თანხებისა თუ აქტივების განაწილებას, განიხილება როგორც ლეგატი.

– **2.** თავისი მოვალეობების განხორციელებისას ლიკვიდატორი წარმოადგენს მემკვიდრეებს როგორც სასამართლოში, ისე სასამართლოსგარე ურთიერთობებში იმ ვადის განმავლობაში, როდესაც ის უფლებამოსილია აღნიშნულზე. ლიკვიდატორის თანამონაწილეობისა თუ სასამართლოს ნებართვის გარეშე მემკვიდრეებს არა აქვთ სამკვიდროსა თუ მასში თავიანთ წილთან დაკავშირებული აქტივების განკარგვის უფლებამოსილება.

– **3.** ლიკვიდატორი დროულად უნდა დარწმუნდეს იმაში, რომ გარდაცვლილის სამკვიდროს ინვენტარიზაციის აქტი, რომელიც მოიცავს სამკვიდროს ვალების წინასწარ ჩამონათვალს, დგება კერძო ან სა-ნოტარო აქტის სახით. მან ეს აქტი შესამოწმებლად უნდა განათავსოს სამკვიდროს ნოტარიუსის ოფისში, ხოლო როდესაც ასეთი ნოტარიუსი სახეზე არ არის, – რაიონული სასამართლოს რეესტრში ისე, რომ მემკვიდრეებმა და გარდაცვლილის სამკვიდროს კრედიტორებმა შეძლონ ამ დოკუმენტების გაცნობა; მემკვიდრის სხვა კრედიტორებს რაიონულმა სასამართლომ შესაძლოა დართოს აღნიშნული აქტების გაცნობის ნება ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც ამ კრედიტორების მოვალემ უარი თქვა თავის მემკვიდრეობაზე.

– **4.** იმ შემთხვევაში, როდესაც გარდაცვლილის სამკვიდრო მიღებულ იქნა იმ პრივილეგიით, რომ უპირველეს ყოვლისა, უნდა შედგეს სამკვიდროს ინვენტარიზაციის აქტი იმის შეფასების მიზნით, აღემატება თუ არა სამკვიდროს აქტივების ღირებულება მის ვალებს („სარგებლიანი მიღება“), რაიონულ სასამართლოს შეუძლია გაათავისუფლოს მემკვიდრეები მათზე დაკისრებული ინვენტარიზაციის აქტის შესამოწმებლად განთავსების ვალდებულებისაგან.

– **5.** სასამართლოს მიერ დანიშნულ ლიკვიდატორს შეუძლია დანიშნოს სამკვიდროს ნოტარიუსი, თუ ეს ჯერ კიდევ არ არის გაკეთებული. იმ ნოტარიუსმა, რომელმაც მიიღო აღნიშნული მითითება, თავისი დანიშვნის შესახებ უნდა შეატყობინოს მემკვიდრეებსა და დარწმუნდეს იმაში, რომ სამკვიდროთა რეესტრში ის რეგისტრაციაში გატარდება სამკვიდროს ნოტარიუსის სახით.

მუხლი 4:212 კანონიერი წარმომადგენლისა თუ ლიკვიდატორის მიერ სამკვიდროს კრედიტორებისათვის მიყენებული ზიანი

როდესაც მემკვიდრის კანონიერმა წარმომადგენელმა ან სასამართლოს მიერ დანიშნულმა ლიკვიდატორმა ზიანი მიაყენა გარდაცვლილის სამკვიდროს კრედიტორებს იმ ფაქტის შედეგად, რომ მოხდა სა-

მკვიდროს აქტივების იმ კრედიტორისაგან განზრახ დაფარვა, რომელსაც სურდა თავისი მოთხოვნების რეალიზაცია, აღნიშნულ კრედიტორებს შეუძლიათ მოითხოვონ კანონიერი წარმომადგენლის ან ლიკვიდატორის მიერ მათი მოთხოვნების დაკმაყოფილება იმდენად, რამდენადაც კანონიერი წარმომადგენელი ან ლიკვიდატორი ვერ დაამტკიცებს, რომ კრედიტორების მიერ განცდილი ზარალი უფრო ნაკლები ოდენობით უნდა განისაზღვროს.

მუხლი 4:213 მეუღლეთა გაუქმებული საერთო საკუთრების ლიკვიდატორი

როდესაც გარდაცვლილი იმყოფება ქორწინებაში მეუღლეთა საერთო საკუთრების რეჟიმის პირობებში, გარდაცვლილის სამკვიდროს ლიკვიდატორის მოთხოვნის საფუძველზე რაიონულ სასამართლოს შეუძლია დანიშნოს მეუღლეთა გაუქმებული საერთო საკუთრების ლიკვიდატორი, რა შემთხვევაშიც ეს საერთო საკუთრება უნდა იქნეს ლიკვიდირებული (გაუქმებული) გარდაცვლილის სამკვიდროს ლიკვიდაციის (გაუქმების) შესახებ წინამდებარე განყოფილების ნორმების შესაბამისად. პირველი წინადადება არ გამოიყენება, თუკი მეუღლეთა საერთო საკუთრება მამკვიდრებლის გარდაცვალებამდე უკვე განაწილდა (გაიყო).

მუხლი 4:214 სამკვიდროს კრედიტორების მონვევა

– 1. რამდენადაც ეს ჯერ არ განხორციელებულა, ლიკვიდატორმა საჯაროდ უნდა მოიწვიოს გარდაცვლილის სამკვიდროს კრედიტორები იმ მიზნით, რომ მათ რაიონული სასამართლოს მიერ დადგენილ კონკრეტულ დღემდე თავიანთი სავალო მოთხოვნები წარუდგინონ სამკვიდროს ნოტარიუსს, ხოლო თუ ეს უკანასკნელი სახეზე არ არის, მაშინ ეს მოთხოვნები წარუდგინონ თავად მას. კრედიტორების მონვევა უნდა მოხდეს იგივე წესით, როგორც უნდა მოხდეს სამკვიდროს სარგებლიანად მიღების სამკვიდროს სარგებლიანად მიღებისა თუ ლიკვიდატორის დანიშვნის გამოქვეყნება, და – შეძლებისდაგვარად ერთდროულად.

– 2. გარდა ზემოაღნიშნულისა, ლიკვიდატორმა წერილით უნდა მოიწვიოს გარდაცვლილის სამკვიდროს ყველა ინდივიდუალური კრედიტორი, ვინც მისთვის არის ცნობილი. თუ ცნობილი კრედიტორის მისამართი მისთვის უცნობი რჩება, მან ამის შესახებ უნდა შეატყობინოს რაიონულ სასამართლოს.

– 3. როდესაც კრედიტორმა თავისი სავალო მოთხოვნა წარუდგინა სამკვიდროს ნოტარიუსს ან ლიკვიდატორს, მისი სარჩელის უფლების ხანდაზმულობის ვადის დენა ამის შედეგად ჩერდება.

– 4. როდესაც ლიკვიდატორი არ ეთანხმება სავალო მოთხოვნას ან მის პრიორიტეტულობასა თუ რიგითობას, ის ამის შესახებ დაუყოვნებლივ ატყობინებს კრედიტორს მისი გადანყვეტილების საფუძვლების მითითებით.

– 5. ზემოაღნიშნულ ნორმებში გათვალისწინებული ვადის ამოწურვის შემდეგ ლიკვიდატორი შეძლებისდაგვარად სწრაფად ადგენს ყველა მიღებული და უარყოფილი სავალო მოთხოვნის სიასა და მათ რიგითობას. ის ამ სიას შესამოწმებლად ანთავსებს სამკვიდროს ნოტარიუსის ოფისში, ხოლო როდესაც ასეთი ნოტარიუსი სახეზე არ არის, – რაიონული სასამართლოს რეესტრში ისე, რომ მემკვიდრეებმა, ლეგატარებმა და ასევე ყველა იმ პირმა, ვინც წარედგინა გარდაცვლილის სამკვიდროს კრედიტორად, შეძლონ ამ სიის გაცნობა. ლიკვიდატორი სიის განთავსების შესახებ თითოეულ მათგანს ატყობინებს.

მუხლი 4:215 გარდაცვლილის სამკვიდროს აქტივების რეალიზაცია

– 1. ლიკვიდატორმა უნდა მოახდინოს გარდაცვლილის სამკვიდროს აქტივების გაყიდვა და რეალიზაცია იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელია მასზე დაკისრებული სამკვიდროს ვალების დაფარვისთვის. სამკვიდროს კრედიტორის მიერ მოთხოვნილი აქტივები გაიყიდება შეძლებისდაგვარად ყველაზე ბოლოს.

– 2. ლიკვიდატორმა მაქსიმალურად ამომწურავი კონსულტაცია უნდა მიიღოს მემკვიდრეებისაგან გასაყიდი აქტივების არჩევანთან და ასევე მათ რეალიზაციასთან დაკავშირებით. როდესაც აქტივების დაგეგმილი რეალიზაცია აწყდება მემკვიდრის ან იმ კრედიტორის წინააღმდეგობას, ვინც ითხოვს ერთ-ერთი აღნიშნული აქტივის გადმოცემას, მაშინ ლიკვიდატორი ამ მემკვიდრეს აძლევს რაიონული სასამართლოსათვის მიმართვის შესაძლებლობას.

– 3. ის, რაც წინა პარაგრაფში მოცემულია მემკვიდრეების მიმართ, გამოიყენება ასევე იმ პირების მიმართაც, რომლებსაც გარდაცვლილმა დაუტოვა თავისი სამკვიდროს უზუფრუქტი ანდა – წილი მასში.

– 4. ლიკვიდატორის მიმართ შესაბამისად გამოიყენება სამოქალაქო კოდექსის 3:68 მუხლის ნორმები.

– 5. მოსარგებლის სახით მესამე პირის გამოუთხოვადი დანიშვნის გარეშე, გარდაცვლილი პირის მიერ მიღებულ საღაზღვეო პოლისების ძირითად თანხებთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება გაკო-

ტრების საქმის წარმოების შესახებ კანონის 22a მუხლის ნორმები იმ პირობით, რომ ქვემოთ მოცემული ტერმინები გაგებული იქნება შემდეგნაირად:

- a. იურიდიულ მეურვე: ლიკვიდატორი;
- b. ზედამხედველი მოსამართლე: რაიონული სასამართლო;
- c. პოლისის მფლობელი: მემკვიდრეები, ხოლო თუ გარდაცვლილის სამკვიდრო განაწილდა (გაიყო)

4.3.1 განყოფილების ნორმების შესაბამისად, – გარდაცვლილის მეუღლე.

მუხლი 4:216 უკვე შესრულებული ლეგატის უკან მოთხოვნა

სასამართლოს მიერ დანიშნულ ლიკვიდატორს შეუძლია მოითხოვოს იმ ობიექტების დაბრუნება, რაც შემდგომში განაწილდა ლეგატარზე გარდაცვლილის სამკვიდროდან სამი წლის განმავლობაში იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელია 4:7 მუხლის პარ. 1-ის (a) პუნქტიდან (g) პუნქტის ჩათვლით ნორმებში მითითებული ვალების დაკმაყოფილებისათვის. შესაბამისად გამოიყენება 4:122 მუხლის პარ. 1-ის ნორმები.

მუხლი 4:217 ვალების გაქვითვა და მათი იძულებითი ჩათვლა

– 1. თუ პირი წარმოადგენს გარდაცვლილის სამკვიდროს არა მარტო მოვალეს, არამედ ასევე მის კრედიტორსაც, მაშინ შესაბამისად გამოიყენება ვალებისა და სავალო მოთხოვნების გაქვითვის უფლებასთან დაკავშირებით მოქმედი ვაკოტრების საქმის წარმოების შესახებ კანონის ნორმები.

– 2. თუ როგორც აღნიშნული პირი, ისე გარდაცვლილი წარმოადგენენ ერთი და იმავე საერთო საკუთრების თანამესაკუთრებს, რომელიც განაწილდა (გაიყო) გარდაცვლილის სამკვიდროს ლიკვიდაციის პროცესში, მაშინ შესაბამისად გამოიყენება ვაკოტრების საქმის წარმოების შესახებ კანონის 56-ე მუხლის ნორმები.

მუხლი 4:218 ანგარიშის წარდგენა და განაწილების სქემა

– 1. სავალო მოთხოვნების წარდგენისათვის დადგენილი ვადის ამონაწერებიდან ექვსი თვის განმავლობაში ლიკვიდატორმა სამკვიდროს ნოტარიუსის ოფისში უნდა განათავსოს როგორც ის დოკუმენტი, რომელშიც ის წარადგენს ანგარიშს, ისე – განაწილების სქემა, ხოლო როდესაც ასეთი ნოტარიუსი სახეზე არ არის, – რაიონული სასამართლოს რეესტრში ისე, რომ ყოველმა პირმა შეძლოს ამ დოკუმენტაციის გაცნობა. რაიონულ სასამართლოს შეუძლია გაახანგრძლივოს ეს ვადა.

– 2. ლიკვიდატორი საჯაროდ აცხადებს, რომ მან ზემოაღნიშნული დოკუმენტები გაცნობისათვის განათავსა იმავე წესით, როგორც ეს გათვალისწინებულია სავალო მოთხოვნების წარდგენის შესაძლებლობის გასაჯაროების მიმართ; აღნიშნულის შესახებ ინდივიდუალური წერილობითი შეტყობინება უნდა გაეგზავნოს მემკვიდრეებს, ლეგატარებსა და ყველა იმ კრედიტორს, რომელმაც წარადგინა თავისი სავალო მოთხოვნა.

– 3. ზემოაღნიშნული საჯარო გამოცხადებიდან ერთი თვის განმავლობაში ყოველ დაინტერესებულ პირს წარდგენილი ანგარიშისა თუ განაწილების სქემის წინააღმდეგ თავისი პროტესტი შეუძლია წარუდგინოს რაიონულ სასამართლოს, ხოლო თუ დანიშნულია ზედამხედველი მოსამართლე, – მაშინ ზემდგომ რაიონულ სასამართლოს.

– 4. გარდაცვლილის სამკვიდროს აქტივის საკუთრებაში გადაცემის ვალდებულება ან ასეთ აქტივზე შეზღუდული საწივით უფლების დადგენა გარდაიქმნება ფულად ვალში, რამდენადაც არსებული დეფიციტის გამო ეს აუცილებელია. ფულადი თანხის გადახდის გარდა, სხვა შესრულებასთან დაკავშირებული ვალდებულებები და ასევე პირობითი ვალდებულებები განაწილების სქემაში დაიშვება მხოლოდ შესაბამისი კრედიტორის მოთხოვნის საფუძველზე; ასეთ შემთხვევაში აღნიშნული ვალდებულებები ასევე გარდაიქმნება ფულად ვალში. სავალდებულო მემკვიდრის სავალო მოთხოვნა არ დაიშვება განაწილების სქემაში, თუ ჯერ არ არის ვადამოსული და შესასრულებელი 4:81 მუხლის პარ. 2-ის ნორმების შესაბამისად, ანდა 4:82 მუხლში მითითებულია პირობისა თუ 4:83 მუხლში გათვალისწინებული საანდერძო განკარგულების შესაბამისად.

– 5. გარდა ზემოაღნიშნულისა, ვაკოტრების საქმის წარმოების შესახებ კანონის ნორმები მაქსიმალურად გამოიყენება ყოველი პირის სავალო მოთხოვნის ოდენობის განსაზღვრისათვის, განაწილების სქემის შედგენისა და ამ მოქმედებების წინააღმდეგ პროტესტის წარდგენის უფლების მიმართ.

მუხლი 4:219 იმ მემკვიდრის კრედიტორი, რომელმაც უარი თქვა თავის მემკვიდრეობაზე

თუ სასამართლომ დაადგინა, რომ გარდაცვლილის სამკვიდროს ლიკვიდაცია უნდა განხორციელდეს

იმ პირის კრედიტორების ინტერესებში, რომელმაც უარი თქვა თავის მემკვიდრეობაზე, მაშინ ამ კრედიტორებსაც შეუძლიათ თავიანთი სავალო მოთხოვნების სამკვიდროს ნოტარიუსისათვის, ხოლო როდესაც ასეთი ნოტარიუსი სახეზე არ არის, – რაიონული სასამართლოს რეესტრში წარდგენა. მათი სავალო მოთხოვნები დაიშვება განაწილების სქემაში, თუმცა – მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი მოვალე ამ სავალო მოთხოვნების რეალიზაციით სამკვიდროდან მიიღებდა ნამეტს მისი მხრიდან საკუთარ მემკვიდრეობაზე უარის არარსებობისას; ამ მიზნით, რამდენადაც ეს აუცილებელია, ლიკვიდატორს შეუძლია მოითხოვოს გარდაცვლილის სამკვიდროს განაწილება (გაყოფა) და ასეთ განაწილებაში (გაყოფაში) მონაწილეობა.

მუხლი 4:220 განაწილება მას შემდეგ, რაც განაწილების სქემა სავალდებულო გახდა

– **1.** მას შემდეგ, რაც განაწილების სქემა სავალდებულო გახდა, ლიკვიდატორმა თითოეულ პირს უნდა გაუწიოს ის შესრულება, რაზეც ეს პირი განაწილების სქემის თანახმად არის უფლებამოსილი; როდესაც ლიკვიდატორი დანიშნულია სასამართლოს მიერ, ის ფულადი თანხები, რომლებიც არ განაწილებულა ექვსი თვის განმავლობაში ანდა დარეზერვებულ იქნა, შესანახად უნდა გადაეცეს იმ პირსა თუ დაწესებულებას, ვინც მიზარებისათვის სასამართლო წესით არის განსაზღვრული.

– **2.** გარდაცვლილის სამკვიდროს კრედიტორები, რომლებმაც თავიანთი სავალო მოთხოვნები წარადგინეს მას შემდეგ, რაც განაწილების სქემა სავალდებულო გახდა, უფლებამოსილი არიან ეს სავალო მოთხოვნები აინაზღაურონ მხოლოდ გარდაცვლილის სამკვიდროს არარეალიზებული აქტივებიდან ანდა პოზიტიური ნაშთიდან იმ მემკვიდრეთა მიმართ სარჩელის წარდგენის უფლების შეზღუდვის გარეშე, რომლებიც პასუხს აგებენ მთელი თავიანთი ქონებით. ამ კრედიტორების დაკმაყოფილება ხდება გარდაცვლილის სამკვიდროს არარეალიზებული აქტივებიდან ანდა პოზიტიური ნაშთიდან იმ მომენტის შესაბამისად, როდესაც მათ მოახდინეს თავიანთი სავალო მოთხოვნების წარდგენა.

– **3.** გარდა ზემოაღნიშნულისა, 4:7 მუხლის პარ. 1-ის (ა) პუნქტიდან (გ) პუნქტის ჩათვლით ნორმებში მითითებულ კრედიტორებს, რომელთა სავალო მოთხოვნები არ დაკმაყოფილდა, ჯერ კიდევ აქვთ გარდაცვლილის სამკვიდროს ლეგატარების მიმართ სარჩელის წარდგენის უფლება, რამდენადაც ამ ლეგატარებმა სამკვიდროდან მიიღეს სარგებელი და სავალო მოთხოვნათა საკმარისი დაკმაყოფილებისათვის ისინი არ უთითებენ სხვა აქტივებზე, როგორც ეს მითითებულია წინა პარაგრაფში. ლეგატარების მიმართ სარჩელის წარდგენის უფლება ქარწყლდება სამი წლის გასვლისთანავე მას შემდეგ, რაც სავალდებულო ხდება განაწილების ის სქემა, რომლის საფუძველზეც ლეგატარმა მიიღო თავისი სარგებელი.

– **4.** როდესაც ვადამოსული და შესასრულებელი ხდება იმ სავალდებულო მემკვიდრის სავალო მოთხოვნა, რომელიც არ იყო დაშვებული განაწილების სქემაში 4:218 მუხლის პარ. 4-ის შესაბამისად, სავალდებულო მემკვიდრეს – პარ. 2 და 3-ის შესაბამისად სარჩელის წარდგენის უფლების შეზღუდვის გარეშე – ვალის იმ ნაწილისთვის, რაზეც მემკვიდრე ან ლეგატარი პასუხისმგებელია 4:87 მუხლის პარ. 5 და 6-ის შესაბამისად, შეუძლია პასუხი მოსთხოვოს ამ მემკვიდრეს ან ლეგატარს.

მუხლი 4:221 გამარტივებული ლიკვიდაცია

– **1.** იმ მემკვიდრეებს, რომლებიც წარმოადგენენ ლიკვიდატორს და ასევე რომლებმაც თავიანთი მემკვიდრეობა მიიღეს იმ პრივილეგიით, რომ უპირველეს ყოვლისა, უნდა შედგეს გარდაცვლილის სამკვიდროს ინვენტარიზაციის აქტი („სარგებლიანი მიღება“), 4:214 მუხლის პარ. 1 და 5-ში და ასევე 4:218 მუხლში განსაზღვრული ვალდებულებებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რაიონული სასამართლო ამგვარად ადგენს.

– **2.** სასამართლოს მიერ დანიშნულ ლიკვიდატორს არ ესაჭიროება როგორც იმ დოკუმენტის გასაცნობად განთავსება, რომელშიც ის წარადგენს ანგარიშს, ისე – განაწილების სქემის გასაცნობად განთავსება, როდესაც მისთვის ცნობილი ყველა ვალი სრულად არის დაფარული 4:218 მუხლის პარ. 1-ში მითითებული ვალის ამონურვამდე, ანდა – როდესაც რაიონულმა სასამართლომ გაათავისუფლა ის დოკუმენტის გასაცნობად განთავსების ვალდებულებისაგან. ვალდებულებისაგან ასეთი გათავისუფლება არ ხდება, როდესაც კრედიტორი ეწინააღმდეგება ამას.

– **3.** როდესაც არ ხდება იმ დოკუმენტის გასაცნობად განთავსება, რომელშიც ლიკვიდატორი წარადგენს ანგარიშს, ამ უკანასკნელმა ანგარიში უნდა წარადგინოს იმ წესით, რასაც კანონი მმართველებისათვის ითვალისწინებს იმ პირების მიმართ, რომლებიც უფლებამოსილი არიან გარდაცვლილის სამკვიდროს პოზიტიურ ნაშთზე.

მუხლი 4:222 სამოქალაქო კოდექსის მე-3 წიგნის მე-7 ტიტულის ნორმათა შეზღუდული გამოყენება

გარდაცვლილის სამკვიდროს ლიკვიდაციის დროს გამოიყენება მხოლოდ სამოქალაქო კოდექსის მე-3 წიგნის მე-7 ტიტულის ქვემოთ მოცემული ნორმები: 3: 166, 3: 167, 3: 169, 3: 170 მუხლებისა და 3: 194 მუხლის პარ. 2-ის ნორმები.

მუხლი 4:223 ინდივიდუალური კრედიტორების მიერ სასამართლოში სარჩელის წარდგენის უფლება

– 1. გარდაცვლილის სამკვიდროს ლიკვიდაციის დროს კრედიტორი მხოლოდ იმ შემთხვევაში არის უფლებამოსილი თავისი სავალო მოთხოვნის ამ სამკვიდროს აქტივებიდან დაკმაყოფილებაზე, თუკი მას ექნებოდა ასეთი დაკმაყოფილების პროცესის დამოუკიდებლად დაწყების უფლება, გარდაცვლილი პირი მისი სიცოცხლის განმავლობაში რომ გაკოტრებულიყო. შესაბამისად გამოიყენება გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ კანონის 57-ე მუხლიდან 60 მუხლის ჩათვლით ნორმები იმ პირობით, რომ, თუკი ლიკვიდაციასთან დაკავშირებით ზედამხედველი მოსამართლე არ დანიშნულა, ასეთი ზედამხედველი მოსამართლისათვის 4:58 მუხლის პარ. 1-ის, 4:59a მუხლის პარ. 3 და 5-სა და 4:60 მუხლის პარ. 3-ის ნორმებით მინიჭებული უფლებამოსილებები ხორციელდება რაიონული სასამართლოს მიერ.

– 2. გარდაცვლილის სამკვიდროს კრედიტორს შეუძლია ასევე ამ სამკვიდროს ლიკვიდაციის პერიოდშიც მისცეს სასამართლოს გადანყვეტილების საფუძველზე მისი სავალო მოთხოვნისა თუ პრიორიტეტის (რიგითობის) დადგენის ნება. სასამართლოს გადანყვეტილება, რომელშიც ლიკვიდატორის მიმართ დადგინდა სავალო მოთხოვნა, შეიძლება აღსრულდეს მხოლოდ იმ მემკვიდრის კერძო ქონების მიმართ, რომელიც გარდაცვლილის სამკვიდროს ვალებისათვის პასუხისმგებელია მთელი თავისი ქონებით, თუკი ეს მემკვიდრე წარმოადგენდა იმ სასამართლო საქმის მხარეს, რომელშიც დადგინდა კრედიტორის სავალო მოთხოვნა.

– 3. ლიკვიდატორის მოთხოვნის საფუძველზე უკვე დადებული ყადაღები რაიონული სასამართლოს მიერ შეიძლება გაუქმდეს იმდენად, რამდენადაც ეს გარდაცვლილის სამკვიდროს ლიკვიდაციისათვის არის აუცილებელი.

მუხლი 4:224 სამკვიდროს კრედიტორებისათვის არსებული პრიორიტეტი

მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც სრულად დაკმაყოფილება გარდაცვლილის ლიკვიდირებული სამკვიდროს ყველა ცნობილი კრედიტორი, მემკვიდრის სხვა კრედიტორებს შეუძლიათ მოახდინონ თავიანთი სავალო მოთხოვნების დაკმაყოფილება გარდაცვლილის სამკვიდროს აქტივების ხარჯზე.

მუხლი 4:225 უცნობი კრედიტორების ძებნა

– 1. როდესაც ყველა მემკვიდრე არ არის ცნობილი ანდა როდესაც სახეზეა გაურკვეველობა რაოდენობასა თუ პიროვნებასთან დაკავშირებით, ლიკვიდატორმა უნდა მოძებნოს და მოიწვიოს ეს მემკვიდრეები პოპულარულ გაზეთში გაკეთებული განცხადებით ანდა კომუნიკაციის სხვა ეფექტური საშუალებების გამოყენებით.

– 2. იმ შემთხვევაში, როდესაც ლიკვიდატორი დაინიშნა იმის გამო, რომ გარდაცვლილის სამკვიდრო მთლიანად ან ნაწილობრივ უმართავი დარჩა, ლიკვიდაცია ნყდება იმ მომენტში, როდესაც ყველა მემკვიდრე დაეთანხმა სამკვიდროს მართვას და უკვე განხორციელებული ყველა სალიკვიდაციო ხარჯი კი გაწეულ იქნა.

მუხლი 4:226 ლიკვიდაციის დარულებისას დარჩენილი თანხების განაწილება

– 1. თუ გარდაცვლილის სამკვიდროს ლიკვიდაცია ჩატარდა და დასრულდა ნარჩენი თანხით, მაშინ სასამართლოს მიერ დანიშნული ლიკვიდატორი დარჩენილ აქტივებს გადასცემს მემკვიდრეებს, ხოლო თუ გარდაცვლილის სამკვიდრო განაწილდა (გაიყო) 4:13 მუხლის შესაბამისად, მაშინ -გარდაცვლილის მეუღლეს. როდესაც მემკვიდრეები საერთოდ არ არიან სახეზე, როდესაც უცნობია ის ფაქტი, არიან თუ არა სახეზე მემკვიდრეები ანდა როდესაც ეს უკანასკნელები არ არიან მზად გარდაცვლილის სამკვიდროს დარჩენილი აქტივების მისაღებად, – ლიკვიდატორი ამ აქტივებს გადასცემს სახელმწიფოს.

– 2. როდესაც ის მემკვიდრეები, რომლებიც მზად არიან გარდაცვლილის სამკვიდროს დარჩენილი აქტივების მისაღებად, უფლებამოსილი არიან გარდაცვლილის სამკვიდროს მხოლოდ ნაწილზე, ლიკვიდატორი უნდა დარწმუნდეს იმაში, რომ თავდაპირველად მოხდეს სამკვიდროს განაწილება (გაყოფა). აღნიშნულის შემდგომ ლიკვიდატორი სახელმწიფოს გადასცემს იმას, რაც განაწილდა (გაიყო) უცნობ კრედიტორებზე ან – იმ კრედიტორებზე, რომლებიც არ მონაწილეობდნენ სამკვიდროს განაწილებაში (გაყოფაში).

– 3. სახელმწიფო უფლებამოსილია, გაყიდოს მის მიერ ლიკვიდატორისგან მიღებული აქტივები; მას

შეუძლია ასევე გაყიდოს რეგისტრირებული აქტივები საჯარო აუქციონით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც რაიონულმა სასამართლომ გასცა რეგისტრირებული აქტივების კერძო ბაზარზე გაყიდვის ანდა უკვე რეკომენდებული მყიდველისათვის მიყიდვის ნებართვა.

– 4. როდესაც გარდაცვლილის სამკვიდროს აქტივს ან მის შემცველ რაიმე ობიექტს პირი არ ითხოვს სამკვიდროს მემკვიდრეობის გადასვლიდან ოცი წლის განმავლობაში, ეს აქტივი ან მისი შემცველი ობიექტი გადაეცემა სახელმწიფოს.

განყოფილება 4.6.4 – გარდაცვლილის სამკვიდროს განაწილება (გაყოფა)

მუხლი 4:227 გამოსაყენებელი ნორმები

საერთო საკუთრების განაწილების (გაყოფის) მომწესრიგებელი ზოგადი ნორმების მოქმედების შეზღუდვის გარეშე, წინამდებარე განყოფილების ქვემოთ მოცემული ნორმები გამოიყენება გარდაცვლილის სამკვიდროს განაწილების (გაყოფის) წესის მიმართ.

მუხლი 4:228 ვალების განაწილების (გაყოფის) ანგარიშში ჩათვლა

– 1. ერთი ან რამდენიმე სხვა მემკვიდრის მოთხოვნის საფუძველზე გარდაცვლილის სამკვიდროს ვალები, რომლებიც ჩაითვლება კონკრეტული მემკვიდრის წილის განაწილების (გაყოფის) ანგარიშში, მიეკუთვნება იმ საერთო ვალებს, რომლებიც ჯერ კიდევ წარმოადგენდა ამ მემკვიდრის გარდაცვლილი პირის წინაშე არსებულ დავალიანებას.

– 2. ასევე თანამემკვიდრის წინაშე 4:7 მუხლის პარ. 1-ის (f) პუნქტიდან (h) პუნქტის ჩათვლით ნორმებში მითითებული მემკვიდრის ვალებიც, რამდენადაც ისინი ვადამოსული და შესასრულებელია განაწილების (გაყოფის) მომენტში, – აღნიშნული თანამემკვიდრის მოთხოვნის საფუძველზე მის სასარგებლოდ ჩაითვლება გარდაცვლილის სამკვიდროში მოვალის წილის ანგარიშში.

მუხლი 4:229 ნაჩუქრობების ღირებულების ანაზღაურება

– 1. მემკვიდრეებმა თავიანთი თანამემკვიდრეების სასარგებლოდ უნდა აანაზღაურონ იმ ნაჩუქრობების ღირებულება, რომლებიც მათ მიიღეს გარდაცვლილი პირისაგან, რამდენადაც ამ უკანასკნელმა დაადგინა ეს თავის ანდერძში ან ჩუქების ხელშეკრულების დადებისას.

– 2. მოანდერძის ანდერძით ჩუქების ხელშეკრულების დადებისას მოსარგებელზე დაკისრებული ნაჩუქრობის ღირებულების ანაზღაურების სამართლებრივი მოვალეობა შეიძლება გაუქმდეს.

მუხლი 4:230 წარმომადგენლობის უფლების მქონე მემკვიდრეთა მიერ ნაჩუქრობების ღირებულების ანაზღაურება

იმ მემკვიდრეებმა, რომლებიც მოინვევიან გარდაცვლილის სამკვიდროს წარმომადგენლობის უფლების საფუძველზე მისაღებად, უნდა აანაზღაურონ არა მარტო იმ ნაჩუქრობების ღირებულება, რომლებიც მათ თავად მიიღეს გარდაცვლილისაგან, არამედ ასევე – იმ ნაჩუქრობების ღირებულებაც, რომლებიც გარდაცვლილისაგან მიიღო პირმა, რომელსაც ისინი ამჟამად წარმოადგენენ, და რაც ასევე უნდა ანაზღაურებულიყო ამ პირის მიერ იმ შემთხვევაში, თუ ის თავად იქნებოდა მემკვიდრე.

მუხლი 4:231 მეუღლეთა საერთო ქონებას მიკუთვნებული ნაჩუქრობების ღირებულების ანაზღაურება

იმ შემთხვევებში, როდესაც იმ ნაჩუქრობიდან გამომდინარე მოსარგებელე, რომელიც ამ უკანასკნელმა გარდაცვლილი პირისაგან მიიღო, იმყოფება ქორწინებაში მეუღლეთა საერთო საკუთრების რეჟიმში ანდა იმ საქორწინო ხელშეკრულების მოქმედების ქვეშ, რომელიც ითვალისწინებს საქორწინო ურთიერთობებში მეუღლეების წილთა გათანაბრების ვალდებულებებს, როგორც ეს მითითებულია 1.8.2 განყოფილებაში, ანაზღაურებას ექვემდებარება ნაჩუქრობის მთლიანი ღირებულება, თუ მოანდერძემ თავის ანდერძში სანინააღმდეგო წესი არ გაითვალისწინა.

მუხლი 4:232 ნაჩუქრობების ღირებულების ანაზღაურება არ მოქმედებს მემკვიდრის პასუხისმგებლობის მიმართ

– 1. გარდაცვლილის სამკვიდროს კრედიტორების წინაშე მემკვიდრის პასუხისმგებლობის მიმართ მიღებული ნაჩუქრობების ღირებულების ანაზღაურების ვალდებულება არ მოქმედებს.

- 2. როდესაც სხვა პირი იძენს გარდაცვლილის სამკვიდროში მემკვიდრის წილს, ის იღებს მემკვიდრის უფლებას, მოითხოვოს ნაჩუქრობების ღირებულების ანაზღაურება, და ასევე – ამ მემკვიდრის მოვალეობას (ვალდებულებას), მოახდინოს ნაჩუქრობების ღირებულების ანაზღაურება.

მუხლი 4:233 ასანაზღაურებელი ნაჩუქრობების შეფასება

- 1. ნაჩუქრობების ღირებულების ანაზღაურების ვალდებულება გულისხმობს იმას, რომ გარდაცვლილის სამკვიდროს განაწილებისას (გაყოფისას) საჩუქრის ღირებულება გამოაკლდება იმ მემკვიდრის წილის ღირებულებას, ვინც ვალდებულია ანაზღაუროს გარდაცვლილის სამკვიდროს ის ნაწილი, რაზეც უფლებამოსილია ეს მემკვიდრე და ასევე სხვა მემკვიდრეები, რომელთა სასარგებლოდაც უნდა მოხდეს ღირებულების ანაზღაურება, რასაც ემატება თანხები, რომელთა ანაზღაურების ვალდებულებაც მემკვიდრეებს ერთობლივად ეკისრებათ. ნაჩუქრობების ღირებულება გამოითვლება 4:66 მუხლით გათვალისწინებული წესით; ამ ღირებულებას ემატება წლიური ექვსი პროცენტი, რომლის დარიცხვა ხდება გარდაცვლილის სამკვიდროს მემკვიდრეობის გადასვლის დღიდან. შესაბამისად გამოიყენება 4:68 მუხლისა და 4:70 მუხლის პარ. 3-ის ნორმები.

- 2. მემკვიდრეს არ ეკისრება ნაჩუქრობების ღირებულების ანაზღაურების ვალდებულება, რამდენადაც მათი ღირებულება აღემატება გარდაცვლილის სამკვიდროში მის წილს.

მე-5 ნიბნი – სანიჰოო უფლებები

ტიტული 5.1 – საკუთრების უფლება ზოგადად

მუხლი 5:1 „საკუთრების უფლების“ განმარტება

- 1. საკუთრების უფლება წარმოადგენს მაქსიმალურად ყოველსომცველ ქონებრივ უფლებას, რომელიც პირს, „მესაკუთრეს“, შეიძლება ჰქონდეს ნივთზე.
- 2. მესაკუთრეს შეუძლია თავისუფლად გამოიყენოს ნივთი ყოველი სხვა პირის გამორიცხვით იმ პირობით, რომ ის პატივს სცემს ამ ნივთზე სხვა პირების უფლებებსა და უფლებამოსილებებს და იცავს დაწერილი და დაუწერილი სამართლის ნორმების საფუძველზე არსებულ შეზღუდვებს.
- 3. ნივთის მესაკუთრე ხდება მესაკუთრე ამ ნივთიდან გამოცალკევებულ ნაყოფსა და მისგან მიღებულ სარგებელზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამ ნაყოფისა და სარგებლის მიღებაზე უფლებამოსილია სხვა პირი.

მუხლი 5:2 ნივთის გამოთხოვის უფლება

ნივთის მესაკუთრე უფლებამოსილია გამოითხოვოს ეს ნივთი ყოველი იმ პირისაგან, ვინც მას ფლობს უფლებისა თუ სამართლებრივი საფუძვლის გარეშე.

მუხლი 5:3 მიმატება

რამდენადაც კანონი სხვაგვარად არ ითვალისწინებს, ნივთის მესაკუთრე წარმოადგენს ასევე ყველა მისი შემადგენელი ნაწილის მესაკუთრესაც.

ტიტული 5.2 – მოძრავი ნივთების საკუთრება

მუხლი 5:4 დაუფლება

პირი, ვინც {3:107 მუხლის გაგებით} მფლობელობაში იღებს იმ მოძრავ ნივთს, რომელიც არავის არ ეკუთვნის, იძენს მასზე საკუთრების უფლებას.

მუხლი 5:5 ნაპოვარი

– 1. პირი, ვინც პოულობს დაკარგულ მოძრავ საგანსა და ავრცელებს მასზე თავის ფაქტობრივ ბატონობას, ვალდებულია:

a. პარ. 2-ის პირველი წინადადების შესაბამისად დროულად შეატყობინოს თავისი ნაპოვარის შესახებ ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს {პოლიციას}, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მან თავისი ნაპოვარის თაობაზე მყისიერად აცნობა იმ პირს, რომელსაც ის მესაკუთრედ მიიჩნევს, ანდა – იმ პირს, ვინც უფლებამოსილია მიიღოს დაკარგული საგანი;

b. გარდა აღნიშნულისა, როდესაც მან დაკარგული საგანი იპოვა სახლში, შენობა-ნაგებობასა თუ სატრანსპორტო საშუალებაში, – პარ. 2-ის მეორე წინადადების შესაბამისად დროულად შეატყობინოს თავისი ნაპოვარის შესახებ იმ პირს, ვინც იყენებს ან ექსპლუატაციას უწევს იმ ადგილს, სადაც საგანი იქნა ნაპოვნი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მას არ ეკისრებოდა ადგილობრივი მმართველობის ორგანოებისათვის {პოლიციისათვის} შეტყობინების ვალდებულება (a) პუნქტში გათვალისწინებული ნორმის გამო;

c. მუნიციპალიტეტის მოთხოვნის შემთხვევაში გადასცეს მას ნაპოვნი საგანი იმისათვის, რათა მისცეს ამ მუნიციპალიტეტს საგნის შენახვის შესაძლებლობა.

- 2. პარ. 1-ის (ა) პუნქტში მითითებული შეტყობინება უნდა წარედგინოს ნებისმიერ მუნიციპალიტეტში ამ უკანასკნელის მიერ სპეციალურად ამ მიზნით დანიშნულ საჯარო მოხელეს. პარ. 1-ის (ბ) პუნქტში მითითებული შეტყობინება უნდა წარედგინოს სახლსა თუ შენობა-ნაგებობაში მცხოვრებ პირს, ან იმ პირს, ვინც იყენებს სატრანსპორტო საშუალებას, როგორც ეს მითითებულია აღნიშნულ პარაგრაფში ანდა – იმ პირს, ვინც ახორციელებს სახლის, შენობა-ნაგებობისა თუ სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის ზედამხედველობას სახლისა თუ შენობა-ნაგებობის მაცხოვრებლის ანდა სატრანსპორტო საშუალების მოსარგებლის სახელით.

- 3. მპოვნელი ყოველთვის უფლებამოსილია ნაპოვნი საგანი შესანახად გადასცეს მუნიციპალიტეტს. თუ ის ასე არ იქცევა, მაშინ მას თავად ევალება საგნის მოვლა-პატრონობა და შენახვა.

- 4. მპოვნელს შეუძლია მოითხოვოს, რომ პარ. 2-ის პირველ წინადადებაში მითითებულმა საჯარო მოხელემ წარუდგინოს მას მტკიცებულება, რომლითაც დასტურდება, რომ მან მოახდინა ნაპოვარის შესახებ შეტყობინების წარდგენა ანდა ნაპოვნი საგნის მუნიციპალიტეტისათვის შესანახად გადაცემა.

მუხლი 5:6 ნაპოვარზე საკუთრების უფლების მიღება

- 1. მპოვნელი, რომელმაც დააკმაყოფილა 5:5 მუხლის პარ. 1-ში გათვალისწინებული სამართლებრივი მოთხოვნები, იძენს საკუთრების უფლებას ნაპოვარზე მის მიერ 5:5 მუხლის პარ. 1-ის (ა) პუნქტში მითითებული წესით შეტყობინების წარდგენიდან ერთი წლის გასვლისთანავე იმ პირობით, რომ ამ მომენტში ის ანდა მუნიციპალიტეტი ჯერ კიდევ ავრცელებს საგანზე თავის ფაქტობრივ ბატონობას.

- 2. თუ ნაპოვნი საგანი შესანახად გადაეცა მუნიციპალიტეტს სხვა მიზეზით, ნაცვლად იმ მიზეზისა, რის გამოც ამ უკანასკნელმა ეს მოითხოვა, და ეს საგანი წარმოადგენს ღირებულების არმქონე ობიექტს, როგორც ეს გათვალისწინებულია 5:12 მუხლის (ბ) პუნქტში მითითებული მეფის სამთავრობო ბრძანებით, მაშინ პარ. 1-ის ნორმები არ გამოიყენება; ასეთ შემთხვევაში მერი უფლებამოსილია მუნიციპალიტეტის ხარჯზე გაყიდოს საგანი ან გადასცეს ის მესამე პირს ფინანსური ნაცვალგების გარეშე (უსასყიდლოდ) ანდა – გაანადგუროს ის იმ პირობით, რომ მუნიციპალიტეტისათვის საგნის შესანახად გადაცემის მომენტიდან გასულია სამი თვე.

- 3. მუნიციპალიტეტისათვის ნაპოვნი საგანის შესანახად გადაცემიდან ერთი წლის შემდეგ მერი უფლებამოსილია გაყიდოს ის მუნიციპალიტეტის ხარჯზე ან გადასცეს ის მესამე პირს ფინანსური ნაცვალგების გარეშე (უსასყიდლოდ) ანდა – გაანადგუროს ის იმ პირობით, რომ არ გამოიყენება არც პარ. 1-ისა და არც პარ. 2-ის ნორმები.

- 4. წინა პარაგრაფები არ მოქმედებს, როდესაც ნაპოვნი საგნის მესაკუთრემ ან სხვა მის მიღებაზე უფლებამოსილმა პირმა თავად წარუდგინა შეტყობინება იმ პირსა თუ დაწესებულებას, რომელიც ინახავს ამ საგანს იმ პირობით, რომ ეს შეტყობინება განხორციელდა შესაბამისი ვადის გასვლამდე ხოლო პარ. 2 და 3-ში მითითებულ ვითარებაში კი, აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, თუმცაღა – იმ მომენტში, როდესაც მუნიციპალიტეტს ჯერ კიდევ სავსებით შეუძლია საგნის ამ პირისა თუ დაწესებულებისათვის გადაცემა.

მუხლი 5:7 მპოვნელის მიერ კანონით მიღებული უფლებების გადაცემა

ნაპოვნი საგნის სახლის მფლობელისათვის ან იმ ფართის მოსარგებლის, ოპერატორისა თუ ზედამხედველისათვის დაუყოვნებელი გადაცემით, სადაც იპოვეს ეს საგანი, მპოვნელს კანონიდან გამომდინარე თავისი უფლებები, ყველა თანმხლებ სამართლებრივ მოვალეობასა და ვალდებულებასთან ერთად, შეუძლია გადასცეს სახლის მფლობელს, ფართის მოსარგებელსა თუ ოპერატორს იმ პირობით, რომ სახეზე არ იქნება ანაზღაურების მიღების უფლება.

მუხლი 5:8 ნაპოვნი საგნისა თუ ცხოველის გაყიდვა ან გაანადგურება

- 1. თუ მუნიციპალიტეტისათვის შესანახად გადაცემული ნაპოვარის მიმართ არსებობს მაღალი რისკი იმისა, რომ ის შესაძლოა გაანადგურდეს ან დაზიანდეს, ანდა თუ მუნიციპალიტეტის მხრიდან მისი შენახვა მოსალოდნელი ველარ იქნება შეუსაბამოდ მაღალი ხარჯებისა თუ სხვა ზარალის გამო, მაშინ მერი უფლებამოსილია გაყიდოს ნაპოვნი საგანი.

- 2. თუ საგანი არ იყიდება, მაშინ მერი უფლებამოსილია გადასცეს ის მესამე პირს ფინანსური ნაცვალგების გარეშე (უსასყიდლოდ) ან გაანადგუროს ის.

- 3. თუ ნაპოვნი საგანს წარმოადგენს ცხოველი, რომელიც მუნიციპალიტეტის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა, სულ ცოტა, ორი კვირის განმავლობაში, მაშინ მერი უფლებამოსილია მასზე საკუთრების

უფლება გადასცეს მესამე პირს შეძლებისდაგვარად ნასყიდობის ფასის გადახდის სანაცვლოდ, ხოლო სხვა შემთხვევაში კი, – ფინანსური ნაცვალგების გარეშე (უსასყიდლოდ). თუ აღნიშნულიც კი შეუძლებელია, მაშინ მერს შეუძლია მოკლას ცხოველი. ორკვირიანი ვადის დაცვა აუცილებელი არ არის, თუ ამ ვადის განმავლობაში ცხოველის შენახვა შესაძლებელია მხოლოდ შეუსაბამოდ მაღალი ხარჯების განწევით ანდა თუკი ცხოველის მოკვლა უნდა მოხდეს სამედიცინო მიზეზების გამო.

– 4. გაყიდვიდან ამონაგები თანხები ცვლის ნაპოვნ საგანს (იკავებს მის ადგილს).

მუხლი 5:9 ნაპოვნი ფული

როდესაც მუნიციპალიტეტისათვის შესანახად გადაცემულ ნაპოვარს წარმოადგენს ფული, მუნიციპალიტეტმა უნდა აუნაზღაუროს მხოლოდ იმავე ოდენობის თანხა იმ პირს, ვინც კანონიერად ითხოვს მას, რომლის მოვალეობაც წყდება მოთხოვნების დაკმაყოფილებისთანავე, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ნაპოვნის სხვა საგანი, ნაცვლად ფულია, – აღნიშნული მერს ანიჭებს ამ საგნის მუნიციპალიტეტის ხარჯზე გაყიდვის უფლებას.

მუხლი 5:10 ნაპოვნი საგნის შენახვის ხარჯები და მპოვნელის დასაჩუქრება

– 1. პირმა, ვინც ითხოვს, რომ მუნიციპალიტეტმა ან იმ მპოვნელმა, რომელმაც დააკმაყოფილა მასზე 5:5 მუხლის პარ. 1-ით დაკისრებული მოთხოვნები, დაუბრუნოს მას ნაპოვნი საგანი, უნდა გადაიხადოს ექსპლუატაციისა და შენახვის ხარჯები, ისევე როგორც – კანონიერი მესაკუთრისა თუ მის ნაცვლად საგნის მიღებაზე უფლებამოსილი სხვა პირის მოძიების ხარჯები. მუნიციპალიტეტს ან მპოვნელს შეუძლია უარი თქვას საგნის გადაცემაზე მანამდე, სანამ არ ანაზღაურდება აღნიშნული ხარჯები. თუ პირი, ვინც ითხოვს ნაპოვნი საგნის დაბრუნებას, არ ანაზღაურებს ხარჯებს ერთი თვის განმავლობაში მას შემდეგ, რაც მან მიიღო შესაბამისი დანახარჯების ჩამონათვალი, მიიჩნევა, რომ ამ პირმა დაკარგა თავისი უფლება ნაპოვარზე.

– 2. მპოვნელი, ვინც აკმაყოფილებს მასზე დაკისრებულ ყველა მოთხოვნას, გარემოებათა გათვალისწინებით უფლებამოსილია მიიღოს გონივრული კომპენსაცია.

მუხლი 5:11 მპოვნელის მიერ ნაპოვნი საგნის დროულად ნაუღებლობა მას შემდეგ, რაც მან მოიპოვა მასზე საკუთრების უფლება

თუ მპოვნელი, ვინც 5:6 მუხლის პარ. 1-ის ნორმათა საფუძველზე გახდა მუნიციპალიტეტისათვის შესანახად გადაცემული ნაპოვარის მესაკუთრე, არ გამოცხადდება მუნიციპალიტეტში საგნის წასაღებად ამ უკანასკნელზე საკუთრების უფლების მოპოვებიდან ერთი თვის განმავლობაში, მერი უფლებამოსილია გაყიდოს ეს საგანი მუნიციპალიტეტის ხარჯზე ან გადასცეს ის მესამე პირს ფინანსური ნაცვალგების გარეშე (უსასყიდლოდ) ანდა, სხვა შემთხვევაში, – გაანადგუროს ის.

მუხლი 5:12 მეფის სამთავრობო ბრძანებით გათვალისწინებული დამატებითი წესები

მეფის სამთავრობო ბრძანებით ან მის შესაბამისად დასაშვებია:

a. დამატებითი წესების მიღება იმ უფლებების რეალიზაციასთან დაკავშირებით, რომლებიც მუნიციპალიტეტს მიენიჭა 5:5 მუხლიდან 5:11 მუხლის ჩათვლით ნორმებიდან გამომდინარე;

b. ღირებულების არმქონე ობიექტების ჯგუფების მითითება, რომელთა მიმართაც მოქმედებს 5:6 მუხლის პარ. 2;

c. დამატებითი წესების მიღება იმ კატეგორიის პირთა და დაწესებულებათა დანიშვნასთან დაკავშირებით, რომლებიც – დამატებითი პირობებითა თუ ამ პირობების გარეშე – სრულად ან ნაწილობრივ თავისუფლდებიან 5:5 მუხლის პარ. 1-ის (ა) პუნქტში მითითებული მოვალეობისაგან, წარადგინონ ნაპოვარის შესახებ შეტყობინება ანდა რომლებიც ნაპოვარის ფაქტობრივი შედეგების მონესრიგების მიზნით უთანაბრდებიან მუნიციპალიტეტს;

d. განსაზღვრული სახის მიტოვებული ან დავინწყებული საგნების ნაპოვნ საგნებთან გათანაბრება, როგორც ეს მითითებულია წინა მუხლებში, თუ ეს ხდება (c) პუნქტში მითითებული პირებისა თუ დაწესებულებების მიერ ნაპოვარის ფაქტობრივი შედეგების მონესრიგების მიზნით.

მუხლი 5:13 განძი

– 1. ნაპოვნი განძი თანაბარწილად ეკუთვნის იმ პირს, ვინც აღმოაჩინა ის, და იმ მოძრავი თუ უძრავი ნივთის მესაკუთრეს, რომელშიც განძი იქნა ნაპოვნი.

- 2. განძი წარმოადგენს ძვირადღირებულ ნივთს, რომელიც დამალულია იმდენი ხნის განმავლობაში, რომ მისი მესაკუთრის დადგენა შეუძლებელი ხდება.
- 3. პირმა, რომელმაც აღმოაჩინა განძი, თავისი ნაპოვარის შესახებ შეტყობინება უნდა მოახდინოს 5:5 მუხლის პარ. 1-ის (a) პუნქტის შესაბამისად. თუ შეტყობინება არ ხდება ანდა თუ გაურკვეველია, ვის ეკუთვნის განძი, 5:5 მუხლის პარ. 1-ის (c) პუნქტის შესაბამისად მუნიციპალიტეტს შეუძლია მოითხოვოს, რომ მესაკუთრის დადგენამდე განძი შესანახად გადაეცეს მას.

მუხლი 5:14 ქონებაზე მიმატება

- 1. თუ მოძრავი ნივთი ხდება სხვა იმ მოძრავი ნივთის შემადგენელი ნაწილი, რომელიც მიჩნეულ უნდა იქნეს მთავარ ნივთად, მაშინ მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლება გადადის მთავარი ნივთის მესაკუთრეზე.
- 2. თუ არც ერთი მოძრავი ნივთი არ ჩაითვლება მთავარ ნივთად და ისინი სხვადასხვა მესაკუთრეებს ეკუთვნის, მაშინ ეს მესაკუთრეები ხდებიან ახალი ნივთის თანამესაკუთრეები თითოეული იმ მოძრავი ნივთის წილობრივი ღირებულების პროპორციულად, რომელსაც ის ადრე ფლობდა.
- 3. მთავარი ნივთი წარმოადგენს ნივთს, რომლის ღირებულებაც მნიშვნელოვნად აღემატება სხვა ნივთის ღირებულებას, ანდა – იმ ნივთს, რომელიც მთავარ ნივთად მიიჩნევა ზოგადად აღიარებული შეხედულებების (ზოგადი შეხედულებების) თანახმად.

მუხლი 5:15 მოძრავი ქონების შერწყმა (შეერთება)

როდესაც მოძრავი ნივთები, რომლებიც სხვადასხვა მესაკუთრეს ეკუთვნის, ერწყმის ერთმანეთს იმგვარად, რომ ისინი ერთიანი ნივთი ხდება, მაშინ შესაბამისად მოქმედებს წინა მუხლის ნორმები.

მუხლი 5:16 ახალი ნივთის შექმნა

- 1. თუ ვინმე ერთი ან რამდენიმე სხვადასხვა მოძრავი ნივთისაგან ქმნის ახალ ნივთს, მაშინ ეს ახლად შექმნილი ნივთი ეკუთვნის თავდაპირველი ნივთების მესაკუთრეს. როდესაც ეს ნივთები სხვადასხვა მესაკუთრეებს ეკუთვნის, შესაბამისად მოქმედებს წინა მუხლის ნორმები.
- 2. თუ ვინმე სათავისოდ ქმნის ახალ ნივთს ანდა თუ ის უშვებს სხვა პირის მიერ მისთვის ახალი ნივთის შექმნას, ხოლო ეს უკანასკნელი კი მთლიანად ან ნაწილობრივ იქმნება იმ ერთი ან რამდენიმე მოძრავი ნივთისაგან, რომელიც მას არ ეკუთვნის, მაშინ ეს პირი ხდება ახლად შექმნილი ნივთის მესაკუთრე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს გაუმართლებელია იმ მცირე დანახარჯების გამო, რომლებიც განეულ იქნა ახალი ნივთის შექმნასთან დაკავშირებით.
- 3. ზემოაღნიშნული პარაგრაფები შესაბამისად მოქმედებს სხვადასხვა ნივთიერებათა ახლად ნივთიერებად გადამუშავებისა და მცენარეთა კულტივაციის (ვეგეტაციის) მიმართ.

მუხლი 5:17 ნაყოფის (სარგებლის) მიღება

პირი, ვინც ნივთის სარგებლობის უფლების შედეგად უფლებამოსილია იმ ნაყოფზე (სარგებელზე), რომელსაც ეს ნივთი იძლევა, იძენს საკუთრების უფლებას ამ ნაყოფზე (სარგებელზე) ამ უკანასკნელის ნივთისაგან გამოცალკევების მომენტიდან.

მუხლი 5:18 საკუთრების უფლების დაკარგვა

მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლების დაკარგვა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც მესაკუთრე ტოვებს თავის მფლობელობას ნივთზე {3:107 მუხლის გაგებით} მასზე საკუთრების უფლების მიტოვების განზრახვით.

მუხლი 5:19 ცხოველებზე საკუთრების დაკარგვა

- 1. შინაური ცხოველის მესაკუთრე კარგავს მასზე საკუთრების უფლებას, როდესაც ცხოველი გაექცევა მას და გაველურდება.
- 2. სხვა ცხოველის, ნაცვლად შინაურისა, მესაკუთრე კარგავს მასზე საკუთრების უფლებას, როდესაც ცხოველი მოიპოვებს თავისუფლებას, ხოლო მესაკუთრე კი არ ეცდება მის დაუყოვნებლივ დაჭერას ანდა შეწყვეტს მისი დაჭერის მცდელობებს.

ტიტული 5.3 – უძრავი ნივთების საკუთრება

მუხლი 5:20 მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების ფარგლები

– 1. რამდენადაც კანონი სხვაგვარად არ ითვალისწინებს, მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლება მოიცავს:

- a. ნიადაგის ზედა ფენას;
- b. მიწის ფენებს ნიადაგის ზედა ფენის ქვეშ;
- c. გრუნტის წყლებს, რომლებიც ბუნებრივად ან დანადგარის მეშვეობით ამოდის ზედაპირზე;
- d. მიწის ზედაპირზე არსებული წყლის მასა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მას აქვს ღია კავშირი იმ წყალთან, რომელიც ფარავს სხვა მიწის ნაკვეთს;
- e. პირდაპირ ან სხვა შენობისა თუ ნაგებობის მეშვეობით მიწის ნაკვეთთან მყარად დაკავშირებულ შენობებსა და ნაგებობებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი წარმოადგენს რომელიმე სხვა უძრავი ნივთის შემადგენელ ნაწილს;
- f. მიწაზე არსებული მცენარეებსა (მცენარეულობა) და ხეებს.

– 2. პარ. 1-გან განსხვავებით, საკუთრების უფლება ქსელზე, რომელიც შედგება მყარი, თხევადი ან აირისებრი ნივთიერებების, ენერჯისა თუ ინფორმაციის ტრანსპორტირება/გადატანისათვის გამოყენებული ერთი ან რამდენიმე სადენისა თუ მილსადენისაგან და რომლებიც ინსტალირებულია ან დაინსტალირდება სხვა პირების კუთვნილ მიწის ნაკვეთზე ან მის ზემოთ, ეკუთვნის იმ პირს, რომელმაც კანონიერად მოახდინა მათი ინსტალაცია, ანდა – ამ პირის უფლებამონაცვლებს.

მუხლი 5:21 პირის კუთვნილი მიწის ნაკვეთის ზედა და ქვედა სივრცით სარგებლობის უფლება

– 1. მიწის ნაკვეთის მესაკუთრის უფლება, ისარგებლოს ამ ნაკვეთით მოიცავს მისი ზედაპირის ზემოთ და ქვემოთ არსებული სივრცით სარგებლობის უფლებას.

– 2. სხვა პირებს შეუძლიათ ისარგებლონ მიწის ნაკვეთის ზედაპირის ზემოთ და ქვემოთ არსებული სივრცით იმ პირობით, რომ ისინი ამას განახორციელებენ ზედაპირის ზემოთ ისეთ სიმაღლეზე ან ზედაპირის ქვემოთ ისეთ სიღრმეზე, რომ მესაკუთრეს არ ექნება შეწინააღმდეგების ინტერესი.

– 3. წინა პარაგრაფები საჭიერო სივრცეში ფრენის უფლების მიმართ არ გამოიყენება.

მუხლი 5:22 პირის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე გავლა

როდესაც მიწის ნაკვეთი არ არის შემოღობილი, ნებისმიერ პირს შეუძლია მასზე გავლა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამის შედეგად მესაკუთრეს შეიძლება მიადგეს ზიანი ან ეს მისთვის შემანუხებელი ხდება ანდა – მესაკუთრემ ნათლად განაცხადა, რომ ის კრძალავს თავის ფართში უნებართვო შესვლას იმ ნორმათა მოქმედების შეზღუდვის გარეშე, რომლებიც ითვალისწინებს საჯარო გზების გამოყენების წესებს.

მუხლი 5:23 საგნისა თუ გაქცეული ცხოველის მიდევნება და დაბრუნება

– 1. როდესაც საგანი ან ცხოველი რაიმე მიზეზით, რაც არ უკავშირდება მისი მესაკუთრის უხეშ გაუფრთხილებლობას, აღმოჩნდება ვინმე სხვა პირის მიწის ნაკვეთზე, ამ ნაკვეთის მესაკუთრემ შესაბამისი თხოვნის შემთხვევაში უნდა დაუშვას საგნისა თუ ცხოველის მესაკუთრის შესვლა მიწის ნაკვეთზე საგნისა თუ ცხოველის მიდევნებისა და დაბრუნების მიზნით.

– 2. საგნისა თუ ცხოველის მესაკუთრემ უნდა აანაზღაუროს ის ზიანი, რომელიც მიწის ნაკვეთის მესაკუთრემ განიცადა საგნისა თუ ცხოველის მიდევნებისა და დაბრუნების შედეგად. ამ სავალ მოთხოვნასთან დაკავშირებით მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს აქვს საგნისა თუ ცხოველის დაკავების უფლება.

მუხლი 5:24 მიტოვებული მიწის ნაკვეთის ეკუთვნის სახელმწიფოს

მესაკუთრის გარეშე დარჩენილი უძრავი ნივთები ეკუთვნის სახელმწიფოს.

მუხლი 5:25 ზღვის ფსკერის საკუთრება

ტერიტორიული ზღვის ფსკერი, მათ შორის, ვადენზეეს ჰოლანდიური ნაწილი, ეკუთვნის სახელმწიფოს.

მუხლი 5:26 ზღვის სანაპიროების საკუთრება

ივარაუდება, რომ სახელმწიფო წარმოადგენს ზღვასა და დიუნების ძირს შორის არსებული სანაპიროების მესაკუთრეს.

მუხლი 5:27 საჯარო სანაოსნო გზების საკუთრება

- 1. ივარაუდება, რომ სახელმწიფო წარმოადგენს საჯარო სანაოსნო გზების ფსკერის მესაკუთრეს.
- 2. ეს პრეზუმფცია არ გამოიყენება იმ საჯარო წარმონაქმნის მიმართ:
 - a. რომელიც ექსპლუატაციას უწევს წყლებს და ეს ამოცანა სახელმწიფოსაგან არა აქვს მიღებული;
 - b. რომელიც ექსპლუატაციას უწევდა წყლებს მანამდე და რომლის ამოცანასაც თავის თავზე იღებდა სახელმწიფო ან სხვა საჯარო წარმონაქმნი.

მუხლი 5:28 საჯარო უძრავი ნივთების საკუთრება

- 1. უძრავი ნივთები, გარდა ზღვის სანაპიროებისა, რომლებიც თავისუფლად ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის და რომლებსაც ექსპლუატაციას უწევს საჯარო წარმონაქმნი, ივარაუდება, რომ წარმოადგენს ამ საჯარო წარმონაქმნის საკუთრებას.
- 2. ეს პრეზუმფცია არ გამოიყენება იმ პირის მიმართ, რომელმაც თავის თავზე აიღო აღნიშნული ექსპლუატაციის განვეის ვალდებულება.

მუხლი 5:29 წყლის სანაპირო ზოლის მიწა

წყლის გვერდით არსებული მიწის ნაკვეთის საზღვარი მიჰყვება წყლის სანაპირო ზოლს, გარდა განზრახ ჩადენილი ამოშრობისა თუ დროებითი წყალდიდობისა. წყალდიდობა არ წარმოადგენს დროებით მოვლენას, თუ მისი დადგომიდან ათი წლის ვადის გასვლის შემდეგაც კი მიწის ნაკვეთი ჯერ კიდევ დატბორილია და მისი ამოშრობა ჯერ არ დაწყებულია.

მუხლი 5:30 საზღვრის გავლება

- 1. სანაპირო ზოლის გადაადგილება აღარ შეცვლის საზღვარს მას შემდეგ, რაც სასაზღვრო ხაზის გავლება მოხდება მიწის ნაკვეთისა და წყლის მესაკუთრეთა მიერ 5:31 მუხლის შესაბამისად, ანდა – სასამართლოს მიერ ერთ-ერთი ამ მესაკუთრეთაგანის მხრიდან მეორის მიმართ წარდგენილი სარჩელის საფუძველზე 5:32 მუხლის შესაბამისად. როდესაც ხდება სასაზღვრო ხაზის გავლება, ეს ნებისმიერი პირის მიმართ მოქმედებს.
- 2. თუ ნაცვლად მიწის ნაკვეთის ნამდვილი მესაკუთრისა, ვინმე სხვა პირი, ვინც ასეთად იქნა რეგისტრირებული საჯარო რეესტრებში, წარმოადგენდა სასაზღვრო ხაზის გავლების მხარეს, მაშინ წინა პარაგრაფის ნორმები მაინც მოქმედებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ნამდვილი მესაკუთრე წინააღმდეგი იყო საკუთრების უფლების გადამცემი აქტისა თუ სასამართლოს გადანყვეტილების რეგისტრაციისა იმ მომენტამდე, როდესაც მეორე მხარე საჯარო რეესტრებში დარეგისტრირდა როგორც მესაკუთრე.

მუხლი 5:31 საზღვრის გავლება სანოტარო აქტის რეგისტრაციის გზით

- 1. მიწის ნაკვეთისა და წყლის მესაკუთრეთა მიერ საზღვრის გავლება უნდა მოხდეს ამ მიზნით შედგენილი სანოტარო აქტის რეგისტრაციის გზით, რასაც თოთხმეტი დღის განმავლობაში მოჰყვება მისი რეგისტრაცია რეგისტრირებული ქონების საჯარო რეესტრებში.
- 2. საჯარო რეესტრების მწარმოებელი უფლებამოსილია, რეგისტრაციის შესახებ აცნობოს თითოეულ იმ პირს, ვინც რეგისტრირებულია ერთ-ერთი ქონების მესაკუთრის ან ყადაღის კრედიტორის სახით.
- 3. რამდენადაც სანოტარო აქტში აღნიშნული სასაზღვრო ზოლი განსხვავდება შესაბამის მომენტში არსებული სანაპირო ზოლისაგან, მაშინ ეს უკანასკნელი მაინც შეიძლება იქნეს განხილული როგორც იმ მესამე პირების მიერ გავლებული საზღვარი, რომლებსაც აღნიშნული აქტის რეგისტრაციის მომენტში ერთ-ერთ ქონებაზე აქვთ სანივთო უფლება ანდა რომლებიც წარმოადგენდნენ ერთ-ერთი ამ ქონების დამქირავებლებს, მოიჯარეებსა თუ ყადაღის კრედიტორებს.

მუხლი 5:32 საზღვრის გავლება სასამართლოს გადანყვეტილების საფუძველზე

- 1. საზღვრის გავლების მოთხოვნით სარჩელი შეიძლება დაკმაყოფილდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი წარდგენა რეგისტრაციაში გატარდა საჯარო რეესტრებში და ყველა ის პირი, ვინც რეგისტრირებულია ერთ-ერთი ქონების მესაკუთრის ან ყადაღის კრედიტორის სახით, მონვეულ იქნა სასამართლოში სათანადო შეტყობინებით.
- 2. სასამართლო საზღვრის გავლებას ახდენს სარჩელის რეგისტრაციის მომენტისათვის არსებული სანაპირო ზოლის მიხედვით. სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებამდე სასამართლოს შეუძლია დაა-

დგინოს ისეთი ზომების მიღებისა და მტკიცებულებების წარდგენის შესახებ, რომლებსაც ის საჭიროდ მიიჩნევს სხვა იმ დაინტერესებული პირების ინტერესებში, რომლებიც არ გამოცხადებულან სასამართლოში.

– 3. სარჩელთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვა ეკისრება განმცხადებელს.

– 4. დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე წარდგენილი საჩივარი, სააპელაციო საჩივარი და უზენაეს სასამართლოში წარდგენილი საკასაციო საჩივარი, დაუშვებლობის სანქციით, უნდა იქნეს რეგისტრირებული მათი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 433-ე მუხლში მითითებული სასამართლოს რეესტრებში წარდგენიდან რვა დღის განმავლობაში. ამავე კოდექსის 143-ე მუხლისაგან განსხვავებით, დაუსწრებელი გადაწყვეტილების წინააღმდეგ საჩივრის წარდგენის ვადის ათვლა იწყება იმ დღიდან, როდესაც ამ გადაწყვეტილებას სასამართლოს აღმასრულებელი წარუდგენს საჯარო რეესტრებში რეგისტრირებულ პირს იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ამ უკანასკნელისათვის გადაწყვეტილების წარდგენა პირადად არ მოხდა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სასამართლომ ამ მიზნისათვის დაადგინა დამატებითი ზომები და ეს უკანასკნელები არ იქნა დაცული.

– 5. საზღვრის გავლება ძალაში შედის იმ მომენტიდან, როდესაც სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც დაკმაყოფილდა სარჩელი, რეგისტრაციაში ტარდება საჯარო რეესტრებში. ეს რეგისტრაცია არ უნდა განხორციელდეს მანამდე, სანამ სასამართლოს გადაწყვეტილება არ შევა კანონიერ ძალაში და არ გახდება მბოჭავი.

მუხლი 5:33 სანაპირო ზოლის გადაადგილება მას შემდეგ, რაც უკვე მოხდა საზღვრის გავლება

– 1. როდესაც მას შემდეგ, რაც მოხდა საზღვრის გავლება, საჯარო წყლის მასების სანაპირო ზოლი მიწის სიღრმეში შემოვიდა, დატბორილი მიწის ნაკვეთის მესაკუთრემ უნდა ითმინოს სხვა პირების მიერ წყლების მათი დანიშნულებისამებრ გამოყენება.

– 2. როდესაც მას შემდეგ, რაც უკვე მოხდა საზღვრის გავლება, იმ საჯარო წყლის მასების სანაპირო ზოლი, რომლებიც მომიჯნავე მიწის ნაკვეთის მესაკუთრის მიერ შეიძლება განსაზღვრული მიზნისათვის იქნეს გამოყენებული, გადაადგილდება წყლის მიმართულებით, ამ მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს შეუძლია დამშრალ მიწაზე მოითხოვოს მისთვის ერთი ან რამდენიმე სერვიტუტის მინიჭება იმისათვის, რომ მას მიეცეს წყლით სარგებლობასთან დაკავშირებული თავისი უფლებების რეალიზაციის შესაძლებლობა.

– 3. წინა პარაგრაფის ნორმები შესაბამისად გამოიყენება იმ პირის მიმართ, რომელსაც შეუძლია სხვა პირის წყლით კონკრეტული მიზნით სარგებლობა და რომელმაც ამის გამო შეიძინა სერვიტუტი იმ მიწის ნაკვეთზე, სადაც არსებობს წყალი.

– 4. იმ შემთხვევაში, როდესაც საზღვრის გავლება მოხდა 5:32 მუხლის შესაბამისად, წინა პარაგრაფების ნორმები მოქმედებს უკვე სასამართლოს რეესტრში სარჩელის რეგისტრაციის მომენტიდან, თუნდაც ეს ყოფილიყო მანამდე, სანამ სანაპირო ზოლი დაინყებდა გადაადგილებას.

მუხლი 5:34 სანაპირო ზოლის დადგენა

წინა ხუთი მუხლის გაგებით სანაპირო ზოლი დგინდება წყლის ჩვეულებრივი დონის მიხედვით, ხოლო იმ წყლებისათვის, რომელთა დონეც პერიოდულად იცვლება, – წყლის ჩვეულებრივი დონის უმაღლესი მაჩვენებლის მიხედვით. თუმცა, ამ მიზნით ის მიწის ნაკვეთი, რომელიც დაფარულია სხვა მცენარეებით (მცენარეულობით), ნაცვლად ჩვეულებრივი წყლის მცენარეებისა, განთავსებულია სანაპირო ზოლის მიწის მხარეს იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ძლიერი მოქცევისას ეს მიწა წყლით იფარება.

მუხლი 5:35 დიუნების გადაადგილება

– 1. სანაპიროზე ფორმირებული ახალი დიუნა ეკუთვნის ამ სანაპიროს მომიჯნავედ არსებული დიუნის მესაკუთრეს იმ შემთხვევაში, როდესაც ორივე დიუნა გახდა ერთიანი დიუნა იმგვარად, რომ მათი ერთმანეთისაგან განსხვავება შეუძლებელი ხდება.

– 2. მეორე მხრივ, აღნიშნული მესაკუთრე კარგავს მიწის ნაკვეთს, რომელიც ხდება სანაპიროს ნაწილი დიუნის მიწისაგან გამოყოფის გამო.

– 3. ახალი დიუნის ფორმირება და არსებული დიუნის მიწისაგან გამოყოფა, როგორც ეს მითითებულია პარ. 1-სა და 2-ში, აღარ იწვევს შედეგად მიწის ნაკვეთის ქონებრივ ცვლილებას მას შემდეგ, რაც საზღვრის გავლება მოხდება სანაპიროსა და დიუნის მესაკუთრეთა ან სასამართლოს მიერ ერთ-ერთი მესაკუთრის მიერ მეორის მიმართ წარდგენილი სარჩელის საფუძველზე. შესაბამისად გამოიყენება 5:30 მუხლიდან 5:32 მუხლის ჩათვლით ნორმები.

– 4. სხვა შემთხვევებში, ნაცვლად პარ. 1 და 2-ში მითითებული შემთხვევებისა, დიუნების ზრდა ან შემცირება არ იწვევს შედეგად მიწის ნაკვეთის ქონებრივ ცვლილებას.

მუხლი 5:36 სანაოსნო გზა ან მყარი გამყოფი კედელი, რომელიც გამოიყენება როგორც სასაზღვრო ზოლი; საერთო საკუთრება

როდესაც კედელი, ლობე, ცოცხალი ლობე ან თხრილი ანდა არასანაოსნო მდინარე, ღარი, არხი ან მსგავსი სანაოსნო გზა სასაზღვრო ზოლის სახით არის გამოყენებული ორ უძრავ ქონებას შორის, ივარაუდება, რომ ამ ობიექტების შუა ადგილი სამართლებრივად წარმოადგენს მომიჯნავე ობიექტებს შორის სასაზღვრო ზოლს. ეს პრეზუმფცია არ გამოიყენება, თუ კედელი შენობა-ნაგებობას ან კონსტრუქციას მხოლოდ ერთი მხრიდან აკავებს.

ტიტული 5.4 – მომიჯნავე ფართების მესაკუთრეთა უფლებები და მოვალეობები

მუხლი 5:37 შემანუხებელი მოქმედებები

იმ ხარისხითა თუ ხერხით, რაც სამოქალაქო კოდექსის 6:162 მუხლის შესაბამისად არის უკანონო, უძრავი ქონების მესაკუთრემ სხვა უძრავი ქონების მესაკუთრის მიმართ არ უნდა განახორციელოს შემანუხებელი მოქმედებები ხმაურის, ვიბრაციის, სუნის, ბოლისა თუ გაზების გამოწვევით, ანდა – ამ მესაკუთრეთათვის დღის სინათლისა თუ სუფთა ჰაერის ბლოკირებით, ასევე – შენობა-ნაგებობებისა თუ კონსტრუქციებისათვის საყრდენის გამოცლით.

მუხლი 5:38 წყლის შეკრება

ზემოთ არსებული მიწის ნაკვეთიდან ბუნებრივად მომდინარე წყალი უნდა იქნეს მიღებული ქვემოთ არსებული მიწის ნაკვეთის მიერ.

მუხლი 5:39 წყლის მიმართულების შეცვლა

იმ ხარისხითა თუ ხერხით, რაც სამოქალაქო კოდექსის 6:162 მუხლის შესაბამისად არის უკანონო, უძრავი ქონების მესაკუთრემ სხვა უძრავი ქონების მესაკუთრის მიმართ არ უნდა განახორციელოს შემანუხებელი მოქმედებები იმ წყლის მიმართულების, ოდენობისა თუ ხარისხის შეცვლით, რომელიც მოედინება მის ნაკვეთზე, ან გრუნტის წყლის მიმართულების შეცვლით ანდა – მის მიწის ნაკვეთზე იმ წყლით სარგებლობით, რომელსაც ღია კავშირი აქვს სხვების კუთვნილ მიწაზე არსებულ წყალთან.

მუხლი 5:40 გამდინარე წყალი

– 1. საჯარო ან გამდინარე წყლის მომიჯნავე უძრავი ქონების მესაკურეს შეუძლია ისარგებლოს ამ წყლით მისი ნაკვეთის რწყვის, დატენიანებისა და ირიგაციისათვის, მისი საქონლისათვის წყლის სასმელად გამოყენებისა თუ სხვა ანალოგიური მიზნებისათვის იმ პირობით, რომ ეს არ იწვევს შემანუხებელ შედეგს სხვა ფართების მესაკუთრეთათვის იმ ხარისხითა თუ ხერხით, რაც სამოქალაქო კოდექსის 6:162 მუხლის შესაბამისად უკანონოა.

– 2. თუ საქმე ეხება საჯარო წყლის მასებს, მაშინ წინა პარაგრაფი გამოიყენება მხოლოდ იმდენად, რამდენად ამ წყლების დანიშნულება არ ეწინააღმდეგება ასეთ გამოყენებას.

მუხლი 5:41 მუნიციპალური განკარგულებით დადგენილი წესებიდან გადახვევა

მუნიციპალიტეტის განკარგულების საფუძველზე დასაშვებია 5:38 მუხლის, 5:39 მუხლისა და 5:40 მუხლის პარ. 1-ის ნორმებიდან გადახვევა.

მუხლი 5:42 სხვა პირის კუთვნილი ფართის სასაზღვრო ზოლის მიმდებარედ არსებული მცენარეულობა

– 1. დაუშვებელია ხეების, ბუჩქებისა თუ ცოცხალი ლობეების არსებობა სხვა პირის კუთვნილი უძრავი ქონების სასაზღვრო ზოლთან ახლოს პარ. 2-ში მითითებულ მანძილზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამ ქონების მესაკუთრემ გასცა ამაზე თავისი თანხმობა ანდა აღნიშნული ქონება წარმოადგენს საჯარო გზასა თუ საჯარო წყლის მასას.

– 2. პარ. 1-ში მითითებული დასაშვები მანძილი ხეებისათვის შეადგენს ორ მეტრს, რომელიც იზომება ხის ღეროს შუა ნაწილიდან, ხოლო ბუჩქებისა და ცოცხალი ლობეებისათვის კი ეს მანძილი შეადგენს ნახევარ მეტრს.

ვარ მეტრს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მუნიციპალიტეტის განკარგულებისა თუ ადგილობრივი ზოგადი პრაქტიკის საფუძველზე დასაშვებია უფრო მცირე მანძილი.

– 3. მეზობელი ვერ შეენიანა აღმდგევა ისეთი ხეების, ბუჩქებისა თუ ცოცხალი ლობების არსებობას, რომელთა სიმაღლეც არ აჭარბებს ორ ნაკვეთს შორის აღმართული გამყოფი კედლის სიმაღლეს.

– 4. იმ შემთხვევებში, როდესაც სახეზეა წინამდებარე მუხლის გათვალისწინებული უკანონო მდგომარეობა, სამართალდამრღვევმა უნდა მოახდინოს მხოლოდ იმ დღიდან განცდილი ზარალის ანაზღაურება, როდესაც მას უნდა აღმოეფხვრა უკანონო ვითარება მის მიერ მიღებული ფორმალური შეტყობინების (გაფრთხილების) მიხედვით.

მუხლი 5:43 „კედლის“ განმარტება

წინამდებარე და მომდევნო ტიტულების მიზნებისათვის სიტყვაში „კედელი“ მოიაზრება ნებისმიერი ქვის, ხის ან სხვა მასალისაგან დამზადებული აღნიშნული მიზნისათვის ვარგისი ნაკვეთების გამყოფი გამჭვირვალე ნაგებობა.

მუხლი 5:44 სხვის მიწის ნაკვეთზე გადმოსული მცენარეები და ფესვები

– 1. თუ მეზობელი, რომლის მცენარეები გადადის სხვა პირის უძრავ ქონებზე, არ ახდენს გადასული ტოტების ქრასა და გატანას მიუხედავად ამ ქონების მესაკუთრის მხრიდან წარდგენილი ფორმალური შეტყობინება (გაფრთხილება), მაშინ ეს უკანასკნელი უფლებამოსილია, თავად მოჭრას და მოაცილოს გადმოსული ტოტები მისი მეზობლის თანხმობის გარეშე.

– 2. როდესაც მეზობელი მიწის ნაკვეთიდან მცენარეთა ფესვები გადადის სხვა პირის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, ამ უკანასკნელის მესაკუთრეს შეუძლია მოჭრას და მოაცილოს ისინი იმ ადგილზე, სადაც ისინი მის ნაკვეთზე გადმოდის.

მუხლი 5:45 მეზობლის მიწის ნაკვეთზე დავარდნილი ნაყოფი

იმ მიწის ნაკვეთზე არსებული ხეების ნაყოფი, რომელიც ვარდება მეზობელ მიწის ნაკვეთზე, ეკუთვნის იმ პირს, ვინც უფლებამოსილია, მიიღოს ეს ნაყოფი აღნიშნული მეზობელი მიწის ნაკვეთიდან.

მუხლი 5:46 სასაზღვრო ნიშნების დასმა

უძრავი ქონების მესაკუთრეს შეუძლია ნებისმიერ დროს მეზობელი უძრავი ქონების მესაკუთრეს მოსთხოვოს შესამჩნევი სასაზღვრო ნიშნების დასმა მათ ნაკვეთებს შორის არსებულ საზღვარზე, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში კი, – არსებული ნიშნების განახლება. მესაკუთრეები თანაბარწილად მონაწილეობენ აღნიშნული წესის დაცვისათვის საჭირო ხარჯების განევაში.

მუხლი 5:47 საზღვრის დადგენა სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე

– 1. თუკი ორ უძრავ ქონებას შორის საზღვარი გაურკვეველია, ამ ქონებათა ყოველ მესაკუთრეს შეუძლია ნებისმიერ დროს მოითხოვოს საზღვრის სასამართლოს მიერ დადგენა.

– 2. ის სამართლებრივი პრეზუმფცია, რომლის თანახმადაც ივარაუდება, რომ ნივთის მფლობელი არის მისი მესაკუთრე, არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც გაურკვეველია, სად გადის ორ უძრავ ქონებას შორის საზღვარი.

– 3. საზღვრის დადგენის (შეფასების) შემთხვევაში, არსებული გარემოებების მიხედვით სასამართლოს შეუძლია გაყოს ის ტერიტორია, რომლის მიმართაც მესაკუთრეებს აქვთ გაურკვეველობა ან არათანაბარი წილები ანდა – მთელი ტერიტორია გადასცეს ერთ-ერთ მხარეს მეორე მხარისათვის ფინანსური კომპენსაციის მიცემით ან ამ უკანასკნელის მიცემის გარეშე.

მუხლი 5:48 მიწის ნაკვეთის შემოღობვა

მესაკუთრე უფლებამოსილია, შემოღობოს თავისი უძრავი ქონება.

მუხლი 5:49 გამყოფი კედელი

– 1. იმ მეზობელი მიწის ნაკვეთების ყოველ მესაკუთრეს, რომლებიც მდებარეობს მუნიციპალიტეტის ერთიან სამშენებლო ტერიტორიაზე, შეუძლია ნებისმიერ დროს მოითხოვოს, რომ მეორე მესაკუთრემ ითანამშრომლოს მასთან მათ ნაკვეთებს შორის საზღვარზე ორი მეტრის სიმაღლის მქონე გამყოფი კედლის აგებასთან დაკავშირებით, რამდენადაც მუნიციპალიტეტის განკარგულება ან ადგილობრივი ზოგად-

დი პრაქტიკა ასეთი გამყოფისათვის განსხვავებულ სიმაღლეს არ ითვალისწინებს. მესაკუთრეები თანაბარწილად მონაწილეობენ აღნიშნული გამყოფი კედლისათვის საჭირო ხარჯების განწესებაში.

– 2. წინა პარაგრაფის ნორმები არ გამოიყენება, თუ ერთ-ერთი უძრავი ქონება წარმოადგენს საჯარო გზასა თუ საჯარო წყლის მასას.

მუხლი 5:50 ფანჯრები და აივნები

– 1. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მეზობელი მიწის ნაკვეთის მესაკუთრემ გასცა ამაზე თავისი თანხმობა, დაუშვებელია ფანჯრებისა თუ სხვა ღიობების ან აივნებისა თუ მსგავსი კონსტრუქციების არსებობა მეზობელი მიწის ნაკვეთის სასაზღვრო ზოლიდან ორი მეტრის მანძილზე იმდენად, რამდენადაც ეს ღიობები თუ კონსტრუქციები იძლევა ამ ქონებაზე ხედს.

– 2. მეზობელი ვერ შეენინა აღმდეგება აღნიშნული ღიობებისა თუ კონსტრუქციების არსებობას, თუ მისი მიწის ნაკვეთი წარმოადგენს საჯარო გზასა თუ საჯარო წყლის მასას ან თუ ასეთი გზა ან წყლის მასა მდებარეობს ორივე მეზობლის ნაკვეთებს შორის ანდა – თუკი მის ქონებაზე ხედი არ სცილდება მის ნაკვეთზე არსებულ იმ კედელს, რომელიც აღმართულია ღიობიდან ან კონსტრუქციიდან ორი მეტრის მანძილზე. წინა წინადადების შესაბამისად ნებადართული ღიობები თუ კონსტრუქციები რჩება ნებადართული თუნდაც მას შემდეგ, რაც შესაბამისმა მიწის ნაკვეთმა დაკარგა თავისი საჯარო ფუნქცია ანდა მოხდა კედლის დემონტაჟი.

– 3. წინამდებარე მუხლში მითითებული მანძილი იზომება მართი კუთხით გარე კედლიდან, სადაც გაკეთდა ღიობი ან კონსტრუქციის იმ კიდედან, რომელიც მეზობელი მიწის ნაკვეთისკენ ერთ მხარეს მიმართულია ამ ნაკვეთის სასაზღვრო ზოლისკენ, ხოლო მეორე მხარეს კი, – ამ ქონებაზე არსებული კედლისკენ.

– 4. როდესაც ხანდაზმულობის შედეგად მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს აღარ აქვს სარჩელის უფლება იმ ღიობისა თუ კონსტრუქციის მოცილების მოთხოვნით, რომელიც არსებობს მეზობელ მიწის ნაკვეთზე ზემოაღნიშნულ პარაგრაფებში გათვალისწინებული წესების საწინააღმდეგოდ, ის ვერ შეძლებს შენობა-ნაგებობის აშენებას ან სხვა სამუშაოების წარმოებას მის ქონებაზე აღნიშნული ღიობიდან ან კონსტრუქციიდან ორი მეტრის მანძილზე, თუკი ის ამით ზედმეტად შეანუხებს მის მეზობელს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე ასეთი შენობა-ნაგებობა უკვე იდგა იქ ანდა სამუშაოები უკვე მიმდინარეობდა.

– 5. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე მუხლის თანახმად რომელიმე მდგომარეობა არ არის დაშვებული, სამართალდამრღვევმა უნდა მოახდინოს მხოლოდ იმ დღიდან განცდილი ზარალის ანაზღაურება, როდესაც მას უნდა აღმოეფხვრა უკანონო ვითარება მის მიერ მიღებული ფორმალური შეტყობინების (გაფრთხილების) მიხედვით.

მუხლი 5:51 გაუმჭვირვალე ფანჯრები

დღის სინათლის შეღწევისათვის ყოველთვის დაშვებულია კედლებში ღიობების გაკეთება, თუნდაც – წინა მუხლში მითითებულ მანძილზე იმ პირობით, ამ ღიობებში მყარად ჩაშენებულია გაუმჭვირვალე ფანჯრები.

მუხლი 5:52 წყლის ჩამოდინება

– 1. უძრავი ქონების მესაკუთრე ვალდებულია იმგვარად მოაწყოს თავისი შენობა-ნაგებობისა და კონსტრუქციების სახურავები, რომ მასზე მოსული ნალექი არ ჩამოდიოდეს სხვის მიწის ნაკვეთზე.

– 2. წყლის გადინება შეიძლება მოხდეს საჯარო გზაზე, თუკი ეს არ იკრძალება კანონით ან მუნიციპალიტეტის განკარგულებით.

მუხლი 5:53 სხვა პირის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე არსებულ ღარში წყლის ჩასვლისა და ნაგვის ჩაყრისა-გან თავის შეკავების მოვალეობა

მესაკუთრემ უნდა უზრუნველყოს, რომ მისი მიწის ნაკვეთიდან სხვა პირის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე არსებულ ღარში არ ჩავიდეს წყალი ან არ ჩაიყაროს ნაგავი.

მუხლი 5:54 სხვა პირის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, მის ზემოთ ან ქვემოთ ნაწილობრივ არსებული შენობა-ნაგებობა

– 1. როდესაც შენობა-ნაგებობა ან კონსტრუქცია აშენდა ნაწილობრივ სხვა პირის კუთვნილ მიწის ნა-

კვეთზე, მის ზემოთ ან ქვემოთ და გადმოსული ნაწილის დემონტაჟი არაპროპორციულად საზიანო იქნებოდა ამ შენობა-ნაგებობის ან კონსტრუქციის მესაკუთრისათვის, ვიდრე მისი შენარჩუნება მეზობელი მიწის ნაკვეთის მესაკუთრისათვის, მაშინ შენობა-ნაგებობისა თუ კონსტრუქციის მესაკუთრეს ნებისმიერ დროს შეუძლია ფინანსური კომპენსაციის სანაცვლოდ მოითხოვოს მეზობელ მიწის ნაკვეთზე მისთვის სერვიტუტის მინიჭება არსებული მდგომარეობის შენარჩუნების მიზნით ანდა, მეზობელი მიწის ნაკვეთის მესაკუთრის არჩევანით, – ამ მიწის ნაკვეთის აუცილებელი ნაწილის მისთვის საკუთრებაში გადაცემა.

– 2. წინა პარაგრაფის ნორმები შესაბამისად მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც შენობა-ნაგებობა თუ კონსტრუქცია დროთა განმავლობაში იწყებს სხვა პირის კუთვნილი მიწის ნაკვეთისკენ გადახრას.

– 3. წინა პარაგრაფების ნორმები არ მოქმედებს, თუკი სხვა პირის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, მის ზემოთ ან ქვემოთ სივრცის გამოყენება გამომდინარეობს პირის კანონის ან გარიგების საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულებიდან, ითმინოს არსებული მდგომარეობა ანდა – თუკი შენობა-ნაგებობისა თუ კონსტრუქციის მესაკუთრე მიწის ნაკვეთზე გადმოსული შენობა-ნაგებობისა თუ კონსტრუქციის ნაწილის შექმნისას ან მისი შექმნისას მოქმედებდა არაკეთილსინდისიერად ან უხეში გაუფრთხილებლობით.

მუხლი 5:55 შენობა-ნაგებობისა თუ კონსტრუქციის ჩამოქცევის საფრთხე

თუ შენობა-ნაგებობისა თუ კონსტრუქციის ჩამოქცევის ალბათობის გამო საფრთხე ემუქრება მეზობელ მიწის ნაკვეთს, ამ უკანასკნელის მესაკუთრეს ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს სათანადო ზომების მიღება ამ საფრთხის აღსაკვეთად.

მუხლი 5:56 სხვა პირის კუთვნილი უძრავი ქონების დროებით გამოყენება

როდესაც უძრავი ქონების მიმართ განსაზღვრული საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობის მინიჭებისათვის აუცილებელია სხვა პირის კუთვნილი უძრავი ქონების დროებით გამოყენება, მაშინ ამ უკანასკნელის მესაკუთრემ ფინანსური კომპენსაციის სანაცვლოდ უნდა დაუშვას მისი უძრავი ქონების ამ მიზნით გამოყენება იმ პირობით, რომ მას ამის შესახებ წინასწარ ჯეროვნად შეატყობინებენ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მას მნიშვნელოვანი მიზეზი აქვს, უარი თქვას მისი ქონების ასეთ გამოყენებაზე ანდა გადაავადოს ასეთი გამოყენება.

მუხლი 5:57 აუცილებელი გასასვლელის მონიშვნა

– 1. როდესაც მიწის ნაკვეთს არა აქვს ჯეროვანი გასასვლელი საჯარო გზასა თუ საჯარო სანაოსნო გზაზე, მის მესაკუთრეს ნებისმიერ დროს შეუძლია მეზობელი მიწის ნაკვეთის მესაკუთრისაგან მოითხოვოს, რომ ამ უკანასკნელმა მონიშნოს აუცილებელი გასასვლელი თავის ნაკვეთზე იმ მიწის ნაკვეთის სასარგებლოდ, რომელსაც არა აქვს ასეთი გასასვლელი, წინასწარ გადახდილი ან უზრუნველყოფილი ფინანსური კომპენსაციის სანაცვლოდ, რომელიც ფარავს აღნიშნული მესაკუთრის მიერ აუცილებელი გასასვლელით სარგებლობის შედეგად უკვე მიყენებულ ან მომავალში დამდგარ ზარალს.

– 2. თუკი აუცილებელი გასასვლელის მონიშვნის შემდეგ წარმოიშობა გაუთვალისწინებელი გარემოებები და მეზობელი მიწის ნაკვეთის მესაკუთრე ამის შედეგად განიცდის უფრო მეტ ზარალს, ვიდრე ეს ივარაუდებოდა პარ. 1-ში მითითებული საკომპენსაციო თანხის გამოთვლისას, სასამართლოს შეუძლია გაზარდოს ადრე გათვალისწინებული საკომპენსაციო თანხის ოდენობა.

– 3. აუცილებელი გასასვლელის მონიშვნისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ჩაკეტილი მიწის ნაკვეთის ინტერესები საჯარო გზასა თუ საჯარო სანაოსნო გზაზე გასასვლელის უმოკლესი გზით მიღებასთან დაკავშირებით, ისევე როგორც – მეზობელი მიწის ნაკვეთის ინტერესი, განიცადოს მინიმალურად შესაძლებელი დისკომფორტი აუცილებელი გასასვლელის არსებობის გამო. თუ ის მიწის ნაკვეთი, რომელიც ესაზღვრებოდა საჯარო გზას ანდა რომელსაც ჰქონდა ჯეროვანი გასასვლელი ასეთ გზაზე, გარიგების საფუძველზე გაიყო სხვადასხვა მესაკუთრეთა კუთვნილ რამდენიმე ნაკვეთად და ერთ-ერთ განაყოფ ნაკვეთს აღნიშნულის შემდეგ არა აქვს საჯარო გზაზე გასასვლელი, მაშინ ის ნაკვეთები, რომლებიც ადრე წარმოადგენდა ერთიან მიწის ნაკვეთს, ჩაითვლება, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელი გასასვლელის უფლებით დატვირთულად.

– 4. თუკი ადგილობრივი გარემოებების ცვლილების შედეგად ეს სასურველი გახდება, უშუალოდ და ინტერესებული მესაკუთრის მოთხოვნის საფუძველზე დასაშვებია აუცილებელი გასასვლელის სხვა ადგილზე გადატანა.

– 5. მიუხედავად იმისა, თუ რა დრო არსებობდა აუცილებელი გასასვლელის უფლება, ეს უკანასკნელი ქარნყლდება, როგორც კი ასეთი გასასვლელი აუცილებელი აღარ არის.

მუხლი 5:58 აუცილებელი წყლით მომარაგების სისტემა

– 1. იმ მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს, რომელსაც წყლით მომარაგების სისტემის მეშვეობით სურს მიიღოს წყალი, რომელიც მის განკარგულებაშია სხვა ადგილზე, შეუძლია მოითხოვოს, რომ მეზობელი მიწის ნაკვეთის მესაკუთრეებმა, წინასწარ გადახდილი საკომპენსაციო თანხების ან ამ მიზნით უზრუნველყოფის წარდგენის სანაცვლოდ, ითმინონ აღნიშნული სისტემის მიღების მათი ნაკვეთების სიღრმეში, გასწვრივ ან ზემოთ გატარება.

– 2. ზემოაღნიშნულ შემთხვევაში შესაბამისად გამოიყენება წინა მუხლის უკანასკნელი ოთხი პარაგრაფის ნორმები.

მუხლი 5:59 არასანაოსნო წყლის ქვეშ არსებული საზღვარი

– 1. როდესაც ორ მიწის ნაკვეთს შორის საზღვარი არსებობს არასანაოსნო გამდინარე წყლის, ღარი, არხი ან მსგავსი წყლის ნაკადის გასწვრივ სიგრძეზე, მაშინ ამ მიწის ნაკვეთების ყოველ მესაკუთრეს აქვს იგივე უფლებები და მოვალეობები აღნიშნული წყლის ნაკადის მთლიან სიგანეზე (განივ მანძილზე), რაც თანამესაკუთრეებს. ყოველი მესაკუთრე ვალდებულია, შეინარჩუნოს თავის ნაკვეთზე არსებული წყლის სანაპირო.

– 2. თითოეულ მესაკუთრეს აქვს უფლება და მოვალეობა მიიღოს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე თავისი წილი იმისა, რის გამოტანასაც ახდენს წყლის ნაკადი.

– 3. როდესაც მიწის ნაკვეთის მესაკუთრეები სხვაგვარად შეთანხმდნენ, დადებული შეთანხმებები სავალდებულოა შესასრულებლად ასევე მათ უფლებამონაცვლეთა მიმართაც.

ტიტული 5.5 – საერთო საკუთრება

მუხლი 5:60 გარიგების საფუძველზე არსებული საერთო საკუთრება

საერთო საკუთრება წარმოიშობა იმ შემთხვევებში, როდესაც უძრავი ქონება ერთობლივად ეკუთვნის ორი ან მეტი მიწის ნაკვეთის მესაკუთრეებს იმ მიზნით, რომ ის გამოყენებულ იქნეს ამ ნაკვეთების საერთო სარგებლისათვის და რომლის ფუნქციაც განერილია მესაკუთრეთა შორის დადებულ სანოტარო აქტში, რაც შემდგომში ტარდება რეგისტრაციაში რეგისტრირებული ქონების საჯარო რეესტრებში.

მუხლი 5:61 საერთო საკუთრების შეწყვეტა

– 1. საერთო საკუთრება, რომელიც წინა მუხლის ძალით წარმოიშვა, წყდება:

a. როდესაც წყდება უძრავი ნივთის საერთო საკუთრების რეჟიმი;

b. როდესაც უძრავი ნივთის ფუნქცია, იმ გაგებით, რომ ის უნდა იქნეს გამოყენებული შესაბამისი მიწის ნაკვეთების საერთო სარგებლისათვის, წყდება თანამესაკუთრეთა შორის დადებული სანოტარო აქტის საფუძველზე, რაც შემდგომში ტარდება რეგისტრაციაში რეგისტრირებული ქონების საჯარო რეესტრებში;

c. რამდენადაც თითოეული შესაბამისი მიწის ნაკვეთისათვის საერთო სარგებელი შეწყდა.

– 2. ის ფაქტი, რომ საერთო სარგებელი თითოეული შესაბამისი მიწის ნაკვეთისათვის შეწყდა, შეიძლება გატარდეს რეგისტრაციაში რეგისტრირებული ქონების საჯარო რეესტრებში.

მუხლი 5:62 კანონის საფუძველზე არსებული საერთო საკუთრება

– 1. თავისუფლად მდგარი გამყოფი კედელი, ღობე ან ცოცხალი ღობე წარმოადგენს საერთო საკუთრებას და, შესაბამისად, ქმნის თანასაკუთრებას, თუკი სხვადასხვა მესაკუთრეთა კუთვნილ ორ მიწის ნაკვეთს შორის საზღვარი გადის კედლის, ღობისა თუ ცოცხალი ღობის ქვემოთ და მათ გასწვრივ სიგრძეზე.

– 2. როდესაც სხვადასხვა მესაკუთრეთა კუთვნილ ორ შენობა-ნაგებობას ან კონსტრუქციას აქვს ერთი და იგივე გამყოფი კედელი, ეს უკანასკნელი წარმოადგენს საერთო საკუთრებას და და, შესაბამისად, ქმნის თანასაკუთრებას.

მუხლი 5:63 საერთო საკუთრების მახასიათებლები

– 1. დაუშვებელია უძრავ ქონებაზე საერთო საკუთრების წილის შესაბამისი მიწის ნაკვეთების საკუთრების უფლებისაგან გამოცალკევება.

– 2. არ არსებობს იმ უძრავი ნივთის განაწილების (გაყოფის) მოთხოვნით სარჩელის უფლება, რომელიც თანასაკუთრებას ქმნის მხოლოდ იმის გამო, რომ უძრავი ნივთი საერთო საკუთრებას წარმოადგენს.

მუხლი 5:64 საერთო უძრავი ნივთის წვდომის უფლება

საერთო საკუთრება მოიცავს ყოველი თანამესაკუთრის მოვალეობას, უზრუნველყონ ერთმანეთისათვის უძრავ ნივთთან თავისუფალი წვდომა.

მუხლი 5:65 ტექნიკური მომსახურება, დასუფთავება და განახლება

საერთო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთი საჭიროებს ტექნიკურ მომსახურებას, დასუფთავებასა, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში კი, – განახლებას ყველა თანამესაკუთრის ხარჯზე.

მუხლი 5:66 საერთო საკუთრების წილის სხვა თანამესაკუთრეთათვის გადაცემა

– 1. მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს, რომელსაც აქვს იმ უძრავი ნივთის საერთო საკუთრების წილი, რომელიც დაკავშირებულია მის მიწის ნაკვეთთან, შეუძლია აღნიშნული უძრავი ნივთის სხვა თანამესაკუთრებს გადასცეს ეს წილი მისი ნაკვეთისაგან განცალკევებულად.

– 2. თუ თანამესაკუთრეს სურს საკუთარი ხარჯით მოახდინოს ასეთი გადაცემა იმ მიზნით, რომ გათავისუფლდეს უძრავი ქონების ტექნიკურ მომსახურებაში, დასუფთავებასა და განახლებაში მონაწილეობის მოვალეობისაგან, მაშინ სხვა მესაკუთრეებს ეკისრებათ ამ გადაცემაში თანამონაწილეობის ვალდებულება იმ პირობით, რომ ის, აუცილებლობის შემთხვევაში, ამ მესაკუთრეებს თავის მიწის ნაკვეთზე მიაწოდებს აღნაგობის უფლებას ან სერვიტუტს იმგვარად, რომ მათ შემდგომშიც შეძლონ ამ უძრავი ნივთის მიმართ თავიანთი საერთო საკუთრების განხორციელება.

– 3. წინა პარაგრაფების ნორმები არ გამოიყენება არც იმ გამყოფი კედლის მიმართ, რომელიც განთავსებულია ორ შენობა-ნაგებობასა თუ კონსტრუქციას შორის, და არც იმ კედლის, ღობისა თუ ცოცხალი ღობის მიმართ, რომლებიც ყოფს ორ მიწის ნაკვეთს მუნიციპალიტეტის ერთიან სამშენებლო ტერიტორიაზე.

მუხლი 5:67 კონსტრუქციების დამზადება გამყოფი კედლის პირდაპირ ან ამ კედლის შიგნით

– 1. ყოველ თანამესაკუთრეს შეუძლია ააგოს კონსტრუქცია საერთო საკუთრებაში არსებული გამყოფი კედლის პირდაპირ და მას ასევე შეუძლია მასზე დაამონტაჟოს კოჭები, ჩარჩოები, ანკერები და სხვა ნაგებობები აღნიშნული კედლის სისქის ნახევრამდე იმ პირობით, რომ ის არ აზიანებს თავად კედელსა თუ იმ კონსტრუქციებს, რომლებიც მისმა მეზობელმა კანონიერად დაამონტაჟა მასზე.

– 2. გარდა საგანგებო ვითარებისა, თანამესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს, რომ მანამდე, სანამ მეორე თანამესაკუთრე დაიწყებს კონსტრუქციის კედელზე მონტაჟს, ექსპერტმა მიუთითოს, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ეს აღნიშნული კედლისა თუ იმ კონსტრუქციებისათვის ზიანის მიყენების გარეშე, რომლებიც უკვე დამონტაჟდა მასზე კანონიერად თავდაპირველად ნახსენები თანამესაკუთრის მიერ.

მუხლი 5:68 ღარის დამონტაჟების უფლება

ყოველ თანამესაკუთრეს შეუძლია დაამონტაჟოს ღარი საერთო საკუთრებაში არსებული გამყოფი კედლის თავზე ამ უკანასკნელის სისქის ნახევრამდე იმ პირობით, რომ წყალი არ გაჟონავს სხვა თანამესაკუთრის მიწის ნაკვეთზე.

მუხლი 5:69 განსაზღვრული კანონისმიერი ნორმების გამოყენების გამორიცხვა

5:64 მუხლის, 5:65 მუხლის, 5:66 მუხლის პარ. 2-ს, 5:67 მუხლისა და 5:68 მუხლის ნორმები არ გამოიყენება იმდენად, რამდენადაც თანამესაკუთრეებმა სამოქალაქო კოდექსის 3:168 მუხლის შესაბამისად დადეს ამ ნორმებისაგან განსხვავებული შეთანხმებები.

ტიტული 5.6 – სერვიტუტი

მუხლი 5:70 „სერვიტუტისა“ და „მიწის საზღაურის“ განმარტება

– 1. სერვიტუტი წარმოადგენს უფლებრივ ტვირთს, რომლითაც უძრავი ნივთი, „მომსახურე მიწის ნაკვეთი“, იტვირთება სხვა უძრავი ნივთის, „გაბატონებული მიწის ნაკვეთის“, სასარგებლოდ.

– 2. ის სანოტარო აქტი, რომლითაც დგინდება სერვიტუტი, შეიძლება გაბატონებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს აკისრებდეს დროის რეგულარული თუ არარეგულარული ინტერვალებით ფულადი თანხის – „მიწის საზღაურის“ – გადახდის ვალდებულებას.

მუხლი 5:71 მომსახურე მიწის ნაკვეთზე არსებული უფლებრივი ტვირთის შინაარსი

- 1. სერვიტუტის მეშვეობით მომსახურე მიწის ნაკვეთზე წარმოშობილი უფლებრივი ტვირთი მდგომარეობს მომსახურე ან გაბატონებულ მიწის ნაკვეთზე, მის ზემოთ თუ ქვემოთ საგნის განთავსებისა თუ საქმიანობის განხორციელების თმენის მოვალეობას, ან ერთ-ერთ ამ მიწის ნაკვეთზე, მის ზემოთ თუ ქვემოთ საგნის განთავსებისა თუ საქმიანობის განხორციელებისაგან თავის შეკავებას. გარდა აღნიშნულისა, სერვიტუტის დამდგენი სანოტარო აქტით შეიძლება ასევე დადგინდეს, რომ უფლებრივი ტვირთი მოიცავდეს იმ შენობა-ნაგებობებისა თუ კონსტრუქციების აგებისა თუ მცენარეების (მცენარეულობის) მოყვანის მოვალეობას, რაც აუცილებელია სერვიტუტიდან გამომდინარე უფლებების რეალიზაციისათვის იმ პირობით, რომ ეს შენობა-ნაგებობები, კონსტრუქციები და მცენარეები (მცენარეულობა) სრულად ან ნაწილობრივ განთავსებულია მომსახურე მიწის ნაკვეთზე.
- 2. სერვიტუტის მეშვეობით მომსახურე მიწის ნაკვეთზე წარმოშობილი უფლებრივი ტვირთი შეიძლება მდგომარეობდეს ასევე მომსახურე მიწის ნაკვეთის ან იმ შენობა-ნაგებობების, კონსტრუქციებისა თუ მცენარეების მიმართ ტექნიკური მომსახურების მოვალეობის შესრულებაში, რომლებიც სრულად ან ნაწილობრივ განთავსებულია მომსახურე მიწის ნაკვეთზე.

მუხლი 5:72 სერვიტუტების წარმოშობა

სერვიტუტები შეიძლება წარმოიშვას მათი დადგენისა თუ სარჩელის უფლების ხანდაზმულობის გზით.

მუხლი 5:73 სერვიტუტის შინაარსი

- 1. სერვიტუტის შინაარსი და ასევე ის ხერხები, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს მისგან გამომდინარე უფლებების რეალიზაცია, განისაზღვრება სერვიტუტის დამდგენ სანოტარო აქტში, ხოლო რამდენადაც ეს აქტი არ ითვალისწინებს შესაბამის დანაწესს, – ადგილობრივი ზოგადი პრაქტიკით. როდესაც სერვიტუტიდან გამომდინარე უფლებები განსაზღვრული ხერხით მნიშვნელოვანი ვადის განმავლობაში კეთილსინდისიერად ხორციელდებოდა მომსახურე მიწის ნაკვეთის მესაკუთრის მხრიდან რაიმე წინააღმდეგობის გარეშე, მაშინ ამ უფლებათა განხორციელების ეს გზა გადამწყვეტი ხდება იმდენად, რამდენადაც არსებობს რეალური ეჭვი სერვიტუტის შინაარსთან ან იმ ხერხთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც უნდა განხორციელდეს ეს სერვიტუტი.
- 2. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, მომსახურე მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს შეუძლია მიუთითოს თავისი მიწის ნაკვეთის სხვა ნაწილზე, სადაც სერვიტუტიდან გამომდინარე უფლებები უნდა განხორციელდეს, ნაცვლად იმ ნაწილისა, რომელიც გამოყოფილია ამ მიწისათვის წინა პარაგრაფის ნორმების შესაბამისად იმ პირობით, რომ ეს ადგილმონაცვლეობა შესაძლებელია იმ სარგებლიანობის შემცირების გარეშე, რომელსაც სერვიტუტისაგან იღებს გაბატონებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრე. ასეთი ადგილმონაცვლეობისათვის აუცილებელი ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მომსახურე მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს.

მუხლი 5:74 სერვიტუტზე დაფუძნებული უფლებების რეალიზაცია

სერვიტუტიდან გამომდინარე უფლებების რეალიზაცია უნდა მოხდეს იმგვარად, როგორც ეს ყველაზე ნაკლებად მძიმე იქნება მიწის ნაკვეთის მესაკუთრისათვის.

მუხლი 5:75 უფლებები და მოვალეობები

- 1. იმ პირობით, რომ გაბატონებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრე დაფარავს ყველა შესაბამის ხარჯს, ეს უკანასკნელი უფლებამოსილი იქნება მომსახურე მიწის ნაკვეთზე განახორციელოს ყველა ის მოქმედება, რაც აუცილებელია მის მიერ სერვიტუტიდან გამომდინარე უფლებების რეალიზაციისათვის.
- 2. იმ პირობით, რომ გაბატონებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრე დაფარავს ყველა შესაბამის ხარჯს, ეს უკანასკნელი უფლებამოსილი იქნება მომსახურე მიწის ნაკვეთზე განათავსოს ასევე ის შენობა-ნაგებობები თუ კონსტრუქციები ანდა დარგოს მცენარეები (მცენარეულობა), რაც აუცილებელია მის მიერ სერვიტუტიდან გამომდინარე უფლებების რეალიზაციისათვის.
- 3. გაბატონებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრემ უნდა მოუაროს იმას, რაც მან აღმართა მომსახურე მიწის ნაკვეთზე იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელია ამ მიწის ნაკვეთის ინტერესებიდან გამომდინარე; გაბატონებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრე უფლებამოსილია, მომსახურე მიწის ნაკვეთს მოაცილოს ის საგნები, რომლებიც მან მასზე განათავსა იმ პირობით, რომ მომსახურე მიწის ნაკვეთს ის თავის საწყის მდგომარეობაში აღადგენს.

– 4. მომსახურე მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს არა აქვს უფლება, გამოიყენოს ის შენობა-ნაგებობები, კონსტრუქციები ან მცენარეები (მცენარეულობა), რომლებიც კანონიერად იქნა განთავსებული ან დარგული მის მიწის ნაკვეთზე გაბატონებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრის მიერ.

– 5. სერვიტუტის დამდგენ სანოტარო აქტში მოცემული შეთანხმებებით დასაშვებია წინა პარაგრაფების ნორმებიდან გადახვევა.

– 6. როდესაც (სამოქალაქო კოდექსის 5.5 ტიტულის გაგებით) საერთო საკუთრება წარმოიშვა იმ შენობა-ნაგებობების, კონსტრუქციებისა თუ მცენარეების (მცენარეულობის) მიმართ, რომლებიც განთავსებულია მომსახურე მიწის ნაკვეთზე, პარ. 3 და 4-ის ნორმები აღარ გამოიყენება, როდესაც მოქმედებს სამოქალაქო კოდექსის 5.5 ტიტულში მოცემული საერთო საკუთრების მომწესრიგებელი ნორმები.

მუხლი 5:76 გაბატონებული ან მომსახურე მიწის ნაკვეთების გაყოფა

– 1. როდესაც გაბატონებული მიწის ნაკვეთი იყოფა ორ ან მეტ განცალკევებულ ნაკვეთად, სერვიტუტი აგრძელებს არსებობას თითოეული ინდივიდუალური მიწის ნაკვეთის მიმართ, რომელსაც ჯერ კიდევ შესაძლოა ემსახურობდეს ეს სერვიტუტი.

– 2. როდესაც მომსახურე მიწის ნაკვეთი იყოფა ორ ან მეტ განცალკევებულ ნაკვეთად, უფლებრივი ტვირთი შენარჩუნდება იმ თითოეულ ინდივიდუალურ მიწის ნაკვეთზე, რომლის მიმართაც ჯერ კიდევ შესაძლებელია სერვიტუტის დამდგენ სანოტარო აქტში გათვალისწინებული სერვიტუტიდან გამომდინარე უფლებების რეალიზაცია და რაც შეიძლება მიღწეულ იქნეს სერვიტუტის ბუნების გათვალისწინებით.

– 3. სერვიტუტის დამდგენ სანოტარო აქტში მოცემული შეთანხმებებით დასაშვებია წინა პარაგრაფების ნორმებიდან გადახვევა.

მუხლი 5:77 ფინანსური ვალდებულებებისათვის გათვალისწინებული სოლიდარული პასუხისმგებლობა

– 1. როდესაც გაბატონებული ან მომსახურე მიწის ნაკვეთები ეკუთვნის ორ ან მეტ პირს როგორც თანამესაკუთრეებს, ისე თავდაპირველი მიწის ნაკვეთის გაყოფის შემდეგ რამდენიმე ნაკვეთის ინდივიდუალურ მესაკუთრეებს, მაშინ ისინი სოლიდარულად აგებენ პასუხს სერვიტუტიდან გამომდინარე იმ ფინანსური ვალდებულებებისათვის, რომლებიც ვადამოსული და შესასრულებელი ხდება იმ ვადის განმავლობაში, როდესაც აღნიშნულ პირებს აქვთ საკუთრების უფლება ან წილი ასეთ უფლებაში ერთ-ერთ მიწის ნაკვეთზე, რამდენადაც აღნიშნული ვალდებულებები არ გაყოფილა და არ გავრცელებულა მათ უფლებებზე.

– 2. გაბატონებული ან მომსახურე მიწის ნაკვეთების ანდა მათი ნაწილისა თუ მათში წილის საკუთრებაში გადაცემისა თუ განაწილების შემდეგ, შემძენი მხარე და მისი წინამორბედი სოლიდარულად აგებენ პასუხს პარ. 1-ში მითითებული ფინანსური ვალდებულებებისათვის, რომლებიც ვადამოსული და შესასრულებელი გახდა უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში.

– 3. სერვიტუტის დამდგენ სანოტარო აქტში მოცემული შეთანხმებებით დასაშვებია წინა პარაგრაფების ნორმებიდან გადახვევა, თუმცაღა, ამავე დროს, დაუშვებელია გადახვევა მეორე პარაგრაფების ნორმებისაგან იმდენად, რამდენადაც ეს შემძენი მხარისათვის საზიანო აღმოჩნდებოდა.

მუხლი 5:78 სერვიტუტების შეცვლა ან გაუქმება

მომსახურე მიწის ნაკვეთის მესაკუთრის მოთხოვნის საფუძველზე სასამართლოს შეუძლია შეცვალოს ან გააუქმოს სერვიტუტი:

a. გაუთვალისწინებელი გარემოებების არსებობისას, რომლებიც იმგვარი ბუნებისაა, რომ გონივრულობისა და სამართლიანობის სტანდარტების თვალსაზრისით სერვიტუტის უცვლელად გაგრძელება მომსახურე მიწის ნაკვეთის მესაკუთრისაგან ვერ იქნება მოსალოდნელი;

b. თუ სერვიტუტის წარმოშობიდან გასულია, სულ ცოტა, ოცი წელი და მისი უცვლელად გაგრძელება საჯარო ინტერესების საწინააღმდეგო გახდებოდა.

მუხლი 5:79 სერვიტუტის გაუქმება სასამართლოს მიერ

მომსახურე მიწის ნაკვეთის მესაკუთრის მოთხოვნის საფუძველზე სასამართლოს შეუძლია გააუქმოს არსებული სერვიტუტი, თუ მისგან გამომდინარე უფლებების რეალიზაცია შეუძლებელი გახდა ანდა თუ გაბატონებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს აღარ აქვს ამ უფლებების რეალიზაციის გონივრული ინტერესი ორივე შემთხვევაში იმ პირობით, რომ სავარაუდოდ აღნიშნული მომავალში განსხვავებული არ გახდება.

მუხლი 5:80 სერვიტუტის შინაარსის შეცვლა

როდესაც გაუთვალისწინებელი გარემოებების გამო სერვიტუტიდან გამომდინარე უფლებების რეალიზაცია მყარად ან დროებით შეუძლებელი გახდა ანდა როდესაც გაბატონებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრის ინტერესი მნიშვნელოვნად შემცირდა, მაშინ ამ უკანასკნელის მოთხოვნის საფუძველზე სასამართლოს შეუძლია შეცვალოს სერვიტუტის შინაარსი იმგვარად, რომ კვლავ შესაძლებელი გახდეს ამ უფლებების რეალიზაცია ანდა აღდგეს პირველად ინტერესი იმ პირობით, რომ ამ ცვლილების მომსახურე მიწის ნაკვეთის მესაკუთრისათვის თავს მოხვევა დასაშვები იყოს გონივრულობისა და სამართლიანობის სტანდარტების საფუძველზე.

მუხლი 5:81 დამატებითი პირობები და შეზღუდული სანივთო უფლებათა სხვა მფლობელების ინტერესები

– 1. სასამართლოს შეუძლია დააკმაყოფილოს 5:78 მუხლიდან 5:80 მუხლის ჩათვლით ნორმებში მითითებული სასარჩელო მოთხოვნა მის მიერ განსაზღვრული დამატებითი პირობების გათვალისწინებით.

– 2. როდესაც გაბატონებული ან მომსახურე მიწის ნაკვეთები დატვირთულია შეზღუდული სანივთო უფლებით, მაშინ 5:78-5:80 მუხლებში მითითებული სასარჩელო მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხდება სასამართლოში საქმის განხილვაზე ამ შეზღუდული სანივთო უფლების მფლობელის მოწვევა. იმის განსაზღვრისას, დაკმაყოფილებულია თუ არა 5:78 მუხლის (ა) პუნქტისა და 5:80 მუხლის ნორმათა კრიტერიუმები, მხედველობაში მისაღებია ასევე აღნიშნული შეზღუდული სანივთო უფლების მფლობელის ინტერესებიც.

მუხლი 5:82 სერვიტუტის მიტოვება

– 1. თუ გაბატონებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს საკუთარ ხარჯზე სურს სერვიტუტის მიტოვება იმ მიზნით, რომ გათავისუფლდეს მასთან დაკავშირებული მოვალეობებისა და ვალდებულებებისაგან, მაშინ მომსახურე მიწის ნაკვეთის მესაკუთრე ვალდებულია ითანამშრომლოს მასთან.

– 2. სერვიტუტის დამდგენი სანოტარო აქტი შეიძლება ითვალისწინებდეს წინა პარაგრაფში გათვალისწინებული საგან განსხვავებულ შეთანხმებას, თუმცაღა – მხოლოდ პირველი ოცი წლისათვის.

მუხლი 5:83 გაბატონებული ან მომსახურე მიწის ნაკვეთების შერწყმა

თუ იმ მომენტში, როდესაც გაბატონებული ან მომსახურე მიწის ნაკვეთები ერთი და იგივე პირის საკუთრება გახდა, ერთ-ერთი ამ ნაკვეთთაგანი გაქირავებულია ან მესამე პირის მიერ გამოიყენება სავალო მოთხოვნის (პირადი უფლების) საფუძველზე, მაშინ სერვიტუტი შესაბამის საკუთრების უფლებათა შერწყმის გამო წყვეტს არსებობას მხოლოდ იმ მომენტში, როდესაც ქირავნობა წყდება ან სარგებლობის უფლება უქმდება.

მუხლი 5:84 სერვიტუტის დადგენა შეზღუდული სანივთო უფლების მფლობელების (გრძელვადიანი მოიჯარე, მეაღნაგე, უზუფრუქტუარი) მიერ

– 1. როდესაც უძრავი ნივთი დატვირთულია გრძელვადიანი იჯარით, აღნაგობის უფლებითა თუ უზუფრუქტით, ამ შეზღუდული სანივთო უფლების მფლობელს (გრძელვადიანი მოიჯარე, მეაღნაგე, უზუფრუქტუარი) შეუძლია შეუთანხმდეს სხვა უძრავი ნივთის მესაკუთრეს იმის თაობაზე, რომ ამ სხვა პირის უძრავ ნივთზე სერვიტუტი დადგინდეს იმ უძრავი ნივთის სასარგებლოდ, რომელიც დატვირთულია გრძელვადიანი იჯარით, აღნაგობის უფლებითა თუ უზუფრუქტით. ასეთი შეზღუდული სანივთო უფლების მფლობელს (გრძელვადიანი მოიჯარე, მეაღნაგე, უზუფრუქტუარი) შეუძლია ასევე შეუთანხმდეს სხვა უძრავი ნივთის მესაკუთრეს იმის თაობაზე, რომ სერვიტუტი დადგინდეს იმ უძრავ ნივთზე, რომელიც დატვირთულია გრძელვადიანი იჯარით, აღნაგობის უფლებითა თუ უზუფრუქტით ამ სხვა უძრავი ნივთის სასარგებლოდ.

– 2. როდესაც შეზღუდული სანივთო უფლების მფლობელი (გრძელვადიანი მოიჯარე, მეაღნაგე, უზუფრუქტუარი) შეთანხმდა სხვა პირის უძრავ ნივთზე სერვიტუტის იმ უძრავი ნივთის სასარგებლოდ დადგენაზე, რომელიც დატვირთულია მისი შეზღუდული სანივთო უფლებით, მაშინ ეს სერვიტუტი არ წყვეტს არსებობას ამ შეზღუდული სანივთო უფლების გაუქმებისას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს შეთანხმებულია სერვიტუტის დამდგენ სანოტარო აქტში. იგივე წესი მოქმედებს სხვა პირის უძრავ ნივთზე არსებული სერვიტუტის მიმართ, რომელიც აღნაგობის უფლების მფლობელის (მეაღნაგის) მიერ დადგინდა არა იმ უძრავი ნივთის სასარგებლოდ, რომელიც დატვირთულია მისი შეზღუდული სანივთო

უფლებით, არამედ – თავად ამ აღნაგობის უფლების სასარგებლოდ. როდესაც სერვიტუტი აგრძელებს არსებობას მას შემდეგ, რაც უქმდება მფლობელის (გრძელვადიანი მოიჯარე, მეაღნაგე, უზუფრუქტუარი) შეზღუდული სანივთო უფლება, 5:82 მუხლის პარ. 2-ში მითითებული ნორმა ვეღარ შეძლებს სერვიტუტის მიტოვების თავიდან აცილებას.

– 3. შეზღუდული სანივთო უფლების მფლობელის (გრძელვადიანი მოიჯარე, მეაღნაგე, უზუფრუქტუარი) მიერ იმ უძრავ ნივთზე დადგენილი სერვიტუტი, რომელიც დატვირთულია მისი შეზღუდული სანივთო უფლებით, წყვეტს არსებობას ამ შეზღუდული სანივთო უფლების გაუქმებისას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის წყვეტს არსებობას გაბატონებული და მომსახურე მიწის ნაკვეთების შერწყმის გამო ანდა იმ უძრავი ნივთის მესაკუთრემ, რომელიც დატვირთული იყო ამ დროისთვის გაუქმებული შეზღუდული სანივთო უფლებით, რეგისტრირებული ქონების საჯარო რეესტრებში რეგისტრირებული სანოტარო აქტში უკვე განაცხადა იმის შესახებ, რომ ის ეთანხმება აღნიშნული სერვიტუტის მის უძრავ ნივთზე დადგენას. იგივე წესი მოქმედებს აღნაგობის უფლების მფლობელის (მეაღნაგის) მიერ ამ შეზღუდულ სანივთო უფლებაზე დადგენილი სერვიტუტის მიმართ.

– 4. წინამდებარე ტიტულის მიზნებისათვის, გრძელვადიანი მოიჯარე, აღნაგობის უფლების მფლობელი (მეაღნაგე) და უზუფრუქტუარი, შესაბამისი ვითარებიდან გამომდინარე, მიიჩნევიან გაბატონებული ანდა მომსახურე მიწის ნაკვეთების მესაკუთრედ.

ტიტული 5.7 – გრძელვადიანი იჯარა

მუხლი 5:85 „გრძელვადიანი იჯარისა“ და „მიწის ქირის“ განმარტება

– 1. გრძელვადიანი იჯარა წარმოადგენს შეზღუდულ სანივთო უფლებას, რომელიც მის მფლობელს, „მოიჯარეს“, ანიჭებს სხვა პირის კუთვნილი უძრავი ნივთის ფლობისა და ამ ნივთით სარგებლობის უფლებას.

– 2. ის სანოტარო აქტი, რომლითაც დგინდება გრძელვადიანი იჯარა, შეიძლება გრძელვადიანი იჯარით დატვირთული უძრავი ნივთის მესაკუთრეს აკისრებდეს დროის რეგულარული თუ არარეგულარული ინტერვალებით ფულადი თანხის, „მიწის საზღაურის“, გადახდის ვალდებულებას.

მუხლი 5:86 გრძელვადიანი იჯარის ხანგრძლივობა

მხარეებს გრძელვადიანი იჯარის ხანგრძლივობა შეუძლიათ გრძელვადიანი იჯარის დამდგენ სანოტარო აქტით მოაწერიონ.

მუხლი 5:87 გრძელვადიანი იჯარის შეწყვეტა

– 1. გრძელვადიანი იჯარა შეიძლება შეწყდეს მოიჯარის მიერ, თუ გრძელვადიანი იჯარის დამდგენი სანოტარო აქტი სხვაგვარად არ ითვალისწინებს.

– 2. გრძელვადიანი იჯარა შეიძლება შეწყდეს უფლებრივად დატვირთული უძრავი ნივთის მესაკუთრის მიერ, თუ მოიჯარე მიწის საზღაურის თანხის გადახდის ვადას აცილებს ზედიზედ ორი წლის განმავლობაში ანდა თუ მოიჯარემ მნიშვნელოვანწილად დაარღვია მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები. თავისი ნამდვილობისათვის ასეთი შეწყვეტა საჭიროებს შეტყობინების რვა დღის განმავლობაში იმ პირებისათვის ჩაბარებას, რომლებიც რეგისტრირებული ქონების საჯარო რეესტრებში რეგისტრირებული არიან შეზღუდული სანივთო უფლების მფლობელებისა თუ გრძელვადიანი იჯარის ყადაღის კრედიტორების სახით. გრძელვადიანი იჯარის შეწყვეტისას მესაკუთრემ უნდა აუწინააღმდეგოს მოიჯარეს ამ შეზღუდული სანივთო უფლების რეალური ღირებულება იმ თანხების გამოკლების შემდეგ, რომელთა მოთხოვნაც მას მოიჯარისაგან შეუძლია გრძელვადიანი იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე ხარჯების ჩათვლით.

– 3. ბათილია ნებისმიერი შეთანხმება, რომელიც მოიჯარის საზიანოდ გვერდს უვლის წინა პარაგრაფის დანაწესს. თუმცა, გრძელვადიანი იჯარის დამდგენი სანოტარო აქტით უფლებრივად დატვირთული უძრავი ნივთის მესაკუთრეს შეიძლება მიენიჭოს გრძელვადიანი იჯარის შეწყვეტის უფლება სხვა საფუძველზე, რამდენადაც შეწყვეტა არ არის დაკავშირებული მოიჯარის მიერ მასზე დაკისრებული ვალდებულებების დარღვევასთან იმ დანაწესის გვერდის ავლით, რაც გათვალისწინებულია წინა პარაგრაფში.

მუხლი 5:88 გრძელვადიანი იჯარის შეწყვეტისათვის გათვალისწინებული ფორმალობები

– 1. გრძელვადიანი იჯარის ყოველი შეწყვეტა ხდება სასამართლოს აღმასრულებლის მიერ მეორე მხარისათვის ჩაბარებული შეტყობინებით. შეტყობინების ჩაბარება უნდა მოხდეს, სულ ცოტა, შეწყვეტის ძალაში შესვლის მომენტამდე ერთი წლით ადრე, თუმცა 5:87 მუხლის პარ. 2-ში გათვალისწინებულ შემთხვევაში კი, სულ ცოტა, – აღნიშნულ მომენტამდე ერთი თვით ადრე.

– 2. 5:87 მუხლის პარ. 2-ში გათვალისწინებულ ვითარებაში, რეგისტრირებული ქონების საჯარო რეგისტრების მწარმოებელი უარს იტყვის შეწყვეტის რეგისტრაციაზე, თუ არ არის წარმოდგენილი ასევე იმ პირებისათვის ჩაბარების შეტყობინება, რომლებიც რეგისტრირებული ქონების საჯარო რეგისტრებში რეგისტრირებული არიან შეზღუდული სანივთო უფლების მფლობელებისა თუ გრძელვადიანი იჯარის ყადაღის კრედიტორების სახით.

მუხლი 5:89 უფლებრივად დატვირთული უძრავი ნივთით სარგებლობა

– 1. იმდენად, რამდენადაც გრძელვადიანი იჯარის დამდგენი სანოტარო აქტი სხვაგვარად არ ითვალისწინებს, მოიჯარე უფლებამოსილია უძრავი ნივთით მესაკუთრის მსგავსად სარგებლობაზე.

– 2. თუმცა, მესაკუთრის ნებართვის გარეშე მოიჯარე არ არის უფლებამოსილი, შეცვალოს უძრავი ნივთის დანიშნულება ანდა განახორციელოს ამ დანიშნულების საწინააღმდეგო მოქმედება.

– 3. იმდენად, რამდენადაც გრძელვადიანი იჯარის დამდგენი სანოტარო აქტი სხვაგვარად არ ითვალისწინებს, მოიჯარე უფლებამოსილია, გრძელვადიანი იჯარის არსებობის განმავლობაში და ასევე – მისი შეწყვეტის მომენტში მოაცილოს უფლებრივად დატვირთულ უძრავ ნივთს ის შენობა-ნაგებობები, კონსტრუქციები თუ მცენარეები (მცენარეულობა), რომლებიც მის მიერ ან მისი წინამორბედის მიერ იქნა ნებაყოფლობით განთავსებული/დარგული უძრავ ნივთზე ანდა რომლებიც მან ამ მისმა წინამორბედებმა უძრავ ნივთის მესაკუთრისაგან საზღაურის სანაცვლოდ მიიღეს იმ პირობით, რომ უფლებრივად დატვირთულ უძრავ ნივთს ის თავის საწყის მდგომარეობაში აღადგენს.

მუხლი 5:90 ნაყოფის (სარგებლის) მიღება

– 1. იმდენად, რამდენადაც გრძელვადიანი იჯარის დამდგენი სანოტარო აქტი სხვაგვარად არ ითვალისწინებს, შემდეგი ნაყოფი (სარგებელი) ეკუთვნის მოიჯარეს: ნაყოფი (სარგებელი), რომელიც გამოეყო უფლებრივად დატვირთულ უძრავ ნივთს ანდა ის ვადამოსული და შესასრულებელი გახდა გრძელვადიანი იჯარის მოქმედების განმავლობაში და ასევე – უფლებრივად დატვირთული უძრავ ნივთიდან ნაყოფის (სარგებლის) სახით მიღებული მოძრავი ნივთები.

– 2. ნაყოფის (სარგებლის) სახით მიღებული უძრავი ნივთები ეკუთვნის უფლებრივად დატვირთული უძრავი ნივთის მესაკუთრეს. ეს ნივთებიც ასევე ექვემდებარება გრძელვადიან იჯარას გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გრძელვადიანი იჯარის დამდგენი სანოტარო აქტი სხვაგვარად ითვალისწინებს.

მუხლი 5:91 გრძელვადიანი იჯარის გადაცემა და განაწილება

– 1. გრძელვადიანი იჯარის დამდგენი სანოტარო აქტი შეიძლება ითვალისწინებდეს გრძელვადიანი იჯარის მესამე პირისათვის გადაცემის ან მასზე განაწილების დაუშვებლობას უფლებრივად დატვირთული უძრავი ნივთის მესაკუთრის თანხმობის გარეშე. სანოტარო აქტი არსებული ასეთი დათქმა ხელს არ უშლის მოიჯარის კრედიტორებს თავიანთი სავალ მოთხოვნების გრძელვადიანი იჯარის ხარჯზე ამოღებას ამ შეზღუდული სანივთო უფლების რეალიზაციის (იძულებითი აღსრულების პროცესში გაყიდვის) გზით.

– 2. გრძელვადიანი იჯარის დამდგენი სანოტარო აქტი შეიძლება ითვალისწინებდეს ასევე უძრავი ნივთის მესაკუთრის თანხმობის გარეშე მოიჯარის მიერ კუთვნილი გრძელვადიანი იჯარის გაყოფის დაუშვებლობას ამ შეზღუდული სანივთო უფლების უფლებრივად დატვირთული უძრავი ნივთის მხოლოდ ნაწილზე გადაცემითა თუ განაწილებით.

– 3. წინა პარაგრაფებში მითითებული დათქმა შეიძლება გაკეთდეს ასევე მოიჯარის მიერ კუთვნილი გრძელვადიანი იჯარის მრავალბინიან შენობა-ნაგებობაზე გაყოფის შესაძლებლობასთან დაკავშირებითაც. ეს დათქმა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ პირის მიმართ, რომელმაც შეიძინა ასეთი ბინის საკუთრება, თუკი იმ სანოტარო აქტში, რომლითაც მოხდა ბინის საკუთრების გამოყოფა, განისაზღვრა გრძელვადიანი იჯარის ფორმა.

– 4. თუკი მესაკუთრე უარს აცხადებს საჭირო ნებართვის მიცემაზე, თუმცა მას არა აქვს ამ უარის სათანადო საფუძველი, ანდა თუკი ის არ აკეთებს ამის თაობაზე არანაირ განცხადებას, რაიონულ სასამართლოს მოთხოვნის საფუძველზე ეს თანხმობა შეუძლია შეცვალოს თავისი ნებართვით; იმ პირს, ვინც

ითხოვს მესაკუთრის თანხმობას, შეუძლია ასეთი მოთხოვნა წარუდგინოს იმ რაიონულ სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც უფლებრივად დატვირთული უძრავი ნივთი განთავსებულია სრულად ან უმეტესწილად.

მუხლი 5:92 ორი ან მეტი მოიჯარის კუთვნილი გრძელვადიანი იჯარა

– 1. როდესაც გრძელვადიანი იჯარა ეკუთვნის ორ ან მეტ პირს როგორც ერთი გრძელვადიანი იჯარის უფლების თანამფლობელებს, ისე როგორც თავდაპირველი გრძელვადიანი იჯარის გაყოფის შემდეგ უფლებრივად დატვირთული უძრავი ნივთის რამდენიმე ნაწილის ინდივიდუალურ მოიჯარეებს, მაშინ თითოეული მათგანი სოლიდარულად აგებს პასუხს მინის საზღაურის მთლიანი თანხისათვის, რომელიც ვადამოსული და შესასრულებელი გახდა იმ ვადის განმავლობაში, როდესაც მათ აქვთ თავდაპირველი გრძელვადიანი იჯარიდან გამომდინარე ერთობლივი ან ინდივიდუალური უფლება იმდენად, რამდენადაც აღნიშნული მინის საზღაურის თანხა არ გაყოფილა და არ გავრცელებულა მათ უფლებებზე.

– 2. გრძელვადიანი იჯარის ან თავად მასში წილის უძრავ ნივთზე ან მის ნაწილზე გადაცემისა თუ მასზე განაწილების შემდეგ შემძენი მხარე და მისი წინამორბედი სოლიდარულად აგებენ პასუხს მინის საზღაურისათვის, რომლის დავალიანებაც დაუგროვდა უკანასკნელ დამმუშავებელს (დამმუშავებლებს) წინა ხუთი წლის განმავლობაში.

– 3. გრძელვადიანი იჯარის დამდგენ სანოტარო აქტში მოცემული შეთანხმებებით დასაშვებია წინა პარაგრაფების ნორმებიდან გადახვევა, თუმცაღა, ამავე დროს, დაუშვებელია გადახვევა მეორე პარაგრაფების ნორმებისაგან იმდენად, რამდენადაც ეს შემძენი მხარისათვის საზიანო აღმოჩნდებოდა.

მუხლი 5:93 გრძელვადიანი ქვეიჯარა

– 1. იმდენად, რამდენადაც გრძელვადიანი იჯარის დამდგენი სანოტარო აქტი სხვაგვარად არ ითვალისწინებს, გრძელვადიანი იჯარით დატვირთული უძრავი ნივთი შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ მოიჯარის მიერ გადაცემულ იქნეს ქვეიჯარით. ქვემოიჯარეს უფლებრივად დატვირთული უძრავი ნივთის მესაკუთრის მიმართ ვერ ექნება იმაზე მეტი უფლებამოსილება, ვიდრე მოიჯარეს.

– 2. ქვეიჯარა ნყდება გრძელვადიანი იჯარის შეწყვეტის მომენტში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს უკანასკნელი ქარწყლდება მინის ნაკვეთების შერწყმითა თუ უფლების მიტოვებით. მინის საზღაურის თანხაზე თავისი სავალ მოთხოვნის რეალიზაციის მიზნით, უფლებრივად დატვირთული უძრავი ნივთის მესაკუთრეს შეუძლია მოახდინოს გრძელვადიანი იჯარის უფლების რეალიზაცია (იძულებითი აღსრულების პროცესში გაყიდვა) ნებისმიერი ქვეიჯარის უფლების შენარჩუნების გარეშე. წინა წინადადების ნორმები არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ მესაკუთრემ რეგისტრირებული ქონების საჯარო რეესტრებში რეგისტრირებულ სანოტარო აქტში განაცხადა, რომ ის ეთანხმება ქვეიჯარით უძრავი ნივთის გადაცემას.

– 3. იმდენად, რამდენადაც საქმე ეხება მოიჯარესა და ქვემოიჯარეს შორის არსებულ სამართლებრივ ურთიერთობას, მოიჯარე წინამდებარე ტიტულის ყველა სხვა ნორმის მიზნებისათვის უფლებრივად დატვირთული უძრავი ნივთის მესაკუთრედ მიიჩნევა.

მუხლი 5:94 უფლებრივად დატვირთული უძრავი ნივთის გაქირავების უფლება

– 1. მოიჯარე უფლებამოსილია, კუთვნილი გრძელვადიანი იჯარით დატვირთული უძრავი ნივთი მი-აქირაოს/იჯარით გადასცეს დამქირავებელსა თუ მოიჯარეს, რამდენადაც გრძელვადიანი იჯარის დამდგენი სანოტარო აქტი სხვაგვარად არ ითვალისწინებს.

– 2. გრძელვადიანი იჯარის შეწყვეტის შემდეგ უძრავი ნივთის მესაკუთრემ უნდა შეასრულოს მის ქონებასთან დაკავშირებით არსებული ყველა ის ქირავნობის ხელშეკრულება, რომელიც მართლობიერად დაიდო მოიჯარის მიერ თავისი გრძელვადიანი იჯარით სარგებლობისას. თუმცაღა, მესაკუთრეს შეუძლია უარი თქვას ასეთი ქირავნობის ხელშეკრულებების შესრულებაზე, რამდენადაც მან არ გასცა თავისი ნებართვა ქირავნობის შეთანხმებულ ხანგრძლივობაზე, რომელიც ადგილობრივი წეს-ჩვეულებების (ზოგადი პრაქტიკის) შესაბამისად აღემატება ქირავნობის ვადას, ან როდესაც მოხდა სამოქალაქო კოდექსის მე-7 ნივთის მე-4 ტიტულის მე-6 განყოფილებაში მითითებული საბითუმო ვაჭრობის ობიექტის გაქირავება, რომელიც აღემატება ხუთ წელს, იჯარის შემთხვევაში კი, – 12 წელს, თუკი საქმე ეხება სასოფლო-სამეურნეო შენობა-ნაგებობებს ან აღემატება 6 წელს, თუკი ის ეხება მხოლოდ და მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწას, ანდა – როდესაც გაქირავება მოხდა მისთვის მძიმე საგამონაკლისო პირობებით.

– 3. უძრავი ნივთის მესაკუთრე ველარ შეძლებს ქირავნობის ხელშეკრულების შესრულებაზე უარის თქმას, თუ დამქირავებელმა ან მოიჯარემ დაადგინა გონივრული ვადა, რომლის განმავლობაშიც მესაკუთრემ უნდა გამოხატოს თავისი პოზიცია ქირავნობის ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებით და ის ამას აღნიშნულ ვადაში არ აკეთებს.

– 4. თუ წინა პარაგრაფების ნორმების მოქმედება არ იწვევს მესაკუთრისათვის მოიჯარის მიერ მართლზომიერად დადებული ქირავნობის ხელშეკრულების შესრულების დავალდებულებას, მაშინ მან მაინც უნდა გააგრძელოს ქირავნობის ურთიერთობა დამქირავებელთან, რამდენადაც საქმე ეხება საცხოვრებელი სახლის ქირავნობას, რომელიც გრძელვადიანი იჯარის გაქარწყლებისას წარმოადგენს დამქირავებლის ძირითად ადგილსამყოფელს და სამოქალაქო კოდექსის 7:271 მუხლიდან 7:277 მუხლის ჩათვლით ნორმები გამოიყენება ამ ქირავნობის მიმართ იმ პირობით, რომ ასეთ ვითარებაში სამოქალაქო კოდექსის 7:269 მუხლის პარ. 2-ის ნორმები გამოიყენება ასევე მესაკუთრესა და დამქირავებელს შორის არსებული ქირავნობის ურთიერთობის მიმართ.

მუხლი 5:95 სარჩელები

როგორც მოიჯარე, ისე უფლებრივად დატვირთული უძრავი ნივთის მესაკუთრე დამოუკიდებლად არიან უფლებამოსილი, წარადგინონ სარჩელები ან განცხადებები სასამართლოს იმ გადანყვებილების მისაღებად, რომელიც ეხება როგორც მოიჯარის, ისე მესაკუთრის უფლებასაც იმ პირობით, რომ მოიჯარე უზრუნველყოფს მეორე მხარის დროულ მონვევას სასამართლოში საქმის განხილვაზე.

მუხლი 5:96 ჩვეულებრივი იურიდიული ხარჯები და რემონტი

– 1. უფლებრივად დატვირთულ უძრავ ნივთთან დაკავშირებული ჩვეულებრივი ხარჯების ანაზღაურება და სარემონტო სამუშაოების შესრულება ხდება მოიჯარის ხარჯზე და ისინი უნდა განხორციელდეს ამ უკანასკნელის მიერ. თუ საჭიროა კაპიტალური სარემონტო სამუშაოების განხორციელება, მოიჯარემ ამის აუცილებლობის თაობაზე უნდა შეატყობინოს უფლებრივად დატვირთული უძრავი ნივთის მესაკუთრეს და მისცეს მას ამ სამუშაოების შესრულების შესაძლებლობა. თუმცადა, მესაკუთრე მოიჯარის მიმართ არ არის ვალდებული, განხორციელოს რაიმე სახის სარემონტო სამუშაოები გრძელვადიანი იჯარით გადაცემული უძრავი ნივთის მიმართ.

– 2. მოიჯარემ უნდა აუნაზღაუროს მესაკუთრეს განსაკუთრებული იურიდიული ხარჯები, რომლებიც ამ უკანასკნელმა უფლებრივად დატვირთულ უძრავ ნივთთან დაკავშირებით გასწია.

– 3. გრძელვადიანი იჯარის დამდგენი სანოტარო აქტით დასაშვებია წინა პარაგრაფების ნორმებიდან გადახვევა.

მუხლი 5:97 გრძელვადიანი იჯარის შეცვლა ან შეწყვეტა

– 1. თუკი გრძელვადიანი იჯარის დადგენიდან გასულია ოცდახუთი წელი, უძრავი ნივთის მესაკუთრის ან მოიჯარის მოთხოვნის საფუძველზე სასამართლოს შეუძლია შეცვალოს ან შეწყვიტოს გრძელვადიანი იჯარა გაუთვალისწინებელი გარემოებების არსებობისას, რომლებიც იმგვარი ბუნებისაა, რომ გონივრულობისა და სამართლიანობის სტანდარტების თვალსაზრისით გრძელვადიანი იჯარის დამდგენი სანოტარო აქტის მოქმედების უცვლელად გაგრძელება მესაკუთრისაგან ან მოიჯარისაგან ვერ იქნება მოსალოდნელი.

– 2. სასამართლოს შეუძლია დააკმაყოფილოს წინა პარაგრაფში მითითებული სასარჩელო მოთხოვნა მის მიერ დადგენილი დამატებითი პირობების გათვალისწინებით.

– 3. როდესაც გრძელვადიანი იჯარა ან უძრავი ნივთი დატვირთულია მოიჯარის მიერ კანონიერად დადგენილი სხვა შეზღუდული სანივთო უფლებით, მაშინ პარ. 1-ში მითითებული სარჩელი შეიძლება დაკმაყოფილდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოხდა სასამართლოში საქმის განხილვაზე შესაბამისი შეზღუდული სანივთო უფლების მფლობელის მონვევა და ასევე ამ უკანასკნელის მიმართ დაცულ იქნა პარ. 1-ში გათვალისწინებული სტანდარტები.

მუხლი 5:98 გრძელვადიანი იჯარის ვადის გახანგრძლივება

– 1. თუ გრძელვადიანი იჯარა დადგინდა განსაზღვრული ვადით, ხოლო მოიჯარემ კი არ გაათავისუფლა უძრავი ნივთი ამ ვადის გასვლისას, მაშინ გრძელვადიანი იჯარა აგრძელებს არსებობას, თუკი ვადის გასვლიდან არაუგვიანეს ექვსი თვისა უძრავი ნივთის მესაკუთრე ნათლად არ განაცხადებს, რომ ის ამ გრძელვადიან იჯარას შეწყვეტილად მიიჩნევს. მესაკუთრესა და მოიჯარეს შეუძლიათ შეწყვიტონ გახა-

ნგრძლივებული იჯარა 5:88 მუხლში მითითებული წესით ამავე მუხლში გათვალისწინებული შეწყვეტის ვადის (შეტყობინების ვადის) დაცვით.

– 2. ბათილია ნებისმიერი პირობა, რომელიც მოიჯარის საზიანოდ გვერდს უვლის წინამდებარე მუხლის დანაწესს.

მუხლი 5:99 გრძელვადიანი იჯარის შეწყვეტის შემდეგ გადასახდელი საკომპენსაციო თანხა

– 1. გრძელვადიანი იჯარის ვადის გასვლის შემდეგ ყოფილი მოიჯარე უძრავი ნივთის მესაკუთრის მიმართ უფლებამოსილია მიიღოს საკომპენსაციო თანხა იმ შენობა-ნაგებობების, კონსტრუქციებისა თუ მცენარეების (მცენარეულობის) ღირებულების სანაცვლოდ, რომლებიც მის მიერ ან მისი წინამორბედის მიერ იქნა კანონიერად იქნა განთავსებული/დარგული უძრავ ნივთზე ანდა რომლებიც მან ამ მისმა წინამორბედებმა უძრავ ნივთის მესაკუთრისაგან უსასყიდლოდ მიიღეს.

– 2. გრძელვადიანი იჯარის დამდგენი სანოტარო აქტი შეიძლება ითვალისწინებდეს იმ წესს, რომ მოიჯარე არ იყოს უფლებამოსილი პარ. 1-ში მითითებული საკომპენსაციო თანხის მირებაზე იმ შემთხვევებში:

a. თუ გრძელვადიანი იჯარით დატვირთულ მიწის ნაკვეთს აქვს სხვა დანიშნულება, ნაცვლად საცხოვრებელი სახლის მშენებლობისა;

b. თუ მოიჯარემ თავად არ იკისრა შენობა-ნაგებობებთან, კონსტრუქციებსა თუ მცენარეებთან (მცენარეულობასთან) დაკავშირებული ხარჯები;

c. თუ გრძელვადიანი იჯარა შეწყდა მოიჯარის მხრიდან შეწყვეტის ინიციატივით;

d. რამდენადაც შენობა-ნაგებობები, კონსტრუქციები თუ მცენარეები (მცენარეულობა) ნებაყოფლობით იქნა განთავსებული/დარგული უძრავ ნივთზე და მოიჯარეს აქვს უფლება, გრძელვადიანი იჯარის დასრულებისას მოაცილოს ისინი უძრავ ნივთს.

– 3. მესაკუთრეს წინამდებარე მუხლში მითითებულ საკომპენსაციო თანხას შეუძლია გამოაკლოს ის თანხა, რაც მოიჯარეს ჯერ კიდევ მართებს მისი გრძელვადიანი იჯარიდან გამომდინარე.

მუხლი 5:100 დაკავების უფლება

– 1. მოიჯარეს აქვს უფლებრივად დატვირთული უძრავი ნივთის დაკავების უფლება მანამდე, სანამ მას არ გადაუხდინან წინა მუხლში მითითებულ კუთვნილ საკომპენსაციო თანხას.

– 2. ბათილია ნებისმიერი პირობა, რომელიც გვერდს უვლის წინამდებარე პარაგრაფის დანაწესს.

– 3. მესაკუთრეს აქვს დაკავების უფლება ყველა იმ საგანზე, რაც მოიჯარემ კანონიერად მოაცილა უფლებრივად დატვირთული უძრავი ნივთს მისი თან ნაღების მიზნით მანამდე, სანამ არ დაიფარება გრძელვადიანი იჯარიდან გამომდინარე მისთვის გადასახდელი ყველა ვალი.

ტიტული 5.8 – აღნაგობა

მუხლი 5:101 „აღნაგობისა“ და „მიწის ქირის“ განმარტება

– 1. აღნაგობა წარმოადგენს სანივთო უფლებას, რომელიც მის მფლობელს – „მეაღნაგეს“ ანიჭებს უფლებამოსილებას, სხვა პირის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ქვემოთ, მის ზედაპირსა თუ ზემოთ სათავისოდ იქონიოს ან შეიძინოს შენობა-ნაგებობები, კონსტრუქციები თუ მცენარეები (მცენარეულობა).

– 2. აღნაგობის უფლება შეიძლება დადგინდეს პირის კუთვნილ უძრავ ნივთზე სხვა სანივთო უფლებებისაგან ან მასზე არსებული ქირავნობის (იჯარის) უფლებებისაგან დამოუკიდებლად ანდა ამ უფლებებზე დამოკიდებულებით.

– 3. ის სანოტარო აქტი, რომლითაც დადგინდა აღნაგობა, შეიძლება მეაღნაგეს აკისრებდეს დროის რეგულარული თუ არარეგულარული ინტერვალებით ფულადი თანხის – „მიწის საზღაურის“ – უფლებრივად დატვირთული უძრავი ნივთის მესაკუთრისათვის გადახდის ვალდებულებას.

მუხლი 5:102 მეაღნაგის უფლებების შეზღუდვა

იმ სანოტარო აქტით, რომლითაც დადგინდა აღნაგობა, შეიძლება შეიზღუდოს მეაღნაგის მიერ შენობა-ნაგებობებით, კონსტრუქციებითა თუ მცენარეებით (მცენარეულობით) სარგებლობის, მათი განთავსებისა და მოცილების უფლებები.

მუხლი 5:103 უფლებრივად დატვირთული უძრავი ნივთით სარგებლობა

თუ ის სანოტარო აქტი, რომლითაც დადგინდა აღნაგობა, არ ითვალისწინებს დათქმას მეაღნაგისათვის მისი აღნაგობის უფლებით დატვირთული უძრავი ნივთით სარგებლობის უფლებას, მაშინ მეაღნაგეს ამ ნივთის მიმართ უნდა ჰქონდეს ყველა ის უფლება, რაც აუცილებელია უძრავ ნივთზე კუთვნილი აღნაგობის უფლებით სრული სარგებლობისათვის.

მუხლი 5:104 აღნაგობის უფლების მიმართ გამოყენებადი გრძელვადიანი იჯარის წესები

- 1. 5:92 და 5:95 მუხლების ნორმები შესაბამისად გამოიყენება ასევე აღნაგობის უფლების მიმართაც.
- 2. 5:86, 5:87, 5:88, 5:91, 5:93, 5:94, 5:97 და 5:98 მუხლების ნორმები შესაბამისად გამოიყენება ასევე აღნაგობის დამოუკიდებელი უფლების მიმართაც.

მუხლი 5:105 აღნაგობის უფლების გაუქმების შედეგები

- 1. როდესაც აღნაგობის უფლება უქმდება, საკუთრების უფლება შენობა-ნაგებობებზე, კონსტრუქციებსა თუ მცენარეებზე (მცენარეულობაზე) კანონის ძალით ეკუთვნის ამ აღნაგობის უფლებით დატვირთული უძრავი ნივთის მესაკუთრეს.
- 2. რამდენადაც აღნაგობის უფლების დამდგენი სანოტარო აქტი სხვაგვარად არ ითვალისწინებს, მეაღნაგე თავისი შეზღუდული სანივთო უფლების გაუქმებისას უფლებამოსილია, მოაცილოს უფლებრივად დატვირთულ უძრავ ნივთს მის მიერ ან მისი წინამორბედის მიერ ნებაყოფლობით განთავსებული/დარგული შენობა-ნაგებობები, კონსტრუქციები თუ მცენარეები (მცენარეულობა) ანდა -რომლებიც მან ამ მისმა წინამორბედებმა უძრავ ნივთის მესაკუთრისაგან უსასყიდლოდ მიიღეს იმ პირობით, რომ უფლებრივად დატვირთულ უძრავ ნივთს ის თავის საწყის მდგომარეობაში აღადგენს.
- 3. შესაბამისად გამოიყენება 5:99 და 5:100 მუხლების ნორმები იმ პირობით, რომ მეაღნაგეს ექნება მხოლოდ შენობა-ნაგებობების, კონსტრუქციებისა თუ მცენარეების (მცენარეულობის) დაკავების უფლება.

ტიტული 5.9 – ბინის საკუთრება

განყოფილება 5.9.1 – ზოგადი დებულებები

მუხლი 5:106 ბინის საკუთრების დადგენა

- 1. მესაკუთრის (საკუთრების უფლება), გრძელვადიანი მოიჯარის (გრძელვადიანი იჯარა) ან მეაღნაგის (აღნაგობის უფლება) სანივთო უფლება შენობა-ნაგებობასა და მის საკუთვნილებზე და ასევე – შესაბამის მიწის ნაკვეთსა და მის საკუთვნილებზე შეიძლება დაიყოს ბინაზე საკუთრების უფლებებად.
- 2. მესაკუთრის (საკუთრების უფლება), გრძელვადიანი მოიჯარის (გრძელვადიანი იჯარა) ან მეაღნაგის (აღნაგობის უფლება) სანივთო უფლება შიშველ მიწის ნაკვეთზე შეიძლება ასევე დაიყოს ბინაზე საკუთრების უფლებებად.
- 3. თვით ბინაზე საკუთრებაც შეიძლება დაიყოს ასევე ბინაზე სხვადასხვა საკუთრების უფლებად. ბინის მესაკუთრე უფლებამოსილია, მოახდინოს ასეთი დაყოფა იმდენად, რამდენადაც მისი ბინის საკუთრების დამდგენი სანოტარო აქტი სხვაგვარად არ ითვალისწინებს.
- 4. ბინაზე საკუთრება წარმოადგენს წილს აქტივებში (რეგისტრირებული ქონება), რომლებიც ჩართულია დაყოფაში და რომელთა წილიც მოიცავს იმ შენობა-ნაგებობის განსაზღვრული ნაწილებით ექსკლუზიური სარგებლობის უფლებას, რომლის ნაწილებიც, მათი ფუნქციური დანიშნულების შესაბამისად, უნდა იქნეს გამოყენებული როგორც განცალკევებული კერძო ფართი უძრავი ნივთისა. წილი შეიძლება მოიცავდეს ამ შენობა-ნაგებობას მიკუთვნილებული მიწის ნაკვეთის განსაზღვრული ნაწილებით ექსკლუზიური სარგებლობის უფლებას. პარ. 2-ში მითითებულ ვითარებაში წილი მოიცავს იმ შიშველი მიწის ნაკვეთის განსაზღვრული ნაწილებით ექსკლუზიური სარგებლობის უფლებას, რომლის ნაწილებიც, მათი ფუნქციური დანიშნულების შესაბამისად, უნდა იქნეს გამოყენებული როგორც მიწის განცალკევებული კერძო ნაკვეთი.
- 5. ბინის მესაკუთრეში მოიაზრება პირი, ვინც არის უფლებამოსილი ბინის საკუთრებაზე.
- 6. წინამდებარე ტიტულის მიზნებისათვის სიტყვა „შენობა-ნაგებობა“ გულისხმობს ასევე ერთი და იგივე განაყოფში არსებულ შენობა-ნაგებობათა ჯგუფსაც.

– 7. გრძელვადიანი მოიჯარე ან მეაღნაგე უფლებამოსილია, დაყოს თავისი შეზღუდული სანივთო უფლება ბინაზე საკუთრების უფლებებზე მხოლოდ იმ უძრავი ნივთის მესაკუთრის თანხმობით, რომელიც დატვირთულია ამ გრძელვადიანი იჯარითა თუ აღნაგობის უფლებით. თუკი მესაკუთრე უარს აცხადებს საჭირო ნებართვის მიცემაზე, თუმცაღა მას არა აქვს ამ უარის სათანადო საფუძველი, ანდა თუკი ის არ აკეთებს ამის თაობაზე არანაირ განცხადებას, რაიონულ სასამართლოს მოთხოვნის საფუძველზე ეს თანხმობა შეუძლია შეცვალოს თავისი ნებართვით; იმ პირს, ვინც ითხოვს მესაკუთრის თანხმობას, შეუძლია ასეთი მოთხოვნა წარუდგინოს იმ რაიონულ სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც უფლებრივად დატვირთული უძრავი ნივთი განთავსებულია სრულად ან უმეტესწილად.

მუხლი 5:107 სამომავლო ბინის საკუთრების დადგენა

მესაკუთრის (საკუთრების უფლება), გრძელვადიანი მოიჯარის (გრძელვადიანი იჯარა) ან მეაღნაგის (აღნაგობის უფლება) სანივთო უფლება შენობა-ნაგებობასა და მის საკუთვნიებელზე და ასევე – შესაბამის მიწის ნაკვეთსა და მის საკუთვნიებელზე შეიძლება დაიყოს ასევე ბინაზე საკუთრების უფლებებზე შენობა-ნაგებობის სავარაუდო მშენებლობასა თუ ფუნქციური დანიშნულების შეცვლასთან დაკავშირებით. ასეთი დაყოფის შემთხვევაში ბინაზე საკუთრების უფლებები წარმოიშობა ამ უფლებების დამდგენი სანოტარო აქტის რეგისტრაციის მომენტში.

მუხლი 5:108 ბინის მესაკუთრეთა მოვალეობები

– 1. ბინის მესაკუთრეებს ერთმანეთის მიმართ ეკისრებათ შენობა-ნაგებობისა და შესაბამისი მიწის ნაკვეთის მშენებლობის და ფუნქციური დანიშნულების რეალიზაცია და მისი შენარჩუნება ბინაზე საკუთრების უფლებების დამდგენი სანოტარო აქტის მოქმედი ნორმების შესაბამისად.

– 2. როდესაც სასამართლოში წარდგენილი სასარჩელო მოთხოვნა ეფუძნება წინა პარაგრაფის ნორმას, სასამართლოს შეუძლია გადადოს თავისი გადაწყვეტილების მიღება იმ შემთხვევაში, როდესაც 5:144 მუხლის პარ. 1-ის (c), (d) ან (h) პუნქტების ნორმების საფუძველზე განცხადება ჯერ კიდევ განხილვაშია.

მუხლი 5:109 ბინაზე საკუთრების უფლებებზე დაყოფა

– 1. ბინაზე საკუთრების უფლებებზე დაყოფა ხორციელდება ამ მიზნით შედგენილი სანოტარო აქტით, რასაც მოჰყვება რეგისტრირებული ქონების საჯარო რეესტრებში მისი რეგისტრაცია.

– 2. ბინაზე საკუთრების უფლებების დამდგენ თავდაპირველ სანოტარო აქტს თან ერთვის რუკა იმ შენობა-ნაგებობისა და შესაბამისი მიწის ნაკვეთის სხვადასხვა ნაწილის საზღვრების მითითებით, რომლებიც გამოყენებულ უნდა იქნეს როგორც განცალკევებული კერძო ფართი უძრავი ნივთისა, ხოლო სანოტარო აქტის შესაბამისად კი შენობა-ნაგებობისა და შესაბამისი მიწის ნაკვეთის სარგებლობის ექსკლუზიური უფლება შედის ბინაზე ერთ ინდივიდუალურ უფლებაში. რუკა უნდა აკმაყოფილებდეს სამოქალაქო კოდექსის 3:16 მუხლის პარ. 2-ში მითითებულ კანონის მოთხოვნებს, როგორც ეს დადგენილია რეგისტრირებული ქონების საჯარო რეესტრებში განსახორციელებელი რეგისტრაციებისათვის.

– 3. იმ შემთხვევებში, როდესაც წინამდებარე ტიტულის ნორმებში საუბარია ბინაზე საკუთრების უფლებების დამდგენ სანოტარო აქტზე, ეს მოიცავს ასევე წინა პარაგრაფში მითითებულ რუკასაც, თუ ნორმიდან სანინაალმდეგო წესი არ გამომდინარეობს.

მუხლი 5:110 განკარგვითი უფლებამოსილების არარსებობა

– 1. როდესაც იმ პირს, რომელმაც განახორცილა დაყოფა, არა აქვს განკარგვითი უფლებამოსილება დასაყოფი აქტივის (რეგისტრირებული ქონების) მიმართ, ასეთი დაყოფა, მიუხედავად ამ ფაქტისა, მაინც ნამდვილი იქნება, თუკი მას მოჰყვება ბინაზე საკუთრების ძალმოსილი გადაცემა ანდა ბინაზე ასეთი საკუთრების შეზღუდული სანივთო უფლებით ძალმოსილი დატვირთვა.

– 2. ბათილი დაყოფა მაინც ჩაითვლება ძალმოსილად, როდესაც ბინაზე საკუთრების უფლების შექმნა მოხდა ხანდაზმულობით.

მუხლი 5:111 სანოტარო აქტის შინაარსი, რომლითაც ხდება ბინაზე საკუთრების უფლებებზე დაყოფა

სანოტარო აქტი, რომლითაც ხდება ბინაზე საკუთრების უფლებებზე დაყოფა, უნდა შეიცავდეს:

a. იმ ადგილის აღწერას, სადაც განთავსებულია შენობა-ნაგებობა და შესაბამისი მიწის ნაკვეთი;

b. იმ შენობა-ნაგებობისა და შესაბამისი მიწის ნაკვეთის ზუსტ აღწერილობას, რომლებიც გამოყენებულ უნდა იქნეს უძრავი ნივთის განცალკევებული კერძო ფართის სახით, რაც შეიძლება მოხდეს 5:109

მუხლის პარ. 2-ში აღნიშნულ რუკაზე მითითებით, და ასევე – ამ ნაწილების ბინაზე საკუთრების ინდივიდუალურ უფლებებზე განაწილებას (ამით ნათელი ხდება, რომ ბინაზე კონკრეტული საკუთრების უფლება მოიცავს ექსკლუზიურ სარგებლობის უფლებას ამ ნაწილზე როგორც უძრავი ნივთის კერძო ფართზე);

c. საკადასტრო ნომერსა და ბინაზე სხვადასხვა უფლებათა აღწერას თითოეულ ბინაზე საკუთრების ინდივიდუალურ უფლებებზე ბინის მესაკუთრის მითითებით;

d. ბინის მესაკუთრეთა მიმართ მოქმედ შიდა პროცედურებს, რომლებიც უნდა შეიცავდეს ზუსტად განსაზღვრულ სტარდარტულ რეგულაციებს, რაც რეგისტრაციაში ტარდება საჯარო რეესტრებში იმ ადგილის მიხედვით, სადაც თავად საანოტარო აქტი უნდა დარეგისტრირდეს.

მუხლი 5:112 შიდა პროცედურების შინაარსი

– 1. შიდა პროცედურები უნდა შეიცავდეს:

a. იმ ვალებისა და ხარჯების ჩამონათვალს, რომლებიც უნდა დაიფაროს ბინის ყველა მესაკუთრის მიერ ერთობლივად;

b. წინა წლისათვის საოპერაციო ანგარიშის მომზადების რეგულაციებსა და ასევე ბინის მესაკუთრეთა მიერ განსახორციელებელი შენატანების შესახებ ანგარიშს;

c. შენობა-ნაგებობისა და შესაბამისი მიწის ნაკვეთის იმ ნაწილების გამოყენების, მართვისა (ადმინისტრირებისა) და ექსპლუატაციის შესახებ რეგულაციებს, რომლებიც გამიზნულია მრავალი ბინის მესაკუთრეთა მიერ ერთობლივად გამოყენებისათვის;

d. ერთობლივად ბინის მესაკუთრეთა სახელით საფრთხეებისაგან შენობა-ნაგებობისა და შესაბამისი მიწის ნაკვეთის დაზღვევაზე პასუხისმგებელი პირების აღწერასა და ასევე – იმ რისკებს, რომლებიც ამ დაზღვევით იფარება;

e. ბინის მესაკუთრეთა ასოციაციის დაფუძნების აქტს, რომლის მიზანია ბინის მესაკუთრეთა საერთო ინტერესებზე ზრუნვა და ასევე – ასოციაციის წესდებას.

– 2. ბინის მესაკუთრეთა ასოციაციის წესდება უნდა შეიცავდეს:

a. ბინის მესაკუთრეთა ასოციაციისა და იმ მუნიციპალიტეტის დასახელებას, სადაც მას აქვს თავისი ადგილსამყოფელი. ასოციაციის დასახელება უნდა იწყებოდეს სიტყვებით: „Vereniging van Eigenaars („ბინის მესაკუთრეთა ასოციაცია“), სრულად ან შემოკლებით – „V.v.E.“; გარდა აღნიშნულისა, ასოციაციის დასახელება უნდა უთითებდეს შენობა-ნაგებობისა და შესაბამისი მიწის ნაკვეთის მდებარეობას;

b. ბინის მესაკუთრეთა ასოციაციის მიზნებს;

c. ბინის მესაკუთრეთა მიერ ბინის მესაკუთრეთა ასოციაციისათვის პერიოდულად, თუმცა, არანაკლებ წელიწადში ერთხელ, განსახორციელებელი შენატანების შესახებ რეგულაციებს;

d. ბინის მესაკუთრეთა საერთო კრების მოწვევისა და ამ კრებაზე თითოეული ბინის მესაკუთრის მიერ მისაცემი ხმის რაოდენობის განსაზღვრის წესის შესახებ რეგულაციებს.

– 3. შიდა პროცედურები შეიძლება შეიცავდეს რეგულაციებს, რომელთა ძალითაც ყველა ან ბინაზე განსაზღვრული საკუთრების უფლება დაკავშირებულია სხვა ასოციაციის წევრობასთან ან პროცედურებში განსაზღვრულ კოოპერატივთან იმდენად, რამდენადაც ეს თანამშრომლობა თანხვედრაშია ამ ასოციაციის ან კოოპერატივის წესდებასთან.

– 4. შიდა პროცედურები შეიძლება შეიცავდეს ასევე რეგულაციებს შენობა-ნაგებობისა და შესაბამისი მიწის ნაკვეთის იმ ინდივიდუალური ნაწილების გამოყენების, მართვისა (ადმინისტრირებისა) და ექსპლუატაციის შესახებ, რომლებიც გამიზნულია ექსკლუზიურად ბინის მესაკუთრეთა მიერ უძრავი ნივთის თავიანთი განცალკევებული კერძო ფართის სახით გამოყენებისათვის. ასეთი რეგულაციები შეიძლება გულისხმობდეს იმას, რომ ბინის მესაკუთრეთა საერთო კრება უფლებამოსილია, უარი უთხრას ბინის მესაკუთრეს, ან იმ პირს, ვინც ახორციელებს მის უფლებებს, თავისი უძრავი ნივთის კერძო ფართის კონკრეტული ხერხით გამოყენების შესაძლებლობაზე, თუმცაღა ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ იმ მნიშვნელოვანი მიზეზების არსებობისას, რომლებიც თავად პროცედურებში უნდა იქნეს მითითებული.

მუხლი 5:113 თანაბარი წილები და პასუხისმგებლობა

– 1. ბინებზე სხვადასხვა უფლებებზე დაყოფის შედეგად წარმოქმნილი წილები არის თანაბარი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ბინაზე საკუთრების უფლებების დამდგენი საანოტარო აქტი განსხვავებულ პროპორციებს ითვალისწინებს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში საანოტარო აქტი უნდა უთითებდეს, თუ რას ეფუძნება აღნიშნული განსხვავებული პროპორციები.

– 2. თითოეული ბინის მესაკუთრე თავის ორმხრივ ურთერთობაში სხვა მესაკუთრეებთან და ასევე ბი-

ნის მესაკუთრეთა ასოციაციასთან ვალდებულია, თანაბარწილად მიიღოს მონაწილეობა იმ ვალებსა და ხარჯებში, რომლებიც კანონისა თუ შიდა პროცედურების შესაბამისად უნდა დაიფაროს ერთობლივად ბინის ყველა მესაკუთრის ხარჯზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შიდა პროცედურები მონაწილეობის განსხვავებულ პროპორციებს ითვალისწინებს.

– 3. თუ ბინის მესაკუთრეები სოლიდარულად აგებენ პასუხს კრედიტორის წინაშე წინა პარაგრაფში მითითებული ვალისათვის და ნაკისრი ვალდებულება კი დაყოფადია, მაშინ თითოეული მათგანი პასუხისმგებელია ამ კრედიტორის წინაშე მხოლოდ წინა პარაგრაფში მითითებული საკუთარი ნაწილის პროპორციულად.

– 4. თუ ბინის მესაკუთრეები სოლიდარულად აგებენ პასუხს პარ. 2-ში მითითებული ვალისათვის, მაშინ ბინის მესაკუთრეთა ასოციაცია ასევე სოლიდარულად აგებს პასუხს ამ ვალისათვის.

– 5. ყველა ის პირი, ვინც ბინის მესაკუთრეთა ასოციაციის ვალის წარმოშობის მომენტში წარმოადგენს ბინის მესაკუთრეს, ასოციაციასთან ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს ამ ვალისათვის; თუმცა, თუკი ნაკისრი ვალდებულება დაყოფადია, მაშინ თითოეული მათგანი პასუხისმგებელია მხოლოდ პარ. 2-ში მითითებული საკუთარი ნაწილის პროპორციულად.

მუხლი 5:114 ბინაზე საკუთრების უფლებათა დადგენის მომენტში არსებული ყადაღა, იპოთეკა ან პრივილეგია

– 1. როდესაც ბინაზე საკუთრების უფლებების დამდგენი სანოტარო აქტის რეგისტრაციის მომენტში ბინებზე უფლებებზე დაყოფის პროცესში ჩართული ყველა აქტივი (რეგისტრირებული ქონება) დატვირთულია ერთი და იგივე ყადაღით, იპოთეკითა თუ პრივილეგიით, მაშინ ეს ყადაღა, იპოთეკა ან პრივილეგია მთლიანი ვალისათვის ამიერიდან გავრცელდება თითოეულ ბინის საკუთრების უფლებებზე.

– 2. როდესაც ბინაზე საკუთრების უფლებების დამდგენი სანოტარო აქტის რეგისტრაციის მომენტში ბინებზე უფლებებზე დაყოფის პროცესში ჩართული აქტივი (რეგისტრირებული ქონება) მხოლოდ ნაწილი არის დატვირთული ერთი და იგივე ყადაღით, იპოთეკითა თუ პრივილეგიით, მაშინ მიუხედავად დაყოფისა ამ ნაწილის რეალიზაციის უფლება (იძულებითი გაყიდვის უფლება) შენარჩუნდება თავდაპირველი პირობებით; როდესაც მოხდება ბინებზე უფლებებზე დაყოფის პროცესში ჩართული აქტივების (რეგისტრირებული ქონების) აღნიშნული ნაწილის რეალიზაცია (იძულებითი გაყიდვა), ბინებზე უფლებებზე დაყოფის პროცესი (და ბინაზე შესაბამისი საკუთრების უფლებები) ამ ნაწილის მიმართ წყდება.

– 3. ბინაზე საკუთრების უფლებების დამდგენი სანოტარო აქტის რეგისტრაციის მომენტში როდესაც ბინებზე უფლებებზე დაყოფის პროცესში ჩართული ერთი ან მეტი აქტივი (რეგისტრირებული ქონების) დატვირთულია სერვიტუტით, გრძელვადიანი იჯარით, აღნაგობის უფლებითა თუ უზუფრუქტით, მაშინ ეს სერვიტუტი, გრძელვადიანი იჯარა, აღნაგობის უფლება ან უზუფრუქტი შენარჩუნდება უცვლელად.

მუხლი 5:115 ბინებზე უფლებებზე დაყოფის პროცესში ჩართული გრძელვადიანი იჯარები და აღნაგობის უფლებები

– 1. როდესაც გრძელვადიანი იჯარა ან აღნაგობის უფლება თავად ქმნის ბინებზე უფლებებზე დაყოფის პროცესში ჩართულ ერთ ან მეტ აქტივს (რეგისტრირებულ ქონებას), მაშინ იმ მინის საზღაურის თანხის გადახდა, რომელიც ვადამოსული და შესასრულებელი ხდება აღნიშნული დაყოფის პროცესის შემდეგ, დაეკისრება თითოეულ ბინის მესაკუთრეს თავიანთი წილის პროპორციულად, როგორც ეს მითითებულია 5:113 მუხლის პარ. 2-ში.

– 2. ბინის მესაკუთრეთა ასოციაცია სოლიდარულად აგებს პასუხს ერთ ან მეტ ბინის მესაკუთრეზე დაკისრებული მინის საზღაურის თანხის გადახდის ვალდებულებისათვის.

მუხლი 5:116 დამატებითი ნორმები, როდესაც საქმე ეხება ბინებზე უფლებებზე დაყოფის პროცესში ჩართულ გრძელვადიან იჯარასა თუ აღნაგობის უფლებას

– 1. როდესაც გრძელვადიანი იჯარა ან აღნაგობის უფლება თავად წარმოადგენს ბინებზე უფლებებზე დაყოფის პროცესში ჩართულ ერთ-ერთ აქტივს (რეგისტრირებულ ქონებას), მაშინ 5:87 მუხლის პარ. 2 და 3-სა და 5:88 მუხლის ნორმებთან ერთად გამოყენებული იქნება ქვემოთ მოცემული პარაგრაფები.

– 2. ბინებზე უფლებებზე დაყოფის პროცესში ჩართული გრძელვადიანი იჯარა ან აღნაგობის უფლება მინის საზღაურის თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში შეიძლება გაუქმდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საზღაურის მთლიანი თანხა გადაუხდელობა ზედიზედ ორი წლის განმავლობაში.

– 3. როდესაც ხდება ერთი ან რამდენიმე ბინაზე საკუთრების უფლების დაყადაღება ან შეზღუდული

სანივთო უფლებით დატვირთვა, მაშინ ამ ყადაღისა თუ შეზღუდული სანივთო უფლების მიმართ შესაბამისად გამოიყენება 5:87 მუხლის პარ. 2-ის მეორე წინადადებისა და 5:88 მუხლის პარ. 2-ის ნორმები.

– 4. როდესაც კონკრეტულ ბინაზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებით გადასახდელი მიწის საზღაურის დავალიანება დაუფარავია ზედიზედ ორი წლის განმავლობაში, სასამართლოს შეუძლია ბინაზე ეს საკუთრების უფლება დაუთმოს მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს, თუკი ეს უკანასკნელი ამას მოითხოვს. მომავალში სასარჩელო მოთხოვნის დაუშვებლობის თავიდან ასაცილებლად სასამართლოში გამოძახების უწყება რვა დღის განმავლობაში უნდა ჩაბარდეს ასევე იმ პირებსაც, რომლებიც რეგისტრირებული ქონების საჯარო რეესტრებში რეგისტრირებული არიან ამ ბინაზე შეზღუდული სანივთო უფლების მფლობელებისა თუ გრძელვადიანი იჯარის ყადაღის კრედიტორების სახით.

– 5. საჯარო რეესტრებში სასამართლოს იმ გადაწყვეტილების რეგისტრაციით, რომლითაც ბინაზე საკუთრების უფლება დაეთმო მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს, ეს საკუთრების უფლება გადადის ამ უკანასკნელზე, ხოლო ბინაზე არსებული ყადაღები და შეზღუდული სანივთო უფლებები კი უქმდება. აღნიშნული რეგისტრაცია ვერ განხორციელდება მანამდე, სანამ სასამართლოს გადაწყვეტილება არ შევა კანონიერ ძალაში და არ გახდება მბოჭავი. ამ რეგისტრაციის შემდეგ მიწის ნაკვეთის მესაკუთრე ვალდებულია, ბინის ყოფილ მესაკუთრეს აუნაზღაუროს სასამართლოს გადაწყვეტილების რეგისტრაციის მომენტში არსებული ბინაზე საკუთრების ღირებულება იმ თანხების გამოკლებით, რომელთა მოთხოვნაც მას ყოფილი მესაკუთრისაგან შეუძლია გრძელვადიანი იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე ხარჯების ჩათვლით.

– 6. ბინაზე საკუთრების უფლებების დამდგენი სანოტარო აქტში შეიძლება მიეთითოს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოხდეს წინა პარაგრაფებში აღნიშნული ღირებულების განსაზღვრა.

– 7. ბათილია ნებისმიერი პირობა, რომელიც ბინის მესაკუთრის საზიანოდ გვერდს უვლის წინამდებარე მუხლის დანაწესს.

მუხლი 5:117 ბინაზე საკუთრების უფლებების გადაცემაუნარიანობა

– 1. ბინაზე საკუთრების უფლება, როგორც დამოუკიდებელი რეგისტრირებული ქონებრივი უფლება, ექვემდებარება გადაცემას, განაწილებას, უფლებრივად დატვირთვასა და რეალიზაციას (იძულებით გაყიდვას).

– 2. დაუშვებელია ბინებზე უფლებებად დაყოფის პროცესში ჩართული აქტივების (რეგისტრირებული ქონების) როგორც მთლიანად, ისე ნაწილობრივ გადაცემა, განაწილება, უფლებრივად დატვირთვა ან რეალიზაცია (იძულებით გაყიდვა), თუმცაღა აღნიშნული წესი მოქმედებს 5:114 მუხლის პარ. 2-ის ნორმათა გამოყენების შეზღუდვის გარეშე.

– 3. ბინებზე უფლებებად დაყოფის პროცესში ჩართული მხოლოდ ზოგიერთი აქტივის მიმართ დაყოფის პროცესის დასრულება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ იმ სანოტარო აქტის შეცვლით (ცვლილების შეტანით), რომლითაც დადგინდა ბინაზე საკუთრების უფლებები.

– 4. პარ. 2-ის ნორმათა გამოყენების შეზღუდვის გარეშე, ბინებზე უფლებებად დაყოფის პროცესში ჩართული აქტივები (რეგისტრირებული ქონება) შეიძლება სერვიტუტით დაიტვირთოს ბინის მესაკუთრეთა მიერ ერთობლივად.

მუხლი 5:118 ბინის მესაკუთრის მიერ უძრავი ნივთის კერძო ფართზე სერვიტუტის დადგენა

– 1. რამდენდაც ბინაზე საკუთრების უფლებათა დამდგენი სანოტარო აქტი სხვაგვარად არ ითვალისწინებს, ბინის მესაკუთრეს სხვა მესაკუთრეთა თანამონაწილეობის გარეშე შეუძლია უძრავი ნივთის საკუთარი კერძო ფართის სერვიტუტით დატვირთვა ბინებზე უფლებებად დაყოფის პროცესში ჩართული უძრავი ნივთის (ნივთები) სხვა უძრავი ნივთის კერძო ფართის ან სხვა (საერთო) ნაწილის სასარგებლოდ ანდა – სხვა უძრავი ნივთის სასარგებლოდ.

– 2. რამდენდაც ბინაზე საკუთრების უფლებათა დამდგენი სანოტარო აქტი სხვაგვარად არ ითვალისწინებს, ბინის მესაკუთრეს სხვა მესაკუთრეთა თანამონაწილეობის გარეშე შეუძლია დაეთანხმოს იმ სერვიტუტის დადგენას, რომელიც, როგორც წესი, განკუთვნილია მხოლოდ და მხოლოდ მისი უძრავი ნივთის კერძო ფართის (როგორც გაბატონებული უძრავი ქონების მდებარეობის მქონის) მომსახურებისათვის, და ასევე – მას შეუძლია სხვა მესაკუთრეთა თანამონაწილეობის გარეშე მიატოვოს კიდევ ასეთი სერვიტუტის უფლება (უარი თქვას მასზე).

– 3. წინამდებარე მუხლში მითითებული სერვიტუტი ქარწყლდება, როდესაც უქმდება ამ სერვიტუტით დატვირთული უძრავი ნივთის კერძო ფართის (როგორც მომსახურე უძრავი ქონების მდებარეობის მქონის) სარგებლობის ექსკლუზიური უფლება ანდა – იმ ერთეულის სარგებლობის ექსკლუზიური უფლე-

ბა, რომლის სასარგებლოდაც მოხდა სერვიტუტის (როგორც გაბატონებული უძრავი ქონების მდებარეობის მქონის) დადგენა.

მუხლი 5:118a ბინის მესაკუთრის მიერ უძრავი ნივთის კერძო ფართზე გრძელვადიანი იჯარის ან აღნაგობის უფლების დადგენა

– 1. რამდენდაც ბინაზე საკუთრების უფლებათა დამდგენი სანოტარო აქტი სხვაგვარად არ ითვალისწინებს, ბინის მესაკუთრეს სხვა მესაკუთრეთა თანამონაწილეობის გარეშე შეუძლია უძრავი ნივთის საკუთარი კერძო ფართის გრძელვადიანი იჯარით დატვირთვა, ხოლო გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ბინებზე უფლებებად დაყოფის პროცესი ეხება შენობა-ნაგებობებს, კონსტრუქციებსა თუ მცენარეებს (მცენარეულობას), – ასევე აღნაგობის უფლებითაც.

– 2. გრძელვადიანი იჯარისა თუ აღნაგობის უფლების დამდგენ სანოტარო აქტში მიეთითება ის მოცულობა, რომლის ფარგლებშიც ბინაზე საკუთრების უფლების გამო განსახორციელებელი შენატანებისათვის ბინის მესაკუთრესთან ერთად სოლიდარულად პასუხს აგებს ამ უფლების მფლობელი (მოიჯარე, მეაღნაგე).

– 3. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გრძელვადიანი იჯარის დამდგენი სანოტარო აქტი სხვაგვარად ითვალისწინებს, საერთო კრებაზე ბინის მესაკუთრეთა ხმის უფლების მიცემა, რომელიც დაკავშირებულია ამ გრძელვადიანი იჯარით დატვირთულ ბინაზე არსებულ საკუთრების უფლებასთან, ხორციელდება მოიჯარის მიერ. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნაგობის უფლების დამდგენი სანოტარო აქტი სხვაგვარად ითვალისწინებს, ბინის მესაკუთრე, რომელმაც საკუთარი ბინის საკუთრებაზე დაადგინა აღნაგობის უფლება, ინარჩუნებს საერთო კრებაზე თავისი ბინის საკუთრებასთან დაკავშირებულ ხმის უფლებას.

მუხლი 5:119 უძრავი ნივთის კერძო ფართის ფიზიკური ცვლილება

– 1. ბინის მესაკუთრეს სხვა მესაკუთრეთა თანხმობის გარეშე შეუძლია მოახდინოს უძრავი ნივთის საკუთარი კერძო ფართის ფიზიკური ცვლილება იმ პირობით, რომ ბინებზე უფლებებად დაყოფის პროცესში ჩართული ქონების სხვა კერძო ან საერთო ნაწილები ამის შედეგად არ დაზარალდება. ბინის მესაკუთრე ხდება იმ საგნის მესაკუთრეც, რომლის მოცილებაც მან მოახდინა საკუთარი კერძო ფართის კანონიერი ფიზიკური ცვლილების განხორციელების პროცესში.

– 2. ბინის მესაკუთრე ვალდებულია, დაუყოვნებლივ შეატყობინოს ბინის მესაკუთრეთა ასოციაციას საკუთარი კერძო ფართის მიმართ განხორციელებული ფიზიკური ცვლილების შესახებ. თუ ფიზიკური ცვლილება იწვევს დაზღვევის პრემიის თანხის ოდენობის შეცვლას, მაშინ სხვაობა უნდა ანაზღაურდეს მის ან მისი უფლებამონაცვლეების ხარჯზე.

– 3. თუ ბინებზე უფლებებად დაყოფის პროცესის დასრულებისას ნათელი ხდება, რომ კერძო ფართის ფიზიკური ცვლილების შედეგად შემცირდა ბინებზე უფლებებად დაყოფის პროცესში ჩართული აქტივების (რეგისტრირებული ქონების) ღირებულება, მაშინ ეს ფაქტი მხედველობაში მიიღება ბინის იმ მესაკუთრის ხარჯზე საერთო ქონების განაწილებისას (დაყოფისას), რომელმაც მოახდინა საკუთარი კერძო ფართის ფიზიკური ცვლილება, ანდა – მისი უფლებამონაცვლეების ხარჯზე იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ფიზიკური ცვლილება კანონიერად განხორციელდა.

– 4. შიდა პროცედურებით დასაშვებია წინამდებარე მუხლის ნორმებიდან გადახვევა; პარ. 2-ის მიზნებისათვის ცვლილებები იმ ხერხებში, რომლითაც გამოიყენება კერძო ფართი, შეიძლება უთანაბრდებოდეს იმ ცვლილებებს, რომლებიც ხორციელდება ამ კერძო ფართის მიმართ.

მუხლი 5:120 უძრავი ნივთის კერძო ფართის გამოყენება

– 1. 5:112 მუხლის პარ. 4-ის ნორმათა გამოყენების შეზღუდვის გარეშე, ბინის მესაკუთრე უფლებამოსილია სათავისოდ გამოიყენოს თავისი კერძო ფართი ან მისცეს სხვას ამ ფართით სარგებლობის უფლება ყოველთვის იმ ნაწილების გამოყენების უფლების მინიჭების ჩათვლით, რომლებიც გამიზნულია ბინის რამდენიმე მესაკუთრის მიერ ერთობლივად გამოყენებისათვის (საერთო ნაწილები).

– 2. გამოყენების, მართვისა (ადმინისტრირებისა) და ექსპლუატაციის შესახებ შიდა პროცედურების ნორმები გამოიყენება ასევე იმ პირის მიმართაც, ვისაც კერძო ფართით სარგებლობის უფლება მინიჭებული აქვს ბინის მესაკუთრის მხრიდან. შიდა პროცედურებში შეიძლება მიეთითოს, რომ სხვა ნორმები ასევე გამოიყენება იმ პირის მიმართ, ვისაც კერძო ფართით სარგებლობის უფლება ბინის მესაკუთრის მხრიდან აქვს მინიჭებული.

- 3. დამქირავებელი (მოიჯარე) არ ექვემდებარება შიდა პროცედურების იმ ნორმის მოქმედებას, რომელიც რეგისტრაციაში გატარდა ქირავნობის ხელშეკრულების დადების შემდეგ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის დაეთანხმა აღნიშნულს. თუკი ის უარს ამბობს ამ ნორმის მოქმედებაზე ანდა საერთოდ არაფერს აცხადებს ამის თაობაზე, მაშინ იმ რაიონულ სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც შენობა-ნაგებობა განთავსებულია სრულად ან უმეტესწილად, შეუძლია თითოეული მესაკუთრის მოთხოვნის საფუძველზე დაადგინოს ამ ნორმის მოქმედება ასევე დამქირავებლის (მოიჯარის) მიმართაც.

- 4. ბინებზე უფლებებზე დაყოფის პროცესის დასრულების შემდეგ, დაყოფის პროცესში ჩართულ აქტივებზე (რეგისტრირებულ ქონებაზე) უფლებამოსილ პირებს ეკისრებათ უკვე დადებული ქირავნობის (იჯარის) ხელშეკრულების პირობების დაცვა და მისი მოქმედების გაგრძელება იმ პირობით, რომ ქირავნობის ვადის გახანგრძლივება შესაბამისობაშია ადგილობრივ წეს-ჩვეულებებთან, ხოლო ქირავნობის ხელშეკრულება კი არ არის დადებული უჩვეულოდ მძიმე პირობებით.

მუხლი 5:121 სასამართლოს ნებართვა, რომელითაც ხდება აუცილებელი თანხმობისა თუ თანამონაწილეობის ჩანაცვლება

- 1. ყველა იმ ვითარებაში, რომელშიც ბინის მესაკუთრეს ესაჭიროება ერთი ან მეტი სხვა ბინის მესაკუთრისა თუ ბინის მესაკუთრეთა ასოციაციის ანდა ამ უკანასკნელის ერთ-ერთი ორგანოს თანხმობა ან თანამონაწილეობა განსაზღვრული მოქმედებების განხორციელებისთვის უძრავი ნივთების იმ ნაწილების მიმართ, რომლებიც გამიზნულია ბინის მესაკუთრის მიერ ერთობლივად გამოყენებისათვის (საერთო ნაწილები), ხოლო 5:112 მუხლის პარ. 4-ში მითითებული შიდა პროცედურებში მოცემული ნორმის შემთხვევაში კი, - ბინის მესაკუთრის კერძო ფართის მიმართ, ანდა როდესაც ბინის მესაკუთრეთა ასოციაცია ან მისი ერთ-ერთი ორგანო ასეთი მოქმედებების განხორციელებისთვის საჭიროებს ერთი ან მეტი ბინის მესაკუთრის თანხმობას, ეს თანხმობა ან თანამონაწილეობა - იმ პირის მოთხოვნის საფუძველზე, ვინც მას საჭიროებს - შეიძლება შეიცვალოს იმ რაიონულ სასამართლოს ნებართვით, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც შენობა-ნაგებობა განთავსებულია სრულად ან უმეტესწილად. რაიონულ სასამართლოს შეუძლია იმ შემთხვევაში გასცეს თავისი ნებართვა, თუკი თანხმობის მიცემასა თუ თანამონაწილეობაზე უარის თქმა ხდება გონივრული საფუძვლის გარეშე ანდა - თუკი იმ პირმა, რომლის თანხმობა ან თანამონაწილეობა არის აუცილებელი, საერთოდ არაფერი განაცხადა ამის თაობაზე.

- 2. როდესაც საქმე გვაქვს წინა პარაგრაფში გათვალისწინებული მოქმედების განხორციელებასთან დაკავშირებით განუვალ ხარჯებთან, რაიონულ სასამართლოს ბინის მესაკუთრის ან ბინის მესაკუთრეთა ასოციაციის მოთხოვნის საფუძველზე შეუძლია დაადგინოს, თუ რა პროპორციით უნდა მიიღოს მონაწილეობა ამ ხარჯებში ყველა ან კონკრეტულმა ბინის მესაკუთრემ ანდა ბინის მესაკუთრეთა ასოციაციამ.

- 3. როდესაც საქმე გვაქვს წინა პარაგრაფში გათვალისწინებული მოქმედების განხორციელებასთან დაკავშირებით განუვალ ხარჯებთან, რაიონულ სასამართლოს ბინის მესაკუთრის ან ბინის მესაკუთრეთა ასოციაციის მოთხოვნის საფუძველზე შეუძლია დაადგინოს, თუ რა პროპორციით უნდა მიიღონ მონაწილეობა ბინის მესაკუთრებმა ამ ნაგებობისა თუ მონყობილობის ექსპლუატაციაზე გასაწევ სამომავლო ხარჯებში.

- 4. როდესაც საქმე ეხება შენობა-ნაგებობის იმ სხვადასხვა ნაწილების ექსპლუატაციასა თუ მართვასთან დაკავშირებული მოქმედების განხორციელებაზე თანამონაწილეობას ან თანხმობას, რომელთან დაკავშირებითაც ბინის მესაკუთრეთა ასოციაციის ხმათა, სულ ცოტა, ნახევრის მქონე ერთი ან რამდენიმე ბინის მესაკუთრე დათანხმდა თანამონაწილეობას ან გასცა თავისი თანხმობა, ნებართვა შეიძლება გაიცეს ასევე იმ მუნიციპალიტეტის მოთხოვნის საფუძველზე, რომლის ტერიტორიაზეც განთავსებულია შენობა-ნაგებობა, თუკი ამ უკანასკნელის მდგომარეობა არ შეესაბამება საბინაო კანონის 1a მუხლის პარ. 1-ის ან 1b მუხლის პარ. 2-ის ნორმებს ანდა - თუკი სახეზეა იმის მნიშვნელოვანი საფრთხე, რომ ასეთი ვითარება შეიძლება დადგეს.

მუხლი 5:122 ბინაზე საკუთრების უფლების გასხვისება (გადაცემა) ან განაწილება

- 1. იმდენად, რამდენადაც სხვაგვარად არ არის დადგენილი, ბინაზე საკუთრების უფლების სინგულარული სამართლებრივი საფუძვლით გასხვისება (გადაცემა) ანდა განაწილება უნდა მოიცავდეს ყველა იმ უფლებას, რომლებიც გამსხვისებლისა და მისი წინამორბედების მიერ შეძენილ იქნა ბინის მესაკუთრის სტატუსით.

- 2. როგორც კი ხდება ბინაზე საკუთრების უფლების გასხვისება (გადაცემა) ან განაწილება, შემდგომ

მხარემ დაუყოვნებლივ წერილობით უნდა შეატყობინოს ბინის მესაკუთრეთა ასოციაციას თავისი შენაძენის შესახებ.

– 3. ბინის ყოფილი მესაკუთრე და შემძენი მხარე სოლიდარულად აგებენ პასუხს იმ დაკისრებული შენატანებისათვის, რომლებიც დაკავშირებულია გასხვისებულ (გადაცემული) ბინაზე საკუთრების უფლებასთან და ვადამოსული და შესასრულებელი გახდა ანდა ასეთი გახდება მომავალში ან წინა საანგარიშო წლის განმავლობაში.

– 4. შიდა პროცედურებით შეიძლება მოწესრიგდეს ის საკითხი, თუ რა მოცულობით წინა პარაგრაფში მითითებული ნაკისრი შენატანების განხორციელება შეიძლება მოეთხოვოს მხოლოდ ბინის ყოფილ მესაკუთრეს ანდა – მხოლოდ შემძენ მხარეს. შიდა პროცედურებით შეიძლება მოწესრიგდეს ასევე ის საკითხიც, რომ ბინის ყოფილი მესაკუთრე, ნაცვლად შემძენი მხარისა, პასუხისმგებელი იყოს განსაზღვრული შენატანებისათვის, რომლებიც ვადამოსული და შესასრულებელი გახდება მომავალში.

– 5. ნოტარიუსი უზრუნველყოფს იმას, რომ საკუთრებაში გადაცემისა თუ ბინაზე საკუთრების უფლების განაწილების საანგარიშო აქტი შეიცავს ბინის მესაკუთრეთა ასოციაციის თანდართულ განცხადებას, რასაც თან ახლავს ანგარიში იმის შესახებ, თუ რა დავალიანება ეკისრება შესაბამისი ბინის მესაკუთრეს საკუთრებაში გადაცემისა თუ ბინაზე საკუთრების უფლების განაწილების დღისათვის პარ. 3-ში მითითებული შენატანებისათვის, რაზეც პასუხისმგებელია შემძენი მხარე.

– 6. წინა პარაგრაფში მითითებული განცხადება მოიცავს ასევე 5:126 მუხლის პარ. 1-ში აღნიშნული ბინის მესაკუთრეთა ასოციაციის სარეზერვო ფონდის მოცულობის შესახებ ანგარიშსაც.

მუხლი 5:123 უზუფრუქტი

– 1. როდესაც ბინაზე საკუთრების უფლება დატვირთულია უზუფრუქტით, უზუფრუქტუარი ცვლის ბინის მესაკუთრეს იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება ბინის მესაკუთრეებზე ერთობლივად დაკისრებული ვალებისათვის პასუხისმგებლობასა და ასევე ბინის მესაკუთრეებისა და ბინის მესაკუთრეთა ასოციაციის წინაშე ნაკისრ შენატანებს. თუმცაღა, უზუფრუქტის გაუქმებისას უზუფრუქტუარი უფლებამოსილია ბინის მესაკუთრისაგან მოითხოვოს იმ თანხების უკან დაბრუნება, რომლებიც მან ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით გადაიხადა იმდენად, რამდენადაც ეს გადახდები არ უკავშირდება ჩვეულებრივ დანახარჯებსა და მიმდინარე რემონტის ხარჯებს.

– 2. როდესაც ბინის მესაკუთრე ფარავს პარ. 1-ში მითითებულ ვალებს ან ახორციელებს შენატანებს, მას შეუძლია უზუფრუქტუარისაგან მოითხოვოს ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით გადახდილი თანხების ანაზღაურება, რასაც ემატება გადახდის დღისათვის დარიცხული პროცენტების თანხები იმდენად, რამდენადაც ეს გადახდები დაკავშირებულია ჩვეულებრივ დანახარჯებსა და მიმდინარე რემონტის ხარჯებთან. ბინის მესაკუთრის მიერ გადახდილ სხვა თანხებთან დაკავშირებით უზუფრუქტუარმა უნდა გადაიხადოს მხოლოდ თანხის გადახდიდან უზუფრუქტის გაუქმებამდე დარიცხული პროცენტები.

– 3. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც უზუფრუქტის დამდგენი საანგარიშო აქტი სხვაგვარად ითვალისწინებს, საერთო კრებაზე ბინის მესაკუთრეთა ხმის უფლების მიცემა, რომელიც დაკავშირებულია ამ უზუფრუქტით დატვირთულ ბინაზე არსებულ საკუთრების უფლებასთან, ხორციელდება უზუფრუქტუარის მიერ.

– 4. 5:122 მუხლის ნორმები შესაბამისად გამოიყენება ბინაზე საკუთრების უფლებაზე არსებული უზუფრუქტის დადგენის, გადაცემისა და გაუქმების მიმართ.

განყოფილება 5.9.2 – ბინის მესაკუთრეთა ასოციაცია

მუხლი 5:124 ბინის მესაკუთრეთა ასოციაცია

– 1. ბინის მესაკუთრეთა ასოციაცია წარმოადგენს იურდიულ პირს.

– 2. სამოქალაქო კოდექსის 2.1 ტიტულის ნორმები ბინის მესაკუთრეთა ასოციაციის მიმართ არ გამოიყენება, გარდა 2:4 მუხლის, 2:6 მუხლის, 2:13 მუხლის პარ. 2-ის, 2:17 მუხლის, 2:18 მუხლის, 2:19 მუხლის პარ. 1, 2 და 3-ის, პა. 4-ის მეორე წინადადების, პარ. 6-ის მეორე წინადადებისა და პარ. 7-ის, ასევე – 2:20, 2:21 და 2:22 მუხლების ნორმებისა; გარდა აღნიშნულისა, მხედველობაში მისაღებია წინამდებარე განყოფილების ქვემოთ მოცემულ მუხლებში მითითებული განსხვავებული წესები.

– 3. სამოქალაქო კოდექსის 2.2 ტიტულის ნორმები ბინის მესაკუთრეთა ასოციაციის მიმართ გამოიყენება იმდენად, რამდენადაც წინამდებარე განყოფილების ნორმები ამაზე მიუთითებს.

მუხლი 5: 125 უფლებამოსილებები და ნევრობა

– 1. ბინის მესაკუთრეთა ასოციაციის ფარგლებში ბინის მესაკუთრეთა საერთო კრებას აქვს ყველა ის უფლებამოსილება, რომლებიც კანონით ან ასოციაციის წესდებით არ არის მინიჭებული ბინის მესაკუთრეთა ასოციაციის სხვა ორგანოებისათვის.

– 2. კანონის ძალით ბინის ყოველი მესაკუთრე წარმოადგენს ბინის მესაკუთრეთა ასოციაციის წევრს. როდესაც წევრი აღარ არის ბინის მესაკუთრე, მისი ნევრობაც კანონის ძალით წყდება.

– 3. შესაბამისად გამოიყენება სამოქალაქო კოდექსის 2:40 მუხლის პარ. 2-ის ნორმები.

მუხლი 5: 126 მართვა (ადმინისტრირება) და წარმომადგენლობა

– 1. ბინის მესაკუთრეთა ასოციაცია მართავს ბინის მესაკუთრეთა საერთო ქონებას, გარდა ბინის მესაკუთრეთა კერძო ფართებისა.

– 2. თავისი უფლებამოსილებების ფარგლებში ბინის მესაკუთრეთა ასოციაციას შეუძლია ბინის მესაკუთრეები ერთობლივად წარმოადგინოს როგორც სასამართლოში, ისე სასამართლოსგარე ურთიერთობებში.

– 3. ბინის მესაკუთრეთა ასოციაცია ამონებს, ასრულებს თუ არა ბინის მესაკუთრეები ერთმანეთს შორის არსებული ორმხრივი ურთერთობის ფარგლებში მათზე კანონითა და წესდებით დაკისრებულ მოვალეობებს და ის უფლებამოსილია, ამ მიზნით წამოიწიოს სასამართლო დავა ნებისმიერი იმ მესაკუთრის მიმართ, ვინც არ ასრულებს ასეთ მოვალეობებს. წინამდებარე მუხლის მიზნებისათვის ბინის მესაკუთრის ცნება მოიცავს ასევე იმ პირსაც, რომელმაც ბინის მესაკუთრისაგან მიიღო კერძო ფართის სარგებლობის უფლება.

– 4. რამდენადაც ბინაზე საკუთრების უფლებათა ორი მესამედი არ იქნა გადაცემული საკუთრებაში დაუყოვნებლივ ბინის მესაკუთრეთა ასოციაციის დაფუძნების (შექმნის) შემდეგ, ეს უკანასკნელი არ დადებს მომსახურების ხელშეკრულებებს ერთ ნელზე მეტი ვადით.

მუხლი 5: 127 საერთო კრებაზე დასწრება

– 1. ბინის ყველა მესაკუთრეს აქვს ბინის მესაკუთრეთა საერთო კრებაზე დასწრების უფლება. ამ კრების გადწყვეტილებები მიიღება მიცემული ხმების აბსოლუტური უმრავლესობით, რამდენადაც წესდება სხვაგვარად არ ითვალისწინებს.

– 2. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წესდება სხვაგვარად ითვალისწინებს, ბინის მესაკუთრეთა საერთო კრების თავმჯდომარე ინიშნება კრების მიერ ასოციაციის წევრთაგან. როგორც ასოციაციის თავმჯდომარე, ისე აღმასრულებელი საბჭო უფლებამოსილია, მოიწვიოს ბინის მესაკუთრეთა საერთო კრება.

– 3. როდესაც თავად ბინაზე საკუთრების უფლება დაყოფილია სხვადასხვა უფლებებად, იმ მესაკუთრის ხმები, რომლის უფლებაც იქნა დაყოფილი, ეკუთვნის ბინაზე იმ უფლებების მქონე მესაკუთრეებს, რომლებიც მიღებულია აღნიშნული მესაკუთრის თავდაპირველი საკუთრების უფლებიდან. ზემოაღნიშნული ხმების მიცემა ხდება ბინის მესაკუთრეთა ასოციაციის საერთო კრებაზე იმ აღმასრულებელი საბჭოს მიერ, რომელიც დაფუძნდა იმ დროს, როდესაც მოხდა თავდაპირველი საკუთრების უფლების დაყოფა. არ არის აუცილებელი, რომ ხმების მიცემა იდენტურად მოხდეს. თავდაპირველი საკუთრების უფლების დაყოფიდან გამომდინარე არსებული ბინებზე საკუთრების უფლებათა მესაკუთრეები უფლებამოსილი არიან, დაესწრონ მესაკუთრეთა საერთო კრებას. თუმცადა, მხოლოდ მეორე წინადადებაში მითითებულ აღმასრულებელ საბჭოს აქვს ამ კრებაზე სიტყვით გამოსვლის უფლება.

მუხლი 5: 127a მუნიციპალიტეტისათვის ნებართვის მიცემა სასამართლოს დადგენილების საფუძველზე

– 1. იმ მნიშვნელოვანი საფრთხის არსებობის შემთხვევაში, როდესაც შესაძლოა წარმოიშვას ისეთი ვითარება, რომ შენობა-ნაგებობის ის ნაწილი, რომელიც არ არის გამიზნული განცალკევებული ფართის სახით გამოყენებისათვის, არ შეესაბამებოდეს საბინაო კანონის 1a მუხლის პარ. 1-ის ან 1b მუხლის პარ. 2-ის ნორმებს, იმ რაიონული სასამართლოს მიერ, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც შენობა-ნაგებობა განთავსებულია სრულად ან უმეტესწილად, მუნიციპალიტეტს მისივე მოთხოვნის საფუძველზე შეიძლება მიეცეს ნებართვა:

a. წესდებაში გათვალისწინებული წესით მოიწვიოს ბინის მესაკუთრეთა ასოციაციის კრება;

b. დაესწროს კრებას, გამოვიდეს მასზე სიტყვითა და წარადგინოს წინადადებები, რომლებიც ეხება:

– შენობა-ნაგებობის სხვადასხვა ნაწილების მართვასა და ექსპლუატაციას;

– სარეზერვო ფონდში განსახორციელებელ შენატანებს;

– სხვა ასოციაციაციებისა თუ კოოპერატივების წევრობას შენობა-ნაგებობის სხვადასხვა ნაწილების ექსპლუატაციის მიზნით;

– საბჭოს შემადგენლობას;

– პროფესიონალი მმართველის მიერ აუტოსორსინგულ მართვას;

ც. კრების თავმჯდომარეობა (გაძლოლა) დაევალოს სხვა პირს, ნაცვლად დირექტორთა საბჭოს წევრებისა.

– 2. პარ. 1-ში აღნიშნული კრების მოწვევის შეტყობინებაში მიეთითება, რომ მისი ჩაბარება ხდება სამართლოს დადგენილების ძალითა და მუნიციპალიტეტის ხარჯზე. ბინის მესაკუთრეთა ასოციაციის წესდებითა თუ შიდა რეგულაციებით გათვალისწინებული წესით ჩაბარებული კრების მოწვევის შეტყობინება ნამდვილია იმ შემთხვევაშიც კი, თუკი მტკიცდება, რომ ნებართვა გაიცა შეცდომით.

– 3. რაიონული სასამართლოს დადგენილების საწინააღმდეგოდ სამართლებრივი დაცვის საშუალებითა თუ სხვა დანაწესის გამოყენება დაუშვებელია, გარდა კანონის ინტერესებში წარდგენილი საკასაციო საჩივრისა.

მუხლი 5:128 საერთო ნაწილების გამოყენება

– 1. ბინის მესაკუთრეთა საერთო კრება უფლებამოსილია, დაადგინოს წესები უძრავი ნივთების იმ ნაწილების გამოყენებასთან დაკავშირებით, რომლებიც გამიზნულია რამდენიმე მესაკუთრის მიერ ერთობლივად სარგებლობისათვის, რამდენადაც შიდა პროცედურები არ ითვალისწინებს სხვაგვარ შეთანხმებას ამ საკითხთან დაკავშირებით.

– 2. ბინის ყოველ მესაკუთრეს სარგებლობის უფლების მქონე პირს შეუძლია ჰკითხოს, არის თუ არა ეს უკანასკნელი მზად დაიცვას წინა პარაგრაფში მითითებული წესები. თუ ეს პირი არ არის მზად ამისთვის ანდა არაფერს აცხადებს ამის შესახებ, მაშინ იმ რაიონული სასამართლოს მიერ, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც შენობა-ნაგებობა განთავსებულია სრულად ან უმეტესწილად, ბინის ყოველი მესაკუთრის მოთხოვნის საფუძველზე შეუძლია დაადგინოს, რომ აღნიშნული წესები გამოყენებულ იქნეს ასევე სარგებლობის უფლების მქონე პირის მიმართაც.

მუხლი 5:129 2:14 მუხლთან კავშირი; ბათილი გადაწყვეტილებები

– 1. სამოქალაქო კოდექსის 2:14 მუხლის მიზნებისათვის, ბინაზე საკუთრების უფლებათა დამდგენი სანოტარო აქტი უთანაბრდება იურიდიული პირის წესდებას.

– 2. სამოქალაქო კოდექსის 2:14 მუხლის პარ. 1-ის (c) პუნქტის მიზნებისათვის, ის შიდა პროცედურები, რომლებიც 5:111 მუხლის (d) პუნქტის საფუძველზე ქმნის ბინაზე საკუთრების უფლებათა დამდგენ სანოტარო აქტის ნაწილს, იურიდიული პირის შიდა პროცედურებად არ მიიჩნევა.

მუხლი 5:130 ბინის მესაკუთრეთა ასოციაციის საცილო გადაწყვეტილებები

– 1. სამოქალაქო კოდექსის 2:14 მუხლის პარ. 3-საგან განსხვავებით, ბინის მესაკუთრეთა ასოციაციის საცილო გადაწყვეტილება იმ პირის მოთხოვნის საფუძველზე, ვისაც წინამდებარე პარაგრაფის საფუძველზე შეუძლია ასეთი გადაწყვეტილების ბათილობის მოთხოვნა, ბათილდება იმ რაიონული სასამართლოს მიერ, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც შენობა-ნაგებობა განთავსებულია სრულად ან უმეტესწილად.

– 2. საცილო გადაწყვეტილების გაბათილების შესახებ განცხადება უნდა იქნეს წარდგენილი ერთი თვის ვადაში მას შემდეგ, როდესაც განმცხადებელმა შეიტყო ან მას უნდა შეეტყო გადაწყვეტილების მიღების შესახებ.

– 3. განმცხადებელი, ბინის მესაკუთრეთა ასოციაცია და ხმის მიცემაზე უფლებამოსილი ყველა სხვა პირი მოიწვევიან სასამართლოში საქმის განხილვაზე განცხადებასთან დაკავშირებით მოსმენის (გამოკითხვის) მიზნით. რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების წინააღმდეგ ზემდგომ ინსტანციაში სააპელაციო საჩივრის წარდგენა დასაშვებია ამ გადაწყვეტილების მიღებიდან მხოლოდ ერთი თვის ვადაში.

– 4. სასამართლო, რომლის განხილვაშია ზემოაღნიშნული განცხადება, უფლებამოსილია შეაჩეროს ბინის მესაკუთრეთა ასოციაციის ორგანოს გადაწყვეტილების ამოქმედება მანამდე, სანამ ამ განცხადებასთან დაკავშირებით მიღებული სასამართლოს გადაწყვეტილება არ შევა კანონიერ ძალაში და არ გახდება მბოჭავი.

მუხლი 5:131 დირექტორთა აღმასრულებელი საბჭო

- 1. ბინის მესაკუთრეთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო შედგება ერთი დირექტორისაგან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წესდება ადგენს, რომ სახეზეა ორი ან მეტი დირექტორი. ამ უკანასკნელ შემთხვევაში თითოეულ დირექტორს შეუძლია დამოუკიდებლად წარმოადგინოს ასოციაცია მესამე პირების წინაშე ანდა მათთან გარიგებების დადებისას, რამდენადაც წესდება სხვაგვარად არ ითვალისწინებს.

- 2. აღმასრულებელი საბჭო ინიშნება ბინის მესაკუთრეთა საერთო კრების მიერ მიუხედავად იმისა, კანდიდატის წარდგენა ხდება მისი წევრებიდან თუ არა, და ასევე დანიშვნის პროცესი მესაკუთრეთა საერთო კრების მიერ შეიძლება ნებისმიერ დროს შეჩერდეს ან გაუქმდეს. სასამართლო ვერ მიიღებს განკარგულებას დირექტორსა და ბინის მესაკუთრეთა ასოციაციას შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების აღდგენის შესახებ.

- 3. რამდენადაც წესდება სხვაგვარად არ ითვალისწინებს, აღმასრულებელი საბჭო მართავს ასოციაციის რესურსებს და უზრუნველყოფს ბინის მესაკუთრეთა საერთო კრების გადანყვეტილებათა რეალიზაციას.

- 4. ბინის მესაკუთრეთა საერთო კრებას თავისი გადანყვეტილებით შეუძლია გამორიცხოს წინა პარაგრაფის ნორმათა მოქმედება და აღმასრულებელ საბჭოს მისცეს მითითებები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა შესრულდეს მისი დავალებები. აღნიშნული გადანყვეტილებები ვერ იქნება გამოყენებული ასოციაციის კონტრაქტის მიმართ გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამ მხარემ იცოდა ან მას უნდა სცოდნოდა ამ გადანყვეტილებების მიღების შესახებ.

მუხლი 5:132 კერძო ფართებზე დაშვება

ბინის მესაკუთრეებმა და ასევე იმ პირებმა, რომლებსაც მინიჭებული აქვთ კერძო ფართით სარგებლობის უფლება, უნდა დაუშვან დირექტორი შესაბამის კერძო ფართზე იმდენად, რამდენად ეს აუცილებელია დირექტორთა აღმასრულებელი საბჭოს ამოცანების შესრულებისათვის. იგივე ვალდებულება არსებობს ასევე იმ პირთა მიმართაც, რომელთა წარდგენაც აღნიშნული მიზნით მოხდა დირექტორის მიერ.

მუხლი 5:133 აღმასრულებელი საბჭოს არარსებობა

- 1. იმ შემთხვევებში, როდესაც აღმასრულებელ საბჭოს არ შეუძლია საქმიანობის განხორციელება, ანდა როდესაც ასეთი საბჭოს არარსებობისას, მისი შეცვლა ხდება ბინის მესაკუთრეთა საერთო კრების თავმჯდომარით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვაგვარი პირობა იქნა გათვალისწინებული ამ საკითხთან დაკავშირებით წესდებაში ან ბინის მესაკუთრეთა საერთო კრების მიერ.

- 2. ერთი მხრივ, ბინის მესაკუთრეთა ასოციაციასა თუ ერთობლივად ბინის მესაკუთრესა და, მეორე მხრივ, ერთ-ერთ დირექტორს შორის ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში, ბინის მესაკუთრეთა საერთო კრების თავმჯდომარე ცვლის აღმასრულებელ საბჭოს იმ შემთხვევაში, როდესაც სხვა დირექტორები არ არიან სახეზე იმისათვის, რათა იმოქმედონ აღმასრულებელი საბჭოს სახელით ანდა – როდესაც აღმასრულებელ საბჭოს თავადაც არ შეუძლია საქმიანობა.

მუხლი 5:134 ბინის მესაკუთრეთათვის გაგზავნილი უწყებები და შეტყობინებები

- 1. ბინის მესაკუთრეთათვის გასაგზავნი უწყებები და შეტყობინებები ბინის მესაკუთრეთა საერთო კრების აღმასრულებელი საბჭოს დირექტორს შეიძლება გადაეცეს პირადად ან თავის ადგილსამყოფელზე, რა შემთხვევაშიც არ არის აუცილებელი მათში ბინის მესაკუთრეთა სახელებისა და სახლის მისამართების აღნიშვნა.

- 2. ზემოაღნიშნული დირექტორი დაუყოვნებლივ ატყობინებს ბინის მესაკუთრეებს უწყებებისა თუ შეტყობინებების შინაარსის შესახებ.

მუხლი 5:135 სამოქალაქო კოდექსის მე-2 ნიგნის ზოგიერთი ნორმის გამოყენება

ბინის მესაკუთრეთა ასოციაციის მიმართ შესაბამისად გამოიყენება სამოქალაქო კოდექსის 2:45 მუხლის პარ. 4-სა და 2:48 მუხლის ნორმები.

განყოფილება 5.9.3 – დაზღვევის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე უფლებები

მუხლი 5:136 დაზღვევის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე უფლებების რეალიზაცია

- 1. პირი, ვინც ბინის მესაკუთრეთა ასოციაციის შიდა რეგულაციების ძალით პასუხისმგებელია შენო-

ბა-ნაგებობისა და შესაბამისი მიწის ნაკვეთის დაზღვევაზე ერთობლივად ბინის მესაკუთრეთა სახელით, დაზღვევის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე უფლებების რეალიზაციისას წარმოადგენს ერთობლივად ბინის მესაკუთრეებს და მართავს ამ უკანასკნელთა სახელით მიღებულ დაზღვევის თანხებს.

– 2. როგორც კი მიიღება გადაწყვეტილება ხარვეზის გამოსწორების შესახებ, მიღებული დაზღვევის თანხები უნდა იქნეს გამოყენებული ამ მიზნით იმ პირობით, რომ ხარვეზის გამოსწორების შემდეგ ბინაზე საკუთრების უფლებათა ღირებულების ორმხრივი პროპორციები უნდა იყოს ანალოგიური იმისა, რაც არსებობდა მანამდე. ამ ღირებულების ოდენობის გამოთვლისას მხედველობაში არ მიიღება ბინის მესაკუთრის მიერ საკუთარი კერძო ფართის მიმართ განხორციელებული ფიზიკური ცვლილებები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შესაბამისმა ბინის მესაკუთრემ დაუყოვნებლივ შეატყობინა ამ ცვლილების შესახებ ბინის მესაკუთრეთა ასოციაციას.

– 3. კერძო ფართის ზიანის გამოსწორება უნდა განხორციელდეს შეძლებისდაგვარად იმ მესაკუთრეთა მითითებების შესაბამისად, რომელთა ფართებსაც ეს ზიანი ეხება.

– 4. თითოეული ბინის მესაკუთრისათვის დაზღვევის თანხის კუთვნილი წილის გადახდა შეიძლება მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში:

a. თუკი ზიანის გამოსწორების შემდეგ რჩება ნამეტი თანხა;

b. თუკი გასულია სამი თვე მას შემდეგ, რაც ბინის მესაკუთრეთა საერთო კრებამ მიიღო გადაწყვეტილება ზიანის გამოსწორებაზე ან შემდგომ გამოსწორებაზე უარის შესახებ;

c. თუკი შესაბამისი აქტივების (რეგისტრირებული ქონების) ბინაზე საკუთრების უფლებებზე დაყოფა შეწყვეტილია.

– 5. შიდა პროცედურებით დასაშვებია წინამდებარე მუხლის ნორმებიდან გადახვევა.

მუხლი 5:137 {დარეზერვებულია}

მუხლი 5:138 დავები ზიანის გამოსწორებასა თუ მისი მიღწევის ხერხებთან დაკავშირებით

დავები ზიანის გამოსწორებასთან ან იმ ხერხებთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა იქნეს ასეთი გამოსწორება მიღწეული, უშუალოდ დაინტერესებული მხარის მოთხოვნის საფუძველზე წყდება იმ რაიონული სასამართლოს მიერ, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც შენობა-ნაგებობა განთავსებულია სრულად ან უმეტესწილად. რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების წინააღმდეგ შემდგომ ინსტანციაში სააპელაციო საჩივრის წარდგენა დასაშვებია ამ გადაწყვეტილების მიღებიდან მხოლოდ ერთი თვის ვადაში.

განყოფილება 5.9.4 – იმ სანოტარო აქტში განხორციელებული ცვლილება, რომლითაც დადგენილ იქნა ბინაზე საკუთრების უფლებები, და ასევე ბინაზე საკუთრების უფლებებზე დაყოფის შეწყვეტა

მუხლი 5:139 იმ სანოტარო აქტში განხორციელებული ცვლილება, რომლითაც დადგენილ იქნა ბინაზე საკუთრების უფლებები

– 1. ცვლილება იმ სანოტარო აქტში, რომლითაც დადგენილ იქნა ბინაზე საკუთრების უფლებები, შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ბინის ყველა მესაკუთრის თანამონაწილეობით.

– 2. აღნიშნული ცვლილება შეიძლება განხორციელდეს ასევე მხოლოდ ბინის მესაკუთრეთა საერთო კრების აღმასრულებელი საბჭოს თანამონაწილეობით, თუკი ამ ცვლილების შეტანის შესახებ გადაწყვეტილება ბინის მესაკუთრეთა საერთო კრებამ მიიღო ბინის ყველა მესაკუთრის კუთვნილი ხმების რაოდენობის, სულ ცოტა, 80 პროცენტის უმრავლესობით ანდა – ისეთი უმრავლესობით, რომელიც ამ მიზნით სათანადოდ ჩაითვლება იმ სანოტარო აქტის შესაბამისად, რომლითაც დადგენილ იქნა ბინაზე საკუთრების უფლებები. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად ბინის მესაკუთრეთა საერთო კრების მოწვევის ვადა შეადგენს, სულ ცოტა, თხუთმეტ დღეს. შესაბამისად გამოიყენება სამოქალაქო კოდექსის 2:42 მუხლის პარ. 1-ის პირველი წინადადების, პარ. 2-ის პირველი წინადადებისა და პარ. 3-ის ნორმები.

– 3. ცვლილება იმ სანოტარო აქტში, რომლითაც დადგენილ იქნა ბინაზე საკუთრების უფლებები, მოითხოვს იმ პირთა თანხმობას, რომლებსაც ბინაზე საკუთრების უფლებებზე აქვთ შეზღუდული სანივთო უფლება, ანდა ასევე იმ პირთა თანხმობასაც, რომლებმაც მოახდინეს ბინაზე საკუთრების დაყადაღება, ხოლო თუკი ბინაზე საკუთრების უფლებებზე დაყოფაში ჩართულ ერთ-ერთ აქტივს (რეგისტრირებულ ქონებას) წარმოადგენს გრძელვადიანი იჯარა ან აღნაგობის უფლება, – მაშინ ამ გრძელვადიანი იჯარი-

თა თუ აღნაგობის უფლებით დატვირთული უძრავი ნივთის მესაკუთრის თანხმობაც. ასევე აუცილებელია ბინაზე საკუთრების უფლებაზე არსებული სერვიტუტზე უფლებამოსილი პირების თანხმობაც, თუკი მათი უფლება იზღუდება ასეთი ცვლილებით.

– 4. თუ ცვლილება დაკავშირებულია მხოლოდ და მხოლოდ შიდა პროცედურებთან, მაშინ ყადაღის კრედიტორების თანხმობა არ მოითხოვება.

– 5. ცვლილება ძალაში შედის იმ მომენტიდან, როდესაც ამ მიზნით შედგენილი სანოტარო აქტი რეგისტრაციაში ტარდება რეგისტრირებული ქონების საჯარო რეესტრებში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს აქტი უთითებს უფრო გვიანდელ თარიღს. თუკი ცვლილება ეხება შენობა-ნაგებობისა თუ შესაბამისი მიწის ნაკვეთის იმ ნაწილების საზღვრებს, რომლებიც განკუთვნილია მხოლოდ და მხოლოდ კერძო ფართების სახით გამოყენებისათვის, მაშინ შესაბამისად გამოიყენება 5:109 მუხლის პარ. 2-ის ნორმები.

მუხლი 5:140 რაიონული სასამართლოს ნებართვა

– 1. როდესაც პირი, რომლის თანამშრომლობა ანდა თანხმობაც მოითხოვება, როგორც ეს მითითებულია წინა მუხლის პარ. 1 და 3-ში, არ აკეთებს განცხადებას საჭირო თანამშრომლობისა თუ თანხმობის შესახებ, ანდა თუ ის უარს აცხადებს თანამშრომლობასა თუ თავისი თანხმობის მიცემაზე გონივრული საფუძვლის გარეშე, მაშინ აღნიშნული თანამშრომლობა თუ თანხმობა შეიძლება შეიცავლოს იმ რაიონული სასამართლოს ნებართვით, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც შენობა-ნაგებობა განთავსებულია სრულად ან უმეტესწილად.

– 2. აღნიშნული ნებართვა შეიძლება გაიცეს მხოლოდ ერთი ან მეტი ბინის მესაკუთრის მოთხოვნის საფუძველზე, რომელიც ფლობს ბინის მესაკუთრეთა საერთო კრების ხმათა რაოდენობის, სულ ცოტა, ნახევარს მაინც.

– 3. ზემოაღნიშნული ნებართვა შეიძლება გაიცეს ასევე ბინის ორი მესაკუთრის მოთხოვნის საფუძველზეც ანდა – იმ მესაკუთრის მოთხოვნის საფუძველზეც, რომელსაც აქვს ბინებზე საკუთრების რამდენიმე უფლება, თუკი ცვლილება ეხება მხოლოდ შენობა-ნაგებობისა თუ შესაბამისი მიწის ნაკვეთის იმ ნაწილების საზღვრებს, რომლებიც განკუთვნილია მხოლოდ და მხოლოდ კერძო ფართების სახით გამოყენებისათვის მიუხედავად იმისა, დაკავშირებულია თუ არა ის ბინაზე საკუთრების უფლებებზე დაყოფაში ჩართულ აქტივებში (რეგისტრირებულ ქონებაში) მათი ნილობრივი მონაწილეობის ცვლილებასთან ანდა – იმ ვალებსა და ხარჯებში მონაწილეობასთან, რომლებიც კანონისა თუ შინდა პროცედურების შესაბამისად უნდა დაიფაროს ბინის მესაკუთრეთა მიერ ერთობლივად.

– 4. ყველა ის პირი, რომელთა თანამშრომლობა თუ თანხმობა მოითხოვება 5:139 მუხლის შესაბამისად, პერსონალურად მოინვესტიან სასამართლოს მიერ საქმის განხილვაზე წინა პარაგრაფში მითითებულ განცხადებასთან დაკავშირებით მოსმენის (გამოკითხვის) მიზნით.

მუხლი 5:140a რაიონული სასამართლოს მიერ მინიჭებული ნებართვა, რომელიც ცვლის აუცილებელ თანამშრომლობასა თუ თანხმობას

– 1. თუ 5:139 მუხლის პარ. 1 და 3-ში მითითებული ერთი ან რამდენიმე პირი არ გამოხატავს თავის აზრს ანდა ამისათვის ნებისმიერი გონივრული საფუძვლის გარეშე უარს აცხადებს 5:127a მუხლის პარ. 1-ის ხ პუნქტის საფუძველზე შეთავაზებული შიდა რეგულაციების ცვლილებასთან დაკავშირებულ თანამშრომლობასა თუ თანხმობაზე, მაშინ ასეთი თანამშრომლობა თუ თანხმობა შეიძლება შეიცავლოს იმ რაიონული სასამართლოს ნებართვით, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც შენობა-ნაგებობა განთავსებულია სრულად ან უმეტესწილად.

– 2. ნებართვა შეიძლება გაიცეს მხოლოდ იმ მუნიციპალიტეტის მოთხოვნის საფუძველზე, რომლის ტერიტორიაზეც განთავსებულია შენობა-ნაგებობა, თუკი ბინის მესაკუთრეთა ასოციაციაში საერთო კრების ხმათა რაოდენობის, სულ ცოტა, ნახევრის მქონე ერთმა ან რამდენიმე მესაკუთრემ განაცხადა, რომ ის მხარს უჭერს შიდა რეგულაციების შესაბამისი ცვლილების მიღებას.

– 3. ყველა ის პირი, რომელთა თანამშრომლობა თუ თანხმობა მოითხოვება 5:139 მუხლის შესაბამისად, პერსონალურად უნდა იქნენ მოწვეული სასამართლოში მოსმენის მიზნით, როგორც ეს მითითებულია პარ. 2-ში.

მუხლი 5:140b ცვლილების შეტანის შესახებ მიღებული საცილო გადაწყვეტილების გაბათილება

– 1. 5:139 მუხლის პარ. 2-ის შესაბამისად ბინაზე საკუთრების უფლებათა დამდგენ სანოტარო აქტის ცვლილებასთან დაკავშირებით ხმათა უმრავლესობით მიღებული საცილო გადაწყვეტილება გაბათილ-

დება სასამართლოს გადაწყვეტილებით ბინის იმ მესაკუთრის მოთხოვნის საფუძველზე, რომელმაც არ მისცა ხმა ამ გადაწყვეტილების მიღების სასარგებლოდ.

– **2.** საცილო გადაწყვეტილების გაბათილების მოთხოვნით სარჩელის უფლების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ თვეს, რომელიც აითვლება იმ დღიდან, როდესაც ეს გადაწყვეტილება იქნა მიღებული ბინის მესაკუთრეთა საერთო კრების მიერ.

– **3.** სასამართლოს შეუძლია უარი თქვას საცილო გადაწყვეტილების გაბათილების მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც განმცხადებელმა ცვლილების შედეგად არ განიცადა რაიმე ზიანი ანდა – როდესაც მას სთავაზობენ გონივრულ საკომპენსაციო თანხას, რომელიც ასევე საკმარისად არის უზრუნველყოფილი.

მუხლი 5:141 საანოტარო აქტის საცილო ცვლილებების გაბათილება

– **1.** როდესაც ცვლილება ხორციელდება საჭირო თანხმობის გარეშე და ასევე რაიონული სასამართლოს ალტერნატიული ნებართვის გარეშე, როგორც ეს მითითებულია 5:139, 5:140 და 5:140a მუხლებში, ასეთი ცვლილება საცილოა და ის შეიძლება გაბათილდეს სასამართლოს მიერ იმ პირის მოთხოვნის საფუძველზე, რომლის თანხმობაც არ ყოფილა მიღებული.

– **2.** საცილო გადაწყვეტილების გაბათილების მოთხოვნით სარჩელის უფლების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს ერთ წელს, რომელიც აითვლება იმ დღიდან, როდესაც იმ პირმა, რომელსაც შეუძლია მოითხოვოს გადაწყვეტილების ბათილობა, შეიტყო ცვლილების განხორციელების შესახებ ანდა მას ამის თაობაზე წერილობით შეატყობინეს.

– **3.** სასამართლოს შეუძლია უარი თქვას საცილო გადაწყვეტილების გაბათილების მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც განმცხადებელმა ცვლილების შედეგად არ განიცადა რაიმე ზიანი ანდა – როდესაც მას სთავაზობენ გონივრულ საკომპენსაციო თანხას, რომელიც ასევე საკმარისად არის უზრუნველყოფილი.

მუხლი 5:142 ცვლილებების სამართლებრივი შედეგები არსებული შეზღუდული სანივთო უფლებების, ყადაღებისა და პრივილეგიების მიმართ

– **1.** იმ შემთხვევაში, თუ მოხდა ბინაზე საკუთრების დაყადაღება ან შეზღუდული სანივთო უფლებებით დატვირთვა მანამდე, სანამ შეიცვლებოდა ის საანოტარო აქტი, რომლითაც დადგინდა შეზღუდული სანივთო უფლებები, – ბინაზე შეცვლილი საკუთრების უფლებები ცვლილების შემდეგაც რჩება დაყადაღებული ან ამ შეზღუდული სანივთო უფლებებით დატვირთული, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საანოტარო აქტის ცვლილება სხვაგვარად ითვალისწინებს.

– **2.** პრივილეგიები ძალაში რჩება იმ საანოტარო აქტში ცვლილების შეტანის შემდეგ, რომლითაც დადგინდა ბინაზე საკუთრების უფლებები.

მუხლი 5:143 ბინაზე საკუთრების უფლებებზე დაყოფის შეწყვეტა

– **1.** ბინაზე საკუთრების უფლებებზე დაყოფა წყდება კანონის ძალით:

a. გრძელვადიანი იჯარის შეწყვეტისა თუ აღნაგობის უფლების გაუქმებისას, რაც წარმოადგენდა ბინაზე საკუთრების უფლებებზე დაყოფაში ჩართულ ერთადერთ აქტივს (რეგისტრირებულ ქონებას), რომლის დროსაც აღნიშნული უფლების გაუქმებას არ მოსდევს იმავე უძრავ ნივთზე ბინის მესაკუთრეთა სასარგებლოდ ახალი გრძელვადიანი იჯარისა თუ ახალი აღნაგობის უფლების დადგენა;

b. სასამართლოს იმ გადაწყვეტილების რეგისტრირებული ქონების საჯარო რეესტრებში რეესტრაციის გატარებით, რომლითაც ბინაზე საკუთრების უფლებებზე დაყოფაში ჩართული საკადასტრო მიწის ნაკვეთი სრულად იქნა ჩამორთმეული და რომლის დროსაც არც ერთი სხვა მიწის ნაკვეთები არ იყო ჩართული ბინაზე საკუთრების უფლებებზე დაყოფის პროცესში.

– **2.** ყველა სხვა შემთხვევაში ბინაზე საკუთრების უფლებებზე დაყოფა წყდება ამ მიზნით შედგენილი საანოტარო აქტით რეგისტრირებული ქონების საჯარო რეესტრებში ამ აქტის შემდგომი რეგისტრაციით. შესაბამისად გამოიყენება 5:139 მუხლის პარ. 1 და 3-ის, 5:140 მუხლის პარ. 1, 2 და 4-სა და 5:141 მუხლის ნორმები.

მუხლი 5:144 სასამართლოს გადაწყვეტილება

– **1.** იმ პირის მოთხოვნის საფუძველზე, რომლის თანამშრომლობა თუ თანხმობა მოითხოვება იმ საანოტარო აქტში ცვლილების შეტანისათვის, რომლითაც დადგინდა ბინაზე საკუთრების უფლებები ანდა – ბინაზე საკუთრების უფლებებზე დაყოფის შეწყვეტისათვის, იმ რაიონული სასამართლოს, რომლის სა-

მოქმედო ტერიტორიაზეც შენობა-ნაგებობა განთავსებულია სრულად ან უმეტესწილად, შეუძლია დაადგინოს, რომ ზემოთ ნახსენები სანოტარო აქტი იცვლება ანდა – ბინაზე საკუთრების უფლებებზე დაყოფა წყდება იმ შემთხვევაში, როდესაც:

a. ის სანოტარო აქტი, რომლითაც მოხდა ბინაზე საკუთრების უფლებების დადგენა, არ აკმაყოფილებს 5:111 და 5:112 მუხლებში გათვალისწინებულ მოთხოვნებს;

b. კერძო ფართების დანიშნულების სქემიდან არ ჩანს, რომ ისინი გამიზნულია კერძო ფართების სახით გამოყენებისათვის;

c. შენობა-ნაგებობის მშენებლობა ან დანიშნულების სქემა ანდა შესაბამისი მიწის ნაკვეთის დანიშნულების სქემა არ ან აღარ შეესაბამება იმ სანოტარო აქტში მოცემულ აღწერილობას, რომლითაც მოხდა ბინაზე საკუთრების უფლებების დადგენა;

d. ხდება 5:107 მუხლით გათვალისწინებული ბინაზე საკუთრების უფლებებზე დაყოფა, თუკი შენობა-ნაგებობის დაგეგმილი მშენებლობა ან დანიშნულების სქემის ცვლილება არ იქნა დასრულებული რეგისტრაციის დღიდან სამი წლის ვადის განმავლობაში;

e. გრძელვადიანი იჯარა ან აღნაგობის უფლება, სხვა აქტივებთან (რეგისტრირებულ ქონებასთან) ერთად, ქმნიდა ერთ-ერთ იმ აქტივს (რეგისტრირებულ ქონებას), რომელიც დაიყო ბინაზე საკუთრების უფლებებზე, ხოლო აღნიშნული გრძელვადიანი იჯარა ან აღნაგობის უფლება კი გაუქმდა;

f. განხორციელდა ერთი ან მეტი, თუმცა არა ყველა იმ აქტივის იძულებითი რეალიზაცია (იძულებითი გაყიდვა), რომელიც ჩართულია ბინაზე საკუთრების უფლებებზე დაყოფის პროცესში, ან როდესაც მოხდა ერთი ან მეტი, თუმცა არა ყველა იმ საკადასტრო მიწის ნაკვეთის ჩამორთმევა, რომელიც ჩართულია ბინაზე საკუთრების უფლებებზე დაყოფის პროცესში, ანდა – როდესაც დაყოფის განმახორციელებელ პირს არა აქვს ერთი ან მეტი, თუმცა არა – დაყოფის პროცესში ჩართული არა ყველა აქტივის (რეგისტრირებული ქონების) განკარგვის უფლებამოსილება;

g. შენობა-ნაგებობა მნიშვნელოვნად დაზიანდა ანდა მოხდა მისი სრული ან ნაწილობრივი დემონტაჟი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გონივრულ ვადაში მოსალოდნელია შენობა-ნაგებობის აღდგენა;

h. ბინის ყველა მესაკუთრემ იკისრა დადოს წინამდებარე მუხლში მითითებული ცვლილებების შესახებ შეთანხმება ანდა შეწყვიტოს ბინაზე საკუთრების უფლებებზე დაყოფის პროცესი.

– 2. როდესაც სასამართლო აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ მოთხოვნას, მას ამის გაკეთება შეუძლია კონკრეტული პირობების გათვალისწინებით.

– 3. შესაბამისად გამოიყენება 5:140 მუხლის პარ. 4-ის ნორმები.

მუხლი 5:145 სასამართლოს გადაწყვეტილების შესრულება

– 1. ბინის მესაკუთრეები ვალდებული არიან, შეასრულონ წინა მუხლში მითითებული სასამართლოს გადაწყვეტილება იმ მომენტიდან, როგორც კი ეს უკანასკნელი შედის კანონიერ ძალაში და ხდება მხოტავი. ასეთ შემთხვევაში 5:139 მუხლის პარ. 1 და 3-ში და ასევე 5:143 მუხლის პარ. 2-ში მითითებული თანხმობა არ მოითხოვება.

– 2. თუ რაიონულმა სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის 3:300 მუხლის ნორმების ძალით დანიშნა წარმომადგენელი, მაშინ ის უშუალოდ დაინტერესებული მხარის მოთხოვნის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით განსაზღვრავს ამ წარმომადგენლისათვის გადასახდელი საზღაურის თანხის ოდენობას. ეს უკანასკნელის გადახდა ეკისრებათ იმ პირებს, რომელთა წარმომადგენლობასაც ახორციელებს აღნიშნული წარმომადგენელი.

მუხლი 5:146 არსებული შეზღუდული სანივთო უფლებების, ყადაღებისა და პრივილეგიების მდგომარეობა მას შემდეგ, რაც ბინაზე საკუთრების უფლებებზე დაყოფის პროცესის დასრულების გამო გაუქმდა ბინაზე საკუთრების უფლებები

ბინის საკუთრებაზე არსებული შეზღუდული სანივთო უფლებები, ყადაღები და პრივილეგიები ბინაზე საკუთრების უფლებებზე დაყოფის პროცესის დასრულების შემდეგ ანალოგიურად ვრცელდება იმ წილზეც, რომელიც ყოფილმა მესაკუთრემ დაყოფის პროცესის შედეგად მიიღო ამ პროცესში ჩართულ აქტივებში (რეგისტრირებულ ქონებაში).

მუხლი 5:147 ბინის მესაკუთრეთა გაუქმებული ასოციაციის ქონების ლიკვიდაცია

– 1. როდესაც ბინაზე საკუთრების უფლებებზე დაყოფის პროცესი წყდება, კანონის ძალით იწყება ბინის მესაკუთრეთა გაუქმებული ასოციაციის ქონების ლიკვიდაცია.

– **2.** ბინის მესაკუთრეთა ასოციაციის ქონების ლიკვიდაცია ხორციელდება სამოქალაქო კოდექსის 2:23 და 2:24 მუხლებიდან გამომდინარე განსხვავებული წესების ჯეროვანი დაცვით.

– **3.** მას შემდეგ, რაც ბინის მესაკუთრეთა ასოციაციის კრედიტორები დაკმაყოფილდებიან ასოციაციის ქონებიდან, ლიკვიდატორი ანაწილებს დარჩენილ ქონებას იმ პირებზე, რომლებიც ბინაზე საკუთრების უფლებებად დაყოფის პროცესის დასრულების მომენტში იყვნენ ბინის მესაკუთრეები, თითოეულზე – საკუთარი წილისათვის, როგორც ეს 5:113 მუხლის პარ. 1-ში არის მითითებული.

– **4.** სამოქალაქო კოდექსის 2:23 მუხლის პარ. 1-ის მესამე წინადადების, პარ. 4-sa და 2:23c მუხლის პარ. 1-ის ნორმები ბინის მესაკუთრეთა ასოციაციის ქონების ლიკვიდაციის მიმართ არ გამოიყენება. ნარდგენილი ანგარიშის შემოწმებისათვის განთავსება და ასევე სამოქალაქო კოდექსის 2:23 მუხლის 2:23b მუხლის პარ. 4-ში მითითებული განაწილებული ქონების ჩამონათვალი უნდა გადაეცეს იმ რაიონული სასამართლოს რეგისტრატორს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც შენობა-ნაგებობა განთავსებულია სრულად ან უმეტესწილად. სამოქალაქო კოდექსის 2:24 მუხლის პარ. 2-სა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 995-ე მუხლის პირველი პარაგრაფის ნორმებით განსაზღვრული სასამართლოს ნაცვლად, განსჯადი იქნება ის სასამართლო, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც შენობა-ნაგებობა განთავსებულია სრულად ან უმეტესწილად.

მე-6 ნიშნი – ვალდებულებითი სამართალი

ტიტული 6.1 – ვალდებულებები ზოგადად

„ვალდებულება“ წარმოადგენს, როგორც წესი, ორ პირს, ერთი მხრივ, კრედიტორსა და, მეორე მხრივ, მოვალეს შორის არსებულ კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობას, რომელიც წარმოიშობა შეთანხმებით (ხელშეკრულებით) ან კანონის ძალით, ამ უკანასკნელ შემთხვევაში კი, – იმ მომენტში, როგორც კი ადგილი აქვს იმ მოვლენას, რომელიც სოციალური შეხედულების სტანდარტებისათვის სასურველს ხდის იმას, რომ – როგორც ეს დაფიქსირებულია კანონში – ერთმა პირმა შეიძინოს შესრულების მოთხოვნის უფლება, რაც უნდა განხორციელდეს სხვა პირის მიერ (დელიქტი, დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება, არარსებული ვალდებულების შესრულება, უსაფუძვლო გამდიდრება).

მიუხედავად იმისა, თუ რომელი წყაროდან წარმოიშობა ვალდებულება (ხელშეკრულება, დელიქტი, არარსებული ვალდებულების შესრულება და ა. შ.), მისი შინაარსი სამართლებრივი თვალსაზრისით ყოველთვის ერთი და იგივე ფორმისაა. მოვალემ უნდა შეასრულოს რაიმე კრედიტორი მიმართ ან მის სასარგებლოდ. ვალდებულების ამ ნაწილს მოვალის „ვალს“ უწოდებენ. ვალდებულების ფარგლებში (ანუ თავის მოვალესთან ამ კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში) კრედიტორი უფლებამოსილია ამ შესრულებაზე და, აუცილებლობის შემთხვევაში, მას შეუძლია სთხოვოს სასამართლოსა და პოლიციას დახმარება თავისი მოვალისაგან ამ შესრულების ანდა მინიმუმ მსგავსი ფულადი კომპენსაციის მიღებასთან დაკავშირებით. ვალდებულების ამ ნაწილს „სავალო მოთხოვნას“ უწოდებენ, რომელიც არამატერიალური აქტივის სახით ეკუთვნის კრედიტორს და ქმნის მისი ქონების ნაწილს, მსგავსად იმისა, როგორც, მაგალითად, მისი საკუთრების უფლება სახლზე.

ვალდებულების შინაარსის მიხედვით, ამჯერად კი იმასთან დაკავშირებით, რაც უნდა რეალურად განხორციელდეს მოვალის მიერ თავისი ვალის დასაფარად, ნებისმიერი შესრულება – და, ამავე დროს, არა მხოლოდ ფულადი თანხის გადახდის ვალდებულების შესრულება – შეიძლება იყოს კრედიტორის სავალო მოთხოვნის საგანი. შესაბამისად, მოვალის მიმართ სახლის საკუთრებაში გადაცემის პირად უფლებასა თუ განსაზღვრული მომსახურების განწევის მოთხოვნას „სავალო მოთხოვნას“ უწოდებენ მსგავსად იმისა, როდესაც არსებობს გასაზღვრული ფულადი თანხის გადახდის მოთხოვნის უფლება. სიტყვა „სავალო“ წინ უსწრებს სიტყვას „მოთხოვნა“ იმისათვის, რომ სავალო მოთხოვნა განვასხვაოთ სხვა სახის მოთხოვნებისაგან, როგორცაა, მაგ., მეუღლეთა ერთმანეთის მიმართ ერთად ფაქტობრივი ცხოვრებისა და ერთგულების მოთხოვნა ანდა – სასარჩელო მოთხოვნა (სარჩელის უფლება), რომელიც წარდგენილ უნდა იქნეს სასამართლოში. ვალდებულებითი სამართალი განსაზღვრავს, თუ რას შეიძლება ელოდონ მოვალე და კრედიტორი ერთმანეთისაგან თავიანთი კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის (ვალდებულების) ფარგლებში და რისი გაკეთება შეუძლიათ მათ იმ შემთხვევაში, თუკი მეორე მხარე არ ამართლებს ამ მოლოდინებს.

განყოფილება 6.1.1 – ზოგადი დებულებები

მუხლი 6:1 ვალდებულებების წარმოშობა

ვალდებულებები შეიძლება წარმოიშვას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ეს გამომდინარეობს კანონიდან.

მუხლი 6:2 გონივრულობა და სამართლიანობა კრედიტორსა და მოვალეს შორის არსებულ ურთიერთობებში

– 1. კრედიტორი და მოვალე ერთმანეთის მიმართ უნდა მოქმედებდნენ გონივრულობისა და სამართლიანობის სტანდარტების შესაბამისად.

– 2. კანონის, ზოგადი პრაქტიკისა თუ გარიგების ძალით კრედიტორსა და მის მოვალეს შორის მოქმედი წესი არ გამოიყენება იმდენად, რამდენადაც არსებული გარემოებიდან გამომდინარე ეს წესი მიუღებელი იქნებოდა გონივრულობისა და სამართლიანობის სტანდარტების შესაბამისად.

მუხლი 6:3 ნატურალური ვალდებულება

– 1. სამართლებრივი თვალსაზრისით ნატურალური ვალდებულება არ არის სასამართლო წესით დაცვადი ვალდებულება.

– 2. ნატურალური ვალდებულება არსებობს:

a. როდესაც კანონით ან გარიგებით უარყოფილია ამ ვალდებულების სასამართლო წესით დაცვის შესაძლებლობა;

b. როდესაც პირს აქვს ისეთი სახის სასწრაფო მორალური ვალდებულება სხვა პირის წინაშე, რომლის შესრულებაც, მართალია, სამართლებრივი თვალსაზრისით არ არის სასამართლო წესით დაცვადი, თუმცა სოციალური სტანდარტების (საერთო შეფასების) შესაბამისად განიხილება როგორც იმ შესრულების განხორციელება, რაზეც ეს სხვა პირი არის უფლებამოსილი.

მუხლი 6:4 ვალდებულებითი სამართლის ნორმების გამოყენება

ვალდებულებითი სამართლის ნორმები შესაბამისად გამოიყენება ნატურალური ვალდებულებების მიმართაც, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კანონისა თუ საკანონმდებლო ნორმის აუცილებელი გავლენის შედეგად ნორმა ვერ იქნება გამოყენებული იმ ვალდებულების მიმართ, რომელიც არ ექვემდებარება სასამართლო წესით დაცვას.

მუხლი 6:5 ნატურალური ვალდებულების გარდაქმნა სასამართლო წესით დაცვად ვალდებულებაში

– 1. ნატურალური ვალდებულება გარდაიქმნება სასამართლო წესით დაცვად ვალდებულებად ამ მიზნით მოვალესა და კრედიტორს შორის შეთანხმების დადების გზით.

– 2. კრედიტორის ნარდგენილი მოვალის შეთავაზება, უსასყიდლოდ დაიდოს აღნიშნული შეთანხმება, მიიჩნევა მიღებულად, როდესაც შეთავაზება ცნობილი გახდა კრედიტორისათვისა და მან დაუყოვნებლივ არ უარყო ის.

– 3. წინამდებარე მუხლში მითითებული შეთანხმების მიმართ ჩუქების მომწესრიგებელი საკანონმდებლო ნორმები არ მოქმედებს.

განყოფილება 6.1.2 – მოვალეთა სიმრავლე და სოლიდარული პასუხისმგებლობა

მუხლი 6:6 ინდივიდუალური პასუხისმგებლობა და სოლიდარული პასუხისმგებლობა

– 1. თუ ვალდებულების შესრულებას ერთობლივად კისრულობს ორი ან მეტი მოვალე, მაშინ ყოველმა მათგანს ეკისრება პასუხისმგებლობა თანაბარწილად, თუკი კანონიდან, ზოგადი პრაქტიკიდან ან გარიგებიდან არ გამომდინარეობს ის, რომ ისინი პასუხს აგებენ არათანაბარწილად ანდა – სოლიდარულად.

– 2. თუ ვალდებულების შესრულება არ ექვემდებარება დაყოფას ანდა თუკი კანონიდან, ზოგადი პრაქტიკიდან ან გარიგებიდან გამომდინარეობს ის, რომ თითოეული მოვალე პასუხისმგებელია მთლიანი ვალისათვის, მაშინ ეს მოვალეები პასუხს აგებენ სოლიდარულად.

– 3. მოვალესა და კრედიტორს შორის არსებული შეთანხმებიდან შეიძლება გამომდინარეობს ის, რომ როდესაც ვალდებულება გადავა მოვალის ორ ან მეტ უფლებამონაცვლეზე, ეს უკანასკნელები პასუხისმგებელი იქნებიან არათანაბარწილად ანდა – სოლიდარულად.

მუხლი 6:7 სოლიდარული მოვალეების პასუხისმგებლობა

– 1. თუ ორი ან მეტი მოვალე სოლიდარულად არის პასუხისმგებელი ვალდებულებისათვის, მაშინ კრედიტორი თითოეული მათგანის მიმართ უფლებამოსილია, მოითხოვოს მთლიანი ვალდებულების სრულად შესრულება.

– 2. სოლიდარული ვალდებულების შესრულება ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიერ ათავისუფლებს კრედიტორის წინაშე ვალდებულებისაგან ასევე სხვა სოლიდარულ მოვალეებსაც. იგივე წესი მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც სოლიდარული ვალდებულების შესრულება ხდება გაქვითვისა თუ ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის კრედიტორთან დადებული შეთანხმების საფუძველზე ახალი ვალის

კისრებით, ისევე როგორც – იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მოთხოვნის საფუძველზე იყენებს 6:60 მუხლის ნორმებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სასამართლომ ასეთ შემთხვევაში სხვაგვარი გადაწყვეტილება მიიღო.

მუხლი 6:8 გონივრულობა და სამართლიანობა სოლიდარულ მოვალეებს შორის შიდა ურთიერთობაში

6:2 მუხლის ნორმები შესაბამისად გამოიყენება სოლიდარულ მოვალეებს შორის შიდა (ორმხრივი) სამართლებრივი ურთიერთობის მიმართ.

მუხლი 6:9 კრედიტორის მიერ სავალო მოთხოვნაზე უარი და გადახდის ვადის გახანგრძლივება

– 1. ყოველ სოლიდარულ მოვალეს შეუძლია სხვა სოლიდარული მოვალეების სასარგებლოდ დაეთანხმოს კრედიტორის მიერ თავის სავალო მოთხოვნაზე უსასყიდლო უარის შეთავაზებას იმდენად, რამდენადაც ეს შეთავაზება ეხება ასევე სხვა სოლიდარული მოვალეების პასუხისმგებლობასაც.

– 2. კრედიტორის მიერ ერთ-ერთი სოლიდარული მოვალისათვის თანხის გადახდის ვადის გახანგრძლივება (გადავადება) მოქმედებს ასევე სხვა სოლიდარული მოვალეების სასარგებლოდაც იმდენად, რამდენადაც ჩანს, რომ ასეთია კრედიტორის განზრახვა.

მუხლი 6:10 მონაწილეობა საერთო ვალდებულების შესრულებაში

– 1. ყოველმა სოლიდარულმა მოვალემ საერთო ვალდებულების იმ ნაწილში, რომლისათვისაც ის პასუხისმგებელია სხვა სოლიდარულ მოვალეებთან თავისი არსებული შიდა ურთიერთობიდან გამომდინარე, საკუთარი წვლილი უნდა შეიტანოს საერთო ვალდებულების შესრულებაში და ასევე – მონაწილეობა მიიღოს შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვაში ქვემოთ მოცემული პარაგრაფების შესაბამისად.

– 2. იმ ფარგლებში, რომლებშიც სოლიდარულმა მოვალემ კრედიტორის მიმართ განახორციელა უფრო მეტი შესრულება საერთო ვალდებულებისა იმ ნაწილთან შედარებით, რომლისათვისაც ის არის პასუხისმგებელი სხვა სოლიდარულ მოვალეებთან არსებული თავის შიდა ურთიერთობიდან გამომდინარე, მას ამ უკანასკნელებისაგან შეუძლია მოითხოვოს მათ მიერ შესრულებაში საკუთარი წვლილის შეტანა; ყოველმა სხვა სოლიდარულმა მოვალემ მის მიმართ უნდა შეასრულოს საერთო ვალდებულების ის ნაწილი, რომლისათვისაც ისინი არიან პასუხისმგებელი ერთმანეთთან თავიანთი არსებული შიდა ურთიერთობიდან გამომდინარე.

– 3. ყოველმა სოლიდარულმა მოვალემ საერთო ვალდებულების იმ ნაწილის შესაბამისად, რომლისათვისაც ის პასუხისმგებელია სხვა სოლიდარულ მოვალეებთან თავისი არსებული შიდა ურთიერთობიდან გამომდინარე, საკუთარი წვლილი უნდა შეიტანოს იმ ხარჯების დაფარვაში, რომლებიც გონივრულად იქნა გაწეული ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიერ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ხარჯები ეხება მხოლოდ პირადად ამ მოვალეს.

მუხლი 6:11 სამართლებრივი დაცვის საშუალებები

– 1. იმ სოლიდარულ მოვალეს, რომელსაც ერთ-ერთი სხვა სოლიდარული მოვალე თავისი შიდა ურთიერთობიდან გამომდინარე სთხოვს წინა მუხლში განსაზღვრული საკუთარი წვლილის შეტანას, შეუძლია ამ სხვა სოლიდარული მოვალის მიმართ გამოიყენოს სამართლებრივი დაცვის ყველა ის საშუალება, რომლის წარდგენასაც ის შეძლებდა კრედიტორის მიმართ იმ მომენტში, როდესაც წარმოიშვა მასზე დაკისრებული საერთო ვალდებულებაში საკუთარი წვლილის შეტანისა და ხარჯებში მონაწილეობის ვალდებულება.

– 2. მიუხედავად აღნიშნულისა, სოლიდარული მოვალე ვერ გამოიყენებს ზემოაღნიშნულ სამართლებრივი დაცვის საშუალებას სხვა სოლიდარული მოვალეების მიმართ, თუკი ასეთი საშუალება გამომდინარეობს მასსა და კრედიტორს შორის იმ მომენტში დადებული გარიგებიდან, როდესაც ამ კრედიტორის მიმართ სოლიდარული მოვალეების საერთო ვალდებულება უკვე წარმოიშვა.

– 3. იმ ფაქტზე მითითება, რომ კრედიტორის სარჩელის უფლება ხანდაზმულია, შეუძლია მხოლოდ იმ სოლიდარულ მოვალეს, რომელსაც სხვა სოლიდარული მოვალის მიერ ეთხოვა საერთო ვალდებულებაში საკუთარი წვლილის შეტანა, როდესაც მის მიერ თავისი წვლილის შეტანის ვალდებულების წარმოშობის მომენტში როგორც თავად ამ მოვალეს, ისე იმ მოვალესაც, რომელმაც სთხოვა მას საკუთარი წვლილის შეტანა, შეუძლია კრედიტორის მიმართ სარჩელის უფლების ხანდაზმულობაზე მითითება.

– 4. წინა პარაგრაფების ნორმები გამოიყენება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც სოლიდარულ მოვალეებს შორის შიდა ურთიერთობა სხვა წესს გულისხმობს.

მუხლი 6: 12 სუროგაცია

– 1. როდესაც ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიერ საერთო ვალდებულება სრულდება იმ ნაწილზე მეტი მოცულობით, რომლისათვისაც ის პასუხისმგებელია სხვა სოლიდარულ მოვალეებთან თავისი არსებული შიდა ურთიერთობიდან გამომდინარე, მაშინ სხვა სოლიდარული მოვალეებისა და მესამე პირების მიმართ კრედიტორის უფლებები სუროგაციის ძალით გადადის ვალდებულების შემსრულებელ მოვალეზე იმდენად, რამდენადაც მან შესრულება განახორციელა საერთო ვალდებულებაში თავის ნაწილზე მეტი მოცულობით ყოველ მომენტში მხოლოდ იმ ნაწილის ოდენობამდე, რაც ვალდებულების შემსრულებელ მოვალესთან არსებული შიდა ურთიერთობიდან გამომდინარე ეხება სხვა სოლიდარულ მოვალესა თუ მესამე პირს.

– 2. თუ კრედიტორის მიმართ არსებული საერთო ვალდებულება გულისხმობს სხვა შესრულებას, ნაცვლად ფულადი თანხის გადახდისა, მაშინ შესრულების განმახორციელებელი მოვალის მიერ კრედიტორისაგან სხვა სოლიდარული მოვალისა თუ მესამე პირის მიმართ სუროგაციის ძალით შეძენილი სავალო მოთხოვნა გარდაიქმნება იმავე მოცულობის ფულად მოთხოვნად.

მუხლი 6: 13 სოლიდარული მოვალის გადახდის უუნარობა

– 1. თუკი საერთო ვალდებულების შესრულებაში საკუთარი მონაწილეობის (6: 10 მუხლი) ან სუროგაციის ძალით შემსრულებელ მოვალეზე გადასული თანხების სანაცვლოდ ერთ-ერთი სოლიდარული მოვალისაგან კომპენსაციის მიღება მთლიანად ან ნაწილობრივ შეუძლებელი აღმოჩნდება, მაშინ თანხის დაუფარავი ნაწილი გადანაწილდება ყველა სხვა დანარჩენ სოლიდარულ მოვალეს შორის საერთო ვალდებულების იმ ნაწილის პროპორციულად, რომლისათვისაც ყოველი მათგანი პასუხისმგებელია სხვა სოლიდარულ მოვალეებთან თავისი არსებული შიდა ურთიერთობიდან გამომდინარე.

– 2. როდესაც სოლიდარულმა მოვალემ საერთო ვალდებულება მთლიანად ან ნაწილობრივ შეასრულა, თუმცა ის არ იყო საერთოდ პასუხისმგებელი ამისათვის სხვა სოლიდარულ მოვალეებთან თავისი არსებული შიდა ურთიერთობიდან გამომდინარე, და ასევე დასტურდება, რომ სოლიდარული მოვალე ვერ შეძლებს მის მიერ შესრულებული თანხების სანაცვლოდ კომპენსაციის იმ სოლიდარული მოვალეებისაგან მიღებას, რომლებიც შიდა ურთიერთობიდან გამომდინარე პასუხისმგებელი არიან აღნიშნული ვალისათვის, – მაშინ თანხის დაუფარავი ნაწილი გადანაწილდება ყველა იმ სოლიდარულ მოვალეს შორის, ვინც არ არის პასუხისმგებელი საერთო ვალდებულებისათვის სხვა სოლიდარულ მოვალეებთან თავიანთი არსებული შიდა ურთიერთობიდან გამომდინარე, და, ამავე დროს, – იმ თანხის პროპორციულად, რომლისათვისაც ყოველი მათგანი პასუხისმგებელი იყო კრედიტორის წინაშე საერთო ვალის შესრულების მომენტში.

– 3. ყოველი პირი, ვინც ჩართულია თანხის დაუფარავი ნაწილის გადანაწილების პროცესში, როგორც ეს მითითებულია წინამდებარე მუხლის პარ. 1-სა თუ 2-ში, უფლებამოსილი რჩება აინაზღაუროს საერთო ვალდებულების შესრულებაში თავისი დამატებითი მონაწილეობის თანხები იმ პირებისაგან, რომლებმაც ვერ შეძლეს საერთო ვალდებულების შესრულებაში საკუთარი წვლილის შეტანა.

მუხლი 6: 14 სოლიდარულ მოვალეებს შორის შიდა ურთიერთობის ფარგლებში კრედიტორის მიერ თავის უფლებებზე უარის სამართლებრივი შედეგები

კრედიტორის მიერ თავის უფლებებზე უარი ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის სასარგებლოდ არათავისუფლებს ამ მოვალეს სხვა სოლიდარული მოვალეების მიმართ შიდა ურთიერთობიდან გამომდინარე მასზე დაკისრებული საერთო ვალდებულებაში საკუთარი წვლილის შეტანისა და ხარჯებში მონაწილეობის ვალდებულებისაგან. თუმცა, კრედიტორს შეუძლია გაათავისუფლოს ეს სოლიდარული მოვალე სხვა სოლიდარული მოვალის წინაშე აღნიშნული შიდა ვალდებულებისაგან მის მიერ ამ სხვა სოლიდარული მოვალის წინაშე იმ თანხის ოდენობით კრედიტორის სოლიდარული მოვალის მიმართ არსებული სავალო მოთხოვნის შემცირების ვალდებულების კისრებით, რა ოდენობითაც აღნიშნული სხვა სოლიდარული მოვალე შეძლებდა შიდა ურთიერთობიდან გამომდინარე შესაბამისი წვლილის შეტანის განხორციელების მოთხოვნას იმ მოვალისაგან, ვის სასარგებლოდაც კრედიტორმა უარი თქვა თავის უფლებებზე.

განყოფილება 6. 1.3 – კრედიტორთა სიმრავლე

მუხლი 6: 15 განცალკევებული სავალო მოთხოვნა ან ერთობლივი სავალო მოთხოვნა

– 1. როდესაც ვალდებულება უნდა შესრულდეს ორი ან მეტი კრედიტორისათვის, მაშინ თითოეულ მათგან თანაბარწილად აქვს საკუთარი სავალო მოთხოვნა მოვალის მიმართ, თუკი კანონიდან, ზოგადი

პრაქტიკიდან ან გარიგებიდან არ გამომდინარეობს ის, რომ ამ კრედიტორებს შესრულება ერგებათ არათანაბარწილად ანდა მათ ერთობლივად ეკუთვნით ერთი სავალო მოთხოვნა მოვალის მიმართ.

– 2. თუ შესრულება დაუყოფადია ანდა თუ ამ შესრულების სავალო მოთხოვნა შედის საერთო საკუთრებაში, მაშინ შესაბამის კრედიტორებს ერთობლივად ექნებათ ერთი სავალო მოთხოვნა.

– 3. მოვალის მიმართ დაუშვებელია მითითება იმაზე, რომ სავალო მოთხოვნა შედის საერთო საკუთრებაში, როდესაც ეს მოთხოვნა გამომდინარეობს მოვალესა და კრედიტორებს შორის შეთანხმებიდან, ხოლო მოვალემ კი არ იცოდა და არც უნდა სცოდნოდა იმის შესახებ, რომ ეს სავალო მოთხოვნა აღნიშნული კრედიტორების საერთო საკუთრების ნაწილი გახდებოდა.

მუხლი 6:16 საერთო საკუთრების მომწესრიგებელი საკანონმდებლო ნორმების გამოყენება

როდესაც მოვალესთან შეთანხმებულია ორი ან მეტი პირის უფლებამოსილება, კრედიტორის სახით მოითხოვოს მოვალისაგან მთლიანი ვალდებულების შესრულება იმ გაგებით, რომ შესრულება ერთ-ერთი კრედიტორის მიმართ მოვალეს ათავისუფლებს ასევე სხვების წინაშე არსებული ვალდებულებისაგანაც, თუმცა ეს შესრულება არ მიეკუთვნება აღნიშნულ კრედიტორებს ერთობლივად მათ შორის არსებული ორმხრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, მაშინ საერთო საკუთრების მომწესრიგებელი საკანონმდებლო ნორმები შესაბამისად გამოიყენება თავიანთ მოვალესთან კრედიტორების ურთიერთობის მიმართ.

განყოფილება 6.1.4 – ალტერნატიული ვალდებულებები

მუხლი 6:17 ალტერნატიული სავალო მოთხოვნები და არჩევანის უფლება

– 1. ვალდებულება მიიჩნევა ალტერნატიულად, როდესაც მოვალე ვალდებულია შეასრულოს ორი ან მეტი სხვადასხვა შესრულებიდან ერთი და თავად მოვალეს, კრედიტორსა თუ მესამე მხარეს აქვს უფლება, შესასრულებლად აირჩიოს ერთ-ერთი ამ შესრულებათაგანი.

– 2. თუკი კანონიდან, ზოგადი პრაქტიკიდან ან გარიგებიდან სხვა წესი გამომდინარეობს არ გამომდინარეობს, არჩევანის უფლება აქვს მოვალეს.

მუხლი 6:18 არჩევანის გაკეთების სამართლებრივი შედეგები

როგორც კი კომპეტენტური პირი გააკეთებს თავის არჩევანს, ალტერნატიული ვალდებულება ხდება ჩვეულებრივი ვალდებულება, რომელიც ავალდებულებს მოვალეს განახორციელოს არჩეული შესრულება.

მუხლი 6:19 არჩევანის უფლების სხვა პირზე გადასვლა

– 1. როდესაც არჩევანის უფლება ეკუთვნის ალტერნატიული ვალდებულების ერთ-ერთ მხარეს, ეს უფლება გადავა მეორე მხარეზე, თუკი მან დაადგინა გონივრული ვადა, რომლის განმავლობაშიც ერთ-ერთი ალტერნატიული შესრულება უნდა განხორციელდეს კომპეტენტური მხარის მიერ და ამ არჩევანის გაკეთება არ ხდება აღნიშნული ვადის განმავლობაში.

– 2. თუმცა, არჩევანის უფლება არ გადავა კრედიტორზე მანამდე, სანამ მას აქვს შესრულების მოთხოვნის უფლება, და – არც მოვალეზე მანამდე, სანამ მას აქვს შესრულების უფლება.

– 3. თუ ალტერნატიული სავალო მოთხოვნა დატვირთულია გირავნობით ან დაყადალებულია, ხოლო უკვე დაწყებული იძულებითი რეალიზაცია (იძულებითი გაყიდვა) ვერ გაგრძელდება იმის გამო, რომ არჩევანი არ იქნა გაკეთებული, მაშინ მოგირავნეს ან ყადაღის კრედიტორს შეუძლია ორივე მხარეს – ალტერნატიული ვალდებულების მოვალესა და კრედიტორს დაუდგინოს გონივრული ვადა არჩევანის გაკეთებისათვის მათ შორის არსებული ორმხრივი სამართლებრივი ურთიერთობის შესაბამისად. როდესაც აღნიშნული ვადის განმავლობაში არჩევანი არ კეთდება, მაშინ არჩევანის უფლება გადადის მოგირავნესა თუ ყადაღის კრედიტორზე. ასეთ შემთხვევაში მოგირავნეს ან ყადაღის კრედიტორს ეკრძალება თავისი არჩევანის უფლების საჭიროების გარეშე გამოყენება.

მუხლი 6:20 ალტერნატიული შესრულებებიდან ერთ-ერთი განხორციელების შეუძლებლობა

– 1. ერთი ან მეტი ალტერნატიული ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა არ ბღალავს არჩევანის უფლებას.

– 2. თუმცა, თუკი არჩევანის უფლება ეკუთვნის მოვალეს, მაშინ მას ეკრძალება შეუძლებელი შესრულების არჩევა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც განსაზღვრული ალტერნატიული ვალდებულების

შესრულების შეუძლებლობა წარმოადგენს იმ მიზეზის შედეგს, რომელიც შეეცაბება კრედიტორს, ანდა – როდესაც კრედიტორი ეთანხმება მოვალის ასეთ არჩევანს.

განყოფილება 6.1.5 – პირობითი ვალდებულებები

მუხლი 6:21 „პირობითი ვალდებულების“ ცნება

ვალდებულება მიიჩნევა პირობითად, როდესაც გარიგების შედეგად მისი სამართლებრივი შედეგი და-
მოკიდებულია გაურკვეველი სამომავლო მოვლენის დადგომასზე.

მუხლი 6:22 შემდგომი ან წინასწარი პირობის მოქმედება

წინასწარი პირობის მოქმედების შედეგად ვალდებულება ძალაში შედის მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დგება გაურკვეველი სამომავლო მოვლენა. შემდგომი პირობის მოქმედების შედეგად კი ვალდებულება წყდება და, შესაბამისად, კარგავს თავის ძალას გაურკვეველი სამომავლო მოვლენის დადგომისთანავე.

მუხლი 6:23 გაურკვეველი სამომავლო მოვლენის დადგომაში განზრახ ჩარევა

– 1. როდესაც იმ მხარემ, რომლისათვისაც მნიშვნელოვანია, რომ პირობა მომავალში არ დადგეს, ხელი შეუშალა ამ პირობის დადგომას, მაშინ ეს უკანასკნელი მიიჩნევა დამდგარად, თუკი ეს მოითხოვება გონივრულობისა და სამართლიანობის პრინციპების შესაბამისად.

– 2. როდესაც იმ მხარემ, რომლისათვისაც მნიშვნელოვანია, რომ პირობა მომავალში დადგეს, ხელი შეუწყო ამ პირობის დადგომას, მაშინ ეს უკანასკნელი მიიჩნევა არდამდგარად, თუკი ეს მოითხოვება გონივრულობისა და სამართლიანობის პრინციპების შესაბამისად.

მუხლი 6:24 შესრულების უკან დაბრუნება შემდგომი პირობის დადგომის შემდეგ

– 1. მას შემდეგ, როდესაც დგება შემდგომი პირობა, კრედიტორმა უკან უნდა დააბრუნოს ის შესრულებები, რომლებიც მან უკვე მიიღო პირობითი ვალდებულების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვაგვარი შედეგი გამომდინარეობს იმ გარიგების შინაარსიდან ან აუცილებელი იმპლიკაციებიდან, რომლითაც ვალდებულება პირობითი გახდა.

– 2. როდესაც კრედიტორის ვალდებულება, უკან დააბრუნოს უკვე მიღებული შესრულებები, აუცილებლად გულისხმობს აქტივის დაბრუნებას, მაშინ პირობის დადგომის შემდეგ გამოცალკევებული ან ვადამოსული და შესასრულებელი ბუნებრივი და სამოქალაქო ნაყოფი (სარგებელი) ეკუთვნის პირობითი ვალდებულების მოვალეს; ასეთ შემთხვევაში სამოქალაქო კოდექსის 3:120 მუხლიდან 3:124 მუხლის ჩათვლით ნორმები შესაბამისად გამოიყენება ამ ნორმებში გათვალისწინებული ხარჯებისა და ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებით იმდენად, რამდენადაც ეს ხარჯები და ზარალი წარმოიშვა შემდგომი პირობის დადგომის შემდეგ.

მუხლი 6:25 წინასწარი პირობის დადგომამდე განხორციელებული შესრულება

როდესაც წინასწარი პირობით ნაკისრი ვალდებულება შესრულდა უკვე ამ პირობის დადგომამდე, მოვალეს მანამდე, სანამ ეს პირობა არ არის დამდგარი, შეუძლია მოითხოვოს აღნიშნული შესრულების უკან დაბრუნება სამოქალაქო კოდექსის 6.4.2 განყოფილების ნორმების შესაბამისად.

მუხლი 6:26 უპირობო (ჩვეულებრივი) ვალდებულებების მიმართ მოქმედი საკანონმდებლო ნორმების გამოყენება პირობითი ვალდებულებების მიმართ

უპირობო (ჩვეულებრივი) ვალდებულებების მიმართ მოქმედი საკანონმდებლო ნორმები გამოიყენება პირობითი ვალდებულებების მიმართ იმდენად, რამდენადაც ამ ვალდებულების პირობითი ხასიათიდან სხვაგვარი შედეგი არ გამომდინარეობს.

განყოფილება 6.1.6 – ვალდებულების შესრულება

მუხლი 6:27 ზრუნვის ზოგადი მოვალეობა

პირი, რომელმაც უნდა მოახდინოს ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული ნივთის მიწოდება, ვა-

ლდებულია ამ ნივთის მიწოდებამდე იზრუნოს მასზე ისე, როგორც ამას მოცემულ გარემოებებში წინდახედული მოვალე მოახდენდა.

მუხლი 6:28 გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ნივთების მიწოდება

როდესაც ვალდებულებით გადასაცემი ნივთი განისაზღვრება მხოლოდ მისი სახეობით იმ დროს, როდესაც არსებობს სხვადასხვა ნიშან-თვისებები ასეთი სახეობისა, მაშინ მოვალის მიერ მისაწოდებელი ნივთი არ უნდა იყოს საშუალო ხარისხზე ნაკლები.

მუხლი 6:29 ნაწილობრივ ან განწილვადებით შესრულების დაუშვებლობა

კრედიტორის თანხმობის გარეშე მოვალეს არა აქვს უფლება, განახორციელოს ნაკისრი შესრულება ცალ-ცალკე ან განწილვადებით.

მუხლი 6:30 მესამე პირის მიერ განხორციელებული შესრულება

– 1. მოვალის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების მიზნით შესასრულებელი მოქმედება შეიძლება განხორციელდეს სხვა პირის მიერ, ნაცვლად თავად მოვალისა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვაგვარი შედეგი გამომდინარეობს ვალდებულების შინაარსიდან ან აუცილებელი იმპლიკაციებიდან.

– 2. კრედიტორი არ მიიჩნევა ვადაგადაცილებულად, თუკი ის მოვალის თანხმობით უარს განაცხადებს მესამე პირის შესრულების მიღებაზე.

მუხლი 6:31 ვალდებულების შესრულება ქმედუწუნარო კრედიტორის მიმართ

ქმედუწუნარო კრედიტორის მიმართ ვალდებულების შესრულება მოვალეს ათავისუფლებს მასზე დაკისრებული ვალდებულებისაგან მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მისი შესრულება სარგებლიანი იყო კრედიტორისათვის ან ეს შესრულება განხორციელდა ამ კრედიტორის კანონიერი წარმომადგენლის კონტროლის ქვეშ.

მუხლი 6:32 ვალდებულების შესრულება სხვა პირის მიმართ, ნაცვლად იმ პირისა, ვინც უფლებამოსილია მის მიღებაზე

ვალდებულების შესრულება სხვა პირის მიმართ, ნაცვლად კრედიტორისა ანდა – ნაცვლად იმ პირისა, ვინც კრედიტორთან ერთად ან მის ნაცვლად არის უფლებამოსილი მის მიღებაზე, ათავისუფლებს მოვალეს მასზე დაკისრებული ვალდებულებისაგან იმდენად, რამდენადაც იმ პირმა, რომელსაც უნდა განეხორციელებინა შესრულება, მოიწონა ეს შესრულება როგორც ნამდვილი (დაადასტურა მისი ნამდვილობა) ანდა – რამდენადაც მან ისარგებლა (მიიღო სარგებელი) ამ შესრულებით.

მუხლი 6:33 ვალდებულების შესრულებაზე უფლებამოსილების არმქონე კრედიტორი

დასაშვებია კრედიტორისაგან იმ შესრულების დაბრუნება, რომელიც განხორციელდა კრედიტორის მიმართ მიუხედავად ყადაღისა ანდა – იმ ვადის განმავლობაში, როდესაც კრედიტორი არ იყო უფლებამოსილი, თავად მიეღო შესრულება შეზღუდული სანივთო უფლების, კანონიერი წარმომადგენლის ქონების (მინდობით) მართვისა თუ ანალოგიური ხელშეშლის გამო იმ დროს, როდესაც მოვალემ კვლავ უნდა განახორციელოს შესრულება ამ უკანასკნელის მიღებაზე უფლებამოსილი მიმღების მიმართ.

მუხლი 6:34 ვალდებულების შესრულება კეთილსინდისიერად

– 1. მოვალეს, რომელმაც შესრულება განახორციელა იმ პირის მიმართ, ვინც არ იყო სამართლებრივად უფლებამოსილი შესრულების მიღებაზე, შეუძლია იმ პირის წინააღმდეგ, ვის მიმართაც უნდა განხორციელებულიყო შესრულება, მიუთითოს იმაზე, რომ ის თავისუფლდება მასზე დაკისრებული ვალდებულებისაგან, თუკი მას გონივრულად შეეძლო ევარაუდა, რომ შესრულების მიმღები უფლებამოსილი იყო ამ შესრულებაზე, როგორც კრედიტორი ანდა – რომ შესრულება უნდა განხორციელებულიყო ამ მიმღების მიმართ სხვა საფუძვლებიდან გამომდინარე.

– 2. თუ შესრულებაზე უფლებამოსილი მიმღები კარგავს თავის უფლებას, მოითხოვოს ვალდებულების შესრულება იმ გაგებით, რომ ეს უფლება გარკვეული ვადის შემდეგ უკუქცევითი ძალით გადავიდა სხვა პირზე, მაშინ მოვალეს, რომელმაც ამ მომენტისათვის უკვე განახორციელა შესრულება მიმღების მიმართ, შეუძლია ამ სხვა პირის წინააღმდეგ მიუთითოს იმაზე, რომ ის თავისუფლდება მასზე დაკისრებული ვალდებულებისაგან გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოვალეს გონივრულად შეეძლო ევარაუ-

და, რომ შესრულების მიმღები დაკარგავდა მის მიერ შესრულების მიღების უფლებას, ხოლო აღნიშნულის ცოდნის შედეგად კი ის თავიდან აიცილებდა მიმღების მიმართ ვალდებულების შესრულებას.

მუხლი 6:35 მესამე პირის მიერ მესამე პირის მიმართ შესრულება

– 1. თუკი იმ ვითარებაში, როდესაც ვალდებულება შესრულდა მესამე პირის მიერ, დაკმაყოფილებულია წინა მუხლის ერთ-ერთი პარაგრაფის პირობები, მაშინ ამ მესამე პირს თავისი სახელით შეუძლია მიუთითოს ასეთი შესრულების ვალდებულებისაგან გამათავისუფლებელ შედეგზე.

– 2. მოვალეს თავისი სახელით შეუძლია მიუთითოს აღნიშნული შესრულების ვალდებულებისაგან გამათავისუფლებელ შედეგზე იმ პირობით, თუკი ის თავად განახორციელებდა შესრულებას, ზემოაღნიშნული პირობები დაკმაყოფილებულად ჩაითვლებოდა ასევე თავად მის მიმართაც.

მუხლი 6:36 მოთხოვნის განხორციელების უფლება

წინა ორ მუხლში მითითებულ შემთხვევებში, იმ პირს, ვინც სინამდვილეში უფლებამოსილი იყო შესრულების მიღებაზე, შეუძლია განახორციელოს თავისი მოთხოვნის უფლება იმ პირის მიმართ, რომელმაც მიიღო შესრულება შესაბამისი უფლებამოსილების გარეშე.

მუხლი 6:37 შესრულებაზე უარის უფლება

მოვალეს უფლება აქვს, უარი თქვას მასზე დაკისრებული ვალდებულების შესრულებაზე, თუკი მას აქვს გონივრული საფუძველი ეჭვის შეტანისა იმაში, თუ ვის მიმართ უნდა შესრულდეს ეს ვალდებულება.

მუხლი 6:38 დაუყოვნებელი შესრულება

თუკი ვალდებულების შესრულებისათვის ვადა არ არის შეთანხმებული, მოვალეს დაუყოვნებლივ შეუძლია განახორციელოს ნაკისრი შესრულება, ხოლო კრედიტორს კი დაუყოვნებლივ შეუძლია მოითხოვოს ასეთი შესრულება.

მუხლი 6:39 დათქმები ვადებზე (ბოლო თარიღი)

– 1. როდესაც შესრულების ვადა მხარეთა მიერ შეთანხმებულია, ივარაუდება, რომ ეს გულისხმობს მხოლოდ იმას, რომ კრედიტორი ვერ მოითხოვს შესრულებას ბოლო თარიღამდე (შესრულების ვადის დადგომამდე).

– 2. შესრულება, რომელიც უნდა განხორციელდეს ბოლო თარიღამდე (შესრულების ვადის დადგომამდე), არ მიიჩნევა არარსებული ვალდებულების შესრულებად.

მუხლი 6:40 მოქმედების ვადის ამონურვა (ძალაში შესვლის ან გაუქმების თარიღი)

მოვალე ვეღარ მიუთითებს ვადასთან დაკავშირებულ შეთანხმებაზე (ძალაში შესვლის ან გაუქმების თარიღზე):

a. როდესაც ის ცხადდება გაკოტრებულად ან ვარდება ფიზიკური პირებისათვის არსებული ვალების დაფარვის სქემაში;

b. როდესაც ის აცილებს შეპირებული უზრუნველყოფის წარდგენის ვადას;

c. როდესაც კრედიტორის სავალო მოთხოვნისათვის წარდგენილი უზრუნველყოფა შემცირდა იმ მიზეზის გამო, რომელიც შეეარა ცხება მოვალეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დარჩენილი უზრუნველყოფა ჯერ კიდევ საკმარისია ვალდებულების სრული შესრულების გარანტირებულობისათვის.

მუხლი 6:41 შესრულების ადგილი

როდესაც შესრულების ადგილი მხარეთა მიერ არ არის შეთანხმებული, გადასაცემი ნივთის მიწოდება უნდა მოხდეს:

a. ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული ნივთის შემთხვევაში: იმ ადგილზე, სადაც ის იმყოფებოდა ვალდებულების წარმოშობის მომენტში;

b. გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ნივთის შემთხვევაში: იმ ადგილზე, სადაც მოვალე ეწევა თავის პროფესიულ საქმიანობას ან აქვს თავისი კომპანიის მისამართი ანდა თუკი ასეთი ადგილი არ არსებობს, – იმ ადგილზე, სადაც მოვალეს აქვს თავისი დომიცილი (ადგილსამყოფელი).

მუხლი 6:42 ნივთის მიწოდება განკარგვითი უფლებამოსილების არმქონე პირის მიერ

პირს, რომელმაც ვალდებულების შესრულებისას განახორციელა იმ ნივთის მიწოდება, რომლის განკარგვის უფლებამოსილება მას არ ჰქონდა, შეუძლია კრედიტორისაგან მოითხოვოს ამ ნივთის იმ პირისათვის დაბრუნება, ვისაც ის ეკუთვნის იმ პირობით, რომ ერთდროულად ის კრედიტორს შესთავაზებს ვალდებულების შესაბამის სხვა ნივთს და – ასევე იმ პირობით, რომ თავდაპირველად მიწოდებული ნივთის დაბრუნებით არ შეილახება კრედიტორის ინტერესები.

მუხლი 6:43 ვალდებულების შესრულების ორი ან მეტი ვალდებულების შესრულების ანგარიშში ჩათვლა

– 1. როდესაც მოვალე განახორციელა ვალდებულების შესრულება, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ერთი და იგივე კრედიტორის წინაშე არსებული ორი ან მეტი ვალდებულების შესრულების ანგარიშში, მაშინ ეს შესრულება ჩაითვლება იმ ვალდებულების ანგარიშში, რომელზეც ვალდებულების შესრულებისას მიუთითა მოვალე.

– 2. აღნიშნული მითითების არარსებობისას შესრულება ჩაითვლება ყველა იმ ვადამოსული და შესასრულებელი ვალდებულების ანგარიშში, რომლებსაც მოიცავს ასეთი სახის შესრულება. როდესაც სახეზეა ორი ან მეტი ასეთი ვადამოსული და შესასრულებელი ვალდებულება, მაშინ შესრულება ჩაითვლება, პირველ რიგში, მოვალისათვის ყველაზე მძიმე ვალდებულების ანგარიშში, ხოლო როდესაც სახეზეა ორი ან მეტი თანაბრად მძიმე ვალდებულება, მაშინ – ყველაზე ადრე დამდგარი ვალდებულების ანგარიშში. როდესაც აღნიშნული ვალდებულებები ერთ დროს არის დამდგარი, მაშინ შესრულების ვალდებულების ანგარიშში ჩათვლა ხდება თანაბარწილად.

მუხლი 6:44 ფულადი ვალდებულების შესრულების ორი ან მეტი ვალდებულების შესრულების ანგარიშში ჩათვლა

– 1. ფულადი ვალდებულების შესრულება (გადახდა), რომელიც შესაძლოა ჩაითვალოს კონკრეტული ვალდებულების ანგარიშში, ამცირებს, პირველ რიგში, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, შემდგომში, – დარიცხულ საპროცენტო დავალიანებასა და ბოლოს კი, ძირითად თანხასა და მიმდინარე პროცენტებს.

– 2. სამოქალაქო კოდექსის 6.1.8 განყოფილებაში გათვალისწინებული შესრულების მიღების ვადაგადაცილებაში აღმოჩენის რისკის გარეშე, კრედიტორს შეუძლია უარი თქვას გადახდის შეთავაზებაზე, თუკი მოვალე მიუთითებს მის მიერ განხორციელებული გადახდის შესაბამისი ვალდებულების ანგარიშში ჩათვლის სხვა წესზე, ვიდრე ეს მოცემულია წინა პარაგრაფში.

– 3. კრედიტორს შეუძლია უარი თქვას მთლიანი ძირითადი თანხის მიღებაზე, თუკი ერთდროულად არ ხდება დარიცხული და მიმდინარე პროცენტებისა და ვალდებულებასთან დაკავშირებული ხარჯების თანხების დაფარვა.

მუხლი 6:45 ნაკისრი ვალდებულების შეცვლა

მოვალეს მხოლოდ კრედიტორის თანხმობით შეუძლია გაითავისუფლოს თავი მასზე დაკისრებული ვალდებულებისაგან ამ უკანასკნელისაგან განსხვავებული შესრულების განხორციელებით იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ამ უკანასკნელს აქვს იგივე ანდა თუნდაც უფრო მეტი ღირებულება.

მუხლი 6:46 გადახდა ჩეკით ან დოკუმენტალური აკრედიტივით

– 1. როდესაც კრედიტორი გადახდის სახით იღებს ჩეკს, საფოსტო ჩეკს, გადარიცხვის დავალებას ან სხვა დოკუმენტს, ივარაუდება, რომ ეს გაკეთდა ჯეროვანი შედეგის დარეზერვებით.

– 2. როდესაც კრედიტორი უფლებამოსილია შეაჩეროს საკუთარი ვალდებულების შესრულება იმ მომენტამდე, ვიდრე მოვალე არ განახორციელებს პარ. 1-ში მითითებულ გადახდას, ის ინარჩუნებს უფლებას, შეაჩეროს თავისი შესრულება მანამდე, სანამ მის მიერ არ დადგინდება – ანდა ვერ დადგინდებოდა – გადახდის ჯეროვანი შედეგი.

მუხლი 6:47 ვალდებულების შესრულების ხარჯები

– 1. ვალდებულების შესრულების ხარჯები ეკისრება იმ პირს, ვინც ასრულებს ვალდებულებას.

– 2. გადახდის წერილობითი ქვითრის გაცემის (გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის) ხარჯები ეკისრება იმ პირს, ვისაც წარედგინება ეს წერილობითი მტკიცებულება ანდა ვისთვისაც ხდება ამ მტკიცებულების წარდგენა.

მუხლი 6:48 წერილობითი ქვითარი (გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი)

- 1. კრედიტორი ვალდებულია ყოველი მიღებული შესრულებისათვის გასცეს წერილობითი ქვითარი (გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი), გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შეთანხმებიდან, ზოგადი პრაქტიკისა თუ სამართლიანობიდან სხვაგვარი შედეგი გამომდინარეობს.
- 2. თუ კრედიტორი ფლობს ვალის დამადასტურებელ საბუთს, რომელიც გადაეცემა მას მოვალის ვალდებულებასთან დაკავშირებით, მაშინ მოვალეს მასზე დაკისრებული ვალდებულების შესრულებისას შეუძლია ასევე მოითხოვოს ამ მტკიცებულების დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კრედიტორს ჯერ კიდევ აქვს ამ მტკიცებულების შენარჩუნების გონივრული ინტერესი; ამ უკანასკნელ ვითარებაში კრედიტორმა საბუთზე უნდა გააკეთოს იმგვარი აღნიშვნა, რომლითაც დამტკიცდება, რომ მოვალე გათავისუფლებულია მასზე დაკისრებული ვალდებულებისაგან.
- 3. მოვალეს შეუძლია უარი თქვას შესრულებაზე მანამდე, სანამ კრედიტორი არ შეასრულებს პარ. 1-ით გათვალისწინებულ ნორმებს.

მუხლი 6:49 ვალდებულებისაგან გათავისუფლების დამადასტურებელი წერილობითი მტკიცებულება საორდერო ან სანარმდგენლო სავალო მოთხოვნასთან დაკავშირებით

- 1. იმ შემთხვევაში, როდესაც ხდება საორდერო ან სანარმდგენლო სავალო მოთხოვნის შესრულება, მოვალეს შეუძლია მოითხოვოს, რომ ვალდებულებისაგან გათავისუფლება (გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი) დაფიქსირდეს შესაბამის დოკუმენტზე (ბრუნვაუნარიან ფასიან ქალაქზე) და რომ ეს დოკუმენტი (ბრუნვაუნარიანი ფასიანი ქალაქი) გადაეცეს მას.
- 2. თუ ვალდებულების შესრულება არ ეხება მთელ სავალო მოთხოვნას ანდა თუკი კრედიტორს ასევე ესაჭიროება დოკუმენტი (ბრუნვაუნარიანი ფასიანი ქალაქი) იმისათვის, რომ მოახდინოს სხვა უფლებების რეალიზაცია, მაშინ კრედიტორს შეუძლია დაიტოვოს ეს დოკუმენტი (ბრუნვაუნარიანი ფასიანი ქალაქი) თავისთან იმ პირობით, რომ ის მასზე გააკეთებს ვალდებულებისაგან გათავისუფლების აღნიშვნას და, გარდა ამისა, – მოვალეს ცალკე გადასცემს ვალდებულებისაგან გათავისუფლების დამადასტურებელ წერილობით მტკიცებულებას.
- 3. თუმცა, კრედიტორს მიუხედავად იმისა, მან შესრულება მიიღო სრულად თუ ნაწილობრივ, შეუძლია დაკმაყოფილდეს ვალდებულებისაგან გათავისუფლების დამადასტურებელი წერილობითი დოკუმენტის (გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის) გადაცემით იმ პირობით, რომ კონტრაქტის მოთხოვნის საფუძველზე ის აჩვენებს, რომ დოკუმენტი (ბრუნვაუნარიანი ფასიანი ქალაქი) განადგურდა ან ვახდა გამოუსადეგარი ანდა – იმ პირობით, რომ ასევე კონტრაქტის მოთხოვნის საფუძველზე კრედიტორი წარადგენს საკმარის უზრუნველყოფას ოცნლიანი ვადისათვის ან უფრო ნაკლები ვადისათვის, რომლის განმავლობაშიც მის კონტრაქტს შეიძლება გონივრულად წარედგინოს მოთხოვნა დოკუმენტიდან (გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტიდან) გამომდინარე.
- 4. მოვალეს შეუძლია უარი თქვას შესრულებაზე მანამდე, სანამ კრედიტორი არ შეასრულებს წინა პარაგრაფებით გათვალისწინებულ ნორმებს.

მუხლი 6:50 ვალდებულების შესრულების პრეზუმფცია

- 1. როდესაც მსგავსი შესრულებები ერთმანეთის მიყოლებით უნდა განხორციელდეს, ორი ერთმანეთის მიყოლებით განხორციელებული შესრულებისათვის გაცემული წერილობითი ქვითრები (გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები) ქმნის სამართლებრივ პრეზუმფციას იმისა, რომ უფრო ადრინდელი შესრულებებიც ასევე არ განხორციელებულა.
- 2. თუკი კრედიტორი წერილობით ქვითარს (გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს) გასცემს ძირითად თანხაზე, მაშინ კანონით ივარაუდება, რომ დაფარულია ასევე შესაბამისი პროცენტებისა და ხარჯების თანხებიც.

მუხლი 6:51 უზრუნველყოფა

- 1. როდესაც კანონი გულისხმობს იმას, რომ პირმა უნდა წარადგინოს უზრუნველყოფა ან რომ უზრუნველყოფის წარდგენა არის აუცილებელი პირობა კონკრეტული სამართლებრივი შედეგის დადგომისათვის, მაშინ იმ პირს, რომელიც აღნიშნული მიზნით წარადგენს უზრუნველყოფას, აქვს უფლება აირჩიოს პერსონალურ და სანივთო უზრუნველყოფებს შორის.
- 2. შეთავაზებული უზრუნველყოფა უნდა იყოს ისეთი სახის (ისეთი ბუნებისა და მოცულობის), რომ სავალო მოთხოვნა, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში კი, – ხარჯები და პროცენტიც სრულად დაიფარება და რომ კრედიტორი ადვილად შეძლებს თავისი სავალო მოთხოვნის რეალიზაციას.

- 3. თუკი წარდგენილი უზრუნველყოფა არასაკმარისი აღმოჩნდა იმ მოვლენის გამო, რომელიც კრედიტორს ვერ შეერაცხება, მოვალე ვალდებულია კვლავ გახადოს ის საკმარისი.

განყოფილება 6.1.7 – ვალდებულების შესრულებაზე უარის უფლება

მუხლი 6:52 ვალდებულების შესრულებაზე უარის ზოგადი უფლება

- 1. მოვალე, რომელსაც თავად აქვს ვადამოსული და შესასრულებელი სავალო მოთხოვნა თავისი კრედიტორის მიმართ, უფლებამოსილია უარი თქვას ამ უკანასკნელის მიმართ მასზე დაკისრებული ვალდებულების შესრულებაზე მანამდე, სანამ არ დაკმაყოფილდება მისი სავალო მოთხოვნა იმ პირობით, რომ მოვალის სავალო მოთხოვნა და მასზე დაკისრებული ვალდებულება კავშირშია ერთმანეთთან ისე, რომ გამართლებულია შესრულებაზე უარის თქმა.

- 2. სავალო მოთხოვნასა და ვალდებულებას შორის აღნიშნული კავშირი არსებობს, კერძოდ, იმ შემთხვევაშიც, როდესაც როგორც სავალო მოთხოვნა, ისე ვალდებულებაც გამომდინარეობს ერთი და იგივე სამართლებრივი ურთერთობიდან ანდა მხარეთა შორის არსებული ჩვეულებრივი ბიზნესსაქმიანობიდან.

მუხლი 6:53 ვალდებულების შესრულებაზე უარის უფლება კონტრაქტის კრედიტორებისადმი მიმართებაში

ვალდებულების შესრულებაზე უარის უფლება შეიძლება გამოყენებულ იქნეს ასევე კონტრაქტის კრედიტორების მიმართაც.

მუხლი 6:54 ვალდებულების შესრულებაზე უარის უფლების არ არსებობა

თუმცა, მოვალეს არა აქვს ვალდებულების შესრულებაზე უარის უფლება:

a. იმდენად, რამდენადაც ის იმყოფება სამოქალაქო კოდექსის 6.1.8 განყოფილებაში გათვალისწინებული იმ შესრულების მიღების ვადაგადაცილებაში, რომელიც მისთვის შეთავაზებულია კონტრაქტის მხრიდან;

b. იმდენად, რამდენადაც კონტრაქტისათვის მასზე დაკისრებული ვალდებულების შესრულება მყარად შეუძლებელი გახდა;

c. იმდენად, რამდენადაც კანონი არ უშვებს კონტრაქტის სავალო მოთხოვნის დაყადაღებას (იძულებით რეალიზაციას).

მუხლი 6:55 ვალდებულების შესრულებაზე უარის უფლება აღარ არსებობს, როდესაც ხდება საკმარისი უზრუნველყოფის წარდგენა

ვალდებულების შესრულებაზე უარის უფლება აღარ არსებობს, როგორც კი კრედიტორის ან მესამე პირის მიერ ხდება საკმარისი უზრუნველყოფის წარდგენა, რომლითაც შესაძლებელი გახდება კრედიტორის წინაშე არსებული ვალდებულების შესრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნულის შედეგად კრედიტორის ვალდებულების შესრულება გაუმართლებლად დაგვიანდება.

მუხლი 6:56 ვალდებულების შესრულებაზე უარის უფლება მოვალის სარჩელის უფლების ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ

ვალდებულების შესრულებაზე უარის უფლება ძალაში რჩება მას შემდეგაც, როდესაც კონტრაქტის მიმართ არსებული სარჩელის უფლება ხანდაზმული გახდა.

მუხლი 6:57 დაკავების უფლება

თუ ვალდებულების შესრულებაზე უარის უფლება აკმაყოფილებს სამოქალაქო კოდექსის 3:290 მუხლში მითითებული დაკავების უფლების მოთხოვნებს, მაშინ წინამდებარე განყოფილების ნორმები გამოიყენება იმ ფარგლებში, რომლებშიც სამოქალაქო კოდექსის 3.10.4 განყოფილების ნორმები წინამდებარე განყოფილების ნორმებისაგან განსხვავებულ დანაწესებს არ ითვალისწინებს.

განყოფილება 6.1.8 – კრედიტორის მიერ ვადის გადაცილება

მუხლი 6:58 მოვალის მიერ ვალდებულების შესრულებისათვის თავად კრედიტორის მხრიდან ხელის შეშლა

კრედიტორი მიიჩნევა ვადაგადაცილებულად (თავად ვარდება ვადაგადაცილებაში), როდესაც მოვალეს არ შეუძლია ვალდებულების შესრულება იმის გამო, რომ კრედიტორი აღნიშნული მიზნით არ უწევს მას აუცილებელ დახმარებას ანდა – კრედიტორის მხრიდან სხვა წინააღმდეგობის არსებობის გამო, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების უუნარობა კრედიტორს ვერ შეერაცხება.

მუხლი 6:59 მოვალის მიერ ვალდებულების შესრულებაზე ლეგიტიმურად უარის თქმა

კრედიტორი მიიჩნევა ვადაგადაცილებულად (თავად ვარდება ვადაგადაცილებაში) ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც ის ვერ ასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებას მოვალის მიმართ იმ გარემოებების გამო, რომლებიც შეერაცხება მას (კრედიტორს), რის შედეგადაც მოვალე უარს აცხადებს კრედიტორის მიმართ შესრულებაზე კანონის შესაბამისად.

მუხლი 6:60 მოვალის ვალდებულებისაგან გათავისუფლება სასამართლოს მიერ

როდესაც კრედიტორი ვადაგადაცილებაშია, სასამართლოს შეუძლია მოვალის მოთხოვნის საფუძველზე გაათავისუფლოს მოვალე მასზე დაკისრებული ვალდებულებისაგან აუცილებლობის შემთხვევაში სასამართლოს მიერ დადგენილი დამატებითი პირობების დაცვით.

მუხლი 6:61 კრედიტორის მიერ შესრულების მიღების ვადის გადაცილება და მოვალის ვადაგადაცილებას შორის ურთიერთმიმართება

– 1. კრედიტორის მიერ შესრულების მიღების ვადის გადაცილების შედეგად ქარწყდება მოვალის ვადაგადაცილება.

– 2. მანამდე, სანამ კრედიტორი ვადაგადაცილებაშია, მოვალე ვერ აღმოჩნდება თავად ვადაგადაცილებაში.

მუხლი 6:62 იძულებითი ღონისძიებების გამოყენების დაუშვებლობა იმ ვადის განმავლობაში, როდესაც კრედიტორი იმყოფება ვადაგადაცილებაში

იმ ვადის განმავლობაში, როდესაც კრედიტორი იმყოფება ვადაგადაცილებაში, მას არ შეუძლია იძულებითი ღონისძიებების გამოყენება.

მუხლი 6:63 ხარჯების ანაზღაურება

მოვალე გონივრულ ფარგლებში უფლებამოსილია 6:66 მუხლიდან 6:70 მუხლის ჩათვლით ნორმებში მითითებულ შეთავაზებასა თუ შენახვასთან დაკავშირებულ და ასევე – იმ ხარჯების ანაზღაურებაზე, რომლებიც სხვაგვარად გამომდინარეობს კრედიტორის მიერ შესრულების მიღების ვადის გადაცილებიდან.

მუხლი 6:64 მოვალის შეზღუდული პასუხისმგებლობა იმ ზიანისათვის, რომელიც დადგა კრედიტორის მიერ შესრულების მიღების ვადის გადაცილების განმავლობაში

თუკი მოვლენას ადგილი აქვს კრედიტორის მიერ შესრულების მიღების ვადის გადაცილების განმავლობაში, რაც მთლიანად ან ნაწილობრივ შეუძლებელს ხდის მოვალისათვის მომავალში ნაკისრი ვალდებულების შესრულებას, მაშინ ეს შეუსრულებლობა ვერ შეერაცხება მოვალეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამ უკანასკნელმა ან მისმა დაქირავებულმა პირებმა ბრალეულად არ იზრუნეს ვალდებულების შესრულებაზე ისე, როგორც ეს მოცემულ გარემოებებში მოსალოდნელი იქნებოდა მოვალისაგან.

მუხლი 6:65 ცალკეული გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ნივთები, რომლებსაც კრედიტორის მიერ შესრულების მიღების ვადის გადაცილების განმავლობაში ადგება ზიანი

როდესაც მოვალეს ეკისრება ერთი ან რამდენიმე გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ნივთის მიწოდება და მან შეატყობინა კრედიტორს იმის თაობაზე, რომ შერჩეული აქვს ერთი ან რამდენიმე კონკრეტული კრედიტორისათვის მისაწოდებელი გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ნივთი, მაშინ კრედიტორის ვადაგადაცილების შემთხვევაში მოვალე ვალდებული იქნება მხოლოდ იმ გვაროვნული ნიშნით განსა-

ზღვრული ნივთების მიწოდებაზე, რომლებიც მის მიერ აღნიშნული მიზნით იქნა მითითებული (შერჩეული). თუმცა, მოვალე რჩება უფლებამოსილი, მოახდინოს სხვა გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ნივთების მიწოდება.

მუხლი 6:66 კრედიტორის მიერ შესრულების მიღების ვადის გადაცილების განმავლობაში ფულისა თუ ნივთის შემნახველისათვის მიბარების უფლება

თუკი ვალდებულება აუცილებლად გულისხმობს ფულადი თანხის გადახდას ან ნივთის მიწოდებას, მაშინ მოვალეს აქვს უფლება კრედიტორის მიერ შესრულების მიღების ვადის გადაცილების განმავლობაში ფულადი თანხა ან ნივთი კრედიტორის სასარგებლოდ შესანახად გადასცეს შემნახველს.

მუხლი 6:67 მიბარების პროცედურა

ფულადი თანხის დეპონირება ხდება კონსიგნაციის გზით კანონით გათვალისწინებული წესით; მისაწოდებელი ნივთის მიბარება ხდება ამ ნივთის იმ პირის მფლობელობაში გადაცემით, რომლის პროფესიულ საქმიანობასაც წარმოადგენს ასეთი სახის ნივთების შენახვა და რომელიც იმყოფება იმ ადგილზე, სადაც გადასაცემი ნივთი უნდა იქნეს კრედიტორისათვის მიწოდებული. სასამართლო დეპონირების მომწესრიგებელი ნორმები გამოიყენება აღნიშნული მიბარების მიმართ იმდენად, რამდენადაც 6:68 მუხლიდან 6:71 მუხლის ჩათვლით ნორმები სხვაგვარად არ გულისხმობს.

მუხლი 6:68 დეპონირებული ფულად თანხებზე პროცენტის დარიცხვის დაუშვებლობა

წინა მუხლის შესაბამისად დეპონირებულ ფულად თანხას არ ერიცხება მოვალის ხარჯზე რაიმე პროცენტი.

მუხლი 6:69 კრედიტორის ვადაგადაცილების დასრულება

- 1. დეპონირების ვადის განმავლობაში კრედიტორს შეუძლია დაასრულოს თავისი ვადაგადაცილება მხოლოდ იმ ფულადი თანხისა თუ ნივთის მიღებით, რომელიც მიბარებულია შემნახველისათვის.
- 2. მანამდე, სანამ კრედიტორი არ მიიღებს შემნახველისათვის მიბარებულ ფულად თანხასა თუ ნივთს, ის პირი, რომელმაც მოახდინა დეპონირება, უფლებამოსილი მოითხოვოს მიბარებული ფულადი თანხისა თუ ნივთის შემნახველისაგან დაბრუნება.

მუხლი 6:70 მიბარების ხარჯების ანაზღაურება

შემნახველს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია გადასცეს კრედიტორს მისთვის მიბარებული ნივთი, თუკი ეს უკანასკნელი აუნაზღაურებს მას შენახვის ყველა ხარჯს. მას შემდეგ, რაც ნივთი გადაეცემა კრედიტორს, შემნახველმა მისთვის ნივთის მიმბარებელს უნდა აუნაზღაუროს ის თანხა, რომელიც ამ უკანასკნელმა უკვე გადაუხადა მას ობიექტის შენახვისათვის. როდესაც მიბარებული ნივთი კრედიტორის მხრიდან შემნახველისათვის თანხის პირდაპირი გადახდის გამო შემნახველის მხრიდან გადაეცემა კრედიტორს თუნდაც მანამდე, სანამ ამ უკანასკნელმა მას აუნაზღაურა შენახვის ყველა ხარჯი, მაშინ კრედიტორის მიმართ შემნახველის სავალი მოთხოვნა ყველა აღნიშნული ხარჯის ანაზღაურებასთან დაკავშირებით მიმბარებლისაგან გადადის შემნახველზე.

მუხლი 6:71 სარჩელის უფლებათა ხანდაზმულობა

მოვალის მიმართ კრედიტორის სარჩელის უფლება არ გახდება ხანდაზმული მისი იმ სარჩელის უფლების ხანდაზმულობის დადგომამდე, რომლითაც ხდება შემნახველისათვის მიბარებული ფულადი თანხის ან ნივთის გადაცემის მოთხოვნა.

მუხლი 6:72 კრედიტორის ვადაგადაცილების შედეგები სოლიდარულ მოვალეთა მიმართ

როდესაც ორი ან მეტი მოვალე კრედიტორის წინაშე პასუხს აგებს სოლიდარულად, ხოლო ეს კრედიტორი კი ახდენს შესრულების მიღების ვადის გადაცილებას, მაშინ კრედიტორის ვადაგადაცილების სამართლებრივი შედეგები აღნიშნული მოვალეების მიმართ მოქმედებს ინდივიდუალურად.

მუხლი 6:73 კრედიტორის ვადაგადაცილების შედეგები სოლიდარულ მოვალეთა მიმართ

თუკი კრედიტორი უარს იტყვის მესამე პირის მხრიდან მოვალის ვალდებულების შესრულების შეთავაზებაზე, მაშინ 6:60, 6:62, 6:63 და 6:66 მუხლებიდან 6:70 მუხლის ჩათვლით ნორმები შესაბამისად გამოი-

ყენება ამ მესამე პირის მიმართაც იმ პირობით, რომ მისი შეთავაზება შესაბამისობაშია მოვალის ვალდებულებასთან და მას აქვს მისი პირადად შესრულების გამართლებული ინტერესი.

განყოფილება 6.1.9 – ვალდებულების შეუსრულებლობის სამართლებრივი შედეგები

ქვეგანყოფილება 6.1.9.1 – ზოგადი დებულებები

მუხლი 6:74 ზიანის ანაზღაურების მიმართ არსებული მოთხოვნები

– 1. ვალდებულების ყოველი დარღვევა წარმოადგენს მოვალის მხრიდან ვალდებულების შეუსრულებლობას და აკისრებს მას პასუხისმგებლობას იმ ზიანისათვის, რომელსაც კრედიტორი განიცდის ამის შედეგად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ვალდებულების შეუსრულებლობა შემოვალეს ვერ შეერაცხება.

– 2. იმდენად, რამდენადაც ჯერ კიდევ არ არის მყარად შეუძლებელი ნაკისრი შესრულების განხორციელება, წინამდებარე მუხლის პარ. 1-ის ნორმები მოქმედებს მხოლოდ მე-2 ქვეგანყოფილებაში ვალდებულების დამრღვევ მოვალესთან დაკავშირებით მოცემული წესების ჯეროვანი დაცვით.

მუხლი 6:75 ვალდებულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება (ფორს-მაჟორი)

ვალდებულების შეუსრულებლობა ვერ შეერაცხება მოვალეს, თუკი მას ამაში არ მიუძღვის ბრალი ანდა ის არ არის ამისთვის ანგარიშვალდებული კანონის, გარიგებისა თუ ზოგადად აღიარებული პრინციპების (საერთო შეფასების) ძალით.

მუხლი 6:76 პასუხისმგებლობა დამხმარე პირების მოქმედებისათვის

როდესაც ვალდებულების შესრულებისას მოვალე იღებს სხვა პირების დახმარებას, მაშინ ის პასუხისმგებელია მათი საქციელისათვის ისე, თითქოს ის თავად მოქმედებდა ასეთ შემთხვევაში.

მუხლი 6:77 პასუხისმგებლობა დამხმარე აღჭურვილობით დამდგარი ზიანისათვის

როდესაც ვალდებულების შესრულებისას გამოიყენება ისეთი ნივთი, რომელიც უვარგისია ამ მიზნისათვის, მოვალეს შეერაცხება ვალდებულების შეუსრულებლობა, რომელიც შეიძლება დადგეს აღნიშნულის შედეგად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი შეერაცხვა არაგონივრული იქნებოდა იმ გარიგების შინაარსისა და აუცილებელი შედეგების გათვალისწინებით, რომლიდანაც წარმოიშობა ვალდებულება, ასევე – ზოგადად აღიარებული პრინციპებისა (საერთო შეფასებისა) და არსებული ვითარების სხვა გარემოებების გათვალისწინებით.

მუხლი 6:78 ზიანის ანაზღაურება პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შემთხვევაში (ფორს-მაჟორი)

– 1. იმდენად, რამდენადაც მოვალემ მიიღო სარგებელი ვალდებულების იმ შეუსრულებლობიდან, რომელიც მას ვერ შეერაცხება და რომლის სარგებელსაც ის ვერ მიიღებდა იმ შემთხვევაში, თუკი ის შეასრულებდა მასზე დაკისრებულ ვალდებულებას, მოვალემ უსაფუძვლო გამდიდრების მომწესრიგებელი ნორმების შესაბამისად უნდა აანაზღაუროს ის ზიანი, რომელიც კრედიტორმა განიცადა ვალდებულების შეუსრულებლობის გამო.

– 2. როდესაც ზემოაღნიშნული სარგებელი წარმოადგენს მესამე პირის მიმართ სავალ მოთხოვნას, მაშინ მოვალეს შეუძლია შეასრულოს წინა პარაგრაფის დანაწესი ამ სავალ მოთხოვნის კრედიტორისათვის გადაცემით.

მუხლი 6:79 პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შემთხვევაში იძულებითი აღსრულება და გაქვითვა

როდესაც მოვალეს არ შეუძლია მასზე დაკისრებული ვალდებულების შესრულება იმ მიზეზის გამო, რომელიც მას ვერ შეერაცხება (პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შემთხვევაში), თუმცაღა, მიუხედავად ამისა, კრედიტორს მაინც შეუძლია ნაკისრი შესრულების მიღება იძულებითი აღსრულების, სასამართლოსათვის მიმართვის გარეშე იძულებითი რეალიზაციისა თუ გაქვითვის გზით, მაშინ კრედიტორს შეუძლია ამ მოქმედებების განხორციელება.

მუხლი 6:80 ვალდებულების შეუსრულებლობის სამართლებრივი შედეგები მანამდე, სანამ სავალო მოთხოვნა გახდება ვადამოსული და შესასრულებელი

– 1. ვალდებულების შეუსრულებლობის სამართლებრივი შედეგები დგინდება ჯერ კიდევ მანამდე, სანამ კრედიტორის სავალო მოთხოვნა გახდება ვადამოსული და შესასრულებელი:

a. თუკი ნათელია, რომ მოვალის მიერ ვალდებულების უნაკლო შესრულება შეუძლებელი იქნება;

b. თუკი კრედიტორმა მოვალის განცხადებიდან უნდა დაასკვნას, რომ ეს უკანასკნელი არ განახორციელებს შესრულებას მის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესაბამისად;

c. ანდა თუკი კრედიტორს აქვს რეალური საფუძველი იმის შიშისა, რომ მოვალე არ განახორციელებს შესრულებას მის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესაბამისად და ის არ შეასრულებს ასევე კრედიტორის წერილობით შეტყობინებას, რომელშიც მოვალეს მოეთხოვება, გონივრულ ვადაში, დაადასტუროს, რომ მას სურს ნაკისრი ვალდებულების შესრულება იმ მომენტში, როდესაც ეს უკანასკნელი გახდება ვადამოსული და შესასრულებელი. ის მიზეზები, რომლებმაც კრედიტორს მისცა რეალური საფუძველი მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის შიშისა, ასევე უნდა მიეთითოს აღნიშნულ შეტყობინებაში.

– 2. ის პირველი დღე, როდესაც სავალო მოთხოვნა ხდება ვადამოსული და შესასრულებელი, ასევე გამოიყენება იმ ზიანის ანაზღაურების ვალდებულების მიმართ, რომელიც გამომდინარეობს ვადის გადაცილებისა და მოვალისათვის ვადაგადაცილების პერიოდთან დაკავშირებით ვალდებულების შეუსრულებლობის შერაცხვიდან.

ქვეგანყოფილება 6.1.9.2 – მოვალის მიერ ვადის გადაცილება

მუხლი 6:81 ვადის გადაცილება

მოვალე ვადაგადაცილებაშია დროის იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც შესრულება არ ხორციელდება ვალდებულების შესაბამისად მას შემდეგ, რაც დადგა ამ უკანასკნელის შესრულების ვადა იმ პირობით, რომ დაკმაყოფილებულია 6:82 და 6:83 მუხლების მოთხოვნები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ვადის გადაცილება მოვალეს ვერ შეერაცხება ანდა ვალდებულების შესრულება მყარად შეუძლებელი გახდა.

მუხლი 6:82 ვადაგადაცილების შესახებ ფორმალური შეტყობინება

– 1. მოვალე იმყოფება ვადაგადაცილებაში, როდესაც მას ვალდებულების შეუსრულებლობისათვის პასუხი მოეთხოვება ფორმალური შეტყობინების წარდგენით, რომლითაც კრედიტორი მას აძლევს გონივრულ ვადას, რომლის განმავლობაშიც მოვალეს შეუძლია განახორციელოს შესრულება მის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესაბამისად, თუმცაღა, მიუხედავად ამისა, ის არ ახდენს ამ ვადის განმავლობაში აღნიშნული ვალდებულების შესრულებას.

– 2. თუკი მოვალე დროებით უნაროა, შეასრულოს მასზე დაკისრებული ვალდებულება ანდა თუკი მისი მდგომარეობიდან ნათელი გახდა, რომ მისთვის ვალდებულების შესასრულებლად გონივრული ვადის მიცემა საერთოდაც უსარგებლოა, მაშინ მას შეიძლება მოეთხოვოს პასუხისმგებლობა ვალდებულების შეუსრულებლობისათვის მხოლოდ და მხოლოდ იმ წერილობითი განცხადებით, რომლის ტექსტიდანაც იკვეთება, რომ მოვალეს დაეკისრება პასუხისმგებლობა მის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის.

მუხლი 6:83 ვადაგადაცილებაში ყოფნა ვალდებულების შესრულების თაობაზე ფორმალური შეტყობინების ან ალტერნატიული განცხადების გარეშე

მოვალე ვადაგადაცილებაში აღმოჩნდება დაუყოვნებლივ ვალდებულების შესრულების თაობაზე წინასწარი ფორმალური შეტყობინებისა თუ ალტერნატიული განცხადების აუცილებლობის გარეშე, რომელშიც მას მოეთხოვება პასუხი მის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობისათვის:

a. როდესაც ვალდებულება ვარდება ვადასთან დაკავშირებული დათქმის მოქმედების ქვეშ (ვადის ამოწურვის თარიღი) და მოვალემ არ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება განსაზღვრული ვადის განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ვადასთან დაკავშირებულ აღნიშნულ დათქმას სხვა მნიშვნელობა აქვს;

b. როდესაც ვალდებულება გამომდინარეობს დელიქტიდან ანდა როდესაც ის აიძულებს მოვალეს, აანაზღაუროს 6:74 მუხლის პარ. 1-ში მითითებული ზიანი, ხოლო ნაკისრი ვალდებულება კი მყარად არ სრულდება;

ც. როდესაც კრედიტორმა მოვალის განცხადებიდან უნდა დაასკვნას, რომ ეს უკანასკნელი არ განახორციელებს შესრულებას მის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესაბამისად.

მუხლი 6:84 მოვალის ვადაგადაცილებაში ყოფნის დროს ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა

როდესაც მოვალე იმყოფება ვადაგადაცილებაში, ამ უკანასკნელს შეეჩვენება ყოველი ის მოვლენა, რაც შეუძლებელს ხდის მისთვის შესრულების განხორციელებას მის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესაბამისად და ის ვერ შეეჩვენება კრედიტორს; მოვალემ უნდა აანაზღაუროს აღნიშნულის შედეგად მიყენებული ზიანი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კრედიტორს მაინც მიადგებოდა ეს ზიანი იმ შემთხვევაშიც, თუკი ვალდებულება ჯეროვნად და დროულად შესრულდებოდა.

მუხლი 6:85 ვადის გადაცილებით გამონვეული ზიანის ანაზღაურება

ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებიდან გამომდინარე ზიანი მოვალის მიერ უნდა ანაზღაურდეს მხოლოდ იმ დროის განმავლობაში, როდესაც ეს უკანასკნელი იმყოფება ვადაგადაცილებაში.

მუხლი 6:86 კრედიტორის უარი მოვალის მხრიდან შეთავაზებულ შესრულებაზე

მოვალის ვადაგადაცილებაში ყოფნის დროს კრედიტორს შეუძლია უარი თქვას მოვალის მხრიდან შეთავაზებულ შესრულებაზე მანამდე, სანამ მოვალე არ შესთავაზებს მას ასევე ზიანისა და იმ ხარჯების ანაზღაურებასაც, რომლებიც უკვე წარმოიშვა ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად.

მუხლი 6:87 ზიანის ალტერნატიული ანაზღაურება

– 1. როდესაც მოვალე იმყოფება ვადაგადაცილებაში და კრედიტორმა მას წერილობით შეატყობინა იმის შესახებ, რომ ითხოვს ზიანის ანაზღაურებას ნაცვლად თავდაპირველი შესრულებისა, შეუსრულებელი ვალდებულება გარდაიქმნება ალტერნატიული ზიანის დაფარვის ვალდებულებაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამ დროისათვის თავდაპირველი შესრულების განხორციელება უკვე მყარად შეუძლებელი იყო (შეუძლებელი გახდა).

– 2. თავდაპირველი ვალდებულება არ გარდაიქმნება ალტერნატიული ზიანის დაფარვის ვალდებულებაში, როდესაც ეს არ არის გამართლებული იმ ფაქტის მხედველობაში მიღებით, რომ ვალდებულების შეუსრულებლობა უმნიშვნელოა.

ქვეგანყოფილება 6.1.9.3 – ვალდებულების შეუსრულებლობის სხვა შედეგები

მუხლი 6:88 კრედიტორის უფლებების დაკარგვა მოვალის მიერ პასუხის გაცემისათვის დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ

– 1. მოვალეს, რომელმაც არ შეასრულა მასზე დაკისრებული ვალდებულება, შეუძლია კრედიტორს დაუდგინოს გონივრული ვადა, რომლის განმავლობაშიც ამ უკანასკნელმა უნდა შეატყობინოს მას იმის შესახებ, თუ სამართლებრივი დაცვის საშუალებებიდან რომელს გამოიყენებს კრედიტორის მოვალის მიმართ, რის შედეგადაც – იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნული ვადა იწურება კრედიტორის მხრიდან შეტყობინების წარდგენის გარეშე – კრედიტორს შეეძლება მხოლოდ:

a. მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც გათვალისწინებულია კანონით ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ხოლო იმდენად, რამდენადაც ვალდებულების თანახმად მოვალემ უნდა დაფაროს ფულადი თანხა, – მოითხოვოს ამ უკანასკნელის გადახდა;

b. გავიდეს იმ ხელშეკრულებიდან, რომლიდანაც გამომდინარეობს ვალდებულება, თუკი მოვალე დაამტკიცებს იმას, რომ ვალდებულების შეუსრულებლობა მას ვერ შეეჩვენება.

– 2. როდესაც კრედიტორმა მოვალის მიერ მისთვის დადგენილ გონივრულ ვადაში მიუთითა, რომ ის ითხოვს თავდაპირველი ვალდებულების შესრულებას, თუმცადა მოვალე არ ახდენს ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებას გონივრული ვადის განმავლობაში, კრედიტორს კვლავ შეუძლია ისარგებლოს სამართლებრივი დაცვის ყველა საშუალებით; ასეთ შემთხვევაში შესაბამისად გამოიყენება წინა პარაგრაფის ნორმები.

მუხლი 6:89 ყველა უფლების დაკარგვა იმ შემთხვევაში, როდესაც კრედიტორმა დროულად არ წარადგინა პრეტენზია

კრედიტორი ვერ მიუთითებს მიღებულ შესრულებაში არსებულ ხარვეზზე (ნაკლზე), თუკი მან დროულად

ლად არ წარუდგინა ამის შესახებ პრეტენზია მოვალეს მას შემდეგ, როდესაც მან აღმოაჩინა ეს ხარვეზი (ნაკლი) ანდა მას გონივრულად უნდა აღმოეჩინა ის.

მუხლი 6:90 საქონლის გაყიდვის უფლება ნაღდი ფულით

– 1. როდესაც მოვალემ უნდა განახორციელოს იმ საქონლის მიწოდება, რომელიც ადვილად ფუჭდება ან სწრაფად ხდება უსარგებლო, ანდა რომლის შენახვაც დაკავშირებულია ისეთ სირთულეებთან, რომ არსებულ გარემოებებში ეს მოვალისაგან მოსალოდნელი ვერ იქნება, მაშინ ეს უკანასკნელი უფლებამოსილია სათანადო პროცედურის დაცვით გაყიდოს აღნიშნული საქონლი. მოვალე კრედიტორის მიმართ ვალდებულია შეუდგეს ასეთ ნასყიდობას იმ შემთხვევაში, როდესაც ეს უქვევლად მოითხოვება კრედიტორის ინტერესების გათვალისწინებით ანდა როდესაც ამ უკანასკნელმა დაავალა მოვალეს საქონლის რეალიზაცია.

– 2. ზემოაღნიშნული ნასყიდობიდან მიღებული წმინდა შემოსავალი იკავებს იმ საქონლის ადგილს, რომელიც თავდაპირველად უნდა ყოფილიყო მიწოდებული მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობიდან გამომდინარე კრედიტორის უფლებათა შეზღუდვის გარეშე.

ქვეგანყოფილება 6.1.9.4 – სახელშეკრულებო პირგასამტეხლო

მუხლი 6:91 სახელშეკრულებო პირგასამტეხლოს შესახებ დათქმა

სახელშეკრულებო პირგასამტეხლოს შესახებ დათქმა წარმოადგენს სახელშეკრულებო დათქმას, რომლითაც მოვალის მიერ ფულადი თანხის გადახდა ან სხვა შესრულების განხორციელება გათვალისწინებულია იმ შემთხვევაში, თუკი მოვალე სათანადოდ არ ასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებას მიუხედავად იმ ვარაუდისა, რომ ეს ფულადი თანხა ან სხვა შესრულება წარმოადგენს ზიანის კომპენსაციას ანდა – უბრალოდ ვალდებულების შესრულების სტიმულს.

მუხლი 6:92 სახელშეკრულებო პირგასამტეხლოს შესახებ დათქმის შესრულებაზე მითითება

– 1. კრედიტორი ვერ მოითხოვს ერთდროულად როგორც სახელშეკრულებო პირგასამტეხლოს შესახებ დათქმის, ისე ამ უკანასკნელთან დაკავშირებული ვალდებულების შესრულებას.

– 2. ის თანხა, რომლის გადახდაც უნდა მოხდეს სახელშეკრულებო პირგასამტეხლოს შესახებ დათქმის საფუძველზე, კანონის ძალით იკავებს ასანაზღაურებელი ზიანის კომპენსაციის ადგილს.

– 3. კრედიტორი ვერ მოითხოვს სახელშეკრულებო პირგასამტეხლოს შესახებ დათქმის შესრულებას იმ შემთხვევაში, როდესაც ამ დათქმასთან დაკავშირებული ვალდებულების შეუსრულებლობა მოვალეს ვერ შეერაცხება.

მუხლი 6:93 სახელშეკრულებო პირგასამტეხლოს რეალიზაციის მიმართ არსებული მოთხოვნები

სახელშეკრულებო პირგასამტეხლოს მოთხოვნის შესაძლებლობის მიღებისათვის კრედიტორმა ფორმალური შეტყობინების წარდგენისა თუ განცხადების გამოქვეყნების გზით უშედეგოდ უნდა გაააფრთხილოს მოვალე მასზე დაკისრებული ვალდებულების შესრულების შესახებ იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელი იქნებოდა ასანაზღაურებელი ზიანის კანონის ძალით კომპენსაციის მოთხოვნის შესაძლებლობისათვის.

მუხლი 6:94 სახელშეკრულებო პირგასამტეხლოს ოდენობის შემცირება ან გაზრდა

– 1. სასამართლოს მოვალის მოთხოვნის საფუძველზე შეუძლია შეამციროს სახელშეკრულებო პირგასამტეხლოს ოდენობა, თუკი ეს ამკარად მოითხოვება გონივრულობისა და სამართლიანობის სტანდარტების შესაბამისად იმ პირობით, რომ სასამართლო ვერ მიაჩნტებს კრედიტორს იმაზე ნაკლებს, ვიდრე ეს იქნებოდა კანონის ძალით ასანაზღაურებელი ზიანის კომპენსაციის თანხის ოდენობა.

– 2. სასამართლოს კრედიტორის მოთხოვნის საფუძველზე დამატებითი ზიანისათვის შეუძლია მოახდინოს კომპენსაციის თანხის მინიჭება იმ სახელშეკრულებო პირგასამტეხლოსთან ერთად, რომელმაც ჩაანაცვლა კანონის ძალით ასანაზღაურებელი ზიანის კომპენსაციის თანხა, თუკი ეს ამკარად მოითხოვება გონივრულობისა და სამართლიანობის სტანდარტების შესაბამისად.

– 3. ბათილია თითოეული სახელშეკრულებო დებულება, რომელიც გვერდს უვლის პარ. 1-ის ნორმებს.

განყოფილება 6.1.10 – ზიანის ანაზღაურების კანონისმიერი ვალდებულება

მუხლი 6:95 კანონის შესაბამისად ასანაზღაურებელი ზიანი

ზარალი, რომელიც უნდა ანაზღაურდეს კანონისმიერი ვალდებულების საფუძველზე კანონის ძალით ზიანის გამოსწორების მიზნით, შედგება მატერიალური და სხვა ზარალისაგან, ამავე დროს, ეს უკანასკნელი – იმდენად, რამდენადაც კანონი ითვალისწინებს ასეთი ზიანის კომპენსაციის დამატებით უფლებას.

მუხლი 6:96 მატერიალური ზარალი

– 1. მატერიალური ზარალი მოიცავს როგორც პირის მიერ განცდილ ზარალს, ისე მიუღებელ შემოსავალსაც.

– 2. ქვემოთ მოცემული ზარალი ასევე კვალიფიცირდება როგორც მატერიალური ზარალი:

a. იმ მოვლენის შედეგად მოსალოდნელი ზარალის თავიდან აცილებასა თუ შეზღუდვაზე განეული გონივრული ხარჯები, რომლისათვისაც პასუხისმგებლობა ეკისრება რომელიმე პირს;

b. ზარალის ბუნებისა და მოცულობის განსაზღვრასა და ასევე პასუხისმგებელი პირის დადგენაზე განეული გონივრული ხარჯები;

c. სასამართლო დავის გარეშე დადებული შეთანხმების საფუძველზე დაკმაყოფილების მიღების მცდელობებზე განეული გონივრული ხარჯები.

– 3. პარ. 1-ის (b) და (c) პუნქტები არ მოქმედებს იმდენად, რამდენადაც განსახილველ შემთხვევაში სამართალწარმოების ხარჯებთან დაკავშირებული წესები გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლის შესაბამისად.

– 4. 6:119a მუხლის პარ. 1-ში ან 6:119b მუხლის პარ. 1-ში აღნიშნული სავაჭრო ტრანზაქციის შემთხვევაში, პარ. 2-ის (c) პუნქტში მითითებული ხარჯების საკომპენსაციო თანხა შეადგენს, სულ ცოტა, 40 ევროს. ეს თანხა ექვემდებარება გადახდას ნებისმიერი (ფორმალური) შეტყობინების წარდგენის აუცილებლობის გარეშე გადახდისათვის კანონისმიერი ან შეთანხმებული ბოლო ვადის ამონურვის დღის შემდგომი დღიდან. კრედიტორის ინტერესების საზიანოდ ამ წესიდან გადახვევა დაუშვებელია.

– 5. პარ. 2-ის (c) პუნქტში მითითებული ხარჯების საკომპენსაციო თანხასთან დაკავშირებით დამატებითი რეგულაციები მიიღება მეფის სამთავრობო ბრძანებით. მოვალის ინტერესების საზიანოდ ამ რეგულაციებიდან გადახვევა დაუშვებელია, თუკი მოვალე წარმოადგენს ფიზიკურ პირს, ვინც არ მოქმედებდა თავისი პროფესიული ან სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში. აღნიშნულ შემთხვევაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლის პირველი წინადადება არ გამოიყენება.

– 6. თუკი მოვალე წარმოადგენს ფიზიკურ პირს, ვინც არ მოქმედებდა თავისი პროფესიული ან სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში, მაშინ დამატებითი რეგულაციების შესაბამისად არსებული საკომპენსაციო თანხა ექვემდებარება გადახდას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც 6:81 მუხლში მითითებული ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემდეგ მოვალეს ფორმალური შეტყობინების საფუძველზე თოთხმეტი დღის განმავლობაში მოეთხოვა გადახდის განხორციელება, მათ შორის, დამატებითი რეგულაციების შესაბამისად მოთხოვნილი საკომპენსაციო თანხის გადახდის განხორციელება, როგორც ჩანს, ფორმალურად უშედეგოდ იქნა მისთვის შეტყობინებული (ამ შეტყობინებაში იმ შედეგების მოხსენიებით, თუკი მოვალე არ განახორციელებს ამ გადახდას); აღნიშნულ შემთხვევაში საკომპენსაციო თანხა გადახდას ექვემდებარება ფორმალური შეტყობინების გაგზავნის დღიდან.

– 7. თუკი იმავე კრედიტორს შეუძლია რამდენიმე ვალთან დაკავშირებული ფორმალური შეტყობინების ერთი და იგივე მოვალისათვის გაგზავნა, როგორც ეს მითითებულია პარ. 6-ში, მან ეს უნდა განახორციელოს ერთ ფორმალურ შეტყობინებაში. საკომპენსაციო თანხის გამოთვლის მიზნით უნდა მოხდეს აღნიშნული სავალ მოთხოვნების ძირითადი თანხების დამატება.

მუხლი 6:97 ზარალის შეფასება

სასამართლო აფასებს ზარალის ოდენობას იმგვარად, როგორც ეს ყველაზე მეტად შესაბამისია მიყენებული ზიანის ბუნებასთან. როდესაც ზარალის ოდენობის ზუსტი გაანგარიშება შეუძლებელია, მაშინ ის უნდა შეფასდეს მიახლოებით.

მუხლი 6:98 მიზეზობრივი კავშირი და შერაცხვა

ანაზღაურებას შეიძლება დაექვემდებაროს მხოლოდ ის ზარალი, რომელიც იმგვარად არის დაკავშირებული მოვალის პასუხისმგებლობის გამომწვევი მოვლენის დადგომასთან, რომ მოვალის პასუხისმგებ-

ლობის ბუნებისა და მიყენებული ზიანის გათვალისწინებით მას შეიძლება შეეცალოს ეს ზარალი როგორც აღნიშნული მოვლენის შედეგი.

მუხლი 6:99 რამდენიმე მოვლენით გამოწვეული ზარალი (შებრუნებული მტკიცების ტვირთი)

როდესაც ზარალი გამოწვეულია იმ ორი ან რამდენიმე მოვლენით, რომლისათვისაც პასუხისმგებელია სხვა პირი, და ასევე დგინდება, რომ ზარალი წარმოადგენს, სულ ცოტა, ერთ-ერთი ამ მოვლენათაგანის შედეგს, მაშინ თითოეული ამ პასუხისმგებელი პირთაგანი სოლიდარულად აგებს პასუხს აღნიშნული ზარალისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პასუხისმგებელი პირი დაამტკიცებს, რომ კონკრეტული ზარალი არ არის გამოწვეული იმ მოვლენით, რომლისათვისაც ის თავად არის პასუხისმგებელი.

მუხლი 6: 100 სარგებლის გაქვითვა

როდესაც დაზარალებულმა მოვლენისაგან განიცადა არა მარტო ზარალი, არამედ მიიღო ასევე სარგებელიც, მაშინ იმდენად, რამდენადაც ეს გონივრულია, აღნიშნული სარგებელი გამოაკლდება იმ ზარალის თანხას, რომელიც მას უნდა აუნაზღაურდეს.

მუხლი 6: 101 დაზარალებულის საკუთარი ბრალი

– 1. როდესაც ზარალი გამოწვეულია ასევე იმ გარემოებებითაც, რომლებიც შეიძლება შეეცალოს თავად დაზარალებულს, მაშინ ზარალის ანაზღაურების ვალდებულება მცირდება ზარალის სრული მოცულობის დაზარალებულისა და პასუხისმგებელი პირისათვის იმ პროპორციული შერაცხვით, რა მოცულობითაც ზიანის დადგომის გამომწვევი გარემოებები შეიძლება მათ მიენეროს ინდივიდუალურად იმ პირობით, რომ ადგილი აქვს ზარალის სხვაგვარ შერაცხვას ანდა ზარალის ანაზღაურების ვალდებულება წყდება ან სრულად რჩება ძალაში, თუკი ეს მოითხოვება სამართლიანობის პრინციპით მოცემულ ვითარებაში ბრალის სხვადასხვა სიმძიმისა თუ სხვა გარემოებათა გათვალისწინებით.

– 2. თუკი ზარალის ანაზღაურების ვალდებულება ეხება იმ ზიანს, რომელიც გამოწვეულია დაზარალებულის სახელით მესამე პირის ფაქტობრივ ბატონობაში არსებული ნივთით, მაშინ წინა პარაგრაფის ნორმების გამოყენებასთან დაკავშირებით ის გარემოებები, რომლებიც შეიძლება მიენეროს მესამე პირს, შეეცალოს დაზარალებულს.

მუხლი 6: 102 ერთობლივი ბრალი და პასუხისმგებელი პირების ერთმანეთს შორის შიდა ურთიერთობიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურებაში საკუთარი წვლილის შეტანა

– 1. როდესაც ორი ან მეტი პირი ინდივიდუალურად არის პასუხისმგებელი ერთი და იგივე ზიანისათვის, მაშინ მათ ეკისრებათ სოლიდარული პასუხისმგებლობა. იმის დადგენისათვის, თუ რა წვლილი უნდა შეიტანოს თითოეულმა მათგანმა ერთმანეთს შორის შიდა ურთიერთობიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურებაში 6:10 მუხლის საფუძველზე, ზიანი მათ შეეცაოს 6:101 მუხლის შესაბამისად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც განსხვავებული შერაცხვის წესი გამომდინარეობს კანონიდან ან გარიგებიდან.

– 2. როდესაც ზარალი გამოწვეულია ასევე იმ გარემოებებითაც, რომლებიც შეიძლება შეეცაოს თავად დაზარალებულს, მაშინ 6:101 მუხლის ნორმები გამოიყენება წინა პარაგრაფში მითითებული თითოეული პასუხისმგებელი პირის ვალდებულების მიმართ, აუნაზღაუროს დაზარალებულს მიყენებული ზიანი იმ პირობით, რომ ამ უკანასკნელს საერთოდაც შეუძლია არ მოსთხოვოს თითოეულ პასუხისმგებელ პირს იმაზე მეტი, რაც მას შეეძლო მოეთხოვა იმ შემთხვევაში, თუკი მხოლოდ ერთ-ერთი მათგანი იქნებოდა პასუხისმგებელი იმ გარემოებათა დადგომისათვის, რასაც ეფუძნება ამ პირების პასუხისმგებლობა. როდესაც შეუძლებელია საკუთარი წვლილის სრულად ანაზღაურება იმ ერთ-ერთი პირისაგან, რომელსაც შიდა ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულება ეკისრება ზიანის ანაზღაურებაში მონაწილეობის ვალდებულება, მაშინ სასამართლოს ერთ-ერთ ამ პირთა მოთხოვნის საფუძველზე შეუძლია დაადგინოს, რომ 6:13 მუხლის გამოყენებისას აუნაზღაურებელი მონაწილეობა ასევე შეეცაოს დაზარალებულს.

მუხლი 6: 103 ანაზღაურების სახე (ფულადი თანხა ან სხვა სახის კომპენსაცია)

ზიანის ანაზღაურება ხდება ფულადი თანხით. თუმცაღა, სასამართლოს შეუძლია პირს მიაკუთვნოს სხვა სახის კომპენსაცია, ნაცვლად ფულადი თანხისა იმ შემთხვევაში, თუკი დაზარალებულმა ეს მოითხოვა. როდესაც ასეთი სასამართლოს გადაწყვეტილების მიღების შემდეგ პასუხისმგებელი პირი გონივრულ ვადაში არ უზრუნველყოფს სხვა სახის კომპენსაციის მიცემას, დაზარალებული იბრუნებს ფულადი თანხის სახით კომპენსაციის მიღების უფლებას.

მუხლი 6:104 ანაზღაურების სახე (ფულადი თანხა ან სხვა სახის კომპენსაცია)

თუკი პირმა, ვინც პასუხისმგებელია სხვა პირის წინაშე დელიქტისა თუ ვალდებულების დარღვევის შედეგად, მიიღო სარგებელი ამ დელიქტისა თუ ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, მაშინ სასამართლოს დაზარალებულის მოთხოვნის საფუძველზე შეუძლია შეაფასოს ზემოაღნიშნული ზიანი მიღებული სარგებლის ან მისი ნაწილის ოდენობის შესაბამისად.

მუხლი 6:105 იმ ზიანის შეფასება, რომელიც ჯერ არ გამოვლენილა

– 1. იმ ზიანის შეფასება, რომელიც ჯერ არ გამოვლენილა, შეიძლება სასამართლოს მიერ სრულად ან ნაწილობრივ გადავადდეს ანდა დადგინდეს წინასწარ ყველა ხელსაყრელი და არახელსაყრელი შესაძლებლობის შეფასების შემდეგ. ამ უკანასკნელ ვითარებაში სასამართლოს შეუძლია დაავალოს მოვალეს მთლიანი თანხის დაუყოვნებლივ ერთჯერადი თანხის ანდა განაწილვადებით (ნაწილ-ნაწილ) პერიოდულად გადახდა უზრუნველყოფის წარდგენის ვალდებულების დაკისრებით ანდა ამ უკანასკნელის დაკისრების გარეშე; სასამართლოს ასეთი გადაწყვეტილება შეიძლება მიღებულ იქნეს დამატებითი პირობების დადგენით.

– 2. იმდენად, რამდენადაც სასამართლომ დაავალა მოვალეს დადგენილი თანხის განაწილვადებით (ნაწილ-ნაწილ) პერიოდულად გადახდა, მას იმავე გადაწყვეტილებაში შეუძლია დაადგინოს, რომ ეს ვალდებულება შეიცვალოს ყოველი მხარის მოთხოვნით, რომელიც წარედგინება იმ სასამართლოს, რომელმაც მოთხოვნის უფლებასთან (სარჩელის უფლებასთან) დაკავშირებით პირველი ინსტანციით მიიღო გადაწყვეტილება ზიანის ანაზღაურების შესახებ, თუმცა – თუკი მხოლოდ ამის შემდგომ გამოვლინდა ახალი გარემოებები, რომლებიც მნიშვნელოვანია კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისათვის, მაგრამ არ იქნა მხედველობაში მიღებული ხელსაყრელი ან არახელსაყრელი შესაძლებლობის სახით დასაკისრებელი თანხის დადგენის მომენტში.

მუხლი 6:106 სხვა ზარალი, ნაცვლად მატერიალურისა („pretio doloris“)

– 1. დაზარალებულს აქვს იმ ზარალის ანაზღაურების უფლება, რომელიც არ წარმოადგენს რა მატერიალურ ზარალს, ფასდება გონივრულობისა და სამართლიანობის სტანდარტების შესაბამისად იმ შემთხვევაში:

a. თუკი პასუხისმგებელ პირს განზრახული ჰქონდა ასეთი ზიანის მიყენება;

b. თუკი დაზარალებულმა განიცადა ფიზიკური დაზიანება ან შეილახა მისი პატივი ან ღირსება ანდა მას პირადად ადგება სხვაგვარი ზიანი;

c. თუკი ზიანი მდგომარეობს გარდაცვლილი პირის ხსოვნისადმი ზიანის მიყენებაში და ამ უკანასკნელის მიყენება ხდება განცალკევებით ცხოვრების რეჟიმში მყოფი მეუღლისათვის, რეგისტრირებული პარტნიორისა თუ მეორე რიგის ჩათვლით გარდაცვლილის სისხლით ნათესავისათვის იმ პირობით, რომ გარდაცვლილი პირის ხსოვნისადმი ზიანის მიყენება ხდება იმგვარად, რომ თავად ეს უკანასკნელი შეძლებდა პატივისა თუ ღირსების შელახვისათვის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას ცოცხალი რომ ყოფილიყო.

– 2. დაუშვებელია წინა პარაგრაფში მითითებულ რეალურ ზარალთან დაკავშირებული სავალო მოთხოვნის (არამატერიალური ზარალის) სხვა პირზე გასხვისება (გადაცემა) ან დაყადაღება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სავალო მოთხოვნის არსებობა აღიარებულ იქნა შეთანხმებით ანდა მასთან დაკავშირებით სასამართლოს წარედგინა შესაბამისი მოთხოვნის უფლება (სარჩელის უფლება). თუმცა, აღნიშნული სავალო მოთხოვნის უნივერსალური სამართალმემკვიდრეობით შექმნისათვის საკმარისია უფლებამოსილი პირის მხრიდან პასუხისმგებელი პირისათვის გაგზავნილი შეტყობინება იმის თაობაზე, რომ ის ითხოვს ასეთ კომპენსაციას.

მუხლი 6:107 ფიზიკური ან ფსიქიკური დაზიანებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება

– 1. თუკი ვინმემ ფიზიკური ან ფსიქიკური დაზიანებები მიიღო იმ მოვლენის შედეგად, რომლისათვისაც პასუხისმგებელია სხვა პირი, მაშინ ამ უკანასკნელმა უნდა აანაზღაუროს არა მარტო დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანი, არამედ ასევე ის ხარჯებიც, რომლებიც მესამე პირმა დაზარალებულის სასარგებლოდ გასწია იმდენად, რამდენადაც ეს უკანასკნელი – თუკი მან პირადად გასწია ეს ხარჯები – შეძლებდა ამ ხარჯების ანაზღაურებას პასუხისმგებელი პირისაგან.

– 2. იმ პირს, რომელსაც წინა პარაგრაფის შესაბამისად მესამე პირის მხრიდან დაეკისრა პასუხისმგებლობა მიყენებული ზიანისათვის, შეუძლია ამ მესამე პირის მიმართ გამოიყენოს ის შესაგებლები, რომელთა წარდგენაც მას შეუძლია ანდა შეეძლო თავად დაზარალებულის მიმართ.

მუხლი 6:107a დამსაქმებლის უფლება, მიიღოს კომპენსაცია იმ დასაქმებულისათვის გადახდილი სახელფასო თანხებისათვის, რომელსაც ზიანი მიაყენა მესამე პირმა

- 1. თუკი პირმა ფიზიკური ან ფსიქიკური დაზიანებები მიიღო იმ მოვლენის შედეგად, რომლისათვისაც პასუხისმგებელია სხვა პირი, მაშინ იმ რეალური ზარალის კომპენსაციის განსაზღვრისას, რომლის მიღებაც უფლებამოსილია დაზარალებული, სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს ასევე თავისი დამსაქმებლის მიმართ არსებული დაზარალებულის სავალო მოთხოვნა, რომელიც გამომდინარეობს დამსაქმებელზე სამოქალაქო კოდექსის 7:629 მუხლის პარ. 1-ის ანდა ინდივიდუალური თუ კოლექტიური შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დაკისრებული სახელფასო თანხების გადახდის გაგრძელების სამართლებრივი მოვალეობიდან.

- 2. იმდენად, რამდენადაც სამოქალაქო კოდექსის 7:629 მუხლის პარ. 1-ის ანდა ინდივიდუალური თუ კოლექტიური შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დამსაქმებელმა უნდა გააგრძელოს სახელფასო თანხების გადახდა იმ ვადის განმავლობაში, როდესაც მის დასაქმებულს არ შეუძლია მუშაობა იმ მოვლენის შედეგად გამონეული ავადმყოფობისა თუ შეზღუდული შესაძლებლობის გამო, რომლისათვისაც პასუხისმგებელია სხვა პირი, მაშინ დამსაქმებელი უფლებამოსილია მოითხოვოს რეალური ზარალის ანაზღაურება ამ სხვა პირისაგან მაქსიმუმ იმ თანხის ოდენობით, რომლისათვისაც ამ უკანასკნელს შეეძლო მოეთხოვა პასუხი თავად დაზარალებულს იმ შემთხვევაში, თუკი მისი ხელფასის თანხები უწყვეტად არ იქნებოდა გადახდილი იმ რეალური ზარალის გამოკლებით, რომელიც ეკისრება აღნიშნულ სხვა პირს დაზარალებულის წინაშე.

- 3. როდესაც პარ. 2-ში მითითებული პასუხისმგებელი პირი წარმოადგენს ასევე {კონკრეტული დასაქმებლის} დასაქმებულსაც, დამსაქმებელი უფლებამოსილია მოითხოვოს მისგან რეალური ზარალის ანაზღაურება იმ შემთხვევაში, თუკი დაზარალებული დასაქმებულის შრომისუნარობა გამონეულია განზრახი მოქმედებით ანდა უხეში გაუფრთხილებლობით.

მუხლი 6:108 რეალური ზარალის ანაზღაურება დაზარალებული პირის გარდაცვალების შემთხვევაში

- 1. თუკი პირი გარდაიცვალა იმ მოვლენის შედეგად, რომლისათვისაც მის წინაშე პასუხისმგებელია სხვა პირი, მაშინ ამ უკანასკნელს გარდაცვლილის სავარაუდო შემოსავლის დაკარგვის გამო განცდილი ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება:

a. განცალკევებით ცხოვრების რეჟიმში არმყოფი მეუღლის, რეგისტრირებული პარტნიორისა თუ გარდაცვლილის არასრულწლოვანი შვილების მიმართ, სულ ცოტა, იმ თანხის ოდენობით, რომელიც მათ კანონით სარჩოს სახით ეკუთვნით;

b. გარდაცვლილის სხვა სისხლით და კანონით ნათესავების მიმართ იმ პირობით, რომ პირი მისი გარდაცვალების მომენტიდან დასაწყისში ან სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, ფინანსურ დახმარებას უწევდა მათ ცხოვრების ხარჯების დაფარვის მიზნით;

c. იმ პირების მიმართ, რომლებიც პასუხისმგებლობის გამომწვევ მოვლენამდე ცხოვრობდნენ გარდაცვლილთან საოჯახო ურთიერთობაში და რომელთა რჩენასაც სრული მოცულობით ანდა დიდწილად ახორციელებდა გარდაცვლილი პირი იმდენად, რამდენადაც სავარაუდოა, რომ ის გააგრძელებდა ამ რჩენას, ცოცხალი რომ ყოფილიყო, თუმცაღა – მხოლოდ იმდენად, რამდენადაც აღნიშნულ პირებს არ შეუძლიათ საკუთარი თავის რჩენა;

d. იმ პირის მიმართ, ვინც გარდაცვლილთან იმყოფებოდა საოჯახო ურთიერთობაში და რომლის რჩენაშიც გარდაცვლილი მონაწილეობდა საერთო საოჯახო მეურნეობის ფაქტობრივი წარმოების მეშვეობით იმდენად, რამდენადაც ეს პირი ზარალდება იმის გამო, რომ მას უწევს სხვა გზის პოვნა მეურნეობის სამართავად მარჩენალის გარდაცვალების შემდეგ.

- 2. გარდა ზემოაღნიშნულისა, პასუხისმგებელი პირი ვალდებულია გარდაცვლილის გასვენებისა და დაკრძალვის ხარჯები აუნაზღაუროს იმ პირს, რომელმაც გასწია ეს ხარჯები, თუმცაღა – მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ხარჯების ოდენობა შესაბამისობაშია გარდაცვლილის ცხოვრების ხარისხთან და სხვა შესაბამის გარემოებებთან.

- 3. პირს, რომელსაც აღნიშნული ნორმების საფუძველზე, დაეკისრა პასუხისმგებლობა მიყენებული ზიანისათვის, შეუძლია რეალური ზარალის ანაზღაურების მოთხოვნაზე უფლებამოსილი პირის მიმართ გამოიყენოს ის შესაბამისი, რომელთა წარდგენაც ის შეძლებდა თავად გარდაცვლილის მიმართ.

მუხლი 6:109 რეალური ზარალის ანაზღაურების თანხის შემცირება

- 1. სასამართლოს შეუძლია შეამციროს ზარალის ანაზღაურებისათვის გადასახდელი ვალდებულების

თანხის ოდენობა, თუკი ზარალის სრული მოცულობით ანაზღაურების დაკისრება გამოიწვევს აშკარად მიუღებელ შედეგებს მოცემული ვითარების ისეთი გარემოებების გათვალისწინებით, როგორცაა პასუხისმგებლობის სახე, მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობა და მათი ფინანსური რესურსები.

– 2. ზარალის ანაზღაურებისათვის გადასახდელი ვალდებულების თანხა ვერ იქნება იმ ოდენობაზე ნაკლები, რა ოდენობითაც მოვალემ დააზღვია თავისი პასუხისმგებლობა ანდა ის იძულებული იყო ასე მოქცეულიყო.

– 3. ბათილია თითოეული სახელშეკრულებო დებულება, რომელიც გვერდს უვლის პარ. 1-ის ნორმებს.

მუხლი 6:110 პასუხისმგებლობის მაქსიმიზაცია მეფის სამთავრობო ბრძანებით

იმის თავიდან ასაცილებლად, რომ პასუხისმგებლობამ გადააჭარბოს ზარალს, რომელიც გონივრულად შეიძლება დაიფაროს დაზღვევით, მეფის სამთავრობო ბრძანებით შესაძლებელია პასუხისმგებლობის მაქსიმალური ოდენობის დადგენა. ცალკეული თანხების მაქსიმიზაცია დასაშვებია ასევე მოვლენის ბუნების, ზიანის ხარისხისა და პასუხისმგებლობის საფუძვლის შესაბამისადაც.

განყოფილება 6.1.11 – ფულადი თანხის გადახდის ვალდებულება

მუხლი 6:111 ნომინალური თანხა

ფულადი თანხის გადახდის ვალდებულება სრულდება მისი ნომინალური ოდენობით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვაგვარი შედეგი გამომდინარეობს კანონიდან, ზოგადი პრაქტიკიდან ანდა გარიგებიდან.

მუხლი 6:112 ფულადი თანხის მოქმედ ვალუტაში გადახდა

ფულადი თანხის გადახდის ვალდებულების შესრულების მიზნით გადახდა უნდა განხორციელდეს იმ ქვეყანაში მოქმედ ვალუტაში, სადაც ხორციელდება თანხის გადახდა.

მუხლი 6:112 {გაუქმებულია 01.01.2002წ.}

მუხლი 6:114 საბანკო გადახდები

– 1. თუ კრედიტორს აქვს საბანკო ანგარიში, რომელიც გამოიყენება უნაღდო ანგარიშსწორების ოპერაციებისათვის იმ ქვეყანაში, სადაც უნდა ან შეიძლება განხორციელდეს თანხის გადახდა, მაშინ მოვალეს ნაკისრი ვალის გადახდა შეუძლია თანხის ამ საბანკო ანგარიშზე გადარიცხვით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კრედიტორმა ლეგიტიმურად გამოიცილა თანხის გადახდა აღნიშნულ საბანკო ანგარიშზე.

– 2. წინა პარაგრაფით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თანხის გადახდა ხორციელდება იმ მომენტში, როდესაც თანხა აისახება კრედიტორის საბანკო ანგარიშზე.

მუხლი 6:115 გადახდის ადგილი

ადგილი, სადაც უნდა მოხდეს ნაკისრი ფულადი თანხის გადახდა, განისაზღვრება 6:116 მუხლიდან 6:118 მუხლის ჩათვლით ნორმების შესაბამისად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კანონის, ზოგადი პრაქტიკისა თუ გარიგების მიხედვით ფულადი თანხის გადახდა შეიძლება მოხდეს სხვა ადგილზე.

მუხლი 6:116 კრედიტორის დომიცილი

– 1. ფულადი თანხის გადახდა უნდა მოხდეს იმ ადგილზე, სადაც გადახდის მომენტში კრედიტორს აქვს თავისი დომიცილი.

– 2. კრედიტორი უფლებამოსილია მიუთითოს გადახდის სხვა ადგილი იმ პირობით, რომ ეს უკანასკნელი არსებობს იმავე ქვეყანაში, სადაც კრედიტორს გადახდის მომენტში აქვს თავისი დომიცილი ანდა სადაც ეს უკანასკნელი არსებობდა ვალდებულების წარმოშობის მომენტში.

მუხლი 6:117 გადახდის სხვა ადგილი

თუკი 6:116 მუხლის შესაბამისად ფულადი თანხის გადახდა უნდა მოხდეს სხვა ადგილზე, ნაცვლად ვალდებულების წარმოშობის მომენტში არსებული კრედიტორის დომიცილისა ისე, რომ ამის შედეგად მოვალისათვის გაცილებით რთული ხდება მასზე დაკისრებული ვალდებულების შესრულება, მაშინ მოვალე

უფლებამოსილია, შეაჩეროს გადახდა მანამდე, სანამ კრედიტორი არ მიუთითებს გადახდის სხვა ადგილს 6:116 მუხლის პარ. 2-ში ნახსენებ იმ ერთ-ერთ ქვეყანაში, სადაც ასეთი სირთულეები არ არსებობს.

მუხლი 6:118 სანარმოს ადგილი

თუკი ფულადი თანხის გადახდის სავალ მოთხოვნა გამომდინარეობს კრედიტორის მიერ თავისი პროფესიული ან სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობიდან, მაშინ ის სანარმოს ადგილი, სადაც კრედიტორი ახორციელებს ამ საქმიანობას, 6:116 და 6:118 მუხლების მიზნებისათვის ჩაითვლება მის დომიცილად.

მუხლი 6:119 ვადის გადაცილებით დამდგარი ზიანის ანაზღაურება; კანონისმიერი საპროცენტო განაკვეთი

– 1. ფულადი თანხის გადახდის ვადის გადაცილების გამო ასანაზღაურებელი ზარალის საკომპენსაციო თანხა მოიცავს გადაუხდელ ნაწილზე იმ ვადის განმავლობაში დარიცხულ კანონისმიერ პროცენტს, როდესაც მოვალე არ ასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებას.

– 2. ყოველი წლის ბოლოს იმ თანხას, რომელსაც ერიცხება კანონისმიერი პროცენტი, ემატება ამ წლისათვის გადასახდელი კანონისმიერი პროცენტის თანხა.

– 3. როდესაც შეთანხმებული სახელშეკრულებო პროცენტი უფრო მაღალია, ვიდრე ის ოდენობა, რომელიც მოვალეს დაეკისრებოდა წინა პარაგრაფების საფუძველზე, კრედიტორი უფლებამოსილია ამ უფრო მაღალი პროცენტის თანხის მიღებაზე იმ ვადის განმავლობაში, როდესაც მოვალე არ ასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებას.

მუხლი 6:119a კანონისმიერი პროცენტი სავაჭრო ტრანზაქციებისათვის

– 1. სავაჭრო ტრანზაქციების შემთხვევაში, ფულადი თანხის გადახდის ვადის გადაცილების გამო ასანაზღაურებელი ზარალის საკომპენსაციო თანხა მოიცავს ამ თანხის გადაუხდელ ნაწილზე იმ თარიღის მომდევნო დღიდან დარიცხულ კანონისმიერ პროცენტს, რომელიც მიიჩნევა შეთანხმების საფუძველზე განსახორციელებელი გადახდის ვადის ბოლო თარიღად იმ დღემდე და მის ჩათვლით, როდესაც მოვალემ გადაიხადა მასზე დაკისრებული თანხა. სავაჭრო ტრანზაქციის ცნების ქვეშ მოიაზრება სასყიდლიანი (სანაცვალგებო) ხელშეკრულება, რომელიც ავალდებულებს ერთ ან რამდენიმე მხარეს საქონლის მიწოდებას ანდა რაიმე მოქმედების განხორციელებას და რომელიც დაიდო ერთ ან რამდენიმე იურიდიულ პირსა თუ ფიზიკურ პირს შორის, რომლებიც ხელშეკრულების დადების დროს მოქმედებდნენ თავიანთი პროფესიული ან სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში.

– 2. თუკი მხარეთა შორის გადახდის ვადის ბოლო თარიღი შეთანხმებული არ არის, კანონისმიერი პროცენტის გადახდა უნდა მოხდეს კანონის ძალით შესხენების აუცილებლობის გარეშე:

a. მოვალის მიერ ინვოისის მიღების თარიღიდან 30 დღის შემდეგ;

b. თუკი ინვოისის მიღების თარიღი გაურკვეველია ანდა თუკი მოვალემ ინვოისი მიიღო უფრო ადრე, ვიდრე შესრულდებოდა ვალდებულება (საქონლის მიწოდება ან მომსახურების განევა), – შესრულების მიღების თარიღიდან 30 დღის შემდეგ;

c. თუკი ხელშეკრულება ითვალისწინებს ისეთ მიღებისა თუ დადასტურების პროცედურას, რომლითაც უნდა დადგინდეს, არის თუ არა ვალდებულება შესრულება (საქონლის მიწოდება ან მომსახურების განევა) ხელშეკრულების პირობების შესაბამისი, – 30 დღის შემდეგ იმ დღიდან, როდესაც მოვალემ მიიღო შესრულება ანდა დადასტურა ის, ხოლო იმ შემთხვევაში, თუკი ის არ იძლევა თავის მოსაზრებას შესრულების მიღებასა თუ დადასტურებასთან დაკავშირებით, – შესრულების მიღებისა თუ დადასტურების ვადის ამონურვის დღიდან 30 დღის შემდეგ.

– 3. ყოველი წლის ბოლოს იმ თანხას, რომელსაც ერიცხება კანონისმიერი პროცენტი, ემატება ამ წლისათვის გადასახდელი კანონისმიერი პროცენტის თანხა.

– 4. პარ. 2-ის (c) პუნქტში მითითებული ვადა არ აღემატება ვალდებულების შესრულების მიღების თარიღიდან 30 დღეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარეები პირდაპირ შეთანხმდნენ უფრო ხანგრძლივ ვადაზე და ეს უკანასკნელი არ არის ამკარად უსამართლო კრედიტორისათვის:

a. იმ საკითხის გათვალისწინებით, აქვს თუ არა მოვალეს ოცდაათდღიანი ვადისაგან გადახვევისათვის რაიმე ობიექტური მიზეზი;

b. ვალდებულების შესრულების ბუნების გათვალისწინებით, და;

c. ჯეროვანი სავაჭრო პრაქტიკიდან ნებისმიერი მნიშვნელოვანი გადახვევის ფაქტის გათვალისწინებით.

– 5. მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ გადახდის მაქსიმუმ სამოცდლიან ვადაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარეებმა ხელშეკრულებაში არაორაზროვნად გაითვალისწინეს გადახდის უფრო ხანგრძლივი ვადა და ეს უკანასკნელი არ არის ამკარად უსამართლო კრედიტორისათვის:

a. იმ საკითხის გათვალისწინებით, აქვს თუ არა მოვალეს სამოცდლიანი ვადისაგან გადახვევისათვის რაიმე ობიექტური მიზეზი;

b. ვალდებულების შესრულების ბუნების გათვალისწინებით, და;

c. ჯეროვანი სავაჭრო პრაქტიკიდან ნებისმიერი მნიშვნელოვანი გადახვევის ფაქტის გათვალისწინებით.

– 6. კანონისმიერი პროცენტის დარიცხვა დაუშვებელია იმ შემთხვევაში, როდესაც კრედიტორი თავად იმყოფება ვადაგადაცილებაში, როგორც ეს გათვალისწინებულია 6.1.8 განყოფილებაში.

– 7. კანონისმიერი პროცენტის დარიცხვა ხდება იმდენად, რამდენადაც ვადის გადაცილება მოვალეს ვერ შეერაცხება.

– 8. წინამდებარე მუხლის მიზნებისათვის სხვა შეთანხმებული ან დათქმული პროცენტი უთანაბრდება კანონისმიერ პროცენტს.

მუხლი 6: 119b სახელმწიფო ორგანოების მიერ გადასახდელი კანონისმიერი პროცენტი

– 1. სახელმწიფო ორგანოებთან დადებული სავაჭრო ტრანზაქციების შემთხვევაში, სახელმწიფო ორგანოების მიერ გადასახდელი ფულადი თანხის გადახდის ვადის გადაცილების გამო ასანაზღაურებელი ზარალის საკომპენსაციო თანხა მოიცავს ამ თანხის გადაუხდელ ნაწილზე იმ თარიღის მომდევნო დღის დარიცხულ კანონისმიერ პროცენტს, რომელიც შეთანხმებულ იქნა როგორც გადახდის ვადის ბოლო თარიღი იმ დღემდე და მის ჩათვლით, როდესაც მოვალემ გადაიხადა მასზე დაკისრებული თანხა. „სახელმწიფო ორგანოს“ ცნების ქვეშ მოიაზრება: სახელმწიფო, პროვინცია, მუნიციპალიტეტი, წყლის რესურსების საკითხებზე მომუშავე კომისიისა ან საჯარო უწყებისა თუ ასეთი ორგანოების ან საჯარო ინსტიტუტების ამხანაგობა, როგორც ეს მითითებულია სავაჭრო ტრანზაქციებში გადახდების დაგვიანებასთან ბრძოლის შესახებ ევროპული პარლამენტის 2011 წლის 23 თებერვლის 2011/7 დირექტივის მე-2 მუხლის პარ. 2-ში.

– 2. თუკი მხარეთა შორის გადახდის ვადის ბოლო თარიღი შეთანხმებული არ არის, კანონისმიერი პროცენტის გადახდის ვადა დგება კანონის ძალით:

a. მოვალის მიერ ინვოისის მიღების თარიღიდან 30 დღის შემდეგ, ან;

b. თუკი ინვოისის მიღების თარიღი გაურკვეველია ანდა თუკი მოვალემ ინვოისი მიიღო ვალდებულების შესრულების მიღებამდე, – შესრულების მიღების თარიღიდან 30 დღის შემდეგ, ანდა;

c. თუკი მოვალემ დაადგინა ვადა, რომლის განმავლობაშიც მას შეუძლია მიიღოს ან დაადასტუროს, აკმაყოფილებს თუ არა მიღებული შესრულება ხელშეკრულების პირობებს და ასევე თუკი ის იღებს ინვოისის შესრულების მიღებამდე ან დადასტურებამდე, – 30 დღის შემდეგ იმ დღიდან, როდესაც მოვალემ მიიღო შესრულება ანდა დაადასტურა ის, ხოლო იმ შემთხვევაში, თუკი მოვალე არ აკეთებს განცხადებას შესრულების მიღებასა თუ დადასტურებასთან დაკავშირებით, – შესრულების მიღებისა თუ დადასტურების ვადის ამონურვის დღიდან 30 დღის შემდეგ.

– 3. ყოველი წლის ბოლოს იმ თანხას, რომელსაც ერიცხება კანონისმიერი პროცენტი, ემატება ამ წლისათვის გადასახდელი კანონისმიერი პროცენტის თანხა.

– 4. პარ. 2-ის (c) პუნქტში მითითებული ვადა არ აღემატება ვალდებულების შესრულების მიღების თარიღიდან 30 დღეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარეები პირდაპირ შეთანხმდნენ უფრო ხანგრძლივ ვადაზე და ეს უკანასკნელი არ არის ამკარად უსამართლო კრედიტორისათვის:

a. იმ საკითხის გათვალისწინებით, აქვს თუ არა მოვალეს ოცდაათდლიანი ვადისაგან გადახვევისათვის რაიმე ობიექტური მიზეზი;

b. ვალდებულების შესრულების ბუნების გათვალისწინებით, და;

c. ჯეროვანი სავაჭრო პრაქტიკიდან ნებისმიერი მნიშვნელოვანი გადახვევის ფაქტის გათვალისწინებით.

– 5. მხარეთა შეთანხმებით პარ. 2-ში მითითებული მაქსიმალური ოცდაათდლიანი ვადის ამონურვის თარიღიდან გადახვევა დაუშვებელია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარეებმა ხელშეკრულებაში არაორაზროვნად გაითვალისწინეს გადახდის უფრო ხანგრძლივი ვადა და ასევე იმ პირობით, რომ ეს ობიექტურად გამართლებულია ხელშეკრულების კონკრეტული ბუნებისა თუ ნიშან-თვისებების გათვალისწინებით. ასეთ შემთხვევაში გადახდის ვადა შეადგენს მაქსიმუმ 60 დღეს.

– 6. კანონისმიერი პროცენტის დარიცხვა დაუშვებელია იმ შემთხვევაში, როდესაც კრედიტორი თავად იმყოფება ვადაგადაცილებაში, როგორც ეს გათვალისწინებულია 6.1.8 განყოფილებაში.

- 7. კანონისმიერი პროცენტის დარიცხვა ხდება იმდენად, რამდენადაც ვადის გადაცილება მოვალეს ვერ შეერაცხება.
- 8. წინამდებარე მუხლის მიზნებისათვის სხვა შეთანხმებული ან დათქმული პროცენტი უთანაბრდება კანონისმიერ პროცენტს.

მუხლი 6:120 კანონისმიერი საპროცენტო განაკვეთი

- 1. 6:119 მუხლში მითითებული კანონისმიერი საპროცენტო განაკვეთი დგინდება მეფის სამთავრობო ბრძანებით. კანონისმიერი პროცენტი, რომლის დარიცხვაც უკვე დაწყებული იყო იმ მომენტში, როდესაც მეფის სამთავრობო ბრძანებით ძალაში შევიდა ახალი საპროცენტო განაკვეთი, ამავე მომენტიდან გამოითვლება ამ ახალი განაკვეთის შესაბამისად.
- 2. 6:119a და 6:119b მუხლებში მითითებული კანონისმიერი საპროცენტო განაკვეთი უთანაბრდება ცენტრალური ევროპული ბანკის მიერ თავისი იმ ყველაზე ახალი საბაზო რეფინანსირების ტრანზაქციისათვის განსაზღვრულ რეფინანსირების პროცენტს, რომელსაც ადგილი აქვს შესაბამისი ექვსთვიანი ვადის პირველი კალენდარული დღისათვის გამრავლებული რვა პროცენტზე. კანონისმიერი პროცენტი, რომლის დარიცხვაც დაწყებულია შესაბამისი ექვსთვიანი ვადის პირველ დღეს, ამავე დღიდან გამოითვლება ნახევარწლიანი ვადისათვის არსებული ახალი საპროცენტო განაკვეთის შესაბამისად.

მუხლი 6:121 გადახდა სხვა ვალუტაში

- 1. იმ შემთხვევებში, როდესაც ვალდებულების შესრულება აუცილებლად გულისხმობს გადახდას სხვა ვალუტაში, ნაცვლად იმ ქვეყანაში მოქმედი ვალუტისა, სადაც უნდა მოხდეს ანგარიშსწორება, მოვალეს შეუძლია თავისი ვალი გადაიხადოს ასევე გადახდის ადგილზე მოქმედ ვალუტაშიც.
- 2. წინა პარაგრაფის ნორმა არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც კანონის, ზოგადი პრაქტიკისა თუ გარიგების მიხედვით მოვალემ გადახდა რეალურად უნდა მოახდინოს ვალდებულებით განსაზღვრულ ვალუტაში.

მუხლი 6:122 უცხოურ ვალუტაში გადახდის დაუშვებლობა

- 1. იმ შემთხვევებში, როდესაც ვალდებულების შესრულება აუცილებლად გულისხმობს გადახდას სხვა ვალუტაში, ნაცვლად იმ ქვეყანაში მოქმედი ვალუტისა, სადაც უნდა მოხდეს ანგარიშსწორება, მოვალე ვერ გადაიხდის – და ვერც მოითხოვს – თავის ვალს ამ ვალუტაში, ხოლო კრედიტორს კი შეუძლია მოითხოვოს ანგარიშსწორება გადახდის ადგილზე მოქმედ ვალუტაში.
- 2. წინა პარაგრაფის ნორმა მოქმედებს ასევე იმ შემთხვევაშიც, თუკი მოვალე ვალდებულია მოახდინოს გადახდა ვალდებულებით განსაზღვრულ ვალუტაში.

მუხლი 6:123 უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სარჩელების წარდგენისა და სააღსრულებო ფურცლების აღსრულების უფლება

- 1. როდესაც სარჩელის უფლების (სასარჩელო მოთხოვნის) წარდგენა ხდება ნიდერლანდების ტერიტორიაზე უცხოურ ვალუტაში დენომინირებული (გამოხატული) ფულადი თანხის მოთხოვნის მიზნით, მაშინ კრედიტორს თავისი არჩევანით შეუძლია სასამართლოს მოსთხოვოს თანხის ამ ვალუტაში ანდა ჰოლანდიის ვალუტაში გადახდა.
- 2. კრედიტორს, რომელსაც შეუძლია ნიდერლანდების ტერიტორიაზე უცხოურ ვალუტაში დენომინირებული (გამოხატული) სააღსრულებო ფურცლის აღსრულება, ამ სააღსრულებო მოქმედებების შესრულებისას (იძულებითი რეალიზაციის განხორციელებისას) შეუძლია მოითხოვოს მისთვის გადასახდელი თანხის ჰოლანდიის ვალუტაში გადახდა.
- 3. წინა პარაგრაფების ნორმები მოქმედებს ასევე იმ შემთხვევაშიც, თუკი მოვალე ვალდებულია რეალურად მოახდინოს გადახდა ვალდებულებით განსაზღვრულ ვალუტაში.

მუხლი 6:124 გაცვლითი კურსი

როდესაც 6:121 მუხლის, 6:122 მუხლისა თუ 6:123 მუხლის ნორმათა გამოყენების შედეგად ვალდებულების დაკმაყოფილება ხდება სხვა ვალუტაში, ნაცვლად ვალდებულებით განსაზღვრული ვალუტისა, კონვერტაცია უნდა მოხდეს იმ დღის გაცვლითი კურსით, როდესაც ადგილი აქვს თანხის გადახდას. აღნიშნული წინადადება ეხება ასევე იმ ვალდებულებასაც, რომელიც სამოქალაქო კოდექსის 6.1.1.9 ქვეგანყოფილების შესაბამისად გარდაიქმნა რეალური ზარალის ვალდებულებაში სხვა ვალუტაში, ნაცვლად ვალდებულებით განსაზღვრული ვალუტისა.

მუხლი 6:125 გაცვლით კურსთან დაკავშირებული ზარალი

– 1. 6:119 მუხლი [და ასევე 6:119a მუხლი] ხელუხლებლად ტოვებს კრედიტორის უფლებას, – იმ დღის შემდეგ, როდესაც მოვალეს დაეკისრა პასუხისმგებლობა ზიანისათვის, – მოითხოვოს კომპენსაცია ერთი ან რამდენიმე სხვა ქვეყნის ვალუტასთან შედარებით ვალდებულებით განსაზღვრული ვალუტის კურსის ცვლილების შედეგად განცდილი ზიანისათვის.

– 2. წინა პარაგრაფი არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუკი ვალდებულებით გადახდის თანხა განისაზღვრება ჰოლანდიის ვალუტაში და გადახდა უნდა განხორციელდეს ნიდერლანდებში იმ პირობით, რომ ვალდებულების წარმოშობის მომენტში კრედიტორს თავისი დომიცილი ნიდერლანდებში ჰქონდა.

მუხლი 6:126 გაცვლითი კურსის დეფინიცია

წინამდებარე განყოფილების მიზნებისათვის გაცვლით კურსს წარმოადგენს კურსი, რომლითაც კრედიტორს დაუყოვნებლივ შეუძლია ფულადი თანხების სათავისოდ მიღება კანონის, ზოგადი პრაქტიკისა და ვალდებულების შინაარსისა და მიზნის გათვალისწინებით.

განყოფილება 6.1.12 – გაქვითვის უფლება

მუხლი 6:127 გაქვითვის მიმართ არსებული მოთხოვნები

– 1. როდესაც მოვალე უფლებამოსილია მოახდინოს გაქვითვა და ის უცხადებს თავის კრედიტორს იმის თაობაზე, რომ ასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებას ამ უკანასკნელის იმ სავალო მოთხოვნასთან გაქვითვით, რომელიც მას აქვს კრედიტორის მიმართ, რითაც ორივე ვალდებულება წყდება უფრო მცირე ღირებულების მქონე ვალდებულების ოდენობამდე.

– 2. მოვალე უფლებამოსილია მოახდინოს გაქვითვა იმ შემთხვევაში, როდესაც მას შეუძლია კონტრაჰენტის მხრიდან იმ შესრულების მოთხოვნა, რომელიც შეესაბამება მის მიერ კონტრაჰენტის მიმართ ნაკისრი ვალდებულების შესრულებას იმ პირობით, რომ ის უფლებამოსილია შეასრულოს საკუთარი ვალდებულება და მოითხოვოს კონტრაჰენტის მხრიდან შესრულება.

– 3. გაქვითვის უფლება არ არსებობს იმ შემთხვევაში, როდესაც სავალო მოთხოვნასა და მოვალის ვალდებულებას აქვს განცალკევებული მახასიათებლები ანდა როდესაც განცალკევებული მახასიათებლების მქონეა სავალო მოთხოვნა და კონტრაჰენტის ვალდებულება.

მუხლი 6:128 საორდერო ან სანარმდგენლო სავალო მოთხოვნების მიმართ გაქვითვა

– 1. საორდერო ან სანარმდგენლო სავალო მოთხოვნის კრედიტორს შეუძლია გაქვითოს თავისი სავალო მოთხოვნა მის მიერ ფასიან ქალაქში გაქვითვის შესახებ წარწერის გაკეთებითა და შემდგომში ამ დოკუმენტის კონტრაჰენტისათვის ფაქტობრივი გადაცემით.

– 2. თუკი გაქვითვა არ ეხება კრედიტორის მთელ სავალო მოთხოვნას ანდა მას ჯერ კიდევ ესაჭიროება ფასიანი ქალაქი სხვა უფლებების რეალიზაციისათვის, მაშინ კრედიტორს შეუძლია დაიტოვოს დოკუმენტი იმ პირობით, რომ ის არა მარტო აკეთებს მასზე წარწერას გაქვითვის შესახებ, არამედ ასევე ცალკე აწვდის ამ წარწერასთან ერთად დოკუმენტს კონტრაჰენტს.

– 3. მიუხედავად იმისა, ეხება თუ არა გაქვითვა კრედიტორის მთელ სავალო მოთხოვნას, კრედიტორს შეუძლია – ფასიან ქალაქში გაქვითვის შესახებ წარწერის გაკეთების გარეშე – გაქვითოს ის ასევე კონტრაჰენტისათვის გაქვითვის შესახებ სხვა წარწერასთან ერთად დოკუმენტის მიწოდებითაც იმ პირობით, რომ როდესაც კონტრაჰენტი ამას ითხოვს, კრედიტორს შეუძლია იმის დამტკიცება, რომ ფასიანი ქალაქი განადგურებულია ან გამოუსადეგარი გახდა ანდა – რომ კრედიტორი კონტრაჰენტის მხრიდან შესაბამისი თხოვნის შემთხვევაში წარადგენს უზრუნველყოფას ოცი წლის ანდა იმ უფრო მცირე ვადით, რომლის განმავლობაშიც კონტრაჰენტი აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე ჯერ კიდევ შეიძლება პასუხისმგებელი იყოს სავალო მოთხოვნით.

მუხლი 6:129 გაქვითვის უკუქცევითი ძალა

– 1. გაქვითვას აქვს უკუქცევითი ძალა იმ მომენტიდან, როდესაც წარმოიშვა გაქვითვის უფლება.

– 2. თუკი დარიცხული პროცენტის თანხა ერთ-ერთ ან ორივე სავალო მოთხოვნაზე უკვე გადახდილია, მაშინ გაქვითვას უკუქცევითი ძალა აქვს მხოლოდ იმ უკანასკნელი ვადის დასრულების მომენტისათვის, როდესაც მოხდა პროცენტის თანხის გადახდა.

- 3. თუკი ვალუტის ღირებულების გამოთვლა აუცილებელია ფულში გამოხატული ვალების გაქვითვის სამართლებრივი შედეგის განსაზღვრისათვის, მაშინ ასეთი გამოთვლა უნდა განხორციელდეს იმავე საფუძვლებზე, რასაც ადგილი ექნებოდა იმ შემთხვევაში, ორმხრივი გადახდა რომ გაქვითვის დღეს მომხდარიყო.

მუხლი 6: 130 სავალო მოთხოვნების გადაცემა და უფლებრივი დატვირთვა

- 1. როდესაც თავდაპირველი კრედიტორის სავალო მოთხოვნა კონკრეტული სამართლებრივი საფუძვლით გადავიდა ახალ კრედიტორზე (გადაეცა მას), მიუხედავად ამისა, მოვალე ამ ახალი კრედიტორის მიმართ მაინც უფლებამოსილია გაქვითოს ის საპირისპირო სავალო მოთხოვნა, რომელიც მას აქვს თავისი თავდაპირველი კრედიტორის მიმართ (გაქვითოს იმ ვალდებულებაში, რომელიც მან ამჯერად უნდა შეუსრულოს ახალ კრედიტორს) იმ პირობით, რომ ეს საპირისპირო სავალო მოთხოვნა გამომდინარეობს იმავე სამართლებრივი ურთიერთობიდან, რაც ახალ კრედიტორზე გადასული (გადაცემული) სავალო მოთხოვნა, ანდა – რომ ის უკვე ეკუთვნოდა მას და უკვე ვადამოსული და შესასრულებელი გახდა მანამდე, სანამ სავალო მოთხოვნა გადავიდა ახალ კრედიტორზე (გადაეცა მას).

- 2. წინა პარაგრაფი შესაბამისად გამოიყენება იმ სავალო მოთხოვნის მიმართ, რომელიც დაყადაღებულია ანდა დატვირთულია იმ შეზღუდული სანივთო უფლებით, რომლის შესახებაც შეატყობინეს მოვალეს.

- 3. წინა პარაგრაფები არ მოქმედებს იმ საორდერო ან სანარმდგენლო სავალო მოთხოვნის მიმართ, რომელიც გადაეცა სხვა პირს ანდა უფლებრივად დაიტვირთა სამოქალაქო კოდექსის 3:93 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 6: 131 სარჩელის უფლების ხანდაზმულობის მოქმედება გაქვითვის უფლების მიმართ

- 1. გაქვითვის უფლება არ ქარწყდება იმ სარჩელის უფლების ხანდაზმულობით, რომელიც დაკავშირებულია ერთ-ერთ გასაქვით მოთხოვნასთან.

- 2. კრედიტორის სასარგებლოდ მინიჭებული გადახდის ანდა რეალიზაციის (იძულებითი აღსრულების პროცესში გაყიდვის) ვადის გახანგრძლივება არ იწვევს კრედიტორის მხრიდან გაქვითვის უფლების გამოყენების გადადებასა თუ ხელის შეშლას.

მუხლი 6: 132 გაქვითვის წარწერის სამართლებრივი შედეგის გაუქმება

როდესაც გაქვითვის წარწერა კეთდება იმ პირის მიერ, ვინც უფლებამოსილია ამ მოქმედების განხორციელებაზე, კონტრაქტს იმ შემთხვევაში, თუკი მას აქვს მასზე დაკისრებული ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის საფუძვლები, მაინც შეუძლია გააუქმოს გაქვითვის წარწერის სამართლებრივი შედეგი უარის საფუძველზე ამ წარწერის გაკეთებისთანავე დაუყოვნებლივ მითითებით და ასევე – დაუყოვნებლივ მას შემდეგ, როდესაც ის შეძლებდა აღნიშნულ საფუძველზე მითითებას.

მუხლი 6: 133 საპირისპირო გაქვითვა

მას შემდეგ, რაც ერთ-ერთმა მხარემ გააკეთა გაქვითვის წარწერა, კონტრაქტს შეუძლია გააუქმოს ამ წარწერის სამართლებრივი შედეგი საკუთარი გაქვითვის უფლების რეალიზაციით იმ პირობით, რომ ეს ხდება დაუყოვნებლივ და მის გაქვითვას აქვს უკუქცევითი ძალა იმ დღემდე არსებული დღისათვის, როდესაც პირველად განხორციელებულ გაქვითვას მიეცემოდა უკუქცევითი ძალა.

მუხლი 6: 134 გაქვითვა კონტრაქტის მიერ ორმხრივი ხელშეკრულებიდან გასვლის შემდეგ

ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოვალეს, ვინც უფლებამოსილია გაქვითვის განხორციელებაზე, შეუძლია გააუქმოს კონტრაქტისათვის წარდგენილი შეტყობინების ის სამართლებრივი შედეგი, რომლითაც ამ მხარეს განზრახული აქვს ამ ხელშეკრულებიდან გასვლა მისი პირობების დარღვევის (ვალდებულების შეუსრულებლობის) გამო თავისი გაქვითვის უფლების დაუყოვნებელი რეალიზაციის გზით.

მუხლი 6: 135 გაქვითვის უფლების არარსებობა

მოვალე არ არის უფლებამოსილი გაქვითვის განხორციელებაზე:

a. იმდენად, რამდენადაც კონტრაქტის ვალდებულებით-სამართლებრივი მოთხოვნის დაყადაღება არ იქნებოდა ნამდვილი;

ბ. თუკი მოვალეზე დაკისრებული ვალდებულება აუცილებლად გულისხმობს იმ რეალური ზარალის ანაზღაურებას, რომელიც მის მიერ განზრახ იქნა მიყენებული.

მუხლი 6:136 გაქვითვა როგორც სამართლებრივი დაცვის საშუალება

როდესაც სასამართლო დავის განხილვისას მოპასუხე იყენებს თავის გაქვითვის უფლებას, თუმცა სასამართლო ადვილად ვერ რწმუნდება იმაში, არის თუ არა ეს შესაგებელი გამართლებული, მას შეუძლია დააკმაყოფილოს კონტრაჰენტის სასარჩელო მოთხოვნა ამ შესაგებლის გაუთვალისწინებლად იმ პირობით, რომ სასარჩელო მოთხოვნა შეიძლება სხვა შემთხვევაშიც დაკმაყოფილდეს.

მუხლი 6:137 გადახდების ვალდებულებათა დაფარვის ანგარიშში ჩათვლის რიგითობა

– 1. რამდენადაც გაქვითვის წარწერა საკმარისად არ მიუთითებს იმაზე, თუ რომელ ვალდებულებებს ეხება გაქვითვა, გადახდების ვალდებულებათა დაფარვის ანგარიშში ჩათვლის მიმართ გამოიყენება 6:43 მუხლის პარ. 2-სა და 6:44 მუხლის პარ. 1-ში გათვალისწინებული რიგითობა.

– 2. როდესაც მხარემ გაქვითვის წარწერა გააკეთა მისი გადახდების ძირითადი თანხის, ხარჯებისა და პროცენტების სხვაგვარი რიგითობით დაფარვის ანგარიშში ჩათვლის მითითებით, ვიდრე ეს გათვალისწინებულია 6:44 მუხლის პარ. 1-ში, მაშინ კონტრაჰენტს შეუძლია გააუქმოს გაქვითვის წარწერის სამართლებრივი შედეგი ამ რიგითობით დაფარვის ანგარიშში ჩათვლის დაუყოვნებელი გაპროტესტებით. იმის განსაზღვრისას, ხორციელდება თუ არა გადახდების ვალდებულებათა დაფარვის ანგარიშში ჩათვლა 6:44 მუხლით გათვალისწინებული რიგითობის შესაბამისად, მხედველობაში მიიღება ის ფაქტი, რომ პროცენტის გაანგარიშება უნდა მოხდეს 6:129 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 6:138 შესრულების სხვადასხვა ადგილების მქონე ვალდებულებათა გაქვითვა

– 1. ის ფაქტი, რომ ვალდებულებათა შესრულების ადგილი ერთი და იგივე არ არის, არ გამოორიცხავს გაქვითვას. ასეთ შემთხვევაში გაქვითვის განმახორციელებელმა მხარემ უნდა აანაზღაუროს ის ზარალი, რასაც კონტრაჰენტი განიცდის იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ მხარეებმა რეალურად არ შესრულეს თავიანთი ვალდებულებები შესაბამის ადგილებზე.

– 2. როდესაც მხარემ, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ვალდებულებათა შესრულების ადგილი ერთი და იგივე არ არის, მაინც გააკეთა გაქვითვის წარწერა, კონტრაჰენტს შეუძლია გააუქმოს ამ გაქვითვის წარწერის სამართლებრივი შედეგი გაქვითვის დაუყოვნებელი გაპროტესტებით იმ პირობით, რომ მას აქვს გამართლებული ინტერესი იმისა, რომ ადგილი ჰქონდეს გაქვითვას და არა ვალდებულების შესრულებას.

მუხლი 6:139 თავდების მდგომარეობა

– 1. თავდებსა და იმ პირს, რომლის ქონებაც გამოყენებულია სხვა პირის ვალის უზრუნველსაყოფად, შეუძლიათ მიუთითონ თავიანთი პასუხისმგებლობის შეჩერებაზე იმდენად, რამდენადაც კრედიტორი უფლებამოსილია, მოახდინოს თავისი უზრუნველყოფილი მოთხოვნის გაქვითვა იმ ვადამოსული და შესასრულებელი ვალდებულების მიმართ, რომელიც მას მოვალის მიმართ ეკისრება.

– 2. ზემოაღნიშნულ პირებს შეუძლიათ მიუთითონ იმაზე, რომ ისინი თავისუფლდებიან მათზე დაკისრებული პასუხისმგებლობისაგან იმდენად, რამდენადაც კრედიტორმა დაკარგა თავისი გაქვითვის უფლება (თავისი უფლება, გაქვითოს კუთვნილი მოთხოვნა მოვალის მიმართ არსებული ვალდებულების მიმართ), გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კრედიტორს აქვს გონივრული საფუძველი უარი თქვას თავის უფლებაზე ანდა ამ უკანასკნელის დაკარგვაში მას ბრალი არ მიუძღვის.

მუხლი 6:140 გაქვითვა კანონის ძალით (მიმდინარე ანგარიშები)

– 1. თუკი კანონი, ზოგადი პრაქტიკა ან გარიგება ითხოვს იმას, რომ ორ მხარეს შორის არსებული ყოველგვარი თუ კონკრეტული ფულადი მოთხოვნა და ფულადი ვალდებულება აისახოს ერთ ანგარიშზე, მაშინ შესაბამისი თანხები ერთმანეთის მიმართ გაიქვითება დაუყოვნებლივ კანონის ძალით იმ რიგითობით, რომლითაც აღნიშნული მხარეები უფლებამოსილი არიან განახორციელონ გაქვითვა წინა მუხლებისა თუ მხარეთა შორის არსებული ორმხრივი სამართლებრივი ურთიერთობის შესაბამისად და, ყველა შემთხვევაში, გადახდას ექვემდებარება მხოლოდ ნარჩენი თანხა. 6:137 მუხლის ნორმები არ გამოიყენება.

– 2. მხარემ, რომელიც მართავს აღნიშნულ ანგარიშს, ყოველწლიურად უნდა დახუროს ის და ამავე დროს შეატყობინოს კონტრაჰენტს დაუფარავი ნარჩენი თანხის შესახებ ამ უკანასკნელისათვის დამატებით ანგარიშის არსებული კომპონენტების ინფორმირებითაც იმდენად, რამდენადაც ეს კომპონენტები ჯერ არ ყოფილა მისთვის შეტყობინებული.

- 3. თუკი კონტრაქტის გონივრულ ვადაში სადავოდ არ ხდის ნარჩენი თანხის ოდენობას, როგორც ეს მას შეატყობინეს წინა პარაგრაფის შესაბამისად, ეს თანხა მიიჩნევა მხარეთა შორის დადგენილად.
- 4. ნარჩენი თანხის ოდენობის დადგენის შემდეგ ანგარიშის ცალკეულ კომპონენტებთან დაკავშირებით უკვე დაუშვებელია მითითება ხანდაზმულობასა თუ კანონით დადგენილ ვადაზე. ნარჩენი თანხის მიმართ სარჩელის უფლება ხანდაზმული ხდება ხუთი წლის ვადის გასვლისას იმ დღის მომდევნო დღიდან, როდესაც ანგარიში დაიხურა და ნარჩენი თანხა ვადამოსული და გადასახდელი გახდა.
- 5. მხარეთა შორის არსებული ორმხრივი სამართლებრივი ურთიერთობიდან შეიძლება გამომდინარეობდეს რაიმე სხვა შედეგი, ნაცვლად წინა პარაგრაფებში გათვალისწინებულისა.

მუხლი 6:141 გადახდის მიღება ან დამადასტურებელი დოკუმენტი

თუკი გაქვითვის შედეგად ვალდებულება წყდება სრულად ან ნაწილობრივ, მაშინ შესაბამისად გამოიყენება 6:48 მუხლის პარ. 1 და 2-ის ნორმები.

ტიტული 6.2 – სავალო მოთხოვნებისა და ვალდებულებების გადასვლა სხვა პირზე; სავალო მოთხოვნებზე უარის თქმა

განყოფილება 6.2.1 – სხვა პირზე ვალდებულების შესრულების უფლების გადასვლის შედეგები (მოთხოვნის უფლებებისა და ვალდებულებების გადასვლა სხვა პირზე)

მუხლი 6:142 სავალო მოთხოვნის გადასვლა მოიცავს აქცესორული და დამხმარე უფლებების გადასვლასაც

- 1. როდესაც სავალო მოთხოვნა (შესრულების უფლება) გადადის კრედიტორზე, ეს ახალი კრედიტორი შეიძენს არა მარტო ძირითად უფლებას შესრულებაზე, არამედ მასთან დაკავშირებულ ყველა აქცესორულ უფლებაზეც, როგორცაა იპოთეკიდან, გირავნობიდან ან თავდებობიდან გამომდინარე უფლებები, ასევე – პრივილეგიებსა და სავალო მოთხოვნასთან ან მის აქცესორულ უფლებებთან დაკავშირებული სააღსრულებო ფურცლის აღსრულების უფლებამოსილებაზეც.
- 2. აქცესორული უფლებები მოიცავს თავდაპირველი კრედიტორის უფლებებს (უფლებამოსილებებს) სახელშეკრულებო პროცენტზე, სახელშეკრულებო პირგასამტეხლოსა თუ სასამართლოს მიერ დაკისრებული პერიოდული გადახდების მიღებაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პროცენტი უკვე იყო ვადამოსული და შესასრულებელი ანდა სახელშეკრულებო პირგასამტეხლო თუ სასამართლოს მიერ დაკისრებული პერიოდული გადახდები უკვე იქნა გადახდილი სავალო მოთხოვნის ახალი კრედიტორისათვის გადასვლის მომენტში.

მუხლი 6:143 სავალო მოთხოვნისა და მისი აქცესორული უფლებების გადასვლის დამადასტურებელი მტკიცებულება

- 1. როდესაც სავალო მოთხოვნა გადადის ახალ კრედიტორზე, თავდაპირველმა კრედიტორმა მას უნდა გადასცეს სავალო მოთხოვნისა და მისი აქცესორული უფლებების გადასვლის დამადასტურებელი ყველა მტკიცებულება. როდესაც თავდაპირველ კრედიტორს ჯერ კიდევ აქვს ამ დამხმარე დოკუმენტების სათავისოდ დატოვების ინტერესი, მან ახალ კრედიტორს უნდა გადასცეს მხოლოდ დუბლიკატი (ასლი) ან ამონარიდი ამ დოკუმენტებიდან, თუკი ახალი კრედიტორი სთხოვს მას ამის გაკეთებას და ასევე მზად არის იკისროს შესაბამისი ხარჯების განევა; ამ დუბლიკატს (ასლს) ან ამონარიდს უნდა ჰქონდეს იგივე მტკიცებულებითი ღირებულება, რაც აქვს დამხმარე დოკუმენტის დედანს.
- 2. თავდაპირველმა კრედიტორმა ახალ კრედიტორს უნდა გადასცეს ასევე წინა მუხლში მითითებული სააღსრულებო ფურცლები; როდესაც თავდაპირველ კრედიტორს ჯერ კიდევ აქვს ამ სამართლებრივი დოკუმენტების სათავისოდ დატოვების ინტერესი, მან ახალ კრედიტორს უნდა მისცეს შესაძლებლობა, ისრგებლოს ამ დოკუმენტებით იძულებითი აღსრულების წარმოებისათვის, რაზეც ის არის უფლებამოსილი.
- 3. იმ შემთხვევაში, როდესაც მთლიანი სავალო მოთხოვნა გადადის ახალ კრედიტორზე, თავდაპირველმა კრედიტორმა ახალ კრედიტორს უნდა გადასცეს ყველა ის აქტივი, რომელსაც ის ფლობს ამ სავალო მოთხოვნის უზრუნველყოფის სახით.

– 4. იმ შემთხვევაში, როდესაც გადაცემული სავალო მოთხოვნა უზრუნველყოფილია იპოთეკით, თავდაპირველმა კრედიტორმა მოთხოვნის საფუძველზე უნდა ითანამშრომლოს ახალ კრედიტორთან იმის დადგენის მიზნით, რომ სავალო მოთხოვნის გადაცემის ფაქტი ჩანდეს რეგისტრირებული ქონების საჯარო რეესტრებიდან.

მუხლი 6:144 თავდაპირველი კრედიტორი თავდებად უდგება ახალ კრედიტორს მასზე დაკისრებულ მოვალეობებთან დაკავშირებით

– 1. როდესაც სავალო მოთხოვნის გადაცემა (დათმობა) შედეგად ინვესტს იმას, რომ ასევე კრედიტორად ყოფნის სტატუსიდან ან აქცესორული უფლებებიდან გამომდინარე ერთი ან რამდენიმე სამართლებრივი მოვალეობა უნდა გადავიდეს ახალ კრედიტორზე (უნდა დაესკიროს მას), გადაცემას (დათმობას) ადგილი აქვს მოვალის მიმართ თავდაპირველი კრედიტორის იმ გარანტიის გათვალისწინებით, რომ ახალი კრედიტორი შეასრულებს ამ მოვალეობებს.

– 2. პარ. 1-ის ნორმა არ გამოიყენება საორდერო ან სანარმდგენლო სავალო მოთხოვნის გადაცემის მიმართ თანახმად სამოქალაქო კოდექსის 3:93 მუხლისა.

მუხლი 6:145 მოვალის სამართლებრივი დაცვის საშუალებები

როდესაც სავალო მოთხოვნა გადადის ახალ კრედიტორზე, ეს გადაცემა გავლენას არ ახდენს მოვალის განკარგულებაში არსებულ სამართლებრივი დაცვის საშუალებებზე.

მუხლი 6:146 სამართლებრივი დაცვის საშუალებები, როდესაც ხდება საორდერო ან სანარმდგენლო სავალო მოთხოვნის გადაცემა

– 1. მას შემდეგ, რაც მოხდება საორდერო ან სანარმდგენლო სავალო მოთხოვნის გადაცემა სამოქალაქო კოდექსის 3:93 მუხლის შესაბამისად, მოვალე ვეღარ წარადგენს სამართლებრივი დაცვის საშუალებებს ახალი კრედიტორის ან მის უფლებამონაცვლეთა მიმართ იმდენად, რამდენადაც ეს საშუალებები ეფუძნება მოვალის სამართლებრივ ურთერთობას თავდაპირველ კრედიტორთან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ახალმა კრედიტორმა გადაცემის მომენტში იცოდა ამ სამართლებრივი დაცვის საშუალებების შესახებ ან მას აღნიშნულ მომენტში უნდა სცოდნოდა ამის თაობაზე თავად ბრუნვაუნარიან დოკუმენტზე განთავსებული ინფორმაციის გათვალისწინებით.

– 2. თუმცა, მიუხედავად აღნიშნულისა, მითითება ქმედუუნარობასა თუ (გარიგებების დადებამდე) უფლებამოსილების არქონაზე ქმედითად შესაძლებელია იმ ახალი კრედიტორის მიმართ, რომელმაც არ იცოდა ამ სამართლებრივი ნაკლის შესახებ, თუკი გადაცემის მომენტში აღნიშნული ნაკლის შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელი იქნებოდა რეგისტრირებული ქონების საჯარო რეესტრებიდან, რომლებიც კანონის საფუძველზე შექმნილია იმ მიზნით, რომ ხელი შეუწყოს ხალხს იმ ფაქტების თაობაზე ინფორმაციის მიღებისათვის, რითაც გამონეულია ქმედუუნარობა ან უფლებამოსილების არქონა.

მუხლი 6:147 გაყალბებული ბრუნვაუნარიანი დოკუმენტი

საორდერო ან სანარმდგენლო ბრუნვაუნარიანი დოკუმენტის გადაცემის შემთხვევაში, მასში მოვალის სახით მითითებული პირი და ასევე – ის პირი, რომელსაც შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა იმ ფაქტისათვის, რომ ეს დოკუმენტი გაშვებულ იქნა ბრუნვაში მისი ნების სანინააღმდეგოდ ან რომ მისი ხელმოწერა ანდა თავად დოკუმენტი გაყალბებულია, – კარგავს თავის უფლებას მიუთითოს აღნიშნულ სამართლებრივ ნაკლზე იმ პირის მიმართ, რომელმაც შეიძინა ეს დოკუმენტი კეთილსინდისიერად, ისევე როგორც – ამ პირის უფლებამონაცვლე პირების მიმართ.

მუხლი 6:148 საორდერო ან სანარმდგენლო სავალო მოთხოვნაზე დადგენილი შეზღუდული სანივთო უფლებები

6:146 და 6:147 მუხლების ნორმები შესაბამისად გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც საორდერო ან სანარმდგენლო სავალო მოთხოვნაზე დადგენილია შეზღუდული სანივთო უფლება.

მუხლი 6:149 მოვალის მიერ გარიგების გაბათილება ანდა ხელშეკრულებიდან გასვლა

– 1. როდესაც მას შემდეგ, რაც სავალო მოთხოვნა კონკრეტული სამართლებრივი საფუძვლით გადავიდა ახალ კრედიტორზე, მოვალე თავდაპირველ კრედიტორთან თავის ურთერთობაში ახდენს იმ გარიგების გაბათილებისა თუ იმ ხელშეკრულებიდან გასვლის კუთვნილი უფლების რეალიზაციას, რომლიდანაც

გამომდინარეობს სავალო მოთხოვნა, მან ამის შესახებ შეძლებისდაგვარად სწრაფად უნდა შეატყობინოს ახალ კრედიტორს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამ გაბათილებისა თუ ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგების გამოყენება ახალი კრედიტორის მიმართ დაუშვებელია.

– 2. მას შემდეგ, როდესაც მოვალის მიერ გარიგების გაბათილებისა თუ იმ ხელშეკრულებიდან გასვლის სასარჩელო მოთხოვნა გახდა ხანდაზმული, გაბათილებისა თუ ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველზე მითითება, რაც განხორციელდა სასარჩელო მოთხოვნისაგან ანდა აღნიშნულ გარიგებაზე დაფუძნებული სხვა სამართლებრივი საშუალებისაგან დაცვის მიზნით, უნდა მოხდეს ახალი კრედიტორის მისამართით; ამის შემდგომ კი მოვალემ შეძლებისდაგვარად სწრაფად უნდა შეატყობინოს თავდაპირველ კრედიტორს აღნიშნული სამართლებრივი დაცვის საშუალების შესახებ.

– 3. მას შემდეგ, რაც მოვალეს შეატყობინეს, რომ სავალო მოთხოვნა დატვირთულია შეზღუდული საწინვითო უფლებით, წინა პარაგრაფის ნორმები შესაბამისად გამოიყენება იმ შემთხვევებში, როდესაც მოვალე ახდენს იმ გარიგების გაბათილებისა თუ იმ ხელშეკრულებიდან გასვლის კუთვნილი უფლების რეალიზაციას, რომლიდანაც გამომდინარეობს ეს სავალო მოთხოვნა.

განყოფილება 6.2.2 – სუროგაცია

მუხლი 6: 150 სუროგაციის საფუძველები

სავალო მოთხოვნა გადადის მესამე პირზე სუროგაციის გზით:

a. თუკი ამ სავალო მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით მოხდა მესამე პირის ქონების რეალიზაცია (იძულებით გაყიდვა);

b. თუკი აღნიშნულმა მესამე პირმა თავად შეასრულა (დაფარა) სავალო მოთხოვნა იმის გამო, რომ მისი ქონება გამოყენებულია ამ მოთხოვნის უზრუნველყოფის სახით;

c. თუკი ამ მესამე პირმა თავად შეასრულა (დაფარა) სავალო მოთხოვნა იმ ქონების რეალიზაციის (იძულებით გაყიდვის) თავიდან აცილების მიზნით, რომელიც მას არ ეკუთვნის იმ პირობით, რომ ასეთი რეალიზაციის (იძულებით გაყიდვის) შედეგად ის დაკარგავს საკუთარ სამართლებრივ საფუძველსა თუ უფლებას ამ ქონებაზე ანდა ერთ-ერთ მის სავალო მოთხოვნის შესრულებას შეექმნება საფრთხე;

d. თუკი აღნიშნულმა მესამე პირმა მოახდინა სავალო მოთხოვნის დაფარვა მოვალის სასარგებლოდ ამ უკანასკნელთან არსებული შეთანხმების საფუძველზე იმ პირობით, რომ კრედიტორმა იმ მომენტში, როდესაც ეს სავალო მოთხოვნა დაკმაყოფილდა, უკვე იცოდა აღნიშნული შეთანხმების შესახებ ანდა მას უკვე შეატყობინეს მისი არსებობის თაობაზე.

მუხლი 6: 151 შეზღუდული სუროგაცია

– 1. 6:150 მუხლის შესაბამისად განხორციელებულ სუროგაციას არა აქვს ძალა იმდენად, რამდენადაც თავად მესამე პირი არის პასუხისმგებელი არსებული ვალისათვის მოვალესთან თავისი შიდა ურთიერთობიდან გამომდინარე.

– 2. თავდებებისა და იმ პირების მიმართ კრედიტორის უფლებები, რომლებიც, მართალია, არ წარმოადგენენ თავად მოვალეს, თუმცა მაინც აგებენ პასუხს, გადადის მესამე პირზე მხოლოდ იმ ნაწილების პროპორციით, რომელთათვისაც თითოეული ეს პირი პასუხისმგებელია ვალისათვის ერთმანეთს შორის არსებული შიდა ურთიერთობიდან გამომდინარე.

მუხლი 6: 152 შიდა თანამონაწილეობა

– 1. როდესაც მესამე პირმა სავალო მოთხოვნა შეიძინა სუროგაციის გზით, როგორც ეს მითითებულია 6:150 მუხლში, და ის ვერ ახერხებს ამ სავალო მოთხოვნის სრულად ან ნაწილობრივ რეალიზაციას, აუნაზღაურებელი ნაწილი სავალო მოთხოვნისა შეერაცხება ამ მესამე პირსა და ასევე წინამდებარე მუხლის პარ. 2-ში მითითებულ პირებს პროპორციულად იმ ნაწილისა, რომლისათვისაც თითოეული მათგანი პასუხისმგებელი იყო კრედიტორის წინაშე მესამე პირის მიერ სავალო მოთხოვნის შესრულების (დაფარვის) მომენტში.

– 2. მესამე პირი, რომელმაც სავალო მოთხოვნა შეიძინა სუროგაციის გზით, როგორც ეს მითითებულია 6:150 მუხლში, აუნაზღაურებელი ნაწილის შერაცხვაში ჩართული სხვა პირებისაგან ვერ მოითხოვს იმაზე მეტ თანხას, ვიდრე თავდაპირველი კრედიტორი შეძლებდა მათგან მოთხოვნას მესამე პირის მიერ სავალო მოთხოვნის შესრულების (დაფარვის) მომენტში.

– 3. სუროგაციის გზით შეძენილი სავალო მოთხოვნის აუნაზღაურებელი ნაწილის შერაცხვაში ჩართული თითოეული პირი რჩება უფლებამოსილი, აინაზღაუროს მის მიერ დამატებული შენატანი იმ პირებისაგან, რომლებმაც ვერ შეძლეს თავიანთი შიდა თანამონაწილეობის განხორციელება.

მუხლი 6:153 სახელშეკრულებო პროცენტი

როდესაც ხდება სავალო მოთხოვნიდან გამომდინარე ძირითადი უფლების სუროგაცია, მესამე პირი უფლებამოსილია შეთანხმებული სახელშეკრულებო პროცენტის მიღებაზე მხოლოდ იმ მომენტიდან, როდესაც მოხდა სავალო მოთხოვნის გადასვლა სუროგაციის გზით.

მუხლი 6:154 თავდაპირველი კრედიტი ვერ მიაყენებს ზიანს მესამე პირს

იმ მესამე პირის წინაშე, რომელსაც კრედიტორის მიერ სუროგაციის გზით შესაცვლელი სავალო მოთხოვნის შესრულების შემთხვევაში, კრედიტორი ვალდებულია თავად შეიკავოს თავი ყოველი იმ ქცევისაგან (საქციელისაგან), რომელიც საზიანო იქნება მესამე პირის იმ უფლებებისათვის, რომელთა შეძენის მოლოდინი შეიძლება ჰქონდეს მესამე პირს სუროგაციის შედეგად.

განყოფილება 6.2.3 – ვალების სუბსტიტუცია და სახელშეკრულებო მდგომარეობის გადაცემა

მუხლი 6:155 ვალის მიღება („ვალის გადაკისრება“)

ვალი გადადის მოვალისაგან მესამე პირზე, თუკი ეს პირი კისრულობს მას მოვალისაგან. ვალის გადასვლა (ვალის გადაკისრება) კრედიტორის მიმართ ძალმოსილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი კრედიტორი მოიწონებს ამ გარიგებას მას შემდეგ, რაც მოვალე და მესამე პირი შეატყობინებენ მას ვალის გადაკისრების შესახებ.

მუხლი 6:156 ვალის გადაკისრებზე კრედიტორის წინასწარი თანხმობა

- 1. როდესაც კრედიტორმა წინასწარ განაცხადა თავისი თანხმობა ვალის გადაკისრებაზე, მაშინ ვალი გადადის იმ მომენტიდან, როგორც კი მოვალე დებს შეთანხმებას მესამე პირთან ასეთი ვალის გადაკისრების შესახებ, რაზეც ისინი ატყობინებენ კრედიტორს.
- 2. კრედიტორი ვერ გაიხმობს წინასწარ გაცემულ თანხმობას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მან თავად დაიტოვა ასეთი უფლება.

მუხლი 6:157 აქცესორული უფლებების გადასვლა

– 1. იმ დღიდან, როდესაც ვალი გადავიდა ახალ მოვალეზე, კრედიტორი თავის სავალო მოთხოვნასთან დაკავშირებულ აქცესორულ უფლებებს ვეღარ განახორციელებს თავდაპირველი მოვალის მიმართ; ის ამას შეძლებს მხოლოდ ახალი მოვალის მიმართ.

– 2. შენარჩუნდება ვალის გადაკისრების ერთ-ერთი მხარის ქონებაზე არსებული გირავნობა ან იპოთეკა, რომელიც გამოიყენება გადაკისრებული ვალის უზრუნველსაყოფად; თუმცა, უქმდება სხვა პირის ქონებაზე არსებული გირავნობა ან იპოთეკა და ასევე – თავდებობიდან გამომდინარე უფლებები, როდესაც ვალის კისრება ხდება ახალი მოვალის მიერ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოგირავენე, იპოთეკარი ან თავდები დაეთანხმნენ იმას, რომ აღნიშნულ შემთხვევაში უზრუნველყოფა შენარჩუნდეს.

– 3. კონკრეტულ აქტივებთან დაკავშირებული პრივილეგიები, რომლებშიც არ შედის მოთხოვნის განხორციელების უფლება სხვა პირების მიმართ, ნაცვლად ვალის გადაკისრების მხარეებისა, უქმდება ვალის გადაკისრებისთანავე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ვალის გადაკისრებას ადგილი აქვს იმ ბიზნესისა თუ სანარმოს გადაცემის ფარგლებში, რასაც მიეკუთვნება ის აქტივი, რომელსაც უკავშირდება პრივილეგიები. ვალის გადაკისრების შემდეგ მოვალის ქონებასთან დაკავშირებული პრივილეგიები განიხილება როგორც ახალი მოვალის ქონებასთან დაკავშირებული პრივილეგიები.

– 4. შეთანხმებული სახელშეკრულებო უფლებები, სახელშეკრულებო პირგასამტეხლო თუ სასამართლოს მიერ დაკისრებული პერიოდული გადახდები, რომლებიც მოვალეს ვალის გადაკისრებამდე ეკისრებოდა, უნდა შესრულდეს ახალი მოვალის მიერ იმდენად, რამდენადაც ისინი გახდა ვადამოსული და შესასრულებელი, ანდა, შესაბამისად, – დაკისრებული ვალის გადასვლის მომენტში.

მუხლი 6: 158 თავდაპირველ და ახალ მოვალეებს შორის არსებული შეთანხმების ბათილობა

თუკი თავდაპირველ და ახალ მოვალეებს შორის არსებული სამართლებრივი ურთერთობა, რომლის საფუძველზეც მოხდა ვალის გადაკისრება, ბათილია ან თუკი ის შემდგომში გაბათილდა ან მოხდა ხელშეკრულებიდან გასვლა, მაშინ კრედიტორს შეუძლია უკან დაუბრუნოს ვალი თავდაპირველ მოვალეს ორივე შესაბამისი მხარისათვის მიმართული შეტყობინების გზით, რომელშიც ის განაცხადებს, რომ ვალი კვლავ თავდაპირველ მოვალეს ეკისრება; აღნიშნული მიზნით თავდაპირველ და ახალ მოვალეებს შეუძლიათ დაადგინონ გონივრული ვადა, რომლის განმავლობაშიც კრედიტორმა უნდა წარადგინოს ზემოაღნიშნული შეტყობინება თავდაპირველი მოვალისათვის ვალის უკან დაბრუნების უფლების დაკარგვის სანქციით.

მუხლი 6: 159 სახელშეკრულებო მდგომარეობის გადაცემა

– 1. ხელშეკრულების მხარეს თავის კონტრაჰენტთან თანამშრომლობით შეუძლია ამ უკანასკნელთან თავისი სამართლებრივი ურთიერთობა გადასცეს მესამე პირს ხელშეკრულების მხარესა და ამ მესამე პირს შორის დადებული კერძო ან სანოტარო აქტის მეშვეობით.

– 2. აღნიშნული გადაცემის შედეგად ყველა ის უფლება და ვალდებულება, რომელიც ხელშეკრულებიდან წარმოიშვა ან წარმოიშობა მომავალში გადამცემი მხარისათვის, გადავა მესამე პირზე იმდენად, რამდენადაც მხარეები არ შეთანხმდნენ სხვაგვარად მეორად (უმნიშვნელო) ან უკვე ვადამოსულ და შესასრულებელ უფლებებსა თუ ვალდებულებებთან დაკავშირებით.

– 3. 6: 156 მუხლისა და 6: 157 მუხლის პარ. 1-დან 3-ის ჩათვლით ნორმები შესაბამისად გამოიყენება წინამდებარე მუხლში გათვალისწინებული სახელშეკრულებო მდგომარეობის გადაცემის მიმართ.

განყოფილება 6.2.4 – მოთხოვნის უფლებებზე უარი და კონფუზია

მუხლი 6: 160 კრედიტორის მიერ თავის სავალო მოთხოვნაზე უარი

– 1. ვალდებულება წყდება, როდესაც მოვალე და კრედიტორი ერთმანეთთან დებენ შეთანხმებას, რომელითაც კრედიტორი უარს აცხადებს (ტოვებს) თავის უფლებაზე (სავალო მოთხოვნაზე), მიიღოს მოვალის მიერ ვალდებულებით ნაკისრი შესრულება.

– 2. მოვალის მიმართ კრედიტორის მიერ თავის სავალო მოთხოვნაზე უსასყიდლოდ, უართან დაკავშირებით წარდგენილი შეთავაზება ჩაითვლება მიღებულად, თუკი მოვალე მას შემდეგ, რაც ის შეიტყობს ამ შეთავაზების შესახებ, დაუყოვნებლივ არ უარყოფს მას.

– 3. 6:48 მუხლის პარ. 1 და 2-სა და 6:49 მუხლის პარ. 1-დან 3-ის ჩათვლით ნორმები შესაბამისად გამოიყენება ვალდებულებით-სამართლებრივ მოთხოვნაზე უარის მიმართ.

მუხლი 6: 161 სავალო მოთხოვნისა და საპირისპირო ვალის კონფუზია

– 1. ვალდებულება წყდება კონფუზიის შედეგად, როდესაც სავალო მოთხოვნის ან ვალის სხვა ქონებაზე გადასვლას აქვს ის შედეგი, რომ მოვალისა და კრედიტორის სტატუსი ერთიანდება ერთი და იგივე პირში.

– 2. წინა პარაგრაფის ნორმები არ გამოიყენება:

a. იმდენად, რამდენადაც სავალო მოთხოვნა და ვალი განეკუთვნება სამართლებრივად განცალკევებულ ქონებებს, რომლებშიც მონაწილეობს ის შესაბამისი პირი, რომელსაც ეკუთვნის სავალო მოთხოვნა და ვალი;

b. როდესაც მოხდა საორდერო ან სანარმდგენლო სავალო მოთხოვნის გადაცემა სამოქალაქო კოდექსის 3:93 მუხლის შესაბამისად;

c. თუკი მოვალისა და კრედიტორის სტატუსის ერთი და იგივე პირში გაერთიანების ფაქტი წარმოადგენს შემდგომი პირობით დადებული გარიგების შედეგს მანამდე, სანამ გაურკვეველია, რომ ეს პირობა არ შესრულდება.

– 3. როდესაც ვალდებულება წყდება კონფუზიის შედეგად, მას მესამე პირების უფლებების მიმართ სამართლებრივი ძალა არა აქვს.

ტიტული 6.3 – დელიქტები (უკანონო ქმედებები)

განყოფილება 6.3.1 – ზოგადი დებულებები

მუხლი 6:162 „დელიქტური ქმედების“ განმარტება

– 1. იმ პირმა, ვინც სხვა პირის მიმართ სჩადის დელიქტს (უკანონო ქმედებას), რომელიც შეიძლება შეერაცხოს მას, უნდა აანაზღაუროს ის ზიანი, რომელიც ამ სხვა პირმა აღნიშნულის შედეგად განიცადა.

– 2. დელიქტურ ქმედებად მიიჩნევა სხვა პირის უფლების შელახვა და კანონით დაკისრებული მოვალეობისა თუ ისეთი დამრღვევი მოქმედება ან უმოქმედობა, რაც დაუნერეელი სამართლის თანახმად უნდა განიხილებოდეს როგორც ჯეროვანი სოციალური ქცევა იმდენად, რამდენადაც ასეთ საქციელს გამართლება არ ჰქონდა.

– 3. დელიქტური ქმედება შეიძლება შეერაცხოს დელიქტის ჩამდენს (დელიქტური ქმედების განმახორციელებელ პირს), თუკი დელიქტი წარმოადგენს მისი ბრალეული ქმედების შედეგს ანდა განპირობებულია იმ მიზეზით, რომ ის პასუხისმგებელია კანონისა თუ ზოგადად მიღებული პრინციპების (საერთო შეფასების) ძალით.

მუხლი 6:163 ქცევის დარღვეული სტანდარტი უნდა გულისხმობდეს ზიანის სანინაალმდეგო დაცვას

დელიქტური ქმედების საფუძველზე არანაირი ვალდებულება ზიანის ანაზღაურებისა არ არსებობს, თუკი ქცევის დარღვეული სტანდარტი არ გულისხმობს იმ ზიანის სანინაალმდეგო დაცვას, რომელიც განიცადა დაზარალებულმა პირმა.

მუხლი 6:164 14 წლამდე ასაკის ბავშვები

იმ ბავშვის ქცევა, რომელსაც ჯერ არ მიუღწევია თოთხმეტი წლის ასაკისათვის, ვერ შეერაცხება ამ ბავშვს როგორც დელიქტური ქმედება.

მუხლი 6:165 გონებრივი თუ ფიზიკური უუნარობის მქონე ბავშვები

– 1. ის ფაქტი, რომ თოთხმეტი ან მეტი წლის ასაკს მიღწეული პირი მოქმედებდა გონებრივი თუ ფიზიკური უუნარობის გავლენით, არ წარმოადგენს ამ პირის ქცევის დელიქტურ ქმედებად შეერაცხვისათვის ხელის შემშლელ გარემოებას.

– 2. როდესაც დელიქტის ჩამდენთან ერთად დაუდევარი ზედამხედველობის გამო დაზარალებული პირის წინაშე პასუხისმგებელია ასევე მესამე პირიც, მაშინ ეს უკანასკნელი დელიქტის ჩამდენის მიმართ ვალდებულია, მონაწილეობა მიიღოს ზიანის ანაზღაურებაში იმ სრული თანხის ოდენობით, რომლისათვისაც ის პასუხისმგებელია დაზარალებული პირის წინაშე.

მუხლი 6:166 კოლექტიური ქცევა

– 1. თუ ადამინთა გარკვეულ ჯგუფს მიკუთვნებული პირი დელიქტური ქმედების შედეგად აყენებს ზიანს სხვას, ხოლო ასეთი ზიანის მიყენების რისკის გამო კი თავად ამ ჯგუფს მიკუთვნებულ სხვა პირებს თავი უნდა შეეკავებინათ თავიანთი კოლექტიური ქცევისაგან, მაშინ ჯგუფის თითოეული წევრი პასუხს აგებს სოლიდარულად იმდენად, რამდენადაც აღნიშნული კოლექტიური ქცევა შეიძლება შეერაცხოს მათ ინდივიდუალურად.

– 2. თავიანთ შიდა ურთიერთობაში ყველა პასუხისმგებელი პირი ვალდებულია, თანაბარწილად მიიღოს მონაწილეობა ზიანის ანაზღაურებაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებული გარემოებების გათვალისწინებით სამართლიანობის პრინციპი ითხოვს სხვაგვარ მონაწილეობას.

მუხლი 6:167 დეფამაცია (ცილისწამება)

– 1. როდესაც ვინმე პასუხისმგებელია სხვა პირის წინაშე წინამდებარე განყოფილების ნორმების საფუძველზე არასწორი ანდა ფაქტების შემცველი ინფორმაციის თავისი არასისრულის გამო შეცდომაში შემყვანი პუბლიკაციის გამო, სასამართლოს ამ სხვა პირის სარჩელის უფლების (სასარჩელო მოთხოვნის) საფუძველზე შეუძლია დელიქტის ჩამდენს დაავალოს თავად სასამართლოს მიერ დადგენილი ფორმით შესწორების გამოქვეყნება.

– 2. იგივე წესი მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუკი პასუხისმგებლობა არ დგება იმის გამო, რომ ინფორმაციის გამოქვეყნება აღნიშნულ პირს დელიქტური ქმედების სახით ვერ შეერაცხება იმ მიზეზით, რომ მისთვის ცნობილი არ იყო ინფორმაციის უსწორობა ან არასისრულე.

– 3. პარ. 2-ში მითითებულ ვითარებაში სასამართლოს სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში შეუძლია დაადგინოს ასევე, რომ სარჩელის წარმდგენმა მოსარჩელემ სრულად ან ნაწილობრივ გასწიოს საქმის წარმოებისა და უსწორობის გასწორების ხარჯები. საქმის წარმოებისა და უსწორობის გასწორების ხარჯების იმ ნაწილისათვის, რომლებიც უნდა იკისროს თითოეულმა მხარემ სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, ყოველ მხარეს შეუძლია განახორციელოს რეგრესული მოთხოვნა ყველა იმ პირის მიმართ, ვინც პასუხისმგებელია უსწორო ან არასრული პუბლიკაციის შედეგად წარმოშობილი ზიანისათვის.

მუხლი 6: 168 სავალდებულო საჯარო ინტერესები

– 1. როდესაც სასარჩელო მოთხოვნის მიზანია კონკრეტული დელიქტური ქცევის სასამართლოს მიერ მიღებული ბრძანებით აკრძალვა, სასამართლოს შეუძლია უარი თქვას მის დაკმაყოფილებაზე იმ საფუძვლით, რომ ეს ქცევა დასაშვებად უნდა იქნეს მიჩნეული საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე. თუმცა-ღა, მიუხედავად აღნიშნულისა, დაზარალებული უფლებამოსილი რჩება, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება წინამდებარე განყოფილების ნორმების შესაბამისად.

– 2. 6:170 მუხლში მითითებულ შემთხვევაში, დაქირავებული პირი არ არის პასუხისმგებელი იმ დელიქტური ქცევით მიყენებული ზიანისათვის, რომელიც დასაშვებად მიიჩნევა პარ. 1-ის ნორმის ძალით.

– 3. თუკი არ სრულდება ზიანის ანაზღაურებისა თუ ასეთი ზიანისათვის უზრუნველყოფის წარდგენის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილება, მაშინ სასამართლოს შეუძლია მიიღოს პარ. 1-ში მითითებული დელიქტური ქცევის აკრძალვის შესახებ ბრძანება.

განყოფილება 6.3.2 – სხვა პირების ან ნივთების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება

მუხლი 6: 169 პასუხისმგებლობა ბავშვების დელიქტური ქმედებისათვის

– 1. პირი, ვინც თოთხმეტ წლამდე ასაკის ბავშვის მიმართ ახორციელებს მშობლის უფლებამოსილებას ან მეურვეობას, პასუხისმგებელია ამ ბავშვის მოქმედების შედეგად მესამე პირისათვის მიყენებული ზიანისათვის იმ პირობით, რომ ეს მოქმედება შეიძლება მიჩნეული ყოფილიყო ამ ბავშვის დელიქტურ ქმედებად, თუ ეს არ გამოირიცხება ბავშვის ასაკის გამო.

– 2. პირი, ვინც მშობლის უფლებამოსილებას ან მეურვეობას ახორციელებს თოთხმეტი წლის ასაკს მიღწეული ბავშვის მიმართ, რომელსაც ვერ არ მიუღწევია თექვსმეტი წლის ასაკისათვის, პასუხისმგებელია ამ ბავშვის ბრალეული მოქმედების შედეგად მესამე პირისათვის მიყენებული ზიანისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მას ვერ დაადანაშაულებ იმაში, რომ მან ვერ აღკვეთა ამ ბავშვის ქცევა.

მუხლი 6: 170 პასუხისმგებლობა დაქირავებული პირის ბრალისათვის (დელიქტური ქმედებისათვის)

– 1. პირი, რომლის სამსახურშიც დაქირავებული პირი ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას, პასუხისმგებელია ამ უკანასკნელის მოქმედების შედეგად მესამე პირისათვის მიყენებული ზიანისათვის, თუკი ამ მოვალეობის შესრულების დაკისრებით მოხდა ბრალეულობის რისკის გაზრდა, ხოლო ის პირი კი, რომლის სამსახურშიც იმყოფებოდა დაქირავებული პირი, მასსა და დაქირავებულ პირს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის გამო ახორციელებდა კონტროლს ბრალეულ ქმედებებზე.

– 2. პარ. 1-ის ნორმები არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც დაქირავებული პირი იმყოფება იმ ფიზიკური პირის სამსახურში, რომელიც დაქირავებულ პირთან სამართლებრივ ურთიერთობაში შესვლისას არ მოქმედებდა თავისი პროფესიული თუ სამეცნიერო საქმიანობის ფარგლებში. ასეთ შემთხვევაში ის პირი, რომლის სამსახურშიც იმყოფებოდა დაქირავებული პირი {მაგ., ძიძა, დამლაგებელი}, პასუხისმგებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი დაქირავებული პირი მესამე პირისათვის ზიანის მიყენებული ბრალეული ქმედების განხორციელებისას მოქმედებდა მისთვის იმ ფიზიკური პირის მიერ დაკისრებული მოვალეობის შესრულებისას, ვის სამსახურშიც ის იმყოფებოდა.

– 3. თუკი როგორც დაქირავებული პირი, ისე ის პირი, ვის სამსახურშიც ის იმყოფებოდა, პასუხისმგებელია მესამე პირისათვის მიყენებული ზიანისათვის, მაშინ არ არის აუცილებელი, რომ მათ შორის არსებული შიდა ურთიერთობიდან გამომდინარე დაქირავებულმა პირმა მონაწილეობა მიიღოს ზიანის ანაზღაურებაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მისი მხრიდან ზიანი მიყენება მოხდა განზრახი მოქმედებით ანდა დაქირავებული პირი შეგნებულად მოიქცა წინდაუხედავად. საქმის გარემოებები და სამართლებრივი ურთიერთობის ბუნება შესაძლოა მოითხოვდეს სხვაგვარ შედეგს, ვიდრე ეს მითითებულია წინა წინადადებაში.

მუხლი 6:171 პასუხისმგებლობა თვითდასაქმებულთა ბრალისათვის (დელიქტური ქმედებებისათვის)

როდესაც თვითდასაქმებული პირი ბრალულ ქმედებას სჩადის თავისი იმ საქმიანობის შესრულებისას, რომელიც ხორციელდებოდა სხვა პირის მითითებების საფუძველზე ამ უკანასკნელის პროფესიული თუ სამეწარმეო საქმიანობის სასარგებლოდ, რის შედეგად თვითდასაქმებული პირი პასუხისმგებელი ხდება მესამე პირის წინაშე, მაშინ ის სხვა პირი, რომლის მითითებების შესაბამისად მოქმედებდა თვითდასაქმებული, ასევე იქნება პასუხისმგებელი აღნიშნული მესამე პირის წინაშე.

მუხლი 6:172 პასუხისმგებლობა წარმომადგენლის ბრალისათვის (დელიქტური ქმედებებისათვის)

თუკი წარმომადგენელი მისთვის რწმუნებულებით მინიჭებული უფლებამოსილებების განხორციელებისას სჩადის მესამე პირისათვის ზიანის მიმყენებელ ბრალულ ქმედებას, მაშინ წარმომადგენელი პირიც აგებს ასევე პასუხს მესამე პირის წინაშე.

მუხლი 6:173 პასუხისმგებლობა სახიფათო მონყობილობისათვის

– 1. იმ მოძრავი ნივთის მფლობელი, რომელიც, როგორც ცნობილია, დიდ ზიანს აყენებს ადამიანსა და ქონებას, როდესაც ის არ აკმაყოფილებს იმ სტანდარტებს, რომლებიც არსებულ გარემოებებში შესაძლოა იქნეს დადგენილი ასეთი მონყობილობისათვის, პასუხისმგებელია იმ შემთხვევაში, თუკი მოხდება ამ პოტენციური საფრთხის შედეგად ზიანის დადგომა გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნულ მფლობელს ვერ დაეკისრებოდა პასუხისმგებლობა წინა განყოფილების ნორმების საფუძველზე, მისთვის ცნობილი რომ ყოფილიყო საფრთხის შესახებ ამ უკანასკნელის წარმოშობის მომენტში.

– 2. თუ მოძრავი ნივთი არ აკმაყოფილებს წინა პარაგრაფში მითითებულ სტანდარტებს იმის გამო, რომ მას აქვს სამოქალაქო კოდექსის 6.3.3 განყოფილებაში აღნიშნული უსაფრთხოების ხარვეზი, არანაირი პასუხისმგებლობა არ არსებობს წინა პარაგრაფის ნორმების საფუძველზე სამოქალაქო კოდექსის 6.3.3 განყოფილებაში მოცემული ზიანისათვის გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:

a. ყველა გარემოების გათვალისწინებით შესაძლოა, ხარვეზი არ არსებობდა იმ მომენტისათვის, როდესაც მოძრავი ნივთი (საქონელი) გაიშვა ბაზარზე მიმოქცევაში ანდა ხარვეზი წარმოიშვა აღნიშნული მომენტის შემდეგ, ან;

b. საქმე ეხება ნებისმიერი სახის ქონებას, გარდა თავად ხარვეზიანი ნივთისა (საქონლისა), რომლის მიმართაც სამოქალაქო კოდექსის 6.3.3 განყოფილების ნორმების თანახმად არანაირი კომპენსაციის უფლება არ არსებობს წინამდებარე განყოფილებაში მოცემული ზღვარის საფუძველზე.

– 3. წინა პარაგრაფების ნორმები არ გამოიყენება ცხოველების, საზღვაო ან საჰაერო ხომალდების მიმართ.

მუხლი 6:174 პასუხისმგებლობა სახიფათოდ აშენებული უძრავი ნივთებისათვის

– 1. იმ აშენებული უძრავი ნივთის მფლობელი, რომელიც ზიანს აყენებს ადამიანსა თუ ქონებას იმის შედეგად, რომ არ აკმაყოფილებს იმ სტანდარტებს, რომლებიც მოცემულ გარემოებებში შესაძლოა იქნეს დადგენილი ასეთი ნივთებისათვის, პასუხისმგებელია, თუკი მოხდება ამ პოტენციური საფრთხის შედეგად ზიანის დადგომა გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნულ მფლობელს ვერ დაეკისრებოდა პასუხისმგებლობა წინა განყოფილების ნორმების საფუძველზე, მისთვის ცნობილი რომ ყოფილიყო საფრთხის შესახებ ამ უკანასკნელის წარმოშობის მომენტში.

– 2. როდესაც წინა პარაგრაფში მითითებული აშენებული უძრავი ნივთი დატვირთულია გრძელვადიანი იჯარით, პასუხისმგებლობა ეკისრება გრძელვადიანი იჯარის მფლობელს. სახიფათო საჯარო გზებთან დაკავშირებით პასუხისმგებლობა ეკისრება იმ სახელმწიფო უწყებას, რომელიც უნდა დარწმუნდეს იმაში, რომ გზა კარგ მდგომარეობაშია. სახიფათო მილსადენებთან დაკავშირებით პასუხისმგებლობა ეკისრება ტექნიკური მომსახურების განმასრვლებელ ხელმძღვანელობას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მილსადენები განთავსებულია შენობასა თუ ნაგებობაში და განკუთვნილია ამ შენობის ან ნაგებობისათვის სითხეებისა თუ სხვა სუბსტანციების მიწოდების ან გადმოღვრისათვის.

– 3. მიწისქვეშა ნაგებობებთან დაკავშირებით პასუხისმგებლობა ეკისრება იმ პირს, ვინც იმ მომენტში, როდესაც ზიანის შესახებ ხდება ცნობილი, სარგებლობს ამ ნაგებობით თავისი ბიზნესსაქმიანობისათვის. თუკი მას შემდეგ, როდესაც საფრთხის შესახებ ცნობილი გახდება, რომ სხვა პირი იწყებს ამ ნაგებობით სარგებლობას, მაშინ პასუხისმგებლობა დარჩება დაკისრებული იმ პირზე, ვინც იყენებდა ნაგებობას იმ მომენტში, როდესაც ზიანის შესახებ გახდა ცნობილი. თუკი ზიანის შესახებ ცნობილი გახდა მიწისქვეშა ნაგებობით სარგებლობის დასრულების შემდეგ, მაშინ პასუხისმგებლობა ეკისრება იმ პირს, ვინც უკანასკნელად იყენებდა ნაგებობას.

– 4. წინამდებარე მუხლის მიზნებისათვის აშენებული უძრავი ნივთის ცნების ქვეშ მოიაზრება შენობა, ნაგებობა ან კონსტრუქცია, რომელიც პირდაპირ ან სხვა შენობასთან, ნაგებობასა თუ კონსტრუქციასთან კავშირის მეშვეობით მყარად არის დაკავშირებული მიწის ნაკვეთთან.

– 5. პირი, ვინც რეგისტრირებული ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია აშენებული უძრავი ნივთისა თუ იმ მიწის ნაკვეთის მესაკუთრის სახით, რომელზეც განთავსებულია ეს ნივთი, ჩაითვლება აშენებული უძრავი ნივთის მფლობელად.

– 6. წინამდებარე მუხლის მიზნებისათვის საჯარო გზა მოიცავს გზის ფუნდამენტსა და ზედაპირს და ასევე – ქუჩის საგზაო ინფრასტრუქტურასაც.

მუხლი 6: 175 პასუხისმგებლობა სახიფათო ნივთიერებებისთვის

– 1. პირი, ვინც პროფესიული თუ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისას იყენებს განსაზღვრულ ნივთიერებას ანდა ახორციელებს ასეთ ნივთიერებაზე კონტროლს იმ დროს, როდესაც ცნობილია, რომ ამ უკანასკნელს აქვს ისეთი თვისებები, რომ მან შეიძლება მნიშვნელოვანი საფრთხე შეუქმნას პირებსა თუ ქონებას, – პასუხისმგებელია იმ შემთხვევაში, თუკი მოხდება ამ პოტენციური საფრთხის შედეგად ზიანის დადგომა. იმ პირს, ვინც აწარმოებს თავის ბიზნესსაქმიანობას, უთანაბრდება ის იურიდიული პირი, რომელიც თავისი ამოცანებისა თუ მოვალეობების შესრულებისას იყენებს განსაზღვრულ ნივთიერებას ანდა ახორციელებს ასეთ ნივთიერებაზე კონტროლს. როდესაც ნივთიერება არის ფეთქებადი, დამუხანგავი, აალებადი, ადვილად აალებადი, ნაკლებად აალებადი, მომნამლავი ან ძალიან მომნამლავი გარემოს მართვის შესახებ კანონის 9.2.3.1 მუხლის მესამე პარაგრაფის ნორმით დადგენილი კრიტერიუმებისა და მეთოდების შესაბამისად, მაშინ ის ნებისმიერ შემთხვევაში განიხილება როგორც მნიშვნელოვანი საფრთხის გამომწვევი ნივთიერება.

– 2. თუკი განსაზღვრული ნივთიერება იმყოფება იმ შემნახველის კონტროლის ქვეშ, რომლის სამეწარმეო საქმიანობასაც წარმოადგენს ასეთი ნივთიერებების შენახვა, მაშინ პირველი პარაგრაფით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა ეკისრება ამ პირს. წინამდებარე პარაგრაფის მიზნებისათვის შემდეგი პირები უთანაბრდებიან აღნიშნულ შემნახველს: გადაამზიდავი, გამგზავნი აგენტი, მტვირთავი, შემნახველი ან ანალოგიური მენარმე, რომელმაც მიიღო ზემოაღნიშნული ნივთიერება ტრანსპორტირებისათვის ასეთ გადაზიდვასთან დაკავშირებული დადებული ხელშეკრულების საფუძველზე იმ ვადისათვის, რომლის განმავლობაშიც ნივთიერება ამ პირის კონტროლის ქვეშ, და ვის მიმართაც სამოქალაქო კოდექსის 8.4.6 განყოფილების, 8.11.4 განყოფილების, 8.14.1 განყოფილების ან 8.19.4 განყოფილების ნორმები არ მოქმედებს.

– 3. როდესაც ნივთიერების აღმოჩენა ხდება მილსადენში, პირველი პარაგრაფით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა ეკისრება ტექნიკური მომსახურების განმახორციელებელ ხელმძღვანელობას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მილსადენი განთავსებულია შენობასა თუ ნაგებობაში და განკუთვნილია ამ შენობის ან ნაგებობისათვის სითხეებისა თუ სხვა სუბსტანციების მიწოდების ან გადმოღვრისათვის.

– 4. როდესაც ზიანი წარმოადგენს ჰაერის, წყლისა თუ ნიადაგის განსაზღვრული ნივთიერებით დაბინძურების შედეგს, პირველი პარაგრაფით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა ეკისრება იმ პირს, ვინც დაბინძურების გამომწვევი საქმიანობის დაწყების მომენტში წინამდებარე მუხლის ძალით არის პასუხისმგებელი. როდესაც დაბინძურება მოხდა იმის გამო, რომ ნივთიერება იყო შეფუთული იმ დროს, როდესაც მან შეაღწია წყალსა თუ ნიადაგში ანდა – როდესაც ის დატოვებულ იქნა მიწაზე, მაშინ მიიჩნევა, რომ დაბინძურების გამომწვევი მიზეზი უკვე აღნიშნულ მომენტში წარმოიშვა.

– 5. როდესაც ნივთიერება როგორც სხვა კომპონენტებთან ერთად, ისე მათ გარეშეც ქმნის 6:173 მუხლის პარ. 1-ში მითითებულ მოძრავ ნივთს, ან როდესაც ის შეფუთულია ასეთ ნივთში ანდა – ინახება შესაბამისი მიზნით აშენებულ შენობა-ნაგებობაში, როგორც ეს მითითებულია ქმნის 6:174 მუხლის პარ. 4-ში, 6:173 და 6:174 მუხლებიდან გამომდინარე პასუხისმგებლობა – რამდენადაც საქმე ეხება იმ მიზეზით გამომწვეულ ზიანს, რომ ხდება ნივთიერების პოტენციური საფრთხის რეალიზაცია – ეკისრება იმავე პირებს, რომლებიც ნივთიერებისათვის პასუხისმგებელი არიან წინამდებარე მუხლის წინა პარაგრაფების ნორმათა საფუძველზე.

– 6. მიიჩნევა, რომ ნივთიერება აკმაყოფილებს პარ. 1-ის პირველ წინადადებაში მითითებულ აღწერილობას, როდესაც ის ასეთად შერჩეულია მეფის სამთავრობო ბრძანების საფუძველზე. ნივთიერება ნებისმიერ შემთხვევაში შეიძლება შეირჩეს, თუკი გარემოს მართვის შესახებ კანონის 9.2.3.1 მუხლის მესამე პარაგრაფის ნორმით დადგენილი კრიტერიუმებისა და მეთოდების შესაბამისად, ის მიეკუთვნება ამ მუხლის მეორე პარაგრაფში მითითებულ ერთ-ერთ სახეობას. აღნიშნული შერჩევა შეიძლება შეიზღუდოს

მეფის სამთავრობო ბრძანებით დადგენილი ნივთიერების განსაზღვრული კონცენტრაციებით, კონკრეტული საფრთხეებითა და იმ განსაზღვრული ვითარებით, რომელშიც ის უნდა იმყოფებოდეს მეფის სამთავრობო ბრძანებაში გათვალისწინებული წესით.

მუხლი 6:176 ნარჩენების გადმოცლის ადგილები

– 1. ნარჩენების განთავსების ტერიტორიის ოპერატორი პასუხისმგებელია იმ ზიანისათვის, რომელიც წარმოიშობა ნარჩენების განთავსების ტერიტორიის დახურვამდე ან დახურვის შემდეგ, ჰაერის, წყლისა თუ ნიადაგის იმ ნივთიერებებით დაბინძურების შედეგად, რომლებიც ამ ტერიტორიაზე მის დახურვამდე დაიყარა.

– 2. წინამდებარე მუხლის მიზნებისათვის, „ნარჩენების განთავსების ტერიტორიის ოპერატორის“ ცნებაში მოიაზრება:

a. პირი, ვინც სამშენებლო საქმიანობისათვის საჭიროებს გარემოს დაცვის ნებართვას, როგორც ეს მითითებულია გარემოს დაცვის შესახებ ზოგადი წესების შესახებ კანონის 2.1 მუხლის პარ. 1-ის (e) პუნქტის ნორმებში, და რაც აუცილებელია ნარჩენების განთავსების ტერიტორიის შემქნისა თუ შეცვლისთვის წინამდებარე მუხლის პარ. 6-ის ნორმების საფუძველზე იმ მიზნით, რომ მოხდეს ნარჩენების განთავსების ტერიტორიის ფუნქციონირების უზრუნველყოფა ანდა მისი ფუნქციონირების ცვლილება;

b. ყოველი პირი, ვინც ექსპლუატაციას უწევს ნარჩენების განთავსების ტერიტორიას ლიცენზიისა თუ ნებართვის საჭიროების გარეშე.

– 3. თუ მას შემდეგ, როდესაც ზიანის შესახებ ცნობილი გახდა, ნარჩენების განთავსების ტერიტორიას სამართავად იღებს სხვა ოპერატორი, მაშინ პასუხისმგებლობა რჩება დაკისრებული იმ პირზე, ვინც იყო ოპერატორი იმ მომენტამდე, როდესაც ზიანის თაობაზე ცნობილი გახდა.

– 4. თუკი ზიანის შესახებ ცნობილი გახდა ნარჩენების განთავსების ტერიტორიის დახურვის შემდეგ, მაშინ პასუხისმგებლობა ეკისრება იმ პირს, ვინც იყო ამ ტერიტორიის უკანასკნელი ოპერატორი. წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა არ წარმოიშობა, როდესაც იმ მომენტში, როდესაც ზიანის შესახებ ცნობილი გახდა, ნარჩენების განთავსების ტერიტორიის დახურვის შემდეგ გასულია ოც წელზე მეტი შესაბამისი საჯარო რეგულაციების გამოყენების გათვალისწინებით, ისევე როგორც – იმ საკითხის მხედველობაში მიღებით, წარმოადგენს თუ არა ზიანი ტერიტორიის იმ ნორმების დარღვევით გამოყენების შედეგს, რომლებიც მოქმედებს იმ ადგილების მიმართ, სადაც ადრე იყო განთავსებული ნარჩენების მართვის ტერიტორია.

– 5. თუკი ნარჩენების განთავსების ტერიტორიის ექსპლუატაცია ხორციელდება ანდა ხორციელდებოდა კანონის შესაბამისად, მაშინ ის პირები, რომლებმაც მოახდინეს ამ ტერიტორიაზე დაბინძურების გამომწვევი ნივთიერებების დაყრა, ანდა რომელთა ხელმძღვანელობის ქვეშაც მოხდა ასეთი ნივთიერებების დაყრა, არ აგებენ პასუხს დაბინძურებით გამომწვეული ზიანისათვის როგორც სამოქალაქო კოდექსის 6:175 მუხლის, ისე 8.6.4 განყოფილების, 8.11.4 განყოფილების, 8.14.1 განყოფილების ან 8.19.4 განყოფილების ნორმების საფუძველზე. თუ ხდება 6:173 მუხლში მითითებული ნივთისა თუ 6:175 მუხლში მითითებული ნივთიერების დაყრა ნარჩენების განთავსების ტერიტორიაზე, მაშინ ამ მუხლებიდან გამომდინარე პასუხისმგებლობა ეკისრება იმ პირს, ვინც წინა პარაგრაფების შესაბამისად პასუხისმგებელია როგორც ამ ტერიტორიის ოპერატორი.

– 6. „ნარჩენების განთავსების ტერიტორიის“ ქვეშ მოიაზრება ტერიტორია, რომელიც, მისი ოპერატორის თანახმად, გამიზნულია იმ შეფუთული ან შეუფუთავი ნივთიერებების დაყრისათვის, რომლებიც მთლიანად ან ნაწილობრივ მომდინარეობს სხვა პირებისაგან იმ მიზნით, რომ ოპერატორმა ან ამ სხვა პირებმა თავიდან მოიცილონ ეს ნივთიერებები მას შემდეგ, რაც მათ დატოვეს ისინი ტერიტორიაზე ან მიწაზე. სიტყვა „დაყრა“ მოიცავს ნივთიერების მიბარებისა თუ გადაცემის ნებისმიერ ხერხს.

მუხლი 6:177 სამთო მოპოვება

– 1. სამთო სამუშაოების ოპერატორი, როგორც ეს მითითებულია სამთო მოპოვების შესახებ კანონის 1-ლი მუხლის (n) ქვეპუნქტში, პასუხისმგებელია იმ ზიანისათვის, რომელიც გამომწვეულ იქნა:

a. სამთო მოპოვების შესახებ კანონის 1-ლი მუხლის (a) ქვეპუნქტში აღწერილი ნიალისეულის მიწის ქვემოთ ბუნების იმ არაკონტროლირებადი ძალების შედეგად მოპოვებით, რომლებიც წარმოიქმნა სამშენებლო ან საექსპლუატაციო სამუშაოების გამო;

b. აღნიშნული სამშენებლო ან საექსპლუატაციო სამუშაოების შედეგად ნიადაგისა თუ მიწისქვეშა გრუნტის მოძრაობით.

– 2. წინამდებარე მუხლის მიზნებისათვის, „სამთო სამუშაოების ოპერატორში“ მოიზრება ასევე:

a. სამთო მოპოვების შესახებ კანონის მე-6 ან 25-ე მუხლში მითითებული ლიცენზიის მფლობელი, ვინც აშენებს სამთო საამქროს ან ვისი ხელმძღვანელობის ქვეშ შენდება ასეთი საამქრო ანდა – ვინც ექსპლუატაციას უწევს სამთო საამქროს;

b. ნებისმიერი ის პირი, ვინც არ წარმოადგენს რა დასაქმებულს, ვინც აშენებს სამთო საამქროს ან ვისი ხელმძღვანელობის ქვეშ შენდება ასეთი საამქრო ანდა – ვინც ექსპლუატაციას უწევს სამთო საამქროს ლიცენზიის ფლობის საჭიროების გარეშე, როგორც ეს მითითებულია სამთო მოპოვების შესახებ კანონის 1-ლი მუხლის (ა) ქვეპუნქტში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის მოქმედებს იმ სხვა პირისათვის, ვინც წარმოადგენს ზემოაღნიშნული ლიცენზიის მფლობელს, ანდა – თუკი ეს სხვა პირი არ წარმოადგენს ასეთი ლიცენზიის მფლობელს, რომელმაც არაფერი იცოდა – და არც უნდა სცოდნოდა -აღნიშნული ლიცენზიის არარსებობის შესახებ.

– 3. წინამდებარე მოპოვებით გამოწვეული ზიანისათვის პასუხისმგებელია პირი, ვინც მოპოვების პროცესის გამომწვევი მოვლენის დადგომის მომენტისათვის წარმოადგენს შესაბამისი სამთო მოპოვების ოპერატორს. თუკი სამთო მოპოვებითი საქმიანობა თავის თავზე სხვა ოპერატორმა აიღო მოპოვების პროცესის გამომწვევი მოვლენის შემდეგ, მაშინ აღნიშნული ზიანისათვის პასუხისმგებლობა რჩება დაკისრებული იმ პირზე, ვინც იყო საამქროს ოპერატორი იმ მომენტისათვის, როდესაც დადგა ზიანის გამომწვევი მოვლენა. თუ ასეთი მოვლენა დგება სამთო მოპოვებითი სამუშაოების დასრულების შემდეგ, მაშინ პასუხისმგებლობა რჩება დაკისრებული იმ პირზე, ვინც იყო ამ საამქროს უკანასკნელი ოპერატორი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოვლენა დადგა სამთო მოპოვებითი სამუშაოების დასრულებიდან ხუთი წლის შემდეგ შესაბამისი საჯარო რეგულაციების გამოყენების გათვალისწინებით.

– 4. წინამდებარე თუ მინისქვეშა გრუნტის მოძრაობით გამოწვეული ზიანისათვის პასუხისმგებელია პირი, ვინც სამთო მოპოვების ოპერატორს წარმოადგენდა იმ მომენტისათვის, როდესაც ამ ზიანის თაობაზე გახდა ცნობილი. თუკი მას შემდეგ, როდესაც ზიანის თაობაზე გახდა ცნობილი, სამთო მოპოვებითი საქმიანობა თავის თავზე აიღო სხვა ოპერატორმა, მაშინ პასუხისმგებლობა რჩება დაკისრებული იმ პირზე, ვინც იყო ამ საამქროს ოპერატორი იმ მომენტში, როდესაც ზიანის თაობაზე გახდა ცნობილი. თუ ამ ზიანის თაობაზე ცნობილი გახდა სამთო მოპოვებითი სამუშაოების დასრულების შემდეგ, მაშინ პასუხისმგებლობა ეკისრება იმ პირს, ვინც იყო ამ საამქროს უკანასკნელი ოპერატორი.

– 5. თუკი 6: 173, 6: 174 ან 6: 175 მუხლების ნორმები ასევე იძლევა პასუხისმგებლობის მოპოვების პროცესის გამომწვევ მოვლენასა თუ წინამდებარე თუ მინისქვეშა გრუნტის მოძრაობაზე დაფუძნების საშუალებასაც, მაშინ იმდენად, რამდენადაც საქმე ეხება მოპოვების პროცესით ანდა წინამდებარე თუ მინისქვეშა გრუნტის მოძრაობით გამოწვეულ ზიანს, ეს პასუხისმგებლობა ეკისრება იმავე პირს, ვინც პასუხისმგებელია სამთო მოპოვებითი სამუშაოებთან დაკავშირებით.

მუხლი 6: 178 პასუხისმგებლობის კანონისმიერი გამორიცხვა

6: 175, 6: 176 ან 6: 177 მუხლებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა არ წარმოიშობა, თუკი:

a. ზიანი გამოწვეულია შეიარაღებული კონფლიქტით, სამოქალაქო ომით, აჯანყებით, შიდა არეულობით, ამბოხებითა თუ ბუნტით;

b. ზიანი გამოწვეულია საგამონაკლისო, გარდაუვალი და გადაუღებელი ბუნებრივი ძალით, გარდა 6: 177 მუხლის პარ. 1-ში მითითებული ვითარებისა, მინის ქვეშ არსებულ არაკონტროლირებად ბუნებრივ ძალებთან დაკავშირებით, რომლებიც წარმოიშობა სამთო მოპოვებითი საამქროს მშენებლობისა თუ ექსპლუატაციის გამო;

c. ზიანი წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ მთავრობის დირექტივისა თუ სავალდებულო რეგულაციის დაცვის შედეგს;

d. ზიანი წარმოადგენს 6: 175 მუხლში მითითებული ნივთიერების თავად დაზარალებული პირი ინტერესებში გამოყენებისა თუ ასეთი ნივთიერებით საქმიანობის შედეგს, როდესაც ამ პირისათვის ზიანის მიყენების საფრთხის შექმნა გონივრული იყო;

e. ზიანი წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ მესამე პირის მოქმედების, საქმიანობისა თუ უმოქმედობის შედეგს, რაც ხორციელდება ზიანის მიყენების განზრახვით ისე, რომ ამით არ იზღუდება 6: 170 და 6: 171 მუხლების ნორმის მოქმედება;

f. თუ საქმე ეხება ზიანს, დაბინძურებას ან სხვა ზეგავლენას, რამდენადაც იმ პირებს, რომლებიც პასუხს აგებენ ამ შედეგებისათვის, არ დაეკისრებოდათ პასუხისმგებლობა წინამდებარე განყოფილების ნორმების საფუძველზე იმ შემთხვევაშიც კი, თუკი მათ განზრახ გამოიწვიეს ასეთი ზიანი, დაბინძურება ან სხვაგვარი ზეგავლენა.

მუხლი 6:179 პასუხისმგებლობა ცხოველებისათვის

ცხოველის მფლობელი პასუხისმგებელია ამ ცხოველის მიერ მიყენებული ზიანისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მას არ დაეკისრებოდა პასუხისმგებლობა წინამდებარე განყოფილების ნორმების საფუძველზე იმ შემთხვევაში, თუკი ის შეძლებდა ზიანის მიმყენებელი ცხოველის ქცევის კონტროლს.

მუხლი 6:180 თანამფლობელები; წინასწარი პირობით ნივთის საკუთარებაში გადაცემა

- 1. 6:173, 6:174 და 6:179 მუხლებში მითითებულ შემთხვევებში თანამფლობელები პასუხს აგებენ სოლიდარულად.
- 2. წინასწარი პირობით ნივთის საკუთარებაში გადაცემის შემთხვევაში ის პასუხისმგებლობა, რომელიც 6:173, 6:174 ან 6:179 მუხლების ნორმების ძალით ეკისრება ნივთის მფლობელს, საკუთარებაში გადაცემის დღიდან გადავა შემძენ მხარეზე.

მუხლი 6:181 პასუხისმგებლობა სამენარმეო საქმიანობის დროს მიყენებული ზიანისათვის

- 1. როდესაც 6:173, 6:174 ან 6:179 მუხლებში მითითებული აშენებული უძრავი ნივთები ან ცხოველები გამოიყენება სამენარმეო საქმიანობის დროს, მაშინ 6:173 მუხლის პარ. 1-დან, 6:174 მუხლის პარ. 1 და 2-ის პირველი წინადადებიდან და 6:179 მუხლიდან გამომდინარე პასუხისმგებლობა ეკისრება ამ სამენარმეო საქმიანობის განმახორციელებელ პირს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქმე ეხება აშენებულ უძრავ ნივთს, ხოლო ზიანი კი არ იქნა მიყენებული შესაბამის სამენარმეო საქმიანობასთან დაკავშირებით.
- 2. როდესაც ნივთები, აშენებული უძრავი ნივთები ან ცხოველები გამოიყენება სამენარმეო საქმიანობისათვის მათი სხვა პირის განკარგულებაში გადაცემით იმ მიზნით, რომ ისინი გამოყენებული იქნება ამ სხვა პირის სამენარმეო საქმიანობაში, მაშინ ეს უკანაქნელი გახდება ის პირი, ვინც პასუხისმგებელია წინა პარაგრაფის შესაბამისად.
- 3. როდესაც 6:175 მუხლში მითითებული ნივთიერება გამოიყენება სამენარმეო საქმიანობისათვის მისი სხვა პირის განკარგულებაში გადაცემით იმ მიზნით, რომ ისინი გამოყენებული იქნება ამ სხვა პირის სამენარმეო საქმიანობაში, მაშინ ეს უკანაქნელი გახდება ის პირი, ვინც პასუხისმგებელია 6:175 მუხლის პარ. 1-ის შესაბამისად.

მუხლი 6:182 თანაოპერატორების სოლიდარული პასუხისმგებლობა

როდესაც 6:176 და 6:177 მუხლებში გათვალისწინებულ ვითარებაში ერთდროულად სახეზეა ორი ან მეტი ოპერატორი, მაშინ ისინი პასუხს აგებენ სოლიდარულად მიუხედავად იმისა, მოქმედებდნენ თუ არა ისინი თავიანთი საქმიანობის წარმართვისას ერთობლივად.

მუხლი 6:183 ახალგაზრდული ასაკი ან ფიზიკური უუნარობა არ წარმოადგენს სამართლებრივი დაცვის საშუალებას დელიქტური ქმედებისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობის თავიდან აცილებისათვის

- 1. პირი, ვისაც ეკისრება პასუხისმგებლობა წინამდებარე განყოფილების ერთ-ერთი ნორმის საფუძველზე, ვერ მიუთითებს თავის ახალგაზრდული ასაკსა თუ გონებრივ ან ფიზიკურ უუნარობაზე, როგორც მისი პასუხისმგებლობის გამომრიცხავ სამართლებრივი დაცვის საშუალებაზე.
- 2. პირი, ვინც თოთხმეტ წლამდე ასაკის ბავშვის მიმართ ახორციელებს მშობლის უფლებამოსილებას ან მეურვეობას, ბავშვის ნაცვლად არის პასუხისმგებელი ნივთების თუ ცხოველების მიერ მიყენებული ზიანისათვის, როგორც ეს მითითებულია 6:173 და 6:179 მუხლებში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ნივთები ან ცხოველები გამოიყენება სხვა პირის სამენარმეო საქმიანობაში, როგორც ეს ასევე არის მითითებული 6:181 მუხლში.

მუხლი 6:184 პასუხისმგებლობა და ხარჯების შემცირებისკენ მიმართული ზომები

- 1. ზიანი, რომლისთვისაც პირი პასუხისმგებელია 6:173 მუხლიდან 6:182 მუხლის ჩათვლით ნორმების საფუძველზე, მოიცავს:
 - a. ზიანის თავიდან აცილებისა თუ მისი მინიმალისაკენ მიმართული იმ თითოეული გონივრული ზომის ხარჯებს, რომელიც მიიღება ნებისმიერი პირის მიერ მას შემდეგ, რაც წარმოიშვა მნიშვნელოვანი და უშუალო საფრთხე აღნიშნული ზიანის მიყენებისა იმდენად, რამდენადაც ზიანი უნდა ანაზღაურდეს 6:173 მუხლიდან 6:182 მუხლის ჩათვლით ნორმების საფუძველზე;
 - b. აღნიშნული ზომებით გამოწვეულ ზიანსა და დანაკარგს.

– 2. თუკი წინა პარაგრაფში მითითებული ზომების მიღება ხდება სხვა პირის მიერ, ნაცვლად იმისა, ვისაც სხვაგვარად მიადგებოდა ზიანი, რომლის მიმართაც წარმოიშვა მნიშვნელოვანი და უშუალო საფრთხე, მაშინ ამ სხვა პირს შეუძლია მოითხოვოს მხოლოდ წინა პარაგრაფში მითითებული ხარჯების, ზიანისა და დანაკარგის ანაზღაურება იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც ამ კომპენსაციის მოთხოვნას შეძლებდა პირი, ვისაც სხვაგვარად მიადგებოდა ზიანი; იმ პირს, ვისაც ევალება აღნიშნული საკომპენსაციო თანხის გადახდა, შეუძლია აღნიშნული სხვა პირის მიმართ გამოიყენოს იგივე სამართლებრივი დაცვის საშუალებები, რომელთა გამოყენებასაც ის შეძლებდა იმ პირის მიმართ, ვისაც სხვაგვარად მიადგებოდა ზიანი.

განყოფილება 6.3.3 – პასუხისმგებლობა ნაკლის მქონე პროდუქციით მიყენებული ზიანისათვის

მუხლი 6: 185 გამკაცრებული პასუხისმგებლობა ნაკლის მქონე პროდუქციით მიყენებული ზიანისათვის

– 1. საქონლის მწარმოებელი პასუხს აგებს მის პროდუქციაში არსებული ნაკლით გამონვეული ზიანისათვის („უსაფრთხოების ხარვეზი“), გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის დაამტკიცებს:

a. რომ მას ბაზარზე პროდუქცია მიმოქცევაში არ გაუშვია;

b. რომ არსებული გარემოებების გათვალისწინებით არსებობს ალბათობა იმისა, რომ ნაკლის გამომწვევი ზიანი არ არსებობს იმ მომენტში, როდესაც პროდუქცია გაშვებულ იქნა მის მიერ ბაზარზე მიმოქცევაში ანდა ეს ნაკლი ამის შემდგომ წარმოიშვა, ან;

c. რომ პროდუქცია არ ყოფილა მის მიერ წარმოებული გასაყიდად ან ეკონომიკური მიზნით ნებისმიერი ფორმით დისტრიბუციისათვის და ასევე როგორც პროდუქციის წარმოება, ისე მისი დისტრიბუცია მის მიერ არ განხორციელებულა თავისი პროფესიული თუ სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში, ან;

d. რომ ნაკლი გამონვეულია სახელმწიფო ორგანოების მიერ მიღებული სავალდებულო რეგულაციებთან პროდუქციის შესაბამისობით, ან;

e. რომ მწარმოებლის მიერ ბაზარზე პროდუქციის მიმოქცევაში გაშვების მომენტში სამეცნიერო მდგომარეობა და ტექნიკური ცოდნა არ იყო საკმარისი ნაკლის არსებობის ფაქტის აღმოჩენისათვის, ან;

f. შემადგენელი ნაწილის მწარმოებლის შემთხვევაში, – რომ ნაკლი უკავშირდება იმ პროდუქციის მოდელს, რომელშიც ეს შემადგენელი ნაწილი იქნა დამონტაჟებული, ანდა – პროდუქციის მწარმოებლის მიერ მიცემულ მითითებებს.

– 2. მწარმოებლის პასუხისმგებლობა შეიძლება შემცირდეს ან გამოირიცხოს, როდესაც საქმესთან დაკავშირებული ყველა გარემოების გათვალისწინებით ზიანი გამონვეულ იქნა როგორც პროდუქციის ნაკლით, ისე დაზარალებული პირისა თუ ნებისმიერი იმ პირის ბრალითაც, ვის წინაშეც დაზარალებული პირი არის პასუხისმგებელი.

– 3. მწარმოებლის პასუხისმგებლობა არ მცირდება, როდესაც ზიანი წარმოადგენს როგორც პროდუქციის ნაკლის, ისე მესამე პირის მოქმედებისა თუ უმოქმედობის შედეგს.

მუხლი 6: 186 „ნაკლის მქონე პროდუქციის“ ცნება („უსაფრთხოების ხარვეზი“)

– 1. პროდუქცია ნაკლის მქონეა, როდესაც ის არ უზრუნველყოფს იმ უსაფრთხოებას, რისი მოლოდინის უფლებაც შეიძლება ჰქონდეს პირს საქმესთან დაკავშირებული ყველა გარემოების გათვალისწინებით, როგორცაა, მათ შორის:

a. პროდუქციის წარდგენა;

b. პროდუქციის გამოყენება, რომელიც გონივრულად უნდა ყოფილიყო მისგან მოსალოდნელი;

c. დროის მომენტი, როდესაც პროდუქცია ბაზარზე გაეშვა მიმოქცევაში.

– 2. პროდუქცია არ მიიჩნევა ნაკლის მქონედ მარტო იმ მიზეზით, რომ შემდგომში უკეთესი პროდუქცია იქნა ბაზარზე მიმოქცევაში გაშვებული.

მუხლი 6: 187 „პროდუქციისა“ და „მწარმოებლის“ ცნებები

– 1. წინამდებარე განყოფილების მიზნებისათვის ტერმინი „პროდუქცია“ გულისხმობს ყველა მოძრავ ნივთს, მათ შორის, იმ ნივთებსაც, რომლებიც შეტანილია სხვა მოძრავ ან უძრავ ნივთში, ისევე როგორც – ელექტროენერგია.

– 2. 6: 185 მუხლიდან 6: 193 მუხლის ჩათვლით ნორმების მიზნებისათვის ტერმინი „მწარმოებელი“ გულისხმობს დასრულებული პროდუქციის დამამზადებელს, ნებისმიერი ნედლი მასალის მწარმოებელსა

თუ შემადგენელი ნაწილის დამამზადებელს და ასევე – ნებისმიერ იმ პირს, ვინც პროდუქციაზე თავისი სახელის, სავაჭრო თუ სხვა განმასხვავებელი ნიშნის განთავსებით წარადგენს თავის თავს როგორც ამ პროდუქციის მწარმოებელი.

– 3. მწარმოებლის პასუხისმგებლობის გამორიცხვის გარეშე, ნებისმიერი პირი, ვინც ახდენს საქონლის ევროპულ ეკონომიკურ ზონაში რეალიზაციის, გაქირავებისა თუ ნებისმიერი სხვა ფორმით დისტრიბუციისათვის შემოტანას თავისი სამენარმეო საქმიანობის ფარგლებში, მიიჩნევა მწარმოებლად და პასუხისმგებელი იქნება როგორც ასეთი.

– 4. როდესაც პროდუქციის მწარმოებლის იდენტიფიცირება შეუძლებელია, საქონლის ყოველი მომწოდებელი განიხილება როგორც მისი მწარმოებელი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის დაზარალებულ პირს გონივრულ ვადაში ატყობინებს მწარმოებლის ან იმ პირის მონაცემებს, რომელმაც მოახდინა საქონლის მისთვის მიწოდება. თუკი ევროპულ ეკონომიკურ ზონაში იმპორტირებულ საქონელთან დაკავშირებით ამ საქონლის მწარმოებლის იდენტიფიცირება შეუძლებელია, მაშინ ყოველი მომწოდებელი ასევე განიხილება როგორც საქონლის მწარმოებელი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი მომწოდებელი დაზარალებულ პირს გონივრულ ვადაში ატყობინებს იმ პირის მონაცემებს, რომელმაც მოახდინა საქონლის იმპორტი ევროპულ ეკონომიკურ ზონაში ანდა – ევროპული ეკონომიკური ზონის ფარგლებში მოქმედი იმ მომწოდებლის მონაცემებს, რომელმაც მოახდინა საქონლის მისთვის მიწოდება.

მუხლი 6:188 დაზარალებული პირის მტკიცების ტვირთი

დაზარალებულ პირს მოეთხოვება ზიანის, ნაკლისა და ნაკლსა და ზიანს შორის კავშირის არსებობის მტკიცება.

მუხლი 6:189 სოლიდარული პასუხისმგებლობა

როდესაც 6:185 მუხლის პარ. 1-ის ნორმების მოქმედების შედეგად რამდენიმე პირი პასუხისმგებელია ერთი და იგივე ზიანისათვის, მაშინ ყოველი მათგანი ამ უკანასკნელისათვის პასუხს აგებს სოლიდარულად.

მუხლი 6:190 ზიანი, რომლისათვისაც არსებობს პასუხისმგებლობა

– 1. 6:185 მუხლის პარ. 1-ში მითითებული პასუხისმგებლობა არსებობს:

a. გარდაცვალებითა თუ ფიზიკური დაზიანებით მიყენებული ზიანისათვის;

b. სხვა სახის აქტივისათვის ნაკლის მქონე პროდუქციით მიყენებული ზიანისათვის, რომელიც თავიდანვე განკუთვნილია პირადი გამოყენებისა თუ მოხმარებისათვის და ის დაზარალებული პირის მიერ გამოიყენებოდა ან მოიხმარებოდა საკუთარი პირადი მიზნებისათვის 500 ევროს ოდენობის ქვედა ზღვარით.

– 2. პირველ პარაგრაფში ნახსენები ზღვარი ექვემდებარება გადახედვას მეფის სამთავრობო ბრძანებით იმ შემთხვევაში, თუკი გადაიხედება ევროპული თანამეგობრობის საბჭოს 1985 წლის 25 ივლისის OJ no. L 210) დირექტივის მე-18 მუხლის მეორე პარაგრაფით გათვალისწინებული თანხები.

მუხლი 6:191 ხანდაზმულობის ვადა

– 1. 6:185 მუხლის პარ. 1-ის საფუძველზე მწარმოებლის მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით დაზარალებული პირის სარჩელის უფლების (სასარჩელო მოთხოვნის) ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს, რომელიც აითვლება იმ დღიდან, როდესაც დაზარალებული პირისათვის ცნობილი გახდა – ანდა მისთვის უნდა გამხდარიყო ცნობილი – ზიანის, ნაკლისა და მწარმოებლის საიდენტიფიკაციო მონაცემების შესახებ.

– 2. დაზარალებული პირის მიერ 6:185 მუხლის პარ. 1-ის ნორმების შესაბამისად მწარმოებლისაგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ქარწყლდება მწარმოებლის მიერ ზიანის გამომწვევი საქონლის მიმოქცევაში გაშვების თარიღიდან 10 წლის ვადის გასვლისთანავე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დაზარალებულმა პირმა დროის ამ შუალედში მწარმოებლის მიმართ აღძრა სარჩელი. იგივე წესი მოქმედებს იმ სასარჩელო მოთხოვნის მიმართ, რომელიც შესაძლოა მწარმოებლის მიმართ ჰქონდეს მესამე პირს, ვინც მიყენებული ზიანისათვის ასევე არის პასუხისმგებელი.

მუხლი 6:192 პასუხისმგებლობის გამომრიცხავი დათქმა

– 1. წინამდებარე განყოფილების ნორმებიდან გამომდინარე მწარმოებლის პასუხისმგებლობა დაზარალებული პირის მიმართ ვერ შეიზღუდება და ვერც გამოირიცხება სახელშეკრულებო პირობით ან დებულებით, რომლითაც ხდება მწარმოებლის პასუხისმგებლობის შეზღუდვა ან გამორიცხვა.

- 2. თუკი დაზარალებული პირის მიმართ პასუხისმგებელია ასევე ის მესამე პირიც, ვინც არ იყენებდა პროდუქციას თავისი პროფესიული თუ სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში, მაშინ ამ მესამე პირის სასარგებლოდ დაუშვებელია სასარჩელო მოთხოვნის მომწესრიგებელი კანონისმიერი ნორმებიდან გადახვევა.

მუხლი 6: 193 დაზარალებულ პირს შეუძლია ასევე სხვა უფლებებისა და სარჩელების გამოყენებაც

წინამდებარე განყოფილების ნორმებიდან გამომდინარე მწარმოებლის მიმართ დაზარალებული პირის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება არ ეხება ნებისმიერ სხვა კანონისმიერ ან სახელშეკრულებო უფლებებს (სარჩელებს) ან სამართლებრივი დაცვის საშუალებებს.

განყოფილება 6.3.3A – არაკეთილსინდისიერი სავაჭრო პრაქტიკა

მუხლი 6: 193a განმარტებები

- 1. წინამდებარე განყოფილების მიზნებისათვის შემდეგ ტერმინებს აქვს ქვემოთ მოცემული მნიშვნელობა:

a. „მომხმარებელი“: ფიზიკური პირი, ვინც წინამდებარე განყოფილებით გათვალისწინებულ სავაჭრო პრაქტიკაში არ მოქმედებს თავისი პროფესიული თუ სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში;

b. „მოვაჭრე“: ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც წინამდებარე განყოფილებით გათვალისწინებულ სავაჭრო პრაქტიკაში მოქმედებს თავისი პროფესიული თუ სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში და ასევე – ნებისმიერი ის პირი, ვინც მოქმედებს ასეთი მოვაჭრის სახელითა თუ სასარგებლოდ;

c. „პროდუქცია“: ნებისმიერი მოძრავი ან უძრავი ნივთი ელექტროენერჯის ჩათვლით და ასევე – ნებისმიერი სახის მომსახურება;

d. „სავაჭრო პრაქტიკა“: მოვაჭრის მიერ განხორციელებული ნებისმიერი მოქმედება, უმოქმედობა, ქცევის ნორმა ან წარმომადგენლობა, კომერციული შეტყობინება რეკლამისა და მარკეტინგის ჩათვლით, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია მომხმარებლებისათვის პროდუქციის რეკლამირებასთან, გაყიდვებსა თუ მიწოდებასთან;

e. „გარიგებასთან დაკავშირებული გადანყვეტილება“: მომხმარებლის მიერ მიღებული ნებისმიერი გადანყვეტილება, რომელიც ეხება იმ საკითხს, შეიძინოს თუ არა პროდუქცია, განახორციელოს თუ არა თანხის სრულად ან ნაწილობრივ გადახდა, შეინარჩუნოს ან განკარგოს პროდუქცია ანდა განახორციელოს თუ არა მასთან დაკავშირებული სახელშეკრულებო უფლება, მიიღოს თუ არა მომხმარებელმა გადანყვეტილება განსაზღვრულ მოქმედებასთან ან მოქმედებისაგან თავის შეკავებასთან დაკავშირებით და ასევე – როგორ და რა პირობებით შეიძინოს პროდუქცია, განახორციელოს გადახდა, განახორციელოს სახელშეკრულებო უფლება ან მიიღოს გადანყვეტილება განსაზღვრულ მოქმედებასთან ან მოქმედებისაგან თავის შეკავებასთან დაკავშირებით;

f. „პროფესიული გულმოდგინება“: სპეციალური უნარ-ჩვევებისა და ზრუნვის სტანდარტი, რომელიც მოვაჭრისაგან გონივრულად არის მოსალოდნელი მომხმარებლების მიმართ მისი კეთილსინდისიერებიდან გამომდინარე და ასევე წარმოიშობა მოვაჭრის საქმიანობის სფეროში დამკვიდრებული კეთილსინდისიერების ზოგადი პრინციპიდან და პატიოსანი საბაზრო პრაქტიკიდან;

g. „მონვევა პროდუქციის შესაძენად“: კომერციული შეტყობინება, რომელშიც პროდუქციის აღწერილობა და ფასი მოცემულია ისე, როგორც ეს შეესაბამება აპრობირებულ სავაჭრო კომუნიკაციის მეთოდებს და რაც მომხმარებელს აძლევს შეძენის განხორციელების საშუალებას;

h. „გადამეტებული ზეგავლენა“: თუნდაც ფიზიკური ძალის გამოყენებისა თუ ასეთი ძალის გამოყენების მუქარის გარეშე მომხმარებლის მიმართ არსებული ძალაუფლების გამოყენება, რომლის მიზანიცაა მასზე ზეწოლა იმგვარად, რომ ეს მნიშვნელოვნად ზღუდავს მომხმარებლის უნარს, მიიღოს ინფორმირებული გადანყვეტილება;

i. „ქცევის კოდექსი“: კანონის მიერ ან მის შესაბამისად დანესებული წესების ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს იმ მოვაჭრის ქცევას, რომელიც კისრულობს ერთ ან მეტ კონკრეტულ სავაჭრო პრაქტიკასა თუ ბიზნესექტორთან დაკავშირებული ქცევის ნორმების დაცვას;

j. „ქცევის კოდექსის დამდგენი“: იურიდიული პირი ან მოვაჭრეთა ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელია ქცევის კოდექსის შექმნასა და რევიზიაზე და/ან იმ პირების მიერ ქცევის კოდექსის დაცვის მონიტორინგზე, რომლებმაც იკისრეს მისი შესრულება;

კ. „დირექტივა“: ევროპული პარლამენტისა და საბჭოს 2005 წლის 11 მაისის 2005/29/EC დირექტივა შიდა ბაზარზე ბიზნესსა და მომხმარებელს შორის ურთიერთობაში არსებულ არაკეთილსინდისიერ სავაჭრო პრაქტიკასთან დაკავშირებით (OJ L 149).

– 2. წინამდებარე განყოფილებაში „საშუალო მომხმარებელში“ მოიაზრება ასევე: კონკრეტული ჯგუფის საშუალო წევრი, რომელსაც მოვაჭრე თავად მიმართავს, ან – საშუალო წევრი იმ კონკრეტული ჯგუფისა, რომლისგანაც მოვაჭრეს გონივრულად შეუძლია ივარაუდოს, რომ მისი წევრები თავიანთი გონებრივი თუ ფიზიკური შეზღუდვების, ასაკისა თუ გულუბრყვილობის გამო განსაკუთრებით მგრძობიარე არიან სავაჭრო პრაქტიკისა თუ საბაზისო პროდუქციის მიმართ.

– 3. წინამდებარე განყოფილების ნორმები არ გამოიყენება ძვირფასი ლითონისგან დამზადებული საქონლის სერტიფიცირებისა და ამ საქონლისათვის ძვირფასი ლითონის სინჯის მინიჭებისათვის.

მუხლი 6: 193b არაკეთილსინდისიერი სავაჭრო პრაქტიკა

– 1. მოვაჭრე მომხმარებლის მიმართ დამახინებლად (უკანონოდ) მოქმედებს, თუკი ის ეწევა არაკეთილსინდისიერ სავაჭრო პრაქტიკას.

– 2. სავაჭრო პრაქტიკა არაკეთილსინდისიერია, თუკი მოვაჭრე მოქმედებს:

a. პროფესიული გულმოდგინების მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ და

b. საშუალო მომხმარებლის მიერ საკმარისი ინფორმაციის საფუძველზე შესაბამისი გადანყვეტილების მიღების უნარი შესამჩნევად შეზღუდულია ანდა შეიძლება შესამჩნევად შეიზღუდოს, რის გამოც საშუალო მომხმარებელი იღებს ან მას შეუძლია მიიღოს გარიგებასთან დაკავშირებული ისეთი გადანყვეტილება, რომელსაც სხვა შემთხვევაში ის არ მიიღებდა.

– 3. კერძოდ, სავაჭრო პრაქტიკა არაკეთილსინდისიერად უნდა ჩაითვალოს, თუკი მოვაჭრე ეწევა:

a. შეცდომაში შემყვან სავაჭრო პრაქტიკას, როგორც ეს მითითებულია 6:193c მუხლიდან 6:193g მუხლის ჩათვლით ნორმებში;

b. აგრესიულ სავაჭრო პრაქტიკას, როგორც ეს მითითებულია 6:193h მუხლიდან 6:193i მუხლის ჩათვლით ნორმებში.

– 4. საერთო და კანონიერი სარეკლამო პრაქტიკა გადაჭარბებული ან ისეთი განცხადებების გაკეთებისა, რომლებიც არ უნდა იქნეს გაგებული სიტყვასიტყვით, რეკლამას თავისთავად არ ხდის არაკეთილსინდისიერს.

მუხლი 6: 193c შეცდომაში შემყვანი სავაჭრო პრაქტიკა

– 1. სავაჭრო პრაქტიკა შეცდომაში შემყვანია, თუკი მომხმარებლისათვის მონოდებული ინფორმაცია წინამდვილეში უსწორია ანდა რომლითაც ხდება ან შეიძლება მოხდეს საშუალო მომხმარებლის მოტყუება, იქნება ეს ყოველისმომცველი ინფორმაციის წარდგენის შედეგად თუ არა იმ საკითხებთან დაკავშირებით, როგორცაა, მაგალითად:

a. პროდუქციის არსებობა ან ნიშან-თვისებები;

b. პროდუქციის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები, როგორცაა მისი ხელმისაწვდომობა, სარგებელი, რისკები, გამოყენება, შემადგენლობა, საკუთვნივლი, საქონლის გაყიდვის შემდგომი მომხმარებლისათვის დახმარების განევა და საჩივრების განხილვა, წარმოებისა თუ მინოდების უზრუნველყოფის ხერხები და თარიღი, საქონლის მინოდება, საქონლის მიზნების, გამოყენების, რაოდენობის, სპეციფიკაციის, გეორგაფიული ან სავაჭრო წარმომადგელობისათვის შესაბამისობა, ანდა ამ საქონლით სარგებლობიდან მოსალოდნელი შედეგები და მის მიმართ განხორციელებული ტესტებისა თუ შემონმებების მნიშვნელოვანი მახასიათებლები;

c. მოვაჭრის ვალდებულებები, სავაჭრო პრაქტიკის წარმოების მოტივები და გაყიდვების პროცესის ნიშან-თვისებები, ნებისმიერი განცხადება ან სიმბოლო მოვაჭრის ან პროდუქციის პირდაპირ ან არაპირდაპირ სპონსორობასა თუ მონონებასთან დაკავშირებით;

d. ფასი ან მისი გამოთვლის მეთოდი, ანდა კონკრეტული საფასო უპირატესობა;

e. მომსახურების, სათადარიგო ნაწილის, შეცვლისა თუ შეკეთების საჭიროება;

f. მოვაჭრის ან მისი აგენტის ისეთი დამახასიათებელი ნიშნები, ატრიბუტები და უფლებები, როგორცაა მისი პირადი მონაცემები და აქტივები, მისი კვალიფიკაცია, სტატუსი, მონონება, მიკუთვნება ან კავშირი და სამრეწველო, სავაჭრო ან ინტელექტუალური საკუთრების უფლებები ანდა – მისი წამახალი-სებელი პრემიები და ჯილდოები;

g. მომხმარებლის უფლებები, მათ შორის, მინოდებული აქტივების შეკეთებისა თუ შეცვლის უფლება

ან ფასის შემცირების უფლება ანდა – ის რისკები, რასაც შეიძლება გადააწყდეს მომხმარებელი იმის გამო, რომ საშუალო მომხმარებელი იღებს ან მას შეუძლია მიიღოს გარიგებასთან დაკავშირებული ისეთი გადაწყვეტილება, რომელსაც სხვა შემთხვევაში ის არ მიიღებდა.

– 2. სავაჭრო პრაქტიკა შეცდომაში შემყვანია ასევე იმ შემთხვევებში, თუკი:

a. პროდუქციის ნებისმიერი სახის მარკეტინგის გამო, მათ შორის, – შედარებაზე დაფუძნებული რეკლამირების გამო, იქმნება გაუგებრობა კონკურენტის ნებისმიერ პროდუქციასთან, სავაჭრო ნიშნებთან, საფირმო სახელწოდებასა თუ სხვა განმასხვავებელ ნიშანთან დაკავშირებით;

b. მოვაჭრე არ ასრულებს მის მიერ ქცევის კოდექსით დაკისრებულ ვალდებულებებს იმდენად, რამდენადაც:

1°. ვალდებულებაა მყარი და ცნობადია;

2°. მოვაჭრე უთითებს, რომ ის კისრულობს ქცევის კოდექსით გათვალისწინებულ ვალდებულებებს იმის გამო, რომ საშუალო მომხმარებელი იღებს ან მას შეუძლია მიიღოს გარიგებასთან დაკავშირებული ისეთი გადაწყვეტილება, რომელსაც სხვა შემთხვევაში ის არ მიიღებდა.

მუხლი 6: 193d შეცდომაში შემყვანი უმოქმედობის ფაქტები

– 1. გარდა ზემოაღნიშნულისა, სავაჭრო პრაქტიკა შეცდომაში შემყვანია, თუკი ის მოიცავს ასევე შეცდომაში შემყვან უმოქმედობის ფაქტებსაც.

– 2. შეცდომაში შემყვანი უმოქმედობის ფაქტი სახეზეა ყოველ ისეთ სავაჭრო პრაქტიკაში, სადაც არ ხდება იმ მნიშვნელოვანი ინფორმაციის გათვალისწინება, რაც საშუალო მომხმარებელს ესაჭიროება იმისათვის გარიგებასთან დაკავშირებული ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად და ამით საშუალო მომხმარებელი იღებს ან მას შეუძლია მიიღოს გარიგებასთან დაკავშირებული ისეთი გადაწყვეტილება, რომელსაც სხვა შემთხვევაში ის არ მიიღებდა.

– 3. შეცდომაში შემყვან უმოქმედობად მიიჩნევა ასევე ის ფაქტიც, როდესაც პარ. 2-ში მითითებული მნიშვნელოვანი ინფორმაცია დაფარულია ან მიწოდებულია გაუგებარი, გაურკვეველი, ორპარტიანი ხერხით ან არადროულად ანდა როდესაც სავაჭრო პრაქტიკის სავაჭრო განზრახვა – რამდენადაც ეს უკვე თავად კონტექსტიდან არ არის ნათელი – არ ჩანს მიწოდებული ინფორმაციიდან და როდესაც ნებისმიერ შემთხვევაში ამის შედეგად საშუალო მომხმარებელი იღებს ან მას შეუძლია მიიღოს გარიგებასთან დაკავშირებული ისეთი გადაწყვეტილება, რომელსაც სხვა შემთხვევაში ის არ მიიღებდა.

– 4. ფაქტობრივი კონტექსტი, საკომუნიკაციო საშუალებათა შეზღუდვები და მოვაჭრის მიერ მიღებული ნებისმიერი სხვა ზომა, რომელიც მიმართულია მომხმარებლის სხვა საშუალებით ინფორმირებისაკენ, უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული იმ გადაწყვეტილების მიღებისას, მოხდა თუ არა მნიშვნელოვანი ინფორმაციის არ მიწოდება ან დაფარვა.

მუხლი 6: 193e შეცდომაში შემყვანი მოწვევა შეძენაზე

თუკი ეს უკვე თავად კონტექსტიდან არ არის ნათელი, შეძენაზე მოწვევის შემთხვევაში ქვემოთ მოცემული ინფორმაცია უნდა იქნეს მიჩნეული მნიშვნელოვნად 6: 193d მუხლის პარ. 2-ის გაგებით:

a. პროდუქციის ძირითადი დამახასიათებელი ნიშან-თვისებები იმ ფარგლებში, რაც შეესაბამება არსებულ გარემოსა და პროდუქციას;

b. მოვაჭრის გეოგრაფიული მისამართი და პირადი მონაცემები, როგორცაა მისი საფირმო სახელწოდება, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში კი, – იმ მოვაჭრის გეოგრაფიული მისამართი და პირადი მონაცემები, ვის სასარგებლოდაც ის მოქმედებს;

c. ფასი გადასახადების ჩათვლით, ანდა როდესაც პროდუქციის ნიშან-თვისებები გულისხმობს იმას, რომ ფასი წინასწარ ჯეროვნად ვერ გამოითვლება, მაშინ – ფასის გამოთვლის წესიც, ისევე როგორც აუცილებლობის შემთხვევაში, – ყველა დამატებითი ფრაზტი, მიწოდებისა თუ საფოსტო ხარჯები ანდა როდესაც ეს ხარჯები წინასწარ გონივრულად ვერ გამოითვლება, – ის ფაქტი, რომ ასეთი დამატებითი ხარჯები შეიძლება გადასახდელი გახდეს;

d. გადახდის, მიწოდების, შესრულებისა და საჩივრების განხილვის პროცედურები, თუკი ისინი არ შეესაბამება პროფესიული გულმოდგინების მოთხოვნებს;

e. თუკი სახეზეა ხელშეკრულებიდან გასვლის ან ხელშეკრულების გაუქმების უფლება, – ასეთი უფლების არსებობა.

მუხლი 6: 193f კომერციულ შეტყობინებაში მოცემული მნიშვნელოვანი ინფორმაცია

თუკი სავაჭრო პრაქტიკა მოიცავს კომერციულ შეტყობინებას რეკლამისა თუ მარკეტინგის ჩათვლით, მაშინ ქვემოთ მოცემული ან შემდეგ მუხლებში გათვალისწინებული ინფორმაცია ნებისმიერ შემთხვევაში ჩაითვლება როგორც ისეთივე მნიშვნელოვანი, როგორც ეს მითითებულია 6: 193d მუხლის პარ. 2-ში:

- a. სამოქალაქო კოდექსის 3:15d მუხლის პარ. 1 და 2 და 3:15e მუხლის პარ. 1;
- b. სამოქალაქო კოდექსის 7:46c მუხლის პარ. 1;
- c. სამოქალაქო კოდექსის 7:501 მუხლის 1;
- d. ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონის 73 მუხლიდან 75 მუხლის ჩათვლით;
- e. ფინანსური ზედამხედველობის შესახებ კანონის 4:20, 4:73 და 5:13 მუხლები;
- f. ფასნარმოქმნის შესახებ კანონის 2b მუხლი.

მუხლი 6: 193f ყველა შემთხვევაში შეცდომაში შემყვანი სავაჭრო პრაქტიკა

ქვემოთ მოცემული სავაჭრო პრაქტიკა ყველა შემთხვევაში მიიჩნევა არაკეთილსინდისიერად:

- a. როდესაც ცხადდება, რომ მოვაჭრე კისრულობს ქცევის კოდექსის დაცვასა და მისი წესების შესაბამისად მოქმედებას, თუმცა ის ამას არ აკეთებს;
- b. როდესაც ხდება ნდობის, ხარისხის ნიშნისა თუ მსგავსი ნიშნის ჩვენება აუცილებელი თანხმობის მიღების გარეშე;
- c. როდესაც ცხადდება, რომ ქცევის კოდექსს აქვს საზოგადოების ან სახელმწიფო უწყების მხარდაჭერა, თუმცა ის ასეთი არა აქვს;
- d. როდესაც ცხადდება, რომ მოვაჭრე (მათ შორის, მისი სავაჭრო პრაქტიკა) ან პროდუქცია მოწოდებული, მხარდაჭერილი ან ნებადართულია საჯარო ან კერძო უწყების მიერ, როდესაც ასეთი რეალურად არ ხდება ანდა ასეთი განცხადება ხდება მოწოდების, მხარდაჭერისა თუ ნებადართვის პირობების დაკმაყოფილების გარეშე;
- e. როდესაც ხდება მონვევა კონკრეტულ ფასად პროდუქციის შეძენაზე იმ ნებისმიერი გონივრული საფუძვლის არსებობის ფაქტის გამჟღავნების გარეშე, რომ მოვაჭრეს შესაძლოა ჰქონდეს იმის რწმენა, რომ ის ვერ შეძლებს ამ პროდუქციისა თუ მისი ეკვივალენტის მოცემულ ფასად მიწოდებას ან სხვა მიმწოდებელი მოვაჭრის წარდგენის უზრუნველყოფას იმ ვადასა და ასევე რაოდენობით, რაც გონივრულად მოსალოდნელია ამ პროდუქციის, მისი რეკლამირების მოცულობისა და შეთავაზებული ფასის მიმართ („სატყუარა რეკლამა“);
- f. როდესაც ადგილი აქვს კონკრეტულ ფასად პროდუქციის შეძენაზე მონვევას და შემდგომში კი ხდება:
 - 1°. მომხმარებლებისათვის რეკლამირებული საქონლის ჩვენებაზე უარის თქმა;
 - 2°. ამ საქონელზე შეკვეთების მიღებაზე ან გონივრულ ვადაში მის მიწოდებაზე უარის თქმა;
 - 3°. ნაკლის მქონე ნიმუშის ჩვენება სხვა პროდუქციის კარგად წარმოჩინების მიზნით („მოტყუება“);
- g. როდესაც კეთდება ცრუ განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ პროდუქცია ხელმისაწვდომია მხოლოდ ძალიან შეზღუდული დროით ან რომ ის ძალიან შეზღუდული დროით ხელმისაწვდომი იქნება მხოლოდ კონკრეტული პირობებით იმ მიზნით, რომ მიღწეულ იქნეს გადანყვეტილების დაუყოვნებელი მიღება და მომხმარებელს არ მიეცეს საკმარისი შესაძლებლობა ან დრო ინფორმირებული გადანყვეტილების მისაღებად;
- h. როდესაც საქონლის გაყიდვის შემდგომი მომსახურების შეპირება ხდება იმ მომხმარებლებისათვის, რომელთაც მოვაჭრეს კავშირი ჰქონდა გარიგების დადებაზე იმ ენაზე, რომელიც არ არის იმ წევრი სახელმწიფოს ოფიციალური ენა, სადაც იმყოფება მოვაჭრე, ხოლო შემდგომში კი ასეთი მომსახურება შესაძლებელია მხოლოდ სხვა ენაზე მომხმარებლისთვის ამ ფაქტის ნათლად გამჟღავნების გარეშე მანამდე, სანამ მომხმარებელი იკისრებს გარიგებით ვალდებულებას;
- i. როდესაც ხდება განცხადება ან სხვაგვარად იმ შთაბეჭდილების შექმნა, რომ პროდუქციის ლეგალური გაყიდვა შესაძლებელია, როდესაც სინამდვილეში ეს შეუძლებელია;
- j. როდესაც მომხმარებლებისათვის კანონით მინიჭებული უფლებების წარდგენა ხდება ისე, თითქოს ის არის მოვაჭრის წინადადების განმასხვავებელი ნიშანი;
- k. როდესაც პროდუქციის რეკლამირებისათვის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გამოიყენება სარედაქციო შინაარსი იმ შემთხვევაში, როდესაც მოვაჭრემ გადაიხადა პროდუქციის რეკლამირებისათვის შესაბამისი საფასური მის შინაარსში ამის მითითების გარეშე ანდა – გამოსახულებებსა თუ გახმოვანებაში მომხმარებლის მხრიდან ადგილი იდენტიფიცირების შესაძლებლობის გარეშე („საინფორმაციო რეკლამა“);

l. როდესაც ხდება არსებითაც არასწორი მოთხოვნის წარდგენა მომხმარებლისა თუ მისი ოჯახის პირადი უსაფრთხოების რისკის ბუნებასა და ფარგლებთან დაკავშირებით იმ შემთხვევაში, თუკი მომხმარებელი არ იყიდის პროდუქციას;

m. როდესაც ხდება პროდუქციის რეკლამირება მსგავსად იმ პროდუქციისა, რომელიც მზადდება კონკრეტული მწარმოებლის მიერ იმგვარად, რომ ის განზრახ ახდენს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანას იმ რწმენის შექმნით, რომ პროდუქცია დამზადებულია იმავე მწარმოებლის მიერ, როდესაც სინამდვილეში ეს ასე არ არის;

n. როდესაც ხდება პროდუქციის სარეკლამო პირამიდის სქემის შექმნა, მართვა ან განვითარება, სადაც მომხმარებელს ეკისრება საპასუხო დაკმაყოფილება იმ საკომპენსაციო თანხის მიღების შესაძლებლობისათვის, რომელიც ძირითადად მიიღება სქემაში სხვა მომხმარებლების შემოყვანით, ვიდრე საქონლის რეალიზაციითა თუ მოხმარებით;

o. როდესაც ცხადდება, რომ მოვაჭრე აპირებს გაყიდვების შეწყვეტას ანდა გადაიტანოს სავაჭრო ფართი, თუმცა ის ამას არ აკეთებს;

p. როდესაც ცხადდება, თითქოს პროდუქტები ხელს უწყობს მოგებას აზარტულ თამაშებში;

q. როდესაც ცრუდ ცხადდება, თითქოს პროდუქტები ხელს უწყობს ავადმყოფობისაგან, დისფუნქციისა თუ სიმახინჯისაგან განკურნებას;

r. როდესაც ხდება არსებითაც არასწორი ინფორმაციის გადაცემა საბაზრო პირობებისა თუ ამ პროდუქციის შოვნის შესაძლებლობის თაობაზე იმ განზრახვით, რომ მომხმარებელი დაიყოლიონ შეიძინოს პროდუქცია იმაზე ნაკლებად ხელსაყრელი პირობებით, ვიდრე ეს ჩვეულებრივ ხდება ბაზარზე;

s. როდესაც სავაჭრო პრაქტიკაში ცხადდება, რომ მოხდება კონკურენციისა თუ სარეკლამო პრიზების შეთავაზება ამ უკანასკნელთა თუ მათი გონივრული ეკვივალენტების მინიჭების გარეშე;

t. როდესაც პროდუქციის აღწერა ხდება როგორც „უფასო“, „უსასყიდლო“, „საზღაურის გარეშე“ პროდუქციისა ან ანალოგიური სიტყვებით, თუკი მომხმარებელმა მაინც უნდა გადაიხადოს რაიმე, ნაცვლად სავაჭრო პრაქტიკაზე რეაგირებაზე განეული გარდაუვალი ხარჯისა და საქონლის მიწოდებისათვის თანხის ინკასირებისა თუ მისი გადახდისა;

u. როდესაც მარკეტინგულ მასალაში ხდება ინვოისისა თუ გადახდის მოთხოვნასთან დაკავშირებული ანალოგიური დოკუმენტის შეტანა, რომელიც მომხმარებელს უქმნის შთაბეჭდილებას, თითქოს მან უნდა შეუკვეთა გასაყიდი საქონელი, როდესაც სინამდვილეში მას ეს არ გაუკეთებია;

v. როდესაც ცრუდ ცხადდება ანდა იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს მოვაჭრე არ მოქმედებს მის ვაჭრობასთან, ბიზნესთან, ხელობასა თუ პროფესიასთან დაკავშირებული მიზნებისათვის ანდა ყალბად წარადგენს თავის თავს როგორც მომხმარებელს;

w. როდესაც იქმნება ყალბი შთაბეჭდილება, თითქოს საქონლის გაყიდვის შემდგომი მომსახურების განევა შესაძლებელია იმ ნევრ სახელმწიფოში, რომელიც არ განეკუთვნება იმ ქვეყანას, სადაც ხორციელდება საქონლის რეალიზაცია.

მუხლი 6: 193h აგრესიული სავაჭრო პრაქტიკა

– 1. სავაჭრო პრაქტიკა მიიჩნევა აგრესიულად, თუკი ის თავისი ფაქტობრივი კონტექსტითა და ყველა ნიშან-თვისებისა და არსებული გარემოების გათვალისწინებით ძალადობის, იძულების, მათ შორის, – ფიზიკური ძალისა თუ გადამეტებული ზეგავლენით მნიშვნელოვნად ლახავს ან შეიძლება მნიშვნელოვნად შებლალოს საშუალო მომხმარებლის არჩევანის თავისუფლება ან პროდუქციასთან დაკავშირებული ქცევა და ამით აიძულებს მას მიიღოს – ან მან შესაძლოა მიიღოს – გარიგებასთან დაკავშირებული გადანყვეტილება, რომელსაც სხვა შემთხვევაში ის არ მიიღებდა.

– 2. იმის განსაზღვრისათვის, არის თუ არა სავაჭრო პრაქტიკა აგრესიული, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული:

a. მისი ვადები, ადგილი, ხასიათი ან ის ჟინიანობა, რომელიც მულავენდება სავაჭრო პრაქტიკისას;

b. შეურაცხყოფელი ენისა თუ ქცევის გამოყენების მუქარა;

c. მოვაჭრის მიერ ნებისმიერი კონკრეტული უბედურებისა თუ ისეთი სიმძიმის მქონე გარემოების გამოყენება, რომლითაც შეიძლება შეილახოს მომხმარებლის შეხედულება, რომლის შესახებაც მოსაჭრისთვის ცნობილია, იმ მიზნით, რათა ადგილი ჰქონდეს პროდუქციასთან დაკავშირებით მომხმარებლის მიერ მიღებულ გადანყვეტილებაზე ზეგავლენას;

d. ნებისმიერი მოვაჭრის მიერ დადგენილი ნებისმიერი სასყიდლიანი ან შეუსაბამო არასახელმწიფო-ლემო ბარიერი, როდესაც მომხმარებელს სურს ხელშეკრულებიდან გამომდინარე თავისი უფლებების

რეალიზაცია, მათ შორის, – ხელშეკრულების შეწყვეტა ან არსებული საქონლისა თუ მოვაჭრის სხვა საქონლითა თუ მოვაჭრით შეცვლა;

e. საფრთხე ნებისმიერი ისეთი გადანყვეტილების მიღებისა, რომლის კანონიერად მიღება შეუძლებელია.

მუხლი 6:193 i სავაჭრო პრაქტიკა, რომელიც ყველა შემთხვევაში ჩაითვლება აგრესიულად

ქვემოთ მოცემული სავაჭრო პრაქტიკა ყველა შემთხვევაში ჩაითვლება აგრესიულად:

a. როდესაც ის ქმნის იმის შთაბეჭდილებას, რომ მომხმარებელი ვერ დატოვებს კომერციულ ფართს მანამდე, სანამ არ დაიდება ხელშეკრულება;

b. როდესაც ადგილი აქვს მომხმარებლის სახლში პირად ვიზიტს მომხმარებლის მხრიდან სახლის დატოვების ანდა უკან არდაბრუნების მოთხოვნის იგნორირებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც – და ასევე იმდენად, რამდენადაც – ეს გამართლებულია ეროვნული კანონმდებლობით სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების იძულებისათვის;

c. როდესაც ხორციელდება დაჟინებული და არასასურველი თხოვნები ტელეფონით, ფაქსით, ელ. ფოსტით ან სხვა დისტანციური მედიით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც – და ასევე იმდენად, რამდენადაც – ეს გამართლებულია ეროვნული კანონმდებლობით სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების იძულებისათვის;

d. როდესაც სადაზღვევო პოლისიდან გამომდინარე თანხის ანაზღაურების მსურველი მომხმარებლისაგან ხდება იმ დოკუმენტების წარდგენის მოთხოვნა, რომლებიც ვერ იქნება მიჩნეული რელევანტურად იმ საკითხის გადასაწყვეტად, არის თუ არა მოთხოვნა კანონიერი ანდა – როდესაც ადგილი აქვს შესაბამის შეტყობინებებზე პასუხის სისტემატურ გაუცემლობას იმ მიზნით, რომ მომხმარებელმა გადაიფიქროს თავისი სახელშეკრულებო უფლებების რეალიზაცია;

e. როდესაც რეკლამაში შეიტანება ბავშვებისათვის პირდაპირი მოწოდება, იყიდონ რეკლამირებული პროდუქცია ან დაარწმუნონ მათი მშობლები თუ სხვა ზრდასრული პირები მათთვის პროდუქციის შესაძენად;

f. როდესაც ხდება დაუყოვნებელი ან გადავადებული გადახდის მოთხოვნა ანდა მოვაჭრის მიერ მიწოდებული, მაგრამ მომხმარებლის მიერ შეუკვეთავი პროდუქციის დაბრუნება ან შენახვა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პროდუქცია წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსის 7:46f მუხლის პარ. 3-ის შესაბამისად მიწოდებულ შემცველ საქონელს („ინერციული გაყიდვა“);

g. როდესაც ხდება მომხმარებლის პირდაპირი ინფორმირება, რომ თუკი ის არ იყიდის საქონელს ან არ მიიღებს მომსახურებას, მოვაჭრის სამუშაო ან საარსებო წყარო საფრთხის ქვეშ აღმოჩნდება;

h. როდესაც იქმნება ყალბი შთაბეჭდილება იმისა, რომ მომხმარებელმა უკვე მოიგო, ის მოიგებს ანდა კონკრეტული მოქმედების განხორციელებით მოიგებს ჯილდოს ან სხვა ეკვივალენტურ სარგებელს, როდესაც რეალურად:

1°. სახეზე არ არის არანაირი ჯილდო ან სხვა ეკვივალენტური სარგებელი; ანდა

2°. ჯილდოს ან სხვა ეკვივალენტური სარგებლის მოთხოვნასთან დაკავშირებული ნებისმიერი მოქმედება დამოკიდებულია იმაზე, გადაიხდის თუ არა მომხმარებელი ფულს ანდა გასწევს თუ არა შესაბამის ხარჯებს.

მუხლი 6:193j მტკიცების ტვირთის შეცვლა მიწოდებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულესთან დაკავშირებით

– 1. როდესაც ხდება 6:193b მუხლიდან 6:193i მუხლის ჩათვლით ნორმების შესაბამისად სარჩელის უფლების (სასარჩელო მოთხოვნის) ანდა სამოქალაქო კოდექსის 3:305d მუხლის პარ. 1-ში მითითებული განცხადების სასამართლოში წარდგენა, მტკიცების ტვირთი ეკისრება მოვაჭრეს იმდენად, რამდენადაც საქმე ეხება მის მიერ მიწოდებული ინფორმაციის არსებით სისწორესა და სისრულეს, თუკი აღნიშნული ჯეროვნად იქნება მიჩნეული საქმის ყველა გარემოების მხედველობაში მიღებითა და ასევე მოვაჭრისა და საქმის წარმოების მონაწილე თითოეული სხვა მხარის ლეგიტიმური ინტერესების გათვალისწინებით.

– 2. თუ მოვაჭრემ იმოქმედა დამაზიანებლად (უკანონოდ) 6:193b მუხლის გაგებით, მაშინ ის პასუხისმგებელია ამის შედეგად მიყენებული ზიანისათვის გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის დაამტკიცებს, რომ ამ ზიანის მიყენებაში მას ბრალი არ მიუძღვის და რომ ის პასუხს არ აგებს სხვა საფუძვლიდან გამომდინარე.

განყოფილება 6.3.4 – შეცდომაში შემყვანი და შედარებაზე დაფუძნებული რეკლამირება

მუხლი 6: 194 შეცდომაში შემყვანი საჯარო განცხადებები

პირი, ვინც აკეთებს საჯარო განცხადებას ანდა უშვებს საჯარო განცხადების გაკეთებას საქონელსა თუ მომსახურებასთან დაკავშირებით, რასაც ის ან მის სასარგებლოდ მოქმედი სხვა პირი წარადგენს თავისი პროფესიული თუ სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში, მოქმედებს დამაზიანებლად (უკანონოდ), თუკი ეს განცხადება შეცდომაში შემყვანია ერთი ან რამდენიმე ქვემოთ გათვალისწინებული თვალსაზრისით, მაგალითად:

- a. სარგებლობის ხასიათის, შემადგენლობის, რაოდენობის, ხარისხის, ნიშან-თვისებისა თუ შესაძლებლობის მხრივ;
- b. წარმოშობის, წარმოების ხერხებისა და დროის მხრივ;
- c. მარაგში არსებული საქონლის ზომებისა და მოცულობის მხრივ;
- d. ფასის ან მისი გამოთვლის მეთოდის მხრივ;
- e. წინადადების საფუძვლებისა თუ მიზნების მხრივ;
- f. მინიჭებული ჯილდოების, სერტიფიკატების (რეკომენდაციების) ან მესამე პირთა სხვა შეფასებებისა თუ განცხადებების მხრივ, ანდა – გამოყენებული სამეცნიერო ან ტექნიკური ტერმინების, ტექნიკური დასკვნებისა თუ სტატისტიკური მონაცემების მხრივ;
- g. იმ პირობების მხრივ, რითაც ხდება საქონლის მიწოდება, მომსახურების განწევა ან გადახდის განხორციელება;
- h. გარანტიის ფარგლების, შინაარსისა თუ ხანგრძლივობის მხრივ;
- i. იდენტიფიკაციის, ხარისხის, მოცულობისა თუ კომპეტენციის მხრივ და ასევე – იმ პირის მხრივ, ვინც ახდენს საქონლის წარმოებასა თუ წარდგენას ან მომსახურების განწევას ანდა ვისი ზედამხედველობის ქვეშ ან ვისთან თანამშრომლობით ხდება საქონლის წარმოება თუ წარდგენა ან მომსახურების განწევა.

მუხლი 6: 194a შედარებაზე დაფუძნებული რეკლამირება

– 1. შედარებაზე დაფუძნებული რეკლამირება გულისხმობს ნებისმიერ რეკლამას, რომლის დროსაც პირდაპირ ან არაპირდაპირ ხდება კონკურენტის ანდა მის მიერ შეთავაზებული საქონლისა თუ მომსახურების იდენტიფიცირება.

– 2. რამდენადაც საქმე ეხება შედარებას, შედარებაზე დაფუძნებული რეკლამირება ნებადართულია, როდესაც დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

- a. ის არ არის შეცდომაში შემყვანი;
 - b. ის ახდენს იმ საქონლისა თუ მომსახურების შედარებას, რომლებიც აკმაყოფილებს ერთი და იგივე საჭიროებებს ან გათვალისწინებულია ერთი და იგივე მიზნებისათვის;
 - c. ის ობიექტურად ადარებს საქონლისა და მომსახურების ერთ ან მეტ მნიშვნელოვან, რელევანტურ, სარწმუნო და წარმოსადეგ ნიშან-თვისებებს, რაც შეიძლება შეიცავდეს ფასსაც;
 - d. ის არ იწვევს გაუგებრობას ბაზარზე რეკლამის განმთავსებელსა და კონკურენტს შორის ანდა რეკლამის განმთავსებლისა და კონკურენტის სავაჭრო ნიშნებს, საფირმო სახელწოდებებს, სხვა განმასხვავებელ ნიშნებს, საქონელსა თუ მომსახურებას შორის;
 - e. ის არ ახდენს კონკურენტის სავაჭრო ნიშნების, საფირმო სახელწოდებების, სხვა განმასხვავებელი ნიშნების, საქონლის, მომსახურების, საქმიანობისა თუ გარემოებების დისკრედიტაციას ანდა ჩირქს არ სცხებს მას;
 - f. წარმომავლობის აღნიშვნით გამოშვებული პროდუქციის მიმართ ის თითოეულ შემთხვევაში ეხება იმავე აღნიშვნის მქონე პროდუქციას;
 - g. ის არ იღებს არაკეთილსინდისიერ სარგებელს კონკურენტის სავაჭრო ნიშნის, საფირმო სახელწოდების ან სხვა განმასხვავებელი ნიშნების რეპუტაციისაგან ანდა კონკურენტული პროდუქციის წარმოშობის აღნიშვნისაგან;
 - h. საქონელსა თუ მომსახურებას ის არ წარადგენს დაცული სავაჭრო ნიშნის ან საფირმო სახელის მქონე საქონლის ან მომსახურების იმიტაციისა თუ ასლის სახით.
- 3. სპეციალურ შეთავაზებასთან დაკავშირებული ნებისმიერი შედარება ნათლად და არაორაზროვნად უნდა უთითებდეს შეთავაზების დასრულების თარიღზე, ანდა აუცილებლობის შემთხვევაში კი, – იმაზე, რომ სპეციალური შეთავაზება დამოკიდებულია საქონლის მარაგის არსებობასა და მომსახურების შესაძლებლობაზე, ხოლო როდესაც სპეციალური შეთავაზება ჯერ არ ამოქმედებულა, მაშინ – იმ ვადის

დანყების თარიღზე, რომლის განმავლობაშიც უნდა მოქმედებდეს სპეციალური ფასი ან სხვა სპეციალური პირობა.

მუხლი 6:195 მტკიცების ტვირთის შეცვლა მიწოდებული რეკლამის სისწორესა და სისრულესთან დაკავშირებით

– 1. როდესაც ხდება 6:194 მუხლიდან 6:194a მუხლის ჩათვლით ნორმების შესაბამისად სარჩელის უფლების (სასარჩელო მოთხოვნის) სასამართლოში წარდგენა იმ პირის მიმართ, რომელმაც სრულად ან ნაწილობრივ განსაზღვრა განცხადების შინაარსი და ფორმულირება ანდა ხელი შეუწყო ასეთ განსაზღვრას, მაშინ მას ეკისრება იმ ფაქტების სისწორესა და სისრულესთან დაკავშირებით მტკიცების ტვირთი, რომლებიც მოცემულია განცხადებაში ანდა რომელთა შეთავაზებაც ხდება ასეთი განცხადების მეშვეობით და ასევე რომლებსაც ეფუძნება სავარაუდოდ შეცდომაში შემყვანი განცხადება ანდა – სავარაუდოდ დაუშვებელ შედარებაზე დაფუძნებული რეკლამა. შედარებაზე დაფუძნებული რეკლამირების შემთხვევაში, იმ პირმა, რომელმაც სრულად ან ნაწილობრივ განსაზღვრა განცხადების შინაარსი და ფორმულირება ანდა ხელი შეუწყო ასეთ განსაზღვრას, მცირე ვადაში უნდა წარადგინოს მტკიცებულება რეკლამაში მოცემული ფაქტობრივი მონაცემებისა და პრეტენზიების არსებით სისწორესა და სისრულესთან დაკავშირებით.

– 2. თუკი იმ პირმა, რომელმაც სრულად ან ნაწილობრივ განსაზღვრა განცხადების შინაარსი და ფორმულირება ანდა ხელი შეუწყო ასეთ განსაზღვრას, იმოქმედა დამაზიანებლად (უკანონოდ) თანახმად 6:194 მუხლის ან 6:194a მუხლის ნორმებისა, მაშინ ეს პირი პასუხისმგებელია ამის შედეგად მიყენებული ზიანისათვის გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის დაამტკიცებს, რომ ამ ზიანის მიყენებაში მას ბრალი არ მიუძღვის და რომ ის პასუხს არ აგებს სხვა საფუძვლიდან გამომდინარეც.

მუხლი 6:196 განცხადებისა თუ შედარებაზე დაფუძნებული რეკლამის შემდგომი გამოყენების აკრძალვა და შესწორებული ინფორმაციის გამოქვეყნება

– 1. თუ პირმა 6:194 მუხლში მითითებული საჯარო განცხადების გაკეთებით ან ასეთი განცხადების გაკეთების დაშვებით ანდა შედარებაზე დაფუძნებული უკანონო რეკლამირებით ზიანი მიაყენა სხვა პირს ანდა შექმნა ასეთი ზიანის მიყენების საფრთხე, მაშინ სასამართლოს ამ სხვა პირის სარჩელის უფლების (სასარჩელო მოთხოვნის) საფუძველზე შეუძლია არა მარტო აკრძალოს ნებისმიერი შემდეგი გამოყენება განცხადებისა თუ შედარებაზე დაფუძნებული რეკლამისა, არამედ მას შეუძლია ასევე დელიქტის ჩამდენს დააკისროს ამ განცხადებისა თუ რეკლამის შესწორებული ვერსიის გამოქვეყნება სასამართლოს მიერ განსაზღვრული წესით.

– 2. თუ სასამართლო აკმაყოფილებს წინა პარაგრაფში მითითებულ სარჩელის უფლებას (სასარჩელო მოთხოვნას) იმ პირის მიმართ, ვინც არ არის ასევე პასუხისმგებელი 6:195 მუხლის პარ. 2-ში მითითებული ზიანისათვის, მაშინ შესაბამისად გამოიყენება 6:167 მუხლის პარ. 3-ის ნორმები.

განყოფილება 6.3.4A – სანივთო სამართლის სფეროში ელექტრონულ შეტყობინებებთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა

მუხლი 6:196b სერტიფიცირებული მომსახურების მომწოდებლის პასუხისმგებლობა გამოშვებული სერტიფიკატებისათვის

– 1. თუ სერტიფიცირებული მომსახურების მომწოდებელი ახდენს სერტიფიკატის საჯაროდ გამოშვებას ჰოლანდიის ტელეკომუნიკაციის შესახებ კანონის 1.1 მუხლში მითითებული ss კომპონენტის კვალიფიციური სერტიფიკატის სახით ანდა თუკი ის საჯაროდ იძლევა ასეთი სერტიფიკატისათვის გარანტიას, მაშინ ის პასუხს აგებს იმ ნებისმიერი იურიდიული თუ ფიზიკური პირისათვის მიყენებული ზიანისათვის, რომელიც მოქმედებდა კეთილსინდისიერად:

a. კვალიფიციურ სერტიფიკატში მოცემული სრული ინფორმაციის გაცემის მომენტისათვის სიზუსტესთან მიმართებაში და ასევე – იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ სერტიფიკატი შეიცავს კვალიფიციური სერტიფიკატისათვის გათვალისწინებულ ყველა დეტალს;

b. იმ ფაქტთან მიმართებაში, რომ სერტიფიკატის გამოშვების მომენტში სერტიფიკატში იდენტიფიცირებული ხელმოწერილი ფლობდა ხელმოწერის შექმნისათვის საჭირო მონაცემებს, რომლებიც შეესაბამება სერტიფიკატში მოცემულ ან იდენტიფიცირებულ ხელმოწერის ვერიფიკაციის მონაცემებს;

ც. იმ საკითხთან მიმართებაში, რომ ხელმოწერის შექმნისა და ვერიფიკაციისათვის საჭირო მონაცემები შეიძლება დამტკიცებული იქნეს გამოყენებული იმ შემთხვევებში, სადაც სერტიფიცირებული მომსახურების მომწოდებელი ახდენს ორივე მათგანის გენერირებას;

გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სერტიფიცირებული მომსახურების მომწოდებელი დაამტკიცებს, რომ ის არ მოქმედებდა გაუფრთხილებლად.

– 2. სერტიფიცირებული მომსახურების მომწოდებელი, რომელმაც კვალიფიციური სერტიფიკატის სახით მოახდინა სერტიფიკატის საჯაროდ გამოშვება ანდა საჯაროდ იკისრა ასეთი სერტიფიკატისათვის გარანტია, პასუხს აგებს სერტიფიკატის მიმართ გონივრული ნდობის მქონე ნებისმიერი იურიდიული თუ ფიზიკური პირისათვის სერტიფიკატის გამოხმობის რეგისტრაციის განუხორციელებლობასთან დაკავშირებით მიყენებული ზიანისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სერტიფიცირებული მომსახურების მომწოდებელი დაამტკიცებს, რომ ის არ მოქმედებდა გაუფრთხილებლად.

– 3. სერტიფიცირებული მომსახურების მომწოდებელს კვალიფიციურ სერტიფიკატში შეუძლია მიუთითოს ამ სერტიფიკატის გამოყენების შეზღუდვებზე იმ პირობით, რომ ეს შეზღუდვები მესამე პირებისათვის ცნობადია. სერტიფიცირებული მომსახურების მომწოდებელი არ არის პასუხისმგებელი კვალიფიციური სერტიფიკატის გამოყენებიდან გამომდინარე იმ მიყენებული ზიანისათვის, რომელიც აღემატება სერტიფიკატისათვის დადგენილ შეზღუდვებს.

– 4. სერტიფიცირებული მომსახურების მომწოდებელს კვალიფიციურ სერტიფიკატში შეუძლია მიუთითოს იმ ტრანზაქციების ღირებულების ზღვრული ოდენობა, რომელთათვისაც ეს სერტიფიკატი შეიძლება იქნეს გამოყენებული იმ პირობით, რომ ეს ოდენობა მესამე პირებისათვის ცნობადია. სერტიფიცირებული მომსახურების მომწოდებელი არ არის პასუხისმგებელი იმ მიყენებული ზიანისათვის, რომელიც აღემატება აღნიშნულ მაქსიმალურ ოდენობას.

მუხლი 6: 196C პასუხისმგებლობა საინფორმაციო საზოგადოების მომსახურებისათვის

– 1. პირი, ვინც ახდენს სამოქალაქო კოდექსის 3:15d მუხლის პარ. 3-ში მითითებული საინფორმაციო საზოგადოების მომსახურებას, რაც გულისხმობს საკომუნიკაციო ქსელში მომსახურების მიმღების მიერ მიწოდებული ინფორმაციის გადაცემას ანდა საკომუნიკაციო ქსელში წვდომის უფლების მინიჭებას, არ არის პასუხისმგებელი გადაცემული ინფორმაციისათვის იმ პირობით, რომ:

- a. პროვაიდერი არ ახდენს ინფორმაციის გადაცემის ინიცირებას;
- b. პროვაიდერი არ წარმოადგენს პირს, ვინც წყვეტს იმ საკითხს, თუ ვის უნდა გადაეცეს ინფორმაცია;
- c. პროვაიდერმა არ მოახდინა გადაცემაში მოცემული ინფორმაციის შერჩევა ან მოდიფიცირება.

– 2. პარ. 1-ის ნორმათა მიზნებისათვის ინფორმაციის გადაცემისა და ასევე უბრალოდ საკომუნიკაციო ქსელში წვდომის უფლების მიმნიჭებელი მოქმედებები მოიცავს ავტომატურ, შუალობით და გარდამავალ შენახვას გადაცემული ინფორმაციისა იმდენად, რამდენადაც ამას ადგილი აქვს მხოლოდ საკომუნიკაციო ქსელში ინფორმაციის გადაცემის განხორციელების ერთადერთი მიზნისათვის და ასევე – იმ პირობით, რომ ინფორმაცია არ ინახება იმ ვადაზე მეტი ხნით, რაც გონივრულად აუცილებელია მისი გადაცემისათვის.

– 3. პირი, ვინც ახდენს სამოქალაქო კოდექსის 3:15d მუხლის პარ. 3-ში მითითებული საინფორმაციო საზოგადოების მომსახურებას, რაც გულისხმობს ამ ინფორმაციის ავტომატურ, შუალობით და დროებით შენახვას, რაც ხორციელდება მომსახურების სხვა მიმღებთათვის ინფორმაციის უფრო ეფექტური გადაცემის ერთადერთი მიზნით ამავე მიმღებთა მოთხოვნის საფუძველზე, არ არის პასუხისმგებელი ამ ინფორმაციის ავტომატური, შუალობითი და დროებითი შენახვისათვის იმ პირობით, რომ პროვაიდერი:

- a. არ ახდენს ინფორმაციის მოდიფიცირებას;
- b. აკმაყოფილებს ინფორმაციასთან წვდომის პირობებს;
- c. აკმაყოფილებს ინფორმაციის განახლებასთან დაკავშირებულ წესებს, რომლებიც განისაზღვრება მრეწველობაში ფართოდ ცნობადი და გამოყენებული ხერხით;
- d. ხელს არ უშლის მრეწველობაში ფართოდ ცნობადი და გამოყენებული ტექნოლოგიით კანონიერ სარგებლობას ინფორმაციის გამოყენების თაობაზე მონაცემების მიღების მიზნით; და;
- e. იღებს ოპერატიულ ზომებს მასთან შენახულ ინფორმაციასთან წვდომის აღმოფხვრასა თუ ბლოკირებასთან დაკავშირებით იმ ფაქტის რეალური შეტყობის შემდეგ, რომ ინფორმაცია ამოღებულ იქნა ქსელიდან გადაცემის საწყის წყაროსთან ან დაიბლოკა მასთან წვდომა ანდა – რომ სასამართლომ ან ადმინისტრაციულმა ორგანომ დაადგინა ასეთი ამოღება ან ბლოკირება.

– 4. პირი, ვინც ახდენს სამოქალაქო კოდექსის 3:15d მუხლის პარ. 3-ში მითითებული საინფორმაციო

საზოგადოების მომსახურებას, რაც გულისხმობს მომსახურების მიმღების მიერ მიწოდებული ინფორმაციის შენახვას, არ არის პასუხისმგებელი მომსახურების მიმღების მოთხოვნით შენახული ინფორმაციისათვის იმ პირობით, რომ:

a. პროვაიდერმა რეალურად არაფერი იცის უკანონო საქმიანობისა თუ ინფორმაციის შესახებ, ხოლო ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით კი, მისთვის უცნობია ის ფაქტები ან გარემოებები, რომელთაგანაც უკანონო საქმიანობა ან ინფორმაცია აშკარა ხდება; ან

b. აღნიშნული ინფორმაციის მიღებისას პროვაიდერი იღებს ოპერატიულ ზომებს ინფორმაციასთან წვდომის აღმოფხვრასა თუ ბლოკირებასთან დაკავშირებით.

– 5. ზემოაღნიშნული პარაგრაფების ნორმები არ ეხება სასამართლოს იმ დადგენილების მიღების შესაძლებლობას, რომლითაც ხდება დარღვევის აღმოფხვრა ან თავიდან აცილება, ანდა – ინფორმაციასთან წვდომის აღმოფხვრასა თუ ბლოკირებასთან დაკავშირებულ სასამართლოს ბრძანებას.

განყოფილება 6.3.5 (გამოტოვებულია წინამდებარე გამოცემაში როგორც არააქტუალური)

ტიტული 6.4 – დელიქტისა თუ ხელშეკრულების გარდა, სხვა სამართლებრივი წყაროდან წარმოშობილი ვალდებულებები

განყოფილება 6.4.1 – დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება

მუხლი 6:198 დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება

დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება გულისხმობს იმას, რომ პირმა („შემსრულებელმა“) მიზანმიმართულად და გონივრულ სანყისებზე იკისრა სხვა პირების ინტერესებზე ზრუნვა („დაინტერესებული მხარის“ „საქმეები“) ასეთ მოქმედებაზე როგორც გარიგების, ისე კანონით აღიარებული ნებისმიერი სხვა სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე შესაბამისი ნებართვის არსებობის გარეშე.

მუხლი 6:199 შემსრულებლის ვალდებულებები

– 1. დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებისას შემსრულებელი უნდა მოქმედებდეს ფრთხილი ზრუნვით და იმდენად, რამდენადაც ეს გონივრულად მისგან მოსალოდნელია, – დააგრძელოს მის მიერ დაწყებული საქმეების შესრულება.

– 2. რამდენადაც ეს გონივრულად შესაძლებელია, შემსრულებელი დაინტერესებულ მხარეს წარუდგენს თავისი მოქმედებების შესახებ ანგარიშს. თუ მან დაინტერესებული მხარის სახელით გასცა ან მიიღო ფული, მაშინ მან ამ გადახდებთან დაკავშირებითაც უნდა წარადგინოს შესაბამისი ანგარიში.

მუხლი 6:200 დაინტერესებული მხარის ვალდებულებები

– 1. რამდენადაც ადგილი ჰქონდა დაინტერესებული მხარის ინტერესების ჯეროვან დაცვას, ამ უკანასკნელმა უნდა აანაზღაუროს ის ზიანი, რაც შემსრულებელს დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების შედეგად მიადგა.

– 2. იმ შემთხვევებში, როდესაც შემსრულებელი მოქმედებდა თავისი პროფესიული თუ სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში, ის დამატებით – რამდენადაც ეს გონივრულია – უფლებამოსილია მიიღოს კომპენსაცია მის მიერ განხორციელებული შესრულებებისათვის იმ საზღაურის ოდენობის ჯეროვანი გათვალისწინებით, რომლის დაკისრება ჩვეულებრივ ხდება ასეთი შესრულებებისათვის სხვისი საქმეების შესრულების მომენტში.

მუხლი 6:201 დაინტერესებული მხარის წარმომადგენლის სახით გარიგებების დადების ნებართვა

შემსრულებელი უფლებამოსილია დაინტერესებული მხარის სახელით დადოს გარიგებები იმდენად, რამდენადაც ამის შედეგად ადგილი ექნება დაინტერესებული მხარის ინტერესების ჯეროვან დაცვას.

მუხლი 6:202 დაინტერესებული მხარის აუცილებელი მოწონება

როდესაც პირმა, ვინც მოქმედებდა სხვა პირის ინტერესებზე ზრუნვის განზრახვით, ასეთი მოქმედე-

ბები განახორციელა გონივრული საფუძვლის გარეშე ანდა მან ჯეროვნად არ იზრუნა ამ სხვა პირის ინტერესებზე, მაშინ ამ უკანასკნელს შეუძლია შესრულებული მოქმედებების მოწონებით უარი თქვას თავის უფლებებზე, მოქმედების განმახორციელებელი პირის მიმართ მიუთითოს აღნიშნულ სამართლებრივ ხარვეზზე. მოქმედების განმახორციელებელ პირს შეუძლია დაადგინოს გონივრული ვადა, რომლის განმავლობაშიც აღნიშნულმა სხვა პირმა უნდა განაცხადოს თავისი მოწონების შესახებ.

განყოფილება 6.4.2 – არარსებული ვალდებულების შესრულება

მუხლი 6:203 არარსებული ვალდებულების შესრულების ანაზღაურებისა თუ უკან დაბრუნების ვალდებულება

– 1. პირი, რომელმაც რაიმე სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მოახდინა სხვა პირისათვის აქტივის მიწოდება, უფლებამოსილია მოითხოვოს მიმღებისაგან მისი არარსებული ვალდებულების შესრულების სახით დაბრუნება.

– 2. როდესაც არარსებული ვალდებულების შესრულება ეხება ფულის გადახდას, მიმღების მიმართ სავალო მოთხოვნა მდგომარეობს ეკვივალენტური ფულადი თანხის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაში.

– 3. პირი, რომელმაც რაიმე სამართლებრივი საფუძვლის გარეშე განახორციელა სხვა შესრულება, ნაცვლად აქტივის მიწოდებისა თუ ფულადი თანხის გადახდისა, მიმღების მიმართ უფლებამოსილია მოითხოვოს ამ შესრულების უკან დაბრუნება.

მუხლი 6:204 არარსებული ვალდებულების შესრულების მიმღების კეთილსინდისიერება

– 1. თუკი აქტივის მიმღები იმ ვადის განმავლობაში, როდესაც მას გონივრულად არ უნდა სცოდნოდა მიღებული აქტივის დაბრუნების ვალდებულების არსებობის შესახებ, არ იზრუნა ამ აქტივზე როგორც კარგმა მოვალემ, მაშინ ასეთი გადაცდომა მას ვერ შეერაცხება.

– 2. თუკი პირი, რომელმაც უფლებამოსილების გარეშე სხვა პირის სახელით მიიღო ის ფულადი თანხა, რომელიც ამ სხვა პირს არ ეკუთვნოდა, თავისუფლდება მასზე დაკისრებული შესრულების დაბრუნების ვალდებულებისაგან იმდენად, რამდენადაც მან მიღებული თანხა გადაუხადა ამ სხვა პირს იმ ვადის განმავლობაში, როდესაც მას გონივრულად არ უნდა სცოდნოდა მიღებული თანხის დაბრუნების ვალდებულების არსებობის შესახებ.

მუხლი 6:205 არარსებული ვალდებულების შესრულების მიმღების არაკეთილსინდისიერება

როდესაც მიმღები არაკეთილსინდისიერად მოქმედებდა იმ დროს, როდესაც მან მიიღო არარსებული ვალდებულების შესრულება, ის აღმოჩნდება ვადაგადაცილებაში {არარსებული ვალდებულების შესრულების უკან დაბრუნებასთან დაკავშირებით} დამატებითი შეტყობინების გარეშე {შესრულების შესახებ ფორმალური შეტყობინების გარეშე}.

მუხლი 6:206 ნაყოფი, ხარჯები და ზიანი

ის, რაც სამოქალაქო კოდექსის 3:120, 3:121, 3:123 და 3:124 მუხლებში განისაზღვრება ნაყოფის მიღების უფლებამოსილებასთან დაკავშირებით და ასევე – ხარჯებისა და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, შესაბამისად გამოიყენება არარსებული ვალდებულების შესრულების მიმართ დროლის იმ პერიოდისათვის, როდესაც აღნიშნული მიმღების კონტროლის ქვეშ არის.

მუხლი 6:207 ხარჯებისა და დანახარჯების ანაზღაურება

გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მიმღები მოქმედებდა არაკეთილსინდისიერად, ის დამატებით – გონივრულობის ფარგლებში – უფლებამოსილია მიიღოს კომპენსაცია აქტივის მიწოდებისა და დაბრუნებისათვის, ისევე როგორც – იმ დანახარჯებისათვის, რომლებიც განუღო იქნა 6:204 მუხლში მითითებული ვადის განმავლობაში და რომლებიც არ იქნებოდა განუღო იმ შემთხვევაში, მას რომ აღნიშნული აქტივი არ მიეღო.

მუხლი 6:208 არარსებული ვალდებულების შესრულების ანაზღაურების მოთხოვნაზე უარის უფლება და მიმღებისათვის დამატებითი შესრულების გადაცემა

მიმღები კარგავს წინა ორ მუხლში მითითებულ კომპენსაციის თანხების მიღების კუთვნილ უფლებას,

თუკი მეორე მხარე, რომელმაც განახორციელა არარსებული ვალდებულების შესრულება, უარს ამბობს თავის უფლებებზე დაიბრუნოს აქტივი და აუცილებლობის ფარგლებში საკუთარ ხარჯზე საკუთრების უფლებას შესრულებულზე გადასცემს მიმღებს მისი საკომპენსაციო თანხების გადახდის ვალდებულები-საგან გათავისუფლების მიზნით. მიმღებმა უნდა ითანამშრომლოს მეორე მხარესთან ასეთი გადაცემისას.

მუხლი 6:209 ქმედუნარო მიმღები

როდესაც ქმედუნარო მიმღებმა მიიღო არარსებული ვალდებულების შესრულება, წინამდებარე განყოფილების ნორმები მოქმედებს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც შესრულება რეალურად სარგებლიანი იყო მიმღებისათვის ანდა ის განხორციელდა მისი კანონიერი წარმომადგენლის კონტროლის ქვეშ.

მუხლი 6:210 სხვაგვარი არარსებული ვალდებულების შესრულების უკან დაბრუნების ვალდებულება

– 1. 6:204 მუხლიდან 6:209 მუხლის ჩათვლით ნორმები შესაბამისად გამოიყენება სხვაგვარი არარსებული ვალდებულების შესრულების უკან დაბრუნების ვალდებულების მიმართ, ნაცვლად აქტივის მიწოდებისა.

– 2. როდესაც არარსებული ვალდებულების შესრულების ბუნების გამო შეუძლებელია მისი დაბრუნება, მაშინ მიმღებს ეკისრება შესრულების ღირებულების ანაზღაურების ვალდებულება, რაც გამოითვლება მიმღების მიერ მისი მიღების მომენტისათვის, რამდენადაც აღნიშნული გონივრულია, თუმცადა – მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მიმღები ამის შედეგად გამდიდრდა და მას შეეარაცხება ის ფაქტი, რომ არარსებული ვალდებულების შესრულება განხორციელდა, ანდა – თუკი ის დაეთანხმა სამაგიერო შესრულების განხორციელებას.

მუხლი 6:211 არარსებული ვალდებულების შესრულების უკან დაბრუნება ბათილი ან გაბათილებული ხელშეკრულების საფუძველზე

– 1. როდესაც იმ შესრულების ბუნება, რომელიც განხორციელდა ბათილი ან გაბათილებული ხელშეკრულების საფუძველზე, შეუძლებელს ხდის მის დაბრუნებას და მიზანშეუწონელია ასევე მისი ღირებულების შეფასება სასამართლოშიც, მაშინ შესრულების უკან დაბრუნებისა თუ მისი ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნით სარჩელის უფლება (სასარჩელო მოთხოვნა) გამოირიცხება იმდენად, რამდენადაც ასეთი სარჩელის უფლება (სასარჩელო მოთხოვნა) წინააღმდეგობაში მოვიდოდა გონივრულობისა და სამართლიანობის სტანდარტებთან.

– 2. როდესაც წინა პარაგრაფში მითითებული შესრულების უკან გადმოცემის მოთხოვნა შეუძლებელია, ხელშეკრულების ბათილობა არ იწვევს თავად გადაცემის ბათილობასაც.

განყოფილება 6.4.3 – უსაფუძვლო გამდიდრება

მუხლი 6:212 უსაფუძვლო გამდიდრებისათვის დადგენილი მოთხოვნები

– 1. პირს, ვინც სამართლებრივი საფუძვლის გარეშე გამდიდრდა სხვა პირის ხარჯზე, ეკისრება ამ უკანასკნელის მიმართ ვალდებულება, აუნაზღაუროს მას სხვა პირის მიერ მიღებული ღირებულების ოდენობამდე მიყენებული ზარალი, რამდენადაც ეს გონივრულია.

– 2. რამდენადაც გამდიდრების მოცულობა შემცირებულია იმ მოვლენის შედეგად, რომელიც ვერ შეეარაცხება გამდიდრებულ პირს, ეს შემცირება არ მიიღება მხედველობაში გამდიდრების იმ ფარგლებისა თუ ოდენობის განსაზღვრისას, რომელიც უნდა ანაზღაურდეს.

– 3. თუკი გამდიდრების მოცულობა შემცირდა იმ ვადის განმავლობაში, როდესაც გამდიდრებულ პირს გონივრულად არ უნდა სცოდნოდა ზიანის ანაზღაურების ვალდებულების არსებობის შესახებ, ეს შემცირება ვერ შეეარაცხება მას. აღნიშნული შემცირების ოდენობის განსაზღვრისას, მხედველობაში მიიღება ასევე ის დანახარჯებიც, რომლებსაც გამდიდრებული პირი არ გასწევდა, სახეზე რომ არ ყოფილიყო უსაფუძვლო გამდიდრება.

ტიტული 6.5 – ხელშეკრულებები ზოგადად

განყოფილება 6.5.1 – ზოგადი დებულებები

მუხლი 6:213 „ვალდებულებით-სამართლებრივი ხელშეკრულების“ განმარტება

- 1. ხელშეკრულება წინამდებარე განყოფილების გაგებით წარმოადგენს ორმხრივ (მრავალმხრივ) გარიგებას, რომლითაც ერთი ან რამდენიმე მხარე კისრულობს ვალდებულებას ერთი ან რამდენიმე სხვა მხარის მიმართ.
- 2. ხელშეკრულებების მომწესრიგებელი წინამდებარე განყოფილების კანონისმიერი ნორმები არ გამოიყენება ორზე მეტ მხარეს შორის დადებული ხელშეკრულების მიმართ, რამდენადაც ხელშეკრულების ბუნებასთან დაკავშირებით შესაბამისი ნორმის აუცილებელი შედეგები აღნიშნულს ეწინააღმდეგება.

მუხლი 6:214 კონკრეტულ ეკონომიკურ სექტორებში ხელშეკრულებების მიმართ მეფის სამთავრობო ბრძანებით დადგენილი დამატებითი რეგულაციები

- 1. თუკი კონკრეტულ პროფესიათან ან ეკონომიკურ სექტორთან მიმართებაში მიღებული სტანდარტული რეგულაციები იმ ხელშეკრულებების მიმართ, რომლებიც დადებულია ერთ-ერთი მხარის მიერ თავისი პროფესიული თუ სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში, მაშინ ეს ხელშეკრულება ექვემდებარება არა მარტო საკანონმდებლო წესებს, არამედ – ასევე აღნიშნული სტანდარტული რეგულაციების წესებსაც. მეფის სამთავრობო ბრძანებით ხდება იმ კონკრეტული ხელშეკრულებების შერჩევა, რომელთათვისაც შეიძლება იქნეს მიღებული სტანდარტული რეგულაციები, და ასევე – განისაზღვროს ის პროფესიული თუ სამეწარმეო საქმიანობის სექტორი, რომელიც შეიძლება აღმოჩნდეს ასეთი რეგულაციების მოქმედების ქვეშ.
- 2. სტანდარტული რეგულაციები შეიძლება დადგინდეს, შეიცვალოს და გაუქმდეს იუსტიციის მინისტრის მიერ დანიშნული კომისიის მიერ. დამატებითი წესები დგინდება კანონით იმ წესთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა შეიქმნას ეს კომისიები და ასევე წარიმართოს მათი მუშაობა.
- 3. სტანდარტული რეგულაციების დადგენა, შეცვლა ან გაუქმება ვერ გახდება ეფექტური მანამდე, სანამ ის არ იქნება მოწონებული მეფის მიერ და ასევე – მანამდე, სანამ ის მეფის თანხმობით არ გამოქვეყნდება ჰოლანდიის სამთავრობო გაზეთში.
- 4. სტანდარტული რეგულაცია შესაძლოა გვერდს უვლიდეს საკანონმდებლო წესებს იმდენად, რამდენადაც წესებიდან გადახვევა ასევე დასაშვებია გახდებოდა კერძო პირთა შორის დადებული ხელშეკრულებით მიუხედავად იმისა, ექვემდებარება თუ არა ეს უკანასკნელი კონკრეტულ ფორმალურ მოთხოვნებს. წინა წინადადების ნორმა არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც კანონისმიერი ნორმა სხვაგვარ წესს გულისხმობს.
- 5. მხარეებს მათ შორის დადებულ ხელშეკრულებაში შეუძლიათ გვერდი აუარონ სტანდარტულ რეგულაციებს. თუმცა, ასეთ რეგულაციებში შეიძლება მიეთითოს, რომ ასეთი გადახვევა კონკრეტულ ფორმალურ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს.

მუხლი 6:215 შერეული ნიშან-თვისებების მქონე ხელშეკრულებები

როდესაც ხელშეკრულებას აქვს ორი ან მეტი კანონით მოწესრიგებული კონკრეტული სახის ხელშეკრულებისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები, მაშინ თითოეული ამ სახისათვის გათვალისწინებული კონკრეტული კანონისმიერი ნორმები ხელშეკრულების მიმართ გამოიყენება ერთდროულად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ნორმები არ არის ადვილად თავსებადი ანდა ხელშეკრულების ბუნების გათვალისწინებით ამ ნორმების აუცილებელი შედეგები ეწინააღმდეგება მათ ერთდროულად გამოყენებას.

მუხლი 6:216 დამაკავშირებელი ნორმა

ქვემოთ მოცემული ოთხი განყოფილების ნორმები შესაბამისად გამოიყენება საწინააღმდეგო სამართალთან დაკავშირებული სხვა ორმხრივი (მრავალმხრივი) გარიგებების მიმართ იმდენად, რამდენადაც გარიგების ბუნების გათვალისწინებით შესაბამისი ნორმების აუცილებელი შედეგები არ ეწინააღმდეგება ასეთ გამოყენებას.

განყოფილება 6.5.2 – ხელშეკრულებების დადება

მუხლი 6:217 ოფერტი და აქცეპტი (კანონის დისპოზიციური ნორმები)

- 1. ხელშეკრულება იდება წინადადების წარდგენისა და მისი მიღების გზით.
- 2. 6:219 მუხლიდან 6:225 მუხლის ჩათვლით ნორმები გამოიყენება ხელშეკრულების დადების მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ოფერტი, სხვა გარიგება ან ზოგადი პრაქტიკა სხვაგვარად გულისხმობს.

მუხლი 6:218 ოფერტის ნამდვილობა და ბათილობა

ოფერტი ნამდვილი, საცილო ან ბათილია იმ წესების შესაბამისად, რომლებიც გათვალისწინებულია ორმხრივი (მრავალმხრივი) გარიგებების მიმართ.

მუხლი 6:219 გამოთხოვადი ოფერტი; ოფერენტისათვის ვალდებულების დაკისრების გარეშე წარდგენილი ოფერტი; არჩევანის უფლებები

- 1. ოფერტის გამოთხოვა დასაშვებია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მასში მითითებულია მისი მიღების ვადა ანდა გამოუთხოვადობა ოფერტიდან სხვაგვარად გამომდინარეობს.
- 2. გამოთხოვადი ოფერტის გამოთხოვა დასაშვებია მანამდე, სანამ ის არ იქნება მიღებული და ადრესატი არ გააგზავნის შეტყობინებას, რომელშიც ის ახდენს ოფერტის მიღებას. როდესაც ოფერტი შეიცავს დამატებით შეტყობინებას იმის შესახებ, რომ ის წარდგენილია ოფერენტისათვის ვალდებულების დაკისრების გარეშე (ოფერენტისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების გარეშე), მაშინ მისი გამოთხოვა დასაშვებია მისი აქცეპტის შემთხვევაშიც კი იმ პირობით, რომ ეს განხორციელდა დაუყოვნებლივ იმ მომენტის შემდეგ, როდესაც მოხდა აქცეპტის მიღება.
- 3. ის სახელშეკრულებო დებულება, რომლის ძალითაც ერთ-ერთმა მხარემ იკისრა ხელშეკრულების მეორე მხარესთან კონკრეტული ხელშეკრულების დადება იმ მომენტში, როგორც კი ეს უკანასკნელი ამას მოითხოვს, განიხილება როგორც გამოუთხოვადი ოფერტი.

მუხლი 6:220 ჯილდოს (საჯაროდ) შეთავაზება

- 1. გარკვეული ვადით შეზღუდული ჯილდოს შეთავაზების გამოთხოვა ან შეცვლა შესაძლებელია მნიშვნელოვანი საფუძვლების არსებობისას.
- 2. როდესაც მოხდა ჯილდოს შეთავაზების გამოთხოვა ან შეცვლა, სასამართლოს შეუძლია მიაკუთვნოს სამართლიანი კომპენსაცია იმ პირს, რომელმაც ამ შეთავაზების გამო უკვე წამოიწყო მოთხოვნილი შესრულებისათვის მოსამზადებელი საქმიანობა.

მუხლი 6:221 ზეპირი ან წერილობითი ოფერტის ანდა უარყოფილი ოფერტის გაუქმება

- 1. ზეპირი ოფერტი უქმდება, როდესაც არ ხდება მისი დაუყოვნებლივ მიღება, ხოლო წერილობითი ოფერტი კი უქმდება, როდესაც მისი მიღება არ ხდება გონივრული ვადის განმავლობაში.
- 2. ოფერტი ასევე უქმდება იმ შემთხვევაშიც, როდესაც ადრესატი მის მიღებაზე აცხადებს უარს.

მუხლი 6:222 ოფერტის მიმართ ერთ-ერთი მხარის გარდაცვალებისა თუ ქმედუუნაროდ გახდომის ანდა ქონების მინდობით მართვის დადგენის სამართლებრივი შედეგები

წარდგენილი ოფერტი არ კარგავს თავის ძალას იმის გამო, რომ შემდგომში ერთ-ერთი მხარე გარდაიცვლება ან ქმედუუნაროდ გახდება, ანდა – იმის გამო, რომ შემდგომში ერთ-ერთი მხარე ვეღარ შეძლებს დამოუკიდებლად სასურველი ხელშეკრულების დადებას მის ქონებაზე მინდობით მართვის დადგენის შედეგად.

მუხლი 6:223 დაგვიანებული აქცეპტი

- 1. როდესაც ოფერტი მიიღება დაგვიანებით, ოფერენტს მაინც შეუძლია ჩათვალოს ის დროულად მიღებულად იმ პირობით, თუ ის მეორე მხარეს დაუყოვნებლივ შეატყობინებს ამის შესახებ.
- 2. როდესაც ოფერტი მიიღება დაგვიანებით, თუმცა ოფერენტს ესმის ანდა მას უნდა ესმოდეს ის, რომ ეს ფაქტი არ იყო აშკარად ცნობილი მეორე მხარისათვის, აქცეპტი ითვლება დროულად განხორციელებულად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ოფერენტი დაუყოვნებლივ ატყობინებს მეორე მხარეს იმის თაობაზე, რომ ის ოფერტს გაქარწყლებულად მიიჩნევს.

მუხლი 6:224 ხელშეკრულების დადების დრო

თუ აქცეპტი საერთოდ ვერ აღწევს ოფერენტამდე ანდა თუკი აქცეპტმა დროულად ვერ მიაღწია ოფერენტამდე იმ გარემოების არსებობის გამო, რომელიც სამოქალაქო კოდექსის 3:37 მუხლის პარ. 3-ის მეორე წინადადების შესაბამისად ჯერ კიდევ ამყოფებს მას ძალაში, მაშინ ხელშეკრულება დადებულად ითვლება იმ მომენტში, როდესაც აქცეპტი უნდა მისულიყო ოფერენტამდე, ხელის შემშლელ გარემოებას რომ არ ჰქონოდა ადგილი.

მუხლი 6:225 ოფერტისაგან განსხვავებული აქცეპტი („ფორმების კოლიზია“)

– 1. განსხვავებული ან დამატებითი პირობებით ოფერტის მიიღება განიხილება როგორც ახალი ოფერტი და ასევე თავდაპირველ ოფერტზე უარი.

– 2. როდესაც პასუხი, რომელიც გამიზნულია აქცეპტის სახით გამოსაყენებლად, ოფერტისგან განსხვავდება მხოლოდ მეორეხარისხოვანი საკითხებით, ის ჩაითვლება ნამდვილ აქტეტად, რომელიც წარმოქმნის მბოჭავ ხელშეკრულებას ამ აქცეპტის შინაარსის შესაბამისად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ოფერენტი დაუყოვნებლივ აპროტესტებს არსებულ სხვაობებს.

– 3. როდესაც ოფერტი და აქცეპტი ეხება განსხვავებული სტანდარტული პირობების გამოყენებას, მეორე მითითებას არა აქვს ძალა, თუკი ის ნათლად არ უარყოფს იმ სტანდარტული პირობების გამოყენებას, რომლებზეც პირველად მოხდა მითითება.

მუხლი 6:226 წინარე ხელშეკრულების მიმართ არსებული ფორმის დაცვასთან დაკავშირებული მოთხოვნები

როდესაც კანონისმიერი ნორმა ადგენს ხელშეკრულების დადებისას ფორმის დაცვასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, ასეთი ფორმალური მოთხოვნა გამოიყენება ასევე იმ ხელშეკრულების მიმართაც, რომლის საფუძველზეც ერთ-ერთი მხარე, რომლის ინტერესებშიც დადგენილია ფორმალური მოთხოვნა, კისრულობს იმ ხელშეკრულების დადებას, რომლისათვისაც კანონმა დაადგინა აღნიშნული ფორმის დაცვასთან დაკავშირებულ მოთხოვნა გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შესაბამისი კანონისმიერი ნორმის აუცილებელი შედეგები სხვაგვარ წესს გულისხმობს.

მუხლი 6:227 ვალდებულება უნდა იყოს განსაზღვრებადი

ის ვალდებულებები, რომლითაც მხარეები კისრულობენ ხელშეკრულების დადებას, უნდა იყოს განსაზღვრებადი.

მუხლი 6:227a ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებებით დადებული ხელშეკრულებები

– 1. თუკი კანონისმიერი ნორმა ითვალისწინებს იმას, რომ ხელშეკრულება შეიძლება კანონიერად და უხარვეზოდ (უცილობლად) დაიდოს მხოლოდ წერილობითი ფორმით, მაშინ ეს ფორმალური მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ჩაითვლება ასევე იმ შემთხვევაშიც, თუკი ხელშეკრულება იდება ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებებით და:

- a. ხელშეკრულება არის და რჩება მხარეთათვის ხელმისაწვდომი;
- b. ხელშეკრულების ავთენტიურობა საკმარისად არის უზრუნველყოფილი;
- c. ხელშეკრულების დადების მომენტი შეიძლება განისაზღვროს საკმარისი სარწმუნოებით, და
- d. მხარეთა იდენტიფიკაცია საკმარისი სარწმუნოებით შეიძლება მოხდეს.

–2. პარ. 1-ის ნორმები არ გამოიყენება იმ ხელშეკრულებების მიმართ, რომელთათვისაც კანონი ითხოვს სასამართლოს, სახელმწიფო ორგანოსა თუ იმ პირის ჩარევას, ვის პროფესიულ საქმიანობასაც წარმოადგენს საჯარო პასუხისმგებლობის განხორციელება.

მუხლი 6:227b ელექტრონული კონტრაქტის დადებაამდე მისაწოდებელი ინფორმაცია

– 1. მანამდე, სანამ ხელშეკრულება დაიდება ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებებით, იმ პირმა, ვინც ახდენს სამოქალაქო კოდექსის 3:15d მუხლის პარ. 3-ში მითითებული საინფორმაციო საზოგადოების მომსახურებას, ხელშეკრულების მეორე მხარეს ნათლად, გასაგებად და არაორაზროვნად უნდა შეატყობინოს, სულ ცოტა:

- a. იმის შესახებ, თუ რა ხერხით დაიდება ხელშეკრულება და, განსაკუთრებით კი, – რა მოქმედებების ჩატარება იქნება აუცილებელი ამ შედეგის მისაღწევად;
- b. მოხდება თუ არა გაფორმებული ხელშეკრულების მომსახურების მომწოდებლის მიერ წარდგენა და, თუკი მოხდება, – მაშინ რა ხერხებით იქნება ის ხელმისაწვდომი მეორე მხარისათვის;

ც. იმის შესახებ, თუ რა ხერხით შეძლებს ხელშეკრულების მეორე მხარე იმ მოქმედებების იდენტიფიცირებას, რომელთა შესრულებაც მას არ სურს და ასევე – როგორ მოახერხებს ის ხელშეკრულების დადებამდე ინფორმაციის შეყვანის შეცდომების კორექტირებას;

d. ხელშეკრულების დადებისათვის შეთავაზებული ენების შესახებ;

e. ქვეყნის იმ კოდექსების შესახებ, რომელსაც დაუქვემდებარა მომსახურების მომწოდებელმა თავისი თავი და როგორ შეძლებს ხელშეკრულების მეორე მხარე ამ კოდექსების ელექტრონულად გაცნობას.

– 2. ხელშეკრულების დადებამდე ან დადების მომენტში მისი ის პირობები, რომლებიც არ წარმოადგენს 6:231 მუხლში მითითებულ სტანდარტულ პირობებს, ხელმისაწვდომი უნდა იყოს ხელშეკრულების მეორე მხარისათვის იმგვარად, რომ მან შეძლოს ამ პირობების შენახვა და წაკითხვა (შესწავლა) ანდა მათი შემდგომში აღწარმოება.

– 3. პარ. 1-ის ნორმები არ გამოიყენება ექსკლუზიურად ელექტრონული წერილების ანდა ეკვივალენტური ინდივიდუალური შეტყობინებების გაცვლით დადებული ხელშეკრულებების მიმართ.

– 4. საცილოა ხელშეკრულება, რომელიც დაიდო მომსახურების მომწოდებლის მხრიდან პარ. 1-ის (a), (c) ან (d) პუნქტებში მითითებული ერთ-ერთი ვალდებულების დარღვევის გავლენით. თუკი მომსახურების მომწოდებელმა არ შეასრულა პარ. 1-ის (a) ან (c) პუნქტებში მითითებული ერთ-ერთი ვალდებულება, მაშინ ივარაუდება, რომ ხელშეკრულება დაიდო აღნიშნული ვალდებულებების დარღვევის გავლენით.

– 5. ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე მანამდე, სანამ მომსახურების მომწოდებელს ჯერ კიდევ არ წარუდგენია პარ. 1-ის (a) და (e) პუნქტებში ან პარ. 2-ში მითითებული სრული ინფორმაცია.

– 6. პარ. 1-ის ნორმებიდან გადახვევა დასაშვებია იმ შემთხვევებში, როდესაც საქმე ეხება იმ მხარეთა შორის ურთიერთობას, რომლებმაც ხელშეკრულება დადეს თავიანთი პროფესიული თუ სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში.

მუხლი 6:227c ელექტრონული ხელშეკრულებების დადებისათვის გათვალისწინებული დამატებითი ვალდებულებები

– 1. პირი, ვინც ახდენს სამოქალაქო კოდექსის 3:15d მუხლის პარ. 3-ში მითითებული საინფორმაციო საზოგადოების მომსახურებას, ხელშეკრულების მეორე მხარეს ხელშეკრულების დადებამდე ანიჭებს ისეთ სათანადო, ეფექტურ და ხელმისაწვდომ საშუალებებს, რაც ამ მხარეს შესაძლებლობას აძლევს მოახდინოს იმ მოქმედებების იდენტიფიცირება, რომელთა შესრულებაც მას არ სურს, და ასევე – არ სურს მოახდინოს ინფორმაციის შეყვანის შეცდომების კორექტირება.

– 2. თუკი ხელშეკრულების მეორე მხარემ ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებებით გააკეთა ისეთი განცხადება, რომელიც მომსახურების მომწოდებლის მიერ შეიძლება განიმარტოს როგორც იმ ოფერტის მიღება, რომელიც მომსახურების მომწოდებელმა ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებებით წარადგინა ანდა – როგორც მომსახურების მომწოდებლის მხრიდან მოლაპარაკებების დასაწყებად მოსანვევის საპასუხოდ წარდგენილი ოფერტი, მაშინ მომსახურების მომწოდებელი შეძლებისდაგვარად სწრაფად ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებებით დაადასტურებს, რომ მან მიიღო ეს განცხადება. ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე მანამდე, სანამ მომსახურების მომწოდებელი არ დაადასტურებს განცხადების მიღების ფაქტს.

– 3. პარ. 2-ში მითითებული განცხადება და დადებითი დადასტურება მიიჩნევა მიღებულად, როდესაც ისინი ხელმისაწვდომია იმ მხარეთათვის, რომელთათვისაც ისინი არის მიმართული.

– 4. პარ. 1 და 2-ის ნორმები არ გამოიყენება ექსკლუზიურად ელექტრონული წერილების ანდა ეკვივალენტური ინდივიდუალური შეტყობინებების გაცვლით დადებული ხელშეკრულებების მიმართ.

– 5. საცილოა ხელშეკრულება, რომელიც დაიდო მომსახურების მომწოდებლის მხრიდან პარ. 1-ში მითითებული ვალდებულებების დარღვევის გავლენით. თუკი მომსახურების მომწოდებელმა არ შეასრულა პარ. 1-ში მითითებული ვალდებულებები, მაშინ ივარაუდება, რომ ხელშეკრულება დაიდო აღნიშნული ვალდებულებების დარღვევის გავლენით.

– 6. წინამდებარე მუხლის ნორმებიდან გადახვევა დასაშვებია იმ შემთხვევებში, როდესაც ხელშეკრულება დაიდო იმ მხარეთა შორის, რომლებიც ხელშეკრულების დადებისას მოქმედებდნენ თავიანთი პროფესიული თუ სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში.

მუხლი 6:228 არსებითი შეცდომა

– 1. საცილოა ხელშეკრულება, რომელიც დაიდო ფაქტებთან ან კუთვნილ უფლებებთან დაკავშირე-

ბით არსებული შეცდომის გავლენით და რომელიც არ დაიდებოდა შეცდომით მოქმედი მხარის მიერ იმ შემთხვევაში, მას არსებული ვითარების შესახებ სწორი წარმოდგენა ჰქონოდა:

a. თუკი შეცდომა გამოწვეულია ხელშეკრულების მეორე მხარის მიერ მიწოდებული ინფორმაციით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარეს შეეძლო ევარაუდა, რომ ხელშეკრულება დაიდებოდა აღნიშნული ინფორმაციის გარეშე;

b. თუკი ხელშეკრულების მეორე მხარეს იმის გათვალისწინებით, თუ რა იყო მისთვის ცნობილი ანდა რა უნდა ყოფილიყო მისთვის ცნობილი შეცდომის შესახებ, უნდა ეცნობებინა შეცდომით მოქმედი მხარისათვის მისი შეცდომის თაობაზე;

c. თუკი ხელშეკრულების მეორე მხარეს ხელშეკრულების დადების მომენტში მსგავსი არასწორი წარმოდგენა ჰქონდა როგორც შეცდომით მოქმედ მხარეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მას შეეძლო ევარაუდა ის, რომ შეცდომით მოქმედი მხარე მანაც დადებდა ხელშეკრულებას, თუკი მისთვის ცნობილი იქნებოდა შეცდომის შესახებ.

- 2. არსებით შეცდომაზე მითითებით ხელშეკრულების გაბათილება დაუშვებელია იმ შეცდომის შემთხვევაში, რომელიც ექსკლუზიურად ეხება ფაქტს, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტში ჯერ კიდევ უნდა დადგეს (სამომავლო ფაქტი) ანდა უნდა შენარჩუნდეს შეცდომით მოქმედი მხარის ინტერესების ხარჯზე ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნების, საზოგადოების ზოგადი პრინციპებისა (საერთო შეფასებისა) თუ საქმის გარემოებების გათვალისწინებით.

მუხლი 6:229 არარსებულ სამართლებრივ ურთიერთობაზე დაფუძნებული ხელშეკრულება

ხელშეკრულება, რომელიც აუცილებლად ვარაუდობს მხარეთა შორის უკვე არსებული სამართლებრივი ურთიერთობის შემუშავებას, საცილოა, თუკი ეს ურთიერთობა არ არსებობს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, საზოგადოების ზოგადი პრინციპები (საერთო შეფასება) თუ საქმის გარემოებები გულისხმობს იმას, რომ ამ სამართლებრივი ურთიერთობის არარსებობა უნდა შენარჩუნდეს იმ პირის ინტერესების ხარჯზე, ვინც მიუთითებს მის არარსებობაზე.

მუხლი 6:230 ხელშეკრულების გაბათილების უფლება უქმდება, როდესაც სახეზე აღარ არის საცილო ხელშეკრულების არასახარბიელო შედეგები

- 1. 6:228 ან 6:229 მუხლების საფუძველზე საცილო ხელშეკრულების გაბათილების უფლება ქარწყლდება, როდესაც მეორე მხარე დროულად წარადგენს საცილო ხელშეკრულების შედეგების შეცვლის წინადადებას იმგვარად, რომ ის ზარალი, რომელიც სხვა შემთხვევაში მიადგებოდა გაბათილების უფლების მქონე მხარეს, ჯეროვნად არის თავიდან აცილებული.

- 2. ერთ-ერთი მხარის მოთხოვნის საფუძველზე, სასამართლოს შეუძლია ასევე, ნაცვლად საცილო ხელშეკრულების გაბათილებისა, შეცვალოს მისი სამართლებრივი შედეგები იმ ზარალის თავიდან აცილების მიზნით, რომელიც სხვა შემთხვევაში მიადგებოდა გაბათილების უფლების მქონე მხარეს.

განყოფილება 6.5.2a (გამოტოვებულია წინამდებარე გამოცემაში როგორც არააქტუალური)

განყოფილება 6.5.3 – ხელშეკრულების სტანდარტული პირობები

მუხლი 6:231 განმარტებები

წინამდებარე განყოფილების მიზნებისათვის:

a. „ხელშეკრულების სტანდარტული პირობები“ გულისხმობს ერთ ან რამდენიმე სახელშეკრულებო დებულებასა თუ დათქმას, რომელიც შემუშავებულია მთელ რიგ ხელშეკრულებებში, გარდა იმ დებულებებისა და დათქმებისა, რომლებიც მიუთითებს ვალდებულების შესრულების არსზე იმდენად, რამდენადაც ეს უკანასკნელი დებულებები და დათქმები ფორმულირებულ იქნა ნათლად და არაორაზროვნად;

b. „პირობების შემთავაზებელი“ გულისხმობს პირს, ვინც იყენებს ხელშეკრულებაში არსებულ სტანდარტულ პირობებს;

c. „კონტრაჰენტი“ გულისხმობს პირს, რომელიც დაეთანხმა პირობების შემთავაზებლის მიერ სტანდარტული პირობების გამოყენების შესაძლებლობას წერილობითი დოკუმენტის ხელმოწერით ან სხვაგვარად.

მუხლი 6:232 მხოლოდ თავიანთი სათაურით დასახელებული ხელშეკრულების სტანდარტული პირობები

თუ კონტრაქტის დაეთანხმა პირობების შემთავაზებლის სტანდარტული პირობების გამოყენების შესაძლებლობას, ის ასევე ვალდებული იქნება ამ პირობებით იმ შემთხვევაში, თუკი პირობების შემთავაზებელმა იცოდა ან მას უნდა სცოდნოდა, რომ მისი კონტრაქტისათვის ხელშეკრულების დადების მომენტში (იმ მომენტში, როდესაც ეს ხელშეკრულება მხოლოდ გახდა) სინამდვილეში ცნობილი არ იყო აღნიშნული პირობების შინაარსი.

მუხლი 6:233 გამოსაყენებელი ხელშეკრულების სტანდარტული პირობების საცილო დათქმები

გამოსაყენებელი ხელშეკრულების სტანდარტული პირობები საცილოა:

a. თუკი ის არაგონივრულად მძიმეა კონტრაქტისათვის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნებისა და შინაარსის და ასევე იმ ხერხების გათვალისწინებით, რომლითაც მოხდა ამ სტანდარტული პირობების ფორმირება, ყოველი მხარის მეორე მხარისათვის ცხადი ინტერესებისა და ასევე საქმის სხვა გარემოებების გათვალისწინებით;

b. თუკი პირობების შემთავაზებელმა თავის კონტრაქტს არ მისცა გონივრული შესაძლებლობა, გაცნობოდა გამოსაყენებელი ხელშეკრულების სტანდარტული პირობების შინაარსს.

მუხლი 6:234 ხელშეკრულების სტანდარტული პირობების გაცნობის გონივრული შესაძლებლობა

– 1. პირობების შემთავაზებელი კონტრაქტს ანიჭებს 6:233 მუხლის (b) პუნქტში მითითებულ შესაძლებლობას, თუკი ის თავისი სტანდარტული პირობების შეთავაზებას ახდენს ხელშეკრულების დადებამდე ან მისი დადების მომენტში, ან თუკი შემთავაზებელი ამ პირობებს წარადგენს 6:230c მუხლში ნახსენები პროცედურის შესაბამისად ან როდესაც ეს გონივრულად შეუძლებელია, – თუკი ის ხელშეკრულების დადებამდე ატყობინებს თავის კონტრაქტს იმის შესახებ, რომ ამ უკანასკნელს შემთავაზებლის სტანდარტული პირობების გაცნობა შეუძლია კონკრეტულ სავაჭრო პალატაში ან კონკრეტული სასამართლოს რეესტრში, ანდა – რომ ეს პირობები მას პირველივე მოთხოვნისთანავე გაეგზავნება. თუკი სტანდარტული პირობების კონტრაქტისათვის შეთავაზება არ მოხდა ხელშეკრულების დადებამდე ან მისი დადების მომენტში, მათში მოცემული დათქმები გახდება საცილო ასევე იმ შემთხვევაშიც, თუკი შემთავაზებელმა კონტრაქტის მოთხოვნის საფუძველზე დაუყოვნებლივ და თავის ხარჯზე არ გაუგზავნა მას თავისი სტანდარტული პირობები. ის, რაც გათვალისწინებულია შემთავაზებლის მიერ თავისი სტანდარტული პირობების კონტრაქტისათვის გაგზავნის ვალდებულებებთან დაკავშირებით, არ გამოიყენება იმდენად, რამდენადაც გონივრულად შემთავაზებლისაგან არ არსებობს მოლოდინი იმისა, რომ ის გაუგზავნის კონტრაქტს თავის სტანდარტულ პირობებს.

– 2. პირობების შემთავაზებელი ასევე ანიჭებს კონტრაქტს 6:233 მუხლის (b) პუნქტში მითითებულ შესაძლებლობას, თუკი ის თავის სტანდარტულ პირობებს ხელშეკრულების დადებამდე ან მისი დადების მომენტში კონტრაქტს წარუდგენს ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებებით იმგვარად, რომ ამ პირობების შენახვას კონტრაქტი შეძლებს ისე, რომ ისინი ხელმისაწვდომი დარჩება მისთვის შემდგომი გაცნობისათვის ანდა თუკი ეს გონივრულად შეუძლებელია, – მაშინ როდესაც ის შემთავაზებელი ხელშეკრულების დადებამდე ატყობინებს თავის კონტრაქტს იმის შესახებ, თუ სად შეუძლია ამ უკანასკნელს შემთავაზებლის სტანდარტული პირობების ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებებით გაცნობა, ანდა – რომ ეს პირობები მოთხოვნის საფუძველზე კონტრაქტს გაეგზავნება ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებებით ან სხვაგვარად.

თუკი ხელშეკრულების სტანდარტული პირობების კონტრაქტისათვის ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებებით შეთავაზება არ მოხდა ხელშეკრულების დადებამდე ან მისი დადების მომენტში, მათში მოცემული დათქმები გახდება საცილო ასევე იმ შემთხვევაშიც, თუკი შემთავაზებელმა კონტრაქტის მოთხოვნის საფუძველზე დაუყოვნებლივ და თავის ხარჯზე არ გაუგზავნა მას თავისი სტანდარტული პირობები ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებებით ან სხვაგვარად.

– 3. როდესაც კონტრაქტი თავად არ იღებს ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებებით, ხელშეკრულების სტანდარტული პირობების პარ. 2-ში მოცემული წესით გაცნობის გონივრული შესაძლებლობის მინიჭებისათვის მოითხოვება კონტრაქტის პირდაპირი თანხმობა.

მუხლი 6:235 6:233 და 6:234 მუხლების გამოყენებლობა და ხანდაზმულობის ვადა

– 1. ქვემოთ მოცემულ შემდეგ კონტრაქტებს არ შეუძლიათ შემთავაზებლის სტანდარტული პირობების 6:233 და 6:234 მუხლებში მოცემული საცილობის საფუძველებზე გაბათილება:

a. სამოქალაქო კოდექსის 2:360 მუხლში მითითებულ იურიდიულ პირს, რომელმაც ხელშეკრულების დადების მომენტში გამოაქვეყნა თავისი უკანასკნელი ყოველწლიური ანგარიში ანდა რომლის მიმართაც აღნიშნულ მომენტამდე გამოიყენებოდა სამოქალაქო კოდექსის 2:403 მუხლის პარ. 1-ის ნორმები;

b. იმ მხარეს, რომლის მიმართაც (a) პუნქტი არ გამოიყენება, თუკი სავაჭრო რეესტრის შესახებ კანონის შესაბამისად განხორციელებული სარეგისტრაციო ჩანაწერიდან იკვეთება, რომ ხელშეკრულების დადების მომენტში მას ჰყავს ორმოცდაათი ან მეტი დასაქმებული.

- 2. თუკი წარმომადგენელმა მხარის სახელით ხელშეკრულების დადებისას განაცხადა ამ ხელშეკრულების მიმართ განსაზღვრული სტანდარტული პირობების გამოყენების შესახებ, წარმოდგენილ მხარეს შეუძლია გააბათილოს ეს სტანდარტული პირობები 6:233 მუხლის (a) პუნქტში მოცემული საცილოობის საფუძველზე იმ პირობით, რომ მისი კონტრაქტენტი ხშირად დებს ისეთ ხელშეკრულებებს, რომლებიც რეგულირდება იგივე ან თითქმის იგივე სტანდარტული პირობებით.

- 3. კონტრაქტენტი ან ის მხარე, რომელიც ხშირად იყენებდა იგივე ან თითქმის იგივე სტანდარტულ პირობებს თავისი კონტრაქტების მიმართ, ვერ გააბათილებს ამ სტანდარტულ პირობებს 6:233 და 6:234 მუხლებში მოცემულ საცილოობის საფუძველებზე.

- 4. საცილო გარიგების გაბათილებისათვის ხანდაზმულობის ვადის დენა, როგორც ეს მითითებულია 3:52 მუხლის პარ. 1-ის (d) პუნქტში, იწყება იმ დღის მომდევნო დღიდან, როდესაც პირველად მოხდა შემთავაზების მიერ მითითება გამოსაყენებელი სტანდარტული პირობების დათქმაზე.

მუხლი 6:236 „შავი სია“ იმ დათქმებისა, რომლებიც ყოველთვის არაგონივრულად მძიმეა მომხმარებლისათვის

პირობების შემთავაზებელსა და იმ ფიზიკურ პირ კონტრაქტენტს შორის ხელშეკრულებაში, რომელიც ხელშეკრულების დადების დროს არ მოქმედებდა თავისი პროფესიული თუ სამეცნიერო საქმიანობის ფარგლებში, ქვემოთ მოცემული სტანდარტული პირობების მიმართ გამოსაყენებელი შემდეგი დათქმები მიიჩნევა არაგონივრულად მძიმედ აღნიშნული კონტრაქტენტისათვის:

a. დათქმა, რომელიც კონტრაქტენტს სრულად და უპირობოდ ართმევს კუთვნილ უფლებას, მოითხოვოს ის შესრულება, რაც ივალდებულა თავად პირობების შემთავაზებელმა;

b. დათქმა, რომელიც გამორიცხავს ან ზღუდავს კონტრაქტენტის უფლებას, უარი თქვას ხელშეკრულებაზე, როგორც ეს გათვალისწინებულია სამოქალაქო კოდექსის 6.5.5 განყოფილების ნორმებში;

c. დათქმა, რომელიც გამორიცხავს ან ზღუდავს უფლებას, კონტრაქტენტმა კანონის შესაბამისად უარი თქვას მასზე დაკისრებული ვალდებულების შესრულებაზე ანდა რომელიც პირობების შემთავაზებელს ანიჭებს უფრო ფართო უფლებას, უარი თქვას მასზე დაკისრებული ვალდებულების შესრულებაზე, ვიდრე მას აქვს კანონის შესაბამისად;

d. დათქმა, რომელიც იმ საკითხზე გადაწყვეტილების მიღებას, დაარღვია თუ არა შემთავაზებელმა მასზე დაკისრებული ერთი ან რამდენიმე ვალდებულება, უტოვებს თავად შემთავაზებელს, ანდა – რომელიც ამ უკანასკნელის მხრიდან ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში კანონის შესაბამისად კონტრაქტენტის კუთვნილი უფლებების რეალიზაციას დამოკიდებულს ხდის იმ პირობაზე, რომ კონტრაქტენტმა თავდაპირველად სასამართლოში სარჩელი უნდა წარადგინოს მესამე პირის წინააღმდეგ;

e. დათქმა, რომელითაც კონტრაქტენტმა პირობების შემთავაზებელს წინასწარ მიანიჭა ხელშეკრულებიდან გამომდინარე შემთავაზებლის ვალდებულებების მესამე პირისათვის გადაცემის (გასვისების) ნებართვა ისე, როგორც ეს მითითებულია სამოქალაქო კოდექსის 6.2.3 განყოფილების ნორმებში {ვალის გადაკისრება ან სახელშეკრულებო მდგომარეობის გადაცემა}, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კონტრაქტენტი ნებისმიერ დროს არის უფლებამოსილი უარი თქვას ხელშეკრულებაზე, ან როდესაც შემთავაზებელი კონტრაქტენტის მიმართ პასუხისმგებელი რჩება ამ მესამე პირის მიერ აღნიშნული ვალდებულებების შესრულებაზე, ანდა – გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამ ვალდებულებების გადასვლა ხორციელდება იმ ბიზნესისა თუ საწარმოს გადაცემის ფარგლებში, რომელსაც ეს ვალდებულებები და შესაბამისი უფლებები მიეკუთვნება;

f. დათქმა, რომელიც აუცილებლად ვარაუდობს იმას, რომ ხელშეკრულებიდან გამომდინარე შემთავაზებლის უფლებების მესამე პირზე გადასვლის (გასვისების) შემთხვევაში გამოირიცხება ან იზღუდება ის სამართლებრივი დაცვის საშუალებები, რომლებიც კონტრაქტენტს კანონის შესაბამისად შეიძლება ჰქონდეს ამ მესამე პირის მიმართ;

g. დათქმა, რომელიც ერთ წელზე ნაკლები ვადით ამცირებს ხანდაზმულობის ვადას ან იმ ვადას, რომლის განმავლობაშიც კონტრაქტენტმა უნდა მოახდინოს ნებისმიერი უფლების რეალიზაცია;

h. დათქმა, რომელიც იმ შემთხვევაში, თუკი კონტრაქტის შესრულებისას მესამე პირისათვის ზიანი იქნა მიყენებული პირობების შემთავაზებლისა თუ პირის მიერ ანდა იმ ნივთის მიერ, რომლისათვისაც ის არის პასუხისმგებელი, – ავალდებულებს კონტრაქტს გადაუხადოს საკომპენსაციო თანხა ამ მესამე პირს ან მონაწილეობა მიიღოს ამ საკომპენსაციო თანხის ანაზღაურებაში უფრო მეტი წილით, ვიდრე კანონის შესაბამისად მასზე მოვიდოდა შემთავაზებელთან მისი (შიდა) ურთიერთობის გათვალისწინებით;

i. დათქმა, რომელიც პირობების შემთავაზებელს ანიჭებს უფლებას, გაზარდოს შეთანხმებული ფასი ხელშეკრულების დადებიდან სამი თვის განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კონტრაქტი ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებამოსილია უარი თქვას ხელშეკრულებაზე შემთავაზებლის მიერ აღნიშნული უფლების რეალიზაციის შემთხვევაში;

j. დათქმა, რომელიც საქონლის, მათ შორის, ენერჯის რეგულარული მიწოდების კონტრაქტის შემთხვევაში – გარდა ყოველდღიური გაზეთების, გაზეთებისა და ჟურნალებისა, ანდა მომსახურების რეგულარული განწვევისა – შედეგად იწვევს ამ კონტრაქტის უსიტყვოდ ვადის გახანგრძლივებასა თუ განსაზღვრული ვადით განახლებას ანდა კონტრაქტის მოქმედების უსიტყვოდ განუსაზღვრელი ვადით გაგრძელებას კონტრაქტისათვის გახანგრძლივებული კონტრაქტის შეწყვეტის უფლების გარეშე ნებისმიერ დროს შეწყვეტის მაქსიმუმ ერთთვიანი ვადის დაცვით;

k. დათქმა, რომელიც გამორიცხავს ან ზღუდავს კონტრაქტის მიერ მტკიცებულებების წარდგენის შესაძლებლობებს ანდა რომელიც ცვლის კანონით განაწილებულ მტკიცებების ტვირთს კონტრაქტის საზიანოდ იმის გამო, რომ დათქმა შეიცავს კონტრაქტის განცხადებას პირობების შემთავაზებლის მხრიდან ვალდებულების შესრულების ხარისხთან დაკავშირებით ანდა – იმის გამო, რომ ეს დათქმა კონტრაქტს აკისრებს იმ ფაქტის მტკიცების ტვირთს, რომ შემთავაზებელს შეერაცხება მასზე დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობა;

l. დათქმა, რომელიც კონტრაქტის საზიანოდ გვერდს უვლის 3:37 მუხლის ნორმებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის ეხება კონტრაქტის მიერ გასაკეთებელი განცხადების ფორმას, ანდა – მასში მითითებულია, რომ პირობების შემთავაზებელს შეუძლია კონტრაქტის მიერ მისთვის მიცემული მისამართი კვლავ მიიჩნიოს ამ უკანასკნელის მისამართად მანამდე, სანამ მას არ ეცნობება ახალი მისამართი;

m. დათქმა, რომელიც ის კონტრაქტი, ვისაც ხელშეკრულების დადების მომენტში თავისი რეალური დომიცილი (ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი) აქვს ნიდერლანდების მუნიციპალიტეტში, ირჩევს სხვა დომიცილს (ჩვეულებრივ ადგილსამყოფელს) იმ სხვა მიზეზის გამო, ვიდრე ამას წარმოადგენს იმის შესაძლებლობა, რომ კონტრაქტს შესაძლოა მომავალში არ ჰქონდეს რეალური დომიცილი (ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი) აღნიშნულ მუნიციპალიტეტში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელშეკრულება ეხება რეგისტრირებულ ქონებას (უძრავი ქონება და რეგისტრირებული გემები და საჰაერო ხომალდები), ხოლო დომიცილისათვის (ჩვეულებრივი ადგილსამყოფელისათვის) კი აირჩევა ნოტარიუსის ოფისი;

n. დათქმა, რომელიც ითვალისწინებს დავის სხვაგვარად გადაწყვეტას, ნაცვლად კანონის შესაბამისად განსჯადი სასამართლოს ან ერთი ან რამდენიმე არბიტრის მიერ დავის გადაწყვეტისა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დათქმა ჯერ კიდევ ანიჭებს კონტრაქტს უფლებას, დავის გადასაწყვეტად აირჩიოს კანონის შესაბამისად განსჯადი სასამართლო და ეს არჩევანი შეიძლება გაკეთდეს, სულ ცოტა, ერთი თვის ვადის განმავლობაში მას შემდეგ, რაც პირობების შემთავაზებელმა აღნიშნულ დათქმაზე წერილობით მიუთითა.

მუხლი 6:237 „რუხი სია“ იმ დათქმებისა, რომლებიც ივარაუდება როგორც არაგონივრულად მძიმე მომხმარებლისათვის

პირობების შემთავაზებელსა და იმ ფიზიკურ პირ კონტრაქტს შორის ხელშეკრულებაში, რომელიც ხელშეკრულების დადების დროს არ მოქმედებდა თავისი პროფესიული თუ სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში, ქვემოთ მოცემული სტანდარტული პირობების მიმართ გამოსაყენებელი შემდეგი დათქმები ივარაუდება როგორც არაგონივრულად მძიმე აღნიშნული კონტრაქტისათვის:

a. დათქმა, რომელიც კონკრეტული ვითარების გარემოებათა გათვალისწინებით პირობების შემთავაზებელს ანიჭებს უჩვეულოდ გრძელ ან არასაკმარისად მოკლე ვადას კონტრაქტის ოფერტსა თუ სხვა განცხადებაზე (შეტყობინებაზე) რეაგირებისათვის;

b. დათქმა, რომელიც არსებითად ზღუდავს პირობების შემთავაზებლის ვალდებულებათა მნიშვნელობას იმასთან შედარებით, რის მიღებასაც აღნიშნული დათქმის არსებობის გარეშე კონტრაქტი თვით ხელშეკრულების მიმართ მოქმედი კანონისმიერი ნორმების გათვალისწინებითაც კი გონივრულად ივარაუდება;

ც. დათქმა, რომელიც პირობების შემთავაზებელს ანიჭებს იმ შესრულების ნარდგენის უფლებას, რომელიც შეპირებული შესრულებისაგან არსებითად განსხვავდება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კონტრაჰენტი ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებამოსილია უარი თქვას ხელშეკრულებაზე შემთავაზებლის მიერ აღნიშნული უფლების რეალიზაციის შემთხვევაში;

დ. დათქმა, რომელიც პირობების შემთავაზებელს ათავისუფლებს მასზე კონტრაქტით დაკისრებული ვალდებულებებისაგან, ანდა – რომელიც ანიჭებს მას უფლებას, სხვაგვარად გაითავისუფლოს თავი ამ ვალდებულებებისაგან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამის საფუძვლები თავად კონტრაქტში არის ნახსენები და იმგვარი ბუნებისაა, რომ პირობების შემთავაზებლის ამ კონტრაქტით ბოჭვა მოსალოდნელი ვეღარ იქნება;

ე. დათქმა, რომელიც პირობების შემთავაზებელს ანიჭებს უჩვეულოდ გრძელ ან არასაკმარისად მოკლე ვადას მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულებისათვის;

ფ. დათქმა, რომელიც სრულად ან ნაწილობრივ ათავისუფლებს პირობების შემთავაზებელს ან მესამე პირს ზიანის მიყენებისათვის გათვალისწინებული კანონისმიერი პასუხისმგებლობისაგან;

გ. დათქმა, რომელიც გამორიცხავს ან ზღუდავს კონტრაჰენტისათვის კანონით მინიჭებულ ვალდებულების გაქვითვის უფლებას ანდა რომელიც პირობების შემთავაზებელს სთავაზობს იმაზე ფართო გაქვითვის უფლებას, ვიდრე მას აქვს კანონის შესაბამისად;

ხ. დათქმა, რომელიც კონტრაჰენტის განსაზღვრული მოქმედებებისა თუ პასიური ქცევისათვის პირგასამტეხლოს სახით უთითებს იმაზე, რომ კონტრაჰენტი დაკარგავს კონკრეტულ უფლებებსა თუ სამართლებრივი დაცვის საშუალებებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამ უფლებებისა თუ სამართლებრივი დაცვის საშუალებების დაკარგვა გამართლებულია აღნიშნული მოქმედებითა თუ პასიური ქცევით;

ი. დათქმა, რომელიც იმ შემთხვევაში, როდესაც კონტრაქტი წყდება სხვა მიზეზით, ნაცვლად კონტრაჰენტის მიერ მასზე დაკისრებული ვალდებულების დარღვევისა, აიძულებს კონტრაჰენტს გადაიხადოს ფულადი თანხა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქმე ეხება გონივრულ კომპენსაციას პირობების შემთავაზებლის მიერ განცდილი ზარალისა თუ მიუღებელი შემოსავლისათვის;

ჯ. დათქმა, რომელიც აიძულებს კონტრაჰენტს დადოს სხვა კონტრაქტი პირობების შემთავაზებელთან ან მესამე პირთან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს გონივრულად მოსალოდნელი იქნებოდა კონტრაჰენტისაგან ამ კონტრაქტსა და წინამდებარე მუხლში მითითებულ კონტრაქტს შორის არსებული ურთერთკავშირის გათვალისწინებით;

კ. დათქმა, რომელიც ნ:236 მუხლის (j) პუნქტში მითითებული კონტრაქტისათვის ადგენს ერთ წელზე მეტი მოქმედების ვადას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კონტრაჰენტი ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებამოსილია შეწყვიტოს კონტრაქტი ყოველი წლის გასვლის შემდეგ;

ლ. დათქმა, რომელიც ავალდებულებს კონტრაჰენტს ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ შეტყობინების ნარდგენას შეწყვეტამდე სამ თვეზე ადრე ანდა – იმაზე ხანგრძლივი ვადის დაცვით, ვიდრე თავად პირობების შემთავაზებელმა ხელშეკრულების შეწყვეტისას უნდა დაიცვას;

მ. დათქმა, რომელიც კონტრაჰენტის განცხადების (შეტყობინების) ნამდვილობისათვის ითხოვს იმაზე უფრო მკაცრ ფორმას, ვიდრე ამას წარმოადგენს წერილობითი ფორმის განცხადება ან კერძო აქტი;

ნ. დათქმა, რომელიც მიუთითებს იმაზე, რომ კონტრაჰენტის მიერ მინიჭებული რწმუნებულება (მინდობილობა) გამოუთხოვადია ან არ გაუქმდება კონტრაჰენტის გარდაცვალების ანდა მის მიმართ ზრდასრული პირების მეურვეობის დადგენის შემთხვევაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნული რწმუნებულება (მინდობილობა) მოიცავს კონტრაჰენტის სახელით წარმომადგენლობისა და მოქმედებების განხორციელების უფლებას რეგისტრირებული ქონების საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით;

ო. დათქმა, რომელიც გამორიცხავს ან ზღუდავს კონტრაჰენტის უფლებას, შეწყვიტოს ზეპირად, წერილობით ან ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებებით დადებული კონტრაქტი იგივე წესით, რა წესითაც მოხდა კონტრაქტის დადება;

პ. დათქმა, რომელიც ყოველდღიური გაზეთების, გაზეთებისა თუ ჟურნალების რეგულარული მიწოდების კონტრაქტის შემთხვევაში, შედეგად იწვევს ამ კონტრაქტის ვადის უსიტყვოდ გახანგრძლივებასა თუ განახლებას სამი თვის ვადით ანდა – კონტრაქტის ვადის უსიტყვოდ გახანგრძლივებასა თუ განახლებას სამ თვეზე ნაკლები ვადით კონტრაჰენტისათვის კონტრაქტის შეწყვეტის უფლების გარეშე ნებისმიერ დროს შეწყვეტის თარიღისათვის გახანგრძლივებისა თუ განახლების ვადის შეწყვეტისას შეწყვეტის მაქსიმუმ ერთთვიანი ვადის დაცვით;

ჟ. დათქმა, რომელიც ყოველდღიური გაზეთების, გაზეთებისა თუ ჟურნალების რეგულარული მიწოდების

დების კონტრაქტის შემთხვევაში, შედეგად იწვევს ამ კონტრაქტის უსიტყვოდ ვადის გახანგრძლივებასა თუ განსაზღვრული ვადით განახლებას ანდა კონტრაქტის მოქმედების უსიტყვოდ განუსაზღვრელი ვადით გაგრძელებას კონტრაჰენტისათვის გახანგრძლივებული კონტრაქტის შეწყვეტის უფლების გარეშე ნებისმიერ დროს შეწყვეტის მაქსიმუმ ერთთვიანი ვადის დაცვით, ხოლო იმ შემთხვევაში, თუკი რეგულარული მიწოდება ხორციელდება თვეში ერთზე ნაკლები სიხშირით, – შეწყვეტის მაქსიმუმ სამთვიანი ვადის დაცვით;

r. დათქმა, რომელიც აიძულებს კონტრაჰენტს გამოაცხადოს კონტრაქტის შეწყვეტასთან დაკავშირებული შეტყობინება, როგორც ეს მითითებულია (j) ან (p) პუნქტებში ანდა განსაზღვრულ მომენტში, შესაბამისად, – (q) პუნქტში;

s. დათქმა, რომელიც პროდუქციის გაცნობის მიზნით შეზღუდული ვადით ყოველდღიური გაზეთების, გაზეთებისა თუ ჟურნალების რეგულარული მიწოდების კონტრაქტის შემთხვევაში, შედეგად იწვევს კონტრაქტის მოქმედების გაგრძელებას.

მუხლი 6:238 წარმომადგენლობა მხოლოდ და მხოლოდ ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში მოცემული დათქმის საფუძველზე

– 1. 6:236 და 6:237 მუხლებში მითითებული კონტრაქტის საფუძველზე ქვემოთ მოცემული შემდეგი ფაქტები ვერ იქნება გამოყენებული კონტრაჰენტის სანადალმდეგოდ, როგორც ეს გათვალისწინებულია ამ მუხლებში:

a. ფაქტი, რომ კონტრაქტი დაიდო მესამე პირის (მარნმუნებლის) სახელით, თუკი ეს შედეგი ეფუძნება მხოლოდ და მხოლოდ გამოსაყენებელი ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში მოცემულ ასეთი სამართლებრივი შედეგის მქონე დათქმას;

b. ფაქტი, რომ ხელშეკრულების სტანდარტულ პირობები შეიცავს პირობების შემთავაზებლის წარმომადგენლის რწმუნებულების (მინდობილობის) ისეთ შეზღუდვებს, რომლებიც იმდენად უჩვეულოა, რომ კონტრაჰენტს იმ შემთხვევაში, თუკი ასეთი შეზღუდვების მქონე დათქმა არ იქნებოდა შეტანილი ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში, არ უნდა ჰქონოდა მათი აღმოჩენის მოლოდინი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნული დათქმის არსებობის შესახებ მისთვის რეალურად ცნობილი იყო.

– 2. 6:236 და 6:237 მუხლებში მითითებული კონტრაქტის სახელშეკრულებო დებულებები {ამ კონტრაქტის მიმართ მოქმედი ხელშეკრულების სტანდარტულ პირობების ჩათვლით} ყოველთვის უნდა შედგეს მარტივ, გასაგებ ენაზე. როდესაც სახეზეა ეჭვი სახელშეკრულებო დებულების მნიშვნელობასთან დაკავშირებით, უპირატესობა ენიჭება კონტრაჰენტისათვის ყველაზე ხელსაყრელ განმარტებას.

მუხლი 6:239 6:237 მუხლში გათვალისწინებული „რუს სიაში“ ცვლილებების შეტანა მეფის სამთავრობო ბრძანებით

– 1. 6:237 მუხლის (a) პუნქტიდან (n) პუნქტის ჩათვლით ნორმები შეიძლება შეიცვალოს მეფის სამთავრობო ბრძანებით; იგივე წესი მოქმედებს ამ ნორმების გამოყენების ფარგლებსა და სფეროსთან დაკავშირებით.

– 2. პარ. 1-ში მითითებული მეფის სამთავრობო ბრძანების მიღები, შეცვლისა თუ გაუქმების განზრახვით კანონპროექტის წარდგენამდე, იუსტიციის სამინისტროს შეუძლია მოუსმინოს ერთ ან რამდენიმე დაწესებულებასა თუ ორგანიზაციას, რომლებიც, მისი შეხედულებით, იმ პირთა წარმომადგენლები არიან, რომლებიც იყენებენ ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს იმ კონტრაქტების დასადებად, რომელთათვისაც იმოქმედებს სამინისტროს გადანყვეტილება და ასევე – იმ პირთა წარმომადგენლები, რომლებიც მონაწილეობენ ასეთ კონტრაქტებში როგორც მათი წარმომადგენლები.

– 3. როგორც კი მიიღება პირველ პარაგრაფში მითითებული გადანყვეტილება, ის გაეგზავნება პარლამენტის მეორე და პირველი პალატის პრეზიდენტებს. ასეთი გადანყვეტილება არ შედის ძალაში მანამდე, სანამ მისი ჰოლანდიის სამთავრობო გაზეთში გამოქვეყნების თარიღიდან არ გავა ორი თვე.

მუხლი 6:240 სხვა პირების ინტერესების დამცველი იურიდიული პირების მიერ ან მათ წინააღმდეგ წარდგენილი სარჩელი

– 1. პარ. 3-ში მითითებული სარჩელის უფლების (სასარჩელო მოთხოვნის) საფუძველზე, სასამართლოს სამართლებრივი ურთიერთობის აღიარების შესახებ სასამართლოს გადანყვეტილების მეშვეობით შეუძლია კონკრეტულ სტანდარტულ პირობებში არსებული დათქმები არაგონივრულად მძიმედ გამოაცხადოს; ასეთ შემთხვევაში შესაბამისად გამოიყენება 6:233 მუხლის (a) პუნქტის, 6:236 და 6:237 მუხლების

ნორმები. წინა წინადადების მიზნებისათვის სტანდარტულ პირობებში არსებული კანონის იმპერატიული ნორმის შეუსაბამო დათქმები არაგონივრულად მძიმედ მიიჩნევა. დათქმის შესწავლისა და განხილვისას 6:238 მუხლის პარ. 2-ის მეორე წინადადებით გათვალისწინებული განმარტების წესი არ გამოიყენება.

– 2. სარჩელი (სასარჩელო მოთხოვნა) შეიძლება წარდგენილ იქნეს შესაბამისი სტანდარტული პირობების შემთავაზებლის მიმართ, ისევე როგორც – სრული ქმედუნარიანობის მქონე იურიდიული პირის მიმართ, რომლის მიზანიცაა პროფესიული თუ სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში მოქმედი პირების ინტერესების დაცვა იმ პირობით, რომ ეს იურიდიული პირი ახდენს აღნიშნული პირების მიერ შესაბამისი სტანდარტული პირობების გამოყენების ხელშეწყობას.

– 3. სარჩელი (სასარჩელო მოთხოვნა) შეიძლება წარდგენილ იქნეს სრული ქმედუნარიანობის მქონე იურიდიული პირის მიერ, რომლის მიზანიცაა პროფესიული თუ სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში მოქმედი პირების ინტერესების დაცვა, ანდა – იმ საქონლისა თუ მომსახურების საბოლოო მომხმარებელთა ინტერესების დაცვა, რომლებიც არ არის განკუთვნილი პროფესიული თუ სამეწარმეო საქმიანობაში გამოყენებისათვის. სარჩელი (სასარჩელო მოთხოვნა) შეიძლება ეხებოდეს მხოლოდ იმ სტანდარტულ პირობებს, რომლებიც გამოიყენება ან გათვალისწინებულია იმ პირებთან დადებულ კონტრაქტებში, რომელთა ინტერესებიც დაცულია ამ იურიდიული პირის მიერ.

– 4. მოსარჩელის სარჩელი (სასარჩელო მოთხოვნა) არ დაიშვება, თუკი ის ვერ შეძლებს დამაჯერებლად ამტკიცოს, რომ სარჩელის (სასარჩელო მოთხოვნის) წარდგენამდე მან პირობების შემთავაზებელს, ხოლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1003-ე მუხლში მითითებულ ვითარებაში კი, – ამ მუხლში აღნიშნულ კავშირს („vereniging“), ორმხრივი კონსულტაციის გზით მინიჭა სტანდარტული პირობების შეცვლის ან კორექტირების შესაძლებლობა იმგვარად, რომ ხდება იმ პრეტენზიების თავიდან აცილება, რომლებსაც დაეფუძნებოდა სარჩელი (სასარჩელო მოთხოვნა). ზემოაღნიშნული მიზნისათვის მოსარჩელის მხრიდან პრეტენზიების მითითებასთან ერთად მოპასუხის მიერ კონსულტაციის შესახებ მოთხოვნის მიღების შემდეგ ორკვირიანი ვადა ნებისმიერ შემთხვევაში საკმარისი იქნება.

– 5. იმდენად, რამდენადაც იურიდიული პირი დაეთანხმა აღნიშნულ კონკრეტულ სტანდარტულ პირობებში შესაბამისი დათქმების გამოყენებას, მას არა აქვს პარ. 1-ში მითითებული სარჩელის უფლება (სასარჩელო მოთხოვნა).

(პარ. 6 გამოტოვებულია წინამდებარე გამოცემაში როგორც არააქტუალური)

მუხლები 6:241-6:244 (გამოტოვებულია წინამდებარე გამოცემაში როგორც არააქტუალური)

მუხლი 6:245 6.5.4 განყოფილების ნორმები არ გამოიყენება ინდივიდუალური ან კოლექტიური შრომითი ხელშეკრულებების მიმართ

წინამდებარე განყოფილების ნორმები არ გამოიყენება როგორც ინდივიდუალური, ისე კოლექტიური შრომითი ხელშეკრულებების მიმართ.

მუხლი 6:246 კანონის იმპერატიული ნორმები

დაუშვებელია 6:231 მუხლიდან 6:244 მუხლის ჩათვლით ნორმებიდან გადახვევა, ასევე – მეფის სამთავრობო ბრძანების ნორმებიდან გადახვევა, როგორც ეს მითითებულია 6:239 მუხლის პარ. 1-ში. იმ შემთხვევებში, როდესაც დათქმა წინამდებარე განყოფილების ნორმების შესაბამისად საცილოა, სასამართლოს გარეთ არსებულ ურთიერთობებში გაკეთებული განცხადების მეშვეობით გაბათილების უფლება ვერ გამოირიცხება.

მუხლი 6:247 (გამოტოვებულია წინამდებარე გამოცემაში როგორც არააქტუალური)

განყოფილება 6.5.4 – ხელშეკრულებების სამართლებრივი შედეგები

მუხლი 6:248 კანონიდან, ჩვეულებებიდან ან გონივრულობისა და სამართლიანობის სტანდარტებიდან გამომდინარე სამართლებრივი შედეგები

– 1. ხელშეკრულებას აქვს არა მარტო ის სამართლებრივი შედეგები, რაზეც მხარეები შეთანხმდნენ, არამედ – ასევე ის შედეგებიც, რომლებიც ხელშეკრულების ბუნების გათვალისწინებით გამომდინარეობს კანონიდან, ჩვეულებებიდან (ზოგადი პრაქტიკიდან) ან გონივრულობისა და სამართლიანობის სტანდარტებიდან.

– 2. ნესი, რომელიც მხარეთა მიერ უნდა იქნეს დაცული მათ შორის დადებული ხელშეკრულების შედეგად, არ გამოიყენება იმდენად, რამდენადაც არსებული გარემოებების გათვალისწინებით ის გონივრულობისა და სამართლიანობის სტანდარტების შეუსაბამო აღმოჩნდებოდა.

მუხლი 6:249 შეძენა უნივერსალური სამართალმემკვიდრეობით

ხელშეკრულების სამართლებრივი შედეგები მოქმედებს ასევე მხარეთა უნივერსალური სამართალმემკვიდრეობით უფლებამონაცვლეთა მიმართაც, თუ ხელშეკრულება სხვაგვარად არ ითვალისწინებს. თუმცა, სამოქალაქო კოდექსის 4:13 მუხლის შესაბამისად განხორციელებული გარდაცვლილის სამკვიდროს განაწილების შემთხვევაში, ხელშეკრულების სამართლებრივი შედეგები არ მოქმედებს გარდაცვლილის შვილების მიმართ, თუ ხელშეკრულება სხვაგვარად არ ითვალისწინებს.

მუხლი 6:250 კანონის იმპერატიული ან დისპოზიციური ნორმები

დასაშვებია ხელშეკრულების წინამდებარე განყოფილების მუხლების ნორმებიდან გადახვევა, რომლებიც ამიერიდან ქვემოთ იქნება მოცემული, გარდა 6:251 მუხლის პარ. 3-ის, 6:252 მუხლის პარ. 2-ის ნორმებისა, რამდენადაც საქმე ეხება სანოტარო აქტის აუცილებლობას, და – ასევე გარდა 6:252 მუხლის პარ. 3-ის, 6:253 მუხლის პარ. 1-ის, 6:257 მუხლის, 6:258 მუხლის, 6:259 მუხლისა და 6:260 მუხლის ნორმებისა.

მუხლი 6:251 ხარისხობრივი უფლებები

– 1. როდესაც ხელშეკრულებიდან გამომდინარე გადაცემადი უფლება კრედიტორის კონკრეტულ ქონებასთან იმგვარად არის დაკავშირებული, რომ კრედიტორს ამ უფლების მიმართ რაიმე ინტერესი აქვს მხოლოდ მანამდე, სანამ ის ინარჩუნებს ამ ქონებას, აღნიშნული უფლება კანონის ძალით გადავა იმ პირზე, ვინც კონკრეტული სამართლებრივი საფუძვლით იძენს ქონებას.

– 2. როდესაც წინა პარაგრაფში მითითებული უფლების სანაცვლოდ მხარეთა შორის შეთანხმებულ იქნა სამაგიერო შესრულება, ამ უკანასკნელის განხორციელების ვალდებულება ასევე გადადის იმდენად, რამდენადაც ის ეხება გადაცემულ ქონებასთან დაკავშირებული უფლების გადასვლის შემდგომ პერიოდს. გამსხვილებელი შემქმნ მხარესთან ერთად რჩება პასუხისმგებელი აღნიშნული სამაგიერო შესრულებისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელშეკრულების კონტრაჰენტს შეუძლია სამაგიერო შესრულების გადასვლის შემდეგ გაითავისუფლოს თავი შემქმნი მხარის წინაშე დაკისრებული ვალდებულებისაგან სამაგიერო შესრულების განუხორციელებლობის გამო ხელშეკრულებიდან გადასვლისა თუ მისი შეწყვეტის გზით.

– 3. წინა ორი პარაგრაფის ნორმები არ მოქმედებს, თუკი შემქმნმა მხარემ შეატყობინა ხელშეკრულების კონტრაჰენტს იმის თაობაზე, რომ ის არ ეთანხმება უფლების გადასვლას.

– 4. იმ გარიგებიდან, რომლის საფუძველზეც მოხდა ქონების გადაცემა, შეიძლება გამომდინარეობდეს ის შედეგი, რომ არანაირი უფლების გადასვლა არ მოხდეს სხვა პირზე.

მუხლი 6:252 ხარისხობრივი ვალდებულებები

– 1. ხელშეკრულებით დასაშვებია შეთანხმება იმაზე, რომ ერთ-ერთი მხარის ვალდებულება, საკუთარი რეგისტრირებული ქონების მიმართ ითმინოს რაიმე მოქმედება ანდა თავი შეიკავოს რაიმე მოქმედების განხორციელებისაგან, გადადის ყველა სხვა პირზე, ვინც კონკრეტული სამართლებრივი საფუძვლით შეიძენს ამ რეგისტრირებულ ქონებას, და ასევე – რომ აღნიშნული ვალდებულება იმ პირების მიერაც უნდა იქნეს დაცული, რომლებიც შეიძენენ იმ პირის რეგისტრირებული ქონებით სარგებლობის უფლებას, რომელმაც რეგისტრირებული ქონება აღნიშნული დათქმის ძალით შეიძინა.

– 2. წინა პარაგრაფში მითითებული დათქმა მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მხარეთა შორის წერილობითი ფორმით დადებული ხელშეკრულება დგება სანოტარო აქტის სახით მისი რეგისტრირებული ქონების საჯარო რეგისტრებში შემდგომი რეგისტრაციით. აღნიშნული რეგისტრაციის მიზნით კრედიტორმა, რომლის მიმართაც არსებობს ვალდებულება, უნდა აირჩიოს თავისი დომიცილი ნიდერლანდებში.

– 3. თუნდაც მას შემდეგ, როდესაც ზემოაღნიშნული დათქმა გატარდა რეგისტრაციაში საჯარო რეგისტრებში, მას არა აქვს ძალა:

a. იმ პირების მიმართ, რომლებმაც მის რეგისტრაციამდე კონკრეტული სამართლებრივი საფუძვლით უკვე შეიძინეს რეგისტრირებულ ქონებაზე უფლება ან ასეთი ქონებით სარგებლობის უფლება;

b. იმ პირის მიმართ, რომელმაც მოახდინა რეგისტრირებული ქონების ან მასზე დადგენილი შეზღუდული სანივთო უფლების დაყადალება, თუკი შეთანხმებული ვალდებულება ჯერ არ იყო რეგისტრირებული იმ მომენტში, როდესაც ყადაღის აქტი რეგისტრაციაში გატარდა საჯარო რეგისტრებში;

ც. იმ პირების მიმართ, რომლებმაც შეიძინეს თავიანთი უფლება იმ პირისაგან, ვინც (ა) ან (ბ) პუნქტების ნორმების საფუძველზე შეთანხმებული ვალდებულებით შებოჭილი არ იყო.

– 4. როდესაც შეთანხმებული ვალდებულების სანაცვლოდ მხარეთა შორის შეთანხმებულ იქნა სამაგიერო შესრულება, ამ უკანასკნელის მოთხოვნის უფლება, შეთანხმებულ ვალდებულებასთან ერთად, ასევე გადადის იმ პირზე, რომელმაც შეიძინა რეგისტრირებული ქონება, რამდენადაც ეს უფლება ეხება შეთანხმებული ვალდებულების გადასვლის შემდგომ პერიოდს, და ასევე – იმ პირობით, რომ ის დათქმა, რომლის გამოც უნდა განხორციელდეს სამაგიერო შესრულება, საჯარო რეესტრებშიც არის რეგისტრირებული.

– 5. წინამდებარე მუხლის ნორმები არ მოქმედებს (ვერ იქნება გამოყენებული) იმ ვალდებულებების მიმართ, რომლებიც უზღუდავს მესაკუთრეს რეგისტრირებული ქონების გასხვისებისა თუ უფლებრივი დატვირთვის უფლებამოსილებებს.

მუხლი 6:253 მესამე პირის შესახებ დათქმა (“jus quaesitum tertio“)

– 1. ხელშეკრულება მესამე პირისათვის წარმოშობს ერთ-ერთი მხარისაგან ვალდებულების შესრულების ანდა ერთ-ერთი მათგანისაგან თავიანთი ხელშეკრულების სხვაგვარად დაცვის მოთხოვნის უფლებას, თუკი ხელშეკრულება შეიცავს ასეთი სამართლებრივი შედეგის შესახებ დათქმას (მესამე პირის შესახებ დათქმა) და მესამე პირმა მიიღო ეს დათქმა.

– 2. წინა პარაგრაფში მითითებული დათქმა (მესამე პირის შესახებ დათქმა) შეიძლება გაუქმდეს იმ პირის მიერ, რომელმაც გააკეთა ეს დათქმა, მესამე პირის მიერ ამ დათქმის მიღების მომენტამდე.

– 3. აღნიშნული დათქმის (მესამე პირის შესახებ დათქმის) მიღება ხდება მესამე პირის მიერ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიმართ გაკეთებული განცხადებით.

– 4. თუკი ზემოაღნიშნული დათქმა (მესამე პირის შესახებ დათქმა) გამოუთხოვადია და ის მესამე პირის წინაშე გაკეთდა უსასყიდლოდ, მაშინ ეს დათქმა მიიჩნევა მიღებულად, თუკი მესამე პირი არ უარყოფს მას დაუყოვნებლივ მას შემდეგ, რაც ის შეიტყობს მისი არსებობის შესახებ.

მუხლი 6:254 მესამე პირის სამართლებრივი მდგომარეობა მას შემდეგ, რაც ის მიიღებს მესამე პირის შესახებ დათქმას

– 1. მას შემდეგ, რაც მესამე პირის მიიღებს წინა მუხლში მითითებულ დათქმას (მესამე პირის შესახებ დათქმას), ის გახდება ხელშეკრულების სრულუფლებიანი მხარე.

– 2. მესამე პირს – იმ ფარგლებში, რომლებშიც ეს შესაბამისობაშია დათქმის (მესამე პირის შესახებ დათქმის) ძირითად მიზანთან – შეუძლია ასევე დათქმიდან მიიღოს უფლებები იმ მომენტამდე დროის პერიოდისათვის, როდესაც მან მიიღო აღნიშნული დათქმა (მესამე პირის შესახებ დათქმა).

მუხლი 6:255 სხვა მესამე პირის დანიშვნა

– 1. როდესაც მესამე პირის სასარგებლო დათქმას (მესამე პირის შესახებ დათქმას) არა აქვს ძალა ამ მესამე პირისათვის, იმ მხარეს, რომელმაც გააკეთა დათქმა, შეუძლია დაინიშნოს თავისი თავი ანდა დაინიშნოს სხვა მესამე პირი ამ დათქმიდან უფლებების მიმღები პირის სახით.

– 2. მიიჩნევა, რომ ის მხარე, რომელმაც გააკეთა ზემოაღნიშნული დათქმა (მესამე პირის შესახებ დათქმა), დაინიშნა თავისი თავი დათქმიდან უფლებების მიმღები პირის სახით, როდესაც ამ დათქმიდან (მესამე პირის შესახებ დათქმიდან) გამომდინარე მისმა კონტრაპენტმა, რომელსაც ეს დათქმა (მესამე პირის შესახებ დათქმა) აკისრებს განსაზღვრულ ვალდებულებას, დაუდგინა ამ მხარეს გონივრული ვადა, ხოლო ამ უკანასკნელმა არ დანიშნა ვინმე სხვა პირი ამ ვადის განმავლობაში.

მუხლი 6:256 იმ მხარის სარჩელის უფლება, რომელმაც გააკეთა მესამე პირის შესახებ დათქმა

იმ მხარეს, რომელმაც გააკეთა დათქმა (მესამე პირის შესახებ დათქმა) მესამე პირის სასარგებლოდ, შეუძლია ამ დათქმიდან (მესამე პირის შესახებ დათქმიდან) გამომდინარე იმ თავისი კონტრაპენტისაგან, რომელსაც ეს დათქმა (მესამე პირის შესახებ დათქმა) აკისრებს განსაზღვრულ ვალდებულებას, მოითხოვოს ვალდებულების შესრულება მესამე პირის მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს უკანასკნელი ამას ეწინააღმდეგება.

მუხლი 6:257 დაქირავებულ პირს შეუძლია გამოიყენოს თავისი დამსაქმებლის სამართლებრივი დაცვის საშუალებები

თუკი ხელშეკრულების მხარეს მისი ერთ-ერთი დაქირავებული პირის მიერ ზიანის მიყენებისათვის

პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით შეუძლია თავისი კონტრაქტის მიმართ წარადგინოს ის სამართლებრივი დაცვის საშუალებები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ გამომდინარეობს მათ შორის დადებული ხელშეკრულებიდან, მაშინ აღნიშნულ დაქირავებულ პირს – თუკი მას ამ ზიანისათვის დაეკისრა პასუხისმგებლობა კონტრაქტის მიერ – ასევე შეუძლია წარადგინოს სამართლებრივი დაცვის საშუალებები, თითქოს ის თავად ყოფილიყო ამ ხელშეკრულების მხარე.

მუხლი 6:258 გაუთვალისწინებელი გარემოებები

– 1. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის სარჩელის (სასარჩელო მოთხოვნის) საფუძველზე სასამართლოს შეუძლია შეცვალოს ამ ხელშეკრულების სამართლებრივი შედეგები ანდა – სრულად ან ნაწილობრივ გააუქმოს ეს ხელშეკრულება, თუკი სახეზეა იმგვარი გაუთვალისწინებელი გარემოებები, რომ გონივრულობისა და სამართლიანობის სტანდარტების შესაბამისად მეორე მხარე არ უნდა ელოდებოდეს ხელშეკრულების მოქმედების უცვლელად გაგრძელებას. სასამართლოს შეუძლია შეცვალოს ან გააუქმოს ხელშეკრულება უკუქცევითი ძალით.

– 2. სასამართლო არ ცვლის ან აუქმებს ხელშეკრულებას იმდენად, რამდენადაც ამ უკანასკნელის ბუნებისა თუ საერთო შეფასების მხედველობაში მიღებით გაუთვალისწინებელი გარემოებები უნდა დარჩეს იმ მხარის ხარჯზე, ვინც უთითებს ამ გარემოებებზე.

– 3. წინამდებარე მუხლის მიზნებისათვის პირი, რომელზეც გადავიდა ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლება ან ვალდებულება, უთანაბრდება ამ ხელშეკრულების თავდაპირველ მხარეს.

მუხლი 6:259 განგრძობადი ვალდებულებები

– 1. იმ შემთხვევებში, როდესაც ხელშეკრულება აუცილებლად გულისხმობს რეგისტრირებული ქონების მესაკუთრისა თუ მოსარგებლისათვის იმ შესრულების განხორციელების დავალდებულებას, რაც არ არის დაკავშირებული სხვა პირის მიერ მისთვის მინიჭებული უფლების საფუძველზე ამ რეგისტრირებული ქონების თავისი კონტროლის ქვეშ მოქცევის თმენასთან, სასამართლოს შეუძლია მესაკუთრისა ან მოსარგებლის სარჩელის (სასარჩელო მოთხოვნის) საფუძველზე შეცვალოს ან ხელშეკრულების სამართლებრივი შედეგები ანდა – სრულად ან ნაწილობრივ გააუქმოს ეს ხელშეკრულება:

a. თუკი ხელშეკრულების დადებიდან გასულია, სულ ცოტა, ათი წელი, ხოლო ხელშეკრულების მოქმედების უცვლელად გაგრძელება უნააღმდეგება საჯარო ინტერესებს;

b. თუკი კრედიტორს აღარ აქვს გონივრული ინტერესი ვალდებულების შესრულების მიმართ და ასევე ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს ინტერესი მას მომავალში გაუჩნდება.

– 2. პარ. 1-ის (a) პუნქტში მითითებული ათწლიანი ვადის განსაზღვრისას, ეს ვადა ემატება დროის იმ მთლიან პერიოდს, რომლის განმავლობაშიც რეგისტრირებული ქონების წინა მესაკუთრეები ან მოსარგებლები ასევე შებოჭილი იყვნენ იმავე ძალის მქონე ვალდებულების დამდგენი დათქმით. აღნიშნული ვადა არ გამოიყენება იმდენად, რამდენადაც საჯარო ინტერესებთან შეუსაბამობა მდგომარეობს იმ ფაქტში, რომ სახელშეკრულებო ვალდებულება ქმნის მინათსარგებლობის ქმედითი გეგმის რეალიზაციისათვის ხელის შემშლელ გარემოებას.

მუხლი 6:260 6:258 და 6:259 მუხლების ნორმათა გამოყენებისათვის გათვალისწინებული დამატებითი ნესები

– 1. როდესაც სასამართლომ 6:258 ან 6:259 მუხლების საფუძველზე შეცვალა ან გააუქმა ხელშეკრულება, მას თავის გადანყვეტილებაში შეუძლია დაადგინოს დამატებითი პირობები.

– 2. თუკი სასამართლო ცვლის ან ნაწილობრივ აუქმებს ხელშეკრულებას 6:258 ან 6:259 მუხლების საფუძველზე, მას შეუძლია დაადგინოს, რომ ერთმა ან რამდენიმე მხარემ სასამართლოს გადანყვეტილებაში მოცემული ვადის განმავლობაში წერილობითი შეტყობინების წარდგენის გზით შეძლოს ხელშეკრულებაზე სრულად უარის თქმა. ასეთ შემთხვევაში ხელშეკრულების შეცვალა ან გაუქმება აღნიშნული ვადის ამონურვამდე ძალაში არ შედის.

– 3. როდესაც ხელშეკრულება შეიცვალა ან სრულად გაუქმდა 6:258 ან 6:259 მუხლების საფუძველზე, მაშინ სასამართლოს ის გადანყვეტილებაც, რომლითაც დადგინდა ეს ცვლილება ან გაუქმება, შეიძლება გატარდეს რეგისტრაციაში საჯარო რეესტრებში იმ პირობით, რომ ის შესულია კანონიერ ძალაში და ხდება მხოლოდ ანდა – ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღსრულებას.

– 4. როდესაც 6:258 ან 6:259 მუხლების საფუძველზე წარდგენილ სარჩელთან (სასარჩელო მოთხოვნასთან) დაკავშირებით ხდება პირის დაბარება სასამართლოში და თანმხლები გამოძახების უწყება ამ პირს ბარდება მის მიერ ნიდერლანდებში არჩეულ დომიცილზე, როგორც ეს მითითებულია 6:252 მუხლის პარ. 2-ში,

მაშინ მისი ის უფლებამონაცვლებებიც, რომლებმაც არ მოახდინეს თავიანთი თავის რეგისტრაცია საჯარო რეგისტრებში კრედიტორის სახით, ასევე მოინვესტიან აღნიშნული უწყების მეშვეობით. შესაბამისად გამოიყენება სამოქალაქო კოდექსის 3:29 მუხლის პარ. 2 და 3-ის მეორე, მესამე და მეოთხე წინადადების ნორმები.

– 5. სხვა იურიდიული ფაქტები, რომლებიც ცვლის ან ნყვეტს რეგისტრირებულ ხელშეკრულებას, შეიძლება ასევე გატარდეს რეგისტრაციაში საჯარო რეგისტრებში იმდენად, რამდენადაც ისინი ეფუძნება იმ სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომელიც შევიდა კანონიერ ძალაში და გახდა მბოჭავი ანდა – ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღსრულებას.

განყოფილება 6.5.5 – ორმხრივი ხელშეკრულებები

მუხლი 6:261 ორმხრივი ხელშეკრულების განმარტება

– 1. ხელშეკრულება არის ორმხრივი, თუკი თითოეულმა მხარემ ხელშეკრულებით იკისრა ვალდებულება იმ მიზნით, რომ სანაცვლოდ მიიღოს ის შესრულება, რომელიც მეორე მხარემ, თავის მხრივ, მის წინაშე იკისრა.

– 2. ორმხრივი ხელშეკრულებების მომწესრიგებელი კანონისმიერი ნორმები შესაბამისად გამოიყენება სხვა სამართლებრივი ურთიერთობების მიმართ, რომლებიც აუცილებლად მოიცავს ორმხრივი შესრულებების განხორციელებას იმდენად, რამდენადაც ასეთი სამართლებრივი ურთიერთობის ხასიათი არ ეწინააღმდეგება ამას.

მუხლი 6:262 ორმხრივი უფლება, უარი ითქვას ვალდებულების შესრულებაზე მანამდე, სანამ მეორე მხარე არ განახორციელებს მასზე დაკისრებულ ვადამოსულ და შესასრულებელი ვალდებულებას („exception non adimpleti contractus“)

– 1. თუკი ორმხრივი ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე არ ასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებას მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი ვადამოსული და შესასრულებელია, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარე უფლებამოსილია, უარი ითქვას მასზე დაკისრებული იმ ვალდებულების შესრულებაზე, რაც უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების პირველი მხარის შეუსრულებელი ვალდებულების საპირისპიროდ.

– 2. ნაწილობრივი ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, ხელშეკრულების მეორე მხარე უფლებამოსილია უარი ითქვას შესრულებაზე მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს გამართლებულია ხელშეკრულების პირველი მხარის მიერ მასზე დაკისრებული ვალდებულების დარღვევით.

მუხლი 6:263 ვალდებულების შესრულებაზე უარის უფლება ხელშეკრულების მეორე მხარის მიერ მასზე დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობის საფრთხის არსებობისას

– 1. მხარე, რომელმაც პირველმა უნდა შეასრულოს მასზე დაკისრებული ვალდებულება, მაინც უფლებამოსილია უარი ითქვას შესრულებაზე, თუკი მან ორმხრივი ხელშეკრულების დადების შემდეგ შეიტყო იმ გარემოებების შესახებ, რომლებიც ამ მხარეს აძლევს იმის შიშის რეალურ საფუძველს, რომ ხელშეკრულების მეორე მხარე არ შეასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებას, რომელიც უნდა განხორციელდეს მისი ვალდებულების საპირისპიროდ.

– 2. იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა რეალური საფუძველი იმის შიშისა, რომ ხელშეკრულების მეორე მხარე თავის ვალდებულებას შეასრულებს მხოლოდ ნაწილობრივ ან არაჯეროვნად, მხარე, რომელმაც პირველმა უნდა შეასრულოს მასზე დაკისრებული ვალდებულება, უფლებამოსილია უარი ითქვას შესრულებაზე მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს გამართლებულია ხელშეკრულების მეორე მხარის მიერ მასზე დაკისრებული ვალდებულების დარღვევით.

მუხლი 6:264 ვალდებულების შესრულებაზე უარის უფლების ზოგადი ნორმების გამოყენების შეზღუდული შესაძლებლობა

სამოქალაქო კოდექსის 6:54 მუხლის (b) და (c) პუნქტებისა და 6:55 მუხლის ნორმები არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც მხარე უფლებამოსილია უარი ითქვას შესრულებაზე 6:262 ან 6:263 მუხლების საფუძველზე.

მუხლი 6:265 ორმხრივი ხელშეკრულებიდან გასვლა კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის გამო

- 1. მხარის მიერ მასზე დაკისრებული ერთ-ერთი ვალდებულების ყოველი დარღვევა ხელშეკრულების მეორე მხარეს აძლევს უფლებას, სრულად ან ნაწილობრივ გავიდეს ორმხრივი ხელშეკრულებიდან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ვალდებულების დარღვევა მისი კონკრეტული ხასიათისა თუ ნაკლები მნიშვნელობის გათვალისწინებით არ ამართლებს ასეთ ხელშეკრულებიდან გასვლასა და მის სამართლებრივ შედეგებს.
- 2. რამდენადაც ვალდებულების შესრულება არ არის მყარად ან დროებით შეუძლებელი, ორმხრივი ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება წარმოიშობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოვალე ვადაგადაცილებაშია.

მუხლი 6:266 ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება არა აქვს იმ კრედიტორს, რომელიც თავად იმყოფება ვადაგადაცილებაში

- 1. ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება ვერ დაეფუძნება მოვალის მიერ მასზე დაკისრებული იმ ვალდებულების შეუსრულებლობას, რომლის მიმართაც კრედიტორი თავად იმყოფება ვადაგადაცილებაში, როგორც ეს მითითებულია 6.1.8 განყოფილებაში.
- 2. თუმცა, თუ მოვალის მიერ მასზე დაკისრებული ვალდებულების ჯეროვანი შესრულება სრულად ან ნაწილობრივ შეუძლებელი ხდება იმ ვადის განმავლობაში, როდესაც კრედიტორი იმყოფება ვადაგადაცილებაში, მაშინ კრედიტორს შეუძლია გავიდეს ორმხრივი ხელშეკრულებიდან, თუკი მოვალემ საკუთარი ბრალით ან მისი დაქირავებული პირის ბრალით არ იზრუნა ვალდებულების შესრულებაზე იმგვარად, როგორც ეს მოცემულ გარემოებებში მისგან მოსალოდნელი შეიძლებოდა ყოფილიყო.

მუხლი 6:267 ორმხრივი ხელშეკრულებიდან გასვლის გზები

- 1. ორმხრივი ხელშეკრულებიდან გასვლა ხორციელდება ხელშეკრულებიდან გასვლაზე უფლებამოსილი მხარის ნერილობითი შეტყობინების მეშვეობით, რომელიც მიმართულია ამ ხელშეკრულების მეორე მხარისადმი. თუკი ორმხრივი ხელშეკრულება დადებულია მხოლოდ და მხოლოდ ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებებით, მისგან გასვლა ასევე შეიძლება განხორციელდეს ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებებით მეორე მხარისათვის წარდგენილი შეტყობინების გზით. შესაბამისად გამოიყენება 6:227a მუხლის პარ. 1-ის ნორმები.
- 2. ორმხრივი ხელშეკრულებიდან გასვლა შეიძლება განხორციელდეს ასევე ხელშეკრულებიდან გასვლაზე უფლებამოსილი მხარის სარჩელის (სასარჩელო მოთხოვნის) საფუძველზე მიღებული სასამართლოს გადაწყვეტილებით.

მუხლი 6:268 ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების ხანდაზმულობა

სასამართლოს გარეთ გაკეთებული განცხადების მეშვეობით ორმხრივი ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება ქარწყდება, როდესაც ხანდაზმული ხდება ორმხრივი ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნის უფლება. ეს ხანდაზმულობა ხელს არ უშლის სასამართლო წესით ან სასამართლოს გარეთ გაკეთებული განცხადების მეშვეობით განხორციელებულ ორმხრივი ხელშეკრულებიდან გასვლას, როგორც სარჩელის უფლების წინააღმდეგ სამართლებრივ დაცვას, ანდა – სხვა სამართლებრივი ზომების მიღებას, რომლებიც ეფუძნება აღნიშნულ ორმხრივ ხელშეკრულებას.

მუხლი 6:269 ხელშეკრულებიდან გასვლას არა აქვს უკუქცევითი ძალა

წინამდებარე განყოფილებაში გათვალისწინებულ ორმხრივი ხელშეკრულებიდან გასვლას არა აქვს უკუქცევითი ძალა გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოვალის მიერ მასზე დაკისრებული ვალდებულების შესრულების შეთავაზებას, რომელიც გაკეთდა უკვე კრედიტორის მიერ ორმხრივი ხელშეკრულებიდან გასვლის მიზნით სარჩელის (სასარჩელო მოთხოვნის) წარდგენის მომენტში, არ ექნება სამართლებრივი ძალა იმ შემთხვევაში, თუკი სასამართლო შემდგომში მიიღებს გადაწყვეტილებას აღნიშნული ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ.

მუხლი 6:270 ხელშეკრულებიდან ნაწილობრივი გასვლა

ორმხრივი ხელშეკრულებიდან ნაწილობრივი გასვლა გულისხმობს იმ ორმხრივი შესრულებების რაოდენობრივ ან ხარისხობრივ პროპორციულ შემცირებას, რომლებიც აღნიშნული ხელშეკრულების შესაბამისად უნდა განხორციელონ მხარეებმა.

მუხლი 6:271 ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივი შედეგები

ხელშეკრულებიდან გასვლა ათავისუფლებს მხარეებს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან (ყველა იმ ვალდებულებებისაგან, რომელიც გამომდინარეობს ორმხრივი ხელშეკრულებიდან). იმდენად, რამდენადაც აღნიშნული ვალდებულებები უკვე შესრულებულია, შესრულებისათვის სამართლებრივი საფუძველი ძალაში რჩება, თუმცა კანონი მხარეებს აკისრებს იმ შესრულებების უკან დაბრუნების ვალდებულებას, რომლებიც ხელშეკრულებიდან გასვლის ძალით მათ უკვე მიიღეს.

მუხლი 6:272 უკვე მიღებული შესრულების ღირებულების ანაზღაურების ვალდებულება

– 1. როდესაც მიღებული შესრულების ხასიათიდან გამომდინარე მისი დაბრუნება შეუძლებელია, მაშინ ის შეიცვლება იმ ღირებულების ანაზღაურებით, რომელიც გამოითვლება შესრულების მიღების მომენტისათვის არსებული მდგომარეობით.

– 2. როდესაც მიღებული შესრულება არ შეესაბამებოდა ვალდებულებას, პარ. 1-ში მითითებული ანაზღაურება შემოიფარგლება იმ სარგებლის ღირებულებით, რაც მიმღებმა მოცემულ გარემოებებში რეალურად მიიღო შესრულებიდან, რაც გამოითვლება შესრულების მიღების მომენტისათვის არსებული მდგომარეობით.

მუხლი 6:273 მიმღების მოვალეობა, იზრუნოს მიღებული შესრულების დაბრუნებაზე

იმ მომენტიდან, როდესაც მხარემ გონივრულად უნდა მიიღოს მხედველობაში ორმხრივი ხელშეკრულებიდან გასვლის შესაძლებლობა, ის უნდა დარწმუნდეს იმაში, რომ მან, როგორც წინდახედულმა მოვალემ, უნდა შეძლოს იმ შესრულების დაბრუნება, რაც მას ეკისრება ხელშეკრულებიდან გასვლის შემდეგ. შესაბამისად გამოიყენება სამოქალაქო კოდექსის 6:78 მუხლის ნორმები.

მუხლი 6:274 შესრულების არაკეთილსინდისიერად განხორციელება

თუკი მიუხედავად მოსალოდნელი ხელშეკრულებიდან გასვლისა, მხარემ არაკეთილსინდისიერად მოახდინა შესრულების მიღება, მაშინ ხელშეკრულებიდან გასვლის შემდეგ ეს მხარე მის მიერ შესრულების მიღების მომენტიდან მიიჩნევა ვადაგადაცილებულად.

მუხლი 6:275 ნაყოფი, ხარჯები და ზიანი

ის, რაც სამოქალაქო კოდექსის 3:120, 3:121, 3:123 და 3:124 მუხლებში გათვალისწინებულია ნაყოფის მიღების უფლებამოსილებასთან დაკავშირებით და ასევე – ხარჯებისა და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, შესაბამისად გამოიყენება მიმღების კონტროლის ქვეშ არსებული იმ შესრულების მიმართ, რომელიც ექვემდებარება დაბრუნებას ორმხრივი ხელშეკრულებიდან გასვლის ფაქტის გამო.

მუხლი 6:276 ქმედუნარო მიმღები

როდესაც ქმედუნარო პირმა მიიღო შესრულება, რომელიც ექვემდებარება დაბრუნებას ორმხრივი ხელშეკრულებიდან გასვლის ფაქტის გამო, წინამდებარე განყოფილების კანონისმიერი ნორმები გამოიყენება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც შესრულება რეალურად სარგებლიანი იყო მიმღებისათვის ანდა ის განხორციელდა მისი კანონიერი წარმომადგენლის კონტროლის ქვეშ.

მუხლი 6:277 ხელშეკრულებიდან გასვლასთან ერთად ზიანის ანაზღაურება

– 1. როდესაც მოხდა ორმხრივი ხელშეკრულებიდან სრულად ან ნაწილობრივ გასვლა, იმ მხარემ, რომლის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობამაც შექმნა ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველი, უნდა აანაზღაუროს ის ზიანი, რასაც ხელშეკრულების მეორე მხარე განიცდის იმ ფაქტის შედეგად, რომ ორივე მხარემ არ შეასრულა ხელშეკრულების პირობები.

– 2. თუკი ვალდებულების შეუსრულებლობა მოვალეს ვერ შეერაცხება, მაშინ წინა პარაგრაფი გამოიყენება მხოლოდ 6:78 მუხლით გათვალისწინებულ ფარგლებში.

მუხლი 6:278 თავდაპირველი ღირებულებითი პროპორციის აღდგენის მიზნით განხორციელებული დამატებითი გადახდა

– 1. იმ მხარემ, რომელმაც გადანყვიტა, გავიდეს უკვე შესრულებული ხელშეკრულებიდან მას შემდეგ, რაც ყოველი მხარის მიერ ორმხრივად განსაზღვრული შესრულებების ღირებულებითი პროპორცია მის სასარგებლოდ შეიცვალა, უნდა აღადგინოს თავდაპირველი ღირებულებითი პროპორცია დამა-

ტებითი გადახდის განხორციელების გზით, თუკი სავარაუდოა, რომ ის არ გავიდოდა ხელშეკრულებიდან ღირებულებაში აღნიშნული ცვლილებების გარეშე.

– **2.** წინა პარაგრაფი შესაბამისად გამოიყენება იმ ვითარების მიმართ, როდესაც მხარე, ვის სასარგებლოდაც შეიცვალა ღირებულებითი პროპორცია, იყენებს სხვა სარჩელებსა თუ სამართლებრივი დაცვის საშუალებებს, ნაცვლად ხელშეკრულებიდან გასვლისა, უკვე მიღებული შესრულებების უკან დაბრუნების მიზნის მისაღწევად, თუკი სავარაუდოა, რომ ის არ აირჩევდა აღნიშნულ სარჩელსა თუ სამართლებრივი დაცვის საშუალებას ღირებულებაში იმ შესრულებათა ცვლილების გარეშე, რომლებიც ექვემდებარება უკან დაბრუნებას.

მუხლი 6:279 მრავალმხრივი ხელშეკრულებები

– **1.** ორმხრივი ხელშეკრულებების მომწესრიგებელი კანონიერების ნორმები შესაბამისად გამოიყენება იმ ხელშეკრულებების მიმართ, რომლებიც დაუყოვნებლივ წარმოშობს ვალდებულებებს ორზე მეტ მხარეს შორის ქვემოთ მოცემული პარაგრაფების ნორმათა ჯეროვანი დაცვით და ასევე – იმ ფარგლებში, რომლებშიც ხელშეკრულების ბუნება არ ეწინააღმდეგება ასეთი გამოყენების შესაძლებლობას.

– **2.** იმ მხარეს, რომელმაც მრავალმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულება იკისრა იმ მიზნით, რომ მიიღოს შესრულება ხელშეკრულების ერთი ან რამდენიმე სხვა მხარისაგან, შეუძლია თავისი ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება დააფუძნოს მის მიმართ შესასრულებელი ვალდებულების დარღვევის ფაქტს.

– **3.** იმ შემთხვევებში, როდესაც მხარე, რომელსაც აქვს წინამდებარე მუხლში მითითებული ურთიერთდაკავშირებული უფლებები და ვალდებულებები, თავად არ ასრულებს ვალდებულებას, სხვა მხარეებს ნებისმიერ შემთხვევაში შეუძლიათ ერთობლივად გავიდნენ მრავალმხრივი ხელშეკრულებიდან.

მე-7 ნიშნი – ცალკეული ხელშეკრულებები

ტიტული 7.1 – ნასყიდობა და გაცვლა

განყოფილება 7.1.1 – ნასყიდობის ხელშეკრულებების შესახებ ზოგადი დებულებები

მუხლი 7:1 „ნასყიდობის ხელშეკრულების“ განმარტება

ნასყიდობა არის ხელშეკრულება, რომლითაც ერთ-ერთი მხარე კისრულობს ვალდებულებას, გადასცეს ნივთი, ხოლო მეორე მხარე კი კისრულობს, სანაცვლოდ გადაიხადოს ფულად თანხაში გამოხატული ნასყიდობის ფასი.

მუხლი 7:2 საცხოვრებელი სახლის ნასყიდობა

– 1. იმ უძრავი ნივთის ან მისი შემადგენელი ნაწილის ნასყიდობა, რომელიც განკუთვნილია საცხოვრებელი სახლის სახით გამოყენებისათვის, უნდა დაიდოს წერილობით, თუკი მყიდველი წარმოადგენს ფიზიკურ პირს, ვინც ხელშეკრულების დადებისას არ მოქმედებს თავისი პროფესიული თუ სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში.

– 2. აღნიშნული მიზნისათვის მხარეთა შორის შედგენილი კერძო აქტი ან მისი ასლი უნდა გადაეცეს მყიდველს დათარიღებული ქვითრის გაცემის სანაცვლოდ, თუკი გამყიდველს ეს სურს. მყიდველისათვის აქტის ან მისი ასლის გადაცემიდან სამი დღის განმავლობაში მყიდველს აქვს უფლება, გააუქმოს ნასყიდობის ხელშეკრულება („რეფლექციის პერიოდი“). როდესაც მყიდველის მიერ ამ უფლების გამოყენებიდან ექვსი თვის განმავლობაში იგივე მხარეები იმავე უძრავ ნივთთან ან მის შემადგენელ ნაწილთან დაკავშირებით კვლავ დადებენ ახალ ნასყიდობის ხელშეკრულებას, მაშინ აღნიშნული ხელშეკრულების გაუქმების უფლება ხელახლა არ წარმოიშობა.

– 3. პარ. 1 და 2-ის ნორმები შესაბამისად გამოიყენება მონაწილეობისა თუ წევრობის იმ უფლებათა ნასყიდობის მიმართ, რომლითაც ხდება იმ უძრავი ნივთით ან მისი შემადგენელი ნაწილით სარგებლობის უფლებამოსილების მინიჭება, რომელიც განკუთვნილია საცხოვრებელი სახლის სახით გამოყენებისათვის.

– 4. დაუშვებელია მყიდველის ინტერესების საზიანოდ პარ. 1-დან 3-ის ჩათვლით პარაგრაფების ნორმებიდან გადახვევა, გარდა სამოქალაქო კოდექსის 6:214 მუხლში მითითებული სტანდარტული რეგულაციებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

– 5. პარ. 1-დან 4-ის ჩათვლით პარაგრაფების ნორმები არ გამოიყენება იჯარა-გამოსყიდვის უფლებით ნასყიდობის ხელშეკრულებებისა თუ საჯარო აუქციონზე ნოტარიუსის თანდასწრებით დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებების მიმართ. ეს ნორმები არ მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, როდესაც ხელშეკრულება მოქცეულია ასევე 7:50a მუხლის (c) ან (f) პუნქტებში მითითებული კონტრაქტის ცნების გამოყენების სფეროში.

მუხლი 7:3 ნაყიდი უძრავი ქონების გადაცემისათვის მყიდველის სავალო მოთხოვნის რეგისტრაცია

– 1. რეგისტრირებული ქონების შეძენა შეიძლება გატარდეს რეგისტრაციაში სამოქალაქო კოდექსის 3.1.2 განყოფილებაში მითითებული რეგისტრირებული ქონების საჯარო რეესტრებში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გამყიდველი ჯერ კიდევ ვერ შეძლებდა რეგისტრაციის მომენტში გაყიდული ქონებისა თუ შემადგენელი ნაწილის გადაცემას სამოქალაქო კოდექსის 3:97 მუხლში გათვალისწინებული გამონაკლისის გამო წინასწარ სამომავლო რეგისტრირებული ქონების გადაცემასთან დაკავშირებით. იმ უძრავი ნივთის ან მისი შემადგენელი ნაწილის გაყიდვისას, რომელიც განკუთვნილია საცხოვრებელი სახლის სა-

ხით გამოყენებისათვის, დაუშვებელია წინა წინადადებების ნორმებიდან გადახვევა იმ მყიდველის ინტერესების საზიანოდ, ვინც წარმოადგენს ფიზიკურ პირს და ხელშეკრულების დადებისას არ მოქმედებს თავისი პროფესიული თუ სამეცნიერო საქმიანობის ფარგლებში.

– 2. 7:2 მუხლის პარ. 2-ში მითითებული რეფლექციის პერიოდის განმავლობაში ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მყიდველის სავალო მოთხოვნა შეიძლება გატარდეს რეგისტრაციაში რეგისტრირებული ქონების საჯარო რეესტრებში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ნასყიდობის ხელშეკრულების აქტი შედგენილი და დადასტურებულია ნიდერლანდებში მოქმედი ნოტარიუსის მიერ.

– 3. დაუშვებელია ქვემოთ მოცემული უფლებებისა და გარემოებების გამოყენება იმ მყიდველის მიმართ, რომლის სავალო მოთხოვნაც გატარდა რეგისტრაციაში რეგისტრირებული ქონების საჯარო რეესტრებში:

a. გამყიდველის მიერ შესაბამისი ქონებისა თუ შემადგენელი ნაწილის გასხვისება ან უფლებრივი დატვირთვა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს გასხვისება ან უფლებრივი დატვირთვა წარმოადგენს ადრე რეგისტრირებული ნასყიდობის ხელშეკრულების შედეგს ანდა მას ადგილი ჰქონდა აღნიშნულ ქონებასა თუ შემადგენელი ნაწილის გადაცემის მოთხოვნის უფლების ძალით, რომლის სავალო მოთხოვნასაც სამოქალაქო კოდექსის 3:298 მუხლის თანახმად ენიჭება უპირატესობა რეგისტრირებულ სავალო მოთხოვნასთან შედარებით, ხოლო ამ უკანასკნელი სავალო მოთხოვნის რეგისტრაციის მომენტში კი მყიდველმა, რომელიც უფლებამოსილია აღნიშნულ რეგისტრირებულ სავალო მოთხოვნაზე, უკვე იცოდა იმის შესახებ, რომ ეს სხვა სავალო მოთხოვნა არსებობდა ანდა შესაბამისი ქონებისა თუ შემადგენელი ნაწილის გადაცემის უზრუნველყოფის მიზნით გამყიდველისათვის ჩაბარებული დაცვითი დროებითი ყადაღის შესახებ დადგენილება უკვე გატარდა რეგისტრაციაში რეგისტრირებული ქონების საჯარო რეესტრებში;

b. გასხვისება ან უფლებრივი დატვირთვა, რომელსაც ადგილი აქვს გამყიდველის მიერ გასხვისებისა თუ უფლებრივი დატვირთვის გაგრძელების სახით, როგორც ეს მითითებულია წინამდებარე მუხლის (a) პუნქტში;

c. შესაბამისი ქონებისა თუ შემადგენელი ნაწილის განთავსება მინდობით მართვის ქვეშ, რომლის დაცვითი ზომა მიღებულ იქნა მყიდველის სავალო მოთხოვნის რეგისტრაციის შემდეგ, ხოლო თუკი ეს აღნიშნულ მომენტამდე მოხდა, – რომელიც არ ჯერ გატარებულა რეგისტრაციაში რეგისტრირებული ქონების საჯარო რეესტრებში მყიდველის სავალო მოთხოვნის რეგისტრაციის მომენტისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მყიდველმა, რომელსაც ეკუთვნის რეგისტრირებული სავალო მოთხოვნა, ამ მომენტისათვის უკვე იცოდა იმის შესახებ, რომ მინდობით მართვა არსებობდა;

d. შესაბამისი ქონებისა თუ შემადგენელი ნაწილის გაქირავება, რაც მოხდა მყიდველის მიერ თავისი სავალო მოთხოვნის რეგისტრაციის შემდეგ;

e. სამოქალაქო კოდექსის 6:252 მუხლში მითითებული ხარისხობრივი ვალდებულება, რომელიც რეგისტრაციაში გატარდა მყიდველის სავალო მოთხოვნის შემდეგ;

f. ყადაღა იძულებითი რეალიზაციის ან დაცვითი დროებითი ყადაღის საფუძველზე, რომლის დადგენილებაც რეგისტრაციაში გატარდა მყიდველის სავალო მოთხოვნის შემდეგ;

g. სასამართლოს გადანყვეტილება, რომლითაც გამყიდველი ცხადდება გაკოტრებულად, მის მიერ ან მის მიმართ დგინდება მორატორიუმი ფულად გადახდებზე ანდა გამყიდველი ვარდება ფიზიკური პირებისათვის არსებული ვალების დაფარვის სქემაში, და ასევე – რომელიც რეგისტრაციაში გატარდა იმ დღის შემდეგ, როდესაც განხორციელდა მყიდველის სავალო მოთხოვნის რეგისტრაცია.

– 4. პარ. 3-ში გათვალისწინებული მყიდველის სავალო მოთხოვნის რეგისტრაციის სამართლებრივი საფუძვლები ქარწყლდება უკუქცევითი ძალით, თუკი გაყიდული ქონებისა თუ შემადგენელი ნაწილის გადაცემა მყიდველისათვის არ ხდება ექვსი თვის განმავლობაში მყიდველის სავალო მოთხოვნის რეგისტრაციის დღიდან. გარდა აღნიშნულისა, ამ შემთხვევაში კანონი უკუქცევითი ძალით აუქმებს იმ პრეზუმფციას, რომლის თანახმადაც ნებისმიერი პირისათვის ცნობილი იქნებოდა მყიდველის სავალო მოთხოვნის არსებობის შესახებ, მას რომ რეგისტრირებული ქონების საჯარო რეესტრებში შესაბამისი კონსულტაცია მიეღო.

– 5. იმ დღიდან ექვსთვიანი ვადის განმავლობაში, როდესაც რეგისტრაციამ დაკარგა თავისი სამართლებრივი შედეგები, იგივე მხარეები ვერ შეძლებენ იმ ნასყიდობის ხელშეკრულების რეგისტრაციას, რომელიც ეხება იმავე ქონებას.

– 6. მყიდველის სავალო მოთხოვნის რეგისტრაციას შეიძლება ადგილი ჰქონდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ნასყიდობის ხელშეკრულების აქტი მოიცავს ნოტარიუსის ხელმოწერილ და დათარიღებულ

განცხადებას, რომელშიც მოცემულია მისი გვარი, სახელი, ოფისის მისამართი და – ასევე განმარტებულია, რომ წინამდებარე მუხლის პარ. 1, 2 და 5-ის ნორმები ხელს არ უშლის მყიდველის სავალო მოთხოვნის რეგისტრაციას.

– 7. პარ. 1-დან 6-ის ჩათვლით ნორმები არ გამოიყენება იჯარა-გამოსყიდვის უფლებით ხელშეკრულებების მიმართ.

მუხლი 7:4 ნასყიდობის ფასი

როდესაც ნასყიდობის ხელშეკრულება დაიდო ნასყიდობის ფასის განსაზღვრის გარეშე, მყიდველმა უნდა გადაიხადოს გონივრული თანხა. ამ უკანასკნელის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება ის ფასები, რომლებსაც ჩვეულებრივ იღებს გამყიდველი ნასყიდობის ხელშეკრულების დადების მომენტში.

მუხლი 7:5 სამომხმარებლო ნასყიდობის ხელშეკრულებები

– 1. წინამდებარე ტიტულში „სამომხმარებლო ნასყიდობის“ ცნებაში მოიაზრება: იმ გამყიდველის მიერ საქონელთან (მოძრავი ნივთთან), მათ შორის, ელექტროენერგიასთან დაკავშირებით დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება, ვინც ხელშეკრულების დადებისას მოქმედებს თავისი პროფესიული თუ სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში, ხოლო მყიდველი კი, არის რა ფიზიკური პირი, ხელშეკრულების დადებისას არ მოქმედებს თავისი პროფესიული თუ სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში.

– 2. როდესაც საქონელი (მოძრავი ნივთი) იყიდება იმ წარმომადგენლის მიერ, ვინც თავისი მარწმუნებლის სახელით ხელშეკრულების დადებისას მოქმედებს თავისი პროფესიული თუ სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში, ნასყიდობა მიიჩნევა სამომხმარებლო ნასყიდობად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელშეკრულების დადების დროს მყიდველისათვის ცნობილია, რომ მარწმუნებელი არ მოქმედებს თავისი პროფესიული თუ სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში.

– 3. წინა პარაგრაფების ნორმები არ მოქმედებს, თუკი ხელშეკრულება ეხება მომხმარებლისათვის მილსადენის ქსელით წყლის მიწოდებას.

– 4. თუკი მისაწოდებელი საქონელი (მოძრავი ნივთი) ჯერ უნდა დამზადდეს, ხოლო ის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც უნდა განხორციელდეს მიწოდება, აკმაყოფილებს სამოქალაქო კოდექსის 7:750 მუხლის აღწერილობას, მაშინ ხელშეკრულება მიიჩნევა სამომხმარებლო ნასყიდობად, თუკი ხელშეკრულება იდება მენაშენე-მენარდის მიერ, რომელიც ხელშეკრულების დადებისას მოქმედებს თავისი პროფესიული თუ სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში, ხოლო ხელშეკრულების მეორე მხარე კი, არის რა ფიზიკური პირი, ხელშეკრულების დადებისას არ მოქმედებს თავისი პროფესიული თუ სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში. წინამდებარე ტიტულისა და 7.12.1 განყოფილების ნორმები მოქმედებს ერთდროულად. იმ შემთხვევებში, როდესაც აღნიშნული შედეგად იწვევს ამ ნორმათა კოლიზიას, გამოიყენება წინამდებარე ტიტულის ნორმები.

მუხლი 7:6 კანონის იმპერატიული ნორმები

– 1. სამომხმარებლო ნასყიდობის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით დაუშვებელია მყიდველის ინტერესების საზიანოდ 7.1.1 განყოფილებიდან 7.1.7 განყოფილების ჩათვლით ნორმებიდან გადახვევა და ასევე – დაუშვებელია იმ უფლებებისა თუ სამართლებრივი დაცვის საშუალებების შეზღუდვა ან გამორიცხვა, რომლებიც მყიდველს აქვს კანონის შესაბამისად გამყიდველის მიერ მასზე დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

– 2. პარ. 1-ის ნორმები არ გამოიყენება 7:11, 7:12, 7:13, 7:26 და 7:35 მუხლების მიმართ, თუმცა არაგონივრულად მძიმედ მიიჩნევა ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში მოცემული ის დათქმები, რომლებიც გვერდს უვლის აღნიშნულ მუხლებს მყიდველის ინტერესების საზიანოდ.

– 3. იმ სამომხმარებლო ნასყიდობის ხელშეკრულების გამოყენების შესაძლებლობით, რომელიც არ ითვალისწინებს ან მხოლოდ ნაწილობრივ ითვალისწინებს სამომხმარებლო საქონლის ნასყიდობის განსაზღვრული ასპექტებისა და მასთან დაკავშირებული გარანტიების შესახებ 1999 წლის 25 მაისის 1999/44/EC ევროპული პარლამენტის დირექტივით გათვალისწინებულ დაცვას (OJ L 171, p. 12-16), ვერ მიიღწევა ის შედეგი, რომ მყიდველმა დაკარგოს მისთვის ამ დირექტივის საფუძველზე ევროკავშირის წევრი სახელმწიფოსა თუ ევროპული ეკონომიკური ზონის შეთანხმების მონაწილე იმ სახელმწიფოს კანონის იმპერატიული ნორმებით შეთავაზებული დაცვა, სადაც მყიდველს აქვს თავისი ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი.

მუხლი 7:6a მიცემული გარანტიები

– 1. თუკი სამომხმარებლო ნასყიდობის ხელშეკრულების შემთხვევაში, გამყიდველმა ან მწარმოებელმა გარანტიით იკისრა, რომ გაყიდულ საქონელს (მოძრავ ნივთს) აქვს განსაზღვრული თვისებები და რომ მყიდველს იმ შემთხვევაში, თუკი საქონელს (მოძრავ ნივთს) არ ექნება ერთი ან რამდენიმე ასეთი თვისება, მიენიჭება განსაზღვრული უფლებები (სარჩელები) ან სამართლებრივი დაცვის საშუალებები, მაშინ მყიდველს შეუძლია განახორციელოს ეს უფლებები (სარჩელები) ან სამართლებრივი დაცვის საშუალებები ყველა სხვა იმ უფლებების (სარჩელების) ან სამართლებრივი დაცვის საშუალებების გამოყენების შეზღუდვის გარეშე, რომელთა რეალიზაციაც მას შეუძლია კანონის შესაბამისად.

– 2. გარანტია უნდა შეიცავდეს ნათელ და გასაგებ ფორმულირებას იმის შესახებ, რომ მყიდველს ენიჭება პარ. 1-ში მითითებული უფლებები (სარჩელები) ან სამართლებრივი დაცვის საშუალებები და ის ცალსახად უნდა მიუთითებდეს, რომ მყიდველს აქვს ეს უფლებები (სარჩელები) ან სამართლებრივი დაცვის საშუალებები კანონით მისთვის მინიჭებული უფლებების (სარჩელების) ან სამართლებრივი დაცვის საშუალებების გამოყენების შეზღუდვის გარეშე. გარდა აღნიშნულისა, გარანტიაში უნდა მიეთითოს ასევე გარანტიის წარმდგენი გამყიდველისა თუ მწარმოებლის გვარი და მისამართი, ისევე როგორც – გარანტიის მოქმედების ვადა და არეალი.

– 3. თუკი მყიდველს ასე სურს, პარ. 2-ში მითითებული ინფორმაცია (მონაცემები) მისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. აღნიშნული უნდა გაკეთდეს წერილობითი ფორმით ან მისთვის ხანგრძლივად ხელმისაწვდომი სხვაგვარი საშუალებით.

– 4. მყიდველი ასევე უფლებამოსილია მისთვის გამყიდველის ან მწარმოებლის მიერ საგარატიო სერტიფიკატში მინიჭებულ უფლებებზე (სარჩელებზე) ან სამართლებრივი დაცვის საშუალებებზე, თუკი გაყიდულ საქონელს (მოძრავ ნივთს) არა აქვს ის თვისებები, რომლებიც შეპირებულ იქნა აღნიშნული გამყიდველის ან მწარმოებლის რეკლამაში.

– 5. წინამდებარე მუხლის მიზნებისათვის ქვემოთ მოცემულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა: „გარანტია“: პარ. 1-ში მითითებული შეპირება, რომელიც მოცემულია საგარატიო სერტიფიკატსა თუ რეკლამაში;

„მწარმოებელი“: გაყიდული საქონლის დამამზადებელი, პირი, რომელმაც მოახდინა საქონლის იმპორტი ევროპის ეკონომიკური ზონის ტერიტორიაზე, ისევე როგორც – ნებისმიერი ის პირი, ვინც თავის თავს წარადგენს როგორც საქონლის მწარმოებელი პროდუქციაზე თავისი სახელის, სავაჭრო თუ სხვა განმასხვავებელი ნიშნის განთავსებით.

მუხლი 7:7 მოთხოვნის გარეშე მიწოდებული საქონელი და მომსახურება

– 1. იმ პირს, რომელმაც მიიღო საქონელი (მოძრავი ნივთი) და ასევე გონივრულად შეუძლია ივარაუდოს, რომ ეს საქონელი მას გაუგზავნეს ნასყიდობის ხელშეკრულების დადებამდე დაყოლიების მიზნით, უფლება აქვს, მიუხედავად გამგზავნის ნებისმიერი სხვაგვარი განცხადებისა, დაიტოვოს საქონელი უსასყიდლოდ (სამაგიერო შესრულების გარეშე), გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამ საქონლის გაგზავნა მისი თხოვნით მოხდა.

– 2. დაუშვებელია განსაზღვრული ფასის გადახდის მოთხოვნით შეუკვეთავი საქონლის (მოძრავი ნივთის) იმ ფიზიკური პირისათვის გაგზავნა, ვინც ამ საქონლის მიღებისას არ მოქმედებდა თავისი პროფესიული თუ სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში. თუ, მიუხედავად აღნიშნულისა, საქონელი (მოძრავი ნივთი) მაინც გაიგზავნა, როგორც ეს მითითებულია პირველ წინადადებაში, მაშინ შესაბამისად გამოიყენება პარ. 1-ის ნორმა, რომელიც ეხება უსასყიდლოდ (სამაგიერო შესრულების გარეშე) საქონლის დატოვების უფლების მინიჭებას.

– 3. თუკი მიღები პარ. 1 ან 2-ში აღნიშნულ შემთხვევებში საქონელს უკან აგზავნის, გადაგზავნის ხარჯი დაეკისრება გამგზავნს.

– 4. პარ. 2 შესაბამისად გამოიყენება იმ ფიზიკური პირისათვის შესრულებული შეუკვეთავი მომსახურების მიმართ, ვინც ამ მომსახურების მიღებისას არ მოქმედებს თავისი პროფესიული თუ სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში.

მუხლი 7:8 ახლადშენებული სახლის ნასყიდობა

ახლადშენებული ანდა უძრავი ნივთისა თუ მისი შემადგენელი ნაწილისაგან არსებული ჯერ კიდევ ასაშენებელი სამომავლო სახლის გაყიდვისას და ასევე – თუკი მყიდველი წარმოადგენს იმ ფიზიკურ პირს, ვინც ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას არ მოქმედებს თავისი პროფესიული თუ სამეწარმეო საქმიანო-

ბის ფარგლებში, ნასყიდობის ხელშეკრულების მიმართ შესაბამისად გამოიყენება 7:767 და 7:768 მუხლები. დაუშვებელია მყიდველის ინტერესების საზიანოდ აღნიშნული ნორმიდან გადახვევა, გარდა სამოქალაქო კოდექსის 6:214 მუხლში მითითებული სტანდარტული რეგულაციებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

განყოფილება 7.1.2 – გამყიდველის კანონისმიერი მოვალეობები და ვალდებულებები

მუხლი 7:9 გამყიდველის ძირითადი ვალდებულებები

– 1. გამყიდველი ვალდებულია მოახდინოს გაყიდული ობიექტისა და მისი საკუთვნილების საკუთრებაში გადაცემა და მიწოდება. საკუთვნილებელი მოიცავს საკუთრების უფლების დამადასტურებელ აქტსა და სხვა დამატებით დოკუმენტებს; იმდენად, რამდენადაც გამყიდველს აქვს ამ დოკუმენტების სათავისოდ დატოვების ინტერესი, მან მყიდველის მოთხოვნის საფუძველზე და მისვე ხარჯზე უნდა გადასცეს მას მხოლოდ დოკუმენტის დუბლიკატი ან ამ დოკუმენტიდან ამონარიდი.

– 2. ტერმინი „მიწოდების“ ქვეშ მოიაზრება მოქმედება, რომლითაც გამყიდველი გაყიდულ ობიექტზე მყიდველს გადასცემს მფლობელობას.

– 3. პირობადებული საკუთრების უფლებით ნასყიდობის შემთხვევაში ტერმინი „მიწოდების“ ქვეშ მოიაზრება მოქმედება, რომლითაც გაყიდული ობიექტი მყიდველის კონტროლის ქვეშ თავსდება.

მუხლი 7:10 რისკების გადასვლა

– 1. იმ მომენტიდან, როდესაც გაყიდული ობიექტი მიეწოდება მყიდველს, ამ უკანასკნელს ეკისრება ამ ობიექტთან დაკავშირებული ყველა რისკი იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც საკუთრების უფლება მყიდველზე ჯერ არ გადაცემულა. შესაბამისად, მყიდველმა მანაც უნდა განახორციელოს ნასყიდობის ფასის გადახდა, თუკი გაყიდული ობიექტი განადგურდა ან დაზიანდა იმ მიზეზით, რომელიც ვერ შეეარაცხება გამყიდველს.

– 2. იგივე წესი ეხება ასევე იმ მომენტს, როდესაც მყიდველი ახდენს იმ მოქმედების შესრულების ვადის გადაცილებას, რომლის მეშვეობითაც მან უნდა მიიღოს მონაწილეობა ობიექტის მიწოდებაში. როდესაც გაყიდული ობიექტი განისაზღვრება მხოლოდ მისი სახეობით, მაშინ მყიდველის მხრიდან ვადის გადაცილების შედეგს წარმოადგენს მხოლოდ ის, რომ რისკები გადადის მასზე იმ შემთხვევაში, როდესაც გამყიდველმა მოახდინა იმ კონკრეტულ ობიექტზე მითითება, რომლითაც ის შეასრულებს მასზე ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დაკისრებულ ვალდებულებას და მან ასევე წინასწარ შეატყობინა ამის შესახებ მყიდველს.

– 3. თუკი მყიდველი მიუთითებს ნასყიდობის ხელშეკრულებაზე თავისი უარის უფლებისა თუ გაყიდული ობიექტის შეცვლის მოთხოვნის სათანადო საფუძველებზე, მაშინ ამ ობიექტთან დაკავშირებული რისკები რჩება გამყიდველზე დაკისრებული.

– 4. როდესაც ობიექტი მიეწოდა მყიდველს, თუმცაღა, მიუხედავად ამისა, მასთან დაკავშირებული რისკები რჩება გამყიდველზე დაკისრებული, მაშინ მყიდველის ბრალით ამ ობიექტის განადგურება თუ გაუარესება ასევე ექვემდებარება გამყიდველის ხარჯზე ანაზღაურებას. თუმცაღა, იმ მომენტიდან, როდესაც მყიდველს გონივრულად უნდა მიეღო მხედველობაში ის ფაქტი, რომ მას შესაძლოა მოუწევდა ობიექტის დაბრუნება, მან უნდა იზრუნოს ამისათვის ისე, როგორც ამას წინდახედული მოვალე მოახდენდა და უზრუნველყოფდა ობიექტის შენარჩუნებას; ასეთ შემთხვევაში შესაბამისად გამოიყენება სამოქალაქო კოდექსის 6:78 მუხლის ნორმები.

მუხლი 7:11 რისკების გადასვლა სამომხმარებლო ნასყიდობის ხელშეკრულების შემთხვევაში

როდესაც სამომხმარებლო ნასყიდობის ხელშეკრულების შემთხვევაში გამყიდველი ან მის მიერ განსაზღვრული გამომწოდებელი გაყიდული ობიექტის გადაცემას ახდენს მყიდველის მისამართზე, ამ უკანასკნელს მხოლოდ იმ მომენტიდან ეკისრება ამ ობიექტთან დაკავშირებული რისკები, როდესაც ობიექტის გადაცემა მოხდა მის მისამართზე იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ამ ობიექტის მიწოდება უკვე განხორციელდა 7:9 მუხლის ნორმათა გაგებით.

მუხლი 7:12 მიწოდების ხარჯები, საქონლის მიღება და სამართლებრივი გადაცემა

– 1. გამყიდველს ეკისრება საქონლის მიწოდების ხარჯები, მათ შორის, – ანონვისა და დათვლის ხარჯები.

– 2. მყიდველს ეკისრება საქონლის მიღების ხარჯები და ასევე ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებასა და საკუთრების უფლების გადაცემასთან დაკავშირებული ხარჯები.

მუხლი 7:13 მიწოდების ხარჯები სამომხმარებლო ნასყიდობის ხელშეკრულების შემთხვევაში

როდესაც სამომხმარებლო ნასყიდობის ხელშეკრულების შემთხვევაში გამყიდველი ან მის მიერ განსაზღვრული გადამზიდავი გაყიდული ობიექტის გადაცემას ახდენს მყიდველის მისამართზე, გამყიდველს შეუძლია მოითხოვოს გადაცემის ხარჯების ანაზღაურება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ხელშეკრულების დადების მომენტში მან ინდივიდუალურად მოახდინა ამ ხარჯების შესახებ შეტყობინება ანდა – იმ მონაცემთა წარდგენა, რომელთა საფუძველზეც ის შეძლებს ასეთი ხარჯების გამოთვლას. იგივე წესი მოქმედებს ასევე ნასყიდობასთან დაკავშირებით გამყიდველის მიერ მყიდველის სახელით განხორციელებული სხვა სახის საქმიანობისათვის მოთხოვნილი ხარჯებისათვისაც.

მუხლი 7:14 გაყიდული ობიექტის ნაყოფი (სარგებელი)

იმ დღიდან, როდესაც გაყიდული ობიექტი მიეწოდა მყიდველს, ამ ობიექტის ნაყოფი (სარგებელი) ეკუთვნის მყიდველს იმ პირობით, რომ სამოქალაქო ნაყოფის (სარგებლის) გამოთვლა დღიურად მოხდება.

მუხლი 7:15 მიწოდება მიუღებელი უფლებრივი ტვირთისა და შეზღუდვების გარეშე

– 1. გამყიდველი ვალდებულია, გაყიდულ ობიექტზე მყიდველს საკუთრების უფლება გადასცეს ნებისმიერი უფლებრივი ტვირთისა და შეზღუდვების გარეშე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთ უფლებრივ ტვირთსა და შეზღუდვებს აშკარად ეთანხმება მყიდველი.

– 2. მიუხედავად ნებისმიერი სხვაგვარი სახელშეკრულებო დებულებისა, გამყიდველი იძლევა იმ ფაქტებიდან გამომდინარე უფლებრივი ტვირთისა და შეზღუდვების არარსებობის გარანტიას, რომლებიც შეიძლება გატარდეს რეგისტრაციაში საჯარო რეესტრებში, თუმცა ისინი არ ყოფილა რეგისტრირებული ამ რეესტრებში ნასყიდობის ხელშეკრულების დადების მომენტისათვის.

მუხლი 7:16 მხარდაჭერა სასამართლო დავებში

როდესაც სარჩელის (სასარჩელო მოთხოვნის) წარდგენა ხდება მყიდველის მიმართ შეძენილი ობიექტის რეალიზაციის (იძულებით გაყიდვის) ან მესამე პირის იმ უფლებისა თუ სამართლებრივი საფუძვლით აღიარების მიზნით, რომლითაც ეს ობიექტი არ უნდა ყოფილიყო უფლებრივად დატვირთული, მაშინ გამყიდველი ვალდებულია, ჩაერთოს სასამართლო დავის განხილვაში მყიდველის ინტერესების დაცვის მიზნით.

მუხლი 7:17 ნასყიდობის ხელშეკრულებასთან შესაბამისობა

– 1. მიწოდებული ობიექტი უნდა შეესაბამებოდეს ნასყიდობის ხელშეკრულების პირობებს.

– 2. აღნიშნული ობიექტი არ შეესაბამება ნასყიდობის ხელშეკრულების პირობებს, თუკი მას არა აქვს ის ნიშან-თვისებები, რომელთა არსებობის მოლოდინიც მყიდველს ხელშეკრულების საფუძველზე შეიძლება ჰქონოდა ობიექტის ბუნებისა და ასევე მის თაობაზე გამყიდველის განცხადებების გათვალისწინებით. მყიდველს აქვს მოლოდინი იმისა, რომ ობიექტს ექნება ის ნიშან-თვისებები, რომლებიც აუცილებელია მისი ჩვეულებრივი გამოყენებისათვის და ასევე მას არ მოუწევს მათი არსებობის ეჭვქვეშ დაყენება, ისევე როგორც – ის ნიშან-თვისებები, რომლებიც აუცილებელია ობიექტის კონკრეტული მიზნით გამოყენებისათვის, როგორც ეს განზრახული აქვს მყიდველს და ასევე – გათვალისწინებულია ხელშეკრულებაში.

– 3. სხვა ობიექტი, ნაცვლად შეთანხმებულისა, ანდა სხვა სახის ობიექტი არ შეესაბამება ნასყიდობის ხელშეკრულების პირობებს. იგივე წესი მოქმედებს, თუკი ის, რაც მიწოდებულ იქნა, რაოდენობრივად, ნონითა თუ ზომებით განსხვავდება იმისაგან, რაზეც მხარეები შეთანხმდნენ.

– 4. იმ შემთხვევებში, როდესაც მყიდველს უჩვენეს ან გადასცეს ნიმუში ან მოდელი, მიწოდებული ობიექტის ნიშან-თვისებები უნდა შეესაბამებოდეს მას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ნიმუშისა თუ მოდელისა ჩვენება მოხდა უბრალოდ მითითებისათვის ისე, რომ არ არის აუცილებელი ობიექტი შეესაბამებოდეს მას.

– 5. მყიდველი ვერ მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ობიექტი არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, თუკი მისთვის ხელშეკრულების დადების მომენტში ცნობილი იყო ან გონივრულად უნდა ყოფილიყო ცნობილი შესაბამისობის არარსებობის შესახებ. ასევე მყიდველს არ შეუძლია მითითება იმ ფაქტზეც, რომ ობიექტი არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, თუკი ეს გამონვეულია მყიდველის მიერ მიწო-

დებული ნედლეულის ხარვეზებითა თუ უვარგისობით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გამყიდველს უნდა გაეფრთხილებინა ის ამ ხარვეზებისა თუ უვარგისობის თაობაზე.

– 6. უძრავი ქონების ნასყიდობისას ზედაპირის ფართობის ხსენება მიიჩნევა უბრალოდ მითითებად ისე, რომ არ არის აუცილებელი ობიექტი შეესაბამებოდეს ამ ფართობს.

მუხლი 7:18 შესაბამისობა სამომხმარებლო ნასყიდობის ხელშეკრულებასთან

– 1. იმის განსაზღვრისათვის, არის თუ არა სამომხმარებლო ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე მიწოდებული ობიექტი ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისი, ობიექტის შესახებ მისი ნებისმიერი ძველი გამყიდველების მიერ ან მათი სახელით საჯაროდ გაკეთებული განცხადებები განიხილება როგორც უკანასკნელი გამყიდველის განცხადებები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც უკანასკნელმა გამყიდველმა არ იცოდა და არც უნდა სცოდნოდა ასეთი განცხადების არსებობის შესახებ ან აღნიშნული განცხადება გაუქმდა უკვე ნასყიდობის ხელშეკრულების დადების მომენტში ისე, რომ გაუქმების ფაქტი მყიდველისათვის ნათელი იყო, ანდა – გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნული განცხადება ვერ მოახდენდა რაიმე გავლენას ნასყიდობაზე.

– 2. თუკი შეთანხმებული პირობებიდან გადახვევა ვლინდება გაყიდული ობიექტის მიწოდებიდან ექვსი თვის ვადის განმავლობაში, მაშინ ივარაუდება, რომ ეს ობიექტი მისი მიწოდების მომენტში უკვე არ შეესაბამებოდა სამომხმარებლო ნასყიდობის ხელშეკრულების პირობებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ობიექტისა თუ პირობებიდან გადახვევის ბუნება აღნიშნულ ვარაუდს გამორიცხავს.

– 3. იქ, სადაც სამომხმარებლო ნასყიდობის ხელშეკრულების შემთხვევაში გამყიდველი ასევე ვალდებულია იზრუნოს გაყიდული ობიექტის ინსტალაციაზეც და ეს უკანასკნელი უხარისხოდ ხორციელდება, ეს ფაქტი უთანაბრდება ობიექტის ნასყიდობის ხელშეკრულების პირობებთან შეუსაბამობას. იგივე წესი მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუკი ინსტალაცია უხარისხოდ თავად მყიდველის მიერ განხორციელდა, თუმცა – იმ საინსტალაციო ინსტრუქტაჟის გამო, რომელიც მას მიეცა გაყიდული ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით.

მუხლი 7:19 ნასყიდობის ობიექტის რეალიზაცია (იძულებით გაყიდვა) ან მესამე პირის მოთხოვნის უფლება

– 1. პირი, ვინც ყიდულობს ნასყიდობის ობიექტს მისი იძულებითი რეალიზაციისას (იძულებითი გაყიდვისას), ვერ მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ შეძენილი ობიექტი არ არის თავისუფალი უფლებრივი ტვირთისა თუ იმ შეზღუდვებისაგან, რომლითაც ის არ უნდა ყოფილიყო დატვირთული, ანდა – რომ შეძენილი ობიექტი არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გამყიდველისათვის ცნობილი იყო ერთ-ერთი ამ ფაქტის არსებობის შესახებ.

– 2. იგივე წესი მოქმედებს ასევე იმ შემთხვევაშიც, თუკი ნასყიდობას ადგილი აქვს იძულებითი რეალიზაციის გზით სასამართლოსათვის მიმართვის გარეშე იმ პირობით, რომ მყიდველმა იცოდა ან მას უნდა სცოდნოდა, რომ ნასყიდობა განხორციელდა იძულებითი რეალიზაციის გზით. თუმცა, თუ სამომხმარებლო ნასყიდობის ხელშეკრულება წარმოიშობა იძულებითი რეალიზაციის გზით განხორციელებული ნასყიდობიდან სასამართლოსათვის მიმართვის გარეშე, მაშინ მყიდველს შეუძლია მიუთითოს იმ ფაქტზე, რომ ობიექტი არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს.

განყოფილება 7.1.3 – მყიდველის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის კონკრეტული სამართლებრივი შედეგები

მუხლი 7:20 ვალდებულების შეუსრულებლობა მიუღებელი უფლებრივი ტვირთისა თუ შეზღუდვის გამო

თუკი გაყიდულ ობიექტზე არსებობს უფლებრივი ტვირთი ან ისეთი შეზღუდვა, რომლითაც ის არ უნდა ყოფილიყო დატვირთული, მაშინ მყიდველს შეუძლია მოითხოვოს ამ უფლებრივი ტვირთისა თუ შეზღუდვის მოხსნა იმ პირობით, რომ გამყიდველი გონივრულ ფარგლებში შეძლებს ამ მოთხოვნის შესრულებას {თუ ვერ შეძლებს, მაშინ მყიდველს ექნება მხოლოდ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება}.

მუხლი 7:21 ვალდებულების შეუსრულებლობა ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის არარსებობის გამო

– 1. თუკი ნასყიდობის ობიექტი არ შეესაბამება ნასყიდობის ხელშეკრულების პირობებს, მაშინ მყიდველს შეუძლია მოითხოვოს, რომ გამყიდველმა:

a. მიანოდოს ის, რაც აკლია;

b. შეაკეთოს მიწოდებული ობიექტი იმ პირობით, რომ გამყიდველი გონივრულ ფარგლებში შეძლებს ამ მოთხოვნის შესრულებას;

c. შეცვალოს მიწოდებული ობიექტი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შეთანხმებული თვისებებიდან გადახვევა მეტად უმნიშვნელოა ასეთი შეცვლის გამართლებისათვის, ანდა – თუკი მას შემდეგ, როდესაც მყიდველს გონივრულ ფარგლებში უნდა გაეთვალისწინებინა ის ფაქტი, რომ მიღებული შესრულება უკან დასაბრუნებელი გახდება, ნასყიდობის ობიექტი განადგურდა ან დაზიანდა იმის გამო, რომ მყიდველმა ვერ უზრუნველყო მისი დაცულობა ისე, როგორც ეს წინდახედულ მოვალეს უნდა მოეხდინა.

– 2. პარ. 1-ში მითითებულ ვალდებულებათა შესაბამისობის ხარჯების მყიდველისათვის დაკისრება დაუშვებელია.

– 3. გამყიდველმა პარ. 1-ში მითითებული ვალდებულებები უნდა შეასრულოს გონივრულ ვადასა და მყიდველისათვის რაიმე არსებითი დისკომფორტის შექმნის გარეშე, სხვა ფაქტებთან ერთად, ობიექტის ბუნებისა და მისი ისეთი სახით გამოყენების გათვალისწინებით, როგორც მყიდველს ხელშეკრულების შესაბამისად აქვს განზრახული.

– 4. სამომხმარებლო ნასყიდობის ხელშეკრულების შემთხვევაში, მყიდველს, პარ. 1-ის ნორმებისაგან განსხვავებით, შეუძლია მხოლოდ იმ დროს არ მოითხოვოს მიწოდებული ობიექტის შეკეთება ან შეცვლა, თუკი ასეთი მოქმედებების განხორციელება შეუძლებელია ანდა ისინი გამყიდველისაგან მოსალოდნელი არ არის.

– 5. სამომხმარებლო ნასყიდობის ხელშეკრულების შემთხვევაში, მიწოდებული ობიექტის შეკეთება ან შეცვლა ვერ იქნება გამყიდველისაგან მოსალოდნელი, თუკი ასეთი მოქმედებები მისგან მოითხოვს ისეთი ხარჯების განევას, რომლებიც შეუსაბამოა მყიდველის განკარგულებაში არსებული ალტერნატიული უფლების (სარჩელის) ან სამართლებრივი დაცვის საშუალების განხორციელების ხარჯებთან შედარებით ობიექტის ღირებულების გათვალისწინებით, თუ ეს უკანასკნელი შესაბამისი იქნებოდა ხელშეკრულების პირობების, შეუსაბამობის მნიშვნელობისა და ასევე იმისა, შესაძლებელი იქნებოდა თუ არა ალტერნატიული უფლების (სარჩელის) ან სამართლებრივი დაცვის საშუალების განხორციელება მყიდველისათვის არსებითი დისკომფორტის შექმნის გარეშე.

– 6. თუკი სამომხმარებლო ნასყიდობის ხელშეკრულების შემთხვევაში გამყიდველმა გონივრულ ვადაში არ შეასრულა მასზე დაკისრებული მიწოდებული ობიექტის შეკეთების ვალდებულება მას შემდეგ, რაც ეს მას მკაფიოდ მოსთხოვა მყიდველმა ფორმალური შეტყობინების წარდგენის გზით, მაშინ მყიდველი უფლებამოსილია, მესამე პირთან მოახდინოს ობიექტის შეკეთება და ამ უკანასკნელის ხარჯების ანაზღაურება მოითხოვოს გამყიდველისაგან.

მუხლი 7:22 სამომხმარებლო ნასყიდობის ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის არარსებობა

– 1. თუკი სამომხმარებლო ნასყიდობის ხელშეკრულების შემთხვევაში მიწოდებული ობიექტი არ შეესაბამება ამ ხელშეკრულების პირობებს, მაშინ მყიდველს დამატებით აქვს შემდეგი უფლება:

a. უარი თქვას ნასყიდობის ხელშეკრულებაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის არარსებობა თავისი უმნიშვნელო ხასიათის მხედველობაში მიღებით არ ამართლებს ასეთ უარს თავისი სამართლებრივი შედეგების გათვალისწინებით;

b. შეამციროს ნასყიდობის ფასი ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის არარსებობის არსებითი მნიშვნელობის პროპორციულად.

– 2. პარ. 1-ში მითითებული უფლებები წარმოიშობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მიწოდებული ობიექტის შეკეთება ან შეცვლა შეუძლებელია ან ისინი გამყიდველისაგან მოსალოდნელი არ არის ანდა – გამყიდველმა არ შეასრულა 7:21 მუხლის პარ. 3-ით გათვალისწინებული ვალდებულება.

– 3. სამოქალაქო კოდექსის 6.5.5. განყოფილებაში გათვალისწინებული ხელშეკრულებაზე უარის მომწესრიგებელი ნორმები შესაბამისად გამოიყენება ნასყიდობის ფასის პროპორციული შემცირების მიმართაც, როგორც ეს მითითებულია პარ. 1-ის (b) პუნქტში, რამდენადაც წინამდებარე განყოფილება აღნიშნული ნორმებისაგან განსხვავებულ მოწესრიგებას არ ითვალისწინებს.

– 4. პარ. 1-სა და სამოქალაქო კოდექსის 7:20 და 7:21 მუხლებში ნახსენები უფლებების (სარჩელები) ან სამართლებრივი დაცვის საშუალებები მყიდველმა შეიძლება განახორციელოს კანონით ან ხელშეკრულებით მის განკარგულებაში არსებული ყველა სხვა უფლების (სარჩელის) ან სამართლებრივი დაცვის საშუალების გამოყენების შესაძლებლობის შეზღუდვის გარეშე.

მუხლი 7:23 მყიდველის მიერ ნასყიდობის ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის არარსებობის ფაქტის შეტყობინების მოვალეობა

– 1. მყიდველი ველარ შეძლებს იმის მტკიცებას, რომ მიწოდებული ობიექტი არ შეესაბამება ნასყიდობის ხელშეკრულების პირობებს, თუკი ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის არარსებობის ფაქტის შესახებ მან დროულად არ შეატყობინა გამყიდველს მას შემდეგ, რაც მან გამოავლინა ასეთი ფაქტი ანდა მას გონივრულად უნდა აღმოეჩინა ასეთი ფაქტის არსებობა. თუმცა, თუკი ჩანს, რომ ობიექტი ვერ აკმაყოფილებს იმ ხარისხს, რომელიც მას უნდა ჰქონოდა გამყიდველის განცხადების თანახმად, ანდა თუკი ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის არარსებობა ეხება იმ ფაქტებს, რომლებიც გამყიდველისათვის ცნობილი იყო ანდა უნდა ყოფილიყო ცნობილი, თუმცა მას ეს ფაქტები მყიდველთან არ უხსენებია, მაშინ ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის არარსებობის შესახებ დროულად ასეთი ფაქტის გამოვლენისთანავე უნდა ეცნობოს გამყიდველს. სამომხმარებლო ნასყიდობის ხელშეკრულების შემთხვევაში, ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის არარსებობის შესახებ დროულად ასეთი ფაქტის გამოვლენისთანავე უნდა ეცნობოს მყიდველს იმ პირობით, რომ ფაქტის გამოვლენიდან ორი თვის ვადის განმავლობაში შეტყობინება მიიჩნევა სათანადო ვადაში განხორციელებულად.

– 2. იმ ფაქტებზე დაფუძნებული უფლებები (სარჩელები) ან სამართლებრივი დაცვის საშუალებები, რომლებიც გაამართლებდა პოზიციას, რომ მიწოდებული ობიექტი არ შეესაბამება ნასყიდობის ხელშეკრულების პირობებს, ხანდაზმული ხდება ორი წლის ვადის გასვლისას მას შემდეგ, როდესაც შეტყობინების წარდგენა მოხდება პირველი პარაგრაფით გათვალისწინებული წესების შესაბამისად. თუმცა, მყიდველი სარჩელის უფლების (სასარჩელო მოთხოვნის) წინააღმდეგ გადახდის მიღების შესაგებლის სახით ინარჩუნებს უფლებას, მოითხოვოს ფასის შემცირება ან მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

– 3. ხანდაზმულობის ვადის დენა არ ხდება მანამდე, სანამ მყიდველი გამყიდველის მხრიდან არსებული წინასწარი განზრახვის შედეგად ვერ შეძლებს თავისი უფლებებისა და სამართლებრივი დაცვის საშუალებების რეალიზაციას.

მუხლი 7:24 მიყენებული ზიანის ანაზღაურება სამომხმარებლო ნასყიდობის ხელშეკრულების შემთხვევაში

– 1. თუკი ობიექტის მიწოდება მოხდა იმ სამომხმარებლო ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის ობიექტსაც არა აქვს ისეთი ნიშან-თვისებები, რომელთა მოლოდინიც მყიდველს შეიძლება ჰქონოდა აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე, მაშინ მიყენებული ზიანისათვის მყიდველი გამყიდველის მიმართ უფლებამოსილია საკომპენსაციო თანხის მიღებაზე სამოქალაქო კოდექსის 6.1.9 და 6.1.10 განყოფილებათა ნორმების შესაბამისად.

– 2. როდესაც ვალდებულების შეუსრულებლობა მდგომარეობს იმ ნაკლში, რომელიც იწვევს სამოქალაქო კოდექსის 6.3.3 განყოფილებაში მითითებულ უსაფრთხოების რისკს („პასუხისმგებლობა ნაკლის მქონე პროდუქციით მიყენებული ზიანისათვის“), გამყიდველი არ არის პასუხისმგებელი შედეგობრივი და პერსონალური ზიანისათვის, როგორც ეს მითითებულია აღნიშნულ განყოფილებაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:

a. მან იცოდა ან უნდა სცოდნოდა ნაკლის თაობაზე;

b. ის შეპირდა ხელშეკრულების მეორე მხარეს, რომ გაყიდული ობიექტი აღნიშნული ნაკლისაგან თავისუფალი იქნებოდა;

c. სამოქალაქო კოდექსის 6.1.9 და 6.1.10 განყოფილებათა ნორმებიდან გამომდინარე გამყიდველის მიერ შესაგებლების გამოყენების შესაძლებლობის შეზღუდვის გარეშე, საქმე ეხება ნებისმიერი სახის ქონებრივი ობიექტის დაზიანებასა თუ განადგურებას, გარდა თავად ნაკლის მქონე პროდუქციისა, რომლის მიმართაც სამოქალაქო კოდექსის 6.3.3 განყოფილების ნორმების თანახმად არანაირი კომპენსაციის უფლება არ არსებობს წინამდებარე განყოფილებაში მოცემული ზღვარის საფუძველზე.

– 3. როდესაც გამყიდველმა პარ. 2-ის (a) ან (b) პუნქტების შესაბამისად აანაზღაურა მყიდველისათვის მიყენებული ზიანი, ამ უკანასკნელმა გამყიდველს უნდა გადასცეს სამოქალაქო კოდექსის 6.3.3 განყოფილების ნორმებიდან გამომდინარე თავისი უფლებები.

მუხლი 7:25 განაწილების ჯაჭვში არსებული მოთხოვნის უფლება წინა გამყიდველების მიმართ

– 1. როდესაც 7:24 მუხლში მითითებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მყიდველმა გამყიდველის მიმართ მოახდინა მის განკარგულებაში არსებული ერთი ან რამდენიმე (სახელშეკრულებო ან კანონისმიერი) უფლებებისა (სარჩელების) და სამართლებრივი დაცვის საშუალებების რეალიზაცია, გამყიდველი ზიანის ანაზღაურების თანხის მიღებაზე უფლებამოსილია იმ პირის მიმართ, ვისგანაც მან

იყიდა ნაკლის მქონე ნივთი იმ პირობით, რომ ეს პირი მის მიერ გამყიდველთან ხელშეკრულების დადების მომენტში მოქმედებდა ასევე თავისი პროფესიული თუ სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში. გამყიდველის მიერ მყიდველის სასარჩელო მოთხოვნისაგან დაცვის მიზნით განეული ხარჯები უნდა ანაზღაურდეს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ისინი გამყიდველის მხრიდან გონივრულად იქნა განეული.

– 2. მყიდველის ინტერესების საზიანოდ პარ. 1-ის ნორმებიდან გადახვევა დაუშვებელია.

– 3. გამყიდველი არ არის უფლებამოსილი პარ. 1-ში მითითებული საკომპენსაციო თანხის მიღებაზე, თუკი ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის არარსებობა უკავშირდება იმ ფაქტებს, რომელთა შესახებაც მან იცოდა ან მას უნდა სცოდნოდა ამის თაობაზე ანდა – თუკი შესაბამისობის არარსებობის მიზეზი იმ გარემოებებიდან გამომდინარეობს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ობიექტის მისთვის მიწოდების შემდეგ.

– 4. თუკი ობიექტს არ გააჩნია ის ხარისხი, რომლის არსებობასაც გამყიდველი შეპირდა მყიდველს, მაშინ პარ. 1-ში გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურებაზე გამყიდველი მოთხოვნის უფლება შეზღუდულია იმ თანხის ოდენობით, რაზეც ის უფლებამოსილი იქნებოდა აღნიშნული შეპირების გაუცემლობის შემთხვევაში.

– 5. ზემოაღნიშნული პარაგრაფების ნორმები შესაბამისად გამოიყენება კონტრაქტების ჯაჭვში არსებული წინა ნასყიდობის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლების მიმართ.

– 6. წინა პარაგრაფების ნორმები არ მოქმედებს იმდენად, რამდენადაც საქმე ეხება 7:24 მუხლის პარ. 2-ში მითითებულ ზიანს.

განყოფილება 7.1.4 – მყიდველის ვალდებულებები

მუხლი 7:26 ნასყიდობის ფასის გადახდა

– 1. მყიდველს ეკისრება ნასყიდობის ფასის გადახდის ვალდებულება.

– 2. ნასყიდობის ფასის გადახდა უნდა განხორციელდეს გაყიდული ობიექტის მიწოდების მომენტსა და ადგილზე. სამომხმარებლო ნასყიდობის ხელშეკრულების შემთხვევაში, მყიდველს შეიძლება დაეკისროს ნასყიდობის ფასის ავანსის სახით მხოლოდ ნახევრის გადახდის ვალდებულება.

– 3. თუ გაყიდულ ობიექტზე საკუთრების უფლების გადაცემისათვის მოითხოვება სანოტარო აქტის დადება ამ უკანასკნელის შესაბამისი მიზნით წარმოებული საჯარო რეესტრებში შემდგომი რეგისტრაციით, მაშინ გადასახდელი ნასყიდობის ფასის თანხა მყიდველის ფაქტობრივი ბატონობის სივრციდან უნდა გავიდეს არაუგვიანეს ამ სანოტარო აქტის ხელმოწერის მომენტისა და ის გამყიდველის კონტროლის ქვეშ უნდა მოექცეს ასევე მხოლოდ აღნიშნული სანოტარო აქტის რეგისტრაციის შემდეგ.

– 4. თუ საქმე ეხება იმ უძრავი ნივთის ნასყიდობას, რომელიც განკუთვნილია საცხოვრებელი სახლის სახით გამოყენებისათვის, ანდა ასეთი ნივთის შემადგენელი ნაწილის ნასყიდობას, მყიდველს, თუკი ის წარმოადგენს იმ ფიზიკურ პირს, ვინც ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას არ მოქმედებს თავისი პროფესიული თუ სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში, ვერ დაეკისრება ნასყიდობის ფასის ავანსის სახით გადახდა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დასაშვებია შეთანხმება იმაზე, რომ მან მის მიერ ნაკისრი ვალდებულების უზრუნველყოფის სახით ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე შემოიტანოს ნასყიდობის ფასის თანხის არაუმეტეს 10%-სა ანდა – გამყიდველს წარუდგინოს უზრუნველყოფა ამ თანხის ოდენობით. მყიდველის ინტერესების საზიანოდ პირველი წინადადების ნორმიდან გადახვევა დაუშვებელია, გარდა სამოქალაქო კოდექსის 6:214 მუხლში მითითებული სტანდარტული რეგულაციებით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ის, რაც მყიდველმა გადაიხადა ან წარადგინა უზრუნველყოფის სახით ნასყიდობის ფასის დაშვებულ მაქსიმუმ 10%-ზე მეტი ოდენობით, ჩაითვლება არარსებული ვალდებულების შესრულებად.

– 5. პარ. 4-ის ნორმები შესაბამისად გამოიყენება მონაწილეობისა თუ წევრობის იმ უფლებათა ნასყიდობის მიმართ, რომლითაც ხდება იმ უძრავი ნივთით ან მისი შემადგენელი ნაწილით სარგებლობის უფლებამოსილების მინიჭება, რომელიც განკუთვნილია საცხოვრებელი სახლის სახით გამოყენებისათვის.

– 6. პარ. 2-ის მეორე სრული წინადადებისა და პარ. 4 და 5-ის ნორმები არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულება მოქცეულია ასევე 7:50a მუხლის (c) ან (f) პუნქტებში მითითებული კონტრაქტის ცნების გამოყენების სფეროში.

მუხლი 7:27 ნასყიდობის ფასის გადახდაზე უარი

როდესაც გაყიდულ ობიექტთან დაკავშირებით მყიდველს მესამე პირისაგან წარედგინება პრეტენზია ანდა მას რეალური საფუძველი აქვს ელოდოს იმ მესამე პირის მხრიდან პრეტენზიის წარდგენას, რომელიც აცხადებს, რომ ის უფლებამოსილია გაყიდული ობიექტის იძულებით რეალიზაციაზე (იძულებით გაყიდვაზე) ანდა – რომ მესამე პირს თავად აქვს ამ ობიექტზე ის უფლება ან სამართლებრივი საფუძველი, რომლითაც ეს ობიექტი არ უნდა ყოფილიყო დატვირთული, მაშინ მყიდველს შეუძლია უარი თქვას ნასყიდობის ფასის გადახდაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გამყიდველი წარადგენს უზრუნველყოფას იმ ზარალის დასაფარად, რომელიც მყიდველმა შეიძლება განიცადოს მესამე პირის პრეტენზიის შედეგად.

მუხლი 7:28 ხანდაზმულობა სამომხმარებლო ნასყიდობის ხელშეკრულების შემთხვევაში

სამომხმარებლო ნასყიდობის ხელშეკრულების შემთხვევაში, გამყიდველის სარჩელის უფლება (სასარჩელო მოთხოვნა), მოითხოვოს ნასყიდობის ფასის გადახდა ხანდაზმულია ორი წლის ვადის გასვლისთანავე მას შემდეგ, როდესაც ვადამოსული და შესასრულებელი ხდება გამყიდველის შესაბამისი სავალო მოთხოვნა.

მუხლი 7:29 მიწოდებული ობიექტის შენახვასა და მასზე ზრუნვასთან დაკავშირებული მოვალეობა, რომელიც ეკისრება იმ მყიდველს, ვინც უარს ამბობს მიწოდებულ ობიექტზე

– 1. როდესაც მყიდველმა მიიღო მიწოდებული ობიექტი, თუმცა – იმ განზრახვით, რომ უარი თქვას მასზე, მან როგორც წინდახედულმა მოვალემ უნდა იზრუნოს ამ ობიექტზე და უზრუნველყოს მისი შენახვა; მყიდველს აქვს ობიექტის დაკავების უფლება მანამდე, სანამ მას არ აუნაზღაურდება აღნიშნული მიზნით გონივრული ოდენობით განეული ხარჯები.

– 2. მყიდველი, რომელსაც განზრახული აქვს, უარი თქვას მისთვის გაგზავნილი და დანიშნულების ადგილზე მის განკარგულებაში გადმოსულ გაყიდულ ობიექტზე, ვალდებულია მიიღოს და შეინახოს ის, თუკი ეს შედეგად არ იწვევს ნასყიდობის ფასის {ხელშეკრულების შესაბამისად} გადახდას ან მნიშვნელოვან დისკომფორტსა თუ არაგონივრულ ხარჯებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დანიშნულების ადგილზე იმყოფება თავად გამყიდველი ანდა – სხვა პირი, ვინც გამყიდველის სახელით არის უფლებამოსილი იზრუნოს ნასყიდობის ობიექტზე.

მუხლი 7:30 მალფუჭებადი საქონლის გაყიდვის მოვალეობა

როდესაც 7:29 მუხლში გათვალისწინებულ შემთხვევებში მიღებული ობიექტი განადგურდება ან მისი მდგომარეობა სწრაფად გაუარესდება ან – როდესაც ამ ობიექტის შენახვა შექმნის მნიშვნელოვან დისკომფორტს ანდა გამოიწვევს არაგონივრულ ხარჯებს, მყიდველმა სათანადო წესით უნდა გაყიდოს ეს ობიექტი.

განყოფილება 7.1.5 – მყიდველის მიერ ვადის გადაცილების კონკრეტული შედეგები

მუხლი 7:31 მყიდველის მიერ ნაყიდი საქონლის განსაზღვრის ვადის გადაცილება

თუკი ხელშეკრულებით მყიდველს ენიჭება ზომისა თუ ფორმის მითითებით ანდა იდენტიფიცირების სხვაგვარი საშუალებით გაყიდული ობიექტის განსაზღვრის უფლება და ის დროულად არ ასრულებს ამ მოქმედებას, მაშინ გამყიდველს შეუძლია თავად მოახდინოს ასეთი განსაზღვრა მისთვის ცნობილი მყიდველის საჭიროებების გათვალისწინებით.

მუხლი 7:32 კრედიტორის მოვალეობა, გაყიდოს ის მალფუჭებადი საქონელი, რომელიც მყიდველმა არამართლზომიერაად უარყო

იმ შემთხვევაში, როდესაც მყიდველი დროულად არ იღებს მისთვის მიწოდებულ ნასყიდობის ობიექტს, შესაბამისად გამოიყენება 7:30 მუხლის ნორმები.

განყოფილება 7.1.6 – ხელშეკრულებაზე უარის კონკრეტული უფლებები

მუხლი 7:33 ხელშეკრულებაზე უარის უფლება იმ შემთხვევაში, როდესაც მყიდველი არ იღებს მიწოდებულ ნასყიდობის ობიექტს

თუკი აუცილებელია, რომ მოძრავი აქტივი მიწოდებულ იქნეს კონკრეტულ დღეს, ხოლო მყიდველი კი

არ ახდენს ამ დღეს მიწოდებული აქტივის მიღებას, ეს ქმნის საფუძველს ხელშეკრულებაზე უარის თქმისა სამოქალაქო კოდექსის 6:265 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 7:34 ხელშეკრულებაზე უარის უფლება მყიდველის მიერ ხელშეკრულების მოსალოდნელი დარღვევის საფუძველზე

გამყიდველს შეუძლია უარი თქვას ნასყიდობის ხელშეკრულებაზე, თუკი ის ფაქტი, რომ მყიდველი არ იღებს მიწოდებულ ნასყიდობის ობიექტს, აძლევს მას იმის შიშის რეალურ საფუძველს, რომ ნასყიდობის ფასი არ იქნება გადახდილი.

მუხლი 7:35 ნასყიდობის ფასის გაზრდა სამომხმარებლო ნასყიდობის ხელშეკრულების შემთხვევაში

– 1. თუკი სამომხმარებლო ნასყიდობის ხელშეკრულების შემთხვევაში, გამყიდველი ხელშეკრულების დადების შემდეგ ამ ხელშეკრულებაშივე გათვალისწინებული დებულების ძალით ზრდის ნასყიდობის ფასს, მაშინ მყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას ნასყიდობის ხელშეკრულებაზე ამ მიზნით წარდგენილი წერილობითი განცხადების საშუალებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარეები შეთანხმდნენ იმაზე, რომ გაყიდული ობიექტი უნდა იქნეს მიწოდებული ხელშეკრულების დადებიდან სამ თვეზე მეტი ვადის შემდეგ.

– 2. პარ. 1-ის მიზნებისათვის, ნასყიდობის ფასში მოიაზრება ის თანხა, რაზეც ხელშეკრულების დადების მომენტში მითითებულ იქნა დროებით, როგორც ნაკისრ ნასყიდობის ფასზე, გამყიდველისათვის მასში ცვლილების განხორციელების უფლების შენარჩუნებით.

განყოფილება 7.1.7 – ზიანი

მუხლი 7:36 მიმდინარე ღირებულების მქონე აქტივები

– 1. თუკი მოხდა ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გასვლა და გაყიდულ ობიექტს კი აქვს მიმდინარე ღირებულება, ზიანის ანაზღაურების თანხა უტოლდება ნასყიდობის ხელშეკრულებაში შეთანხმებულ ნასყიდობის ფასსა და ვალდებულების შეუსრულებლობის დღისათვის არსებულ მიმდინარე ღირებულებას შორის არსებულ სხვაობას.

– 2. აღნიშნული ზიანის ანაზღაურების თანხის გამოთვლის მიზნისათვის, მხედველობაში მისაღებ მიმდინარე ღირებულებას წარმოადგენს იმ ბაზარზე არსებული ღირებულება, სადაც შედგა ნასყიდობა, ხოლო თუკი ასეთი მიმდინარე ღირებულება სახეზე არ არის ანდა თუკი აღნიშნულ ბაზარზე საქონლის რეალიზაცია რთული იქნებოდა, – გონივრული ალტერნატიული ბაზრის ფასი; ასევე მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ობიექტის ტრანსპორტირების ხარჯებს შორის სხვაობა.

მუხლი 7:37 დაზღვეული შესყიდვა

როდესაც მყიდველმა ან გამყიდველმა შეისყიდა მესამე პირის საქონელი იმ საქონლის ჩანაცვლების მიზნით, რომელსაც შესაბამისად ეხება მყიდველთან ან გამყიდველთან დადებული თავდაპირველი ნასყიდობის ხელშეკრულება („დაზღვეული შესყიდვა“ ან „ჰეჯირებული კონტრაქტი“), და მყიდველი ან გამყიდველი ამ დროს გონივრულად მოქმედებდა, მაშინ ის მეორე მხარის მიმართ უფლებამოსილია საკომპენსაციო თანხის მიღებაზე იმ ოდენობით, რაც უტოლდება შეუსრულებელი ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე შეთანხმებულ ნასყიდობის ფასსა და დაზღვეული შესყიდვის ფასს შორის არსებულ სხვაობას.

მუხლი 7:38 შესაძლო უფრო მაღალ საკომპენსაციო თანხაზე უფლება

წინა ორი მუხლის ნორმები არ გამორიცხავს შესაძლო უფრო მაღალ საკომპენსაციო თანხაზე უფლებას, თუკი ადგილი ჰქონდა უფრო დიდი ოდენობით ზიანის მიყენებას.

განყოფილება 7.1.8 – ნივთის უკან გამოთხოვის უფლება

მუხლი 7:39 გამყიდველის მიერ ნივთის უკან გამოთხოვის უფლება

– 1. გამყიდველს, რომელმაც მყიდველს გადასცა არარეგისტრირებული მოძრავი ნივთი, შეუძლია

უკან გამოითხოვოს ეს ნივთი, როგორც საკუთარი ქონება ამ მიზნით მყიდველისათვის წერილობითი განცხადების წარდგენის გზით, თუკი მყიდველმა არ გადაიხადა ნასყიდობის ფასი და ამასთან დაკავშირებით დაკმაყოფილებულია ასევე სამოქალაქო კოდექსის 6:265 მუხლში მითითებული ხელშეკრულებაზე უარის მოთხოვნებიც. აღნიშნული განცხადებით ხორციელდება ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გასვლა და ქარწყლება მყიდველის საკუთრების უფლება და ასევე მისგან გამომდინარე სხვა პირთა შესაძლო სანივთო უფლებებიც; შესაბამისად გამოიყენება სამოქალაქო კოდექსის 6:271, 6:273, 6:275 და 6:276 მუხლების ნორმები.

- 2. თუკი არ იქნა გადახდილი ფასი მხოლოდ იმ განსაზღვრული ნაწილისა, რაც გადაცემულ იქნა მყიდველისათვის, გამყიდველს შეუძლია გამოითხოვოს უკან ეს ნაწილი, როგორც საკუთარი ქონება. თუკი მთლიანი შესრულების მიმართ არ იქნა გადახდილი მხოლოდ ფასის ნაწილი, მაშინ გამყიდველს შეუძლია გამოითხოვოს უკან პროპორციული ნაწილი იმისა, რაც მყიდველისათვის გადაცემულ იქნა როგორც მისი საკუთარი ქონება. ორივე შემთხვევაში ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გასვლა ხდება მხოლოდ იმ გამოთხოვილი ნაწილისათვის, რომელიც გადაეცა მყიდველს.

- 3. ნასყიდობის ფასის ნაწილობრივი გადახდის ყველა სხვა შემთხვევაში, გამყიდველს შეუძლია, საკუთარი ქონების სახით, უკან გამოითხოვოს ყველაფერი ის, რაც იქნა გადაცემული მყიდველისათვის (მთლიანი შესრულება), თუკი ეს ხორციელდება მისთვის უკვე გადახდილის ანაზღაურების სანაცვლოდ.

მუხლი 7:40 მყიდველის გამოცხადება გაკოტრებულად ან მორატორიუმის დადგენის გზით სასამართლოს გადანყვეტილება ფულადი გადახდების შეჩერების შესახებ

- 1. როდესაც მყიდველი გამოცხადდა გაკოტრებულად ანდა როდესაც მორატორიუმის დადგენის გზით მას სასამართლოს გადანყვეტილების საფუძველზე შეუჩერდა ფულადი გადახდები, გამყიდველის მხრიდან მყიდველისათვის გადაცემულის უკან კანონიერ გამოთხოვას არა აქვს შედეგი, თუკი იურიდიული მეურვე ანდა, მორატორიუმის დადგენის გზით სასამართლოს გადანყვეტილების საფუძველზე ფულადი გადახდების შეჩერების შემთხვევაში, მყიდველი და მმართველი ერთობლივად იხდიან ნასყიდობის სრულ ფასს ან გამყიდველის მიერ თავის განცხადებაში დადგენილ გონივრულ ვადაში აღნიშნული თანხის გადახდისათვის წარადგენენ უზრუნველყოფას.

- 2. პარ. 1-ის ნორმები შესაბამისად გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუკი მყიდველი ვარდება ფიზიკური პირებისათვის არსებული ვალების დაფარვის სქემაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ნასყიდობის ხელშეკრულება დაიდო სასამართლოს იმ გადანყვეტილების მიღების შემდეგ, რომლითაც დადგინდა ვალების დაფარვის სქემის გამოყენება.

მუხლი 7:41 გადაცემული ნივთი (ნივთები) უნდა რჩებოდეს იმავე მდგომარეობაში

ნივთის უკან გამოითხოვის უფლება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ის, რაც გადაცემულ იქნა მყიდველისათვის, ჯერ კიდევ რჩება იმ მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიც ის მყიდველისათვის მიწოდების მომენტში იმყოფებოდა.

მუხლი 7:42 მესამე პირების დაცვა

- 1. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გადაცემული ნივთი მყიდველის ხელში დარჩა, გამყიდველმა დაკარგა ნივთის უკან გამოითხოვის უფლება, როდესაც მყიდველმა სამოქალაქო კოდექსის 3:90 მუხლის პარ. 1-ის ან 3:91 მუხლის ნორმების შესაბამისად სასყიდლით გადასცა ნივთი მესამე პირს, რომელსაც გონივრულად ვერ ექნებოდა მოლოდინი იმისა, რომ მოხდებოდა ნივთის უკან გამოითხოვის უფლების რეალიზაცია.

- 2. როდესაც მას შემდეგ, რაც ნივთი გადაეცა მყიდველს, ეს ნივთი სასყიდლით დაიტვირთა უზუფრუქტით ან გირავნობით, შესაბამისად გამოიყენება პარ. 1-ის ნორმები.

მუხლი 7:43 მყიდველის მიერ ფასიანი ქალაქის მიღება

გამყიდველი ვერ განახორციელებს მისთვის სამოქალაქო კოდექსის 7:39 მუხლით მინიჭებულ ნივთის უკან გამოითხოვის უფლებას, თუკი მყიდველმა ნასყიდობის ფასის სრულ თანხაზე მოახდინა ფასიანი ქალაქის აქცეპტი. თუკი ფასიანი ქალაქის აქცეპტი ნასყიდობის ფასის ნაწილის მიმართ განხორციელდა, გამყიდველს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია ნივთის უკან გამოითხოვის უფლების რეალიზაცია, თუკი ის მყიდველის სახელით წარადგენს უზრუნველყოფას, როგორც მყიდველის საკომპენსაციო თანხას იმისათვის, რაც მას ეკუთვნის ფასიანი ქალაქის აქცეპტთან დაკავშირებით.

მუხლი 7:44 ნივთის უკან გამოთხოვის უფლების გაქარწყლება

გამყიდველის შესაძლებლობა, განახორციელოს მისთვის სამოქალაქო კოდექსის 7:39 მუხლით მინიჭებული ნივთის უკან გამოთხოვის უფლება, აღარ არსებობს, როდესაც გადის ექვსი კვირა მას შემდეგ, რაც ნასყიდობის ფასის გადახდაზე მისი სავალო მოთხოვნა გახდა ვადამოსული და შესასრულებელი და ასევე – სამოცი დღე იმ თარიღიდან, როდესაც ნივთი შენახულ იქნა მყიდველის ან ამ მიზნით მის მიერ დანიშნული პირის მიერ.

განყოფილება 7.1.9 – ნასყიდობა ნივთის მონონების პირობით

მუხლი 7:45 ნასყიდობა ნივთის მონონების პირობით წარმოადგენს წინასწარი პირობით დადებულ ნასყიდობას

- 1. ნასყიდობა ნივთის მონონების პირობით განიხილება იმ წინასწარი პირობით დადებულად, რომ გაყიდული ობიექტი დააკმაყოფილებს მყიდველს.
- 2. თუკი მყიდველი არ შეატყობინებს გამყიდველს თავისი გადაწყვეტილების შესახებ ობიექტის შემონებისათვის საკმარისი ვადის გასვლამდე, ის შემდგომში ვეღარ შეძლებს მაზე უარის თქმას.

მუხლი 7:46 რისკის გადასვლა ნივთის მონონების პირობით ნასყიდობის შემთხვევაში

მანამდე, სანამ ნასყიდობის ხელშეკრულება საბოლოოდ განსაზღვრული არ არის, ობიექტის შემთხვევით დაღუპვის რისკი ეკისრება გამყიდველს.

განყოფილება 7.1.9A – დისტანციური ხელშეკრულებები

მუხლი 7:46a განმარტებები

წინამდებარე განყოფილებაში:

- a. “დისტანციური ხელშეკრულების” ცნების ქვეშ მოიაზრება ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც გამყიდველი ან მომსახურების მიმწოდებელი, მის მიერ ორგანიზებული დისტანციური ნასყიდობისა თუ დისტანციურად მომსახურების განევის სისტემის ფარგლებში, ექსკლუზიურად იყენებს ერთ ან რამდენიმე დისტანციურ საკომუნიკაციო საშუალებას კონტრაქტის დადების მომენტამდე;
- b. “დისტანციური ნასყიდობის” ცნების ქვეშ მოიაზრება დისტანციური ხელშეკრულება, რომელიც წარმოადგენს სამომხმარებლო ნასყიდობის ხელშეკრულებას;
- c. “დისტანციურად მომსახურების განევის ხელშეკრულების” ცნების ქვეშ მოიაზრება ხელშეკრულება, რომელიც გულისხმობს მომსახურების განევას ხელშეკრულების დადებისას თავისი პროფესიული თუ სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში მოქმედ დისტანციურად მომსახურების გამწვესა და კონტრაქტის შორის, ვინც არის რა ფიზიკური პირი, ხელშეკრულების დადებისას არ მოქმედებს თავისი პროფესიული თუ სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში;
- d. “ფინანსური მომსახურების” ცნების ქვეშ მოიაზრება ნებისმიერი საბანკო მომსახურება ანდა კრედიტის გაცემის, დაზღვევის, ინდივიდუალური პენსიების გაცემის, თანხების განთავსების, ინვესტიციებისა და გადახდების მომსახურება;
- e. “დისტანციური საკომუნიკაციო საშუალებების” ცნების ქვეშ მოიაზრება ნებისმიერი საშუალება, რომელიც მხარეთა ერთდროული ფიზიკური დასწრების გარეშე შეიძლება გამოყენებულ იქნეს ამ მხარეთა შორის დისტანციური კონტრაქტის დასადავად;
- f. “საკომუნიკაციო საშუალებების ოპერატორის” ცნების ქვეშ მოიაზრება ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის სავაჭრო, ბიზნეს ან პროფესიულ პრაქტიკას წარმოადგენს გამყიდველებისა თუ მომსახურების მიმწოდებლებისათვის ერთი ან რამდენიმე დისტანციური საკომუნიკაციო საშუალების შეთავაზება;
- g. “დირექტივა” გულისხმობს დისტანციურ კონტრაქტებთან დაკავშირებით მომხმარებელთა დაცვის შესახებ 1999 წლის 20 მაისის 97/7/EC ევროპული პარლამენტის დირექტივით გათვალისწინებულ დაცვას (OJ L 144);
- h. “#2002/65/EG დირექტივა” გულისხმობს მომხმარებელთა ფინანსური მომსახურების დისტანციური მარკეტინგის შესახებ 2002 წლის 23 სექტემბრის 2002/65/EG ევროპული პარლამენტის დირექტივით გათვალისწინებულ დაცვას (OJ L 271).

მუხლი 7:46b გამონაკლისები

- 1. დისტანციური ნასყიდობის მიმართ არ გამოიყენება 7:5 მუხლის პარ. 3-ის ნორმები.
- 2. წინამდებარე განყოფილების (განყოფილება 7.1.9A) ნორმები არ გამოიყენება იმ დისტანციური ნასყიდობის მიმართ:
 - a. რომელიც დაიდო სავაჭრო ავტომატებისა თუ ავტომატური კომერციული ფართების მეშვეობით;
 - b. რომელიც დაიდო აუქციონის გზით.
- 3. 7:46c მუხლიდან 7:46e მუხლისა და 7:46f მუხლის პარ. 1-ის ჩათვლით ნორმები არ გამოიყენება იმ დისტანციური ნასყიდობების მიმართ, რომლებიც ძირითადად ეხება საკვებ პროდუქტებს, სასმელებსა თუ სხვა საქონელს, რომლებიც ყოველდღიური მოხმარების მიზნით გათვალისწინებულია მყიდველისათვის სახლში, მის ადგილსამყოფელსა თუ სამუშაო ადგილზე ჩვეულებრივი სავაჭრო აგენტების მიერ მიწოდებისათვის.

მუხლი 7:46c წინასწარ მისაწოდებელი ინფორმაცია

- 1. დისტანციური ნასყიდობის ხელშეკრულების დადებამდე სათანადო ვადაში მყიდველს ნათლად და გასაგებად ნებისმიერი ჯეროვანი დისტანციური საკომუნიკაციო საშუალების გამოყენებით უნდა მიენოდოს ქვემოთ მოცემული ინფორმაცია კომერციულ მიზნის ჯეროვანი მითითებით:
 - a. გამყიდველის პირადი მონაცემები, ხოლო თუკი დისტანციური ნასყიდობის თანახმად, მოითხოვება ფასის ან მისი ნაწილის წინასწარი გადახდა, – მაშინ მისი მისამართიც;
 - b. გაყიდული ობიექტის ყველაზე მნიშვნელოვანი ნიშან-თვისებები;
 - c. გაყიდული ობიექტის ფასი ყველა გადასახადის ჩათვლით;
 - d. აუცილებლობის შემთხვევაში, მიწოდების ხარჯები;
 - e. დისტანციური ნასყიდობიდან გამომდინარე გადახდის, მიწოდებისა თუ შესრულების პროცედურები;
 - f. არსებობს თუ არა 7:46d მუხლის პარ. 1-სა და 7:46e მუხლის ნორმებით გათვალისწინებული ხელშეკრულების გაუქმების უფლება;
 - g. თუკი დისტანციური საკომუნიკაციო საშუალების გამოყენების ხარჯები გამოითვლება სხვაგვარად, ვიდრე ბაზისური განაკვეთისა: გამოსაყენებელი განაკვეთის ოდენობა;
 - h. დროის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც ოფერტი ან ფასი ძალაში რჩება;
 - i. აუცილებლობის შემთხვევაში, იმ დისტანციური ნასყიდობების შემთხვევაში, რომლის დროსაც პროდუქტის მიწოდება ხდება მუდმივად ან პერიოდულად: კონტრაქტის მინიმალური ხანგრძლივობა.
- 2. დისტანციური ნასყიდობის შესრულებისას სათანადო ვადაში და ასევე იმდენად, რამდენადაც საქმე არ ეხება იმ საქონელს, რომელიც უნდა მიენოდოს მესამე პირებს არაუგვიანეს მიწოდების დროისა ანდა რამდენადაც საქმე ეხება (a) და (c)-(e) პუნქტებში მითითებულ მონაცემებს სხვა მისთვის ხანგრძლივად ხელმისაწვდომი სხვაგვარი საშუალებით, მყიდველს ნათლად და გასაგებად წერილობით უნდა მიენოდოს ქვემოთ მოცემული ინფორმაცია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ინფორმაცია უკვე მიენოდა მყიდველს დისტანციური ნასყიდობის ხელშეკრულების დადებამდე:
 - a. პარ. 1-ის (a) პუნქტიდან (f) პუნქტის ჩათვლით ნორმებში მითითებული მონაცემები;
 - b. ხელშეკრულების გაუქმების უფლების რეალიზაციისათვის 7:46d მუხლის პარ. 1-სა და 7:46e მუხლის პარ. 2-ის ნორმებით გათვალისწინებული მოთხოვნები;
 - c. გამყიდველის საწარმოს ადგილის ის სავიზიტო მისამართი, სადაც მყიდველმა შეიძლება წარადგინოს თავისი ნებისმიერი საჩივარი;
 - d. აუცილებლობის შემთხვევაში: დისტანციური ნასყიდობის ფარგლებში წარსადგენი გარანტიისა და განსახორციელებელი მომსახურების შესახებ მონაცემები;
 - e. როდესაც დისტანციური ნასყიდობას აქვს განუსაზღვრელი ხანგრძლივობა ან მისი ხანგრძლივობა აღემატება ერთ წელს: ხელშეკრულების შეწყვეტისათვის გათვალისწინებული მოთხოვნები.

მუხლი 7:46d განხილვის დრო და ხელშეკრულების გაუქმების უფლება

- 1. გაყიდული ობიექტის მიღების დღიდან შვიდი სამუშაო დღის განმავლობაში მყიდველს აქვს ხელშეკრულების გაუქმების უფლება ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე. თუკი 7:46c მუხლის პარ. 2-ის ყველა მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული, ეს ვადა იქნება სამი თვე. პირველი წინადადება შესაბამისად გამოიყენება იმ მომენტიდან, როდესაც 7:46c მუხლის პარ. 2-ში გათვალისწინებული ყველა მოთხოვნის დაკმაყოფილება მოხდება მეორე წინადადებაში მითითებული ვადის განმავლობაში.
- 2. პარ. 1-ის შესაბამისად ხელშეკრულების გაუქმების შემთხვევაში, გამყიდველი ვერ დააკისრებს

მყიდველს საკომპენსაციო თანხის გადახდას, გარდა ობიექტის დაბრუნებასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯების თანხებისა.

– 3. პარ. 1-ის შესაბამისად ხელშეკრულების გაუქმების შემთხვევაში, მყიდველი უფლებამოსილია აინაზღაუროს ის, რაც მან გადაუხადა გამყიდველს, რაც შეიძლება განხორციელდეს უსასყიდლოდ. თანხების ანაზღაურება უნდა მოხდეს შეძლებისდაგვარად სწრაფად, თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, – ხელშეკრულების გაუქმებიდან 30 დღის ვადაში.

– 4. 1-3 პარაგრაფების ნორმები არ გამოიყენება იმ დისტანციური ნასყიდობის ხელშეკრულების მიმართ:

a. რომლის ობიექტის ფასიც დამოკიდებულია ფინანსური ბაზარზე არსებულ რყევებზე, რომლებიც გამყიდველის მიერ ვერ კონტროლდება;

b. რომლის ობიექტი:

1°. დამზადდა მყიდველის სპეციფიკაციის შესაბამისად;

2°. აშკარად პერსონალიზირებულია;

3°. თავისი ბუნებით არ ექვემდებარება დაბრუნებას;

4°. მალფუჭებადია ან ენურება ვარგისიანობის ვადა;

c. რომლის ობიექტს წარმოადგენს აუდიო ან ვიდეო ჩანაწერები ანდა კომპიუტერული პროგრამა, თუკი მყიდველმა მოხსნა მათი ბუნებები;

d. რომლის ობიექტს წარმოადგენს გაზეთები და ილუსტრირებული ჟურნალები.

მუხლი 7:46e თანმხლები სესხის ხელშეკრულების გაუქმება

– 1. 7:46d მუხლის პარ. 1-ის შესაბამისად დისტანციური ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმება კანონის ძალითა და მყიდველისათვის რაიმე სანქციის დაკისრების გარეშე შედეგად იწვევს იმ ხელშეკრულების გაუქმებასაც, რომლის საფუძველზეც გამყიდველმა ასესხა ფულადი თანხა მყიდველს იმ განზრახვით, რომ ეს უკანასკნელი ამ სესხს ნასყიდობის ფასის დასაფარად იყენებს.

– 2. 7:46d მუხლის პარ. 1-ის შესაბამისად დისტანციური ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმების შემთხვევაში, მყიდველს აქვს უფლება, რაიმე სანქციის დაკისრების გარეშე, გააუქმოს მასსა და მესამე პირს შორის დადებული ხელშეკრულება, რომლითაც ამ მესამე პირმა ფულადი თანხა ასესხა მყიდველს გამყიდველისათვის ნასყიდობის ფასის გადახდისათვის, თუკი აღნიშნული ხელშეკრულება დაიდო გამყიდველსა და ამ მესამე პირს შორის არსებული ხელშეკრულების გამო.

მუხლი 7:46f გამყიდველის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა

– 1. ვალდებულების შესრულებაზე ფორმალური შეტყობინების წარდგენის აუცილებლობის გარეშე, გამყიდველი მიიჩნევა ვადაგადაცილებულად (ვადაგადაცილებაშია), როდესაც მან დისტანციური ნასყიდობის ხელშეკრულების თავისი ნაწილი არ შეასრულა მაქსიმუმ ოცდაათი დღის განმავლობაში იმ დღიდან, როდესაც მყიდველმა თავისი შეკვეთა მისცა გამყიდველს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილება ვერ შეეარაცხება გამყიდველს ანდა შესრულება აღნიშნული ვადის განმავლობაში მყარად შეუძლებელი გახდა.

– 2. თუკი ვალდებულების შესრულება შეუძლებელია იმის გამო, რომ ნაყიდი ობიექტი ხელმისაწვდომი არ არის, მაშინ მყიდველს შეძლებისდაგვარად სწრაფად უნდა შეატყობინონ ამ ვითარების შესახებ და მას აქვს უფლება, უსასყიდლოდ დაიბრუნოს მის მიერ გამყიდველისათვის გადახდილი ნებისმიერი თანხა. დასაბრუნებელი თანხის გადახდა უნდა მოხდეს შეძლებისდაგვარად სწრაფად, თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, – 30 დღის ვადაში მას შემდეგ, რაც გამყიდველმა შეატყობინა მყიდველს იმის შესახებ, რომ ნაყიდი ობიექტი ხელმისაწვდომი არ არის.

– 3. თუკი პარ. 2-ში მითითებულ ვითარებაში დისტანციური ნასყიდობის ხელშეკრულების დადებამდე ან დადების მომენტში შეთანხმებული სახელშეკრულებო დებულების ძალით გამყიდველს აქვს უფლება, მიანოდოს მყიდველს ეკვივალენტური ხარისხისა და ფასის ობიექტი, მაშინ ამ უკანასკნელის დაბრუნების ხარჯები დისტანციური ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმების უფლების განხორციელების შემდეგ ეკისრება გამყიდველს თანახმად 7:46d მუხლის პარ. 1-ის ნორმებისა. აღნიშნული შესაძლებლობის შესახებ მყიდველი ნათლად და გასაგებად უნდა იქნეს ინფორმირებული.

მუხლი 7:46g საკრედიტო ბარათების თაღლითური გამოყენება

იმ ფიზიკურ პირს, ვინც ხელშეკრულების დადებისას არ მოქმედებს თავისი პროფესიული თუ სამე-

წარმო საქმიანობის ფარგლებში და რომლის საკრედიტო ბარათი თაღლითურად იქნა გამოყენებული დისტანციურ ნასყიდობასთან დაკავშირებით, ვერ დაეკისრება ამ თაღლითური გამოყენების შედეგად წარმოშობილი თანხების გადახდა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი გამოყენება წარმოადგენს იმ გარემოების შედეგს, რომელიც შეერაცხება მას. ის, რაც უკვე იქნა მის მიერ ამ მომენტისათვის გადახდილი, ჩაითვლება არარსებული ვალდებულების შესრულებად.

მუხლი 7:46h მოთხოვნის გარეშე მიწოდებული კომერციული შეტყობინება

– 1. როდესაც მოთხოვნის გარეშე სატელეფონო ზარები ხორციელდება იმ ფიზიკური პირის მიმართ, ვინც ზარის მიღებისას არ მოქმედებს თავისი პროფესიული თუ სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში, ამ უკანასკნელის დისტანციური ნასყიდობის ხელშეკრულების დადებამდე დაყოლიების მიზნით, მაშინ გამოიძველის პიროვნება და ზარის კომერციული მიზანი ნათლად უნდა გაჟღერდეს თითოეული საუბრის დაწყების წინ.

– 2. პარ. 3-ში გათვალისწინებული წესების მოქმედების შეზღუდვის გარეშე, ადამიანის ჩარევის გარეშე ავტომატური სატელეფონო ზარების სისტემების გამოყენება და ასევე – ფაქსებისა და მოთხოვნის გარეშე შეტყობინების გადაგზავნისათვის საჭირო ელექტრონული შეტყობინებების გამოყენება იმ ფიზიკური პირის მიმართ, ვინც მისი მიღებისას არ მოქმედებს თავისი პროფესიული თუ სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში, ამ უკანასკნელის დისტანციური ნასყიდობის ხელშეკრულების დადებამდე დაყოლიების მიზნით, დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი შესაბამისმა პირმა წინასწარ გასცა ამაზე თავისი თანხმობა.

– 3. ყოველ პირს, რომელმაც დისტანციურ ნასყიდობასთან დაკავშირებით შეიძინა ელექტრონული შეტყობინებებისათვის საჭირო ელექტრონული საკონტაქტო მონაცემები, შეუძლია გამოიყენოს ეს მონაცემები შეტყობინების გადაგზავნისათვის საკუთარ ანალოგიურ ობიექტებთან დაკავშირებული დისტანციური ნასყიდობის ხელშეკრულების დადების ხელშეწყობის მიზნით იმ პირობით, რომ აღნიშნული საკონტაქტო მონაცემების შექმნის მომენტში მომხმარებელს მიეცა ნათელი და არაორაზროვანი შესაძლებლობა, უსასყიდლოდ და მარტივი ხერხით გააპროტესტოს ამ ელექტრონული საკონტაქტო მონაცემების გამოყენება, ხოლო თუკი მომხმარებელმა არ ისარგებლა ამ შესაძლებლობით, – იმ პირობით, რომ მომავალში ეს შესაძლებლობა მას კვლავ მიეცემა იმავე პირობებით თითოეული გადაგზავნილი შეტყობინების შემთხვევაში. შესაბამისად გამოიყენება პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის 41-ე მუხლის მეორე პარაგრაფი.

– 4. დისტანციური ნასყიდობის ხელშეკრულებების დადების ხელშეწყობის მიზნით ელექტრონული შეტყობინებების გამოყენებისას ქვემოთ მოცემული შემდეგი მონაცემები უნდა იქნეს ყოველთვის მითითებული:

a. იმ პირის რეალური მონაცემები, რომლის სასარგებლოდაც ხდება შეტყობინების გადაგზავნა, და

b. მოქმედი საფოსტო მისამართი ან ნომერი, სადაც ან რაზეც მიმღებს შეუძლია გააგზავნოს მოთხოვნა ასეთი კავშირის შეწყვეტის შესახებ.

– 5. ნაცვლად პარ. 2-ში ნახსენები საშუალებებისა, დასაშვებია მოთხოვნის გარეშე მისაწოდებელი შეტყობინებისათვის დისტანციური საკომუნიკაციო საშუალების გამოყენება ან დისტანციური ნასყიდობის ხელშეკრულებების დადების ხელშეწყობის მიზნით მოთხოვნის გარეშე განცხადებების გაკეთება იმ ფიზიკური პირის მიმართ, ვინც მისი მიღებისას არ მოქმედებს თავისი პროფესიული თუ სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შესაბამისმა პირმა განაცხადა, რომ მას არ სურს აღნიშნული დისტანციური საკომუნიკაციო საშუალების გამოყენებისას არსებული შეტყობინების ან განცხადებების მიღება.

– 6. ის პირი, ვინც ახდენს მოთხოვნის გარეშე შეტყობინების გადაცემას ან აკეთებს განცხადებებს დისტანციური ნასყიდობის ხელშეკრულებების შეწყვეტის მიზნით, ვალდებულია, სულ ცოტა, წელიწადში ერთხელ მაინც მიიღოს სათანადო ზომები პარ. 5-ში მითითებული პირობისათვის იმ შესაძლებლობის გაცხადების შესახებ შეტყობინების გაგზავნისათვის, რომ მათ არ სურს შეტყობინების ან განცხადებების მიღება პარ. 5-ში გათვალისწინებული წესით. აღნიშნულ პირებს ამ შესაძლებლობის შესახებ შეიძლება შეატყობინონ ერთ ან რამდენიმე გაზეთში განცხადების გამოქვეყნების გზით ანდა – ნებისმიერი სხვა სათანადო გზით.

– 7. პარ. 2-სა და 5-ში მითითებული პირობისათვის დაუშვებელია ამავე პარაგრაფებში აღნიშნული ზომების მიღებისათვის რაიმე ხარჯების დაკისრება.

მუხლი 7:46i მომსახურების განწევა

– 1. 7:46b მუხლის პარ. 2, 7:46c მუხლის, 7:46d მუხლის პარ. 1-3 და 4, (a) პუნქტი, 7:46e მუხლისა და 7:46f მუხლის პარ. 1 და 2-ის ნორმები შესაბამისად გამოიყენება იმ მომსახურების განწევის შესახებ დისტან-

ნციური ხელშეკრულების მიმართ, რომელიც არ მიეკუთვნება ფინანსურ მომსახურებას. 7:46g და 7:46h მუხლების ნორმები შესაბამისად გამოიყენება მომსახურების განვების შესახებ დისტანციური ხელშეკრულების მიმართ.

– 2. პარ. 1-გან განსხვავებით, პარ. 1-ში მითითებული მუხლები არ გამოიყენება შემდეგი დისტანციური ხელშეკრულების მიმართ:

a. რომელიც დაკავშირებულია მომსახურების განვასთან, თუკი ეს ხელშეკრულება საკომუნიკაციო საშუალებების ოპერატორთან იდება საჯარო ტელეფონების გამოყენებით;

b. რომელიც დაკავშირებულია ნაგებობისა თუ კონსტრუქციის აშენებასთან, თუკი ეს ხელშეკრულება აუცილებლად გულისხმობს უძრავი ქონების მშენებლობას.

– 3. პარ. 1-გან განსხვავებით, 7:46c მუხლიდან 7:46e მუხლის ჩათვლით და ასევე 7:46f მუხლის პარ. 1-ის ნორმები არ გამოიყენება იმ მომსახურების განვების შესახებ დისტანციური ხელშეკრულების მიმართ, რომელიც ეხება საცხოვრებელი ფართში განთავსებას, ტრანსპორტირებას, კვებასა თუ გართობას, რომლის დროსაც მომსახურების გამწვევი თავად კისრულობს ვალდებულებას ხელშეკრულების დადების მომენტში გასწიოს აღნიშნული მომსახურება კონკრეტულ დღესა თუ კონკრეტული ვადის განმავლობაში.

– 4. პარ. 1-გან განსხვავებით, 7:46c მუხლის პარ. 2-ის ნორმები არ გამოიყენება იმ მომსახურების განვების შესახებ დისტანციური ხელშეკრულების მიმართ, რომლის დროსაც მომსახურების განვება ხდება მხოლოდ ერთ შემთხვევაში დისტანციური საკომუნიკაციო საშუალების გამოყენებით, რაზეც საკომუნიკაციო საშუალებების ოპერატორის მიერ იწვევა შესაბამისი ინვოისი. თუმცაღა, მიუხედავად აღნიშნულისა, მომსახურების გამწვევის სანარმოს ადგილის ის სავიზიტო მისამართი, სადაც მის კონტრაქტს შეუძლია წარადგინოს თავისი ნებისმიერი საჩივარი, ყოველთვის უნდა მიენოდოს ამ კონტრაქტს.

– 5. პარ. 1-გან განსხვავებით, 7:46d მუხლის ნორმები არ გამოიყენება მომსახურების განვების შესახებ დისტანციური ხელშეკრულების მიმართ:

a. თუკი მომსახურების განვება დაიწყო კონტრაქტის თანხმობით 7:46d მუხლის პარ. 1-ის პირველი და მესამე წინადადებაში მითითებული შვიდი სამუშაო დღის ვადის ამონურვამდე;

b. საქმე ეხება თამაშობებსა და ლატარიის გათამაშებასთან დაკავშირებულ მომსახურებას.

– 6. მომსახურების განვების შესახებ დისტანციური ხელშეკრულების შემთხვევაში, 7:46d მუხლის პარ. 1-ის პირველი და მეორე წინადადებაში მითითებული ვადის დენა იწვება ხელშეკრულების დადების მომენტიდან.

– 7. საცილოა ნებისმიერი სახელშეკრულებო პირობა, რომელიც ითვალისწინებს იმას, რომ კონტრაქტმა უნდა დაამტკიცოს მომსახურების გამწვევის მხრიდან მასზე 2002/65/EC დირექტივის შესაბამისად დაკისრებული ვალდებულებების სრულად ან ან ნაწილობრივ შეუსრულებლობის ფაქტი.

მუხლი 7:46j კანონის იმპერატიული ნორმები

– 1. დაუშვებელია წინამდებარე განყოფილების ნორმებიდან გადახვევა მყიდველის ან მომსახურების გამწვევის კონტრაქტის ინტერესების საზიანოდ.

– 2. პარ. 1-ის ნორმები არ გამოიყენება 7:46f პარ. 1-ის მიმართ.

– 3. იმ სახელშეკრულებო უფლების გამოყენების შესაძლებლობას, რომელიც არ იძლევა #97/7/EC დირექტივით ან, შესაბამისად, 2002/65/EC დირექტივით გათვალისწინებულ დაცვას, ანდა რომელიც ასეთ დაცვას იძლევა მხოლოდ ნაწილობრივ, ვერ ექნება ის შედეგი, რომ მყიდველს ან მომსახურების გამწვევის კონტრაქტს წაერთვას ის დაცვა, რომელიც #97/7/EC დირექტივით ან, შესაბამისად, 2002/65/EC დირექტივით მისთვის მინიჭებულია ევროკავშირის წევრი სახელმწიფოსა თუ ევროპული ეკონომიკური ზონის შეთანხმების მონაწილე იმ სხვა სახელმწიფოს კანონის იმპერატიული ნორმებით, სადაც მყიდველს ან კონტრაქტს აქვს თავისი დომიცილი (ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი).

განყოფილება 7.1.10 – ძვირადღირებული უფლებების ნასყიდობა

მუხლი 7:47 ძვირადღირებული უფლებების ნასყიდობის მიმართ 7.1 ტიტულის ნორმათა შესაბამისი გამოყენების შესაძლებლობა

ნასყიდობის ხელშეკრულება შეიძლება ეხებოდეს ასევე ძვირადღირებულ უფლებასაც. ასეთ შემთხვევაში წინამდებარე ტიტულის წინა განყოფილებათა ნორმები შესაბამისად გამოიყენება ნასყიდობის ხელშეკრულების მიმართ, რამდენადაც ეს შესაბამისობაში იქნება ძვირადღირებული უფლების ბუნებასთან.

მუხლი 7:48 გარდაცვლილის ქონებაში წილის ნასყიდობა

– 1. პირს, ვინც ყიდის გარდაცვლილის ქონებაში წილს ამ ქონების აქტივების ცალ-ცალკე დასახელების გარეშე, ეკისრება მხოლოდ გარანტია იმისა, რომ მას აქვს მემკვიდრის სტატუსი.

– 2. იმ შემთხვევებში, როდესაც გამყიდველმა უკვე მიიღო გარდაცვლილის ქონების ნებისმიერი ნაყოფი (სარგებელი), ასევე – როდესაც მან უკვე მოახდინა გარდაცვლილის ქონებას მიკუთვნებული სავალდებულო მოთხოვნებიდან მიიღო შესაბამისი თანხები ანდა გამყიდველმა უკვე გაასხვისა ქონებიდან აქტივი, მან მყიდველს პროპორციულად უნდა გადაუხადოს შესაბამისი საკომპენსაციო თანხა.

– 3. მყიდველმა უნდა აუნაზღაუროს გამყიდველს ის თანხები, რომლებიც ამ უკანასკნელმა გადაიხადა გარდაცვლილის ქონების ვალებისა და გადასახდელების დაფარვასთან დაკავშირებით, და ასევე – მან უნდა გადაუხადოს გამყიდველს ის, რაც ამ უკანასკნელს შეეძლო თავად მოეთხოვა როგორც გარდაცვლილის ქონების კრედიტორს.

[განყოფილება 7.1. 10A შეიცვალა 7.1a ტიტულით]

მუხლი 7:48a {გაუქმებულია 23.02.2011წ.}

მუხლი 7:48b {გაუქმებულია 23.02.2011წ.}

მუხლი 7:48c {გაუქმებულია 23.02.2011წ.}

მუხლი 7:48d {გაუქმებულია 23.02.2011წ.}

მუხლი 7:48e {გაუქმებულია 23.02.2011წ.}

მუხლი 7:48f {გაუქმებულია 23.02.2011წ.}

მუხლი 7:48g {გაუქმებულია 23.02.2011წ.}

[განყოფილება 7.1. 11 დარეზერვებულია]

განყოფილება 7.1.12 – გაცვლა

მუხლი 7:49 განმარტება

გაცვლის ხელშეკრულება წარმოადგენს ხელშეკრულებას, რომლითაც ერთ-ერთმა მხარემ იკისრა ვალდებულება, გადასცეს ნივთი საკუთრებაში მეორე მხარეს იმ სხვა ნივთის სანაცვლოდ, რომელიც უნდა იქნეს საკუთრებაში გადაცემული მეორე მხარის მიერ.

მუხლი 7:50 7.1 ტიტულის ნორმების შესაბამისი გამოყენება გაცვლის ხელშეკრულებების მიმართ

ნასყიდობის ხელშეკრულების მიმართ მოქმედი კანონისმიერი ნორმები შესაბამისად გამოიყენება გაცვლის ხელშეკრულების მიმართ იმ პირობით, რომ თითოეული მხარე მიიჩნევა, ერთი მხრივ, გამყიდველად მასზე დაკისრებულ ვალდებულებასთან დაკავშირებით, ხოლო, მეორე მხრივ კი, -მყიდველად, ვინც უფლებამოსილია იმ შესრულების მიღებაზე, რომელიც უნდა განხორციელდეს მეორე მხარის მიერ.

ტიტული 7.1a – თაიმშერის, გრძელვადიანი დასვენების, დახმარებისა და გაცვლის ხელშეკრულებები

მუხლი 7:50a განმარტებები

წინამდებარე ტიტულის (ტიტული 7.1a) მიზნებისათვის გამოიყენება ქვემოთ მოცემული განმარტებები:

a. „მომხმარებელი“ გულისხმობს ფიზიკურ პირს, ვინც არ მოქმედებს თავისი სავაჭრო, სამენარმეო, სახელოსნო ან პროფესიული საქმიანობის წარმართვისას;

b. „მოვაჭრე“ გულისხმობს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, ვინც მოქმედებს თავისი სავაჭრო, სამენარმეო, სახელოსნო ან პროფესიული საქმიანობასთან დაკავშირებით და ასევე – ნებისმიერი ის პირი, მოქმედებს მისი სახელითა თუ სასარგებლოდ;

c. „თაიმშერის კონტრაქტი“ გულისხმობს ერთ წელზე მეტი ვადით დადებულ კონტრაქტს პროლონგაციის დაშვების შესახებ ნებისმიერი სახელშეკრულებო დებულების ჩათვლით, რომლის თანახმადაც მომხმარებელი სასყიდლით იძენს უმთავრეს უფლებას, ისარგებლოს ერთი ან რამდენიმე სადღეღამისო საცხოვრებელი ფართით ერთზე მეტი დაკავების პერიოდით (თაიმშერის უფლება);

d. „გრძელვადიანი დასვენების ხელშეკრულება“ გულისხმობს ერთ წელზე მეტი ვადით დადებულ კონტრაქტს პროლონგაციის დაშვების შესახებ ნებისმიერი სახელშეკრულებო დებულების ჩათვლით, რომლის თანახმადაც მომხმარებელი სასყიდლით იძენს უმთავრეს უფლებას, მიიღოს ფასდაკლებები ან სხვა სარგებელი საცხოვრებელი ფართით სარგებლობასთან დაკავშირებით როგორც ცალკე, ისე მოგზაურობასა თუ სხვა მომსახურებასთან დაკავშირებით;

e. „ვაჭრობაში დახმარების განვების ხელშეკრულება“ გულისხმობს კონტრაქტს, რომლის თანახმადაც მოვაჭრე სასყიდლით უწევს დახმარებას მომხმარებელს თაიმშერის ან გრძელვადიანი დასვენების უფლებების შექენასა თუ გადაცემაში;

f. „გაცვლის ხელშეკრულება“ გულისხმობს კონტრაქტს, რომლის თანახმადაც მომხმარებელი სასყიდლით უერთდება გაცვლით სისტემას, რომელიც ამ მომხმარებელისათვის ხელმისაწვდომს ხდის სადღეღამისო საცხოვრებელ ფართსა თუ სხვა მომსახურებას სანაცვლოდ მესამე პირებისათვის ამ მომხმარებლის თაიმშერის კონტრაქტიდან გამომდინარე უფლებების სარგებლის დროებითი წვდომის მიწიჭებით;

g. „დამხმარე ხელშეკრულება“ გულისხმობს კონტრაქტს, რომლის თანახმადაც მომხმარებელი იღებს მომსახურებას, რომელიც დაკავშირებულია თაიმშერის ან გრძელვადიანი დასვენების ხელშეკრულებებთან და რომლის განვაც ხდება მოვაჭრისა თუ მესამე პირის მიერ ამ უკანასკნელსა და მოვაჭრეს შორის არსებული შეთანხმების საფუძველზე;

h. „მონაცემთა მყარი მატარებელი“ გულისხმობს ნებისმიერ ინსტრუმენტს, რომელიც საშუალებას აძლევს მომხმარებელსა თუ მოვაჭრეს, შეინახოს მისთვის პირადად გადმოცემული ინფორმაცია იმგვარად, რომ ის ხელმისაწვდომი იყოს სამომავლოდ ამ ინფორმაციის მიზნებისათვის შესაბამისი დროის განმავლობაში და რომელიც იძლევა შენახული ინფორმაციის უცვლელად აღწარმოების საშუალებას;

i. „დირექტივა“ გულისხმობს თაიმშერის, გრძელვადიანი დასვენების, გადაყიდვისა და გაცვლის ხელშეკრულებების განსაზღვრულ ასპექტებთან დაკავშირებით მომხმარებელთა დაცვის შესახებ 2009 წლის 14 იანვრის 2008/122/EC ევროპული პარლამენტის დირექტივას.

მუხლი 7:50b ხელშეკრულების დადებამდე ინფორმაციის მიწოდება

– **1.** მოვაჭრემ მომხმარებელს უსასყიდლოდ და დროულად მანამდე, სანამ მომხმარებელს დაკისრება რაიმე ვალდებულება თაიმშერის კონტრაქტით, ნათლად და გასაგებად უნდა მიწოდოს ზუსტი და საკმარისი ინფორმაცია დირექტივის 1-ლ დანართში მოცემული სტანდარტული ფორმით. ინფორმაციის მიწოდება ხდება ქალაქის მატარებელზე ან მონაცემთა მყარ მატარებელზე, რომლებიც მომხმარებლისათვის ადვილად ხელმისაწვდომია.

– **2.** პარ. 1-ში მითითებული ინფორმაცია დგება იმ სახელმწიფოს ენაზე ან ერთ-ერთ ენაზე, სადაც მომხმარებელი ცხოვრობს ან რომლის მოქალაქესაც ის წარმოადგენს, მომხმარებლის არჩევანით, იმ პირობით, რომ ეს იქნება ევროპული კავშირის ანდა ევროპული ეკონომიკური ზონის შეთანხმების მონაწილე ერთ-ერთი სახელმწიფოს ოფიციალური ენა.

– **3.** თაიმშერის კონტრაქტების შესახებ რეკლამებში უნდა მიეთითოს იმის შესახებ, რომ არსებობს პარ. 1-ში მითითებული ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა, და ასევე – იმის შესახებ, თუ სად შეიძლება ამ ინფორმაციის მიღება.

- 4. იმ შემთხვევებში, როდესაც სარეკლამო ან საქონლის რეალიზაციის ღონისძიებების ჩატარებისას მომხმარებელს წარედგინება თაიმშერის კონტრაქტის დადების ოფერტი, მოვაჭრემ მოსაწვევში ნათლად უნდა მიუთითოს ღონისძიების კომერციული მიზნის შესახებ.
- 5. სარეკლამო ან საქონლის რეალიზაციის ღონისძიებების ჩატარების პერიოდში მოვაჭრე უზრუნველყოფს პარ. 1-ში მითითებული ინფორმაციის მომხმარებლისათვის მუდმივ ხელმისაწვდომობას.
- 6. დაუშვებელია თაიმშერის კონტრაქტის ინვესტიციის სახით შეთავაზება ან მითითება.
- 7. წინამდებარე მუხლის ნორმების დარღვევით მოქმედი მოვაჭრე ეწევა არაკეთილსინდისიერ სავაჭრო პრაქტიკას, როგორც ეს მითითებულია ნ: 193ხ მუხლში.

მუხლი 7:50c ხელშეკრულების დადება

- 1. თაიმშერის კონტრაქტი იდება წერილობითი ფორმით ქალაქის მატარებელზე ან მონაცემთა მყარ მატარებლებზე და მას ხელს აწერენ მხარეები.
- 2. თაიმშერის კონტრაქტი დგება იმ სახელმწიფოს ენაზე ან ერთ-ერთ ენაზე, სადაც მომხმარებელი ცხოვრობს ან რომლის მოქალაქესაც ის წარმოადგენს, მომხმარებლის არჩევანით, იმ პირობით, რომ ეს იქნება ევროპული კავშირის ანდა ევროპული ეკონომიკური ზონის შეთანხმების მონაწილე ერთ-ერთი სახელმწიფოს ოფიციალური ენა.
- 3. კონტრაქტი შეიცავს, სულ ცოტა, შემდეგ ინფორმაციას:
 - a. თითოეული მხარის საიდენტიფიკაციო მონაცემებსა და საცხოვრებელ ადგილს, და;
 - b. ხელშეკრულების დადების თარიღსა და ადგილს.
- 4. 7:50b მუხლის პარ. 1-ში მითითებული ინფორმაცია ქმნის თაიმშერის კონტრაქტის შემადგენელ ნაწილს და ის არ ექვემდებარება შეცვლას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარეები სხვაგვარად შეთანხმდნენ, ანდა ცვლილებები გამომდინარეობს მოვაჭრის კონტროლს მიღმა არსებული იმ არაჩვეულებრივი და გაუთვალისწინებელი გარემოებებიდან, რომელთა შედეგების თავიდან აცილებაც შეუძლებელი იქნებოდა თუნდაც სიფრთხილის ყველა ზომის სათანადო მიღების შემთხვევაში.
- 5. წინა პარაგრაფში მითითებული ცვლილებები არაორაზროვნად უნდა იქნეს ნახსენები ხელშეკრულებაში და ასევე ხელშეკრულების დადებაზე მათი შეტანის შესახებ უნდა ეცნობოს მომხმარებელს ქალაქის მატარებელზე ან მონაცემთა სხვა მყარ მატარებელზე, რომელიც ადვილად ხელმისაწვდომია მისთვის.
- 6. თაიმშერის კონტრაქტი უნდა შეიცავდეს ხელშეკრულების გაუქმების შესახებ ცალკე სტანდარტულ ფორმას (ხელშეკრულებიდან გასვლის ფორმა), როგორც ეს მოცემულია დირექტივის მე-5 დანართში.
- 7. თაიმშერის კონტრაქტის დადებაზე მოვაჭრე სპეციალურად აქცევს მომხმარებლის ყურადღებას ხელშეკრულების გაუქმების უფლების არსებობაზე, ასევე – იმ ვადაზე, რომლის განმავლობაშიც შეიძლება განხორციელდეს ეს უფლება და ამავე პერიოდში საავანსო გადახდების აკრძალვაზე. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით სახელშეკრულებო პირობებს (დათქმებს) მომხმარებელი ხელს აწერს განცალკევებით.
- 8. პარ. 1-ში მითითებული კონტრაქტი ან მისი ასლი გადაცემა მომხმარებელს ხელშეკრულების დადების მომენტში.

მუხლი 7:50d ხელშეკრულების გაუქმების უფლება

- 1. მომხმარებელს აქვს უფლება, ფინანსური სანქციისა და ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე გააუქმოს თაიმშერის კონტრაქტი თოთხმეტი დღის განმავლობაში:
 - a. ხელშეკრულების ან ნებისმიერი წინარე ხელშეკრულების დადების დღიდან, ან;
 - b. იმ დღიდან, როდესაც მომხმარებელი იღებს ხელშეკრულების ან წინარე ხელშეკრულების ასლს, თუკი ეს ხდება (a) პუნქტში მითითებული თარიღის შემდეგ.
- 2. თუ 7:50b მუხლის პარ. 1-ში გათვალისწინებული მოთხოვნები არ შესრულდა, წინა პარაგრაფში მითითებულ ვადას ემატება დროის ის პერიოდი, რომელიც გავიდა, შესაბამისად, წინა პარაგრაფის (a) ან (b) პუნქტებში მითითებული დროიდან იმ მომენტამდე, როდესაც ყველა გამოტოვებული მონაცემი სათანადო წესით წარედგინა მომხმარებელს, თუმცაღა – არაუმეტეს სამი თვის ვადისა.
- 3. თუკი 7:50c მუხლის პარ. 1-ში მითითებული სტანდარტული ფორმა, რომელიც უნდა შეივსოს მოვაჭრის მიერ, თან არ ერთვის თაიმშერის კონტრაქტს, წინა პარაგრაფში მითითებულ ვადას ემატება დროის ის პერიოდი, რომელიც გავიდა, შესაბამისად, წინა პარაგრაფის (a) ან (b) პუნქტებში მითითებული

დროიდან იმ მომენტამდე, როდესაც ყველა გამოტოვებული მონაცემი სათანადო წესით წარედგინა მომხმარებელს, თუმცა – არაუმეტეს ერთი წლის ვადისა.

– 4. მომხმარებელი პარ. 1-ში მითითებულ უფლებას ახორციელებს ამ მიზნით წერილობითი განცხადების შესაბამის ვადებში ქალაქის მატარებელზე ან მონაცემთა სხვა მყარ მატარებელზე მოვაჭრისათვის გაგზავნით.

მუხლი 7:50e სხვა დაკავშირებული კონტრაქტების გაუქმება კანონის ძალით

– 1. 7:50d მუხლის საფუძველზე ხელშეკრულების გაუქმების შემთხვევაში, მომხმარებელს არ ეკისრება რაიმე ხარჯი და არც არანაირი პასუხისმგებლობა არ ეკისრება იმ მომსახურების შესაბამისი ნებისმიერი ღირებულებისათვის, რომელიც მას ხელშეკრულების გაუქმებამდე გაენია.

– 2. მომხმარებლისათვის 7:50d მუხლის საფუძველზე ხელშეკრულების გაუქმება კანონის ძალითა და რაიმე ხარჯის დაკისრების გარეშე შედეგად იწვევს ასევე:

a. თაიმშერის კონტრაქტთან დაკავშირებული გაცვლის ხელშეკრულების გაუქმებასაც;

b. სხვა დამატებითი ხელშეკრულებების გაუქმებას და;

c. იმ კონტრაქტის გაუქმებასაც, რომლითაც მოვაჭრე თუ მესამე პირი ამ უკანასკნელსა და მოვაჭრეს შორის არსებული შეთანხმების საფუძველზე მომხმარებელს აძლევს კრედიტს ხელშეკრულების ფასისათვის მისი ნაწილის დასაფარად.

მუხლი 7:50f ხელშეკრულების გაუქმების ვადის განმავლობაში სამართლებრივი საფუძვლის გარეშე განხორციელებული გადახდები

– 1. იმ ვადის განმავლობაში, როდესაც მომხმარებელს შეუძლია 7:50d მუხლის პარ. 1-ში მითითებული ხელშეკრულების გაუქმების უფლების რეალიზაცია, მას არ მოეთხოვება ანდა ის არ არის ვალდებული:

a. განახორციელოს ნებისმიერი საავანსო გადახდა;

b. წარადგინოს გარანტიები;

c. განათავსოს ფულადი თანხები ანგარიშებზე;

d. აღიაროს ვალი, ან;

e. განახორციელოს ნებისმიერი სხვა საპასუხო დაკმაყოფილება ან გადაიხადოს ნებისმიერი საკომპენსაციო თანხა.

– 2. წინა პარაგრაფში მითითებული ვადის განმავლობაში განხორციელებული გადახდები სამართლებრივი საფუძვლის გარეშე არსებულ გადახდებზე მიიჩნევა.

მუხლი 7:50g გრძელვადიანი დასვენების ხელშეკრულება

– 1. იმ 7:50a მუხლიდან 7:50f მუხლის ჩათვლით ნორმები შესაბამისად გამოიყენება გრძელვადიანი დასვენების ხელშეკრულების მიმართ იმ პირობით, რომ 7:50b მუხლში მითითებული ინფორმაციის მიწოდება ხდება დირექტივის მე-2 დანართში მოცემული სტანდარტული ფორმით.

– 2. ნებისმიერი საწევროს თანხის ჩათვლით, გრძელვადიანი დასვენების ხელშეკრულების საზღაურის გადახდა ხდება ნაწილ-ნაწილ ყოველწლიურად თანაბარი თანხებით. ნებისმიერი სხვა გადახდა სამართლებრივი საფუძვლის გარეშე არსებულ გადახდად მიიჩნევა.

– 3. მოვაჭრემ გადახდის ყოველი ვადის დადგომამდე, სულ ცოტა, თოთხმეტი დღით ადრე ქალაქის მატარებელზე ან მონაცემთა სხვა მყარ მატარებელზე მომხმარებელს უნდა გაუგზავნოს თანხების გადახდის შესახებ წერილობითი მოთხოვნა.

– 4. მეორე გადახდის გაანხორციელების შემდეგ მომხმარებელს შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება ყოველგვარი პირგასამტეხლოს დაკისრების რისკის გარეშე თითოეული გადახდის შესახებ მოთხოვნის მიღებიდან მოვაჭრისათვის თოთხმეტი კალენდარული დღის განმავლობაში შეტყობინების წარდგენით.

მუხლი 7:50h ვაჭრობაში დახმარების განევის ხელშეკრულება და გაცვლის ხელშეკრულება

7:50a მუხლი პარ. 1-დან პარ. 5-ის ჩათვლით ნორმები, ასევე პარ. 7-სა და 7:50c მუხლის, 7:50d მუხლის, 7:50e მუხლის პარ. 1 და 2-ის, დასაწყისის, (c) პუნქტისა და ასევე 7:50f მუხლის ნორმები შესაბამისად გამოიყენება ვაჭრობაში დახმარების განევისა და გაცვლის ხელშეკრულების მიმართ იმ პირობით, რომ:

a. ვაჭრობაში დახმარების განევის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით:

1° 7:50b მუხლში მითითებული ინფორმაციის მიწოდება ხდება დირექტივის მე-3 დანართში მოცემული სტანდარტული ფორმით;

2° 7:50f მუხლი ძალაშია მხოლოდ მანამდე, სანამ ადგილი არ ექნება საქონლის საკუთრებაში გადაცემას ან შექმნას ანდა კონტრაქტი სხვაგვარად არ შეწყდება;

b. გაცვლის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით:

1° 7:50b მუხლში მითითებული ინფორმაციის მინოდება ხდება დირექტივის მე-4 დანართში მოცემული სტანდარტული ფორმით, და;

2° როდესაც კონტრაქტის შეთავაზება ხდება თაიმშერის კონტრაქტთან ერთად და მის დადებასთან ერთდროულად, მაშინ 7:50d მუხლის პარ. 1-ში გათვალისწინებული ხელშეკრულების გაუქმებისათვის გამოიყენება მხოლოდ ერთი ვადა, რომელიც ორივე კონტრაქტისათვის გამოითვლება წინამდებარე მუხლის პარ. 1-ის ნორმათა შესაბამისად.

მუხლი 7:50i (გამოტოვებულია წინამდებარე გამოცემაში როგორც არააქტუალური)

ტიტული 7.2 – ფინანსური გირაოს შესახებ ხელშეკრულებები

მუხლი 7:51 განმარტებები

წინამდებარე ტიტულში:

a. „ფინანსური გირაოს შესახებ ხელშეკრულებაში“ მოიაზრება ფინანსური გირაოს საუზრუნველყოფოდ გადაცემის შესახებ ხელშეკრულება ანდა გირავნობის დადგენის შესახებ ფინანსური გირაოს ხელშეკრულება;

b. „ფინანსური გირაოს საუზრუნველყოფოდ გადაცემის შესახებ ხელშეკრულებაში“ მოიაზრება ხელშეკრულება, რომლითაც (d), (e) ან (f) პუნქტებში მითითებული გირაოს გადაცემა ხდება ვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით;

c. „გირავნობის დადგენის შესახებ ფინანსური გირაოს ხელშეკრულებაში“ მოიაზრება ხელშეკრულება, რომლითაც ხდება გირაოს საუზრუნველყოფოდ წარდგენა, როგორც ეს მითითებულია (d), (e) ან (f) პუნქტებში;

d. „ფულად თანხაში“ მოიაზრება ფულად თანხასთან დაკავშირებული სავალო მოთხოვნა, რომელიც თავდაპირველად შეტანილ იქნა ანგარიშზე ანდა განთავსდა დეპოზიტზე;

e. „ფინანსური ინსტრუმენტის ქვეშ“ მოიაზრება კომპანიებში არსებული წილები და წილობრივი მონაწილეობის დამადასტურებელი სხვა ანალოგიური დოკუმენტი, ობლიგაციები და სავალო ინსტრუმენტების სხვა ფორმები, თუკი ეს უკანასკნელები კაპიტალის ბაზარზე ბრუნვაუნარიანია, ასევე წილობრივი მონაწილეობის დამადასტურებელი ნებისმიერი სხვა დოკუმენტი, რომელიც ჩვეულებრივ იყიდება და იძლევა ნებისმიერი ასეთი წილის, ობლიგაციისა თუ მონაწილეობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტის შექმნის უფლებას ხელმოწერის, ნასყიდობისა თუ გაცვლის გზით, ანდა რომელიც იწვევს ნაღდი ფულით ანგარიშსწორების საშუალებას (გარდა საგადახდო ინსტრუმენტებისა), მათ შორის, – კოლექტიური საინვესტიციო ვალდებულებათა ერთეულები, ფულადი ბაზრის ინსტრუმენტები და ასევე ზემოაღნიშნულ ნებისმიერ მოქმედებასთან დაკავშირებული სავალო მოთხოვნები ან უფლებები;

f. „საკრედიტო სავალო მოთხოვნაში“ მოიაზრება იმ კონტრაქტიდან გამომდინარე ფულადი სავალო მოთხოვნა, რომლის საფუძველზეც ფინანსური ზედამხედველობის შესახებ კანონის 1:1 მუხლში მითითებული ბანკი გასცემს კრედიტს სესხის სახით იმ მოვალის მიმართ ფულადი სავალო მოთხოვნის გარდა, ვინც წარმოადგენს ფიზიკურ პირსა და ვალის აღებისას არ მოქმედებდა თავისი სამენარმეო თუ პროფესიული საქმიანობის ფარგლებში, გარდა იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთი კრედიტის საუზრუნველყოფოდ ფინანსური გირაოს მიმღები ან ფინანსური გირაოს გამცემი წარმოადგენს 7:52 მუხლის პარ. 1-ის (b) პუნქტში აღნიშნულ ერთ-ერთ დანესებულებას;

g. „ეკვივალენტური ფინანსური გირაოს ქვეშ“ მოიაზრება:

1° ნაღდ ფულთან დაკავშირებით – იგივე ოდენობის თანხის იმავე ვალუტაში გადახდა;

2° ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით – იმავე ემიტენტისა თუ მოვალის ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც ქმნის იმავე ემისიისა თუ კლასის და ასევე იმავე ნომინალური თანხის, ვალუტისა და აღწერილობის ნაწილს, ანდა – სხვა აქტივები, როდესაც ფინანსური გირაოს შესახებ შეთანხმება ითვალისწინებს ამ აქტივების საკუთრებაში გადაცემას იმ ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული ნებისმიერი გარემოების დადგომისას, რომლითაც მოვალემ დაადგინა გირავნობის უფლება.

h. „იძულებითი აღსრულებისათვის არსებული საფუძვლის ქვეშ“ მოიზრება ვადაგადაცილებისა თუ ნებისმიერი სხვა შემთხვევა, რომლის დადგომისას ფინანსური გირაოს შესახებ შეთანხმების პირობების თანახმად ან კანონის ძალით გირაოს მიმღები უფლებამოსილია დაგირავებული ფინანსური აქტივის რეალიზაციასა თუ საკუთრებაში მიღებაზე ანდა – გაქვითვის განხორციელებაზე საქონლის სალიკვიდაციო რეალიზაციის შესახებ დათქმასთან დაკავშირებით (გაქვითვის დათქმა);

i. „საქონლის სალიკვიდაციო რეალიზაციის შესახებ დათქმის ქვეშ“ მოიზრება სახელშეკრულებო პირობა ან ფინანსური გირაოს შესახებ ხელშეკრულებისა თუ რამდენიმე ერთმანეთთან დაკავშირებული ხელშეკრულების დებულება, რომელიც ქმნის ფინანსური გირაოს შესახებ ხელშეკრულების ნაწილს, ანდა – კანონის ნებისმიერი ნორმა, რომლითაც იძულებითი აღსრულებისათვის არსებული საფუძვლის შემთხვევაში:

– მხარეთა ვალდებულებები დაუყოვნებლივ ხდება ვადამოსული და შესასრულებელი და გარდაიქმნება მათი შეფასებითი მიმდინარე ღირებულების შესაბამისი თანხის გადახდის ვალდებულებაში, ანდა მხარეთა ვალდებულებები წყდება და მათი ჩანაცვლება მოხდება ასეთი თანხის გადახდის ვალდებულებით, ან;

– მხარეთა ვალდებულებები იფარება გაქვითვის გზით და გადაიხდება მხოლოდ გაქვითვის შემდეგ დარჩენილი ზედმეტობა.

მუხლი 7:52 ფინანსური გირაოს შესახებ ხელშეკრულების აუცილებელი მხარეები

– 1. წინამდებარე ტიტულის (ტიტული 7.2) ნორმები გამოიყენება ფინანსური გირაოს შესახებ ხელშეკრულებების მიმართ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი, სულ ცოტა, ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს:

a. სამთავრობო უწყება, მათ შორის:

– ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების საჯარო სექტორის ორგანოები, რომლებსაც ეკისრებათ საჯარო ვალდებულებების მართვა ანდა ამ მართვაში მონაწილეობა და;

– ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების საჯარო სექტორის ორგანოები, რომლებიც უფლებამოსილი არიან, ფლობდნენ თავიანთი მომხმარებლების ანგარიშებს.

b. ცენტრალური ბანკი, ევროპული ცენტრალური ბანკი, საერთაშორისო ანგარიშსწორებათა ბანკი, მრავალმხრივი განვითარების ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი და ევროპული საინვესტიციო ბანკი;

c. საფინანსო ზედამხედველობას დაქვემდებარებული ფინანსური ინსტიტუტი, მათ შორის, ბანკი, მმართველი კომპანია, საინვესტიციო ინსტიტუტი, კაპიტალდაბანდების საწარმო, საფინანსო ინსტიტუტი, სიცოცხლის ან ზიანის მზღვეველი, როგორც ეს მითითებულია ფინანსური ზედამხედველობის შესახებ კანონის 1:1 მუხლში;

d. ცენტრალური კონტრაჰენტი, ანგარიშსწორების აგენტი თუ კლირიგ-ცენტრი, როგორც ეს მითითებულია გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ კანონის 212a მუხლის (c), (d) და (e) პუნქტებში, მათ შორის, ანალოგიური დანესებულებები, რომლებიც რეგულირდება ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ეროვნული კანონმდებლობით, მოქმედებენ ბაზრებზე ფიუჩერსების, ოფციებისა და დერივატივებისათვის ისე, რომ არ წარმოადგენენ იმ ფიზიკურ პირს, ვინც მოქმედებს ერთი ან რამდენიმე პირის სახელით მინდობილი საკუთრების საფუძველსა თუ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლებში, რაც მოიცავს ნებისმიერ ობლიგაციების მფლობელებსა თუ სხვა ფასიან ქალაქში გამოსატყულები ვალების მფლობელებს ანდა (a) (b) (c) თუ წინამდებარე (d) პუნქტებში მითითებულ დანესებულებებს.

– 2. წინამდებარე ტიტულის (ტიტული 7.2) ნორმები არ გამოიყენება, თუკი ფინანსური გირაოს შესახებ ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს ფიზიკური პირი, ვინც ამ ხელშეკრულების დადებისას არ მოქმედებს თავისი პროფესიული თუ სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში.

მუხლი 7:53 გირავნობის დადგენის შესახებ ფინანსური გირაოს ხელშეკრულება

– 1. გირავნობის დადგენის შესახებ ფინანსური გირაოს ხელშეკრულება შეიძლება ითვალისწინებდეს გირაოს მიმღების უფლებამოსილებას, ისარგებლოს დაგირავებული ფინანსური აქტივით ან გაყიდოს ის და დაიტოვოს ამონაგები თანხები.

– 2. როდესაც ფინანსური გირაოს მიმღები ახორციელებს სარგებლობისა თუ რეალიზაციის უფლებას, მას ამით კანონის ძალით ეკისრება ვალდებულება, ეკვივალენტური ფინანსური გირაო გადასცეს გირაოს გამცემს თავდაპირველი ფინანსური გირაოს შეცვლის მიზნით არაუგვიანეს გირავნობით უზრუნველყოფილი შესაბამისი ფინანსური სავალლო მოთხოვნის შესრულების ვადის დადგომისა. ფინანსური გირაოს მიმღები იძენს გირავნობას იმაზე, რაც იქნა შეძენილი წინა წინადადების ნორმების მოქმედების შედეგად. ასეთი გირავნობა შეძენილად მიიჩნევა ფინანსური გირაოს ხელშეკრულების დადების მომენტში.

– 3. ფინანსური გირაოს გამცემი იძენს პრივილეგიას თავისი სავალო მოთხოვნის უზრუნველყოფის სახით პარ. 2-ში მითითებული ეკვივალენტური აქტივების გადაცემასთან დაკავშირებით, რა დროსაც ეს პრივილეგია ვრცელდება ყველა სახის ფულად სახსრებსა (მათ შორის, საბანკო ანგარიშებზე) და გირაოს მიმღებისათვის წარდგენილ ფასიან ქაღალდებზე.

– 4. პარ. 2-ის ნორმათა გვერდის ავლით ფინანსური გირაოს ხელშეკრულება შეიძლება ითვალისწინებდეს ფინანსური გირაოს მიმღების დაგირავებული ფინანსური აქტივით უზრუნველყოფილი სავალო მოთხოვნის ეკვივალენტური აქტივების ღირებულებასთან გაქვითვის შესაძლებლობას შესაბამისი სავალო მოთხოვნის შესრულების თარიღისათვის ანდა – იმ დღისათვის, თუკი ეს უკანასკნელი უფრო ადრე დგება, როდესაც წარმოიშობა იძულებითი აღსრულების საფუძველი.

– 5. წინამდებარე მუხლის ნორმები არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც ფინანსური გირაოს ხელშეკრულება მიმართულია 7:51 მუხლის (k) პუნქტის ვაგებით საკრედიტო სავალო მოთხოვნაზე გირავნობის დადგენისკენ.

მუხლი 7:54 ფინანსური გირაოს მიმღების გირავნობის უფლებები

– 1. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გირავნობის დადგენის შესახებ ფინანსური გირაოს ხელშეკრულება სხვაგვარად ითვალისწინებს, ფინანსური გირაოს მიმღები უფლებამოსილია, როდესაც დაკმაყოფილებულია იძულებითი აღსრულებისათვის არსებული საფუძვლის მოთხოვნები:

a. გაყიდოს გირავნობის უფლებით დატვირთული ფინანსური ინსტრუმენტები და ამონაგები თანხებით დაფაროს თავისი სავალო მოთხოვნა ანდა საკუთრებაში მიიღოს აღნიშნული ფინანსური ინსტრუმენტები და ასევე მოახდინოს თავისი სავალო მოთხოვნის დაფარვა ამ უკანასკნელის ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაში გაქვითვით;

b. მოახდინოს თავისი სავალო მოთხოვნის დაფარვა გირავნობით დატვირთულ ფულად თანხებში გაქვითვით;

c. მოახდინოს თავისი სავალო მოთხოვნის დაფარვა გირავნობით დატვირთული საკრედიტო სავალო მოთხოვნის გადაცემით და გადაცემიდან ამონაგები თანხები გაქვითოს მისთვის გადასახდელ თანხებში.

– 2. ფინანსური ინსტრუმენტების გაყიდვა ხორციელდება ბაზარზე პროფესიონალი კომისიონერის ჩართულობით ანდა საფონდო ბირჟასა თუ სასაქონლო ბაზარზე კომპეტენტური კომისიონერის ჩართულობით ჩვეულებრივი ნასყიდობის მიმართ მოქმედი წესებისა და ჩვეულებების შესაბამისად.

– 3. ფინანსური გირაოს მიმღებს შეუძლია მიისაკუთროს ფინანსური ინსტრუმენტები, თუკი მან დაიბრუნა ეს უფლება გირავნობის დადგენის შესახებ ფინანსური გირაოს ხელშეკრულებაში და ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება ეფუძნება ბაზარსა თუ საფონდო ბირჟაზე არსებულ ღირებულებას.

– 4. პარ. 2 და 3-საგან განსხვავებით, ფინანსური გირაოს ხელშეკრულება შეიძლება ითვალისწინებდეს იმას, რომ რაიონული სასამართლოს სამართლებრივი დაცვის საშუალების მიმღებ მოსამართლეს ფინანსური გირაოს მიმღების ან გამცემის მოთხოვნის საფუძველზე შეუძლია დაადგინოს, რომ დაგირავებული ფინანსური ინსტრუმენტები გაიყიდოს სხვაგვარად, ვიდრე ეს ნახეხებია წინა ნორმებში ანდა – რომ აღნიშნულ მოსამართლეს ასევე ფინანსური გირაოს მიმღების ან გამცემის მოთხოვნის საფუძველზე შეუძლია დაადგინოს, რომ დაგირავებული ფინანსური ინსტრუმენტები გადაეცეს გირაოს მიმღებს სამართლებრივი დაცვის საშუალების მიმღები მოსამართლის მიერ შეფასებული ღირებულების ფარგლებში.

– 5. სამოქალაქო კოდექსის 3:235 მუხლის, 3:248 მუხლის პარ. 1 და 2-ის, 3:249, 3:250, 3:251 და 3:252 მუხლების ნორმები არ გამოიყენება დაგირავებული ფინანსური აქტივის მიმართ.

მუხლი 7:55 ფიდუციარულ საკუთრებაში გადაცემის აკრძალვის არარსებობა

ფინანსური გირაოს საუზრუნველყოფოდ გადაცემის შესახებ ხელშეკრულების პირობების დაკმაყოფილების მიზნით გადაცემა არ წარმოადგენს არც სამოქალაქო კოდექსის 3:84 მუხლის პარ. 3-ში მითითებულ გარიგებას, რომელიც გულისხმობს ქონებრივი უფლების საუზრუნველყოფოდ გადაცემას (ფიდუციარულ საკუთრებაში გადაცემა) და ასევე არც ისეთ გადაცემას, რომელსაც აკლია გადაცემული აქტივის რეალურად შემძენი მხარის ქონების ნაწილად გახდომის განზრახვა. გირავნობის მომწესრიგებელი ნორმები არ მოქმედებს აღნიშნული ხელშეკრულებისა თუ მისი გაფორმების მიმართ; ასევე ეს ნორმები არ გამოიყენება ამ ხელშეკრულების შესაბამისადაც.

მუხლი 7:56 {გაუქმებულია 01.05.2008წ.}

ტიტული 7.2A – სამომხმარებლო კრედიტის ხელშეკრულებები

განყოფილება 7.2A.1 – ზოგადი დებულებები

მუხლი 7:57 განმარტებები

– 1. წინამდებარე ტიტულის (ტიტული 7.2A) მიზნებისათვის გამოიყენება ქვემოთ მოცემული განმარტებები:

a. „მომხმარებელი“ გულისხმობს ფიზიკურ პირს, ვინც არ მოქმედებს თავისი სავაჭრო, სამეწარმეო ან პროფესიული საქმიანობის წარმართვისას;

b. „კრედიტორი“ გულისხმობს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, ვინც გასცემს კრედიტს – ანდა იძლევა კრედიტის გაცემის დაპირებას – თავისი სავაჭრო, სამეწარმეო ან პროფესიული საქმიანობის ფარგლებში;

c. „საკრედიტო ხელშეკრულება“ გულისხმობს კონტრაქტს, რომლის საფუძველზეც კრედიტორი მომხმარებელზე გასცემს კრედიტს – ანდა იძლევა კრედიტის გაცემის დაპირებას – თანხის გადახდის გადავადების, სესხისა თუ სხვა ანალოგიური ფინანსური დახმარების ფორმით, გარდა მუდმივ სანყისებზე მომსახურების განევისა თუ ერთიდაიგივე სახეობის საქონლის მიწოდების ხელშეკრულებებისა, როდესაც მომხმარებელი ახდენს ასეთი მომსახურებისა თუ საქონლის ფასის ნაწილ-ნაწილ გადახდებით ანაზღაურებას მათი მომსახურების თუ საქონლის მიწოდების დროის განმავლობაში;

d. „ოვერდრაფტი“ გულისხმობს აშკარა საკრედიტო ხელშეკრულებას, რომლის საფუძველზეც კრედიტორი მომხმარებლისათვის ხელმისაწვდომს ხდის იმ ფულად სახსრებს, რომლებიც აღემატება მომხმარებლის მიმდინარე საბანკო ანგარიშზე არსებულ დადებით ბალანსს;

e. „საკრედიტო ლიმიტის გადაჭარბება“ გულისხმობს უსიტყვოდ დაშვებულ ოვერდრაფტს, რომლის დროსაც კრედიტორი მომხმარებლისათვის ხელმისაწვდომს ხდის იმ ფულად სახსრებს, რომლებიც აღემატება მომხმარებლის მიმდინარე საბანკო ანგარიშზე არსებულ დადებით ბალანსს ანდა შეთანხმებულ ოვერდრაფტს;

f. „საკრედიტო შუამავალი“ გულისხმობს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, ვინც არ მოქმედებს როგორც კრედიტორი და თავისი სავაჭრო, სამეწარმეო ან პროფესიული საქმიანობის ფარგლებში იმ საზღაურის სანაცვლოდ, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს ფულადი ფორმა ანდა ფინანსური ნაცვალებების ნებისმიერი სხვა შეთანხმებული ფორმა:

1° საკრედიტო ხელშეკრულებებს წარუდგენს ან სთავაზობს მომხმარებლებს;

2° დახმარებას უწევს მომხმარებლებს იმ საკრედიტო ხელშეკრულებებთან დაკავშირებით მოსამზადებელი სამუშაოს განევიტ, რომლებიც არ წარმოადგენს 1°-ში მითითებულ საკრედიტო ხელშეკრულებებს, ან;

3° მომხმარებლებთან დებს საკრედიტო ხელშეკრულებებს კრედიტორის სასარგებლოდ (კრედიტორის სახელით);

g. „მომხმარებლისათვის კრედიტის მთლიანი ღირებულება“ გულისხმობს ყველა ხარჯს, მათ შორის, პროცენტს, საკომისიოებს, გადასახადებსა და ნებისმიერი სხვა სახის საზღაურს, რომელთა გადახდაც მოითხოვება მომხმარებლისაგან საკრედიტო ხელშეკრულებასთან დაკავშირებით და რომლებიც ცნობილია კრედიტორისათვის, გარდა სანოტარო ხარჯებისა;

h. „მომხმარებლის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხა“ გულისხმობს კრედიტის მთლიან თანხასა და კრედიტზე განეულ ყველა ხარჯს;

i. „წლიური საპროცენტო განაკვეთი“ გულისხმობს მომხმარებლისათვის კრედიტის ყველა ხარჯს, რომელიც გამოიხატება კრედიტის მთლიანი თანხის წლიური პროცენტულობით, აუცილებლობის შემთხვევაში, – პარ. 3-ში მითითებული ხარჯების ჩათვლით;

j. „სასესხო განაკვეთი“ გულისხმობს საპროცენტო განაკვეთს, რომელიც გამოიხატება ჩამონერილი საკრედიტო თანხის მიმართ გამოყენებულ ყოველწლიურ ფიქსირებულ ან ცვლად პროცენტში;

k. „ფიქსირებული სასესხო განაკვეთი“ გულისხმობს ერთადერთ საპროცენტო განაკვეთს, რომელიც შეთანხმებულია კრედიტორისა და მომხმარებლის მიერ საკრედიტო ხელშეკრულების მთლიანი ვადისათვის ანდა კრედიტორისა და მომხმარებლის მიერ ცალკეული პერიოდებისათვის შეთანხმებული რამდენიმე სასესხო განაკვეთი მხოლოდ და მხოლოდ ფიქსირებული კონკრეტული პროცენტულობის გამოყენებით;

l. „კრედიტის მთლიანი თანხა“ გულისხმობს საკრედიტო ხელშეკრულების საფუძველზე ხელმისაწვდომ ზღვრულ ან მთლიან თანხებს;

მ. „მონაცემთა მყარი მატარებელი“ გულისხმობს ნებისმიერ ინსტრუმენტს, რომელიც საშუალებას აძლევს მომხმარებელს, შეინახოს მისთვის პირადად გადმოცემული ინფორმაცია იმგვარად, რომ ის ხელმწიფის ანვდომი იყოს სამომავლოდ ამ ინფორმაციის მიზნებისათვის შესაბამისი დროის განმავლობაში და რომელიც იძლევა შენახული ინფორმაციის უცვლელად აღწარმოების საშუალებას;

ნ. „დაკავშირებული საკრედიტო ხელშეკრულება“ გულისხმობს საკრედიტო ხელშეკრულებას, როდესაც:

1° შესაბამისი კრედიტი განკუთვნილია მხოლოდ და მხოლოდ კონკრეტული საქონლის მიწოდებისა თუ კონკრეტული მომსახურების განევის ხელშეკრულების დაფინანსებას, და;

2° ობიექტური შეხედულებით აღნიშნული ორივე ხელშეკრულება ქმნის კომერციულ ერთეულს;

ო. „ფასიანი ქაღალდების მეშვეობით დადებული საკრედიტო ხელშეკრულება“ გულისხმობს ხელშეკრულებას, რომლის საფუძველზეც:

1° რეგოლვერული (უნყვეტი) კრედიტი გაიცა – ანდა დაპირებულ იქნა – ფასიანი ქაღალდების პაკეტზე გირავნობის დადგენის სანაცვლოდ, რომლის დროსაც კრედიტი მოიცავს სხვადასხვა დროს კრედიტორის ფულადი თანხების გახარჯვის უფლებას იმ ფარგლებში, რაც არ აღემატება ანგარიშზე არსებულ დაუფარავ ნარჩენ თანხას;

2° მომხმარებელს შეუძლია საკრედიტო ოპერაციების განხორციელება ფინანსური ინსტრუმენტების მიმართ, და

3° კრედიტორი მონაწილეობს აღნიშნულ საკრედიტო ოპერაციებში.

პ. „ფასიანი ქაღალდების პაკეტი“ გულისხმობს მომხმარებლის მფლობელობაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ერთობლიობას;

გ. „ფინანსური ინსტრუმენტი“ გულისხმობს ფინანსური ზედამხედველობის შესახებ კანონის 1:1 მუხლში მითითებულ ფინანსურ ინსტრუმენტს;

რ. „დაფარვის კოეფიციენტი“ გულისხმობს კრედიტორის მიერ დადგენილ დაგირავებული ფასიანი ქაღალდების პაკეტის ღირებულების პროცენტულობას ანდა – იმ დამოუკიდებელი ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების პროცენტულობას, რომელიც ქმნის აღნიშნული დაგირავებული ფასიანი ქაღალდების პაკეტის ნაწილს და რომლის საფუძველზეც კრედიტორი განსაზღვრავს საკრედიტო ლიმიტს;

ს. „გავრცელების მოთხოვნა“ გულისხმობს კრედიტორის მიერ ფასიანი ქაღალდების პაკეტის შემადგენლობის მიმართ დადგენილი მოთხოვნა;

ტ. „დირექტივა“ გულისხმობს ევროპული პარლამენტის 2008/48/EC დირექტივასა და მომხმარებელთა მიმართ მოქმედი საკრედიტო ხელშეკრულებების შესახებ 2008 წლის 23 აპრილის 2008/48/EC ევროპული საბჭოს დირექტივასა და ევროპული საბჭოს გაუქმებული 87/102/EEC დირექტივას.

– 2. პარ. 1-ის (გ) პუნქტში მითითებული მომხმარებლისათვის კრედიტის მთლიანი ღირებულება მოიცავს ასევე საკრედიტო ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დამატებითი მომსახურების ხარჯებსაც, კერძოდ კი, – სადაზღვევო პრემიის თანხებსაც, თუკი მომსახურების ხელშეკრულების დადება სავალდებულოა კრედიტის მისაღებად ანდა – ამ უკანასკნელის მისაღებად გაცხადებული პირობებით.

– 3. პარ. 1-ის (ი) პუნქტის მიზნებისათვის ქვემოთ მოცემული ხარჯები შედის მომხმარებლისათვის კრედიტის მთლიანი ღირებულებაში: იმ ანგარიშის მართვის ხარჯები, რომლითაც ხორციელდება გადახდები და ასევე გაიცემა საკრედიტო თანხები, იმ საგადახდო საშუალებათა გამოყენების ხარჯები, რითაც შეიძლება განხორციელდეს ფულადი თანხების გადახდები და ასევე საკრედიტო თანხების გაცემა, ისევე როგორც – თანხების გადახდებთან დაკავშირებული სხვა ხარჯები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ანგარიშის გახსნა ნებაყოფლობითია და ამ ანგარიშთან დაკავშირებული ხარჯები ნათლად და განცალკევებულად დგინდება საკრედიტო ხელშეკრულებასა თუ მომხმარებელთან დადებულ სხვა ხელშეკრულებაში.

– 4. თუ საკრედიტო ხელშეკრულებაში ყველა სასესხო განაკვეთი არ არის განსაზღვრული, სასესხო განაკვეთი მიიჩნევა ფიქსირებულად მხოლოდ დროის იმ ცალკეული პერიოდებისათვის, რომელთათვისაც სასესხო განაკვეთები განისაზღვრება მხოლოდ და მხოლოდ საკრედიტო ხელშეკრულების დადებისას შეთანხმებული ფიქსირებული კონკრეტული პროცენტით.

– 5. პარ. 1-ის (ი) პუნქტში მითითებული კომერციული ერთეული მიიჩნევა არსებულად:

a. თუკი კონკრეტული საქონლის მიწოდებასა თუ კონკრეტული მომსახურების განევაში ჩართული პირი თავად აფინანსებს მომხმარებელს, ან;

b. თუკი მომხმარებელი ფინანსდება მესამე პირის მიერ, როდესაც:

1° კრედიტორი იყენებს საქონლის მიწოდებისა თუ მომსახურების გამწვევის მომსახურებას საკრედიტო ხელშეკრულების დადებასა თუ მომზადებასთან დაკავშირებით, ან

2° კონკრეტული საქონელი ან კონკრეტული მომსახურების განევა პირდაპირ არის მითითებული საკრედიტო ხელშეკრულებაში.

მუხლი 7:58 ნორმათა გამოყენების სფერო

– 1. წინამდებარე ტიტულის (ტიტული 7.2A) ნორმები გამოიყენება საკრედიტო ხელშეკრულებების მიმართ.

– 2. წინამდებარე ტიტულის (ტიტული 7.2A) ნორმები არ გამოიყენება:

a. იმ საკრედიტო ხელშეკრულებების მიმართ, რომლებიც უზრუნველყოფილია რეგისტრირებულ ქონებაზე არსებული იპოთეკით ან სხვა მსგავსი უზრუნველყოფით, ანდა რომლებიც უზრუნველყოფილია რეგისტრირებულ ქონებაზე არსებული უფლებით შესაბამისი კრედიტორის მხრიდან იპოთეკური დაფინანსების ჩვეულებრივ პირობებზე;

b. იმ საკრედიტო ხელშეკრულებების მიმართ, რომელთა მიზანია მინის ნაკვეთზე ან არსებულ თუ დაგეგმილ შენობა-ნაგებობაზე საკუთრების უფლების შექმნა ან შენარჩუნება;

c. ქირავნობის ან იჯარის ხელშეკრულებების მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:

1° ისინი შეიცავს ხელშეკრულების ობიექტის (ე. წ. დაქირავებული ობიექტის) ყიდვის ვალდებულებას ანდა ასეთი ვალდებულება ემატება ცალკე ხელშეკრულებაში იმ ვითარების ჩათვლით, რომ ყიდვის ვალდებულების დამატების საკითხი შეიძლება კრედიტორის მიერ გადაწყდეს ცალმხრივად;

2° ისინი უნდა განიხილებოდეს როგორც იჯარა-გამოსყიდვის ხელშეკრულებები 7a:1576 მუხლის პარ. 2-ის ნორმათა გაგებით;

d. იმ საკრედიტო ხელშეკრულებების მიმართ, როდესაც კრედიტის გაცემა ხდება ოვერდრაფტის ფორმით და კრედიტის თანხა ექვემდებარება დაბრუნებას ერთი თვის ვადაში;

e. იმ საკრედიტო ხელშეკრულებების მიმართ, როდესაც კრედიტის გაცემა ხდება უპროცენტოდ და ნებისმიერი სხვა ხარჯის გარეშე, და ასევე – იმ საკრედიტო ხელშეკრულებების მიმართ, რომელთა პირობების თანახმადაც კრედიტი ექვემდებარება დაბრუნებას სამი თვის ვადაში და იფარება მხოლოდ უმნიშვნელო ხარჯები;

f. იმ საკრედიტო ხელშეკრულებების მიმართ, როდესაც კრედიტის გაცემა დამსაქმებლის მიერ ხდება თავის დასაქმებულებზე მეორადი საქმიანობის სახით უპროცენტოდ ანდა წლიური საპროცენტო განაკვეთით, რომელიც ბაზარზე არსებულ საპროცენტო განაკვეთის ოდენობაზე ნაკლებია და ასევე მათი შეთავაზება საჯაროდ არ ხდება;

g. იმ საკრედიტო ხელშეკრულებების მიმართ, რომლებიც წარმოადგენს სასამართლოში ანდა ამ მიზნისათვის კანონით უფლებამოსილ სხვა ორგანოში მიღწეული მორიგების შედეგს;

h. იმ საკრედიტო ხელშეკრულებების მიმართ, რომლებიც ეხება უსასყიდლოდ არსებული ვალის გადავადებულ დაფარვას;

i. იმ საკრედიტო ხელშეკრულებების მიმართ, რომელთა დადებისას მომხმარებელს მოეთხოვება საგნის უზრუნველყოფის სახით კრედიტორთან დეპონირება და როდესაც მომხმარებლის პასუხისმგებლობა მკაცრად შეზღუდულია ამ დაგირავებული საგნის ღირებულებით;

j. იმ საკრედიტო ხელშეკრულებების მიმართ, რომლებიც ეხება შეზღუდული რაოდენობის პირთათვის გაცემულ სესხებს საკანონმდებლო ნორმებით გათვალისწინებული პროცენტის დარიცხვის საერთო მიზნით, და ასევე – იმ საპროცენტო განაკვეთებით დადებული საკრედიტო ხელშეკრულებების მიმართ, რომლებიც ბაზარზე არსებულ საპროცენტო განაკვეთის ოდენობაზე ნაკლებია, ანდა უპროცენტო ან სხვა პირობებზე დადებული საკრედიტო ხელშეკრულებების მიმართ, რომლებიც უფრო ხელსაყრელია მომხმარებლის მიმართ ბაზარზე არსებულ დაკრედიტების პირობებთან შედარებით, ასევე – იმ საპროცენტო განაკვეთებით დადებული საკრედიტო ხელშეკრულებების მიმართ, რომლებიც ბაზარზე არსებულ საპროცენტო განაკვეთის ოდენობაზე მაღალი არ არის.

– 3. ოვერდრაფტის ფორმით დადებული საკრედიტო ხელშეკრულებების შემთხვევაში, როდესაც კრედიტი ექვემდებარება დაბრუნებას მოთხოვნისთანავე ან სამი თვის ვადაში, გამოიყენება მხოლოდ 7:57 მუხლის, 7:58 მუხლის, 7:61 მუხლის პარ. 1, 5 და 6-ის, 7:63 მუხლის, 7:69 მუხლისა და 7:71 მუხლიდან 7:73 მუხლის ჩათვლით ნორმები. 7:59 და 7:60 მუხლის ნორმები გამოიყენება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც კრედიტორმა არ შეასრულა მასზე იმ სტანდარტულ ინფორმაციასთან დაკავშირებით დაკისრებული ვალდებულებები, რომელიც შეიტანება რეკლამასა და წინასახელშეკრულებო ინფორმაციაში და მას ეკისრება დირექტივის 4 მუხლის პარ. 2-ის (a), (b) და (c) პუნქტებისა და 6 მუხლის ნორმების შესაბამისად.

– 4. 7:57, 7:58, 7:70 და 7:73 მუხლების ნორმები გამოიყენება მხოლოდ საკრედიტო ლიმიტის გადაჭარბების ფორმით დადებული საკრედიტო ხელშეკრულებების მიმართ.

განყოფილება 7.2A.2 – საკრედიტო ხელშეკრულების დადებამდე ინფორმაციის მინოდება და შესაბამისი პრაქტიკა

მუხლი 7:59 რეკლამაში შესატანი სტანდარტული ინფორმაცია

– 1. კრედიტორი, ვინც ახდენს საკრედიტო ხელშეკრულებების რეკლამირებას, გარდა ფასიანი ქაღალდების მეშვეობით დადებული საკრედიტო ხელშეკრულებებისა, დირექტივის 4 მუხლის საფუძველზე რეკლამაში შესატანი სტანდარტული ინფორმაციის გათვალისწინების გარეშე, ეწევა არაკეთილსინდისიერ სავაჭრო პრაქტიკას, როგორც ეს გათვალისწინებულია ნ:193ხ მუხლში.

– 2. კრედიტორი ეწევა ნ:193ხ მუხლში მითითებულ არაკეთილსინდისიერ სავაჭრო პრაქტიკას, თუკი ფასიანი ქაღალდების მეშვეობით დადებული საკრედიტო ხელშეკრულებების რეკლამირებისას:

a. ის არ ახსენებს იმ ფაქტს, რომ რეგულვერული (უწყვეტი) კრედიტი გაიცა – ანდა დაპირებულ იქნა – ფასიანი ქაღალდების პაკეტზე გირავნობის დადგენის სანაცვლოდ, და ასევე – რომ საკრედიტო ლიმიტი დამოკიდებულია აღნიშნული პაკეტის ღირებულებაზე, ან;

b. ის არ იცავს დირექტივის 4 მუხლის პარ. 2-ის (a) პუნქტის, პარ. 3 ან 4-ის ნორმებს საკრედიტო ხელშეკრულებების რეკლამაში შესატან სტანდარტულ ინფორმაციასთან დაკავშირებით.

მუხლი 7:60 წინასახელშეკრულებო ინფორმაცია

– 1. კრედიტორმა, ხოლო შესაბამის შემთხვევებში კი, საკრედიტო შუამავალმა მომხმარებელს დროულად – მანამდე, სანამ ამ უკანასკნელს დაეკისრება საკრედიტო ხელშეკრულებიდან ან შესაბამისი ოფერტიდან გამომდინარე რაიმე ვალდებულება – უნდა მიანოდოს წინასახელშეკრულებო ინფორმაცია, როგორც ეს მოითხოვება დირექტივის 5 და 6 მუხლებით, და ასევე – იმ ფორმით, როგორც ეს გათვალისწინებულია აღნიშნული მუხლებით.

– 2. კრედიტორმა, ხოლო შესაბამის შემთხვევებში კი, საკრედიტო შუამავალმა მომხმარებელს დროულად – მანამდე, სანამ ამ უკანასკნელს დაეკისრება ფასიანი ქაღალდების მეშვეობით დადებული საკრედიტო ხელშეკრულებიდან ან შესაბამისი ოფერტიდან გამომდინარე რაიმე ვალდებულება – უნდა მიანოდოს წინასახელშეკრულებო ინფორმაცია, როგორც ეს მოითხოვება დირექტივის 6 მუხლით, გარდა ამ მუხლის პარ. 1-ის (c), (d), (f), (h) და (k) პუნქტებში მითითებული ინფორმაციისა, და ასევე – იმ ფორმით, როგორც ეს გათვალისწინებულია ამ მუხლით. აღნიშნულ შემთხვევაში კრედიტორმა, ხოლო შესაბამის შემთხვევებში კი, საკრედიტო შუამავალმა მომხმარებელს უნდა მიუთითოს ასევე:

a. რომ რეგულვერული (უწყვეტი) კრედიტი გაიცა – ანდა დაპირებულ იქნა – ფასიანი ქაღალდების პაკეტზე გირავნობის დადგენის სანაცვლოდ, და ასევე – რომ საკრედიტო ლიმიტი დამოკიდებულია კონკრეტულ დაფარვის კოეფიციენტზე, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში კი, – კონკრეტულ გავრცელების მოთხოვნებზე;

b. დაფარვის კოეფიციენტი და გავრცელების მოთხოვნები, რომლებიც გამოიყენება დაგირავებული ფასიანი ქაღალდების პაკეტის მიმართ, და;

c. იმ შემთხვევაში, როდესაც კრედიტორი იყენებს სხვა დაფარვის კოეფიციენტებს სხვადასხვა სახის ფინანსური ინსტრუმენტებისათვის, – იმ დაფარვის კოეფიციენტზე, რომელიც გამოიყენება თითოეული ტიპის ფინანსური ინსტრუმენტისათვის.

– 3. როდესაც კრედიტორი, ხოლო შესაბამის შემთხვევებში კი, საკრედიტო შუამავალი არ იცავს პარ. 1 და 2-ის ნორმებს, მაშინ მიიჩნევა, რომ ის ეწევა ნ:193ხ მუხლში გათვალისწინებულ არაკეთილსინდისიერ სავაჭრო პრაქტიკას.

განყოფილება 7.2A.3 – საკრედიტო ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ინფორმაცია და უფლებები

მუხლი 7:61 საკრედიტო ხელშეკრულებებში შესატანი ინფორმაცია

– 1. საკრედიტო ხელშეკრულებები იდება ქაღალდის მატარებელზე ან მონაცემთა სხვა მყარ მატარებელზე. კრედიტორმა საკრედიტო ხელშეკრულების ასლი უნდა გადასცეს მომხმარებელს და ასევე ერთი ასლი დაიტოვოს სათავისოდ.

– 2. საკრედიტო ხელშეკრულებაში ნათლად და ლაკონურად უნდა მიეთითოს:

a. კრედიტის სახე;

b. ხელშეკრულების მხარეთა საიდენტიფიკაციო მონაცემები და გეოგრაფიული მისამართები, ისევე როგორც – აუცილებლობის შემთხვევაში, შესაბამისი საკრედიტო შუამავლის საიდენტიფიკაციო მონაცემები და გეოგრაფიული მისამართი;

c. საკრედიტო ხელშეკრულების ხანგრძლივობა;

d. კრედიტის მთლიანი თანხა და საკრედიტო თანხების გაცემის პირობები;

e. კონკრეტული საქონლისა თუ კონკრეტული მომსახურებისათვის საზღაურის თანხების გადავადებული გადახდის ფორმით გაცემული კრედიტის შემთხვევაში, ანდა დაკავშირებული საკრედიტო ხელშეკრულებების შემთხვევაში კი, – საქონელი ან მომსახურება, რომლისათვისაც გაიცემა კრედიტი და მისი ფულადი გამოხატულება;

f. სასესხო განაკვეთი, ამ განაკვეთის მოქმედების პირობები, ხოლო ასეთის არსებობის შემთხვევაში კი, ნებისმიერი ინდექსი ან საორიენტაციო განაკვეთი, რომელიც გამოიყენება საწყისი სასესხო განაკვეთის მიმართ, ისევე როგორც – სასესხო განაკვეთის შეცვლის ვადები, პირობები და პროცედურები;

g. თუ სხვადასხვა სასესხო განაკვეთი გამოიყენება სხვადასხვა ვითარებაში, (f) პუნქტში მითითებული ინფორმაცია ყველა გამოსაყენებელი განაკვეთის მიმართ;

h. მომხმარებლის მიერ გადასახდელი წლიური საპროცენტო განაკვეთი და მთლიანი თანხა, რომელიც გამოითვლება საკრედიტო ხელშეკრულების დადების მომენტში, ისევე როგორც – ყველა ის ვარაუდი, რომელიც გამოიყენება აღნიშნული განაკვეთის ოდენობის გამოანგარიშებისას;

i. მომხმარებლის მიერ განსახორციელებელი გადახდების თანხა, რაოდენობა და სიხშირე, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში კი, ის წესი, რომლის მიხედვითაც გადახდები გადანაწილდება სხვადასხვა დაუფარავ ნარჩენ თანხებზე, რომლებსაც ანაზღაურების მიზნებისათვის ერიცხება განსხვავებული სასესხო განაკვეთი;

j. როდესაც საქმე ეხება საკრედიტო ხელშეკრულების კაპიტალის ამორტიზაციას ფიქსირებული ხანგრძლივობის ვადით, მომხმარებლის უფლება, მოთხოვნის საფუძველზე და უსასყიდლოდ საკრედიტო ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში ნებისმიერ დროს მიიღოს ანგარიშიდან ამონაწერი ამორტიზაციის ცხრილის ფორმით;

k. თუკი გადასახდელებისა და საპროცენტო თანხების დაფარვა უნდა მოხდეს კაპიტალის ამორტიზაციის გარეშე, – ცხრილი, რომელშიც მოცემულია საპროცენტო თანხებისა და ნებისმიერი დაკავშირებული პერიოდული და ერთჯერადი გადასახდელების დაფარვის ვადები და პირობები;

l. აუცილებლობის შემთხვევაში, იმ ერთი ან რამდენიმე ანგარიშის წარმოების გადასახდელები, რომლებშიც აღირიცხება როგორც გადახდის ოპერაციები, ისე კრედიტის გაცემა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ანგარიშის გახსნა ნებაყოფლობითია გადახდის ოპერაციებისა და კრედიტის გაცემისათვის გადასახდელ თანხებთან ერთად, და – ასევე ნებისმიერი სხვა გადასახდელები, რომლებიც წარმოიშობა საკრედიტო ხელშეკრულებიდან იმ პირობებზე, რომელთა არსებობისას აღნიშნული გადასახდელები შეიძლება შეიცვალოს;

m. დაგვიანებული გადახდების შემთხვევაში გამოსაყენებელი საპროცენტო განაკვეთი, რომელიც მოქმედებს საკრედიტო ხელშეკრულების დადების მომენტში, და ასევე ამ განაკვეთის მისადაგების მექანიზმები, ისევე როგორც, აუცილებლობის შემთხვევაში, – ვადაგადაცილებისათვის გადასახდელი ნებისმიერი თანხა;

n. გადახდების არარსებობის შედეგების თაობაზე გაფრთხილება;

o. აუცილებლობის შემთხვევაში, განცხადება იმის შესახებ, რომ მოხდება სანოტარო საზღაურის გადახდა;

p. ფასიანი ქაღალდები (გირაო) და სავალდებულო დაზღვევა, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

q. საკრედიტო ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ხელშეკრულების გაუქმების უფლების არსებობა ან არარსებობა, როგორც ეს მითითებულია 7:66 მუხლში, ის ვადა, რომლის განმავლობაშიც შესაძლებელია ამ უფლების რეალიზაცია და ასეთი რეალიზაციის სხვა პირობები, მათ შორის, – მომხმარებლის მიერ კაპიტალის გატანის საზღაურისა და პროცენტის თანხის 7:66 მუხლის პარ. 3-ის შესაბამისად გადახდის ვალდებულებასთან და ასევე დღეში გადასახდელი საპროცენტო თანხასთან დაკავშირებული ინფორმაცია;

r. 7:67 მუხლიდან გამომდინარე უფლებებთან დაკავშირებული ინფორმაცია, ისევე როგორც – ამ უფლებების რეალიზაციის პირობები;

s. 7:67 მუხლში გათვალისწინებული სესხის ვადამდე დაფარვის უფლება, ვადამდე დაფარვისათვის დადგენილი პროცედურა და ასევე, აუცილებლობის შემთხვევაში, – საკომპენსაციო თანხის მიღებაზე კრედიტორის უფლებასთან დაკავშირებული ინფორმაცია და ამ თანხის ოდენობის განსაზღვრის წესი;

t. საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტის უფლების რეალიზაციისათვის დადგენილი პროცედურა, როგორც ეს გათვალისწინებულია 7:65 მუხლში;

u. არსებობს თუ არა სასამართლოს გარეთ არსებულ ურთიერთობებში მომხმარებლისათვის საჩივრისა და კომპენსაციის განხილვის მექანიზმი, და ასეთის არსებობის შემთხვევაში კი, – ამ მექანიზმების ხელმისაწვდომობის ხერხები;

v. აუცილებლობის შემთხვევაში, – სხვა სახელშეკრულებო პირობები, და;

w. აუცილებლობის შემთხვევაში, – კომპეტენტური საზედამხედველო ორგანოს დასახელება და მისამართი.

– 3. პარ. 2-ის (j) პუნქტში მითითებული ამორტიზაციის ცხრილი უნდა უთითებდეს სავალდებულო გადახდებსა და შესაბამისი თანხების გადახდასთან დაკავშირებულ ვადებსა და პირობებს. ცხრილი ცალ-ცალკე უნდა შეიცავდეს თითოეულ დაფარვას კაპიტალის ამორტიზაციის, სასესხო განაკვეთის საფუძველზე გამოანგარიშებული პროცენტისა და, აუცილებლობის შემთხვევაში კი, – ნებისმიერი დამატებითი ხარჯების ჩვენებით. როდესაც საპროცენტო განაკვეთი არ არის დადგენილი ანდა დამატებითი ხარჯები შეიძლება საკრედიტო ხელშეკრულებით შეიცვალოს, ამორტიზაციის ცხრილი ნათლად და ლაკონურად უნდა უთითებდეს იმის თაობაზე, რომ ცხრილში შეტანილი მონაცემები ძალაში დარჩება მხოლოდ იმ დრომდე, სანამ სასესხო განაკვეთი ან დამატებითი ხარჯები საკრედიტო ხელშეკრულების შესაბამისად არ შეცვლება.

– 4. იმ შემთხვევებში, როდესაც გამოიყენება პარ. 2-ის (j) პუნქტის ან პარ. 3-ის ნორმები, კრედიტორმა მომხმარებელს უსასყიდლოდ და საკრედიტო ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში ნებისმიერ დროს უნდა წარუდგინოს ანგარიშიდან ამონაწერი ამორტიზაციის ცხრილის ფორმით.

– 5. იმ საკრედიტო ხელშეკრულების შემთხვევაში, რომლის საფუძველზეც მომხმარებლის მიერ განხორციელებული გადახდები არ იწვევს მთლიანი საკრედიტო თანხის დაუყოვნებლივ შესაბამის ამორტიზაციას, თუმცა, გამოიყენება კაპიტალის ფორმირებისათვის საკრედიტო ხელშეკრულებაში ან დამხმარე ხელშეკრულებაში გათვალისწინებულ ვადების განმავლობაში და პირობებით; პარ. 2 და 3-ის შესაბამისად წარსადგენი ინფორმაცია უნდა შეიცავდეს ნათელ და ლაკონურ განცხადებას იმის შესახებ, რომ ასეთი საკრედიტო ხელშეკრულებები არ ითვალისწინებს საკრედიტო ხელშეკრულებით მიღებული კრედიტის მთლიანი თანხის დაფარვის გარანტიას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი გარანტიის წარდგენა ხდება.

– 6. 7:58 მუხლის პარ. 3-ში გათვალისწინებული ოვერდრაფტის ფორმით დადებული საკრედიტო ხელშეკრულებებში ნათლად და ლაკონურად უნდა მიეთითოს:

a. კრედიტის სახე;

b. ხელშეკრულების მხარეთა საიდენტიფიკაციო მონაცემები და გეოგრაფიული მისამართები, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში კი, – შესაბამისი საკრედიტო შუამავლის საიდენტიფიკაციო მონაცემები და გეოგრაფიული მისამართი;

c. საკრედიტო ხელშეკრულების ხანგრძლივობა;

d. კრედიტის მთლიანი თანხა და საკრედიტო თანხების გაცემის პირობები;

e. სასესხო განაკვეთი, ამ განაკვეთის მოქმედების პირობები, ხოლო ასეთის არსებობის შემთხვევაში კი, ნებისმიერი ინდექსი ან საორიენტაციო განაკვეთი, რომელიც გამოიყენება საწყისი სასესხო განაკვეთის მიმართ, ისევე როგორც – სასესხო განაკვეთის შეცვლის ვადები, პირობები და პროცედურები;

f. თუ სხვადასხვა სასესხო განაკვეთი გამოიყენება სხვადასხვა ვითარებაში, (e) პუნქტში მითითებული ინფორმაცია ყველა გამოსაყენებელი განაკვეთის მიმართ;

g. აუცილებლობის შემთხვევაში, – განცხადება იმის შესახებ, რომ მომხმარებელს შეიძლება მოეთხოვოს კრედიტის თანხის სრულად კრედიტორის მოთხოვნის საფუძველზე ნებისმიერ დროს დაბრუნება;

h. საკრედიტო ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების რეალიზაციის პირობები, და;

i. ხელშეკრულების დადების მომენტიდან გასანევი ხარჯების შესახებ ინფორმაცია, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში კი, – ის პირობები, რომელთა არსებობისას შეიძლება შეიცვალოს აღნიშნული გასანევი ხარჯების ოდენობა.

– 7. ფასიანი ქაღალდების მეშვეობით დადებული საკრედიტო ხელშეკრულებებში ნათლად და ლაკონურად უნდა მიეთითოს:

a. კრედიტის თანხა, რომელის შეიძლება გამოიყენებულ იქნეს ფინანსური ინსტრუმენტებით განხორციელებული ოპერაციების დაფინანსებისათვის;

b. ხელშეკრულების მხარეთა საიდენტიფიკაციო მონაცემები და გეოგრაფიული მისამართები, ხოლო

აუცილებლობის შემთხვევაში კი, – შესაბამისი საკრედიტო შუამავლის საიდენტიფიკაციო მონაცემები და გეოგრაფიული მისამართი;

c. დაფარვის კოეფიციენტზე, ხოლო შესაბამის შემთხვევაში კი, – კრედიტორის მიერ გამოყენებული გავრცელების მოთხოვნების შესახებ მომხმარებლის მიერ ფაქტობრივი ინფორმაციის მიღების მეთოდი და ასევე – ის პირობები, რომელთა არსებობისას კრედიტორს შეუძლია შეცვალოს აღნიშნული კოეფიციენტები;

d. საკრედიტო თანხების გაცემის პირობები;

e. სასესხო განაკვეთი, ამ განაკვეთის მოქმედების პირობები, ხოლო ასეთის არსებობის შემთხვევაში კი, ნებისმიერი ინდექსი ან საორიენტაციო განაკვეთი, რომელიც გამოიყენება სანყისი სასესხო განაკვეთის მიმართ, ისევე როგორც – სასესხო განაკვეთის შეცვლის ვადები, პირობები და პროცედურები;

f. თუ სხვადასხვა სასესხო განაკვეთი გამოიყენება სხვადასხვა ვითარებაში, (e) პუნქტში მითითებული ინფორმაცია ყველა გამოსაყენებელი განაკვეთის მიმართ;

g. ინფორმაცია, რომლიდანაც გამომდინარეობს, რომ 7:66 მუხლის პარ. 1-ში მითითებული ხელშეკრულების გაუქმების უფლება არ გამოიყენება ფასიანი ქაღალდების მეშვეობით დადებული საკრედიტო ხელშეკრულებების მიმართ;

h. ხელშეკრულების დადების მომენტიდან გასანევი ხარჯების შესახებ ინფორმაცია, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში კი, – ის პირობები, რომელთა არსებობისას შეიძლება შეიცვალოს აღნიშნული გასანევი ხარჯების ოდენობა;

i. გადახდების არარსებობის შედეგების თაობაზე გაფრთხილება;

j. მოთხოვნილი უზრუნველყოფები (გირა);

k. საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტის უფლების რეალიზაციისათვის დადგენილი პროცედურა, როგორც ეს გათვალისწინებულია 7:65 მუხლში;

l. არსებობს თუ არა სასამართლოს გარეთ არსებულ ურთიერთობებში მომხმარებლისათვის საჩივრისა და კომპენსაციის განხილვის მექანიზმი, და ასეთის არსებობის შემთხვევაში კი, – ამ მექანიზმების ხელმისაწვდომობის ხერხები;

m. აუცილებლობის შემთხვევაში, – კომპეტენტური საზედამხედველო ორგანოს დასახელება და მისამართი.

მუხლი 7:62 სასესხო განაკვეთთან დაკავშირებული ინფორმაცია

– 1. აუცილებლობის შემთხვევაში, მომხმარებელს უნდა შეატყობინონ სასესხო განაკვეთის ნებისმიერი ცვლილების შესახებ ქაღალდის მატარებელზე ან მონაცემთა სხვა მყარ მატარებელზე შეტყობინების წარდგენით ასეთი ცვლილების ძალაში შესვლამდე. შეტყობინებაში უნდა მიეთითოს ახალი სასესხო განაკვეთის ძალაში შესვლის შემდეგ განსახორციელებელი გადახდების თანხის ოდენობა, ხოლო თუკი იცვლება ასევე გადახდების რაოდენობა ან სიხშირე, – მაშინ ასევე მათი დეტალური მონაცემებიც.

– 2. თუმცა, საკრედიტო ხელშეკრულებაში მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ, რომ პარ. 1-ში მითითებული ინფორმაცია მომხმარებელს მიენოდოს პერიოდულად იმ შემთხვევაში, როდესაც სასესხო განაკვეთის ცვლილება იწვევს საორიენტაციო განაკვეთის ცვლილებასაც, და – ასევე იმ პირობით, რომ საზოგადოებას შეუძლია შეიტყოს ახალი საორიენტაციო განაკვეთის შესახებ სათანადო საშუალებებით და, გარდა ამისა, – რომ ახალ საორიენტაციო განაკვეთთან დაკავშირებული ინფორმაცია ასევე ხელმისაწვდომი იქნება კრედიტორის კუთვნილ ფართებში (ოფისებში).

მუხლი 7:63 ოვერდრაფტის ფორმით დადებული საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებები

– 1. როდესაც საკრედიტო ხელშეკრულება მოიცავს ოვერდრაფტის ფორმით გაცემულ კრედიტს, როგორც ეს მითითებულია 7:58 მუხლის პარ. 3-ში, მომხმარებელს ქაღალდის მატარებელზე ან მონაცემთა სხვა მყარ მატარებელზე ანგარიშიდან ამონაწერის მეშვეობით რეგულარულად უნდა მიენოდოს შემდეგი დეტალური მონაცემები:

a. დროის ზუსტი პერიოდი, რომელსაც ეხება ანგარიშიდან ამონაწერი;

b. კრედიტის თანხების ოდენობა და მიღების თარიღები;

c. წინა ამონაწერიდან გამომდინარე ნარჩენი თანხა და მისი თარიღი;

d. ახალი ბალანსი;

e. მომხმარებლის მიერ განხორციელებული გადახდების თარიღები და თანხების ოდენობა;

- f. გამოყენებული სასესხო განაკვეთი;
- g. ნებისმიერი განეული ხარჯი, და;
- h. აუცილებლობის შემთხვევაში, – მინიმალური გადასახდელი თანხა.

– 2. მომხმარებელს ქალაქის მატარებელზე ან მონაცემთა სხვა მყარ მატარებელზე უნდა შეატყობინონ სასესხო განაკვეთის ზრდის ან ნებისმიერი გასაწევი ხარჯის შესახებ შესაბამისი ცვლილების ძალაში შესვლამდე.

– 3. საკრედიტო ხელშეკრულებაში მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ, რომ სასესხო განაკვეთის ცვლილების შესახებ ინფორმაცია უნდა იქნეს მოცემული პარ. 1-ში მითითებულ ამონაწერში ანგარიშიდან, თუკი სასესხო განაკვეთის ცვლილება იწვევს საორიენტაციო განაკვეთის ცვლილებასაც, და – ასევე იმ პირობით, რომ საზოგადოებას შეუძლია შეიტყოს ახალი საორიენტაციო განაკვეთის შესახებ სათანადო საშუალებებით და, გარდა ამისა, – რომ ახალ საორიენტაციო განაკვეთთან დაკავშირებული ინფორმაცია ასევე ხელმისაწვდომი იქნება კრედიტორის კუთვნილ ფართებში (ოფისებში).

მუხლი 7:64 ფასიანი ქალაქის მეშვეობით დადებული საკრედიტო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე დაფარვის კოეფიციენტის ცვლილებები და გავრცელების მოთხოვნები

ფასიანი ქალაქის მეშვეობით დადებული საკრედიტო ხელშეკრულებების შემთხვევაში, კრედიტორი 7:61 მუხლის პარ. 7-ში გათვალისწინებული წესებით უთითებს დაფარვის კოეფიციენტის ცვლილებებსა და გავრცელების მოთხოვნებს შესაბამისი ცვლილების ძალაში შესვლის დღისათვის.

მუხლი 7:65 განუსაზღვრელი ვადით დადებული საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტა

– 1. განუსაზღვრელი ვადით დადებული საკრედიტო ხელშეკრულება (უვადო საკრედიტო ხელშეკრულება) შეიძლება ნებისმიერ დროს შეწყდეს მომხმარებლის მიერ ყოველგვარი ფინანსური სანქციის გარეშე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარეები შეთანხმდნენ შეწყვეტის შესახებ შეტყობინების ვადაზე. ასეთი ვადა არ უნდა აღემატებოდეს ერთ თვეს.

– 2. საკრედიტო ხელშეკრულებაში მხარეთა შეთანხმების შემთხვევაში, კრედიტორს შეუძლია შეწყვიტოს განუსაზღვრელი ვადით დადებული საკრედიტო ხელშეკრულება (უვადო საკრედიტო ხელშეკრულება) მომხმარებლისათვის, სულ ცოტა, ორი თვით ადრე წარდგენილი შეტყობინებით, რომელიც უნდა შედგეს ქალაქის მატარებელზე ან მონაცემთა სხვა მყარ მატარებელზე.

– 3. საკრედიტო ხელშეკრულებაში მხარეთა შეთანხმების შემთხვევაში, კრედიტორს ობიექტურად გამართლებული მიზეზების არსებობისას შეუძლია გააუქმოს მომხმარებლის მიერ კრედიტის თანხის მიღების უფლება, რომელიც მინიჭებული იყო მისთვის განუსაზღვრელი ვადით დადებული საკრედიტო ხელშეკრულების ხელშეკრულება (უვადო საკრედიტო ხელშეკრულების) საფუძველზე. კრედიტორი შეიძლება გაუქმების მომენატამდე და არაუგვიანეს ამ მომენტიდან დაუყოვნებლივ ატყობინებს მომხმარებელს ქალაქის მატარებელზე ან მონაცემთა სხვა მყარ მატარებელზე კრედიტის თანხის მიღების უფლების გაუქმებისა და მისი მიზეზების შესახებ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი ინფორმაციის წარდგენა აკრძალულია თანამეგობრობის სხვა კანონმდებლობით ანდა ეწინააღმდეგება საჯარო პოლიტიკისა თუ უსაფრთხოების მიზნებს.

მუხლი 7:66 ხელშეკრულების გაუქმების უფლება

– 1. მომხმარებელს ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე თოთხმეტი კალენდარული დღის განმავლობაში აქვს საკრედიტო ხელშეკრულების გაუქმების უფლება:

- a. საკრედიტო ხელშეკრულების დადების დღიდან ან;
- b. იმ დღიდან, როდესაც მომხმარებელი იღებს სახელშეკრულებო პირობებსა და ინფორმაციას თანახმად 7:67 მუხლისა, თუკი ეს დღე უფრო გვიანია, ვიდრე (a) პუნქტში მითითებული დღე.

– 2. მომხმარებელი პარ. 1-ში მითითებულ უფლებას ახორციელებს ამ მიზნით შეტყობინების კრედიტორისათვის დადგენილ ვადაში გაგზავნით. შეტყობინება შეესაბამება კრედიტორის მიერ 7:61 მუხლის პარ. 2-ის (q) პუნქტის შესაბამისად წარსაგენ ინფორმაციას და ხორციელდება იმგვარად, რომ მისი კრედიტორის მისამართზე მიღება შეიძლება დადასტურდეს შესაბამისი მტკიცებულებით. ვადა დაცულად მიიჩნევა, თუკი შეტყობინება იგზავნება ისეთ ქალაქის მატარებელზე ან მონაცემთა სხვა მყარ მატარებელზე, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება კრედიტორისათვის ვადის გასვლამდე.

– 3. პარ. 1-ის შესაბამისად საკრედიტო ხელშეკრულების გაუქმების შემთხვევაში, მომხმარებელმა კრედიტორს უნდა გადაუხადოს ძირითადი თანხა და მასზე იმ დროიდან დაკისვული პროცენტი, როდესაც

საც გაიცა კრედიტის თანხა ძირითადი თანხის დაბრუნების თარიღამდე. პროცენტი გამოითვლება შეთანხმებული სასესხო განაკვეთის საფუძველზე. კრედიტის თანხის დაბრუნება უნდა მოხდეს რაიმე გაუმართლებელი დაგვიანების გარეშე და არაუგვიანეს ოცდაათი კალენდარული დღისა ხელშეკრულების გაუქმების შესახებ შეტყობინების კრედიტორისათვის გაგზავნის შემდეგ.

– 4. თუკი მომხმარებელმა ისარგებლა მისთვის პარ. 1-ის ნორმებით მინიჭებული საკრედიტო ხელშეკრულების გაუქმების უფლებით, კრედიტორი არ იქნება უფლებამოსილი რაიმე სხვა საკომპენსაციო თანხის მიღებაზე მომხმარებლისაგან, გარდა მისთვის პარ. 3-ის ნორმებით გადასახდელი თანხებისა, რომლებსაც არ განეკუთვნება ასევე კრედიტორის მიერ ნებისმიერი საჯარო ადმინისტრაციული ორგანოსათვის ანაზღაურებული ხარჯების თანხა, რომელიც არ ექვემდებარება მისთვის დაბრუნებას.

– 5. თუკი საკრედიტო ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დამატებითი მომსახურების განწესება ხდება კრედიტორის ან მესამე მხარის მიერ ამ უკანასკნელსა და კრედიტორს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, პარ. 1-ის შესაბამისად კანონის ძალით საკრედიტო ხელშეკრულების გაუქმების შედეგად მომხმარებელი აღარ იქნება შებოჭილი ნებისმიერი დამატებითი მომსახურების ხელშეკრულებითაც.

– 6. თუკი მომხმარებელს აქვს საკრედიტო ხელშეკრულების გაუქმების უფლება პარ. 1-ის შესაბამისად, მაშინ არ მოქმედებს სხვა კანონისმიერი ნორმები, რომლებიც მომხმარებელს ანალოგიურ გაუქმების უფლებას ანიჭებს.

– 7. პარ. 1-ის ნორმები არ გამოიყენება ფასიანი ქაღალდების მეშვეობით დადებული საკრედიტო ხელშეკრულებების მიმართ.

მუხლი 7:67 სხვა გაუქმებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული საკრედიტო ხელშეკრულება

– 1. თუკი მომხმარებელმა გააუქმა საქონლის მიწოდებისა თუ მომსახურების განწესების ხელშეკრულება სამოქალაქო კოდექსის 7:46d მუხლის პარ. 1-ის ან 7:50d მუხლის პარ. 1-ის ნორმათა შესაბამისად ანდა – ფინანსური ზედამხედველობის შესახებ კანონის 4:28 მუხლის პარ. 1-სა თუ შემოსავლელ კართან დადებული ხელშეკრულებების შესახებ კანონის 25-ე მუხლის ნორმათა შესაბამისად, ის აღარ იქნება შებოჭილი ამ გაუქმებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული საკრედიტო ხელშეკრულებითაც.

– 2. თუკი დაკავშირებული საკრედიტო ხელშეკრულებით მოცული საქონლის მიწოდება ან მომსახურების განწესება არ ხდება ან ხდება მხოლოდ ნაწილობრივ, ანდა ის არ შეესაბამება მიწოდების ხელშეკრულების პირობებს, მაშინ მომხმარებელს კრედიტორის მიმართ სამართლებრივი დაცვის საშუალებების გამოყენების უფლების გამოყენება შეეძლება იმ შემთხვევაში, თუ მან თავისი სამართლებრივი დაცვის საშუალებები გამოიყენა საქონლის მიწოდებისა თუ მომსახურების გამწვანების მიმართ, თუმცა ვერ მიიღო დაკმაყოფილება, რაზეც ის უფლებამოსილია კანონის ან საქონლის მიწოდებისა თუ მომსახურების განწესების შესახებ ხელშეკრულების შესაბამისად.

– 3. პარ. 1-ის ნორმები არ გამოიყენება ფასიანი ქაღალდების მეშვეობით დადებული საკრედიტო ხელშეკრულებების მიმართ.

მუხლი 7:68 კრედიტის ვადამდე დაფარვა

– 1. მომხმარებელი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს სრულად ან ნაწილობრივ დაფაროს მასზე საკრედიტო ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები. ასეთ შემთხვევებში, ის უფლებამოსილია კრედიტის მთლიანი ხარჯის შემცირებაზე; ასეთი შემცირება შედგება პროცენტისა და ხელშეკრულების მოქმედების დარჩენილი ვადისათვის არსებული ხარჯებისაგან.

– 2. კრედიტის ვადამდე დაფარვის შემთხვევაში, კრედიტორი უფლებამოსილია, მიიღოს სამართლიანი და ობიექტურად გამართლებული კომპენსაცია კრედიტის ვადამდე დაფარვასთან პირდაპირ დაკავშირებული შესაძლო ხარჯებისათვის იმ პირობით, რომ ვადამდე დაფარვა ხორციელდება სასესხო განაკვეთისათვის დადგენილი ვადის განმავლობაში. ასეთი საკომპენსაციო თანხა არ უნდა აღემატებოდეს:

a. ვადამდე დაფარული საკრედიტო თანხის 0,5%-ს, თუკი ვადა ვადამდე დაფარვასა და საკრედიტო ხელშეკრულებით შეთანხმებულ შეწყვეტის მომენტს შორის შეადგენს მაქსიმუმ ერთ წელს;

b. ვადამდე დაფარული საკრედიტო თანხის 1%-ს, თუკი ვადა ვადამდე დაფარვასა და საკრედიტო ხელშეკრულებით შეთანხმებულ შეწყვეტის მომენტს შორის აღემატება ერთ წელს.

– 3. პარ. 2-ის ნორმათა გვერდის ავლით, (a) და (b) პუნქტების საფუძველზე 75 000 ევროზე მეტი თანხის კრედიტების მიმართ კრედიტორს შეუძლია დააკისროს მომხმარებელს უფრო მეტი ოდენობის საკომპენსაციო თანხა, თუკი ის დამაჯერებლად ამტკიცებს იმას, რომ კრედიტის ვადამდე დაფარვის შედეგად განცდილი ზარალი აღემატება პარ. 2-ის შესაბამისად დარიცხულ თანხას. ასეთი ზარალი შეადგენს სხვაობას

თავდაპირველად შეთანხმებული საპროცენტო განაკვეთისა და იმ საპროცენტო განაკვეთის ოდენობას შორის, რომლითაც ვადამდე დაფარვის თანხა კრედიტორს შეუძლია ბაზარზე გაასესხოს ვადამდე დაფარვის მომენტში. ზარალის შეფასებისას მხედველობაში მისაღებია ასევე კრედიტის ვადამდე დაფარვის ადმინისტრაციული ხარჯებიც.

– 4. პარ. 2-სა და 3-ში მითითებული საკომპენსაციო თანხა არ უნდა აღამატებოდეს პროცენტის იმ თანხას, რომელსაც მომხმარებელი გადაიხდიდა ვადამდე დაფარვასა და საკრედიტო ხელშეკრულებით შეთანხმებულ შეწყვეტის მომენტს შორის ვადის განმავლობაში.

– 5. კრედიტორი ვერ დააკისრებს მომხმარებელს პარ. 2-სა და 3-ში მითითებულ საკომპენსაციო თანხას:

a. თუკი ვადამდე დაფარვა განხორციელდა კრედიტის დაბრუნების გარანტიის წარდგენის მიზნით დადებული დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე;

b. ოვერდრაფტის შემთხვევაში.

მუხლი 7:69 მესამე პირისათვის უფლებების დათმობა

– 1. თუკი ადგილი აქვს საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე კრედიტორის კუთვნილი უფლებების ან თავად საკრედიტო ხელშეკრულების მესამე პირისათვის დათმობას (გადაცემას), მომხმარებელი უფლებამოსილია, შემძენი მხარის (ცესიონერის) მიმართ წარადგინოს ნებისმიერი შესაგებელი, რომელიც მას ჰქონდა თავდაპირველი კრედიტორის მიმართ გაქვითვის უფლების ჩათვლით.

– 2. მომხმარებელს უნდა ეცნობოს პარ. 1-ში მითითებული მოთხოვნის დათმობის შესახებ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც თავდაპირველი კრედიტორი შემძენ მხარესთან (ცესიონერთან) შეთანხმებით აგრძელებს მომხმარებლისთვის კრედიტის გაცემას.

მუხლი 7:70 საკრედიტო ლიმიტის გადაჭარბება

– 1. როდესაც ანგარიშის გახსნის შესახებ ხელშეკრულებაში კრედიტორი მომხმარებელს აძლევს საკრედიტო ლიმიტის გადაჭარბების შესაძლებლობას, ეს ხელშეკრულება დამატებით უნდა შეიცავდეს დირექტივის მე-6 მუხლის პარ. 1-ის (e) პუნქტში მითითებულ ინფორმაციას. კრედიტორმა ნებისმიერ შემთხვევაში მომხმარებელს ქალაქის მატარებელზე ან მონაცემთა სხვა მყარ მატარებელზე რეგულარულად უნდა მიაწოდოს აღნიშნული ინფორმაცია.

– 2. ერთ თვეზე მეტი ხნით საკრედიტო ლიმიტის მნიშვნელოვანი გადაჭარბების შემთხვევაში, კრედიტორმა მომხმარებელს ქალაქის მატარებელზე ან მონაცემთა სხვა მყარ მატარებელზე დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს:

a. ლიმიტის გადაჭარბების შესახებ;

b. შესაბამისი თანხის შესახებ;

c. სასესხო განაკვეთის შესახებ;

d. ნებისმიერი პირგასამტეხლოს, ხარჯებისა თუ ვადაგადაცილების პროცენტის შესახებ.

განყოფილება 7.2A.4 – ხარჯების წლიური საპროცენტო სარგებლის ოდენობა

მუხლი 7:71 მითითება დირექტივაზე

ხარჯების წლიური საპროცენტო სარგებლის ოდენობა გამოითვლება კრედიტორის მიერ დირექტივის მე-19 მუხლის შესაბამისად.

განყოფილება 7.2A.5 – კრედიტორები და საკრედიტო შუამავლები

მუხლი 7:72 მომხმარებლების მიმართ საკრედიტო შუამავლების განსაზღვრული ვალდებულება

– 1. თუ საკრედიტო ხელშეკრულება იდება საკრედიტო შუამავლის ჩართულობით, ამ უკანასკნელმა მომხმარებლისათვის განკუთვნილ დოკუმენტებში უნდა ახსენოს თავისი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების (მინდობილობის) ფარგლები და ასევე – ის ფაქტი, მოქმედებს თუ არა ეს შუამავალი მხოლოდ ერთ ან რამდენიმე კრედიტორთან ერთად ანდა დამოუკიდებელი ბროკერის სახით.

– 2. როდესაც საკრედიტო შუამავალი ფინანსური ზედამხედველობის შესახებ კანონის 4:47 მუხლის

ნორმათა დაცვით მომხმარებელს აკისრებს საზღაურს მის მიერ განეული მომსახურებისათვის, მან უნდა გაუმხილოს მომხმარებელს ამ საზღაურის ოდენობა. საკრედიტო ხელშეკრულების დადებამდე საზღაურის ოდენობა კრედიტორსა და მომხმარებელს შორის უნდა შეთანხმდეს ქალაქის მატარებელზე ან მონაცემთა სხვა მყარ მატარებელზე.

– 3. საკრედიტო შუამავალი ხარჯების წლიური საპროცენტო სარგებლის ოდენობის გამოთვლის მიზნით უნდა შეატყობინოს კრედიტორს იმ საზღაურის ოდენობის შესახებ, რომელიც მომხმარებელმა უნდა გადაუხადოს საკრედიტო შუამავალს.

– 4. თუკი საკრედიტო შუამავალი არ ასრულებს პარ. 1-დან პარ. 3-ის ჩათვლით ნორმებში მითითებულ თავის ვალდებულებებს, მისი მომსახურებისათვის მომხმარებელს არანაირი საზღაური არ დაეკისრება.

განყოფილება 7.2A.6 (გამოტოვებულია წინამდებარე გამოცემაში როგორც არააქტუალური)

ტიტული 7.2D – ლომბარდის ხელშეკრულება

მუხლი 7:130 ლომბარდის ხელშეკრულების განმარტება

– 1. ლომბარდის ხელშეკრულება წარმოადგენს ხელშეკრულებას, რომლის საფუძველზეც ერთ-ერთი მხარე – ლომბარდის მფლობელი ფულად თანხას გადასცემს ხელშეკრულების მეორე მხარეს – დამგირავებელს, ხოლო ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, მოძრავ ნივთს, რომელიც არ განეკუთვნება რეგისტრირებულ ქონებას, გადასცემს ლომბარდის მფლობელს იმ დათქმით, რომ:

a. ან ლომბარდის მფლობელმა უნდა დაუბრუნოს ნივთის დამგირავებელს იმ შემთხვევაში, თუკი ამ უკანასკნელმა სესხის ვადის განმავლობაში სრულად დაუბრუნა ლომბარდის მფლობელს აღებული ფულადი თანხა და ასევე სრულად დაფარა ლომბარდის ხარჯები ანდა – ლომბარდის მფლობელი ხდება ნივთის მესაკუთრე იმ შემთხვევაში, თუკი სესხის ვადის განმავლობაში არ ხდება სასესხო თანხისა და ასევე ლომბარდის ხარჯების სრულად დაფარვა;

b. ან დამგირავებელი დაუყოვნებლივ გადასცემს ნივთზე საკუთრების უფლებას ლომბარდის მფლობელს, თუმცაღა, – იმ ვალდებულებით, რომ ამ უკანასკნელმა უნდა დაუბრუნოს ნივთი დამგირავებელს, თუკი მან სესხის ვადის განმავლობაში სრულად დაუბრუნა ლომბარდის მფლობელს აღებული ფულადი თანხა და ასევე სრულად დაფარა ლომბარდის ხარჯები.

– 2. წინამდებარე ტიტული (ტიტული 7.2D) მოქმედებს ასევე ყოველი იმ ხელშეკრულების მიმართ, რომელიც გულისხმობს იმავე პირობებს, რაც პარ. 1-ში მითითებული ლომბარდის ხელშეკრულება მიუხედავად მისი დადების ფორმისა თუ დასახელებისა.

მუხლი 7:131 სხვა განმარტებები

წინამდებარე ტიტულში (ტიტული 7.2D) ტერმინებს აქვს ქვემოთ მოცემული მნიშვნელობა:

a. „ლომბარდის მფლობელი“: ფიზიკური ან იურიდიული პირი, ვინც თავისი სამეწარმეო პროფესიული საქმიანობის ფარგლებში ახდენს სალომბარდე სესხების შეთავაზებას;

b. „სესხის ვადა“: ლომბარდის ხელშეკრულებაში შეთანხმებული დროის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც დამგირავებელმა უნდა დააბრუნოს მისთვის მიცემული ფულადი თანხა და ანაზღაუროს ლომბარდის ხარჯები მანამდე, სანამ ლომბარდის მფლობელს დაეკისრება ნივთის დამგირავებისთვის დაბრუნების ვალდებულება;

c. „ლომბარდის ხარჯები“: ნებისმიერი ფორმით გამოხატული ყველა საზღაური და კომპენსაცია, რომელსაც ლომბარდის მფლობელი აკისრებს ან იღებს ლომბარდის ხელშეკრულების ფარგლებში;

d. „თვე“: კალენდარული თვე ანდა – ვადა კალენდარულ თვეში დღესა და შემდეგი კალენდარულ თვის შესაბამის დღეს შორის.

მუხლი 7:132 დამგირავებელი წარმოადგენს არაპროფესიონალ ფიზიკურ პირს

წინამდებარე ტიტული (ტიტული 7.2D) მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი დამგირავებელი წარმოადგენს ფიზიკურ პირს, ვინც {ლომბარდის ხელშეკრულების დადებისას} არ მოქმედებს თავისი სამეწარმეო პროფესიული საქმიანობის ფარგლებში.

მუხლი 7:133 ხელშეკრულების დადებამდე მისაწოდებელი ინფორმაცია

6:193c მუხლიდან 6:193e მუხლის ჩათვლით ნორმათა მოქმედების შეზღუდვის გარეშე, ლომბარდის მფლობელმა მანამდე, სანამ დამგირავებელს ლომბარდის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დაეკისრება ვალდებულებები, უნდა მისცეს მას ქვემოთ მოცემული ინფორმაციის გაცნობის შესაძლებლობა:

- a. ლომბარდის ყოველთვიური ხარჯები დამგირავებელზე გაცემული ფულადი თანხის პროცენტული გამოსატყულებით;
- b. სესხის ვადის ხანგრძლივობა.

მუხლი 7:134 ხელშეკრულებისა და მისი შინაარსის მიმართ დადგენილი ფორმალური მოთხოვნები

- 1. ლომბარდის ხელშეკრულება იდება ქალაქის მატარებელზე ან მონაცემთა სხვა მყარ მატარებელზე. ლომბარდის მფლობელმა დამგირავებელს უნდა მიაწოდოს ლომბარდის ხელშეკრულების ეგზემპლარი, ხოლო მეორე ეგზემპლარი კი შეინახოს თავისთან.
- 2. ლომბარდის ხელშეკრულებაში მოკლედ და ნათლად მიეთითება:
 - a. დამგირავებისა და ლომბარდის მფლობელის საიდენტიფიკაციო მონაცემები და გეოგრაფიული მისამართები, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში კი, – შესაბამისი საკრედიტო შუამავლის საიდენტიფიკაციო მონაცემები და გეოგრაფიული მისამართი;
 - b. ლომბარდში გადაცემული ნივთის აღწერილობა;
 - c. დამგირავებისათვის გადაცემული ფულადი თანხა;
 - d. სესხის ვადის ხანგრძლივობა.
 - e. 7:130 მუხლის პარ. 1-ის (a) პუნქტში მითითებული დათქმა ან 7:130 მუხლის პარ. 1-ის (b) პუნქტში მითითებული დათქმა;
 - f. ლომბარდის ყოველთვიური ხარჯები დამგირავებელზე გაცემული ფულადი თანხის პროცენტული გამოსატყულებით და ასევე ამ ხარჯების გამოანგარიშების წესი;
 - g. ის მთლიანი თანხა, რომელიც დამგირავებელმა უნდა გადაიხადოს სესხის ვადის განმავლობაში ნივთის უკან დაბრუნების უფლების მოპოვებისათვის იმ პრეზუმფციით, რომ ეს თანხა გადახდილია სესხის ვადის უკანასკნელ დღეს და ასევე იმ წესის მითითებით, რომლის მიხედვითაც გამოითვლება ეს თანხა კრედიტის ვადამდე დაფარვის შემთხვევაში;
 - h. პირობები, რომელთა არსებობისას სესხის ვადა შეიძლება გახანგრძლივდეს და ასევე ასეთი გახანგრძლივების წესი;
 - i. დამგირავების უფლება, მოითხოვოს ნივთის დაუყოვნებლივ დაბრუნება, როგორც ეს მითითებულია 7:135 მუხლის პარ. 2-ში;
 - j. ხელშეკრულების მიმართ გამოსაყენებელი სხვა პირობები.

მუხლი 7:135 სესხის ვადა/ლომბარდში გადაცემული ნივთის დაბრუნების მოთხოვნის უფლება

- 1. სესხის ვადა შეადგენს, სულ ცოტა, ორ თვეს.
- 2. სესხის ვადის განმავლობაში, ხოლო მისი გახანგრძლივების შემთხვევაში კი, – ასევე მისი გახანგრძლივების ვადის განმავლობაში, დამგირავებელს ნებისმიერ დროს აქვს ლომბარდში გადაცემული ნივთის დაუყოვნებლივ დაბრუნების მოთხოვნის უფლება მისთვის გადაცემული ფულადი თანხისა და ასევე ლომბარდის ყველა ხარჯის დაფარვის სანაცვლოდ.

მუხლი 7:136 დამგირავებელი საკუთრების უფლებას იბრუნებს კანონის ძალით

თუკი ლომბარდის ხელშეკრულებაში გაკეთდა 7:130 მუხლის პარ. 1-ის (b) პუნქტში მითითებული დათქმა, მაშინ ფულადი თანხის სრულად გადახდისა და ლომბარდის ყველა ხარჯის სრულად დაფარვის შედეგად დამგირავებელი კანონის ძალით კვლავ იძენს საკუთრების უფლებას ლომბარდში გადაცემულ ნივთზე ისე, თითქოს ლომბარდის მფლობელისათვის საკუთრების უფლების გადაცემა მოხდა აღნიშნული ფულადი თანხის გადახდისა თუ ხარჯების დაფარვის პირობით.

მუხლი 7:137 ლომბარდის ხარჯების გამოანგარიშება

ლომბარდის ხარჯების გამოანგარიშება ხდება 7:130 მუხლის პარ. 1-ში მითითებული ფულადი თანხის მეფის სამთავრობო ბრძანების დადგენილი ყოველთვიური მაქსიმალური საპროცენტო თანხის ფორმით.

მუხლი 7:138 გირავნობის მომწესრიგებელი ნორმების გამოყენება

მოდრავ ნივთებზე გირავნობის მომწესრიგებელი ნორმები გამოიყენება 7:130 მუხლის პარ. 1-ის (a) პუნ-

ქტში მითითებული ლომბარდის ხელშეკრულების მიმართ, გარდა 3:233, 3:234, 3:235, 3:237, 3:241, 3:242, 3:243 პარ. 2, 3:244, 3:248, 3:249, 3:250, 3:251, 3:252, 3:253, 3:254 და 3:256 მუხლებისა.

მუხლი 7:139 ლომბარდის მფლობელის მიერ განცდილი ზარალი

თუ დამგირავებელი სესხის ვადის განმავლობაში არ აბრუნებს სრულად ფულად თანხას და არ ფარავს სრულად ლომბარდის ხარჯებს, მაშინ ლომბარდის მფლობელს ეკისრება ის ზარალი, რომელსაც ის განიცდის 7:130 მუხლის პარ. 1-ში მითითებულ ფულად თანხასა და ლომბარდის ხარჯებთან შედარებით.

მუხლი 7:140 კანონის იმპერატიული ნორმები

დამგირავებლის ინტერესების საზიანოდ წინამდებარე ტიტულის (ტიტული 7.2D) ნორმებიდან გადახვევა დაუშვებელია.

ტიტული 7.3 – ჩუქების ხელშეკრულება

მუხლი 7:175 ჩუქების ხელშეკრულების განმარტება

– 1. ჩუქების ხელშეკრულება წარმოადგენს უსასყიდლო ხელშეკრულებას, რომლითაც ერთ-ერთი მხარე („გამჩუქებელი“) კისრულობს თავისი ქონების განკარგვას ხელშეკრულების მეორე მხარის („დასაჩუქრებული“) გამდიდრების მიზნით.

– 2. კონკრეტული პირის მიმართ წარდგენილი ჩუქების შეთავაზება მიიჩნევა მიღებულად, თუკი ადრესატი მას შემდეგ, რაც მან შეიტყო ამ შეთავაზების შესახებ, დაუყოვნებლივ არ აცხადებს მასზე უარს.

მუხლი 7:176 ხელშეკრულების საცილობა გარემოებათა ბოროტად გამოყენების საფუძველზე მითითებით

თუ გამჩუქებელი წარადგენს ისეთ ფაქტებს, რომელთაგან გამომდინარეობს, რომ ჩუქების ხელშეკრულება დაიდო გარემოებათა ბოროტად გამოყენების გავლენით და ის ამის გამო ახდენს ხელშეკრულების საცილობაზე მითითებას, მაშინ საწინააღმდეგოს მტკიცების ტვირთი ეკისრება დასაჩუქრებულს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ჩუქება გაფორმდა სანოტარო აქტის სახით ანდა მტკიცების ტვირთის ასეთი განაწილება მოცემულ შემთხვევებში გონივრულობისა და სამართლიანობის პრინციპის შეუსაბამო იქნებოდა.

მუხლი 7:177 გამჩუქებლის გარდაცვალების შემდეგ შესასრულებელი ჩუქება

– 1. იმდენად, რამდენადაც ჩუქების ხელშეკრულება აუცილებლად გულისხმობს იმას, რომ ის უნდა შესრულდეს მხოლოდ გამჩუქებლის გარდაცვალების შემდეგ და ის არ იქნა ჯერ ფაქტობრივად შესრულებული მისი სიცოცხლის ვადის განმავლობაში, ეს ხელშეკრულება წყდება გამჩუქებლის გარდაცვალებისთანავე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ჩუქების ხელშეკრულება გამჩუქებლის მიერ დაიდო და სანოტარო აქტის სახით გაფორმდა პირადად. იმ ფარგლებში, რომლებშიც ჩუქება ეხება ტანსაცმელს, პირად ნივთებსა თუ წინასწარ შერჩეულ პირად ძვირფასეულობას, ავეჯსა თუ წიგნებს, კერძო აქტის შედგენა ასევე საკმარისია იმ პირობით, თუ ის სრულად იქნება დაწერილი, დათარიღებული და ხელმოწერილი პირადად გამჩუქებლის მიერ.

– 2. როდესაც გამჩუქებელმა სათავისოდ დაიტოვა ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების უფლება, როგორც ეს მითითებულია პარ. 1-ში, ასეთი გაუქმება შეიძლება განხორციელდეს დასაჩუქრებულის მიმართ წარდგენილი გამჩუქებლის დეკლარაციის მეშვეობით ანდა ამ მიზნით გამჩუქებლის ანდერძში მოცემული განცხადების მეშვეობით დასაჩუქრებულისათვის ხელშეკრულების გაუქმების შესახებ ცალკე შეტყობინების წარდგენის გარეშე.

მუხლი 7:178 ჩუქება პირადი მრჩევლისა თუ მზრუნველის სასარგებლოდ

– 1. ჩუქების ხელშეკრულება საცილოა, თუკი ის იდება გამჩუქებლის ავადმყოფობის დროს და ჩუქება ხორციელდება იმ პირის სასარგებლოდ, ვინც დაკავებულია პროფესიული საქმიანობით ჯანმრთელობის დაცვის სფეროში და ვინც უნევს გამჩუქებელს დახმარებას, ანდა – იმ პირის სასარგებლოდ, ვინც ახდენს გამჩუქებლისათვის ფსიქიკური დახმარების განევას და მხარდაჭერას გამჩუქებლის ავადმყოფობის დროს.

– 2. ჩუქების ხელშეკრულება ასევე საცილოა, თუკი ის იდება იმ ვადის განმავლობაში, როდესაც გამჩუქებელი იმყოფებოდა მოხუცთა ან სულით ავადმყოფი პაციენტების თავშესაფარში და ჩუქება ხორცი-

ელდება იმ პირის სასარგებლოდ, ვისაც ეკუთვნის ეს დანესებულება ან ვინც მართავს მას ანდა – ვინც მუშაობს მასში.

– 3. შესაბამისად გამოიყენება სამოქალაქო კოდექსის 4:62 მუხლის პარ. 2 და 3-ის ნორმები.

– 4. პარ. 2 ან 3-ის შესაბამისად საცილო ჩუქების ხელშეკრულების გაბათილების უფლება ხანდაზმული ხდება სამი წლის ვადის გასვლისას მას შემდეგ, როდესაც დასრულდება პარ. 1-ში მითითებული ავადმყოფობა ანდა, თუკი საქმე ეხება პარ. 2-ში მითითებულ ვითარებას, – სამი წლის ვადის გასვლისას მას შემდეგ, როდესაც გამჩუქებელი გაენერა მოხუცთა თავშესაფრიდან.

– 5. გამჩუქებლის გარდაცვალების შემდეგ, ნებისმიერ პირს, ვინც დაზარადა ჩუქების შედეგად, შეუძლია გაბათილოს საცილო ჩუქება პარ. 1-ის ან პარ. 2-ის ნორმათა საფუძველზე. საცილო ჩუქება ასეთ შემთხვევაში ბათილდება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელია იმ პირის მიერ განცდილი ზარალის აღმოფხვრისათვის, რომელმაც მოახდინა მისი გაბათილება. წინამდებარე პარაგრაფის პირველი წინადადების საფუძველზე საცილო ჩუქების გაბათილების სარჩელის უფლება (სასარჩელო მოთხოვნა) ხანდაზმული ხდება იმ მომენტში, რომელიც განისაზღვრება სამოქალაქო კოდექსის 4:54 მუხლის ნორმების შესაბამისად, თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, – სამი წლის ვადის გასვლისას მას შემდეგ, როდესაც დასრულდება პარ. 1-ში მითითებული ავადმყოფობა ანდა, თუკი საქმე ეხება პარ. 2-ში მითითებულ ვითარებას, – სამი წლის ვადის გასვლისას მას შემდეგ, როდესაც გამჩუქებელი გაენერა მოხუცთა თავშესაფრიდან.

მუხლი 7:179 გამოთხოვადი ოფერტის გაუქმება; ჯილდოს შეთავაზება

– 1. სამოქალაქო კოდექსის 6:222 მუხლში გათვალისწინებული წესებისაგან განსხვავებით, ჩუქების ხელშეკრულების დადების ოფერტი, რომლის გამოთხოვა ოფერენტის მიერ შესაძლებელი იქნებოდა მისი გარდაცვალების მომენტში, უქმდება მისი გარდაცვალებისთანავე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელშეკრულება ან თავად ოფერტი სხვაგვარ წესს გულისხმობს.

– 2. როდესაც ოფერტი კეთდება კონკრეტული ვადისათვის ჯილდოს შეთავაზების გზით, ის უქმდება იმ შემთხვევაში, როდესაც ოფერენტი გარდაიცვლება აღნიშნული ვადის განმავლობაში იმ პირობით, რომ მისი გარდაცვალების მომენტში სახეზე იყო ოფერტის გამოთხოვის მნიშვნელოვანი საფუძველი, როგორც ეს მითითებულია სამოქალაქო კოდექსის 6:220 მუხლის პარ. 1-ში, ანდა – ოფერენტის გარდაცვალება თავად ქმნის ასეთ მნიშვნელოვან საფუძველს; ასეთ ვითარებაში შესაბამისად გამოიყენება სამოქალაქო კოდექსის 6:220 მუხლის პარ. 2-ის ნორმები.

მუხლი 7:180 ჩუქება შემდგომი ან წინასწარი პირობებით

სამოქალაქო კოდექსის 4:140 მუხლის პარ. 1-სა და 4:141 მუხლის ნორმები შესაბამისად გამოიყენება შემდგომი პირობით დადებული ჩუქების ხელშეკრულების მიმართ, რომელსაც დაუყოვნებლივ მოჰყვება წინასწარი პირობით დადებული ჩუქება.

მუხლი 7:181 დასაჩუქრებულის ცოცხლად ყოფნის აუცილებლობა

– 1. ჩუქების ხელშეკრულების დადების ოფერტი, რომელიც არ უქმდება ოფერენტის გარდაცვალებისას, ვერ იქნება მიღებული იმ პირის მიერ, ვინც ოფერენტის გარდაცვალების მომენტში ჯერ არ დაბადებულია.

– 2. პარ. 1-ის ნორმები არ გამოიყენება:

a. თუკი გამჩუქებელმა გააკეთა დათქმა იმის შესახებ, რომ მის მიერ თავისი მამის ან დედის შთამომავლისათვის ნაჩუქარი საგანი, იმ შემთხვევაში, თუკი ეს შთამომავალი გარდაიცვლება ანდა ამ ფაქტზე უფრო ადრე, ექვემდებარება გაჩუქებას თანაბარწილად ამ შთამომავლის ცოცხლად დარჩენილ შთამომავლებზე;

b. თუკი გამჩუქებელმა გააკეთა დათქმა იმის შესახებ, რომ მის მიერ რომელიმე პირისათვის ნაჩუქარი საგანი, იმ შემთხვევაში, თუკი ეს დასაჩუქრებული გარდაიცვლება ანდა ამ ფაქტზე უფრო ადრე, ექვემდებარება გაჩუქებას თავისი ერთ-ერთი მშობლის შთამომავალზე, და – ასევე, რომ თუკი ეს შთამომავალი აღარ არის ცოცხალი აღნიშნულ მომენტში, მაშინ ამ შთამომავლის ცოცხლად დარჩენილი შთამომავლები თანაბარწილად დაიკავებენ მის ადგილს;

c. თუკი გამჩუქებელმა გააკეთა დათქმა იმის შესახებ, რომ ის, რასაც დასაჩუქრებული თავისი გარდაცვალების მომენტში ანდა ამ ფაქტზე უფრო ადრე არ მოიხმარს, აღნიშნული მომენტიდან მემკვიდრეობით გადავა გამჩუქებლის ცოცხლად დარჩენილ სისხლით ნათესავებზე.

მუხლი 7:182 ქონების მინდობით მართვა

– 1. ჩუქების ხელშეკრულების დადების წერილობითი ოფერტი შეიძლება ითვალისწინებდეს ნაჩუქარი აქტივების შეძენას ქონების მმართველის მიერ ქონების მინდობით მართვის პირობით.

– 2. ასეთ ქონების მინდობით მართვას აქვს იგივე სამართლებრივი შედეგები, რაც მოანდერძის მიერ თავის ანდერძით დადგენილ ქონების მინდობით მართვას იმ პირობით, რომ:

a. სამოქალაქო კოდექსის 4:178 მუხლის პარ. 1 და 2-ში, 4:179 მუხლის პარ. 2-სა და 4:180 მუხლის პარ. 2-ში მითითებული ვადების ათვლა იწყება ჩუქების განხორციელების მომენტიდან, და;

b. ქონების მინდობით მართვა, რამდენადაც ის არ იქნა დადგენილი სხვა პირის ინტერესებში, ნაცვლად დასაჩუქრებულისა, ასევე ნყდება, როდესაც გამჩუქებელი და დასაჩუქრებული წერილობით ატყობინებენ ქონების მმართველს მართვის შეწყვეტის თაობაზე თავიანთი ერთობლივი გადაწყვეტილების შესახებ.

მუხლი 7:183 პასუხისმგებლობა ნაჩუქარი ქონების უფლებრივი და ნივთობრივი ნაკლისათვის

– 1. გამჩუქებელი პასუხისმგებელია ნაჩუქარი უფლების უფლებრივი ნაკლისათვის ან ნაჩუქარი აქტივის ნივთობრივი ნაკლისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მან არ აღმოფხვრა აღნიშნული ნაკლი მიუხედავად იმისა, რომ მისთვის ცნობილი იყო მისი არსებობა და დასაჩუქრებულს კი არ შეეძლო მისი აღმოჩენა ნაჩუქარი აქტივის მისთვის გადაცემის მომენტში.

– 2. აღნიშნული პასუხისმგებლობა არ მოიცავს იმ ზიანს, რომელიც განცდილ იქნა თავად ნაჩუქარ აქტივთან დაკავშირებით, გარდა თაღლითობის შემთხვევისა.

მუხლი 7:184 ჩუქების ხელშეკრულების საცილობა

– 1. მიუხედავად იმისა, განხორციელდა თუ არა უკვე ჩუქება, ჩუქების ხელშეკრულება არის საცილო:

a. თუკი დასაჩუქრებული არ ასრულებს მასზე ჩუქების მომენტში დაკისრებულ ვალდებულებას, რომლისათვისაც არც გამჩუქებელსა და არც მესამე პირს არ შეუძლია შესრულების მოთხოვნა {თუკი გამჩუქებელსა თუ მესამე პირს შეუძლია შესრულების მოთხოვნა, მას ასევე შეუძლია ჩუქების ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების დარღვევის გამო 6:265 მუხლის ნორმათა გაგებით};

b. თუკი დასაჩუქრებული სჩადის განზრახ დანაშაულს გამჩუქებლისა თუ მისი ახლო ნათესავების მიმართ;

c. თუკი დასაჩუქრებული კანონის ან ხელშეკრულების საფუძველზე ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს გამჩუქებლის რჩენის ხარჯების განწესებაში და ის არ ასრულებს ამ რჩენის ვალდებულებას;

– 2. პარ. 1-ის (b) პუნქტში მითითებული „დანაშაულის“ ცნების ქვეშ მოიაზრება ასევე: დანაშაულის მცდელობა ან მომზადება ანდა – დანაშაულში თანამონაწილეობა.

მუხლი 7:185 საცილო ჩუქების ხელშეკრულების გაბათილება

– 1. 7:184 მუხლის შესაბამისად საცილო ჩუქების ხელშეკრულების გაბათილების სარჩელის უფლება (სასარჩელო მოთხოვნა) ხანდაზმულობის ვადა შეადგენს ერთ წელს, რომელიც აითვლება იმ დღიდან, როდესაც გამჩუქებლისათვის ცნობილი გახდა იმ ფაქტის თაობაზე, რომელიც იძლევა ასეთი გაბათილების საფუძველს.

– 2. გამჩუქებლის გარდაცვალების შემდეგ, საცილო ჩუქების ხელშეკრულება წინა პარაგრაფში გათვალისწინებული საფუძველით შეიძლება გაბათილდეს მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით, ხოლო 7:184 მუხლის პარ. 1-ის (b) და (c) პუნქტებში მითითებულ ვითარებაში კი, – მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი გამჩუქებლის გარდაცვალება გამოიწვია ფაქტმა, რომელიც იძლევა გაბათილების საფუძველს.

მუხლი 7:186 7.3 ტიტულის ნორმების შესაბამისი გამოყენება სხვა ნაჩუქრობების მიმართ; „ნაჩუქრობის“ განმარტება

– 1. წინამდებარე ტიტულის (ტიტული 7.3) ნორმები შესაბამისად გამოიყენება სხვა ნაჩუქრობების მიმართ, რამდენადაც ამ ნორმების მოქმედების სფერო არ ეწინააღმდეგება მათი გამოყენების შესაძლებლობას იმ ოპერაციის ხასიათის გათვალისწინებით, რომლის საფუძველზეც განხორციელდა ნაჩუქრობა.

– 2. ნაჩუქრობად მიიჩნევა ნებისმიერი გარიგება, რომლითაც მოქმედ პირს განზრახული აქვს თავისი ქონების განკარგვა სხვა პირის გამდიდრების მიზნით. პირველ წინადადებაში მითითებული გარიგებები არ მიიჩნევა ნაჩუქრობად მანამდე, სანამ აღნიშნული სხვა პირი, რომლის გამდიდრებაც არის განზრახული, არ მიიღებს შესრულებას და ასევე არც ამ შესრულების მოთხოვნა არ შეუძლია.

მუხლი 7:187 ნაჩუქრობები სამაგიერო შესრულების სანაცვლოდ; შერეული ხელშეკრულებები

– 1. იმ შემთხვევებში, როდესაც დასაჩუქრებული ნაჩუქრობასთან დაკავშირებით ვალდებულია სანაცვლო შესრულების განხორციელებაზე, შესაბამისად გამოიყენება 7:186 მუხლის პარ. 1-ის ნორმები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქმე ეხება 7:182 მუხლის ნორმების გამოყენებას; გარდა აღნიშნულისა, გამოიყენება ასევე ქვემოთ მოცემული ორი პარაგრაფის ნორმები.

– 2. 7:177 მუხლის პარ. 1-ში მითითებულ შემთხვევაში, ნაჩუქრობა არ უქმდება, თუმცა ის საცილო ხდება. საცილო ნაჩუქრობის გაბათილებას აქვს უკუქცევითი ძალა ჩუქების განმახორციელებელი პირის გარდაცვალების მომენტამდე. საცილო ნაჩუქრობის გაბათილების უფლება ქარწყლდება, თუკი დასაჩუქრებული დროულად ახდენს იმ დამატებითი შესრულების განხორციელების შეპირებას, რომელიც ართმევს გარიგებას 7:186 მუხლის პარ. 2-ში მითითებულ განზრახვას. უფრო მეტიც, დასაჩუქრებულის მემკვიდრის მოთხოვნის საფუძველზე სასამართლოს გარიგების გაბათილების ნაცვლად შეუძლია შეცვალოს მისი შედეგები.

– 3. თუკი ნაჩუქრობა საცილოა 7:178 მუხლის საფუძველის არსებობისას, მაშინ შესაბამისად გამოიყენება სამოქალაქო კოდექსის 3:54 მუხლის ნორმები.

– 4. წინა პარაგრაფების ნორმები შესაბამისად გამოიყენება იმ გარიგებების მიმართ, რომლებიც ნაწილობრივ უნდა იქნეს მიჩნეული ნაჩუქრობად, ხოლო ნაწილობრივ კი, – ნატურალური ვალდებულების შესრულებად.

მუხლი 7:188 არასაკომპენსაციო დაზღვევის მოსარგებლის სახით დანიშვნა

– 1. დაზღვევის ძირითადი თანხის მოსარგებლედ დანიშვნა განიხილება როგორც ნაჩუქრობა, როგორც კი ის მიღებული იქნება ანდა შეიძლება მიღებულ იქნეს დანიშნული მოსარგებლის მიერ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნული დანიშვნა ხორციელდება იმ ვალდებულების შესასრულებლად, რომელიც არ გამომდინარეობს ჩუქების ხელშეკრულებიდან. აღნიშნული ნაჩუქრობების მიმართ 7:177, 7:179, 7:181, 7:182-7:187 მუხლების ნორმები არ გამოიყენება.

– 2. იმ შემთხვევებში, როდესაც დაზღვევის ძირითადი თანხის მოსარგებლედ დანიშვნა განიხილება როგორც ნაჩუქრობა, მისი ღირებულება უთანაბრდება დაზღვევიდან გამომდინარე ყველა უფლებისა და გადახდის ღირებულებას. თუკი მოსარგებლედ დანიშვნა მხოლოდ ნაწილობრივ განიხილება როგორც ნაჩუქრობა, მისი ღირებულება უთანაბრდება დაზღვევიდან გამომდინარე ყველა უფლებისა და გადახდის ღირებულების პროპორციულ ნაწილს.

– 3. თანხა, რომელიც მზღვეველს კანონის ან პოლისის მფლობელთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე შეუძლია დააკავოს მოსარგებლისათვის გადასახდელი ფულადი სახსრებიდან, პირველ რიგში ექვემდებარება გამოქვითვას ნაჩუქრობის ღირებულებიდან.

ტიტული 7.4 – ქირავნობის ხელშეკრულება

განყოფილება 7.4.1 – ზოგადი დებულებები

მუხლი 7:201 „ქირავნობის ხელშეკრულების“ განმარტება

– 1. ქირავნობის ხელშეკრულება წარმოადგენს ხელშეკრულებას, რომლითაც ერთ-ერთი მხარე – „გამქირავებელი“ ხელშეკრულების მეორე მხარის – „დამქირავებლის“ მიმართ კისრულობს ვალდებულებას, გადასცეს მას სარგებლობაში უძრავი ან მოძრავი ნივთი ანდა ასეთი ნივთის ნაწილი, რის სანაცვლოდაც დამქირავებელი კისრულობს სამაგიერო შესრულების განხორციელებას.

– 2. ქირავნობის ხელშეკრულება ასევე შეიძლება ეხებოდეს ძვირადღირებული უფლებებით სარგებლობას. ასეთ შემთხვევაში წინამდებარე განყოფილებისა (განყოფილება 7.4.1) და ასევე 7.4. განყოფილებიდან 7.4.4 განყოფილების ჩათვლით ნორმები გამოიყენება ქირავნობის ხელშეკრულების მიმართ იმდენად, რამდენადაც ამ ნორმების მოქმედების სფერო არ ეწინააღმდეგება ასეთ გამოყენებას ძვირადღირებული უფლების ბუნების გათვალისწინებით.

– 3. სასოფლო-სამეურნეო იჯარის ხელშეკრულება არ განიხილება როგორც ქირავნობის ხელშეკრულება.

მუხლი 7:202 გაქირავებული ნივთის ნაყოფის (სარგებლის) მიღების უფლებამოსილება

თუკი დამქირავებელი უფლებამოსილია გაქირავებული ქონების ნაყოფის (სარგებლის) მიღებაზე, მაშინ ეს უფლება მიიჩნევა ამ ქონებით სარგებლობის უფლებად, როგორც ეს მითითებულია სამოქალაქო კოდექსის 5:17 მუხლში. დამქირავებელი იძენს აღნიშნულ უფლებას ქირავნობის დაწყების თარიღიდან იმ პირობით, რომ სამოქალაქო ნაყოფი (სამოქალაქო სარგებელი) გამოითვლება დღიდან დღემდე.

განყოფილება 7.4.2 – გამქირავებლის ვალდებულებები

მუხლი 7:203 გაქირავებული ქონების დამქირავებლისათვის გადაცემა

გამქირავებელი ვალდებულია, გაქირავებული ქონება გადასცეს დამქირავებელს და დატოვოს ის მის განკარგულებაში იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელია შეთანხმებული სარგებლობის (სარგებლობის უფლების) უზრუნველყოფისათვის.

მუხლი 7:204 გაქირავებული ქონების ნაკლი

– 1. გაქირავებული ქონების ნაკლის მიმართ გამქირავებელს ეკისრება წინამდებარე განყოფილებაში (განყოფილება 7.4.2) გათვალისწინებული ვალდებულებები.

– 2. ნაკლი წარმოადგენს გაქირავებული ქონების ნიშან-თვისებას ანდა სხვა გარემოებას, რომელიც ვერ შეერაცხება დამქირავებელს, რომლის შედეგადაც გაქირავებული ქონება არ ანიჭებს დამქირავებელს ქირავნობის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ისეთი სახის სათანადოდ მოვლილი ქონებით სარგებლობას, რისი მოლოდინიც ქირავნობის ხელშეკრულების დადების მომენტში დამქირავებელს შეიძლება ჰქონოდა.

– 3. შეთანხმებული სარგებლობის იმ მესამე პირის მიერ ფაქტობრივი დარღვევა, ვისაც არა აქვს გაქირავებული ქონების მიმართ 7:211 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნის უფლება, არ წარმოადგენს ნაკლს პარ. 2-ის გაგებით; ნაკლს თავისთავად არ წარმოადგენს ასევე არც გაქირავებული ქონების მიმართ მესამე პირის მოთხოვნის უფლება, რომელიც რეალურად არ იწვევს შეთანხმებული სარგებლობის დარღვევას.

მუხლი 7:205 სამოქალაქო კოდექსის მე-6 წიგნში გათვალისწინებული უფლებები (სარჩილები) და სამართლებრივი დაცვის საშუალებები

დამქირავებელს აქვს წინამდებარე განყოფილების (განყოფილება 7.4.2) ნორმებით გათვალისწინებული უფლებები (სარჩილები) ყველა სხვა უფლებისა (სარჩელისა) და სამართლებრივი დაცვის საშუალების შეზღუდვის გარეშე, რომელიც მისთვის ხელმისაწვდომია კანონის შესაბამისად.

მუხლი 7:206 ნაკლის აღმოფხვრა

– 1. თუკი დამქირავებელს ეს სურს, გამქირავებელმა უნდა აღმოფხვრას ნივთის ნაკლი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს შეუძლებელია ანდა მოითხოვს ისეთ ხარჯებს, რომელთა გამქირავებლის მიერ განევაც მოცემულ გარემოებებში გონივრულად ვერ იქნება მოსალოდნელი.

– 2. აღნიშნული ვალდებულება არ ეხება უმნიშვნელო ნაკლს, რომელიც უნდა გამოასწოროს თავად დამქირავებელმა თანახმად 7:217 მუხლისა, და ასევე – იმ ნაკლს, რომლისათვისაც გამქირავებლის წინაშე პასუხისმგებელია დამქირავებელი.

– 3. იმ შემთხვევებში, როდესაც გამქირავებელი არ ახდენს ნაკლის აღმოფხვრას, დამქირავებელს თავად შეუძლია ამის განხორციელება; იმდენად, რამდენადაც ნაკლის აღმოფხვრის ხარჯები გონივრულია, მათი გამქირავებლისაგან მიღება დასაშვებია, თუკი ეს მოითხოვება მათი თანხების ქირის თანხიდან დაკავების გზით. დამქირავებლის ინტერესების საზიანოდ წინამდებარე ნორმიდან გადახვევა დაუშვებელია.

მუხლი 7:207 ქირის თანხის შემცირება

– 1. იმ შემთხვევაში, თუკი ნაკლის შედეგად შემცირდა ქირავნობის საგნით სარგებლობის შესაძლებლობა, დამქირავებელს შეუძლია მოითხოვოს ქირის თანხის ოდენობის პროპორციული შემცირება იმ დღიდან, როდესაც მან ჯეროვნად შეატყობინა გამქირავებელს ნაკლის შესახებ, ანდა როდესაც ქირავნობის საგნის ნაკლი საკმარისად ცნობილი იყო გამქირავებლისათვის შესაბამისი ზომების მიღების მიზნით, – იმ დღემდე, როდესაც მოხდა ნაკლის აღმოფხვრა.

– 2. დამქირავებელი არ არის უფლებამოსილი შეამციროს ქირის თანხა იმ უმნიშვნელო ნაკლის გამო, რომელიც მან თავად უნდა გამოასწოროს თანახმად 7:217 მუხლისა, და ასევე – იმ ნაკლის გამო, რომლისათვისაც ის პასუხისმგებელია დამქირავებლის წინაშე.

მუხლი 7:208 ზარალი

7:206 მუხლში მითითებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში დამქირავებლისათვის გათვალისწინებული უფლებებისა და სამართლებრივი დაცვის საშუალებების შეზღუდვის გარეშე, დამქირავებელი ვალდებულია აანაზღაუროს ნაკლის შედეგად გამოწვეული ზარალი, თუკი ნაკლი წარმოიშვა ქირავნობის ხელშეკრულების დადების შემდეგ და ის შეეარაცხება მას, ისევე როგორც – იმ შემთხვევაში, თუკი ნაკლი უკვე არსებობდა ქირავნობის ხელშეკრულების დადების მომენტში და დამქირავებელმა იცოდა ან მას უნდა სცოდნოდა მისი არსებობის შესახებ ანდა დამქირავებელმა აღნიშნულ მომენტში ნათლად განაცხადა, რომ გაქირავებულ ქონებას ეს ნაკლი არ ჰქონდა.

მუხლი 7:209 კანონის იმპერატიული ნორმები

დამქირავებლის ინტერესების საზიანოდ 7:206 მუხლის პარ. 1 და 2-ის, 7:207 მუხლისა და 7:208 მუხლის ნორმიდან გადახვევა დაუშვებელია იმდენად, რამდენადაც საქმე ეხება ისეთ ნაკლს, რომლის არსებობის შესახებაც დამქირავებელმა ქირავნობის ხელშეკრულების დადების მომენტში იცოდა ან მას უნდა სცოდნოდა მის შესახებ.

მუხლი 7:210 შეთანხმებული სარგებლობის შეუძლებლობა

– 1. თუკი ნაკლის შედეგად გაქირავებული ქონებით ქირავნობის ხელშეკრულების შესაბამისად სარგებლობა სრულიად შეუძლებელი ხდება, თუმცაღა 7:206 მუხლიდან კი გამომდინარეობს, რომ დამქირავებელი არ არის ვალდებული, აღმოფხვრას ეს ნაკლი, მაშინ როგორც დამქირავებელს, ისე დამქირავებელსაც შეუძლია უარი თქვას ქირავნობის ხელშეკრულებაზე სამოქალაქო კოდექსის 6:267 მუხლის ნორმების საფუძველზე.

– 2. იმ ფაქტით გამოწვეული ზიანი, რომ ქირავნობის ხელშეკრულება შეწყდა პარ. 1-ის ნორმის მოქმედების შედეგად, შეიძლება ანაზღაურდეს ნაკლით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების შესახებ სავალდებულო მოთხოვნის მეშვეობით.

მუხლი 7:211 დამქირავებლის მიმართ მესამე პირთა სარჩელის უფლებები (სასარჩელო მოთხოვნები)

– 1. როდესაც მესამე პირი წარადგენს სასარჩელო მოთხოვნას (სარჩელის უფლებას) დამქირავებლის წინააღმდეგ გაქირავებული ქონების იძულებითი რეალიზაციის გზით გაყიდვის ან ამ ქონებაზე იმ უფლების ან საკუთრების უფლების მიღების მიზნით, რითაც ქირავნობის ხელშეკრულების თანახმად გაქირავებული ქონება არ უნდა ყოფილიყო დატვირთული, მაშინ დამქირავებელი, როგორც კი დამქირავებელი შეატყობინებს მას თავისი სასარჩელო მოთხოვნის (სარჩელის უფლების) შესახებ, ვალდებულია ჩაერთოს სასამართლო დავის განხილვაში დამქირავებლის ინტერესების დაცვის მიზნით.

– 2. დამქირავებელმა დამქირავებელს უნდა აუნაზღაუროს ზემოაღნიშნულ სასარჩელო მოთხოვნასთან (სარჩელის უფლებასთან) დაკავშირებით განცდილი ყველა ხარჯი, თუმცაღა, თუკი შეტყობინება არ გაიგზავნა დაუყოვნებლივ, მაშინ ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ხარჯები, რომლებიც წარმოიშვა აღნიშნული შეტყობინების შემდეგ.

– 3. როდესაც ძირითადი დამქირავებელი წარადგენს სასარჩელო მოთხოვნას (სარჩელის უფლებას) ქვემოქირავნის წინააღმდეგ ქვექირავნობით გადაცემულ ქონებასთან დაკავშირებით, მაშინ წინა პარაგრაფის ნორმები შესაბამისად გამოიყენება დამქირავებლის მიმართ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 212-ე მუხლის მიზნებისათვის, ქვემოქირავნის წინააღმდეგ აღნიშნულ სასარჩელო მოთხოვნას (სარჩელის უფლებას) უთანაბრდება სასარჩელო მოთხოვნა (სარჩელის უფლება) მოვალის ქონების იძულებითი რეალიზაციის გზით გაყიდვის მიზნით.

განყოფილება 7.4.3 – დამქირავებლის ვალდებულებები

მუხლი 7:212 სამაგიერო შესრულება

დამქირავებელი ვალდებულია, განახორციელოს სამაგიერო შესრულება შეთანხმებული წესითა და ვალდებულებებით.

მუხლი 7:213 წინდახედული დამქირავებელი

დამქირავებელი ვალდებულია, გაქირავებული ქონებით სარგებლობასთან დაკავშირებით მოიქცეს როგორც წინდახედული დამქირავებელი.

მუხლი 7:214 დასახული მიზნის შესაბამისად სარგებლობა

დამქირავებელი უფლებამოსილია მხოლოდ იმგვარად ისარგებლოს გაქირავებული ქონებით, როგორც ეს შეთანხმებულია მხარეთა შორის, ხოლო როდესაც მხარეები ამ საკითხზე არ შეთანხმებულან, მაშინ – იმ მიზნის შესაბამისად, რომლისათვისაც ეს ქონება თავისი ბუნებით არის გათვალისწინებული.

მუხლი 7:215 გაქირავებული ქონების ცვლილებები

– 1. დამქირავებელი არ არის უფლებამოსილი, სრულად ან ნაწილობრივ შეცვალოს გაქირავებული ქონების ფუნქციონალური მონყობა ან ფორმა გაქირავებლის ნერილობითი თანხმობის გარეშე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქმე ეხება ისეთ ცვლილებებსა და დამატებებს, რომელთა ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტისას მოცილება და თან ნაღება შესაძლებელია რაიმე საყურადღებო ხარჯების გარეშე.

– 2. როდესაც ქირავნობის ხელშეკრულება ეხება საცხოვრებელი ფართით სარგებლობას, ხოლო დაგეგმილი ცვლილებები ნეგატიურ გავლენას არ მოახდენს ქონების გაქირავების შესაძლებლობაზე და არც გამოიწვევს მისი ღირებულების შემცირებას, დამქირავებელმა თავისი თანხმობის შესახებ უნდა განაცხადოს რვა კვირის განმავლობაში.

– 3. თუკი დამქირავებელი არ განაცხადებს თავისი თანხმობის შესახებ, მაშინ დამქირავებელს შეუძლია სასამართლო წესით მოითხოვოს დაგეგმილი ცვლილებების თავად განხორციელების უფლების მიღება. თუ დამქირავებელი ასევე არ წარმოადგენს გაქირავებული ქონების მესაკუთრეს, უზუფრუქტურასა თუ გრძელვადიან მოიჯარეს, მაშინ ის უზრუნველყოფს იმას, რომ მესაკუთრე, უზუფრუქტური ან გრძელვადიანი მოიჯარე ასევე დროულად იქნეს მონვეული სასამართლო დავის განხილვაში. თუკი გაქირავებული ქონება დატვირთულია იპოთეკით, მაშინ ეს ვალდებულება ასევე არსებობს იპოთეკარის მიმართაც.

– 4. სასამართლომ ნებისმიერ შემთხვევაში უნდა დააკმაყოფილოს სასარჩელო მოთხოვნა, თუკი დამქირავებელს უნდა მიეცა თავისი თანხმობა პარ. 2-ის შესაბამისად. სხვა შემთხვევებში კი სასამართლომ სასარჩელო მოთხოვნა უნდა დააკმაყოფილოს მხოლოდ იმ პირობით, თუკი ცვლილებები აუცილებელია დამქირავებლის მიერ გაქირავებული ქონებით ეფექტური სარგებლობისათვის ანდა ამ ცვლილებების შედეგად შეიძლება გაუმჯობესდეს დამქირავებლის მიერ გაქირავებული ქონებით სარგებლობა ყოველთვის იმ პირობით, რომ დამქირავებელი აღნიშნული ცვლილებების საწინააღმდეგოდ ვერ წარადგენს დამაჯერებელ პრეტენზიებს.

– 5. სასამართლოს შეუძლია თავისი თანხმობის გაცემა დაუკავშიროს განსაზღვრული პირობებისა თუ მოვალეობების შესრულებას; დამქირავებლის მოთხოვნის საფუძველზე, სასამართლოს შეუძლია გაზარდოს ქირის თანხა, თუკი ცვლილებები იწვევს ქირის თანხის ასეთ ზრდას.

– 6. დამქირავებლის ინტერესების საზიანოდ წინა პარაგრაფის ნორმიდან გადახვევა დაუშვებელია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქმე ეხება გაქირავებული საცხოვრებელი ფართის გარეთა მხარეს.

მუხლი 7:216 გაქირავებულ ქონებაზე დამატებული საგნების თან ნაღებისა და კომპენსაციის მიღების უფლებები

– 1. გაქირავებული ქონების დაცლის მომენტამდე დამქირავებელი უფლებამოსილია მოაცილოს და თან წაიღოს მის მიერ განხორციელებული ცვლილებები და დამატებები იმ პირობით, რომ გაქირავებული ქონების დაბრუნება ხდება იმ მდგომარეობაში, რომელიც ქირავნობის ვადის დასრულებისას შეიძლება მიჩნეულ იქნეს როგორც მისი თავდაპირველი მდგომარეობის შესაბამისი.

– 2. გაქირავებული ქონების დაცლამდე დამქირავებელს არ ესაჭიროება კანონიერად განხორციელებული ცვლილებებისა და დამატებების მოცილება ან თან ნაღება, მიუხედავად სასამართლოს უფლებამოსილებისა, დააკისროს მას ასეთი მოვალეობა 7:215 მუხლის პარ. 5-ის ნორმების საფუძველზე.

– 3. იმ კანონიერად განხორციელებული ცვლილებებსა და დამატებებთან დაკავშირებით, რომელთა მოცილება ან თან ნაღება ქირავნობის ვადის დასრულებისას არ ხდება, დამქირავებელს შეუძლია დამქირავებლისაგან მოითხოვოს კომპენსაცია იმ ფარგლებში, რომლებშიც ასეთი საკომპენსაციო თანხის მოთხოვნა შესაძლებელია სამოქალაქო კოდექსის 6:212 მუხლის ნორმების საფუძველზე (უსაფუძვლო გამდიდრება).

მუხლი 7:217 მიმდინარე რემონტი

დამქირავებელმა თავის ხარჯზე უნდა განახორციელოს მიმდინარე რემონტი გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი რემონტის აუცილებლობა გახდა იმის გამო, რომ დამქირავებელმა არ შეასრულა თავისი მოვალეობა, აღმოეფხვრა ქირავნობის საგნის ის ნაკლი, რომლისათვისაც ის არის პასუხისმგებელი.

მუხლი 7:218 დამქირავებლის პასუხისმგებასთან დაკავშირებული მტკიცების პრეზუმფცია

– 1. დამქირავებელი პასუხისმგებელია იმ ზიანისათვის, რომელიც გაქირავებული ქონებისათვის მიყენებულ იქნა მასზე ქირავნობის ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებების დარღვევით იმდენად, რამდენადაც მას შეერაცხება ეს დარღვევა.

– 2. ივარაუდება, რომ ყველა ზიანი მიყენებულ იქნა პარ. 1-ში მითითებული ვალდებულებების დარღვევის შედეგად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ზიანი გამოწვეულ იქნა ხანძრით, ხოლო აშენებული უძრავი ქონებისა თუ მისი ნაწილის ქირავნობის შემთხვევაში კი ზიანი მიყენებულ იქნა გაქირავებული ქონების გარეთა მხარეს.

– 3. 7:224 მუხლის პარ. 2-ის ნორმათა მოქმედების შეზღუდვის გარეშე, ივარაუდება, რომ დამქირავებელმა გაქირავებული ქონება დაუზიანებელ მდგომარეობაში მიიღო.

მუხლი 7:219 მესამე პირთა ქცევისათვის დამქირავებლის პასუხისმგებლობა

მსგავსად იმისა, თუ როგორ აგებს პასუხს დამქირავებელი დამქირავებლის წინაშე საკუთარი ქმედებებისათვის, ის პასუხისმგებელია მის წინაშე იმ პირთა ქცევისათვისაც, რომლებიც მისი თანხმობით იყენებენ გაქირავებულ ქონებას ან იმყოფებიან მასში.

მუხლი 7:220 გადაუდებელი სამუშაოები და განახლებები

– 1. თუკი აუცილებელია, რომ გაქირავებული ქონების მიმართ ქირავნობის ვადის განმავლობაში განხორციელდეს გადაუდებელი სამუშაოები ანდა თუკი დამქირავებელმა ქირავნობის ვადის განმავლობაში უნდა ითმინოს, რომ მისი ქონება გამოყენებული იქნება თანახმად სამოქალაქო კოდექსის 5:56 მუხლისა სხვა პირების მიერ ასეთი სამუშაოების მომიჯნავე ფართების სასარგებლოდ განხორციელებისათვის, მაშინ დამქირავებელმა უნდა დაუშვას ამ სამუშაოების შესრულების შესაძლებლობა ქირის თანხის შემცირების, ქირავნობის ხელშეკრულებაზე უარისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებების რეალიზაციის შეზღუდვის გარეშე.

– 2. პარ. 1-ის ნორმები შესაბამისად გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც დამქირავებელს ქირავნობის ურთიერთობის დროს სურს შეუდგეს იმ აშენებული უძრავი ნივთის განახლებას, რომელსაც ეხება ქირავნობის ხელშეკრულება, და ის ამ მიზნით წარადგენს წინადადებას, რომელიც გონივრულია მისი საკუთარი და ასევე დამქირავებლისა და შესაძლო ქვემოქირავნების ინტერესების გათვალისწინებით. ასეთი წინადადება უნდა გაკეთდეს წერილობით. განახლების ცნების ქვეშ მოიზრება არსებული უძრავი ნივთის დემონტაჟი, რასაც მოჰყვება ახლადაშენებული უძრავი ნივთის აღმართვა ანდა არსებული უძრავი ნივთის ნაწილობრივი განახლება მისი შეცვლით ან მასზე ცალკეული ნაგებობებისა თუ კონსტრუქციების დამატებით.

– 3. თუკი განახლება ეხება ათ ან მეტ საცხოვრებელ სახლსა თუ საცალო ვაჭრობის მიზნით გამოყენებულ შენობა-ნაგებობას, რომლებიც ერთად ქმნის არქიტექტორულ ერთიანობას, მაშინ პარ. 2-ში მითითებული წინადადება ივარაუდება გონივრულად, როდესაც მას დათანხმდა 70% ან მეტი რაოდენობის დამქირავებელი. იმ დამქირავებელს, რომელიც არ დაეთანხმა აღნიშნული წინადადებას, შეუძლია დამქირავებლის მიერ მისთვის 70% ან მეტი რაოდენობის დამქირავებლის მიერ წინადადებაზე თანხმობის შესახებ წერილობითი შეტყობინების წარდგენიდან რვა კვირის განმავლობაში მიმართოს სასამართლოს იმ საკითხის გადასაწყვეტად, არის თუ არა წარდგენილი წინადადება გონივრული.

– 4. წინა პარაგრაფები არ ართმევს დამქირავებელს უფლებას, შეწყვიტოს ქირავნობის ხელშეკრულება იმ საფუძვლით, რომ მას დაუყოვნებლივ ესაჭიროება უძრავი ნივთი აუცილებელი განახლებების განხორციელებლად იმდენად, რამდენადაც ეს შეიძლება ჩაითვალოს ხელშეკრულების შეწყვეტის ისეთ სამართლებრივ საფუძვლად, რაც კანონის შესაბამისად გამოიყენება აშენებული უძრავი ნივთის მიმართ, რომელსაც ეხება ქირავნობის ხელშეკრულება.

– 5. თუკი პარ. 2-ის მესამე წინადადებაში მითითებული საცხოვრებელი ფართის შეთავაზებულ განახლებასთან დაკავშირებით გადაადგილება აუცილებელია, როგორც ეს აღნიშნულია 7:233 მუხლში, მაშინ დამქირავებელმა მონაწილეობა უნდა მიიღოს იმ ხარჯებში, რომლებიც დამქირავებელმა უნდა გასწიოს გადაადგილებასთან დაკავშირებით (გადაადგილების დანახარჯები).

– 6. გადასვლისა და შესახლების ხარჯებში მინიმალური მონაწილეობა, რომლებიც უნდა გასწიონ განცალკევებული საცხოვრებელი სახლების დამქირავებლებმა, როგორც ეს მითითებულია 7:234 მუხლში, და ასევე მოძრავი სახლებისა და მათი სადგარების დამქირავებლებმა, როგორც ეს მითითებულია 7:235 და 7:236 მუხლებში, განისაზღვრება განსახლების, თემებისა და ინტეგრაციის მინისტრის ბრძანების მეშვეობით და იცვლება ყოველ წელს 1 მარტამდე იმდენად, რამდენადაც სამომხმარებლოს ფასის ინდექსი იძლევა ამის საფუძველს. პირველ წინადადებაში ნახსენები თანხა უნდა დამრგვალდეს ევროებში მეტისკენ ან ნაკლებისკენ.

– 7. გადასვლისა და შესახლების ხარჯებში მონაწილეობისა თუ შესაბამისი საკომპენსაციო თანხები შესაძლოა გამოაკლდეს იმ თანხებს, რომლებიც დამქირავებელმა უნდა გადაიხადოს პარ. 6-ის შესაბამისად.

მუხლი 7:221 ქვექირავნობა

დამქირავებელი უფლებამოსილია გაქირავებულ ქონებაზე ან მის ნაწილზე სარგებლობის უფლება მიანიჭოს მესამე პირს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მას უნდა ევარაუდა, რომ დამქირავებელს გონივრული პროტესტის საფუძველი ექნებოდა აღნიშნული მესამე პირისათვის ასეთი უფლების მინიჭების წინააღმდეგ.

მუხლი 7:222 ნაკლის შესახებ დამქირავებლის ინფორმირების ვალდებულება

თუკი დამქირავებელმა გაქირავებულ ქონებაში აღმოაჩინა ნაკლი ან თუკი მესამე პირები ხელს უშლიან მას ქირავნობის საგნით სარგებლობაში, ანდა თუკი მესამე პირები გაქირავებული ქონების მიმართ აცხადებენ თავიანთი უფლებების შესახებ, მაშინ დამქირავებელმა ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს დამქირავებელს, ხოლო თუკი ის ამას არ აკეთებს, მაშინ მან უნდა აანაზღაუროს ის ზიანი, რომელსაც დამქირავებელი განიცდის აღნიშნული გაუფრთხილებლობის შედეგად.

მუხლი 7:223 პოტენციური დამქირავებლებისა თუ მყიდველების ვიზიტის დაშვების ვალდებულება

როდესაც დამქირავებელს სურს ქირავნობის საგნის გაქირავება მოქმედი ქირავნობის ხელშეკრულების დასრულების შემდეგ ანდა როდესაც მას სურს ქირავნობის საგნის ვინმე სხვა პირისათვის მიყიდვა, ამ უძრავი ქონების ან მისი ნაწილის დამქირავებელმა უნდა ითმინოს ქონებაზე სტანდარტული აბრებისა და განცხადებების განთავსება ან დაყენება და მან პოტენციურ დამქირავებლებსა თუ მყიდველებს უნდა მისცეს ობიექტზე ვიზიტისა და მისი დათვალიერების შესაძლებლობა.

მუხლი 7:224 ქირავნობის ვადის გასვლისას გაქირავებული ქონების დაბრუნების ვალდებულება

– 1. ქირავნობის ვადის გასვლისას დამქირავებელი ვალდებულია დაუბრუნოს დამქირავებელს გაქირავებული ქონება.

– 2. როდესაც დამქირავებელმა და გაქირავებელმა აღწერეს გაქირავებული ქონების მდგომარეობა, დამქირავებელმა ქონება უნდა დააბრუნოს იმავე მდგომარეობაში, რომელშიც ის იყო მიღებული ამ აღწერის მიხედვით კანონიერად განხორციელებული ცვლილებებისა და დამატებების გარდა, და ასევე – იმ საგნების გარდა, რომლებიც განადგურდა ან დაზიანდა დროისა თუ ჩვეულებრივი გამოყენების შედეგად. თუკი დამქირავებელმა და გაქირავებელმა არ აღწერეს გაქირავებული ქონების მდგომარეობა, ივარაუდება, რომ დამქირავებელმა ქონება მიიღო იმ მდგომარეობაში, როგორშიც ის არის ქირავნობის ვადის გასვლის მომენტში, მიუხედავად გაქირავებლის უფლებისა, დაამტკიცოს საწინააღმდეგო.

მუხლი 7:225 გაქირავებული ქონების დროული არდაცლა

როდესაც დამქირავებელი ქირავნობის ვადის გასვლის შემდეგ უკანონოდ აკავებს გაქირავებულ ქონებას, დამქირავებელს დროის იმ პერიოდისათვის, როდესაც ის ვერ იყენებს ამ ქონებას, შეუძლია მოითხოვოს ზიანი ქირის თანხის ოდენობით მის მიერ უფრო მეტი ოდენობით საკომპენსაციო თანხის მოთხოვნის უფლების შეზღუდვის გარეშე, თუკი აღნიშნული ქირის ოდენობა არ არის საკმარისი ყოველგვარი მიყენებული ზიანის ანაზღაურებისათვის.

განყოფილება 7.4.4 – გაქირავებული ქონების გასხვისებისას ქირავნობის ხელშეკრულების გადასვლა ახალ დამქირავებელზე და ქირავნობის შეწყვეტა

მუხლი 7:226 ქირავნობის ხელშეკრულების გადასვლა ახალ დამქირავებელზე გაქირავებული ქონების გასხვისებისას

– 1. დამქირავებლის მიერ ქირავნობის ობიექტის გასხვისება ანდა მასზე დამოუკიდებელი უზუფრუქ-

ტის, გრძელვადიანი იჯარისა თუ აღნაგობის უფლების დადგენა ან გადაცემა შედეგად იწვევს იმას, რომ ქირავნობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე გამქირავებლის ის უფლებები და ვალდებულებები, რომლებიც აღნიშნული მომენტისათვის ვადადამოსული და შესასრულებელი გახდა, გადადის შემძენ მხარეზე.

– 2. გამქირავებლის კრედიტორის მიერ გაქირავებული ქონების გასხვისება უთანაბრდება თავად გამქირავებლის მიერ ამ ქონების გასხვისებას.

– 3. შემძენი მხარე შეზღუდულია ქირავნობის ხელშეკრულების მხოლოდ იმ პირობებით, რომლებიც პირდაპირ ეხება გაქირავებული ქონებით სარგებლობას და ასევე მინიჭებულია გამქირავებლის მიერ დამქირავებლის მხრიდან შესრულებული ვალდებულების სამაგიერო შესრულების სანაცვლოდ.

– 4. თუკი ქირავნობის ხელშეკრულებები ეხება აშენებულ უძრავ ნივთს ან მის ნაწილს ანდა მოძრავ სახლს 7:235 მუხლის გაგებით ან მოძრავი სახლის სადგარს 7:236 მუხლის გაგებით, წინა პარაგრაფების ნორმებიდან გადახვევა დაუშვებელია.

მუხლი 7:227 ქირავნობას ენიჭება პრიორიტეტი მოგვიანებით დადგენილ სანივთო უფლებასთან შედარებით

გაქირავებული ქონებაზე იმ შეზღუდული სანივთო უფლების დადგენისა თუ გადაცემის შემთხვევაში, რომელიც არ არის მითითებული 7:226 მუხლის პარ. 1-ში, სანივთო უფლების მფლობელი დამქირავებლის მიმართ ვალდებულია, შეიკავოს თავი საკუთარი უფლების განხორციელებისაგან იმდენად, რამდენადაც ეს გამოიწვევდა დამქირავებლის მიერ უფლებრივად დატვირთული ქონებით სარგებლობაში ჩარევას (ეს ნესი მოქმედებს ასევე გაქირავებული ქონებაზე მოგვიანებით დადგენილი იპოთეკის მიმართაც).

მუხლი 7:228 ქირავნობის ურთიერთობის დასრულება ქირავნობის ვადის გასვლის გამო ან ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ შეტყობინებით

– 1. განსაზღვრული ვადით დადებული ქირავნობის ხელშეკრულება წყდება ამ ვადის გასვლით ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ შეტყობინების აუცილებლობის გარეშე.

– 2. განუსაზღვრელი ვადით დადებული ქირავნობის ხელშეკრულება ანდა განუსაზღვრელი ვადით განაგრძლივებული ქირავნობის ხელშეკრულება წყდება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ შეტყობინების წარდგენით. როდესაც ქირავნობის ხელშეკრულება ეხება უძრავ ქონებას, რომელიც არ წარმოადგენს საცხოვრებელ ფართსა თუ საცალო ვაჭრობის მიზნით გამოყენებულ შენობა-ნაგებობას, მაშინ შეწყვეტის შესახებ შეტყობინების ძალაში შესვლის თარიღი იქნება ის დღე, როდესაც ქირის თანხა გადაიხდება ქირავნობის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად შეწყვეტის შესახებ შეტყობინების წარდგენის, სულ ცოტა, ერთთვიანი ვადის დაცვით.

მუხლი 7:229 ერთ-ერთი მხარის გარდაცვალების შედეგები

– 1. დამქირავებლის ან გამქირავებლის გარდაცვალება არ იწვევს შედეგად ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტას.

– 2. როდესაც გარდაცვლილი დამქირავებლის სამკვიდრო ქონების განაწილება ხდება სამოქალაქო კოდექსის 4:13 მუხლის შესაბამისად (კანონით მემკვიდრეობა) და დამქირავებლის მემკვიდრეები არ არიან უფლებამოსილი გაქირავებული ქონებით სარგებლობის უფლება მიანიჭონ მესამე პირს, მაშინ დამქირავებლის გარდაცვალების შემდეგ ექვსი თვის განმავლობაში ქირავნობის ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს დამქირავებლის მემკვიდრეების ან მისი მეუღლისა თუ რეგისტრირებული პარტნიორის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ შეტყობინების წარდგენის, სულ ცოტა, ერთთვიანი ვადის დაცვით.

– 3. თუ გარდაცვლილი დამქირავებელი თავის შემდგომ ტოვებს ორ ან რამდენიმე მემკვიდრეს, მაშინ დამქირავებელი ვალდებულია, ითანამშრომლოს ერთობლივი მემკვიდრეების მიერ ქირავნობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებებისა და ვალდებულებების ერთ ან რამდენიმე მემკვიდრეზე განაწილებაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დამქირავებელს აქვს გონივრული პროტესტის წარდგენის საფუძველი ერთი ან რამდენიმე შერჩეული მემკვიდრის წინააღმდეგ. პირველი წინადადების ნორმა არ მოქმედებს, თუკი გარდაცვლილი დამქირავებლის სამკვიდრო ქონების განაწილება ხდება სამოქალაქო კოდექსის 4:13 მუხლის შესაბამისად (კანონით მემკვიდრეობა).

მუხლი 7:230 ქირავნობის ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ მისი ფაქტობრივი გაგრძელება

თუკი დამქირავებელი შეთანხმებული ქირავნობის ვადის გასვლის შემდეგ დამქირავებლის თანხმობით აგრძელებს გაქირავებული ქონებით სარგებლობას, მაშინ შედეგად, სხვაგვარი განზრახვის არარსებობის

შემთხვევაში, ქირავნობის ხელშეკრულების მოქმედება გაგრძელდება განუსაზღვრელი ვადით მიუხედავად იმისა, თუ რა ვადით იყო ის თავიდან დადებული.

მუხლი 7:230a იმ აშენებული უძრავი ქონების ქირავნობის ვადის დასრულებისას ფართის დაცლა, რომელიც არ წარმოადგენს საცხოვრებელ ფართსა თუ საცალო ვაჭრობის მიზნით გამოყენებულ შენობა-ნაგებობას

– 1. თუკი ქირავნობის ხელშეკრულება ეხება იმ აშენებულ უძრავ ქონებას, რომელიც არ წარმოადგენს საცხოვრებელ ფართსა თუ საცალო ვაჭრობის მიზნით გამოყენებულ შენობა-ნაგებობას, ანდა ასეთი უძრავი ქონების ნაწილს, დამქირავებელს შეუძლია ქირავნობის ვადის დასრულებისას მოსთხოვოს სასამართლოს იმ ვადის გაზრდა, რომლის განმავლობაშიც უნდა დასრულდეს გაქირავებული ქონების დაცლა. დამქირავებლის განცხადება წარდგენილ უნდა იქნეს ორი თვის განმავლობაში იმ დღის შემდეგ, როდესაც უნდა განხორციელდეს გაქირავებული ქონების დაცლა გამქირავებლის შესაბამისი წერილობითი შეტყობინების შესაბამისად.

– 2. პარ. 1-ის ნორმები არ გამოიყენება, თუკი დამქირავებელმა თავად შეწყვიტა ქირავნობის ხელშეკრულება, როდესაც მან ნათლად გასცა თავისი თანხმობა ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტაზე ანდა როდესაც დამქირავებელს სასამართლოს გადაწყვეტილებით დაევალა გაქირავებული ქონების დაცლა მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო.

– 3. გამქირავებელი ვერ მოითხოვს დამქირავებლის მიერ ფართის დაცლას პარ. 1-ში მითითებული ვადის დასრულებამდე. დამქირავებლის მიერ განცხადების წარდგენა აჩერებს მასზე დაკისრებულ გაქირავებული ქონების დაცვლის ვალდებულებას მანამდე, სანამ სასამართლო მის მოთხოვნასთან დაკავშირებით არ მიიღებს თავის კანონიერ ძალაში შესულ და მხოლოდ გადაწყვეტილებას.

– 4. სასამართლოს შეუძლია დააკმაყოფილოს დამქირავებლის მოთხოვნა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი დამქირავებლისა და იმ ქვემოქირავნის ინტერესები, რომელსაც გაქირავებული ქონება ან მისი ნაწილი კანონიერად გადაეცა ქვექირავნობით, უფრო მეტად დაირღვევა ფართის დაცვით, ვიდრე – დამქირავებლის ინტერესები მის მიერ გაქირავებული ქონებით სარგებლობის გაგრძელებით. თუმცადა, მოთხოვნა არ ექვემდებარება დაკმაყოფილებას, თუკი გამქირავებელი დამაჯერებლად ამტკიცებს იმას, რომ მისგან მოსალოდნელი ვერ იქნება დამქირავებლისათვის გაქირავებული ქონებით ან მისი ნაწილით სარგებლობის უფლების შენარჩუნება ამ ქონებით არაჯეროვანი სარგებლობის, მისი სხვა მოსარგებელთა თუ გამქირავებლისათვის მიყენებული მნიშვნელოვანი დისკომფორტისა თუ თანხების გადაუხდელობის გამო.

– 5. პარ. 1-ში მითითებული ვადის გახანგრძლივების უფლება შეიძლება მინიჭებულ იქნეს მაქსიმუმ ერთი წლით ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ. დამქირავებლის მოთხოვნის საფუძველზე, აღნიშნული ვადა შეიძლება გახანგრძლივდეს კიდევ ორჯერ თითო მაქსიმუმ ერთი წლით. ვადის გახანგრძლივების შესახებ განცხადების წარდგენა უნდა მოხდეს მიმდინარე ვადის დასრულებამდე არაუგვიანეს ერთი თვისა. შესაბამისად გამოიყენება პარ. 3-ის მეორე წინადადებისა და პარ. 4-ის ნორმები.

– 6. თუკი მხარეები ვერ თანხმდებიან იმ თანხაზე, რომელიც დამქირავებელმა უნდა გადაიხადოს გაქირავებული ქონებით ან მისი ნაწილით სარგებლობისათვის წინამდებარე მუხლში მითითებული გახანგრძლივებული ვადის განმავლობაში, მაშინ სასამართლო ადგენს ამ თანხას გონივრული ოდენობით ადვილობრივი ქირის თანხების ოდენობის გათვალისწინებით. ერთ-ერთი მხარის მოთხოვნის საფუძველზე, სასამართლოს შეუძლია აღნიშნული მიზნით მიიღოს დროებითი განკარგულება. გარდა აღნიშნულისა, ქირავნობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებები და ვალდებულებები ძალაში რჩება მხარეთა შორის წინამდებარე მუხლში მითითებული გახანგრძლივებული ვადის განმავლობაში.

– 7. თუ სასამართლო არ აკმაყოფილებს დამქირავებლის მოთხოვნას, ის განსაზღვრავს იმ მომენტს, როდესაც უნდა მოხდეს გაქირავებული ქონების დაცლა. სასამართლოს ასეთი განკარგულება მიიჩნევა გაქირავებული ქონების შესაბამის მომენტში დაცვის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილებად.

– 8. წინამდებარე მუხლში მითითებული სასამართლოს გადაწყვეტილების ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრება დაუშვებელია.

– 9. დამქირავებლის ინტერესების საზიანოდ წინამდებარე მუხლის ნორმებიდან გადახვევა დაუშვებელია.

მუხლი 7:231 სასამართლოს მიერ ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტა

– 1. აშენებულ უძრავ ქონებასთან ან მოძრავ სახლთან 7:235 მუხლის გავებით ანდა მოძრავი სა-

ხლის სადგართან 7:236 მუხლის გაგებით დაკავშირებული ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტა იმ საფუძველზე, რომ დამქირავებელმა არ შეასრულა მასზე დაკისრებული ვალდებულებები, შეიძლება მოხდეს მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით, გარდა სამოქალაქო კოდექსის 7:210 მუხლის პარ. 2-ში მითითებული ვითარებისა.

– 2. გამქირავებელს შეუძლია თავად შეწყვიტოს აღნიშნული ქირავნობის ხელშეკრულება სამოქალაქო კოდექსის 6:267 მუხლის ძალით იმ საფუძველზე, რომ გაქირავებულ ფართში ჩადენილმა განსაზღვრულმა ქცევამ გამოიწვია საჯარო წესრიგის დარღვევა, რის შედეგადაც გაქირავებული ფართი სახელმწიფო ორგანოების მიერ დაიხურა მუნიციპალიტეტების შესახებ კანონის 174a მუხლის საფუძველზე ან – ამ კანონის 174 მუხლში მითითებული მუნიციპალური დადგენილების საფუძველზე ანდა – იმ საფუძველზე, რომ გაქირავებულ ფართში ჩადენილი განსაზღვრული ქცევის შედეგად დაირღვა ოპიუმის შესახებ კანონის მე-2 ან მე-3 მუხლების ნორმები, რის შედეგადაც შესაბამისი შენობა დაიხურა სახელმწიფო ორგანოების მიერ აღნიშნული კანონის 13b მუხლის საფუძველზე ანდა ეს შენობა დაიხურა სახელმწიფო ორგანოების მიერ საბინაო კანონის მე-17 მუხლის საფუძველზე.

– 3. დამქირავებლის ინტერესების საზიანოდ პარ. 1-ის ნორმებიდან გადახვევა დაუშვებელია.

განყოფილება 7.4.5 – საცხოვრებელი ფართის ქირავნობა

ქვეგანყოფილება 7.4.5.1 – ზოგადი დებულებები

მუხლი 7:232 კანონისმიერი ნორმების გამოყენების შესაძლებლობა და გამონაკლისები

– 1. წინამდებარე განყოფილების (განყოფილება 7.4.5) ნორმები მოქმედებს მხოლოდ საცხოვრებელი ფართის ქირავნობის მიმართ.

– 2. წინამდებარე განყოფილების (განყოფილება 7.4.5) ნორმები არ მოქმედებს იმ საცხოვრებელი ფართით სარგებლობასთან დაკავშირებული ქირავნობის ხელშეკრულებების მიმართ, რომელთა გამოყენებაც მათი ბუნებიდან გამომდინარე მოკლე ვადით ხდება.

– 3. ქირავნობის ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან პირველი ცხრა თვის განმავლობაში, 7:206 მუხლის პარ. 3-ის, 7:270 მუხლის, 7:271 მუხლის პარ. 4-ის, 7:272 მუხლის, 7:273 მუხლის, 7:274 მუხლის, 7:275 მუხლის, 7:276 მუხლის, 7:277 მუხლისა და 7:281 მუხლის ნორმები არ მოქმედებს იმ საცხოვრებელი ფართის ქირავნობის მიმართ, რომლებიც წარმოადგენს არა განცალკევებულ საცხოვრებელ სახლებს, არამედ იმ საცხოვრებელი ფართის ნაწილს, სადაც გამქირავებელს აქვს თავისი ძირითადი ადგილსამყოფელი იმ პირობით, რომ წარსულში ამ სახლებში საცხოვრებელი ფართები არ გაქირავებულა უკვე ამ დამქირავებელზე.

– 4. 7:206 მუხლის პარ. 3-ის, 7:269 მუხლის პარ. 1 და 2-ის, 7:270 მუხლის, 7:271 მუხლიდან 7:277 მუხლის ჩათვლით, 7:278 მუხლის პარ. 1 და 2-სა და 7:281 მუხლის ნორმები არ მოქმედებს იმ შენობა-ნაგებობაში საცხოვრებელი ფართის ქირავნობის მიმართ, რომელიც მიეკუთვნება მუნიციპალიტეტს და რომელიც ქირავნობის ხელშეკრულების დადების მომენტში უკვე ექვემდებარება დემონტაჟს.

მუხლი 7:233 „საცხოვრებელი ფართი“

„საცხოვრებელი ფართის“ ცნების ქვეშ მოიაზრება აშენებული უძრავი ნივთი, რამდენადაც ის გაქირავებულია როგორც განცალკევებული ან დამოკიდებული საცხოვრებელი სახლი ანდა მოძრავი სახლი ან მოძრავი სახლის სადგარი, ისევე როგორც – მათთან დაკავშირებული მოწყობილობები.

მუხლი 7:234 „განცალკევებული საცხოვრებელი სახლი“

„განცალკევებული საცხოვრებელი სახლის“ ცნების ქვეშ მოიაზრება საცხოვრებელი ფართი, რომელსაც აქვს საკუთარი შესასვლელი და რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს მისი მაცხოვრებლის მიერ საცხოვრებელი ადგილის სახით სახლის მიღმა არსებულ ძირითად ობიექტებთან მიბრუნების აუცილებლობის გარეშე.

მუხლი 7:235 „მოძრავი სახლი“

„მოძრავი სახლის“ ცნების ქვეშ მოიაზრება საცხოვრებლად გათვალისწინებული კონსტრუქცია, რომელიც განთავსებულია მოძრავი სახლის სადგარზე და ექვემდებარება მისგან სრულად ან ნაწილობრივ

მოცილებას, და – ასევე რომლისათვისაც გაიცა გარემოს დაცვის შესახებ ზოგადი დებულებების შესახებ კანონის 2.1 მუხლის პარ. 1-ის (ა) პუნქტით გათვალისწინებული მშენებლობის ნებართვა.

მუხლი 7:236 „მოძრავი სახლის სადგარი“

„მოძრავი სახლის სადგარი“ ცნების ქვეშ მოიაზრება მოძრავი სახლის განსათავსებლად გათვალისწინებული მიწის ნაკვეთი, სადაც არსებობს ისეთი ობიექტები, რომლებიც შეიძლება მიუერთდეს მილსადენის ქსელს საჯარო ან სხვა დანესებულებებისა თუ მუნიციპალიტეტების გაზის, წყლისა და ელექტროენერჯის დისტრიბუციისათვის.

მუხლი 7:237 „ქირავნობის ფასი“, „ქირა“ და „მომსახურების ხარჯი“

– 1. წინამდებარე განყოფილებაში (განყოფილება 7.4.5) „ქირავნობის ფასის“ ცნების ქვეშ მოიაზრება გამქირავებლის მიმართ ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე დამქირავებელზე დაკისრებული ყველა ვალდებულება.

– 2. „ქირის“ ცნების ქვეშ მოიაზრება ფასი, რომელიც გადახდის უნდა იქნეს მხოლოდ და მხოლოდ საცხოვრებელი ფართის გამოყენებისა და ამ ფართით სარგებლობისათვის.

– 3. „მომსახურების ხარჯის“ ცნების ქვეშ მოიაზრება საკომპენსაციო თანხა, რომელიც გადახდის უნდა იქნეს საცხოვრებელი ფართის დაკავებასთან დაკავშირებით მიწოდებული საქონლისა და განეული მომსახურებისათვის. მეფის სამთავრობო ბრძანებით შესაძლებელია იმ საქონლისა და მომსახურების დაფიქსირება, რომელთათვისაც საკომპენსაციო თანხა უნდა იქნეს განხილული როგორც მომსახურების ხარჯი.

მუხლი 7:238 „ქირის თანხების დამდგენი კომისია“

„ქირის თანხების დამდგენი კომისიის“ ცნების ქვეშ მოიაზრება საცხოვრებელი ფართების ქირის შესახებ კანონის 3a მუხლში მითითებული ქირის თანხების დამდგენი კომისია.

მუხლი 7:239 „მინისტრი“

„მინისტრის“ ცნების ქვეშ მოიაზრება საჯარო საცხოვრებელი სახლების, სივრცითი დაგეგმარებისა და გარემოს დაცვის მინისტრი.

მუხლი 7:240 საცხოვრებელი ფართების მიმდინარე რემონტი

მეფის სამთავრობო ბრძანებით შესაძლებელია იმ ნაკლის დაფიქსირება, რომელიც მიჩნეულ უნდა იქნეს მცირე ნაკლად და 7:217 მუხლის შესაბამისად უნდა გამოსწორდეს თავად დამქირავებლის მიერ საკუთარი ხარჯით. დამქირავებლის ინტერესების საზიანოდ დაუშვებელია იმ ნორმებიდან გადახვევა, რომელიც მიღებულ იქნა წინამდებარე მუხლის საფუძველზე.

მუხლი 7:241 ნაკლის შესახებ მეფის სამთავრობო ბრძანება

მეფის სამთავრობო ბრძანებითა თუ მის შესაბამისად უნდა დადგინდეს, თუ რომელი ხარვეზები ნებისმიერ შემთხვევაში უნდა იქნეს განხილული როგორც ნაკლი. დამქირავებლის ინტერესების საზიანოდ დაუშვებელია იმ ნორმებიდან გადახვევა, რომელიც მიღებულ იქნა წინამდებარე მუხლის საფუძველზე.

მუხლი 7:242 საცხოვრებელი ფართების ქირავნობისათვის გათვალისწინებული ნაწილობრივ იმპერატიული კანონი

– 1. გარდა სამოქალაქო კოდექსის 6:214 მუხლში გათვალისწინებული სტანდარტული რეგულაციებისა, დაუშვებელია დამქირავებლის ინტერესების საზიანოდ 7:204, 7:206 მუხლის პარ. 1 და 2-ის, 7:207 მუხლის, 7:208 მუხლისა და 7:217 მუხლის ნორმებიდან გადახვევა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქმე ეხება გაქირავებული ქონების იმ ცვლილებებსა და დამატებებს, რომლებიც განხორციელდა დამქირავებლის მიერ ანდა – ასეთ ცვლილებებსა და დამატებებში არსებულ ნაკლს.

– 2. დამქირავებლის ინტერესების საზიანოდ 7:216 მუხლის პარ. 3-ის, 7:224 მუხლის პარ. 2-სა და 7:230 მუხლის ნორმებიდან გადახვევა დაუშვებელია.

მუხლი 7:243 ენერჯის დაზოგვისკენ მიმართული აუცილებელი ზომები

– 1. თუკი აშენებულ უძრავ ქონებაში არსებული საცხოვრებელი ფართი საჭიროებს ენერჯის დაზო-

გვისკენ მიმართული მოწყობილობების განთავსებას, როგორც ეს მითითებულია პარ. 2-ში, მაშინ სასამართლოს დამქირავებლის მოთხოვნის საფუძველზე შეუძლია დაავალოს გამქირავებელს ასეთი მოწყობილობების განთავსება საკუთარი ხარჯით იმ პირობით, თუ დამქირავებელმა განაცხადა, რომ ის მზად არის გადაიხადოს ამ ხარჯების პროპორციულად გონივრული ოდენობით მომატებული ქირის თანხა. დამქირავებლის ინტერესების საზიანოდ აღნიშნული ნორმიდან გადახვევა დაუშვებელია.

– 2. პარ. 1-ში მითითებულ მოწყობილობებს მიეკუთვნება:

a. გარე ტიხრების თერმული იზოლაცია;

b. იმ ნაგებობის თერმული იზოლაცია, რომელიც ქმნის მცოცავ ტიხარს;

c. გათბობის სისტემისათვის დამონტაჟებული გამაცხელებელი, სულ ცოტა, 80%-ანი ინდუქციური ეფექტურობით, თუკი არსებული გამაცხელებელი არის, სულ ცოტა, ათი წლის.

მუხლი 7:244 საცხოვრებელი ფართის ქვექირავნობა

7:221 მუხლისაგან განსხვავებით, საცხოვრებელი ფართის დამქირავებელი არ არის უფლებამოსილი, მიანიჭოს გაქირავებული ქონებით ან მისი ნაწილით სარგებლობის უფლება მესამე პირს. თუმცადა, განცალკევებული საცხოვრებელი სახლის დამქირავებელი, რომელსაც თავისი ძირითადი ადგილსამყოფელი აქვს ამ სახლში, უფლებამოსილია მიანიჭოს გაქირავებული ქონებით ან მისი ნაწილით სარგებლობის უფლება მესამე პირს.

მუხლი 7:245 საცხოვრებელი ფონდის ქირავნობის შესახებ საიმპლემენტაციო კანონი

საცხოვრებელი ფონდის ქირავნობის შესახებ საიმპლემენტაციო კანონი ითვალისწინებს დამატებით ნორმებს ქირისა და სხვა ასანაზღაურებელი თანხების შესახებ.

განყოფილება 7.4.5.2 – ქირისა და სხვა ასანაზღაურებელი თანხები

§ 1. ქირა

მუხლი 7:246 ხელშეკრულების თავისუფლება

ქირის ის თანხა, რომელზეც მხარეები შეთანხმდნენ, გამოიყენება საცხოვრებელი ფართის ქირავნობის მიმართ იმდენად, რამდენადაც წინამდებარე ქვეგანყოფილებიდან (ქვეგანყოფილება 7.4.5.2) სანინა-აღმდეგო წესი არ გამომდინარეობს.

მუხლი 7:247 გათავისუფლებული საცხოვრებელი ფართები

გარდა 7:249 მუხლის, 7:251 მუხლის, 7:259 მუხლის, 7:261 მუხლის პარ. 1-სა და 7:264 მუხლის ნორმებისა, წინამდებარე ქვეგანყოფილების (ქვეგანყოფილება 7.4.5.2) ქვემოთ მოცემული მუხლები არ მოქმედებს იმ განცალკევებული საცხოვრებელი ფართის ქირავნობის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, რომლის მიმართაც მიმდინარე დამქირავებლის მიერ ფართის დაკავების საწყის მომენტში არსებობდა ან არსებობს ქირის თანხა, რომელიც წლიურ თანხაზე გადაანგარიშების აუცილებლობის შემთხვევაში, უფრო მეტია, ვიდრე საცხოვრებელი ფონდის ქირავნობის შესახებ საიმპლემენტაციო კანონის მე-3 მუხლის პარ. 3-ის ნორმების საფუძველზე განსაზღვრული თანხა იმ პირობით ასევე, რომ:

a. ეს ხელშეკრულება დაიდო 1994 წლის 1 ივლისს ან ამ თარიღის შემდეგ;

b. ეს ხელშეკრულება ეხება იმ საცხოვრებელი სახლს, რომელიც აშენებულია 1994 წლის 1 ივლისს ან ამ თარიღის შემდეგ.

მუხლი 7:248 ქირის თანხების ინდექსაციის შესახებ დათქმა

– 1. ქირის თანხა შეიძლება გაიზარდოს ქირავნობის ხელშეკრულებაში მოცემული იმ დებულების საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს ასეთ გაზრდას, ხოლო თუკი ასეთი სახელშეკრულებო დებულება არ არის გათვალისწინებული ან ის არ მოქმედებს, მაშინ – 7:252 მუხლის, 7:252a მუხლისა და 7:253 მუხლის ნორმებით გათვალისწინებული წესის შესაბამისად. 7:252 და 7:253 მუხლები არ მოქმედებს აღნიშნული სახელშეკრულებო დებულების ეფექტური არსებობის პერიოდში. თუკი ასეთი სახელშეკრულებო დებულება აღარ მოქმედებს, მაშინ გამოიყენება ზემოაღნიშნული ორი მუხლი თორმეტი თვის შემდეგ იმ მომენტიდან, როდესაც ეს სახელშეკრულებო დებულება უკანასკნელად იქნა გამოიყენებული.

– 2. თუკი პარ. 1-ში მითითებული სახელშეკრულებო დებულების შესახებ განცხადება შედეგად უნდა ინვესტირდეს ქირის თანხის ზრდას უფრო მაღალი პროცენტით, ვიდრე ეს არის საცხოვრებელი ფონდის ქირავნობის შესახებ საიმპლემენტაციო კანონის მე-10 მუხლის პარ. 2-ის ნორმების საფუძველზე მინისტრის მიერ დადგენილი ზღვრული თანხის მატება, მაშინ სახელშეკრულებო დებულება ბათილია იმდენად, რამდენადაც მის შედეგად უფრო მაღალი პროცენტი მიიღება. ასეთ შემთხვევაში ქირის თანხა მიიჩნევა გაზრდილად მინისტრის მიერ დადგენილი ქირის ზღვრული თანხის ოდენობით.

მუხლი 7:249 ქირის თანხების დამდგენი კომისიისადმი მიმართული დამქირავებლის მოთხოვნა

როდესაც დამქირავებელი კონკრეტულ საცხოვრებელ ფართთან დაკავშირებით ქირავნობის ხელშეკრულებას პირველად დებს, მას ამ ქირავნობის ხელშეკრულების ძალაში შესვლის მომენტიდან ექვსი თვის განმავლობაში შეუძლია ქირის თანხების დამდგენ კომისიას მოსთხოვოს იმის განსაზღვრა, არის თუ არა შეთანხმებული ქირის თანხა გონივრული.

მუხლი 7:250 ქირის თანხის ცვლილება გამქირავებლის ან დამქირავებლის მოთხოვნის საფუძველზე

– 1. ქირის თანხა შეიძლება გაიზარდოს გამქირავებლის მოთხოვნის საფუძველზე 7:252, 7:252a და 7:253 მუხლებში გათვალისწინებული წესით:

a. თორმეტთვიანი პირველი ვადის განმავლობაში ქირავნობის ხელშეკრულება ძალაში შესვლის დღიდან: მხოლოდ ერთხელ,

b. და, გარდა აღნიშნულისა, – ყოველ იმ მომენტში თითოეული სხვა შემდგომი თორმეტთვიანი ვადის დასრულებისას, რომელიც აითვლება (a) პუნქტში მითითებული ქირის თანხის ზრდის ძალაში შესვლის მომენტიდან, ხოლო როდესაც ასეთ ზრდას არ ჰქონდა ადგილი, – იმ დღიდან, როდესაც თავად ქირავნობის ხელშეკრულება შევიდა ძალაში.

– 2. პარ. 1-ის საფუძველზე ქირის თანხის გაზრდა დაუშვებელია მანამდე, სანამ დამქირავებელი და გამქირავებელი არ შეთანხმდებიან საცხოვრებელ ფართში იმ ნაკლის გამოსწორებაზე, რომელიც გამოვლენილ იქნა საცხოვრებელი ფონდის ქირავნობის შესახებ საიმპლემენტაციო კანონის მე-12 და მე-16 მუხლების ნორმების საფუძველზე.

– 3. პარ. 1-გან განსხვავებით, ქირის თანხა შეიძლება გაიზარდოს იმ ვადის დასრულებისას, რომელიც თორმეტ თვეზე გაცილებით მცირეა იმდენად, რამდენადაც წინა პერიოდი თორმეტ თვეზე ხანგრძლივი აღმოჩნდა იმ დღიდან, როდესაც ქირის თანხა გაიზარდა ამ პერიოდისათვის.

– 4. დამქირავებლის მოთხოვნის საფუძველზე, ქირის თანხა შეიძლება შემცირდეს 7:252 მუხლში, 7:252b და 7:254 მუხლებში გათვალისწინებული წესით.

მუხლი 7:251 ქირის თანხის ზრდა წელიწადში არაუმეტეს ერთი შემთხვევისა

ბათილია ქირავნობის ხელშეკრულებაში მოცემული ნებისმიერი სახელშეკრულებო დებულება, რომლის მოქმედების შედეგადაც ქირის თანხა თორმეტთვიანი ვადის განმავლობაში შესაძლოა გაიზარდოს ერთზე მეტ შემთხვევაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქმე გვაქვს 7:255 მუხლში მითითებულ ვითარებასთან.

მუხლი 7:252 ქირის თანხის შეცვლის შესახებ წერილობითი წინადადება

– 1. ქირის თანხის შეცვლის შეთავაზება შეიძლება გაკეთდეს წერილობით იმ სავარაუდო დღემდე, სულ ცოტა, ორი თვით ადრე, როდესაც ცვლილება უნდა შევიდეს ძალაში.

– 2. პარ. 1-ში მითითებული შეთავაზებაში, სულ ცოტა, უნდა მიეთითოს:

a. ქირის თანხა მის ცვლილებამდე;

b. ქირის თანხის ცვლილებების პროცენტულობა ან ოდენობა;

c. შეთავაზებული ახალი ქირა;

d. შეთავაზებული დღე, რომლიდანაც შეთავაზებული ახალი ქირის თანხა უნდა ამოქმედდეს;

e. ხერხი და ის ვადა, რომლის განმავლობაშიც იმ შემთხვევაში, თუკი დამქირავებელს სურს გააპროტესტოს ეს შეთავაზება, მან უნდა წარადგინოს თავისი საწინააღმდეგო პოზიცია და ასევე – ის სამართლებრივი შედეგები, რომლებიც დადგება წინამდებარე ქვეგანყოფილების (ქვეგანყოფილება 7.4.5.2) შესაბამისად, თუკი ის არ განაცხადებს თავის საწინააღმდეგო პოზიციას.

– 3. ქირის თანხის შემცირების შეთავაზებისას უნდა იქნეს წარდგენილი საცხოვრებელი ფართის შეფასების დოკუმენტი, როგორც ეს მითითებულია საცხოვრებელი ფონდის ქირავნობის შესახებ საიმპლემენტაციო კანონის მე-10 მუხლის პარ. 1-ში.

- 4. თუკი ქირის თანხის შემცირებაზე შეთანხმება მიღწეულ იქნა ამ მიზნით წარდგენილი შეთავაზების შედეგად, რომელიც, ამავე დროს, არ შეესაბამებოდა პარ. 1-ის, პარ. 2-ის (b), (d) ან (e) პუნქტების ანდა პარ. 3-ის ნორმათა მოთხოვნებს, მაშინ გადაიხდება თავდაპირველად გამოყენებული ქირის თანხის ოდენობა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იმ პირს, ვისაც წარედგინა შეთავაზება, რეალურად არ მიაღწა ზიანი აღნიშნული ერთი ან რამდენიმე მოთხოვნის შეუსრულებლობის გამო.

მუხლი 7:252a დამქირავებლის შემოსავალთან დაკავშირებული ქირის ოდენობის გაზრდა

- 1. დამქირავებელს იმ საცხოვრებელი ფართის მიმართ, რომელიც ქმნის განცალკევებულ საცხოვრებელ სახლს, შეუძლია წარადგინოს 7:252 მუხლში მითითებული შეთავაზება ქირის თანხის გაზრდის მიზნით იმ საფუძველზე, რომ საოჯახო მეურნეობის შესაბამისი წლის შემოსავალი:

a. უფრო მაღალია, ვიდრე საცხოვრებელი ფონდის ქირის შესახებ საიმპლემენტაციო კანონის მე-10 მუხლის პარ. 2-ის პირველ წინადადებაში აღნიშნული თანხა, თუმცაღა – ნაკლებია ან ტოლია (b) პუნქტში აღნიშნული თანხისა, ან;

b. აღემატება საცხოვრებელი ფონდის ქირავნობის შესახებ საიმპლემენტაციო კანონის მე-10 მუხლის პარ. 2-ის პირველ წინადადებაში (b) პუნქტში აღნიშნულ თანხას.

- 2. წინამდებარე მუხლში ქვემოთ მოცემულ სიტყვებს შემდეგი მნიშვნელობა აქვს:

a. „ბაზისური სარეგისტრაციო შემოსავალი“: სახელმწიფო გადასახადების შესახებ ზოგადი კანონის IVA თავის ნორმებით გათვალისწინებული ბაზისური სარეგისტრაციო შემოსავალი

b. „საოჯახო მეურნეობის შემოსავალი“: საცხოვრებელი ფართის დამქირავებლისა და სხვა მობინადრეების სახელმწიფო გადასახადების შესახებ ზოგადი კანონის 21-ე მუხლის (e) პუნქტში მითითებული შემოსავლების შესახებ მონაცემების მთლიანი თანხა იმ გაგებით, რომ როდესაც სხვა მობინადრეს 23 წლის ასაკისათვის არ მიუღწევია იმ წლის 1 იანვრისათვის, რომლის განმავლობაშიც იწყება შეთავაზებული ქირის გადახდა, შემოსავლების შესახებ მონაცემების ოდენობა მიიღება მხედველობაში მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ის აღემატება იმ ყოველთვიური თორმეტმაგი თანხის ოდენობას 108%-იან შედეგს, რომელიც მითითებულია საბაზისო წლის 1 იანვარს ძალაში შესული მინიმალური ხელფასისა და მინიმალური საშვებულებო თანხების შესახებ კანონის მე-8 მუხლის პარ. 1-ის (a) პუნქტში;

c. „ინსპექტორი“: ეროვნული საგადასახადო ორგანოს თანამდებობის პირი, რომელიც ასეთ თანამდებობაზე დანიშნულია ფინანსთა მინისტრის მიერ მიღებული განკარგულებით;

d. „საბაზისო წელი“: მეორე წელი იმ წლის შემდეგ, რომლის განმავლობაშიც იწყება შეთავაზებული ქირის გადახდა.

- 3. როდესაც ხდება პარ. 1-ში მითითებული შეთავაზების წარდგენა, ამ უკანასკნელს ემატება დამქირავებლისათვის მისი მოთხოვნის საფუძველზე ინსპექტორის მიერ გაცემული განცხადება.

- 4. პარ. 3-ში აღნიშნულ განცხადებაში მიეთითება იმის შესახებ, არის თუ არა მოსალოდნელი, რომ ინსპექტორის მიერ დამქირავებლის მოთხოვნის გადაცემის მომენტში ბაზისური სარეგისტრაციო შემოსავლიდან მიღებული საბაზისო მონაცემების საფუძველზე დამქირავებლის მხრიდან განსაზღვრული საცხოვრებელი ფართის ადგილზე იმ პირის ან პირების საბაზისო წლის საოჯახო მეურნეობის შემოსავალი, ვინც ცხოვრობს ასეთი მეურნეობის წარმოებისას საგადასახადო ორგანოების რეგისტრაციის შესაბამისად, – ნაკლებია ან ტოლია საცხოვრებელი ფონდის ქირის შესახებ საიმპლემენტაციო კანონის მე-10 მუხლის პარ. 2-ის პირველი წინადადების (a) პუნქტში აღნიშნული თანხისა ან ამ თანხაზე მეტია, თუმცაღა ნაკლებია ან ტოლია ზემოაღნიშნული წინადადების (a) პუნქტში აღნიშნული თანხისა ანდა – ამ თანხაზე მეტია. გარდა აღნიშნულისა, თუკი საოჯახო მეურნეობის შემოსავალი უფრო მეტია, ვიდრე საცხოვრებელი ფონდის ქირის შესახებ საიმპლემენტაციო კანონის მე-10 მუხლის პარ. 2-ის პირველი წინადადების (a) პუნქტში აღნიშნული თანხა, განცხადებაში მიეთითება იმ პირთა რაოდენობა, რომლებსაც ეფუძნება საოჯახო მეურნეობის შემოსავალი. როდესაც შემოსავლების შესახებ მონაცემები „ბაზისურ სარეგისტრაციო შემოსავალში“ არ მოიპოვება, განცხადება მაინც უნდა უთითებდეს მასზე. წინამდებარე პარაგრაფის განხორციელებისათვის, ასევე – მოთხოვნის წარდგენის შესაძლებლობის, თავად მოთხოვნის, განცხადების გაცემის შესახებ და დამქირავებელთან დაკავშირებული დამატებითი წესები შეიძლება დადგინდეს ფინანსთა მინისტრის განკარგულებით.

- 5. თუკი ქირის თანხის შეცვლის შესახებ შეთანხმება მიღწეულ იქნა ამ მიზნით წარდგენილ შეთავაზებასთან დაკავშირებით, რომელიც არ აკმაყოფილებს პარ. 3-ის მოთხოვნებს, მაშინ ქირის თანხის ზრდა პარ. 1-ში მითითებული შეთავაზების საფუძველზე დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იკვეთება, რომ დამქირავებელს ხარვეზის შედეგად რაიმე ზიანი არ განუცდია.

– 6. ქირის თანხის შეცვლის შესახებ შეთანხმება:

a. რომელიც წარმოადგენს პარ. 1-ში, შესავალსა და (a) და (b) პუნქტებში მითითებული შეთავაზების შედეგს, არ წარმოიშობა (არა აქვს ძალა), თუკი დამქირავებელი შეძლებს იმის დამტკიცებას, რომ ის ან საოჯახო მეურნეობის სხვა წევრი წარმოადგენს მინისტრის განკარგულებით დასადგენი ჯგუფის ნაწილს;

b. რომელიც წარმოადგენს პარ. 1-ში, შესავალსა და (a) პუნქტში მითითებული შეთავაზების შედეგს, არ წარმოიშობა (არა აქვს ძალა), თუკი დამქირავებელი შეძლებს იმის დამტკიცებას, რომ ბაზისური წლის მომდევნო კალენდარული წლისათვის საოჯახო მეურნეობის შემოსავალი უტოლდება ან ნაკლებია საცხოვრებელი ფონდის ქირის შესახებ საიმპლემენტაციო კანონის მე-10 მუხლის პარ. 2-ის პირველი წინადადების (a) პუნქტში აღნიშნულ თანხაზე, და;

c. რომელიც წარმოადგენს პარ. 1-ში, შესავალსა და (b) პუნქტში მითითებული შეთავაზების შედეგს, არ წარმოიშობა (არა აქვს ძალა), თუკი დამქირავებელი შეძლებს იმის დამტკიცებას, რომ ბაზისური წლის მომდევნო კალენდარული წლისათვის საოჯახო მეურნეობის შემოსავალი უტოლდება ან ნაკლებია საცხოვრებელი ფონდის ქირის შესახებ საიმპლემენტაციო კანონის მე-10 მუხლის პარ. 2-ის პირველი წინადადების (b) პუნქტში მითითებულ თანხაზე. აღნიშნული შეთავაზება ჩაითვლება პარ. 1-ში, შესავალსა და (b) პუნქტში მითითებულ შეთავაზებად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დამქირავებელი შეძლებს იმის დამტკიცებას, რომ ბაზისური წლის მომდევნო კალენდარული წლისათვის საოჯახო მეურნეობის შემოსავალი უტოლდება ან ნაკლებია ზემოაღნიშნული წინადადების (a) პუნქტში მითითებულ თანხაზე.

მუხლი 7:252b ქირის ოდენობის შემცირება დამქირავებლის შემოსავლების კლებასთან დაკავშირებით

– 1. 7:252a მუხლის პარ. 6-ის ნორმების მოქმედების შეზღუდვის გარეშე, დამქირავებელს იმ საცხოვრებელი ფართის მიმართ, რომელიც ქმნის განცალკევებულ საცხოვრებელ სახლსა და რომლის მიმართაც ქირის ფასის გაზრდა მოხდა 7:252a მუხლის პარ. 1-ის საფუძველზე, შეუძლია წარადგინოს 7:252 მუხლში მითითებული შეთავაზება ქირის თანხის შემცირების მიზნით იმ საფუძველზე, რომ შემცირდა საოჯახო მეურნეობის შემოსავალი, რაც გათვალისწინებულია 7:252a მუხლის პარ. 2-ის (b) პუნქტში და რომელსაც ეფუძნებოდა ზემოაღნიშნული ქირის ფასის ზრდა და ასევე აღნიშნულის შედეგად ის:

a. გაუტოლდა ან გახდა მინიმალური შვებულების შესახებ კანონის მე-14 მუხლის პარ. 1-ში მითითებულ თანხაზე ნაკლები;

b. გაუტოლდა ან გახდა საცხოვრებელი ფონდის ქირის შესახებ საიმპლემენტაციო კანონის მე-10 მუხლის პარ. 2-ის პირველი წინადადების (a) პუნქტში მითითებულ თანხაზე ნაკლები, ან

c. გახდა (b) პუნქტში მითითებულ თანხაზე მეტი, თუმცაა გაუტოლდა საცხოვრებელი ფონდის ქირის შესახებ საიმპლემენტაციო კანონის მე-10 მუხლის პარ. 2-ის პირველი წინადადების (a) პუნქტში მითითებულ თანხას ან გახდა მასზე ნაკლები.

– 2. თუკი მოხდა პარ. 1-ში მითითებული შეთავაზების წარდგენა, დამქირავებელი ვალდებულია, წარადგინოს საოჯახო მეურნეობის შემოსავალთან დაკავშირებული შესაბამისი ინფორმაცია. ის, თუ რა ინფორმაცია უნდა წარადგინოს დამქირავებელმა ასეთ შემთხვევაში, განისაზღვრება მინისტრის განკარგულებით.

– 3. თუკი ქირის თანხის შეცვლის შესახებ შეთანხმება მიღწეულ იქნა შეთავაზების შედეგად იმ შედეგით, რომელიც არ აკმაყოფილებს პარ. 2-ის მოთხოვნებს, მაშინ პარ. 1-ში მითითებული შეთავაზების საფუძველზე ქირის თანხის შემცირება დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იკვეთება, რომ დამქირავებელს ხარვეზის შედეგად რაიმე ზიანი არ განუცდია.

მუხლი 7:253 ქირის ოდენობის გაზრდის შეთავაზების წინააღმდეგ წარდგენილი პროტესტი

– 1. თუკი იმ დღემდე, როდესაც გამქირავებლის შეთავაზების შესაბამისად ქირის ოდენობის გაზრდა უნდა შესულიყო ძალაში, დამქირავებელი წერილობით აცხადებს, რომ ის არ ეთანხმება ამ შეთავაზებას, მაშინ აღნიშნული თარიღიდან ექვსი თვის განმავლობაში – გამქირავებლის შეთავაზების ასლისა და დამქირავებლის ზემოაღნიშნული წერილობითი განცხადების წარდგენით – გამქირავებელს შეუძლია ქირის თანხების დამდგენ კომისიას მოსთხოვოს იმის განსაზღვრა, არის თუ არა მის მიერ წარდგენილი ქირის ოდენობის გაზრდის შეთავაზება გონივრული. თუკი გამქირავებელმა წარადგინა 7:252a მუხლის პარ. 1-ში მითითებული შეთავაზება, ხოლო პირველ წინადადებაში მითითებული განცხადება კი ეხება საოჯახო მეურნეობის შემოსავალს, მაშინ გამქირავებელი ინსპექტორს სთხოვს მეორე განცხადებას, როგორც ეს მითითებულია 7:252a მუხლის პარ. 4-ში. თუკი ხდება პირველ წინადადებაში მითითებული მოთხოვნის წარდგენა, გამქირავებელმა უნდა წარადგინოს ასევე მეორე განცხადებაც.

- 2. პარ. 1-ში მითითებული დღიდან სამი თვის განმავლობაში დამქირავებელს ქირის თანხების დამდგენ კომისიას შეუძლია მოსთხოვოს გამქირავებლის შეთავაზების გონივრულობასთან დაკავშირებით თავისი გადანყვეტილების მიღება:

a. თუკი მან არ წარადგინა წერილობითი განცხადება პარ. 1-ის პირველ წინადადებაში მითითებულ თარიღამდე და ასევე გაზრდილი ქირის თანხის გადახდით მან არ შექმნა შთაბეჭდილება იმისა, რომ ის ეთანხმება ასეთ ზრდას, და;

b. გამქირავებელმა შეატყობინა დამქირავებელს შეთავაზების შესახებ კიდევ ერთხელ პარ. 1-ში მითითებული თარიღის შემდეგ ექვსი კვირის განმავლობაში დაზღვეული წერილით, რასაც დაერთო შეთავაზების ასლი, ხოლო დამქირავებელი კი არ დაეთანხმა ქირის ოდენობის გაზრდის შეთავაზებას. ქირის თანხების დამდგენი კომისიისათვის საკუთარი მოთხოვნის გაგზავნისას დამქირავებელმა უნდა წარადგინოს შეთავაზებისა და აღნიშნული დაზღვეული წერილის ასლები, ხოლო როდესაც გამქირავებელმა წარადგინა 7:252a მუხლის პარ. 1-ში მითითებული შეთავაზება და საოჯახო მეურნეობის შემოსავალი კი უთახმოების საგანს წარმოადგენს, - ამ შემოსავალთან დაკავშირებული მონაცემებიც. შესაბამისად გამოიყენება პარ. 1-ის მესამე წინადადების ნორმა.

- 3. ივარაუდება, რომ დამქირავებელმა მიაღწია შეთანხმებას გამქირავებელთან ქირის ოდენობის გაზრდის შეთავაზებასთან დაკავშირებით იმ დღიდან, როდესაც თანხის ზრდა ძალაში შედის შეთავაზების შესაბამისად, თუკი მან პარ. 2-ის (b) პუნქტში მითითებული დაზღვეული წერილის მიღების შემდეგ არ მიმართა მოთხოვნით ქირის თანხების დამდგენ კომისიას სამი დღის განმავლობაში იმ თარიღის შემდეგ, როდესაც ქირის თანხის ზრდა ძალაში შედის გამქირავებლის შეთავაზების შესაბამისად.

- 4. როდესაც დამქირავებელი წარადგენს პარ. 2-ში მითითებულ მოთხოვნას, ქირის თანხების დამდგენმა კომისიამ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს ამის შესახებ გამქირავებელს.

- 5. როდესაც გამქირავებელმა მოახდინა 7:252 მუხლის პარ. 1-ში ან 7:252a მუხლის პარ. 1-ში მითითებული შეთავაზების წარდგენა დაზღვეული წერილის გაგზავნით და დაკმაყოფილებულია ასევე პარ. 2-ის (a) პუნქტის მოთხოვნებიც, პარ. 1-ის პირველ წინადადებაში მითითებული დღიდან ექვსი კვირის განმავლობაში გამქირავებელს ქირის თანხების დამდგენ კომისიას შეუძლია მოსთხოვოს შეთავაზების გონივრულობასთან დაკავშირებით თავისი გადანყვეტილების მიღება. ქირის თანხების დამდგენი კომისიისათვის თავისი მოთხოვნის წაყენებისას გამქირავებელმა უნდა წარადგინოს თავისი შეთავაზების ასლი და ასევე იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ ეს შეთავაზება გაეგზავნა დამქირავებელს დაზღვეული წერილით.

მუხლი 7:254 ქირის ოდენობის შემცირება

თუკი გამქირავებელი არ ეთანხმება ქირის შემცირების თაობაზე დამქირავებლის შეთავაზებას, მაშინ დამქირავებელს ექვსი კვირის განმავლობაში იმ თარიღის შემდეგ, როდესაც ქირის თანხის შემცირება ძალაში უნდა შესულიყო მის შეთავაზების შესაბამისად, შეუძლია მოსთხოვოს ქირის თანხების დამდგენ კომისიას შეთავაზების გონივრულობასთან დაკავშირებით თავისი გადანყვეტილების მიღება.

მუხლი 7:255 ქირის ოდენობის გაზრდა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების შემდეგ

- 1. იმ საცხოვრებელი ფართის ქირა, რომელშიც ან რომლისათვისაც ქირავნობის ვადის განმავლობაში დამქირავებლის მიერ ან მისი მოქმედებით:

a. განთავსდა ისეთი ობიექტები, რომლებიც დაკავშირებულია იმ შეზღუდვების მოხსნისა თუ შემცირებისკენ მიმართულ ღონისძიებებთან, რომლებსაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი აწყდება საცხოვრებელი ფართის ჩვეულებრივი სარგებლობის დროს და რომელთა დანახარჯებისათვისაც კანონისმიერი დანაწესის თანახმად გათვალისწინებულია მხოლოდ ნაწილობრივი ფინანსური კომპენსაცია, ან;

b. განხორციელდა ცვლილებები ან დამატებები სხვა მიზეზით, ნაცვლად 7:204 მუხლში გათვალისწინებული ნაკლის გამოსწორების მიზეზისა, რის შედეგადაც ცხოვრების ხარისხი მიჩნეულ იქნა გაუმჯობესებულად და რომელიც უკვე არ არის მონესრიგებული (a) პუნქტის ნორმით,

უტოლდება შეთანხმებული ქირის თანხას, გამრავლებული იმ ოდენობაზე, რომელიც გონივრულად პროპორციულია აღნიშნული ობიექტების, გამქირავებლის მიერ განხორციელებული ცვლილებებისა თუ დამატებების ხარჯებისა, იმ პირობით, რომ ქირის მთლიანი თანხა არ იქნება იმ თანხაზე მეტი, რომელიც საცხოვრებელი ფონდის ქირის შესახებ საიმპლემენტაციო კანონის მე-10 მუხლის პარ. 1-ის საფუძველზე მიჩნეულია გონივრულად.

– 2. თუკი მხარეებმა ვერ მიაღწიეს შეთანხმებას ქირის თანხის გაზრდასთან დაკავშირებით, მაშინ თითოეულ მათგანს ობიექტების დამატების, ცვლილებებისა თუ დამატებების განხორციელებიდან სამი თვის განმავლობაში შეუძლია ქირის თანხების დამდგენ კომისიას მოსთხოვოს თანხის გაზრდასთან დაკავშირებით თავისი გადაწყვეტილების მიღება.

– 3. პარ. 1-ში მითითებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ქვეშ მოიაზრება პირი, ვინც ავადმყოფობისა თუ დაავადების შედეგად საგრძნობ შეზღუდვებს განიცდის.

მუხლი 7:256 {გაუქმებულია 01.04.2007წ.}

მუხლი 7:257 ექსპლუატაციის პროცედურა

– 1. დამქირავებლის სასარჩელო მოთხოვნა (სარჩელის უფლება) 7:242 მუხლთან კავშირში 7:207 მუხლის პარ. 1-ის საფუძველზე ქირის თანხის ოდენობის შემცირებასთან დაკავშირებით ექვემდებარება ექვსთვიან იმპერატიულ ხანდაზმულობის ვადას, რომელიც აითვლება იმ დღის მეორე დღიდან, როდესაც დამქირავებელმა გამქირავებელს შეატყობინა ნაკლის შესახებ, ისევე როგორც – ქვემოთ მოცემული პარაგრაფების გათვალისწინებით.

– 2. როდესაც დამქირავებლის სასარჩელო მოთხოვნა (სარჩელის უფლება) ეფუძნება გამქირავებლის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობას, რაც 7:241 მუხლის ძალით ნაკლად მიიჩნევა, დამქირავებელს შეუძლია არა მარტო წარადგინოს თავისი მოთხოვნა სასამართლოში პარ. 1-ში მითითებული ვადის განმავლობაში, არამედ მას შეუძლია ასევე ქირის თანხების დამდგენ კომისიას მოსთხოვოს ქირის თანხის შემცირებასთან დაკავშირებით თავისი გადაწყვეტილების მიღება საცხოვრებელი ფონდის ქირის შესახებ საიმპლემენტაციო კანონის მე-16 მუხლის პარ. 2-ში მითითებული მეფის სამთავრობო ბრძანების შესაბამისად, რომელიც უნდა იქნეს წარდგენილი ექვსი თვის განმავლობაში იმ დღის მეორე დღიდან, როდესაც დამქირავებელმა გამქირავებელს შეატყობინა ნაკლის შესახებ. დამქირავებელს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია მიმართოს ასეთი მოთხოვნით ქირის თანხების დამდგენ კომისიას, თუკი გამქირავებელმა ნაკლი არ გამოასწორა ნაკლი ექვსი კვირის განმავლობაში იმ დღის მეორე დღიდან, როდესაც მას დამქირავებელმა შეატყობინა ნაკლის შესახებ.

– 3. წინა პარაგრაფებში მითითებული ექვსთვიანი ვადის გასვლის შემდეგ, დაუშვებელია ქირის თანხის შემცირების მოთხოვნა იმდენად, რამდენადაც საქმე ეხება წარსულ პერიოდს, რომელიც აღემატება ექვსთვიან ვადას იმ მომენტამდე, როდესაც მოხდა სასარჩელო მოთხოვნის სასამართლოში ანდა ქირის თანხის შემცირების მოთხოვნის ქირის თანხების დამდგენი კომისიისათვის წარდგენა.

§ 2. სხვა ასანაზღაურებელი თანხები

მუხლი 7:258 ქირავნობის ყოვლისმომცველი ფასი

თუკი ქირავნობის ხელშეკრულება მოიცავს უფრო მეტს, ვიდრე უბრალოდ საცხოვრებელი ფართის სარგებლობის უფლებას, თუმცადა ის ახსენებს მხოლოდ ქირავნობის მთლიან ფასსა და არა ქირის თანხას, მაშინ ქირის თანხების დამდგენ კომისიას დამქირავებლის მოთხოვნის საფუძველზე შეუძლია განსაზღვროს როგორც ქირის, ისე მომსახურების ხარჯების სახით გადასახდელი საავანსო თანხების ოდენობაც. აღნიშნული მოთხოვნა შეიძლება წარდგენილ იქნეს ასევე გამქირავებლის მიერ, თუკი ქირის შეთანხმებული ფასი საცხოვრებელი ფონდის ქირის შესახებ საიმპლემენტაციო კანონის მე-10 მუხლის პარ. 1-ის საფუძველზე განსაზღვრული მაქსიმალური ქირის თანხის 55%-ზე ნაკლებია.

მუხლი 7:259 მომსახურების ხარჯები

– 1. დამქირავებლის ვალდებულება, დაფაროს მომსახურების ხარჯები უტოლდება მასსა და გამქირავებელს შორის შეთანხმებულ თანხას, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც დამქირავებელი და გამქირავებელი ვერ აღწევენ შეთანხმებას აღნიშნულზე, უტოლდება იმ თანხას, რომელიც შეესაბამება გამოსაყენებელ კანონისმიერ ნორმებს, ანდა – იმ თანხას, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს გონივრულ საზღაურად მიწოდებული საქონლისა და განეული მომსახურებისათვის.

– 2. ყოველ წელს კალენდარული წლის დასრულებიდან არაუგვიანეს ექვსი თვისა, გამქირავებელი გადასცემს დამქირავებელს მომსახურების დარიცხული ხარჯების პუნქტობრივად განერილი მიმოხილვის ამსახველ დოკუმენტს ამ ხარჯების გამოთვლის ხერხების მითითებით. თუკი გამქირავებელს დაეკისრა იმ

ხარჯების დაფარვა, რომელიც ვრცელდება არა კალენდარულ წელზე, არამედ სხვა თორმეტვიან პერიოდზე, რომელიც წარმოადგენს განვლილ კალენდარულ წელში დასრულებულ ფინანსურ წელს, მაშინ გამქირავებელი განვლილი კალენდარული წლის მიმოხილვაში აჩვენებს აღნიშნულ სხვა პერიოდის ხარჯებს.

– 3. პარ. 2-ში მითითებული მიმოხილვის ამსახველი დოკუმენტი ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტისას ეხება იმ კალენდარული წლის პერიოდს, რომელიც ამ მომენტისათვის უკვე გასულია.

– 4. ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტისას შესაბამისი თხოვნის შემთხვევაში, გამქირავებელმა პარ. 2-ში მითითებული მიმოხილვის ამსახველი დოკუმენტის გადაცემის შემდეგ დამქირავებელს უნდა შესთავაზოს ამ მიმოხილვის საფუძველად არსებული დოკუმენტაციისა და სხვა დამხმარე დოკუმენტების შემოწმების შესაძლებლობა.

მუხლი 7:260 მომსახურების ხარჯების განვლის პროცედურა

– 1. თუკი დამქირავებელმა და გამქირავებელმა ვერ მიაღწიეს შეთანხმებას დამქირავებლის ვალდებულებაზე, დაფაროს მომსახურების ხარჯები, მაშინ დამქირავებელს ან გამქირავებელს შეუძლია ქირის თანხების დამდგენ კომისიას მოსთხოვოს ამ საკითხთან დაკავშირებით თავისი გადანყვეტილების მიღება.

– 2. მოთხოვნა ეხება ერთ ვადას არაუმეტეს თორმეტი თვის ხანგრძლივობისა ხარჯის იმ თითოეული კატეგორიისათვის, რომელსაც მოთხოვნა ეხება. მოთხოვნა შეიძლება წარდგენილ იქნეს ოცდაოთხი თვის განმავლობაში გამქირავებლის მიერ 7:259 მუხლის პარ. 2-ში მითითებული მიმოხილვის ამსახველი დოკუმენტის გადაცემის მომენტიდან.

მუხლი 7:261 მომსახურების ხარჯების საავანსო გადახდა

– 1. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარეები ქირავნობის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ სხვაგვარად შეთანხმდნენ, დამქირავებლის მხრიდან ქირავნობის ხელშეკრულების ან სასამართლოს გადანყვეტილების საფუძველზე წინასწარ დასაფარი მომსახურების ხარჯების გადახდა შესაძლებელია:

a. გადახდის იმ ვადის გასვლიდან მეორე დღეს, რომლის განმავლობაშიც შეთანხმებულ იქნა საქონლისა თუ მომსახურების დამატებითი მიწოდება ანდა – გადახდის იმ ვადის დაწყების მომენტიდან, რომლის განმავლობაშიც ძალაში შევა საქონლისა თუ მომსახურების აღნიშნული დამატებითი მიწოდება;

b. გადახდის იმ ვადის გასვლიდან მეორე დღეს, რომლის განმავლობაშიც 7:259 მუხლში მითითებული მიმოხილვის ამსახველი უკანასკნელი დოკუმენტი გადაეცა დამქირავებელს იმ პირობით, რომ ყოველ მიმოხილვას შეიძლება შედეგად მოჰყვეს ქირის თანხის მხოლოდ ერთჯერადი ზრდა.

– 2. დამქირავებელი შებოჭილია მიწოდებული საქონლისა თუ განეული მომსახურების ცვლილებითა და მასთან დაკავშირებული საავანსო გადახდის თანხის ოდენობის კორექტირებით, თუკი ეს ცვლილება დაკავშირებულია იმ საქონელსა თუ მომსახურებასთან, რომლის მიწოდება ან განევა შესაძლებელია მხოლოდ ერთობლივად რამდენიმე დამქირავებლისათვის და, სულ ცოტა, 70% ამ დამქირავებლებისა დაეთანხმა აღნიშნულ ცვლილებას. იმ დამქირავებელს, ვინც არ დაეთანხმა მიწოდებულ საქონელსა თუ განეულ მომსახურებას, გამქირავებლის მხრიდან აღნიშნულ ცვლილებასთან დაკავშირებით, სულ ცოტა, 70% დამქირავებელთან შეთანხმების შესახებ შეტყობინების მიღებიდან რვა კვირის განმავლობაში შეუძლია მოითხოვოს შეთავაზების გონივრულობის თაობაზე სასამართლოს გადანყვეტილების მიღება.

– 3. თუკი დამქირავებლის მიერ განსახორციელებელი საავანსო გადახდის ოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება მოსალოდნელ მომსახურების ხარჯებს, მაშინ ქირის თანხების დამდგენ კომისიას შეუძლია შეამციროს საავანსო გადახდის თანხა დამქირავებლის მოთხოვნის საფუძველზე იმ ოდენობამდე, რომელიც გონივრულ პროპორციაშია აღნიშნულ მომსახურების ხარჯებთან.

§ 3. დასკვნითი დებულებები

მუხლი 7:262 რაიონული სასამართლოსათვის წარსადგენი სასარჩელო მოთხოვნა (სარჩელის უფლება)

– 1. როდესაც ქირის თანხების დამდგენმა კომისიამ მიიღო თავისი გადანყვეტილება დამქირავებლისა თუ გამქირავებლის მოთხოვნის საფუძველზე, როგორც ეს მითითებულია წინამდებარე ქვეგანყოფილების (ქვეგანყოფილება 7.4.5.2) § 1 და § 2-ის ნორმებში, ივარაუდება, რომ დამქირავებელი და გამქირავებელი შეთანხმდნენ ერთმანეთთან იმაზე, რაც განისაზღვრა აღნიშნულ გადანყვეტილებაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ერთ-ერთმა მათგანმა მოითხოვა რაიონული სასამართლოს გადანყვეტილების

მიღება იმ საკითხთან დაკავშირებით, რომლის გადაწყვეტაც მოეთხოვა ქირის თანხების დამდგენ კომისიას, ხოლო სასარჩელო მოთხოვნა კი რაიონულ სასამართლოს წარედგინება მხარეთათვის კომისიის გადაწყვეტილების ასლის გაგზავნიდან რვა კვირის განმავლობაში.

– 2. წინამდებარე მუხლის საფუძველზე მიღებული რაიონულ სასამართლოს გადაწყვეტილების ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრება დაუშვებელია.

მუხლი 7:263 ქირის თანხის ოდენობის ზრდისა თუ შემცირების დაწყების თარიღი

ქირის თანხების დამდგენი კომისიის ან სასამართლოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მომატებული ან შემცირებული ქირის თანხის ოდენობის გადახდევინება შესაძლებელია იმ დღიდან, როდესაც გამქირავებლის ან დამქირავებლის შეთავაზების შესაბამისად ქირის თანხის ოდენობის ზრდა ან შემცირება უნდა შესულიყო ძალაში, ხოლო როდესაც ქირის თანხა შეიცვალა ამ მიზნით შესაბამისი შეთავაზების წარდგენის გარეშე, – იმ დღიდან, როდესაც ქირის თანხების დამდგენ კომისიას სთხოვეს ამ საკითხთან დაკავშირებით თავისი გადაწყვეტილების მიღება ანდა როდესაც რაიონულ სასამართლოს წარედგინა სარჩელი ამავე საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მოსაპოვებლად. იმ შემთხვევებში, როდესაც კომისიის ან სასამართლოს გადაწყვეტილება უთითებს მომატებული ან შემცირებული ქირის თანხის ოდენობის გადახდევინების უფრო გვიანდელ თარიღს, მაშინ ეს უკანასკნელი გახდება ქირის თანხის ოდენობის ზრდისა თუ შემცირების დაწყების დღე.

მუხლი 7:264 ერთ-ერთი მხარისა თუ მესამე პირისათვის არაგონივრული უპირატესობის მინიჭების შესახებ დათქმა

– 1. ბათილია რაიმე განსხვავებული, ნაცვლად ქირის თანხისა, საცხოვრებელი ფართის ქირავნობის ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით შეთანხმებული თითოეული სახელშეკრულებო დებულება იმდენად, რამდენადაც ის ერთ-ერთ მხარეს ანიჭებს არაგონივრულ უპირატესობას.

– 2. ბათილია საცხოვრებელი ფართის ქირავნობის ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით შეთანხმებული თითოეული სახელშეკრულებო დებულება იმდენად, რამდენადაც ის მესამე პირს ანიჭებს არაგონივრულ უპირატესობას ანდა აიძულებს მესამე პირს, მოახდინოს არაგონივრული უპირატესობის მინიჭება.

მუხლი 7:265 კანონის იმპერატიული ნორმები

წინამდებარე ქვეგანყოფილების (ქვეგანყოფილება 7.4.5.2) ნორმებიდან გადახვევა დაუშვებელია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ნორმები სხვა წესს გულისხმობს.

ქვეგანყოფილება 7.4.5.3 – ერთობლივი ქირავნობა და ქირავნობის ხელშეკრულების მოქმედების გაგრძელება

მუხლი 7:266 მეუღლეთა ან რეგისტრირებულ პარტნიორთა ერთობლივი ქირავნობა

– 1. დამქირავებლის მეუღლე ან რეგისტრირებული პარტნიორი კანონის ძალით წარმოადგენს თანადამქირავებელს მანამდე, სანამ გაქირავებული საცხოვრებელი ფართი არის მეუღლის ან რეგისტრირებული პარტნიორის ძირითადი ადგილსამყოფელი მიუხედავად იმისა, ქორწინება ან რეგისტრირებული პარტნიორობა გაფორმდა ქირავნობის ხელშეკრულების დადებამდე ან დადების შემდეგ.

– 2. მეუღლე ან რეგისტრირებული პარტნიორი დამქირავებლის მიმართ სოლიდარულად არის პასუხისმგებელი ქირავნობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე არსებული ვალდებულებებისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ვალდებულებები უკვე ვადამოსული და შესასრულებელი გახდა მანამდე, სანამ მეუღლე ან რეგისტრირებული პარტნიორი გახდებოდა თანადამქირავებელი.

– 3. თუკი ქირავნობის ხელშეკრულება შეწყდა დამქირავებლისათვის, მაშინ თანადამქირავებელი ავტომატურად ხდება დამქირავებელი.

– 4. თუკი პარ. 1-ში მითითებული მეუღლე ან რეგისტრირებული პარტნიორი არ იყენებს გაქირავებულ საცხოვრებელ ფართს სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, როგორც ეს მითითებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 826-ე მუხლის პარ. 1-ის (ა) პუნქტში, ან თანახმად განქორწინებისა თუ განცალკევებით ცხოვრების რეჟიმის ორმხრივი მოთხოვნისა ანდა რეგისტრირებული პარტნიორობის შეწყვეტის შესაბამისად, მაშინ წინამდებარე მუხლის მიზნებისათვის ეს არ იწვევს მისი ძირითადი ადგილსამყოფელის შეცვლას.

- 5. განქორწინებისა თუ განცალკევებით ცხოვრების რეჟიმის ანდა რეგისტრირებული პარტნიორობის შეწყვეტის შემთხვევაში, სასამართლოს მეუღლის ან რეგისტრირებული პარტნიორის მოთხოვნის საფუძველზე შეუძლია დაადგინოს, თუ მეუღლეთაგან ან რეგისტრირებულ პარტნიორთაგან რომელი იქნება საცხოვრებელი ფართის დამქირავებელი. სასამართლო განსაზღვრავს ასევე ამ მეუღლესთან ან რეგისტრირებულ პარტნიორთან ქირავნობის ხელშეკრულების ამოქმედების დღესაც. იმავე დღეს ქირავნობის ხელშეკრულება წყდება სხვა მეუღლესთან ან რეგისტრირებულ პარტნიორთან.

მუხლი 7:267 ერთად მცხოვრები სხვა პირების ერთობლივი ქირავნობა

- 1. როდესაც დამქირავებელმა და სხვა პირმა, რომელსაც თავისი ძირითადი ადგილსამყოფელი აქვს გაქირავებულ საცხოვრებელ ფართში და ვისთანაც დამქირავებელი ეწევა ერთობლივ საოჯახო მეურნეობას, ერთად მიმართეს დამქირავებელს თხოვნით ამ სხვა პირის თანადამქირავებლად გახდომის საკითხთან დაკავშირებით, ხოლო დამქირავებელმა კი სამი თვის განმავლობაში არ განაცხადა ამ თხოვნაზე თავისი წერილობითი თანხმობა, მაშინ დამქირავებელსა და ამ სხვა პირს შეუძლიათ სასამართლო წესით მოითხოვონ ამ სხვა პირის თანადამქირავებლად ცნობა სასამართლოს გადაწყვეტილებაში განსაზღვრული დღიდან. თუკი საცხოვრებელი ფართი არ წარმოადგენს დამქირავებლის და აღნიშნული სხვა პირის, - და ასევე თანადამქირავებლის ერთადერთ ძირითად ადგილსამყოფელს, მაშინ დამქირავებლის მიმართ მოთხოვნა, ისევე როგორც - სასარჩელო მოთხოვნა სასამართლოში შეიძლება წარდგენილ იქნეს ერთობლივად დამქირავებლის, თანადამქირავებლისა და იმ სხვა პირის მიერ, რომელსაც ასევე სურს გახდეს თანადამქირავებელი.

- 2. დამქირავებლისათვის პარ. 1-ში მითითებული მოთხოვნის წარდგენის შემდეგ, სასამართლო ვეღარ დააკმაყოფილებს ქირავნობის ხელშეკრულების გაუქმების მოთხოვნით წარდგენილ სასარჩელო მოთხოვნას იმდენად, რამდენადაც ის წარედგინება იმ საფუძველზე, რომ დამქირავებელი გაქირავებულ საცხოვრებელ ფართში შეთანხმებული პირობების დარღვევით ეწევა ამ სხვა პირთან ერთობლივ საოჯახო მეურნეობას. აღნიშნული ასევე ვერ იქნება საფუძველი ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტისათვის.

- 3. სასამართლოს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია უარი თქვას პარ. 1-ში მითითებული სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე:

a. თუკი პარ. 1-ში მითითებულ პირს არა აქვს თავისი ძირითადი ადგილსამყოფელი გაქირავებულ საცხოვრებელ ფართში, სულ ცოტა, ორი წლის განმავლობაში ანდა თუკი ის არ ეწევა ერთობლივ საოჯახო მეურნეობას დამქირავებელთან ამ საცხოვრებელ ფართში, სულ ცოტა, ორი წლის განმავლობაში;

b. ასევე იმის გათვალისწინებით, თუ რა იქნა დადგენილი ერთობლივ საოჯახო მეურნეობასა და მის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით, - თუკი სასარჩელო მოთხოვნის მიზანი ამკარად არის პარ. 1-ში მითითებული პირისათვის უბრალოდ თანადამქირავებლის ნიშან-თვისებების მცირე ხნით მინიჭება;

c. თუკი პარ. 1-ში მითითებული პირი ფინანსური თვალსაზრისით იძლევა არასაკმარის დარწმუნებულობას იმისა, რომ ის შეძლებს მასზე დაკისრებული ქირის თანხების გადახდასთან დაკავშირებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებას.

- 4. ქირავნობის ხელშეკრულებაში შემოსული პირი და ყოველი ის პირი, ვინც წინამდებარე მუხლის ძალით გახდა დამქირავებელი ან თანადამქირავებელი, სოლიდარულად არის პასუხისმგებელი დამქირავებლის წინაშე ქირავნობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა ვალდებულებისათვის იმ პირობით, რომ თანადამქირავებელი პასუხს არ აგებს იმ ვალდებულებებისათვის, რომლებიც უკვე ვადამოსული და შესასრულებელია მანამდე, სანამ ის თანადამქირავებელი გახდებოდა.

- 5. ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტასთან დაკავშირებული სახელშეკრულებო და კანონისმიერი ნორმები მოქმედებს ცალ-ცალკე პარ. 4-ში მითითებული ყველა პირის მიმართ იმ პირობით, რომ პირი ნებისმიერ შემთხვევაში კარგავს თავის თანადამქირავებლის ნიშან-თვისებას, თუკი მას აღარ აქვს თავისი ძირითადი ადგილსამყოფელი გაქირავებულ საცხოვრებელ ფართში. თუკი ქირავნობის ხელშეკრულება შეწყდა დამქირავებლისათვის, მაშინ თანადამქირავებელი ავტომატურად ხდება დამქირავებელი.

- 6. თუკი საბინაო კანონის მე-2 თავის ნორმები მოქმედებს საცხოვრებელი ფართის მიმართ, მაშინ პარ. 5-გან განსხვავებით, თანადამქირავებელი მხოლოდ იმ შემთხვევაში აგრძელებს ქირავნობას, თუკი სასამართლომ მიიღო ასეთი გადაწყვეტილება იმ სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით, რომელიც აღნიშნული მიზნით წარდგენილ იქნა რვა კვირის განმავლობაში მას შემდეგ, როდესაც თანადამქირავებელი გახდა დამქირავებელი, თუმცაღა, ნებისმიერ შემთხვევაში, - მანამდე, სანამ ამ სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით არ იქნება მიღებული კანონიერ ძალაში შესული და მბოჭავი გადაწყვეტილება. სასამართლოს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია უარი თქვას სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილე-

ბაზე, თუკი მისი წარმდგენი პირი არ ურთავს მას საბინაო ლიცენზიას, რომელიც თავად მისთვის უნდა გაიცეს, როგორც ეს მითითებულია საბინაო კანონის მე-7 მუხლის პარ. 1-ის ნორმებში.

– 7. პარ. 4-ში მითითებულ თითოეულ პირს სასამართლო წესით შეუძლია მოითხოვოს, რომ აღნიშნულთაგან ერთმა ან რამდენიმე პირმა აღარ გააგრძელოს ქირავნობის ხელშეკრულება სასამართლოს გადაწყვეტილებაში დასადგენი დღიდან. სასამართლოს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია დააკმაყოფილოს მოთხოვნა, თუკი ეს აუცილებელია სამართლიანობისა და კონკრეტული გარემოებების ჯეროვანი დაცვის შემთხვევაში იმ პირობით, რომ სასამართლომ უნდა დააკმაყოფილოს მოთხოვნა, თუკი მოსარჩელე დაამტკიცებს იმას, რომ იმ პირმა, რომელსაც სასარჩელო მოთხოვნა ეხება, შეიძინა თანადამქირავებლის ნიშან-თვისება გამქირავებლისადმი მიმართული იმ მოთხოვნის საფუძველზე, რომელიც არ იქნა წარდგენილი მოსარჩელის მიერ, ანდა – პარ. 1-ში მითითებული სასამართლო წესით გამოყენებული სასარჩელო მოთხოვნის საფუძველზე, რომელიც ასევე არ იქნა წარდგენილი მოსარჩელის მიერ.

მუხლი 7:268 თანადამქირავებლისა და ფართის სხვა დამკავებლების მდგომარეობა დამქირავებლის გარდაცვალების შემდეგ

– 1. დამქირავებლის გარდაცვალებისას თანადამქირავებელი ავტომატურად აგრძელებს ქირავნობის ხელშეკრულებას დამქირავებლის სახით. მას შეუძლია შეწყვიტოს ქირავნობის ხელშეკრულება დამქირავებლის გარდაცვალებიდან ექვსი თვის განმავლობაში აღმასრულებლის შეტყობინებით ან დაზღვეული წერილით, რა შემთხვევაშიც ქირავნობა წყდება შეწყვეტის განცხადებიდან მეორე თვის პირველი დღიდან.

– 2. პირი, რომელსაც აქვს თავისი ძირითადი ადგილსამყოფელი გაქირავებულ საცხოვრებელ ფართში და ვისთანაც გარდაცვლილი დამქირავებელი ენეოდა ერთობლივ საოჯახო მეურნეობას, თუმცა ვინც არ გამხდარა ფართის დამქირავებელი პარ. 1-ის ძალით, აგრძელებს ქირავნობის ხელშეკრულებას დამქირავებლის გარდაცვალებიდან ექვსი თვის განმავლობაში; მის მიმართ ასევე მოქმედებს პარ. 1-ის მეორე წინადადების ნორმა. ეს პირი აღნიშნულის შემდგომაც აგრძელებს ქირავნობის ხელშეკრულებას, თუკი სასამართლომ ამგვარად დაადგინა აღნიშნული მიზნით წარდგენილ სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით ექვსი თვისა და, სულ ცოტა, სასამართლო საქმის წარმოების განმავლობაში მანამდე, სანამ მის სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით სასამართლო არ მიიღებს კანონიერ ძალაში შესულ და მხოლოდ გადანაცვლებას.

– 3. სასამართლომ უარი უნდა თქვას პარ. 2-ში მითითებული სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე:

a. თუკი მოსარჩელემ დამაჯერებლად ვერ დაამტკიცა, რომ ის აკმაყოფილებს პარ. 2-ის მოთხოვნებს;

b. თუკი მოსარჩელე ფინანსური თვალსაზრისით იძლევა არასაკმარის დარწმუნებულობას იმისა, რომ ის შეძლებს მასზე დაკისრებული ქირავნობის ხელშეკრულების პირობების შესრულებას;

c. თუკი საბინაო კანონის მე-2 თავის ნორმები მოქმედებს საცხოვრებელი ფართის მიმართ და მოსარჩელე არ წარადგენს საბინაო ლიცენზიას, რომელიც თავად მისთვის გაიცემა, როგორც ეს მითითებულია საბინაო კანონის მე-7 მუხლის პარ. 1-ის ნორმებში.

– 4. 7:267 მუხლის პარ. 4-ის, პარ. 5-ის პირველი წინადადებისა და პარ. 7-ის ნორმები შესაბამისად გამოიყენება თანადამქირავებლისა თუ წინამდებარე მუხლში მითითებული ფართის სხვა დამკავებლების მიმართ.

– 5. როდესაც დგინდება, რომ პირმა შეცდომით მოითხოვა ქირავნობის ხელშეკრულების წინამდებარე მუხლის საფუძველზე გაგრძელება, იმ დროის განმავლობაში, როდესაც ეს პირი სარგებლობდა საცხოვრებელი ფართით, ეს უკანასკნელი პასუხისმგებელი რჩება გამქირავებლის მიმართ იმ ქირავნობის ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე, რომელიც იმოქმედებდა მის მიმართ იმ შემთხვევაში, თუკი ის დამქირავებელი იქნებოდა. როდესაც ორმა ან მეტმა პირმა შეცდომით მოითხოვა ქირავნობის ხელშეკრულების გაგრძელება, ყოველი მათგანი სოლიდარულად აგებს პასუხს გამქირავებლის წინაშე.

– 6. როდესაც სახეზე არ არიან პირები, რომლებიც გააგრძელებენ ქირავნობის ხელშეკრულებას წინამდებარე მუხლის საფუძველზე, მაშინ ეს შეთანხმება წყდება დამქირავებლის გარდაცვალებიდან მეორე თვის ბოლოს. გარდაცვლილი დამქირავებლის მემკვიდრეები უფლებამოსილი არიან, შეწყვიტონ ქირავნობის ხელშეკრულება დამქირავებლის გარდაცვალებიდან პირველი თვის ბოლოს. როდესაც გარდაცვლილი დამქირავებლის სამკვიდრო ნაწილდება სამოქალაქო კოდექსის 4:13 მუხლის შესაბამისად (კანონით მემკვიდრეობა), წინა წინადადებაში მითითებული მემკვიდრეთა მიერ ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება ეკუთვნის გარდაცვლილი დამქირავებლის მეუღლეს ან რეგისტრირებულ პარტნიორს.

– 7. წინამდებარე მუხლის ნორმებიდან გადახვევა დაუშვებელია იმ პირთა ინტერესების საზიანოდ, რომლებსაც წინამდებარე მუხლით მინიჭებული აქვთ ქირავნობის ხელშეკრულების გაგრძელების უფლე-

ბა, და ასევე – პარ. 6-ში მითითებული გარდაცვლილი დამქირავებლის მეუღლისა თუ რეგისტრირებული პარტნიორის მემკვიდრეთა ინტერესების საზიანოდ.

– 8. 7:229 მუხლის პარ. 1 და 3-ის ნორმებიდან გადახვევა დაუშვებელია.

მუხლი 7:269 განცალკევებული საცხოვრებელი სახლის ქვექირავნობის დაცვა

– 1. იმ განცალკევებულ საცხოვრებელ სახლთან დაკავშირებით დადებული ქვექირავნობის ხელშეკრულება, სადაც ქვემოქირავნეს აქვს თავისი ძირითადი ადგილსამყოფელი, გრძელდება გამქირავებლის მიერ იმ შემთხვევაში, როდესაც დამქირავებელსა და გამქირავებელს შორის არსებული ქირავნობის ხელშეკრულება წყდება.

– 2. ექვსი თვის განმავლობაში მას შემდეგ, რაც გამქირავებელმა მოახდინა ქვექირავნობის ხელშეკრულების გაგრძელება პარ. 1-ის შესაბამისად, მას შეუძლია სასამართლო წესით მოითხოვოს ქვექირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტა სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებული დღიდან იმ საფუძველზე, რომ:

a. ქვემოქირავნე ფინანსური თვალსაზრისით იძლევა არასაკმარის დარწმუნებულობას იმისა, რომ ის შეძლებს ქვექირავნობის ხელშეკრულების პირობების შესრულებას;

b. ქვექირავნობის ხელშეკრულება დაიდო ქვემოქირავნისათვის დამქირავებლის ნიშან-თვისებების მინიჭების აშკარა მიზნით;

c. გონივრულობისა და სამართლიანობის სტანდარტების მოცემულ გარემოებებში, ასევე ანალოგიურ საცხოვრებელ ფართებთან დაკავშირებული ქირავნობის ხელშეკრულებების ჩვეულებრივი შინაარსისა და დამქირავებელსა და გამქირავებელს შორის შეწყვეტილი ქირავნობის ხელშეკრულების შინაარსის გათვალისწინებით, ისევე როგორც – გაგრძელებული ქვექირავნობის ხელშეკრულების შინაარსის გათვალისწინებითაც, გამქირავებლისაგან მოსალოდნელი ვერ იქნება ქვემოქირავნესთან ქვექირავნობის ხელშეკრულების გაგრძელება;

d. საბინაო კანონის მე-2 თავის ნორმები მოქმედებს საცხოვრებელი ფართის მიმართ და ქვემოქირავნე არ წარადგენს საბინაო ლიცენზიას, რომელიც თავად მისთვის გაიცემა, როგორც ეს მითითებულია საბინაო კანონის მე-7 მუხლის ნორმებში.

– 3. როდესაც ქვექირავნობის ხელშეკრულება ეხება საცხოვრებელ ფართს, მიუხედავად იმისა, წარმოადგენს თუ არა ის განცალკევებულ თუ დამოკიდებულ საცხოვრებელ სახლს, ის პირი, ვინც 7:266, 7:267 ან 7:268 მუხლების საფუძველზე გახდა დამქირავებელი ან გააგრძელა ქირავნობის ხელშეკრულება, ქვემოქირავნესთან აგრძელებს ქვექირავნობის ხელშეკრულებას.

მუხლი 7:270 საცხოვრებელი სახლების გაცვლა

– 1. დამქირავებელს, რომელსაც სურს საცხოვრებელი სახლების გაცვლა, შეუძლია სასამართლო წესით მოითხოვოს, მის ნაცვლად, ვინმე სხვა პირისათვის მის მიერ დაქირავებული საცხოვრებელი ფართის დამქირავებლის უფლებამოსილების მინიჭება. თუკი საბინაო კანონის მე-2 თავის ნორმები მოქმედებს მის მიერ დაქირავებული საცხოვრებელი ფართის მიმართ, მაშინ მან უნდა წარადგინოს საბინაო ლიცენზია, როგორც ეს მითითებულია საბინაო კანონის მე-7 მუხლის პარ. 1-ის ნორმებში, რომელიც გაიცემა იმ სავარაუდო დამქირავებელზე, ვინც დაიკავებს მის ადგილს.

– 2. სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს კონკრეტული გარემოებების მხედველობაში მიღებით იმ პირობით, რომ მას სასარჩილო მოთხოვნის დაკმაყოფილება შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი დამქირავებელს აქვს საცხოვრებელი სახლების გაცვლის არსებითი ინტერესი, ხოლო ის უარს აცხადებს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, თუკი სავარაუდო დამქირავებელი ფინანსური თვალსაზრისით იძლევა არასაკმარის დარწმუნებულობას იმისა, რომ ის შეძლებს ქირავნობის ხელშეკრულების პირობების ჯეროვნად შესრულებას. გარდა აღნიშნულისა, სასამართლოს შეუძლია თავისი თანხმობის გაცემა დაუკავშიროს განსაზღვრული პირობების შესრულებას ანდა კონკრეტული მითითებები მისცეს დამქირავებელსა და იმ სავარაუდო დამქირავებელს, ვინც დაიკავებს მის ადგილს.

– 3. დამქირავებლის ინტერესების საზიანოდ წინამდებარე მუხლის ნორმებიდან გადახვევა დაუშვებელია.

მუხლი 7:270a ინფორმირების მოვალეობა

იმ შემთხვევაში, როდესაც ხდება ქირავნობის ხელშეკრულების გაგრძელება თანახმად 7:266, 7:268 ან 7:269 მუხლებისა, ის პირი, ვინც აგრძელებს ქირავნობის ხელშეკრულებას, ვალდებულია შეატყობინოს ამის შესახებ გამქირავებელს.

ქვეგანყოფილება 7.4.5.4 – ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტა

მუხლი 7:271 საცხოვრებელი ფართის ქირავნობის შეწყვეტა

– 1. 7:228 მუხლის პარ. 1-გან განსხვავებით, საცხოვრებელ ფართთან დაკავშირებით განსაზღვრული ვადით დადებული ქირავნობის ხელშეკრულება არ წყდება ქირავნობის ვადის ამონაწერისას; ის შეიძლება შეწყდეს თითოეული მხარის მიერ შეწყვეტის შესახებ შეტყობინების წარდგენით, რომელიც ძალაში შედის შეწყვეტის თარიღიდან, რომელიც წარმოადგენს ქირის თანხის გადახდის შეთანხმებულ დღეს და არ ემთხვევა თარიღს იმ მომენტამდე, როდესაც გავიდა განსაზღვრული ვადით დადებული ქირავნობის ხელშეკრულების ვადა.

– 2. საცხოვრებელ ფართთან დაკავშირებული ქირავნობის ხელშეკრულება, რომელიც დაიდო ან გაგრძელდა განუსაზღვრელი ვადით, შეიძლება შეწყდეს თითოეული მხარის მიერ შეწყვეტის შესახებ შეტყობინების წარდგენით, რომელიც ძალაში შედის შეწყვეტის თარიღიდან, რომელიც წარმოადგენს ქირის თანხის გადახდის შეთანხმებულ დღეს.

– 3. შეწყვეტის შესახებ შეტყობინების წარდგენა უნდა მოხდეს აღმასრულებლის შეტყობინებით ან დაზღვეული წერილით. თუკი 7:266 მუხლის შესაბამისად მეუღლე ან რეგისტრირებული პარტნიორი წარმოადგენს თანადაქირავებელს, შეწყვეტის შესახებ შეტყობინება უნდა იყოს მიმართული ცალ-ცალკე ორივე მეუღლისა თუ რეგისტრირებული პარტნიორისადმი.

– 4. გამქირავებლის მიერ შეწყვეტის შესახებ შეტყობინება, ბათილობის სანქციით, უნდა უთითებდეს იმ მიზეზებს, რომლებმაც გამოიწვია ხელშეკრულების შეწყვეტა. ბათილია გამქირავებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტა სხვა მიზეზების საფუძველზე, გარდა 7:274 მუხლის პარ. 1-ში მითითებულისა. შეწყვეტის შესახებ შეტყობინებაში დამქირავებელს უნდა მოეთხოვოს ექვსი კვირის განმავლობაში გამქირავებლის ინფორმირება, ეთანხმება თუ არა ის ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტას.

– 5. ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტისას შემდეგი ვადები უნდა იქნეს დაცული:

a. თუკი ხელშეკრულებას წყვეტს დამქირავებელი: შეტყობინების ვადა, რომელიც შეადგენს დროის პერიოდს ქირავნობის ხელშეკრულებით დადგენილი ორი ერთმანეთის მიმდევარი ქირის თანხების გადახდის დღეებს შორის, რომელიც ამავე დროს არ უნდა იყოს თვეზე ნაკლები და სამ თვეზე მეტი;

b. თუკი ხელშეკრულებას წყვეტს გამქირავებელი: შეტყობინების ვადა არ არის სამ თვეზე ნაკლები, რომლის ერთი თვით გახანგრძლივებაც ხდება იმ ყოველ წელს, რომლის განმავლობაშიც დამქირავებელი უწყვეტად სარგებლობდა გაქირავებული ქონებით ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე, თუმცაღა – არაუმეტეს ექვსი თვისა.

– 6. მიუხედავად აღნიშნულისა, პარ. 1-ის, პარ. 3-ს ან პარ. 5-ის (a) პუნქტის ნორმების დარღვევით და ასევე პარ. 5-ის (b) პუნქტში გათვალისწინებულთან შედარებით უფრო მოკლე ვადიანი შეტყობინების საფუძველზე ხელშეკრულების შეწყვეტა მაინც ჩაითვლება ნამდვილად, თუმცაღა, ამ დროს, – შეწყვეტის იმ თარიღიდან, რომელიც ასეთად დადგენილია კანონით და ასევე კანონით გათვალისწინებული შეტყობინების ვადის დაცვის პირობით.

– 7. ბათილია თითოეული სახელშეკრულებო დებულება, რომელიც უთითებს იმაზე, რომ დამქირავებელმა უნდა დაიცვას შეტყობინების უფრო ხანგრძლივი ვადა, ვიდრე ეს მითითებულია პარ. 5-ის (a) პუნქტში, ან რომ დამქირავებელი იყენებს შეტყობინების უფრო მოკლე ვადას, ვიდრე ეს მითითებულია პარ. 5-ის (b) პუნქტში, ანდა – ის სახელშეკრულებო დებულება, რომელიც გვერდს უვლის წინამდებარე მუხლის ნებისმიერ სხვა ნორმას. ბათილია თითოეული სახელშეკრულებო დებულება, რომლის თანახმადაც ქირავნობის ხელშეკრულება წყდება წინასწარი შეტყობინების გარეშე.

– 8. წინამდებარე მუხლი არ არის რელევანტური, თუკი ქირავნობის ხელშეკრულება წყდება მხარეთა ორმხრივი თანხმობით იმ მომენტში, როდესაც ქირავნობის ხელშეკრულება უკვე დაიდო ორივე მხარისათვის მბოჭავი შედეგით.

მუხლი 7:272 ხელშეკრულების შეწყვეტის სამართლებრივი შედეგი (გამქირავებლის მიერ სასამართლოში წარდგენილი მოთხოვნა)

– 1. იმ დღიდან, როდესაც საცხოვრებელ ფართთან დაკავშირებული ქირავნობის ხელშეკრულება ქმედითად შეწყდა შეტყობინებით, ის რჩება ძალაში კანონის ძალით მანამდე, სანამ სასამართლო არ მიიღებს კანონიერ ძალაში შესულ და მბოჭავ გადანყვეტილებას პარ. 2-ში მითითებული გამქირავებლის სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით.

წინა წინადადება არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც დამქირავებელმა შეწყვეტა ქირავნობის

ხელშეკრულება ანდა როდესაც ის ნერილობით დაეთანხმა ხელშეკრულების შეწყვეტას მას შემდეგ, რაც ეს უკანასკნელი შეწყვიტა გამქირავებელმა.

– 2. თუკი გამქირავებელს ხელშეკრულების შეწყვეტის თარიღიდან ექვსი კვირის განმავლობაში არ მიუღია დამქირავებლის ნერილობითი შეტყობინება იმის თაობაზე, რომ ეს უკანასკნელი ეთანხმება ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტას, მაშინ გამქირავებელს ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ შეტყობინებაში მითითებული საფუძვლებით შეუძლია სასამართლო წესით მოითხოვოს, რომ სასამართლომ განსაზღვროს ის დღე, როდესაც ქირავნობის ხელშეკრულება უნდა შეწყდეს.

მუხლი 7:273 სამართლებრივი შედეგები გამქირავებლის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მასზე უარის დროს

– 1. 7:272 მუხლის პარ. 2-ში მითითებულ სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით გადანყვეტილების მიღებისას, სასამართლოს შეუძლია განიხილოს მხოლოდ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ შეტყობინებაში მითითებული საფუძვლები.

– 2. თუკი სასამართლო უარს ამბობს გამქირავებლის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, მაშინ ქირავნობის ხელშეკრულების მოქმედების გაგრძელება ხდება კანონის ძალით. სასამართლო იღებს გადანყვეტილებას იმ საკითხთან დაკავშირებით, ხელშეკრულების მოქმედება გააგრძელოს განუსაზღვრელი თუ განსაზღვრული ვადით.

– 3. თუკი სასამართლო აკმაყოფილებს გამქირავებლის მოთხოვნას, მაშინ ის ასევე განსაზღვრავს იმ დღესაც, როდესაც დამქირავებელმა უნდა დაცალოს გაქირავებული ქონება. ეს გადანყვეტილება განიხილება როგორც სასამართლოს გადანყვეტილება, რომელშიც დამქირავებელს ეკისრება აღნიშნულ დღეს გაქირავებული ქონების დაცლა.

მუხლი 7:274 საცხოვრებელი ფართების ქირავნობის შეწყვეტის საფუძვლები

– 1. სასამართლოს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია დააკმაყოფილოს 7:272 მუხლის პარ. 2-ში მითითებული გამქირავებლის სასარჩელო მოთხოვნა:

a. თუკი დამქირავებელი არ იქცეოდა ისე, როგორც უნდა მოქცეულიყო კარგი დამქირავებელი;

b. თუკი გამქირავებელმა თავისი სასარჩელო მოთხოვნა დააფუძნა პარ. 2-ში განსაზღვრულ სახელშეკრულებო დათქმას და დაკმაყოფილებულია ასევე ამ პარაგრაფის მოთხოვნებიც გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გამქირავებელს აღარ აქვს გაქირავებული ქონების დაცლის ინტერესი;

c. თუკი გამქირავებელი დამაჯერებლად ამტკიცებს იმას, რომ მას იმდენად სასწრაფოდ ესაჭიროება გაქირავებული ქონების სათავისოდ გამოყენება სხვა მიზნის გამო, ნაცვლად მისი გასხვისებისა, რომ ორივე მხარისა და შესაძლო ქვემოქირავნის ინტერესების გათვალისწინებით, გამქირავებლისაგან მოსალოდნელი ვეღარ იქნება ქირავნობის ხელშეკრულების გაგრძელება და ასევე იკვეთება, რომ დამქირავებელს – გარდა პარ. 4-ში მითითებული დამქირავებლისა – შეუძლია მიიღოს სხვა სათანადო საცხოვრებელი სახლი;

d. თუკი დამქირავებელი არ იღებს გონივრულ შეთავაზებას იმავე საცხოვრებელ ფართთან დაკავშირებული ახალი ქირავნობის ხელშეკრულების დადებაზე იმდენად, რამდენადაც იმ შემთხვევაში, როდესაც 7.4.5.2 ქვეგანყოფილების ნორმები მოქმედებს შეწყვეტილი ქირავნობის ხელშეკრულების მიმართ, აღნიშნული შეთავაზება არ გულისხმობს ქირის თანხისა თუ მომსახურების ხარჯების შეცვლას;

e. თუკი გამქირავებელს სურს გაქირავებული ქონებით კონკრეტული სარგებლობა მინის ნაკვეთის გამოყენების მოქმედი გეგმის თანახმად;

f. თუკი ქირავნობის ხელშეკრულება ეხება დამოკიდებულ საცხოვრებელ ფართს, რომელიც ქმნის იმ საცხოვრებელი სახლის ნაწილს, სადაც გამქირავებელს აქვს თავისი ძირითადი ადგილსამყოფელი, ხოლო დამქირავებელი კი დამაჯერებლად ამტკიცებს იმას, რომ ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის მიმართ მისი ინტერესი გადანონის დამქირავებლის ინტერესს, გააგრძელოს ამ ხელშეკრულების მოქმედება.

– 2. იმ შემთხვევაში, როდესაც გამქირავებელი ამკარად შეთანხმდა ქირავნობის ხელშეკრულებაში იმის შესახებ, რომ გაქირავებული საცხოვრებელი ფართი უნდა დაიცალოს შესაბამის სახელშეკრულებო დათქმაში მითითებული ვადის გასვლის შემდეგ, მას პარ. 1-ის (b) პუნქტის შესაბამისად შეუძლია თავისი სასარჩელო მოთხოვნა დააფუძნოს ასეთ სახელშეკრულებო დათქმას:

a. თუკი ის თავად არასოდეს ცხოვრობდა საცხოვრებელ ფართში და ადრე არასოდეს გაუქირავებია ეს ფართი და აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ თავად სურს მასში ცხოვრება;

b. თუკი გამქირავებელი თავად იკავებდა ადრე გაქირავებულ ფართს და აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ მას თავად სურს მასში ცხოვრება;

ც. თუკი გამქირავებელმა აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ წინა დამქირავებელს კვლავ მიანიჭა გაქირავებულ საცხოვრებელ ფართში ცხოვრების უფლება და მას სურს ხელმისაწვდომი გახადოს ეს ქონება ამ დამქირავებლისათვის.

– 3. პარ. 1-ის (ც) პუნქტის გაგებით გამქირავებლის მიერ გაქირავებული ქონების სათავისოდ გამოყენების საჭიროება არსებობს ასევე იმ შემთხვევაში:

a. თუკი მას სურს გაქირავებული საცხოვრებელი ფართის განახლება და ეს ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის გარეშე შეუძლებელია, ან;

b. თუკი მას სურს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისათვის გაქირავებულ საცხოვრებელ ფართში ცხოვრების უფლების მინიჭება იმ პირობით, რომ ეს ფართი წარმოადგენს განცალკევებულ საცხოვრებელ სახლს, რომელიც:

1°. უკვე თავისი აშენებისას იყო ფუნქციურად მოწყობილი და გამიზნული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიერ დაკავებისათვის, ან

2°. მისი აშენების შემდეგ მისადაგებულ იქნა კანონისმიერი დანაწესის საფუძველზე არსებული ფინანსური დახმარების მიმღები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიერ მისი დაკავებისათვის;

ც. თუკი მას სურს მოხუცი პირისათვის გაქირავებულ საცხოვრებელ ფართში ცხოვრების უფლების მინიჭება იმ პირობით, რომ ეს ფართი წარმოადგენს განცალკევებულ საცხოვრებელ სახლს, რომელიც ქმნის იმ უძრავი ქონების ნაწილს, რომელიც უკვე თავისი აშენებისას იყო ფუნქციურად მოწყობილი და გამიზნული მოხუცი პირების მიერ დაკავებისათვის;

იმ საკითხზე პასუხის გაცემისას, წარმოადგენს თუ არა საცხოვრებელი ფართი დამქირავებლისათვის სათანადო საცხოვრებელ სახლს, სასამართლო ყურადღებას არ აქცევს სახელმწიფოს იმ გასაცემებს, რომლებიც დამქირავებელმა შეიძლება მიიღოს კომპენსაციის სახით იმ ქირისა თუ ხარჯების თანხებისათვის, რაც მან უნდა გადაიხადოს საცხოვრებელი ფართით სარგებლობისათვის.

– 4. პარ. 1-ის (ც) პუნქტის გაგებით გამქირავებლის მიერ გაქირავებული ქონების სათავისოდ გამოყენების საჭიროება არსებობს იმ შემთხვევაში, როდესაც მას სურს სტუდენტისათვის გაქირავებულ საცხოვრებელ ფართში ცხოვრების უფლების მინიჭება, თუკი:

1°. ეს საცხოვრებელი ფართი ქირავნობის ხელშეკრულების ძალით სტუდენტისათვის არის გათვალისწინებული, როგორც ეს მითითებულია წინამდებარე პარაგრაფში;

2°. იმ დამქირავებელმა, ვის მიმართაც წარდგენილ იქნა პარ. 1-ში მითითებული სასარჩელო მოთხოვნა, არ შეასრულა გამქირავებლის წერილობითი მოთხოვნა – რომელიც შესაძლოა წარდგენილ იქნეს ყოველწლიურად – სამი თვის განმავლობაში გადასცეს მას დამქირავებლის ინსტიტუტში, უნივერსისტეტსა თუ კოლეჯში რეგისტრაციის დამადასტურებელი მტკიცებულების ასლი, როგორც ეს მითითებულია წინამდებარე პარაგრაფში მიმდინარე სასწავლო წლისათვის, და

3°. იმ დამქირავებელთან დადებულ ქირავნობის ხელშეკრულებაში, ვის მიმართაც წარდგენილ იქნა პარ. 1-ში მითითებული სასარჩელო მოთხოვნა, გათვალისწინებულია დათქმა, რომლის თანახმადაც ამ ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ საცხოვრებელი ფართი უნდა გაქირავდეს კვლავ სტუდენტზე, როგორც ეს მითითებულია წინამდებარე პარაგრაფში.

წინამდებარე პარაგრაფში „სტუდენტის“ ქვეშ მოიაზრება: მონაწილე, ვინც რეგისტრირებულია ინსტიტუტში, როგორც ეს მითითებულია ზრდასრულებისა და პროფესიული განათლების შესახებ კანონის 1.1.1 მუხლის (b) კომპონენტში ან ვინც რეგისტრირებულია უნივერსისტეტსა თუ კოლეჯში, როგორც ეს მითითებულია უმაღლესი განათლებისა და სამეცნიერო განათლების შესახებ კანონის 1.2 მუხლის (a) და (b) კომპონენტებში.

– 5. ის სასარჩელო მოთხოვნა, რომელიც ეფუძნება პარ. 1-ის (ც) პუნქტის გაგებით გამქირავებლის მიერ საცხოვრებელი ფართის სათავისოდ გამოყენების საჭიროებას, არ ექვემდებარება დაკმაყოფილებას:

a. თუკი საბინაო კანონის მე-2 თავის ნორმები მოქმედებს შესაბამისი საცხოვრებელი ფართის მიმართ მანამდე, სანამ გამქირავებელი არ წარადგენს საბინაო ლიცენზიას, რომელიც თავად მისთვის გაიცემა, როგორც ეს მითითებულია საბინაო კანონის მე-7 მუხლის პარ. 1-ის ნორმებში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გამქირავებლის მიერ საცხოვრებელი ფართის სათავისოდ გამოყენების საჭიროება მოიცავს რაიმე სხვა მოქმედებას, ნაცვლად ცხოვრებისა;

b. თუკი გამქირავებელი წარმოადგენს წინა გამქირავებლის უფლებამონაცვლეს და ხელშეკრულების შეწყვეტა მოხდა სამი წლის განმავლობაში მას შემდეგ, რაც უფლებამონაცვლეობის ფაქტი წერილობით შეატყობინეს დამქირავებელს.

– 6. პარ. 1-ის (a) და (b) პუნქტებში მითითებულ შემთხვევებში, სასამართლოს სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებამდე შეუძლია დამქირავებელს მისცეს მაქსიმუმ ერთთვიანი ვადა მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის ანდა, საერთოდაც, შეთავაზების მიღებისათვის.

– 7. პარ. 3-ში მითითებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ქვეშ მოიზრება პირი, ვინც ავადმყოფობისა თუ დაავადების შედეგად საგრძნობ შეზღუდვებს განიცდის.

მუხლი 7:275 გადასვლისა და შესახლების ხარჯები

– 1. როდესაც სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ ხელშეკრულების შეწყვეტისათვის არსებულ იმ საფუძველზე დაყრდნობით, რომლებიც განსაზღვრულია 7:274 მუხლის პარ. 1-ის (c) და (e) პუნქტებში, მას შეუძლია დაადგინოს ის თანხა, რომელიც გამქირავებელმა უნდა გადაუხადოს დამქირავებელს კომპენსაციის სახით ამ უკანასკნელის მიერ გასანევი გადასვლისა და შესახლების ხარჯების დასაფარად.

– 2. მანამდე, სანამ სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას, რომლითაც ის დაადგენს აღნიშნულ თანხას, მას შეუძლია განუცხადოს თავისი განზრახვის შესახებ ორივე მხარეს და დაადგინოს ვადა, რომლის განმავლობაშიც გამქირავებელს შეუძლია გაიხმოს ხელშეკრულების შეწყვეტა. თუკი გამქირავებელი იყენებს ამ გამოსმობის უფლებას, მაშინ სასამართლომ უნდა მიიღოს მხოლოდ საქმის წარმოების ხარჯებთან დაკავშირებული გადაწყვეტილება.

– 3. იმ შემთხვევაში, თუკი ქირავნობის ხელშეკრულება შეწყდა, 7:274 მუხლის პარ. 3-ის (a) პუნქტისა და 7:274 მუხლის პარ. 1-ის (e) პუნქტის ნორმებთან კავშირში, 7:274 მუხლის პარ. 1-ში განსაზღვრულ საფუძველზე დაყრდნობით, გამქირავებელი მონაწილეობს იმ ხარჯების დაფარვაში, რომლებიც დამქირავებელმა უნდა გასწიოს ადგილმონაცვლეობისათვის (გადასვლისა და შესახლების ხარჯები).

– 4. ადგილმონაცვლეობისა (გადაადგილების) და შესახლების ხარჯებში მინიმალური მონაწილეობა, რომლებიც უნდა გასწიონ განცალკევებული საცხოვრებელი სახლების, მოძრავი სახლებისა და მათი სადგარების დამქირავებლებმა, განისაზღვრება განსახლების, თემებისა და ინტეგრაციის მინისტრის ბრძანების მეშვეობით და იცვლება ყოველ წელს 1 მარტამდე იმდენად, რამდენადაც სამომხმარებლოს ფასის ინდექსი იძლევა ამის საფუძველს. პირველ წინადადებაში ნახსენები თანხა უნდა დამრგვალდეს ევროებში მეტისკენ ან ნაკლებისკენ.

– 5. გადასვლისა და შესახლების ხარჯებში მონაწილეობისა თუ შესაბამისი საკომპენსაციო თანხები, რომლებიც დამქირავებელზე გაიცემა მუნიციპალიტეტის მიერ, შესაძლოა გამოაკლდეს იმ თანხებს, რომლებიც დამქირავებელმა უნდა გადაიხადოს პარ. 4-ის შესაბამისად.

მუხლი 7:276 პასუხისმგებლობა, რომელიც დგება იმ შემთხვევაში, როდესაც გამქირავებელს სასწრაფოდ არ ესაჭიროებოდა საცხოვრებელი ფართის სათავისოდ გამოყენება

– 1. თუკი გამქირავებელმა შეწყვიტა ქირავნობის ხელშეკრულება 7:274 მუხლის პარ. 1-ის (c) პუნქტში მითითებულ საფუძველზე, ხოლო დამქირავებელი კი დაეთანხმა ამ საფუძველზე ქირავნობის შეწყვეტას ანდა ამავე საფუძველზე სასამართლოს მიერ დაკმაყოფილდა გამქირავებლის მხრიდან წარდგენილი ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის სასარჩელო მოთხოვნა, მაშინ გამქირავებელი პასუხისმგებელია დამქირავებლის წინაშე ზიანისათვის, თუკი აღმოჩნდება, რომ მას სინამდვილეში არასოდეს ესაჭიროებოდა სასწრაფოდ საცხოვრებელი ფართის სათავისოდ გამოყენება.

– 2. სანინააღმდეგო მტკიცებულების არსებობის პირობით, არასოდეს მიიჩნევა, რომ გამქირავებელს სასწრაფოდ ესაჭიროებოდა საცხოვრებელი ფართის სათავისოდ გამოყენება, თუკი ის მუდმივად არ იყენებს თავად საცხოვრებელ ფართს ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ ერთი წლის განმავლობაში.

– 3. თუკი სასამართლო აკმაყოფილებს გამქირავებლის მხრიდან წარდგენილი ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის სასარჩელო მოთხოვნას შეწყვეტის 7:274 მუხლის პარ. 1-ის (c) პუნქტში მითითებულ საფუძველზე, მას დამქირავებლის მოთხოვნის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით შეუძლია დაადგინოს ის თანხა, რომელიც გამქირავებელმა უნდა გადაუხადოს დამქირავებელს, თუკი შემდგომში გამოვლინდა, რომ გამქირავებელს სინამდვილეში არასოდეს ესაჭიროებოდა სასწრაფოდ საცხოვრებელი ფართის სათავისოდ გამოყენება, მიუხედავად დამქირავებლის უფლებისა, მოითხოვოს სხვა ხარჯების ანაზღაურება.

– 4. საკომპენსაციო თანხის მოთხოვნა, რომელიც დამქირავებელს შეიძლება ჰქონდეს წინამდებარე მუხლის ძალით, ხანდაზმული ხდება ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტიდან ხუთი წლის ვადის გასვლისას.

– 5. წინა პარაგრაფებში მითითებულ შემთხვევებში, გამქირავებელმა საკომპენსაციო თანხები უნდა გადაუხადოს ასევე იმ ქვემოქირავნებსაც, რომლებსაც გაქირავებული საცხოვრებელი ფართი ან მისი ნაწილი კანონიერად გადაეცათ ქვექირავნობით ანდა რომლებიც უფლებამოსილი იყვნენ გაეგრძელებინათ თავიანთი ხელშეკრულებები ძირითად გამქირავებელთან 7:269 მუხლის ძალით. ასეთ შემთხვევაში შესაბამისად გამოიყენება წინა პარაგრაფების ნორმები.

მუხლი 7:277 ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტა მისი ვადის გახანგრძლივების შემდეგ

– 1. თუკი სასამართლომ გაახანგრძლივა ქირავნობის ხელშეკრულების ვადა, მაშინ გამქირავებელს შეუძლია კვლავ შეწყვიტოს ის 7:271 მუხლის ნორმებისა და წინამდებარე მუხლის პარ. 2-ში მითითებული შეტყობინების ვადის ჯეროვანი დაცვით და ასევე მას შეუძლია წარადგინოს სასარჩელო მოთხოვნა 7:272 მუხლიდან 7:274 მუხლის ჩათვლით ნორმების შესაბამისად, რომლებშიც ის სთხოვს სასამართლოს, დაადგინოს ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის თარიღი.

– 2. თუკი სასამართლომ განუსაზღვრელი ვადით გაახანგრძლივა ქირავნობის ხელშეკრულება, მაშინ გამქირავებელი ვერ შეწყვეტს მას კვლავ სამწლიანი ვადის გასვლამდე იმ დღიდან, როდესაც სასამართლომ გადაწყვეტილება შევა კანონიერ ძალაში და გახდება მზოჭავი. თუკი სასამართლომ ქირავნობის ხელშეკრულება გაახანგრძლივა განსაზღვრული ვადით, მაშინ გამქირავებელს კვლავაც შეუძლია მისი შეწყვეტა, თუმცაღა – არაუადრეს სამი თვისა იმ განსაზღვრული ვადის ამონურვამდე, რა ვადითაც იქნა ხელშეკრულება გახანგრძლივებული.

მუხლი 7:278 ძირითადი ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის სამართლებრივი შედეგები ქვემოქირავნეთა მიმართ

– 1. საცხოვრებელ ფართთან დადებული ქვექირავნობის ხელშეკრულება, რომლის გაგრძელებაც 7:269 მუხლის ნორმების საფუძველზე ძირითადი ქირავნობის ხელშეკრულების ძირითადი გამქირავებლის მიერ შეწყვეტის შემდეგ შეუძლებელი აღმოჩნდა, წყდება იმ დღეს, როდესაც ძირითადმა დამქირავებელმა უნდა დაცალოს საცხოვრებელი ფართი 7:273 მუხლის პარ. 3-ის ნორმების საფუძველზე ძირითადი გამქირავებლის მიერ წარდგენილი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებით მიღებული სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად.

– 2. თუკი ძირითადმა დამქირავებელმა საკმარისად არ დაიცვა ქვემოქირავნის ინტერესები იმ დროს, როდესაც ძირითადი ქირავნობის ხელშეკრულება შეწყდა ანდა როდესაც დადგინდა ის თარიღი, როდესაც ძირითადმა დამქირავებელმა უნდა დაცალოს საცხოვრებელი ფართი, მაშინ ის ვალდებულია აანაზღაუროს ის ზიანი, რომელიც აღნიშნულის შედეგად მიაღდა ქვემოქირავნის.

– 3. ძირითადი დამქირავებელი, ვის მიმართაც ძირითადმა დამქირავებელმა წარადგინა სასარჩელო მოთხოვნა, რომელიც ეხება ქვემოქირავნის ინტერესებს, უფლებამოსილია მოინვიოს ეს უკანასკნელი სასამართლოში.

მუხლი 7:279 გამოუსადეგარი ან საშიში საცხოვრებელი სახლის ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტა

– 1. თუკი გაქირავებული საცხოვრებელი ფართის ნაწილი, რომელიც დამქირავებელმა და, აუცილებლობის შემთხვევაში, მისმა ოჯახმა უნდა გამოიყენოს საცხოვრებლად, 7:204 მუხლში აღნიშნული ნაკლის არსებობის გამო გამოუსადეგარია საცხოვრებლად, ანდა თუკი ნაკლის გამოსწორების მიზნით ჩასატარებელი სარემონტო სამუშაოების შედეგად საცხოვრებელი ფართის აღნიშნული ნაწილი საცხოვრებლად უვარგისი ხდება ან გახდება მომავალში, მაშინ დამქირავებელი უფლებამოსილია, შეწყვიტოს ქირავნობის ხელშეკრულება სამოქალაქო კოდექსის 6:267 მუხლის ნორმების საფუძველზე.

– 2. დამქირავებელს მსგავსი შესაძლებლობები აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც გაქირავებული საცხოვრებელი ფართით სარგებლობა საშიში გახდა.

– 3. შესაბამისად გამოიყენება 7:210 მუხლის პარ. 2-ის ნორმები.

მუხლი 7:280 გადავადების პერიოდი

7:231 მუხლის საფუძველზე ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტამდე, სასამართლოს შეუძლია მისცეს დამქირავებელს მაქსიმუმ ერთთვიანი ვადა მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის.

მუხლი 7:281 ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტა გაქირავებული ქონების დაშვებული მინათსარგებლობის რეალიზაციის მიზნით

– 1. თუკი პირი გამქირავებელი ხდება 7:226 მუხლის საფუძველზე და მას სურს გაქირავებული ქონების კონკრეტული მიზნით გამოყენება მინათსარგებლობის მოქმედი გეგმის შესაბამისად, მაშინ სასამართლომ გამქირავებლის სასარჩელო მოთხოვნის საფუძველზე უნდა შეწყვიტოს ქირავნობის ხელშეკრულება მის გადაწყვეტილებაში განსაზღვრული თარიღიდან.

– 2. დამქირავებელი და ქვემოქირავნი, რომელსაც გაქირავებული ქონება კანონიერად გადაეცა ქვექირავნობით ან ვისთანაც ქირავნობის ხელშეკრულება სხვაგვარად გაგრძელდებოდა 7:269 მუხლის საფუძველზე, უფლებამოსილი არიან, ანაზღაურონ შესაბამისი ზიანი. თუკი ქირავნობის ან ქვექირავნობის პერიოდი გაგრძელდებოდა, სულ ცოტა, ერთი წელი იმ დროს, როდესაც ხელშეკრულება არ იქნებოდა შეწყვეტილი, მაშინ ზიანის ანაზღაურების თანხა უნდა შეადგენდეს, სულ ცოტა, ორი წლის ქირის ოდენობას. თუკი ქირავნობის ან ქვექირავნობის პერიოდი გაგრძელდებოდა ერთ წელზე ნაკლების ვადით იმ დროს, როდესაც ხელშეკრულება არ იქნებოდა შეწყვეტილი, მაშინ ზიანის ანაზღაურების თანხა უნდა შეადგენდეს, სულ ცოტა, ერთი წლის ქირის ოდენობას. ზიანის ოდენობის გამოთვლისას მხედველობაში არ მიიღება გაქირავებული ქონების ის ცვლილებები, რომლებიც აშკარად განხორციელდა ზიანის ანაზღაურების მოცულობის გაზრდის მიზნით.

მუხლი 7:282 კანონის იმპერატიული ნორმები

დამქირავებლისა და ქვემოქირავნის ინტერესების საზიანოდ 7:272 მუხლიდან 7:281 მუხლის ჩათვლით ნორმებიდან გადახვევა დაუშვებელია.

[7:283 – 7:289 მუხლები დარეზერვებულია შესაძლო საკანონმდებლო ცვლილებებისათვის]

განყოფილება 7.4.5 – საცალო ვაჭრობის ფართების ქირავნობა

მუხლი 7:290 ნორმების მოქმედება „საცალო ვაჭრობის ფართებთან“ მიმართებაში

– 1. წინამდებარე განყოფილების (განყოფილება 7.4.6) ნორმები მოქმედებს საცალო ვაჭრობის ფართებთან დაკავშირებით დადებული ქირავნობის ხელშეკრულებების მიმართ.

– 2. „საცალო ვაჭრობის ფართის“ ცნების ქვეშ მოიაზრება:

a. აშენებული უძრავი ნივთი ან მისი ნაწილი, რომელიც ქირავნობის ხელშეკრულების თანახმად გამიზნულია საცალო ვაჭრობის ბიზნესის, მაღაზიების, რესტორნების, კაფეებისა თუ ბარების, პროდუქციის თან წაღებისა თუ მიწოდების სერვისის ან ხელნაკეთი ნამუშევრების ბიზნესისათვის იმ პირობით, რომ გაქირავებული ფართი მოიცავს შენობის სივრცეს, რომელიც ღიაა საზოგადოებისათვის საქონლის პირდაპირი მიწოდებისა თუ მომსახურების პირდაპირი განევისათვის;

b. აშენებული უძრავი ნივთი ან მისი ნაწილი, რომელიც ქირავნობის ხელშეკრულების თანახმად გამიზნულია სასტუმროდ გამოყენებისათვის;

c. უძრავი ნივთი, რომელიც ქირავნობის ხელშეკრულების თანახმად გამიზნულია კარვის ქალაქის საწარმოს სახით გამოყენებისათვის.

– 3. პარ. 2-ში მითითებულ საცალო ვაჭრობის ფართს მიეკუთვნება ასევე ასეთ ფართებთან დაკავშირებული მოწყობილობები, შესაბამისი მიწის ნაკვეთი და მასთან დაკავშირებული საცხოვრებელი სახლი იმ დანიშნულებით გამოყენების გათვალისწინებით, რისთვისაც გამიზნულია საცალო ვაჭრობის ფართი.

მუხლი 7:291 ნაწილობრივ იმპერატიული კანონის ნორმები

– 1. დამქირავებლის ინტერესების საზიანოდ წინამდებარე განყოფილების (განყოფილება 7.4.6) ნორმებიდან გადახვევა დაუშვებელია.

– 2. თუმცაღა, მიუხედავად აღნიშნულისა, ის სახელშეკრულებო დებულებები, რომლებიც დამქირავებლის ინტერესების საზიანოდ უხვევს წინამდებარე განყოფილების (განყოფილება 7.4.6) ნორმებიდან, ამ მიზეზით მაინც ვერ გაბათილდება, თუკი ეს დებულებები მოწონებულ იქნა სასამართლოს მიერ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქმე ეხება 7:307 მუხლის ნორმებიდან გადახვევას.

– 3. თითოეულ მხარეს შეუძლია მოითხოვოს სასამართლოს ასეთი თანხმობა. ეს უკანასკნელი გაცივმა იმ შემთხვევაში, თუკი სახელშეკრულებო დებულება ზიანს არ აყენებს დამქირავებლის მიერ წინამდებარე განყოფილებიდან (განყოფილება 7.4.6) მიღებულ ელემენტარულ უფლებებს ანდა თუკი მისი სოციალური მდგომარეობა გამქირავებლის სოციალური მდგომარეობასთან შედარებით ისეთია, რომ მას

გონივრულად არ ესაჭიროება წინამდებარე განყოფილების (განყოფილება 7.4.6) ნორმებით გათვალისწინებული დაცვა.

– 4. იმ მიზეზებთან ერთად, რასაც მოთხოვნა ეფუძნება, ის შეიცავს მოსაწონებელი სახელშეკრულებო დებულების ტექსტსაც.

მუხლი 7:292 ქირავნობის სანყისი ვადა და ქირავნობის გახანგრძლივებული ვადა

– 1. საცალო ვაჭრობის ფართთან დაკავშირებული ქირავნობის ხელშეკრულების ხანგრძლივობა შეადგენს ხუთ წელს, ხოლო თუკი მხარეთა მიერ შეთანხმებულია უფრო ხანგრძლივი ფიქსირებული ვადა, – მაშინ ხელშეკრულების ხანგრძლივობა ეს უკანასკნელი იქნება.

– 2. თუკი ქირავნობის სანყისი ვადა შეადგენს ხუთ წელს, მაშინ მისი ამონურვის შემდეგ ქირავნობის ხელშეკრულების ვადა კანონის ძალით გახანგრძლივდება მეორე ხუთწლიანი ვადით. თუკი ქირავნობის სანყისი ვადა ხუთ წელზე მეტი იყო, თუმცაღა – ათ წელზე ნაკლები, მაშინ მისი ამონურვის შემდეგ ქირავნობის ხელშეკრულების ვადა კანონის ძალით გახანგრძლივდება იმ მეორე ვადით, რომელიც ხუთწლიან ვადაზე იმდენით ნაკლებია, რამდენითაც ქირავნობის სანყისი ვადა ხუთ წელზე მეტი იყო {ქირავნობის სანყისი და მეორე ვადები ერთად უტოლდება ათ წელს}.

მუხლი 7:293 შეტყობინების ვადა და ხელშეკრულების შეწყვეტის ფორმალობები

– 1. საცალო ვაჭრობის ფართთან დაკავშირებული ქირავნობის ხელშეკრულება, რომლის ვადაა ხუთი წელი, ანდა რომლის ვადაც ხუთ წელზე მეტია, თუმცაღა – ათ წელზე ნაკლები, შეიძლება შეწყდეს თითოეული მხარის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ შეტყობინების გაგზავნით, რომელიც ძალაში შედის შეწყვეტის თარიღიდან 7:292 მუხლის პარ. 2-ში მითითებული ქირავნობის სანყისი ან გახანგრძლივებული ვადების დასრულებისთანავე. 7:228 მუხლის პარ. 1 და 2-ის პირველი წინადადების ნორმები არ გამოიყენება.

– 2. შეწყვეტის შესახებ შეტყობინების წარდგენა უნდა მოხდეს აღმასრულებლის შეტყობინებით ან დაზღვეული წერილით. შეწყვეტის შესახებ შეტყობინების ვადა შეადგენს, სულ ცოტა, ერთ წელს.

– 3. შეტყობინება არ მოითხოვება, როდესაც ქირავნობის ხელშეკრულება წყდება მხარეთა ორმხრივი თანხმობით იმ მომენტში, როდესაც ქირავნობის ხელშეკრულება უკვე დაიდო ორივე მხარისათვის მბოჭავი შედეგით.

მუხლი 7:294 ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლების ხსენება

გამქირავებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ შეტყობინება ბათილია, თუკი ის არ უთითებს იმ საფუძვლებზე, რომლებმაც გამოიწვია შედეგად ხელშეკრულების შეწყვეტა.

მუხლი 7:295 ხელშეკრულების შეწყვეტის სამართლებრივი შედეგი (გამქირავებლის მიერ სასამართლოში წარდგენილი მოთხოვნა)

– 1. იმ დღიდან, როდესაც საცალო ვაჭრობის ფართთან დაკავშირებული ქირავნობის ხელშეკრულება ქმედითად შეწყდა შეტყობინებით, ის რჩება ძალაში კანონის ძალით მანამდე, სანამ სასამართლო არ მიიღებს კანონიერ ძალაში შესულ და მბოჭავ გადანყვეტილებას პარ. 2-ში მითითებული გამქირავებლის სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით. თუმცაღა, თუკი ჩანს, რომ გამქირავებლის შესაგებელი დაუსაბუთებელია, სასამართლოს შეუძლია მიიღოს გადანყვეტილება, რომელიც ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღსრულებას. წინა ორი წინადადება არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც გამქირავებელმა შეწყვიტა ქირავნობის ხელშეკრულება ანდა როდესაც ის წერილობით დაეთანხმა ხელშეკრულების შეწყვეტას მას შემდეგ, რაც ეს უკანასკნელი შეწყვიტა გამქირავებელმა.

– 2. თუკი გამქირავებელს ხელშეკრულების შეწყვეტის თარიღიდან ექვსი კვირის განმავლობაში არ მიუღია გამქირავებლის წერილობითი შეტყობინება იმის თაობაზე, რომ ეს უკანასკნელი ეთანხმება ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტას, მაშინ გამქირავებელს ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ შეტყობინებაში მითითებული საფუძვლებით შეუძლია სასამართლო წესით მოითხოვოს, რომ სასამართლომ განსაზღვროს ის დღე, როდესაც ქირავნობის ხელშეკრულება უნდა შეწყდეს.

მუხლი 7:296 ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები

– 1. თუკი ქირავნობის ხელშეკრულება წყდება მისი შეწყვეტის თარიღიდან 7:292 მუხლის პარ. 1-ში მითითებული ქირავნობის სანყისი ვადის დასრულებისთანავე, მაშინ გამქირავებლის სასარჩელო მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს სასამართლოს მიერ მხოლოდ იმ საფუძველზე, რომ:

a. დამქირავებლის სამენარმო საქმიანობა არ იყო კარგი დამქირავებლის საქმიანობის შესაბამისი, ან
b. გამქირავებელმა დამაჯერებლად დაამტკიცა, რომ მას, მის მეუღლეს, რეგისტრირებულ პარტნიორს, პირდაპირი ხაზით სისხლით ნათესავს, პირდაპირი ხაზით მოყვარეს ან ნაშვილებს სურს პირადად მიიღოს გაქირავებული საცალო ვაჭრობის ფართით მუდმივი სარგებლობა და, შესაბამისად, გამქირავებელს სასწრაფოდ ესაჭიროება საცალო ვაჭრობის ფართის სათავისოდ გამოყენება. მუდმივი სარგებლობის ცნების ქვეშ მოიაზრება ასევე საცალო ვაჭრობის ფართის განახლების მიზნით სარგებლობაც იმდენად, რამდენადაც ეს შეუძლებელია ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის გარეშე, თუმცა ალ-ნიშნული არ მოიცავს საცალო ვაჭრობის ფართის გასხვისებას.

– 2. პარ. 1-ის (b) პუნქტის საფუძველზე წარდგენილი სასარჩელო მოთხოვნა არ ექვემდებარება დაკმაყოფილებას, თუკი გამქირავებელი არის იმ წინა გამქირავებლის უფლებამონაცვლე, რომლის მეუღლეს, რეგისტრირებულ პარტნიორს, პირველი რიგის სისხლით ნათესავს, პირველი რიგის მოყვარეს ან ნაშვილებსაც ის არ წარმოადგენს, ხოლო ხელშეკრულების შეწყვეტა კი ხორციელდება სამი წლის განმავლობაში აღნიშნული უფლებამონაცვლეობის შესახებ დამქირავებლისათვის წერილობითი ფორმით შეტყობინების შემდეგ. ნაშვილების ცნების ქვეშ მოიაზრება პირი, რომელიც აიყვანეს სამზრუნველიდ და აღსაზრდელად, როგორც საკუთარი შვილი.

– 3. თუკი 7:292 მუხლის პარ. 2-ის საფუძველზე ქირავნობის ხელშეკრულება გახანგრძლივდა ქირავნობის მეორე ვადით და გამქირავებელი წყვეტს მას ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ შეტყობინების გაგზავნით, რომელიც ძალაში შედის შეწყვეტის თარიღიდან აღნიშნული მეორე ვადის დასრულებისთანავე, მაშინ სასამართლოს შეუძლია დააკმაყოფილოს მისი სასარჩელო მოთხოვნა ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის მიმართ გამქირავებლის ინტერესებისა და ქირავნობის ხელშეკრულების გაგრძელების მიმართ დამქირავებლის ინტერესების გონივრული დაცვით, ისევე როგორც – იმ შესაძლო ქვემოქირავნეთა ინტერესების დაცვით, რომლებსაც საცალო ვაჭრობის ფართი ან მისი ნაწილი კანონიერად გადაეცა ქვექირავნობით. თუკი, ერთი მხრივ, დამქირავებლისა და ქვემოქირავნის ზემოაღნიშნული ინტერესებისა და, მეორე მხრივ, გამქირავებლის ზემოაღნიშნული ინტერესების გონივრულ შედარებას შედეგად მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ დამქირავებელს ვერ ექნება გაქირავებული საცალო ვაჭრობის ფართის დაცვის მოლოდინი, მაშინ სასამართლომ უარი უნდა თქვას დამქირავებლის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

– 4. პარ. 3-ში მითითებულ შემთხვევაში, სასამართლომ უნდა დააკმაყოფილოს გამქირავებლის მოთხოვნა მიუხედავად შესაბამისი მხარეების ინტერესების გონივრული შეფარდების შედეგისა, თუკი:

a. დამქირავებლის სამენარმო საქმიანობა არ იყო კარგი დამქირავებლის საქმიანობის შესაბამისი, ან

b. გამქირავებელმა დამაჯერებლად დაამტკიცა, რომ მას ანდა პარ. 1-ის (b) პუნქტში მითითებულ ერთ-ერთ პირს სურს პირადად მიიღოს გაქირავებული საცალო ვაჭრობის ფართით მუდმივი სარგებლობა და, შესაბამისად, გამქირავებელს სასწრაფოდ ესაჭიროება საცალო ვაჭრობის ფართის სათავისოდ გამოყენება იმ პირობით, რომ აღნიშნულს ხელს არ უშლის პარ. 2-ში გათვალისწინებული ნორმა;

c. დამქირავებელი არ იღებს გაქირავებულ საცალო ვაჭრობის ფართთან დაკავშირებით ახალი ხელშეკრულების დადების გონივრულ შეთავაზებას იმდენად, რამდენადაც ეს უკანასკნელი არ გულისხმობს ქირის თანხის ოდენობის შეცვლას, ან;

d. გამქირავებელს სურს გაქირავებული ქონების კონკრეტული მიზნით გამოყენება მინათსარგებლობის მოქმედი გეგმის შესაბამისად.

– 5. თუკი სასამართლო აკმაყოფილებს გამქირავებლის მოთხოვნას, მაშინ ის განსაზღვრავს ასევე იმ დღესაც, როდესაც დამქირავებელმა უნდა დაცალოს გაქირავებული ქონება. ეს გადაწყვეტილება განიხილება როგორც სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელშიც დამქირავებელს ეკისრება აღნიშნულ დღეს გაქირავებული ქონების დაცლა.

მუხლი 7:297 გადასვლისა და შესახლების ხარჯები

– 1. ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ გამქირავებლის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების გადანყვეტილებაში სასამართლოს შეუძლია დაადგინოს ის თანხა, რომელიც გამქირავებელმა უნდა გადაუხადოს კომპენსაციის სახით დამქირავებელს ამ უკანასკნელის მიერ გასანევი გადასვლისა და შესახლების ხარჯების დასაფარად.

– 2. მანამდე, სანამ სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას, რომლითაც ის დაადგენს პარ. 1-ში მითითებულ თანხას, მას შეუძლია განუცხადოს თავისი განზრახვის შესახებ ყველა შესაბამის მხარეს და დაადგინოს ვადა, რომლის განმავლობაშიც გამქირავებელს შეუძლია გაიხმოს ხელშეკრულების შეწყვეტის განცხადება.

– 3. თუკი გამქირავებელი იყენებს ამ გამოხმობის უფლებას, მაშინ სასამართლომ უნდა მიიღოს მხოლოდ საქმის წარმოების ხარჯებთან დაკავშირებული გადაწყვეტილება.

მუხლი 7:298 გამქირავებლის შეთავაზების მიღების გადავადების პერიოდი

7:296 მუხლის პარ. 4-ის (c) პუნქტში მითითებულ შემთხვევაში, სასამართლოს შეუძლია მისცეს დამქირავებელს მაქსიმუმ ერთთვიანი ვადა, რომლის განმავლობაშიც ამ უკანასკნელს ჯერ კიდევ შეეძლება მიიღოს ახალი ხელშეკრულების დადების შეთავაზება.

მუხლი 7:299 იმ შემთხვევებში დამდგარი პასუხისმგებლობა, როდესაც შეთავაზებულ პირს არასოდეს სურდა გაქირავებული საცალო ვაჭრობის ფართით მუდმივი სარგებლობის მიღება

– 1. თუკი ქირავნობის ხელშეკრულება შეწყდა იმ საფუძველზე, რომ 7:296 მუხლის პარ. 1-ის (b) პუნქტში მითითებულ პირს სურს პირადად მიიღოს გაქირავებული საცალო ვაჭრობის ფართით მუდმივი სარგებლობა, ხოლო დამქირავებელი კი დაეთანხმა ამ საფუძველზე ქირავნობის შეწყვეტას ანდა ამავე საფუძველით ან 7:296 მუხლის პარ. 3-ში მითითებული საფუძველით სასამართლოს მიერ დაკმაყოფილდა გამქირავებლის მხრიდან წარდგენილი ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის სასარჩელო მოთხოვნა, მაშინ გამქირავებელი პასუხისმგებელია ზიანისათვის დამქირავებლისა და ასევე იმ პირის წინაშე, ვისაც საცალო ვაჭრობის ფართი ან მისი ნაწილი კანონიერად გადაეცა ქვექირავნობით, თუკი აღმოჩნდება, რომ 7:296 მუხლის პარ. 1-ის (b) პუნქტში მითითებულ პირს სინამდვილეში არასოდეს სურდა პირადად მიეღო გაქირავებული საცალო ვაჭრობის ფართით მუდმივი სარგებლობა.

– 2. სანინააღმდეგო მტკიცებულების არსებობის პირობით, არასოდეს მიიჩნევა, რომ 7:296 მუხლის პარ. 1-ის (b) პუნქტში მითითებულ პირს სურდა პირადად მიეღო გაქირავებული საცალო ვაჭრობის ფართით მუდმივი სარგებლობა, თუკი ის მუდმივად არ იყენებს თავად საცალო ვაჭრობის ფართს ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ ერთი წლის განმავლობაში.

– 3. თუკი სასამართლო აკმაყოფილებს გამქირავებლის მხრიდან წარდგენილი ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის სასარჩელო მოთხოვნას შეწყვეტის 7:296 მუხლის პარ. 1-ის (b) პუნქტში მითითებულ საფუძველზე, მას დამქირავებლის მოთხოვნის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით შეუძლია დაადგინოს ის თანხა, რომელიც გამქირავებელმა უნდა გადაუხადოს დამქირავებელს, თუკი შემდგომში გამოვლინდა, რომ 7:296 მუხლის პარ. 1-ის (b) პუნქტში მითითებულ პირს სინამდვილეში არასოდეს სურდა პირადად მიეღო გაქირავებული საცალო ვაჭრობის ფართით მუდმივი სარგებლობა, მიუხედავად დამქირავებლის უფლებისა, მოითხოვოს სხვა ხარჯების ანაზღაურება.

– 4. დამქირავებლის ან ქვემოქირავნის მიერ საკომპენსაციო თანხის ან პარ. 3-ში მითითებული თანხის გადახდის მოთხოვნა ხანდაზმული ხდება ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტიდან ხუთი წლის ვადის გასვლისას.

მუხლი 7:300 ქირავნობის შეწყვეტა ქირავნობის მეორე ვადის ამონაშროვის შემდეგ

– 1. თუკი ქირავნობის სანყისი ვადა გახანგრძლივდა 7:292 მუხლის პარ. 2-ის საფუძველზე ქირავნობის მეორე ვადით და ქირავნობის ხელშეკრულება არ შეწყვეტილა ამ მეორე ვადის შეწყვეტის თარიღისათვის, მაშინ აღნიშნული მომენტიდან ქირავნობის ხელშეკრულების მოქმედება გრძელდება განუსაზღვრელი ვადით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქირავნობის ხელშეკრულების მიხედვით, ასეთ შემთხვევაში მისი მოქმედება გაგრძელდება განსაზღვრული ვადით ანდა მხარეები აღნიშნულზე სხვაგვარად შეთანხმდნენ.

– 2. მას შემდეგ, რაც პარ. 1-ის საფუძველზე ქირავნობის ხელშეკრულება გაგრძელდა განუსაზღვრელი ვადით, თითოეულ მხარეს შეუძლია მისი შეწყვეტა. თუკი ქირავნობის ხელშეკრულება გრძელდება განსაზღვრული ვადით ანდა თუკი ქირავნობის სანყისი ვადა შეადგენს ათ წელს ან მეტს, მაშინ თითოეულ მხარეს შეუძლია მისი შეწყვეტა ქირავნობის ვადის ამონაშროვის თარიღისათვის.

– 3. ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ შეტყობინება უნდა აკმაყოფილებდეს 7:293 მუხლის პარ. 2 და 3-ის და ასევე 7:294 მუხლის ნორმათა მოთხოვნებს. შესაბამისად გამოიყენება 7:295 მუხლიდან 7:299 მუხლის ჩათვლით ნორმები.

– 4. თუკი ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის თარიღის დადგენის შესახებ სასარჩელო მოთხოვნა სასამართლოს მიერ არ დაკმაყოფილდა და ქირავნობის ხელშეკრულება არ უთითებს იმაზე, რომ ასეთ შემთხვევაში მისი მოქმედება გაგრძელდება განსაზღვრული ვადით ამ ვადის დასრულებისას ხელშეკრულების შეწყვეტის შესაძლებლობით, მაშინ ქირავნობის ხელშეკრულება შეიძლება კვლავ შეწყდეს მხო-

ლოდ, სულ ცოტა, ათწლიანი ვადის გასვლისთანავე მას შემდეგ, როდესაც სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა სასარჩელო მოთხოვნა, შევიდა კანონიერ ძალაში და გახდა მბოჭავი. იმ გადაწყვეტილებაში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა სასარჩელო მოთხოვნა, სასამართლოს შეუძლია დაადგინოს უფრო ხანგრძლივი ვადა.

მუხლი 7:301 ორწლიანი ან ნაკლები ვადით დადგენილი ქირავნობა

– 1. 7:291 მუხლიდან 7:300 მუხლის ჩათვლით ნორმები არ მოქმედებს ორწლიანი ან ნაკლები საწყისი ვადით დადგენილი ქირავნობის ხელშეკრულების მიმართ.

– 2. თუკი საცალო ვაჭრობის ფართით სარგებლობამ, რომელიც დაინყო პარ. 1-ში მითითებული ხელშეკრულების საფუძველზე, გადააჭარბა ორწლიან ვადას, მაშინ ქირავნობის ხელშეკრულება კანონის ძალით გარდაიქმნება იმავე პირობების მქონე, თუმცაღა, ხუთი წლის ვადის დადებულ ხელშეკრულებად, რომელსაც გამოაკლდება უკვე გასული ორი წელი. ამ ხელშეკრულების მიმართ მოქმედებს 7:291 მუხლიდან 7:300 მუხლის ჩათვლით ნორმები.

– 3. პარ. 2-ში მითითებული სამართლებრივი შედეგი არ დგება, თუკი მხარეებმა ქირავნობის საწყისი ორწლიანი ვადის გასვლამდე დადეს სხვა ქირავნობის ხელშეკრულება, რომელიც ვარდება 7:292 მუხლის პარ. 1-ის მოქმედების ქვეშ, ანდა მათ სასამართლოს მოსთხოვეს განსხვავებული ქირავნობის ხელშეკრულების დადებაზე თანხმობა, როგორც ეს მითითებულია 7:291 მუხლში.

– 4. როდესაც მხარეებმა ქირავნობის საწყისი ორწლიანი ვადის გასვლამდე მოსთხოვეს სასამართლოს თანხმობა განსხვავებული სახელშეკრულებო დებულებების თავიანთ ქირავნობის ხელშეკრულებაში შეტანა 7:291 მუხლის საფუძველზე და სასამართლო უარს ამბობს ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, გამქირავებლის მოთხოვნის საფუძველზე სასამართლოს შეუძლია დამატებით გადაწყვიტოს ის საკითხი, რომ ქირავნობის ხელშეკრულება შეწყდეს კონკრეტულ თარიღში და დამქირავებელმა ამ მომენტში დაცალოს საცალო ვაჭრობის ფართი. ასეთი გადაწყვეტილება მიიჩნევა გაქირავებული ქონების შესაბამის მომენტში დაცლის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილებად.

მუხლი 7:302 ხელშეკრულების შეწყვეტა დამქირავებლის მემკვიდრეების, მეუღლისა თუ რეგისტრირებული პარტნიორის მიერ

დამქირავებლის მემკვიდრეების, მეუღლისა თუ რეგისტრირებული პარტნიორის მიერ 7:229 მუხლის პარ. 2-ის საფუძველზე ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტა უნდა განხორციელდეს, სულ ცოტა, ექვსთვიანი ვადის ჯეროვანი დაცვით. აღნიშნული შეწყვეტის მიმართ გამოიყენება 7:293 მუხლის პარ. 2-ის პირველი წინადადებისა და პარ. 3-ის ნორმები.

მუხლი 7:303 სასამართლოს მიერ ქირის თანხის ოდენობის შეფასება

– 1. როგორც დამქირავებელს, ისე გამქირავებელსაც შეუძლიათ განაცხადონ სასამართლოში, რომ ქირის თანხა არ არის მახლობლად მდებარე მსგავსი საცალო ვაჭრობის ფართების ქირის თანხასთან შესაბამისობაში, და სთხოვონ სასამართლოს მისი უფრო დეტალური შეფასება აღნიშნულ საფუძველზე:

a. თუკი ქირავნობის ხელშეკრულება იდება განსაზღვრული ვადით: შეთანხმებული ქირავნობის ვადის გასვლის შემდეგ;

b. ყველა სხვა შემთხვევაში: ყოველ დროს, როდესაც, სულ ცოტა, გასულია ხუთი წელი იმ დღიდან, როდესაც ამოქმედდა მხარეების ან სასამართლოს მიერ დადგენილი ქირის უკანასკნელი თანხა.

– 2. ქირის თანხის უფრო დეტალური შეფასებისას სასამართლო ყურადღებას აქცევს შესაბამისი საცალო ვაჭრობის ფართების მახლობლად მდებარე ანალოგიური საცალო ვაჭრობის ფართების ქირის თანხის საშუალო ოდენობას სასარჩელო მოთხოვნის წარდგენამდე ბოლო ხუთი წლის განმავლობაში. ქირის თანხების შედარებისას თითოეული თანხის ხელახალი გაანგარიშება ხდება ქირის ოდენობის ზოგადი განვითარების მიხედვით ქირის თანხის მოქმედების დღიდან სასარჩელო მოთხოვნის წარდგენის დღემდე. თუკი ჩანს, რომ შეუძლებელია სასამართლოსათვის აღნიშნული შედარების სტანდარტის გამოყენებისათვის საჭირო მონაცემების წარდგენა, მაშინ სასამართლო ახორციელებს შეფასებას მის ხელთ არსებული მონაცემების მეშვეობით, რომლის დროსაც ის ამ შედარების სტანდარტს შეძლებისდაგვარად გამოიყენებს სახელმძღვანელოდ.

– 3. სასამართლო არ აკმაყოფილებს ქირის თანხის გაზრდის სასარჩელო მოთხოვნას იმდენად, რამდენადაც ის ეფუძნება გაქირავებული საცალო ვაჭრობის ფართის ისეთ გაუმჯობესებას, რომელიც განხორციელდა დამქირავებლის ხარჯზე.

– 4. თუკი სასამართლო ახდენს ქირის თანხის ოდენობის უფრო დეტალურ შეფასებას, მაშინ ეს ოდენობა ამოქმედდება იმ დღიდან, როდესაც შესაბამისი სასარჩელო მოთხოვნა იქნა წარდგენილი სასამართლოში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სასამართლომ დააკმაყოფილა ერთ-ერთი მხარის მოთხოვნა დაწყების სხვა დღის მითითებასთან დაკავშირებით არსებული ვითარების კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით. გარდა აღნიშნულისა, სასამართლოს შეუძლია თავის გადაწყვეტილებაში დაადგინოს, რომ ქირის თანხა თანდათანობით შეიცვლება მაქსიმუმ დადგენილი ხუთწლიანი ვადის განმავლობაში.

მუხლი 7:304 ექსპერტიზის დასკვნა

– 1. ქირის თანხის ოდენობის უფრო დეტალური შეფასების შესახებ სასარჩელო მოთხოვნა, როგორც ეს მითითებულია 7:303 მუხლში, დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მას თან ახლავს ორივე მხარის მიერ შერჩეული ამ სფეროში დაკავებული ერთი ან მეტი ექსპერტისაგან სარეკომენდაციო ანგარიში ქირის თანხის შესაბამისი ოდენობის შესახებ.

– 2. როდესაც მხარეები ვერ თანხმდებიან ექსპერტის შერჩევასთან დაკავშირებით, სასამართლო დაინიშნავს მას ყველაზე მეტად დაინტერესებული მხარის მოთხოვნის საფუძველზე. 7:303 მუხლის პარ. 1, 2 და 4-ის ნორმათა მიზნებისათვის აღნიშნული მოთხოვნის წარდგენის დღედ მიიჩნევა ის დღე, როდესაც მოხდა უფრო დეტალური შეფასების შესახებ სასარჩელო მოთხოვნის სასამართლოში წარდგენა.

– 3. სარეკომენდაციო ანგარიშის ხარჯები განიხილება როგორც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 237-ე მუხლში მითითებული საქმის წარმოების ხარჯები; შესაბამისად გამოიყენება ამ კოდექსის 195-ე, 196-ე, 199-ე და 244-ე მუხლების ნორმები.

მუხლი 7:305 ქირის თანხის გაზრდა ენერჯის დაზოგვისკენ მიმართული აუცილებელი ზომების გამოყენების შემდეგ

– 1. გამქირავებელი, რომელმაც საბინაო კანონის მე-13 ან მე-15 მუხლში მითითებული დადგენილების შესაბამისად საცალო ვაჭრობის ფართზე განათავსა ენერჯის დაზოგვისკენ მიმართული მოწყობილობები, როგორც ეს მითითებულია 7:243 მუხლის პარ. 2-ში, – მათ შორის, იმ შემთხვევებშიც, რომლებიც არ ვარდება 7:303 მუხლის პარ. 1-ის (a) და (b) პუნქტების მოქმედების ქვეშ – უფლებამოსილია მოახდინოს ამ ხარჯების – რამდენადაც ისინი გონივრულია – დამქირავებლისათვის დამატებით დაკისრება ქირის მომატებული თანხის ოდენობის მოთხოვნით. როდესაც მხარეები ვერ თანხმდებიან ქირის თანხის გაზრდასთან დაკავშირებით, თითოეულ მათგანს შეუძლია სასამართლო წესით მოითხოვოს ამ გაზრდილი ქირის თანხის ოდენობის დადგენა.

– 2. წინამდებარე მუხლის ნორმები მოქმედებს არა მარტო 7:290 მუხლის გაგებით საცალო ვაჭრობის ფართების მიმართ, არამედ ასევე აშენებული უძრავი ნივთის ან მისი ნაწილის მიმართ, რომელიც ქირავდება სხვა სახის ბიზნესისა თუ საწარმო საქმიანობის მიზნით გამოყენებისათვის, ვიდრე ეს ნახსენებია 7:290 მუხლში.

მუხლი 7:306 ძირითადი ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის სამართლებრივი შედეგი ქვემოქირავნის მიმართ

– 1. საცალო ვაჭრობის ფართთან დაკავშირებული ქვექირავნობის ხელშეკრულება წყდება იმ დღეს, როდესაც საცალო ვაჭრობის ფართი ექვემდებარება ძირითადი დამქირავებლის მიერ დაცლას ძირითადი დამქირავებლის სარჩელის საფუძველზე მიღებული სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, როგორც ეს მითითებულია 7:296 მუხლის პარ. 5-ში.

– 2. თუკი ძირითადმა დამქირავებელმა არ შეატყობინა ან არასწორად შეატყობინა ქვემოქირავნის მოქმედი თუ ძირითადი ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე არსებული ქირავნობის ვადის შესახებ ან თუკი მან ძირითადი ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტისას ჯეროვნად არ გაითვალისწინა ქვემოქირავნის ინტერესები ანდა როდესაც დადგენილია საცალო ვაჭრობის ფართის დაცლის თარიღი, მაშინ ის ვალდებულია აანაზღაუროს ის ზიანი, რომელსაც ქვემოქირავნე აღნიშნულის შედეგად განიცდის.

– 3. ძირითადი დამქირავებელი, ვის მიმართაც ძირითადმა დამქირავებელმა წარადგინა სასარჩელო მოთხოვნა, რომელიც ეხება ქვემოქირავნის ინტერესებს, უფლებამოსილია მოინვიოს ეს უკანასკნელი სასამართლოში.

მუხლი 7:307 საცალო ვაჭრობის ფართის დამქირავებლის სუროგაცია (ჩანაცვლება)

– 1. თუკი დამქირავებელს სურს თავისი ბიზნესის გადაცემა, რომელსაც ის ან ვინმე სხვა პირი საცალო

ვაჭრობის ფართში ახორციელებს, მაშინ მას შეუძლია სასამართლო წესით მოითხოვოს თავისი თავის იმ მესამე პირით ჩანაცვლების უფლების მინიჭება, ვინც დამქირავებლის სახით შეინარჩუნებს მის სახელშეკრულებო მდგომარეობას არსებული ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე.

– 2. დამქირავებლის აღნიშნული სასარჩელო მოთხოვნის განხილვისას სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს საქმის ყველა გარემოების ჯეროვანი გათვალისწინებით იმ პირობით, რომ სასამართლოს შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში დააკმაყოფილოს სასარჩელო მოთხოვნა, როდესაც დამქირავებელს ან სხვა პირს, ვინც საცალო ვაჭრობის ფართში ახორციელებს თავის ბიზნესს, აქვს ამ უკანასკნელის გადაცემის მნიშვნელოვანი მიზეზი და ასევე – რომ სასამართლომ ყოველთვის უარი უნდა თქვას სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, თუკი სავარაუდო ახალი დამქირავებელი არ ახდენს ქირავნობის ხელშეკრულების პირობების სრულად შესრულებასთან ანდა ბიზნესის სათანადოდ წარმართვასთან დაკავშირებით საკმარისი გარანტიის შეთავაზებას.

– 3. თავის გადაწყვეტილებაში სასამართლოს ჩანაცვლების უფლების მინიჭება შეუძლია დაუკავშიროს განსაზღვრული პირობების შესრულებას ანდა ძველ ან ახალ დამქირავებელს დააკისროს ერთი ან რამდენიმე ვალდებულებისა თუ მოვალეობის შესრულება.

მუხლი 7:308 კომპენსაცია გუდვილისა და სხვა სარგებლისათვის ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტისას

– 1. თუკი გამქირავებელი ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ იღებს სარგებელს იმ ფაქტის შედეგად, რომ გაქირავებული საცალო ვაჭრობის ფართი გამოიყენება ყოფილი დამქირავებლისა თუ იმ ქვემოქირავნის ანალოგიური ბიზნესის საწარმოებლად, ვისაც საცალო ვაჭრობის ფართი კანონიერად გადაეცა ქვექირავნობით, მაშინ ამ ყოფილ დამქირავებელსა თუ ქვემოქირავნეს შეუძლია გამქირავებლისაგან მოითხოვოს საკომპენსაციო თანხა, რომლის ოდენობაც სამართლიანად უნდა განისაზღვროს.

– 2. საცალო ვაჭრობის ფართის ნიშან-თვისებებითა თუ მდებარეობით ანდა მასში განხორციელებული ცვლილებებით განპირობებული სარგებელი პარ. 1-ის მიზნებისათვის არ გამოდგება.

– 3. საკომპენსაციო თანხის მინიჭება დაუშვებელია, როდესაც ანალოგიური ბიზნესის საწარმოებლად საცალო ვაჭრობის ფართი კვლავ გამოიყენება მხოლოდ ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტიდან ერთი წლის შემდეგ.

მუხლი 7:309 გაქირავებული შენობა-ნაგებობის დემონტაჟი საჯარო ინტერესებში და ზიანის ანაზღაურება

– 1. თუკი გამქირავებელმა, რომელზეც გადავიდა ქირავნობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებები და ვალდებულებები 7:226 მუხლის ძალით, შეწყვიტა ეს ხელშეკრულება იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ უნდა მოხდეს გაქირავებული შენობა-ნაგებობის დემონტაჟი საჯარო ინტერესებში განსახორციელებელი სამუშაოების შესრულების მიზნით, მაშინ მან დამქირავებელსა თუ იმ ქვემოქირავნეს, ვისაც საცალო ვაჭრობის ფართი კანონიერად გადაეცა ქვექირავნობით, უნდა აუნაზღაუროს იმ შესაძლებლობის დაკარგვასთან დაკავშირებული ზიანი, რომ ქირავნობის ხელშეკრულების მოქმედება გაგრძელდებოდა უფლებებისა და ვალდებულებების აღნიშნული გადასვლის გარეშე.

– 2. გამქირავებელმა ასევე უნდა აანაზღაუროს პარ. 1-ში მითითებული ზიანი, თუკი უფლებებისა და ვალდებულებების გადასვლა მოხდა მას შემდეგ, რაც გამქირავებელმა შეწყვიტა ქირავნობის ხელშეკრულება იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ გაქირავებული შენობა-ნაგებობის დემონტაჟი მოხდება საჯარო ინტერესებში განსახორციელებელი სამუშაოების შესრულების მიზნით. იმ შემთხვევებში, როდესაც გაქირავებულ საცალო ვაჭრობის ფართზე საკუთრების უფლება გადავიდა ახალ მესაკუთრეზე იმ მომენტში, როდესაც ქირავნობის ხელშეკრულება უკვე შეწყდა შეწყვეტის შესახებ შეტყობინებით, ზიანი უნდა ანაზღაურდეს იმ ახალი მესაკუთრის მიერ, ვინც მომავალში დაინყებს შენობა-ნაგებობის დემონტაჟს.

– 3. ქირავნობის ხელშეკრულება მიიჩნევა შეწყვეტილად იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ გაქირავებული შენობა-ნაგებობის დემონტაჟი მოხდება საჯარო ინტერესებში განსახორციელებელი სამუშაოების შესრულების მიზნით, თუკი დემონტაჟი იწყება ხელშეკრულების შეწყვეტიდან ექვსი წლის განმავლობაში.

– 4. სამშენებლო ტერიტორიის რეკონსტრუქციის მიზნით მინათსარგებლობის გეგმის შესაბამისად კონკრეტული გამოყენებისათვის ჩატარებული სამუშაოები ნებისმიერ შემთხვევაში განიხილება როგორც შესრულებული საჯარო ინტერესებში.

– 5. წინამდებარე მუხლის ნორმები მოქმედებს არა მარტო 7:290 მუხლის გაგებით საცალო ვაჭრობის ფართების მიმართ, არამედ ასევე აშენებული უძრავი ნივთის ან მისი ნაწილის მიმართ, რომელიც ქირავდება სხვა სახის ბიზნესისა თუ საწარმო საქმიანობის მიზნით გამოყენებისათვის, ვიდრე ეს ნახსენებია 7:290 მუხლში.

მუხლი 7:310 ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტა გაქირავებული ქონების დაშვებული მინათსარგებლობის რეალიზაციასთან დაკავშირებით

– 1. თუკი გაქირავებულს, რომელზეც გადავიდა ქირავნობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებები და ვალდებულებები 7:226 მუხლის ძალით, სურს გაქირავებული ქონების კონკრეტული მიზნით გამოყენება მინათსარგებლობის მოქმედი გეგმის შესაბამისად, მაშინ სასამართლომ გაქირავებულის სასარჩელო მოთხოვნის საფუძველზე უნდა შეწყვიტოს ქირავნობის ხელშეკრულება აღნიშნული მიზნით გაქირავებულის მიერ სასარჩელო მოთხოვნის წარდგენის კონკრეტული თარიღიდან.

– 2. დაქირავებულსა და ქვემოქირავნებს, რომელსაც გაქირავებული ქონება კანონიერად გადაეცა ქვექირავნობით, შეუძლიათ მოითხოვონ ზიანის ანაზღაურება. ამ საკომპენსაციო თანხის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება ის შესაძლებლობა, რომ ქირავნობის ხელშეკრულების მოქმედება გაგრძელდებოდა უფლებებისა და ვალდებულებების აღნიშნული გადასვლის გარეშე.

– 3. წინამდებარე მუხლის ნორმები მოქმედებს არა მარტო 7:290 მუხლის გავებით საცალო ვაჭრობის ფართების მიმართ, არამედ ასევე ამენებული უძრავი ნივთის ან მისი ნაწილის მიმართ, რომელიც ქირავდება სხვა სახის ბიზნესისა თუ საწარმო საქმიანობის მიზნით გამოყენებისათვის, ვიდრე ეს ნახსენებია 7:290 მუხლში.

ტიტული 7.5 – სასოფლო-სამეურნეო იჯარის ხელშეკრულება

განყოფილება 7.5.1 – ზოგადი დებულებები

მუხლი 7:311 „სასოფლო-სამეურნეო იჯარის ხელშეკრულების“ განმარტება

სასოფლო-სამეურნეო იჯარის ხელშეკრულება წარმოადგენს ხელშეკრულებას, რომლითაც ერთ-ერთი მხარე („მეიჯარე“) ხელშეკრულების მეორე მხარის („მოიჯარე“) მიმართ კისრულობს ვალდებულებას, გადასცეს მას სარგებლობაში უძრავი ნივთი ანდა ასეთი ნივთის ნაწილი მასზე სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის წარმართვის მიზნით, რის სანაცვლოდაც მოიჯარე კისრულობს სამაგიერო შესრულების განხორციელებას.

მუხლი 7:312 „კომერციული მიწათმოქმედების“ განმარტება

რამდენადაც ყოველთვის სახეზეა საქმიანობის კომერციული მიზანი, „კომერციული მიწათმოქმედების“ ცნების ქვეშ მოიაზრება: მიწის მოსავლის აღება, სახნავი მიწათმოქმედება, საძოვრები, პირუტყვის მოშენება, მესაქონლეობა, მელორეობა, ღორების მოშენება, მეფრინველეობა, მებაღეობა ნაყოფისა და ხეების, ყვავილებისა და მათი ბოლქვების მოყვანის ჩათვლით, ასევე ტოტების, ყლორტებისა და მრავალწლიანი მცენარეების კულტივაცია და მიწის ნებისმიერი სხვა ფორმის კულტივაცია, გარდა სატყეო მეურნეობისა.

მუხლი 7:313 „ფერმერული სახლისა“ და „აუთვისებელი სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი“ განმარტება

– 1. ფერმერული სახლი წარმოადგენს ერთი ან რამდენიმე შენობისა თუ ასეთი შენობის ნაწილებისაგან შემდგარ კომპლექსს შესაბამის მიწის ნაკვეთთან ერთად, რომელიც განკუთვნილია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის წარმართვისათვის.

– 2. ის, რაც წინამდებარე ტიტულში (ტიტული 7.5) განისაზღვრება აუთვისებელი სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთისათვის, გამოიყენება ასევე ერთი ან რამდენიმე შენობისა თუ ასეთი შენობის ნაწილების მიმართ, რომელიც განკუთვნილია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის წარმართვისათვის.

– 3. თუმცაღა, თუკი იმავე მხარეებმა ერთმანეთთან დადეს ორი სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო იჯარის ხელშეკრულება, როდესაც ერთ-ერთი ხელშეკრულების საფუძველზე იჯარით გაიცა აუთვისებელი სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი, ხოლო მეორე ხელშეკრულების საფუძველზე კი, – ერთი ან რამდენიმე შენობა თუ ასეთი შენობის ნაწილი, მაშინ ფერმერულ სახლთან დაკავშირებული სასოფლო-სამეურნეო იჯარის ხელშეკრულების მომწესრიგებელი კანონისმიერი ნორმების გამოყენება მოხდება ორივე სასოფლო-სამეურნეო იჯარის ხელშეკრულების მიმართ იმ დღიდან, როდესაც დაიდო ამ ხელშეკრულებათაგან უკანასკნელი.

– 4. როდესაც იჯარით გადაცემული ქონება მოიცავს შესაბამის მიწის ნაკვეთს, რომელიც არ არის განკუთვნილი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის წარმართვისათვის, მაშინ წინამდებარე ტიტულის (ტი-

ტული 7.5) მიზნებისათვის ეს მიწის ნაკვეთი, მისი ხე-მცენარის ჩათვლით, მიიჩნევა შესაბამისად, ფერმერულ სახლად ან აუთვისებელ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთად.

მუხლი 7:314 „ნაშვილების“ განმარტება

წინამდებარე ტიტულის (ტიტული 7.5) მიზნებისათვის ტერმინი „ნაშვილები“ ეხება ყველა იმ პირს, რომელიც მუდმივად აიყვანეს სამზრუნველოდ და აღსაზრდელად ისე, თითქოს ისინი საკუთარი შვილები ყოფილიყვნენ.

მუხლი 7:315 წყლის ნაპირის გასწვრივ არსებული იჯარით გადაცემული სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი

სამოქალაქო კოდექსის 5:29 და 5:34 მუხლების ნორმები მოქმედებს წყლის ნაპირის გასწვრივ არსებული იჯარით გადაცემული სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის ზომის მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მეიჯარე ვალდებულია, მოახდინოს საზღვრის გავლება სამოქალაქო კოდექსის 5:30 მუხლიდან 5:32 მუხლის ჩათვლით ნორმების შესაბამისად.

მუხლი 7:316 ნაყოფის (სარგებლის) მიღება

– 1. იჯარით გადაცემული ქონების ნაყოფის (სარგებლის) მიღებაზე მოიჯარის უფლება წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსის 5:17 მუხლში მითითებულ სარგებლობის უფლებას.

– 2. სასოფლო-სამეურნეო იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტისას ნაყოფის (სარგებლის) მიღებაზე მოიჯარის უფლება მოიცავს ჯერ კიდევ აუღებელ მოსავალს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სასამართლომ სხვაგვარად დაადგინა თავის იმ გადანყვეტილებაში, რომელითაც სასოფლო-სამეურნეო იჯარის ხელშეკრულება შეწყდა.

განყოფილება 7.5.2 – სასოფლო-სამეურნეო იჯარის ხელშეკრულების ფორმა

მუხლი 7:317 წერილობითი ფორმით დადებული ხელშეკრულება

– 1. სასოფლო-სამეურნეო იჯარის ხელშეკრულება და ასევე მისი შეცვლისა თუ შეწყვეტის შეთანხმებები (სასოფლო-სამეურნეო იჯარის ხელშეკრულების შეცვლის ან შეწყვეტის შეთანხმებები) უნდა დაიდოს წერილობით.

– 2. მანამდე, სანამ ხელშეკრულება წერილობით არ დაიდება და ის არ იქნება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი, ყველაზე მეტად დაინტერესებულ მხარეს შეუძლია აღნიშნული სასამართლო წესითაც კი მოითხოვოს.

– 3. წინა პარაგრაფში მითითებულ ვითარებაში სასამართლო წერილობითი ფორმით ადგენს ხელშეკრულებას იმ პირობით, რომ ბათილი სახელშეკრულებო დებულებების რედაქტირება კანონის შესაბამისად მოხდება შეძლებისდაგვარად მხარეთა ნება-სურვილების მხედველობაში მიღებით.

განყოფილება 7.5.3 – სასოფლო-სამეურნეო იჯარის საკითხების მარეგულირებელი სახელმწიფო უწყების მიერ იჯარის ხელშეკრულების მოწონება

მუხლი 7:318 სასოფლო-სამეურნეო იჯარის საკითხების მარეგულირებელი სახელმწიფო უწყების მიერ იჯარის ხელშეკრულების მოწონების საჭიროება

– 1. სასოფლო-სამეურნეო იჯარის ხელშეკრულება და ასევე მისი შეცვლისა თუ შეწყვეტის შეთანხმებები საჭიროებს სასოფლო-სამეურნეო იჯარის საკითხების მარეგულირებელი სახელმწიფო უწყების მიერ მოწონებას.

– 2. აღნიშნული მოწონება აუცილებელი არ არის სასოფლო-სამეურნეო იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტის შეთანხმების მიმართ, თუკი მხარეებმა რეალურად შეასრულეს ის შეთანხმება, რომლითაც ხდება სასოფლო-სამეურნეო იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტა.

მუხლი 7:319 მოწონებაზე უარის საფუძვლები

– 1. სასოფლო-სამეურნეო იჯარის საკითხების მარეგულირებელი სახელმწიფო უწყება ახდენს სასოფლო-სამეურნეო იჯარის ხელშეკრულების მოწონებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:

a. ხელშეკრულებით შეთანხმებული საიჯარო ქირისა თუ საკომპენსაციო თანხა, ამ ხელშეკრულების შემდგომი შინაარსის გათვალისწინებით, აღამატება შესაბამისად 7:327 მუხლის პარ. 1-ის, 7:327 მუხლის პარ. 3-ის ან 7:393 მუხლის ნორმებით დაშვებულ ოდენობას;

b. ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოიჯარის დარჩენილი ვალდებულებები უნდა იქნეს მიჩნეული გადაჭარბებულად;

c. ხელშეკრულების დადება გამონვევდა მინის ნაკვეთის არაეფექტურ გაყოფას ანდა არაეფექტური მდებარეობის მიღებას ფერმერული შენობა-ნაგებობისა თუ ფერმერული სახლის მდებარეობასთან შედარებით;

d. ხელშეკრულება ეხება იმ მინის ნაკვეთს, რომელიც ჩართული იყო მინის ხელახალი განაწილების პროცესში ანდა – იმ მინის ნაკვეთს, რომელიც მდებარეობს ეისელმერის (Isselmeer) ტბის ტერიტორიაზე და ხელშეკრულება შედეგად იწვევს:

1°. მინის ხელახალ განაწილებას ანდა ფერმერული შენობა-ნაგებობისა თუ ფერმერული სახლის გათვალისწინებით, არსებულ ვითარებასთან შედარებით ნაკლებად ეფექტური მინის ნაკვეთის მდებარეობის მიღებას;

2°. არსებულთან შედარებით ნაკლები ზომის ფერმერული მეურნეობა;

e. ხელშეკრულება სასოფლო-სამეურნეო სექტორის საერთო ინტერესებისათვის საზიანო იქნებოდა; სასოფლო-სამეურნეო იჯარის საკითხების მარეგულირებელი სახელმწიფო უწყება, გარდა აღნიშნულისა, უფლებამოსილია დააკვალიფიციროს ხელშეკრულება როგორც სასოფლო-სამეურნეო სექტორის საერთო ინტერესებისათვის საზიანო, თუკი ამის შედეგად:

1°. მიიღება ისეთი მცირე ზომის ფერმერული მეურნეობა, რომ ფერმერი ვერ ახერხებს ამ სასოფლო-სამეურნეო საწარმოს ფარგლებში თავისი მეურნეობის სრული სიმძლავრით გამოყენებას;

2°. მინის ნაკვეთის გამოყენება ხდება დამატებითი შემოსავლის მისაღებად სხვა მიზნებისათვის, ვიდრე მხოლოდ ფერმერის თვითკმარობა;

3°. ხდება იმ ფერმერული მეურნეობის მოცულობის ზრდა, რომელსაც ფერმერისათვის არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, რომლის დროსაც მასთან ახლოს არსებული ერთ ან რამდენიმე მცირე ფერმერული მეურნეობა საჭიროებს გაფართიებას;

f. ხელშეკრულება შეიცავს ისეთ სახელშეკრულებო დებულებებს, რომლებიც არღვევს წინამდებარე ტიტულის (ტიტული 7.5) ნორმებს.

– 2. თუკი სასოფლო-სამეურნეო იჯარის ხელშეკრულებამ შესაძლოა გამოიწვიოს პარ. 1-ის (c), (d) ან (e) პუნქტებში მითითებული შედეგი, მაშინ სასოფლო-სამეურნეო იჯარის საკითხების მარეგულირებელ სახელმწიფო უწყებას მაინც შეუძლია გასცეს თავისი თანხმობა იმ შემთხვევაში, როდესაც მასზე უარი არაგონივრული იქნებოდა კონკრეტულ გარემოებათა არსებობის გამო ანდა როდესაც ასეთი უარი სასოფლო-სამეურნეო სექტორის საერთო ინტერესებისათვის საზიანო იქნებოდა. თუკი სასოფლო-სამეურნეო იჯარის ხელშეკრულებამ შეიძლება გამოიწვიოს პარ. 1-ის (d) პუნქტში მითითებული შედეგი, მაშინ სასოფლო-სამეურნეო იჯარის საკითხების მარეგულირებელ სახელმწიფო უწყებას ასევე შეუძლია გასცეს თავისი თანხმობა იმ შემთხვევაში, როდესაც მეიჯარის პიროვნულ თვისებებსა და მდგომარეობასთან დაკავშირებული გარემოებები თანხმობის გაცემას სასურველს ხდის ბიზნესის პასუხისმგებლიანი წარმართვის ინტერესებში.

– 3. პარ. 1-ის (c) და (e) პუნქტებში მითითებული ნორმები, რამდენადაც ისინი ეხება იმას, რაც აღნიშნულია 1°, 2° და 3° ნორმებში, არ გამოიყენება მეუღლეებსა თუ რეგისტრირებულ პარტნიორებთან, სისხლით ნათესავებსა თუ პირდაპირი ხაზით მოყვრებთან, ნაშვილებებსა და თანამოიჯარეებთან დადებული ხელშეკრულებების მიმართ.

– 4. იმის განსაზღვრისას, შესაბამება თუ არა ხელშეკრულება პარ. 1-ის (e) პუნქტის ნორმებს, სასოფლო-სამეურნეო იჯარის საკითხების მარეგულირებელ სახელმწიფო უწყებას შეუძლია არ მიაქციოს ყურადღება მოიჯარის პიროვნულ თვისებებსა და მდგომარეობასთან დაკავშირებულ გარემოებებს.

– 5. პარ. 1-ის (c), (d) და (e) პუნქტების ნორმები, რამდენადაც ისინი ეხება იმას, რაც აღნიშნულია 1°, 2° და 3° ნორმებში, არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუკი იმ მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი საბჭოს („მერისა და საქალაქო საბჭოს კოლეგია“) განცხადებიდან, სადაც მდებარეობს მინის ნაკვეთი, ნათელი ხდება, რომ ეს ნაკვეთი შეტანილია მონონებული მიწათსარგებლობის გეგმაში, რის გამოც ის ვეღარ იქნება გამოყენებული როგორც სასოფლო-სამეურნეო მიწა.

– 6. იმ სახელშეკრულებო დებულების ნამდვილობისათვის, რომელიც ეწინააღმდეგება კანონს, მხარეები ვერ მიმართავენ სასოფლო-სამეურნეო იჯარის საკითხების მარეგულირებელ სახელმწიფო უწყებას ხელშეკრულების მოწონებისათვის.

– 7. წინა პარაგრაფის ნორმები შესაბამისად გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო იჯარის ხელშეკრულების შეცვლისა თუ შეწყვეტის შეთანხმების მიმართ.

მუხლი 7:320 სასოფლო-სამეურნეო იჯარის საკითხების მარეგულირებელი სახელმწიფო უწყების მიერ ხელშეკრულების შეცვლა ან გაბათილება

– 1. თუკი სასოფლო-სამეურნეო იჯარის საკითხების მარეგულირებელი სახელმწიფო უწყება არ იწონებს სასოფლო-სამეურნეო იჯარის ხელშეკრულებას ან მისი შეცვლისა თუ შეწყვეტის შეთანხმებებს, მაშინ ის შეცვლის ხელშეკრულების იმ პუნქტს ან პუნქტებს, რომლებიც 7:319 მუხლის პარ. 1-ის ნორმებთან კავშირში ხელშეკრულების მოწონებას შეუძლებელს ხდის, ანდა აღნიშნული სახელმწიფო უწყება მთლიანად გააბათილებს სასოფლო-სამეურნეო იჯარის ხელშეკრულებას.

– 2. სასოფლო-სამეურნეო იჯარის საკითხების მარეგულირებელი სახელმწიფო უწყების მიერ პარ. 1-ის შესაბამისად შეცვლილი ხელშეკრულება ჩაითვლება იმ ხელშეკრულებად, რომელიც დაიდო მხარეთა მიერ და მოწონებულ იქნა აღნიშნული სახელმწიფო უწყების მიერ. 7:319 მუხლის პარ. 1-ის (c), (d) და (e) პუნქტების ნორმებთან კავშირში ხელშეკრულების შეცვლის შემთხვევაში, ისევე როგორც ხელშეკრულების გაბათილების შემთხვევაში, სასოფლო-სამეურნეო იჯარის საკითხების მარეგულირებელი სახელმწიფო უწყება, აუცილებლობის შემთხვევაში, ახდენს თავისი ჩარევის სამართლებრივი შედეგების მონესრიგებას.

მუხლი 7:321 მხარეთა ვალდებულება, მიმართონ სასოფლო-სამეურნეო იჯარის საკითხების მარეგულირებელ სახელმწიფო უწყებას ხელშეკრულების მოწონების თხოვნით

– 1. თითოეული მხარე ვალდებულია, სასოფლო-სამეურნეო იჯარის ხელშეკრულება ან მისი შეცვლის შეთანხმება ხელშეკრულების დადებიდან ორი თვის ვადაში მოწონებისათვის გაუგზავნოს სასოფლო-სამეურნეო იჯარის საკითხების მარეგულირებელ სახელმწიფო უწყებას.

– 2. თითოეული მხარე ვალდებულია, სასოფლო-სამეურნეო იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტის შეთანხმება ხელშეკრულების დადებიდან ორი თვის ვადაში მოწონებისათვის გაუგზავნოს სასოფლო-სამეურნეო იჯარის საკითხების მარეგულირებელ სახელმწიფო უწყებას.

– 3. როგორც კი ერთ-ერთი მხარე შეასრულებს აღნიშნულ ვალდებულებას, მეორე მხარე თავისუფლდება მისგან.

– 4. სასოფლო-სამეურნეო იჯარის საკითხების მარეგულირებელი სახელმწიფო უწყება საკუთარი ინიციატივით იყენებს 7:319 და 7:320 მუხლების ნორმებს იმ ხელშეკრულების მიმართ, რომელიც 7:317 მუხლის პარ. 2-ის შესაბამისად წერილობითი ფორმით დაიდო.

მუხლი 7:322 თავად სასოფლო-სამეურნეო იჯარის ხელშეკრულების მოწონებისათვის არგაგზავნის შედეგები

– 1. როდესაც 7:321 მუხლის პარ. 10-ის მოთხოვნები არ სრულდება, მანამდე, სანამ სასოფლო-სამეურნეო იჯარის საკითხების მარეგულირებელი სახელმწიფო უწყება არ მოახდენს სასოფლო-სამეურნეო იჯარის ხელშეკრულების მოწონებას, მეიჯარე ვერ წარადგენს სარჩელს სასამართლოში მოიჯარის მიმართ იჯარის თანხის გადახდის მოთხოვნით და ამ დროს ყოველთვის სასოფლო-სამეურნეო იჯარის ხელშეკრულება მიიჩნევა განუსაზღვრელი ვადით დადებულად მხარეთა მიერ მისი შეწყვეტის შესაძლებლობის გარეშე; როდესაც თანხმობა მინიჭებულია, 7:325 მუხლში მითითებული საიჯარო ვადა აითვლება პირველი საიჯარო წლის დასაწყისიდან იმ წლის შემდეგ, როდესაც სასოფლო-სამეურნეო იჯარის ხელშეკრულება გაეგზავნა სასოფლო-სამეურნეო იჯარის საკითხების მარეგულირებელ სახელმწიფო უწყებას.

– 2. ერთ-ერთი მხარის მოთხოვნის საფუძველზე, სასოფლო-სამეურნეო იჯარის საკითხების მარეგულირებელი სახელმწიფო უწყება უფლებამოსილია ხელშეკრულების მოწონებისას მიიღოს გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ განსაკუთრებული გარემოებების არსებობის გამო 7:325 მუხლში მითითებული საიჯარო ვადა აითვლება წინა პარაგრაფში მითითებულ თარიღზე უფრო ადრე.

მუხლი 7:323 სასოფლო-სამეურნეო იჯარის ხელშეკრულების შეცვლისა თუ შეწყვეტის მოწონებისათვის არგაგზავნის შედეგები

– 1. მანამდე, სანამ სასოფლო-სამეურნეო იჯარის ხელშეკრულების შეცვლის ან – რამდენადაც ის ფაქტობრივად ჯერ არ იქნა შესრულებული – შეწყვეტის შეთანხმება ჯერ არ იქნა მოწონებული სასოფლო-სამეურნეო იჯარის საკითხების მარეგულირებელი სახელმწიფო უწყების მიერ, მას არა აქვს არა-

ნაირი მბოჭავი ძალა მხარეთათვის გარდა იმისა, რომ მხარე ვერ იტყვის მასზე უარს მეორე მხარის თანხმობის გარეშე.

– 2. თუ შეთანხმება მოწონებისათვის არ იგზავნება სასოფლო-სამეურნეო იჯარის საკითხების მარეგულირებელ სახელმწიფო უწყებაში მისი დადებიდან ორი თვის განმავლობაში, მაშინ ეს უწყება უფლებამოსილია დაადგინოს შეთანხმების ძალაში შესვლის უფრო გვიანდელი თარიღი, ვიდრე რომელზეც მხარეები თავად შეთანხმდნენ, თუმცა ეს საწყისი თარიღი ვერ დადგინდება იმ დღეზე გვიან, როდესაც მოხდა შეთანხმების გაგზავნა.

მუხლი 7:323 მოწონებისათვის გაგზავნილი დოკუმენტის პირველადი პროექტი

– 1. პირებს, რომლებსაც სურთ ერთმანეთთან სასოფლო-სამეურნეო იჯარის ხელშეკრულების ან ამ ხელშეკრულების შეცვლის შეთანხმების დადება, შეუძლიათ ამ შეთანხმების პირველადი პროექტი მოწონებისათვის გაუგზავნონ სასოფლო-სამეურნეო იჯარის საკითხების მარეგულირებელ სახელმწიფო უწყებას.

– 2. სასოფლო-სამეურნეო იჯარის საკითხების მარეგულირებელი სახელმწიფო უწყება შეისწავლის აღნიშნულ პირველად პროექტს 7:319 მუხლის პარ. 1-დან პარ. 5-ის ჩათვლით ნორმების გამოყენებით; მას თავისი მოწონება შეუძლია დამოკიდებული გახადოს პირველად პროექტში განსახორციელებელ იმ ცვლილებებზე, რომლებსაც ის აუცილებლად ჩათვლის 7:319 მუხლის პარ. 1-ის შესაბამისად.

– 3. თუკი სასოფლო-სამეურნეო იჯარის საკითხების მარეგულირებელმა სახელმწიფო უწყებამ მოინონა სასოფლო-სამეურნეო იჯარის ხელშეკრულების ან ამ ხელშეკრულების შეცვლის შეთანხმების პირველადი პროექტი და ამ მოწონებიდან ორი თვის განმავლობაში იგზავნება საბოლოო ხელშეკრულება, რომელშიც აისახება ზუსტად იგივე პირობები, რომლებიც მოწონებულ იქნა პირველად პროექტში, – მაშინ სასოფლო-სამეურნეო იჯარის საკითხების მარეგულირებელმა სახელმწიფო უწყებამ უნდა გასცეს თავისი თანხმობა ამ საბოლოო ხელშეკრულების დადებაზე.

– 4. სასოფლო-სამეურნეო იჯარის ხელშეკრულების პირველადი პროექტის მოწონება დაუშვებელია მას შემდეგ, რაც ამ პროექტში მოიჯარის სახით ნახსენებ პირს უკვე მიეცა ფაქტობრივად შესაბამისი ფერმერული მეურნეობით სარგებლობის ნება.

განყოფილება 7.5.4 – სასოფლო-სამეურნეო იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე იჯარის ხანგრძლივობა

მუხლი 7:325 იჯარის განსაზღვრული ვადა და სასოფლო-სამეურნეო იჯარის ხანგრძლივობა

– 1. სასოფლო-სამეურნეო იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე იჯარის ვადა ყოველთვის განსაზღვრულია. ეს უკანასკნელი შეადგენს თორმეტ წელს ფერმერული სახლისა და ექვს წელს აუთვისებელი სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთისათვის.

– 2. სასოფლო-სამეურნეო იჯარის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს პარ. 1-ში მითითებულზე მეტი საიჯარო ვადით იმ პირობით, თუკი დადგენილია ის თარიღი, როდესაც ეს ხელშეკრულება უნდა შეწყდეს.

– 3. სასოფლო-სამეურნეო იჯარის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს პარ. 1-ში მითითებულზე ნაკლები საიჯარო ვადით იმ პირობით, თუკი დადგენილია ის თარიღი, როდესაც ეს ხელშეკრულება უნდა შეწყდეს. ეს უფრო მოკლე საიჯარო ვადა საჭიროებს სასოფლო-სამეურნეო იჯარის საკითხების მარეგულირებელი სახელმწიფო უწყების მოწონებას, რომელიც შეიძლება განხორციელდეს სასოფლო-სამეურნეო იჯარის ხელშეკრულების დადებამდე ანდა ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მოწონების სტანდარტული პროცედურის განმავლობაში.

– 4. სასოფლო-სამეურნეო იჯარის საკითხების მარეგულირებელი სახელმწიფო უწყება პარ. 1-ში მითითებულზე ნაკლებ საიჯარო ვადას იწონებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მოცემულ შემთხვევაში ამისათვის სახეზეა განსაკუთრებული გარემოებები და ასევე ამ ვადის შედეგად სასოფლო-სამეურნეო სექტორის საერთო ინტერესებს ზიანი არ მიადგება. თავის გადანყვეტილებაში უწყება უთითებს მოწონების მიზეზს. მესამე პირების მიერ მოიჯარის მიმართ დადგენილი შეზღუდვები არ განიხილება როგორც განსაკუთრებული გარემოებები.

– 5. ფერმერული სახლისათვის, სულ ცოტა, თორმეტწლიანი და აუთვისებელი სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთისათვის კი, სულ ცოტა, ექვსწლიანი საიჯარო ვადით დადებული სასოფლო-სამეურნეო იჯარის ხელშეკრულება ამ ვადის ან ნებისმიერი მომდევნო ვადის გასვლის შემდეგ ავტომატურად კანონის ძალით გახანგრძლივდება ექვსი წლით.

– 6. იმ შემთხვევებში, როდესაც სასოფლო-სამეურნეო იჯარის საკითხების მარეგულირებელმა სახელმწიფო უწყებამ მოინონა ნაკლები საიჯარო ვადა, სასოფლო-სამეურნეო იჯარის ხელშეკრულება ავტომატურად კანონის ძალით არ გახანგრძლივდება, თუმცაღა, სასამართლოს მოიჯარის მოთხოვნის საფუძველზე შეუძლია გააგრძელოს მისი მოქმედება სასამართლოს მიერ განსაზღვრული ვადით იმ საფუძველზე, რომ პარ. 4-ში მითითებულ განსაკუთრებულ გარემოებებს ადგილი არ ჰქონდა და ვერც მომავალში ექნება. სასარჩელო მოთხოვნის წარდგენა უნდა მოხდეს აღნიშნული მიზნით სასოფლო-სამეურნეო იჯარის საკითხების მარეგულირებელი სახელმწიფო უწყების მიერ თავის იმ გადაწყვეტილებაში განსაზღვრული ვადის განმავლობაში, რომელშიც მან მოინონა ნაკლები საიჯარო ვადა. პარ. 5-ის ნორმები მოქმედებს ასევე გახანგრძლივებული სასოფლო-სამეურნეო იჯარის ხელშეკრულების მიმართაც.

– 7. იმ შემთხვევებში, როდესაც სასოფლო-სამეურნეო იჯარის საკითხების მარეგულირებელმა სახელმწიფო უწყებამ მოინონა ერთნაირი ან ნაკლები საიჯარო ვადა, სასოფლო-სამეურნეო იჯარის ხელშეკრულების მოქმედების გაგრძელებას ადგილი არ ექნება.

მუხლი 7:326 სასოფლო-სამეურნეო იჯარის ხელშეკრულების შინაარსის გადახედვა

– 1. იჯარის ვადის ამონაწერამდე ყოველ დროს მეიჯარეს ან მოიჯარეს შეუძლია სასოფლო-სამეურნეო იჯარის საკითხების მარეგულირებელ სახელმწიფო უწყებას მოსთხოვოს სასოფლო-სამეურნეო იჯარის ხელშეკრულების სახელშეკრულებო დებულებების გადახედვა იმდენად, რამდენადაც ეს პირობები არ ეხება იმ სამაგიერო შესრულებას, რომელიც უნდა განხორციელდეს მოიჯარის მიერ.

– 2. სასოფლო-სამეურნეო იჯარის საკითხების მარეგულირებელი სახელმწიფო უწყება ამონებს აღნიშნულ სახელშეკრულებო დებულებებს, თუკი ამის აუცილებლობა განპირობებულია განსაკუთრებული გარემოებებით იმ პირობით, რომ არც სასოფლო-სამეურნეო სექტორის საერთო ინტერესები და არც მეორე მხარის გონივრული ინტერესები მოთხოვნილ ცვლილებას არ ეწინააღმდეგება.

– 3. ცვლილებები ძალაში შედის იჯარის ახალი ვადის პირველი დღიდან.

– 4. დაუშვებელია გადახედვის მოთხოვნა სამოქალაქო კოდექსის 6:258 მუხლის საფუძველზე (გაუთვალისწინებელი გარემოებები).

განყოფილება 7.5.5 – სასოფლო-სამეურნეო იჯარის ქირა

მუხლი 7:327 იჯარის ქირის თანხის მაქსიმალური ოდენობა

– 1. იჯარის ქირის თანხის მაქსიმალურ ოდენობასთან დაკავშირებული წესები მიიღება მეფის სამთავრობო ბრძანებითა თუ ამ უკანასკნელის შესაბამისად.

– 2. პარ. 1-ში მითითებული წესები გამიზნულია იჯარის იმ ოდენობის ფასების (იჯარის ქირის თანხების) დადგენის ხელშეწყობისკენ, რომლებიც გონივრულ შესაბამისობაშია ჯეროვნად მართული ფერმერული მეურნეობის მოგების ოდენობასთან იმ პირობით, რომ აღნიშნული წესების განსაზღვრისას ასევე უნდა იქნეს გათვალისწინებული მეიჯარის გონივრული ინტერესებიც.

– 3. პარ. 1-ში მითითებული წესების ჯეროვანი დაცვით, სასოფლო-სამეურნეო იჯარის საკითხების მარეგულირებელ სახელმწიფო უწყებებს, თითოეულს საკუთარი სამოქმედო ტერიტორიისათვის, – აუცილებლობის შემთხვევაში, რამდენიმე შემთხვევითი ტესტის ჩატარების შემდეგ – შეუძლიათ განსაზღვრონ თავიანთ სამოქმედო ტერიტორიებზე იჯარის ქირის თანხების ოდენობა და გამოსცენ დამატებითი განკარგულებები ამ თანხებთან დაკავშირებით. ასეთი განკარგულებები უქმდება მათი ძალაში შესვლის დღიდან ერთი წლის ვადის გასვლის შემდეგ.

– 4. ზემოაღნიშნული განკარგულებები საჭიროებს სოფლის მეურნეობის, ბუნებისა და სურსათის კონტროლის მინისტრის მონაწილას და ისინი უნდა გამოქვეყნდეს ჰოლანდიის მაცნეში („Staatscourant“).

მუხლი 7:328 ფერმერული მეურნეობის ან მიწის ნაკვეთის სარგებლობისათვის სამაგიერო შესრულება

– 1. ის სამაგიერო შესრულება, რომელიც უნდა განხორციელოს მოიჯარემ, შეიძლება შეიცავდეს მხოლოდ შეთანხმებულ იჯარის ქირას დამატებით ვალდებულებებთან ერთად ან მათ გარეშე.

– 2. იჯარის ქირის თანხა შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ ჰოლანდიურ ვალუტაში, რომლის გადახდა ხდება გარკვეული დროის პერიოდებში და რომლის ოდენობაც არ არის დამოკიდებული ფერმერული მეურნეობის პროდუქციის ფასსა თუ სხვა ელემენტებზე.

– 3. თუმცაღა, სასოფლო-სამეურნეო იჯარის საკითხების მარეგულირებელი სახელმწიფო უწყება

უფლებამოსილია როგორც მხარეთა მოთხოვნის საფუძველზე სასოფლო-სამეურნეო იჯარის ხელშეკრულების დადების მომენტამდე, ისე ამ ხელშეკრულების შემონახვისას არსებული მონონების სტანდარტული პროცედურის განმავლობაში მოიწონოს პარ. 1 და 2-ის ნორმებიდან გადახვევა.

– 4. იმ შემთხვევებში, როდესაც სასოფლო-სამეურნეო იჯარის საკითხების მარეგულირებელმა სახელმწიფო უწყებამ მოიწონა აღნიშნული სასოფლო-სამეურნეო იჯარის ხელშეკრულება, ის უნდა დარწმუნდეს იმაში, რომ შეთანხმებული სამაგიერო შესრულება არ აღემატება 7:327 მუხლის პარ. 1-ში მითითებულ იჯარის ქირის თანხის მაქსიმალურ ოდენობას, და ასევე უწყებამ უნდა განიხილოს 7:327 მუხლის პარ. 1 და 2-ის ნორმების მოქმედების სფერო და აუცილებელი შედეგები.

მუხლი 7:329 კონკრეტული საჯარო გადასახდელები და მოსაკრებლები ნაწილობრივ ეკისრება მოიჯარეს

იმ შემთხვევებში, როდესაც მეიჯარეს მიწათსარგებლობის შესახებ კანონის, სოფლის რეგიონებში მიწათსარგებლობის შესახებ კანონის ძალით, ასევე – მიდენ დელფლანდისა (Midden-Delfland) თუ კონცენტრაციის ინტერვალის ხელახალი განვითარების შესახებ კანონის ძალით, აღმოსავლეთ გრონინგენის (Oost-Groningen) და გრონინგენისა და დრენტეს ტორფის რაიონის ხელახალი განვითარების შესახებ კანონის საფუძველზე ეკისრება ანდა მომავალში დაეკისრება გადასახდელები და მოსაკრებლები, მეიჯარე უფლებამოსილია ხელშეკრულებაში დათქვას, რომ ეს გადასახდელები და მოსაკრებლები ნაწილობრივ დაეკისრება მოიჯარეს.

მუხლი 7:330 იჯარის ქირის თანხის შემცირება საგანგებო გარემოებების გამო

– 1. მოიჯარე უფლებამოსილია იჯარის ქირის თანხის შემცირებაზე (დაკლებაზე) იმ საიჯარო წლისა თუ საიჯარო სეზონისათვის, რომლის განმავლობაშიც საგანგებო გარემოებათა შედეგად ფერმერული მეურნეობის მოგება მნიშვნელოვნად შემცირდა, ვიდრე ეს მოსალოდნელი იყო სასოფლო-სამეურნეო იჯარის ხელშეკრულების დადებისას, ანდა – იმ საიჯარო წლისა თუ საიჯარო სეზონისათვის, რომლის განმავლობაშიც მოიჯარემ დროებით ვერ შეძლო ოჯარით გადაცემული ქონებით სრულად ან ნაწილობრივ სარგებლობა.

– 2. თუმცადა, ქვემოთ მოცემული გარემოებები არ წარმოადგენს იჯარის ქირის თანხის შემცირების საფუძველს:

a. ფერმერული მეურნეობის პროდუქციის ფასის შემცირება;

b. გარემოებები, რომლებიც შეეზღუდა მოიჯარეს ან იწვევს იმ შედეგებს, რომელთა თავიდან აცილება მოიჯარეს გონივრულად შეეძლო სადაზღვევო პოლისის მეშვეობით ანდა სხვა ზომების მიღებით;

c. ის ზარალი, რომელიც მოიჯარეს სხვა პირისაგან შეუძლია აინაზღაუროს.

– 3. იჯარის ქირის თანხის შემცირების მოთხოვნით მოიჯარის სარჩელის უფლება ხანდაზმულია ექვსი თვის ვადის გასვლისთანავე იმ საიჯარო წლისა თუ საიჯარო სეზონის დასრულების შემდეგ, როდესაც იჯარის ქირა ექვემდებარება გადახდას.

მუხლი 7:331 იჯარის ქირის თანხის გაზრდა სახელმწიფო ორგანოების მიერ ჩატარებული სამუშაოების გამო

– 1. მეიჯარე უფლებამოსილია გაზარდოს იჯარის ქირის თანხა იმ საიჯარო წლისა თუ საიჯარო სეზონისათვის, რომლის განმავლობაშიც არასტანდარტული სამუშაოების განხორციელების გამო სახელმწიფო ორგანოების მიერ მეიჯარეზე დაკისრებული თანხების ოდენობა იმაზე ბევრად მეტია, რაც მოსალოდნელი იყო სასოფლო-სამეურნეო იჯარის ხელშეკრულების დადებისას იმ პირობით, რომ მოიჯარის ფერმერულმა მეურნეობამ სარგებელი მიიღო სახელმწიფო ორგანოების მიერ ჩატარებული სამუშაოებიდან.

– 2. იჯარის ქირის თანხის გაზრდის მოთხოვნით მეიჯარის სარჩელის უფლება ხანდაზმულია ექვსი თვის ვადის გასვლისთანავე იმ საიჯარო წლისა თუ საიჯარო სეზონის დასრულების შემდეგ, როდესაც იჯარის ქირა ექვემდებარება გადახდას.

მუხლი 7:332 იჯარის ქირის თანხის გაზრდა მეიჯარის მიერ ჩატარებული სამუშაოების გამო

– 1. მეიჯარე უფლებამოსილია გაზარდოს იჯარის ქირის თანხა საიჯარო წლისა თუ საიჯარო სეზონისათვის, თუკი მან საკუთარ ხარჯზე განახორციელა დამატებითი სამუშაოები, რომელთა შედეგადაც მოიჯარის ფერმერული მეურნეობა გაუმჯობესდა იმგვარად, რომ შეიძლება მოთხოვნილ იქნეს იჯარის ქირის თანხის გაზრდა.

- 2. იჯარის ქირის თანხის გაზრდის მოთხოვნით მეიჯარის სარჩელის უფლება ხანდაზმულია ექვსი თვის ვადის გასვლისთანავე იმ საიჯარო წლისა თუ საიჯარო სეზონის დასრულების შემდეგ, როდესაც იჯარის ქირა ექვემდებარება გადახდას.

მუხლი 7:333 იჯარის ქირის თანხისა და სამაგიერო შესრულების ოდენობის გადახედვა

- 1. იჯარის ქირის თანხის ოდენობის გადახედვა ხდება კანონის ძალით 7:327 მუხლის პარ. 1-ის საფუძველზე მიღებული წესების კორექტირების შესაბამისად. თუმცა, მეიჯარეს მოიჯარისათვის გაგზავნილი წერილობითი შეტყობინებით შეუძლია სრულად ან ნაწილობრივ უარი თქვას იჯარის ქირის თანხის გაზრდის კუთვნილ მოთხოვნის უფლებაზე.

- 2. თუმცა, მიუხედავად ამისა, მოიჯარეს ან მეიჯარეს შეუძლია სასოფლო-სამეურნეო იჯარის საკითხების მარეგულირებელ სახელმწიფო უწყებას 7:327 მუხლის პარ. 1-ის საფუძველზე მიღებული წესების კორექტირების ძალაში შესვლის მომენტიდან მოსთხოვოს სამაგიერო შესრულების ოდენობის გადახედვა. უწყება ახდენს სამაგიერო შესრულების ოდენობის შეცვლას, თუკი ეს მოითხოვება გონივრულობისა და სამართლიანობის სტანდარტებით ანდა თუკი ეს გამართლებულია შეცვლილი გარემოებების გამო.

- 3. პარ. 1 და 2-ის ნორმების მოქმედების შეზღუდვის გარეშე, მოიჯარეს ან მეიჯარეს შეუძლია სასოფლო-სამეურნეო იჯარის საკითხების მარეგულირებელ სახელმწიფო უწყებას მოსთხოვოს სამაგიერო შესრულების ოდენობის გადახედვა სამწლიანი იჯარის ვადის დასრულებამდე. უწყება ახდენს სამაგიერო შესრულების ოდენობის შეცვლას, თუკი ეს მოითხოვება გონივრულობისა და სამართლიანობის სტანდარტებით ანდა თუკი ეს გამართლებულია შეცვლილი გარემოებების გამო.

- 4. პარ. 1-ის ნორმების შესაბამისად განხილული იჯარის ქირის თანხა და ასევე პარ. 2-ის ნორმების შესაბამისად შეცვლილი სამაგიერო შესრულება მოქმედებს 7:327 მუხლის პარ. 1-ის საფუძველზე მიღებული წესების კორექტირების ძალაში შესვლის მომენტიდან. პარ. 3-ში მითითებული სამაგიერო შესრულების ოდენობის შეცვლა მოქმედებს ახალი სამწლიანი ვადის პირველი დღიდან.

მუხლი 7:334 {გაუქმებულია 01.01.2012წ.}

მუხლი 7:335 გაუთვალისწინებელი გარემოებების საფუძველზე სამაგიერო შესრულების ცვლილების დაუშვებლობა

სამაგიერო შესრულების შეცვლის ან სასოფლო-სამეურნეო იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე კომპენსაციის მოთხოვნა სამოქალაქო კოდექსის 6:258 მუხლის საფუძველზე (გაუთვალისწინებელი გარემოებები) დაუშვებელია.

განყოფილება 7.5.6 – მეიჯარის ვალდებულებები

მუხლი 7:336 საიჯარო ქონების მოიჯარის განკარგულებაში გადაცემა

მეიჯარე ვალდებულია, საიჯარო ქონება გადასცეს მოიჯარის განკარგულებაში და დატოვოს ის მის განკარგულებაში იმდენად, რამდენადაც ეს შეთანხმებული სარგებლობისათვის არის აუცილებელი.

მუხლი 7:337 საიჯარო ქონების ნაკლი

- 1. საიჯარო ქონების ნაკლთან დაკავშირებით მეიჯარეს ეკისრება წინამდებარე განყოფილებაში (განყოფილება 7.5.6) აღწერილი ვალდებულებები.

- 2. ნაკლი წარმოადგენს საიჯარო ქონების ხარისხსა თუ ნიშან-თვისებებს ანდა სხვა გარემოებას, რომელიც ვერ შეერაცხება მოიჯარეს და რომლის შედეგადაც მოიჯარე ვერ იღებს საიჯარო ქონებით ისეთ სარგებლობას, რაც სასოფლო-სამეურნეო იჯარის ხელშეკრულების დადების მომენტში მისთვის მოსალოდნელი იქნებოდა იმ ჯეროვნად ექსპლუატირებული ქონებისაგან, რომელსაც სასოფლო-სამეურნეო იჯარის ხელშეკრულება ეხება.

- 3. შეთანხმებულ სარგებლობაში იმ მესამე პირის მხრიდან რეალური ჩარევა, ვინც არ ითხოვს საიჯარო ქონების მიმართ რაიმე უფლების ქონას, როგორც ეს მითითებულია 7:344 მუხლში, არ წარმოადგენს ნაკლს პარ. 2-ის გაგებით; ნაკლს არ წარმოადგენს ასევე თავად საიჯარო ქონების მიმართ მესამე პირის მოთხოვნა, რაც რეალურად არ ინვესტ შედეგად შეთანხმებულ სარგებლობაში ჩარევას.

მუხლი 7:338 სამოქალაქო კოდექსის მე-6 ნიგში გათვალისწინებული უფლებები (სარჩელები) და სამართლებრივი დაცვის საშუალებები

მოიჯარეს აქვს წინამდებარე განყოფილების (განყოფილება 7.5.6) ნორმებით გათვალისწინებული უფლებები (სარჩელები) ყველა სხვა უფლებისა (სარჩელისა) და სამართლებრივი დაცვის საშუალების შეზღუდვის გარეშე, რომელიც მისთვის ხელმისაწვდომია კანონის შესაბამისად.

მუხლი 7:339 ნაკლის აღმოფხვრა

– 1. თუკი მოიჯარეს ეს სურს, მეიჯარემ უნდა აღმოფხვრას ნივთის ნაკლი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს შეუძლებელია ანდა მოითხოვს ისეთ ხარჯებს, რომელთა მოიჯარის მიერ განევა მოცემულ გარემოებებში გონივრულად ვერ იქნება მოსალოდნელი.

– 2. აღნიშნული ვალდებულება არ ეხება უმნიშვნელო ნაკლს, რომელიც უნდა გამოასწოროს თავად მოიჯარემ თანახმად 7:351 მუხლისა, და ასევე – იმ ნაკლს, რომლისათვისაც მეიჯარის წინაშე პასუხისმგებელია მოიჯარე.

– 3. იმ შემთხვევებში, როდესაც მეიჯარე არ ახდენს ნაკლის აღმოფხვრას, მოიჯარეს თავად შეუძლია ამის განხორციელება; იმდენად, რამდენადაც ნაკლის აღმოფხვრის ხარჯები გონივრულია, მათი მეიჯარისაგან მიღება დასაშვებია, თუკი ეს მოითხოვება მათი თანხების ქირის თანხიდან დაკავების გზით.

მუხლი 7:340 იჯარის ქირის თანხის შემცირება

– 1. იმ შემთხვევაში, თუკი ნაკლის შედეგად შემცირდა იჯარის საგნით სარგებლობის შესაძლებლობა, მოიჯარეს შეუძლია მოითხოვოს ქირის თანხის ოდენობის პროპორციული შემცირება იმ დღიდან, როდესაც მან ჯეროვნად შეატყობინა მეიჯარეს ნაკლის შესახებ, ანდა როდესაც საიჯარო ქონების ნაკლი საკმარისად ცნობილი იყო მოიჯარისათვის შესაბამისი ზომების მიღების მიზნით, – იმ დღემდე, როდესაც მოხდა ნაკლის აღმოფხვრა.

– 2. მოიჯარე არ არის უფლებამოსილი შეამციროს იჯარის ქირის თანხა იმ უმნიშვნელო ნაკლის გამო, რომელიც მან თავად უნდა გამოასწოროს თანახმად 7:351 მუხლისა, და ასევე – იმ ნაკლის გამო, რომლისათვისაც ის პასუხისმგებელია მეიჯარის წინაშე.

მუხლი 7:341 ზარალი

7:339 მუხლში მითითებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოიჯარისათვის გათვალისწინებული უფლებებისა და სამართლებრივი დაცვის საშუალებების შეზღუდვის გარეშე, მეიჯარე ვალდებულია აანაზღაუროს ნაკლის შედეგად გამოწვეული ზარალი, თუკი ნაკლი წარმოიშვა იჯარის ხელშეკრულების დადების შემდეგ და ის შეეარაცხება მას, ისევე როგორც – იმ შემთხვევაში, თუკი ნაკლი უკვე არსებობდა იჯარის ხელშეკრულების დადების მომენტში და მეიჯარემ იცოდა ან მას უნდა სცოდნოდა მისი არსებობის შესახებ ანდა მეიჯარემ აღნიშნულ მომენტში ნათლად განაცხადა, რომ საიჯარო ქონებას ეს ნაკლი არ ჰქონდა.

მუხლი 7:342 კანონის იმპერატიული ნორმები

მოიჯარის ინტერესების საზიანოდ 7:341 მუხლის ნორმიდან გადახვევა დაუშვებელია იმდენად, რამდენადაც საქმე ეხება ისეთ ნაკლს, რომლის არსებობის შესახებაც მეიჯარემ იჯარის ხელშეკრულების დადების მომენტში იცოდა ან მას უნდა სცოდნოდა მის შესახებ.

მუხლი 7:343 შეთანხმებული სარგებლობის შეუძლებლობა

– 1. თუკი ნაკლის შედეგად საიჯარო ქონებით იჯარის ხელშეკრულების შესაბამისად სარგებლობა სრულიად შეუძლებელი ხდება, თუმცა 7:339 მუხლიდან კი გამომდინარეობს, რომ მეიჯარე არ არის ვალდებული, აღმოფხვრას ეს ნაკლი, მაშინ როგორც მოიჯარეს, ისე მეიჯარესაც შეუძლია უარი თქვას იჯარის ხელშეკრულებაზე სამოქალაქო კოდექსის 6:267 მუხლის ნორმების საფუძველზე.

– 2. იმ ფაქტით გამოწვეული ზიანი, რომ იჯარის ხელშეკრულება შეწყდა პარ. 1-ის ნორმის მოქმედების შედეგად, შეიძლება ანაზღაურდეს ნაკლით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების შესახებ სავალო მოთხოვნის მეშვეობით.

მუხლი 7:344 მოიჯარის მიმართ მესამე პირთა სარჩელის უფლებები (სასარჩელო მოთხოვნები)

– 1. როდესაც მესამე პირი წარადგენს სასარჩელო მოთხოვნას (სარჩელის უფლებას) მოიჯარის წინააღმდეგ საიჯარო ქონების იძულებითი რეალიზაციის გზით გაყიდვის ან ამ ქონებაზე იმ უფლების ან საკუთ-

რების უფლების მიღების მიზნით, რითაც იჯარის ხელშეკრულების თანახმად საიჯარო ქონება არ უნდა ყოფილიყო დატვირთული, მაშინ მეიჯარე, როგორც კი მოიჯარე შეატყობინებს მას თავისი სასარჩელო მოთხოვნის (სარჩელის უფლების) შესახებ, ვალდებულია ჩაერთოს სასამართლო დავის განხილვაში მოიჯარის ინტერესების დაცვის მიზნით.

– 2. მეიჯარემ მოიჯარეს უნდა აუნაზღაუროს ზემოაღნიშნულ სასარჩელო მოთხოვნასთან (სარჩელის უფლებასთან) დაკავშირებით განცდილი ყველა ხარჯი, თუმცაღა, თუკი შეტყობინება არ გაიგზავნა დაუყოვნებლივ, მაშინ ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ხარჯები, რომლებიც წარმოიშვა აღნიშნული შეტყობინების შემდეგ.

– 3. როდესაც ძირითადი მეიჯარე წარადგენს სასარჩელო მოთხოვნას (სარჩელის უფლებას) ქვემოიჯარის წინააღმდეგ ქვეიჯარით გადაცემულ ქონებასთან დაკავშირებით, მაშინ წინა პარაგრაფის ნორმები შესაბამისად გამოიყენება მოიჯარის მიმართ.

მუხლი 7:345 მეიჯარის ვალდებულება, აღადგინოს დანგრეული უძრავი ნივთები

– 1. მეიჯარე ვალდებულია აღადგინოს ის აშენებული უძრავი ნივთი, რომელიც განადგურდა ხანძრისა თუ ქარბუქის შედეგად, რამდენადაც აღდგენა აუცილებელია საიჯარო ქონებასთან დაკავშირებული ფერმერული მეურნეობის წარმართვისათვის. ეს ვალდებულება არ არსებობს, თუკი სასოფლო-სამეურნეო იჯარის ხელშეკრულების საიჯარო ვადა 7:325 მუხლში გათვალისწინებული კანონისმიერ ვადაზე ნაკლებია; აღნიშნული ვალდებულება არ არსებობს ასევე ქვემოიჯარისათვისაც.

– 2. მეიჯარის მოთხოვნის საფუძველზე, რომელიც წარდგენილ იქნა სასოფლო-სამეურნეო იჯარის ხელშეკრულების დადებამდე ან ამ ხელშეკრულების მოწონების სტანდარტული პროცედურის განმავლობაში სასოფლო-სამეურნეო იჯარის საკითხების მარეგულირებელ სახელმწიფო უწყებას შეუძლია გაათავისუფლოს მეიჯარე პარ. 1-ში მითითებული ვალდებულებისაგან, თუკი აშენებული უძრავი ნივთების დაზღვევა მათი აღდგენის ღირებულებისათვის არსებული გონივრული პირობებით შეუძლებელია ანდა თუკი მოსალოდნელია, რომ უძრავი ნივთების განადგურების დროს მათი აღდგენის ვალდებულება ქარწყლდება პარ. 4-ის პირველ წინადადებაში მოცემული კანონისმიერი ნორმების საფუძველზე.

– 3. თუკი მეიჯარემ, – მიუხედავად იმისა, რომ მაინც შესაძლებელია აშენებული უძრავი ნივთების მათი აღდგენის ღირებულებისათვის არსებული გონივრული პირობებით დაზღვევა, – არ დააზღვია ან საკმარისად არ დააზღვია ისინი ხანძრითა თუ ქარბუქით მიყენებული ზიანისაგან, და ასევე მან არ წარადგინა რაიმე სხვა უზრუნველყოფა პარ. 1-ში მითითებული მასზე დაკისრებული ვალდებულების შესასრულებლად, მაშინ სასამართლოს შეუძლია მოიჯარეს ამ უკანასკნელის მოთხოვნის საფუძველზე მიანიჭოს დაზღვევის პოლისის ან დამატებითი დაზღვევის პოლისის მიღების უფლება არაუმეტეს საიჯარო ვადისა და გადაიხადოს დაზღვევის პრემია მეიჯარის ხარჯზე. თუკი საქმე ეხება დამატებით დაზღვევის პოლისს, ეს უკანასკნელი უნდა იყოს გაცემული იმ მზღვეველის მიერ, ვისთანაც უკვე დაზღვეულია აშენებული უძრავი ნივთები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში სხვაგვარად ადგენს. წინამდებარე მუხლის მიზნებისათვის, აღდგენის ღირებულებისათვის არსებული დაზღვევა გულისხმობს იმ თანხის ოდენობით დაზღვევას, რაც საშუალებას აძლევს მეიჯარეს, განახორციელოს პარ. 1-ის პირველ წინადადებაში მითითებული მასზე დაკისრებული ვალდებულების შესრულება.

– 4. მეიჯარის ვალდებულება, აღადგინოს დანგრეული უძრავი ნივთები ქარწყლდება, თუკი მეიჯარისაგან გონივრულად არ არის მოსალოდნელი ასეთი განადგურებული ნივთის აღდგენა სასოფლო-სამეურნეო სექტორის საერთო ინტერესებისა თუ ამ კონკრეტული შემთხვევის განსაკუთრებული გარემოებების გათვალისწინებით. თუკი მოიჯარე პასუხისმგებელია ხანძრით მიყენებული ზიანისათვის, მაშინ მეიჯარის მხრიდან განადგურებული უძრავი ნივთის აღდგენის ვალდებულების შესრულება გადაიდება მანამდე, სანამ მოიჯარე არ შეასრულებს მასზე დაკისრებულ ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას.

განყოფილება 7.5.7 – მოიჯარის ვალდებულებები

მუხლი 7:346 სამაგიერო შესრულება

მოიჯარე ვალდებულია, განახორციელოს სამაგიერო შესრულება შეთანხმებული წესითა და ვადებში.

მუხლი 7:347 წინდახედული მოიჯარე

მოიჯარე ვალდებულია, საიჯარო ქონებით სარგებლობასთან დაკავშირებით იმოქმედოს როგორც წინდახედულმა მოიჯარემ.

მუხლი 7:348 საიჯარო ქონების ცვლილებები

– 1. მოიჯარე არ არის უფლებამოსილი, სრულად ან ნაწილობრივ შეცვალოს საიჯარო ქონების ფუნქციონალური მოწყობა ან ფორმა მეიჯარის წერილობითი თანხმობის გარეშე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქმე ეხება ისეთ ცვლილებებსა და დამატებებს, რომელთა იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტისას მოცილება და თან წაღება შესაძლებელია რაიმე საყურადღებო ხარჯების გარეშე.

– 2. თუკი მეიჯარე არ განაცხადებს თავისი თანხმობის შესახებ, მაშინ მოიჯარეს შეუძლია სასოფლო-სამეურნეო იჯარის საკითხების მარეგულირებელ სახელმწიფო უწყებას მოსთხოვოს დაგეგმილი ცვლილებების თავად განხორციელების უფლების მინიჭება. თუ მეიჯარე ასევე არ წარმოადგენს საიჯარო ქონების მესაკუთრეს, უზუფრუქტურასა თუ გრძელვადიან მოიჯარეს, მაშინ ის უზრუნველყოფს იმას, რომ მესაკუთრე, უზუფრუქტური ან გრძელვადიანი მოიჯარე ასევე დროულად იქნეს მოწვეული სასამართლო დავის განხილვაში. თუკი საიჯარო ქონება დატვირთულია იპოთეკით, მაშინ ეს ვალდებულება ასევე არსებობს იპოთეკარის მიმართაც.

– 3. სასოფლო-სამეურნეო იჯარის საკითხების მარეგულირებელ სახელმწიფო უწყებას შეუძლია მოსთხოვნა დააკმაყოფილოს მხოლოდ იმ პირობით, თუკი ცვლილებები აუცილებელია მოიჯარის მიერ საიჯარო ქონებით ეფექტური სარგებლობისათვის და მეიჯარე აღნიშნული ცვლილებების საწინააღმდეგოდ ვერ წარადგენს დამაჯერებელ პრეტენზიებს.

– 4. სასოფლო-სამეურნეო იჯარის საკითხების მარეგულირებელ სახელმწიფო უწყებას შეუძლია თავისი თანხმობის გაცემა დაუკავშიროს განსაზღვრული პირობებისა თუ მოვალეობების შესრულებას; მეიჯარის მოსთხოვნის საფუძველზე, უწყებას შეუძლია გაზარდოს საიჯარო ქირის თანხა, თუკი ცვლილებები იწვევს ქირის თანხის ასეთ ზრდას.

მუხლი 7:349 საიჯარო ქონებაზე დამატებული საგნების თან წაღების უფლება

– 1. საიჯარო ქონების დაცლის მომენტამდე მოიჯარე უფლებამოსილია მოაცილოს და თან წაიღოს მის მიერ განხორციელებული ცვლილებები და დამატებები იმ პირობით, რომ საიჯარო ქონების დაბრუნება ხდება იმ მდგომარეობაში, რომელიც იჯარის ვადის დასრულებისას შეიძლება მიჩნეულ იქნეს როგორც მისი თავდაპირველი მდგომარეობის შესაბამისი.

– 2. საიჯარო ქონების დაცლამდე მოიჯარეს არ ესაჭიროება კანონიერად განხორციელებული ცვლილებებისა და დამატებების მოცილება ან თან წაღება, მიუხედავად სასამართლოს უფლებამოსილებისა, დააკისროს მას ასეთი მოვალეობა 7:348 მუხლის პარ. 4-ის ნორმების საფუძველზე.

მუხლი 7:350 საიჯარო ქონების გაუმჯობესებისათვის გათვალისწინებული საკომპენსაციო თანხა

– 1. სასოფლო-სამეურნეო იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტისას მეიჯარემ მოიჯარეს უნდა გადაუხადოს გონივრული კომპენსაცია იმ ცვლილებებისა და დამატებებისათვის, რომლებიც განხორციელდა მოიჯარის მიერ იმდენად, რამდენადაც ისინი წარმოადგენს საიჯარო ქონების გაუმჯობესებას.

– 2. აღნიშნული საკომპენსაციო თანხა არ უნდა აღემატებოდეს იმ ოდენობას, რითაც იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტისას განხორციელებული გაუმჯობესების შედეგად გაიზარდა საიჯარო ქონების ღირებულება. საკომპენსაციო თანხა მცირდება იმ ოდენობის პროპორციულად, რომლითაც მოიჯარეს შეეძლო თავად ესარგებლა განხორციელებული გაუმჯობესების ნაყოფით.

– 3. მოიჯარეს შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში მოითხოვოს ზემოაღნიშნული საკომპენსაციო თანხა, თუკი მან წერილობით შეატყობინა მეიჯარეს დაგეგმილი გაუმჯობესების შესახებ, რომლის დროსაც შეტყობინებში ნახსენებია ასევე შესაბამის სავარაუდო ხარჯებიც, და მეიჯარემ არ გააპროტესტა ეს დაგეგმილი გაუმჯობესება წერილობით შეტყობინების მიღებიდან ერთი თვის განმავლობაში ანდა სასამართლომ მიანიჭა მოიჯარეს აღნიშნული გაუმჯობესების უფლება ამ მიზნით მოიჯარის მიერ წარდგენილი სასარჩელო მოსთხოვნის საფუძველზე.

– 4. 7:348 მუხლის პარ. 2 და 4-ის პირველი წინადადების ნორმები შესაბამისად გამოიყენება მოიჯარის მიერ გაუმჯობესების უფლების მიღების მიზნით წარდგენილი სასარჩელო მოსთხოვნის მიმართ, როგორც ეს მითითებულია წინა პარაგრაფში.

– 5. გაუმჯობესებისათვის საკომპენსაციო თანხის მიღების მოთხოვნით მოიჯარის სარჩელი ვერ დაეფუძნება სამოქალაქო კოდექსის 6:212 მუხლის ნორმებს.

მუხლი 7:351 მიმდინარე რემონტი

მოიჯარემ თავის ხარჯზე უნდა განახორციელოს მიმდინარე რემონტი გარდა იმ შემთხვევებისა, რო-

დესაც ასეთი რემონტი აუცილებელი გახდა იმის გამო, რომ მეიჯარემ არ შეასრულა თავისი მოვალეობა, აღმოეფხვრა საიჯარო ქონების ის ნაკლი, რომლისათვისაც ის არის პასუხისმგებელი.

მუხლი 7:352 მოიჯარის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული მტკიცების პრეზუმფცია

– 1. მოიჯარე პასუხისმგებელია იმ ზინისათვის, რომელიც საიჯარო ქონებისათვის მიყენებულ იქნა მასზე სასოფლო-სამეურნეო იჯარის ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებების დარღვევით იმდენად, რამდენადაც მას შეეცადა ეს დარღვევა.

– 2. ივარაუდება, რომ ყველა ზიანი მიყენებულ იქნა პარ. 1-ში მითითებული ვალდებულებების დარღვევის შედეგად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ზიანი გამონვეულ იქნა ხანძრით.

– 3. 7:358 მუხლის პარ. 2-ის ნორმათა მოქმედების შეზღუდვის გარეშე, ივარაუდება, რომ მოიჯარემ საიჯარო ქონება კარგ მდგომარეობაში მიიღო.

მუხლი 7353 მესამე პირთა ქცევისათვის მოიჯარის პასუხისმგებლობა

მსგავსად იმისა, თუ როგორ აგებს პასუხს მოიჯარე მეიჯარე წინაშე საკუთარი ქმედებებისათვის, ის პასუხისმგებელია მის წინაშე იმ პირთა ქცევისათვისაც, რომლებიც მისი თანხმობით იყენებენ საიჯარო ქონებას ან იმყოფებიან მასში.

მუხლი 7:354 მეიჯარის მიერ ინიცირებული გადაუდებელი სამუშაოები და აუცილებელი გაუმჯობესებები

– 1. თუკი აუცილებელია, რომ საიჯარო ქონების მიმართ იჯარის ვადის განმავლობაში განხორციელდეს გადაუდებელი სამუშაოები ანდა თუკი მეიჯარემ იჯარის ვადის განმავლობაში უნდა ითმინოს, რომ მისი ქონება გამოყენებული იქნება თანახმად სამოქალაქო კოდექსის 5:56 მუხლისა სხვა პირების მიერ ასეთი სამუშაოების მომიჯნავე ფართების სასარგებლოდ განხორციელებისათვის, მაშინ მოიჯარემ უნდა დაუშვას ამ სამუშაოების შესრულების შესაძლებლობა იჯარის ქირის თანხის შემცირების, იჯარის ხელშეკრულებაზე უარისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებების რეალიზაციის შეზღუდვის გარეშე.

– 2. მეიჯარე არ არის უფლებამოსილი, მოახდინოს საიჯარო ქონების გაუმჯობესება მოიჯარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

– 3. თუკი მოიჯარე არ განაცხადებს თავისი თანხმობის შესახებ, მაშინ მეიჯარეს შეუძლია მოსთხოვოს სასოფლო-სამეურნეო იჯარის საკითხების მარეგულირებელ სახელმწიფო უწყებას გაუმჯობესების თავად განხორციელების უფლების მინიჭება.

– 4. სასოფლო-სამეურნეო იჯარის საკითხების მარეგულირებელ სახელმწიფო უწყებას შეუძლია მოთხოვნა დააკმაყოფილოს მხოლოდ იმ პირობით, თუკი გაუმჯობესება აუცილებელია საიჯარო ქონებით ეფექტური სარგებლობისათვის და მოიჯარე აღნიშნული გაუმჯობესების საწინააღმდეგოდ ვერ წარადგენს დამაჯერებელ პრეტენზიებს.

– 5. სასოფლო-სამეურნეო იჯარის საკითხების მარეგულირებელ სახელმწიფო უწყებას შეუძლია თავისი თანხმობის გაცემა დაუკავშიროს განსაზღვრული პირობებისა თუ მოვალეობების შესრულებას; მოიჯარის ან მეიჯარის მოთხოვნის საფუძველზე, უწყებას შეუძლია გაზარდოს საიჯარო ქირის თანხა, თუკი გაუმჯობესება იწვევს ქირის თანხის ასეთ ზრდას.

მუხლი 7:355 იჯარით გადაცემული ფერმერული მეურნეობისა თუ მიწის ნაკვეთის ქვეიჯარა

მოიჯარე არ არის უფლებამოსილი, დადოს სასოფლო-სამეურნეო იჯარის ხელშეკრულება ქვემოიჯარესთან მეიჯარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

მუხლი 7:356 ნაკლის შესახებ მეიჯარის ინფორმირების ვალდებულება

თუკი მოიჯარემ საიჯარო ქონებაში აღმოაჩინა ნაკლი ან თუკი მესამე პირები ხელს უშლიან მას ამ ქონებით სარგებლობაში, ანდა თუკი მესამე პირები საიჯარო ქონების მიმართ აცხადებენ თავიანთი უფლებების შესახებ, მაშინ მოიჯარემ ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს მეიჯარეს, ხოლო თუკი ის ამას არ აკეთებს, მაშინ მან უნდა აანაზღაუროს ის ზიანი, რომელსაც მეიჯარე განიცდის აღნიშნული გაუფრთხილებლობის შედეგად.

მუხლი 7:357 პოტენციური მოიჯარისა თუ მყიდველების ვიზიტის დაშვების ვალდებულება

როდესაც მეიჯარეს სურს საიჯარო ქონების იჯარით გაცემა მოქმედი იჯარის ხელშეკრულების დას-

რულების შემდეგ ანდა როდესაც მას სურს საიჯარო ქონების ვინმე სხვა პირისათვის მიყიდვა, ამ უძრავი ქონების ან მისი ნაწილის მოიჯარემ უნდა ითმინოს ქონებაზე სტანდარტული აბრებისა და განცხადებების განთავსება ან დაყენება და მან პოტენციურ მოიჯარეებსა თუ მყიდველებს უნდა მისცეს ობიექტზე ვიზიტისა და მისი დათვალიერების შესაძლებლობა.

მუხლი 7:358 იჯარის ვადის გასვლისას საიჯარო ქონების დაბრუნების ვალდებულება

– 1. იჯარის ვადის გასვლისას მოიჯარე ვალდებულია დაუბრუნოს მეიჯარეს საიჯარო ქონება კარგ მდგომარეობაში.

– 2. როდესაც მოიჯარემ და მეიჯარემ აღწერეს საიჯარო ქონების მდგომარეობა, მოიჯარემ ქონება უნდა დააბრუნოს იმავე მდგომარეობაში, რომელშიც ის იყო მიღებული ამ აღწერის მიხედვით კანონიერად განხორციელებული ცვლილებებისა და დამატებების გარდა, და ასევე – იმ საგნების გარდა, რომლებიც განადგურდა ან დაზიანდა დროისა თუ ჩვეულებრივი გამოყენების შედეგად.

მუხლი 7:359 საიჯარო ქონების დროული არდაცლა

როდესაც მოიჯარე იჯარის ვადის გასვლის შემდეგ უკანონოდ აკავებს საიჯარო ქონებას, მეიჯარეს დროის იმ პერიოდისათვის, როდესაც ის ვერ იყენებს ამ ქონებას, შეუძლია მოითხოვოს ზიანი იჯარის ქირის თანხის ოდენობით მის მიერ უფრო მეტი ოდენობით საკომპენსაციო თანხის მოთხოვნის უფლების შეზღუდვის გარეშე, თუკი აღნიშნული იჯარის ქირის ოდენობა არ არის საკმარისი ყოველგვარი მიყენებული ზიანის ანაზღაურებისათვის.

მუხლი 7:360 გამსვლელი და შემომსვლელი მოიჯარეების ვალდებულებები საიჯარო ქონების მიღებისას

– 1. გამსვლელი და შემომსვლელი მოიჯარეები ვალდებული არიან, გაუწიონ დახმარება ერთმანეთს იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელია საიჯარო ქონების მარტივად დაცლისა და მიღებისას არა მარტო მომავალი წლისათვის ქონების გამოყენებასთან დაკავშირებით, არამედ – ასევე მინიდან მოსავლისა და ნაყოფის მიღებასა და შენობა-ნაგებობებში შესვლასთან დაკავშირებით და სხვაგვარად.

– 2. წინა პარაგრაფში მითითებული ვალდებულების დაუდევრად შემსრულებელი მოიჯარე პასუხისმგებელია ზიანისათვის როგორც სხვა მოიჯარის, ისე მეიჯარის მიმართაც.

განყოფილება 7.5.8 – საიჯარო ქონების გასხვისებისას იჯარის ხელშეკრულების გადასვლა ახალ მოიჯარეზე

მუხლი 7:361 იჯარის ხელშეკრულების გადასვლა ახალ მოიჯარეზე საიჯარო ქონების გასხვისებისას

– 1. მეიჯარის მიერ საიჯარო ქონების გასხვისება ანდა მასზე დამოუკიდებელი უზუფრუქტის, გრძელვადიანი იჯარისა თუ აღნაგობის უფლების დადგენა ან გადაცემა შედეგად იწვევს იმას, რომ იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მეიჯარის ის უფლებები და ვალდებულებები, რომლებიც აღნიშნული მომენტისათვის ვადამოსული და შესასრულებელი გახდა, გადადის შემძენ მხარეზე.

– 2. მეიჯარის კრედიტორის მიერ საიჯარო ქონების გასხვისება უთანაბრდება თავად მეიჯარის მიერ ამ ქონების გასხვისებას.

– 3. შემძენი მხარე შებოჭილია იჯარის ხელშეკრულების მხოლოდ იმ პირობებით, რომლებიც პირდაპირ ეხება საიჯარო ქონებით სარგებლობას და ასევე მინიჭებულია მეიჯარის მიერ მოიჯარის მხრიდან შესრულებული ვალდებულების სამაგიერო შესრულების სანაცვლოდ.

მუხლი 7:362 იჯარის ხელშეკრულებას ენიჭება პრიორიტეტი მოგვიანებით დადგენილ სანივთო უფლებებთან შედარებით

საიჯარო ქონებაზე იმ შეზღუდული სანივთო უფლების დადგენისა თუ გადაცემის შემთხვევაში, რომელიც არ არის მითითებული 7:361 მუხლის პარ. 1-ში, სანივთო უფლების მფლობელი მოიჯარის მიმართ ვალდებულია, შეიკავოს თავი თავისი უფლების განხორციელებისაგან იმდენად, რამდენადაც ეს გამოიწვევდა მოიჯარის მიერ უფლებრივად დატვირთული ქონებით სარგებლობას {ეს წესი მოქმედებს ასევე საიჯარო ქონებაზე მოგვიანებით დადგენილი იპოთეკის მიმართაც}.

განყოფილება 7.5.9 – სასოფლო-სამეურნეო იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე სახელშეკრულებო მდგომარეობის სუროგაცია (სუბსტიტუცია)

მუხლი 7:363 მოიჯარის სუროგაცია (სუბსტიტუცია)

– 1. მოიჯარეს შეუძლია სასამართლო წესით მოითხოვოს თავისი თავის მეუღლით, რეგისტრირებულ პარტნიორით, პირველი რიგის ერთ-ერთი სისხლით ნათესავითა და მოყვრით, ერთ-ერთი ნაშვილებითა თუ თანამოიჯარით ჩანაცვლების უფლების მინიჭება, ვინც ამიერიდან ასეთ შემთხვევაში მოიჯარის სახით გააგრძელებს მის სახელშეკრულებო მდგომარეობას არსებული იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე.

– 2. თუკი მოიჯარემ წარადგინა წინა პარაგრაფში მითითებული სასარჩელო მოთხოვნა, მაშინ მეიჯარე უფლებამოსილია, მიმართოს იმავე სასამართლოს წინა პარაგრაფში მითითებული ერთი ან რამდენიმე პირით მოიჯარის ჩანაცვლების უფლების მინიჭების სასარჩელო მოთხოვნით.

– 3. სასამართლო იღებს სამართლიან გადაწყვეტილებას წინამდებარე მუხლის დარჩენილი ნორმების გათვალისწინებით.

– 4. სასამართლო უარს ამბობს სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, თუკი ის არ მოიწონება და სასოფლო-სამეურნეო იჯარის ხელშეკრულებას 7:319 მუხლის პარ. 1-ის (d) პუნქტისა და (e) პუნქტის პირველი წინადადების ნორმების საფუძველზე 7:319 მუხლის პარ. 2 და 5-ის ნორმების გათვალისწინებით.

– 5. სასამართლო უარს ამბობს სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, თუკი სავარაუდო ახალი მოიჯარე არ ახდენს ბიზნესის სათანადოდ წარმართვასთან დაკავშირებით საკმარისი გარანტიის შეთავაზებას.

– 6. თუკი სასამართლოს მოუწევდა უარი ეთქვა სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე იმის გამო, რომ ის არ მოიწონებდა სასოფლო-სამეურნეო იჯარის ხელშეკრულებას 7:319 მუხლის პარ. 1-ის (d) პუნქტისა და (e) პუნქტის პირველი წინადადების ნორმების საფუძველზე, მაშინ მას შეუძლია შეცვალოს ხელშეკრულების ის პუნქტი ან პუნქტები, რომლებიც 7:319 მუხლის პარ. 1-ის ნორმებთან კავშირში ხელშეკრულების მოწონებას შეუძლებელს ხდის. შესაბამისად გამოიყენება 7:320 მუხლის პარ. 2-ის ნორმები.

– 7. სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებისას სასამართლოს შეუძლია თავისი გადაწყვეტილება დამოკიდებული გახადოს ისეთი პირობების შესრულებაზე, რომლებსაც ის აუცილებლად ჩათვლის მეიჯარის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე.

– 8. თუკი პარ. 6-ის ძალით სასოფლო-სამეურნეო იჯარის ხელშეკრულება შეიცვალა სავარაუდო ახალი მოიჯარის ნების საწინააღმდეგოდ, მაშინ ამ უკანასკნელს შეუძლია უარი ეთქვას ჩანაცვლებაზე მეიჯარისათვის დაზღვეული წერილით გაგზავნილი შეტყობინების გზით იმ პირობით, რომ ამ წერილის მიღება მოხდება ერთი თვის განმავლობაში მას შემდეგ, რაც სასამართლო მიიღებს თავის გადაწყვეტილებას. აღნიშნულ შემთხვევაში მოიჯარე ვერ გაასაჩივრებს სასამართლოს გადაწყვეტილებას ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში.

მუხლი 7:364 სასამართლოს მიერ ერთი ან მეტი დაკავშირებული პირის თანამოიჯარედ დანიშვნა

– 1. მოიჯარეს შეუძლია სასამართლო წესით მოითხოვოს თავისი მეუღლის ან რეგისტრირებული პარტნიორის, პირველი რიგის ერთი ან მეტი სისხლით ნათესავისა და მოყვრის, თავისი ერთი ან მეტი ნაშვილების – ანდა ორი ან მეტი აღნიშნული პირის ერთობლივად – თანამოიჯარედ დანიშვნა.

– 2. შესაბამისად გამოიყენება 7:363 მუხლის პარ. 3-დან 8-ის ჩათვლით ნორმები იმ პირობით, რომ აღნიშნული მიზნით სიტყვები „სავარაუდო ახალი მოიჯარე“ უნდა იქნეს ნაკითხული როგორც „სავარაუდო ახალი თანამოიჯარე“.

მუხლი 7:365 სასოფლო-სამეურნეო იჯარის ხელშეკრულებიდან გასული ან გაყვანილი თანამოიჯარე

– 1. თანამოიჯარეს, ვინც აღარ არის პირადად ჩართული საიჯარო ქონებაში არსებული ფერმერული მეურნეობის ბიზნესის წარმართვაში, შეუძლია სასამართლო წესით მოითხოვოს სასოფლო-სამეურნეო იჯარის ხელშეკრულებიდან გასვლა. სასამართლო იღებს სამართლიან გადაწყვეტილებას იმ პირობით, რომ ის დააკმაყოფილებს სასარჩელო მოთხოვნას გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მეიჯარისა თუ სხვა თანამოიჯარეების ინტერესები მნიშვნელოვნად დაზარალდება ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგად.

– 2. მეიჯარეს შეუძლია სასამართლო წესით მოითხოვოს თანამოიჯარის სასოფლო-სამეურნეო იჯარის ხელშეკრულებიდან გაყვანა იმ საფუძველზე, რომ ეს უკანასკნელი არ არის ან აღარ არის პირადად ჩართული საიჯარო ქონებაში არსებული ფერმერული მეურნეობის ბიზნესის წარმართვაში. შესაბამისად გამოიყენება პარ. 1-ის მეორე წინადადება.

– 3. თანამოიჯარეს შეუძლია სასამართლო წესით მოითხოვოს სხვა თანამოიჯარის სასოფლო-სამეურნეო იჯარის ხელშეკრულებიდან გაყვანა იმ საფუძველზე, რომ მათი ორმხრივი ურთიერთობა საიჯარო ქონებაში არსებული ფერმერული მეურნეობის ბიზნესის ერთობლივ წარმართვას უკიდურესად ართულებს.

განყოფილება 7.5.10 – სასოფლო-სამეურნეო იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტა

მუხლი 7:366 ერთ-ერთი მხარის გარდაცვალების სამართლებრივი შედეგები

- 1. მოიჯარის ან მეიჯარის გარდაცვალება არ იწვევს შედეგად იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტას.
- 2. როდესაც მოიჯარის მემკვიდრეები არ არიან უფლებამოსილი, საიჯარო ქონებით სარგებლობის უფლება მიანიჭონ მესამე პირს, მაშინ მოიჯარის გარდაცვალების შემდეგ ექვსი თვის განმავლობაში იჯარის ხელშეკრულება მოიჯარის მემკვიდრეების მიერ შეიძლება შეწყდეს აღმასრულებლის შეტყობინებით ან დაზღვეული წერილით.
- 3. თუ გარდაცვლილი მოიჯარე თავის შემდგომ ტოვებს ორ ან რამდენიმე მემკვიდრეს, მაშინ მეიჯარე ვალდებულია, ითანამშრომლოს ერთობლივი მემკვიდრეების მიერ იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებებისა და ვალდებულებების ერთ ან რამდენიმე მემკვიდრეზე განაწილებაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მეიჯარეს აქვს გონივრული პროტესტის წარდგენის საფუძველი ერთი ან რამდენიმე შერჩეული მემკვიდრის წინააღმდეგ.

მუხლი 7:367 ხელშეკრულების შეწყვეტა და შეტყობინების ვადა

- 1. სასოფლო-სამეურნეო იჯარის ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს თითოეული მხარის მიერ შეწყვეტის შესახებ შეტყობინების წარდგენით, რომელიც ძალაში შედის შეწყვეტის თარიღიდან 7:325 მუხლში მითითებული იჯარის ყოველი ვადის დასრულებისას.
- 2. შეწყვეტის შესახებ შეტყობინების წარდგენა უნდა მოხდეს აღმასრულებლის შეტყობინებით ან დაზღვეული წერილით. შეწყვეტის შესახებ შეტყობინების ვადა შეადგენს, სულ ცოტა, ერთ წელს.
- 3. შეტყობინება არ მოითხოვება, როდესაც სასოფლო-სამეურნეო იჯარის ხელშეკრულება წყდება მხარეთა ორმხრივი თანხმობით იმ მომენტში, როდესაც იჯარის ხელშეკრულება უკვე დაიდო ორივე მხარისათვის მბოჭავი შედეგით.

მუხლი 7:368 ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლების ხსენება

მეიჯარის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ შეტყობინება ბათილია, თუკი ის არ უთითებს იმ საფუძვლებზე, რომლებმაც გამოიწვია შედეგად ხელშეკრულების შეწყვეტა.

მუხლი 7:369 მეიჯარეს შეუძლია სასამართლო წესით მოითხოვოს იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტა

- 1. თუკი მოიჯარე ხელშეკრულების შეწყვეტის თარიღიდან ექვსი თვის განმავლობაში აღმასრულებლის შეტყობინებით ან დაზღვეული წერილით ატყობინებს მეიჯარეს იმის შესახებ, რომ ის ეწინააღმდეგება შეწყვეტას ამავე დოკუმენტში იმ საფუძვლების მითითებით, რომლებსაც ეფუძნება მისი პროტესტი, მაშინ შეწყვეტილი იჯარის ხელშეკრულება რჩება ძალაში კანონის ძალით მანამდე, სანამ სასამართლო არ მიიღებს კანონიერ ძალაში შესულ და მბოჭავ გადაწყვეტილებას პარ. 2-ში მითითებული მეიჯარის სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით. თუმცა, თუკი ჩანს, რომ მოიჯარის შესაგებელი დაუსაბუთებელია, სასამართლოს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება, რომელიც ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღსრულებას.
- 2. თუკი მოიჯარემ დროულად წარადგინა თავისი პროტესტი ხელშეკრულების შეწყვეტის წინააღმდეგ პარ. 1-ის მოთხოვნების შესაბამისად, მაშინ მეიჯარეს ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ შეტყობინებაში მითითებული საფუძვლებით შეუძლია სასამართლო წესით მოითხოვოს, რომ სასამართლომ განსაზღვროს ის თარიღი, როდესაც იჯარის ხელშეკრულება უნდა შეწყდეს.

მუხლი 7:370 მისათითებელი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები

- 1. სასამართლოს მხოლოდ იმ საფუძველზე შეუძლია დააკმაყოფილოს წინამდებარე მუხლში მითითებული მეიჯარის სასარჩელო მოთხოვნა, რომ:
 - a. მოიჯარის სამენარმეო საქმიანობა არ იყო კარგი მოიჯარის საქმიანობის შესაბამისი ანდა – რომ მოიჯარემ სხვაგვარად მნიშვნელოვნად დაარღვია მასზე დაკისრებული ვალდებულებები;

b. მეიჯარემ დამაჯერებლად დაამტკიცა, რომ მას, მის მეუღლეს, რეგისტრირებულ პარტნიორს, პირდაპირი ხაზით სისხლით ნათესავს, პირდაპირი ხაზით მოყვარეს ან ნაშვილებს სურს პირადად მიიღოს საიჯარო ქონებით მუდმივი სარგებლობა და, შესაბამისად, მეიჯარეს სასწრაფოდ ესაჭიროება იჯარით გადაცემული ფერმერული სახლის ან თავად მიწის ნაკვეთის სათავისოდ გამოყენება;

c. სახეზეა იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტის მიმართ მეიჯარისა და იჯარის ხელშეკრულების გაგრძელების მიმართ მოიჯარის ინტერესების გონივრული დაცვა;

d. მოიჯარემ არ მიიღო გონივრული შეთავაზება იმავე ახალი იჯარის ხელშეკრულების დადებაზე იმდენად, რამდენადაც ეს შეთავაზება არ გულისხმობს იჯარის ქირის თანხის ოდენობის შეცვლას, ან;

e. სახეზეა 7:377 მუხლით გათვალისწინებული იჯარის ხელშეკრულების სრულად შეწყვეტის საფუძვლები.

– 2. პარ. 1-ის (b) პუნქტის გაგებით მუდმივი სარგებლობის ქვეშ არ მოიაზრება საიჯარო ქონების გასხვისება (გადაცემა).

მუხლი 7:371 მეიჯარის შეთავაზების მიღების გადავადების პერიოდი

– 1. 7:370 მუხლის პარ. 1-ის (d) პუნქტში მითითებულ შემთხვევაში, სასამართლოს შეუძლია მისცეს მოიჯარეს მაქსიმუმ ერთთვიანი ვადა, რომლის განმავლობაშიც ამ უკანასკნელს ჯერ კიდევ შეუძლია მიიღოს ახალი ხელშეკრულების დადების შეთავაზება.

– 2. თუკი შეთავაზება ეხება 7:325 მუხლის პარ. 1-ში მითითებულზე უფრო ნაკლები ვადით დასადებ ახალ ხელშეკრულებას, მაშინ სასამართლოს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია მიიჩნიოს შეთავაზება გონივრულად, თუკი საქმის განსაკუთრებული გარემოებები ამართლებს ამას და სასოფლო-სამეურნეო სექტორის საერთო ინტერესებს ზიანი არ ადგება. შესაბამისად გამოიყენება 7:325 მუხლის პარ. 4-ის მეორე და მესამე წინადადებების ნორმები. თუკი მოიჯარე იღებს შეთავაზებას, მაშინ 7:325 მუხლის პარ. 6 და 7-ის ნორმები შესაბამისად გამოიყენება იმ ხელშეკრულების მიმართ, რომელიც დაიღო ამ შეთავაზების მიღების შედეგად.

მუხლი 7:372 ფართების დაცლა, გადასვლისა და შესახლების ხარჯები

– 1. იმ შემთხვევებში, როდესაც სასამართლო აკმაყოფილებს მეიჯარის მხრიდან წარდგენილი იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტის სასარჩელო მოთხოვნას, ის განსაზღვრავს იმ მომენტს, როდესაც უნდა მოხდეს მოიჯარის მიერ საიჯარო ქონების დაცლა. სასამართლოს ასეთი განკარგულება მიიჩნევა საიჯარო ქონების შესაბამის მომენტში დაცლის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილებად.

– 2. თუკი ერთი ან მეტი ფერმერული შენობა-ნაგებობა ქმნის საიჯარო ქონების ნაწილს, მაშინ სასამართლოს თავის გადაწყვეტილებაში, რომლითაც ის აკმაყოფილებს მეიჯარის მხრიდან წარდგენილი იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტის სასარჩელო მოთხოვნას, შეუძლია დაადგინოს ის თანხა, რომელიც მოიჯარემ უნდა გადაუხადოს მეიჯარეს კომპენსაციის სახით ამ უკანასკნელის მიერ გასაწევი გადასვლისა და შესახლების ხარჯების დასაფარად. შესაბამისად გამოიყენება 7:297 მუხლის პარ. 2 და 3-ის ნორმები.

მუხლი 7:373 მეიჯარის პასუხისმგებლობა, როდესაც ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები სინამდვილეში არასოდეს არსებობდა

– 1. თუკი იჯარის ხელშეკრულება მეიჯარის მიერ შეწყდა 7:370 მუხლის პარ. 1-ის (b) ან (e) პუნქტებში მითითებულ საფუძვლებზე, ხოლო მოიჯარე დაეთანხმა ამ საფუძველზე იჯარის შეწყვეტას ანდა ამავე საფუძველით სასამართლოს მიერ დაკმაყოფილდა მეიჯარის მხრიდან წარდგენილი იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტის სასარჩელო მოთხოვნა, მაშინ მეიჯარე პასუხისმგებელია მოიჯარის წინაშე ზიანისათვის, თუკი აღმოჩნდება, რომ სავარაუდო პირს სინამდვილეში არასოდეს უნდოდა საიჯარო ქონებით მუდმივი სარგებლობა ანდა თუკი 7:377 მუხლის გაგებით საიჯარო ქონებით სარგებლობის განზრახვა არასოდეს არსებობდა.

– 2. საწინააღმდეგო მტკიცებულების არსებობის პირობით, არასოდეს მიიჩნევა, რომ 7:370 მუხლის პარ. 1-ის (b) პუნქტში მითითებულ სავარაუდო პირს უნდოდა საიჯარო ქონებით მუდმივი სარგებლობა, თუკი ის მუდმივად არ იყენებს თავად ამ ქონებას იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ ერთი წლის განმავლობაში. საწინააღმდეგო მტკიცებულების არსებობის პირობით, 7:377 მუხლის გაგებით საიჯარო ქონებით სარგებლობის განზრახვა, როგორც ეს მითითებულია 7:370 მუხლის პარ. 1-ის (e) პუნქტში, არასოდეს მიიჩნევა არსებულად, თუკი საიჯარო ქონებით ასეთი სარგებლობა არ ხორციელდებოდა იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ ერთი წლის განმავლობაში.

– 3. თუკი სასამართლო აკმაყოფილებს მეიჯარის მხრიდან წარდგენილი იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტის სასარჩელო მოთხოვნას, როგორც ეს მითითებულია 7:372 მუხლში, მას მოიჯარის მოთხოვნის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით შეუძლია დაადგინოს ის თანხა, რომელიც მეიჯარემ უნდა გადაუხადოს მოიჯარეს, თუკი შემდგომში გამოვლინდა, რომ მეიჯარეს სინამდვილეში არასოდეს უნდოდა პირადად საიჯარო ქონებით მუდმივი სარგებლობა, როგორც ეს მითითებულია 7:370 მუხლის პარ. 1-ის (b) პუნქტში ანდა თუკი 7:377 მუხლის გაგებით საიჯარო ქონებით სარგებლობის განზრახვა არასოდეს არსებობდა, მიუხედავად მოიჯარის უფლებისა, მოითხოვოს სხვა ხარჯების ანაზღაურება

– 4. მოიჯარის მიერ საკომპენსაციო თანხის ან პარ. 3-ში მითითებული თანხის გადახდის მოთხოვნა ხანდაზმული ხდება იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტიდან ხუთი წლის ვადის გასვლისას.

მუხლი 7:374 იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტა საიჯარო ქონების მხოლოდ ნაწილის მიმართ

სასამართლოს შეუძლია ერთ-ერთი მხარის მოთხოვნის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით დააკმაყოფილოს მეიჯარის მხრიდან წარდგენილი იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტის სასარჩელო მოთხოვნა საიჯარო ქონების მხოლოდ ნაწილის მიმართ, თუკი სამართლიანობის პრინციპი იძლევა ასეთი გადაწყვეტილების მიღების საფუძველს. ასეთ შემთხვევაში სასამართლო პროპორციულად შეამცირებს სამაგიერო შესრულების გამოყენებას. ამ დროს მოიჯარე უფლებამოსილია შეწყვიტოს იჯარის ხელშეკრულების დარჩენილი ნაწილიც იმ მომენტიდან, როდესაც სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად უნდა შეწყდეს მეორე ნაწილი. თუკი მოიჯარე ისარგებლებს ამ უფლებით, მან ამის შესახებ უნდა შეატყობინოს მეიჯარეს დაზღვეული წერილით ერთი თვის ვადაში მას შემდეგ, რაც სასამართლოს გადაწყვეტილება შევა კანონიერ ძალაში და გახდება მბოჭავი.

მუხლი 7:375 {გაუქმებულია}

მუხლი 7:376 იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტა მოიჯარის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტის საფუძველზე

– 1. როდესაც მეიჯარე ამტკიცებს, რომ მოიჯარემ არ შეასრულა მასზე დაკისრებული ვალდებულებები, მხოლოდ სასამართლოს შეუძლია შეწყვიტოს იჯარის ხელშეკრულება ამ საფუძველზე, გარდა 7:343 მუხლის პარ. 1-ში მითითებული ვითარებისა. ნებისმიერ დროს მოიჯარე მიიჩნევა მასზე დაკისრებული ვალდებულებების დამრღვევად, თუკი:

a. ის აღარ იყენებს საიჯარო ქონებას ფერმერული მეურნეობის ბიზნესის წარმართვისას;

b. ის არ ასრულებს იჯარის ხელშეკრულებაში მოცემულ მასზე დაკისრებულ იმ მმართველობით მოვალეობებს, რომლებიც აუცილებელია საიჯარო ქონების ეკოლოგიური ღირებულების შენარჩუნებისათვის ანდა თუკი მან სხვაგვარად მიაყენა ზიანი ამ ეკოლოგიურ ღირებულებებს.

– 2. თუკი მოიჯარე აცილებს მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების ვადას, მაშინ მისივე მოთხოვნის საფუძველზე სასამართლოს შეუძლია მას მისცეს შედარებით მცირე ვადა ამ ვალდებულებების შესრულებისათვის.

– 3. როდესაც მეიჯარე ამას ითხოვს, მანამდე, სანამ სასამართლო მიიღებს თავის გადაწყვეტილებას იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტის მოთხოვნასთან დაკავშირებით, მას შეუძლია მიიღოს განკარგულება იმ საკითხზე გამოძიების ჩატარების შესახებ, შეასრულა თუ არა მოიჯარემ მასზე დაკისრებული ვალდებულებები საიჯარო ქონების ექსპლუატაციასთან დაკავშირებით, ხოლო თუკი ამ გამოძიების შედეგად აღნიშნული დგინდება, – მისცეს მოიჯარეს მითითებები იმის თაობაზე, თუ რა უნდა მოიმოქმედოს მან მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესასრულებლად იმგვარად, როგორც ამას სასამართლო მიიჩნევს სათანადოდ არსებული გარემოებებიდან გამომდინარე; სასამართლოს შეუძლია დაადგინოს ვადა, რომლის გასვლის შემდეგ მისი მითითებები სავალდებულო გახდება შესასრულებლად მოიჯარისათვის.

– 4. თუკი მოიჯარე სასამართლოს გადაწყვეტილებაში მოცემული მითითებების შესრულებისას ამ მიზნით დადგენილი ვადის განმავლობაში გამოავლენს დაუდევრობას, მაშინ ეს განიხილება როგორც მასზე დაკისრებული ვალდებულებების დარღვევა, როგორც ეს მითითებულია პარ. 1-ში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოიჯარე დამაჯერებლად ამტკიცებს, რომ მისი დაუდევრობა მას ვერ შეერაცხება.

მუხლი 7:377 საიჯარო ქონების არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენების გეგმა

– 1. თუკი მეიჯარეს სურს საიჯარო ქონების ან მისი ნაწილის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება და ეს გამოყენება შესაბამისობაშია საჯარო ინტერესებთან, მაშინ სასამართლო მეიჯარე-

რის სასარჩელო მოთხოვნის საფუძველზე სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტს იჯარის ხელშეკრულებას თავის გადანყვეტილებაში დადგენილი თარიღიდან. მიიჩნევა, რომ განზრახულის გამოყენება შესაბამისობაშია საჯარო ინტერესებთან, თუკი ის ხორციელდება მინათსარგებლობის გამოუთხოვადი გეგმის მიხედვით.

– 2. როდესაც იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტა ხდება ნაწილობრივ, სასამართლო პროპორციულად შეამცირებს სამაგიერო შესრულებას. ასეთ შემთხვევაში მოიჯარე უფლებამოსილია შეწყვიტოს იჯარის ხელშეკრულების დარჩენილი ნაწილიც წინა პარაგრაფში მითითებული მომენტიდან. თუკი მოიჯარე ისარგებლებს ამ უფლებით, მან ამის შესახებ უნდა შეატყობინოს მეიჯარეს დაზღვეული წერილით ერთი თვის ვადაში მას შემდეგ, რაც სასამართლოს გადანყვეტილება შევა კანონიერ ძალაში და გახდება მზოქავი.

– 3. თუკი სასამართლო წყვეტს იჯარის ხელშეკრულებას პარ. 1-ის ან 2-ის შესაბამისად, ის მეიჯარეს აკისრებს მოიჯარისათვის დროის იმ პერიოდთან დაკავშირებული ზიანის ანაზღაურებას, რომლის განმავლობაშიც მოიჯარე შეძლებდა საიჯარო ქონებაში დარჩენას, იჯარის ხელშეკრულება რომ არ შეწყვეტილიყო.

– 4. თუკი იჯარის ხელშეკრულება დაიდო 7:325 მუხლის პარ. 1 ან 2-ში მითითებული საიჯარო ვადით ან თუკი ეს ხელშეკრულება ძალაშია ამ ვადისათვის ანდა ის დაიდო უფრო ნაკლები საიჯარო ვადით, თუმცაღა შემდგომში ეს ვადა გახანგრძლივდა ექვსი წლით, მაშინ ანაზღაურების თანხის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მისაღები იჯარის ხელშეკრულების ვადის გახანგრძლივების შესაძლებლობა. იმ შესაძლებლობის შეფასებისას, რომ იჯარის ხელშეკრულების ვადა შეიძლება გახანგრძლივებულიყო, სასამართლო არ იღებს მხედველობაში მეიჯარის განზრახვას, საიჯარო ქონება ან მისი ნაწილი გამოიყენოს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით.

– 5. პარ. 4-ის პირველი წინადადების ნორმები არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუკი საიჯარო ურთიერთობა დაიწყო იმ მომენტში, როდესაც საიჯარო ქონება უკვე იყო გამიზნული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებისათვის მინათსარგებლობის გეგმის საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში, ანაზღაურების თანხის ოდენობის განსაზღვრისათვის ფერმერულ სახლთან დაკავშირებით თორმეტ წელზე მეტი ვადით დადებული იჯარის ხელშეკრულება განიხილება როგორც თორმეტი წლით დადებული ხელშეკრულება, ამავე დროს აუთვისებელ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით ექვს წელზე მეტი ვადით დადებული იჯარის ხელშეკრულება განიხილება როგორც ექვსი წლით დადებული ხელშეკრულება იმ პირობით, რომ როდესაც იჯარის ხელშეკრულება ამ ვადის შემდეგ წყდება, ეს ხელშეკრულება ყოველ ჯერზე მიიჩნევა გახანგრძლივებულად ექვსი წლის ვადით.

– 6. თუმცაღა, მიუხედავად აღნიშნულისა, პარ. 2 მაინც გამოყენებადი იქნება, თუკი საიჯარო ქონება, იმ გადანყვეტილების მიღებამდე, რომლითაც დადგინდა პარ. 5-ში მითითებული მინათსარგებლობის გეგმა, თანმიმდევრულად გამოიყენებოდა სასოფლო-სამეურნეო მიზნებისათვის იმ პირების მიერ, რომლებიც დაკავშირებული არიან ერთმანეთთან, როგორც ეს მითითებულია 7:363 მუხლის პარ. 1-ში.

– 7. თუკი იჯარის ხელშეკრულება 7:322 მუხლის ძალით მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით, მაშინ ანაზღაურების თანხის ოდენობის განსაზღვრის მიზნებისათვის მხედველობაში მიიღება მხოლოდ შეთანხმებული საიჯარო ვადა, თუმცაღა – იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულება დაიდო განუსაზღვრელი ვადით, მხედველობაში მისაღები საიჯარო ვადა არასოდეს იქნება 7:325 მუხლის პარ. 1-ში მითითებული ვადაზე მეტი. ანაზღაურების თანხის ოდენობის განსაზღვრის მიზნებისათვის ივარაუდება, რომ იჯარის ხელშეკრულების ვადა შეიძლებოდა გახანგრძლივებულიყო იგივე წესით, როგორც ეს გათვალისწინებულია იმ იჯარის ხელშეკრულებების მიმართ, რომლებიც არ ვარდება 7:322 მუხლის მოქმედების ქვეშ; შესაბამისად გამოიყენება პარ. 4-ის მეორე წინადადებისა და პარ. 5 და 6-ის ნორმები.

– 8. ანაზღაურების თანხის ოდენობის განსაზღვრის მიზნებისათვის მხედველობაში არ მიიღება ის რეალური ცვლილებები, რომლებიც ამკარად განხორციელდა ანაზღაურების თანხის გაზრდისათვის.

– 9. შესაბამისად გამოიყენება 7:373 მუხლის ნორმები.

განყოფილება 7.5.11 – მოიჯარის უპირატესი შესყიდვის უფლება

მუხლი 7:378 უპირატესი შესყიდვის უფლების არსებობისათვის საჭირო მოთხოვნები

– 1. როდესაც სასოფლო-სამეურნეო იჯარის საკითხების მარეგულირებელი სახელმწიფო უწყების მიერ მოწონებული იჯარის ხელშეკრულება დაიდო, სულ ცოტა, კანონისმიერი საიჯარო ვადით ანდა

უფრო მცირე ვადით, რომელიც შემდგომში გახანგრძლივდა, სულ ცოტა, ექვსი წლით, და მეიჯრეს სურს საიჯარო ქონების ან მისი ნაწილის გასხვისება (გადაცემა), მაშინ ის ვალდებულია მოიჯარეს სხვების უპირატესად მისცეს შესაძლებლობა, შეიძინოს უფლება, რომლის გასხვისებაც (გადაცემასაც) ის გეგმავს წინამდებარე განყოფილების (განყოფილება 7.5.11) ნორმების შესაბამისად. გასხვისება (გადაცემა) მოიცავს საკუთრების უფლების გადაცემასა და გრძელვადიანი იჯარის, აღნაგობის უფლებისა თუ უზუფრუქტის დადგენას.

– 2. მეიჯარე აღმასრულებლის შეტყობინებით ან დაზღვეული წერილით ატყობინებს მოიჯარეს საიჯარო ქონების ან მისი ნაწილის გასხვისების (გადაცემის) განზრახვისა და მოთხოვნილი ფასის თანხის ოდენობის შესახებ.

– 3. მეიჯარის შეტყობინებიდან ერთი თვის განმავლობაში მოიჯარე აღმასრულებლის შეტყობინებით ან დაზღვეული წერილით ატყობინებს მეიჯარეს იმის შესახებ, სურს თუ არა მას გახდეს მესაკუთრე, გრძელვადიანი იჯარის მოიჯარე, მეაღნაგე ან უზუფრუქტუარი იმ პირობით, რომ მხარეები თანხმდებიან ფასზე.

– 4. თუკი მოიჯარემ წინა პარაგრაფში მითითებული ვადის დასრულებამდე ნათლად არ განაცხადა იმის თაობაზე, რომ მას სურს გასასხვისებელი (გადასაცემი) უფლების შექენა, მაშინ 7:378 მუხლის პარ. 1 არ მოქმედებს ერთი წლის განმავლობაში წინა პარაგრაფში მითითებული ვადის დასრულების შემდეგ.

– 5. აღნიშნული წლის განმავლობაში მეიჯარეს შეუძლია გაასხვისოს (გადასცეს) თავისი უფლება მესამე პირზე, თუმცა – არა იმაზე ნაკლებ ფასად, ვიდრე მან მიუთითა მოიჯარეს 7:378 მუხლის პარ. 2-ის შესაბამისად წარდგენილ შეტყობინებაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქმე ეხება გაყიდვას იძულებითი რეალიზაციის გზით (იძულებითი აღსრულების პროცესში საჯარო გაყიდვა).

მუხლი 7:379 გასასხვისებელი უფლების საბაზრო ღირებულების შეფასების მოთხოვნა

– 1. როდესაც მეიჯარე და მოიჯარე ვერ თანხმდებიან ფასზე, მეიჯარეს შეუძლია მოსთხოვოს სასოფლო-სამეურნეო იჯარის საკითხების მარეგულირებელ სახელმწიფო უწყებას შეაფასოს გასასხვისებელი (გადასაცემი) უფლების საბაზრო ღირებულება.

– 2. თუკი მას შემდეგ, რაც სასოფლო-სამეურნეო იჯარის საკითხების მარეგულირებელი სახელმწიფო უწყება მიიღებს გამოუთხოვად გადანყვეტილებას მეიჯარის მოთხოვნასთან დაკავშირებით, მეიჯარე მზად არის გაასხვისოს (გადასცეს) შესაბამისი უფლება მის შეფასებით ან უფრო დაბალ ფასად, მაშინ მეიჯარემ ამის შესახებ უნდა შეატყობინოს მოიჯარეს აღმასრულებლის შეტყობინებით ან დაზღვეული წერილით.

– 3. თუკი მეიჯარემ წარადგინა პარ. 2-ში მითითებული შეთავაზება, ხოლო მოიჯარემ კი არ მიიღო ეს შეთავაზება აღმასრულებლის შეტყობინებით ან დაზღვეული წერილით ერთი თვის განმავლობაში მას შემდეგ, რაც მეიჯარის შეტყობინება ჩაბარდა ან გაეგზავნა მას, მაშინ 7:378 მუხლის პარ. 1 არ გამოიყენება ზემოაღნიშნული ერთთვიანი ვადის დასრულების შემდეგ ერთი წლის განმავლობაში. ასეთ შემთხვევაში შესაბამისად გამოიყენება 7:378 მუხლის პარ. 5 იმ პირობით, რომ მეიჯარე ვერ გაასხვისებს (გადასცემს) შესაბამის უფლებას მესამე პირზე წინა პარაგრაფში მითითებულზე ნაკლებ ფასად.

– 4. თუკი მეიჯარემ არ გააგზავნა პარ. 2-ში მითითებული შეტყობინება ერთი წლის განმავლობაში მას შემდეგ, რაც სასოფლო-სამეურნეო იჯარის საკითხების მარეგულირებელი სახელმწიფო უწყების მიერ უფლების საბაზრო ღირებულებასთან დაკავშირებით მიღებული გადანყვეტილება გახდა გამოუთხოვადი, მაშინ კვლავ გამოიყენება 7:378 და შემდგომი მუხლების ნორმები.

მუხლი 7:380 შემთხვევები, როდესაც უპირატესი შესყიდვის უფლება არ არსებობს

– 1. 7:378 მუხლის პარ. 1-ის ნორმებით მეიჯარეზე დაკისრებული ვალდებულება („უპირატესი შესყიდვის უფლება“) არ არსებობს:

a. საკანონმდებლო ნორმისა თუ სასამართლოს განკარგულების საფუძველზე განხორციელებული ნასყიდობის შემთხვევაში და ასევე – საიჯარო ქონებისა თუ მასზე უფლების იძულებითი რეალიზაციის გზით გაყიდვის შემთხვევაში (იძულებითი აღსრულების პროცესში გაყიდვა);

b. როდესაც მეიჯარე ახდენს საიჯარო ქონებაზე უფლების გასხვისებას (გადაცემას) თავის მეუღლეზე, რეგისტრირებულ პარტნიორზე, პირდაპირი ხაზით ანდა მეორე რიგის ჩათვლით პირდაპირი თუ გვერდითი ხაზის სისხლით ნათესავსა თუ მოყვარეზე ანდა – ნაშვილებზე;

c. იმ გარიგების შემთხვევაში, რომელიც უნდა იქნეს განხილული როგორც საერთო საკუთრების განაწილება;

d. იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლომ მეიჯარის სასარჩელო მოთხოვნის საფუძველზე გადაწყვიტა, რომ ამ უკანასკნელს აქვს მნიშვნელოვანი საფუძველი წაართვას მოიჯარეს შესაძლებლობა გახდეს საიჯარო ქონების ან მისი ნაწილის მესაკუთრე, გრძელვადიანი იჯარის მოიჯარე, მეაღნაგე ან უზუფრუქტუარი;

e. იმ შემთხვევაში, როდესაც საიჯარო ქონებაზე უფლების გასხვისება (გადაცემა) ხდება იმ მესამე პირზე, რომელმაც მოიჯარის წინაშე წინასწარ და წერილობით უარი თქვა თავის უფლებაზე, შეწყვიტოს იჯარის ხელშეკრულება 7:370 მუხლის პარ. 1-ის (b) პუნქტის საფუძველზე.

– 2. 7:378 მუხლის პარ. 1-ის ნორმებით მეიჯარეზე დაკისრებული ვალდებულება („უპირატესი შესყიდვის უფლება“) ასევე არ არსებობს, როდესაც სასოფლო-სამეურნეო იჯარის საკითხების მარეგულირებელმა სახელმწიფო უწყებამ მეიჯარის მოთხოვნის საფუძველზე გადაწყვიტა, რომ ამ უკანასკნელს აქვს მნიშვნელოვანი საფუძველი წაართვას მოიჯარეს შესაძლებლობა გახდეს საიჯარო ქონების ან მისი ნაწილის მესაკუთრე ან შეზღუდული სანივითო უფლების მფლობელი. ის ფაქტი, რომ მოიჯარის მიერ საიჯარო ქონება სასოფლო-სამეურნეო გამოყენების მიზნით არადაამაკმაყოფილებლად გამოიყენებოდა, ნებისმიერ დროს განიხილება როგორც მნიშვნელოვანი საფუძველი.

მუხლი 7:381 ადმინისტრაციული და საჯარო სამართლით გამორიცხული უპირატესი შესყიდვის უფლება

– 1. გარდა ზემოაღნიშნულისა, 7:378 მუხლის პარ. 1-ის ნორმებით მეიჯარეზე დაკისრებული ვალდებულება („უპირატესი შესყიდვის უფლება“) არ არსებობს, როდესაც – და იმდენად, რამდენადაც – საიჯარო ქონება განთავსებულია მიწათსარგებლობის იმ მოქმედი გეგმით მითითებულ ტერიტორიაზე, რომლის მიხედვითაც საიჯარო ქონება მიმართულია სხვა მიზნით გამოყენებისათვის, ნაცვლად სასოფლო-სამეურნეო მიზნებისა. მეიჯარის მოთხოვნის საფუძველზე, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი საბჭო („მერისა და საქალაქო საბჭოს კოლეგია“) წერილობით აცხადებს, გადაეცა თუ არა საიჯარო ქონება მიწათსარგებლობის აღნიშნული გეგმით გათვალისწინებულ სხვაგვარ სარგებლობაში, ნაცვლად სასოფლო-სამეურნეო მიზნების შესაბამისი სარგებლობისა.

– 2. 7:378 მუხლის პარ. 1-ის ნორმებით მეიჯარეზე დაკისრებული ვალდებულება („უპირატესი შესყიდვის უფლება“) ასევე არ არსებობს, როდესაც მეიჯარე ასხვისებს (გადასცემს) შესაბამის უფლებას მესამე პირზე, ხოლო სასოფლო-სამეურნეო იჯარის საკითხების მარეგულირებელმა სახელმწიფო უწყებამ მეიჯარისა და ამ მესამე პირის მოთხოვნის საფუძველზე გადაწყვიტა, რომ სავარაუდოდ ეს უკანასკნელი საიჯარო ქონებას გამოიყენებს სხვა მიზნით, ნაცვლად სასოფლო-სამეურნეო სარგებლობისა ანდა – რომ ის სხვა პირებს მისცემს საიჯარო ქონების ასეთი სხვაგვარი სარგებლობის უფლებას.

– 3. 7:378 მუხლის პარ. 1-ის ნორმებით მეიჯარეზე დაკისრებული ვალდებულება („უპირატესი შესყიდვის უფლება“) არ არსებობს იმდენად, რამდენადაც საიჯარო ქონება განთავსებულია იმ ტერიტორიაზე, რომლისათვისაც დამონტაჟდა სივრცითი გეგმარების შესახებ კანონის 2.1 მუხლში მითითებული კონსტრუქციის ხედვა და მეიჯარე ასხვისებს (გადასცემს) საიჯარო ქონებაზე უფლებას მუნიციპალიტეტზე, პროვინციასა თუ სახელმწიფოზე მუნიციპალიტეტებისათვის უპირატესი შესყიდვის უფლების შესახებ კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად ამავე კანონის მე-4 მუხლის პირველი პარაგრაფის (a) პუნქტთან, მე-10 მუხლიდან 24-ე მუხლის ჩათვლითა და 27-ე მუხლის ნორმებთან კავშირში ანდა – მუნიციპალიტეტებისათვის უპირატესი შესყიდვის უფლების შესახებ კანონის 9a მუხლის პირველი ან მეორე პარაგრაფების შესაბამისად ამავე კანონის მე-4 მუხლის პირველი პარაგრაფის (a) პუნქტთან კავშირში.

მუხლი 7:382 შეტყობინება საიჯარო ქონების იმ საჯარო გაყიდვის შესახებ, რომელსაც არ განეკუთვნება იძულებითი რეალიზაცია

სულ ცოტა, ერთი თვით ადრე მანამდე, სანამ მეიჯარე მოახდენს საიჯარო ქონებაზე უფლების საჯარო გაყიდვას, მან ამის შესახებ უნდა შეატყობინოს მეიჯარეს აღმასრულებლის შეტყობინებით ან დაზღვეული წერილით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქმე ეხება გაყიდვას იძულებითი რეალიზაციის გზით (გაყიდვას იძულებითი აღსრულების პროცესში).

მუხლი 7:383 მოიჯარის უპირატესი შესყიდვის უფლების დარღვევის შედეგები

თუკი მეიჯარემ საიჯარო ქონებაზე უფლების გასხვისება (გადაცემა) მოახდინა 7:378 მუხლის პარ. 1-ის (მოიჯარის „უპირატესი შესყიდვის უფლების“ დარღვევით), 7:378 მუხლის პარ. 5-ის ან 7:379 მუხლის პარ. 3-ის ნორმათა დარღვევით, მაშინ შემძენ მხარეს, რომელმაც ეს უფლება მიიღო კონკრეტული სამართლებრივი საფუძველით, არ შეუძლია იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტა 7:370 მუხლის პარ. 1-ის (b) პუნქტში მითითებულ საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გასულია თორმეტი წელი იმ საიჯარო წლის დასრულების შემდეგ, როდესაც შემძენმა მხარემ აღნიშნული უფლება წინა მეიჯარისაგან მიიღო.

მუხლი 7:384 თუკი მოიჯარე ასხვისებს შეძენილ უფლებას ათი წლის განმავლობაში, მან მეიჯარეს უნდა გადაუხადოს საკომპენსაციო თანხა

– 1. მოიჯარემ, რომელმაც მოახდინა კუთვნილი უპირატესი შესყიდვის უფლების რეალიზაცია და რომელმაც ამის შედეგად მეიჯარისაგან შეიძინა უფლება საიჯარო ქონებაზე, უნდა გადაუხადოს ამ უკანასკნელს წინამდებარე მუხლში მითითებული საკომპენსაციო თანხა, როდესაც ის სრულად ან ნაწილობრივ ასხვისებს ამ უფლებას მესამე პირზე ათი წლის განმავლობაში იმ მომენტიდან, როდესაც მან თავად შეიძინა ეს უფლება.

– 2. საკომპენსაციო თანხა შეადგენს სხვაობას მოიჯარის მიერ თავად უფლებაზე გადახდილი ფასის ოდენობასა და ამ უფლების ღირებულებას შორის, თუკი ამ უკანასკნელის შეფასება მოხდებოდა ნებისმიერი იჯარის ხელშეკრულების გათვალისწინების გარეშე იმ მომენტში, როდესაც მოიჯარემ შეიძინა ის მეიჯარისაგან.

– 3. პარ. 2 არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც უფლების ღირებულება – თუკი მისი შეფასება მოხდებოდა ნებისმიერი იჯარის ხელშეკრულების გარეშე იმ მომენტში, როდესაც მოიჯარემ გაასხვისა ეს უფლება მესამე პირზე – ნაკლებია ამ უფლების ღირებულებაზე, როდესაც ამ უკანასკნელის შეფასება მოხდებოდა ნებისმიერი იჯარის ხელშეკრულების გათვალისწინების გარეშე იმ მომენტში, როდესაც მოიჯარემ შეიძინა ის მეიჯარისაგან. ასეთ შემთხვევაში საკომპენსაციო თანხა შეადგენს სხვაობას მოიჯარის მიერ თავად უფლებაზე გადახდილი ფასის ოდენობასა და ამ უფლების ღირებულებას შორის, თუკი ამ უკანასკნელის შეფასება მოხდებოდა ნებისმიერი იჯარის ხელშეკრულების გათვალისწინების გარეშე იმ მომენტში, როდესაც მოიჯარემ გაასხვისა ეს უფლება მესამე პირზე.

– 4. პარ. 2 და 3-ში მითითებული საკომპენსაციო თანხა სამომავლოდ შემცირდება ყოველ დროს ერთი მეათედით ყოველი გასული წლისათვის, რომელიც გამოითვლება იმ მომენტიდან, როდესაც მოიჯარემ მიიღო საიჯარო ქონებაზე უფლება; როდესაც მოხდა უფლების ნაწილის გასხვისება მოიჯარის მიერ მესამე პირზე, საკომპენსაციო თანხა შემცირდება იგივე პირობებით, თუმცაღა ამჯერად – გასხვისებული ნაწილის პროპორციულად.

– 5. პარ. 1-ის ნორმები არ გამოიყენება:

a. თუკი მოიჯარემ საიჯარო ქონებაზე თავისი უფლება გაასხვისა მეუღლეზე, რეგისტრირებულ პარტნიორზე, პირდაპირი ხაზით ერთ ან რამდენიმე სისხლით ნათესავსა თუ მოყვარეზე ან ერთ ან რამდენიმე თავის ნაშვილებსა თუ თანამოიჯარეზე იმ პირობით, რომ როდესაც ეს პირები სრულად ან ნაწილობრივ გაასხვისებენ შეძენილ უფლებას პარ. 1-ში მითითებული ვადის განმავლობაში, მათ წინამდებარე პარაგრაფში მითითებული საკომპენსაციო თანხა უნდა გადაუხადონ იმ მეიჯარეს, რომლისაგანაც მოიჯარემ შეიძინა ეს უფლება;

b. თუკი საიჯარო ქონებაზე უფლების გასხვისება ხდება მოიჯარის პირდაპირი ხაზით ერთ ან რამდენიმე სისხლით ნათესავსა თუ მოყვარეზე ან მის ერთ ან რამდენიმე ნაშვილებზე ანდა მათ პირდაპირი ხაზით ერთ ან რამდენიმე სისხლით ნათესავზე ან ერთ ან რამდენიმე ნაშვილებზე იმ პირობით, რომ როდესაც ეს პირები სრულად ან ნაწილობრივ გაასხვისებენ შეძენილ უფლებას პარ. 1-ში მითითებული ვადის განმავლობაში, მათ წინამდებარე პარაგრაფში მითითებული საკომპენსაციო თანხა უნდა გადაუხადონ იმ მეიჯარეს, რომლისაგანაც მოიჯარემ შეიძინა ეს უფლება.

– 6. წინამდებარე მუხლის მიზნებისათვის გასხვისების ცნების ქვეშ მოიაზრება ასევე: ყოველი ხელშეკრულება ან სხვა გარიგება, – მიუხედავად იმისა, თუ რა ფორმით, ვისი სახელით ან რა სამართლებრივ საფუძველზე იდება ის, – რომელიც მიმართულია საიჯარო ქონებაზე უფლების გასხვისებისკენ ნებისმიერი სხვაგვარი წესით, თუ უნდა ივარაუდებოდეს, რომ ეს ხელშეკრულება ან გარიგება არ დაიდებოდა იმ შემთხვევაში, თუკი არ მოხდებოდა პარ. 1-ში მითითებული საკომპენსაციო თანხის დაკისრება.

განყოფილება 7.5.12 (გამოტოვებულია წინამდებარე გამოცემაში როგორც არააქტუალური)

განყოფილება 7.5.13 – 7.5 ტიტულში მოცემული კანონის იმპერატიული ნორმები

მუხლი 7:399 მოიჯარის ინტერესების დამცავი კანონის იმპერატიული ნორმები

დაუშვებელია მოიჯარის ინტერესების საზიანოდ 7:311 მუხლიდან 7:314 მუხლის ჩათვლით, 7:317 მუხლიდან 7:332 მუხლის ჩათვლით, 7:335, 7:345, 7:347, 7:348, 7:350 მუხლების, 7:352 მუხლის პარ. 3-ის, 7:353

მუხლის, 7:354 მუხლის პარ. 2-დან პარ. 5-ის ჩათვლით, 7:360 მუხლიდან 7:383 მუხლის ჩათვლით, 7:384 მუხლის პარ. 2 და 3-ის, 7:389 მუხლის პარ. 2-ის, 7:390 მუხლიდან 7:394 მუხლის ჩათვლით, 7:395 მუხლის პარ. 4-ის, 7:396 მუხლის პარ. 2-დან 4-ის ჩათვლით და 7:398 მუხლების ნორმებიდან გადახვევა.

მუხლი 7:399a საჯარო ორგანოების მიერ მეიჯარეზე დაკისრებული ფინანსური მოსაკრებლები

ბათილია იჯარის ხელშეკრულებაში მოცემული ყოველი სახელშეკრულებო დებულება, რომლის ძალითაც ის ფინანსური მოსაკრებლები, რომლებიც საჯარო ორგანოების მიერ ეკისრება ან მომავალში დაეკისრება მეიჯარეს, სრულად ან ნაწილობრივ ხელახლა დაეკისრება მოიჯარეს.

მუხლი 7:399b პირობა იმის შესახებ, რომ სასოფლო-სამეურნეო იჯარის საკითხების მარეგულირებელი სახელმწიფო უწყება არ შეცვლის იჯარის ხელშეკრულებას

თუკი იჯარის ხელშეკრულება დაიდო იმ პირობით, რომ ის მოწონებული იქნება უცვლელად ან ნაწილობრივ უცვლელად სასოფლო-სამეურნეო იჯარის საკითხების მარეგულირებელი სახელმწიფო უწყების მიერ, მაშინ მიიჩნევა, რომ ეს პირობა არ არის ხელშეკრულების ტექსტში გათვალისწინებული.

მუხლი 7:399c სხვა ბათილი სახელშეკრულებო დებულებები

– 1. ბათილია სახელშეკრულებო დებულება, რომლითაც მეიჯარე შეთანხმდა, რომ სასოფლო-სამეურნეო იჯარის საკითხების მარეგულირებელი სახელმწიფო უწყების ან იჯარის საკითხების მარეგულირებელი ცენტრალური სახელმწიფო უწყების მიერ იჯარის ხელშეკრულების ან მასში ცვლილებების შეტანის შესახებ შეთანხმების მოწონებისა თუ განსაზღვრის შემდეგ, მოხდება იმაზე მეტი ოდენობით სამაგიერო შესრულების თანხის დაკისრება, ვიდრე ეს დასაშვებია კანონით. წინამდებარე პარაგრაფის მიზნებისათვის, სამაგიერო შესრულება მოიცავს იმ შესრულებებს, რომლებიც შეთანხმებული ან მიღებულია იჯარის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებების ძალით.

– 2. ბათილია ხელშეკრულებიდან გამსვლელ და ხელშეკრულებაში შემომსვლელ მოიჯარეებს შორის ფერმერული მეურნეობის ბიზნესის გადასვლასთან დაკავშირებული შეთანხმებით გათვალისწინებული სახელშეკრულებო დებულება, რომელშიც შეთანხმებულ იქნა განსახორციელებელი შესრულებისათვის გონივრულ ანაზღაურებაზე მეტი ოდენობის საზღაური.

– 3. ბათილია იჯარის ხელშეკრულებასა თუ მასში ცვლილებების შეტანისა თუ მისი შეწყვეტის შესახებ შეთანხმებასთან დაკავშირებით საშუამავლო თუ სხვა მომსახურების განევის შეთანხმებაში გათვალისწინებული სახელშეკრულებო დებულება, თუკი ამ უკანასკნელში შეთანხმებულ იქნა გონივრულ ანაზღაურებაზე მეტი ოდენობის საზღაური.

განყოფილება 7.5.14 – დასკვნითი დებულებები

მუხლი 7:399d იჯარით გადაცემულ სახლებსა თუ აუთვისებელ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე მინიჭებული შეზღუდული სანივთო უფლებები

– 1. სასოფლო-სამეურნეო იჯარის ხელშეკრულების მომწესრიგებელი საკანონმდებლო ნორმები შესაბამისად გამოიყენება იმ ხელშეკრულებების მიმართ, რომელთა გამოც, იმ სამაგიერო შესრულების სასაფრთხოდ, რომელიც უნდა განხორციელდეს ერთიანად ან ნაწილ-ნაწილ, შეზღუდული სანივთო უფლებები, გარდა საუზრუნველყოფო უფლებებისა, დგინდება იჯარით გადაცემულ სახლსა თუ აუთვისებელ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე განუსაზღვრელი ვადით ანდა – 25 წლით. იმ შემთხვევებში, როდესაც საქმე ეხება განუსაზღვრელი ვადით არსებულ შეზღუდულ სანივთო უფლებებს, იჯარის ხელშეკრულების მომწესრიგებელი საკანონმდებლო ნორმები შესაბამისად გამოიყენება სანივთო უფლების დადგენიდან მხოლოდ პირველი 25 წლის განმავლობაში.

– 2. სამოქალაქო კოდექსის მე-3 და მე-5 ნიგნებში მოცემული შეზღუდული სანივთო უფლებების მომწესრიგებელი საკანონმდებლო ნორმები გამოიყენება მხოლოდ იმ ფარგლებში, რომლებშიც ისინი არ ეწინააღმდეგება იჯარის ხელშეკრულებების მიმართ არსებულ იმპერატიულ საკანონმდებლო ნორმებს, როგორც ეს გათვალისწინებულია წინამდებარე ტიტულში.

მუხლი 7:399e ფერმერული მეურნეობის მმართველის დანიშვნაზე თანხმობა

– 1. ფერმერული მეურნეობის მმართველის დანიშვნა ან მისი უფლებამოსილების გახანგრძლივება სა-

ჭიროებს სასოფლო-სამეურნეო იჯარის საკითხების მარეგულირებელი სახელმწიფო უწყების წინასწარ თანხმობას იმდენად, რამდენადაც ეს დანიშნავს ეხება იჯარით გადაცემულ ფერმერულ მეურნეობაში ან წინამდებარე ტიტულის (ტიტულის 7.5) გაგებით იჯარით გადაცემულ მიწის ნაკვეთზე ბიზნესსაქმიანობის წარმართვას.

– 2. ფერმერული მეურნეობის მმართველის ცნების ქვეშ მოიაზრება პირი, ვისაც მესაკუთრის ან სანივთო უფლების მფლობელის მიერ დაეკისრა იჯარით გადაცემული სახლისა თუ აუთვისებელი სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის ოპერატიული მართვა, და ასევე რომელსაც თავისი მდგომარეობის გამო აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ფერმერული მეურნეობის მართვაზე და ვინც სანაცლოდ იღებს შესაბამის საზღაურს.

– 3. სასოფლო-სამეურნეო იჯარის საკითხების მარეგულირებელი სახელმწიფო უწყება მხოლოდ იმ შემთხვევაში გასცემს ფერმერული მეურნეობის მმართველის დანიშვნაზე თავის თანხმობას, თუკი ეს გამართლებულია განსაკუთრებული მიზეზებით. ის არ ახდენს დანიშვნის პირობების განხილვას.

ტიტული 7.7 – ნარდობის ხელშეკრულება

განყოფილება 7.7.1 – მომსახურების განწევა ზოგადად

მუხლი 7:400 „ნარდობის ხელშეკრულების“ განმარტება

– 1. ნარდობის ხელშეკრულება წარმოადგენს ხელშეკრულებას, რომლითაც ერთ-ერთი მხარე („მენარდე“) ხელშეკრულების მეორე მხარის („შემკვეთი“) მიმართ კისრულობს სამუშაოს შესრულების ვალდებულებას სხვა სამართლებრივ საფუძველზე, ნაცვლად შრომითი ხელშეკრულებისა, რომლის დროსაც შესასრულებელი სამუშაო მდგომარეობს სხვაგვარ საქმიანობაში, ნაცვლად მატერიალური ნაგებობის აშენების, ქონების შენახვის, ნაშრომის გამოქვეყნებისა თუ მგზავრების ან საქონლის ტრანსპორტირებისა.

– 2. 7:401 მუხლიდან 7:412 მუხლის ჩათვლით ნორმები გამოიყენება ნარდობის ხელშეკრულების თითოეული სახის მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კანონიდან, ხელშეკრულების შინაარსიდან ან ბუნებიდან, სხვა გარიგებიდან თუ ჩვეულებებიდან (ზოგადი პრაქტიკიდან) რაიმე სხვა შედეგი არ გამომდინარეობს და ასევე – 7:413 მუხლის ნორმათა მოქმედების შეზღუდვის გარეშე.

მუხლი 7:401 წინდახედული მენარდის ზრუნვის გამოჩენის ვალდებულება

თავისი სამუშაოს შესრულების დროს მენარდემ უნდა გამოიჩინოს წინდახედული მენარდის ზრუნვა.

მუხლი 7:402 შემკვეთის მითითებების შესრულების ვალდებულება

– 1. მენარდემ უნდა შეასრულოს ის მითითებები, რომლებიც შემკვეთმა მას მისცა გასაწევ მომსახურებასთან დაკავშირებით, რამდენადაც ეს მითითებები სანდო და დროულია.

– 2. როდესაც მენარდე გონივრული მიზეზების გამო არ არის მზად გასწიოს მომსახურება შემკვეთის მიერ მიცემული მითითებების შესაბამისად, თუმცაღა, მიუხედავად ამისა, შემკვეთი მაინც დაჟინებით ითხოვს იმას, რომ მენარდემ შეასრულოს ეს მითითებები, მაშინ ამ უკანასკნელს შეუძლია შეწყვიტოს ნარდობის ხელშეკრულება, თუკი მას ექნება ამის გაკეთების მნიშვნელოვანი მიზეზები.

მუხლი 7:403 შემკვეთის ინფორმირების ვალდებულება; ანგარიშის წარდგენა

– 1. მენარდემ უნდა მიაწოდოს შემკვეთს ინფორმაცია მის მიერ ნარდობის ხელშეკრულების შესაბამისად შესრულებული სამუშაოს შესახებ და დაუყოვნებლივ შეატყობინოს მას მომსახურების დასრულების თაობაზე, თუკი შემკვეთისათვის ეს ჯერ ცნობილი არ არის.

– 2. მენარდემ უნდა წარუდგინოს ანგარიშს მის მიერ ნარდობის ხელშეკრულების შესაბამისად გაწეული და დასრულებული მომსახურების შესახებ. თუკი მენარდემ თავისი სამუშაოს შესრულებისას ფულადი თანხები მიიღო შემკვეთის სახელით ან მის ხარჯზე განახორციელა გადახდები, მაშინ ის ამის შესახებაც წარადგინოს თავის ანგარიშს.

მუხლი 7:404 შემკვეთს განზრახული აქვს, რომ მომსახურების განწევა მოხდეს კონკრეტული პირის მიერ თუკი შემკვეთმა ნარდობის ხელშეკრულება დადო იმ განზრახვით, რომ მენარდის მიერ დაქირავებულ-

ლი ან თანამშრომლობისათვის აყვანილი კონკრეტული პირი შეასრულებს მომსახურების დასრულები-სათვის აუცილებელ სამუშაოს, მაშინ ამ პირმა თავად უნდა შეასრულოს ეს სამუშაო, გარდა იმ შემთხვე-ვებისა, როდესაც შეთანხმების თანახმად მას შეუძლია მოსთხოვოს სხვა პირებს სამუშაოს ფაქტობრივი შესრულება მისი ზედამხედველობისა და პასუხისმგებლობის ქვეშ; ნებისმიერ შემთხვევაში მენარდე თავად რჩება სრულად პასუხისმგებელი შემკვეთის წინაშე.

მუხლი 7:405 მენარდის საზღაური

- 1. თუკი მენარდემ ნარდობის ხელშეკრულება დადო თავისი პროფესიული თუ სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში, მაშინ შემკვეთი ვალდებულია გადაუხადოს მას საზღაური (გასამრჯელო).
- 2. თუკი საზღაური (გასამრჯელო) გადასახდელია, თუმცა მისი ოდენობა მხარეთა მიერ არ იქნა განსაზღვრული, მაშინ მენარდეს შეუძლია მოითხოვოს ჩვეულებრივი საზღაური (გასამრჯელო), რომელიც გამოითვლება საერთო წესით, ანდა თუკი ასეთი საზღაური (გასამრჯელო) სახეზე არ არის, – მაშინ გონივრული საზღაური (გასამრჯელო).

მუხლი 7:406 განუული ხარჯებისა და ზიანის ანაზღაურება

- 1. შემკვეთმა უნდა აუნაზღაუროს მენარდეს ის ხარჯები, რომლებიც მან გასწია განუულ მომსახურე-ბასთან დაკავშირებით, რამდენადაც ეს ხარჯები არ არის უკვე გათვალისწინებული გადასახდელი საზღაურის (გასამრჯელოს) თანხაში.
- 2. შემკვეთმა უნდა აუნაზღაუროს მენარდეს ის ზიანი, რომელიც მან განიცადა იმ განსაკუთრებული პოტენციური საფრთხის დადგომის შედეგად, რომელიც დაკავშირებულია განუულ მომსახურებასთან, რამდენადაც ამ საფრთხის დადგომა მენარდეს ვერ შეერაცხება. როდესაც მენარდე მოქმედებდა თავისი პროფესიული თუ სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში, ზემოაღნიშნული წინადადება გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი პოტენციური საფრთხე აღემატება ჩვეულებრივ ასეთი სახის საქმიანობის წარმართვასთან დაკავშირებულ რისკებს. თუკი მომსახურების განევა მოხდა საზღაურით (გასამრჯელო-თი), თუმცაღა, – არა მენარდის პროფესიული თუ სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში, მაშინ პირველი წინადადება მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი პოტენციური საფრთხე არ იქნა მხედველობაში მიღებული საზღაურის (გასამრჯელოს) ოდენობის განსაზღვრისას.

მუხლი 7:407 ორი ან მეტი შემკვეთი ანდა ორი ან მეტი მენარდე

- 1. თუკი ორმა ან მეტმა შემკვეთმა ერთობლივად დადო ნარდობის ხელშეკრულება ერთ მენარდე-სთან, მაშინ თითოეული მათგანი სოლიდარულად აგებს პასუხს მენარდის წინაშე ხელშეკრულებიდან გა-მომდინარე ვალდებულებებისათვის.
- 2. თუკი ორმა ან მეტმა მენარდემ ნარდობის ხელშეკრულებით ერთობლივად იკისრა მომსახურების განევის ვალდებულება ერთი შემკვეთის წინაშე, მაშინ თითოეული მათგანი სოლიდარულად აგებს პასუხს შემკვეთის წინაშე ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი ვალდებულების შეუსრულებლობი-სათვის.

მუხლი 7:408 ნარდობის ხელშეკრულების შეწყვეტა

- 1. შემკვეთს ნებისმიერ დროს შეუძლია შეწყვიტოს ნარდობის ხელშეკრულება.
- 2. მენარდეს, რომელმაც ნარდობის ხელშეკრულება დადო თავისი პროფესიული თუ სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში, შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუკი ეს უკანასკნელი დადებულია განუსაზღვრელი ვადით და ის არ წყდება მომსახურების განევის დასრულებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს მისი შეწყვეტის მნიშვნელოვანი საფუძველები.
- 3. თუკი შემკვეთი წარმოადგენს იმ ფიზიკურ პირს, რომელმაც არ დადო ნარდობის ხელშეკრულება თავისი პროფესიული თუ სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში, – 7:406 მუხლის ნორმათა მოქმედების შეზღუდვის გარეშე, – ის ვერ იქნება პასუხისმგებელი ზიანისათვის იმ საფუძველზე, რომ მან შეწყვიტა ხელშეკრულება.

მუხლი 7:409 სპეციალურად განსაზღვრული მენარდის გარდაცვალება

- 1. თუკი შემკვეთმა მომსახურების განევის ვალდებულება განსაზღვრა იმ განზრახვით, რომ ეს ვალდებულება შესრულდება კონკრეტული პირის მიერ, მაშინ ნარდობის ხელშეკრულება წყდება ამ პირის გარდაცვალებით.

– 2. ზემოაღნიშნულ შემთხვევაში გარდაცვლილის მემკვიდრეებს – იმ პირობით, თუკი მათთვის ცნობილია ამ პირის გადრაცვალებისა და მასზე დაკისრებული მომსახურების განევის ვალდებულების შესახებ, – ევალებათ მოიმოქმედონ ყველაფერი ის, რაც მოცემული გარემოებების გათვალისწინებით მოითხოვება შემკვეთის საუკეთესო ინტერესებში. შესაბამისი ვალდებულება ეკისრებათ ის პირებს, რომლებიც დასაქმებული არიან მენარდის მიერ ანდა რომლებიც თანამშრომლობენ მასთან თავიანთი პროფესიული თუ სამენარმეო საქმიანობის ფარგლებში.

მუხლი 7:410 შემკვეთის გარდაცვალება

– 1. შემკვეთის გარდაცვალება არ იწვევს ნარდობის ხელშეკრულების შეწყვეტას, თუკი ხელშეკრულების შეწყვეტა შედეგობრივად არ გამომდინარეობს ამ ხელშეკრულებიდან და ასევე – მხოლოდ იმ მომენტიდან, როდესაც მენარდემ შეიტყო შემკვეთის გარდაცვალების შესახებ.

– 2. როდესაც ნარდობის ხელშეკრულება წყდება შემკვეთის გარდაცვალებით, მიუხედავად ამისა, მენარდეს მაინც ევალება მოიმოქმედოს ყველაფერი, რაც მოცემული გარემოებების გათვალისწინებით მოითხოვება შემკვეთის ან მისი მემკვიდრეების საუკეთესო ინტერესებში.

მუხლი 7:411 საზღაურის (გასამრჯელოს) გადახდის ვალდებულება იმ შემთხვევაში, როდესაც ნარდობის ხელშეკრულება ვადამდე წყდება

– 1. თუკი ნარდობის ხელშეკრულება წყდება მომსახურების დასრულებამდე ანდა იმ ვადის გასვლამდე, რომლისათვისაც მოხდა მომსახურების განევის ვალდებულების კისრება, ხოლო საზღაურის (გასამრჯელოს) გადახდის ვალდებულება კი დამოკიდებულია მომსახურების დასრულებასა თუ აღნიშნული ვადის გასვლაზე, მაშინ მენარდე უფლებამოსილია საზღაურის (გასამრჯელოს) იმ ოდენობის მიღებაზე, რომელიც უნდა განისაზღვროს გონივრულობის საწყისებზე. საზღაურის (გასამრჯელოს) ოდენობის განსაზღვრისას, მათ შორის, მხედველობაში მიიღება შემდეგი მომენტები: მენარდის მიერ უკვე შესრულებული სამუშაო, სარგებელი, რომელიც შემკვეთმა ამ სამუშაოდან მიიღო, და ასევე ის მიზეზი, რომელმაც გამოიწვია ხელშეკრულების შეწყვეტა.

– 2. პარ. 1-ში მითითებულ ვითარებაში, მენარდე საზღაურის (გასამრჯელოს) სრული ოდენობის მიღებაზე უფლებამოსილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ნარდობის ხელშეკრულების შეწყვეტა შეეარაცხება შემკვეთს და ასევე საზღაურის (გასამრჯელოს) სრული ოდენობის გადახდა გონივრულია საქმის ყველა გარემოების გათვალისწინებით. საზღაურის (გასამრჯელოს) დადგენილი ოდენობა უნდა შემცირდეს იმ ეკონომიისა და ხარჯების შემცირების გამო, რაც მიღწეულ იქნა მენარდის მიერ ნარდობის ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შედეგად.

მუხლი 7:412 დოკუმენტების გადმოცემაზე მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა

მენარდის მიმართ იმ დოკუმენტების გადმოცემაზე მოთხოვნით სარჩელის უფლება, რომლებიც მენარდემ მოიპოვა მომსახურების განევისთან დაკავშირებით, ხანდაზმული ხდება ხუთი წლის ვადის გასვლისას იმ დღიდან, როდესაც სრულდება მენარდის შესაბამის საქმეში მონაწილეობა.

მუხლი 7:413 კანონის იმპერატიული ნორმები

– 1. 7:408 მუხლის პარ. 3-ის ნორმებიდან გადახვევა დაუშვებელია.

– 2. დაუშვებელია 7:408 მუხლის პარ. 1-სა და 7:411 მუხლის ნორმებიდან გადახვევა, თუკი ეს ხორციელდება შემკვეთის ინტერესების საწინააღმდეგოდ, როგორც ეს მითითებულია 7:408 მუხლის პარ. 3-ში.

– 3. 7:412 მუხლის ნორმებიდან გადახვევა დასაშვებია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს უკანასკნელი შესაძლებელია სარჩელის უფლებების ხანდაზმულობის საკანონმდებლო ნორმებიდან გამომდინარე, როგორც ეს მონესრიგებულია სამოქალაქო კოდექსის 3.11 ტიტულში.

განყოფილება 7.7.2 – დავალების ხელშეკრულება

მუხლი 7:414 „დავალების ხელშეკრულების“ განმარტება

– 1. დავალების ხელშეკრულება წარმოადგენს ისეთ ნარდობის ხელშეკრულებას, რომლითაც ერთ-ერთი მხარე („რწმუნებული“) ხელშეკრულების მეორე მხარის („მარწმუნებელი“) მიმართ კისრულობს ერთი ან რამდენიმე გარიგების დადებას ამ უკანასკნელის ხარჯზე.

- 2. ხელშეკრულება შესაძლოა რწმუნებულს აკისრებდეს გარიგებების საკუთარი სახელით დადების ვალდებულებას; ის შესაძლოა აკისრებდეს ასევე გარიგებების დადებას მარწმუნებლის სახელითაც.

მუხლი 7:415 ორი ან მეტი რწმუნებულისათვის მიცემული დავალება

თუკი ორმა ან მეტმა რწმუნებულმა იკისრა ვალდებულება ერთი და იგივე დავალების ხელშეკრულების საფუძველზე, მაშინ ყოველი მათგანი უფლებამოსილია იმოქმედოს დამოუკიდებლად.

მუხლი 7:416 რწმუნებული მარწმუნებლის კონტრაჰენტის მდგომარეობაში

- 1. დასადებ გარიგებასთან დაკავშირებით რწმუნებულს შეუძლია იმოქმედოს მხოლოდ როგორც მარწმუნებლის კონტრაჰენტს, თუკი ამ გარიგების შინაარსი იმდენად ზუსტად არის განსაზღვრული, რომ მარწმუნებელსა და რწმუნებულს შორის რაიმე ინტერესთა კონფლიქტს ადგილი არ ექნება.

- 2. თუმცა, მხოლოდ საკუთარი სახელით მოქმედ რწმუნებულს მაინც შეუძლია იმოქმედოს როგორც მარწმუნებლის კონტრაჰენტს, თუკი დასადები გარიგების შინაარსი იმდენად ზუსტად არის განსაზღვრული, რომ მარწმუნებელსა და რწმუნებულს შორის რაიმე ინტერესთა კონფლიქტს ადგილი არ ექნება.

- 3. თუკი მარწმუნებელი წარმოადგენს 7:408 მუხლის პარ. 3-ში მითითებულ პირს (მომხმარებელი), მაშინ რწმუნებულს უნდა ჰქონდეს მარწმუნებლის წერილობითი ნებართვა იმ გარიგების დადებაზე, რომლის საფუძველზეც - ამ გარიგების საცილობის სანქციით - რწმუნებული იმოქმედებს როგორც მარწმუნებლის კონტრაჰენტი.

- 4. რწმუნებული, რომელმაც მარწმუნებლის კონტრაჰენტის სახით იმოქმედა წინა პარაგრაფის შესაბამისად, რჩება უფლებამოსილი საზღაურის (გასამრჯელოს) მიღებაზე.

მუხლი 7:417 ორი ან მეტი მარწმუნებლის სასარგებლოდ მოქმედი ერთი რწმუნებული

- 1. რწმუნებულს, ვინც დავალების ხელშეკრულების შესრულებისას დებს გარიგებას, შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში იმოქმედოს ერთდროულად როგორც ამ გარიგების კონტრაჰენტმა, თუკი ეს გარიგება იმდენად ზუსტად არის განსაზღვრული, რომ ორ შესაბამის მარწმუნებელს შორის რაიმე ინტერესთა კონფლიქტს ადგილი არ ექნება.

- 2. თუკი მარწმუნებელი წარმოადგენს 7:408 მუხლის პარ. 3-ში მითითებულ პირს, მაშინ მისი წერილობითი ნებართვა მოითხოვება იმ გარიგების ნამდვილობისათვის, რომლის დადებისას რწმუნებული იმოქმედებდა ისე, როგორც კონტრაჰენტის რწმუნებული.

- 3. რწმუნებული არ არის უფლებამოსილი საზღაურის (გასამრჯელოს) მიღებაზე იმ მარწმუნებლის მიმართ, ვისთან დაკავშირებითაც ის იმოქმედებდა წინა პარაგრაფების ნორმათა დარღვევით ამ უკანასკნელის შედეგად მარწმუნებლის მიერ განცდილი ზიანისათვის მისი პასუხისმგებლობის გამორიცხვის გარეშე. მარწმუნებლის ინტერესების საზიანოდ აღნიშნული ნორმიდან გადახვევა დაუშვებელია.

- 4. თუკი ერთ-ერთი შესაბამისი მარწმუნებელი წარმოადგენს 7:408 მუხლის პარ. 3-ში მითითებულ პირს (მომხმარებელი), ხოლო დასადები გარიგება კი აუცილებლად გულისხმობს უძრავი ნივთის, ასეთი ნივთის ნაწილისა თუ მასთან დაკავშირებული უფლების ნასყიდობასა თუ იჯარას, მაშინ რწმუნებული არ არის უფლებამოსილი საზღაურის (გასამრჯელოს) მიღებაზე იმ მარწმუნებლის მიმართ, რომელმაც თავად იკისრა ვალდებულება როგორც მყიდველმა ან მოიჯარემ. ასეთი მყიდველისა თუ მოიჯარის ინტერესების საზიანოდ აღნიშნული ნორმიდან გადახვევა დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დასადები გარიგება აუცილებლად გულისხმობს განცალკევებული საცხოვრებელი სახლის ნაწილში საცხოვრებელი ფართის ქირავნობას.

მუხლი 7:418 ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებული სხვა შემთხვევები

- 1. თუკი რწმუნებულს 7:416 და 7:417 მუხლების ნორმათა სფეროს მიღმა არსებულ ვითარებაში აქვს დასადები გარიგების განხორციელების მიმართ პირდაპირი ან არაპირდაპირი ინტერესი, მაშინ მან ამის შესახებ უნდა შეატყობინოს მარწმუნებელს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დასადები გარიგება იმდენად ზუსტად არის განსაზღვრული, რომ რწმუნებულსა და მარწმუნებელს შორის რაიმე ინტერესთა კონფლიქტს ადგილი არ ექნება.

- 2. რწმუნებული არ არის უფლებამოსილი საზღაურის (გასამრჯელოს) მიღებაზე იმ მარწმუნებლის მიმართ, რომელთან დაკავშირებითაც მან იმოქმედა პარ. 1-ის ნორმათა დარღვევით ამ უკანასკნელის შედეგად მარწმუნებლის მიერ განცდილი ზიანისათვის მისი პასუხისმგებლობის გამორიცხვის გარეშე. მარწმუნებლის ინტერესების საზიანოდ აღნიშნული ნორმიდან გადახვევა დაუშვებელია.

მუხლი 7:419 მარნმუნებლის მიერ ზიანის განცდა იმის გამო, რომ მესამე პირი არ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს რწმუნებულის მიმართ

თუკი რწმუნებულმა საკუთარი სახელით დადო ხელშეკრულება იმ მესამე პირთან, რომელიც შემდგომში არ ასრულებს ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნაკისრ ვალდებულებებს, მაშინ ეს მესამე პირი ასევე პასუხისმგებელია რწმუნებულის მიმართ იმ ზიანისათვის, რომელიც მარნმუნებელმა არაპირდაპირ განიცადა ხელშეკრულების შეუსრულებლობიდან გამომდინარე, თუმცა – არაუმეტეს იმ ზღვრული ოდენობისა, რაზეც ის, გარდა აღნიშნული ნორმებისა, ვალდებულია კანონით მასზე დაკისრებულ ზიანის ანაზღაურების ვალდებულებებთან დაკავშირებით.

მუხლი 7:420 ურთიერთობა მარნმუნებელსა და მესამე პირს შორის: მარნმუნებლის უფლებამოსილებები და უფლებები

– 1. თუკი რწმუნებული, რომელმაც საკუთარი სახელით დადო ხელშეკრულება მესამე პირთან, არ ასრულებს მის მიერ ნაკისრ ვალდებულებებს მარნმუნებლის მიმართ ანდა თუკი ის გაკოტრდება ანდა ვარდება ფიზიკური პირებისათვის არსებული ვალების დაფარვის სქემაში, მაშინ მარნმუნებელს რწმუნებულისა და მესამე პირისადმი მიმართული წერილობითი განცხადების საფუძველზე შეუძლია მიიღოს ის გადაცემადი უფლებები, რომლებიც რწმუნებულს აქვს ამ მესამე პირის მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს უფლებები მარნმუნებელსა და რწმუნებულს შორის ორმხრივი ურთიერთობის ფარგლებში ეკუთვნის რწმუნებულს.

– 2. მარნმუნებელს აქვს ანალოგიური უფლებამოსილებები, თუკი მესამე პირი არ ასრულებს რწმუნებულის მიმართ მის მიერ ნაკისრ ვალდებულებებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც რწმუნებული აკმაყოფილებს მარნმუნებელს ისე, თითქოს მესამე პირს შეესრულებინა მასზე დაკისრებული ვალდებულებები.

– 3. წინამდებარე მუხლში მითითებულ შემთხვევებში რწმუნებულს მარნმუნებლის მოთხოვნის საფუძველზე ეკისრება მესამე პირის სახელის შეტყობინების ვალდებულება.

მუხლი 7:421 ურთიერთობა მარნმუნებელსა და მესამე პირს შორის: მესამე პირის უფლებამოსილებები და უფლებები

– 1. თუკი რწმუნებული, რომელმაც საკუთარი სახელით დადო ხელშეკრულება მესამე პირთან, არ ასრულებს მის მიერ ნაკისრ ვალდებულებებს ამ მესამე პირის მიმართ ანდა თუკი ის გაკოტრდება ანდა ვარდება ფიზიკური პირებისათვის არსებული ვალების დაფარვის სქემაში, მაშინ ამ მესამე პირს რწმუნებულისა და მარნმუნებლისადმი წერილობითი განცხადების საფუძველზე შეუძლია განახორციელოს აღნიშნული ხელშეკრულებიდან გამომდინარე თავისი უფლებები მარნმუნებლის მიმართ იმდენად, რამდენადაც ეს უკანასკნელი განცხადების გაკეთების მომენტში შესაბამისად ვალდებულია რწმუნებულის მიმართ.

– 2. წინამდებარე მუხლში მითითებულ შემთხვევებში რწმუნებულს მესამე პირის მოთხოვნის საფუძველზე ეკისრება მარნმუნებლის ვინაობის შეტყობინების ვალდებულება.

მუხლი 7:422 დავალების ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა

– 1. დავალების ხელშეკრულება ნყდება არა მარტო 7:408 მუხლით გათვალისწინებული წესების შესაბამისად, არამედ – ასევე:

a. როდესაც მარნმუნებელი გარდაიცვლება, დაუდგინდება ზრდასრული პირების მეურვეობა, გაკოტრდება ანდა აღმოჩნდება ფიზიკური პირებისათვის არსებული ვალების დაფარვის სქემაში იმ პირობით, რომ როდესაც მარნმუნებელი გარდაიცვლება ან დაუდგინდება ზრდასრული პირების მეურვეობა, დავალების ხელშეკრულება არ შეწყდება იმ მომენტამდე, როდესაც რწმუნებულმა შეიტყო ამ ფაქტის შესახებ;

b. როდესაც რწმუნებული გარდაიცვლება, დაუდგინდება ზრდასრული პირების მეურვეობა, გაკოტრდება ანდა აღმოჩნდება ფიზიკური პირებისათვის არსებული ვალების დაფარვის სქემაში.

– 2. დაუშვებელია როგორც 7:408 მუხლის პარ. 1-ის ნორმიდან გადახვევა იმდენად, რამდენადაც ის მოქმედებს დავალების ხელშეკრულების მიმართ, ისე – წინამდებარე მუხლის პარ. 1-ის (a) პუნქტის ნორმიდან გადახვევა. თუმცა, იმ ფარგლებში, რომლებშიც დავალების ხელშეკრულება აუცილებლად გულისხმობს გარიგების შესრულებას რწმუნებულის ან მესამე პირის ინტერესებში, დასაშვებია მხარეთა მიერ დათქმა იმის შესახებ, რომ ხელშეკრულება ვერ შეწყდება მარნმუნებლის მიერ ანდა – რომ ხელშეკრულება არ ნყდება მარნმუნებლის გარდაცვალებით ან მის მიმართ ზრდასრული პირების მეურვეობის

დადგენით. შესაბამისად გამოიყენება სამოქალაქო კოდექსის 3:74 მუხლის პარ. 1-ის მეორე წინადადების, პარ. 2 და 4-ის ნორმები.

– 3. იმ შემთხვევებში, როდესაც დავალების ხელშეკრულება წყდება მარწმუნებლის გარდაცვალებისა თუ მის მიმართ ზრდასრული პირების მეურვეობის დადგენის გამო, რწმუნებულს მაინც ევალება მოიმოქმედოს ყველაფერი, რაც მოცემული გარემოებების გათვალისწინებით მოითხოვება მარწმუნებლის ან მისი მემკვიდრეების საუკეთესო ინტერესებში.

– 4. თუკი დავალების ხელშეკრულება წყდება რწმუნებულის გარდაცვალების გამო, მაშინ მის მემკვიდრეებს – იმ პირობით, რომ მათთვის ცნობილია როგორც რწმუნებულის გარდაცვალების ფაქტის, ისე მასზე დაკისრებული დავალების შესახებ იმ მიზნით, რომ მოიმოქმედოს ყველაფერი, რაც მოცემული გარემოებების გათვალისწინებით მოითხოვება მარწმუნებლის საუკეთესო ინტერესებში. შესაბამისი ვალდებულება ეკისრებათ ის პირებს, რომლებიც დასაქმებული არიან რწმუნებულის მიერ ანდა რომლებიც თანამშრომლობენ მასთან თავიანთი პროფესიული თუ სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში.

მუხლი 7:423 დათქმა იმის შესახებ, რომ მარწმუნებელი თავად აღარ იქნება უფლებამოსილი გარიგების დადებაზე

– 1. თუკი მხარეთა მიერ გაკეთდა დათქმა იმის შესახებ, რომ მარწმუნებლის უფლება განხორციელდება რწმუნებულის მიერ საკუთარი სახელით და მარწმუნებლის გამორიცხვით, მაშინ ეს უკანასკნელი კარგავს უფლებას, თავად მოახდინოს ამ უფლების რეალიზაცია დავალების ხელშეკრულების ვადის განმავლობაში, თუნდაც – მესამე პირების მიმართაც კი. გამოირცხვა ვერ იქნება გამოყენებული იმ მესამე პირების მიმართ, რომლებმაც არ იცოდნენ – და მათ ასევე არც უნდა სცოდნოდათ – ამ გამონაკლისის შესახებ.

– 2. თუკი რწმუნებულს, რომელმაც გააკეთა გამორიცხვის შესახებ დათქმა, წარმოადგენს ის იურიდიული პირი, რომლის მიზანიც წესდების შესაბამისად არის რამდენიმე მარწმუნებლის ერთობლივი ინტერესების დაცვა მათივე კუთვნილი უფლებების რეალიზაციისას, მაშინ დასაშვებია დათქმა იმის თაობაზე, რომ 7:422 მუხლის პარ. 2-ის ნორმათა გვერდის ავლით დავალების ხელშეკრულება არ შეწყდება მარწმუნებლის მიერ ერთ წელზე ნაკლებ ვადაში შეწყვეტის შესახებ შეტყობინებით და ასევე – არც იმ შემთხვევებში, როდესაც მარწმუნებელი გარდაიცვლება, დაუდგინდება ზრდასრული პირების მეურვეობა, გაკოტრდება ანდა აღმოჩნდება ფიზიკური პირებისათვის არსებული ვალების დაფარვის სქემაში. აღნიშნული სახელშეკრულებო დებულება ხელს ვერ შეუშლის იმას, რომ ხელშეკრულების შეწყვეტა მოხდეს შეწყვეტის შესახებ, სულ ცოტა, ერთთვიანი შეტყობინებით მარწმუნებლის მემკვიდრეების მხრიდან, ხოლო თუკი მარწმუნებელი გაკოტრდება ან აღმოჩნდება ფიზიკური პირებისათვის არსებული ვალების დაფარვის სქემაში, – მისი ლიკვიდატორისა თუ კანონიერი წარმომადგენლის მხრიდან. როდესაც გარდაცვლილი მარწმუნებლის სამკვიდრო ქონების განაწილება ხდება სამოქალაქო კოდექსის 4:13 მუხლის საფუძველზე {კანონით მემკვიდრეობა}, ზემოაღნიშნულ წინადადებაში მითითებული მისი მემკვიდრეების უფლება ეკუთვნის გარდაცვლილის მეუღლეს ან რეგისტრირებულ პარტნიორს.

მუხლი 7:424 განყოფილება 7.7.2 შესაბამისად გამოიყენება სხვა მსგავსი ხელშეკრულებების მიმართ

– 1. 7:415 მუხლიდან 7:423 მუხლის ჩათვლით ნორმები შესაბამისად გამოიყენება სხვა ხელშეკრულებების მიმართ, ნაცვლად დავალების ხელშეკრულებებისა, თუკი ასეთი სხვა ხელშეკრულების საფუძველზე ერთ-ერთი მხარე კისრულობს ვალდებულებას ან უფლებამოსილია, დადოს გარიგება მეორე მხარის ხარჯზე, თუმცაღა – მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ამ სხვა ხელშეკრულების ბუნებასთან კავშირში შესაბამისი საკანონმდებლო ნორმის მიზანი არ ეწინააღმდეგება ასეთ გამოყენებას.

– 2. პარ. 1-ის ნორმების არ გამოიყენება მგზავრების ან საქონლის გადაყვანისა თუ გადაზიდვის ხელშეკრულებების მიმართ.

განყოფილება 7.7.3 – საშუამავლო ხელშეკრულება

მუხლი 7:425 „საშუამავლო ხელშეკრულების“ განმარტება

საშუამავლო ხელშეკრულება წარმოადგენს ისეთ ნარდობის ხელშეკრულებას, რომლითაც ერთ-ერთი მხარე („შუამავალი“) ხელშეკრულების მეორე მხარის („კლიენტი“) მიმართ საზღაურის (გასამრჯელოს) გადახდის სანაცვლოდ კისრულობს იმოქმედოს როგორც შუამავალმა მისი კლიენტის მიერ მესამე პირებთან ერთი ან რამდენიმე ხელშეკრულების დადების საქმის ორგანიზებისათვის.

მუხლი 7:426 საზღაური (გასამრჯელო)

- 1. შუამავალი უფლებამოსილია საზღაურის (გასამრჯელოს) მიღებაზე იმ მომენტიდან, როგორც კი მისი შუამავლობის შედეგად ხელშეკრულება იდება მის კლიენტსა და მესამე პირს შორის.
- 2. თუკი საზღაურის (გასამრჯელოს) მიღების უფლება დამოკიდებულია კლიენტსა და მესამე პირს შორის დასადები ხელშეკრულების შესრულებაზე და ეს უკანასკნელი არ სრულდება, მაშინ კლიენტმა მაინც უნდა გადაუხადოს საზღაური (გასამრჯელო) შუამავალს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელშეკრულების შეუსრულებლობა ვერ შეეცხება კლიენტს.

მუხლი 7:427 „საშუამავლო ხელშეკრულების“ განმარტება

7:417 და 7:418 მუხლების ნორმები შესაბამისად გამოიყენება იმ ხელშეკრულებების მიმართ, რომელთა საფუძველზეც ერთ-ერთი მხარე მეორე მხარის წინაშე კისრულობს ვალდებულებას ან უფლებამოსილია, იმოქმედოს როგორც შუამავალმა ისე, როგორც ეს მითითებულია 7:425 მუხლში, იმ პირობით, რომ ის შუამავალი, ვინც მოქმედებს ასევე თავისი კლიენტის კონტრაქტის შუამავლის სახით, უთანაბრდება იმ შუამავალს, ვინც თავად მოქმედებს როგორც თავისი კლიენტის ან მისი მემკვიდრეების კონტრაქტის.

განყოფილება 7.7.4 – სავაჭრო აგენტობის ხელშეკრულება

მუხლი 7:428 „სავაჭრო აგენტობის ხელშეკრულების“ განმარტება

- 1. სავაჭრო აგენტობის ხელშეკრულება წარმოადგენს ხელშეკრულებას, რომლითაც ერთ-ერთი მხარე („პრინციპალი“) აძლევს მითითებებს ხელშეკრულების იმ მეორე მხარეს („აგენტი“), რომელმაც იკისრა ამ მითითებების შესრულება საკომისიოს (გასამრჯელოს) გადახდის სანაცვლოდ, განახორციელოს საშუამავლო მომსახურება პრინციპალის მიერ მესამე პირებთან ხელშეკრულებების დადების საქმის ორგანიზებისათვის, ხოლო შესაბამის შემთხვევებში კი, – დადოს ასეთი ხელშეკრულებები პრინციპალის სახელითა და ხარჯით ისე, რომ ის არ წარმოადგენს პრინციპალის დაქირავებულ პირს; სავაჭრო აგენტობის ხელშეკრულება შეიძლება მოქმედებდეს პრინციპალსა და აგენტს შორის განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით.
- 2. წინამდებარე განყოფილების (განყოფილება 7.7.4) საკანონმდებლო ნორმები არ მოქმედებს იმ სავაჭრო აგენტობის ხელშეკრულების მიმართ, რომელთან დაკავშირებითაც გამოიყენება ფინანსური ზედამხედველობის შესახებ კანონი.
- 3. სავაჭრო აგენტობის ხელშეკრულების თითოეული მხარე, მეორე მხარის მოთხოვნის საფუძველზე, ვალდებულია ითანამშრომლოს მათ შორის იმ შეთანხმების შესახებ ხელმოწერილი წერილობითი ხელშეკრულების შედგენაში, რომელიც ასახავს ამ მომენტში არსებული შეთანხმების შინაარსს.

მუხლი 7:429 აგენტის პასუხისმგებლობა

- 1. აგენტს მესამე პირის წინაშე პასუხისმგებლობა შეიძლება ეკისრებოდეს მხოლოდ იმ ვალდებულებებისათვის, რომლებიც წარმოიშობა პრინციპალისათვის ან მის სასარგებლოდ ორგანიზებული ან დადებული ხელშეკრულებიდან მისი შინაარსის წერილობითი დეკლარირების გზით.
- 2. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვაგვარად არის შეთანხმებული წერილობითი ფორმით, „დეკრედერე დათქმის“ საფუძველზე მოქმედი აგენტი პასუხს აგებს მხოლოდ მესამე პირის გადახდისუნარიანობისათვის.
- 3. წინა პარაგრაფში მითითებული აგენტი ვერ გახდება პასუხისმგებელი შეთანხმებული საკომისიოს თანხის მეტი ოდენობისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დეკრედერე დათქმა ეხება იმ კონკრეტულ ხელშეკრულებას ან ხელშეკრულებებს, რომლებიც აგენტმა დადო პრინციპალის სახელით.
- 4. თუკი სახეზეა აშკარა დისპროპორცია აგენტის მიერ თავის თავზე აღებულ რისკსა და შეთანხმებულ საკომისიოს შორის, მაშინ სასამართლოს შეუძლია შეამციროს აგენტის პასუხისმგებლობის თანხა იმდენად, რამდენადაც ეს თანხა აღემატება საკომისიოს ოდენობას. სასამართლო მხედველობაში იღებს საქმის ყველა გარემოებას, მათ შორის, – იმას, თუ როგორ იზრუნა აგენტმა პრინციპალის ინტერესებზე.

მუხლი 7:430 პრინციპალის მხრიდან ზრუნვის მოვალეობა

- 1. პრინციპალმა უნდა მოიმოქმედოს ყველაფერი, რაც მოცემულ გარემოებებში მისი მხრიდან მოითხოვება, რათა მისცეს აგენტს მასზე დაკისრებული საშუამავლო მომსახურების განხორციელების შესაძლებლობა.

– 2. პრინციპალმა აგენტს უნდა მიაწოდოს აუცილებელი დოკუმენტაცია იმ საქონლისა და მომსახურების შესახებ, რომლის მიმართაც აგენტი ახორციელებს საშუაშაგლო მომსახურებას, და ასევე მიაწოდოს მას ყველა ის ინფორმაცია, რაც მოითხოვება სავაჭრო აგენტობის ხელშეკრულების შესასრულებლად.

– 3. პრინციპალი ვალდებულია, დაუყოვნებლივ შეატყობინოს აგენტს იმ შემთხვევაში, თუკი ის ვარაუდობს, რომ მესამე პირებთან ხელშეკრულებები დაიდება ან შეიძლება დაიდოს ბევრად ნაკლები ალბათობით, ვიდრე ეს აგენტისაგან მოსალოდნელი იქნებოდა.

– 4. პრინციპალმა აგენტს გონივრულ ვადაში უნდა შეატყობინოს იმ ხელშეკრულების მიღების ან უარყოფისა თუ შეუსრულებლობის შესახებ, რომელიც შეთავაზებულ იქნა აგენტის მიერ.

მუხლი 7:431 საკომისიო (გასამრჯელო)

– 1. აგენტი უფლებამოსილია სავაჭრო აგენტობის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდის განმავლობაში მიიღოს საკომისიო მესამე პირებთან დადებული ყველა ხელშეკრულებისათვის:

a. თუკი ხელშეკრულება დაიდო მისი შუამავლობის შედეგად;

b. თუკი ხელშეკრულება დაიდო იმ პირთან, რომლის წარდგენაც მან უკვე მოახდინა უფრო ადრეულ ეტაპზე ანალოგიური ხელშეკრულების დადებისათვის;

c. თუკი ხელშეკრულება დაიდო იმ პირთან, ვინც განეკუთვნება მასზე მიმაგრებული მომხმარებლების (კლიენტურის) ჯგუფს, ანდა ვინც იმყოფება მასზე მიმაგრებულ ტერიტორიაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარეები ნათლად შეთანხმდნენ იმაზე, რომ აგენტს არა აქვს ექსკლუზიური უფლება მომხმარებლების ჯგუფისა თუ ტერიტორიის მიმართ.

– 2. აგენტი უფლებამოსილია საკომისიოს მიღებაზე იმ ხელშეკრულებების მომზადებისა და მათი დადების ორგანიზებისათვის, რომლებიც პრინციპალმა დადო მესამე პირებთან სავაჭრო აგენტობის ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ:

a. თუკი ასეთი ხელშეკრულების დადება მეტწილად წარმოადგენს იმგვარი საქმიანობის შედეგს, რომელიც აგენტმა გასწია ჯერ კიდევ სავაჭრო აგენტობის ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში იმ პირობით, რომ ხელშეკრულება დაიდო გონივრულ ვადაში სავაჭრო აგენტობის ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ, ან;

b. თუკი აგენტმა ან პრინციპალმა სავაჭრო აგენტობის ხელშეკრულების შეწყვეტამდე მიიღო მესამე პირის შეკვეთა, რომელიც შეესაბამება პარ. 1-ში გავალისწინებულ მოთხოვნებს.

– 3. აგენტი არ არის უფლებამოსილი საკომისიოს მიღებაზე, თუკი ეს საკომისიო პარ. 2-ის ძალით წარმოადგენს მისი წინამორბედის დავალიანების თანხას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოცემულ გარემოებებში ამ ორ პირს შორის საკომისიოს თანხის გაყოფა სამართლიანი იქნება.

მუხლი 7:432 მომენტი, რომლიდანაც წარმოიშობა საკომისიოს (გასამრჯელოს) თანხის მიღების უფლება

– 1. თუკი აგენტის მონაწილეობა შემოიფარგლება იმ საშუაშაგლო მომსახურების განწევით, რომელიც პრინციპალს აძლევს მესამე პირებთან ხელშეკრულებების დადების შესაძლებლობას, მაშინ მესამე პირის შეკვეთა, რომელიც შეთავაზებულია აგენტის მიერ თავისი პრინციპალისათვის, ივარაუდება ამ უკანასკნელის მიერ მიღებულად, რამდენადაც საქმე ეხება 7:426 მუხლში მითითებულ საკომისიოს მიღების უფლებას, იმ მომენტში, როდესაც პრინციპალს ეს შეკვეთა ჩაბარდა გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამ უკანასკნელმა 7:430 მუხლის პარ. 4-ში მითითებულ გონივრულ ვადაში შეატყობინებს აგენტს იმის შესახებ, რომ ის უარს აცხადებს შეკვეთის მიღებაზე ანდა იღებს მას განსაზღვრული პირობით. თუკი სავაჭრო აგენტობის ხელშეკრულება არ უთითებს იმაზე, თუ რა ვადა ჩაითვლება გონივრულად აღნიშნული მიზნისათვის, მაშინ ასეთი ვადა იქნება ერთი თვე შეკვეთის პრინციპალისათვის შეთავაზების მომენტიდან.

– 2. დათქმა, რომლითაც საკომისიოს მიღების უფლება დამოკიდებული ხდება პრინციპალსა და მესამე პირს შორის დადებული ხელშეკრულების შესრულებაზე, უნდა გაკეთდეს ნათლად.

– 3. პარ. 2-ში მითითებული დათქმის გაკეთების შემთხვევაში, საკომისიოს მიღების უფლება წარმოიშობა არაუგვიანეს იმ მომენტისა, როდესაც მესამე პირმა შეასრულა თავისი ნაწილი ხელშეკრულებისა ანდა – როდესაც ის ამას გააკეთებდა, თუკი პრინციპალი დროულად შეასრულებდა ხელშეკრულების თავის ნაწილს.

მუხლი 7:433 საკომისიოს თანხის გამოთვლის წესის მიმოხილვა

– 1. ყოველი თვის ბოლოს პრინციპალმა უნდა გადასცეს აგენტს წერილობითი მიმოხილვა ამ თვისათვის დავალიანებული საკომისიოს თანხის შესახებ იმ მონაცემების ჩათვლით, რომელსაც ეფუძნება მისი

კალკულაცია; ეს მიმოხილვა უნდა იქნეს გადაცემული ყოველი შემდგომი თვის დადგომამდე. მხარეებს შეუძლიათ წერილობით შეთანხმდნენ იმის შესახებ, რომ მიმოხილვის გადაცემა მოხდეს ყოველ ორ ან სამ თვეში.

– 2. აგენტს აქვს უფლება, შეამოწმოს პრინციპალის მფლობელობაში არსებული აუცილებელი მტკიცებულებები, თუმცა ის არ არის უფლებამოსილი, თან წაიღოს ისინი. მას შეუძლია საკუთარ ხარჯზე მიმართოს დახმარებისათვის ექსპერტს, ვინც ასეთად მიღებულ იქნა პრინციპალის მიერ, ხოლო უარის შემთხვევაში კი, – ვინც აგენტის მოთხოვნის საფუძველზე დანიშნულ იქნა რაიონული სასამართლოს დროებითი სამართლებრივი დაცვის საშუალების მიმღები მოსამართლის მიერ.

– 3. მხარეებს შეუძლიათ წერილობით შეთანხმდნენ იმის შესახებ, რომ მტკიცებულებები შემოწმდეს მესამე პირის მიერ; თუკი ეს მესამე პირი არ ასრულებს თავის სამუშაოს, მაშინ რაიონული სასამართლოს დროებითი სამართლებრივი დაცვის საშუალების მიმღები მოსამართლე დანიშნავს შემცვლელს.

– 4. როდესაც პრინციპალი წარადგენს მტკიცებულებას, აგენტსა და წინა პარაგრაფებში ნახსენებ პირებს ეკისრებათ კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება. თუმცა, წინა პარაგრაფებში ნახსენებ პირებს არ ევალებათ კონფიდენციალურობის დაცვა აგენტთან თავიანთ ურთიერთობაში იმდენად, რამდენადაც საქმე ეხება პარ. 1-ში მითითებულ მონაცემებს.

მუხლი 7:434 მომენტი, როდესაც საკომისიოს (გასამრჯელოს) თანხის გადახდა ხდება ვადამოსული და შესასრულებელი

საკომისიოს თანხის გადახდა ვადამოსული და შესასრულებელი ხდება მაქსიმუმ იმ მომენტში, როდესაც 7:433 მუხლში მითითებული წერილობითი მიმოხილვა უნდა გადაეცეს აგენტს.

მუხლი 7:435 საკომისიოს თანხის ნაცვლად სხვა გასამრჯელო

– 1. აგენტი უფლებამოსილია გასამრჯელოს მიღებაზე, თუკი ის მზადაა, შეასრულოს სავაჭრო აგენტობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მასზე დაკისრებული ვალდებულებები ანდა თუკი მან უკვე შეასრულა ეს ვალდებულებები, თუმცა პრინციპალმა არ ისარგებლა აგენტის მომსახურებით ანდა მან ამ მომსახურებით იმაზე ნაკლებად ისარგებლა, ვიდრე ეს აგენტისაგან ჩვეულებრივ მოსალოდნელი იქნებოდა გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პრინციპალის ასეთი ქცევა წარმოადგენს იმ გარემოებათა შედეგს, რომელთათვისაც ის გონივრულად არ არის პასუხისმგებელი.

– 2. წინა პერიოდისათვის გამომუშავებული საკომისიოს თანხის ოდენობა და ყველა სხვა მხედველობაში მისაღები ფაქტორი, როგორცაა ხარჯები, რომლებიც აგენტმა დაზოგა იმის გამო, რომ მას არ მოუწია მუშაობა, გასათვალისწინებელია წინა პარაგრაფში მითითებული გასამრჯელოს ოდენობის განსაზღვრისას.

მუხლი 7:436 სავაჭრო აგენტობის ხელშეკრულების გაგრძელება განსაზღვრული ვადის ამოწურვის შემდეგ

სავაჭრო აგენტობის ხელშეკრულება, რომელიც გრძელდება ორივე მხარის მიერ იმ განსაზღვრული ვადის ამოწურვის შემდეგ, რა ვადითაც ის იყო დადებული, იგივე პირობებით ავალდებულებს მხარეებს განუსაზღვრელი ვადით.

მუხლი 7:437 სავაჭრო აგენტობის ხელშეკრულების შეწყვეტა

– 1. თუკი სავაჭრო აგენტობის ხელშეკრულება დაიდო განუსაზღვრელი ვადით ანდა განსაზღვრული ვადით ვადამდელი შეწყვეტის უფლებით, მაშინ თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება შეთანხმებული შეწყვეტის შესახებ შეტყობინების შეთანხმებული ვადის ჯეროვანი დაცვით. როდესაც სავაჭრო აგენტობის ხელშეკრულება არ ითვალისწინებს შეწყვეტის შესახებ შეტყობინების შეთანხმებულ ვადას, ეს უკანასკნელი შეადგენს ოთხ თვეს, რასაც ემატება ერთი თვე იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულება ძალაში იყო სამი წლით, და ასევე – ორი თვე ექვსი წლის შემდეგ.

– 2. შეწყვეტის შესახებ შეტყობინების ვადა ვერ იქნება ერთ თვეზე ნაკლები ხელშეკრულების პირველ თვეში, ორ თვეზე ნაკლები – მეორე წელს, ხოლო ორ თვეზე ნაკლები კი, – მომდევნო წლებში. თუკი მხარეები თანხმდებიან უფრო ხანგრძლივ ვადებზე, მაშინ პრინციპალის მიერ დასაცავი შეტყობინების ვადა ვერ იქნება იმ ვადაზე ნაკლები, რომელიც უნდა იქნეს დაცული აგენტის მიერ.

– 3. სავაჭრო აგენტობის ხელშეკრულება უნდა შეწყდეს მისი შეწყვეტის თარიღიდან კალენდარული თვის დასრულებისთანავე.

მუხლი 7:438 აგენტის ან პრინციპალის გარდაცვალება

- 1. სავაჭრო აგენტობის ხელშეკრულება წყდება, როდესაც აგენტი გარდაიცვლება.
- 2. პრინციპალის გარდაცვალებისას როგორც მისი მემკვიდრეები, ისე აგენტიც უფლებამოსილი არიან, შეწყვიტონ სავაჭრო აგენტობის ხელშეკრულება შეწყვეტის შესახებ შეტყობინების ოთხთვიანი ვადის ჯვროვანი დაცვით იმ პირობით, რომ შეწყვეტის შესახებ შეტყობინების წარდგენა ხდება პრინციპალის გარდაცვალებიდან ცხრათვიანი ვადის განმავლობაში. როდესაც გარდაცვლილი პრინციპალის სამკვიდრო ქონების განაწილება ხდება სამოქალაქო კოდექსის 4:13 მუხლის საფუძველზე {კანონით მემკვიდრეობა}, ზემოაღნიშნულ წინადადებაში მითითებული მისი მემკვიდრეების უფლება ეკუთვნის გარდაცვლილის მეუღლეს ან რეგისტრირებულ პარტნიორს.

მუხლი 7:439 უკანონო შეწყვეტა (მნიშვნელოვანი მიზეზი)

- 1. მხარე, რომელიც წყვეტს სავაჭრო აგენტობის ხელშეკრულებას მისი ვადის დაცვის გარეშე ანდა შეწყვეტის შესახებ შეტყობინების კანონისმიერი თუ შეთანხმებული ვადის დაცვის გარეშე და ასევე აღნიშნულის განხორციელებაზე მეორე მხარის თანხმობის გარეშე, პასუხისმგებელია დამდგარი ზიანისათვის გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელშეკრულება შეწყდა მნიშვნელოვანი მიზეზების არსებობისას, რომელთა შესახებაც მეორე მხარეს დაუყოვნებლივ შეატყობინეს.
- 2. მნიშვნელოვან მიზეზებს განეკუთვნება იმგვარი გარემოებები, რომელთა არსებობისას ხელშეკრულების შემწყვეტი მხარისაგან გონივრულად მოსალოდნელი ვერ იქნებოდა მისი, თუნდაც – დროებით გაგრძელება.
- 3. თუკი ხელშეკრულება შეწყდა იმ მნიშვნელოვანი მიზეზების გამო, რომელთა არსებობისათვის შესაძლოა ბრალი მიუძღოდეს მეორე მხარეს, მაშინ ზიანისათვის პასუხისმგებელი იქნება ეს უკანასკნელი.
- 4. ბათილია დათქმა, რომელიც მნიშვნელოვანი მიზეზების არსებობის საკითხის გადაწყვეტას ერთ-ერთ მხარეს უტოვებს.

მუხლი 7:440 სავაჭრო აგენტობის ხელშეკრულების გაუქმება

- 1. თითოეულ მხარეს შეუძლია მოსთხოვოს რაიონულ სასამართლოს სავაჭრო აგენტობის ხელშეკრულების გაუქმება:
 - a. იმ გარემოებათა საფუძველზე, რომლებიც ქმნის მნიშვნელოვან მიზეზს 7:439 მუხლის პარ. 2-ის გაგებით;
 - b. იმგვარ გარემოებათა ცვლილების საფუძველზე, როდესაც სამართლიანობა მოითხოვს ხელშეკრულების დაუყოვნებლივ ან სასწრაფო შეწყვეტას.
- 2. როდესაც რაიონული სასამართლო აუქმებს ხელშეკრულებას იმ გარემოების საფუძველზე, რომელიც ქმნის პარ. 1-ის (a) პუნქტში მითითებულ მნიშვნელოვან მიზეზს და მოპასუხეს კი შესაძლოა ბრალი მიუძღოდეს ამ გარემოების დადგომაში, მაშინ ზიანისათვის პასუხისმგებელი იქნება ეს უკანასკნელი.
- 3. როდესაც რაიონული სასამართლო აუქმებს ხელშეკრულებას პარ. 1-ის (b) პუნქტში მითითებულ საფუძველზე, მაშინ მას შეუძლია მიანიჭოს ერთ-ერთ მხარეს საკომპენსაციო თანხა. სასამართლოს შეუძლია დაადგინოს, რომ ეს თანხა გადახდის უნდა იქნეს ნაწილ-ნაწილ.
- 4. შესაბამისად გამოიყენება სამოქალაქო კოდექსის 7:685 მუხლის პარ. 5-დან პარ. 11-ის ჩათვლით ნორმები {შრომითი ხელშეკრულების გაუქმება}.

მუხლი 7:441 ზიანის ანაზღაურება

- 1. მხარემ, ვინც პასუხისმგებელია 7:439 მუხლისა თუ 7:440 მუხლის პარ. 2-ის შესაბამისად, მეორე მხარეს უნდა გადაუხადოს იმ ვადისათვის საკომისიოსა და შესაძლო გასამრჯელოს ეკვივალენტური თანხა, რა ვადისათვის ხელშეკრულება გაგრძელდებოდა იმ შემთხვევაში, თუკი ეს უკანასკნელი შეწყდებოდა ჩვეულებრივი წესით. წინა პერიოდში გამოიმუშავებული საკომისიო და ასევე ყველა სხვა მხედველობაში მისაღები ფაქტორი გასათვალისწინებელია აღნიშნული თანხის ოდენობის განსაზღვრისას.
- 2. სასამართლოს შეუძლია შეამციროს ზემოაღნიშნული თანხა, თუკი ის ჩათვლის, რომ ეს თანხა მეტისმეტად დიდია.
- 3. წინა პარაგრაფებში მითითებული საკომპენსაციო თანხის ნაცვლად, დაზარალებულ მხარეს შეუძლია ასევე მოითხოვოს რეალური ზიანის სრულად ანაზღაურება იმ პირობით, თუკი ის დაამტკიცებს მის ოდენობას.

მუხლი 7:442 კომპენსაცია გუდვილისათვის

– 1. ზიანის ანაზღურების მოთხოვნის უფლების არსებობის მიუხედავად, სავაჭრო აგენტობის ხელშეკრულების შეწყვეტისას აგენტი უფლებამოსილია გუდვილისათვის საკომპენსაციო თანხის მიღებაზე იმდენად, რამდენადაც:

a. მან პრინციპალს წარუდგინა ახალი კლიენტები ანდა მან მნიშვნელოვნად გაზარდა არსებულ კლიენტებთან დადებული ხელშეკრულებების რაოდენობა ან ღირებულება, ხოლო ორივე შემთხვევაში კი, – ამ კლიენტებთან დადებული ხელშეკრულებები პრინციპალისათვის ჯერ კიდევ ქმნის მნიშვნელოვან სარგებელს, და

b. გუდვილისათვის აღნიშნული საკომპენსაციო თანხის გადახდა ყველა გარემოების, მათ შორის, ამ კლიენტებთან ხელშეკრულებებიდან გამომდინარე დაკარგული საკომისიოს გათვალისწინებით, სამართლიანია.

– 2. გუდვილისათვის საკომპენსაციო თანხა არ უნდა აღემატებოდეს საკომისიოსა და ერთი წლის შესაძლო გასამრჯელოს, რომელიც გამოითვლება საშუალოდ სავაჭრო აგენტობის ხელშეკრულების უკანასკნელი ხუთი წლისათვის, ხოლო თუკი ხელშეკრულება მოქმედებდა უფრო ნაკლები ვადით, – საშუალოდ მისი ხანგრძლივობის მთელი ვადისათვის.

– 3. გუდვილისათვის საკომპენსაციო თანხაზე უფლება ქარწყდება, თუკი აგენტმა სავაჭრო აგენტობის ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ ერთი წლის განმავლობაში არ შეატყობინა პრინციპალს იმის შესახებ, რომ ის ითხოვს აღნიშნულ კომპენსაციას.

– 4. გუდვილისათვის საკომპენსაციო თანხა არ ექვემდებარება გადახდას, თუკი ხელშეკრულება შეწყდა:

a. პრინციპალის მიერ იმ გარემოებათა არსებობისას, რომლებიც აგენტს აკისრებს პასუხისმგებლობას 7:439 მუხლის პარ. 3-ის შესაბამისად;

b. აგენტის მიერ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი შეწყვეტა გამართლებულია იმ გარემოებით, რომლებიც შეიძლება შეერაცხოს პრინციპალს ანდა – გამართლებულია აგენტის ასაკის, შეზღუდული შესაძლებლობისა თუ ავადმყოფობის გამო, რომლის გამოც მისგან გონივრულად მოსალოდნელი ვერ იქნებოდა თავისი საქმიანობის გაგრძელება;

c. იმ აგენტის მიერ, რომელმაც პრინციპალის თანხმობით სავაჭრო აგენტობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თავისი სახელშეკრულებო მდგომარეობა გადასცა მესამე პირს.

მუხლი 7:443 კონკურენციისაგან თავის შეკავების ვალდებულება (ვაჭრობის შეზღუდვის დათქმა)

– 1. დათქმა, რომლითაც აგენტი იზღუდება თავის უფლებაში შეწყვიტოს სავაჭრო აგენტობის ხელშეკრულება, ნამდვილია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც:

a. ეს წერილობითი ფორმით არის შეთანხმებული, და;

b. ეს ეხება როგორც იმ საქონელსა თუ მომსახურებას, რომლისათვისაც აგენტი იყო წარმომადგენელი, და ასევე – კონკრეტულ ტერიტორიას ან მომხმარებლების ჯგუფსა და მისთვის მინდობილ ტერიტორიას.

– 2. აღნიშნული დათქმა ნამდვილია სავაჭრო აგენტობის ხელშეკრულების შეწყვეტიდან მხოლოდ მაქსიმუმ ორი წლის განმავლობაში.

– 3. პრინციპალი ვერ მიიღებს ასეთი დათქმიდან უფლებებს, თუკი სავაჭრო აგენტობის ხელშეკრულება შეწყდა:

a. იმის გამო, რომ პრინციპალმა შეწყვიტა სავაჭრო აგენტობის ხელშეკრულება აგენტის თანხმობის გარეშე და მისი ვადის დაცვის გარეშე ანდა შეწყვეტის შესახებ შეტყობინების კანონისმიერი თუ შეთანხმებული ვადის დაცვისა და ასევე მნიშვნელოვანი მიზეზის არსებობის გარეშე, რომლის შესახებაც აგენტს დაუყოვნებლივ შეატყობინეს;

b. იმის გამო, რომ აგენტმა შეწყვიტა სავაჭრო აგენტობის ხელშეკრულება მნიშვნელოვანი მიზეზის არსებობისას, რომლის შესახებაც პრინციპალს დაუყოვნებლივ შეატყობინეს და რომლისათვისაც შესაძლოა ბრალი მიუძღვოდეს ამ უკანასკნელს;

c. სასამართლოს გადანყვეტილებით იმ გარემოებების საფუძველზე, რომლისათვისაც შესაძლოა ბრალი მიუძღვოდეს პრინციპალს.

– 4. სასამართლოს აგენტის მოთხოვნის საფუძველზე შეუძლია სრულად ან ნაწილობრივ გააბათილოს აღნიშნული დათქმა იმ საფუძველზე, რომ ის უსამართლოდ არახელსაყრელია აგენტისათვის პრინციპალის იმ ინტერესების პროპორციულად, რომელთა დაცვასაც ის მიზნად ისახავს.

მუხლი 7:444 ხანდაზმულობა

7:439 ან 7:440 მუხლების ნორმათა საფუძველზე არსებული სარჩელი უფლება ხანდაზმული ხდება ერთი წლის ვადის გასვლისას მას შემდეგ, რაც მოხდა მისი გამომწვევი ფაქტი.

მუხლი 7:445 კანონის იმპერატიული ნორმები

– 1. დაუშვებელია მხარეთა მიერ 7:401, 7:402, 7:403 მუხლების, 7:426 მუხლის პარ. 2-ის, 7:428 მუხლის პარ. 3-ის, 7:429, 7:430 მუხლების, 7:431 მუხლის პარ. 2-ის, 7:432 მუხლის პარ. 2-ის, 7:433 მუხლის, 7:437 მუხლის პარ. 2-ის, 7:439, 7:440, 7:441, 7:443 და 7:444 მუხლების ნორმიდან გადახვევა.

– 2. აგენტის ინტერესების საზიანოდ დაუშვებელია 7:432 მუხლის პარ. 2-ის, 7:434 მუხლის ნორმიდან გადახვევა, ხოლო მანამდე, სანამ სავაჭრო აგენტობის ხელშეკრულება ჯერ კიდევ არ შეწყვეტილა, – ასევე 7:442 მუხლის ნორმიდანაც გადახვევა.

განყოფილება 7.7.5 – სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულება

მუხლი 7:446 “სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულების“ განმარტება

– 1. სამედიცინო მომსახურების განევის შესახებ ხელშეკრულება – ნინამდებარე განყოფილებაში (განყოფილება 7.7.5) მითითებულია როგორც სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულება – წარმოადგენს ხელშეკრულებას, რომლითაც ფიზიკური ან იურიდიული პირი („სამედიცინო მომსახურების გამწვევი“) მეორე მხარის („პრინციპალი“) წინაშე კისრულობს ვალდებულებას, თავისი სამედიცინო პროფესიული საქმიანობის ან სამედიცინო ბიზნესსაქმიანობის ფარგლებში განახორციელოს სამედიცინო ხასიათის მოქმედებები, რომლებიც უშუალოდ ეხება პირადად პრინციპალს ან კონკრეტულ მესამე პირს. იმ პირს, ვისაც უშუალოდ ეხება სამედიცინო ხასიათის მოქმედებები, უწოდებენ „პაციენტს“.

– 2. ტერმინი „სამედიცინო ხასიათის მოქმედებები“ გულისხმობს:

a. ყველა იმ საქმიანობას, – გამოკვლევებისა და სამედიცინო კონსულტაციის ჩათვლით – რომელიც უშუალოდ ეხება პირს და მიმართულია მისი ავადმყოფობისაგან განკურნებისაკენ, ავადმყოფობისაგან დაცვისაკენ, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასებისა თუ სამედიცინო მომსახურების განევისაკენ;

b. სხვა მოქმედებები, რომლებიც არ არის მითითებული (a) პუნქტში და უშუალოდ ეხება პირს და ხორციელდება მკურნალი ექიმისა თუ სტომატოლოგის მიერ.

– 3. პარ. 1-ში მითითებული მოქმედებები მოიცავს ასევე პაციენტზე ზრუნვასა და მის მოვლას და ასევე – ამ უკანასკნელის უშუალო სარგებლობისათვის იმ მატერიალური საშუალებების ნებისმიერი სხვაგვარ მიწოდებას, რომელთა არსებობისას შეიძლება მოხდეს ასეთი მოქმედებების შესრულება.

– 4. პარ. 1-ში მითითებული მოქმედებები არ მოიცავს ფარმაცევტულ სფეროში არსებულ მოქმედებებს წამლების შესახებ კანონის გაგებით, თუკი ეს მოქმედებები ხორციელდება ამ კანონით გათვალისწინებული წესით ცალკე დაფუძნებული ფარმაცევტის მიერ.

– 5. პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასებისა თუ სამედიცინო ზედამხედველობის განევისაკენ მიმართული მოქმედებები არ ქმნის სამედიცინო მომსახურებას, თუკი ისინი პირის მითითების საფუძველზე ხორციელდება სხვა პირების მიერ სავალდებულებებისა თუ ვალდებულებების განსაზღვრასთან, მზღვეველის მიერ შესატყვისობის დადგენასა თუ მომსახურების ხელმისაწვდომობასთან ან ტრენინგისათვის, დასაქმებისა თუ განსაზღვრული სამუშაოს შესრულების შესაბამისობასთან დაკავშირებით.

მუხლი 7:447 16 წლისა და მეტი ასაკის არასრულწლოვნები

– 1. არასრულწლოვანს, რომელმაც მიაღწია თექვსმეტი წლის ასაკს, შეუძლია სათავისოდ დადოს სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულება და შეასრულოს ის გარიგებები, რომლებიც უშუალოდ ეხება ამ ხელშეკრულებას.

– 2. პარ. 1-ში მითითებული არასრულწლოვანი პასუხისმგებელია აღნიშნული სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებებისათვის მის მშობლებზე დაკისრებული არასრულწლოვანის მოვლა-პატრონობისა და აღზრდის ხარჯების დაფარვის მოვალეობის გამორიცხვის გარეშე.

– 3. პარ. 1-ში მითითებულ არასრულწლოვანს შეუძლია იმოქმედოს სასამართლოში და სასამართლოს-გარე ურთიერთობებში იმდენად, რამდენადაც საქმე ეხება იმ საკითხებს, რომლებიც ეხება სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულებას.

მუხლი 7:448 ინფორმირების მოვალეობა

– 1. სამედიცინო მომსახურების გამწევი ნათლად, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში კი, – წერილობითი ფორმით ატყობინებს პაციენტს დაგეგმილი გამოკვლევისა და მკურნალობის და ასევე პაციენტის გამოკვლევასთან, მკურნალობასა და ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებულ მოვლენებთან დაკავშირებით. თუკი პაციენტს ჯერ არ მიუღწევია თორმეტი წლის ასაკისათვის, სამედიცინო მომსახურების გამწევა ინფორმირება უნდა მოახდინოს იმგვარად, რომ ეს გასაგები იყოს მაციენტისათვის მისი აღქმის უნარის გათვალისწინებით.

– 2. პარ. 1-ში მითითებული ვალდებულის შესრულებისას სამედიცინო მომსახურების გამწევი ხელმძღვანელობს იმით, რაც პაციენტმა გონივრულად უნდა იცოდეს:

a. იმ გამოკვლევისა თუ მკურნალობის ბუნებისა და მიზნის შესახებ, რომელსაც სამედიცინო მომსახურების გამწევი აუცილებლად მიიჩნევს, და ასევე – განსახორციელებელი მოქმედებების შესახებ;

b. პაციენტის ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი შედეგებისა და რისკების შესახებ;

c. გამოკვლევისა თუ მკურნალობის სხვა შესაძლო მეთოდების შესახებ;

d. პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ასევე იმის შესახებ, რაც მოსალოდნელია ამ მხრივ იმდენად, რამდენადაც საქმე ეხება გამოკვლევისა თუ მკურნალობის სფეროს.

– 3. სამედიცინო მომსახურების გამწევეს შეუძლია მხოლოდ იმ ფარგლებში დაუმალოს ზემოაღნიშნული ინფორმაცია პაციენტს, რომლებშიც მისი მიზნდება ამკარად მნიშვნელოვან ზიანს მიყენებდა მას. თუკი პაციენტის ინტერესები ასე ითხოვს, სამედიცინო მომსახურების გამწევა ინფორმაცია უნდა მიანდოს სხვა პირს, ნაცვლად პაციენტისა. ინფორმაცია ექვემდებარება პაციენტისათვის მიწოდებას იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზე აღარ არის ზემოთ მითითებული ზიანის მიყენების საფრთხე. სამედიცინო მომსახურების გამწევა არ უნდა გამოიყენოს პირველ წინადადებაში მითითებული უფლებამოსილება ამ საკითხთან დაკავშირებით სამედიცინო მომსახურების სხვა გამწევთან შესაბამისი კონსულტაციის გარეშე.

მუხლი 7:449 არცოდნის უფლება

თუკი პაციენტმა განაცხადა, რომ მას არ სურს იყოს ინფორმირებული, მაშინ ინფორმაცია არ ექვემდებარება მისთვის მიწოდებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პაციენტის ინტერესს გადანონის მისთვის ან სხვა პირისათვის მიყენებული ზიანი, რომელიც შეიძლება დადგეს ინფორმაციის დამალვის შედეგად.

მუხლი 7:450 პაციენტის აუცილებელი თანხმობა

– 1. პაციენტის თანხმობა მოითხოვება სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულების შესრულების მიზნით განსახორციელებელი მოქმედებებისათვის.

– 2. თუკი პაციენტი წარმოადგენს არასრულწლოვანს, რომელმაც უკვე მიაღწია თორმეტი წლის ასაკს, თუმცა ჯერ არ მიუღწევია თექვსმეტი წლის ასაკისათვის, მაშინ მოითხოვება ასევე მის მიმართ მშობლის უფლებამოსილების განმხორციელებელი მშობლების ან მეურვის თანხმობა. ამასთან, მოქმედებები შეიძლება განხორციელდეს მშობლების ან მეურვის თანხმობის გარეშეც, თუკი მკურნალობა ამკარად აუცილებელია პაციენტისათვის მნიშვნელოვანი ზიანის თავიდან აცილებისათვის ანდა თუკი პაციენტს საგულდაგულო განხილვის შემდეგ ჯერ კიდევ სურს მოქმედებების განხორციელება აუცილებელი თანხმობის მიცემაზე უარის თქმის შემდეგაც.

– 3. იმ შემთხვევაში, როდესაც თექვსმეტი წლის ან უფრო მეტი ასაკის პაციენტი ვერ იქნება მიჩნეული უნარიანად, გონივრულად შეაფასოს თავისი ინტერესები ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სამედიცინო მომსახურების გამწევა და 7:465 მუხლის პარ. 2-სა თუ 3-ში მითითებულმა პირმა უნდა შეასრულონ პაციენტის მიერ ნათლად წერილობითი ფორმით იმ დროს გამოხატული ნება, როდესაც მას ჯერ კიდევ შეეძლო თავისი ინტერესების გონივრულად შეფასება და პარ. 1-ში მითითებულ თავის თანხმობაზე უარის თქმა. თუმცა, მიუხედავად ამისა, სამედიცინო მომსახურების გამწევეს შეუძლია გადაუხვიოს აღნიშნული განცხადებიდან, თუკი ის ფიქრობს, რომ არსებობს ამის გაკეთების საფუძვლიანი მიზეზი.

მუხლი 7:451 პაციენტის წერილობითი ფორმით შედგენილი თანხმობა

პაციენტის მოთხოვნის საფუძველზე, რადიკალური სამედიცინო მოქმედებებისათვის სამედიცინო მომსახურების გამწევა ნებისმიერ შემთხვევაში წერილობითი ფორმით უნდა შეადგინოს პაციენტის მიერ გაცემული თანხმობა.

მუხლი 7:452 პაციენტის მხრიდან არსებული ინფორმირებისა და თანამშრომლობის მოვალეობა

რამდენადაც პაციენტისათვის ეს ცნობილია, მან სამედიცინო მომსახურების გამწვევს უნდა მიაწოდოს ის ინფორმაცია, რომელიც ამ უკანასკნელს გონივრულად ესაჭიროება სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულების შესრულებისათვის, და ასევე – ითანამშრომლოს მასთან.

მუხლი 7:453 სამედიცინო მომსახურების წინდახედული გამწვევის სტანდარტების დაცვა

სამედიცინო მომსახურების განწვევისას, მომსახურების გამწვევა უნდა დაიცვას სამედიცინო მომსახურების წინდახედული გამწვევის სტანდარტები და ამ დროს მან უნდა იმოქმედოს მასზე მომსახურების გამწვევთათვის მოქმედი პროფესიული სტანდარტებით დაკისრებული ვალდებულებების შესაბამისად.

მუხლი 7:454 დოკუმენტაციის წარმოების ვალდებულება

– 1. სამედიცინო მომსახურების გამწვევი ახდენს პაციენტის მკურნალობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის წარმოებას. მან უნდა გამოიყენოს ეს დოკუმენტაცია პაციენტის ჯანმრთელობასა და მის მიმართ განხორციელებულ მოქმედებებთან დაკავშირებული მონაცემების რეგისტრაციისათვის. აღნიშნულ დოკუმენტაციას სამედიცინო მომსახურების გამწვევი ამატებს იმ ინფორმაციის შემცველ სხვა დოკუმენტებს, რაც მიიჩნევა აუცილებლად პაციენტისათვის სამედიცინო მომსახურების წინდახედული გამწვევის სტანდარტის შესაბამისი სამედიცინო მომსახურების განწვევის მიზნისათვის.

– 2. მოთხოვნის შემთხვევაში, სამედიცინო მომსახურების გამწვევი დოკუმენტაციას ამატებს პაციენტის მიერ ამ დოკუმენტაციაში განთავსებულ დოკუმენტთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებას.

– 3. 7:455 მუხლის ნორმათა მოქმედების შეზღუდვის გარეშე, სამედიცინო მომსახურების გამწვევი წინა პარაგრაფებში მითითებულ დოკუმენტებს ინახავს მათი შედგენის თარიღიდან ათი წლის განმავლობაში, ხოლო ამ ვადის ამოწურვის შემდეგ კი, – იმ დროის განმავლობაში, რაც გონივრულად აუცილებელია სამედიცინო მომსახურების წინდახედული გამწვევის სტანდარტის შესაბამისი სამედიცინო მომსახურების განწვევისათვის.

მუხლი 7:455 დოკუმენტაციის განადგურება

– 1. სამედიცინო მომსახურების გამწვევა უნდა გაანადგუროს მასთან 7:454 მუხლის შესაბამისად შენახული დოკუმენტები სამი თვის განმავლობაში მას შემდეგ, რაც მან პაციენტისაგან მიიღო შესაბამისი მოთხოვნა.

– 2. პარ. 1-ის ნორმები არ გამოიყენება იმდენად, რამდენადაც პაციენტის მოთხოვნა ეხება იმ დოკუმენტებს, რომელთა შენარჩუნებასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სხვა პირისათვის, ნაცვლად პაციენტისა, ანდა – იმდენად, რამდენადაც ასეთი განადგურება გამოირიცხება კანონის საფუძველზე ან მის შესაბამისად მიღებული ნორმით.

მუხლი 7:456 პაციენტის დოკუმენტაციის შემონახვისა და ასლების გაკეთების უფლება

მოთხოვნის შემთხვევაში, სამედიცინო მომსახურების გამწვევა ხელმისაწვდომი უნდა გახადოს პაციენტისათვის 7:454 მუხლში მითითებული დოკუმენტები და მათი ასლები. დოკუმენტებისა და მათი ასლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა არ ხდება იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელია სხვა პირების, ნაცვლად პაციენტისა, პირადი ცხოვრების კონფიდენციალურობის დაცვისათვის. სამედიცინო მომსახურების გამწვევს შეუძლია დაადგინოს გონივრული საზღაური ასლების გაცემისათვის.

მუხლი 7:457 საიდუმლოების დაცვის ვალდებულება

– 1. 7:448 მუხლის პარ. 3-ის მეორე წინადადების ნორმათა მოქმედების შეზღუდვის გარეშე, სამედიცინო მომსახურების გამწვევი უზრუნველყოფს იმას, რომ იმ პირებს, რომლებიც არ წარმოადგენენ პაციენტს, არ მიეწოდოთ ამ უკანასკნელის შესახებ ინფორმაცია ანდა მათთვის ხელმისაწვდომი არ გახდეს 7:454 მუხლში მითითებული დოკუმენტები ან მათი ასლები პაციენტის თანხმობის გარეშე. ინფორმაციის ან დოკუმენტებისა თუ მათი ასლების მიწოდება უნდა მოხდეს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ამით არ ირღვევა სხვა პირის პირადი ცხოვრების კონფიდენციალურობა. ინფორმაციის ან დოკუმენტებისა თუ მათი ასლების მიწოდება შეიძლება მოხდეს მიუხედავად ზემოაღნიშნულ წინადადებებში მითითებული შეზღუდვებისა, თუკი ეს მოითხოვება პარლამენტის კანონით ან მის შესაბამისად.

– 2. სხვა პირებს, ნაცვლად პაციენტისა, არ განეკუთვნებიან ის პირები, რომლებიც პირდაპირ არიან ჩართული სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულების შესრულებაში, და ასევე – არც ის პირები, რომ-

ლებიც მოქმედებენ სამედიცინო მომსახურების გამწვევის შემცველის სახით, რამდენადაც ინფორმაციის ან დოკუმენტებისა თუ მათი ასლების მიწოდება აუცილებელია მათ მიერ ამ თვალსაზრისით განსახორციელებელი საქმიანობისათვის.

– 3. ასევე ზემოაღნიშნულ პირებს არ განეკუთვნებიან ისინი, რომელთა თანხმობაც სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულების შესრულებისათვის მოითხოვება 7:450 და 7:465 მუხლების შესაბამისად. თუკი ინფორმაციის ან დოკუმენტებისა თუ მათი ასლების მიწოდებისას სამედიცინო მომსახურების გამწვევი ვერ იქნება მიჩნეული როგორც სამედიცინო მომსახურების წინდახედული გამწვევის მიმართ არსებული მოთხოვნების შესაბამისად მოქმედი, მაშინ მან თავი უნდა შეიკავოს ამგვარი მოქმედებების განხორციელებისაგან.

მუხლი 7:458 სამეცნიერო კვლევისათვის საჭირო მონაცემები

– 1. 7:457 მუხლის პარ. 1-ის ნორმათა მოქმედების შეზღუდვის გარეშე, პაციენტის შესახებ ინფორმაცია ან 7:454 მუხლში მითითებული დოკუმენტები ან მათი ასლები, მოთხოვნის შემთხვევაში, პაციენტის თანხმობის გარეშე შეიძლება მიენოდოს სხვა პირს ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სტატისტიკური ან სამეცნიერო კვლევის მიზნისათვის, თუკი:

a. თანხმობა ვერ იქნება გონივრულად მოთხოვნილი და ასევე წარდგენილია იმის გარანტია, რომ პაციენტის პირადი ცხოვრების კონფიდენციალურობა მეტისმეტად არ დაირღვევა კვლევის ჩატარების შედეგად;

b. თანხმობა ვერ იქნება გონივრულად მოთხოვნილი კვლევის ბუნებისა და მიზნის გათვალისწინებით და სამედიცინო მომსახურების გამწვევა უზრუნველყო მონაცემების იმგვარი ფორმით მიწოდება, რათა გარანტირებული იყოს მათი ინდივიდუალურ ფიზიკურ პირებამდე დაყვანის გამორიცხვა.

– 2. პარ. 1-ის შესაბამისად ინფორმაციის მიწოდება შეიძლება მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი:

a. კვლევა წარმოადგენს საჯარო ინტერესს;

b. შესაბამისი ინფორმაციის გარეშე კვლევა ვერ ჩატარდება, და

c. შესაბამისი პაციენტს პირდაპირ არ გაუპროტესტებია აღნიშნული მიზნით ინფორმაციის მიწოდების შესაძლებლობა.

– 3. ის ფაქტი, რომ ინფორმაციის მიწოდება მოხდა პარ. 1-ის ნორმათა საფუძველზე, უნდა აღინიშნოს პაციენტის ჩანაწერებში.

მუხლი 7:459 პირადი ცხოვრების კონფიდენციალურობის დაცვის უფლება

– 1. სამედიცინო მომსახურების გამწვევის მიერ სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელებულ მოქმედებებს არ უნდა ადევნებდეს თვალს ნებისმიერი სხვა პირი, ნაცვლად პაციენტისა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პაციენტმა გასცა თავისი ნებართვა აღნიშნულზე.

– 2. სხვა პირებს, ნაცვლად პაციენტისა, არ განეკუთვნებიან ისინი, რომელთა პროფესიონალური დახმარება მოითხოვება შესაბამისი მოქმედებების განსახორციელებლად.

– 3. სხვა პირებს არ განეკუთვნებიან ასევე ის პირებიც, რომელთა ნებართვა მოითხოვება 7:450 და 7:465 მუხლების ნორმათა საფუძველზე. თუკი მოქმედებათა განხორციელებაზე დაკვირვების დაშვებით სამედიცინო მომსახურების გამწვევი ვერ იქნება მიჩნეული როგორც მოქმედისამედიცინო მომსახურების წინდახედული გამწვევის მიმართ არსებული მოთხოვნების შესაბამისად, მან არ უნდა დაუშვას ასეთი დაკვირვება.

მუხლი 7:460 სამედიცინო მომსახურების გამწვევის მიერ სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულების შეწყვეტა

სამედიცინო მომსახურების გამწვევი ვერ შეწყვეტს სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სახეზეა ასეთი მოქმედების მნიშვნელოვანი მიზეზები.

მუხლი 7:461 გასამრჯელო

პაციენტი სამედიცინო მომსახურების გამწვევს უხდის გასამრჯელოს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს უკანასკნელი თავისი სამუშაოსათვის იღებს ხელფასს პარლამენტის კანონის ან მის შესაბამისად მიღებული ნორმების საფუძველზე ანდა – როდესაც სხვაგვარი შედეგი გამომდინარეობს სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულებიდან.

მუხლი 7:462 საავადმყოფოს სოლიდარული პასუხისმგებლობა

– 1. თუკი სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულების შესრულებისას საქმიანობის წარმართვა ხდება იმ საავადმყოფოში, რომელიც არ წარმოადგენს ამ ხელშეკრულების მხარეს, საავადმყოფოს დაეკისრება სოლიდარული პასუხისმგებლობა სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი დარღვევისათვის ისე, თითქოს ის თავად ყოფილიყო ამ ხელშეკრულების მხარე.

– 2. პარ. 1-ში მითითებული „საავადმყოფოს“ ქვეშ მოიაზრება დაწესებულება ან მისი განყოფილება, რომელიც სამკურნალო დაწესებულებათა დაშვების შესახებ კანონის მე-5 მუხლის საფუძველზე აღიარებული ან დაშვებულია როგორც საავადმყოფო, მოხუცთა თავშესაფარი ან ფსიქიატრიული დაწესებულება, აკადემიური საავადმყოფო ან აბორტების კლინიკა ორსულობის შეწყვეტის შესახებ კანონის გაგებით.

მუხლი 7:463 პასუხისმგებლობის შეზღუდვისა თუ გამორიცხვის დაუშვებლობა

7:462 მუხლში მითითებულ შემთხვევაში, დაუშვებელია სამედიცინო მომსახურების გამწვევის ან საავადმყოფოს პასუხისმგებლობის შეზღუდვა ან გამორიცხვა.

მუხლი 7:464 სამედიცინო ხასიათის მოქმედებები, რომლებიც არ ხორციელდება სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე

– 1. თუკი სამედიცინო ხასიათის მოქმედებები ხორციელდება სამედიცინო პროფესიული საქმიანობის ან სამედიცინო ბიზნესსაქმიანობის ფარგლებში, ნაცვლად სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელებისა, მაშინ შესაბამისად გამოიყენება წინამდებარე განყოფილებისა (განყოფილება 7.7.5) და სამოქალაქო კოდექსის 7:404 მუხლის, 7:405 მუხლის პარ. 2-სა და 7:406 მუხლის ნორმები იმდენად, რამდენადაც სამართლებრივი ურთიერთობის ხასიათი არ ეწინააღმდეგება ამას.

– 2. თუკი შესაბამის მოქმედებებს წარმოადგენს 7:446 მუხლის პარ. 5-ში განსაზღვრული მოქმედებები:

a. 7:454 მუხლში მითითებული დოკუმენტები ინახება მხოლოდ მანამდე, სანამ ეს აუცილებელია შემონახვის მიზანთან დაკავშირებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათი განადგურება პარლამენტის კანონის ან მის შესაბამისად მიღებული ნორმების საწინააღმდეგო აღმოჩნდებოდა;

b. იმ პირს, რომელსაც გამოკვლევა ეხება, უნდა მოეცეს შესაძლებლობა თქვას, სურს თუ არა მას მიიღოს ინფორმაცია გამოკვლევის შედეგებისა და დასკვნების შესახებ, ხოლო თუ ეს ასეა, – მაშინ სურს თუ არა მას იყოს ინფორმირებული პირველი იმგვარად, რომ შეეძლოს გადაწყვიტოს, შეატყობინოს თუ არა სხვებს გამოკვლევის შედეგებისა და დასკვნების შესახებ.

მუხლი 7:465 იმ პაციენტების კანონიერი წარმომადგენლობა, რომლებსაც არა აქვთ უნარი, იმოქმედონ დამოუკიდებლად

– 1. თუკი პაციენტს ჯერ არ მიუღწევია თორმეტი წლის ასაკისათვის, სამედიცინო მომსახურების გამწვემა პაციენტების მიმართ წინამდებარე განყოფილებიდან (განყოფილება 7.7.5) გამომდინარე ვალდებულებები უნდა შეასრულოს იმ მშობლების მიმართ, რომლებიც მშობლის უფლებამოსილებას ახორციელებენ პაციენტის ან მისი მეურვის მიმართ.

– 2. იგივე წესი მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუკი პაციენტმა უკვე მიაღწია თორმეტი წლის ასაკს, თუმცა ის მაინც ვერ იქნება მიჩნეული უნარიანად, გონივრულად შეაფასოს თავისი ინტერესები სამედიცინო მომსახურების საკითხთან დაკავშირებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პაციენტმა მიაღწია სრულწლოვანების ასაკს და მას დაუდგინდა ზრდასრული პირების მეურვეობა ან დაცვითი მენტორობა, რა შემთხვევაშიც სამედიცინო მომსახურების გამწვევის მიერ ვალდებულებები უნდა შესრულდეს მეურვის ან მენტორის მიმართ.

– 3. თუკი იმ პაციენტს, რომელმაც მიაღწია სრულწლოვანების ასაკს და რომელიც ვერ იქნება მიჩნეული უნარიანად, გონივრულად შეაფასოს თავისი ინტერესები სამედიცინო მომსახურების საკითხთან დაკავშირებით, არ დაუდგინდება ზრდასრული პირების მეურვეობა ან დაცვითი მენტორობა, სამედიცინო მომსახურების გამწვემა პაციენტების მიმართ წინამდებარე განყოფილებიდან (განყოფილება 7.7.5) გამომდინარე ვალდებულებები უნდა შეასრულოს იმ პირის მიმართ, ვინც წერილობითი ფორმით არის უფლებამოსილი იმოქმედოს პაციენტის სახელით. თუკი ასეთი პირი სახეზე არ არის ანდა თუკი ის არ მოქმედებს, ვალდებულებები უნდა შესრულდეს პაციენტის მეუღლის ან ცხოვრების თანამგზავრის მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პაციენტი უარს ამბობს ამაზე, ხოლო თუკი ასეთი პირი სახეზე არ არის, მაშინ – პაციენტის მშობლის, შვილის, ძმის ან დის მიმართ.

– 4. სამედიცინო მომსახურების გამწვემა მასზე დაკისრებული ვალდებულებები უნდა შეასრულოს

პარ. 1 და 2-ში მითითებული პაციენტის კანონიერი წარმომადგენლების მიმართ და ასევე – პარ. 3-ში მითითებული პირების მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს არ შეესაბამება სამედიცინო მომსახურების წინდახედული გამწევის სტანდარტებს.

– 5. იმ პირმა, ვის მიმართაც სამედიცინო მომსახურების გამწევი პარ. 1 და 2-ის თანახმად ვალდებულია პაციენტების მიმართ შეასრულოს წინამდებარე განყოფილებიდან (განყოფილება 7.7.5) გამომდინარე ვალდებულებები, უნდა განახორციელოს წინდახედული კანონიერი წარმომადგენლის მოვალეობა. ამ პირმა თავისი მოვალეობის შესრულებაში შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად უნდა ჩართოს პაციენტი.

– 6. იმ შემთხვევაში, როდესაც პაციენტი ეწინააღმდეგება იმ რადიკალურ სამედიცინო მოქმედებას, რომლისათვისაც პარ. 1 და 2-ში მითითებულმა პირმა უნდა გასცეს თავისი თანხმობა, ეს მოქმედება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ეს აშკარად აუცილებელია პაციენტის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად.

მუხლი 7:466 აუცილებელი თანხმობა საგანგებო ვითარებაში

– 1. როდესაც 7:465 მუხლის შესაბამისად სამედიცინო მოქმედების განხორციელებისათვის მოითხოვება მხოლოდ აღნიშნულ მუხლში მითითებული პირის და არა თავად პაციენტის თანხმობა, ეს მოქმედება შეიძლება განხორციელდეს ამ პირის თანხმობის გარეშეც, თუკი მისი თანხმობის მოთხოვნისათვის არ არის დრო იმის გამო, რომ მოქმედების დაუყოვნებელი განხორციელება აშკარად აუცილებელია პაციენტისათვის ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად.

– 2. ივარაუდება, რომ 7:450 და 7:465 მუხლების შესაბამისად საჭირო თანხმობა გაიცა, თუკი შესაბამისი მოქმედება არ არის რადიკალური ხასიათის.

მუხლი 7:467 სამეცნიერო კვლევებისათვის საჭირო სხეულის მასალები

– 1. სხეულიდან გამოყოფილი ანონიმური ნივთიერებებისა თუ ნაწილების გამოყენება შესაძლებელია სამედიცინო-სტატისტიკური ან სხვა სამედიცინო-სამეცნიერო კვლევისათვის იმდენად, რამდენადაც პაციენტი, რომლისაგანაც მიიღება სხეულის მასალები, არ ეწინააღმდეგება აღნიშნულს და კვლევა სათანადო მზრუნველობით ხორციელდება.

– 2. სხეულიდან გამოყოფილი ანონიმური ნივთიერებებისა თუ ნაწილების გამოყენებით ჩატარებული კვლევა განიმარტება როგორც კვლევა, რომელიც უზრუნველყოფს იმას, რომ კვლევის ჩატარების მიზნისთვის გამოყენებული სხეულის მასალები და ასევე ამის შედეგად მიღებული მონაცემები არ იქნება დაყვანილი იმ პირამდე, რომლისაგანაც ეს მასალები და მონაცემები მიიღება.

მუხლი 7:468 კანონის იმპერატიული ნორმები

კლიენტის ინტერესების საზიანოდ დაუშვებელია წინამდებარე განყოფილებისა (განყოფილება 7.7.5) და ასევე სამოქალაქო კოდექსის 7:404 მუხლის, 7:405 მუხლის პარ. 2-სა და 7:406 მუხლის ნორმებიდან გადახვევა.

ტიტული 7.7A – მოგზაურობის ხელშეკრულება

მუხლი 7:500 განმარტებები

– 1. წინამდებარე ტიტულსა (ტიტული 7.7.7A) და ასევე მის საფუძველზე არსებულ ნორმებში:

a. „ტუროპერატორი“ გულისხმობს პირს, ვინც თავისი ბიზნესსაქმიანობის ფარგლებში საკუთარი სახელით ახდენს წინასწარ მომზადებული ტურ-პაკეტების საჯარო ან პირთა ჯგუფებისათვის შეთავაზებას;

b. „მოგზაურობის ხელშეკრულება“ გულისხმობს ხელშეკრულებას, რომლის საფუძველზეც ტუროპერატორი ხელშეკრულების მეორე მხარის წინაშე კისრულობს ვალდებულებას, წარუდგინოს ამ უკანასკნელს წინასწარ მომზადებული ტურ-პაკეტი, რომელიც მოიცავს ღამისთევას ანდა მიმდინარეობს 24 საათზე მეტ ხანს და შეიცავს ასევე, სულ ცოტა, ქვემოთ მოცემულ ორ მომსახურებას:

1°. ტრანსპორტირება;

2°. სასტუმროში განთავსება

3°. სხვაგვარ ტურისტულ მომსახურებას, რომელიც არ არის დაკავშირებული ტრანსპორტირებასა თუ სასტუმროში განთავსებასთან და რაც შეადგენს შეთავაზებული ტურ-პაკეტის მნიშვნელოვან ნაწილს.

ც. „მოგზაური“ გულისხმობს:

- 1°. მოგზაურობის ხელშეკრულებაში ტუროპერატორის ხელშეკრულების მეორე მხარეს;
- 2°. პირს, რომლის სახელითაც მოხდა ტურზე შეთანხმება და რომელმაც მიიღო ეს შეთანხმება, ან;
- 3°. პირს, რომელზეც გადავიდა ტუროპერატორთან არსებული სამართლებრივი ურთიერთობა 7:506 მუხლის შესაბამისად.

– 2. პირები, რომლებიც მოქმედებენ თავიანთი ბიზნესსაქმიანობის ფარგლებში როგორც იმ ტუროპერატორის შუამავლები ან აგენტები, რომელიც არ არის დაფუძნებული ნიდერლანდებში, შეიძლება მიჩნეულ იქნენ მათი კონტრაქტების მიერ ტუროპერატორებად წინამდებარე ტიტულის (ტიტული 7.7.7A) გაგებით.

მუხლი 7:501 მოგზაურობის ხელშეკრულების დადებამდე მისაწოდებელი ინფორმაცია

– 1. თუკი ტუროპერატორი გამოსცემს ყველასათვის ხელმისაწვდომ ბროშურას ან სხვა პუბლიკაციას, მაშინ მან უნდა მიუთითოს ტურის ფასი და სხვა ინფორმაცია, რომლის მიწოდებაც უნდა მოხდეს მეფის სამთავრობო ბრძანების შესაბამისად.

– 2. მოგზაურობის ხელშეკრულების დადებამდე ტუროპერატორი ხელშეკრულების მეორე მხარეს წერილობით ან ნებისმიერი სხვა გასაგები და ხელმისაწვდომი ფორმით აწვდის პარ. 1-ში მითითებულ ინფორმაციას იმდენად, რამდენადაც ხელშეკრულების მეორე მხარისათვის უკვე არ არის ცნობილი ეს ინფორმაცია ყველასათვის ხელმისაწვდომი ბროშურის ან სხვა პუბლიკაციის მეშვეობით.

– 3. პარ. 2 არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუკი მოგზაურობის ხელშეკრულება დადებულია ტურის დაწყებამდე 72 საათზე ნაკლებ დროში.

მუხლი 7:502 მოგზაურობის ხელშეკრულების დადებამდე მისაწოდებელი ინფორმაცია

– 1. მოგზაურობის ხელშეკრულების დადების შემდეგ ტუროპერატორი დაუყოვნებლივ წარუდგენს ხელშეკრულების მეორე მხარეს სახელშეკრულებო დებულებებისა და ხელშეკრულების სტანდარტული პირობების დუბლიკატს იმდენად, რამდენადაც ეს დებულებები და პირობები არ ერთვის თან იმ დოკუმენტებს, რომლებიც უკვე გადაეცა ხელშეკრულების მეორე მხარეს.

– 2. ტუროპერატორი მოგზაურობის დაწყებამდე მეორე მხარეს ან იმ პირს, რომელზეც გადავიდა ტუროპერატორთან არსებული სამართლებრივი ურთიერთობა 7:506 მუხლის შესაბამისად, დროულად წერილობით ან ნებისმიერი სხვა გასაგები და ხელმისაწვდომი ფორმით აწვდის მეფის სამთავრობო ბრძანების შესაბამისად გასაცემ ინფორმაციას.

მუხლი 7:503 მოგზაურობის ხელშეკრულების შეწყვეტა მოგზაურის მიერ

– 1. მოგზაურს ნებისმიერ დროს შეუძლია შეწყვიტოს მოგზაურობის ხელშეკრულება დაუყოვნებელი შედეგით.

– 2. თუკი მოგზაური წყვეტს მოგზაურობის ხელშეკრულებას იმ ფაქტის გამო, რაც შეეცხება მას, მაშინ მან უნდა აანაზღაუროს ის ზიანი, რომელიც ტუროპერატორმა განიცადა ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად. საკომპენსაციო თანხის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ტურის ფასს.

– 3. თუკი მოგზაური წყვეტს მოგზაურობის ხელშეკრულებას იმ ფაქტის გამო, რომელიც მას ვერ შეეცხება, მაშინ ის უფლებამოსილია აინაზღაუროს ან დაიბრუნოს ტურის ფასის თანხა, ხოლო როდესაც მოგზაურობა ნაწილობრივ უკვე განხორციელდა, მაშინ – ამ უკანასკნელის პროპორციული თანხა.

მუხლი 7:504 მოგზაურობის ხელშეკრულების შეწყვეტა ტუროპერატორის მიერ

– 1. 7:505 მუხლის პარ. 4-ის ნორმათა მოქმედების შეზღუდვის გარეშე, ტუროპერატორს შეუძლია შეწყვიტოს მოგზაურობის ხელშეკრულება მხოლოდ მნიშვნელოვანი მიზეზების არსებობისას, რომლის შესახებაც მოგზაურს დაუყოვნებლივ ატყობინებენ.

– 2. თუკი ტუროპერატორი წყვეტს მოგზაურობის ხელშეკრულებას იმ ფაქტის გამო, რომელიც მას ვერ შეეცხება, მან მოგზაურს უნდა შესთავაზოს ეკვივალენტური ან უფრო მაღალი ხარისხის სხვა ტურ-პაკეტი. პარ. 3-ის ნორმათა მოქმედების შეზღუდვის გარეშე, მოგზაური, ვინც არ იღებს აღნიშნულ შეთავაზებას, უფლებამოსილია აინაზღაუროს ან დაიბრუნოს ტურის ფასის თანხა, ხოლო როდესაც მოგზაურობა ნაწილობრივ უკვე განხორციელდა, მაშინ – ამ უკანასკნელის პროპორციული თანხა.

– 3. როდესაც მოგზაურობის ხელშეკრულება შეწყდა ტუროპერატორის მიერ, მან უნდა აანაზღაუროს ის მატერიალური ზარალი, რომელიც განიცადა მოგზაურმა და ასევე – შეწყვეტილი ტურის გამო დაკარგული სასიამოვნო განცდის თანხა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:

a. მან შეწყვიტა მოგზაურობის ხელშეკრულება იმის გამო, რომ განაცხადების რაოდენობა მინიმალურად აუცილებელ ოდენობაზე ნაკლებია და მან შეწყვეტის შესახებ შეატყობინა მოგზაურს მოგზაურობის ხელშეკრულებაში ამ მიზნით მითითებულ ვადაში, ან;

b. ხელშეკრულების შეწყვეტა წარმოადგენს მისი კონტროლის მიღმა არსებულ გარემოებათა („ფორს-მაჟორი“) შედეგს, რომელშიც არ შედის ადგილების ზედმეტად დაჯავშნის ფაქტი. წინამდებარე ტიტულის (ტიტული 7.7.7A) მიზნებისათვის „ფორს-მაჟორის“ ცნების ქვეშ მოიაზრება უჩვეულო და არაპროგნოზირებადი გარემოებები, რომლებიც დადგა იმ პირის ნებისაგან დამოუკიდებლად, ვინც მიუთითებს ამ ფაქტზე და რომლის შედეგებიც ვერ იქნებოდა თავიდან აცილებული მიუხედავად ყველანაირი გამაფრთხილებელი ზომების მიღებისა.

მუხლი 7:505 მოგზაურობის ხელშეკრულების შინაარსის შეცვლა ტუროპერატორის მიერ

– 1. ტუროპერატორს შეუძლია გააკეთოს დათქმა, რომლის საფუძველზეც მას შეეძლება შეცვალოს მოგზაურობის ხელშეკრულების არსებითი პირობა მნიშვნელოვანი მიზეზების არსებობისას, რომლის შესახებაც მოგზაურს დაუყოვნებლივ ატყობინებენ. მოგზაურს უფლება აქვს, უარი თქვას განხორციელებულ ცვლილებებზე.

– 2. გარდა პარ. 1-სა, ტუროპერატორს შეუძლია გააკეთოს დათქმა, რომლის საფუძველზეც მას შეეძლება შეცვალოს მოგზაურობის ხელშეკრულების სხვა ელემენტები, ნაცვლად არსებითისა, რომლის შესახებაც მოგზაურს დაუყოვნებლივ ატყობინებენ. მოგზაურს მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს უფლება, უარი თქვას ასეთ ცვლილებაზე, თუკი მას ამით მნიშვნელოვანი ზიანი ადგება.

– 3. ტუროპერატორს შეუძლია გააკეთოს დათქმა, რომლის საფუძველზეც მას მოგზაურობის დაწყებამდე ოცი დღით ადრე შეეძლება გაზარდოს ტურის ფასი ტრანსპორტირების ხარჯების, მათ შორის, სანავის, გადასახდელი მოსაკრებლებისა თუ შესაბამისი გაცვლითი კურსის ცვლილებასთან დაკავშირებით. როდესაც ტუროპერატორი იყენებს აღნიშნულ დათქმას, მან უნდა მიუთითოს იმაზე, თუ როგორ მოხდა თანხის ზრდის გამოთვლა. მოგზაურს აქვს უფლება, უარი თქვას გაზრდილ ფასზე.

– 4. წინა პარაგრაფებში მითითებული უარის თქმის შემდეგ, ტუროპერატორს შეუძლია შეწყვიტოს მოგზაურობის ხელშეკრულება. მოგზაური უფლებამოსილია აინაზღაუროს ან დაიბრუნოს ტურის ფასის თანხა, ხოლო როდესაც მოგზაურობა ნაწილობრივ უკვე განხორციელდა, მაშინ – ამ უკანასკნელის პროპორციული თანხა. გარდა აღნიშნულისა, თუკი ტუროპერატორი წყვეტს მოგზაურობის ხელშეკრულებას მოგზაურის მიერ პარ. 1 ან 2-ში მითითებული უარის თქმის შემდეგ, მაშინ შესაბამისად გამოიყენება 7:504 მუხლის პარ. 3-ის ნორმები.

მუხლი 7:506 მოგზაურის შეცვლა

– 1. მოგზაურობის დაწყებამდე დროულად მოგზაურს შეუძლია ტუროპერატორთან არსებული თავისი სამართლებრივი ურთიერთობა გადასცეს მესამე პირს, ვინც დააკმაყოფილებს მოგზაურობის ხელშეკრულების ყველა პირობას. დროულად მიიჩნევა მოგზაურობის დაწყებამდე შვიდდღიანი პერიოდი.

– 2. სამართლებრივი ურთიერთობის გადაცემას ადგილი აქვს მოგზაურსა და მესამე პირს შორის კონკრეტული ხელშეკრულების დადების გზით, რომელსაც მოჰყვება თავდაპირველი მოგზაურის ტუროპერატორისათვის წარდგენილი წერილობითი შეტყობინება იმის შესახებ, რომ მან გადასცა თავისი სახელშეკრულებო მდგომარეობა კონკრეტულ მესამე პირს. თავდაპირველი მოგზაური და მესამე პირი სოლიდარულად აგებენ პასუხს ტურის ფასისა და იმ ხარჯებისათვის, რომლებიც უნდა გასწიოს ტუროპერატორმა სამართლებრივი ურთიერთობის გადაცემის გამო.

მუხლი 7:507 მოგზაურობის ხელშეკრულების პირობების დაცვა

– 1. ტუროპერატორი ვალდებულია შეასრულოს მოგზაურობის ხელშეკრულების პირობები იმ მოლოდინების შესაბამისად, რომლებიც მოგზაურს გონივრულად შეეძლო ჰქონოდა მოგზაურობის ხელშეკრულების საფუძველზე.

– 2. თუკი ტური არ მიმდინარეობს იმ მოლოდინების შესაბამისად, რომლებიც მოგზაურს გონივრულად შეეძლო ჰქონოდა მოგზაურობის ხელშეკრულების საფუძველზე, მაშინ ტუროპერატორი პასუხისმგებელია დამდგარი ზარალისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ვალდებულების შეუსრულებლობა ვერ შეერაცხება ვერც მას და ვერც იმ პირს, რომლის დახმარებასაც ის ხელშეკრულების შესრულებისას იღებს, იმის გამო, რომ:

a. მოგზაურობის ხელშეკრულების შეუსრულებლობა შეერაცხება მოგზაურს;

b. ხელშეკრულების არაპროგნოზირებადი ან გარდაუვალი შეუსრულებლობა შეერაცხება იმ მესამე პირს, ვინც არ არის დაკავშირებული ნაკისრი მომსახურების განწევასთან; ან

c. მოგზაურობის ხელშეკრულების შეუსრულებლობა გამონვეულია 7:504 მუხლის პარ. 3-ის (b) პუნქტში განსაზღვრული ფორსმაჟორული შემთხვევით, ანდა იმ გარემოებით, რომლის განჭვრეტასა თუ თავიდან აცილებას – თუნდაც სრული ჯეროვანი სიფრთხილის გამოჩენისას – ვერ შეძლებდა ტუროპერატორი ან ის პირი, რომლის დახმარებასაც ტუროპერატორი ხელშეკრულების შესრულებისას იღებს.

– 3. არსებული გარემოებებიდან გამომდინარე, ტუროპერატორს ევალება მოგზაურისათვის ოპერატიული დახმარების განწევა და მხარდაჭერა იმ შემთხვევაში, თუკი ტური არ მიმდინარეობს იმ მოლოდინების შესაბამისად, რომლებიც მოგზაურს გონივრულად შეეძლო ჰქონოდა მოგზაურობის ხელშეკრულების საფუძველზე. თუკი აღნიშნული შეუსაბამობა შეერაცხება მოგზაურს, ტუროპერატორმა მას დახმარება უნდა გაუწიოს და მხარი დაუჭიროს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს მისგან გონივრულად შეიძლება იყოს მოსალოდნელი. ასეთ შემთხვევაში დახმარებისა და მხარდაჭერის ხარჯები ეკისრება მოგზაურს. დახმარებისა და მხარდაჭერის ხარჯები დაეკისრება ტუროპერატორს, თუკი პარ. 2-ის გაგებით მოგზაურობის ხელშეკრულების შეუსრულებლობა შეერაცხება მას ან იმ პირს, რომლის დახმარებასაც ტუროპერატორი ხელშეკრულების შესრულებისას იღებს.

მუხლი 7:508 პასუხისმგებლობის გამომრიცხავი დათქმები გარდაცვალებისა თუ ფიზიკური დაზიანების შემთხვევაში

– 1. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გამოიყენება წინამდებარე მუხლის პარ. 2-ის ნორმები, ტუროპერატორი ვერ შეზღუდავს ან გამომრიცხავს თავის პასუხისმგებლობას მოგზაურის გარდაცვალებით ან ფიზიკური დაზიანებით გამონვეული ზიანისათვის.

– 2. იმ შემთხვევებში, როდესაც კონვენცია (საერთაშორისო ხელშეკრულება) გამოიყენება მოგზაურობის ხელშეკრულების საფუძველზე განული მომსახურების მიმართ, ტუროპერატორს შეუძლია მიმართოს ამ კონვენციით (საერთაშორისო ხელშეკრულებით) მომსახურების გამწვევის მიმართ გათვალისწინებული პასუხისმგებლობის გამომრიცხვის ან შეზღუდვის წესს.

მუხლი 7:509 პასუხისმგებლობის გამომრიცხავი დათქმები სხვა შემთხვევებში

– 1. ტუროპერატორი ვერ შეზღუდავს ან გამომრიცხავს თავის პასუხისმგებლობას საკუთარი ქმედებებითა თუ გაუფრთხილებლობით მიყენებული ზიანისათვის, თუკი ასეთმა ქმედებებმა თუ გაუფრთხილებლობამ წარმოშვა ასეთი ზიანის მიყენების განზრახვა, ხოლო დაუდევარი საქციელის გამო კი, – მის გააზრება, რომ აღნიშნული სავარაუდოდ გამოიწვევდა ზიანის დადგომას.

– 2. იმდენად, რამდენადაც ტუროპერატორი თავად არ ახდენს მოგზაურობის ხელშეკრულებით შეთანხმებული მომსახურების განწევას, მას შეუძლია თავისი პასუხისმგებლობა სხვაგვარი ზიანისათვის, ნაცვლად 7:508 მუხლში მითითებულის ზიანისა, შეზღუდოს ტურის ფასის სამმაგი თანხის ოდენობით.

მუხლი 7:510 არამატერიალური ზარალის ანაზღაურება („pretio doloris“)

მოგზაურობის ხელშეკრულების შეუსრულებლობა, რომელიც შეერაცხება ტუროპერატორს, ავალდებულებს მას ასევე აანაზღაუროს სხვაგვარი ზიანი, ნაცვლად მატერიალური ზარალისა იმდენად, რამდენადაც ხელშეკრულების აღნიშნულმა დარღვევამ შედეგად გამოიწვია ტურით მისაღები სასიამოვნო განცდის დაკარგვა.

მუხლი 7:511 არამატერიალური ზარალის საკომპენსაციო თანხის ოდენობა

ტურით მისაღები სასიამოვნო განცდის დაკარგვისათვის საკომპენსაციო თანხის ოდენობა, როგორც ეს მითითებულია 7:504 მუხლის პარ. 3-სა და 7:510 მუხლში, შეადგენს ტურის ფასის ერთჯერად ოდენობას.

მუხლი 7:512 ტუროპერატორის გადახდისუნარიანობისაგან დაცვა

– 1. ტუროპერატორმა უნდა მიიღოს ზომები, რომლებიც აუცილებელია იმის უზრუნველსაყოფად, რომ თუკი ის ფინანსურად ვერ ან ვეღარ შეძლებს მოგზაურის მიმართ თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან ვინმე სხვა პირი კისრულობს მისი ვალდებულებების შესრულებას ანდა ტურის ფასის თანხა ბრუნდება სრულად, ხოლო როდესაც მოგზაურობა ნაწილობრივ უკვე განხორციელდა, მაშინ – ამ უკანასკნელის პროპორციული თანხა. თუკი მოგზაურმა უკვე მიაღწია თავისი დანიშნულების ადგილს, მაშინ

ტუროპერატორმა ნებისმიერ შემთხვევაში უნდა უზრუნველყოს მოგზაურის უკან დაბრუნება იმდენად, რამდენადაც მოგზაურობის ხელშეკრულება მოიცავს ასეთ გადაყვანას.

– 2. ტუროპერატორი აქვეყნებს პარ. 1-ის შესაბამისად მისაღებ ზომებს მათი 7:501 მუხლში მითითებულ საყოველთაოდ ხელმისაწვდომ ბროშურასა თუ სხვა პუბლიკაციაში ანდა – სხვა გასაგები და ხელმისაწვდომი ფორმით.

მუხლი 7:513 კანონის იმპერატიული ნორმები

მოგზაურის ინტერესების საზიანოდ დაუშვებელია წინამდებარე ტიტულის (ტიტული 7.7A) და მის შესაბამისად მიღებული ნორმებიდან გადახვევა.

ტიტული 7.7B – ანგარიშსწორების ოპერაციები

განყოფილება 7.7B.1 – ზოგადი დებულებები

მუხლი 7:514 განმარტებები

წინამდებარე ტიტულისა (ტიტული 7.7B) და მასში მოცემული ნორმების მიზნებისათვის გამოიყენება ქვემოთ მოცემული განმარტებები:

(a) „ავტორიზაცია“ გულისხმობს პროცედურას, რომელიც საგადახდო მომსახურების გამწვანებას აძლევს კონკრეტული საგადახდო ინსტრუმენტის, მათ შორის, მისი პერსონალიზირებული უსაფრთხოების ფუნქციის გამოყენების შემომწმების შესაძლებლობას;

(b) „პირდაპირი დებეტი“ გულისხმობს გადამხდელი საგადახდო ანგარიშიდან გადახდის მომსახურებას, როდესაც თანხის მიმღების მიერ მისთვის გადამხდელის მიერ მიცემული თანხმობის საფუძველზე ანგარიშსწორების ინიცირება ხდება თავისი საგადახდო მომსახურების გამწვანებისა თუ გადამხდელის საგადახდო მომსახურების გამწვანების მიმართ;

(c) „თანხის მიმღები“ გულისხმობს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელიც წარმოადგენს იმ თანხების სავარაუდო მიმღებს, რაც ექვემდებარებოდა ანგარიშსწორებას;

(d) „საგადახდო მომსახურება“ გულისხმობს იმ ნებისმიერ ბიზნესაქმიანობას, რომელიც ჩამოთვლილია დირექტივის დანართში;

(e) „საგადახდო მომსახურების მოსარგებლე“ გულისხმობს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელიც იყენებს საგადახდო მომსახურებას როგორც გადამხდელის, ისე თანხის მიმღებისა თუ ორივე სტატუსით;

(f) „საგადახდო მომსახურების გამწვანება“ გულისხმობს დირექტივის 1-ლი მუხლის პარ. 1-ში მითითებულ მომსახურების გამწვანებას (ორგანიზაციას) და იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომელთა მიმართაც ფინანსური ზედამხედველობის შესახებ კანონის 2:3d მუხლის ნორმების ძალით მოქმედებს გადასახადებისაგან გათავისუფლების წესი;

(g) „საგადახდო ინსტრუმენტი“ გულისხმობს ნებისმიერ პერსონალიზირებულ მონეობილობას ან/და პროცედურების წყებას, რომელიც შეთანხმებულია საგადახდო მომსახურების მოსარგებლესა და მომსახურების გამწვანებ შორის და გამოიყენება მომსახურების მომხმარებლის მიერ საგადახდო დავალების ინიცირებისათვის;

(h) „საგადახდო დავალება“ გულისხმობს გადამხდელის ან თანხის მიმღების მიერ თავისი საგადახდო მომსახურების გამწვანებისათვის მიცემულ ნებისმიერ მითითებას, რომლითაც ის ითხოვს ანგარიშსწორების განხორციელებას;

(i) „საგადახდო ანგარიში“ გულისხმობს საგადახდო მომსახურების ერთი ან რამდენიმე გამწვანების სახელით არსებულ ანგარიშს, რომელიც გამოიყენება ანგარიშსწორების განხორციელებისათვის;

(j) „გადამხდელი“ გულისხმობს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელიც ფლობს საგადახდო ანგარიშს და ამ უკანაკნელზე უშვებს საგადახდო დავალებას, ხოლო იმ შემთხვევებში კი, როდესაც სახეზე არ არის საგადახდო ანგარიში, – იმ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელიც გასცემს საგადახდო დავალებას;

(k) „ანგარიშსწორება“ გულისხმობს მოქმედებას, რომელიც ინიცირებულია გადამხდელის ან თანხის მიმღების მიერ ფულადი სახსრების განთავსებით, გადაცემითა თუ ანგარიშიდან გამოტანით მიუხედავად ამის საფუძველად არსებული გადამხდელისა და თანხის მიმღებს შორის ვალდებულებებისა;

(l) „კლიენტი“ გულისხმობს ფიზიკურ პირს, ვინც არ მოქმედებს თავისი პროფესიული თუ სამეწარმეო

საქმიანობის ფარგლებში და რომელსაც საგადახდო მომსახურების გამწვევი უწევს საგადახდო მომსახურებას ანდა მომსახურების გამწვევს განზრახული აქვს, გაუწიოს ასეთი მომსახურება;

(m) „მყარი მატარებელი“ გულისხმობს ნებისმიერ ინსტრუმენტს, რაც საგადახდო მომსახურების მოსარგებლეს აძლევს საშუალებას, შეინახოს მისთვის პირადად განკუთვნილი ინფორმაცია სამომავლო გამოყენებისათვის ხელმისაწვდომი ფორმით ამ ინფორმაციის მიზნების შესაბამისი ვადით და რითაც შესაძლებელია შენახული ინფორმაციის უცვლელად აღწარმოება;

(ma) „ელექტრონული ფულადი ინსტიტუტი“ გულისხმობს ელექტრონულ ფულად ინსტიტუტს ფინანსური ზედამხედველობის შესახებ კანონის 1:1 მუხლის გაგებით;

(n) „ფულადი სახსრები“ გულისხმობს ბანკოტებსა და მონეტებს, კრიპტოვალუტასა და ელექტრონულ ფულს, როგორც ეს მითითებულია ფინანსური ზედამხედველობის შესახებ კანონის 1:1 მუხლში;

(o) „ჩარჩო ხელშეკრულება“ გულისხმობს ხელშეკრულებას, რომელიც აწესრიგებს ერთჯერადი და განმეორებადი ანგარიშსწორების ოპერაციების სამომავლო განხორციელებას და შესაძლოა შეიცავდეს საგადახდო ანგარიშის შექმნის ვალდებულებასა და პირობებს;

(p) „საბაზისო საპროცენტო განაკვეთი“ გულისხმობს საპროცენტო განაკვეთს, რომელიც გამოიყენება როგორც საფუძველი ნებისმიერი გამოსაყენებელი პროცენტის გამოთვლისათვის და მომდინარეობს საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროდან, რაც შეიძლება შემონმდეს საგადახდო მომსახურების ხელშეკრულების ორივე მხარის მიერ;

(q) „საბაზისო გაცვლითი კურსი“ გულისხმობს გაცვლით კურსს, რომელიც გამოიყენება როგორც საფუძველი ნებისმიერი ვალუტის გაცვლისათვის და ხელმისაწვდომი ხდება საგადახდო მომსახურების გამწვევის მიერ ანდა მომდინარეობს საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროდან;

(r) „დირექტივა“ გულისხმობს შიდა ბაზარზე საგადახდო მომსახურებათა შესახებ ევროპული პარლამენტისა და 2007 წლის 13 ნოემბრის ევროპული საბჭოს 2007/64/EC დირექტივას (OJ EU L 319);

(s) „უნიკალური იდენტიფიკატორი“ გულისხმობს საგადახდო მომსახურების გამწვევის მიერ საგადახდო მომსახურების მოსარგებლისათვის ასოების, ციფრებისა თუ სიმბოლოების განსაზღვრულ კომბინაციას, რომლის მიწოდებაც ხდება მომხმარებლის მიერ საგადახდო მომსახურების სხვა მომხმარებლის ან/და ანგარიშსწორებისთვის მისი საგადახდო ანგარიშის იდენტიფიცირებისათვის;

(t) „ვალუტირების თარიღი“ გულისხმობს საგადახდო მომსახურების გამწვევის მიერ საგადახდო ანგარიშიდან დებეტირებულ ან მასზე შესატან ფულად სახსრებზე დარიცხული პროცენტის გამოთვლისათვის გამოყენებულ დროს;

(u) „სამუშაო დღე“ გულისხმობს დღეს, როდესაც ანგარიშსწორების პროცესში ჩართული გადამხდელის ან თანხის მიმღების შესაბამისი საგადახდო მომსახურების გამწვევი ღიაა სამუშაოდ, როგორც ეს მოითხოვება ანგარიშსწორების განსახორციელებლად.

მუხლი 7:515 7.7B ტიტულის მოქმედების სფერო

– 1. წინამდებარე ტიტული (ტიტული 7.7.B) გამოიყენება ცალკეული ანგარიშსწორების ოპერაციების, ჩარჩო ხელშეკრულებებისა და მათი მიერ მოცული ანგარიშსწორების ოპერაციების მიმართ.

– 2. წინამდებარე ტიტული (ტიტული 7.7.B) გამოიყენება მხოლოდ ევროპულ კავშირში ანდა ევროპული ეკონომიკური ზონის შეთანხმების მონაწილე სახელმწიფოებში წარმოებული (შესრულებული) ანგარიშსწორების ოპერაციების მიმართ და მხოლოდ იმდენად, რამდენადაც გადახდის მომსახურება ხორციელდება ევროში ანდა ნევრი-სახელმწიფოს ვალუტაში ევრო ზონის მიღმა ევროპული ეკონომიკური ზონის შეთანხმების მონაწილე სახელმწიფოს ვალუტაში.

– 3. წინამდებარე ტიტული (ტიტული 7.7.B) გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი როგორც გადამხდელის, ისე თანხის მიმღების საგადახდო მომსახურების გამწვევი – ანდა მხოლოდ ანგარიშსწორების ოპერაციაში მოქმედი საგადახდო მომსახურების გამწვევი – მდებარეობენ ევროპულ კავშირში, გარდა 7:541 მუხლში გათვალისწინებული გამონაკლისისა.

– 4. წინამდებარე ტიტული (ტიტული 7.7.B) არ გამოიყენება ფინანსური ზედამხედველობის შესახებ კანონის 1:5a მუხლის მეორე პარაგრაფში განსაზღვრული ანგარიშსწორების ოპერაციების მიმართ.

– 5. წინამდებარე ტიტული (ტიტული 7.7.B) არ გამოიყენება ევროპული პარლამენტისა და 2006 წლის 14 ივნისის ევროპული საბჭოს 2006/48/EC დირექტივაში ჩამოთვლილი ჰოლანდიური დანესებულებების მიერ განეული საგადახდო მომსახურებათა მიმართ, რომლებიც დაკავშირებულია საკრედიტო დანესებულებათა გახსნასა და საქმიანობის განხორციელებასთან (გარდაქმნასთან).

მუხლი 7:516 ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და ჩარჩო ხელშეკრულების დებულებები

სახელშეკრულებო ურთიერთობის განმავლობაში ნებისმიერ დროს საგადახდო მომსახურების გამწვანე უფლებამოსილია მოითხოვოს ქალაქის ან სხვა მყარ მატარებელზე ჩარჩო ხელშეკრულების დებულებების მიწოდება, ისე როგორც მეფის სამთავრობო ბრძანებით ან მის შესაბამისად განსაზღვრული ინფორმაციისა და პირობების მიწოდება, როგორც ეს მითითებულია ფინანსური ზედამხედველობის შესახებ კანონის 4:22 მუხლში.

მუხლი 7:517 ჩარჩო ხელშეკრულების დებულებების ან სხვა გამოსაყენებელი ინფორმაციისა და პირობების შეცვლა

– 1. ჩარჩო ხელშეკრულებაში, ისევე როგორც ფინანსური ზედამხედველობის შესახებ კანონის 4:22 მუხლში მითითებული მეფის სამთავრობო ბრძანებით ან მის შესაბამისად განსაზღვრულ ინფორმაციასა და პირობებში ნებისმიერი ცვლილების შეთავაზება უნდა მოხდეს საგადახდო მომსახურების გამწვანის მიერ ქალაქში ან სხვა მყარ მატარებელზე; აღნიშნული უნდა განხორციელდეს შეთავაზების იმ თარიღიდან არაუგვიანეს ორი თვისა, როდესაც ეს ცვლილებები შედის ძალაში და ასევე – ადვილად გასაგები სიტყვებითა და ნათელი და აღქმადი ფორმით, იმ წერილ-სახელმწიფოს ოფიციალურ ენაზე, სადაც ხდება საგადახდო მომსახურების შეთავაზება ანდა – მხარეთა შორის შეთანხმებულ ნებისმიერ სხვა ენაზე.

– 2. იმ ფარგლებში, რომლებშიც წინამდებარე მუხლის (ა) პუნქტში მითითებული უფლება შეთანხმებულ იქნა ზემოხსენებული მეფის სამთავრობო ბრძანებით ან მის შესაბამისად გათვალისწინებული წესების მიხედვით:

(ა) საგადახდო მომსახურების გამწვანმა საგადახდო მომსახურების მოსარგებლეს უნდა შეატყობინოს იმის შესახებ, რომ პარ. 1-ში მითითებული ცვლილებები მიიჩნევა მის მიერ მიღებულად, თუკი მოსარგებელე საგადახდო მომსახურების გამწვანს არ ატყობინებს იმის თაობაზე, რომ ის არ იღებს ამ ცვლილებებს მათი ძალაში შესვლის სავარაუდო თარიღამდე, და

(ბ) საგადახდო მომსახურების გამწვანე ასევე უნდა განსაზღვროს, რომ საგადახდო მომსახურების მოსარგებლეს აქვს უფლება, დაუყოვნებლივ და ფინანსური სანქციის გარეშე შეწყვიტოს ჩარჩო ხელშეკრულება ცვლილებების გამოყენების სავარაუდო თარიღამდე.

– 3. საპროცენტო განაკვეთსა თუ გაცვლით კურსში ცვლილებების გამოყენება შესაძლებელია დაუყოვნებლივ და შეტყობინების გარეშე იმ პირობით, რომ ასეთი უფლება შეთანხმებულია ჩარჩო ხელშეკრულებაში და რომ ცვლილებები ეფუძნება ზემოხსენებული მეფის სამთავრობო ბრძანებით ან მის შესაბამისად შეთანხმებული საბაზისო საპროცენტო განაკვეთისა თუ საბაზისო გაცვლითი კურსის საფუძველზე.

– 4. საგადახდო მომსახურების მოსარგებლეს უნდა შეატყობინონ საპროცენტო განაკვეთის ნებისმიერი იმ ცვლილების შესახებ, რომელიც ნაკლებად ხელსაყრელია მისთვის; აღნიშნული უნდა განხორციელდეს პირველივე შესაძლებლობისთანავე იმგვარად, როგორც ეს გათვალისწინებულია მეფის სამთავრობო ბრძანებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარეები შეთანხმდნენ კონკრეტულ სიხშირესა თუ წესზე, რომლითაც უნდა მოხდეს ინფორმაციის მიწოდება ან მისი ხელმისაწვდომად გახდომა. საპროცენტო განაკვეთისა თუ გაცვლითი კურსის იმ ცვლილების გამოყენება, რომელიც უფრო ხელსაყრელია საგადახდო მომსახურების მოსარგებელთათვის, შესაძლებელია შეტყობინების გარეშეც.

– 5. ანგარიშსწორების ოპერაციებში გამოყენებულ საპროცენტო განაკვეთსა თუ გაცვლით კურსში ცვლილებები უნდა განხორციელდეს და გამოითვალოს იმგვარი ნეიტრალური მიდგომით, რომლითაც არ მოხდება საგადახდო მომსახურების მოსარგებლების დისკრიმინაცია.

მუხლი 7:518 ხელშეკრულების შეწყვეტა

– 1. საგადახდო მომსახურების მოსარგებლეს შეუძლია ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ჩარჩო ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარეები შეთანხმდნენ შეტყობინების ვადაზე. ასეთი შეტყობინების ვადა არ უნდა აღემატებოდეს ერთ თვეს.

– 2. 12 თვეზე მეტი განსაზღვრული ვადით ანდა განუსაზღვრელი ვადით დადებული ჩარჩო ხელშეკრულების შეწყვეტა 12 თვის ვადის გასვლის შემდეგ საგადახდო მომსახურების მოსარგებლებისათვის უნდა მოხდეს ფინანსური სანქციის გარეშე. ყველა სხვა შემთხვევაში ხელშეკრულების შეწყვეტის ფინანსური სანქცია უნდა იყოს ადეკვატური და შეესაბამებოდეს განუულ ხარჯებს.

– 3. ჩარჩო ხელშეკრულებაში მხარეთა შეთანხმების შემთხვევაში, საგადახდო მომსახურების მოსარგებლეს განუსაზღვრელი ვადით დადებული ჩარჩო ხელშეკრულება შეუძლია შეწყვიტოს 7:517 მუხლის პარ. 1-ში გათვალისწინებული წესით ხელშეკრულებაში თუ მეფის სამთავრობო ბრძანებით ან მის შესა-

საბამისად განსაზღვრულ ინფორმაციასა თუ პირობებში ცვლილებების განხორციელების შეთავაზების გამო შეტყობინების, სულ ცოტა, ორთვიანი ვადის ჯეროვანი დაცვით.

– 4. ჩარჩო ხელშეკრულების შეწყვეტისას, რეგულარულად ასანაზღაურებელი ხარჯების (პერიოდული ხარჯების) დაფარვა შეიძლება ხორციელდებოდეს საგადახდო მომსახურების მოსარგებლების მიმართ პროპორციულად ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტამდე. თუკი საგადახდო მომსახურების მოსარგებლებმა ასეთი ხარჯები წინასწარ დაფარა, მაშინ ისინი ექვემდებარება პროპორციულად ანაზღაურებას.

მუხლი 7:519 ვალუტა და მისი კონვერტაცია

– 1. ანგარიშსწორების ოპერაციები უნდა განხორციელდეს მხარეთა შორის შეთანხმებულ ვალუტაში.

– 2. როდესაც ვალუტის კონვერტაციის მომსახურების შეთავაზება ხდება ანგარიშსწორების ოპერაციის ინიცირებამდე და ასევე როდესაც მისი შეთავაზება ხდება საქონლის გაყიდვისას ანდა – თანხის მიმღების მიერ, მაშინ გადამხდელისათვის ვალუტის კონვერტაციის მომსახურების შემთავაზებელმა გადამხდელს უნდა გაუშვილოს ყველა გადასახდელი თანხის ოდენობა და ასევე ანგარიშსწორების ოპერაციის კონვერტაციისათვის გამოსაყენებელი ვალუტის გაცვლითი კურსი.

მუხლი 7:520 ინფორმაციის მინოდების საზღაური

– 1. საგადახდო მომსახურების გამწვევა არ უნდა დააკისროს საგადახდო მომსახურების მოსარგებლეს მის მიერ ინფორმაციის მინოდებასთან დაკავშირებული ნებისმიერი საზღაურის გადახდა და ასევე – წინამდებარე ტიტულის (ტიტული 7.7.B) ნორმათა საფუძველზე მაკორექტირებელი ან პრევენციული ზომების გამოყენებასთან დაკავშირებული საზღაურის გადახდა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:

a. რაიმე სხვა წესი არის გათვალისწინებული 7:533 მუხლის პარ. 1-ის, 7:534 მუხლის პარ. 5-ის ან 5:542 მუხლის პარ. 2-ის ნორმებით;

b. გასაწევი საზღაური შეთანხმებულ იქნა საგადახდო მომსახურების მოსარგებლესა და მომსახურების გამწვევს შორის, და

c. საზღაურის თანხის ოდენობა ჯეროვანია და შესაბამისობაშია საგადახდო მომსახურების გამწვევის რეალურ ხარჯებთან.

– 2. როდესაც ანგარიშსწორება არ მოიცავს ვალუტის კონვერტაციას, მაშინ როგორც გადამხდელი, ისე თანხის მიმღები ვალდებულია თავად გადაუხადოს ინფორმაციის მინოდების საზღაური თავის საგადახდო მომსახურების გამწვევს.

– 3. საგადახდო მომსახურების გამწვევა ხელი არ უნდა შეუშალოს თანხის მიმღებს, რათა ამ უკანასკნელმა გადამხდელისაგან მოითხოვოს საზღაურის თანხა ანდა შესთავაზოს მას თანხის შემცირება არსებული საგადახდო ინსტრუმენტით სარგებლობისათვის.

მუხლი 7:521 ინფორმაციის მინოდების მოთხოვნებისაგან გადახვევა მცირე ღირებულების მქონე საგადახდო ინსტრუმენტებისა და ელექტრონული ფულისათვის

– 1. ნებისმიერ დროს (ერთდროულად) 150 ევროს ოდენობის ლიმიტით ანდა არაუმეტეს 150 ევროს ოდენობით თანხის მაქსიმალური განთავსებით საგადახდო ინსტრუმენტებთან დაკავშირებით, და ასევე – იმ ინსტრუმენტებთან დაკავშირებითაც, რომლებიც, ჩარჩო ხელშეკრულების შესაბამისად, გამოიყენება მხოლოდ არაუმეტეს 30 ევროს ოდენობით ინდივიდუალური ანგარიშსწორების ოპერაციებისათვის, საგადახდო მომსახურების გამწვევებს შეუძლიათ საგადახდო მომსახურების მოსარგებლებთან შეთანხმდნენ იმის შესახებ:

a. რომ 7:534 მუხლის პარ. 1-ის (b) პუნქტის, 7:525 მუხლის პარ. 1-ის (c) და (d) პუნქტებისა და 7:529 მუხლის პარ. 4 და 5-ის ნორმები არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუკი საგადახდო ინსტრუმენტი ანდა მისი შემდგომი გამოყენება ვერ დაიბლოკება;

b. რომ 7:527 მუხლის, 7:528 მუხლისა და 7:529 მუხლის პარ. 1 და 2-ის ნორმები არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუკი საგადახდო ინსტრუმენტი გამოიყენება ანონიმურად ანდა საგადახდო ინსტრუმენტისათვის დამახასიათებელი სხვა მიზეზების არსებობის გამო საგადახდო მომსახურების გამწვევი ვერ ამტკიცებს იმას, რომ ანგარიშსწორება ავტორიზებული იყო;

c. რომ 7:533 მუხლის პარ. 1-საგან განსხვავებით, საგადახდო მომსახურების გამწვევს არ მოეთხოვება საგადახდო მომსახურების მოსარგებლისათვის საგადახდო დავალების შესრულებაზე უარის შესახებ შეტყობინების გაგზავნა იმ შემთხვევაში, თუკი საგადახდო დავალების შეუსრულებლობა აშკარაა;

d. რომ 7:534 მუხლისაგან განსხვავებით, გადამხდელი ვერ გაიხმობს საგადახდო დავალებას თანხის მიმღებისათვის მისი გადაცემის ანდა დავალების შესრულებაზე თავისი თანხმობის გაცემის შემდეგ;

e. რომ 7:537 და 7:538 მუხლების ნორმებიდან გადახვევის გზით შესრულების სხვა ვადები გამოიყენება;
f. რომ 7:517 მუხლის ნორმებიდან გადახვევის გზით საგადახდო მომსახურების გამწვევს არ მოეთხოვება ჩარჩო ხელშეკრულების პირობებში ცვლილებების შეთავაზება იმავე წესის მიხედვით, რაც გათვალისწინებულია 7:517 მუხლში;

– 2. ეროვნულ ვალუტაში ანგარიშსწორების ოპერაციებისათვის პარ. 1-ში მითითებული თანხები ორმაგდება.

– 3. ეროვნულ ვალუტაში ანგარიშსწორების ოპერაციებისათვის განკუთვნილი წინასწარ ანაზღაურებული საგადახდო ინსტრუმენტებისათვის პარ. 1-ში მითითებული თანხები იზრდება 500 ევრომდე.

– 4. 7:528 და 7:529 მუხლების ნორმები გამოიყენება ასევე ელექტრონული ფულის მიმართ 7:514 მუხლის (n) პუნქტის გაგებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გადამხდელის საგადახდო მომსახურების გამწვევს არა აქვს ანგარიშისა თუ საგადახდო ინსტრუმენტის ბლოკირების შესაძლებლობა.

მუხლი 7:521a ელექტრონული ფულით თანხის დაფარვის უფლება

– 1. ელექტრონული ფულის დანესებულებამ უნდა დაფაროს თანხა იმ შემთხვევაში, როდესაც ელექტრონული ფულის მფლობელი ამას ითხოვს.

– 2. ელექტრონული ფულის დანესებულებასა და ელექტრონული ფულის მფლობელს შორის არსებული ხელშეკრულებაში ნათლად უნდა აღინიშნოს დაფარვის (ანაზღაურების) სახელშეკრულებო პირობები და ელექტრონული ფულის მფლობელს შეატყობინონ აღნიშნული პირობების შესახებ მანამდე, სანამ ის აღმოჩნდება ვალდებული ხელშეკრულებითა თუ შესაბამისი შეთავაზებით.

– 3. თანხის დაფარვისათვის კომპენსაციის გადახდის დაკისრება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ეს აღნიშნულია ხელშეკრულებაში პარ. 2-ში გათვალისწინებული წესის შესაბამისად და მხოლოდ ქვემოთ მოცემულ ვითარებებში:

a. თუკი თანხის დაფარვის მოთხოვნა ხდება ხელშეკრულების შეწყვეტამდე ერთი დღით ადრე;

b. თუკი ხელშეკრულება ითვალისწინებს მისი შეწყვეტის დღეს, ხოლო ელექტრონული ფულის მფლობელი კი მას წყვეტს ამ დღის დადგომამდე;

c. თუკი თანხის დაფარვის მოთხოვნა ხდება ხელშეკრულების შეწყვეტის დღიდან ერთი წელზე მეტი ხნის შემდეგ;

წინამდებარე პარაგრაფში მითითებული კომპენსაციის თანხა ყოველთვის გონივრულ შესაბამისობაში უნდა იყოს ელექტრონული ფულის დანესებულების მიერ განეულს რეალურ ხარჯებთან.

– 4. როდესაც ელექტრონული ფულის მფლობელი თანხის დაფარვას ითხოვს ხელშეკრულების შეწყვეტამდე, მას შეუძლია მოითხოვოს ნაწილობრივი ან სრული დაფარვა.

– 5. როდესაც ელექტრონული ფულის მფლობელი თანხის დაფარვას ითხოვს ხელშეკრულების შეწყვეტის დღისათვის ანდა ამ დღიდან ერთი წლის განმავლობაში:

a. ფულადმა საკრედიტო დანესებულებამ უნდა გადაუხადოს მას გამოშვებული ელექტრონული ფულის სრული მონეტარული ღირებულება;

b. ფულადმა საკრედიტო დანესებულებამ უნდა აუნაზღაუროს მას ყველა ის საშუალება, რომელიც ელექტრონული ფულის მფლობელმა ამისათვის მოითხოვა, თუკი ეს დანესებულება შესაბამისი წესების ჯეროვანი დაცვით ახორციელებს ერთ ან რამდენიმე სხვა ბიზნესსაქმიანობას, ნაცვლად ელექტრონული ფულის გამოშვებისა, და ასევე ხელშეკრულების დადებამდე არ არის ნათელი, თუ რა ნაწილი აღნიშნული საშუალებებისა იქნებოდა გამოყენებული ელექტრონული ფულის სახით.

– 6. პარ. 3, 4, და 5-ის ნორმების მოქმედების შეზღუდვის გარეშე, ელექტრონული ფულის მიმღები არამომხმარებელი პირის მიერ თანხის დაფარვის უფლებები რეგულირდება იმ წესებით, რომლებიც შეთანხმებულია ელექტრონული ფულის დანესებულებასა და აღნიშნულ პირს შორის.

განყოფილება 7.7B.2 – საგადახდო დავალებებზე მიცემული თანხმობა

მუხლი 7:522 თანხმობა და მისი გამოთხოვა

– 1. საგადახდო მომსახურების გამწვევი მხოლოდ იმ შემთხვევაში ასრულებს ანგარიშსწორების ოპერაციას, თუკი გადამხდელი საგადახდო დავალების შესრულებაზე გასცემს თავის თანხმობას.

– 2. საგადახდო დავალების შესრულებაზე თანხმობის გაცემა ხდება გადამხდელსა და მის საგადახდო მომსახურების გამწვევს შორის შეთანხმებული ფორმითა და პროცედურის შესაბამისად. ასეთი თანხმობის არარსებობისას ანგარიშსწორების ოპერაციები მიიჩნევა არავტორიზებულად.

– 3. გადამხდელის მიერ მიცემული თანხმობის გამოთხოვა შესაძლებელია ნებისმიერ დროს, თუმცა – არაუგვიანეს 7:534 მუხლით გათვალისწინებული შეუქცევადობის მომენტისა. იგივე წესი მოქმედებს მთელ რიგ ანგარიშსწორების ოპერაციებთან დაკავშირებული საგადახდო დავალების შესრულებაზე გაცემული თანხმობის მიმართ, როდესაც თანხმობის გამოთხოვის შედეგად ნებისმიერი სამომავლო ანგარიშსწორების ოპერაცია არაავტორიზებულად მიიჩნევა.

მუხლი 7:523 საგადახდო ინსტრუმენტის გამოყენების ლიმიტები

– 1. იმ შემთხვევებში, როდესაც კონკრეტული საგადახდო ინსტრუმენტი გამოიყენება თანხმობის მიცემის მიზნებისათვის, გადამხდელსა და მის საგადახდო მომსახურების გამწვევს შეუძლიათ შეათანხმონ ხარჯვის ლიმიტები იმ ანგარიშსწორების ოპერაციებისათვის, რომლებიც შესრულდება აღნიშნული საგადახდო ინსტრუმენტის მეშვეობით.

– 2. ჩარჩო ხელშეკრულებაში მხარეთა შეთანხმების შემთხვევაში, საგადახდო მომსახურების გამწვევს შეუძლია მოახდინოს საგადახდო ინსტრუმენტის ბლოკირება იმ ობიექტურად გამართლებული მიზეზების არსებობისას, რომლებიც დაკავშირებულია:

a. საგადახდო ინსტრუმენტის დაცულობასთან;

b. საგადახდო ინსტრუმენტის არაავტორიზებული ან თალღითური გამოყენების ეჭვთან ანდა;

c. საკრედიტო ხაზით საგადახდო ინსტრუმენტის შემთხვევაში, – იმ მნიშვნელოვნად გაზრდილ რისკთან, რომ გადამხდელმა შესაძლოა ვერ შეძლოს მასზე დაკისრებული თანხის გადახდის ვალდებულების შესრულება.

– 3. პარ. 2-ში მითითებულ შემთხვევებში, საგადახდო მომსახურების გამწვევი შეთანხმებული ფორმით ატყობინებს გადამხდელს საგადახდო ინსტრუმენტის ბლოკირებისა და მისი მიზეზების შესახებ შეძლებისდაგვარად საგადახდო ინსტრუმენტის ბლოკირების მომენტამდე, თუმცა, ამ მომენტის შემდეგ, – დაუყოვნებლივ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი ინფორმაციის გაცემა საფრთხეს შეუქმნიდა ობიექტურად გამართლებულ დაცულობას ანდა აკრძალულია სხვა შესაბამისი კანონმდებლობის ნორმებით.

– 4. საგადახდო მომსახურების გამწვევი ახდენს საგადახდო ინსტრუმენტის განბლოკვას ანდა მის ჩანაცვლებას ახალი საგადახდო ინსტრუმენტით იმ მომენტიდან, როგორც კი ბლოკირების მიზეზები სახეზე აღარ იქნება.

მუხლი 7:524 საგადახდო ინსტრუმენტთან დაკავშირებით არსებული საგადახდო მომსახურების მოსარგებლის ვალდებულებები

– 1. საგადახდო მომსახურების მოსარგებლე, რომელიც უფლებამოსილია საგადახდო ინსტრუმენტის გამოყენებაზე:

a. იყენებს საგადახდო ინსტრუმენტს იმ პირობების შესაბამისად, რომლითაც ხდება ამ ინსტრუმენტის გამოშვებისა და გამოყენების მონესრიგება; და

b. დაუყოვნებლივ ატყობინებს საგადახდო მომსახურების გამწვევს ან ამ უკნასკნელის მიერ განსაზღვრულ იურიდიულ პირს საგადახდო ინსტრუმენტის დაკარგვის, მოპარვისა თუ უკანონო მითვისების ანდა მისი არაავტორიზებული გამოყენების ფაქტების შესახებ.

– 2. პარ. 1-ის (a) პუნქტის მიზნებისათვის, განსაკუთრებით კი, – საგადახდო მომსახურების მოსარგებლის მიერ საგადახდო ინსტრუმენტის მიღებისას, მან უნდა მიიღოს ყველა გონივრული ზომა ამ ინსტრუმენტის პერსონალიზირებული უსაფრთხოების ფუნქციების დასაცავად.

მუხლი 7:525 საგადახდო ინსტრუმენტთან დაკავშირებით არსებული საგადახდო მომსახურების გამწვევის ვალდებულებები

– 1. საგადახდო ინსტრუმენტის გამომშვები საგადახდო მომსახურების გამწვევი:

a. უნდა დარწმუნდეს იმაში, რომ, 7:524 მუხლში მოცემული საგადახდო მომსახურების მოსარგებელზე დაკისრებული ვალდებულებების შეზღუდვის გარეშე, საგადახდო ინსტრუმენტის პერსონალიზირებული უსაფრთხოების ფუნქციები ხელმისაწვდომი არ არის სხვა მხარეთათვის, ნაცვლად საგადახდო ინსტრუმენტის გამოყენებაზე უფლებამოსილი საგადახდო მომსახურების მოსარგებლისა;

b. თავს იკავებს შეუკვეთავი საგადახდო ინსტრუმენტის გაგზავნისაგან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საგადახდო მომსახურების მოსარგებელზე უკვე გაცემული საგადახდო ინსტრუმენტი საჭიროებს შეცვლას;

c. უზრუნველყოფს იმ სათანადო ზომების მუდმივად არსებობას, რომლებიც საშუალებას აძლევს საგადახდო მომსახურების მოსარგებლეს მოახდინოს 7:524 მუხლის პარ. 1-ის გათვალისწინებული შეტყობინების წარდგენა ანდა მოითხოვოს საგადახდო ინსტრუმენტის განბლოკვა 7:523 მუხლის პარ. 4-ის შესაბამისად;

d. საგადახდო მომსახურების მოსარგებლის მოთხოვნის საფუძველზე, ახდენს იმ საშუალებების წარდგენას, რომელთა მეშვეობითაც საგადახდო მომსახურების მოსარგებლეს (c) პუნქტში მითითებული შეტყობინებიდან 18 თვის განმავლობაში შეეძლება დაამტკიცოს, რომ მან მოახდინა ასეთი შეტყობინების წარდგენა, და;

e. გამორიცხავს საგადახდო ინსტრუმენტის გამოყენების შესაძლებლობას 7:523 მუხლის პარ. 4-ის (b) პუნქტის შესაბამისად შეტყობინების წარდგენის შემდეგ.

– 2. საგადახდო მომსახურების გამწვევს ეკისრება საგადახდო ინსტრუმენტისა თუ მისი ნებისმიერი პერსონალიზირებული უსაფრთხოების ფუნქციების გადამხდელისათვის გაგზავნის რისკი.

მუხლი 7:526 არაავტორიზებული ან არასწორად შესრულებული ანგარიშსწორების ოპერაციების შესახებ შეტყობინება

საგადახდო მომსახურების მოსარგებლე, რომლისათვისაც ცნობილია იმ არაავტორიზებული ან არასწორად შესრულებული ანგარიშსწორების ოპერაციის თაობაზე, რისთვისაც მას შეუძლია დააკისროს პასუხისმგებლობა საგადახდო მომსახურების გამწვევს, მათ შორის, -7:543, 7:544 და 7:545 მუხლების საფუძველზე გათვალისწინებული პასუხისმგებლობა, მხოლოდ იმ შემთხვევაში იღებს შესწორებას საგადახდო მომსახურების გამწვევისაგან, თუკი ის მას დაუყოვნებლივ, მაგრამ თანხების ჩამონერის თარიღიდან არაუგვიანეს 13 თვისა, ატყობინებს შესაბამისი ოპერაციის შესახებ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აუცილებლობის დროს საგადახდო მომსახურების გამწვევა არ წარადგინა ან ხელმისაწვდომი არ გახდა ინფორმაცია აღნიშნული ანგარიშსწორების ოპერაციის შესახებ იმ პროცედურის შესაბამისად, რომელიც განისაზღვრა ამ მიზნით მეფის სამთავრობო ბრძანებით ან მის შესაბამისად, როგორც ეს მითითებულია ფინანსური ზედამხედველობის შესახებ კანონის 4:22 მუხლში.

მუხლი 7:527 ანგარიშსწორების ოპერაციის ავტორიზაციისა და შესრულების მტკიცებულება

– 1. როდესაც საგადახდო მომსახურების მოსარგებლე უარყოფს იმ ფაქტს, რომ მან მოახდინა შესრულებული ანგარიშსწორების ოპერაციის ავტორიზაცია ანდა ადასტურებს იმას, რომ ეს ოპერაცია სწორად არ შესრულდა, მაშინ მისმა საგადახდო მომსახურების გამწვევმა უნდა დაამტკიცოს, რომ ანგარიშსწორების ოპერაცია იყო ავტორიზებული, ზუსტად დარეგისტრირებული, ასახული ანგარიშზე და რომ მას არა აქვს ტექნიკური ხარვეზები ან რაიმე სხვა ნაკლოვანება.

– 2. თუკი საგადახდო მომსახურების მოსარგებლე უარყოფს იმ ფაქტს, რომ მან მოახდინა შესრულებული ანგარიშსწორების ოპერაციის ავტორიზაცია, საგადახდო მომსახურების გამწვევის მიერ რეგისტრირებული საგადახდო ინსტრუმენტის გამოყენება თავისთავად არ არის საკმარისი იმ ფაქტის დასამტკიცებლად, რომ ანგარიშსწორების ოპერაცია გადამხდელის მიერ ავტორიზებული იყო ან რომ გადამხდელი მოქმედებდა თაღლითურად, ანდა – განზრახ თუ უხეში გაუფრთხილებლობით არ შეასრულა 7:524 მუხლით გათვალისწინებული ერთი ან რამდენიმე ვალდებულება.

მუხლი 7:528 არაავტორიზებული ანგარიშსწორების ოპერაციებისათვის საგადახდო მომსახურების გამწვევის პასუხისმგებლობა

– 1. 7:526 მუხლის ნორმების მოქმედების შეზღუდვის გარეშე, გადამხდელის საგადახდო მომსახურების გამწვევი არაავტორიზებული ანგარიშსწორების ოპერაციის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ უნაზღაურებს გადამხდელს არაავტორიზებული ანგარიშსწორების ოპერაციის თანხას, ხოლო თუკი ეს აუცილებელია, აღადგენს დებეტირებული საგადახდო ანგარიშს იმ მდგომარეობაში, რომელშიც ის იქნებოდა, არაავტორიზებული ანგარიშსწორების ოპერაციას რომ არ ჰქონოდა ადგილი.

– 2. წინა პარაგრაფი გამოიყენება გადამხდელსა და მის საგადახდო მომსახურების გამწვევს შორის დადებული ხელშეკრულების მიმართ მოქმედი საკანონმდებლო ნორმების საფუძველზე არსებული დამატებითი ფინანსური კომპენსაციის მოთხოვნის უფლების შეზღუდვის გარეშე.

მუხლი 7:529 არაავტორიზებული ანგარიშსწორების ოპერაციებისათვის გადამხდელის პასუხისმგებლობა

– 1. 7:528 მუხლის ნორმებიდან გადახვევით, გადამხდელს მაქსიმუმ 150 ევრომდე ეკისრება არაავტორიზებულ ანგარიშსწორების ოპერაციებთან დაკავშირებული იმ დანაკარგების რისკი, რომლებიც დგება

დაკარგული ან მოპარული საგადახდო ინსტრუმენტის გამოყენების, ხოლო თუკი გადამხდელმა ვერ უზრუნველყო პერსონალიზირებული უსაფრთხოების ფუნქციების დაცულობა, – მაშინ საგადახდო ინსტრუმენტის უკანონო მითვისების (დელიქტური ან უკანონო გამოყენების) შედეგად.

– **2.** გადამხდელს ეკისრება არაავტორიზებულ ანგარიშსწორების ოპერაციებთან დაკავშირებული ყოველგვარი დანაკარგის რისკი, თუკი მან ასეთი დანაკარგი განიცადა თაღლითური გზით მოქმედებისას ანდა – განზრახ თუ უხეში გაუფრთხილებლობით 7:524 მუხლით გათვალისწინებული ერთი ან რამდენიმე ვალდებულების შეუსრულებლობისას. აღნიშნულ შემთხვევებში წინამდებარე მუხლის პარ. 1-ში მითითებული მაქსიმალური თანხა არ გამოყენება.

– **3.** იმ შემთხვევებში, როდესაც გადამხდელი არ მოქმედებდა თაღლითურად და არც მასზე 7:524 მუხლით დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობის განზრახვით, სასამართლოს შეუძლია შეამციროს წინამდებარე მუხლის პარ. 1 და 2-ში მითითებული პასუხისმგებლობა, განსაკუთრებით, საგადახდო ინსტრუმენტის პერსონალიზირებული უსაფრთხოების ფუნქციების ბუნებისა და იმ გარემოებათა გათვალისწინებით, რომელთა არსებობისას მოხდა საგადახდო ინსტრუმენტის დაკარგვა, მოპარვა ანდა უკანონო მითვისება (დელიქტური ან უკანონო გამოყენება).

– **4.** გადამხდელს არ ეკისრება ფინანსური სანქციები დაკარგული, მოპარული ან უკანონოდ მითვისებული საგადახდო ინსტრუმენტის გამოყენების შედეგად 7:524 მუხლის პარ. 1-ის შესაბამისად წარდგენილი შეტყობინების შემდეგ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის მოქმედებდა თაღლითური გზით.

– **5.** თუკი საგადახდო მომსახურების გამწვანა 7:524 მუხლის პარ. 1-ის (c) პუნქტის შესაბამისად ვერ წარადგინა ნებისმიერ დროს შეტყობინებისათვის საჭირო სათანადო საშუალებები, როგორც ეს მოითხოვება 7:524 მუხლის პარ. 1-ის (b) პუნქტის საფუძველზე {საგადახდო ინსტრუმენტის დაკარგვის, მოპარვისა თუ უკანონო მითვისების შესახებ შეტყობინება}, გადამხდელს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა საგადახდო ინსტრუმენტის გამოყენების შედეგად დამდგარი ფინანსური შედეგებისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის მოქმედებდა თაღლითური გზით.

მუხლი 7:530 თანხის მიმღების მიერ ან მისი მეშვეობით ინიცირებული ანგარიშსწორების ოპერაციებისათვის გათვალისწინებული საზღაურის თანხები

– **1.** გადამხდელი უფლებამოსილია, მიიღოს თანხის მიმღების მიერ ან მისი მეშვეობით ინიცირებული უკვე შესრულებული არაავტორიზებული ანგარიშსწორების ოპერაციის საგადახდო მომსახურების გამწვანისაგან საზღაური, თუკი დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

a. ანგარიშსწორების ოპერაციის ზუსტი თანხა არ იქნა განსაზღვრული იმ დროს, როდესაც მოხდა საგადახდო დავალებაზე თანხმობის მიცემა, და

b. ანგარიშსწორების ოპერაციის თანხა აღემატებოდა იმ ოდენობას, რომლის გონივრული მოლოდინიც შესაძლოა ჰქონოდა გადამხდელს მისი ფულადი სახსრების ხარჯვის ადრინდელი სქემის, მის ჩარჩო ხელშეკრულებაში არსებული პირობებისა და საქმის შესაბამისი გარემოებების გათვალისწინებით.

– **2.** საგადახდო მომსახურების გამწვანის მოთხოვნის საფუძველზე გადამხდელმა უნდა წარადგინოს საზღაურის თანხის გადახდის პირობებთან დაკავშირებული ფაქტობრივი ელემენტები.

– **3.** საზღაურის თანხა შეადგენს შესრულებული ანგარიშსწორების ოპერაციის თანხის სრულ ოდენობას.

– **4.** პარ. 1-ის ნორმათა გვერდის ავლით გადამხდელსა და მის საგადახდო მომსახურების გამწვანეს ჩარჩო ხელშეკრულებაში შეუძლიათ შეთანხმდნენ, რომ პირდაპირ დებეტირებასთან დაკავშირებით გადამხდელი უფლებამოსილი იყოს, მიიღოს საზღაური თავისი საგადახდო მომსახურების გამწვანისაგან იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც პარ. 1-ში მოცემული საზღაურის თანხის გადახდის პირობები არ არის დაკმაყოფილებული.

– **5.** თუმცაღა, პარ. 1-ის (b) პუნქტის მიზნებისათვის გადამხდელი ვერ დაეყრდნობა ვალუტის გაცვლის მიზეზებს (ვერ მიუთითებს მათზე) იმ შემთხვევაში, თუკი მოქმედებდა გამოსაყენებელი ვალუტის გაცვლითი კურსი, რომელიც შეთანხმებულ იქნა გადამხდელის საგადახდო მომსახურების გამწვანთან იმ პროცედურის შესაბამისად, რომელიც განისაზღვრა მეფის სამთავრობო ბრძანებით ან მის შესაბამისად, როგორც ეს მითითებულია ფინანსური ზედამხედველობის შესახებ კანონის 4:22 მუხლში.

– **6.** პარ. 1-ის ნორმათა გვერდის ავლით გადამხდელსა და საგადახდო მომსახურების გამწვანეს ჩარჩო ხელშეკრულებაში შეუძლიათ შეთანხმდნენ, რომ გადამხდელს არ ჰქონდეს საზღაურის მიღების უფლება იმ შემთხვევაში, როდესაც მან ანგარიშსწორების ოპერაციასთან დაკავშირებულ საგადახდო დავალებაზე თავისი თანხმობა გასცა უშუალოდ თავის საგადახდო მომსახურების გამწვანზე, ხოლო აუცილებლობის

შემთხვევაში კი, სამომავლო ანგარიშსწორების ოპერაციის შესახებ ინფორმაცია გაიცა ან ხელმისაწვდომი გახდა საგადახდო მომსახურების გამწევის ან თანხის მიმღების მიერ გადამხდელთან შეთანხმებული წესით გადახდის თარიღამდე, სულ ცოტა, ოთხი კვირით ადრე.

მუხლი 7:531 თანხის მიმღების მიერ ან მისი მეშვეობით ინიცირებული ანგარიშსწორების ოპერაციები-სათვის გათვალისწინებული საზღაურის თანხების მოთხოვნები

- 1. საზღაურის თანხების დებეტირების შემდეგ რვაკვირიანი ვადის განმავლობაში გადამხდელს შეუძლია მოითხოვოს 7:530 მუხლში მითითებული საზღაურის თანხა.
- 2. საზღაურის თანხების შესახებ მოთხოვნის მიღებიდან ათი სამუშაო დღის განმავლობაში საგადახდო მომსახურების გამწევა უნდა აანაზღაუროს შესრულებული ანგარიშსწორების ოპერაციის სრულ თანხა ანდა უარი განაცხადოს მოთხოვნილი საზღაურის თანხების გადახდაზე.
- 3. როდესაც საგადახდო მომსახურების გამწევი უარს აცხადებს მოთხოვნილი საზღაურის თანხების გადახდაზე, მან უნდა დაასაბუთოს თავისი გადანყვეტილება დავის გადანყვეტაზე კომპეტენტური იმ ორგანოების მითითებით, რომლებსაც გადამხდელს უარის მიუღებლობის შემთხვევაში შეუძლია გადასცეს სადავო საქმე ფინანსური ზედამხედველობის შესახებ კანონის 4:17 მუხლის პარ. 1-ის (b) პუნქტის შესაბამისად.
- 4. პარ. 2-ის გათვალისწინებული ნორმების შესაბამისად, საგადახდო მომსახურების გამწევის უფლება, უარი განაცხადოს მოთხოვნილი საზღაურის თანხების გადახდაზე 7:530 მუხლის პარ. 2-ში მოცემულ შემთხვევაში არ გამოიყენება.

განყოფილება 7.7B.3 – ანგარიშსწორების ოპერაციების შესრულება

ქვეგანყოფილება 7.7B.3.1 – საგადახდო დავალებები, ხარჯები და გადარიცხული თანხები

მუხლი 7:532 საგადახდო დავალებების მიღება

- 1. საგადახდო დავალებების მიღების მომენტს წარმოადგენს დროის ის მომენტი, როდესაც თანხის მიმღების მიერ ან მისი მეშვეობით გადამხდელისათვის პირდაპირ ან არაპირდაპირ გადაცემული საგადახდო დავალება მიიღება გადამხდელის საგადახდო მომსახურების გამწევის მიერ. თუკი საგადახდო დავალებების მიღების მომენტი არ ემთხვევა გადამხდელის საგადახდო მომსახურების გამწევის სამუშაო დღეს, მაშინ საგადახდო დავალება ჩაითვლება მიღებულად მომდევნო სამუშაო დღეს. საგადახდო მომსახურების გამწევის დასრულების მომენტი შეუძლია დაადგინოს სამუშაო დღის ბოლოსკენ, რომლის შემდგომაც ნებისმიერი საგადახდო დავალება ჩაითვლება მიღებულად მომდევნო სამუშაო დღეს.
- 2. თუკი საგადახდო დავალების გამცემი საგადახდო მომსახურების მოსარგებლე და მისი საგადახდო მომსახურების გამწევი თანხმდებიან იმაზე, რომ საგადახდო დავალების შესრულება დაიწყოს კონკრეტულ დღეს ან განსაზღვრული ვადის შემდეგ ანდა იმ დღეს, როდესაც გადამხდელმა ფულადი სახსრები გადასცა თავის საგადახდო მომსახურების გამწევის, – 7:537 მუხლის მიზნებისათვის საგადახდო დავალების მიღების მომენტად ჩაითვლება შეთანხმებული დღე. თუკი შეთანხმებული დღე არ ემთხვევა გადამხდელის საგადახდო მომსახურების გამწევის სამუშაო დღეს, მაშინ საგადახდო დავალება ჩაითვლება მიღებულად მომდევნო სამუშაო დღეს.

მუხლი 7:533 საგადახდო დავალებების შესრულებაზე უარი

- 1. როდესაც საგადახდო მომსახურების გამწევი უარს აცხადებს საგადახდო დავალების შესრულებაზე, უარისა და ასევე შეძლებისდაგვარად მისი მიზეზებისა და უარის გამომწვევი ნებისმიერი ფაქტობრივი შეცდომის გამოსწორების პროცედურის შესახებ შეტყობინება ეგზავნება საგადახდო მომსახურების მოსარგებლეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს აკრძალულია სხვა თანამეგობრობის მიერ ანდა – ეროვნული კანონმდებლობით.
- 2. საგადახდო მომსახურების გამწევა უნდა წარადგინოს ან ხელმისაწვდომი გახადოს შეტყობინება შეთანხმებული წესით პირველივე შესაძლებლობისთანავე, თუმცაღა, ნებისმიერ შემთხვევაში, – 7:547 მუხლში განსაზღვრულ ვადებში.
- 3. ჩარჩო ხელშეკრულება შეიძლება შეიცავდეს სახელშეკრულებო დებულებას, რომლითაც საგადახდო მომსახურების გამწევის ზემოაღნიშნული შეტყობინებისათვის შეეძლება საზღაურის მიღება იმ შემთხვევაში, თუკი საგადახდო დავალების შესრულებაზე უარი ობიექტურად სამართლიანია.

- 4. იმ შემთხვევებში, როდესაც დაკმაყოფილებულია გადამხდელის ჩარჩო ხელშეკრულებაში მოცემული ყველა პირობა, გადამხდელის საგადახდო მომსახურების გამწვანება არ უნდა თქვას უარი ავტორიზებული საგადახდო დავალების შესრულებაზე მიუხედავად იმისა, ამ უკანასკნელის ინიცირება მოხდა გადამხდელის მიერ თუ თანხის მიმღების მეშვეობით.

- 5. 7:537, 7:5437:, 544 და 7:545 მუხლების ნორმათა მიზნებისათვის, საგადახდო დავალება, რომლის შესრულებაზეც ითქვა უარი, არ მიიჩნევა მიღებულად.

მუხლი 7:534 საგადახდო დავალების გამოხმობის დაუშვებლობა

- 1. საგადახდო მომსახურების მოსარგებლე ველარ მოახდენს საგადახდო დავალების გამოხმობას დაუყოვნებლივ გადამხდელის საგადახდო მომსახურების გამწვანის მხრიდან მისი მიღების შემდეგ, როგორც ეს მითითებულია 7:532 მუხლის პარ. 1-ში, თუკი წინამდებარე მუხლში სხვა წესი არ არის გათვალისწინებული.

- 2. როდესაც ანგარიშსწორების ოპერაციის ინიცირება ხდება თანხის მიმღების მიერ ან მისი მეშვეობით, გადამხდელი ვერ გამოიხმობს საგადახდო დავალებას ამ უკანასკნელის გადაცემისა თუ თანხის მიმღებისათვის ანგარიშსწორების ოპერაციის შესრულებაზე მისი თანხმობის მიცემის შემდეგ.

- 3. თუმცა, პირდაპირი დებეტის შემთხვევაში და ასევე საზღაურის თანხის მიღების უფლებათა შეზღუდვის გარეშე, გადამხდელს შეუძლია გაიხმოს საგადახდო დავალება არაუგვიანეს იმ სამუშაო დღის დასრულებამდე, რომელიც წინ უსწრებს ფულადი სახსრების დებეტირებისათვის შეთანხმებულ დღეს.

- 4. 7:532 მუხლის პარ. 2-ში მითითებულ შემთხვევაში, საგადახდო მომსახურების მოსარგებლეს შეუძლია გაიხმოს საგადახდო დავალება არაუგვიანეს იმ სამუშაო დღის დასრულებამდე, რომელიც წინ უსწრებს შეთანხმებულ დღეს.

- 5. პარ. 1-დან 4-ის ჩათვლით ნორმებში განსაზღვრული ვადების გასვლის შემდეგ, საგადახდო დავალების გამოხმობა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ეს შეთანხმებულია საგადახდო მომსახურების მოსარგებლესა და მის საგადახდო მომსახურების გამწვანეს შორის. პარ. 2 და 3-ში მითითებულ შემთხვევაში, მოითხოვება ასევე თანხის მიმღების თანხმობაც.

- 6. ჩარჩო ხელშეკრულებაში მხარეთა შეთანხმების შემთხვევაში, საგადახდო დავალების გამოხმობისათვის საგადახდო მომსახურების გამწვანეს შეუძლია მოახდინოს ფულადი სანქციის დაკისრება.

მუხლი 7:535 გადაცემული და მიღებული თანხები

- 1. გადამხდელისა და თანხის მიმღების საგადახდო მომსახურების გამწვანი და საგადახდო მომსახურების გამწვანეთა ნებისმიერი შუამავალი ახდენენ ანგარიშსწორების ოპერაციის სრული თანხის გადარიცხვას და ასევე თავს იკავებენ გადარიცხული თანხიდან საკომისიოს გამოქვითვებისაგან.

- 2. თუმცა, თანხის მიმღებსა და მის საგადახდო მომსახურების გამწვანეს შეუძლიათ შეთანხმდნენ იმაზე, რომ თანხის მისი მიმღების ანგარიშზე ასახვამდე საგადახდო მომსახურების გამწვანი მოახდენს გადარიცხული თანხიდან კუთვნილი საკომისიოს თანხების გამოქვითვას. ასეთ შემთხვევაში ანგარიშსწორების ოპერაციის სრული თანხისა და საკომისიოს ოდენობა უნდა განცალკევდეს თანხის მიმღებისათვის მიწოდებულ ინფორმაციაში.

- 3. თუკი გადარიცხული თანხიდან გამოიქვითება ნებისმიერი ის საზღაური, რომელიც არ განეკუთვნება პარ. 2-ში მითითებულ საზღაურს, გადამხდელის საგადახდო მომსახურების გამწვანმა უნდა უზრუნველყოს, რომ თანხის მიმღები მიიღებს გადამხდელის მიერ ინიცირებული ანგარიშსწორების ოპერაციის სრულ თანხას. იმ შემთხვევებში, როდესაც ანგარიშსწორების ოპერაციის ინიცირება ხდება თანხის მიმღების მიერ ან მისი მეშვეობით, მისმა საგადახდო მომსახურების გამწვანმა უნდა უზრუნველყოს თანხის მიმღების მიერ ანგარიშსწორების ოპერაციის სრული თანხის მიღება.

ქვეგანყოფილება 7.7B.3.2 – ანგარიშსწორების ოპერაციის შესრულების დრო და ვალუტირების თარიღი

მუხლი 7:536 წინამდებარე ქვეგანყოფილების მოქმედების სფერო

- 1. წინამდებარე ქვეგანყოფილება (ქვეგანყოფილება 7.7B.3.2) გამოიყენება:

a. ევროში ანგარიშსწორების ოპერაციების მიმართ;

b. იმ ანგარიშსწორების ოპერაციების მიმართ, რომლებიც მოიცავს ვალუტის გაცვლის მხოლოდ ერთ ოპერაციას ევროსა და ევროზონის მიღმა არსებული ნევრ-სახელმწიფოს ვალუტას შორის იმ პირობით,

რომ მოთხოვნილი ვალუტის გაცვლის ოპერაცია ხორციელდება შესაბამისი ევროზონის მიღმა არსებულ ნევრ-სახელმწიფოში, ხოლო საერთაშორისო ანგარიშსწორების ოპერაციების შემთხვევაში კი, – საერთაშორისო გადარიცხვას ადგილი აქვს ევროში.

– 2. წინამდებარე ქვეგანყოფილება (ქვეგანყოფილება 7.7B.3.2) გამოიყენება სხვა ანგარიშსწორების ოპერაციების მიმართ, თუკი წინამდებარე მუხლში სხვა წესი არ არის გათვალისწინებული საგადახდო მომსახურების მოსარგებლესა და მის საგადახდო მომსახურების გამწვევს შორის, გარდა 7:541 მუხლის ნორმებისა, რომელთაგან მხარეთა მიერ გადახვევაც დაუშვებელია. თუმცა, საგადახდო მომსახურების მოსარგებლე და მის საგადახდო მომსახურების გამწვევი თანამეგობრობის შიდა ანგარიშსწორების ოპერაციებისათვის თანხმდებიან 7:537 მუხლში გათვალისწინებულზე უფრო მეტ ვადაზე, აღნიშნული ვადა არ უნდა აღამტებოდეს 7:532 მუხლის შესაბამისად საგადახდო დავალების მიღებიდან 4 სამუშაო დღეს.

მუხლი 7:537 საგადახდო ანგარიშზე შესრულებული ანგარიშსწორების ოპერაციები

– 1. გადამხდელის საგადახდო მომსახურების გამწვევი უზრუნველყოფს იმას, რომ 7:532 მუხლის შესაბამისად საგადახდო დავალების მიღების შემდეგ, ანგარიშსწორების ოპერაციის თანხა არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღის ბოლომდე აისახება თანხის მიმღების საგადახდო მომსახურების გამწვევის ანგარიშზე. ფასიანი ქაღალდებით ანგარიშსწორების ოპერაციებისათვის აღნიშნული ვადა შეიძლება გახანგრძლივდეს კიდევ ერთი სამუშაო დღით.

– 2. გადამხდელის საგადახდო მომსახურების გამწვევი ადგენს ანგარიშსწორების ოპერაციის თანხის ვალუტირების თარიღსა და ხელმისაწვდომს ხდის მას თანხის მიმღებისათვის თავის საგადახდო ანგარიშზე მას შემდეგ, რაც საგადახდო მომსახურების გამწვემა მიიღო ფულადი სახსრები 7:541 მუხლის შესაბამისად.

– 3. თანხის მიმღების საგადახდო მომსახურების გამწვევი თანხის მიმღების მიერ ან მისი მეშვეობით ინიცირებულ საგადახდო დავალებას გადასცემს გადამხდელის საგადახდო მომსახურების გამწვევს თანხის მიმღებსა და მის საგადახდო მომსახურების გამწვევს შორის შეთანხმებულ ვადაში, რაც საშუალებას იძლევა – იმდენად, რამდენადაც საქმე ეხება პირდაპირ დებეტირებას – ანგარიშსწორება განხორციელდეს ანგარიშსწორების შეთანხმებულ დღეს.

მუხლი 7:538 საგადახდო მომსახურების გამწვევთან თანხის მიმღების ანგარიშის არარსებობა

როდესაც თანხის მიმღებს საგადახდო მომსახურების გამწვევთან არა აქვს საგადახდო ანგარიში, ფულადი სახსრები თანხის მიმღებისათვის ხელმისაწვდომი უნდა გახადოს იმ საგადახდო მომსახურების გამწვევა, ვინც ფულად სახსრებს თანხის მიმღებისათვის იღებს 7:537 მუხლში განსაზღვრული ვადის განმავლობაში.

მუხლი 7:539 საგადახდო ანგარიშზე განთავსებული ფული

– 1. როდესაც მომხმარებელი საგადახდო მომსახურების გამწვევთან საგადახდო ანგარიშზე ანთავსებს ფულს ამ საგადახდო ანგარიშის ვალუტაში, საგადახდო მომსახურების გამწვევა უნდა უზრუნველყოს თანხის ხელმისაწვდომობა და ვალუტირების თარიღის დადგენა დაუყოვნებლივ ფულადი სახსრების მიღების შემდეგ.

– 2. როდესაც საგადახდო მომსახურების მოსარგებლე არ არის მომხმარებელი, თანხა ხელმისაწვდომი უნდა გახდეს და ვალუტირების თარიღი დადგინდეს ფულადი სახსრების მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა.

მუხლი 7:540 მეფის სამთავრობო ბრძანებით ეროვნულ ვალუტაში ანგარიშსწორების ოპერაციებისათვის განსაზღვრული უფრო მცირე ვადები

მეფის სამთავრობო ბრძანებით ეროვნულ ვალუტაში ანგარიშსწორების ოპერაციებისათვის შეიძლება განისაზღვროს წინამდებარე ქვეგანყოფილებაში (ქვეგანყოფილება 7.7B.3.2) გათვალისწინებულზე უფრო მცირე ვადები.

მუხლი 7:541 ვალუტირების თარიღი და ფულადი სახსრების ხელმისაწვდომობა

– 1. თანხის მიმღების საგადახდო ანგარიშისათვის საკრედიტო ვალუტირების თარიღი შეადგენს არაუგვიანეს იმ სამუშაო დღისა, როდესაც ხდება ანგარიშსწორების ოპერაციის თანხის მისი მიმღების საგადახდო მომსახურების გამწვევთან ანგარიშზე ასახვა. თანხის მიმღების საგადახდო მომსახურების გამწვევა უნდა უზრუნველყოს თანხის მისი მიმღებისათვის გადაცემა დაუყოვნებლივ ამ თანხის მისი მიმღების საგადახდო მომსახურების გამწვევთან ანგარიშზე ასახვის შემდეგ.

– 2. გადამხდელის საგადახდო ანგარიშის სადებეტო ვალუტირების თარიღი შეადგენს არაუადრეს იმ მომენტისა, როდესაც ხდება ანგარიშსწორების ოპერაციის თანხის დებეტირება ამ საგადახდო ანგარიშიდან.

ქვეგანყოფილება 7.7B.3.3 – პასუხისმგებლობა

მუხლი 7:536 არასწორი უნიკალური იდენტიფიკატორები

– 1. თუკი საგადახდო დავალების შესრულება ხდება უნიკალური იდენტიფიკატორების მეშვეობით, ეს დავალება მიიჩნევა სწორად შესრულებულად თანხის იმ მიმღების მიმართ, რომელიც მითითებულია უნიკალურ იდენტიფიკატორში.

– 2. თუკი საგადახდო მომსახურების მოსარგებლის მიერ მიწოდებული უნიკალური იდენტიფიკატორი არასწორია, საგადახდო მომსახურების გამწვეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ანგარიშსწორების ოპერაციის შესრულებლობისა თუ ხარვეზიანი შესრულებისათვის 7:543, 7:544 ან 7:545 მუხლების საფუძველზე. თუმცა, გადამხდელის საგადახდო მომსახურების გამწვემა გონივრული ძალისხმევა უნდა გამოიჩინოს ანგარიშსწორების ოპერაციაში ჩართული ფულადი სახსრების დასაბრუნებლად. ჩარჩო ხელშეკრულებაში მხარეთა შეთანხმების შემთხვევაში, საგადახდო მომსახურების გამწვეს თანხების დაბრუნებისათვის შეუძლია საგადახდო მომსახურების მოსარგებელს დააკისროს საზღაურის გადახდა.

– 3. თუკი საგადახდო მომსახურების მოსარგებლე ახდენს იმ დამატებითი ინფორმაციის მიწოდებას, რომელიც მოითხოვება მეფის სამთავრობო ბრძანებით ან მის შესაბამისად, როგორც ეს მითითებულია ფინანსური ზედამხედველობის შესახებ კანონის 4:22 მუხლში, საგადახდო მომსახურების გამწვეს პასუხისმგებლობა დაეკისრება ანგარიშსწორების ოპერაციების მხოლოდ საგადახდო მომსახურების მოსარგებლის მიერ მიწოდებული უნიკალური იდენტიფიკატორის შესაბამისად შესრულებისათვის.

მუხლი 7:543 გადამხდელის საგადახდო მომსახურების გამწვეის პასუხისმგებლობა ანგარიშსწორების ოპერაციის შესრულებლობისა თუ ხარვეზიანი შესრულებისათვის

– 1. როდესაც საგადახდო დავალების ინიციირება ხდება გადამხდელის მიერ, მის საგადახდო მომსახურების გამწვეს, 7:526 მუხლის, 7:542 მუხლის პარ. 2 და 3-სა და 7:548 მუხლის ნორმების მოქმედების შეზღუდვის გარეშე, დაკისრება პასუხისმგებლობა გადამხდელის წინაშე ანგარიშსწორების ოპერაციის სწორად შესრულებისათვის, თუკი ის ვერ შეძლებს, დაუმტკიცოს გადამხდელს, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში კი, თანხის მიმღების საგადახდო მომსახურების გამწვეს, რომ ამ უკანასკნელმა ანგარიშსწორების ოპერაციის თანხა მიიღო 7:537 მუხლის პარ. 1-ის შესაბამისად, რა შემთხვევაშიც თანხის მიმღების საგადახდო მომსახურების გამწვეს თანხის მიმღების წინაშე დაკისრება პასუხისმგებლობა ანგარიშსწორების ოპერაციის სწორად შესრულებისათვის.

– 2. როდესაც გადამხდელის საგადახდო მომსახურების გამწვეი პასუხისმგებელია პარ. 1-ის საფუძველზე, მან გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე უნდა აუნაზღაუროს გადამხდელს შეუსრულებელი ან ხარვეზიანი ანგარიშსწორების ოპერაციის თანხა, ხოლო თუკი ეს აუცილებელია, – გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე აღადგინოს დებეტირებული საგადახდო ანგარიში იმ მდგომარეობაში, რომელშიც ის იქნებოდა, ხარვეზიანი ანგარიშსწორების ოპერაციას რომ არ ჰქონოდა ადგილი.

– 3. როდესაც თანხის მიმღების საგადახდო მომსახურების გამწვეი პასუხისმგებელია პარ. 1-ის საფუძველზე, მან დაუყოვნებლივ უნდა გადასცეს ანგარიშსწორების ოპერაციის თანხა ამ უკანასკნელის მიმღებს, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში კი, – ასახოს შესაბამისი თანხა მის საგადახდო ანგარიშზე.

– 4. ანგარიშსწორების ოპერაციის შესრულებლობის ან ხარვეზიანი შესრულების შემთხვევაში, როდესაც საგადახდო დავალების ინიციირება ხდება გადამხდელის მიერ, მისმა საგადახდო მომსახურების გამწვემა – მიუხედავად წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისა – დაუყოვნებლივ, მოთხოვნის საფუძველზე, უნდა გამოიჩინოს ძალისხმევა ანგარიშსწორების ოპერაციის დადგენისა და გადამხდელისათვის მისი შედეგების შეტყობინებისათვის.

მუხლი 7:544 თანხის მიმღების საგადახდო მომსახურების გამწვეის პასუხისმგებლობა ანგარიშსწორების ოპერაციის შესრულებლობისა თუ ხარვეზიანი შესრულებისათვის

– 1. როდესაც საგადახდო დავალების ინიციირება ხდება თანხის მიმღების მიერ, მის საგადახდო მომსახურების გამწვეს, 7:526 მუხლის, 7:542 მუხლის პარ. 2 და 3-სა და 7:548 მუხლის ნორმების მოქმედების შეზღუდვის გარეშე, დაკისრება პასუხისმგებლობა თანხის მიმღების წინაშე საგადახდო დავალების გა-

დამხდელის საგადახდო მომსახურების გამწვევისათვის სწორად გადაცემისათვის 7:537 მუხლის პარ. 2-ის შესაბამისად.

– 2. როდესაც თანხის მიმღების საგადახდო მომსახურების გამწვევი პასუხისმგებელია პარ. 1-ის საფუძველზე, მან დაუყოვნებლივ უნდა გადაამისამართოს შესაბამისი საგადახდო დავალება გადამხდელის საგადახდო მომსახურების გამწვევისკენ.

– 3. გარდა აღნიშნულისა, თანხის მიმღების 7:526 მუხლის, 7:542 მუხლის პარ. 2 და 3-სა და 7:548 მუხლის ნორმების მოქმედების შეზღუდვის გარეშე, საგადახდო მომსახურების გამწვევი პასუხისმგებელია თანხის მიმღების წინაშე ანგარიშსწორების ოპერაციის დამუშავებისათვის 7:541 მუხლის საფუძველზე მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესაბამისად. როდესაც თანხის მიმღების საგადახდო მომსახურების გამწვევი პასუხისმგებელია პარ. 1-ის საფუძველზე, მან უნდა უზრუნველყოს, რომ ანგარიშსწორების ოპერაციის თანხა დაუყოვნებლივ გადაეცეს ამ უკანასკნელის მიმღებს მას შემდეგ, რაც მოხდება ამ თანხის ასახვა თანხის მიმღების საგადახდო მომსახურების გამწვევის ანგარიშზე.

– 4. ანგარიშსწორების ოპერაციის შეუსრულებლობის ან ხარვეზიანი შესრულების შემთხვევაში, რისთვისაც თანხის მიმღების საგადახდო მომსახურების გამწვევი პასუხს არ აგებს პარ. 1 ან 2-ის საფუძველზე, გადამხდელის წინაშე პასუხისმგებელია ამ უკანასკნელის საგადახდო მომსახურების გამწვევი. როდესაც გადამხდელის საგადახდო მომსახურების გამწვევი პასუხისმგებელია წინამდებარე პარაგრაფის პირველი წინადადების საფუძველზე, მან ჯეროვნად და გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე უნდა აუნაზღაუროს გადამხდელს შეუსრულებელი ან ხარვეზიანი ანგარიშსწორების ოპერაციის თანხა და აღადგინოს დებეტირებული საგადახდო ანგარიში იმ მდგომარეობაში, რომელშიც ის იქნებოდა, ხარვეზიანი ანგარიშსწორების ოპერაციას რომ არ ჰქონოდა ადგილი.

– 5. ანგარიშსწორების ოპერაციის შეუსრულებლობის ან ხარვეზიანი შესრულების შემთხვევაში, როდესაც საგადახდო დავალების ინიცირება ხდება თანხის მიმღების მიერ, მისმა საგადახდო მომსახურების გამწვევმა – მიუხედავად წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისა – დაუყოვნებლივ, მოთხოვნის საფუძველზე, უნდა გამოიჩინოს ძალისხმევა ანგარიშსწორების ოპერაციის დადგენისა და თანხის მიმღებისათვის მისი შედეგების შეტყობინებისათვის.

მუხლი 7:545 საგადახდო მომსახურების გამწვევთა დამატებითი პასუხისმგებლობა ხარვეზისა და პროცენტისათვის

7:543 და 7:544 მუხლებში მითითებულ შემთხვევებში, საგადახდო მომსახურების გამწვევები თავიანთი შესაბამისი საგადახდო მომსახურების მოსარგებლების წინაშე დამატებით პასუხს აგებენ ასევე იმ ნებისმიერი საზღაურისა და პროცენტისათვის, რაც საგადახდო მომსახურების მოსარგებლეს ეკისრება ანგარიშსწორების ოპერაციის შეუსრულებლობის ან ხარვეზიანი შესრულების შედეგად.

მუხლი 7:546 დამატებითი ფინანსური კომპენსაცია

წინამდებარე ქვეგანყოფილება (ქვეგანყოფილება 7.7B.3.3) გამოიყენება საგადახდო მომსახურების მოსარგებლესა და მის საგადახდო მომსახურების გამწვევს შორის დადებული ხელშეკრულების მიმართ მოქმედი საკანონმდებლო ნორმების საფუძველზე არსებული დამატებითი ფინანსური კომპენსაციის მოთხოვნის უფლების შეზღუდვის გარეშე.

მუხლი 7:547 მოთხოვნის უფლება

– 1. როდესაც 7:543, 7:544 ან 7:545 მუხლების საფუძველზე საგადახდო მომსახურების გამწვევის პასუხისმგებლობა შეერაცხება საგადახდო მომსახურების სხვა გამწვევს ან შუამავლს, სხვა გამწვევი ან შუამავალი ვალდებულია აუნაზღაუროს საგადახდო მომსახურების პირველ გამწვევს ნებისმიერი განცდილი ზიანი ანდა 7:543, 7:544 ან 7:545 მუხლების საფუძველზე გადახდილი თანხები.

– 2. წინა პარაგრაფი გამოიყენება საგადახდო მომსახურების გამწვევებსა და/ან შუამავლებს შორის დადებული ხელშეკრულების მიმართ მოქმედი საკანონმდებლო ნორმების საფუძველზე არსებული დამატებითი ფინანსური კომპენსაციის მოთხოვნის უფლების შეზღუდვის გარეშე.

მუხლი 7:548 პასუხისმგებლობის არარსებობა (პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება)

წინამდებარე ტიტულის მე-2 და მე-3 განყოფილებების (განყოფილებები 7.7B.2 და 7.7B.3) საფუძველზე არსებული პასუხისმგებლობა არ გამოიყენება იმ მხარის კონტროლს მიღმა არსებული არაჩვეულებრივი და გაუთვალისწინებელი გარემოებების შემთხვევაში, ვინც შუამავლობს ასეთი გარემოებების გამო-

ყენებაზე, რომელთა შედეგების თავიდან აცილებაც შეუძლებელი იქნებოდა ყველა საწინააღმდეგო ძალისხმევის მიუხედავად ანდა – როდესაც საგადახდო მომსახურების გამწევი შებოჭილია ეროვნული ან თანამეგობრობის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა სამართლებრივი ვალდებულებებით.

განყოფილება 7.7B.4 – დასკვნითი დებულებები

მუხლი 7:549 მეფის სამთავრობო ბრძანებით ან მის შესაბამისად დადგენილი დამატებითი წესები

მეფის იმ სამთავრობო ბრძანებით ან მის შესაბამისად, – როგორც ეს მითითებულია ფინანსური ზედამხედველობის შესახებ კანონის 4:22 მუხლში, – რომელშიც მოცემულია დირექტივის მე-3 ტიტულის ნორმების საფუძველზე მოთხოვნილი ინფორმაციის შინაარსსა და მის მიწოდებასთან დაკავშირებული წესები, დასაშვებია ასევე 7:516 მუხლის, 7:517 მუხლის, 7:518 მუხლის, 7:526 მუხლის, 7:530 მუხლის პარ. 5-სა და 7:542 მუხლის ნორმათა რეალიზაციის წესების გათვალისწინება.

მუხლი 7:550 კანონის იმპერატიული ნორმები (სამომხმარებლო გარიგებებისათვის)

– 1. თუ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული, საგადახდო მომსახურების მოსარგებლის ინტერესების საზიანოდ წინამდებარე ტიტულის (ტიტული 7.7B) ნორმებიდან გადახვევა დაუშვებელია.

– 2. თუკი საგადახდო მომსახურების მოსარგებლე არ არის მომხმარებელი, მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ, რომ 7:516 მუხლიდან 7:519 მუხლის ჩათვლით ნორმები, 7:520 მუხლის პარ. 1-ის, 7:522 მუხლის პარ. 3-ის მეორე წინადადების, 7:527 მუხლის, 7:529 მუხლიდან 7:531 მუხლის ჩათვლით ნორმები, ასევე – 7:534, 7:543, 7:544 და 7:545 მუხლების ნორმები სრულად ან ნაწილობრივ არ იქნეს გამოყენებული. მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ 7:526 მუხლით გათვალისწინებული საგან განსხვავებულ ვადაზე.

მუხლი 7:551 (სამომხმარებლო გარიგებებისათვის) მეფის სამთავრობო ბრძანებით დადგენილი იმპერატიული ნორმები

– 1. თუ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული, საგადახდო მომსახურების მოსარგებლის ინტერესების საზიანოდ დაუშვებელია დირექტივის მე-3 ტიტულის ნორმების საფუძველზე მოთხოვნილი ინფორმაციის შინაარსსა და მის მიწოდებასთან დაკავშირებული ნორმებიდან გადახვევა, როგორც ეს დადგენილია მეფის სამთავრობო ბრძანებით და მითითებულია ფინანსური ზედამხედველობის შესახებ კანონის 4:22 მუხლში.

– 2. თუკი საგადახდო მომსახურების მოსარგებლე არ არის მომხმარებელი, მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ პარ. 1-ში მითითებული ნორმების გვერდის ავლაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ნორმები დადგენილია 7:526 ან 7:542 მუხლების შესრულებისათვის.

ტიტული 7.9 – მიბარების ხელშეკრულება

მუხლი 7:600 მიბარების ხელშეკრულების განმარტება

მიბარების ხელშეკრულება წარმოადგენს ხელშეკრულებას, რომლის საფუძველზეც ერთ-ერთი მხარე („შემნახველი“) მეორე მხარის („მიმბარებელი“) წინაშე კისრულობს ვალდებულებას, შეინახოს და დააბრუნოს ნივთი, რომელიც მიმბარებელმა მას შესანახად გადასცა ანდა გადასცემს მომავალში.

მუხლი 7:601 მიბარების საზღაური, ხარჯები და ზიანი

– 1. თუკი შემნახველმა მიბარების ხელშეკრულება დადო თავისი პროფესიული ან სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში, მაშინ მიმბარებელმა მას განუყოფილი მომსახურებისათვის უნდა გადაუხადოს საზღაური (მიბარების საზღაური).

– 2. თუკი საზღაურის გადახდის ვადა დამდგარია, თუმცა მისი ოდენობა მხარეებს ჯერ არ დაუდგენიათ, მაშინ მიმბარებელმა უნდა გადაიხადოს ჩვეულებრივი საზღაური, რომელიც გამოითვლება საერთო წესით, ხოლო თუკი ასეთი საზღაური სახეზე არ არის, – მაშინ გონივრული საზღაური.

– 3. მიმბარებელმა შემნახველს უნდა აუნაზღაუროს ნივთის შენახვასთან დაკავშირებული ხარჯები იმდენად, რამდენადაც ეს ხარჯები არ არის შეტანილი უკვე მიბარებულის საზღაურის თანხაში, და ასევე მიმბარებელმა უნდა აანაზღაუროს ის ზიანი, რომელიც განიცადა შემნახველმა ნივთის შენახვის შედეგად.

მუხლი 7:602 ნივთის მოვლა-პატრონობის მოვალეობა

მიმბარების ხელშეკრულების შესრულებისას შემნახველმა უნდა გამოიჩინოს წინდახედული შემნახველის ზრუნვა.

მუხლი 7:603 ნივთით სარგებლობა და ქვედეპოზიტარი

– 1. შემნახველს შეუძლია ისარგებლოს ნივთით მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მიმბარებელმა ამაზე მას მისცა თავისი თანხმობა ანდა ნივთით სარგებლობა აუცილებელია მისი შენარჩუნებისა თუ სათანადო მდგომარეობაში დაბრუნებისათვის.

– 2. მიმბარებლის თანხმობის გარეშე შემნახველი ვერ გადასცემს ნივთს ქვედეპოზიტარს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია მიმბარებლის საუკეთესო ინტერესებში.

– 3. შემნახველი ნივთზე ქვედეპოზიტარის მხრიდან განხორციელებული მოქმედებებისათვის პასუხისმგებელია ისე, როგორც საკუთარი მოქმედებებისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მიმბარების ხელშეკრულება უსასყიდლოა და შემნახველი იძულებული იყო გადაეცა ნივთი ქვედეპოზიტარისათვის იმ გარემოებათა არსებობის გამო, რომლებიც მას ვერ შეერაცხება.

მუხლი 7:604 ნაყოფის გადაცემა

ნივთის მიღებიდან მის დაბრუნებამდე დროის განმავლობაში ნივთისაგან მიღებული ნაყოფი (სარგებელი) შემნახველმა უნდა გადასცეს მიმბარებელს.

მუხლი 7:605 მიმბარებული ნივთის დაბრუნება

– 1. მიმბარებელს შეუძლია მოითხოვოს ნივთის დაუყოვნებელი დაბრუნება, ხოლო შემნახველს შეუძლია მოითხოვოს ნივთის დაუყოვნებელი უკან წაღება.

– 2. ერთ-ერთი მხარის მოთხოვნის საფუძველზე, იმ რაიონულ სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც იმყოფება ნივთი, მნიშვნელოვანი მიზეზების არსებობისას შეუძლია დაადგინოს ნივთის დაბრუნებისა თუ უკან წაღების წინა პარაგრაფში მითითებულისაგან ანდა მიმბარების ხელშეკრულებაში დათქმულისაგან განსხვავებული მომენტი. აღნიშნული პარაგრაფი არ მოქმედებს სასამართლო დეპოზიტის შემთხვევაში.

– 3. ნივთის დაბრუნება უნდა მოხდეს იმ ადგილზე, სადაც ის ინახება მიმბარების ხელშეკრულების თანახმად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამ ხელშეკრულებაში მითითებულია ნივთის დაბრუნების სხვა ადგილი.

– 4. შემნახველმა ნივთი უნდა დააბრუნოს ისეთ მდგომარეობაში, რომელშიც მან ის მიიღო.

მუხლი 7:606 ორი ან მეტი შემნახველი

თუკი ორმა ან მეტმა პირმა ერთობლივად მიიღო ნივთი შესაძლებლად სხვა პირისაგან, მაშინ ისინი სოლიდარულად აგებენ პასუხს მისი დაბრუნებისა და ასევე მიმბარების ხელშეკრულებით მათზე დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი შეუსრულებლობა ვერც ერთ მათგანს ვერ შეერაცხება.

მუხლი 7:607 ბრუნვაუნარიანი სასაწყობო მონწობა

– 1. თუკი მიმბარების ხელშეკრულებასთან დაკავშირებით გაიცა ვარანტი ან სხვა საორდერო თუ სანარმდგენლო დოკუმენტი, მაშინ საქონლის მიწოდებამდე მისი გადაცემა განიხილება როგორც ამ საქონლის გადაცემა.

– 2. პარ. 1 არ მოქმედებს რეგისტრირებული ქონების მიმართ.

მუხლი 7:608 მესამე პირთა წინაშე პასუხისმგებლობის მიმართ მიმბარების ხელშეკრულების შედეგები

– 1. თუკი ქვედეპოზიტარს არასახელშეკრულებო სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე შემნახველის მიერ დაეკისრება პასუხისმგებლობა ნივთთან დაკავშირებული ზიანისათვის, მაშინ ის პასუხისმგებელი არ იქნება შემნახველის მიმართ იმაზე მეტი ხარისხით, ვიდრე ის იქნებოდა პასუხისმგებელი მიმბარებლის კონტრაქტის სახით შემნახველსა და მიმბარებელს შორის არსებული მიმბარების ხელშეკრულებიდან გამომდინარე.

– 2. თუკი შემნახველს არასახელშეკრულებო სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე იმ მესამე პირის მიერ, რომელიც არ წარმოადგენს მიმბარებელს, დაეკისრება პასუხისმგებლობა ნივთთან დაკავში-

რებული ზიანისათვის, მაშინ ის შემნახველისა და მიმბარებლის მიმართ მის ურთიერთობაში პასუხისმგებელი არ იქნება იმაზე მეტი ხარისხით, ვიდრე ის იქნებოდა პასუხისმგებელი მიმბარებლის კონტრაქტის სახით მიმბარებელსა და შემნახველს შორის არსებული მიმბარების ხელშეკრულებიდან გამომდინარე.

– 3. თუკი ქვედეპოზიტარს პასუხისმგებლობა დაეკისრება ზემოაღნიშნული მესამე პირის მიერ, მაშინ ის შემნახველისა და მიმბარებლის მიმართ მის ურთიერთობაში პასუხისმგებელი არ იქნება იმაზე მეტი ხარისხით, ვიდრე ის იქნებოდა პასუხისმგებელი შემნახველის სახით წინა პარაგრაფის შესაბამისად.

– 4. წინა პარაგრაფების ნორმები ვერ იქნება გამოყენებული იმ შემნახველისა თუ ქვედეპოზიტარის მიერ, რომელმაც იმ ხელშეკრულების დადებისას, რომლის საფუძველზეც მან შესანახად მიიღო ნივთი, იცოდა, – ანდა მას უნდა სცოდნოდა, – რომ ხელშეკრულებაში მისი კონტრაქტი არ იყო მისთვის ნივთის შესანახად გადაცემაზე უფლებამოსილი ამ უკანასკნელის იმ პირთან არსებული სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე, ვის მიმართაც მას ეკისრება პასუხისმგებლობა.

მუხლი 7:609 სასტუმროს მფლობელის პასუხისმგებლობა

– 1. სასტუმროს მფლობელს ეკისრება შემნახველის ანალოგიური პასუხისმგებლობა სასტუმროში განთავსებული სტუმრის მიერ მასში შეტანილი ნივთის დაზიანებისა თუ დაკარგვისათვის.

– 2. სასტუმროს მფლობელი არ არის პასუხისმგებელი არც თავად სტუმრის მიერ მოყვანილი ან მოწვეული პირების ქცევისა და არც იმ ნივთით გამოწვეული ზიანისათვის, რომელიც სტუმარმა შეიტანა სასტუმროში.

– 3. სასტუმროს მფლობელს აქვს დაკავების უფლება პარ. 1-ში მითითებულ ნივთებზე სტუმრის მიმართ არსებული ყველა იმ მოთხოვნისათვის, რომელიც დაკავშირებულია სასტუმროში განთავსებასთან, კვებასთან, სასმელების მოხმარებასა და განუვლ მომსახურებასთან.

ტიტული 7.10 – შრომითი ხელშეკრულება

განყოფილება 7.10.1 – ზოგადი დებულებები

მუხლი 7:610 „შრომითი ხელშეკრულების“ განმარტება

– 1. შრომითი ხელშეკრულება წარმოადგენს ხელშეკრულებას, რომლითაც ერთ-ერთი მხარე („დასაქმებული“) ხელშეკრულების მეორე მხარის („დამსაქმებელი“) მიმართ კისრულობს განსაზღვრული ვადის განმავლობაში ამ უკანასკნელის სამსახურში სამუშაოს შესრულების ვალდებულებას ანაზღაურების სანაცვლოდ.

– 2. როდესაც ხელშეკრულებას აქვს როგორც პარ. 1-ში მითითებული ხელშეკრულების, ისე კანონით მონესრიგებული სხვა კონკრეტული ხელშეკრულების დამახასიათებელი ნიშნები, მაშინ წინამდებარე ტიტულის (ტიტული 7.10) საკანონმდებლო ნორმები და ასევე ამ სხვა კონკრეტული ხელშეკრულებისათვის კანონით დადგენილი ნორმები გამოიყენება ამ ხელშეკრულებასთან ერთად ერთდროულად (ამ ხელშეკრულების პარალელურად). აღნიშნულ კანონისმიერ ნორმებს შორის კოლიზიის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება წინამდებარე ტიტულის (ტიტული 7.10) კანონისმიერ ნორმებს.

მუხლი 7:610a შრომითი ხელშეკრულების არსებობის პრეზუმფცია

პირი, ვინც საზღაურის სანაცვლოდ ასრულებს სამუშაოს სხვა პირის სასარგებლოდ ზედიზედ სამი თვის განმავლობაში და ეს ხორციელდება ყოველკვირეულად ანდა თვეში, სულ ცოტა, ოცი საათი მაინც, – ივარაუდება, რომ ახორციელდებს აღნიშნულ სამუშაოს შრომითი ხელშეკრულების შესაბამისად.

მუხლი 7:610b ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო საათების რაოდენობის პრეზუმფცია

როდესაც შრომითი ხელშეკრულების მოქმედება გრძელდებოდა, სულ ცოტა, სამი თვე, ივარაუდება, რომ ერთ თვეში ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო საათების რაოდენობა უტოლდება წინა სამი თვის განმავლობაში არსებულ სამუშაო საათების ყოველთვიურ საშუალო მაჩვენებელს.

მუხლი 7:611 „გონივრული და სამართლიანი“ დამსაქმებლისა თუ დასაქმებულის სახით მოქმედება

დამსაქმებელი და დასაქმებული უნდა მოქმედებდნენ ისე, როგორც ეს შეეფერება გონიერ და სამართლიან დამსაქმებელსა და გონიერ და სამართლიან დასაქმებულს.

მუხლი 7:612 არასრულწლოვანი დასაქმებულები

– 1. არასრულწლოვანს, რომელმაც მიაღწია თექვსმეტი წლის ასაკს, შეუძლია დადოს შრომითი ხელშეკრულება. ყოველივე იმასთან დაკავშირებით, რაც ეხება ამ შრომით ხელშეკრულებას, ის იქნეს იგივე მდგომარეობას, რაც ხელშეკრულების მიმართ აქვს ზრდასრულ პირს, და ასევე მას შეუძლია გამოვიდეს სასამართლოში თავისი კანონიერი წარმომადგენლის დახმარების გარეშე.

– 2. თუკი შრომითი ხელშეკრულება დადო ქმედუუნარო არასრულწლოვანმა და ამის შემდგომ ის დასაქმებლის სამსახურში ასრულებს სამუშაოს ოთხი კვირის განმავლობაში, რომლის დროსაც მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა არ მიუთითა ბათილობის რაიმე საფუძველზე მისი ქმედუუნარობის გამო, მაშინ მიიჩნევა, რომ ამ არასრულწლოვანმა მიიღო აღნიშნული შრომითი ხელშეკრულების დადებაზე თავისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა.

– 3. ქმედუუნარო არასრულწლოვანი, რომელმაც დადო შრომითი ხელშეკრულება თავისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით, შრომით ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხთან მიმართებაში იქნეს იგივე მდგომარეობას, რაც ხელშეკრულების მიმართ აქვს ზრდასრულ პირს, გარდა პარ. 4-ში გათვალისწინებული მდგომარეობისა.

– 4. ქმედუუნარო არასრულწლოვანი ვერ გამოვა სასამართლოში თავისი კანონიერი წარმომადგენლის დახმარების გარეშე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სასამართლო დაასკვნის, რომ კანონიერი წარმომადგენელი თავად ვერ შეძლებს განმარტებების გაკეთებას.

მუხლი 7:613 არსებული შრომითი პირობების შეცვლა

დამსაქმებელს შეუძლია მხოლოდ იმ წერილობით დათქმაზე მითითება, რომელიც მას ანიჭებს შრომით ხელშეკრულებაში მოცემული შრომითი პირობების შეცვლის უფლებას, თუკი მას აქვს ამ ცვლილების განხორციელების ისეთი მნიშვნელოვანი ინტერესები, რომ დამსაქმებლის ის ინტერესები, რომლებსაც ზიანი მიადგება აღნიშნული ცვლილების შედეგად, არ უნდა იქნეს გათვალისწინებული გონივრულობისა და სამართლიანობის სტანდარტების შესაბამისად.

მუხლი 7:613a *{გაუქმებულია 04.03.1998წ.}*

მუხლი 7:613b *{გაუქმებულია 04.03.1998წ.}*

მუხლი 7:613c *{გაუქმებულია 04.03.1998წ.}*

მუხლი 7:614 საცილო დათქმის ბათილობის მოთხოვნით სარჩელის უფლების ხანდაზმულობა

საცილობის საფუძველბთან დაკავშირებით, რომლებიც ეფუძნება წინამდებარე ტიტულს (ტიტული 7.10), სამოქალაქო კოდექსის 3:52 მუხლის პარ. 1-ის (d) პუნქტში მითითებული ვადის დენა იწყება იმ დღის შემდგომ, როდესაც მოხდა საცილო დათქმაზე მითითება.

მუხლი 7:615 საჯარო სექტორში არსებული დასაქმებულები

წინამდებარე ტიტულის (ტიტული 7.10) საკანონმდებლო ნორმები არ გამოიყენება სახელმწიფოს, პროვინციის, მუნიციპალიტეტის, წყლის რესურსების საკითხებზე მომუშავე კომისიისა თუ რომელიმე სხვა საჯარო უწყების სამსახურში მომუშავე პირების მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ნორმები გამოყენებადად გამოცხადდა მხარეთა მიერ ან მათი სახელით შრომითი მომსახურების დაწყებისას ანდა – სხვა საკანონმდებლო ნორმებით.

განყოფილება 7.10.2 – ხელფასი

მუხლი 7:616 ხელფასის გადახდა კონკრეტულ დღეს

დამსაქმებელმა დასაქმებულის ხელფასი უნდა გადაიხადოს კონკრეტულ დღეს, როგორც ეს განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულებით.

მუხლი 7:617 ფიქსირებული ხელფასის დაშვებული სახეები

- 1. ასანაზღაურებელი ხელფასის განსაზღვრული სახე ვერ იქნება სხვაგვარი:
 - a. გარდა ფულისა;

b. თუკი ასეთი სახის ხელფასი ჩვეულებრივი ან სასურველია დამსაქმებლის სანარმოს ბუნების გათვალისწინებით: გარდა დამსაქმებლისა თუ მისი ოჯახის წევრების მიერ პირადი გამოყენებისათვის ვარგისი ნივთებისა, რომლებსაც არ განეკუთვნება სპირტიანი სასმელები და პირის ჯანმრთელობისათვის საზიანო სხვა ბუნებრივი ნივთიერებები;

c. გარდა საცხოვრებელი ფართით სარგებლობისა, ისევე როგორც – მისი განათებისა და გათბობისა;

d. გარდა თავად დამსაქმებლის ანდა მის სასარგებლოდ სხვა პირების მიერ განხორციელებული მომსახურების, საქონლის მიწოდებისა და სამუშაოებისა, მათ შორის, – განათლება, კვება და ბინაში განთავსება;

e. გარდა წილების, აქციების, ოფციებისა და მონაწილეობებისა, სავალო მოთხოვნებისა და სხვა სამართლებრივი დოკუმენტებისა და მათი დამადასტურებელი სერტიფიკატებისა და კუპონებისა, სადღესასწაულო ჩეკებისა და შვებულებების ვაუჩერებისა.

– 2. დამსაქმებელს არ შეუძლია პარ. 1-ის (b), (c) და (d) პუნქტებში მითითებული ნივთების, მომსახურებისა და მიწოდებული საქონლისათვის რეალურ საბაზრო ღირებულებაზე უფრო მეტი ღირებულების მინიჭება.

მუხლი 7:618 ჩვეულებრივი ხელფასი

როდესაც ხელფასის ოდენობა არ განისაზღვრება შრომით ხელშეკრულებაში, დასაქმებული უფლება-მოსილია მიიღოს ჩვეულებრივი ხელფასი, რომელიც შრომითი ხელშეკრულების დადების მომენტში შესრულებული სამუშაოსათვის გადაიხდება ამ ხელშეკრულების საფუძველზე, ხოლო როდესაც აღნიშნული კრიტერიუმი არ გამოიყენება, – მაშინ ხელფასის ოდენობა განისაზღვრება სამართლიანობის პრინციპის შესაბამისად მოცემული ვითარების ყველა გარემოების გათვალისწინებით.

მუხლი 7:619 დასაქმებულის კუთვნილი შემონმების უფლება

– 1. თუკი ხელფასი სრულად ან ნაწილობრივ შეადგენს იმ თანხას, რომლის ოდენობაც დამოკიდებულია დამსაქმებლის საბუღალტრო ჩანაწერებიდან, დოკუმენტებიდან ანდა მონაცემთა სხვა მატარებლებიდან გამომდინარე მონაცემებზე, მაშინ დასაქმებულს აქვს უფლება, დამსაქმებლისაგან მოითხოვოს იმ მტკიცებულებების წარდგენა, რომლებიც ამ უკანასკნელს ესაჭიროება აღნიშნული მონაცემების დასადგენად.

– 2. წერილობითი ხელშეკრულებით მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ იმაზე, თუ პარ. 1-საგან განსხვავებით, ვის უნდა წარედგინოს ზემოაღნიშნული მტკიცებულებები. ამ მიზნით დაუშვებელია იმ დამსაქმებლის სამსახურში მყოფი დასაქმებულების დანიშვნა, რომელსაც ევალება საბუღალტრო აღრიცხვა.

– 3. მხოლოდ დასაქმებულს აქვს უფლება, მიუთითოს საცილოობის საფუძველზე იმ დათქმის გაბათილების მიზნით, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის პარ. 1-ის ან 2-ის საკანონმდებლო ნორმებთან.

– 4. მოთხოვნის შემთხვევაში, მტკიცებულებების წარდგენა დამსაქმებლის მიერ ან მის სასარგებლოდ ხდება დასაქმებულისა და პარ. 2-ის შესაბამისად მისი შემცველი პირის მხრიდან საიდუმლოების დაცვის პირდაპირი ვალდებულების კისრებით; თუმცა, პარ. 2-ში მითითებული დასაქმებულის შემცველი პირები არ არიან ვალდებული, დაიცვან კონფიდენციალურობა თავიანთ დასაქმებულთან ურთიერთობაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქმე ეხება დამსაქმებლის სანარმოს ან მისი ნაწილის მიერ მიღებულ მოგებას.

მუხლი 7:620 ხელფასის გადახდა ეროვნულ ვალუტაში

– 1. ფულადი სახით ხელფასის გადახდა ხდება ჰოლანდიის ეროვნულ ვალუტაში ანდა საბანკო გადახდებით სამოქალაქო კოდექსის 6:114 მუხლის შესაბამისად.

– 2. ფულადი სახით ხელფასის გადახდა შეიძლება განხორციელდეს უცხოურ ვალუტაში, თუკი ეს შეთანხმებულ იქნა მხარეთა მიერ. მიუხედავად აღნიშნულისა, დასაქმებული უფლებამოსილია მოითხოვოს გადახდა ჰოლანდიის ეროვნულ ვალუტაში შემდგომი გადახდის დღიდან. თუკი ვალუტის კონვერტაცია აუცილებელია, მაშინ ეს ხდება სამოქალაქო კოდექსის 6:124 მუხლში მითითებული კურსით.

– 3. სხვა სახის ხელფასის, ნაცვლად ფულადისა, გაცემა ხდება ის წესის შესაბამისად, რომელიც შეთანხმებულ იქნა მხარეთა მიერ ამ საკითხთან დაკავშირებით, ხოლო როდესაც ასეთი შეთანხმება არ დადებულია, – ჩვეულებრივი პრაქტიკის (ჩვეულების) შესაბამისად.

მუხლი 7:621 ხელფასის დარღვევით გადახდის სამართლებრივი შედეგები

– 1. როდესაც ხელფასის გადახდა ხდება 7:620 მუხლით გათვალისწინებული წესების დარღვევით ანდა სხვაგვარად, ვიდრე ეს დაშვებულია 7:617 მუხლით, დამსაქმებელი არ თავისუფლდება დაკისრებული ხელ-

ფასის თანხის გადახდის ვალდებულებისაგან. დასაქმებული ინარჩუნებს დამსაქმებლისაგან დაკისრებული ხელფასის თანხის გადახდის მოთხოვნის უფლებას, ხოლო როდესაც მხარეთა შორის შეთანხმებულ იქნა სხვა სახის ხელფასი, ნაცვლად ფულადისა, – დაკისრებული შესრულების ღირებულების მოთხოვნის უფლებას იმ სახელფასო თანხების დაბრუნების ვალდებულების გარეშე, რომელიც მან მიიღო 7:617 მუხლით გათვალისწინებული წესების დარღვევით – ანდა სხვაგვარად, ვიდრე ეს დაშვებულია 7:617 მუხლით, – განხორციელებული გადახდის შედეგად.

– **2.** მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, სასამართლოს დასაქმებულის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებისას თავის გადაწყვეტილებაში შეუძლია შეზღუდოს ხელფასი თანხის იმ ოდენობით, რომელსაც ის არსებულ გარემოებებში ჩათვლის სამართლიანად, თუმცა – არაუმეტეს იმ ოდენობისა, რომელიც განისაზღვრება როგორც დასაქმებულის მიერ გაცდილი ზიანი.

– **3.** წინამდებარე მუხლის საფუძველზე დასაქმებულის სარჩელის უფლება ხანდაზმული ხდება ექვსი თვის ვადის გასვლისას იმ დღიდან, როდესაც ხელფასის გადახდა განხორციელდა 7:620 მუხლით გათვალისწინებული წესების დარღვევით ანდა სხვაგვარად, ვიდრე ეს დაშვებულია 7:617 მუხლით.

მუხლი 7:622 ხელფასის გადახდის ადგილი

როდესაც ფულადი სახით ხელფასის გაცემა არ ხდება სამოქალაქო კოდექსის 6:114 მუხლის შესაბამისად, მაშინ თანხების გადახდა, დამსაქმებლის არჩევანით, ხორციელდება იმ ადგილზე, სადაც სამუშაო ჩვეულებრივ სრულდება, ან – დამსაქმებლის ოფისში, თუკი ის მდებარეობს იმავე მუნიციპალიტეტში, სადაც ცხოვრობს დასაქმებულთა უმრავლესობა, ანდა – დასაქმებულის სახლში.

მუხლი 7:623 ფულადი სახით ფიქსირებული ხელფასის გადახდის დრო

– **1.** ფულადი სახით ფიქსირებული ხელფასის გადახდა დამსაქმებლის მიერ უნდა მოხდეს ყოველ დროს იმ ვადის გასვლის შემდეგ, რომელისათვისაც ხელფასის ოდენობა გამოითვლება შრომითი ხელშეკრულების შესაბამისად იმ პირობით, რომ გადახდის ვადა არ იქნება ერთ კვირაზე ნაკლები და ერთ თვეზე მეტი.

– **2.** ის ვადა, რომლის დასრულების შემდგომაც უნდა გაიცეს ხელფასი, წერილობითი შეთანხმებით შეიძლება გაიზარდოს, თუმცა – არაუმეტეს ერთ თვემდე ვადისა, როდესაც ის ვადა, რომელისათვისაც ხელფასის ოდენობა გამოითვლება შრომითი ხელშეკრულების შესაბამისად, შეადგენს ერთ კვირას ან ნაკლებს, და – ასევე არაუმეტეს კვარტლისა, როდესაც ის ვადა, რომელისათვისაც ხელფასის ოდენობა გამოითვლება შრომითი ხელშეკრულების შესაბამისად, შეადგენს ერთ თვეს ან მეტს.

– **3.** მხოლოდ დასაქმებულს აქვს უფლება, მიუთითოს საცილოობის საფუძველზე იმ დათქმის გაბათილების მიზნით, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის წინამდებარე მუხლის ნორმებთან.

მუხლი 7:624 ფულადი სახის სხვაგვარი ხელფასის გადახდის დრო

– **1.** თუკი ფულად თანხაში გამოხატული ხელფასის ოდენობა დამოკიდებულია შესრულებული სამუშაოს შედეგზე, მაშინ დამსაქმებელი ასრულებს იმ გადახდის პირობებს, რომლებიც გამოიყენება ანალოგიური სამუშაოსათვის გათვალისწინებული ფულადი სახით ფიქსირებული ხელფასების მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გადახდის სხვა პირობები მხარეთა შორის იქნა შეთანხმებული 7:623 მუხლის ნორმათა ჯეროვანი დაცვით.

– **2.** თუკი პარ. 1-ში ნახსენები ხელფასის ოდენობის შეფასება გადახდის დღისათვის ჯერ კიდევ შეუძლებელია, მაშინ დამსაქმებელმა დასაქმებულს უნდა გადაუხადოს ავანსი გადახდის დღემდე სამი თვისათვის გათვალისწინებული საშუალო ხელფასის ოდენობით, ხოლო თუ აღნიშნული შეუძლებელია, – ანალოგიური სამუშაოსათვის ჩვეულებრივ გადახდილი ხელფასის ოდენობით.

– **3.** მხარეებს შეუძლიათ წერილობით შეთანხმდნენ, რომ საავანსო თანხა განისაზღვროს უფრო ნაკლები ოდენობით, თუმცა – არანაკლებ გადახდის დღემდე სამი თვის განმავლობაში გადახდილი საშუალო ხელფასის სამი მეოთხედის ოდენობით, ანდა, შესაბამისად, – ანალოგიური სამუშაოსათვის ჩვეულებრივ გადახდილი ხელფასის ოდენობით.

– **4.** იმდენად, რამდენადაც ფულად თანხაში გამოხატული ხელფასი შეადგენს იმ თანხას, რომლის ოდენობაც დამოკიდებულია დამსაქმებლის საბუღალტრო ჩანაწერებიდან, დოკუმენტებიდან ანდა მონაცემთა სხვა მატარებლებიდან გამომდინარე მონაცემებზე, დამსაქმებელმა ამ ხელფასის თანხები უნდა გასცეს დაუყოვნებლივ, როგორც კი შესაძლებელი გახდება აღნიშნული გადასახდელი თანხების ოდენობის შეფასება იმ პირობით, რომ აღნიშნული თანხების გადახდას ადგილი ექნება, სულ ცოტა, წელიწადში ერთხელ მაინც.

- 5. მხოლოდ დასაქმებულს აქვს უფლება, მიუთითოს საცილოობის საფუძველზე იმ დათქმის გაბათილების მიზნით, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის წინამდებარე მუხლის ნორმებთან.

მუხლი 7:625 დაგვიანებით გადახდილი ხელფასის ოდენობის ზრდა

- 1. იმდენად, რამდენადაც ფულად თანხაში გამოხატული ხელფასი ან მისი ნაწილი, რომელიც რჩება იმ თანხების გამოკლების შემდეგ, რომელთა გაქვითვაც დამსაქმებელს შეუძლია 7:628 მუხლის შესაბამისად და ასევე იმ თანხების გამოკლების შემდეგ, რომლებიც ვარდება მესამე პირთა უფლებამოსილების ქვეშ 7:633 მუხლის შესაბამისად, ჯერ არ არის გადახდილი არაუგვიანეს მესამე სამუშაო დღისა იმ დღის შემდეგ, როდესაც ხელფასი უნდა გაცემულიყო 7:623 მუხლისა და 7:624 მუხლის პარ. 1-ის შესაბამისად, - დასაქმებული უფლებამოსილია გადახდის დაგვიანების გამო მიიღოს თავისი ხელფასის გაზრდილი ოდენობა იმ პირობით, რომ ხელფასის თანხების გადაუხდელობა შეერაცხება დამსაქმებელს. ვადაგადაცილების პერიოდში გაზრდილი თანხები უტოლდება დღეში ხუთ პროცენტს მესამე და მეცხრე სამუშაო დღეებს შორის დროის პერიოდისათვის, ხოლო ყოველი შემდგომი სამუშაო დღისთვის, - ერთ პროცენტს იმ პირობით, რომ გაზრდილი თანხები მთლიანი ოდენობა არასოდეს გადააჭარბებს დაგვიანებით გადახდილი ხელფასის ოდენობის ნახევარს. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, სასამართლოს შეუძლია შეზღუდოს გადახდილი ხელფასის თანხა იმ ოდენობით, რომელსაც ის არსებულ გარემოებებში ჩათვლის სამართლიანად.

- 2. დასაქმებულის ინტერესების საზიანოდ წინამდებარე მუხლის ნორმებიდან გადახვევა დაუშვებელია.

მუხლი 7:626 საგადახდო ბლანკი

- 1. ფულად თანხაში გამოხატული ხელფასის თანხების ყოველი გაცემისას დამსაქმებელმა დასაქმებულს წერილობით ან ელექტრონული ფორმით უნდა გადასცეს საგადახდო ბლანკი ხელფასის ოდენობისა და იმ თანხების მითითებით, რომლისაგანაც ის შედგება, ასევე იმ თანხების აღნიშვნით, რომლებიც გამოაკლდა ხელფასის თანხებს, ისევე როგორც - თანხები, რომელთა მიღებაზეც სრულწლოვანი დასაქმებული უფლებამოსილია მინიმალური ხელფასისა და საშვებულებო თანხების ანაზღაურების შესახებ კანონის საფუძველზე ან მის შესაბამისად იმ ვადასთან მიმართებაში, რომელისათვისაც გამოითვლება ხელფასის ოდენობა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არც ერთი აღნიშნული თანხა არ შეცვლილა წინა გადახდასთან შედარებით.

- 2. საგადახდო ბლანკში დამატებით აღნიშნულია დამსაქმებლისა და დასაქმებულის სახელები, ის ვადა, რომელისათვისაც გამოითვლება ხელფასის ოდენობა, ისევე როგორც - შეთანხმებული სამუშაო საათები.

- 3. დამსაქმებელი ელექტრონული ფორმის საგადახდო ბლანკის წარდგენას ახდენს იმგვარად, რომ შესაძლებელი გახდეს დასაქმებულის მიერ მისი შენახვა, და ასევე ამ უკანასკნელისათვის ეს ბლანკი ხელმისაწვდომი უნდა დარჩეს შემდგომი შემომხმებისათვის.

- 4. საგადახდო ბლანკის ელექტრონული ფორმით წარდგენა დასაშვებია მხოლოდ დასაქმებულის აშკარად გამოხატული თანხმობით.

- 5. დასაქმებულის ინტერესების საზიანოდ წინამდებარე მუხლის ნორმებიდან გადახვევა დაუშვებელია.

მუხლი 7:627 როდესაც სამუშაო არ არის შესრულებული, ხელფასის მიღების უფლებაც არ არსებობს

ხელფასის გადახდის ვალდებულება არ არსებობს დროის იმ პერიოდისათვის, რომლის განმავლობაშიც დასაქმებული არ ასრულებდა შეთანხმებულ სამუშაოს.

მუხლი 7:628 სამუშაო შესრულებული არ არის, თუმცადა ხელფასის მიღების უფლება მაინც არსებობს

- 1. დასაქმებული ინარჩუნებს ფულადი სახით ფიქსირებული ხელფასის მიღების უფლებას იმ შემთხვევაში, თუკი მან შეთანხმებული სამუშაო არ შეასრულა იმ მიზეზის გამო, რომელიც გამონკვეულია დამსაქმებლის ბრალით.

- 2. თუკი დასაქმებული უფლებამოსილია ფინანსური დახმარების მიღებაზე ნებისმიერი კანონით გათვალისწინებული დაზღვევის ან ნებისმიერი სადაზღვევო პოლისის შესაბამისად ანდა - ნებისმიერი იმ ფონდიდან, რომელშიც მონაწილეობა შეთანხმებული იყო მხარეთა მიერ ან რომელიც წარმოადგენს შრომითი ხელშეკრულების შედეგს, მაშინ დასაქმებულის ხელფასი შემცირდება ამ დახმარების თანხის ოდენობით.

– 3. წინამდებარე მუხლის ნორმები გამოიყენება ასევე ფულადი სახის სხვაგვარი, ნაცვლად ფულადი სახით ფიქსირებულია, ხელფასის მიმართ იმ პირობით, რომ ამ მიზნით ეს უკანასკნელი მიიჩნევა საშუალო ხელფასად, რომლის გამომუშავებაც შეძლებდა დასაქმებული შესაბამისი ვადის განმავლობაში, მას რომ არ შეშლოდა ხელი მის გამომუშავებაში.

– 4. თუმცა, ხელფასის თანხები მცირდება იმ ხარჯების ოდენობით, რომლებიც დასაქმებულმა დაზოგა იმის გამო, რომ მან არ შეასრულა სამუშაო.

– 5. შრიმითი ხელშეკრულების მხოლოდ პირველ ექვს თვესთან მიმართებაში დასაშვებია დასაქმებულის ინტერესების საზიანოდ პარ. 1-დან პარ. 4-ის ჩათვლით ნორმებიდან გადახვევა იმ პირობით, რომ აღნიშნული ხორციელდება წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

– 6. 7:668a მუხლის გაგებით ერთმანეთის მიყოლებით დადებული შრომითი ხელშეკრულებების შემთხვევაში, პარ. 1-ში მითითებული ნორმებიდან გადახვევაზე შეთანხმება დასაშვებია მხოლოდ მთლიანობაში არაუმეტეს ექვსი თვისა.

– 7. პარ. 1-ში მითითებული ვადის ამონურვის შემდეგ, დასაქმებულის ინტერესების საზიანოდ წინამდებარე მუხლის ნორმებიდან გადახვევა დასაშვებია მხოლოდ კოლექტიური შრომითი ხელშეკრულებით ან სახელმწიფო მმართველობის ორგანოს მიერ ან მისი სახელით მიღებული რეგულაციების საფუძველზე.

მუხლი 7:628a ხელფასის მიმართ არსებული მინიმალური მოთხოვნები სამუშაოს შესრულებისაკენ ყოველი მონოდებისათვის

– 1. იმ შემთხვევაში, როდესაც მხარეთა მიერ შეთანხმებულია კვირაში თხუთმეტ სამუშაო საათზე ნაკლები დრო და სამუშაო დრო არ იქნა დადგენილი, ანდა როდესაც სამუშაო საათების ოდენობა არ ან ნათლად არ იქნა დადგენილი, დასაქმებული მის მიერ შესრულებული სამუშაოს ყოველი სამ საათზე ნაკლები დროის პერიოდისათვის უფლებამოსილია მიიღოს ხელფასი იმ ოდენობით, რაზეც ის უფლებამოსილი იქნებოდა მის მიერ სამუშაოს სამი საათის განმავლობაში შესრულების შემთხვევაში.

– 2. დასაქმებულის ინტერესების საზიანოდ წინამდებარე მუხლის ნორმებიდან გადახვევა დაუშვებელია.

მუხლი 7:629 სამუშაოს შესრულების უუნარობა ავადმყოფობის, ორსულობისა თუ მშობიარობის გამო

– 1. როდესაც დასაქმებული უუნაროა, შეასრულოს შეთანხმებული სამუშაო ავადმყოფობის, ორსულობისა თუ მშობიარობის გამო, ის უფლებამოსილი რჩება, მიიღოს ფულადი სახით ფიქსირებული ხელფასის 70% 104-კვირიანი ვადის განმავლობაში იმდენად, რამდენადაც ამ უკანასკნელის ოდენობა არ აღემატება სოციალური უზრუნველყოფის დაფინანსების შესახებ კანონის მე-17 მუხლის პარ. 1-ში მითითებული დღიური ხელფასის მაქსიმალურ ოდენობას იმ პირობით, რომ დასაქმებულის შრომისუუნარობის პირველი 52 კვირის განმავლობაში ის, სულ ცოტა, უფლებამოსილია მისი ასაკის პირისათვის კანონით გათვალისწინებული ხელფასის მაქსიმალურ ოდენობის მიღებაზე.

– 2. როდესაც ფიზიკური პირის სამსახურში არსებული დასაქმებული ჩვეულებრივ ექსკლუზიურად ან თითქმის ექსკლუზიურად მუშაობს ამ ფიზიკური პირის საოჯახო მეურნეობაში, პარ. 1-ში მითითებული ხელფასის მიღების უფლება არსებობს მხოლოდ ექვსკვირიანი ვადის განმავლობაში.

– 3. დასაქმებულს არა აქვს პარ. 1-ში მითითებული ხელფასის მიღების უფლება:

a. თუკი მან განზრახ დაიავადყოფა თავი ანდა დასაქმებულის ავადმყოფობა წარმოადგენს იმ შეზღუდული შესაძლებლობის არსებობის შედეგს, რომლის შესახებაც მან გასცა ცრუ ინფორმაცია თავისი წინასწარი სამედიცინო შემოწმებისას, რის გამო შეუძლებელი გახდა ზუსტი ტესტის გაკეთება იმის დასადგენად, აკმაყოფილებს თუ არა დასაქმებული სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო სპეციალურ სამედიცინო მოთხოვნებს;

b. იმ ვადის განმავლობაში, როდესაც დასაქმებულის გამოჯანმრთელება გართულებული ან შენელებული იყო მის მიერ ანდა მისი მხრიდან;

c. იმ ვადის განმავლობაში, როდესაც დასაქმებულმა – მიუხედავად იმისა, რომ მას შესწევდა ამის უნარი, – არ შეასრულა მისთვის დამსაქმებლის მიერ შეთავაზებული და მისი დამსაქმებლის ანდა ამ მიზნით დანიშნული მესამე პირის სასარგებლოდ შესასრულებელი შესაფერისი ალტერნატიული სამუშაო, როგორც ეს მითითებულია 7:658a მუხლის პარ. 4-ში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მას აქვს დასაბუთებული მიზეზი, არ შეასრულოს შესაფერისი ალტერნატიული სამუშაო;

d. იმ ვადის განმავლობაში, როდესაც დასაქმებულმა უარი თქვა, შეესრულებინა მისი დამსაქმებლის ანდა ამ უკანასკნელის მიერ ამ მიზნით დანიშნული ექსპერტის გონივრული მითითებები ან მიეღო მათი შესაბამისი ზომები, რომლებიც მიმართულია იმისკენ, რომ მისცეს მას შესაძლებლობა, შეასრულოს შესაფერისი ალ-

ტერნატიული სამუშაო, როგორც ეს მითითებულია 7:658a მუხლის პარ. 4-ში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მას აქვს დასაბუთებული მიზეზი, ადეკვატურად არ უპასუხოს აღნიშნულ მითითებებსა თუ ზომებს;

e. იმ ვადის განმავლობაში, როდესაც დასაქმებულმა უარი თქვა, სამოქმედო გეგმის შემუშავებაში, შეფასებასა თუ კორექტირებაში თანამშრომლობაზე, როგორც ეს მითითებულია 7:658a მუხლის პარ. 3-ში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მას აქვს თანამშრომლობაზე უარის თქმის დასაბუთებული მიზეზი;

f. იმ ვადის განმავლობაში, რომელიც ამოინურა მას შემდეგ, რაც დასაქმებულს უნდა წარედგინა განცხადება სოციალური უზრუნველყოფის თანხების გადახდის შესახებ, როგორც ეს მითითებულია შრომითი შესაძლებლობის პროპორციული სამუშაოსა და შემოსავლის შესახებ კანონის 64-ე მუხლის პირველ პარაგრაფში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მას აქვს ასეთი დაყოვნების დასაბუთებული მიზეზი.

– 4. პარ. 1-გან განსხვავებით, დასაქმებულ ქალს არა აქვს უფლება, მიიღოს პარ. 1-ში მითითებული ხელფასი იმ ვადის განმავლობაში, როდესაც ის სამუშაოსა და ზრუნვის შესახებ კანონის 3:1 მუხლის პარ. 2 და 3-ის შესაბამისად სარგებლობს ორსულობისა თუ მშობიარობის გამო შვებულებით.

– 5. ხელფასის თანხები მცირდება ნებისმიერი ფულადი ანგარიშსწორების თანხით, რაზეც უფლებამოსილია დასაქმებული ნებისმიერი კანონით გათვალისწინებული დაზღვევის შესაბამისად და ნებისმიერი სადაზღვევო პოლისიდან გამომდინარე ანდა – ნებისმიერი იმ ფონდიდან, რომელშიც დასაქმებულის შენატანები არ განუხორციელებელია ანდა მონაწილეობა არ მიუღია. გარდა აღნიშნულისა, ხელფასის თანხები მცირდება ასევე დასაქმებულის მიერ სამსახურში ანდა მის მიღება იმ სამუშაოსათვის გამომუშავებული ნებისმიერი შემოსავლით, რომლის შესრულებასაც დასაქმებული შეძლებდა დამსაქმებლისათვის შეთანხმებული სამუშაოს შესრულების ვადის განმავლობაში იმ შემთხვევაში, ის რომ არ ყოფილიყო უუნარო აღნიშნულის განხორციელებაზე.

– 6. დამსაქმებელი უფლებამოსილია, შეაჩეროს პარ. 1-ში მითითებული ხელფასის თანხების გადახდები იმ ვადის განმავლობაში, როდესაც დასაქმებული არ ასრულებდა დამსაქმებლის გონივრულ წერილობით საკონტროლო მითითებებს იმ ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებით, რომელიც ესაჭიროება დამსაქმებელს დასაქმებულის ხელფასის უფლების განსაზღვრისათვის.

– 7. დამსაქმებელი ვერ მიუთითებს წინამდებარე მუხლში მოცემულ ხელფასის თანხების არგადახდისა თუ გადახდის შეჩერების ნებისმიერ საფუძველზე, თუკი მან დაუყოვნებლივ არ შეატყობინა დასაქმებულს ამ საფუძვლის შესახებ მას შემდეგ, როდესაც დამსაქმებელმა ივარაუდა ანდა მას უნდა ევარაუდა ამ საფუძვლის არსებობა.

– 8. შესაბამისად გამოიყენება 7:628 მუხლის პარ. 3-ის ნორმები.

– 9. დასაქმებულის ინტერესების საზიანოდ წინამდებარე მუხლის ნორმებიდან გადახვევა დაუშვებელია იმ გამონაკლისით, რომ დამსაქმებელს შეუძლია გაითვალისწინოს პირობა, რომლის თანახმადაც დასაქმებულს არ ექნება ხელფასის მიღების უფლება პარ. 1 ან 2-ში მითითებული ვადის პირველი ორი დღის განმავლობაში.

– 10. პარ. 1, 2 და 9-ის მიზნებისათვის, დროის ის პერიოდები, რომელთა განმავლობაშიც დასაქმებული უუნარო იყო შეესრულებინა თავისი სამუშაო ავადმყოფობის, ორსულობისა თუ მშობიარობის გამო, ექვემდებარება დაჯამებას იმ შემთხვევაში, თუკი მათ ადგილი ჰქონდა ერთმანეთის მიყოლებით ოთხ კვირაზე ნაკლები ვადის წყვეტით. დროის ის პერიოდები, რომელთა განმავლობაშიც დასაქმებული სარგებლობდა ორსულობისა თუ მშობიარობის გამო შვებულებით სამუშაოსა და ზრუნვის შესახებ კანონის 3:1 მუხლის პარ. 2 და 3-ის შესაბამისად, ოთხ კვირიანი წყვეტის პერიოდების განსაზღვრისას მხედველობაში არ მიიღება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ორსულობამდე ან მშობიარობამდე არსებული შრომისუუნარობა გონივრულად ვერ მიიჩნევა როგორც იმავე მიზეზის შედეგი, რაც უუნარობა ორსულობისა თუ მშობიარობის გამო შვებულების შემდეგ.

– 11. პარ. 1-ში მითითებული 104-კვირიანი ვადის გახანგრძლივება ხდება:

a. დაყოვნების ვადით, თუკი შრომითი შესაძლებლობის პროპორციული სამუშაოსა და შემოსავლის შესახებ კანონის 64-ე მუხლის პარ. 1-ში მითითებული განცხადების წარდგენა ხდება უფრო გვიან, ვიდრე ეს უნდა განხორციელდეს ამ მუხლის თანახმად;

b. სოციალური უზრუნველყოფის სააგენტოს მიერ შრომითი შესაძლებლობის პროპორციული სამუშაოსა და შემოსავლის შესახებ კანონის 24-ე მუხლის საფუძველზე განსაზღვრული გახანგრძლივების ვადით, და ასევე – ამ კანონის 25-ე მუხლის მეცხრე პარაგრაფის პირველ წინადადებაში მითითებული ვადით;

c. შეზღუდულ შესაძლებლობასთან დაკავშირებული დაზღვევის შესახებ კანონის მე-19 მუხლის პირველ პარაგრაფში მითითებული ლოდინის პერიოდის გახანგრძლივების ვადით, თუკი ამ ლოდინის პერიოდის გაგრძელება ხდება აღნიშნული კანონის მეშვიდე პარაგრაფის შესაბამისად; და

d. სოციალური უზრუნველყოფის სააგენტოს მიერ შეზღუდულ შესაძლებლობასთან დაკავშირებული დაზღვევის შესახებ კანონის 71-ე მუხლის მეცხრე პარაგრაფის საფუძველზე დადგენილი გახანგრძლივების ვადით.

– 12. თუკი დასაქმებული ასრულებს შესაფერის ალტერნატიულ სამუშაოს, როგორც ეს მითითებულია 7:658a მუხლის პარ. 4-ში, შრომითი ხელშეკრულება სრულად ძალაში რჩება.

– 13. პარ. 2-ის მიზნებისათვის, “საოჯახო მეურნეობაში შესრულებული სამუშაოს” ცნების ქვეშ მოიაზრება ასევე ამ მეურნეობაში ოჯახის წევრების მოვლა-პატრონობაც.

მუხლი 7:629a სამედიცინო შემონმების მეორე დასკვნა

– 1. სასამართლო არ დააკმაყოფილებს დასაქმებულის სასარჩელო მოთხოვნას ხელფასის თანხის გადახდასთან დაკავშირებით, როგორც ეს მითითებულია 7:629 მუხლში, თუკი ამ სასარჩელო მოთხოვნას არ ახლავს თან სამუშაოსა და შემოსავლებთან დაკავშირებული სოციალური უზრუნველყოფის სააგენტოს სტრუქტურის შესახებ კანონის მე-5 თავში მითითებული სოციალური უზრუნველყოფის სააგენტოს მიერ დანიშნული ექსპერტის დეკლარაცია დასაქმებულის მიერ შეთანხმებული სამუშაოს ანდა შესაფერისი ალტერნატიული სამუშაოს შესრულების უნარობასთან დაკავშირებით, ხოლო შესაბამის შემთხვევაში კი, – დასაქმებულის მიერ 7:660a მუხლში მითითებული მასზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებით.

– 2. პარ. 1-ის ნორმები არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუკი შრომისუუნარობა, ხოლო შესაბამის შემთხვევაში კი, – დასაქმებულის მიერ მასზე დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობა არ არის სადავოდ გამხდარი ანდა – თუკი ექსპერტის დეკლარაციის წარდგენა დასაქმებულისაგან გონივრულად მოსალოდნელი ვერ იქნება.

– 3. ექსპერტი, რომელიც დაეთანხმა თავის დანიშვნას, ვალდებულია შემონმება განახორციელოს მიუკერძოებლად საუკეთესო ცოდნითა და გავებით.

– 4. ექსპერტს, რომელიც არის ექიმი, დასაქმებულის შესახებ გამოკვლევისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღება შეუძლია მკურნალი ექიმისა თუ ექიმებისაგან. ამ ექიმებმა მოთხოვნილი ინფორმაცია უნდა მიანოდონ ექსპერტს იმდენად, რამდენადაც ამის შედეგად შეუსაბამო ზიანი არ მიადგება დასაქმებულის პირად ცხოვრებასა და კონფიდენციალურობას.

– 5. სასამართლოს ერთ-ერთი მხარის მოთხოვნის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით შეუძლია მოსთხოვოს ექსპერტს თავისი დეკლარაციის წერილობითი თუ ზეპირი ფორმით განმარტება ან განვრცობა.

– 6. პარ. 1-ში მითითებულ სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 237-ე მუხლში ნახსენები დამსაქმებლის საპროცესო ხარჯების დაფარვა დასაქმებულს შეიძლება მოეთხოვოს მხოლოდ საპროცესო ნორმების ამკარად არაგონივრული გამოყენების შემთხვევაში.

– 7. კოლექტიური შრომითი ხელშეკრულებით ან სახელმწიფო მმართველობის ორგანოს მიერ ან მისი სახელით მიღებული რეგულაციების საფუძველზე დასაშვებია დათქმა იმის თაობაზე, რომ პარ. 1-ში მითითებული ექსპერტი შეიძლება დაინიშნოს სხვა უწყებისა თუ პირის მიერ, ნაცვლად სოციალური უზრუნველყოფის სააგენტოს სტრუქტურის შესახებ კანონის მე-5 თავში მითითებული სოციალური უზრუნველყოფის სააგენტოსი.

მუხლი 7:629b {გაუქმებულია 01.12.2001წ.}

მუხლი 7:630 დამსაქმებელი, რომელსაც ეკრძალება ხელფასის ნატურით გადახდა

– 1. იმდენად, რამდენადაც გადასახდელი ხელფასი წარმოადგენს სხვა აქტივს, ნაცვლად ფულადი თანხისა (ხელფასი ნატურით), იმ დამსაქმებელმა, რომელსაც დროებით ეკრძალება ასეთი ხელფასის გაცემა, დასაქმებულს უნდა გადაუხადოს კომპენსაცია, რომლის ოდენობაც განისაზღვრება ხელშეკრულებით, ხოლო თუკი ასეთი ხელშეკრულება არ არსებობს, – სასამართლოს მიერ ზოგადი პრაქტიკის (ჩვეულებების) ან სამართლიანობის პრინციპის შესაბამისად იმ პირობით, რომ აღნიშნული ხელფასის გაცემის უუნარობა არ იქნა გამონეუული დასაქმებულის მიერ ანდა მისი მიზეზით.

– 2. დასაქმებულის ინტერესების საზიანოდ წინამდებარე მუხლის ნორმებიდან გადახვევა დაუშვებელია.

მუხლი 7:631 ხელფასის თანხების დაკავება და ფიქსირებული ხარჯები

– 1. ბათილია სახელშეკრულებო დებულება, რომელიც დამსაქმებელს ანიჭებს უფლებას, დააკავოს გადახდის დღისათვის ხელფასის ნებისმიერი თანხა, მიუხედავად დასაქმებულის უფლებამოსილებისა,

წარუდგინოს დამსაქმებელს წერილობითი რწმუნებულება (მინდობილობა) გასაცემი ხელფასის თანხების დასაქმებულის სახელით განსაზღვრული გადახდებისათვის გამოყენებაზე. აღნიშნული რწმუნებულება (მინდობილობა) ექვემდებარება ნებისმიერ დროს გაუქმებას.

– 2. ბათილია სახელშეკრულებო დებულებები, რომლითაც დასაქმებულმა დამსაქმებლის წინაშე იკისრა ვალდებულება, განსაზღვრული წესით დახარჯოს მიღებული ხელფასის ნებისმიერი თანხა ანდა სხვა გასამრჯელო; ასევე ბათილია ის სახელშეკრულებო დებულებები, რომელთა საფუძველზეც დასაქმებულმა პირველადი მოხმარების საგნების შექენა იკისრა განსაზღვრულ ადგილზე ანდა კონკრეტული პირისაგან.

– 3. პარ. 1 და 2-ის ნორმები არ გამოიყენება იმ სახელშეკრულებო დებულებებისა თუ დათქმების მიმართ, რომელთა საფუძველზეც დასაქმებულმა იკისრა ვალდებულება:

a. მონაწილეობა მიიღოს პენსიების შესახებ კანონის 1-ლ მუხლში მითითებულ საპენსიო ფონდში და შეასრულოს ამ კანონის ნორმები;

b. მოახდინოს სადაზღვევო პრემიის თანხის გადახდა ამ მიზნით პენსიების შესახებ კანონში დადგენილი რეგულაციების შესაბამისად;

c. მონაწილეობა მიიღოს სხვა ფონდში, ნაცვლად (a) პუნქტში მითითებულისა, იმ პირობით, რომ ეს სხვა ფონდი აკმაყოფილებს მეფის სამთავრობო ბრძანებით დადგენილი რეგულაციების მოთხოვნებს;

d. საკუთარი სახელით მონაწილეობა მიიღოს ფულადი დანაზოგების სქემაში, ნაცვლად (a), (b) და (c) პუნქტში მითითებულისა, იმ პირობით, რომ ეს სქემა აკმაყოფილებს მეფის სამთავრობო ბრძანებით დადგენილი რეგულაციების მოთხოვნებს.

(c) პუნქტის გაგებით სხვა ფონდის ქვეშ არ მოაზრება ფონდი, რომლის მიზანს წარმოადგენს დამსაქმებლისა თუ დასაქმებულისათვის 7:629 მუხლის პარ. 1-ში მითითებული ავადმყოფობის, ორსულობისა თუ მშობიარობის განმავლობაში დასაქმებულის მიერ ხელფასის მიღების უფლებასთან დაკავშირებული სარგებლის განაწილება, ასევე – იმ სარგებლის განაწილება, რომელიც მითითებულია შრომითი შესაძლებლობის პროპორციული სამუშაოსა და შემოსავლის შესახებ კანონის 83-ე მუხლში, და შეზღუდულ შესაძლებლობასთან დაკავშირებული დაზღვევის შესახებ კანონის 75a-ე მუხლში.

– 4. პარ. 3-ში მითითებული სახელშეკრულებო დებულებებისა და დათქმების შესრულების მიზნით, დამსაქმებელს შეუძლია დააკავოს დასაქმებულისათვის გადასახდელი ხელფასიდან აუცილებელი თანხები; აღნიშნულის შემდგომ დამსაქმებელი ვალდებულია დასაქმებულის სახელით გამოიყენოს ეს თანხები სახელშეკრულებო დებულებებისა და დათქმების შესაბამისად.

– 5. 7:612 მუხლის ნორმები შესაბამისად გამოიყენება რეგულაციებში არასრულწლოვანის მონაწილეობის მიმართაც, როგორც ეს მითითებულია პარ. 3-ში.

– 6. თუკი დასაქმებულმა პარ. 2-ში მითითებული ბათილი სახელშეკრულებო დებულებებისა თუ დათქმების გამო დადო ხელშეკრულება დამსაქმებელთან ან მესამე პირთან, მაშინ ის უფლებამოსილია თავისი დამსაქმებლისაგან მოითხოვოს ყველა ის თანხა ან შესრულება, რაც მან განახორციელა აღნიშნული მიზნით. გარდა ამისა, თუკი დასაქმებულმა დადო ხელშეკრულება თავის დამსაქმებელთან, ის უფლებამოსილია მთლიანად გააბათილოს ეს საცილო ხელშეკრულება.

– 7. როდესაც სასამართლო აკმაყოფილებს დასაქმებულის სასარჩელო მოთხოვნას პარ. 6-ის შესაბამისად, მას შეუძლია შეამციროს დამსაქმებელზე დაკისრებული ფულადი თანხის გადახდის ვალდებულება იმ ოდენობით, რომელსაც ის არსებულ გარემოებებში ჩათვლის სამართლიანად, თუმცაღა – არაუმეტეს იმ ოდენობისა, რომელიც დასაქმებულის მიერ განცდილ ზიანზე ნაკლებია, რაც თავად სასამართლოს მიერ დგინდება.

– 8. წინამდებარე მუხლის ნორმებზე დაფუძნებული დასაქმებულის სარჩელის უფლება ხანდაზმული ხდება ექვსი თვის ვადის გასვლისას იმ დღიდან, როდესაც წარმოიშვა დასაქმებულის სავალო მოთხოვნა.

მუხლი 7:632 ხელფასის თანხების გაქვითვა

– 1. შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისას დამსაქმებელი უფლებამოსილია გაქვითოს მასზე დაკისრებული ხელფასის თანხის გადახდის ვალდებულება ყველა იმ სავალო მოთხოვნის მიმართ, რომელიც მას აქვს დასაქმებულის მიმართ. შრომითი ხელშეკრულების მოქმედების დროს დამსაქმებელს შეუძლია მასზე დაკისრებული ხელფასის თანხის გადახდის ვალდებულებიდან გამომდინარე ვალდების გაქვითვა დასაქმებულის მიმართ მოახდინოს მხოლოდ ქვემოთ მოცემული სავალო მოთხოვნების მიმართ:

a. იმ ზარალთან დაკავშირებული სავალო მოთხოვნები, რომელიც დასაქმებულმა უნდა აუნაზღაუროს დამსაქმებელს;

b. იმ ჯარიმებთან დაკავშირებული სავალო მოთხოვნები, რომლის გადახდაც დასაქმებულს ეკისრება 7:650 მუხლის შესაბამისად იმ პირობით, რომ დამსაქმებელი გადასცემს მას წერილობით მტკიცებულებას, რომელშიც მითითებულია თითოეული ჯარიმის თანხის ოდენობა, ისევე როგორც დრო, როდესაც მოხდა მისი დაკისრება, და ასევე – ჯარიმის დაკისრების საფუძველი დარღვეული წერილობითი ხელშეკრულების სახელშეკრულებო დებულებების დამატებითი მითითებით;

c. ხელფასის საავანსო გადახდებიდან გამომდინარე სავალო მოთხოვნები, რომლებიც დამსაქმებელმა გადაუხადა დასაქმებულს ფულადი სახით იმ პირობით, რომ ეს გადახდები მტკიცდება წერილობითი დოკუმენტებით;

d. იმ ოდენობის სავალო მოთხოვნები, რომლისათვისაც დამსაქმებელმა ხელფასის სახით მიიღო იმაზე მეტი თანხა, ვიდრე რაზეც ის იყო უფლებამოსილი;

e. იმ სახლისა თუ სხვა ფართის, მიწის ნაკვეთისა თუ მოწყობილობების, მანქანა-დანადგარებისა თუ ხელსაწყოების ქირავნობასთან დაკავშირებული სავალო მოთხოვნები, რომლებიც დასაქმებულის მიერ გამოიყენებოდა თავისი საკუთარი ბიზნესის წარმოებისას და რაც დამსაქმებელმა მიაქირავა დასაქმებულს წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე.

– 2. გასაცემი ხელფასის თანხების მიმართ სავალო მოთხოვნების გაქვითვა დაუშვებელია ხელფასის იმ ნაწილთან მიმართებაში, რომლისათვისაც მესამე პირის მიერ ამ ხელფასის თანხების დაყადაღება ასევე ვერ მიიჩნევა ნამდვილად. იმ თანხებთან დაკავშირებით, რომელთა მოთხოვნასაც დამსაქმებელი შეძლებდა პარ. 1-ის (b) პუნქტის შესაბამისად, ამ უკანასკნელს ყოველი გადახდისას შეუძლია გაქვითოს მხოლოდ იმ ფულადი თანხების ერთი მეათედი ნაწილი, რომლებიც ექვემდებარებოდა გადახდას აღნიშნულ მომენტში.

– 3. ის თანხა, რომელსაც დამსაქმებელი აკავებს გადახდილი ხელფასის თანხებიდან მესამე პირის ყადაღის გამო, უნდა გამოაკლდეს ხელფასის იმ მაქსიმალურ ოდენობას, რომლის გაქვითვაც მას შეუძლია თავისი საკუთარი სავალო მოთხოვნების მიმართ.

– 4. სახელშეკრულებო დათქმა, რომლითაც დამსაქმებელს ენიჭება გაქვითვის უფრო ფართო უფლება, საცილოა იმ გაგებით, რომ დასაქმებული უფლებამოსილია დამოუკიდებლად გააბათილოს დამსაქმებლის გაქვითვის ის განცხადება, რომელიც ეფუძნება ამ დათქმის ნამდვილობის ვარაუდს.

მუხლი 7:633 სავალო მოთხოვნების გადაცემა (დათმობა) და გირავნობის დადგენა

– 1. იმ შემთხვევაში, თუ მესამე პირმა შეიძინა უფლება დასაქმებულის ხელფასის მიღებაზე ან ამ უკანასკნელთან დაკავშირებით დასაქმებულის მხრიდან თავისი სავალო მოთხოვნის გადაცემის საფუძველზე ანდა – გირავნობისა თუ სხვა ოპერაციის საფუძველზე, აღნიშნული გარიგებები ნამდვილია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ნამდვილი იქნებოდა დასაქმებულის ხელფასის თანხების ყადაღა.

– 2. ხელფასის თანხების მიღებაზე დასაქმებულის სავალო მოთხოვნასთან დაკავშირებული რწმუნება (მინდობილობა) უნდა გაიცეს წერილობითი ფორმით. ეს რწმუნებულება (მინდობილობა) ექვემდებარება ნებისმიერ დროს გაუქმებას.

– 3. წინამდებარე მუხლის ნორმებიდან გადახვევა დაუშვებელია.

განყოფილება 7.10.3 – დასვენების დღეები და შვებულება

მუხლი 7:634 დასვენების დღეების დაგროვების უფლება

– 1. თითოეული წლისათვის, როდესაც დასაქმებული უფლებამოსილი იყო ხელფასის მიღებაზე სრული სამუშაო დღისათვის, ეს უკანასკნელი იძენს დასვენების დღეებზე უფლებას, სულ ცოტა, კვირაში შეთანხმებული სამუშაო საათების ოთხმაგი ოდენობით, ხოლო თუკი შეთანხმებული სამუშაო დღის ხანგრძლივობა გამოიხატებოდა საათებში ერთი წლისათვის, – მაშინ, სულ ცოტა, ეკვივალენტური დროის პერიოდით.

– 2. დასაქმებული, ვინც უფლებამოსილი იყო ხელფასის მიღებაზე მხოლოდ არასრული წლისათვის, იძენს დასვენების დღეებზე უფლებას იმ დასვენების დღეების პროპორციულად, რომლებსაც ის შეიძენდა იმ შემთხვევაში, თუკი უფლებამოსილი იქნებოდა ხელფასის მიღებაზე სრული სამუშაო დღისათვის მთელი წლის განმავლობაში.

– 3. პარ. 2-ის ნორმებიდან გადახვევა დასაშვებია კოლექტიური შრომითი ხელშეკრულებით ან სახელმწიფო მმართველობის ორგანოს მიერ ან მისი სახელით მიღებული რეგულაციების საფუძველზე იმ

დასაქმებულებისადმი მიმართებაში, რომელთა შრომითი ხელშეკრულებების მოქმედება წყდება, სულ ცოტა, ერთი თვის განმავლობაში ძალაში ყოფნის შემდეგ იმ გაგებით, რომ მოპოვებული დასვენების დღეების რაოდენობა შეიძლება გამოითვალოს ერთთვიანი პერიოდებისათვის.

მუხლი 7:635 დასვენების დღეზე უფლებათა შექმნის მიმართ მოქმედი კონკრეტული წესები

– 1. 7:634 მუხლისაგან განსხვავებით, დასაქმებულს შეუძლია ასევე შეიძინოს დასვენების დღეებზე უფლება იმ პერიოდისათვისაც, რომლის განმავლობაშიც ის არ იყო უფლებამოსილი ფულადი სახით ხელფასის მიღებაზე იმის გამო, რომ ის:

- a. წვევამდელის სახით გამოძახებულია სამხედრო ან ალტერნატიულ სამსახურში, გარდა შემთხვევითი პრაქტიკის გავლისა და წვრთნისა;
- b. სარგებლობს 7:641 მუხლის პარ. 3-ში მითითებული დასვენების დღეებით;
- c. დამსაქმებლის ნებართვით მონაწილეობს იმ პროფესიული კავშირის მიერ ორგანიზებულ შეხვედრაში, რომლის წევრსაც ის წარმოადგენს;
- d. თავისი ნების საწინააღმდეგოდ უუნაროა, შეასრულოს შეთანხმებული სამუშაო სხვა მიზეზით, გარდა შეზღუდული შესაძლებლობისა, რაც მითითებულია პარ. 2-დან პარ. 4-ის ჩათვლით;
- e. სარგებლობს 7:643 მუხლში მითითებული შვებულებით;
- f. სამუშაოსა და ზრუნვის შესახებ კანონის მე-5 თავის მე-2 განყოფილებაში მითითებული შვებულებით.

– 2. 7:634 მუხლისაგან განსხვავებით, დასაქმებული-ქალი, რომელსაც არ შეუძენია დასვენების დღეებზე უფლება მთლიანი წლისათვის ორსულობისა თუ მშობიარობის გამო, იძენს დასვენების დღეებზე უფლებას იმ სრული სამუშაო დღისათვის, რომლის განმავლობაშიც ის უფლებამოსილი იყო სამუშაოსა და ზრუნვის შესახებ კანონის მე-3 თავის მე-2 განყოფილებაში მითითებულ გადახდაზე.

– 3. 7:634 მუხლისაგან განსხვავებით, დასაქმებული-კაცი ან დასაქმებული-ქალი, რომელსაც არ შეუძენია დასვენების დღეებზე უფლება მთლიანი წლისათვის შვილად აყვანისა თუ აღზრდის მიზნით აღებული შვებულების გამო, იძენს დასვენების დღეებზე უფლებას იმ სრული სამუშაო დღისათვის, რომლის განმავლობაშიც ის უფლებამოსილი იყო სამუშაოსა და ზრუნვის შესახებ კანონის მე-3 თავის მე-2 განყოფილებაში მითითებულ გადახდაზე.

– 4. 7:634 მუხლისაგან განსხვავებით, დასაქმებული, ვინც არ ასრულებს შეთანხმებულ სამუშაოს ავადმყოფობის გამო მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა მას ამ ვადის განმავლობაში ხელფასის მიღების უფლება, დასვენების დღეებზე უფლებას იძენს იმ უკანასკნელი ექვსი თვისათვის, რომელთა განმავლობაშიც ის შრომისუუნარო იყო იმ პირობით, რომ ხდება აღნიშნული ვადების დაჯამება, თუკი ამ ვადების დენა ხდება ერთმანეთის მიყოლებით არაუმეტეს ერთ თვეზე ნაკლები შუალედებით. იმ შემთხვევებში, როდესაც დასაქმებულმა ავადმყოფობის გამო მხოლოდ ნაწილობრივ არ შეასრულა შეთანხმებული სამუშაო, ის იძენს დასვენების დღეებზე უფლებას იმ დღეების პროპორციულად, რომლებსაც დასაქმებული შეიძენდა იმ შემთხვევაში, მას რომ შეესრულებინდა სამუშაო სრული სამუშაო დღის განმავლობაში. თუკი დასაქმებულმა განზრახ დაიავადმყოფა თავი ანდა მისი ავადმყოფობა წარმოადგენს იმ შეზღუდული შესაძლებლობის არსებობის შედეგს, რომლის შესახებაც მან გასცა ცრუ ინფორმაცია თავისი წინასწარი სამედიცინო შემოწმებისას, მაშინ ის ასევე ვერ შეიძენს დასვენების დღეებზე რაიმე უფლებას აღნიშნული ვადის განმავლობაში. დასაქმებულს არა აქვს დასვენების დღეებზე უფლება იმ ვადის განმავლობაშიც, როდესაც დასაქმებულის გამოჯანმრთელება გართულებული ან შენელებული იყო მის მიერ ანდა მისი მხრიდან, იმ ვადის განმავლობაში, როდესაც დასაქმებულმა – მიუხედავად იმისა, რომ მას შესწევდა ამის უნარი, – არ შეასრულა მისთვის დამსაქმებლის მიერ შეთავაზებული და მისი დამსაქმებლის ანდა ამ მიზნით დამსაქმებლის მიერ სოციალური უზრუნველყოფის სააგენტოს თანხმობით დანიშნული მესამე პირის სასარგებლოდ შესასრულებელი შესაფერისი ალტერნატიული სამუშაო, როგორც ეს მითითებულია 7:658a მუხლის პარ. 4-ში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მას აქვს დასაბუთებული მიზეზი, არ შეასრულოს ეს ალტერნატიული სამუშაო, და ასევე – იმ ვადის განმავლობაში, როდესაც მან უარი თქვა, შეესრულებინა მისი დამსაქმებლის ანდა ამ უკანასკნელის მიერ ამ მიზნით დანიშნული ექსპერტის გონივრული მითითებები ან მიეღო მათი შესაბამისი ზომები, რომლებიც მიმართულია იმისკენ, რომ მისცეს მას შესაძლებლობა, შეასრულოს შესაფერისი ალტერნატიული სამუშაო, როგორც ეს მითითებულია 7:658a მუხლის პარ. 4-ში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მას აქვს დასაბუთებული მიზეზი, ადეკვატურად არ უპასუხოს აღნიშნულ მითითებებსა თუ ზომებს.

– 5. ახალგაზრდა დასაქმებული დასვენების დღეებზე უფლებას იძენს იმ ვადის განმავლობაში, რო-

დესაც ის იღებდა განათლებას იმ სფეროში, რომლის მიმართაც მის დამსაქმებელს კანონით ევალება მისცეს მას ამის შესაძლებლობა.

– 6. თუკი შეძენილი დასვენების დღეების რაოდენობა აღემატება 7:634 მუხლში მითითებულ მაქსიმუმს, მაშინ წერილობითი ხელშეკრულების დადებით დასაქმებულის ინტერესების საზიანოდ პარ. 1-დან პარ. 4-ის ჩათვლთ ნორმებიდან გადახვევა დასაშვებია, თუმცაღა – მხოლოდ იმ დასვენების დღეების მიმართ, რომლებიც აღემატება ამ მაქსიმუმს.

მუხლი 7:636 დღეები, რომლებიც მიიჩნევა დასვენების დღეებად

– 1. ის დღეები ან დღის პერიოდები, როდესაც დასაქმებული არ ასრულებდა შეთანხმებულ სამუშაოს 7:635 მუხლის პარ. 1, 4 და 5-ში მითითებული მიზეზის გამო, შეიძლება მიჩნეულ იქნეს დასვენების დღეებად იმ შემთხვევებში, თუკი ყოველ კონკრეტულ ვითარებაში დასაქმებული აღნიშნულს დაეთანხმება იმ პირობით, რომ დასაქმებული, სულ ცოტა, უფლებამოსილი რჩება 7:634 მუხლში მითითებულ დასვენების დღეების მინიმალურ რაოდენობაზე.

– 2. ის დღეები ან დღეების პერიოდები, როდესაც დასაქმებული არ ასრულებდა შეთანხმებულ სამუშაოს 7:635 მუხლის პარ. 3 და 5-ში მითითებული მიზეზის გამო, ვერასოდეს იქნება მიჩნეული დასვენების დღეებად.

მუხლი 7:637 ავადმყოფობა და დასვენების დღეები

– 1. წერილობითი ხელშეკრულებით დასაშვებია შეთანხმება იმის შესახებ, რომ ის დღეები ან დღეების პერიოდები, როდესაც დასაქმებული რომელიმე წელს არ ასრულებდა შეთანხმებულ სამუშაოს 7:635 მუხლის პარ. 4-ში მითითებული მიზეზის გამო, მიჩნეული იქნება დასვენების დღეებად, თუმცაღა – მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც საქმე ეხება ამ წლისათვის შეთანხმებულ იმ დასვენების დღეებზე უფლებას, რომელთა რაოდენობაც აღემატება 7:634 მუხლში მითითებულ მაქსიმუმს.

– 2. დასვენების დღეების სახით უკვე განსაზღვრული ის დღეები ან დღეების პერიოდები, როდესაც დასაქმებული იყო ავად, დასვენების დღეებად არ ჩაითვლება. წინა წინადადების ნორმის გვერდის ავლით წერილობითი ხელშეკრულების დადებით დასაშვებია შეთანხმება იმის შესახებ, რომ რომელიმე წელს დასვენების დღეებად ჩაითვალოს ის განსაზღვრული დღეები ან მათი პერიოდები, როდესაც დასაქმებული იყო ავად, თუმცაღა – მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც საქმე ეხება ამ წლისათვის შეთანხმებულ იმ დასვენების დღეებზე უფლებას, რომელთა რაოდენობაც აღემატება 7:634 მუხლში მითითებულ მაქსიმუმს.

– 3. თუკი რომელიმე წელს გამოიყენებოდა როგორც პარ. 1-ის, ისე პარ. 2-ის მეორე წინადადების ნორმები, მაშინ იმ დღეთა მთლიანი რაოდენობა, რომლებიც ამ პარაგრაფების საფუძველზე აღნიშნულია როგორც დასვენების დღეები, არ უნდა აღემატებოდეს 7:634 მუხლში მითითებულ მინიმუმზე ზევით შეთანხმებული დასვენების დღეებზე უფლებათა რაოდენობას.

მუხლი 7:638 დასვენების დღეების განსაზღვრა

– 1. დამსაქმებელმა დასაქმებულს ყოველ წელს უნდა მისცეს დასვენების დღეებით სარგებლობის შესაძლებლობა იმ მინიმალურ დასვენების დღეებზე უფლებათა შესაბამისად, რაზეც დასაქმებული უფლებამოსილია 7:634 მუხლის საფუძველზე.

– 2. იმდენად, რამდენადაც შრომითი ხელშეკრულება ან სახელმწიფო მმართველობის ორგანოს მიერ ან მისი სახელით მიღებული რეგულაციები ანდა კანონი არ ითვალისწინებს დასვენების დღეების დადგენის წესს, დამსაქმებელმა უნდა განსაზღვროს ის თარიღები, როდესაც დასვენების პერიოდი იწყება და მთავრდება იმ მოთხოვნების შესაბამისად, რომლებსაც ამ მიზნით წარადგენს დასაქმებული, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამ მოთხოვნების დაკმაყოფილების საწინააღმდეგოდ არსებობს მნიშვნელოვანი მიზეზები. თუკი დამსაქმებელმა წერილობით არ მიუთითა ასეთ მნიშვნელოვან მიზეზებზე ორი კვირის განმავლობაში მას შემდეგ, რაც დასაქმებულმა მას წარუდგინა წერილობითი მოთხოვნა, მაშინ დასვენების დრო დგინდება დასაქმებულის მოთხოვნის შესაბამისად.

– 3. მნიშვნელოვანი მიზეზების არსებობისას, დასვენების დრო დადგინდება იმგვარად, რომ დასაქმებულს, თუკი მას ასე სურს, არ მოუწევს სამუშაოს შესრულება ერთდროულად ორი კვირის განმავლობაში ანდა ორჯერ ერთი სრული კვირის განმავლობაში იმდენად, რამდენადაც მას ამ შვებულების დასაფარად საკმარისი რაოდენობის დასვენების დღეები აქვს.

– 4. დამსაქმებელი დასვენების თარიღებს ადგენს მოხერხებულ დროს, რათა დასაქმებულს ჰქონდეს შესაძლებლობა, ჯეროვნად მოემზადოს დასასვენებლად.

– 5. დამსაქმებელს დასაქმებულთან კონსულტაციის შემდეგ შეუძლია შეცვალოს უკვე დადგენილი დასვენების ვადები იმ პირობით, რომ სახეზეა ასეთი მოქმედების მნიშვნელოვანი მიზეზები. დასაქმებულის მიერ უკვე დადგენილი დასვენების ვადის შეცვლის შედეგად განცდილი ზიანი უნდა ანაზღაურდეს დამსაქმებლის მიერ.

– 6. დამსაქმებელი ვალდებულია დასაქმებულს მიანიჭოს დარჩენილი დასვენების დღეების ან საათების უფლება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამის სანინაალმდეგოდ არსებობს მნიშვნელოვანი მიზეზები.

– 7. თუკი შეძენილი დასვენების დღეების რაოდენობა აღემატება 7:634 მუხლში მითითებულ მინიმუმს, წერილობითი ხელშეკრულებით დასაქმებულის ინტერესების საზიანოდ დასაშვებია პარ. 2-ში მითითებული დასვენების პერიოდების შეცვლა, თუმცაღა – მხოლოდ იმ ოდენობით, რაც აღემატება აღნიშნულ მინიმუმს.

მუხლი 7:639 დასვენების დღეებში ხელფასის მიღების უფლება

– 1. დასაქმებული ინარჩუნებს დასვენების დღეებში კუთვნილი ხელფასის მიღების უფლებას.

– 2. თუკი კოლექტიური შრომითი ხელშეკრულება ან სახელმწიფო მმართველობის ორგანოს მიერ ან მისი სახელით მიღებული რეგულაციები ითვალისწინებს შესაბამის წესს, დამსაქმებელს შეუძლია შეასრულოს მასზე დაკისრებული ხელფასის გადახდის ვალდებულება დასვენების პერიოდის განმავლობაში დასაქმებულისათვის როგორც სამოგზაურო ჩეკების მიცემით, რომელთა განაღდებაც მოხდება ფონდის მიერ, ისე – ფონდისათვის გადახდების განხორციელებით, რომლის შედეგადაც დასაქმებული იძენს ეკვივალენტურ უფლებებს. წინამდებარე მუხლის მიზნებისათვის სამოგზაურო ჩეკები განიხილება როგორც ხელფასი.

მუხლი 7:640 გამოუყენებელი დასვენების დღეების ანაზღაურება

– 1. მანამდე, სანამ შრომითი ხელშეკრულება ძალაშია, დასაქმებული ვერ იტყვის უარს კუთვნილ დასვენების დღეებზე საკომპენსაციო საზღაურის სანაცვლოდ.

– 2. თუკი შეძენილი დასვენების დღეების რაოდენობა აღემატება 7:634 მუხლში მითითებულ მინიმუმს, წერილობითი ხელშეკრულებით დასაშვებია პარ. 2-ში მითითებული დასვენების პერიოდების შეცვლა, თუმცაღა – მხოლოდ იმ ოდენობით, რაც აღემატება აღნიშნულ მინიმუმს.

მუხლი 7:641 გამოუყენებელი დასვენების დღეები შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისას

– 1. როდესაც შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისას დასაქმებულს ჯერ კიდევ არა აქვს გამოყენებული ყველა თავისი არსებული დასვენების დღე, მას აქვს უფლება, მიიღოს ფულადი სახით ხელფასი იმ პერიოდისათვის, რომელიც უტოლდება დღეებსა თუ საათებში გამოხატულ დარჩენილ დასვენების დღეებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გამოიყენება 7:639 მუხლის პარ. 2-ის ნორმები.

– 2. დამსაქმებელმა დასაქმებულს უნდა გადასცეს წერილობითი განცხადება, რომელშიც მითითებული იქნება, თუ რამდენი დღისა და საათის გამოყენება შეუძლია კიდევ ამ უკანასკნელს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისას დასვენების დღეების/საათების სახით მის მიერ გამოუყენებელ დასვენების დღეებთან დაკავშირებით.

– 3. თუკი დასაქმებული შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ დებს ახალ შრომით ხელშეკრულებას, მაშინ ის ახალი დამსაქმებლის მიმართ უფლებამოსილია, ისარგებლოს მის მიერ გამოუყენებელი დასვენების დღეებით, როგორც ეს დასვენების დღეების სახით აღნიშნულია მის პარ. 2-ში მითითებული წინა დამსაქმებლის წერილობით განცხადებაში, თუმცაღა – ახალი დამსაქმებლის მიმართ ამ დღეებისათვის ხელფასის მიღების უფლების გარეშე.

– 4. წერილობითი ხელშეკრულების დადებით დასაშვებია პარ. 3-ის ნორმებიდან გადახვევა იმ პირობით, რომ დასაქმებული, სულ ცოტა, უფლებამოსილი დარჩება, ისარგებლოდ 7:634 მუხლში მითითებული მინიმალური დასვენების დღეებით.

მუხლი 7:642 დასვენების დღეებზე უფლების ხანდაზმულობის ვადა

დასვენების დღეების მიღებაზე სარჩელის უფლების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს ხუთ წელს, რომელიც აითვლება იმ უკანასკნელი კალენდარული დღიდან, როდესაც მოხდა დასვენების დღეებზე უფლების შექცევა.

მუხლი 7:643 აუნაზღაურებელი შვებულება პოლიტიკაში წასვლის გამო

– 1. დასაქმებულს შეუძლია მოითხოვოს, რომ დამსაქმებელმა მას მისცეს შვებულება მისი არყოფნისას ხელფასის მიღებაზე უფლების გარეშე გენერალური შტატების (პარლამენტის) პირველი პალატის სხდომებზე დასწრებისათვის, უშუალოდ ხალხის მიერ არჩეული წარმომადგენლობითი სახელმწიფო ორგანოების სხდომებზე დასწრებისათვის, თუმცა, – გენერალური შტატების მეორე პალატისა (თემთა პალატის) და აღნიშნული წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ შექმნილი კომისიების სხდომებზე დასწრების გარდა. აღნიშნული ნორმა მოქმედებს ასევე იმ დასაქმებულის მიმართაც, ვინც წარმომადგენს წყლის რესურსების ზოგადი მართვის განმახორციელებელი სახელმწიფო უწყების წევრს.

– 2. თუკი დამსაქმებელი და დასაქმებული ვერ თანხმდებიან აღნიშნულ შვებულებასთან დაკავშირებულ საკითხზე, მაშინ სასამართლო ყველაზე მეტად დაინტერესებული მხარის მოთხოვნის საფუძველზე ადგენს, თუ რა ხნით უნდა იქნეს ეს შვებულება მიცემული. თავისი გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლო ადგენს, თუ რა ხნით შეიძლება დამსაქმებელი გონივრულად ეთანხმებოდეს დასაქმებულის არყოფნას იმ ფაქტთან დაკავშირებული მნიშვნელობის გათვალისწინებით, რომ დასაქმებულს შეუძლია დაესწროს პარ. 1-ში მითითებულ კრებებს. სასამართლოს გადაწყვეტილება ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღსრულებას.

– 3. პარ. 1 და 2-ის ნორმები შესაბამისად გამოიყენება პროვინციების აღმასრულებელი ხელისუფლების, მუნიციპალიტეტის კოლეგიებისა და წყლის რესურსების საკითხებზე აღმასრულებელი საბჭოს იმ წევრების მიმართ, რომელთა თანამდებობაც არ მიიჩნევა სრულად ანაზღაურებად თანამდებობად. მეფის სამთავრობო ბრძანებით დგინდება, თუ პროვინციების აღმასრულებელი ხელისუფლებისა და კოლეგიების რომელი წევრები ჩაითვლებიან სრულად ანაზღაურებად თანამდებობად წინამდებარე მუხლის მიზნებისათვის.

– 4. წინამდებარე მუხლის ნორმები არ მოქმედებს დასაქმებულთა იმ ჯგუფების მიმართ, რომელთათვისაც მთავრობის მიერ ანაზღაურებულ ხელფასთან დაკავშირებით სხვაგვარი რეგულაციები იქნა მიღებული კანონის საფუძველზე ან მის შესაბამისად.

მუხლი 7:644 {გაუქმებულია 01.12.2001წ.}

მუხლი 7:645 კანონის იმპერატიული ნორმები

დასაქმებულის ინტერესების საზიანოდ 7:634 მუხლიდან 7:643 მუხლის ჩათვლით ნორმებიდან გადახვევა დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი გადახვევა დაშვებულია თავად აღნიშნული მუხლების საფუძველზე.

განყოფილება 7.10.4 – თანასწორი მოპყრობა

მუხლი 7:646 გენდერულ საფუძველზე დისკრიმინაციის დაუშვებლობა (თანასწორობა კაცსა და ქალს შორის)

– 1. დამსაქმებელს ეკრძალება კაცებსა და ქალებს შორის დისკრიმინაციული მიდგომა როგორც შრომითი ხელშეკრულების დადებისას, ისე დასაქმებულებისათვის შესაბამისი ტრენინგის ჩატარებისას, დასაქმების პირობების განსაზღვრისას, დანიშნულების საკითხის გადაწყვეტისა თუ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისას.

– 2. იმდენად, რამდენადაც საქმე ეხება შრომითი ხელშეკრულების სუბიექტებს ან ტრენინგის ორგანიზებას, დასაშვებია პარ. 1-ის ნორმებიდან გადახვევა, თუკი დისკრიმინაცია ეფუძნება გენდერთან დაკავშირებულ ისეთ ნიშან-თვისებებს, რომლებიც კონკრეტული შესასრულებელი სამუშაოს ბუნებისა თუ იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რომლიდან გამომდინარეც ეს სამუშაო უნდა შესრულდეს, ქმნის არსებით და გადამწყვეტ პროფესიონალურ მოთხოვნას იმ პირობით, რომ მიზანი არის ლეგიტიმური და რომ მოთხოვნა ამ მიზნის პროპორციულია. შესაბამისად გამოიყენება თანასწორი მოპყრობის (კაცები და ქალები) შესახებ კანონის მე-5 განყოფილების მე-3 ქვეგანყოფილების ნორმები.

– 3. დასაშვებია პარ. 1-ის ნორმებიდან გადახვევა, თუკი საქმე ეხება ქალების დაცვასთან დაკავშირებულ პირობებსა თუ დათქმებს, კერძოდ კი, – ორსულობასა თუ დედობასთან დაკავშირებულ შემთხვევებს.

– 4. დასაშვებია პარ. 1-ის ნორმებიდან გადახვევა, თუკი საქმე ეხება იმ პირობებსა თუ დათქმებს, რომლებიც მიმართულია ქალი-დასაქმებულების პრივილეგირებულ მდგომარეობაში ჩაყენებისაკენ იმ

მიზნით, რომ აღმოიფხვრას ან შემცირდეს არსებული უარყოფითი მხარეები, ხოლო დისკრიმინაცია კი გონივრულ შესაბამისობაშია ამ მიზანთან.

– 5. წინამდებარე მუხლში:

a. „დისკრიმინაციის“ ქვეშ მოიაზრება პირდაპირი ან არაპირდაპირი დისკრიმინაცია, ისევე როგორც – ასეთი დისკრიმინაციის გამოყენების მითითება.

b. „პირდაპირი დისკრიმინაციის“ ქვეშ მოიაზრება ისეთი ვითარება, როდესაც პირს მისი სქესის გამო ეპყრობიან ან მომავალში მოეპყრობიან განსხვავებულად ანალოგიურ ვითარებაში არსებულ სხვა პირთან შედარებით იმ პირობით, რომ არაპირდაპირი დისკრიმინაცია მოიცავს ასევე დისკრიმინაციას ორსულობის, მშობიარობისა თუ დედობის გამო.

c. „არაპირდაპირი დისკრიმინაციის“ ქვეშ მოიაზრება ისეთი ვითარება, როდესაც ამკარად ნეიტრალური ნორმა, სტანდარტი ან მეთოდი, სხვა პირებთან შედარებით, ეხება განსაზღვრული გენდერის კონკრეტულ პირებს.

– 6. წინამდებარე მუხლში მოცემული პირდაპირი დისკრიმინაციის აკრძალვა მოიცავს ასევე ადევნებისა და სექსუალური შევიწროვების აკრძალვასაც.

– 7. პარ. 6-ში მითითებული „დაშინების“ ქვეშ მოიაზრება: პირის გენდერთან დაკავშირებული ქცევა, რომლის მიზანს ან შედეგს წარმოადგენს პირის ღირსების შელახვა და ასევე დაშინების, მტრული, დამამცირებელი, შეურაცხმყოფელი ან ჩაგვრის გარემოს შექმნა.

– 8. პარ. 6-ში მითითებული „სექსუალური შევიწროვების“ ქვეშ მოიაზრება: სექსუალური ბუნების მქონე ნებისმიერი ფორმის ვერბალური, არავერბალური ან ფიზიკური ქცევა, რომლის მიზანს ან შედეგს წარმოადგენს პირის ღირსების შელახვა, განსაკუთრებით კი, – როდესაც ხდება დაშინების, მტრული, დამამცირებელი, შეურაცხმყოფელი ან ჩაგვრის გარემოს შექმნა.

– 9. დაუშვებელია დამსაქმებლის მიერ იმ დასაქმებულის მიმართ ცუდი მოპყრობა, ვინც ეწინააღმდეგება ანდა პასიურად ემორჩილება პარ. 7 და 8-ში მითითებულ ქცევას.

– 10. პარ. 1-ში მოცემული დისკრიმინაციის აკრძალვის წესი არ მოქმედებს იმ არაპირდაპირი დისკრიმინაციის მიმართ, რომელიც ობიექტურად გამართლებულია ლეგიტიმური მიზნით და ამ უკანასკნელის მიღწევის საშუალებები სათანადო და აუცილებელია.

– 11. პარ. 1-ის საწინააღმდეგო სახელშეკრულებო დებულება ბათილია.

– 12. თუკი პირი ფიქრობს, რომ ის დისკრიმინირებულია ან მის მიმართ განხორციელდა დისკრიმინაციული ქმედება, როგორც ეს მითითებულია წინამდებარე მუხლში, და მას სასამართლოში მოჰყავს ფაქტები, რომლებიც ქმნის პრეზუმფციას იმისა, რომ ასეთ დისკრიმინაციას მართლაც ჰქონდა ადგილი, მაშინ მეორე მხარემ უნდა დაამტკიცოს, რომ ის არ მოქმედებდა წინამდებარე მუხლის ნორმების საწინააღმდეგოდ.

– 13. პარ. 2 და 3-ის ნორმები არ მოქმედებს პარ. 6-ში მითითებული ადევნებისა და სექსუალური შევიწროვების აკრძალვის მიმართ.

მუხლი 7:647 იმ დასაქმებულების მიმართ ცუდი მოპყრობის დაუშვებლობა, რომლებიც უთითებენ დისკრიმინაციის დაუშვებლობაზე

– 1. საცილოა დამსაქმებლის მიერ 7:646 მუხლის პარ. 1-ის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა იმ საფუძველზე, რომ დასაქმებულმა 7:646 მუხლის პარ. 1-ის ნორმებზე მიუთითა სასამართლოში ან სხვაგვარად ანდა – რომ მან სხვას გაუწია ამ მიზნით დახმარება.

– 2. თუკი დასაქმებული არ უთითებს წინა პარაგრაფში აღნიშნულ საცილოობის საფუძველზე შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტიდან ორი თვის განმავლობაში, მაშინ ეს უფლება ქარწყლდება. სამოქალაქო კოდექსის 3:55 მუხლი არ გამოიყენება.

– 3. წინამდებარე მუხლში მითითებული საცილო ხელშეკრულების შეწყვეტასთან დაკავშირებული სარჩელის უფლების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს ექვს თვეს, რომელიც აითვლება იმ დღიდან (ხელშეკრულების შეწყვეტის თარიღიდან), როდესაც შრომითი ხელშეკრულება შეწყდა ერთ-ერთი მხარის შეცობინებით.

– 4. 7:646 მუხლის პარ. 1-ში გათვალისწინებული ხელშეკრულების შეწყვეტისას დამსაქმებელი არ არის პასუხისმგებელი დამდგარი ზიანისათვის.

– 5. დამსაქმებლის მხრიდან დასაქმებულის მიმართ ცუდ მოპყრობას ვერ ექნება ადგილი იმ ფაქტის გამო, რომ ამ უკანასკნელმა მიუთითა 7:646 მუხლის პარ. 1-ის ნორმებზე სასამართლოში ან სხვაგვარად ანდა მან სხვას გაუწია ამ მიზნით დახმარება.

მუხლი 7:648 დისკრიმინაციის დაუშვებლობა სამუშაო დროის საფუძველზე (სრული განაკვეთი/ნახევარი განაკვეთი)

– 1. იმ პირობებში, რომელთა არსებობისას იდება, გახანგრძლივდება ან წყდება შრომითი ხელშეკრულება, დამსაქმებლებს ეკრძალებათ დასაქმებულებს შორის დისკრიმინაციული მიდგომა შეთანხმებულ სამუშაო საათებში სხვაობის გამო (სრული განაკვეთი/ნახევარი განაკვეთი), გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი დისკრიმინაცია ობიექტურად გამართლებულია. საცილოა დამსაქმებლის მიერ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა წინა წინადადების მოთხოვნათა დარღვევით ანდა – იმ ფაქტის გამო, რომ დასაქმებულმა მიუთითა წინა წინადადების ნორმებზე სასამართლოში ან სხვაგვარად ანდა მან სხვას გაუწია ამ მიზნით დახმარება. გამოიყენება ასევე 7:647 მუხლის პარ. 2 და 3-ის ნორმებიც.

– 2. პარ. 1-ის სანინაალმდეგო სახელშეკრულებო დებულება ან დათქმა ბათილია.

– 3. პარ. 1-ის პირველ წინადადებაში გათვალისწინებული ხელშეკრულების შეწყვეტისას დამსაქმებელი არ არის პასუხისმგებელი დამდგარი ზიანისათვის.

– 4. ადამიანის უფლებათა კომისიის შესახებ კანონის 1-ლ მუხლში მითითებულ კომისიას შეუძლია შეამოწმოს, აქვს ანდა ჰქონდა თუ არა ადგილი პარ. 1-ში მითითებულ დისკრიმინაციას. შესაბამისად გამოიყენება ადამიანის უფლებათა კომისიის შესახებ კანონის მე-10, მე-12, მე-13, 22-ე და 23-ე მუხლების ნორმები.

– 5. დამსაქმებლის მხრიდან დასაქმებულის მიმართ ცუდ მოპყრობას ვერ ექნება ადგილი იმ ფაქტის გამო, რომ ამ უკანასკნელმა მიუთითა პარ. 1-ის ნორმებზე სასამართლოში ან სხვაგვარად ანდა მან სხვას გაუწია ამ მიზნით დახმარება.

მუხლი 7:649 დისკრიმინაციის დაუშვებლობა განუსაზღვრელი ან განსაზღვრული ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულებების საფუძველზე

– 1. შრომითი პირობების არსებობისას დამსაქმებლებს ეკრძალებათ დასაქმებულებს შორის დისკრიმინაცია იმისდა მიხედვით, დადებულია თუ არა მათი შრომითი ხელშეკრულებები განუსაზღვრელი ან განსაზღვრული ვადით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი დისკრიმინაცია ობიექტურად გამართლებულია.

– 2. საცილოა დამსაქმებლის მიერ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა იმ ფაქტის გამო, რომ დასაქმებულმა მიუთითა პარ. 1-ის ნორმებზე სასამართლოში ან სხვაგვარად ანდა მან სხვას გაუწია ამ მიზნით დახმარება. გამოიყენება ასევე 7:647 მუხლის პარ. 2 და 3-ის ნორმებიც.

– 3. პარ. 1-ის სანინაალმდეგო სახელშეკრულებო დებულება ან დათქმა ბათილია.

– 4. ადამიანის უფლებათა კომისიის შესახებ კანონის 1-ლ მუხლში მითითებულ კომისიას შეუძლია შეამოწმოს, აქვს ანდა ჰქონდა თუ არა ადგილი პარ. 1-ში მითითებულ დისკრიმინაციას. შესაბამისად გამოიყენება ადამიანის უფლებათა კომისიის შესახებ კანონის მე-10, მე-12, მე-13, 22-ე და 23-ე მუხლების ნორმები.

– 5. დამსაქმებლის მხრიდან დასაქმებულის მიმართ ცუდ მოპყრობას ვერ ექნება ადგილი იმ ფაქტის გამო, რომ ამ უკანასკნელმა მიუთითა პარ. 1-ის ნორმებზე სასამართლოში ან სხვაგვარად ანდა მან სხვას გაუწია ამ მიზნით დახმარება.

– 6. პარ. 1-დან 5-ის ჩათვლით ნორმები არ გამოიყენება 7:690 მუხლში გათვალისწინებული დასაქმებულის მესამე პირთან მივლინების მიმართ.

განყოფილება 7.10.5 – შრომით ხელშეკრულებაში გათვალისწინებული ზოგიერთი სპეციალური დათქმა

მუხლი 7:650 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო

– 1. დამსაქმებელს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია დაადგინოს პირგასამტეხლო შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის დარღვევისათვის, თუკი თავად ხელშეკრულებაში მითითებულია, რომ ამ კონკრეტული სახელშეკრულებო პირობის დარღვევის შედეგად მოხდება პირგასამტეხლოს თანხის დაკისრება და ასევე – კონკრეტული თანხით.

– 2. ხელშეკრულება, რომელშიც მხარეებმა გაითვალისწინეს პირგასამტეხლოს შესახებ დათქმა, უნდა დაიდოს წერილობით.

– 3. ხელშეკრულებაში, რომელშიც მხარეებმა გაითვალისწინეს პირგასამტეხლოს შესახებ დათქმა,

უნდა მიეთითოს ზუსტად, თუ როგორ იქნება გამოყენებული მიღებული პირგასამტეხლოს თანხა. პირგასამტეხლოს შედეგი ვერ იქნება ის, რომ დამსაქმებელი ან ის პირი, რომელსაც დამსაქმებელმა მიანიჭა დასაქმებულისათვის პირგასამტეხლოს დაკისრების უფლება, ამის გამო იძენს პერსონალურ უპირატესობას.

– 4. შრომით ხელშეკრულებაში გათვალისწინებული ყოველი პირგასამტეხლო უნდა აისახოს კონკრეტულ თანხაში, რომელიც გამოიხატება იმავე ვალუტაში, რომელშიც განსაზღვრულია ხელფასი.

– 5. ერთკვირიანი ვადის განმავლობაში დამსაქმებელი ვერ დააკისრებს დასაქმებულს პირგასამტეხლოებს იმაზე მეტი თანხის ოდენობით, რაც შეადგენს დასაქმებულის დღიური ხელფასის ნახევარს. დაუშვებელია ცალკე პირგასამტეხლოს დადგენა დასაქმებულის დღიური ხელფასის ნახევარზე მეტი თანხის ოდენობით.

– 6. წინამდებარე მუხლის ნორმების საწინააღმდეგო ყოველი სახელშეკრულებო დებულება ბათილია. თუმცა, ნერილობითი ხელშეკრულების დადებით დასაშვებია პარ. 3, 4 და 5-ის ნორმებიდან გადახვევა იმდენად, რამდენადაც საქმე ეხება იმ დასაქმებულებს, რომელთა ფულადი სახით ხელფასის ოდენობა აჭარბებს იმავე ასაკის დასაქმებულებისათვის კანონით დადგენილ ხელფასის მინიმალურ ოდენობას. თუ ნორმებიდან ასეთი გადახვევა მოხდა, მაშინ სასამართლოს ნებისმიერ დროს შეუძლია დაადგინოს პირგასამტეხლო უფრო ნაკლები თანხის ოდენობით, თუკი ის მიიჩნევს, რომ დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობა გადამეტებულია.

– 7. თუკი შემდგომში პარ. 6-ში მითითებული ხელფასის ოდენობა იცვლება, მაშინ პარ. 3, 4 და 5-ის ნორმების საწინააღმდეგო სახელშეკრულებო დებულებების მოქმედება ჩერდება იმ დასაქმებულის მიმართ, რომლის ფულადი სახით ხელფასის ოდენობა არ აღემატება მინიმალური ხელფასის შეცვლილ ოდენობას.

– 8. წინამდებარე მუხლის მიზნებისათვის პირგასამტეხლოს დადგენა და შესაბამისი დათქმა მოიცავს ისეთ ვითარებას, როდესაც დამსაქმებელმა ხელშეკრულებაში გაითვალისწინა 6:91 მუხლიდან 6:94 მუხლის ჩათვლით ნორმებში მითითებული პირგასამტეხლო.

მუხლი 7:651 სახელშეკრულებო პირგასამტეხლო და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება

– 1. სახელშეკრულებო პირგასამტეხლოს დაკისრების შესაძლებლობა გავლენას არ ახდენს კანონის ძალით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე. თუმცა, დამსაქმებელს არ შეუძლია ერთი და იგივე ფაქტის საფუძველზე მოახდინოს სახელშეკრულებო პირგასამტეხლოს დაკისრება და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაც.

– 2. პარ. 1-ის მეორე წინადადების ნორმის საწინააღმდეგო ყოველი სახელშეკრულებო დებულება ბათილია.

მუხლი 7:652 გამოსაცდელი ვადა

– 1. თუ მხარეები შეთანხმდნენ გამოსაცდელ ვადაზე, ის ორივე მხარისათვის თანაბარი უნდა იყოს.

– 2. გამოსაცდელ ვადაზე შეთანხმება იდება ნერილობით.

– 3. განუსაზღვრელი ვადით შრომითი ხელშეკრულების დადებისას გამოსაცდელ ვადაზე შეთანხმება დასაშვებია არაუმეტეს ორი თვისა.

– 4. განსაზღვრული ვადით შრომითი ხელშეკრულების დადებისას გამოსაცდელ ვადაზე შეთანხმება დასაშვებია არაუმეტეს:

a. ერთი თვისა, თუკი ხელშეკრულების შეთანხმებული ხანგრძლივობა ორ წელზე ნაკლებია;

b. ორი თვისა, თუკი ხელშეკრულების შეთანხმებული ხანგრძლივობა ორი წელი ან მეტია.

– 5. თუკი განსაზღვრული ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა არ იქნა დადგენილი კალენდარული თარიღისათვის, დასაშვებია შეთანხმება არაუმეტეს ერთთვიანი გამოსაცდელი ვადისა.

– 6. დასაქმებულის ინტერესების საზიანოდ პარ. 4-ის (b) პუნქტისა და პარ. 5-ის ნორმებიდან გადახვევა დასაშვებია მხოლოდ კოლექტიური შრომითი ხელშეკრულებით ან კომპეტენტური სახელმწიფო მმართველობის ორგანოს მიერ ან მისი სახელით მიღებული რეგულაციების საფუძველზე.

– 7. ბათილია ყოველი სახელშეკრულებო დებულება, რომლის თანახმადაც გამოსაცდელი ვადა ორივე მხარისათვის არ არის ერთი და იგივე ანდა ის დადგენილია ორ თვეზე მეტი ვადით; ასევე ბათილია ყოველი სახელშეკრულებო დებულება, რომლის თანახმადაც ახალი გამოსაცდელი ვადის ამოქმედებისას ერთობლივი გამოსაცდელი ვადების საერთო ხანგრძლივობა აღემატება ორთვიან ვადას.

მუხლი 7:653 კონკურენციის დაუშვებლობის შესახებ დათქმა

– 1. დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის შეთანხმებული სახელშეკრულებო დებულება, რომლითაც შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ იზღუდება განსაზღვრული სახით დასაქმებულის მუშაობის უფლება, ნამდვილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი დამსაქმებელი ზრდასრულ დასაქმებულს ამაზე შეუთანხმდა წერილობითი ფორმით.

– 2. სასამართლოს შეუძლია სრულად ან ნაწილობრივ გააბათილოს ზემოაღნიშნული სახელშეკრულებო დებულება იმ საფუძველზე, რომ დასაქმებული უსამართლოდ არახელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდა ამ დებულების მოქმედების შედეგად დამსაქმებლის იმ ინტერესებთან შედარებით, რომელთა დაცვაც ხდება აღნიშნული დებულებით.

– 3. როდესაც დამსაქმებელი პასუხისმგებელია ზიანისათვის იმ პროცედურის გამო, რაც უკავშირდება შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტას, ის ვერ შეიძენს რაიმე უფლებას პარ. 1-ში მითითებული სახელშეკრულებო დებულებიდან.

– 4. თუკი პარ. 1-ში მითითებული სახელშეკრულებო დებულება ქმნის მნიშვნელოვან წინააღმდეგობას დასაქმებულისათვის დამსაქმებლის სამსახურის მიღმა არსებული სამუშაოს შესრულებისათვის, სასამართლოს ნებისმიერ დროს შეუძლია დაადგინოს, რომ შეზღუდვის ვადის განმავლობაში დამსაქმებელს დაევალოს დასაქმებულისათვის საკომპენსაციო თანხის გადახდა. სასამართლო განსაზღვრავს ამ საკომპენსაციო თანხის ოდენობას სამართლიანობის პრინციპის შესაბამისად კონკრეტული საქმის გარემოებათა გათვალისწინებით; მას შეუძლია დართოს დამსაქმებელს ნება, გადაიხადოს ეს საკომპენსაციო თანხა ნაწილ-ნაწილ სასამართლოს მიერ დადგენილი წესითა და ოდენობით. როდესაც დასაქმებული პასუხისმგებელია ზიანისათვის იმ პროცედურის გამო, რაც უკავშირდება შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტას, მაშინ დამსაქმებელს ვერ დაეკისრება ზემოაღნიშნული საკომპენსაციო თანხის გადახდა.

განყოფილება 7.10.6 – დამსაქმებლის კონკრეტული ვალდებულებები

მუხლი 7:654 წერილობითი შრომითი ხელშეკრულების დადების ხარჯები

– 1. წერილობითი ფორმით შრომითი ხელშეკრულების დადებისა თუ შეცვლისას წერილობითი ხელშეკრულების ან წერილობითი ცვლილების ხარჯები და ასევე სხვა დამატებითი ხარჯები ეკისრება დამსაქმებელს.

– 2. დამსაქმებელი ვალდებულია დასაქმებულს ყოველგვარი საზღაურის გარეშე გადასცეს წერილობითი ხელშეკრულების ან წერილობითი ცვლილების დასრულებული და ხელმოწერილი ასლი.

მუხლი 7:655 დამსაქმებლის მიერ დასამებულისათვის კონკრეტული ინფორმაციის მიწოდების მოვალეობა

– 1. დამსაქმებელი ვალდებულია დასაქმებულს მიაწოდოს წერილობითი ან ელექტრონული დეკლარაცია, რომელშიც მოცემული იქნება, სულ ცოტა, შემდეგი ინფორმაცია:

a. ორივე მხარის დასახელება და დომიცილი;

b. ადგილი ან ადგილები, სადაც უნდა შესრულდეს სამუშაო;

c. დასაქმებულის თანამდებობა ანდა მის მიერ შესასრულებელი სამუშაოს სახე;

d. სამუშაოს დაწყების თარიღი, რომლიდანაც დასაქმებული რეალურად იქნება დამსაქმებლის სამსახურში;

e. თუკი შრომითი ხელშეკრულება დადებულია განსაზღვრული ვადით: ხელშეკრულების მოქმედების ხანგრძლივობა;

f. დასვენების დღეებზე უფლება ანდა დასვენების დღეებზე უფლებათა განსაზღვრის წესი;

g. ხელშეკრულების შეწყვეტის შეტყობინების ვადა ორივე მხარისათვის ანდა ამ შეტყობინების ვადების მოქმედების განსაზღვრის წესი;

h. ხელფასის თანხა და ის ვადა, რომლის განმავლობაშიც ეს თანხა უნდა იქნეს გადახდილი, ხოლო როდესაც ხელფასის თანხის ოდენობა დამოკიდებულია შესრულებული სამუშაოს შედეგზე, – სამუშაოს შეთავაზებულ მოცულობა დღესა თუ კვირაში, ხელფასის თანხის ოდენობას თითოეული წარმოებული ერთეულისათვის და ასევე დრო, რომელიც გონივრულად აუცილებელია ასეთი ერთეულის დამზადებისათვის;

i. სტანდარტული სამუშაო საათები დღესა თუ კვირაში;

ქ. ჩაერთვება თუ არა დასაქმებული საპენსიო სქემაში;

კ. თუკი დასაქმებული იმუშავებს ნიდერლანდების ტერიტორიის ფარგლებს გარეთ ერთ თვეზე მეტი ვადით: ამ ვადის ხანგრძლივობა, შესაბამისი საცხოვრებელი ადგილი, ჰოლანდიური დაზღვევის კანონების მოქმედება ანდა ამ კანონების რეალიზაციაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო ორგანოების განსაზღვრა, ვალუტა, რომელშიც უნდა იქნეს გადახდილი ხელფასის თანხა, საკომპენსაციო თანხები, რომელთა მიღებაზეც უფლებამოსილია დასაქმებული და ასევე სამშობლოში მოგზაურობის მომწესრიგებელი წესები;

ლ. შესაბამისი კოლექტიური შრომითი ხელშეკრულება ან ამ მიზნით სახელმწიფო მმართველობის ორგანოს მიერ ან მისი სახელით მიღებული რეგულაციები;

მ. წარმოადგენს თუ არა შრომითი ხელშეკრულება 7:690 მუხლში გათვალისწინებულ დასაქმებულის შესამე პირთან (დროებით) მივლინების ხელშეკრულებას.

– 2. იმდენად, რამდენადაც პარ. 1-ის (ა) პუნქტიდან (ი) პუნქტის ჩათვლით ნორმებში მითითებული მონაცემები მოცემულია წერილობითი ფორმით დადებულ შრომით ხელშეკრულებაში ანდა 7:646 მუხლში მითითებულ საგადახდო ბლანკში, პარ. 1-ში აღნიშნული წერილობითი დეკლარაციის მიწოდება აღარ მოითხოვება. რამდენადაც პარ. 1-ის (ფ) პუნქტიდან (ი) პუნქტის ჩათვლით ნორმებში მითითებული მონაცემები მოცემულია შესაბამისი კოლექტიურ შრომით ხელშეკრულებაში ან ამ მიზნით სახელმწიფო მმართველობის ორგანოს მიერ ან მისი სახელით მიღებულ რეგულაციებში, საკმარისია წერილობითი დეკლარაცია უთითებდეს ამ კოლექტიურ შრომით ხელშეკრულებასა თუ რეგულაციებზე.

– 3. დამსაქმებელი დეკლარაციის მიწოდებას ახდენს ერთი თვის განმავლობაში მას შემდეგ, რაც დასაქმებული ფაქტობრივად შეუდგება სამუშაოს შესრულებას, ხოლო თუკი შრომითი ხელშეკრულება წყდება ამ მომენტამდე, მაშინ – არაუგვიანეს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისა. პარ. 1-ის (კ) პუნქტში მითითებული მონაცემების მიწოდება უნდა მოხდეს დასაქმებულის სამსახურიდან წასვლამდე. დეკლარაციას ხელს აწერს დამსაქმებელი. თუ დეკლარაციის წარდგენა ხდება ელექტრონულად, ის უნდა შეიცავდეს ელექტრონულ ხელმოწერას, რომელიც აკმაყოფილებს 3:15a მუხლის პარ. 2-ის მოთხოვნებს. მონაცემთა ცვლილების შესახებ უნდა შეატყობინონ წერილობით ან ელექტრონულად ამ ცვლილების ძალაში შესვლის შემდეგ ერთი თვის განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ცვლილება წარმოადგენს კანონმდებლობის ან კოლექტიურ შრომით ხელშეკრულებაში ან ამ მიზნით სახელმწიფო მმართველობის ორგანოს მიერ ან მისი სახელით მიღებულ რეგულაციებში შეტანილი ცვლილებების შედეგს.

– 4. როდესაც საქმე ეხება შრომით ხელშეკრულებას, რომლის ძალითაც დასაქმებული მთლიანობაში ოთხ დღეზე ნაკლები ვადით ექსკლუზიურად ან თითქმის ექსკლუზიურად მუშაობს ფიზიკური პირი დამსაქმებლის საოჯახო მეურნეობაში, მაშინ ეს უკანასკნელი მხოლოდ იმ შემთხვევაში არის ვალდებული, მიანოდოს მას პარ. 1-ში მითითებული ინფორმაცია, თუკი დასაქმებულმა ეს მოითხოვა.

– 5. დამსაქმებელი, ვინც უარს ამბობს წერილობითი დეკლარაციის მიწოდებაზე ანდა რომელმაც მასში შეიტანა უზუსტო ინფორმაცია, პასუხისმგებელია დასაქმებულის წინაშე ამის შედეგად გამოწვეული ზიანისათვის.

– 6. პარ. 1-დან პარ. 5-ის ჩათვლით ნორმები შესაბამისად გამოიყენება იმ ჩარჩო ხელშეკრულების მიმართ, რომელიც წინასწარ აწესრიგებს გამოძახებით მუშაობასთან დაკავშირებით დასაძებნი ერთი ან რამდენიმე შრომითი ხელშეკრულების დასაქმების პირობებს და ასევე – სხვა ხელშეკრულებების მიმართ, ნაცვლად შრომითი ხელშეკრულებებისა, მიუხედავად იმისა, მოჰყვება თუ არა მათ სხვა ანალოგიური ხელშეკრულებების დადება, რომელთა საფუძველზეც ერთ-ერთმა მხარემ იკისრა სამუშაოს შესრულება მეორე მხარისათვის საზღაურის სანაცვლოდ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სამუშაოს შემსრულებელმა პირმა ხელშეკრულება დადო თავისი პროფესიული ან სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში. შესაბამისად გამოიყენება ასევე 7:654 მუხლის ნორმები, როგორც ეს მითითებულია წინამდებარე პარაგრაფში.

– 7. თუკი გამოიყენება პარ. 6-ის ნორმები, პარ. 1-ში მითითებულ დეკლარაციაში აღინიშნება ასევე დადებული ხელშეკრულების სახეც.

– 8. დამსაქმებელი ელექტრონული დეკლარაციის წარდგენას ახდენს იმგვარად, რომ შესაძლებელი გახდეს დასაქმებულის მიერ მისი შენახვა, და ასევე ამ უკანასკნელისათვის ეს დეკლარაცია ხელმისაწვდომი უნდა დარჩეს შემდგომი შემოწმებისათვის.

– 9. დეკლარაციის ელექტრონული ფორმით წარდგენა დასაშვებია მხოლოდ დასაქმებულის აშკარად გამოსატყუარი თანხმობით.

– 10. წინამდებარე მუხლის საწინააღმდეგო ნებისმიერი სახელშეკრულებო დებულება ბათილია.

მუხლი 7:656 დასაქმებულის სარეკომენდაციო წერილი

- 1. შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისას დამსაქმებელი ვალდებულია, მოთხოვნის საფუძველზე დასაქმებულს მისცეს სარეკომენდაციო წერილი.
- 2. სარეკომენდაციო წერილში აღინიშნება:
 - a. დასაქმებულის მიერ შესასრულებელი სამუშაოს სახე და მისი სამუშაო საათები დღესა თუ კვირაში;
 - b. დასაქმების დაწყებისა და დასრულების თარიღები;
 - c. განცხადება იმის შესახებ, რომ დასაქმებულმა შეასრულა მასზე დაკისრებული ვალდებულებები (შეასრულა თავისი სამუშაო);
 - d. განცხადება იმის შესახებ, რომ შრომითი ხელშეკრულება შეწყდა;
 - e. თუკი შრომითი ხელშეკრულება შეწყდა დამსაქმებლის მიერ: ამ შეწყვეტის მიზეზი.
- 3. პარ. 2-ის (c), (d) და (e) პუნქტებში მითითებული ინფორმაციის სარეკომენდაციო წერილში შეტანა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ეს მოითხოვდა დასაქმებულმა.
- 4. თუკი შრომითი ხელშეკრულება შეწყდა დასაქმებულის მიერ და ამის შედეგად მას დაეკისრა პასუხისმგებლობა მიყენებული ზიანისათვის, მაშინ დამსაქმებელი უფლებამოსილია ამის შესახებ აღნიშნოს სარეკომენდაციო წერილში.
- 5. დამსაქმებელი, რომელიც უარს ამბობს მოთხოვნილი სარეკომენდაციო წერილის გაცემაზე, მოქმედებს პარ. 3-ში მითითებული მოთხოვნის საწინააღმდეგოდ, და ასევე – ვინც განზრახ ან გაუფრთხილებლობით არასწორ ინფორმაციას უთითებს სარეკომენდაციო წერილში ანდა ახდენს ამ წერილის სპეციფიკური წესით მარკირებასა თუ მის მონესრიგებას იმ მიზნით, რომ გაკეთდეს დასაქმებულის შესახებ განცხადება წერილში გამოყენებული სიტყვების მნიშვნელობის შეუსაბამოდ, – პასუხისმგებელია აღნიშნულის შედეგად მიყენებული ზიანისათვის არა მარტო დასაქმებულის, არამედ ასევე იმ მესამე პირების მიმართაც, რომლებმაც ასეთი მოქმედების შედეგად განიცადეს ზიანი.
- 6. დასაქმებულის ინტერესების საზიანოდ წინამდებარე მუხლის ნორმებიდან გადახვევა დაუშვებელია.

მუხლი 7:657 ვაკანსიის არსებობის შესახებ დასაქმებულის ინფორმირების მოვალეობა

- 1. დამსაქმებელმა განსაზღვრული ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მომუშავე დასაქმებულს დროულად და ზუსტად უნდა შეატყობინოს იმ პოზიციაზე ახალი ვაკანსიის გახსნის შესახებ, რომელიც უნდა შესრულდეს განუსაზღვრელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე.
- 2. პარ. 1-ში მოცემული ნორმა არ მოქმედებს 7:690 მუხლში გათვალისწინებული დასაქმებულის მესამე პირთან (დროებით) მივლინების ხელშეკრულების მიმართ.

მუხლი 7:658 დამსაქმებლის მხრიდან არსებული ზრუნვის მოვალეობა

- 1. დამსაქმებელმა უნდა მოახდინოს იმ სამუშაო სივრცის, ოთახების, მანქანა-დანადგარებისა და ხელსაწყოების მოწყობა და ექსპლუატაცია, რომელშიც ან რომლითაც სამუშაო სრულდება მისი პასუხისმგებლობის ქვეშ, და ასევე – გასცეს მითითებები და მიიღოს ზომები, რაც გონივრულად აუცილებელია დამსაქმებლის მიერ მასზე დაკისრებული სამუშაოს შესრულებისას ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად.
- 2. დამსაქმებელი პასუხისმგებელია დასაქმებულის წინაშე იმ ზიანისათვის, რომელიც ამ უკანასკნელმა განიცადა თავისი სამუშაოს შესრულებისას წარმართული აქტივობების შედეგად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის ამტკიცებს, რომ მან შეასრულა პარ. 1-ში მითითებული ვალდებულებები ანდა – რომ ზიანი მნიშვნელოვანწილად გამომდინარეობს დასაქმებულის მხრიდან განზრახ მოქმედებისა თუ უმოქმედობიდან ანდა შეგნებული დაუდევრობიდან.
- 3. დასაქმებულის ინტერესების საზიანოდ პარ. 2 და 3-ის და ასევე დამსაქმებლის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით სამოქალაქო კოდექსის 6.3 ტიტულის კანონისმიერი ნორმებიდან გადახვევა დაუშვებელია.
- 4. პირი, ვინც თავისი პროფესიული ან სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში სამუშაოს შესრულების შესაძლებლობას ანიჭებს სხვა პირებს, ვისთანაც მან არ დადო შრომითი ხელშეკრულება, წინამდებარე მუხლის წინა პარაგრაფების შესაბამისად პასუხისმგებელია ამ პირების წინაშე იმ ზიანისათვის, რომელიც ამ პირებმა განიცადეს აღნიშნული სამუშაოს შესრულებისას წარმართული აქტივობების შედეგად. წინამდებარე პარაგრაფის პირველ წინადადებაში მითითებულ სარჩელებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებაზე განსჯადია რაიონული სასამართლო.

მუხლი 7:658a ავადმყოფი დასაქმებულების სამუშაოზე დაბრუნება

– 1. როდესაც დასაქმებულს არ შეუძლია შეთანხმებული სამუშაოს შესრულება ავადმყოფობის გამო, დამსაქმებელი ახდენს დასაქმებულის თავის სანარმოსა თუ ორგანიზაციაში სამუშაო აქტივობებში მონაწილეობის ხელშეწყობას. თუკი ნათელია, რომ დასაქმებულს აღარ შეუძლია იმ სამუშაოს შესრულება, რაზეც მან დადო ხელშეკრულება და რომ სახეზე არ არის დამსაქმებლის სანარმოსა თუ ორგანიზაციაში მისთვის შესაფერისი ალტერნატიული სამუშაო, მაშინ დამსაქმებელი იმ ვადის განმავლობაში, როდესაც ის ვალდებულია გააგრძელოს დასაქმებულის ხელფასის თანხების გადახდა 7:629 მუხლისა და შეზღუდულ შესაძლებლობასთან დაკავშირებული დაზღვევის შესახებ კანონის 71a მუხლის მეცხრე პარაგრაფის, შრომითი შესაძლებლობის პროპორციული სამუშაოსა და შემოსავლის შესახებ კანონის 24-ე მუხლის ნორმების შესაბამისად, – ახდენს დასაქმებულის მისთვის შესაფერის სხვა სანარმოსა თუ ორგანიზაციაში სამუშაოს შესრულებაში მონაწილეობის ხელშეწყობას.

– 2. პარ. 1-ში მითითებული მოვალეობის შესრულების მიზნით, დამსაქმებელმა შეძლებისდაგვარად სწრაფად უნდა მიიღოს აღნიშნული ზომები და გასცეს შესაბამისი მითითებები, რაც გონივრულად აუცილებელია იმ დასაქმებულის მიერ, რომელსაც არ შეუძლია შეთანხმებული სამუშაოს შესრულება ავადმყოფობის გამო, მასზე დაკისრებული ან შესაფერისი ალტერნატიული სამუშაოს შესრულება.

– 3. პარ. 1-ში მითითებული მოვალეობის შესრულების მიზნით, დამსაქმებელი დასაქმებულთან შეთანხმებით ადგენს სამუშაოზე დაბრუნების სამოქმედო გეგმას შეზღუდულ შესაძლებლობასთან დაკავშირებული დაზღვევის შესახებ კანონის 71a მუხლის მეორე პარაგრაფის, შრომითი შესაძლებლობის პროპორციული სამუშაოსა და შემოსავლის შესახებ კანონის 25-ე მუხლის მეორე პარაგრაფის ნორმების შესაბამისად. სამოქმედო გეგმის შეფასება რეგულარულად ხდება დასაქმებულის თანამონაწილეობით, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში კი, – მისი პერიოდული კორექტირება.

– 4. პარ. 1 და 2-ში მითითებული „შესაფერისი ალტერნატიული სამუშაოს“ ქვეშ მოიაზრება ყველა ის სამუშაო, რომელიც სათანადოდ ჩაითვლება დასაქმებულის ძალისა (პოტენციალს) და უნარ-ჩვევების გათვალისწინებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დასაქმებულისაგან მოსალოდნელი ვერ იქნება ამ სამუშაოს შესრულებაზე დათანხმება ფიზიკური, გონებრივი ან სოციალური მიზეზების გამო.

– 5. დამსაქმებელი და ის პირი ან ორგანიზაცია, რომელიც უწევს მას დახმარებას სამუშაო პირობების შესახებ კანონის 13, 14 და 14a მუხლების ნორმათა ძალით, შრომითი შესაძლებლობის პროპორციული სამუშაოსა და შემოსავლის შესახებ კანონის 1-ლ მუხლში მითითებულ სამუშაოზე დაბრუნების საკითხების მომწესრიგებელ სააგენტოს წარუდგენს იმ ინფორმაციას, რაც აუცილებელია დამსაქმებლის მიერ ამ სააგენტოსათვის დავალდებული ოპერაციების განხორციელებისათვის, ისევე როგორც – იმ დასაქმებულთა საგადასახადო და სადაზღვევო ნომერს, რომელთა სამუშაოზე დაბრუნებაში მონაწილეობის ხელშეწყობასაც ახდენს აღნიშნული სააგენტო. სამუშაოზე დაბრუნების საკითხების მომწესრიგებელმა სააგენტომ უნდა დაამუშაოს ეს ინფორმაცია მხოლოდ იმ ფარგლებში, რომლებშიც ეს აუცილებელია ზემოაღნიშნული ოპერაციების განხორციელებისათვის და ასევე ის ვალდებულია დასაქმებულის საგადასახადო და სადაზღვევო ნომერი გამოიყენოს მხოლოდ ასეთი მიზნით.

– 6. წინამდებარე მუხლის ნორმები შესაბამისად გამოიყენება იმ პირის მიმართ, ვისაც ეკისრება ავადმყოფობის გამო შემწეობის თანხების ანაზღაურების შესახებ კანონის 1-ლი მუხლის პირველი პარაგრაფის h კომპონენტში მითითებული რისკები, და ასევე – 29 მუხლის მეორე პარაგრაფის a, b და c კომპონენტებში მითითებული იმ პირების მიმართ, რომლებმაც ყველაზე გვიან დადეს შრომითი ხელშეკრულება იმ პირთან, რომელსაც ეკისრება ზემოაღნიშნული რისკები იმ ვადის განმავლობაში, როდესაც ეს უკანასკნელი ვალდებული იყო აღნიშნული პირებისათვის ესადა ავადმყოფობის გამო შემწეობის თანხები.

მუხლი 7:658b მიუკერძოებელი ექსპერტის მეორე შეხედულება

– 1. სასამართლო არ დააკმაყოფილებს დასაქმებულის სასარჩელო მოთხოვნას დამსაქმებლის 7:658a მუხლის პარ. 2-დან გამომდინარე დაკისრებული ვალდებულების შესრულების იძულებასთან დაკავშირებით, თუკი ამ მოთხოვნას არ ახლავს სოციალური უზრუნველყოფის სააგენტოს სტრუქტურის შესახებ კანონის მე-5 თავში მითითებული სოციალური უზრუნველყოფის სააგენტოს მიერ დანიშნული ექსპერტის დეკლარაცია დამსაქმებლის მიერ აღნიშნული ვალდებულების შესრულების შესახებ.

– 2. პარ. 1-ის ნორმები არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუკი ვალდებულების შესრულება არ არის სადავოდ გამხდარი ანდა – თუკი ექსპერტის დეკლარაციის წარდგენა დასაქმებულისაგან გონივრულად მოსალოდნელი ვერ იქნება.

– 3. ექსპერტი, რომელიც დაეთანხმა თავის დანიშვნას, ვალდებულია შემოწმება განახორციელოს მიუკერძოებლად საუკეთესო ცოდნითა და გაგებით.

– 4. ექსპერტს, რომელიც არის ექიმი, დასაქმებულის შესახებ გამოკვლევისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღება შეუძლია მკურნალი ექიმისა თუ ექიმებისაგან. ამ ექიმებმა მოთხოვნილი ინფორმაცია უნდა მიიწოდონ ექსპერტს იმდენად, რამდენადაც ამის შედეგად შეუსაბამო ზიანი არ მიადგება დასაქმებულის პირად ცხოვრებასა და კონფიდენციალურობას.

– 5. სასამართლოს ერთ-ერთი მხარის მოთხოვნის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით შეუძლია მოსთხოვოს ექსპერტს თავისი დეკლარაციის წერილობითი თუ ზეპირი ფორმით განმარტება ან განვრცობა.

– 6. პარ. 1-ში მითითებულ სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 237-ე მუხლში ნახსენები დამსაქმებლის საპროცესო ხარჯების დაფარვა დასაქმებულს შეიძლება მოეთხოვოს მხოლოდ საპროცესო ნორმების ამკარად არაგონივრული გამოყენების შემთხვევაში.

– 7. კოლექტიური შრომითი ხელშეკრულებით ან სახელმწიფო მმართველობის ორგანოს მიერ ან მისი სახელით მიღებული რეგულაციების საფუძველზე დასაშვებია დათქმა იმის თაობაზე, რომ პარ. 1-ში მითითებული ექსპერტი შეიძლება დაინიშნოს სხვა უწყებისა თუ პირის მიერ, ნაცვლად სოციალური უზრუნველყოფის სააგენტოს სტრუქტურის შესახებ კანონის მე-5 თავში მითითებული სოციალური უზრუნველყოფის სააგენტოსი.

განყოფილება 7.10.7 – დასაქმებულის კონკრეტული ვალდებულებები

მუხლი 7:659 სამუშაოს პირადად შესრულება

– 1. დასაქმებული ვალდებულია თავად შეასრულოს შეთანხმებული სამუშაო; თავისი სამუშაოს შესრულებისას მას სხვა პირი შეიძლება შეენაცვლოს მხოლოდ დამსაქმებლის თანხმობით.

– 2. დასაქმებულის მიმართ შეთანხმებული სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებით დამსაქმებლის სასარჩელო მოთხოვნას ვერ დაემატება მოთხოვნა სასამართლოს პირგასამტეხლოს თანხის გადახდევინებასა თუ დაკავებასთან დაკავშირებით იმ შემთხვევაში, თუკი დასაქმებული ჯერ კიდევ არღვევს მასზე დაკისრებულ ვალდებულებას.

მუხლი 7:660 დამსაქმებლის მიერ მითითებების მიცემის უფლება

დასაქმებული ვალდებულია შეასრულოს დამსაქმებლის მიერ ან მისი სახელით შრომითი ხელშეკრულებისა და კანონის ფარგლებში დასაქმებულისათვის ინდივიდუალურად ან ჯგუფის შემადგენლობაში ყოფნისას სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებით მიცემული მითითებები და ასევე – ის მითითებები, რომელთა მიზანიცაა დამსაქმებლის სანარმოსა თუ ორგანიზაციაში სათანადო წესრიგის დაცვა.

მუხლი 7:660a ავადმყოფი დასაქმებულის მოვალეობები

დასაქმებული, რომელიც უუნაროა, შეასრულოს შეთანხმებული სამუშაო ავადმყოფობის გამო, ვალდებულია:

a. შეასრულოს დამსაქმებლის ან ამ უკანასკნელის მიერ შესაბამისი მიზნით დანიშნული ექსპერტის გონივრული მითითებები და ასევე ითანამშრომლოს დამსაქმებლის ანდა მის მიერ დანიშნული ექსპერტის მხრიდან მიღებულ 7:658a მუხლის პარ. 2-ში მითითებულ ზომებთან დაკავშირებით;

b. ითანამშრომლოს 7:658a მუხლის პარ. 3-ში მითითებულ სამოქმედო გეგმის შემუშავებასთან, შეფასებასა და კორექტირებასთან დაკავშირებით;

c. შეასრულოს 7:658a მუხლის პარ. 4-ში მითითებული შესაფერისი ალტერნატიული სამუშაო, რომელიც მას შესთავაზა მისმა დამსაქმებელმა.

მუხლი 7:661 დასაქმებულის პასუხისმგებლობა დამსაქმებლისა თუ მესამე პირისათვის მიყენებული ზიანისათვის

– 1. დასაქმებული, რომელიც შრომითი ხელშეკრულების ან მასზე დაკისრებული სამუშაოს შესრულებისას ზიანს აყენებს დამსაქმებელსა თუ იმ მესამე პირს, რომლის წინაშეც ზიანისათვის პასუხისმგებელია დამსაქმებელი, პასუხს არ აგებს ამ უკანასკნელის წინაშე ამ ზიანისათვის გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წარმოადგენს დასაქმებულის მხრიდან განზრახი მოქმედების ან უმოქმედობის ანდა შეგნებული დაუდევრობის შედეგს. წინა წინადადებაში მოცემულისაგან განსხვავებული შედეგების დადგომა შესაძლოა განპირობებული იყოს საქმის კონკრეტული გარემოებებიდან ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნების გათვალისწინებით.

- 2. დასაქმებულის ინტერესების საზიანოდ პარ. 1-სა და ნ: 170 მუხლის პარ. 3-ის ნორმებიდან გადახვევა დასაშვებია მხოლოდ წერილობითი ხელშეკრულებითა და მხოლოდ იმდენად, რამდენადაც დასაქმებული მიყენებულ ზიანზე დაზღვეულია.

განყოფილება 7.10.8 – დასაქმებულის უფლებები სანარმოს გადაცემისას

მუხლი 7:662 განმარტებები

- 1. 7:615 მუხლისაგან განსხვავებით, წინამდებარე განყოფილების (განყოფილება 7.10.8) ნორმები მოქმედებს ასევე იმ სანარმოში სამუშაოს შემსრულებელი დასაქმებულების მიმართ, რომლებიც ეკუთვნის სახელმწიფოს, პროვინციას, მუნიციპალიტეტს, წყლის რესურსების მართვის უწყებასა თუ სხვა საჯარო უწყებას.

- 2. წინამდებარე განყოფილების (განყოფილება 7.10.8) მიზნებისათვის:

a. „გადაცემა“ გულისხმობს იმ ეკონომიკური სუბიექტის გადაცემას (გადასვლას) ხელშეკრულების დადების, შერწყმისა თუ გაყოფის შედეგად, რომელიც ინარჩუნებს ამ დროს თავის იდენტობას;

b. „ეკონომიკური სუბიექტი“ გულისხმობს ორგანიზებული რესურსებისა და საშუალებების საერთო რაოდენობას, რომელიც გამიზნულია ეკონომიკური საქმიანობის განსახორციელებლად როგორც თავისი ძირითადი ან არაძირითადი საქმიანობის სახე.

- 3. წინამდებარე განყოფილების (განყოფილება 7.10.8) მიზნებისათვის კომერციული დაწესებულება ანდა სანარმოს ნაწილი განიხილება როგორც სანარმო.

მუხლი 7:663 დასაქმებულის უფლებების შენარჩუნება

სანარმოს გადაცემის შემთხვევაში შრომითი ხელშეკრულებიდან გამომდინარე დამსაქმებლის უფლებები და ვალდებულებები, რომლებიც დაკავშირებულია სანარმოსთან და არსებობს მასსა და გადაცემის თარიღისათვის სანარმოში მომუშავე დასაქმებულებს შორის, კანონის ძალით გადავა სანარმოს შემდგენ მხარეზე. მიუხედავად აღნიშნულისა, სანარმოს გადაცემიდან, სულ ცოტა, ერთი წლის განმავლობაში თავდაპირველი დამსაქმებელი შემდგენ მხარესთან ერთად სოლიდარულად პასუხისმგებელი რჩება ზემოაღნიშნული შრომითი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებათა შესრულებაზე იმდენად, რამდენადაც ეს ვალდებულებები სანარმოს გადაცემამდე უკვე არსებობდა.

მუხლი 7:664 საპენსიო შემნობები

- 1. 7:663 მუხლის პირველი წინადადების ნორმა არ მოქმედებს 2007 წლის საპენსიო კანონის 1-ლ მუხლში მითითებული საპენსიო ხელშეკრულებიდან გამომდინარე დამსაქმებლის უფლებების და ვალდებულებების მიმართ, თუკი:

a. შემდგენმა მხარემ 7:663 მუხლში მითითებულ დასაქმებულს შესთავაზა საპენსიო ხელშეკრულების დადების იგივე პირობები, რაც მან სანარმოს გადაცემამდე წარუდგინა თავის დასაქმებულს;

b. შემდგენი მხარე 2000 წლის სექტორალურ საპენსიო ფონდში სავალდებულო მონაწილეობის შესახებ კანონის მე-2 მუხლის საფუძველზე ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს სექტორალურ საპენსიო ფონდში და 7:663 მუხლში მითითებული დასაქმებული მიიღებს მონაწილეობას ამ ფონდში;

c. კოლექტიური შრომითი ხელშეკრულება ან ამ თვალსაზრისით კომპეტენტური სახელმწიფო მმართველობის ორგანოს მიერ ან მისი სახელით მიღებული რეგულაციები გვერდს უვლის წინამდებარე პარაგრაფის შესავალში მითითებულ საპენსიო ხელშეკრულების დებულებებს.

- 2. პარ. 1 არ მოქმედებს, თუკი 7:663 მუხლში მითითებული დასაქმებული სანარმოს გადაცემამდე 2000 წლის სექტორალურ საპენსიო ფონდში სავალდებულო მონაწილეობის შესახებ კანონის მე-2 მუხლის საფუძველზე უკვე ვალდებული იყო მონაწილეობა მიეღო სექტორალურ საპენსიო ფონდში და იგივე ვალდებულება მოქმედებს ასევე სანარმოს გადაცემის შემდეგაც.

- 3. 7:663 მუხლის პირველი წინადადება არ მოქმედებს პენსიებისა და დანაზოგების ფონდების შესახებ კანონის მე-3 მუხლის პირველ პარაგრაფში მითითებული ფულადი დანაზოგების სქემიდან გამომდინარე იმ დღისათვის არსებული დამსაქმებლის უფლებებისა და ვალდებულებების მიმართ, რომელიც წინ უსწრებს 2007 წლის საპენსიო კანონის ძალაში შესვლის თარიღს, თუკი შემდგენი მხარე ახდენს 7:663 მუხლში მითითებული დასაქმებულის იმ ფულადი დანაზოგების სქემაში დაშვებას, რომელიც სანარმოს გადაცემამდე უკვე მოქმედებდა მისი დასაქმებულების სასარგებლოდ.

მუხლი 7:665 საწარმოს გადაცემა, გარემოებათა ცვლილება და შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა

თუკი საწარმოს გადაცემის შედეგად არსებული გარემოებები იცვლება დასაქმებულის საზიანოდ და ამ ცვლილების გამო შრომითი ხელშეკრულება შეწყდა 7:685 მუხლის საფუძველზე, მაშინ ამ უკანასკნელის მიზნებისათვის შრომითი ხელშეკრულება ჩაითვლება შეწყვეტილად დამსაქმებლის ბრალით გამოწვეული მიზეზით.

მუხლი 7:665a ინფორმაციის მიწოდების მოვალეობა

თუკი საწარმოში მუშათა საბჭოების შესახებ კანონის 35c მუხლის პარ. 1-ის ან 35d მუხლის პარ. 1-ის ნორმათა საფუძველზე არ არის შექმნილი არც მუშათა საბჭო და არც დასაქმებულთა წარმომადგენლობითი ორგანო, მაშინ დამსაქმებელმა საწარმოს გადაცემაში მონაწილე დასაქმებულებს უნდა შეატყობინოს:

- a. საწარმოს გადაცემის შესახებ სავარაუდო გადაწყვეტილება;
- b. საწარმოს გადაცემის დაგეგმილი თარიღი;
- c. საწარმოს გადაცემის მიზეზი;
- d. დასაქმებულებისათვის საწარმოს გადაცემის სამართლებრივი, ეკონომიკური და სოციალური შედეგები, და;
- e. დასაქმებულების მიმართ გათვალისწინებული ზომები.

მუხლი 7:666 გაკოტრება და საზღვაო ხომალდის ეკიპაჟი

– 1. 7:662 მუხლიდან 7:665 მუხლის ჩათვლით და 7:670 მუხლის პარ. 8-ის ნორმები საწარმოს გადაცემის მიმართ არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუკი დამსაქმებელი გაკოტრდება და საწარმო გადადის გაკოტრების მასაში და ასევე – არც ერთ იმ შემთხვევაში, როდესაც დამსაქმებელი წარმოადგენს ბანკს ფინანსური ზედამხედველობის შესახებ კანონის 1:1 მუხლის გაგებით ანდა მზღვეველს ამავე მუხლის გაგებით, როდესაც დამსაქმებლის მიმართ გამოცხადდა საგანგებო რეჟიმი, როგორც ეს მითითებულია აღნიშნული კანონის 3.5.5 მუხლში, რაიონულმა სასამართლომ გასცა 3:163 მუხლის პარ. 1-ის პირველ წინადადებასა და ამ კანონის (b) პუნქტში მითითებული ანდა 3:163m მუხლის პარ. 1-ის პირველ წინადადებასა და ამ კანონის (c) პუნქტში მითითებული ნებართვა, ხოლო ლიკვიდატორები კი უკვე შეუდგნენ სალიკვიდაციო წარმოებას.

– 2. წინამდებარე განყოფილების (განყოფილება 7.8.10) ნორმები არ მოქმედებს საზღვაო ხომალდის ეკიპაჟის მიმართ.

განყოფილება 7.10.9 – შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა

მუხლი 7:667 შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა კანონის ძალით ან შეწყვეტის შესახებ შეტყობინებით

– 1. შრომითი ხელშეკრულება წყდება კანონის ძალით, როდესაც იწურება ხელშეკრულებასა თუ კანონში მითითებული ანდა პრაქტიკით (ჩვეულებებით) გათვალისწინებული ვადა.

– 2. შეწყვეტის წინასწარი შეტყობინება მოითხოვება იმ შემთხვევაში:

- a. თუკი ეს შეთანხმებულია წერილობითი ფორმით დადებული ხელშეკრულებით;
- b. თუკი ასეთი შეტყობინება მოითხოვება კანონით ან პრაქტიკით (ჩვეულებებით), ხოლო როდესაც ეს დაშვებულია, სახეზე არ არის წერილობითი ხელშეკრულება, რომელიც სხვაგვარად ითვალისწინებს.

– 3. პარ. 1-ში მითითებული შრომითი ხელშეკრულება განსაზღვრული ვადის გასვლამდე შეიძლება შეწყდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ეს უფლება შეთანხმებულ იქნა წერილობით და მიენიჭა თითოეულ მხარეს.

– 4. თუკი განუსაზღვრელი ვადით დადებული იმ შრომითი ხელშეკრულების მოქმედება, რომელიც შეწყდა სხვაგვარად, ვიდრე სამართლებრივად ნამდვილი შეწყვეტის შეტყობინებით ან სასამართლოს მიერ შეწყვეტით, გაგრძელდა ერთხელ ან რამდენჯერმე განსაზღვრული ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულებით არაუმეტეს სამთვიანი ინტერვალებით, მაშინ პარ. 1-ის ნორმების გვერდის ავლით შეწყვეტის წინასწარი შეტყობინება აუცილებელია განსაზღვრული ვადით დადებული უკანასკნელი ხელშეკრულების შეწყვეტისათვის.

– 5. პარ. 4-ში მითითებული განხილული შრომითი ხელშეკრულება არსებობს ასევე იმ შემთხვევაშიც, თუკი იგივე დასაქმებული წარმატებით დასაქმდა რამდენიმე დამსაქმებლის მიერ, რომელ-

ბიც გონივრულად შეიძლება მიჩნეულ იქნენ ერთმანეთის უფლებამონაცვლებად დასაქმებულის მიერ შესრულებული სამუშაოს გათვალისწინებით.

– 6. შეწყვეტის წინასწარი შეტყობინება მოითხოვება განუსაზღვრელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისათვის.

– 7. ბათილია ნებისმიერი სახელშეკრულებო დებულება, რომელიც ავტომატურად წყვეტს შრომით ხელშეკრულებას იმ შემთხვევაში, როდესაც დასაქმებული ქორწინდება ან აფორმებს რეგისტრირებულ პარტნიორობას.

– 8. ბათილია ნებისმიერი სახელშეკრულებო დებულება, რომელიც ავტომატურად წყვეტს შრომით ხელშეკრულებას იმ შემთხვევაში, როდესაც დასაქმებული ორსულდება ან მშობიარობს.

მუხლი 7:668 განსაზღვრული ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულების მოქმედების უსიტყვო გაგრძელება

– 1. როდესაც 7:667 მუხლის პარ. 1-ში მითითებული შრომითი ხელშეკრულების მოქმედება განსაზღვრული ვადის ამოწურვის შემდეგ ფაქტობრივად გრძელდება იმ მხარეთა მიერ, რომლებსაც ამის წინააღმდეგ არ გამოუთქვამთ რაიმე პრეტენზია, მიიჩნევა, რომ ამ მხარეებმა დადეს ახალი შრომითი ხელშეკრულება იგივე სახელშეკრულებო დებულებებითა და პირობებით და იმავე განსაზღვრული ვადით, როგორც წინა შრომითი ხელშეკრულება, თუმცა – არაუმეტეს ერთი წლის ვადით.

– 2. იგივე წესი მოქმედებს იმ შემთხვევების მიმართ, როდესაც ხელშეკრულების შეწყვეტა აუცილებელია, თუმცა შრომითი ხელშეკრულება საერთოდ არ წყდება ანდა არ წყდება შეწყვეტის შეტყობინების შესაბამისი ვადის დაცვით და მხარეებმა შეგნებულად არ მოანესრიგეს შრომითი ხელშეკრულების გახანგრძლივების შედეგები.

მუხლი 7:668a განსაზღვრული ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულებების ჯაჭვი

– 1. იმ დღიდან, როდესაც ერთი და იგივე მხარეთა შორის:

a. ორი ან მეტი განსაზღვრული ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულება ენაცვლებოდა ერთმანეთს არაუმეტეს სამთვიანი ინტერვალებით და ეს შრომითი ხელშეკრულებები ერთობლივად შეადგენდა 36-თვიან პერიოდს ამ ინტერვალების ჩათვლით, განსაზღვრული ვადით დადებული უკანასკნელი შრომითი ხელშეკრულება ჩაითვლება განუსაზღვრელი ვადით დადებულ შრომით ხელშეკრულებად;

b. სამზე მეტი განსაზღვრული ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულება ენაცვლებოდა ერთმანეთს არაუმეტეს სამთვიანი ინტერვალებით, განსაზღვრული ვადით დადებული უკანასკნელი შრომითი ხელშეკრულება ჩაითვლება განუსაზღვრელი ვადით დადებულ შრომით ხელშეკრულებად.

– 2. პარ. 1-ის ნორმები შესაბამისად გამოიყენება ერთმანეთის მიყოლებით დასაქმებულსა და იმ სხვა დამსაქმებლებს შორის განსაზღვრული ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულებების მიმართ, რომლებიც გონივრულად შეიძლება მიჩნეულ იქნენ ერთმანეთის უფლებამონაცვლებად აღნიშნული დასაქმებულის მიერ შესრულებული სამუშაოს გათვალისწინებით.

– 3. პარ. 1-ის (a) პუნქტის ნორმები არ გამოიყენება იმ შრომითი ხელშეკრულების მიმართ, რომელიც დაიდო არაუმეტეს სამი თვისა და ასევე – ფაფორმდა დაუყოვნებლივ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ იმავე მხარეთა შორის 36 თვის ან მეტი ვადით.

– 4. შეწყვეტის შეტყობინების მოქმედების ხანგრძლივობა გამოითვლება იმ დღიდან, როდესაც დაიდო პარ. 1-ის (a) ან (b) პუნქტში მითითებული პირველი შრომითი ხელშეკრულება.

– 5. დასაქმებულის ინტერესების საზიანოდ წინა პარაგრაფების ნორმებიდან გადახვევა დასაშვებია მხოლოდ კოლექტიური შრომითი ხელშეკრულებით ან სახელმწიფო მმართველობის ორგანოს მიერ ან მისი სახელით მიღებული რეგულაციების საფუძველზე.

მუხლი 7:669 ხელშეკრულების შეწყვეტის მიზეზის შეტყობინება

შრომითი ხელშეკრულების შემწყვეტმა მხარემ მეორე მხარის მოთხოვნის საფუძველზე ამ უკანასკნელს წერილობით უნდა შეატყობინოს ხელშეკრულების შეწყვეტის მიზეზის შესახებ.

მუხლი 7:670 ხელშეკრულების შეწყვეტის აკრძალვა

– 1. დამსაქმებელს არ შეუძლია შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა იმ ვადის განმავლობაში, როდესაც დასაქმებული უუნაროა, შეასრულოს მასზე დაკისრებული სამუშაო ავადმყოფობის გამო, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც უუნარობა:

a. გრძელდებოდა, სულ ცოცხა, ორი წელი, ან;

b. დაიწყო მოქმედება მას შემდეგ, რაც სოციალური უზრუნველყოფის სააგენტომ უკვე მიიღო დამსაქმებლის მოთხოვნა შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის ნებართვასთან დაკავშირებით, რაც გათვალისწინებულია შრომითი ურთიერთობების შესახებ 1945 წლის დეკრეტის მე-6 მუხლში.

(ა) პუნქტში მითითებული ვადის გამოთვლისას, დეკრეტულ შვებულებამდე მხედველობაში არ მიიღება ის ვადები, რომელთა განმავლობაშიც დასაქმებული ვერ ასრულებდა სამუშაოს ორსულობის გამო და ასევე – ორსულობისა თუ მშობიარობის გამო სამუშაოს შესრულების უუნარობის ვადები, როგორც ეს მითითებულია სამუშაოსა და ზრუნვის შესახებ კანონის 3:1 მუხლის პარ. 2 და 3-ში. გარდა აღნიშნულისა, ის ვადები, რომელთა განმავლობაშიც დასაქმებული ვერ ასრულებდა სამუშაოს სხვა მიზეზების გამო, ნაცვლად ზემოაღნიშნულ წინადადებაში მითითებულისა, ჯამდება, თუკი ისინი ცვლიდა ერთმანეთს არაუმეტეს ოთხკვირიანი დროის ინტერვალებით ანდა თუკი ეს ვადები უშუალოდ წინ უსწრებდა და უკავშირდებოდა იმ ვადას, რომლის განმავლობაშიც დასაქმებული სარგებლობდა ორსულობისა თუ მშობიარობის გამო შვებულებით სამუშაოსა და ზრუნვის შესახებ კანონის 3:1 მუხლის პარ. 2 და 3-ის შესაბამისად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შრომისუუნარობა გონივრულად ვერ განიხილება როგორც ერთი და იგივე მიზეზის შედეგი.

– **2.** დამსაქმებელს არ შეუძლია შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა დასაქმებულთან ამ უკანასკნელის ორსულობის განმავლობაში. დამსაქმებელს შეუძლია მოითხოვოს ექიმის ან მეანის განცხადება ორსულობის ფაქტის დადასტურებისათვის. გარდა აღნიშნულისა, დამსაქმებელი ვერ შეწყვეტს შრომით ხელშეკრულებას დასაქმებულთან იმ ვადის განმავლობაში, როდესაც დასაქმებული სარგებლობს ორსულობისა თუ მშობიარობის გამო შვებულებით, როგორც ეს მითითებულია სამუშაოსა და ზრუნვის შესახებ კანონის 3:1 მუხლის პარ. 3-ში, და ასევე – მუშაობის განახლებისას, ექსკვირიანი ვადის განმავლობაში დაუყოვნებლივ მშობიარობის გამო შვებულების შემდეგ ან დაუყოვნებლივ იმ ვადის შემდეგ, როდესაც დასაქმებული უუნარო იყო, შეესრულებინა მასზე დაკისრებული სამუშაო მშობიარობის შედეგად ანდა მშობიარობამდე არსებული ორსულობის შედეგად და რომელიც დაუყოვნებლივ მიჰყვება მშობიარობის გამო შვებულების პერიოდს.

– **3.** დამსაქმებელი ვერ შეწყვეტს შრომით ხელშეკრულებას იმ ვადის განმავლობაში, როდესაც დასაქმებულს ხელი ეშლება შეთანხმებული სამუშაოს შესრულებაში იმის გამო, რომ ის წვევამდელის სახით გამოძახებულ იქნა სამხედრო ან ალტერნატიულ სამსახურში.

– **4.** დამსაქმებელი ვერ შეწყვეტს შრომით ხელშეკრულებას იმ დასაქმებულთან, ვინც წარმოადგენს:

1°. სამუშაო საბჭოს, ცენტრალური სამუშაო საბჭოს, სამუშაო საბჭოს ჯგუფის, ასეთი სამუშაო საბჭოებისა თუ დასაქმებულთა წარმომადგენლობითი ორგანოს მუდმივი კომიტეტის ან ქვეკომიტეტის წევრს;

2°. კონკრეტული მოლაპარაკების ჯგუფის ან ევროპული სამუშაო საბჭოების წევრს, როგორც ეს მითითებულია ევროპული სამუშაო საბჭოების შესახებ კანონში ანდა – ვინც ამ კანონის შესაბამისად დასაქმებულთათვის ინფორმაციის მიწოდებისა და შესაბამისი კონსულტაციის განწევას მოქმედებს როგორც წარმომადგენელი;

3°. კონკრეტული მოლაპარაკების ჯგუფის ან Societas Europaea-ს სამუშაო საბჭოების წევრს, ანდა – ვინც დასაქმებულის წარმომადგენლის უფლებამოსილების ფარგლებში არის Societas Europaea-ს საზედამხედველო ან მმართველი საბჭოს წევრი, როგორც ეს მითითებულია დასაქმებულის ევროპულ იურიდიულ პირებში წევრობასთან დაკავშირებული კანონის 1-ლ თავში ანდა – ვინც ამ კანონის შესაბამისად დასაქმებულთათვის ინფორმაციის მიწოდებისა და მათთვის შესაბამისი კონსულტაციის განწევასს მოქმედებს როგორც წარმომადგენელი;

4°. კონკრეტული მოლაპარაკების ჯგუფის ან SCE-ს სამუშაო საბჭოების წევრს, ანდა – ვინც დასაქმებულის წარმომადგენლის უფლებამოსილების ფარგლებში არის SCE-ს საზედამხედველო ან მმართველი საბჭოს წევრი, როგორც ეს მითითებულია დასაქმებულის ევროპულ იურიდიულ პირებში წევრობასთან დაკავშირებული კანონის მე-2 თავში ანდა – ვინც ამ კანონის შესაბამისად დასაქმებულთათვის ინფორმაციის მიწოდებისა და მათთვის შესაბამისი კონსულტაციის განწევასს მოქმედებს როგორც წარმომადგენელი.

თუკი დამსაქმებელმა სამუშაო საბჭოებისა თუ დასაქმებულთა წარმომადგენლობითი ორგანოსათვის დანიშნა მდივანი, პირველი წინადადების ნორმები შესაბამისად გამოიყენება ამ მდივნის მიმართ. თუკი დამსაქმებელმა მდივანი დანიშნა სამუშაო საბჭოსათვის, წინამდებარე პარაგრაფის პირველი წინადადების ნორმები შესაბამისად გამოიყენება ამ მდივნის მიმართ.

– **5.** დამსაქმებელი ვერ შეწყვეტს შრომით ხელშეკრულებას დასაქმებულის იმ კავშირის წევრობის

გამო, რომლის მიზანსაც, წესდების თანახმად, წარმოადგენს წევრების, როგორც დასაქმებულების, ინტერესების დაცვა, ანდა – ასევე ასეთ კავშირში საქმიანობისა თუ მონაწილეობის გამო, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი საქმიანობა ხორციელდებოდა დასაქმებულის სამუშაო საათებში დამსაქმებლის ნებართვის გარეშე.

– **6.** დამსაქმებელი ვერ შეწყვეტს შრომით ხელშეკრულებას დასაქმებულთან იმ საფუძველზე, რომ ეს უკანასკნელი ესწრებოდა 7:643 მუხლში მითითებულ კრებებს, თუკი დასაქმებულს ჰქონდა ამის ნებართვა. იგივე წესი მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუკი მხარეები ვერ შეთანხმდნენ ასეთ შვეულებზე მანამდე, სანამ სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას ამ საკითხზე.

– **7.** დამსაქმებელი ვერ შეწყვეტს შრომით ხელშეკრულებას იმ საფუძველზე, რომ დასაქმებულმა განახორციელა თავისი კუთვნილი შვილად აყვანისა თუ აღზრდის მიზნით ასაღები შვეულება, როგორც ეს მითითებულია სამუშაოსა და ზრუნვის შესახებ კანონის 3:2 მუხლში, ან გამოიყენა ბავშვის მოვლასთან დაკავშირებული მოკლევადიანი თუ გრძელვადიანი შვეულება, როგორც ეს მითითებულია სამუშაოსა და ზრუნვის შესახებ კანონის მე-5 თავში ანდა – ამ კანონის მე-6 თავში მითითებული მშობლის კუთვნილი შვეულება.

– **8.** დამსაქმებელი ვერ შეწყვეტს შრომით ხელშეკრულებებს მის სანარმოსა თუ ორგანიზაციაში მომუშავე დასაქმებულებთან ამ სანარმოსა თუ ორგანიზაციის გადაცემის გამო, როგორც ეს მითითებულია 7:662 მუხლის პარ. 2-ის (ა) პუნქტში.

– **9.** დამსაქმებელი ვერ შეწყვეტს შრომით ხელშეკრულებას იმ საფუძველზე, რომ დასაქმებული არ ეთანხმება კვირა დღეებში მუშაობას, როგორც ეს მითითებულია სამუშაო საათების შესახებ კანონის 5:6 მუხლის პარ. 2-ის მეორე წინადადებაში ან პარ. 4-ის მეორე წინადადებაში.

– **10.** პარ. 1-ის (ა) პუნქტში მითითებული ორწლიანი ვადა გახანგრძლივდება:

a. შესაბამისი შეფერხების ვადის განმავლობაში, თუკი შრომითი შესაძლებლობის პროპორციული სამუშაოსა და შემოსავლის შესახებ კანონის 64-ე მუხლის პირველ პარაგრაფში მითითებული განცხადება წარდგენილ იქნა უფრო გვიან, ვიდრე ეს გათვალისწინებულია წინამდებარე მუხლში ან მის საფუძველზე;

b. შეზღუდულ შესაძლებლობასთან დაკავშირებული დაზღვევის შესახებ კანონის მე-19 მუხლის პირველ პარაგრაფში მითითებული ლოდინის პერიოდის განმავლობაში, თუკი ხდება ამ პერიოდის გახანგრძლივება წინამდებარე მუხლის მეშვიდე პარაგრაფში; და

c. შრომითი შესაძლებლობის პროპორციული სამუშაოსა და შემოსავლის შესახებ კანონის 24-ე მუხლის პირველი პარაგრაფის ან შეზღუდულ შესაძლებლობასთან დაკავშირებული დაზღვევის შესახებ კანონის 71a მუხლის მეცხრე პარაგრაფის შესაბამისად სოციალური უზრუნველყოფის სააგენტოს მიერ განსაზღვრული ვადის განმავლობაში.

– **11.** წინამდებარე მუხლის პარ. 4-სა და 7:670a მუხლის პარ. 1-ის მიზნებისათვის „Societas Europaea-ს სამუშაო საბჭო“ გულისხმობს ასევე Societas Europaea-ს დასაქმებულთა წარმომადგენლობით ორგანოს, რომელსაც თავისი ოფიციალური ადგილსამყოფელი აქვს სხვა წევრ-სახელმწიფოში და შექმნილია ამ წევრ-სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობის ნორმათა საფუძველზე ევროპული კავშირის 2001 წლის 8 ოქტომბრის 2001/86 დირექტივის შესაბამისად, რაც ავსებს დასაქმებულთა ჩართულობასთან დაკავშირებით ევროპული კომპანიის წესდებას (OJ L 294).

– **12.** დასაქმებულის ინტერესების საზიანოდ წინამდებარე მუხლის პარ. 1-ის პირველი წინადადებისა და პარ. 3-ის ნორმებიდან გადახვევა დასაშვებია მხოლოდ კოლექტიური შრომითი ხელშეკრულებით ან კომპეტენტური სახელმწიფო მმართველობის ორგანოს მიერ ან მისი სახელით მიღებული რეგულაციების საფუძველზე.

მუხლი 7:670a (გამოტოვებულია წინამდებარე გამოცემაში როგორც არააქტუალური)

მუხლი 7:670b (გამოტოვებულია წინამდებარე გამოცემაში როგორც არააქტუალური)

მუხლი 7:671 {გაუქმებულია 01.01.1999წ.}

მუხლი 7:672 ხელშეკრულების შეწყვეტის შეტყობინების ვადა

– **1.** შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შეტყობინება ძალაში შედის თვის ბოლოს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შეწყვეტის სხვა თარიღი იქნა შეთანხმებული წერილობითი ფორმით ანდა გამოიყენება ჩვეულებრივ პრაქტიკაში (ჩვეულებებით).

– 2. შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შეტყობინების ვადა, რომელიც უნდა დაიცვას დამსაქმებელმა იმ შემთხვევაში, როდესაც შრომითი ხელშეკრულების მოქმედება მისი შეწყვეტის თარიღამდე გრძელდებოდა:

- a. ხუთ ნელზე ნაკლები ვადით, შეადგენს ერთ თვეს;
- b. ხუთ ნელს ან მეტი ვადით, თუმცა ათ ნელზე ნაკლები ვადით, შეადგენს ორ თვეს;
- c. ათ ნელს ან მეტი ვადით, თუმცა თხუთმეტ ნელზე ნაკლები ვადით, შეადგენს სამ თვეს;
- d. თხუთმეტ ნელს ან მეტი ვადით, შეადგენს ოთხ თვეს.

– 3. შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შეტყობინების ვადა, რომელიც უნდა დაიცვას დასაქმებულმა, შეადგენს ერთ თვეს.

– 4. თუკი სოციალური უზრუნველყოფის სააგენტომ გასცა თავისი ნებართვა შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტასთან დაკავშირებით, როგორც ეს მითითებულია შრომითი ურთიერთობების შესახებ 1945 წლის დეკრეტის მე-6 მუხლში, მაშინ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შეტყობინების ვადა, რომელიც უნდა დაიცვას დასაქმებულმა, მცირდება ერთი თვით იმ პირობით, რომ შეტყობინების დარჩენილი ვადა ყოველთვის იქნება, სულ ცოტა, ერთი თვე.

– 5. პარ. 2-ში მითითებული შეტყობინების ვადა შეიძლება შემცირდეს მხოლოდ კოლექტიური შრომითი ხელშეკრულებით ან კომპეტენტური სახელმწიფო მმართველობის ორგანოს მიერ ან მისი სახელით მიღებული რეგულაციების საფუძველზე. შეტყობინების ვადა შეიძლება გაიზარდოს წერილობითი ფორმით დადებული შეთანხმებით.

– 6. შეწყვეტის შეტყობინების ვადა, რომელიც უნდა დაიცვას დასაქმებულმა, შეიძლება შემცირდეს ან გაიზარდოს წერილობითი ფორმით დადებული შეთანხმებით. თუმცა, ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს ექვს თვეს, ხოლო თუკი შეტყობინების ვადა, რომელიც უნდა დაიცვას დამსაქმებელმა, გახანგრძლივდება, მაშინ ის ყოველთვის უნდა შეადგენდეს, სულ ცოტა, დასაქმებულის მხრიდან შეტყობინების ორმაგ ვადას.

– 7. მხოლოდ კოლექტიური შრომითი ხელშეკრულებით ან კომპეტენტური სახელმწიფო მმართველობის ორგანოს მიერ ან მისი სახელით მიღებული რეგულაციების საფუძველზე დასაშვებია პარ. 4-ში მითითებული ნორმიდან გადახვევა დარჩენილ შეტყობინების ერთთვიან ვადასთან დაკავშირებით იმდენად, რამდენადაც ეს ხორციელდება დასაქმებულის ინტერესების საზიანოდ.

– 8. პარ. 6-ის მეორე წინადადებაში მითითებული შეწყვეტის შეტყობინების ვადა, რომელიც უნდა დაიცვას დასაქმებულმა წერილობითი ფორმით დადებული შეთანხმებით დასაქმებულისათვის შეტყობინების ვადის გახანგრძლივებისას, შეიძლება შემცირდეს კოლექტიური შრომითი ხელშეკრულებით ან კომპეტენტური სახელმწიფო მმართველობის ორგანოს მიერ ან მისი სახელით მიღებული რეგულაციების საფუძველზე იმ პირობით, რომ ის არ არის შეტყობინების იმ ვადაზე ნაკლები, რომელიც უნდა დაიცვას დასაქმებულმა.

– 9. შრომითი ხელშეკრულების 7:682 მუხლის შესაბამისად აღდგენის შემთხვევაში, პარ. 2-ის მიზნებისათვის შესაბამისი შრომითი ხელშეკრულებები მიიჩნევა იგივე უწყვეტ შრომით ხელშეკრულებად.

მუხლი 7:673 {გაუქმებულია 01.01.1999წ.}

მუხლი 7:674 დასაქმებულის გარდაცვალება

– 1. კანონის ძალით შრომითი ხელშეკრულება წყდება დასაქმებულის გარდაცვალებისას.

– 2. თუმცა, მიუხედავად აღნიშნულისა, დამსაქმებელი დასაქმებულის მიერ დატოვებული ნათესავების მიმართ ვალდებულია უხადოს მათ შემწეობა იმ უკანასკნელი ხელფასის ოდენობით, რომლის მიღებაზეც გარდაცვლილი დასაქმებული უფლებამოსილი იქნებოდა მისი გარდაცვალების დღის შემდგომ გარდაცვალების დღიდან ერთ თვემდე ვადის განმავლობაში.

– 3. წინამდებარე მუხლის მიზნებისათვის „დასაქმებულის მიერ დატოვებული ნათესავი“ გულისხმობს დასაქმებულის ცოცხლად დარჩენილ მეუღლეს ან რეგისტრირებულ პარტნიორს, რომელთანაც ის ფაქტობრივად ცხოვრობდა ერთი და იგივე საცხოვრებელ ადგილზე ანდა – დასაქმებულის ცხოვრების თანამგზავრი, რომელთანაც მას ჰქონდა თანაცხოვრება ქორწინების გარეშე, ხოლო როდესაც არც ერთი აღნიშნული პირთაგანი არ არის სახეზე, – დასაქმებულის არასრულწლოვანი შვილები, რომელთანაც ის იმყოფება საოჯახო ურთიერთობაში, ხოლო როდესაც ასეთი შვილები სახეზე არ არიან, – ის პირი, რომელთანაც დასაქმებულმა შექმნა საერთო საოჯახო მეურნეობა და რომლის რჩენის ხარჯებსაც ის დღიწილად თავის თავზე იღებდა. პირველ წინადადებაში მითითებული ქორწინების გარეშე თანაცხოვრება

არსებობს იმ შემთხვევაში, როდესაც ორი დაუქორწინებელი პირი, რომლებიც არ წარმოადგენენ ერთმანეთის პირველი რიგის სისხლის ნათესავებს, ქმნიან საერთო საოჯახო მეურნეობას. მეორე წინადადებაში მითითებული საერთო საოჯახო მეურნეობა არსებობს იმ შემთხვევაში, როდესაც შესაბამის პირებს თავიანთი ძირითადი საცხოვრებელი ადგილი ერთი და იმავე სახლში აქვთ და ისინი ახდენენ ერთმანეთის რჩენას საყოფაცხოვრებო ხარჯებში მონაწილეობის გზით ანდა სხვაგვარად.

– 4. პარ. 2-ში მითითებული დასაქმებულის გარდაცვალებისას გადასახდელი შემწეობის თანხა შეიძლება შემცირდეს იმ თანხის ოდენობით, რომლის მიღებაზეც დასაქმებულის მიერ დატოვებული ნათესავები უფლებამოსილი არიან დასაქმებულის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ავადმყოფობასა თუ შეზღუდული შესაძლებლობის სავალდებულო დაზღვევისა და ასევე სოციალური უზრუნველყოფის დანამატების შესახებ კანონის შესაბამისად.

– 5. პარ. 2-ის ნორმები არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუკი დასაქმებულს უშუალოდ მისი გარდაცვალების მომენტამდე 7:629 მუხლის პარ. 3-ის საფუძველზე არ ჰქონდა ხელფასის მიღების უფლება, როგორც ეს მითითებულია 7:629 მუხლის პარ. 1-ში, ანდა თუკი მის მიერ დატოვებული ნათესავები დასაქმებულის ბრალეული ქმედების შედეგად არ არიან უფლებამოსილი შემწეობის თანხის მიღებაზე ავადმყოფობასა თუ შეზღუდული შესაძლებლობის სავალდებულო დაზღვევის შესაბამისად.

– 6. გარდაცვლილი დასაქმებულის მიერ დატოვებული ნათესავების ინტერესების საზიანოდ წინამდებარე მუხლის ნორმებიდან გადახვევა დაუშვებელია.

მუხლი 7:675 დამსაქმებლის გარდაცვალება

შრომითი ხელშეკრულება არ წყდება იმ შემთხვევაში, როდესაც გარდაიცვლება დამსაქმებელი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც თვით ამ ხელშეკრულებაში სხვაგვარად არის გათვალისწინებული. თუმცა, მიუხედავად ამისა, როგორც დამსაქმებლის, ისე დასაქმებულის მემკვიდრეები უფლებამოსილი არიან შეწყვიტონ განსაზღვრული ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულება 7:670, 7:670a და 7:672 მუხლების ნორმათა ჯეროვანი დაცვით ისე, თითქოს ის დადებული იყო განუსაზღვრელი ვადით. როდესაც გარდაცვლილი დამსაქმებლის სამკვიდრო ნაწილდება სამოქალაქო კოდექსის 4:13 მუხლის შესაბამისად (კანონით მემკვიდრეობა), წინა წინადადებაში მითითებული მემკვიდრეების მიერ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება ეკუთვნის დამსაქმებლის მეუღლეს ან რეგისტრირებულ პარტნიორს.

მუხლი 7:676 ხელშეკრულების შეწყვეტა გამოსაცდელი ვადის განმავლობაში

– 1. თუკი შრომით ხელშეკრულებაში შეთანხმებულია გამოსაცდელი ვადა, ყოველი მხარე უფლებამოსილია, შესაბამისი ვადის გასვლამდე დაუყოვნებლივ შეწყვიტოს შრომითი ხელშეკრულება.

– 2. 7:681 და 7:682 მუხლების ნორმები ზემოაღნიშნული შეწყვეტის მიმართ არ გამოიყენება.

მუხლი 7:677 ხელშეკრულების არაჯეროვანი შეწყვეტის გამო პასუხისმგებლობა

– 1. თითოეული მხარე უფლებამოსილია, დაუყოვნებლივ შეწყვიტოს შრომითი ხელშეკრულება მნიშვნელოვანი მიზეზის არსებობისას, რომელიც ერთდროულად უნდა განეცხადოს მეორე მხარეს. ის მხარე, ვინც წყვეტს შრომით ხელშეკრულებას მნიშვნელოვანი მიზეზის გარეშე ანდა ამ მიზეზის მეორე მხარისათვის ერთდროულად შეტყობინების გარეშე, პასუხისმგებელია ამის შედეგად დამდგარი ზიანისათვის.

– 2. ის მხარე, ვინც წყვეტს შრომით ხელშეკრულებას მისი შეწყვეტის მომენტისთვის იმ თარიღამდე, რომელიც გამოიყენება მხარეთა შორის მათი სამართლებრივი ურთიერთობის გათვალისწინებით, პასუხისმგებელია ამის შედეგად დამდგარი ზიანისათვის.

– 3. მხარე პასუხისმგებელია დამდგარი ზიანისათვის ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც მან მეორე მხარეს განზრახ ან ბრალეულად მისცა შრომითი ხელშეკრულების დაუყოვნებლივ შეწყვეტის მნიშვნელოვანი საფუძველი და ამ მეორე მხარემ გამოიყენა ეს საფუძველი შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისათვის ანდა სასამართლომ ამ საფუძველით გააუქმა შრომითი ხელშეკრულება 7:685 მუხლის შესაბამისად.

– 4. იმ შემთხვევაში, როდესაც ერთ-ერთი მხარე პასუხისმგებელია დამდგარი ზიანისათვის ხელშეკრულების არაჯეროვანი შეწყვეტის გამო, მეორე მხარეს თავისი არჩევანით შეუძლია მოითხოვოს ფიქსირებული კომპენსაცია მიყენებული ზიანისათვის, როგორც ეს გათვალისწინებულია 7:680a მუხლით ანდა – სრული კომპენსაცია ფაქტობრივად გაცდილი ზიანისათვის.

– 5. ის ფაქტი, რომ დამსაქმებელმა არ დაიცვა 7:670 მუხლის პარ. 1-დან პარ. 9-ის ჩათვლით ანდა 7:670 მუხლის ნორმები, არ აკისრებს მას პასუხისმგებლობას ზიანისათვის. ასეთ შემთხვევებში დასაქმებულს ხელშეკრულების შეწყვეტის თარიღიდან ორი თვის განმავლობაში შეუძლია გააბათილოს საცილო შე-

წყვეტა. ეს გაბათილება ხორციელდება დასაქმებულისათვის იმის შეტყობინებით, რომ ხდება შესაბამისი საცილოობის საფუძვლის მითითება. სამოქალაქო კოდექსის 3:55 მუხლის ნორმები არ გამოიყენება.

მუხლი 7:678 დამსაქმებლის მიერ შრომითი ხელშეკრულების დაუყოვნებლივ შეწყვეტის მნიშვნელოვანი მიზეზები

– 1. 7:677 მუხლის პარ. 1-ის გაგებით დამსაქმებლის მიერ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის მნიშვნელოვანი მიზეზი მდგომარეობს ასევე დასაქმებულის მხრიდან იმ მოქმედებებში, ნიშან-თვისებებსა თუ ქცევაში, რომლის შედეგადაც დამსაქმებელს გონივრულად ვეღარ ექნება შრომითი ხელშეკრულების მოქმედების გაგრძელების მოლოდინი.

– 2. მნიშვნელოვანი მიზეზი შეიძლება არსებობდეს ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც:

a. დასაქმებულმა შეცდომაში შეიყვანა დამსაქმებელი შრომითი ხელშეკრულების დადებისას არასწორი ან გაყალბებული ჩვენებებით ანდა შეგნებულად ყალბი ინფორმაციის მიწოდებით იმ ფაქტთან დაკავშირებით, თუ როგორ შეწყდა მისი წინა შრომითი ურთერთობა;

b. დასაქმებულს ამკარად აკლია კომპეტენცია ანდა უნარი მის მიერ ნაკისრი სამუშაოს შესასრულებლად;

c. დასაქმებული, მიუხედავად გაფრთხილებისა, სამსახურში ცხადდება არაფხიზელ ანდა სხვაგვრად მიუღებელ მდგომარეობაში;

d. დასაქმებულს ამხელენ ქურდობაში, გაფლანგვაში, მოტყუებაში, თაღლითობასა ან სხვა დასჯად ქმედებებში, რომელთა ჩადენის შედეგადაც ის აღარ იმსახურებს დამსაქმებლის ნდობას;

e. დასაქმებული სცემს, მძიმე შეურაცხყოფას აყენებს ანდა სერიოზულად ემუქრება დამსაქმებელს, მის ოჯახის წევრებსა თუ სხვა დასაქმებულებს;

f. დასაქმებული იყოლიებს ანდა ცდილობს დაიყოლიოს დამსაქმებელი, მის ოჯახის წევრები თუ სხვა დასაქმებულები კანონსაწინააღმდეგო თუ ამორალური ქმედებების ჩადენაზე ან მათში მონაწილეობის მიღებაზე;

g. დასაქმებული განზრახ ან, მიუხედავად გაფრთხილებისა, დაუდევრად აზიანებს დამსაქმებლის ქონებას ანდა მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის მას;

h. დასაქმებული განზრახ ან, მიუხედავად გაფრთხილებისა, დაუდევრად მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის თავის თავს ან სხვა პირებს;

i. დასაქმებული ასაჯაროებს დამსაქმებლის საოჯარო მეურნეობისა თუ სანარმოს იმ დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს, რომლებიც მას უნდა საიდუმლოდ შეენახა;

j. დასაქმებული ჯიუტად უარს ამბობს დამსაქმებლის მიერ ან მისი სახელით მიცემული გონივრული მითითებებისა თუ დავალებების შესრულებაზე;

k. დასაქმებული უხეშად უგულბელებყოფს მასზე შრომითი ხელშეკრულებით დაკისრებულ ვალდებულებებს;

l. დასაქმებული განზრახ ან დაუდევარი ქცევის შედეგად უუნარო ხდება ან რჩება, შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი სამუშაო.

– 3. ბათილია სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც დამსაქმებელს უტოვებს იმ საკითხის გადაწყვეტას, არის თუ არა სახეზე მნიშვნელოვანი მიზეზი 7:677 მუხლის პარ. 1-ის გაგებით.

მუხლი 7:679 დასაქმებულის მიერ შრომითი ხელშეკრულების დაუყოვნებლივ შეწყვეტის მნიშვნელოვანი მიზეზები

– 1. 7:677 მუხლის პარ. 1-ის გაგებით დასაქმებულის მიერ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის მნიშვნელოვანი მიზეზი მდგომარეობს ისეთ გარემოებებში, რომელთა შედეგადაც დასაქმებულს გონივრულად ვეღარ ექნება შრომითი ხელშეკრულების მოქმედების გაგრძელების მოლოდინი.

– 2. მნიშვნელოვანი მიზეზი შეიძლება არსებობდეს ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც:

a. დამსაქმებელი სცემს დასაქმებულს, მის ოჯახის წევრებსა თუ მასთან ერთად მაცხოვრებლებს, მძიმე შეურაცხყოფას აყენებს ანდა სერიოზულად ემუქრება მათ ანდა ითმენს იმას, რომ ასეთი ქმედებები ჩადენილ იქნეს დამსაქმებლის ოჯახის ერთ-ერთი წევრისა თუ დაქირავებულის მიერ;

b. დამსაქმებელი იყოლიებს ანდა ცდილობს დაიყოლიოს დასაქმებული ან მის ოჯახის წევრები კანონსაწინააღმდეგო თუ ამორალური ქმედებების ჩადენაზე ანდა ითმენს იმას, რომ ასეთი დაყოლიებისა თუ მისი მცდელობის ფაქტებს ადგილი ჰქონდეს დამსაქმებლის ოჯახის ერთ-ერთი წევრისა თუ დაქირავებულის მხრიდან;

- c. დამსაქმებელი არ იხდის ხელფასის თანხას ამისათვის განსაზღვრულ მომენტში;
 - d. იმ შემთხვევაში, თუკი მხარეებმა შეათანხმეს ბინაში განთავსება და კვება, დამსაქმებელი ვერ უზრუნველყოფს აღნიშნულს ჯეროვანი ხარისხით;
 - e. დამსაქმებელი საკმარისი სამუშაოთი ვერ უზრუნველყოფს იმ დასაქმებულს, რომლის ხელფასიც დამოკიდებულია იმაზე, რისი გამომუშავებაც მოხდა შესრულებული სამუშაოს შედეგად;
 - f. დამსაქმებელი საჭირო დახმარებას არ უწევს ანდა ჯეროვნად არ უწევს იმ დასაქმებულს, რომლის ხელფასიც დამოკიდებულია იმაზე, რისი გამომუშავებაც მოხდა შესრულებული სამუშაოს შედეგად;
 - g. დამსაქმებელი სხვაგვარად უხეშად უგულებელყოფს მასზე შრომითი ხელშეკრულებით დაკისრებულ ვალდებულებებს;
 - h. არ ითვალისწინებს რა დასაქმების ხასიათს, რომელითაც ეს მოითხოვება, დამსაქმებელი სხვა დამსაქმებლის სანარმოში მუშაობას ავალებს დასაქმებულს მიუხედავად ამ უკანასკნელის უარისა;
 - i. დასაქმების გაგრძელება მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნიდა დასაქმებულის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, მორალურ მდგომარეობასა თუ რეპუტაციას, რაც არ იყო გამოკვეთილი შრომითი ხელშეკრულების დადების მომენტში;
 - j. დასაქმებულს ავადმყოფობისა თუ სხვა იმ მიზეზის გამო, რომელიც მას არ შეერაცხება, აღარ შეუძლია აუცილებელი სამუშაოს შესრულება.
- 3. ბათილია სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც დასაქმებულს უტოვებს იმ საკითხის გადწყვეტას, არის თუ არა სახეზე მნიშვნელოვანი მიზეზი 7:677 მუხლის პარ. 1-ის გაგებით.

მუხლი 7:680 მიყენებული ზიანისათვის გათვალისწინებული ფიქსირებული საკომპენსაციო თანხა

- 1. 7:677 მუხლის პარ. 4-ში მითითებული ზიანისათვის გათვალისწინებული ფიქსირებული საკომპენსაციო თანხა უთანაბრდება ხელფასის იმ ოდენობას, რომლის მიღებაზეც უფლებამოსილი იქნებოდა დასაქმებული იმ დროისათვის, რომლის განმავლობაშიც შრომითი ხელშეკრულება იმოქმედებდა იმ შემთხვევაში, თუკი სახეზე იქნებოდა ხელშეკრულების ჯეროვანი შეწყვეტა.
- 2. როდესაც დასაქმებულის ხელფასი დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში სრულად ან ნაწილობრივ არ დგინდება, ხელფასის ოდენობის განსაზღვრისას იმოქმედებს 7:618 მუხლის სტანდარტი.
- 3. ბათილია ყოველი სახელშეკრულებო დებულება, რომლითაც დასაქმებული უფლებამოსილი ხდება ზიანისათვის გათვალისწინებული ფიქსირებული საკომპენსაციო თანხის მიღებაზე იმაზე ნაკლები ოდენობით, რაზეც ის უფლებამოსილია წინამდებარე მუხლის შესაბამისად.
- 4. წერილობითი შეთანხმებით დასაქმებული შეიძლება გახდეს უფლებამოსილი უფრო მეტი ოდენობით ფიქსირებული საკომპენსაციო თანხის მიღებაზე.
- 5. სასამართლო უფლებამოსილია, მოახდინოს ფიქსირებული საკომპენსაციო თანხის კორექტირება მისი შემცირების მხრივ, თუკი ის ჩათვლის, რომ საქმის გარემოებათა გათვალისწინებით ეს თანხა შეუსაბამოდ მაღალია, თუმცა – არა იმაზე ნაკლები ოდენობით, რასაც შეადგენს დასაქმებულის ფულადი სახით ფიქსირებული ხელფასი შეწყვეტის შეტყობინების იმ ვადის განმავლობაში, რომელიც უნდა დაიცვას დასაქმებულმა, როგორც ეს მითითებულია 7:672 მუხლში, და ასევე – არასოდეს იმ თანხაზე ნაკლები ოდენობით, რასაც შეადგენს დასაქმებულის ფულადი სახით ფიქსირებული ხელფასი სამი თვის განმავლობაში.
- 6. თუკი იმ ზიანისათვის ფიქსირებული საკომპენსაციო თანხა, რაზეც პასუხისმგებელია დასაქმებული, აღემატება მისი ფულადი სახით ფიქსირებული ერთი თვის ხელფასის ოდენობას ანდა თუკი იმ ზიანისათვის ფიქსირებული საკომპენსაციო თანხა, რაზეც პასუხისმგებელია დამსაქმებელი, აღემატება დასაქმებულის ფულადი სახით ფიქსირებული სამი თვის ხელფასის ოდენობას, სასამართლოს შეუძლია დაუშვას ამ საკომპენსაციო თანხის ნაწილ-ნაწილ გადახდა მის მიერ დადგენილი წესითა და ოდენობით.
- 7. ზიანისათვის გადასახდელი ფიქსირებულ საკომპენსაციო თანხას ერიცხება კანონისმიერი პროცენტი, რომელიც გამოითვლება შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის დღიდან.

მუხლი 7:680a ხელფასის თანხის გადახდის შესახებ სასარჩელო მოთხოვნის შერბილება

შრომითი ხელშეკრულების საცილო შეწყვეტის გაბათილების საფუძველზე ხელფასის თანხის გადახდის შესახებ სასარჩელო მოთხოვნა შეიძლება სასამართლოს მიერ შერბილდეს იმ შემთხვევაში, თუკი ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება მოცემულ გარემოებებში გამოინვევდა მიუღებელ შედეგს, თუმცა დაუშვებელია თანხის შემცირება იმაზე მეტად, რასაც შეადგენს დასაქმებულის ფულადი სახით ფიქსირებული ხელფასი შეწყვეტის შეტყობინების იმ ვადის განმავლობაში, რომელიც უნდა დაიცვას დასაქმებულმა

7:672 მუხლის შესაბამისად, და ასევე – არც ერთ შემთხვევაში იმაზე მეტად, რასაც შეადგენს დასაქმებულის ფულადი სახით ფიქსირებული ხელფასი სამი თვის განმავლობაში.

მუხლი 7:681 ხელშეკრულების აშკარად უსაფუძვლოდ შეწყვეტა

– 1. სასამართლოს შეუძლია მხარეს მიანიჭოს ზიანისათვის საკომპენსაციო თანხა იმ შემთხვევაში, თუკი მეორე მხარემ, ხელშეკრულების შეწყვეტისათვის გათვალისწინებული შესაბამისი კანონისმიერი ნორმების დაცვით ან დაცვის მიუხედავად, აშკარად უსაფუძვლოდ შეწყვიტა შრომითი ხელშეკრულება.

– 2. დამსაქმებლის მიერ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა აშკარად უსაფუძვლოდ მიიჩნევა ასევე შემდეგ შემთხვევებშიც:

a. როდესაც შრომითი ხელშეკრულება შეწყდა მიზეზების შეტყობინების გარეშე ანდა მოჩვენებითი თუ ყალბი მიზეზების შეტყობინებით;

b. როდესაც დასაქმებულის მიმართ განხორციელებული შტატების შემცირების ღონისძიებათა და ასევე დასაქმებულის მიერ სხვა სათანადო სამუშაოს მოძებნის არსებული შესაძლებლობების გათვალისწინებით, ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგები მეტად მნიშვნელოვანია მისთვის შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის მიმართ დამსაქმებლის ინტერესებთან შედარებით;

c. როდესაც შრომითი ხელშეკრულება შეწყდა იმ საფუძველზე, რომ დასაქმებულს ხელი შეეშალა შეთანხმებული სამუშაოს შესრულებაში იმის გამო, რომ ის წევვამდელის სახით გამოძახებულ იქნა სამხედრო ან ალტერნატიულ სამსახურში, როგორც ეს მითითებულია 7:670 მუხლის პარ. 3-ში;

d. როდესაც შრომითი ხელშეკრულება შეწყდა მიუხედავად მოქმედი რაოდენობრივი პროპორციისა თუ სამუშაო სტაჟის შეთანხმებისა, რომელიც ეხება ეკონომიკურ სექტორსა თუ სანარმოს კანონის ან ჩვეულებების ძალით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სახეზეა ამ წესიდან გადახვევის მნიშვნელოვანი მიზეზები;

e. როდესაც შრომითი ხელშეკრულება შეწყდა მხოლოდ იმ საფუძველზე, რომ დასაქმებულმა წარადგინა შეგნებული კონტრარგუმენტები ხელშეკრულებით ნაკისრი სამუშაოს შესრულებაზე უარის თქმის მიზნით.

– 3. დასაქმებულის მიერ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა აშკარად უსაფუძვლოდ მიიჩნევა ასევე შემდეგ შემთხვევებშიც:

a. როდესაც შრომითი ხელშეკრულება შეწყდა მიზეზების შეტყობინების გარეშე ანდა მოჩვენებითი თუ ყალბი მიზეზების შეტყობინებით;

b. როდესაც ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგები მეტად მნიშვნელოვანია დამსაქმებლისათვის შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის მიმართ დასაქმებულის ინტერესებთან შედარებით.

– 4. ბათილია სახელშეკრულებო პირობა, რომელიც ერთ-ერთ მხარეს უტოვებს იმ საკითხის გადანყვეტას, მოხდა თუ არა შრომითი ხელშეკრულების აშკარად უსაფუძვლოდ შეწყვეტა წინამდებარე მუხლის გაგებით.

მუხლი 7:682 შრომითი ხელშეკრულების აღდგენის შესახებ სასამართლოს განკარგულება

– 1. სასამართლოს შეუძლია ასევე დაავალოს შრომითი ხელშეკრულების აღდგენა იმ დამსაქმებელს, ვინც პასუხისმგებელია დამდგარი ზიანისათვის 7:677 მუხლის შესაბამისად ანდა რომელმაც აშკარად უსაფუძვლოდ შეწყვიტა შრომითი ხელშეკრულება.

– 2. თუკი სასამართლო იღებს ასეთ გადანყვეტილებას, მას შეუძლია განსაზღვროს, თუ რა მომენტიდან უნდა აღდგეს შრომითი ხელშეკრულება და მას ასევე შეუძლია მიიღოს ზომები შეჩერების სამართლებრივი შედეგების თავიდან ასაცილებლად.

– 3. სასამართლოს გადანყვეტილებას, რომლითაც დამსაქმებელს ევალება შრომითი ხელშეკრულების აღდგენა, შეიძლება ადგენდეს, რომ შრომითი ხელშეკრულების აღდგენის ვალდებულება წყდება იმ შემთხვევაში, როდესაც დამსაქმებელი საზღაურის თანხას დასაქმებულს გადაუხდის იმ ოდენობით, რაც განისაზღვრება თავად სასამართლოს გადანყვეტილებაში. თუკი ამ უკანასკნელში არ იქნა განსაზღვრული საზღაურის თანხა, როგორც შრომითი ხელშეკრულების აღდგენის ალტერნატივა, სასამართლოს დამსაქმებლის მოთხოვნის საფუძველზე შეუძლია ამის მოგვიანებით განსაზღვრა. ასეთი მოთხოვნა აჩერებს სასამართლოს გადანყვეტილების აღსრულებას იმდენად, რამდენადაც საქმე ეხება შრომითი ხელშეკრულების აღდგენის ვალდებულებას მანამდე, სანამ სასამართლო არ მიიღებს გადანყვეტილებას მოთხოვნასთან დაკავშირებით იმ პირობით, რომ დამსაქმებელი ნებისმიერ შემთხვევაში ვალდებული რჩება გადაუხადოს დასაქმებულს ხელფასი აღნიშნული შეჩერების ვადის განმავლობაში.

- 4. სასამართლო აღნიშნული საზღაურის თანხის ოდენობას განსაზღვრავს სამართლიანობის პრინციპის შესაბამისად კონკრეტული საქმის გარემოებათა გათვალისწინებით; მას შეუძლია დართოს დამსაქმებელს ნება, გადაიხადოს ეს საზღაურის თანხა ნაწილ-ნაწილ სასამართლოს მიერ დადგენილი წესითა და ოდენობით.

- 5. თუკი საზღაურის ის თანხა, რომელიც გადასახდელია იმის გამო, რომ შრომითი ხელშეკრულების აღდგენის ვალდებულება არ შესრულდა, განისაზღვრა სხვაგვარად, ნაცვლად სასამართლოს გადაწყვეტილების მეშვეობით დადგენისა, – სასამართლოს ყველაზე მეტად დაინტერესებული მხარის მოთხოვნის საფუძველზე შეუძლია გადასახდელი საზღაურის თანხის შეცვლა იმ თანხით, რომელსაც ის კონკრეტული საქმის გარემოებათა გათვალისწინებით გონივრულად და სამართლიანად მიიჩნევს და სასამართლოს შეუძლია ასევე დაუშვას ამ საკომპენსაციო თანხის ნაწილ-ნაწილ გადახდა მის მიერ დადგენილი წესითა და ოდენობით.

მუხლი 7:683 ხანდაზმულობა

- 1. 7:677 მუხლის პარ. 4-ის, 7:681 მუხლის პარ. 1-სა თუ 7:682 მუხლის პარ. 1-ის ნორმებიდან გამომდინარე ყოველი სარჩელის უფლება ხანდაზმული ხდება ექვსი თვის ვადის გასვლისას.

- 2. 7:677 მუხლის პარ. 5-ის ნორმების საფუძველზე შრომითი ხელშეკრულების საცილო შეწყვეტის გაბათილებასთან დაკავშირებული დასაქმებულის ყოველი სარჩელის უფლება ხანდაზმული ხდება ექვსი თვის ვადის გასვლისას.

მუხლი 7:684 ხუთი ან მეტი წლით დადებული შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა

- 1. შრომითი ხელშეკრულება, რომელიც დაიდო ხუთ წელზე მეტი ვადით ანდა კონკრეტული პირის სიცოცხლის ვადით, მაინც შეიძლება შეწყდეს დასაქმებულის მიერ შეტყობინების ექვსთვიანი ვადის დაცვით ხელშეკრულების დადებიდან ხუთი წლის ვადის გასვლის შემდეგ.

- 2. დასაქმებულის ინტერესების საზიანოდ წინამდებარე მუხლის ნორმებიდან გადახვევა დაუშვებელია.

მუხლი 7:685 შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა რაიონული სასამართლოს მიერ

- 1. ყოველი მხარე ყოველთვის უფლებამოსილია მიმართოს რაიონულ სასამართლოს წერილობითი მოთხოვნით, შეწყდეს შრომითი ხელშეკრულების მოქმედება მნიშვნელოვანი მიზეზების გამო. ბათილია ნებისმიერი სახელშეკრულებო პირობა, რომლითაც გამოირიცხება ან იზღუდება ეს უფლება. რაიონულ სასამართლოს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია დააკმაყოფილოს მოთხოვნა, თუკი ის დარწმუნდება იმაში, რომ მოთხოვნის წარდგენა ხდება შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის აკრძალვის არსებობასთან დაკავშირებით, როგორც ეს მითითებულია 7:647, 7:648, 7:670 და 7:670a მუხლებში, ანდა – შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის სხვა აკრძალვასთან დაკავშირებით.

- 2. „მნიშვნელოვანი მიზეზებს“ წარმოადგენს გარემოებები, რომლებიც შედეგად იწვევს 7:677 მუხლის პარ. 1-ში მითითებული შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის მნიშვნელოვანი მიზეზის წარმოშობას, თუკი ეს ხელშეკრულება შეწყდა დაუყოვნებელი შედეგით, და ასევე – ისეთი ხასიათის შეცვლილი გარემოებები, რომელთა არსებობისას შრომითი ხელშეკრულება სამართლიანობის პრინციპის შესაბამისად უნდა შეწყდეს მყისიერად ანდა მცირე დროის გასვლის შემდეგ.

- 3. ზემოაღნიშნული მოთხოვნის წარდგენა უნდა მოხდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 99-ე მუხლის, მე-100 მუხლისა და 107-ე მუხლიდან 109-ე მუხლის ჩათვლით ნორმების შესაბამისად განსჯად რაიონულ სასამართლოში განცხადების შეტანით.

- 4. განცხადებაში აღინიშნება ადგილი, სადაც დასაქმებული ჩვეულებრივ ასრულებს თავის სამუშაოს და ასევე მეორე მხარის სახელი, მისი საცხოვრებელი ადგილი, ხოლო როდესაც მას არა აქვს საცხოვრებელი ადგილი ნიდერლანდებში, – ის ადგილი და მისამართი, სადაც ის ფაქტობრივად ცხოვრობს.

- 5. როდესაც მოთხოვნა მჭირდოდ დაკავშირებულია მხარეთა შორის არსებულ იმ საკითხთან, რომელიც უკვე წარმოადგენს სხვა სასამართლოს განხილვის საგანს, რაიონულ სასამართლოს შეუძლია დაადგინოს, რომ ეს მოთხოვნა ასევე წარედგინოს განსახილველად ამ სხვა სასამართლოს. მდივანი ამ სასამართლოს განკარგულების დუბლიკატს და ასევე განცხადებასა და საქმის დარჩენილ დოკუმენტებს შემდგომი განხილვისათვის უგზავნის იმ სასამართლოს, რომელსაც საქმე გადაეცა განსახილველად.

- 6. მოთხოვნა განიხილება სასამართლოში განცხადების წარდგენის კვირიდან მაქსიმუმ ოთხ კვირაში.

– 7. თუკი რაიონული სასამართლო აკმაყოფილებს მოთხოვნას, ის განსაზღვრავს ასევე შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის დღესაც.

– 8. როდესაც რაიონული სასამართლო აკმაყოფილებს მოთხოვნას შეცვლილი გარემოებების საფუძველზე, მაშინ თუკი საქმის გარემოებათა გათვალისწინებით სასამართლო ჩათვლის სამართლიანად, მას შეუძლია ერთ-ერთ მხარეს მიაკუთვნოს მეორე მხარის მიერ გადასახდელი ფულადი კომპენსაცია; სასამართლოს შეუძლია დაადგინოს საკომპენსაციო თანხის ნაწილ-ნაწილ გადახდა მის მიერ დადგენილი წესითა და ოდენობით.

– 9. სასამართლოს იმ გადაწყვეტილების მიღებამდე, რომლითაც ხდება შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა და ასევე ერთ-ერთი მხარისათვის საკომპენსაციო თანხის დაკისრება, რაიონული სასამართლო თავისი განზრახვის შესახებ უცხადებს ორივე მხარეს და ადგენს ვადას, რომლის განმავლობაშიც განმცხადებელი უფლებამოსილია, უარი თქვას თავის მოთხოვნაზე. თუკი განმცხადებელი უარს აცხადებს თავის მოთხოვნაზე, რაიონული სასამართლო გადაწყვეტილებას მიიღებს მხოლოდ საპროცესო ხარჯებთან დაკავშირებით.

– 10. პარ. 9-ის ნორმები შესაბამისად გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუკი რაიონულ სასამართლოს გამიზნული აქვს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა საკომპენსაციო თანხის მინიჭების გარეშე, როგორც ამას ითხოვს განმცხადებელი.

– 11. წინამდებარე მუხლის შესაბამისად მიღებული სასამართლოს გადაწყვეტილების სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში გასაჩივრება დაუშვებელია.

მუხლი 7:686 შრომითი ხელშეკრულების მოშლა ვალდებულებათა შეუსრულებლობის საფუძველზე

წინამდებარე განყოფილების (განყოფილება 7.10.9) ნორმები არ ეხება ორივე მხარის უფლებას, მოშალონ შრომითი ხელშეკრულება მისი პირობების შეუსრულებლობის საფუძველზე, და ასევე – ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას. თუმცა, შრომითი ხელშეკრულების მოშლა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით.

განყოფილება 7.10.10 – სავაჭრო წარმომადგენლის მიმართ მოქმედი სპეციალური ნორმები

მუხლი 7:687 „სავაჭრო წარმომადგენლის“ განმარტება

სავაჭრო წარმომადგენლის ხელშეკრულება წარმოადგენს შრომით ხელშეკრულებას, რომლითაც ერთ-ერთი მხარე („სავაჭრო წარმომადგენელი“) მეორე მხარის („პრინციპალი“) წინაშე კისრულობს ვალდებულებას, გაუწიოს საშუამავლო მომსახურება პრინციპალსა და მესამე პირებს შორის კონტრაქტების დასადავად, ხოლო თუკი ამაზე მხარეები თანხმდებიან, – გააფორმონ ეს კონტრაქტები პრინციპალის სახელით ამ უკანასკნელის მიერ გადასახდელი ხელფასის სანაცვლოდ, რომელიც სრულად ან ნაწილობრივ შეადგენს საკომისიოს.

მუხლი 7:688 სხვადასხვა კანონისმიერი ნორმების გამოყენება საშუამავლო ხელშეკრულებებისა და სავაჭრო აგენტობის ხელშეკრულებების მიმართ

– 1. სავაჭრო წარმომადგენლის ხელშეკრულების მიმართ შესაბამისად გამოიყენება 7:426 მუხლის, 7:429 მუხლის, 7:430 მუხლის პარ. 2-დან პარ. 4-ის ჩათვლით, 7:431, 7:432, 7:433 და 7:434 მუხლების ნორმები.

– 2. სავაჭრო წარმომადგენლის ხელშეკრულებებთან დაკავშირებით, დაუშვებელია 7:426 მუხლის პარ. 2-ის, 7:429 მუხლის, 7:430 მუხლის პარ. 2-დან პარ. 4-ის ჩათვლით, 7:431 მუხლის პარ. 2-სა და 7:433 მუხლის ნორმებიდან გადახვევა.

– 3. სავაჭრო წარმომადგენლის ხელშეკრულებებთან დაკავშირებით, სავაჭრო წარმომადგენლის ინტერესების საზიანოდ 7:432 მუხლის პარ. 3-სა და 7:434 მუხლის ნორმებიდან გადახვევა დაუშვებელია.

– 4. სავაჭრო წარმომადგენლის ხელშეკრულებებთან დაკავშირებით, მხოლოდ წერილობითი ფორმით დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში დასაშვებია სავაჭრო წარმომადგენლის ინტერესების საზიანოდ 7:426 მუხლის პარ. 1-სა და 7:431 მუხლის პარ. 1-ის ნორმებიდან გადახვევა.

მუხლი 7:689 ზიანისათვის გადასახდელი ფიქსირებული საკომპენსაციო თანხა

7:680 მუხლის პარ. 2-საგან განსხვავებით, 7:677 მუხლის პარ. 4-ში მითითებული ზიანისათვის გადასახ-

დელი ფიქსირებული საკომპენსაციო თანხის ოდენობა განისაზღვრება ასევე წინა პერიოდში გამომუშავებული საკომისიოს თანხისა და ყველა სხვა შესაბამისი ფაქტორის მხედველობაში მიღებით.

განყოფილება 7.10.11 – დასაქმებულის მესამე პირთან მივლინების ხელშეკრულების მიმართ მოქმედი სპეციალური ნორმები

მუხლი 7:690 „დასაქმებულის მესამე პირთან მივლინების ხელშეკრულების“ განმარტება

დასაქმებულის მესამე პირთან მივლინების ხელშეკრულება წარმოადგენს შრომით ხელშეკრულებას, რომლითაც დამსაქმებელი თავისი სამენარმეო ან პროფესიული საქმიანობის ფარგლებში დასაქმებულს სამუშაოს შესრულებისათვის გადასცემს მესამე პირის განკარგულებაში ამ უკანასკნელის ზედამხედველობისა და ხელმძღვანელობის ქვეშ მასსა და დამსაქმებელს შორის დადებული მომსახურების განწესის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე.

მუხლი 7:691 დასაქმებულის მესამე პირთან მივლინების ხელშეკრულების შეწყვეტა

– 1. 7:668a მუხლის ნორმები დასაქმებულის მესამე პირთან მივლინების ხელშეკრულების მიმართ მოქმედებს მხოლოდ დასაქმებულის მიერ სამუშაოს 26 კვირაზე მეტი ხნის განმავლობაში შესრულების შემთხვევაში.

– 2. დასაქმებულის მესამე პირთან მივლინების ხელშეკრულებაში მხარეები წერილობით შეიძლება შეთანხმდნენ იმაზე, რომ ასეთი ხელშეკრულება შეწყდება კანონის ძალით იმ შემთხვევაში, როდესაც 7:690 მუხლში მითითებული მესამე პირი მოსთხოვს დამსაქმებელს იმ მდგომარეობის დასრულებას, როგორშიც დასაქმებული იმყოფება მესამე პირის განკარგულებაში მისი გადაცემისას. თუკი აღნიშნულ წინააღმდეგაში მითითებული სახელშეკრულებო დათქმა მოიცავს დასაქმებულის მესამე პირთან მივლინების ხელშეკრულებას, დასაქმებულს ყოველთვის შეუძლია შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება დაუყოვნებლივ შედეგით.

– 3. პარ. 2-ში მითითებული სახელშეკრულებო დათქმას აღარ ექნება რაიმე სამართლებრივი შედეგი, თუკი დასაქმებული ასრულებდა სამუშაოს დამსაქმებლისათვის 26 კვირაზე მეტი ხნით. ამ ვადის ამონურვისას დასაქმებულის მიერ პარ. 2-ში მითითებული მესამე პირთან მივლინების ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება ქარწყლდება.

– 4. პარ. 1-სა და 3-ში მითითებული ვადების გამოთვლისათვის მხედველობაში მიიღება ასევე ის უწყვეტი პერიოდები, რომელთა განმავლობაშიც სამუშაო სრულდება ერთ ნელზე ნაკლები ინტერვალებით.

– 5. პარ. 1-სა და 3-ში აღნიშნული ვადების გამოთვლისათვის ასევე მხედველობაში მიიღება ის პერიოდები, რომელთა განმავლობაშიც სამუშაო სრულდება სხვადასხვა დამსაქმებლისათვის, რომლებიც შესრულებული სამუშაოს მიმართ გონივრულად განიხილებიან როგორც ერთმანეთის უფლებამონაცვლები.

– 6. წინამდებარე მუხლის ნორმები არ მოქმედებს დასაქმებულის მესამე პირთან მივლინების ხელშეკრულების მიმართ, როდესაც დამსაქმებელი და მესამე პირი ქმნიან სამოქალაქო კოდექსის 2:24b მუხლში მითითებულ ჯგუფს ანდა – როდესაც ერთ-ერთი მათგანი წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსის 2:24b მუხლში მითითებულ შვილობილ სანარმოს.

– 7. დასაქმებულის ინტერესების საზიანოდ პარ. 1, 3 და 4-ში მითითებული ვადებიდან გადახვევა დასაშვებია მხოლოდ კოლექტიური შრომითი ხელშეკრულებით ან კომპეტენტური სახელმწიფო მმართველობის ორგანოს მიერ ან მისი სახელით მიღებული რეგულაციების საფუძველზე.

მუხლი 7:692 ნიდერლანდებში მომუშავე დასაქმებულთა მინიმალური ხელფასი და მინიმალური საშვებულებო თანხები

– 1. თუკი დასაქმებულის მესამე პირთან მივლინების ხელშეკრულებიდან გამომდინარე სამუშაოს შესრულება ხდება ნიდერლანდებში, მაშინ დამსაქმებელი და მესამე პირი სოლიდარულად აგებენ პასუხს შესაბამისი მინიმალური ხელფასისა და მინიმალური საშვებულებო თანხების გადახდაზე, როგორც ეს მითითებულია მინიმალური ხელფასისა და მინიმალური საშვებულებო თანხების შესახებ კანონის მე-7 და მე-15 მუხლებში მიუხედავად იმისა, თუ რომელი სამართალი ანგსრიგებს შრომით ხელშეკრულებას და/ან ხელშეკრულებას დამსაქმებელსა და მესამე პირს შორის.

– 2. პარ. 1-ის ნორმები მესამე პირის მიმართ არ მოქმედებს, თუკი დამსაქმებელსა და აღნიშნულ მე-

სამე პირს შორის ხელშეკრულების დადების მომენტში დამსაქმებელი სერტიფიცირებულია აკრედიტებული სახელმწიფო ორგანოს მიერ, აღიარებულია ასეთად აკრედიტაციის საბჭოს მიერ სტანდარტების დადგენის შესახებ სოციალურ საკითხთა და დასაქმების მინისტრის რეგულაციების შესაბამისად, რამდენადაც ეს სტანდარტები ეხება მინიმალური ხელფასისა და მინიმალური საშვებულებო თანხების შესახებ კანონის მე-7 და მე-15 მუხლების დაცვას.

ტიტული 7.12 – მშენებლობის ხელშეკრულება

განყოფილება 7.12.1 – მშენებლობის ხელშეკრულება ზოგადად

მუხლი 7:750 „მშენებლობის ხელშეკრულების“ განმარტება

– 1. მშენებლობის ხელშეკრულება წარმოადგენს ხელშეკრულებას, რომლითაც ერთ-ერთი მხარე („მშენებელი“) ხელშეკრულების მეორე მხარის („შემკვეთი“) მიმართ კისრულობს მატერიალური ობიექტის აშენებისა და გადაცემის ვალდებულებას სხვა სამართლებრივ საფუძველზე, ნაცვლად შრომითი ხელშეკრულებისა, შემკვეთის მიერ ფულადი სახით საფასურის გადახდის სანაცვლოდ.

– 2. როდესაც შემკვეთის სამაგიერო შესრულება არ მდგომარეობს ან სრულად არ მდგომარეობს ფულადი თანხის გადახდაში, წინამდებარე ტიტულის (ტიტული 7.12) ნორმები გამოიყენება იმდენად, რამდენადაც სამაგიერო შესრულების ხასიათი არ ეწინააღმდეგება ამას.

მუხლი 7:751 სუბკონტრაქტორები

მშენებელი უფლებამოსილია, დაუშვას სუბკონტრაქტორები სამუშაოს შესასრულებლად მისი ხელმძღვანელობისა და მითითებების ქვეშ და მისცეს მათ სამუშაოს განსაზღვრული ნაწილების მიმართ პირდაპირი კონტროლი, მიუხედავად მშენებლობის ხელშეკრულების ჯეროვანი შესრულებისათვის შემკვეთის მიმართ მშენებლის პასუხისმგებლობისა.

მუხლი 7:752 მხარეების მიერ დაუდგენელი საფასური

– 1. თუკი მშენებლობის ხელშეკრულებაში საფასური ჯერ არ არის განსაზღვრული ანდა დადგენილია მისი მხოლოდ საორიენტაციო ოდენობა, მაშინ შემკვეთმა უნდა გადაიხადოს გონივრული ფასი. ამ უკანასკნელის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება ის ოდენობა, რომელსაც მშენებელი ჩვეულებრივ ახდევინებს მშენებლობის ხელშეკრულების დადების მომენტში, და ასევე – ის მოლოდინები, რომლებიც მას შეექმნა საფასურის სავარაუდო ოდენობასთან დაკავშირებით.

– 2. თუკი მხარეებმა დაადგინეს საფასურის საორიენტაციო ოდენობა, მაშინ ეს უკანასკნელი არ უნდა აღემატებოდეს 10%-ს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მშენებელმა შეძლებისდაგვარად სწრაფად გააფრთხილა შემკვეთი თანხის გადაჭარბების ალბათობის შესახებ იმ მიზნით, რათა ჯერ კიდევ მისცეს მას შესაძლებლობა მშენებლობის შეზღუდვის ან გამარტივებისა. მშენებელი გონივრულობის ფარგლებში ვალდებულია ითანამშრომლოს შემკვეთთან მშენებლობის ასეთი შეზღუდვის ან გამარტივების განხორციელებაში.

– 3. პარ. 2-ის ნორმები შესაბამისად გამოიყენება იმ მშენებლობის ხელშეკრულებების მიმართ, რომელთა შემთხვევაშიც საფასურის ოდენობა დამოკიდებულია შესასრულებელი სამუშაოს ხანგრძლივობაზე, როგორც ეს მშენებლობის ხელშეკრულების დადებისას ივარაუდებოდა.

მუხლი 7:753 გარემოებები, რომლებიც იწვევს ხარჯების ზრდას

– 1. როდესაც მშენებლობის ხელშეკრულების დადების შემდეგ წარმოიშობა გარემოებები, რომლებიც იწვევს ხარჯების ზრდას, ანდა ვლინდება ისეთი გარემოებები, რომლებიც მშენებელს ვერ შეერაცხება, სასამართლომ მშენებლის სარჩელის საფუძველზე უნდა მოახდინოს შეთანხმებული საზღაურის თანხის მთლიანად ან ნაწილობრივ კორექტირება ხარჯების ზრდის პროპორციულად იმ პირობით, რომ მშენებელს იმ მომენტში, როდესაც ის შეთანხმდა ფასზე, არ მოუწია გაეთვალისწინებინა იმის ალბათობა, რომ აღნიშნული გარემოებები დადგებოდა.

– 2. მშენებელი უფლებამოსილია, მოახდინოს საზღაურის თანხის კორექტირება სასამართლოს ჩარევის გარეშე, თუკი ხარჯების ზრდა წარმოადგენს მისთვის შემკვეთის მიერ მიწოდებული არასწორი ინფორმაციის შედეგს და ეს ინფორმაცია მნიშვნელოვანია საზღაურის ოდენობის დადგენისათვის, გარდა

იმ შემთხვევებისა, როდესაც მშენებელს უნდა აღმოეჩინა ეს უსწორობა მანამდე, სანამ მოხდებოდა საზღაურის ოდენობის დადგენა.

– 3. პარ. 1 და 2-ის ნორმები მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მშენებელმა შეძლებისდაგვარად სწრაფად გააფრთხილა შემკვეთი საზღაურის თანხის გაზრდის საჭიროების შესახებ ისე, რომ შემკვეთმა შეძლოს მისთვის 7:764 მუხლში მინიჭებული უფლებით სარგებლობა ანდა შესასრულებელი სამუშაოს შეზღუდვის ან გამარტივების წინადადების წარდგენა.

მუხლი 7:754 მშენებლის მხრიდან გაფრთხილების მიცემის მოვალეობა

მშენებელმა არა მარტო იმ მომენტში, როდესაც ის დებს მშენებლობის ხელშეკრულებას, არამედ ასევე ამ ხელშეკრულების შესრულების განმავლობაშიც უნდა გააფრთხილოს შემკვეთი მისთვის დავალეულ მშენებლობასა თუ სამუშაოში არსებული ნებისმიერი შეუსაბამობების შესახებ იმდენად, რამდენადაც ეს შეუსაბამობები მისთვის ცნობილია ანდა მას გონივრულად უნდა სცოდნოდა მათი არსებობის შესახებ. იგივე წესი მოქმედებს იმ საგნების დეფექტებისა თუ გამოუსადეგრობის მიმართ, რომლებსაც აწვდის შემკვეთი იმ მიწის ნაკვეთის ჩათვლით, რომელზეც შემკვეთი სხვა პირებს რთავს სამუშაოს შესრულების ნებას, ისევე როგორც – რუკებში, ნახაზებში, პროექტებში, გამოთვლებში, სპეციფიკაციებში, შეფასებებსა თუ შემკვეთის მიერ მიწოდებული რეგულაციების შესრულებაში არსებული შეცდომებისა თუ ხარვეზების მიმართ.

მუხლი 7:755 დამატებით შესრულებული სამუშაო

იმ შემთხვევაში, თუკი შემკვეთმა ითხოვა დამატებითი სამუშაოების ჩატარება ანდა შეთანხმებულ სამუშაოსთან შედარებით განსაზღვრული ცვლილებების განხორციელება, მშენებელს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია მოითხოვოს შეთანხმებული ფასის გაზრდა, როდესაც მან დროულად მიუთითა შემკვეთს, რომ ეს აუცილებლად გამოიწვევს ფასის ზრდას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შემკვეთი თავად უნდა მიმხვდარიყო, რომ ასეთი ზრდა აუცილებლად მოხდებოდა ზემოაღნიშნულის შედეგად. შემკვეთის ინტერესების საზიანოდ წინამდებარე მუხლის ნორმებიდან გადახვევა დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქმე ეხება 6:214 მითითებული სტანდარტული რეგულაციების გამოყენებას.

მუხლი 7:756 მშენებლობის ხელშეკრულების მოშლა სამუშაოს დასრულებამდე

– 1. თუკი თუნდაც სამუშაოს დასრულების განსაზღვრულ დრომდე სავარაუდო ხდება, რომ მშენებლობა დროულად არ დასრულდება ანდა ჯეროვნად არ დასრულდება, მაშინ სასამართლოს შეუძლია სრულად ან ნაწილობრივ მოშალოს მშენებლობის ხელშეკრულება შემკვეთის მიერ ამ მიზნით წარდგენილი სარჩელის საფუძველზე.

– 2. თუკი თუნდაც სამუშაოს დასრულებამდე სავარაუდო ხდება, რომ შემკვეთი არ შეასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს ან ჯეროვნად არ შეასრულებს მათ, ანდა – რომ მშენებელი ვერ შეძლებს სამშენებლო სამუშაოების განხორციელებას იმ გარემოებათა არსებობის შედეგად, რომლებიც მას ვერ შეერაცხება, მაშინ სასამართლოს შეუძლია სრულად ან ნაწილობრივ მოშალოს მშენებლობის ხელშეკრულება მშენებლის მიერ ამ მიზნით წარდგენილი სარჩელის საფუძველზე.

– 3. სასამართლო განსაზღვრავს მშენებლობის ხელშეკრულების მოშლის სამართლებრივ შედეგებს; მას შეუძლია ასევე მოშალოს მშენებლობის ხელშეკრულება მის მიერ დადგენილი კონკრეტული პირობების დაცვით.

მუხლი 7:757 სამუშაოს შესრულების შეუძლებლობა

– 1. როდესაც სამუშაოს შესრულება შეუძლებელი ხდება იმის გამო, რომ ის ობიექტი, რომელთან მიმართებაშიც ეს სამუშაო უნდა შესრულდეს, განადგურდა ან დაზიანდა იმ მიზეზით, რომელიც მშენებელს ვერ შეერაცხება, მაშინ ეს უკანასკნელი უფლებამოსილია უკვე შესრულებული სამუშაოსა და გაწული ხარჯების შესაბამისად მიიღოს ფიქსირებული თანხის პროპორციული ნაწილი. შემკვეთის მხრიდან განზრახვისა თუ უხეში გაუფრთხილებლობის შემთხვევაში, მშენებელი უფლებამოსილია მიიღოს ფულადი თანხა, რომელიც გამოითვლება 7:764 მუხლის პარ. 2-ის ნორმების შესაბამისად.

– 2. როდესაც წინა პარაგრაფში მითითებულ შემთხვევაში ობიექტი იმყოფებოდა მშენებლის ხელში, შემკვეთი არ არის ვალდებული, გადაიხადოს რაიმე საკომპენსაციო თანხა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის პასუხისმგებელია განადგურებისა თუ ზიანისათვის, რა შემთხვევაშიც წინა პარაგრაფი მოქმედებს სრული მოცულობით.

მუხლი 7:758 მშენებლობის დასრულება და გადაცემა

– 1. თუკი მშენებელმა ნათლად განაცხადა, რომ მშენებლობა დასრულებულია და ის მზადაა მის გადასაცემად, ხოლო შემკვეთი კი გონივრულ ვადაში არ ატარებს შემონმებას და არ ახდენს მშენებლობის მიღებას დათქმით ან დათქმის გარეშე ანდა უარს აცხადებს მის მიღებაზე კონკრეტულ სამშენებლო ხარვეზებზე მითითებით, მაშინ მიიჩნევა, რომ შემკვეთმა უსიტყვოდ მიიღო მშენებლობა (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შემკვეთს ჰქონდა მშენებლობის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი). მიღების შემდეგ მშენებლობა განიხილება დასრულებულად და გადაცემულად.

– 2. მშენებლობის დასრულებისა და მისი გადაცემის შემდეგ მშენებლობის ობიექტის შემთხვევით დაღუპვის რისკი გადადის შემკვეთზე. შესაბამისად, მან საზღაური უნდა გადაიხადოს მიუხედავად იმისა, მოხდება თუ არა მომავალში ობიექტის განადგურება ან დაზიანება იმ მიზეზით, რომელიც მშენებელს ვერ შეერაცხება.

– 3. მშენებელი თავისუფლდება იმ სამშენებლო ხარვეზებისათვის მასზე დაკისრებული პასუხისმგებლობისაგან, რომლებიც შემკვეთს გონივრულად უნდა აღმოეჩინა დასრულებული მშენებლობის გადაცემის მომენტში.

მუხლი 7:759 სამშენებლო ხარვეზების გამოსწორება

– 1. თუკი ის სამშენებლო ხარვეზები, რომელთათვისაც პასუხისმგებელია მშენებელი, ვლინდება დასრულებული მშენებლობის გადაცემის შემდეგ, მაშინ შემკვეთმა უნდა მისცეს მშენებელს ამ ხარვეზების გონივრულ ვადაში გამოსწორების შესაძლებლობა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქმის გარემოებათა გათვალისწინებით აღნიშნული შემკვეთისაგან მოსალოდნელი ვერ იქნება ისე, რომ, ყველა შემთხვევაში, არ იზღუდება უხარისხო მშენებლობის წარმოებიდან და გადაცემიდან გამომდინარე მშენებლის პასუხისმგებლობა.

– 2. შემკვეთს შეუძლია განაცხადოს, რომ მშენებელი გონივრულ ვადაში გამოასწორებს სამშენებლო ხარვეზებს იმ შემთხვევაში, თუკი თავად ხარვეზების გამოსწორების ხარჯები ამ გამოსწორების მნიშვნელობის პროპორციული იქნება იმ ინტერესთან შედარებით, რაც შემკვეთს აქვს განცდილი ზიანისათვის ფინანსური კომპენსაციის მიღების მიმართ.

მუხლი 7:760 პასუხისმგებლობა მასალებისა და აღჭურვილობისათვის

– 1. როდესაც მშენებელმა გამოიყენა ნაკლის მქონე ან უვარგისი მასალები ან აღჭურვილობა, რის შედეგადაც სამუშაო უხარისხოდ შესრულდა, ასეთი შედეგისათვის პასუხისმგებელია მშენებელი.

– 2. თუმცაღა, თუკი სამუშაოს უხარისხოდ შესრულება წარმოადგენს შემკვეთისგან მიღებული ნაკლის მქონე ან უვარგისი მასალებისა თუ აღჭურვილობის შედეგს იმ მიზნის ნაკვეთის ჩათვლით, რომელზეც შემკვეთი სხვა პირებს რთავს სამუშაოს შესრულების ნებას, მაშინ ასეთი შედეგისათვის პასუხისმგებელია შემკვეთი იმდენად, რამდენადაც მშენებელმა არ დაარღვია მასზე დაკისრებული მოვალეობა, წარედგინა შემკვეთისათვის 7:754 მუხლში მითითებული გაფრთხილება, ანდა – სხვაგვარად არ დაარღვია მასზე დაკისრებული ვალდებულებები, რაც დაკავშირებულია აღნიშნული ნაკლის მქონე ან უვარგისი მასალებისა თუ აღჭურვილობის მიმართ ჯეორჯან შემონმებასა თუ სიფრთხილესთან.

– 3. პარ. 2-ის ნორმები შესაბამისად გამოიყენება რუკებში, ნახაზებში, პროექტებში, გამოთვლებში, სპეციფიკაციებში, შეფასებებსა თუ შემკვეთის მიერ მიწოდებული რეგულაციების შესრულებაში არსებული შეცდომებისა თუ ხარვეზების შემთხვევაში.

მუხლი 7:761 სამშენებლო ხარვეზებზე დაფუძნებული სარჩელების ხანდაზმულობა

– 1. დასრულებული და გადაცემული მშენებლობის სამშენებლო ხარვეზებზე დაფუძნებული ყოველი სარჩელის უფლება ხანდაზმული ხდება ორი წლის ვადის გასვლისას მას შემდეგ, რაც შემკვეთი ამის თაობაზე წარადგენს შესაბამის საჩივარს. თუკი შემკვეთმა მშენებელს მისცა დამატებითი ვადა, რომლის განმავლობაშიც ამ უკანასკნელს აქვს ხარვეზების გამოსწორების შესაძლებლობა, ხანდაზმულობის ვადის ათვლა იწყება სწორედ იმ ვადის დასრულების მომენტიდან, რომლის განმავლობაშიც მშენებელს შეეძლო ხარვეზების გამოსწორება, ანდა – უფრო ადრე, თუკი მშენებელმა ნათლად განაცხადა, რომ ის არ გამოასწორებს არსებულ სამშენებლო ხარვეზს.

– 2. სარჩელის უფლება ნებისმიერ შემთხვევაში ხანდაზმული ხდება დასრულებული მშენებლობის გადაცემის შემდეგ ოცი წლის ვადის გასვლისას, თუკი საქმე ეხება შენობა-ნაგებობას, ხოლო ყველა სხვა დასრულებული მშენებლობების გადაცემის შემდეგ კი, – ათი წლის ვადის გასვლისას.

- 3. როდესაც ერთ-ერთი წინა პარაგრაფის შედეგად სარჩელის უფლება ხანდაზმული გახდება იმ მომენტებს შორის, როდესაც მშენებელმა შეატყობინა შემკვეთს იმის თაობაზე, რომ ის შეისწავლის ანდა გამოსწავლის სამშენებლო ხარვეზს, და - როდესაც ის აღნიშნულ შესწავლასა თუ ხარვეზის გამოსწავლის მცდელობას აშკარად დასრულებულად თვლის, ხანდაზმულობის ვადა იზრდება 3:320 მუხლის შესაბამისად.

- 4. როდესაც მშენებელი მოითხოვს საზღაურის თანხის გადახდას, შემკვეთის უფლება, ცალმხრივად შეწყვიტოს მშენებლობის ხელშეკრულება ანდა მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, წინამდებარე მუხლის პარ. 1-დან 3-ის ჩათვლით ნორმებით არ იზღუდება.

მუხლი 7:762 პასუხისმგებლობა ფარული სამშენებლო ხარვეზებისათვის

იმ ფარული სამშენებლო ხარვეზებისათვის, რომელთა შესახებაც მშენებლისათვის ცნობილი იყო და რომლებიც მან დამალა, მშენებლის პასუხისმგებლობა შეთანხმებით ვერ გამოირიცხება ან შეიზღუდება, ასევე ფარული სამშენებლო ხარვეზების მიმართ ვერ გავრცელდება იმაზე მცირე ხანდაზმულობის ვადა, ვიდრე ეს მითითებულია 7:761 მუხლში. იმ პირის მიერ სამშენებლო ხარვეზების დაფარვას, ვინც მშენებლის მიერ დაინიშნა სამუშაოს შესრულების საზედამხედველოდ, უთანაბრდება თავად მშენებლის მიერ სამშენებლო ხარვეზების დაფარვა.

მუხლი 7:763 მშენებლის გარდაცვალება ან ხანგრძლივადიანი შრომისუუნარობა

როდესაც მშენებლობის ხელშეკრულების დადების შემდეგ მშენებელი გარდაიცვლება ან დიდი ხნით შრომისუუნარო გახდება, თითოეულ მხარეს უფლება აქვს, შეწყვიტოს მშენებლობის ხელშეკრულება იმდენად, რამდენადაც ამ ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნების გათვალისწინებით მშენებლის გარდაცვალება ან შრომისუუნარობა მას ანიჭებს ხელშეკრულების შეწყვეტის გონივრულ ინტერესს. უკვე შესრულებულ სამუშაოსა და განეულ ხარჯებთან დაკავშირებით, შემკვეთმა უნდა გადაიხადოს გონივრული კომპენსაცია, რომელიც განისაზღვრება ყველა გარემოების მხედველობაში მიღებით.

მუხლი 7:764 მშენებლობის ხელშეკრულების შეწყვეტა

- 1. შემკვეთს ნებისმიერ დროს შეუძლია სრულად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს მშენებლობის ხელშეკრულება.

- 2. ზემოაღნიშნული შეწყვეტის შემთხვევაში, შემკვეთმა უნდა გადაიხადოს საზღაური მთლიანი სამუშაოსა და მშენებლობისათვის, რასაც აკლდება ხარჯებისა და დანახარჯების ის თანხები, რომლებიც მშენებელმა შეწყვეტის შედეგად დაზოგა, რა შემთხვევაშიც მშენებელმა მშენებლობის გადაცემა უნდა მოახდინოს უკვე შესრულებული სამუშაოს სანაცვლოდ. თუკი საზღაურის ოდენობა მხარეებმა დამოკიდებული გახადეს იმ ხარჯების მოცულობიდან, რომლებიც მშენებელმა რეალურად გასწია, მაშინ შემკვეთის მიერ გადასხდელი თანხა გამოითვლება ფაქტობრივად განეული ხარჯების, შესრულებული სამუშაოსა და იმ მოგების საფუძველზე, რომელსაც მშენებელი მიიღებდა მთლიანი სამუშაოსა და მშენებლობისათვის.

განყოფილება 7.12.2 – იმ ფიზიკური პირის სასარგებლოდ საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მომწესრიგებელი დებულებები, ვინც არ მოქმედებს პროფესიული ან სამენარმეო საქმიანობის ფარგლებში

მუხლი 7:765 7.12.2 განყოფილების ნორმების გამოყენება

წინამდებარე განყოფილების (განყოფილება 7.12.2) ნორმები მოქმედებს იმ ფიზიკური პირისათვის საცხოვრებელი სახლის, არსებული ანდა მომავალი უძრავი ქონებისა თუ ასეთი ნივთის შემადგენელი ნაწილის მშენებლობასთან დაკავშირებული ხელშეკრულების მიმართ, ვინც მშენებლობის ხელშეკრულების დადებისას არ მოქმედებდა თავისი პროფესიული ან სამენარმეო საქმიანობის ფარგლებში.

მუხლი 7:766 წერილობითი ფორმით დადებული ხელშეკრულება და რეფლექციის პერიოდი

- 1. 7:765 მუხლში მითითებული მშენებლობის ხელშეკრულება იდება წერილობითი ფორმით.

- 2. მხარეთა შორის შედგენილი მშენებლობის ხელშეკრულების კერძო აქტი ანდა მისი დუბლიკატი უნდა გადაეცეს შემკვეთს დათარიღებული ქვითრის მინოდების სანაცვლოდ, თუკი მშენებელი ითხოვს ასეთ ქვითარს. მას შემდეგ, რაც ეს კერძო აქტი გადაეცა შემკვეთს, ამ უკანასკნელს სამი დღის განმავლობაში აქვს მშენებლობის ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება. თუ შემკვეთმა ისარგებლა ამ უფლებით და

ექვესი თვის განმავლობაში იგივე მხარეები ახალ მშენებლობის ხელშეკრულებას დებენ იმავე მშენებარე შენობა-ნაგებობის მიმართ, მაშინ აღნიშნული უფლება აღარ წარმოიშობა.

– 3. პარ. 1 და 2-ის ნორმები არ მოქმედებს იმ მშენებლობის ხელშეკრულების მიმართ, რომელიც ეხება იმ მიწის ნაკვეთზე განთავსებული საცხოვრებელი სახლის მშენებლობას, რომელიც უკვე ეკუთვნის შემკვეთს, ხოლო ამ მიწის ნაკვეთის შეძენა კი მშენებლობის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული არ არის.

მუხლი 7:767 ხელშეკრულების საზღაურის გადახდა

შემკვეთს ეკისრება მხოლოდ იმ გადახდების განხორციელება, რომლებიც, სულ ცოტა, მიახლოებით მაინც შეესაბამება მშენებლობის პროცესის მსვლელობას ანდა მისთვის გადაცემული ობიექტების ღირებულებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელშეკრულებით დაშვებულია დათქმა იმის შესახებ, რომ შემკვეთი მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის სახით ნოტარიუსის დეპოზიტზე განათავსებს თანხას სახელშეკრულებო ფასის არაუმეტეს 10%-სა, ანდა ამ თანხისათვის წარადგენს სხვა უზრუნველყოფას. როდესაც შემკვეთი იხდის უფრო მეტ თანხას, ვიდრე ეს მითითებულია წინა წინადადებაში, ანდა წარადგენს უფრო მეტი ოდენობის უზრუნველყოფას, ზედმეტობა განიხილება როგორც არაჯეროვანი შესრულება.

მუხლი 7:768 სახელშეკრულებო ფასის თანხის, სულ ცოტა, 5%-ის დაკავება

– 1. 6:262 მუხლის საფუძველზე საკუთარ შესრულებაზე უარის უფლებაზე ფაქტობრივი მითითების გარეშე და ასევე თავისი დასრულებული მშენებლობის გადაცემის მოთხოვნის უფლების შენარჩუნებით, შემკვეთს შეუძლია საზღაურის უკანასკნელი გადასახდელი თანხიდან ან თანხებიდან დააკავოს სახელშეკრულებო ფასის თანხა 5%-მდე ოდენობით და, ნაცვლად მშენებლისათვის გადახდისა, განათავსოს ეს თანხა ნოტარიუსის დეპოზიტზე.

– 2. აშენებული საცხოვრებელი სახლის დასრულებისა და გადაცემიდან სამი თვის ვადის გასვლის შემდეგ, ნოტარიუსი დეპონირებულ თანხას გადასცემს მშენებელს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შემკვეთს სურს 6:262 მუხლში მითითებული შესრულებაზე უარის თქმის უფლების გამოყენება („*exceptio non adimpleti contractus*“). ასეთ შემთხვევაში შემკვეთი ატყობინებს ნოტარიუსს იმ თანხის ოდენობის შესახებ, რომლის შენახვაც უნდა გაგრძელდეს.

– 3. ნოტარიუსი დეპონირებულ თანხას მშენებელს გადასცემს ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც შემკვეთი ეთანხმება ამას ან მშენებელი წარადგენს ალტერნატიულ უზრუნველყოფას ანდა – იმ გადაწყვეტილების გამო, რომელიც სავალდებულოა შესასრულებლად ორივე მხარისათვის და რომელშიც მითითებულია, რომ დეპოზიტი არ არის ან აღარ არის გამართლებული.

– 4. პარ. 2-ში მითითებული სამთვიანი ვადის განმავლობაში შემკვეთი ვერ გახდება პასუხისმგებელი მშენებლის წინაშე პარ. 1-ში მითითებული დეპოზიტით ან მშენებლის მხრიდან წარდგენილი ალტერნატიული უზრუნველყოფით მიყენებული ზიანისათვის იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც სამშენებლო ხარვეზები არ იქნა აღმოჩენილი. თუკი შემკვეთი ზემოაღნიშნული ერთ-ერთი მიზეზის გამო ზიანისათვის პასუხისმგებელი გახდება სამთვიანი ვადის გასვლის შემდეგ, მაშინ ეს ზიანი დგინდება 6:119 მუხლით გათვალისწინებული კანონისმიერი პროცენტის ოდენობით.

მუხლი 7:769 კანონის იმპერატიული ნორმები

შემკვეთის ინტერესების საზიანოდ წინამდებარე განყოფილებისა (განყოფილება 7.12.2) – და რამდენადაც 6:262 მუხლის გამოყენება აუცილებელია 7:768 მუხლის მიზნებისათვის, – ასევე 6:262 მუხლის ნორმებიდან გადახვევა დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ნორმიდან გადახვევა ხდება 6:214 მუხლში მითითებული სტანდარტული რეგულაციების მეშვეობით.

ტიტული 7.14 – თავდებობის ხელშეკრულება

განყოფილება 7.14.1 – ზოგადი დებულებები

მუხლი 7:850 „თავდებობის ხელშეკრულების“ განმარტება

– 1. თავდებობის ხელშეკრულება წარმოადგენს ხელშეკრულებას, რომლითაც ერთ-ერთი მხარე („თავდები“) ხელშეკრულების მეორე მხარის („კრედიტორი“) მიმართ კისრულობს იმ ვალდებულების შესრუ-

ლებას, რომელიც ეკისრება ან მომავალში დაეკისრება კრედიტორის წინაშე მესამე პირს („ძირითადი მოვალე“).

– 2. თავდებობის ხელშეკრულების ნამდვილობისათვის არ მოითხოვება, რომ ძირითადმა მოვალემ იცოდეს შესაბამისი თავდებობის არსებობის შესახებ.

– 3. სოლიდარული ვალდებულებების შესახებ კანონისმიერი ნორმები გამოიყენება თავდებობის ხელშეკრულების მიმართ იმდენად, რამდენადაც წინამდებარე ტიტულის (ტიტული 7.14) ნორმები აღნიშნული ნორმებისაგან განსხვავებულ დანაწესებს არ ითვალისწინებს.

მუხლი 7:851 აქსესორული უფლება; სამომავლო ვალდებულებათა უზრუნველყოფა

– 1. თავდებობის ხელშეკრულება აქცესორულია ძირითადი მოვალის იმ ვალდებულებისა, რომლისათვისაც ის უზრუნველყოფის სახით იდება.

– 2. თავდებობის ხელშეკრულება სამომავლო ვალდებულებათა უზრუნველსაყოფად შეიძლება დაიდოს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს ვალდებულებები საკმარისად განსაზღვრებადია.

მუხლი 7:852 თავდების სამართლებრივი დაცვის საშუალებები; ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის უფლება

– 1. ის სამართლებრივი დაცვის საშუალებები, რომელთა გამოყენებაც ძირითად მოვალეს შეუძლია კრედიტორის მიმართ, შეიძლება კრედიტორის მიმართ გამოყენებულ იქნეს ასევე თავდების მიერაც, თუკი ისინი ეხება ძირითადი მოვალის ვალდებულების შესრულების არსებობას, შინაარსსა თუ დროს.

– 2. თუკი ძირითადი მოვალე უფლებამოსილია გააბათილოს ის საცილო გარიგება, რომლის საფუძველზეც წარმოიშვა უზრუნველყოფილი ვალდებულება, ხოლო ამ მოვალის მიმართ კი თავდებისა თუ კრედიტორის მიერ დადგინდა გონივრული ვადა, რომლის განმავლობაშიც ძირითადმა მოვალემ უნდა განახორციელოს გარიგების გაბათილების უფლება, მაშინ აღნიშნული ვადის განმავლობაში თავდები კრედიტორის მიმართ უფლებამოსილია, უარი თქვას თავდებობიდან გამომდინარე მასზე დაკისრებული ვალდებულების შესრულებაზე.

– 3. მანამდე, სანამ ძირითადი მოვალე კანონიერად უარს აცხადებს კრედიტორის მიმართ მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულებაზე, თავდებს ასევე შეუძლია უარი თქვას თავდებობიდან გამომდინარე მასზე დაკისრებული ვალდებულების შესრულებაზე.

მუხლი 7:853 ხანდაზმულობა

კრედიტორის მიერ ძირითადი მოვალისაგან ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადის გასვლისას თავდებობის ხელშეკრულება უქმდება.

მუხლი 7:854 ნაცვლად ფულადი თანხის გადახდისა, სხვა შესრულება როგორც უზრუნველყოფილი ვალდებულების ობიექტი

როდესაც უზრუნველყოფილი ვალდებულების ობიექტს წარმოადგენს სხვა შესრულება, ნაცვლად ფულადი თანხის გადახდისა, თავდებობის ხელშეკრულება მიიჩნევა დადებულად როგორც იმ მიყენებული ზიანისათვის კრედიტორის სასარგებლოდ ფულადი სახით ანაზღაურების სავალლო მოთხოვნის უზრუნველყოფა, რომელიც ეკისრება ძირითად მოვალეს იმ შემთხვევაში, როდესაც მან არ შეასრულა კრედიტორის წინაშე ნაკისრი ძირითადი ვალდებულება, თუკი თავდებობის ხელშეკრულება არაორაზროვნად სხვაგვარად არ ითვალისწინებს.

მუხლი 7:855 თავდებობიდან გამომდინარე ვალდებულების დამხმარე ხასიათი

– 1. თავდები არ არის ვალდებული, შეასრულოს თავდებობიდან გამომდინარე მასზე დაკისრებული ვალდებულება იმ მომენტამდე, ვიდრე ძირითადი მოვალე არ დაარღვევს კრედიტორის წინაშე მის მიერ ნაკისრ ვალდებულებას.

– 2. კრედიტორი, რომელმაც სამოქალაქო კოდექსის 6:82 მუხლის შესაბამისად ძირითად მოვალეს გაუგზავნა ფორმალური შეტყობინება მის მიერ ვალდებულების შესრულების მოთხოვნის შესახებ, ვალდებულია ერთდროულად ამის შესახებ შეატყობინოს თავდებსაც.

მუხლი 7:856 კანონისმიერი პროცენტი და ძირითადი მოვალის მიმართ სარჩელის წარდგენის ხარჯები

– 1. თავდები კრედიტორის მიმართ კანონისმიერი პროცენტისათვის პასუხისმგებელია მხოლოდ იმ

ვადისათვის, რომლის განმავლობაშიც ის თავად იმყოფება ვადაგადაცილებაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ძირითადი მოვალე არის ვადაგადაცილებაში 6:83 მუხლის (b) პუნქტის შესაბამისად.

– 2. თავდები ვალდებულია აანაზღაუროს მხოლოდ ის ხარჯები, რომლებიც კრედიტორმა გასწია ძირითადი მოვალის მიმართ სასამართლოში თავისი მოთხოვნის წარდგენასთან დაკავშირებით, თუკი კრედიტორმა თავდებს მისცა შესაძლებლობა, დროული შეეტყობინებინა გზით, თავიდან აიცილოს ამ ხარჯების განწევა.

განყოფილება 7.14.2 – პროფესიული ან სამეწარმეო საქმიანობის მიღმა ნაკისრი თავდებობა

მუხლი 7:857 „კერძო თავდებობის“ განმარტება

წინამდებარე განყოფილების (განყოფილება 7.14.2) ნორმები გამოიყენება იმ თავდებობათა მიმართ, რომლებიც იკისრა იმ ფიზიკურმა პირმა, ვინც თავდებობის ხელშეკრულების დადების დროს არ მოქმედებდა არც თავისი პროფესიული ან სამეწარმეო საქმიანობისა და არც იმ საჯარო თუ კერძო შეზღუდული კომპანიების ჩვეულებრივი ბიზნესსაქმიანობის ფარგლებში, რომლის დირექტორსაც ის წარმოადგენს ანდა დამოუკიდებლად თუ სხვა დირექტორებთან ერთად ფლობს წილთა უმრავლესობას.

მუხლი 7:858 პასუხისმგებლობის მაქსიმალური ოდენობა უნდა მიეთითოს თავდებობის ხელშეკრულებაში

– 1. თუკი ძირითადი მოვალის უზრუნველყოფილი ვალდებულება თავდებობის ხელშეკრულების დადების მომენტში გაურკვეველია, მაშინ ეს ხელშეკრულება ნამდვილია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც თავდებობიდან გამომდინარე ვალდებულება დადგინდა ფულად თანხაში გამოხატული მაქსიმალური ოდენობით.

– 2. მიუხედავად მაქსიმალური ოდენობისა, კრედიტორს შეუძლია თავდებისაგან მოითხოვოს კანონისმიერი პროცენტისა და ხარჯების თანხების გადახდა 7:856 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 7:859 მტკიცებულების სახით დასაშვებია მხოლოდ წერილობითი დოკუმენტი

– 1. თავდებობის ხელშეკრულების არსებობა თავდების მიმართ შეიძლება დამტკიცდეს მხოლოდ მის მიერ ხელმოწერილი წერილობითი დოკუმენტის მეშვეობით.

– 2. თუკი დადგენილია, რომ თავდებმა სრულად ან ნაწილობრივ შეასრულა ძირითადი მოვალის ვალდებულება, თავდებობის ხელშეკრულების არსებობა შეიძლება დამტკიცდეს ნებისმიერი საშუალებით.

– 3. პარ. 1 და 2-ის ნორმები გამოიყენება ასევე იმ ხელშეკრულების არსებობის მტკიცების მიმართ, რომელიც ავალდებულებს პირს თავდებობის ხელშეკრულების დადებას, როგორც ეს მითითებულია 7:857 მუხლში.

მუხლი 7:860 უფრო მძიმე პირობები

თავდები არ არის ვალდებული იმ ფარგლებში, რომლებშიც თავდებობიდან გამომდინარე მასზე დაკისრებულ ვალდებულებაზე ვრცელდება უფრო მძიმე პირობები, ვიდრე ის პირობები, რომლებითაც ძირითადი მოვალე უზრუნველყოფილი ვალდებულებით არის შებოჭილი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს პირობები ეხება იმას, თუ რა გზით შეიძლება თავდების მიმართ დამტკიცდეს ძირითადი მოვალის უზრუნველყოფილი ვალდებულების არსებობა და ფარგლები.

მუხლი 7:861 ძირითადი მოვალის მომავალში უზრუნველსაყოფი ვალდებულებები

– 1. როდესაც თავდებობის ხელშეკრულება დაიდო სამომავლო ვალდებულებების უზრუნველყოფის სახით, მაშინ ეს ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

a. ნებისმიერ დროს, თუკი ის არ დაიდო განსაზღვრული ვადით;

b. ხუთი წლის შემდეგ, თუკი ის დაიდო განსაზღვრული ვადით.

– 2. მას შემდეგ, რაც თავდებობის ხელშეკრულება უქმდება, ის აგრძელებს მოქმედებას იმ უზრუნველყოფილი ვალდებულებებისათვის, რომლებიც შეწყვეტის მომენტში უკვე არსებობდა.

– 3. თავდები არ არის ვალდებული იმ ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებული სამომავლო ვალდებულებებისათვის, რომლისათვისაც ძირითადი მოვალე პასუხისმგებელია კრედიტორის მიმართ იმდენად, რამდენადაც ამ უკანასკნელს შეეძლო თავიდან აეცილებინა ამ ზიანის დადგომა იმგვარი ზედამხედველო-

ბის განხორციელებით, რომელიც არსებულ გარემოებებში მისგან გონივრულად მოსალოდნელი იქნებოდა.

– 4. თავდები არ არის ვალდებული იმ გარიგებიდან წარმოშობილი სამომავლო ვალდებულებებისათვის, რომელიც ძირითადად მოვალემ ნებაყოფლობით დადო მას შემდეგ, რაც მისთვის ცნობილი გახდა იმ გარემოებების არსებობის თაობაზე, რომელთა შედეგადაც მნიშვნელოვნად შემცირდა მის მიმართ (ანუ – ძირითადი მოვალის მიმართ) რეგრესული მოთხოვნის წარდგენის შესაძლებლობა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც თავდები პირდაპირ დაეთანხმა ამ გარიგებას ანდა ამ უკანასკნელის გადადება დაუშვებელი იყო.

მუხლი 7:862 კერძო თავდებობის მომწესრიგებელი კანონის იმპერატიული ნორმები

თავდების ინტერესების საზიანოდ დაუშვებელია გადახვევა:

a. 7:852 მუხლიდან 7:856 მუხლის ჩათვლით ნორმებიდან და ასევე – 7:858 მუხლიდან 7:861 მუხლის ჩათვლით ნორმებიდან;

b. იმ მოვალეობებიდან (ვალდებულებებიდან), რომლებიც 6:154 მუხლის შესაბამისად კრედიტორს უნდა შეესრულებინა თავდების მიმართ ამ უკანასკნელის მიერ ძირითადი მოვალისადმი კრედიტორის უფლებების შექმნის შესაძლებლობის გათვალისწინებით.

მუხლი 7:863 7.14.2 განყოფილების ნორმების გამოყენება სხვა ხელშეკრულებების მიმართ

წინამდებარე განყოფილების (განყოფილება 7.14.2) ნორმები შესაბამისად გამოიყენება იმ ხელშეკრულებების მიმართ, რომელთა საფუძველზეც 7:857 მუხლში მითითებულმა პირმა თავად იკისრა განსაზღვრული ვალდებულების შესრულება იმ შემთხვევაში, როდესაც მესამე პირი კრედიტორის მიმართ არ ასრულებს სხვა შინაარსის მქონე ვალდებულებას.

მუხლი 7:864 თავდებობისა თუ ანალოგიური ხელშეკრულების დადება დავალების საფუძველზე

– 1. თუკი თავდებობისა თუ 7:863 მუხლში ნახსენები ხელშეკრულების დადება ხდება 7:857 მუხლში მითითებული პირისათვის მისივე ხარჯზე სხვა პირის ვალდებულების უზრუნველყოფის დავალებით, მაშინ ასეთი დავალების მიმღები პირი დავალების მიმცემის მიმართ არ არის უფლებამოსილი მოითხოვოს კომპენსაცია იმისა, რაც მან შეუსრულა კრედიტორს იმდენად, რამდენადაც წინამდებარე განყოფილების (განყოფილება 7.14.2) ნორმები გამორიცხავდა დავალების მიმცემი პირის თავდების სახით არსებულ ნებისმიერ პასუხისმგებლობას.

– 2. პარ. 1-ის ნორმებიდან გადახვევა დასაშვებია მხოლოდ დავალების მიმცემი პირის მიერ ხელწერილი იმ დოკუმენტის მეშვეობით, რომელშიც განსაზღვრულია ნორმებიდან გადახვევის შინაარსი და მოცემულია მითითებები ბანკისა თუ სხვა იმ დაწესებულების მიმართ, რომლის ბიზნესსაქმიანობას წარმოადგენს სხვა პირისათვის თავდებად დადგომა.

განყოფილება 7.14.3 – თავდებობის შედეგები ძირითად მოვალესა და თავდებს შორის და ასევე – თავდებებსა და იმ არამოვალე პირებს შორის, რომლებიც პასუხისმგებელი არიან სხვა პირის ვალდებულებისათვის

მუხლი 7:865 გონივრულობა და სამართლიანობა

სამოქალაქო კოდექსის 6:2 მუხლის ნორმები შესაბამისად გამოიყენება ძირითად მოვალესა და თავდებს და ასევე – თავდებებსა და იმ არამოვალე პირებს შორის ორმხრივი სამართლებრივი ურთიერთობის მიმართ, რომლებიც პასუხისმგებელი არიან სხვა პირის ვალდებულებისათვის.

მუხლი 7:866 ძირითადი მოვალის მიმართ თავდების რეგრესული მოთხოვნის უფლება

– 1. სამოქალაქო კოდექსის 6:10 მუხლის შესაბამისად, თავდებს შეუძლია ძირითადი მოვალისაგან მოითხოვოს იმ ძირითადი თანხის, პროცენტებისა და ხარჯების მთლიანი ოდენობის ანაზღაურება, რომელთა გადახდაც მას მოუწია კრედიტორისთვის.

– 2. თავდებს არც 6:10 მუხლიდან და არც სამოქალაქო კოდექსის 6:12 მუხლიდან არ წარმოეშობა ძირითადი მოვალის მიმართ სავალი მოთხოვნა იმ ვადისათვის კანონიერი პროცენტის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, რომლის განმავლობაშიც ის – თავდები – თავად იმყოფებოდა ვადაგადაცილებაში პირადად მასთან დაკავშირებული გარემოებების გამო, ან – იმ ხარჯების ანაზღაურებასთან დაკავშირებით, როლებიც პიროვნულად ეხება მას ანდა რომელთა გაღებაც გონივრული თვალსაზრისით საჭირო არ იყო.

– 3. როდესაც პირმა თავდებობა იკისრა ორი ან რამდენიმე სოლიდარული ძირითადი მოვალის ერთი და იგივე ვალდებულებისათვის, მაშინ ეს მოვალეები, 6:10 მუხლის პარ. 1-სა და სამოქალაქო კოდექსის 6:12 მუხლის პარ. 1-საგან განსხვავებით, სოლიდარულად აგებენ პასუხს თავდების წინაშე ძირითადი თანხის, პროცენტებისა და ხარჯების ანაზღაურებაზე.

– 4. თავდებსა და ერთ ან რამდენიმე ძირითად მოვალეს შორის არსებული სამართლებრივი ურთერთობიდან შეიძლება გამომდინარეობდეს სხვა შედეგი, ვიდრე ის, რაც მოცემულია პარ. 1-დან პარ. 3-ის ჩათვლით ნორმებში.

მუხლი 7:867 ვალდებულების შესრულება თავდების, ისევე როგორც ძირითადი მოვალის მიერ

თუკი თავდებმა თავდებობიდან გამომდინარე ვალდებულება შეასრულა ამის თაობაზე ძირითადი მოვალისთვის შეტყობინების გარეშე, რის შემდგომაც ძირითადი მოვალე ასევე ახდენს მასზე დაკისრებული უზრუნველყოფილი ვალდებულების შესრულებას კრედიტორის მიმართ, მაშინ ძირითად მოვალეს იმ მიზნით, რომ თავიდან აიცილოს თავდების მიერ მის მიმართ რეგრესული მოთხოვნის უფლების წარმოშობა, შეუძლია თავდებს გადასცეს კრედიტორის მიმართ არაჯეროვანი შესრულებიდან გამომდინარე თავისი კუთნილი სავალლო მოთხოვნა.

მუხლი 7:868 სამართლებრივი დაცვის საშუალებები

იმ ძირითად მოვალეს, რომელსაც სამოქალაქო კოდექსის 6:10 მუხლის შესაბამისად წარედგინა ანაზღაურების მოთხოვნა, შეუძლია თავდების მიმართ წარადგინოს ყველა ის სამართლებრივი დაცვის საშუალება, რომლებიც მას ექნებოდა კრედიტორის მიმართ რეგრესული მოთხოვნის უფლების წარმოშობის მომენტში; შესაბამისად გამოიყენება სამოქალაქო კოდექსის 6:11 მუხლის პარ. 2 და 4-ის ნორმები.

მუხლი 7:869 თანხის დაუფარავი ნაწილის ანაზღაურების ანგარიშში ჩათვლა

თავდებს, რომელმაც შეასრულა უზრუნველყოფილი ვალდებულება, სამოქალაქო კოდექსის 6:152 მუხლის ნორმების საფუძველზე შეუძლია თანხის დაუფარავი ნაწილი ჩათვალოს იმ თანხის ანგარიშში, რომლის ანაზღაურების სახით მოთხოვნა მას შეუძლია თავისთვის, თავისი თანათავდებებისა და არამოვალე პირებისათვის, რომლებიც ასევე პასუხს აგებდნენ ზემოაღნიშნული ვალდებულებისათვის.

მუხლი 7:870 ქვეთავდებობა

ქვეთავდებს, ვინც ახდენს თავდებობიდან გამომდინარე თავდებზე დაკისრებული ვალდებულების შესრულებას, შეუძლია თავისი სახელით განახორციელოს რეგრესული მოთხოვნის უფლება, რომელიც თავდებს – იმ შემთხვევაში, თუკი ის თავად შეასრულებდა თავდებობიდან გამომდინარე ვალდებულებას – ექნებოდა ძირითადი მოვალის, თავისი თანათავდებებისა და არამოვალე პირების მიმართ, რომლებიც ასევე პასუხს აგებდნენ ზემოაღნიშნული ვალდებულებისათვის.

ტიტული 7.15 – სამომრიგებლო შეთანხმება

მუხლი 7:900 „სამომრიგებლო შეთანხმების“ განმარტება

– 1. სამომრიგებლო შეთანხმების საფუძველზე მხარეები ერთმანეთის მიმართ კისრულობენ ვალდებულებას, იმ ნებისმიერი გაურკვევლობისა თუ დავის დასრულების ან თავიდან აცილების მიზნით, რომელიც მათ სამართლებრივი თვალსაზრისით ეხება, ანდა – მათ შორის იმ ახალი სამართლებრივი სტატუსის შეფასებისა და დადგენის მიზნით, რომელიც გათვალისწინებულია სამოქმედოდ იმდენად, რამდენადაც ის განსხვავდება წინა არსებული სამართლებრივი სტატუსისაგან.

– 2. ახალი სამართლებრივი სტატუსის შეფასება და დადგენა შეიძლება მოხდეს შესაბამისი მხარეების ერთობლივი გადაწყვეტილების ძალით ანდა – ერთ-ერთი მათგანისა თუ მესამე პირის გადაწყვეტილების ძალით.

– 3. სამომრიგებლო შეთანხმება მტკიცებულებათა შესახებ შეთანხმებას უთანაბრდება იმდენად, რამდენადაც მტკიცებულების გაბათილებისას ეს უკანასკნელი შედეგად იწვევს ამ მტკიცებულების გამორიცხვას.

– 4. წინამდებარე ტიტულის (ტიტული 7.15) ნორმები არ გამოიყენება საარბიტრაჟო შეთანხმების მიმართ.

მუხლი 7:901 ახალი სამართლებრივი სტატუსის დადგენის მიმართ არსებული მოთხოვნები

– 1. ახალი სამართლებრივი სტატუსის დადგენა ექვემდებარება იმ მოთხოვნებს, რომლებიც კანონის შესაბამისად უნდა დაკმაყოფილდეს სამომავლო ახალი სამართლებრივი სტატუსის მიღწევისათვის იმ სამართლებრივი სტატუსიდან მოყოლებული, რომლისაგანაც ის შეიძლება განსხვავდებოდეს.

– 2. თითოეული მხარე ვალდებულია მეორე მხარის წინაშე, შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც აუცილებელია მისი მხრიდან ახალი სამართლებრივი სტატუსის მიმართ არსებული მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის.

– 3. იმდენად, რამდენად აღნიშნული მოთხოვნების დაკმაყოფილება შესაძლებელია მხარეთა ან ერთ-ერთი მათგანის განცხადების მეშვეობით, ეს განცხადება მიიჩნევა სამომრიგებლო შეთანხმებაზე თანდართულად, თუ ეს შეთანხმება სხვაგვარად არ ითვალისწინებს.

მუხლი 7:902 ახალი სამართლებრივი სტატუსის დადგენა კანონის იმპერატიული ნორმების დარღვევით

სანივთო სამართლის სფეროში ნებისმიერი გაურკვევლობისა თუ დავის დასრულების მიზნით ახალი სამართლებრივი სტატუსის დადგენა ნამდვილია ასევე იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ის აშკარად ეწინააღმდეგება კანონის იმპერატიულ ნორმებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ახალი სამართლებრივი სტატუსის შინაარსი ან აუცილებელი შედეგები ეწინააღმდეგება ასევე ზნეობის ნორმებსა თუ საჯარო წესრიგსაც.

მუხლი 7:903 მესამე პირების მიმართ უკუქცევითი ძალის არარსებობა

იმდენად, რამდენად ახალი სამართლებრივი სტატუსის დადგენა ეხება იმას, რაც მიჩნეულ უნდა იქნეს წარსულში არსებული სამართლებრივი ვითარების გამოსწორებად, ეს ვერ შეეხება ამ პერიოდში მესამე პირების მიერ შექმნილ უფლებებს.

მუხლი 7:904 გონივრულობისა და სამართლიანობის სტანდარტებთან შეუსაბამობა; ნამდვილი განსაზღვრულობის არარსებობა

– 1. ერთ-ერთი მხარის ან მესამე პირის მიერ გაკეთებული სამართლებრივი სტატუსის შეფასება საცილოა, თუკი მისი მბოჭავი ძალა შეფასების შინაარსისა თუ განხორციელების გზის გათვალისწინებით მოცემულ გარემოებებში გონივრულობისა და სამართლიანობის სტანდარტების შესაბამისად მიუღებელი იქნებოდა.

– 2. როდესაც სამართლებრივი სტატუსის შეფასება გაბათილებულია ან ის თავიდანვე ბათილად წარმოგვიდგება ანდა როდესაც შეფასება არ ხდება იმ მხარის მიერ ამ მიზნით განსაზღვრული გონივრული ვადის განმავლობაში, რომელსაც დაევალა ამ საკითხის გადაწყვეტა, სასამართლოს შეუძლია შეაფასოს მხარეთა შორის არსებული სამართლებრივი სტატუსი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სამომრიგებლო შეთანხმება ან შეფასების ბუნება მიუთითებს იმაზე, რომ ის სხვაგვარად უნდა შეიცვალოს.

მუხლი 7:905 სამომრიგებლო შეთანხმებაზე უარი და მისი გაუქმება

თუკი სამომრიგებლო შეთანხმების შეუსრულებლობის გამო მასზე უარი მოახდენს გავლენას ერთ-ერთი მხარის ან მესამე პირის მიერ უკვე გაკეთებულ შეფასებაზე, მაშინ ეს უარი ვერ განხორციელდება ცალმხრივი განცხადების გზით, ხოლო როდესაც სამომრიგებლო შეთანხმების გაუქმების მოთხოვნა ხდება სასამართლოში, ამ უკანასკნელს შეუძლია უარი თქვას ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე იმ საფუძველით, რომ მხარეს, რომელიც ითხოვს გაუქმებას, საკმარისი საშუალებები აქვს მიიღოს შეთანხმების გაუქმების შედეგი ანდა მეორე მხარისაგან კომპენსაციის თანხა ამ უკანასკნელის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის უარყოფითი შედეგებისათვის.

მუხლი 7:906 7.15 ტიტულის კანონისმიერი ნორმების გამოყენება ანალოგიური სამართლებრივი საფუძვლების მიმართ

– 1. წინამდებარე ტიტულის (ტიტული 7.15) კანონისმიერი ნორმები შესაბამისად გამოიყენება სამართლებრივი სტატუსის იმ შეფასებისა და დადგენის მიმართ, რომლებიც ეფუძნება სხვა სამართლებრივ საფუძველს, ნაცვლად შეთანხმებისა.

– 2. 7:904 მუხლის ნორმები შესაბამისად გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც სამართლებრივი ურთიერთობის ერთ-ერთ მხარესა თუ მესამე პირს მიენიჭა ამ სამართლებრივი ურთიერთობის მიმართ მოქმედი წესების შევსებისა თუ შეცვლის უფლება.

– 3. პარ. 2-ის ნორმები არ გამოიყენება იურიდიული პირის ორგანოს გადაწყვეტილებიდან გამომდინარე წესების შეცვლისა თუ შეცვლის პროცედურის მიმართ, თუკი ეს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება სამოქალაქო კოდექსის 2:15 მუხლით გათვალისწინებულ გონივრულობისა და სამართლიანობის სტანდარტებს.

– 4. პარ. 1 და 2-ის ნორმები არ გამოიყენება იმდენად, რამდენადაც სამართლებრივი ურთიერთობის ბუნებასთან დაკავშირებული შესაბამისი კანონისმიერი ნორმის აუცილებელი შედეგები ეწინააღმდეგება ასეთ გამოყენებას.

მუხლი 7:907 მასობრივი ზიანის ფინანსური ანაზღაურების შესახებ სავალო მოთხოვნებზე შეთანხმება

– 1. მოვლენით ან ანალოგიური მოვლენებით გამონვეული ზიანის ანაზღაურების მიზნით ერთ ან რამდენიმე სრული ქმედუნარიანობის მქონე ფონდს ან კავშირს და ერთ ან რამდენიმე სხვა იმ მხარეს შორის დადებული შეთანხმება, რომელმაც ამ შეთანხმებით იკისრა აღნიშნული ზიანის ანაზღაურების თანხის გადახდა, შეიძლება ამ ფონდების, კავშირებისა თუ სხვა მხარეების ერთობლივი მოთხოვნის საფუძველზე სასამართლოს მიერ სავალდებულოდ გამოცხადდეს იმ (სხვა) პირებისათვის, რომლებსაც ეს ზიანი მიადგათ იმ პირობით, რომ ფონდები ან კავშირები საკუთარი წესდების შესაბამისად წარმოადგენენ აღნიშნული პირების ინტერესებს. მიიჩნევა, რომ იმ პირებს, რომლებსაც მიადგათ ზიანი, მიეკუთვნებიან ასევე ის პირებიც, რომლებმაც აღნიშნული ზიანის მიმართ სავალო მოთხოვნა შეიძინეს უნივერსალური სამართალმემკვიდრეობით ან კონკრეტული სამართლებრივი საფუძვლით.

– 2. ნებისმიერ შემთხვევაში შეთანხმება უნდა შეიცავდეს:

a. იმ მოვლენისა თუ მოვლენების აღწერას, რომელსაც შეთანხმება ეხება;

b. იმ პირთა ჯგუფისა თუ ჯგუფების აღწერას, რომლის სასარგებლოდაც დაიდო შეთანხმება მათი ზარალის ბუნებისა და მნიშვნელობის შესაბამისად;

c. შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად ზუსტი რაოდენობა იმ პირებისა, რომლებიც მიეკუთვნებიან აღნიშნულ ჯგუფსა თუ ჯგუფებს;

d. კომპენსაციის თანხა, რომელიც გაიცემა ამ პირებზე;

e. ის პირობები, რომლებსაც აღნიშნული პირები უნდა აკმაყოფილებდნენ კომპენსაციის თანხის მისაღებად;

f. ის პროცედურა, რომლითაც დადგინდება და მიიღება კომპენსაციის თანხა;

g. იმ პირის სახელი და საცხოვრებელი ადგილი, რომელსაც შეიძლება გაეგზავნოს 7:908 მუხლის პარ. 2-ში მითითებული წერილობითი შეტყობინება.

– 3. სასამართლომ უარი უნდა თქვას მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, თუკი:

a. შეთანხმება არ შეესაბამება პარ. 2-ის ნორმებს;

b. მინიჭებული კომპენსაციის თანხის ოდენობა არ არის გონივრული, მათ შორის, ზიანის ოდენობის, კომპენსაციის თანხის მიღების სიიოლისა და დროულობის, ასევე – ზიანის შესაძლო მიზეზების მხედველობაში მიღებით;

c. არ არის საკმარისად ცხადი, რომ მოხდება იმ პირებისათვის შეთანხმებიდან გამომდინარე უფლებების დაცვა, რომელთა სასარგებლოდაც დაიდო შეთანხმება;

d. შეთანხმება არ ითვალისწინებს სხვა პირის მიერ, ნაცვლად კანონმდებლობის შესაბამისად განსჯადი მოსამართლისა თუ სასამართლოსი, იმ დავების მიუკერძოებლად გადაწყვეტის შესაძლებლობას, რომლებიც შეთანხმებიდან შეიძლება წარმოიშვას;

e. სხვაგვარად არ არის ადეკვატურად დაცული იმ პირთა ინტერესები, რომელთა სასარგებლოდაც დაიდო შეთანხმება;

f. პარ. 1-ში მითითებული ფონდები ან კავშირები საკმარისად არ ასახავენ იმ პირთა ინტერესებს, რომელთა სასარგებლოდაც დაიდო შეთანხმება;

g. იმ პირთა ჯგუფი, რომელთა სასარგებლოდაც დაიდო შეთანხმება, არასაკმარისად დიდია იმისთვის, რათა გაამართლოს სასამართლოს განცხადება შეთანხმების სავალდებულობის შესახებ;

h. სახეზეა იურიდიული პირი, რომელიც მოახდენს კომპენსაციის თანხის გაცემას შეთანხმების შესაბამისად, თუმცა ის არ წარმოადგენს შეთანხმების მხარეს.

– 4. გადაწყვეტილების მიღებამდე სასამართლოს შეთანხმების დამდები მხარეების თანხმობით შეუძლია შეავსოს ან შეცვალოს შეთანხმება, ან მისცეს მხარეებს შესაძლებლობა, დაამატონ შეთანხმებას სახელშეკრულებო დებულებები ანდა შეცვალონ მისი შინაარსი. იმ განჩინებაში, რომლითაც შეთანხმება სავალდებულო ხდება, სასამართლომ უნდა აღნიშნოს დამატებებისა თუ ცვლილებების შესახებ.

– 5. პარ. 1-ში მითითებული მოთხოვნის წარდგენა შედეგად იწვევს იმ პირების მიმართ წარდგენილი ზიანის ანაზღაურების შესახებ ნებისმიერი სარჩელის უფლების ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერებას, რომელმაც თავად იკისრეს შეთანხმებით აღნიშნული ზიანის ანაზღაურება. ორნლიანი ახალი ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება იმ დღის მომდევნო დღიდან, როდესაც:

- a. მიიღება საბოლოო გადაწყვეტილება კომპენსაციის თანხის მიკუთვნების შესახებ;
- b. 7:908 მუხლის პარ. 2-ში მითითებული ვადა ამოიწურა მას შემდეგ, რაც უფლებამოსილმა პირმა ზემოთ აღნიშნული ვადის განმავლობაში წარადგინა ამავე პარაგრაფში მითითებული შეტყობინება;
- c. შეუქცევადად (საბოლოოდ და მბოჭავად) დადგინდა, რომ მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს;
- d. შეთანხმება წყდება 7:908 მუხლის პარ. 4-ის შესაბამისად.

– 6. შეთანხმება შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ მისგან გამომდინარე კომპენსაციის უფლება ქარწყლდება, თუკი კომპენსაციის თანხის მიღებაზე უფლებამოსილმა პირმა არ მოითხოვა ეს თანხა, სულ ცოტა, ერთწლიანი ვადის განმავლობაში იმ დღის მომდევნო დღიდან, როდესაც მან შეიტყო იმის თაობაზე, რომ მისი კომპენსაციის თანხის გადახდის უფლება ვადამოსული გახდა.

– 7. წინამდებარე მუხლისა და 7:908 მუხლიდან 7:910 მუხლის ჩათვლით ნორმები შესაბამისად გამოიყენება იმ შეთანხმებების მიმართ, რომლებიც მოვლენისა თუ ანალოგიური მოვლენების შედეგად დაზარალებული პირებისათვის წარმოშობს უფლებას, მოითხოვონ სხვა შესრულება, ნაცვლად პარ. 1-ში მითითებულისა, ანდა – სხვაგვარად გაასაჩივრონ შეთანხმება.

– 8. ის პირები, რომელთა სასარგებლოდაც დაიდო შეთანხმება, მოთხოვნის განხილვის ვადის განმავლობაში და ასევე მანამდე, სანამ არ იქნება მიღებული გამოუთხოვადი გადაწყვეტილება, უფლებამოსილი არიან უარი თქვან მათზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულებაზე იმ ფარგლებში, რომლებშიც ამ საკითხთან დაკავშირებით შეთანხმება ითვალისწინებს დავის შეწყვეტას.

მუხლი 7:908 სასამართლოს მიერ სავალდებულოდ აღიარებული შეთანხმების სამართლებრივი ძალა

– 1. როგორც კი დაკმაყოფილდება შეთანხმების სავალდებულოდ აღიარების შესახებ მოთხოვნა, 7:907 მუხლში მითითებულ შეთანხმებას მხარეთა და კომპენსაციის თანხაზე უფლებამოსილ პირებს შორის ექნება სამომრიგებლო შეთანხმების ძალა 7:900 მუხლის გაგებით, რომლის მიმართაც კომპენსაციის თანხაზე უფლებამოსილი თითოეული პირი განიხილება როგორც შეთანხმების მხარე.

– 2. განცხადებას იმის შესახებ, რომ შეთანხმება არის სავალდებულო, ვერ ექნება სამართლებრივი შედეგები კომპენსაციის თანხაზე უფლებამოსილი პირის მიმართ, რომელმაც 7:907 მუხლის პარ. 2-ის (f) პუნქტში მითითებულ პირს სასამართლოს მიერ განსაზღვრულ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1017-ე მუხლის პარ. 3-ში მითითებული გადაწყვეტილების გაცხადებიდან, სულ ცოტა, სამი თვის განმავლობაში წერილობით შეატყობინა, რომ მას არ სურს იყოს შებოჭილი შეთანხმებით. სასამართლოს შეუძლია შეთანხმების დამდებ მხარეებს დართოს ნება, კომპენსაციის თანხის მიღებაზე უფლებამოსილ პირებს, პირველ წინადადებაში მითითებულ შეტყობინებასთან ერთად, მოსთხოვონ დამატებითი ინფორმაციის მიწოდება. თუკი მეორე წინადადებაში მითითებული ინფორმაციის მიწოდება არ ხდება ანდა თუკი ის უზუსტო ან არასრულია, ეს ფაქტი არ მოახდენს გავლენას პირველ წინადადებაში მითითებული შეტყობინების ნამდვილობაზე.

– 3. განცხადებას იმის შესახებ, რომ შეთანხმება არის სავალდებულო, ვერ ექნება სამართლებრივი შედეგები კომპენსაციის თანხაზე უფლებამოსილი პირის მიმართ, რომელსაც პარ. 2-ში მითითებული განცხადების მომენტში არ უნდა სცოდნოდა თავისი დანაკარგის (ზარალის) შესახებ, თუმცა – მას შემდეგ, რაც მან შეიტყო დანაკარგის (ზიანის) შესახებ, 7:907 მუხლის პარ. 2-ის (f) პუნქტში მითითებულ პირს წერილობით შეატყობინა იმის თაობაზე, რომ მას არ სურს იყოს შებოჭილი შეთანხმებით. იმ პირს, რომელმაც შეთანხმებით იკისრა ზიანის ანაზღაურების თანხის გადახდის ვალდებულება, შეუძლია პირველ წინადადებაში მითითებული კომპენსაციის მიღებაზე უფლებამოსილ პირს გადასცეს, სულ ცოტა, ექვსთვიანი ვადის შესახებ წერილობითი შეტყობინება, რომლის განმავლობაშიც ამ პირს შეუძლია განაცხადოს, რომ მას არ სურს იყოს შებოჭილი შეთანხმებით. აღნიშნული შეტყობინება უნდა უთითებდეს ასევე 7:907 მუხლის პარ. 2-ის (f) პუნქტში აღნიშნულ პირის სახელსა და საცხოვრებელ ადგილს.

– 4. ბათილია შეთანხმების დათქმა, რომლითაც მხარე თავისუფლდება კომპენსაციის მიღებაზე უფლებამოსილი პირის საზიანო ვალდებულებისაგან, რომელიც გაკეთდა მას შემდეგ, როდესაც სასამართლომ განაცხადა შეთანხმების სავალდებულობის შესახებ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იმ მხარეებს, რომლებსაც ეკისრებათ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, აღნიშნული დათქმა ანიჭებს ერთობლივ უფლებამოსილებას, შეწყვიტონ შეთანხმება პარ. 2-ში მითითებული სასამართლოს მიერ განსაზღვრული

ვადის ამონურვიდან არაუგვიანეს ექვსი თვისა იმ საფუძელზე, რომ შეთანხმების სავალდებულობის შესახებ განცხადება ეხება კომპენსაციის მიღებაზე უფლებამოსილ ძალიან მცირე რაოდენობის პირს ანდა აქვს ძალიან მცირე გავლენა შეთანხმებაში მითითებული სხვა მიზეზით. აღნიშნულ შემთხვევაში, შეთანხმების შეწყვეტა ხორციელდება ორ გაზეთში გამოქვეყნებული განცხადებითა და 7:907 მუხლის პარ. 1-ში მითითებული ფონდისა თუ კავშირისათვის წარდგენილი წერილობითი შეტყობინებით. მხარეებმა, რომლებმაც შეწყვეტეს შეთანხმება, უნდა უზრუნველყონ ის, რომ შეწყვეტის წერილობითი შეტყობინება შეძლებისდაგვარად სწრაფად გაეგზავნოს კომპენსაციის მიღებაზე უფლებამოსილ ცნობილ პირებს, რა მიზნითაც მხარეებს შეუძლიათ გამოიყენონ კომპენსაციის მიღებაზე უფლებამოსილი პირების უკანასკნელი ცნობილი საცხოვრებელი ადგილი.

– 5. როგორც კი შეთანხმება გამოცხადდება სავალდებულოდ, ამ შეთანხმების დამდები მხარეები ვეღარ მიუთითებენ სამოქალაქო კოდექსის 3:44 მუხლის პარ. 3-სა და 6:288 მუხლში აღნიშნულ ბათილობის საფუძვლებზე, ხოლო კომპენსაციის მიღებაზე უფლებამოსილი პირი კი ვეღარ მიუთითებს 7:904 მუხლის პარ. 1-ში აღნიშნულ ბათილობის საფუძვლებზე.

მუხლი 7:909 სასამართლოს უფლებამოსილება, მიიღოს გადაწყვეტილებები კომპენსაციის თანხასთან დაკავშირებით

– 1. როდესაც შეთანხმების თანახმად უფლებამოსილი პირისათვის გადასახდელი კომპენსაციის თანხასთან დაკავშირებით მიიღება კონკრეტული გადაწყვეტილება, ამ გადაწყვეტილებას ექნება სავალდებულო ძალა. თუმცაღა, თუკი აღნიშნული გადაწყვეტილება ან ის პროცედურა, რომელითაც ეს გადაწყვეტილება იქნა მიღებული, გონივრულობისა და სამართლიანობის სტანდარტების შესაბამისად დაუშვებელია, კომპენსაციის თანხასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღებაზე უფლებამოსილი იქნება სასამართლო.

– 2. თუკი კომპენსაციის თანხის მიკუთვნებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება არ მიიღება გონივრულად დათქმულ ვადაში, ამ საკითხზე გადაწყვეტილებების მიღებაზე უფლებამოსილი იქნება სასამართლო.

– 3. როგორც კი შეთანხმება გამოცხადდება სავალდებულოდ, 7:907 მუხლის პარ. 1-ში მითითებულ ფონდსა თუ კავშირს შეუძლია მოითხოვოს შეთანხმების შესრულება კომპენსაციის მიღებაზე უფლებამოსილი პირის სასარგებლოდ, თუკი ეს პირი ამას არ ენინააღმდეგება.

– 4. კომპენსაციის მიღებაზე უფლებამოსილი პირი შეთანხმების მიხედვით არ იღებს კომპენსაციის თანხას, თუკი ეს მას აშკარად უფრო ხელსაყრელ მდგომარეობაში ჩააყენებდა.

– 5. თუკი მხარეს ან მხარეებს, რომლებმაც შეთანხმებით იკისრეს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, შეუძლიათ შეასრულონ მათზე შეთანხმებით დაკისრებული ვალდებულებები დათქმული თანხის გადახდით და თუკი აღმოჩნდება, რომ კომპენსაციის დაუფარავი მოთხოვნების საერთო ოდენობა აღემატება გადასახდელი თანხის საერთო ოდენობას, შემდგომი დაუფარავი სავალდებულო მოთხოვნები ექვემდებარება შემცირებას ჯერ კიდევ დარჩენილი თანხის პროპორციულად. ისეთი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორიცაა ზიანის ხასიათი და სერიოზულობა, შეთანხმება შეიძლება შეიცავდეს პირველ წინადადებაში აღწერილი მეთოდისაგან განსხვავებულ შემცირების მეთოდს. დაუფარავი სავალდებულო მოთხოვნის გადახდა შეიძლება შეჩერდეს, თუკი პირველი და მეორე წინადადებების ნორმებთან მიმართებაში არსებობს საფუძვლიანი ეჭვი გადასახდელი თანხის ოდენობასთან დაკავშირებით.

მუხლი 7:910 სხვა მოვალეები, რომლებსაც ეკისრებათ სოლიდარული პასუხისმგებლობა; დარჩენილი თანხის განაწილება

– 1. თუკი იმ მხარესთან ან მხარეებთან ერთად, რომლებმაც შეთანხმებით იკისრეს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, სხვა მოვალეები სოლიდარულად აგებენ პასუხს ერთი და იგივე კომპენსაციის თანხის ანაზღაურებისათვის, შესაბამისად გამოიყენება სამოქალაქო კოდექსის 6:14 მუხლის ნორმები. საწინააღმდეგო განზრახვის შესახებ მტკიცებულების არსებობისას, მიიჩნევა, რომ შეთანხმება შეიცავს ასევე აღნიშნულ კანონისმიერ ნორმაში მითითებულ დათქმასაც.

– 2. თუკი მხარემ ან მხარეებმა, რომლებმაც შეთანხმებით იკისრეს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, შეასრულეს შეთანხმებიდან გამომდინარე მათზე დაკისრებული ვალდებულებები შეთანხმებაში დათქმული თანხის გადახდით, ხოლო მას შემდეგ, რაც კომპენსაციის მიღებაზე უფლებამოსილმა პირმა მიიღო გადახდა, სახეზეა დარჩენილი თანხა, – ამ მხარეს ან მხარეებს შეუძლიათ იმ სასამართლოს, რომელმაც შეთანხმება გამოაცხადა სავალდებულოდ, მოსთხოვონ ამ დარჩენილი თანხის მმართველი პირისათვის დავალდებულება გადაუხადოს ეს თანხა მხარეს ანდა თუკი სახეზეა ერთზე მეტი, მაშინ – თითოეულ მხარეს.

რეს მათი შესაბამისი გადახდების პროპორციულად. თუკი ადგილი აქვს ფულადი სახსრების მმართველი პირისათვის დარჩენილი თანხის სრულად ან ნაწილობრივ გადახდის დავალდებულების მოთხოვნას, სასამართლოს შეუძლია უარი თქვას ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, თუკი არ არის საკმარისად სარწმუნო ის ფაქტი, რომ დარჩენილი თანხის ნაწილის გადახდის შემდეგ კომპენსაციის მიღებაზე ყველა უფლებამოსილი პირი ჯერ კიდევ დაკმაყოფილებდა. სასამართლოს შეუძლია დაადგინოს, რომ ერთმა ან მეტმა ექსპერტმა წარადგინოს ანგარიში მოთხოვნასთან მიმართებაში მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით.

ტიტული 7.17 – დაზღვევის ხელშეკრულება

განყოფილება 7.17.1 – ზოგადი დებულებები

მუხლი 7:925 „დაზღვევის ხელშეკრულების“ განმარტება

– 1. დაზღვევის ხელშეკრულება წარმოადგენს ხელშეკრულებას, რომლითაც ერთ-ერთი მხარე („მზღვეველი“) მეორე მხარის („პოლისის მფლობელი“) წინაშე კისრულობს ვალდებულებას, მოახდინოს ერთი ან რამდენიმე სადაზღვევო თანხის გადახდა სადაზღვევო პრემიის სანაცვლოდ, რომლის დროსაც აღნიშნული ხელშეკრულების დადების მომენტში არც ერთმა მხარემ არ იცის დანამდვილებით, ერთი მხრივ, გახდება თუ არა ნებისმიერი სადაზღვევო თანხა გადასახდელი, ხოლო თუ გახდება გადასახდელი, – მაშინ როდის და რა ოდენობით, და, მეორე მხრივ, – რა დრო გავრძელდება სადაზღვევო პრემიის თანხების შეთანხმებული გადახდა. დაზღვევის ხელშეკრულება წარმოადგენს საკომპენსაციო დაზღვევას ან თანხობრივ დაზღვევას (არასაკომპენსაციო დაზღვევა).

– 2. პირთან დაკავშირებული დაზღვევა წარმოადგენს დაზღვევას, რომელიც ფორმდება ადამიანის სიცოცხლისა თუ ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით.

მუხლი 7:926 „სადაზღვევო თანხა“ და „მოსარგებლე“

– 1. სადაზღვევო თანხა მოიცავს ასევე სხვა შესრულებასაც, ნაცვლად ფულადი თანხის გადახდისა.

– 2. წინამდებარე განყოფილებაში (განყოფილება 7.17.1) მოსარგებლის ცნების ქვეშ მოიაზრება პირი, ვინც დაზღვევის ხელშეკრულების შესაბამისად რისკის დადგომის შემთხვევაში უფლებამოსილია მიიღოს სადაზღვევო თანხა, ანდა – ვინც შეიძლება გახდეს სადაზღვევო თანხის მიღებაზე უფლებამოსილი დაზღვეულ პირად მისი დანიშვნის მიღებით.

მუხლი 7:927 გადაზღვევის ხელშეკრულებები

წინამდებარე ტიტულის (ტიტული 7.17) ნორმები არ მოქმედებს გადაზღვევის ხელშეკრულებების მიმართ.

მუხლი 7:928 წინასახელშეკრულებო ინფორმირების მოვალეობა

– 1. დაზღვევის ხელშეკრულების დადებამდე პოლისის მფლობელმა უნდა შეატყობინოს მზღვეველს ყველა იმ გარემოების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილია ან უნდა იყოს ცნობილი ანდა რაც მან იცის ან უნდა იცოდეს, რომ მზღვეველის გადანყვეტილება, დადოს ან არ დადოს დაზღვევის ხელშეკრულება, – ხოლო ხელშეკრულების დადების შემთხვევაში კი, რა პირობებზე დადოს ის, – დამოკიდებულია ან შეიძლება იყოს დამოკიდებული ამაზე.

– 2. თუკი დაზღვევით იფარება იმ მესამე პირის ინტერესები, რომლის ვინაობაც ცნობილია დაზღვევის ხელშეკრულების დადების მომენტში, მაშინ პარ. 1-ში მითითებული მზღვეველის ინფორმირების მოვალეობა ასევე მოიცავს ამ მესამე პირთან დაკავშირებულ გარემოებებს, რომლებიც ცნობილია ან უნდა იყოს ცნობილი ამ უკანასკნელისათვის ანდა მან იცის ან უნდა იცოდეს, რომ მზღვეველის გადანყვეტილება დამოკიდებულია ან შეიძლება იყოს დამოკიდებული ამაზე. წინა წინადადება არ გამოიყენება პირთან დაკავშირებული დაზღვევის შემთხვევაში.

– 3. როდესაც პირის დაზღვევა დაკავშირებულია იმ მესამე პირის მიერ ნაკისრ რისკთან, რომლის ვინაობაც ცნობილია და რომელმაც მიაღწია თექვსმეტი წლის ასაკს, მზღვეველის ინფორმირების მოვალეობა მოიცავს ასევე ამ მესამე პირთან დაკავშირებულ გარემოებებს, რომლებიც ცნობილია ან უნდა იყოს ცნობილი ამ უკანასკნელისათვის ანდა მან იცის ან უნდა იცოდეს, რომ მზღვეველის გადანყვეტილება დამოკიდებულია ან შეიძლება იყოს დამოკიდებული ამაზე.

– 4. მზღვეველის ინფორმირების მოვალეობა არ ეხება იმ გარემოებებს, რომლებიც მზღვეველისათვის უკვე ცნობილია ან უნდა იყოს ცნობილი, ასევე – იმ გარემოებებს, რომელთა არსებობისას არ მოხდება პოლისის მფლობელისა თუ დაზღვეული პირისათვის უფრო არახელსაყრელი გადანყვეტილების მიღება. პარ. 2-სა თუ 3-ში მითითებული პოლისის მფლობელი ან მესამე პირი ვერ მიუთითებს იმ ფაქტზე, რომელიც მზღვეველისათვის უკვე ცნობილია ან უნდა იყოს ცნობილი განსაზღვრული გარემოებები, თუკი მან არასწორი ან არასრული პასუხი გასცა მზღვეველის მიერ ამ მიზნით დასმულ კონკრეტულ კითხვაზე. გარდა აღნიშნულისა, მზღვეველის ინფორმირების მოვალეობა არ ეხება იმ გარემოებებს, რომლებსაც ვერ ექნება კავშირი სამედიცინო შემონმებასთან, ანდა რომელთა შესახებაც ვერ დაისმება კითხვები სამედიცინო შემონმებათა შესახებ კანონის მე-4 მუხლიდან მე-6 მუხლის ჩათვლით ნორმების შესაბამისად ამავე ნორმებში მითითებულ შემთხვევებში.

– 5. პოლისის მფლობელი ვალდებულია შეატყობინოს მზღვეველს მხოლოდ თავისი ან მესამე მხარის კრიმინალური ნარსულიდან ფაქტების შესახებ იმდენად, რამდენადაც ამ ფაქტებს ადგილი ჰქონდა დაზღვევის ხელშეკრულების დადებიდან რვა წლის განმავლობაში და მზღვეველმა ნათლად არაორაზოვანი სიტყვებით დასვა კითხვა აღნიშნული ნარსულის შესახებ.

– 6. როდესაც დაზღვევის ხელშეკრულება დაიდო მზღვეველის მიერ შედგენილი კითხვარის საფუძველზე, მზღვეველი ვერ მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ პასუხი არ გაეცა სხვა კითხვებს, ანდა პოლისის მფლობელსა თუ მესამე პირს არ უხსენებიათ ის გარემოებები, რომლებზეც კითხვები არ დასმულა და ასევე – იმ ფაქტზე, რომ ზოგადად ფორმულირებულ კითხვას გაეცა არასრული პასუხი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნული ხორციელდება მზღვეველის განზრახ შეცდომაში შეყვანის მიზნით.

მუხლი 7:929 წინასახელშეკრულებო ინფორმირების მოვალეობისა თუ დაზღვევის ხელშეკრულების შეუსრულებლობის სამართლებრივი შედეგები

– 1. მზღვეველს, რომელიც აღმოაჩენს, რომ 7:928 მუხლით გათვალისწინებული წინასახელშეკრულებო ინფორმირების მოვალეობა არ არის შესრულებული, შეუძლია მიუთითოს მის შედეგებზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მან ამ მოვალეობის შეუსრულებლობის შესახებ პოლისის მფლობელს შეატყობინა მისი აღმოჩენიდან ორი თვის განმავლობაში ამ შეუსრულებლობის შესაძლო სამართლებრივი შედეგების მითითებით.

– 2. მზღვეველს, რომელიც აღმოაჩენს, რომ პოლისის მფლობელმა ის განზრახ შეიყვანა შეცდომაში ანდა ვინც არ დადებდა დაზღვევის ხელშეკრულებას, მას რომ სცოდნოდა საქმის ნამდვილი ვითარება, შეუძლია შეცდომაში შეყვანის აღნიშნული ფაქტის აღმოჩენიდან ორი თვის განმავლობაში დაუყოვნებელი შედეგით შეწყვიტოს დაზღვევის ხელშეკრულება.

– 3. პოლისის მფლობელს შეუძლია დაუყოვნებელი შედეგით შეწყვიტოს დაზღვევის ხელშეკრულება ორი თვის განმავლობაში მას შემდეგ მზღვეველმა იმოქმედა პარ. 1-ის წესების შესაბამისად, ანდა – დაზღვეული რისკის დადგომის შემთხვევაში მას შემდეგ, რაც მან მიუთითა წინასახელშეკრულებო ინფორმირების მოვალეობის შეუსრულებლობაზე. როდესაც საქმე ეხება პირთან დაკავშირებულ დაზღვევას, მზღვეველს შეუძლია შეზღუდოს დაზღვევის ხელშეკრულების შეწყვეტის შესაძლებლობა იმ პირით, რომლის რისკსაც ეხება ინფორმირების მოვალეობის შეუსრულებლობის შესახებ შეტყობინება.

მუხლი 7:930 სადაზღვევო თანხების მიღების უფლების მიმართ წინასახელშეკრულებო ინფორმირების მოვალეობის შეუსრულებლობის სამართლებრივი შედეგები

– 1. როდესაც 7:928 მუხლით გათვალისწინებული წინასახელშეკრულებო ინფორმირების მოვალეობა არ არის შესრულებული, სადაზღვევო თანხების მიღების უფლება არსებობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ეს უკანასკნელი გამომდინარეობს პარ. 2 და 3-ის ნორმებიდან.

– 2. შეთანხმებული სადაზღვევო თანხების გადახდა ხდება სრულად, თუკი დამდგარი რისკის შეფასებისათვის მიუთითებელი ან უსწორო გარემოებები მნიშვნელოვანი არ არის.

– 3. თუკი პარ. 2-ის მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული, თუმცაღა მზღვეველი – იმ შემთხვევაში, თუკი მისთვის ცნობილი იქნებოდა საქმის ნამდვილი ვითარება – აუცილებლად დაზღვევის ხელშეკრულებაში გაითვალისწინებდა უფრო მაღალ სადაზღვევო პრემიის თანხას ანდა შეზღუდავდა დაზღვევას უფრო ნაკლები სადაზღვევო თანხით, მაშინ სადაზღვევო თანხები მცირდება იმ ოდენობის პროპორციულად, რომლითაც გაიზრდებოდა სადაზღვევო პრემიის თანხები ანდა – იმ ოდენობის პროპორციულად, რომლითაც შემცირდებოდა დაზღვევის თანხა. როდესაც მზღვეველი – იმ შემთხვევაში, თუკი მისთვის ცნობილი იქნებოდა საქმის ნამდვილი ვითარება – დაზღვევის ხელშეკრულებაში გაითვალისწინებდა სხვა

პირობებს, სადაზღვევო თანხების გადახდა მოხდება იმგვარად, თითქოს ეს პირობები შეტანილ იქნა დაზღვევის ხელშეკრულებაში.

– 4. პარ. 2 და 3-საგან განსხვავებით, სადაზღვევო თანხები არ ექვემდებარება გადახდას, როდესაც ის მზღვეველი, რომლისათვისაც ცნობილი იქნებოდა საქმის ნამდვილი ვითარება, საერთოდაც არ დადებდა დაზღვევის ხელშეკრულებას.

– 5. პარ. 2 და 3-საგან განსხვავებით, სადაზღვევო თანხები არ ექვემდებარება გადახდას 7:928 მუხლის პარ. 2-სა თუ 3-ში მითითებული პოლისის მფლობელისა თუ მესამე პირისათვის, რომელმაც განზრახ შეიყვანა შეცდომაში მზღვეველი. სადაზღვევო თანხა არ ექვემდებარება გადახდას ასევე მესამე პირისათვისაც, თუკი პოლისის მფლობელმა მზღვეველის შეცდომაში შეყვანის განზრახვით არ შეასრულა ამ მესამე პირთან დაკავშირებული გარემოებების შესახებ წინასახელშეკრულებო ინფორმირების მოვალეობა.

მუხლი 7:931 საცილოობის ჩვეულებრივი საფუძვლების გამორიცხვა

მზღვეველი ვერ მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 3:44 მუხლის პარ. 3-სა და 6:228 მუხლის ნორმებში აღნიშნულ საცილოობის საფუძვლებზე.

მუხლი 7:932 წერილობითი სადაზღვევო პოლისის გადაცემა

– 1. მზღვეველი შეძლებისდაგვარად სწრაფად გადასცემს პოლისის მფლობელს დოკუმენტს, რომელსაც ეწოდება „დაზღვევის პოლისი“, რომელშიც წერილობითი ფორმით მოცემულია დაზღვევის ხელშეკრულება. ის დაზღვევის პოლისი, რომელიც შედგენილია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 156a მუხლის პარ. 1-ში მითითებული წესით, უნდა შეიცავდეს ელექტრონულ ხელმოწერას, რომელიც აკმაყოფილებს 3:15a მუხლის პარ. 1-ში მითითებულ მოთხოვნებს. მზღვეველს არ ეკისრება დაზღვევის პოლისის გაცემის ვალდებულება, თუკი დაზღვევის ხელშეკრულების ბუნება ამართლებს დამრღვევ გამოყენებას და პოლისის მფლობელისათვის დაზღვევის პოლისის გადაცემას არა აქვს რაიმე მნიშვნელობა.

– 2. პარ. 1-ის ნორმები შესაბამისად გამოიყენება დაზღვევის ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილების მიმართ.

– 3. თუ მზღვეველის მიერ პოლისის მფლობელისათვის გადაცემული მტკიცების დოკუმენტი დაკარგულია, მზღვეველი, თუკი მას ეს სურს, ხარჯების დაფარვის სანაცვლოდ ახდენს მტკიცების ახალი დოკუმენტის გადაცემას. როდესაც მტკიცების დოკუმენტი წარმოდგენილია საორდერო ან სანარმდგენლო ფასიან ქალაქში ანდა – იმ საქონლის დაზღვევის შემთხვევაში, რომელიც ჩვეულებრივ იყიდება ფასიანი ქალაქების მეშვეობით, მზღვეველს დაზღვევის თანხის გადახდამდე შეუძლია მტკიცების ახალი დოკუმენტის მფლობელს მოსთხოვოს იმ ვადის განმავლობაში უზრუნველყოფის წარდგენა, როდესაც მზღვეველს შეიძლება დაეკისროს თანხის გადახდა.

მუხლი 7:933 მზღვეველის შეტყობინებების წარდგენა უნდა მოხდეს წერილობითი ფორმით

– 1. წინამდებარე ტიტულის (ტიტული 7.17) ნორმების საფუძველზე მზღვეველის შეტყობინებების წარდგენა უნდა მოხდეს წერილობითი ფორმით. ამ მიზნით მზღვეველს შეუძლია გამოიყენოს მისთვის ცნობილი ადრესატის უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილი.

– 2. პარ. 1-ის ნორმებისაგან განსხვავებული წესები შეიძლება დადგინდეს მეფის სამთავრობო ბრძანებით, როდესაც საქმე ეხება შეტყობინებების ელექტრონული წესით გაგზავნას. აღნიშნულ სამთავრობო ბრძანებაში შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ასევე წესები იმ პროცედურასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც წინამდებარე ტიტულის (ტიტული 7.17) ნორმებისა თუ დაზღვევის ხელშეკრულების დებულებების შესაბამისად შედგენილი შეტყობინებები უნდა გაიგზავნოს ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებით.

– 3. პარ. 2-ში მითითებული მეფის სამთავრობო ბრძანების კენჭისყრაზე გატანა არ ხდება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პარლამენტში (გენერალურ შტატებში) კანონპროექტის წარდგენიდან გასულია ოთხი კვირა.

მუხლი 7:934 შემდგომი სადაზღვევო პრემიების თანხების დროული გადაუხდელობა

შემდგომი სადაზღვევო პრემიების თანხების გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობამ შეიძლება გამოიწვიოს დაზღვევის ხელშეკრულების შეწყვეტა ან მისი მოქმედების შეჩერება ანდა – გამოსაყენებელი სადაზღვევო დაფარვა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მოვალეს გადახდის თარიღის დადგომის შემდეგ ფორმალური შეტყობინებით მოეთხოვა გადასახდელი ვალების დაფარვა ამ ფორმალური შეტყობინების

დღის მეორე დღიდან თოთხმეტი დღის განმავლობაში, რომელშიც ნახსენებია ასევე გადახდის მიუღებლობის შედეგებიც. პირველი წინადადების ნორმა არ მოქმედებს სამოქალაქო კოდექსის 6:83 მუხლის (c) პუნქტში მითითებული ვითარების მიმართ.

მუხლი 7:935 ვადამოსული ვალების გაქვითვა სადაზღვევო თანხებთან

– 1. ის სადაზღვევო თანხა, რომელიც მზღვეველმა უნდა გადაუხადოს მოსარგებლეს, რომელიც არ წარმოადგენს მის მოვალეს, მზღვეველს შეუძლია გაქვითოს იმავე დაზღვევის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა ვადამოსული სადაზღვევო პრემიის თანხებში, ისევე როგორც – იმ ზიანის ანგარიშში, რაც დაკავშირებულია აღნიშნული ვალების დაფარვის დაგვიანებასთან და ასევე – სამოქალაქო კოდექსის 6:96 მუხლის პარ. 2-ის (c) პუნქტში მითითებული ხარჯების დაფარვის ანგარიშში. პირველი წინადადების ნორმა არ მოქმედებს საორდერო ან სანარმდგენლო ფასიან ქალაქებში გამოხატული დაზღვევის მიმართ.

– 2. როდესაც საქმე ეხება პასუხისმგებლობის დაზღვევას, მზღვეველს სამოქალაქო კოდექსის 6:127 მუხლის პარ. 2-ის ნორმის გვერდის ავლით არა აქვს უფლება, გაქვითოს ის სადაზღვევო თანხა, რომელიც მან უნდა გადაუხადოს მოსარგებლე პოლისის მფლობელს, სხვა ვადამოსული სადაზღვევო პრემიის, პარ. 1-ში მითითებული ზიანისა და ხარჯების თანხებში, ნაცვლად იმავე დაზღვევის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხებისა, რომელთა შედეგადაც აუცილებელი გახდა სადაზღვევო თანხის გადახდა.

მუხლი 7:936 სადაზღვევო პრემიის თანხების გადახდა და „del credere“ დათქმა

– 1. როდესაც შუამავალი თავად კისრულობს პასუხისმგებლობას მზღვეველის წინაშე სადაზღვევო პრემიის თანხების გადახდასა და დაზღვევის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვაზე იმგვარად, რომ ეს თანხები და ხარჯები ქმნის მის საკუთარ ვალებს, პოლისის მფლობელი თავისუფლდება მზღვეველის წინაშე შესაბამისი ვალდებულებისაგან, რამდენადაც სადაზღვევო პრემიისა და ხარჯების თანხები შუამავალმა გადაუხადა მზღვეველს იმის გამო, რომ ისინი აისახა მზღვეველთან მისი მიმდინარე ანგარიშის დებეტში ან სხვაგვარად ანდა – იმდენად, რამდენადაც ეს თანხები გადაუხადა პოლისის მფლობელმა შუამავალს. პოლისის მფლობელმა აღნიშნული სადაზღვევო პრემიისა და ხარჯების თანხები უნდა აუნაზღაუროს შუამავალს.

– 2. სადაზღვევო თანხის გადახდის ვადის დადგომისას, იმ შემთხვევაში, თუკი შუამავალი ამას ითხოვს, მზღვეველმა – მიუხედავად მესამე პირთა რაიმე უფლებებისა – მას უნდა გადასცეს ამ თანხების ის ნაწილი, რომელიც უტოლდება იმ ოდენობას, რაც შუამავალმა შეიძლება მოითხოვოს პოლისის მფლობელისაგან პარ. 1-ის შესაბამისად. როდესაც დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე პოლისის მფლობელი უფლებამოსილია სადაზღვევო თანხის მიღებაზე, მზღვეველს ეკისრება იგივე ვალდებულება თანხის იმ ოდენობის მიმართებაში, რაც შუამავალმა შეიძლება მოითხოვოს პოლისის მფლობელისაგან სხვა დაზღვევის ხელშეკრულებების შესაბამისად, რომლებშიც მონაწილეობენ იგივე პოლისის მფლობელი და შუამავალი.

– 3. მზღვეველმა, რომელსაც განზრახული აქვს სადაზღვევო თანხის გადახდა სხვა პირისათვის, ნაცვლად შუამავალისა, ამ უკანასკნელს უნდა მოსთხოვოს ათი დღის განმავლობაში მისთვის იმ თანხის ოდენობის შეტყობინება, რომლის მოთხოვნაც მას პოლისის მფლობელისაგან შეუძლია პარ. 1-ის შესაბამისად. თუკი შუამავალი პასუხობს აღნიშნულ მოთხოვნას, მაშინ მზღვეველმა შეძლებისდაგვარად სწრაფად უნდა გადასცეს მას შესაბამისი თანხა. თუკი მზღვეველმა შეასრულა ეს ვალდებულება ანდა თუკი შუამავალმა არ მიუთითა ნებისმიერი თანხა მის მიერ ამ მიზნით დადგენილ ვადაში, მაშინ მზღვეველი უფლებამოსილია, სრულად გადაუხადოს მოსარგებლეს (დარჩენილი) გადასახდელი სადაზღვევო თანხა.

– 4. პარ. 2 და 3-ის ნორმები არ გამოიყენება:

a. საორდერო ან სანარმდგენლო ფასიან ქალაქებში გამოხატული დაზღვევის მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პოლისის მფლობელი წარმოადგენს სადაზღვევო თანხის მიმღებს;

b. სავალდებულო პასუხისმგებლობის დაზღვევის მიმართ;

– 5. გარდა აღნიშნულისა, პარ. 2-ის მეორე წინადადება არ გამოიყენება ასევე:

a. იმ შემთხვევაში, თუკი მოსარგებლის უფლება, მიიღოს სადაზღვევო თანხა დატვირთულია გირავნობით, როგორც ეს მითითებულია სამოქალაქო კოდექსის 3:229 მუხლში ანდა – თუკი აღნიშნულ უფლებას თან ახლავს სამოქალაქო კოდექსის 3:283 მუხლში მითითებული პრივილეგია;

b. ნებაყოფლობით დადებული პასუხისმგებლობის დაზღვევის მიმართ.

– 6. როდესაც შუამავალი სადაზღვევო თანხას იღებს მოსარგებლის სახელითა და მის სასარგებლოდ, ის უფლებამოსილია პარ. 1-ის მეორე წინადადებაში მითითებული კომპენსაციის თანხა, რომელიც მას

უნდა გადაუხადოს პოლისის მფლობელმა მის მიერ მოსარგებლისათვის გადასახდელი თანხის სანაცვლოდ, გაქვითოს იმ თანხაში, რომელიც მას შეუძლია მოითხოვოს პოლისის მფლობელისაგან წინამდებარე მუხლის პარ. 2, 4 და 5-ის ნორმების შესაბამისად.

მუხლი 7:937 მზღვეველის მოსარგებლის მიმართ არსებული ვალდებულებისაგან გათავისუფლება

მზღვეველი, ვინც სადაზღვევო თანხას უხდის შუამავალს, მოსარგებლის მიმართ არსებული ვალდებულებისაგან თავისუფლდება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც სადაზღვევო თანხა გადახდილ იქნა შუამავლის მიერ მოსარგებლისათვის, თუმცაღა – ნებისმიერ შემთხვევაში იმ ოდენობით, რა ოდენობითაც მოსარგებელმა შუამავლისათვის განხორციელებული გადახდიდან მიიღო სარგებელი (მოგება).

მუხლი 7:938 სადაზღვევო პრემიის თანხის დაბრუნება იმ შემთხვევაში, როდესაც სადაზღვევო რისკი არ წარმოშობილა

– 1. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც 7:928 მუხლის პარ. 2-სა თუ 3-ში მითითებულმა პოლისის მფლობელმა ან მესამე პირმა განზრახ შეიყვანა შეცდომაში მზღვეველი, სადაზღვევო პრემია არ ექვემდებარება გადახდას იმ შემთხვევაში, თუკი სადაზღვევო რისკი საერთოდ არ წარმოშობილა. თუკი დაზღვევის სრული წლის განმავლობაში სადაზღვევო რისკი არ წარმოშობილა, სადაზღვევო პრემია არ ექვემდებარება გადახდას ამ წლისათვის. თუმცაღა, მზღვეველი მაინც უფლებამოსილია მის მიერ გაწეული ხარჯებისათვის სამართლიანი ანაზღაურების მიღებაზე.

– 2. დაზღვევის სრული წლის დასრულების შემდეგ ერთი თვის განმავლობაში, როდესაც სადაზღვევო რისკი არ წარმოშობილა, თითოეულ მხარეს შეუძლია შეწყვიტოს დაზღვევის ხელშეკრულება, რაც ძალაში შედის დაზღვევის ახალი წლის დაწყების მომენტში. ამ შეწყვეტას სამართლებრივი ძალა არა აქვს, თუკი სადაზღვევო რისკი წარმოიშვა დაზღვევის ახალი წლის დაწყებისა და ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტებს შორის.

– 3. როდესაც სადაზღვევო რისკი წარმოიშვა უფრო ნაკლები რაოდების ობიექტებისა თუ ნაკლები მოცულობის მიმართ, ვიდრე დაზღვეულია, პარ. 1 და 2-ის ნორმები მოქმედებს იმდენად, რამდენადაც სადაზღვევო რისკი არ წარმოშობილა.

მუხლი 7:939 სადაზღვევო პრემიის თანხების შემცირება დაზღვევის ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში

გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელშეკრულების შეწყვეტა ხდება მზღვეველის განზრახ შეცდომაში შეყვანის გამო, შეთანხმებულ დროის პერიოდთან მიმართებაში არსებული სადაზღვევო პრემიის გადასახდელი თანხები მცირდება სამართლიანობის პრინციპის შესაბამისად იმ შემთხვევაში, როდესაც აღნიშნული ხელშეკრულება ვადამდე წყდება.

მუხლი 7:940 დაზღვევის ხელშეკრულების ხანგრძლივობა და შეწყვეტა

– 1. დაზღვევის ხელშეკრულების სადაზღვევო პერიოდის ბოლოს ხელშეკრულების მოქმედების გაგრძელების თავიდან აიცილების მიზნით შეწყვეტის თარიღში შეწყვეტის შემთხვევაში, დაცული უნდა იქნეს შეტყობინების ორთვიანი ვადა.

– 2. პოლისის მფლობელსა და – გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქმე ეხება პირის დაზღვევას, – მზღვეველს შეუძლიათ შეწყვიტონ დაზღვევის ხელშეკრულება, რომელიც დაიდო ხუთ წელზე მეტი ვადით, ანდა რომლის მოქმედებაც გაგრძელდა იმავე ვადით, – ამ უკანასკნელის ფარგლებში შეწყვეტის თარიღში ყოველი ხუთწლიანი ვადის გასვლისას. პარ. 1-ში მითითებული შეტყობინების ვადა გამოიყენება აღნიშნული შეწყვეტის მიმართ.

– 3. თუკი დაზღვევის ხელშეკრულებაში მზღვეველმა გაითვალისწინა დათქმა ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის უფლების შესახებ, მაშინ ანლოგიური უფლება ექნება პოლისის მფლობელს. მზღვეველმა – და, შესაბამისად, პოლისის მფლობელმა – უნდა დაიცვას ასეთი შეწყვეტის შესახებ შეტყობინების ორთვიანი ვადა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარეს განზრახული ჰქონდა მისი შეცდომაში შეყვანა. როდესაც დაზღვევის ხელშეკრულება ფარავს ფინანსური ზედამხედველობის შესახებ კანონის 3:38 მუხლში მითითებული რისკებით გამონვეულ ზიანს, მზღვეველსა – და, შესაბამისად, პოლისის მფლობელს – აქვს უფლება, იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთი რისკი თავად დგება ანდა როდესაც არსებობს ასეთი რისკის დადგომის საფრთხე, შეწყვიტოს დაზღვევის ხელშეკრულება შეიდედლიანი ვადის ჯეროვანი დაცვით, ნაცვლად ორთვიანი ვადისა. მზღვეველს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა შეუძ-

ლია მხოლოდ დაზღვევის ხელშეკრულებაში მითითებული ისეთი საფუძვლების არსებობისას, როდესაც მზღვეველი ვეღარ იქნება შებოჭილი ხელშეკრულების პირობებით.

– 4. როდესაც მზღვეველი შესაბამისი მიზნით დათქმული უფლების საფუძველზე ცვლის დაზღვევის პირობებს პოლისის მფლობელისა თუ მოსარგებლის საზიანოდ, პოლისის მფლობელს შეუძლია შეწყვიტოს დაზღვევის ხელშეკრულება იმ შეწყვეტის თარიღში, როდესაც ძალაში შედის შეცვლილი პირობები, თუმცაღა, ნებისმიერ შემთხვევაში, – ერთი თვის განმავლობაში მას შემდეგ, რაც მოხდა პირობებში ცვლილებების შესახებ მისთვის შეტყობინება.

– 5. მზღვეველს არა აქვს უფლება, შეწყვიტოს ან შეცვალოს პირის დაზღვევა ჯანმრთელობის გაზრდილი რისკების მიზეზით იმდენად, რამდენადაც ეს რისკები ეხება იმ ადამიანის პირად ნიშან-თვისებებს, რომლის მიმართაც მოქმედებს დაზღვევა.

– 6. პოლისის მფლობელს შეუძლია შეწყვიტოს დაზღვევის ხელშეკრულება ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებით. მეფის სამთავრობო ბრძანებით შეიძლება დადგინდეს წესები, რომელთა მიხედვითაც უნდა მოხდეს ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებით ხელშეკრულების შეწყვეტის განცხადების გაგზავნა.

– 7. პარ. 6-ის შესაბამისად დასადგენი მეფის სამთავრობო ბრძანების წარდგენა არ ხდება ოთხ კვირაზე ადრე მას შემდეგ, რაც ბრძანების პროექტი წარედგინა პარლამენტის ორივე პალატას.

მუხლი 7:941 ინფორმირების მოვალეობა სადაზღვევო რისკის წარმოშობისას

– 1. როგორც კი პოლისის მფლობელი ან მოსარგებლე შეიტყობს სადაზღვევო რისკის დადგომის შესახებ ანდა მას უნდა შეეცყო ამის შესახებ, ის ვალდებულია ამ ფაქტის თაობაზე აცნობოს მზღვეველს. აღნიშნული შეძლებისდაგვარად სწრაფად უნდა მოხდეს.

– 2. პოლისის მფლობელი და მოსარგებლე ვალდებული არიან, მზღვეველს გონივრულ ვადაში წარუდგინონ სრული ინფორმაცია და ყველა დოკუმენტი, რაც მნიშვნელოვანია მზღვეველის მიერ სადაზღვევო თანხის გადახდის ვალდებულების შეფასებისათვის.

– 3. თუკი მოსარგებლემ არ შეასრულა პარ. 1-სა თუ 2-ში მითითებული ვალდებულება, მაშინ მზღვეველი უფლებამოსილია შეამციროს გადასახდელი სადაზღვევო თანხა იმ ზიანის ოდენობით, რომელიც მან განიცადა აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობით.

– 4. მზღვეველს პარ. 1-სა თუ 2-ში მითითებული ვალდებულების შეუსრულებლობის გამო სადაზღვევო თანხის მიღების უფლების დაკარგვის პირობის დათქმა შეუძლია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ასეთი შეუსრულებლობით ზიანი ადგება მის გონივრულ ინტერესებს.

– 5. სადაზღვევო თანხის მიღებაზე უფლება ქარწყლდება იმ შემთხვევაში, თუკი პოლისის მფლობელმა ან მოსარგებლემ პარ. 1-სა თუ 2-ში მითითებული ვალდებულება არ შეასრულა მზღვეველის განზრახ შეცდომაში შეყვანის განზრახვით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს მოტყუება არ ამართლებს სადაზღვევო თანხის მიღებაზე უფლების დაკარგვას.

მუხლი 7:942 ხანდაზმულობა

– 1. სადაზღვევო თანხის გადახდის მოთხოვნით მზღვეველის მიმართ წარდგენილი სარჩელი (სარჩელის უფლება) ხანდაზმული ხდება სამწლიანი ვადის გასვლისას იმ დღის მეორე დღიდან, როდესაც მოსარგებლემ შეიტყო აღნიშნული თანხის ვადამოსულობისა და მისი მოთხოვნის შესაძლებლობის თაობაზე.

– 2. ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება იმ წერილობითი განცხადებით, რომელშიც მოცემულია სადაზღვევო თანხის მიღებაზე მოთხოვნა. ახალი სამწლიანი ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება იმ დღის მეორე დღიდან, როდესაც მზღვეველმა აღიარა მოთხოვნა ანდა ნათლად განაცხადა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის შესახებ.

– 3. პასუხისმგებლობის დაზღვევის შემთხვევაში, პარ. 2-ის პირველი წინადადებისაგან განსხვავებით, ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება მზღვეველსა და მოსარგებლეს ან დაზარალებულ პირს შორის ნებისმიერი სახის მოლაპარაკების წარმოებისას. ასეთ შემთხვევაში ახალი სამწლიანი ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება იმ დღის მეორე დღიდან, როდესაც მზღვეველმა აღიარა მოთხოვნა ანდა ნათლად განუცხადა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის შესახებ იმ პირს, ვისთანაც ის აწარმოებს მოლაპარაკებას, ხოლო თუკი ეს პირი წარმოადგენს სხვა პირს, ნაცვლად სადაზღვევო თანხის მიღებაზე უფლებამოსილისა, მაშინ – ამ უკანასკნელს.

მუხლი 7:943 კანონის იმპერატიული ნორმები

– 1. 7:931 მუხლის, 7:932 მუხლის, 7:935 მუხლის პარ. 2-ის, 7:936 მუხლისა და 7:939 მუხლის ნორმებიდან გადახვევა დაუშვებელია.

– 2. პოლისის მფლობელისა თუ მოსარგებლის ინტერესების საზიანოდ 7:933 მუხლის პარ. 2-ის, პირველის წინადადების, 7:937 მუხლის, 7:940 მუხლის პარ. 1, 3, 5 და 6-ის, 7:941 მუხლის 1, 2, 4 და 5-ს, ასევე – 7:942 მუხლის ნორმებიდან გადახვევა დაუშვებელია.

– 3. როდესაც პოლისის მფლობელი ფიზიკური პირია, ვინც დაზღვევის ხელშეკრულების დადების დროს არ მოქმედებდა თავისი პროფესიული ან სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში, პოლისის მფლობელისა თუ მოსარგებლის ინტერესების საზიანოდ 7:928 მუხლიდან 7:930 მუხლის ჩათვლით, 7:934 მუხლისა და 7:940 მუხლის პარ. 2 და 4-ის ნორმებიდან გადახვევა დაუშვებელია.

განყოფილება 7.17.2 – საკომპენსაციო დაზღვევა

მუხლი 7:944 „საკომპენსაციო დაზღვევის ხელშეკრულების“ განმარტება

საკომპენსაციო დაზღვევის ხელშეკრულება წარმოადგენს დაზღვევის ხელშეკრულებას, რომლითაც გათვალისწინებულია საკომპენსაციო თანხის გადახდა იმ მატერიალური ზარალისათვის, რომელიც დაზღვეულმა პირმა შესაძლოა განიცადოს.

მუხლი 7:945 „დაზღვეული პირი“

წინამდებარე განყოფილების (განყოფილება 7.17.2) მიზნებისათვის „დაზღვეული პირის“ ცნების ქვეშ მოიაზრება პირი, ვინც იმ შემთხვევაში, როდესაც მან განიცადა ზარალი, დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე უფლებამოსილია საკომპენსაციო თანხის მიღებაზე, ანდა – ვინც შეიძლება გახდეს ამ თანხის მიღებაზე უფლებამოსილი მის მიერ მოსარგებლის სახით დანიშვნაზე დათანხმებით.

მუხლი 7:946 „დაზღვეული ინტერესი“

– 1. დაზღვევის ხელშეკრულება შეიძლება ფარავდეს მხოლოდ პოლისის მფლობელის ინტერესებს, თუკი რაიმე სხვა წესი არ იქნა შეთანხმებული მხარეთა შორის.

– 2. თუკი ქორწინებისა თუ რეგისტრირებული პარტნიორობის ძალით ობიექტი წარმოადგენს საერთო საკუთრებას, მაშინ ამ ობიექტის დაზღვევით იფარება ორივე თანამესაკუთრის ინტერესები.

მუხლი 7:947 მესამე პირის მოსარგებლის სახით დანიშვნის გაუქმება

პოლისის მფლობელს ზიანის შემთხვევაში გადასახდელი სადაზღვევო თანხის მიღებაზე მესამე პირის მოსარგებლედ დანიშვნის გაუქმება შეუძლია მხოლოდ მზღვეველთან ან ამ მესამე პირთან თანამშრომლობით. თუმცა, როდესაც საქმე ეხება უკვე განცდილი ზარალის ანაზღაურებას, პოლისის მფლობელი და მზღვეველი ასეთ დანიშვნას ერთობლივად ვერ გააუქმებენ.

მუხლი 7:948 დაზღვეული ინტერესის გადაცემა

– 1. იმ ნივთის ან იმ შეზღუდული სანივთო უფლების გადაცემისას, რომლითაც დატვირთულია ეს ნივთი, ამ უკანასკნელის შენარჩუნებაზე გამსხვივების ინტერესების მფარავი დაზღვევის ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებები და ვალდებულებები სადაზღვევო რისკთან ერთად გადადის შემძენ მხარეზე იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც რისკი უკვე გადასული იყო შემძენ მხარეზე მანამდე, სანამ მოხდებოდა ნივთისა თუ შეზღუდული სანივთო უფლების სამართლებრივი გადაცემა. იგივე წესი მოქმედებს მეორადი დაზღვევების მიმართაც, რომლების წარმოიშობა იგივე დაზღვევის ხელშეკრულების დადებისას. ნივთისა თუ შეზღუდული სანივთო უფლების გადასვლა არ ხდება, თუკი ეს მითითებულია იმ გარიგებაში, რომლის საფუძველზეც გადაეცემა ნივთი, ანდა – მზღვეველისათვის ახალი დაინტერესებული მხარის მიერ წარდგენილ განცხადებაში.

– 2. დაზღვევის ხელშეკრულება წყდება ერთი თვის ვადის გასვლისთანავე მას შემდეგ, რაც ის გადავა ახალ დაზღვეულ პირზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამ ვადის განმავლობაში ახალი დაზღვეული პირი შეატყობინებს მზღვეველს იმის თაობაზე, რომ ის აგრძელებს დაზღვევის ხელშეკრულებას. ასეთ შემთხვევაში მზღვეველს ახალი დაზღვეული პირის შეტყობინების მიღებიდან ორი თვის განმავლობაში შეუძლია შეწყვიტოს დაზღვევის ხელშეკრულება ერთი თვით ადრე გაფრთხილების პირობის დაცვით.

– 3. სადაზღვევო პრემიის ის თანხები, რომლებიც ექვემდებარება გადახდას ახალი დაზღვეული პირის

მხრიდან მზღვეველისათვის დაზღვევის ხელშეკრულების მოქმედების გაგრძელების შესახებ შეტყობინების წარდგენის შემდეგ, უნდა გადაიხადოს მხოლოდ პოლისის მფლობელმა.

– 4. პარ. 2-ის ნორმები არ იწვევს შედეგად არც დაზღვევის ხელშეკრულების ვადის გაგრძელებას და არც ამ ხელშეკრულების სხვა საფუძველზე შეწყვეტის უფლების შეზღუდვას.

– 5. პარ. 1-დან პარ. 4-ის ჩათვლით ნორმები არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუკი შემძენი მხარე თავად დაზღვევის ხელშეკრულებაში აღინიშნება როგორც მესამე პირი, რომელიც დანიშნულია მოსარგებლედ 7:947 მუხლის გაგებით.

მუხლი 7:949 საორდერო ან სანარმდგენლო დაზღვევის პოლისები

7:932 მუხლის პარ. 3-ის მეორე წინადადებაში მითითებულ დაზღვევის პოლისებთან მიმართებაში დაზღვევის პოლისისა თუ მზღვეველის მიერ მტკიცებულების სახით გაცემული სხვა დოკუმენტის მფლობელს წარმოადგენს დაზღვეული პირი იმ პირობით, რომ მას აქვს სადაზღვევო რისკი. სამოქალაქო კოდექსის 6:253 მუხლის პარ. 2-სა და 7:947 მუხლის, 7:948 მუხლისა და 7:950 მუხლის ნორმები არ გამოიყენება წინა წინადადებაში მითითებული დაზღვევების მიმართ.

მუხლი 7:950 ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება პოლისის მფლობელის გარდაცვალებისას

თუ გარდაიცვლება პოლისის მფლობელი, მაშინ როგორც მის მემკვიდრებს, ისე მზღვეველს ერთი თვით ადრე გაფრთხილების პირობის დაცვით შეუძლიათ შეწყვიტონ დაზღვევის ხელშეკრულება ცხრა თვის განმავლობაში იმ მომენტიდან, როდესაც მათთვის ცნობილი გახდა პოლისის მფლობელის გარდაცვალების შესახებ.

მუხლი 7:951 თავად დაზღვეული ობიექტის ბუნებითა თუ ნაკლით გამონვეული ზიანი

მზღვეველი არ ანაზღაურებს დაზღვეული ობიექტისათვის მიყენებულ ზიანს, თუკი ეს ზიანი გამონვეულია თავად დაზღვეული ობიექტის ბუნებითა თუ ნაკლით.

მუხლი 7:952 დაზღვეული პირის ბრალით გამონვეული ზიანი

მზღვეველი არ ანაზღაურებს იმ დაზღვეული პირისათვის მიყენებულ ზიანს, რომელმაც თავად გამოიწვია ზიანი განზრახი ან წინდაუხედავი ქცევით.

მუხლი 7:953 პასუხისმგებლობის დაზღვევა და განსაზღვრული მოვლენებისა თუ ფაქტების აღიარების აკრძალვა

თუ პასუხისმგებლობის დაზღვევა უკრძალავს დაზღვეულ პირს განსაზღვრულ აღიარებებს, მაშინ ამ აკრძალვის დარღვევას არ ექნება შედეგი იმდენად, რამდენადაც აღიარება სწორია. ფაქტების აღიარების აკრძალვას არასოდეს არა აქვს რაიმე შედეგი.

მუხლი 7:954 პასუხისმგებლობის დაზღვევის შემთხვევაში მზღვეველის მიმართ დაზარალებული პირის პირდაპირი უფლებები

– 1. თუკი პასუხისმგებლობის დაზღვევის შემთხვევაში მზღვეველს შეატყობინეს სადაზღვევო რისკის დადგომის შესახებ 7:941 მუხლის შესაბამისად, მაშინ იმ შემთხვევაში, თუ სადაზღვევო თანხა ექვემდებარება მზღვეველის მიერ დაზარალებული პირისათვის გადახდას, ამ უკანასკნელს შეუძლია მოითხოვოს იმ სადაზღვევო თანხის პირდაპირ მისთვის გადახდა, რომელიც დაზარალებულმა დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე შეიძლება მოითხოვოს მზღვეველისაგან დაზარალებული პირის გარდაცვალებისა თუ ზიანის გამო.

– 2. თუკი დაზარალებული წარმოადგენს იურიდიულ პირს, რომელიც აღარ არსებობს იმ დროისათვის, როდესაც დაზარალებული პირისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ჯერ არ გადასულა სხვა პირზე, დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს მზღვეველისაგან პარ. 1-ში მითითებული გადახდის განხორციელება ამ უკანასკნელისათვის სადაზღვევო რისკის დადგომის შესახებ შეტყობინების აუცილებლობის გარეშე.

– 3. თუ დაზარალებულ პირს ჯერ არ გამოუყენებია პარ. 1-ში მითითებული კუთვნილი უფლება, დაზღვეული პირისათვის მისი კუთვნილი სადაზღვევო თანხის გადახდა ათავისუფლებს მზღვეველს დაზარალებული პირის წინაშე მასზე დაკისრებული ვალდებულებისაგან იმ შემთხვევაში, თუკი მან ამ პირს უშედეგოდ მიმართა იმ საკითხის გარკვევისათვის, სურს თუ არა მას აღნიშნული უფლების განხორციელება ანდა თუკი დაზარალებულმა უარი თქვა თავის უფლებაზე.

– 4. დაზღვეული პირი არ არის უფლებამოსილი, დაზარალებული პირის ინტერესების საზიანოდ განკარგოს სადაზღვევო თანხის მიღებაზე თავისი უფლება იმდენად, რამდენადაც ეს უფლება ქმნის კომპენსაციას პირის გარდაცვალებისა თუ დაზიანებით გამოწვეული ზარალისათვის და ასევე ასეთი უფლება არ ექვემდებარება დაყადაღებას სხვა პირის მიერ, გარდა დაზარალებულისა.

– 5. იმდენად, რამდენადაც სადაზღვევო თანხა, რომელიც მზღვეველმა უნდა გადაუხადოს დაზღვეულ პირს დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე, არ ფარავს ყველა იმ ზიანს, რაზეც პასუხისმგებელია დაზღვეული პირი ორი ან მეტი დაზარალებული პირის წინაშე, გადასახდელი სადაზღვევო თანხა დაერიცხება თითოეულ დაზარალებულს ყოველი მათგანის მიერ განცდილი ზარალის პროპორციულად, ხოლო იმდენად, რამდენადაც დაზარალებულმა განიცადა ზარალი პირის გარდაცვალებისა თუ დაზიანების გამო, ისევე როგორც – სხვაგვარი ზიანი, სადაზღვევო თანხის დარიცხვა მოხდება ამ სხვადასხვა სახის ზიანის პროპორციულად. თუმცა, მიუხედავად აღნიშნულისა, მზღვეველი, რომლისათვისაც არ იყო ცნობილი სხვა დაზარალებული პირების სავალო მოთხოვნების არსებობა და, შესაბამისად, მან დაზარალებულსა თუ დაზღვეულ პირს კეთილსინდისიერად გადაუხადა იმაზე მეტი თანხა, ვიდრე ეს პირი უფლებამოსილი იქნებოდა თანხის განაწილების ზემოაღნიშნული წესის შესაბამისად, – სხვა დაზარალებული პირების მიმართ ვალდებულია მხოლოდ დარჩენილი სადაზღვევო თანხის გადახდაზე იმ პირობით, რომ ასეთი ნაწილი ჯერ კიდევ ხელმისაწვდომია დაზღვევის მაქსიმალური დაფარვის ფაქტის გათვალისწინებით. დაზარალებული პირებისათვის გადახდა შეიძლება გადავადდეს იმდენად, რამდენადაც სახეზეა გონივრული საფუძველი ეჭვის შეტანისა იმ თანხაში, რომელიც გადახდილ უნდა იქნეს წინამდებარე პარაგრაფის პირველი წინადადების ნორმის შესაბამისად.

– 6. დაზარალებულ პირს, ვინც სასამართლოში წარადგენს სარჩელს მზღვეველის მიმართ პირის გარდაცვალებისა თუ დაზიანებით გამოწვეულ ზარალთან დაკავშირებით, შეუძლია ასე მოიქცეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მან უზრუნველყო დაზღვეული პირის დროული გამოცხადება სასამართლოში. ამ წესიდან არსებობს გამონაკლისი პარ. 2-ში მითითებულ ვითარებაში.

– 7. პარ. 1-დან პარ. 6-ის ჩათვლით ნორმები არ მოქმედებს იმდენად, რამდენადაც დაზარალებულმა მიიღო ანაზღაურება ანდა კანონმა მას მზღვეველის მიმართ მიანიჭა ზიანის ანაზღაურებაზე ცალკე და დამოუკიდებელი უფლება.

მუხლი 7:955 დაზღვეული თანხა

– 1. დაზღვეული თანხა წარმოადგენს იმ საზღაურის მაქსიმალურ ოდენობას, რომლის გადახდის ვალდებულებაც ეკისრება მზღვეველს დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე 7:959 მუხლში გათვალისწინებული შესაბამისი მოვლენის შედეგად.

– 2. დაზღვეული თანხა არ მცირდება პარ. 1-ში მითითებული სადაზღვევო თანხის გადახდით ან ასეთი გადახდის შემდეგ.

მუხლი 7:956 დაზღვეული ღირებულება

შენობა-ნაგებობის დაზღვევა ხდება მისი აღდგენის ღირებულებით, ხოლო სხვა ნივთებისა კი, – მათი შეცვლის ღირებულებით. შეცვლის ღირებულება უტოლდება იმ თანხას, რომელიც საჭიროა ეკვივალენტური სახის, ხარისხის, რაოდენობის, მდგომარეობისა და წლოვანების ნივთის შექმნისათვის.

მუხლი 7:957 ზიანის თავიდან აცილებისა თუ შემცირების მიზნით ზომების მიღების ვალდებულება

– 1. როგორც კი პოლისის მფლობელი ან დაზღვეული პირი შეიტყობს ან მან უნდა შეიტყოს სადაზღვევო რისკის დადგომის შესახებ ანდა – ასეთი რისკის დადგომის მნიშვნელოვანი საფრთხის შესახებ, თითოეული მათგანი თავიანთი შესაძლებლობების პროპორციულად ვალდებულია გონივრულ ვადაში მიიღოს ყველა ის ზომა, რომლებსაც შედეგად მოჰყვება ზიანის თავიდან აცილება ან მისი შემცირება.

– 2. მზღვეველი ანაზღაურებს პარ. 1-ში აღნიშნულ ზომებთან დაკავშირებულ ხარჯებსა და ასევე ამ პროცესში გამოყენებული ობიექტებისათვის მიყენებულ შესაძლო ზიანს.

– 3. თუკი დაზღვეულმა პირმა არ შეასრულა პარ. 1-ში მითითებული ვალდებულება, მზღვეველი უფლებამოსილია გადასახდელი სადაზღვევო თანხიდან გამოკვეთოს იმ ზიანის თანხა, რომელიც მან განიცადა აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად.

მუხლი 7:958 ზიანის ანაზღაურება

– 1. სრული ზარალი სახეზეა, როდესაც ობიექტი:

- a. განადგურდა;
- b. დაზიანდა იმგვარად, რომ ის აღარ წარმოადგენს დაზღვეულ ობიექტს, ან;
- c. აღარ იმყოფება დაზღვეული პირის კონტროლის ქვეშ და ამ კონტროლის დაბრუნება არ არის მოსალოდნელი.

– 2. სრული ზარალის შემთხვევაში მზღვეველი ანაზღაურებს ობიექტის დაზღვეული ინტერესის ღირებულებას.

– 3. როდესაც მზღვეველმა პარ. 1-ის (c) პუნქტში მითითებულ ვითარებაში შეასრულა მასზე დაკისრებული სადაზღვევო თანხის გადახდის ვალდებულება, რის შემდეგაც შესაძლებელი ხდება ობიექტის დაბრუნება, მას დაზღვეული პირის არჩევანით შეუძლია მოითხოვოს გადახდილი სადაზღვევო თანხის დაბრუნება ანდა ობიექტის მისთვის გადმოცემა იმ მიზნით, რომ გახდეს მისი მესაკუთრე.

– 4. რაც შეეხება შეცვლის ღირებულებით დაზღვევას, მზღვეველი ნაწილობრივი ზიანის შემთხვევაში აღდგენის ღირებულებასა თუ ახალ ღირებულებასთან დაკავშირებით თავისი არჩევანით ანაზღაურებს შეკეთების ხარჯებსა და ობიექტის ღირებულების შემცირებას მის საბაზრო (სარეალიზაციო) ღირებულებასთან შედარებით მიუხედავად მისი აღდგენისა, ანდა – დაუზიანებელი ობიექტის დაზღვეულ ღირებულებას, რომელიც მცირდება მისი ნარჩენის საბაზრო (სარეალიზაციო) ღირებულებით.

– 5. თუ დაზღვეული თანხის ოდენობა ზარალის გამოთვლის საფუძველად არსებულ ღირებულებაზე ნაკლებია, მაშინ საკომპენსაციო თანხა შემცირდება პარ. 2 და 4-ის ნორმების შესაბამისად იმ ოდენობის პროპორციულად, რა ოდენობითაც დაზღვეული თანხა აღნიშნულ ღირებულებაზე ნაკლებია.

მუხლი 7:959 ხარჯების ანაზღაურება

– 1. 7:957 მუხლში მითითებული კომპენსაციის თანხის გადახდა (ზიანის თავიდან აცილებისა თუ მისი შემცირების ხარჯები) და ზიანის შეფასებისათვის განეული გონივრული ხარჯების განევა ეკისრება მზღვეველს იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ამის შედეგად – თვით ზიანისათვის საჭირო ანაზღაურების ოდენობასთან ერთად – ადგილი ექნებოდა დაზღვეული თანხის ოდენობის გადაჭარბებას.

– 2. თუკი დაუზიანებელი ობიექტის ღირებულება, რომელიც გამოითვლება დაზღვევის საფუძველზე, დაზღვევით სრულად არ იფარება, მაშინ 7:957 მუხლში მითითებული კომპენსაციის თანხის გადახდა (ზიანის თავიდან აცილებისა თუ მისი შემცირების ხარჯები) ეკისრება მზღვეველს მხოლოდ 7:958 მუხლის პარ. 5-ის ნორმის შესაბამისი გამოყენების პირობით.

მუხლი 7:960 ანაზღაურების მიღების პრინციპი

დაზღვეული პირი არ მიიღებს კომპენსაციას დაზღვევის ხელშეკრულებიდან გამომდინარე იმ შემთხვევაში, თუკი ის ამ ხელშეკრულების დადების შედეგად აშკარად უფრო ხელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდება. აღნიშნული წინადადების ნორმა არ მოქმედებს, როდესაც ობიექტის ღირებულება წინასწარ შეფასდა ამ მიზნით დანიშნული ექსპერტის მიერ ანდა თავად მხარეების მიერ ექსპერტის საკონსულტაციო ანგარიშის შესაბამისად.

მუხლი 7:961 ორმაგი დაზღვევა

– 1. თუკი ერთი და იგივე ზიანი დაზღვეულია ერთზე მეტი დაზღვევის ხელშეკრულებით, მაშინ დაზღვეულ პირს 7:960 მუხლის ნორმების მოთხოვნათა დაცვით შეუძლია შესაბამისი პასუხისმგებლობა დააკისროს თითოეულ მზღვეველს. ამ მიზნით მზღვეველი უფლებამოსილია შეაჩეროს ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით მასზე დაკისრებული ვალდებულების შესრულება მანამდე, სანამ დაზღვეული პირი არ მოახდენს სხვა დაზღვევის ხელშეკრულებებზე მითითებას.

– 2. პარ. 1-ის მიზნებისათვის დაზღვევის ხელშეკრულებით დაფარულ ზიანს უთანაბრდება ის ზიანი, რომელიც ანაზღაურდება მზღვეველის მიერ ისე, რომ ეს უკანასკნელი არ არის იურიდიულად ვალდებული ამაზე.

– 3. მზღვეველებს ერთმანეთის მიმართ ორმხრივად აქვთ რეგრესული მოთხოვნის უფლება ისე, რომ თითოეული მათგანი კისრულობს საკუთარ ნაწილს იმ თანხის პროპორციულად, რომლისათვისაც ყოველ მათგანს დამოუკიდებლად შეიძლება დაეკისროს შესაბამისი პასუხისმგებლობა. იმავე საფუძველზე მზღვეველებს ერთმანეთის მიმართ ორმხრივად აქვთ რეგრესული მოთხოვნის უფლება ზიანის შეფასების გონივრულ ხარჯებთან დაკავშირებით, ისევე როგორც – სასამართლოში და სასამართლოსგარე ურთიერთობებში სამართლებრივი დაცვისათვის საჭირო გონივრულ ხარჯებთან დაკავშირებით. დაზღვეული პირი თითოეული მზღვეველის მიმართ დამოუკიდებლად ვალდებულია, თავი შეიკავოს ნებისმიერი ისეთი ქცევისაგან, რომელსაც შეუძლია ზიანი მიაყენოს მზღვეველების ორმხრივ რეგრესულ მოთხოვნის უფლებებს.

- 4. როდესაც ორი ან მეტი მზღვეველი მონაწილეობს ერთი და იგივე დაზღვევის ხელშეკრულებაში, თითოეული მზღვეველის პასუხისმგებლობა შეზღუდულია ამ დაზღვევიდან გამომდინარე სრულად გადასახდელი თანხის პროპორციული ნაწილით.

მუხლი 7:962 უფლებათა სუროგაცია

- 1. თუკი იმ მომენტში, როდესაც დაზღვეული პირი განიცდის ზარალს, მას მესამე პირების მიმართ აქვს კომპენსაციის მიღებაზე სხვა სავალო მოთხოვნები, ნაცვლად დაზღვევის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნებისა, მაშინ ეს სავალო მოთხოვნები სუროგაციის გზით გადადის მზღვეველზე იმ ფარგლებში, რომლებშიც მან სამართლებრივი ვალდებულების საფუძველზე ან ასეთი საფუძვლის გარეშე მოახდინა ამ ზარალის ანაზღაურება. სადაზღვევო რისკის დადგომის შემდეგ დაზღვეულმა პირმა თავი უნდა შეიკავოს ნებისმიერი ისეთი ქცევისაგან, რომელსაც შეუძლია ზიანი მიაყენოს მესამე პირების მიმართ მზღვეველის უფლებებს.

- 2. როდესაც მზღვეველმა სავალო მოთხოვნა შეიძინა სუროგაციის გზით ანდა გადაცემის საფუძველზე, მას ეკრძალება ამ მოთხოვნის რეალიზაცია ზიანის ანაზღაურებაზე დაზღვეული პირის უფლების საზიანოდ.

- 3. მზღვეველს არა აქვს რეგრესული მოთხოვნის უფლება დაზღვეული პირის, ისევე როგორც ერთობლივად დაზღვეული პირის, სამართლებრივად დაშორებული მეუღლისა თუ რეგისტრირებული პარტნიორის ანდა ცხოვრების სხვა თანამგზავრის მიმართ, დაზღვეული პირის პირდაპირი ხაზის სისხლით ნათესავების, დასაქმებულისა თუ დამსაქმებლის ანდა იმ პირის მიმართ, ვინც მუშაობს იმავე დამსაქმებლის როგორც დაზღვეული პირის შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე. ეს წესი არ მოქმედებს იმდენად, რამდენადაც ასეთი პირი დაზღვეული პირის მიმართ პასუხისმგებელია იმ გარემოების გამო, რაც საზიანო აღმოჩნდა სადაზღვევო თანხისათვის, და ასევე – თუკი ეს გარემოება შეერაცხება დაზღვეულ პირს.

მუხლი 7:963 კანონის იმპერატიული ნორმები

- 1. 7:960 მუხლისა და 7:962 მუხლის პარ. 2 და 3-ის პირველი წინადადების ნორმებიდან გადახვევა დაუშვებელია.

- 2. დაზღვეული პირის ინტერესების საზიანოდ 7:953 მუხლის ნორმებიდან გადახვევა დაუშვებელია.

- 3. მესამე პირის ინტერესების საზიანოდ 7:947 მუხლის მეორე წინადადების ნორმიდან გადახვევა დაუშვებელია.

- 4. დაზარალებულის ინტერესების საზიანოდ 7:954 მუხლის ნორმებიდან გადახვევა დაუშვებელია.

- 5. პოლისის მფლობელისა თუ დაზღვეული პირის ინტერესების საზიანოდ 7:947 მუხლის პარ. 2-ის ნორმებიდან გადახვევა დაუშვებელია.

- 6. პოლისის მფლობელისა თუ დაზღვეული პირის ინტერესების საზიანოდ 7:959 მუხლის პარ. 1-ის ნორმებიდან გადახვევა დაუშვებელია იმდენად, რამდენადაც ამ პარაგრაფში მითითებული ხარჯები არ აღემატება იმ ოდენობას, რომელიც უტოლდება დაზღვეულ თანხას, და ასევე – რამდენადაც პოლისის მფლობელი წარმოადგენს ფიზიკურ პირს, ვინც დაზღვევის ხელშეკრულების დადების დროს არ მოქმედებდა თავისი პროფესიული ან სამეცნიერო საქმიანობის ფარგლებში.

განყოფილება 7.17.3 – თანხობრივი დაზღვევა (არასაკომპენსაციო დაზღვევა)

ქვეგანყოფილება 7.17.3.1 – ზოგადი დებულებები

მუხლი 7:964 „თანხობრივი დაზღვევის ხელშეკრულების“ განმარტება („არასაკომპენსაციო დაზღვევის ხელშეკრულება“)

თანხობრივი დაზღვევის ხელშეკრულება („არასაკომპენსაციო დაზღვევის ხელშეკრულება“) წარმოადგენს დაზღვევის ხელშეკრულებას, რომლის დროსაც მნიშვნელობა არა აქვს იმას, გამოიყენება თუ არა – ხოლო თუ გამოიყენება, მაშინ რა მოცულობით – სადაზღვევო თანხა ზიანის ანაზღაურებისათვის. ასეთი ხელშეკრულების დადება დაშვებულია მხოლოდ პირის დაზღვევისა და ასევე იმ დაზღვევის საშუალებით, რომელიც ასეთად დგინდება და მტკიცდება მეფის სამთავრობო ბრძანებით, რომელიც, აუცილებლობის შემთხვევაში, განსაზღვრავს ასევე გამოყენების ფარგლებსაც.

მუხლი 7:965 „დაზღვეული პირის“, „მოსარგებლისა“ და „სადაზღვეო თანხის“ განმარტება

წინამდებარე განყოფილებაში (განყოფილება 7.17.3) „დაზღვეული პირის“ ცნების ქვეშ მოიაზრება პირი, რომლის სიცოცხლესა თუ ჯანმრთელობას ეხება დაზღვევა, ხოლო „მოსარგებლის“ ცნების ქვეშ მოიაზრება პირი, ვინც დანიშნულია სადაზღვეო თანხის მიმღებ პირად. „სადაზღვეო თანხა“ გულისხმობს 7:978 მუხლის პარ. 2-ში, 7:980 მუხლის პარ. 2-ში, 7:981 მუხლსა და 7:983 მუხლში მითითებულ ფულად თანხებს.

მუხლი 7:966 მოსარგებლის დანიშვნა და ასეთი დანიშვნის შეცვლა

– 1. პოლისის მფლობელს მზღვეველის მიმართ წარდგენილი წერილობითი განცხადების მეშვეობით შეუძლია:

a. დაინიშნოს თავისი თავი მოსარგებლედ, ისევე როგორც ძირითად მოსარგებლედ ან შეზღუდულ მესაკუთრედ ანდა დაინიშნოს ერთი ან რამდენიმე მესამე პირი როგორც თავის თავთან ერთად, ისე – დამოუკიდებლად;

b. მოახდინოს სადაზღვეო თანხის მიღების უფლების მმართველის მინდობით მართვაში გადაცემა;

c. გააუქმოს ან შეცვალოს სადაზღვეო თანხის მიღების უფლების განკარგვა, როგორც ეს გათვალისწინებულია (a) ან (b) პუნქტებში.

– 2. მზღვეველს შეუძლია უარი თქვას შესაბამის დანიშვნასა თუ შეცვლაზე იმ შემთხვევაში, თუკი ეს არაგონივრულად გართულებს მის მიერ სადაზღვეო თანხის გადახდის ვალდებულების შესრულებას. მან ეს უფლება უნდა განახორციელოს თავისი უარის შესახებ პოლისის მფლობელისათვის დანიშვნიდან ან შეცვლიდან ორი თვის განმავლობაში გაგზავნილი შეტყობინებით.

– 3. თანხობრივი დაზღვევის მიღებაზე მინდობით მართვას იგივე სამართლებრივი შედეგები აქვს, რაც ანდერძით დადგენილ მინდობით მართვას იმ პირობით, რომ:

a. სამოქალაქო კოდექსის 4:178 მუხლში, 4:179 მუხლის პარ. 2-სა და 4:180 მუხლის პარ. 2-ში მითითებული დროის პერიოდების ათვლა იწყება იმ მომენტიდან, როდესაც სადაზღვეო თანხა ან ამ თანხების პირველი ნაწილი ვადამოსული და გადასახდელი გახდა, და;

b. მინდობით მართვა, – იმდენად, რამდენადაც ის არ დადგენილა სხვა პირის ინტერესებში, ნაცვლად მოსარგებლისა, – ასევე ნყდება იმ შემთხვევაში, როდესაც პოლისის მფლობელმა და მოსარგებლემ წერილობით შეატყობინეს მზღვეველს ამ მართვის შეწყვეტის შესახებ თავიანთი ერთობლივი გადანყვეტილების თაობაზე.

– 4. ვალის უზრუნველყოფის მიზნით პირის ძირითადი მოსარგებლის სახით დანიშვნა განიხილება როგორც მოგირავნის სახით დანიშვნა. აღნიშნული წინადადების ნორმა შესაბამისად გამოიყენება ვალის გადახდისა თუ დაკმაყოფილების მიზნით ძირითადი მოსარგებლის სახით დანიშვნის მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი დანიშვნა შეზღუდულია იმ თანხის ოდენობით, რაც უნდა მიიღოს ძირითადმა მოსარგებლემ.

მუხლი 7:967 მოსარგებლის სახით დანიშვნის გაუქმება

– 1. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სახეზეა სხვაგვარი განზრახვა, მოსარგებლის დანიშვნა უქმდება იმ შემთხვევაში, თუკი ის გარდაიცვლება:

a. მანამდე, სანამ ის დაეთანხმება თავის დანიშვნას, ან;

b. მანამდე, სანამ სადაზღვეო თანხა, რომელსაც დანიშვნა ეხება, არ გახდება ვადამოსული და გადასახდელი.

– 2. თუკი მოსარგებლის დანიშვნა მოხდა განსაზღვრული უნარის მითითების გზით, მაშინ მიიჩნევა, რომ დანიშვნა განხორციელდა იმ პირის სასარგებლოდ, ვისაც ეს უნარი აქვს იმ მომენტში, როდესაც დანიშვნა გამოუთხოვადი გახდა 7:968 მუხლის (b) პუნქტიდან (d) პუნქტის ჩათვით ნორმების შესაბამისად.

– 3. პარ. 2-ის მიუხედავად, განსაზღვრული უნარის მითითების გზით მოსარგებლის დანიშვნა გამოუთხოვადი ხდება იმ შემთხვევაში, თუკი ის მიღებულ იქნა {პოლისის მფლობელის თანხმობით; 7:969 მუხლის პარ. 1-ის მეორე წინადადება} იმ პირის მიერ, ვინც თანხმობის გაცხადების მომენტში ფლობს მითითებულ უნარს.

– 4. თუკი მოსარგებლის დანიშვნა მოხდა იმის თაობაზე განცხადების გაკეთების გზით, რომ პოლისის მფლობელისა თუ დაზღვეული პირის „მემკვიდრეები“ ინიშნებიან მოსარგებლედ, მაშინ დაზღვევის ხელშეკრულების მიზნებისათვის ყველა ის პირი, ვინც მოწვეულია გარდაცვლილის სამკვიდროს მისაღებად მემკვიდრის სტატუსით, განიხილება როგორც მოსარგებლე მიუხედავად იმისა, მოახდინეს თუ არა მათ მემკვიდრეობის მიღება. ამ პირებს უფლება აქვთ სადაზღვეო თანხა მიიღონ იმ პროპორციით, რა პროპორციითაც ისინი მოწვეულ იქნენ გარდაცვლილის სამკვიდროს მისაღებად.

– 5. როდესაც მოსარგებლედ მითითებულია თავად გარდაცვლილი პოლისის მფლობელისა თუ დაზღვეული პირის სამკვიდრო, სადაზღვევო თანხის მიღების უფლება ეკუთვნის იმ მემკვიდრებს, რომლებმაც მიიღეს ეს სამკვიდრო. ამ პირებს უფლება აქვთ სადაზღვევო თანხა მიიღონ იმ პროპორციით, რა პროპორციითაც მათ მიიღეს წილი გარდაცვლილის სამკვიდრო ქონებაში.

– 6. თუკი მოსარგებლის დანიშვნა მოხდა იმის თაობაზე განცხადების გაკეთების გზით, რომ პოლისის მფლობელისა თუ დაზღვეული პირის, როგორც ასეთის, „შვილები“ ინიშნებიან მოსარგებლედ, მაშინ ამ შვილების შთამომავლები განიხილებიან როგორც მოსარგებლები წარმომადგენლობის უფლებით.

– 7. როდესაც სადაზღვევო თანხა ვადამოსული და გადასახდელი გახდა დაზღვეული პირის გარდაცვალების გამო იმ დროს, როდესაც სხვა მოსარგებლე, როგორც ჩანს, ერთდროულად გარდაიცვალა ანდა – ჩანს, რომ ორივე პირი გარდაცვლილია და შეუძლებელია იმის დადგენა, თუ რომელი მათგანი გარდაიცვალა პირველი, მაშინ სადაზღვევო თანხა არ ერიცხება ამ მოსარგებლეს გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სახეზეა სხვაგვარი განზრახვა.

– 8. მანამდე, სანამ მესამე პირი არ დაინიშნება მოსარგებლედ, სადაზღვევო თანხის მიღების უფლება აქვს პოლისის მფლობელს. გარდა ამისა, მიიჩნევა, რომ პოლისის მფლობელმა დაინიშნა თავისი თავი მოსარგებლედ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსარგებლის სახით მესამე პირის არც ერთ დანიშნვას არა აქვს სამართლებრივი ძალა.

მუხლი 7:968 მომენტი, როდესაც მოსარგებლედ დანიშვნა ხდება გამოუთხოვადი

დაუშვებელია მესამე პირის მოსარგებლედ დანიშვნის გამოთხოვა:

- a. თუკი მესამე პირმა მიიღო თავისი დანიშვნა;
- b. თუკი სადაზღვევო რისკი აღარ არსებობს დაზღვეული პირის გარდაცვალების გამო;
- c. თუკი სადაზღვევო თანხა გახდა ვადამოსული და გადასახდელი;
- d. თუკი აღნიშნული მითითებულია დაზღვევის ხელშეკრულებაში.

მუხლი 7:969 მოსარგებლის სახით დანიშვნის მიღება

– 1. მოსარგებლე მესამე პირი იღებს კუთვნილ სადაზღვევო თანხას მისი მოსარგებლედ დანიშვნის მიღებით. სამოქალაქო კოდექსის ნ:253 მუხლის პარ. 3 და 4-ის ნორმებისაგან განსხვავებით, მესამე პირს მოსარგებლედ მისი დანიშვნის მიღება შეუძლია მხოლოდ მზღვეველისადმი მიმართული განცხადების მეშვეობით. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დანიშვნა გახდა გამოუთხოვადი თანახმად 7:968 მუხლის (b) პუნქტიდან (d) პუნქტის ჩათვლით ნორმებისა, მოსარგებლეს მხოლოდ იმ პირობით შეუძლია მისი მოსარგებლედ დანიშვნის მიღება, თუკი ის ამის თაობაზე წერილობით შეატყობინებს მზღვეველს და ასევე წარუდგენს მას მისი მიერ მოსარგებლედ დანიშვნის მიღებაზე პოლისის მფლობელის წერილობით თანხმობას.

– 2. როდესაც მოსარგებლედ დანიშვნა გამოუთხოვადი გახდა თანახმად 7:968 მუხლის (b) პუნქტიდან (d) პუნქტის ჩათვლით ნორმებისა, მოსარგებლე მესამე პირს შეუძლია უარი თქვას თავის დანიშვნაზე მზღვეველისადმი მიმართული წერილობითი განცხადების მეშვეობით.

– 3. მოსარგებლე მესამე პირს შეუძლია გააუქმოს მისი მოსარგებლედ დანიშვნა სადაზღვევო თანხის მიღებაზე თავის უფლებებზე უარის თქმით.

მუხლი 7:970 თანხობრივი დაზღვევიდან (არასაკომპენსაციო დაზღვევიდან) გამომდინარე სადაზღვევო თანხის მიღების უფლების გადაცემა

– 1. თანხობრივი დაზღვევიდან (არასაკომპენსაციო დაზღვევიდან) გამომდინარე სადაზღვევო თანხის მიღების უფლების გადაცემა ერთიანად დასაშვებია მხოლოდ სრულად. თუმცა, მიუხედავად ამისა, ასეთი დაზღვევიდან გამომდინარე სავალ მოთხოვნის გადაცემა დასაშვებია დამოუკიდებლად იმდენად, რამდენადაც კანონი ან დაზღვევის ხელშეკრულება სხვაგვარად არ ითვალისწინებს.

– 2. თანხობრივი დაზღვევიდან (არასაკომპენსაციო დაზღვევიდან) გამომდინარე სადაზღვევო თანხის მიღების უფლებისა თუ სავალ მოთხოვნის გადაცემა მოითხოვს გამსხვისებლის ან შემძენი მხარის მიერ გადაცემის შესახებ მზღვეველისათვის წარდგენილ წერილობით შეტყობინებას.

მუხლი 7:971 თანხობრივი დაზღვევიდან (არასაკომპენსაციო დაზღვევიდან) გამომდინარე სადაზღვევო თანხის მიღების უფლებასა თუ სავალ მოთხოვნებზე გირავნობის დადგენა

– 1. სამოქალაქო კოდექსის 3:239 მუხლის ნორმები არ გამოიყენება თანხობრივი დაზღვევიდან (არასა-

კომპენსაციო დაზღვევიდან) გამომდინარე სადაზღვევო თანხის მიღების უფლებასა თუ სავალო მოთხოვნაზე გირავნობის დადგენის მიმართ.

– 2. თუკი გირავნობა დგინდება სადაზღვევო თანხის მიღების უფლებაზე, მაშინ სამოქალაქო კოდექსის 3:246 და 3:253 მუხლებისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 490b მუხლის ნორმათა მიზნებისათვის მოსარგებლე იკავებს დამგირავებლის ადგილს. როდესაც მოსარგებლედ დანიშნულ მესამე პირს ჯერ არ მიუღია თავისი დანიშვნა, მოგირავნე მისცემს მას ამის განხორციელების საშუალებას.

– 3. პარ. 2-ის მიუხედავად, სამოქალაქო კოდექსის 3:253 მუხლის პარ. 1-ის მეორე წინადადებაში მითითებული ნამეტი ასევე შეიძლება მოგირავნის მიერ გადაეცეს მზღვეველს. ამ უკანასკნელმა ეს თანხა უნდა გადაუხადოს მოსარგებლეს.

მუხლი 7:972 პოლისის მფლობელის მიერ განსახორციელებელი უფლებების შეზღუდვები

– 1. პოლისის მფლობელს დაზღვევის ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებების რეალიზაცია შეუძლია მხოლოდ:

a. მოსარგებლის წერილობითი თანხმობით, როდესაც ამ უკანასკნელის დანიშვნა 7:968 მუხლის შესაბამისად გამოუთხოვადი გახდა;

b. შეზღუდული სანივთო უფლების მფლობელის თანხმობით, როდესაც ამ სანივთო უფლების დადგენა მოხდა სადაზღვევო თანხის მიღების უფლებაზე, რომელიც შეიძინა პოლისის მფლობელმა დაზღვევის ხელშეკრულების ძალით.

– 2. თუკი პარ. 1-ში მითითებული უფლებების რეალიზაცია შედეგად არ გამოიწვევს მოსარგებლის ან, შესაბამისად, შეზღუდული სანივთო უფლების მფლობელის სამართლებრივი სტატუსის ცვლილებას, მაშინ პოლისის მფლობელს მისი თანხმობა არ ესაჭიროება.

მუხლი 7:973 სადაზღვევო რისკის შეგნებულად დადგომის ხელშეწყობა

დაუშვებელია დაზღვევის ხელშეკრულებიდან იმ პირის მიერ რაიმე უფლებების მიღება, რომელსაც სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით შეეფარდა სადაზღვევო რისკის შეგნებულად დადგომის ხელშეწყობა ანდა ასეთ დადგომაში თანამონაწილეობა.

მუხლი 7:974 კანონის იმპერატიული ნორმები

7:966 მუხლის პარ. 1-ის, 7:969 მუხლის პარ. 1-ის მეორე წინადადების, 7:972 მუხლისა და 7:973 მუხლის ფორმალური მოთხოვნებიდან გადახვევა დაუშვებელია.

ქვეგანყოფილება 7.17.3.2 – სიცოცხლის დაზღვევა

მუხლი 7:975 „სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულების“ განმარტება

სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულება წარმოადგენს თანხობრივი დაზღვევის ხელშეკრულებას („არასაკომპენსაციო დაზღვევის ხელშეკრულებას“), რომელიც დაიდო კონკრეტული პირის სიცოცხლესა თუ გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით იმ პირობით, რომ უბედური შემთხვევის დაზღვევა არ განიხილება როგორც სიცოცხლის დაზღვევა.

მუხლი 7:976 დასაფლავებისა და დაკრძალვის ხარჯების დაზღვევა

7:978 მუხლის პარ. 1-ის, 7:980 მუხლის პარ. 1-სა და 7:981 მუხლის ნორმები არ მოქმედებს იმ დაზღვევის მიმართ, რომელიც გამიზნულია გარდაცვლილის დასაფლავების ხარჯების ასანაზღაურებლად; ასევე ასეთი დაზღვევის მიმართ არ გამოიყენება 7:986 მუხლის ნორმებიც იმდენად, რამდენადაც ეს დაკავშირებულია ამ საკანონმდებლო ნორმებთან. დამატებითი კრიტერიუმები შეიძლება დადგინდეს მეფის სამთავრობო ბრძანებით. ამ დაზღვევათა ღირებულება და მათგან გამომდინარე უფლებები არ ექვემდებარება დაყადაღებას და მათ ასევე არ ეხება პოლისის მფლობელის გაკოტრება ან ფიზიკური პირებისათვის არსებული ვალების დაფარვის სქემის მოქმედება ანდა – პოლისის მფლობელის სამკვიდროს ვალების დაფარვა.

მუხლი 7:977 სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულების შეწყვეტა, გაუქმება და მოქმედების ვადის გასვლა

– 1. იმ წესების მოქმედების შეზღუდვის გარეშე, რომლებიც სხვაგან არის მოცემული წინამდებარე ტიტულში (ტიტული 7.17), სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულების შეწყვეტა ან გაუქმება მზღვეველის

მიერ დაუშვებელია; ასევე დაუშვებელია ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლა ნებისმიერი სახელშეკრულებო პირობის ძალით. თუმცა, პირველი წინადადების ნორმა ხელს არ უშლის იმ სახელშეკრულებო პირობის მოქმედებას, რომლის საფუძველზეც სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულება წყდება ანდა შეიძლება შეწყდეს მზღვეველის მიერ იმ შემთხვევაში, თუკი მას აღარ აქვს ანაზღაურებული ღირებულება ანდა დაზღვევაზე უარის შემთხვევაში დასაბრუნებელი თანხა სადაზღვევო პრემიის თანხების გაქვითვის დათქმული უფლების, ინტერესისა და ხარჯების შედეგად.

– 2. იმ წესების მოქმედების შეზღუდვის გარეშე, რომლებიც სხვაგან არის მოცემული წინამდებარე განყოფილებაში (განყოფილება 7.17.3), მზღვეველს შეუძლია უარი თქვას სიცოცხლის დაზღვევაზე ამ უკანასკნელზე უარის შემთხვევაში დასაბრუნებელი თანხის გადახდის სანაცვლოდ ანდა გააგრძელოს დაზღვევის მოქმედება პრემიის თანხის გადახდის გარეშე იმ შემთხვევაში, როდესაც პოლისის მფლობელი თანამონაწილეობს იმაში, რაც უნდა იქნეს მიღებული სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულების დადების შემდეგ.

მუხლი 7:978 პოლისის მფლობელის მიერ სიცოცხლის დაზღვევაზე უარის ან მისი პრემიის თანხის გადახდისაგან გათავისუფლების უფლება

– 1. იმდენად, რამდენადაც სიცოცხლის დაზღვევა, სამისდღეშიო რჩენის თანხების ანგარიშისა თუ სამისდღეშიო რჩენის საინვესტიციო უფლება ფაქტობრივად ითვალისწინებს ერთ ან რამდენიმე სადაზღვევო თანხის გადახდას, პოლისის მფლობელი უფლებამოსილია, სრულად ან ნაწილობრივ უარი თქვას აღნიშნულ უფლებაზე და მის ნაცვლად მიიღოს დაზღვევაზე უარის შემთხვევაში დასაბრუნებელი თანხა. სიცოცხლის დაზღვევა ასეთი უარის შედეგად წყდება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სადაზღვევო თანხები ჯერ კიდევ შესაძლოა გამომდინარეობდეს მისგან. დაზღვევაზე უარის შემთხვევაში დასაბრუნებელი თანხა ეკუთვნის პოლისის მფლობელს.

– 2. როდესაც სიცოცხლის დაზღვევას აქვს ანაზღაურებული ღირებულება, პოლისის მფლობელს აქვს უფლება, გააგრძელოს მისი მოქმედება პრემიის თანხების გადახდის ვალდებულების გარეშე. ეს უფლება შეიძლება გამოირიცხოს იმდენად, რამდენადაც საქმე ეხება იმ ვითარებას, როდესაც გადასახდელი სადაზღვევო თანხის ის ოდენობა, რომელიც აკუმულირებულია პრემიის თანხების გადახდისაგან გათავისუფლების მომენტში, მეფის სამთავრობო ბრძანების საფუძველზე ამ მიზნით დადგენილ მინიმუმზე ნაკლებია.

მუხლი 7:979 სიცოცხლის დაზღვევის პოლისის საფუძველზე ფულის სესხების უფლება

– 1. პოლისის მფლობელს აქვს უფლება, ისესხოს ფული მზღვეველისაგან 7:978 მუხლის პარ. 1-ში მითითებული სიცოცხლის დაზღვევის პოლისის საფუძველზე დაზღვევაზე უარის შემთხვევაში დასაბრუნებელი თანხის ოდენობითა და ჩვეულებრივი პირობების სანაცვლოდ.

– 2. იმდენად, რამდენადაც პოლისის მფლობელი არ იხდის იმ თანხას, რომელიც მან ისესხა პარ. 1-ის შესაბამისად, მზღვეველს შეუძლია ეს თანხა, დარიცხულ პროცენტებთან და ხარჯებთან ერთად, გამოაკლოს პერიოდული სადაზღვევო თანხების ფულად ღირებულებას და დააკავოს ის იმ გადახდებიდან, რომლებიც მან უნდა განახორციელოს დაზღვევის ძალით ან დაზღვევის ხარჯზე.

მუხლი 7:980 შემდგომი სადაზღვევო პრემიების თანხების გადაუხდელობა

– 1. შემდგომი სადაზღვევო პრემიების თანხების გადაუხდელობას შესაბამისი სამართლებრივი შედეგი შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მზღვეველმა გადახდის ვადის დადგომის შემდეგ ამ შედეგის შესახებ მიუთითა პოლისის მფლობელისადმი მიმართულ განცხადებაში, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში კი, – იმ მოსარგებლისადმი მიმართულ განცხადებაში, ვინც დაეთანხმა თავის დანიშნას, ასევე – მოგირავნისა და ყადაღის დამდების კრედიტორისადმი მიმართულ განცხადებაში, ამავე დროს კი, – მოთხოვნილი გადახდა არ განხორციელებულა, სულ ცოტა, ერთთვიანი ვადის განმავლობაში, როგორც ეს ამ მიზნით დადგენილია აღნიშნულ განცხადებაში.

– 2. თუკი მოთხოვნილი გადახდა არ განხორციელებულა პარ. 1-ში მითითებული ვადის განმავლობაში, ანაზღაურებული ღირებულებით სიცოცხლის დაზღვევის მოქმედება გაგრძელდება სადაზღვევო პრემიის თანხების გადახდის გარეშე ანდა, თუკი სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულება ითვალისწინებს აღნიშნულ შესაძლებლობას, მისი მოქმედება დაზღვევაზე უარის შემთხვევაში დასაბრუნებელი თანხის სანაცვლოდ გაგრძელდება სადაზღვევო პრემიის, დათქმული პროცენტისა და ხარჯების თანხების გაქვითვის გზით. როდესაც ზემოაღნიშნულ წინადადებაში მითითებული დაზღვევის მოქმედების გაგრძელების უფლება არ არსებობს, სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულება შეწყდება და პოლისის მფლობელი უფლებამოსილი იქნება დაზღვევაზე უარის შემთხვევაში დასაბრუნებელი თანხის მიღებაზე, თუკი ასეთი სახეზეა.

– 3. პარ. 1-საგან განსხვავებით, დასაშვებია დათქმა იმის შესახებ, რომ პროცენტისა და ხარჯების ანაზღაურება მოხდება სადაზღვევო პრემიის თანხების გადახდის თარიღის დადგომისას.

მუხლი 7:981 იმ მოვლენით გამოწვეული პირის გარდაცვალება, რომელიც დაზღვეული რისკის სახით გამოირიცხულია

როდესაც დაზღვეული პირი გარდაიცვლება იმ მოვლენის შედეგად, რომელიც დაზღვეული რისკის სახით გამოირიცხულია, ხოლო სიცოცხლის დაზღვევა კი ითვალისწინებს დაზღვევაზე უარის შემთხვევაში დასაბრუნებელ თანხას, მზღვეველმა უნდა გადაიხადოს ამ უკანასკნელის ეკვივალენტური თანხა, რომელიც გამოითვლება გარდაცვალების წინა დღისათვის. აღნიშნული თანხა ეკუთვნის მოსარგებლეს. თუკი სიცოცხლის დაზღვევა არ ითვალისწინებს დაზღვევაზე უარის შემთხვევაში დასაბრუნებელ თანხას, თუმცა მას აქვს ანაზღაურებული ღირებულება, მაშინ მიიჩნევა, რომ პოლისის მფლობელმა განახორციელა 7:978 მუხლის პარ. 2-ში მითითებული უფლება პირის გარდაცვალების წინა დღისათვის, ხოლო დაზღვეული პირი კი ჩათვლება იმ მიზეზით გარდაცვლილად, რაც დაზღვეული რისკით გამოირიცხული არ არის.

მუხლი 7:982 ასაკისა თუ სქესის შესახებ არასწორი ინფორმაცია

– 1. როდესაც ადგილი აქვს დაზღვეული პირის ასაკისა თუ სქესის შესახებ არასწორი ინფორმაციის მიწოდებას, მიიჩნევა, რომ სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულება დაიდო გამოთვლილ სადაზღვევო თანხებზე სწორ ასაკსა თუ სქესზე შესწორებით, თუმცა – შეთანხმებული სადაზღვევო პრემიების იმავე თანხის საფუძველზე. 7:929, 7:930 და 7:983 მუხლების ნორმები ამ მხრივ არ გამოიყენება.

– 2. პარ. 1-ის ნორმები არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუკი მზღვეველი არ დადებდა სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებას, მას რომ სცოდნოდა პირის ნამდვილი ასაკი ან სქესი.

მუხლი 7:983 7:928 ან 7:929 მუხლებში გათვალისწინებული წინასახელშეკრულებო ინფორმირების მოვალეობის შეუსრულებლობის სამართლებრივი შედეგები

– 1. თუკი კანონისა თუ ხელშეკრულების შესაბამისად პოლისის მფლობელს აქვს უფლება, უარი თქვას სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებაზე და მიიღოს დაზღვევაზე უარის შემთხვევაში დასაბრუნებელი თანხა, ხოლო ეს ხელშეკრულება კი წყდება 7:929 მუხლის შესაბამისად, მაშინ პოლისის მფლობელი იძენს დაზღვევაზე უარის შემთხვევაში იმ დასაბრუნებელ თანხაზე უფლებას, რომელიც გამოითვლება ხელშეკრულების შეწყვეტის წინა დღისათვის.

– 2. თუკი რისკის შეფასებისას მზღვეველი მიუთითებს 7:928 მუხლში გათვალისწინებულ წინასახელშეკრულებო ინფორმირების მოვალეობის შეუსრულებლობის სამართლებრივი შედეგებზე, მაშინ მოსარგებლე მიიღებს იმ თანხას, რომელიც გამოითვლება მსგავსად პარ. 1-ში ნახსენები წესისა. თუმცა, თუკი 7:930 მუხლის პარ. 2 ან 3-ის ნორმების გამოყენებას შედეგად მოჰყვება მომატებული სადაზღვევო თანხა, მაშინ მოსარგებლე მიიღებს იმ ოდენობას, რომელიც უტოლდება ამ მომატებულ სადაზღვევო თანხას.

– 3. მზღვეველი, რომელმაც 7:929 მუხლის ნორმების შესაბამისად და უფლებების შენარჩუნების პირობით პოლისის მფლობელს მიუთითა იმის შესახებ, რომ 7:928 მუხლში გათვალისწინებულ წინასახელშეკრულებო ინფორმირების მოვალეობა არ იქნა შესრულებული, ანდა რომელმაც მიუთითა ასეთი შეუსრულებლობის სამართლებრივი შედეგებზე, აუცილებლობის შემთხვევაში ამ ფაქტის შესახებ ატყობინებს იმ პირს, ვინც დაეთანხმა თავისი თავის მოსარგებლედ დანიშვნას, და ასევე – მოგირავნეს. პირველ წინადადებაში აღნიშნულ ვითარებაში მზღვეველი ახდენს ასევე ყადაღის დამდები კრედიტორისათვისაც შეტყობინებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 476a მუხლის პირველ პარაგრაფში მითითებული გაცხადება ჯერ არ იქნა ნარდგენილი.

მუხლი 7:984 პოლისის მფლობელის მიერ სიცოცხლის დაზღვევის თანხების მიღების უფლების დაგირავება და იძულებითი რეალიზაცია

– 1. როდესაც ხდება პოლისის მფლობელის მიერ სიცოცხლის დაზღვევის თანხების მიღების უფლების დაგირავება, მოგირავნეს აქვს უფლება, უარი თქვას სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებაზე და მიიღოს დაზღვევაზე უარის შემთხვევაში დასაბრუნებელი თანხა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პოლისის მფლობელი თავად კარგავს სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებაზე უარის უფლებას. რამდენადაც სხვა პირის მოსარგებლედ დანიშვნა ჯერ არ არის გამოუთხოვადი, მოგირავნეს შეუძლია პოლისის მფლობელიც დანიშნოს ასევე სადაზღვევო თანხის მიმღებ მოსარგებლედ. მოგირავნეს მხოლოდ იმ შემ-

თხვევაში შეუძლია უარი თქვას სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებაზე და მიიღოს დაზღვევაზე უარის შემთხვევაში დასაბრუნებელი თანხა, თუკი მოგირავნემ იმ მომენტში, როდესაც მოვალე უკვე ვადაგადაცილებაში იმყოფებოდა, შეატყობინა პოლისის მფლობელს, სულ ცოტა, ოთხი კვირით ადრე დაზღვეული წერილით ან აღმასრულებლის შეტყობინების მეშვეობით თავისი განზრახვის შესახებ, უარი თქვას სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებაზე და მიიღოს დაზღვევაზე უარის შემთხვევაში დასაბრუნებელი თანხა. მზღვეველს არ ევალება იმ ფაქტის გამოძიება, იმყოფება თუ არა მოვალე ვადაგადაცილებაში. მოგირავნე მესამე წინადადებაში მითითებულ დაზღვეული წერილისა თუ აღმასრულებლის შეტყობინების ასლს უგზავნის მზღვეველს.

– 2. იმისათვის, რომ მოგირავნემ შეძლოს უარი თქვას სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებაზე და მიიღოს დაზღვევაზე უარის შემთხვევაში დასაბრუნებელი თანხა, მან იმ მომენტში, როდესაც ის პოლისის მფლობელს ატყობინებს ამ უფლების მითითებაზე თავისი განზრახვის შესახებ, უნდა ახსენოს ასევე ისიც, რომ პარ. 1-ში მითითებული ოთხკვირიანი ვადის განმავლობაში პოლისის მფლობელს აქვს უფლება, სიცოცხლის დაზღვევის საფუძველზე მზღვეველისაგან ისესხოს ის ფულადი თანხა, რომლითაც პოლისის მფლობელი მაქსიმალურად შეძლებს დაფაროს მოგირავნის წინაშე არსებული დამგირავებლის ვალი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პოლისის მფლობელის ეს უფლება გამოირიცხა სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებაში.

– 3. როდესაც მოგირავნემ უარი თქვა სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებაზე და მიიღო დაზღვევაზე უარის შემთხვევაში დასაბრუნებელი თანხა, ანდა როდესაც პოლისის მფლობელმა სიცოცხლის დაზღვევის საფუძველზე ისესხა ფულადი თანხა პარ. 2-ის შესაბამისად, დადგენილი გირავნობის უფლება შენარჩუნდება მხოლოდ დაზღვევაზე უარის შემთხვევაში დასაბრუნებელი თანხის მიღებაზე სავალო მოთხოვნასა თუ სიცოცხლის დაზღვევის საფუძველზე ნასესხებ თანხაზე.

– 4. მოგირავნე არ არის უფლებამოსილი, გაყიდოს დაგირავებული სადაზღვევო თანხის მიღების უფლება, როგორც ეს გათვალისწინებულია სამოქალაქო კოდექსის 3:248 მუხლის ნორმებით.

მუხლი 7:985 ხანდაზმულობა

მზღვეველის მიმართ სადაზღვევო თანხის გადახდის შესახებ სასარჩელო მოთხოვნა ხანდაზმული ხდება ხუთი წლის ვადის გასვლისას იმ დღიდან, როდესაც ეს სავალო მოთხოვნა ვადამოსული და შესასრულებელი გახდა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარეები შეთანხმდნენ უფრო ხანგრძლივ ვადაზე.

მუხლი 7:986 კანონის იმპერატიული ნორმები

– 1. 7:984 მუხლის ნორმებიდან გადახვევა დაუშვებელია.

– 2. პოლისის მფლობელის, მოსარგებლისა თუ მოგირავნის ინტერესების საზიანოდ 7:977 მუხლის, 7:981 მუხლისა და 7:982 მუხლის ნორმებიდან გადახვევა დაუშვებელია.

– 3. როდესაც პოლისის მფლობელი წარმოადგენს ფიზიკურ პირს, ვინც სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულების დადების დროს არ მოქმედებდა თავისი პროფესიული ან სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში, მაშინ მისი, მოსარგებლის, მოგირავნისა თუ ყადაღის დამდები კრედიტორის ინტერესების საზიანოდ 7:978 მუხლის პარ. 2-ის, 7:980 მუხლისა და 7:983 მუხლის ნორმებიდან გადახვევა დაუშვებელია.

– 4. 7:978 მუხლის პარ. 1-ში მითითებული უფლების გამორიცხვისა თუ შეზღუდვის გამოყენება დაუშვებელია პოლისის მფლობელის კრედიტორის, მისი გაკოტრების საქმის წარმოების ლიკვიდატორის, პოლისის მფლობელისათვის მინიჭებული თანხების გადახდის ოფიციალური მორატორიუმის საფუძველზე დანიშნული მმართველის მიმართ, ან ასევე პოლისის მფლობელის მიმართ ან ფიზიკური პირებისათვის არსებული ვალების დაფარვის სქემის მოქმედების პირობით ანდა – იმ ლიკვიდატორის მიმართ, ვინც ახდენს გარდაცვლილის სამკვიდროს საკითხების მოგვარებას. პირველი წინადადება არ გამოიყენება იმ დაზღვევის, სამისდღემიო რჩენის თანხების ანგარიშისა თუ სამისდღემიო რჩენის საინვესტიციო უფლების მიმართ, რომლითაც ხდება პერიოდულად გადასახდელ სადაზღვევო თანხებისა თუ პერიოდულად ნატურით მიწოდებული სარგებლის მიღებაზე უფლების მინიჭება იმდენად, რამდენადაც პრემიის ის თანხები, რომლებიც გადახდილი იქნა აღნიშნული მიზნით, ანდა – იმის გამო, რომ დაზღვევის ხელშეკრულება, სამისდღემიო რჩენის თანხების ანგარიშის ხელშეკრულება ან სამისდღემიო რჩენის საინვესტიციო უფლების ხელშეკრულება ადგენს, რომ მასზე უარი დასაბრუნებელი თანხის მიღების სანაცვლოდ დაუშვებელია, შესაძლოა იქნეს მიღებული მხედველობაში დასაქმებიდან და სახლთმფლობელობიდან გამომდინარე მიღებული დასაბეგრი შემოსავლის განსაზღვრისას.

მე-7A ნიბნი – ცალკეული კონტრაქტები

ტიტული 7A.5 – განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულება

განყოფილება 7A.5.1 – განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულების შესახებ ზოგადი დებულებები

მუხლი 7A: 1576 „განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულების“ განმარტება

– 1. განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულება წარმოადგენს ნასყიდობის ხელშეკრულებას, რომლის საფუძველზეც მხარეები შეთანხმდნენ ნასყიდობის ფასის ნაწილ-ნაწილ გადახდაზე, რომელთაგან ორი ან მეტი ნაწილი ვადამოსული და შესასრულებელი ხდება გაყიდული ნივთის მყიდველისათვის მიწოდების შემდეგ.

– 2. განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულებას ვერ ექნება ძალა მანამდე, სანამ მხარეები არ განსაზღვრავენ მყიდველის მიერ გადასახდელ ფასს.

– 3. ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ისახავს იმავე მიზანს მიუხედავად მისი ფორმისა თუ დასახელებისა, მიიჩნევა განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულებად.

– 4. კანონის გაგებით განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულება არ ეხება:

a. უძრავ ქონებას;

b. საზღვაო გემებს, რომელთა მთლიანი მოცულობა შეადგენს, სულ ცოტა, ოც კუბურ მეტრს, ანდა რომელთა მთლიანი ტონაჟი შეადგენს, სულ ცოტა, ექვსს და რომლებიც რეგისტრირებულია ანდა შეიძლება გატარდეს რეგისტრაციაში საჯარო რეესტრში, როგორც ეს მითითებულია 3.2.1 განყოფილებაში;

c. შიდა გემებს, რომლებიც რეგისტრირებულია ან უნდა გატარდეს რეგისტრაციაში – თუმცა, არ არიან რეგისტრაციაში გატარებული – საჯარო რეესტრებში, როგორც ეს მითითებულია 3.1.2 განყოფილებაში;

d. საჰაერო ხომალდებს, რომლებიც რეგისტრირებულია 3.1.2 განყოფილებაში მითითებულ საჯარო რეესტრებში.

– 3. ის ნორმები, რომლებიც გათვალისწინებულია წინამდებარე ტიტულში (ტიტული 7A.5), შესაბამისად გამოიყენება ქონებრივი უფლებების მიმართაც, – რომლებიც არ წარმოადგენს რეგისტრირებულ ქონებას, – იმ ფარგლებში, რომლებშიც ეს ასეთი უფლებების ბუნებასთან შესაბამისობაშია.

მუხლი 7A: 1576a კანონის იმპერატიული ნორმები

წინამდებარე ტიტულის (ტიტული 7A.5) ნორმებიდან გადახვევა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ – და ასევე იმ ფარგლებში, რომლებშიც – ეს შედეგი გამომდინარეობს ამ ტიტულიდან.

მუხლი 7A: 1576b წინასწარ დეტალური ზიანის თანხა ან პირგასამტეხლო

– 1. დათქმები, რომლებითაც იმ შემთხვევაში, თუ მოვალე ვერ შეასრულებს ხელშეკრულებიდან გამომდინარე ერთ-ერთ ვალდებულებას, ის იძულებულია ანდა შეიძლება გახდეს იძულებული გადაიხადოს ზიანის ანაზღაურებისა თუ პირგასამტეხლოს სახით განსაზღვრული თანხები, შეიძლება დაიდოს მხოლოდ წერილობითი ფორმით.

– 2. თუკი სასამართლო მიიჩნევს, რომ წინასწარ დეტალური ან დაკისრებული ზიანისა თუ პირგასამტეხლოს თანხები შეუსაბამოდ მაღალია, მას შეუძლია შეამციროს ეს თანხები ან გააუქმოს ისინი.

მუხლი 7A: 1576c ადრეული მომენტი, როდესაც განვადებით ნასყიდობის თანხა ხდება ვადამოსული და შესასრულებელი

- 1. დათქმა, რომლითაც მყიდველის მიერ განვადებით ნასყიდობის თანხების გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობისათვის პირგასამტეხლოს სახით არსებული განვადებით ნასყიდობის თანხები უფრო ადრე ხდება ვადამოსული და შესასრულებელი, შეიძლება შესრულდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი ტრანშის მიმართ არსებული დავალიანება შეადგენს ნასყიდობის მთლიანი ფასის, სულ ცოტა, ერთ მეათედს, ანდა – როდესაც რამდენიმე ტრანშის არსებული ერთობლივი დავალიანება შეადგენს ნასყიდობის მთლიანი ფასის, სულ ცოტა, ერთ მეთორმეტედს.
- 2. წინამდებარე მუხლის მიზნებისათვის ნასყიდობის მთლიანი ფასი წარმოადგენს განვადებით ნასყიდობის ყველა იმ თანხის ერთობლიობას, რომელიც მყიდველმა ხელშეკრულების შესრულებისას უნდა გადაიხადოს.
- 3. აღნიშნულ შემთხვევაში 7A: 1576b მუხლის პარ. 2-ის ნორმა არ გამოიყენება.

მუხლი 7A: 1576d შესრულების შესახებ ფორმალური შეტყობინება

წინა ორ მუხლში მითითებულ დათქმაზე მითითება შესაძლებელია მხოლოდ არადროულ გადახდასთან დაკავშირებით, თუკი მოვალე იმის შემდეგ, რაც მას ფორმალურად შეატყობინეს შესრულების თაობაზე, დაუდევარი რჩება მასზე დაკისრებული ვალდებულებების მიმართ.

მუხლი 7A: 1576e *{გაუქმებულია 25.05.2011წ.}*

მუხლი 7A: 1576f გამყიდველის უფლება, მიიღოს მყიდველის შრომითი ხელშეკრულებიდან გამომდინარე პერიოდული გადასახდელები

- 1. საკუთრებაში გადაცემა, გირავნობის დადგენა ან ნებისმიერი სხვა გარიგება, რომლის გამოც მყიდველი გამყიდველს ან მესამე პირს ანიჭებს ნებისმიერ უფლებას მის ხელფასზე, საპენსიო თანხებსა თუ შრომითი ხელშეკრულებიდან გამომდინარე პერიოდულად გადასახდელ სხვა შემოსავლებზე, განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულების შემთხვევაში შეიძლება ეხებოდეს მხოლოდ იმ გადახდებს, რომლებიც მყიდველმა რეგულარულად უნდა განახორციელოს ხარჯების დასაფარად, ასევე – უკვე ვადამოსული და შესასრულებელი ვალდებობისათვის.
- 2. პარ. 1-ში მითითებულ გარიგებას სამართლებრივი ძალა აქვს მხოლოდ და მხოლოდ იმ განვადებით ნასყიდობის თანხების მიმართ, რომლებიც ვადამოსული და შესასრულებელი ხდება წერილობით ხელშეკრულებაში შეტანილი გადახდის სქემისა და განუული ხარჯების შესაბამისად ყოველ ჯერზე შესაბამის მომენტში არსებული ვადამოსული და შესასრულებელი თანხის ოდენობით.
- 3. გარდა ზემოაღნიშნულისა, მოითხოვება, რომ მყიდველი ჯერ კიდევ ამჟღავნებდეს გაუფრთხილებლობას იმის შემდეგ, რაც მას ფორმალურად შეატყობინეს შესრულების თაობაზე. ზემოაღნიშნული გარიგების სამართლებრივი ძალის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება მხოლოდ განვადების ის თანხები და ხარჯები, რომელთა შესახებაც მოხდა ფორმალური შეტყობინება, და ასევე – ის თანხები და ხარჯები, რომლებიც ამის შემდგომ გახდა ვადამოსული და შესასრულებელი.
- 4. პარ. 1-ში მითითებულ გარიგებას არა აქვს სამართლებრივი ძალა იმ პირის მიმართ, ვინც ვალდებულია განახორციელოს შრომითი ხელშეკრულებიდან გამომდინარე პერიოდული გადახდები მანამდე, სანამ მას წერილობით არ შეატყობინებენ მყიდველისათვის წარდგენილი ვალდებულების შესრულების ფორმალური შეტყობინების, განვადებით ნასყიდობის თანხებისა და ხარჯების რეგულარულად გადახდის სქემის შესახებ და ასევე – იმის შესახებ, თუ რა თანხა იქნა ამ მხრივ უკვე გადახდილი ანდა – მანამდე გადახდილი, სანამ ეს ყველაფერი პირის მიერ აღიარებული იქნება წერილობითი ფორმით. მას შემდეგ, რაც გადამხდელმა ზემოთ აღნიშნული ინფორმაციის მიღებისა თუ აღიარების შემდეგ კეთილსინდისიერად განახორციელა გადახდები, ის თავისუფლდება მყიდველის მიმართ არსებული ვალდებულებისაგან.

მუხლი 7A: 1576g რწმუნების გაუქმების უფლება

მყიდველის მიერ ხელფასის, საპენსიო თანხების მიღებისა თუ შრომითი ხელშეკრულებიდან გამომდინარე პერიოდულად გადასახდელ სხვა სავალ მოთხოვნებზე მინიჭებული რწმუნება (მინდობილობა), მიუხედავად მისი ფორმისა თუ დასახელებისა, შეიძლება ნებისმიერ დროს გაუქმდეს.

განყოფილება 7A.5.2 – ნივთის პირობადებული საკუთრებით გადაცემის ხელშეკრულება

მუხლი 7A:1576h „ნივთის პირობადებული საკუთრებით გადაცემის ხელშეკრულების“ განმარტება

– 1. ნივთის პირობადებული საკუთრებით გადაცემის ხელშეკრულება წარმოადგენს განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულებას, რომლის საფუძველზეც მხარეები შეთანხმდნენ, რომ გაყიდულ ნივთზე საკუთრების უფლება არ გადავა უბრალოდ მისი გადაცემით, არამედ – მხოლოდ იმ პირობის დადგომისას, როდესაც მყიდველი სრულად იხდის მის მიერ პირობადებული საკუთრებით გადაცემის ხელშეკრულების საფუძველზე გადასახდელ ფულად თანხას.

– 2. ნებისმიერი ხელშეკრულება, რომლის დადებაც ივარაუდება ქირავნობისა თუ ნებისმიერი სხვა ფორმით ანდა ნებისმიერი სხვა დასახელებით, მიიჩნევა ნივთის პირობადებული საკუთრებით გადაცემის ხელშეკრულებად.

– 3. ნივთის პირობადებული საკუთრებით გადაცემის ხელშეკრულება მოიცავს ხელშეკრულებას, რომლის საფუძველზეც მესამე პირი გამყიდველსა და მყიდველს შორის არსებული ნასყიდობის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით მყიდველზე გასცემს კრედიტს და იძენს გაყიდულ ნივთზე საკუთრების უფლებას მანამდე, სანამ მყიდველი არ დაუბრუნებს მას ამ კრედიტის თანხას.

მუხლი 7A:1576i ნივთის პირობადებული საკუთრებით გადაცემის ხელშეკრულებისათვის არსებული ფორმალური მოთხოვნები

– 1. ნივთის პირობადებული საკუთრებით გადაცემის ხელშეკრულება იდება ავთენტური (სანოტარო) ან კერძო აქტის სახით, რომელიც აკმაყოფილებს 7A:1576j მუხლის საფუძველზე დადგენილ მოთხოვნებს.

– 2. იგივე წესი მოქმედებს იმ ხელშეკრულებების მიმართ, რომლებიც ცვლის არსებულ ხელშეკრულებას ანდა ახდენს მასში დამატებების შეტანას იმგვარად, რომ ამის შედეგად წარმოიშობა ნივთის პირობადებული საკუთრებით გადაცემის ხელშეკრულება.

– 3. როდესაც ნივთის პირობადებული საკუთრებით გადაცემის ხელშეკრულება იდება კერძო აქტის სახით, ეს აქტი უნდა შედგეს ორ ეგზემპლარად, თუკი მყიდველი ამას ითხოვს.

– 4. ორ ეგზემპლარად შედგენილი კერძო აქტი ანდა როდესაც აქტი არ შემდგარა ორ ეგზემპლარად, – მისი დამონებული ასლი ან გამყიდველის მიერ ხელმოწერილი ასლი უნდა გადაეცეს მყიდველს შეძლებისდაგვარად სწრაფად ხელშეკრულების დადების შემდეგ.

– 5. მყიდველს ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს დამატებითი ასლები, შესაბამისი ხარჯების დაფარვის სანაცვლოდ.

მუხლი 7A:1576j ნივთის პირობადებული საკუთრებით გადაცემის ხელშეკრულების შინაარსი

– 1. ნივთის პირობადებული საკუთრებით გადაცემის ხელშეკრულების აქტი უნდა აღინიშნოს მთლიანი ნასყიდობის თანხა, როგორც ეს მითითებულია 7A:1576c მუხლში, რეგულარული გადახდის სქემა, როგორც ეს მითითებულია 7A:1576f მუხლში, და ასევე – საკუთრების უფლების შენარჩუნებისა და მისი გადასვლის შესახებ დათქმები.

– 2. მიიჩნევა, რომ 7A:1576h მუხლის პარ. 2 და 3-ში მითითებულ დათქმებში ანალოგიური მონაცემები იკავებს პარ. 1-ში მითითებული მონაცემების ადგილს.

– 3. იმ აქტის არარსებობისას, რომელიც აკმაყოფილებს ყველა ზემოაღნიშნულ მოთხოვნას, ხელშეკრულება მიიჩნევა არა ნივთის პირობადებული საკუთრებით გადაცემის ხელშეკრულებად, არამედ განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულებად იმ დათქმის გარეშე, რომ გაყიდულ ნივთზე საკუთრების უფლება არ გადადის უბრალოდ მისი გადაცემით.

მუხლი 7A:1576k არჩეული დომიცილი

მყიდველს, რომელსაც ნივთის პირობადებული საკუთრებით გადაცემის ხელშეკრულების დადებისას თავისი ფაქტობრივი დომიცილი აქვს ნიდერლანდების რომელიმე მუმიციპალიტეტის ტერიტორიაზე, არ შეუძლია დომიცილის არჩევა გარდა იმ ვითარებისა, როდესაც მას ვერ ექნება ნებისმიერი ცნობილი ფაქტობრივი დომიცილი ამ მუნიციპალიტეტში.

მუხლი 7A:1576l გამყიდველის ვალდებულებები

– 1. გამყიდველმა გაყიდული ნივთი უნდა მიაწოდოს მყიდველს მისთვის ამ ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის მინიჭებით. გამყიდველის სხვა ვალდებულებების მიმართ შესაბამისად გამოიყენება 7.1.1, 7.1.2 და 7.1.3 განყოფილებების ნორმები.

- 2. როდესაც გამყიდველი ახდენს ნივთის საკუთრებაში გადაცემას ან უფლებრივ დატვირთვას მას შემდეგ, რაც ის გადაცემულ იქნა პირობადებული საკუთრებით გადაცემის ხელშეკრულების საფუძველზე, ამ ფაქტს მყიდველისათვის საზიანო შედეგი არ ექნება.

მუხლი 7A: 1576m მიწოდებული ნივთის გამოყენების უფლება/რისკების გადასვლა

- 1. გამყიდველს, რომელსაც აქვს ნივთზე ფაქტობრივი ბატონობა მას შემდეგ, რაც ის მას გადაეცა პირობადებული საკუთრებით გადაცემის ხელშეკრულების საფუძველზე, შეუძლია გამოიყენოს ეს ნივთი თუნდაც მანამდე, სანამ ის შეიძინოს მასზე საკუთრების უფლებას.

- 2. გამყიდველს შეუძლია გამოიყენოს ნივთი ამ უკანასკნელის დანიშნულების შესაბამისად.

- 3. გამყიდველს არ შეუძლია ნივთის ფორმისა თუ შემადგენლობის შეცვლა; მას ასევე არა აქვს ნივთის გაქირავებისა თუ სხვა პირისათვის ნივთით სარგებლობისა თუ მისი გამოყენების შესაძლებლობის მინიჭების უფლება.

- 4. ნივთის გადაცემის მომენტიდან შესაბამისი რისკები გადადის მყიდველზე. ასევე მოქმედებს 7:10 მუხლის პარ. 2, 3 და 4-ის ნორმები.

- 5. მხარეთა შეთანხმებით ზემოაღნიშნული ნორმებიდან გადახვევა დასაშვებია. თუმცა, სამომხმარებლო ნასყიდობის ხელშეკრულებასთან მიმართებაში პარ. 4-ის ნორმებიდან გადახვევა მყიდველის ინტერესების საზიანოდ დაუშვებელია.

მუხლი 7A: 1576n მიწოდებული ნივთიდან მიღებული ნაყოფი (სარგებელი)

- 1. იმ დროის განმავლობაში ნივთიდან მიღებული ნაყოფი (სარგებელი), როდესაც ეს ნივთი იმყოფება მყიდველის სარგებლობაში, ეკუთვნის ამ უკანასკნელს. იმდენად, რამდენადაც ნივთის პირობადებული საკუთრებით გადაცემის აქტი სხვაგვარად ითვალისწინებს, მყიდველს მაინც უნდა ჰქონდეს სარგებლის (ნაყოფის) მიღებისა და გამოყენების უფლება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარეები სხვაგვარად შეთანხმდნენ.

- 2. იმ დროის განმავლობაში, როდესაც ნივთი იმყოფება მყიდველის სარგებლობაში და მიუხედავად იმ მომენტისა, რომ ამ უკანასკნელის სარგებლობის უფლება უქმდება, სამოქალაქო ნაყოფი (სარგებელი) მიიჩნევა მყიდველის მიერ დღითი დღე შექცეულად ყოველ დროს იმ მომენტიდან, როდესაც ეს ნაყოფი (სარგებელი) ვადამოსული და შესასრულებელი ხდება, თუკი მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმებულან.

- 3. მყიდველის ვალდებულება, დააბრუნოს მისთვის პირობადებული საკუთრებით გადაცემის ხელშეკრულების საფუძველზე მიწოდებული ნივთი, მოიცავს გამყიდველისათვის ყველა იმ ნაყოფის (სარგებლის) დათმობასაც, რომელიც ამ უკანასკნელს ეკუთვნის.

მუხლი 7A: 1576o {გაუქმებულია}

მუხლი 7A: 1576p {გაუქმებულია}

მუხლი 7A: 1576q ნივთის პირობადებული საკუთრებით გადაცემის ხელშეკრულებაზე უარი/მიწოდებული ნივთის დაბრუნება

დაუშვებელია მითითება ან მოთხოვნა ნივთის პირობადებული საკუთრებით გადაცემის ხელშეკრულებაზე უარსა თუ იმ ხელშეკრულების საფუძველზე მყიდველის ფაქტობრივი ბატონობის ქვეშ არსებული ნივთის დაბრუნებაზე, რაზეც გამყიდველი უთითებს იმ შემთხვევაში არსებული დათქმის ძალით, როდესაც მყიდველმა დროულად არ შეასრულა მასზე დაკისრებული ვალდებულებები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იმის შემდეგ, რაც მყიდველს ფორმალურად შეატყობინეს შესრულების თაობაზე, დაუდევარი რჩება მასზე დაკისრებული ვალდებულებების მიმართ.

მუხლი 7A: 1576r გამყიდველისათვის მიწოდებული ნივთის დაბრუნების შესახებ სარჩელის უზრუნველყოფის განჩინება

როდესაც გამყიდველს აქვს უფლება, მოითხოვოს ნივთის პირობადებული საკუთრებით გადაცემის ხელშეკრულებაზე უარი ანდა მყიდველისათვის პირობადებული საკუთრებით გადაცემის ხელშეკრულების საფუძველზე მიწოდებული ნივთის დაბრუნება, მაშინ რაიონულ სასამართლოს იმ გამყიდველის მოთხოვნის საფუძველზე, რომელსაც აქვს გონივრული ინტერესი ასეთი მოთხოვნისა, შეუძლია დაადგინოს ნივთის დაბრუნება სარჩელის უზრუნველყოფის განჩინებით, რომელიც ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღსრულებას.

მუხლი 7A:1576s მიწოდებული ნივთის დაბრუნება შედეგად იწვევს ნივთის პირობადებული საკუთრებით გადაცემის ხელშეკრულებაზე უარს

თუკი ადგილი აქვს მყიდველისათვის პირობადებული საკუთრებით გადაცემის ხელშეკრულების საფუძველზე მიწოდებული ნივთის უკან წაღებას იმ შემთხვევაში არსებული დათქმის ძალით, როდესაც მყიდველმა დროულად არ შეასრულა მასზე დაკისრებული ვალდებულებები, მაშინ ეს შედეგად იწვევს ნივთის პირობადებული საკუთრებით გადაცემის ხელშეკრულებაზე უარს გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარეები სხვაგვარად შეთანხმდნენ.

მუხლი 7A:1576t ხელშეკრულებაზე უარის კომპენსირების ვალდებულება

თუკი მყიდველის მიერ მასზე დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო ნივთის პირობადებული საკუთრებით გადაცემის ხელშეკრულებაზე უარის შედეგად გამყიდველი უკეთეს ფინანსურ მდგომარეობაში აღმოჩნდება, ვიდრე ის იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულება დარჩებოდა ძალაში, მაშინ ეს სარგებელი სრულად ექვემდებარება კომპენსირებას.

მუხლი 7A:1576u მყიდველის უფლება, უარი თქვას მიწოდებული ნივთის დაბრუნებაზე

თუკი მყიდველს ნივთის პირობადებული საკუთრებით გადაცემის ხელშეკრულებაზე უარის შემთხვევაში აქვს რაიმე ანაზღაურების მიღების უფლება, მას შეიძლება სასამართლომ მიანიჭოს უფლებამოსილება, უარი თქვას უკან გადმოსაცემი ნივთის დაბრუნებაზე მანამდე, სანამ გამყიდველი არ გადაუხდის მას კუთვნილ თანხას ანდა ამ ვალისთვის არ წარადგენს საკმარის უზრუნველყოფას.

მუხლი 7A:1576v მყიდველის უფლება, დაიბრუნოს ნივთი თანხის გადახდის სანაცვლოდ

– 1. თუკი მყიდველისათვის პირობადებული საკუთრებით გადაცემის ხელშეკრულების საფუძველზე მიწოდებული ნივთი დაუბრუნდა გამყიდველს იმის გამო, რომ ერთი ან რამდენიმე ვადამოსული და შესასრულებელი გადახდა არ განხორციელებულა და ეს მოხდა სასამართლოს მხრიდან რაიმე წინასწარი ჩარევის გარეშე, მაშინ მყიდველი უფლებამოსილია დაიბრუნოს ნივთი მისი ჩამორთმევიდან თოთხმეტი დღის განმავლობაში ამ მომენტისათვის ვადამოსული და შესასრულებელი გადახდების განხორციელებითა და ასევე ამ მომენტისათვის პროცენტის, ფინანსური სანქციებისა და ასანაზღაურებელი ხარჯების თანხების ანაზღაურებით.

– 2. იმ შემთხვევაში, როდესაც, შესაძლოა, უკვე მოხდა პირობადებული საკუთრებით გადაცემის ხელშეკრულებაზე უარის გაცხადება, წინა პარაგრაფში მითითებული გადახდის შედეგი ხდება ხელშეკრულებაზე უარის გაუქმება.

– 3. როდესაც პარ. 2-ში მითითებული ვითარება მეორდება, მყიდველს აქვს უფლება განახორციელოს მხოლოდ კიდევ ერთხელ გადახდა მთლიანი ნასყიდობის ფასის გადახდის ანგარიშში.

– 4. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ადგილი აქვს მთლიანი ნასყიდობის ფასის გადახდას, გამყიდველს შეუძლია უარი უთხრას მყიდველს ნასყიდობის ფასის გადახდის უფლებაზე, თუკი სახეზეა ისეთი გარემოებები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს 7A:1576r მუხლის ნორმების გამოყენება.

მუხლი 7A:1576w მიწოდებული ნივთის გამყიდველისათვის დაბრუნების შესახებ სასამართლოს განკარგულება

სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელშიც დადგინდა მყიდველის ვალდებულება, დააბრუნოს მისთვის პირობადებული საკუთრებით გადაცემის ხელშეკრულების საფუძველზე მიწოდებული ნივთი, ანდა რომელშიც მოხდა პირობადებული საკუთრებით გადაცემის ხელშეკრულებაზე უარის გაცხადება, შეიძლება შეიცავდეს გამყიდველისათვის ნივთის დაბრუნების შესახებ განკარგულებას.

მუხლი 7A:1576x დასაბრუნებელი ნივთის ფინანსური ღირებულების დადგენის შესახებ სასამართლოს განკარგულება

– 1. სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც მოიცავს მყიდველისათვის პირობადებული საკუთრებით გადაცემის ხელშეკრულების საფუძველზე მიწოდებული ნივთის დაბრუნების შესახებ განკარგულებას, შეიძლება ადგენდეს დასაბრუნებელი ნივთის ფინანსურ ღირებულებას.

– 2. აღნიშნულ შემთხვევაში გამყიდველის მიერ სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებას შეიძლება ადგილი ჰქონდეს ასევე დადგენილი ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნით წარდგენილი სარჩელის მეშვეობით.

ტიტული 7A.9 – ამხანაგობები

განყოფილება 7A.9.1 – ზოგადი დებულებები

მუხლი 7A: 1655 „ამხანაგობის ხელშეკრულების“ განმარტება

ამხანაგობის ხელშეკრულება წარმოადგენს ხელშეკრულებას, რომლის საფუძველზეც ორი ან მეტი პირი ერთმანეთის მიმართ კისრულობს ვალდებულებას, გააერთიანოს რაიმე ქონება იმ სარგებლის გაზიარების მიზნით, რომელიც შეიძლება იქნეს მიღებული ამ ქონებიდან.

მუხლი 7A: 1656 {გაუქმებულია}

მუხლი 7A: 1657 სრული ან სპეციალური ამხანაგობები

ამხანაგობები არის სრული ან სპეციალური.

მუხლი 7A: 1658 მოგების მიღების მიზნით შექმნილი სრული ამხანაგობა

კანონი ადგენს მხოლოდ სრულ ამხანაგობას, რომლის მიზანია მოგების მიღება. კანონი კრძალავს ყველა სახის ამხანაგობას უნივერსალური სამართალმემკვიდრეობით, რომლებიც მოიცავს მონაწილეთა მთლიან ქონებასა თუ მის კონკრეტულ ნაწილს, თუმცაღა, – ნიდერლანდების სამოქალაქო კოდექსის 1.7 ტიტულისა (მეუღლეთა საერთო საკუთრება) და 1.8 ტიტულის (საქორწინო ხელშეკრულებები) ნორმების მოქმედების შეზღუდვის გარეშე.

მუხლი 7A: 1659 სრული ამხანაგობის ქონება

მოგების მიღების მიზნის მქონე სრული ამხანაგობის ქონება შედგება მხოლოდ იმ აქტივებისაგან, რომლებსაც მონაწილეები ამხანაგობის არსებობის განმავლობაში თავიანთი საქმიანობის შედეგად ნებისმიერი სახელით იძენენ.

მუხლი 7A: 1660 სპეციალური ამხანაგობა

სპეციალური ამხანაგობა წარმოადგენს ამხანაგობას, რომელიც დაკავშირებულია მხოლოდ კონკრეტულ ქონებასთან ან ამ ქონებით სარგებლობასა თუ მისგან სარგებლის მიღებასთან, ანდა – კონკრეტულ სანარმოსა თუ კონკრეტული სამენარმეო ან პროფესიული საქმიანობის წარმართვასთან.

განყოფილება 7A.9.2 – ერთმანეთის შორის არსებული მონაწილეთა ვალდებულებები

მუხლი 7A: 1661 ამხანაგობის შექმნის მომენტი

ამხანაგობა იქმნება ხელშეკრულების დადების მომენტიდან, თუკი ამ ხელშეკრულებაში სხვა მომენტი არ არის განსაზღვრული.

მუხლი 7A: 1662 ამხანაგობაში განსახორციელებელი შენატანები

– 1. მონაწილის შენატანი შეიძლება იყოს ფულადი თანხა, ქონება, ქონებით სარგებლობისა და მისი გამოყენების უფლება და შრომა.

– 2. ნასყიდობის ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმები შესაბამისად გამოიყენება ქონების ამხანაგობაში შეტანის მიმართ, ხოლო ქირავნობის ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმები კი შესაბამისად გამოიყენება ქონებით სარგებლობისა და მისი გამოყენების უფლების ამხანაგობაში შეტანის მიმართ ყოველთვის იმ ფარგლებში, რომლებშიც მხარეთა შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის ბუნება ამას არ ეწინააღმდეგება.

მუხლი 7A: 1663 {გაუქმებულია}

მუხლი 7A: 1664 {გაუქმებულია}

მუხლი 7A: 1665 მიღებული გადახდების პროპორციული გადანაწილება

როდესაც ერთ-ერთ მონაწილეს შეუძლია თავის ხარჯზე მოითხოვოს იმ მესამე პირისაგან ვადამოსული და შესასრულებელი ფულადი თანხის გადახდა, რომელსაც, თავის მხრივ, ამხანაგობის მიმართ აქვს ფულადი თანხის გადახდის ვადამოსული და შესასრულებელი ვალდებულება, მაშინ ამ მონაწილის მიერ აღნიშნული მესამე პირისაგან თავისი მოთხოვნის ანგარიშში მიღებული გადახდა უნდა გადანაწილდეს მის მიერ პროპორციულად ორივე მოთხოვნაზე – თავის საკუთარ და ამხანაგობის მოთხოვნებზე იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მან გაათავისუფლა მესამე პირი მის წინაშე არსებული ვალდებულებისაგან. თუმცა, როდესაც ის აცხადებს მესამე პირის წინაშე, რომ მისი გადახდა სრულად განკუთვნილია ამხანაგობის მოთხოვნის დასაფარად, ეს განცხადება უნდა გაკეთდეს სხვა მონაწილეების მიმართ.

მუხლი 7A: 1666 ამხანაგობის მოთხოვნათა შეუსრულებლობა და ორმხრივი გადანაწილება

თუკი ერთ-ერთმა მონაწილემ მიიღო მესამე პირის მიმართ ამხანაგობის სავალი მოთხოვნისათვის თავისი წილის შესაბამისი გადახდა და ეს მესამე პირი ამის შემდგომ გადახდისუუნარო ხდება, მაშინ აღნიშნულმა მონაწილემ ამხანაგობას უნდა გადასცეს ყველა ის აქტივი, რაც მან მანამდე ამ მოთხოვნიდან გამომდინარე მესამე პირისაგან მიიღო იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მან გაათავისუფლა მესამე პირი მოთხოვნაში თავისი წილი ვალდებულებისაგან.

მუხლი 7A: 1667 *{გაუქმებულია}*

მუხლი 7A: 1668 *{გაუქმებულია}*

მუხლი 7A: 1669 *{გაუქმებულია}*

მუხლი 7A: 1670 მონაწილეობა ამხანაგობის შემოსავლებსა და ზარალში

– 1. როდესაც თითოეული მონაწილის წილი ამხანაგობის შემოსავლებსა და ზარალში არ განისაზღვრავს ამხანაგობის ხელშეკრულებაში, მაშინ თითოეული მათგანის წილი უნდა იყოს პროპორციული იმ აქტივისა, რაც მონაწილემ შეიტანა ამხანაგობაში.

– 2. იმ მონაწილეებთან დაკავშირებით, რომლებმაც ამხანაგობაში განახორციელეს მხოლოდ თავიანთი შრომითი შესაძლებლობებისა და უნარების შეტანა, მათი წილი ამხანაგობის შემოსავლებსა და ზარალში უთანაბრდება იმ მონაწილის წილს, რომელმაც განახორციელა ყველაზე მცირე მოცულობის შენატანი.

მუხლი 7A: 1671 ერთ-ერთი მონაწილის მიერ წილის ღირებულების შეფასება

– 1. დაუშვებელია მონაწილეთა შორის დათქმა იმის შესახებ, რომ ისინი თავიანთი წილების ღირებულების შეფასებას უთმობენ ერთ-ერთ მათგანს ან მესამე პირს.

– 2. მიიჩნევა, რომ აღნიშნული დათქმა არ არის მოცემული ამხანაგობის ხელშეკრულებაში და, ამდენად, უნდა შესრულდეს წინა მუხლების დანაწესები.

მუხლი 7A: 1672 ერთი მონაწილისათვის მინიჭებული სარგებელი და დაკისრებული ზარალი

– 1. ბათილია დათქმა, რომლითაც ყველა სარგებელი მიეცემა ერთ-ერთ მონაწილეს.

– 2. თუმცა, მიუხედავად აღნიშნულისა, დასაშვებია დათქმა იმის შესახებ, რომ სრული ზარალი ეკისრება მხოლოდ და მხოლოდ ერთ ან რამდენიმე მონაწილეს.

მუხლი 7A: 1673 მართვა და ადმინისტრირება

– 1. მონაწილეს, რომელსაც ამხანაგობის ხელშეკრულებაში არსებული სპეციალური დათქმის ძალით ეკისრება ამხანაგობის მართვა და ადმინისტრირება, შეუძლია, თუნდაც მიუხედავად სხვა მონაწილეთა სურვილისა, შეასრულოს მის მართვასა და ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ყოველგვარი მოქმედება.

– 2. ზემოაღნიშნული უფლებამოსილების გაუქმება დაუშვებელია მანამდე, სანამ ამხანაგობა არსებობს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სახეზეა მნიშვნელოვანი საფუძვლები. თუმცა, როდესაც აღნიშნული უფლებამოსილება მინიჭებულ იქნა არა ამხანაგობის ხელშეკრულებაში, არამედ მოგვიანებით შედგენილი აქტის ძალით, მაშინ მისი გამოთხოვა დასაშვებია, მსგავსად მიცემული დავალებისა.

მუხლი 7A: 1674 მმართველ მონაწილეთა ამოცანები და მოვალეობები

როდესაც რამდენიმე მონაწილეს ეკისრება ამხანაგობის მართვა და ადმინისტრირება მათი მოვალეობების განსაზღვრისა თუ იმ დათქმის გარეშე, რომლის თანახმადაც ერთი მონაწილე ვერ განახორციელებს ნებისმიერი სახის საქმიანობას სხვა მონაწილეთა ჩართულობის გარეშე, მაშინ თითოეული მათგანი უფლებამოსილია შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც კი შედის ამხანაგობის მართვისა და ადმინისტრირების სფეროში.

მუხლი 7A: 1675 ერთ ან რამდენიმე სხვა მონაწილესთან ერთად ამხანაგობის მართვის მოვალეობის შესახებ დათქმა

თუკი ამხანაგობის ხელშეკრულებაში მონაწილეებმა გააკეთეს დათქმა იმის შესახებ, რომ ერთ-ერთი მმართველი მონაწილე ვერ იმოქმედებს სხვა მონაწილეთა ჩართულობის გარეშე მანამდე, სანამ ამ მიზნით არ დაიდება ახალი ხელშეკრულება, ამ მონაწილეს არ ექნება უფლება, იმოქმედოს სხვა მონაწილეებთან თანამშრომლობის გარეშე იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ეს მონაწილეები გარკვეული დროით აღმოჩნდებიან ისეთ ვითარებაში, რომელშიც მათთვის შეუძლებელი ხდება ამხანაგობის მართვისა და ადმინისტრირების პროცესში მონაწილეობა.

მუხლი 7A: 1676 ამხანაგობის მართვისა და ადმინისტრირების განხორციელება

იმ შემთხვევაში, როდესაც ამხანაგობის მართვასა და ადმინისტრირებასთან დაკავშირებით არანაირი სპეციალური დათქმა არ გაკეთებულია, აუცილებელი ხდება შემდეგი წესების გაცვა:

1° მიიჩნევა, რომ ყველა მონაწილემ ერთმანეთს ორმხრივად მიანიჭა ამხანაგობის მართვისა და ადმინისტრირების უფლებამოსილება თითოეულის სახელით; ის, რაც ხორციელდება ყოველი მათგანის მიერ, მხოტავია ასევე სხვა მონაწილეთათვისაც ისე, რომ არ არის აუცილებელი ამისათვის მათი თანხმობის მიღება, თუმცა, – იმ პირობით, რომ სხვა მონაწილეებს ან ერთ-ერთ მათგანს აქვს უფლება, შეენიანაღმდეგოს მოქმედებას მანამდე, სანამ ის ჯერ არ განხორციელებულა;

2° ყოველ მონაწილეს შეუძლია ისარგებლოს ამხანაგობის აქტივებით იმ პირობით, თუკი ეს მოხდება დასახული მიზნის შესაბამისად და არა ამხანაგობის ინტერესების საწინააღმდეგოდ ანდა – არა იმდაგვარად, რომ სხვა მონაწილეებსაც ხელი შეეშალოს ამხანაგობის აქტივებით სარგებლობასთან დაკავშირებული კუთვნილი უფლების რეალიზაციაში;

3° ყოველ მონაწილეს შეუძლია მოითხოვოს სხვა მონაწილეებისაგან იმ ხარჯების დაფარვის კისრება, რომელთა განევაც აუცილებელი იყო ამხანაგობის აქტივების შენარჩუნებისათვის;

4° არც ერთ მონაწილეს სხვა მონაწილეთა თანხმობის გარეშე არ შეუძლია დაამატოს რაიმე ახალი ობიექტი ამხანაგობის უძრავ ნივთებს იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ის ამტკიცებს, რომ ეს კეთდება ამხანაგობის სასარგებლოდ.

მუხლი 7A: 1677 {გაუქმებულია}

მუხლი 7A: 1678 ამხანაგობაში მესამე პირის მონაწილეობა

ყოველი მონაწილე, თუნდაც სხვა მონაწილეთა თანხმობის გარეშე, უფლებამოსილია ამხანაგობაში თავისი წილის მართვის მონაწილედ გახადოს მესამე პირი, თუმცა, სხვა მონაწილეთა თანხმობის გარეშე მას არ შეუძლია ამ მესამე პირის ამხანაგობაში მონაწილედ მიღება მიუხედავად იმისა, დაეკისრება თუ არა მას ამხანაგობის მართვა და ადმინისტრირება.

განყოფილება 7A.9.3 – მონაწილეთა ვალდებულებები მესამე პირთა მიმართ

მუხლი 7A: 1679 მონაწილეთა პასუხისმგებლობა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილება

მონაწილეები პასუხს არ აგებენ ამხანაგობის მთლიანი ვალდებულებისა და ასევე მონაწილე არ არის უფლებამოსილი, დაავალდებულოს სხვა მონაწილეები იმ შემთხვევაში, თუკი მას ამ მიზნით არა აქვს მიწვებული რწმუნება (მინდობილობა).

მუხლი 7A: 1680 მონაწილეთა პასუხისმგებლობა პროფესიული ამხანაგობის გარიგებებისათვის

მონაწილეებს შეიძლება დაეკისროთ პასუხისმგებლობა იმ კრედიტორების მიერ, რომლებთანაც მათ

{ამხანაგობის სახელითა და ხარჯით} გარიგება გააფორმეს თანაბარი ოდენობითა და თანაბარნილად იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ერთ-ერთი მონაწილის წილი სხვების წილებზე ამხანაგობაში ნაკლებია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარეები შეთანხმდნენ, რომ მესამე პირთან ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაში შემოსვლით თითოეული მონაწილე პასუხისმგებელი იქნება ამ მესამე პირის წინაშე ამხანაგობაში ყველა მონაწილის რეალური წილის პროპორციულად.

მუხლი 7A: 1681 პროფესიული ამხანაგობის სახელითა და მის სასარგებლოდ დადებული გარიგებები

ის დათქმა, რომლის თანახმადაც გარიგება იდება ამხანაგობის სასარგებლოდ, ავალდებულებს მხოლოდ ამ გარიგების დამდებ მონაწილეს და არა სხვა მონაწილეებს გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამ მონაწილეებმა გარიგების დამდებ მონაწილეს მინიჭეს ამხანაგობის სახელით მოქმედების უფლებამოსილება (მინდობილობა) ანდა – ასეთი გარიგების შედეგად ამხანაგობა იღებს სარგებელს.

მუხლი 7A: 1682 პროფესიული ამხანაგობის უფლება, მოითხოვოს ვალდებულების შესრულება

თუკი ერთ-ერთმა მონაწილემ ამხანაგობის სახელითა და მის სასარგებლოდ დადო ხელშეკრულება, ამხანაგობას შეუძლია მოითხოვოს ამ ხელშეკრულების შესრულება.

განყოფილება 7A.9.4 – ამხანაგობის გაუქმება

მუხლი 7A: 1683 ამხანაგობის გაუქმება

ამხანაგობა უქმდება:

1° იმ ვადის გასვლით, რა ვადითაც დაიდო ამხანაგობის ხელშეკრულება;

2° ქონების დაკარგვით ან იმ ოპერაციის განხორციელებით, რომელიც წარმოადგენდა ამხანაგობის მიზანს;

3° ერთ-ერთი მონაწილის მიერ სხვა მონაწილეთა წინაშე წარდგენილი ამხანაგობის ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ განცხადებით;

4° როდესაც ერთ-ერთი მონაწილე გარდაიცვლება, დაუდგინდება ზრდასრული პირების მეურვეობა, გაკოტრდება ან აღმოჩნდება ფიზიკური პირებისათვის არსებული ვალდებულების დაფარვის სქემაში.

მუხლი 7A: 1684 ამხანაგობის გაუქმება სასამართლოს მიერ

– 1. ნებისმიერი მონაწილის მოთხოვნის საფუძველზე სასამართლოს მნიშვნელოვანი მიზეზების არსებობისას შეუძლია გააუქმოს ამხანაგობა.

– 2. აღნიშნულ გაუქმებას უკუქცევითი ძალა არა აქვს. სასამართლოს შეუძლია დააკმაყოფილოს მოთხოვნა მის მიერ დადგენილ პირობებზე და ასევე მოსთხოვოს პასუხი იმ მონაწილეს, რომელმაც არ შეასრულა 6:277 მუხლის შესაბამისად ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით მასზე დაკისრებული ვალდებულებები.

– 3. 6:265 მუხლიდან 6:279 მუხლის ჩათვლით ნორმები ამხანაგობის მიმართ არ გამოიყენება.

მუხლი 7A: 1685 {გაუქმებულია}

მუხლი 7A: 1684 ხელშეკრულების შეწყვეტის უფლების შეზღუდვები

– 1. მონაწილის მიერ ამხანაგობის ხელშეკრულების შეწყვეტა შეიძლება ცნობილ იქნეს საცილოდ, თუკი ის ხორციელდება გონივრულობისა და სამართლიანობის პრინციპის დარღვევით.

– 2. განსაზღვრული ვადით ან კონკრეტული სამუშაოს შესრულების მიზნით დადებული ამხანაგობის ხელშეკრულების მონაწილის შესაბამისი განცხადებით შეწყვეტა დაუშვებელია, თუკი ასეთი შეწყვეტის უფლება არ იყო მხარეთა მიერ დათქმული ხელშეკრულებაში.

მუხლი 7A: 1687 {გაუქმებულია}

მუხლი 7A: 1688 ერთ-ერთი მონაწილის გარდაცვალების შემთხვევაში დამდგარი სამართლებრივი შედეგები

– 1. თუკი მხარეები ხელშეკრულებაში შეთანხმდნენ იმის შესახებ, რომ ერთ-ერთი მონაწილის გარდაცვალების შემთხვევაში ამხანაგობა აგრძელებს არსებობას გარდაცვლილის მემკვიდრეებთან ერთად ანდა მხოლოდ არსებულ მონაწილეებს შორის, ასეთი შეთანხმება უნდა შესრულდეს.

– 2. მეორე შემთხვევაში გარდაცვლილი მონაწილის მემკვიდრეებს არა აქვთ სხვა უფლება, გარდა ამხანაგობის ქონების ისეთ მდგომარეობაში გაყოფის და განაწილების მოთხოვნისა, როგორშიც ეს ქონება იმყოფებოდა შესაბამისი მონაწილის გარდაცვალების დროს იმ პირობით, რომ მემკვიდრეები გაინაწილებენ სარგებელსა და იკისრებენ ზარალის ანაზღაურებას, რაც წარმოადგენს იმ მონაწილის გარდაცვალებამდე შესრულებული მოქმედებების პირდაპირ შედეგს, რომლის სამკვიდროს მისაღებად იქნენ მონვეული მემკვიდრეები.

ტიტული 7A.13 – თხოვების ხელშეკრულება

განყოფილება 7A.13.1 – ზოგადი დებულებები

მუხლი 7A:1777 „თხოვების ხელშეკრულების“ განმარტება

თხოვების ხელშეკრულება წარმოადგენს ხელშეკრულებას, რომლის საფუძველზეც ერთ-ერთი მხარე (გამნათხოვრებელი) უსასყიდლოდ გადასცემს მეორე მხარეს (მონათხოვრეს) ნივთს სარგებლობაში ისე, რომ ამ უკანასკნელის მიმღები მხარე ვალდებულია დააბრუნოს ის მისი გამოყენების ან განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ.

მუხლი 7A:1778 „თხოვების ხელშეკრულების“ განმარტება

გამნათხოვრებელი რჩება ნათხოვარი ნივთის მესაკუთრედ.

მუხლი 7A:1779 *{გაუქმებულია}*

მუხლი 7A:1780 გამნათხოვრებლის ან მონათხოვრის გარდაცვალება

– 1. თხოვების ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებები გადადის გამნათხოვრებლის მემკვიდრეებზე ანდა, შესაბამისად, – მის მეუღლესა თუ რეგისტრირებულ პარტნიორზე იმ შემთხვევაში, როდესაც მისი სამკვიდრო იყოფა 4:13 მუხლის შესაბამისად, და ასევე ეს ვალდებულებები გადადის ასევე მონათხოვრის მემკვიდრეებზეც.

– 2. თუმცაღა, როდესაც ნივთის თხოვება მოხდა მონათხოვრის მიმართ არსებული პირადი ურთიერთობის გამო, ამ უკანასკნელის მემკვიდრეები ვერ გააგრძელებენ ნივთის შემდგომ გამოყენებასა და მისით სარგებლობას.

განყოფილება 7A.13.2 – მონათხოვრის ვალდებულებები

მუხლი 7A:1781 წინადახედულობის დაცვა

– 1. მონათხოვრე ვალდებულია შეინახოს და შეინარჩუნოს მიღებული ნივთი ისე, როგორც ამას შეინახავდა და შეინარჩუნებდა წინადახედული პირი.

– 2. მონათხოვრე ვერ ისარგებლებს ნივთით სხვაგვარად, ვიდრე მისი ბუნებისა თუ მხარეთა შეთანხმებული წესის შესაბამისად სარგებლობა.

მუხლი 7A:1782 ნივთის დაკარგვა

თუკი ნათხოვარი ნივთი შემთხვევით იკარგება იმ დროს, როდესაც მონათხოვრეს შეეძლო ასეთი დანაკარგის თავიდან აცილება საკუთარი ნივთის გამოყენებით ანდა თუკი მონათხოვრეს შეეძლო მხოლოდ ერთ-ერთი ნივთის შენარჩუნება და მან პრიორიტეტი მიანიჭა საკუთარ ნივთს, მონათხოვრეს დაეკისრება პასუხისმგებლობა ნათხოვარი ნივთის დაკარგვისათვის.

მუხლი 7A:1783 ნათხოვარი ნივთის ღირებულების წინასწარი დადგენა

თუკი ნათხოვარი ნივთის ღირებულების დადგენა მოხდა მის გადაცემამდე, ნივთის დაკარგვისათვის პასუხისმგებლობა, – თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც დანაკარგი გამონვეულია შემთხვევით, – ეკისრება მონათხოვრეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარეები სხვაგვარად შეთანხმდნენ.

მუხლი 7A:1784 ნათხოვარი ნივთის ღირებულების შემცირება

როდესაც ნათხოვარი ნივთის ღირებულება შემცირდა მხოლოდ და მხოლოდ იმ გამოყენების შედეგად, რისთვისაც ის იყო გადაცემული და მონათხოვრის მხრიდან რაიმე ბრალის არარსებობისას, ამ უკანასკნელს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა ღირებულების ასეთი შემცირებისათვის.

მუხლი 7A:1785 მონათხოვრის მიერ განუღი ხარჯები

როდესაც მონათხოვრემ გასწია ხარჯები იმ მიზნით, რომ შეძლოს მიღებული ნივთით სარგებლობა, ის ვერ მოითხოვს ამ ხარჯების თანხების გამნათხოვრებლისაგან უკან დაბრუნებას.

მუხლი 7A:1786 ერთობლივად ორი ან მეტი მონათხოვრე

როდესაც ნივთის თხოვება ხდება ერთობლივად ორი ან მეტი მონათხოვრის მიერ სარგებლობისათვის, თითოეული მათგანი სოლიდარულად არის პასუხისმგებელი ამ ნივთის დაბრუნებასა და ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ვალდებულების შეუსრულებლობა ერთ-ერთ მათგანს ვერ შეერაცხება.

განყოფილება 7A.13.3 – გამნათხოვრებლის ვალდებულებები

მუხლი 7A:1787 ნივთის ვადაზე ადრე დაბრუნების დაუშვებლობა

გამნათხოვრებელს არ შეუძლია მოითხოვოს ნათხოვარი ნივთის დაბრუნება ხელშეკრულების ვადის ამონურვამდე, ხოლო ხელშეკრულებაში ასეთი დათქმის არარსებობისას კი, – ნივთის გამოყენებამდე ანდა იმ მომენტამდე, როდესაც შეიძლებოდა ნივთის თხოვების მიზნის შესაბამისი გამოყენება.

მუხლი 7A:1788 გამნათხოვრებელს ნივთი სასწრაფოდ სათავისოდ სჭირდება

თუმცაღა, თუკი გამნათხოვრებელს ხელშეკრულების ვადის გასვლამდე ანდა იმ მომენტამდე, როდესაც მონათხოვრეს აღარ ესაჭიროება ნივთი, სათავისოდ დასჭირდება ამ უკანასკნელით სარგებლობა, სასამართლოს არსებული გარემოებების შესაბამისად შეუძლია დაადგინოს მონათხოვრის მიერ ნივთის გამნათხოვრებლისათვის უკან დაბრუნება.

მუხლი 7A:1789 ნივთის შენარჩუნებისათვის აუცილებელი გადაუდებელი ხარჯების ანაზღაურება

თუკი მონათხოვრეს ნივთის თხოვების პერიოდში მოუწია იმ განსაკუთრებული ხარჯების განწევა, რომლებიც აუცილებელია ნივთის შენარჩუნებისათვის და, ამასთან, მონათხოვრეს იმდენად გადაუდებლად მოუწია ამ ხარჯების განწევა, რომ მან ვერ შეძლო გამნათხოვრებლისათვის შეტყობინების გაგზავნა ხარჯების განწევამდე, ამ უკანასკნელმა უნდა აუნაზღაუროს მონათხოვრეს აღნიშნული ხარჯები.

მუხლი 7A:1790 გამნათხოვრებლის პასუხისმგებლობა ნათხოვარი ნივთის ნაკლისათვის

როდესაც ნათხოვარ ნივთს აქვს ისეთი ნაკლი, რომელსაც შეუძლია მონათხოვრისათვის ზიანის მიყენება და გამნათხოვრებელმა იცოდა ამ ნაკლის შესახებ, თუმცა არ შეატყობინა მონათხოვრეს ამის თაობაზე, გამნათხოვრებელს დაეკისრება პასუხისმგებლობა აღნიშნული ნაკლით გამონწვეული შედეგებისათვის.

ტიტული 7A.14 – სესხის ხელშეკრულება

განყოფილება 7A.14.1 – ზოგადი დებულებები

მუხლი 7A:1791 „სესხის ხელშეკრულების“ განმარტება

სესხის ხელშეკრულება წარმოადგენს ხელშეკრულებას, რომლის საფუძველზეც ერთ-ერთი მხარე (გამსესხებელი) გადასცემს მეორე მხარეს (მსესხებელი) განსაზღვრული ოდენობის გვაროვნული ნიშნით განსაზღვრულ ნივთებს იმ პირობით, რომ ეს მეორე მხარე უკან გადასცემს იგივე ოდენობის, სახისა და ხარისხის გვაროვნულ ნივთებს.

მუხლი 7A: 1792 გვაროვნული ნიშნით განსაზღვრულ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემა

მსესხებელი, რომელმაც სესხის ხელშეკრულების საფუძველზე მიიღო გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ნივთები, ხდება ამ ნივთების მესაკუთრე და მას ეკისრება ნებისმიერი მიზეზით ამ ნივთების დალუპვით გამოწვეული ზარალის რისკი.

მუხლი 7A: 1793 სესხით ნაკისრი ნომინალური თანხა

როდესაც ადგილი აქვს ფულადი თანხის გასესხებას, ვალი მდგომარეობს მხოლოდ ხელშეკრულებაში განსაზღვრულ ფულადი თანხის ნომინალურ თანხაში.

მუხლი 7A: 1794 {გაუქმებულია}

მუხლი 7A: 1795 {გაუქმებულია}

განყოფილება 7A. 14.2 – გამსესხებლის ვალდებულებები

მუხლი 7A: 1796 გაცემული სესხის დაბრუნების მიმართ არსებული მოთხოვნები

ის, რაც გამსესხებელმა სესხის სახით გასცა, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის გასვლის მომენტამდე ვერ იქნება მის მიერ მოთხოვნილი.

მუხლი 7A: 1797 სესხის დაბრუნების ვადასთან დაკავშირებით მხარეთა დათქმის არარსებობა

როდესაც მხარეები არ შეთანხმებულან სესხის ვადაზე, სასამართლოს გამსესხებლის მიერ ნივთების დაბრუნების მოთხოვნის შემთხვევაში, არსებული გარემოებების შესაბამისად, შეუძლია განუსაზღვროს მსესხებელს სესხის დაბრუნების კონკრეტული ვადა.

მუხლი 7A: 1798 დათქმა იმის შესახებ, რომ მსესხებელმა უნდა დააბრუნოს ნივთები იმ დროს, როდესაც ის ამას შეძლებს

თუკი მხარეები შეთანხმდნენ, რომ მსესხებელმა ნივთები უნდა დააბრუნოს იმ დროს, როდესაც ის ამას შეძლებს, სასამართლოს, არსებული გარემოებების შესაბამისად, შეუძლია დაადგინოს ვადა ნივთების დაბრუნებისათვის.

მუხლი 7A: 1799 7A: 1790 მუხლის ნორმათა გამოყენება

სესხის მიმართ გამოიყენება 7A: 1790 მუხლის ნორმები.

განყოფილება 7A. 14.3 – მსესხებლის ვალდებულებები

მუხლი 7A: 1800 მსესხებლის ძირითადი ვალდებულებები

მსესხებელი ვალდებულია, დროულად დააბრუნოს იგივე ოდენობის, სახისა და ხარისხის ნივთები.

მუხლი 7A: 1801 სამართლებრივი შედეგები, როდესაც მსესხებელს არ შეუძლია იგივე სახის ნივთების დაბრუნება

– 1. როდესაც მსესხებლისთვის შეუძლებელია წინა მუხლში მითითებული ვალდებულების შესრულება, მან უნდა აანაზღაუროს მიღებული ნივთების ღირებულება, რაც გამოითვლება იმ ვადისა და ასევე ადგილის ჯეროვანი გათვალისწინებით, როდესაც და სადაც უნდა მომხდარიყო ნივთების დაბრუნება.

– 2. თუკი ნივთების დაბრუნების დრო და ადგილი განსაზღვრული არ არის, ანაზღაურების თანხა უნდა უტოლდებოდეს ღირებულებას, რაც ნივთებს ჰქონდა იმ მომენტსა და ადგილზე, როდესაც და სადაც გამსესხებელმა მიანოდა ისინი მსესხებელს.

მუხლი 7A: 1802 {გაუქმებულია}

მუხლი 7A: 1803 {გაუქმებულია}

განყოფილება 7A. 14.4 – პროცენტური სესხი

მუხლი 7A: 1804 წერილობითი ფორმით განსაზღვრული პროცენტი

ხელშეკრულების საფუძველზე შეთანხმებული პროცენტის თანხა უნდა განისაზღვროს წერილობითი ფორმით.

მუხლი 7A: 1805 პროცენტი, რომელიც არ არის მხარეთა მიერ შეთანხმებული

თუკი გამსესხებელმა მოახდინა ფულადი თანხის პროცენტით გასესხება ისე, რომ პროცენტის ოდენობა არ იქნა განსაზღვრული, მსესხებელმა უნდა იხადოს კანონისმიერი პროცენტი.

მუხლი 7A: 1806 გადახდის მიღება პროცენტთან დაკავშირებით დათქმების გარეშე

თანხის მიღების დამადასტურებელი ქვითარი, რომლითაც ხდება ძირითადი თანხის მიღების აღიარება პროცენტთან დაკავშირებით ნებისმიერი დათქმის გარეშე, ქმნის პრეზუმფციას, რომ მოვალე თავისუფლდება პროცენტის გადახდის ვალდებულებისაგან.

ტიტული 7A. 15 – სამისდღეო რჩენა

მუხლი 7A: 1807 „სამისდღეო რჩენის“ განმარტება

სამისდღეო რჩენის დადგენა წარმოადგენს ხელშეკრულებას, რომლის საფუძველზეც სარჩენი თანხმდება პერიოდულად გადასახდელი პროცენტის თანხებზე იმ ძირითადი თანხის დაფარვის სანაცვლოდ, რომელიც მან არ უნდა დააბრუნოს.

მუხლი 7A: 1808 მოვალის მიერ პროცენტის თანხების დაფარვის უფლება

– 1. თავისი ბუნების მიხედვით სამისდღეო რჩენის თანხებზე დარიცხული პროცენტის თანხები შეიძლება დაიფაროს მოვალის მიერ.

– 2. მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ მხოლოდ იმაზე, რომ ასეთ დაფარვას არ ჰქონდეს ადგილი განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ათ წელს, ანდა – კრედიტორის ნებისმიერი წინასწარი გაფრთხილების გარეშე მხარეების მიერ წინასწარ აღნიშნული მიზნით დადგენილი ვადის ჯეროვანი დაცვით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ერთ წელს.

მუხლი 7A: 1809 მოვალის მიერ პროცენტის თანხების დაფარვის ვალდებულება

სამისდღეო რჩენის ვალდებულებიდან გამომდინარე მოვალეს შეიძლება მოეთხოვოს პროცენტის თანხების დაფარვა იმ შემთხვევაში:

1° თუკი ვადამოსული პროცენტის თანხებიდან მას ზედრიხედ ორი წლის განმავლობაში არაფერი გადაუხდია;

2° თუკი მან სარჩენს არ წარუდგინა ხელშეკრულებით შეპირებული უზრუნველყოფა, ანდა;

2° თუკი ის ცხადდება გაკოტრებულად ან მის მიმართ გამოიყენება ფიზიკური პირებისათვის არსებული ვალდებულების დაფარვის სქემა.

მუხლი 7A: 1810 პროცენტის თანხების დაფარვის ვალდებულებისაგან გათავისუფლება

წინა მუხლის 1° და 2°-ში გათვალისწინებულ შემთხვევებში, კრედიტორს შეუძლია გაითავისუფლოს თავი პროცენტის თანხების დაფარვის ვალდებულებისაგან, თუკი ის გადახდის შესახებ სასამართლო შეტყობინებიდან ოცი დღის განმავლობაში სრულად ფარავს ვადამოსული და გადასახდელი პროცენტის თანხას და წარადგენს შეპირებულ უზრუნველყოფას.

ტიტული 7A.16 – რისკთან დაკავშირებული ხელშეკრულება

განყოფილებები 7A.16.2 და 7A:16.3 [გაუქმებულია]

განყოფილება 7A.16.4 – აზარტული თამაშობის ხელშეკრულებები

მუხლი 7A:1825 სასამართლო წესით ვალის დაფარვის მოთხოვნის დაუშვებლობა

კანონი არ უშვებს რაიმე მოთხოვნის უფლებას (სარჩელს) თამაშობიდან ან სანაძლეოდან გამომდინარე ვალთან დაკავშირებით.

მუხლი 7A:1826 ფიზიკური მომზადებისათვის ვარგისი თამაშობები

- 1. თუმცაღა, ზემოაღნიშნული წესი არ მოიცავს ფიზიკური მომზადებისათვის ვარგის თამაშობებს, როგორცაა ფარიკაობა, რბოლა და მისთ.
- 2. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, სასამართლოს შეუძლია უარი თქვას მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე ან შეამციროს მისი ოდენობა იმ შემთხვევაში, თუ ის ამ მოთხოვნას გადამეტებულად ჩათვლის.

მუხლი 7A:1827 კანონის იმპერატიული ნორმები

წინა ორი მუხლის ნორმებიდან გადახვევა ნებისმიერ შემთხვევაში დაუშვებელია.

მუხლი 7A:1828 ზარალის ნებაყოფლობითი დაფარვა

პირი, რომელმაც ნებაყოფლობით აანაზღაურა მის მიერ მიყენებული ზარალი, ვედარ მოითხოვს გადახდილი თანხის უკან დაბრუნებას, გარდა მოგებული პირის მხრიდან თაღლითობის ან მოტყუების ფაქტისა.